

# ബഹുമാന

ക്രൈസ്തവ ക്രിസ്ത്യാദി  
ദാരം മില്ലിനി

## ეპოლოგია

რობერტ რიპლევსი  
მისურის ნმ. ლუისის უნივერსიტეტი

გარი მილერი  
მისისიპის უნივერსიტეტი



ეკოლოგია. რობერტ რიკლეფსი, გარი მილერი

**Ecology. Robert E. Ricklefs, Gary Miller**

ეს შესავალი სახელმძღვანელო ზოგად ეკოლოგიაში მიმართულია იმაზე, რომ  
დაეხმაროს სტუდენტებს ეკოლოგიის ძირითადი კონცეფციების წვდომაში და კურსი  
უფრო გამოყენებითი გახადოს, ვიდრე თეორიული. ევოლუციური პერსპექტივა  
წიგნში გაშლილი მთელი დისკუსიის საფუძველს ქმნის. სახელმძღვანელოს  
გამორჩეული წყობა - ყოველ თავში ყურადღება გაამახვილოს მხოლოდ რამდენიმე  
ძირითად კონცეფციაზე - მას თავის სფეროში “კონკურენტებზე” მაღლა აყენებს.

წიგნის თარგმანი დაფინანსდა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პროგრამით  
- ”საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების განვითარება”. წიგნი მომზადდა ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მიერ.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა  
ქაქუცა ჩოლოვაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო  
Ilia State University Press  
3/5 K. Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

## ავტორთა შესახებ



**რობერტ რიკლეფსი** — ბიოლოგის პროფესორი მისურის წმ. ლუისის უნივერსიტეტში. ამ ფაკულტეტზე 1966 წელს გადმოვიდა პენსილვანიის უნივერსიტეტის ბიოლოგის განხრაში ოცდაშვიდწლიანი მუშაობის შემდეგ. დაიბადა კალიფორნიაში. დაამთავრა სტენფორდის უნივერსიტეტი. პენსილვანიის უნივერსიტეტში მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი. მისი კვლევის სფეროა ფრინველთა რეპროდუქციის დინამიკა, განვითარების ციკლის ევოლუციური დიფერენციაცია, ბიოგეოგრაფია და ბიოლოგიური თანასაზოგადოებების ისტორიული განვითარება, მათ შორისაა ბიომრავალფეროვნების ფართომასშტაბიანი ნიმუშების გენერაცია და შენარჩუნება. სამუშაოს კვლევითი ხასიათის გამო, მას უამრავ განსხვავებულ ადგილას მოუწია ყოფნა, დაბლობი ტროპიკებიდან ანტარქტიდის კუნძულებამდე. პროფესორი რიკლეფსი არის ამერიკის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის აღმენიერების ასოციაციის წევრი. არის ავტორი წიგნის „The Economy of Nature“ და ამერიკული სამეცნიერო ლექსიკონის ერთ-ერთი თავის „Aging: A Natural History“-ის თანაავტორი. ორივე წიგნი გამოსცა „W.H. Freeman and Company“-მ.

**გარი მილერი** — პროფესორი და ბიოლოგის განხრის ხელმძღვანელი მისისიპის უნივერსიტეტში. ამ ფაკულტეტზე მუშაობს 1989 წლიდან. გაიზარდა შენანდოას ველზე, ვირჯინიის შტატში. დაამთავრა უილიამისა და მერის კოლეჯი 1966 წელს, სადაც მიიღო ბაკალავრის ხარისხი ბიოლოგიაში და მეორე პროფესია ანთროპოლოგიაში. 1982 წელს მისისიპის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი სტატისტიკის განხრით. მის კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ლომ თბობებში ყურადღების მიქცევის, არშიყის ევოლუციაზე. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები მრავალ სფეროში, მათ შორისაა თანასაზოდადობებისა და მოსახლეობის ეკოლოგია, თეორიული ეკოლოგია და ცხოველთა ქცევა. ამჟამად უურნალ „Journal of the ecological society of America“-ს რედაქტორის თანაშემწევა. მისისიპის უნივერსიტეტში მიჰყავს კურსი თეორიულ ეკოლოგიასა და ბიოსტატისტიკაში, ხოლო თავმჯდომარეობამდე, ექვსი წლის განმავლობაში, ასწავლიდა ზოგად ეკოლოგიას. მილერის პირველი წიგნი გამოქვეყნდა „W.H. Freeman and Company“-ს მიერ.

## მოკლე სარჩევი

### **ნაილი I. შესავალი**

1. ბუნებრივი სამყაროს წესრიგი
2. წესრიგის აღმოჩენა ბუნებაში

### **ნაილი II. ორგანიზმები ფიზიკურ გარემოში**

3. სიცოცხლე და ფიზიკური გარემო
4. წყალი და ხსნადი ნივთიერებების ბალანსი
5. ენერგია და სითბო
6. პასუხი გარემოს ცვლილებებზე
7. ბიოლოგიური ფაქტორები გარემოში
8. კლიმატი, ტოპოგრაფია და ბუნების სამყაროს მრავალ-ფეროვნება

### **ნაილი III. ენერგია და ნივთიერებები ეკოსისტემაში**

9. ეკოსისტემის კონცეფცია
10. ენერგიის დინება ეკოსისტემაში
11. ელემენტთა მოძრაობა და გზები ეკოსისტემაში
12. საკვები ნივთიერებების რეგენერაცია ხმელეთის და წყლის ეკოსისტემებში
13. ეკოსისტემის ფუნქციის რეგულირება

### **ნაილი IV. მოსახლეობის ეკოლოგია**

14. მოსახლეობის სტრუქტურა
15. მოსახლეობის ზრდა
16. მოსახლეობის რეგულირება

### **ნაილი V. მეტაპოლულაციები**

18. მოსახლეობათა ფლუქტურა და ციკლები
19. გადაშენება, შენარჩუნება და აღდგენა

### **ნაილი VI. მოსახლეობის ინტერაქციები / ურთიერთობები**

20. რესურსები და მომხმარებლები
21. კონკურენციის თეორია
22. კონკურენცია ბუნებაში
23. მტაცებლობა
24. ბალანსისმჭამელობა და პარაზიტიზმი
25. თანაევოლუცია და მუტუალიზმი

### **ნაილი VII. თანასაზოგადოებათა ეკოლუცია**

26. თანასაზოგადოების კონცეფცია
27. თანასაზოგადოების სტრუქტურა
28. თანასაზოგადოების განვითარება
29. ბიომრავალფეროვნება

### **ნაილი VIII. ეკოლუციური ეკოლოგია**

30. ეკოლუცია და ადაპტაცია
31. ადაპტაცია ჰეტეროგენულ გარემოებებთან
32. სასიცოცხლო ციკლების ეკოლუცია
33. სქესი
34. ეკოლუცია და სოციალური ქცევა



# 3რცელი სარჩევი

ავტორთა შესახებ

მოკლე სარჩევი

ეაროლოგის აცალითიაური მოდელები

ეაროლოგის მოდელები და ფაქტოლოგია

ეაროლოგის გაყოფის ზაღაპარი

## ნაცილი I შესავალი

### 1. ბუნებრივი სამყაროს წესრიგი

- 1.1 ჩვენ შეიძლება, დავაკვირდეთ სტრუქტურას ბუნებრივ სამყაროში
- 1.2 ბუნებრივი სამყარო მრავალფეროვანი, კომპლექსური და ურთიერთდამოკიდებულია
- 1.3 ბუნებრივი სამყარო დინამიკურია, მაგრამ ამავდროულად სტაბილური და თვითგანახლებადი
- 1.4 ბუნებრივი სამყარო ორგანიზებულია ფიზიკური და ბიოლოგიური პროცესების მიერ
- 1.5 სტრუქტურები ბუნებაში გაგებულია ევოლუციისა და ბუნებრივი გადარჩევის საშუალებით
- 1.6 აღქმა გავლენას ახდენს და ზღუდავს ბუნების ჩვენებულ გაგებას
- 1.7 ბუნების ისტორია (ბუნებათმცოდნეობა) წარმოადგენს ეკოლოგიური კვლევის საფუძველს
- 1.8 ბუნების წესრიგზე გავლენას ახდენს ადამიანთა საქმიანობა

### 2. ბუნების წესრიგის აღმოჩენა

- 2.1 კითხვები ბუნების შესახებ გაფართოებული და რაფინირებულია ჰიპოთეზებსა და თეორიები
- 2.2 დასკვნები ბუნების სამყაროს შესახებ მოიცავს უზუსტონებებს
- 2.3 ეკოლოგები იყენებენ არჩევით კვლევებს ეკოლოგიური პარამეტრების განსასაზღვრად

- 2.4 ეკოლოგები ბუნებაში მიზეზობრივი კავშირის შესასწავლად იყენებენ ექსპერიმენტებს
- 2.5 ექსპერიმენტული კვლევები მრიცავენ დამუშავების გამოყენებას და რეაქციაზე დაკვირვებას
- 2.6 ისტორიული ანალიზი გვაწვდის ინფორმაციას ევოლუციური ცვლილების შესახებ
- 2.7 ეკოლოგიური კვლევა აწყდება ბევრ პრაქტიკულ და ლოგისტიკურ გამოწვევას
- 2.8 ეკოლოგები ერთმანეთს იდეებს ჰუბლიკაციების გზით უზიარებებს
- 2.9 სოფლის მეურნეობა და რესურსთა მენეჯმენტი ეკოლოგიურ პრინციპებს ემყარება
- 2.10 ეკოლოგიური კვლევა შეიძლება ორგანიზებული იყოს მზარდი კომპლექსურობის დონეთა გარშემო

## ნაცილი II. ორგანიზმები ფიზიკურ გარემოში

### 3. სიცოცხლე და ფიზიკური გარემო

- 3.1 ბიოლოგიური და ფიზიკური სამყაროები ურთიერთდამოკიდებულია
- 3.2 სიცოცხლეს უნიკალური ნიშნები აქვს, რომლებსაც არ იზიარებენ ფიზიკური სისტემები
- 3.3 ცოცხალ ორგანიზმებს შეუძლიათ თერმოდინამიკურად გაზარდონ თავიანთი ენერგიის მარაგი წარმოუდგენელი ტრანსფორმაციის საშუალებით
- 3.4 ორგანიზმებს შეუძლიათ, გააკონტროლონ ენერგიის და ნივთიერებათა დინება თავიანთ შინაგან და გარეგან სამყაროებს შორის

- 3.5 ფორმა და ფუნქცია იცვლება სხეულის ზომასთან ალომეტრიულად
- 3.6 სიცოცხლის ფორმების ადაპტირებაზე კომპრომისი დომინირება

#### **4. წყლისა და ხსნადი ნივთიერებების ბალანსი**

- 4.1 წყლის შემცველობა ორგანიზმს სიცოცხლისადმი კეთილგანწყობას ანიჭებს
- 4.2 ხსნად გარემოში დაშლილი ნივთიერებები ორგანიზმებისთვის ოსმოსურ წნევას წარმოშობენ
- 4.3 მარილებისა და წყლის ბალანსი ერთდროულად ხდება
- 4.4 ცხოველებისთვის ნივთიერებათა თხევადი სახით გადაცემა არის ამ ცხოველების ოსმორეგულირებადი ადაპტაცია
- 4.5 ახოტოვანი ნარჩენების გამოყოფა ხმელეთის ცხოველებს განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნის
- 4.6 ნიადაგისთვის დამახასიათებელი წყლის შეკავება დამოკიდებულია გრუნტის ნანილაკების ზომაზე
- 4.7 წყლის გადაადგილება ნიადაგიდან მცენარეში და შემდეგ ატმოსფეროში დამოკიდებულია აორთქლებაზე და წყლის კოპეზიურ (შეერთების უნარი) თვისებებზე
- 4.8 ცხოვრება მოითხოვს არაორგანულ საკვებ ნივთიერებებს

#### **5. ენერგია და სითბო**

- 5.1 ბიოლოგიური ენერგიის ტრანსფორმაციათა უმრავლესობა დამოკიდებულია ჟანგბადისა და ნახშირბადის ქიმიაზე
- 5.2 სინათლის ენერგია სასიცოცხლო პროცესების უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალაა
- 5.3 წყალში სინათლის ატენუაცია (განელება) ზღუდავს ფოტოსინთეზს წყლიან ადგილებში
- 5.4 C<sub>4</sub> და CAM ფოტოსინთეზი ზრდის წყლის გამოყენების ეფექტურობას
- 5.5 სასიცოცხლო პროცესები ტემპერატურათა ვიწრო დიაპაზონში იჩენენ თავს

- 5.6 გამოსხივება, გამტარობა და კონვექცია განსაზღვრავენ ხმელეთზე მობინადრე ორგანიზმების თერმულ გარემოს
- 5.7 ადაპტაციების შედეგად ორგანიზმთა ოპტიმალური ტემპერატურა გარემოს ტემპერატურას ემთხვევა

#### **6. რეაქციები გარემოს ცვლილებაზე**

- 6.1 ჰომეოსტაზი დამოკიდებულია უარყოფით უკუკავშირზე
- 6.2 სხეულის ტემპერატურის რეგულირება ცხოველებში ჰომეოსტაზის მნიშვნელოვანი ასპექტია
- 6.3 რეგულაციის დონე აბალანსებს მოგებასა და საფასურს
- 6.4 ტემპერატურის რეგულაცია და წყლის ბალანსი უდაბნოებში მოითხოვს მრავალფეროვან ჰომეოსტაზურ ადაპტაციას
- 6.5 ცვლილებები გარემოში თავს იჩენენ სხვადასხვა დროით და სივრცით მასშტაბებზე
- 6.6 ორგანიზმის მიერ „პეტჩების“ არჩევა განსაზღვრავს მისი აქტიურობის სფეროს
- 6.7 ჰომეოსტაზური რეაქციები იცვლება თავისი დროის კურსების მიხედვით
- 6.8 მიგრაცია, დაგროვება და ძილი საშუალებას აძლევს ორგანიზმებს გაუძლონ შეუფერებელ პირობებს
- 6.9 უახლოესი სიგნალები ორგანიზმებს საშუალებას აძლევენ, ნინასწარ შეიგრძნონ მოსალოდნელი გარემოს ცვლილება
- 6.10 ეკოტიპური დიფერენციაცია ასახავს ადგილობრივი პირობებისადმი ადაპტაციას

#### **7. ბიოლოგიური ფაქტორები და გარემო**

- 7.1 ბიოტური ფაქტორები ხელს უწყობს მრავალფეროვნებას მაშინ, როცა აბიოტურები კონვერგენციას
- 7.2 მტაცებელთა ადაპტაცია ცხადყოფს ბიოტური გარემოს, როგორც ბუნებრივი გადარჩევის აგენტის მნიშვნელობას

- 7.3 მსხვერპლი თავს იცავს არიდებით, მოტყუებითა და დამცავი მორ-ფოლოგით
- 7.4 ბალახისმჭამელებმა უნდა გადალახონ მცენარეთა უნიკალური დამცავი საშუალებები
- 7.5 მცენარეები იყენებენ სტრუქტუ-რულ და ქიმიურ დამცავ სასუალე-ბებს ბალახისმჭამელობის წინააღმ-დებ
- 7.6 პარაზიტებს ახასიათებთ მტარებ-ლის სპეციფიკურობა და კომპლექ-სური სასიცოცხლო ციკლები

## **8. ბუნებრივი სამყაროს კლიმატი, ტიპოგრაფია და მრავალფეროვნება**

- 8.1 განედებთან ერთად მზის რადიაცი-ის ცვლილება ქმნის უდიდეს გლო-ბალურ სტრუქტურებს ტემპერატუ-რასა და ნალექებში
- 8.2 სეზონებს მოაქვს მოსალოდნელი ცვლილებები გარემოში
- 8.3 ირეგულარული ფლუქტუაცია გარემოში დიდად აისახება პერი-ოდულ ციკლებზე
- 8.4 ადგილობრივი ტოპოგრაფიული და გეოლოგიური თვისებები გლო-ბალურ კლიმატურ სტრუქტურებში დამატებით ცვლილებებს წარმოშო-ბენ
- 8.5 ნალექიანობასა და ევაპოტრანს-პირაციას შორის ბალანსი გავლენას ახდენს გარემო პირობებზე
- 8.6 მცენარეთა განაწილება დამოკიდე-ბულია კლიმატურ ნიშნებზე, ტოპო-გრაფიასა და ნიადაგზე
- 8.7 მცენარეთა და ცხოველთა ადაპტა-ციები ემთხვევა გარემო პირობებს თავიანთი გარემოს ფარგლებში
- 8.8 მცენარეთა ფორმაზე დაფუძნებ-ული კლასიფიკაცია, ეთანხმება კლიმატს
- 8.9 გლობალური სასიცოცხლო ფორმე-ბი შეიძლება დიფერენცირებული იყოს ტემპერატურასა და ნალექებს შორის ურთიერთობით
- 8.10 ბიომის კონცეფცია ბუნებრივ სამყაროში ფართომასშტაბიანი ცვლილებების ორგანიზებას ახდენს
- 8.11 წყლის სისტემების კლასიფიკაცია დამყარებულია ფიზიკურ მახასი-ათებლებზე

## **ნაწილი III. ენერგია და ნივთიერებები ეკოსისტემაში**

### **9. ეკოსისტემის კონცეფცია**

- 9.1 თანამედროვე ეკოლოგიის უმეტესი ნაწილი ემყარება ორ კონცეფციას, რომლებიც წარმოიშვა მეოცე საუ-კუნის ნატურალისტების დაკვირვე-ბათა შედეგად
- 9.2 ორგანიზმის ანალოგი გამოყ-ენებულ იქნა ბიოლოგიურ თანა-საზოგადოებებში ფ.ე. კლემენტისა და ა.გ. ტენსლის მიერ
- 9.3 ჩარლზ ელტონმა აღნერა თანა-საზოგადოებები კვებითი ურთიერ-თობების საფუძველზე
- 9.4 ა.ჯ. ლოტკამ მხარი დაუჭირა ეკო-სისტემის თერმოდინამიკულ ხედვას
- 9.5 რამონდ ლინდემანმა განავითარა ეკოსისტემის ტროფულ-დინამი-კური კონცეფცია
- 9.6 ა.ჯ. ლოტკამ აღნერა ეკოსისტემის ფუნქციური რეგულაცია კომპონენ-ტური ნომენკლატურის ეკოლოგი-ური ურთიერთობის საფუძველზე
- 9.7 ეუგენ ოდუმმა გაავრცელა ეკო-სისტემის დინამიკის კვლევა
- 9.8 წყალგამოყოფის კვლევებმა ხაზი გაუსვა ელემენტებისა და ენერგიის დინებას ეკოსისტემებში და მათ შორის
- 9.9 ლანდშაფტის ეკოლოგია განიხი-ლავს სივრცითი მასშტაბის გავლე-ნას ეკოსისტემის ფუნქციაზე
- 9.10 ეკოსისტემათა შესასწავლად გამოიყენება როგორც ტაქტიკური, ისე სტრატეგიული მიდგომები

### **10. ენერგიის დინება ეკოსისტემებში**

- 10.1 მცენარეები ახდენენ სინათლის ასიმილაციას ფოტოსინთეზის საშუ-ალებით
- 10.2 მცენარის პროდუქტიულობის გაზომვის მეთოდები იცვლება ბუნებრივი გარემოსა და ზრდის ფორმებთან ერთად
- 10.3 ფოტოსინთეზის დონე იცვლება სინათლის, ტემპერატურის, წყლისა და საკვები ნივთიერებების ხელმის-აწვდომობის მიხედვით

- 10.4 ხმელეთისა და წყლის ეკოსისტე-  
მების პროდუქტიულობა იზღუდება  
სხვადასხვა ეკოლოგიური ფაქ-  
ტორებით
- 10.5 ეკოლოგიური ეფექტურობა ახასი-  
ათებს ენერგიის მოძრაობას კვებით  
ჯაჭვში
- 10.6 ინდივიდუალური რგოლი კვებით  
ჯაჭვში არის ძირითადი ერთეული  
კვებით სტრუქტურაში
- 10.7 ასიმილაციისა და პროდუქციის  
ეფექტურობა განსაზღვრავს  
ეკოლოგიურ ეფექტურობას
- 10.8 ხმელეთის ეკოსისტემებზე დომინი-  
რებს დეტრიტული კვებითი ჯაჭვე-  
ბი
- 10.9 რა დრო არის საჭირო იმისთვის,  
რომ ენერგიამ გადაკვეთოს მთელი  
ეკოსისტემა?
- 10.10 ენერგიის ტრანსფერი და აკუმულა-  
ცია აღწერს ეკოსისტემის სტრუქ-  
ტურასა და ფუნქციას
- 10.11 კვებითი ჯაჭვების სიგრძე შეზ-  
ღუდულია ეკოლოგიური ეფექ-  
ტურობით

## 11. ელემენტთა მოძრაობა და გზები ეკოსისტემაში

- 11.1 მრავალი ელემენტის მოძრაობა  
ხდება ენერგიის დინების პარალე-  
ლური გაერთიანებების საშუალე-  
ბით
- 11.2 ელემენტები ცირკულირებენ ეკო-  
სისტემის ნაშილებს შორის
- 11.3 წყლის ციკლი წარმოადგენს ეკო-  
სისტემაში ელემენტთა ბრუნვის  
ფიზიკურ მოდელს
- 11.4 სისტემის ჟანგვა-აღდგენითი  
პოტენციალი განსაზღვრავს მისი  
ენერგიის დონეს
- 11.5 ახლანდელი ნახშირბადის ციკლი  
მოცავს დალექილი ნახშირბადის  
ნაკლებობას
- 11.6 აზოტი გვხვდება მრავალნაირ ჟანგ-  
ვით მდგომარეობაში ეკოსისტემაში  
მოძრაობის დროს
- 11.7 ფოსფორის ციკლი მჭიდრო კავ-  
შირშია ნიადაგში  $pH$ -სა და წყლიან  
გარემოში საკვებ ინტერაქციებთან
- 11.8 გოგირდი მრავალ ჟანგვა-აღდგენით  
რეაქციაში მონაწილეობს

- 11.9 ეკოსისტემებში ელემენტთა ციკლე-  
ბი ერთმანეთთან კომპლექსურ  
ინტერაქციები მოდიან
- 11.10 მიკროორგანიზმები განსა-  
კუთრებულ როლს ასრულებენ  
ელემენტთა ციკლში

## 12. საკვებ ნივთიერებათა რეგენერა- ცია ხმელეთის და ზღვის ეკოსისტე- მებში

- 12.1 რეგენერაციული პროცესები  
ხმელეთის ეკოსისტემებში თავს  
იჩენს ნიადაგში
- 12.2 ეროზია, გამოქარვა არის ქანების  
ფიზიკური და ქიმიური დაშლა  
დედამიწის ზედაპირთან ახლოს
- 12.3 საკვები კათიონების ტუტეებად  
აღდგენა განისაზღვრება ნიადაგში  
თინის და ჰუმურის შემცველობით
- 12.4 ხმელეთის ეკოსისტემებში არსებულ  
საკვებ ნივთიერებათა უმრავლესო-  
ბა ბრუნვას დეტრიტის საშუალებით
- 12.5 საკვებ ნივთიერებათა რეგენერა-  
ცია უფრო სწრაფად მიმდინარეობს  
ტროპიკულ ტყეებში, ვიდრე ზომ-  
იერი სარტყლის ტყეებში
- 12.6 მცირე სიღრმეების დანალექები  
მნიშვნელოვან როლს ასრულებენ  
საკვები ნივთიერებების რეგენერა-  
ციაში
- 12.7 მიკრობული პროცესები დომინი-  
რებენ კვებით ჯაჭვებსა და საკვებ  
ნივთიერებათა ციკლირებაზე არა-  
პროდუქტიულ ღია წყლებში
- 12.8 საკვებ ნივთიერებათა რეგენ-  
ერაციაზე ძლიერ გავლენას ახდენს  
დინებებსა და მდინარეებში წყლის  
მოძრაობა
- 12.9 ესტუარიებმა/დელტებმა და ჭაო-  
ბებმა შეიძლება წარმოშვან ენერ-  
გიისა და საკვები ნივთიერებების  
ქსელური შენატანი საზღვაო ეკო-  
სისტემებში

## 13. ეკოსისტემის ფუნქციის რეგულაცია

- 13.1 ეკოლოგები ცდილობენ, გაიგონ  
ეკოსისტემის რეგულაცია ექსპერი-  
მენტების, შედარებითი კვლევებისა  
და მათემატიკური მოდელირების  
საშუალებით

- 13.2 აზოტისა და ფოსფორის რეგულაციური როლები განსხვავდება მტკნარ წყალსა და ზღვის ეკოსისტემებში
- 13.3 ფიზიკური ტრანსპორტირების პროცესებს შეუძლიათ, დაარეგულირონ ისეთი ეკოსისტემები, სადაც საკვები ნივთიერებები შეზღუდული რაოდენობით მოიპოვება
- 13.4 წარმოება არ იცვლება საკვები ნივთიერებების ციკლირების პირდაპირობობრციულად
- 13.5 სისტემათა მოდელები ხატავენ ეკოსისტემათა სტრუქტურასა და ფუნქციებს როგორც ერთმანეთთან ურთიერთქმედი სატრანსფერო ფუნქციების წყებას
- 13.6 წყლის ეკოსისტემებში საკვები ნივთიერებების ციკლირების მოდელი მოიცავს აზოტის ტრანსფორმაციას წყლის მასაში
- 13.7 ხმელეთის ეკოსისტემებში საკვები ნივთიერებების ციკლირების მოდელი მოიცავს კომპარტმენტებს ნიადაგის, მცენარეთა ბიომასებისა და დეტრიტებისთვის
- 13.8 პროდუქტიულობა შეიძლება გაძლიერდეს ან შემცირდეს ბალახისმჭამლობით
- 13.9 ხდება თუ არა ეკოსისტემის რეგულირება დამავალი ან აღმავალი მიმართულებით
- 14.5 პოპულაციის გენეტიკური სტრუქტურა აღნერს გენეტიკური ცვალებადობის რაოდენობასა და გავრცელებას
- 14.6 ცხოვრების ხანგრძლივობის ცხრილებში შეჯამებულია პოპულაციებს შორის ინდივიდთა გადარჩენა და რეპროდუქცია
- 14.7 ბუნებრივ პოპულაციებში გადარჩენის დონის განსაზღვრისას გამოიყენება შერჩევის რამდენიმე მოდელი
- 14.8 პოპულაციათა მოდელების ოთხ კლასს განასხვავებს გამოკვების ეპიზოდების დისკრეტულობა და თაობათა სანახევრო გადაფარვა

## 15. პოპულაციის ზრდა

- 15.1 ინდივიდები შეიძლება შეუერთდნენ პოპულაციას მუდმივი/განგრძობითი რეპროდუქციით ან წყვეტადი რეპროდუქციული პერიოდების განმავლობაში
- 15.2 გეომეტრიული განტოლებები აღნერენ დროის დისკრეტული ზრდის პროცესებს
- 15.3 პოპულაციის ზრდის დონე დამოკიდებულია ინდივიდთა პროპორციაზე თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში
- 15.4 მატრიცული მოდელები წარმოადგენ მეთოდებს ქვედანაყოფებიანი და სტადიების მიხედვით კლასიფიცირებული პოპულაციის ზრდის ანალიზისთვის
- 15.5 პოპულაცია მყარი არსებობის ხანგრძლივობის ცხრილით განიცდის სტაბილურ ასაკობრივ გავრცელებას და იზრდება მუდმივი ინტენსივობით
- 15.6 პოპულაციის ზრდის თანდაყოლი დონე განისაზღვრება მისი ცხოვრების ხანგრძლივობის არსებობის შეფასებებით

## 16. პოპულაციის რეგულაცია

- 16.1 ლოგისტიკური ჰიდრატაცია აღნერს პოპულაციის რეგულირებულ ზრდას
- 16.2 პოპულაციის მუდმივი ზრდის ხარისხინი მოდელი ამჟღავნებს ურთიერთობას პოპულაციის სიმჭიდროვესა და ზრდის დონეებს შორის

## ნაწილი IV. პოპულაციის ეკოლოგია

### 14. პოპულაციის სტრუქტურა

- 14.1 სახეობათა გეოგრაფიული გადანაწილება და ადგილობრივი პოპულაციის ადგილმდებარეობა ეკოლოგიურად ხელსაყრელი საბინადრო გარემოთი განისაზღვრება
- 14.2 ინდივიდთა დისპერსია ასახავს საბინადრო გარემოს ჰეტეროგენულობას და სოციალურ ინტერაქციებს/ურთიერთქმედებას
- 14.3 პოპულაციის სიმჭიდროვის განსაზღვრა მნიშვნელოვანია მისი დინამიკის შესწავლისას
- 14.4 ინდივიდთა მოძრაობა პოპულაციებს შორის გავლენას ახდენს მოსახლეობაში მიმდინარე პროცესებზე

- 16.3 პოპულაციები შეიძლება რეგულირებულ იქნას სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორების ეფექტურობით
- 16.4 ანდრევართამ და ბირქმა ეჭვევეშ დააყენეს პოპულაციის რაოდენობის სიმჭიდროვეზე დამოკიდებული რეგულაცია
- 16.5 სიმჭიდროვის დამოუკიდებლობის თეორიამ უდიდესი უთანხმოებები გამოიწვია ეკოლოგებს შორის

## 17. მეტაპოპულაციები

- 17.1 მეტაპოპულაციის კონცეფცია მოიცავს ადგილობრივ პოპულაციებს შორის ინტერაქციათა წყების დინამიკას
- 17.2 მარტივი მეტაპოპულაციის მოდელები წარმოადგენენ ბალანსს ადგილობრივ გადაშენებასა და ხელახალ დასახლებას შორის
- 17.3 მეტაპოპულაციის სტრუქტურა მოიცავს მონაკვეთის ზომისა და სიმჭიდროვის მახასიათებლებს
- 17.4 მეტაპოპულაციები შეიძლება მერყეობდნენ ნაკვეთის ათვისების დონეში
- 17.5 მეტაპოპულაციაზე გავლენას ახდენს მიგრაცია და ადგილობრივი პოპულაციის დემოგრაფია
- 17.6 მეტაპოპულაციებში გენეტიკური ცვლილებების დონეს განსაზღვრავს ურთიერთობა პოპულაციის მოცულობას, გადაშენებასა და კოლონიზაციას შორის
- 17.7 სამყარო არსებობს როგორც საარსებო ბუნებრივ გარემოთა მოზაიკა — სახელად ლანდშაფტი

## 18. პოპულაციის ფლუქტუაცია და ციკლები

- 18.1 პოპულაციაში მერყეობს სიმჭიდროვე
- 18.2 დროებითი ცვლილება გავლენას ახდენს ასაკის სტრუქტურაზე პოპულაციის
- 18.3 პოპულაციას ზრდის მაღალი მაჩვენებლები უფრო მეტად სდევს ფლუქტუაციებს გარემოს, ვიდრე დაბალი ზრდის მაჩვენებლებიან პოპულაციას

- 18.4 პოპულაციის ციკლირება შეიძლება შინაგანი დემოგრაფიული პროცესებიდან გამომდინარეობდეს
- 18.5 პოპულაციის ციკლები მულავნდება პოპულაციის დისკრეტული დროის ლოგისტიკურ მოდელებში
- 18.6 დროებითი შეფერხებები იწვევენ ოსცილაციას/რხევებს განგრძობითი დროის მოდელებში

## 19. გადაშენება, შენარჩუნება და აღდგენა

- 19.1 გადაშენება ბუნებრივი პროცესია, რომელიც სახეობათა ადაპტაციის უუნარობას გამოხატავს
- 19.2 გადაშენების რისკზე გავლენას ახდენს პოპულაციის მოცულობა, გეოგრაფიული არეალი, ასაკობრივი სტრუქტურა და სივრცითი განლაგება
- 19.3 სხეულის ზომა, სიცოცხლის ხანგრძლივობა და პოპულაციის მოცულობა ურთიერთქმედებენ, რათა გავლენა მოახდინონ გადაშენების რისკზე
- 19.4 გავლენების სტრუქტურები კუნძულებზე და კუნძულებს შორის მიგვანიშნებენ, რომ გადაშენება შეიძლება გამომდინარებდეს კონკურენტუნარიანობის დაქვეითებიდან
- 19.5 როდესაც შენარჩუნება შეუძლებელი ხდება, გამოსავალი ხანდახან აღდგენა
- 19.6 მეტაპოპულაციის კონცეფცია მნიშვნელოვანია კონსერვაციულ ბიოლოგიაში
- 19.7 აღდგენითი გეგმები დამყარებულია არსებული სახეობების სასიცოცხლო ციკლის მახასიათებლებზე საფრთხის წინაშე
- 19.8 გენეტიკური მრავალფეროვნების მართვა შენარჩუნებისა და აღდგენის არსებითი ნაწილია
- 19.9 აღდგენა ხშირად სახეობათა ხელახლალ გაცნობას გულისხმობს

## ნანილი V. პოპულაციების ინტერაქციები

### 20. რესურსები და მომხმარებლები

- 20.1 ინტერაქციები, მათში მონაწილე სახეობებზე გავლენის მიხედვით, შეიძლება დაიყოს კატეგორიებად

- 20.2 რა არის რესურსები და მომხმარებლები?
- 20.3 დაფნია /წყლის რწყილი/ მომხმარებელი და წყალმცენარეებიანი რესურსი ამჟღავნებენ მომხმარებელი-რესურსის სისტემის მახასიათებლებს
- 20.4 რესურსთა ცვლილების მაჩვენებლები და მომხმარებელთა პოპულაციის ზრდა შეიძლება დინამიკურად დაწყვილდნენ ლოგისტიკურ მოდელებთან
- 20.5 მონოდის განტოლება აკავშირებს პოპულაციის ზრდის დონეს ერთეული რესურსის რაოდენობასთან
- 20.6 ორ რესურსს ერთდროულად შეუძლია, შეზღუდოს მომხმარებელთა პოპულაცია
- 20.7 მომხმარებელი-რესურსის სისტემა შეიძლება მოიცავდეს ორზე მეტ რესურსს ან ორზე მეტ მომხმარებელს
- 21.9 ორი სახეობის კონკურენცია შეიძლება გამოისახოს გრაფიკებზე პოპულაციის ცვლილების რესურსების ხელმისაწვდომობასთან მიმართებაში
- 21.10 დარღვევას შეუძლია გავლენა მოახდინოს სახეობებს შორის კონკურენციის საბოლოო შედეგზე
- 21.11 მომხმარებლებს შეუძლიათ გავლენა მოახდინოს სახეობებს შორის კონკურენციის საბოლოო შედეგზე
- 21.12 არაპირდაპირმა ინტერაქციებმა შეიძლება გამოიწვიოს თვალსაჩინო კონკურენცია
- 21.13 მეტაპოპულაციებში სუსტ კონკურენტებს შეუძლიათ თანაიარსებონ შედარებით ძლიერ კონკურენტებთან

## 21. კონკურენციის თეორია

- 21.1 ეკოლოგიაში კონკურენციის, როგორც ცენტრალური თეორიის წარმოშობა ძალიან ნელი და ფრთხილი პროცესი იყო
- 21.2 ტენსლის, გაუსისა და პარკის ექსპერიმენტებმა წარმოგვიდგინეს კონკურენციის ადრეული ექსპერიმენტული დემონსტრაციები
- 21.3 კონკურენტული გამონაკლისის პრინციპი — ორ სახეობას არ შეუძლია თანაარსებობა ერთი შეზღუდული რესურსის ხარჯზე
- 21.4 პოპულაციების რეგულირება შესაძლებელია შიდასახეობრივი და სახეობათაშორისი კონკურენციით
- 21.5 ლოგისტიკური განტოლება შეიძლება მოდიფიცირდეს, რათა თავის თავში მოიცვას სახეობათაშორისი კონკურენცია
- 21.6 წონასწორების კონკურენციის მოდელები ამჟღავნებენ ორი კონკურენტული პოპულაციის თანაარსებობის პირობებს
- 21.7 გრაფიკული გამოსახულება აღნერს ლოგისტიკური კონკურენციის ძირითად თვისებებს
- 21.8 ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ კონკურენციის კოეფიციენტი კონკურენციის ექსპერიმენტების შედეგების მიხედვით

## 22. კონკურენცია ბუნებაში

- 22.1 როგორ იჩენს თავს კონკურენცია?
- 22.2 რომელი სახეობები არის უფრო მიღრეკილი კონკურენციისკენ?
- 22.3 სახეობათა ჩამოშორება, რომელიც თან სდევს კონკურენტთა გაცნობას, გვიჩვენებს პოპულაციაში კონკურენციის ეფექტებს
- 22.4 მოცილების, დამატებისა და ჩანაცვლების ექსპერიმენტები მნიშვნელოვანი მექანიზმებია მცენარეთა კონკურენციის შესწავლისას
- 22.5 როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა კონკურენცია მნიშვნელოვანია მცენარეთათვის
- 22.6 კონკურენციის ეფექტი შეიძლება განსხვავებული იყოს თითოეული კონკურენტი პოპულაციისთვის
- 22.7 სახეობათაშორისი და შიდასახეობრივი კონკურენციის შედარებითი ინტენსივობა შეიძლება განისაზღვროს ჩანაცვლებითი ექსპერიმენტებით
- 22.8 ექსპერიმენტულმა კვლევებმა გამოავლინეს შიდასახეობრივი კონკურენცია
- 22.9 ინტერაქციებს, უმაღლესი კატეგორიის კონკურენტებს შორის, შეუძლიათ, შეცვალონ თანაარსებობის პირობები
- 22.10 მომხმარებლებს შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ რესურსთა პოპულაციების მიხედვით

- ციებს შორის არსებული კონკურენტული ინტერაქციების საბოლოო შედეგებზე
- 22.11 კონკურენციას შეუძლია, გამოიწვიოს კონკურენტთა ევოლუციური დივერგენცია

### 23. მტაცებლობა

- 23.1 მტაცებლებსა და პარაზიტებს ეფექტურად შეუძლიათ, შეზღუდონ მსხვერპლთა პოპულაცია
- 23.2 მტაცებლობას შეუძლია, მოახდინოს დაწყვილებული მტაცებელი და მსხვერპლი პოპულაციების ოსცილაცია/ზერყეობა
- 23.3 მარტივი, მტაცებლისა და მსხვერპლის მოდელები წინასწარ განსაზღვრავენ ოსცილაციას პოპულაციის რაოდენობასა და ზომაში
- 23.4 ნიკოლსონმა და ბაილეიმ შემოგვთავაზეს ლოტკა-ვოლტერას მოდელის ალტერნატივა
- 23.5 მტაცებელთა რეაქცია მსხვერპლთა სიმჭიდროვეზე არ არის წრფივი
- 23.6 მტაცებელთა პოპულაციას ზრდითა და მიგრაციით შეუძლია საპასუხო რეაქცია მისცეს მსხვერპლთა სიმჭიდროვის ზრდაზე
- 23.7 მტაცებელი-მსხვერპლის სისტემებში სტაბილურობის პირობებს გვიჩვენებს გფიკული ანალიზები
- 23.8 მტაცებელი-მსხვერპლის სისტემებს შეიძლება ჰქონდეთ ორი სტაბილური წონასწორობა
- 23.9 მტაცებელი-მსხვერპლის სისტემები ალწევენ მახასიათებელ პოპულაციათა თანაფარდობას
- 23.10 მსხვერპლთა სარისკო ქცევის საბოლოო შედეგები აისახება პოპულაციაზე
- 23.11 მტაცებლისა და მსხვერპლის ან პარაზიტისა და მტარებლის სივრცით განლაგებას შეუძლია, გავლენა მოახდინოს ინტერაქციის სტაბილურობაზე
- 23.12 მეტაპოპულაციებში მტაცებელი-მსხვერპლის სისტემათა დინამიკაზე გავლენას ახდენს სივრცითი ურთიერთობები და გადაადგილების სტრუქტურა

### 24. ბალაზისმჭამელები და პარაზიტიზმი

- 24.1 ბალაზისმჭამებლობა და პარაზიტიზმი კომპლექსური პროცესებია, რომლებიც განსხვავდებიან მტაცებლობისა და პარაზიტიზმისგან
- 24.2 მცენარე-ბალაზისმჭამელის ინტერაქციები ტაქსონომიურად და ეკოლოგიურად მრავალფეროვანია
- 24.3 ბალაზისმჭამებლობას შეუძლია გამოიწვიოს მაკომპენსირებელი რეაქციები მცენარეთაგან
- 24.4 ბალაზის ძოვას შეუძლია შეცვალოს მცენარეთა ზრდა და გავლენა მოახდინოს მათ პირველად პროდუქტიულობაზე
- 24.5 ბალაზისმჭამელობის გავლენას მცენარეთა პოპულაციაზე ართულებს ბალაზისმჭამელების მრავალრიცხოვნება, მცენარეთა განვითარება და პოპულაციის ასაკობრივი სტრუქტურა
- 24.6 მცენარეთა პოპულაციების მგრძნობელობაზე ბალაზისმჭამელობის მიმართ შეიძლება გავლენა მოახდინოს პოპულაციათა თანასაზოგადოების სივრცითმა დინამიკამ
- 24.7 ბალაზისმჭამელები ამჟღავნებენ ფუნქციურ რეაგირებას მცენარეთა ხელმისაწვდომობაზე
- 24.8 მცენარეები და ცხოველები იფარებენ პარაზიტთა დიდ ნაირსახეობებს
- 24.9 მიკროპარაზიტული პოპულაციის დინამიკა შეიძლება მოდელირებულ იქნას ინფექციის სახით
- 24.10 პარაზიტთა ტოქსიკურობა დამოკიდებულია გადადების თვისებებზე და მტარებლის იმუნურ რეაქციებზე

### 25. თანაევოლუცია და მუტუალიზმი

- 25.1 ევოლუციური ურთიერთობები ანტაგონისტებს შორის ხშირად ახდენს თანაევოლუციის დემონსტრირებას
- 25.2 დროითი და სივრცითი მასშტაბის შეფასება მნიშვნელოვანია თანაევოლუციის გაგებისთვის

- 25.3 თანაევოლუციის მექანიზმად შემოგვთავაზეს გენეტიკური პროცესი სახელად „გენი გენისთვის“
- 25.4 ორგანიზმები ხშირად ქმნიან მუტუ-ალისტურ (სიმბიოზურ) ურთიერ-თობებს
- 25.5 მრავალი მუტუალისტური ურთიერ-თობა განვითარდა ჭიანჭველებსა და სხვა ორგანიზმებს შორის
- 25.6 ცვლილებებს მცენარეთა დამცავ ქიმიაში გენეტიკური საფუძველი აქვს
- 25.7 მცენარეთა და ცხოველთა მუტუ-ალიზმის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის დამტვერვა
- 25.8 შალითამტარებელი ჩრჩილი არის იუკას ერთდროულად ევოლუცირე-ბული დამტვერვი
- 25.9 მუტუალიზმი მოიცავს თანდაყო-ლილ კონფლიქტს მონაწილეებს შორის, რომელსაც შეუძლია გამოი-წვიოს თაღლითობა

## ნაწილი VI. თანასაზოგადოების ეკო-ლოგია

### 26. თანასაზოგადოების კონცეფცია

- 26.1 თანასაზოგადოება არის პოპულა-ციათა გაერთიანებას
- 26.2 არსებობს თუ არა ბუნებრივი ერთეული ეკოლოგიური ორგანიზა-ციის თანასაზოგადოების დონეზე?
- 26.3 ეკოტონები თავს იჩენენ მკვეთრი ფიზიკური საზღვრების პირობებში ან იქ, სადაც ჭარბი მოსახლეობა ინვევს ცვლილებას
- 26.4 ბუნებრივი თანასაზოგადოებების სტრუქტურა შეიძლება აღწერილი იქნას ეკოლოგიურ continua-თან მიმართებაში
- 26.5 ქრონოლოგიურმა ჩანაწერებმა გა-მოამჟღავნეს როგორც ცვლილება, ისე უწყვეტობა თანასაზოგადოე-ბებში
- 26.6 ევოლუციურმა ისტორიამ შეიძლება დატოვოს განსაზღვრული ანაბეჭდი თანასაზოგადოების ორგანიზებაზე
- 26.7 თანასაზოგადოების მახასიათებლე-ბი წარმოიშობა დროისა და სივრცის მასშტაბებზე პროცესების იერარქი-ისგან

### 27. თანასაზოგადოების სტრუქტურა

- 27.1 თანასაზოგადოების სტრუქტურის გაგება მოითხოვს ჩვენგან მრა-ვალმხრივი პერსპექტივის გაზრე-ბას
- 27.2 სახეობათა ჩამონათვალი ბიოლოგი-ური თანასაზოგადოების აღწერის პირველი საშუალება იყო
- 27.3 სახეობათა ნათესაობის სიჭარბე არის თანასაზოგადოების სტრუქ-ტურის საზომი
- 27.4 მრავალფეროვნების ინდექსები აერთიანებს სახეობათა სიმდიდრეს და სახეობათა სიჭარბეს
- 27.5 სახეობათა რიცხვმა ზრდა განიცა-და მოცემული არეალის პირდაირ-პროპორციულად
- 27.6 კვებითი ჯაჭვის ანალიზი გამოიყ-ენება თანასაზოგადოების სტრუქ-ტურის გამოსავლენად
- 27.7 ტოპოლოგიური კვებითი ჯაჭვების ანალიზთან ერთად განვითარდა იდეები იმის შესახებ, რომ კვებითი ჯაჭვები გავლენას ახდენს თანა-საზოგადოების სტაბილურობაზე
- 27.8 კვებითი ქსელების ინტერაქციის ანალიზს თავისი ფესვები თეორიულ და ექსპერიმენტულ ეკოლოგიაში აქვს
- 27.9 არაპირდაპირი ინტერაქციები თანასაზოგადოების სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნიშნებია
- 27.10 კვებითი ჯაჭვების ინტერაქციათა ანალიზი მოითხოვს თეორიაზე და-მყარებულ ექპერიმენტებს

### 28. თანასაზოგადოების განვითარება

- 28.1 სახეობათა შეცვლის პრინციპს თან სდევს სუქცესია
- 28.2 საწყისი სუქცესია ვითარდება გარცელების არეალში, რომელიც ახლად იქნა გახსნილი მცენარეთა და ცხოველთა კოლონიზაციისთვის
- 28.3 აშლილობის ინტენსივობა და დონე გავლენას ახდენს მეორადი სუქცე-სის სტრუქტურაზე
- 28.4 სუქცესია ვითარდება ორგა-ნიზმების შესაძლებლობებში ცვლილებების შედეგად, გარემოში

- მოახდინონ აშლილი არეალების კოლონიზება, სუქცესია თან სდევს ახალი სახეობების გამოჩენას
- 28.5 სუქცესია ძველ ველებზე და ყინულოვან არეებში გამოხატავს სერიების განვითარებას
- 28.6 სუქცესის ანალიტიკური მოდელები და მყარებულია ტრანზიციაზე ერთი სუქცესიული ფაზიდან მომდევნოზე
- 28.7 კლიმაქსის (სტაბილური სტადია თანასაზგადოებათა სუქცესიაში) ხასიათი განისაზღვრება ადგილობრივი პირობებით
- 29.11 აშლილობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სახეობათა მრავალფეროვნებაზე
- 29.12 ამჟღავნებენ თუ არა თანა-საზოგადოებები სახეობათაშორის კონკურენციის დამამტკიცებელ საბუთებს?
- 29.13 ადგილობრივი სახეობების გაჯერებულობისა და თანასაზოგადოების კონვერგენციის ცხადი დამამტკიცებელი საბუთების ნაკლებობა გულისხმობს, რომ რეგიონალური / ისტორიული ფაქტორები უდიდეს როლს თამაშობენ თანასაზოგადოების მრავალფეროვნებაში

## 29. ბიომრავალფეროვნება

- 29.1 აკვირდებან სახეობათა მრავალფეროვნების ზოგად სტრუქტურას
- 29.2 თანამედროვე აზროვნება, თანა-საზოგადოების ორგანიზაციის თაობაზე, ათანხმებს რეგიონულ/ისტორიულ და ადგილობრივ/დეტრიმინისტულ შეხედულებებს მრავალფეროვნების შესახებ
- 29.3 კუნძულებზე სახეობათა რიცხვი დამოკიდებულია იმიგრაციისა და გადაშენების მაჩვენებლებზე
- 29.4 ხდება თუ არა სახეობათა წარმოშობა უფრო სწრაფად ტროპიკებში, ვიდრე უფრო მაღალ ადგილებში?
- 29.5 დროის ჰიპოთეზის მიხედვით, ძველი საბინადრო არეები უფრო მრავალფეროვანია
- 29.6 ნიშის თეორია წარმოადგენს ჩარჩოს სახეობათა მრავალფეროვნების რეგულირების თეორიისთვის
- 29.7 სახეობათა მრავალფეროვნება იზრდება პირველადი პროდუქციისას ზოგ შემთხვევაში
- 29.8 გარემოსა და სასიცოცხლო ციკლების ცვლილებებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს სახეობათა მრავალფეროვნებაზე
- 29.9 მტაცებელთა და ბალახისმჭამელთა ქმედებებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ სახეობათა საქმიანობაზე
- 29.10 შეიძლება თუ არა შემცირებულმა კონკურენციამ ახსნას მრავალფეროვნების მაღალი დონე?

## ნაწილი VII. ევოლუციური ეკოლოგია

### 30. ევოლუცია და ადაპტაცია

- 30.1 ადაპტაციას გენეტიკური საფუძველი აქვს
- 30.2 არსებობს ევოლუციური ეკოლოგიის კვლევის ხუთი მეთოდი
- 30.3 გადარჩევაზე ევოლუციური რეაქცია მომდინარეობს პოპულაციებს შორის გენთა ჩანაცვლებიდან
- 30.4 ეკოლოგიური ინტერესის ბევრ შტრიხს პოლიგენური საფუძველი აქვს
- 30.5 რაოდენობითი შტრიხების ხელოვნური გადარჩევა გამოხატავს ბუნებრივ პოპულაციებში ევოლუციის ზოგ მახასიათებელს
- 30.6 ურთიერთდაკავშირებული რეაქციები გადარჩევაზე ზღუდავენ ევოლუციურ რეაქციებს
- 30.7 პოპულაციის გენეტიკა გვთავაზობს რიგ მნიშვნელოვან გზავნილს ეკოლოგებისთვის
- 30.8 ითვლება, რომ სახეობები მოგებას ნახულობენ სექსისგან, რადგან ის ზრდის გენეტიკურ ცვლილებებს მათ შთამომავლობაში
- 30.9 გამრავლების სისტემები მართავს გენეტიკურ ცვლილებებს სქესობრივ მოსახლეობებში
- 30.10 ევოლუციის ეკოლოგები ახდენენ ფორმისა და ფუნქციის ინტერპრეტირებას, როგორც გარემოსადმი ადაპტაციას

- 30.11 ევოლუციურად სტაბილური  
სტრატეგია (ESS) უმკლავდება სხვა  
ფენოტიპის ინვაზიას (პატრონის  
სხეულში შეღწევა)
- 30.12 ფენოტიპის გავლენა გასაღებია  
ადაპტაციის გაგებისთვის
- 30.13 ადაპტაციურ პროგრამას გააჩნია  
მრავალი სირთულე
- 30.14 ტაქსონომიურად სასარგებლო  
თვისებები ცხადყოფს, რომ ერთხ-  
ელ გამოჩენის/დადგენის შემდეგ,  
ზოგი ადაპტაცია უძლებს შემდგომ  
ცვლილებებს
- 30.15 აქვთ თუ არა დიდ სისტემებს უნი-  
კალურად ჩამოყალიბებული თვისე-  
ბები?

### 31. ადაპტაცია ჰეტეროგენული გარემოსადმი

- 31.1 მეტაფორულად პოპულაცია შეი-  
ძლება განვიხილოთ ადაპტაციური  
ლანდშაფტის პიკზე განლაგებულად
- 31.2 პოლიმორფიზმი შეიძლება შენარ-  
ჩუნებულ იქნას ევოლუციის მიერ  
ჰეტეროგენულ გარემოში
- 31.3 ურთიერთობა ფენოტიპსა და  
გარემოს შორის ინდივიდუალური  
ორგანიზმების თვისებაა
- 31.4 ოპტიმალური კვების თეორია  
მიმართულია რესურსებსა და საბი-  
ნადრო გარემოს შორის არჩევანის  
პრობლემისკენ
- 31.5 მტაცებლებს შეუძლიათ, მოახდი-  
ნონ განსხვავებული სახის მსხვერპ-  
ლის ოპტიმიზაცია რაციონში
- 31.6 ოპტიმალური საკვების მოპოვების  
„კლასიკური“ მოდელი მოიცავს  
შეტაკების მაჩვენებლებისა და ინ-  
დივიდუალური მსხვერპლის მომგე-  
ბიანობის კონცეფციებს
- 31.7 ნაკვეთის ოპტიმალური გამოყენება  
დამოკიდებულია მის ხარისხზე და  
ნაკვეთებს შორის მოძრაობის ხან-  
გრძლივობაზე
- 31.8 იდეალური თავისუფალი  
გავრცელება ათანაბრებს მოგებას  
პოპულაციის ინდივიდებს შორის
- 31.9 რისკისადმი მგრძნობიარე საკვების  
მოპოვების მოდელები ყურადღებას  
ამახვილებს შიმშილობის რისკის  
მინიმიზაციაზე

- 31.10 საკვების მომპოვებელი ცხოველები  
შეიძლება მტაცებლური ცხოვრების  
წესის რისკის ქვეშ იყვნენ
- 31.11 სტრესტიკური დინამიკური  
დაპროგრამება არის სამოდელო  
მიდგომა, რომელიც აფასებს თუ  
რა შენატანს აკეთებს მოკლევადი-  
ანი გადაწყვეტილებები მთლიანად  
ცხოვრებისეულ შეგუებულობაზე

### 32. სასიცოცხლო ციკლის ევოლუცია

- 32.1 სასიცოცხლო ციკლის ადაპტა-  
ციებში ინტერესის სტიმულირება  
სახეობებს შორის ცვლილებით  
ხდება
- 32.2 სასიცოცხლო ციკლის თეორია  
სწრაფად განვითარდა 1960-იან  
წლებში
- 32.3 ბუნებრივი გადარჩევა არეგული-  
რებს შეზღუდული დროისა და  
რესურსების გადანაწილებას  
კონკურენტულ მოთხოვნებს შორის
- 32.4 პირველი რეპროდუქციის ასაკი  
ზოგადად იზრდება ზრდასრული ინ-  
დივიდების სიცოცხლის ხანგრძლი-  
ვობის პირდაპირპროპორციულად
- 32.5 მრავალნლიანი სასიცოცხლო  
ციკლებისადმი კეთილგანწყობილი  
არის მაღალი და შედარებით მუდ-  
მივი ზრდასრულთა გადარჩენა
- 32.6 ოპტიმალური რეპროდუქციული ძა-  
ლისხმევა იცვლება ზრდასრულთა  
გადარჩენის უკუპროპორციულად
- 32.7 როდესაც გადარჩენა და ნაყოფი-  
ერება იცვლება ასაკთან ერთად,  
სასიცოცხლო ციკლის ევოლუციის  
მოდელები უნდა იყოს დაფუძნებული  
სიცოცხლის ხანგრძლივობის  
ცხრილზე
- 32.8 ფსონების დაზღვევას მინიმუმადე  
დაპყავს რეპროდუქციული წარუ-  
მატებლობა მოულოდნელობებით  
სავსე გარემოში
- 32.9 გამრავლებისთვის დიდ მზადებას  
და არამყარ ან ეფემერულ გარემო  
პირობებს შეუძლიათ გაუძლონ  
ერთ, ყოვლისმომცველ რე-  
პროდუქციულ ეპიზოდს
- 32.10 ფიზიოლოგიური დაბერება თავს  
იჩენს ხანდაზმულ ასაკში
- 32.11 სასიცოცხლო ციკლის ნიმუშები  
იცვლება პოპულაციის ზრდის  
ამაჩვენებლების მიხშილობის რისკის

### 33. სქესი

- 33.1 სქესთა გამოცალკევება მომგებიანია, როცა სქესის მუდმივი/ფიქსირებული ხარჯები მაღალია და სექსუალური ფუნქციები რესურსებისთვის ერთმანეთთან ძლიერ კონკურირებენ
- 33.2 ოპტიმალური შთამომავლობითი სქესობრივი თანაფარდობა აბალანსებს შენატანს შეგუების უნარში მამრისა და მდედრის ფუნქციების სამუალებით
- 33.3 გარკვეულ სიტუაციებში დედებმა უნდა შეცვალონ თავიანთი შვილების სქესობრივი თანაფარდობა თავისი საკუთარი გამრავლების პირობების პროპორციულად
- 33.4 სიფრიფანაფრთიან და სხვა ჰაპლო-დიპლოიდ უხერხემლოებში სქესობრივი თანაფარდობა ნაშიერიებისა ფაკულტატურად გაკონტროლებულია ადგილობრივი პარტნიორების კონკურენციის მიხედვით
- 33.5 ადგილობრივ რესურსთა კონკურენციას შეუძლია, გამოიწვიოს მამრობითცენტრული სქესობრივი თანაფარდობა
- 33.6 პარტნიორობის სისტემები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონემდე შეუძლია ერთი სქესის ინდივიდს რესურსების მონოპლიზება
- 33.7 პარტნიორობის სისტემები დამოკიდებულია საბინადრო გარემოს და რაციონზე
- 33.8 პარტნიორობის სისტემათა კონფიგურაცია მეტნილად დამოკიდებულია მშობლების მზურნელობის განაწილებაზე
- 33.9 პოპულაციები შეიძლება შეიცავდნენ ერთი სქესის ინდივიდებს, რომელთაც სხვადასხვა რეპროდუქციული სტრატეგიები აქვთ
- 33.10 მცენარეებში დომინირებს პარტნიორთა სამი სისტემა
- 33.11 სქესობრივმა გადარჩევამ გამოიწვია საარშიყო ქცევის გამომუშავება
- 33.12 მდედრებისთვის არჩევანის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს „ქორწინების“ გარეშე კოპულაცია

### 34. ევოლუცია და სოციალური ქცევა

- 34.1 ტერიტორიულობა და დომინანტობის იერარქიები უზრუნველყოფს სოციალური ინტერაქციების ორგანიზებას პოპულაციებს შორის
- 34.2 სოციალური დომინანტობის კომუნიკაციები, როგორც წესი, გარიტულებულია
- 34.3 ჯგუფურ ცხოვრებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები
- 34.4 სოციალური ინტერაქციები, ევოლუციური მოდიფიკაცია აბალანსებს სოციალური ქცევის ხარჯებსა და მოგებას
- 34.5 ჯგუფური გადარჩევის, ნათესაური გადარჩევის და რეციპროკული ალტრუიზმის საშუალებით არის ახსნილი ალტრუისტული ქცევის წარმოშობა
- 34.6 ნათესაურ გადარჩევას შეუძლია მიემსროს ალტრუისტულ ქმედებებს მონათესავე ინდივიდებს შორის
- 34.7 რამდენიმე ბიპევიორისტული სისტემა განიხილავს ნათესაური გადარჩევის მოქმედებას
- 34.8 ნათესაური გადარჩევა ჩართულია გამაფრთხილებელი შეფერილობის ევოლუციაში
- 34.9 თამაშის თეორიის მოდელი გვიჩვენებს, როგორ უნდა ურთიერთობდნენ ინდივიდები სოციალურად დიდ პოპულაციაში
- 34.10 მშობელთა ინვესტიციების ოპტიმალური დონე შეიძლება განსხვავდებოდეს მშობლებისა და შვილებისთვის
- 34.11 ეუსოციალური მწერების თანასაზოგადოებები დამყარებულია დედმამიშვილთა ალტრუიზმსა და მშობელთა დესპოტიზმზე

#### სიტყვარი

- ბიბლიოგრაფია  
სავარჯიშოთა პასუხები  
ინდექსი

# თკოლოგიის ანალიტიკური მოდელები

**ალომეტრული განტოლება:**  $Y = aX^b$

$Y$  = ფიზიოლოგიური პროცესი, ანატომიური თვისება ან ეკოლოგიური ან ბიჰევიორისტული მახასიათებელი;

$X$  = სხეულის ზომა;

$a$  = პროპორციულობის კონსტანტა;

$b$  = ალომეტრული კონსტანტა

**პუასონის გადანაწილება:**  $P(x) = M^x e^{-M}/x!$

$P(x)$  = სიდიდე  $x$ -ის ალბათობა;

$M$  = ინდივიდების საშუალო რიცხვი ერთ მონაკვეთზე, დროსა თუ სივრცეში;

$x!$  =  $x$ -ის ფაქტორიალი

**პოპულაციის ეფექტური მოცულობა:**

$$N_e = 4[(1/N_{\text{males}}) + (1/N_{\text{females}})]^{-1}$$

$N_e$  = პოპულაციის ეფექტური მოცულობა;

$N_{\text{males}}$  = პოპულაციის ეფექტური მოცულობა მამრებში;

$N_{\text{females}}$  = პოპულაციის ეფექტური მოცულობა მდედრებში;

$$N_{\text{males}} = [(N_m K_m - 1)]/[K_m + V_m/K_m - 1];$$

$$N_{\text{females}} = [(N_f K_f - 1)]/[K_f + V_f/K_f - 1];$$

$N_m$  და  $N_f$  არის გამრავლებადი მამრებისა და მდედრების რაოდენობა შესაბამისად;

$K_m$  და  $K_f$  არის მამრებისა და მდედრების მიერ ნარმოებული ნაშიერების საშუალო რაოდენობა;

$V_m$  და  $V_f$  ნარმოადგენს დისპერსიას თითოეული სქესის ნარმომადგენლის მიერ ნარმოებული ნაშიერების რიცხვში

**გადარჩენა:**  $I_x = \Pi s_i$

$I_s$  = ალბათობა, რომ ახალშობილი ინდივიდი ცოცხალი იქნება  $x$  ასაკისათვის;

$s_i$  = გადარჩენის ალბათობა  $x$  და  $x+1$  ასაკს შორის

**მოსახლეობის ექპონენციალური ზრდა:**  $N_t = N_0 e^{rt}$

$N_t$  = მოსახლეობის სიმჭიდროვე  $t$  დროისათვის;

$N_0$  = თავდაპირველი რაოდენობა მოსახლეობის ( $t = 0$ );

$r$  = ექსპონენციალური ზრდის სიჩქარე

**მოსახლეობის გეომეტრული ზრდა:**  $N(t) = N(0) \lambda^t$

$N(t)$  = მოსახლეობის სიმჭიდროვე  $t$  დროისათვის;

$N(0)$  = თავდაპირველი მოსახლეობის სიმჭიდროვე;

$\lambda$  = გეომეტრული ზრდის სიჩქარე

კავშირი ექსპონენციალურ და გეომეტრული მოსახლეობის ზრდის მაჩვენებლებს შორის:  $r = \ln \lambda$

გადაფარვად თაობებიანი ასაკ-სტრუქტურირებული მოსახლეობის ზრდის სიჩქარე:  $dN/dt = N[r_x c_x dx]$

$dN/dt$  = მოსახლეობის ზრდის სიჩქარე;

$r_x$  = ექსპონენციალური ზრდის სიჩქარე  $x$  ასაკამდე;

$c_x$  = ინდივიდთა პროპორცია მოსახლეობაში  $x$

ასაკში

ზრდა ასაკ-სტრუქტურირებულ მოსახლეობებში განცალკევებული თაობებით:

$$N(t+1) = \Sigma n_x(t)s_x + \Sigma n_x(t)s_x b_x + 1$$

$N(t+1)$  = ინდივიდთა რიცხვი მოსახლეობაში  $t+1$  დროისათვის;

$n_x(t)$  = ინდივიდთა რიცხვი  $x$  ასაკობრივ კლასში  $t$  დროისათვის;

$s_x =$

$b_{x+1}$  = ახალშობილთა რიცხვი, რომლებიც შემატა მოსახლეობას  $x+1$  ასაკობრივმა ჯგუფმა. განტოლების მარჯვენა მხარის პირველი ნაწილი არის გარდარჩენის ვადა, ხოლო მეორე – დაბადებისა. ეს შეიძლება გამარტივებულ იქნას შემდეგი განტოლების სახით:  $\Sigma n_x(t)s_x(1 + b_x + 1)$

მოსახლეობის ზრდის ლუის-ლესლის მატრიცული მოდელი:  $A_t n(0) = n(t)$

$A^t$  = ლუის-ლესლის მატრიცის შემცველობაში ასაკისთვის სპეციფიკური შობადობის დონე;

$n(0)$  = ვექტორი, რომელიც შეიცავს თითოეულ ასაკობრივ კლასში არსებული ინდივიდების რაოდენობას  $t = 0$  დროისათვის;

$n(t)$  = ვექტორი, რომელიც შეიცავს თითოეულ ასაკობრივ კლასში არსებული ინდივიდების რაოდენობას  $t = t + 1$  დროისთვის

მოსახლეობის მახასიათებრივი განტოლება (ეულერის განტოლება):  $1 = \Sigma e^{-rx} I_x b_x$

(მოსახლეობებისათვის ექსპონენციალური ზრდით);

$1 = \Sigma \lambda^{-x} I_x b_x$  (მოსახლეობებისათვის გეომეტრული ზრდით)

$r$  = ექსპონენციალური ზრდის სიჩქარე;

$\lambda$  = გეომეტრული ზრდის სიჩქარე;

$I_x$  = გადარჩენა  $x$  ასაკამდე;

$b_x$  = ასაკობრივი შობადობის დონე

მოსახლეობის ზრდის ლოგისტიკური

$$\text{განტოლება } i: dN/dt = r_i N_i (1 - N_i/K_i)$$

$dN/dt$  = მოსახლეობის ზრდის სისწრაფე;

$N_i$  = მოსახლეობის ზომა;

$K_i$  = i მოსახლეობის გადატანითი მოცულობა;

$r_i$  = მოსახლეობის ზრდის თანდაყოლილი სიჩქარე

მეტაპოპულაციებში დაკავებული ნაკვეთების პროპორციათა ცვლილების დონე:

$$dp/dt = mp(1-p) - ep$$

$dp/dt$  = ცვლილების დონე დაკავებული ნაკვეთების პროპორციაში, p;

$m$  = მონაკვეთთა კოლონიზების დონე;

$p$  = დაკავებული მონაკვეთების სრული რაოდენობის პროპორცია;

$e$  = მონაკვეთთა ამონურვის დონე/სიჩქარე

მოსახლეობის განახლების/შევსების ფუნქციის ზოგადი ფორმულა:  $N(t+1) = f[N(t)]$

$N(t+1)$  = მოსახლეობის მოცულობა  $t+1$  დროისთვის;

$f[N(t)]$  = რაღაც  $f$  ფუნქცია

მოსახლეობისა  $t$  დროისთვის;

$t = 0, 1, 2, \dots$  (დისკრეტული დროის მოდელი)

რიკერის განახლების/შევსების მოდელი:

$$N(t+1) = N(t)er(I + N(t)/K)$$

$N(t+1)$  = მოსახლეობის მოცულობა  $t+1$  დროისთვის;

$N(t)$  = მოსახლეობის მოცულობა  $t$  დროისთვის;

$K$  = გადატანითი მოცულობა;

$r$  = ექსპონენტული ზრდა;

$t = 0, 1, 2, \dots$  (დისკრეტული დროის მოდელი)

წონასწორობას მიახლოებული მოსახლეობის

გადაშენების ალბათობა:  $p_o(t) = [bt/(1+bt)]^N$

$p_o(t)$  = გადაშენების ალბათობა  $t$  დროისთვის;

$b$  = შობადობის დონე;

$N$  = მოსახლეობის მოცულობა

$T$  = გადაშენების დრო (ასევე ცნობილია, როგორც გაძლების დრო);

$V$  = დისპერსია თანდაყოლილ ზრდის დონეში,  $r$ ;

$K$  = გადატანითი მოცულობა;

$c = 2r/V - 1$

მონოდის განტოლება, რომელიც გამოხატავს მოსახლეობის ზრდის დონეს რესურსების

დონესთან მიმართებაში:

$$I/C \frac{dC}{dt} = qR/(k + R)$$

$I/C \frac{dC}{dt}$  = ზრდის დონე ერთ სულ მოსახლეზე;

$C$  = მომხმარებელი მოსახლეობის მოცულობა;

$q$  = მომხმარებელი მოსახლეობის ზრდის დონე შემჭიდროვების არარსებობის პირობებში.

$k =$

$R =$

ლოგიკა-ვოლტერას მოდელი მოსახლეობა  $j$ -ს

კონკურენტული ეფექტი მოსახლეობა  $i$ -ზე:

$$dN_i/dt = r_i N_i (1 - N_i/K_i - a_{ij} N_j/K_j)$$

$dN_i/dt$  = მოსახლეობა  $i$ -ს ზრდის სისწრაფე;

$r_i =$

$N_i$  და  $N_j$  = შესაბამისად  $i$  და  $j$  მოსახლეობების მოცულობა;

$K_i$  და  $K_j$  = შესაბამისად მოსახლეობა  $i$ -სა და  $j$ -ს გადატანითი მოცულობა,

$a_{ij}$  = შევიტრების კოეფიციენტი,  $j$ -ს ინდივიდი წევრების გავლენა  $i$  მოსახლეობის წევრების ესპონენტული ზრდის სიჩქარეზე.

(დამატებითი განტოლება მოსახლეობა  $i$ -ს კონკურენტული ეფექტისა მოსახლეობა  $j$ -ზე შემდეგია:  $dN_j/dt = r_j N_j (1 - N_j/K_j - a_{ji} N_i/K_i)$

ლოგიკა-ვოლტერას ზოგადი განტოლებები მტაცებლისა და მისი მსხვერპლის ზრდის ტემპის შესახებ:

$$dH/dt = f(H, P) \quad (\text{მსხვერპლის პოპულაცია})$$

$$dP/dt = g(H, P) \quad (\text{მტაცებლის პოპულაცია})$$

$dH/dt$  და  $dP/dt$  = შესაბამისად მსხვერპლი და მტაცებელი პოპულაციების ზრდის ტემპები;

$f(H, P)$  = მსხვერპლთა (H) და მტაცებელთა (P)

პოპულაციების მოცულობების

რაღაც  $f$  ფუნქცია;

$g(H, P)$  = მსხვერპლთა (H) და მტაცებელთა (P)

პოპულაციათა მოცულობების რაღაც  $g$  ფუნქცია

ლოგიკა-ვოლტერას მოდელი მსხვერპლის

პოპულაციის ზრდისა მტაცებლის არსებობის

პირობებში:  $dH/dt = rH - pHP$

$dH/dt$  = მსხვერპლი მოსახლეობის ზრდის ტემპი;

$r$  = მსხვერპლი მოსახლეობის ექსპონენტური ზრდის ტემპი;

$H$  = მსხვერპლი მოსახლეობის მოცულობა;

$P$  = მტაცებელი მოსახლეობის მოცულობა;

$p$  = შესვედრათა პროპორცია, რომელიც სიკვდილით ით სრულდება

ლოგიკა-ვოლტერას მტაცებელი მოსახლეობის ზრდის ტემპის მოდელი:  $dP/dt = apHP - dP$

$dP/dt$  = მტაცებელი მოსახლეობის ზრდის ტემპი;

$H$  = მსხვერპლი მოსახლეობის მოცულობა;

$P$  = მტაცებელი მოსახლეობის მოცულობა;

$p$  = შესვედრათა პროპორცია, რომელიც სიკვდილით სრულდება;

$a$  = ეფექტურობა, რომლითაც მსხვერპლი იქცევა მტაცებელთა რეპროდუქტორად

ნიკოლსონ-ბარეის განტოლება

პარაზიტ-მტარებლის ურთიერთქმედების შესახებ:

$$H(t+1) = bH(t)[e^{-aP(t)}] \quad (\text{მტარებელი});$$

$$P(t+1) = cH(t) [1 - e^{-aP(t)}] \quad (\text{პარაზიტორი});$$

$H(t+1)$  = მტარებელთა რიცხვი შემდეგ  $(t+1)$  თაობაში;

**P(t + 1)** = პარაზიტთა რიცხვი მომდევნო ( $t + 1$ )  
თაობაში;

**H(t) და P(t)** = შესაბამისად მტარებელთა და  
პარაზიტთა პოპულაციების სიმჭიდროვე;

**a** = პარაზიტის ძიების ეფექტურობა;

**c** = პარაზიტთა ნაშიერების რიცხვი, რომლებიც  
მტარებელზე თავდასხმის შედეგად წარმოშვნენ;

**b** = მტარებელთა შობადობის დონე ერთ სულ მო-  
სახლებზე

**პოლინგის დისკის განტოლება:**  $E = aHT/(1 + aHT_b)$

**E** = შეხვედრათა რიცხვი;

**H** = მსხვერპლის სიმჭიდროვე;

**T<sub>b</sub>** = დროის რაოდენობა დახარჯული თითო  
მსხვერპლთან გამკლავებაზე;

**T** = მთლიანი გამკლავების დრო;

**a** = ძიების ეფექტურობა

**ლოტკა-ვოლტერას მოდელი**

**მტაცებელი-მსხვერპლის მონაკვეთთა დინამიკის:**

**dH/dt = aH - bHM - cH** (მსხვერპლი);

**dP/dt = bHP - dP** (მტაცებელი)

**dH/dt და dP/dt** = მსხვერპლი და მტაცებელი  
მოსახლეობების ზრდის ტემპი;

**H და P** = მსხვერპლი და მტაცებელი  
მოსახლეობების მოცულობა;

**a** = დონე, რომლის დროსაც დისპერსირებადი  
მსხვერპლი აარსებს ახალ კოლონიას;

**b** = ის თუ რა დონით იქრებიან მტაცებლები  
მსხერპლთა ნაკვეთებში

**c** = ის თუ რა დონით იწყებენ გადაშენებას  
მსხვერპლთა საარბიტრო მონაკვეთები;

**d** = ის თუ რა დონით იწყებენ გადაშენებას  
მტაცებელთა საარბიტრო მონაკვეთები

**პათოგენური მოსახლეობის დინამიკის ინფექციის  
მოდელი:**  $dx/dt = b(x + y + z) - \beta xy - dx$  (პოპულაციის  
აღქმისუნარიანი, მგრძნობიარე ნაწილი);

$dy/dt = \beta xy - (D + \gamma)y$  (მოსახლეობის

ინფექცირებული ნაწილი);

$dz/dt = \gamma y - dx$  (მოსახლეობის ის ნაწილი,

რომელიც გამოკვეთდა ინფექციისგან)

**dx/dt, dy/dt და dz/dt** = შესაბამისად  
მოსახლეობის მგრძნობიარე, ინფიცირებულ და  
გამოჯანმრთელებულ პორციებში ცვლილების  
დონე;

**x, y და z** = მოსახლეობის ის ნაწილი,  
რომელიც არის მგრძნობიარე, ინფიცირებული  
ან გამოეთებული;

**β** = ტრანსმისიის (გადაცემის) კოეფიციენტი;

**d** = მგრძნობიარე მოსახლეობის სიკვდილიანობის  
მუდმივი კოეფიციენტი;

**D** = ინფიცირებული ჯგუფის სიკვდილიანობის  
მუდმივი კოეფიციენტი;

**γ** = გამოჯანმრთელების კოეფიციენტი

**ინფექციის რეპროდუქციული დონე:**

**R(x) = βx/(D + γ)**

**R(x)** = ინფექციის რეპროდუქციული დონე, სა-  
შუალო რიცხვი ინდივიდებისა, რომლებიც  
ინფიცირდებიან მოსახლეობაში ინფიცირებული  
ინდივიდების სიცოცხლეში;

**β** = ტრანსმისიის (გადაცემის) კოეფიციენტი;

**D** = ინფიცირებული ჯგუფის სიკვდილიანობის  
მუდმივი კოეფიციენტი;

**γ** = გამოჯანმრთელების კოეფიციენტი

**სახეობათა-ადგილის ურთიერთობა:**

**S = cA<sup>z</sup>** (წრფივი ფორმა:  $\log S = \log c + z \log A$ )

**S** = სახეობას რიცხვი;

**A** = ადგილი;

**c და z** = მონაცემებთან შესაბამისობაში მყოფი  
კონსტანტები

**მეის ერთობის სტაბილურობის მოდელი:**

**b(SC)/12 < 1**

**b** = სახეობათა ინტერაქციის საშუალო ძალა;

**S** = სახეობათა რიცხვი;

**C** = საკვები ქსელის დაკავშირებულობა

**მაკროვის მდგომარეობათა ცვლის პროცესი:**

**PN(t) = N(t + 1)**

**N(t)** = მდგომარეობათა ვექტორი  $t$  დროისთვის;

**N(t + 1)** = მდგომარეობათა ვექტორი  $t+1$

დროისათვის,

**P** = ცვლის ალბათობათა მატრიცა

**ალელის სიხშირის ცვლილება ერთი თაობიდან  
მეორეში სელექციის ქვეშ:**

**Δq = sq<sup>2</sup>(1 - q)/(1 - sq<sup>2</sup>)**

**Δq** = ცვლილება ალელის სიხშირეში;

**q** = ალელის სიხშირე;

**s** = ჰიმოზიგოტის გარგისიანობის ფრაქციის  
შემცირება

**ურთიერთობა კომპონენტებსა და დისპერსიას  
შერჩევის:**  $V_p = V_g + V_e$

**V<sub>p</sub>** = ფენოტიპური დისპერსია;

**V<sub>g</sub>** = გენეტიკური დისპერსია;

**V<sub>e</sub>** = გარემოებითი დისპერსია

**მემკვიდრეობითობა:**  $h^2 = V_a/V_p$

**h<sup>2</sup>** = მემკვიდრეობითობა;

**V<sub>a</sub>** = ადაპტაციური გენეტიკური დისპერსია;

**V<sub>p</sub>** = ფენოტიპური დისპერსია

**შტრიხის რეაქცია სელექციის ერთ თაობაზე:**

**R = h<sup>2</sup>S**

**R** = რეაქცია (ცვლილება ფენოტიპში);

**h<sup>2</sup>** = მემკვიდრეობითობა;

**S** = სელექციის დიფერენციალი

# ეკოლოგიის მათოდები და მოდელები

ეკოლოგიურ კვლევაში მრავალნაირი ტექნოლოგია და მიდგომა გამოიყენება. აქ თქვენ შეხვდებით ყველაზე ხშირად გამოყენებად და ყველაზე მისმარებულოვან ტექნოლოგიებს იმ რიგის მიხედვით, რითაც ისინი ტექსტში ჩნდებიან

## 1. პუნქტი სამყაროს ნისრითი

ეკოლოგიური კითხვების ტიპები  
ევოლუციური საფუძველი  
ბუნებათმცოდნეობის დაკვირვება

## 2. პუნქტი სამყაროს აღმოჩენა

ჰიპოთეზის გამოცდა  
ეკოლოგიური მოდელები  
სტატისტიკური ანალიზი  
არჩევითი კვლევა  
ექსპერიმენტული მიდგომები  
ფილოგენეტიკური ანალიზი  
ეკოლოგია და სოფლის მეურნეობა  
ეკოლოგიური მეცნიერების ქვესფეროები

## 3. სიცოცხლე და ფიზიკური გარემო

ფიზიკური კანონების გამოყენება  
ალმეტრული სკალირება

## 4. ნელისა და სხელი ნივთიერების პალაცი

მოლეკულათა ქიმიური მოდელები

## 5. ენერგია და სითაობა

ქიმიური რეაქციების განტოლებანი  
ფიზიკური სიდიდეების პირდაპირი გაზომვა  
მორფოლოგიისა და ფუნქციის ურთიერთობა  
ევოლუციური „ტრეიდოფების“ (უარყოფითი კონტაქტის ტიპი) შედარება  
გაცვლისა და ინტერაქციების მასშტაბის განსაზღვრა  
ადაპტაციის მისადაგება გარემო ფაქტორებისადმი

## 6. რეაცია გარემოს ცვლილებებისადმი

(უკუკავშირის სისტემათა გამოკვეთა;  
მთელი რიგი მდგომარეობების რეაქციათა  
დაკვირვება;  
ქცევის დაკვირვება;  
ხარჯებისა და მოგების ანალიზი)

## 7. გარემოს პიოლოგიური ფაქტორები

მორფოლოგიისა და ქცევის ინტერპრეტირება  
ეკოლოგიურ და ევოლუციურ კონტექსტში  
მცენარეთა ქიმიური ანალიზი  
ორგანიზმის სიცოცხლის ციკლთა განსაზღვრა

## 8. პუნქტი სამყაროს კლიმატი, ტიაოგრაფია და მრავალფაროვება

ადგილობრივი და გლობალური წყლის თვისებათა  
პოვნა  
წყლის ზედაპირის ქვეშ ტემპერატურისა და  
ჟანგბადის გაზომვა  
გრძელვადიანი თვისებების ამოცნობა  
ბუნებრივ პროცესებზე ტოპოგრაფიის გავლენის  
განსაზღვრა  
სახეობათა რიგის განსაზღვრა  
კომპლექსური ფენომენების გრაფიკული გამო-  
სახულებების შექმნა  
ვეგეტაციაში ფართო მასშტაბიანი ბუნებრივი  
სტრუქტურების აღმოჩენა

## 9. ეკოსისტემის პონცევია

იდეათა ისტორიის შეფასება  
ანალოგიების გამოყენება ახალი კონცეფციების  
გასაუმჯობესებლად  
დიფერენციალური განტოლებების გამოყენება  
ეკოლოგიური ფენომენის მოდელირებისათვის  
მასალების ფართომასშტაბიანი გაზომვებ;  
ეკოლოგიურ პროცესებზე სივრცითი მასშტაბის  
გავლენათა შემოწმება  
ტაქტიკური მოდელები;  
სტრატეგიული მოდელები)

## 10. ეკოსისტემაში ენერგიის დინამიკა

ფიზიკურ და ბიოგენურ გარემოებს შორის  
კავშირების დაზუსტება/დაკონკრეტება  
პროდუქციის გაზომვა  
სინათლის ინტენსივობის გაზომვა  
ენერგიის დინების მათემატიკური მოდელები  
ეკოლოგიურ ქმედითობაზე დამყარებული  
კვებითი ჯაჭვის დინამიკის მათემატიკური  
მოდელები)

## 11. ეკოსისტემაში ელემენტთა გიმართულება

(ჟანგვა-აღდგენითი რეაქციები  
ქიმიური ტრანსფორმაციების ენერგიის

- პოტენციალის გაზომვა; ელემენტთა გლობალური ციკლირების დადგენა)
- 12. სახელეთო და ცყვის სისტემაზე საკვადისითი არაგანერაცია**  
ნიადაგის ანალიზი  
საკვები ნივთიერებათა ანალიზი
- 13. ეკოსისტემის ფუნქციის რეგულირება**  
ბიოსინგური ექსპერიმენტები;  
შედარებითი კვლევები  
საკვები ნივთიერებების დანამატთა ექსპერიმენტები ტბის მთლიანი განაყოფიერების ექპერიმენტები ეკოსისტემის ორგანულფილებიანი სისტემის მოდელები  
ეკოსისტემის სამგანყოფილებიანი სისტემის მოდელები
- 14. პოპულაციის სტრუქტურა**  
ორგანიზმის სივრცობრივი გადანაწილების სტატისტიკური ანალიზი  
მოსახლეობის სიმჭიდროვის განსაზღვრა დისპერსიის მათემატიკური ახსნები  
სამეზობლოს მოცულობის განსაზღვრა პოპულაციაში გენეტიკური ცვლილებების გაზიშვა  
მინიმალურად სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის მოცულობის განსაზღვრა  
სიცოცხლის ხანგრძლივობის ცხრილები ბუნებრივ პოპულაციებში გადარჩენის განრიგის განსაზღვრა
- 15. პოპულაციის ზრდა**  
პოპულაციის ექსპონენტული ზრდის მოდელი პოპულაციის გეომეტრული ზრდის მოდელი ასაკის სტრუქტურიანი პოპულაციების ზრდის მოდელები  
პოპულაციის ზრდის მატრიცული მოდელები დონე-კლასიფიცირებული პოპულაციების ზრდის მოდელები  
პოპულაციის განტოლების მახასიათებლები
- 16. პოპულაციის რეგულაცია**  
პოპულაციის რეგულირების ლოგისტიკური მოდელი  
პოპულაციის რეგულირების გრაფიკული მოდელი
- 17. მატაპოპულაციები**  
მეტაპოპულაციის ზრდის მოდელი  
გადაშენების მოდელი
- 18. პოპულაციის ფლუქურაცია და ციკლები**  
პოპულაციისთვის დამახასიათებელი უკუსვლის დროის განსაზღვრა; განსხვავების განტოლები;
- 19. გადაშენება, შენახვა და აღდგენა**  
ამონურვადი მონაცემების გამოყენება გადაშენების დროის მოდელები მოსახლეობის სიცოცხლის უნარიანობის ანალიზი შენახვისთვის გენეტიკური მრავალფეროვნების მენეჯმენტი გამრავლება ტყვეობაში ხელახლი გაცნობის პროგრამები
- 20. რესურსთა დონისა და პოპულაციის ზრდის მოდელები**  
რესურსთა კრიტიკული დონის განსაზღვრა
- 21. პოპულაციის თეორია**  
კონკურენციის ლოგისტიკური მოდელები კონკურენციის გრაფიკული მოდელები ექსპერიმენტებით კონკურენციის კოეფიციენტების განსაზღვრა კონკურენციაზე აშლილობის გავლენის მოდელები კონკურენციაზე მტაცებლობის გავლენის მოდელები მეტაპოპულაციის თეორიის გამოყენება შეჯიბრების გაგებისთვის
- 22. პოპულაციის გუნდები**  
მიმატების ექსპერიმენტები; ჩანაცვლების ექპერიმენტები; ექსპერიმენტები, რომლებიც მოიცავენ ინტერაქციათა ეფექტებს
- 23. მთაცემლობა**  
(ლოგიკა-ვოლტერას მტაცებელი-მსხვერპლის მოდელები; ნიკოლსონისა და ბაილის მტაცებელი-მსხვერპლის მოდელები ფუნქციური გამოხმაურების მოდელი რიცხობრივი გამოხმაურების მოდელი მტაცებელი-მსხვერპლის სისტემის გრაფიკული ანალიზი; მაქსიმალურად მუდმივი პროდუქციის განსაზღვრა; მტაცებელი-მსხვერპლის დინამიკაზე ქცევის გავლენის მოდელები; პარაზიტი-მტაცებელი სისტემებში სივრცობრივი დინამიკის მოდელები
- 24. გალახისმამალობა და პარაზიტი**  
არაეფექტურობის მოდელები
- 25. თანავოლუცია და გალახისმამალობა**  
(თანავოლუციის გენეტიკური მოდელები)

**26. თანასაზოგადოების კონცეფცია**

გრადიენტული ანალიზი, ფილოგენეტიკური  
ანალიზი

**27. თანასაზოგადოების სტრუქტურა**

ფლორისტიკული ანალიზი  
სახეობათა შედარებითი გავცელებულობის  
გაზომვა

**28. თანასაზოგადოების განვითარება**

თანმიმდევრულობის ანალიტიკური მოდელები  
მარკოვის პროცესი

**29. პიომრავალფეროვნებისადმი**

რეგიონული/ისტორიული მიდგომა  
ბიომრავალფეროვნებისადმი  
ადგილობრივი/დეტერმინისტული მიდგომა ბიო-  
მრავალფეროვნებისადმი  
კუნძულთა გეოგრაფიის თეორია  
სახეობათა/გვარების პროპორცია  
ნიშის (ნიშა – სახლობისათვის სფეციფიკური  
პირობების კომპლექსი) თეორია და  
ბიომრავალფეროვნება;  
ნულოვანი მოდელები)

**30. ევოლუცია და ადაპტაცია**

პოპულაციის გენეტიკა  
ჰარდი-ვაინბერგის კანონის გამოყენება  
ევოლუციის დონეების განსაზღვრა  
რაოდენობრივი გენეტიკა და დისპერსია  
ხელოვნური გადარჩევის ექსპერიმენტები  
ევოლუციური რეაქციების კორელაციური  
შესწავლა  
ევოლუციურად სტაბილური სტრატეგიები (შშ))

**31. პეტეროგენელი გარემოსადმი ადაპტაცია**

ადაპტაციური ლანდშაფტი  
რეაქციის ნორმა  
ნაცვალგებითი ტრანსპლანტირების ექსპე-  
რიმენტები ოპტიმალურობის მოდელირება  
სტოქასტიკური დონამიკის პროგრამირება

**32. სასიცოცხლო ციკლის ევოლუცია**

სასიცოცხლო ციკლების ანალიზი  
სასიცოცხლო ციკლში ტრეიდოფების  
(უარყოფითი კორელაციის ტიპი) გაზომვა)

**33. სქესი და ადაპტაცია**

(თამაშის თეორია)

**34. ევოლუცია და სოციალური ეცვა**

(ვარგისიანობის დანახარჯი-შედეგის ანალიზი)

## ადამიანის სფერო

ამ წიგნში განხილულ ყველა პრინციპს კაფირი აქვს  
ადამიანურ მდგომარეობასთან. ქვემოთ  
მოცემულია იდეათა სია თითოეული თავიდან, რომ-  
ლებიც გვემსახურებიან ერთგვარი  
გზამკევლევების სახით ადამიანთა საქმიანობაში  
ეკოლოგიის მოხმარებისას.

### **1. პუნეპრივი სამყაროს ნესრიგი**

ცნობისმოყვარეობა და ბუნება  
სილამაზე და ბუნება  
აღქმის მნიშვნელობა ადამიანის მიერ ბუნების  
გაგებისას  
ადამიანის ურთიერთქმედება ბუნებრივ  
სამყაროზე

### **2. პუნების ნესრიგის აღმოჩევა**

ეკოლოგიის სამუშაო  
ისტორიის როლი  
ეკოლოგიური კვლევის ლოგისტიკური  
გამოწვევები  
ეკოლოგიური კვლევების ინტელექტუალური  
ასპექტები  
სოფლის მეურნეობა და ეკოლოგია  
ენვაირომენტალიზმი [სწავლება გარემოს  
შესახებ], კონსერვატიზმი და დამცველობა

### **3. სიცოცხლე და ფიზიკური გარემო**

მშრალი რაიონებისა და მტკრის ქარიშხლების  
ზონა  
ადამიანთა გავლენა დედამიწის ატმოსფეროზე  
სათბურის ეფექტი

### **4. ცყლისა და სინაზი ნივთიერების გაღანცენი**

წყლის მნიშვნელობა დედამიწაზე სიცოცხლის-  
თვის

### **5. ენერგია და სითბო**

სიცოცხლის უზენაესი ენერგიის წყარო  
სუნთქვის ენერგია

ტემპერატურის დიაპაზონი დედამიწაზე  
ცხოვრებისთვის  
აორთქლება და გაგრილება

### **6. რეაციები გარემოს ცვლილებაზე**

უკუკავშირის სისტემები და სხეულის ტემპერა-  
ტურა

### **7. გარემოს პიოლოგიური ფაქტორები**

პარაზიტები და დაავადებანი

### **8. პლიაზტი, ტოარგაზია და პუნეპრივი სამყაროს მრავალფაროვება**

სეზონური ცვლილება;

El Niño

### **9. ეპოსისტების კონცეფცია**

### **10. ენერგიის დინება ეპოსისტების**

კვებითი ჯაჭვი

### **11. ელემენტთა მიმართულება ეპოსისტების**

ადამიანები და ნახშირწყლების ციკლი

გლობალური დათბობა

ამონურვადი საწვავი

სასუქი

აზოტის ქვეჟანგი და გლობალური დათბობა

მჟავე წვიმა

### **12. საკვეპ ნივთიერებათა რეაციერაცია**

### **ხელეთისა და ცყლის ეპოსისტების**

მჟავე წვიმები და ნიადაგი

ტყეების გაჩეზვა

### **13. ეპოსისტების ფუნქციის რეაციერება**

ჰაერის დანაგვიანება და ბიოლოგიური

მოთხოვნილება ჟანგბადზე

**14. პოპულაციის სტრუქტურა**

ინდუცირებული სახეობების გავრცელება  
რეკომენდაციული დწმ  
დწმ თითის ანაბეჭდების აღება  
გადარჩენა და სიკვდილიანობა

**15. მოსახლეობის ზრდა**

დემოგრაფია  
ადამიანთა მოსახლეობის ზრდა

**16. მოსახლეობის რეგულირება**

გახშირება და მოსახლეობის ზრდა

**17. მეტაპოპულაციები**

საცხოვრებელი ადგილის ფრაგმენტაცია და განადგურება

**18. პოპულაციების ფლუქურაცია და ციკლები**

ველური ბუნებისა და სათევზაო პოპულაციები

**19. გადაშენება, შენახვა და აღდგენა**

ადამიანის როლი გადაშენებაში  
ბუნების „შენახვა“/შენარჩუნება  
შენარჩუნების ეკონომიკური შეხედულებები  
გენეტიკური მარაგალფეროვნების მენეჯმენტი  
ბუნების აღდგენა)

**20. რესურსები და მომხმარებლები**

ბუნებრივი რესურსები  
აღდგენითი რესურსები

**21. კონცერნების თეორია**

**22. კონკურენცია პუნქტი**

(კონკურენცია და ბრძოლა მავნებლებთან)

**23. მთაცემლობა**

(მტაცებლები და პარაზიტები სოფლის მეურნეობის  
სისტემებში;  
მავნებლებთან ბრძოლა)

**24. ბალაზისმამალობა და პარაზიტი**

დაავადებების გამავრცელებელი ორგანიზმები  
დაავადების გადაცემა  
ინფექცია  
იმუნიზაცია დაავადების წინააღმდეგ

**25. თანაევოლუცია და მუტუალიზაცია**

ვირუსები და მოსავლის მავნებლები

**26. თანასაზოგადოების კონცეფცია**

საპინადრო ადგილის ფრაგმენტაცია

**27. თანასაზოგადოების სტრუქტურა**

**28. თანასაზოგადოების განვითარება**

სარეველა მცენარეები და ცეცხლის ეფექტი

**29. მრავალფეროვნება**

ადამიანის ჩარევა და ბიომრავალფეროვნება

**30. ევოლუცია და ადაპტაცია**

ადამიანისა და მცენარეთა გამრავლება  
სქესის ევოლუციური მნიშვნელობა

**31. ჰეტეროგენულ გარემოსადმი ადაპტაცია**

ნამგლისებურულუკრედიტი გენი

**32. სასიცოცხლეო ციკლის ევოლუცია**

დაბერება ადამიანებში  
მდედრობითი ასაკობრივი და შობადობის  
დეფექტები ადამიანებში

**33. სქესი და ადაპტაცია**

ადამიანთა სქესთა თანაფარდობა  
ადამიანთა სქესის განსაზღვრა

**34. ევოლუცია და სოციალური ქცევა**

ალტრუისტული ქცევა  
მშობლებისა და ნაშიერების კონფლიქტი

## ნინასიტყვაობა

**3** ვლევის ძალიან ცოტა სფერო არის იმაზე მეტ პიდაპირ კავშირში ადამიანურ მდგომარეობასთან, ვიდრე ეკოლოგიის სფერო. ეკოლოგიის სფერო არის ორგანიზმების ინტერაქციები, ურთიერთქმედება თავიანთ ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოსთან. მოსახლეობა გამრავლებას აგრძელებს და მასთან ერთად იზრდება მოთხოვნილება საკვებზე. იზრდება ადამიანის საქმიანობის გავლენა იმ ბუნებრივ სისტემებზეც, რომლებიც დედამიწაზე სიცოცხლეს ინარჩუნებენ. ჩვენი ეკონომიკის და სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების მზარდმა გლობალიზაციამ გამოიწვია როგორც ნინასწარ გამიზნული, ისე შემთხვევითი ორგანიზმების წარმოშობა დედამიწის ყველა კუთხეში. მათ შორის, მავნებლების, პარაზიტებისა და დაავადებებისა. ამას ჩვენ ფართომასშტაბიან ეკოლოგიურ გლობალიზაციას ვუწოდებთ. ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა და მეტყველება ახდენს ბუნებრივი სამყაროს ენერგიის ტრანსფორმირებას ადამიანის საჭიროებისთვის და ამ პროცესში გავლენას ახდენენ იმ სისტემებზე, რომლებიდანაც მოიპოვებენ ენერგიას. ბუნებასთან ჩვენი ინტერაქციების გრძელვადიანი ეფექტები ზუსტად არ არის ცნობილი.

თითქმის ათწლეული გავიდა „Ecology” - ს მესამე გამოცემის გამოქვეყნებიდან. ამ პერიოდში გაიზარდა ცნობიერება იმისა, რომ ბუნებრივი სამყაროს დინამიკის გაგება ძალიან მნიშვნელოვანია. ამის გამო, ჩვენ მოწმენი ვართ მრავალი ეკოლოგიური ჟურნალისა და ორგანიზაციის გავრცელებისა, რომლებიც ყურადღებას ამავილებენ ბუნების შენახვისა და აღდგენისთვის ეკოლოგიური პრინციპების გამოყენებაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ძვრები ეკოლოგიაში სტუდენტური ბიოლოგიის სასწავლო გეგმასა და არასამეცნიერო სასწავლო პროგრამებში. ეკოლოგიას სულ უფრო მეტად ასწავლიან საბაკალავრო სასწავლო გეგმებში და მისი ცოდნა ახლა უკვე მოითხოვება პირველი და მეორე კურსების სასწავლო პროგრამაში. ბოლო კურსების სტუდენტებს ეკლოგიის პროგრამის ახლა უფრო ფართო არჩევანს სთავაზობენ, ვიდრე ოდესმე. სამედიცინო კოლეჯები-სთვის მოსამზადებელი ბევრი სასწავლო პროგრამა ახლა უკვე მოიცავს კურსებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებული გარემოს ინტერაქციებზე, პარაზიტულ ეკოლოგიასა და დაავადებათა ევოლუციურ დინამიკაზე. აქცენტების ეს ძვრა განხორციელდა უმეტესწილად სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით. ეს მათ საშუალებას მისცემს, უკეთ გაიგონ ის სამყარო, რომელიც უკვე იციან, რომ საფრთხეშია.



ამ ახალმა აქცენტმა ეკოლოგიაზე ძალიან გაგვამხნევა „Ecology”-ის მეოთხე გამოცემის მომზადებისას. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, დარწმუნებულები ვართ, რომ ეკოლოგიის სფეროს ესაჭიროება ყოვლისმომცველი შესწავლა ისტორიული პერსპექტივიდან, ევოლუციური საფუძვლების გათვალისწინებითა და ყურადღების გამახვილებით თანამდროვე თეორიებზე. ეს ჩვენი რწმენით წინა სამი გამოცემის ძლიერი მხარეები იყო. როგორც წინა გამოცემებში, ამ სახელმძღვანელოს უმთავრესი მიზანია — ეკოლოგიის სფეროში მიმდინარე ტენდენციებისა და მიდგომების აღნერა. ჩვენ ასევე მიგვაჩინია, რომ ამ სფეროს ყოვლისმომცველი კვლევები უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ამრიგად, ჩვენი მეორე მიზანი იყო, არსებითად გაგვეძლიერებინა წიგნის პედაგოგიური თვისებები ახალი ორრიგიანი დიზაინით, რამდენიმე საკვანძო ორგანიზაციული ცვლილებითა და ახალი პედაგოგიური მიდგომით.

## ეკოლოგიური თემები და ახალი აქცენტები

როგორც წინა გამოცემებში, ჩვენი თხრობის საფუძველსაც ევოლუციისა და ადაპტაციის, ენერგიის დინების, მოსახლეობისა და ერთობების ინტერაქციების და ბიპევიორისტული ეკოლოგიის ძირითადი პრინციპები შეადგენს. ვეთანხმებით შეხედულებას, რომ ინდივიდი ორგანიზმების საპასუხო რეაქციები ფიზიკური და ბიოტური გარემოს პირობებზე აყალიბებენ ეკოლოგიური კვლევის ძირითად საინფორმაციო ბაზას. ამ შეხედულებას ჩვენ დავურთეთ აქცენტები სხვა სფეროებშიც:

ეკოლოგიური კვლევის მეთოდები  
ადამიანთა ინტერაქციები ბუნებრივ სამყაროსთან  
სივრცითი მასშტაბის მნიშვნელობა ეკოლოგიაში  
ელემენტთა გლობალური პრუნვა  
ბიომრავალფეროვნება  
კონსერვაციული ბიოლოგია  
მცენარეთა ეკოლოგია  
თანაევოლუცია და მუტუალიზმი





## ორგანიზება

ისინი, ვინც იცნობენ „ეკოლოგიის” წინა გამოცემებს, იცნობენ ასევე წიგნის ორგანიზების ზოგად სტილსაც. თუმცა, მთელმა რიგმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, წიგნი უფრო ადვილად გამოსაყენებელი გახადა. ეს ცვლილებები გვეხმარება ავრეთვე ეკოლოგიის სხვადასხვა ქვესფერობებს შორის ურთიერთობის ფორმული-რებაშიც. პირველი ნაწილი შემცირებულ იქნა ორ შესავალ თავამდე, სადაც ახსნილია ეკოლოგიური კვლევის მნიშვნელობა და მისი განხორციელების ხერხები. როგორც უწინ, ჩვენც ვიყენებთ ამ ნაწილს ბუნებრივ სა-მყაროში ეკოლუციის მნიშვნელობის ხაზგასასმელად.

ურთიერთობა ინდივიდუალურ ორგანიზმებსა და მათ ფიზიკურ და ბიოტურ გარემოს შორის გადმოცემულია მეორე თავში. წიგნის ამ ნაწილში გაკეთებულ აქცენტს გარემოს ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებზე თავისთავად გადავყავართ ენერგიის დინამიკისა და ელემენტთა ბრუნვის თემებზე, რომლებიც განხილულია მესამე თავში. ეკოსისტემათა ეკოლოგიის თემის ესოდენ ადრეული ხსენება, რაც ადრეული გამოცემების ინოვაცია გახლ-დათ, საშუალებას გვაძლევს, ადრეულ ეტაპზე გავაძლიეროთ იდეები ადამიანთა ინტერაქციების შესახებ გარემოში, რომლებიც აღნერილია მეორე თავში. მეოთხე (მოსახლეობის ეკოლოგია) და მეხუთე (მოსახლეობის ინტერაქციები) ნაწილების განლაგება ეთანხმება ეკოლოგიური ტექსტების ტრადიციულ ორგანიზაციულ იერ-არქიას. ჩვენ დავურთეთ ახალი თავები მეტაპოპულაციებისა (მეჩვიდმეტე ნაწილი) და გადაშენების, შენარჩუ-ნებისა და აღდგენის (მეცხრამეტე თავი) შესახებ მეოთხე ნაწილში. მეხუთე ნაწილში თემათა რიგი შეცვლილა ისე, რომ კონკურენცია განხილულია მტაცებლობის, ბალაზისმჭამელობის, პარაზიტიზმისა და მუტუალიზმის წინ. მტაცებლობისა და ბალაზისმჭამელობის სხვადასხვა თავებში განხილვა ასახავს წინა გამოცემებთან შე-დარებით მეტ აქცენტს მცენარეებსა და მათ მომხმარებლებს შორის არსებულ ინტერაქციებზე.

ამ გამოცემაში წიგნის დასასრულს ჩასმულია თანასაზოგადოებათა ეკოლოგიის თავები – მეექვსე ნაწილში. იგი თან სდევს მოსახლეობის შესახებ არსებულ ორ თავს. ჩვენ გავაუქმეთ თავი ეკოლოგიური წიშის შესახებ და დავურთეთ ამ თავის ყველაზე რელევანტური მასალა ახალ თავს. ამ თავში ყურადღება გამახვილებულია სახეობათა მრავალფეროვნებაზე. ჩვენ ვასრულებთ წიგნს მეშვიდე ნაწილით, რომელიც მოიცავს თავებს ეკო-ლუციური ეკოლოგიის შესახებ. ეკოლუციური ეკოლოგიის ფართო განხილვა უცნობი იყო აქამდე „Ecology”-თვის. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ნაწილი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მხარს უჭერს ეკოლუციური ეკოლოგიის ჩვენებულ თეორიას. მეორე მიზეზი და ალბათ უფრო მნიშვნელოვანიც არის ის, რომ აერთიანებს ეკოლოგიას ქცევასთან, გენეტიკასა და ეკოლუციასთან. იმის მიუხედავად, რომ გვესმის, ეს მასალა ხშირად არ არის ხოლმე გადმოცემული ეკოლოგიის ზოგად კურსებზე, მისი ბოლოში განთავსება, ჩვენი აზრით, წიგნის გამოყენებას გაადვილებს.

## პედაგოგიური აქცენტები

ეკოლოგიურ თეორიათა უმრავლესობა კომპლექსური და აბსტრაქტულია. ამრიგად, წმინდა თხრობასთან ერთად, ჩვენ ტექსტსა დავურთეთ მთელი რიგი პედაგოგიური მექანიზმებისა, რომლებიც ჩვენი ღრმა რწმენით, დაეხმარებიან სტუდენტებს ეკოლოგიის შესახებ თავიანთი აზროვნების ორგანიზებაში. მათ შორის აღსანიშნავია: შესავალი კითხვები, რომლებიც უძლვიან თითოეული თავის შესწავლას და აძლიერებენ გამოკითხვის მნიშვნელობას სამეცნიერი აღმოჩენებში; დეტალური დასათაურება, რომელიც წიგნის ყოვლისმომცველ შეჯამებას წარმოადგენს; სპეციალიზებული დასათაურება, რაც ეხმარება სტუდენტს მასალის სწრაფად მოძებნაში; თავების დანომრილი ქვესათაურები; მეორადი სათაურები, რომლებიც აღნიშნავენ გადასვლას და ხაზს უსვამენ მნიშვნელოვან თემებს; თავების შეჯამებანი; თავების სავარჯიშოები, მათ შორის საპრობლემო და საფიქრალი კითხვები საჭიროების შემთხვევაში; გამუქებული საკვანძო სიტყვები და ტერმინები, რომლებიც განსაზღვრულია ტექსტში და მოიპოვება სიტყვარში; მკვეთი ახსნა-განმარტებებით თავებს შორის თემათა და-საკავშირებლად.

„ეკოლოგია“ იყო პირველი წიგნი ამ სფეროში, რომელმაც გაგვაცნო ეკოლოგიის მათემატიკური თეორია. ჩვენ კვლავაც ძლიერ გვჯერა ეკოლოგიურ კვლევაში მათემატიკური მოდელის ღირებულებისა და ამიტომ შევინარჩუნეთ მათემატიკური აქცენტი წიგნში. ვინაიდან ასევე გვჯერა, რომ ეკოლოგიური თეორია გასაგები უნდა იყოს ეკოლოგიის დამწყები სტუდენტისთვის, ჩვენ ავხსენით მათემატიკური თეორიის განვითარება, რაც შეიძლება დაწვრილებით და ცხადად. უმრავლეს შემთხვევაში ჩვენ თხრობაში რიცხობრივი მაგალითებიც და-ვურთეთ თეორიის უდიდესი მნიშვნელობის ხაზგასასმელად. ზოგ შემთხვევაში, სავარჯიშოებია გამოყენებული მოდელებისა და რაოდენობრივი ურთიერთობებისადმი უფრო ღრმა და ინტუიციური გაგების გასავითარებლად. მცირე გამონაკლისების გარდა, მკითხველს, რომელსაც შეუძლია ალგებრის მარტივი ამოცანების ამოხსნა, ესმის ხარისხები, ლოგარითმები და უტოლობები და რომელსაც არ უჭირს გრაფიკების კონსტრუირება-ინტერპრეტირება, არ შეხვდება დიდი სიძნელე ამ წიგნში მოცემულ მათემატიკასთან გამკლავებისას.

ეს გამოცემა არის თანამშრომლობის შედეგი უფროს ავტორს, რომელმაც წიგნის პირველი სამი გამოცემა დაწერა და უმცროს ავტორს შორის, რომელმაც მეოთხე გამოცემის უდიდესი პასუხისმგებლობა იტვირთა. ჩვენ სიამოვნებით ვმუშაობდით ერთად რევიზიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტებზე. ჩვენ ასევე დიდი სარგებელი ვნახეთ „W.H. Freeman“-ის რედაქციისა და გამომცემლობისგან და ბევრი ჩვენი კოლეგისგან, რომლებიც გვაწვდიდნენ ინფორმაციას და კითხულობდნენ თავების შავ ჩანაწერებს. ჩვენი კმაყოფილი ვიქებით მაშინ, თუ ეს წიგნი დაეხმარება სტუდენტებს ბუნების შესწავლაში, ბუნებრივ გარემოსთან ჩვენი ურთიერთობის მძიმე შედეგების გაგებაში და იმის დანახვაში, როგორ შეგვიძლია, ვიპოვოთ, საშუალებანი ეკოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად ეკოლოგიური პრინციპების უკეთ გაცნობის საშუალებით.

## მადლიერება

ჩვენ უაღრესად დიდი ბედნიერება გვხვდა წილად „W.H. Freeman“-ის ორ შესანიშნავ რედაქტორთან მუშაობის სახით. დებორა ალენი წიგნის განვითარებაში დასაწყისიდანვე აქტიურად იყო ჩართული. იგი ამოწმებდა ტექსტის პირველ რევიზიენს, არედაქტირებდა მათ და ავითარებდა ახალი დიზაინის საფუძველს. მისმა კრეატიულობამ, სამეცნიერო ცოდნამ, მშვენიერმა იუმორის გრძნობამ და მუდმივმა გამნევებამ წარია პროექტი წინ გადამწყვეტ ფაზამდე. სარა ტენიმ წიგნი წარმატებულ დასასრულამდე მიიყვანა უსაზღვრო ზრუნვითა და პროფესიონალიზმით. მისი შეფასებანი სამეცნიერო შინაარსსა და პედაგოგიურ ელემენტებთან დაკავშირებით გამოიხატა უმნიშვნელოვანეს გაუმჯობესებებში. ნორმა როშემ ტექსტის ლიტერატურული რედაქტირება დიდი პროფესიონალიზმითა და ცოდნით მოახდინა, რითაც იგი უსაზღვროდ გააუმჯობესა. დაიან მაასი, ქეითი ბენდო, ჯესიკა ოლშენი, დაიანა ბლუმე, ლუ კაპალო და პოლ როლოფი „W.H.Freeman“-დან ასევე უსაზღვროდ დაგვეხმარნენ.

კენ კლემოვმა და ჯეკ გრუბაუმ მთელი ხელნაწერის ორი რევიზია წაიკითხეს, გვაწვდიდნენ რა დეტალურ კომენტარებს შინაარსსა და სტილზე. ამ დახმარებისთვის ჩვენ განსაკუთრებულად მადლიერნი ვართ. ბევრმა ეკოლოგმა საგრძნობი დრო დაუთმო ნამუშევრის სხვადასხვა თავის კითხვას. მათ შორის არიან: ს. ალისენი, ა. ბლაუშტაინი, რ. ბრუგაში, რ. ბერკი, გ. კაპელი, ფ. ჩეუ, ს. დობსონი, პ. ევალდი, დ. ფონგი, ქ. ფრიმანი, მ.

ფალტონი, ს. ჰერდი, ვ. ჰათჩისონი, თ. მილერი, პ. მულპოლანდი, პ. ნეუფელდი, მ. პიგლიუჩი, გ. პოლისი, ს. რეილი, დ. რეზნიკი, თ. შოენერი, ვ. სოუზა, ე. თემელსი და დ. ვაიზი. ჩვენ განვიხილეთ წიგნის მრავალი ასპექტი ს. თრელკელდთან, რ. ჰოლბერტონთან, ს. ბრუვერთან, ქ. ოქსთან, გ. სტრატონთან, ვ. ჰარისონთან და პ. მილერთან, მთლიან ეკოლოგიისა და ევოლუციის ჯგუფთან მისისიპის უნივერსიტეტში. ბ. ბაკამ, ჯ. ჩემბერსმა, ვ. ჰიუსტონმა, კ. ოვერსტრიტმა, კ. რიუმ, ს. სამპელსმა და მ. ვილეგესმა დაწვრილებით გადახედეს მესამე ნანილს, როგორც ქ. ოქსის დამამთავრებელი კურსს ბიოქიმიაში. მისისიპის ბაკალავრიატის მაგისტრანტებმა ბ. მაილსმა და კ. მეისიმ იმსახურეს, როგორც კვლევის ასისტენტებმა და მკითხველებმა და მათ სამუშაოსაც ძლიერ ვაფასებთ. ლ. ირვინგმა, ა. ჰიუსტონმა, ა. უილიამსმა და რ. ლანდრეტმა წარმოადგინეს ლოგისტიკური მხარდაჭერა. ს. ლუისი და პ. ო'ნილი გვამხნევებდნენ ძნელ დროს. ჩვენ ძალიან მადლიერნი ვართ მართა სვანისა და მისისიპისის უნივერსიტეტის ჯ. დ. უილიამსის ბიბლიოთეკათაშორისო სააპონენტო სამსახურის კოლექტივის დაუღალავი შრომისთვის ჩვენი დავალებით. ასევე მადლობას ვუხდით ელენ ჰებეტს არიზონას უნივერსიტეტიდან და ბობ სუტერს ვასარის კოლეჯიდან ჩვენი სურათებით მომარაგებისთვის. გ. მილერსაც დიდად ვუმადლით გამხნევებას. განსაკუთრებით ვაფასებთ მერი სტაქის მხარდაჭერას, რომელმაც, თავად ექვსი სამეცნიერო წიგნის ავტორმა, ზუსტად იცოდა, როდის შემოეთავაზებინა ჩვენთვის მხარდაჭერა, რჩევა და როდის – გულიანი სიცილი. გმადლობთ, მერი.



ନାମେଣ୍ଡର ପଦିତାଳେଣ୍ଡର

# ଶବ୍ଦାଳାଙ୍କରଣ



**Y**ველა ცოცხალი ორგანიზმი ბუნებრივ სამყაროზეა დამოკიდებული და მისგან იღებს „სასიცოცხლო ენერგიას“. თავის მხრივ, თითოეული მათგანი აქტიურად ზემოქმედებს გარე-მოზე. მოსახლეობის რიცხვის სწრაფი ზრდა და მასთან ერთად ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სისტემების გლობალიზაცია დღეს ბუნებრივ სამყაროში ცვლილების უძლიერეს ფაქტორს წარმოადგენს.

დედამიწაზე სიცოცხლის შემანარჩუნებელ სისტემებზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასები-სთვის უნდა გავიგოთ, როგორ მოქმედებს ბუნებრივი სამყარო, რის საშუალებასაც ეკოლოგიის შესწავლა გვაძლევს. პირველ ნაწილში განვიხილავთ იმ საშუალებებსა და ტექნოლოგიებს, რომლებსაც ეკოლოგები მის შესასწავლად და ბუნებრივი გადარჩევის გზით ევოლუციის თეორიის პრინციპების განვითარებისთვის იყენებენ. ეს თეორია ბიოლოგიური კვლევის საფუძველს წარმოადგენს.

ბუნებრივი სამყარო ერთდროულად ორგანიზებულია, ლამაზი და დამაბნეველია. ეკოლოგებს კვლევისას უბრალო ცნობისმოყვარეობა ამოძრავებთ, რაც კითხვებისთვის ფორმისა და ფუნქციის მიცემის მანიფესტია. ასეთი კითხვები აღმოჩენათა მამოძრავებელი ძალა და ექსპერიმენტირების საფუძველიცაა. პირველ თავში განვიხილავთ, როგორ მჟღავნდება ბუნებრივი სამყაროს წესრიგი ჩვენს მიერ დასმული კითხვების მეშვეობით. ვნახავთ, როგორ მოქმედებს და ზღუდავს ბუნების გაებას ჩვენებული აღქმა. იმასაც შევნიშნავთ, რომ ბუნებრივი სამყაროს სილამაზე ეკოლოგიური კვლევისთვის შთაგონების წყაროს წარმოადგენს.

ეკოლოგებს, ისევე, როგორც სხვა მეცნიერებს, მარტივი დაკვირვებები და კითხვები ეხმარება ექპერიმენტირებითა და სინჯთა სისტემატური გადარჩევის საშუალებით პასუხის პოვნაში. ამ საქმიანობას გზამკვლევად ემსახურება თეორია, რომელიც მას პროცესების ბუნების შესახებ აღტერნატიულ იდეებს სთავაზობს. ამ იდეებს შემდეგ სხვები იზიარებენ წიგნებისა და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების საშუალებით. სამეცნიერო აღმოჩენების პროცესებს მეორე თავში განვიხილავთ. იქ ვნახავთ, როგორ ცდილობენ ეკოლოგები მიმდინარე მნიშვნელოვან კითხვებზე პასუხების მოძიებას.

## თავი 1



# პუნეპრივი სამყაროს ნისრიგი

### გზამკვლევი კითხვები

- როგორ იყენებენ ეკოლოგები კითხვებს ბუნებაში ნიმუშთა გამოსავლენად?
- რა ტიპისაა ეკოლოგების მიერ დასმული კითხვები?
- როგორ არის ბუნებრივი სამყარო ერთდროულად მრავალფეროვანი და კომპლექსური?
- როგორ არის ბუნება ერთდროულად დინამიკური და თვითგანახლებადი?
- რამდენად ადგილი განსაჭვრეტია ბუნების სტრუქტურები?
- როგორ იჩენს თავს ეკოლოგია ბუნებრივი გადარჩევის გზით?
- როგორ ახდენს გავლენას აღქმა და შეხედულება ბუნების ჩვენებულ გაგებაზე?
- რა არის ბუნების მცოდნეობა და როგორ გამოიყენება ის ეკოლოგიის კვლევაში?
- როგორ მოახდინა ადამიანის საქმიანობამ გავლენა ტბა ვიქტორიას ბუნებრივ პროცესებზე?

**უ**ამრავი სახეობის ცხოველი, მცენარე და მიკროორგანიზმი ბინადრობს დედამიწაზე. თავის გამოსაკვებად, გამრავლებისთვის და სხეულის შესაბამისი მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ცოცხალ არსებებს სჭირდებათ სხვა ორგანიზმებთან ურთიერთობა და იმ ადგილის ფიზიკურ პირობებზე რეაგირება, სადაც ბინადრობენ. თითოეული მათგანი ფლობს მხოლოდ ამ სახის ორგანიზმებისთვის დამახასიათებელ მორფოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და ბაჟევიორისტულ თვისებებს. ამით ისინი თავიანთ წარმომავლობას გამოხატავენ. ცოცხალ ორგანიზმთა წყებას, ფიზიკურ პირობებს, რომლებმიც ისინი ბინადრობენ, ურთიერთქმედებებს ორგანიზმებს შორის და გარემონტულ ფიზიკურ სამყაროს — ბუნებრივ სამყაროს ან უბრალოდ, ბუნებას ვუწოდებთ. იმის გაგება, თუ როგორ ფუნქციონირებს ბუნება, ეკოლოგიის საქმეა (სიტყვა წარმოიშვა ბერძნული სიტყვისგან „oikos“, რაც ნიშნავს სახლს, ადამიანის უშუალო გარემოს). ეკოლოგია შეისწავლის ორგანიზმთა ურთიერთობას ერთმანეთთან და გარემოსთან.

ეკოლოგიის პრინციპთა შეფასება არსებითი მნიშვნელობისაა ადამიანთა მდგომარეობის შესასწავლად.

ადამიანი იმაზე ნაკლებად როდია დამოკიდებული ბუნებაზე, ვიდრე მუხის ხე, მატლი ან თუნდაც შინაური კატა, რომელსაც ტაბილად სძინავს თქვენს საყვარელ მაისურზე. თუმცა, თანამედროვე სამყაროს კომფორტულმა პირობებმა შეიძლება გააფერმკრთალოს ჩვენი შეხედულება ამ დამოკიდებულებაზე, ის არ გვათავისუფლებს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისგან, იქნება ეს უანგბადი, წყალი თუ საკვები — ყოველივე ამის მოპოვება მხოლოდ ბუნებრივი სამყაროდან შეგვიძლია. როგორც ყველა ცოცხალი არსება, ჩვენც ვიკამაყოფილებთ ამ მოთხოვნილებებს ბუნების სხვადასხვა კომპონენტთან შეხებისას. ამ ინტერაქციას კი შეუძლია შეცვალოს ბუნებრივი სამყარო, რომელზეც ჩვენ ესოდენ ვართ დამოკიდებულები. ბუნების შეცვლის ჩვენი პოტენციალი აშკარად განუსაზღვრელი და უკვე საკმაოდ თვალსაჩინოა. ამ ცვლილების მოკლე და გრძელვადიანი ეფექტების განსაზღვრა ბუნებრივი სამყაროს დინამიკის ლრმა ცოდნას ანუ ეკოლოგიის პრინციპების ცოდნას საჭიროებს.

სხვა ორგანიზმების მსგავსად, ადამიანები დამოკიდებულები არიან და გავლენას ახდენენ ბუნე-

ბრივ სამყაროზე. თუმცა, ბუნებრივ სამყაროსთან ადამიანის ურთიერთობა განსხვავდება ბუნების სხვა ასპექტებისგან იმდენად, რამდენადაც იგი შეიცავს ესთეტიკურ კომპონენტს. მხატვრობის, მუსიკისა და ლიტერატურული ნაწარმოებების შთაგონების წყაროს ძირითადად ბუნების საიდუმლოებებისა და სილამაზის ჩვენებული ინტერპრეტაცია ნარმოადგენს. ჩვენს წიგნზე გამოსახული სურათი არის ბუნების ინტერპრეტაცია, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ გამოხატავს ძირითად ეკოლოგიურ ურთიერთობებს, თავს უფლებას აძლევს, იყოს ფამილარული რეალობასთან სტიმულირების, დარწმუნებისა და გართობისთვის. ბუნების ეს ესთეტიკური გაცნობიერება მომდინარეობს ცნობისმოყვარეობიდან ბუნების შესახებ და მისი დაფასებიდან, რაც ახლო დაკვირვების დროს წარმოიშობა. ეს კი არის საქმიანობა, რომელიც შეიძლება იყოს ძალიან დიდი სიამოვნებისა და სიხარულის მოგვრელი. მხატვრის მსგავსად, ეკოლოგიურ ტყბება ბუნებრივი სამყაროს სანახაობისა, სურნელების, ხმებისა და ტექსტურის აბსოლუტური სიამოვნებით.

ეკოლოგები ცდილობენ, გამოიკვლიონ ბუნებრივი სამყაროს წესრიგი. რა არის ეს წესრიგი? შესაძლებელია კი აღინიშვნოს სტრუქტურა და კავშირები ცოცხალ არსებებს შორის და ასევე, ცოცხალ ორგანიზმებსა და ფიზიკურ გარემოს შორის? როგორ მოქმედებს ბუნებრივი სამყაროს პროცესები ადამიანებსა და სხვა ორგანიზმებზე? ეს კითხვები მხოლოდ მცირე ნაწილია ეკოლოგთა მრავალ კითხვათაგან. დღის ყოველი სიახლე ყურადღებას გვამახვილებინებს ამ კითხვების მნიშვნელობაზე. ამ წიგნის შექმნის პერიოდში იყო დედამინის ისტორიაში ყველაზე ცხელი ზაფხული (1998). შეერთებული შტატების სამხრეთ ნაწილში ზოგჯერ ტემპერატურა ფარენჰიტით 100°-ს აღწევდა. ამ წელს სამხრეთ კალიფორნიაში ნალექის რეკორდული რაოდენობა აღინიშნა — კოკისპირული წვიმა, რომელიც El Niño-მ გამოიწვია. გვალვით გამოწვეულმა შიშილობამ კიდევ ერთხელ გადაუარა ცენტრალურ აფრიკას, ხანძარმა კი ინდონეზიის დიდი ნაწილი გაანადგურა. თევზთა პოპულაცია მსოფლიო მასშტაბით იყლებს, ფრინველთა მიგრაციულ პოპულაციებში შემცირების ტენდენციები კვლავაც გრძელდება. მონაცემები მსოფლიოში ამფიბიებისა და სალამანდრების პოპულაციათა მკვეთრი შემცირების შესახებ წარმოშობს კითხვებს დედამინაზე სიცოცხლისუნარიანობის თაობაზე. ამ დროს ადამიანთა პოპულაციები ზრდას განაგრძობენ. ეს ცვლილებები ფენომენია ბუნებრივ სამყაროში და ამრიგად, ეკოლოგიის მეცნიერების კომპეტენციაში შედის.

ჩვენი მიზანია, გავამუქოთ ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ საპინადრო გარემოს შორის არსებული კომპლექსური ურთიერთობის დეტალები, რათა აღვნეროთ ამ ურთიერთობების სტრუქტურა და ავსენათ მათი ძირითადი მექანიზმები. გზადაგზა გიჩვენებთ, თუ როგორ იყენებენ ეკოლოგები, სხვა მეცნიერთა მსგავსად, დაკვირვებას, ექსპერიმენტსა და მათემატიკურ მოდელირებას ბუნების სამყაროს საიდუმლოთა გამოსამჟღავნებლად.

## 1.1 ვენ შეიძლება დავაკვირდეთ ბუნებრივი სამყაროს სტრუქტურას

როგორც ამ წიგნში მოყვანილ ეკოლოგიური კვლევების მაგალითებში ნახავთ, ეკოლოგიური ცოდნის გაუმჯობესება-დახვენა მოითხოვს პიპოთეზის შეფასებას ექცერიმენტისა და შეჩერების გზით. თუმცა, ხშირად, ეკოლოგები კვლევას უფრო მარტივი დაკვირვებისა და კითხვების დასმით იწყებენ. მათთვის დაკვირვება და კითხვების დასმა იმის შესახებ თუ რას ხედავენ ირგვლივ, არსებოთი და სასამოვნო პირველი ნაბიჯებია სტრუქტურისა და ურთიერთკავშირების დადგენის გზაზე. ბუნებრივი სამყაროში მომუშავე მექანიზმების შესახებ საწყისი დაკვირვებებიდან და აღმოჩენებიდან წარმოიშობა პიპოთეზები და საბოლოოდ, ამ მექანიზმთა დეტალები ექსპერიმენტისა და მეტი დაკვირვების შედეგად სააშკარაოზე გამოდის. ამ თავში განვიხილავთ, როგორ აკვირდებიან ეკოლოგები ბუნებრივ სამყაროს და აღვნერთ მის ზოგიერთ ფუნდამენტურ თვისებას.

## ეკოლოგიური კითხვები

ეკოლოგები თავიანთ სამუშაოს კითხვების დასმით ასრულებენ. ზოგი კითხვა ორგანიზმების, ინტერაქციის ან ეკოლოგიური სისტემის მდგომარეობის ან პირობების უბრალო შესწავლაა. (ზირველ ორ თავში სიტყვა „სისტემით“ აღვნიშნავთ ნებისმიერ კომპლექსურ ეკოლოგიურ ინტერაქციათა წყებას. მომდევნო თავებში კი ეკოლოგიურ სისტემათა სპეციფიკური ტიპების იდენტიფიცირებას მოვახდენთ). „რა ჯიშის ხები არის ტყეში?“, „რას ჭამს ენოტი?“ და „ნელინადის რა დროს გამოაქვს მცენარეს ნაყოფი?“ — ასეთი კითხვების მაგალითებია. ეკოლოგთა უმრავლესობისთვის ეს კითხვები ცნობისმოყვარეობაა და შეიძლება არც მოითხოვდეს ფართო შესწავლას. გამოცდილი მეტყველე ეკოლოგისთვის, რომელსაც ერთი შეხედვით შეუძლია სხვადასხვა ჯიშის ხეების განსხვავება და რომელიც მრავალი წლის მანძილზე სწავლობდა ტყეთა დინამიკას, კითხვა: „რა ჯიშის ხეებია ტყეში?“ დასმული და კითხვაგაცემულია თითქმის სინქრონულად, როცა ის გონიერების აფასებს ტყეს. თუმცა ამგვარი კითხვები მნიშვნელოვანია, თუკი ვიკვლევთ უცნობ ადგილებს და პროცესებს. ერთ დროს, როდესაც ტყის ეკოლოგი არ იყო ასეთი გამოცდილი ტყის დინამიკაში, ცნობისმოყვარეობა მას ძირითადად კითხვაზე „რა?“ გაამახვილებინებდა ყურადღებას. კითხვა „რა?“, აღმოჩენათა დაწყების ერთგვარი მამოძრავებელია.

ეკოლოგები ხშირად სვამენ კითხვებს ბუნების ძირითადი მექანიზმების ან ფუნქციების შესახებ. კითხვა: „როგორ იცვლის მუხის ფოთოლი ფერს შემოდგომაზე?“ იცვლევს იმ ფოთლების უჯრედების ფიზიოლოგიურ მექანიზმებს, რომლებიც შეიცავენ სპეციალურ პიგმენტებს. „როგორ ირჩევს მდედრილომი ბობა მამრ პარტნიორს?“ — ეს კითხვა იყვალებს მამრ და მდედრ ბობებს შორის კომუნიკა-



**სურ. 1.1** მამალი ლომბი  
ობობა არშიყობისას ობობა  
იქნევს ნინა კიდურებს, რომლე-  
ბზეც შეგი ფერის ბენტი აქს,  
რათა მიიძყროს ამით მდედრის  
ყურადღება. (Courtesy of G.E.  
Stratton)

ციების მექანიზმებს (სურ. 1.1). მექანიზმთა შესახებ დასმული კითხვების შეფასება ეკოლოგიური სამუშაოს არსებით ნანილს შეადგენს, რადგან ფუნქციური ურთიერთობების ალქმას ბუნებრივი სამყაროს გაგებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

იმის ცოდნა, თუ როგორ ფუნქციონირებს გარკვეული სისტემა, არ ხსნის ამ სისტემის ამგვარად და არა სხვანაირად ფუნქციონირების მიზეზებს. ბუნებრივი სამყაროს სრულყოფილად გაგებისთვის საჭიროა პოტენციური ალტერნატიული ფუნქციების კლასიფიცირება. კითხვას: „რატომ იცვლიან მუხის ფოთლები ფერს შემოდგომაზე?“ აინტერესებს სულ მცირე, ორი ალტერნატიული ფენომენის შედარებითი უპირატესობანი. ერთის მხრივ, ფოთლებს შეუძლიათ, შეიცვალონ ფერი, თანდათან მოკვდნენ და ჩა-მოცვივდნენ ხიდან. მეორეს მხრივ კი, ისინი შეიძლება დარჩნენ მწვანედ და იარსებონ ზამთარშიც. ამგვარი ალტერნატივების ევოლუცია ფენომენის ან პირობის ევოლუციურ ბაზისა ამჟღავნებს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეკოლოგიური პროცესები დამყარებულია ევოლუციაზე, სადაც შედარებითი უპირატესობა და-კავშირებულია გადარჩნისა და შთამომავლობის და-ტოვების შესაძლებლობასთან.

### ბუნებისთვის კითხვების დასმა: გასეირნება წვიმიან ტყეში

ევოლუცია ფორმას აძლევს ყველა ცოცხალ არსებას შორის ურთიერთქმედებას და ამგვარად, ბუნების სამყაროს გაგების საფუძველს წარმოადგენს. ეკოლოგიის პრინციპები, შესაძლოა, მთლიანად იქნას გაგებული მხოლოდ ევოლუციური თეორიის კონტექსტში. ამ თავში გიჩვენებთ, რომ ძირითადი ევოლუციური პრინციპები წარმოიშვა ადრეული ნატურალისტების ჩარლზ დარვინისა და ალფრედ უოლესის ყურადღებითი დაკვირვებების შედეგად. წიგნში ნახავთ, როგორ მჟღავნდება ევოლუციური მექანიზმების დეტალები მთელი მსოფლიოს ეკოლოგების საველე და ლაბორატორულ ექსპერიმენტებში (იხ. ფერადი და-ართი „ეკოლოგები მუშაობისას“).

რიგითი დამკვირვებლისთვის ბუნებრივი სა-მყარო, სტრუქტურისა და ორგანიზების გარეშე ქა-ოტური ჩანს. ტყის მონაკვეთზე ხეების განლაგება, გაზაფხულზე მათ გვერდით მფრინავი პეპლის წრიული მოძრაობა ან ლამის კაკაფონია, რომელიც ავსებს ტყეს, შეიძლება შემთხვევითი გვეგონოს ახსნის გარეშე. მაგრამ ნატურალისტისთვის ბუნებრივი სამყარო სავსეა ფორმებითა და ურთიერთკავშირებით. ბალის



(ა)



(ბ)

**სურ. 1.2** (ა) ობობის ქსელი. (ბ) მომღერალი მამრი ბაყაყი  
(ა. გ.ლ. მილერის ფოტო; მოგვაწოდა ბ. ჰ. კარლ გერპარდტმა)

ობობას ქსელის განლაგება ასახავს მისი, როგორც საოცარი ინფინრის გადაწყვეტილებას, დამყარებულს ქსელების სხვა შესაძლო განლაგების შესახებ გაეკეთებულ შეფასებებზე (სურ. 1-2 ა). გაზაფხულზე ბაყაყთა ყიყინი წარმოადგენს კონკურენცი მამრების სიფრთხილით ორკესტრირებულ სიმფონიას, სადაც თითოეული ცდილობს სხვაზე უპირატესობის მოპოვებას მდედრის ყურადღების მისაპყრობად (სურ. 1-2 ბ). ერთი შეხედვით, ბალახის, ბუჩქებისა და ახალგაზრდა ხეების შემთხვევითი გადანაწილება მიტოვებულ სამეურნეო ველზე წარმოადგენს მცენარეული პოპულაციების კომპლექსური, განვრძობითი და ორგანიზებული ცვლილების პროცესების მცირე სურათს (სურ. 1-3 ა). ეს დაკვირვებები ასახავს სტრუქტურასა და პროგნოზირებად ფენომენებს, რომლებსაც ფიზიკური და ბიოლოგიური პროცესები მართავს. ბუნებრივ სამყაროში სტრუქტურის აღმოჩენა პირველი ნაბიჯია ეკოლოგიურ კვლევაში. ნაბიჯი, რომელიც მოითხოვს რამდენიმე ხელსაწყოს. თქვენ მხოლოდ უნდა ჩაიცვათ ჩექმები და დაადგეთ ტყისკენ მიმავალ გზას, გზაში კი დასვათ კითხვები (სურ. 1-3 ბ).



(ა)



(ბ)

**სურ. 1-3** (ა) სასოფლო-სამეურნეო მდელოები. (ბ) ეკოლოგიის ფაუნატეტის სტუდენტები იყენებენ ბადეს მდინარეში თევზის დასაჭრად. (მოგვაწოდეს ა. მ. გრინსტონმა და ბ. ჰ. კარლის ფოტომა).

უკეთესას რას შევარჩევდით ბუნებაში სტრუქტურის ძიებისას ნაწვიმარი ტყის გარდა, სადაც ცხოვრება მრავალფეროვანი და მდიდარია (იხ. სურ. 1-4)? ამაზე უკეთესად სხვაგან ვერსად ვერ აცნობიერებს ადამიანი ბუნებას. (იხ. ფერადი დანართი „გასეირნება წვიმიან ტყეში“).

მრავალფეროვანი არსებების აქტივობა, განსაკუთრებით დამით, უდიდეს ქალაქთა ცხოვრებასაც კი ფერმერთალს ხდის. პანამის წვიმიან ტყეში ნოემბრის დღის მზის დელიკატურ სინათლეს ახლომახლო ღრიალა მაიმუნთა ხმაურიანი შეძახილები არღვევს. ხმაური წყნარდება, მაგრამ სულ მალე მას უეპასუხებს კიდევ ერთი ჯგუფი შორიდან, მას კიდევ სხვანი და სხვანი. ჩვენ ადგილად შეგვიძლია მაიმუნთა უახლოესი ჯგუფების ადგილმდებარეობის დადგენა. გავხდით თუ არა ახლახან თითოეული ჯგუფის მიერ დილის ტერიტორიული პროელამაციების მოწმენი?

ახლა უკვე საკმაო სინათლეა, რათა გზა გავიკვლიოთ ტყის ვიწრო ბილიკებზე. ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ ხის კუნძს ან ბასრ ეკალს არ გამოვედოთ. ჩვენ დავდივართ ხეების ძირებიდან ამოშვერილ უზარმაზარ ფესვებზე, რომლებიც მთელი ტყის მიწის ზედაპირს ფარავს (სურ. 1-5). უცებ მსუბუქი ხმაური გაისმის და ჩვენი მზერა სწრაფად პოულობს პატარა ზომის ცხოველს ბუჩქებში. კიდევ ერთი გატკაცუნების ხმა: პატარა ობიექტი გადახტება ჩვენს თვალწინ და იქვე, მიწაზე დაეშვება. როგორც იქნა, დავადგინეთ ხმაურის წყაროს ადგილმდებარეობა — მცირე ბუჩქი, რომლის ნაყოფიც იხსნება და ფანტავს თავის თესლს ტყის მიწის ზედაპირზე. როცა სამგებერდიანი ბარდის პარკის მსგავსი ნაყოფი გამოშრება, პარკის კიდეები ერთდება და თესლებს სულ უფრო მეტი ძალით უჭერს, სანამ პარკი არ გასკდება და თესლი არ გამოვარდება იქიდან საკმაოდ დიდი ძალით (იხ. სურ. 1-6). როგორ აგროვებს ეს მცენარე თესლების გამოსროლისთვის საჭირო ძალას?

ტყის შინაგან მკრთალ ყავისფერ და მწვანე შეფერილობას ხანდახან კვეთს პეპლის ჭრელი ფრთხების გაელვება. ლურჯი მორფო პეპელა ჩაგვიფრენს გვერდით ხელის გაწვდენის მანძილზე. რა გასაოცარია, რომ ეს პეპლები ესოდენ თვალშისაცემი და ჩრჩილებისგან (ჩრჩილებს ღამძამობით შენობათა სინათლე იზიდავს, თუმცა ფლობენ შეუმჩნევლად არსებობის საშუალებებს) განსხვავებული არიან (სურ. 1-7). ჩრჩილების ყავისფერი და ნაცრისფერი შეფერილობა მკვდარ ფოთლებსა და ხის მერქანს ჰგავს. ბევრი მალავს თავის კიდურებს ფრთხების ქვეშ; სხვები კი



**სურ. 1-4** ტროპიკული წვიმიანი ტყე პანამაში (მოგვანოდა რ.ბ. სუტერმა).



**სურ. 1-5** ტროპიკული ტყის ხე ამონეული ფესვებით (მ.ლ. კრამპისა და პ. ფაინსინგერმა მოგვანოდა)



**სურ. 1-6** ბალისტიკურად გავრცელებადი თესლები



**სურ. 1-7** ზომიერი და ტროპიკული ზონების ბინადარ პეპლებს ხშირად აქვთ გასაოცარი სტრუქტურა და ფერები.\*\*

სარგებელს პოულობენ მოდიფიცირებული ფეხებისგან, რომლებიც წააგავს მერქანს ან ხის ხავსს (იხ. ქვემოთ). ჩრჩილების ერთი სახეობა, როგორც წესი, ყოფს ერთ კიდურს ან მეორეს თავისი ჩვეულებრივი მოხაზულობიდან, რათა დაარღვიოს ცხოველური ფორმებისთვის ესოდენ დამახასიათებელი სიმეტრია. სხვებს აქვთ ფრთები, რომლებსაც (მართალია, ხელუხლებელია) მოტეხილი ან დაზიანებული მკვდარი ფოთლის ფორმა აქვთ. სხვა სახეობის ფრთები ჰგავს დახვეულ ფოთოლს. როგორ მოხდა, რომ ჩრჩილები ასე ძალიან დაემსაგავსნენ ფოთლებს? რატომ არიან სხვა სახის პეპლები ესოდენ თვალშისაცემი?

ფიქრები შეგვაწყვეტინა ტყის დაჩრდილული ნაწილიდან ფართო მინის მონაკვეთზე გასვლამ, თითქოს კარი შევაღეთ და ადგილი მოვინაცვლეთ. აქ მზე მომენტალურად გვიპტრმავებს თვალს. ახლად დაცემულ-მა ხემ გამოიწვია ეს სიცარიელე ტყის საფარველში. გიგანტმა არ გაირა გრაციოზულად, თან გაიყოლა სულ მცირე ათობით ხე, რომლებიც გზაზე გადაეღობა ან გამოება ხვიარებით. ამ ტაფობზე გამოსვლით, ჩვენ პირველად დავინახეთ ცა რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ. შევარდნების გრძელი, გრაციოზული ლენტი მდუმარედ მიცურავს სამხრეთისკენ ასობით ფუტის სიმაღლეზე. მათი ფრენა თითქოს არანაირ ძალისხმევას არ მოითხოვს – არც ერთი მათგანი ფრთებს არ ამოძრავებს. ვინრო ლენტი ირღვევა მოულოდნელად ზევით მიმართული სპირალური მოძრაობებით, თითქოს წასვლა ეჩქარებოდეთ შევარდნებს. ესენი ის ფრინველები ხომ არ არიან, ამ წელს რომ ვნახეთ პენსილვანიაში აპალაჩიზე მოსრიალენი? რამ წამოიყვანა ისინი სამხრეთით? სადამდე წავლენ? რა მიანიშნებს მათ, რომ ჩრდილოეთში გაზაფხული დაბრუნდა და დრო დადგა მათი უკან გამგზავრებისა?

როცა ჩვენი მოგზაურობა ტყეში დასრულდება, ჩვენი თვალები და ყურები იმაზე მეტ შთაბეჭდილებას მიიღებენ, ვიდრე ჩვენს გონებას შეუძლია გაანალიზოს. კითხვები, რომლებიც ჩვენ დავსვით მამუნებზე, ბალისტიკურად გავრცელებად თესლებზე, პეპლებისა და ჩრჩილების შეფერილობასა და შევარდნეთა ფრენაზე, გზამკვლევებია ბუნების

სტრუქტურებისკენ. ჩვენ დავიდალეთ ხანგრძლივი სეირნობისგან, მაგრამ მადლიერნი ვართ შხაპისა და საკვებისთვის, რომელიც შეგვამზადებს საღამოს საუბრების, დაკვირვებათა განხილვისა და კიდევ მრავალი კითხვის დასმისთვის.

ცხადია, ყოველ ჩვენგანს არ აქვს საშუალება, მოხვდეს ტროპიკული წვიმის ტყეში, მაგრამ ახლო-მახლო გასეირნება, თუ ამას ცნობისმოყვარეობისა და თავგადასავლის მაძიებლური გრძნობით განვახორციელებთ, გამოამჟღავნებს ზუსტად იმდენივე სტრუქტურასა და სიურპრიზს.


## 1.2 ბუნებრივი სამყარო მრავალფეროვანი, კომპლექსური და ურთიერთდამოკიდებულია

ნატურალისტი განიცდის აღფრთოვანებას ბუნებაში ფორმათა მრავალფეროვნების და ამ ფორმების ერთმანეთთან და გარემოსთან რთული ურთიერთქმედების გამო. ტროპიკულ ტყეში გასეირნებისას ჩვენ ჩავუარეთ ასობით ათას სხვადასხვა ხეს, შეუჩეველი თვალისითვის ყველა ხე ერთმანეთს ჰგავდა. ეს ხეები იყენებდნენ თავიანთ მწვანე ფოთლებში ასიმილირებულ მზის სინათლეს ჰაერიდან, წყლიდან, მინერალებიდან და ნიადაგიდან მოპოვებულ ნახშირმჟავას (ნახშირბადის დიოქსიდი) მათი სტრუქტურის ორგანულ მოლეკულებად გარდასაქმნელად. რატომ უნდა არსებობდეს ამდენი ნაირსახეობის მცენარე, თუ ყველა მათგანს შეუძლია ერთი და იმავე ფუნქციის შესრულება?

ტყეებში ასობით სხვადასხვა სახეობის პეპლები, ჩრჩილი და სხვა მწერია. მათი გარეგნობა იმდენად განსხვავებულია, რომ ვინმე შეიძლება დაინტერესდეს, არის თუ არა ტყეში იმდენივე სხვადასხვა გარემო, რამდენი სახის მწერიც მოიპოვება. იმის მიუხედავად, რა განსხვავებულადაც არ უნდა გვეჩერენებოდნენ პეპლები და ჩრჩილები (და სავარაუდოდ, მათი ბუნებრივი მჭამელები), ისინი მაინც საგრძნობლად განსხვავდებიან კვებითი ჩვევების მიხედვით. ზრდასრულებს, ყველას აქვთ გრძელი მილისებრი ხორთუმები, რომლებიც ჩვეულებრივ დახ-



**სურ. 1-8** პანამური პეპლის თავი, საიდანაც მოჩანს მილისებრი ხორთუმი. ეს ხორთუმი იშლება და ჩაეშვება ყავილში საკვების მოსაპოვებლად. (ფოტო მოგვანოდა რ. დ. სუტერმა)



**სურ. 1-9** მუხლუებო  
მცენარის ჭამისას (ფოტო  
მოგვაწოდა ჯ. ბარგეტმა)



**სურ. 1-11** ხის ხავსი (ფოტო მოგვაწოდა რ.ე. რიკლეფსმა)\*\*

ვეული სახით მათი თავის ქვეშაა მოთავსებული. ამ ხორთუმებს შეუძლიათ გაშლა, რათა ჩასწოდენ ნებავილს სიღრმეში საკვების მოსაპოვებლად (იხ. სურ. 1-8). ზრდასრული ჰეპლები და ჩრჩილები, ისევე, როგორც ბევრი სხვა მწერი, ფრინველი და ღამურა, ტყეში სასიცოცხლლო მნიშვნელობის ფუნქციას ასრულებს — გადააქვთ მტვერი ყვავილიდან ყვავილზე და ამით უზრუნველყოფენ მცენარეთა გამრავლებას. როგორ წყვეტენ ისინი რომელ ყვავილს ეწვიონ? სანამ მუხლუხები არიან, მწვანე მცენარეებით იკვებებიან (იხ. სურ. 1-9).



(ა)



(ბ)

**სურ. 1-10** (ა) ხოჭო „არლეკინი“ ცენტრალური აფრიკიდან;  
(ბ) ფსევდომორიელები ჯირითისას  
(დ. ზეპისა და ჯ. ზეპის მონოდებული ფოტო.)

სახეობათა უმრავლესობა შერჩევითი მჭამელია, საკვების მოძიებისას ისინი ირჩევენ, რა ჭამონ, ყველაფერს არ ეტანებიან. სწორედ ამიტომ, მათი მოძება მცენარეთა მხოლოდ ერთ-ორ სახეობაზე შეიძლება. როგორ ხვდებიან ზრდასრულები, რომელი მცენარეა შესაფერისი კვერცხების დასადებად? რატომ ახასიათებთ ამ ორგანიზმებს (რომლებიც ერთი ან ძალიან მცირე სახეობის საკვებით იკვებებიან) სპეციფიკური თვისებების მატარებელი ადგილების დაკავება ან კვერცხების მხოლოდ ერთ-ორ სასურველ ადგილს დადება? ძალიან ცოტა სახეობაა უნივერსალი, რომლებიც იკვებებიან ტყის „შვედური სამზარეულოთი“ და ნაკლებ ადარდებთ სპეციფიკური საბინადრო ან კვერცხების დასადები ადგილების ძიება. რატომ უვითარდებათ მათ არსებობის ასეთი სტილი? რატომ ამბობს ზრდასრული აბრეშუმის ჭია ერთბაშად უარს ჭამაზე და კვდება პარკიდან გამოსვლიდან რამდენიმე დღეში?

სახეობები გადარჩენისთვის ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი. დელიკატურად შეფერილი ხოჭო „არლეკინი“, მაგალითად, თავის ზურგზე ატარებს ტკიბებისა და ფსევდომორიელების მცირე რაოდენობას, რომლებიც იკვებებიან ტკიბებით (სურ. 1-10 ა და ბ).

ტკიბები ხოჭოსთვის სასარგებლო ფუნქციას ასრულებენ — ასუფთავებენ სოკოსგან მის ნაზ მემბრანისებრ შიდა ფრთებს (სოკო ტროპიკებში თითქმის ყველგან და ყველაფერზე იზრდება). ფსევდომორიელები კი სარგებლობენ ამ მზამზარეული საკვების მიწოდებით. მაგრამ ტკიბები, ყოველ შემთხვევაში, ცალმხრივად მაინც არიან დაცულები, როდესაც ისინი იმაღებიან ხოჭოს ფრთებზე არსებულ მრავალრიცხოვან მცირე ორმოებში. ინტიმურ, ურთიერთდამოკიდებულ პირობებში მობინადრე ორგანიზმების სხვა მაგალითებიც მრავალია. ხავსი არის წყალმცენარეებისა და ობის კომბინაცია (იხ. სურ. 1-11).

წყალმცენარეები იძლევა ფოტოსინთეზისგან მიღებულ ნახშირწყლებს, ობი — წყალსა და მინერალებს, რომლებიც მოიპოვება იმ ქვისგან ან ხისგან, სადაც ხავსი იზრდება. საკვების მონელების პროცესის დიდი ნაწილი, რომელიც ცხოველთა ნაწლავებში მიმდინარეობს, ხორციელდება იქ მობინადრე სპე-

ციალიზებული ბაქტიურიებისა და უმარტივესი ორგანიზმების მიერ. სპეციალიზებული სოკონები იყენებენ მცენარეებს ნიადაგიდან მინერალების მისალებად, რომლებიც მჭიდროდ ეკვრიან მათ ფესვებს. ფრინველები და ძუმურნოვრები, მათ შორის ღამურებიც, ჭამენ ხის ნაყოფს და შემდეგ, დეფეკაციისას, ავრცელებენ მათ თესლს. როგორ ხდებიან სახეობანი ურთიერთდამოკდებულნი? არის თუ არა ყველა ასეთი ურთიერთობა მომგებიანი ორივე სახეობისთვის ინტერაქციულ წყვილში?

### **1.3 ბუნებრივი სამყარო დინამიურია, მაგრამ თვითგანახლებული**

ჩვენ ვნახეთ, როგორ შეუძლია კითხვებსა და დაკვირვებებს მიგვიყვანოს ბუნებრივი სამყაროს სტრუქტურისა და კომპლექსურობის დანახვამდე. თუ კიდევ უფრო ჩავუდრმავდებით კითხვებს და დაკვირვებებს, ჩვენ იმასაც აღმოვაჩენთ, რომ ბუნებაში ცვლილებასა და წონასწორობას შორის გამუდმებული დაძაბულობა არსებობს. თქვენს სახლთან ახლოს მდებარე ტყე შეიძლება მოგეჩენოთ, რომ წლიდან წლამდე ნაკლებად იცვლება. მაგრამ ტყის თანასაზოგადოება სინამდვილეში მუდმივად იცვლება, სიკვდილის გზით ინდივიდების ჩამოშორებით და ახალშობილებით მათი ჩანაცვლების საშუალებით. ზუსტად ისე, როგორც თქვენი სხეულის ფორმა და ზომა რჩება შედარებით უცვლელი მაშინ, როცა უჯდერები და მოლეკულები მის შიგნით მუდმივად ჩაენაცვლებიან ერთმანეთს თქვენი ცხოვრების განმავლობაში. სწორედ ასევე ტყე რჩება ტყედ იმის მიუხედავად, რომ მისი შემადგენელი ნაწილები მუდმივად იცვლება.

ორგანიზმთა პოპულაციები ასევე მუდმივად ჩანაცვლებადნი არიან. მნერს შეუძლია ყოველწლიურად ათასობით კვერცხი დადოს, ზოგი ზღვაში მობინადრე ორგანიზმი კი მილიონობით კვერცხს დებს. ეს საჭიროზე მეტიც კია პოპულაციის ინდივიდთა დანაკარგების შესავსებად. და მაინც, ზრდისა და გაფართოების ამ უზარმაზარი პოტენციალის მიუხედავად, სხვადასხვა ფაქტორი ინარჩუნებს პოპულაციებს ძალიან ვიწრო საზღვრებში.



**სურ. 1-12** ცეცხლი ბალახში ბუნებრივი აშლილობის ერთ-ერთი მაგალითია. (ჯ.ს. ბრევერ უმცროსმა მოგვაწოდა)

ყველა სისტემა განიცდის დარღვევას (ამინდი, ცეცხლი, ტყის დაცემა – ამ ყველაფერმა შეიძლება უდიდესი დარღვევები გამოიწვიოს ზოგი ორგანიზმისთვის), რის შემდეგაც ისინი მუდმივად გამოკეთების პროცესს ემორჩილებიან (სურ. 1-12).

დარღვევის ზონები, ეგრეთ წოდებული „პეტჩები“ შეიძლება შეადგენდეს რამდენიმე მილიმეტრს, როცა, მაგალითად, მატლები ნიაგადში გზას მიიკვლევენ მინის ჭამით, ან მოიცავდეს დედამინის დიდ ფართობებს, როცა გლობალური საამინდო სტრუქტურები იცვლება. მრავალი ცვლილება ხორციელდება ფიზიკური გარემოს მიერ – კლიმატი, ოკეანეთა დინება, ლანდშაფტი – მაგრამ ბევრი მათგანი დაგროვილია ასევე ბიოლოგიური სამყაროს მიერ. ბევრი ორგანიზმი ქმნის დარღვევას სხვებისთვის; იღებენ საკვებს და გზას განაგრძობენ. პოპულაციათა ინტერაქციების დინამიკამ, შეიძლება, გამოიწვიოს პოპულაციის ცვლის ციკლები, რომლებიც გზავნის იმპულსებს ბიოლოგიურ თანასაზოგადოებაში. ცვლილებები შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბუნებრივი სამყაროს წონასწორობის ნაწილად.

განახლება და მატება ასევე ბუნებრივი სამყაროს მახასიათებელია. ორგანიზმთა მკვდარი სხულები და ბიოლოგიური პროცესების ნარჩენები არ გროვდება. ისინი იხრნება და მათი კომპონენტები გადამუშავდება. მკვდარი ფოთლები, ჩვენს ფეხებს ქვეშ რომ შრიალებენ, ფარავენ ნიადაგში ხრწნად სხვა ფოთლებს. ნიადაგის ორგანიზმების ელეგანტური ფორმები ტრანსფორმირდება ხრწნად და დაშლად მცენარის ქსოვილის — ჰუმუსის ამორფულ მასად. საბოლოოდ ისინი დადინა მინერალური ელემენტების დონეზე, სწორედ ისეთებად, რომლებისგანაც ერთ დროს სინთეზდებოდნენ.

### **1.4 ბუნებრივი სამყარო ორგანიზებულია ფიზიკური და ბიოლოგიური პროცესების მიერ**

ჩვენ ვცნობთ სტრუქტურას, ორგანიზაციასა და ურთიერთკავშირს ჩვენი გარემოცვის კომპლექსურობაში ელემენტთა პროგნოზირების გამო. ჩვენ შევიგრძნობთ ბუნებას სხვადასხვაგვარად, მაგრამ ყველაზე ეფექტური, ნარსული გამოცდილების დაგროვების გზას. ასე მაგალითად, გამოცდილება ჰაერში ნასაროლი ნივთების მოძრაობის შესახებ საშუალებას გვაძლევს, აკურატულად განვსაზღვროთ მათი ტრაექტორიები. ბეისბოლის კარგ მოთამაშეს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, სად დაეცემა ბურთი მის რეალურად დაცემამდე დიდი ხნით ადრე, რადგან მას ბურთების სროლის დიდი გამოცდილება აქვს.

მხოლოდ მაშინ შეგვიძლია შესაბამისი რეაგირება მოვაძლინოთ ბუნებაზე, თუ ის პროგნოზირებადია. ფრინველები ბინადრობენ ტყეში, თევზები სახლობენ ზღვაში. ერთ კონკრეტულ ტყეში, თუნდაც ვერ ვნახოთ, მაინც ფრინველების ნახვას მოველით და არა — თევზებისას. წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით, სიურეალიზმისა და სიზმრების არაბუნებრიობის გა-

მოცდის შემდეგ, ვაცნობიერებთ რაოდენ მოცულია ჩვენი გონება იმ სხვადასხვა სახის სტრუქტურით, რომლებსაც ბუნებაში ვაკვირდებით. ეკოლოგმა გ. ეველინ პატინისონმა ერთხელ აღნიშნა: „[თუ] თავს წარმოვიდგენთ საკერავი მანქანის მთის ბროლის ამონავეთში, რომელიც ასოცირდება მკვდარ თევზებთან, სადაც საფოსტო მარკებს აკრავენ, შეიძლება დავეჭვდეთ: ჩვენ შევედით ფანტაზიათა სამყაროში, სადაც ჩვეულებრივი კონცეფციები სრულიად არეულ-დარეული გახდა.“

სტრუქტურებს პროგნოზირების ორი წყარო აქვთ. ერთი ეყრდნობა დაკვირვებას, მეორე კი იმ მექანიზმების გაგებას, რომლებიც წარმოშობს ამ სტრუქტურას. პირველ შემთხვევაში, პროგნოზები კეთდება წინა დაკვირვებების ახალ მსგავს სიტუაციებთან ექსტრაპოლირების მეშვეობით. ამას ვაკეთებთ, როდესაც განვჭრეტო ბეისბოლის ბურთის ფრენის მიმართულებას. მაგრამ მოძრაობის კანონების გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ ბურთის ტრაექტორია ამ ფენომენთან დაკავშირებით წინასწარი გამოცდილების გარეშეც, მხოლოდ მისი სანეისი სიჩქარისა და მიმართულების გათვალისწინებით. ასევე, იმ პრინციპების გაგებით, რომლებიც მართავენ ცხოველების ფორმასა და ფუნქციას, ვიცით, რომ თევზისმაგვარ ორგანიზმს ვერ ვიპოვით ტყეში.

მეცნიერებაშიერთობის დაცვირვებადისტრუქტურები ხშირად წინ უძღვიან ამ სტრუქტურების წარმომშობ კაუზალური პრინციპების აღმოჩენას. დეტალური დაკვირვების შემდეგ გერმანელმა ასტრონომმა იოჰან კეპლერმა აღმოაჩინა, რომ დრო, რომელიც დედამინას სჭირდებოდა მზისთვის წრის დასარტყმელად, უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია დედამინასა და მზეს შორის არსებულ მანძილთან. მხოლოდ მოგვიანებით მოახდინა ინგლისელმა ისააკ ნიუტონმა მოძრაობის კანონების ფორმულირება, რომელთა პროგნოზირებადი ცვლილებები იმდენად დიდია, რომ შესაძლებელს ხდის უხილავი პლანეტების აღმოჩენას. ეს კი ხერხდება სხვა ცნობილი, ხილვადი პლანეტების მოძრაობაზე, მათი გრავიტაციის გავლენაზე დაკვირვების შედეგად. ალფრედ ვეგერმა არაფერი იცოდა კონტინენტური დრეიფის შესახებ, როდესაც 1915 წელს თავის გეოლოგიურ და გეოგრაფიულ დაკვირვებებზე დაყრდნობით წამოაყენა მოსაზრება, რომ ხმელეთის დიდი მასები მიედინებოდნენ დედამინის ზედაპირზე. სარწმუნო ახსნები იმისა, თუ როგორ ხდება ეს, მხოლოდ ახლაბან იქნა შემოთავაზებული და დამტკიცებული. იგივე შეიძლება ითქვას ბიოლოგიურ მეცნიერებაზეც. ადრეული ნატურალისტები ახდენდნენ ორგანიზმთა კლასიფიცირებას ჩვეულებრივ სახეობათა იერარქიებად და სხვა ტაქსონომიურ ჯგუფებად მსაგავსებებზე დაყრდნობით. მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩარლზ დარვინმა წამოაყენა თავისი ევოლუციის თეორია, გაირკვა ამ ნიმუშთა საფუძველი.


## **1.5 სტრუქტურები ბუნებაში გაგებულია ევოლუციისა და ბუნებრივი გადარჩევის საშუალებით**

ბუნების ერთ-ერთი ყველაზე გატაცებული დამკვირვებელი იყო ჩარლზ დარვინი (1809-1882) (სურ. 1-13). მას შემდეგ, რაც მიხვდა, რომ სამედიცინო კარიერა არ შეეფერებოდა, დარვინმა კემბრიჯის უნივერსიტეტში გაიარა მოსამზადებელი კურსები თეოლოგიაში. თუმცა სასულიერო წესით ცხოვრების სურვილს სძლია დაუკებელმა ინტერესმა ბუნებისა და მისი საიდუმლოებების მიმართ. 1831 წელს, მოკლე ხანში, მას შემდეგ, რაც მიიღო ხარისხი, დარვინი შეუერთდა გემ „H.M.S. Beagles“-ის ნატურალისტთა ჯგუფს ხუთწლიანი საზღვაო ვოიაჟისთვის, რომლის დროსაც მათ უნდა მოემზადებინათ რუკები ბრიტანული საზღვაო ფლოტისთვის. სწორედ ამან მისცა მას საშუალება, აღმოეჩინა და შეეგროვებინა ნიმუშები მთელი მსოფლიოდან — ამ მოგზაურობისას გაკეთებული დაკვირვებებისა და ინგლისში დაპრუნების შემდეგ ჩატარებული მომდევნო კვლევების შედეგად ბუნებრივი გადარჩევის საფუძველზე ჩამოაყალიბა ევოლუციის თეორია. მისი წიგნი „The Origin of Species by Means of Natural Selection“ (1859) აღიარებულია ფუნდამენტურ ნამუშევრად ევოლუციურ თეორიაში. დარვინის ევოლუციის თეორია, რომელიც იმ დროისთვის რევოლუციური იყო, თანამედროვე ბიოლოგისა და ეკოლოგიის საფუძველია.

## **ევოლუცია და სტრუქტურა ბუნებრივ სამყაროში**

როდესაც დარვინმა მსოფლიოს გარშემო მოგზაურბა დაიწყო, კითხვები ბუნებრივი სამყაროს ორ უმნიშვნელოვანეს თვისებაზე ისმებოდა: დედამინის ასაკი და ცვლილებების ბუნება სხვადასხვა ცხოველისა და მცენარის ტიპებში, სახეობებში. მეცნიერთა და ინტელექტუალთა უმრავლესობას დედამინა საკმაოდ ახალგაზრდა ეგონა — ზედმეტად ახალგაზრდა იმისთვის, რომ დაეშვათ სახეობათა ცვლილების-სთვის საჭირო დროის არსებობა. ტრადიციული შეხედულების თანახმად, თითოეული სახეობა არ განიცდიდა მუტაციას, ანუ იყო უცვლელი გაჩენის დღიდან.

ბუნების დამკვირვებლებს ცნობისმოყვარებას აღუძრავდა შეუთანხმებლობა ბუნების შესახებ ზოგადად გავრცელებულ შეხედულებებსა და მათ დაკვირვებებს შორის. ადრეულ 1800-იან წლებში გეოლოგმა ჩარლზ ლიელმა გამოთქვა აზრი, რომ დედამინის თანამედროვე ფიზიკური თვისებები, როგორიცაა მთები და მდელოები, იყო გეოლოგიურ ცვლილებათა პროცესების შედეგი. ეს პროცესები მიმდინარეობდა ძალიან ნელა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ლიელის იდეის მიხედვით, დედამინა საკმაოდ ძველი და ბებერი იყო. ნიადაგში შენახული სულ უფრო და უფრო მეტი ნამარხი ორგა-



**სურ. 1-13** ჩარლზ დარვინი (სურათი მოგვანოდა ამერიკის ბუნების ისტორიის მუზეუმში)

ნიზმის აღმოჩენა, რომლებიც საერთოდ არ ჰყავდნენ თანამედროვე ფორმებს, ეთანხმებოდა და ამყარებდა ამ შეხედულებას. ზოგი ასეთი ორგანიზმის აღმოჩენამ წარმოშვა ეჭვი სახეობათა უცვლელობის შესახებ. შეხედულება, რომ სახეობები სავარაუდოა, განიცდიდნენ ცვლილებას, შეიძლება აღმოვაჩინოთ ჯერ კიდევ რენესანსის ეპოქაში. სახეობათა ცვლილების ერთი თეორია ნამოაყენა 1809 წელს ფრანგმა ნატურალისტმა უან ბატისტ დე ლამარკმა წიგნში „Philosophie Zoologique“. ლამარკის შეხედულებით, სახეობებს ცვლილებისკენ ამოძრავებდათ გაუმჯობესების „შინაგანი სტიმული“. რა გაუმჯობესებისთვისაც არ უნდა მიეღწიათ ინდივიდებს თავიანთი ცხოვრების განმავლობაში, ის შემდეგ გადაეცემოდა მათ ნაშიერებს. ამ იდეის, რომელსაც ჩვენ ლამარკისეულ ეფოლუციას ვუწოდებთ, კლასიკური მაგალითი არის ჟირაფის კისრის სიგრძის ახსნა: ბალაზის ჭამიდან ხის ფოთლებით კვებაზე გადასვლით, ნინაპარი ჟირაფები მუდმივად წელავდნენ კისერს, რათა სულ უფრო მაღლა მისწვდომოდნენ ფოთლებს. ამის შედეგად, საბოლოოდ გაჩნდნენ გრძელებისერა ჟირაფები. მართალია, ლამარკისეული ევოლუციის თეორია ახლა დისკრეტიდებულია? , მაგრამ ის მიღებული იყო დარვინის დროის ბევრი მეცნიერის მიერ და მისგან ნამოვიდა თანამედროვე იდეები სახეობათა ცვლილების შესახებ. დარვინისთვის იდეა, რომ სახეობები შეიძლება განიცდიდნენ ცვლილებას, გააძლიერა შინაური ცხოველებისა და მცენარეების გამრავლების მისეულმა გაგებამ, რომლის დროსაც მომშენებლის მიერ რეპროდუქციისთვის ირჩეოდა ის ინდივიდი, რომელსაც სპეციფიკური სასურველი თვისებები ჰქონდა.

ტროპიკულ ტყეში წარმოსახვითი გასეირნებისას, ჩვენ ხაზი გავუსვით ბუნებრივ სამყაროში არსებულ სახეობათა დიდ მრავალფეროვნებას. სწორედ ამ მრავალფეროვნებაზე ფართო დაკვირვებამ, ბუნების შესახებ წარმოშობილმა კითხვებმა დააინტერესა დარვინი, თუ როგორ წარმოშვა ეს მრავალფეროვნება. გალაპაგოსის კუნძულებზე (ეს არის მცირე ზომის კუნძულები ეკვატორთან, დაახლოებით 900 მილის დაშორებით სამხრეთ აფრიკის დასავლეთ სანაპირო-დან. მეთოთხმეტე თავში ჩვენ განვიხილავთ თანამედროვე ნატურალისტთა ზოგიერთ კვლევას გალაპაგოსის კუნძულებზე), დარვინი აკვირდებოდა მცირე, საკმაოდ ერთფეროვან მთიულებს (ფრინველის სახეობა), რომლებიც მართალია, საკმაოდ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ფორმითა და ზომით, მაგრამ ჰყავდნენ კიდეც იმისთვის, რომ სხვადასხვა სახეობებად დაგვეყო. მან ასევე აღმოაჩინა, რომ თითოეულ კუნძულზე სახლობდა ერთი ან ორი უნიკალური სახეობა ამ მთიულებისა, რომლებსაც ჰქონდათ სხვა კუნძულების მთიულებისგან განსხვავებული ნისკარტის მორფოლოგია. ალბათ ყველაზე დამაინტრიგებელი იყო იმის შენიშვნა, რომ გალაპაგოსის კუნძულთა მთიულები ძალიან ჰყავდნენ ცენტრალური აფრიკის დასავლეთ ნაწილში მობინადრე მთიულებს. როგორ გაჩნდა მთიულების ასეთი მრავალფეროვნება გალაპაგოსის კუნძულებზე?

ბუნებაზე თავისი დაკვირვებების განხილვა-დამუშავების დაახლოებით ოცი წლის შემდეგ, მეგობრის თხოვნით დარვინი დაუკავშირდა სხვა ბიოლოგს — ალფრედ რასელ უოლესს — ბუნებრივი გადარჩევის გზით ევოლუციის იდეის დასახვენად. იდეის კომპონენტები საკმაოდ მარტივია. ორგანიზმებს რეპროდუქციის დიდი შესაძლებლობა აქვთ და ნაშეირები ერთმანეთს ძალიან არ ჰყავანან. ასე რომ, სახეობათა პოპულაციაში იარსებებს ფორმისა და ფუნქციის დიდი მრავალფეროვნება. ყველა კუნძლელი არ იქნება ზუსტად ერთი და იმავე ზომის, არ ექნება ერთი და იგივე სიჩქარე და არც ნივთიერებათა ცვლის ერთი და იგივე ინტენსივობა. რესურსები, როგორებიცაა საკედი, სივრცე, წყალი, სინათლე და პარტნიორთა ხელმისაწვდომობა, შეზღუდულია და ამრიგად, ყველა ინდივიდი ვერ შეძლებს გადარჩენასა და გამრავლებას. ზოგი მახასიათებელი აძლევს ინდივიდს რესურსების დაუფლების და რეპროდუქციის უკეთეს შანსს, ვიდრე სხვა ნიშნები. ინდივიდები, რომლებიც ამ მახასიათებლებით დაიბადნენ, უფრო მეტად გადარჩებიან. სხვა სიტყვებით, ადგილი აქვს უპირატესი ნიშნების ბუნებრივ გადარჩევას.

ვიცით, რომ ცვლილებებს, რომლებსაც ვხედავთ ინდივიდებში, გენეტიკური ბაზისი აქვთ და ამის გამო ზოგი ნიშანი შეიძლება შთამომავლობით გადავიდეს. ის ინდივიდები, რომლებიც ფლობენ უპირატეს ნიშნებს, უფრო მეტად მიღრეკილნი არიან, გადასცენ ეს ნიშნები მომდევნო თაობებს. დიფერენციალური რეპროდუქცია იწვევს ცვლილებას პოპულაციის გე-

ნეტიკურ კომპოზიციაში. მაგალითად, ნარმონიდები-ნეთ პოპულაცია, სადაც თითოეულ ორგანიზმს აქვს ან ა ნიშანი, ან — ბ. თუ ა ნიშანი უპირატესი შეტრიხია, რომელიც მს მფლობელს აძლევს საკვებისა და თავშესაფრის მოპოვების უკეთეს საშუალებას, მაშინ სავარაუდოა, რომ უფრო მეტი ა ნიშნიანი ინდივიდი ნარმონშობა, ვიდრე ბ-იანი. ა ნიშანი განიხილება როგორც **ადაპტაცია**, გენეტიკურად განსაზღვრული მახსაიათებელი, რომელიც აძლიერებს ინდივიდის შესაძლებლობას, გაუმკლავდეს გარემოს. ხდება ა ნიშნიანი ინდივიდების გადარჩევა, ხოლო ბ ნიშნიანისა — არა. მომდევნო თაობაში, შედეგად, უფრო მეტი ა ნიშნიანი ინდივიდი იქნება და თანდათან პოპულაციის გენეტიკური კომპოზიციაც შეიცვლება.

მარტივი მაგალითი ცხადყოფს ძირითადი ევოლუციური თეორიის მთელ რიგ მნიშვნელოვანა ასპექტებს. ბუნებრივი გადარჩევა მოქმედებს მხოლოდ შთამომავლობით გადაცემად ცვლილებებში, ეს არის გენეტიკური საფუძველის მქონე ნიშნები. შტრიხები, რომლებიც შეძენილია არსებობის განმავლობაში, როგორიცაა ბეისბოლის ბურთისთვის დარტყმის შესაძლებლობა, მანქანის ტარება არ გადაეცემა შთამომავლებს (თუმცა გენეტიკურაზე დამყარებული მახასიათებლები, რომლებიც განვითარებენ, გამოირჩეოდეთ ამ საქმიანობაში, შეიძლება შთამომავლობით გადავიდეს). ლამარკის „შინაგანი ძალა“ არ ამოძრავებს ევოლუციას. და კიდევ, ბუნებრივი გადარჩევის პროცესი მოქმედებს ინდივიდუალურ დონეზე, მაგრამ ევოლუციური ცვლილება პოპულაციური ფენომენია. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ა-ნიშნიანი ინდივიდი შეიძლება წარმატებით არსებობდეს თავის გარემოში და მრავლდებოდეს, მაგრამ რაც შექება ამ ორ ნიშანს, თავად ინდივიდი არ იცვლება. ინდივიდს ყოველთვის ექნება ან ა, ან ბ ნიშანი. იცვლება მხოლოდ ა ნიშნიანი პოპულაციის პროპორცია — ასე წარმოიშვა პოპულაცია.

არსებობს ასევე ორი გავრცელებული არამახასიათებელი ევოლუციური თეორიისა, რომლებიც უნდა აღინიშნოს: 1. ცნობილ ნაწერებში ბუნებრივი გადარჩევა ხშირად დახატულია როგორც ცხადი და აგრესიული ბრძოლა გადარჩენისთვის ინდივიდებს შორის. ამით ჩვენ გვარჩმუნებენ ძალაში, მოხერხებულობასა და ბრძოლის მოგების უნარში. ზემოთ მოყვანილი მარტივი მაგალითი კი გვიჩვენებს, რომ ბუნებრივი გადარჩევის პროცესი გაცილებით უფრო მოწყალეა, რაც ინდივიდები შედაინ სამყაროში, ფლობენ რა რიგ თვისებებს, რომელთა მეშვეობითაც მეტად ან ნაკლებად ეგუებიან გარემოს. რეალური ბრძოლა არის საკეთების მოპოვებასა და რეპროდუქციის შესაძლებლობაში. 2. ევოლუციური ცვლილება არ არის მიმართული რაიმე იდეალური ფორმის ან არსების გამოსაყვანად. გადარჩევა, უბრალოდ, მხარს უჭერს და აძლიერებს იმ ნიშანს, რომელიც აძლევს ორგანიზმებს უპირატესობას თავიანთ გარემოში, იქნება ეს მიმდინარე ფორმის გამარტივება თუ გართულება.

სუქცესიური ევოლუციური ცვლილება ყოველივე ამის შედეგად გვაძლევს ტიპთა წარმომავლობით ხაზს წინაპრებიდან თანამედროვე ფორმამდე, სადაც თითოეული ტიპი უთმობს გზას ცვალებადი გარე-მოსადმი უკეთესად ადაპტირებულს. ერთ დროს თითოეული ტიპი წარმოადგენდა ყველაზე „თანამე-დროვე“ დასაუკეთესოფორმას, ანუფორმას, რომელიც ყველაზე უკეთ ახდენდა ადაპტაციას გარემოსთან. ევოლუციური ნაბიჯი ერთი ტიპიდან შემდეგში არ არის ნაბიჯი მზარდი მნიშვნელობის და ღირებულების კიბეზე — ეს უფრო არის ნაბიჯი ცვლილებათა გრძელ ბილიკზე.

## ევოლუციის მექანიზმები

մաս Շեղմգեց, րապ դարձոնմա Շեղմոցտազածա զըօռլու-  
ցուու տյոռրու, ցահինդա միսու ցնեցեծու մեսարժամէշէրո  
գուգու րաօցնոնծու լութէրակլուրա, րոմելուց Ցզեթ-  
մարշա ցըօռլուցուու մեյէանութմէծու Սպայտ ցացցածո. Բոյէմեցու Ցզելուցուու ցրտ-ցրտո Ցզելաչի ցանմացու-  
ցրէցելու նոմշու ոնդուստրուցու մելանութմո (թացու  
პոցմէնքիցու Տոփարծե) ոնցլուսու լամու Ցզէլցէծու ցրտ  
Տաեցոնծածո (Biston betularia). Մեցերամէցու Տայ-  
ցոնու ագրուց Ցէրոնդմո ացրուցենցնեն հիւցուլո  
Բիշիլցէծո (Biston betularia) գրուգագրո Շաց անց  
**Մելանոնց** նոմշուց (Տուր. 1-14). մոմգուցնու 100  
նուս ցանմացլոնծածո, ցև Շացու ցորմա, րոմելսաց *car-  
bonaria*-ս ցճախնցն, ճալուան եծորո ցածագ ոնցլուսու  
ոնդուստրուցու Ռէցոնոնցու աելումցեծարչ Ցպյեցին.  
Տնորց ամուգու, ամ ցյենոմենս եծորագ ոնդուստրուց  
Մելանութմու սննոցցէն. Ացցուլցէծո, Տաճաւ ար ոյս  
ցածրուցեծու ամուց ոնդուստրու Տեցա Տարմոմացցեն-  
ցէծո, ჭարծոնծ ամու Ցզէլցէծու Սպայտ նաւու ան  
անոնց ցլուրո ցորմենտ. ամ ցայէմու ցուգու ոնդէրուսո  
ցամունցու ցենցու կուստա Տորու. մատ Շացու ան նաւու  
նցուլցէծու Տեցա Տարչենտ ցամուրցու Տորու. րոմ Մելանութ-  
մու Տետամոմացլոնծու նոմշանու, ցանսածզուրու ցրտո  
գումոնանցուրու ցենու. րագանաւ Ցմելանոնցու Տիրուն  
Տետամոմացլոնծու մուցէնցու մաեսասուատեցէլու, մուսու  
ցազրցէլցէծո ցամոսաբացա ցենցու Ցմելանոնցու Ցուլուլցէծու  
(Ցըօռլուցուու) ցազրցէլցէծո Տուլուլացուածո.

დანინჯკლული ჩრჩილები სახლობენ უღრან ტყებში და დღის განმავლობაში ისვენებენ ხის შტამპზე. იქ, სადაც მელანისტიკური ინდივიდები უფრო მოხსირდენ, გარემო, სავარაუდო, ისეთნაირად შეიცვალა, რომ მუქი ფორმებისთვის მეტი უპირატესობა მიერიქვებინა გადარჩენისთვის. გონივრული ჩანს იმის ვარაუდი, რომ ბუნებრივმა გადარჩევამ გამოიწვია ტიპური ნათელი ინდივიდების ჩანაცვლება *carbonaria* ინდივიდებით. ამ ჰიპოთეზის გამოსაცდელად, ინგლისელმა ბიოლოგმა პ.ძ.დ. კეტეველმა დაიჭირა ორივე ფორმის ჩრჩილთა ნიმუშები, მონიშნა თითოეული მათგანი ცელულოზის წერტილებით და შემდეგ ისინი კვლავ ტყებში გაუშვა (Kettewell 1955, 1956, 1959). ნიშანი დასმულ იქნა ჩრჩილების



(ა)

(ბ)

ფრთხების ქვედა მხარეს ისე, რომ არ მიეცყრო მტაცებელთა ყურადღება. რამდენიმე დღის შემდეგ, კეტეველმა კიდევ დამის რამდენიმე პეპელა დაიჭირა ტყის ცენტრში დადგმული ვერცხლისწყლის ლამპის მეშვეობით. (კვლევაში მხოლოდ მამრების გამოყენება იყო შესაძლებელი, რადგან მდედრებს არც სინათლე იზიდავს, არც მდედრი პეპლები). ამგვარ კვლევას უწოდებენ მონიშვნა-ხელახლა დაჭრის კვლევას. ჩვენ გაჩვენებთ მეთოთხმეტე თავში, რომ ამგვარი კვლევა შეიძლება პოპულაციის მოცულობის დასადგენადაც გამოვიყენოთ.

ერთ-ერთ ასეთ მონიშვნა-ხელახლა დაჭრის ექპერიმენტში კეტეველმა დანიშნა და გაუშვა 102 ტიპური (ნათელი ფორმა) და 601 მელანიკური ჩრჩილი ინდუსტრიული ბირმინგემის მახლობელ ტყეში. შედეგებმა აჩვენა, რომ ექსპერიმენტის მსვლელობისას, მუქი ფორმების უფრო მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ახერხებდა გადარჩენას (ცხრილი 1-1). იმავე ექსპერიმენტმა არაინდუსტრიულ არეალში გამოამჟღავნა გადარჩენის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ტიპურ (ნათელ) ჩრჩილებში.

სპეციფიკური გადარჩენის აგენტი (მამოძრავებელი ძალა) ადვილად დასადგენი აღმოჩნდა. კეტეველი მიხვდა, რომ ინდუსტრიულ არეალებში ჰაერის დაბინძურებამ იმდენად გაამჟექა ხეები, რომ ტიპური


**სურ. 1-14.** (ა) ლამპის პეპლის მელანიკური ფორმა. (ბ) ტიპური დაბინძურებული ფორმა (პ.დ. კეტეველმა მოგვანოდა)

ჩრჩილები მათზე დასხდომისას გამოიკვეთებოდნენ და მტაცებელებიც ადვილად პოულობდნენ მათ. ნებისმიერი გადახრილი მუქი ფორმა უკეთეს კამუფლაჟს იკეთებდა და მათი ასეთი შეფერილობა ეხმარებოდა გადარჩენაში (იხ. სურ. 1-14). საბოლოოდ, მუქი და ნათელი ფორმების დიფერენცირებული გადარჩენა ინვედა ცვლილებას პოპულაციის შედარებით სიხშირეში. ამ იდეის გამოსაცდელად კეტეველმა თანაბარი რაოდენობის ნათელი და მუქი ჩრჩილები განათავსა ხეების ტანზე როგორც დანაგვიანებულ, ისე დაუნაგვიანებელ ტყეებში და აკვირდებოდა მათ ფრთხილად ბლაინდიდან (ბლაინდი არის კარვისებრი სტრუქტურა, რომელსაც იყენებენ დაკვირვების სუბიექტებისგან დამკვირვებლების დასამალად; ინგლისში მას უფრო ხშირად სამაღავს ეძახიან). მან უცებ შენიშნა, რომ რამდენიმე სახეობის ფრინველმა, რომლებიც რეგულარულად იკვლევდნენ ხეებს ჩრჩილების და სხვა მწერების დასაჭერად, უფრო სწრაფად იპოვეს ჩრჩილები, რომლებიც მკვეთრად კონტრასტული იყვნენ ხისა, ვიდრე ისინი, რომლებიც ნააგვდა იმ ხასს, რომელზეც ისხდნენ (ცხრილი 1-2). ეს მონაცემები ემთხვეოდა მონიშვნა-ხელახლა დაჭრის ექსპერიმენტის შედეგს. ორივე ერთად კი ცხადყოფდა ბუნებრივი გადარჩენის მოქმედებას, რომლებიც ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ გამოიხ-

ცხრილი 1-1	კეტეველის მონიშვნა — ხელახლა დაჭრის ეპსაერი-მისახერი	
	ტიპურები	მელანიკურები
გამოშვებული ჩრჩილების რიცხვი	201	601
ხელახლა დაჭრილი ჩრჩილების რიცხვი	34	205
ხელახლა დაჭრე-რილთა პროცენტული მაჩვენებელი	16	34

ცხრილი 1-2	ცრინველების მთაცებლობა დანინერცული ჩრჩილების ტიპურ (ნათელ) და მელანიკურ (მუქ) ფორმებზე	
	ცრინველების მიერ ნალეგული ინდივიდები	ტიპურები
დაუბინძურებული ტყე	26	164
დაბინძურებული ტყე	43	15

ნოტილუბბებისურული ისაზურულებელი კულტურული  
დაწინერებული ჩრჩილების ისტორიის ერთ-ერთი  
მნიშვნელოვანი გარემო არის მეცნიერებლების  
80 წლის და 20 წელით დარღვეულობრივი 10 წლით დან



### 1.6 აღქმა გავლენას ახდენს და ზღუდავს ბუნების ჩვენეულ გაეპას

ჩვენს შეზღუდულ ბუნების აღქმას შეუძლია, ხელი ბუნებრივი სამყაროს ჩვენეულ ინტერპრეტაციის მიზანით და აღქმა გავლენას ახდენს და ზღუდავს ბუნების ჩვენეულ გაეპას.

**სურ. 1-15** ცვლილებები დანინელული ჩრჩილების მელანინურ ცარბონარია ფორმათა სიხშირეში ინგლისში 1950-იან წლებში დაბინძურების კონტროლის პროგრამების დაწყების შემდეგ. დაბინძურების ინდექსი არის გოგირდის დიოქსიდის დონე ზამთარში, სადაც  $1 = 300$  მიკროგრამს ჰაერის ყოველ კუბურ მეტრზე. გოგირდის დიოქსიდი პირდაპირ გავლენას ახდენს ხეთა ხავსების ზრდაზე, ამ ხავსებზე დღისით ჩრჩილები ისვენებენ. ჰაერის დაბინძურების ფონებზე ევოლუციური რეაქციის დაგვიანება ასახავს დროს, რომელიც ტყვებს სჭირდებათ უფრო ხორმალური (დაუბინძურებელი) მდგომარეობის დასაბურუნებლად ისევე, როგორც დაბალი სანციის სიბრტყე რეცესიული აღელისა ტიპიური შეფერილობისთვის (after Clarke et al. 1985, Mani and Majer 1993).



**სურ. 1-16.** ნელის რნეილი *Aphnia magna*, მცირე ნელის ცხოველი ხილულია შიძველი თვაისთვის. (მ. მურმა მოგვანოდა სურათი).

რაობს. რხევის დონე იცვლება სიმის სიგრძის უკუპროპორციულად. გაანახევრეთ სიმის სიგრძე და მისი რხევის სიჩქარე გაორმაგდება. მრავალი მნერის ფრთის სიგრძე სანტიმეტრზე მცირეა, ასე რომ, არ უნდა გვიკვირდეს — მნერს ასჯერ სწრაფად შეუძლია ფრთების ქნევა, ვიდრე ჩვენ მკლავებისა.

### **1.7 ბუნების ისტორია (ბუნებათმცოდნეობა) ნარმოადგენს ეკოლოგიური კვლევის საფუძველს**

ნარმოვიდგინოთ, რომ პანამის ტროპიკული ტყიდან გადავინაცვლეთ ჩრდილოეთით — სამხრეთ კალიფორნიის მოხავეს დიდ უდაბნოში. უდაბნო, როგორც წესი, არის უკაცრიელი ადგილი წვიმის დიდი ნაელებობით, ზაფხულის მწველი მზითა და ზამთრის სიცივით. აქ ისეთი აუტანელი პირობებია, რომ მცირე მცენარეების გარდა, ერთი შეხედვით ის ცოცხალი ორგანიზმებისგან სრულიად განმენდილია წლის უმეტეს დროს. მაგრამ უდაბნოს სიჩუმე და მოჩვენებითი უნაყოფობა დროდადრო დარღვეულია ზამთრის რბილ დღეებში და სწორედ იანვრის ერთ-ერთ ასეთ დღეს დილაადრიან მოვედით ჩვენ აქ. როცა დილის მზემ გაათბო უდაბნო, მოულოდნელად ყველაფერი გამოცოცხლდა. ქვიშაში გამოჩნდნენ მნერებისა და სხვა არსებების ჯგუფები, რომლებიც გაცხოველებულნი მიმორბიან, მიხოხავენ და დაფრინავენ აქეთ-იქით, სარგებლობენ რა, იმ ზომიერი ტემპერატურით, რომელსაც ეს დილა სთავაზობს. გამოძრინენ სამალავებიდან და შეუდგნენ თავიანთ საქმეს: საკვებისა და/ან პარტნიორის ძიებას. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთი შეხედვით ათასობით წითელმა წერტილმა, რომლებიც ქვიშაზე მოძრაობენ. ჩვენ მუხლებზე ვეცემით, რათა უკეთესად შეგხედოთ მათ. გაგვიმართლა, რომ ამ დღეს თან გვახლავს ეკოლოგები — ლილ ტევისი და ირვინ ნეველი, რომლებიც კარგად იცნობენ უდაბნოს ცხოვრებას. ისინი გვამცნობენ, რომ ახლა ჩვენ ვხედავთ *Dinothrombium pondorae*-ს, გიგანტურ ნითელ ხავერდოვან ტკიპებს, რომელთა სამეცნიერო სახელი „სისხლის საშინელი წვეთი“ მომდინარეობს მათი სისხლთან მსგაბებიდან (სურ. 1-17). ტევისმა და ნეველმა ბევრი რამ იციან ამ არსებების შესახებ, რადგან 1960-იან წლებში ცნობისმოყვარეობამ მრავალი კითხვა დაასმევინა მათ ამ ორგანიზმების შესახებ (Tevis and Newell 1962). მათი მონათხრობი შთაბეჭდავია. ის მოიცავს ძირითად ინფორმაციას გიგანტური წითელი ხავერდოვანი ტკიპის შესახებ, მისი საბინადრო ადგილის, საკვებისა და რეპროდუქციული თვისებების შესახებ. რასაც ტევისი და ნეველი გვიყვებიან ტკიპის შესახებ, არის ბუნებათმცოდნეობა, ეკოლოგიური კვლევის საფუძველი.

ტევისმა და ნეველმა იმის ძიებით დაიწყეს, იყო თუ არა გამოჩენილი ტკიპების ქცევა დაკავშირებული უდაბნოს ფიზიკურ პირობებთან. მათ აღმოაჩინეს, რომ ტკიპები წლის უმეტეს ნაწილს ქვიშის

ქვეშ ჩაფლულები ატარებდნენ. ასევე გაარკვიეს, რომ გარკვეული პირობები, რომლებიც იწვევენ ტკიპების გამოჩენას, ხშირად იჩენს თავს მახოვას უდაბნოში. ოთხნლანი დაკვირვების განმავლობაში, მოთმინება — ყველა ნატურალისტის კარგი თვისებაა, ზოდასრული ტკიპები მინის ზედაპირზე მხოლოდ ათჯერ გამოჩნდნენ, ყოველთვის დეკემბრის, იანვრის ან თებერვლის გრილ დღეებში, როცა შეეძლოთ, უდაბნოს ზედაპირის ტემპერატურის გაძლება. თავიანთი დაკვირვებებიდან ტევისს და ნეველს შეეძლოთ, დაესკვნათ, რომ ზედაპირზე გამოჩენა მოხდებოდა პირველ მზიან დღეს სამ მეათედ დუიმიანი წვიმის შემდეგ იმ პირობით, თუ ტემპერატურა ზომიერი იქნებოდა.

ჩვენი უდაბნოში ჩასვლის დღეს, დილის 9-10 საათისთვის ტკიპები გამოვიდნენ თავიანთი სამალავებიდან და გვიანი დილისთვის უკვე შეგვეძლო ათასობით ტკიპას დანახვა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობდნენ. შუადღისას, 11:30-სა და 12:30-ს მორის, ტკიპები კვლავ ქვიშის ჩაძრონენ და მხოლოდ მომავალ წელს კიდევ ერთხელ თუ ამოძრობდნენ მინის ზედაპირზე.

„სისხლის საშინელი წვეთები“ უბრალოდ იმისთვის არ ტოვებენ თავიანთ ორმოებს, რომ დაატერორონ უდაბნოში მოგზაურები. ყოველ წელს თავიანთ 2-3 საათიანი ზედაპირზე ამოსხლის განმავლობაში ტკიპმა უნდა შეასრულოს ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია: კვება და დაწყვილება. იმავე დღეს, როდესაც ტკიპები სამალავებიდან გამოდიან, ჩნდებიან ასევე ტერმიტების ურდოები, რომლებიც უდაბნოს ქვიშის თავზე დაფრინავენ და მათი გამოჩენაც იმავე ფაქტორებითაა გამოწვეული. სწორედ ამ ტერმიტებით იკვებებიან ტკიპები. ცხადია, მფრინავ ტერმიტს მხოხავი ტკიპი ვერ დაიჭერს. მან უნდა დაადგინოს თავისი მსხვერპლის ადგილსამყოფელი, როცა ტერმიტები მიწაზე ეცემიან და ფრთხოს კარგავენ მანამ, სანამ ის მიწაში ჩაფლობას მოასწრებს. ეს ყოველივე ძალიან სწრაფად ხდება და ტკიპებსაც თავიანთი მსხვერპლის შესაბეჭდობად მხოლოდ ერთი საათი ეძლევათ.



**სურ. 1-17** გიგანტური წითელი ხავერდოვანი ტკიპა

რადგანაც ტკიპები მარტონი არიან სოროებში, ისინი უნდა დაწყვილდნენ იმ მოკლე პერიოდში, რომელსაც მინის ზედაპირზე ატარებენ. გიგანტური ხავერდოვანი ტკიპის არშიყი ძალან ჰგავს ობობას და სხვა მისი ნათესავების არშიყს. მამრი ნერვიულად დადის მჭამელი მდედრის გარშემო, ურტყამს და ჩხვლეტს რა მას თავზე, მის გარშემო ქვიშას ფარავს თხელი ქსელით. მამრები მჭამელ მდედრებს ორი მიზეზით ეარშიყებიან: პირველი, მდედრებს აქვთ უდიდესი მადა (მათ ხომ ბოლო ერთი წელი არ უჭამია) და ისევე გემრიელად შეჭამენ მამრ ტკიპს, როგორც ტერმიტს. მეორე და ალბათ უფრო მნიშვნელოვანი გარემოება გახლავთ ის, რომ მდედრებს კვერცხების დადება შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, თუ საკვები აქვთ მიღებული. ამრიგად, მჭამელ მდედრთან შეჯვარებით, მამრს გარანტირებული აქვს, რომ მისი ძალისხმევა ფუჭი არ არის.

დაახლოებით შუადლისთვის, მას შემდეგ, რაც ტკიპები დანაყრდნენ და დაწყვილდნენ, ისინი გროვდებიან ქვიშის დიუნების ქარისკენ მიმართულ ვარდნილებში, სადაც ზედაპირის ტემპერატურა და ქვიშის ნამცეცების ზომა მათვის შესაფერისია (ნახევარ მილმეტრზე მცირე დიამეტრში) და ეფლობიან მინაში ფაქტობრივად ერთდროულად, თითქოს იგივე უხილავი ხელი ამოძრავებდეთ. პირველ დღეს ტკიპები თავიანთი სოროების თხრას განაგრძობენ მანამ, სანამ გვიანი ზამთრის სიგრილე არ შეანელებს მათ საქმიანობას. თხრა გრძელდება მომდევნო დღეებშიც, როცა ქვიშა ხდება საქმარისად თბილი, სანამ სოროები არ შიიღებენ დასრულებულ ფორმას. მომდევნო წლის განმავლობაში ზრდასრული ტკიპა დროს სოროში ზევით-ქვევით მოძრაობაში ატარებს, რათა სდიოს მისი სასურველი ტემპერატურის მოძრაობას, როცა მინის ზედაპირი ცხელდება და ცივდება დღის განმავლობაში.

მდედრები კვერცხებს ადრეულ გაზაფხულზე დებენ. ტკიპები მალევე იჩეკებიან და მიცოცავენ უდაბნოს ზედაპირისკენ მასპინძლის, როგორც წესი, კალიების ძიებაში და ეკვრიან მათ. ზრდის პროცესში ახალგაზრდა ტკიპი რჩება თავის მასპინძელთან და იკვებება მასპინძლის სხეულის სითხით. ზრდასრულობაში შესული ტკიპა სწყდება თავის მტარებელს და ექებს შესაფერის ადგილს ქვიშაში სოროს ამოსათხრელად. ის ამით ანახლებს გიგანტური ხავერდოვანი ტკიპის სასიცოცხლო ციკლს.

ბუნებრივი ისტორიის (ბუნებათმცოდნეობის) დაკვირვებანი არ არის დაყვანილი მხოლოდ ორგანიზმთა ყოველდღიურ დეტალებამდე. ეს დაკვირვებები მოიცავენ პოპულაციებსა და თანასაზოგადოებებში ორგანიზმთა ინტერაქციებისა და კომპლექსური ეკოსისტემების ბიოლოგიურ და ფიზიკურ კომპონენტებს შორის რთული ურთიერთქმედებების პროცესებს. ბუნების შესახებ ჩვენი დაუჭინებული კითხვების დასმა და ჩვენი ექსპერიმენტული გამოძიებანი ხელს უწყობენ ბუნების ისტორიის გავრცობას, მის გამდიდრებას

მანამდე, სანამ ის განსაცვიფრებელ, საუკეთესო მის-ტიკურ ნოველაზე არანაკლებ საინტერესო ისტორიად არ გადაიქცევა.

ბუნებრივი ისტორია (ბუნებათმცოდნეობა) ამ წიგნის ყველა, დესერიფიულიდან დაწყებული და თეორიულით დასრულებული, თავის საფუძველია; თითოეული ისტორია, რომელსაც ჩვენ წარმოგიდგენთ, ხაზს უსვამს ეკოლოგიური პრინციპების განსხვავებულ კომპლექტს.

## 1.8 ბუნების წესრიგზე გავლენას ახდენს ადამიანთა საქმიანობა

ამ თავის დასაწყისში ხაზი გავუსვით იმას, რომ ბუნებრივი სამყაროს სრულად გასაგებად, ასევე სრულად უნდა შეგვეფასებინა ბუნებაში ადამიანთა საქმიანობა. ადამიანთა საქმიანობას, როგორიცაა, მაგალითად, სოფლის მეურნეობა, რეალური ეკოლოგიურიგავლენააქვს. ისინი ცვლიან ბუნებრივ პროცესებს, პროცესებს, რომლებიც დედამინაზე სიცოცხლეს ინარჩუნებენ. ჩვენი მიზანია მნიგნშიარარის მკაცრად ყურადღების გამახვილება იმ გავლენაზე, რაც ადამიანებს აქვთ ბუნებაზე, მაგრამ ჩვენ ხშირად შევეხებით ამ თემას. გვსურს, ხაზი გავუსვათ ეკოლოგიის ამ ასპექტის მნიგნულობას და ამ თავს დავასრულებთ იმაზე საუბრით, რომ ადამიანთა საქმიანობა, მართლია, საუკეთესო განზრავით აღსრულებული, დრამატულად ცვლიან ეკოლოგიურ სისტემას.

ადამიანთა პოპულაციის ზრდის უმაღლესი მაჩვენებელი (2-3,5 % წელიწადში) არის საპარის სამხრეთ აფრიკაში. ეს არის ფართო რეგიონი, სადაც ადამიანთა გადარჩენა დიდი ხანია დაკავშირებულია ეკოსისტემის ჯანმრთელობაზე, რადგანაც ის დიდად არის დამოკიდებული საარსებო დონის მესაქონლეობასა და თევზჭერაზე. რეგიონში ხშირია გვალვა და არის შავი ჭირით მოცული ბუნებრივი რესურსების ზედმეტად ექსპლუატირების არე. 1954 წლის დასაწყისში ვიქტორიას ტბაში კეთილი განზრავით ნილოსის ქორჭილა მოამრავლეს. 30 მილიონ ადამიანზე მეტი იყო დამოკიდებული ამ ტბიდან მთლიანად ან ნაწილობრივ საკვების მიღებაზე (Kaufman 1992), მაგრამ ვინაიდან ელემენტარული ეკოლოგიური პრინციპები იგნორირებულ იქნა, ტბის მთლიანი მეთევზეობა რისკის ქვეშ აღმოჩნდა (Barel et al. 1985, Kaufman 1992, Goldschmidt et al. 1993).

ნილოსის ქორჭილას შემოყვანამდე ვიქტორიას ტბაში ბინადრობდნენ ციხლიდები და სხვა სახეობის თევზები. ციხლიდები (საერთო სახელი, რომლითაც ალინიშნებიან *Cichlidae*-ს ოჯახში შემავალი თევზები) არიან მტკნარ წყალში მოსახლე თევზები, რომლებიც უმეტესწილად სამხრეთ და ცენტრალური ამერიკისა და აფრიკის ტბებსა და მდინარეებში ბინადრობენ, სა-დაც მათ ხშირად აგროვებენ და ყიდიან აკვარიუმისთვის. მოპოვების უმეტეს ადგილებში, მათ განიცადეს ფართო ეკოლოგიური დივერსიფიცირება ეკოლუ-



სურ. 1-18. აფრიკური ციხლიდის ოვეგზი ( Photo © Ken Lucas)

წყალმცენარეთა პროდუქტიულობის ზრდა. ამ პროცესს ევტროფიკაციის სახელით იცნობენ. გუნდურად ვიქტორიას ტბის ციხლიდები მოხმარდნენ წყალმცენარეთა ტბიპების დიდ მრავალფეროვნებას და იკავებდნენ მრავალ სხვადასხვა საბინადრო ზონას. ციხლიდებს გამრავლების შემთხვევაში ჰქონდათ შესაძლებლობა, გადამუშავებინათ საკვები ნივთიერებებიდა ამრიგად, შეეჩირებინათ ევტროპიკაცია მზარდი ადამიანური მოხმარების ფონზეც. ნიღლისის ქორჭილამ ტბიდან ციხლიდების მოშორებით, ჩაშალა ეს ბუნებრივ ნარჩენთა გადამუშავების სისტემა, დააჩქარა რა ამით ევტროპიკაციის პროცესი (Kaufman 1992, Goldstein et al. 1993).

ამ მაგალითიდან გამომდინარე, გაკვეთილი მარტივია: ადამიანი ვიქტორიის ტბის ეკოლოგიური

არეალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. ტრადიციული ადგილობრივი თევზაობა ხორციელდებოდა ათასი წლის მანძილზე, პოპულაციათა ზრდის ზემოამდე და თევზის საექსპორტოდ გატანის შესაძლებლობის აღქმამ გამოიწვია ეკოლოგიურად არაჯანსალი გადაწყვეტილების მიღება და დასავლეთ აფრიკის რეგიონის ეკონომიკური და სოციალური კატასტროფა.

მომდევნო თავში ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილავთ იმ მეთოდებს, რომლებსაც ეკოლოგები იყენებენ ვიქტორიას ტბის მსგავსი სიტუაციებისა და სხვა ეკოლოგიური სისტემების შესასწავლად. ჩვენ ვნახავთ, რომ ყველა სახის ეკოლოგიური კვლევა ემყარება ამ სტრუქტურების გაგებას ევოლუციურ პროცესებზე დაყრდნობით.

## დასკვნა

- 1.** ფენომენები, რომლებსაც ვაკვირდებით ბუნებაში წარმოადგენს ერთგვარ სტრუქტურას. ჩვენი კითხვები ბუნების შესახებ ეკოლოგიური გამოკითხვის დასაწყისია. ეკოლოგები სვამენ კითხვებს, რომლებიც იკვლევენ სისტემის მდგომარეობასა და პირობებს, ფუნქციებსა და მექანიზმებს და სტრუქტურის ევოლუციურ საფუძველს.
- 2.** უამრავი სხვადასხვა სახის ორგანიზმი სახლობს ბუნებრივ სამყაროში. ამ მრავალფეროვნებამ შეიძლება მოახდინოს საკუთარი თავის, როგორც ფაქტიზი ცვლილებების მანიფესტაცია ძირითად თემაზე. ამის მაგალითია ჩრჩილებისა და პეპლების, სხეულის მსგავსი ფორმისა და საკვები სტრუქტურის შემაცბუნებელი მრავალფეროვნება.
- 3.** ბუნებრივ სამყაროს ახასიათებს კომპლექსური ინტერაქციები, რომლის საშუალებითაც სხვადასხვა სახეობა ერთმანეთზეა დამოკიდებული.
- 4.** სიკვდილი და ცვლილება ბუნებრივი სამყაროს მახასიათებლებია, მაგრამ მასალები და პოპულაციები განახლდებიან რეპროდუქციის ციკლებით და საკვები ნივთიერებების გადამუშავებით.
- 5.** სტრუქტურებს, რომლებსაც ჩვენ ვაკვირდებით ბუნებაში, საფუძველად უდევს ფიზიკური და ბიოლოგიური პროცესები. ამ პროცესთა გაგება გვაძლევს, საშუალებას წინასწარ განვითარით და აგხსნათ სტრუქტურები.

- 6.** სტრუქტურები ბუნებრივ სამყაროში საუკეთესოდ არის გაგებული, როგორც ევოლუციის გზით ბუნებრივი გადარჩევის შედეგი, რაც თავდაპირველად ჩარლზ დარვინმა შემოგვთავაზა. ბუნებრივი გადარჩევა გულისხმობს ორგანიზმების დიფერენციალურ გადარჩენას, რომლებიც ფლობენ გარკვეულ უპირატეს ნიშნებს — ადაპტაციებს. ეს პროცესი ემყარება იმ ფაქტს, რომ ინდივიდებს შორის თვისებები იცვლება და ამათგან ზოგი ინდივიდი მეტადაა მიღრეკილი გამრავლებისკენ. ინდუსტრიული მებანიზმი ინგლისის დანინწყლულ ჩრჩილებში ბუნებრივი გადარჩევის მაგალითია.
- 7.** ბუნების ჩვენებული ინტერაქციაცია შეზღუდულია ჩვენი სენსორული სიმკვეთრით და ჩვენი შეხედულებებით.
- 8.** ეკოლოგები იგებენ ბუნებას კითხვების დასმით, კავშირების აღმოჩენით და მათგან ბუნებრივი ფერმენტის დეტალური თეორიის განვითარების საშუალებით. ამ ინფორმაციას ბუნებათმცოდნეობა ეწოდება და ის შეადგენს ეკოლოგიური კვლევის საფუძველს.
- 9.** ეფექტი, რომელიც დასავლეთ აფრიკის ვიქტორიის ტბაში ნიღლისის ქორჭილას შემოყვანამ მოახდინა ადგილობრივ ციხლიდებზე, ცხადი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეუძლია ბუნებათმცოდნეობის (ბუნებრივი ისტორია) ცოდნისა ნაკლებობას ეკოლოგიური კატასტროფის გამოწვევა.

## სავარჯიშოები

- 1.** ადამიანები გადარჩენისთვის ბუნებრივ სამყაროზე არინ დამოკიდებული. ამის ილუსტრირებისთვის, წარმოიდგინეთ ის საჭმელები, რომელიც გუშინ სამხარზე მიირთვით. ჩამოთვალეთ რა ორგანიზმს წარმოადგენს საკვები, დედამიწის რა ადგილას ბინადრობს ორგანიზმი და ველურ ბუნებაში იპოვა ის ადამიანმა თუ მოიყვანა.
- 2.** წარმოიდგინეთ ამ წიგნის ყდაზე არსებული ნახატი, რომელიც წარმოადგენს ბუნებრივი სამყაროს მხატვრისეულ ინტერპრეტაციას. რა ბუნებრივი ინტერაქციებია ასახული ამ ნამუშევარში? ახსენით, რა თავნებობის საშუალება მისცა მხატვარმა საკუთარ თავს ბუნების წესრიგის ასახვისას ინფორმირებისა და გართობის ეფექტის მისაღწევად.
- 3.** მოძებნეთ ტყის, უდაბნოს ან მდელოს მშვიდი ნაკვეთი/ბეტჩი, სადაც ერთ-ორ საათს დაჰყოფთ. ამ დროის განმავლობაში ჩაიწერე ათი „როგორ?“-ზე დაწყებული და ხუთი „რატომ?“-ზე დაწყებული კითხვა. ამ წიგნის ან ნებისმიერი სხვა წყაროს გამოყენებით, წარმოადგინეთ პასუხი ერთ „როგორ?“ და ერთ „რატომ?“ კითხვაზე.
- 4.** ბუნებაში თქვენი გასვლის განმავლობაში ჩაიწერეთ ყველა სახის ბუნების ინტერაქცია, რომელიც თქვენი იქ ყოფნით არის გამოწვეული. იფიქრეთ, თუ როგორ რეაგირებენ ცხოველები თქვენს გარშემო თქვენს იქ ყოფნაზე ან იმაზე, თუ როგორ გავლენას ახდენს თქვენი მოძრაობა იმ არეში არსებულ მცენარეებზე. ასევე, ჩაინიშნეთ თუ როგორ მოქმედებენ ბუნებრივი სამყაროს კომპონენტები თქვენზე.
- 5.** ჩვენი, როგორც მეცნიერების, პასუხისმგებლობის ნაწილია ბუნების ინტერპრეტირება მათვის, ვინც არ არის განვირთნილი სამეცნიერი პრინციპებით. წარმოადგინეთ ბუნებრივი სამყაროს მრავალფეროვნების, კომპლექსურობის მნიშვნელობის და სილამაზის ფართე ახსნა.
- 6.** დაწერეთ ევოლუციის გზით ბუნებრივი გადარჩევის ფართო აღწერა ისე, რომ არც სიტყვა „ევოლუცია“ და არც „სელექცია“ არ გამოიყენოთ. თქვენს ახსნას შეიძლება ჰქონდეს მაგალითის ფორმაც.
- 7.** დღეების ან კვირების განმავლობაში ჩატარებული დაკვირვების გამოყენებით გაავრცელეთ შინაური ძალის ან კატის, ან რომელიმე სხვა შინაური ცხოველის ან სხვა რომელიმე ორგანიზმის ბუნებრივი ისტორია, რომლის დაკვირვებაც თქვენ რეგულარულად შეგიძლიათ. ბუნებრივი ისტორია უნდა მოიცავდეს მის მნიშვნელოვან ინტერაქციებს სხვა ორგანიზმებთან, როგორიც ხართ, მაგალითად, თქვენ ან თქვენი მეგობრები.

## თავი 2



# პუნების წარიგის აღმოჩენა

### გზამკვლევი კითხვები

- როგორ გამოიყენება ეკოლოგიაში ჰიპოთეზები?
- როგორ გამოიყენება ეკოლოგიაში თეორიული მეთოდები?
- რა მნიშვნელობა ენიჭება სტატისტიკას ეკოლოგიურ კვლევაში?
- რა სახის კითხვებზეა პასუხის გაცემა შესაძლებელი არჩევითი კვლევის მეშვეობით?
- რა მნიშვნელოვანი თვისებები აქვთ ექსპერიმენტს?
- როგორ გამოიყენება ექსპერიმენტები ამფიბიების პოპულაციის ვარდნის გამოსაკვლევად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ორგანიზმთა ეკოლუციური ისტორიის გაგება მათი ეკოლოგიის გაგებისთვის?
- რა ნაბიჯებს მიჰყვებიან ეკოლოგები თავიანთი კვლევების შედეგების გამოქვეყნებისას?
- რა ურთიერთობაა ეკოლოგიასა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკას შორის?
- რა სხვადასხვა კომპლექსურობის დონეებისგან შედგება ეკოლოგიური კვლევა?
- რა განსხვავებაა ეკოლოგიის მეცნიერებასა და გარემოს მენტალიზმის პრაქტიკას შორის?

**გ**უნებრივი სამყაროს კვლევას ბუნებაში სტრუქტურისა და კავშირების გამონახვით ვიწყებთ. ამისთვის ვსამთ მარტივ კითხვებს სტრუქტურის შესახებ და აღვნერთ ჩვენს მიერ გამოკვლეული ობიექტის ბუნებრივ ისტორიას (თავი 1). ბუნების ჩვენეული აღმოჩენა გამყარებული და გაფართოებულია უფრო ენერგიული და გათვლილი გამოკითხვის სტრატეგიებით, ისეთებით, როგორებიც ეკოლუციური თეორიის კონტექსტითაა შემოფარგლული, სისტემატური დაკვირვებით და ექცერიმენტირებით წარმოებული, მათემატიკის, სტატისტიკისა და ბუნების ფიზიკური ძალების ცოდნით მხარდაჭერილნი. ამ კვლევების დროს ჩვენ სირთულეებს გვიქმნის ბუნების უდიდესი ცვლილებები, რომლებიც ბუნების შესახებ ჩვენს დასკვნებს დამაჯერებლობას აკლებენ. სიძნელეებს გვიქმნის ასევე ბუნებრივ სამყაროში მუშაობის ზოგჯერ ღრმა ლოგისტიკური პრობლემები, მაგრამ ჩვენი, როგორც მეცნიერების ვალია, აღმოჩენათა გავრცელება და ახალ აღმოჩენა-

თა მნიშვნელობისა და შესაძლო გამოყენებების შესახებ საჯარო განხილვებში მონაწილეობა. ამ თავში ჩვენ ავსხინით ეკოლოგიური სამუშაოს პრაქტიკულ ასპექტებს, გაჩვენებთ, როგორ აფართოვებენ ეკოლოგები თავიანთ მარტივ კითხვებს, ბუნებრივი ისტორიის თავიანთ ცოდნას და ეკოლუციური პროცესების მათეულ გაგებას ეკოლოგიური კვლევების განსახორციელებლად.

ეკოლოგიური კვლევის პროცესი მოიცავს შემდეგ ძირითად საფეხურებს: (1) დაკვირვებისა და აღმოჩენის გზით კითხვების დაგროვება; (2) ამ კითხვებზე შესაძლო პასუხების შესახებ მოსაზრებათა განვითარება; (3) შესაძლო კონკურენტული პასუხების შეფასება სისტემატური დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების გზით და ამ დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების შედეგთა გამოყენება; (4) ბუნებრივი სამყაროს შესახებ დასკვნების გამოტანა. თავის პირველ ნაწილში ჩვენ ამ ნაბიჯებს დეტალურად აღვნერთ და ხაზს გავუსვამთ იმას, თუ რა გავლენას

ახდენს მათზე ბუნებრივი ცვლილებები. თავის ბოლო ნაწილში განვიხილავთ ეკოლოგიური კვლევის ზოგი-ერთ პრაქტიკულ პრობლემასა და გამოწვევას. ასევე აღმოვაჩინო, თუ როგორ გამოიყენება ეკოლოგიური კვლევების მეშვეობით მიღებული ცოდნა.

## **2.1 კითხვები პუნქტის შესახებ გაფართოებული და რაფინირებული ჰიპოთეზებსა და თეორიები**

როცა დასმული კითხვის შესაძლო პასუხს განვიხილავთ, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს რაღაც. მაგალითად, ეკოლოგებს, რომლებმაც პირველად იყითხეს, თუ რატომ მცირდება ვიქტორის ტბაში ციხლიდების პოპულაცია (იხ. თავი 1), შესაძლოა, ბუნებრივად მიერჩიათ, რომ ნილოსის ქორჭილა გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ამ პოპულაციებზე. მოსაზრებას, რომ ციხლიდების კლება გამოწვეული იყო ნილოსის ქორჭილას მიერ, ენოდება ჰიპოთეზა. იდეას, რომელსაც ჩვენ ვადგენთ სპეციფიკური მოსაზრების გარკვეულ დროს, ნულოვანი ჰიპოთეზა ენოდება. ყველა სხვა შესაძლო მოსაზრებას ბუნებრივი პროცესების შესახებ აღტერნატიული ჰიპოთეზები ენოდება. აღტერნატიული ჰიპოთეზები იმის შესახებ, თუ რატომ იყლო ციხლიდების პოპულაციების რიცხვმა ვიქტორის ტბაში, მოიცავს ტბაში ახალი პარაზიტების გაჩენას, დრამატულ ცვლილებებს წყალმცენარეებში, რომლებითაც ციხლიდები იკვებებოდნენ ან დრამატულ ცვლილებებს ტბის ქიმიურ შემადგენლობაში, რომელიც გამოიწვია სოფლის მეურნეობისთვის წყლის დიდი რაოდენობით მოხმარებამ.

გამოთქმული ჰიპოთეზები დებულობს თხრობითი, და არა კითხვითი წინადადების ფორმას. მაგალითად, „ნილოსის ქორჭილას შემოყვანამ ვიქტორის ტბაში გამოიწვია ციხლიდების პოპულაციის კლება“, არის ჰიპოთეზა. იმ დროს, როცა შეკითხვა: „გამოწვია თუ არა ვიქტორის ტბაში ციხლიდი ოვეზების კლება ამ ტბაში ნილოსის ქორჭილას შემოყვანამ?“ ჰიპოთეზა სულაც არ არის. ჰიპოთეზები ხშირად უფრო ცხადად ფორმულირებულია ბუნებრივი სამყაროს ზოგ გაზომვად თვისებას შორის ურთიერთობის მათემატიკური გამოსახულების სახით. ამ თვისებებს ცვლადები ეწოდება, რადგანაც ისინიიძენენ შეფასებათა ნებისმიერ რიცხვს. ლურჯი პეპლების რიცხვი, რომლებსაც ჩვენ ვაკვირვებოდით ტროპიკულ ტყები ჩვენი წარმოსახვითი სეირნობისას, ვიქტორიას ტბაში ყოველწლიურად წარმოშობილი ნილოსის ქორჭილათა რიცხვი და გიგანტური ხავერდოვანი ტკიპის მიწის ზედაპირზე ამოსვლის წელიწადის დრო — ყოველივე ეს ცვლადთა მაგალითებია.


ბუნებრივი სამყაროს ცვლადობასა და კომპლექსურობას შეუძლია, გაართულოს ნულოვანი ჰიპოთეზების განვითარება. ხშირად არ არსებობს ერთი

კონკრეტული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებს სისტემა. ეკოლოგებმა უკვე დიდი ხანია აღიარეს, რომ სწორედ სხვადასხვა კომპონენტებს შორის ურთიერთკავშირი ბუნებას განსხვავებულ მახასიათებლებს ანიჭებს. როგორც წიგნში ვნახავთ, ამ ურთიერთკავშირებს ცხადად წარმოადგენს ნივთიერებათა მიმოცვლა, ენერგიის ტრანსფორმაცია, კვებითი ურთიერთობები, სოციალური ინტერაქცია და ბევრი სხვა პროცესი. ჩვენმა პირველმა მარტივმა კითხვებმა, შეიძლება ვერ მიგვიყვანონ პირდაპირ მარტივ ჰიპოთეზებამდე. ამის გამო, ეკოლოგიაში ბევრი ჰიპოთეზა წარმოიშობა თავდაპირველად თეორიული მოდელების განვითარების საშუალებით. ეს თეორიული მოდელები ხსნიან კომპლექსური სისტემების არსებითი ცვლადების ინტერაქციებს.

**თეორიული ეკოლოგიური მოდელები** არის ვერბალური, ალგებრული ან გრაფიკული კონსტრუქციები, რომლებიც ექსპლიციტურად გამოხატავენ სისტემის ცვლადებს შორის ურთიერთობებს. მარტივი ჰიპოთეზა შეიძლება თეორიულ მოდელად იქნეს მიჩნეული თავის უმარტივეს ფორმაში. მაგალითად, ნულოვანი ჰიპოთეზა: „მამალი ბაყაყები მღერიან გაზაფხულის წვიმის შემდგომი თბილი საღამოების დროს“, წინ სწევს ურთიერთობას გარკვეულ ცვლადებს შორის, რომლებიც წარმოადგენს ბაყაყის გარკვეულ ქცევას (მამლის საარშიყო სიმღერის დროის შერჩევა) და ცვლადებს, რომლებიც წარმოადგენს გარემოს პირობებს (ტემპერატურა და ნალექები).

ეკოლოგიურთეორიათა უმრავლესობა გამოხატულია ალგებრული გამოსახულებებითა და განტოლებებით. ასეთი გამოსახვის ძალა განსაზღვრავს მათ მეტივიდ ჩამოყალიბებულ ბუნებას წინასწარ განჭვრიტონ სისტემის ერთი კომპონენტის დინამიკა ამავე სისტემის სხვა კომპონენტებთან მიმართებაში. მათემატიკური გამოსახულებანი წარმოადგენს ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციებს იმისა, თუ როგორ იცვლება ერთი ცვლადი მეორე ცვლადთან მიმართებაში. ძალიან მარტივი მაგალითი არის წრფივი განტოლება,  $y = mx + b$ , სადაც  $y$  და  $x$  ცვლადები არიან და  $m$  და  $b$  მუდმივები. მანამ, სანამ იცით  $m$  (ხაზის დახრილობა) და  $b$  ( $y$ -მკვეთი),  $y$  მნიშვნელობა ცნობილი იქნება  $x$ -ის ნებისმიერი მნიშვნელობისთვის. ეს მარტივი მოდელი არაორაზროვნად გვიჩვენებს, თუ როგორ არიან დაკავშირებული  $y$  და  $x$  როცა ცნობილია  $m$  და  $b$ .

მათემატიკურ გამოსახულებებს არ შეუძლიათ, ასახონ ეკოლოგიური პროცესების ზუსტი დინამიკა ბუნებაში ცვლილებების არსებობის გამო. მათემატიკური გამოსახულებები ბუნების მოდელებია. ამრიგად, ორი ცვლადის არსებობის პირობებში, რომლებსაც ჰიპოთეზის მიხედვით დადგებითი ხაზობრივის ურთიერთობა აქვთ ( $y = mx + b$ ), ეს ურთიერთობა ზოგადად ასეთია, მაგრამ აბსოლუტურად ზუსტი მარტლაც არ არის. ეს ასახულია სურ.



**სურ. 2-1** ნრფე მათემატიკური მოდელია, რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებას ორ, ხ და ყ, ცვლადს შორის. თუ ხ და ყ ბუნებრივი სამყაროს ორი ფაქტორია და ერთი — ყ იზრდება, როცა ხ იზრდება, მაშინ ეს სრულიერობა ვერ იწერდა სრულყოფილი, რასაც ამ ნრფის გარშემო გაპნეული ნერტილები გვაჩვენებენ. ასეთ შემთხვევაში ნრფე გვემსახურება მხოლოდ ორ ფაქტორს შორის ურთიერთობის მოდელის სახით.

2-1-ში, სადაც ნერტილები გაფანტულია სწორი ნრფის გარშემო. ნრფე, თუ გნებავთ, ეკოლოგიური მოდელი — არის ჩვენი ჰიპოთეზა  $x$  და  $y$  ცვლადებს შორის ურთიერთობის შესახებ. ნერტილები ნარმოადგენენ  $x$  და  $y$ -ის ნამდვილ მნიშვნელობებს, რომლებიც ჩვენ ბუნებაში გავზომეთ. ცვლადებს მართლა ნრფივი ურთიერთდამოკიდებულება აქვთ, მაგრამ ჩვენ ვერ გავავლებთ ერთ სწორ ხაზს, რომელიც ერთდროულად ყველა ნერტილს შეაერთებდა. მოდელის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ფაქტიზად აღწერს ურთიერთობის არსს.

მათემატიკური გამოსახულებების (ჩვენ ასევე შეგვიძლია მათ თეორიის გამოსახულებები ვუნდოთ) ჰიპოთეზური განცხადებების სახით გამოყენების სარგებლიანობა შეიძლება დემონსტრირებული იყოს ნრფივი განტოლების მომდევნო გარჩევით. თუ  $x$  და  $y$  ეკოლოგიური ინტერესის ცვლადები არიან, ნრფივი განტოლება იქნებოდა ჰიპოთეზა ორი ცვლადის დინამიკის შესახებ. თუ ეკოლოგს მიაჩნია, რომ მიმართება არის შემდეგი:  $y = mx + b$ , ის გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ  $y$  და  $x$  ცვლადები ნრფივ ურთიერთდამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. ნრფის რეალური კონფიგურაცია, ანუ ის თუ ნრფე, სად კვეთს  $y$ -ღრენს ( $b$ ) და აქვს თუ არა მას დადებითი თუ უარყოფითი დახრილობა ( $m$ ) — დაუზუსტებელი რჩება. თუმცა, თუ ეკოლოგი დაასკვნის, რომ მიმართება არის  $y = -1,5x + 2,0$ , ის გულისხმობს არა მარტო იმას, რომ აქ ნრფივ ურთიერთობას აქვს ადგილი, არამედ იმასაც, რომ ეს არის ძალიან სპეციფიკური უარყოფითი ნრფივი ურთიერთობაა. ამის მსგავსი მათემატიკური გამოსახულებანი და ბევრი სხვა, რომლებსაც ამ ნიგნში შევხვდებით, ნარმოადგენენ ჰირდაპირ და არაორაზროვან საშუალებებს ბუნების შესახებ ჰიპოთეზების თანდათანობით ამოხსნისთვის.

კიდევ ერთი თვისება მათემატიკური ეკოლოგიური თეორიისა, რომლის დემონსტრირებაც რთულია უბრალო ნრფივი დამოკიდებულების საშუალებით,

მდგომარეობს თავად მათემატიკის ევრისტიკულ ბუნებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცვლადებს შორის ალგებრული დამოკიდებულების აღმოჩენას შეუძლია, გამოამჟღავნოს სტრუქტურა სისტემაში, ანუ მომდევნო ჰიპოთეზა, რომელიც ჯერ კიდევ სრულყოფილად არ ჩანს. მათემატიკური თეორიის ამ ასპექტის შესაფასებლად წარმოიდგინეთ, რომ ეკოლოგი დაინტერესებულია იმის დადგენით, თუ როგორ ლებულობს სურსათის მომპოვებელი ჯილდოს ენერგიის სახით ერთგვაროვანი მსხვერპლისგან, რომელსაც ჭამს. არჩევითი კვლევისა და სხვა დაკვირვებების საფუძველზე თქვენ ფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანი შემდეგი ცვლადებია: 1. დრო —  $T_s$ , რომელსაც ეს ცხოველი ხარჯავს მსხვერპლის მოძიებაში; 2. სიხშირე —  $\lambda$ , რომლითაც მაძიებელი ცხოველი პოულობს მსხვეპლს გარემოში; 3. დრო —  $h$ , რომელიც სჭირდება ამ ცხოველს თითოეული მსხვერპლის დამორჩილებაში, მოკვლასა და შექმაში; 4. ენერგიის რაოდენობა —  $E_p$ , მიღებული თითოეული მსხვერპლისგან. თქვენ ინსტინქტურად გრძნობთ, რომ ამ ჩამონათვალთაგან კველაზე მნიშვნელოვანი მსხვერპლის ძებნაში დახარჯული დროის მთლიანი რაოდენობაა. სანამ ექცერიმენტირებას დაიწყებთ, თქვენ რამდენიმე ხანს დაპყოფთ ამ ცვლადებს შორის არსებული შესაძლო დამოკიდებულებების შესახებ ფიქრში. ანუ თქვენ ავითარებთ თეორიას. თქვენ მსჯელობებს შემდეგ დასკვნებამდე მიჰყავხართ:

ძებნის დროს მოპოვებული მსხვერპლის რაოდენობა  $T_{\lambda} \text{-ია}$ .

ენერგია  $E_s$  მთლიანი მოცულობა, რომელსაც მაძიებელი ცხოველი იღებს ამ დროის განმავლობაში არის ( $T_s$ )  $E_p$ .

მსხვერპლთან გამკლავებისთვის დახარჯული დრო არის ( $T_s$ )  $h$ ; ამრიგად, დროის მთლიანი რაოდენობა, რაც საჭიროა ენერგიის მისაღებად, უდრის ძებნის დროს პლიუს მსხვერპლთან გამკლავების დრო,  $T_s + (T_s)$   $h$ , რასაც თქვენ უწოდებთ  $T_s$ -ს.

ამ იდეათა გამოყენებით, თქვენ განსაზღვრავთ იმ სიდიდეს, რომელიც ასახავს ცხოველის მიერ მიღებულ ჯილდოს საკვების მოძიების დროს. ის უდრის: დაგროვილი ენერგია გაყოფილი დახარჯული დროის მთლიან რაოდენობაზე ან:

$$\frac{(T_s)\mathbf{E}_p}{T_s + (T_s)\mathbf{h}}.$$

როცა თქვენ ყურადღებით შეხედავთ ამ გამოსახულებას, თქვენ მიხვდებით, რომ შესაძლებელია მისი გამარტივება:

$$\frac{\lambda\mathbf{E}_p}{1 + \lambda h}.$$

ანუ მთლიანი მოძიების დრო, რომელიც თქვენი აზრით იყო მნიშვნელოვანი, საერთოდ არ ჩნდება განტოლების ამ ფორმაში. როგორც ჩანს, მნიშვნელოვანია ის დრო, რომლის განმავლობაშიც

მსხვერპლი მოიპოვება გარემოში — λ და ღრო, რომელიც მაძებარ ცხოველს სჭირდება მათ მოსაკლავად და შესაქმელად — h. უფრო უკეთ რომ ვთქვათ, ეს არის ძალიან გამარტივებული დამოკიდებულება თეორიის კომპლექსური ერთობისადმი, რომელიც უფრო დეტალურად ოცდამეთერთმეტე თავშია განხილული. თუმცა ის გვიჩვენებს, როგორ შეუძლია ცვლადებს შორის მარტივი დამოკიდებულების ალგებრული მოქმედების ერთ მარტივ აქტის ბუნებრივი პროცესების მნიშვნელოვანი თვისებების გამომჯდავნება.

ხშირად ჩვენ ეკოლოგიური პრინციპების შესახებ მსჯელობას ვიწყებთ თითქმის ისევე, როგორც აღვწერეთ ზემოთ ჰიპოთეტური სიტუაცია. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ხაზი გავუსვათ ეკოლოგიასა და მეცნიერებაში ზოგადად თეორიული აზროვნების მნიშვნელობას. თქვენ შეიძლება გამოიყენოთ ზემოთ მოყვანილი თეორიული ნამუშევარი ჰიპოთეზის საფუძვლად, რათა წარმოაჩინოთ ექსპერიმენტებისა და არჩევითი კვლევის გამოყენება. ან თქვენ შეიძლება არჩიოთ თქვენი თეორიის განვრცობა და მოიცვათ მასში ერთზე მეტი მსხვერპლი ან შეზღუდოთ რამენაირად მაძიებელი ცხოველის საქმიანობა. ამ მხრივ, თქვენ შეიძლება იპოვოთ გამოსახულება, რომელიც გულისხმობს ზოგად ტენდენციას და ფუნდამენტურ პროცესებს, ისინი აწესრიგებენ თქვენს აზროვნებას სტუტგართა ფართო კომპლექტის მიმართ. როცა ამგვარი თეორია განვითარებულია, შეგიძლიათ დაიწყოთ მოსაზრებებისა და განჭვრეტების ექსპერიმენტებით გამაგრება.

## 2.2 დასკვნები ბუნების სამყაროს შესახებ მოიცავენ უზუსტონებს

ჩვენ ხაზი გავუსვით იმ როლს, რომელსაც ცვლილები თამაშობენ ევოლუციის გზით ბუნებრივი გადარჩევის პროცესში (იხ. თავი 1). ბუნებაში ცვლილებების არსებობა ასევე პირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენს შესაძლებლობაზე აღმოგვიჩინოთ ბუნების სამყაროს წესრიგი. კითხვები, რომლებსაც ეკოლოგები სვამენ, ჩნდება ინდივიდუალურ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად, მაგრამ ისინი გამიზნულნი არიან მოერგონ ამგვარი დაკვირვებების მთლიან ქსელს. ჩვენ ვხედავთ ფუტკარს, რომელიც სპეციფიკური სახეობის მცენარეთა ყვავილს სტუმრობს და გვაინტერესებს, რამდენ ყვავილს სტუმრობს ფუტკარი ყოველდღე (სურ. 2-2) (ყოველდღე მონახულებულ ყვავილთა რიცხვი არის ცვლადი). ჩვენი ინტერესი არ არის შემოსაზღვრული ერთი ფუტკარით, რომელსაც იმ მომენტში ვუცეკერით. გვაინტერესებს ყველა ფუტკარი, რომლებიც სტუმრობენ ამ სახეობის მცენარეს ამ არეალში. ბუნებრივი ცვლილება ფუნდამენტურ შეზღუდვას აწესებს ამგვარი კითხვების ჩვენებულ გაგებაზე. ის არეალი, რომელშიც



**სურ. 2-2.** საშუალო რიცხვი იმისა, თუ რამდენჯერ სტუმრობენ ფუტკარები ყვავილებს მდელოში, შეიძლება განსაზღვრული იყოს ბეჭითი დამკვირვებლის მიერ ფუტკართა მცირე ნაწილის მეშვეობით. ამ რიცხვს ენოდება სტატისტიკური და განსაზღვრავს უცნობ რეალურ ვიზიტთა რიცხვს, პარამეტრს, რომლის დადგენა, პრაქტიკული მიზუბების გამო შეუძლებელია.

ჩვენ ფუტკარს ვაკეთებით, შეიძლება, ათასობით ფუტკარს მოიცავდეს და თითოეული შეიძლება განსხვადებოდეს ყვავილების რიცხვით, რომლებსაც ის ენვევა დღის განმავლობაში. ამ ცვლილების საპირისპიროდ, ჩვენ კითხვას ვაზუსტებთ და თავიდან ვსვამთ: „როგორია ყვავილთა ის საშუალო რაოდენობა, რომლებსაც ფუტკარი დღის განმავლობაში სტუმრობს?“ რომ შეგვეძლოს ყვავილთა რაოდენობის დათვლა, ამ მონაცემთა შეკრება და მათი ჯამის გაყიფვა არეალში მყოფ ფუტკართა სრულ რაოდენობაზე, ჩვენ მოვიპოვებდით რეალურ საშუალო რიცხვს იმ ყვავილებისა, რომლებსაც ფუტკარი დღის განმავლობაში საშუალოდ სტუმრობს. შესაძლებელი იქნებოდა საშუალოდ ვიზიტთა ნამდვილი რაოდენობის გაგება, თუ ჩვენ დაკვირდებოდით არეალში მყოფი ყველა ფუტკარის ქვესიმრავლეს, მაგრამ ვინაიდან ამის საშუალება არ არსებობს, ყოველდღიური ვიზიტების ნამდვილი საშუალო რაოდენობის განსაზღვრა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ეს მარტივი მაგალითი გვაჩვენებს ყველა სახის მეცნიერული კვლევის მნიშვნელოვან თვისებას. ეს იდეა შეიძლება გაძლიერდეს შემდეგი სიტუაციის წარმოდგენით: თქვენ და თქვენი მეგობარი სხედხართ ერთმანეთის პირისპირ მაგიდის სხვადასხვა მხარეს; მაგიდაზე არის მუქი ეკრანი, რომელიც თქვენს სახეს მთლიანად ფარავს. თქვენს მეგობარს ნინ აქვს საგანი, რომლის ზომა და ფორმა თქვენთვის უცნობია, რადგან მას ეკრანი ფარავს. თქვენი მიზანია, გაარკვიოთ საგნის კონფიგურაცია კითხვების დასმის საშუალებით. თქვენმა მეგობარმა მხოლოდ თქვენს მიერ დასმულ ზუსტ შეკითხვებს უნდა უპასუხოს. ამრიგად, თუ ბიუქტი არის პლასტმასის კუბი და თქვენ ეკითხებით მეგობარს „ეს ნივთი

ოთხეუთხედია?” თქვენი მეგობარი გიპასუხებთ — „არა”, რადგან ოთხეუთხედი ორგანზომილებიანი ფიგურაა და ამრიგად, დაფარული ნივთის მხოლოდ ერთ მხარეს აღწერს. თქვენს მეგობარს ერთი საათის განმავლობაში უსამთ კითხვებს, აკეთებთ ფრთხილ შენიშვნებს და ჩანახატებს ამ პროცესში. ამ ფრთხილი დაკითხვიდან თქვენ საგნის შესახებ ბევრ ინფორმაციას იღებთ, როგორიცაა მისი ზომა, ფერი და მასალა, რომლისგანაც ისაა დამზადებული და ცოტა ხნის შემდეგ რამდენიმე შესაძლო კონფიგურაცია მოგდით გონებაში. საბოლოოდ, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი ცნობა არ ეთანხმება თქვენს დასკვნას, თქვენ ფიქრობთ, რომ განავითარეთ კარგი აღწერა თქვენი მეგობრის საგნისა და მოითხოვთ მის ნახვას, რათა გაარკვიოთ, მიხვდით თუ არა, რა საგანია ეს. ამ დროს, თქვენი მეგობარი უცებ დებს საგანს ქალალდის ჩანთაში და ტოვებს ოთახს. გარკვეული ილად, ეს არის უმთავრესი სირთულე, რომელსაც მეცნიერები აწყდებიან. თუ ბუნებას ფრთხილად და სისტემატურად „დავითხავთ”, ბევრ რამეს შევიტყობთ მის შესახებ, მაგრამ ვერასდროს ვიქნებით აბსოლუტურად დარწმუნებული, არის თუ არა ჩვენი დასკვნები ჭეშმარიტი.

ამ გაურკვევლობის გამო, მეცნიერები ეყრდნობიან გამოკითხვის ალბათობის მოდელს, რომელიც განხორციელებულია **სტატისტიკაში**. ეს არის თვლადი მონაცემების შესწავლა და ანალიზი. სტატისტიკური მიდგომა გვაძლევს საშუალებას, გავიგოთ პროცესი რაღაც სპეციფიკური გაურკვევლობის დონის გათვალისწინებით. მაგალითად, არ იქნებოდით იმედგაცრუებული მეგობრის უცარი გასვლით ოთახიდან, თქვენ რომ ვთქვათ, 90%-ით დარწმუნებული ყოფილყვაით თქვენი მოსაზრების სისწორეში. სწორედ ამ სახის დაურწმუნებლობას — არა სრულყოფილს, მაგრამ არსებითს — ნარმოგვიდგენს ეკოლოგიური მონაცემების სტატისტიკური ანალიზი. ჩვენ სტატისტიკური ანალიზის გარკვეულ ასპექტებს ავხსნით ეკოლოგიური კვლევების განხილვისას მთლიანად წიგნში. ამ მომენტისთვის კი, მოდით ვახსენოთ რამდენიმე ძირითადი იდეა.


## ძირითადი სტატისტიკა

სტატისტიკაში სისტემის უცნობ, ნამდვილ მახასიათებელს, ისეთს, როგორიცაა ფუტკრების მიერ მონახულებული ყვავილების საშუალო რიცხვი ან თქვენი მეგობრის მიერ დამაღული საგნის ზუსტი ზომა და ფორმა, ენოდება **პარამეტრი**. ეკოლოგიური სისტემის პარამეტრები ამოუცნობია გარკვეული მიზეზების გამო. მაგალითად, როგორც ადრე ვახსენეთ, სანამ ტექნიკურად შესაძლებელი იქნება არეალში ყოველი ფუტკრის მიერ დღეს მონახულებული ყვავილთა რიცხვის დადგენა, ამგვარი ინფორმაციის მოპოვებისთვის საჭირო ენერგიის რაოდენობა წარ-

მოუდგენლად დიდია. ცხადია, ზოგი ეკოლოგიური სისტემა საკმარისად მცირეა ან საკმარისად იზოლირებულია იმისთვის, რომ მოცემული ცვლადის ყველა შესაძლო გაზომვა განხორციელებადი იყოს. მაგალითად, გადაშენების საფრთხის ნინაშე არსებული ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციები შეიძლება მოიცავდნენ უმცირეს ინდივიდებს. როცა პარამეტრის ოდენობა განისაზღვრება პირდაპირი დაკვირვებით ან გაზომვით, მაშინ სტატისტიკური ანალიზის გამოყენების საჭიროება აღარ არის.

სამეცნიერო კვლევის მიზანი — ინტერესის პარამეტრის გაზომვა ან პარამეტრის შესახებ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის ექსპერიმენტის საშუალებით გაზომვაა. პარამეტრის გაზომვა **სტატისტიკის** საშუალებითაა შესაძლებელი. ეს არის რიცხობრივი მნიშვნელობა ან ინდექსი, რომელიც გამოითვლება **ცვლადის** გაზომვათა ნიმუშის მიხედვით, რაც თავის მხრივ, მიიღება ცვლადის შესაძლო გაზომვების მთლიანი ჯგუფისგან. ცვლადის ყველა შესაძლო გაზომვის ჯგუფს **სტატისტიკური პოპულაცია** ეწოდება. სტატისტიკური პოპულაცია განსხვავდება ბიოლოგიური პოპულაციისგან: პირველი შედგება ცვლადის დაკვირვებათა მთლიანი წყებისგან, უკანასკნელი კი — ერთ არეალში ერთი სახეობისადმი მიუთვნებულ ინდივიდთა ჯგუფისგან. ყველა შესაძლო დაკვირვება ფუტკრების დღიური ვიზიტების რაოდენობისა ყვავილებთან ერთ განსაზღვრულ არეალში შეადგენს სტატისტიკურ პოპულაციას. ყვავილთან ვიზიტების ყოველდღიური რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი არის პარამეტრი. პარამეტრები სტატისტიკური პოპულაციების მახასიათებლებია. თუ ჩვენ შეგვიძლია, დავაკვირდეთ ორმოცდათი ფუტკრის ყოველდღიურ ვიზიტს ყვავილთან, ეს ორმოცდათი დაკვირვება იქნება სტატისტიკური პოპულაციის ნიმუში. საშუალო რიცხვი ყოველდღიური ვიზიტებისა ყვავილებთან ორმოცდათი ფუტკრისთვის არის სტატისტიკა, რომელიც განსაზღვრავს რეალურ პარამეტრულ საშუალო მაჩვენებელს. სტატისტიკა ნიმუშის მახასიათებელია.

როგორც განსაზღვრა, ისე ჰიპოთეტური ტესტირება ეყრდნობა ცვლადის ინტერესის სხვადასხვა მნიშვნელობათა ძირითადი შესაძლებლობების ცოდნას. ამოკრეფილ დაკვირვებათა და ნიმუშიდან გამოანგარიშებული სტატისტიკის შესაფასებლად, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ცვლადის ძირითადი შესაძლებლობების გავრცელება. ბუნებრივი სისტემის მრავალი ცვლადი თითქმის უტოლდება მას, რაც **ნორმალური გავრცელების** სახელითაა ცნობილი (ზარის ფორმის ცნობილი მრუდი: სურ. 2-3). ამგვარი გავრცელების საშუალო მაჩვენებელი არის საშუალო პარამეტრული, აღნიშნული ა-თი (პარამეტრების აღსანიშნად ბერძნული ასოები გამოიყენება იმ დროს, როცა სტატისტიკური მაჩვენებლებს რომაული ასოებით აღნიშნავენ). ნამდვილ, ნორმალურ გავრცელე-



**სურ. 2-3** ბევრ ბუნებრივ ცვლას გრაფიკულად ზარის ფორმის შესაძლებლობების გავრცელება აქვს, მას ნორმალური გავრცელება ეწოდება. ნორმალურ ცვლადს აქვს ნამდვილი საშუალო მნიშვნელობა  $\mu$  (საშუალო პარამეტრული). ცვლადის მნიშვნელობები სიმეტრიულად განლაგებიან  $\mu$ -ს გარშემო. ამ დროს ერთი ნახევარი საშუალო მაჩვენებლის დაბლაა, მეორე კი მაღლა. დონგ, რომლითაც მაჩვენებლები გაფარგულნი არიან  $\mu$ -ის გარშემო გამოითვლება პარამეტრით, სახელად დისპერსია,  $\sigma^2$ . დისპერსია გამოითვლება შემდეგნაირად  $\Sigma(x_i - \mu)^2/N$ . არის დაკვირვებათა მთლიანი რიცხვი სტატისტიკურ პოპულაციაში  $x_i$ , არიან ცვლადის ინდივიდუალური მნიშვნელობანი. ცვლადის კვადრატულ ფესვს გავრცელების სტანდარტული დევიაცია ეწოდება. დაკვირვებების დაახლოებით 68% სტანდარტული დევიაციის ფარგლებში მოხვდება.

ბაში ცვლად მნიშვნელობათა ერთი ნახევარი საშუალოს ქვევითაა განლაგებული, მეორე ნახევარი კი — ზევით. ძალიან მცირე მნიშვნელობა იქნება საშუალოზე მცირედით ნაკლები და საგრძნობლად დიდ მნიშვნელობათა უმეტესობა საშუალოსთან ახლოს იქნება, მხოლოდ მცირედი მეტ-ნაკლებობით განესხვავება მას. ნორმალური განაწილების ფორმას განსაზღვრავს ის, თუ როგორ არის გავრცელებული დაკვირვებები საშუალოს გარშემო, ამას დისპერსია ეწოდება და აღინიშნება  $s^2$ -ით. დისპერსია გამოითვლება შემდეგნაირად  $\Sigma(x_i - \mu)^2/N$ .  $N$  არის დაკვირვებათა მთლიანი რიცხვი სტატისტიკურ პოპულაციაში ( $i = \dots N$ ). ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ  $\mu$ -სა და  $s^2$ -ს პარამეტრები ცვლადის გაზომვათა ნიმუშის მოპოვებით და სტატისტიკური მაჩვენებლის გამოთვლით  $\bar{x}$ , ეს არის ამონარჩევით საშუალო მნიშვნელობა, რომელიც განსაზღვრავს  $\mu$ -ს. ხოლო სტატისტიკური მაჩვენებელი  $s^2$  განსაზღვრავს  $s^2$ -ს. ამონარჩევითი დისპერსია  $s^2$  გამოითვლება შემდეგნაირად:  $s^2 = \Sigma(x_i - \bar{x})^2/(n-1)$ .  $(n-1)$ -ზე გაყოფა, რასაც თავისუფლების ხარისხი ეწოდება, აუცილებელია იმისთვის, რომ  $s^2$   $s^2$ -ის მიუკერძოებელი განმსაზღვრელი იყოს. თუ ეკოლოგს გონივრულად შეუძლია დაუშვას, რომ ცვლადს ნორმალური განაწილება აქვს და რომ არჩეულთა მოცულობა  $n$ , საკმარისად დიდია, არჩევითი სტატისტიკური მაჩვენებელი  $\bar{x}$  და  $s^2$  ცვლადის დისპერსიისა და საშუალო მნიშვნელობის კარგი განმსაზღვრელები არიან.

თქვენ შეამჩნევდით, რომ სანამ საშუალო მაჩვენებელი მოცემულია იმავე ერთეულში, რომელშიც ცვლადია, დისპერსია ყოველთვის მოცემულია ერთეულის კვადრატში. ანუ, თუ ცვლადი იზომება მეტრობით, მაშინ საშუალო მაჩვენებელიც მეტრობით ( $m^2$ ) გაიზომება. კიდევ ერთი საზომი საშუალო მაჩვენებლის გარშემო გაბნეულობისა ნორმალურ განაწილებაში არის დისპერსიის კვადრატული ფესვი, —  $\sqrt{s^2}$ , სახელწოდებით **სტანდარტული დევიაცია**. სტანდარტული დევიაცია  $m$  მოცემულია იმავე ერთეულებში, რაშიც ცვლადი. ნორმალურ გავრცელებაში დაკვირვებათა დაახლოებით 68% ხვდება სტანდარტული დევიაციის ფარგლებში, დაახლოებით 95% ხვდება ორი სტანდარტული დევიაციის ფარგლებში, ხოლო 99% — სამი სტანდარტული დევიაციის ფარგლებში (იხ. სურ. 2-3). სტატისტიკის სიზუსტის საზომის ეწოდება **სტანდარტული ცდომილება**, აღინიშნება ამგვარად — SE. იგი გამოითვლება შემდეგნაირად:

$$SE = s/\sqrt{n}.$$


**სიზუსტე** აღნიშნავს, თუ რამდენად ახლოს არიან ერთმანეთთან ერთი და იმავე სიდიდის განმეორებული გაზომვები. მცირე სტანდარტული ცდომილება მიგვანიშნებს იმას, რომ სტატისტიკის განმეორებადი გამოვლები ერთმანეთთან ახლოს არის. სტანდარტული ცდომილების ზომა დამოკიდებულია ამონარჩევის მოცულობაზე პ. უფრო მსხვილ ამონარჩევებს უფრო ნაკლები სტანდარტული ცდომილება ექნებათ ცვლადში მოცემული დისპერსიისთვის. იქნება თუ არა არჩევითი საშუალო მაჩვენებელი რეალურ საშუალო მაჩვენებელთან ახლოს, აკურატულობის საკითხია. გაზომვის აკურატულობა ნიშნავს, თუ რამდენად ახლოსაა ეს გაზომვა იმ ცვლადის რეალურ მნიშვნელობასთან, რომელსაც ვზომავთ.

## 2.3 ეკოლოგიური იყენებები არჩევით

### კვლევების ეკოლოგიური

### პარამეტრების განსაზღვრება

ბუნებრივ სამყაროს აქვს რაოდენობრივი თვისებები, მაგალითად, როგორიცაა მოცემულ არეალში მყოფი სახეობის ინდივიდთა რაოდენობა, მათი ასაკი, ეკოლოგიური მოვლენების განხორციელების დრო, ყვავილობა, საარმიყო ქცევის დაწყება და ა.შ. ბუნებრივი სამყაროს ამ თვისებათა შესახებ მეტი ინფორმაციის მოპოვებისთვის ეკოლოგები არჩევით კვლევებს იყენებენ. არჩევითი კვლევები მოცავენ ბუნების მთელ რიგ დაპროგრამებულ დაკვირვებებს. მაგალითად, ეკოლოგს შეიძლება აინტერესებდეს წლის რა დროს ქვირითობს ტბის მტკნარ წყალში მოსახლე თევზის გარკვეული სახეობა. წყალში დიდი რაოდენობით თევზის ლიფსიტის (მოუმნიფებელი



**სურ. 2-4.** ლიფსიტების სიჭრებების გარეკვეულ დროში (ლოგ. მასშტაბი). ეს ინფორმაცია მოპოვებულია შერჩევითი კვლევის საფუძველზე ტალაპათჩის მდინარეში, მისისიპის შტატი. პიკი ნარმოადგენს ქვირითობის მოვლენას, რომელიც განხორციელდა გვანს აპრილში, როდესაც წყლის ტემპერატურა საკმარისად თბილი გახდა იმისთვის, რომ გამოჩეკილიყვნენ ლიფსიტები. (რომ თურნერ ეტ ალ. 1994.)

ფორმები) არსებობა მეტყველებს ახლანდელ ქვირითობაზე (სურ. 2-4). ამრიგად, თუ ეკოლოგი ტბაში ლიფსიტების კვლევას პერიოდულად ამოირჩევდა, ვთქვათ, ყოველ კვირას ერთი ნლის განმავლობაში, ის დაადგენდა ქვირითობის დროს ამორჩეულ ნიმუშებში ლიფსიტებზე დაკვირვების საშუალებით.

არჩევითი კვლევები ხშირად მოიცავენ სხვადასხვა ცვლადების დიდ რაოდენობას, რაც შემდგომ ექვემდებარება კორელაციურ ანალიზს. კორელაცია ცვლადებს შორის აღნიშნავს მათ ურთიერთდამოკიდებულებას. თუ ორი ცვლადი დადებით კორელაციაშია ერთმანეთთან, ერთის მაღალი მაჩვენებელი ასოცირდება მეორის მაღალ მაჩვენებელთან. მაგალითად, ნაყოფიერი თევზების ქვირითობის დრო ხშირად დადებით კორელაციაშია წყლის ტემპერატურასთან. ზემოხსენებულ არჩევით კვლევაში მეტ ლიფსიტებზე იქნება შესაძლებელი დაკვირვება გაზაფხულზე ტემპერატურის მომატებისას. კორელაცია ორ ცვლადს შორის არ გულისხმობს, რომ მათ ერთმანეთზე პირდაპირი გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ქვირითობის მიზეზი, შესაძლოა, არანაირ კავშირში არ იყოს ტემპერატურის ზრდასთან. კორელაცია ქვირითობასა და ტემპერატურას შორის შეიძლება შემთხვევითი იყოს ან ისინი ერთმანეთთან კომპლექსურად იყვნენ დაკავშირებულნი მესამე ცვლადის საშუალებით, რომელიც არ იქნა გაზომილი.

ხანდახან დიდი რაოდენობით ცვლადები იზომება და ყველა სახის თანაკორელაციები მათ შორის ექვემდებარება ერთდროულ ანალიზს მრავალმხრივი ანალიზის გამოყენებით. ამგვარი პროცედურები აანალიზებინ ერთდროულად ცვლადთა ჯგუფებს. როგორც წესი, ეს ხორციელდება ჯგუფებში სტრუქტურის დაჭრის მიზნით, რაც გამოისახება წრფივი კომბინაციით ან ცვლადთა რომელიმე სხვა ინდექსით. ეს პროცედურები მნიშვნელოვანია ეკოლო-

გის თანასაზოგადოებაში, სადაც მრავალფეროვანი სახეობები ურთიერთქმედებენ.

### გრძელვადიანი ეკოლოგიური მონიტორინგი

ეკოლოგიური პროცესები ხშირად ძალიან ნელა მიმდინარეობს და მათი გაგება შეიძლება მხოლოდ წლების ან ათწლეულების დაკვირვების შემდეგ. ამის გამო, ეკოლოგები იყენებენ ინდივიდუალური სახეობებისა და მთლიანი ეკოლოგიური სისტემების გრძელვადიან ეკოლოგიურ მონიტორინგს. ეს გრძელვადიანი კვლევები მოიცავენ ნიმუშთა დაგროვებას წლიდან წლამდე, ათწლეულების განმავლობაში. ვიქტორიას ტბაში თევზთა დინამიკის ჩვენეული აღქმის დიდი ნაწილი ტბის თევზების გრძელვადიანი შერჩევის შედეგია. უზარმაზარი ფასისა და შრომითი მოთხოვნების გამო, ისინი, როგორც წესი, ინდივიდთა, საგანმანათლებლო და სამთავრობო ინსტიტუტების კონსორციუმის მიერ ხორციელდება. ბევრ შემთხვევაში მონიტორინგული კვლევები ხორციელდება კვლევით ცენტრებში (ნახ, 2-5), რომლებიც განლაგებული არიან დედამიწის ძალიან მოწყვლად ნაწილებში, ან ადგილებში, სადაც ადამიანის ინტერვენციას ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი მასშტაბებისთვის არ მიუღწევია და სადაც შესაძლებელია წმინდა ბუნებრივი მოვლენების დაკვირვება. ამგვარი კვლევები უაღრესად მნიშვნელოვანია გლობალური კლიმატური ცვლილების არსისა და დონის განსაზღვრისათვის.

გრძელვადიანი მონიტორინგული კველევების ჩატარების საჭიროება ცხადადა ნაჩვენები მსოფლიოში ამფიბიათა პოპულაციებში (ბაყაყები, გომბეშოები და სალამანდრები) არსებული დღევანდელი კრიზისის საშუალებით. 1980-იანი წლებიდან მეცნიერებმა შენიშვნეს მკვეთრი ვარდნა ამფიბიათა პოპულაციების მოცულობაში. ბევრ ადგილას პოპულაციებში ბაყაყების რაოდენობა ათეული ათასიდან რამდენიმე ასეულამდე შემცირდა, ხოლო მთელ რიგ ადგილებში პოპულაციები



**სურ. 2-5** არქტიკული ტუნდრის გრძელვადიანი ეკოლოგიური კვლევის ადგილდებარეობა ალიასახში, ტულიკის ტბასთან. ეს კვლევითი ცენტრი განლაგებულია ჩრდილოეთ ალიასკის ძალიან შორეულ ადგილას, ბრუჯსის ქედთან (რ.ლ. პოლემერტონმა მოგვანოდა სურათი).



**სურ. 2-6** ოქროსფერი გომბეშო (უფო პერიგლენეს) კოსტა-რიკი მონტევერდეს მთიანი ტყის ნაკრძალიდან. გომბეშოთა პოპულაციებმა დრამატული და აუხსნელი ვარდნა განიცადეს 1987-1989 წ.წ. პერიოდში (ზღ. კრამპმა მოგვაწოდა სურათი).

მთლიანად განადგურდა. კოსტა-რიკის ოქროსფერი გომბეშო (*Bufo periglenes*) (სურ. 2-6) ნარმოადენს ამგვარი დაცემის დრამატულ მაგალითს. გომბეშო ბინადრობს კოსტა-რიკის ნესტიანი მთიანი ტყის მონტევერდეს ნაკრძალში, დაცულ არეალში, რომელიც დაცული ჩანს ადამიანის პირდაპირი ინტერვენციისგან. ბევრი სხვა ბაყაყისა და გომბეშოს მსგავსად, ზრდასრული ოქროსფერი გომბეშობი დიდი რაოდენობით გროვდებიან დროებით გუბერბში გაზაფხულზე, სადაც ისინი წყვილდებიან და დებენ კვერცხებს. ამგვარი გამრავლების ეპიზოდი უმთავრეს გასამრავლებელ ადგილას ბრილანტეში 1987 წელს მოიცავდა 1 500-ზე მეტ გომბეშოს (Crump et al. 1992). მაგრამ 1988-89 წლებში, მხოლოდ ერთი გომბეშო აღმოჩნდა ამ ადგილას და საერთოდ ვერც ერთი გომბეშო ვერ იქნა შემჩნეული 1990-92 წლების გამრავლების პერიოდში. ამ დროის განმავლობაში, ინტენსიური ძებნის დროს აღმოაჩინეს მხოლოდ რამდენიმე ინდივიდი გამრავლების სხვა ადგილებში. მსგავსი მკვეთრი ვარდნა შეინიშნებოდა სხვა სახეობების მიმართაც მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში. ლეოპარდისებრი ბაყაყების (*Rana pipiens*) ექვსი პოპულაციის კვლევამ კოლორადოში 1973-82 წლების განმავლობაში გამოაშუავნა, რომ 1981 წლისთვის რეპროდუქტიულ ნარუმატებლობას და გადაშენებას ჰქონდა ადგილი ექვსივე პოპულაციაში (Corn and Foltman, 1984).

ის გრძელვადიანი კვლევები არ არის ხშირი და ამიტომ ხანდახან ძნელი დასადგენია პოპულაციების კლება სახეობათა კატასტროფული გადაშენება, თუ უბრალოდ პოპულაციის ბრუნვის ბუნებრივი დაბალი დონე (იხ. თავი 18). ამ მიზნით, 1991 წელს მსოფლიოს მეცნიერთა და სხვა ამ თემით დაინტერესებულთა ჯგუფმა დაიწყო ამფიბიათა პოპულაციის მონიტორინგი. ამ ორგანიზაციას, რომელსაც აფინანსებს გაერთიანებული სამეცნოს ღია უნივერსიტეტი (Open University of United Kingdom), ენდება ამფიბიათა პოპულაციების კლების შემსწავლელი კომისია (Declining Amphibian Populations Task Force, DAPTF). მისი

## ცხრილი 2-1 LTER ადგილების სია, რომელსაც ახლა ეროვნული სამეცნიერო ცოდნი აუცილებელია:

ჰ.ჯ. ენდრუსის ექსპერიმენტული ტყე, ლურჯი მდინარე, ორეგონის შტატი;

არქტიკული ტუნდრა, ტულიკის ტბა, ბრუკის ქედი, ალიასკას შტატი;

ბალტიმორის ურბანული LTER, ბალტიმორი, მერილენდის შტატი;

ბონანზას ყურის ექსპერიმენტული ტყე, ფაირბერჯ-სი, ალიასკას შტატი;

ცენტრალური არიზონა-ფენიქსის ურბანული LTER, ფენიქსი, არიზონის შტატი;

Cedar Creek-ის ეროვნული ისტორიული არე, მინეაპოლისი, მინესოტის შტატი;

კოვეტტას ჰიდროლოგიური ლაბორატორია, ოტო, ჩრდილოეთ კაროლინა;

ჰარვარდის ტყე, პეტერშამი, მასაჩუსეტის შტატი;

ჰაბარდ ბრუკის ექსპერიმენტული ტყე, დასავლეთ თორონტონი, ნიუ-ჰემფშირის შტატი;

ჯორნადის ბასეინი, ლას კრუსესი, ნიუ-მექენიკოს შტატი;

ვ.კ. კელოგის ბიოლოგიური სადგური, ჰიკორი კორნერსი, მიჩიგანის შტატი;

კონზა პაირიეს კვლევის ბუნებრივი არეალი, მანჰეტენი, კანზასის შტატი;

ლუკილოს ექსპერიმენტული ტყე, სან-ხუანის მახლობლად, ბუერტო რიკო;

მაკუდროს მშრალი ველები, მაკუდროს სადგური, ანტარქტიკა;

გრინ ლაკეს ველი (მნვანე ტბების ველი), ბოულ-დერის მახლობლად, კოლორადოს შტატი;

ჩრდილო ზომიერი ტბები, ვისკონსინი;

პალმერის სადგური, ანტარქტიკა;

სევილეტას ეროვნული ნაკრძალი, ალბუკერკის მახლობლად, ნიუ-მექენიკოს შტატი;

შორტგრის სტეპი, ნუნი, კოლორადოს შტატი;

ვირჯინიის სანაპიროს მონაკვეთი, ოსტერის მახლობლად, ვირჯინიის შტატი;

LTER ჯგუფის ოფისი, ალბუკერკი, ნიუ-მექენიკო.

მიზანია ამფიბიათა პოპულაციების კლების დონის განსაზღვრა და თანამშრომლობა ამ კლების მიზეზების გამოსაკვლევად. DAPTF-ის მონიტორინგულმა ძალისხმევამ, ქვემოთ აღნერილ ფრთხილ ექსპერიმენტულ კვლევებთან ერთად, მისცეს ეკოლოგებს საბაზი, ერთმუნათ, რომ ამფიბიათა პოპულაციების კლება ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული კლიმატური ცვლილების შედეგია.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გრძელვადიანი მონიტორინგი არის აშშ-ის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის მიერ 1980 წელს დაწყებული გრძელვადიანი ეკოლოგიური კვლევის პროგრამა. ამ პროგრამის მიზანი იყო გრძელვადიანი კველევითი

ადგილების (მას ასევე LTER ადგილებსაც უწოდებენ) დაფუძნება აშშ-ის ყველაზე მგრძნობიარე და მნიშვნელოვან ეკოსისტემების. ეს ადგილები ერთგვარი ფოკალური წერტილების როლს ასრულებდნენ ეკოლოგიური და კლიმატოლოგიური ინფორმაციის მონიტორინგისა და ერთობლივი კვლევის საქმეში. დღეისთვის პროგრამა მოიცავს 12 LTER ადგილს (ცხრილი 2-1), აქ დასაქმებულია 900-ზე მეტი ეკოლოგი სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ სამთავრობო ინსტიტუტიდან. პროგრამა გაფართოვდა და მოიცავა ანტარქტიკული კვლევის ორი ასეთი ადგილი. ურბანული გარემოს ეკოლოგიის მნიშვნელობის ხაზგასასმელად, ორი ურბანული LTER ადგილი (ფენიქსი და ბალტიმორი) დაფუძნდა 1997 წელს. 1993 წელს გამოქვეყნდა საერთაშორისო TER ჯგუფი მსოფლიოს ეკოლოგიების საქმიანობის კოორდინირების მიზნით, საქმიანობისა, რომელსაც დიდი დრო და სივრცითი მასშტაბები სჭირდება. LTER პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისებათაგანი არის მონაცემთა ბაზის განვითარება, სადაც შესულია ინფორმაცია LTER ადგილების ეკოლოგიური ფაქტორებისა და კლიმატური პირობების შესახებ. ეს მონაცემები, რომლებიც ყველა მეცნიერისთვისაა ხელმისაწვდომი, წარმოადგენს ეკოლოგიური ცვლილების ისტორიას, რაც დაეხმარება ეკოლოგიებს, გაიგონ როგორ მოქმედებს ბუნებრივი სამყარო.

## **2.4 ეკოლოგიური გუნდები მიზანობრივი კავშირის შესასვალად იყენებანი ექსპარიმენტებს**

ყურადღებით დაკვირვებას და სისტემატურ გრძელვადიან ამორჩევას, შეუძლია, აღჭურვოს მეცნიერები ბუნების მოქმედების შესახებ არსებითი ინფორმაციით. მაგალითად, ტროპიკულ რეგიონები შევარდნებზე ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ, რომლებიც ბეჭედდადებული იყვნენ პენსილვანიის მთებში, ეკოლოგები უკვე მეტი დარწმუნებით საუბრობენ შევარდნების მიგრაციის შესახებ. ტბის თევზების ქვირითობით დანტერესებული ეკოლოგი დაასკვნის, რომ ქვირითობას ადგილი აქვს გვიან მარტში, თუ მისი ამორჩევითი კვლევა აჩვენებს, რომ წლიდან წლამდე ამ თევზების ლიფსიტების რიცხვი მკვეთრად იზრდება წლის ამ დროს. მაგრამ ამორჩევითი კვლევა არ გვაწვდის ინფორმაციას შევარდნების მიგრაციის და თევზების ქვირითობის ციკლების მიზეზების შესახებ. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ბუნებრივი სისტემის ერთი კომპონენტი მეორეზე, არის ყველაზე რელევანტური ბუნებრივი სამყაროს გაგებისთვის. მიზეზთა შესახებ ინფორმაციის მისაღებად საჭიროა ექსპერიმენტების ჩატარება.

ექსპერიმენტი არის ქმედება, რითაც ბუნებრივი პროცესები მიმდინარეობს ექსპერიმენტატორის

მიერ კონტროლირებად პირობებში. ზოგ შემთხვევაში ექსპერიმენტატორი ახორციელებს საკმაოდ დიდ კონტროლს ბუნების ნაწილის ხელახლა შექმნით ან ლაბორატორიაში ან გარეთ პატარა კონტეინერებში (სურ. 2-7), სადაც ყველა, ან უმრავლესობა მნიშვნელოვანი ცვლადებისა, მის კონტროლქვეშ არიან. სხვა შემთხვევებში, მას შეუძლია, გააკონტროლოს, სისტემის არჩეული ნაწილები და ამით საშუალება მისცეს მის დანარჩენ ნაწილებს, ადგილობრივ პირობებში მიმდინარეობდნენ. ექსპერიმენტის მიზანია, ნულოვანი ჰიპოთეზის შესახებ დასკვნების გაკეთება. ანუ იმის განსაზღვრა, ნულოვანი ჰიპოთეზა სწორია თუ მცდარი. თუ დასკვნის მიხედვით ნულოვანი ჰიპოთეზა მცდარია, მაშინ სხვა რომელიმე ალტერნატივულ ჰიპოთეზა იქნება მართალი. თუმცა ექსპერიმენტთა უმრავლესობა ვერ ასხვავებს ალტერნატივულ ჰიპოთეზებს და ამრიგად, ასეთ შემთხვევებში, საჭირო ხდება მეტი ექსპერიმენტი.

ჩვენ შეგვიძლია, საბოლოოდ განვსაზღვროთ, არის თუ არა ნულოვანი ჰიპოთეზა მართებული. ამრიგად, ნებისმიერ ექსპერიმენტულ პროცედურას თანდაყოლილი აქვს მცირე ცდომილება. ნულოვანი ჰიპოთეზის შეფასებისას, შესაძლებელია გარკვეული სახის შეცდომების დაშვება. ამის ნათელსაყოფად, მოვიშველით ამერიკული იურისპრუდენცია, სადაც ეჭვმიტანილ უდანაშაულოდ ცნეს. ნულოვანი ჰიპოთეზის მიხედვით, „ადამიანს დანაშაული არ ჩაუდენია“. სასამართლო პროცესი ექსპერიმენტად წარმოვიდგინოთ, რომელიც ნულოვანი ჰიპოთეზის მართებულობის განსასაზღვრად იმართება. სამხილების განხილვის შემდეგ, მსაჯულებს გამოაქვთ განაჩენი, რომელიც ადამიანს სცნობს ან „დამნა-



**სურ. 2-7** ექსპერიმენტული დანტერესებულება ფიელდ სტეიტონის მისიანის უნივერსიტეტში. ექსპერიმენტები ხორციელდება ცალკეულ რეზერვაციებში. რადგანაც თითოეული რეზერვუარი ერთი და იგივე ნყორს იყენებს და ერთსა და იმავე გარემო პირობებშია მოთავსებული, ისინი განსხვადებიან მხოლოდ ექსპერიმენტატორის მიერ განხორციელებული მოპყრობით. (ს.ტ. ორეკლედმა მოგვანდა)

ნულოვანი ჰიპოთეზა	
სწორი	შეცდომა
I ტიპის შეცდომა	სწორი გადაწყვეტილება
სწორი გადაწყვეტილება	II ტიპის შეცდომა

**სურ. 2-8** II ტიპის შეცდომა. II სახის ექსპერიმენტული შეცდომა. როცა ნულოვანი ჰიპოთეზა სწორია (ფაქტი, რომელიც უცნობია მკვლევარისათვის), I ტიპის შეცდომას უშვებენ, როცა ჰიპოთეზას უარყოფენ. როცა ნულოვანი ჰიპოთეზას მცდარია, II ტიპის შეცდომას აქვს ადგილი, თუ ჰიპოთეზას თანხმდებაან. I და II ტიპის შეცდომებს ალბათობა კონტროლდება ექსპერიმენტული დიზაინით.

შავედ“ ან „უდანაშაულოდ“. მაგრამ განსაზღვრავს კი რეალურად მსაჯულთა ვერდიქტი ეჭვმიტანილის ბრალეულობას ან უდანაშაულობას? ვერ განსაზღვრავს, რადგან მხოლოდ ეჭვმიტანილმა იცის, თუ ნარმოვიდენთ, რომ მონაბეჭი არ არსებობენ, არის თუ არა ის დამნაშავე. ვთქვათ, ეჭვმიტანილს დანაშაული არ ჩაუდენია — სხვა სიტყვებით, ნულოვანი ჰიპოთეზა: „ეჭვმიტანილს დანაშაული არ ჩაუდენია“ მართალია. თუ მსაჯულები გამოიტანენ ვერდიქტს: „დამნაშავე“, — მათ გაასამართლეს უდანაშაულო ადამიანი და დაუშვეს აშკარა შეცდომა. მათ უარყვეს ნამდვილი ნულოვანი ჰიპოთეზა, რაც სტატისტიკის ტერმინოლოგით არის I ტიპის შეცდომა (სურ. 2-8). თუ მსაჯულები მიიჩნევენ, რომ ეჭვმიტანილი უდანაშაულოა, მათ სწორი გადაწყვეტილება მიუღიათ. ახლა ნარმოვიდგინოთ ნულოვანი ჰიპოთეზა: „ეჭვმიტანილს დანაშაული არ ჩაუდენია“, არის მცდარი — ადამიანმა მართლაც ჩაიდინა დანაშაული. თუ მსაჯულები გამოიტანენ განაჩენს, რომ ის უდანაშაულოა, მათ დაუშვეს II ტიპის შეცდომა. ეს ნიშნავს მცდარი ნულოვანი ჰიპოთეზის მიღებას. სწორად შედგენილი ექსპერიმენტები აკონტროლებენ I და II ტიპის შეცდომებს. ამრიგად, ექსპერიმენტატორმა შეიძლება ზუსტად არ იცოდეს, უარყო თუ არა ნამდვილი ნულოვანი ჰიპოთეზა, მაგრამ მას ეცოდინება, რა ალბათობა არსებობს ამგვარი შეცდომის დაშვებისა.

მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ დაურნენტებლობის არსებობა და შეცდომის დაშვების შესაძლებლობა არ აუფასურებს სამეცნიერო ინფორმაციას, არც ბუნების წესრიგისკენ მიმართულ პროგრესს უშლის ხელს. დაურნენტებლობა ყველა სამეცნიერო კვლევის სფეროს ნაწილია. პოლიტიკური მეცნიერი ვერასდროს იქნება აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ მან იცის მოსახლეობის აზრი

გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით. ხელოვნების ისტორიის ვერასდროს იქნება აბსოლუტურად დარწმუნებული თავის დასკვნაში, რომ ახლახან აღმოჩენილი ხელმოუნერელი ნახატი ნამდვილად ადრეული მეოცე საუკუნის ფრანგი მხატვრის, ჰენრი რუსის დახატულია. ორივე მოქმედებს მოპოვებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული თავდაჯერებით და იმის სრული გაცნობიერებით, რომ მათი დასკვნა შეიძლება მცდარი იყოს. მეცნიერების ექსპერიმენტული მიდგომა ზომავს და ამცირებს თანდაყოლილ უზუსტობას კვლევაში. ექსპერიმენტები მიმდინარეობს I ან II ტიპის შეცდომის დაშვების შესაძლებლობის წინასწარგანსაზღვრულ დონეზე.

ექსპერიმენტის ჩატარების სახე დამოკიდებულია როგორც გარკვეული ინტერესის ნულოვან ჰიპოთეზაზე, ისე სხვა ფაქტორებზეც. ინტერესის ფენომენის ზომა და ფიზიკური მახასიათებლები გავლენას მოახდენენ ექსპერიმენტის ტიპზე. ეკოლოგს, რომელსაც აინტერესებს ადამიანის მიერ შექმნილი ქიმიური ნივთიერებები, ვთქვათ, ქლორფტორნახშირბადი (ClFC<sub>2</sub>), რომელიც გამოიყენება აეროზოლის პროდუქტებში და გავლენას ახდენს დედამიწის დამცავ ოზონის ზონაზე (O<sub>3</sub>), ძალიან გაუჭირდება ექსპერიმენტის ატმოსფეროს მაღალ ფენაში ჩატარება (თუმცა, ზოგი ექსპერიმენტი ჩატარებულა კიდეც). ამის მიუხედავად, ეკოლოგს შეუძლია საკმაოდ ბევრი ისწავლის ClFC-ისა და ოზონის ინტერაქციათა შესახებ ლაბორატორიული ექსპერიმენტების ჩატარებით, რომლის დროსაც შესაძლებელია ქიმიური რეაქციების კონტროლი და უფრო იოლია დაკვირვება. ექსპერიმენტებმა ასევე უნდა უზრუნველყოს მონაწილე ორგანიზმების სპეციფიკურობა და უნიკალური თვისებები. ეს მოითხოვს, რომ ექსპერიმენტატორს საფუძვლიანად ესმოდეს ინტერესის ობიექტების ბუნებრივი ისტორია. გაგება კი მოდის ბუნების ყურადღებიანი დაკვირვებითა და კითხვების დასმით (როგორც პირველ თავში ვნახეთ). ამრიგად, ექსპერიმენტატორმა, რომელსაც სურს, გაარკვიოს, როგორ ირჩევს გამრავლების დამდევრი იბობა თავის პარტნიორს, საექსპერიმენტო პირობებში უნდა მოიცვას სინათლის დაბალი დონე. ექსპერიმენტი, რომლის მიზანია, გაარკვიოს ურთიერთობა ნიადაგის pH-სა და მცენარეთა ზრდას შორის, უნდა ჩატარდეს ისეთ ნიადაგში, სადაც იზრდება ინტერესის ობიექტი — მცენარე.

## 2.5 ექსპერიმენტული კვლევები მოიცავენ დაუზუავების გამოყენებას და რეაქციის დაკითლვას

მთელი რიგი მიზეზების გამო, ბაყაყთა მრავალი პოპულაციის სწრაფი და შემასჭოოთებელი კლების გასაგებად განხორციელებული ახლანდელი ექსპერიმენტული მიდგომები ძალიან კარგი ინსტრუქციუ-

ლი საშუალებაა ეკოლოგიაში ექსპერიმენტის როლისა და ტექნიკის აღმოსაჩენად. ისევე, როგორც ბევრ სხვა ეკოლოგიურ პროცესზე, ამფიბიათა პოპულაციებზეც სხვადასხვა ურთიერთმოქმედი ფაქტორი ახდენს გავლენას. სხვადასხვა ფაქტორის მნიშვნელობა და მათი ურთიერთქმედება შეიძლება განსხვავდებოდეს გეოგრაფიულ ადგილმდებარეობათა მიხედვით. ამ პრობლემის გადასაჭრელად გამოყენებულმა ექსპერიმენტულმა ოქმებმა ამგვარი კომპლექსურობა უნდა გაითვალისწინონ.

მეორე, ამფიბიათა პოპულაციების კლების შესახებ წარმოქმნილ მრავალ ნულოვან ჰიპოთეზათაგან ყურადღებას ამახვილებენ ადამიანთა ინტერაქციებზე გარემოსთან, რაც გლობალური გარემოსთვის მავნებლად არის მიჩნეული. ამფიბიათა სასიცოცხლო ციკლი ძალიან მჭიდროდ აკავშირებს მათ წყლიან და ხმელეთის საბინადრო ადგილებთან. ისინი კვერცხებს წყალში დებენ და სახეობათა უმრავლესობა თავის სიცოცხლეს ჭაობის მახლობელ ტერიტორიაზე ატარებს. თავკომბალები და მოზრდილები მთლიანად წყალში ბინადრობენ და ლაყუჩებით სუნთქავენ. ზრდასრულები უფრო ხშირად ხმელეთის სველ არეალებში ბინადრობენ, სადაც ისინი უანგბადის უმეტეს ნაწილს კანის საშუალებით ღებულობენ, რომელიც სწორედ ამ მიზნით უნდა იყოს სველი. ზოგმა ეკოლოგმა ივარაუდა, რომ ამ მიზეზების გამო ამფიბიები განსაკუთრებულად მგრძნობიარენი არიან ადამიანის საქმიანობით გამოწვეული გარემოს ცვლილებებისადმი და ამფიბიათა პოპულაციების კლება წინასწარმეტყველებს დედამინაზე სიცოცხლის დრამატულ ცვლილებას ადამიანის მიერ გამოწვეული კლიმატური ცვლილების გამო.

დაბოლოს, რადგანაც ამფიბიათა კლების შესახებ ჩატარებული ექსპერიმენტული სამუშაო შედარებით ახალია, პრობლემის მასშტაბის ახლანდელი გაცნობიერების გამო, კონკურენტი ნულოვანი ჰიპოთეზები ჯერ კიდევ დადგენის სტადიაშია. მეცნიერებიც გაცხოველებულ დებატებში არიან ჩაბმული სხვადასხვა ფაქტორთა გამო.

ამფიბიათა პოპულაციაში თვალსაჩინო კლების მიზეზები ჯერ უცნობია, მაგრამ ეს შემდეგი ფაქტორებიდან ერთ-ერთის ან მათი კომბინაციის შედეგია: (1) ადამიანის მიერ წარმოებული პესტიციდებისა და ჰერბიციდების ტრქსიკური ნარჩენების არსებობა, (2) ბიოლოგიური სისტემისთვის ძალზე საზიანო ტიპის ულტრაიისფერი გამოსხივების რაოდენობის ზრდა, (3) ადამიანის მიერ მინის გამოყენება, რის გამოც განადგურდა ამფიბიათა არსებობისთვის საჭირო ბევრი ჭაობი, (4) სოკოებისა და პარაზიტების აქტივობა, რომელმაც შეიძლება ჩვეულზე მაღალ პოპულაციის დონეს მიაღწია (Blaustein and Wake 1990, Carey 1993, Blaustein et al. 1994, 1995, Licht and Grant, 1997). მოდით, ჩავუდრმავდეთ ერთ-ერთ ამ ფაქტორთაგანს — ულტრაიისფერ გამოსხივებას.

დედამიწის ატმოსფეროზე მოხვედრილი მზის გამოსხივება შედგება სხვადასხვა სიგრძის ტალღების სინათლის სპექტრისგან, რომლებსაც ენერგიის სხვადასხვა დონე აქვთ. სინათლის ეს ტალღები 400-700 ნანომეტრამდე (ნმ; მეტრის ერთ მეტრილიარდედი, ან 109) ხილულია ადამიანის თვალისთვის (ხილული სპექტრი). ხილული სინათლე გადის დედამიწის ატმოსფეროში, სადაც მას შთანთქავს დედამიწის ზედაპირი, მცენარეულობა და წყალი. ულტრაიისფერ გამოსხივებას, რომლის ტალღის სიგრძები ხილულ სპექტრზე მოკლეა, დიდი ენერგია აქვს. ულტრაიისფერი გამოსხივება შეიძლება დაიყოს სამ ფორმად სინათლის ტალღათა სიგრძის მიხედვით: ულტრაიისფერი ა (UV-A), რომლის ტალღის სიგრძეა 320-400ნმ, UV-B ტალღის სიგრძით 280-320ნმ-მდე, UV-C, რომელსაც ხანდხან შორ-UV-საც ეძახიან, მსი ტალღის სიგრძე 280ნმ-ზე ნაცლებია. ულტრაიისფერი გამოსხივების ამ ფორმებიდან UV-C ყველაზე საზიანო ბიოლოგიური სისტემისთვის. თუმცა ამ ფორმის უდიდეს ნაწილს შთანთქავს ატმოსფერული აირები და ის ვერ აღნევს დედამიწის ზედაპირამდე. UV-B-ც ასევე მავნებელია ცოცხალი ორგანიზმებისთვის, მისი მოქმედება ყველაზე მარტივად ნაჩვენებია ნამზეურით, რომელსაც ის იწვევს. UV-B-სადმი ზედმეტი მიუიცხება ასევე დაკავშირებულია კიბოსთან და იმუნური სისტემის დაკვეთებასთან (Black and Chan 1977, Jagger 1985). UV-B მოქმედებს დნმ-ის მოლეკულის სტრუქტურის დაშლით. დნმ-ის ამგვარი დაზიანება შეიძლება გამოსწორებულ იქნას სხვადასხვა გზით, უჯრედული მექანიზმის სამუალებით, რომელიც მოიცავს ფერმენტულ ფოტოლიაზას და ყველაზე მეტად UV-A გამოსხივებისადმი მიუიცხების გზით. UV-A-ს, როგორც ჩანს, ბიოლოგიურ სისტემაზე მცირე საზიანო ეფექტი აქვს.

სტრატოსფერო (დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენა 10-50 კილომეტრის სიმაღლეზე დედამიწის ზედაპირიდან) შეიცავს ბუნებრივ ფილტრს UV-B გამოსხივებისთვის ოზონის შრის სახით ( $O_3$ ). ოზონი იქნება, როდესაც ულტრაიისფერი გამოსხივება იწვევს ჟანგბადის ( $O_2$ ) მოლეკულათა შლას ზედა ატმოსფეროში, აჩენს რა მაღალ რეაქტიულ ინდივიდუალურ ჟანგბადის ატმებს ( $O_2 \rightarrow O + O$ ). ამ  $O$  ატომთავან ზოგიერთი კვლავ ერთიანდება  $O_2$ -ის მისალებად, სხვები უერთდებიან  $O_2$ -ს, რათა შეადგინონ ოზონი ( $O + O_2 \rightarrow O_3$ ). ამ რეაქციის ეფექტი არის დედამიწის ატმოსფეროს ზედა შრეზე დაცემილი ულტრაიისფერი გამოსხივების დიდი ნაწილის შეწოვა.

ადრეული 1970-იანი წლებიდან ატმოსფერული ოზონის შრის ზომამ საგრძნობლად იკლო დედამიწის ზოგიერთი რეგიონის, განსაკუთრებით ანტარქტიკიდის თავზე, სადაც დაცულია დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული წყლის ეკოსისტემა. ამგვარი „ოზონის ხერელები“ ახლა შესამჩნევია ზომიერი სარტყელის რეგიონებშიც კი. დედამი-

ნის ბუნებრივი ულტრაიისფერი ფილტრების დე-გრადაცია თითქმის მთლიანად ადამიანის მიერ ქლორ-ფტორნახშირბადის (CFCs) ატმოსფეროში გამოყოფამ გამოიწვა. ეს ნივთიერებები ფართოდ გამოიყენება მაცივრებსა და სპრეის ჰერმეტულ ქილებში. ატმოსფეროში CFCs-ის ქლორის ატომები რეაქციაში შედიან ოზონთან და ქმნიან ქლორის მონოქსიდსა (ClO) და უანგბადს ( $\text{Cl} + \text{O}_3 \rightarrow \text{ClO} + \text{O}_2$ ). ქლორის მონოქსიდის ატომებს კვლავ შეუძლიათ რეაქციაში შევიდნენ უანგბადის ატომებთან და კვლავ გამოყონ ქლორის ატომები ( $\text{ClO} + \text{O} \rightarrow \text{Cl} + \text{O}_2$ ), რომელიც ოზონს კიდევ უფრო მეტად შლიან.


ენდრიუ ბლაუშტაინმა ორეგონის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და მისმა თანამშრომლებმა ჩაატარეს საველე ექსპერიმენტები იმის განსასაზღვრად, თუ რა გავლენას ახდენს UV-B ამფიბიათა პოპულაციებზე (Blaustein et al. 1994, 1995). ბაყაყთა პოპულაციების კვლევებში ბლაუშტაინმა და მისმა გუნდმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ როგორ მოქმედებს UV-B გამოსხივება კვერცხიდან წარმატებულ გამოჩევაზე. ბაყაყების და სალამანდრების ბევრი სახეობა კვერცხს ჭაობებისა და ტბების ზედაპირულ ადგილებში დებს. ზრდასრულებისაგან განსხვავებით, რომლებიც საკმაოდ მოძრავნი არიან და შეუძლიათ, მზეს თავი აარიდონ, კვერცხები ვითარდება იქ, სადაც დადებენ. ხშირად მზიან ადგილებში. თუ UV-B ამცირებს კვერცხის წარმატებულად გამოჩევის შანსს, პოპულაცია იკლებს, რადგან ძალიან ცოტა ინდივიდი აღწევს რეპროდუქციულ ასაკამდე. ამრიგად, ბლაუშტაინის ექსპერიმენტებში ინტერესის ცვლადი იყო გამოჩევილი კვერცხების რაოდენობა. ამ ცვლადს ჰქვია დამოკიდებული ცვლადი (ან ხშირად საპასუხო ცვლადი), რადგან ეს არის ცვლადი, რომლისთვის საც ექსპერიმენტული მანიპულაციებით გამოწვეულ ცვლილებას აკვირდებიან. ექსპერიმენტის ნულოვანი ჰიპოთეზა შემდეგნაირად უდერს: „გამოჩევის წარმატებულობაზე (დამოკიდებული ცვლადი) UV-B გამოსხივების დონე გავლენას არ ახდენს“. ამ ჰიპოთეზის უარყოფის შემთხვევაში, რომელიმე სხვა ალტერნატიული ჰიპოთეზაა მართებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ ჰიპოთეზა უარყოფილია, არსებობს I ტიპის შეცდომის დაშვების ალბათობა. ბლაუშტაინის მიერ გამოყენებული ექსპერიმენტის შემთხვევაში ამგვარი შეცდომის დაშვების ალბათობა იყო 5%, საკმაოდ მცირე ეკოლოგიურ კვლევათა უმრავლესობისთვის.

კითხვები, რომლებიც გასდევს ამ ექსპერიმენტულ კვლევებს, არის კითხვები მექანიზმის შესახებ (იხ. თავი 1). ექსპერიმენტების მიზანი იყო ერთი ფაქტორის, UV-B სინათლის სხივების გავლენის დადგენა მეორე ფაქტორზე, გამოჩევის წარმატებულობაზე. ექსპერიმენტატორებს სურდათ გაეგოთ, არსებობს თუ არა იმის დამატებიცებელი საბუთი, რომ UV-B გამოსხივება მკვეთრად ამცირებს წარმატებით გა-

მოჩეკვის სიხშირის დონეს. ბლაუშტაინმა და მისმა გუნდმა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, დასვეს კიდევ მრავალი ევოლუციური კითხვა ამ სისტემასთან დაკავშირებით.

ბევრ სხვა ფაქტორს, როგორიცაა წყლის ტემპერატურა და კვერცხის განადგურება მტაცებლების მიერ, შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ ბაყაყის ექსპერცხის გამოჩეკვის წარმატებულობაზე. ამრიგად, გამოჩეკვის წარმატებულობაზე UV-B გავლენის გამოსარიცხად, ბლაუშტაინის უნდა შეეფინა ექსპერიმენტი, რომელიც ამცირებდა, ან საერთოდ გამორიცხავდა სხვადასხვა ფაქტორის გავლენას. მის გუნდს ასევე უნდა გამოენახა გზა, რათა კვერცხი მიეფიცხებინათ სხვადასხვა ინტენსივობის UV-B გამოსხივებისთვის. UV-B გამოსხივების სხვადასხვა დონეზე მიუფიცხებას ენოდება ექსპერიმენტის დამუშავება. დამუშავება ცვლადია, რომელიც გამომძიებლის კონტროლის ქვეშ არის და ენოდება დამოუკიდებელი ცვლადი. ექსპერიმენტს შეიძლება ერთზე მეტი დამოუკიდებელი ცვლადი ჰქონდეს. როგორც წესი, ერთი დამუშავება არის ნორმალური მდგომარეობა, ექსპერიმენტული პროცედურების ნებისმიერ სპეციფიკურ ასპექტან ერთად. ამ დამუშავებას ენოდება კონტროლი. მაგალითად ექსპერიმენტი, რომელიც მოიცავს ცხოველებისთვის სხვადასხვა დოზირებით წამლების შეყვანის, წამლის დოზები იქნებოდა დამუშავება. ერთი დამუშავება არ მოიცავდა არც ერთ წამალს, მაგრამ მოიცავდა აცრას უვნებელი სითხით, როგორიცაა ფიზიოლოგიური ხსნარი. ამრიგად, ამ ცხოველებს საკონტროლო (არა წამლის) დამუშავებით იგივე პროცედურა ჩაუტარდებოდათ, რაც სხვებს: მათ გაუკეთდებოდათ აცრები ისევე, როგორც სხვა ცხოველებს. ბლაუშტაინი აკონტროლებდა UV-B გამოსხივების დონეს, რომელსაც ეფიცებოდნენ ბაყაყის კვერცხები, სამი სხვადასხვა ტიპის ფილტრის გამოყენებით. ერთ-ერთ დამუშავებაში, UV-B სრულიად დაბლოკილი იყო მაილარით (პოლიეთილენის სახეობა). მეორეში გამოყენებულ იქნა აცეტატის ფილტრი, რომელიც ატარებდა UV-B გამოსხივების დახახლოებით 80%-ს. მესამეში კი – საკონტროლოში, საერთოდ არ გამოიყენებოდა ფილტრი.

ბაყაყთა ბუნებრივ ისტორიას, რომელსაც ბლაუშტაინი შეისწავლიდა, ჰქონდა რიგი ექსპერიმენტული დიზაინის სიძნელეებისა. მისი გუნდი შეისწავლიდა ბაყაყთა სამ სახეობას, რომლებიც ბულობდნენ ორეგონის კასაკადას მთის რამდენიმე ტბაში: *Hyla regilla*, *Rana cascadae*, *Bufo boreas* (სახეობები *Hyla* [ხის ბაყაყები], *Rana* [ხარი ბაყაყები] და *Bufo* [გომბეშოები] წარმოადგენს ბაყაყთა სამ ძირითად ნაირსახეობას). ეს ბაყაყები კვერცხებს ზედაპირული ტბის ნაირებში დებენ. როგორც უკვე ვახსენეთ, UV-B-ს გარდა სხვა ფაქტორებსაც, როგორიცაა წყლის ტემპერატურა და მტაცებლები, შეუძლია, გავ-




**სურ. 2-9.** კონტეინერების განლაგების სქემაზური დაგრამა ბაზუშტაინის ექსპერიმენტში, რათა განესაზღვრათ  $UV\text{-}B$  გამოსხივების გავლენის მნიშვნელობა ამფიბიათა კვერცხების გამოჩევის ნარმატებულობაზე. ეს გალიები განლაგებულ იქნა ტბის ნაპირის გასწროვ, თითოეული 5-10 სმ სიღრმეზე წყალში. სამი დამუშავება (1 =  $UV\text{-}B$  დაბლოკილი, 2 = 80%-იანი გამოტარობა, 3 = სრული გამტარობა [საკონტროლო]) უტარდებოდა კონტეინერებს. აქედან ოთხ-ოთხი გალია დებულობდა თითოეული დამუშავებას. (Based on Blaustein et al. 1994.)

ლენა მოახდინოს კვერცხების მდგომარეობაზე. ეს ფაქტორები განსხვავდებიან თავიანთი გავლენით ლიფსიტების გამოჩევისას როგორც სხვადასხვა ტბაში, ისე ერთი ტბის სხადასხვა ადგილებში. გამოჩევის ეფექტურობაზე  $UV\text{-}B$  გავლენის დასადგენად საჭირო იყო ამ ფაქტორების გამორიცხვა ან მათი კონტროლი რაიმე გზით. ამის მისაღწევად ექსპერიმენტატორებმა ააგეს 28სმ  $\times$  38სმ  $\times$  7სმ ღლები, რომლის წყალში მოთავსებაც შესაძლებელი იყო, რათა კვერცხის ჯგუფები განსაზღვრულ ადგილებში დაეჭირათ. ბადის კარი იძლეოდა ყოველ კონტეინერზე ტბის წყლის ცირკულირების საშუალებას. თორმეტი კონტეინერი განლაგებულ იქნა ნრფივად სანაპიროს გასწროვ ტბის ორ ადგილას (ჟამში 24 ღლები თითოეული, იხ. სურ. 2-9). თითოეული კონტეინერი განლაგებული იყო წყალში 5-10სმ სიღრმეზე. შემდეგ ექსპერიმენტატორები აგროვებდნენ გარკვეული სახეობის ბაყაყთა ახლად დადებულ კვერცხებს (24 საათზე ნაკლები დროის) ტბის სხვადასხვა ადგილიდან და ათავსებდნენ 150 კვერცხს თითო ღლებში. ამ კონტეინერების გამოყენებით შესაძლებელი ხდებოდა ყველა კვერცხის ერთნაირ პირობებში მოთავსება ექსპერიმენტის განმავლობაში. საჭირო არ იყო წყლის ქიმიის კონტროლი, რადგან ყველა კვერცხი ერთი და იმავე ტბის გარემოში იმყოფებოდა.

თუმცა ექსპერიმენტისგან მოელოდნენ, რომ ყველა კონტეინერში ერთნაირი პირობები იქნებოდა, შეუძლებელი იყო თითოეულ მათგანში მომხდარი მცირე ცვლილებების აბსოლუტური კონტროლირება. ამგვარი ცვლილებების ეფექტთა გამოსარიცხად სამი დამუშავება ( $UV\text{-}B$  დაბლოკილი, 80%-იანი გამტარობა და სრული გამტარობა) უწესრიგოდ უტარდებოდა თითოეულ ღლებს (იხ. სურ. 2-9). რადგანაც ყოველ ადგილას თორმეტი კონტეინერი იყო და სამი დამუშავება, თითოეული დამუშავება უტარდებოდა ოთხ კონტეინერს. ოთხ კონტეინერს ერთნაირი დამუშავება უტარდებოდა, მათ უწოდეს ექსპერიმენტის რეპლიკანტები. რეპლიკაცია (განმეორება, დუბლირება) არსებითი მნიშვნელობისაა ექსპერიმენტში, რადგანაც ეს არის ერთადერთი შესაძლებლობა განვითარებოთ, თუ რა დონეზე აიძულებს დამუშავება ცვლადს გავლენა მოახდინოს დამოკიდებულ ცვლადზე. ექსპერიმენტის კონსტრუირების შემდეგ, ბლაუშტაინი და მისი თანამშრომლები აკვირდებოდნენ კონტეინერებს, სანამ ყველა კვერცხი არ გამოიჩეკა ან არ მოკვდა. ამრიგად, ექსპერიმენტის დასასრულს არსებობდა დამოკიდებული ცვლადის ერთი მნიშვნელობა თითოეული კონტეინერისთვის. მათ გამოსახეს ეს მნიშვნელობა, როგორც კონტეინერში გამოჩეულ კვერცხთა პროპორცია.

ბლაუშტაინის ექსპერიმენტის შედეგები გამოსახულია ნახატ 2-10-ში. თითოეული სვეტი ნახატზე



**სურ. 2-10.** ბლაუშტაინის კვერცხის შედეგები. ექსპერიმენტი ჩატარდა ბაყაყთა სამ სხვადასხვა სახეობაზე (ყლა რეგილლა, ღანა ცასცადავ, უფორ ბორეას). თითოეული სვეტი ნარმოადგენს თითო კონტეინერში გამოჩეული კვერცხის პორციათა საშუალო მაჩვენებელს გარკვეული დამუშავების შემდეგ. ხაზი, როგორიც ამოშვერილია თითოეული სვეტის თავიდან, გამოხატავს სტანდარტულ ცდომილებას ( $s/\sqrt{n}$ ), სიზუსტის საზომებს. შედეგები გვიჩვენებს, რომ ყლა რეგილლა არ არის მგრძნობიარ  $UV\text{-}B$  სხვადასხვა დონის მიმართ. სამაგიროდ, ორი დანარჩენი სახეობა ამჟღავნებს მგრძნელებობას გარკვეული დოზით (From Blaustein et al. 1994).

ნარმოადგენს დამუშავების რეპლიკანტების საშუალო მაჩვენებელს. თთოეული ხაზი, რომელიც გამომდინარეობს სვეტებიდან, საშუალო მაჩვენებლის სტანდარტული ცდომილებაა (იხ. ზემოთ). სტანდარტული ცდომილება იმის საზომია, თუ რამდენად ზუსტია გამოჩეკვის ნარმატებულობის ეს კონკრეტული გაზომვა. თუ სტანდარტული ცდომილებას ხაზების ორი სვეტი ნაწილობრივ ემთხვევა, მაშინ გაზომვა არ არის საკმარისად ზუსტი იმისთვის, რომ ვამტკიცოთ ამ სვეტებში ნარმოდგენილ ორ დამუშავებას შორის განსხვავება. თუ ცდომილების ხაზები არ ემთხვევა, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ დამუშავებას განსხვავებული ეფექტები აქვს. ამ შედეგებში ჩვენ ვხედავთ, რომ *Hyla regillas* კვერცხები უგრძნობი UV-B გამოსხივების სხვადასხვა დონეების მიმართ. იმ დროს, როცა როგორც *Rana cascadae*, ისე *Bufo boreas* გაცილებით მეტი გამოიჩინა ნარმატებით, როცა UV-B გამოსხივება სრულიად გაფილტრული იყო. შედეგები ასევე გვაჩვენებს, რომ მცირე განსხვავებაა ტბათა სტურქტურებს შორისაც, სადაც ეს ექსპერიმენტები იქნა ჩატარებული.

ბლაუშტაინმა და მისმა კოლეგებმა (1995) ჩაატარეს მსგავსი ექსპერიმენტი ჩრდილო-დასავლეთის სალამანდრაზე (*Ambistoma gracile*) და აღმოაჩინეს, რომ მისი კვერცხები ძალიან მგრძნობიარე იყო UV-B-ს მიმართ. მაგრამ პ. კორნის მიერ ჩატარებულმა შედარებით ახალმა ექსპერიმენტმა (1998) *Bufo boreas*-ზე ბლაუშტაინის მსგავსი ექსპერიმენტული დიზაინის გამოყენებით, ვერ აჩვენა მგრძნობიარობა UV-B გამოსხივებისადმი. ეს, ერთი შეხედვით, ნინააღმდეგობრივი შედეგები ხშირია მეცნიერებაში, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, სადაც ცოდნა ჯერ-ჯერობით მხოლოდ გროვდება, როგორც ამფიბიათა პოპულაციების კლების მიზეზების შესწავლის შემთხვევაში. კორნის კვლევა ნარმოშობს საინტერესო და მნიშვნელოვან კითხვებს ბაყაყთა პოპულაციებში გენეტიკური ცვლილებების ეფექტებსა და პათოგენური სოკოების გავლენაზე, რაც მიჩნეულია ბაყაყთა პოპულაციების კლების ერთ-ერთ ფაქტორად. კვლევათა შედეგების დაუმთხვევლობამ სტიმული მისცა მომდევნო კვლევებს და ბუნების შესწავლის დონის ზრდას.


ეს ექსპერიმენტები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწიან ბაყაყთა პოპულაციების კლების შესაძლო მიზეზების შესახებ. მაგრამ ჩვენთვის კვლავ გამოცანად ჩრჩხა, როგორ უშლის ხელს UV-B გამოსხივება ბაყაყთა კვერცხის გამოჩეკვას და რატომ აქვს მას გავლენა ზოგ სახეობაზე და სხვაზე არა. ბლაუშტაინს და მის კოლეგებს აინტერესებდათ პრობლემის ეს ასპექტიც, რადგან მრავალი ეკოლოგის დაკვირვებამ აჩვენა, რომ ამფიბიათა ზოგი პოპულაცია დრამატულად შემცირდა, ზოგი კი – არა. ეს დაკვირვებანი ნარმოშობენ რიგ კითხვებს და მათ მიიყვანეს ბლაუშტაინი დასკვნამდე, რომ რადგანაც UV-B გამოსხივება არ არის ერთგვა-

როვანი მთელ დედამიწაზე, ამფიბიები განვითარდნენ სხვადასხვა UV-B გარემოში. ადგილებში, სადაც UV-B ბუნებრივი გამოსხივება მაღალია, ბუნებრივი გადარჩევა წაახალისებდა UV-B ზიანისგან დნმ-ის აღდგენით შესაძლებლობებს. იმ დროს, როცა დაბალი UV-B გამოსხივების გარემოში განვითებულ პოპულაციებს, შესაძლოა, არ ჰქონდეს ესოდენ განვითარებული აღდგენითი მექანიზმები. დნმ-ის აღდგენითი შესაძლებლობის მაჩვენებელი არის უჯრედებში ფერმენტების ფოტოლიაზა UV-B გამოსხივების პირობებში ხელს უწყობს დნმ-ის აღდგენას. ნულოვანი პიპოთეზის შესამოწმებლად, რომელიც აცხადებს, რომ ფოტოლიაზას შემცველობის დონე ბაყაყთა ყველა პოპულაციაში ერთნაირია, ბლაუშტაინმა ჩატარა ქიმიური ანალიზი ფერმენტების შემცველობაზე სხვადასხვა სახეობის ამფიბიებში. მან აღმოაჩინა, რომ *R.cascadensis* და *B.boreas*-ს ფერმენტის ძალიან დაბალი დონე ჰქონდათ, იმ დროს როცა *Hyla*-ს სახეობაში ეს დონე გაცილებით მაღალი იყო.

## 2.6 ისტორიული ანალიზი გვანვიზის ინცორმაციას ევოლუციური ცვლილების შესახებ

ყველა ცოცხალი ორგანიზმის არსებობაზე გავლენას ახდენს მისი ინტერაქცია გარემოსთან და სხვა ორგანიზმებთან. პირველ თავში საგანგებოდ აღვინიშნეთ, რომ ორგანიზმი ამ ინტერაქციებში იძენს სხვადასხვა ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ და ბიჰევიორისტულ თვისებას, რომლებიც საბოლოოდ აყალიბებს მას. ინდივიდებს აქვთ თავიანთი სახეობების სხვა წევრების მსგავსი საერთო თვისებები, თუმცა იშვიათია, რომ ორი ინდივიდი იდენტური იყოს. ინდივიდებს ასევე აქვთ საერთო თვისებები თავიანთ წინაპრებთან და ტაქსონებთან, რომლებთანაც საერთო წინაპრები ჰყავთ. ამრიგად, თქვენი შინაური კატა საოცრად ჰგავს აფრიკულ ლომს, აზიურ ვეფხს და ჩრდილო ამერიკულ წითურ ფოცხვერს, რომლებთანაც მას შორეული ნათესაობა აკავშირებს. სახეობებს ან ტაქსონომიურ ჯგუფებს შორის ევროლუციური ურთიერთობის სისტემას ეწოდება ფილოგენია. ეკოლოგები მიიჩნევენ, რომ სახეობათა ფილოგენიის გაგება არსებითა მათი ეკოლოგიური ურთიერთობების სილრმისეული გაგებისთვის.

ფილოგენური ურთიერთობები მნიშვნელოვანია ბუნების ადაპტაციის გაგებისთვის, როგორც სურ. 2-11-შია ნაჩვენები. წახატი გვიჩვენებს ევროლუციურ ურთიერთობებს ხუთ სახეობას შორის. მათ ერთი საერთო წინაპრი ჰყავთ. ამ დიაგრამას ეწოდება კლადოგრამა. თთოეულ სახეობას აქვს თვისება, რომელსაც შეუძლია, თავი იჩინოს 1 მდგომარეობაში, წინაპართა მდგომარეობაში ან 0 მდგომარეობაში, წინაპართა მდგომარეობაში ან 0 მდგომარეობაში,



**სურ. 2-11** (დიაგრამაზე ნაჩვენებია: , ნინაპართა მდგომარეობა) ჰიპოთეტური კლადოგრამა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ასახავს ხუთი ცოცხალი სახეობის თვისებები (A-დან E-დამ) ევოლუციური სისტორიას. ხუთი სახეობისათვაგან აქვს თვისება ან მახასიათებელი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ორიდან ერთი მდგომარეობა — I ან 0, ხოლო ნინაპართა მდგომარეობა არის 1. სახეობებს და აქვთ ნინაპართა მდგომარეობა ამ დროს, როცა სახეობებს, C და აქვთ 0 მდგომარეობა., C და მდგომარეობა არის A-სა და B-ს შორის მომხდარი ევოლუციური მოვლენების (მუქი შავი ოთხეუთხედი) შედეგი. კიდევ ერთმა მოვლენამ (ლია თოხეუთხედი) და სახეობებს შორის მდგომარეობა კვლავ ნინაპართა მდგომარეობამდე შეცვალა. სახეობათა შორის ევოლუციური ურთიერთობების ცოდნა ეკოლოგებს თითოეული მახასიათებლის გამოყენების განსაზღვრისას დახმარებათ.

ბაში. ეკოლოგი აკვირდება, რომ სახეობებს A-სა და E-ს აქვთ 1 მდგომარეობა და სხვა სახეობებს აქვთ 0 მდგომარეობა. ეკოლოგმა რომ არ იცოდეს ამ ხუთ სახეობას შორის ევოლუციური ურთიერთობის შესახებ, მას შესაძლოა ეფიქრა, რომ ბუნებრივმა გადარჩევამ უპირატესობა მიანიჭა 1 მდგომარეობას A და E სახეობებში. ანუ ამ სახეობებმა განიცადეს გადარჩევის მსგავსი გავლენები ამ ნიშნის გამო. მან შეიძლება იგივე დასკვნა გამოიტანოს B, C, და D სახეობებისთვის. მაგრამ სახეობათა ფილოგენიის გაგებას სხვა დასკვნამდე მივყვართ. განვითილოთ ურთიერთობანი A და B სახეობებს შორის. A სახეობა პირდაპირი შთამომავალია საერთო ნინაპრისა და ამიტომ მას შეუნარჩუნდა ნინაპართა მდგომარეობა—1. სახეობა B წარმოშობილია საერთო ნინაპრისაგან, მაგრამ მას არ აქვს მემკვიდრეობითი ნიშანი. ის უფრო ახალ ნიშანს ამჟღავნებს, სახელად შეძენილი ნიშანი მდგომარეობა—0. ეს ნიშანის, რომ ევოლუციურ მოვლენას ადგილი ჰქონდა ნინაპარსა და B სახეობას შორის, რაც აღნიშნულია მუქი ოთხეუთხედით.

C და D სახეობების, რომლებსაც B-სთან საერთო ნინაპარი ჰყავთ, ასევე აქვთ შეძენილი 0 მდგომარეობა. მეორე ევოლუციურ მოვლენას ჰქონდა ადგილი სახეობებს D-სა და E-ს შორის, რამაც შეცვალა ნიშანი კვლავ 1 მდგომარეობამდე — მემკვიდრეობითი მდგომარეობა. ეს ინფორმაცია გვაჩვენებს, რომ A სახეობის 1 მდგომარეობა და E სახეობის 1 მდგომარეობა სხვადასხვა პროცესისგან არის წარმოშობილი. A სახეობის შემთხვევაში, ნიშანი არის

უბრალოდ შთამომავლობით მიღებული წინაპართა მდგომარეობიდან. E სახეობათა შემთხვევაში კი, ეს არის ორი ევოლუციური მოვლენის შედეგი. ამრიგად, თვისების გამოყენების პირდაპირი დაკვირვება A და E სახეობებს შორის არ არის სწორი. ამ ტიპის ანალიზი სულ უფრო და უფრო მეტად გამოიყენება ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისას.

ჩვენ მიმოვისილეთ ის სტრატეგიები, რომლებსაც ეკოლოგები იყენებენ ბუნების გამოსაკვლევად. ამ თავის დარჩენილ ნაწილში ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე პრაქტიკულ პრობლემაზე, რომელთა წინაშეც დგებიან ხოლმე ეკოლოგები მუშაობისას. ასევე იმას, თუ როგორ ვრცელდება ეკოლოგიური კვლევების შედეგები და როგორ შეიძლება ეკოლოგიური ცოდნის გამოყენება. ჩვენ ასევე განვისაზღვრავთ ეკოლოგიური კვლევების სხვადასხვა სფეროს.

## 2.7 ეკოლოგიური კვლევა აცყალება პავრ პრატიკულ და ლოგისტიკულ გამონვევას

ეკოლოგიური ექსპერიმენტებისა და შერჩევითი კვლევების ჩატარებისას უზარმაზარი ლოგისტიკური დაპრკოლებებია გადასალახავი. ბევრ შემთხვევაში ინტერესის ფენომენს ადგილი აქვს მოშორებულ ან მიუდგომელ ადგილას: ტროპიკული ტყის საფარის წვერზე, უდაბნოში, წყლის სილრმეში და ა.შ. მრავალი ორგანიზმი ძალზე პატარაა სამისოდ, რომ მიკროსკოპის დახმარების გარეშე დავაკვირდეთ და ზოგი დაკვირვება, როგორიცაა პირველ თავში აღნერილ ხოჭოზე „მოჯირითე“ ფსევდომორიელები (იხ. სურ. 1-10ბ), დიდი სიძნელეებით არის შესაძლებელი. მრავალი ცხოველი სწარაფად მოძრაობს და მოქმედებს ფართო მასშტაბით, რაც რთულს ხდის ბუნებრივი ისტორიის დეტალებზე დაკვირვებას. ამრიგად, ბუნებრივ სამყაროზე დაკვირვება, შერჩევა და მონიტორინგი აღბეჭდილია როგორც გამომგონებლობით, კრეატიულობითა და სიმამაცით, ასევე უბრალო ცნობისმოყვარეობითაც.

ეკოლოგებისთვის ყველაზე საინტერესო და ამაღლებებელ გამორჩევათაგანია ტყების მაღალ საფარველზე მუშაობა. ტროპიკული ტყის ძირში დაკვირვების წერტილიდან ჩვენ ვერ ვხედავთ აქტივობას ტყის მაღალ საფარველში, რომელიც ჩვენგან 30 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ლოგისტიკური პრობლემები ასოცირებული უმაღლესი ტროპიკული ხეების წვერზე მისასვლელის მოპოვებასთან და ერთი წვერიდან მეორეზე გადაადგილებასთან, ორგანიზმებსა და სახეობებზე დაკვირვების მიზნით, უზარმაზარია. ამის მიუხედავად, თავგადასავლების მაძიებელმა რამდენიმე პირმა წარმატება მოიპოვა ბუნებრივი სამყაროს მიუვალი ადგილების მიღწევი-



**სურ. 2-12** საფარველის ტივი ტროპიკული ტყის თავზე. ტივს ხეების სიმაღლის დონეზე ჩეც და შემდეგ ხეებზე დებს ცხელ ჰაერზე მომუშავე დირიჟაბლი. (სურათი მოგვაწოდა სეტსუმანმა)

სას. ერთი პროექტი საფრანგეთის გვიანაში მოიცავდა ტყის ხეების სიმაღლის დონეზე ჩეც და შემდეგ ხეებზე დებს ცხელ ჰაერზე მომუშავე დირიჟაბლი. (სურათი მოგვაწოდა სეტსუმანმა)

დონეზე დაკვირვების საშუალებას იძლეოდა და შესაძლებელი იყო მთლიანი კონსტრუქციის მოტრიალება, ეს მეცნიერებს დიდი ტერიტორიის შესწავლის საშუალებას აძლევდა. აյ თრი მაგალითია იმ ექსტრაორდინალური ძალის ხელშევისა, რომელსაც იჩენენ ეკოლოგები ბუნებრივი სამყაროს შესწავლისას.

### ეკოლოგიური კვლევის დაფინანსება

როგორც ყველა სამეცნიერო ნაშრომს, ეკოლოგიურ კვლევასაც დაფინანსება სჭირდება. ეკოლოგებს ხშირად უხდებათ შორეულ ადგილებში მოგზაურობა ექსპერიმენტის მასალებით, ისინი ფულს უხდიან მუშებს, რომლებიც ეხმარებიან მათ ცდების ჩატარებასა და გრძელვადიანი მონიტორინგისა და ექსპერიმენტების განხორციელებაში. ეკოლოგებს ასევე უწევთ გადახდა თავიანთი ნაშრომების პუბლიკაციისთვის. მრავალი სამთავრობო სააგენტო ქირაობს ეკოლოგებს ეკოლოგიური სისტემის შესასწავლად, რომელიც დიდი მნიშვნელობისაა ერის კეთილდღეობისთვის. მაგალითად, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, გარემოს დაცვის სააგენტო და სამხედრო სამსახურებიც კი ქირაობენ ეკოლოგებს სამოსავლო სისტემებზე, დაავადებებზე, ადამიანის მიერ წარმოებული ქიმიური ნივთიერებების მოქმედებასა და მათ მავნე გავლენაზე, გლობალური ცვლილებების ეფექტებზე და ა.შ. ექსპერიმენტების ჩასატარებლად. ასეთ შემთხვევებში კვლევა ფინანსდება სააგენტოს ბიუჯეტიდან. ბევრ ეკოლოგს თანამდებობები უკავიათ უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში, სადაც მათ მოვალეობებში შედის სტუდენტების სწავლება, მომზადება, უნივერსიტეტის კომიტეტებში მუშაობა და კვლევების ჩატარება. ამ მეცნიერთა უმრავლესობა ეყრდნობა გრანტებსა და კონტრაქტებს კერძო მენარმეების ან სამთავრობო სააგენტოების მხრიდან, რათა წილში შევიდნენ მათი უნივერსიტეტის ან კოლეჯის მიერ წარმოებული კვლევის დაფინანსებაში. ასეთი გრანტები ხშირად კონკურენციის საფუძველზე გაიცემა და ეყრდნობა მეცნიერის მიერ დეტალურად წარმოდგენილი კვლევის სიძლიერეს. აშშ მთავრობის ამ ფონდებს შორის, რომლებიც აფინანსებენ ამგვარ სამუშაოს, არიან: ეროვნული მეცნიერების ფონდი, ეროვნული ჯანმრთელობის ინსტიტუტი, გარემოს დაცვის სააგენტო და სოფლის მეურნეობის დეპარტამენტები.

### 2.8 ეკოლოგიური ერთგანეთს იღევს პუბლიკაციების გზით უზიარევა

როგორც ტროპიკულ ტყეში ჩვენი წარმოსახვითი გასეირნებიდან შევიტყვეთ, ბუნების შესწავლას კითხვების დასმით და იმის ყურადღებით აღწერით ვიწყებთ, რასაც ვხედავთ. ეკოლოგიური კვლევის

ადრეულ ფაზაში ამ მეტ-ნაკლებად უწესრიგო დაკვირვებებს იმის განსაზღვრით ვავრცობთ, თუ რა არის უკვე ცნობილი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ეს მოითხოვს ჩვენგან გამოქვეყნებული ლიტერატურის წაკითხვას, ამ კითხვაზე მომუშავე სხვა ეკოლოგებთან საუბარს და იმ სამეცნიერო შეხვედრებში მონაცილეობის მიღებას, სადაც ახალი იდეები და შედეგებია წარმოჩნილი.

სხვა მეცნიერების მსგავსად, ეკოლოგები თავიანთი ნამუშევრების შედეგებს აქვეყნებენ სამეცნიერო უურნალებსა და წიგნებში. ეკოლოგიურ უურნალთა უმრავლესობას სამეცნიერო ორგანიზაციები ან საზოგადოებები უშვებენ, რომელთა წევრებსაც აქვთ საერთო მიზნები, მიღომები ან გეოგრაფიული მდებარეობა. მაგალითად, ამერიკის ეკოლოგთა საზოგადოება უმსხვილესი ეკოლოგიური ორგანიზაცია, რომლის წევრთა რიცხვიც 75000-ს აჭარბებს. ის უშვებს უურნალებს: „Ecology”, „Ecological Monographs”, „Ecological Application”. თქვენ ნახავთ ამ უურნალების და კიდევ ასობით სხვა უურნალის ჩამოთვლილ გვერდებს წიგნის ბიბლიოგრაფიაში.

როცა ეკოლოგი ასრულებს კვლევას და მზადაა საბოლოო დასკვნის გამოსატანად, ის ამზადებს ნამუშევარს, სადაც თავმოყრილი და შეჯამებულია გამოყენებული მეთოდები, მიღებული სპეციფიკური შედეგები და ამ შედეგებიდან გამომდინარე ჩამოთვლილი პირველადი დასკვნები. ნანერი ასევე შეიცავს საკითხის მნიშვნელობის ახსნას და სხვათა ნამუშევრების მიმოხილვას შესწავლილ სისტემასთან დაკავშირებით. ნამუშევრის დასასრულს მოცემულია ვარაუდი, თუ რა სახის ექსპერიმენტების ჩატარებაა შესაძლებელი მომავალში წარმოდგენილი სისტემის უკეთ გაგებისთვის. შემდეგ ხელნაწერი გადაეცემა ეკოლოგიური უურნალის რედაქტორს, რომელიც სთხოვს რამდენიმე მეცნიერს, მეტწილად კვლევის სისტემასა და ტექნიკაში გათვითცნობიერებულ სარედაქტორო კოლეგიის წევრს, რომ გაუზიაროს აზრი ნამუშევრის სუსტ და ძლიერ მხარეებზე. ამ მიმომხილველთა აზრის გათვალისწინებით, რედაქტორს შეუძლია, გადაწყვიტოს, გამოქვეყნოს ნამუშევარი, უარი თქვას გამოქვეყნებაზე ან სთხოვოს ავტორს, ჩასანოროს ის მიმომხილველთა კომენტარების მიხედვით და ხელახლა მიიღოს შემდეგ მომდევნო განხილვისთვის. ნაწერებს, რომლებიც გამოცემებში ჩინდებიან ამგვარი პროცესების გავლის შემდეგ, პირველად ლიტერატურას უწოდებენ.

ეკოლოგი ან ეკოლოგთა ჯგუფი ინტენსიურად შეისწავლის გარევეულ სისტემას და საბოლოოდ შესწავლილი მასალის წიგნად გამოცემასაც აპირებს. ამის მაგალითია პირველ თავში ნახსენები დარვინის „On the Origin of Species” (სახეობათა წარმომავლობის შესახებ). წიგნებმა შეიძლება მიიღონ ყოველმხრივი და უნიფიცირებული თხრობის ფორმა. ან შეიძლება შედგებოდენ სხვადასხვა წამყვანი მუშაკების ცაკლეული შენატანების სერიებისგან ამ სფეროში.

ბუნებასა და გარემოზე ადამიანის საქმიანობის გავლენის თაობაზე მზარდი ინტერესის გამო, სულ უკრო მეტი ეკოლოგი ირჩევს, წარმოადგინოს თავიანთ სამუშაოთა შეჯამება პოპულარულ უურნალებსა თუ გაზიერებში, პოპულარულ წიგნებში ან ზოგ შემთხვევებში, სატელევიზიო დოკუმენტურ გადაცემებში. ცხადია, ეკოლოგები გამოსცემენ სახელმძღვანელოებს და სხვა მასალას სწავლების დროს გამოსაყენებლად. ამ ფორმით გამოქვეყნებული ინფორმაცია, როგორც წესი, გვერდს უვლის ძირითადი კვლევების დეტალებს და ყურადღებას ამახვილებს სამუშაოსა და ალმოჩენების მნიშვნელობაზე ადამიანთა ცხოვრებაში.

სორედ ბეჭდურ მედიაში ამ ალმოჩენათა გაფანტვის საშუალებით უმჯობესდება ცოდნა. პუბლიკაციები ფაქტობრივად ქმნიან გამუდმებულ დისკუსიას დამაინტრიგებელი პრობლემის ან სისტემის თაობაზე. ბოლო წლებში ამ დისკუსიათა მასშტაბი და ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერნეტის გამოყენებით, სადაც სამეცნიერო განხილვები უფრო ხანგრძლივად მიმდინარეობს. რამდენიმე ეკოლოგიური უურნალი ინტერნეტში ქვეყნდება და ბევრი სხვა წარმოადგენს აბსტრაქტულ და ცხრილოვან გამოსახულებებს თანამედროვე საკითხების შინაარსის შესახებ. შესანიშნავი ლიტერატურის მონაცემთა ბაზა ხელმისაწვდომია და მათ რიცხვში მრავალი უნივერსიტეტისა და კოლეჯის ბიბლიოთეკები შედის.

## 2.9 | სოფლის მეურნეობა და რესურსთა მენეჯმენტი ეკოლოგიურ პრიციპებს ეყიდვება

ადამიანის საქმიანობა, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და აქვაკულტურა, უცვლელადაა დამოკიდებული ბუნებრივი სამყაროს ეკოლოგიურ ურთიერთობებზე (სურ. 2-13). ენერგია, რომელიც თქვენ მიიღეთ გუშინდებილი წვნიანი მეოთხედ ფუნტიანი ჰაბბურგერისგან, მოდიოდა მზიდან ფოტოსინთეზური ბალაზის აქტივობის საშუალებით, რომელიც შემდეგ ხარმა შექმა, მისი შემნვარი ხორცი მოათვეს კუნუტის ფუნთუშებს შორის. თინუსი, რომელიც სამხარზე მიიღოვით, იყო თინუსთა დიდი პოპულაციის წევრი, რომლის მოცულობაც დამოკიდებულია შობადობისა და სიკვდილიანობის თანაფარდობაზე. ეს ეკოლოგიური პროცესებია, რომლებიც დამოკიდებულია რესურსთა ხელმისაწვდომობასა და ბიოლოგიურ ინტერაქციებზე.

თანამედროვე ეკოლოგია მოიცავს ბუნებრივი სამყაროს არა მარტო ხელუხლებელი, სუფთა ნაწილების შესწავლას, არამედ ასევე სახნავ-სათეს მიწებს, ხელახლა დარგული ტყეებისა და რეგულირებადი თევზებისა და სანადირო ფრინველის პოპულაციებს. პირველ შემთხვევაში ყურადღება მახ-

ვილდება იმის აღმოჩენაზე, თუ როგორ მოქმედებს ბუნებრივი სამყარო ადამიანის ჩარევის გარეშე. უკანასკნელში კი — მიზანია ეკოლოგიური პრინციპების გამოყენება მოსავლის შესანარჩუნებლად ან გასაზრდელად. ხორბლის, სიმინდის ან სოიოს მოსავალი განისაზღვრება უთვალავი ფაქტორით, მათ შორის არის მარცვლოვანი მცენარეების რეაქციები გარემო პირობებზე, რაზეც გავლენას ახდენს გლობალური კლიმატური ცვლილება; ასევე დაავადებათა და ბალახის მჭამელთა ეკოლოგია, რომლებიც ანადგურებენ ამ მოსავალს; ნიადაგობრივი პროცესების ბუნება და ადგილობრივი ჰიდროლოგიური ციკლი. ყოველივე ამაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ახლომახლო მდელოებსა ან ტყეებში მიმდინარე პროცესებმა და ადამიანის საქმიანობამ. რეგულირებად ეკოსისტემათა შესწავლის ფუნდამენტური მიდგომა მსგავსია იმსა, რაც გამოიყენებოდა ზემოგანხილულ ამფიბიათა პოპულაციების კლების კვლევისას: კითხვები, დეტალური დაკვირვებანი, შერჩევა და ექსპერიმენტირება; ბუნებრივი სისტემების გაგება, როგორიცაა ამფიბიათა პოპულაციები, ინვევს პირდაპირ გამოყენებას სოფლის მეურნეობაში. თევზთა მრავალმა სახეობამაც განიცადა კლება დაახლოებით ამფიბიათა პოპულაციების კლების მსგავსად (Myers et al. 1997). ეკოლოგიური კვლევის ფოკუსი მიმართულია იმის გაგებისკენ, თუ როგორ მოქმედებენ სისტემის ცოცხალი ორგანიზმები. ამგვარი ცოდნა, თუ ის ფრთხილადაა განვითარებული დეტალური შერჩევითა და ექსპერიმენტებით, ხშირად ბუნებაში ძალიან ზოგადია და ამრიგად შესაძლებელია მისი გამოყენება ისეთ რეგულირებად სისტემებში, როგორიცაა სოფლის მეურნეობაში მარცვლეული კულტურების მოყვანა და მეფრინველობა.



**სურ. 2-13** სოიოს ყანა ობობებზე მავნებლებთან ბრძოლის გავლენათა შესწავლელ ექსპერიმენტულ კვლევაში. სოიოს მარცვლების მსგავსი მარცვლეულობა ირგვება გრძელ რიგებად და ამიტომ მათ რიგოვანი კულტურები ენოდებათ. (სურათი მოგვანდა a. ripstram).

## 2.10 ეკოლოგიური კვლევა შეიძლება მოგვიანების მიზანზე გული იყოს მზარდი კომალექსურობის დონეთა ირგვლივ

ეკოლოგიური კვლევის მიმდინარეობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ამახვილებს ეკოლოგი ყურადღებას თავის დაკვირვებაზე. მაგალითად, ერთ მეცნიერის ინტერესი ფოტოსინთეზისადმი შეიძლება განპირობებული იყოს პროცესის ბიოქიმიური მექანიზმებით (რაც ყურადღებიან ლაბორატორიულ ექსპერიმენტებს მოითხოვს) ან მთლიანი ტყის ფოტოსინთეზის დონით (რომელიც გარკვეული სახის საველე სამუშაოს მოითხოვს). არსებობს ეკოლოგიური კვლევის ჩატარების ფართოდ მიღებული სხვადასხვა დონე, რომელიც ხელს უწყობს ეკოლოგიის შესახებ მოსაზრებების ორგანიზებას.

ეკოლოგიურ კვლევებში ყურადღება შეიძლება გავამახვილოთ ინდივიდუ ორგანიზმების გარემოსთან ინტერაქციებზე. იმის კვლევა, თუ როგორ არიან ორგანიზმები ადაპტირებულნი ტემპერატურის ცვლილებისადმი, შესაბამისი ნელისა და მარილების ბალანსის შენარჩუნებისადმი, ჟანგბადისა და ნახშიროუნანგის კონცენტრაციების დაბალანსებისადმი ან ფიზიკური გარემოს სხვა ფაქტორებთან გამკლავებისადმი, ამგვარ ფოკუსთა მაგალითებია. ამ მიდგომას ხშირად უნდა ფიზიოლოგიურ ეკოლოგიას ან ეკოფიზიოლოგიას (მე-4-6 თავები). ფიზიოლოგიური ეკოლოგიის კვლევა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობაში, რადგანაც მარცვლეულის მოსავალი დიდადა დამოკიდებული მცენარეების ინდივიდუალურ რეაქციებზე. ეკოფიზიოლოგია ასევე მნიშვნელოვანი ნანილია შენარჩუნების კვლევებისთვის. მაგალითად, მიგრირებად ფრინველთა სახეობების კლების მიზეზთა დასადგენი კვლევების ერთ-ერთი გზა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ახდენენ გარემოს ცვლილებები გავლენას ფიზიოლოგიურ მექანიზმებზე, რომლებიც ფრინველებს ხანგრძლივი ფრენისთვის ამზადებენ (Wingfield 1990).

ინდივიდმა ორგანიზმებმა უნდა მიიღონ ენერგია ფოტოსინთეზით ან სხვა ორგანიზმების საშუალებით. ენერგიის ამ ტრანსმისიასთან ასოცირდება ნივთიერებათა ცვლა ორგანიზმებში და მათ შორის და ორგანიზმებსა და ფიზიკურ გარემოს შორის. ზოგი ეკოლოგი დაინტერესებულია ენერგიის ტრანსმისიის დინამიკითა და ნივთიერებათა გადაცემით ორგანიზმთა დიდ კრებულში და ამ ორგანიზმების მიერ დაკავებულ ფიზიკურ გარემოში. ამ ურთიერთობის და მიმდინარე ეკოსისტემა ენოდება, ხოლო მის შემსწავლელ ეკოლოგიის ქვესფეროს — ეკოსისტემათა ეკოლოგია (ნანილი 3, 9-11 თავები). თანამდეროვე ეკოსისტემათა ეკოლოგები ძალიან დაინტერესებული არიან იმით, თუ როგორ მოქმედებს ადამიანთა საქმიანობა ნივთიერებათა გლობალურ ბრუნვაზე.

კვლევები იმის შესახებ თუ რას ინვევენ ბუნებრივ სამყაროში ადამიანის მიერ წარმოებული და მისი საქმიანობის შედეგად ატმოსფეროში გაშვებული სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებები, ეკოსისტემათა ეკოლოგების კომპეტენციას განეკუთვნება.

ჯგუფთა და ორგანიზმთა ეკოლოგიის კვლევას ადგილი აქვთ სხვადასხვა დონეზე. ერთ ადგილსა და დროში მობინადრე ერთი სახეობის ორგანიზმები შეადგენენ ეკოლოგიურ პოპულაციას. ჩვენ შეიძლება განვიხილოთ ლოკოკინების, ნაძვების, ვეშაპების, ვომბატების და ნებისმიერი სხვა სახის ცოცხალი ორგანიზმის ერთი პოპულაციის დინამიკა (ნანილი 4, 14-19 თავები), ან ყურადღება გავამახვილოთ ორი პოპულაციის, მაგალითად, მსხვერპლისა და მტაცებლს, ინტერაქციებზე (ნანილი 5, 20-25 თავები). ეკოლუციური ცვლილება თავს იჩენს პოპულაციის დონეზე. პოპულაციის თეორია პირდაპირ კავშირშია თევზისა და ფრინველის პოპულაციების, მეტყევეობისა და სოფლის მეურნეობის რეგულაციასთან. ეს ასევე ფუნდამენტური მნიშვნელობისაა დავადება-თა გავრცელების გაგებისთვის.

სადაც არ უნდა გავიხედოთ ბუნებაში, ჩვენ დავინახავთ თანამცხოვრებ ორგანიზმებს. ორგანიზმთა თითოეული ინდივიდი პოპულაციის ნანილია. ბევრი განსხვავებული ორგანიზმის პოპულაციები, რომელთაც ჩვენ ვხდავთ გარკვეულ ადგილას, დაკავშირებული არიან ერთმანეთთან საკვები ურთიერთობებითა და სხვა ინტერაქციებით. ურთიერთმოქმედ პოპულაციათა ამ წყებებს ეწოდებათ ეკოლოგიური თანასაზოგადოებები და მათ შესწავლას თანასაზოგადოებათა ეკოლოგია ეწოდება (ნანილი 6, 26-29 თავები). თანასაზოგადოებათა ეკოლოგია სხვა ეკოსისტემათა ეკოლოგიისგან იმით განსხვავდება, რომ თანასაზოგადოებათა კვლევების ფოკუსი კეთდება ძირითადად იმაზე, თუ რა გავლენას ახდენენ ბიოტური ინტერაქციები, როგორიცაა მტაცებლობა, ბალახისმჭამელობა და კონკურენცია ორგანიზმთა რიცხვსა და გავრცელებაზა და არა ენერგიის ტრანსფერსა და ნივთიერებათა ბრუნვაზე ორგანიზმებს შორის და მათ ბიოტურ და აბიოტურ გარემოებს შორის. თანასაზოგადოებათა ეკოლოგიას აქვთ გარკვეული კავშირი ბიოლოგიური მრავალფეროვნების ბუნების ჩვენებულ გაგებასთან.

კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ირჩევენ ცხოველები პარტნიორს, განსაზღვრავენ თავიანთი ნაშიერების სქესს, ეძებენ საკვებს და ბინადრობენ ჯგუფებში, ან იმის შესახებ, თუ როგორ იზიდავენ მცენარეები დამმტკვერავებს, აფრქვევენ თესლებს ან ანანილებენ რესურსებს ზრდასა და რეპროდუქციას შორის, იმ კითხვების მაგალითებია, რომლებიც დასმულია ეკოლოგიის ერთ-ერთ ქვესფეროში, ეკოლუციურ ეკოლოგიაში (ნანილი 7, 30-34 თავები). ეკოლუციური ეკოლოგები დაინტერესებული არიან იმით, თუ როგორ ახდენს ორგანიზმების ფორმა და ფუნქცია გარემოსთან

ადაპტირებას. ეკოლუციური ეკოლოგიის ცნებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნების გრძელვადიანი რეაქციების შესაფასებლად ბუნებრივ და ადამიანთა მიერ გამოწვეულ ცვლილებებზე.

ეკოლოგიური კვლევის სფეროთა ერთ ნაწილს ესაჭიროება ეკოლოგიის ქვესფეროთა სინთეზი ის-ევე, როგორც მიღომა, რომელიც ითვალისწინებს ეკოლოგიის პროცესთა მოქმედებას ფართო სივრცით მასშტაბებში. **ლანდშაფტის ეკოლოგია** ყურადღებას ამაზონილებს იმაზე, თუ როგორ მოქმედებენ ეკოლოგიური პროცესები საბინადრო გარემოს ჰეტეროგენულობის ფონის ნინააღმდეგ. **კონსერვაციული ბიოლოგიის** სფერო აერთიანებს გენეტიკის კონცეფციებს პოპულაციისა და თანასაზოგაროების ეკოლოგიასთან, ხშირად ლანდშაფტური მიღომის გამოყენებით, ბიომრავალფეროვნებისა და საფრთხეში მყოფი სახეობების შენარჩუნების საკითხთა გათვალისწინებით. სულ უფრო მეტი ეკოლოგი მიიჩნევს თავის პასუხსაგებ მოვალეობად ბუნების არა მხოლოდ აღმოჩენას, ექსპანსიასა და შენარჩუნებას, არამედ ცოდნის გამოყენებას ბუნებრივ სისტემათა ინტეგრირებულობის აღსადგენად, იმის ალსადგენად, რაც დააზიანა ადამიანთა საქმიანობამ. ეკოლოგიის ამ ახალ და ამაღლელვებელ სფეროს **აღდგენის ეკოლოგია** ეწოდება.

ეკოლუციური თეორია წარმოადგენს ეკოლოგიური კვლევის საფუძველს. ეკოლუციურ ცვლილებათა მექანიზმები მუდავნდება გენეტიკის მეცნიერებაში, ხოლო გენეტიკური კონსტრუქციის ექსპანსიის საშუალებანი მოიპოვება ფიზიოლოგიის, ენდოკრინოლოგიისა და ქცევის მეცნიერებებში. ეკოლოგია გარკვეულწილად ყველა მათგანს აერთიანებს.

მნიშვნელოვანია განვალებავორ ეკოლოგიის სფერო სხვა სფეროებისგან, რომლებიც დაკავშირებულია სამეცნიერო კვლევებთან. ეკოლოგია შეისწავლის ურთიერთკავშირს ორგანიზმებსა და მათ გარემოს შორის. **გარემოს მეცნიერება** ყურადღებას ამაზონილებს ბუნებაზე ადამიანთა სპეციფიკური გავლენის გაგებაზე. გარემოს მეცნიერების კვლევა აერთიანებს ეკოლოგიის, ქიმიის, ფიზიკისა და სხვა მეცნიერების პრიცნიპებს ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან და ეთიკასთან. გარემოს ზოგი მეცნიერი შეისწავლის ადამიანის მიერ დამზადებულ ნივთიერებათა (მაგ. როგორიცაა პესტიციდები, დეტროგენტები და სხვა) ბედსა და ქმედებებს ბუნებრივ სამყაროში. სამეცნიერო კვლევის ეს საშუალება ხშირად მოიხსენიება **ეკოტოქსიკოლოგიის** სახელით. ეკოტოქსიკოლოგები დაინტერესებული არიან იმის კვლევით, თუ რა გავლენას ახდენენ ადამიანის მიერ წარმოებული ნივთიერებები ადამიანის ჯანმრთელობაზე. ისინი ხშირად ქმედების მოდელებად იყენებენ სხვა ცხოველებს, ისეთებს, როგორებიც არიან თევზები და პატარა უხერხემლოები.

და ბოლოს, ეკოლოგია უნდა განვასხვავორ რიგი სხვა მცდელობებისგან, რომლებიც მასში ეშლებათ.



**სურ. 1-14** მაგალითი ადგილისა, სადაც ენვაირონმენტალისტების საქმიანობა ძალიან საჭიროა. ამგვარი ადგილების განმეოდა მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს ადამიანთა დაუდევარი საქმიანობის შემცირებისთვის ბუნებრივ სამყაროში (სურათი მოგვაწოდა გარისონზე).

**გარემოს მენტალიზმი, კონსერვაციონიზმი (დაცვა, გაფრთხილება) და პრეზერვაციონიზმი (შენარჩუნება)** სოციალური და პოლიტიკური მოძრაობებია და არა სამეცნიერო კვლევის სფეროები. ყველაზე კონსტრუქციული და საპასუხისმგებლო ფორმით ეს მოძრაობები იღვნიან საზოგადოების გასანათლებლად, ადამიანის მიზეზით გამოწვეული გარემოს პრობლემები მათი განხილვის საგანია. ისინი ასევე მოუწოდებენ საზოგადოებას გავლენა მოახდინონ ცვლილებებზე, რაც პრობლემას აღმოჩევრის. პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ენვაირონმენტალიზმი დაფუძნებულია ეკოლოგიური პროცენტების საფუძვლიან გაგებაზე, მაგრამ ის არ არის

ეკოლოგიის ქვესფერო. ეკოლოგია არც კეთილგანზრახვიან საჯარო გალამაზებას ახორციელებს და არც გამწმენდ სამუშაოებს. თითქმის ყველა მომხრეა ამგვარი სამოქალაქო პასუხისმგებლობისა, მაგრამ ამგვარი საქმიანობა მეცნიერება არ არის, ის არ ზრდის ბუნებრივი სამყაროს ჩვენეულ გაგებას, თუმცა გაცილებით სასიამოენოს ხდის მასზე დაკვირვებას (იხ. სურ. 2-14).

ეკოლოგიური კვლევის ქვესფეროები წარმოადგენს შესაფერის გზებს ეკოლოგიის სხვადასხვა მიდგომებზე საფიქრალად, მაგრამ ბევრ შემთხვევაში, ცალკეული ეკოლოგები ანარმობებენ სამუშაოს, რომელიც სცილდება ქვედისციპლინების საზღვრებს. ბუნების კომპლექსურობა ეკოლოგთა უმრავლესობის ბუნებრივ ცნობისმოყვარეობასთან ერთად ხშირად ახალისებს ფართო მიდგომებს. პოპულაციათა ეკოლოგმა, რომელიც იწყებს მცენარეთა დინამიკის აღმოჩენას, შეიძლება აღმოაჩინოს, რომ ეს დინამიკა დამოკიდებულია მცენარის ფიზიოლოგიურ თვისიგებზე (ფიზიოლოგიური ეკოლოგია), მის ურთიერთობაზე სხვა მცენარეებთან (ერთობათა ეკოლოგია) და ბალაზისმჭამელთა ქცევაზე, რომლებიც იკვებებიან ამ მცენარით (ქცევის ეკოლოგია). მისმა კვლევებმა შეიძლება გამოიწვიოს იდეები სისტემის მნიშვნელოვან ცვლადებს შორის ურთიერთობაზე, რომლებიც შემდგომში თეორიად განვითარდებიან, რაც მერე და მერე სხვა ეკოლოგთა ექსპერიმენტებში ჰიპოთეზის სახით შეიძლება იქნეს გამოყენებული. მან შეიძლება დანეროს თავისი ნამუშევრის შესახებ, რათა გაუზიაროს იგი სხვა მეცნიერებს ან ზოგადად საზოგადოებას. ამგვარი ნამუშევრიდან მიღებული სარგებლობა უდიდესია, რაშიც ვიმედოვნებთ, რომ თავად დარწმუნდებით.

## დასკვენა

**1.** მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ესა თუ ის რამ, ჰიპოთეზა ეწოდება. გარკვეულ დროს წარმოშობილი სპეციფიკური ინტერესის ჰიპოთეზებს ნულოვანი ჰიპოთეზები ეწოდება, ხოლო მათ ყველა სხვა შესაძლო ახსნას — ალტერნატიული ჰიპოთეზები. ჰიპოთეზა შეიძლება გამოხატულ იქნეს სიტყვიერად ან მათემატიკური გამოხატულების სახით, რომელთაც თეორიული ეკოლოგიური მოდელები ეწოდებათ. ისინი გვიჩვენებენ ურთიერთობას ბუნების გასაზომ თვისებებს ცვლადებს შორის. ეკოლოგიური თეორია წარმოადგენს ექსპერიმენტის ჩატარებამდე ცვლადებს შორის კომპლექსური ურთიერთობების ახსნას.

**2.** ბუნების შესახებ გაკეთებულ წებისმიერ დასკვნას, არსებული ცვლილებების გამო, თან ახლავს გარკვეული ეჭვი. ეკოლოგები იყენებენ სტატისტიკურ მეთოდებს ცდომილების რაოდენობის მართვისთვის.

**3.** ეკოლოგიურ ცვლადებზე ძირითადი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ეკოლოგები იყენებენ ამორჩევით კვლევებს, რომელთა სამუალებითაც სისტემატურად აკვირდებიან ბუნებას. ხანგრძლივ პროცესთა დინამიკის გარკვევის მიზნით, ეკოლოგები იყენებენ გრძელვადიანი მონიტორინგის პროგრამებს.

**4.** ბუნებაში კაუზალური ურთიერთობების გამოსავლენად, ეკოლოგებმა ექსპერიმენტები უნდა ჩაატარონ. ექსპერიმენტი ბუნებრივი სამყაროს რომელიმე კომპონენტს აძლევს საშუალებას, იმოქმედოს ისეთ ჰიპოთებში, რომლებსაც ექსპერიმენტატორი აკონტროლებს. ექსპერიმენტები ერთი ან რამდენიმე ნულოვანი ჰიპოთეზის ბირდაპირი ტესტებია. რადგანაც ნულოვან ჰიპოთეზათა უმრავლესობის მართებულობა უცნობია, ექსპერიმენტატორებს შეუძლიათ, დაუშვანორი ძირითადი შეცდომა: სწორი ნულოვანი ჰიპოთეზა

ის უარყოფა, — სახელად I ტიპის შეცდომა ან მცდარი ჰამატის აღიარება — II ტიპის შეცდომა. ექსპერიმენტული პროცედურები აკონტროლებენ ამ ტიპის შეცდომების დაშვების ალბათობას.

**5.** ზოგი ექსპერიმენტი, რომლებიც ამფიბიათა პოპულაციების კლებას განსაზღვრავს, ყურადღებას ამახვილებს გარკვეულ ულტრაიისფერ ტალღათა (UV-B) ეფექტებზე, რომლებიც მიჩნეულია, რომ საზიანოა ბიოლოგიური ქსოვილებისთვის. ადამიანთა საქმიანობამ დააზიანა, შეათხელა ოზონის შრე, რომელიც UV სხივებისთვის ბუნებრივი ფილტრის როლს ასრულებს. ამან მეცნიერები მიიყვანა ნულოვან ჰიპოთეზამდე, რომლის თანახმად გაზრდილი UV გამოსხივება აზიანებს ბაყაყების კვერცხებს. ორეგონში ჩატარებულ ექსპერიმენტებში კვერცხები მოათავსეს სამი დონის UV-B გამოსხივების ქვეშ. მათ აღმოაჩინეს, რომ ორში ბაყაყთა შესასწავლი სამი სახეობიდან გაზრდილმა UV-B გამოსხივებამ შეამცირა გამოჩეკვის ნარმატებულობა, ექსპერიმენტი მნიშვნელოვანი ცვლადი.

**6.** ფილოგენია ევოლუციური ურთიერთობის სტრუქტურა სახეობებს ან ტაქსონომებს შორის. ეკოლოგები იყენებენ ამ ინფორმაციას ცოცხალ სახეობათა ადაპტაციების განსასაზღვრად.

**7.** ეკოლოგიური კვლევა მოითხოვს მნიშვნელოვან რესურსებს და ქმნის მრავალ ლოგისტიკურ პრობ-

ლებას. ეკოლოგებმა კვლევები უნდა ჩაატარონ შორეულ ადგილებში, რომლებიც ხშირად არასტუმართმოყვარეობით გამოირჩევა.

**8.** ეკოლოგები აქვეყნებენ თავიანთი ნამუშევრების შედეგებს ეკოლოგიურ ჟურნალებში, რომლებსაც აფინანსებენ ისეთი ეკოლოგიური ორგანიზაციები, როგორიცაა მაგალითად, ამერიკის ეკოლოგიური საზოგადოება. მათ ასევე შეუძლიათ, წიგნების გამოცემაც. პუბლიკიციებს, რომლებსაც პირველად მიმოიხილავენ სხვა მეცნიერები, პირველადი ლიტერატურა ეწოდება.

**9.** სოფლის მეურნეობა და რესურსთა მენეჯმენტი დამყარებულია ეკოლოგიურ პრინციპებზე. ამ სფეროებში ეკოლოგიის გამოყენება გამიზნულია მოსავლის გაზრდასა და გარემოს მომავალი პროდუქტიულობის შენარჩუნებისათვის.

**10.** ეკოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი, დაყოფილია რიგ ქვესფეროებად, მათ შორის ფიზიოლოგიურ, ეკოსისტემათა, პოპულაციების, თანასაზოგადოებების, ევოლუციურ, ლანდშაფტის შენარჩუნებისა და აღდგენის ეკოლოგიად. გარემოებითი მეცნიერება შეისწავლის გარემოზე ადამიანთა გავლენას. გარემოს მენტალიზმი, კონსერვაციონიზმი და პრესერვაციონიზმი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობანია და არა ეკოლოგიის განშტოებანი.

## სავარჯიშოები

**1.** გაიხსენეთ მესამე სავარჯიშო პირველი თავიდან, სადაც უნდა მოგეფიქრებინათ კითხვები ბუნების შესახებ. განავითარეთ ნულოვანი ჰიპოთეზა თქვენ მიერ დასმულ თითოეულ შეკითხვაზე.

**2.** გაიხსენეთ ბუნებრივი ისტორია, რომელიც განავითარეთ პირველი თავის მეშვიდე სავარჯიშოში. ჩამოაყალიბეთ მარტივი მათემატიკური მოდელი, რომელიც ასახავს ორგანიზმის ბუნებრივი ისტორიის ორი კომპონენტის შემცველ ჰიპოთეზობას (მინიშნება: „კომპონენტში“ ვგულისხმობთ ორგანიზმის განსაზღვრულ საქმიანობას, გარემოს ფიზიკურ მდგომარეობას ან ურთიერთმოქმედი ორგანიზმის გარკვეულ ქცევას).

**3.** იმის გამოყენებით, რაც უკვე აქამდე ისწავლეთ მეცნიერული კვლევების დაურწმუნებელი ბუნების შესახებ, როგორ უპასუხებდით მოსაზრებას, რომ სამეცნიერო იდეები ყოველთვის საეჭვოა, რადგან

მეცნიერებს არასდროს შეუძლიათ სიმართლის გაგება?

**4.** განავითარეთ ექსპერიმენტი თქვენს მიერ ჩამოყალიბებული ერთ-ერთი ნულოვანი ჰიპოთეზის გამოსაცდელად.

**5.** განსაზღვრეთ, რამდენი დაჯდება იმ ექსპერიმენტის მომზადება და განხორციელება, რომელიც მეოთხე სავარჯიშოში ჩამოაყალიბეთ.

**6.** „World Wide Web“-ის გამოყენებით განავითარეთ სამეცნიერო ორგანიზაციათა სია, რომლებიც ხაზს უსვამენ ეკოლოგიურ კვლევის მნიშვნელობას. (შენიშვნა: ამ ორგანიზაციათა უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს ცხოველების, მცენარეების ან მიკროორგანიზმების გარკვეულ ჯგუფზე. მაგალითად, ამერიკის არაქნოლოგიური საზოგადოება მოიცავს ეკოლოგებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ობობებით.)

ნაცილი 2

# ორგანიზაცი აიდეიტურ გარეარმი



მესამეთაგვი გიჩვენებთ ბიოლოგიური და ფიზიკური სამყაროების ძირითად განსხვავებებს. ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ როგორ ინარჩუნებენ ორგანიზმები დაუჯერებლად დიდი რაოდენობის ენერგიას, მიუხედავად ფიზიკური ძალების მიერ ენერგიის არარაციონალური გაფანტვისა. განვიხილავთ ცოცხალ ორგანიზმებსა და ფიზიკურ გარემოს შორის ენერგიისა და ნივთიერებების მიმოცვლის ბუნებას და ამ დინების კონტროლისთვის ორგანიზმთა ადაპტაციებს. წყალი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სიცოცხლისთვის და მეოთხე თავში შევეხებით წყლის განსაკუთრებულ თვისებებს, რომლებიც ხელს უწყობენ სიცოცხლეს დედამიწაზე. აქვე განვიხილავთ, როგორ მართავენ ორგანიზმები წყლისა და მარილის ბალანსს თავიანთ სხეულებში. ასევე, აღვწერთ წყლის მოძრაობას ნიადაგიდან მცენარეთა დეროებში.

ცოცხალმა არსებებმა არა მარტო რეაგირება უნდა მოახდინონ ფიზიკური გარემოს პი-  
რობების ცვლილებებზე, არამედ უნდა ურთიერთქმედებდნენ სხვა ორგანიზმებთან. ორ-  
განიზმების რეაქცია ფიზიკურ გარემოზე ხელს უწყობს ფორმისა და ფუნქციის კონვერ-  
გენციას. ვნახავთ, რომ ბიოლოგიური ინტერაქციები ხელს უწყობენ მრავალფეროვნებას.  
მეშვიდე თავში განვიხილავთ თავიანთ ბიოლოგიურ გარემოსთან ორგანიზმთა ადაპტაციის  
პუნქტებს.

მეორე ნანილი სრულდება მერვე თავით, რომელიც აღწერს დედამიწის კლიმატისა და ტოპოგრაფიის სტრუქტურებს. ეს სტრუქტურები დედამიწის მზის გარშემო ბრუნვის დინამიკის შედეგია, რომელიც ინტერაქციულად უკავშირდება რეგიონულ, ადგილობრივ ტოპოგრაფიულ და გეოლოგიურ თვისებებს. დედამიწის კლიმატი და ტოპოგრაფიული თვისებები გავლენას ახდენენ მცენარეთა და ცხოველთა გავრცელებაზე. მცენარეულობისა და კლიმატის უნიკალურ თვისებებზე დაყრდნობით, ეკოლოგებმა დაადგინეს ბიომთა რიცხვი მსოფლიოში.

## თავი 3



# სიცოცხლე და ფიზიკური გარემო

### გზამკვლევი პითავაგი

- როგორ არიან დამოკიდებული ცოცხალი არსებები ფიზიკურ გარემოზე გადარჩენისთვის ბრძოლაში?
- რა გზებით იცვლებიან ცოცხალი არსებები ფიზიკურ გარემოში?
- რა გზებით ახდენენ გავლენას ადამიანები ფიზიკურ გარემოზე?
- რა თვისებები აქვთ ცოცხალ არსებებს, რაც განასხვავებს მათ უსულო საგნებისგან?
- როგორ აკონტროლებენ ორგანიზმები ნივთიერებათა და ენერგიის დინებას თავიანთ შინაგან და გარეგან გარემოში?
- როგორ იცვლება ფორმა და ფუნქცია სხეულის ზომასთან ალომეტრიულად?
- როგორ ასახავენ ადაპტაციები კომპრომისს ცოცხალ ორგანიზმებში?

**ჩ**ვენ ხშირად ვხედავთ ცოცხალისა და არაცოცხალის დაპირისპირებას: ბიოლოგიური გარემო ფიზიკურისა და ქიმიურის ნინააღმდეგ, ორგანული არაორგანულის ნინააღმდეგ, ბიოტური აბიოტურის ნინააღმდეგ, სულიერი უსულოს ნინააღმდეგ. იმ დროს, როცა ბუნებრივი სამყაროს ეს ორი დიდი სფერო თითქმის ყოველთვის განსხვავებულია ერთ-მანეთისგან, ისინი არ არსებობენ ერთმანეთისგან იზოლაციაში. სიცოცხლე დამოკიდებულია ფიზიკურ სამყაროზე. იმისთვის, რომ ცოცხლები დარჩენენ, ორგანიზმებმა მუდმივად უნდა ცვალონ ნივთიერებები და ენერგია ფიზიკურ გარემოსთან. ცოცხალი არსებები, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ ფიზიკურ სამყაროზე: ნიადაგი, ატმოსფერო, ტემპი, ოკეანეები და მთის მრავალი დანალექი ქანი თავიანთ თვისებებს ნაწილობრივ ცხოველებსა და მცენარეებს უნდა უმადლოდნენ. მართლაც, დედამინის ჟანგბადით მდიდარი ატმოსფერო თავის ჟანგბადს იმ მაფოტოსინთეზირებ-

ელ ორგანიზმებს, უნდა უმადლოდეს რომლებიც მას ბოლო 3,5 მილიონი წლის მანძილზე აწარმოებენ. ბიოლოგიური და ფიზიკური ტრანსფორმაციები, რომლებსაც ურთიერთკავშირში მოჰყავთ ცოცხალი და არაცოცხალი სფეროები, განსაზღვრავენ გლობალურ ეკოსისტემას. ამ ურთიერთობათა გაგება ბუნების მოქმედების შეფასებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

### 3.1 პიოლოგიური და ფიზიკური სამყაროები ურთიერთდამოკიდებულია

დედამინაზე სიცოცხლის ერთადერთი წყარო მზის სინათლეა. მცენარეთა და წყალმცენარეთა მწვანე ქსოვილში არსებული პიგმენტები შთანთქავენ სინათლეს და ილებენ მის ენერგიას. გამოსხივების ენერგია გარდაიქმნება ქიმიურ ენერგიად ნახშირორჟანგისა და წყლის გარდაქმნით მარტივი ორგანული ნახშირნ-

ყლების ნაერთებად. ამ პროცესს ფოტოსინთეზი ეწოდება, სიტყვასიტყვით — „სინათლესთან შეერთება“. შაქრისა და სხვა ორგანულ ნაერთებში დაგროვილი ენერგია გამოიყენება ბალასისმჭამელი და იმ მტაცებელი ცხველების მიერ, რომლებიც ჭამენ ბალასისმჭამელ ცხველებს და ა.შ. თქვენს ჰამბურგერში დაგროვილი ენერგია სულ რამდენიმე ნაბიჯით შორდება ფოტოსინთეზის ენერგიის ტრანსფორმაციას.


ფიზიკური გარემო წარმოადგენს როგორც ნედლეულს სიცოცხლისთვის, ისე პირობას სიცოცხლის არსებობისთვის. ორგანიზმები ენერგიას მზის სინათლისგან იღებენ. ისეთი ძირითადი ელემენტებისთვის, როგორიცაა ჟანგბადი და ნახშირბადი და ისეთი მნიშვნელოვანი მოლეკულებისთვის, როგორიცაა წყალი და ნახშირნყლები, ისნი დამოკიდებულია ფიზიკურ გარემოზე. ორგანიზმებმა ასევე უნდა აიტანონ გარემოს ტემპერატურის, ტენიანობის, მარილის შემცველობისა და სხვა ფიზიკური ფაქტორების უკიდურესობები. უდაბნოს სიცხე და სიმშრალე გამორიცხავს სიცოცხლის ფორმათა უმრავლესობას. ისევე, როგორც პოლარული რეგიონების მწარე სიცივე უკან აპრონებს ყველას, იმათ გარდა, ვინც გამძლენი არიან. მცენარეებისა და ცხველების ფორმა და ფუნქცია უნდა ემორჩილებოდეს ფიზიკური სამყაროს კანონებს. ის ფაქტი, რომ წყალს ჰაერზე მეტი სიმკვრივე და სიბლანტე გააჩნია, მოითხოვს თევზებისგან მოკვერცხილ, ნაკლებადნინაალმდეგობრივ ფორმებს მკაცრი ჰიდროდინამიური პრინციპების მიხედვით, რათა სწრაფები და მოქნილები იყვნენ. ის ფაქტი, რომ ჟანგბადს ჰაერსა და წყალში შეზღუდული ხსნადობა აქვს, აწესებს ზედა ზღვარს ცხოველებისა და მიკროორგანიზმების მეტაბოლურ დონეებზე.


ცოცხალი ორგანიზმები თითქმის მთლიანად ფიზიკურ სამყაროზე არიან დამოკიდებულნი და ამავე დროს თვითონაც ახდენენ მასზე გავლენას, ხშირად ძალიან მნიშვნელოვანსაც. დედამინის ატმოსფეროს შემადგენლობა, ნიადაგის მდგომარეობა და ხარისხი, ადგილობრივი ტოპოგრაფიის ფორმაცია, ადგილობრივი კლიმატური პირობები და გაუდაბნების დონეები არ არის ფიზიკური სამყაროს მიერ ცოცხალ არსებებზე თავსმოხვეული ურყევი პირობები. ეს უფრო გარემოს ცოცხალ და არაცოცხალ კომპონენტებს შორის ჩახლართულ ურთიერთქმედებათა შედეგებია. ამ ურთიერთქმედებას ახასიათებს ფიზიკური და ქიმიური ტრანსფორმაციების მუდმივი ბიოლოგიური განახლება ევოლუციის პროცესის საშუალებით, აძლევს რა ორგანიზმებს უკეთესად ფუნქციონირების საშუალებას ფიზიკური გარემოს ჩარჩოებში. დედამინაზე სიცოცხლის გაჩენიდანვე ფიზიკური გარემოს მახასიათებლები იცვლებოდა და მოდიფიცირდებოდა ცოცხალ არსებათა საქმიანობის შედეგად. ჩვენ ვნახავთ, რომ ადამიანები სამყაროს ფიზიკურ პირობებზე და ამრიგად, დედამინაზე არსებულ სიცოცხლეზეც საგრძნობ გავლენას ახდენენ.

## ორგანიზმთა როლი დედამინის ატმოსფეროს ფორმირებაში

დედამინამ არსებობა დაინტერესობა და ოკეანების გარეშე. დედამინაბით, ატმოსფერო შეიცავს უანგბადის სტაბილურ 20%-იან კონცენტრაციას. კონცენტრაციას, რომელიც უანგბადით არც ზედმეტად მდიდარია (25%-ზე მაღალი კონცენტრაცია, ყველაზე ნესტიან ნივთებსაც კი დაწვის საშიშროების წინაშე დააყენებდა) და არც ზედმეტად დარიბი (15%-ზე ნაკლები კონცენტრაცია გამორიცხავდა ცეცხლის არსებობას) (Lovelock 1979). დედამინის ატმოსფეროს ჩამოყალიბების ისტორია ყველაზე შთამბეჭდავი და საინტერესო მაგალითია იმისა, თუ როგორ ახდენენ გავლენას ორგანიზმები ფიზიკურ გარემოზე. ცხადია, ორგანიზმები არ არსებობდნენ დედამინის ისტორიის დასაწყისში. ატმოსფეროს პირველი კომპონენტები, როგორიცაა წყალი, ნახშირბადი, ნახშირორჟანგი, ქლორი, აზოტი და გოგირდი, დედამინაზე მეტეორიტების საშუალებით მოხვდნენ ან ამოიფრენენ დედამინის ქერქიდან ვულკანური ძალების მეშვეობით (Schlesinger, 1991). დედამინის ქერქის გაგრილებამ გამოიწვია წყლის კონდენსაცია და საბოლოოდ, დაახლოებით 3,8 მილიარდი ნლის წინ ოკეანები გაჩნდა. მართალია, ძნელია ზუსტად და დარწმუნებით ამის ცოდნა, მაგრამ ვარაუდობენ, რომ 3,5 მილიარდი ნლის წინ ატმოსფერო შედგებოდა ისეთი იშვიათი აირებისგან, როგორებიცაა: მეთანი ( $\text{CH}_4$ ) ან ნახშირორჟანგი ( $\text{CO}_2$ ), ამიაკი ( $\text{NH}_3$ ) ან მოლეკულური აზოტი ( $\text{N}_2$ ), წყლის ორთქლი ( $\text{H}_2\text{O}$ ) და წყალბადი ( $\text{H}_2$ ) (Berkner and Marshall 1965, Chapman and Schepf 1983, Schlesinger 1991). იმუამადვე დედამინის ოკეანებში ძალიან მარტივი ორგანული მოლეკულები დაგროვდა. ამ ადრეულ გარემოში არ არსებობდა უანგბადი. ეს კარგიც იყო, რადგან თავისუფალი უანგბადი მალევე დაშლიდა პირველ მარტივ ტოპოგრაფიულ მოლეკულებს, რომლებიც სიცოცხლის შექმნისთვის აუცილებელი გახლდათ. ამ გარემოში განვითარდნენ პირველი ძალიან მარტივი ცოცხალი ორგანიზმები და დაინტერესობები, რომლებმაც ფუნდამენტურად განსხვავებული ატმოსფეროს ჩამოყალიბება გამოიწვია.


ალბათ, ცხველების ციკლში ცოცხალ არსებათა ყველაზე მნიშვნელოვანი ინოვაცია იყო ფოტოსინთეზის განვითარება, დაახლოებით 3,5 მილიარდი ნლის წინ. ყველაზე ადრეული ფოტოსინთეზური რეაქციები, ალბათ მოიცავდნენ ისეთი რედუცირებული აირის უანგბას, როგორიცაა გოგირდწყალბადი ( $\text{H}_2\text{S}$ ). **უანგბა** არის პროცესი, რომლის დროსაც ატომს ან მოლეკულას ერთი ან მეტი ელექტრონი სცილდება. ელექტრონების დამატებას კი **ალდგენა** ეწოდება.  $\text{H}_2\text{S}$ -ის უანგბა ადრეულ დედამინაზე შეიძლება გამოიწვია გოგირდბაქტერიას ძლიერი ვულკანური აქტივობის ადგილებში, როგორც ქვემოთ მოცემულ რეაქციაშია ეს წარმოდგენილი:





**სურ. 3-1** ფოტოსინთეზით გამოყოფილი უანგბადი დედამინაზე მუდმივიად გროვდებოდა გეოლოგიურ დროში, მაგრამ მოლეკულური უანგბადის ნარმოშობა ატმოსფეროში შედარებით ახალი მოვლენაა. ფოტოსინთეზით გამოყოფილი უანგბადი დაახლოებით 2 მილიარდი წლის წინა პერიოდში მყისვე ორგალენტიან რენის უერთდებოდა, რათა დედამინას ზედაპირზე რენის მადნის დეპოზიტები შეექმნა. ამის შემდეგ დაახლოებით 4 მილიონი წლით ადრე პერიოდამდე უანგბადი უანგვით რეაქციებში შედიოდა ალდეგნილ მეტალებთან ოკეანებში, ქმნიდა რა კონტინენტურ არებში  $\text{SO}_4^{2-}$ -სა და  $\text{Fe}_2\text{O}_3$ -ის დეპოზიტებს — თიხნარ ნითელ ქვიშაქვებს. უანგბადმა ატმოსფეროში დაგროვება დაიწყო დაახლოებით 400 მილიონი წლის წინ. დღესდღეობით, დედამინის უანგბადის დაახლოებით 58% ჩართულია რენის მადანში და დაახლოებით 38% მოპოვება თიხნარ ნითელ ქვიშაქვებში. დანარჩენი, დაახლოებით 4% მოპოვება ატმოსფეროში (From Schlesinger 1991, modified from Schidlowski 1983).

რადგანაც  $\text{H}_2\text{S}$  იშვიათი იყო, ფოტოქიმიური პროცესები, რომლებიც მოიცავდნენ წყლის ( $\text{H}_2\text{O}$ ) დაშლას, საკმაოდ უფრო ხშირი იყო იმ დროისთვის. ამან გამოიწვია ფოტოსინთეზის ცნობილი რეაქციების ეტაპობრივი ევოლუცია:



უანგბადის ნარმოქმნამ მნიშვნელოვნად შეცვალა დედამინის ატმოსფეროს ბუნება, თუმცა ეს სწრაფად არ მომხდარა. მილიარდი წლების წინ ფოტოსინთეზით ნარმოქმნილი უანგბადის უმეტესი ნაწილი იმ ნამსვე გამოყენებოდა უანგვით რეაქციებში. პირველად უანგბადი ( $\text{O}_2$ ) რეაქციაში შევიდა ორვალენტიან რენიასთან ( $\text{Fe}^{2+}$ ) ოკეანებში, რამაც ოკეანების რენიის უმრავლესობის უანგვა გამოიწვია და მათგან ნარმოშვა რენიის მადნის დეპოზიტები. მაგრამ დაახლოებით 2,0-1,5 მილიარდი წლის წინ ფოტოსინთეზით გამოყოფილი  $\text{O}_2$ -ის რიცხვმა გადააჭარბა ოკეანურ და ატმოსფერულ უანგვით რეაქციებში გამოყენებულის რიცხვს და უანგბადმა დაიწყო დაგროვება ატმოსფეროში (სურ. 3-1). ამრიგად, დედამინის ატმოსფერო უპირატესად ალდეგნითი გარემოდან უანგვითი გარემოთი შეიცვალა, მისი ცოცხალი ორგანიზმების აქტივობის წყალობით.

დედამინის ადრეულმა ალდეგნითმა ატმოსფერ-

ომ გამოიწვია მარტივი ორგანული მოლეკულების ფორმაცია და საბოლოოდ უფრო კომპლექსური მოლეკულებს შექმნა, რომლებისგანაც შედგებიან ცოცხალი ორგანიზმები. მოლეკულათა მარტივი კომპინაციები, რომლებიც ხშირად უჯრედების კომპლექსური სფერული სტრუქტურების ფორმას იძენენ, გაჩნდნენ დედამინაზე მილიარდობით წლის წინ. მიჩნეულია, რომ ეუკარიოტული ორგანიზმები დედამინაზე პირველად გაჩნდნენ 1,3 მილიარდი წლის წინ, იმ დროს, როცა ატმოსფეროში უანგბადის კონცენტრაცია შეადენდა 1%-ს იმისა, რასაც დღეს შეადგენს (Chapman and Schopf 1983). მემპრანასთან დაკავშირებული ქლოროპლასტების შემცუთველი ფოტოსინთეზური პიგმენტების ევოლუციამ უფრო ეფექტური ფოტოსინთეზი ნარმოშვა და ამის შედეგად ატმოსფეროში მეტი უანგბადის გამოყოფა დაიწყო, ხოლო უანგბადით მდიდარ გარემოში მნიშვნელოვანი ბიოქიმიური რეაქციები ნარმოშვა. მათ შორის იყო აზოტის ტრანსფორმაციები, რომლებსაც ზოგიერთი ბაქტერია ახდენს და რის საშუალებითაც რიგი უანგვითი რეაქციებისა აქცევს ამიაკს ( $\text{NH}_3$ ) ნიტრატად ( $\text{NO}_3^-$ ) და ნიტრიტად ( $\text{NO}_2^-$ ). როგორც მეთერთმეტე თავში ვნახავთ, ეს რეაქციები გამოყოფენ ენერგიას, რომლებიც გამოიყენება სწრაფი ბიოქიმიური რეაქციების ნარმართვისთვის.

## გზები, რომელთა მეშვეობითაც მიკროორგანიზმები და მცენარეები მოქმედებენ ფიზიკურ გარემოზე

ორგანიზმთა აქტიურობამ წარმოშვა ატმოსფერო, რომელსაც როგორც უკვე ვიცით, შეუძლია სიცოცხლის შენარჩუნება დედამინაზე. მცენარეებისა და მიკროორგანიზმების გავლენა ფიზიკური გარემოს უნაყოფო, უსიცოცხლო ადგილებზე დღეს ცოცხალ არსებათა ტრანსფორმაციული შესაძლებლობების კიდევ ერთი მაგალითია. ვულკანურ ამოფრქვევებს, ეროზისას, მყინვარების უკან დახევას (დეგლაციაცია) და ადამიანთა ინდუსტრიული საქმიანობის ნარჩენების დაგროვებას, შეუძლია, შექმნას ან წარმოშვას ადგილები, რომლებიც არსებითად მოკლებულნი არიან სიცოცხლეს. თავდაპირველად, ამგვარ ადგილებში შეიძლება არ მოიპოვებოდეს ნიადაგი და საკვები ნივთიერებები, რადგან ისინი წარმოადგენენ მძიმე ფიზიკურ გარემოს, რომელიც შეუფერებელია სიცოცხლისთვის. მაგრამ ეს დიდხანსა არ გასტანს. მცენარეები და მიკროორგანიზმები თანაბრად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვებისგან, ქვიშის დიუნებისგან ან სხვა უნაყოფო მინერალებისგან ნიადაგის წარმოქმნაში (Olson 1958, Shure and Ragsdale 1977, იხ. 28-ე თავი). მცენარეთა ფესვები იჭრებიან გაშიშვლებული მთის ქანების პანანინა ბზარებში და აფხვიერებენ კლდეს, როცა იზრდებიან და ფართოვდებიან. მცენარეთა დეტრიტები ხრნის ბაქტერიებისა და სოკების სამუალებით, წარმოშობენ ორგანულ მჟავებს, რომლებიც შლიან მინერალებს ქვებში, ასუსტებენ მათ კრისტალისებრ სტრუქტურას და აჩქარებენ მათ ეროზიას. დეტრიტების ფრაგმენტები საბოლოო ჯამში ცვლიან ნიადაგის სტრუქტურას. გარკვეული ბაქტერიები და ლურჯ-მწვანე წყალმცენარეები პასუხისმგებელი არიან ატმოსფეროდან აზოტის ბიოლოგიურ ფიქსაციაზე, რითაც ქმნიან კავშირს ბიოტურ და აბიოტურ სამყაროებს შორის (Broda 1975, Schlesinger 1991).

მცენარეები და მიკროორგანიზმები როგორც ადგილობრივად, ისე გლობალურად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტენიანობისა და ტემპერატურის კონტროლში. ისინი ხელს უწყობენ ნიადაგის შენარჩუნებას და ამრიგად, გავლენას ახდენენ გარემოში წყლის ცირკულაციაზე. ისინი ასევე ზემოქმედებენ ატმოსფეროს შემცველობაზე და აქედან გამომდინარე, კლიმატზე. ხშირად ძალიან ადვილია იმის შეფასება, თუ როგორ ახდენენ მცენარეები და მიკროორგანიზმები გავლენას ფიზიკურ გარემოზე, როცა მათ მოაშორება გარემოს. ხშირად სწორედ ასეც ხდება, როდესაც ადამიანები ცვლიან ბუნებრივ სამყაროს სოფლის მეურნეობისთვის ან ბუნებრივი პროდუქტების მოსაპოვებლად. იმის ნათელმა მაგალითმა, თუ რა ხდება, როცა ცოცხალი ორგანიზმების ეს ფუნქციები იშლება, თავი იჩინა შუა დასავლეთ ამერიკის ე.წ. „დასთ ბოულში“ (ქვიშიანი ქარიშხლების ზონა) 1930-იან წლებში. „დასთ ბოულის“ რეგიონი, როგორც წესი, მშრალი და ქარიანია, მაგრამ ადგილობრივ მრავალნიან



(a)



(b)

**სურ. 3-2** შუა დასავლეთი აშშ-ს „დასთ ბოული“. ქარისმიერი ეროზია იწყება ნიადაგების ინტენსიური ხენის და ნაკლები ნეიმი-ანობის შედეგად. (ა) საშემოდგომო ხორბლის წარუმატებელმა მოსავალმა 1954 წლის მარტში გამოიწვია ნიადაგის გამოქარვა ფინიში, კანზასის შტატში. (ბ) კოლორადოს შტატში, 1937 წლის მაისში, ქვიშიანი ქარიშხლის ტრაგედიისას მტვრადეცეული გაფანტული ნიადაგის ნაწილებისგან შემდგარი ქვიშიანი ქარიშხალი უახლოვდება სპრინგფლოდს, (სურათი მოგვანდა ნიადაგის შენარჩუნების სამსახურმა).

მცენარეებს, რომლებიც ცოცხლობდნენ წლების განმავლობაში, ფესვები საკმარისად ღრმად ჰქონდათ გადგმული იმისთვის, რომ ნიადაგი ადგილზე შეენარჩუნებინათ. როდესაც პრერიები 1980-იან წლებში გადახნეს, ნაკლებად ვრცელი ფესვიანი სისტემის მქონე მრავალნლიანმა ყოველწლიურმა მარცვლოვანმა კულტურებმა ჩაანაცვლეს ადგილობრივი მრავალნლიანი მცენარეები. მშრალი წლების სერიამ შეამცირა მარცვლოვანი კულტურების ზრდა და ნიადაგის ზედაპირი წვრილი ქვშის მტვრად აქცია. ამის შედეგი ილუსტრირებულია სურათ 3-2-ში.

მცენარეებისა და მიკროორგანიზმების აქტიურობის მნიშვნელობა ასევე მულავნდება მაშინ, როდესაც განუკითხავად ჩეხებავენ ტყეებს. ეს საქმიანობა დღეს მსოფლიოს მასტაბით საგანგაშო დონეს აღწევს. ადამიანები ჩეხებავენ და წვავენ ტყეებს შეშისა და საკვების მისაღებად, საექსპორტოდ ან მიწის კულტივაციისთვის გამოსაყენებლად. ტყეების გაჩეხვასთან ერთად, ნადგურდება მათი მნიშვნელოვანი ფუნქციებიც, რომლებსაც ისინი ბუნებრივი სამყაროსთვის ასრულებდნენ. ტყეები, რომლებიც როგორც წესი, ჩრდილით უზრუნველყოფენ, ამცირებენ წყლის აორთქლებას და ინარჩუნებენ ნიადაგის ტენიანობას. მეტიც, მცენარეულობა მზის სინათლეს იმაზე ეფექტურად შთანთქავს, ვიდრე შიშველი მიწა, რადგანაც მას აქეს დამანოტივებელი ეფექტი ატმოსფეროზე, მცენა-



**სურ. 3-3** თხების ზედმეტმა სიარულმა საძოვარზე თითქმის გაანადგურა ჩრდილოეთ კენის ამ ადგილის მცენარეულობა (მსოფლიოს ცოცხალი ბუნების ფონდის /World Wildlife Fund/ UCN/ ნაბომები).

რეულობა ცვლის ადგილობრივ სითბურ ბალანსს, ტყის ნალექებს და ამით გავლენას ახდენს ადგილობრივ ამინდზე. ამრიგად, ტყეთა გაჩეხვის შედეგად, ტყის მასივების გაქრობამ თანდათანობით შეცვალა გარემო პირობები და კლიმატი ბევრ ადგილას. ჩრდილოეთ აფ-რიკაში ერთ დროს ფართო, ალჟირის ვრცელი ტყეები ახლა თითქმის განადგურებულია. ამის შედეგი კი იყო ადგილობრივი წვიმების რაოდენობის კლება, მთის თოვლის საფარველის თანდათანობითი შემცირება, უფრო ხშირი და ექსტრემალური გვალვები, დასალ-ევი წყლის ნაკლებობით და მასობრივი ნიადაგის ერო-ზით (Zaimiche, 1994). აფრიკის ვრცელ რეგიონებში, საპარას უდაბნოს სამხრეთით, ყველა ადგილობრივი მცენარეული განადგურდა საკვების შეგროვებისა და საძოვრებზე საქონლის მომრავლების გამო. 1980-იან წლებში ამან გამოიწვია გამანადგურებელი გვალვები. (სურ. 3-3).

მცენარეები და მიკროორგანიზმები ასევე გავლენას ახდენენ გარემოში წყლის ცირკულაციაზე. წვიმა არ გროვდება იქ, სადაც ეცემა დედამინაზე. წვიმა რომ გროვდებოდეს, ნიუ-იორკის შტატი ადამიანის ცხოვრების განმავლობაში 60 მეტრიანი წყლის ფენით დაიფარებოდა. წყლის ნაწილი შეიმოვავდა ნიადაგში ან ჩაედინება მდინარეებში, ტბებსა და საბოლოო ჯამში — ოკეანეებში, დანარჩენი კი ორთქლდება დედამი-ნის ზედაპირიდან და მცენარეთა ფოთლებიდან. ისეთ ადგილებში, როგორიცაა აღმოსავლეთ აშშ, სა-დაც ხეების ფოთლებს ოთხჯერ იმაზე დიდი ფართი უკავიათ, ვიდრე მინას მათი ტოტების ქვეშ, მცენა-

რეულობა წყლისთვის ატმოსფეროსკენ მიმავალ უმ-ნიშვნელოვანეს გზას ნარმოადგენს. როდესაც ტყე იჩეხება, იმ წყლის უდიდესი ნაწილი, რომელიც ფოთ-ლებიდან უნდა აორთქლებულიყო, მდინარეებში ჩაე-დინება. ფართო გადარგვის უზრუნველყოფის გარეშე ტყის გაჩეხვა იწვევს წყლადიდობებს, მზარდ ეროზიას, მეწყურებს და გაშიშვლებული ნიადაგიდან საკვბი ნივთიერებების ჩამოშორებას. ნესტიან ნიადაგში მცენარეულობა ინარჩუნებს საკვებ ნივთიერებებს, ტყის გაჩეხვა იწვევს ნიადაგის ნაყოფიერების შემცი-რებას, შედეგი ტრაგიულია.

მცენარეთა და მიკროორგანიზმების აქტივობა დიდ გავლენას ახდენს დედამინის ატმოსფეროს აირო-ვან შემცველობაზე. ტორფიანი ჭაობების ბუნებრივი მცენარეები და ჭაობების კულტურული მცენარეები, როგორიცაა ბრინჯი, სოფლის მეურნეობის მოსავლის მატებასთან ერთად, მატებენ ნახშირბადს დედამინის ატმოსფეროს მეთანის ფორმით. ამ მცენარეებთან ასოცირებული მიკროორგანიზმები ნარმქნმიან მეთანს ( $\text{CH}_4$ ). მართალია, ნახშირორჟანგთან შედარ-ებით მეთანი მცირე კომპონენტია მსოფლიო ატმოს-ფეროს მთლიანი ნახშირბადისა, მისი შემცველობა ატმოსფეროში ნახშირბადისაზე მეტად იზრდება (Schlesinger 1991). ეს ზრდა არის მღელვარების მიზეზი იმდენად, რამდენადც მეთანი 20-ჯერ უფრო ეფექ-ტურია ნახშირორჟანგზე, როგორც სათბურის აირი (იხ. თავი 11, Lashof and Ahuja 1990). მეთანის რაოდე-ნობის გლობალური ზრდა ნაწილობრივ დაკავშირებულია კულტურული მცენარეების, ბრინჯის მდელოე-ბთან, კერძოდ, მათი მიკროფლორის აქტივობასთან. (Schlesinger 1991, Ehrlich et al. 1994).

### როგორ ახდენენ ცხოველები გავლენას ფიზიკურ გარემოზე

ცხოველებიც ასევე გავლენას ახდენენ ფიზიკური გარემოს პირობებზე, თუმცა მათი გავლენა არ არის იმდენად დრამატული, რამდენადაც მცენარეებისა და მიკროორგანიზმებისა. ცხოველთა საქმიანობა, რო-გორიცაა მინის თხრა, ტკეპნა და ნმენდა, გარკვეულ როლს თამაშობს ნიადაგის განვითარებასა და ცვლი-ლებაში. მატლების აქტივობამ შეიძლება შეცვალოს ნიადაგის სტრუქტურა და საკვები ნივთიერებების შემცველობა (Lee 1985), შეიცვლება დონეც, რომლი-თაც შლა/დეკომპოზიცია იჩენს თავს ტყის ჩამოცვე-ნილ ფოთლებსა და სასოფლო სამეურნეო ნიადაგში (Wolters and Schaefer 1993). მღრღნელების მიწისმთხრე-ლი საქმიანობა და მათი შარდისა და ექსკრემენტების დეპონირება ანახლებენ მცენარეულობას სოროს შეს-ასვლელთან. მღრღნელთა გაკეთებულ გვირაბებს, შეუძლია, გავლენა მოახდინოს მათ ზემოთ მდებარე მცენარეულობის სტრუქტურასა და სახეობათა კომ-პოზიციაზე (Tilman 1983, Koide et al. 1987. Swihart 1991). გოფერების მიერ შექმნილი დიდი გორაკები (სურ. 3-4)



**სურ. 3-4** გოფერების გორაკები სან-დიეგოს მახლობლად, კალიფორნიის შტატში. ეს გორაკები გოფერების სოროების შესასვლელთან ქმნიან ამოთხრილი მიწის გროვებს. გოფერები აძენებენ ახალ შესასვლელებს გამოცხადებულ გორაკებზე, რადგან გაზაფხულზე გორაკებს შორის ადგილები წყლით იფარება დოდი წვიმების გამო. (გ.გ. კოქმა მოგვაწოდა, from Cox 1984)

შთამბეჭდავი ნიმუშია მთხრელთა აქტივობის გავლენისა ადგილობრივ ტოპოგრაფიაზე (Cox 1984, Cox and Allen 1987). წყლის ცხოველების საქმიანობა ასევე მოქმედებს ფიზიკურ გარემოზე. მაგალითად, მიჩნეულია, რომ მცირე მოტივტივე წყალმცენარეების და კიბოსნაირების (კოლექტურად მათ პლანქტონი ეწოდება) სიუხვე და პოპულაციათა დინამიკა გარევაულნილად მოქმედებს მტკნარი წყლის ტებების ტემპერატურის დინამიკაზე. ცხადია, უმრავლესმა ჩვენგანმა იცის, თუ როგორც ცვლიან თახვების აშენებული ჯებირები ადგილობრივი წყლის დინების მიმართულებას.

### როგორ ზემოქმედებენ აღამიანები ბუნებრივ სამყაროზე

ბუნებრივი სამყაროს ფიზიკური მახასიათებლების შეცვლის ყველაზე მეტ პოტენციალს ცოცხალ არსებათა შორის ფლობს ადამიანი — *homo sapiens*. ზემოგანხილული ქვიშიანი ქარიშხალი და ვიქტორიის ტბაში ნილოსის ქორჭილას შემოყვანის ეფექტი (იხ. თავი პირველი) იმის მაგალითებია, თუ რა მნიშვნელოვნად შეუძლია ადამიანთა საქმიანობას შეცვალოს გარემო. ჩვენი რწმენით, მნიშვნელოვანია ჩვენი საკუთარი სახეობის მიერ გარემოზე მოხდენილი გავლენის უფრო დეტალურად განხილვა.

ადამიანის ტექნოლოგიებს, რომლებიც ზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას და რომლებმაც მედიცინისა და კვების განვითარებით გაზარდეს სიცოცხლის ხანგრძლივობა მსოფლიოს ზოგ ნაწილში, თავიანთი საფასური აქვთ. ტექნოლოგიური პროცესები და მათი არასასურველი გვერდითი პროდუქტები ახდენენ ბუნებრივი ნივთიერებების ისეთ ხელახალ გადანაწილებას, რომელსაც შეუძლია დედამიწის ფიზიკურ მდგომარეობაში დრამატული ცვლილებები შეიტანოს. ალბათ საუკეთესო მაგალითი არის დიდი რაოდენობით ნახშირბადის ხელახალი გავრცელება. ამან გამოიწვია დედამიწის საშუალო ტემპერატურის საქმაო ზრდა. ნახშირბადი დედამიწაზე სხვადასხვა სახით არსებობს, მაგრამ მისი საერთო რაოდენობა, ასე თუ ისე, მუდმივია. ნარჩშირორჟანგი ნახშირის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფორმაა, რადგან

ფოტოსინთეზის საშუალებით ნახშირბადის ატომები ნახშირორჟანგიდან სინთეზირდება ორგანულ ნაერთებად, რომლებიც დანაც რესპირაციის პროცესში ენერგია წარმოშობა. ნახშირორჟანგი, ისევე, როგორც ატმოსფეროს სხვა აირები, მნიშვნელოვან როლს თამაშობს დედამიწის გარემოს შესანარჩუნებლად ტემპერატურათა შედარებით ვიწრო დაბაზონში. ეს ბუნებრივი სამყაროს თვისებაა, რომელსაც ცვლის ადამიანთა აქტივურობა.

ხელული სინათლე და ულტრაიისფერი გამოსხივება, რომლებიც აღნევენ დედამიწის ატმოსფეროში, შთანთებებიან დედამიწის ზედაპირის, მცენარეულობისა და წყლის მიერ. შესაძლებელია მოხდეს ენერგიის ხელახალი გამოსხივება ინფრანითელი გამოსხივების მეშვეობით. ეს არის დაბალი ენერგიის გამოსხივება, რომლის სინათლის ტალღათა სიგრძე მერყეობს 700-დან 1000 ნმ-მდე. ნახშირორჟანგი და სხვა **სათბურის აირები** (ლრუბლებთან და წყლის ორთქლთან ერთად) ატმოსფეროში შთანთქავენ ამ ინფრანითელ გამოსხივებას ისე, რომ სითბო შენარჩუნებულია. ასე რომ, დედამიწის ატმოსფერო ერთგვარი სათბურის ფუნქციასაც ასრულებს ისევე, როგორც შეშის სახურავი უშვებს მზის სინათლეს, მაგრამ აკავებს შიგნიდან ხელახლა გამოსხივებულ გრძელტალღოვან ენერგიას, რითაც ათბობს თავის შიგნიდან ჩვენ ამ ფენომენს **სათბურის ეფექტს** უწოდებთ. ეს ბუნებრივი სათბური ინარჩუნებს ტემპერატურას ფიზიოლოგიური ფუნქციონირებისთვის საჭირო ჩარჩოებში, რითაც შესაძლებელს ხდის სიცოცხლეს. ადამიანის საქმიანობამ, კერძოდ კი, წაიღისეული საწვავის წვამ, საგრძნობლად გაზარდა ატმოსფეროში ნახშირორჟანგისა და სხვა სათბური აირების კონცენტრაცია, რითაც გაიზარდა დედამიწის სათბურის ეფექტურობაც და დედამიწის ატმოსფეროს გათბობაც. ეს პროცესი კარგად არის დოკუმენტირებული (Robert and MacArthur 1994, Vitousek 1994). მიმდინარე მონაცემების მიხედვით, გლობალური ტემპერატურის ზომიერ ზრდასაც კი შეუძლია გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ხელახალი განაწილება სახანაც მინებში, წყალდიდობები ზოგიერთ სანაპირო თანასაზოგადოებაში და ბიომრავალფეროვნების საკმაო შემცირება ვეგეტაციური ტიპების ხელახალი განაწილების გამო.

### **3.2 | სიცოცხლეს უნიკალური ნიშნები აქვს, რომელსაც არ იზიარებენ ფიზიკური სისტემები**

ცოცხალი ორგანიზმები, როგორც წესი, საკმაოდ განსხვავდებიან უსულო ობიექტებისგან. ისინი მოძრაობენ, მრავლდებიან, განიცდიან მეტაბოლიზმს და ინარჩუნებენ ისეთ შინაგან მდგომარეობას, რომელიც განსხვავდება გარემო პირობებისგან. მიუხედავად ამისა, ცოცხალმა არსებებმა უნდა იფუნქციონირონ ფიზიკური კანონების მიერ დადგენილ ფარგლებში. ავტომობილის ძრავაში ბენზინის წვა ქიმიური პროცესია, ენერგიის გადაცემა ცილინდრებიდან ბორბლებამდე კი — მექანიკური. ნაშმირწყლების მეტაბოლიზმი ცოცხალ ორგანიზმებში და მისი ნარჩენების მოძრაობაც იმავე წესებით მოქმედებს. როგორც შიდა წვის ძრავები, ორგანიზმები ახდენენ ენერგიის ტრანსფორმირებას, რათა შეასრულონ სამუშაო. როგორც ძრავა, ისე ორგანიზმიც თერმოდინამიკის კანონებს ემორჩილება. არც ერთს არ შეუძლია ენერგიის შექმნა ან განადგურება, მაგრამ მათ შეუძლიათ მისი ტრანსფორმაცია, მაგალითად, ქიმიურის – მექანიკურად (თერმოდინამიკის პირველი კანონი). და როგორც ძრავაში, ისე ორგანიზმში რაღაც დოზით ენერგია იხარჯება ტრანსფორმაციის დროს (თერმოდინამიკის მეორე კანონი). ამრიგად, ბიოლოგიური სამყარო არ არის ფიზიკური სამყაროს ალტერნატივა, არამედ მისი გაფართოება.

ბიოლოგიური სისტემები მოქმედებენ იმავე პრინციპების მიხედვით, როგორც ფიზიკური, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავებაცაა. ფიზიკურ სამყაროში ენერგიის ტრანსფორმაციები ამცირებენ განსხვავებას ენერგიის დონეთა შორის მთელ სისტემაში და ყოველთვის მინიმალური წინააღმდეგობის გზას მიჰყვებიან. ბიოლოგიურ სისტემებში ენერგიის ტრანსფორმაციები ინარჩუნებენ ორგანიზმებს ფიზიკური მიზიდულობის ძალის, სითბური ნაკადის, დიფუზიისა და ქიმიური რეაქციის წინასწორობის გარეთ. ცოცხალი ორგანიზმი გამოიყოფა ფიზიკური სამყაროდან, მისდევს ის მსხვერპლს თუ არა, ანარმობს თესლებს, თუ ინარჩუნებს სხეულის ძირითად ფუნქციებს.

გარკვეულწილად, ორგანიზმის მიერ ენერგიის გამოყენება სიცოცხლის საიდუმლოა. დალმართზე დაცორებული ლოდი ენერგიას ხარჯავს დაშვებისას, მაგრამ ის არანაირ სასარგებლო სამუშაოს არ ასრულებს. ენერგიის წყარო, ამ შემთხვევაში — გრავიტაცია, გარეგანია და როგორც კი ლოდი ქვემოთ გაშლილ მდელოზე გაჩერდება, ის კვლავ წინასწორობაში აღმოჩნდება გარემოს ფიზიკურ ძალებთან. მფრინავი ფრინველი კი, მეორე შხრივ, მუდმივად განაახლებს დახარჯულ ენერგიას, რათა შეინარჩუნოს საკუთარი თავი ჰაერში მიზიდულობის კანონის წინააღმდეგ. ფრინველის ენერგიის წყარო — საკვები, რომელიც მიღლო, შინაგანია და ფრინველი იყენებს ამ ენერგიას საჭირო სამუშაოს შესასრულებლად. ეს სამუშაო მსხვეპლის დევნა ან მიგრაცია.

გარეშე ფიზიკური ძალების ნინააღმდეგ მოქმედების შესაძლებლობა ყველა ცოცხალი ორგანიზმის საერთო თვისებაა, ანიმაციის წყაროა, რომელიც განასხვავებს ცოცხალს არაცოცხალისგან. ფრინველის ფრენა სწორედ ამ თვისებას წარმოაჩენს, მაგრამ მცენარეები ასევე ასრულებენ სამუშაოს ფიზიკური ძალების დასაძლევად, ისინი ფესვებით შეწოვენ ნიადაგის მინერალებს და ახდენენ უაღრესად კომპლექსური ნახშირწყლების და ცილების სინთეზს თავიანთი სტრუქტურის შესაქმნელად.

### **3.3 | ცოცხალ ორგანიზმებს შეუძლიათ, თერმოდინამიკურად გაზარდონ თავიანთი ენერგიის მარაგი ნარმულდებული ტრანსფორმაციების საშუალებით**

ქიმიური და ფიზიკური სისტემის ენერგიის შემცველობა მცირდება დროის გასვლასთან ერთად, როცა სისტემა კარგავს ენერგიას გარემოში. სხვა სიტყვებით, სისტემა სპონტანურად იცვლება მაღლიდან დაბალი ენერგიის მდგომარეობამდე. ქალალდის წვა — მარტივი ქიმიური პროცესი, უშვებს ენერგიას სინათლისადა სითბოსსახით. ამჟაგვისპროდუქტები, ნახშირორჟანგიდან წყალი, მორეაგირენივთერებაბზე, ჟანგბადსა და ნახშირწყლებზე ნაკლებ ენერგიას ფლობენ. ენერგია მოქანავე ქანქარაში — უბრალო ფიზიკური პროცესი, პერიოდულად განიცდის ტრანსფორმაციას ქანქარას ძირში მოძრავი წონის კინეტიკურ ენერგიასა (მოძრაობის ენერგია) და მის წვერში დაცულ პოტენციურ ენერგიას (პოზიციის ენერგია) შორის. ხაუნისებან თავისუფალ გარემოში ქანქარა ქანაობას უსასრულობამდე გააგრძელებდა ენერგიის კარგვის გარეშე, მაგრამ ატმოსფეროში ის ამძრავებს აზოტისა და ჟანგბადის მოლეკულებს და ამრიგად, თავისი ენერგიის გარკვეულ ნანილს გადასაცემს გარემოს. ენერგიის კარგვასთან ერთად, ქანქარასულუფრო და უფრო მცირე ამპლიტუდით მოძრაობს. ამრიგად, თავდაპირველად ქანქარაში არსებული ენერგია უფრო თანაბრად ნაწილდება შედარებით ვრცელ პროცესში.

ჩვენ რომ ენერგიის სიმკვრივის სინათლესავით აღქმა შეგვეძლოს, ორგანიზმები ფიზიკური სამყაროს მკრთალ ფონზე პატარა სასიგნალო შუქურებად მოგვეჩენებოდა. ცხოველები და მცენარეები წარმოადგენენ ენერგიის უზარმაზარ კონცენტრატებს ენერგიისა, რომლებსაც ისინი ყველაზე კაშკაშა სინათლისგან, მზისგან იღებენ თავიანთ გარემოში. ფიზიკური და ქიმიური პროცესები ინტენსიურად მიმდინარეობს და წინასწორობაში მოპყავს ორგანიზმის მაღალი და მისი გარემოს დაბალი ენერგია. სხვა სიტყვებით, ორგანიზმები გასცემენ თავიანთ ენერგიას მათ გარშემო არსებულ გარემოში. ორგანიზმები ასრულებენ სამუშაოს, რათა შეანელონ ეს პროცესი და შეინარჩუნონ საკუთარი ინტეგრირებულობა. ანალოგიურად, ნარმოიდგინეთ თავი ქვეშის დიდ გორად


ბრტყელ ლანდშაფტზე. მარცვლების მცირე ზვავები იყრება თქვენი გვერდებიდან, ქარი სხვა მარცვლებს ყრის და წვიმა შლის თქვენს სტრუქტურას და მი-აქვს თქვენი ნივთიერება რძისებრი ნაკადულებით. მდგრადობის შესანარჩუნებლად, თქვენ გამუდმებით ინიჩბავთ ახლომდებარე ქვიშას და იყრით მას თავზე. შეგიძლიათ, სხვა გორასაც მისწვდეთ, სადაც ქვიშა უფრო ადვილი მოსაგროვებელია. თქვენ რომ ჭკვიანი ყოფილყავით, საძირკველთან კედლებს ააშენებდით, რათა შეგენარჩუნებინათ ქვიშა. უმრავლეს შემთხვევაში, ცოცხალი ორგანიზმები ამგვარად მოქმედებენ და ქვიშა არის მათი ენერგია და შემადგენლობა.

ცოცხალი ორგანიზმები მუდმივად აფართოვებენ თავიანთ ენერგიას, რომელიც შენახულია ორგანული მოლეკულების ქიმიური კავშირების ფორმით. ეს მოლეკულები იუანგებიან უჯრედში მიმდინარე ქიმიური რეაქციებისას, ამ პროცესს უჯრედოვან რესპირაციას უწოდებენ, რათა ანარმონ მაღალი ენერგიის შუალედური ნაერთები, ასეთი ნაერთია ატფ, რომელიც გამოიყენება ბიოლოგიური პროცესების წარმართვისთვის. სიცოცხლის შესანარჩუნებლად დახარჯული ენერგია დაბალანსებული უნდა იქნას ენერგიის შენატანების მიერ, თუ ორგანიზმი სიცოცხლეს აგრძელებს. ამრიგად, ორგანიზმა უნდა მოიძიოს ორგანული მოლეკულები — საკვების მიღებით ან მცენარეთა შემთხვევაში, ფოტოსინთეზის მეშვეობით უჯრედული რეასიორაციისთვის. ხოლო ზრდისა და გამრავლებისთვის, ორგანიზმებს ესაჭიროება იმაზე მეტი ენერგია, ვიდრე ძირითადი სასიცოცხლო ნიშნების შენარჩუნებისთვის არის საჭირო. ამ ენერგიის საჭიროება დაკმაყოფილებული უნდა იქნას ფიზიკური ძალების სახით, რომლებიც ენერგიის გასაფანტად მუშაობენ. როცა ენერგია გარდაიქმნება ქიმიურ რეაქციებად, მოხდება ე.წ. მეტაბოლიზმი, ენერგიის გარკვეული რაოდენობა სითბოს სახით დაიკარგება. ამ ტრანსფორმაციების არაეფექტურობის გამო, მთელი დაგროვილი ენერგია, იფანტება ფიზიკურ სისტემებში. ორგანიზმებს მხოლოდ ამ პროცესის შენელება შეუძლიათ. საბოლოო ჯამში, ფიზიკური კანონები იმარჯვებენ, ენერგიის ძალანსი ორგანიზმსა და მის გარემოს შორის მიიღონვა და ორგანიზმი კვდება.

### **3.4 ማሻሻልዎችና የሆነዎች**

თავისი არსებობის მანძილზე, ორგანიზმი ცდილობს, მოიპოვოს ენერგია და წინ აღუდგეს მის დაკარგვას, რაც ძირითადად, ბუნების ქიმიური და ფიზიკური ძალების მიერ ხორციელდება. ენერგიის მოძრაობა ორგანიზმის შეგნით და გარეთ არის ეკოლოგიური პროცესის დასტური და მას ეწოდება **დინება**. ეკოლო-გიურ სისტემებს ახასიათებთ ენერგიისა და წივთერე-ბების დინება ან მოძრაობა სისტემასა და ამ სისტემის

გარშემო არსებულ გარემოს შორის. თქვენს სხეულში წყლის დინება მოიცავს წყლის კარგვას კანიდან მისი აორთქლებისა და შარდვის გზით, ხოლო მის მოპოვებას — სმის მეშვეობით. ტყის მცირე მდელოზე არ-სებული ტყის წყლის დინება კი, მოიცავს წყლის და-კარგვას ჩარეცხვისა და ნაკადთა დინების სახით და მის შექნას ნალექების სახით. სისტემების ორივე მაგ-ალითში (თქვენი ორგანიზმი და ტყე) დაცული წყალი მეტია გარემოსაზე, მაგრამ მაინც ადგილი აქვს წყლის კარგვასა და მოპოვებას.



**სურ. 3-5** მყარი სფეროს თერმული მოდელი იღებს ენერგიას, შთანთქავს რა სინათლეს და კარგავს მას სივრცეში სითბოს გამოსხივების სახით. როდესაც სფერო ისე გაცხლდება, რომ დაიწყებს ენერგიის ისევე სწორად კარგავს, როგორც მის შეძენას, იგი თერმოდინამიკულად მდგრად მდგომარეობაში ექცევა.

ში გადაინაცვლოს. ამგვარი ქცევა ყველა ჩვენგანს განუხორციელებია ზაფხულის ცხელ დღეს. მართლაც, მცენარეებისა და ცხოველების რეაქციები მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომლებიც განხილული იქნება მომდევნო თავებში. ეს რეაქციები შეიძლება გავიაზროთ, ყოველ შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც, იმის საფუძველზე, თუ როგორ მოძრაობს ენერგია და ნივთიერებები მათ ზედაპირზე.

ენერგიისა და ნივთიერებების დინება ორგანიზმის ზედაპირზე შეიძლება ზოგადად აღინიშნოს როგორც დინება = გრადიენტი  $x$  გამტარობა  $x$  ზედაპირის ფართი. **გრადიენტი** არის განსხვავება ორგანიზმის შიგნით არსებულ ენერგიას ან ნივთიერებათა დონეს ან კონცენტრაციასა და გარემოში არსებულ მდგომარეობას შორის. **გამტარობა** არის სიადგილე, რითაც ენერგია და ნივთიერება კვეთს ზედაპირის ბარიერს. ორგანიზმებს შეუძლითად დინების კონტროლი გასწიონ ზემოთ მოყვანილი განტოლების სამი კომპონენტიდან ნებისმიერის ცვლილების მეშვეობით.

ძეძუმოვრის სქელი, ზამთრის ბენვი ამცირებს სითბოს გამტარობას (თერმულ გამტარობას) მისი სხეულიდან გარემოში. მაგარი, ცვილისებრი კუტიკულა, რომელიც მწერების გარე ჩინჩხს ფარავს, ამცირებს წყლის გამტარობას მათი სხეულის ზედაპირზე. ვინაიდან მკრთალი ფერები მუქ ფერებზე მეტ სინათლეს ირკლავენ, ისინი ეხმარებიან უდაბნოს ორგანიზმებს გამოსხივებული სითბოს მიღების შემცირებაში. ბიოლოგიურ ზედაპირს ასევე აქტივურად შეუძლიათ ნივთიერებების ტრანსპორტირება როგორც შიგნიდან გარეთ, ისე გარედან შიგნით.

ორგანიზმებს თავიანთი ზედაპირული ნაწილით მანიპულირება სხვადასხვა სახით შეუძლიათ. მათ შეუძლიათ მისი ეფექტურად შემცირება ზედაპირის გარკვეული ნაწილის ჩამოშორებით და ამით დინების უფრო მცირე მასშტაბებამდე შეზღუდვა, რაც შეიძლება მეტად სპეციფიკური იყოს. მაგალითად, ფოთ-

ლის გარე ზედაპირი დაცულია წყლის კარგვისგან ცვილისებრი კუტიკულით, რომელიც არ ჰგავს მწერის ზედაპირს. აირთა დინება ფოთლის შიგთავსასა და გარემოს შორის ხდება მასზე არსებული სანამე ბაგების საშუალებით. ეს პატარა ხერელებია, რომელთა ზომის კონცროლირებაც ფოთლს შეეძლება მასში წყლის კონცენტრაციის მიხედვით. ზედაპირის ფართობიც შეიძლება გაზრდილ იქნას საგულდაგულოდ გამომუშავებული ნაკეცების წარმოქმნით, სალამანდრას გარეგანი ლაუზების ან ძუძუმწოვრების შინაგანი ფილტვების ანალოგიურად.

გრადიენტი ორგანიზმა და მის გარშემო არ-სებულ სამყაროს შორის დამოკიდებულია ცხადია, შინაგან და გარეგან გარემოებებზე. შინაგანი გარემო ნაწილობრივ ნაკარანხევია სხეულის ტემპარტურული დიაპაზონით, იონთა კონცენტრაციით და სასიცოცხლი პროცესებისთვის შესაფერისი სხვა პირობებით. მეტიც, ბიოქიმიური ტრანსფორმაციები ხშირად ზედმეტად ზრდის გრადიენტს და ამით მაღალ დინებას ინარჩუნებს. მაგალითად, როდესაც ჩვენი ქსოვილები ჭარბად მოიხმარენ უანგბადს, ჩვენი შინაგანი უაგბადის კონცენტრაცია მცირდება, იზრდება რა ამით შინაგან-გარეგანი გრადიენტი და ძლიერდება უანგბადის დინება. ამის საპირისპიროდ, მეტაბოლიზმი წარმოშობს ნახშირორულებას, მისი კონცენტრაციები გროვდება ქსოვილსა და სისხლში და მისი გარეთ გადინება მატულობს.

გრადიენტს შინაგან და გარეგან გარემოთა შორის ასევე შეუძლია, შეცვალოს ორგანიზმის მოძრაობა ჰეტეროგენულ გარემოში. მაგალითად, ჩრდილიანი და მზიანი ადგილები წარმოადგენენ დრამატულად განსხვავებულ გამოსხივებულ გარემოებს ორგანიზმებისთვის, რომლებმაც თავიანთი სხეულის ტემპერატურა უნდა არეგულირონ. როდესაც სინესტე, იონთა კონცენტრაცია, pH, ნიადაგის საკვებავი ნივთიერებები, გახსნილი უანგბადი, მსხვერპლთა სიუცვე, დაავადებულ ორგანიზმთა არსებობა და სხვა ფაქტორები იცვლება პარამეტრებში, რომლებიც ადამიანის ყოველდღიურ მოძრაობათა დიაპაზონთან შედარებით მცირეა, გარემოს შერჩევას პირდაპირი გავლენა აქვს ენერგიისა თუ ნივთიერებათა დინების სიდიდეზე.

დაბოლოს, ჩვენ ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ჰასიური (ფიზიკური) და აქტიური (ბიოლოგიური) დინებები. **ჰასიური დინება** არის ბუნებრივი თერმოდინამიკური ტენდენცია ნივთიერებებისა ან ენერგიისა იმოძრაონ მაღალი კონცენტრაციის უბნისევენ. ჰასიური დინებანი სხეულის ან საგნის ზედაპირზე თავს იჩენენ ამ ზედაპირზე გრადიენტის პირდაპირპორციულად. მოცემულ დროსა და სხვა პროცესების არ არსებობისას, ჰასიური დინება გამუდმებით ამცირებს გრადიენტს, სანამ დინება ნულამდე არ დაიწევს. ამრიგად, ენერგიის მიწოდების არარსებობის პირობებში, ცხელი სფერო თანდათან ცივდება, სანამ თავისი გარემოს ტემპერატურამდე არ დავა.

**აქტიური დინება** ბიოლოგიურ სისტემებს საშუალებას აძლევს, დააგროვონ ნივთიერებები ფიზიკური გრადიენტის ნინააღმდეგ (ასე, მაგალითად, როცა ქვიშის არასტაბილური გორაკები ვიყავით და ქვიშის მარცვლებს ვაგროვებდით ჩვენში) და ამრიგად, მათ ესაჭიროებათ ენერგიის ხარჯვა. ორგანიზმები გარემოსთან ინტერაქციებში შედიან თავიანთი სხეულის ზედაპირის ფართობის შესაბამისად, როგორც ჩვენ გიჩვენეთ, სპეციფიკური გრადიენტისა და გარკვეული ქმედებისთვის ზედაპირის გაზრდა – შემცირების, ასევე ნივთიერებებისა და ენერგიის დინების რეგულირებით. ცოცხალი ორგანიზმის ზედაპირი გასაოცრად რთული სტრუქტურაა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა სხვადასხვა დონეზე ნივთიერებათა მიღება-არმილებისა. ეს დამოკიდებულია შინაგან გარემოზე, ზედაპირის კიდის ბიოქიმიურ სტრუქტურასა და ფიზიკურ პირობებზე. სწორედ ეს პროცესები უდევს საფუძვლად აქტიურ დინებას.

### 3.5 ფორმა და ფუნქცია იცვლება საეულის ზომასთან აღოვატრიულად

დიდი ზომის ორგანიზმებს მცირებისგან განსხვავებით, სხვა დამოკიდებულება აქვთ თავიანთ გარემოსთან, რადგანაც მრავალი ფიზიკური და ფიზიოლოგიური პროცესი იცვლება ზომის მიხედვით (Calder 1984, Schmidt-Nielsen 1990). ამ ფენომენს **ალომეტრია** ეწოდება. ეკოლოგიაში ურთიერთობები პროცესთა დონეებსა და ობიექტთა განზომილებებს შორის ხშირად აღინიშნება ხოლმე ალომეტრული განტოლების საშუალებით:

$$Y = aX^b,$$

სადაც  $Y$  წარმოადგენს ფიზიოლოგიურ პროცესს, როგორიცაა ნივთიერებათა ცვლის სიჩქარე ან გულისცემის სიხშირე; ანატომიური თვისება, როგორიცაა ტვინის მასის ან თესლის ზომა ან ეკოლოგიური და ბიჰევიორისტული მახასიათებელი, როგორიცაა მშობლების ინვესტიციები ნაშიერებში.  $X$  ცვლადი წარმოადგენს ზომის გარკვეულ სიდიდეს, როგორიცაა სხეულის მასა, სხეულის სიგრძე ან მისი ძირითადი ფართობი (მცენარეებში). ა კონსტანტა, პროპორციულობის კონსტანტა, წარმოადგენს ურთიერთობის სიდიდეს იმ დროს, როცა  $b$ , **ალომეტრიული კონსტანტა**, ზომავს  $X$ -ის ცვლილების დონეს  $Y$ -თან. როცა  $b = 1$ ,  $Y$  არის  $X$ -ის პირდაპირპორციული ( $Y=aX$ ). როცა  $b > 1$ , პროპორციულად უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე  $X$  და მიმართება  $Y/X$  იზრდება  $X$ -ზე უფრო მეტად. როცა  $b < 1$ , იზრდება პროპორციულად  $X$ -ზე ნაკლები სიჩქარით და შესაბამისად, მიმართება  $Y/X$  მცირდება  $X$ -ზე უფრო მეტად. ალომეტრული განტოლება არის საჩვენებელი ფუნქცია, ანუ დამოკიდებული ცვლადი  $X$  იზრდება სიდედე ხ-სთან მიმართებაში და ამრიგად, არა ნივთიერი ა-ს მნიშვნელობებისთვის, გარდა ერთისა. მეტი მოხერხებულობისთვის ურთიერთობა  $X$ -სა და  $Y$ -ს შორის ხშირად გადაიყვანება ლოგარითმები:

$$\log(Y) = \log(a) + b \log(X).$$

მნიშვნელოვანია შევაფასოთ, რომ ლოგარითმული ფორმის გამოყენება არ ცვლის  $X$ -ისა და  $Y$ -ის არანრფივ ურთიერთობას. ის უბრალოდ ცვლის მასშტაბს, რომელშიც  $X$  და  $Y$  არიან წარმოდგენილნი. ანუ ურთიერთობა რომელიდაც  $X$  სხეულის ზომის სიდიდესა და ფიზიოლოგიურ პროცესს შორის არ არის ნივთიერი. ამ სახის ტრანსფორმაციები ხშირია მათემატიკურ მოდელებში. ანალოგიის სახით, წარმოიდგინეთ მსოფლიოს რუკა ქაღალდზე. სამყარო სფეროა და ამრიგად, სხვადასხვა ქვეყნის ორ განზომილებაში გამოსახატავად მათი ფორმა და შედარებითი განლაგება უნდა შეიცვალოს. ეს გამოსახულება არ ცვლის გლობუსის სფერულ ბუნებას, არც გლობუსის ერთი ნაწილის რეალურ მიმართებას მეორესთან. ის უბრალოდ არის გამარტივება, რომელიც ადაპტირებულია, რათა დაგვეხმროს დედამინის სხვადასხვა ადგილის ვიზუალიზაციაში.

ალომეტრია წარმოდგება მარტივი ფიზიკური და გეომეტრიული მოსაზრებებისგან. ორი სამგანზომილებიანი ობიექტი, რომელიც გეომეტრიულად მსგავსია (ერთი ფორმის), ვთქვათ, როგორიცაა ორი სფერო ან ორი კუბი, მიჩრეულია იზომეტრიულად. იზომეტრიულ საგნებს მნიშვნელოვანი თვისებები აქვთ: მათი ზედაპირის დონე იცვლება ნივთიერი განზომილების კვადრატით და მათი მოცულობა იცვლება ნივთიერი განზომილების კუბით. ამრიგად, სფეროს მოცულობა  $V$  იზრდება მისი დიამეტრის კუბის პროპორციულად:

$$V = ad^3,$$

სადაც  $a$  არის კონსტანტა, მაგრამ ზედაპირის ფონე  $S$ , იზრდება მხოლოდ დიამეტრის კვადრატის პროპორციულად:

$$S = ad^2$$

ჩვენ შეგვიძლია ზედაპირი შემდეგნაირად გამოვსახოთ:



$$S = a(d^3)^{2/3}$$

$V = ad^3$  ზემოთ მოყვანილი განტოლებით ჩანაცვლების შემთხვევაში მივიღებთ:

$$S = aV^{0.67}$$

ამრიგად, ურთიერთობას ზედაპირსა და მოცულობას შორის აქვს ალომეტრული კონსტანტა 2/3.

თუ ორგანიზმები აღიქმებიან სფეროებად, დიდ ორგანიზმებს მცირე ზედაპირი აქვთ თავიანთი სხეულის მასასთან შედარებით.  $r$  რადიუსის სფეროს აქვს  $4\pi r^2$ -ის ტოლი ზედაპირი და  $(4\pi r^3)/3$ -ის ტოლი მოცულობა. ზედაპირის მოცულობასთან მიმართება არის  $(4\pi r^2)/(4\pi r^3)/3 = 3/r$ . ამრიგად, ერთმილიმეტრიანი დიამეტრის მქონე სფეროს, რომელიც ზომაში მცირე ნების რნეილს უტოლდება, 1000ჯერ უფრო დიდი ზედაპირის ფართობი აქვს მოცულობის ერთ ერთეულზე გათვლით დათვის ზომის ერთმეტრიანი დიამეტრის სფეროსთან შედარებით. მცირე ცხოველი მეტ მოგე-

(ა)  $\text{Log} \text{ (სხეულის მასა კილოგრამებში.)}$ 

**სურ. 3-6** (ა) ალომეტრიული ურთიერთობა გულისცემის სიხშირესა და სხეულის მასას შორის სხვადასხვა ძუძუმწოვრებში, რომელებიც ხარისხდებიან ზომით — თაგვიდან სპილომდე. (ბ) ალომეტრიული ურთიერთობა ძირითად ნივთიერებათა ცვლილება (RMR), რომელიც გამოითვლება საათში მოხმარებული ფაგნადის ოდენობით) და სხეულის მასას შორის სხვადასხვა ძუძუმწოვრებში. (Altman and Dittmer, 1964).

ბას ნახულობს ზედაპირის ფართობით მოცულობასთან შედარებით, როცა საქმე ეხება ზედაპირთან დაკავშირებულ ფენომენს, ისეთს, როგორიცაა ჟანგბადის მიღება. მაგრამ მისი მცირე ზომის გამო სითბოსა და წყლის კარგვამ შეიძლება სერიოზული პრობლემები შექმნას.

სურ. 3-6 გვიჩვენებს ურთიერთობას ძუძუმწოვართა გულისცემის სიხშირესა და სხეულის მასას შორის. ამ ცხოველების დალაგება ხდება სიდიდის მიხედვით. წრფივ განტოლებას, რომელიც საუკეთესოდ მიესადაგება ამ ურთიერთობას, აქვს ალომეტრიული კონსტანტა  $b = -0,23$ , ალერს რა უფრო დიდი სახეობების შედარებით ნელ გულისცემას. ამის საპირისპიროდ, ძირითად ნივთიერებათა ცვლა (RMR) ძუძუმწოვრებში იზრდება მათ ზომასთან ერთად, მაგრამ ნაკლებად სწრაფად, ვიდრე თავად მასა. RMR-სა და სხეულის მასას შორის ურთიერთობის ალომეტრიული კონსტანტა არის 0.73 (ნახ. 3-6 ბ). ჩვენ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამათ იმას, რომ ძირითადი ურთიერთობა RMR-სა და ზომას შორის არანრიფივია. ჩვენ ვირჩევთ წრფივი ტრანსფორმაციის გამოყენებას ამ ურთიერთობის აღნერისას მეტი მოხერხებულობისა და სიმარტივისთვის.

ფიზიოლოგიური, ანატომიური და ბიჰევიორისტული მახასიათებლები იცვლება სხეულთან ალომეტრიულად. მცენარეებში თესლის ნარმოქმნა და მცენარის არქიტექტონიკა ხშირად გადატანილია მცენარის ზომაზე. ცხოველების სხვადასხვა ნიშნები, ისეთივე განსხვავებული, როგორც ინდივიდუალური კვერცხის მასა და ზომა, კვების სტრუქტურა და გამრავლების ორგანოები, მშობელთა ინვესტიციები და შესამიანი ნივთიერებებისადმი მგრძნობელობა, ამჟღავნებენ ალომეტრიულ ურთიერთობებს სხეულის ზომასთან მიმართებაში. ცხრილი 3-1 გვიჩვენებს ალომეტრული ურთიერთობის მაგალითებს, რომლებიც კარგად შესამჩნევია თევზებში.

ცხრილი 3-1		
პროცესი ან შტრიხი	ზომის საზომი	b-ს ტიპური მნიშვნელობა ან დიაპაზონი/ინტერვალი
ლაყუჩების ადგილი	სხეულის წონა	0,8
24 საათიანი პერიოდის განმავლობაში მოხმარებული საკვები	სხეულის წონა	1,1 – 0,40
სტანდარტული მეტაბოლიზმი	სხეულის წონა	<1,0
სხეულის წონა	სხეულის წონა	ცვლადი
ზრდის სისწრაფე	სხეულის წონა	-0,4
ერთ პარტიაზე დადებული კვერცხების რაოდენობა	სხეულის წონა	1,0 – 5,0
დღიური უეცარი სიკვდილის მაჩვენებელი	სხეულის წონა	<0,0

რადგანაც ალომეტრია ნარმოადგენს ურთიერთქ-  
მედებას სპეციფიკურ ნიშნებს შორის, რომლებიც  
ბუნებრივი გადარჩევის სუბიექტები არიან, შეგვი-  
ძლია, ვიფიქროთ, რომ ალომეტრიულ ურთიერთო-  
ბებს ადაპტირებადი მნიშვნელობა აქვთ. ამგვარ  
ადაპტაციურ ალომეტრიაზე აგებულ იქნა ჰიპოთეზა,  
რომელიც ეხება ზოგიერთი მცენარის თესლს. ეს  
მცენარები დამოკიდებულნი არიან ფრინველების  
მიერ მათი ნაყოფის შეჭმა-მონელებაზე თავაინთი  
თესლის გავრცელებისთვის. მიჩნეულია, რომ ასეთი  
მცენარეების წაგრძელებული ნაყოფი უფრო ად-  
ვილი გადასაყლაპი იქნება ფრინველისთვის და ამ-  
რიგად, ნაყოფი პროგრესულად უფრო გრძელი უნდა  
იყოს მისი დიამეტრი ზომასთან შედარებით. ამგვარი  
ალომეტრია ნაყოფის სიგრძესა და დიამეტრს შორის  
ნაჩვენებია ზოგ ნეოტროპიკულ ხეში, მაგალითად  
*Okotea tenera* (დაფნისებრთა ოჯახი), რომელიც ზოგი-  
ერთი ფრინველის საკვების ძირითადი წყაროა (Mazer  
and Wheelwright 1993).


### 3.6 სიცოცხლის ფორმების ადაპტირე- ბაზე კომპლომესი ღომილებები

კომპრომისი ორგანიზმებსა და მათ გარემოს შორის  
ურთიერთობაში ურყევი პირობაა. ხმელეთის ორგა-  
ნიზმებს არ შეუძლიათ წყლის კარგვის შემცირება  
იმავდროულად უანგბადის მიწოდების შემცირების  
გარეშე ან მცენარეთა შემთხვევაში, ნახშირორჟანგის

შემცირების გარეშე ატმოსფეროში. იგივე ბენვიანი  
საფარველი, რომელიც ხელს უშლის სხეულის სითბოს  
კარგვას ცივ გარემოში, ხელს უშლის ასევე ზედმეტი  
სითბოს გაფანტვას თბილ გარემოში. ცხენის ფეხები-  
სა და ტერფების აგებულება, ასევე მათი მოძრაობის  
თანდაყოლილი სიფართოვე, რომელიც საშუალებას  
აძლევს ცხენს, ჩეარა ირბინოს, კიდურებს უსარგებ-  
ლოს ხდის ბუზების მოგერიებისას. ცხადია, ცხენებმა  
იპოვეს გზა ამ პრობლემის მოსაგვარებლად — ისინი  
ამისთვის გრძელ კუდებს იყენებენ. კიდევ ერთი გამო-  
სავალი არის მტვერში გორაობა.

და მაინც, ყოველ ადაპტაციას აქვს თავისი საფა-  
სური. არც ერთ ორგანიზმს არ აქვს უსასრულო დრო,  
რესურსები ან სხეულის ქსოვილი. ის, რაც ემატება ერთ  
ფუნქციას, შეიძლება წაერთვას მეორეს — არაფერია  
უფასო. სარგებლის არ არსებობის პირობებში ნების-  
მიერი მცირედი საფასურიც კი თვალშისაცემი ხდება.  
თვალი, ესოდენ მნიშვნელოვანი ადამიანებისთვის,  
უსარგებლოა გამოქვაბულში მობინადრე თევზებისთ-  
ვის, რომლებიც სრულ სიბენელეში ბინადრობენ. თვა-  
ლის და მასთან ასოცირებული კუნთებისა და ნერვების  
ნარმოქმნის მნიშვნელობა, ჩანს, იმდენად დიდია, რომ  
ევოლუციის პროცესში მრავალი გამოქვაბულის ორ-  
განიზმის თვალები პანანინა, ელემენტარულ სტრუქ-  
ტურებამდე დავიდა (სურ. 3-7).

ამ თავში მოყვანილი მაგალითები, ძირითადად,  
ფიზიკური არსებობისთვის ბრძოლას ეხება, მაგრამ  
ორგანიზმები ასევე უნდა ებრძოლონ თავიანთი გარე-  
მოს ბიოლოგიურ ასპექტებსაც: მტაცებლები, მსხვერ-



სურ. 3-7 ჩრდილოეთის ბრმათევზას (მბლუოპსის სპელაეა) წყალქვეშა  
დანებათა მობინადრის ინდიანასა და კენტუკის შტატებში აქვს რუდიმენტა-  
რული, უფუნქციო თვალები. (თ.ქ. ბარმა მოგვანოდა 1968.)

პლი, პარაზიტები და ა.შ. ეს ფაქტორებიც ანესებენ გარკევულ სტრუქტურულ და ფუნქციურ მოთხოვნებს წარმატებული ცხოვრებისთვის, ისინი ასევე გან- თავსების და ტერიტორიის განაწილების უამს წარმოქმ- ნილ კონფლიქტებს აღვივებენ. დრო, რომელსაც მტა- ცებლი დამალვისას ხარჯავს, შეიძლებოდა კვებისას დაეხარჯა. წახშირნყალბადები, რომლებსაც მცენარე

ხარჯავს ეკლების, როგორც ბალახისმჭამელების წინააღმდეგ დამცავი საშუალების საწარმოებლად, უკვე აღარ მოთავსდება მის თესლებში. შეთანხმება, თითოეული სახის ორგანიზმი რომ დებს ამ კონფლიქ- ტურ საჭიროებათა შორის კომპრომისისთვის, ეკოლუ- ციურად ჩამოყალიბებულია იმ წინააღმდეგობებათა- გან, რომლებსაც ის ხვდება გარემოში.

## დასკვნა

- 1.** ორგანიზმები იღებენ წყალს და სხვა საარსებო ნივ- თიერებებს ფიზიკური სამყაროდან და ამ პროცესში ისინი ახდენენ ცვლილებებს ფიზიკურ სამყაროში. დედამინის ჟანგბადით მდიდარი ატმოსფერო წარ- მოიშვა ორგანიზმების ძალზე ადრეული ფოტოსინ- თეზური პროცესების შედეგად. ორგანიზმები ცვლიან ნიადაგის შემცველობას, ახდენენ გარემოში წყლის მოძრაობის მოდიფიცირებას და ზემოქმედებენ კლი- მატზე.
- 2.** უსულო ობიექტებისგან განსხვავებით, ცოცხალი ორგანიზმები მოძრაობენ, მრავლდებიან, ანარმობენ ნივთიერებათა ცვლას და ინარჩუნებენ შინაგან პირო- ბებს, რომლებიც ხშირად ძალიან განსხვავდება მათი გარემო პირობებისგან.
- 3.** ცოცხალი ორგანიზმები უნიკალური არიან იმ წი- ნით, რომ აგროვებენ დიდი რაოდენობით ენერგიას საკუთარი მოხმარებისთვის. ორგანიზმებმა უნდა იმუშაონ, რათა შეინარჩუნონ ამ ენერგიის მაღალი კონცენტრაცია ფიზიკური ძალების წინააღმდეგ, რომ- ლებიც მათ ამ ენერგიას აცლის.
- 4.** წიგთიერებებისა და ენერგიის დინება ორგანიზმის ზედაპირზე დაკავშირებულია ორგანიზმის ზედაპირის

ფართობზე, წიგთიერებათა გრადიენტზე ორგანიზმის შიგნიდან გარეთ და სიადვილეზე, რომლითაც წიგ- თიერება შეიწოვება კაშში ან ორგანიზმის გარე საფა- რში. ეს გამოისახება შემდეგნაირად: დინება = გრადი- ენტი x გამტარობა x ზედაპირის ფართობი. ცოცხალი ორგანიზმების ზედაპირი დინამიკური სტრუქტურაა, მას აქვს მნიშვნელოვანი ფუნქცია, მართოს ენერგიისა და წიგთიერებათა დინება.

- 5.** ორგანიზმთა ეკოლოგიასთან დაკავშირებული მრა- ვალი ფაქტორი არაპროპორციულად არის განაწილე- ბული მთლიანი სხეულის ზომასთან მიმართებაში. ამგვარი ურთიერთობები აღწერილია როგორც დახმარილი (ალომეტრიული კონსტანტა) წრფე, რო- მელიც აღნიშნავს რაიმე სტრუქტურის ლოგარითმულ სიდიდეს ან სხეულის ზომის ლოგარითმულ ფუნქციას.
- 6.** იმ ორგანიზმების მახასიათებლები, რომლებსაც შეუძლიათ, გაუმკლავდნენ ფიზიკური სამყაროს ერთ ასპექტს, ზოგჯერ არ არიან მომზადებული გარემოს მეორე კომპონენტთან გამკლავებისთვის. ამრიგად, ორგანიზმის თვისებები გამოხატავენ კომპრომისს კონკურენტულ შეზღუდვებს შორის.

## სავარჯიშოები

- 1.** დედამინაზე რომ ამ წამს ცხოვრების ყველანაირმა ფორმამ შენცვიტოს არსებობა, როგორი პირობები იქნება? რადენად განსხვავებული ვითარება იქნება ასი წლის შემდეგ? გაითვალისწინეთ ისეთი ცვლილე- ბები, როგორებიცაა ტემპერატურა, ატმოსფეროს შემადგენლობა. რით იქნება ეს პირობები განსხვავე- ბული მთვარეზე არსებული პირობებისგან? მარსზე არსებული პირობებისგან?
- 2.** ჩამოთვალეთ მოხი ან ხუთი საქმიანობა, რომლე- ბითაც თქვენ დღეს იყავით დაკავებული და რომ- ლებიც გავლენას ახდენს გარემოზე, რომელშიც

თქვენ ცხოვრობთ და ახსენით, რა გავლენებია ეს (მინიშნება: ხანდახან ქმედება რამდენადმეა დაშორებული იმ ეცექტისგან, რომელსაც ის ახდენს).

- 3.** შექმენით ექსპერიმენტი ან აღწერეთ დაკავირვება- თა სერიები, რომლებიც წარმოადგენენ სახლის თაგ- ვის თერმოდინამიკულ თვისებათა საზომს.
- 4.** შექმენით სასიცოცხლო ფორმა, რომელიც ეცექტურად იარსებებდა, გარემოში დედამინის მიზიდულობის ძალა არსებულის ერთი მესამედი რომ ყოფილიყო.

## თავი 4



# ცყლისა და ხსნადი ნივთიერებების პალანსი

### გზამკვლევი კითხვები

- როგორ ანიჭებს კოვალენტური და წყალბადური ბმები წყალს უნიკალურ თვისებებს?
- რა ეკოლოგიური გამოწვევები არსებობს სხვადასხვა ორგანიზმისთვის, რომლებიც გარემოსადმი ჰქონია მოლარული და ჰიპომოსმოლარულები არიან?
- რა ოსმორეგულირებად გამოწვევებს ხვდებიან მტკნარი წყლის, ზღვისა და ხმელეთის ორგანიზმები?
- რა გზით ინარჩუნებს სითხით მკვებავი ზოგიერთი ცხოველი სითხისა და ხსნადი ნივთიერებების ბალანსს?
- როგორ არის ხმელეთის და ზღვის ორგანიზმებში აზოტის კონცენტრაციის ამოცანა ამოხსნილი?
- რა ფაქტორები განსაზღვრავენ წყლის რაოდენობის შენარჩუნებას ნიადაგში?
- როგორ მოძრაობს წყალი ნიადაგიდან მცენარეთა წვერამდე?
- რა ფუნქციები და წყაროები აქვს ექვს არაორგანულ ნაერთს?

**წ**ყალი ალბათ ბუნებრივი სამყაროს ყველაზე არსებითი შემადგენელი ნანილია. ბუნებრივი სამყაროს მოქმედების ჩვენებული გაგება, თითქმის ყველა დონეზე — ინდივიდუალური ორგანიზმებიდან ეკოსისტემებამდე, დამოკიდებულია წყლის თვისებათა შეფასებასა და მასში მიმდინარე ან მის მიერ განხორციელებულ პროცესებზე. ყველა ორგანიზმი, სადაც არ უნდა ბინადრობდეს ის, ტბებში, მდინარეებსა თუ მიწაზე, მეტნილად წყლის შემცველია. მრავალი ნაერთი წყალში იხსნება, სხვები კი, წყალთან ერთად მოძრაობენ. ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლისთვის საჭირო საკვები ნივთიერებები მისი შინაგანი წყლის გარემოს საშუალებით მოძრაობენ. წყალი ასევე ხშირად გამოიყენება მე-

ტაბოლიზმის დროს წარმოშობილი ტოქსიკური ნივთიერებების გამოსადევნად. ალბათ, ცოცხალი ორგანიზმების ყველაზე დიდი ამოცანა, თავიანთი თხიერი, წყლიანი გარემოს შესაბამისი მოცულობის და კონცენტრაციის შენარჩუნებაა.

ამ თავში განვიხილავთ წყლის შემცველობას და იმ პრობლემებს, რომლებსაც ინდივიდები აწყდებიან სხეულსა და გარემოს შორის ნივთიერებათა და წყლის დინების მართვისას. მომდევნო თავებში ვნახავთ, რომ წყალი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ეკოლოგიური ორგანიზაციის მაღალ საფეხურზე მდგარ ინდივიდუალურ ორგანიზმებზე. წყლის სიჭარბე ზღუდავს მცენარეებისა და ცხოველების გავრცელებას. ნივთიერებათა მოძრაობა წყალში,

როგორც ხმელეთის, ისე ზღვის მრავალი ეკოსისტემის არსებით დინამიკას წარმოადგენს. გლობალური მასშტაბით კლიმატური ნიშნები მეტნილად წყლის მოძრაობით განისაზღვრება.

## 4.1 წყლის შემცველობა ორგანიზმს სიცოცხლისადმი კათილგანეყობას აიიჩეს

წყლის მოლეკულა ( $H_2O$ ) შედგება უმარტივესი ელემენტის ორი ატომისგან, წყალბადისგან და ჟანგბადის ერთი ატომისგან. ეს სარგებლიანობას ანიჭებს ორგანიზმს, ეს თვისებები არსებითია სიცოცხლისთვის. აქ ჩვენ განვიხილავთ წყლის ქიმიურ და თერმულ მახასიათებლებს. მოგვიანებით თქვენ ნახავთ, რამდენად მნიშვნელოვანია ყოველივე სიცოცხლისთვის.


### წყლის ქიმიური თვისებები

წყლის უნიკალური თვისებები შეიძლება აიხსნას წყალბადისა და ჟანგბადის ატომთა შემცველობით და წყალბადის ორ და ჟანგბადის ერთ ატომს შორის არსებული კავშირით, რომლებიც შეადგენ წყალს ( $H_2O$ ). ატომები შედგებიან დადებითად დამუხტული პროტონებისა და დაუმუხტავი ნეიტრონების შემცველი ატომური ბირთვებისგან, აგრეთვე უარყოფითად დამუხტული ელექტრონებისგან, რომლებიც ბირთვების გარშემო მუდმივად მოძრაობენ. ელექტრონები ბირთვიდან სხვადასხვა მანძილზე მოძრაობენ. ეს განპირობებულია მათი ენერგეტიკული დონით. რაც უფრო მაღალია ენერგეტიკული დონე, მით უფრო დიდია მანძილი ბირთვსა და ელექტრონს შორის. ეს დონები თავს იჩინენ დისკრეტულზე, რომლებიც მოცემულია აღნიშვნებით K, L, M, N და A.შ. სადაც K არის ბირთვთან უახლოესი ენერგეტიკული დონე. თითოეულ ენერგეტიკულ დონეს შეუძლია, დაიტიოს განსაზღვრლი რაოდენობის ელექტრონები. ორ ელექტრონს შეუძლია განლაგდეს K დონეზე, 6-s – L დონეზე, 18-s – M დონეზე და 32-s – N დონეზე.


სურ. 4-1 გვიჩვენებს წყალბადის, ჟანგბადის, ფოსფორისა და კალციუმის ატომებს. სხვადასხვა დონის ელექტრონები დახატულია ბირთვის გარშემო წრიულ ორბიტებზე. წყალბადის ატომის უფრო რეალური გამოსახულება ნაჩვენებია ნახატ 4.2-a-ზე, აქ ელექტრონის პოზიცია გამოსახულია ღრუბლის სახით და აღნიშნავს, რომ მისი ზუსტი ადგილმდებარება გარკვეულ დროს უცნობია. წყალბადის ელექტრონი ჩნდება მეტ-ნაკლებად სფერულ არეალში K ენერგიის დონეზე. სფერულ ღრუბელს, მოცულობას, რომელშიც ელექტრონი შეინიშნება დროის 90%-ში — უწოდებენ ორბიტალს. ორი სფერული ორბიტალი K დონეზე, რომელთაგან თითო შეესაბამ-

### სურ. 4-1


წყალბადის (H), ჟანგბადის (O), ფოსფორის (P) და კალციუმის (Ca) ატომები. ნახატზე ნაჩვენებია ელექტრონების რიცხვი და განლაგება K, L, M, და N ენერგეტიკულ დონეებზე. მეტი სიმარტვისთვის ელექტრონები წარმოდგენილია მყარ ნიულ ორბიტალებზე ატომის ბირთვის გარშემო.




წყალბადის



ჟანგბადის




ფოსფორის



კალციუმის

ება თითო ელექტრონს იმ ორიდან, რომელთაც შეუძლიათ, განთავსდნენ ამ ენერგიის დონეზე, აღინიშნება ასე: „1s“ (გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ ერთი ელექტრონი ჩნდება K დონეზე წყალბადის ატომში). მაგრამ ყველა ორბიტალს სფერული ფორმა არ აქვს. მაგალითად, ჟანგბადის ატომს ექვსი ელექტრონი აქვს, ორი K ენერგეტიკულ დონეზე და ექვსი – L დონეზე. ორ ელექტრონს დონეზე აქვს 1s ორბიტალები, რომლებიც სფერულია. ორ ელექტრონს




**სურ. 4-2** (ა) წყალბადის ატომის სფერული 1s ორბიტალი.

ორბიტალი დახატულია ღრუბლის სახით, რათა ხაზი გაესვას იმას, რომ ელექტრონის პრიციი გარკვეულ დროს არ არს ცნობილი.

ორბიტალი არის მოცულობა, სადაც ელექტრონი ნაპოვნია დროის 90%-ში. (ბ) 1s უაგბადის ატომის ენერგეტიკული დონის ჰანტელისებრი ფორმის 2p-თი მოცულობა.


დონეზე აქვს სფერული ორბიტალი, სახელწოდებით 2s ორბიტალები, მაგრამ დანარჩენ ოთხ ელექტრონს ჰანტელისებრი ორბიტალები აქვს და ეს ორბიტალები აღინიშნება 2p-თი (სურ. 4-2ბ).

ატომები ქმნიან კოვალენტურ კავშირებს ელექტრონთა გაზიარებით. მაგალითად, წყალბადის ატომს აქვს ერთი ელექტრონი ენერგიის დონეზე (და ამ ელექტრონს აქვს 1s ორბიტალი), მაგრამ მას შეუძლია ორი ელექტრონის დატევა. წყალბადის ორ ატომს შეუძლია, შეავსოს ენერგეტიკული დონე ელექტრონთა ურთიერთგაზიარების საშუალებით, როგორც ეს ნაჩვენებია მარტივ ფორმულაში, სადაც თითოეული წერტილი წარმოადგენს ელექტრონს:



ამგვარი კოვალენტური კავშირების შედეგად იქმნება მოლეკულური წყალბადი  $\text{H}_2$ , ახლა წარმოიდგინეთ კოვალენტური კავშირები წყალბადის ორ ატომსა და უანგბადის ერთ ატომს შორის, რომლებიც ქმნიან წყლის მოლეკულას. უანგბადს აქვს ექვსი ელექტრონი, ორი - K და ოთხი L ენერგეტიკულ დონეებზე. უანგბადის დონეს, შეუძლია, დაიტიოს ორი დამატებითი ელექტრონი, რომლებიც შეიძლება მიიღოს წყალბადის ორი ატომის სახით, ამათგან თითოეულს ერთი

ელექტრონი აქვს. ელექტრონთა გაზიარებით წყალბადის ორი ატომის K და უანგბადის L ენერგეტიკული დონეები შეიძლება შეივსოს:




არც ერთ ორ ელემენტს არ შეუძლია, ჰქონდეს მიზიდულობის ერთნაირი ძალა ელექტრონებზე. ამრიგად, ატომებს შორის კოვალენტურ ბმებში ელექტრონებმა შეიძლება მეტი დრო გაატარონ ბმული წყვილის ერთ-ერთი წევრის გარშემო — იმ წევრის გარშემო, რომელსაც მიზიდულობის უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე სხვას. ამ შეთანხმებას **პოლარული კოვალენტური** ბმა ეწოდება. წყლის მოლეკულაში ელექტრონები უფრო ძლიერ უანგბადს ეკვრიან, ვიდრე წყალბადს, ამიტომ უფრო მეტი უარყოფითი მუხტი ასოცირებულია უანგბადის ატომთან, ვიდრე წყალბადთან. წყლის სამ ატომს წრფივი განლაგება რომ ჰქონოდა —  $\text{H} : \text{O} : \text{H}$ , როგორც ჩვენ ზემოთ მოყვანილ ფორმულაში დავხატეთ ისინი, ელექტრონთა მუხტი სისტემატურად მოლეკულის გასწვრივ იქნებოდა განაწილებული. მაგრამ როდესაც უანგბადი კოვალენტურად უკავშირდება წყალბადის ორ ატომს წყლის შესაქმნელად, 2s და 2p ორბიტალები უანგბადის ატომის ენერგიის დონეზე ისეთნაირად დეფორმირდებიან, რომ წყალბადის ატომები უანგბადის ატომის ერთ მხარეს არიან განლაგებული და ქმნიან ტეტრაედრული ფორმის მოლეკულას (სურ. 4-3). ეს შეიძლება დაიხატოს შემდეგნაირად :



ამ განლაგებაში მოლეკულის უანგბადის დაბოლოებას უარყოფითი მუხტი აქვს, წყალბადის ატომის დაბოლოებას კი — დადებითი მუხტი, რაც მთლიან მოლეკულას პოლარულობას სქენს.

### წყალი, როგორც გამხსნელი

წყლის მოლეკულის პოლარულობის გამო, წყალს აქვს უზარმაზარი შესაძლებლობა, გახსნას არაორგანული ნაერთები, რითაც ხელმისაწვდომის ხდის მათ ცოცხალი სისტემებისთვის, წყლის მეშვეობით, მათ შეუძლიათ რეაქციებში შესვლა ახალი ნაერთების შესაქმნელად. მრავალი მოლეკულა შედგება ელექტრულად დამუხტებული ატომებისგან ან ატომთა ჯგუფებისგან. მათ სახელად **იონები** ეწოდებათ. ისინი მიერთებული არიან ერთმანეთთან საწინააღმდეგო მუხტების მიზიდულობით. მაგალითად, ჩვეულებრივი სუფრის მარილი — ნატრიუმის ქლორიდი ( $\text{NaCl}$ ) შედგება დადებითად დამუხტებული ნატრიუმის ატომისგან ( $\text{Na}^+$ ) და უარყოფითად დამუხტებული ქლორის ატომისგან ( $\text{Cl}^-$ ). როცა მარილი მოთავსებულია წყალში, წყლის მოლეკულების მიერ დამუხტებული ქლორისა და ნატრიუმის მიზიდულობა




**სურ. 4-3** ნელის მოლეკულის ტეტრაედრული ფორმა ჩარ-მოიშობა ნეალბადის ორი ატომისა და უანგბადის ერთი ატომის კოვალენტური ბძის დროს ორბიტალების დეფორმაციის შედეგად. ეს დამახასიათებელი ფორმა, ელექტრონების ტენდენ-ციასთვის ერთად — უფრო მეტანს ბრუნავენ უანგბადის ატომის სიახლოესს, სხვენ ნელის მოლეკულას პოლარულობას, უარყოფითი შეხტით უანგბადის მხარეს და დადებითი შეხტით ნეალბადის მხარეს.

მარილის მოლეკულიდან მაზედიდა, ვიდრე ის ბმები, რომლებიც მარილის მოლეკულას აერთიანებენ. ასე რომ, მარილის მოლეკულა სწრაფადვე იშლება თავის კომპონენტ იონებად. ეს გვაძლევს კიდევ ერთ საშუალებას იმის სათქმელად, რომ მარილი გაიხსნა.

ბევრი სხვადასხვა ნაერთი იხსნება ნეალში და შესაბამისად, ტებები, მდინარეები და ოკეანეები შეი-ცავენ მთელ რიგ კათიონებს, რომლებიც დადებო-თად არიან დამუხტული და ანიონებს, რომლებიც უარყოფითად არიან დამუხტულები. ყველაზე მნიშ-ვნელოვანი კათიონებს შორის არის კალციუმი ( $\text{Ca}^{2+}$ ), კალიუმი ( $\text{K}^+$ ) ნატრიუმი ( $\text{Na}^+$ ) და ამიაკი ( $\text{NH}_4^+$ ). ყველაზე მნიშვნელოვანი ანიონებს შორის არიან იონი ( $\text{NO}_3^-$ ), ფოსფატის იონი ( $\text{PO}_4^{3-}$ ), ნახშირის იონი და ბიკარბონატის იონი ( $\text{HCO}_3^-$ ). ამ იონთა ხელმი-საწვდომობა, როგორც ვნახავთ მე-11 და მე-12 თავებში. ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზმის თვის.

ოთხ სხვა მოლეკულას (სურ. 4-4). ნელის თითოეული ოთხი გარეგანი მოლეკულიდან დაკავშირებულია კიდევ ოთხთან, ისინი სხვებთან და ა.შ. აქედან მიხვდებით, რომ ფინჯანში, საცურაო აუზსა თუ ოკეანეში არსებული ნელის მოლეკულობა მეტ-ნაკლებად მუდმივი ქიმიური ნაერთია. ნეალბადური ბმა ძალიან სუსტია და ამრიგად ისინი მუდმივად იშლება და აღდგება თავიდან. ამიტომაც ნელის მოლეკულობა არ არის მყარი და არის თხევადი, ისეთი, როგორ-საც თქვენ ხედავთ. ნელის მოლეკულების ერთმანეთისადმი მიზიდულობას კოჰეზია ეწოდება და ეს კოჰეზია სძენს ნელის ზედაპირს მის ზედაპირულ დაჭიმულობას.

ნელის მოლეკულები მიზიდებიან დამუხტული ზედაპირების მიერ. ეს თვისება, სახელწოდებით — ადჰეზია (მიკრობა, მინებება), ხსნის, თუ რატომ სველდება ზოგი ზედაპირი. ნელის კოჰეზიური და ადჰეზიური თვისებები ხსნიან კაპილარული ქმედების ფენომენს. ეს არის ნელის მოძრაობა მცირე მიღწი მიზიდულობის კანონის წინააღმდეგ. მცირე მიღწი ნელის მოლეკულები ეკრობიან მი-ლის ზედაპირს და მოლეკულები, რომლებიც არ არიან მიღწის ზედაპირთან ახლოს, ასევე მიზიდებიან კოჰეზიური ძალის მიერ. როგორც ქვემოთვნახავთ, ეს



### ნელის მოლეკულის ნეალბადური ბმა

რადგანაც ნელის მოლეკულები პოლარულია, ისინი იზიდავენ ერთმანეთს. ამ შედარებით სუსტ მიზიდულობას ნეალბადური ბმას უწოდებენ. ატომთა განლაგება ნელის მოლეკულაში საშუალებას აძლევს თითოეულ მოლეკულას ნეალბადურად გადაებას

**სურ. 4-4** ნეალბადური ბმა ნელის მოლეკულებს შორის. თითოეულ მოლეკულას შეუძლია, შექმნას ნეალბადის ბმა ოთხ სხვა მოლეკულასთან.

ცხრილი 4-1	ნებაზოვის თერმული თვისებები	
თვისება	განსაზღვრება	რაოდენობა
კუთრი სითბოტევადობა	სითბური ენერგიის რაოდენობა, რომელიც 1 კალორია (კალ) ან 4,2 ჯოული (ჯ)	
გაყინვის სითბო	სითბური ენერგიის რაოდენობა, რომელიც უნდა დაემატოს ყინულს, რათა დაადნოს 1 გ. ნებაზოვის 0°C-ზე	80 კალ ან 335 ჯ
აორთქლების სითბო	სითბური ენერგიის რაოდენობა, რომელიც უნდა იქნას დამატებული 1 გ ნებაზოვის ასაორთქლებლად	597 კალ ან 2 498 ჯ 0°C-ზე; 536 კალ ან 2 243 ჯ 100°C-ზე
თერმოგამტარობა	სითბოს დინება $1\text{sm}^2$ ნაწილში, $1^\circ\text{C}$ $\text{s}^{-1}$ გრადიენტით	(ერთეულებია ჯ $\text{s}^{-1}$ , $\text{C}^{-1}$ ): 0,0055 $0^\circ\text{C}$ -ზე, 0,0060 $20^\circ\text{C}$ -ზე, 0,0063 $40^\circ\text{C}$ -ზე, 0,022 ყინულისთვის $0^\circ\text{C}$ -ზე
სიმკვრივე	მასა მოცულობის ერთ ერთეულზე	ნებალი $30^\circ\text{C} = 0,99565 \text{ g s}^{-3}$ $20^\circ\text{C} = 0,99821$ $10^\circ\text{C} = 0,99970$ $4^\circ\text{C} = 0,99997$ (მაქსიმალური სიმჭიდროვე) $0^\circ\text{C} = 0,99984$ ყინული $0^\circ\text{C} = 0,917$

პროცესი გარკვეულწილად უწყობს ხელს მცენარეებში და ნიადაგის ნაწილაკებს შორის მცირე სივრცეში ნებაზოვის მოძრაობას.

## ყინული

როდესაც ნებალი ცივდება, მოლეკულების მოძრაობა მცირდება და სუსტი ნებაზადური ბმა ისევე ადვილად გასაწყვეტი აღარა. ყინულის ფორმირების მომენტში ( $0^\circ\text{ C}$ ) ნებაზოვის მოლეკულები ხისტად არიან და კავშირებული ნებალბადური ბმებით.



**სურ. 4-5** ყინულის ბადისებრი სტრუქტურა ამ ანტარქტიკულ აისბერგში შეიცავს მრავალ ცარიელ სივრცეს. ამ ცარიელ სივრცეთა ფორმაცია ხდის მას ნაკლებად მჭიდროს, ვიდრე თხევადი ნებალია (იხ. სურ. 4-4).

ტეტრაედრული ფორმის გამო, ნებაზოვის მოლეკულები ქმნიან ბადისებრ სტრუქტურას, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ცარიელ სივრცეს (იხ. ნახ 4-4). ნებაზოვის ეს თვისება საკმაოდ იღბლიან შემთხვევას-თანაა დაკავშირებული, რადგან იმ დროს, როცა ნივთიერებათა უმრავლესობა უფრო ბლანტი ხდება დაბალ ტემპერატურაზე, ნებალი ნაკლებად ბლანტდება, როცა ცივდება  $4^\circ\text{C}$ -ს ქვემოთ. ნებალი ასევე ფართოვდება და კიდევ უფრო ნაკლებად ბლანტი ხდება გაყინვისას. ამის შედეგად, ყინული ტივტივებს (სურ. 4.5), რაც არა მარტო შესაძლებელს ხდის ყინულზე სრიალს, არამედ ხელს უშლის ოკეანეებისა და ტბების ფსკერთა გაყინვას და საშუალებას აძლევს ნებაზოვის მცენარეებსა და ცხოველებს, იპოვონ იქ თავშესაფარი ზამთარში.

## ნებაზოვის თერმული თვისებები

ნებაზოვის თერმულ თვისებათა უმრავლესობა „კეთილგანწყობილია“ სიცოცხლის მიმართ (ცხრილი 4.1). მაგალითად, საჭიროა დიდი რაოდენობის სითბური ენერგიის მიმატება ან გამოკლება ნებაზოვის ტემპერატურის ცვლილებისთვის. ამასთან, ნებალი სითბოს სწრაფად ატარებს. ამ თრი თვისების გამო, რომლებსაც შესაბამისად კუთრ სითბოტევადობას და ნებაზოვის თერმოგამტარობას უწყოდებენ, ნებალიან

გარემოთა და იქ მობინადრე ორგანიზმთა ტემპერატურა, როგორც წესი, შედარებით მუდმივი და ჰომოგენურია. წყალი ასევე უძლებს ცვლილებებს მყარ (ყინული), თხევად და აირად (**აორთქლების სითბო**) მდგომარეობებში გადასვლისას. წყლის ასაორთქლებლად საჭიროა დაახლოებით 500-ჯერ იმაზე მეტი ენერგია, ვიდრე მისი ერთი გრადუსით გათბობისთვის იხარჯება. ყინული მოითხოვს 80-ჯერ მეტი სითბოს ჩამოცილებას (**გაყინვის სითბო**), ვიდრე იმავე რაოდენობის წყლის ტემპერატურის 1°C-ით შემცირებისთვისაა საჭირო.


## 4.2 სსეად გარემოში დამლილი

### ნივთიერები როგანიზმებისთვის კოს-ომურ ცენტრ ცენტრალური მომართველობის


ორგანიზმები საკვებ ნივთიერებებს ნიადაგიდან და წყლიდან იღებენ. ხშირად ეს ნივთიერებები უფრო მეტადაა კონცენტრირებული ორგანიზმთა ქსოვილებში, ვიდრე მათ გარემოცვაში და ამიტომ ორგანიზმებმა უნდა მოახდინონ მათი ასიმილირება უპირატესი გრადიენტის წინააღმდეგ. ორგანიზმებმა ასევე უნდა გამოყონ გარემოში სხეულიდან მრავალი, ის ჭარბი ნივთიერება, რომელიც მეტაბოლურად უსარგებლოა და შესაძლოა, მაღალი კონცენტრაციის მიღწევისას, ტოქსიკურიც კი. თუ სხეულის ზედაპირი სასურველი ნივთიერების დინების საშულებას იძლევა, მას შეუძლია სხვა ნივთიერებების დინების შეფერხება მხოლოდ შერჩევითი გამტარობით (თუ სასურველი და არასასურველი ნივთიერებები ძალიან განსხვავდებიან ზომითა და ელექტრული მუხტით) ან არასასურველი ნივთიერებების ზედაპირიდან აქტიური გადატუმბვით.

ნინდა ფიზიკის კანონების მიხედვით, იონები გაიძნეოდნენ ორგანიზმთა ზედაპირზე მაღალი კონცენტრაციის უბნებიდან დაბალი კონცენტრაციის უბნებისკენ და ამით კონცენტრაციას გაათანაბრებდნენ. წყალიც ასევე მოძრაობს გამტარი მემბრანების გავლით იონთა მაღალი კონცენტრაციის უბნისკენ (ანუ წყლის დაბალი კონცენტრაცია), რაც ასევე ათანაბრებს გახსნილი ნივთიერებების კონცენტრაციას მემბრანის იონვე მხარეს. ამ პროცესს **ოსმოსი** ეწოდება. სსნადი ნივთიერების თვისება — მიზიდოს წყალი, ცნობილია **ოსმოსური წნევის** სახელით.

წნევა შეიძლება გამოსახული იყოს მთელი რიგი სხვადასხვა ერთეულებით. წნევა, რომელსაც ახორციელებს ატმოსფერო ზღვის დონეზე, არის 14,7 ფუნტი ერთ კვადრატულ დუიზზე, რომელიც ალინიშნება როგორც 1 ატმოსფერო (ატმ). ერთეულთა საერთაშორისო სისტემაში 1 ატმ = 101 325 პასკალს (pa) ან დაახლოებით 0,1 მეგაპასკალს (mpa) (პრეციქსი მეგა წარმოადგენს 100-ის ფაქტორიალს). ხანდახან წნევა გამოსახულია ერთეულებში, რომელსაც ბარი ეწოდება. ერთი ბარი უდრის 0,987 ატმ და ამრიგად, 0.1 mpa-ს.



(ა) ზღვის თევზებში



(ბ) მტენარი წყლის თევზებში

**სურ. 4-6.** წყლისა და სსნადი ნივთიერებების ცვლის გზები (ა) ზღვის თევზებში, რომელთა სხეულის სითხეები პიპო-ოსმოსურია (იმაზე ნაკლებ სსნად ნივთიერებებს შეიცავს, ვიდრე მისი გარემო) და (ბ) მტენარი წყლის თევზებში, რომელთა სხეული სითხეები პიპერო-ოსმოსურია. ლაუზები და თირკმელები აქტიურად გამოდევნიან ან ინარჩუნებენ სსნად ნივთიერებებს მარილის ბალანსის შესანარჩუნებლადც. ზღვის თევზებმა უნდა მიიღონ, რათა სითხე მიიღონ (Schmidt-Nielons-ის მიხედვით, 1975.)

სსნარის ოსმოსური წნევა დამოკიდებულია მის კონცენტრაციაზე. რაც უფრო მაღალია რომელიმე ნივთიერების კონცენტრაცია, მით უფრო მეტია წყლის მიზიდულობა სსნარისკენ და მაღალია კოსმოსური წნევა. ნივთიერებათა მოლარული კონცენტრაცია სსნარში (1 მოლი ნივთიერებისა ლიტრზე) ანარმობს დაახლოებით 2,1 mpa-ის ტოლ ოსმოსურ წნევას. ზღვის წყლის ოსმოსური წნევადაახლოებით 1,2 mpa-ია, ხოლო მტენარი წყლის — დაახლოებით ნულის ტოლი. ხერხემლიანი ცხოველების სხეულის სითხეები, რომელთა ოსმოსური წნევაც ზღვის წყლის ოსმოსური წნევის 30-40%-ს შეადგენს (0,3 – 0,5 mpa), იკავებენ შუალედურ პოზიციას. მცენარის უჯრედები იზიდავენ წყალს, რადგან ციტოპლაზმა უფრო მეტადაა კონცენტრირებული, ვიდრე უჯრედის გარეთ არსებული კონცენტრატები. სწორედ ოსმოსური წნევა ანიჭებს

უჯრედებს სიმყარეს, რიგიდულობას, ამ მოვლენას **ტურგორი** ეწოდება. როდესაც წყალი გარემოში ჭარბად მოიპოვება, მცენარის უჯრედი იზიდავს წყალს, რითაც აიძულებს ციტოპლაზმის მემბრანას, მიეკრას შედარებით რიგიდული უჯრედის კედელს და ამით მთლიანად უჯრედს მიანიჭოს რიგიდულობა. ტურგორი ეხმარება მცენარეს, დარჩეს სწორი. **ჭკნობის** სახელით ცნობილი უჯრედული ტურგორის დაკარგვა შეიძლება მაშინ მოხდეს, როდესაც წყლის მიწოდება მცენარისთვის ძალიან მნირია.

მტკნარი წყლის თევზთა ქსოვილებში მარილის უფრო მაღალი კონცენტრაცია, ვიდრე მის გარშემო წყალში. ამგვარი ორგანიზმები ჰიპეროსმოსურები არიან, როგორც წესი, იღებენ წყალს და გარემოს აწვდიან ხსნად ნივთიერებებს. ზღვის თევზები, რომელებსაც მარილის უფრო დაბალი კონცენტრაცია აქვთ, ვიდრე გარშემო ზღვის წყალს, ჰიპეროსმოსურებად მოიხსენიებენ. ისინი იღებენ ხსნად ნივთიერებებს, კარგავენ წყალს და ამიტომ, სითხის შესავსებად, წყალი უნდა მიიღონ (სურ. 4-6). როგორც ქვემოთ ვნახავთ, თევზები უმკლავდებიან ამ ოსმოსურ გამოწვევებს ნატიური სატრანსპორტო მექანიზმების გამოყენებით, რათა გადატვირთონ იონები ერთ ან მეორე მხარეს თავიანთი სხეულის ზედაპირზე (კანი, თირკმლის მილაკები და ლაყუჩები). ამ პროცესში ისინი შესამჩნევ ენერგიას ხარჯავენ.

### **4.3 მარილებისადა წყლის პალაცი ერთ-დროულად მყარდება**

სხვადასხვა გარემო გარკვეულ პირობებს ქმნის წყლისა და ხსნადი ნივთიერებების ბალანსის შესანარჩუნებლად. ორგანიზმა უნდა დახარჯოს ენერგია, რათა შეინარჩუნოს იონური დისპალანსი საკუთარ და გარე სამყაროს შორის ოსმოსისა და დიფუზიის ფიზიკური ძალების საწინააღმდეგოდ. ამ პროცესში, რომელსაც ოსმორეგულაცია ეწოდება, უმეტესწილად მარილის შეკავებასა და ექსკრეციაში სპეციალიზებული ორგანოები მონაწილეობენ. როგორც ვნახავთ, იონთა შეკავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია როგორც ხმელეთის, ისე მტკნარი წყლის ორგანიზმებისთვის.

### **ოსმორეგულაცია წყლიან საბინადრო გარემოში**

მტკნარი წყლის თევზები ჰიპეროსმოსურები არიან, ისინი მუდმივად იღებენ წყალს პირიდან და ლაყუჩებიდან, გარემოსადმი გახსნილი ყველაზე გამტარი ქსოვილებიდან. კანი შედარებით გაუმტარია. წყლის ამგვარ შემოდინებასთან გასამკლავებლად, თევზები მუდმივად გამოყოფენ წყალს შარდით. ცხადია, მათ რომ შერჩევითად არ დაეტოვებინათ ნივთიერებათა დაშლილი იონები, ისინი სულ მაღალ წყლის უსულო ბარკებად გადაიქცეოდნენ. თევზების თირკმლები

ინახავენ მარილებს, აქტიურად აცლიან რა მათ შარდს, იონებს და აბრუნებენ უკან სისხლის მიმოქცევაში. ამასთან, ლაყუჩებს შეუძლია, შერჩევითად შეიწოვონ იონები გარშემო წყლიდან და გუშვან ისინი სისხლის დინებაში (Schmidt-Nelson 1997).

ზღვის თევზები გარშემორტყმული არიან წყლით, რომელიც მარილის კონცენტრაცია მათ სხეულში არსებულზე მეტია. ამის შედეგად, ისინი კარგავენ წყალს და ამიტომაც, უნდა მიიღონ წყალი, რათა ეს დანაკლისი შეივსონ. მარილი, რომელიც შემოედინება წყალთან და საკვებთან ერთად, ასევე ისიც, რომელიც სხეულის ზედაპირზე ვრცელდება, უნდა იქნას გამოყოფილი დიდი მეტაბოლური ძალისხმევით ლაყუჩებისა და თირკმლების მეშვეობით.

ზღვის ხერხემლიანებში მარილის გამოდევნა მხოლოდ თევზებით არ შემოიფარგლება. ზღვის ფრინველები და რეპტილიები იღებენ იმაზე მეტ მარილს საკვებიდან, ვიდრე მათ თირკმლებს შეუძლია, გამოყოს. მრავალ სახეობას დამატებითი მარეგულირებელი ორაგანიზმი, ეგრეთ წოდებული სამარილე ჯირკვლები აქვს. ეს ჯირკვლები, როგორც წესი, განლაგებულია თვალების ან ცხვირის შესასვლელთან და ეხმარება სხეულს, უარი თქვას მარილის მიღებაზე იმ დროს, როცა წყალს შთანთქავს (Peaker and Linzell 1975).

ზოგმა ზვიგენმა მიაღწია ოსმორეგულირების პროცესის საკმაოდ ნატიფ გადაწყვეტას. ზვიგენები ინარჩუნებენ სისხლში შარდოვანას [CO(NH)] – მეტაბოლიზმის ჩვეულებრივ აზოტოვან ნარჩენ პროდუქტს ხერხემლიანებში, იმის მაგივრად, რომ ის შარდთან ერთად გამოყონ. შარდოვანა ზრდის სისხლში იონთა კონცენტრაციას და ზრდის აგრეთვე ოსმოსურ წნევას ზღვის წყლის დონემდე ნატრიუმის ქლორიდის კონცენტრაციის გაზრდის გარეშე. სისხლში შარდოვანას მაღალი კონცენტრაცია ეფექტურად ანეტრალებს წყლის ტენდენციას — დატოვოს სხეული ოსმოსის მეშვეობით და წყლის ბადისებრი მოძრაობა თანდათანობით უკვე აღარ შეიმჩნევა ზვიგენის სხეულის ზედაპირზე. ეს სტრატეგია გაცილებით აადვილებს იონების დინების რეგულირებას (როგორიცაა ნატრიუმი), რადგან ზვიგენს აღარ სჭირდება მარილიანი წყლის დალევა ოსმოსის შედეგად დაკარგული წყლის ასანაზღაურებლად. მართალია, შარდოვანა ცილების დესტაბილიზაციას ახდენს, ეს პრობლემა დაძლეულია სხვა ნაერთი მარილის, ტრიმეთილამინის ოქსიდის მეშვეობით [NO(CH<sub>3</sub>)<sub>3</sub>] (Yancey and Somero 1980, Yancey et al. 1982). ის ფაქტი, რომ მტკნარი წყლის ზოგიერთი ზვიგენი არ აგროვებს შარდოვანას სისხლში (Thorson et al. 1967), ხაზს უსვამს მის ოსმორეგულირებად როლს ზღვის სახეობებში.

წყლიანი გარემო, რომელსაც ზღვის წყალზე მეტი მარილის კონცენტრაცია აქვს, არსებობს ხმელეთით შემოსაზღვრულ ზოგიერთ აუზში, კერძოდ, არიდულ ზონაში, სადაც დიდია წყლისაორთქლება. დიდი მარილიანი ტბა (20% მარილი) იუტაში და მკვდარი ზღვა (23%

მარილი) ისრაელსა და იორდანიას შორის ამგვარი ორთქლებადი აუზების ადგილია. ამგვარ გარემოში ოსმოსური წნევა გამოდევნიდა წყალს ცხოველებისა და მცენარეების უმეტესობისგან, მაგრამ წყლის ზოგიერთ არსებას, როგორიცაა კრევეტი არტემია (*Artemia*), შეუძლია, გადარჩეს ისეთ მარილიან წყალშიც, რომელშიც კონცენტრაცია კრისტალიზაციას აღწევს (300გრ. ლიტრზე, ან 30%). არტემია გამოყოფს მარილს საოცრად დიდი რაოდენობით, რათა შეინარჩუნოს სხეულის სითხე უფრო ნაკლებ კონცენტრაციაში, ვიდრე მისი გარემოა (Croghan 1958, Gilles 1975).

მცირე კოკეპოდი ტიგრიოპუსი (სურ. 4-7) ბინადრობს ზღვების აუზებში კლდიანი სანაპირო ზოლების ტალღებისთვის მისანვდომ ზონებში. ეს აუზები იშვიათად იღებენ მტკნარ წყალს და როდესაც წყალი ორთქლდება, მათი მარილის კონცენტრაცია მაღალ დონეზე იწევს. არტემიასგან განსხვავებით, ტიგრიოპუსი წყლის დანაკარგის პრობლემას თავის სხეულის სითხეთა ოსმოსური წნევის გაზრდით უმკლავდება. ის ამას ახერხებს ზოგიერთი ამინომჟავის ზედმეტი რაოდენობით სინთეზირების საშუალებით (Burton and Feldman 1982). ეს მცირე მოლეკულები ზრდიან სხეულის ოსმოსურ წნევას ისე, რომ მარილის მაღალი დონების მაგნებელი ფიზიოლოგიური ეფექტების გარეშე ის საბინადრო გარემოს უტოლდება (Yancey et al. 1982).

## ოსმორეგულაცია ხმელეთის საბინადრო გარემოში


წყლისა და მარილის ბალანსი მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც ხმელეთის, ისე წყალში მობინადრე ორგანიზმებში. ხმელეთზე მობინადრე ცხოველები მინერალურ იონებს სასმელი წყლიდან და საკვებიდან იღებენ. ცხოველები, განსაკუთრებით ხორცისმჭამელები, იმაზე მეტ მარილს ღებულობენ საკვებიდან, ვიდრე ესაჭიროებათ. იქ, სადაც წყალი უხვადაა, ამ ცხოველებს შეუძლიათ, დიდი რაოდენობით მიიღონ ის და შესაბამისად, დიდი რაოდენობით გამოყონ შარდი, რომელსაც გამოაქვს მარილი მათი სხეულიდან. იქ, სადაც წყალი იშვიათია, ცხოველებს

კონცენტრირებული შარდი უნდა ჰქონდეთ, რათა შეინახონ წყალი. ამრიგად, როგორც მოსალოდნელი იყო, უდაბნოსცხოველებსძალიანდლიერითირებულებიაქვთ (Schmidt-Nielsen 1964, Amano 1994). ვთქვათ, ადამიანებს შეუძლიათ, შარდში ოთხჯერ მეტი მარილის იონთა კონცენტრაცია, ვიდრე სისხლის პლაზმაში გააჩნიათ. უდაბნოში მობინადრე ჩანთოსანი ვირთხის შარდში, მარილის კონცენტრაცია 14-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე მის სისხლში (Schmidt-Nielsen 1964). ავსტრალიურ ჩანთოსან თაგვს, კიდევ ერთ უდაბნოსთან ადაპტირებულ სახეობას, აქვს შარდი 25-ჯერ მეტი მარილის შემცველობით, ვიდრე მის სისხლში (MacMillen and Lee 1967).

სხეულის სითხეებში შარდოვანას, როგორც ოსმოსური წნევის დაწევის საშუალების დაგროვება, მხოლოდ ზღვის ზვიგენებს როდი შეუძლიათ. ზოგი ამფიბია, რომელიც ადაპტირებულია უდაბნოში არსებობასთან, წვიმის მოლოდინში რჩება მინისქვეშა სოროში წლამდე ან მეტი ხნის განმავლობაში. დროის სვლასთან ერთად, სოროს გარშემო ნიადაგსაც ეცლება წყალი და მისი მარილის კონცენტრაცია იზრდება და ქმნის ვითარებას, რომელშიც ნიადაგის ოსმოსური წნევა მაღალია ამფიბიის სხეულის სითხესთან შედარებით. ზვიგენების მსგავსად, ნიჩბისქებურფეხიანი გომბეშოები (*Scaphiopus*) და უდაბნოს სალამანდრები (*Ambystoma tigrinum*) დიდი რაოდენობით ინარჩუნებენ შარდოვანას სხეულის სითხეებში, რათა ხელი შეუშალონ ან შეანელონ წყლის კარგვა სოროებში ძილის პერიოდებში (Shoemaker et al. 1992).

## ოსმორეგულაცია ხმელეთის და წყლის მცენარეებში

ზოგ მცენარეს შეუძლია, იარსებოს ისეთ ადგილას, სადაც მაღალია მარილის კონცენტრაცია. ამ ჰალფიტებმა წარმატებით გადაჭრეს გარემოში წყლის დაკარგვის პრობლემა იმით, რომ მათ უჯრედებს მეტი იონური იონების დეპიდრატაცია ემუქრებათ, მრავალი ჰალფიტი ჭრის ამ პრობლემას შეთავსებადი სსნადი ნითიერებების წარმოქმნით. ეს წაერთებია: ამინომჟავები, ზოგიერთი მაღალმოლეკულური სპირტი და მეთილირებული ამინის მაღალი კონცენტრაციის ნაერთები, რომელებიც შეინიშნებიან ციტოპლაზმაში, ამით იზრდება ოსმოსური წნევა, მაგრამ ამას არ მოაქვს ზიანი უჯრედის ფერმენტული სისტემისთვის. როდესაც საბრიმ და მისმა თანაშემწეებმა (1995) საგაზაფხულო ხორბლის (*Triticum aestivum*) თესლი ჩატოვეს გვალვაში წყლის გარეშე 3 დღის განმავლობაში ან როცა ზედმეტად მარილიან გარემოში მოათავსეს, (კონცენტრირებული ნატრიუმის ქლორიდიანი წყლით რწყავდნენ) მცენარის ქსოვილში აღმოაჩინეს გლიცინდეტანის დიდი რაოდენობა, პროლინი და ასპარაგინის, გლუტამინისა და ვალინის ამინომჟავები.



**სურ. 4-7** კოკეპოდ ტიგრიოპუს კალიფორნიკუსი. ზრდასრული 1-200 სიგრძისაა. ეს მცირე ორგანიზმი ბინადრობს მარილიან აუზებში კლდიანი სანაპიროების გასწვრივ. ის ახდენს ამინომჟავების სინთეზს, რათა გაზარდოს სხეულის სითხეთა ოსმოსური პოტენციალი და შეაჩინოს კარგვა. (რ.ს. ბარტომეა მოგვარდა.)

მანგრისებრი მცენარეები იზრდება ზღვის დანალექებში. ამ გარემოს ყოველდღიურად მდინარის შესართავებში ზღვის ძლიერი მოქცევა ახასიათებს. (მანგრისებრთა ეკოლოგიის ახლანდელი მიმოხილვა გამოქვეყნებულია ჯაკარინისა და მარინის მიერ, 1992). ამ საბინადრო გარემოს არა მარტო მარილის დიდი დატვირთვა აქვს, არამედ მაღალი ოსმოსური წნევაც, რომელიც გარს ეკვრის მის ფესვებს და ართულებს წყლის შეწოვას. ამ პრობლემის გადასაჭრელად მრავალი მანგრისებრი მცენარე შეიცავს მაღალი რაოდენობით შეთავსებად ხსნად ნივთიერებებს, ასეთებია: პროლინი, სორბიტი და გლიცინო-ბეტაინი, თავიანთ ფესვებსა და ფოთლებში, რაც ზრდის მათ ოსმოსურ წნევას. ამასთან, მარილის სპეციალური გამომყოფი უჯრედები გამოყოფენ მარილს ფოთლის გარე ზედაპირზე (სურ. 4-8). მრავალი მცენარის ფესვი არ იღებს მარილს, სავარაუდოდ, ნახევრად გამტარი მემბრანების საშუალებით. ჩვენ ვიცით, რომ აქტიური ტრანსპორტირება აქ არის ჩართული, როგორც ეს ფოთლების მარილის უჯრედების შემთხვევაში ხდება,



(ა)



(ბ)

**სურ. 4-8** (ა) მანგრისებრი მცენარეულობის ფესვები ჩაშვებულია მარილიან წყალში. ზოგი სახეობა შესულ მარილს ფესვებიდან გამოყოფს. (ბ) საეციალი ზებული ჯირკვლები მანგრისებრი *Conocarpus erecta*-ს ფოთლებზე გამოყოფენ მარილს, რომელიც შემდგომ მის ზედაპირზე იღებება.

რადგან არც გაგრილება და არც მეტაბოლური ინპიბიტორები არ ამცირებენ ფესვებიდან მარილის გამოყოფას. მანგრისებრი მცენარეები აფერხებენ მარილის დატვირთვას ფოთლებიდან წყლის აორთქლების შემცირებით. რადგანაც ამ ადაპტაციათა უმრავლესობა წააგავს მშრალ გარემოთა მცენარეების ადაპტაციას, სადაც წყალი იშვიათია, მანგრისებრთა საბინადრო ადგილს უწოდებენ ოსმოსურ უდაბნოს.

ოსმოსური წნევის კონტროლის ზუსტი მექანიზმი მცენარეებში დაუდგენელია (Hellebust 1976, Morgan 1990). დაკვირვება, რომ მარილიან წყალში აბსციზული მუავის — მცენარეული ჰორმონის კონცენტრაცია ხშირად იზრდება (Morgan 1990, Skriver and Mundy 1990), რაც მეტყველებს ჰორმონთა მარეგულირებელ როლზე მცენარეებში სტრესზე რეაგირებისას. მიჩნეულია, რომ აბსციზული მუავა ააქტივებს ცილა ოსმოსინის წარმომქმნელ გენებს, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ერთგვარ დაცვას მცენარეებში მარილის მოჭარბების წინააღმდეგ (Skriver and Mundy 1990). ახლახან დაადგინეს, რომ მცენარეთა რეაქცია სტრესზე ჰორმონალურად კონტროლებული ცენტრალიზებული პროცესია, რომელიც მოიცავს საკვების მიღებაში, წყლის დაბალანსებასა და ფოთლოსინთეზში ინტეგრირებულ ცვლილებას (Chapin 1991).

#### 4.4 ცეოვალებისთვის ნივთიერებათა თევალი სახით გადაცემა არის ამ ცეოვალების ოსმორეაგულირებადი ადაპტაცია

ზოგი ცხოველი დიდი რაოდენობით წყალს მოიხმარს წვენის, ნექტარის ან სისხლის მიღების შედეგად. მწერებს შორის სახეობათა დიდ უმრავლესობას მჩხვლეტავი და მწუწნავი პირის აპარატი აქვს, რომელიც იჭრება მცენარის ან ცხოველის ქსოვილში სითხეთა ამოწვის მიზნით. ასეთი ამომწვი პირის აპარატი აქვთ მღილებს, ბალინჯოებს, ხოჭოებს, ბუზებს და კოლოებს. ზოგი მწერი, ვთქვათ, ბუზი, იყენებს ჭრილობებიდან გამოსულ სისხლს (Chapman 1982, Hadley 1994). თითქმის ყველა ასეთ შემთხვევაში, სითხეთა მიღება გაძლიერებულია ამომწვი მოქმედების გარკვეული ფორმით პირში ან საყლაპავ მიღები.

სითხით მკვებავი მწერები ორი დიდი პრობლემის წინაშე დგანან, ეს არის საკვების მიღების შემდეგ ზედმეტი წყლის მოშორება და იონების შენახვა. მორფოლოგიური ადაპტაციები, როგორიცაა მუცლის ნაოჭები და კუტიკულას — ფეხსახსრიანთა არაუკარებოვანი ცვილვანი საფარის სიხისტის შემცირება (რაც სითხით კვების განმავლობაში მუცლის გაზრდის სამუალებას იძლევა), ხშირია სითხით მკვებავ მწერებში (Hadley 1994). წყალი, ხშირად ძალიან სწრაფად იდევნება ანუსიდან ან გარდაიქმნება ჰემო-

ლიმფად (სხეულის სითხე), რათა გადამუშავდეს მალ-ბიგის მიღაკებში (ფეხსახსრიანთა ექსკრემენტმარ-მოებელი ორგანოები). ზოგ ტკიპში სითხე მიედინება ნაწლავიდან ჰემოლიმფაში და შემდეგ გამოიდევნება სხეულიდან სპეციალური სანერნყვე ჯირკვლების საშუალებით. უჩვეულოდ ზედმეტი წყლის გამოყოფის მექანიზმი აქვს ბუზ *Rhagoletis pomonella*-ს, როცა ის იღებს დიდი რაოდენობით სითხეს კაკლის წვენის ამონოვის შემდეგ (Hendrichs et al. 1992, Hadley 1994). ამ მეოთას „ბუშტების წარმოქმნა“ ეწოდება. სითხით სავსე ბუზი წარმოშობს წყლით სავსე პანანინა ბუშტს ხორთუმის წვერზე. წყალი შემდეგ გამოიყოფა წვეთიდან აორთქლების გზით, ხოლო ფასეული ხსნადი ნივთიერებები რჩება ბუშტში ხორთუმის წვერზე და თანდათანობით უკან, სხეულში ბრუნდება.

იონების ამგვარი შენარჩუნება შეუძლებელია ნექტრით მკვებავებისთვის, რადგან მათ საკვებში ხსნადი ნივთიერებების კონცენტრაცია სხეულისაზე საკმაოდ დაბლა დგას. დურგალი ფუტკრის (*Xylocopa capitata*) საკვები ნექტარი წარმოადგენს ჭარბ წყალს ძალიან დაბალი ნატრიუმისა და კალიუმის შემცველობით (Nicolson 1990). პრობლემას ამწვავებს ფუტკრის ნივთიერებათა ცვლის საოცრად მაღალი სისწრაფე. დურგალი ფუტკრები გამოყოფენ თხევად შარდს სამისოდ, რომ ჩამოიშორონ ზედმეტი წყალი, თუმცა ნატრიუმისა და კალიუმის თითქმის მთლიანი რაოდენობა გადამუშავდება ნაწლავში.


კოლიბრების თხევადი რაციონი ანყდება ოსმორეგულირების ისეთ პირობებს, რომლებიც ნექტრით მკვებავი მწერების პრობლემებს წააგავს. ანას კოლიბრების (*Calyptra anna*) კვლევა გვიჩვენებს, რომ ის ამ პრობლემებს უმკლავდება მტკნარი წყლის თევზების მსგავსი საშუალებებით, შარდვის სახით წყლის მაღალი კარგვით და წყლის სწრაფი ბრუნვის დროით (Beuchat et al. 1979, Powers and Nagy 1988, Beuchat et al. 1990). ანას კოლიბრის მთლიანი სხეულის წყლის შემცველობა დაახლოებით 2,8 მილილიტრია, მისი სხეულის მასის დაახლოებით 63%. წყლის მიღებისა და შარდოვანი წყ-

ლის კარგვის გაზომვამ გვიჩვენა, რომ ანას კოლიბრს, შეუძლია, მიიღოს დღეში 15 მლ და მოშარდოს 14 მლ. წყალი. წყალი ასევე, იკარგება ფევალიების სახითაც და კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობით აორთქლების სახით. დრო, რომელიც სჭირდება ანას კოლიბრს, რათა მთლიანად აბრუნოს მისი სხეულის მასის ტოლი წყლის მასა, განისაზღვრება 15 საათით. ეს იმაზე უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე მსგავსი მასის მქონე სხვა ხერხემლიანებში, მათ შორის მტკნარი წყლის თევზთა სახეობებში (Calder 1984, Beuchat et al. 1990).

ნატრიუმის ნაკლებობამ ზოგ საბინადრო პირობებში შეიძლება, აიძულოს ცხოველები, მარილები მიიღონ პირდაპირ მინერალური წყაროებიდან, ე.წ. „სალოკავებიდან“ (Herbert and Cowan 1971, Botkin et al. 1973, Weeks and Kirkpatrick 1976)ან განავითარონ მექანიზმები დაბალი შემცველობის მარილის წყაროებიდან მარილის დაგროვებისთვის. ამ უკანასკნელი სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე აღსანიშნავი მაგალითია შეგუბების ქცევა მრავალ ჰეპელასა და ჩრჩილში, როდესაც ზრდასრული წევრები, ძირითადად მამრები, აგროვებრ მარილებს წყალში, რათა შემდგომ მიიღონ. სმედლიმ და აისნარმა (1995) აჩვენეს, როგორ აგროვებს ჩრჩილი (*Glaphisia septentrionis*) ნატრიუმის იონებს უზარმაზარი რაოდენობის წყლიდან, რომელსაც ის იღებს და შემდეგ როგორ უცბად გამოყოფს მას ანალურ ჭავლად (სურ. 4-9). ამ სახეობათა პირის აპარატები სპეციალიზებულია წყლის სწრაფი მიღებისთვის, ხოლო ნაწლავის სპეციალური აგებულება საშუალებას აძლევს მათ, წყლიდან შეიწოვონ იონები. სმედლი და აისნარი დააკვირდნენ, რომ მამრები, რომელებიც წყალს ბუნებრივი გუბეებიდან იღებდნენ, საშუალოდ 18,4-ჯერ გამოყოფნენ ყოველ წუთში. თითოეული ამ აქტის დროს გამოყოფილი წყლის რაოდენობა, აღმოჩნდა, რომ იყო 8,2 მლ, რაც ეკვივალენტურია ჩრჩილის სხეულის მასის დაახლოებით 12%-ისა. ზოგიერთი მამრი შეიძლება დარჩეს გუბეში და წყლის მიღებაში გაატაროს ერთი საათი. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაში, მამრმა გამოყო 38,4 მლ სითხე.



**სურ. 4-9** წყლის ჭავლი, გამოყოფილი ჩრჩილი *Glaphisia septentrionis*-ის ანუსიდან. ჩრჩილი დაგუბების ქცევით არის დაკავებული. ის იღებს ნატრიუმს წყლიდან, რომელსაც იღებს დიდი რაოდენობით და პერიოდულად გამოყოფს ანუსიდან დიდი ძალით (ს.რ. Smedley and Eisner 1995)



**სურ. 4-10** ჩვეულებრივი აზოტის ნარჩენი პროდუქტების ქიმიური სტრუქტურა. ამიაკში არ არის ნახშირბადი და მისი შეამი. შარდოვანა და შარდმჟავა ნაელებად საზიანოა, მაგრამ აღდგენილ ნახშირბადში არსებული საკმაო რაოდენობის ენერგია ორგანიზმისთვის დანაჯლის ნარმოადგენს.

## 4.5 აზოტოვანი ნარჩენების

### გამოყოფა ხელვატის ცხოველებს განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნის

ხორცისმჭამელთა უმრავლესობა, მიუხედავად იმისა, იყვებებიან ისინი კიბოსნაირებით, მწერებით თუ ძუძუმწოვრებით, რაციონში მოიხმარენ ზედმეტ აზოტს ისევე, როგორც ზედმეტ მარილს. ეს აზოტი ორგანიზმში ხვდება როგორც მსხვერპლის ცილებისა და ნუკლეინის მჟავების კომპონენტი და გამოდევნილ უნდა იქნას სხეულიდან, როდესაც ეს ნაერთები მეტაბოლიზმს განიცდიან (სურ. 4-10) (Campbell 1970, Schmidt-Nielsen 1983). ცხოველებს აკლიათ ბიოქიმიური მექანიზმები, რომელსაც ფლობს ზოგიერთი მიკროორგანიზმი მოლეკულური აზოტის კვლავნარმოებისათვის ( $\text{N}_2$ ) და მათ არ შეუძლიათ აზოტის ისეთ აირად გარდაქმნა, სისხლიდან ფილტვებისა და ლაყუჩების საშუალებით რომ გამოიყოფა. მრავალი დაუანგული, არაორგანული აზოტის ფორმა, მაგალითად, ნიტრატი — ძალიან შეამიანია და შეუძლებელია მათი დიდი რაოდენობით ნარმოება ტოქსიკური ეფექტების გარეშე. წყალში მობინადრე ორგანიზმთა უმრავლესობა გამოყოფს აზოტს მარტივი მეტაბოლური ნარჩენი პროდუქტების, ამიაკის ( $\text{NH}_3$ ) სახით. თუმცა ამიაკი ნახევრად შეამიანია ქსოვილებისთვის, წყლის ორგანიზმებს მისი


სწრაფი გამოდევნა შეუძლიათ უხვი, გაზავებული შარდის მეშვეობით, სანამ ის საშიშ კონცენტრაციას მიაღწევს სხეულში.

ხმელეთის ცხოველებს არ შეუძლიათ დიდი რაოდენობით წყლის მოხმარება აზოტის გამოსაყოფად. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ისინი აწარმოებენ ცილების მეტაბოლიტებს, რომლებიც ამიაკზე ნაკლებად ტოქსიკურია და ამიტომ შეიძლება მათი კონცენტრაცია სისხლსა და შარდში საშიში ეფექტების გარეშე (Hochachka and Somero 1973). ძუძუმწოვრებში ეს ნარჩენი პროდუქტი არის შარდოვანა [ $\text{CO}(\text{NH}_2)_2$ ], იგივე ნივთიერება, რომელსაც წარმოქმნიან და ინახავენ ზვიგენები ზღვის გარემოში ოსმოსური ბალანსის მისაღწევად (Mommsen and Walsh 1989). რადგანაც შარდოვანა წყალში იხსნება, შესაძლებელია მისი გამოყოფა შარდის მეშვეობით. წყლის დანაკარგის რაოდენობა დამოკიდებულია თირკმელების კონცენტრაციის ძალაზე.

ფრინველებსა და რეპტილიებს შესაძლებლობა აქვთ, გამოდევნონ აზოტი ორმაგი ნაერთის, შარდმჟავას ( $\text{C}_5\text{H}_4\text{N}_4\text{O}_3$ ) საშუალებით. შარდმჟავას წარმოება ფრინველებისა და რეპტილიების ემბრიონებიდან აზოტის გამოყოფის ადაპტაცია (Needham 1931). რადგანაც წყალს არ შეუძლია, გადაკვეთოს მათი კვერცხის ნაჭუჭი, ემბრიონების მიერ წარმოებული აზოტის ნარჩენები უნდა იქნან შენარჩუნებული კვერცხის შიგნით. ეს ნარჩენი იზოლირებულია უვნებლად შარდმჟავას კრისტალების სახით სპეციალურ მემბრანაში ემბრიონის გარეთ და იყრება გამოჩერებისას (Clark and Fisher 1957). შარდმჟავა გამოკრისტალდება ხსნარიდან და ამიტომ, მას შეუძლია, იყოს მეტად კონცენტრირებული შარდში. ამით ის აძლიერებს ფრინველებსა და რეპტილიებში წყლის შენახვას, განსაკუთრებით უდაბნოს გარემოში. შარდმჟავა ასევე ყველაზე ხშირი აზოტოვანი ნარჩენი პროდუქტია ხმელეთის ფეხსახსრიანთა შორის (Hadley 1994). წყალი ნარჩუნდება შარდოვანას ან შარდმჟავას გამოყოფით, ამას კი თავისი საფასურიც ახლავს თან ამ ნაერთების შექმნისთვის საჭირო ორგანულ ნახშირბადში დახარჯული ენერგიის სახით. შარდოვანასა და შარდმჟავაში გამოყოფილ აზოტის ერთ ატომზე მოდის შესაბამისად 0,5 და 1,25 ორგანული ნახშირბადის ატომის დანაკარგი.

## 4.6 ნიადაგისთვის დამახასიათებელი ცყლის შეკავება დამოკიდებულია გრუნტის ნაილაკაპის ზომაზე

ხმელეთის მცენარეთა უმრავლესობა საჭირო წყალს ნიადაგიდან იღებს. წყლის რაოდენობა, რომელსაც იყავებს ნიადაგი, იცვლება ნიადაგის ნაწილაკების ფიზიკური სტრუქტურის მიხედვით (Brady 1974). ნიადაგი შედგება თიხის, შლამის და ქვიშის მარცვლებისგან ისევე, როგორც მკვდარი და გახრენილი ორგანული ნივთიერებებისნაწილაკების —



**სურ. 4-11** ხსნარების კონცენტრაციათა და წნევის ეფექტი წყლის პოტენციალზე.  
სუფთა წყლის პოტენციალი ნულის ტოლია.  
ხსნარების დამატება (ტალღოვანი მწვანე ისრები) ამცირებს წყლის პოტენციალს  
სუფთა წყლის ქვემოთ მაჩვენებლამდე (წნევის უარყოფითი ერთეულები). წნევის გამოყენება (შავი ისრები) ზრდის როგორც სუფთა წყლის, ისე ხსნარის წყალის პოტენციალს (აღსანიშნავია, რომ წნევა შეიძლება უარყოფითი იყოს, როცა დაძულობას აქვს ადგილი, ხიტუაცია, რომელიც ნაჩვენებია ამ ნახატში).  
(სალბბურისა და როსის მიხედვით, 1992).

**დეტრიტისგან.** თიხის მარცვლები ( $0,002\text{მმ-ზე}$  მცირე ნაწილაკები), რომლებიც წარმოიშობა გარკვეული სახის კლდოვან მინერალთა გამოქარვის შედეგად, ყველაზე მცირე ზომისაა. ქვიშის მარცვლები ( $0,05\text{მმ-ზე}$  დიდი ნაწილაკები), რომლებიც წარმოიშობა კვარცის კრისტალებისგან, ხშირად ყველაზე დიდია. შლამის ნაწილაკები შუალედური ზომისაა. ერთად ეს ნაწილაკები შეადგენენ „გრუნტის ჩონჩხს“. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ნიადაგის ჩონჩხის სტაბილური კომპონენტია, რომელიც გავლენას ახდენს ნიადაგის ფიზიურ სტრუქტურაზე და წყლის შეკავების შესაძლებლობაზე, მაგრამ არ თამაშობს მნიშვნელოვან როლს ქიმიური ტრანსფორმაციებისას.

## წყლის პოტენციალი

წყლის პოტენციალის კონცენტრაცია ცენტრალური თემა წყლის, მცენარეებისა და ნიადაგის დინამიკაში. სისტემის წყლის პოტენციალი არის წყლის თავისუფალი ენერგია სისტემაში. ოსმოსური წნევის მსგავსად, წყლის პოტენციალიც წნევის ერთეულებში (mpa) იზომება. წყლის პოტენციალის გასაგებად ერთი საშუალება დიფუზიის პროცესის წარმოდგენაა. ისევე, როგორც ხსნადი ნივთიერება განწოვება ხსნადი ნივთიერების მაღალი კონცენტრაციის უბნიდან დაბალი კონცენტრაციის უბნისკენ, წყალიც დიფუზიას განიცდის წყლის პოტენციალში ცვლილების გაჩენისას, გადაადგილდება რა მაღალი წყლის პოტენციალის არეგებიდან დაბლისკენ. სუფთა წყალს ხსნარზე მაღალი წყლის პოტენციალი აქვს. წყალი დაბლა სწევს წყლის პოტენციალის გრადიენტს. ამრიგად, წყლით გარშემორტყმული ცოცხალი უჯრედები მიიღებენ წყალს ოსმოსის საშუალებით. უჯრედს გარშემო წყალზე დაბალი წყლის პოტენციალი აქვს. კონვენციით, სუფთა წყლის პოტენციალი ატმოსფერულ წნევით ნულის ტოლია. ამრიგად, ხსნარის წყლის პოტენციალი

უარყოფითი იქნება (მაგალითად –  $3,2 \text{ mpa}$   $3,0 \text{ mpa}$ -ზე დაბალი წყლის პოტენციალია).

არსებობს წყლის პოტენციალის მთელი რიგი კომპონენტები (სურ. 4-11), რომელთაგან ერთ-ერთი ახლახან გამოვარკვიეთ. წყლის პოტენციალი სუფთა წყლის უჯრედში განისაზღვრება ხსნადი ნივთიერებების კონცენტრაციით. რაც უფრო კონცენტრირებულია ხსნარი, მით უფრო დაბალია (უფრო უარყოფითი) წყლის პოტენციალი. წყლის პოტენციალის ამ კომპონენტს ოსმოსური ან ხსნადი კომპონენტი ეწოდება. წყლის პოტენციალზე შეიძლება ასევე წნევამ მოახდინოს გავლენა. თუ წყლის წნევა გაიზრდება ატმოსფერულ წნევაზე მეტად, წყლის პოტენციალი გაიზრდება (იგი გახდება დადებითი). წყლის პოტენციალი ხსნარებისა ასევე იზრდება წნევის ზრდასთან ერთად. შემდეგ წყლის პოტენციალი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ოსმოსური კომპონენტისა და წნევის კომპონენტის ჯამი:

$$\text{წყლის პოტენციალი} = \text{ოსმოსური კომპონენტი} + \text{წნევის კომპონენტი}$$


წყლის პოტენციალის ოსმოსური კომპონენტი ყოველთვის უარყოფითია, რადგან ხსნარს სუფთა წყალზე ნაკლები წყლის პოტენციალი აქვს. წნევის კომპონენტი შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. მას დაბლობას უწოდებენ და ეს უკანასკნელი თავს იჩენს ხოლმე, როდესაც ადგილი აქვს შენოვას სისტემაში. წყლის პოტენციალი დადებითი იქნება, თუ სისტემაზე გამოყენებული წნევა გადალახავს წყლის პოტენციალის კლებას, რაც თავის მხრივ გამოწვეულია ხსნარების არსებობით. ურთიერთობას ოსმოსურ და წნევის კომპონენტებს შორის მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მცენარის უჯრედებში. როდესაც უჯრედი იღებს წყალს, მისი შინაგანი წნევა იზრდება მყარი უჯრედის კედლის არსებობის გამო. წნევა უჯრედს ტურგორს აძლევს. წნევის ზრდა ნელ-ნელა ასევე მაღლა სწევს უჯრედის წყლის პოტენციალსაც.

ნიადაგის, ატმოსფეროსა და სხვადასხვა სახის მცენარეთა წყლის პოტენციალის შედარება გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ მოძრაობს წყალი ნიადაგდან მცენარის უმაღლეს წერტილებიში. ამ თემას უფრო დეტალურად 4.7 ნაწილში განვიხილავთ. როგორც წესი, წყლის პოტენციალი ყველაზე დაბალია (ყველაზე უარყოფითი) ატმოსფეროში და ყველაზე მაღალი — ნიადაგში. მცენარის ფოთლებს, ღეროებს და სხვა ნაწილებს ჩვეულებრივ აქვთ წყლის პოტენციალი, რომელიც მაღალია ატმოსფერული წყლის პოტენციალზე და დაბალია ნიადაგის წყლის პოტენციალზე. ეს განსხვავება ქმნის ქვევით მიმართული წყლის პოტენციალის გრადიენტს ნიადაგიდან ფოთლებამდე და აგრეთვე გარეთ ატმოსფეროსკენ, რაც ემარება სითხეს მცენარეში გადაადგილებისას.

მცენარის სითხის პოტენციალზე გავლენას ახდენს ხსნარებს კონცენტრაცია და დაძაბულობის (უარყოფითი წნევის) გამოყენება მცენარის ზოგიერთ ნაწილში. წყლის პოტენციალზე ნიადაგში, ყოველ შემთხვევაში, ნიადაგის იმ ნაწილებში, რომლებიც გრუნტის წყლების დონეზე მაღალია, წნევა ესოდენ დიდ გავლენას ვერ ახდენს. მაგრამ გავლენას ახდენს კიდევ ერთი ფაქტორი: ნაწილაკებისადმი წყლის მოლექულების მიზიდულობა.

## წყალი ნიადაგში

მცენარეები წყალს ნიადაგიდან იღებენ. ნიადაგში წყლის ხელმისაწვდომობა მხოლოდ ნაწილობრივ არის განსაზღვრული იმ პერიოდში იქ არსებული წყლით. იგი ასევე იმით განისაზღვრება, თუ რამდენად ძლიერად არის წყალი შეკავებული ნიადაგში. თუ შინ ახარებთ მცენარეებს, თქვენ უკვე გეცოდინებათ ნიადაგის ელემენტარული თვისებები. როდესაც რწყავთ მცენარეს,



**სურ. 4-12** ურთიერთობა თიხნარის წყლის შემადგენლობასა და ნიადაგის ნაწილაკების მიერ წყლის მიზიდულობის ძალის საშუალო მეჩვენებებს (წყლის პოტენციალი) შორის. განსხვავება საველე შესაძლებლობის დონეზე ნიადაგის წყლის შემცველობასა (B, 0,1 ატმ) და ჭრის ეფექტებს (A, 15 ატმ) შორის არის მცენარეებისთვის ხელმისაწვდომი წყალი. წერტილი C არის ნიადაგის შეწყვის შესაძლებლობა (ბრანდის მიხედვით 1974).

წყლის გარკვეული რაოდენობა, რომელიც დასახით მინას, დაგროვდება გობში, რომელშიც ქოთანი დევს ან დაიღვრება იატაკზე, თუ ძალიან ბევრი დაასხით. ეს წყალი მიედინება ნიადაგში მიზიდულობის ძალის მიერ. ნიადაგს ქოთანში არ შეუძლია თქვენ მიერ დასხმული წყლის მთლიანად შეწყვა, თუმცა რაღაც ნაწილი მართლაც რჩება ნიადაგში. წყლის რაოდენობას, რომელიც ინახება ნიადაგში მიზიდულობის ძალის წინააღმდეგ, ენოდება ნიადაგის **მდელოსებრი შესაძლებლობა** (field capacity). წყალს, რომელიც გაივლის ნიადაგს და დაგროვდება გობში, ან სხვა გარემოში, წყალს, რომელიც მოძრაობს ქვევით მანამ, სანამ არ გახდება გრუნტის წყლების ნაწილი, ენოდება **გრავიაციული წყალი**. როგორ ჩერდება წყალი ნიადაგში?

წყალი ნიადაგში ნარჩუნდება კაპილარული მოქმედებით, რომელიც ნარმოიშობა ნიადაგის ჩონჩხთან წყლის ელემენტების შედეგად. ეს კაპილარული ქმედება ინარჩუნებს წყალს ნიადაგში ძალით, რომელიც უტოლდება 0,1 ატმ-ს ამ 0,01 mpa. წყალი, რომელიც მიზიდება ნიადაგის მიერ 0,01 mpa-ზე ნაკლები ძალით ანუ წყალი, რომელიც მსხვილ ნიადაგის ნაწილაკებს შორისაა არსებულ სიცარიელეში, ხდება გრავიაციული წყალიდა უტოლდება გრუნტის წყლებს ქვემოთ არსებული კლდოვანი საძირკვლის ნაპრალებში. წყალი ნიადაგის ნაწილაკებს შორის არსებულ სიცარიელეში კავდება კოჰეზიის მიერ, რაც ავითარებს წნევას დაახლოებით 0.015 mpa-ს ოდენობით. წყალი ნიადაგის დიდ ფორებში, ნიადაგის ნაწილაკების ზედაპირიდან მოშორებით, ნარჩუნდება 0,015 mpa-ზე ნაკლები წნევით და როგორც წესი, მიედინება ნიადაგში გრავიაციის ძალით (გახსოვდეთ, რომ „0,015 mpa-ზე ნაკლები“ ნიშნავს ნებისმიერ ციფრს, რომელიც უფრო უარყოფითია). ნარმოიდგინეთ, 0,01 მმ დიამეტრიანი შლამის ნაწილაკი ამ გვერდის ზომაზე გადიდებული ( $\times 25\ 000$ ). წყლის ნაცხი, რომელიც შეკავებულია საველე შესაძლებლობის დონეზე კაპილარული მიზიდულობის ძალების მიერ, იმავე სისქის იქნებოდა, რაც ამ გვერდის ნახევარი.

ნიადაგის ტენდენციას, შეიკავოს წყლის დამატებითი მოლეკულები, ენოდება **მატრიცული პოტენციალი**. მატრიცული პოტენციალი უტოლდება საშუალო ძალას, რომლითაც ყველაზე ნაკლებად მიზიდული მოლეკულებია დაკავებული. ნიადაგის მატრიცული პოტენციალი ხელს უწყობს წყლის პოტენციალს. თუ ნიადაგი ძალიან მშრალია, მატრიცული პოტენციალი შეიძლება იყოს ძალიან დაბალი (მაგალითად — 200 მმა ან კიდევ უფრო დაბალი). ეს შეამცირებს ნიადაგის წყლის პოტენციალს, გახდის რა ამით წყლის გრადიენტს უფრო სუსტს ნიადაგიდან მცენარემდე.

როცა ნიადაგის წყალი გამოილევა, ნარჩენებს საოცრად ძლიერი ძალები აკავებენ, რადგანაც უფრო დიდი რაოდენობს წყალია ნაწილაკების ზედაპირთან ახლოს. ურთიერთობა წყლის შემცველობასა და წყლის პოტენციალს შორის ნაჩვენებია სურ. 4-12-ში ტიპური ნიადაგისთვის ნაწილაკთა ზომის მეტ-ნაკლებად

თანაბარი განაწილებით, თიხიდან დაწყებული (დაახლოებით 0,002 მმ), შლამითა (0,002 – 0,05 მმ) და ქვიშით (0,05 მმ) დასრულებული. ამგვარ ნიადაგს **თიხნარი** ეწოდება. მორნყვის დროს თიხნარი იჭერს დაახლოებით 45 გრამ წყალს 100 გრამ მშრალ ნიადაგზე. ეს არის ნიადაგის ტენის შემცველობის 45%. თიხნარის საველე შესაძლებლობა არის 32%. ამრიგად, როდესაც თიხნარი იწყვება, წყლის დაახლოებით 13% იკარგება გრუნტის წყლებში. თიხნარის **ჭკნობის კოეფიციენტი** ნიადაგის მინიმალური წყლის შემცველობა, რომლის დროსაც მცენარეებს უკვე აღარ შეუძლიათ წყლის მიღება. ეს დაახლოებით ტენიანობის 7%-ია. განსხვავება საველე შესაძლებლობასა და ჭკნობის კოეფიციენტს შორის (დაახლოებით 25% ამ შემთხვევაში) ზომავს მცენარისთვის ხელმისაწვდომ წყალს. ცხადია, მცენარეები იღებენ წყალს ყველაზე მონდომებით მაშინ, როდესაც ნიადაგის ტენიანობა დაუურულია საველე შესაძლებლობისთვის.


ძალიან მცირე ნაწილაკებით შემდგარ ნიადაგში გრუნტის ჩრისტეს შედარებით დიდი რაოდენობის ზედაპირი აქვს. ამგვარი ნიადაგი მეტი რაოდენობის წყალს იყავებს როგორც ჭკნობის კოეფიციენტის, ისე საველე შესაძლებლობისთვის. შესაბამისად, ნიადაგის წყლების მეტ ნაწილს 0,012 მპა-ზე ძლიერი ძალები იკავებენ. ნიადაგს საოცრად დიდი ნაწილაკებით ნაკლები ზედაპირის ფართობი და ნაწილაკებს შორის დიდი დაშორებები აქვს. ნიადაგის წყლის მეტი ნილი ხელმისაწვდომია მცენარეებისთვის, მაგრამ ასეთ ნიადაგს დაბალი საველე შესაძლებლობა აქვს მაღალი დრენაჟის გამო. მცენარეებს შეუძლიათ მეტი წყლის მიღება ნიადაგიდან, რომელიც სხვადასხვა ზომის ნაწილაკებისგან შედგება.

## 4.7 ცელის გადაადგილება ნიადაგიდან მცენარეში და შემდეგ ათომსვეროში დამოკიდებულია აორთაშეგაზე და ცელის კოპიტიურ (შეართების უნარი) თვისებებზე

იმისთვის, რომ ხელების მცენარეებმა იარსებონ, მათ უნდა მიიღონ წყალი ნიადაგიდან და მიაწოდონ ისინი მცენარის ყველა ნაწილს, სადაც უჯრედული პროცესები მიმდინარეობს. ტრანსპორტირების ეს მექანიზმი შეიძლება მოიცავდეს წყლის მიწოდების საშუალებას ფესვებიდან მცენარის უმაღლეს ადგილებამდე და ეს ყოველივე მიზიდულობის ძალის საწინააღმდეგოდ. თუ ჩვენ ყველაზე მაღალ ხეებს გავიხსენებთ, რომელთა სიმაღლე ათობით მეტრს აღწევს, შევძლებთ, შევაფასოთ მცენარეებში წყლის მოძრაობა.

### ქსილემა

ძარღვოვანი მცენარეები ისეთი მცენარეებია, რომლებშიც შინაგანი სატრანსპორტო სისტემები



(ა) ტრაქეიდები

(ბ) ძარღვები

**სურ. 4-13** ორი ტიპის ქსილემა: (ა) ტრაქეიდები და (ბ) ძარღვები. ერთი განსხვავება ამ ორ ელემენტს შორის არის ფორმის სტრუქტურა. ტრაქეიდებში ფორმის შესახელელი დაფარულია უჯრედის კედლის თხელი გაგრძელებით. ძარღვოვანი ელემენტების ფორმებზე კი არავთარი საფარი არ შეინიშნება. ამის გამო და კიდევ დაბოლოებებში მეტი პერიორაციების არსებობის გამოც, წყალი უფრო თავისუფლად მოძრაობს ძარღვოვან ელემენტებში.

ფორმირებულია გარკვეული ქსოვილისგან. ეს ქსოვილები ქმნიან სტრუქტურებს, რომლებშიც სითხე მოძრაობს. ქსილემა (ბერინული სიტყვა *xylem*, ნიშნავს ხეს) არის ქსოვილი, რომელიც უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელია მცენარეში წყლის ტრანსპორტირებაზე. ორი სახის ქსილემური უჯრედები, **ტრაქეიდები** და **ძარღვები**, ელემენტები, ორგანიზებულია ანატომიურ განსხვავებებზე დაფუძნებით (სურ. 4-13). მომწიფებისას ორივე ამ უჯრედთაგანი კვდება და უჯრედული შემადგენლობები იშლება, ტოვებენ რა ცარიელ მიღს. ეს მკედარი უჯრედები ერთდება ბოლოებით მცენარეთა ღეროებში. ტრაქეიდები ნაგრძლებული უჯრედებია კონუსისებრი ბოლოებით და უჯრედის ძალიან სქელი კედლებით. ამრიგად, ისინი წარმოადგენ მცენარისთვის საყრდენს ისევე, როგორც სითხეთათვის სავალ გზას. მიწნეულია, რომ ძარღვოვანი ელემენტები ევოლუციურად უფრო გვიანდელია, ვიდრე ტრაქეიდები, რადგან ისინი თავს

იჩენენ მხოლოდ ფარულთესლოვნებში (ყვავილიანი მცენარე). ზოგადად, ისინი ტრაქეიდებზე მოკლე და ფართოა. ძარღვოვანი ელემენტები ჩამწერივებული არიან ხაზზე და ერთმანეთის ბოლოებს ეხებიან. ამით ისინი ქმნიან ძარღვებს, სტრუქტურებს, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება მილიონობით ძარღვოვანი ელემენტისაგან შედგებოდეს და 10მ სიგრძის იყოს. როგორც ტრაქეიდები, ისე ძარღვოვანი ელემენტები შეიცავენ მთელ რიგ სტრუქტურებს, სახელად ფორებს. ფორები ერთგვარი შესასვლელებია უჯრედის კედელში, რომელთა საშუალებითაც ნივთიერებები ერთი უჯრედიდან მეორეში მოძრაობენ. ტრაქეიდებისა და ძარღვოვანი ელემენტების ფორები ერთმანეთისგან სტრუქტურით განსხვავდებიან, რაც ხსნის, თუ რატომ მიედინებიან სითხეები ძარღვოვან ელემენტებში ტრაქეიდებთან შედარებით უფრო ადვილად. ტრაქეიდებში ფორა, დაფარულია ქსოვილის თხელი საფარით, რომელიც უჯრედის კედლის ნანილია. ეს ქსოვილი შერჩევითად წყლისა და დაშლილი ნივთიერებების გამტარია. ტრაქეიდების უჯრედის კედლის ეს საფარი წარმოადგენს ერთგვარ შემაკავებელ ძალას სითხეთა მოძრაობისთვის, რასაც ადგილი არ აქვს ძარღვოვან ელემენტებში, რომელთა ფორებსაც არ აქვთ ქსოვილოვანი საფარი. ამას გარდა, ძარღვოვანი ელემენტები ძალზე პერფორირებულია ბოლოებში, სადაც ისინი უერთდებიან სხვა ელემენტებს და წყალს ამ პერფორაციებში თავისუფლად შეუძლია მოძრაობა.


## წყლის მოძრაობა მცენარეებში

ქსილემის ქსოვილები ქმნიან მილსადენს წყლის მოძრაობისთვის მცენარის ფესვებიდან დეროებისა და ფოთლებისაკენ, თუმცა ამ მილსადენში წყლის მოძრაობა ადვილი სულაც არ არის. წარმოიდგინეთ ის წინააღმდეგობა, რომელიც უნდა გადაილახოს ამ პროცესში. ქსილემას ქსოვილი თვითონ წარმოადგენს ერთ-ერთ პრობლემას იმდენად, რამდენადაც მასში წყლის მოძრაობისთვის დაძლეულ უნდა იქნას ხახუნის ძალა ტრაქეიდებისა და ძარღვოვანი ელემენტების შიდა უჯრედებთან. მეტიც, ქსილემა შემდგარია ერთმანეთთან ბოლოებით მიჯრილი უჯრედებისგან და წყლის გადაადგილებაზე გავლენას ახდენს ერთი უჯრედიდან მეორეში გადასვლა. წყლის მოძრაობას ყოველ ჯერზე დაბრკოლება ელობება, როცა ის ერთი უჯრედიდან მეორეში გადადის, რადგან მან უნდა გაიაროს ფორები ან უჯრედის კედლის პერფორაციები. მიზიდულობის ძალა, რომელიც ქსილემის მთელ სიგრძეზე წყალს ქვევით ექაჩება, ასევე უნდა იქნას დაძლეული. ეს უდიდესი გამოვევაა უმაღლესი ხეებისთვის.

რა სიდიდის ძალა უნდა იქნას დაძლეული, რომ წყალმა მაღალი ხის კენწერიმდე მიაღწიოს? წარმოიდგინეთ გრძელი, წერილი, ერთ მხარეს დარჩილული და წყლით გავსხებული მინის წყირი (სურ. 4-14). თუ მილის

ღია პირს ჩავუშვებთ წყლიან აუზში, მიზიდულობის კანონის თანახმად, გრავიტაციული ძალა იმოქმედებს წყალზე მილში და ჩაუშვებს მას დაბლა, მაგრამ წყლის რაღაც ხანილი კვლავ მილში დარჩება. ეს იმიტომ, რომ აუზის ზედაპირზე მოქმედი ატმოსფეროს წნევა წყალს ზემოთ ექაჩება. ზღვის დონეზე ატმოსფერო ავითარებს დაახლოებით  $0.1 \text{ mpa}$  ( $1.0 \text{ ატმ}$ ) წნევას აუზის ზედაპირზე, რაც საკმარისია იმისთვის, რომ შეინარჩუნოს წყალი მილში დაახლოებით  $10 \text{ მეტრის სიმაღლეზე}$ . იმისთვის, რომ მილში წყალი ასი მეტრის სიმაღლეს აღწევდეს, რაც დაახლოებით უმაღლესი ხის ზომას უახლოვდება, საჭიროა  $1.0 \text{ mpa}$  ( $10\text{ატმ}$ ) წნევა ან მეტი. ცხადია, მცენარეები გაცილებით უფრო კომპლექსურები არიან შუშის მილთან შედარებით. ჩვენ უკვე აღნიშნეთ, რომ წყლის მოძრაობამ ქსილემაში უნდა დაძლიოს ხახუნის ძალა, რომელიც წარმოიქმნება ტრაქეიდებისა და ძარღვოვანი ელემენტების კედლებთან. ასევე დასაძლევია წინადობები წყლის მოძრაობის გზაზე, რომლებსაც ქმნიან ფორები. მცენარის შინაგანი ტრანსპორტირების სისტემის ეს თვისებები მოითხოვენ კიდევ უფრო მეტ ძალას მცენარის შიგნით წყლის ტრანსპორტირებისთვის. როგორ არის ეს ძალა დაძლეული?

პასუხი ამ კითხვაზე არ არის ადვილად გასაგები. ყველაზე მისაღები ახსნის მიხედვით, იგი უკავშირდება აორთქლების პროცესს და წყლის კოპეზიურ თვისებებს. მცენარის ქსილემური ქსოვილი ქმნის მუდმივ წყლის სვეტს ფესვიდან ფოთლამდე. იმისთვის, რომ ფესვებში შეაღწიოს, წყალმა უნდა დაძლიოს მიზიდულობის ძალა, რომელიც მას დაბლა ეწევა. ჩვენ ვიცით, რომ ფესვების მიერ წყლის შეწყვის პროცესს შეუძლია წარმოშვას საგრძნობი ოსმოსური წნევა, რომელსაც



**სურ. 4-14** ზღვის დონეზე ატმოსფეროს წნევა აუზის წყლის ზემოთ განაითარებს საკმარის წნევას ( $1.0 \text{ ატმ}$ ) იმისთვის, რომ შეაკვეთს სვეტი წვრილ მიღმივ მიზიდულობის ძალის წინააღმდეგ დაახლოებით  $10 \text{ მეტრის სიმაღლეზე}$ .  $10 \text{ ატმ}$  წნევა იქნება საჭირო წყლის სვეტის  $100 \text{ მეტრის სიმაღლეზე}$  შესანარჩუნებლად. ამ სიმაღლეს აღწევენ ყველაზე მაღალი ხეები.

**ფესვის წნევას უწოდებენ ზოგიერთ მცენარეში.** თუმცა ეს წნევა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ წყალი ფესვებიდან ხის უმაღლესი ნაწილებისკენ გადაადგილდეს.

წყალი იკარგება ფოთლებიდან აორთქლების პროცესის მეშვეობით. ფოთლები შედგება პარენქიმის ქსოვილისგან, რომელიც შეიცავს შედარებით არაცენტრალიზებულ უჯრედებს. ეს უჯრედები ფაშარად, არამჭიდროდ არიან განლაგებულნი, რითაც ფოთოლში ჰაეროვანი სივრცეებს ქმნიან. წყლის ორთქლი იკარგება ფოთლის სანამებიდან ფოთლის ქსოვილის ამ ნოტიო ჰაეროვან სივრცეში აორთქლების შედეგად. როდესაც წყლის ორთქლი სივრციდან სანამებში და შემდეგ ფოთლის გარეთ გადის, მის ადგილს იკავებს წყალი ფოთლის უჯრედებიდან, რომლებიც გარს ეკვრიან ჰაეროვან სივრცეებს და ამით აძლიერებენ ამ უჯრედების ოსმოსურ წნევას. რადგანაც ფოთლის უჯრედებს ტიპურად ძალიან თხელი კედლები აქვთ, წყალს შეუძლია იმოძრაოს ერთი უჯრედიდან მეორეში ოსმოსური გრადიენტის საპასუხოდ. ამრიგად, უჯრედები მაღალი ოსმოსური წნევით იზიდავენ წყალს მეზობელი უჯრედებიდან. თუ წარმოვიდგენთ ჰაეროვან სივრცეებში მოთავსებული უჯრედების რიგს, სადაც რიგის ერთი ბოლო ახლოს არის სანამებთან, შევძლებთ, დავინახოთ, რომ აორთქლება და შესაბამისი წყლის დანაკარგი ჰაეროვან სივრცეებში შეიძლება გაფართოვდეს მთელი ფოთლის ქსოვილის მასშტაბით ფოთლის ღეროს ქსილემამდეც კი. ამრიგად, აორთქლება ავითარებს ამომწევ ძალას (წნევის ძალას) ფოთლის წყალზე და ამ ძალას ხანდახან აორთქლებით ამოტუმბვას ეძახიან. ეს დაჭიმულობა იგრძნობა ქსილემაში და ქსილემის ქსოვილის წყლის პოტენციალს ნიადაგის წყლის პოტენციალზე უარყოფითს ხდის. როგორც წესი, ქსილემის წვენი ძალიან გაზავებულია და შედეგად მას სუფთა წყალზე ოდნავ ნაკლები წყლის პოტენციალი აქვს. წვენის დაჭიმულობა წყლის პოტენციალს უფრო უარყოფითს ხდის და მხარს უჭერს კლებადი წყლის პოტენციალის შენარჩუნებას ნიადაგიდან ატმოსფერომდე. წყლის კოპეზიური თვისება და ის ფაქტი, რომ ქსილემის ქსოვილი ქმნის წყლის მუდმივ სვეტს მცენარის ფესვებიდან ფოთლებამდე, ხსნის მცენარეში წყლის მოძრაობის ფენომენს. როდესაც წნევა ვითარდება სვეტის წვერზე აორთქლების შედეგად, მთლიანი სვეტი ზემოთ იქაჩება.

წყლინი ავზში ჩაშევებული შეშის მილის მარტივ მაგალითს რომ მივუბრუნდეთ, დავინახავთ, თუ როგორ ჩაენაცვლება აორთქლებითი ამოტუმბვა ატმოსფერულ წნევას. იმისთვის, რომ წყალი მილის ზემოთ მივმართოთ, უნდა განვავითაროთ წნევა წყლის ზედაპირზე, რითაც აუზის წყალს მილში ავქაჩავთ. ალტერნატიულად, ჩვენ შეგვიძლია, გავსხნათ მილის დარჩილული თავი და გამოვიყენოთ ტუმბი (დაჭიმულობა) წყლის ავზიდან მილში ამოსაყვანად, როგორც სასმელს გსვამთ ხოლმე წკირით. მექანიკური ხელსაწყობის მეშვეობის სამარტინო გარემონტრაციის შედეგად, მთლიანი სვეტი ზემოთ იქაჩება.

წყობი საშუალებას მოგვცემდნენ გაგვევითარებინა საკმაო წნევა წყლის სვეტზე და გაგვეზარდა იგი დიდ სიმაღლემდე. ამის მსგავსად, აორთქლებასთან ასოცირებული ამოქაჩავა წარმოადგენს გარკვეულ ძალას წყლის მოძრაობისთვის.

## ნიადაგის წყალი და ჭკნობა

მცენარები იღებენ წყალს ნიადაგიდან ოსმოსის საშუალებით, ასე რომ, მათი ფესვების შესაძლებლობა, შეინოვონ მინიდან წყალი, დამოკიდებულია მათში განვითარებულ ოსმოსურ წნევაზე. ოსმოსური წნევა თავის მხრივ, არის ფესვების უჯრედებში დაშლილი მოლეკულების (მათ შორის შაქრის) და იონების კონცენტრაციის ფუნქცია. თავიანთი ფესვების უჯრედების ტიპურად ძალიან თხელი კედლების მანიპულირებით, მცენარეებს შეუძლიათ, ცვალონ ნიადაგიდან წყლის შეწოვის შესაძლებლობა. უდაბნოებსა და მარილიან გარემოში არსებულ მცენარეებს შეუძლიათ ფესვების წყლის პოტენციალის გაზრდა -6,0 მპა-მდე თავიანთ ფესვებში ამინომჟავების, ნახშირნებულების ან ორგანული მჟავების კონცენტრაციის გაზრდით. თუმცა ისნი იღებენ გარკვეულ მეტაბოლურ საფასურს დაშლილი ნივთიერებების მაღალი კონცენტრაციის შესანარჩუნებლად.

მცენარის ფესვები ადვილად იღებენ წყალს, რომელიც არამჭიდროდ ეკვრის ნიადაგის ნაწილაკებს. თუმცა ნიადაგის ნაწილაკების ზედაპირთან ახლოს წყლის მოლეკულებსა და ნიადაგის ნაწილაკებს შორის უფრო ძლიერი ძალები იჭერს წყალს მტიდროდ ნიადაგში დაახლოებით -0,5 მპა ან მეტი პოტენციალით. მცენარეები ჯერ იმ ნიადაგის წყალს ინოვენ, რომელიც ყველაზე ნაკლები ძალით არის შეკავებული და ყველაზე ადვილად ამოსაღებია. როდესაც ნიადაგი შრება, დარჩენილი წყალი სულ უფრო მეტი ძალით არის შეკავებული, რაც საბოლოოდ ხმობას და ჭკნობას ინვევს. ზოგადი წესის სახით, მცენარები ნოტიო გარემოდან ვერ ეუფლებიან წყალს, რომელიც -1,5 მპა-ზე მეტი ძალით (ჭკნობის მუდმივი კოეფიციენტი) არის შეკავებული (Slatyer 1967, Meinder and Sheriff 1976). მას შემდეგ, რაც გახმობის სტრესში მცენარეები შეინოვენ მთელ წყალს, რომელსაც -1,5 მპა-ზე ნაკლები ძალა აკავებს, მათ აღარ შეუძლიათ მეტი წყლის მიღება და ჭკნობიან, იმის მიუხედავადაც კი, რომ წყალი შეიძლება კიდევ რჩებოდეს ნიადაგში.

## 4.8 ცხოვრება მოითხოვს არაორგანულ საკვეპ ნივთიერებებს

ორგანიზმთა სხეულები არ შედგება მხოლოდ ნახშირბადის, ჟანგბადისა და წყალბადისგან. სხვა ელემენტები, როგორებიცაა აზოტი, ფოსფორი, გოგირდი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი და რკინა, ასევე მნიშ-

## ცხრილი 4-2

**უმნიშვნელოვანების მინერალური  
საკვები ნივთიერებები,**  
**რომელიც სტრუქტურული  
ორგანიზმებს და მათი ზოგიერთი  
უმნიშვნელოვანების თვისება**

ელემენტი	ფუნქცია
აზოტი (N)	როტეინებისა და ნუკლეინის მჟავების სტრუქტურული კომპონენტი
ფოსფორი (P)	ნუკლეინის მჟავების, ფოსფო- ლიპიდებისა და ძვლების სტრუქტურული კომპონენტი
გოგირდი (S)	მრავალი ცილის სტრუქტურული კომპონენტი
კალიუმი (K)	დიდი ხსნადი ნივთიერება
კალციუმი (Ca)	ცხოველურ უჯრედებში ძვლისა და ხერმცენარეთა უჯრედშორის არსებული ნივ- თიერებების სტრუქტურული კომპონენტი. უჯრედების გამ- ტარობის რეგულატორი
მაგნიუმი (Mg)	ქლოროფილის სტრუქტურული კომპონენტი, მონანილეობს
რკინა (Fe)	მრავალი ფერმენტის ფუნქციაში ჰემიგლობინისა და მრავალი ფერმენტის სტრუქტურული კომპონენტი
ნატრიუმი (Na)	დიდი ხსნადი ელემენტი ორგანიზმების უჯრედგარეშე სითხეებში

გვიჩვენებს ასევე, რომ ზოგი ელემენტი, კერძოდ კი  
კალციუმი, კალიუმი და აზოტი, უფრო დიდი რაოდე-  
ნობით მიიღება, ვიდრე მათი კონცენტრაციები ნიადაგ-  
ში.

### ნიადაგის მიერ იშვიათი საკვები ნივთიერებების აქტიური შენოვა

მცენარეები იღებენ მინერალურ საკვებ ნივთიერებებს – აზოტს, ფოსფორს, კალიუმს, კალციუმს და სხვას ნიადაგის წყალში გახსნილი ამ ელემენტთა შემცველი ნივთიერებების დაშლილი ფორმებიდან (Haynes and Goh 1978, Chapin 1980). როდესაც ელემენტი ნიადაგის ხსნარში ჭარბადა და მაღალი აქტივობის გამო ირჩევა, როგორც ეს კალციუმისა და მაგნიუმის იონების ( $\text{Ca}^{2+}$  და  $\text{Mg}^{2+}$ ) შემთხვევაშია, მათ ზედმეტი რაოდენობით შეწოვას ზღუდავს, პირველ რიგში, ფესვების შეწოვის უნარი (Nye 1977). ამავე დროს, ნიადაგში დეფიციტური საკვები ნივთიერებების რაოდენობის კომპენსაციას მცენარეები ამ საკვები ნივთიერების აქტიური შეწოვით ახდენენ და ამას ფესვის სისტემის გაფართოებით, ანუ ფესვის შემწვევი ზედაპირის გაზრდით ახერხებენ. ლაბორატორულ ექსპერიმენტებში ქერისა და ჭარბის ფესვებმა პასიურად შეინოვეს ფოსფორი, როდესაც მისი კონცენტრაცია ფესვის გარშემო არსებულ წყალში 0,2 – 0,5 მილიმოლზე მეტი იყო (Barber 1972). ამ პირობებში ფოსფორის კონცენტრაცია ფესვის ქსოვილებში და ფოთლების მიერ გატარებულ წყალში ნაკლები იყო მინის ხსნარში არსებულ ფოსფორის კონცენტრაციაზე. როდესაც გარე არის კონცენტრაცია 0,2 – 0,5 მილიმოლზე ნაკლები იყო, ფესვები აქტიურად შეინოვდნენ ფოსფორს. ამგვარი აქტიური შეწოვა მოითხოვს ენერგიის ხარჯვას, როდესაც ფესვის ქსოვილი ამოძრავებს იონებს კონცენტრაციის გრადიენტის წინააღმდეგ.

მცენარეებს ასევე შეუძლიათ, მოახდინონ რეაგირება ნიადაგში შემცირებულ საკვებ ნივთიერებათა ხელმისაწვდომობაზე ფესვების ზრდის გაძლიერებით ლეროსა და ტოტების ზრდის ხარჯზე. ამ სტრატეგიას მცენარის საკვებ ნივთიერებათა საჭიროება შესაბამისობაში მოჰყავს მის ხელმისაწვდომობასთან, ამცირებს რა ფოთლების მიერ საკვების მოთხოვნას და ავტოლებს რა ფესვებს ნიადაგის ისეთ ახალ ადგილებში, სადაც იშვიათი მინერალების რაოდენობა შეიძლება ჯერ კიდევ არ იყოს ამონტურული (Chapin 1980). ამგვარ მოდიფიკაციებს მთლიანად არ შეუძლიათ ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კომპენსირება და ამიტომ, როგორც კონცენტრაცია, ისე მთლიანი ოდენობა ლიმიტირებული საკვები ნივთიერებისა მცენარეში იცვლება ნიადაგში საკვები ნივთიერების ხელი-მისაწვდომობის პირდაპირობორციულად.

პურეულ მარცვლოვნები და მათი გარეული სახეობები, რომელიც წყალში ნაყოფიერ ნიადაგებზე იზრდება, ფლობს უზარმაზარ შესაძლებლობას, შეინოვოს საკვები ნივთიერებები თავიანთი ფესვების ზედაპირის

ვწელოვანია. ამ ელემენტებს მინერალურ საკვები ნივთიერებები ენოდებათ და მათი უმთავრესი ფუნქციები თავმოყრილია ცხრილ 4-2-ში. ამრიგად, ორგანიზმება უნდა მოახდინონ ქიმიურ ელემენტთა დიდი ნაირსახეობის ასიმილაცია. მრავალი სხვა ელემენტი, როგორიცაა ბორი, სელენიუმი, თუთია, სპილენი და მოლიბდენი, რომელთაც ხანდახან მიკრომკვებავებს უნდებენ, შედარებით მცირე რაოდენობით არის საჭირო.

მცენარეები იღებენ მინერალურ საკვებ ნივთიერებებს წყლიდან. ისინი დებულობენ აზოტს ამონიუმის იონიდან ( $\text{NH}_4^+$ ) ან ნიტრატის იონიდან ( $\text{NO}_3^-$ ), ფოსფორს ფოსფატის იონების ( $\text{PO}_4^{3-}$ ) სახით, კალციუმს და კალიუმს ელემენტურული იონების ( $\text{Ca}^{2+}$ ,  $\text{K}^+$ ) სახით და ა.შ. თითოეული ამ ელემენტის ხელმისაწვდომობა იცვლება მათ ქიმიურ ფორმასთან ერთად ნიადაგში და ტემპერატურასთან, მჟავანობასთან და ნიადაგის წყალში იონების არსებობასთან ერთად. ზოგიერმენტი სხვაზე მეტად იშვიათია (ცხრილი 4-3). კერძოდ, ფოსფორის ნაკლებობა ხშირად ზღუდავს მცენარეთა გამრავლებას, განსაკუთრებით მჟავურ და ტუტე ნიადაგებში, რადგანის ქმნის წყალშიუხსნადნაერთებს გარკვეულ კათიონებთან (იხ. 11 თავი). ცხრილი 4-3

### ცხრილი 4-3

ტიპური კონცენტრაციები ელემენტებისა ნიადაგში და მცენარეთა მიერ ნლიურ შენოვილ ნივთიერებებში

ელემენტი	ნიადაგის შემცველობა (წონა %)*	ყოველწლიური მცენარეთა შენოვა (კგ ha <sup>-1</sup> yr <sup>-1</sup> )	ნიადაგის შემცველობა / ნლიური შენოვა (წლები)†
სილიციუმი (Si)	33	20	21 000
ალუმინი (Al)	7	0,5	180 000
რკინა (Fe)	4	1	52 000
კალციუმი (Ca)	1	50	260
კალიუმი (K)	1	30	430
ნატრიუმი (Na)	0,7	2	4 600
მაგანიუმი (Mg)	0,6	4	2 000
ტიტანი (Ti)	0,5	0,08	62 000
აზოტი (N)	0,1	30	40
ფოსფორი (P)	0,08	7	150
მანგანუმი (Mn)	0,08	1	1 000
გრაირდი (S)	0,05	2	320
ფლორი (F)	0,02	0,01	26 000
ქლორი (Cl)	0,01	0,06	220
ცინკი (Zn)	0,005	0,01	6 500
სპილენდი (Cu)	0,002	0,006	4 200
ბორი (B)	0,001	0,03	400
მოლიბდენი (Mo)	0,0003	0,0003	13 000
სელენიუმი (Se)	0,0000001	0,0003	40

\*აზოტი, ყანგბადი, ნეალბადი და სხვა დამატებითი მიკროელემენტები ავსებენ დარჩენილ პროცენტებს. †ნიადაგის შემადგენლობა ( $\text{g m}^{-2}$ ) გაყოფილი ნეოველნლიურ შენოვაზე ( $\text{g m}^{-2} \text{ yr}^{-1}$ ) უდრის კოეფიციენტს, ნიადაგის ეროვნის დროს ხელახალი შევსების არ არსებობის პირობებში, გამოსახულია ნლებძმი. (from Bohn et al. 1979)

საშუალებით. მათი ზრდის ხარისხი ნიადაგში საკვებ ნივთიერებათა რაოდენობის ცვლილების მიხედვით იცვლება. სახეობები, რომლებიც საკვები ნივთიერებებით ღრმა ნიადაგში არსებობასთან ადაპტირებული არიან, თავიანთი ზრდა-განვითარების დონით უფრო მეტ კონსერვატულობას ამჟღავნებენ (Chapin 1980). ისინი ეპრდვიან საკვებ ნივთიერებათა სიმცირესა და მათი მოპოვების სიძნელეს თავიანთი ბიომასის დიდი ნაწილის ფესვებში მოთავსებით; სოკებთან სიმბიოზური ურთიერთობის განვითარებით, რაც აძლიერებს მინერალთა შენოვას; ზრდის ნელი ტემპით და ფოთლების ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში შენარჩუნებით, რითაც ამცირებენ საკვების მოთხოვნას. ამგვარ სახეობებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ მოახდინონ რეაგირება საკვები ნივთიერებების ხელოვნურად გაზრდილ რაოდენობაზე თავიანთი ზრდის ტემპის გაზრდით. საკვები ნივთიერებების უეცარი მოჭარებების საპასუხოდ, მათი ფესვები შეინოვენ იმაზე მეტ საკვებ ნივთიერებას, ვიდრე მცენარეს სფრიდება და ინახავენ მათ თანდათანობითი მოხმარებისთვის, როდესაც ნიადაგში საკვებ ნივთიერებათა დონე დაიკლებს (Grime and Hunt 1975, Grime 1979).

### წყალში ხსნადი მინერალები

ბუნებრივი წყალი შეიცავს გარკვეული რაოდენობით გახსნილ ნივთიერებებს. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სუფთაა, ზომის წყალი იღებს გახსნილ მინერალებს მტვრის ნაწილაკებიდან და ატმოსფეროში არსებულ ოკეანის დისპერსიული შეფებიდან (Ingham 1950, Likens et al. 1977). ტებებისა და მდინარეების უმრავლესობა შეიცავს 0,01-0,02% გახსნილ მინერალებს და ოკეანეების მარილის კონცენტრაციის 0,05-0,02%-ს, სადაც მარილები და სხვა მინერალები გროვდებოდა ათასწლეულების განმავლობაში (Hutchison 1957).

მტკნარ და მარილიან წყალში ნაპოვნი გახსნილი მინერალები განსხვავდებიან ერთმანეთისგან მარილთა შემცველობის პროპორციით და რაოდენობით ნივთიერებათა ხსნადობის დონეთა გამო (ცხრილი 4-4). ზღვის წყალი შეიცავს ნატრიუმისა და ქლორის მაღალ კონცენტრაციას, სულფატისა და მაგნიუმის მნიშვნელოვან რაოდენობასთან ერთად. მტკნარი წყალი შეიცავს უფრო თანაბრად გადანაწილებულ მრავალფეროვან იონებს, თუმცა  $\text{Ca}^{2+}$ , როგორც წესი, ყველაზე ჭარბი კათიონია,

**ცხრილი 4-4** მდინარეებში (მტკნარი წყალი), ზღვის წყალში და ორგანიზმთა (ბაყაყების) სისხლის  
პლაზმასა და უჯრედებში გახსნილი მინერალების პროცენტული შემადგენლობა

მინერალური იონი	დელავერის მდინარე	რიო გრანდე	ზღვის წყალი	ბაყაყის პლაზმა	ბაყაყის უჯრედები
ნატრიუმი ( $\text{Na}^+$ )	6,7	14,8	30,4	35,4	1,3
კალიუმი ( $\text{K}^+$ )	1,5	0,9	1,1	1,3	77,7
კალციუმი ( $\text{Ca}^{2+}$ )	17,5	13,7	1,2	1,2	3,1
მაგნიუმი ( $\text{Mg}^{2+}$ )	4,8	3,0	3,7	0,4	5,3
ქლორი ( $\text{Cl}^-$ )	4,2	21,7	55,2	39,0	0,8
სულფატი ( $\text{SO}_4^{2-}$ )	17,5	30,1	7,7	—	—
კარბონატი ( $\text{CO}_3^{2-}$ )	33,0	11,6	0,4	22,7	11,7

**შენიშვნა:** უარყოფითად დამუხტული იონების (ანიონების) პროცენტული მაჩვენებლები აჭარბებენ დადებითად დამუხტული იონების (კატიონების) პროცენტულ მაჩვენებლებს. დადებითად და უარყოფითად დამუხტული იონების რაოდენობა დაახლოებით თანაბარია.

ხოლო კარბონატები ( $\text{CO}_3^{2-}$ ) და სულფატები ( $\text{SO}_4^{2-}$ ) — ყველაზე ჭარბი ანიონები არიან. რამდენიმე ნაერთი თავის მაქსიმალურ სიჭარბეს აღნევს მტკნარ წყალში. მათი კონცენტრაციები ასახავენ ნიადაგსა და ქვაში (რომლებთან კონტაქტშიც წყალი შედის) ამ ნივთიერებათა რაოდენობის დონეს და შემადგენლობას. კირქვა შედგება პირველ რიგში, კალციუმის კარბონატისგან, რომელიც მაღალ იხსნება. ამრიგად, წყალი კირქვულ არეალებში მოიცავს კალციუმის ჭარბი იონებს და არის ხისტი. გრანიტი შეიცავს ისეთ მინერალებს, რომორიცაა კვარცი და მინდვრის შპატი, ისინი არ შეიცავენ კალციუმს და წყალშიც თითქმის არ იხსნებიან. წყალი, რომელიც გრანიტულ არეებში მიედინება შეიცავს მცირე რაოდენობით რამდენიმე გახსნილ ნივთიერებას და რბილია.

ოკეანეები ახდენენ მინერალების კონცენტრირებას, როცა სუფთა წყალი ორთქლდება ზედაპირიდან, ხოლო საკვები ნივთიერებებით დატვირთული წყალი შემოედინება ნაკადებისა და მდინარეების სახით. აქ ზოგი მინერალის კონცენტრაცია, კერძოდ კი კალციუმის კარბონატისა, შეზღუდულია. 1 გრამ (დაახლოებით 1სმ<sup>3</sup>) წყალში იხსნება მხოლოდ 0,000014 გრამი კალციუმის კარბონატი. მისმა კონცენტრაციებმა ოკეანეებში მიაღწია ამ დონეს უსასრულობის წინ, ხოლო ჭარბი  $\text{Ca}^{2+}$ -ის შედინება ყოველწლიურად დინებებისა და მდინარეებისგან იღებება და ქმნის კირქვის დანალექებს. მეორე შემთხვევაში  $\text{NaCl}$  (0.36 გ წყლის 1 გ-ზე) ხსნადობა უკვე დიდი ხანია, გასცდა მის კონცენტრაციას ზღვის წყალში; ოკეანეში შესული  $\text{NaCl}$ -ის უმეტესი ნანილი გაუხსნელი რჩება.

## დასკვნა

**1.** წყალი სიცოცხლის ძირითადი საშუალებაა. წყლის ქიმიური, ფიზიკური და თერმული თვისებები წყალბადსა და უანგებადს შორის არსებული კოვალენტური ბმების ბუნების შედეგია წყლის მოლექულებში.

**2.** ხსნადი ნივთიერებების ტენდენციას, მიზიდონ წყალი, ენდოება ოსმოსური წნევა. წყლიან საბინადრო პირობებში გახსნილი მარილის კონცენტრაციებს შორის განსხვავებები ავითარებენ ოსმოსურ გრადიენტს ორგანიზმსა და მის გარემოს შორის. ჰიდროსმოსური ორგანიზმები კარგავენ მარილს და იღებენ წყალს. ჰიდროსმოსური ორგანიზმები იღებენ მარილს და კარგავენ წყალს. ორგანიზმები ოსმოსურ წონასწორობას თავიანთი სხეულის სითხეებში ხსნა-

დი ნივთიერებების კონცენტრაციის ცვლილებით და მემბრანის გარეთ მარილის აქტიურად გამოყოფის საშუალებით აღნევენ.

**3.** ორგანიზმები ინარჩუნებენ შესაფერის იონურ ბალანსს გარემოსთან ოსმორეგულაციის საშუალებით. მტკნარი წყლის ორგანიზმები ჰიპეროსმოსურები არიან, დგანან ზედმეტი წყლის თავიდან მოშორების პრობლემის წინაშე და ამავდროულად, ინარჩუნებენ ხსნად ნივთიერებებს. ზღვის ორგანიზმები ჰიპოოსმოსურები არიან და წყალი გარემოში ეკარგებათ.

**4.** ცხოველები, რომლებიც იკვებებიან თხევადი ო-ციონით, დგანან ზედმეტი წყლის გამოყოფის და

იონების შენარჩუნების პრობლემის წინაშე. იმავე პრობლემის წინაშე დგანან მტკნარი წყლის ორგანიზმები. რიგმა ადაპტაციებმა, მათ შორის მაღალი წყლის ცვლამ, თავი იჩინა წყლით მკვებავ ორგანიზმებში, რათა გადაეჭრათ სითხის დიდი დოზით მიღების პრობლემა.

**5.** ხორცისმჭამელი ცხოველები იღებენ ჭარბი რაოდენობით აზოტს, რომლის დაუანგული, არაორგანული ფორმები დიდი რაოდენობის მიღწევისას ტოქსიკურები არიან. წყლის ორგანიზმები გამოყოფენ აზოტს ამიაკის ( $\text{NH}_3$ ) სახით. ამ პროცესს დიდი რაოდენობით წყალი სჭირდება და შესაბამისად, ხელმიუნვდომელია ხმელეთის ორგანიზმებისთვის, რომლებმაც წყალი უნდა შეინახონ. ძუძუმწოვრები ჭარბ აზოტს გამოყოფენ გადამუშავების საბოლოო პროდუქტის შარდოვანს ( $\text{CO}[\text{NH}_2]_2$ ) სახით. ის წყალში ხსნადია და შარდის საშუალებით გამოიყოფა. ფრინველები და რეპტილიები ანარმოებენ შარდმუავას ( $\text{C}_5\text{H}_4\text{N}_4\text{O}_3$ ), რომელიც შეიძლება დიდი რაოდენობით იყოს კონცენტრირებული შარდში. ორივე სახის ადაპტაცია იძლევა წყლის შენახვის საშუალებას.

**6.** სისტემის წყლის პოტენციალი არის წყლის თავისუფალი ენერგია სისტემაში, რომელიც წევის ერთეულებით იზომება. მტკნარი წყლის პოტენციალი ნულის ტოლია, ხოლო ხსნარისა — ნულზე ნაკლები. წევის შეუძლია, გაზარდოს, როგორც სუფთა წყლის, ისე ხსნარი წყლის პოტენციალი. წყალი მოძრაობს მაღალი წყლის პოტენციალის არეალებიდან დაბლისკენ. ატმოსფერული წყლის პოტენციალი ძალიან დაბალია, ნიადაგის წყლის პოტენციალი — ძალიან მაღალი. მტკნარის ქსოვილის წყლის პოტენციალი,

როგორც წესი, ატმოსფეროსა და ნიადაგის წყლის პოტენციალებს შორისაა.

**7.** ხმელეთის მცენარეთა დიდი უმრავლესობა წყალს ნიადაგიდან იღებს. თიხა, ქვიშის მარცვლები და გახრნილი ორგანული ნივთიერებები, დეტრიტები, შეადგენენ ნიადაგის ჩონჩხს. წყალი ნარჩუნდება ნიადაგში მის ნაწილაკებთან მინებების საშუალებით. ნიადაგის მოცულობა, რომელიც შედარებით უფრო მცირე ნაწილაკებისაგან (თიხა) შედგება, ვიდრე დიდებისგან (ქვიშა), მეტ წყალს შეავავებს, ვიდრე იმავე მოცულობის, ძირითადად, მსხვილი ნაწილაკებისგან შემდგარი ნიადაგი. წყლის რაოდენობას, რომელიც ნარჩუნდება ნიადაგში მიზიდულობის ძალის წინააღმდეგ, საველე შესაძლებლობა ეწოდება.

**8.** წყალი მოძრაობს მცენარეებში შინაგანი სატრანსპორტო სისტემის მეშვეობით, რომელსაც ქსოლება ეწოდება. ეს არის ღრუ, მკვდარი უჯრედებისგან შემდგარი სისტემა, რომელიც ფესვებიდან ფოთლებამდე მუდმივად წყლის სვეტის არსებობის საშუალებას იძლევა. აორთქლება ფოთლებზე ქმნის დაჭიმულობას/წნევას ქსოლემაში წყლის სვეტზე და წყლის კოპეზიური ბუნების გამო მთლიანი სვეტი ზემოთ არის აქაჩული.

**9.** ნახშირბადთან, უანგბადთან და წყალბადთან ერთად, ცოცხალ არსებებს სჭირდებათ მინერალური საკვები ნივთიერებები, როგორიცაა აზოტი, ფოსფორი, გოგირდი, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი და რკინა. მცენარეები ამ საკვებ ნივთიერებებს წყლიდან იღებენ. შესაძლოა, საჭირო გახდეს ენერგიის დახარჯვა (აქტიური მიღება) იშვიათი საკვები ნივთიერებების მისაღებად.

## სავარჯიშოები

**1.** გაიხსენეთ წყლის თვისებები. როგორ შეუძლიათ ოკეანეებს და დიდი ზომის წყალსატევებს გავლენა მოახდინონ კლიმატზე მათ მახლობლად?

**2.** წარმოიდგინეთ, რომ ოსმორეგულაციის მიზნით თქვენ გჭირდებათ, შეგნებულად აკვირდებოდეთ როგორც გარემოს, ისე სხეულის სხვადასხვა პირობებს და გამიზნულად მოქმედებდეთ თქვენს სხეულში შესაბამისი წყლის ბალანსის შესანარჩუნებლად. რა ფაქტორებს და პირობებს უნდა აკვირდებო-

დეთ მუდმივად და რა ქმედებებისკენ უბიძგებდეთ თქვენს სხეულს შესაბამისი წყლის ბალანსის შესანარჩუნებლად? რომელ სხვადასხვა პარამეტრს დაკვირდებოდით და რა სხვადასხვა ინსტრუქციას გაითვალისწინებდით ზაფხულისა და ზამთრის დღეებში? (მინიშნება: გაიხსენეთ თქვენს სხეულში სხვადასხვა ორგანოს ფუნქციები).

**3.** შეადარეთ ადამიანების ოსმორეგულირებადი მექანიზმები მტკნარი წყლის თევზებისას.

## თავი 5



### ენერგია და სითბო

#### გზამკვლევი კითხვები

- რა ქიმიური განტოლებით გამოისახება ფოტოსინთეზი და რესპირაცია?
- რა სხვადასხვა სახის გამოწვევას აწყდებიან წყლისა და ხმელეთის მცენარეები ნახშირბადის მიღებასთან დაკავშირებით?
- რა გავლენას ახდენს დედამიწის ატმოსფერო სინათლეზე?
- როგორ ზღუდავს წყალი ფოტოსინთეზისთვის საჭირო სინათლეს?
- როგორ ზრდიან  $C_4$  და CAM წყლის გამოყენების ეფექტურობას?
- რა სახის ადაპტაციებია საჭირო ექსტრემალურად მაღალ და ექსტრემალურად დაბალ ტემპერატურაზე საარსებოდ?
- რომელი ოთხი, სითბოს ტრანსფერის გზა არსებობს ორგანიზმსა და გარემოს შორის?
- როგორ უძლებს ზოგი ორგანიზმი გარემო პირობების ფართო დიაპაზონს?
- როგორ მოქმედებს ტემპერატურა სხეულში წყლის შენარჩუნებაზე?

**3** ოგორც მეორე თავში აღვნიშნეთ, ცოცხალი ორგანიზმები აგროვებენ ენერგიას, ხოლო ენერგეტიკულ კავშირს ფიზიკურ და ბიოლოგიურ სამყაროს შორის ფოტოსინთეზი წარმოადგენს. ამ პროცესში სინათლის ენერგია მზიდან პოტენციურ ან ქიმიურ ენერგიად ტრანსფორმირდება ორგანული მოლეკულის ქიმიურ ბმებში. აორთქლების პროცესის საშუალებით, ცხოველები და მცენარეები ამ ორგანული მოლეკულების ენერგიას გარდაქმნიან ენერგიად, რომელიც გამოიყენება სასიცოცხლო ფიზიოლოგიურ პროცესებში. ფოტოსინთეზისა და რესპირაციის ენერგეტიკული ტრანსფორმაციები დამოკიდებულია ფიზიკური გარემოს პირობებზე. ფოტოსინთეზი შესაბამისი სიგრძის სინათლის სხივს და წყლისა და ნახშირბადის მზა წყაროს მოითხოვს. რესპირაციისთვის ჟანგბადია საჭირო. შესაფერისი წყლის ბალანსი და ტემპერატურის რეჟიმი უნდა იყოს შენარჩუნებული იმისთვის, რომ ეს ტრანსფორმაციები განხორციელდეს.

ამ თავში განვიხილავთ, თუ რა შეზღუდვებს აწესებს ფიზიკური გარემოს პირობები ენერგიის ტრანსფორმაციაზე. ჩვენი პრეზენტაცია აქ გაყო-

ფილია ორ ნაწილად. პირველ თავში მოთხრობილია იმ გამოწვევების შესახებ, რომლის წინაშეც დაგანან წყლისა და ხმელეთის ორგანიზმები, რათა მოიპოვონ შესაბამისი წყლის ბალანსი, ნახშირორჟანგი და უანგბადი ფოტოსინთეზისთვის. დეტალურადაა განხილული ფოტოსინთეზის ადაპტაციები წყლის შესანარჩუნებლად. სხვადასხვა ტემპერატურაზე არსებობისთვის ადაპტაციათა დიაპაზონი და მექანიზმები, რომლითაც ორგანიზმები ურთიერთქმედებენ თერმულ გარემოსთან, ამ თავის მეორე ნაწილის ძირითადი თემებია.


#### **5.1 გიოლოგიური ენერგიის ფრაცეფორმაციათა უმრავლესობა და მოკიდებულია ჟანგბადისა და ნახშირბადის პირითაციაზე**

მცენარეები და ცხოველები შედგებიან მრავალი ელემენტისგან, რომლებიც გაერთიანებულია ორგანულ მოლეკულებში და ქმნის ინდივიდის სტრუქტურას. ამგვარი ორგანული ნაერთები ორგანიზმის შენარჩუნებისთვის ასევე აღჭურვილია საჭირო ენერგიით. ეს ენერგია არსებობს ატომებსა და მოლეკულებს შორის


ქიმიური კავშირების სახით. ამ ენერგიის შემცველი ქიმიური ბმები იქმნებიან სხვადასხვა ელემენტის ატომებში მომხდარი ცვლილებების შედეგად. ეს ქიმიური რეაქციები ბუნებრივი სამყაროს ფუნდამენტური ტრანსაქციებია, მათი გაგება კი ბუნების შეცნობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

## ფოტოსინთეზი და აორთქლება

ყველა ცოცხალ სისტემას ენერგეტიკულად მართავს ნახშირბადის აღდგენა. ეს ხდება, როდესაც ნახშირბადის ატომს ელექტრონები ემატება. ნახშირბადის ტიპური ჟანგვითი ფორმა არის ნახშირორუანგი ( $\text{CO}_2$ ), რომელიც აირის სახით მოიპოვება ატმოსფეროში და გახსნილი სახით — წყალში. ფოტოსინთეზის დროს მცენარეები აღდგენენ ნახშირბადის ატომს  $\text{CO}_2$ -ში. აღდგენილი ნახშირბადი თავის მხრივ გამოიყენება ორგანული მოლეკულების შესაქმნელად, როგორიცაა ნახშირნებალი გლუკოზა ( $\text{C}_6\text{H}_{12}\text{O}_6$ ), რომელშიც არსებული ენერგიის დონეები ძალიან მაღალია. მცირე გამონაკლისის გარდა, დამატებული ენერგია მოდის სინათლისგან. ფოტოსინთეზი შეიძლება მოკლედ ჩამოყალიბებულ იქნას შემდეგი ფორმულის სახით, რომელიც აჩვენებს  $\text{CO}_2$ -ის 6 მოლის აღდგენას შაქრის ერთ მოლად:



ამ დაგროვილი ენერგიის სხვა მიზნებისთვის გამოყენებისთვის, როგორც მცენარეები, ისე ცხოველები ხელახლა გარდაქმნიან ფოტოსინთეზის პროცესებს შექარში ორგანული ნახშირბადის დაუსანგვით ისევ  $\text{CO}_2$ -ად რესპირაციის პროცესის მეშვეობით. ეს ტრანსფორმაციები ათავისუფლებენ ენერგიას, რომლის ნაწილსაც ორგანიზმები ინახავენ ატფ-ის სახით. რესპირაცია შეიძლება მოკლედ ჩამოყალიბებულ იქნას შემდეგი განტოლების სახით, რომელიც გვიჩვენებს შაქრის მოლის ტრანსფორმაციას:




ფოტოსინთეზი და რესპირაცია მოიცავენ ნახშირბადისა და ჟანგბადის დამატებით ჟანგვასა და აღდგენას (სურ. 5-1). ჟანგბადის ყველაზე ხშირი დაუსანგული მდგომარეობა არის მოლეკულური ჟანგბადი ( $\text{O}_2$ ), რომელიც გაზის სახით არის ატმოსფეროში და გახსნილია წყალში. აღდგენილ მდგომარეობაში ჟანგბადი ქმნის წყლის მოლეკულას ( $\text{H}_2\text{O}$ ). ამრიგად, როცა ნახშირბადის აღდგენა ხდება ფოტოსინთეზის დროს, ჟანგბადი იქნება თავისი წყლის ფორმიდან მოლეკულურ ფორმაში. არსებითად ელექტრონები წყალში გადაეცემა ნახშირბადს. რესპირაციის დროს ეს ელექტრონები კვლავ ჟანგბადს უბრუნდება.

რომელსაც შეისუნთქავენ ან შეინოვენ კიდევ ერთხელ, ნარმოქმნიან რა წყალს. მაში, ჟანგვითი რეაქციის აღდგენით რეაქციასთან დაწყვილებას რატომ მოაქვს შედეგად ენერგიის ნარმოშობა? ჟანგბადის აღდგენა წყლის თერმოდინამიულად უფრო ხელმისაწვდომია (ნაკლებ ენერგიას მოითხოვს), ვიდრე ნახშირბადის აღდგენა ორგანულ მოლეკულებად. ამრიგად, ორგანული ნახშირბადის ჟანგვა გამოყოფს იმაზე მეტ ენერგიას, ვიდრე ჟანგბადის აღდგენას სჭირდება (აი, რატომ არის ჟანგბადი ესოდენ კარგი მუანგავი).

## ჟანგბადი და ნახშირორჟანგი სმელეთისა და წყლის გარემოში


იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ხშირად ყურადღებას მცენარეთა ფოტოსინთეზურ ფუნქციებზე ვამახვილებთ, მცენარეებს რესპირაციაც შეუძლიათ. თუმცა მცენარეები აღადგენენ იმაზე მეტ ნახშირბადს, ვიდრე ჟანგავენ (სხვაგვარად ისინი ვერ გაიზრდებოდნენ), მათ ესაჭიროებათ ნახშირბადის გარეგანი წყარო. ერთადერთი პრაქტიკული წყარო არაორგანული ნახშირბადისა  $\text{CO}_2$ -ია. იგი საოცრად დაპალი კონცენტრაციითაა ატმოსფეროში (დაახლოებით 0,03% ან ზღვის დონეზე პოტენციური წევის დაახლოებით 0,2 ტორი [1 ტორი = 0,0013ატმ-ს]). ამის შედეგად, ნახშირბადის



**სურ. 5-1** ფოტოსინთეზში  $\text{CO}_2$  აღდგება ორგანული ნაერთების ( $\text{CH}_2\text{O}$ ) შესაქმნელად და  $\text{H}_2\text{O}$  იქანება, რათა შეემნას მოლეკულური ჟანგბადი  $\text{O}_2$ , რითაც წყლის ელექტრონები ნახშირბადს გადაეცემა. ეს ელექტრონები შემდეგ უკან უბრუნდება ჟანგბადს. უჯრედულ სუნთქვაში  $\text{O}_2$ -ის აღდგენა  $\text{H}_2\text{O}$ -დ თერმოდინამიულად უფრო ეფექტურია, ვიდრე ნახშირის აღდგენა ირგანულ მოლეკულებად. ამრიგად, ენერგია გამომთავისუფლდება რესპირაციისას ორგანული მოლეკულების ჟანგვის დროს.


კონცენტრაციათა გრადიენტები ატმოსფეროსა და მცენარეთა უჯრედების შიგთავსს შორის დიდი არ არის — გაცილებით მცირე, ვიდრე წყლის ორთქლის წნევის გრადიენტები მცენარესა და მის გარშემო ატმოსფეროს შორის. ეს მცენარებს განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნის წყლის შეწოვასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით მშრალ გარემოში. როცა კი მცენარეთა ფოთლების სანამეები იღება  $\text{CO}_2$ -ის შესათვისებლად, ფოთლიდან წყალი იკარგება. მცენარეებმა შეიძლება დაკარგონ 500 გრამამდე წყალი თითოეული დაგროვილი ნახშირბადის გრამისთვის. როდესაც  $\text{CO}_2$  წყალში იხსნება, მისი ზოგიერთი მოლეკულა რეაქციაში შედის წყალთან, რათა შექმნას ნახშირმჟავა ( $\text{H}_2\text{CO}_3$ ) — მოლეკულური ნაერთი, რომელიც რეზერვუარს წარმოადგენს არაორგანული ნახშირბადს სთვის.  $\text{CO}_3^{2-}$ -ის კონცენტრაცია ატმოსფეროში დაახლოებით 0,0003 სმ<sup>3</sup> / სმ<sup>3</sup>-ია (სმ<sup>3</sup> ნახშირორჟანგის აირისა წყლის ორთქლის თითო სმ<sup>3</sup>-ზე); მისი სხსადობა მტკნარ წყალში იდეალურ პირობებში დაახლოებით იგივეა. თავის მხრივ, ნახშირმჟავის მოლეკულები იშლება ბიკარბონატებად ( $\text{HCO}_3^-$ ) და ნახშირბადის ( $\text{CO}_3^{2-}$ ) იონებად. ბუნებრივი წყლების (pH 6-9) უმრავლესობათა სიმჟავის დიაპაზონის ფარგლებში ბიოკარბონატების იონები ნახშირბადის ყველაზე ხშირი ფორმებია. თუმცა უფრო მეტი ნახშირბადი წარმოქმნება, როდესაც წყალი მჟავეა (იხ. მე-11 თავი) (Stumm and Morgan 1981, Wetzel 1983). ბიკარბონატის იონები ადვილად იხსნება წყალში. ამის შედეგად, ზღვის წყალი ჩეულებრივ შეიცავს 0,03-0,06 სმ<sup>3</sup> / სმ<sup>3</sup> ეკვივალენტ ბიკარბონატის იონებს, ეს 100-ჯერ აღემატება გახსნილი ნახშირორჟანგის აირების კონცენტრაციას (Nicol 1967), რაც შედარებით უადგილებს წყლის მცენარეებს წყლიდან ნახშირბადის მიერბას.

როცა მცენარის უჯრედში შეაღწევენ, ბიკარბონატის იონები შეიძლება გამოყენებულ იქნან პირდაპირ, როგორც ნახშირბადის წყარო ფოტოსინთეზისთვის. თუმცა მათ  $\text{CO}_2$ -ის მოხმარების ეფექტურობის მხოლოდ 10-40% აქვთ. როცა  $\text{CO}_2$  ამოინურება, ბიკარბონატის იონებიც ასევე აწამოებენ  $\text{CO}_2$ -ს ფოტოსინთეზის განხორციელების ადგილას. ბიკარბონატის იონები და  $\text{CO}_2$  ქიმიურ წონასწორიბაში თანაარსებობენ, რაც ბალანსს წარმოადგენს  $\text{H}^+$ -სა და  $\text{HCO}_3^-$ -ს შორის ერთი მხრივ და  $\text{CO}_2$ -სა და  $\text{H}_2\text{O}$ -ს შორის მეორეს მხრივ. ჩევენ ამ წონასწორობას შემდეგი სახით გამოვსახავთ:



როდესაც  $\text{CO}_2$  გამოიყენება ფოტოსინთეზში, ზოგიერთი ბიკარბონატის იონი ხელახლა უერთდება წყალბადის იონებს, რათა შეავსონ  $\text{CO}_2$ -ის დანახარჯები.

სამწუხაროდ, აუმდვრეველ წყალში  $\text{CO}_2$ -ის დიფუზიის დონე დაახლოებით 10 000-ჯერ მცირეა, ვიდრე ჰაერში და ბიკარბონატის იონები კიდევ უფრო მცირე რაოდენობით იქმნება. წყალმცენარეების თუ წყლის მიკროორგანიზმების ყოველი ზედაპირი დაფარულია




**სურ. 5-2** დიაგრამაზე გამოსახული წყლის მცენარის *Vallisneria spiralis* ფოთლის ჭრილი, რომელიც გვიჩვენებს სასაზღვრო ფენას სისქეს. ისრების სისქე სასაზღვრო ფენებში ნახშირორჟანგის ( $\text{CO}_2$ ), ბიკარბონატების იონების ( $\text{HCO}_3^-$ ) და უანგბადის ( $\text{O}_2$ ) დიფუზიის დონეების პროპორციულია. უფრო მსხვილი ბიკარბონატული იონები უფრო ნება ვრცელდებიან სასაზღვრო ფენებში.  
(Prins and Elzenra mixedviT 1989.)

**სასაზღვრო ფენით** — ეს არის აუმდვრეველი წყლის ზონა, რომელიც შეიძლება მერყეობდეს 10 მიკრომეტრი (მმ) სისქიდა ერთუჯრედიანი წყლმცენარისთვის ტურბულენტურ წყლებში 500 მმ-მდე ჩამდინარე წყლების წყლის დიდ მცენარეებში (სურ. 5-2). ამრიგად, ამ ორგანიზმების გარემონცველ წყალში, ბიკარბონატული იონების მაღალ კონცენტრაციის მიუხედავად, ფოტოსინთეზი შეიძლება მანც შეზღუდული იყოს სასაზღვრო ფენის მიერ შექმნილი დიფუზუზური დაბრკოლების გამო.

როგორც ნახშირორჟანგის ხელმისაწვდომობა უქმნის პრობლემებს მცენარეებს ხმელეთზე, ასევე უანგბადის ხელმისაწვდომობა ზღუდავს ცხოველებს წყალში. ატმოსფეროში მის რაოდენობასთან (0,2 სმ<sup>3</sup> / სმ<sup>3</sup>) შედარებით, უანგბადის მაქსიმალური ხსნადობა წყალში (0°C-ზე მტკნარ წყალში) 0,01 სმ<sup>3</sup> / სმ<sup>3</sup>-ია. უანგბადის ხსნადობა მცირდება წყლის ტემპერატურის ზრდასთან ერთად. მეტიც, სინათლის შელევის ზღვარს ქვემოთ წყლის სილრეში და დატბორილ დანალექებსა და ნიადაგში, სადაც წყლის მცენარეები არ არსებობენ, ფოტოსინთეზის მეშვეობით უანგბადი არ ნარმოიშობა. ამიტომაც, როცა ცხოველები და მიკროორგანიზმები უანგბადს იყენებენ ორგანული ნივთიერებების გადასამუშავებლად, მათი საბინადრო გარემო შეიძლება მკვეთრად დაიცალოს გახსნილი უანგბადისგან.

ადაპტაცია, რომელიც აძლიერებს გახსნილი უანგბადის მიღებას წყლიდან, დინების საწინააღმდეგო ცირკულაციაა. ამგვარი მოწყობილობა შეინიშნება ლაყუქების სტრუქტურაში, სადაც წყალი და სისხლი ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით




**სურ. 5-3** ოვეზის ლაზური შედგება რამდენიმე ლაპუზოვანი რკალისგან, რომლიდანაც თითოეული აღჭურვილია ფილაგონტების ორი რიცით. ფილაგონტებს აკრავთ თხელი ლამელები, რომლებიც თრიენტირებული არიან ლაპუზში ნელის დინების სამელაში სისხლი მიედინება წყლის დინების სანინაალმდევო მიმართულებით. (იხ. სურ. 5-4; რომ Randall 1968.)

მიედინება (სურ. 5-3). ამ ურთიერთსანინაალმდევო დინების სისტემაში, როცა სისხლი იღებს ჟანგბადის კონცენტრაციას ლაპუზებში შემოსული წყლიდან, ის კონტაქტში შედის წყალთან, რომელსაც დიდი რაოდენობის ჟანგბადის კონცენტრაცია აქვს, რადგან წყალმა ლაპუზის ლამელადან მცირე მანძილი გაიარა (სურ. 5-4). ამგვარი მოწყობილობით სისხლის პლაზმაში ჟანგბადის კონცენტრაცია შეიძლება გაუტოლდეს ირგვლივ წყალში არსებულ კონცენტრაციას. წყალი და სისხლი ლაპუზებში ერთი მიმართულებით რომ მიედინებოდნენ (პარალელური დინება), ჟანგბადის კონცენტრაციის გათანაბრება სწრაფად მიიღობოდა საშუალო კონცენტრაციის დონეზე სისხლსა და წყალში. ურთიერთსანინაალმდევო დინების სისტემა წყალსა და სისხლს წონასწორობის გარეთ ამყოფებს და ამით ინარჩუნებს მუდმივ გრადიენტს, რომელშიც ჟანგბადს შეუძლია მოძრაობა.

ჟანგბადს მოკლებულ საბინადრო გარემოს, როგორიცაა წყლები ტბების სიღრმეებში და ჭუჭყიანი დანალექები ჭაობებში, ენოდება **ანაერობული** ანუ **უჟანგბადო** გარემო. ჭაობების დატბორილი ნიადაგი პრობლემებს უქმნიან ხმელეთის მცენარეებს, რომელთა ფესვებსაც ესაჭიროებათ ჟანგბადი რესპირაციისთვის. ასეთ ადგილებში მრავალი მცენარის ფესვი შეიცავს სპეციალურ ძარღვოვან ქსოვილს, სახელად **აერენქიმას**, რომელიც აწვდის ფესვებს ჟანგბადს პირდაპირ ატმოსფეროდან. კვიპაროსის ხის ფესვებს და მანგროვნების მრავალ სახეობას განუვითარდა ვერტიკალური გამონაზარდები, რომლებიც ამოშევრილია უჟანგბადო ნიადაგიდან და აწვდის ჟანგბადს ფესვებს პირდაპირ ატმოსფეროდან (სურ. 5-5).

## 5.2 სიცათლის ენერგია სასიცოცხლო პროცესების უმცირესობაზე მამოქაველი ქალა

მზისგან მომავალი სინათლე ბიოსფეროს სიცოცხლის უპირველესი წყაროა. გამონაკლისი თავს იჩენს ღრმანწყლისეულ ჰიდროთერმულ სავენტილაციო ეკოსისტემებში, სადაც პაგონოფორების (სპეციალიზებული ბიოლოგიური ფილუმი, რომელიც მოიცავს თევზების ანალურ ხერელებში მობინადრე მატლებს) ნანლავებში მობინადრე სიმბიოზური ბაქტერიები ფლობენ შესაძლებლობას ნახშირბადის მიღებისა წყალბადის სულფიდური აირის დაჟანგვის შედეგად ნარმოქმნილი ენერგიის საშუალებით. მწვანე მცენარეები, წყალმცენარეები და ზოგიერთი ბაქტერია შთანთქავენ მზის სინათლეს და ახდენენ მისი ენერგიის ასიმილირებას ფოტოსინთეზის მეშვეობით. თუმცა ნებისმიერი სინათლე, რომელიც დედამინის ზედაპირზე ეცემა, არ გამოდგება ფოტოსინთეზისთვის. ცისარტყელა და პრიზმაში თეთრი სინათლის ფერად სპექტრად დაშლა ნათლად გვიჩვენებს, რომ სინათლე შედგება სხვადასხვა ტალღის სიგრძის მქონე სხივებისგან, რომლებსაც ჩვენ სხვადასხვა ფერად ალვიკეამთ. როდესაც მეორე თავში ამფიბიათა პოპულაციების გადაშენებაზე ვსაუბრობდით, გავიხსენეთ, რომ სხივის სიგრძე ნანომეტრებში იზომება (ნე მეტრის ერთი მემილიარდედი ან 10-9მ). ხილული სპექტრი ვრცელდება 400ნმ-დან (ისფერი) 700ნმ-დან (წითელი) სხივის სიგრძეებს შორის, სწორედ ეს სხივები არის ფოტოსინთეზისთვის გამოსადეგი. 400ნმ-ზე მოკლე სხივები შეადგენენ სპექტრის ულტრაიისფერ სპექტრს, ხოლო 700ნმ-ზე გრძელ სხივებს ჩვენ ინფრანითელს ვეძახ-



ით. სინათლის ენერგიის შემცველობა იცვლება სინათლის სიგრძესთან ერთად და შესაბამისად, იცვლება ფერიც. მოკლე სხივის ლურჯი ფერი ენერგიის მეტ დონეს შეიცავს, ვიდრე გრძელი წითელი სხივი.

ສິນາຕະລູ, ຮອມເລືອີ້ນ ສົງວັດແບ່ດ ແຊດາມໂນີສ ຃ັກມົນສ  
ອຸງເກຣນ ທີ່ແດ້ ອົງເນັສ ມທີດານ, ບົລຳວາດີ ແດັກປາທອນໂນ ກາ-  
ຮັກ ສົມດູແກນໂນໂຮງ ໝູນວາ: ພູລັກົາໂນສູງເຮົາ ສົງເກຣນ  
ກາວລິຕ, ສະເຈົ້າທຸກໂນ ດົມລົນ, ມາລາລູ ເງົ່າງກອີສ ມັກນົງ  
ມອງລູ X-ສະບັວເບົມດູ ສະເຈົ້າທຸກໂນ ເຮັດ ດົມລົນສິ ແລ້ວ ອົ-  
ອງຮານີຕະລູ ສົງເກຣນ ກາວລິຕ ດາລີນາ ກົດເຊີລ, ແຊ-  
ບາລູເງົ່າງກອີສ ກາມໂນສບັວເບົມດູ (ຮອງກອນໂຮງ ຮາດີນອ  
ຝາລູແບ່ດ) ສະເຈົ້າທຸກໂນ ມົງອົງ ດົມລົນສິ (ສູງຮ. 5-6, *Gates*  
1980). ມີສອ ມາລາລູ ເງົ່າງກອີສ ດົມນົບ ກາມນ, ພູລັກົາໂນສ-  
ອຸງເກຣນ ສິນາຕະລູ ສົງເງົ່າມີວິໄລ, ດາວໂຫຼານໂນ ມີສອງວິສ ຂໍລົມມີສ-  
ານງົດນົມ ຢື່ສອງວິໄລແບ່ດ ແລ້ວ ໜູຂ່າຍແດ່ບີ. ສົນນົມງົດ ພູລັກົາໂ-  
ນສູງເຮົາ B (UV-B) ກາມໂນສບັວເບົມດູ ກາທີ່ຈຸດີລູ ແດນງົດເບົມດູ  
ກາຣັງສະບັວນົບ, ຮອມເລືອີ້ນ ກາມນົບງົງລູ ແຊດາມໂນີສ ຃ັກມົນສ  
ມົນສູງເກຣນ ອົບນົບ ສົມ ແຊມີຕ, ລົບ ມີທີ່ນູ່ງລູ  
ເຮັດ-ເງົ່າງກອີສ ມີທີ່ນູ່ງລູ ມີສອງວິສ ມີສົມກົດ  
ກາວລິຕ ດົມລົນ ກົດເຊີລ ແຊດາມໂນີສ ຃ັກມົນສ.

მცენარეების მიერ სინათლის ენერგიის ქიმიურ ენერგიად ფოტოქიმიური კონვერსია თავს იჩენს, პირველ ყოვლისა, დედამიწის ზედაპირზე არსებული ისეთი სინათლის სპექტრის ფარგლებში, რომელიც ყველაზე დიდი რაოდენობის ენერგიას შეიცავს. სინათლის შთანთქმის სტრუქტურა დამოკიდებულია მშთანთქმელი ნივთიერების ბუნებაზე. წყალი მხოლოდ სუსტად შთანთქავს სინათლეს, რომლის მახასიათებელი სხივები განლაგებულია სპექტრის ხილვად სფეროში. ამის შედეგად წყლიანი ჭიქა უფერო ჩანს. საღებავები და ფერები ხილვადი სფეროს გარკვეული სიგრძის სხივების ძლიერი მშთანთქმელები არიან და ამიტომ ირეკლავენ ან გადასცემენ განსაზღვრული ფერის სინათლეს. მცენარეთა ფოთლები შეიცავენ გარკვეული სახის პიგმენტებს, კერძოდ — **ქლოროფილს** (მწვანე) და **კაროტინოიდს** (ყვითელი), რომელიც შთანთქავენ სინათლეს და იყენებენ მის ენერგიას (სურ. 5-7). კაროტინოიდები, რომლებიც სტაფილოს თავის ფერს სძენენ, შთანთქავენ პირველ ყოვლისა, ლურჯ და მწვანე სინათლეს და ირეკლავენ სპექტრის სინათლეს ყვითელ და სტაფილოსფერ სფეროებში. ქლოროფილი შთანთქავს ნითელ და ისფერ სინათლეს და ირეკლავს მწვანესა და ლურჯს. როდესაც ქლოროფილი და კაროტინოიდები ერთად იჩენს თავს მცენარეში, ყველაზე მეტად მწვანე სინათლე ირეკლება, ამრიგად, ფოთლები მწვანედ გამოიყურება.

### **5.3 ცეკვაური სინათლის ატანაცია (გან- ელექტრო) ზღუდავს ფოტოსინთეზს ნებისმიერ ადგილზე**

წყალში საკმარისი სინათლის შთანთქმა ან გაფანტვა ზღუდავს სიღრმებს, რომლებშიც შესაძლებელია ფოტოსინთეზის განხორციელება წყლით გარემოში. ჭიქა წყლის გამჭვირვალობა მათგუარაა. სუთთა ზ-



**სურ. 5-5** ამ ჭაობის კვიპაროსის მუხლები მტკნარი წყლის ჭაობში სამხრეთ კაროლინაში შიანთქავენ ჰაერს ატმოსფეროდან ფესვები-სკენ, რომლებიც ჩაზრდილია დატ-ბორილ, ანაერობულ ნალექებში. ჭაობის სხვა მცენარეებს აქვთ ჰაერგამტარი ქსოვილები (აერენექიმა). (იშვ ტყის მომსახურეებმა მოგვანოდეს)

ვის წყალში სინათლის ენერგიის რაოდენობა სპექტრის ხილულ ნანილში მცირდება მისი სიდიდის 50%-მდე 10 მეტრის სიღრმეზე და 7%-მდე 100 მეტრის ფარგლებში. მეტიც, წყალი შთანთქავს უფრო გრძელ სხივებს უფრო ძლიერად, ვიდრე მოკლეს. ვიზუალურად კველა სახის ინფრაწითელი გამოსხივება ქრება წყლის ყველაზე ზედაპირულ ფენგში (Weisskopf 1968). სინათლის მოკლე სხივებს (ისფერი და ლურჯი) წყლის მოლეკულები ფანტავენ და ისინი ღრმად ვერ აღნევენ. ამის შედეგად სიღრმის ზრდასთან ერთად დომინირებს მწვანე ფერი. წყლის მცენარეთა ფოტოსინთეზური პიგმენტები ადაპტირებულია ამ სპექტრალურ თავისებურებასთან. მცენარეები, რომლებიც ოკეანის ზედაპირთან ახლოს იზრდება (როგორიცაა წყალმცენარე ულვა), შეიცავენ სმელეთის მცენარეების მსგავს პიგმენტებს და უკეთესად შთანთქავენ ლურჯ და მწვანე სინათლეს. ღრმა წყლის წითელ წყალმცენარეს *Porphyra*-ს დამატებითი პიგმენტები აქვს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მას, უფრო ეფექტურად გამოიყენოს მწვანე სინათლე (სურ. 5-8).


ფოტოსინთეზი მოითხოვს სინათლეს. სიღრმე კი, სადაც წყალმცენარეებს ოკეანებასა და წყლებში არ-სებობა შეუძლიათ, შეზღუდულია სინათლის შეღწევის მხრივ. წყალმცენარეები შეზღუდული არიან ზედაპირთან საკმაოდ ახლოს მყოფი, შედარებით ვიწრო ზონისთვის, სადაც ფოტოსინთეზი აჭარბებს რესპირაციას. სიღრმეთა დიაპაზონს ეწოდება ევფოტური ზონა. ევფოტური ზონის ქვედა ზღვარს, სადაც ფოტოსინთეზი დაბალნსებულია რესპირაციასთან, კომპ-ჰენსაციური ნერტილი ეწოდება (5-9). ის შეიძლება განისაზღვროს სიღრმით ან სინათლის დონით. თუ წყალმცენარე კომპენსაციური ნერტილის ქვემოთ

ჩაიძირება ან მის ქვემოთ დინების მიერ იქნება ჩატანილი და მალევე არ დაბრუნდება პირვანდელ ადგილზე, აუცილებლად დაილუპება, რადგან მას აღარ შეეძლება ფოტოსინთეზის საშუალებით ენერგიის მიღება.

ზოგიერთ გამონაკლისად გამჭვირვალე ოკეანეებსა და ტბებში კომპენსატორული ნერტილი შეიძლება გადიოდეს ზედაპირიდან 100 მეტრს ქვემოთ, მაგრამ ეს ძალიან იშვიათია. პროდუქტიულ წყლებში (ანუ სადაც მაღალი ღონის ფოტოსინთეზია), რომლებიც შეიცავენ ხშირ ფიტოპლანქტონს ან წყლებში, რომლებიც ალევროლითური, შლამის ნანილაკებით არის ამღვრული, ევფოტური ზონა შეიძლება იყოს ზედაპირულ ერთ მეტრზეც. ზოგიერთ დაბინძურებულ მდინარეში სინათლე აღწევს რამდენიმე სანტიმეტრზე.


#### 5.4 C<sub>4</sub> და CAM ფოტოსინთეზი ზრდის ცილის გამოყენების ეფექტურობას

მცენარეებს სჭირდებათ წყლის მუდმივი მიწოდება თავდაპირველად იმისთვის, რომ აინაზღაურონ დანაკარგი, რომელიც თავს იჩინენ, როდესაც სანამებები ღიაა. როგორც ზემოთ ვნახეთ, რადგანაც CO<sub>2</sub>-ის კონცენტრაცია ატმოსფეროში ესოდენ დაბალია, ფოტლიდან წყლის დანაკარგის კონცენტრაციის გრადიენტი სიდიდეთა რადგენიმე თანრიგით მეტია ფოთოლში CO<sub>2</sub>-ის ასიმილაციაზე. და რადგანაც წყლის ორთქლის წევა იზრდება ტემპერატურასთან ერთად, წყლის დანაკარგის პრობლემა იზრდება ცხელ გარემოში. სითბოსა და გვალვასთან ადაპტირებული მცენარეები განიცდიან ანატომიურ და ფიზიოლოგიურ მოდიფიკაციას, რაც ამცირებს ნივთიერებათა ტრანსპორტირებას მათ ზედაპირზე, ამცირებენ სითბურ დატვირთვას




**სურ. 5-7** სხვადასხვა სიგრძის სხივების სინათლის შთანთქმა ორი სახის მცენარეული პიგმენტების – ქლოროფილების (ნაცრისფერი ხაზი) და კაროტინოიდების (მნვანე ხაზი) – მიერ, რომლებიც იჭერენ სინათლის ენერგიას ფოტოსინთეზისთვის. სპექტრის ფერები არის ისფერი (v), ლურჯი (b), მნვანე (g), ყვითელი (y), სტაფილოსფერი (o) და წითელი (r). (Merson and Lewis მიხედვით 1942.)

და საშუალებას აძლევს მცენარეებს, გაუძლონ მაღალ ტემპერატურას (Hadley 1970, Berry and Bjorkman 1980). როდესაც მცენარეები შთანთქავენ მზის სინათლეს, ისინი განიცდიან გადახურებას. ზედმეტი გადახურება შეიძლება შემცირდეს სითბოს გაფანტვის მიზნით ზედაპირის არეალის გაფართოებით და ზედაპირის დაცვით პირდაპირი მზის სხივებისგან ხშირი ბუსუსებით ან ეკლებით (Ehleringer 1984; სურ. 5-10). ბუსუსები და ეკლები ასევე ანარმონებენ ჰაერის კიდევ მეტ სასაზღვრო ფენას, რომელიც იჭერს სინესტეს და ამცირებს აორთქლებას. რადგანაც სქელი სასაზღვრო




**სურ. 5-8** შედარებითი ფოტოსინთეზის დონეები მნვანე ნეალმცენარის ულვასი და ლრმა წყალში მობინადრე წითელი ნეალმცენარის *Porphyra*-სი, როგორც სინათლის ფერის ფუნქცია. (Haxo and Blinks მიხედვით 1950.)

ფენები ამცირებენ ასევე სითბოს კარგვასაც, ბუსუსები გავრცელებულია გრილ, მშრალ გარემოშიც, თუმცა ნაკლები სიხშირით იჩენენ თავს უდაბნოებში. აორთქლების შეჩერება ასევე შეიძლება სქელი, ცვილისებრი წყალგაუმტარი კუტიკულების არსებობით და სანამეების ლრმა ადგილებში მოთავსებით, რომლებიც ხშირად თავად არიან ბუსუსებილ დაფარული (სურ. 5-11). თვით ფოტოსინთეზის პროცესიც კი მოდიფიცირებულია ზოგ მცენარეში წყლის შენახვის სახით, როგორც ამას შემდეგ ვნახავთ.



**სურ. 5-6** სპექტრული განანილება მზის პირდაპირი სინათლისა დედამინის ატმოსფეროს ზემოთ და ზღვის დონეზე. FAR აღნიშნავს სპექტრის ფოტოსინთეზურად აქტიურ რეგიონს. ოზონი ატმოსფეროს ზედა შრები შთანთქავს სინათლეს სპექტრის ულტრაინისფერ რეგიონში და წყლის ორთქლი და ნაზირორუანგი შთანთქავენ სინათლეს ინფრანითულ რეგიონში. (After Gates 1980.)



**სურ. 5-9.** ურთიერთობა  $\text{CO}_2$ -ის დაგროვებასა (ფოტოსინთეზი) და წყალში სინათლის ინტენსიურობას შორის ურთიერთობა, რომელიც ასახავს კომპენსაციის ნურტილს, რომლის დროსაც ფოტოსინთეზი აბალანსებს რესპირაციის. სევე ასახულია ხსნადის ნურტილი, რომლის იქითაც დამატებითი სინათლე ვერ ზრდის ფოტოსინთეზი. (Barbour et al. მიხდვით 1980)




**სურ. 5-11** ოლეანდრში, გვალვაგამძლე მცენარეში სანამეები განლაგებულია ძალიან ღრმა ბუსუსებიან ორმოებში (გადიდებულია დააბლოებით 500-ჯერ). ბუსუსები ამცირებს წყლის კარგვას ჰაერის მომრაობის შემცირებით და წყლის შეკავებით (Courtesy of M. Pathasarathy)

### **C<sub>3</sub> ფოტოსინთეზი**


ცენარეთა უმრავლესობა მეზონურ გარემოში (გარემო ადეკვატური წყლით) ახდენს  $\text{CO}_2$ -ის ნახშირბადის ასიმილირებას ორგანულ მოლეკულებად. ამას ისინი ახორციელებენ მარტივი ბიოქიმიური მეთოდით, რომელიც კელვინ-ბენსონის ციკლის სახელით არის ცნობილი (სურ. 5-12). ეს ნაბიჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ასე:



სადაც RuBP (რიბულოზა ბიფოსფატი) არის ხუთი ნახშირბადის ორგანული ნაერთი და PGA (ფოსფოგლიცერინი) — სამი ნახშირბადის ნაერთი. ნახშირბა-




**სურ. 5-10** განივი ჭრილი (ა) და ზედნები (ბ) უდაბნოს მცენარის *nceliopsis argophylla*-ს ფოტოლის, სადაც ჩანს დამცავი ბუსუსები (ჯ.რ ეპლერინგერმა მოგვაწოდა.)



მეზოფილის უკრებები.

(ა)



მეზოფილის უკრებები

(ბ)

**სურ. 5-12** (ა)  $\text{C}_3$  მცენარის ფოტოლის განივი ჭრილი, რომელიც გვიჩვენებს მეზოფილში ქლოროსპლასტების გაფანტულობას. (ბ)  $\text{CO}_2$ -ის ასიმილირების კელვინ-ბენსონის ციკლის უმთავრესი ნაბიჯები. ნახშირბადის ასიმილირება მოიცავს სამნახშირბადანი ნაერთის PGA (ფოსფოგლიცერინი) ფორმაციას, ამიტომაც მექანიზმს ეწოდება  $\text{C}_3$  ფოტოსინთეზი. (ალერინგერმა მოგვაწოდა).

დის ასიმილაციის უშუალო პროცესი არის სამნახ-შირბადიანი ნაერთი ამ მექანიზმს  $C_3$  ფოტოსინთეზს უწოდებენ. RuBP-ის ერთი მოლეკულის გენერირება, რათა დაასრულოს კერვინ-ბენ-სონის ციკლი, როდესაც ნახშირბადის ერთი ატომი ხელმისაწვდომი ხდება გლუკოზის სინთეზისთვის იმდენად, რამდენადაც გლუკოზა არის ექვსნახშირბა-დიანი ნაერთი, თითოეული ნარმოებული გლუკოზის მოლეკულა მოითხოვს კელვინ-ბენსონის ციკლის ექვს ბრუნს.


ნახშირბადის ასიმილირებისთვის პასუხისმგებელი ფერმენტი არის რიბულოზა ბიფოსფატი კარბოქსილა-ზა/ოქსიგენაზა (რუბისკო), რომელიც მცირედ წააგავს ნახშირორჟანს. შედეგად, მცენარეები ნახშირბადის ასიმილაციას ძალიან არაეფექტურად ახერხებენ. ასიმილაციის მაღალი დონის მისაღწევად უჯრედები დატვირთული უნდა იყვნენ დიდი რაოდენობით რუბისკოთი. დამატებითი პრობლემა ამ ფერმენტთან დაკაშირებით არის ის, რომ იგი ხელს უწყობს RuBP-ის ჟანგვას ჟანგბადის მაღალი და ნახშირბადის დაბა-ლი კონცენტრაციების არსებობისას, გასაკუთრებით მაშინ, როდესაც ფოთლის ტემპერატურა გაზრდილია. RuBP-ის ჟანგვა კვლავ გარდაქმნის ხოლმე რუბისკოს მიღწევებს, როდესაც ის ნახშირბადს ამცირებს და ამით ფოთლისინთეზს არაეფექტურა ხდის. სინამდ-ვილები ნახშირბადის დაგროვება თვითშემაკავებელი გამოდის, თუ უჯრედში  $CO_2$  მაღალი დონით არ იქნება შენარჩუნებული. ამის გაკეთება კი შეიძლება მხოლოდ სანამეების გაღებით, რათა ფოთოლში აირი შევიდეს. ეს კი, ცხადია, ინვევს წყლის კარგვას.

## $C_4$ და CAM ფოტოსინთეზი

მრავალ მცენარეს, მათ შორის სიმინდს და აფრიკულ ფეტვს (მწყერფება), რომელიც ცხელ კლიმატში სარობენ, გამოუმუშავდათ  $C_3$  ფოტოსინთეზის მოდი-ფიკაცია. ეს მოდიფიკაცია მოიცავს დამატებით ნაბი-ჯს  $CO_2$ -ის ასიმილირების გზაზე და თავდაპირველი ასიმილაციის ნაბიჯის სივრცობრივ დაშორებას კელ-ვინ-ბენსონის ციკლის გზიდან ფოთლის შიგნით. მას  $C_4$  ფოტოსინთეზი ეწოდება, რადგან  $CO_2$ -ის ასიმილაცია თავდაპირველად შედეგად იღებს ოთხნახშირბადოვან ნაერთს:




სადაც PEP (ფოსფოენოლპირუვატი) არის სამნახშირ-ბადოვანი ნაერთი და OAA (მჟაუნ-ძმარმუავა) არის ოთხნახშირბადოვანი ნაერთი (Hatch and Slack 1966, Bjorkman and Berry 1973, Edwards and Walker 1983). ამ ასიმილაციური რეაქციის კატალიზატორი არის PEP კარბოქსილაზა, რომელსაც რუბისკოსგან განსხვავებით,  $CO_2$ -თან დიდი მსგავსება აქვს. ასიმილაცია თავს იჩენს ფოთლის მეზოფილურ უჯრედებში, მა-გრამ მცენარეთა უმრავლესობაში  $C_4$  ფოტოსინთეზი,



ნახშირბადი კონის შემომფენი უჯრედები

(ა)


ეზოფილური უჯრედები



ნახშირბადი კონის შემომფენი უჯრედები

(ბ)

**სურ. 5-13** (ა)  $C_4$  ფოტოსინთეზის მცენარის ფოთლის გა-ნები ჭრილი, რომელიც გვიჩვენებს ძარღვოვანი კონის შე-მომფენ უჯრედებში არსებული ქლოროპლასტების კონცენ-ტრაციებს. (ბ) თავდაპირველი ასიმილაციის ნაბიჯი  $C_4$  ფოტოსინთეზში მოიცავს,  $CO_2$ -ის ტრანსფორმაციას ოთხნახშირბა-დოვან ნაერთ OAA-დ (აქედან მოდის სახელიც  $C_4$  ფოტოსინთეზი). ამ ნაბიჯს გადაჰყავს  $CO_2$  მეზოფილურ უჯრედებიდან ძარღვოვან კონის შემომფარგლავ უჯრედებში, სადაც ის გადის ტრანსფორმაციას კელვინ-ბენსონის ციკლში (სურ. 5-12). (ჯ. ელერინგერმა მოგვაწოდა.)



#### სურ. 5-14 CAM მცენარეებში

ფოტოსინთეზური გზის დიაგრამა.  $\text{CO}_2$  შეიწყვება ფოთოლში ღამით, როდესაც გრილა და ნყლის კარგვა მინიმალურია.  $\text{CO}_2$  ჩაეგმება კელვინ-ბენსონის ციკლში დღის განმავლობაში, როდესაც სანამეები დახურულია. (არბოურნე მიხედვით 1982)

კელვინ-ბენსონის ციკლის ჩათვლით, თავს იჩენს სპეციალიზებულ უჯრედებში, რომლებიც გარს ერტყმიან ფოთლის ძარღვებს. მათ **ძარღვოვანი კონის შემომფენი უჯრედები** ენოდებათ (სურ. 5-13). OAA, ან სხვა რომელიმე ოთხნახშირბადმნარმოებელი, ვრცელდება ძარღვოვანი კონის შემომფენ უჯრედებში, სადაც ის არის მეტაბოლიზებული და აწარმოებს  $\text{CO}_2$ -ს და კიდევ პირუვატს, სამნახშირბადიან ნაერთს. პირუვატი უკან ბრუნდება მეზოფილურ უჯრედებში, სადაც ფერმენტები გარდაქმნიან მას PEP-ად, რათა დაასრულოს ნახშირბადის ასიმილირების ციკლი. OAA-ს მეტაბოლიზმის შედეგად ძარღვოვანი კონის შემომფენ უჯრედებში გამომუშავებული  $\text{CO}_2$  შედის კელვინ-ბენსონის ციკლში, როგორც ეს ხდება  $\text{C}_3$ , ფოტოსინთეზის მცენარეებში.

$\text{C}_4$  ფოტოსინთეზს დადებითი მხარე ის აქეს, რომ შესაძლებელია  $\text{CO}_2$ -ის დიდი რაოდენობით დაგროვება ძარღვოვანი კონის შემომფენ უჯრედებში. ეს რაოდენობა დიდად აჭარბებს მისი ატმოსფეროდან დიფუზიის ნონასწორობის დონეს. ამ მაღალი კონცენტრაციის პირობებში კელვინ-ბენსონის ციკლი უფრო ეფექტურად მოქმედებს. მეტიც,  $\text{C}_4$  ფოტოსინთეზს შეუძლია, შეიკავოს  $\text{CO}_2$  უფრო დაბალი კონცენტრაციითაც უჯრედში, როთაც საშუალებას აძლევს, მცენარეს, გაზარდოს სანამე წინააღმდეგობა და შეამციროს წყლის კარგვა.

$\text{C}_4$  ფოტოსინთეზის მცენარეები სივრცობრივად აშორებენ ნახშირბადის თავდაპირველ ასიმილაციებს და კელვინ-ბენსონის ციკლს სხვადასხვა ქსოვილში. გარკვეული სუკულენტი მცენარეები (სქელფოთლიანთა ოჯახი) უდაბნოებში იყენებენ იმავე ბიოქიმიურ გზებს, რომლებსაც  $\text{C}_4$  მცენარეები. მაგრამ ისინი ნახშირბადის ასიმილაციებსა და კელვინ-ბენსონის ციკლს მხოლოდ დროებით აცალევებენ, დღესა და ღამეს შორის. ვინაიდან ასეთი მოწყობა პირველად აღმოაჩინეს სქელფოთლიანთა ოჯახის მცენარეებში და რადგანაც იგი მოიცავს გარკვეული ოთხნახშირბადიანი ორგანული მუვების შენახვას (ვაშლის მუვა და OOA), მას უნდებენ სქელფოთლიანთა ტიპის ნახშირმუვების მეტაბოლიზმს) ან CAM (Kluge and Ting 1978, Osmond 1978).



CAM მცენარეები უდაბნოში ალებენ თავიათ სანამეებს აირთა გასაცვლელად გრილ ღამეებში. ამ დროს წყლის კარგვა მინიმალურია. CAM მცენარეები

თავდაპირველად აგროვებენ  $\text{CO}_2$  ოთხნახშირბადიანი OAA-ს და ვაშლის მუვას ფორმით, რომლებსაც ფოთლის ქსოვილები მაღალი კონცენტრაციით ინახავენ (სურ. 5-14). დღის განმავლობაში სანამეები იხურება და შენახული ორგანული მუვები თანდათან გადამუშავდება, რათა გამოყონ  $\text{CO}_2$  კელვინ-ბენსონის ციკლისთვის.  $\text{CO}_2$ -ის ასიმილაცია და PEP-ის რეგულირებია რეგულირდება ფერმენტების მიერ, რომლებსაც სხვადასხვა იპტიმალური ტემპერატურა სჭირდებათ. CAM ფოტოსინთეზს შედეგად საოცრად მაღალი წყლის გამოყენების კოეფიციენტი მოაქვს და საშუალებას აძლევს მცენარეთა გარკვეულ ტიპებს, იარსებონ ძალიან ცხელ და მშრალ საბინადრო გარემოში.

#### CAM და $\text{C}_4$ ფოტოსინთეზის წყლის მცენარეებში

წყლით დაფარული მცენარეები დგანან ხმელეთის მცენარეებისგან სრულიად განსხვავებული პრობლემების წინაშე. მათთვის წყლის კარგვა პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა ბევრი ამ მცენარეთაგანი, ყველაფრის მიუხედავად, აწარმოებს CAM და  $\text{C}_4$  ფოტოსინთეზს. *Myriophyllum* ხარობს საკვები წივთიერებებით მდიდარ ტბორებსა და ტბებში (სურ. 5-15 ა). ფოტოსინთეზური დონეები მაღალია და მცენარე მაღალ იზრდება. ამგვარი ადაპტაციების შედეგი არის ის, რომ ფოტოსინთეზის მიერ წარმოებული უანგბადი დიდი რაოდენობით გროვდება ფოთოლში, რასაც შეუძლია შეაფეროს მომავალი ფოტოსინთეზი. *Myriophyllum*-ნაირი მცენარეები უმკლავდებიან ამ პრობლემას  $\text{C}_4$  მექანიზმის გამოყენებით, რომელიც იზრდება  $\text{CO}_2$ -ს დონემდე ფოთლის უჯრედებში და ხელს უწყობს ფოტოსინთეზის მაღალი დონეების შენარჩუნებას.

*Isoetes* არის პრიმიტიული წყალმცენსრე, რომელიც შორეულად ენათესავება გვიმრას. *Myriophyllum*-გან განსხვავებით, ის იზრდება საკვები წივთიერებებით ღარიბ ტბორებსა და ტბებში. ის საკვებსა და  $\text{CO}_2$ -ს უპირველეს ყოვლისა, დანალექებისგან იღებს. შესაბამისად, მის ფოთლებს აქვთ ზედაპირისა და მოცულობის ნაკლები ურთიერთდამოკიდებულება და სქელი კუტიკულები, რათა ხელი შეუშალონ იონებისა და  $\text{CO}_2$ -ის კარგვას წყალში (5-15 ბ). მისი ფესვთა სისტემა მაღალგანვითარებულია და მცენარის მთლიანი შიგ-




**სურ. 5-15** ნელის საფარის ქვეშ მოძინადრე ორი ნეალმცენარის სტრუქტურა (ა) *Myriophyllum* გავრცელებულია ნელებში, საკვები ნივთიერებების მაღალი კონცენტრაციაა. (ბ) *Isoete* ხარობს ტენისა და ტბორებში სადაც, საკვები ნივთიერებების დაბალი შემცველობაა. გაიხსენეთ ჰაერით სავსე კამერები, რომლებიც იძლევიან აირთა შინაგანი ცვლის საშუალებას ფოთლებსა და ფესვებს შორის.

(Aeley and Mooney მიხედვით 1991.)


თავსი, ფესვებიდან ფოთლებამდე, სავსეა მსხვილი ჰაეროვანი სივრცეებით. ფოტოსინთეზის პროცესი მეტნილად თავს იჩენს იმ უჯრედებში, რომლებიც მოთავსებულია ფოთლების ჰაეროვან სივრცეებში. დანალექებში ნახშირორჟანგი ინარმოება ბაქტერიიებისა და ცხოველების რესპირაციების შედეგად, რომლებიც ასევე ცლიან ჟანგბადას გარშემო წყალში. მცენარე იძენს  $\text{CO}_2$ -ს დანალექებიდან ფესვებით.  $\text{CO}_2$  ვრცელდება ფესვებიდან ფოთლებამდე შინაგანი ჰაეროვანი სივრცეების მეშვეობით და შედეგ იქ ინახება ღამის განმავლობაში CAM ასიმილაციის მეშვეობით. ფოტოსინთეზის მიერ ნარმოებული ჟანგბადი დღის განმავლობაში ვრცელდება და მიდის ფესვებამდე, სადაც

ის გამოიყენება ფესვების რესპირაცორული უჯრედების მიერ.

Stultite Isoete-ს ნათესავია და იზრდება ტორფის ნარჩენებზე სეზონურ ჭაობებში დაახლოებით 4000 მ სიმაღლეზე სამხრეთ ამერიკის ანდებში. Stylike-ს ფოთლებს აქვთ სქელი კუტიკულა, რომელიც არსებითად  $\text{CO}_2$ -ისა და წყლის ორთქლის მიმართ გაუმტარია. ეს კუტიკულები ხელს უშლიან წყლის კარგვას მშრალ ამინში. ნახშირმჟავა მიიღება ხრნნადი ტორფიდან ფესვების მეშვეობით ისევე, როგორც მისი ნეალმცენარე ნათესავის შემთხვევაში, ორივე შემთხვევაში, ფოთლებს შეიძლება ჰქონდეთ გაუმტარი გარეშე, ზედაპირი, რადგან ისინი შინაგანად ცვლიან აირებს ფესვებთან და შემდეგ ფესვების გარემოსთან.



(ა)



(ბ)

**სურ. 5-16** (ა) ურთიერთდამოკიდებულება ფოტოსინთეზისა (იზრდება ფოთლის კვადრატულ კლომეტრზე ნამში ასიმლირებული  $\text{CO}_2$ -ის მიკრომოლებში) და ფოთლის ტემპერატურას შორის ზამთარში აქტიურ  $\text{C}_3$  ტიპის უდაბნოს ბალის *Comissionia claviformis*-ში და ზაფხულში აქტიურ  $\text{C}_4$  ტიპის უდაბნოს ბალახში *Amaranthus palmeri*-ში:  $\text{C}_3$  ტიპის  $\text{CO}_2$ -ზე უფრო ეფექტურია 30°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე. (ბ) ურთიერთობა ფოტოსინთეზისა უჯრედშორის  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაციებისა უდაბნოს ორ ბუჩქში: *Atriplex hymenelytra* ( $\text{C}_4$ ) და *Larrea divaricata* ( $\text{C}_3$ ) ნიმუშის მიხედვით, სინათლის მაღალი ინტენსივობისა და 30°C ფოთლის ტემპერატურის დროს.

ევოლუციური ტრეიდ-ოფი (უარყოფითი კორელაციის ტიპი)  $C_3$  და  $C_4$   
ფოტოსინთეზებს შორის

$C_4$  ფოტოსინთეზი ზრდის ნაბშერპადის ასიმილაციის დონეს ცხელ გარემოში ჭარბი მზის გამოსხივებით და ზრდის წყლის გამოყენების კოეფიციენტს მშრალ ადგილებში. რატომ არ იყენებს ცველა მცენარე  $C_4$  ფოტოსინთეზის გზას? პასუხი ამ კითხვაზე, როგორც ჩანს, სამი ნაწილისგან შედგება: 1.  $C_4$  მცენარეებმა უნდა დახარჯონ ენერგია პირუვატიდან PEP-ის გენერირებისთვის. ასე რომ,  $C_4$  ენერგეტიკულად  $C_3$ -ზე ნაკლებმომგებიანი პროცესია. 2. რუბისკო შედარებით ეფექტურად მოქმედებს  $25^{\circ}\text{C}$ -ზე ნაკლებ ტემპერატურაზე, რადგან მას ნაკლები ტენდენცია აქვს იმისთვის, რომ იყოს დამჟანგვავი. ამრიგად,  $C_4$  ფოტოსინთეზის მოქმედება გამორიცხავს გრილ გარემოს. გამოდის, რომ სინათლის და არა  $\text{CO}_2$ -ის ხელმისაწვდომობა ზღუდავს ფოტოსინთეზს (5-16 ა). მაქსიმალური ფოტოსინთეზი მიიღწევა  $C_4$  მცენარეების მიერ დაახლოებით  $45^{\circ}\text{C}$ -ზე. ეს ტემპერატურა ახლოსაა იმ მაქსიმალური ტემპერატურის მაჩვენებელთან, რომლის ატანაც შეუძლიათ მცენარეებს. ხოლო  $C_3$  ფოტოსინთეზის მცენარეებისთვის მაქსიმალური ტემპერატურა  $20^{\circ}$  და  $30^{\circ}\text{C}$ -ია. შედეგად,  $C_4$  ფოტოსინთეზი დომინირებს ცხელ, ხოლო  $C_3$  ფოტოსინთეზი — გრილ კლიმატში (Teeri and Stowe 1976, Pearcy and Ehleringer 1984, Ehleringer et al. 1991). იქ, სადაც ისინი ერთად ჩნდებიან,  $C_4$  მცენარეები ხშირად მწვანე რჩებიან ცხელი, მშრალი ზაფხულის განმავლობაში — პირობებში, რომლებიც აიძულებენ  $C_3$  სახეობებს დაიძინონ. 3.  $C_4$  მცენარეების შესაძლებლობა, დააგროვონ  $\text{CO}_2$  ძარღვოვანი კანის უჯრედებში, მცირდება  $\text{CO}_2$ -ის მაღალი კონცენტრაციის შემთხვევაში (სურ. 5-16 ბ). ზოგადად მიჩნეულია, რომ ფოტოსინთეზი განვითარდა მაშინ, როდესაც დედამიწის ადრეულ ატმოსფეროში  $\text{CO}_2$ -ის მაღალი შემცველობა შეინიშნებოდა. ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ დედამიწის განვითარების ისტორიის განმავლობაში ცხელი და მშრალი კლიმატი ხშირი იყო, არ არსებობდა არაგითარი ევოლუციური უპირატესობა  $C_4$  ფოტოსინთეზისთვის, სანამ  $\text{CO}_2$ -ის ატმოსფერული დონეები არ დაეცა დღევანდელ დონემდე (Ehleringer et al. 1991).

ფოტოსინთეზური მექანიზმები და კლი-  
მატის გლობალური ცვლილება

სინათლის დიდი ნაწილი, რომელიც გადის ატმოს-  
ფეროში, შთაინთქმება დედამინის ზედაპირის, მცენა-  
რეულობისა და ნელების მიერ. შესაძლებელია ამ  
ენერგიის ხელახალი გამოსხივება ინფრანითელი გა-  
მოსხივების სახით. ეს სუსტი გამოსხივებაა, რომლის  
სინათლის სხივების სიგრძე 700-დან 1000 ნმ-დეა.  
ნახშირორჟანგი და სხვა ე.წ. სათბურის აირები ატ-  
მოსფეროში (წყლის ორთქლსა და ლუპლუებთან ერ-

(თად) შთანთქავენ ამ ინფრანიტელ გამოსხივებას და აკავებენ სითბოს დედამიწის ზედაპირთან ახლოს. ამ-რიგად, დედამიწის ატმოსფერო ძალიან წააგავს სათბურს, სადაც შუშის ჭერი ატარებს სინათლეს, მაგრამ აკავებს შენობის შიგნიდან მომავალ გრძელ ტალღიან გამოსხივებას, რითაც ათბობს ინტერიერს. ჩვენ ამ ფენომენს სათბურის ეფექტს ვუწოდებთ. ბუნებრივი სათბური ინარჩუნებს დედამიწის ტემპერატურას ფიზიოლოგიური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ტემპერატურის ფარგლებში, რითაც შესაძლებელს ხდის სიცოცხლეს იმ ფორმებში, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია.

ადამიანთა საქმიანობაშა — კერძოდ, საწვავი წიაღისეულის წვამ ავტომობილთა ძრავებში, საკმაოდ გაზარდა  $\text{CO}_2$ -ისა და სხვა სათბურის აირების კონცენტრაცია ატმოსფეროში (იხ. 11 თავი). ამით ძლიერდება დედამიწის სათბურის უფერტიც და ინყება დედამიწის ატმოსფეროს მზარდი გათბობა. ეს პროცესი ახლა უკვე ოვალშისაცმია (Vitousek 1994, Robert and MacArthur 1994) ზაფხული ამ წიგნის გამოცემამდე იყო ყველაზე ცხელი ზაფხული ამ დრომდე.


ჩვენი შენატანი  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაციაში ატმოსფეროში ორი სახის გავლენას ახდენს მცენარეებზე ფიზიკურ გარემოში. პირველი: ცხადია, იზრდება ფოტოსინთეზისთვის ხელმისაწვდომი  $\text{CO}_2$ -ის რაოდენობა. მეორე: ვინაიდან  $\text{CO}_2$  ზრდის სათბურის ეფექტს, მცენარეთა გარემოს ტემპერატურამ შეიძლება იმატოს. გრძელვადან პერსპექტივაში ცვლილებებმა ატმოსფერული  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაციაში შეიძლება განსხვავებულად იმოქმედოს  $C_3$  და  $C_4$  ტიპის მცენარეების გავრცელებაზე.  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაციის გაზრდილი დონეები სავარაუდოდ გაზრდიან  $C_3$  ტიპის მცენარეების უპირატესობის კოეფიციენტს იმ დროს, როდესაც  $C_4$  მცენარეებს უპირატესობა ექნებათ  $\text{CO}_2$ -ის დაბალ დონეებზე. პალეოკალიგიური კვლევები (ადრინდელი ეკოლოგიის კვლევები წიაღისეულისა და წარსულის შესწავლის სხვა საშუალებების გამოყენებით, მაგალითად, როგორიცაა ნახშირბადით დათარიღება) გვიჩვენებენ, რომ  $C_4$  ტიპის მცენარეები გავრცელდნენ დედამიწაზე ატმოსფეროში დაბალი  $\text{CO}_2$  კონცენტრაციის დროს, როგორც მაგალითად, მიოცენის დასასრულს (დაახლოებით 25 მილიონი წლის წინ), როცა  $C_4$  ფართოდ იყო გავრცელებული (Ehleringer 1991).

ფოტოსინთეზის ინტენსივობა იზრდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად როგორც  $C_3$ , ისე  $C_4$  მცენარეებში, მაგრამ როგორც უკვე ვნახეთ (იხ. სურ. 5-16 ა), ეს ზრდა არ არის უსაზღვრო. მცენარეთა ყოველ სახეობას აქვს თავისი ოპტიმალური ფოტოსინთეზური ტემპერატურა და ეს ყოველთვის შეესაბამება მცენარეთა ზრდის ოპტიმალურ ტემპერატურას. ამრიგად, გარემოს ტემპერატურის ცვლილებებმა შეიძლება ზრდის პირობები არახელსაყრელი გახადოს მცენარეთათვის ამ გარემოში. როგორც  $C_3$ , ისე  $C_4$  მცენარეების გავრცელება ნაწილობრივ დამოკიდებულია ტემპერატურულ პირობებზე.

როგორც მცენარეთა გავრცელება, ისე მათი ზრდის დონე დაკავშირებულია ატმოსფეროში  $\text{CO}_2$ -ის რაოდენობასთან და ტემპერატურასთან, რომელიც თავის მხრივ, დამოკიდებულია  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაციაზე. გლობალურ კლიმატურ ცვლილებებს შეიძლება არსებითი გავლენა ჰქონდეს მსოფლიოს სოფლის მეურნეობაზე (Adams et al. 1990, Parry 1990. Parry et al. 1990, Rosenzweig and Parry 1994). მეტიც, ამ ცვლილებათა ეფექტი შეიძლება განსხვავებული იყოს  $C_3$  და  $C_4$  მცენარეებისთვის. მრავალი მარცვლებული სახეობა, როგორიცაა ხორბალი, ბრინჯი, ლობიო და სხვა ბოსტნეული,  $C_3$  მცენარეებია. ამგვარი მცენარეები მოსალოდნელია, რომ აყვავდებიან მაღალი  $\text{CO}_2$  გარემოში, თუ შესაბამისად არ გაიზრდება ტემპერატურა. გლობალური ეკონომიკისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მცენარეებია სიმინდი, ფეტვი, შაქრის ლერწამი და სორგო, რომელთაგან ყველა  $C_4$ -ის ტიპისაა. ეს მცენარეები არ არიან ესოდენ მგრძნობიარე  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაციის მიმართ. ტემპერატურისა და  $\text{CO}_2$ -ის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად, ზოგი მარცვლებული მცენარე ესოდენ წარმატებით ვეღარ გაიზრდება ზოგიერთ რეგიონში. ყველაზე ხშირად გამოყენებული კლიმატის გლობალური ცვლილების მოდელების მიხედვით, გლობალური ტემპერატურის ზრდას უარყოფითი ეფექტი ექნება როგორც  $C_3$ , ისე  $C_4$  მცენარეებზე, თუ ატმოსფეროში  $\text{CO}_2$ -ის მაღალი დონე არ გამოიწვევს მცენარეთა ზრდას. მაგრამ  $\text{CO}_2$ -ის მაღალი კონცენტრაცია რომც გამოიხატოს გაზრდილ ფოტოსინთეტიკურ ეფექტურობაში,  $C_3$  ტიპის მცენარეები მაღალ ტემპერატურასა და მაღალი  $\text{CO}_2$ -ის გარემოში უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ვიდრე  $C_4$  ტიპის მცენარეები.

## 5.5 სასიცოცხლო პროცესები ტემპერატურათა ვინეობაზე დიაპაზონები იჩენება თავს

ჩვენთვის ცნობილი სასიცოცხლო პროცესები ძირითადად შეზღუდულია ტემპერატურის იმ დიაპაზონში, რომლის დროსაც წყალი არის თხევადი. ეს დიაპაზონი  $0^{\circ}$ - $100^{\circ}\text{C}$ -ია დედამინის ზედაპირზე. ტამპერატურას რამდენიმე წინააღმდეგობრივი გავლენა აქვს სასიცოცხლო პროცესებზე. სითბო ზრდის მოლექულათა კინეტიკურ ენერგიას და ამით აჩქარებს ქიმიურ რეაქციებს. ბიოლოგიურ პროცესთა მიმდინარეობის დონეები ჩვეულებრივ იზრდება ორჯერ ან ოთხჯერ ტემპერატურის ყოველი  $10^{\circ}\text{C}$ -ით მატებისას ფიზიოლოგიურ დიაპაზონის განმავლობაში (Schmidt-Nielsen 1983, Hochachka and Somero 1973, 1984). ზრდის ამ ფაქტორს ეწოდება პროცესის  $Q_{10}$  და ის განისაზღვრება ლოგარითმული მასშტაბით და ტემპერატურით გრაფიზე დატანილ ფიზიოლოგიურ პროცესებს შორის ურთიერთობით (სურ. 5-17). ასევე ფერმენტები და სხვა ცილები ნაკლებ სტაბილური ხდებიან და მაღალ



**სურ. 5-17** კოლორადოს კატოფილის ხოჭოს უანგბადის მოხმარების დონე ( $\log$  მასშტაბი). უანგბადის მოხმარების ზრდა ექსპონენციალურია, იზრდება რა 2,5 კოეფიციენტით ყოველ  $10^{\circ}\text{C}$ -ზე. ზრდის კოეფიციენტს ენდება პროცესის 10. (After Marzusch 1952)

ტემპერატურაზე მათ შეიძლება ვერ შეინარჩუნონ სტრუქტურა და ვერ იფუნქციონირონ ნორმალურად. ამასთან, უჯრედში სითბოს ენერგია გავლენას ახდენს ცილების კონფორმაციაზე. ისინი დაბალანსებული სითბოთი გამოიწვეულ ბუნებრივ კინეტიკურ მოძრაობებსა და მოლექულების სხვადასხვა ნანილების ქიმიური მიზიდულობის ძალებს შორის. უჯრედის მემბრანაში არსებული და საკვები ენერგიის სახით, მრავალი ცხოველის მიერ დაგროვებული ცხიმის მოლექულების ფიზიოლოგიური თვალებები დამოკიდებულია ტემპერატურაზე. გაციებისას, ცხიმი ხდება მკვრივი (წარმოიდგინეთ ცხიმი მაცივრიდან გამოღებულ ხორცზე), გამოძინები კი, თხევად მდგომარეობაში გადადის. ორგანიზმთა უმრავლესობისთვის შესაფერისი ტემპერატურების დიაპაზონი არის  $0^{\circ}\text{C}$ - $45^{\circ}\text{C}$  ტემპერატურას შორის.

## სიცოცხლე საოცრად მაღალ ტემპერატურაზე

ორგანიზმების მხოლოდ მცირე ნანილს გააჩნია  $45^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალი ტემპერატურის პირობებში არსებობის უნარი. ფოტოსინთეზურ ლურჯ-მწვანე წყალმცენარეებს შეუძლიათ, აიტანონ  $75^{\circ}\text{C}$  ტემპერატურა (Brock 1970, 1985, Brock and Darland 1970). ზოგიერთი ბაქტერია, რომელსაც თერმოფილურ ბაქტერიებს უწოდებენ, ჩნდება ცხელ ზაფხულში წყლის დუღილის ნერტილთან ახლო ტემპერატურაზე (სურ. 5-18). თერმოფილური ბაქტერიები ასევე მოიპოვებიან ოკეანის ჰიდროთერმულ ჭრილებში იქ, სადაც დედამინის ქერქის ფილები ერთმანეთს უერთდებიან. ეს ჭრილები



**სურ. 5-18.** ცხელი ზაფხული იელოუსტოუნის (ყვითელი ქვა) ეროვნულ პარკში. იმის მიუხედავად, რომ წყლის ტემპერატურა დუღილის წერტილს აღ-ნევს, ზოგიერთი თერმოფილური ბაქტერია ცოცხ-ლობს ამ გარემოში (რ. რიკლეფსის ფოტო.)

ხშირად განლაგებულია ზედაპირიდან 3000 მეტრის სიღრმეზე, სადაც წყლის წნევამ შეიძლება გადააჭარ-ბოს 40 mpa-ს. ამ ადგილებში, მაღალი წნევის გამო, წყ-ლის დუღილის ნერტილი გაცილებით მაღალია, ვიდრე ზღვის დონეზე და ამრიგად, წყალი რჩება თხევადი გაცილებით მაღალ ტემპერატურაზე. ახლანდელი კვ-ლევის მიხედვით, საკმაოდ დიდი მრავალფეროვნება ორგანიზმებისა სახლობს ამ საოცრად ღრმა ცხელ ადგილებში (Straube et al. 1990, Deming and Baross 1993), ხოლო ამ ჭრილების გარშემო ძალიან ცხელ დან-ალექებში ხშირია ეუკარიოტული ორგანიზმები (Juniper et al. 1992). უნარი, რომელიც ძალიან მაღალ ტემ-პერატურაზე არსებობის საშუალებას იძლევა, ჯერ არ არის კარგად შესწავლილი. ბაქტერიათა უმრავლე-სობასთან შედარებით, თერმოფილურ ბაქტერიათა ცილებს აქვთ უმნიშვნელოდ განსხვავებული ამინომ-ჟავების პროპორციები, რომლებიც ზრდიან ცილების მოლეკულებს შორის დამაკავშირებელ ძალებს. ისინი ასევე აძლევენ ამ ცილების სტრუქტურას საშუალე-ბას, დარჩნენ სტაბილურნი 97°C ტემპერატურაზეც კი (Singleton and Ameluxen 1973, Hochachka and Somero 1984).

ზოგიერთი მცენარე (უდაბნოს მცენარეები აგა-ვასა და კაქტუსის ოჯახებიდან) ადაპტირებულია საიმისოდ, რომ 50°C-ზე მეტ ტემპერატურას გაუძლოს (Nobel 1988). მშრალ და ნახევრადმშრალ გარემოში მცენარეთა ზედაპირი, კერძოდ კი ფოთლები, რომლე-ბიც მზის საოცრად მაღალი გამოსხივების ქვეშ იმყ-ოფებიან და გარემოს ტემპერატურაზე მეტად ხუ-დებიან. ეს ზრდის მცენარიდან წყლის აორთქლებას იმ დონემდე, რომ ის შეიძლება სიცხისგან სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდეს. მცენარეებს, რომლებიც არსებობენ მზის მაღალი გამოსხივების პირობებში, აქვთ უნარი, შეამცირონ მათზე მზის სხივების უშუ-ალო ზემოქმედება. ცვილოვანი ზედაპირის განვი-თარება, ფოთლის ბუსუსების არსებობა, რომლებიც აირეკლავენ მზის სინათლეს ან ფოთლის სისქის ზრდა შემცირებული ზედაპირის ფართობით, შეგუების მაჩვენებელია.

ბევრი მცენარე განსაკუთრებით მგრძნობიარება მაღალი ტემპერატურის მიმართ ადრეული განვი-თარების დროს ან ზრდის სხვა პერიოდებში. მოწყვ-ლადობას უზარმაზარი ეკონომიკური გავლენა აქვს სასოფლო-სამეურნეო ეკოსისტემებში, სადაც მაღალ ტემპერატურას კრიტიკულ პერიოდში ზრდის პრო-

ცესში შეუძლია, დააზიანოს ნათესები და შეამციროს მოსავალი. ისეთი მცენარეები, როგორებიცაა სოიოს მარცვლები, ბამბა, პომიდორი, ბრინჯი, სორგო და ვიგნა, განსაკუთებით მგრძნობიარება მაღალი ტემპერ-ატურის მიმართ განვითარების ადრეულ ფაზაში. ამ მცენარეთა სახეობების უმრავლესობაში თესლის ან რბილობის განვითარება მცირდება მაღალი ტემპერ-ატურის დროს.

## სიცოცხლე საოცრად დაბალ ტემპერატურაზე

მიუხედავად იმისა, რომ ტემპერატურა დედამიწაზე იშვიათად სცდება 50°C-ს, გარდა ნიადაგის ზედაპირ-ისა ცხელი ზაფხულის დროს უდაბნოებში, გაყინვის წერტილს დაბლა დანეული ტემპერატურა ხშირია დედამიწის ზედაპირის ვრცელ ტერიტორიებზე. როდე-საც ცოცხალი უჯრედები იყინება, ყინულის კრისტა-ლურა აგებულება არღვევს სასიცოცხლო პროცესთა უმრავლესობას და მას შეუძლია, დააზიანოს უჯრედის სტრუქტურა, რაც სწრაფ სიკვდილს იწვევს. მრავალი სახის ორგანიზმი წარმატებით უმკლავდება გაყინვის ტემპერატურას იმ მექანიზმების გააქტიურებით, რომ-ლებიც საშუალებას აძლევენ მათ თავიდან აიცილონ გაყინვა (Somme 1964, Baust 1973).

წყლის გაყინვის წერტილი შეიძლება შესუსტებულ იქნას გახსნილი ნივთიერებების მეშვეობით, რომლე-ბიც ხელს უშლიან ყინულის ფორმირებას, მაგალითად, ზღვის წყლის მეშვეობით, რომელიც შეიცავს დაახ-ლოებით 3,5% გახსნილ მარილს, გაყინვის წერტილი არის 1,9°C. ხერხემლიანთა უმრავლესობის სისხლი და სხეულის ქსოვილი ზღვის წყლის მარილის შემცველო-ბის ნახევარზე ნაკლებ მარილს შეიცავს და ამიტომ, შეიძლება გაიყინოს უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე ოკეანე. უფრო მარილიან სისხლს შეეძლო, სა-შუალება მიეცა ხერხემლიანებისთვის, პოლარულ ზღვებში ეარსებათ, მაგრამ ცილების სტრუქტურა და ფუნცქიები ზედმეტად მგრძნობიარეა მარილის კონცენტრაციის მიმართ ამგვარი პრაქტიკული გამო-სავლის აღსრულებისთვის. მრავალი ორგანიზმი ამ-ცირებს სხეულის გაყინვის წერტილს დიდი რაოდენ-ბით (30%-ამდე ზოგიერთ სახელებთო ხერხემლიანში) გლიცერინისა და გლიკოლპროტეინების საშუალებით, რომლებიც ანტიფრიზის სახით მოქმედებენ. მათი არ-

სეპობა სისხლსა და ქსოვილში საშუალებას აძლევს არქტიკულ თევზებს, იყვნენ აქტიურნი ზღვის წყალში, რომელიც ზომიერი და ტროპიკული ზღვის თევზების სისხლის ნორმალური გაყინვის წერტილზე ცივია (DeVries 1980, 1982).

მეორე გამოსავალს გაყინვის პრობლემიდან გადაციება წარმოადგენს. გარკვეულ პირობებში სითხეები შეიძლება დაეცნენ გაყინვის წერტილის ქვემოთ ყინულის კრისტალების ფორმირების გარეშე. ყინული, როგორც წესი, ფორმირდება რაიმე ობიექტის, თესლის გარშემო, რომელიც შეიძლება იყოს ყინულის კრისტალი ან სხვა რომელიმე ნაწილაკი. თუ ამგვარი თესლი არ არსებობენ, სუფთა წყალი შეიძლება თავის გაყინვის წერტილზე 20°C-ით ნაკლებ ტემპერატურამდე გაცივდეს. ამრიგად, თუ ორგანიზმი შეძლებს, გამოდევნოს თესლი თავისი სხეულის სითხეებიდნ, მას შეეძლება გადარჩეს ძალიან ცივ ტემპერატურაზე. დადგინდა, რომ გადაციების დონე რეპტილიებში არის 10°C (Packard et al. 1997) და 18°C – ხერხემლიანებში, კერძოდ მწერებსა და ობობებში (e.g., Baust and Morrissey 1975, Catley 1992, Bayram and Luff 1993, Storey et al. 1993, Danks et al. 1994, Lee et al. 1994, Van der Merwe et al. 1997). მწერებში გადაციების წერტილი შეიძლება გაზრდილ იქნას ბაქტერიებისა და სოკოს არსებობით, რომლებიც ხელს უწყობენ ყინულის კრისტალების ფორმირებას (Lee et al. 1993, Lee et al. 1994). როდესაც ამგვარი ბაქტერია ან სოკო შთაინთქმება მწერის მიერ, ზამთარში შეიძლება მნიშვნელოვანმა სიკედილიანობამ იჩინოს თავი. მიჩნეულია, რომ შესაძლებელია ზოგიერთი პარაზიტული მწერის კონტროლირება ბაქტერიებისა და სოკოს გამოყენებით (Lee et al. 1993). გადაციება არ შეინიშნება ზოგიერთ ცხოველში, როგორიცაა, მაგალითად, ამფიბიები, რადგან ამფიბიების წყალგამტარ კანს არ შეუძლია შეაჩეროს სხეულში თესლის ფუნქციის შესაძლო მატარებელი მცირე ყინულის კრისტალების ან სხვა ნაწილაკების შელნევა (Pinder et al. 1992). მცენარეთა ხის საფარი შეიძლება გადაცივდეს 15°C-მდე და ზოგი ქსოვილი, როგორიცაა, ვთქვათ, ნინოვანი ხეების კვირტი, შეიძლება გადაცივდეს 40°C-მდე (Burke et al. 1976, George et al. 1982, Hopkins 1995). მცენარეებში გადაციება მიიღწევა დაახლოებით იმავენაირად, როგორც ცხოველებში: ქსოვილის სითხეებს არ აქვთ სტრუქტურა, რომლის გარშემოც ყინულის კრისტალების ფორმირება შეიძლება.


და ბოლოს, ზოგიერთ მცენარესა და ცხოველს შეუძლია, აიტანოს სხეულის სითხეების მთლიანი ან უმეტესი ნაწილის გაყინვა. ამგვარი ორგანიზმები ფლობენ მექანიზმებს, რომლებიც ზღუდავენ ყინულის ფორმირებას უჯრედებს შორის სივრცეში და არა უჯრედში. ვინაიდან მარილები გამოიდევნებიან ყინულიდან და ამიტომ გროვდებიან თხევად წყალში უჯრედებს შორის, ყინვაგამძლე ცხოველები უნდა გაუმკავდნენ მარილის საოცრად მაღალ დონეებს ზამთარში.

ხერხემლიან ცხოველებს შორის, ბაყაყთა მხოლოდ მცირე რაოდენობას (სულ ოთხი სახეობა), როგორიცაა სალამანდრები და ადრეული განვითარების დონეზე მყოფი მოხატული კუ (*Chrysemys picta marginata*), აღმოაჩინდათ მექანიზმი თრგანიზმის სითხეებიდან ყინვის განსადევნად (Pinder et al. 1992, Packard et al. 1997). ამ სახეობებში უჯრედთაშორისი სითხეები იყინება წყლის გაყინვის წერტილზე დაბალ ტემპერატურაზე (დაახლოებით 10°C). ინტესტიციალური სითხეების გაყინვას გამოაქვს წყალი ხსნადი ნივთიერებებიდან, რითაც ზრდის მარილის კონცენტრაციას დარჩენილ სითხეებში, ხდის რა მათ ჰიპერტონულებს უჯრედის შიგთავსის მიმართ. ეს იწვევს წყლის ქსელურ მოძრაობას უჯრედიდან გარეთ და მარილების მოძრაობას უჯრედში. ამ პროცესის დროს ხსნადების კონცენტრაცია გამომშრალ უჯრედში იზრდება მანამ, სანამ გაყინვის წერტილი საოცრად დაბალ მაჩვენებელზეა გაჩრებული (ეს მონათესავეა მექანიზმისა, როდესაც ამცირებებ წყლის გაყინვის წერტილს მასში მარილის დამატებით). უჯრედშორის სივრცეებში გაყინვის შეზღუდვა აფერხებს ნაზი უჯრედების ორგანელების დაზიანებას ყინულის კრისტალების მიერ ისევე, როგორც ამცირებს უჯრედის შიგნით არსებული სითხეების გაყინვის წერტილს. თუმცა უჯრედმა კვლავ უნდა განაგრძოს ფუნქციონირება, ყოველ შემთხვევაში, მინიმალურ დონეზე მაინც, დრამატულად გაზრდილი ხსნადი ნივთიერებების კონცენტრაციის პირობებში, თუ ცხოველს ყინვის გადატანა სურს.

მცენარეები, რომლებიც პოლარულ განედებში ან დიდ სიმაღლეზე არსებობენ, ხშირად არიან საკმარისად ცივი ტემპერატურის გავლენის ქვეშ. ზოგიერთი მცენარე, როგორიცაა ლარიქსი (*Laryx dahurica*), რომელმაც უნდა გაუძლოს ციმბირულ ზამთრებს, სადაც ტემპერატურა შეიძლება დაეცეს 70°C-მდე, იტანს თავისი ქსოვილების გაყინვას. ხშირად ამგვარ სახეობებში ისეთი ქსოვილები, როგორიცაა თესლი, საქმაოდ გამომშრალია და არ იყინება. როგორც ამფიბიებსა და სხვა ყინვაგამძლე ცხოველებში, ამ მცენარეთა ყინულის ფორმაციაც იზღუდება უჯრედის გარეშე არეალების მიერ, რითაც მცირდება უჯრედული დაზიანება ყინულის ფორმაციების მეშვეობით (Hopkins 1995).

## 5.6 გამოსხივება, გამტარობა და კონცეპცია განსაზღვრავან ხელითზე მოპირდალე ორგანიზმების თარგმულ გარემოს

ობიექტების მიერ შთანთქმული მზის გამოსხივების უმეტესი ნაწილი სითბოდ გადაიქცევა. დედამინა თბება დღის განმავლობაში და გრილდება ღამით. როდესაც დღის ხანგრძლივობა იზრდება ზაფხულში და მზე ცაში ზევით ინევს, გარემო სულ უფრო თბილი ხდება, რადგან ყოველდღე იმაზე მეტ სითბოს იღებს, ვიდრე



**სურ. 5-19** მცენარესა და მის გარემოს შორის სითბოს გაცვლის გზები გამოსხივებით, კონვექციითა და აორთქლებით (After Gate 1980).

კარგავს. მზე ათბობს ატმოსფეროს, რითაც იწვევს მის გაფართოვებას და ამრიგად, იქმნება ქარი. წყლის მიერ შთანთქმული ენერგია წარმოადგენს აორთქლებისთვის საჭირო სითბოს უდიდეს წყაროს.

სითბო არის სისტემაში მოლეკულათა მთლიანი კინეტიკური ენერგია. სისტემის ტემპერატურა არის

მოლეკულათა საშუალო კინეტიკური ენერგია. როგორც მესამე თავში განვიხილეთ, თითოეული ობიექტი და ორგანიზმი მუდმივად ცვლის სითბოს გარემოსთან. როდესაც გარემოს ტემპერატურა აჭარბებს ორგანიზმისას, ორგანიზმი იღებს სითბოს და უფრო თბება. როდესაც გარემო გრილი ხდება, ორგანიზმიც კარგავს სითბოს და ცვლდება. ორგანიზმის სითბოს ბიუჯეტი მოიცავს სითბოს მოპოვებისა და დაკარგვის გზებს (სურ. 5-19). როდესაც ტემპერატურა განონასწორებულია, სითბო თანაბრად იკარგება. როდესაც მოგება აჭარბებს დანაკარგს, ენერგია ინახება ან გროვდება სხეულში და ორგანიზმის ტემპერატურა იწევს. როდესაც დანაკარგი აჭარბებს მიღებას, მისი ტემპერატურა ეცემა.

**გამოსხივება** არის ელექტრომაგნიტური ენერგიის შთანთქმა ან გამოყოფა. გამოსხივების წყაროები გარემოში არის მზე, ცა (გაფანტული სინათლე) და ლანდშაფტი, მათ შორის მცენარეულობაც. ღამით, იმის მიუხედავად, რომ ვერ ვხედავთ ინფრანიტელ გამოსხივებას, მზეზე გამობარი იბიექტები ხელახლა ასხივებენ თავიანთ შენახულ სითბოს გარემოს გრილი ნაწილებისაკენ და საბოლოოდ — სივრცეში. ორგანიზმთა სხეულები, განსაკუთრებით თბილისხლიანი ფრინველებისა და ძუძუმწოვრებისა, ხშირად ღამით ყველაზე მკაფიო იბიექტებია (სურ. 5-20). ვინაიდან გამოსხივება იზრდება თემოდინამიკული ტემპერატურის (K) მეოთხე ხარისხით, ჩვენ ვასხივებთ უსაზღვროდ დიდი რაოდენობის ენერგიას კრიალა, ღამის შავ ცაზე. ჩვენ ასევე შეგვიძლია გამოსხივების მიღება ატ-



**სურ. 5-20** კანალური ბატების თერმული სურათები გრილი დილის მდელოზე. ცხადია, რომ ბატები მეტ ენერგიას კარგავენ კისრებიდან და ფეხებიდან, ვიდრე კარგად იზოლირებული სხეულიდან (სურათი მოგვაწოდა რ. ბუნსტრამ, from Boonstra et al. 1995)

მოსფერული წყლის ორთქლისა და მცენარეულობის-გან, რომლებიც აბალანსებენ ჩვენს გამოსხივებას.

**გამტარობა (კონდუქცია)** არის კინეტიკური ენერგიის ტრანსფერი კონტაქტში მყოფ ნივთიერებებს შორის ან ნივთიერების ერთი ნაწილიდან მეორეში. ნივთიერების თერმული გამტარობა (k) გამოიხატება გატებში (ჯოულები წამში), ნორმალიზდება განვივეთის ფართობის (სმ<sup>2</sup>), განვლილი მანძილის ინვერსიის (სმ<sup>-1</sup>) და ტემპერატურის გრადიენტის (°C) მიერ. ამრიგად, კონდუქციის ერთეულებია: ვტ, სმ<sup>2</sup>, სმ, °C და ვტ სმ<sup>-1</sup> °C<sup>-1</sup>. ნივთიერებები დიდად განსხვავდებიან სითბოს გამტარობის შესაძლებლობებით. ვერანაირი სითბო ვერ გაივლის ვაკუუმში (k = 0). ზოგიერთი მეტალი, როგორიცაა ვერცხლი (k = 4,3) და სპილენდი (k = 4,0), სწრაფად ატარებენ სითბოს. გამტარობის დონე ორ ობიექტს შორის ან ორგანიზმის შინაგან და გარეგან გარემოს შორის, დამოკიდებულია ზედაპირის საიზოლაციო ოვისებებზე (გამდლენბა სითბოს ტრანსფერის მიმართ, k-ს ფუნქცია და ზედაპირის სისქე), ზედაპირის არეალსა და ტემპერატურის გრადიენტზე. ორგანიზმს შეუძლია, მოიპოვოს ან დაკარგოს სითბო იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულებაა ორგანიზმისა და გარემოს ტემპერატურებს შორის.

**კონვექცია** არის სხვადასხვა ტემპერატურის სითხეთა და აირთა მოძრაობა, კერძოდ ზედაპირებზე, რომლებზეც ხდება სითბოს ტრანსფერი გამტარობის გამო. ხშირად სითხები და აირები მოძრაობენ არეულად მორევებისა და ნაკადების სახით. ჰაერი სითბოს ცუდად ატარებს. უძრავი ჰაერის სასაზღვრო ფენა ფორმირდება სხეულის ზედაპირზე. თბილი სხეული ათბობს ამ სასაზღვრო ფენას თავისი ტემპერატურით, ეფექტურად იზღვვეს რა თავს სითბოს კარგვისგან. ჰაერის დინებას ზედაპირზე შეუძლია, დაარღვიოს სასაზღვრო ფენა და გაზარდოს გამტარობით სითბოს ცვლის დონე. სითბოს სხეულიდან კონვექცია არის საფუძველი ქარით გაგრილების ეფექტისა. ცივ დღეს ჰაერის მოძრაობა უფრო მეტი სიცივის შეგრძნებას გვიტოვებს, ვიდრე ეს სინამდვილეში ხდება. მაგალითად, როდესაც 7°C დროს 32 ქმ/სთ ქარიულებას, სიცივე აღწევს 23°C -ს.


წყლის **აორთქლება** მოიხსენება სითბოს. სხეულის ზედაპირიდან 1 გ წყლის აორთქლება ჩამოაშორებს 2,43 კჯ სითბოს 30°C-ზე. როდესაც მცენარები და ცხოველები ცვლიან ენერგიას გარემოსთან, წყალი ორთქლდება მათი რესპირატორული ზედაპირებიდან. მცენარეებში წყლის აორთქლებას ფოთლების ზედაპირიდან **ტრანსპირაცია** ეწოდება. აორთქლების, ტრანსპირაციული სითბოს კარგვის დონე დამოკიდებულია ორგანიზმის ზედაპირზე არსებული წყლის რაოდენობაზე, ჰაერისა და ზედაპირის შედარებით ტემპერატურაზე და ატმოსფეროს ორთქლის წნევაზე. ორთქლის წნევა არის საზომი ატმოსფეროს შესაძლებლობისა — შეიკავოს წყალი. როდესაც ორთქლის წნევა ატმოსფეროში გამოხატულია, ის წარმოადგენს წყლის ორთქლის ფრაქციულ წონას გაჯერებულ

ჰაერში. ამრიგად, 30°C ატმოსფეროს ორთქლის წნევა არის 0,042 ატმ, რაც ნიშნავს, რომ ჰაერს შეუძლია 4,2% წყლის შეკავება წონით. როდესაც წყლის წვეთებით გაჯერებული ჰაერის ტემპერატურა ეცემა 30°C-დან 20°C-მდე, მისი წყლის შეკავების შესაძლებლობა ეცემა 4,2%-2,3% და განსხვავება თოთქმის 2% კონდენსირდება და ქმნის ღრუბლებს ან ატმოსფერულ დანალექებს.

სითბოს მსგავსად, სინოტივეც შეიძლება შეკავებულ იქნას ჰაერის სასაზღვრო ფენის მიერ, რომელიც ფორმირდება სხეულის გარშემო. კონვექცია არღვევს საზღვარს ისევე, როგორც გამტარობით სითბოს კარგვას. რადგანაც თბილი ჰაერი უფრო მეტ წყალს იკავებს, ვიდრე ცივი ჰაერი (51 g m<sup>-3</sup> 40°C-ზე; 17,3 g m<sup>-3</sup> 20°C-ზე და 4,8 g m<sup>-3</sup> 0°C-ზე), მას უფრო მეტი წყლის აორთქლების პოტენციალი აქვს, ვიდრე ცივ ჰაერს. როდესაც წყალი უხვად მობავება ცხელ კლამატებში, ცხოველები აორთქლებენ წყალს თავიანთი კანიდან და რესპირატორული ზედაპირებიდან, რათა გაგრილდენენ. ცივ გარემოში თბილსისხლიანი ცხოველებისთვის აორთქლება შეიძლება გახდეს აუცილებელი პრობლემა, როდესაც მცირე რაოდენობის წყლის შემცველი ცივი ჰაერი თბება სხეულის ზედაპირთან კონტაქტისას. ზამთრის დღეებში ჩვენ ამგვარი წყლის კარგვის მაგალითებს ვხედავთ, როდესაც ფილტვების თბილი ზედაპირიდან აორთქლებული წყალი კონდენსირდება, როცა ჩვენი სუნთქვა ერევა ცივ ჰაერს.

## 5.7 აღაპტაციების შედეგად ორგანიზმის რატიობალური ტემპერატურა გარემოს ტემპერატურას ევთევევა

ნახშირორუჟანგი, უანგბადი და ნიადაგის მკვებავი ნივთიერებები, განსხვავებით ტემპერატურისა და მარილის კონცენტრაციისგან, გავლენას ახდენენ ორგანიზმზე. ეს გავლენა გამოიხატება იმ დონეებში, რომლებითაც მიმდინარეობენ ფიზიკური და ბიოქიმიური პროცესები და ასევე გამოიხატება იმ ეფექტებში, რომლებსაც ისინი ახდენენ ისეთი ბიოქიმიურად მნიშვნელოვანი მოლეკულების სტერუტურაზე, როგორიცაა ცილები და ლიპიდები (Hochachka and Somero 1973, 1984). ამგვარი ინტერაციების შედეგად, ყოველ ორგანიზმს ზოგადად აქვს პირობათა ვინწრო დიაპაზონი, რომელსაც ის საუკეთესოდ ერგება, რომელიც განსაზღვრავს მის თანამდებობას. ოპტიმუმი ბუნებრივი გადარჩევის საგანია, რომელიც მოქმედებს უჯრედების ქსოვილებში ფერმენტებისა და ლიპიდების ფუნქციათა ცვლილებებზე, რათა ხელი შეუწყოს ორგანიზმების ფუნქციონირებას გარემოს გარკვეულ პირობებში. პირობათა დიაპაზონი, რომლის ატანაც ინტერაციების შეუძლიათ, საკმაოდ ცვალებადია. ამტანობის ფართო დიაპაზონის მქონე (ასე ვთქვათ, ფიზიოლოგიური გენერალისტები) ორგანიზმებს ევრიტიპური ორგანიზმები ეწოდებათ. ვინწრო ამტანობის დიაპაზონის



**სურ. 5-21** არსებული აღნიშნული ფერმენტების აქტივობის დონეები *Halobacterium salinarium* პალიფილურ ბაქტერიები (მწვერე მრუდი) და *S. morrehue*-ში (ნაცრისფერი მრუდი). ეს უკანასკნელი არის ბაქტერია, რომელსაც არ შეუძლია მარილის მდალი კონცენტრაცია არის დაახლოებით 0,6 მოლი. (After Larsen 1962.)


მქონე ორგანიზმებს (ფიზიოლოგიური სპეციალისტები) კი — **სტენოტიპური**. გარემო პირობების ოპტიმუმში მომხდარი ძვრები შეგვიძლია დავინახოთ მარილის დაბალი კონცენტრაციებზე ადაპტირებულ ბაქტერიებსა და კონცენტრირებულ მარილწყალში მობინადრე ჰალოფილურ სახეობებში არსებულ სხვადასხვა ფერმენტებზე მარილის კონცენტრაციების ეფექტების შედარებით (სურ. 5-21). თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ოპტიმალური მარილის კონცენტრაცია ჰალოფილური *Halobacterium salinarium*-სთვის ძალიან მაღალია, მის ყველა ინდივიდუალურ ფერმენტს როდი აქვს მარილის მაღალი ოპტიმუმი. ისინი ოდნავ მაღალია მარილის კონცენტრაციებისადმი არაადაპტირებული სახეობების ოპტიმუმზე.

როგორც წესი, წყლის გაყინვის წერტილსა ( $0^{\circ}\text{C}$ ) და ცოცხალ ფორმათა უმრავლესობის ტემპერატურის ზედა ზღვარს ( $40^{\circ}\text{-}50^{\circ}\text{C}$ ) შორის მაღალი ტემპერატურა აჩქარებს ცხოვრების ტემპს ორგანიზმისა და მისი გარემოს კინეტიკური ენერგიის გაზრდით. ტემპერატურა გავლენას ახდენს ისეთ ფიზიკურ პროცესებზე, როგორებიცაა დიფუზია და აორთქლება, აგრეთვე ბიოქიმიურ რეაქციებზე. მაგალითად, გაზრდილი ტემპერატურა აჩქარებს აირების დიფუზიას ფრინველის კვერცხის ნაჭუჭში ან მინერალური იონების დიფუზიას გრუნტის წყლებში. ტემპერატურა ასევე გავლენას ახდენს ფერმენტებისა და სხვა ცილების ფორმაზე, რადგან ასეთ მოლეკულებზე გადაცემულ სითბოს ენერგიის შეუძლია, დაშალოს ის სუსტი ძალები, რომლებიც ინარჩუნებენ სტრუქტურას. ყოველი ფერმენტი საუკეთესოდ ფუნქციონირებს ტემპერატურათა ვი-

ნო დიაპაზონში, რომელსაც განსაზღვრავს ამინომ-უვათა თანმიმდევრობა მის ცილების ჯაჭვში (ცილის თავდაპირველი სტრუქტურა) და განსაზღვრავს ისიც, თუ როგორ მოქმედებენ ისინი ბმებზე, რომლებიც ცილების გარკვეულ კონფიგურაციებს ქმნიან. ეს თან-მიმდევრობანი წარმოადგენენ ცხადია, ევოლუციური მოდიფიკაციების საგნებს.


ტემპერატურული ადაპტაცია მულავნდება გარე-მოდან აღებული სხვადასხვა ტემპერატურული მახა-სიათებლის მქონე ორგანიზმების შედარებით. როდე-საც ჩვენ ვაკვირდებით სხვადასხვა ტემპერატურაზე ამ ორგანიზმების ქცევას, ვამჩნევთ, რომ თითოეული მათგანი, როგორც წესი, ახორციელებს მაქსიმალურ აქტივობას ისეთი ტემპერატურის პირობებში, რო-მელიც მისი ბუნებრივი პირობების ტემპერატურას შეესაბამება. მრავალი თევზი ყინულოვან კეენეში ანტარქტიკის გარშემო ისევე აქტიურად ცურავს, როგორც ტროპიკული მარჯნის რიფების ბინადარი თევზი. უანგბადის მოხმარებასა და წყლის ტემპერ-ატურას შორის ურთიერთობის ამსახველი გრაფიკები გვიჩვენებენ, რომ ცივი წყლის თევზების მეტაბოლური დონეები იმდენად მორგებულია, რომ ცივ წყალში მათი აქტივობის დონეები უტოლდება თბილ წყალში მობი-ნადრე თევზების აქტივობას (სურ. 5-22). ტროპიკული თევზი რომ ცივ წყალში მოვათავსოთ, ის პასიური ხდება და მალე კვდება. შესაბამისად, ანტარქტიკიდის თევზებს არ შეუძლიათ, გაუძლონ  $5^{\circ}\text{-}10^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალ ტემპერატურას.

როგორ შეიძლება ცივ გარემოში მობინადრე თე-ვზები მეტაბოლურად ისეთივე აქტიურები იყვნენ,



სურ. 5-22

როგორც თევზები ტროპიკებიდან? მეტაბოლიზმი შედგება ბიოქიმიურ ტრანსფორმაციათა სერიებისგან, რომელთა უმრავლესობის კატალიზატორები ფერმენტები არიან. რადგანაც მოცემული ტრანსფორმაცია თავს უფრო სწრაფად მაღალ ტემპერატურებზე იჩენს, ვიდრე დაბალზე, სიცივესთან ადაპტირებულ თევზებში აღმოჩენილმა კომპენსაციამ უნდა მოიცვას იმ სუბსტრატების ან ფერმენტების რაოდენობრივი ზრდა, რომელიც ამ პროცესში თითოეული ნაბიჯის კატალიზატორები არიან (Somero 1978). მრავალი ფერმენტი თავს იჩენს შედარებით განსხვავებული ფორმებით, რომელებიც ხასიათდებიან ცილების ჯაჭვები ამინომჟავების ცვლილებით. ამ ფორმებს უწოდებენ **იზოფერმენტებსა და იზოენზიმებს**. მათი განსხვავება, როგორც წესი, გენის მცირე ცვლილებიდან გამომდინარეობს, რომელიც შიფრავს ცილის სტრუქტურას.




სუბსტრატების კონცენტრაცია

**სურ. 5-23** ფერმენტების რეაქციის, როგორც სუბსტრატების კონცენტრაციის ფუნქციის სიჩქარე. რეაქციის დონეები თანაბრძება, როდესაც ფერმენტები გაჯერებულია ( $V_{θ₀f₀}$ ). მიზაილს-მენტანის კონსტანტა ( $K_m$ ) არის სუბტრატების კონცენტრაცია, რომელიც რეაქცია მიმდინარეობს თავის მაქსიმულური დონის ნახევარი ძალით.

ფერმენტთა სტრუქტურები განსხვავდებიან არა მარტო სხვადასხვა სახეობის პოპულაციებსა და წარმომადგენლებს შორის, არამედ ერთზე მეტმა ფერმენტის ფორმამ შეიძლება იჩინოს თავი ერთსა და იმავე პოპულაციაში და ერთ ინდივიდშიც კი (მამისა და დედისგან სხვადასხვა სახის ფერმენტები შეიძლება იქნეს გადაცემული).

იზოლირებული ფერმენტების ფუნქციონირების ლაბორატორიულმა კვლევამ ბევრ შემთხვევაში გვიჩვენა, რომ სხვადასხვა იზოფერმენტს სხვადასხვა კატალიზური თვისება აქვს, როდესაც მათ სხვადასხვა ცემპერატურაზე, pH, მარილის კონცენტრაციებსა და სუბსტრატების ხელმისაწვდომობაში ცდიან. კატალიზური შესაძლებლობის გაზომვის ერთ-ერთი გზა არის ის სიადვილე, რომლითაც ფერმენტი უერთდება სუბსტრატს. ეს, როგორც წესი, გამოხატულია **მიქალ-მენტანის კონცენტრაციას (Km)** სახით, რაც წარმოადგენს სუბსტრატის კონცენტრაციას, რომლის დროსაც რეაქციის სიჩქარე მისი მაქსიმუმის ნახევარს უდრის. ოპტიმალურად ადაპტირებულ ფერმენტებს ეს მუდმივა სუბსტრატების კონცენტრაციის იმ დიაპაზონში აქვთ, რომელიც როგორც წესი, ქსოვილებში მოიპოვება. კატალიზური რეაქციის დონე, ამრიგად, ძალიან მგრძნობიარეა სუბსტრატის კონცენტრაციებში მომხდარი ცვლილებების მიმართ (სურ. 5-23). Km სიდიდეები ლაქტატდეპილროგენაზის (LDH) იზოფერმენტებისთვის ბარაკუდების სამ სახეობაში ასახავს კომპენსაციას. იმ ტემპერატურათა დიაპაზონში, რომელსაც თითოეული ამ სახეობათაგანი აწყდება, გარკვეული LDH-ების Km სიდიდეები ერთნაირია (სურ. 5-24).

მეტაბოლური კომპენსაციის სურათი ცხადია, საოცრად გამარტივებულია. გარემოში ცვლილებები-



**სურ. 5-24** ურთიერთობა Km-სა და ტემპერატურას შორის სამი სახეობის ბარაკუდას (*Sphyraena*) ფერმენტებში ზომიერი (I), სუბტროპიკული (St) და ტროპიკული (Tr) წყლებიდან. ტემპერატურის კომპენსაციის გამო ამ სამი სახეობის K\_m³-ები თითქმის იდენტურია მათი გარემოს ნორმალური ტემპერატურის დიაპაზონის ფარგლებში. (After Hochachka and Somero 1984.)

სადმი ადაპტირება მოითხოვს მეტაბოლური გზების სრულ გადაწყობას, რაც შეიძლება მოიცავდეს ცვლილებებს ფერმენტთა სტრუქტურაში და კონცენტრაციში. შესაძლებელია საერთოდ სხვა მეტაბოლური გზების გამოყენებაც. მეტაბოლური სისტემის ევოლუცია სრულად გაგებული არ არის და იგი ცხადია, ჩვენი ახლანდელი განხილვის მასშტაბს სცდება. ცხოველები და მცენარეები იყენებენ მთელ რიგ სტრუქტურულ და ფუნქციურ ადაპტაციებს, რომლებიც ახდენენ მათსა და ბუნებას შორის ურთიერთობის ოპტიმიზაციას (Hochachka and Somero 1984, Prosser 1986).

## 5.8 ხელეთის ორგანიზმებისთვის ცენტრ გაკავერა ტემპერატურის მატებას-თან ერთად უფრო ძველი ხდება

სითბური სტრესის თავიდან აცილება კრიტიკული მნიშვნელობისაა ინდივიდთა გადარჩენისთვის. ძუძუმწოვრები და ფრინველები სხეულის ტემპერატურას ინარჩუნებენ მაქსიმალური ლეტაბლური ტემპერატურიდან მხოლოდ 6°C-ით ქვემოთ. ესაა ტემპერატურა, რომელიც ზედმეტად მაღალია იმისთვის, რომ ფიზიოლოგიურმა პროცესებმა გააგრძელონ მოქმედება. გრილ გარემოში მცენარეები და ცხოველები ფანტაგენ აქტივობით დაგროვებულ ან მზისან შთანთქმულ ზედმეტ სითბოს მისი გარემოსადმი გადაცემით (გამტარობა) და გამოსხივებით. მაგრამ როდესაც ჰაერის ტემპერატურა უახლოვდება ან აჭარბებს სხეულის ტემპერატურას, ინდივიდებს სითბოს კარგვა მხოლოდ კანიდან და რესპირატორული ზედაპირებიდან წყლის აორთქლების მეშვეობით შეუძლიათ. უდაბნოებში წყლის იშვიათობა აორთქლებით სითბოს კარგვას ძვირადღირებულ მექანიზმად აქცევს. ცხელ, ნოტიო კლიმატში ჰაერის წყლის ორთქლის წევევა ანტლებს სხეულის ზედაპირიდან აორთქლებას და აორთქლებით ამცირებს სითბოს კარგვის კოეფიციენტს. ნებისმიერ შემთხვევაში, ცხელ გარემოში სითბოს ბიუჯეტის დაბალანსებისთვის ორგანიზმები ხშირად იძულებული არიან შეამცირონ სითბოს შემგროვებლობითი საქმიანობა, გამოიყენონ გრილი მიკროკლიმატი ან განახორციელონ სეზონური მიგრაციები გრილი რეგიონებისკენ (სურ. 5-25). უდაბნოს მრავალი მცენარე მიმართავს ფოთლებს იმგვარად, რომ თავი აარიდოს მზის პირდაპირ სხივებს (Ehleringer and Forseth 1980, Schulze et al. 1987), ან ჩამოყრის მათ, რათა გახდეს პასიური სითბოსა და წყლის ერთობლივი სტრესების პერიოდებში.

სითბური სტრესის არარსებობის პირობებშიც კი ცხელი, მშრალი გარემო ართმევს სხეულს წყალს მხოლოდ იმიტომ, რომ სხეულის ზედაპირზე წყლის ორთქლის წევევა იზრდება ტემპერატურასთან ერთად. ორთქლის წევევა მკვეთრად მრავალება ტემპერატურის თითოეულ 10°C-იან ზრდასთან ერთად. იქ, სადაც

წყალი იშვიათია, ხშირია ადაპტაციები წყლის კარგვის შესამცირებლად. ძუძუმწოვრებს შორის ჩანთოსანი ვირთხა კარგად არის ადაპტირებული ფაქტობრივად უწყლო გარემოსთან მთელი რიგი კარგად განვითარებული წყლის შემნაცველი მექანიზმების საშუალებით (Schmidt-Nielsen and Schmidt-Nielsen 1952, 1953). მაგალითად, ჩანთოსანი ვირთხის კუჭ-ნაწლავი შთანთქქავს წყალს ნარჩენი ნივთიერებებისგან იმდენად ეფექტურად, რომ მისი ფერალები ფაქტობრივად მშრალია.

ცხოველთა უმრავლესობაში წყლის კარგვის რეპირატორული გზა ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. ჩანთოსანი ვირთხები ფილტვებიდან აორთქლებულ წყალს უკან იბრუნებენ ცხვირის გაფართოებულ ღრუში კონდენსაციის საშუალებით (Schmidt-Nielsen et al. 1970). როდესაც ჩანთოსანი ვირთხა შეისუნთქავს მშრალ ჰაერს, სინესტე მისი ცხვირის ღრუში ირგვება როთქლება, რითაც აგრილებს ცხვირს და ასველებს შესუნთქულ ჰაერს. როდესაც წოტიო ჰაერი ამოისუნთქება ფილტვებიდან, მისი წყლის შემცველობის უდიდესი ნაწილი კონდენსირდება ცხვირის ღრუში. კონდენსაციისა და აორთქლების მონაცვლეობით სუნთქვის დროს ჩანთოსან ვირთხებს მინიმუმადე დაჰყავთ რესპირატორული გზით წყლის დანაკარგი.

ექსტრემალურად ცხელ გარემოში, სადაც გარემო ტემპერატურა აჭარბებს სხეულის ტემპერატურას, ორგანიზმებს შეუძლიათ გაგრილება მხოლოდ აორთქლების მეშვეობით. ასე რომ, თუ წყალი თავისუფლად ხელმისაწვდომი არ არის, ინდივიდებმა უნდა შეამცირონ აქტივობა ან უნდა ექცეპტონ გრილი მიკროგარემო სითბოსა და წყლის ბიუჯეტის დასაბალანსებად. ჩანთოსანი ვირთხა ამას მხოლოდ კვებითი აქტივობის დამის გრილ პერიოდებამდე შეზღუდვით ახერხებს,



**სურ. 5-25** ბავეუდიანი კალიფორნიული კურდღლელი, რომელიც ეძებს თავშესაფარს სამხრეთ არზონის მნიშვნელოვან კურდღლების ზე ჩრდილში. უდაბნოში მობინადრე ბავეუდიანი კურდღლების მსხვილი ყურები და გრძელი ფეხები ეფექტურად ასხივებენ სითბოს, როდესაც გარემო მათ სხეულზე უფრო დაბალი ტემპერატურისაა (U.S. Fish and Wildlife Service-მა მოგვაწოდა)

დღის საათებს მიწის ქვეშ შედარებით გრილ, მშრალ გარემოში ატარებს. მისგან განსხვავებით, თრიები დღის განმავლობაში აქტიური რჩებიან, რასაც წყლის აორთქლებით და გაგრილების შეზღუდვით აღნევენ. ამის შედეგად, მათი სხეულების ტემპერატურა იზრდება, რადგან ისინი მიწის ზემოთ იმყოფებიან და მზის ზემოქმედებისადმი მისაწვდომები არიან. სანამ

მათი სხეულის ტემპერატურა საშიშ მაჩვენებელს მიაღწევს, ისინი უბრუნდებიან გრილ სოროებს, სადაც თავისუფლდებიან ზედმეტი სითბოს მუხტისაგან გამტარობით და გამოსხივებით და არა აორთქლებით. ამგვარად, თრიები აქტიურდებიან დღის სიცხეში და იხდიან შედარებით მცირე საფასურს წყლის კარგვის სახით (Hudson 1962).

## დასკვნა

**1.** ცოცხალ სისტემებში ენერგიის ტრანსფორმაციები და მყარებულია ნახშირბადისა და უანგბადის ქიმიაზე. ფოტოსინთეზის პროცესში ნახშირბადის რაოდენობა მცირდება და იქმნება ორგანული მოლეკულები, რომლებითაც მცენარე სინათლის ენერგიის ტრანსფორმაციას ახდენს ქიმიური ბერების პოტენციურ ენერგიად. სუნთქვაში ორგანული მოლეკულები იუანგბადიან, ათავისუფლებენ რა ენერგიას სითბოს სახით და ატფ-ის სინთეზისთვის.

**2.**  $\text{CO}_2$ -ის გრადიენტი ატმოსფეროსა და ხმელეთის მცენარეების სხეულებს შორის უფრო მცირეა, ვიდრე წყლის ორთქლის წნევის გრადიენტი. ამრიგად წყლის კონსერვაცია მცენარეთათვის და მშრალი გარმოსთვის პრობლემას წარმოადგენს. წყლის მცენარეები არც ისე შეზღუდულები არიან  $\text{CO}_2$ -ის ხელმისაწვდომობით, როგორც ხმელეთის მცენარეები, რადგან  $\text{CO}_2$  კარგად იხსნება წყალში. გახსნილი  $\text{CO}_2$ -ის ნაწილი ქმნის ნახშირმჟავას ( $\text{H}_2\text{CO}_3$ ), რომელიც იშლება ბიკარბონატის ( $\text{HCO}_3^-$ ) და ნახშირმჟავის ( $\text{CO}_3^{2-}$ ) იონებად მრავალ ბუნებრივ წყალში. ნახშირბადი ამ იონებში შეიძლება პირდაპირ იქნეს გამოყენებული ფოტოსინთეზისას.

**3.** ფოტოსინთეზის სთვის ხელსაყრელია სხივების ტალღების სიგრძე 400ნმ (იისფერი) და 700ნმ-ს (წითელი) შორის, ხილულ სპექტრში. მცენარის ფოთლები შეიცავენ პიგმენტებს, ისეთებს, როგორიცაა ქლოროფილი (მწვანე) და კაროტინოდები (ყვითელი). ეს პიგმენტები შთანთქავენ ამ სინათლეს და იყენებენ მის ენერგიას.

**4.** წყლის მიერ სინათლის შთანთქმასა და გაფანტვას ზღუდავს სილრმე, რომელზეც ფოტოსინთეზი შეიძლება განხორციელდეს წყლის გარემოში. წყალი გრძელი სხივების ტალღებს უფრო ძლიერ შთანთქავს, ვიდრე მოკლეებს. ამიტომ მზარდ სილრმეში მწვანე შუქი დომინირებს. ღრმა წყლის წყალმცენარეებს აქვთ პიგმენტები, რომლებიც შთანთქავენ მწვანე სინათლეს. ზედაპირთან ახლოს არსებულ წყალმცენარეებს, სადაც უფრო მოკლე სისფერის მიერ და ლურჯი, აქვთ პიგმენტები, რომლებიც

შთანთქავენ ამ სხივებს. ფოტოსინთეზი თავს იჩენს მხოლოდ იმ სილრმეში, სადამდეც სინათლეს ჩაღნევა შეუძლია, ძირითადად ზედაპირთან ახლოს, ამას ევფოტური ზონა ეწოდება. ევფოტური ზონის ქვედა ლიმიტს, სადაც ფოტოსინთეზი აბალანსებს რესპირაციას, ეწოდება კომპენსაციის ნერტილი.

**5.** ფოტოსინთეზის განმავლობაში მცენარეები ახდენენ ნახშირბადის ასიმილირებას  $C_3$  (კელვინ-ბენსონის ციკლი) იმ გზის საშუალებით, რომლის კატალიზატორიც ფერმენტი რუბისკოა. ამ ფერმენტს ნაკლები კავშირი აქვს  $\text{CO}_2$ -სთან და ახორციელებს უანგვას მაღალ ტემპერატურაზე. მაღალ ტემპერატურასთან ადაპტირებულ მცენარეებში ( $C_4$  ტიპის მცენარეები) წინ წამოინია ნახშირბადის ასიმილაციის უფრო ეფექტურმა მეთოდმა, რომელიც ფოთოლში სივრცობრივად დაშორებულია  $C_3$  რეაქციებისაგან. უდაბნოს ცხელ გარემოში ზოგიერთი მცენარე იყენებს CAM ფოტოსინთეზს, რათა დროში განაცალკევოს ნახშირბადის ასიმილაციები და კელვინ-ბენსონის ციკლის რეაქციები.  $C_4$  და CAM ზრდიან წყლის გამოყენების კოეფიციენტს მაღალ ტემპერატურებზე, მაგრამ ენერგეტიკულად ნაკლებად ეფექტური არიან  $C_3$  ფოტოსინთეზთან შედარებით, რომელსაც უპირატესობა ენიჭება გრილ, ნოტიო გარემოში.

**6.** ტემპერატურა მოქმედებს ქიმიური რეაქციების დონეზე, ფერმენტების სტაბილურობასა და პროტეინების კონფორმაციაზე. ორგანიზმთა უმრავლესობა ცხოველმოქმედებს  $0^{\circ}\text{C}$  და  $45^{\circ}\text{C}$  შორის. უდაბნოს ზოგიერთი მცენარე აგავასა და კაქტუსის ოჯახებიდან ადაპტირებულია იმისთვის, რომ გაუმკლავდეს  $50^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალ ტემპერატურას გამოსხივებისადმი მათი ხელმისასნედომობის შემცირებით. ორგანიზმთა მრავალ სახეობას შეუძლია გადაიტანოს ძალიან დაბალი ტემპერატურა (ყინვის წერტილზე დაბლა) ისეთი მექანიზმების საშუალებით, რომლებიც საშუალებას აძლევენ მათ ან ყინვას გაუმკლავდნენ ან აიტანონ ყინვის ზემოქმედება.

**7.** ორგანიზმებსა და მათ გარემოს შორის სითბოს ტრანსფერის ოთხი გზა არსებობს. გამოსხივება

არის ელექტრონული ენერგიის შთანთქმა და გაცემა. გამტარობა არის სითბოს კინეტიკური ენერგიის ტრანსფერი კონტაქტში მყოფ ნივთიერებებს შორის ან ნივთიერების ერთი ნაწილიდან მეორეში. კონვექცია არის სხვადასხვა ტემპერატურის სითხეების ან აირების მოძრაობა ზედაპირზე, სადაც მიმდინარეობს სითბოს ტრანსფერი გამტარობით. აორთქლების პროცესში დაკარგული წყალი უზრუნველყოფს სითბოს კარგვას.

**8.** იმის მიუხედავად, რომ ფიზიკური და ბიოლოგიური პროცესები ჩქარდება მაღალ ტემპერატურაზე,

მეტაბოლური პროცესების ტემპერატურული ოპტიმუმი შეიძლება აწყობილი იყოს გარემოს მახა-სიათებელ ტემპერატურაზე საკვანძო ფერმენტების სტრუქტურისა და რაოდენობის შეცვლით.

**9.** წყლის სტრესი იზრდება ტემპერატურასთან ერთად. მშრალ გარემოში ცხოველები ეძებენ გრილ მიკროკლიმატს, ხოლო მცენარეები ზრდიან ფოთ-ლების წინააღმდეგობის უნარს. ამგვარი რეაქციები ერთდროულად ამცირებს პროდუქტიულობას გაზ-რდილი გადარჩენის სანაცვლოდ.

## სავარჯიშოები

**1.** ფოტოსინთეზი მიმდინარეობს უჯრედის ორგანელაში, რომელსაც ქლოროპლასტი ეწოდება, ხოლო უჯრედული სუნთქვა ხორციელდება მიტოქონდრიაში. რატომ აქვს ყველა ევკარიოტულ უჯრედს მიტოქონდრია და მხოლოდ რამდენიმეს — ქლოროპლასტი?

**2.** როდესაც სითხე (ორთქლის ან თხევადი სახით) ეხება ზედაპირს, ფორმირდება სასაზღვრო ფენა — არეალი ზედაპირის ახლოს, სადაც სითხე არ მიედინება. სასაზღვრო ფენა წყალმცენარეების ზედაპირზე ზღუდავს წყლიდან მცენარისკენ ნახშირბადის დიფუზიას. მოიფიქრეთ, სხვა სახის სასაზღვრო ფენები ეკოლოგიაში და განმარტეთ მათი მნიშვნელობა.

ელობა. ახსენით ურთიერთობა სასაზღვრო ფენასა და კონვექციას შორის და განიხილეთ მცენარეთა და ცხოველთა ადაპტაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ ურთიერთობაზე.

**3.** ნარმოიდგინეთ ზედაპირული ტბა, რომელიც მოიცავს თევზების პოპულაციას და მაფოტოსინ-თეზირებელ პლანქტონს. ზამთრის ერთ სეზონზე ტბა იფარება ძალიან გამჭვირვალე ყინულის საფარით. მომდევნო სეზონზე, ყინულის ფორმირების შემდეგ, თოვლის სქელი ფენა დაილექტება ყინულის თავზე. განასხვავეთ ტბის ორი მდგომარეობა და მასში მობინადრე ორგანიზმების ბეჭი ირი ზამთრის მაგალითზე.

## თავი 6



### რეაქცია გარემოს ცვილილებაზე

#### გზამკვლევი კითხვები

- როგორ გამოიყენება უკუკავშირის მარყუფი ჰომეოსტაზის რეგულირებისთვის?
- რა ურთიერთობაა გარემოს ტემპერატურასა და ტემპერატურის ენერგეტიკულ საფასურს შორის ჰომეოთერმებში?
- რა განსხვავება არსებობს ჰომეოთერმებში და პოკილოთერმებში თერმორეგულაციის მექანიზმებს შორის?
- რა რეგულატორულ წინააღმდეგობას აწყდებიან უდაბნოს ორგანიზმები და როგორ უმკლავდებიან ისინი მათ?
- რას წარმოადგენს ცხოველის ცხოველქმედების სივრცე?
- რით განსხვავდებიან რეგულატორული, აკლიმატორული და განვითარების რეაქციები?
- რა უპირატესობები აქვს მიგრაციას, შენახვასა და მიძინებას?
- რითაა მნიშვნელოვანი ევროპის ნიულისმზომელას განვითარების რეაქციები?
- რა განსახვავებს გარემოს ცვლილებების წინააღმეტყველების უშუალო და შორეულ მინიშნებებს?
- რა არის ეკოტიპი?

**გ**ეოთხე და მეხუთე თავებში ჩვენ აღვწერეთ ფიზიკური გარემოს თვისებები და განვიხილეთ, თუ როგორ ინარჩუნებენ ორგანიზმები საკუთარი გარემოს წონასნორობას წყალთან, მარილებთან, ქიმიურ ენერგიასთან და სითბოსთან მიმართებაში. ჩვენ ხაზი გავუსვით იმას, რომ გარკვეული დისბალანსის მდგომარეობის შენარჩუნება, რომელშიც ორგანიზმები ინარჩუნებენ გრადიენტებს სხეულისა და წივთიერებების კონცენტრაციებში თავიანთ სხეულებსა და გარემოს შორის, მოითხოვს ენერგიის ხარჯვას. ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთობის გართულება არის ფაქტი, რომ ცვლილებები ხშირია გარემოში, ესაა: სინათლისა და სიბნელის დღიური პერიოდები, სეზონების წლიური ციკლი, ხშირად არაპროგნოზირებადი კლიმატი. თითოეული ინდივიდის გადარჩენა დამოკიდებულია მის შესაძლებლობაზე, გაუმკლავდეს ცვლილებებს გარემოში. მხოლოდ ადამიანები შეიძლება აცნობიერებდნენ თავიანთ რეაქციას ცვლილებებზე. როდესაც თბილი ოთახიდან გარეთ გავ-

დივართ ცივ ამინდში, შეიძლება ავკანკალდეთ — ეს ჩვენი ორგანიზმის სითბოს შენარჩუნების ერთგვარი მექანიზმია. ჩვენი რეაქციები გარემოებით ცვლილებაზე ინარჩუნებენ შინაგან მდგომარეობას ნორმალური ფუნქციონირებისთვის საჭირო ოპტიმუმზე. მაგრამ რა განსაზღვრავს საუკეთესო შინაგან პირობებს? რა დონეზე უნდა იფუნქციონიროს ინდივიდმა? როგორ შეიძლება ყველაზე ეფექტურად გარემოს ცვლილებაზე რეაგირება?

რეაქციები გარემოს ცვლილებებზე უნდა იქნას გაანალიზებული ისე, როგორც პრობლემა ეკონომიკაში მოგებისა და საფასურის საფუძველზე. როდესაც გარემო ცივდება, კანკალი წვავს გლუკოზას, რათა შექმნას გარე სითბო, რითაც გაათბობს სხეულს. გრძელვადიანი მოგება არის ის, რომელიც ზრდის ორგანიზმის გადარჩენის ალბათობას. მაგრამ კანკალი ასევე მოითხოვს ენერგიას სხეულის სითბოს საწარმოებლად, რომელმაც თავის მხრივ, შეიძლება დაშალოს ცხიმის

რეზერვი და ცხოვრება უფრო არასაიმედო გახადოს საკვების მოულოდნელი დეფიციტის წინაშე. ორგანიზმს შეუძლია, შეამციროს ტემპერატურის რეგულირების ამგვარი საფასური რეგულირებადი ტემპერატურის შემცირებით ისევე, როგორც ჩვენ დაბლა ვწევთ თერმოსტატს საწვავის დასაზოგად. მაგრამორგანიზმისაიცოცხლისძრავისდაწევასევე ამცირებს მისი აქტივობის დონეს და ამრიგად, მისი საკვების შემგროვებლობისა და მტაცებლებისგან თავის დაღწევის შესაძლებლობებს.

როდესაც განვიხილავთ მრავალ ფაქტორს, რომელიც გარკვეული რეაქციის საფასურსა და მოგებაზე გავლენას ახდენს, ოპტიმუმი ფაქტიზი კონცეფცია ხდება. ამ თავში ჩვენ ალმოვაჩენთ გარემოს ცვლილების გამოორგანიზმთა რეაქციების საზღვრებს, რათა გავიგოთ, რატომ არეგულირებს სხვადასხვა ორგანიზმი თავის შინაგან პირობებს სხვადასხვა დონეზე, ან რატომ არ არეგულირებენ საერთოდ და რა მიზნით იყენებენ ისინი რეაგირების სხვადასხვა საშუალებას გარემოს ცვლილებებზე.

## 6.1 ჰომეოსტაზი და მოკიდებულია სარყოფით უკუკავშირები


ჰომეოსტაზი არის ინდივიდის შესაძლებლობა, შეინარჩუნოს შინაგანი პირობების მუდმივობა გარემო პირობების მდგომარეობის ცვლილების წინაშე. ყველა ორგანიზმი ავითარებს ჰომეოსტაზს რაღაც დონით, ზოგიერთი გარემო პირობის გათვალისწინებით, თუმცა ჰომეოსტაზური მექანიზმების გაჩენის პირობები და ეფექტურობა იცვლება.

ყველა სახის ჰომეოსტაზი ამჟღავნებს ნეგატიური უკუკავშირის თვისებებს, რისი მაგალითიც თერმოსტატის მოქმედებაა. როდესაც ოთახში

ზედმეტად ცხება, ტემპერატურისადმი მგრძნობიარე გადამრთველი გამორთავს გამათბობელს. როდესაც ტემპერატურა მეტად ეცემა, გადამრთველი კვლავ ჩართავს მს. ბნელი ოთახიდან მზის სინათლეზე გასვლისას, თვალის გუგა სწრაფად ვიწროვდება, რაც ზღუდავს თვალებში შემავალი სინათლის რაოდენობას. სიცხესთან ზედმეტი მიფიცხება იწვევს ოფლის დენას, რაც თავის მხრივ ზრდის აორთქლებით სითბოს კარგვას კანიდან და ხელს უწყობს სხეულის ტემპერატურის ნორმალურ დონეზე შენარჩუნებას.

ამგვარი ნეგატიური უკუკავშირის რეაქციის ფორმებია: როდესაც სისტემა გადაიხრება თავისი ნორმიდან ან სასურველი მდგომარეობიდან, შინაგანი რეაქციის მექანიზმები მოქმედებენ ამ მდგომარეობის ადსადგენად. სისტემა შეიძლება, გადავიდეს ნორმიდან გარეგანი (ანუ გარემო პირობების) ან შინაგანი გავლენის საშუალებით, რომელიც ორგანიზმის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილების შედეგია. მაგალითად, აქტივობას თან სდევს სითბოს მზარდი მეტაბოლური პროცესი, რომელიც გაფანტულ უნდა იქნას ოფლდენით (ე.ო. აორთქლებით) ან სხვა რომელიმე ფიზიკური მექანიზმით. სისხლში ჟანგბადის კონცენტრაცია მცირდება, ხოლო ნახშირბადისა — იზრდება. ეს ცვლილებები გამოსწორდება გახშირებული სუნთქვით, რაც ზრდის აირების ცვლას სისხლსა და ფილტვებს შორის.

ამგვარი ნეგატიური უკუკავშირის სისტემის არსებითი ელემენტებია: 1. მექანიზმი, რომელიც შეიგრძნობს ორგანიზმის შინაგან მდგომარეობას; 2. რეალური შინაგანი მდგომარეობის სასურველ მდგომარეობასთან შედარების საშუალება ან სეთ პოინტი (რეგულირებადი სიდიდის დადგე-ნილი მნიშვნელობა); 3. აღმასრულებელი მოწყობილობა, რომელიც ცვლის ორგანიზმის შინაგან



**სურ. 6-1** სხეულის ტემპერატურის რეგულირების ნეგატიური უკუკავშირის სისტემის ძრითადი თვისებები. თერმოსტატი სხეულის მდგომარეობას სეთ პოინტს ადარებს. როდესაც ეს ორი განსხვავდება, ის სიგნალს უზღვის აღმასრულებელ ორგანოებს, რათა კვლავ ჩააყენონ სეთ პოინტთან ნორმაში სხეულის მდგომარეობა. სხეულის ტემპერატურის რეგულირების საკითხში, თერმოსტატი განლაგებულია ჰიპოთალამუსში.

მდგომარეობას საჭირო მიმართულებით (სურ. 6-1). ზოგ შემთხვევაში, ნეგატიური უკუკავშირის სისტემები არსებობენ ერთ უჯრედში ან ერთ მოლექულაშიც კი. მაგალითად, მეტაბოლური დონის ზრდასთან ერთად, სისხლსა და ქსოვილში ჟანგბადის კონცენტრაცია მცირდება. ამავდროულად, იზრდება ნახშირორჟანგისა და წყალბადის იონების კონცენტრაცია. ჩვენს სისხლში არსებული ჰემოგლობინის მოლექულების სტრუქტურები რეაგირებენ წყალბადის იონების გაზრდილ კონცენტრაციაზე იმგვარად, რომ მოლექულები ნაკლებად მჭიდროდ იყავშირებენ ჟანგბადს და უფრო ადვილად უშვებენ სისხლის ქსოვილებსა და პლაზმაში. ამრიგად, ჰემოგლობინს აქვს მისთვის სტრუქტურაში ჩაშენებული მექანიზმი მეტაბოლიზმის საჭირო ქსოვილებისადმი ჟანგბადის გადაცემის გასაზრდელად.

სხვა შემთხვევებში ნეგატიური უკუკავშირის ერთ სისტემაში სხეულის მრავალი ნაწილია ჩართული. მაგალითად, ძუძუმწოვრები სხეულის ტემპერატურას ჰიპოთალამუსში მოძრავი სისხლის ტემპერატურის მიხედვით „ზომავენ“. საპასუხოდ, ნერვული სისტემის მიერ შესაბამისი სიგნალები იგზავნება სხეულის სხვადასხვა ნაწილში, რომელიც ასტიმულირებს კუნთებს კანკალისთვის, კანს ოფლის გამოსაყოფად და სისხლში არსებული ჰიპოთალამუსი, რომლებსაც შეუძლიათ, ბიცენტრალური ორგანოების მეტაბოლური სითბოს ნარმოქმნის გაზრდა. თუმცა რაღაც დოზით სითბოს რაოდენობაზე კონტროლს ინარჩუნებს ადგილობრივი დონეც. როდესაც კანის ნაწილი ხელმისაწვდომია სიცივისთვის, ძარღვები ვინწროვდება და ხელს უშლის სისხლის (და სითბოს) დინებას ზედაპირისკენ. რეაქციები ტემპერატურის ცვლილებისადმი მოიცავენ შემდეგ ქცევებს: მრავალი მცირე ზომის ფრინველი და ძუძუმწოვარი ერთმანეთს ეკვრის ცივ ამინდში, ძაღლები რგოლად იკვრებიან, რათა შეამცირონ სიცივისთვის ხელმისაწვდომი ზედაპირის ფართი, ჩვენ, ადამიანები კი, თბილ ტანისამოსს ვიცვამთ.

ფიზიკური გარემოს ცვლილებებზე თავიანთი რეაქციების მიხედვით, ორგანიზმები ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: 1. **რეგულატორები** არიან ორგანიზმები, რომლებიც ინარჩუნებენ მუდმივ შინაგან გარემოს ტემპერატურასთან, პ-თან, თუ სსნარებთან მიმართებაში. 2. **კონფორმერები** საშუალებას აძლევენ თავიათ შინაგან გარემოს, მისდიონ გარეგან ცვლილებებს. ბაყაყები სისხლში მარილის კონცენტრაციას არეგულირებენ, მაგრამ შეესაბამებიან გარემოს ტემპერატურას. თბილსისხლიანი ცხოველებიც კი ნაწილობრივ ემორჩილებიან გარემოს ტემპერატურას. ცივ ამინდში ჩვენი ხელები, ფეხები, ცხვირი და ყურები — ჩვენი სხეულის სიცივემისაწვდომი ნაწილები — საოცრად ცივი ხდება.

## 6.2 სხეულის ტემპერატურის რეგულირება ცხოველებში კომეოსტაზის მნიშვნელოვანი ასპექტი

ტემპერატურა ბიოლოგიური ფუნქციის ერთ-ერთიყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტია, რადგან უმრავლესი ბიოქიმიური პროცესების ინტენსივობა იზრდება ტემპერატურის ზრდასთან ერთად. მაგალითად, სალამანდრა *Plethodon jordani*-ების მეტაბოლური დონის  $Q_{10}$  (ტემპერატურის ყოველ  $10^{\circ}\text{C}$ -ით ზრდასთან შესაბამისობაში მყოფი ზრდის ფაქტორიალი) — არის  $\mu\text{l } \text{O}_2\text{h}^{-1}$   $10 - 20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურათა დიაპაზონში (Feder et al. 1984). ორგანიზმთა უმრავლესობა ისეთ ადგილას ბინადრობს, სადაც გარემოს ტემპერატურა იცვლება. ხშირად ეს ცვლილებები დროებითია, როგორც ღამის სიგრილე და ზამთრის სიცივე. ტემპერატურა ასევე შეიძლება სივრცობრივად იცვლებოდეს, როგორც ჩრდილიანი და მზიანი ადგილების შემთხვევაში ხდება. ამ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ადაპტირებას გარემოს ტემპერატურის ცვლილებებთან.

ძუძუმწოვართა და ფრინველთა უმრავლესობა ინარჩუნებს სხეულის მუდმივ ტემპერატურას, სადღაც  $36^{\circ}\text{C}$ -სა და  $40^{\circ}\text{C}$ -ს შორის, იმის მიუხედავად, რომ გარემოს ტემპერატურა შეიძლება იცვლებოდეს  $-50^{\circ}\text{C}$ -დან  $+50^{\circ}\text{C}$ -მდე. ამგვარი რეგულაცია, რომელსაც **ჰომოთერმიას** უწოდებენ (ბერძნული სიტვა „ჰომო“ — ნიშნავს იგივეს), ქმნის მუდმივ ტემპერატურულ (ჰომოთერმულ) პირობებს უჯრედებში, რომლის ფარგლებშიც ბიოლოგიურ პროცესებს, შეუძლიათ ეფექტურად მოქმედება. ამასთან, ამგვარი მაღალი ტემპერატურა აჩქარებს რეაქციებს და ხელს უწყობს აქტივობის მაღალ დონეს. ამისგან განსხვავებით, ცივსისხლიანი ან **პოკილოთერმული** ორგანიზმების (მაგალითად ამფიბიებისა და მწერების) შინაგანი გარემო ეთანხმება გარემო ტემპერატურას (ბერძნულად „poikilo“ ნიშნავს ცვალებადს). ცხადია, ამ ორგანიზმებს არ შეუძლიათ ფუნქციონირება ექსტრემალურად მაღალ ან დაბალ ტემპერატურაზე. მათ შეუძლიათ, იყვნენ აქტიურნი მხოლოდ გარემო პირობების ვიწრო დიაპაზონში.

ე.ნ. „ცივსისხლიან“ ცხოველთა უმრავლესობა, მათ შორის რეპტილიები და მწერები, სხეულის სითბორ ბალანსს არეგულირებენ ბიპევიორულად, უბრალოდ, ჩრდილიდან გამოსვლით ან მზის მიმართულებით თავიანთი ორიენტაციის შეცვლით. რადგანაც მათი სითბოს წყარო მდებარეობს მათი სხეულის გარეთ, ბიოლოგები მათ **ექტოთერმებს** („გარეგანი სითბო“) უწოდებენ; „თბილსისხლიანი“ ცხოველები (ძუძუმწოვრები და ფრინველები) მოიხსენიებიან **ენდოთერმებად** („შინაგანი სითბო“). თუმცა განსხვავება ენდოთერმებსა და ექტოთერმებს შორის არც ისე მკვეთრია. ზოგ ენდოთერმს შეუძლია, შეამციროს სხეულის სითბო

ისეთ დროს, როდესაც საკვები არ არის უხვად და დასვენების პერიოდებში. ამ სტრატეგიას ჰეტეროთერმია ენდოფება (Hutchison and Dupré 1992). მაგალითად, მწერის მჭამელ ღამურებს, რომლებიც ცხადია, ენდოთერმები არიან, შეიძლება გაუჭირდეთ სხეულის მაღალი ტემპერატურის შენარჩუნება სიცივის დროს, რადგან მათი ექტოთერმული მსხვერპლიარარისაქტიური. ესპრობლემაშეიძლება დაძლეულ იქნას მათი სხეულის ტემპერატურის დროდადრო, ღამის ძილის დროს შემცირების გზით. ამის მსგავსად, ზოგიერთ ექტოთერმულ ცხოველს, შეუძლია, გაზარდოს თავისი შინაგანი სხეულის ტემპერატურა ფიზიოლოგიურად დროის მოკლე პერიოდების განმავლობაში — ამ სტრატეგიას ფაკულტატური ენდოთერმია ენდოფება. ცხრილი 6-1-ში თავმოყრილია ტემპერატურის რეგულირების ეს ფორმები.

სხეულის ტემპერატურის რეგულირების ენერგეტიკული საფასური თბილისისხლიანებში

როგორ რეგულირდება სხეულის ტემპერატურა? ჰომოთერმია უმრავლესობას აქვს მგრძნობიარე

ორგანო — თერმოსტატიტვინში (Hammel 1968, Calder and King 1974, Heller et al. 1978). ეს თერმოსტატი რეაგირებს სისხლის ტემპერატურის ცვლილებაზე და გამოყოფს ჰომონერპლებს, რათა შეანელოს ან დააჩქაროს სხეულის ქსოვილებში სითბოს დაგროვება. ამასთან, ჰომოთერმია უმრავლესობა სხეულის ტემპერატურის რეგული-რებისთვის გაღებული ძალისხმევის ნახევარს გარემოსგან სითბოს მიღების ან კარგვის რეგულაციით ახერხებს. მაგალითად, ადამიანები თბილ ტანისამოსს იცვამენ ცივ ამინდში და ერიდებიან მზეში დგომას, როდესაც ცხელა. ფრინველები იფუებენ ფრთებს, რათა დაიცვან თავი სიცივისგან.

იმისთვის, რომ შენარჩუნებულ იქნას გარე-მოსგან მნიშვნელოვნად განსხვავებული შინაგანი პირობები, საჭიროა ენერგია და მუშაობა. ცივ გარემოში სხეულის მუდმივი ტემპერატურის შენარჩუნება ფრინველებისა და ძუძუმწოვრების მიერ ჰომეოსტაზის მეტაბოლური საფასურის მაგალითია. როდესაც ჰაერის ტემპერატურა მცირდება, გრადიენტი შინაგან და გარეგან გარემოს შორის იზრდება და სხეულის ზედაპირი სითბოს პროპორციულადუფროსნრაფადკარგავს. ცხოველი, რომელიც ინარჩუნებს სხეულის ტემპერატურას  $40^{\circ}\text{C}$ -ზე, კარგავს სითბოს ორჯერ უფრო სწრაფად  $20^{\circ}\text{C}$  გარემოში ( $20^{\circ}\text{C}$ -იანი გრადიენტი), ვიდრე  $30^{\circ}\text{C}$  გარემოში ( $10^{\circ}\text{C}$ -იანი გრადიენტი). პრინციპს, რომლის მიხედვითაც სითბოს კარგვა იცვლება სხეულისა და გარემოს ტემპერატურათა გრადიენტის პირდაპირპროცენტორულად, ენდოფება ნიუტონის გარილების კანონი. სხეულის მუდმივი ტემპერატურის შესანარჩუნებლად, ორგანიზმა უნდა შეიისოს დაკარგული სითბო მეტაბოლური დაგროვებით. ამრიგად, სხეულის ტემპერატურის შესანარჩუნებლად საჭირო მეტაბოლიზმის დონე იზრდება სხეულსა და გარემოს შორის ტემპერატურათა განსხვავების პირდაპირ პროპორციულად. მაგალითად, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში მობინადრე გამოქვებულის სახეობის ულვაშიან ღამურა *Pteronotus davyi*-ის ჟანგბადის მოხმარება ( $\text{ml O}_2 \text{ g}^{-1} \text{ h}^{-1}$ ) იზრდება  $0,40$ -ით გარემოს ტემპერატურის თითოეული გრადუსის კლებაზე.  $15^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალი ტემპერატურა ლეტალურია ამ ღამურებისთვის (სურ. 6-2).


მეტაბოლიზმის ერთადერთი ფუნქცია ტემპერატურის რეგულაცია რომ ყოფილიყო, ორგანიზმს არავითარი მეტაბოლური სითბოს ნამოება არ დასჭირდებოდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც სხეულის ტემპერატურა გარემოს ტემპერატურის ტოლია, როდესაც არავითარი სითბო არ მიმოიცვლება სხეულსა და გარემოს შორის. ორგანიზმები გამომიუშავებენ ენერ-გიას, რომელიც არანაირ კავშირში არ არის ტემპერატურის რეგულაციასთან და გულისცემის, სუნთქვის, კუნთოვანი ტონუსის თირკმელების

## ცხრილი 6-1

ჰომეოსტაზის სხეულის ტემპერატურასთან ასოცირებული ტერმინები

ჰომოთერმია	სხეულის მუდმივი (როგორც წესი, გარემოზე თბილი) ტემპერატურის შენარჩუნება (ამრიგად, „თბილ-სისხლიანები“)*
ენდოთერმია	გაზრდილი მეტაბოლიზმის გამოყენება სხეულის გაგრილებისთვის ჰესანარჩუნებლად
ექტოთერმია	გარეგანი სითბოს წყაროებზე დაყრდნობა (მზის გამოსხივება, სითბოს გამტარობა თბილი ზედაპირებიდან) სხეულის გაზრდილი ტემპერატურის ჰესანარჩუნებლად
პოიკილოთერმია	სხეულის ტემპერატურის რეგულირების წარუმატებლობა, რის გამოც ხდება შეთანხმება გარემოს ტემპერატურასთან (ცივ-სისხლიანები)†
ჰეტეროთერმია	სხეულის ტემპერატურის ფაკულტატური ენდოთერმული ცხოველის მიერ
ფაკულტატური ენდოთერმია	სხეულის ტემპერატურის ფაკულტატური ენდოთერმული ცხოველის მიერ


\*გახსოვდეთ, რომ ჰომეოთერმულმა ორგანიზმებმა, შეიძლება, გაფანტონ სითბო როგორც წესი, არარქებულითი გაგრილების საშუალებით, როდესაც გარემოს ტემპერატურა აჭარბებს სხეულის სასურველ ტემპერატურას. † მართალია, მათ ცივსხლიანებს უწოდებენ, პოიკილოთერმები შეიძლება ძალიან გათბონენ მაღალი ტემპერატურის გარემოში.



**სურ. 6-2** ურთიერთობა გარემოს ტემპერატურასა და სხეულის ტემპერატურასა და ჟანგბადის მოხმარების დონეებს შორის ვენესუელას ულვაშიან ღამურებში. დაახლოებით  $33^{\circ}\text{C}$ -ს ქვემოთ ღამურამ უნდა გაზარდოს ჟანგბადის მოხმარება გარემოს ტემპერატურის კლების პროპორციულად, რათა შეინარჩუნოს სხეულის ტემპერატურა მუდმივ  $38^{\circ}\text{C}$ -ზე. ტემპერატურები  $15^{\circ}\text{C}$ -ს ქვემოთ ამ ღამურისთვის ღებულობრივია.

(After Bonaccorso *et al.* 1992.)

და სხვა ფუნქციების მხარდასაჭერად იხარჯება გარემოს ტემპერატურის მიუხედავად. ცხოველის მეტაბოლური პროცესების დონეს, რომელიც კუჭ-ნაწლავში საკვები არ მოეპოვება, ენოდება **ძირითადი ნივთიერებათა ცვლა (MR/RMR)**. BMR ნარმოადგენს ენერგიის გამოყენების ყველაზე დაბალ დონეს ნორმალურ პირობებში. ამ დონეზე ინდივიდი ანარმოებს საკმარის სითბოს საიმისოდ, რათა შეინარჩუნოს სხეულის ტემპერატურა მანამ, სანამ გარემოს ტემპერატურა რჩება გარევეულ ზღვარს ზემოთ, რომელსაც ქვედა კრიტიკული ტემპერატურა ( $T_c$ ) ენოდება (სურ. 6-3). ქვედა კრიტიკული ტემპერატურის ქვემით ინდივიდმა უნდა გაზარდოს ნივთიერებათა ცვლა, რათა დააბალანსოს სითბოს გაზრდილი კარგვა. ქვედა კრიტიკული ტემპერატურა დამოკიდებულია BMR-



**სურ. 6-3** ურთიერთობა ნივთიერებათა ცვლასა და გარემოს ტემპერატურას შორის პომეოთერმულ ფრინველებსა ან ძუძუმოვრებში, რომელთა სხეულის ტემპერატურაც ნივთიერებათა ცვლა უნდა ნორმალურად ნაჩინდება  $T_b$  დონეზე.  $T_{lc}$  არის ქვედა კრიტიკული ტემპერატურა, რომლის ქვემთაც ნივთიერებათა ცვლა უნდა გაიზარდოს სხეულის ტემპერატურის შესანარჩუნებლად.  $C$  ნერტილი დაბალი კრიტიკული ფიზიოლოგიური ტემპერატურა — უდაბლესი ტემპერატურაა, რომელზეც ორგანიზმებს შეუძლიათ, შეინარჩუნონ მეტაბოლურ ნივთიერებათა ნარმოება ტემპერატურის რევლირებისთვის. ნერტილი  $b$  არის ქვედა კრიტიკული ეკოლოგიური ტემპერატურა — მინიმალური ტემპერატურა, რომელზეც ორგანიზმებს, შეუძლიათ, შეინარჩუნონ საკუთარი თავი მუდმივად თავის ბუნებრივ გარემოში, შეზღუდული საკვების ნარმოების შესაძლებლობით.

სა და თერმულ გამტარობაზე (დონე, რომელზეც სითბო გადის კანში). როდესაც სხეულის ზომა იზრდება, ძირითადი ნივთიერებათა ცვლა უფრო სწრაფად იზრდება (ალომეტრული დახრილობა 0,75, იხ. თავი 3), ხოლო სქელი ბენვი ან ბუმბული ამცირება თერმულ გამტარობას. შედეგად,  $T_k$  მცირდება მზარდ ზომასთან ერთად, დაახლოებით  $30^{\circ}\text{C}$ -იდან ბელურას ზომის ფრინველებში,  $0^{\circ}\text{C}$ -მდე პინგვინებსა და უფრო მსხვილ სახეობებში (Calder and King 1974).


ორგანიზმის შესაძლებლობა, შეინარჩუნოს სხეულის მაღალი ტემპერატურა დაბალი გარემო ტემპერატურის პირობებში, შეზღუდულია მოკლე ვადით სითბოს გენერირების ფიზიოლოგიური შესაძლებლობის მიერ. ხოლო გრძელი ვადით — მისი შესაძლებლობით, დააგროვოს საკვები სითბოს მოპოვების მეტაბოლური მოთხოვნილებების დასაკამაყოფილებლად. მაქსიმალური სიჩქარე, რომლის განმავლობაშიც ორგანიზმს, შეუძლია, სამუშაოს შესრულება,  $10\text{--}15^{\circ}\text{C}$  აღემატება მის BMR-ს (Kleiber 1961, King 1974). დღის განმავლობაში ძალიან ცოტა ორგანიზმი ხარჯავს ენერგიას სიჩქარით, რომელიც ოთხჯერ აღემატება BMR-სას (Drent and Daan 1980). როდესაც გარემო ისე ციფება, რომ სითბოს კარგვა აღემატება ორგანიზმის შესაძლებლობას, ნარმოქმნას სითბო

(წერტილი ც სურ. 6-3-ში), სხეულის ტემპერატურა კლებას ინდუს, ეს ფატალური მდგომარეობაა ჰომეოთერმებისთვის.

ყველაზე დაბალი ტემპერატურა, რომელშიც ჰომეოთერმებს შეუძლიათ გადარჩენა დიდი პერიოდის განმავლობაში, ხშირად დამოკიდებულია მათ შესაძლებლობაზე, მოაგროვონ საკვები და არა მათ შესაძლებლობაზე, დააგროვონ და გადაამუშავონ ენერგია. ცხოველები შეიძლება დაბალი ტემპერატურის პირობებში შიმშილით დაიხოცონ, რადგან ისინი საკვების ენერგიას უფრო სწრაფად ხარჯავენ, ვიდრე მისი შეგროვება შეუძლიათ. ზომიერ და არქტიკულ კლიმატში ყველაზე ცივი ტემპერატურა ხშირად ასოცირდება შტორმებთან და თოვლის საფარის დაგროვებასთან, რაც ართულებს საკვების შეგროვებას და ფიტავს როგორც ფიზიოლოგიური, ისე ეკოლოგიური სითბოს ენერგიის რესურსებს. თუ ტემპერატურა დაეცემა სურ. 6-3-ზე აღნიშნული ბ წერტილის ქვემოთ, ორგანიზმი ვეღარ შეძლებს, ანარმონის საჭირო ენერგია როგორც საკვების მოსაპოვებლად, ისე სხეულის ტემპერატურის შესანარჩუნებლად. ამ ტემპერატურას ენოდება ქვედა კრიტიკული ეკოლოგიური ტემპერატურა. თუ გარემოს ტემპერატურა დაეცემა სურ. 6-3-ზე აღნიშნული ც წერტილს ქვემოთ, ორგანიზმს აღარ შეძლება სხეულის ტემპერატურის რეგულირებისთვის საჭირო მეტაბოლური ენერგიის ნარმობა და იგი დაილუპება. ც წერტილს უნიდებენ ქვედა კრიტიკულ ფიზიოლოგიურ ტემპერატურას. ც და ბ წერტილებს შორის ორგანიზმებს შეუძლიათ გადარჩენ, მაგრამ მხოლოდ შედარებით მოკლე ბერიოდში და ენერგიის უარყოფითი ბალანსით. ბ წერტილს ზემოთ ბალანსი დადებითია და ორგანიზმს არა მარტო გადარჩენა, არამედ საკვების მოპოვების გარდა სხვა ენერგიის მომხმარებელ საქმიანობაში ჩართვაც კი შეუძლია.

## ენერგეტიკული საფასურის შემცირება


როდესაც ჰომეოსტაზური საფასური იმაზე მეტია, ვიდრე ინდივიდს შეუძლია თავს უფლება მისცეს, მაშინ გარკვეული ეკონომიკური ზომებია მისაღები. მაგალითად, ინდივიდს, შეუძლია, შეამციროს სხეულის ზოგიერთი ნაწილის რეგულირებული ტემპერატურა, რითაც შეამცირებს ტემპერატურულ განსხვავებას სხეულსა და გარემოს შორის. რადგანაც ფრინველების ფეხები და ტერფები არ არის ბუმბულით დაფარული, ისინი ცივ რეგიონებში სითბოს დაკარგვის მნიშვნელოვანი მიზეზი იქნებოდა, სხეულის ტემპერატურაზე ნაკლები ტემპერატურის რომ არ ყოფილიყვნენ (სურ. 6-4). თოლიერი ამას სითბოს გაცვლის



**სურ. 6-4** ყინულზე მდგომი თოლიის ფეხისა და ტერფის კანის ტემპერატურა. სისხლძარღვების ანატომიური სტრუქტურა, რომელიც საშუალებას აძლევს საწინააღმდეგო მიმართულებიან სითბოს ცვლას არტერიულ სისხლს (A) და ვენურ სისხლს (V) შორის, ალბეჭდილია მარჯვენა მხარეს. ვერტ. ისრები მიუთითებენ სისხლს მოძრაობის მიმართულებას, პორიზონტალური ისრები მიუთითებენ სითბოს ტრანსფერს. შენტი შ წერტილში საშუალებას აძლევს თოლიას, შეზღუდოს სისხლის ტრანსფერი ტერფებში, რითაც ამცირებს სისხლის დინებასა და სითბოს კარგვას კიდევ უფრო მეტად, სისხლის წნევის ანევის გარეშე. (After Irving 1966, Schmidt-Nielsen 1983.)

ურთიერთსა-წინააღმდეგო მიმართულებიანი სისტე-მის მეშვეობით აღწევენ (იხ. მე-5 თავი), სადაც ფეხებისკენ არტერიებში მიმავალი თბილი სისხლი სითბოს სხეულში დაბრუნებულ ვენურ სისხლს გადასცემს, როდესაც იგი ვენების ახლოს ჩაივლის. (Scholander 1955, Scholander and Schevill 1955). ამრიგად, სითბო გადაცემა არტერიულიდან ვენურ სისხლს და უკან უბრუნდება სხეულს იმის მაგივრად, რომ დაიკარგოს გარემოში.

ზოგი ორგანიზმი სხეულის ტემპერატურას ამცირებს დღე-ღამის გარკვეულ დროს იმისთვის, რომ შეამციროს განსხვავება საკუთარ და გარემოს ტემპერატურებს შორის. მცირე ზომის გამო, კოლიბრებს თავიანთ წონასთან შედარებით, ზედაპირის დიდი ფართი აქვთ და შესაბამისად, სითბოს იმაზე მეტს კარგავენ, ვიდრე მისი ნარმოება შეუძლიათ. ამის გამო, კოლიბრებს ესაჭიროებათ მეტაბოლიზმის ძალიან მაღალი ტემპი, რათა დასვენების დროს სხეულის ტემპერატურა დაახლოებით 40°C-მდე შეინარჩუნონ. ზოგიერთი სახეობა, რომლებიც გრილ გარემოში ბინადრობს, შეიძლება ღამის განმავლობაში შიმშილით დაიღუპოს, თუ ძილქუშში არ ჩავარდება, რომლის დროსაც აღწევს ჰიბერნაციის მსგავს სხეულის ტემპერატურის დაცემასა და პასიურობას. დასავლეთი ინდური კოლიბრი ულამპის ჯუგუ-ლარის აგდებს ტემპერატურას 18-20°C-ამდე ღამით დასვენებისას.




**სურ. 6-5** ურთიერთობა ენერგიის მეტაბოლიზმსა და ჰაერის ტემპერატურას შორის დასავლეთი ინდურ კოლობრში ძილქუშშისა და ნორმალური მდგრადეობის მაგალითზე. ორივე შემთხვევაში, ეს ფრინველი ენდოთერმულია, მაგრამ ის არეგულირებს სხეულის ტემპერატურას სხვადასხვა საკონტროლო წერტილზე.

(After Hainsworth and Wolf 1970.)

ის არ აჩერებს სხეულის ტემპერატურის რეგულირებას, მხოლოდ ამცირებს ზენოლას თერმოსტატზე, რათა შეამციროს განსხვავება გარემოსა და სხეულის ტემპერატურას შორის (სურ. 6-5) (Hainsworth and Wolf 1970, Hainsworth et al. 1977).

ძუძუმწოვრებისა და ფრინველების ზოგიერთი სახეობა დროის მნიშვნელოვან ნანილს წყლის ზედაპირზე ან მის ქვეშ ატარებს. ზღვის ფრინველები, როგორებიც არიან პინგვინები, ქარიშხალები და ტუპიკები, მოიპოვებენ თევზებს და ზღვის სხვა არსებებს საკმაოდ დიდი სილრმეებიდან.

ზომიერი კლიმატის ზოგიერთი ძუძუმწოვარი, როგორებიც არიან თახვები, წავები და ონდატრები, უპირატესად წყალში მცხოვრები ცხოველები არიან. სითბოს დინებისადმი წყლის საოცრად დაბალი ნინააღმდეგობისა და მათ სხეულებსა და გარშემო წყლის ტემპერატურას შორის არსებითი განსხვავების გამო, ეს ცხოველები საშიში თერმული გამონვევების ნინაშე დგანან. წყალში სხეულის სითბო მაღლ იკარგება ხელმისაწვდომი ადგილებიდან. ასეთ ცხოველებში ხმირია სითბოს კარგვის შესამცირებელი მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ადაპტაციები, როგორიცაა სქელბენვიანი საფარი და დიდი რაოდენობით სხეულის ცხიმი. საზღვაო ძუძუმწოვრების, ვეშაპებისა და დელფინების დახვენილი ადაპტაციები სხეულიდან სითბოს კარგვის საკმარის დაცვას წარმოადგენს იმისათვის, რომ შესაძლო გახადონ წყალში არსებობა. მაგრამ წყლის მრავალ ფრინველსა და ძუძუმწოვარს არ შეუძლია წყალში უსასრულობამდე აქტიური დარჩეს სხეულის სითბოს კარგვის გამო. ამ ორგანიზმების აქტიურობას ნანილობრივი თერმული შეზღუდვები განსაზღვრავს. მაგალითად, ჩრდილოამერიკული თახვის (*Castor canadensis*) საკვების მომპოვებლური ჩვევა ცივ წყალში მოკლე ჩაყვინთვისგან შედგება, რომლის დროსაც სხეულის ტემპერატურა სწრაფად ეცემა წყალში სითბოს გაფანტვის გამო. შემდეგ ამ ყვინთვას ბუნავში გათბობის გრძელი პერიოდები ჩაენაცვლება (სურ. 6-6) (MacArthur and Dick 1990). უდაბნოს ანტილპური თრია (*Ammospermophilus leucurus*) საპირისპირო პრობლემის ნინაშე დგას: ის გადახურდება საკვების მოპოვებისას უდაბნოს ცხელ ზედაპირზე მოძრაობის დროს და ამიტომ პერიოდულად უნდა დაუბრუნდეს თავის სოროს გასაგრილებლად (Hainsworth 1995). ამგვარად, ადგილების შეცვლას სხეულის ტემპერატურის შესანარჩუნებლად ავტომატური ცვლა




**სურ. 6-6** სხეულის ტემპერატურის ცვლილებები ასოცირდება თახვ ჩასტრორ ცანადენსის-ის საკვების მომპოვებლურ ქცევსთან. სხეულის ტემპერატურა იკლებს ცივ წყალში საკვების მომპოვებლური რეიდების დროს, რაც აიძლებს თახვს პერიოდულად ხატკაში დაბრუნდეს და გათბებს. (After MacArthur and Dyck 1990.)

(სპუტტლინგ) ენოდება და ამგვარი ქცევა ხშირია ცხოველებში. როგორც მომდევნო ნაწილში ვნახავთ, ავტომატური ცვლის ქცევა შეიძლება გამოიყენებოდეს მარილისა და წყლის ბალანსის დასარეგულირებლადაც.

## ექტოთერმების თერმული ეკოლოგია

ექტოთერმული ხერხემლიანების (თევზების, ამფიბიებისა და რეპტილიების) ეკოლოგიისა და ქცევის ყველა ასპექტზე გარკვეულნილად გავლენას ახდენს სხეულის ტემპერატურის რეგულირების მოთხოვნები. ვინაიდან ამ ორგანიზმებს არ შეუძლიათ სითბოს დაგროვება, თუ ძალიან აქტიურები არ არიან, ძალიან ბევრი არეგულირებს სითბოს ბალანსს უბრალოდ ჩრდილში შესვლით ან გამოსვლით, ან სხეულის მზის სხივებისკენ მიმართვით. როგორც ადრე ვახსენეთ, ზოგიერთი ექტოთერმული ხერხემლიანი ასევე ფლობს სხეულის ტემპერატურის გარკვეულ დონეზე რეგულირების ფიზიოლოგიურ მექანიზმებს (e.g., Holland and Sibert 1994, Sinervo and Dunlap 1995).

თევზების უმრავლესობა ავითარებს მეტაბოლური სითბოს წარმოების ძალიან დაბალ სიჩქარეს პომოთერმებთანანასახმელეთოპოკილოთერმებთან შედარებით. თუ ამას დაუუმატებთ წყლის სითბოს ძალიან მაღალ გამტა-რობას, ვნახავთ, რომ თევზები ძალიან მაღალ კარგავენ სხეულის სითბოს წყლის გარემოში. თევზებს თერმორეგულაციის მნიშვნელოვნად შაზღუდული შესაძლებლობები აქვთ (Moyle and Cech 1988). ზოგიერთ სახეობას, კერძოდ, თბილი წყლის თევზებს, სხეულის ტემპერატურაში შეუძლიათ მოახდინონ მცირე რეგულაციები ბიჰევიორისტულად თერმულად სასარგებლო წყლის დინებების პორციების არჩევით (Snucins and Gunn 1994, Schurmann and Christiansen 1994). თევზის საკვების მონელებაზე დიდ გავლენას ახდენს წყლის ტემპერატურა და ამრიგად, თევზები, რომლებმაც ახლახანს დაასრულეს საკვების ძიება, შეიძლება ექცედნენ თბილ წყალს. ფიზიოლოგიური თერმორეგულაცია თევზებში შეზღუდულია მხოლოდ რამდენიმე სახეობისთვის. აღბაკორის თინუსი (*Thunnus alalunga*) იყენებს საწინააღმდეგო მიმართულების გაცვლის სისტემას, რათა შეინარჩუნოს სხეულის შინაგანი ტემპერატურა მნიშვნელოვნად მაღალ დონეზე, ვიდრე მისი გარემომცველი წყალი. სისხლძარღვები, რომლებიც ახდენენ თბილი სისხლის ტრანსპორტირებას თევზის ორგანიზმში, ახლოს არიან განლაგებულნი იმ სისხლძარღვებთან, რომლებსაც ცივი სისხლი შემოაქვთ ლაცურჩებიდან. სითბო გადაეცემა გარეთ მიმავალი ძარღვებიდან შიგნით მიმავლებს, რითაც ინარჩუნებენ სითბოს სხეულის შიგნით (Carey et al. 1971). დიდთვალა თინუსის ახლანდელმა კვლევებმა



**სურ. 6-7** ბაყაყ დანა ბოჟლიი-ის თავეომბალათა სივრცობრივი გავრცელება ასოცირებულია კალიფორნიის ნელ ნორტე ტბორში დღიურ ტემპერატურათა ცვლილებაზე ივნისში. სალამოს თავეომბალები გადაინაცვლებენ ტბორის ყველაზე თბილ ადგილას და რჩებან იქ დილამდე. როდესაც დილის მზე ათბობს წყალს, თავეობალები თავს იყრიან ზედაირულ წყალში შუადღენდღე შუადღისას ეს ადგილები ზედამტად თბება. ისინი გადაინაცვლებენ წყლის სილრემში, სიგრილეში. თავეომბალები შეიძლება თანაბრად გადანაწილდნენ მთელ ტბორში ნაშუადღევს, როდესაც წყალი ტბორში თანაბარი ტემპერატურისაა. (From Brattstrom 1962.)

გამოავლინა, რომ დინების საწინააღმდეგო სისტემა აძლევს თევზებს საშუალებას, სწრაფად ცვალონ სხეულის ტემპერატურა გარემოში მომხდარი ცვლილებების საპასუხოდ (Holland and Sibert 1994).

ამფიბიები უპირატესად ბიჰევიორულ, ქცევით თერმორეგულაციას ეყრდნობიან (Hutchison and Dupré 1992). ბაყაყებსა და სალამინდრებს, წყალში მობინადრე თავეომბალებს, შეუძლიათ, განავითარონ ვერტიკალური მიგრაციის მოდელები თერმული გარემოს დღიური ცვლილებების შესაბამისად (სურ. 6-7). ამფიბიები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ თერმულად ხელსაყრელ მიკროსაცხოვრებელ ადგილებს. ზრდასრულ ამფიბიებში თერმორეგულაციას შეიძლება თან ახლდეს კანის ზედაპირზე აირების მიმოცვლის საჭიროება. კანის რესპირაცია, რომელიც ამფიბიათა

მრავალ სახეობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რესპირატორულ აირთა ცვლაში და ზოგიერთ სახეობაში რესპირაციის ერთადერთი საშუალებაა (მაგ. უფილტვო სალამანდრებში *Plethodontidae*-თა ოჯახიდან), მოითხოვს კანის მუდმივად ტენიან მდგომარეობაში ყოფნას. ამ მოთხოვნებმა შეიძლება შეზღუდოს სითბოს მიღების ის საშუალება, როცა ინდივიდს გარემოს ტემპერატურაზე ზევით სხეულის ტემპერატურის გაზრდა შეუძლია მზეზე გათბობის შედეგად, რადგან ნოტიო კანიდან აორთქლება მოითხოვს დაბალ ტემპერატურას. აგრეთვე, კანის გაშრობის თავიდან აცილების საჭიროება აწესებს მზეზე ყოფნის დროის ზღვარს. ამ მიზეზებით მზეზე გათბობა იშვიათია ამფიბიებში და როდესაც ის მაინც შეინიშნება, ინდივიდებს არ შეუძლიათ, გაზარდონ სხეულის ტემპერატურა გარემოს ტემპერატურაზე მაღლა (Hutchison and Dupré 1992). თერმორეგულირების ფიზიოლოგიური მექანიზმები ამფიბიებში, როგორც ჩანს, ძალიან შეზღუდულია.

მრავალი ადამიანისთვის ქვაზე დახვეული, მზეს მიფიცხებული დიდი გველის ან მზის გულზე ღობის ბოძზე წამოჭირული ხვლიკის სურათი რეპტილიების ცხოვრების მაგალითს წარმოადგენს. ამგვარი ქცევები, რომლებიც უპირატესად დაკავშირებულია თერმორეგულაციასთან, ფართოდ არის შესწავლილი (e.g., Bogert 1949, McGinnis and Dickson 1967, Heatwole 1976, Stevenson 1985, Huey et al. 199, Hertz 1992, Adolph and Porter 1993). ცხადია, რეპტილიებს, შეუძლიათ, შეინარჩუნონ ჰაერის ტემპერატურაზე მაღალი სხეულის ტემპერატურა თავიანთი ადგილმდებარეობისა და პოზიციის რეგულირების საშუალებით (Cowles and Bogart 1944, Hammal et al. 1967, Huey 1974). სიცივის დროს რქიანი ხვლიკი (*Phynosomē*) ზრდის მზისადმი თავისი სხეულის მიფიცხებულობის პროფილს, წვება რა ბრტყლად მინაზე. სიცხეში კი პირიქით, ფეხზე დგომით ამცირებს (Heath 1965). მინაზე ბრტყლად ნოლით ხვლიკი სითბოს მზით გაცხელებული მინის ზედაპირიდან იღებს. ლენტისებრი გველი (*Thamnophis elegans*) ირჩევს ბუნაგს ქვების ქვეშ, რომლის სისქეც 20-30 სმ იქნება, რადგან ამგვარი ადგილები მათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე სქელი ან თხელკედლიანი ადგილები ქვების ქვეშ (Huey et al 1989). ხვლიკი *Anolis cristatellus* ცვლის დროის იმ რაოდენობას, რომელსაც ის უთმობს მზეზე გათბობას, ირჩევს რა უფრო ამაღლებულ ადგილებს (Hertz 1992). გარემოს ექსტრემალურმა ტემპერატურამ, შეიძლება, შეზღუდოს რეპროდუქციისა და განვითარებისთვის საჭირო დრო ან დააბრკოლოს ზამთრის გადა-ტანა და ამით ხელი შეუძლოს რეპტილიების გავრცელებას (Peterson et al. 1993). ქცევები, რომლებიც მოითხოვს გადაადგილებას, როგორიცაა მსხვერპლის მონადირება, მტაცებლისგან თავის არიდება და

საბინადრო გარემოს შერჩევა, დამოკიდებულია სხეულის ტემპერატურაზე ისევე, როგორც საკვების მონელების, მეტაბოლიზმისა და კანის პერიოდული გამოცვლის ფიზიოლოგიური პროცესები, რომლებსაც **განგური** ეწოდება.

სხეულის ტემპერატურის ფიზიოლოგიური კონტროლი შეიძლება იმაზე უკეთესად იყოს განვითარებული რეპტილიებში, ვიდრე ერთ დროს ეგონათ. რომბული პითონის (*Morelia spilota*), ჩრდილოეთის წყლის გველის (*Nerodia sipedon*) და ლენტისებრი გველების (*Thamnophis*) რამდენიმე სახეობის კვლევებმა გვიჩვენეს, რომ ამ სახეობებში სხეულის ტემპერატურა მნიშვნელოვნად მატულობს ჭამის შემდეგ, რაც ფაკულტატური ენდოთერმის მაგალითა (Clip and Shine 1988, Gibson et al. 1989, Lutterschmidt and Reinert 1990). ზოგიერთ შემთხვევაში სხეულის მაღალმა ტემპერატურამ შეიძლება გაძლოს 30 ან მეტი საათის განმავლობაში. ამ დროს, გველს, შეუძლია, იყოს ისეთ მცირე საბინადრო ადგილებში, როგორშიც ყოფნა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ის ნაჭამი არ ყოფილიყო (Peterson et al. 1993).

### 6.3 რეგულაციის დონე აგალისებს მოგებასა და საფასურს

ორგანიზმები შინაგან გარემოს გარეგანი ტემპერატურის შედარებით ზომიერ დიაპაზონში არეგულირებენ, მაგრამ ეგუებიან უკიდურესობებსაც. ამ სტრატეგიას ეწოდება **ნაწილობრივი რეგულირება**. ჰეტეროთერმისა და ფაკულტატური ენდოთერმის ფენომენები ნაწილობრივი რეგულირების ფენომენს. მხოლოდ ფრინველები და ძუძუმწოვრები არიან ნამდვილი ენდოთერმები იმ გაგებით, რომ ისინი აგროვებენ მეტაბოლურ სითბოს სხეულის ტემპერატურის რეგულირებისთვის. თუმცა პითონები ინარჩუნებენ სხეულის მაღალ ტემპერატურას კვერცხების ინკუბაციის დროს (Hutchison et al. 1966, Vinegar et al. 1970, and see review by Gans and Pough 1982). როგორც უკვე ვთქვით, ზოგიერთი მსხვილი თევზი, როგორიცაა მაგალითად, თინუსი, იყენებს საწინააღმდეგო მიმართულების ძარღვებს, რათა კუნთოვანი მასების ცენტრში ტემპერატურა 40°C-მდე შეინარჩუნოს (Carey et al. 1971). ხმალთევზები ტვინის თბი-ლად შესანარჩუნებლად იყენებენ სპეციალიზებულ მეტაბოლურ გამათბობლებს (Carey 1982, Block 1987). დიდ ჩრჩილებს და ფუტკრებს ხშირად სჭირდებათ გაფრენისინა გახურების პერიოდი, რომლის დროსაც საფრენი კუნთები კანკალებენ და აგროვებენ სითბოს (Heinrich 1979, Heinrich and Bartholomew 1971, Stone 1994). მცენარეებს

შორისაც კი მეტაბოლური სითბოს წარმოებაზე დაფუძნებული ტემპერატურის რეგულაცია აღმოჩენილ იქნა ფილოდენდრონისა და სკუნკ ცაბბაგე ფლორულ სტრუქტურებში (Nagy et al. 1972, Knutson 1974).


ნანილობრივი რეგულირება აგრეთვე დემონსტრირებულია ორგანიზმებში მარილისა და წყლის რეგულირების სახით. მაგალითად, წყლის მცირე ამჟიპოდები ამმარუს-ის გვარიდან მარილის კონცენტრაციებს თავიანთი სხეულის სითხეებში არეგულირებენ, როდესაც იმყოფებიან ისეთ წყლებში, სადაც მარილის კონცენტრაცია სხეულისაზე ნაკლებია, მაგრამ არ არიან წყლებში სადაც მარილის მაღალი კონცენტრაციაა (სურ. 6-8). მტკნარ წყალში მობინადრე ამმარუს ფასციატუს ინარჩუნებს მარილის კოცენტრაციას სისხლში უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე მარილიანი წყლის ბინადარი ოცეანიცუს-ები და ამრიგად, იწყებს მარილის დაბალი კონცენტრაციით ხსნარებთან შეეგუბას. თავიანთ ბუნებრივ საბინადრო გარემოზე არც მტკნარი და არც მარილიანი წყლის სახეობა არ ხვდება იმაზე მეტი მარილის კონცენტრაციას, ვიდრე მის სისხლშია. თუმცა ცხოველები, რომლებიც ბინადრობენ მარილიან ტენისა და აუზებში, აქტიურად ინარჩუნებენ სხეულში მარილის გარემოს წყალზე დაბალ კონცენტრაციას. არტემია ინარჩუნებს მარილის შინაგან კოცენტრაციას 3%-ზე დაბლა მაშინაც კი, როცა მოთავსებულია წყალში 30%-იანი მარილის კოცენტრაციით (Croghan 1958).

წყლის ხერხემლიანთა უმრავლესობას არ შეუძლია, შეინარჩუნოს სისხლში მარილის კონცენტრაცია გარემოს წყალზე დაბლა, ხმელეთის კიბორჩხალა და ზღვის მრავალი სხვა მოქცევათაშორისი უხერხემლო კი, რომლებიც პერიოდულად ჰაერზე ამოდიან, ფლობენ ამ შესაძლებლობას (Prosser 1973). კიბორჩხალა — მოჩვენება (*Ocypode quadrata*) აქტიურად ეძებს საკვებს დღის განმავლობაში, როდესაც ტემპერატურა პლაზმუს შეიძლება აჭარბებდეს  $40^{\circ}\text{C}$ -ს. ეს მდგომარეობა ინვეცის აორთქლებით წყლის საოცრად მაღალ კარგვას. სოროში პერიოდული ვიზიტის განმავლობაში, კიბორჩხალა — მოჩვენება ახდენს რეჰიდრატაციას ქვიშიანი ნიადაგის ნაპრალთშორისი სივრციდან წყლის შენოვით. ამას ლაყუჩების მახლობლად განლაგებული ბუსუსების მეშვეობით ახერხებს. წყლის გარკვეული ნანილი პირდაპირ ლაყუჩების ღრუში ჩაედინება, ნანილსაც პირით ყლაპავს. „მოჩვენება“ კიბორჩხალები ძირითადად უხერხემლოებით იკვებებიან, რაც აზოტითა და იონებით მდიდარ საკვებს წარმოადგენს. იონთა შენახვის საოცარი მონილობა შარდში და  $\text{NH}_3^-$ -ითა და  $\text{NH}_4^+$ -ით გაჯერებული შარდის ნარმოქმნის შესაძლებლობა წარმოიშვა როგორც მექანიზმი სხეულის სითხეებში იონების კონცენტრაციის დაბალნახებისთვის (სურ. 6-9) (Wolcott 1984, 1992, Hadley 1994).


## შეზღუდვები ჰომეოთერმიის ევოლუციაში

ცხადია, ორგანიზმებს, ფრინველებსა და ძუძუმნოვრებთან ერთად, შეუძლიათ ფიზიოლო-გიურად სითბოსდაგროვებას სხეულის მაღალი ტემპერატურის შენარჩუნებისთვის და ბევრი ამას გარკვეულ პირობებში ახორციელებს. მაში, რატომ არის ენდოთერმიის გავრცელება ესოდენ შეზღუდული მცენარეებისა და ცხოველების სამყაროში? პასუხის ნანილი ცხადია, დაკავშირებულია სხეულის ზომასთან. სხეულის ზომის ზრდასთან ერთად, მოცულობა შედარებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე თავად ზომა. ეს ნიშნავს, რომ ზედაპირის ფართობი, რომლიდანაც იკარგება სხეულის სითბო, მსხვილ ცხოველებში უფრო მცირეა მოცულობის თითო ერთეულზე, ვიდრე პატარა ცხოველებში. პრაქტიკული თვალსაზრისით, მსხვილ ორგანიზმებს თბოკონტროლს დაქვემდებარებული ზედაპირის ფართი შედარებით ნაკლები აქვთ და შესაბამისად, სხეულის ტემპერატურის რეგულირებისას, შეუძლიათ, მიაღწიონ სიზუსტის მაღალ დონეს.

იმის მიუხედავად, რომ სხეულის ზომას შეუძლია ახსნას, თუ რატომ არიან ძუძუმნოვრები ენდოთერმულები, ხოლო მნერები, როგორც წესი, ექტოთერმულები (დიდი ჩრჩილები, რომლებიც



**სურ. 6-8** მარილის კონცენტრაცია სხვადასხვა საბინადრო გარემოდან სამი კაბოსებრის სისხლში, როგორც მათი გარეგანი გარემოს ფუნქცია მარილის კონცენტრაციისა. მარილის ნორმალური კონცენტრაცია ზღვის წყლებში არის (3,5%).  
(After Prosser and Brown 1961.)



**სურ. 6-9** ნელისა და მარილის ბალანსის შენარჩუნების სტრატეგია კიბორჩხალას უეითარდება აორთქლებითი ნელის მაღალი კარგვა დღის განმავლობაში პლაუზე საკვების მოპოვების დროს, სადაც ტემპერატურა აჭარბებს  $40^{\circ}\text{C}$ . რეპიდრაცია თავს იჩენს ნოტიო სოროში პერიოდული ვიზიტების დროს. იქ კიბორჩხალა ნიადაგიდან სპეციალური თმების საშუალებით მოიპოვებს წყალს. მოჩვენება კიბორჩხალას უხერხებლო საკვები მაღალიონური და აზოტის შემცველობითია, რომელიც შემდგა გამოიდევნებიან შარდის სახით მაშინ, როდესაც კიბორჩხალა სოროშია. (After Wolcott 1992.)

გაფრენის წინ ხურდებიან, ალევენ პატარა ძუძუმწოვრების ზომას), მსხვილ თევზებსა და რეპტილიებში ზოგადად არ მომხდარა ძვრა ჰომეოთერმიის მიმართულებით. თევზების უმეტესობისთვის ნელიან გარემოში უანგადის ნაკლები ხელმისაწვდომობა და მაღალი თერმული გამტარობის შედეგად სითბოს კარგვის მაღალიფონე ხელს უშლის ტემპერატურის რეგულირებისთვის საჭირო მაღალი მეტაბოლური სიჩქარის განვითარებას. ეს სჭირდება ყველა ორგანიზმს, გარდა ყველაზე აქტიურებისა. დასვენების დროს ფრინველებისა და ძუძუმწოვრების მეტაბოლური დონები შეიძლება  $10\text{-}15^{\circ}\text{C}$  მაღალი იყოს იმავე ზომის თევზების, ამფიბიებისა და რეპტილიების მეტაბოლურ დონეებზე.

რატომ არ განუვითარდათ რეპტილიებს ტემპერატურის რეგულაცია? ბოლოს და ბოლოს თანამედროვე რეპტილიების ზომა, სულ მცირე, შეედრება მცირე ძუძუმწოვრებისას და ისინი ჰაერით სუნთქვავენ. ენდოთერმიის გამომწვევი უმთავრესი ინოვაცია არის ბუმბულისა და ბენგის მიერ განვითარებული იზოლაცია. ფრინველები და ძუძუმწოვრები წარმოიშვნენ რეპტილიებისგან, მაგრამ სრულიად არ ჩამოშორებიან თავიანთ წინაპრებს, ალბათ გარკვეულ პირობებში ექტო-თერმიის უპირატესობების გამო. რეპტილიებს არ აქვთ ენდოთერმული ცხოველების აქტიურობის მაღალი დონეები, მაგრამ მათი დაბალი ენერგიის მოთხოვნილებები კარგად ერგება სეზონურ და სუბტრატთან მიუმაგრებელ საკვების რესურსებს.

## სხეულის მაღალი ტემპერატურის უპირატესობა

ჰომოთერმთა უმრავლესობა ინარჩუნებს გარემოს ჰაერზე მნიშვნელოვნად მაღალ სხეულის ტემპერატურას. ლოგიკა გვეკანახობს, შევამციროთ თერმორეგულაციის ენერგეტიკული საფასური, ტემპერატურა უნდა იყოს დარეგულირებული გარემოს ტემპერატურასთან ახლოს. რატომ ინარჩუნებენ ფრინველები და ძუძუმწოვრები სხეულის მაღალ ტემპერატურას მიუხედავად იმისა, ტროპიკებშიც ფრინვრობენ ინარჩუნებულის (McNab 1966)? სხეულის მაღალ ტემპერატურას რამდენიმე დადებითი მხარე, უპირატესობა აქვს. პირველი, ტემპერატურის მატება ზრდის, აქტივობის უწყვეტ დონეს და შეიძლება გაზარდოს სიფრთხილე, ორივე ხელს უწყობს საკვების მოპოვებას და მტაცებლისგან თავის არიდებას. მეორე, სხეულის მაღალი ტემპერატურა ამცირებს აორთქლებითი გაგრილების ხშირ გამოყენებას სხეულის სითბოს გასაფანტად. ანუ, როდესაც სხეულის ტემპერატურა საკმაოდ აღემატება გარემოს ტემპერატურას, მეტაბოლური სითბო შეიძლება დაიკარგოს მხოლოდ გამოსხივების ან გამტარობის მეშვეობით. ხმელეთის ორგანიზმებისთვის წყლის პოტენციური მარაგი ნაწილობივ ამართლებს მომატებული ტემპერატურის ენერგეტიკულ საფასურს. მესამე, სხეულისა და გარემოს ტემპერატურებს შორის დიდმა სხვაობამ, შეიძლება, საშუალება მისცეს სითბოს კარგვის უფრო ზუსტ და სწრაფ

რეგულირებას აქტივობის შეცვლის საფუძველზე, ვიდრე მცირე სხვაობის შემთხვევაში.

ეს მოსაზრებები ცხადყოფს ფიზიოლოგიური ფუნქციების ოპტიმიზაციის ერთ ასპექტს. ცხადია, ორგანიზმები ავითარებენ ფიზიოლოგიურ მექანიზმებს, მორფოლოგიურ მოწყობილობებს და ქცევებს, რათა შეამცირონ დაძაბულობა გარემოსთან ურთიერთობის დროს. უდაბნოს ფრინველებისა და ძუძუმწოვრების ადაპტაციები თავიათ რთულ გარემოსთან ამ უნივერსალურობას საკმაოდ კარგად ასახავენ.

#### **6.4 ჟავაერატურის რეგულაცია და ცილის გალაციის უდაბნოები მოითხოვს მრავალფეროვან ჰომოოსიაზურ ადაპტაციას**

უდაბნოს გარემოში მობინადრე ორგანიზმები უპირისპირდებიან მკაცრ გამონვევებს, რაც წყლის კარგვას და მასთან დაკავშირებულ თერმული სტრესის პრობლემას წარმოადგენს. უდაბნოთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელი მაღალი ტემპერატურა ხელს უწყობს წყლის კარგვას ფაქტობრივად უწყლო გარემოში. ამრიგად, იმისათვის, რომ უდაბნოს ორგანიზმები გადარჩენენ, სხეულის წყალი უნდა იქნეს შენარჩუნებული, ზედმეტი გადახურება თავიდან უნდა იქნას აცილებული და ზედმეტი სითბო გაიფანტოს. ყველაფერი ეს უნდა განხორციელდეს იმ დროს, როდესაც ორგანიზმი საკვების მიღების, მტაცებლების თავიდან აცილების, პარტნიორის მოძიების და რეპროდუქციული საქმიანობითაა დაკავებული — ანუ აკეთებს იმას, რაც ანარმოებს სითბოს და ამწვავებს წყლის კარგვის პრობლემას.

#### **უდაბნოს ფრინველები**

ხერხემლიანთა შორის, ფრინველები, ალპათ, უდაბნოს ყველაზე წარმატებული მობინადრეები არიან. ისინი აქტიურებად იმაზე დიდხანს რჩებიან სიცხეში, ვიდრე სხვა ცხოველები. იმ დროს, როდესაც სხვა ცხოველები იმალებიან თავშესაფრებში, ისინი კიდევ დიდხანს აქტიურობენ. ამ აქტიურობას განაპირობებს მცირე ექსკრემენტული წყლის კარგვა (გაიხსენეთ მე-4 თავი, ფრინველები გამოყოფენ აზოტს კრისტალიზებული შარდმჟავას სახით) და იმ მწერებით კვება, რომლებისგანაც ისინი წყალს ლებულობენ. მარცვლეულით მკვებავ ზოგიერთ ფრინველსაც კი შეუძლია გაჩერდეს უწყლოდ უდაბნოში იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავს არიდებენ ტემპერატურას 35°C-ს ზემოთ.

ცივ ამინდში კაქტუსის ღობემდვრალა (სურ. 6-10) კარგავს 2-დან 3 სმ<sup>3</sup>-მდე წყალს დღეში. წყლის კარგვა სწრაფად იზრდება ტემპერატურის მატებასთან

ერთად. 45°C-ზე წყლის დანაკარგი დაახლოებით აღწევს 20 სმ<sup>3</sup> დღეში, როცა ღობემდვრალას სხეული შეიცავს სულ 25 სმ<sup>3</sup> წყალს.

ალიონის სიგრილეში კაქტუსის ღობემდვრალები საკვებს ეძებენ, აქტიურად მოძრაობენ ფოთლებსა და მინაზე (Ricklefs and Hainsworth 1968). შუადლისკენ, ტემპერატურის მომატებისას, ისინი გრილ ადგილებს, კერძოდ, მცირე ხეებისა და მსხვილი ბუჩქების ჩრდილებს ირჩევენ. სიცხეში ღობემდვრალები პასიურნი ხდებიან. ყოველთვის არიდებენ თავს კვებას, ნაშიერებსაც ნაკლებად კვებავენ, როდესაც გარემოს ტემპერატურა აჭარბებს 35°C-ს (სურ. 6-11).

უდაბნოს მრავალი ფრინველი აგებს დახურულ ბუდეს ან განათავსებს მას კაქტუსის მსხვილი ღეროს ხვრელებში, სადაც ახალგამოჩეკილი ბარტყები დაცული არიან უკიდურესი სიცივისა და სიცხისაგან. კაქტუსის ღობემდვრალები აშენებენ უსწორმასწორო ბუდეებს, ფართო და აბურდული ბალახის ბურთებს, გვერდითა შესასვლელით კაქტუსის ღეროს ღრუმლში (იხ. სურ. 6-10). ღობემდვრალების წყვილს ბუდის აშენების შემდეგ, აღარ შეუძლია მისი განლაგებისა და ორიენტაციის შეცვლა. თვე-ნახევრის განმავლობაში, პირველი კვერცხის დადებიდან ბარტყების მიერ ბუდის დატოვებამდე, ბუდემ უნდა უზრუნველყოს შესაფერისი გარემო დღისით თუ ღამით ნებისმიერ ამინდში. სამხრეთ არიზონაში კაქტუსის ღობემდვრალები, როგორც წესი, ზრდიან რამდენიმე ნაშიერს, ბუდეებს აგებენ ისე, რომ შესასვლელს არ ხვდებოდეს ადრეული გაზაფხულის ქარი. ცხელი ზაფხულის განმავლობაში კი ბუდეები მიმართულია მოქარბებული სალამოს ბრიზებისკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუდეში პაერის ცირკულირებას და ხელს უწყობენ სითბოს კარგვას (Ricklefs and Hainsworth 1969, სურ. 6-12). ამ სტრატეგიას მოაქვს შედეგი! სეზონის შესაბამისად ორიენტირებული ბუდეები შემთხვევათა 82%-ში წარმატებული არიან იმ დროს, როდესაც ცუდი მიმართულია მოქარბებული სალამოს ბრიზებისკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუდეში პაერის ცირკულირებას და ხელს უწყობენ სითბოს კარგვას (Ricklefs and Hainsworth 1969, სურ. 6-12). ამ სტრატეგიას მოაქვს შედეგი! სეზონის შესაბამისად ორიენტირებული ბუდეები შემთხვევათა 82%-ში წარმატებული არიან იმ დროს, როდესაც ცუდი მიმართულია მოქარბებული სალამოს ბრიზებისკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუდეში პაერის ცირკულირებას და ხელს უწყობენ სითბოს კარგვას (Ricklefs and Hainsworth 1969, სურ. 6-12). ამ სტრატეგიას მოაქვს შედეგი! სეზონის შესაბამისად ორიენტირებული ბუდეები შემთხვევათა 82%-ში წარმატებული არიან იმ დროს, როდესაც ცუდი მიმართულია მოქარბებული ბუდეების მხოლოდ 45% არის წარმატებული (Austin 1974).




სურ. 6-10 კაქტუსის ღობემდვრალა (*Campylorhynchus brunneicapillus*) ბუდეში. (Courtesy of R.B. Suter)



**სურ. 6-11** კაქტუსის ღობემძვრალების მიერ მცირე საბინადროს გამოყენება  
სამხრეთ-აღმოსავლეთ არიზონაში დღის განმავლობში გვიან გაზაფხულზე.  
მიკროსაცხოვრებლები იცვლება ტემპერატურის ცვლილების შესაბამისად გაშლილი მინიდან (ა) და ხეების ღრმა ჩრდილში (ე). ღობემძვრალები აქტიურად საქმიანობენ დღის (7:00) სავრცლები (ა-ე), მაგრამ პასიურები ხდებიან დღის ცხელ სათვეში (2:30), როდესაც ჩრდილსგარე ტემპერატურა  $40^{\circ}\text{C}$ -ს აღწევს (From Ricklefs and Hainsworth 1968).

უდაბნოს ორგანიზმებში ფეკალური და ექსარემნტული წყლების მეორეული მოხმარება. კაქტუსის ღობემძვრალები სისუფთავის შესანარჩუნებლად წმენდენ ბუდეს თავიანთი ნაშიერების ფეკალურ მასებისაგან, თუმცა კვების სეზონის ყველაზე ცხელ პერიოდში ეს მასები შეიძლება დატოვონ, რადგან მათგან აორთქლებული წყლის კარგვა მნიშვნელოვნად აგრილებს ამავე ბუდეს და ზრდის სინოტივეს, რითაც ამცირებს რესპირატორულ წყლის კარგვას. უდაბნოს იგუანებში სეკრეციები მარილის გამომყოფი ჯირკვლიდან, რომელიც მოთავსებულია თვალბუდეში, ჩამოედინებიან ცხვირის ხერხლთან განლაგებულ მცირე ჩაღრმავებებამდე, სადაც წყალი აორთქლდება შესუნთქულ ჰაერში და მცირდება რესპირატორული წყლის კარგვა (Dunson 1976). ზოგიერთი წერო ცხელ ამინდში, გასაგრილებლად საკუთარ ფეკალურ მასებს გამოყოფს. ზრდასრული მორბენალი კაჭკაჭი ჭამს თავისი ნაშიერების ფეკალურ ნარჩენებს. როგორც ჩანს, პატარებთან შედარებით, ზრდასრულთა თირკმელებს მეტი შარდის კონცენტრაციის შესაძლებლობა აქვთ. ამრიგად, ზრდასრულებს შეუძლიათ გამოიღონ წყალი შთანთქმული ფეკალური მასებიდან (Calder 1968).


როგორც კაქტუსის ღობემძვრალა — სხვადასხვა ტემპერატურიანმიკროადგილებშიგადაადგილებით. უდაბნოს კალიები (*Schistocerca gregaria*) თავს იყრიან ბუჩქების ჩრდილში, სადაც გარემოს



**სურ. 6-12** ამერიკული რემეზის (*Auriparus flaviceps*) ბუდეების შესასვლელთა ორიენტაციები საკვები სეზონის აღრეული (გრილი) და გვიანდელი (ცხელი) პერიოდების განმავლობაში ნევადასა და არიზონაში. თიოთვეული სეზონი გვიჩვენებს შედარებით კონცენტრაციას ბუდის შესასვლელისას, ამავე მიმართულებით. კაქტუსის ღობემძვრალების ბუდეთა ორიენტაცია მსგავსია. (მოგვაწოდა გ.ტ. ოსტინმა.)

## უდაბნოს ფეხსახსრიანები

უდაბნოს ზოგიერთი ფეხსახსრიანი თავისი სხეულის ტემპერატურას დაახლოებით ისევე არე-გულირებს,



**სურ. 6-13** უდაბნოს კალია თაენიოპოდა ექუეს-ს თერმორეგულატორული პოზები: (ა) გვერდული დგომა, (ბ) მინიდან ნამოწევა, (ც) მინაზე გართხმა, (დ) ღეროში მოჩრდილვა. მინაზე გართხმა და გვერდული დგომა ათბობენ კალიას, მინიდან ნამოწევა და მოჩრდილვა კი - აგრილებენ. (From Whitman 1987, d. whitmanma togo@woda.)

ტემპერატურა საოცრად მაღალია. თენებრიონიდ ხოჭო, რომელთა სახეობანი მსოფლიოს მრავალ უდაბნოში ბინადრობს, მოძრაობს მზიდან ჩრდილში და ჩრდილიდან მზეში, რათა თავი აარიდოს გადახურებას (Cloudsley-Thompson 1991). მაგრამ თერმულად შესაფერისი მიკროგარემოს მოპოვება არ არის ერთადერთი ბიჰევიორისტული მექანიზმი, რომელსაც უდაბნოს ფეხსახსრიანები თავიანთი სხეულის ტემპერატურის რეგულირებისთვის იყენებენ. ასევე გამოიყენება სხეულის პოზირება და სწრაფი მოძრაობებიც. უფრთო კალია *Teoniopoda eques* ჩიჰუაჰუას უდაბნოში ყველი რცდაოთხი საათის ყველაზე ცივ (შუალამე) და ყველაზე ცხელ (შუაღლე) ნანილებს ბუჩქების ფეხვებში ატარებს და ზედაპირზე მხოლოდ ალიოზე და სალამოს ამოდის, როდესაც გარემოს ტემპერატურა ზომიერია. დღის მოძრაობის ამ ციკლის განმავლობაში კალიამ შეიძლება დაიკავოს ოთხი პოზიციიდან ერთ-ერთი, იმის მიხედვით მას გაგრილება სჭირდება თუ გათბობა (სურ. 6-13). თავისი სხეულის გრძელი ხერხემლის მზის სხივებთან სიახლოვით ან ქვიშის თბილ ზედაპირზე მიკვრით, კალიას შეუძლია გათბეს. ღეროს ჩრდილში განთავსებით, რასაც ღეროში მოჩრდილვას უწოდებენ ან სხეულის ცხელი ზედაპირიდან მაღალა აწევით, კალიას შეუძლია გაგრილდეს. ამ ოთხი პოზიციის სიბშირები თანხვდება ჰაერის ტემპერატურის ცვლილებებს

დღის განმავლობაში. გვერდული დგომა ყველაზე ხშირი პოზაა, რომელსაც კალია ადრეულ დილას იყენებს, როდესაც ტემპერატურა  $12 - 14^{\circ}\text{C}$  აღწევს. მოჩრდილვა და მინიდან ნამოწევა ყველაზე ხშირად შეინიშნება ნაშუადლევს, როდესაც ტემპერატურა  $32^{\circ}\text{C}$ -ს აღწევს (Whitman 1987, 1988).

ზოგიერთ მწერს შეუძლია თავისი სხეულის ტემპერატურა უდაბნოს ზედაპირზე სწრაფი სირბილით ან ფრენით შეამციროს. უდაბნოს ხოჭო ნემაცრის პლანა დარბის მცენარეულობის პეტჩებს შორის დღის ყველაზე ცხელ ნაწილში და იგრილებს თავს კონცექციის საშუალებით. გაგრილება ასევე შესაძლებელია უდაბნოს თავზე მცირე მანძილებზე ფრენითაც. მთხრელი კრაზანა (Sphecidae) დღის უმეტეს ნაწილს მინიდან რამდენიმე მეტრის სიმაღლეზე ფრენაში ატარებს,

დროდადრო იგი უდაბნოს მინაში ეფლობა მწერის დასაჭერად და შემდეგ სწრაფად მიეშურება სოროში დაჭერილი ნადავლით (Amos 1959, Cloudsley-Thompson 1991).

## 6.5 ცვლილებები გარემოში თავს იჩენენ სხვადასხვა დროით და სიცრცით მასშტაბში

ბუნებრივი სამყარო იცვლება დროსა და სივრცეში. ჩვენ ალვიკეამთ დროებით ცვლილებებს ჩვენს გარემოში — დღისა და ღამის ცვლას, ტემპერატურისა და ნალექების სეზონურ ციკლს და ა.შ. ამ ციკლებს ხანდახან არარეგულარული და წინასწარ არაპროგნოზირებადი ცვლილები ემთხვევა. ზამთრის ამინდი, როგორც წესი, ცივი და სველია, მაგრამ ერთ რომელიმე დროს ამინდის წინასწარგანჭვრეტა პრაქტიკულად შეუძლებელია. იგი საგრძნობლად იცვლება რამდენიმე საათის ან დღის ინტერვალებში, როდესაც ცივი ფრონტი და სხვა ატმოსფერული ფენომენი ჩაივლის. ზოგიერთი არაკანონზომიერება ისეთ პირობებში, როგორიცაა განსაკუთრებით ნალექიანი ან მშრალი წლების მონაცვლეობა, თავს იჩენს გრძელი პერიოდების განმავლობაში. მნიშვნელოვანი ეკოლოგიური შედეგების მქონე მოვლენები, როგორებიცაა ხანძრები და ტორნადოები, თავს ატყდებიან ერთსა და იმავე კონკრეტულ ადგილს ძალიან გრძელი ინტერვალებით.

ყოველი ტიპის ცვლილებას გარემოში აქვს მახასიათებელი განზომილება ან მასტები. ცვლილებას დღესა და ღამეს შორის აქვს ოცდა-ოთხსათიანი განზომილება, სეზონურ ცვლილებას — 365-დღიანი განზომილება. ტალღები აზყდებიან კლდიან ნაპირებს ნამიან ინტერვალებში; წვიმისა და ოთვლის მომტანი ზამთრის შტორმები შეიძლება მიჰყებოდნენ ერთმანეთს დაე-ების ან კვირების ინტერვალებში; ქარიშხლები

შეიძლება მიაწყდნენ ერთ გარკვეულ სანაპიროს ათწლეულების ინტერვალებით. ზოგადად, რაც უფრო ექსტრემალურია პირობა, მით დაბალია მისი სიხშირე და მით უფრო დიდია ინტერვალი ამ მოვლენებს შორის.

მოვლენათა ორგორც სისასტიკე, ისე სიხშირე შედარებითი საზომებია, დამოკიდებული ორგანიზმზე, რომელიც გამოსცდის მას. ცეცხლი შეიძლება მრავალ ხეს შეეხოს თავისი არსებობის მანძილზე, მაგრამ მან შეიძლება ხელუხლებელი დატოვოს მწერების პოპულაციათა ათასობით თაობა. ორგორც ვნახავთ, ორგანიზმებისა და პოპულაციების გარემოს ცვლილებაზე რეაგირება დამოკიდებულია დროითი ცვლილების მასშტაბზე. ეკოლოგიური პროცესების განზომილებები შესაძლოა თავად სისტემათა თანდაყოლილ თვისებებს წარმოადგენდეს. მაგალითად, ფიჭვნარში გამანადგურებელი ხანძრის ალბათობა იზრდება უკანასკნელი ასეთი მოვლენის დროიდან მოყოლებული. ტყის ჩამოცვენილი წინვორანი მასა და სხვა საწვავი გროვდება, დროთა განმავლობაში ისინი ზრდიან ხელახალი ხანძრის შესაძლებლობას, რითაც გარკვეული გარემოსთვის ანარმოებენ მახასიათებელი ხანძრის ციკლს. ამის მსგავსად, გადამდები დაავადების სწრაფი გავრცელება პოპულაციაში ხშირად დამოკიდებულია ნაშიერების, არაიმუნიზირებული ინდივიდების აკუმულაციაზე უკანასკნელი ეპიდემიის შემდეგ.

გარემო ასევე განსხვავდება ადგილის მიხედვით. ცვლილებები კლიმატში, ტოპოგრაფიასა და ნიადაგის ტიპი ინვერს ფართომასშტაბიან მრავალსახეობას (მეტრებიდან ასობით კილომეტრებამდე). უფრო მცირე სივრცობრივ მასშტაბში უმეტესი სახის მრავალსახეობა გენერირებულია მცენარეთა სტრუქტურაში, მცენარეთა საქმიანობასა და ნიადაგის ნაწილაკების სტრუქტურაშიც კი. სივრცობრივი ცვლილების გარკვეული განზომილება შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ერთი ორგანიზმისთვის, მაგრამ მეორისთვის — არა. განსხვავდება ფოთლის ზედა და ქვედა მხარეს შორის მნიშვნელოვანია მღლილისთვის, მაგრამ არა ცხენირემისთვის, რომელიც სიამოვნებით მიირთმევს მთლიან ფოთოლს, თავისი მღლილიანად.

სივრცობრივი მრავალსახეობა მოძრაობის სიჩქარესთან ერთად განსაზღვრავს რამდენად ხშირად აწყდება მოძრავი ინდივიდი ახალ გარემოს. ანუ, სივრცობრივი ცვლილება აღიქმება ორგორც დროითი ცვლილება გარემოში მოგზაური ცხოველის მიერ. მცენარისთვის სივრცობრივი ცვლილების განზომილება განსაზღვრავს პირობათა მრავალფეროვნებას, რომელსაც მისი ფესვები აწყდებიან ნიადაგში და გარემოთა მრავალფეროვნებას, რომელშიც მისი ნაშიერები ახდენენ გენერირებას, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შორს ნაიღებენ მის მტვერსა და თესლებს.

ცხოველები და მცენარეები ბინადრობენ სივრცობრივად ცვალებად გარემოში, სადაც საბინადრო პეტჩების (ნაკვეთების) გარკვეულ ზომასა და მოწყობას მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვება ინდივიდთა საქმიანობისთვის. ნებისმიერ მოცემულ მომენტში კაქტუსის ლობებრვალა შეიძლება იკვებოს ბუნებრივი გარემოს ნებისმიერ ადგილას, სადაც თითოეულს განსხვავებული თერმული პირობები და საკვების მარაგი აქვს. ეს განსხვავებული მიკროსფეროები მუდმივად იცვლებიან მზის გამოსხივებისა და ტემპერატურის დღიური ციკლის განმავლობაში. ისინი ასევე იცვლებიან სეზონურად, როდესაც როგორც ფიზიკური გარემო, ისე შესაბამისი მსხვერპლის პოპულაცია იცვლება. ლობებრვალა ფიზიოლოგიურად და ბიპევიორისტულად უნდა მიესდავოს ამ მუდმივ ცვალებად პირობებს. სივრცობრივი ცვლილებები ასევე გავლენას ახდენენ პოპულაციების ზრდასა და რეგულაციაზე და ასევე სახეობებს შორის ინტერაქციებზე, როგორც ვნახავთ წიგნის მე-4, მე-5 და მე-7 ნანილებში.

## **6.6 ორგანიზმის გორ პეტჩების არჩევა განსაზღვრავს მისი აპტიურობის სცენორს**

თითოეული ორგანიზმი უკეთ ფუნქციონირებს პირობათა ვიწრო დიაპაზონში, რომელსაც აქტიურობის სფერო ეწოდება. ცხოველები აქტიურად გადაადგილდებიან გარემოს სხვადასხვა ადგილას, რომელიც განსხვავებულ პირობებს წარმოადგენს, როცა გარემო დროებით იცვლება. ამ განსხვავებულ პირობების მქონე გარემოს შეიძლება არაფორმალურად პეტჩი ვუწოდოთ. (სიტყვა პეტჩს უფრო ზუსტი მნიშვნელობაც აქვს პოპულაციათა ეკოლოგიაში, როგორც ამას მეოთხე ნაწილში ვნახავთ.) პირობები სივრცობრივად განსაზღვრულ თითოეულ პეტჩში იცვლება დღიური და სეზონური ციკლების მიხედვით. პეტჩებს შორის გადაადგილდებით ცხოველებს, შეუძლიათ, დარჩინენ თავიანთი ოპტიმუმის დიაპაზონში. მართალია, მცენარეებს არ შეუძლიათ, ამოითხარონ მინიდან და გადაადგილდნენ, მაგრამ მათი უმრავლესობა თავის საქმიანობას გარკვეულ დროს პირობების ხელსაყრელობის და მოსახერხებლობის მიხედვით არეგულირებს. მაგალითად, უბრალოდ სანამეების დაურევით მცენარეს შეუძლია არასასურველი პირობებისგან. საკუთარი თავის იზოლირება

## **მცენარეთა რეაქციები გარემოს დროებით ცვლილებებზე**

მცენარეებსა რეაქციებისათ, აირჩიონის გარემო, სადაც უნდა გაიზარდონ: ისინი გადარჩებიან შესაფერის


ადგილებში, სხვაგან დაიღუპებიან. მაშასადამე, როდესაც თესლი ფესვებს იდგამს და ზრდას იწყებს, მისი პირველი რეაქცია გამოწვეულია დროებითი და არა სივრცობრივი გარემოთი. გადარჩენისთვის მან უნდა დაარეგულიროს თავისი საქმიანობა ზრდის პირობების მიხედვით — პირობებისა, რომლებიც იკვლებიან ყოველდღიურად და სეზონურად.

თუმცა სივრცობრივი ცვლილებები გარემოში იმის განსასაზღვრავადაა მნიშვნელოვანი, თუ რომელითესლიგაიდგამენტფესვებს და გაიზრდებიან, და რომელები — არა. გაღვივებისათვის თესლებს სჭირდებათ სინათლის, ტემპერატურისა და სინესტის სპეციფიკური კომბინაცია — პირობები, რომლებიც იცვლება მტკიდროდ დაკავშირებულ სახეობებს შორის (Harper et al. 1965). ბუნებრივი ნიადაგის ზედაპირის უსწორმასწორობა ავითარებს მთელ რიგ პირობებს. ეს პირობები საჭიროა მრავალი თესლის გაღვივებისათვის. მცენარეთა ეკოლოგმა, ბრიტანელმა ჯონ ჰარპერმა და მისმა კოლეგებმა მოაწყვეს სახეობათა შორის ამ განსხვავებების ინცენირება ჰეტეროგენული ნიადაგის გარემოს მოწყობით, სადაც მათ დათესეს სამი სახეობის მრავალძარღვას გაზონური და გზისპირა თესლები Plantago-ს გვარიდან. სამი ნიმუში სხვადასხვანაირად რეაგირებდა მოდიფიკაციებზე გარემოში. გარემოზე ზემოქმედებდნენ ნიადაგის მცირედი


დათრგუნვით, ნიადაგის ზედაპირზე მოთავსებული შუშის კვადრატებით და ხის ან შუშის ვერტიკალური კედლებით (სურ. 6-14). შედარებით მცირე რაოდენობის თესლი გაღიყვდა ექსპერიმენტულად სელულებელი ნიადაგის გლუკ ზედაპირზე.

## ცხოველების აქტიურობის სფერო

მცენარებისგან განსხვავებით, ცხოველებს  
მრავალი არჩევანი აქვთ საბინადრო გარემოსთან  
დაკავშირებით. მათი არჩევანი შეიძლება  
მოიცავდეს ბუნებრივი გარემოს უმსხვილეს  
კატეგორიებს, ასეთებია: ტყეები, მდელოები ან  
ჭაობები, რომელთა ფარგლებშიც ინდივიდმა  
შეიძლება მოხლი ცხოვრება გაატაროს. ამავე დროს  
ცხოველი შეიძლება მიჰყებოდეს გარემოს კველაზე  
ხელსაყრელ პირობებს, როგორც ამას კაქტუსის  
ღობებმძღვრალები აკეთებენ. როდესაც პირობები  
სხვადასხვა პეტჩებს შორის იცვლება, ცხოველთა  
აქტიურობის სფეროც იცვლის სახეს. ზოგი ცხოველი  
სეზონის მიხედვით იცვლის გარემოს, როგორც  
ეს მაგალითად, მიგრაციის დროს ხდება. ერთ  
კონკრეტულ საბინადრო გარემოში ყოფნის დროს  
ინდივიდებმა შეიძლება მიუსადაგონ თავიანთი  
პოზიციადა ეცვევა ტემპერატურის დოიურ კილებსა



**სურ. 6-14** სამი სახეობის მრავალძარღვას (ლანტაგო-ს გვარი) თესლების გაღივება ნიადაგის ზედაპირზე ხელოუნურად შექმნილი ცვლილებების გათვალისწინებით. თესლის გაღივების აქტივობის სფეროები მოიცავენ სხვადასხვა ზედაპირულ პირობებს თოთოული საეკიპისთვის (After Harper *et al.* 1965).



(ა)

(ბ)

(გ)



**სურ. 6-15** უკალიპტის დრაკონი (*Amphibolurus fordi*) დღიური აქტიურობის ციკლის სხვადასხვა ფაზაში: (ა) ადრე დილა, ტრიპონიდა-ს ნაზარდებში მოძრაობა; (ბ) შუა დილა, მოძრაობა მიწაზე (დააკვირდით, სხეული მიკრულია მიწის ზედაპირს, რათა გაზარდოს მზისადმი მიშვერილი სხეულის ზედაპირის ზომა და შევიდეს კონტაქტში თბილ ნიადაგთან); (გ) ნორმალური მდგომარეობა, საკვების საძებარზე. (ჰ. ქოგერმა მოგვანოდა, 1974.)

და სხვა გარემო პირობებს იმგვარად, რომ მათი საქმიანობის ადგილი და სიმძლავრე კვალდაკვალ მიჰყება გარემო ცვლილებას. ამგვარი ქცევის მრავალი მაგალითი არსებობს, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო მოიპოვება აქტორერმულ ცხოველებს შორის, რომლებმაც უნდა გაუძლონ მშრალი გარემოს სასტიკ პირობებს.

ცხოველების დღიური ქცევის ციკლები ხშირად მიმართულია საბინადრო პეტჩების ცვალებადი ტემპერატურების პირობებისკენ. იმდროს, როდესაც უდაბნოს ზედაპირის ტემპერატურა შეიძლება მერყეობდეს  $40^{\circ}\text{C}$ -ით 24-საათიან პერიოდში, იმავე უდაბნოში მორიელებისა და ობობების სოროებში ტემპერატურა შეიძლება იცვლებოდეს მხოლოდ რამდენიმე გრადუსით დროის იმავე პერიოდში. ამგვარი ცხოველების ზედაპირული აქტივობის დრო შეესაბამება ისეთ პერიოდებს, როდესაც შესაძლებელია მათი სხეულის ოპტიმალური ტემპერატურის შენარჩუნება (Cloudsley-Thompson 1991).

ხვლიკების დღიური ქცევის ციკლიც ასევე მიმართულია საცხოვრებელი პეტჩების ცვალებადი ტემპერატურებისკენ (Heatwole 1970, Gans and Pough 1982). იმის მიუხედავად, რომ ძალიან ცოტა ხვლიკი აგროვებს სითბოს მეტაბოლურად ტემპერატურის რეგულირებისთვის, ისინი მაინც

იყენებენ მზის გამოსხივებას და თბილ ზედაპირს სხეულის ტემპერატურის ოპტიმალური დიაპაზონის ფარგლებში შესანარჩუნებლად. ლამით სითბოს ეს წყაროები არ არის ხელმისაწვდომი და ხვლიკის სხეულის ტემპერატურაც თანდათანობით ეცემა და დადის გარემოს ტემპერატურამდე. ევკალიპტის დრაკონი (*Amphibolurus fordi*), ავსტრალიის აგამიდური ხვლიკი, სრულად აქტიურია მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი სხეულის ტემპერატურა მერყეობს  $33\text{--}39^{\circ}\text{C}$  შორის (Cogger 1974). ადრე დილით, როდესაც მისი ტემპერატურა  $25^{\circ}\text{C}$ -ს ქვემოთაა და ის ჯერ კიდევ ნელა მოძრაობს, ევკალიპტის დრაკონი დაცოცავს Triopida-ს გვარის ხშირ ბალახებში, სადაც ის მტაცებლებს ემალება (სურ. 6-15 ა). მეტიც, დრაკონი იმდენადაა დამოკიდებული ამ ბალახებზე, რომ ის თავს იჩენს მხოლოდ ისეთ ადგილებში, სადაც Triopida იზრდება. როდესაც დრაკონის ტემპერატურა  $25^{\circ}\text{C}$ -ზე მაღლა ადის, ის ტოვებს Triopida-ს ბალახის ნაზარდებს და მახლობლად მზის სინათლეზე მოძრაობს, ამ დროს მისი სხეული და თავი მუდმივად ეხება მიწის ზედაპირს, რომლისგანაც ის სითბოს შთანთქავს. როდესაც მისი სხეული შეაღწევს ნორმალური აქტივობის დიაპაზონში ( $33\text{--}39^{\circ}\text{C}$ ), ევკალიპტის დრაკონი triopida-ს შორს მიდის ნაზარდებიდან საკვების საძიებლად. ასეთ დროს მისი სხეული



**სურ. 6-16** უდაბნოს ივუანას (ისპოსაურუს დარსალის) სეზონური აქტივობის სფერო სამხრეთ კალიფორნიაში. (ა) ივლისის აქტივობის პიუჯეტი ნაჩვენებია გარემოს ტემპერატურის მოქმედების დროში. (ბ) დღიური აქტიურობის პიუჯეტი მთლიანი სეზონური ციკლისთვის.  
(After Beckman et al. 1973.)

და თავი უკვე აღარ ეხება მინას. როდესაც მისი სხეულის ტემპერატურა აჭარბებს  $39^{\circ}\text{C}$ -ს, ის სწრაფად მოძრაობს და ექებს პატარა triopida-ს ნაზარდების ჩრდილს;  $41^{\circ}\text{C}$ -ზე მაღლა ის კვლავ მსხვილ triopida-ს ნაზარდებს მიაშურებს, რომლის ცენტრშიც პოულობს დაბალ ტემპერატურასა და ჩრდილს. თუ სითბოს სტრესი თავიდან არ აიცილა, ხვლიკი კარგავს გადაადგილების უნარს  $44^{\circ}\text{C}$ -ზე მაღლა და მოკვდება, თუ მისი სხეულის ტემპერატურა გადააჭარბებს  $46^{\circ}\text{C}$ -ს.

ზაფხულის ჩვეულებრივ დღეს, რომლის დროსაც ჰაერის ტემპერატურა მერყეობს  $23^{\circ}\text{C}$ -დან დილით  $34^{\circ}\text{C}$ -მდე შუადლისას, ეკვალიპტის დრაკონი არ ინტენს საკვების ძებნას, სანამ არ გახდება 8:30. დაახლოებით დილის 11:30-სთვის მისი საბინადრო გარემო ხდება ზედმეტად ცხელი ნორმალური აქტივობისთვის და ინდივიდთა უმრავლესობა ექებს ჩრდილს და ხდება პასიური. ორის ნახევრისთვის საბინადრო გარემო საკმარისად გრილდება და დრაკონები განაახლებენ საკვების ძიებას. მაგრამ ექვსი საათისთვის ის ისე გრილია, რომ ისინი იმულებული არიან, დაბრუნდნენ Tripoida-ს ნაზარდებში, სადაც მათი სხეულები სწრაფად გრილდება. ინდივიდებს, რომლებიც დღის ამ მონაკვეთში გარეთ რჩებიან, რეაქცია უნელდებათ და ადვილად უკარდებიან ხელში მტაცებლებს.

სამხრეთ-დასავლეთ აშშ-ს უდაბნოს იგუანა (Disposaurus dorsalis) უფრო მკაცრ პირობებსა და გარემოში ბინადრობს, სადაც გაცილებიც მეტია წლიური ფლუქტუაცია, ვიდრე ეკვალიპტის დრაკონთან ავსტრალიაში (Beckman et al. 1973, DeWitt 1967, Porter et al. 1973). ტემპერატურამ ზაფხულობით ჩრდილში შეიძლება მიაღწიოს  $45^{\circ}\text{C}$ -ს და გაყინვის წერტილზე დაბლა დაეცეს ზამთარში. შეუა ივლისის დროს თერმული გარემო ისე სწრაფად ლავიორებს ექსტრიმებს შორის, რომ უდაბნოს იგუანას შეუძლია, აქტიური იყოს სხეულის ნორმალური ტემპერატურის დიაპაზონში  $39\text{--}43^{\circ}\text{C}$  მხოლოდ 45 ნუთის განმავლობაში გვიან დილით და ადრე სალამოთი (სურ. 6-16 ა). დღის მიწურულს ის ექებს მცენარეთა ჩრდილს და თავისი სოროს სიგრილეს, სადაც ტემპერატურა იშვიათად აჭარბებს სასურველ დიაპაზონს. უდაბნოს იაგუანა ღამეს თავის სოროში ატარებს, სადაც ის დაცულია მტაცებლების თავდასხმისგან. ადრე დილით სორო უდაბნოს ზედაპირზე უდრო თბილია და ამიტომ დილის მხურვალე პერიოდი შედარებით მოკლეა.

უდაბნოს იგუანა ზაფხულში ნაკლებად აქტიურია, სულ ორჯერ გამოდის, ისიც მცირე ხნით, სალამოს, ის უფხო ხელსაყრელ პირობებს აქტივობისთვის გაზაფხულზე ნახულობს (სურ. 6-14 ბ). თერმული გარემო მაისში არ აჭარბებს იგუანას ნორმას და ინდივიდები ექებენ საკვებს აქტიურად 9-დან 5 საათამდე, მხოლოდ დროდადრო ესწრაფვიან სიგრილეს მცენარეთა ჩრდილში.

ზამთრის სიცივე ზღუდავს იგუანას აქტივობის მოკლე პერიოდებით შუადლისას, როდესაც სხეულის ტემპერატურა იწევს იმ დონემდე, რომელზეც ინდივიდს, შეუძლია, ამოვიდეს სოროდან და ეძებოს საკვები. ადრეულ დეკემბერსა და ადრეულ თებერვალს შორის მეტნილად ისე ცივა, რომ უდაბნოს იგუანას სოროდან გამოსვლა არ შეუძლია.

ხვლიკისთვის სხვადასხვა გარემოს ტემპერატურის პეტჩები იცვლება როგორც დროში, ისე სივრცეში. მისი რეაქცია გარემოზე, კერძოდ, მისი მოძრაობა პეტჩებში, საშუალებას აძლევს მას, გამოიყენოს თავის სასარგებლოდ პირობათა მოზაიკა. ხვლიკებში აქტიურობის სფეროში ცვლილების ეფექტს აქვს შედეგები, რომელიც სცდება ყოველდღიური აქტივობის საზღვრებს, მაგალითად, ასეთებია საკვების მოძიება. სასიცოცხლო ციკლის მახასიათებლები, როგორიცაა ყოველწლიური გადარჩენა და კვლავწარმოება, მჭიდროდაა დაკავშირებული ხვლიკების აქტივობის სფეროსთან (Adolph and Porter 1993).

უდაბნოს ბინადარ ყველა ორგანიზმს არ აქვს აქტიურობის სფეროები, რომლებიც ესოდენ მჭიდროდ არიან სინქრონიზებული გარემო პირობებთან, როგორც ეს ხვლიკების შემთხვევაშია. უდაბნოს კალის (შცპისტოცერცა გრეგარია-ს) დღიური აქტივობის მოდელის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ის საოცრად ცვალებადია. კალიების საბინადრო გარემოში საკვებისა და კვერცხის დასადები შესაფერისი ადგილების ხელმისაწვდომობა წინასწარ განუჭრეტელია და კვებისა და რეპროდუქტიული აქტიურობის სწარაფად მისადაგების უნარი არახელსაყრელ ტემპერატურულ პირობებში კრიტიკულია. კალის აქტივობის სფეროს უფრო ბიოტური გარემო განსაზღვრავს (მაგ. საკვებისა და სარეპროდუქციო ადგილების სიჭარე), ვიდრე ფიზკური პირობები (Cloudsley-Thompson 1991).

## 6.7 ჰომეოსტაზური რეაციები იცვლება თავისი დროის კურსების მიხედვით


ცვალებად პირობებზე რეაქციების დრო უნდა იყოს ბევრად მოკლე, ვიდრე გარემოს ცვლილების პერიოდი. სხვაგვარად დღევანდელმა ფორმამ და ფუნქციამ, შეიძლება, გუშინდელი პირობები ასახოს. გარემო ცვლილებაზე რეაქციები ბუნებრივად ნაწილდება სამ კატეგორიად: **მარეგულირებელი, მააკლიმატიზირებელი** და **განვითარებითი რეაქციები**. მარეგულირებელი რეაქციები მიიღწევა ყველაზე სწრაფად, განვითარებისა კი — ყველაზე ნელა.

**მარეგულირებელი რეაქციები** მოიცავს ცვლილებებს როგორც ფიზიოლოგიური პროცესების

დონეებში, ასევე ცვლილებებს ქცევაში. ევკალიპტის დრაკონის ჩრდილის მაძიებლური ქცევა სიცხის დროს არის მარეგულირებელი რეაქციის მაგალითი. ეს რეაქციები არ ითხოვენ არსებული მორფოლოგის ან ბიოქიმიური გზების მოდიფიკაციას. მააკლიმატიზირებელი რეაქციები მოიცავს უფრო არსებით ცვლილებებს, ისეთებს, როგორიცაა ზამთარში ბენვის გასქელება, სისხლში წითელი უჯრედების დიდი მატება ან სხვადასხვა ფერმენტის წარმოება. ეს ცვლილებები შეიძლება ალვიქვათ როგორც ძვრები ინდივიდის მარეგულირებელ რეაქციებში. როგორც რეგულატორული, ისე მააკლიმატიზირებელი რეაქციები შექცევადია, რადგან ისინი უნდა მისდევდნენ გარემოს აღმასვლას და დაღმასვლას. როდესაც გარემოუფრო ნელა იცვლება, პირობების მოცემული წყება შეიძლება შენარჩუნებულ იქნას ინდივიდის ზრდასრული არსებობის მანძილზე და ინდივიდმა შეიძლება შეცვალოს თავისი განვითარება, რათა ანარმონს ამ უპირატესი პირობებისადმი უკეთესად მისადაგებული ფენოტიპი. ამგვარი განვითარებითი რეაქციები ნელი და როგორც წესი, უხილავია.

## აკლიმატიზაცია


უჩვეულო ტემპერატურულ გარემოში მოხვედრილმა ორგანიზმებმა, შეიძლება, განიცადონ მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები. ამას აკლიმატიზაცია ეწოდება. ამგვარი ცვლილებების განვითარება დღეებს და ზოგჯერ კვირებსაც მოიცავს, ამრიგად, აკლიმატიზაცია არის ორგანიზმის სტრატეგია შეზღუდული სეზონური ან სხვა ხანგრძლივი ტემპერატურული ცვლილების პირობებში. ზამთრის ცივ თვეებში ბევრ ფრინველს შეიძლება ამოუციდეს უფრო ხშირი ბუმბული, რითაც უზრუნველყოფილი იქნება უფრო მაღალი თერმოიზოლაცია, ვიდრე — ზაფხულის ცხელ დღეებში. ეს სახეობები ბუმბულს გაზაფხულსა და შემოდგომაზე იცვლიან. თითოეული ბუმბულოვანი საფარი შეესაბამება გარემოს ტიპურ პირობებს განგურებს შორის პერიოდში. თეთრი გნოლი, არქტიკული ფრინველი შემოდგომაზე იცვლის მსუბუქ, ყავისფერ ბუმბულს ზამთრის სქელი თეთრი ბუმბულით, რომელიც ხელს უწყობს თერმოიზოლაციას და წარმოადგენს დამცავ შეფერილობას თოვლის ფონზე. ამ გაზრდილი იზოლაციით გნოლები ნაკლებ ენერგიას ხარჯავენ ზამთარში სხეულის ტემპერატურის შესანარჩუნებლად (სურ. 6-17). ეს ფრინველი ბუმბულის სისქის სეზონურ ცვლილებას ეფექტურად ამთხვევს მარეგულირებელი რეაქციების სიჩქარეს და სეზონის ტემპერატურულ დიაპაზონს ისე, რომ ბუმბულს სჭირდება იგივე მეტაბოლური სიჩქარე სხეულის ტემპერატურის შესანარჩუნებლად, როცა გარემოს ტემპერატურა არის  $-40^{\circ}\text{C}$  ზამთარში



**სურ. 6-17** ზამთრისა და ზაფხულის ტემპერატურებთან აკლიმატიზებული თეთრი გნოლების მეტაბოლური რეაქციები. ზამთართან აკლიმატიზებული ფრინველებს უფრო სქელი ბუმბული აქვთ და მეტი იზოლაციას უზრუნველყოფენ, ვიდრე ზაფხულთან აკლიმატიზებული. ამიტომ მათი მეტაბოლური სიჩქარე უფრო დაბალია ნებისმიერ ტემპერატურაზე და მისი ქვედა კრიტიკული ტემპერატურებიც (იხ. სურ. 6-3), ასევე, უფრო დაბალია (After West 1972.)

და  $-10^{\circ}\text{C}$  ზაფხულში (შესაძლო ტემპერატურა თავის არქტიკულ სახლში). მართალია, ზამთართან აკლიმატიზებული ინდივიდები შეიძლება კარგად ადაპტირებული მოგვერენონ როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის კლიმატურ პირობებში. ზამთრის ბუმბულთან კომბინირებული ზაფხულის აქტივობა სწრაფად ავითარებს სითბოს კონცენტრაციის გასაზრდელად ზამთარშიდასითბოს გაფანტვისთვის ხელის შესაწყობად ზაფხულში ინარჩუნებს სხეულის მუდმივ ტემპერატურას ყველაზე დაბალი შესაძლო საფასურის სანაცვლოდ.

ტემპერატურასთან შეთანხმებადი მრავალი ცხოველი და მცენარე ასევე ახდენს აკლიმატიზაციას სეზონურ ცვლილებებთან (Schmidt-Nielsen 1983, ოცჰაცჰა ანდ შომერო 1984) იგივეს ახერხებს სხვადასხვა ფერმენტისა და ბიოქიმიური სისტემების გამოყენებით — სხვადასხვა ტემპერატურულ ოპტიმუმთან. ექტოთერმულ ცხოველებს შეუძლიათ თავიანთი ამტანობის დიაპაზონი უპირატეს გარემო პირობებს მიუსადაგონ. ურთიერთობა მცურავი თევზის სიჩქარესა და წყლის ტემპერატურას შორის გვიჩვენებს აკლიმატიზაციის შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს (Fry and Hart 1948). ოქროს თევზები ყველაზე სწრაფად მაშინ ცურავენ, როცა აკლიმატიზებულები არიან  $25^{\circ}\text{C}$ -სთან და მოთავსებულნი არიან წყალში, რომლის ტემპერატურაცაა  $25^{\circ}\text{-}30^{\circ}\text{C}$ . ეს ის ვითარებაა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს მათ ბუნებრივ საბინადრო გარემოს (სურ. 6-18). აკლიმატიზაციის ტემპერატურის  $5^{\circ}\text{C}$ -ით შემცირება ზრდის ცურვის სიჩქარეს  $15^{\circ}\text{C}$ -ით, მაგრამ ამცირებს მას  $25^{\circ}\text{C}$ -ით. ერთი ექსტრემალური სიტუაციის გაზრდილი ამტანობა ხშირადამცირებს ამტანობას მეორისადმი.




**სურ. 6-18** ოქროს ოვეზების ცურვის სიჩქარე, როგორც ტემპერატურის ფუნქცია.  $25^{\circ}\text{C}$ -მდე აკლიმატიზებული ოვეზები აშულვნებენ ცურვის უფრო მაღალ სიჩქარეს (უმაღლესი მაჩვენებელი 50ს ნმ<sup>1</sup>), ვიდრე ისინი, რომლებიც აკლიმატიზებული არიან  $5^{\circ}\text{C}$ -ით (უმაღლესი მაჩვენებელი 35 სმ ნმ<sup>1</sup>).

(After Fry and Hart 1948.)

აკლიმატიზაციის მექანიზმები და ის, თუ რა დონემდე შეუძლია აკლიმატიზაციას გარემო ცვლილებების კომპენსაცია, არ არის თანაბარი ორგანიზმებს შორის. მაგალითად, ოვეზებთან და სხვა ექტოტერმულ ორგანიზმებთან შედარებით, ამფიბიებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ აკლიმატორული ცვლილებისა კუნთის ბოჭკოს

მოქმედებისას, ასევე ნაკლები შესაძლებლობა აქვთ სიცივეში მეტი ეფექტურობის მქონე ფერმენტების ნარმოქმნის მხრივ და ნაკლები შესაძლებლობა ფერმენტების ფუნქციების შეცვლის (Rome et al. 1992).

მცენარეებში ფოტოსინთეზის ინტენსიურობის სხვადასხვა ტემპერატურასთან აკლიმატიზაცია გვიჩვენებს, რომ აკლიმატიზაციის შესაძლებლობა ხშირად დაკავშირებულია ბუნებრივ გარემოში განვითარებულ ტემპერატურულ დიაპაზონებთან (სურ. 6-19). ტრიპლებ გლაბრიუსულა, კალიფორნიის სანაპირო რეგიონებში გავრცელებული ნაცარქათამას სახეობები არ ზრდის თავის ფოტოსინთეზურ ინტენსივობას მაღალ ტემპერატურაზე მიუხედავად იმისა, რომ აკლიმატიზებულია უჩვეულოდ მაღალი ტემპერატურის პირობებში –  $40^{\circ}\text{C}$ .  $16^{\circ}\text{C}$ -ზე აკლიმატიზებული მცენარეები ბუნებრივ გარემოში უფრო პროდუქტულები არიან ყველა ტემპერატურაზე. ამის მსგავსად, თერმოფილურ (სითბოს მოყვარულ) *Tidestromia oblongifolia*-ს სახეობებს არ შეუძლიათ დაბალ ტემპერატურაზე აკლიმატიზაცია. მესამე სახის მცენარეთა სახეობა, რომელიც ხარობს უდაბნოში, მაგრამ ფოტოსინთეზურად აქტიურია როგორც ცივ ზამთარში, ისე ცხელ ზაფხულს (*Larrea divaricata*), მაგალითია თერმული აკლიმატიზაციისთვის დამახასიათებელი ტემპერატურის ოპტიმუმის



**სურ. 6-19** სინათლით გაჯერებული ფოტოსინთეზის სიჩქარე როგორც სამი სახეობის მცენარეებში ფოტლის ტემპერატურის ფუნქცია (გვარები: ტრიპლებ, თიდესტრომია და არეა), რომლებიც იზრდება ზომიერ და ცხელ ტემპერატურაზე. თითოეული მრუდის უდიდესი ნაწილი აღნიშნავს ტემპერატურას, რომელზეც ფოტოსინთეზი ყველაზე სწრაფად ხდება. მცენარის სამი სახეობა სხვადასხვანარიად რეაგირებს ორ ტემპერატურულ ვითარებაში ზრდაზე. ზომიერ ტემპერატურაზე გაზრდილ ფლაბრიუსცულას ინდივიდებს აქვთ ფოტოსინთეზის ძალიან მაღალი სიჩქარე თითქმის ყველა ტემპერატურაზე, განსხვავებით იმითგან, რომლებიც უფრო მაღალი ტემპერატურის პირობებში იზრდებოდნენ. სითბოს მოყვარული სახეობების ინდივიდები თობლონგიფოლია მშდარებენ სანინალმდევრო რეაგირებს, სადაც მაღალ ტემპერატურაზე გაზრდილ მცენარეებს ფოტოსინთეზის უფრო მაღალი სიჩქარები აქვთ. დავარიცატა-ს, რომლებიც სამარავდ მაღალ ტემპერატურებზე არიან გაზრდილნი, აქვთ დაახლოებით ფოტოსინთეზის იგუი სიჩქარე, როგორიც ზომიერ ტემპერატურებზე გაზრდილ მცენარეებს. თუმცა ტემპერატურა, რომელზეც მაქსიმალური სიჩქარე იჩენს თავს, იზრდება დაახლოებით  $20^{\circ}\text{C}$ -დან ზომიერ ტემპერატურაზე გაზრდილ მცენარეებში  $35^{\circ}\text{C}$ -ამდე მაღალ ტემპერატურაზე გაზრდილ მცენარეებში.

(from Hochachka and Somero 1984; after Bjorkman et al. 1980).

ძერისა. ამ აკლიმატიზაციის საფუძველი, როგორც ჩანს, მემბრანათა წებოვნებაში ცვლილებებთან ასოცირდება, რაც პირდაპირ კავშირშია ფოტოსინთეზურ გზებთან (Raison et al. 1980). ის, რომ ზოგიერთი მცენარის სახეობებს არ აქვთ ამის შესაძლებლობა, გულისხმობს, რომ ტემპერატურის ფოტოსინთეზთან აკლიმატიზაციის მექანიზმების განვითარება დიდ საფასურს მოითხოვს და რომ ამ მექანიზმებს გვერდს უვლიდნენ, როცა მცენარეები ვითარდებოდნენ ტემპერატურათა ძალიან ვიწრო დიაპაზონში.


ფოტოსინთეზი საკლიმატიზაციამ, ტემპერატურის გარდა, შეიძლება თავი იჩინოს სხვა გარემო ფაქტორების საპასუხოდაც. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს სინათლის ხარისხი და რაოდენობა,  $\text{CO}_2$ -ს და ნებლის ხელმისაწვდომობა, საკვები ნივთიერებების ხელმისაწვდომობა (Anderon et al. 1995, Walters and Horton 1995, Terashima and Hikosaka 1995). ფოტოსინთეზის სინათლესთან აკლიმატიზების მექანიზმები კომპლექსურია, ისინი მოიცავენ ქლოროფილის მოლეკულებს, რეტინალურ პიგმენტებს და ელექტრონების აქცეპტორებს, რომლებიც ორგანიზებულია ქლოროპლასტის თილაკოიდის მემბრანაში (Anderosn et al. 1995). ფოტოსინთეზის სინათლესთან აკლიმატიზაცია ხაზს უსვამს მცენარეების მოდულარული კონსტრუქციის მნიშვნელობას. მცენარეში ფოტოსინთეზი ხორციელდება ყოველ ფოთოლში და თითოეულ ფოთოლს აქვს განსხვავებული რაოდენობის გამოსხივება, მთლიანად მცენარეში ან მახლობელ მცენარეებთან მიმართებაში თავისი განლაგების მიხედვით. სავარაუდოდ, ადგილობრივი სინათლის დონეებთან აკლიმატიზაციას თითოეული ფოთოლი განიცდის. ამრიგად, მთლიანი მცენარის პერსპექტივიდან ფოტოსინთეზის სინათლის დონეებთან ან ხარისხთან აკლიმატიზაციის მიღწევა მოითხოვს მექანიზმს, რომელიც ახდენს ინდივიდუალური ფოთოლების აკლიმატიზაციური რეაქციების ინტეგრირებას სინათლის ადგილობრივ პირობებთან. ეს ინტეგრაცია, როგორც ჩანს, ორი გზით მიიღწევა. პირველი, სინათლის გრადიენტი ფოთოლთა საფარველზე შეიძლება შემცირდეს ფოთოლთა გავრცელებისა და საფარველის ზემოდან ქვემოთ, ფოთოლების დახრილობის თანდათანობითი ცვლის გამო. ფოთოლთა სინათლის გამფანტველი თვისებები შეიძლება ასევე განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რა პოზიცია უკავია ფოთოლს საფარველში. მეორე, ცნობილია, რომ ფოტოსისტემის მაქსიმალური ფოტოსინთეზური ინტენსივობა დაკავშირებულია ფოთოლში აზოტის შემცველობასთან. ფოტოსინთეზური ინტენსივობა დაკავშირებულია ფოთოლში აზოტის შეიძლება მონესრიგდეს ქლოროპლასტში აზოტის გავრცელების მეშვეობით. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი რეაქციები აკლიმატიზაციაზე შეიძლება განსხვავებული იყოს აზოტის მსგავსი

შემცველობის ფოთლებისთვისაც კი (Percy and Sims 1994, Terashima and Hikosaka 1995). მიჩნეულია, რომ ეს ორი მექანიზმი მოქმედებს მთლიანად მცენარეში ფოტოსინთეზიური შედეგების დასარეგულირებლად (Terashima and Hikosaka 1995).

## განვითარებითი რეაქციები

განვითარებითი რეაქციების დროს ზრდა და დიფერენციაცია მგრძნობიარეა გარემო ცვლილებებისადმი, და ეს შესამჩნევია ისეთ მცენარეებსა და ცხოველებში, რომლებსაც რამდენიმე თაობა ეზრდებათ წელიადში. განვითარებითი რეაქციები, როგორც წესი, უჩინარია. ისინი უცვლელნი რჩებიან ორგანიზმის სიცოცხლის ბოლომდე. განვითარებითი რეაქციები არ შეუძლათ უზრუნველყონ მოკლევადიანმა გარემო ცვლილებებმა ამ რეაქციათა ხანგრძლივობისა და შეუქცევადობის გამო. როგორც წესი, ამის გამო მცენარეები და ცხოველები ავითარებენ მოქნილობას მხოლოდ ისეთ გარემოში, სადაც ინდივიდები განიცდიან მუდმივ და მყარ ვარიაციებს. როდესაც გარემოს ცვლილება ორგანიზმის სასიცოცხლო ციკლზე ნელა მიმდინარეობს, როგორც ეს ხდება სეზონური ცვლილებების შემთხვევაში ხანმოკლედ მცხოვრები ცხოველებისათვის, განვითარებითი რეაქციები ხშირად ხელსაყრელია. ასევე მცენარეთა სახეობებისთვის, რომელთა თესლები შეიძლება განთავსდნენ მრავალ სხვადასხვა სახის გარემოში, განვითარებითი მოქნილობის სტრატეგია საკმაოდ აზრიანი და მნიშვნელოვანია.

სინათლის ინტენსივობა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცენარეთა განვითარების კურსზე. ფოტორეცეპტორები (ვთქვათ ფიტოქრომა ორი იდენტური პოლი-პეპტიდური ჯაჭვისგან შემდგარი მოლეკულა) შთანთქავენ სინათლეს, მთელი რიგი კომპლექსური მექანიზმების საშუალებით, რომ-ლებსაც ერთობლივად ფოტომორფოგენეზი ეწოდება. ეს რეცეპტორები გავლენას ახდენენ თესლების გაღვივებაზე, მცენარის განვითარებასა და ყვავილობაზე. სიჩქარე, რომლითაც ჩითილი იზრდება, მცენარის ზომა, ფორმა და ნარმატებულობა, რომლითაც ის მრავლდება — ყოველივე ეს ერთად წარმოადგენს მცენარის რეაქციას გარემოს პირობებზე — გარკვეულნილად სინათლის რეჟიმზე. სინათლე ხელს უწყობს თესლის გაღვივებას მრავალ ბალახეულ მცენარეში (Baskin and Baskin 1988). საკმევლის ფიჭვის (*Pinus taeda*) ჩრდილში გაზრდილ ჩითილებს უფრო მცირე საფესვე სისტემა და მეტი ფოთლეული აქვს, ვიდრე მზეზე გაზრდილ ჩითილებს (Bormann 1958). ვინაიდან დაჩრდილული გარემო მცენარეში ნაკლები წყლის კარგვას იწვევს,



**სურ. 6-20** (ა) ფოტოსინთეზის ინტენსივობა  
და (ბ) მშრალი მასის დისტრიბუცია საკმევლის  
ფიჭვის (*Pinus taeda*) სრულ მზესა და ჩრდილში  
გაზრდილი ჩითილების ფესვებს, ნინებისა და  
ტანის შორის. ჩრდილში გაზრდილ მცენარეებს  
(ნაცრისფერი სვეტები) აქვთ მაღალი  
ფოტოსინთეზის დონეები თითოეულ სამ  
სინათლის ინტენსივობაზე და ის უფრო ნაკლებ  
ენერგიას ახმარს ფესვებს, ვიდრე მზეში  
გაზრდილი მცენარეები (მწვანე სვეტები).

(Data from Borman 1958.)

ჩრდილში გაზრდილ ჩითილებს შეუძლიათ მეტი პროცენტია გადაანანილონ ფიჭვის ტანისა და ნინებში (65% მზეში გაზრდილი ჩითილების 48%-ის ნინააღმდეგ). მზეში გაზრდილმა ჩითილებმა უნდა განვითარონ უფრო ფართო საფესვე სისტემა საკმარისი წყლის მისაღებად. ფოთლეულობის დიდი წილი ჩრდილში გაზრდილ ჩითილებში არის ფოტოსინთეზის მაღალი ინტენსივობის შედეგი თითო მცენარეზე მოცემული სინათლის პირობებში, კერძოდ კი, დაბალი სინათლის ინტენსივობის პირობებში (სურ. 6-20).

განვითარებითი ორეაქციის უფრო რთული მაგალითია ფრთების განვითარება წყლის მზომეულებში, რომლებიც მტკნარი წყლის მნერე-ბი არიან Gerris-ის გვარიდან (Brinkhurst 1959, Vepsäläinen 1973, 1974a, 1974b, 1974c). ევროპული წყლისმზომეულები ოთხ კატეგორიად იყოფიან ფრთების სიგრძის მიხედვით, იმის გათვალისწინებით, თუ სად პინადრობენ. ასეთ სიტუაციას ფრთიანი პოლიმორფიზმი ეწოდება (ცხრილი 6-2).

სახეობებს, რომლებიც სახლობენ დიდ, მუდმივ ტბებში, მოკლე ფრთები აქვთ ან საერთოდ არ აქვთ ფრთები და არ იფანტებიან ტბებს შორის. მეორე მხრივ კი, სახეობებს, რომლებიც ბინადრობენ დროებით ტბორებში, როგორც ნესი, გრძელი, ფუნქციონალური ფრთები აქვთ და შეუძლიათ გამრავლებისთვის სხვადასხვა ადგილების ძიება. ამ ორ უკიდურესობას შორის არსებობენ მცირე ტბორებში მოსახლე სახეობები, რომლებიც მეტ-ნაკლებად სიმყარეს ინარჩუნებენ წლიდან წლამდე. ამგვარ ადგილებში მობინადრე ორგანიზმებს აქვთ როგორც მოკლე და უფრუნველი, ისე გრძელი და კარგად განვითარებული ფრთები.

ცენტრალურ ევროპაში, ინგლისსა და სამხრეთ სკანდინავიაში Gerris-ის სახეობათა უმრავლესობის სასიცოცხლო ციკლიმოიცავს ორთაობას წელიწადში. პირველი (ზაფხულის) თაობა იჩეკება გაზაფხულზე, ახდენს გამრავლებას ზაფხულში და შემდეგ კვდება. მეორე (ზამთრის) თაობა, რომელიც ზაფხულის

## ცხრილი 6-2

### ფრთიანი პოლიმორფიზმი წყლისმზომელა

Gerris odontogaster-ებში: (ა) გრძელფრთიანი ფორმა (ბ)

მოკლეფრთიანი ფორმა. (ფოტო მოგვანდა ვეფსალინენმა)

საცხოვრებელი	ფრთის მახასიათებელი სიგრძე	მახასიათებელი განმსაზღვრელი მექანიზმი
მუდმივი	მოკლე	გენეტიკური
საკმაოდ მყარი, მაგრამ არაპროგნოზირებადი	მოკლეც და გრძელიც	გენეტიკურ- დიმორფული
სეზონური	სეზონურად დიმორფული (ზაფხულის თაობა)	განვითარებითი ცვლა
მოულოდნელობებით სავსე, არაპროგნოზირებადი	გრძელი	გენეტიკური

თაობის მდედრების მიერ დადებული კვერცხებიდან გამოიჩეკა, ვითარდება ზრდასრულ ასაკამდე გვიან ზაფხულამდე, შემდეგ გამოიზამთრებს მომდევნო გამრავლების პერიოდამდე — მომავალი ნლის გაზაფხულამდე. სახეობებში, რომელიც სეზონურ ტბორებში სახლობენ, ზაფხულის თაობა დიმორფულია, გააჩინა როგორც გრძელფრთიანი, ისე მოკლეფრთიანი ფორმები (სურ. 6-21). ყველა ინდივიდი ზამთრის თაობაში გრძელფრთიანია და შეუძლია ფრენა. ისინი ტოვებენ ტბორს გვიან ზაფხულში და გადაინაცვლებენ მახლობელ ტყიან ადგილას ზამთრის გასატარებლად. გაზაფხულზე ისინი უბრუნდებიან თავიანთ ტბორებს და დებენ კვერცხებს.

დიმორფიზმი ზაფხულის თაობაში ასახავს ორ უკიდურეს კატეგორიას. გრძელფრთიან ფორმებს შეუძლიათ, იფრინონ სხვა ადგილებამდე იმ შემთხვევაში, თუ მათი ტბორი დაშრება, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ხდება აღრულ სეზონზე. მოკლეფრთიანი ფორმები დამოკიდებულნი არიან ტბორის მუდმივობაზე. რა მოგებას პოულობენ წყლის მზომელები ამ მოკლეფრთიანი სახეობების წარმოქმნით? მოკლე ფრთების ქონას შეიძლება ჰქონდეს უპირატესობა მაღალი ნაყოფიერების სახით, რადგან საკვები ნივთიერებები, რომელიც მიმართული იქნებოდა ფრთების და საფრენი კუნთების განვითარებისკენ, შეიძლება მიმართულ იქნეს კვერცხებისკენ (Roff 1994).

**რადგანაც ზამთრის თაობის ყველა წარმომადგენელს გრძელი ფრთები აქვს, სეზონური დიმორფიზმი განვითარებითი რეაქცია უნდა იყოს.** კ. ვეფსალანინებმა (1971) აღმოაჩინა, რომ ფრთის სიგრძეს უპირველესად დღის ხანგრძლივობა განსაზღვრავს. სამხრეთ ფინეთში, როდესაც დღის ხანგრძლივობა მუდმივად იზრდება ლარვობის პერიოდში და აჭარბებს 19 საათს უკანასკნელ ნიმფურ (მოუმნიფებელი) პერიოდში, რომელიც წინ უსწრებს ზრდასრულობას, ამ პერიოდში ინდივიდს ეზრდება ფრთები. როდესაც დღის ხანგრძლივობა შემცირებას იწყებს, უკანასკნელი ნიმფური ფაზის დასრულებამდე (როგორც ეს ხდება ხოლმე, როდესაც ლარვების განვითარება სცდება 21 ივნისს, ზაფხულის ბუნიობას), წარმოიშვებიან გრძელფრთიანი ზრდასრულები. ამრიგად, ზაფხულის თაობის ინდივიდები ხდებიან მოკლეფრთიანები ან გძელფრთიანები მათი გამოჩეკის დღისა და ნიმფური განვითარების დონის მიხედვით. ცვლას გრძელ და მოკლე ფრთებს შორის ასევე განსაზღვრავს ტემპერატურა (Vepsälainen, 1974c). მაღალი ტემპერატურა ტბორებს სწრაფად აშრობს და ხელს უწყობს გრძელფრთიანი ფორმების განვითარებას. ვეპსალანინების მიერ აღნერილი განვითარებითი რეაქცია წყლის მზომელების ფრთების სიგრძის შესახებ მხოლოდ ერთია ამგვარ



(ა)



(ბ)

**სურ. 6-21** ფრთიანი პოლიმორფიზმი წყლისმზომელა *Gerris odontogaster*-ებში: (ა) გრძელფრთიანი ფორმა (ბ) მოკლეფრთიანი ფორმა. (ფოტო მოგვანოდა ვეფსალინებმა)

რეაქციებს შორის, ეს რეაქციები შეინიშნება სხვადასხვა მხერებში მოკლე სიცოცხლის ხანგრძლივობით (მაგ. იხ. Fraser Rowell 1970, Lamb and Pointing 1972, Lees 1966, Steffan 1973, Young 1965, Patridge et al. 1994, Legaspi and O'Neil 1994).

## 6.8 მიგრაცია, დაგროვება და პილი საშუალებას აძლევს ორგანიზმებს, გაუძლონ შეუცვალებელ პირობებს

ყინვა, გვალვა, დაბალი სინათლე და სხვა არახელსაყრელი პირობები ხელს უშლის მცენარეებსა და ცხოველებს, მუდმივად მისდიონ თავიანთ სასიცოცხლო ჩვეულ რიტმს. ორგანიზმები გადარჩენისთვის მიმართავენ სხვადასხვა ექსტრემალურ საპასუხო რეაქციებს: სხვა რეგიონში გადასვლას, სადაც პირობები უფრო ხელსაყრელია, ნაყოფიერ პერიოდში დაგროვებული რესურსების გამოყენებას ან პასიურობას.

## მიგრაცია

მრავალი ცხოველი, განსაკუთრებით ის, რომლებსაც ცურვა ან ფრენა შეუძლია, სხვა ადგილისკენ მიემართება (Baker 1978, Gathreaux 1981, Gwinner 1990, Alerstam 1990, 1991, Berthold 1993). არქტიკული კრაჩა ყოველწლიურად 30 000 კილომეტრს ფარავს არქტიკული მიწებიდან, სადაც იგი მრავლდება, სამხრეთ ანტარქტიდულ გამოსაზამთრებელ მიწებამდე. ყოველ შემოდგომას ხმელეთის ფრინველთა ასობით სახეობა ტოვებს ზომიერ და არქტიკულ ჩრდილოეთ ამერიკას, ევროპასა და აზიას უფრო ეკვატორული რაიონების საძიებლად ცივი ზამთრისა და არახერხემლიანი საკვების მარაგის შემცირების გამო (Keast and Morton 1980). აღმოსავლეთ აფრიკაში მსხვილფეხათაგან ბევრი (ვთქვათ ანტილიპა გნუ) მიგრირებს დიდ მანძილზე, მისდევს რა სეზონურ წვიმებსა და ახალი ვეგეტაციის გეოგრაფიულ ნიმუშს (Maddock 1979). ზოგი მწერი, მაგალითად (დანაიდა) მონარქი (პეპლის სახეობა), ყოველწლიურად მიგრირებს. არსებობენ ისეთებიც, რომლებიც მხოლოდ ადგილობრივად გადაადგილდებიან (Dingle 1978). ზღვის ზოგიერთი ორგანიზმი ახორციელებს ფართომასშტაბიან მიგრაციას, რათა მიაღწიოს საქვირითო ადგილებს, მიჰყევს საკვების მარაგებსა ან შეინარჩუნოს სხეულის განვითარებისთვის შესაფერისი ტემპერატურა. ორაგულის მიგრაცია ოკეანიდან მდინარეების სათავეებისკენ, ქვირითობის ადგილებამდე და საწინააღმდეგო მიგრაცია ზრდასრული მტკნარი წყლის გველთევზების (გვ. 194) გამრავლების ადგილებისკენ სარგასის ზღვაში ამის თვალსაჩინო მაგალითებია (Jones 1968, Gross et al. 1988, Kimura et al.

1994). მრავალი ვეშაპი სეზონურად გადაადგილდება საკვებ და გასამრავლებელ ადგილებს შორის (მაგ. იხ. Jones et al. 1984, Melnikov and Bobkov 1994).

ზოგიერთი პოპულაცია არანორმალურად და სპორადულად გადაადგილდება, რაც უფრო მეტად დაკავშირებულია საკვების გაიშვიათებასთან გარკვეული წლების განმავლობაში და არა სეზონურ პირობებთან (Svardson 1957). კანადის ნინვოვან ტყეებში და აშშ-ს დასავლეთ მთებში გირჩების მოსავლის შემცირება თესლებით მკვებავ ყველა ფრინველს, აიძულებს გადავიდეს უფრო დაბალ განედებზე. მტაცებელი ფრინველები, რომლებიც, როგორც ნესი, მღრღნელებით იკვებებიან, ფართოდ იფანტებიან, როდესაც მათი მსხვერპლის პოპულაცია მკვეთრად იკლებს (Gross 1947, Snyder 1947). მწერებიც კი არანორმალური გადაადგილების ობიექტები არიან. გადამფრენმა კალიებმა, რომლებიც მიგრირებენ, როცა საკვები გამოილევა, შეიძლება მიაღწიონ უზარმაზარ პროპორციებს და გამოიწვიონ მოსავლის განადგურება ფართო არეალებში (Gunn 1960, Waloff 1966, sur. 6-22). ამგვარი ქცევა განვითარებითი რეაქციაა პოპულაციის სიმჭიდროვეზე (Uvarov 1961). გაფანტულ პოპულაციებში გაზრდილი კალიები მარტოხელა და ერთ ადგილას მიმაგრებული ზრდასრულები ხდებიან. მჭიდრო პოპულაციებში სხვებთან ხშირი კონტაქტი სტიმულს აძლევს ახალგაზრდა ინდივიდებს განავითარონ ჯოგური, მაღალმობილური ქცევები, რაც ხშირად იწვევს მასობრივ მიგრაციებს ადგილობრივი საკვების რესურსების გამოლევის საპასუხოდ.



**სურ. 6-22** დიდი გუნდი მიგრირებადი კალიებისა სომალიში, აფრიკა, 1962 წელი.  
ამგვარი შეკვეფება ადგილობრივი მაღალი პოპულაციების სიმჭიდროვეზე განვითარებით რეაქციად ითვლება (სურათი აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა მოგვაწოდა.)

## შენახვა

მართალია, ჰომეოსტაზი და მიგრაცია მხარს უჭერს ფუნქციის შენარჩუნებას ფიზიკური გარემოს ცვლილების წინაშე, მაგრამ გარემო ცვლილებები ხშირად აიძულებს ორგანიზმებს იშიმშილონ. როდესაც გარემო მარგინალურად უჭერს სიცოცხლეს მხარს, საკვებისა და წყლის მარაგში მცირედი ფლუქუსაციებიც კი შეიძლება კრიტიკული იყოს. ამგვარ სიტუაციებიც კატასტროფის თავიდან ასაცილებლად მრავალი მცენარე და ცხოველი ინახავს რესურსებს სიჭარბის პერიოდების განმავლობაში, რათა შემდგომ გამოიყენოს ისინი გაჭირვების უამს. იშვიათი წვიმების პერიოდში უდაბნოს კაქტუსები ინახავენ წყალს სუკულენტურ დეროში. მცენარეები, რომლებიც უნაყოფო ნიადაგზე იზრდებიან, იმაზე მეტსაკვებნივთიერებას შთანთქავენ, ვიდრე მათ სჭირდებათ სიჭარბის დროს და შემდეგ იყენებენ ამ ნივთიერებებს ნიადაგში მათი ამონურვისას. მრავალი ზომიერი და არქტიკული ცხოველი აგროვებს სხეულის ცხიმს ზამთარში რბილი ამინდის დროს ენერგიის მარაგად ისეთი პერიოდებისთვის, როდესაც თოვლისა და ყინულის გამო საკვები რესურსები ხელმიუნვდომელია. ზოგჯერ, ზამთარში აქტიური ძუძუმწოვარი (თახვები და ციყვები) და ფრინველი (კოდალა და ჩხიკვი) საკვების მარაგს მინისქვეშ ან ხეების ღრუში აგროვებენ მოგვიანებითი გამოყენებისთვის (Ritter 1938, Swanberg 1951, Andersson and Krebs 1978, Tomback 1980, Sherry 1984). საბინადრო გარემოში, რომლებიც ხშირად იწვიან, მაგალითად, როგორიცაა სამხრეთ კალიფორნიის ჩაპარელი, მრავალნლიანი მცენარეები ინახავენ საკვებს იმ ცეცხლგამძლე ფესვებში. ეს ფესვები იზრდება და ახალ ამონაყარებს იკეთებს მაღვევ ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ (სურ. 6-23).



(ა)



(ბ)

**სურ. 6-23** ფესვების ამონაყარები, რომლებიც იზრდებან ხანძრის შემდეგ სამხრეთ კალიფორნიის ჩარაპელში. (ა) 1939 წლის მაისი ხანძრიდან 6 თვეს თავზე. (ბ) 1940 წლის 16 ივნისის, ფართომასტრატეგიული რეგენერაცია. (მოგვაწოდა აშშ ტყის სერვისმა)

და არქტიკული ფართოფოთლოვანი ხეები ყრიან ფოთლებს შემოდგომაზე, რადგან არ შეუძლიათ გაყინული ნიადაგიდან მათ შესანარჩუნებლად საჭირო სინესტის მიღება (Vegis 1964). მცენარის ძილის დარღვევა ხშირად დამოკიდებულია ისეთ ექსტრემალურ ვითარებაზე, როგორიცაა, მაგალითად ხანგრძლივი ყინვა (Hopkins 1995). ასე რომ არ იყოს, მცენარე შეიძლება გამოვიდეს მძინარე მდგომარეობიდან მანამ, სანამ ექსტრემალური პირობები გადაივლიან.

მრავალი, ძალიან მცირე უხერხემლისა და ცივისისხლიანი ხერხემლიანისთვის ყინვის ტემპერატურა პირდაპირ ზღუდავს ქმედებას და ინვენე ძილიანობას. იშვიათ შემთხვევაში ორგანიზმი თითქმის მთლიანად შრება და მეტაბოლური საქმიანობაც ერთბაშად წყდება, ასეთ მდგომარეობას **ანჰიდრობილი** ეწოდება. *Polypedilum vanderplanki*-ს ბუზების მატლები, ქვიანი აუზების მობინადრეები, სრულიად დეპიდრირებულნი ხდებიან, როდესაც მათი აუზი შრობას იწყებს. წვიმაში მატლები რეპიდრირდებიან რამდენიმე საათში, რათა განაგრძონ განვითარება (Hochachka and Somero 1984). სახეობათა უმრავლესობაში ძილის მომთხვენ პირობებს ელიან მთელი რიგი ფიზიოლოგიური ცვლილებებით (მაგალითად ანტიფრიზების პროდუქტი, დეპიდრაცია, საკვების დაგროვება). ეს ცვლილებები ორგანიზმს სრული

## ძილი

გარემო ხანდახან იმდენად ცივი, მშრალი ან საკვები ნივთიერებებით გაღარიბებულია, რომ ცხოველებსა და მცენარეებს აღარ შეუძლიათ ნორმალური ფუნქციონირება. ამგვარ პირობებში ისინი, რომლებსაც მიგრაცია არ შეუძლია, იძინებენ. მრავალი ძუძუმწოვარი იძინებს, რადგან არ შეუძლია საკვების შოვნა და არა იმიტომ, რომ ფიზიკურად არ შეუძლია გარემო პირობებთან გამკლავება. ძილი მცენარეებში ისეთ სიტუაციას ეწოდება, როდესაც ფესვები, კვირტები, თესლები ან ფოთლები აჩერებენ ზრდას და ამცირებენ მეტაბოლიზმს ექსტრემალური აუტანელი სიცივის ან გვალვის პირობების მოლოდინში. მრავალ ტროპიკულ და სუბტროპიკულ ხეს სცვივა ფოთლები გვალვის სეზონური პერიოდების განმავლობაში. ზომიერი

გათიშვისთვის ამზადებენ (Prosser 1973, Mrosovsky 1976, Clutter 1978, Gregory 1982, Lyman 1982).

ზამთრის დაწყებამდე მწერებს დასვენების მდგომარეობა ეუფლებათ, რომელიც **დიაპაუზის** სახელით არის ცნობილი. ამ მდგომარეობაში წყალი ქიმიურად შეიკვრება ან იმ რაოდენობით აღდეგება, რომ შეაჩეროს ყინვა, ხოლო მეტაბოლიზმი თითქმ ის ნულამდე ეცემა (Hochachka and Somero 1984, Lee et al. 1987). ზაფხულის დიაპაუზაში გვალვაგამძლე მწერების სხეულები მთლიანად შრება, რათა აიტანოს გაუწყლოვება ან იფარება გაუმტარი გარეთა საფარველით, რათა ხელი შეუშალოს გაშრობას. მცენარეთა თესლებს, ბაქტერიათა და სოკოების სპორებს მსგავსი საძილე მექანიზმები აქვთ (მაგ. იხ. Koller 1969).

## **6.9 უახლოესი სიგნალები ორგანიზმებს საშუალებას აძლევენ, ნინასნარ ჰი- გრძოლების მოსალოდნელი გარემოს ცვლი- ლება**

რა მიანიშნებს ტროპიკულ მცენარეებს, რომ ჩრდილოეთ ტყეებში გაზაფხული ახლოვდება, ან რა აიძულებს ორაგულებს, დატოვონ ზღვები და დინების საწინააღმდეგოდ გადაადგილდნენ თავიანთი ქვირითობის ადგილებისაკენ? როგორ გრძნობენ წყლის უხერხემლოებიარქტიკაში, რომ თუ დიაპაუზაში შესვლას დააგვიანებენ, მოულოდნელი ყინვისას შეიძლება ზამთრისთვის მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ? ჯ.კ. ბეიკერმა (1983) აღმოაჩინა მნიშვნელოვანიგანსხვავება **უახლოესფაქტორებსა** (ვთქათ, გარემოს ასპექტი, როგორიცაა დღის ხანგრძლივობა, რომელსაც ორგანიზმი ქცევის სიგნალად მიიჩნევს) და **უკიდურეს ფაქტორებს** შორის. ეს უკანასკნელი გარემოს შტრიხებია, როგორიცაა ხელმისაწვდომი საკვების რაოდენობა, რაც თავის მხრივ პირდაპირ უშუალოდ უკავშირდება ორგანიზმის კეთილდღეობას. თითქმის ყველა მცენარე და ცხოველი გრძნობს დღის ხანგრძლივობას (ფოტოპერიოდს) როგორც უახლოეს ფაქტორს, რომელიც აღნიშნავს სეზონს და ბევრს შეუძლია, განასხვავოს დღეების ზრდის და შემცირების პერიოდები (Bunning 1967, Loftus 1970, Vince-Prue 1975, Murton and Westwood 1977, Beck 1980). მცენარეებში გაღვივების, ყვავილობისა და ფოთოლცვენის პერიოდები კონტროლდება დღის ხანგრძლივობის მიხედვით.

მსგავსი ორგანიზმები სხვადასხვა ადგილას ყოფნისას შეიძლება საოცრად განსხვავდებოდნენ ფოტოპერიოდებზე თავიანთი რეაქციებით. ნინათლისა და სიბნელის კონტროლირებადი ციკლების არსებობისას შვრის ნათესების სამხრეთ პოპულაციები (30) ყვავილობენ მხო-

ლოდ მაშინ, როდესაც დღის ხანგრძლივობა 6 საათს აღწევს. მაშინ, როდესაც უფრო ჩრდილოები პოპულაციები (47) ყვავილობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც დღის ხანგრძლივობა აჭარბებს 16 საათს ყვავილობდნები (Olmsted 1944). სინათლის უფრო გრძელი პერიოდები თრგუნავენ ყვავილობას სამხრეთ პოპულაციებში. 47 -ზე მიჩიგანში მცირე მტკნარი წყლის კიბოსნაირთა პოპულაციები, რომლებიც წყლის რწყლის რწყლის (Daphnia) სახელით არიან ცნობილი, ქმნიან დიაპაუზურ გუნდს 12 საათიან (შუა სექტემბერი) ან ნაკლებ ფოტოპერიოდებში (Stross and Hill 1965). ალიასკაზე, 71 -ზე მონათესავე სახეობები დიაპაუზას ქმნიან, როდესაც სინათლის პერიოდი დღეში 20 საათზე ნაკლებ დრომდე მცირდება, რაც შეესატყვისება შუა აგვისტოს (Stross 1969). თბილი ტემპერატურა და პოპულაციათა დაბალი სიმჭიდროვე ამცირებს დიაპაუზისათვის საჭირო დღის ხანგრძლივობას (და ამრიგად გადაიდება დიაპაუზის დაწყება შემოდგომაზე), რადგან ეს ფაქტორები Daphnia-სათვის უფრო ხელსაყრელ პირობებს ნინასნარმეტყველებენ.

როდესაც დღის სინათლე ზუსტად და აკურატულად ვერ ნინასნარმეტყველებს ცვალებად პირობებს სპორადულად, ცხოველებმა და მცენარეებმა სიგნალი უნდა მიიღონ უკიდურესი ფაქტორების მეშვეობით. წლიური ციკლები ეკვატორულ რეგიონებში, სადაც დღის ხანგრძლივობა თითქმის მუდმივია, მისდევს წვიმების სეზონურ ციკლებს და მათ გავლენას ტენიანობასა და მცენარეულობაზე. ისეთ საოცრად ნინასნარ არაპროგნოზირებად გარემოში, როგორიცაა უდაბნო, მრავალი ორგანიზმი ითვისებს მზადყოფნის კონსერვაციულ სტრატეგიას მთლიანი პერიოდის განმავლობაში. აქვე მოსალოდნელია, სპორადულმა წვიმებმა იჩინონ თავი. უდაბნოს ზოგიერთ ფრინველში ფოტოპერიოდი ასტიმულირებს რეპროდუქტიული ორგანოების განვითარებას იმ დონეზე, რომელსაც ძალიან ცოტა აკლია გამრავლების პერიოდამდე. გონადები ინარჩუნებენ მზადყოფნის ამ მდგომარეობას მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც წვიმის წამოსვლა არის მოსალოდნელი, მაგრამ თავად წვიმების წამოსვლა იწყებს მათი ფიზიოლოგიური განვითარების დამთავრებასა და გამრავლების პერიოდის დაწყებას (Marshall and Disney 1957, Immedlmann 1971).

## **6.10 ეკოტიპური დიფერენციაცია ასახ- ავს ადგილობრივი პიროვნებისადმი აღაპტაციას**


დაახლოებით 75 წლის წინ შვედმა ბოტანიკოსმა გოტე ტურესონმა შეაგროვა მცენარეთა რამდენიმე სახეობის თესლები, რომლებიც მოიპოვებოდნენ ძალიან ბევრ ადგილას და დარგო ისინი თავის ბალში.

მან აღმოაჩინა, რომ მრავალი მცენარე, იდენტურ პირობებში გაზრდილიც კი, ივითარებს სხვადასხვა ფორმას მათი მშობლიური გარემოს მიხედვით. ტურქესონმა (1922) ამ ფორმებს ეკოტიპები უწოდა (ეს სახელი დღემდე გამოიყენება) და მიიჩნია, რომ ეკოტიპები წარმოადგენენ გენეტიკურად დიფერენცირებულ პოპულაციათა ხაზს, აქედან თითოეული შეზღუდულია სპეციფიკური საბინადრო გარემოსთვის. რადგანაც ტურქესონმა გაზარდა ეს მცენარეები იდენტურ პირობებში, იგი მიხედა, რომ განსხვავებებს ეკოტიპებს შორის შესაძლოა, პქონდეს გენეტიკური საფუძველი და რომ შეიძლება ისინი მომდინარეობდნენ საბინადრო გარემოს მიხედვით ევოლუციური დიფერენცირებისგან.

ბოტანიკოსები უკვე დიდი ხანია აღიარებენ, რომ სხვადასხვა ადგილას გაზრდილ სახეობათა ინდივიდებმა შეიძლება განავითა-რონ განსხვავებული ფორმები, რომლებიც შეესაბამებიან იმ პირობებს, სადაც ეს სახე-ობები იზრდებიან. ეს განსხვავებები მეტნილად განვითარების რეაქციებზეა დამოკიდებული. მაგრამ ექსპერიმენტებმა, რომლებიც ტურქესონმა ჩაატარა, გამოამჟღავნა გენეტიკური ადაპტაციები ადგილობრივ პირობებთან. ინდივიდის ფენოტიპი მყარია, მაგრამ ფენოტიპები ინდივიდებში იცვლება ადგილის მიხედვით. ტყის მცენარე ხარჯუას *Hieracium umbellatum*-ს, როგორც წესი, აქვს სწორადმდგომი ჰაბიტუსი. მდელოში გაზრდილი მცენარე გართხმულია მინაზე, ხოლო ქვიშის დიუნების მობინადრეებს შუალედური ფორმა

ახასიათებთ. ტყის ეკოტიპთა ფოთლები ყველაზე ფართოა, დიუნების ეკოტიპებისა — ყველაზე ვიწრო, ქვიშის მდელოს მობინადრეებისა კი — შუალედური. ქვიშიანი მდელოს მცენარეები თმით არიან დაფარულნი. ეს შტრიხი სხვა მცენარეებში არ შეინიშნება.

იენს კლაუსენმა და მისმა კოლეგებმა (1948) განახორციელეს მსგავსი ექსპერიმენტები ასფურცელას სახეობაზე *Achillea mellefolium*, კალიფორნიაში. ცპილება, მზესუმზირათა ოჯახის წევრი, იზრდება საკმაოდ ბევრ ადგილას, მისი საცხოვრებელი დიაპაზონი იწყება ზღვის დონიდან და სცდება 3000 მეტრის სიმაღლეს. კლაუსენმა შეაგროვა თესლები სხვადასხვა წერტილებიდან სიმაღლის გრადიენტის გასწვრივ და დარგო ისინი სტენფორდში, კალიფორნიაში, ზღვის დონესთან ახლოს. მართალია, მცენარეები იდენტურ პირობებში იზრდებოდნენ რამდენიმე თაობის განმავლობაში, ინდივიდები მთიული პოპულაციებიდან ინარჩუნებდნენ განმასხვავებულ მცირე ზომას და თესლის დაბალ პროდუქტიულობას (სურ. 6-24), რითაც გამოამჟღავნეს ეკოტიპური დიფერენციაცია პოპულაციაში. რეგიონული და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ამგვარი განსხვავებები ადაპტაციებში უეჭველად აფართოებს მრავალი სახეობის ეკოლოგიური გამძლეობის ამპლიტუდებს მათი მცირე სუბპოპულაციებად დაყოფის საშუალებით, რომელთაგან თითოეული განსხვავებულადაა ადაპტირებული მუდმივ ადგილობრივ გარემო



**სურ. 6-24** ეკოტიპური დიფერენციაციები ასფურცელათა ცპილება მიღლეფოლიუმ-ის პოპულაციებში. სხვადასხვა სიმაღლეზე მობინადრე მცენარეები იდენტურ პირობებში ერთსა და იმავე ბაღში იყვნენ თავმოყრილი. მაღალი ადგილებიდან მოპოვებული თესლები წარმოქმნიდნენ უფრო მცირე ზომის მცენარეებს, ვიდრე დაბალი სიმაღლეებიდან აღებული მცენარეები.

(After Clausen et al. 1948.)

პირობებთან (Kruckenberg 1951, McMillan 1959, Mooney and Billings 1961, Hiesey and Milner 1965, Bjorkman 1968, Antonovics 1971, McNaughton 1973, Eickmeier et al. 1975, Coyne et al. 1983, Schemske 1984, Silander 1985, Loik and Nobel 1993). ამგვარმა ეკოტიპურმა დიფერენციაციამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მცენარის რეაქციაზე სხვადასხვა

რეგიონებში კლიმატური ცვლილებების დროს. ნორტონმა და სხვებმა (1995) აღმოაჩინეს, რომ *Arabidopsis thaliana*-ს მცენარეთა ხუთმა ეკოტიპმა მოიმატა ბიომასაში მაშინ, როდესაც მათთვის ხელმისაწვდომი გახდა ატმოსფეროში მომატებული  $\text{CO}_2$ -ის დონე, თუმცა ეს დონეები განსხვავდებოდნენ ეკოტიპებს შორის.

## დასკვნა

1. მუდმივი შინაგანი მდგომარეობის — ჰომეოსტაზის — შენარჩუნება, დამოკიდებულია უარყოფითი უკუკავშირის რეაქციებზე. ორგა-ნიზმები გრძნობენ ცვლილებებს შინაგან გარემოში და რეაგირებენ, რათა დაიბრუნონ ეს კონდიციები თავიანთ ოპტიმუმში.
2. ორგანიზმებს, რომლებიც ინარჩუნებენ მუდმივ შინაგან მდგომარეობას გარემო ცვლილებების პირობებში, ენოდებათ რეგულატორები. მათ, ვინც აძლევს თავის შინაგან მდგომარეობას საშუალებას, მისდომის გარეგან ცვლილებებს, ენოდება კონფორმერი.
3. სხეულის ტემპერატურის შენარჩუნებას ვიწრო დიაპაზონის ფარგლებში (ფრინველებისა და ძუძუმწოვრებს შორის). ჰეტერონომია ეწოდება. პოკილოთერმინის შემთხვევაში სხეულის შინაგნი ტემპერატურა ეთანხმება გარემოს ტემპერატურას. ორგანიზმები, რომლებიც იყენებენ მეტაბოლიზმის მეშვეობით წარმოქმნილ სითბოს სხეულის ტემპერატურის რეგულირებისთვის, ენდოთერმებად ინიციან. ზოგიერთმა ენდოთერმმა, მაგალითად დამურამ, შეიძლება ფაკულტატურად შეამციროს სხეულის ტემპერატურა. ამ ფენომენს ჰეტეროთერმია ეწოდება. ორგანიზმები, რომლებიც ეყრდნობიან სითბოს გარეგან წყაროებს სხეულის გასათბობად, ინოდებიან ექტოთერმებად. ზოგიერთ ექტოთერმს, მათ შორის გველებს და თევზებს, აქვთ ფიზიოლოგიური მექანიზმები გარკვეულ სიტუაციებში სხეულის ტემპერატურის გასაზრდელად. ამ პროცესს ფაკულტატური ენდოთერმია ეწოდება.
4. სხეული — გარემოს გრადიენტის სიდიდე და შინაგანი პირობების მუდმივობა, რომლებსაც ინარჩუნებენ ორგანიზმები, აბალანსებს ჰომეოსტაზის საფასურს (ფიზიოლოგიური აპარატის შენარჩუნება და გრადიენტის მხარდაჭერა) მჭიდროდ რეგულირებადი შინაგანი პირობების უპირატესობათა წინააღმდეგ.
5. ჰომეოსტაზის უმსხვილესი კომპონენტი არის მიკროგარემოს არჩევა, რომელსაც მინიმუმამდე

დაჰყავს სხეული — გარემოს გრადიენტი. ეს სტრატეგია ასახულია უდაბნოს ფრინველების ქცევაში საკვების ძიებისას და მათი ბუდეების კონსტრუქციაში. ეს ბუდეები უზრუნველყოფენ მათივე ნაშიერების გარემოს სტაბილურობას.

6. ფიზიკური გარემოს პირობებს სხვადასხვა დროითი და სივრცითი მასშტაბები განსაზღვრავს. არსებობს ცვლილებები ტემპერატურაში, სინოტივესა და სინათლეში, ყოველივე ეს თავს იჩენს დღისა და ღამის და სეზონთა ცვლილებისას. ხანძრები, ტორნადოები, ქარიშხლები და გვალვები ნაკლებად პრ დი ცვლილებებია. სივრცობრივი ცვლილებები გარემოში განისაზღვრება შესაფერისი საბინადრო პეტჩების ზომითა და მოწყობით და ასევე იმ სიჩქარით, რომლითაც ორგანიზმი მოძრაობს გარემოში.

7. ინდივიდის ცხოველქმედების სფერო არის იმ პირობათა დიაპაზონი, რომლებიც ფუნქციონირებენ ორგანიზმები. ცხოველქმედების სფერო დამოკიდებულია თითოეულ პეტჩში პირობათა შესაფერისობასა და რესურსების ხელმისაწვდომობაზე. ეს ფენო-მენი ილუსტრი-რებულია ცვალებადი თერმული პირობების გავლენით უდაბნოს ხელიკების მიერ საბინადროს გამოყენების მაგალითზე. რადგა-ნაც მცენარეებს არ შეუძლიათ მოძრაობა, ისინი ცხოველქმედებას უპირველესად არეგული-რებენ გარემოში დროითი და არა სივრცობრივი ცვლილებების საპასუხოდ.

8. ბუნებრივი გარემოს არჩევას, არ შეუძლია გარემოს ცვლილების სრული კომპენსაცია და ამიტომ, ორგანიზმებმა უნდა აამოქმედონ მთელი რიგი ჰომეოსტაზური რეაქციები. ამათგან ყველაზე სწრაფი მარეგულირებელი ის რეაქციებია, რომლებიც მოიცავს ცვლილებებს პროცესთა დონესა და ორგანიზმის პოზიციაში, მაგრამ არა მის მორფოლოგიურ ან ბიოქიმიურ სტრუქტურაში. ამის მაგალითია სიცივის სტრესის საპასუხოდ კანკალი და გუგის შევიწროება მოულოდნელი მკვეთრი სინათლის გამოსხივებისას. მარეგულირებელი რეაქციები სწრაფი და შექცევადია.

**9.** აკლიმატიზაციური რეაქციები მოიცავს შექცევად ცვლილებებს სტრუქტურაში (მაგალითად, ბენვის სისქე) ან ბიოქიმიურ გზებში (ცვლილებები ფერმენტთა და მათი პროდუქტების რაოდენობაში) და მოითხოვს უფრო ხანგრძლივ პერიოდებს (როგორც წესი, დღეები და კვირები), ვიდრე მარეგულირებელი რეაქციები. აკლიმატიზაცია თამაშობს მნიშვნელოვან როლს ხანგრძლივად მცხოვრები ორგანიზმების სეზონური ცვლილებებისადმი რეაქციებში.

**10.** განვითარებითი რეაქციები გამოხატავენ ინტერაქციებს ორგანიზმსა და მის გარემოს შორის ზრდის პერიოდში. განსხვავებული გარემო ინვევს მახასიათებელ სტრუქტურებს და გამოვლინებებს, რომლებიც როგორც წესი, შეუქცევადია. მცენარეების თესლების რეაქციები მზესა და ჩრდილზე და წყლის მზომელების ფრთის სიგრძის ცვლილებები, რომლებიც დამოკიდებული არიან მათი საბინადროს სიმყარესა და მუდმივობაზე, განვითარებითი რეაქციების მაგალითებია.

**11.** როდესაც გარემო პირობები სცილდება გამძლეობის ზღვარს, ორგანიზმები იწყებენ

მიგრირებას, მოიხმარენ სიჭარბის პერიოდებში დაგროვილ რესურსებს ან გადადიან პასიურ მდგომარეობაში (მაგალითად, ძილი, დიაპაუზა).

**12.** გარემო ცვლილებაზე სათანადო რეაგირებისთვის, ინდივიდმა ნინასნარ უნდა განჭვრიტოს ეს ცვლილებება. საამისოდ ორგანიზმები ეყრდნობიან უახლოეს სიგნალებს, ვთქვათ დღის ხანგრძლივობას. მნიშვნელოვანია საკვების მარაგი და ტემპერატურა, რომლებიც პირდაპირ მოქმედებენ მათ კეთილდღეობაზე.

**13.** როდესაც პოპულაციები ქვედანაყოფებად იყოფიან სხვადასხვა პირობების მქონე საცხოვრებელ გარემოში, თითოეულ ქვედანაყოფს შეიძლება განუვითარდეს ადაპტაცია ადგილობრივი ადმი. ამგვარ დიფერენცირებულ ფორმებს ეკოტიპები ეწოდებათ. ვიცით, რომ კარგად ცნობილი მაგალითები მოიპოვება იმ მცენარეებს შორის, რომლებიც თავიანთი დაბალი მობილურობის გამო, ავითარებენ სუბპოპულაციების ევოლუციურ იზოლაციას მცირე გეოგრაფიულ მასშტაბებზე.

## სავარჯიშოები

**1.** ყველა ცხოველს აქვს ადაპტაციის უნარი თავი-ანთი სხეულის ტემპერატურის რეგულირებისთვის. შეადგინეთ ტაბულა, რომელშიც შედარებული იქნება მწერების, ამფიბიების, რეპტილიების, თევზებისა და ძუძუმწოვრების ადაპტაციები

**2.** შექმნით ცხოველმოქმედების სფეროს დიაგრამა (იხ. სურ. 6-16) თქვენი აქტივობისთვის გასული კვირის განმავლობაში

**3.** ჩვენ განვიხილეთ მცენარეთა სახეობების ეკოტიპები. არსებობენ ცხოველთა ეკოტიპები?

## თავი 7



# ბიოლოგიური ფაეთონები გარემოში

### გზამკვლევი კითხვები

- რით განსხვავდება ევოლუციური რეაქციები ბიოტურ და აბიოტურ გარემოების?
- რა ადაპტაციები აქვთ მტაცებლებს მსხვერპლთა დაჭრისას და შექმისას?
- როგორ გაურბის მსხვერპლი მტაცებლებს?
- რა უპირატესობები აქვს პოლიმორფიზმისას?
- როგორ იყენებენ მწერები ქიმიკატებს მტაცებლებისგან თავის დასაცავად?
- რა საშუალებებით იცილებენ მცენარეები ბალახისმჭამელებს?
- როგორ გადალახავენ ბალახისმჭამელები მცენარეთა დამცავ მექანიზმებს?
- რა დამახასიათებელი ადაპტაციები აქვთ პარაზიტების სასიცოცხლო ციკლებს?

**გ**ე-4, მე-5 და მე-6 თავებში ვნახეთ, როგორ აღმოცენდება მცენარეთა და ცხოველთა ფორმები და ფუნქციები გარემოს ფიზიკური ფაქტორების (მათ **აბიოტურ** გარემოს უწოდებენ) საპასუხოდ, რათა თავიანთი ორგანიზმი შეაგურონ გარემო პირობებს. ეს ადაპტაციები თავს იჩენს კონკრეტულ დროსა და ადგილას ყველაზე უკეთ მორგებული ინდივიდების ბუნებრივი გადარჩევის გზით. ევოლუციურ კონკურენციაში გამარჯვებული რჩება ის, რომელიც ტოვებს ყველაზე მეტ, გამრავლების შესაძლებლობის მქონე, შთამომავლობას (იხ. 1 თავი). ინდივიდის მორგება ფიზიკურ გარემოსთან გადარჩენის ერთადერთი ფაქტორი რომ ყოფილიყო, ჩვენი ცხოვრება ნაკლებად კომპლექსური და ცვლადი იქნებოდა. სავარაუდოდ, ფიზიკური პირობების თითოეული წყება ირჩევს ორგანიზმს ისეთი ანატომიური, ფიზიოლოგიური და ქცევითი შტრიჩების კომბინაციით, რომლებიც ყველაზე უკეთ მოარგებს მას ამ გარემოს. როგორც კი ეს იდეალი მიიღწევა, გარემო პირობების უცვლელობის პირობებში, ევოლუციის მამოძრავებელი ძალები ჩერდება გარკვეულ დონეზე. მეტიც, როდესაც ორგანიზმები გამოცდიან ერთნაირ პირობებს, სელექცია ფიზიკური ფაქტორების მიხედვით, ხელს უწყობს მათ შორის გარეგნულ ერთგვაროვნებასაც. მართლაც, მცენარეები და

ცხოველები აღწევენ ერთნაირ ფორმებს, რომლებსაც მათ გარემოს ფიზიკური ფაქტორები კარნახობს. მაგალითად, მსოფლიოს გარშემო მშრალ ადგილებში მრავალი სხვადასხვა სახის მცენარე ერთნაირად მცირე ზომის იზრდება და აქვთ ტყვავისებრი, სქელი ფოთლები. ეს არის ადაპტაციები წყლის კარგვის შესამცირებლად. მაშინ რა იწვევს მრავალფეროვნებას ცოცხალ არსებებში?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ გარემო, გარდა ფიზიკურისა, შედგება მრავალი სხვა ფაქტორისგანაც. არსებობს კიდევ სხვა განზომილება – ევოლუციური, ურთიერთმოქმედი, კომპლექსური და საოცრად ცვალებადი, რომელზეც ორგანიზმებმა უნდა მოახდინონ რეაგირება. ეს **ბიოტური** გარემო შედგება ყველა ცოცხალი არსებისგან, მათ შორის მცენარეებისგან, ცხოველებისგან, მიკრობებისგან, სოკოებისგან და პროტისტებისგან (ერთუჯრედიანი ორგანიზმი), რომლებთანაც ინდივიდი ინანილებს დროსა და სივრცეს. ორგანიზმები იკავებენ სივრცეს, მოიხმარენ შეზღუდულ რესურსებს და ზოგ შემთხვევაში, ნარმოადგენენ პირდაპირ საფრთხეს სხვა ორგანიზმებისთვის ისეთი პროცესების გზით, როგორიცაა მტაცებლობა, ბალახისმჭამელობა, პარაზიტიზმი და დაავადებები. მცენარის

მორფოლოგიურიდაფიზიოლოგიურიმახასიათებლები  
ნაწილობრივი ადაპტაციებია ადგილობრივი  
ფიზიკური პირობების დიაპაზონისადმი. მაგრამ მისი  
გადარჩენის უზრუნველყოფად სხეულის აგებულე-  
ბისა და ფუნქციის ამ თვისებებმა უნდა დაიცვან  
ის ბალასისმჭამელი მწერებისა და მცენარეთა  
დაავადებებისგანაც. | თავში ვნახეთ გიგანტური ხა-  
ვერდოვანი ტკიპი სამხრეთ კალიფორნიის მოჯავეს  
უდაბნოდან, რომელიც წლის უმეტეს ნაწილს ატარებს  
თავის სოროში და ზედაპირზე მხოლოდ ზამთრის  
თვეებში ამოდის, როცა მას შეუძლია აიტანოს  
უდაბნოს ზედაპირის ტემპერატურა. მაგრამ უბრალო  
დამთხვევა არ არის, რომ ტკიპის გამოჩენა ემთხვევა  
მისი საყვარელი მსხვერპლის — ტერმიტების  
გამოჩენას.

ამ თავში ჩვენ წარმოგიდგენთ იმ გამოწვევების  
მაგალითებს, რომელთა წინაშეც დგანან ორგანიზმები  
ბიოტურ გარემოსთან ადაპტაციისას და ასევე  
აღვნერთ მათ მიერ ნაპოვნ ზოგიერთ გამოსავალს.  
ისევე, როგორც ჩვენს მიერ იმის განხილვისას,  
თუ როგორ ებრძვიან მცენარეები, ცხოველები და  
მიკროორგანიზმები აბიოტურ გარემოს, ყურადღე-  
ბას გავამახვილებთ ფორმისა და ფუნქციის  
ინიდვიადუალურ ადაპტირებაზე და ამ ადაპტაციათა  
საფასურსა და სარგებელზე. ჩვენ განვიხილავთ სამ  
ყველაზე მნიშვნელოვან ეკოლოგიურ ინტერაქციას:  
მტაცებელსა და მსხვერპლს შორის, ბალახისმჭამელსა  
და მცენარეს შორის, პარაზიტსა და მის მტარებელს  
შორის. წიგნის IV ნაწილში ჩვენ ხელახლა განვიხილავთ  
ამ ინტერაქციებს მეოთხესთან (შეჯიბრი) ერთად და  
ვისაუბრებთ გავლენაზე, რომელსაც ისინი ახდენენ  
პოპულაციათა ინდივიდებზე.

შეფერილობის ცვლილება საშუალებას აძლევს  
ჩრჩილებს, შეეხამონ თავიანთ დასასვენებელ  
ადგილებს დღის განმავლობაში და შეუმჩნეველი  
დარჩნენ მტაცებლებისთვის. თავიანთი ფერებითა და  
სურნელით მცენარეები იძყრობენ ჩვენს ყურადღე-  
ბას ისევე, როგორც ფრინველებისა და მწერებისას,  
რომლებსაც გადააქვთ მტვერი ერთი ყვავილიდან  
მეორეზე და გავლენას ახდენენ განაყოფიერებაზე.  
ფაქტორები, რომლებმაც ამგვარი ადაპტაციები  
გამოიწვიეს, ბიოლოგიურია და მათი ეფექტები  
განსხვავდებიან ფიზიკური ფაქტორებისგან:

ბიოლოგიური ფაქტორები ამრავალფეროვნებს

**კონვერგენციას** – მსგავსებას სხვადასხვა  
ტაქსონომიური ჯგუფის ორგანიზმებს შორის, რომ-  
ლებსაც აქვთ ადაპტაციები მსგავსი გარემოსადმი. ორგანიზმები სპეციალისტები არიან თავიანთი გარემოს ბიოლოგიურ ფაქტორებთან შეგუების თვალსაზრისით. თითოეული ეტანება მსხვერპლთა განსხვავებულ კომპინაციას, ცდილობს, აარიდოს თავი მტაცებლებისა და დაავადების გადამტანი ორგანიზმების სხვადასხვა კომპინაციებს და „თანამშორმლობს“ დამტვერავებთან, თესლების გამავრცელებლებთან თუ ნაწლავის ფლორასთან.

ბიოტური გარემო ხელს უწყობს დივერსიფიცირებას არა მარტო იმიტომ, რომ მრავალი სხვადასხვა სახის ორგანიზმი არსებობს, არამედ იმიტომ, რომ არსებობს თითქმის შეუზღუდული წევება ადგილობრივი პირობებისა, რომლებიც იქმნება ამ ორგანიზმების ერთმანეთთან და ფიზიკურ გარემოსთან ინტერაქციების შედეგად. ფიზიკური გარემო, ბუნებრივი გარემოს ფარგლებში, პირობითად დაყოფილია მიკროგარემოებადან მცირე საბინადრო ადგილებად, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ პირობას სთავაზობს ინდივიდს (ჰარპერის კვლევები *Plantago*-ს თესლების გაღვივების შესახებ, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ მეექვსე თავში, წარმოადგენს მიკროგარემოების მაგალითებს). მცენარეებისა და ცხოველების არსებობა და საქმიანობა ცვლის ადგილობრივ პირობებს ორგანიზმებისთვის. მაგალითად, მაღალმა და სქელმა ხეებმა, შეიძლება, შეამცირონ ხელმისანვდომი სინათლის ოდენობა მათ ქვემოთ არსებული მცენარეებისთვის. ამრიგად, მიკროგარემოების რიცხვი იზრდება მცენარეებისა და ცხოველების არსებობასთან ერთად. ეს მრავალფეროვნება იძლევა გარკვეული სპეციალიზაციის საშუალებას ფიზიკური ფაქტორების გათვალისწინებით. თუმცა, ისინი ძალიან მცირენი არიან თავიანთ გარემოში ბიოლოგიურ ფაქტორებთან ორგანიზმების მრავალფეროვან ადაპტაციებთან შედარებით. რადგანაც მცენარეების, ცხოველების ან მიკრობების თითოეულ პოპულაციას აქვს განსხვავებული ევოლუციური ისტორია და მომავალი და რადგანაც თითოეული ორგანიზმის წყვილის ინტერაქცია ქმნის თავის საკუთარ განსაკუთრებულ „ბიოლოგიურ მიკროგარემოს“, დივერსიფიცირების შესაძლებლობანი შეზღუდულია მხოლოდ ორგანიზმთა სახეობების რაოდენობისთვის.

**7.2** მთაცემებითა ადაპტაცია ცხად-ყოფს  
პილტონი გარემოს, როგორც ზურგის ვი  
გადაწევის აგენტის მნიშვნელობას

მტაცებლები იჭერენ და მოიხმარენ სხვა ორგანიზმებს საკუთხების სახით. საკმარისია შევხედოთ შინაურ კატას, რომელიც თაგავს ქარისხა, რომ შევაჯასოთ რაოდენ

კარგად დააჯილდოვა ბუნებრივმა გადარჩევამ ის ამ მიზნის შესრულებისთვის საჭირო მექანიზმებით. სავარძელზე მთელი დღის ძილის შემდეგ სახლიდან გადის, შესანიშნავად მოძრაობს, მოქნილია. ჩაბნელებულ მინდორში სიბნელეში ხედვისთვის ადაპტირებული თვალებით ის შენიშნავს თავგვს, მხრის სარტყელთან თავისუფლად შეერთებული წინა და ძლიერი უკანა თათების დახმარებით ხტება მის დასაჭერად, ადვილად იმორჩილებს, კლავს მოძრავი კლანჭებით და მიირთმევს ბასრი კბილებით რამდენიმე სწრაფი კბენით. სიმართლე რომ ითქვას, ყველა მტაცებლური მოვლენა არ არის ისეთივე დრამატული, როგორც ამას შინაური და გარეული კატები ამჟღავნებენ. ცისფერი ვეშაპის ადაპტაციები, რომელიც იკვებება მილიონობით მცირე, კრევეტის მსგავსი, კრილითა და თევზით ან ხამანნების, მოლუსკისა და მიღის წყლის ფილტრაციის სისტემა ასევე დახვეწილია და მტაცებლებსა და მსხვეპლს შორის ისეთივე ევოლუციური ურთიერთობის გამომხატველი.


მტაცებლები, რომლებიც ეპარებიან და იჭერენ მსხვერპლს, ერთდროულად მრავალი გამოწვევის წინაშე დგანან (ნდლერ 1991). ყველა ორგანიზმის მსგავსად, მსხვერპლი სახეობები ბინადრობენ ისეთ ადგილებში, სადაც ფიზიკური და ბიოლოგიური პირობები შესაფერისია მათი ზრდისა და გამრავლებისთვის, თუმცა ამავე ადგილებში ისინი ხდებიან ხელმისწვდომნი მტაცებლებისთვის დლიურ და თვიურ რიტმებში, რომლებიც თანხვდება მათი აქტივობის სფეროს. მტაცებლები უნდა განლაგდნენ ისეთ ადგილებში, სადაც ბინადრობს მათი მსხვერპლი, იქ მოხვედრის შემდეგ, მათ უნდა შეეძლოთ, ზუსტად დაადგინონ ინდივიდუალური მსხვერპლის ადგილმდებარეობა და განსაზღვრონ მისი შეჭმის მომგებიანობა. ცხადია, თავდასხმა წარმატებით უნდა დასრულდეს, მსხვერპლი უნდა დაიჭიროს და მოიხმაროს – ხშირად სხვა შშიერი მტაცებლების მახლობლად ყოფნის პირობებში, რომლებმაც შეიძლება უფრო იოლად მიიჩნიონ სხვა მტაცებლისთვის მსხვერპლის მოპარვა, ვიდრე მისი მონადირება. ამის მისაღწევად, მტაცებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სენსორული მექანიზმები მსხვერპლის ადგილსამყოფელის დასადგენად. ის საკმარისად დიდი უნდა იყოს იმისთვის, რომ სძლიოს მსხვერპლს ან ის შეიძლება სხვაგვარად იყოს ალტერვილი მსხვერპლის დასაჭერად. მას უნდა შეეძლოს მსხვერპლის გადაყლაპვა და მისი საჭმლის მომნელებელი სისტემა ადაპტირებული უნდა იყოს მსხვერპლის სხეულის ქსოვილებიდან საკვები ნივთიერებების შეთვისებისთვის. ევოლუციური კანონებით, ყოველივე ეს უნდა მოხერხდეს მტაცებლობისგან მსხვერპლის თავდაცვით ადაპტაციებში ცვლილებათა ფონის წინააღმდეგ. რა არის მტაცებელთა მიერ მსხვერპლის დაჭერის ადაპტაციათა ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი?

## ზომა და მტაცებელი-მსხვერპლის ალომეტრია

ზემოხსენებული კრილისმჭამელი ვეშაპების გარდა, დიდი ზომის მტაცებლები ნადირობები ასევე დიდი ზომის მსხვერპლზე (ნახ. 7-1). თუმცა, მტაცებლის გამოცდილება შეზღუდულია იმ მსხვერპლთა ზომით, რომლის დაჭერა და მოხმარებაც მას შეუძლია. ზოგადად, როდესაც მსხვერპლის ზომა მტაცებლის ზომასთან მიმართებაში იზრდება, მსხვერპლი უფრო ძნელად დასაჭერი ხდება და მტაცებლებიც უფრო დახელოვნებული ხდებიან მსხვერპლის დევნისა და დამორჩილებაში. ზომის თანაფარდობის კრიტიკულ ზღვარს ზემოთ მტაცებლებს არ აქვთ შესაბამისი ძალა და სისწრაფე პოტენციური მსხვერპლის დასაჭერად. ლომები დაესხმიან თავისი ზომის ან ოდნავ დიდ მსხვერპლს, მაგრამ ისინი ვერ უმელავდებიან ზრდასრულ სპილოებს (Schaller 1972). ცხადია, მტაცებლებს შეუძლიათ, ითანამშრომლონ ისეთ მსხვერპლზე ნადირობაში, რომელიც იმაზე დიდია, ვიდრე რომელიმე ინდივიდ მტაცებელს შეუძლია მოინადიროს.

მტაცებლის სხეულის ზომის თანაფარდობა მსხვერპლის სხეულის ზომასთან გარკვეული და განისაზღვრება მტაცებლის სწრაფიგადანვეტილებით. მტაცებელთა უმრავლესობას ურჩევნია, ინადიროს გარკვეული ზომის მსხვერპლზე, რაც მისცემს მას უმაღლეს ენერგეტიკულ მოგებას უმცირესი ენერგეტიკული დანახარჯების ფასად (უმაღლესი სარგებლიანობა). მტაცებელთა უმრავლესობას ასევე აქვს შესაძლებლობა, მოინადიროს სხვადასხვა ზომის მსხვერპლი. ზოგიერთ სიტუაციაში, მაგალითად, როცა მსხვერპლი იშვიათია, მტაცებლებმა შეიძლება, აირჩიონ საკმარის დიდი ზომის მსხვერპლის მონადირება მიუხედავად იმისა, რომ მისი დაჭერის საფასური და ამ პროცესში დაზიანების მიღების რისკი მაღალია. ამრიგად, მტაცებლის და მისი მსხვერპლის სხეულის ზომებს შორის ურთიერთობაზე დიდ გავლენას ახდენს მსხვერპლთა სიჭრე და მტაცებლის საკვები მდგომარეობა. ეს უფრო დეტალურად განხილულია 31-ე თავში, სადაც ჩვენ აღვნერთ საკვების მოპოვების თეორიას.

ურთიერთობა ორგანიზმისა და გარემოს შორის შეიძლება შეიცვალოს ორგანიზმის ზომასთან ერთად. ზოგიერთი ფიზიკური და ბიოლოგიური პროცესის მასშტაბი ზომის არაპროპორციულია (იხ. მე-3 თავი) ანუ ფორმა და ფიზიოლოგიური ფუნქცია არ იცვლება იზომეტრულად (გეომეტრულად) სხეულის ზომასთან შედარებით. ამგვარი ალომეტრული ურთიერთობა ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მტაცებელსა და მსხვერპლს შორის მორფოლო-გიურ ურთიერთობაში. წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება შეიცვალოს კუნთების მასის განვითარების შესაბამისად გაზომილი ყბის კუნთების ძალა, როცა მსხვერპლის სხეულის მასა იცვლება. კუნთების ძალა სხეულის ზომის იზომეტ-



**ნახ. 7-1** თავიანთი ძლიერი ფეხებითა და ყბებით, ლომებს, შეუძლიათ, მონადირო თავისზე გარკვეულნილად მსხვილი მსხვერპლი. მაგრამ რადგანაც მათ არ შეუძლიათ დიდ მანძილზე სიჩქარის შენარჩუნება, წარმატებული ნადირობა დამოკიდებული მოულოდნელობასა და მოხერხებულობაზე.

რული რომ იყოს, იგი განისაზღვრებოდა როგორც (სხეულის მასა)<sup>2/3</sup>, რაც იმას ნიშნავს, რომ მსხვილი მტაცებლების განკარგულებაში შედარებით ნაკლები კუნთოვანი მასის ძალა იქნებოდა, ვიდრე მცირე მტაცებლებში, რითაც ეფექტურად გაანადგურებდნენ ზომის უპირატესობას მტაცებლობაში. ამრიგად, ექვივალენტობა მტაცებლობის ფუნქციაში სხვადასხვა ზომის მტაცებლებს შორის, როგორც წესი, მოიცავს ალომეტრიას.

მსხვერპლის აღმოჩენის, დაჭრის და დამორჩილების ადაპტაციები

მტაცებლებს შორის მსხვერპლის დასაჭერად მრავალი ადაპტაცია წარმოიშვა. ჩვენ ვიცით დიდი კატების სისწრაფე და სიმარდ, ზვიგენების

მრისხანება და სამართებელივით ბასრი კბილები, ჩხრიალა გველების თავდასხმის ძალა, შეყვანილი შხამი და ოლუშას კონტროლირებული შეჯახება წყალთან, როდესაც იგი იჭრება წყალში ზედაპირთან ახლოს მყოფი თევზის დასაჭერად. ზოგიერთი სახეობა, როგორიც არის შიმპანზე და სხვა პრიმატები, მგლები, აფთრები, ლომები და ჭიანჭველათა არმიები ერთობლივად ნადირობენ, რათა მოიხელონ და დაიმორჩილონ თავისზე ზომით დიდი მსხვერპლი (Rettenmeyer 1963, Mech 1970, Kruuk 1972, Boesch 1994).

საკვების აღმოსაჩენად და დასაჭერად მტაცებლები ფლობენ სენსორულ შესაძლებლობებს, რათა თავიანთი ბუნებრივი გარემოს, საკვები ტაქტიკის და შესაძლებლობის მიხედვით თავი



**ნახ. 7-2** ყვავილების გამოსახულება ადამიანის თვალისზე (მარცხნივ) და ულტრააინფერი სხვებისადმი მგრძნობიარე თვალისზე (მარჯვნივ): (ა) ჭაობის გულებითება (ბ) ყვითელფოთლიანი რთულყვავილიანი ხუთი სახეობა ცენტრალური კალიფორნიიდან. (თ. ეისნერის მონოდებული ფოტო, from Eisner et al. 1969.)

აარიდონ მსხვერპლისგან აღმოჩენას (Gordon 1968, Prosser 1973, Lythgoe 1979, Dusenberry 1992). ჩვენ თავად ვიყენებთ მხედველობას საკვების ადგილსამყოფელის დასადგენად, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ის სუპერმარკეტების თაროებზეა განლაგებული. მაგრამ მაინც, ჩვენი მხედველობა გაცილებით სუსტია შევარდნებისა და ქორების მხედველობასთან შედარებით (Fox et al. 1976). მწერების უმრავლესობას შეუძლია, აღიქვას და დაინახოს სინათლის სპექტრის ჩვენთვის უხილავი ულტრაიისფერი ნაწილი (იხ. ნახ. 7-2). მწერებს ასევე შეუძლიათ, დაინახონ სწრაფი მოძრაობა, მაგალითად, ფრთის მოძრაობა წამში 300-ჯერ, ჩვენ კი მსგავს სიტუაციაში მხოლოდ გადლაპნილ სურათს ვხედავთ. მრავალ ცხოველს აქვს სინათლის ინტენსივობის ცვლილებასთან მისადაგების მექანიზმები (Dusenberry 1992). მაგალითად, ღამის ცხოველებს, როგორიც არიან კატები, აქვთ ვერტიკალური გუგები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ, შეზღუდონ თვალებში სინათლის მოხვედრა იმაზე უკეთ, ვიდრე ეს მრგვალგუგიანებს (მაგ. ადამიანებს) შეუძლიათ (Lythgoe 1979). კატისნაირი მტაცებლისა და ციყვის მსგავსი მსხვერპლი ცხოველის თვალთა ანატომიური განლაგება ასახავს განსხვავებულ სელექციურ ზეროლას, რომელსაც განიცდიან მტაცებლები და მსხვერპლი. კატის წინ მიმართული თვალები წარმოადგენს ურთიერთგადამფარავ მხედველობის არებს და ბინოკულარულ მხედველობას. ამრიგად, კატას სივრცითი გამოსახულების სიმკვეთრის მეტი სიღრმე აქვს და აქედან გამომდინარე, უპირატესობაც მსხვერპლის შემჩნევასა და დაჭრაში. მაგრამ კატას ძალიან შეზღუდული აქვს გვერდითი მხედველობა. ეს ნიშნავს, რომ მან უნდა მიატრიალოს თავი გვერდით, რომ დაინახოს. ციყვის თვალები თავის მხრივ განლაგებულია თავის გვერდებზე, აღჭურავს რა მას გაზრდილი გვერდითი მხედველობით (Dusenberry 1992).

მტაცებელთა ყველაზე უჩვეულო სენსორულ ორგანოებს შორის არის ზოგიერთი სახეობის გველის (რომელთა ჯგუფში ჩხრიალა გველებიც შედიან) თავზე არსებული ფოსოები (ნახ. 7-3). ისინი

განლაგებულია თავის ორივე მხარეს თვალების წინ და აღიქვამენ პოტენციური მსხვერპლის თბილი სხეულის ინფრანითელ (თბურ) გამოსხივებას. ეს გარკვეულწილად „სიძნელეში ხედვად“ შეიძლება მივიჩნიოთ (Grinnell 1968). ეს სახეობები იმდენად მგრძნობიარენი არიან ინფრანითელი გამოსხივების მიმართ, რომ მათ შეუძლიათ, შეამჩნიონ მცირე ზომის მღრღნელი რამდენიმე ფუტის მანძილზე წამზე ნაკლებ დროში. მეტიც, რადგანაც ფოსოები მიმართულად მგრძნობიარეა, გველებს შეუძლიათ, დაადგინონ თბილი ობიექტის ადგილმდებარეობა საკმარისად ზუსტად იმისთვის, რომ თავს დაესხან მათ.


ზოგიერთი სენსორული ადაპტაცია არაფერია, თუ არა ეგზოტიკა. მაგალითად, „ელექტრული თევზების“ ერთი სახეობა გამუდმებით უშვებს დენს სპეციალიზებული კუნთოვანი ორგანოებიდან, რითაც სუსტ ელექტრულ ველს ქმნის თავის გარშემო. ახლომდებარე ობიექტები ამრუდებენ ამ ველს და ამ ცვლილებებს აღიქვამენ ელექტრული თევზის ზედაპირზე არსებული რეცეპტორები (Machin and Lissman 1960). ზოგიერთი სახეობა იყენებს ელექტრულ სიგნალებს ინდივიდებს შორის კომუნიკაციისთვის. სპეციალიზებული ელექტრული სკაროსი Torpedo, თავის დასაცავად და მსხვერპლის მოსაკლავად, იყენებს ძლიერ ელექტროდენს, 50 ვოლტამდე (Keynes and Marthin-Ferreira 1953). როგორც მოსალოდნელია, ელექტრული ველის პროდუქცია და შეგრძნება ყველაზე კარგად განვითარებული არის ბნელი ნყლის მობინადრე თევზებში. ცუდი ხილვადობის ადგილებში, ფსკერზე მობინადრე სახეობები, როგორიცაა ლოქო, იყენებს წაგრძელებულ ფარფლებსა და მგრძნობიარე ულვაშებს, როგორც შეხებისა და გემოს რეცეპტორებს.

მრავალი მტაცებლის შესანიშნავი შეგრძნებების უნარისგან განსხვავებით, სხვები გარემოს მხოლოდ მკრთალად აღიქვამენ და ეყრდნობიან, უბრალოდ, მსხვერპლთან მოულოდნელი შეხვედრის შანსს (ცხადია მათი მსხვერპლიც ანალოგიურად უყურადღებო უნდა იყოს იმისთვის, რომ ამ ტაქტიკამ იმუშაოს), მაგრამ ამგვარი „ბრმა“ მტაცებლებიც კი ავითარებენ ძიების მოდელებს, რათა გაზარდონ მსხვერპლთან შეხვედრის შანსი. მაგალითად, ჭიამაიას მტაცებელი ლარვები იკვებებიან ტკიბებითა და მლილებით, რომლებიც ზოგიერთი მცენარის ფოთლებზე ირვენან. ამოსაცნობად ლარვები ფიზიკურ კონტაქტში უნდა შევიდნენ თავიანთ მსხვერპლთან (ნახ. 7-4). მათი მოძრაობა ფოთოლზე არ არის მსხვერპლზე ორიენტირებული, თუმცა, არც შემთხვევითია. ფოთლის ძარღვები და ფერსოები ფოთლის ზედაპირის 15%-ს შეადგენენ და ლარვები თავისი დროის უმეტეს ნაწილს სწორედ მათ ძიებაში ატარებენ, რასაც ისინი შეხებით ახერხებენ იმ დროს, როდესაც მლილების 90% ფოთლის ზედაპირზეა გავრცელებული.

ზოგიერთი მტაცებელი მსხვერპლის დასაჭრად მახეს ან ხაფანგს აგებს. ყველაზე ცხადი და



**ნახ. 7-3** ჩხრიალა გველის (ჩრიტალუს ვერიდის) თავი, სადაც ნათლად ჩანს ინფრანითელი გამოსხივებისადმი მგრძნობიარე ფოსოების განლაგება თვალსა და ნესტოს შორის და ოდნავ ქვემოთ.



**ნახ. 7-4** ზრდასრული და ლარვა ჭიამაიები (ზოცცინელლდაე-ს ოჯახიდან) იკვებებიათ მღლები და მომორატორულ კულტურაში. დააკვირდით ბუსუსებს ფოთლის ძარღებზე, რომელიც ხელს უშლან მღლებს, მცენარეში შეღწევასა და მისი წევნის ამონვაში (აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ მონოდებული ფოტო).

საკამათოდ ყველაზე ლამაზი ამგვარი მექანიზმი ობობას ქსელია, რომელმაც შეიძლება მიიღოს ერთი, უსაზღვროდ მრავალფეროვან ფორმათაგან. ეს დამოკიდებულია საცხოვრებლის მოწყობასა და უპირატესი მსხვერპლის ტიპზე. ობობები Araneidae-ს ოჯახიდან მსგავს ქსელებს აგებენ, რომლებიც შედგებიან ჩარჩოს არანებოვანი ძაფებისა და სპირალური მოდელის მსგავსი, გრძელი წებოვანი აბრეშუმისმაგვარი ძაფებისგან. ობობას ქსელები გამიზნულია მსხვერპლის დასაჭერად. ბევრი ობობა ქსელებს მინასთან ახლოს ან მცენარეთა ტოტებს შორის ქსოვს, სადაც მათ შეუძლიათ, დაიჭირონ მოსიარულე მსხვერპლი, ან სადაც დაბალ სიმაღლეზე მფრინავი მწერები შეიძლება გაებან მასში. სოროებისა და ორმოების მთხრელი ობობები ნადიობენ თავიანთი კონსტრუირებული გვირაბების შესასვლელებთან. ამ დროს სოროების გარშემო განთავსებული ქსელები მსახურობენ ფეხით მომავალი მსხვერპლის მოახლოების ადრეულ გამაფრთხილებელ სისტემად. ზოგიერთი ქსელის გამოკლებით, რომლებიც უბრალო მნახველსაც კი შეიძლება მაღალორგანიზებულად მოეჩინოს, ობობას ქსელები არასისტემურად არის მოწყობილი. ეს გარეგანი არაორგანიზებულობა მატყუარაა. ქსელი, ლომის კბილებისა და სკაროსის ელექტრული ველების მსგავსად, წარმოადგენს გამოსავალს ბიოტური გარემოს სელექციური ზეწოლიდან. მართლაც, ობობას ქსელის არქიტექტურა იმდენად მორგებულია გარემოს, რომ არაქნოლოგებს შეუძლიათ, გაარკვიონ მობინის გვარი და სახეობა (და ხანდახან მისი მიახლოებითი ასაკიც კი) უბრალოდ ქსელის შესწავლის მეშვეობით.

### კვებისადმი ადაპტაციები მტაცებ-ლებში

იმისთვის, რომ მტაცებელმა დაჭერილი და მოკლული მსხვერპლი გამოიყენოს, მან იგი თავის კუჭში უნდა მოახვედროს, სადაც ის გადამუშავდება, მონელდება და მის სხეულში არსებული საკვები ნივთიერებები ასიმილირდება. ზოგიერთი მტაცებლის თვის, როგორიც გველია, მსხვერპლის დაჭერისა და დამორჩილების პროცესი უწყვეტია გადაყლაპვის პროცესთან. გველი კერნით ან შემოხვევით ნანილობრივ იმორჩილებს მსხვერპლს და შემდეგ მთლიანად ყლაპავს მას. გველის ზოგიერთი სახეობა შემოხვევის შესაძლებლობის ნაკლებობას ინაზღაურებს გაფართოებადი ყბებით, რომლებიც საშუალებას აძლევს, მთლიანად ჩაყლაპოს მსხვილი მსხვერპლი (ნახ. 7-5). მრავალი მტაცებელი თევზი (კალმახი, ქარიყლაპია) მცირე ენერგიას ხარჯავს მსხვერპლის დასამორჩილებლად, იმდენად, რამდენადაც მას პირში ინოვს და ყლაპავს ერთი ძლიერი ყლაპვითი მოძრაობით. მყვინთავი ფრინველები მსხვილი თევზებით იკვებებიან. ამასთან, უმრავლესობა, მსხვერპლს მთლიანად ყლაპავს, რადგან მათი ფეხები ადაპტირებულია ცურვასა და ყვინთვას და არა დაჭერასა და დანაწევრებას. ამ ცხოველებში ყლაპვა ინწყება თავდასხმისთანავე.

მრავალი მტაცებლის თვის მსხვერპლის მოკვლის პროცესი კვების ციკლის შხოლოდ დასაწყისია. ამ ცხოველებმა უნდა დაანაწევონ მსხვერპლი და ნანილ-ნანილ გადაუშვან კუჭში. ნანილი მტაცებლებისა, საკებების პატარა ულუფებად დაყოფისთვის იყენებს წინა კიდურებს, ხოლო ქორები, არწივები, ბუები და თუთიყუშები — ძლიერ, ბასრბრჭყალებიან ფეხებსა და მოკაუჭებულ ნისკარტებს. ობობები არ არიან აღჭურვილი მსხვერლის დალეჭვისა და გადაყლაპვისთვის არც მთლიანად და არც მცირე ნანილებად. ამის მაგივრად, ისინი ნაწლავებიდან



**ნახ. 7-5** ზოგიერთი გველის ყბის აგებულება, საშუალებას აძლევს მათ, გააღმო პირი საკმარისად ფარისოდ მისითვის, რომ შექამონ შედარებით დიდი მსხვერპლი მთლიანად. ასე მაგალითად, სურათზე თქვენ ხედავთ ლენტისებურ გველს, რომელიც ყლაპავს მთლიან თევზს. (რ.პ.სუტერის მიერ მონოდებული ფოტო.)

გამოყოფილი ფერმენტებით ათხევადებენ მსხვერპლის ქსოვილებს და მონელება გადაყლაპვა მდე იწყება. ობიბა შემდეგ ჭამს ნაწილობრივ გახრნილ თხევად მსხვერპლს.

### 7.3 მსხვერპლი თავს იცავს თავის არიდებით, მოტყუაბითა და დამაცავი მორფოლოგიით

ევოლუციური ურთიერთქმედება მტაცებლებსა და მსხვერპლს შორის არ არის ცალმხრივი. მტაცებელი მსხვერპლის ბიოტური გარემოს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილია. ინოვაციები მტაცებლებში წარმოადგენს ახალ ევოლუციურ გამოწვევას მსხვერპლთავის. მტაცებლები, რომლებიც არიან ცოტა უფრო დაკვირვებულები, ცოტა უფრო სწრაფები ან მსხვერპლის დაჭრაში უფრო ეფექტური სელექციურ უპირატესობაში იქნებიან, ისევე როგორც ის მსხვერპლიც, რომელიც თავს არიდებს შემჩნევას მტაცებლის მიერ, შლის მის თავდასხმას და გარბის, ან რომელიც მორფოლოგიური მოწყობის ან რაიმე ქცევის საშუალებით აპნევს მტაცებელს, იქნებიან უფრო მიღრეკილნი გადარჩენისა და გამრავლებისკენ. ინოვაციები მტაცებლებისგან თავის ასარიდებლად ისეთივე დახვეწილი და ლამაზია, როგორც მტაცებლებში განვითარებული ადაპტაციები.


### მტაცებლებისგან შემჩნევის არიდება

მტაცებლის თავიდან აცილების ერთი გზა არის ისეთი მიკროგარემოს დაკავება, რომელიც არ არის უხვი მტაცებლებით ან ისეთი აქტივობის პერიოდებს შერჩევა, რომელიც ფართოდ არ გადაიკვეთება მტაცებლების აქტივობის პერიოდებთან. მსხვერპლთა სახეობები შეიძლება დახელოვნებული იყოს შეუმჩნეველი თავშესაფრის ძიებაში იმ პერიოდების განმავლობაში, როდესაც ისინი პასიურნი არიან ან ისეთ პირობებსა და დროში ფუნქციონირებაში, რომელიც წამგებიანია მტაცებლისთვის. მაგალითად, მსხვერპლმა შეიძლება თავი აარიდოს დღის საათებში ნადირობასთან ადაპტირებულ მტაცებელს იმით, რომ იყოს აქტიური ლამით.

მტაცებლები ხშირად არ მოიხმარენ მსხვერპლს გარემოში მათი ხელმისაწვდომობის პროპორციულად. ამის ნაცვლად, ისინი მოიხმარენ ყველაზე ხშირ ან ყველაზე იოლ მსხვერპლს. ამ სტრატეგიას აპოსტატური მსხვერპლთა სელექცია ენოდება (ნახ. 7-6). ამგვარი ქცევით, მტაცებელმა, შეიძლება, შეამციროს მსხვერპლთა ერთი ტიპის, იმ დროისთვის მისთვის რჩეული ტიპის სიჭარე იმ დონემდე, სანამ ეს მსხვერპლი ნაკლებად ხელმისაწვდომი და იშვიათი არ გახდება, სხვა ტიპის მსხვერპლთან შედარებით. როდესაც ეს მოხდება, მტაცებელი შეიძლება გადაერთოს მეორე ტიპის მსხვერპლზე. მტაცებლობის

ამგვარი სტრატეგია ზრდის მსხვერპლის იშვიათობის დაფებით მხარეს, რადგან მტაცებლები ხშირად იმაზე ადრე გადაერთვებიან ხოლმე უფრო მრავალრიცხვოვან მსხვერპლზე, ვიდრე გაშვიათებული სახეობის მსხვერპლის მოძიება საერთოდ შეუძლებელი გახდება (Endler 1991). ზოგიერთი მსხვერპლის სახეობა შეიძლება არსებობდეს ერთ ფორმაზე მეტი სახით. ამგვარმა პოლიმორფიზმა შეიძლება უპირატესობა მიანიჭონ მსხვერპლს იმით, რომ მოაჩვენონ მტაცებელს, თითქოს მსხვერპლი იმაზე იშვიათი გახდა ვიდრე სინამდვილეშია. მტაცებელი, რომელიც დგას გარეგნულად განსხვავებულ სახეობებს შორის არჩევანის გაკეთების წინაშე, რომელთაგან თითოეული შედარებით უცხოა, შეიძლება, გადაერთოს უფრო ნაცნობ და ხშირ მსხვერპლის ტიპზე, რითაც ამცირებს მტაცებლობის ზენოლას პოლიმორფულ სახეობებზე.

მსხვერპლი, რომლის პოპულაციათა ზომები, უპირატესი საბინადროს არჩევა ან აქტივობის ჰერიოდები გამომდინარეობენ რუტინულად



სელმისაწვდომი ყავისფერი მარცვლების წილი

**ნახ. 7-6** აპოსტატურ მსხვერპლთა სელექცია. რიგ კვლევებში სხვადასხვა პორციები ყავისფერი და მწვანე საკვები მარცვლებისა მიანიჭებს წინაშებს. თითოეული ნერტილი აღნიშნავს ერთი კვლევის დროს აღებული ყავისფერი მარცვლების პროპორციას. ნერტილები, რომლებიც ხაზზე ეცემან ნარმოადგენენ კვლევას, როდესაც აღებული ყავისფერი მარცვლების რიცხვი უტოლდებოდა ხელმისაწვდომი ყავისფერი მარცვლების რიცხვს. როდესაც გარემოში ყავისფერი მარცვლები იშვიათი იყო წინაშები იღებდნენ მათ ხელმისაწვდომობის პროპორციულად. მაგრამ როდესაც ყავისფერი მარცვლები მწვანე მარცვლებზე უფრო ხშირი იყო, უპირატესობა ყავისფერებს ენიჭებოდათ.  
(From Endler 1991; redrawn from Fulllick and Greenwood 1979.)


მტაცებლებთან შეხვედრებიდან, დგანან გამოწვევის წინაშე, რომ დარჩენ შეუმჩნეველნი ამგვარი შეხვედრების დროს. ამგვარ მსხვერპლს შეიძლება განუვითარდეს მორფოლოგიური მახასიათებლები და ქცევა, რომლებიც მათ შეუჩნეველს ან თითქმის შეუმჩნეველს ხდის მტაცებლებისთვის. ამგვარი დამცავი შეფერილობები (crysopsis) შეიძლება მიღწეულ იქნას იმ ფონის ფერისა და სტრუქტურის დამთხვევით, რომლებზეც ისვენებს მსხვერპლი. სხვადასხვა ცხოველები გვანან საკვებად გამოუ-სადეგარ ობიექტებს: ჯოხებს, ფოთლებს, მცენარის ნაწილებს, ფრინველის ფეხალიებსაც კი. გამომუშავებული ადაპტაციები, რომლებიც წარმოიშვნენ თავების, ულვაშების და ფეხების დასამალად, ხაზს უსვამს მტაცებლებისთვის ამ მინიშნებების მნიშვნელობას. ჯოხის მსგავს ფასმინდებში და ფოთლის მსგავს კალიებში, ეპიფიგერიებში ფეხები ხშირად დამაღულია (Robinson 1969). მკვდარი ფოთლის მსგავსი ჩიქელა Acanthops ნაწილობრივ მალავს თავს თავის წინა ფეხებში (ნახ. 7-7). ასიმეტრიაც კარგი შირმაა ცხოველებისთვის, მაგრამ იგი ძნელად მისაღწევია. ფოთლის მსგავსი ჩიქელი Hyperchiria nausica ივითარებს ასიმეტრულ გარეგნობას ერთი წინა ფრთის მეორის ქვეშ შეკეცვით (ნახ. 7-8). ჩიქილები ხშირად ისვენებენ ერთი მხრიდან, მაგრამ არა მეორიდან გაშვერილი ფეხით ერთ მხარეს გამრუდებული მუცლით სიმეტრიის დასარღვევად. დამალული ორგანიზმების ქცევა უნდა შეესაბამებოდეს მათ გარეგნობას. ხის ქერქზე მჯდარი ფოთლის მსგავსი მნერი, ან ჯოხს დამსგავსებული მნერი, რომელიც სწრაფად მოძრაობს ტოტზე, ვერ მოატყუებს მტაცებელს.

მუხლუხობი, ჩიქილებისადაპებლების მცენარეთა მჭამელი ლარვები, გამძაფრებული მტაცებლობის




**ნახ. 7-8** ჩიქილი *Hyperchiria nausica* ნაწილობრივ გარდაქმნის თავის სიმეტრიას ერთი ფრთის მეორე ფრთის ქვეშ შეკეცვით.

ზეწოლის ობიექტები არიან. მათზე მონადირე მტაცებლები, ძირითადად, მხედველობას ეყრდნობიან, მაგალითად, ფრინველები და ზოგიერთი უხერხემლო, კერძოდ ობობა (Heimrich 1993, Stamp and Wilkens 1993). ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ალბათ მტაცებელთა თავიდან აცილების ყველაზე გასაოცარი ადაპტაციები სწორედ ამ მნერებში განვითარდა. მათ შორის ყველაზე ალსანიშნავია „ლეროს“ მუხლუხობი, რომლებიც თავს იცავენ მტაცებელი ფრინველებისგან იმ მცენარეების ღეროთა დახვეწილ დეტალებში მსგავსებით, რომლითაც იკვებებიან (ნახ. 7-9). ამ მუხლუხობის ქცევა მცირედ დახელოვნებულია, რათა უზრუნველყოს ის, რომ პოტენციურმა მტაცებლებმა დაინახონ მხოლოდ „ლერო“ და არა მუხლუხო. ფოთლის მჭამელი მუხლუხობი განსაკუთრებული პრობლემის წინაშე დგანან მხედველობაზე ორიენტირებული მტაცებლების მიერ მათი შემჩნევის გამო: ისინი იმდენად ცვლიან იმის ზომასა და ფორმას, რასაც ჭამენ (ანუ ფოთლის), რომ



**ნახ. 7-7** ეს ცენტრალური ამერიკის *Coccoloba Acanthops*-ის გვარიდან ნაავას მკვდარ, დახორული ფოთლობს და ამრიგად, მტაცებელთა უმრავლესობის ყურადღების მიღმა რჩება.



**ნახ. 7-9** ლეროს მსგავსი მუხლუხოების ორი სახეობა: (ა) *Betula*-ს სახეობა, რომელიც ახერხებს არყის ხის ტოტს მიემსგავსოს; (ბ) ობულუს ტრემულოიდებს, რომელიც ბამავს ვერხვის მაგვარ ალვის ხეს (*B.Hainrizis* მიერ მონოდებული ფოტო)


აშკარას ხდიან თავიანთ ადგილსამყოფელს. მწერების მჭამელმა შავქუდიანმა (*Parus atricapillus*), როდესაც მათ აქვთ არჩევანი დაზიანებულ და დაუზიანებელ ფოთლებს შორის ექსპერიმენტულ სიტუაციებში, სწრაფად ისნავლეს დაზიანებულ ფოთლებთან მიფრენა, სადაც მუხლუხოები ისხდნენ (Heinrich and Collins 1983). რისკის შესამცირებლად მუხლუხოები ხშირად მოიხმარენ ფოთლის მხოლოდ ნაწილს, სანამ მეორეზე გადაინაცვლებენ.

## მიმიკა და დემონსტრირება

*Cripsis* არის ეგრეთ წოდებული გემრიელი ცხოველების სტრატეგია. სხვებმა უარი თქვენს *cripsis*-ზე და უფრო თავდაჯერებული მიდგომა აირჩიეს მტაცებლებისგან თავის დასაცავად: ისინი გამოყოფენ შხამებს ან აგროვებენ მას საკვები მცენარეებისგან და ახდენენ მათ დემონსტრირებას მკვეთრი ფერებით. სახეობებს, რომელთაც აქვთ ასეთი თვალსაჩინო გამაფრთხილებელი ფერები, ენოდებათ **აპოსემატური**. ამგვარ სიტუაციებში თვალსაჩინოდ ყოფნის რიგი უპირატესობებისა ნაკარნახებია (Guiford 1990) იმით, რომ მტაცებლები უფრო იოლად სწავლობენ უგემური ცხოველების ასოცირებას იმ თვალშისაცემ ფერთა სტრუქტურებთან, როგორიცაა შავი და სტაფილოსფერი ზოლები მონარქ პეპლაზე, ვიდრე ნაკლებ თვალსაჩინო ფერთა სტრუქტურებთან (Brower 1969, Roper and Redstone 1987). ასევე შესაძლებელია, რომ მტაცებლებს განუვითარდეთ ინსტინქტური ავერსია (ზიზღი) გარკვეული თვალსაჩინო სტრუქტურებისადმი (Smith 1975, 1977, Guilford 1990).

მუხლუხოებში გვხვდებიან არა მარტო ყველაზე დახვეწილი შენიღბვის ოსტატები, არამედ ყველაზე თვალშისაცემი სახეობებიც. ბევრ მუხლუხოს აქვს მჩხვლეტავი ბუსუსები ან ეკლები, რომელიც საზიანო ქიმიკატებს ასხურებენ შეხებისას ან მათ შეიძლება გამოიღონ მცენარიდან ტოქსიკური ნივთიერებები, რომელსაც მიირთმევენ, რითაც მტაცებლებისთვის უგემური ხდებიან. თავიანთი საზიანო ბუნების დემონსტრირებისთვის ამგვარ სახეობათა უმრავლესობა შეფერილია წითელი, შავი ან ყვითელი გამაფრთხილებული ფერებით. ზემოთ ხსენებული ამგვარი ფერების თანდაყოლილი ავერსიის გარდა, შესაძლოა, რომ ეს ფერები უზრუნველოყოფენ მტაცებლების სწრაფ ინფორმირებას იმის შესახებ, თუ რომელი მუხლუხო არის უგემური (Bowers 1993). მრავალი აპოსემატიკურად შეფერილი მუხლუხო ცხოვრობს ჯაგუფებად, რამაც შეიძლება გაზარდოს მათი გამაფრთხილებელი შეფერილობის ეფექტურობა.

უგემური მწერები, რომლებიც ატარებენ გამაფრთხილებელ ფერებს, ხშირად ნიმუშის როლს ასრულებენ გემრიელი სახეობებისთვის, რომლებიც ბაძავენ მათ ფერთა სტრუქტურებს



**ნახ. 7-10** ტეფრიტული ბუზების *Rhagoletis pomonella*-ს ფრთების მარკერება ძალიან ჰგავს მოტენავე ობობების (Salticidae) ნინა თათებსა და პედიპალებს, რომლებიც ბუზების მტაცებლები არიან. (აშშ ხელფლის მუზეუმების დეპარტამენტის მიერ მონოდებული ფოტო.)

(Wickler 1968, Retternmeyer 1970, Edmund 1974, Turner 1984). ზოგიერთი პოტენციური მსხვერპლი შეიძლება საკუთარ მტაცებელსაც დაემსაგვსოს მტაცებლობის თავიდან ასაცილებლად (ნახ. 7-10, Mather and Roitberg 1987, Greene et al. 1987). ამგვარ ურთიერთობებს, ინგლისელი ნატურალისტის ჰენრი ბეიტსის პატივსაცემად, ზოგადად ბეიტსური მიმიკრია ენოდება. სამხრეთ ამერიკის მდინარე ამაზონის რეგიონში მოგზაურობისას, ბეიტსმა აღმოაჩინა მრავალი მწერი, რომლებმაც უარი თქვეს თავიანთი ახლო ნათესაცების კრიპტიკულ სტრუქტურაზე და დაემსგავსნენ მკვეთრფერიან, უგემურ სახეობებს. ექსპერიმენტულა კვლეუბმა შემდგომ გვიჩვენა, რომ ბეიტსური მიმიკრია უპირატესობას იმიტატორებს აძლევს. ბროუვერმა და ბროუვერმა (1962) გვიჩვენეს, რომ მას შემდეგ, რაც გომბეშოებს აჭამეს ცოცხალი ფუტკრები, ისინი მოერიდნენ გემრიელი სახეობის (ახდენენ ფუტკრების იმიტაციას) შეჭმას. როდესაც გომბეშოებს მარტი მკვდარ ფუტკრებს აჭმევდნენ, რომლებიდანაც ნესტრები იყო გამოღებული, ისინი პირს იტკბარუნებდნენ იმიტატორებით.

ერთი სახის იმიტაციები, ეგრეთ წოდებული მიუღებისეული მიმიკრია, თავს იჩენს უგემურ სახეობებში, რომლებიც ჰგავანან ერთმანეთს. მრავალი სახეობა ქმნის მიუღერისეულ მიმიკრიათა თანასაზოგადოებას, სადაც თითოეული მონაწილე არის ნიმუშიც და იმიტატორიც. როდესაც გამაფრთხილებელი შეფერილობის ერთეული სტრუქტურა აღებულია რამდენიმე უგემური სახეობის მიერ, თავის აცილების სწავლა მტაცებელთა მიერ

უფრო ეფექტურია, რადგან მტაცებლის ცუდი გამოცდილება ერთ ორგანიზმთან ანიჭებს უსაფრთხოებას მიმიკრული ერთობის ასევე სხვა წევრებსაც. მაგალითად, ბზიკებისა და კრაზანების ურავლესობა, რომლებიც თანაარსებობენ ამერიკის კლდოვანი მთების მდელოებში, ატარებენ ლურჯი და ყვითელი ზოლების სტრუქტურას. ტროპიკებში უგემური პეპლების ათობით სახეობას, რომელთაგან ბევრი შორეული ნათესავია, აერთიანებს შავი და სტაფილოსფერი „გეფხვის ზოლების“ სტრუქტურას ან შავი, ნითელი და ყვითელი შეფერილობის სტრუქტურებს. მკვეთრად შეფერილი სტაფილოსფერი და შავი პეპლები (*Limenitis archippus*) ერთ დროს მიიჩნეოდნენ პეპელა მონარქის გემრიელ ბეიტსისეულ მიმიკრიად (*Danaus plexippus*) (რონერ 1958), რომელიც უგემურია ცისფერი ჩხიკვისათვის, მონარქის ერთერთი მტაცებლისთვის. ახლა აღმოჩნდა, რომ იგი უგემურია ცისფერი ჩხიკვისათვისაც და ამრიგად, ის მონარქის მიულერისეული მიმიკრია არის (Ritland 1991, 1995).

## აგრესიული მიმიკრია

მიმიკრია წარმოიშვა არა მხოლოდ როგორც მსხვერპლის ადაპტაცია მტაცებლის თავიდან არიდებისთვის. ზოგიერთი მტაცებელი იყენებს მიმიკრიას, რათა შეიტყუოს მსხვერპლი თავის მახეში. ზრდასრული მამრი ციცინათელები, *Phoritius* გვარიდან, დამით დაფრინავენ, გამოსცემენ რა სინათლის ათინათებს თავიანთი ბიოლუმინესცენციური მუცლის ღრუდან ისეთნაირად, როგორც მათ სახეობებს ახასიათებთ. მდედრები, რომლებიც განთავსებულნი არიან მინაზე ან დაბალ მცენარეებზე, პასუხობენ ისეთი ნათებით, რომელსაც გაარჩევენ მათი სახეობის მამრები. ამრიგად, სიგნალმიღებული მამრი უახლოვდება მდედრს და თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, ხორციელდება კოპულაცია. მაგრამ *Photuris*-ის ზოგიერთი სახეობის მდედრები (რამდენიმე სხვა გვარის მდედრებიც) გამოსცემენ სხვა სახეობათა სასიგნალო სინათლესაც. სხვა სახეობის მამრები უახლოვდებიან მათ, როგორც თავისი სახეობის მდედრებს მხოლოდ იმიტომ, რომ იქნან დაჭერილი და შეჭმული იმიტატორი მდედრის მიერ (Lloyd 1975, 1981). ამგვარი აგრესიული მიმიკრიები ასევე შეინიშნება ცენტრალური ამერიკის ობობებშიც (*Mastophora* spp.). ეს ობობები წარმოქმნის წებოვან აბრეშუმისმაგვარ ძაფის გორგალს თავისი ბუდის ქვემოთ. მწერები, რომლებიც შეფრინდებიან ამ გორგალში ენებებიან მას და შემდეგ მას ობობები ჭამენ. ებერჰარდმა (1977) გვიჩვენა, რომ ეს ობობები გამოყოფენ შხამს, რომელიც ჰგავს გარკვეულ სახეობათა ჩრჩილების მდედრობითი სქესის მიმზიდველ ფერომონებს, რითაც იტყუებენ მათ თავის წებოვან გორგალში.

## დაცვა და გაქცევა

მსხვერპლთა თავდაცვა იშვაითად მოიცავს ფიზიკურ ბრძოლას, რადგან ცოტა მსხვერპლს თუ შეუძლია, შეედაროს მტაცებელს ძალაში. თავის მხრივ, მტაცებლებიც ფრთხილად არიდებენ თავს იმათ, რომლებსაც სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ. აქტიური თავდაცვის მაგივრად, ერთი შეხედვით დაუცველ ორგანიზმებს, შეუძლიათ, ანარმონუსიამოვნო სუნის მქონე ან მწველი ქმიური სეკრეციები მტაცებელთა მოსაგერიებლად (ისნერ ანდ ეინნალდ 1966). ზოგიერთი მორიელი, ბომბარდირები და სკუნსები მიმართავენ მაგნე სითხეების გამოყოფას იმ ცხოველებისკენ, რომლებიც მათ ემუქრებიან. ამის მსგავსად, მრავალი მცენარე და ცხოველი შეიცავს ტოქსიურ ნივთიერებებს, რომლებიც საჭმელად უვარების ხდიან მათ (Whittaker and Feeny 1971).

როდესაც მტაცებლები აღმოაჩენენ კრიპტულ ორგანიზმებს, მათ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიონ მთელი რიგი მეორეხარისხოვანი დამცავი საშუალებებით, მათ შორის შეშინების იმიტა-ციის გათამაშებითა და რიგი თავდასხმა-გაქცევის მექანიზმის მეშვეობით (Blest 1964). ზოგიერთი მუხლუხო როგორც წესი, იღებს კრიპტულ პოზიციას. თუმცა, როდესაც მას სიმშვიდეს ურღვევენ, ის სწევს თავს და გულმკერდს, რომელიც ძალიან წააგავს პატარა შხამიანი გველის თავსა და მკერდს, წყვილი კაშკაშა ცრუ თვალით. მუხლუხო ამ პროცესს ასრულებს წინ და უკან მოძრაობით, რომლის დროსაც გველივით სისინებს (ნახ. 7-11). ჩრჩილების და სხვა მწერების ზოგიერთი ეკოტიპები აშინებენ მტაცებლებს, რადგან ისინი წააგვანან მტაცებელი ფრინველის თვალებს (Blest 1957) (ნახ. 7-12).

ქიმიკატები ჩართული არიან მწერების ეკოლოგიის თითქმის ყველა ასპექტში (Robertson et al. 1995). ისინი



ნახ. 7-11 გველის გამოსახულება ეუცორამპა ომატუს-ის მუხლუხოზე. (From Robinson 1969.)

გამოიყენება სახეობათა, აგრეთვე, მტარებელი მცენარეებისა და ცხოველების ამოსაცნობად და ადგილსამყოფელის დასადგენად, სოციალური ორგანიზაციის შენარჩუნებისას და მტაცებლებისგან თავის დასაცავად (Bell and Cardé 1984). **საგანგაშო ფერომონები** ქიმიკატებია, რომლებიც გამოიყოფიან დაშავებული მწერიდან და შეინიშნებიან დანარჩენების მიერ მისი ჯგუფიდან, ინვევენ რა დამცავ ან აგრესიულ რეაქციას ამ ინდივიდებში. ეს შეინიშნება ჭიანჭველების, ტერმიტებისა და ბევრი სხვა სახეობის მწერის უმრავლესობაში (Bradshaw and Howse 1984, Howse 1984). დაშავების ან აღმოჩენის საპასუხოდ მღილები უშვებენ საგანგაშო ფერომონებს გარეთა ჩინჩის ნანაზარდების წვეროებიდან, რომლებსაც ულვაშები ეწოდებათ. ფერომონი, რომელიც მაღალაქროლადი ნივთიერებაა, მალე შეინიშნება სხვა მღილების მიერ 1-3 სმ მანძილზე გამოყოფის ადგილიდან (ეს საკმარისი არეალია მრავალი მღილის დასატევად), რაც აიძულებს მათ, ჩამოხტენენ მტარებელი მცენარიდან და თავი აარიდონ მტაცებელს (Nault and Phelan 1984). მტაცებლის შეტევის ქვეშ მყოფი მღილები ასევე გამოყოფენ წებოვან ნივთიერებას (ტრიგლიცერიდს) ულვაშებიდან, რომელსაც შეუძლია, დაანაგვიანოს და ამოაგსოს თავდამსხმელი მტაცებლის პირის ღრუ (ნახ. 7-13).


საგანგაშო ფერომონები გამოიყენებიან როგორც ხერხემლიანი, ისე უხერხემლო ცხოველების მიერ. ამ ფენომენის საინტერესო მაგალითი, რომელიც თვასაჩინოს ხდის ბიოტური გარემოს თვისებებთან ადაპტირების დინამიკის ბუნებას, არის სქელთავიანი ჭიჭყინების (*Pimephales promales*) საგანგაშო ფერომონები. ამ საგანგაშო ქიმიკატს არ უშვებს თავად ჭიჭყინა, პირიქით, ის გამოიყოფა ჭიჭყინას მტაცებლის, ქარიყლაპიას (*Esx lucius*) ფერალიებიდან მას შემდეგ, რაც ქარიყლაპია შექამს ჭიჭყინას. სქელთავიანი ჭიჭყინები სცნობენ ქიმიკატს წყალში, სადაც არ უნდა იყოს დატოვებული მონელებული ჭიჭყინა და სცილდებიან იმ ადგილს. ერთი შეხედვით, ეს ქარიყლაპიასთვის ძალიან არახელსაყრელი შეიძლება მოგვეჩენოს. თუმცა, ახლანდელმა



**ნახ. 7-13** ნებოვანი წვეთები, რომლებიც გამოიყოფა მღილების () ულვაშებიდან, რომელსაც თავს დაესხა მტაცებელი. ამ უკანასკელის პირის ღრუ ამოვსებულია წებოვანი სუბსტანციით. (ლ.რ. ნოლტის მიერ მონოდებული ფოტო.)

ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს, რომ როდესაც ქარიყლაპიები ჭამენ ჭიჭყინებს, ისინი დებენ თავიანთ ფერალიებს იმ ადგილებში, სადაც საკვებს არ ეძებენ, რითაც ამცირებენ შანსს, რომ მათი მსხვერპლი შეამჩნევს მათ იქ ყოფნას (Brown et al. 1996).

იმის გამო, რომ არც ერთი მტაცებელი არ არის იდეალურად შეუმჩნეველი მსხვერპლთან მიახლოებისას, ნარმონიშვა ადაპტაციები თავდამსხმელი მტაცებლის შენიშვნისა და მისგან თავის აცილების მიზნით. ამ ადაპტაციათაგან, ყველაზე საინტერესონი შეინიშნებიან მწერებს შორის, რომლებიც თავს არიდებენ ღამურების ექოლოკაციურ საჰაერო თავდასხმებს. მწერებით მკვებავი ღამურები გამოსცემენ ულტრაბგერით ტალღებს, რომელთა სტაციონარულ ობიექტებზე არეკლილი ექოები საშუალებას აძლევენ ღამურას, თავი აარიდონ ხებს, შენობებს თუ სხვა სტრუქტურებს. ექვე ასევე აირკლება მფრინავი მწერების სხეულებიდან, რომლებსაც ღამურები იჭერენ ფრენისას. ნებისმიერი, ვისაც უნახავს დილით ადრე მფრინავი ღამურები, შეაფასებს და აღიარებს მათ სისწრფესა და ერთი შეხედვით იმ ეფექტურობას, რომლითაც ისინი იჭერენ მფრინავ მწერებს ჰაერში. მაგრამ მწერები, ჩანს, არ არიან მხოლოდ სამიზნები. მრავალ მწერს შეუძლია, შენიშვნის ღამურისგან გამოშვებული ულტრაბგერითი სიგნალები და გაეცალოს მათ (May 1991). მართლაც, ღამურა-მწერის ინტერაქციების ექსპერიმენტულმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ მრავალი მწერი გამოიმუშავებს ასარიდებელ მანევრებს ღამურათა სიგნალების საპასუხოდ (Miller and Olesen 1979, Moiseff et al. 1978, Yager et al. 1990a,b).



**ნახ. 7-12** თვალისებრი ღაეს გამოსახული პანამის ჩრჩილზე:  
(ა) ნორმალური პოზა დასვენებისას, (ბ) რეაქცია, როდესაც მას რაღაც ეხება

ნელა მოძრავი ცხოველები, როგორებიც არიან მაჩვიზლარბადა ჯავშნოსანი, დაცულები არიან ეკლიანი ან ჯავშნიანი საფარით, რაც საჭიროებს დროს, ენერგიასა და მასალებს, რომელთა მარაგიც შეიძლება შეზღუდული იყოს. ამგვარი არამტაცებლური ადაპტაციების საფასური მიუთითებს მტაცებლობის

უდიდეს გავლენას ფიზიკურ ფორმაზე და მტაცებლების ძალაზე, როგორც ბუნებრივი გადარჩევის აგენტებზე.

როდესაც ორგანიზმები საოცრად მცირენი არიან თავიანთ მტაცებლებთან შედარებით (მაგალითად, ფილტრიანი მტაცებლების მიერ დაჭრილები), ისინი ავლენენ მცირე ადაპტაციებს დაჭრის თავიდან ასაცილებლად, უფრო დიდს, შეუძლია, დაიმალოს, გაიქცეს ან იბრძოლოს. მტაცებელი-მსხვერპლის ურთიერთობა განსაზღვრავს რომელ სტრატეგიას ან მათ კომბინაციას დაჰყავს მინიმუმამდე დაჭრის შანსები. მინდვრები არავითარ სამალავს არ სთავაზობენ მსხვილფეხა ჩლიქოსნებს და ამიტომ ერთადერთი ხსნა — გაქცევა დამოკიდებულია მტაცებლის ადრეულ შემჩნევასა და სისწრაფეზე. სხვა მსხვერპლი ფლობს აუცილებელ საშუალებას იმისთვის, რომ საკუთარითავიძნელადგადასაყლაპავი გახადოს, რასაც მაგალითად, ხელიკი *Gerrhonotus* მულტიცარინატუს თავის ან მტაცებელი გველის კუდზე ჩაბალაუჭებით ახერხებს (Arnold 1993).

დაცვის შესაბამისი ხაზი, მტაცებლების გარდა, ხანდახან დამოკიდებულია გარემოს სხვა თვისებებზეც. იდი ზომის ჩრჩილები დაბალ განედებზე ტროპიკებში იშვიათად ივითარებენ დამცავ გამოვლინებებს, ისეთებს, როგორიცაა თვალისმაგვარი ლაქები და კაშკაშა შეფერილობა. დღის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა საფრენი კუნთების სამუშაო ტემპერატურის ოპტიმუმს აღწევს (Heinrich and Bartholomew 1971) და ჩრჩილებს შეუძლიათ, გაექცნენ მტაცებლებს ფრენით. დღი სიმაღლეებზე (1500 მეტრი) ჩრჩილებს სჭირდებათ გაფრენისწინა ხანგრძლივი გახურების პერიოდი, რადგან ჰაერის ტემპერატურა შეიძლება იყოს 15°C-ით ნაკლები საფრენი კუნთების მუშაობის ოპტიმუმზე. რადგანაც სიცივე აფერხებს გაქცევას, ამ განედებზე მობინადრე ჩრჩილთა სახეობების დღი უმეტესობას აქვს სპეციალური დამცავი გამოვლინებები (Blest 1963).


## **7.4 ბალასისაშამელება უნდა გადალახ-ონ მცენარეთა უნიკალური დამცავი საშუალებები**

დედამიწაზე არსებული არამიკროსკოპული ცხოველების სრული ერთი მეოთხედი ბალახის მტაცელია. ისინი საკვებს იღებენ მცენარეების ჭამით ან მაოგან წვენის ამონოვით (Bernays and Chapman 1994). ბალახისმტაცელების, როგორც უპირველესი რგოლის როლი პირველად პროდუქციას (ფოტოსინთეზს), ხორცის მტაცელებს და ცხოველურ პარაზიტებს შორის ეკოლოგიის მიერ სრულიად არის შეფასებული. მაგრამ ბალახისმტაცელებასა და მცენარეებს შორის ევოლუციური ურთიერთქმედების სიძნელეები და ამ ურთიერთქმედებათა შედეგები მცენარეთა და

ბალახისმტაცელების პოპულაციებისთვის და თანასაზოგადოებებისთვის, ასევე პარაზიტებისა და ხორცისმტაცელების პოპულაციებისთვის მხოლოდ ახლა იწყებს თავის წარმოჩენას. მტაცებლების ადაპტაციები მსხვერპლთათვის შეიძლება გამოვგადეს მოდელად იმ ევოლუციური პროცესების გასაგებად, რომლებიც ჩართულია მცენარეთა მტაცელი ორგანიზმების სპეციფიკური ადაპტაციების განვითარებაში. როგორც ხორცის მტაცელი ორგანიზმების შემთხვევაში ხდება, ყველაზე წარმატებული ბალახისმტაცელებიც ისინია, რომლებსაც გააჩინა ამა თუ იმ მცენარის საჭმელად საჭირო, ყველაზე ეფექტური პირის ღრუს აგებულება, კვებითი ქცევა, ნაწლავების ფიზიოლოგია და მთელი რიგი სხვა მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიჰევიორისტული მახასიათებლებისა. მსხვერპლი ცხოველების მსგავსად, მცენარეები განიცდიან სელექციურ ზენოლას, რითაც ბალახისმტაცელის ბიოტურ გარემოს ისევე მრავალფეროვანსა და დინამიურს ხდის, როგორიც მტაცებლისაა. მაგრამ გამოწვევები, რომლის წინაშეც აღმოჩნდებიან ხოლმე მცენარეთა მტაცელი მტაცელი ორგანიზმები, თავიანთ ბიოტურ გარემოში მნიშვნელოვნად განსხვავდებიან იმ გამოწვევებისგან, რომლის წინაშეც მტაცებლები დგანან. ეს გამოწვევები, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს მცენარეთა ერთ ადგილთან მიმაგრებული ბუნებიდან და უზარმაზარი ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური მოქნილობისგან.

## **საკვები მცენარეების აღმოჩენა და გადარჩევა**

საკმარისია, მხოლოდ დავაკვირდეთ მდელოზე მძოვარ ცხენს ან შევათვალიეროთ თახვის მიერ ტბორის გარშემო ტყეში მოჭრილი ხეები იმის გასაგებად, რომ ბალახისმტაცელები განურჩევლად ჭამენ ნებისმიერ მცენარეს, რომელიც შეხვდებათ. ცხენი თავის გზას იყვალავს მდელოში, ფრთხილად ირჩევს ახალგაზრდა, ნაზი ბალახის ამონაზარდებს და თავს არიდებს ნარშევებს და სხვანაკლებადგემრიელბალახს. თახვები უპირატესობას ანიჭებენ გარკეული სახეობის და ასაკის ხეებს. ცხენისა და თახვის შემთხვევაში, შესაფერისი საკვები მცენარის ძებნა ადგილობრივ არეალში აქტიურად წარმოებს. მსხვილი ჩლიქოსნების მიგრაცია ხშირად ასოცირდება საკვებ მცენარეთა ხელმისაწვდომობის რეგიონულ სტრუქტურებთან. სამხრეთ სერენგეტის სავანების მკვიდრი ანტილოპა გნუები თვეებს დეკემბრიდან აპრილის ჩათვლით (სველ სეზონს) მოკლე ბალახით კვებაში ატარებენ. მაისის დასაწყისში, როდესაც ბალახიანი სავანები ხმება, გნუები გადანაცვლებენ ჩრდილოეთისკენ ვიქტორიის ტბის მახლობელ ადგილებში, სადაც ბალახი ჯერ კიდევ ხელმისაწვდომია (Dingle 1980).




**ნახ. 7-14** სხვადასხვა ფერის მართულობები ( $30 \text{ b} \times 40 \text{ b}$ ) და სფერული ( $7.5 \text{ b}$  დიამეტრში) თეფშები დაიფარა წეპოთი და განთავსებული ვაშლის ხის მახლობლად ვაშლის ბუზის ლაგვების (*Rhagoletis pomonella*) დასაჭერად. თითოეული სცეტი წარმოადგენს მახეში დაჭერილი ბუზების მთლიანი რაოდენობის პროცენტულ მაჩვენებელს. აღმოჩნდა, რომ ბუზები უძირატესობას ანიჭებუნ ყვითელ მართულობებს და შავსა და ნითელ სფეროებს, რაც აღნიშნავს მიკროგარემოში ფორმისა და ფერის შერჩევის ინტერაქციას. (From Bernays and Chapman 1994; after Prokopy 1968.)

აგროეკოლოგისტებში თავისი, როგორც მავნებლების მნიშვნელობის გამო, ბალახისმჭამელი მწერები ბალახისმჭამელ ცხოველებს შორის, ყველაზე მრავალფეროვანი და ინტენსიურად შესწავლილა დედამინაზე. მწერების ზოგიერთსახეობაში(ჩრჩილები, პეპლები, ბუზები და ზოგიერთი ხოჭო) ლარვები არიან ბალახისმჭამელები, ზრდასრული ეგზემპლარები ნექტრის ან სითხის მჭამელები, მტაცებლები ან ზოგ შემთხვევაში, საერთოდ კვების უურარონი, ატარებენ რა თავიანთი ზრდასრული ცხოვრების მოკლე დროს რეპროდუქციასა და გავრცელებაში. ტიპურად, კვერცხებს, რომლიდანაც ბალახისმჭამელთა ლარვები ვითარდებიან, მდედრები მტარებელ მცენარეზე დებენ, რაც მომავალში განვითარებული ლარვების საკვების როლს შეასრულებს. ზოგიერთი მწერი დებს თავის კვერცხებს არასასურველ მცენარეზე და ლარვამ უნდა იპოვოს და მიაღწიოს სასურველ მცენარემდე ან დაიღუპოს შიმშილით. ლარვებისა და ზრდასრული ბალახისმჭამელი მწერების საკვების პოვნის ადაპტაციები განსხვავებულია და შეიძლება, მოიცავდნენ მცენარის მიერ წარმოებული ქიმიკატების აღმოჩენას და მათკენ ორიენტაციას ან ეს შეიძლება, მოიცავდეს სასურველი მცენარის სპეციფიკური ფორმებისადმი, ზომებისადმი ან ფერებისადმი მიზიდულობას (ნახ. 7-14, Bernays and Chapman 1994).

### ადაპტაციები მცენარით კვებისთვის

მას შემდეგ, რაც ბალახის მჭამელი აღმოჩენს შესაფერის მცენარეს, მან უნდა მოიხმაროს

მისი რაღაც ნაწილი და მოახდინოს მისი საკვები ნივთიერებების ასიმილირება. ცენარის დიდ მჭამელებს, განსაკუთრებით მათ, რომლებიც ბალახს ჭამენ, აქვთ დიდზედაპირიანი სალეჭი კბილები, რათა კარგად გადამუშაონ მცენარის მაგარი, ბოჭკოვანი ნაწილები. ამისგან განსხვავებით, ხორცის მჭამელთა კბილებს აქვთ მჭრელი და წვეტიანი ზედაპირები, რომლებიც მსხვერლს პირში საიმედოდ იჭერენ და ანანევრებენ ყლაპვისთვის შესაფერის ნაწილებად (ნახ. 7-15). კბილების განლაგებაში, ერთი შეხედვით მარტივი განსხვავებებიც კი ასახავენ მნიშვნელოვან ეკოლოგიურ განსხვავებებს. ცხენების ზედა და ქედა საჭრელი კბილები, მაგალითად, მკაცრად ურთი ერთსაწინააღმდეგოდაა განლაგებული, რათა მათ შეეძლოთ, ბალახების ბოჭკოვანი ლეროს გადაჭრა. სხვა ჩრიკისნებს, როგორებიც არიან ძროხები, ცხერები და ირმები, არ აქვთ ზედა საჭრელი კბილები. მათი ქვედა კბილები ეჭირებიან ზედა ყბას მოჭიდების კუთხით და ნიწნიან მცენარის ქსოვილს (Gwynne and Bell 1968). ბალახისმჭამელი თევზები, რომლებიც იკვებებიან ფსკერზე ან მის სიახლოესს, სადაც წყალმცენარეები იზრდებიან, შეიძლება, ფართოდ კლასიფიცირდეს ბრაუზერებად და გრეიზერებად. ეს იმაზეა დამოკიდებული ისინი კბეჩენ წყალმცენარეების ნაწილებს ან სხვა მასალებს (ბრაუზერები) თუ აფხევენ ან ინოვენ მცენარის ნივთიერებებს მათი ზედაპირიდან (გრეიზერები). როგორც ბრაუზერებს, ისე გრეიზერებს შუა წყალში მკვებავ თევზებზე მოკლე დინგები და კბილები აქვთ, რომლებიც ადაპტირებული არიან მოქმედისა და აფხევისადმი (Horn 1992). ტერმინები ბრაუზერი და გრეიზერი, ასევე, გამოიყენებიან მსხვილი სახმელეო



(ა) კოიოტი

(ბ) ირემ-ლალი

(გ) თახვი


**ნახ. 7-15** სამი ძუძუმწოვრის თავის ქალები, რომლებიც ასახავს სხვადასხვა დიეტისადმი ადაპტირებულ ყბებსა და კბილებს. (ა) კოიოტი, ხანჯლისებრი ეშვი კბილებითა და დანისებრი პრემოლარებით მსხვერპლის დასაჭერად და ხორცის გასახევად. (ბ) ირემ-ლალი კარგად განვითარებული, ბრტყელზედაპირიანი ძირითადი კბილებითა და პრემოლარებით მცენარის მასალის დასანაწევებლად. აღსანიშნავია ეშვებისა და საჭრელი კბილების არარსებობა. ქვედა საჭრელი კბლები გამოიყენება მცენარეულობის ზედა ყბაზე დასამაგრებლად. შემდევ ირემი ანინჯის ფოთლებს მცენარეს. (გ) თახვი დიდად დაგრძელებული ნაწევტებული საჭრელი კბილებით, რომლებიც გამოიყენება ხის საღრღნელად (After Vaughn 1986.)

ხერხემლიანების აღსაწერადაც. ბრაუზერები ჭამენ ფოთლებს ხე მცენარეებისგან, გრეიზერები კი ბალახსა და სხვა ბალახეულს.

მცენარის მჭამელი მნერები შეიძლება დავახარისხოთ მლეჭავების, მთხრელების და მბურღავების, ფოთლის მაგორგოლავებლების ან მწოვარების კატეგორიებად (Weis and Berenbaum 1989). მრავალი სახეობა, მათ შორის ხოჭოები (კოლეოპტილთა ჯგუფი), ფუტკრები, კრაზანები და ჭიანჭველები (სიფრიფანაფრთიანების რიგი) და კალიები (სწორფრთიანთა რიგი) ისევე, როგორც ჯოხისებრი მწერების (ფაზიმიდას რიგი) და ჩრჩილებისა და პეპლების (ხეშეშთვრთიანთა რიგი) ლარვული ფორმები – მუხლუხხოები და ბუზები (ორფრთიანთა რიგი) ღეჭავენ მცენარის ქსოვილს მის მონელებამდე. ამ მწერებს თავის არეში აქვთ რამდენიმე ნუება წყვილი გამაგრებული ნანაზარდებისა, რომლებსაც ეძახიან

მანდიბულას (ქვედა ყბა), მაქსილას (ზედა ყბა) და ლაბიუმს (ქვედა ტუჩი). ეს სტრუქტურები საშუალებას აძლევს მწერს, გაარღვიოს მცენარის ქსოვილი და დალეჭოს იგი გადაყლაბვამდე. საკვები მონცობილობა ასევე ზღუდავს საკვების არჩევანს. ახალგაზრდა კალიები (*Chorthippus parallelus*) ირჩევენ მტარებელ მცენარეს, რომელსაც განიკვეთის შედარებით თხელი ზომა ექნება, რადგან სქელი ფოთლები ძალიან დიდია მათი ვიწრო ყბათაშორისი ნაპრალისთვის (ნახ. 5-16). ზრდასრულ კალიებს უფრო დიდი ყბები აქვთ და შეუძლიათ, სქელი ფოთლების ჭამაც (Bernays and Chapman 1970a,b).

ზოგიერთი მწერის ლარვა და მცირე ზრდასრული ხოჭო საკვებს იღებს მტარებელი მცენარის შინაგანი ქსოვილებიდან, რომლებზეც ზრდასრულები დებენ კვერცხებს. ეს შიდამცენარემჭამელი სახეობები ღეჭვით მიიკვლევენ გზას მცენარის



**ნახ. 7-16** კალია ჩპორტჰიპიპუს პარალელუს-ის მიერ არჩეული საკვების ტიპი დამოკიდებულია მისი განვითარების დონეზე. ყველაზე ახალგაზრდა კალიებს პატარა პირის ღრუები აქვთ და არ შეუძლიათ ისეთი სქელფოთლიანი მცენარების ჭამა როგორიცაა ესტუცა. მის ნაცვლად მათ გროსტსის ფოთლების ჭამა ურჩევნიათ. უფროს მოზარდებს პირის ღრუ შედარებით დიდი აქვთ და მირიგად, შეუძლიათ ესტუცა-ს სქელი ფოთლების მოხმარება. (After Bernays and Chapman 1994.)

შიგთავსისკენ, სადაც ისინი „თხრიან“ მცენარის ქსოვილს და მოიხმარებ მას, ქმნიან რა გვირაბებს მცენარის ქსოვილში, რომლებიც ადვილად შესამჩნევა ბუნებათმცოდნების დაკვირვებული სტუდენტებისთვის. ყველაზე ხშირად ფოთლის მთხრელი მწერების მთლიანი ლარვული განვითარება ფოთოლშივე სრულდება.

ფოთლის მაგორგოლავებელი მუხლუხოები იყენებენ აპრეშუმის ძაფებს, რათა ფოთოლი შემოიხვიონ თავის გარშემო. ისინი მოიხმარენ ფოთოლს გორგლის შიგნიდან. ზოგადად, მაგორგოლავებლები ლარვული განვითარების დროს იყენებენ რამდენიმე ფოთოლს (Stamp and Wilkens 1993). მიღისებრი სტრუქტურის სახით მაღალმოდიფირებული პირის ღრუ განუვითარდა მწერთა რამდენიმე სხვა ჯგუფსაც, ყველაზე აღსანიშნავია ჭიჭინობელები (ნაცვრადეშეშფრთიანთა რიგიდან). ეს სტრუქტურები გამოიყენება მცენარეთა ქსოვილიდან წვენის ამოსანოვად.

რადგანაც მცენარეულობა უფრო ძნელი მოსანელებელია, ვიდრე ხორცის მჭამელების ცილებით მდიდარი საკვები, ბალახისმჭამელი ცხოველების საჭმლის მომნელებელი ტრაქტი ხშირად საკმაოდ დაგრძელებულია. ამასთან, ბევრი შეიცავს უმარტივესი ორგანიზმებითა და ბაქტერიებით დასახლებულ, ქვაბების მსგავსად ფუნქციონირებად ტომრისებრ გაფართოებებს (კურდღლების ბრმანაწლავი, ძროხების ფაშვი), რომლებიც ხელს უწყობენ საკვების მონელებას (Swenson 1977). ნანლავების დიდი მოცულობით ბალახისმჭამელებს შეუძლიათ, მეტ ხანს შეინარჩუნონ საკვები თავიანთ მომნელებელ ტრაქტში და უფრო სრულად გადაამუშაონ იგი. ამ ერთი შეხედვით, მოქმედი ადაპტაციის დაბალანსებისას, ბალახისმჭამელებმა უნდა ატარონ მოუნელებელი საკვები, რითაც ემატებათ წონა და აკლდებათ მობილურობა.

მცენარის კვებითი ლირებულება და მონელების ხარისხი კრიტიკული მნიშვნელობისაა ბალახისმჭამელებისთვის (Moran and Hamilton 1980, Scriber and Slansky 1981, Scriber 1984). ახალგაზრდა ძუძუმწოვრებს

## მცენარეთა მჭამელობის კვებითი ეკოლოგია

მცენარეები, ცხოველების მსგავსად, შეიცავენ დიდი რაოდენობით ქიმიურ კომპონენტებს, როგორიცაა ცილები და ამინომჟავები, ნახშირნყლები, ლიპიდები და სხვა ნივთიერებები, რომლებიც ბალახისმჭამელების პოტენციურ საკვებს წარმოადგენს. მაგრამ მცენარეები არსებითად განსხვავდებიან ცხოველებისგან ამ ნივთიერებების ორგანიზმი განაწილების ნიშნით. დაჭერილი მსხვერპლისგან განსხვავებით, რომელიც თითქმის მთლიანად მოიხმარება მტაცებლის მიერ, მომხმარებელი ბალახისმჭამელები მცენარის მხოლოდ გარკვეულ ნაწილებს ჭამებ. ეს ხდება მცენარის ნაწილებს შორის კვებითი ხარისხის ვარიაციების გამო ან ზოგიერთი ბალახისმჭამელის უუნარობის გამო, მიაღწიოს მცენარის გარკვეულ ნაწილებს. რეპროდუქციული სტრუქტურები და ფოთლები, როგორც წესი, უფრო მეტ ცილას შეიცავენ, ვიდრე ღერო და ფესვები და ბალახისმჭამელებისთვის უკეთ საკვებს წარმოადგნენ (Berney and Chapman 1994). რაც არ უნდა იყოს ფესვების საკვები ლირებულება, ის მიუწვდომელია მინის ზემოთ მყოფი მუხლუხოსთვის. მეტიც მცენარეები შეიცავენ მთელ რიგ მეტაბოლურ თანმხლებ პროდუქტებს, რომლებიც შეიძლება საზიანონი იყვნენ ბალახისმჭამელებისთვის. მცენარეები ასევე შეიცავენ ქიმიკატებს, რომლებიც შეიძლება ბალახისმჭამელების ატრაქტანტები (მიმზიდავი საშუალებები) იყვნენ. მცენარეთა ქსოვილები შეიცავენ აგრეთვე სტრუქტურულ მოლეკულებს, როგორიცაა ცელულოზა და ლიგნინი, რომლებიც ძნელი მოსანელებელია.

### ცხრილი 7-1

კორელაციის კოეფიციენტი  
ბალახის მჭამელობასა და  
ცენტრალურ პანამაში მობინადრე  
დაბლობის ხეების 46 სახეობის  
ფოთლების დამცავ საშუალებებს  
შორის

ფოთლის ატრიბუტი	მნიშვნელობათა სფერო	კორელაციის კოეფიციენტი (r)
ქიმიური		
მთლიანი ფენოლი (% მშრალი მასა)	1.7-22.6	-0.10
ცელულოზა (% მშრალი მასა)	10.2-30.4	-4.47
ლიგნინი (% მშრალი მასა)	3.3-20.8	-0.23
ფიზიკური		
სიმკერივე (ნიუტრები)	2.5-11.6	-0.52
ზედაპირისევება ბუსუსები (რიცხვი მმ²)	0-18	0.64
საკვები		
წყალი (%)	49-82	0.51
აზოტი (%) მშრალი მასა)	1.7-3.1	0.29*

სტატისტიკური მნიშვნელობა: \* $<0.05$ ; \*\* $<0.01$ .  
(From Coley 1983.)

ზრდისთვის აქტ დიდი მოთხოვნილება ცილებზე. ბრაუზერი და გრეიზერი ცხოველების რეპროდუქციული წარმატება დამოკიდებულია მათ საკვებშიცილების შემცველობაზე. ბალახისმჭამელები როგორც წესი, მცენარეულ საკვებს ირჩევენ მისი კვებითი შემცველობის მიხედვით (Gwynne and Bell 1968). ხშირად არჩევანი ჩერდება ახალგაზრდა ფოთლებსა და ყვავილებზე, მათშიც ცელულოზის დაბალი შემცველობის გამო. ნაყოფები და თესლები განსაკუთრებით მკვებავის ფოთლებთან, ლეროსთან და კვირტთან შედარებით მათში აზოტის, ცხიმისა და შაქრის მაღალი შემცველობის გამო (Short 1971). კოლორადოს კუნძულზე კანოპის შემქმნელი ხეების 46 სახეობის ნერგების შედარებით, გაანალიზეს ფოთლების გრეიზირება მათი საკვები ლირებულებისა და ფიზიკური სტრუქტურის გათვალისწინებით. კოლმი (1983) აღმოაჩინა, რომ ცელულოზის დიდი შემცველობა და ფოთლის სიმაგრე მნიშვნელოვნად ამცირებს ბალახისმჭამელობას (აღინიშნება მაღალი ნეგატიური კორელაციის კოეფიციენტით, r), ხოლო ფოთლის ზედაპირზე ბუსუსების არსებობა და აზოტისა და წყლის მაღალი შემცველობა ახალისებს ფოთლების ჭამას (მაღალი დადებითი კორელაცია; ცხრილი 7-1).

მრავალი მცენარე იყენებს ქიმიკატებს, რათა შეამცირონ ბალახისმჭამელებისთვის ცილების ხელმისაწვდომობა. მაგალითად, ტანინები, რომლებიც შეზღუდულები არიან მუხებისა და სხვა მცენარეების ფოთლებში არსებულ ვაკუოლებში, უერთდებიან ცილებს და მოსანელებელ ფერმენტებს ბალახისმჭამელის ნაწლავებში, რითაც აფერხებენ საკვების მონელებას (Feeley 1969, Hagerman and Butler 1991). შედეგად, ტანინები ანელებენ მუხლუხოებისა და სხვა ბალახისმჭამელების ზრდას. ეს არის ეფექტი, რომელიც ამცირებს ტანინით დატვირთული მტარებლების, როგორც საკვები მცენარეების ხარისხს. პანამის ნეოტროპიკული ბუქნერარის *Psychotria horizontalis*-ს ექსპერიმენტულ კვლევებში საგერსმა და კოლმი (1995) აღმოაჩინეს, რომ მცენარე ტანინის მაღალი კონცენტრაციით და მაგარი ფოთლებით ნაკლებად განიცდიდა ბალა-ხისმჭამელობას, ვიდრე მცენარეები ტანინის დაბალი შემცველობით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტანინის წარმოებას თავისი საფასური აქვს. საგერსმა და კოლმი დაადგინეს, რომ მცენარეებს, რომლებიც მსხვილ ინვესტიციებს დებდნენ ტანინის პროდუქციაში, დაბალი ზრდის ტემპი ჰქონდათ იმ მცენარეებთან შედარებით, რომლებიც ნაკლებ ტანინს ანარმოებდნენ. ამ აღმოჩენის დასკვნა არის შემდეგი: ტანინის წარმოება მცენარეებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაშია მომგებიანი და ღირებული, თუ ის ბალახისმჭამელობის მაღალი დონეების ადგილებში იზრდება. ამგვარი ეკოლოგიური ტრეიდოფების დინამიკას უფრო დეტალურად განვიხილავთ ნინბამდებარე წიგნის მეშვიდე ნანილში.

## მცენარეთა თავდაცვის გადალახვა

მცენარეები ფლობენ დიდი რაოდენობით მორფოლოგიურ და ქიმიურ ადაპტაციებს ბალახისმჭამელებთან საბრძოლველად. მცენარის ეს დამცავი საშუალებები ბალახისმჭამელების ბიოტური გარემოს უდიდეს ნაწილს შეადგენენ. არ უნდა გაგვიკირდეს, რომ ბალახისმჭამელებს შორისაც განვითარდა ადაპტაციები ამ დამცავი მექანიზმების თავიდან ასაცილებლად და მოსატყუებლად. კონტრზომები შეიძლება, მოიცავდნენ უგემური მცენარეებისგან ან მათი საზიანო ნაწილებისგან თავის შორს დაჭრას, ჭამამდე ტოქსიკური და უგემური სტრუქტურების მოცილებას, მცენარის ქიმიურ დაცვასთან შეგუებას ან სენსიბილიზაციას.

მცენარის ქიმიურმა და მორფოლოგიურმა თვისებებმა, შეიძლება, მიანიღონ ბალახისმჭამელებს ადრეული გაფრთხილება და შედეგად მიიღონ მისი ჭამისგან თავის არიდება ან მათ შეიძლება ინფორმაცია მიანიღონ ბალახისმჭამელს იმის შესახებ, თუ მცენარის რომელი ნაწილი არის საჭმელად გამოსადევი. როგორც უკვე ვნახეთ, მცენარეთა მჭამელი მწერები მიზიდული ან პირიქით განდევნილნი იყვნენ პოტენციური მტარებელი მცენარის მიერ იმ ქიმიკატების მეშვეობით, რომელსაც მცენარე გამოყოფს და ასევე მცენარის მორფოლოგიური თვისებებისმეშვეობითაც. მასშემდეგ, რაც მტარებელი მცენარე მოიძებნება, მწერი დგას პრობლემური არჩევანის წინაშე — მცენარის რომელი ადგილი არის უსაფრთხო კვებისთვის. ზედაპირის სუნის, მსუსხავი ბუსუსების (მოძრობადი ბუსუსები, რომელიც ეკრობა ბალახისმჭამელებს და უქმნის მას დისკომფორტს), ცვილოვანი ან შეულენევადი ზედაპირის არსებობა და მცენარის გარკვეული ფორმა და ზომა განსაზღვრავს, მცენარის რომელი ნაწილი მოიხმარება (Dussouard 1993, Berneys and Chapman 1994). მუხლუხოები ივითარებენ მრავალფეროვან ცეცებს მცენარის სტრუქტურული დამცავი საშუალებებისთვის თავის არიდების მიზნით ან მათ გასაუზნებელსაყოფად. ნიმუშალიდური ჩრჩილების ზოგიერთი სახეობის ლარვები უბრალოდ წნავენ აბრეშუმის ძაფებს, რათა შემდეგ ისინი ხიდად გამოიყენონ ეკლიანი ბუსუსებისთვის გვერდის ასავლებად. ღამის პეპლების მუხლუხოები ხშირად კბერენ და ასე ამორებენ ეკლებსა და ბუსუსებს ფოთლის ძარღვებს, სანამ მის ჭამას დაიწყებენ. ამგვარი ქცევით, ისინი თავს არიდებენ დაზიანებას ან მახეში გაბმას. სხვა მუხლუხოები აცალკევებენ მტარებელი მცენარის ფოთლის ძარღვებს, რითაც წყვეტენ საზიანო ნივთიერებების დინებას თავიანთ საკვებ არეალში (Dussouard 1993).

მცენარეთა დამცავი საშუალებების მოსატყუებელი სტრატეგიები ისევე, როგორც თითქმის ყველაფერი ეკოლოგიაში, მასშტაბზეა დამოკიდებული. მანძილს მსუსხავ ბუსუსებს შორის ფოთლის ზედაპირზე, რომელიც მილიმეტრებით

იზომება, არავითარი გავლენა არ აქვს იმაზე, თუ რამდენად წარმატებით დაღეჭავს მას ბრაუზერი ირგემი. თუმცა, იგივე ბუბუსები შეიძლება გაუვალ ტყეს წარმოადგენდნენ საკვების მაიებელი მუხლუხოსთვის. მცენარეთა მჭამელ მწერებში და სხვა მცირე ზომის ბალახისმჭამელებში მცენარეთა დამცავი საშუალებების თავიდან არიდების ან მოტყუების სტრატეგიები შეიძლება შეიცვალოს ინდივიდის ზრდასთან ერთად. მაგალითად, ძალიან ახალგაზრდა მუხლუხოების პირის ღრუები, შეიძლება, მცირე ზომის აღმოჩნდეს იმისთვის, რომ საშუალება მისცეს მას, შეჭამოს ადგილები ფოთლის ტოქსიკურ რეზერვუარებს შორის. მაშინ, როდესაც შედარებით უფროსი მუხლუხოების პირის ღრუები ზედმეტად დიდია იმისთვის, რომ თავი აარიდოს ფოთლის ტოქსიკურ ნივთიერებებიან ქსოვილებს (Reavey 1993).

## **7.5 მცენარეები იყენებან სტრუქტურულ და კიმიურ დამცავ საშუალებებს გაღანცენასთან დაზღვის წინააღმდეგ**

იმის მიუხედავად, რომ მცენარეებსა არ შეუძლიათ, ამითხარონ და გაექცნენ მოახლოებულ ბალახისმჭამელს ან ფიზიკური ძალის საშუალებით ჩამოაგდონ მშეირი კალია ან ხელი ჰკრან გაუმაძლარ ამერიკულ ცხენ-ირემს, ისინი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლებიან დაუცველებად. როგორც შემდგომ ვნახავთ, მცენარეებში მნიშვნელოვანი სტრუქტურული და ბიოლოგიური ბარიერები განვითარდა ბალახისმჭამელების შესაფერხებლად. ჩვენ ფრთხილად ვეკიდებით მტაცებელი-მსხვერპლის ადაპტაციების ჩვენებული გაგების გამოყენებას მყარი მოდელის სახით ბალახისმჭამელებსა და მათ საკვებ მცენარეებს შორის ურთიერთობისთვის. მცენარეები ძალიან განსხვავდებიან ცხოველური მსხვერპლისგან და შედეგად, აგრეთვე განსხვავებულია ბალახისმჭამელობის ფერმენი მტაცებლობისგან. ინდივიდუალურ გადარჩენაზე დაფუძნებით, მცენარეები უპირატესობას ფლობენ მსხვერპლ ცხოველებთან შედარებით, რომლებსაც მოინადირებენ, კლავენ და ჭამენ მტაცებლები იმ თვალსაზრისით, რომ ისინი მთლიანად არ მოიხმარება. ბალახისმჭამელის მიერ მიყენებული ზიანმა მთლიანად შეიძლება არ გაანადგუროს მცენარის სიცოცხლის შემანარჩუნებელი ფუნქციები. წარმატებული მტაცებლობა ინვეგს მსხვერპლის სიკვდილს, ბალახისმჭამელობა კი — არა. ამასთან, ბალახისმჭამელები, განსაკუთრებით კი, მცენარის მჭამელი მწერები, უფრო მეტად სპეციალიზებულნი არიან თავიანთი მტარებელი მცენარეების მიმართ, ვიდრე მტაცებლები თავიანთი მსხვერპლის მიმართ. ამრიგად, მცირე ცვლილებებიც კი მცენარის ქიმიურ სტრუქტურაში შედეგად იწვევს სწრაფ და სფეციფიკურ ცვლილებას ბალახისმჭამელთა

ფიზიოლოგიაში. ამ ძლიერ ნაცვალებით სელექციას ორ (an met) ორგანიზმს შორის, რომლებსაც მჭიდრო ეკოლოგიური ურთიერთობა აქვთ, თანაევოლუცია ეწოდება. ამ თემას ჩვენ დეტალურად 25-ე თავში განვიხილავთ. თანაევოლუციური ურთიერთობები, ბალახისმჭამელებსა და მათ საკვებ მცენარეებს შორის, ხშირად ზუსტად რეგულირებულია. ამ მიზეზით, ქვემოთ ქიმიურ დაცვასთან ერთად განვიხილავთ მცენარეებისა და ბალახისმჭამელების ადაპტაციებს.

## **დამცავი სტრუქტურა და საკვების ხარისხი**

მცენარეები, რომლებიც საჭმელად ძნელად გასამკლავებლები და მოსანელებლები არიან, შეიძლება, ნაკლებ მიმზიდველი იყვნენ ბალახისმჭამელებისთვის. მორფოლოგიური ადაპტაციები, როგორიცაა ცვილოვანი საფარველი და ეკლებისა და ტოქსიური ბუსუსების არსებობა, შეიძლება მოქმედებდნენ როგორც შემაჩირებელი ფაქტორები ბალახისმჭამელებისთვის (ნახ. 7-17). ტანინების წარმოება, რაც ნინა თავში განვიხილავთ, დამცავი მექანიზმია, რომელიც მცენარის ქსოვილს ძნელად მოსანელებელს ხდის. მცენარეებმა, ასევე შეიძლება, შეამცირონ თავიანთი საკვები ლირებულება ბალახისმჭამელებისთვის იმ ქსოვილების გაზრდით, რომლებიც ბალახისმჭამელებისთვის საჭირო საკვებ ნივთიერებებს მცირე რაოდენობით შეიცავენ. ბალახისმჭამელებმა, შეიძლება, დაძლიონ ეს სტრატეგია საკვების რაოდენობის ზრდით ან მცენარის დიდხანს გადამუშავებით (Augner 1995).

მსხვერპლის მსგავსად, მცენარეებს, შეუძლიათ, გამოიყენონ მოტყუება მოხმარებისგან თავის დასაცავად. მაგალითად, ავსტრალიური ამელას (*Dendrophthoe shirleyi*) ერთი სახეობა, რომელიც პარაზიტივით ბინადრობს სხვა მცენარეებზე, წარმოშობს იმ სამი ხის ფოთლებისგან განსხვავებულ ფოთლებს, რომლებზეც ის იზრდება. ამ უკნასკნელთაგან კი, ყველა საჭმელად უვარგისია ბალახისმჭამელთათვის. ამის გამო, ამელა შეუმჩნეველია პოტენციური ბალახისმჭამელთათვის როგორც ცალკეული, კვებისთვის გამოსადეგი მცენარე (Weis and Berenbaum 1989).

## **ბიოქიმიური დაცვა**

ბალახისმჭამელებსა და მცენარეებს შორის არსებული კონფლიქტის დიდი ნაწილი მიმდინარეობს ბიოქიმიური ბრძოლის ველებზე, რაც გამოიხატება მეორადი ნაერთების ტოქსიკური თვისებებით. მეორადი ნაერთები წარმოები და შეზღუდულია დაცვისთვის მცენარეთა მრავალი სახეობის მიერ (Fraenkel 1959, 1969, Beck 1965, Whittaker and Feeny 1971, Robbins and Moen 1975, Levin 1976, Seigler and Price 1976, Rosenthal

and Janzen 1979, Harborne 1982). ეს ნივთიერებები შეიძლება დაიყოს ქიმიური სტრუქტურების სამ უმსხვილეს კლასად: ამინომჟავებიდან, ტერპენებიდან და ფენოლებიდან მიღებული აზოტის ნაერთები (ცხრილი 7-2). აზოტზე დაფუძნებულ ნივთიერებებს შორის არის ლიგნინი, მაღალკონდენსირებული პოლიმერი, რომელიც უძლებს მონელებას; ალკალიოდები, როგორებიცაა მორფინი (ყაყაჩოსგან მიიღება), ატროპინი და ნიკოტინი (მიღება პამიდორის — ძალუყურძენასებრთა ოჯახის სხვადასხვა წევრებისგან). ეს კლასი ასევე მოიცავს არაცილოვან ამინომჟავებს, როგორიცაა -კანავანინი და ციანიდური გლიკოზიდები, რომლებიც აწარმოებენ ციანიდს (HCN). ტერპენები მოიცავენ ეთერზეთებს, ლატექსს და მცენარეულ ფისს. მრავალ მარტივ ფენოლს ანტიმიკრობული თვისებები აქვს.

იმ დროს, როდესაც ტანინები შედიან განზოგადებულ რეაქციებში ყველა სახის ცილებთან, მრავალი მეორეული ნაერთი მონაწილეობს ბალახისმჭამელთა ფიზიოლოგიურიპროცესებისასხვადასხვამეტაბოლურ გზებში. თუმცა, რადგანაც ამგვარი ნივთიერებების მოქმედების ადგილი ბიოქიმიურად ლოკალიზებულია, ბალახისმჭამელები შეიძლება დაუპირისპირდენ მათ ტოქსიკურ ეფექტებს თავიანთი საკუთარი ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის მოდიფიცირების საშუალებით. ამგვარმა დეტოქსიკაციამ, შეიძლება, წარმოშვას ერთ-ერთი რამდენიმე ბიოქიმიურ ნაბიჯთაგან, მათ შორის ტოქსიკური ნივთიერებების უანგვა-ალდგენა, ჰიდროლიზი ან მისი შეერთება სხვა ნაერთთან.

მცენარესა და ბალახისმჭამელს შორის ქიმიური ნივთიერებების გაცვლა-გამოცვლის რამდენიმე ადრეული კვლევა ყურადღებას ამახვილებდა მარცვლეულის ხოჭოების ლარვებზე, რომელთა ტიპიც სახლობენ პარკოსანთა მარცვლებში (ბარდისებრთა ოჯახი). ზრდასრული ხოჭოები დებენ თავიანთ კვერცხებს განვითარებად თესლებზე, რომლებიც მათ შეუძლიათ საკვებად მოიხმარონ ზრდის პერიოდში. მტარებელმა მცენარემ ბუნებრივი გადარჩევით განვითარა მთელი რიგი დამცავი საშუალებებისა (Janzen 1969, Center and Johnson 1974), მათ შორის პანანინა მარცვლების ევოლუციაც. თითოეული ლარვა იკვებება ერთი მარცვლით. წარმატებით დაჭუპრებისთვის და ზრდასრულად გადაქცევისთვის, ლარვამ უნდა მიაღწიოს გარკვეულ ზომას, რასაც ზღუდავს თესლში საკვების რაოდენობა. პარკოსან სახეობათა მცირე მარცვლები შეიცავენ მცირე საკვებს ერთი ხოჭოს ლარვის ზრდის ხელშესაწყობადაც კი (Janzen 1969).

პარკოსანთა მარცვლების უმრავლესობა შეიცავს ნივთიერებებს, რომლებსაც ზოგადად პროტეაზას ინჰიბიტორი (შემაჩერებელი) ეწოდება. ისინი აკავებენ ბალახისმჭამელის საჭმლის მომნელებელ ორგანოებში წარმოებული პროტეოლიზური ფერმენტების აქტივობას. პროტეაზას ინჰიბიტორები მოიპოვება მთელ რიგ სხვადასხვა მცენარეებში (Casaretto and Corcuera 1995). იმ დროს, როდესაც ეს ტოქსინები წარმოადგენენ ეფექტურ ბიოქიმიურ დაცვას მწერების უმრავლესობის წინააღმდეგ, მარცვლეულის ბევრ ხოჭოს აქვს მეტაბოლური საშუალებები, რომელთა დახმარებითაც ის გვერდს უვლის ამ ტოქსინებს ან



(ა)



(ბ)


**ნახ. 7-17** ეკლები იცავენ  
მრავალი მცენარის ღეროსა და  
ფოთლებს: (ა) აგავა (ასწლიანი  
მცენარე) ბახა კალიფორნიიდან;  
(ბ) არკინონია გალაპაგოსის  
კუნძულებიდან.

**ცხრილი 7-2**

**მცენარის მეორადი ნაერთები, რომელიც ჩართული არიან მცენარე-ბალაზის  
მტამელის ინტერაქციებში**

კლასი	ქიმიური სტრუქტურების მიახლოებული რიცხვი	დისტრიბუცია	ფიზიოლოგიური აქტივობა
აზოტის ნაერთები			
ალკალოიდები	5 500	ვრცლად ფარულთესლიანებში. განსაკუთრებით ფესვებში, ფოთლებსა და ნაყოფში	ბევრი ტოქსიკური და მწარე
ამინები	100	ვრცლად ფარულთესლიანებში, ხშირად ყვავილებში	ბევრი განმდევნ-სუნიანი, ზოგიერთი ჰალუცინოგენური
ამინომჟავები (არაპროტეინული)	400	განსაკუთრებით პარკოსანთა მარცვლებში, მაგრამ შედარებით ფართოდ გავრცელებული	ბევრი ტოქსიკური
ციანიდური გლიკოციდები	30	სპორადული, განსაკუთრებით ნაყოფი და ფოთლები	შხამიანი (HCN)
გლუკო ცინოლატები	75	ჯვრისებრყვავილიანთა და 10 სხვა ოჯახი	მწარე და ცხარე
ტერპენოიდები			
მონოტერპენები	1 000	ფართოდ ეთერ ზეთებში	სასიამოვნო სუნიანი
მონოტერპენები	1 000	ფართოდ ეთერ ზეთებში	სასიამოვნო სუნიანი
სესკვიტერპენული ლაქტონები	600	ძირითადად რთულყვავილიანებში მაგრამ ხშირად მოიპოვება სხვა ფარულთესლიანებშიც ზოგიერთი მწარე და ტოქსიკური,	ასევე ალერგიული
დიტერპენები	1 000	განსაკუთრებით ლატექსსა და მცენარის ფისში	ზოგიერთი ტოქსიკური
საფონინი	500	დაახლოებით 70 მცენარის სახეობაში	ახდენს სისხლის უჯრე- დების ჰემოლიზირებას (ერითროციტების დაშლა)
ლიმონოიდები	100	ძირითადად ღუტაცეაე, ელიაცეაე და შიმაროუბაცეაე-ში	მწარე გემოსი
ჩურცურბიტაცინს	150	განსაკუთრებით ხშირია პოცყნა- ცეაე-ში,	სცლებიდაცეაე-სა და შცროპჰულარაცეაე-ში ფენოლინები
მარტივი ფენოლინები	200	უნივერსალურია ფოთლებში, ხშირად მოიპოვება სხვა ქსოვი- ლებშიც	ანტიმიკრობული
სხვა			
პოლიაცეტილები	650	ძირითადად რთულყვავილიანებში და ქოლგისებრებში	ზოგიერთი ტოქსიკური

(From J.B.Harborne 1982)



**ნახ. 7-18.** ტოქსიკური არაცილოვანი ამინომჟავა -კანავანინე და მისი ცილოვანი ანიმომჟავური ანალოგი არგინინი. გამუქებული არეალი ხაზს უსვამს განსხვავებას ორ მოლეკულას შორის.

(From Harborne 1982.)

უგრძნობია მათ მიმართ (Applebaum 1964, Applebaum et al. 1965). ოუმცა, პარკოსანთა სახეობებს შორის, სოიოს მარცვლები გამოირჩევიან. ისინი უძლებენ მარცვლეულის ყველა პარაზიტი სახეობების შემოტევასაც კი. როდესაც პარაზიტი ხოჭოები კვერცხებს დებენ სოიოს მარცვლებზე, ლარვები კვდებიან მოკლე დროში მას შემდეგ, რაც მარცვლის საფარველს ქვეშ ჩაძვრებიან. სოიოს მარცვლების მიერ გამოყოფილი ქიმიური ნივთიერებები აფერხებენ ხოჭოს ლარვების განვითარებას ექსპერიმენტულ სიტუაციებშიც.

ტროპიკული პარკოსანი ხის *Dioclea megacearpa*-ს მარცვლები შეიცავენ -კანავანინის 13% მშრალ მასას. ეს არის არაცილოვანი ამინომჟავა, რომელიც ტოქსიკურია მწერთა უმრავლესობისთვის, რადგან ის ერევა ამინომჟავა არგინინის ცილების ინკორპორაციაში, რომელსაც საკმაოდ ჰგავს (ნახ. 7-18). მარცვლეულის ხოჭოს ერთი სახეობა – *Caryedes brasiliensis*, ფლობს ფერმენტებს, რომლებიც ასხვავებს ერთმანეთისგან -კანავანინსა და არგინინს ცილების ფორმაციის დროს. ეს დამატებითი ფერმენტები შემოიძრავს კანავანინს ისეთ ფორმებამდე, რომლებიც შეიძლება

გამოიყენონ შემდგომში აზოტის წყაროდ (Rosenthal et al. 1976).


თამბაქო (*Nicotiana tabacum*) შეიცავს ნიკოტინს. ბუნებაში ნიკოტინი ძლიერი ინსექტიციდია (მწერთა გამანადგურებელი), რადგან ის აფერხებს მწერების ნერვული სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას, ხელს უშლის რა ნერვული იმპულსების გადაცემას ნერვიდან ნერვამდე. თამბაქოს რქიან მატლს (*Manduca sexta*-ს ჩრჩილის ლარვული ფაზა, ნახ 7-19) შეუძლია, აიტანოს საკვებში ნიკოტინის ისეთი კონცენტრაციები, რომელიც მოკლავდა ყველა სხვა მწერს. რქიანმა მატლმა გადალახა მცენარის დამცავი საშუალებები ნერვული უჯრედის მემბრანიდან ნიკოტინის ამოლების საშუალებით. ჩრჩილების სხვა სახეობებში ნიკოტინი სწრაფად ვრცელდება ნერვულ უჯრედებში (Yang and Guthrie 1969). ნიკოტინის მიმართ გამდლეობა, საშუალებას აძლევს *M.sexta*-ს, იკვებოს თამბაქოთი, მაგრამ *Nicotiana*-ს ზოგიერთი სახეობა ანარმოებს სხვა ალკალინიდურ ტოქსინებსაც, რომლებსაც თამბაქოს რქიანი მატლები ვეღარ უძლებენ. როდესაც თამბაქოს რქიან მატლებს ზრდიდნენ *Nicotiana*-ს 44 სხვადასხვა სახეობაზე სათბურის ექსპერიმენტებში, ლარვა ნორმალურად 25 სახეობაზე გაიზარდა. დანარჩენებზე მათი ზრდა დაგვიანდა ან სრულიად შეჩერდა. ამასთან, 15 სახეობა ინვევდა ზომიერიდან უკიდურესამდე სიკვდილიანობას რქიან მატლებში (Parr and Thurston 1968). ეს შედეგები ხაზს უსვამს სპეციალიზაციის ხარისხს, რომელიც შეიძლება განვითარდეს მცენარე-ბალასისმჭამელის ინტერაქციებში.

მცენარის დაცვითი უნარის განვითარება შეიძლება გამოწვეული იყოს ბალახისმჭამელის მიერ დაზიანებისგან, დაახლოებით იმავენაირად, როგორც უცხო ცილები ინვეგენი მიუნურრეაქციებს ხერხემლიან ცხოველებში. ალმოჩნდა, რომ ალკალინიდები, ფენოლები, N-ოქსიდაზები და პროანთოცია-ნიდები, რომელთაგან ყველა დაკავშირებულია ბალახისმჭამელებისგან თავდაცვასთან, დრამატულად გაზრდილი



**ნახ. 7-19** *Manduca sexta*-ს თამბაქოს რქიანიან მატლის ლარვა იქ. სადაც ბალახისმჭამელობა იხტენსიურია, მცენარეები უფრო მარავალფეროვანი და ტოქსინ-კონცენტრირებულები განვითარდნენ (იხ. მაგ. ოლინგერ ეტ ალ. 1973). თავის მხრივ, სადაც მცენარის დაცვა ძლიერია, გავრცელებულია ბალახისმჭამელთა ადაპტაციები შამიანი ნივთიერებების დების დეტოქსიკაციისა და გაუცნებელყოფისთვის. ეს ომი მცენარეებსა და ბალახისმჭამელებს შორის ხელს უწყობს ბალახისმჭამელების ბოქტიმიურ სპეციალიზაციას გარკვეულ შეზღუდულ მცენა-რეთა ჯგუფებზე მსგავსი ტოქსინებით. მცენარეებისა და ბალახისმჭამელების ჯგუფებში ასოცირებას მცენარის ქიმიასა და სტრუქტურაზე დაყრდნობით მცენარის დაცვის გილდიერი ენოდება (Atsatt and O'Dowd 1976).

იყო მცენა-რეებში ბალახისმჭამელების მიერ მათი ფოთლების განადგურების შემდეგ (ან ექსპერიმენტა-ტორების მიერ ფოთლების მოწყვეტის შემდეგ). სხვა კვლევებშია გვიჩვენა, რომ ბალახისმჭამელობით გამონვეულ მცენარეულ დაცვას მნიშვნელოვნად შეუძლია, შეამციროს შემდგომი ბალახისმჭამელობა (Bryant and Kuropat 1980, Haulioja 1980, Karban and Carey 1984, Fowler and MacGarvin 1986, nax. 7-20). ტოპოგენურმა სოკომ და მცენარეთა დაავადებებმა ასევე შეიძლება, გამოინვიონ რეაქცია მცენარეებში, მათ შორის დაავადების ადგილას უჯრედის ბუნებრივი სიკვდილი (Mittler and Lam 1996). ეს გამონვევადობა გულისხმობს, რომ ზოგიერთი ქიმიური დამცავი საშუალებების შენარჩუნება მცენარეებს ზედმეტად ძვირი უჯდებათ გრეიზერი ორგანიზმების ზენოლის პირობებში. რამდენიმე კვლევამ გვიჩვენა უარყოფითი კორელაცია (ტრეიდოფები) დამცავი ქიმიკატებს ნარმოებასა და ზრდას შორის. ამასთან, სადაც ნიადაგი ღარიბია საკვები ნივთიერებებით, რომლებიც საჭროა ზოგიერთი ქიმიური დამცავი საშუალების სანარმოებლად, დაცვის საფასური კიდევ უფრო მაღალია. ეჭვგარეშეა, რომ ბალახისმჭამელებსაც თავდასხმითი ქიმიური ტაქტიკაც ასევე ძვირი უჯდებათ.



**ნახ. 7-20** ტკიპა თეტრანციცუს ურტიუცაე საშუალო რიცხვი მცენარეზე, რომელიც ადრე ხელმისაწვდომი იყო ტკიპებისთვის და კონტროლირებად მცენარეებზე, რომლებსაც ეს გამოცდილება არ ჰქონიათ. ეფექტი მსგავსია (ა) თურტიცაე და მასთან ნათესაურ კავშირში შემოფარგლული ტკიპების სახეობა (ბ) თურტიცაე და მცენარეების შემთხვევებში. (T = მთლიანი პოპულაცია, E = კვერცხები, I = მოუმნიშვნელები, M = ზრდასრული მამრები, F = ზრდასრული მდედრები) (რომ არბან ანდ ჩარე 1984.)

## 7.6 პარაზიტების ახასიათები

### მთარებლის საეცივიკურობა და

### კომპლექსური სასიცოცხლო ციკლები

კიდევ ერთი სახის უმსხვილეს ბიოტურ ინტერაქციას ადგილი აქვს პარაზიტებსა და მათ მტარებლებს შორის. პარაზიტები არიან ორგანიზმები, რომლებიც იკვებებიან მეორე ორგანიზმით (მტარებლით) როგორც წესი, მისი მოკვლის გარეშე. ზემოთ განხილული მტაცებელი-მსხვერპლი და მცენარე-ბალახისმჭამელის სისტემებისგან განსხვავებით, მტარებელი-პარაზიტის ინტერაქციები ტიპურად გახანგრძლივებულია.

პარაზიტები, როგორც წესი, თავიანთ მტარებლებზე გაცილებით მცირე ზომის არიან.

**ექტოპარაზიტები** ბინადრობენ თავიანთი მტარებლის ზედაპირზე, **ენდოპარაზიტები** ბინადრობენ მტაცებლის სხეულის შიგნით. ენდოპარაზიტებს, რომლებიც ინვაზიურ დაავადებებს, როგორიცაა მალარია და დიზინტერია, ენოდებათ **მიკროპარაზიტები**. უფრო დიდ, დაავადების არგამომწვევ პარაზიტებს უნოდებენ **მაკროპარაზიტებს** (May and Anderson 1979). მაკროპარაზიტებში შედიან როგორც ენდოპარაზიტები, როგორებიც არიან მაგალითად, მახვილები, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანთა ნაწლავთა შინაგან ტრაქტზე, ისე ექტოპარაზიტები, როგორებიც არიან რწყილები და ტილები.

ექტოპარაზიტებიც და ენდოპარაზიტებიც ახდენენ თავიანთი სააარსებო წესის მახასიათებლების დემონსტრირებას. პირველი, რადგანაც პარაზიტები ძირითადად დიდი ორგანიზმის შიგნით ან მის სიახლოეს ბინადრობენ, ისინი მცირე ძალისხმევას ხარჯავნებ თავიანთი საკუთარი შინაგანი გარემოს შესანარჩუნებლად. ამრიგად, ენდოპარაზიტებს ხშირად არ აქვთ საკვების მოპოვებისა და კვერცხების ნარმოქმნის შესაძლებლობებზე მეტი. სენსორულ ორგანოთა და კომპლექსურ ნერვულ თუ ცირკულირების სისტემათა უმრავლესობა დაიკარგა. მეორე, უნდა გადანანილდნენ მტრული გარემოს გავლით მტარებლებს შორის. ბევრი ამას რთული სასიცოცხლო ციკლების მეშვეობით აღწევს, რომლის ერთი ან ორი ფაზა, შეიძლება, გაუმკლავდეს გარე გარემოს ან მიზანს მიაღწიოს დიდი რაოდენობით შთამომავლობის წარმოებით. ამ პრიციპებს თანაბრად იყენებენ ისეთი პარაზიტული მცენარეებიც, როგორიცაა თეთრი ამელა (Kuijt 1969, Lamont 1983).

## პარაზიტების სასიცოცხლო ციკლები


Ascaris-ის, ნაწლავის ნემატოდის (ენდოპარაზიტი), რომელიც ბუდობს ადამიანებში და მრავალ სხვა ხერხებლიანში, აქვს შედარებითმარტივისასიცოცხლო ციკლი. მდედრ Ascaris-ებს შეუძლიათ, დადონ ათობით ათასი კვერცხი დღეში, რომლებიც გამოიყოფიან მტარებლის სხეულიდან ფეკალიების საშუალებით.

იქ, სადაც ანტისანიტარია ან ადამიანთა ფეკალური მასები გამოიყენება სავარგულებში სასუქის სახით, კვერცხები შეიძლება ახალმა მტარებელმა აითვისოს. კვერცხად ყოფნის დრო ერთადერთი ფაზაა ასკარიდის სასიცოცხლო ციკლში, რომელიც მტარებლის გარეთ მიმდინარეობს და კარგად არის დაცული მყარი, გაუმტარი გარე საფარის მიერ. პარაზიტი ეყრდნობა მტარებლის მიერ ამ კვერცხების შეჭმას, რათა შემდგომ განაგრძოს თავისი სასიცოცხლო ციკლი.

მრავალ პარაზიტს განსხვავებული სასიცოცხლო ციკლი აქვს, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა მტარებელს იყავებს. მაგალითად, პროტოზოური (უმარტივესი) პარაზიტის პლაზმოდიუმის, რომელიც მალარიას იწვევს, სასიცოცხლო ციკლი მოიცავს ორ მტარებელს. პლაზმოდიუმისაქსესოპრივფაზასადგილი აქვს კოლომში. კოლოარის თავდაპირველი მტარებელი, რომელშიც ადგილი აქვს პარაზიტის რეპროდუქციულ ფაზას. პლაზმოდიუმის არარეპროდუქციული ფაზა მიმდინარეობს ადამიანში ან რომელიმე სხვა ძუძუმწოვარში, ფურინველსა ან რეპტილიაში. ამ მტარებლებს მეორადი მტარებლები ენოდებათ (Mattingly 1969, ნახ. 7-21). როდესაც ინფიცირებული კოლო კბენს ადამიანს, სპოროზოიტებად წოდებული უჯრედები შედიან სისხლში კოლოს ნერვულა ერთად და იკვებებან ჰემოგლობინთ. როდესაც სპოროზოიტი საქმარისად დიდი ხდება, ის დაიყოფა

(უსქესო გამრავლება) და შვილეული უჯრედები ტოვებენ სისხლის ნითელ უჯრედებს. თითოეული შვილეული უჯრედი შედის სისხლის ახალ ნითელ უჯრედში, იზრდება და იმეორებს სასიცოცხლო ციკლს, რასაც დაახლოებით 48 საათი სჭირდება. როდესაც ინფექცია მაღალ დონეს აღწევს, შვილეული უჯრედების წარმოშობა შესაბამება მაღარის მსვერპლში მაღალი სიცხეების პერიოდს. რამდენიმე ასეთი ციკლის შემდეგ ზოგიერთი შვილეული უჯრედი იცვლება სქესობრივ ფორმად. თუ ამ სქესობრივ ფორმებს კოლო ამონოვსვს სისხლთან ერთად, ისინი ტრანფორმირდებიან კვერცხუჯრედებად და სპერმად და ადგილი აქვს განაყოფიერებას (სქესობრივი გამრავლება). განაყოფიერებული კვერცხი შემდეგ იყოფა და წარმოქმნის სპოროზოიტებს, რომლებიც იკვალავს გზას კოლოს სანერნეცვე ჯირკვლებისკენ და შეიძლება, შეაღწიონ ახალ შუალედურ მტარებელში, რითაც დაასრულებენ თავიანთ სასიცოცხლო ციკლს.

შისტოსომას, ტრემატოდული მატლის, რომელიც ძირითადად ადამიანებს და სხვა ძუძუმწოვრებს აინფიცირებს ტროპიკულ რეგიონებში, სასიცოცხლო ციკლი ჰემატომოდიუმის სასიცოცხლო ციკლს. ადამიანები თავდაპირველი მტარებლები არიან. ზრდასრული მატლების მამრი-მდედრი წყვილები ბუდობენ ადამიანის სისხლძარღვებში, ნაწლავებში ან შარდის ბუშტში, შისტოსომას სახეობის შესაბამისად.




**ნახ. 7-21** მალარიის  
პარაზიტის ლასმოდიუმ-ის  
სასიცოცხლო ციკლი  
(After Buchsbaum 1948, Sleigh 197)

კვერცხები მტარებლის სხეულს ფეკალიების ან შარდის მეშვეობით ტოვებენ. როდესაც კვერცხები დადებულია წყალში, ისინი ვითარდებიან თავისუფლად მოცურავე ლარვულ ფორმებად — მრაციდებად, რომლებიც იძუდებენ მტკნარი წყლის ლოკოკინაში, შუალედურ მტარებელში, 24 საათის განმავლობაში. მირაციდი აწარმოებს უჯრედებს, რომლებიც ვითარდებიან თავისუფლად მოცურავე ცირკარიებად. ეს უკანასკნელები, თავის მხრივ, ტოვებენ ლოკოკინას და შეუძლიათ, შეაღნიონ მომდევნო მტარებელში თავიანთი ციკლის დროს. მირაციდით ინფიცირებული ლოკოკინა შეიძლება გამოთავისუფლდეს 500-200 ცირკარიად დღეში ერთი თვის განმავლობაში (McClelland 1965). როდესაც ის ადამიანის ან სხვა რომელიმე თავდაპირველი მტარებლის სხეულში მოხვდება, ცირკარია გადის ნრიულ გზას სისხლძარღვებში, სანამ არ მივა შესაფერის ადგილამდე, სადაც განიცდის მეტამორფოზას და იქცევა ზრდასრულ მატლად (Jordan and Webb 1969).

მრავალი ექტოპარაზიტი ასრულებს როგორც დაავადებათა, ისე სხვა პარაზიტების გადამტანების როლს. ამ გადამტანებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი არიან ტკიპები, რომლებსაც გადააქვთ ადამიანებისთვის მეტი დამახასიათებელი ინფექციური დაავადება (მათ შორის ლიმეის დაავადება და ტკიპისმიერი ენცეფალიტი), ვიდრე ნებისმიერ სხვა ფეხსახსრიანს (Sonenshine 1991). ტკიპები ასევე ასრულებენ სხვადასხვა სახის

საქონლისა და ველური ცხოველების დაავადებათა გადამტანის როლს. მართლაც, ცნობილია, რომ ისინი ავრცელებენ უმარტივესებით გამოწვეულ სოკოვან, ბაქტერიულ და ვირუსულ დაავადებებს. არსებობს დამატკიცებელი საბუთებიც, რომ ტკიპები ნემატოდებსაც კი ავრცელებენ (შონენსპინე 1991). ტკიპები შესანიშნავად არიან ადაპტირებული თავიანთ სავალდებულო სისხლისმწოველა სიცოცხლის სტილს და მოიპოვებიან თითქმის ყველგან დედამიწაზე, სადაც სისხლიანი ცხოველები არსებობენ. ჯგუფის სახით, მათი სასიცოცხლო ციკლი მოიცავს მტარებელი ცხოველების დიდ მრავალფეროვნებას. უმრავლესობა სისხლისმწოველა ორგანიზმებისგან განსხვავებით, ტკიპები ხანგრძლივად ბინადრობენ რამდენიმე წელსაც კი და ზოგიერთ სახეობას თითო კვებისას შეუძლია, შთანთქასუზარმაზარირაოდენობის სისხლი, ზოგჯერ 4 მლ-მდე. ტკიპების უმრავლესობა შეიძლება განვითარდეს კვერცხებიდან ერთი ლარვული და ორი ან მეტი ნიმუშური ფაზის გავლით ზრდასრულობამდე. სამტარებლიან სასიცოცხლო ციკლში (ნახ. 7-22) კვერცხები, როგორც წესი, დადებულია გარემოში, მაგალითად, ფოთოლზე, ბალაზე ან მტარებლის სანოლში და შემდეგ ვითარდებიან პირველ ლარვად, რომელმაც შეიძლება, გამოიზამთროს კიდეც პირველ კვებამდე. ლარვა საბოლოოდ ეკვრის მტარებელს და იღებს სისხლის საკვებს, იგი ჭამს მანამ, სანამ არ გაივსება. ეს შეიძლება რამდენიმე დღე გაგრძელდეს. როცა ტკიპა ივსება სისხლით, ის სძვრება თავის პირველ მტარებელს და განიცდის განვითარების ორ ან მეტ ნიმუშურ პერიოდს, სანამ მეორე მტარებელს მოძებნიდეს, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს იმავე სახეობის, რისაც ნინა მტარებელი. იგი სისხლის კიდევ ერთ საკვებს იღებს და კიდევ ერთხელ სძვრება, ამ შემთხვევაში იმისთვის, რომ განვითარდეს ზრდასრულ მამრად ან მდედრად. დაწყვილებას ადგილი აქვს მტარებელზე, რომლის შემდეგაც მდედრები ვარდებიან და დებენ კვერცხებს. მამრები კი რჩებიან და ელოდებიან ახალ მდედრებს ხელახალი დაწყვილებისთვის (Sonenshine 1991).



ნახ. 7-22 ტკიპების ტიმური სამტარებლიანი სასიცოცხლო ციკლი. ტკიპები იღებენ საკვებს თითოეული შუალედური მტარებლიდან, შემდეგ ვარდებიან და დებენ კვერცხებს გარემოში  
(After Sonenshine 1991)

### მტარებლის სპეციფიკურობა

პარაზიტები, როგორც წესი, მტარებელ-სპეციფიკურები არიან, სადაც თითოეული სახეობა შეზღუდულია ერთი მტარებელი სახეობისთვის ან რამდენიმე ახლო ნათესაურ სასიცოცხლო ციკლის თითოეულ ფაზაში. მეტიც, პარაზიტი-მტარებლის ურთიერთობათა უმრავლესობამ განავითარა ბალანსი — პარაზიტები იშვიათად აუარესებენ თავიანთი მტარებლის ჯანმრთელობას, რადგან ვირულენ-ტური პარაზიტული ორგანიზმები, რომლებიც კლავენ თავიანთ მტარებლებს, თავადაც კვდებიან. როგორც წესი, ამის გამო, გადარჩევა უპირატესობას

ანიჭებს ისეთ პარაზიტებს, რომლებიც არ კლავენ თავიანთ მტარებელს — იმ პირობით, რომ პარაზიტთა სხვადასხვა ოჯახური მოდგმები არ შეეჯიბრებიან ერთმანეთს ერთ მტარებელზე (იხ. Ewald 1983). ეს დელიკატური ბალანსი დამოკიდებულია ნაწილობრივ პარაზიტის ადაპტაციაზე მისი მტარებლის გარემოსთან. დაავადებას და სხვა სტრესებს შეუძლია შეცვალოს მტარებლის შინაგანი გარემო და დაარღვიოს ნორმალური მტარებელი-პარაზიტის ბალანსი, რაც ხმირად მტარებლის სიკვდილს იწვევს (Latham 1975). ცნობილია, რომ შუასაუკუნოვანი ევროპის ცნობილი ეპიდემიები მოჰყვა ფართოდ გავრცელებული შიმშილობის პერიოდებს, რომელმაც ძირითადად, გაზარდა მგრძნობელობა ყველა დაავადების მიმართ (Cartwright and Biddis 1972).

## რეაქციები მტარებლის ფიზიოლოგიაზე

ბალანსი პარაზიტებსა და მტარებლებს შორის ასევე დამოკიდებულია მტარებლის იმუნურ რეაქციებსა და სხვა დამცავ საშუალებებზე. ადამიანური პოპულაციებისთვის ცნობილ პარაზიტებს, რომლებზეც მტარებლებს არ განუვითარებიათ იმუნური რეაქციები, შეუძლიათ, სწრაფად გამრავლდნენ კატასტროფული შედეგებით. დროდადრო უცხო ორგანიზმებს შემოჰკონდათ პარაზიტები, რომლებიც არ იწვევდნენ დაავადებას მათში, მგრძნობიარე ადგილობრივი მოსახლეობისგან განსხვავებით, სადაც პარაზიტები ხდებოდნენ ვირულენტურები და ფართოდ გავრცელებულნი. ამ ფენომენის ერთი მაგალითი არის გამანადგურებელი ეფექტი იმ დაავადებებისა, რომლებიც ევროპელებმა შეიტანეს ადგილობრივ ამერიკელებში.

პარაზიტებისა და მტარებლების ორმხრივი თანაარსებობა ბადებს მრავალ კითხვას (Jackson et al. 1969, 1970). მაგალითად, როგორ იცავს თავს ნაწლავის მატლი მონელებისგან? როგორ იცავენ თავს მტარებლის სისხლის დინებაში მოხვედრილი ორგანიზმები იმუნური მექანიზმების გამანადგურებელი მოქმედებისგან. ისინი ხომ როგორც წესი, ასტიმულირებენ ანტისხეულების ფორმაციას, რომელიც სპეციალურად უცხო ცილებს ესხმის თავს?

ნარმატებულმა პარაზიტებმა მოძებნეს რამდენიმე გზა თავიანთი მტარებლების იმუნური სისტემისთვის გვერდის ასავლელად (Bloom 1979). ზოგიერთი, დაავადებათა გამომწვევი მიკროსკოპული ორგანიზმი გამოყოფს ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც თრგუნავენ მტარებლის იმუნურ სისტემას (Schwab 1975). სხვებს აქვთ ზედაპირული ცილები, რომლებიც ახდენენ მტარებლის ანტიგენების იმიტაციას და ამრიგად, ხვდებიან იმუნური სისტემის თვალთახედვის მიღმა (Damien 1964). ცნობილია, რო

ზოგიერთი შისტოსომა ინვეცის იმუნურ რეაქციას, როდესაც ისინი შედიან მტარებელში, მაგრამ არ ექვემდებარებიან ანტისხეულების თავდასხმას, რადგან ისინი იმოსებინ მტარებლის ცილებით მანამ, სანამ ანტისხეულები მომრავლდებიან (Smithers et al. 1969). შედეგად, სხვა პარაზიტები ვეღარ ახდენენ მტარებლის ინფიცირებას, დანანან რა ანტისხეულების ბარიერის წინაშე, რომელსაც ასტიმულირებს ახლა უკვე გავრცელებული შემოღწეული პარაზიტი. შედი (1966) მიიჩნევდა, რომ პარაზიტებს შეეძლოთ, გამოეყნებინათ თავიანთი მტარებლების იმუნური რეაქციები ამ გზით კონკურენტი პარაზიტების განსადევნად. როდესაც ეს რეაქციები გავლენას ახდენს მჭიდრო ნათესაური კავშირის პარაზიტებზე, ეს ცნობილია ორმხრივი გამძლეობის სახელით (Cohen 1973, Kazacos and Thorson 1975). მაგალითად, შისტოსომების, უპირატესად ადამიანური ფორმები არ ემორჩილებიან ზოგად წესს და არიან უკიდურესად ვირულენტურები. თუმცა, ადამიანში, რომელიც ადრე ინფიცირებული იყო სხვა სახეობის შისტოსომური სახეობით — ისეთით, რომელსაც ნაკლები გავლენა აქვთ ადამიანებზე — პარაზიტის პათოგენური ეფექტები მნიშვნელოვნად რბილდება (Lewert 1970).

## პარაზიტოიდები

მწერებს შორის, განსაკუთრებით სიფრიფანა ფრთიანების (ფუტკრები, კრაზანები და ჭიანჭველები) და ორფრთიანთა (ბუზები) ოჯახის წევრებს შორის, არის ზოგიერთი სახეობა, რომელ—საც პარაზიტოიდები ენოდებათ. მათი სასიცოცხლო ციკლები მოიცავს როგორც მტაცებლობის, ისე პარაზიტიზმის თვისებებს. ტიპურ პარაზიტოიდთა სასიცოცხლო ციკლებში, მამრთან დაწყვილების შემდეგ, ზრდასრული მდედრი მიღის მტარებლის საძიებლად, რომელიც გამოიყენება საკვებ წყაროდ მისი ნაშერებისთვის. ის დებს კვერცხებს მტარებლის გარეთ ექტოპარაზიტოიდიზმის ან მის შიგნით ენდოპარაზიტოიდიზმის შემთხვევაში. ეს უკანასკნელი მიღწევა გრძელი კვერცხსადების დახმარებით. მდედრმა უნდა შენიშნოს მტარებელი, დაიმორჩილოს, თუ საჭირო გახდება და ხანდახან წაიღოს ის სასურველ ადგილამდე. ის ფლობს მტაცებლების მსგავსადაბტაციებს. როდესაც კვერცხი დადებულია ან მოხვედრილი მტარებლის შიგნით, ვითარდება ლარვად, რომელიც იყენებს მტარებელს საკვების მარაგის სახით. ენდოპარაზიტოიდების შემთხვევაში, ლარვა პირდაპირ კვებით იკვალავს გზას მტარებელიდან, ანადგურებს რა მას პროცესში. პარაზიტოიდთა შესწავლა იკავებს ცენტრალურ ადგილს ეკოლოგიური თეორიის განვითარებაში და ბოლო თავებში ჩვენ განვხილავთ პარაზიტოიდების სასიცოცხლო ციკლის დეტალებს (Godfray 1994).

## დასკვნა

- 1.** ორგანიზმების გარემო მოიცავს როგორც პიოტურ, ისე აბიოტურ კომპონენტებს. გარემოს პიოტური კომპონენტები შედგებიან ორგანიზმებს შორის ინტერაქციებისგან, როგორიცაა მტაცებლობა, ბალაზისმჭამებლობა და პარაზიტიზმი. აბიოტური გარემოსგან განსხვავებით, პიოტური გარემო ვითარდება და მრავალფეროვნდება.
- 2.** ორგანიზმის ეფოლუციური რეაქციები აბიოტურ გარემოზე ხელს უწყობს ფორმისა და ფუნქციის კონვერგენციას. ხოლო რეაქციები ბიოტურ გარემოზე — მრავალფეროვნებას. ამის მიზეზი არის ის, რომ ბიოტურ ფაქტორები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან. მტაცებლობის ან ბალაზისმჭამელობის თავიდან აცილების ინოგაციები წარმოადგენს სელექციურ ზენოლას მტაცებლებსა და ბალაზისმჭამელებზე და ამრიგად, ინვევს ეფოლუციურ ცვლილებას.
- 3.** მტაცებლები უნდა იყვნენ ადაპტირებული მსხვერპლის პოვნისთვის, უნდა გააკეთონ არჩევანი მსხვერპლს შორის, დაიჭირონ, მოკლან და შემდეგ შეჭამონ იგი. მსხვერპლთან შედარებით დიდი ზომა, ბასრი კბილები, მახვილი მხედველობა და სისწრაფე, ხორცის მჭამელთა ადაპტაციებია.
- 4.** ორგანიზმებმა, შეიძლება, თავი აარიდონ მტაცებლობას დამალვითა და თავის არიდებით, ქიმიური, სტრუქტურული და ბეჟევიორისტული დამცავი მექანიზმებით და მტაცებლებისგან გაქცევით. ჩრყავის და გამაფრთხილებელი შეფერილობა უგემური და საჭმელად უგარისია ორგანიზმების კონტრასტული დაცვის მაგალითებია. ზოგიერთი გემრიელი ორგანიზმი ახდენს უგემური ორგანიზმების იმიტირებას, როგორც მტაცებლობისგან თავის დაღწევის საშუალებას.
- 5.** მწერები იყენებენ ქიმიურ ნივთიერებებს მტაცებლებისგან თავის დასაცავად. ზოგიერთი ქიმიკატი საზიანოა მტაცებლებისთვის, აფრთხობს მათ და ხელს უშლის თავდასხმას. სხვა ქიმიკატები, როგორიცაა საგანგაშო ფერომონები, აფრთხილებენ ჯგუფის სხვა მწერებს მტაცებლის თავდასხმის შესახებ.
- 6.** ბალაზისმჭამელები საოცრად სელექციურები არიან, როგორც იმ მცენარის სახეობებთან მიმართებაში, რომელსაც ჭამენ, ასევე მცენარის გარკვეული ნანილებისადმი. მტაცებლების მსგავსად, ბალაზისმჭამელებს უნდა ჰქონდეთ ადაპტაციები სასურველი მცენარის პოვნისთვის, ინდივიდუალური მცენარის არჩევისთვის და მისთვის სასურველი მცენარის ნანილის მოძებნისთვის, მცენარის მიერ წარმოებული მეორადი ქიმიკატების თავიდან ასაცილებლად ან გაუნებელყოფისთვის და მცენარის ქსოვილის მონელებისთვის.
- 7.** მცენარეთა მჭამელი მწერები წარმოადგენ ბალაზისმჭამელთა უმსხვილეს ჯგუფს. მათ შორის უპირატესი არიან მუხლუხოები, პეპლებისა და ჩრჩილების ლარვული ფაზა.
- 8.** ბალაზისმჭამელებს, შეუძლიათ, თავი დაიძვრინონ მცენარის დამცავი საშუალებებისგან თავის არიდებით, მცენარის დამცავი საშუალებების პირდაპირი ნეიტრალიზებით. როგორც ეს ხდება ეკლებისა და ბუსუსების მოშორებისას ან ტოქსიკური რეზისუარებისგან მოშორებით კვებისას.
- 9.** მცენარეები უმკლავდებიან ბალაზისმჭამელთა თავდასხმებს სხვადასხვა გზით, მათ შორის საზიანო ან ტოქსიკური მეორადი წაერთების წარმოებით და ეკლების, ბუსუსების და ცვილოვანი საფარის განვითარებით.
- 10.** მტარებელი-პარაზიტის ურთიერთობები წარმოადგენს სპეციალიზებული ტიპის ინტერაქციებს, რომელთაც ახასიათებთ პარაზიტების კომპლექსური სასიცოცხლო ციკლები. ეს საჭირო გახდა მტარებლების მოძებნისა და ინფიცირების სიძნელის გამო. ამასთან, პარაზიტები და მტარებლები ხშირად ავითარებენ დელიკატურ ბალანსს იმიტომ, რომ პარაზიტის კეთილდღეობა, შეიძლება, დამოკიბული იყოს მტარებლის გადარჩენაზე.

## სავარჯიშოები

- 1.** მოიფიქრეთ, რა გზებით შეეძლო პიოტურ გარემოს, გავლენა მოეხდინა ადამიანთა ევოლუციაზე? რომელი ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანიზმები არსებობენ ადამიანთა პიოტურ გარემოში?
- 2.** პარაზიტოლოგები დიდი ხანია მიიჩნევენ, რომ მტარებლისა და პარაზიტის თანაადაპტაცია იწვევს ისეთ სიტუაციას, რომელშიც პარაზიტს მხოლოდ საშუალო ნეგატიური ეფექტი აქვს მტარებელზე ანუ პარაზიტი, რომელიც ძალიან მავნებელია მტარებლისთვის, მიიჩნევა ამ მტარებლის ევოლუციურად ახალ პარაზიტად. ეკოლოგებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დასვეს ეს მოსაზრება. იმაზე დაყრდნობით, თუ რა იცით ევოლუციის, ბუნებრივი გადარჩევის და პარაზიტთა სასიცოცხლო ციკლის

შესახებ, განვითარეთ არგუმენტი, რომელიც დაუპირისპირდება ამ მოსაზრებას.

- 3.** ორგანიზმთა შეზღუდული რიცხვი ადაპტირებულია გამოქვაბულებში მთლიანად ცხოვრებას. მათ შორის არიან ქვაბულის სალამანდრები. რატომ არ არსებობენ ქვაბულთან ადაპტირებული ბაყაყები?
- 4.** ევოლუცია პიოტური გარემოს საპასუხოდ იწვევს მრავალფეროვნებას. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ორგანიზმები გაუმჯობესებული არიან ევოლუციის მიერ? ანუ თანამედროვე ორგანიზმები თავიანთ წინაპრებზე უკეთესები არიან?

## თავი 8



# ბუნებრივი სამყაროს კლიმატი, ტოპოგრაფია და მრავალფეროვნება

### გზამკვლევი კითხვები

- რატომ არის ნალექები უფრო მეტად ტროპიკულში, ვიდრე არქტიკულ რეგიონებში?
- როგორ ზემოქმედებს მზე გლობალურ კლიმატურ სისტემაზე?
- როგორ იცვლება წყლის ტემპერატურა ზომიერი სარტყლის ტემპებში სეზონთან ერთად?
- რა გავლენას ახდენს ელ იყო სამხრეთ წყნარი ოკეანის მიქცევებზე და მსოფლიოს კლიმატურ სისტემაზე?
- როგორ უკავშირდება ერთმანეთს გლობალური კლიმატური სისტემა და ადგილობრივი პირობები?

- რა კავშირია ევაპოტრანსპირაციას, ფოტოსინ-თეზის, უდაბნოების ტემპერატურასა და ფოთლოვანი ტყეების ტემპერატურებს შორის?
- რა მნიშვნელოვანი მასშტაბი არსებობს მცენარეთა გავრცელების თვალსაზრისით?
- რა ფაქტორებია მნიშვნელოვანი მცენარეთა ადგილობრივი გავრცელების განსაზღვრისას?
- რა მნიშვნელოვანი ბიომები არსებობს მსოფლიოში და სადაა ისინი განლაგებული?

**G**ხოვლების, მცენარეების, სოკოების, ბაქტე-რიებისა თუ ერთუჯრედიანების არც ერთ სახეობას არ შეუძლია, აიტანოს დედამიწაზე არსებული ყველა პირობა. თითოეული მათგანი ეგუება მხოლოდ გარკვეულ ტემპერატურულ, ნალექიანობის, ნიადაგის პირობების, მარილიანობის და სხვა ფიზიკური ფაქტორების დიაპაზონს (იხ. IV-VI თავები). თითოეული სახეობის უპირატესობები და ამტანობა განსხვავდება სხვა დანარჩენისგან.

ორგანიზმები გარემოსთან ადაპტირდება ფორმისა და ფუნქციის მოდიფიცირებით. განსხვავებები გარემო პირობებში, ხშირად ინვეგს განსხვავებებს მცენარეებისა და ცხოველების ფორმასა და ფუნქციაში. ვარიაციები ფიზიკურ პირობებში მომდინარეობს ფაქტორთა ორი ძირითადი კლასიდან: კლიმატი და ტოპოგრაფია. სახმელეთო ორგანიზმების უმრავლესობისთვის, კლიმატი მოიცავს მახასიათებელ ტემპერატურასა და ნალექიანობას რეგიონში. კლი-

მატი ურთიერთქმედებს ტოპოგრაფიასა და მიწის სხვა თვისებებთან, რათა შექმნას ადგილობრივი ცვლილება. წყლის ორგანიზმებისთვის ტემპერატურა და მარილიანობა ასრულებენ კლიმატური ფაქტორების როლს, ხოლო ოკეანების სილრმეები, დინებები და ტბები ქმნიან ტოპოგრაფიულ მრავალფეროვნებას, რომელზეც წყლის ორგანიზმებს აქვთ საპასუხო რეაციები თავისი ადაპტაციებისა და პოპულაციების გავრცელების სახით.

მინიშვნებები ბიოლოგიურ სამყაროში მრავალფეროვნების ნარმოშობის შესახებ, შეიძლება, მოვიძიოთ ფიზიკური სამყაროს ცვლილებების შესწავლისას. დედამიწის ზედაპირი, მისი წყლები და ატმოსფერო ნარმოადგენს უზარმაზარ სითბურ მანქანას, რომელიც თერმოდინამიკის კანონებს ემორჩილება. კლიმატი განსაზღვრავს მზის ენერგიის შთანთქმა და მისი განაწილება დედამიწის გარშემო. დედამიწის ზედაპირი მრავალფეროვანია (მიშველი


კლდე, ტყიანი ნიადაგი, ოკეანე, გაყინული ტბა და ა.შ.), ცვალებადია. მისი უნარი, შთანთქოს მზის სხივები, ქმნის დიფერენცირებული გათბობისა და გაგრილების შესაძლებლობას. დედამიწის მიერ შთანთქმული სითბური ენერგია საბოლოო ჯამში ისევ უკან სივრცეში სხივდება. მანამდე ის გადის ტრანსფორმაციას, რომელიც ახორციელებს წყლის აორთქლებისა და ატმოსფეროსა და ოკეანების ცირკულაციაში შენატანების სამუშაოს. ყველა ეს ფაქტორი ქმნის ფიზიკური პირობების დიდ მრავალფეროვნებას, რომელმაც თავის მხრივ, ხელი შეუწყო ეკოსისტემათა დივერსიფიკაციას. ამ თავში ჩვენ აღვწერთ კლიმატისა და ტოპოგრაფიის ამ ნიშნებს.

როგორც მესამე თავში იყო აღნიშნული, ორგანიზმების აქტივობას შეუძლია ფიზიკური გარემოს შეცვლა. ადამიანებს შეუძლიათ, შეცვალონ კლიმატური პირობები ბუნებრივ სამყაროში ენერგიისა და ნივთიერებათა დინების შეცვლით. დედამიწის კლიმატის მაკონტროლებელ მექანიზმზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ადამიანების ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რაც გარკვეულ შეშფოთებას იწვევს.

ამ ინტერაციებს ჩვენ განვიხილავთ წიგნის მესამე ნაწილში ბუნებრივ სამყაროში ენერგიისა და ნივთიერებების მოძრაობის შესახებ საუბრისას.

## 8.1 განედებთან ერთად მზის რაღიაციის ცვლილება ქმნის უძილეს გლობალურ სტრუქტურებს ტემპერატურასა და ცელექციის

დედამიწის კლიმატი ცივი და მშრალი ხდება პოლუსებისკენ და ცხელი და ნოტიო — ეკვატორისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამარტივებას მრავალი გამონაკლისი აქვს, კლიმატი მართლაც ამჟღავნებს ფართოდ განსაზღვრულ კლიმატურ ნიშნებს ან სტრუქტურებს. კლიმატის ამ გლობალური ცვლილების უმთავრესი მიზეზი არის მზის სინათლის უფრო დიდი ინტენსივობა ეკვატორზე მაღალ განედებთან შედარებით. ეს არის უბრალოდ შედეგი მზის დახრილობის კუთხისა დედამიწის სხვადასხვა განედთან მიმართებაში (ნახ. 8-1). მზე ათბობს ატმოსფეროს, ოკეანებსა და მიწას ყველაზე ძლიერ მაშინ, როდესაც ის ზუსტად ვერტიკალურად დაჰყურებს მათ. მზის სინათლის სხივი უფრო დიდ არეალზე ვრცელდება, როდესაც მზე ჰორიზონტს უახლოვდება და ის ასევე უფრო გრძელ გზას გადის ატმოსფეროში, სადაც მისი ენერგიის დიდი ნაწილი აირეკლება ან შთანთქმება და სხივდება სივრცეში სითბოს სახით ატმოსფეროს მიერ. მზის უმაღლესი პოზიცია ყოველ დღე ვარირებს ზუსტად ტროპიკების პერპენდიკულარულიდან — პორიზონტალურ პოლუსებისკენ. ამრიგად, მზის გამათბობელი ეფექტი მცირდება ეკვატორიდან პოლუსებისკენ.




**ნახ. 8-1** მზის გამათბობელი ეფექტი ყველაზე დიდია ეკვატორზე, რადგან მზის სხივები პერპენდიკულარულად ეცემა იქ და პირდაპირ ზემოდან ანათბერ დედამიწის ზედაპირს შუადღისას. მაღალ განედებზე მზის სინათლე დედამიწას ბლაგვი კუთხით ეცემა და ამიტომ უფრო ვრცელ არეალზე ვრცელდება, მან ასევე დედამიწის ატმოსფეროს დადი ნაწილი უნდა გაიაროს.

## ჰაერის დინებათა მიმართულებები და ნალექიანობა

თბილი ჰაერი ფართოვდება, ხდება ნაკლებად მკვრიცი და იწვევს მაღლა. როდესაც ჰაერი თბება, იზრდება მისი უნარი, შეიკავოს წყლის ორთქლი და აორთქლება ჩქარდება. სველი ზედაპირიდან აორთქლების სიჩქარე თითქმის ორმაგდება ტემპერატურის ყოველი  $10^{\circ}$ -ით ზრდასთან ერთად. ჰაერის მასა, რომელიც მაღლა ადის ტროპიკებში მზის გამათბობელი ზემოქმედების გამო, საბოლოო ჯამში ვრცელდება ატმოსფეროს მაღალი ფენების სამხრეთითა და ჩრდილოეთით. ქვევიდან მას ჩანაცვლება ზედაპირული ჰაერის მასები სუბტროპიკული განედებიდან. ჰაერში ასული ტროპიკული ჰაერის მასა გრილდება, როდესაც ის ასხივებს სითბოს სივრცეში. იმ დროისთვის, როდესაც ეს მასა გავრცელდება  $30^{\circ}$ -ით ეკვატორის (განედის ნულგვანი პარალელი), რომელიც მდენარეობს პირდაპირ მზის ქვეშ) ჩრდილოეთით და სამხრეთით, ის უკვე საკმარისად მკვრიცი ხდება იმისთვის რომ კვლავ დედამიწაზე დაეშვას, რითაც ასრულებს ატმოსფეროში ჰაერის ციკლს (ნახ. 8-2a). ამ სახის ცირკულირების მოდელს ჰედლის სექცია ეწოდება. ერთი ჰედლის სექცია ფორმირდება დედამიწის გარშემო ეკვატორის ჩრდილოეთით, ხოლო მეორე სამხრეთით. ამ ტროპიკული ჰედლის სექციების უკვე გაცირკული, ჩაძირვადი ჰაერი ეკვატორიდან  $30^{\circ}$ -ით სამხერეთით ან ჩრდილოეთით ნარმოშობს მეორად ჰედლის სექციებს ზომიერ რეგიონებში, რომლებიც ცირკულირებენ პოლუსების მიმართულებით. ჰედლის სექციების ცირკულაცია იწვევს ჰაერის მასების გადაადგილებას დაახლოებით  $60^{\circ}$ -ამდე ჩრდილოეთით და სამხრეთით. ეს კი, თავის მხრივ იწვევს პოლარული ჰედლის სექციების ფორმაციას. ჰაერის ეს ცირკულაცია გამოწვეულია ატმოსფეროს განსხვავებული გახურებით განედების მიხედვით (Graedel and Crutzen 1995).

### ნლიური ნალექიანობა



(ა)


(ბ)

**ნახ. 8-2** (ა) დედამიწის ზედაპირის დიფერენცირებული გათბობა ქმნის ჰაერის ცირკულაციის პედლის სექციებს. თბილი, ნოტიო ჰაერი ზევით იწევს ტროპიკულში და ინტენს ჭარბ წერილობას. გრილი, მშრალი ჰაერი ეშვება სუბტროპიკული განედების ზედაპირზე. ტროპიკაშორისი კონვერგენცია განედური სარტყელია მზის ეკვატორში, რომლის ზედაპირის ფარგლებშიც ჩრდილოეთის და სამხრეთის ქარები ერთდებიან. (ბ) ნაჩერებია საშუალო ნლიური ნალექიანობა (მწვანე სვეტები) და ტემპერატურა (შავი მრუდი)  $10^{\circ}$ -იან განედურ სარტყელში მატერიკის ფარგლებში. რადგანაც გრაფიკში ნაჩერებია საშუალო მაჩვენებლები მრავალი ადგილიდან, ის გაუგებარს ხდის ცვლილებებს თითოეულ განედურ სარტყელში (Data from Clayton 1944).

რეგიონს, რომლის ფარგლებშიც ჰაერის ზედაპირული დინებები ჩრდილოეთ და სამხრეთ სუბტროპიკული ბიდან ხვდებიან ეკვატორულ რეგიონში და ინტენს ზევით სვლას მზის გამათბობელი გავლენის ქვეშ, ენოდება ტროპიკაშორისი კონვერგენცია. როდესაც ნოტიო ტროპიკული ჰაერი ზევით ადის და გაგრილებას იწყებს, სინოტივე კონდენსირდება ღრუბლებისა და ნალექების შესაქმნელად. ამრიგად, ტროპიკები სველია არა იმიტომ, რომ ტროპიკულ განედებში ყველაზე მეტი წყალია, არამედ იმიტომ, რომ წყალი ყველაზე სწრაფად ტროპიკულ

ატმოსფეროში ცირკულირებს. მზის გამათბობელი ეფექტი აიძულებს წყალს, აორთქლდეს და გამთბარი ჰაერის მასები მაღლა ავიდეს. როდესაც თბილი, ნოტიო ჰაერი ადის მაღლა, ის გრილდება. საბოლოოდ, სინოტივე კონდენსირდება და ქმნის ღრუბლებს. სინოტივის წვეთები ღრუბლები ეხეთქება ერთმანეთს და ერთიანდება. საბოლოო ჯამში იქმნება იმაზე დიდი წვეთები, ვიდრე ჰაერს შეუძლია, შეიკავოს და ბრუნდება დედამიწაზე ნალექების სახით (ნახ. 8-2).

ჰაერის მასას, რომელიც მოძრაობს მაღლა ატმოსფეროში სამხრეთისა და ჩრდილოეთისკენ,



**ნახ. 8-3** მსოფლიოს უმსხვილესი უდაბნოების (რეგიონები 25 სმ-ზე (10 დუიმი) ნაკლები ნლიური ნალექიანობით) და სველი ადგილების (150 სმ-ზე (80 დუიმი) მეტი ნლიური ნალექიანობით) გავრცელება. მუქად შეფერილი ადგილები ტროპიკული ტყეები. ნათლად შეფერილი ადგილები სუბტროპიკული უდაბნოებია. შავი ადგილები დასავლეთ ჩრდილო ამერიკაში, ჩილეშა და ახალ ზელანდიაში ზომიერი წყიქებია, ხოლო ნაცრისფერები – არქტიკული უდაბნოები (After Espenashade 1971).

შორს ტროპიკულაშორისი კონვერგენციისგან, უკვე დაკარგული აქვს წყლის უმეტესი ნაწილი ტროპიკებში ნალექიანობის დროს. როდესაც ის დაშვებას და გათბობას იწყებს სუბტროპიკულ განედებში, მისი აორთქლებისა და წყლის შეკავების შესაძლებლობები იზრდება. როდესაც ჰაერის მასა მინის დონეზე ეშვება სუბტროპიკებში და ვრცელდება ჩრდილოეთა და სამხრეთისკენ, ის იღებს სინოტივეს მიწიდან, ქმნის რა მშრალი კლიმატის ზონებს, რომლებიც განლაგებულია  $30^{\circ}$ -ზე ეკვატორის ჩრდილოეთით და სამხრეთით (ნახ. 8-3). მსოფლიოს ყველა დიდი უდაბნო – არაბეთის, საპარის, კალაპარის და ნამიბიის აფრიკაში, ატაკამასი სამხრეთ ამერიკაში, მოჯავის, სონორანის და ჩიპუაპუასი ჩრდილოეთ ამერიკაში და ავსტრალიის ამ სარტყლის ფარგლებში ხვდება.

მეორე გავლენას ნალექიანობის გლობალურ სისტემაზე კონტინენტების პოზიცია ახდენს. ერთნაირ განედზე წვიმა უფრო უხვად სამხრეთ ნახევარსფეროში მოდის, რადგან აქ კოერნები და ტებები ფარავენ ზედაპირის უმეტეს ნაწილს (81%, ჩრდილოეთ ნახევარსფეროს 61%-თან შედარებით: List 1966). წყალი ორთქლდება უფრო სწრაფად გაშლილი წყლის ზედაპიდებიდან, ვიდრე ნიადაგიდან და მცენარეულობიდან.


მზის ენერგია ამოძრავებს ქარებს. დედამიწის ბრუნვა მიმართულებას უცვლის ზედაპირულ ნაკადებს ჰედლის სექციაში დასავლეთ ტროპიკებისკენ და აღმოსავლეთ შუა განედებისკენ. შედეგად, ნარმოშობილ ქარებს ჰასატები და დასავლეთის ქარები ეწოდებათ (ნახ. 8-2). ჰაერის ამგვარი დინებები ხელს უწყობს წყლის ორთქლის გავრცელებას ატმოსფეროში. მართლაც, ქარები ურთიერთებენ ტოპოგრაფიასთან ნალექების შესაქმნელად. მთები ჰაერს მაღლა სწევენ, რითაც იწვევენ მის გაგრილებას და სინოტივის დაკარგვას მთათა ქედების ქარისმერივ ფერდობებზე დანალექების სახით. როდესაც ჰაერი ეშვება მთის ქარსანიალმდევო ფერდობზე და ჩადის მის ქვემოთ არსებულ დაბლობებში, ის იღებს

სინოტივეს და ქმნის მშრალ გარემოს, ეგრეთ წოდებულ წვიმის ჩრდილს (ნახ. 8-4). აზის დიდი უდაბნოები განლაგებულია ვრცელი მთიანი სისტემების წვიმის ჩრდილში.


კონტინენტის შუა ნაწილი, როგორც წესი, უფრო მშრალია ვიდრე მისი სანაპირო, უბრალოდ იმიტომ, რომ იგი დაშორებულია ოკეანიდან. მეტიც, სანაპიროების კლიმატი ნაკლებად იცვლება, ვიდრე შინაგანი ტერიტორიისა, რადგან ოკეანეების მიერ სითბოს შთანთქმის უნარი ამცირებს ტემპერატურის ფლუტუაციას. მაგალითად, ყველაზე თბილი და ცივი საშუალო თემპერატურა აშშ-ის წყნარი ოკეანის სანაპიროზე პორტლენდთან, ორეგონის შტატში, განსხვავდება  $16^{\circ}\text{C}$ -ით. უფრო სიღრმეში ეს დიაპაზონი იზრდება და აღწევს  $18^{\circ}\text{C}$  განსხვავებას სპორეინში, ვაშინგტონის შტატში.  $26^{\circ}\text{C}$ -ს ჰელენაში, მონტანას შტატში და  $33^{\circ}\text{C}$  ბისმარკში, ჩრდილოეთ დაკოტას შტატში.

### ოკეანური გარემოები

ოკეანეთა დინებები უდიდეს როლს თამაშობს დედამიწის ზედაპირზე სითბოს მოძრაობაში და ამით გავლენას ახდენს კონტინენტების კლიმატზე. დიდი ოკეანების აუზებში ცივი წყალი მოძრაობს ტროპიკებისკენ კონტინენტების დასავლეთი სანაპიროების გასწვრივ, თბილი წყალი კი მიდის ზომიერი განედებისკენ კონტინენტების აღმოსავლეთი სანაპიროების გასწვრივ (ნახ. 8-5). პერუს ცივი დინება მოძრაობს ანტარქტიკული ოკეანიდან ჩილესა და პერუს სანაპიროების გასწვრივ, რითაც ქმნის გრილ, მშრალ გარემოს სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე ეკვატორთან ახლოს. ამის საპირისპიროდ, თბილ გოლფსტრიმს, რომელიც მექსიკის ყურიდან მოემართება, თან მიაქვს რბილი კლიმატი დასავლეთ ევროპისა და ბრიტანეთის კუნძულების უკიდურეს ჩრდილოეთამდე.



ნახ. 8-4 სიერა ნევადას მთიანი მასივის გავლენა ადგილობრივ ნალექების ზე იწვევს წვიმის ჩრდილს აღმოსავლეთით. ქარები უპირატესად დასავლეთიდან მოდინ კალიფორნიის ცენტრალური დაბლობის გადაკვეთით. როდესაც სინოტივით დატვრთული ჰაერი ზევით აიტანება მთების მიერ, ის გრილდება და სინოტივე კონდენსირდება, რაც გამოიხატება მაღალ ნალექიანობას მთების დასავლეთ ფერდობზე. როდესაც ჰაერი დაგრევას ქვემით აღმოსავლეთ ფერდობზე, ის თბება და იწყებს სინოტივის აკრფას, რითაც ქმნის მშრალ პირობებს დიდ ტერიტორიაზე.  
(After Pianka 1988.)




ნახ. 8-5 მსოფლიო

ოკეანებთა უმსხვილესი  
ზედაპირული დინებები.  
წყლის მოძრაობა, როგორც  
წყის, საათის მიმართულებით  
ხორციელდება ჩრდილოეთ  
ნახევარსფეროში და  
მის საანინალიდევოდ  
სამხრეთში. მაღალი  
აპველინგის (წყლის დონის  
ანგა) ზონები აღნიშნულია  
მნიშვნელოვანი რეგიონის  
დასავლეთ პერის დინებას  
ხშირად ჰუმბოლდტის  
დინებასაც უწოდებენ. (After  
Schlesinger 1991; from Knauss  
1978.)

თავად ოკეანების ფიზიკური პირობები, ისევე როგორც ატმოსფეროსი, კომპლექსურია. ცვლილებებს ამ პირობებში ქარები იწვევენ, რომლებიც ამოძრავებენ ოკეანების უმსხვილეს ზედაპირულ დინებებს. დიდ გავლენას ახდენს ოკეანის აუზთა ტოპოგრაფიაც. ამასთან, წყლის სიმკვრივეში განსხვავება ტემპერატურასა და მარილიანობაში ცვლილების გამო უფრო ღრმა დინებებს იწვევს.

ზევით მიმართულ წყლის მასების ნებისმიერ გადაადგილებას აპველინგი ეწოდება. ვერტიკალური აპველინგის დინებები თავს იჩენს ყოველთვის, როდესაც ზედაპირის დინებები ერთმანეთს შორდება, როგორც ეს წყნარი ოკეანის დასავლეთ, ტროპიკულ ნანილში ხდება. როდესაც ზედაპირის დინებები

განცალკევდებიან, ისინი ღმა ფენებიდან წყალს ზევით ამოდევნიან. ძლიერი აპველინგის ზონები არსებობენ კონტინენტების დასავლეთ სანაპიროებთანაც, სადაც ზედაპირის დინებები მიემართება ეკვატორისკენ. დედამიწის ბრუნვის საინტერესო შედეგია ზედაპირული დინებების გადახრა კონტინენტური საზღვრებიდან, რასაც ხელს უწყობს პასატები. როდესაც ოკეანის წყალი შორდება კონტინენტს, ის იცვლება სილრმიდან ამოსული წყლებით. რაღაც ეს წყალი საკვები ნივთიერებებით მდიდარია, აპველინგის ზონები ხშირად ძალიან მაღალი ბიოლოგიური პრიდუქტიულობის რეგიონები არიან. ამათგან, ყველაზე ცნობილია თევზეულობით მდიდარი ბენგუელას დინება სამხრეთ აფრიკის დასავლეთ



ნახ. 8-6 გალაპაგოსის არქიპელაგის უმსხვილესი დინებების რუკა. უმნიშვნელოვანების გავლენაა ჩრდილოეთის ღრმა, ტროპიკული წყლები; პერის ცივი დნება, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მოედინება და ცივი, საკვები ნივთიერებებით გაჯერებული ეკვატორული წყალებება დინება, როგორც გამოიდევნება ზედაპირისკენ, როდესაც ის ხედება დასავლეთის ჯგუფის კუნძულებს. (After Houvengahel 1981)

სანაპიროს გასწვრივ და ასევე, თევზეულობით მდიდარი პერუს დინება სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ.

დაბალი ტემპერატურა და მაღალი მარილიანობა ოკეანის ზედაპირთან შეიძლება გამოიხატოს ვერტიკალურ დინებებში, რადგან ცივი, მარილიანი წყალი უფრო მძიმეა და ადვილად იძირება. ეს პირობები ყველაზე მკვეთრად გამოხატულია ანტარქტიდის კონტინენტზე. როდესაც წყალი იყინება ყოველ ზამთარს, მარილი გამოიყოფა ყინულის კრისტალიდან. ეს ინკვეც ქვეშ არსებული წყლის მარილიანობის მყისიერ ზრდას. ეს მკვრივი წყალი დაბლა ეშვება და ქმნის ანტარქტიკის ფსკერის წყლებს, რომელიც ვრცელდება ჩრდილოეთით ოკეანის აუზებზე. ანტარქტიდის კონტინენტთან ახლოს, მას ზედაპირზე ცვლის ე.წ. ატლანტიკური ღრმა წყალი, რომელიც ნელა მიიწვევა სამხრეთისკენ დიდ სიღრმეზე ასობით წლის მანძილზე. ეს წყალი ზედაპირს აღნევს ჟანგბადგამოცლილი, მაგრამ საკმაოდ მდიდარი საკვები ნივთიერებებით იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს საოცრად მაღალ პროდუქტიულობას. ანტარქტიკის გარშემო ამ აპველინგის ქამრის ქვემოთ არის დაუნველინგის რეგიონი, რომელიც წყლის მზარდმა სიმჭიდროვემ გამოიწვია, როდესაც ის თბება  $40^{\circ}\text{C}$ -ით. რადგანაც ამ დაუნველინგისა და აპველინგის სისტემებს ამოძრავებს ზედაპირის წყლების განსხვავება ტემპერატურასა და მარილიანობაში, მათ თერმოპალინური ცირკულაცია ეწოდება.

საზღვაო ეკოსისტემებისთვის აპველინგი საოცრად დიდი მნიშვნელობისაა. როდესაც ზღვის ზედაპირულ წყლებში მობინადრე ორგანიზმი კვდება, მათი ნარჩენები იძირება და თან მიაქვს მათი სხეულების შემადგენელი ყველა ორგანული მასალა. ამის გამო, ზედაპირის წყლები იცლება საკვები ნივთიერებებისგან. ზედაპირისკენ მიმავალ სიღრმისეულ წყალს ამოაქვს ეს ორგანული მასალა უკან ზედაპირზე და როგორც წესი, ქმნის მაღალი პროდუქტიულობის რეგიონს. ისევე, როგორც მთებს მაღლა აჰყავთ ჰაერის დინებები, ოკეანის ფსკერის უსწორმასწორობები, განსაკუთრებით კუნძულებისა და არქიპელაგების გარშემო, ზევით დევნიან წყალს. გალაპაგოსის არქიპელაგს, რომელიც მდებარეობს ეკვატორზე სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროდან 1000კმ დაშორებით, აქვს კომპლექსური საზღვაო გარემო, რადგან მისი მრავალი კუნძული დაბრკოლებას უქმნის ოკეანის დინებებს (ნახ. 8-6). კუნძულთა ჯგუფის ჩრდილოეთით ღრმა ოკეანეა ზედაპირზე თბილი და არაპორდუქტიული წყლებით. პერუს სანაპიროდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიედინება პერუს დინება, ცივი და სანაპირო აპველინგის შედეგად საკვები ნივთიერებებით გაჯერებული. ზედაპირის წყლები მიედინებიან გალაპაგოსის კუნძულების გვერდით, დასავლეთისკენ, რითაც საკვები ნივთიერებებით მდიდარ წყლებს აწვდიან კუნძულთა ჯგუფის სამხრეთ ნაწილს.


დასავლეთიდან ძლიერი ეკვატორული წყალქვეშა დინება შუა სიღრმეზე ზედაპირზე გამოიდევნება არქიპელაგის უკიდურესი დასავლეთის კუნძულების მიერ, ქმნის რა საოცრად მდიდარ ოკეანურ სამყაროს და საბინადროს პინგვინების ერთადერთი სახეობისთვის, რომლებიც ტროპიკებში ბინადრობენ.

## 8.2 საზონებს მოაქვს მოსალოდნელი ცვლილებები გარემოში


კლიმატური ცვლილებების მაჩვენებლები, როგორიცაა საშუალო ტემპერატურა და ნალექიანობა, ძალზე მნიშვნელოვანია ბიოლოგიური სისტემებისთვის (Wolfe 1979). პერიოდული ციკლები კლიმატში მოჰყვება ასტრონომიულ ციკლებს: დედამინის ბრუნვა თავისი ღერძის გარშემო იწვევს დღე-ღამისეულ პერიოდულობას, მთვარის ბრუნვა დედამინის გარშემო იწვევს მთვარის ციკლებს მოქცევების ამპლიტუდებში და დედამინის ბრუნვა მზის გარშემო იწვევს სეზონურ ცვლილებას.

## სეზონური ცვლილებები მზის რადიაციაში, ტემპერატურასა და წვიმიანობაში

ეკვატორი იღნავ დახრილია იმ გზასთან შედარებით, რომელსაც დედამინა მიჰყვება მზის გარშემო ბრუნვისას (იხ. ნახ. 8-1). შედეგად ჩრდილოეთ ნახევარსფერო უფრო მეტ მზის რადიაციას იღებს ვიდრე სამხრეთ ნახევარსფერო ჩაფენულის განმავლობაში და ნაკლებს ჩრდილოეთ ზამთრის დროს. სეზონური ცვლილებები ტემპერატურაში იზრდება ეკვატორიდან დაშორებასთან ერთად



ნახ. 8-7 საშუალო თვიური ტემპერატურის (დაწრდილული არქალი), როგორც განედის ფუნქციის წლიური დიაპაზონი. საშუალო წლიური ტემპერატურა აღნიშნულია ხაზით. დაწრდილული არგალის სიგანე მისადაგება ტემპერატურაში სუზონური ფლუქციურის დონეს. ყველაზე დიდი ცვლილება თავს იჩენს ჩრდილოეთის მაღალ განედებში, ყველაზე ნაკლები ეკვატორთან. (Data from Clayton and Clayton 1947.)



**ნახ. 8-8** შავი ხაზი ნამოადგენს ტროპიკაშორის კონვერგენციას (იხ. ნახ. 8-2), რომელიც სეზონურად მოძრაობს დაჩრდილულ არეალში (A). როდესაც ტროპიკაშორისი კონვერგენცია მოქცეულია მერიდაში (მერიდაში), ეს ადგილი ექვემდებარება ძლიერ წვიმებს (B). მაგან, როცა ბოგოტაში (კოლუმბია) სახეზეა მშრალი სეზონი (C) და რიო დე ჟანეიროში (D) შუალედური მდგომარეობა.

(ნახ. 8.7). ჩრდილოეთ ნახევარსფეროს მაღალ განედებში საშუალო თვიური ტემპერატურა მერყეობს საშუალოდ  $30^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებში, უკიდურეს შემთხვევებში  $50^{\circ}\text{C}$ -მდე. საშუალო ტემპერატურა ყველაზე თბილ და ცივ თვეებს შორის განსხვავდება  $2-3^{\circ}\text{C}$ -ით.

წვიმის სეზონურობის განედობრივი მოდელები ნანილობრივ იწვევს მზის ეკვატორის სეზონურ ჩრდილოეთისკენ ან სამხრეთისკენ გადანაცვლებებს. პაერის ტროპიკაშორისი კონვერგენციული მოძრაობა იწვევს მაღალი ნალექიანობის ორ სეზონს ეკვატორთან და ერთ სველ სეზონს არეულს მკვეთრად გამოხატულ მშრალ სეზონთან ტროპიკების კიდეებთან. წვიმების სეზონურობა ყველაზე მკვეთრად გამოხატულია ფართო განედობრივ სარტყელში,

რომლებიც განლაგებულია  $23^{\circ}$ -ზე ეკვატორიდან სამხრეთით და ჩრდილოეთით. სეზონების ცვლასთან ერთად, ეს რეგიონები თანმიმდევრულად ხვდებიან მზის ეკვატორის (შედეგად მოაქვთ ძლიერი წვიმები) და სუბტროპიკული მაღალი წნევის ზოლების (შედეგად მოაქვთ სუფთა ცა) გავლენის ქვეშ (ნახ. 8-8).

პანამა,  $9^{\circ}\text{N}$ , მდებარეობს სველ ტროპიკებს შორის, მაგრამ იქაც კი მზის ეკვატორის სეზონური მოძრაობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლიმატზე. წვიმიანობის უმსხვილესი ტროპიკული ზოლი რჩება პანამის სამხრეთით ჩრდილოეთის ზამთრის უმეტესი პერიოდის განმავლობაში, მაგრამ ის მდებარეობს ზუსტად ზემოთ ჩრდილოეთ ზაფხულის განმავლობაში. ამრიგად, ზამთარი არის მშრალი და ქარიგანი, ზაფხული კი ნოტიო და წვიმიანი. პანამას

კლიმატი გაცილებით უფრო ნესტიანია ყელის (არხის) ჩრდილოეთ (კარიბის) მხარეს – ეს არის მიმართულება, რომლიდანაც გაბატონებული ქარები ქრიან – ვიდრე სამხრეთ (წყნარი ოკეანის) მხარეს. მთები შთანთქავენ ყელის, კარიბის ზღვის მხრიდან მომავალ სინოტივეს და ავითარებენ წყიმის ჩრდილს. წყნარი ოკეანის მხრის დაბლიობები იმდენად მმრალია ზამთრის თვეების განმავლობაში, რომ ხეების უმრავლესობას ფოთლები სცვივა. შიშველტოტებიანი, მშრალი აბედის ტყეები მკვეთრად განსხვავდება „სველი, წვნიანი, უფრო ტიპური ტროპიკული ტყეებისგან, რომლებიც სველი სეზონის დროს გვხვდება (ნახ. 8-9).

კიდევ უფრო ჩრდილოეთით, 30°-ზე, ცენტრალური მექსიკის ჩიპუატუას უდაბნოში, წვიმები მხოლოდ ზაფხულში მოდის, როდესაც მზის ეკვატორი აღწევს თავის უკიდურეს ჩრდილოეთ ზღვარს (ნახ. 8-10ა). დანარჩენი წლის განმავლობაში ეს რეგიონი ექცევა მშრალი, სუბტროპიკული, მაღალი წნევის ზოლში. ზაფხულის წვიმების ზონა ფართოვდება და მიინევს ჩრდილოეთისკენ — სამხრეთ არზონის სონორის უდაბნოსა და ნიუ მექსიკოსაკენ (ნახ. 8-10ბ). ეს არეალი სინოტივეს იღებს ასევე, ზამთრის განმავლობაში წყნარი ოკეანიდან, რომელიც მოაქვთ სამხრეთის სუბტროპიკულ, მაღალი წნევის ზოლიდან წამოსულ სამხრეთ-დასავლეთის ქარებს. სახმრეთ კალიფორნია მდებარეობს ზაფხულის წვიმების ზოლის მიღმა და აქვს ზამთრის წვიმიანი, ზაფხულის გვალვის კლიმატი (ნახ. 8-10ც). მას ხშირად ხმელთაშუაზღვის კლიმატს ეძახიან, რადგან ევროპის ხმელთაშუა ზღვის რეგიონს იგივე სეზონური ტემპერატურისა და წვიმების სტრუქტურა აქვს. ხმელთაშუაზღვის კლიმატი გვხვდება ასევე სამხრეთ-დასავლეთ აფრიკაში, ჩილეში და დასავლეთ ავსტრალიაში, რომელთაგან თითოეული მდებარეობს კონტინენტების დასავლეთ მხარეს, დაახლოებით ერთსა და იმაზე განედებზე ეკვატორის სამხრეთით ან ჩრდილოეთით.

### სეზონური ცვლილებები ოკეანეში

მზე ათბობს ზღვებს ისევე, როგორც კონტინენტებსა და ატმოსფეროს, მაგრამ ოკეანის წყლის დიდი მასა მოქმედებს როგორც თბოსარინი, რათა შეარბილოს ტემპერატურის დღიური და სეზონური ფლუქტიაციები. სადაც ოკეანის ტემპერატურა იცვლება სეზონურად, ის უფრო ხშირად ასახავს სხვადასხვა ტემპერატურის წყლის მასების სეზონურ მოძრაობას, ვიდრე ადგილობრივ დათბობას და აგრილებას. პანამური მშრალი სეზონის განმავლობაში, კერძოდ, იანვრიდან აპრილამდე, მყარი სამხრეთ-დასავლეთით მიმართული პასატები ქმნიან ძლიერ აპველინგის დინებებს ცენტრალური ამერიკას წყნარი ოკეანის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროების გასწვრივ. ამ აპველინგის პერიოდების განმავლობაში, ქარებს მიაქვთ თბილი ზედაპირის

წყლები სანაპიროდან და ცივი წყლები ამოდიან ღრმა რეგიონებიდან მათი ადგილის დასაკავებლად. შედეგად, წლიური ფლუქტუაციები ზღვის წყლის ტემპერატურაში სამჯერ უფრო მაღალია პამანის წყარი ოკეანის სანაპიროზე, ვიდრე კარიბის ზღვის სანაპიროზე.


### სეზონური ცვლილებები ზომიერ ტბებში

მცირე, ზომიერი სარტყლის ტბები მაღალ ახდენენ რეაგირებას სეზონის ცვლილებაზე (8-11). ზამთარში ტიპური ტბები ახდენენ ტემპერატურის პროფილის ინვერტირებას. ეს ნიშნავს, რომ ყველაზე ცივი წყალი (0°C) არის ზედაპირზე, ზუსტად ყინულის ქვეშ. (რადგანაც წყლის სიმკვრივე იზრდება 0°C-4°C შორის, თბილი წყალი ამ დრაპაზონის ფარგლებში იძირება და ტემპერატურა იზრდება დაახლოებით 4°C-მდე ტბის ფსკერზე.) ადრეულ გაზაფხულზე მზე ათბობს ტბის ზედაპირს. მაგრამ სანამ ზედაპირის ტემპერატურა გადაჭარბებს 4°C-ს, მზით გამობარი წყალი მაშინვე იძირება გრილ ქვედა ფერებში. ეს ვერტიკალური გადაადგილება ახდენს სითბოს განაწილებას წყალში ზედაპირიდან ფსკერამდე, ინვეს რა ერთფეროვან ტემპერატურულ პროფილს. ქარები ინვეს წყლის ღრმა ვერტიკალურ მოძრაობას ადრეულ გაზაფხულზე, ამოაქვს საკეთი წილი ზედაპირზე ფსკერის დანალექებიდან და ჩააქვს ზედაპირის ჟანგბადი სილრმეში. ამ ფერომენს გაზაფხულის გადატრიალება ეწოდება.

გვიან გაზაფხულსა და ადრეულ ზაფხულში, როდესაც მზე დღითიდლე სულ უფრო მაღლა ინვეს და პარერი ტბის თავზე თბება, ზედაპირული წყლის ფერები უფრო სწრაფად იღებენ სითბოს, ვიდრე სილრმისეული



**ნახ. 8-9** მრავალი ხე პანაშის წყნაროკეანულ მხარეს ყრის ფოთლებს მშრალი სეზონის დროს, რომელიც გრძელდება იანვრიდან აპრილამდე. (მ.ა. გერას ფოტო, სმიტსონისეული ტროპიკული კვლევის ინსტიტუტის მიერ მოწოდებული)



**ნახ. 8-10** ჩრდილო-დასავლეთ ამერიკის სამ ადგილის წვიმის სეზონური წამოსვლის პერიოდები: (ა) ცენტრალური მექსიკის ჩიპუაპუას უდაბნოში ზაფხულის წვიმის სეზონი. (ბ) სონორის უდაბნოს კომპინირებული კლიმატური ცვლილების სტრუქტურა. (გ) ზამთრის წვიმები და ზაფხულის გავლენაზე წყნარი ოკეანის სანაპიროსთან (ზმელთაშუაზღვისეული კლიმატი).

(Data from Clayton 1944.)

წყლები. ამ დროს ისეთ ტემპერატურაზე, რომელიც აჭარბებს  $4^{\circ}\text{C}$ -ს, თბილი და ნაკლებად მკვრივი წყალი უშუალოდ დატივტივებს ცივ, მკვრივ წყალზე. ამგვარ მდგომარეობას სტრატიფიკაცია ეწოდება. სტრატიფიკაცია ქმნის ტემპერატურის სწრაფი ცვლილების ზონებს საშუალო სილრმეზე, ეგრეტ წოდებულ თერმოკლინს. როდესაც თერმოკლინი მკვეთრად გამოხატულია, მის გასწვრივ წყალი აღარ ირევა. თერმოკლინის სილრმე იცვლება ადგილობრივ ქარებთან ერთად და ტბის სილრმესა და ამღვრეულობასთან ერთად. მან, შეიძლება, თავი იჩინოს ყველგან ზედაპირიდან 5-20 მეტრის სილრმეზე. 5 მეტრზე ნაკლები სილრმის ტბებში, როგორც წესი, სტრატიფიკაციას ადგილი არ აქვს.


თერმოკლინი ყოფს ერთმანეთისგან თბილი წყლის ზედა ფენას სახელად ეპილიმნიონს და ცივი წყლის ღრმა ფენას სახელად ჰიპოლიმნიონს. ტბის უპირველესი პროდუქციის უმრავლესობა ხორციელდება ეპილიმნინში, სადაც მზის შუქი ინტენსიურია. ფოტოსინთეზი ამატებს უანგბადს ჰარიდან უანგბადის ცვლას, რასაც ხელს წყალში ქარები ტბის ზედაპირზე, რათა შეინარჩუნონ აერირებული და ამრიგად სიცოცხლისთვის ხელსაყრელი წონასწორობა. მაგრამ მზარდი მცენარეები ევფოტურ ზონაში (წყლის სისქის ნაწილი, რომელიც არსებით სინათლეს იღებს ფოტოსინთე-ზისთვის) ხშირად ცლიან ამ ზონის წყლებს გახსნილი საკვები მინერალებისგან და ამით ამცირებენ საკუთარ პროდუქტიულობას. ჰიპოლიმნიონი მოკვეთილია ტბის ზედაპირს და მისი ცხოველები და ბაქტერიები, რომლებიც ძირითადად, ევფოტური ზონის ქვემოთ ბინადრობენ, სრულად გამოლევენ ხოლმე წყალში უანგბადს, რითაც ქმნიან ანაერობულ პირობებს.

შემოდგომაზე წყალი ტბის ზედაპირზე უფრო ადგილად ცივდება, ვიდრე სილრმისეული ფენები, ქვემოთ არსებულ წყალზე უფრო მძიმე ხდება და ჩაძირვას იწყებს. ვერტიკალური გადაადგილების

მეორე პერიოდი, სახელად შემოდგომის ბუნიობა, გრძელდება შემოდგომაზე, სანამ ტემპერატურა ტბის ზედაპირზე არ დაეცემა  $4^{\circ}\text{C}$ -ის ქვემოთ და ზამთრის სტრატიფიკაცია იწყება. შემოდგომის ბუნიობა იწვევს წყლის უფრო მეტვერტიკალურგადაადგილებას ვიდრე გაზაფხულის გადაადგილებისას, რადგან განსხვავება ტემპერატურაში ზაფხულის სტრატიფიკაციების განმავლობაში აჭარბებს ზამთრის სტრატიფიკაციას. შემოდგომის ბუნიობა აჩქარებს უანგბადის მოძრაობას ღრმა წყლებში და ამოაქვს საკვები ნივთიერებები ზედაპირზე. იქ, სადაც ჰიპოლიმნიონი საკმაოდ თბილი ხდება შუა ზაფხულისას, ღრმა ვერტიკალური გადაადგილება შეიძლება მოხდეს გვიან ზაფხულში, როცა ტემპერატურა ხელსაყრელია მცენარეთა ზრდისთვის. საკვები ნივთიერებების ამოსვლა ზედაპირზე წყლებში ამ დროს ხშირად იწვევს ფიტოპლანქტონების პოპულაციათა ზრდას რასაც მათი ყვავილობა მოსდევს. ღრმა, ცივ ტბებში ვერტიკალური გადაადგილება არ აღწევს მთელ სილრმეზე გვიან შემომდგომამდე ან ადრეულ ზამთრამდე, როცა წყლის ტემპერატურა ზედმეტად ცივია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს მცენარეთა ზრდას.

### 8.3 არაცესირი ფლუეტუაცია გარემოში დიდად აისახება პარიოდულ ციკლებზე

ყველამიცის, რომ ამინდი ძნელად პროგნოზირებადია. ჩვენ ხშირად აღვნიშნავთ, რომ წელი, განსაკუთრებით მშრალი ან ცივი იყო იყო სხვა წლებთან შედარებით. უკანასკნელ პერიოდში წყალდიდობები მისისიპის ველში, ევროპის მრავალი მდინარის ადიდება ბუნების ჭირვეულობითაა გამოწვეული. ნალექიანობა ყველაზე მეტად მაშინ იცვლება, როცა ის ყველაზე იშვიათია: უდაბნოებში და სველ ადგილებში, მშრალი სეზონების განმავლობაში. წლიდან წლამდე ტემპერატურის ცვლ-



**ნახ. 8-11** ზომიერ ტბაში წყლის ტემპერატურის სეზონური ცვლილებები. რადგანაც წყლის სიმჭიდროვე/სიმკვრივე ტემპერატურაზე დამოკიდებული (ყველაზე მყრიცია დაახლოებით  $4^{\circ}\text{C}$ -ზე), თერმულმა სტრატიფიკაცია, შეიძლება, თავი იჩინოს წყლის ყველაზე თბილ და ცივ ნაწილებში. ზამთარში მკრივ წყალს ზემოდან აკრაგს ყინულის საფარი. ზაფხულში თბილი წყალი ( $>4^{\circ}\text{C}$ ) ზემოდან ფარაგს ცივ, მყრივ წყალს განსხვავები სიმკვრივეში ტბის ზედა პორციას (ეპილიმნიოზი) და ქვედა პორციას (ჰიპოლიმნიოზი) შორის შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ შეაჩეროს წყლის ფენების ცვლა ამ თრ განაზომს შორის. როდესაც ზედაპირის წყლი გრილდება შემოდგომაზე ან თბება გაზაფხულზე, ტბის წყალი ერთგვაროვანი ტემპერატურის ხდება და შეიძლება ადგილი ჰქონდეს ზედა და ქვედა წყლების არევას.

ილება წლის ერთსა და იმავე დროს ყველაზე დიდია იქ, სადაც ტემპერატურის ფლუქტუაცია ყველაზე მაღალია წლის განმავლობაში. ექსტრემალური პირობები იშვიათად იჩენენ თავს, მაგრამ მათ, შეიძლება, ორგანიზმებზე არაპროპორციულად მოახდინონ გავლენა.

პერუს სათევზაო ინდუსტრია, ისევე როგორც მსოფლიოს ზოგიერთი დიდი ზღვის ფრინველების კოლონიები (ნახ. 8-12), ხარბეს ჭარბი თევზით

პერუს დინების სარდალა თევზებით — ანჩოუსებით მდიდარ წყლებში, ცივი წყლების მასებში, რომლებიც მოედინებიან სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაპირთან და საბოლოოდ იცვლიან მიმართულებას ეკვატორთან, გალაპაგოსის არქიპელაგისკენ. სამხრეთ ამერიკის ამ თბილი, ტროპიკული ნაპირის ჩრდილოეთით მდებარეობს გრძელი სანაპირო. ყოველ წელს თბილი უკუდინება სახელად El Nino („პატარა ბიჭი“) ესპანურად, აღნიშნავს ჩვილ იესოს, რადგან ამ ფენომენს ადგილი აქვს დაახლოებით შობისას) მოძრაობს სამხრეთის მიმართულებით პერუს სანაპიროს გასწვრივ. ზოგიერთი El Nino იყო საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ ნაპირისგან შორს განდევნოს პერუს დინება, რომელსაც თან მიაქვს მილიონობით ფრინველის საკვები და ასევე, ადგილობრივი მეთევზების არსებობის საშუალებებიც (Glynn 1988).

ძლიერი El Nino იყო-ს წყლებში მუდმივი ქარი უბერაგს ცენტრალური წყნარი ოკეანის ეკვატორულ ნაწილში ტაიტის თავზე კონცენტრირებული მაღალი ატმოსფერული წნევის არიდან ავსტრალიაში ქ. დარვინის თავზე კონცენტრირებული დაბალის წნევის არისკენ. განსხვავება ატმოსფერულ წნევაში წყნარი ოკეანის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის, როგორც წნესი, მერყეობს წლიდან წლამდე წინ და უკან მოძრაობის სახით, როდესაც დასავლეთის მაღალი წნევები მიესადაგება აღმოსავლეთის რეგიონების დაბალ წნევას. წნევის ამ ფლუქტუაციას სამხრეთის ოსცილაცია (SO) ეწოდება. დროდადრო SO-ს საოცრად მაღალი ტემპერატურა მოაქვს დასავლეთ წყნარ ოკეანებში, რაც ინგვეს პასატების მიმართულების შეცვლას და ზოგ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, დასავლეთისკენ მიმართულ ოკეანის დინების მიმართულების შეცვლა-საც. ამგვარი პირობები El Nino-სთან ერთად, აიძულებენ, თბილ წყალს, დაგუბდეს ზემოთ, სამხრეთ ამერიკის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ და ძლიერ შეასუსტონ, რიგ შემთხვევაში შეაჩერონ კიდეც აპველინგი. უჩვეულოდ ძლიერ ლ იყო-ს და დასავლეთ წყნარ ოკეანებში უჩვეულოდ მაღალი ატმოსფერული წნევის ერთდროულ წარმოშობას El Nino იყო-სამხრეთ ოსცილაციის (ENSO) მოვლენა ეწოდება ან ხანდახან – თბილი მოვლენა. ამგვარი მოვლენები გავლენას ახდენს არა მხოლოდ პერუს სათევზაო ინდუსტრიაზე, მათ ასევე ფართოდ გავრცელებული კლიმატური ეფექტები აქვთ. მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ტერმინი „El Nino იყო“, რომელიც მოიგონეს პერუელმა მეთევზებმა წლიური გარემო პირობების ცვლილების შესაფასებლად, ბევრის მიერ გამოიყენება ყველა გლობალური მოვლენის აღსანერად, რომლებსაც ადგილი აქვთ ENSO წლის განმავლობაში. ამრიგად, ხშირად „El Nino იყო“ გამოიყენება ENSO ან „თბილი მოვლენის“ სინონიმად გლობალური ცვლილებების განხილვისას იმის მიუხედავად, რომ მას უფრო ვიწრო მნიშვნელობა აქვს.

ზღვის დონეზე ატმოსფერული წნევის, ზედაპი-




**ნახ. 8-12** პერუელი ოლუშების კოლონიები  
კუნძულზე პერუს სანაპიროს მოშორებით. ეს  
მჭიდრო პოპულაციები დამოკიდებული არიან  
პერუს დანების ანზოუსებით მდგრად მარაგზე.  
(რ.ქ. მერცფის ფოტო; მოწოდებული ამერიკის  
ბუნგბათმცოდნეობის მუზეუმის ბიბლიოთეკის  
სერვისების განყოფილების მიერ)

რული ქარების მიმართულების, ზღვის ზედაპირის ტემპერატურისა და ოკეანის ზედაპირის თავზე ჰაერის ტემპერატურის ქრონოლოგიური ჩანაწერები კომბინირებულია სტატისტიკური ტექნოლოგიების გამოყენებისას მრავალვარიანტიანი SO ინდექსის (MEI) გამოსათვლელად (Wolter 1987, Wolter and Timlin 1993). MEI სიდიდეები 1-ს ზემოთ აღნიშნავენ ზღვის თბილ ტემპერატურას და ქარის დასავლეთით მიმართულებას, რაც შ მოვლენას აღნიშნავს. MEI-ს სიდიდეები 0-ს ქვემოთ აღნიშნავენ პერიოდებს, როდესაც ოკეანის ტემპერატურა უჩვეულოდ დაბალია. 1950-იდან დღემდე MEI-ს მონაცემები (ნახ. 8-13) გვიჩვენებს მნიშვნელოვანი შმოვლენების წარმოშობას 1957-1958, 1965-1966, 1972-1973, 1982-1983 და 1986-1987 წლებში. უჩვეულოდ გრძელი შ მოვლენა დაიწყო 1991 წლს და გაგრძელდა 1995 წლამდე.

ENSO მოვლენების კლიმატური და ოკეანოგრაფული ეფექტები ვრცელდება მსოფლიოს უმეტეს ნაწილზე, ახდენს რა გავლენას ისეთი დამორებული ქვეყნების ეკოსისტემებზე, როგორიცაა ინდოეთი, სამხრეთ აფრიკა, ბრაზილია და დასავლეთ კანადა. როდესაც El Niño-ს უკუდინება ათბობს წყნარი ოკეანის აღმოსავლეთი ნაწილს, ჩრდილოეთ ამერიკაში იზრდება წვიმების რაოდენობა და ტემპერატურა ზომიერი ხდება, რაც თბილ ზამთარს იწვევს. წყნარი ოკეანის დასავლეთი წყლების გათბობა ასოცირდება აღმოსავლეთი ნაწილის გაგრილებასთან, რაც იწვევს ამ რეგიონში მუსონური წვიმების ინტენსივობის შემცირებას (Schlesinger 1991). ENSO მოვლენამ 1982-1983 წლებში (შესწავლილთაგან ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ENSO მოვლენა) გაანადგურა თევზეულობა და კელპის (წყალმცენარე) ზონები კალიფორნიაში, გამოიწვია ცენტრალური წყნარი ოკეანის ზღვის ფრინველების პროდუქტიულობის შემცირება და მარჯნის პოლიპების მასობრივი სიკვდილიანობა პანამაში. ამ მოვლენამ მრავალ სახელეთი ეკოსისტემათა ნალექიანობაზეც იქონია

დიდი გავლენა, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ჩილეს უდაბნოებზე, ჩვეულებრივ, ერთ-ერთ ყველაზე მშრალ ადგილზე მსოფლიოში. აյ, ამ დროს წამოსული წვიმა იყო პირველი დაფიქსირებული წვიმა საუკუნის განმავლობაში. ამჟამად, ამ წიგნის წერის დროს (1997-1998), მსოფლიო განიცდის ყველაზე ძლიერ შ მოვლენას, რაც კი ოდესმე დაფიქსირებულა. შვიდი უმსხვილესი ENSO მოვლენის (მათ შორის ახლა პროგრესირებადის) MEI-ს შედარება გვიჩვენებს, რომ 1997 წლის გვიან ზაფხულში მიმდინარე მოვლენამ მიაღწია 1982-1983 წლების მოვლენის უმაღლეს პიკს (ნახ. 8-13ბ). ცხადია, ჩვენ ვერ მივცემთ მიმდინარე თბილ მოვლენას სამუალებას, მივიდეს ბოლომდე, სანამ წიგნის გამოქვეყნებას გავაგრძელებდეთ, ამიტომ არ შეგვიძლია, მისი 1982-1983 წლების მოვლენასთან შედარება. მაგრამ ჩვენ ვიცით ამინდის პროგნოზებიდან, რომ ამ მოვლენის ეფექტები შეიგრძნობა საოცრად მშრალი პირობების სახით ავსტრალიაში, რაც იწვევს ხშირ და ინტენსიურ ხანძრებს და საოცრად სველი პირობების სახით აშშ-სა და მექსიკის დასავლეთი სანაპიროების გასწროვ, სადაც დროდადრო კოკისპირული წვიმები მოდის.

თბილი ოკეანის ტემპერატურის ხანგრძლივება პერიოდმა 1990-1995 წლებში და უფრო ხშირი ENSO მოვლენების გაჩენამ 1975 წლიდან (იხ. ნახ. 8-13ა) ზოგიერთ მეცნიერს გაუჩინა კითხვა, მოხდა თუ არა ფუნდამენტური ცვლილება ENS-ს პერიოდულობაში და რაც უფრო მნიშვნელოვანია, დაკავშირებულია თუ არა ამგვარი ცვლილება გლობალურ კლიმატურ ცვლილებასთან. ტრენბერტმა და პოლარმა (1996) შეისწავლეს ზღვის ტემპერატურული მონაცემები 1991-1995 წლების მოვლენიდან, რათა დაედგინათ, იყო თუ არა ეს მოვლენა უჩვეულოდ ხანგრძლივი. ამისთვის, ისინი იყენებდნენ ინფორმაციას 113 წლიანი ENS-ს დაკვირვებებიდან. მათ დაადგინეს, რომ მართლაც სახეზე იყო შ მოვლენების სტრუქტურის, ხასიათის ცვლილება. მათი აზრით, ეს ცვლილება



**ნახ. 8-13** (ა) მრავალვარიანტიან ENSO  
ინდექსი (MEI) 1950-1996 ნლებისთვის. MEI  
მოიცავს ინფორმაციას ქარების მიმართულების,  
ოკეანისა და ჰარის ტემპერატურების და  
ატმოსფერული წნევის თაობაზე. სიდიდეები  
0-ს ზემოთ აღნიშნავენ თბილი ტემპერატურის  
ოკეანის პერიოდს. აღნიშნულია ექვსი  
შემცნელოვნი შემცნელი (MEI > 1). ყველაზე  
გვიანდელი ENSO (1997-1998) ნაჩვენებია  
არის. (ბ) შეიძიო ENSO მოვლენის MEI ინდექსების  
შედარება. 1997-1998 ნლების მოვლენა (შავი  
ხაზი) ძალიან ძლიერია, როგორც გვიჩვენებს  
მისი პიკი 1982-1983 ნლების მოვლენის პიკთან  
ახლოს, რომელიც ყველაზე დიდი მოვლენა  
იყო ასმდე. (Data from NOAA-CIRES Climate  
Diagnostics Center, University of Colorado at Boulder.)

შეიძლება გამოწვეული იყოს დედამიწის სითბური  
ეფექტის მატებით (იხ. თავი 3).

დაკვირვებებმა გვიჩვენეს, რომ პერუს წყლები  
უწვეულოდ თბილი, ხანდახან კი ცივი ხდებოდა. მათ  
ამ ფენომენს La Niña იყო („პატარა გოგო“ ესპანურად)  
დაარქვეს. უწვეულოდ ძლიერ La Niña-ს ფართო  
გავლენის მოხდენა შეუძლია გარემოს პირობებზე.  
ცივი მოვლენა ასოცირდება უწვეულოდ დაბალ  
ზედაპირის ტემპერატურასთან აღმოსავლეთ წყარ  
ოკეანეში (ძლიერი La Niña იყო), ასევე, უწვეულოდ  
მაღალ ატმოსფერულ წნევებთან აღმოსავლეთ წყარ  
ოკეანეში, რომელიც თავის მხრივ ასოცირდება  
სამხრეთის ოსცილაციასთან. ამგვარი მოვლენების  
დროს, ზღვის ზედაპირის დაბალი ტემპერატურა  
დასავლეთით ვრცელდება ეკვატორულ წყარ  
ოკეანემდე. ცივი მოვლენის გლობალური კლიმატური  
ეფექტი საპირისპირო ENSO მოვლენისა (“El Nino”).  
მაგალითად, იმ დროს, როცა სამხერეთ-დასავლეთ და  
სამხრეთ-აღმოსავლეთ აშშ-ში ზამთრის ტემპერატურა  
შედარებით თბილია ENSO მოვლენის განმავლობაში,  
ცივი მოვლენის დროს ამ ადგილებში ტემპერატურა  
უფრო ეცემა.

#### 8.4 ადგილობრივი ტოარმრავლის და გეოლოგიური თვისებები გლობალურ კლიმატურ სტრუქტურების დამატებით ცვლილებებს ნაროვობაზე

კლიმატური სტრუქტურები ფართომასშტაბიანი  
ფენომენია. აშშ-ში ჩვენ საუბარი გვაქვს მზიან  
სამხრეთსა ან უდაბნოიან სამხრეთ-დასავლეთზე.  
ჩვენეული შეფასება საშუალო თოვლიანობისა  
მისისიბისა და მენს შორის გვაძლევს ინტუიციურ  
გაგებას, რომ ამ სხვადასხვა ადგილს მცენარეთა და  
ცხოველთა სამყაროს განსხვავებული შემადგენლობა  
ექნება და რომ ორივე განსხვავებული იქნება ამით  
დასავლეთ იუტას შტატისგან. მაგრამ სადაც არ  
უნდა ვიმოგზაუროთ მისისიბის, მენის თუ იუტას  
ფარგლებში, ჩვენ კიდევ აღმოვაჩენთ მთელ რიგ  
განსხვავებულ სტრუქტურებს. მთის წვერებზე  
განსხვავებული მცენარეულობა იქნება ვიდრე  
მდელოებზე, მდინარის ნაპირები განსხვავებული  
იქნება მთიანი მხარეებისგან. ცვლილებებმა კლიმატსა  
და გეოლოგიაში, შეიძლება, ნარმოშვან ცვლილებები  
ერთფეროვანი კლიმატის მქონე რეგიონის შეგნით.

## ტოპოგრაფია

მთიან ადგილებში ნიადაგის დახრილობა და ამის გამო მასზე მზის სხივების ძლიერი ზემოქმედება გავლენას ახდენს ნიადაგის ტემპერატურასა და სინოტივის შემცველობაზე. ნიადაგები მთის დახრილ ფერდზე ადგილად შრებიან, რითაც ხშირად მცენარეებში სინოტივის ნაკლებობას იწვევენ, იმ დროს, როდესაც იგივე ნიადაგი ახლომახლო დაბლობებში წყლით არის სავსე. მშრალ რეგიონებში სეზონურად მშრალი მდინარეების კალაპოტებმა, შეიძლება, ხელი შეუწყონ ტბების, მდინარეების ან დინებების კიდეებთან განლაგებულ, კარგად განვითარებულ **სანაპირო ტყეებს**, რომელიც ხაზს უსამენ გარშემო უდაბნოს სიშიშვლეს. ჩრდილოეთ ნახევარს ფეროში სამხრეთისკენ მიმართული მთათა ფერდობები პირდაპირ ეფუცხებიან მზეს, რომლის სითბო და გამომშრობი ძალაც იწვევს მცენარეულობის ბუჩქოვან, **ქსერიკულ** (გვალვა გამძლე) ფორმებამდე განვითარებას. მათი მეზობელი ჩრდილოეთისკენ მიმართული ფერდობები შედარებით ნესტიანი და გრილი რჩება და აქ არსებობს **მეზონური** (სინოტივის მომთხოვნი) მცენარეები (ნახ. 8-14).

## ამაღლება

ჰაერის ტემპერატურა მცირდება დაახლოებით  $6^{\circ}\text{C}$ -ით ყოველ 1000 მეტრიან სიმაღლეზე ასვლისას რეგიონზე დამოკიდებულებით. ტემპერატურის ამ შემცირებას, რაც გამოწვეულია დიდ სიმაღლებზე ჰაერის გაფართოებით დაბალ ატმოსფერულ წნევასთან ერთად, ეწოდება **ადიაბატური გაგრილება**. ჩრდილოეთ ზომიერ განედებში ყოველ 1000 მეტრზე



**ნახ. 8-14** მზისადმი ხელმისაწვდომობის გავლენა  
მცენარეულობაზე ასენის მახლობელი მთების ქედებზე,  
კოლორადოს შტატი. ჩრდილოეთისკენ მიმართული (მარცხნივ  
მიმართული) ფერდობები გრილი და ნოტიოა, იძლევიან ნაძვნარის  
გაზრდის საშუალებას. ბუჩქიანი, გვალვაგამძლე მცენარეულობა  
იზრდება სამხრეთისკენ მიმართულ ფერდებზე.

ასვლისას ტემპერატურის  $6^{\circ}\text{C}$ -ით ვარდნა შეესაბამება ჩრდილოეთი 800 კილომეტრით გადანაცვლებისას ტემპერატურის ცვლილებას. ტროპიკებიც კი, საკმაოდ მაღლა თუ ახვალ, დაახლოებით 5000 მეტრ სიმაღლეზე, აღმოაჩენთ ყინვის ტემპერატურას და მუდმივ თოვლს. მრავალ შემთხვევაში **ალპური** ანუ მაღალმთანი ზონების კლიმატი და მცენარეულობა ჰგავს ზღვის დონის ადგილების მაღალი განედების მცენარეულობასა და კლიმატს (Billings and Mooney 1968). თუმცა, მათი მსგავსების მიუხედავად, ალპური გარემო, როგორც წესი, უფრო ნაკლებად იცვლება სეზონიდან სეზონამდე, ვიდრე მაღალი განედების მათი შესაბამისი ანალოგები. ტროპიკული ზონის მთაში ტემპერატურა თითქმის მუდმივად დაბალი, თუმცა  $0^{\circ}\text{C}$ -ის ზევით რჩება წლის განმავლობაში, რაც საშუალებას აძლევს მრავალ ტროპიკულ მცენარეს და ცხოველს, იარსებოს იქ არსებულ გრილ პირობებში.

როდესაც მოძრაობთ მთის ძირიდან მწვერვალამდე, თქვენ სიმაღლის ცვლასთან ერთად, შეამჩნევთ ცვლილებებს მცენარეთა საფარში. მცენარეულობის ამ მეტ-ნაკლებად შესამჩნევ ზოლებს, მეცხრამეტე საუკუნის ბუნებათმცოდნებ ქ.ჸ. მერიამმა (1894) **სასიცოცხლო ზონები** უწოდა. მერიამის კლასიფიკაციის სქემა მოიცავდა ხუთ ფართო ზონას აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთ მთებში, რომელთაც მან სიმაღლის ზრდის მიხედვით (ანუ ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ) დაბალი სონორული, მაღალი სონორული, გარდამავალი, კანადური (ან გუძონური) და ალპური (ან არქტიკულ-ალპური) ზონები დაარქვა.

აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთ მთების დაბალ ზონაში შეხვედებით კატუსს ან უდაბნოს ბუჩქს, რომელიც არიან მექსიკის და სამხრეთ არიზონის სონორის უდაბნოს მკვიდრი მცენარეები (ნახ. 8-15). მდინარეთა კალაპოტების გასწვრივ არსებულ ტყიან ადგილებში მცენარეებს და ცხოველებს აქვთ კარგად გამოკვეთილი, ტროპიკული თვისებები. მრავალი კოლიბრი და ბუზიჭერია მცენარე, კაკომიცლები (Bassariscus), იაგუარები და პეკარები ზომიერ სარტყელში მხოლოდ ამ არეალში ჩნდებიან. ალპურ ზონაში, 2500 მეტრის მაღლა ლანდშაფტი ძალიან ჰგავს ჩრდილოეთ კანადისა და ალიასკის ტუნდრას. ამრიგად, ზღვის დონიდან 2500 მეტრის სიმაღლეზე ასვლით, ჩვენ შევხვდებით ისეთ ცვლილებებს კლიმატსა და მცენარეულობაში, როგორსაც — 2000 კილომეტრიან ან კიდევ უფრო შორეული მოგზაურობისას ჩრდილოეთში.

## გეოლოგია და ნიადაგი

რეგიონის კლდოვან საფუძველზე არსებული ნიადაგების ადგილობრივი ცვლილებები ხელს უწყობს ნიადაგის ტიპების დიფერენცირებას და აძლიერებს



გუძონის ზონა,  
2500მ სიმაღლეზე



ალპური ზონა, 3500მ  
სიმაღლე



სონორული ზონა,  
1500მ სიმაღლე



გარდამავალი ზონა, 2000მ  
სიმაღლე



ქვედა სონორული ზონა,  
900მ სიმაღლე



სონორული ზონა,  
1200მ სიმაღლე

**ნახ. 8-15** სამხრეთ-აღმოსავლეთ არიზონის მთების მცენარეულობა სხვადასხვა სიმაღლეებზე. ქვედა სონორულ ზონაში ხარობს, ძირითადად, საგუაროს კაკტუსები, მცირე ზომის უდაბნოს ხეები, როგორიცაა პალოვერდე და მესკიტის ხე, მთელი რიგი ერთნოიანი და მრავალნოიანი ბალახულობა და ასევე, მცირე ზომის წერნიანი კაკტუსები. აგავა, ოკტოლოები და სხვა ბალახები ზედა სონორული ზონის თვალში საცემი ელემენტებია, სადაც მუხები მის ზედა ზღვარზე იჩენენ თაგს.. დიდი ხეები დომინირებენ უფრო მაღალ სიმაღლეებზე: ყვითელი ფიჭვი გარდამავალ ზონაში, ნაცვი და სოჭი გუძონის ზონაში. ესენი თანდათანობით ადგილს უთმობენ ბუჩქებს, ტირიფებს, ბალახს და სირსველს ალპურ ზონაში ტყის ზღვარს ზემოთ. (სურათი მოგვაწოდა აშშ ნიადაგის შენარჩუნების სერვისმა, the U.S. Forest Service, W.J. Smith, and R.H. Whittaker; from Whittaker and Niering 1965).

ბიოტურ ჰეტეროგენურობას. ჩრდილოეთ აპალაჩის მთებში და აშშ-ს წყნარ ოკეანესთან ახლოს არსებულ მთებში სერპენტინის (ვულკანური ქანის სახე) ქანთა გაშიშვლებანი გამოქარვისას ქმნიან ისეთ ნიადაგს, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს მაგნიუმს. ამის გამო, გარშემო მდებარე ნიადაგის ტიპებისთვის დამახასიათებელი მცენარეები აქ არ იზდება (Walker 1954, Whittaker 1954, Proctor

and Woodell 1975). სერპანტინის უნაყოფო მიწები, როგორც მათ უნოდებენ, როგორც წესი, დაფარულია გაიშვიათებული ბალახითა და მცენარეულობით, რომელთაგან ბევრი ენდემური სახეობაა და სხვაგან არსად მოიპოვება. ამ მცენარეებს მაგნიუმისადმი მაღალი გამძლეობა გამოუმუშავდათ (ნახ. 8-16). გრანიტის, ფიქალის და ქვიშაქვის შემცველ კლდოვან საფუძველზეც, გამოქარვის დონეზე დამოკი-




**ნახ. 8-16** მცირე სერვენტინული უნაყოფო მიწა აღმოსავლეთ ჰენსილვანიის მახლობლად. უნაყოფი მიწის გარშემომზტყმელი ნიადაგი ხელს უწყობს მუხა-პიკორი-ნიფელის ტყის გაზრდას.

დებულებით, ასევე, ვითარდება უნაყოფო მიწების ტიპები მათთვის დამახასიათებელი მცენარეებით. მაგალითად, სამხრეთ ნიუ ჯერსის ვრცელი ნინჭოვანი ტყის უნაყოფო მიწები, სადაც ზოგიერთ ადგილას ზრდასრული ხეები მხოლოდ თეძოს დონემდე იზრდებიან. აქ თავს იჩენენ ქვიშაქვის მსხვილი ქანების გაშიშვლებანი, რომლებიც წარმოშობენ მშრალ, არანაყოფიერ ნიადაგს (McPhee 1968, McCormick 1970, Forman 1979).

### 8.5 ნალექიანობასა და ევაკოტრანს- პირაციას შორის გალაციის გავლენას აცდეს გარემო პირობებზე

ნალექები ორი გზით ბრუნდება ატმოსფეროში. პირველი, ზოგიერთი წყალი პირდაპირ ორთქლდება ნიადაგიდან, ღია წყალსატევებიდან (ტბები და ოკეანები) და წვიმით დასველებული საგნების, განსაკუთრებით, მცენარეების ზედაპირებიდან. მეორე გზა არის ტრანსპირაციის პროცესი, რომლის დროსაც მცენარეები აორთქლდებენ თავიანთი ფოთლებიდან, ნიადაგიდან ფესვების საშუალებით ამოღებულ წყალს (იხ. თავი 4). ტრანსპირაციისა



**ნახ. 8-17** ურთიერთობა ტემპერატურას (*t*), ევაპოტრანსპირაციას (*et*), ფოთლოვან მასას (*fm*), აორთქლებას (*p*) და ნიადაგის ნებლის მარაგს (*sws*) შორის სამ სხვადასხვა გარემოში. (After Aber and Melillo 1991.)

და პირდაპირ აორთქლების კომბინაციას ეწოდება ევაპოტრანსპირაცია. ეს პროცესი დიდად არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. აორთქლება და ტრანსპირაცია თითქმის ორმაგდება ტემპერატურის ყოველი  $10^{\circ}\text{C}$ -ით მატებისას, როცა ყველა სხვა დანარჩენი პირობა თანაბარია იმის მიუხედავად, რომ ნიადაგისა და მცენარეული საფარის ხასიათი ასევე გავლენას ახდენს წყლის კარგვაზე.

ბუნებაში ევაპოტრანსპირაცია ზოგჯერ შეზღუდულია ნიადაგის წყლის ხელმისაწვდომობით. პოტენციური ევაპოტრანსპირაცია (PE) არის წყლის რაოდენობა, რომელსაც ამოიღებდნენ ნიადაგიდან, 100%-იანი მცენარეული საფარისა და შეუზღდავი სინოტივის პირობებში, როგორც ზოგიერთ ტროპიკულ არეალში. პოტენციური ევაპოტრანსპირაციის გამოთვლა შეიძლება ტემპერატურისა და ნალექიანობის მეშვეობით (Ward 1967, Schlesinger 1991). რადგანაც პოტენციური ევაპოტრანსპირაცია იზრდება ტემპერატურასთან ერთად, ტემპერატურა და წყლის სტრესი (ზევეთრი უკმრისობა) ერთდოროულად მატულობს. რეგიონები მაღალ განედებზე, სადაც წლიური ნალექიანობა 25-50სმ-მდეა, უფრო ხელსაყრელი მცენარეული ნარმოების წყლის ბიუჯეტს იღებენ, ვიდრე ტროპიკული რეგიონები იგივე ნალექიანობის დონეებითა და უფრო მაღალი ტემპერატურებით.

ნამდვილი ევაპოტრანსპირაცია კონკრეტულ არეალში დამოკიდებულია ნიადაგში წყლის ოდენობაზე, ადგილობრივი მცენარეულობის ფოთლოვანი ზედაპირის ფართობზე და ტემპერატურაზე. უდაბნოებში ფოტოსინთეზის სიჩქარე ევაპოტრანსპირაციის პროპორციულია (ნახ. 8-17; Aber and Melillo 1991). აქ ნალექიანობა და ნიადაგის წყალი შეზღუდულია, აორთქლება ძირითადად თავს იჩენს ზამთრის და ადრეული გაზაფხულის მოკლე, წვიმიანი პერიოდების შემდეგ, როდესაც მცენარეთა ფოთლიანობა ყველაზე მაღალია და წლის ყველაზე ცხელი პერიოდების წინ. მინდვრებში შედარებით გრილი ზამთრის პირობების (რომლებიც ამცირებენ მცენარეთა ზრდას) და ძლიერი ზაფხულის წვიმების შედეგად მცენარეთა ფოტოსინთეზური აქტოვობა და შესაბამისად, ევაპოტრანსპირაცია ემთხვევა შედარებით მაღალ ტემპერატურას. ზომიერ ფოთლოვან ტყეში, სადაც ნალექიანობა და ნიადაგის წყლის შემცველობა მაღალია, ევაპოტრანსპირაცია უფრო მეტად შეზღუდულია ტემპერატურის გამო, ვიდრე წყლის ხელმისაწვდომობით. ფოტოსინთეზური აქტივობა მცირდება ან შეჩრებულია ზამთრის თვეებში ფოთლცვენის გამო, ხოლო გაზაფხულზე, მცენარეების ფოთლების მასისა და შესაბამისად, ფოთლოვანი ზედაპირის ფართის ზრდა, ინვევს მაღალ ფოტოსინთეზურ აქტივობას და ევაპოტრანსპირაციას (იხ. ნახ. 8-17; Aber and Melillo 1991).



შაქრის ნეკერჩალი



შავი ნეკერჩალი



ნითელი ნეკერჩალი



ვერცხლის ნეკერჩალი

**ნახ. 8-18** შაქრის, შავი, ნითელი და ვერცხლის ნეკერჩალების გავრცელების არეალები ჩრდილო-აღმოსავლეთ ამერიკაში. შაქრის ნეკერჩალის დიაპაზონი აღნიშნულია რუკაზე, რათა გვიჩვენოს გადაკეთის არეალი. იქ, სადაც ამ სახეობების დიაპაზონი იკვეთება, თითოეული უპირატესობას ანიჭებს განსხვავებული ტიპის ნადაგსა და სინოტივეს (After Fornells 1965)

## 8.6 მცენარეთა განაცილება და მოპილე- კულია კლიმატურ ნიშვნები, ტოპოგრა- ფიასა და ნიაღაგზე



მცენარეთა სახეობების გეოგრაფიული დიაპაზონი არის ის არეალი, რომლის ფარგლებშიც ერთიანი კლიმატური ნიშვნები, ნალექიანობა და ტემპერატურული რეჟიმი ხელსაყრელია მათი ზრდისა და გამრავლებისთვის. მაგრამ მინის ყველა მონაკვეთი არ არის ხელსაყრელი მცენარეთა სახეობების ინდივიდთა გადარჩენისთვის. ცელილებები ტოპოგრაფიაში გავლენას ახდენს ადგილობრივ ტემპერატურასა და ჰიდროლოგიურ პირობებზე. ნიადაგის პირობებიც ნაწილობრივ იცვლება მნიშვნელოვანი გეოლოგიური პროცესების გამო. ისინი, როგორც უკვე ვნახეთ, ზემოქმედებს ნიადაგის ფორმირებაზე. ფართომასშტაბიანი კლიმატური სისტემები შეიძლება ინტერაქციებში შევიდეს ადგილობრივ ტოპოგრაფიასთან და ნიადაგის მდგომარეობასთან იმ არეალის განსასაზღვრად, რომლის ფარგლებშიც ფიზიკური პირობები შესაფერისია გარკვეული სახეობის მცენარეთათვის.

### მცენარეთა განაცილება კლიმატური ნიშვნების შესაბამისად


ჩრდილო-აღმოსავლეთ ამერიკისა და სამხრეთ კანადის ტყის ბინადარი ხის — შაქრის ნეკერჩელის გამრავლების არეალი შეზღუდულია ცივი ზამთრის ტემპერატურით ჩრდილოეთიდან, ცხელი ზაფხულის ტემპერატურებით სამხრეთიდან, ზაფხულის გვალვით დასავლეთიდან და ოკეანის ტენიანობით აღმოსავლეთიდან (ნახ. 8-18ა). შაქრის ნეკერჩელის თავისი ბუნებრივი არეალის ფარგლებს გარეთ დარგვის მცდელობებმა გვიჩვენეს, რომ მას, არ შეუძლია, აიტანოს საშუალო თვიური ტემპერატურა

$24^{\circ}$ - $27^{\circ}\text{C}$ -ზე ზემოთ ან  $18^{\circ}\text{C}$ -ზე ქვემოთ (ონელლს 1965). შაქრის ნეკერჩელის გავრცელების დასავლეთი საზღვარი, რომელსაც სიმშრალე განსაზღვრავს, ემთხვევა ზოგადად ტყის მცენარეულობის დასავლეთ ზღვარს. რადგანაც ტემპერატურასა და ნალექიანობას დიდი მნიშვნელობა აქვთ მცენარეებისთვის სინოტივის ხელმისაწვდომობის განსაზღვრაში, შაქრის ნეკერჩელებს უკეთესად შეუძლიათ არსებობა უფრო დაბალი ნლიური ნალექიანობის დიაპაზონის ჩრდილოეთ საზღვართან (დაახლოებით 50სმ), ვიდრე სამხრეთ საზღვართან (დაახლოებით 100სმ). თავისი გეოგრაფიული არეალის ფარგლებში, შაქრის ნეკერჩხალი უფრო ჭარბად მოიპოვება ჩრდილოეთ ტყებში, სადაც ის ზოგჯერ ქმნის ერთსახეობიან ტყეს, ვიდრე უფრო მრავალფეროვან ტყეებში სამხრეთით. შაქრის ნეკერჩხალი ყველაზე უკეთ ხარობს ნიტიო, ცოტათი დაუანგულ ნიადაგებში.

შაქრის ნეკერჩხალისა და ნეკერჩელის სხვა სახეობებს (წითელი, შავი, ვერცხლის) შორის, სხვაობა გულისხმობს განსხვავებას ეკოლოგიურ ამტანობაში (ნახ. 8-18ა-დ). იქ, სადაც მათი გავრცელების არეალები იყვეთება, ნეკერჩელები ავითარებენ განსხვავებულ მიდრეკილებებს ადგილობრივი გარემო პირობებისადმი, რომლებიც შექმნილია ნიადაგისა და ტოპოგრაფიის განსხვავებებით. შავი ნეკელრჩხალი ხშირად ხარობს მასთან ახლო კავშირში მყოფ შაქრის ნეკერჩელის სიახლოეს, მაგრამ ურჩევნია უფრო მშრალი, უკეთესად გამომშრალი ნიადაგები, რომლებიც კალციუმის მაღალი შემცველობის გამო, ნაკლებად მჟავეა. წითელ ნეკერჩხალს, შეუძლია, აიტანოს სველი, ჭაობისებრი ან მშრალი, ცუდად განვითარებული ნიადაგი. ვერცხლის ნეკერჩხალი ფართოდაა გავრცელებული, თუმცა უპირატესობას ანიჭებს მდინარეების ოპაიოსა და მისისიპის ბასეინების ნოტიო ნიადაგს.



ნახ. 8-20 აკავშირებს აღმოსავლეთი ინდიანის ტყეებში ზოგიერთი უდაბნოს ბუჩქების, ჩითოლების და ბალახეულობის გავრცელებას ნიადაგში ორგანული ნივთიერებების და კალციუმის დონეებთან (Beals and Cope 1964)



**ნახ. 8-20** ტყის მიწის ოთხი მცენარის სიხშირე აღმოსავლეთი ინდიანას ტყის ნიადაგში კალციუმისა და ორგანული ნაერთების გათვალისწინებით. ნაცრისფრად შეფერილი არეალი ნარმოადგენს ურთიერთობას კალციუმსა და ორგანულ ნაერთებს შორის ყველა აღმდებული ნიადაგის ნიმუშისთვის. მნეანგ შეფერილობა გვიჩვენებს ურთიერთობას ამ ორ ფაქტორს შორის მცენარეთა ოთხი სახეობის მაგალითზე (After Baels and Cope 1964)

## მცენარეთა ადგილობრივი გავრცელება

ადგილობრივად მცენარეთა გავრცელებაზე გავლენას რამდენიმე ფაქტორი ახდენს, მათ შორის — სიმაღლე ზღვის დონიდან, ზედაპირის დახრილობა, მზის სხივებისადმი მისაწვდომობა და ქვემოთ არსებული კლდოვანი საფუძველი. ეს ფაქტორები განსაკუთრებით იცვლება მთიან რეგიონებში და ამიტომ ეკოლოგები იშვიათად ირჩევენ მთიან გარემოს მცენარეთა გავრცელების შესასწავლად.

მთები ჩრდილოეთ კალიფორნიის სანაპიროს გასწვრივ ქმნიან პირობებს სხვადასხვა მცენარეთა თანასაზოგადოებისთვის, მშრალი სანაპირო ჩაპარალით დაწყებული დუგლასის სოჭითა და ნითელი ხის მაღალი ტყეებით დასრულებული (Waring and Major 1964). როდესაც ტერიტორიები დაყოფილია სინოტივის მიხედვით, ამ ადგილებში თითოეული სახეობის გავრცელების ოპტიმუმი სხვადასხვანაირია (ნახ. 8-19). სანაპიროს ნითელი ხე დომინირებს სინოტივის გრადიენტის ცენტრალურ პოზიციაზე და ხშირად არის სუფთა, ერთსახეობრივი ნარგავების სახით. კედარი, დუგლასის სოჭი და ორი ფართოფოთლოვანი მარადმწვანე სახეობა — დათვის კენკრა და მადრონე, თავს იჩენენ სინოტივის გრადიენტის მშრალ მხარეს. სამი ფოთოლცვენადა სახეობა — შავი მურყანი, დიდფოთლიანი ნეკერჩესალი და ბუსუსნაყოფიანი ალვის ხე (*Populus trichocarpa*) — იკავებენ ნესტიან კიდეს.

ცვლილება ერთ გარემო პირობაში როგორც წესი, იწვევს ცვლილებებს სხვებშიც. ნიადაგის სინოტივ ებას ნიადაგში ორგანული ნივთიერებების და კალციუმის დონესთან (Beals and Cope 1964). ეს ნიადაგები შეიცავენ 2%-დან 8%-ამდე ორგანულ ნივთიერებებს და 2%-დან 6%-ამდე გაცვლად კალციუმს. ამ ტყეებში ნიადაგში ნივთიერებების სხვადასხვა შემცველობის პირობებში თითოეული სახეობა სხვადასხვა მიღწეულებას ამჟღავნებს. გვიანი შოთხვის ჩითილები ხარობენ კალციუმის შემცველობის ვიწრო დიაპაზონში, მაგრამ უძლებენ ცვლილებებს ორგანული ნაერთების პროცენტულ მაჩვენებლებში. შანგუინარია ცანადენსის (კანადური მგლისტერფა) მკვეთრად შეზღუდულია ნიადაგში ორგანული ნივთიერებების პროცენტული მაჩვენებლით, მაგრამ უგრძნობია კალციუმის შემცველობის ცვლილებისადმი. მრგვალფოთლიანი და თეთრი იების გავრცელება შედარებით ნაკლებად არის დამოკიდებული ნიადაგში ორგანული ნივთიერებებისა და კალციუმის დონეებზე, მაგრამ ამ ორი სახეობის გავრცელების არეალი ერთმანეთს არ კვეთს. თეთრი იები უპირატესობას ანიჭებენ კალციუმის შედარებით მაღალ და ორგანული ნივთიერებების დაბალ შემცველობას, ვიდრე მრგვალფოთლიანი იები. იქ, სადაც ერთი ხარობს, როგორც წესი, მეორე არ ჩნდება.

### 8.7 მცენარეთა და ცხოველთა აღაპტა- ციები ეთნოლოგიური გარემო კიროპეპს თავიათი გარემოს ფარგლებში

როგორც ჩვენ ვნახეთ მე-4, მე-5 და მე-6 თავებში, ორგანიზმთა ადაპტაციები ადვილად ვერ გამოცალევდება იმ გარემოსაგან, სადაც ისინი ბინადრობენ. მნერების ლარვებს გაუმდინარე წყლის გარემოში (თხრილები და ტბორები) შეუძლიათ, გაძლინ უფრო დიდხანს ჟანგბადის გარეშე, ვიდრე მათ მონათესავე სახეობებს ჰაერით სავსე დინებებიდან და მდინარეებიდან. ზღვის ლოკოკინათა სახეობები, რომლებიც არსებობენ მაღალი მიქცევა-მოქცევის




**ნახ. 8-21** არზონას უდაბნოს მცენარეების ფოთლები. (ა) მესკიტის (როსოპის) ფოთლები ქვედაყოფილია მთელ რიგ მცირე ფურცლებად, რომლებიც ხელს უწყობს მზისადმი მიფიცხების დროს სითბოს კარგვას. (ბ) პალოვერდეს (*Cercidium*) ეს ადაპტაცია კიდევ უფრო ძობის მიაქვთ. მის ფოთლები ერთობის უდაბნოს მზეზე, მისი სტრუქტურები სითბოს კონვექციის გზით უფრო სწრაფად კიდებიდან კარგავენ, სადაც ჰაერის დინებები არღვევს მაიზოლირებელ მდგრად სასაზღვრო ფენებს. რაც მეტია კიდე, მით გრილია ფოთლი და მით დაბალია წყლის კარგვა (Vogel 1970). მცირე ზომა ნიშნავს, რომ ფოთლის მთლიანი ნილი ეთმობა კიდეებს. ერთეულ მცენარეზეც კი, მთლიანი მზისათვის ხელმისაწვდომი ფოთლები შეიძლება უფრო განსხვავებული ფორმის იყვნენ სითბოს გასაფანტად და წყლის შესაკავებლად, ვიდრე ჩრდილის ფოთლები (ნახ. 8-22).


ზონებში, სადაც მათთვის ჟანგბადი ხშირად არის ხელმისაწვდომი, უკეთესად იტანენ გამოშრობას, ვიდრე სახეობები წყლების დაბალი მიმოქცევის ადგილებიდან. ეს იმ სპეციალიზაციის მაგალითებია, რომლებიც მიესადაგება ორგანიზმებს გარემო პირობების გარკვეული შეზღუდული დიაპაზონით.

### გარემო, ფორმა და ფუნქცია მცენარეებში

შეადარეთ ფოთოლმცვენი ტყის ხეების ფოთლები უდაბნოს სახეობის მცენარეთა ფოთლებს. ისინი, როგორც წესი, ფართო და თხელია, რითაც ქმნიან დიდ ფართობს სინათლის შთანთქმისთვის და აქედან გამომდინარე, გარდუვალად წყლის კარგვისათვისაც. უდაბნოს ხეებს აქვთ მცირე, კარგად დაყოფილი ფოთლები, ხანდან კი, საერთოდ არ აქვთ (ნახ. 8-21). ფოთლები ხურდებიან უდაბნოს მზეზე, მისი სტრუქტურები სითბოს კონვექციის გზით უფრო სწრაფად კიდეებიდან კარგავენ, სადაც ჰაერის დინებები არღვევს მაიზოლირებელ მდგრად სასაზღვრო ფენებს. რაც მეტია კიდე, მით გრილია ფოთლი და მით დაბალია წყლის კარგვა (Vogel 1970). მცირე ზომა ნიშნავს, რომ ფოთლის მთლიანი ნილი ეთმობა კიდეებს. ერთეულ მცენარეზეც კი, მთლიანი მზისათვის ხელმისაწვდომი ფოთლები შეიძლება უფრო განსხვავებული ფორმის იყვნენ სითბოს გასაფანტად და წყლის შესაკავებლად, ვიდრე ჩრდილის ფოთლები (ნახ. 8-22).



**ნახ. 8-22** ოეთრი მუხის მზისა და ჩრდილის ფოთლების სილუეტები. მზის ფოთლებს უფრო მეტი კიდე აქვთ ზედაპირის არეალის თითო ერთეულზე და ამით მეტ სითბოს კარგავენ უფრო სწრაფად (After Vogel 1970)



**ნახ. 8-23** დენოსტომა ფასციცულატუმ-ის, მარცხნივ ჩარაპალის სახეობები და მარჯვენა შავი სალბი — (შალვა მელლიფერა), სანაპირო სალბის თანასაზოგადოების წევრის ცესვთა სისტემების პროფილები. ორ სახეობას განსხვავდული ადაპტაციები აქვთ თავიანთი შეზღუდული წყლის მარაგებისთვის. ჩარაპალის სახეობების ფართო ფესვების სისტემები, საშუალებას აძლევს მათ, მიღლონ წყალი კლდოვანი მიწების ღრმა ნაპრალებიდან. ჩარაპალის ფოთლები მცირე და სქელია, რათა შეაჩერონ წყლის კარგვა და ისინ, როგორც წესი, შენარჩუნდება ზაფხულის გვალვების დროს. სალბის სუსტი საფესვე სისტემები გვალვის დროს მოითხოვს ფოთლების დაცვენას, წყლის კარგვის მინიმიზაციისთვის.

(After Hellmers et al. 1955.)

სანაპიროს სალბი და ჩაპარალის მცენარის თანასაზგადოებები სამხრეთ კალიფორნიაში გვიჩვენებს განსხვავებულ ადაპტაციებს შეზღუდული წყლის მარაგების პრობლემასთან გასამკლავებლად (Mooney and Dunn 1970, Harrison ეტ ალ. 1971). ჩაპარალის მცენარეები, როგორც წესი, იზრდებიან უფრო მაღალ სიმაღლეებზე, ვიდრე სანაპიროს სალბის მცენარეები და ამიტომ იმყოფებიან უფრო გრილ და ნოტიო პირობებში. გაგრძელებული გვალვიანი ზაფხულის განმავლობაში წყლის მეტ დეფიციტს განიცდიან სანაპირო სალბის საარსებო ადგილების ნიადაგები. სანაპირო სალბს აქვთ მოკლე ფესვები და მცირე ზომის ნაზი ფოთლები, რომლებიც ძირითადად ზაფხულის დროს სცვივა უმეტეს სახეობებს (ნახ. 8-23). ჩაპარალის მცენარეებს ღრმა ფესვები აქვთ, რომლებიც ხშირად აღნევენ მცირე ნაპრალებსა და ბზარებში კლდიან საფუძველში. მათი ფოთლები სქელია და აქვს ცვილოვანი გარე საფარი (კუტიკულა), რომელიც ამცირებს წყლის კარგვას. ჩაპარალი გვალვის პერიოდში, როგორც წესი, ფოთლებს ინარჩუნებს.


ფოთლის აგებულება გავლენას ახდენს როგორც მის ფოტოსინთეზურ სიჩქარეზე, ისე ტრანსპირაციაზე (ცხრილი 8-1). სანაპიროს სალბის სახეობების ფოთლები, თავიანთი უთვალავი სანამეებით, შექმნილია აირთა სწრაფი გაცვლისთვის გარემომცველ ჰაერთან. ეს ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ ნახშირორუანგის სწრაფი შეთვისება ატმოსფეროდან, როდესაც წყალი ხელმისაწვდომია ნიადაგისთვის. ნიადაგიდან ფესვებით მიღებულ წყალს შეუძლია დაიკავოს ტრანსპირაციის დროს დაკარგული წყლის ადგილი. ურთიერთობა ტრანსპირაციასა და ნახშირბადის შეთვისებას შორის მარტივი გამოსაკვლევია ლაბორატორიაში. მთელ რიგ ექსპერიმენტებში ჰარისონი და მისი კოლეგები (1971) აწყვეტდნენ ფოთლებს მცენარეებს და ათაგსებდნენ მათ ოთახში, რომელშიც მათ შეეძლოთ ტრანსპირაციისა და ფოტოსინთეზის მონიტორინგი. ორივე ფუნქცია მცირდებოდა, როდესაც ფოთლები შრებოდნენ და მათი სანამეები იხურებოდა რათა ხელი შეეშალათ კიდევ მეტი წყლის კარგვისთვის. როგორც ტრანსპირაციის, ისე ფოტოსინთეზის სიჩქარეები ისეთი სანაპირო სახეობებისთვის, როგორიც შავი სალბია (პიტნისებრთა ოჯახის წევრი), თავიდან მაღალი იყო, მაგრამ შემდეგ სწრაფად კლებულობდა (ნახ. 8-24). თუმცა, მაშინაც კი, როცა სანამეები სრულიად დახურული იყოდა ნახშირბადის შეთვისებაც შემწყდარი იყო, ფოთლები მაინც განაგრძობდნენ წყლის კარგვას თავიანთი მცირედ დაცული გარეთა ზედაპირებიდან. ჩაპარალის ასეთი მცენარის ფოტოსინთეზური სიჩქარე, როგორიცაა *Heteromeles arbutifolia* (ვარდისებრთა ოჯახის წევრი), ყველაზე დიდი, ერთი მეოთხედიდან ერთ მესამედამდე შავ სალბთან შედარებით. მაგრამ ფოთლები უკეთესად უძლებდნენ გამოშრობას და განაგრძობდნენ

## ცხრილი 8-1

სამხრეთ კალიფორნიის  
ჩაპარალისა და სანაპიროს სალბის  
მცენარეთა მახასიათებლები

მახასიათებელი	ჩარაპელი	სანაპიროს შალფე
ფესვები	ღრმა	შოკლე
ფოთლები	შარადმშვანე	ზაფხულის დაცვინადი
ფოთლის საშუალო ხანგრძლივოვა (თვიური)	12	6
საშუალო ფოთლის ზომა (სმ <sup>2</sup> )	12,6	4,5
ფოთლის წონა (გ. მშრალი წონა დმ <sup>2</sup> )	1,8	1.0
მაქსიმალური აორთქლება (გ. $H_2$ დმ <sup>-2</sup> h <sup>-1</sup> )	0,34	0,94
მაქსიმალური ფოტოსინთეზური სიჩქარე (მგ. C დმ <sup>-2</sup> h <sup>-1</sup> )	3,9	8,3
CO <sub>2</sub> -ის შედარებითი ნლიური ფიქსაცია	49,8	46,8

(Data from Harrison et al. 1971; Mooney and Dunn, 1970.)



აქტიურად ყოფნას უფრო ხანგრძილივი პერიოდების განმავლობაში. *Heteromeles arbutifolia*-ს ფოთლების გარეთა ზედაპირს აქვს სქელი, ცვილისებრი კუტიკულა წყლის კარგვის შესაძლებლად, როდესაც სანამები სრულიად დახურულია.

სანაპირო სალბი და ჩაპარალის მცენარეები  
სხვადასხვაგვარადაა სპეციალიზებული. შავი  
სალბი აქტიურია მხოლოდ ზამთრისა და ადრეული  
გაზაფხულის წვიმიანი პერიოდების დროს. მათი  
ფოთლები მოწყობილია ფოტოსინთეზის მაღალი  
სიჩქარეებისთვის და ზრდის მაღალი ტემპებისთვის,  
მაგრამ როგორც კი ნიადაგში წყალი იშვიათი ხდება,  
ისინი ცვივა და მცენარე ძილს მიეცემა. ამრიგად,  
შავი სალბი სპეციალიზებულია სხელთაშუა ზღვის  
კლიმატის ზამთრის გარდამავალი სინოტივის  
პირობებისთვის. ეტერომელეს არბუტიფოლია და  
ჩაპარალის სხვა სახეობები უფრო შეზღუდულად  
იყენებენ წყალს, როგორც ლრმად არის ნიადაგში,  
მაგრამ ამის მიუხედავად, ძლებენ წლის შედარებით  
მეტი პერიოდის განმავლობაში. მათ არ შეუძლიათ  
სანაპირო სალბივით ეფექტურად გამოიყენონ  
ზამთრის წყლის მარაგი ნიადაგში ზედა ფენაში.

იქ, სადაც ჩაპარალის და საღბის სახეობები ერთად იზრდება (თითოეულის გავრცელების არეალის უკიდურეს საზღვარზე), ისინი ახდენენ გარემოს სხვადასხვა ნაწილების ექსპლოატირებას: ღრმა, მუდმივი წყლის მარაგები თავთხელი, ეფემერული წყლის მარაგების წინააღმდეგ. ამ განსხვავებებისა და მათი შესაბამისი ფოთლის მორფოლოგისა და გვალვაზე რეაქციების ადაპტაციათა მიუხედავად, სახეობათა ეს ორი ჯგუფი თანაბრად პროდუქტიულია წყლის ხელმისაწვდომობის შუალედურ დონეზე. მშრალ ადგილებში ღრმა წყლის ხანგრძლივი სეზონური არარსებობა მოქმედებს სანაპირო საღბის სასარგებლობა. შემაღლებებზე ღრმა წყლის მზარდი ხელმისაწვდომობა კი უპირატესობას მარადმწვანე ჩაპარალის მცენარეულობას აძლევს.

ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ მცენარის ზრდის

ფორმამატიდონდაადაკავშირებულიგარემოსფიზიკურ  
პირობებთან. ხმელეთის მცენარეების შემთხვევაში  
ის სახეობები, რომელთაც ზრდის მსხვილი ფორმები  
აქვთ, ხშირად კონკურენტუნარიანობაში აღემატებიან  
ზრდის მცირე ფორმიან მცენარეებს, თუმცა ნიადაგს  
უფრო ნოტიოს მოითხოვენ. ამრიგად, ჩვენ არ  
უნდა გვიკერდეს, რომ წყლის ხელმისაწვდომობა  
ერთ-ერთი მთავარი დომინირებადი ფაქტორია,  
რომელიც განსაზღვრავს ხმელეთის ბიომების  
ხასიათსა და გავრცელებას. რადგანაც ტემპერატურა  
გავლენას ახდენს სინოტიგის დეფიციტსა და  
ხელმისაწვდომობაზე, ისიც მნიშვნელოვან როლს  
ასრულებს.

## გარემო, ფორმა და ფუნქცია ცხოველებში

ზოგადად, ცხოველების სასიცოცხლო ფორმები უფრო ნაკლებადაა მგრძნობიარე კლიმატის მიმართ, ვიდრე მცენარეთა სასიცოცხლო ფორმები. ეს არ ნიშნავს, რომ ცხოველები არ არიან ადაპტირებულნი ფიზიკური პირობებისადმი და არ არიან სპეციალიზებულნი ამ პირობათა ვიწრო დიაპაზონისადმი. ეს უბრალოდ იმის ნიშანია, რომ ამგვარი ადაპტაციები არ არის სასიცოცხლო ფორმებში უმთავრესი განსხვავებების ძირითადი გამოწვევები მიზეზი. უდაბნოებისა და ტყეების ფრინველებს სხეულის ერთი და იგივე ძირითადი ფორმები აქვთ, ასევე ხდება ძუძუმნოვრების, რეპტილიების, ამფიბიებისა და მწერების შემთხვევაშიც.


რატომ განსხვავდება მცენარეებისა და ცხოველების რეაქციები? მარტივი პასუხი, რომელსაც არ შეუძლია სრულყოფილად ახსნას მცენარე-ცხოველის დიქოტომია, მდგომარეობს იმაში, რომ ცხოველები მობილურები არიან. მათ შეუძლიათ, მოძებნონ თავიანთოვის შესაფერისი მიკროსაბინადრო გარემო, სადაც არ უნდა იყენებ. სხვა სიტყვებით, განსხვავება არიზონას და ილინინისის გარემოთა შერის არ არის ისეთივე მნიშვნელოვანი ცხოველებისთვის, როგორც მცენარეებისთვის, რომლებიც ფესვგადგმულნი არიან ერთ ადგილას და ამიტომ იძულებულნი არიან, აიტანონ ყველა ექსტრემალური პირობა. არსებობს სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორიც. პირველი — მცენარეები გაცილებით მეტად არიან დამოკიდებული ზედაპირის მოცულობაზე როგორც მინის ზემოთ, ისე მის ქვემოთ და შესაბამისად, გაცილებით მგრძნობიარეებია ცხოველებთან შედარებით, როგორც გარემო პირობებში ცვლილებებისადმი, ისე მათი ექსტრემალური გამოვლინებებისადმი. მეორე — მცენარეთა მოდულარული კონსტრუქციის გამო, მცენარის „სხეულის“ უჯრედთა უმრავლესობა მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელია და მათ თავად უნდა გაუძლონ გარემო პირობების ექსტრემალურ გამოვლინებებს, სხეულის სხვა ნაწილებისგან მხოლოდ მცირედი დახმარების საშუალებით. ამის თვალშისაცემი გამონაკლისია ფესვებიდან წყლის მიწოდება. ცხოველის სხეულს მრავალი სპეციალიზებული ორგანო აქვს, როგორიცაა თირკმელები, ფილტვები, ლიმფოიდური სისტემა და კუნთები, რომლებიც ხელს უწყობენ სხვა ქსოვილებს უჯრედული გარემოს გაუმჯობესების გზით. მესამე — ყველა მცენარე, ასე თუ ისე, ერთ ეკოლოგიურ როლს ასრულებს: ისინი ფესვთა სისტემით მინერალებსა და წყალს იწყვენ და ითვისებენ ნახშირბადს ფოთლებში მიმდინარე ფოტოსინთეზით. შედეგად, მათ მთლიან არსებობაზე დომინირებს წყლის ბალანსი და მცენარის მიწის ზედა ნაწილში ადგევატური წყლის მარაგის მიწოდების პრობლემა. მცენარეების მოდულარული

კონსტრუქციისგამო, წყლის ბალანსის მანიპულირების ერთადერთი ეფექტური გზა არის წყლის მიწოდების სისტემათა მოდერნიზაცია ფოთლების დიზაინის საშუალებით, მცენარის მთლიანი ზომის მეშვეობით და მისი მიწის ზედა ნაწილების მიწისევეშა ნაწილებთან დამოკიდებულების საშუალებითაც. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს არის ისეთი სასიცოცხლო ფორმების მახასიათებლები, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიოს ხმელეთის უმსხვილეს ბიომებს.

ცვლილებები ცხოველთა ფორმაში, როგორიც მაგალითად, გვხვდება მატლებში, მწერებში და ხერხემლიანებში, ასახავს იმ განსხვავებულ როლებს, რომლებსაც ასრულებენ ცხოველები ბუნებრივ სამყაროში. ამრიგად, განსხვავებები ცხოველების ფორმებში ასოცირდება უფრო მეტად მათ განსხვავებულ ეკოლოგიურ როლთან, როგორიცაა: მიწის თხრა, თესლებს მოგროვება თუ მტაცებლობა, ვიდრე ფიზიკური გარემოს ცვლილებებთან. ასევე, ცხოველებს შეუძლიათ, აინაზღაურონ განსხვავებები სასიცოცხლო ფორმებში ქცევით. მაგალითად, არიზონას უდაბნოებში თესლები გროვდება მიწის ზედაპირიდან მღრღნელების, ფრინველებისა და ჭიანჭველების მიერ. სხვა მღრღნელები, ფრინველები და ჭიანჭველები აგროვებენ თესლებს ჩრდილოეთ კალიფორნიის ტყეებში და აღმოსავლეთ აფრიკის სავანებში. სხეულის განსხვავებული ფორმების მიუხედავად, ცხოველების ეკოლოგიური როლი იგივეა. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მსგავსების მიუხედავად, მცენარეებსაც შეუძლიათ, დაიკავონ სხვადასხვა პოზიციები ერთ ეკოსისტემაში. ტროპიკული ტყეები ავლენენ ყველაზე დიდ მრავალფეროვნებას მცენარეთა ზრდის ფორმების თვალსაზრისით, რომლებიც მოიცავენ ხეებს (როგორც ფოთოლცვენადს, ისე მარადმნვანეს), ხვიარა მცენარეებს (ხის თუ ბალახეულის), ეპიფიტებს, მეორე რიგის მცირე ხეებს და ბუჩქებს და ბალახეულ მცენარეებს ტყის იატაკზე. თითოეული ამ ფორმათაგანი არსებობს ძალიან განსხვავებულ გარემოში სინათლის და სინოტივის დეფიციტან დაკავშირებით.

### 8.8 მცენარის ფორმაზე დაფუძნებული კლასიფიკაცია ეთანხმება კლიმატს

ბუნების ისტორია (ბუნებათმცოდნება) და შემდგომ ეკოლოგია წარმოიშვა კლასიფიკაციის სქემებიდან, რომელთა თანახმადაც ცხოველებს და მცენარეებს მიანიჭეს სახელები მათი მსგავსებების მიხედვით. ევროპელმა ბოტანიკოსებმა აღწერეს ადგილობრივ მცენარეთა სახეობების უმრავლესობა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსთვის. მაშინ მათ დაიწყეს მცენარეთა მთელი თანასაზოგადოებების კლასიფიკაციის სისტემების განვითარება. მათ ეს სქემები ძირითადად დააფუძნეს სტრუქტურულ მახასიათებლებზე,



**ნახ. 8-25** დიაგრამული გამოსახულება

რაუკიაერის სასიცოცხლო ფორმებისა.

ნათლად შეფერილი მცენარის ნაწილები კვდებიან არახელსაყრელი სეზონების დროს მაშინ, როდესაც შავად შეფერილი ნაწილები რჩებიან და ინვევენ მობავალ წელს ზრდას. მარცხნიდან მარჯვნივ კვირტები პროგრესულად უკეთესად არიან დაცულნი. თეროფიტები, რომელთა მუდმივი ნაწილები თესლებია, აქ გამოსახულნი არ არიან.


(After Raunkiaer 1937.)

როგორიცაა მცენარის სიმაღლე, ფოთლის ან ეკლების სტრუქტურა და ფოთოლცვენა. რადგანაც ეს თვისებები ახდენენ მცენარეების ადაპტირებას იმ ფიზიკურ გარემოსთან, რომელშიც არსებობენ. მცენარის ტიპი და კლიმატი ერთმანეთს მჭიდროდ ეთანხმებიან.

მცენარეების ყველაზე ადრეული კლასიფიკაცია აღწერდა თითოეული ერთობის ყველაზე მნიშვნელოვან მცენარეს (იხ. Shimwell 1971, Mueller-Dombois and Ellenberg 1974). ეს კლასიფიკაციები მოიცავენ თანასაზოგადოების სრულ ფლორისტიკულ ანალიზს, მათ შორის სახეობის სახელებს ისევე, როგორც მცენარეთა ფორმების აღწერას სახეობების მიუხედავად. ფლორისტიკული ანალიზი სასარგებლო აღმოჩნდა ევროპაში, სადაც ბოტანიკოსებმა იცოდნენ ყველა სახეობა. სად ინვევლნენ მცირე განსხვავებები თანასაზოგადოებას შორის სახეობების ჩანაცვლებას მსგავსი სახეობებით, მცირედ განსხვავებული ეკოლოგიური მოთხოვნილებებით. მაგრამ ფლორისტიკული ანალიზი გამოუსადეგარი აღმოჩნდა გლობალური მასშტაბით. ბიოგეოგრაფიული ბარიერები ზღუდავენ ინდივიდუალური სახეობების გავრცელებას, ხდიან რა ამ ფლორისტიკულ შედარებებს უაზროს. ტყეებს ამერიკასა და ევროპაში, ბუჩქნარებს კალიფორნიასა და ავსტრალიაში, მინდვრებს აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში, იმ დროს, როცა სტრუქტურულად მსგავსნი არიან, მხოლოდ რამდენიმე სახეობა აქვთ საერთო.

მეოცე საუკუნეში დანიელმა ბოტანიკოსმა ქრისტენ რაუნკიაერმა მოახდინა მცენარეთა კლასიფიკაცია მათი ყლორტების (რეგენერირებადი ნაწილების) განლაგების მიხედვით და აღმოაჩინა, რომ ყლორტების უმსხვილესი კატეგორიების გამოჩენა მჭიდროდ ეთანხმებოდა კლიმატურ პირობებს (Raunkiaer 1934). ამ ნიშნის მიხედვით მან განასხვავა ხუთი ძირითადი სასიცოცხლო

ფორმა (ნახ. 8-25). **პანეროფიტები** (ბერძნული phanerous-იდან მომდინარეობს, რაც „ხილულს“ ნიშნავს) ატარებენ თავიანთ ყლორტებს ტოტების წვეროებზე, რომლებიც მოწყვლადია კლიმატის ექსტრემალური გამოვლინებისადმი. ხეებისა და მსხვილი ბუჩქების უმრავლესობა პანეროფიტებია. როგორც მოსალოდნელია, ასეთი მცენარის ფორმა დომინირებს ნოტიო, თბილ გარემოში, სადაც ყლორტებს ნაკლები დაცვა სჭირდებათ. **ქამეფიტები** (ბერძნული chamaephyte მომდინარეობს, რაც ნიშნავს „მინაზე“, „ჯუჯა“) მოიცავენ მცირე ბუჩქებს და მცენარეებს, რომლებიც მიწასთან ახლოს იზრდებიან (გართხმული სასიცოცხლო ფორმები). ნიადაგთან სიახლოვე, ხოლო ზამთარში თოვლის საფარი ხშირად იცავს ყლორტებს ექსტრემალური სიცივისგან. ქამეფიტები ყველაზე ხშირად გავრცელებულია გრილ, მშრალ კლიმატებში. **ჰემიკრიფტოფიტები** (ბერძნული kryptos-იდან მომდინარეობს, რაც „დამალულს“ ნიშნავს) ნარჩუნდებიან ზამთრის თვეების ექსტრემალურ გარემოში მინაზე დანოლით და სიკედილის შემთხვევაში, რეგენერირებული ყლორტები დაცული არიან ნიადაგითა და გამშრალი ფოთლებით. ზრდის ეს ფორმა დამახასიათებელია ცივი, ნოტიო ზონებისთვის. **კრიპტოფიტები** დაცულია ყინვისა და გამოშრობისგან, რადგან მათი ყლორტები მთლიანად მიწაშია ჩაფლული. ზამბახისა და ყვითელი ნარცისების ბოლქვები, როგორც კრიპტოფიტები მცენარეები, ახდენენ კვირტების რეგენერირებას. ჰემიკრიფტოფიტების მსგავსად, კრიფტოფიტებიც მოიპოვებიან ცივ, ნოტიო კლიმატში. **თეროფიტები** (ბერძნული theros-იდან მომდინარეობს, რაც „ზაფხულს“ ნიშნავს) კვდებიან მათთვის არახელსაყრელი სეზონის დროს და არ აქვთ მუდმივი, მყარი ყლორტები. თეროფიტების რეგენერირება ხდება მხოლოდ თესლების მეშვეობით, რომლებიც უძლებენ ყინვასა და გვალვას. თეროფიტული ფორმები



**ნახ. 8-26** ჰოლდრიჯის სქემა მცენარეთა თანასაზოგადოებების კლასიფიკაციისთვის. საშუალო წლიური ბიოტეპერატურა () გამოითვლება საშუალო თვიური ტემპერატურებიდან. პოტენციური აორთქლების კოეფიციენტი არის პოტენციური ევაპოტრანსპირაცია გაყოფილ ნალექიანობაზე; კოეფიციენტი იზრდება ნოტიოდან მშრალი რეგიონებისკენ. (After Holdridge 1967.)

მოიცავენ უმრავლესობა ერთნლიან მცენარებს და ყველაზე ხშირად ხარობენ უდაბნოებსა და სახნავ-სათვს სავარგულებში. რაუნკიაერის სასიცოცხლო ფორმები ურთიერთდაკავშირებულია კლიმატთან. ტროპიკული და სუბტროპიკული არეალები შეიცავენ უპირველეს ყოვლისა პანეროფიტებს. ზომიერი და არქტიკული რეგიონები მოიცავენ ძირითადად ჰემიკრიპტოფიტებს. თეროფიტები დომინირებენ უდაბნოებში.

**8.9** გლობალური სასიცოცხლეო ფორმაჲი  
შეიძლება დივარითი გული იყოს ტემ-  
პერაციულასა და ნალექის ცოდნას შორის  
ურთიერთობით

ბევრი ჩვენგანი ინტუიციურად ახარისხებს ბუნებრივ სამყაროს ჩვენს გარშემო. ჩვენ ადვილად შეგვიძლია, განვასხვავოთ ტყე უდაბნოსგან მცენარეთა რაოდენობისა და ტიპების მეშვეობით, იმის მიუხედავად, რომ შეიძლება არ ვიცოდეთ მცენარეთა სახელები, არ გვაიწეროსებდეს ნალექიანობის,

ტემპერატურის, ტოპოგრაფიის და მინის იმ ფორმების  
დაკვირვება, რომლებიც ქმნიან საფუძველს  
სხვადასხვა მცენარეთა თანასაზოგადოებებისთვის.  
სასიცოცხლო ზონების კლასიფიკაცია საოცრად  
სასარგებლოა, რადგან ისინი გვაწვდიან ცნობებს  
ბუნებრივ სამყაროზე. როდესაც გლობალური  
მასშტაბით გამოიყენება, ის ყოფს ბუნებრივ სამყაროს  
შედარებით მცირე რაოდენობის კატეგორიებად,  
რომლებიც შეიძლება განსხვავებული იყვნენ  
ტემპერატურისა და ნალექიანობის მიხედვით ან  
დომინირებადი მცენარეული ფორმების მიხედვით.

ბოტანიკოსმა ლ.რ. ჰოლდრიჯმა (1967) შემოგვთავაზა მხოლოდ კლიმატზე დაფუძნებული მცენარეთა თანასაზოგადოებების კლასიფიკაცია (ნახ. 8-26). ჰოლდრიჯი მიიჩნევდა, რომ ტემპერატურის და ნალექიანობის მინიმუმების აჭარ-ბებდა სხვა გარემო ფაქტორებს მცენარის ტიპის განსაზღვრისას. თუმცა მან აღიარა, რომ ნიადაგსა და მზეს, ასევე შეეძლოთ გავლენის მოხდენა მცენარეთა თანასაზოგადოებებს თითოეული კლიმატური ზონის ფარგლებში.

ჰოლდრიჯის სქემა, მართალია, ფართოდ არ გამოიყენება, ახდენს კლიმატის კლასიფიკირებას


### ცხრილი 8-1 მსოფლიოს კლიმატური ზონების ჰალტერის კლასიფიკაცია

კლიმატური ზონა	შესაბამისი მცენარეულობა
I ეკვატორული: ყოველთვის ნოტიოა და აკლია ტემპერატურის სეზონურობა	მარადმწავნე ტროპიკული წვიმიანი ტყე
II ტროპიკული: ზაფხულის წვიმიანი სეზონი და „ზამთრის“ გრილი მშრალი სეზონი	სეზონური ტყე, ბუჩქნარი და სავანა
III სუბტროპიკული: მაღალი სეზონური, მშრალი კლიმატი	უდაბნოს მცენარეულობა მნიშვნელოვნად გამოიყენილი ზედაპირით.
IV ხმელთაშუა ზღვის: ზამთრის წვიმიანი სეზონი და ზაფხულის გვალვა	სკლეროფილური (გვალვა გამძლე), ყინვისადმი მგრძნობიარე ბუჩქნარი და ტყეები
V თბილი ზომიერი: დრო და დრო ყინვა ხშირად ზაფხულის ნალექიანობით	ზომიერი მარადმწავნე ტყეები, გარკვეულნილად ყინვისადმი მგრძნობიარენი
VI ნებორალური: ზომიერი კლიმატი ზამთარში ყინვით	ყინვაგამძლე, დაცვენადი, ზომიერი ტყეები
VII კონტინენტური: მშრალი, თბილი და ცხელი ზაფხულით და ცივი ზამთრით	სათიბი მიწები და ზომიერი უდაბნოები
VIII ბორეალური: ცივი ზომიერი გრილი ზაფხულითა და გრძელი ზამთრით	მარადმწვანე, ყინვა გამძლე ეკალფოთლიანი ტყე (ტაიგა)
XI პოლარული: ძალიან მოკლე, გრილი ზაფხულითა და გრძელი, ძალიან ცივი ზამთრით.	დაბალი, მარადმწავნე მცენარეულობა, ხეების გარეშე, რომლებიც იზრდებიან მუდმივად გაყინულ ნიადაგზე.

მცენარეულობაზე ტემპერატურისა და ნალექიანობის ბიოლოგიური ეფექტების მიხედვით. ტემპერატურა და ნალექიანობა განიხილება ინტერაქციაში ტენიანობის პროვინციათა განსასაზღვრად. ტენიანობის პროვინციები აკავშირებენ ტემპერატურასა და ნალექიანობას მცენარეთა წყლის რეზიმთან. პოლდრიჯის ფორმულა გვიჩვენებს, რომ სინოტივე თანაბრად ხელმისაწვდომია მცენარისთვის სველ

ტუნდრაში, 25სმ-იანი წლიური ნალექიანობით და საშუალო ტემპერატურით ყინვასთან ახლოს და სველ ტროპიკულ ტყეებში, 400 სმ-იანი წლიური ნალექიანობით და  $27^{\circ}\text{C}$ -იანი საშუალო ტემპერატურით.

ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ აღიარებული კლასიფიკის სქემა არის გერმანელი ეკოლოგის პაინრიხ უოლტერის კლიმატური ზონების სისტემა. ეს



**ნახ. 8-27** მცენარეულობათა ტიპების ვიტაკ-ერისეული კლასიფიკაცია დადებული ხელების კლიმატზე. ტყიან და გაუდაბნობულ რეგიონებს შორის გარდამავალ კლიმატში, ცეცხლი, ნიადაგი და კლიმატები სეზონურად განსაზღვრავს განვითარდება ტყიანი რეგიონი, სათიბი მიწები თუ ბუჩქნარი. (From Whittaker 1975.)

სისტემა, რომელსაც ცხრა ძირითადი დანაყოფი აქვს, დაფუძნებულია ტემპერატურისა და ნალექიანობის წლიურ კურსებზე. კლიმატის მნიშვნელოვანი ატრიბუტები და მასასიათებელი მცენარეულობა თითოეულ ამ ზონაში წარმოდგენლია 8-2 ცხრილში. კლიმატური ზონების საზღვრები ეთანხმება სინოტივისადასიცივისასტრესისპირობებს, რომლებიც მცენარის ფორმის მნიშვნელოვანი განმსაზღვრები არიან. მაგალითად, ტროპიკებში ტროპიკული კლიმატი განსხვავდება ეკვატორული კლიმატისგან მცვეტრად გამოკვეთილი მშრალი სეზონის დროს წყლის სტრესის პერიოდების საშუალებით. ამ კლიმატური ზონების ტიპური მცენარეულობა არის მარადმნავნე წვიმის ტყეები, ფოთოლცვენადი ტყეები, სავანები და უდაბნოს ბუჩქნარები.

კიდევ ერთი მიდგომა ეკუთვნის მცენარეთა ეკოლოგ რ.ჰ. უიტაკერს (1975), რომელმაც მცენარეთა ზოგიერთი სტრუქტურული კლასიფიკაციის და პოლდრიჯის სინოტივის პროვინციების იდეის კომბინირება მოახდინა ერთ სქემაში. მან ეს სქემა გადაიტანა ტემპერატურისა და ნალექიანობის გრაფიკზე (ნახ. 8-27). ტროპიკულ და სუბტროპიკულ მხარეებში საშუალო ტემპერატურით  $20^{\circ}\text{C}$ - $30^{\circ}\text{C}$ -მდე მცენარეთა მრავალნაირი ტიპი გვხვდება — მთელი წლის განმავლობაში, ნამდვილი წვიმიანი ტყიდან უდაბნოს მცენარეებამდე. შუალედური კლიმატი ხელსაყრელია სეზონური ტყეებისთვის, სადაც ზოგიერთი ან ყველა ხე კარგავს ფოთლებს მშრალი სეზონის დროს და ასევე, მცირე, მშრალი ტყეებისთვის მრავალი სახის ეკლიანი ხეებით. მცენარეთა თანასაზოგადოებები ზომიერ არეალებში მისდევნ ტროპიკული ერთობების მაგალითს, იგივე სახის მცენარეთა ტიპებით. უფრო ცივ კლიმატში ნალექიანობა იმდენად მცირედ განსხვავდება ერთი ადგილიდან მეორემდე, რომ მცენარეულობათა ტიპებიც მცირედ განსხვავდებიან. იქ, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა  $-5^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალია, ვიტაკერი აერთიანებს მცენარეთა ყველა ასოციაციას ერთ ტიპში — ტუნდრაში.

მცენარეთა თანასაზოგადოებების ფორმირებაში, ტემპერატურის ნებისმიერ დიაპაზონში ნალექიანობის სპექტრის მშრალ კიდეზე, განსაკუთრებულ როლს ცეცხლი თამაშობს (Borchert 1950, Daubenmire 1968b, იხ. ნანილი 6). მაგალითად, აფრიკულ სავანები, ცენტრალურ და დასავლეთ ამერიკულ პრერიებში ხშირი ხანძრები ანადგურებს ხის თესლს და ხელს უშლის მაღალი ტყეების განვითარებას. სამაგიეროდ ვერ ანადგურებს მრავალნლიან ბალახებს ექსტენსიური ფესვთა სისტემებით, რომლებიც უძლებენ ცეცხლს. ხანძრის შემდეგ ფესვებიდან წარმოიქმნება ახალი ნაზარდი, რომელიც სწრაფად ვრცელდება დედამინის ზედაპირზე. იშვიათი ხანძრების პირობებში, მცენარეთა თესლები შეიძლება ადაპტირებული გახდნენ და საბოლოო ჯამში, დაჩრდილონ პრერიათა მცენარეულობა.

ისევე, როგორც კლასიფიკაციის ყველა სხვა სქემაში, გამონაცლისი აქაც ხშირია. საზღვრები მცენარეულობათა ტიპებს შორის, საუკეთესო შემთხვევაში, არამკეთრია. მეტიც, ყველა მცენარე კლიმატზე ერთგვარად როდი რეაგირებს. მაგალითად, ავსტრალიური ევკალიპტების ზოგიერთი სახეობა ქმნის ტყეებს ისეთ პირობებში, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ ბუჩქნარის და ბალახეულობის განვითარებისთვის სხვა კონტინენტებზე. დაბოლოს, მცენარეულობაზე, ტემპერატურისა და ნალექიანობის გარდა, სხვა ფაქტორებიც (ტოპოგრაფია, ნიადაგები, ხანძრები და სეზონური ცვლილებები კლიმატში) მოქმედებს. თითოეული მათგანი თავის ნიშანს ტოვებს მცენარეზე, რითაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს სასიცოცხლო ფორმების გარემო პირობების მრავალფეროვნებისადმი ადაპტაციის მნიშვნელობას.

## 8.10 ბიომის კონცეფცია გულებრივ სამყაროში ფართოლებას შესაბამისობის მრავალფეროვნების მრავალფეროვნებისადმი ადაპტაციის მნიშვნელობას

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ორი ადგილი, სადაც სახეობათა ზუსტად ერთნაირი თანასაზოგადოებები არსებობს, ეს ერთობები შეიძლება დაჯგუფდეს კატეგორიებად იმ დომინანტურ მცენარის ფორმაზე დაყრდნობით, რომელიც მთლიანობაში განსაზღვრავს თანასაზოგადოების ხასიათს. ამ კატეგორიებს ბიომები ეწოდებათ. ჩრდილოეთ ამერიკის ხელების მნიშვნელოვანი ბიომებია ტუნდრა, ბორეალური ტყე, ზომიერი ფოთოლცვენადი ტყე, ზომიერი მარადმწვენე ტყე, ბუჩქნარი, სათბის და უდაბნო (ნახ. 8-28). ბიომებიგვიჩვენებებიდროშესაბამისობას ჩრდილოეთ ამერიკის უმსხვილეს კლიმატურ ზონებთან. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ბიომი ადვილი საცნობია თავისი გამორჩეული მცენარეულობით, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ კლასიფიკაციის სხვადასხვა სისტემები უფრო უკეთესად გვიჩვენებს განსხვავებებს ბიომებს შორის და რომ ერთი ბიომის მახასიათებლები, როგორც წესი, თანდათანობით იცვლება მომდევნოთი. ქვემოთ მოცემული უმსხვილესი ბიომების მოკლე მიმოხილვა ხაზს უსვამს ფიზიკური გარემოს განმასხვავებელ თვისებებს და იმას, თუ როგორ გამოიხატება ეს სახლის მცენარეების მაგალითზე.

## ხმელეთის ბიომები


ზომიერ კლიმატს ახასითებს  $5-50^{\circ}\text{C}$  საშუალო წლიური ტემპერატურა დაბალ სიმაღლეზე. ასეთი კლიმატი, როგორც წესი, განაწილებულია  $30^{\circ}\text{N}$ -სა და  $45^{\circ}\text{N}$ -ს შორის ჩრდილოეთ ამერიკაში და  $40^{\circ}\text{N}$ -იდან  $60^{\circ}\text{N}$ -ს შორის ევროპაში, რადგან მას გოლფსტრიმის დინება

ათბობს. ყინვა მნიშვნელოვანი ფაქტორია ზომიერ ზონაში, ალბათ, გადამწყვეტი მახასიათებელიც კი, რომელიც განასხვავებს მას სუბტროპიკული და ტროპიკული ზონებსგან. ზომიერ ზონაში ბიომები დიფერენცირებულია, უპირველეს ყოვლისა, ნალექების საერთო ოდენობითა და სეზონური ნიშნებით. თუმცა ყინვის გარეშე სეზონის, ე.წ. ვეგე-ტაციური პერიოდის ხანგრძლივობა და ყინვის სისასტიკე, ასევე მნიშვნელოვანია. ზომიერ ზონაში ჩვენ განვასხვავებთ ხმელეთის შეიდ ბიომს.

**ფოთოლცვენადი ტყის ბიომი (ნახ. 8-29)** გვხვდება ჩრდილოეთ ამერიკაში, უპირველეს ყოვლისა, აშშ-სა და სამხრეთ კანადის აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ ის ასევე ხშირად იჩენს თაგა ევროპასა და აზიაშიც. ეს ბიომი ცუდად არის განვითარებული სამხრეთ ნახევარსფეროში (ახალი ზელანდია და სამხრეთ ჩილე), შუალედურ განედებზე შედარებით რბილი ზამთრების გამდან, დიდ სიმაღლეზე, 180 დღემდე დაბალ სიმაღლეზე. ნალექიანობა, როგორც წესი, აჭარბებს პოტენციურ ევაპოტრანსპირაციას. შედეგად, წყალი მოძრაობს ნიადაგში ქვემოთ და

მიედინება ლანდშაფტიდან გრუნტის წყლების სახით ან მიწის ზემოთ ნაკადულებისა და მდინარეების სახით. მცენარეულობაში დომინირებენ ფოთოლმცვენი ხეები, კერძოდ, მუხ, ნეკერჩალი, ნიფელი, არყის ხე და ჰიკორი, ხშირად მცირე ხეები და ბუჩქები სუბკანოპისეული საფარველით. ბალახეული მცენარეები ამთავრებენ თავიანთ ზრდას და ყვავილობენ ადრე გაზაფხულზე, სანამ ხეები სრულიად შეიცვლობიან და დაფარავენ მათ მზისგან.

**ზომიერ ნინვოვან ბიომში (ნახ. 8-30)** დომინირებენ ფიჭვები და საკვებისა და წყლის სტრესის პირბები, ხშირად ქვიშიან ნიადაგზე არსებობენ. ჩრდილოეთ ამერიკის ამ ფორმაციათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ატლანტიკისა და ყურის შტატების ფიჭვნარი, შტატების ჩრდილოეთი დიდი ტებების ნაწილის და კანადის ბანქსის ფიჭვნარი და დასავლეთ ამერიკის მთის ფიჭვნარი. საკვები ნივთიერებებისა და წყლის დაბალი შემცველობა ნიადაგში ხელს არ უშლის მარადმნვანე, ნინვოვანი ხეების განვითარებას, რომელიც უძლებენ გამოშრობას და ნელა კარგავენ საკვებ ნივთიერებებს, რადგან თავიანთ ნინვებს ისინი



ნახ. 8-28 მსოფლიოს უმსხვილესი ბიომები.



**ნახ. 8-29.** ფოთოლცვენადი ტყის ბიომი. ინდიანას შტატის ამ მაგარმერქნიანებში დომინირებს მუხა და მათ აქვთ კარგად განვითარებული ბუჩქ-ჯაგნარი (აშშ ტყის სამსახურის მოწოდებული)



**ნახ. 8-32.** ზომიერი სათიბი ბიომი. პრერიები პოტავატომის სოფელში, კანზასის შტატი (აშშ ნიადაგის შენარჩუნების სამსახურის მიერ მოწოდებული ფოტო)



**ნახ 8-30.** ზომიერი ნინვოვანი ბიომი. ჯეფრის ფიჭვნარი ინიოს ეროვნულ ნაკრძალში, კალიფორნიაში. (აშშ ტყის სამსახურის მოწოდებული.)



**ნახ. 8-31.** ზომიერი ნეიმიანი ტყის ბიომი. ნითელი ხეები, რომელიც ჩრდილოეთ კალიფორნიის ზომიერ ნეიმიან ტყეებში იზრდებიან (აშშ ტყის სამსახურის მოწოდებული)

რამდენიმე წლით ინარჩუნებენ. ნიადაგის სიმშრალის გამო, ხშირია ხანძრები და სახეობათა უმრავლესობას შეუძლია, გაუძლოს ხანძრით მიყენებულ ზიანსაც.

**ზომიერი წვიმიანი ტყის ბიომი** განვითარებულია ჩრდილო-დასავლეთ აშშ-ში, ბრიტანული კოლუმბიის წყნარი ოკეანის სანაპიროსთან, სამხრეთ ჩილეში, ახალ ზელანდიასა და ტანზანიაში. რბილი ზამთრები, ძლიერი ზამთრის წვიმები და ზაფხულის ნისლი ქმნიან ისეთ პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს საოცრად მაღალი მარადმწვანე ტყეების განვითარებას. ჩრდილოეთ ამერიკაში ეს ტყეები დომინირებენ სამხრეთში სანაპიროს ნითელი ხეების სახით და ჩრდილოეთით დუღლასის სოჭის სახით (ნახ. 8-31). ეს ხეები, როგორც წესი, 60-70 მეტრის სიმაღლისაა და შეიძლება 100 მეტრის სიმაღლესაც მიაღწიონ. კარგად არ არის გარკვეული, თუ რატომ დომინირებენ ამ ადგილებში ნინვოვანი ხეები. ნიაღალის კვლევები გვიჩვენებენ, რომ მცენარეთა ეს ფორმაციები ძალიან ძველია და რომ ისინი არიან იმ ტყეების შთამომავალნი, რომლებიც აქ გაცილებით უფრო ფართოდ იყვნენ გავრცელებული მეოზოტურ ერაში, დაახლოებით 70 მილიონი წლის ნინ. ტროპიკული წვიმიანი ტყეებისგან განსხვავებით, ზომიერი წვიმიანი ტყეების სახეობათა მრავალფეროვნება, როგორც წესი, ბევრად ნაკლებია.

**ზომიერი სათიბი მიწების ბიომი** (ნახ. 8-32) ვითარდება საშუალო ტემპერატურის შესაბამისად იქ, სადაც ნალექიანობა აღნევს 30-85 სმ-ს წელიწადში. აქ ზაფხული ცხელი და ნესტიანია, ზამთარი კი ცივი. ვეგეტაციური პერიოდი მატულობს ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ. ჩრდილო ამერიკის სათიბი მიწებს ხშირად პრერიებს უწოდებენ. ვრცელი სათიბი მიწებია ცენტრალურ აზიაშიც, სადაც მათ **სტეპებს** უწოდებენ. რადგანაც წლიური ნალექიანობა დაბალია, ორგანული დეტრიტები სწრაფად არ იშლებიან, ნიადაგიც არ არის ზედმეტად დატუტიანებული და მდიდარია საკვები ნივთიერებებით. მცენარეულობაში ბალახეულობა დომინირებს, რომლებიც სათიბი მიწების ნოტიო ადგილებში 2 მეტრის სიმაღლეს აღწევენ და ნაკლებ სიმაღლეს შედარებით მშრალ ადგილებში. აქ ასევე

ჭარბად მოიპოვება არაბალახეული მცენარეული სახეობები, რომლებსაც „ფორბი“ (ნებისმიერი არაბალახეული მცენარე) ეწოდება. სათიბ მიწებში ხანძრებს ერთ-ერთი ყველაზე დომინირებადი გავლენა აქვთ, განსაკუთრებით იქ, სადაც გარემო შრება ზაფხულის დროს. სათიბი მიწების მრავალ სახეობას ცეცხლგამძლე მიწისქვეშა ღეროები ან ღრმა ფესვები აქვთ, რომლიდანაც ამოდის ახალი ნაზარდები. ზოგ სახეობას შეიძლება ცეცხლგამძლე თესლებიც ჰქონდეს. მართლაც სათიბი მიწები საკმარის ნალექს იღებენ იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს ტყეების განვითარებას, მაგრამ ხანძრები ანადგურებენ ტყეებს. ასეთი ბიომების უმრავლესობა სოფლის მეურნეობაში გამოიყენება.

იქ, სადაც ნალექიანობა წელიწადში 25-50სმ-მდე მერყეობს, ზამთარი ცივია, ზაფხული თბილი და სათიბი მიწები ზომიერი ბუჩქნარის ბიომებში გადაიზრდებიან (ნახ. 8-33). ბუჩქნარის ბიომი მოიცავს



**ნახ. 8-33** ზომიერი ბუჩქნარის ბიომი. ზოომის ეროვნული პარკი, იუტას შტატში. (აშშ ნიადაგის შენარჩუნების სამსახურის მონაცემებით)

დიდი აუზის უმეტეს ნანილს დასავლეთ შეერთებულ შტატებში. რეგიონის ჩრდილოეთ ნაწილში არის დომინანტი მცენარე აბზინდა, მაშინ როდესაც სამხრეთისკენ და შედარებოთ ნოტიო ნიადაგში დომინირებენ ფართოდ გავრცელებული ღვია და ფიჭვი, ქმნიან რა 10 მეტრზე დაბალი სიმაღლის ტყიან რაიონებს ბალახის იშვიათი საფარით. ბუჩქნარებში წლის უმეტესი პერიოდის განმავლობაში პოტენციური აორთქლება აჭარბებს ნალექიანობას, ნიადაგი მშრალია და მათში არც ნაკადულები და მდინარეები არ ფორმირდება. ცეცხლი აქ იშვიათად ჩნდება, რადგან ეს ადგილი მცირე რაოდენობის საწავავს წარმოშობს. ამ ბიომის დაბალი პროდუქტიულობის გამო, საქონლის საძოვარზე სიარულმა შეიძლება დიდი ზენოლა მოახდინოს მცენარეულობაზე და შეიძლება, ხელი შეუწყოს ისეთი ბუჩქების განვითარებას, რომლებიც არ გამოდგებიან საჭმელად. მართლაც, მრავალი მშრალი სათიბი მიწა დასავლეთ შეერთებულ შტატებში და დანარჩენ სამყაროშიც ბუჩქნარებად იქცა ბალახის მჭამელების მიერ ბალახის განადგურების შედეგად.

**ხმელთაშუა ზღვის ტყის ბიომი** (ნახ. 8-34) განთავსებულია  $30^{\circ}$ - $40^{\circ}$  განედზე ეკვატორის ჩრდილოეთით და სამხრეთით (ევროპაში ცოტათი უფრო მაღლა) კონტინენტური მიწების დასავლეთ მხარეს. ამ ბიომის წარმომადგენელთა შორის არაან სამხრეთ ევროპა და სამხრეთ კალიფორნია ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და ცენტრალური ჩილე, სამხრეთ აფრიკის კეიპის რეგიონი და სამხრეთ-დასავლეთი ავსტრალია სამხრეთ ნახევარსფეროში. ხმელთაშუა ზღვისპირა კლიმატს ახასიათებს ზამთრის წვიმები თბილი ტემპერატურით და ზაფხულის გვალვები. ეს კლიმატი ხელს უწყობს 1-3 მეტრის სიმაღლის სქელი, მარადმნებანე, ბუჩქოვანი მცენარეების ზრდას ღრმა ფესვებითა და გვალვაგამძლე ფოთლებით. ხმელთაშუა ზღვის მცენარეები, რომლებსაც როგორც წესი, აქვთ მცირე, ხანგრძლივად გამძლე ფოთლები, ცნობილია როგორც **სკლეროფილური** (მაგარფოთლიანი) მცენარეები. ხმელთაშუა ზღვის ბიომებში




**ნახ. 8-34** ხმელთაშუა ზღვის ტყის ბიომი. სამხრეთ კალიფორნიის სანაპიროს ჩარაპელი. (აშშ ტყის სამსახურის მონაცემებით)



ხშირია ხანძრები და მცენარეთა უმრავლესობას ცეცხლგამძლე თესლები ან ფესვთა სისტემა აქვთ, რომლებიც ხელახლა ყვავილობენ ხანძრის შემდეგ.

მრავალი ადამიანი ცენტრალური აზიის შერალ ადგილებს უდაბნოს უწოდებს (მონღლოლეთის და გობის უდაბნო მათ შორის ყველაზე ცნობილია) მაგრამ ამ „უდაბნოების“ კლიმატი და მცენარეულობა დიდად განსხვავდება სუბტროპიკულ სარტყელში განლაგებული მშრალი ადგილებისაგან, რომლებიც გარს ერტყმიან დედამინას. გობის უდაბნო ხვდება ვალტერის კონტინენტურ კლიმატურ ზონაში (იხ. ცხრილი 8-2), რომელსაც დაბალი ნალექიანობა და ცივი ზამთრები ახასიათებს. ეს კლიმატი, რომელიც ჰეგავს ჩრდილოეთ ამერიკის დიდი აუზის და ზღვის დონიდან მაღლა მდებარე დასავლეთის მინდვრების კლიმატს, ინვეგს მშრალი სათიბი მინების, სტეპების და ბუჩქნარების ნარმოშობას. იქ, სადაც ნალექიანობა ნულამდე დადის, მცენარეებიც შესაბამისად მცირდებიან და ლანდშაფტიც უფრო ქვისა და ქვშისაა, ვიდრე მცენარეული.

**სუბტროპიკული უდაბნოს ბიომი ვითარდება 20-30° განედებზე ეკვატორის სამხრეთით და**




ნახ. 8-36 ბორეალური ტყის ბიომები.  
(რ. სუტერის მონოდებული)

ჩრდილოეთი, ძალიან იშვიათი წვიმებით (წელიწადში 25 სმ-ზე ნაკლები) და გრძელი ვეგეტაციური პერიოდებით (ნახ. 8-35). დაბალი ნალექიანობის გამო, სუბტროპიკული უდაბნოების ნიადაგები გამოფიტულია, ვირტუალურად მოკლებული ორგანიზმის კარბონატის გაუმტარი ორტშტეინები (მკვრივი ნიადაგქვეშა პლასტები) ხშირად ფორმირდებიან წყლის გაუნოვის, შელნევის ზღვრებთან – ერთი მეტრის ან ნაკლებ სიღრმეზე. იმ დროს, როდესაც აბზინდა აღმინირებს დიდი აუზის „უდაბნოებში“, კრეოზოგის ბუჩქი იკავებს თავის ადგილს ამერიკის სუბტროპიკულ უდაბნოებში. შედარებით ნოტიო ადგილები ხელს უწყობს სუკულენტური კაქტუსების, ბუჩქების და პატარა ხეების (როგორიცაა მაგალითად, მესკიტის პალოვერდე) გავრცელებას. სუბტროპიკულ უდაბნოთა უმრავლესობაში ზაფხულობით ადგილი აქვს ხანძოკლე ნალექებს, რომლის დროსაც მრავალი ბალახული მცენარე ღვივდება მიძინებული თესლებიდან, სწრაფად იზრდება და მრავლდება იმ დრომდე, სანამ ნიადაგი ხელახლა გამოშრება. სუბტროპიკული უდაბნოების მცენარეთა უმრავლესობა ყინვას ვერ უძლებს. აქ მცენარეული საფარი გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე ზომიერი სარტყლის მშრალ ადგილებში.

### ბორეალური და პოლარული ბიომები

ჩრდილოეთ ნახევარსფეროში და ტროპიკული და სუბტროპიკული არეალების დიდ სიმაღლეებზე სამ-სამი სახის ბიომები არსებობენ. ბორალური ტყის ბიომები (ხშირად მას ტაიგასაც უწოდებენ, ნახ. 8-36) გადაშლილია ფართო სარტყელზე დაახლოებით  $50^{\circ}$ -ის ჩრდილოეთით...ზომიერ და ტროპიკულ კლიმატურ ზონებშიც კი, დიდ სიმაღლეზე მოიპოვება ისეთი მცენარეულობა, რომელიც ჰავას არქტიკულ ტუნდრას და შეიცავს ზოგიერთ, მისოვის დამახასიათებელ ან მის მონა-თესავე სახეობას. ამ სასიცოცხლო ზონას **ალპური ტუნდრის ბიომი ენოდება**. ეს ადგილები იწყება ხეების ზრდის ზედა საზღვარზე მაღლა (ნახ. 8-38), ყველაზე ფართოდ, ჩრდილოეთ ამერიკის კლდოვან მთებში და ცენტრალური აზიის ტიბეტის პლატოზე. მსგავსების მიუხედავად, ალპურ და არქტიკულ ტუნდრას მნიშვნელოვანი განსხვავებები აქვთ. ალპურ ტუნდრას აქვს უფრო თბილი და გრძელი ვეგეტაციული პერიოდები, მეტი ნალექიანობა, ნაკლებად მკაცრი ზამთარი, მეტი პროდუქტიულობა და სახეობათა მრავალფეროვნება, ვიდრე არქტიკულ ტუნდრას. ასევე, ალპურ ტუნდრას არ ახასიათებს ნიადაგის მუდმივი გამყინვარება. თუმცა, როგორც მაღალგანედობრივ ტუნდრაში, სწორედ ზამთრის მკაცრი პირობები ზღუდავენ ხეების ზრდას.



**ნახ. 8-37** ტუნდრის ბიომი.

ალიასეუს ტუნდრა, ნაჩვენებია ნიადაგის ზედაპირული ფენის გაყინვისა და გალხობის გამო შექმნილი პოლიგინალური სტრუქტურები მთა ზე (აშშ ნიადაგის შენარჩუნების სამსახურის მოწოდებული)

## ეკვატორული და ტროპიკული ბიომები

მსოფლიოს რეგიონებში ეკვატორიდან  $20^{\circ}$ -ით ჩრდილოეთით ან სამხრეთით ტემპერატურა დღე-ლამის განმავლობაში უფრო მეტად მერყეობს, ვიდრე საშუალო თვიური ტემპერატურა ნლის განმავლობაში. საშუალო ტემპერატურა ზღვის დონეზე, როგორც წესი, აჭარბებს  $20^{\circ}\text{C}$ -ს. გარემოები ტროპიკული განედების საზღვრებში განსხვავდება წვიმების სეზონური კურსით, რომელიც ქმნის მცენარეულობის მუდმივ გრადიენტს ნესტიანი, სეზონური წვიმიანი ტყეებიდან დაწყებული, სეზონურ ტყეებამდე, ბუჩქნარებამდე, სავანებამდე და უდაბნოებამდე. ტროპიკულ ბიომებში ყინვა არ არის, მაღალ სიმაღლეზეც კი. ტროპიკული მცენარეები და ცხოველები ვერ იტანენ ყინვას. ამ ეკვატორულ და ტროპიკულ კლიმატურ ზონებში ტიპურად განსხვავდება სამი ბიომი.

**ტროპიკული წვიმიანი ტყის ბიომი** ვითარდება კლიმატში, რომელიც ყოველთვის თბილია და იღებს სულ მცირე 200სმ ნალექს წლის განმავლობაში, ამ დროს, თვის განმავლობაში მისი რაოდენობა არ არის ხოლმე 10სმ-ზე ნაკლები. ეს პირობები არსებობს ტროპიკების ფარგლებში სამ მნიშვნელოვან რეგიონში. ესენია: ამაზონისა და ორინოკოს აუზი სამხრეთ ამერიკაში, დამატებითი ადგილებით ცენტრალურ ამერიკასა და ბრაზილიის ატლანტიკური სანაპიროს გასწვრივ. ისინი შეადგენენ ამერიკის წვიმიან ტყეს; არეალი სამხრეთ-დასავლეთი აფრიკიდან დასავლეთისკენ მდინარე კონგოს აუზამდე შეადგენენ აფრიკის წვიმიან ტყეს და ინდომალაიზიური წვიმიანი ტყე ფარაგს სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ნანილებს (მათ შორის ვიეტნამი, ტაილანდი და მალაიზიის ნახევარკუნძული), კუნძულებს აზიასა და ავსტრალიას შორის, მათ შორის ფილიპინებს, ბორნეოს და ახალ გვინეას და ავსტრალიის კვინსლენდის სანაპიროს.

ტროპიკულ წვიმიან ტყეს ხშირად ახასიათებს ნალექიანობის ორი პიკი, რომლებიც ემთხვევა ბუნიობას (თანაბარი ხანგრძლივობის დღე და ღამე), შეესაბამება რა პერიოდებს, როდესაც ტროპიკაშორისი კონვერგენცია ფარავს ეკვატორულ რეგიონს. წვიმიანი ტყის ნიადაგები სველი და ღრმად გამოქარვადებია. რადგანაც ისინი შედარებით თავისუფალია ჰუმუსისა და ნებოსგან, ალუმინისა და რკინის ოქსიდების შემცველობის გამო, აქვთ მოწითალო ფერი და საკვები ნივთიერებების შეკავების მცირე შესაძლებლობები. ნიადაგის დაბალი კვებითი სტატუსის მიუხედავად, წვიმიანი ტყეების მცენარეულობაში დომინირებს 30-40 მეტრიანი მარადმწვანე ხეები, რომლებშიც შიგადაშიგ გამოერევა ხეები, რომლებიც ექცევიან ტყის კანოპის თავზე და მათი სიმაღლე 55 მეტრს აღწევს. ვინაიდან ამ ხეების წყლის სტრუსი მაღალია, მათი სიმაღლისა და აქედან გამომდინარე, მზის ზემოქმედებისთვის ხელმისაწვდომობის გამო, ისინი ხშირად ფოთოლცვენადია, მარადმწვანე ტყეშიც კი. ტროპიკულ წვიმიან ტყეებს აქვთ მცირე ხეების, ბუჩქების და ბალახეულობის საფარიც, მაგრამ ეს საკმაოდ იშვიათია, რადგანაც ძალიან მცირე სინათლე აღწევს ტყეში. მცოცავი ლიანები ან ხის ლერნები და ეპიფიტები, მცენარეები, რომლებიც სხვა მცენარეების ტოტებზე იზრდებიან და ნიადაგში არ არიან ფესვგადგმულნი (მათ ხშირად ჰაერის მცენარეებსაც ეძახიან), სტიმულირებულია თავად ტყის კანოპეში (ნახ. 8-39). სახეობათა მრავალფეროვნება აქ ყველაზე მაღალია ნებისმიერ სხვა ადგილთან შედარებით დედამინაზე.

წვიმიანი ტყის ბიომის პროდუქტიულობა მაღალია ნებისმიერ სხვა სახმელეთო ბიომთან შედარებით და მისი მუდმივი ბიომასა აჭარბებს ყველას, გარდა ზომიერი წვიმიანი ტყისა. მუდმივად მაღალი ტემპერატურის და ჭარბი სინოტიკის გამო,



**ნახ. 8-38** ყინვიანმა ქარმა მოგლიჯა  
ამ ხეების ტოტები და ქერქი, რომელებიც  
იზრდებოდნენ ტყის ბიომის და ტუნდრის  
საზღვართან ახლოს კოლორადოს კლდოვან  
მთებში (აშშ ტყის სამსახურის მონოდებული)



**ნახ. 8-39** ტროპიკული წვიმიანი ტყის ბიომი. ლიანები და  
ეპიფიტები ეტანებიან ხეებს პანამის ამ დაბლობ ტროპიკულ წვიმიან  
ტყეში (ვ.კ. სმიტის მონოდებული)

მცენარის ჩამონაცვენი მალე იშლება და მისგან წარმოშობილი საკვები ნივთიერებები მაშინვე შეინოვება მცენარეების მიერ. საკვები ნივთიერებების სწრაფი ციკლირება ხელს უწყობს წვიმიანი ტყის მაღალ პროდუქტიულობას, მაგრამ ასევე საოცრად დაუცველს ხდის წვიმიანი ტყის ეკოსისტემას ჩარევისადმი. როდესაც ტროპიკული წვიმიანი ტყეები იჩეხება, მრავალი საკვები ნივთიერება ერთმევა ნიადაგს ან ადის ჰაერში. დაუცველი ნიადაგი ეროზიას მალე განიცდის და მდინარეებს ნალექითა და შლამით ავსებენ. მრავალ შემთხვევაში გარემო მალე დეგრადირდება და ლანდშაფტი არაპროდუქტიული ხდება.

**ტროპიკული სეზონური ტყის ბიომი**  
(ნახ. 8-40) ვითარდება ტროპიკებში ეკვატორიდან 10°-ს მიღმა სამხრეთით და ჩრდილოეთით. ამ კლიმატს ხშირად ახასიათებს მკვეთრად გამოხატული მშრალი სეზონები, რომელიც შეესაბამება ზამთარს ზომიერ



**ნახ. 8-41** სავანას ბიომი. გვალვასთან ადაპტირებული ხეები  
შეგადაშიგ გაფანტულია კენიის სამურაუს ოლქის სათიბ მინებში (აშშ  
სოფლის მეურნეობის განყოფილებისა და ნიადაგის შენარჩუნების  
სამსახურის მონოდებული)

და მაღალ განედებზე. ტროპიკულის სეზონურ ტყეებში უპირატესობა ფოთოლცვენად ხეებს აქვთ, რომლებსაც ფოთლები სცვივათ წყლის სტრესის სეზონის დროს. შედარებით გრძელი და უფრო სასტიკი მშრალი სეზონები აისახება დაბალი სიმაღლისა და უფრო ეკლიანი მცენარეულობის განვითარებაში. ეკლები იცავენ მცენარეებს ბალახისმჭამელი ცხველებისგან, რაც საბოლოოდ იწვევს ეკლიანი ბუჩქნარების განვითარებას ნამდვილი უდაბნოს საოცრად მშრალ პირობებში. ამგვარი ლანდშაფტები მთების ქედების წინამიან ჩრდილში იჩინენ თავს ან განთავსებული არიან ცივდინებიანი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ.

სავანა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც სათიბი მინა იშვიათი ხეებით. ის ტიპურია მშრალი ტროპიკების დიდი არეალებისთვის, განსაკუთრებით აფრიკაში. **ტროპიკული სავანის ბიომის** (ნახ. 8-41) საშუალოდ წელიწადში 90-150სმ საშუალო ნალექიანობა აქვს, მაგრამ სამი-ოთხი უმშრალესი თვის განმავლობაში ის იღებს 5სმ-ზე ნაკლებ ნალექს თითოეულ თვეში. ხანძრები და ბალახისმჭამელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სავანის ბიომის ხასიათის შენარჩუნებაში, რადგან ბალახებს, მცენარეების სხვა ფორმებისგან განსხვავებით, უკეთ შეუძლიათ ამ მოვლენების თანხლებით არსებობა. ხშირად, როდესაც ბალახისმჭამელთა მიერ ბალახის ძოვა ზომიერია, ხოლო ხანძრები კონტროლირდება, სავანის გარემოში სეზონური ტყე იწყებს განვითარებას. შესაძლებელია, რომ აფრიკის სავანის ვრცელი ადგილები თავის ხასიათს ადამიანურ საქმიანობას უმაღლოდნენ მრავალი ათწლეულის განმავლობაში.

მიხედვით, განვითარების ეკოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების უმეტესი დროის განმავლობაში ხმელეთისა და წყლის ეკოლოგიებმა დამოუკიდებლად დააგროვეს კონცენტრირები და აღწერითი ტერმინები ეკოლოგიური სისტემებისთვის. შედეგად, წყლის „ბიომები“ არ არსებობს იმ მნიშვნელობით, რომლითაც ეს ტერმინები ხმელეთის ეკოსისტემებთან მიმართებაში გამოიყენება. მართლაც, მცენარეული კონცეფციის გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა წყლის სისტემებში, რადგანაც უპირველესი მნარმოებლები წყლიან ეკოსისტემებში არიან ერთუჯრედიანი წყალმცენარეები, რომლებიც არ ქმნიან „მცენარეულობას“ დამახასიათებელი სტრუქტურით. შედეგად, წყლის სისტემების კლასიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება ფიზიკურ მახასიათებლებს: მარილიანობას, წყლის მოძრაობას, სიღრმეს, ტემპერატურას და ა.შ.

დიდი სახის წყლის გარემოი არის დინებები, ტბები, ესტუარიები (დელტა) და ოკეანეები. **დინებები** იქმნება ყოველთვის, როცა ნალექიანობა აჭარბებს აორთქლებას და ზედმეტი წყალი დრენაჟირდება მინის ზედაპირიდან. მცირე დინებებში ეკოლოგები განასხვავებენ **ჭავლი-ლივლივის** არეალებს, სადაც წყალი ჩქარა მიედინება ქვიან საფუძველზე და **აუზის** არეალებს, რომლებიც არიან ნელა მოძრავი წყლის გაცილებით ღრმა ზონები. წყალი კარგად არის ჟანგბადით დატვირთული ჭავლებში, აუზებში კი, შლამი და ორგანული ნივთიერებები გროვდება. ორგანულ ნივთიერებათა ნარმოება მცირე დინებებში ხშირად **ალოქტონური** ნივთიერებების ხარჯზე ხდება (ბერძნული chthonos-იდან, ნიშნავს „დედამიწის“ და allos-იდან, ნიშნავს, „სხვას“) – ეს არის ორგანული მასალა, როგორიცაა მაგალითად ფოთოლი, რომელიც წყლიან გარემოში გარედან ხვდება. დინებები იზრდება განვლილ მანძილთან ერთად, როდესაც ისინა ერთდებიან და ქმნიან მდინარეებს. რაც უფრო მსხვილია მდინარე, მით მეტია მისი სახლში შეძენილი ან **ავტოქტონური** პროდუქცია. **მდინარის კონტინუუმის** კონცეფცია სათავესა და მდინარის შესართავს შორის მუდმივი ცვლილებიდან მომნიဖდა. თუ მდინარის დინებას ჩავყვებით, წყალი



**ნახ. 8-40** ტროპიკული სეზონური ტყის ბიომი. (პ.ფეინსინგერის  
და მ.ლ. ქრამფუს მონოდებული)

უფრო თბილი, მდორედ და საკვები ნივთიერებებით მდიდარი, ხოლო ეკოსისტემები უფრო კომპლექსური და პროდუქტიული ხდება. მდინარისეული ეკოსისტემების განმასხვავებელი თვისება ისაა, რომ ორგანული მასალების, მათ შორის მცენარეებისა და ცხოველების მუდმივად დაბლა ჩატანა ხდება დინების მიერ. მდინარისეული სისტემები არსებობს წინასწორობის მდგომარეობაში, ეს ე.წ. **დინების მიმართულებით დრეიფი დაბალნისებულია ცხოველების აქტიური გადაადგილებით დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, სისტემის დინების საწინააღმდეგო მიმართულების პროდუქტიულობით და გარეშე მასალების მიერ გაკეთებული შენატანით.**

**ტბები** იქმნება ნებისმიერი სახის ჩაღრმავებაში. მნიშვნელოვან წილად წყლის ამგვარი მასების დაგროვება გლაციაციის შედეგია, პროცესის, რომელიც ტოვებს ამოჭრილ აუზებს და ყინულოვან დეპოზიტებში დამარხულ ყინულის ბლოკებს. ეს ყინულები თანადათანობით დნება და ქმნის ტბებს. ტბები ასევე წარმოქმნება გეოლოგიურად აქტიურ რეგიონებში, როგორიცაა მაგალითად, აფრიკის რიფტული ველი, სადაც დედამინის ქანების ვერტიკალური ძრების შედეგად შეიქმნა აუზი, რომელშიც შემდგომ წყალი დაგროვდა. მდინარის ფართო აუზები, როგორიცაა მისისიპისა და ამაზონის ველები, შეიძლება შეიცავდნენ ძველ ტბებს, რომლებიც არიან ძირითად კალაპოტში მომხდარი ცვლილებების შედეგად ყოფილი მდინარის გადაჭრილი ფართო ხვეულები. მთლიანი ტბა შეიძლება ჩაითვალოს ბიომად, მაგრამ ის დაყოფილია რეგიონებად, რომელთაგან თითოეულს საკუთარი ხასიათი აქვს. სანაპირო ზონა არის ზედაპირული ზონა ტბის ნაპირის გასწრივ, რომლის ფარგლებშიც მოიპოვება ფესვგადგმული მცენარეულობა, როგორიცაა მაგალითად, თეთრი

დუმფარები (ნახ. 8-42). ლია წყალი სანაპირო ზონის მიღმა არის მცენარი წყლის ზონა, სადაც ხდება უმნიშვნელოვანები მოტივტივე ერთუჯრედიანი წყალმცენარეების ანუ პლანქტონის პროდუქცია. ტბები ასევე პირობითად შეიძლება დაყოფილნი იყვნენ ვერტიკალურად, სინათლის შეღწევისა და წყლის თერმულად სტრატიფიცირებული ფენების მიხედვით (იხ. 8.2 სექცია). დანალექები ტბისა და ტბორების ფსკერზე ქმნიან ბენტონის (ფსკერზე მცხოვრები) განსაკუთრებულ საბინადროს სოროს ცხოველებისა და მიკროორგანიზმებისთვის.

**ესტუარიები** განსაკუთრებული სახის გარემოებია, რომლებიც მდინარეების შესართავებთან ყალიბდებიან, განსაკუთრებით იქ, სადაც გამოინებას ნანილობრივ ხურავს ლანდშაფტი ან ბარიერული კუნძულები. ესტუარიების უნიკალური ხასიათი მომდინარეობს მტკარი და მარილიანი წყლის შეევაში, რომელშიც ზღვის მრავალი სახის ორგანიზმის ლარვები იზრდება დიდი რაოდენობით. ამასთან, მდინარეების მიერ შემოტანილი საკვები ნივთიერებების სწრაფი ცვლა ზედაპირის წყლებსა და დანალექებს შორის ინვეგს საოცრად მაღალ პროდუქტიულობას ესტუარიებში. რადგანაც ესტუარიები ზედაპირული ადგილებია, რომლის ფარგლებშიც არის დანალექები, მათ ხშირად ესაზღვრება ექსტენსიური მიქცევა-მოქცევითი ჭაობები, რომლებსაც თავის მხრივ ახასიათებთ **ნახევრადჩაძირული მცენარეები** (წყალში ფესვგადგმული მცენარეები, რომლის ზედა ნანილი წყლიდან არის ამონეული). მართლაც, ჭაობები, რომლებიც გარს ერტყმიან ესტუარიებს დედამინის ყველაზე პროდუქტიულ გარემოთა რიცხვში, არიან საკვები ნივთიერებების მაღალი დონისა და წყლის სტრესის არ არსებობის გამო. ეს ჭაობები



**ნახ. 8-43** სანაპირო ზონას, რომელიც ხელმისაწვდომია ჰაერის დღეში ორჯერ, შეუძლია, ხელი შეუწყოს წყალმცენარეების და ცხოველების პროდუქტიულობის ზრდას, როგორც კანადის ნოუ ბურინგიუის სანაპიროზე.



**ნახ. 8-44** მარჯნის რიფების მაღალი პროდუქტიულობა თბილ ტროპიკულ წყლებში იძლევა ჭარბ საკვებს სხვადასხვა, მრავალფეროვანი ბიოლოგიური ერთობისთვის. (ფ.ჯ.თ ზიმილუსის, ამერიკული სანაპირო საზოგადოების მიერ მოწოდებული ფოტო)

შემდეგ იმუშავებენ ჭარბ ორგანულ ნივთიერებებს ესტუარიების ეკოსისტემაში, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს ესტუარიისა და ზღვის სახეობების ჭარბი პოპულაციების განვითარებას.

დედამიწის ზედაპირის უმეტესი ნაწილი იკეანებითაა დაფარული. წყლის საფარის ქვეშ განლაგებულია უზარმაზარი კომპლექსური სფერო, რომელშიც საოცრად მრავალფეროვანი ეკოლოგიური პირობები და ეკოსისტემები არსებობს. საზღვაო სისტემათა მრავალფეროვნება სხვადასხვა ტემპერატურის, სილრმის, დინების, სუბსტრატების და ზღვის მიქცევების შედეგებია. მრავალი საზღვაო ეკოლოგი აღიარებს სილრმის მიხედვით დიფერენცირებულ რამდენიმე ზონას. სანაპირო ზონა (შეადარეთ ტებების სანაპირო ზონებს) ვრცელდება მოქცევა-მიქცევის უმაღლეს და უმდაბლეს დონეებს შორის და გარკვეულ წილად, ხელმისაწვდომია ჰაერისთვის მოქცევათაშორის პერიოდში მისი პოზიციის შესაბამისად (ნახ. 8-43). სწრაფი ცვლილება ეკოლოგიურ პირობებში, მოქცევათაშორისი დიაპაზონის ფარგლებში, ხშირად ქმნის ორგანიზმთა მკვეთრ ზონირებას უწყლობის პირობებში არსებობის მათი ატანის უნარის მიხედვით. ყველაზე დაბალი მიქცევითი დონის შემდეგ 200 მეტრ სიღრმემდე ნერიტიკული ზონა იშლება, რომელიც შეესაბამება კონტინენტური შელფის საზღვაოს.

ეს ხშირად მაღალი პროდუქტიულობის რეგიონია, რადგან განათებული წყლის ზედაპირული ფენები დიდად არ არის დაშორებული ქვემოთ დალექილ შლაშში საკვები ნივთიერებების რეგენერაციისგან, ხოლო ძლიერ ტალღებს შეუძლიათ, ამოდევნონ ნივთიერებები ზედაპირზე 100-200 მეტრის სიღრმიდანაც კი. ნერიტიკული ზონის მიღმა ზღვის ფსკერი მოულოდნელად ეცემა თკეანური ზონის დიდ სიღრმეებამდე, ათასობით მეტრით ქვემოთ. აქ პროდუქცია, როგორც ნესი, მკაცრად შეზღუდულია საკვები ნივთიერებების დაბალი ხელმისაწვდომობის გამო. როგორც ნერიტიკული, ისე თკეანური ზონები დაყოფილია ვერტიკალურად ფოტურ ანუ ევფოტურ ზონებად, სადაც საკმარისი სინათლეა ფოტოსინთეზისთვის და აფოტურ, სინათლის გარეშე ზონებად, სადაც ორგანიზმები, ძირითადად ზემოდან ჩამოსულ ორგანულ ნივთიერებებზეა დამოკიდებული.

იმ დროს, როდესაც ღია თკეანეს უდაბნოს ადარებენ, მარჯნის რიფები ტროპიკული წყარიმანი ტყეების მსგავსია, როგორც ბიოლოგიური პროდუქტიულობის სიმდიდრით, ისე მათი საბინადროს მრავალფეროვნების მიხედვით (ნახ. 9-44). რიფების შემქმნელი მარჯნები ბინადრობენ თბილი თკეანების მცირე სიღრმეზე, სადაც წყლის ტემპერატურა ჩვეულებრივ წლის განმავლობაში 20°ჩ.-ზე მაღალი რჩება. მრავალი მარჯნის რიფი ვითარდება ვულკანების გარშემო, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ წყნარ და ინდოეთის თკეანებში. ვულკანები თავად შეიძლება თანდათანობით გაქრნენ ეროზიისა და საკუთარი წონის გამო ჩაშლის შედეგად, მაგრამ მანამ, სანამ მარჯნის ზრდის სიჩქარე ასწრებს შლის სიჩქარეს, რიფიგანვითარებასა და ზრდას განაგრძობს. საბალოო ჯამში, შეიძლება დარჩეს მხოლოდ მარჯნის რკალი – ატოლი, რომელიც გამოკვეთს ყოფილი ვულკანური კუნძულის მდებარეობას. რიფის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა კვებება მორკალული ვულკანის დაშლით ნარმოშობილი საკვები ნივთიერებებით და ღრმა წყლის დინებებით, რომლებიც ზემოთ ამოიდევნებიან კუნძულის პროფილის გამო. მარჯნები ორმაგად პროდუქტიული არიან, რადგან ისინი თავიანთ ქსოვილში შეიცავენ სიმბიოტურ ფოტოსინთეზურ წყალმცენარეებს, რომლებიც აგროვენებ ნაბშირბადის ენერგიას – მათი ფენომენალური ზრდის სისწრაფის საფუძველს.

უნიკალური თვისებები, რომლებიც ახასიათებს ბიომსდაწყლის სისტემის თითოეულ ტიპს, მუდავნდება ეკოსისტემის სტრუქტურისა და ფუნქციის ნებისმიერ ასპექტში. ყველაზე პირდაპირი გზა ამ ატრიბუტების შესაფასებლად არის მასში ენერგიის დინების და ეკოსისტემაში საკვები ნივთიერებების ციკლირების

## დასკვნა

**1.** ტემპერატურისა და ნალექიანობის გლობალურ სისტემებს განსაზღვრავს მზის რადიაცია ადგილობრივ დონ ეზე და ქარების და ოკეანის დინებების მიერ მოტანილი სითბური ენერგიის ხელახალი განაწილება. თბილი ტროპიკული ჰაერი მაღლა ადის ეკვატორთან და მიერთება ჩრდილოეთისა და სამხრეთისკენ, გრილდება და ხდება უფრო მკერივი ამ პროცესში. ეკვატორიდან დაახლოებით  $30^{\circ}$ -ზე ჩრდილოეთით და სამხრეთით გრილი, მკერივი ჰაერი ეშვება და მიემართება ეკვატორისკენ ზედაპირული ჰაერის დინებების სახით, რომლებიც ხდებიან ერთმანეთს ტროპიკაში კონვერგენციის წერტილში. ცირკულაციის ამ სისტემას ჰედლის სექცია ეწოდება.

**2.** ოკეანეთა დინებები გავლენას ახდენს კლიმატზე დედამინის ზედაპირზე სითბოს გადატანის საშუალებით. ცივწყლიანი ოკეანის დინებები, როგორც წესი, მიმართულია ტროპიკებისკენ კონტინენტების დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ, ხოლო თბილწყლიანი დინებები — ზომიერი რეგიონებისკენ კონტინენტების აღმოსავლეთ სანაპიროს გაყოლებაზე.

**3.** სეზონურობას იწვევს ყოველწლიური მზის მსვლელობა ჩრდილოეთისკენ და მასთან ასოცირებული ქარებისა და ნალექიანობის სარტყლების განედობრივი მოძრაობა სამხრეთისკენ. სეზონური ცვლილება წყლის ტემპერატურაში იწვევს ცვლილებებს ოკეანეში წყლის მოძრაობის სტრუქტურაში.

**4.** სეზონური დათბობა და აგრილება ძირეულად ცვლის ზომიერი ზონის ტებების მახასიათებლებს. ზაფხულის განმავლობაში ამგვარი ტებები სტრატიფიცირებულია, სადაც თბილი ზედაპირული ფენა (ეპილიმნონი) გამოცალებულია ცივი ქვედა ფენისგან (ჰიპოლიმნონი) გასრი თერმოკლინის მიერ. გაზაფხულსა და შემოდგომაზე ტემპერატურის პროფილი სიღრმესთან ერთად ხდება უფრო ერთგვარი და იძლევა ვერტკალური გადადგილების საშუალებას.

**5.** პერიოდულმა ცვლილებებმა კლიმატში, როგორიცაა მაგალითად, ლიყო-სამხრეთ თსკილაციის (ENSO) მოვლენის შედეგები, შეიძლება გამოიწვიოს ბიოლოგიური თანასაზოგადოებების მასობრივი განადგურება გლობალური მასშტაბით. თანამედროვე ფართომაშტაბინი შემოვლენები მოხდა 1982-1983 და 1997-1998 წლებში.

**6.** ტოპოგრაფია და გეოლოგია იწვევს უფრო ზოგადი კლიმატურა სისტემების ცვლილებებს ადგილობრივ გარემო პირობებში. მთები აბრკოლებს წვიმას, ქმნის რა წვიმის ჩრდილებს თავიანთ ქარის საწინააღმდეგო ფერდობებზე. პირობები დიდ სიმაღლეზე გვანან პირობებს მაღალ განედებზე. ნიადაგის მახასიათებლები ასახავენ ქვემოთ არსებული ქვიანი საფუძვლის ხარისხს და ხანდახან ანარმობებრ სპეციალიზებულ ფლორას.

**7.** აორთქლების ინტენსივობა დამოკიდებულია ტემპერატურაზე, ნიადაგში წყლის მარაგსა და

ფოთლების მასაზე. მატება ფოთოსინთეზში ზრდის ეფექტურანსპირაციასაც. რეგიონული განსხვავებები ევაპოტორანსპირაციაში თვალშისაცემია.

**8.** მცენარეთა გეოგრაფიული გავრცელება განისაზღვრება უპირველეს ყოვლისა კლიმატის მიხედვით მაშინ, როდესაც გლობალური გავრცელება რეგიონებში იცვლება ტოპოგრაფიისა და ნიადაგების შესაბამისად.

**9.** კლიმატი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მცენარეთა და ცხოველთა ადაპტაციებზე. თითოეულ კლიმატურ რეგიონს გააჩინა დამახასიათებელი ვეგეტაციური ფორმები, რომლებიც განსხვავდებიან ზოგადი თვისებებით, ფოთოლთა მორფოლოგითა და ზრდის მოდელით.

**10.** მიხვდნენ რა, რომ მცენარის ფორმა პირდაპირ კავშირშია კლიმატთან, პილდრიჯმა და ვიტაკერმა გამოყვეს მცენარეულობათა უმსხვილესი რეგიონები ადგილობრივი ნალექიანობისა და ტემპერატურის საფუძველზე. კლასიფიკაციის მსგავსი სქემები ხაზს უსვამს დამოკიდებულებას ტემპერატურასა და წყლის ხელმისაწვდომობას შორის და ამით კიდევ ერთხელ აღიარებს სეზონურობის, ნიადაგებისა და ცეცხლის მამოდიფიცირებელ ეფექტებს.

**11.** გლობალური სასიცოცხლო ზონები სქემატურად შეიძლება დომინანტურ მცენარეულობაზე დაყრდნობით გამოსახოს. ამგვარ არეალებს ბიომები ეწოდებათ. ბიომები არაა ერთიანი ბიოლოგიური ერთეულები, მაგრამ ისინი წარმოადგენს გლობალური მასშტაბით ბუნებრივი სამყაროს ორგანიზების ეფექტურ საშუალებას.

**12.** დედამინის არეალი  $30^{\circ}\text{N}$ -სა და  $45^{\circ}\text{N}$ -ს შორის ჩრდილოეთ ამერიკაში და  $40^{\circ}\text{N}$ -სა და  $60^{\circ}\text{N}$ -ს შორის ევროპაში იწოდება ზომიერ ზონად. ზომიერი ზონის ბიომები მოიცავენ ფოთოლცვენად ტყეებს, ზომიერ წიწვოვან ტყეებს, ზომიერ წვიმიან ტყეებს, ზომიერ სათბი მინებს, ზომიერ ბუჩქნარებს, ხმელთაშუაზღვის ტყეებს და სუბტროპიკულ უდაბნოებს.

**13.** ბორეალური ტყე, ტუნდრა და ალპური ტუნდრა მაღალი განედებისთვის დამახასიათებელი ბიომებია. ტროპიკული წვიმიანი ტყე, ტროპიკული სეზონური ტყე და ტროპიკული საგანა იმ ბიომებისა, რომლებიც მოიპოვებიან  $20^{\circ}$ -ზე ეკვატორიდან.

**14.** მცენარეულობის თვისებებზე დაუუძნებული ბიომების კონცეფცია განვითარდა ხმელეთის ეკოსისტემებისთვის. წყლის სისტემების კლასიფიკაცია ხორციელდება ფიზიკური მახასიათებლების მიხედვით: მარილიანობა, წყლის მოძრაობა და წყლის სიღრმე საფუძველზე. წყლის სისტემების უმსხვილესი ტყებია დინებები, ტბები, ესტუარიები და ოკეანეები.

## სავარჯიშოები

**1.** მოკლედ აღნერეთ თქვენი ქვეყნის სეზონური ამინდის სისტემებისა და კლიმატური პირობების შესახებ. დაურთეთ დეტალები ტემპერატურისა და ნალექიანობის შესახებ და გააკეთეთ კომენტარები იმ მნიშვნელოვან უწვეულო მოვლენებზე, რომლებიც ხანდახან იჩენს თავს (მაგ. ტორნადოები, ქარიშხლები, წყალდიდობები). აღნერეთ, როგორ ახდენს გავლენას თვალშისაცემი ტოპოგრაფიული მახასიათებლები ამინდზე.

**2.** აღნერეთ სეზონური კლიმატური პირობები, რომლებიც გამოიწვევდა მტკნარ ტბაში გადატრიალების მხოლოდ ერთ პერიოდს. იპოვეთ ადგილი დედამიწაზე, სადაც ამგვარი არავითარი პირობა თავს არ იჩენს.

**3.** თქვენ აღმოაჩინეთ, რომ დგახართ გუძონის ყურესთან, მანიტობას პროვინციის ქალაქ ჩერჩილის ჩრდილოეთით. რა ბიომში ხართ? გლობუსის ან მსოფლიო რუკის გამოყენებით დაადგინეთ ქალაქი ამ თავში ნახსენებ ყველა ბიომში.

ნაცილი 3

ენერგია და  
ეატერნიალები  
ეპოსისტიკაში



**Ω** ცოცხლის ენერგია მოედინება უსიცოცხლო ფიზიკური გარემოდან ფოტოსინთეზის მეშვეობით. ენერგიის დინება ეკოსისტემაში მიიღწევა ორგანიზმების კვებითი ურთიერთობების საშუალებით. ენერგეტიკული ტრანსფორმაციები მოიცავენ ეკოსისტემაში ისეთი ელემენტების მოძრაობას, როგორიცაა ნახშირბადი, აზოტი და ფოსფორი. მესამე ნაწილში ჩვენ ავხსნით პროცესს, რომლის დროსაც ენერგია და ნივთიერებები მოძრაობს ეკოსისტემაში და მოიცავენ ინტერაქციებს ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოებს შორის.

ეკოსისტემის კონცენტრიციის განვითარება წარმოადგენს ეკოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების მნიშვნელოვან საწყის ნაწილს (IX თავი). მეათე თავში ყურადღებას გავამახვილებთ ბუნებრივ სამყაროში ენერგიის ტრანსფორმაციის მექანიზმზე. ვნახავთ, რომ ხმელეთისა და წყლის ეკოსისტემებში სხვადასხვა ფაქტორები ახდენს გავლენას ფოტოსინთეზის სიჩქარეზე. ჩვენ ასევე გაგაცნობთ კვებითი ჯაჭვის კონცენტრიციას და გიჩვენებთ როგორ ახდენს გავლენას კვებითი ჯაჭვის ეკოლოგიური ეფექტურობა ეკოსისტემაში ენერგიის დინების სიჩქარეზე.

ენერგიის დინებას ეკოსისტემებში თან ახლავს ნივთიერებათა მოძრაობაც, რომელიც თავს იჩენს როგორც გლობალური, ისე ადგილობრივი მასშტაბით. მე-11 თავში ჩვენ აღვწერთ წყლის, აზოტის, ფოსფორისადასხვამნიშვნელოვანინივთიერებების მიმოქცევის გლობალურ ციკლებს. განვსაზღვრავთ ადამიანების მიერ გამოწვეული ცვლილებების პოტენციურ გავლენას ამ ციკლებზე. მრავალი იშვიათი ელემენტი ადგილობრივად უნდა რეგენერირდეს დაშლისა და მინერალიზაციის საშუალებით. ეს რეგენერაციული პროცესები, რომლებიც დამოკიდებულია სოკოებსა და მიკროორგანიზმებზე, შეიძლება ზღუდავდნენ ეკოსისტემათა პროდუქტიულობას, როგორც მე-12 თავშია ნაჩვენები.

ეკოსისტემათა პროდუქტიულობას განსაზღვრავს მზის სინათლისა და საკვები ნივთიერებების ხელმისაწვდომობა და აყალიბებს ეკოსისტემაში მიმდინარე ტროფიკულ (კვებითი) ინტერაქციებს. ეკოლოგები იყენებენ ექსპერიმენტებს და თეორიულ მოდელირებას ეკოსისტემათა რეგულაციის დინამიკის დასადგენად. მე-13 თავში ჩვენ განვიხილავთ ამგვარი რეგულაციების დინამიკას გაზომვა. ეკოლოგიური ფუნქციისა და სტრუქტურის ეს ასპექტები და ის, თუ როგორ განსხვავდებიან ისინი ხმელეთის ბიომებსა და წყლის ეკოსისტემებს შორის, ამ წიგნის მომდევნო ნაწილის თემებია.

## თავი 9



### ეკოსისტემათა კონცეპტი

#### გზამკვლევი კითხები

- როთ განსხვავდებოდა ფ.ე. კლემენტისა და ჰ.ა. გლიასონის შეხედულებები ბიოლოგიური თანა-საზოგადოებების ბუნების შესახებ?
- როგორ წარმოედგინა ჩარლზ ელტონს ბიოლო-გიური თანასაზოგადოებები?
- როგორ ხდება ეკოსისტემებში ენერგიის ტრანს-ფორმაცია?
- რა იდეები ჰქონდა ა.ჯ. ლოტკას ეკოსისტემათა ფუნქციის რეგულირებასთან დაკავშირებით?
- როგორ აღიქვამს ორგანიზმი თანასაზოგადოე-ბებსა და ეკოსისტემებს?
- რა მნიშვნელოვანი მიზნები აქვს ლანდშაფტის ეკოლოგიას?

**გ**ეორე თავში ჩვენ განვსაზღვრეთ ეკოსისტემა, როგორც ყველა ფიზიკური და ბიოლოგიური სამყაროს ინტერაქციული ნაწილი. ეკოლოგიის განხრას, რომელიც ეხება ამგვარი სისტემების შესწავლას, ეკოსისტემების ეკოლოგია ენოდება. იგი წიგნის ამ ნაწილის მთავარი თემაა. ჩვენ ამ თავს ვიწყებთ მოკლე მიმოხილვით იმ იდეათა განვითარების ისტორიის შესახებ, რომლებიც ქმნიან ეკოსისტემათა ეკოლოგიის საფუძველს და სიმართლე ითქვას, ეკოლოგიის დანარჩენი უმეტესი ნაწილისაც. ჩვენ გვჯერა, რომ ეს ისტორიული პერსპექტივა მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ თანამედროვე ეკოლოგიური აზროვნების დიდი ნაწილი წარმოშობილია ადრეული ბუნებათმცოდნების მოსაზრებებიდან, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ორგანიზმებისა და ფიზიკური გარემოს ინტერაქ-ციებით. ამ თავში მოყვანილი მრავალი იდეა დღეს უარყოფილია. მიუხედავად ამისა, როგორც ნებისმიერი სახის ცოდნის განვითარებისა და ზრდის შემთხვევაში ხდება ხოლმე, სწორედ დებატებმა (ზოგჯერ ღვარძლიანმაც კი) ამ იდეების შესახებ მისცეს ფორმა და მიმართულება თანამედროვე ეკოლოგიას.

#### **9.1 თანამედროვე ეკოლოგიის უმატესი ნაწილი ემყარება ორ კონცეპტიას, რომელიც წარმოიშვა მათ და საუკუნის ნატურალისტების დაკვირვებათა შედეგად**

დღეს არსებული წარმოდგენა ბუნების გაერთიანებული სურათის საფუძვლების შესახებ ემყარება ბუნებათმცოდნების დეტალურ დაკვირვებებს მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. ამ დაკვირვებებიდან წარმოიშვა ორი ახალი კონცეფცია ბუნებრივი სამყაროს შესახებ. პირველი იყო იმის გაცნობიერება, რომ მცენარეთა და ცხოველთა სახეობები ქმნიან ბუნებრივ ასოციაციებს, თითოეული — განსხვავებული წევრებით. მაგალითად, ქვიანი სანაპირო ზოლების გასწვრივ მოველით, რომ დავინახავთ ფიკუსებს, კიბორჩხალებს, ზღვის ვარსკვლავებს და მოლუსკებს. მაშინ, როდესაც ტყეში ველით მუხების, ნეკერჩლების, გვიმრების, ციყვების, მატლებისა და ბელურასებრი ფრინველების ნახვას. ისევე, როგორც მორფოლოგიურმა მონაცემებმა მისცეს საშუალება სისტემატიკოსებს, მიერწრათ სახეობები ტაქსონომიური ჯგუფებისთვის, მცენა-

რეების გავრცელების დეტალურმა კვლევებმა ეკოლოგები მიიყვანეს იმ აზრამდე, რომ მათ შეეძლოთ ბიოლოგიური თანასაზოგადოებების კლასიფირება პარალელურ რეჟიმში (Schimwell 1971). მეორე კი, იმის გაცნობიერება იყო, რომ ორგანიზმები როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ არიან და კავშირებული თავიანთი კვებითი ურთიერთობების საშუალებით. ადამიანები ოდთვანვე თვლიდნენ, რომ ორგანიზმი შეიძლება იყოს მტაცებელიც და სხვების მტაცებლობის მსხვერპლიც, მაგრამ მოსაზრება, რომ ეს კვებითი ურთიერთობები აკავშირებდნენ სახეობებს ფუნქციონალურ ერთეულებად ორიგინალური იყო მეოცე საუკუნის დასაწყისში.

ბუნებრივი თანასაზოგადოებების და კვებითი ინტერაქციების კონცეფციები, რომლებიც ასე ძლიერ გავლენას ახდენდნენ ეკოლოგიის მეცნიერების განვითარებაზე თავისი ჩამოყალიბების ადრეულ წლებში, ჯერ კიდევ პირველხარისხოვანია ბუნებრივი სამყაროს მოქმედების ჩვენეული გაგებისთვის. თუმცა წლებით თავს იჩენს ახალი, უფრო ფართო შეხედულება ეკოლოგიური ურთიერთობების შესახებ მცენარეულობისა და კლიმატური სტრუქტურების გლობალური ცვლილებების პირობებში, რომლებიც ადამიანთა საქმიანობითაა გამოწვეული. გარჩდა ახალი აღიარება მასშტაბისა, როგორც ეკოსისტემების მახასიათებლის, ისე მისი პროცესების განმსაზღვრულის სახით. სხვა კუთხით განიხილება ეკოსისტემების ურთიერთქმედებათა დინამიკა მაგალითად, ტბასა და მის გარშემო ტყეში. ახალი მნიშვნელობა შეიძინა კავშირმა სახეობათა სიჭარებასა და დისტრიბუციას ეკოსისტემის ფუნქციასთან. სულ მეტი და მეტი ეკოლოგი განიხილავს ეკოლოგიურ პროცესებს ფართო ლანდშაფტის ფარგლებში ურთიერთქმედი ეკოსისტემების კონტექსტში.

როდესაც ეკოლოგები აღიარებენ, რომ ორგანიზმები არსებობს ბუნებრივ თანასაზოგადოებებში, ისინი ინტერენ კითხვების დასმას ამგვარი დაჯგუფებების ბუნების შესახებ. მეოცე საუკუნის ეკოლოგიის აზროვნებაში დომინირებდნენ ერთ კონკრეტულ საკითხზე მიმდინარე დებატები. ეს კითხვა მდგომარეობდა შემდეგში — ფლობდნენ თუ არ ცხოველებისა და მცენარეების ჯგუფები ორგანიზმივით ფუნქციონირების უნარს.

სანამ გავაგრძელებდეთ, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ იმ ისტორიული მიდგომის გამო, რომელიც ავირჩიეთ, სიტყვა ერთობა გამოიყენება შემდეგ თავებში (9.2-დან 9.4 ნაწილების ჩათვლით) ეკოსისტემების ნაცვლად, ბუნებრივი დაჯგუფებების აღსანერად. ეკოსისტემური აზროვნება წარმოიშვა ადრეულ თანასაზოგადოებათა ეკოლოგიდან და ამრიგად, ადრეულ ეკოლოგებს არ ჰქონდათ ეკოსისტემათა კონცეფცია თავიანთ განკარგულებაში. ამ წიგნის მექექსე ნაწილში ძალიან დეტალურადა განხილული თანამედროვე თანასაზოგადოებათა ეკოლოგია.

## 9.2 ორგანიზმის ანალოგი გამოიყენებული იქნა გიოლოგიურ თანასაზოგადოებები ფ. კლემენტისა და ა.გ. ტესლის მიერ

თავდაპირველად, აზრი ურთიერთმოქმედი პოპულაციების სისტემების შესახებ, გაიყო უმსხვილესი საკითხის თაობაზე: აჭარბებს თუ არა მთელი ნაწილთა ჯამს. ერთის მხრივ, ჩვენ შეიძლება მივიწიოთ, რომ სისტემას მთლიანობაში შეიძლება ჰქონდეს ატრიბუტები, რომელთა გაგებაც შეუძლებელია მისი კომპონენტი ნაწილების მუშაობის საფუძველზე ისევე, როგორც ორგანიზმების ფუნქციები ვერ შეფასდება მის ინდივიდუალურ ნაწილებზე დაკვირვებით. მეორე მხრივ, სისტემა შეიძლება აღვიქვათ, როგორც დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი პოპულაციების კოლექცია.

ზოგ ეკოლოგს სჯერა, რომ არსებობს დეტერმინიზმი მრავალსახეობიანი სისტემის დონეზე, როგორც იმ დეტერმინიზმის ანალოგია, რომელსაც ბუნებრივი გადარჩევა იძლევა ერთი ორგანიზმის დონეზე. სხვა სიტყვებით, რაც არ უნდა იცოდე სპილოთა ანატომიის შესახებ, შეუძლებელია სპილოსა და მის გარემოს შორის განსაკუთრებული ურთიერთობის ახსნა. მაშინ, მართალია თუ არ ისიც, რომ ნებისმიერ შესაძლო ცოდნას ბალახის, ჭრიჭინას, თაგვებისა და ხვლიკების შესახებ არ შეუძლია პრერიის საიდუმლოებათა ახსნა?

ეკოლოგები ხშირად ადარებენ ერთად მობინადრე სახეობების დაჯგუფებებს (ბიოლოგიური თანასაზოგადოებები) ორგანიზმებს. ფუნქციური მსგავსებები თანასაზოგადოებებსა და ორგანიზმებს შორის – პირველად პროდუქციასა და კვებას, მტაცებლობასა და მეტაბოლიზმს, სახეობებსა და ორგანიზმებს, მდელოდან ტყემდე მომზიფებულ სტადიების რეგულარულ თანმიმდევრულ ცვლასა და ინდივიდის განვითარებას შორის ცხადი და თვალშისაცემია. გავლენიანმა ამერიკელმა მცენარეთა ეკოლოგმა ფ.ე. კლემენტსმა (1916, 1936) მოახდინა ამ მსგავსებების ექსტრაპოლიტორება მომზიფებული ბიოლოგიური თანასაზოგადოების კონცეფციაში. ეს თანასაზოგადოებები მან განიხილა როგორც ცალკეული ვეგეტაციური ტიპები, სახელად კლიმაქები. თითოეული კლიმაქსი არსებობს განსაზღვრული კლიმატისა და ნიადაგის მქონე გარკვეულ რეგიონში და აქვს განვითარებადი სტადიების დამახასიათებელი თანმიმდევრობა, სერია, რომელიც შიშველი და სუფთა მინიდან მომზიფებულ კლიმაქსურ მდგომარეობას აღნევს (იბ. 28 თავი). კლემენტსი მცენარეთა თანასაზოგადოებებს სუპერორგანიზმებად აღმისამადა, ანუ არსებებად, რომლებიც ფუნქციონირებენ ინდივიდი მცენარის ან ცხოველის მსგავსად. მას არ სჭირდებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა ანალოგია ორგანიზმისა და სუპერორგანიზმს შორის, რადგან მისი სამუშაო თავდაპირველად აღწერითი იყო და ორგანიზმის კონცეფცია ადექვატურად მოიცავდა იმას, რასაც ის ბუნებაში აკვირდებოდა და ხედავდა.

კლემენტსის თანამედროვე იყო მცენარეთა ამერიკელი ეკოლოგი ჰ.ა. გლიასონი. გლიასონს მიაჩნდა, რომ ადგილობრივი თანასაზოგადოება იდგა რა შორს, ცალკეული ორგანიზმის მსგავსად, ერთიან თანამედროვების მისამართით დაჯგუფება სახეობებისა, რომელთა ადაპტაციები საშუალებას აძლევდნენ მათ ერაշებათ გარკვეულ ადგილას (Gleason 1926, 1939). აღიარებდა რა, რომ სახეობები მართლაც ურთიერთობის მისამართით დაჯგუფება კვება!, გლიასონი იმასაც ამტკიცებდა, რომ ერთი რომელიმე სახეობის არსებობა ან არ არსებობა დამოუკიდებელია სხვა დანარჩენებისგან. მისი აზრით, ჩვენ შეიძლება, განვსაზღვროთ დაჯგუფებები ხელსაყრელობის მიხედვით, მაგრამ ისინი არ წარმოადგენ ბუნებრივ ერთეულს და მათ არ აქვთ ფუნქციონალური მნიშვნელობა იმ როლს მიღმა, რასაც თითოეული წევრი ასრულებს.


მცენარეთა ეკოლოგი ინგლისელი ა.გ. ტენსლი (1935) ასევე უარყოფდა კლემენტსის სუპერორგანიზმის ცნებას. მას ერჩივნა, განეხილა ცხოველები და მცენარეები დაჯგუფებებში, თავიანთი

გარემოცვის ფიზიკურ ფაქტორებთან ერთად, უბრალოდ როგორც სისტემები:

„უფრო ფუნდამენტური კონცეფცია, როგორც ვფიქრობ, არის მთლიანი სისტემა (ფიზიკური მნიშვნელობით), რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ორგანიზმს, არამედ მთლიან კომპლექსურ ფიზიკურ ფაქტორებს და რომლებიც ქმნიან ჩვენთვის ცნობილ ბიომების გარემოს. მართლია, ორგანიზმები შეიძლება ამტკიცებდნენ ჩვენს თავდაპირველ ინტერესს, როდესაც ჩვენ ფუნდამენტურად აზროვნებას ვცდილობთ, ჩვენ არ შეგვიძლია განვაცალკევოთ ისინი თავიანთი განსაუთრებული გარემოსგან, რომელთან ერთადაც ისინი ქმნიან ერთ ფიზიკურ სისტემას“.

ტენსლიორგანიზმებისადამათმიერგაზიარებული ფიზიკური გარემოს ამ ინტეგრაციას ეკოსისტემებს უნიფირებდა.

გლიასონისა და ტენსლის ნაშრომების მიუხედავად, კლემენტსის დომინანტური პიროვნების გამო, მისი სუპერორგანიზმის იდეა რაღაც დროის განმავლობაში ნარჩუნდებოდა ეკოლოგიაში, როგორც უმსხვილესი პარადიგმა. თუმცა, რ.პ. ვიტაკერისა და სხვების მცენარეთა ერთობების დინამიკის უფრო დეტალურმა



ნახ. 9-1 სამერპეიზისა და ელტონის 1923 წლის აღწერა დათვის კუნძულზე ცხოველების კვებითი ურთიერთობებისა. (From Elton 1927.)

კვლევამ სამოციან წლებში მხარი დაუჭირა გლიასონის შეხედულებას, რომ სახეობათა დაჯგუფების სისტემები შეიძლება გავზარდოთ ინდივიდუალურ სახეობებზე ყურადღების გამახვილებით. თანამედროვე ეკოლოგები არ ეთანხმებიან ბუნებრვი დაჯგუფების სუპერორგანიზმისეულ შეხედულებას, თუმცა აღიარებენ, რომ ფუნქციები, რომლებიც არ მიენერება ინდივიდუალურ სახეობებს, შეიძლება მომდინარეობდეს სახეობებს შორის ინტერაქციებიდან.

### **9.3 ჩარლზ ელტონის აღმოჩენა თანასაზოგადოებები კვებითი ურთიართოების საფუძველზე**

კლემენტსი და გლიასონი დაინტერესებულნი იყვნენ თანასაზოგადოებების სახეობათა შემადგენლობით. 1920-იანი წლებისთვის ეკოლოგებმა დაიწყეს თანასაზოგადოებების ფარგლებში ფუნქციური სისტემების განხილვა. პირველი, მათ შორის იყო ინგლისელი ეკოლოგი ჩარლზ ელტონი. ოქსფორდში სტუდენტობის დროს, ელტონი თან ახლდა ეკოლოგიურ ექსპედიციას ატლანტიკის ოკეანის დათვის კუნძულზე, სადაც ბოტანიკოს ვ.ს. სამერსეიზთან თანამშრომლობით, იკვლევდა კვებით ურთიერთობებს მარტივი ტუნდრის თანასაზოგადოების მობინადრეებს შორის (ნახ. 9-1).

იმ დროისთვის ელტონი 26 წლის იყო, თუმცა მას უკვე შემუშავებული ჰქონდა თანასაზოგადოებების კონცეფცია. თავის წიგნში „ნიმალ ცოლოგი“ („ცხოველთა ეკოლოგია“, 1927), რომელიც მომავალში თანამედროვე ეკოლოგის ორიენტირო გახდა, ის წერდა:

„საკვები გადამწყვეტია ცხოველთა საზოგადოებაში. თანასაზოგადოებების მთლიანი სტრუქტურა და საქმიანობა დამოკიდებულია საკვების მარაგზე... ცხოველები დამოკიდებული არიან მცენარეებზე ენერგიის მარაგის მისაღებად, რადგან მხოლოდ მცენარეებს შეუძლიათ მზის სინათლისა და ქიმიური ნივთიერებების გარდაქმნა ცხოველებისთვის საკვებად გამოსადეგ ფორმებად. ამრიგად, ბალახისმჭამელები ცხოველთა საზოგადოების ძირითადი კლასია ... ბალა-ხისმჭამელები, როგორც წესი, ხორცის მჭამელთა მსხვერპლნა არიან, რომლებიც მზის ენერგიას მესამე ხელიდან იღებენ. ხოლო მათზე თავის მხირვ, შეიძლება სხვა მტაცებლები ნადირობდნენ და ასე შემდეგ, სანამ არ მივაღწევთ ცხოველს, რომელსაც მტერი არ ჰყავს და რომელიც კვების ციკლის დამასრულებელია. მართლაც, არსებობენ საკვებით დაკავშირებული ცხოველთა ჯაჭვები და ყოველი მათგანი საპოლიო ჯამში, დამოკიდებულია მცენარე-ებზე. ჩვენ ამ მოვლენას კვებით ჯაჭვებს უშორდებთ, ხოლო ყველა კვებით ჯაჭვს თანასაზოგადოებაში – „კვებით ციკლებს“.

წლების განმავლობაში ტერმინი „კვებითი ციკლი“ ჩანაცვლებულია ტერმინით „კვებითი ჯაჭვი“. ტერმინი „კვებითი ჯაჭვი“ აღნიშნავს, რა კვებითი ჯაჭვის ერთ ნაწილს, დღესაც ხშირად იხმარება ეკოლოგიაში. ელტონის ძირითადი კონცეფცია ფაქტობრივად უცვლელი დარჩა. მან თავისი წიგნის მეხუთე თავს („ცხოველთა თანასაზოგადოებები“) დაურთო ჩინური ანდაზები:

„დიდი თევზები ჭამენ მცირე თევზებს, მცირე თევზები ჭამენ ნყლის მნერებს, ნყლის მნერები ჭამენ მცენარეებს და ლექს.“

„დიდ ფრინველს არ შეუძლია პატარა მარცვლის შეჭმა“. „ერთ მთას არ შეუძლია შეიფაროს ორი ვეფხვი“. „

პირველი ანდაზა არის ელტონის „კვებითი ჯაჭვი“. მეორე და მესამე ანდაზები ქვაკუთხედია ელტონის მეორე ზოგად პრინციპში, რომელსაც რიცხვების პირამიდა ეწოდება. თუ კვებით ჯაჭვს ბოლომდე ავყვებით, დავაკვირდებით სხეულის ზომების მეტნაკლებად რეგულარულ თანმიმდევრულობას, რადგან მტაცებელთა უმრავლესობა მოიხმარს თავისზე გარკვეულწილად მცირე ზომის მსხვერპლს. უფრო დიდ ცხოველებს სჭირდებათ პროგრესულად უფრო ვრცელი ადგილი საკვების საძიებლად, შესაბამისად, მათი რაოდენობაც მცირეა. ელტონმა აღნიშნა, რომ მუხის ხე იფარებს „უამრავი რაოდენობის ბალახისმჭამელ მწერს: მღილებს, ობობებსა და ხორცის მჭამელ მინის ხოჭოებს, საკმაოდ ბევრ მნერის მჭამელ ფრინველს და ერთ-ორ ქორს. ამის მსგავსად, პატარა ტბორში უმარტივესთა რიცხვმა, შეიძლება, მილიონებს მიაღწიოს, Daphnia-თა და Cyclop-თა ასობით ათასს მაშინ, როდესაც იქ გაცილებით ნაკლები რაოდენობის ხოჭოთა ლარვებია და კიდევ უფრო ცოტა თევზი“. ელტონი ამ რიცხვთა პირამიდას (დიდები პირამიდის ნვეროში და მცირენი მის ფუძესთან) ხსნიდა შემდეგნაირად:

„მცირე ზომის ბალახისმჭამელ ცხოველებს, რომლებიც თანასაზოგადოებები საკვანძო ინდუს-ტრიას შეადგენენ, შეუძლიათ ძალიან სწრაფად მოიმატონ რაოდენობაში (თავიანთი მცირე ზომის გამო) და აქედან გამომდინარე, შექმნან მსხველი რიცხვთა კიდეები, რომელთა ზევით ან ეკვევითაც საჭირო იქნებოდა მათი პოპულაციების შენარჩუნება მტრების არ არსებობის პირობებში. ეს კიდეები ხელს უწყობენ რიგ ხორცის მჭამელებს, რომლებიც ზომაში მეტი და რაოდენობით ნაკლები არიან. თავის მხრივ, ეს ხორცის მჭამელები ქმნიან უფრო მცირე ზომის რიცხვთა საზღვრებს თავიანთი დიდი ზომის გამო, რომელიც მათ გამრავლებას ანელებს“.

1930-იან წლებში თანასაზოგადოების, როგორც ურთიერთობის სახეობების დაჯგუფებათა იდეა,

სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას ამახვილებდა ეკოლოგიურ აზროვნებაზე, თუმცა ჯერ არ იყო უნივერსალურად აღიარებული.

#### **9.4 ა.ჯ. ლოტკამ მხარი დაუშირა ეკოსისტემის თერმოდინამიკულ ხედვას**

ნინაალმდეგობა თანასაზოგადოებათა სუპერორგანიზმთან ანალოგის შესახებ ა.ჯ. ლოტკასთვის შეუმჩნეველი იყო. ის განათლებით ქიმიკოსი იყო, რომლის განასხვავებული შეხედულებები პიოლოგიური სისტემების შესახებ დღესაც გავლენას ახდენს ჩვენზე მისი წიგნის „The Elements of Physical Biology“ სახით, რომელიც გამოიცა 1925 წელს. ლოტკა იყო პირველი, ვინც პოპულაციები და თანასაზოგადოებები განიხილა, როგორც თერმოდინამიკული სისტემები. იგი თვლიდა, რომ თითოეული სისტემა, შეიძლება, წარმოდგენილი იყოს განტოლებების სახით, რომლებიც განასაზღვრავენ მასის ტრანსფორმაციებს მის კომპონენტებს შორის. ამგვარი ტრანსფორმაციები მოიცავენ ნახშირორჟანგის ასიმილაციას ორგანული ნაშირბადის ნაერთებად მწვანე მცენარეებში და ასევე მცენარეების მოხმარებას ბალაზისმჭამელების მიერ და ცხოველების მოხმარებას ხორცის მჭამელების მიერ.


ლოტკას სჯეროდა, რომ სისტემის ზომა და ტრანსფორმაციათა სიჩქარე მის ფარგლებში განისაზღვრებოდა გარკვეული თერმოდინამიკული პრინციპების საშუალებით. როგორც მძიმე და სწრაფ მანქანებს ესაჭიროებათ მეტი საწვავი მუშაობისთვის, ხოლო ეფექტურ მანქანებს უფრო ნაკლები საწვავი ესაჭიროებათ, ვიდრე არაეფექტურებს, ეკოსისტემათა ენერგიის ტრანსფორმაციებიც ზომის (მთლიანი მასები, რომლებიც შეადგენენ ორგანიზმს), პროდუქტიულობის (ტრანსფორმაციათა სიჩქარე) და უუნარობის პირდაპირ პროპორციულად იზრდება.

ლოტკა ეკოსისტემებს მიიჩნევდა მსოფლიო მანქანის ნაწილებად, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ დედამინის ზედაპირზე მოღწეული მზის სინათლის ტრანსფორმირებისთვის. ყველა სახის ენერგია არ აღნევს ბიოლოგიურ გზებს. მათი დიდი ნაწილი ახორციელებს ქარების და ოკეანეთა დინებების ცირკულაციას და ასევე, წყლის აორთქლებას. მაგრამ ის წილი, რომლის ასიმილირებასაც ახერხებენ მცენარეები და წყალმცენარეები, ფოტოსინთეზის გზით, ამძრავებს მსოფლიო მანქანის (რომელსაც ლოტკა „სიცოცხლის წისქვილის ბორბალს“ უწოდებდა) ნაწილს (ნახ. 9-2).


როდესაც ლოტკამ ეს წიგნი გამოაქვეყნა, მრავალ ეკოლოგს აწუხებდა სახეობათა დაჯგუფებების პრობლემა და გამოტოვეს ბუნებრივ სამყაროში თერმოდინამიკული მახასიათებლების როლი და მნიშვნელობა (Kingsland 1985). ტენსლი არასდროს მიმართავდა „Elements of Physical Biology“-ს, მიუხედავად იმისა, რომ ლოტკამ წარმოადგინა მექანიკური ანალოგია ეკოსისტემათა ამ კონცენტრი-ისთვის.

#### **9.5 რაიმოდ ლიდევანდა განავითარა ეკოსისტემის ტროფულ-დინამიკური კონცეპცია**

ლოტკას ეკოსისტემათა კონცეფციამ მრავალი ეკოლოგის ყურადღება მიიპყრო რაიმონდ ლინდე-მანის მიერ 1942 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის საშუალებით. ეს იყო წყლის ახალგაზრდა ეკოლოგი მინესოტას უნივერსიტეტიდან. სრული ისტორია, რომელიც ამ ნაშრომის უკან დგას, აღნერა რობერტ კუკმა (1977): უუნალმა „Ecology“ თავდაპირველად უარყო ეს ნაშრომი რეცენზირების რჩევით, რომლებსაც იგი ზედმეტად რიტორიკულად მიაჩნდათ, მაგრამ ეკოლოგ გ.ე. ჰათჩინსონის ძლიერმა



**ნახ. 9-2. ლოტკას  
შეხედულება სიცოცხლის  
წისქვილის ბორბლის შესახებ.  
(After Lotka 1925.)**



**ნახ. 9-3** ზომიერი ზონის ტბაში განზოგადებული „კებითი ციკლის“ ურთიერთობების ლინდემანისეული დაგრამაშა. ენერგია სისტემაში აღწევს (1) ფიტოსინოზის გზით ისეთი ორგანიზმების საშუალებით, როგორიცაა (2) ფიტოსინეტრინი და ნყლის მცენარეები. მათ მოიხარენ (3) ზომპლანეტრონი და ბრაუზერები, რომლებსაც (4) მტაცებელი პლანეტრონი და ბენტოსის ორგანიზმები ქამენ. მათ კი თავის მხრივ (5) მოცურავე მტაცებლები მოიხმარეს. ორგანიზმები ნებისმიერ საკვებ დონეზე კვდებიან და ხდებიან ტბაში ჭაობიანი ნაწილის ნაწილები, სადაც ბაქტერიათა საქმიანობა ტბაში კვლავ უკვე უშვებს საკვებ ნივთიერებებს (After Lindeman 1942).

მხარდაჭერამ საბოლოოდ უზრუნველყო მისი გამოქვეყნება. ლინდემანის მოსაზრებამ ეკოლოგიის შესახებ, რომელიც ეფუძნებოდა თერმოდინამიკულ პრინციპს, ჰათჩინსონზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ჰათჩინსონი ეთანხმებოდა ტენსლის ცნებას ეკოსისტემის, როგორც ეკოლოგიის ფუნდამენტური ერთეულის შესახებ და ასევე, ელტონის კონცეფციას კვებითი ჯაჭვის თაობაზე. იგი მათ მიიჩნევდა ეკოსისტემის სტრუქტურის ყველაზე სასარგებლო გამოსახულებად (ნახ. 9-3).

ლინდემანის კვებითი ჯაჭვი შედგებოდა რგოლებისგან – პირველადი მნარმოებლებისგან (მაფორტოსინოზირებელი ორგანიზმები), ბალანის-მჭამელებისგან, ხორცის მჭამელებისგან – რომლებსაც ტროფიკული დონეები ენოდებათ. მაგრამ ნაცვლად ტროფიკულ პირამიდაში რიცხვთა რეგულარულობის ძიებისა, როგორც ელტონს ჰქონდა გაკეთებული, მან ნარმოიდგინა ენერგიის ტრანსფორმაციის პირამიდა. მისი აზრით, ყველა ზედა ტროფიკულ დონეს ნაკლები ენერგია მიენიდებოდა შესრულებული სამუშაოს და ქვემოთ არსებული ტროფიკულ დონეებში ბიოლოგიური ენერგიის ტრანსფორმაციათან გამო. ამრიგად, სინათლის ენერგიისგან, რომელიც აღწევს ტბაში ( $\Lambda_0$ ), მცენა-

რეები იყენებენ მხოლოდ ნაწილს ( $\Lambda_1$ ) – სისტემის პირველადი პროდუქცია. ბალანისმჭამელები ახდენენ ნაკლები ენერგიის ასიმილირებას ( $\Lambda_2$ ), ვიდრე მცენარეები, რადგან მცენარეები იყენებენ საკუთარ პროდუქციას თავის გადასარჩენად, სანამ ბალანისმჭამელები შეჭამდნენ. ტროფიკული დონის ნარმოების პროპორცია მის ქვემოთ არსებული ტროფიკული დონის ნარმოებასთან (მაგ.  $\Lambda_2/\Lambda_1$ ) არის კვებით ჯაჭვში ამ რგოლის ეფექტურობა.

1950-იანი წლებისთვის ეკოსისტემათა კონცენტრიამ მთლიანად შეავსო ეკოლოგიური აზროვნება და შექმნა საფუძველი ახალი განშტოებისთვის ეკოლოგიაში. მიჩიგანის უნივერსიტეტის ეკოლოგმა ფრანცის ქ. ევანსმა (1956) შეაჯამა ამ კონცეფციის არსებითი ნიშნები მოკლე ნარკვეცში:

„თავის ფუნდამენტურ ასპექტში ეკოსისტემა მოიცავს ენერგიისა და ნივთიერებების ცირკულაციას, ტრანსფორმაციასა და აკუმულაციას ცოცხალი არსებებისა და მათი საქმიანობის საშუალებით. ფოტოსინთეზი, ხრნნა, ბალანისმჭამელობა, მტაცებლობა, ჰარაზიტიზმი და სხვა მეტაბოლური საქმიანობანი უმთავრეს ბიოლოგიურ პროცესებს შორის არიან, რომლებიც პასუხს აგებენ ენერგიისა და ნივთიერებების ტრანსპორტირებისა და შეგროვებისთვის. ამ საქმიანობაში მონაწილე ორგანიზმთა ინტერაქციები კი გავრცელების გზებს ნარმოადგენ.... ეკოლოგი, მაშასადამე, უპირველესად დაინტერესებულია იმ ენერგიისა და მასალების ოდენობით, რომლებიც მოძრაობენ მოცუმულ ეკოსისტემაში და იმ სიჩქარით, რომლითაც ისინი ამას ახორციელებენ“.

ამრიგად, მასალებისა და მასთან ასოცირებული ენერგიის დინებათა ციკლირება ეკოსისტემაში მისი სტრუქტურისა და ფუნქციის საფუძველია. ენერგიის დინებები და ელემენტთა მასები, როგორიცაა ნახშირბადი, იძლევა ეკოსისტემაში ცხოველების, მცენარეების, მიკრობების და აბიოტური ენერგიის წყაროებისა და ელემენტების შედარების საშუალებას. სახეობათა ტაქსონომიური ჩამონათვალი და პოპულაციებში ინდივიდთა რიცხვი ეკოსისტემათა ამ ახალ თერმოდინამიკულ კონცეფციაში ადგილს უთმობს ენერგიის ასიმილაციისა და ენერგეტიკულ ეფექტურობათა გამოაწერიშებებს.

## 9.6 ა.ჯ. ლოტკა აღნარა ეკოსისტემის ფუნქციური რეგულაცია კომარენტური ცომეცლატურის ეკოლოგიური ურთიერთობის საფურველი

თავის ნაშრომში ევანსმა აღნერა ეკოსისტემის ფუნქციისა და მისი რეგულირების კონცეფცია. თითოეული პოპულაცია ინდივიდუალური მანქანა იყო და მის მიერ შესრულებული სამუშაო ემატებოდა სხვების მიერ შესრულებულ სამუშაოს, რაც მთლიანად

ეკოსისტემის მიერ შესრულებულ სამუშაოს შეადგენდა. ევანსის შეხედულებით (ეს შეხედულება დომინირებადი იყო 1950-იან წლებში) თითოეული პოპულაციის მიერ ენერგიის ტრანსფორმაცია დამოკიდებული იყო გარემო ფაქტორებზე, რომლებიც პირდაპირ გავლენას ახდენდნენ პოპულაციებში ინდივიდთა საქმიანობაზე.

ეკოსისტემებს კიდევ ახასიათებთ მარეგული-რებელი მექანიზმების მრავალფეროვნება, რომლებიც დამოკიდებულია არსებული ორგანიზმების რაოდენობასა და ურთიერთქმედებაზე. ორგანიზმთა რაოდენობის შეზღუდვით და ფიზიოლოგიასა და ქცევაზე გავლენის მოხდენით შესაძლებელი ხდება ნივთიერებებისა და ენერგიის ოდენობის და მოძრაობის კონტროლი. ზრდისა და გამრავლების პროცესები, სიკვდილიანობის (როგორც ფიზიკური, ისე ბიოლოგიური) ფაქტორები, ეკოსისტემებში ცხოველთა შესვლისა და გამოსვლის სისტემები და ადაპტირებადი მნიშვნელობის ჩვევები ყველაზე მნიშვნელოვან რეგულირებად მექანიზმებს წარმოადგენს.

ლოტკამ (1925) განავითარა ამგვარი ურთიერთობების მათემატიკური მოდელი. მისი მოდელი შედგებოდა განტოლებათა წყებისგან, რომელთაგან თითოეული თანასაზოგადოებაში შემავალი პოპულაციებს აღნიშნავდა. თითოეული განტოლება აღნერდა პოპულაციაში ინდივიდთა რაოდენობის ცვლილების სიჩქარეს ან ამ ინდივიდის ენერგიისა და ბიომასის ექვივალენტებს გარემოს ფიზიკური და ბიოლოგიური ფაქტორების საფუძველზე. ლოტკას მოდელის გასაგებად, წარმოიდგინეთ სამი პოპულაციის ან „კომპონენტის“ (როგორც ამას ლოტკა უწოდებს) მქონე სისტემა, რომელიც აღნიშნულია  $X_1$ ,  $X_2$  და  $X_3$  — ით. ახლა წარმოიდგინეთ, რომ არსებობს ფიზიკური გარემოს სამი ფაქტორი, აღნიშნული  $P_1$ ,  $P_2$  და  $P_3$  — ით, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პოპულაციებზე ანუ ამ ფაქტორებს შეუძლია, გამოიწვიოს პოპულაციებში ინდივიდთა რიცხვის კლება ან მატება. ლოტკა მიიჩნევდა, რომ ნებისმიერ სამ პოპულაციაში ზომაში ცვლილების (კლება ან მატება) სიჩქარე დამოკიდებულია ინტერაქციებზე სამივე პოპულაციასა და სამივე ფაქტორს შორის. ამრიგად, სიჩქარე, რომლითაც ერთ-ერთი პოპულაცია, ვთქვათ  $X_1$  იზრდება ან კლებულობს, დამოკიდებულია  $X_1$  პოპულაციის ინდივიდთა  $X_2$  და  $X_3$  პოპულაციების ინდივიდებთან და  $P_1$ ,  $P_2$  და  $P_3$  გარემო ფაქტორებთან ინტერაქციებზე. თუ  $X_1$  პოპულაციის ცვლილების სიჩქარეს აღვნიშნავთ  $dX/dt$ -ით,  $X_1$  — ის ცვლილების სიჩქარის ზოგადი განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\frac{dX_1}{dt} = F_1(X_1, X_2, X_3; P_1, P_2, P_3)$$

განტოლება გვეუძნება, რომ  $X_1$  — ის ცვლილების სიჩქარე დროსთან ( $t$ ) მიმართებაში უტოლდება  $F_1$  — ით აღნიშნულ რაღაც ექვს პარამეტრიან ( $X_1$ ,  $X_2$ ,  $X_3$ ;

$P_1$ ,  $P_2$ ,  $P_3$ ) ფუნქციას. ამ სახის განტოლება, რომელიც გვიჩვენებს ერთი კომპონენტის ცვლილების სიჩქარეს როგორც მეორის ფუნქციას, დიფერენციალური განტოლება ეწოდება. ლოტკას არ ჰქონდა ზუსტად გათვალისწინებული, თუ როგორ ურთიერთქმედებენ პოპულაციები და ფიზიკური ფაქტორები — ანუ მან არ იცოდა  $F_1$  — ის ზუსტი ფორმა. ჩვენ კომპონენტების შესაძლო ფუნქციებს განვიხილავთ მომდევნო თავებში.

ლოტკას მოდელის მიხედვით,  $X_2$  — ისა და  $X_3$  — სთვისაც მსგავსი ფუნქციები იქნებოდა. ესენია:

$$\frac{dX_2}{dt} = F_2(X_1, X_2, X_3; P_1, P_2, P_3)$$

$$\frac{dX_3}{dt} = F_3(X_1, X_2, X_3; P_1, P_2, P_3)$$

ამრიგად, სრული სამშობულაციანი მოდელი მოიცავდა სამივე განტოლებას ( $dX_1/dt$ ,  $dX_2/dt$ ,  $dX_3/dt$ ). სისტემა შეიძლება შევაჯამოთ და განვაზოგადოთ შემდეგი განტოლების საშუალებით:

$$\frac{dX_i}{dt} = F_i(X_1, X_2, \dots, X_n; P_1, P_2, \dots, P_n)$$

სადაც  $i = 1, \dots, n$ . როდესაც  $X$  — ები ენერგიის ერთეულებითაა გამოსახული  $X_i$  — ების ჯამი არის სისტემის მთლიანი ენერგიის რაოდენობა მოცემულ დროს და  $dX/dt$  სიდიდეების სისტემის სტრუქტურაში ცვლილების მთლიანი სიჩქარე. ენერგიის ტრანსფორმაციის მართვენ ფუნქციის ინდივიდუალური წევრები, რომლებიც მოიცავენ  $X$  — ის მოებისა და დანაკარგის ყველა იკრემენტს.

რაიმონდ ლინდემანის სიმბოლიზმში  $A_n$  არის ტროფიკულ  $n$  დონის მთლიანი ენერგიის შემადგენლობა. ხოლო ცვლილების სიჩქარე  $A'_n$  — ში ( $dA/dt$ ) არის ტროფიკული დონიდან მოგებათა ( $A_n$ ) და დანაკერგების ( $A'_n$ ) ჯამი. ამრიგად:

$$dA/dt = A_n + A'_{n-1}$$


აქ ( $A_n$ ,  $A'_n$ ) ფუნქციის ფორმა ცნობილია. ეს ნიშნავს, რომ ორი კომპონენტი მიემატება ერთმანეთს ( $A_n + A'_{n-1}$ ). კომპონენტი  $A_n$  წამოადგნეს სიჩქარეს, რომლითაც ენერგია შედის  $n$  ტროფიკულ დონეში ნინამორბედი  $n - 1$  დონიდან.  $A_n$  დადებითია. კომპონენტი  $A'_{n-1}$  წარმოადგენს სიჩქარეს, რომლითაც ენერგია ტროფიკულ დონეს და ამრიგად, ის უარყოფითია. სიდიდე  $A_n$  ძალიან საინტერესოა ეკოლოგიური თვალსაზრისით, რადგან ის ასახავს  $n$  ტროფიკული დონის პროდუქტულობას.

ლოტკას განტოლების თანახმად, ეკოსისტემის კვებით ჯაჭვში ერთეული რგოლის დინამიკა, მაგალითად  $i$  და  $j$  კომპონენტებს (სახეობა, ფიზიკური ფაქტორები) შორის, განისაზღვრება  $F_i$  და  $F_j$ -ს საშუალებით. მთლიანი სისტემის დინამიკის სისტემებს მართავს ინდივიდუალური  $F_i$  ფუნქციის ყველა ელემენტი. მთელი უდრის ნაწილთა ჯამს.

## 9.7 ეუგენ ოდუმის გაავრცელა ეკოსისტემის დინამიკის პრელევა

ეკოსისტემის ცხადი კონცეპტუალური ჩარჩოს საშუალებით და მისი სტრუქტურის აღსაწერად საჭირო ენერგიის მიმოქცევით, ეკოლოგებმა დაიწყეს ეკოსისტემებში ენერგიის დინებათა და საკვები ნივთიერებების ციკლირების გაზომვა. ამ მიდგომის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მომხრე იყო ეუგენ პ. ოდუმი ჯორჯის უნივერსიტეტიდან, რომლის პირველად 1953 წელს გამოქვეყნებულმა „Fundamentals of Ecology”, გავლენა მოახდინა ეკოლოგთა მთლიან თაობაზე.

ოდუმმა გამოსახა ეკოსისტემები ენერგიის უბრალო დინების სახით (ნახ. 9-4). ნებისმიერი ერთი ტროფიკული დონისთვის ამგვარი დიაგრამა შედგება კვადრატისგან, რომელიც ნარმოადგენს ბიომასას (ან ენერგიის ექვივალენტს) მოცემულ დროში და გზები ამ კვადრატისეკენ ნარმოადგენს ენერგიის დინებას. ენერგიის დინება ერთ ტროფიკულ დონეში ნაჩვენებია ნახ. 9-4-ში, სადაც შეფერილი კვადრატის ზომა



**ნახ. 9-4** ე.პ. ოდუმის ეკოლოგიური ენერგიის დინების „უნივერსალური“ მოდელი. (ა) ენერგიის დინება ერთ ტროფიკულ დონეში. (ბ) კავშირი ორ ტროფიკულ დონეს შორის საკვებ ჯაჭვში. ტროფიკულ დონეში (რომელიც გამოსახულია დიდი კვადრატის სახით მარცხნივ) შესული ენერგიის ერთი ნაწილი, იკარგება ან გამოიყენდა რესპირაციისთვის და ამრიცად, ხელმიწვევდომელია მომდევნო ტროფიკულ დონისათვის, რომელიც გამოსახულია შედარებით მცირე კვადრატით მარჯვნივ. თითოეული კვადრატის ზომა ნარმოადგენს მთლიან ბიომასას ამ ტროფიკულ დონეზე. დაიგრამებით გამოისახება ინტერაქციები მიზიდულ მოგანიზებს შორის ისევე, როგორც ინტერაქციები ტროფიკულ დონეებს შორის და ამ შემთხვევაშიც თითოეული ინდივიდი შეიძლება აღინიშნოს ცალკე კვადრატით (After Odum 1968).


ტროფიკულ დონეზე ბიომასის მთლიანი ოდენობის პროპორციულია. ენერგია შედის ტროფიკულ დონეში, როდესაც ორგანიზმი ამ დონეზე მიიღებს საკვებს. მიღებული ენერგიის ნაწილი უბრალოდ არ გამოიყენდა და იკარგება ტროფიკული დონიდან, დანარჩენი ასიმილირებული ენერგიის ნაწილი საჭირო რესპირაციისთვის ან ინახება ცხომის სახით. დანარჩენი გამოიყენება ზრდისთვის ან გამოიყოფა. ენერგიის ან ბიომასის ოდენობას, რომელიც ხელმისაწვდომია შემდგომი ტროფიკული დონისთვის, ენოდება პროდუქცია. ოდუმის დიაგრამაში შეიძლება ნარმოგვიდგინოს მთლიანი ტროფიკული დონის ან ამ დონეში არსებული ერთეული ინდივიდის ენერგიის დინამიკა. დიაგრამა აჯამებს ერთი გარკვეული ინდივიდის ან ყველა ინდივიდის შენატანსა და გაცემულს მოცემულ ტროფიკულ დონეზე.

კვებითი ჯაჭვის ფარგლებშიარსებობს მთელირიგი ტროფიკული დონეებისა, რომლებიც ერთმანეთთან საკვები ურთიერთობებით არიან დაკავშირებულნი. ოდუმმა ეს გვიჩვენა თავის დიაგრამულ მოდელში კვადრატების დაკავშირებით (ნახ. 9-4ბ). ვინაიდან ენერგია იკარგება ყოველი ტროფიკული დონიდან, ყოველი მომდევნო კვადრატი გამოსახულია სულ უფრო და უფრო პატარა ზომებში, რადგანაც ისინი მთლიანობაში ნაკლებ ბიომასას შეიცავს. მაგალითად, მტაცებლების გამომსახველი კვადრატი საკვებ ჯაჭვში უფრო მცირე ზომის იქნება, ვიდრე მსხვერპლის გამომსახველი, რომელიც ტროფიკულ დონეზე მტაცებლების ქვემოთ დგანან.

ენერგიის დინების დიაგრამები გადამუშავდა და ახლა მოიცავს მინერალური ელემენტების ციკლირებასაც (ნახ. 9-5). ენერგია სისტემაში ერთი მიმართულებით მიედინება. შთანთქმული სინათლე იკარგება სითბოს სახით ან ტრანსფორმირდება ქიმიურ ენერგიად ფოტოსინთეზის პროცესის (მასობრივი პირველადი პროდუქცია) საშუალებით, რომელსაც აუტოტროფული ორგანიზმები ახორციელებენ. აუტოტროფები ენერგიის ნაწილს რესპირაციისთვის იყენებენ, მაგრამ დარჩენილი ნაწილის უმეტესობა მიდის ზრდაში და ამრიცად, ხელმისაწვდომია ჰეტეროტროფებისთვის მომდევნო ტროფიკულ დონეზე (სუფთა პირველადი პროდუქცია). იმ ენერგიისგან განსხვავებით, რომელიც მოდის მზის სინათლისგან და ტროვებს ეკოსისტემას სითბოს სახით, საკვები ნივთიერებების ენერგია, როგორც წესი, რეგენერირდება და ნარჩუნდება სისტემაში, როგორც ეს ნაჩვენებია ნახ. 9-5-ზე შეფერილი რგოლის სახით. საკვები ნივთიერებების შენატანისა და გაცემის ნერტილები არსებობენ და ხშირად ერთიანდებიან ეკოსისტემის ერთ გარკვეულ კომპონენტში, თუმცა საკვები ნივთიერებების ფიზიკური ტრანსფერი დომინანტური დინამიკა სისტემის სხვადახვა ტროფიკულ დონეებს შორის.

ეკოსისტემათა კვლევის განვითარებაში ელემენტთა ციკლირება თავისი მნიშვნელობით თითქმის

ენერგიის დინების გვერდით დგას და მის თანასწორად მიიჩნევა. მისი გამოკვეთილობის მიზეზი არის ის, რომ ელემენტთა ოდენობამ და მათმა მოძრაობამ ეკოსისტემის კომპონენტებში შეიძლება მოგვაწოდოს ენერგიის დინების მაჩვენებელი, რომლის პირდაპირ გაზომვაც ძნელია. კერძოდ, ნახშირბადს მჭიდრო ურთიერთობა აქვს ენერგიის შემცველობასთან ფოტოსინთეზის დროს მისი დიდი რაოდენობით ასიმილაციის გამო. კიდევ ერთი მიზეზი საკვები ნივთიერებების ციკლირების მნიშვნელობისა და გამოკვეთილობისა ის არის, რომ გარკვეული საკვები ნივთიერებების შემცველობის დონე არეგულირებს პირველად პროდუქციას. უდაბნოთა უმრავლესობაში მცენარეთა ზრდა ხელმისაწვდომი წყლის ოდენობას უფრო ასახავს, ვიდრე მზის სინათლისა და ნიადაგში მინერალების ოდენობას. ამის საპირისპიროდ, ღია ოკეანები „უდანოებია“ მათში საკვები ნივთიერებების იშვიათობის თვალსაზრისით. იმის გაგება, თუ როგორ ციკლირებენ ელემენტები ეკოსისტემათა კომპონენტებს შორის, მნიშვნელოვანია ეკოსისტემის სტრუქტურისა და ფუნქციის რეგულირებისთვის.



**ნახ. 9-5** ე. ა. ოდუმის ეკოსისტემის დაგრამა, რომელიც გვიჩვენებს ენერგიის ერთმიმართულებიან დინებასა და ნივთიერებების ბრუნვას. მასობრივი პირველადი ნარმება არის მთლიანი ოდენობა სისტემის მიერ შთანთმული ენერგიისა. სისტემაში მიპორტობ ექსპორტი მოიცავს ორგანიზმებს, რომლებიც შედიან ან გამოდიან სისტემიდან ან ნაჩენებს საშუალებით.

(After Odum 1960.)

## 9.8 ცეკლიკური კვლევების საზი

გაუსვა ელემენტებისა და ენერგიის დინებას ეკოსისტემის მათ შორის

1960-იანი წლებისთვის, თანამედროვე ეკოსისტემათა ეკოლოგიის ცნებები უკვე კარგად ჩამოყალიბებული და დადგენილი იყო. (ცნობილი იყო, რომ ენერგია მიედინება ტროფიკული ინტერაქციების და საკვები ნივთიერებებისა და ელემენტების ბიოქიმიური ტრანსფორმაციის საშუალებით. ცხადი იყო, რომ ეკოსისტემათა სტრუქტურისა და ფუნქციის გაგება, დამოკიდებულია ეკოსისტემის ფარგლებში დეტალების ტრანსფორმაციისა და მასში ენერგიისა და ნივთიერებათა დინების შესახებ ცოდნაზე იმის მიუხედავად, მიიჩნევა თუ არა ეკოსისტემა როგორც უბრალო ნაწილების ჯამით შემდგარ ორგანიზმად. მეტიც, ეკოსისტემათა ეკოლოგიის კვლევის ექსპერიმენტული მიდგომები მხოლოდ მათი ახალშობილობის დროს ხორციელდებოდა (Likens and Bormann 1985, Likens 1992).


1960-იანი წლების ბოლოსთვის განხორციელდა მდინარეების აუზებში ჰიდროლოგიის, საკვები ნივთიერებების ციკლირების და ნივთიერებებისა და ენერგიის დინებების დეტალური შესწავლა. ტბის, მდინარის აუზი არის ის ტერიტორია, რომელიც გარს ერტყმის დინებას ან ტბას და რომლიდანაც წყალი პირდაპირ ან დრენაჟის სახით ჩაედინება დინებაში ან ტბაში. მდინარეების აუზების ყველაზე ინტენსიური კვლევები დაიწყო ჰაბარდის ნაკადულის აუზიდან ნიუ ჰემფშირში (Likens 1985), უოლეკრის განძტონების აუზიდან აღმოსავლეთ ტენესიში (Johnson and VanHook 1989) და კოვეეტას აუზიდან აღმოსავლეთ კაროლინაში (Swank and Crossley 1988). (კოვეეტას კვლევის არეალი რეალურად 1931 წელს დადგინდა, მაგრამ ეკოსისტემათა ინტენსიური კვლევები 1968 წლიდან დაიწყო.) ამ კვლევებს, რომლებიც დღემდე გრძელდება, აქვთ საკუთარი ძირითადი მასის ბალანსის კონცენტრაცია, რაც ნივთიერებების ფართომასტყაბიანი მოძრაობით გამოიხატება. მდინარის ინდივიდუალური აუზი აღიქმება ცალკე ეკოსისტემად, რომელსაც განსაზღვრული საზღვრები და ასევე, როგორც ბიოტური, ისე აბიოტური კომპონენტები აქვს, რომელთა შორისაც საკვები ნივთიერებები ციკლირებენ (ნახ. 9-6). შენატანები და გამონატანები წარმოადგენს მდინარის აუზის ეკოსისტემის კავშირს დანარჩენ ბიოსფეროსთან. ნივთიერებები ტრანსპორტირდებიან ეკოსისტემაში და მის გარეთ მეტეოროლოგიური, გეოლოგიური პროცესების ან ორგანიზმთა მოძრაობის საშუალებით. მდინარის აუზის ჰიდროლოგიური თვისებები, როგორიცაა ნალექიანობა, ზედაპირული და მინისკვეშა დინება, ახდენენ ეკოსისტემაში ნივთიერებების ციკლირების და მათში და მათგან ნივთიერებათა დინების ინტეგრაციას. ამგვარი კვლევების უმთავრესი მიზანია ეკოსისტემის სხვადასხვა კომპონენტებში გარკვეული საკვები

ნივთიერებების მასის განსაზღვრა ამ მასალების შენატანებისა და გამონატანების გათვალისწინებით და მდინარის აუზში ექსპერიმენტულ ცვლილებებზე საპასუხოდ. ცვლილებები ბიოსფეროს სხვა ნაწილებში გავლენას ახდენენ იმაზე, თუ რა შედის მდინარის აუზებში. მაგალითად, სხვაგან არსებულმა დაბინძურებამ, შეიძლება, შეაღნიოს მდინარის აუზში ნალექების საშუალებით. გამონატანები მდინარის აუზიდან წარმოადგენს შენატანებს სხვა ეკოსისტემებში და ამრიგად, გავლენას ახდენენ მათ ფუნქციაზე. მდინარის აუზების შენატანების და გამონატანების გრძელვადიანმა მონიტორინგმა მოვაწოდა არსებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გამოისახება გლობალური გარემო ცვლილება კონკრეტულ ეკოსისტემაში.

1960-70-იან წლებში გამოქვეყნდა ნაშრომები მდინარეების აუზების კვლევის შესახებ, სადაც დეტალურადაა აღნერილი ენერგიისა და ნივთიერების დინებები მრავალ სხვადასხვა ეკოსისტემაში. 1980-იანი წლებისთვის ხელმისაწვდომი ხდება დიდი რაოდენობის ლიტერატურა, სადაც აღნერილია მსოფლიოს ყველაზე გამოჩენილი ეკოსისტემების ფუნქციონალური დეტალები (Strayer 1991). დაიწყო სერიოზული მცდელობები 1970-80-იან

წლებში აურაცხელი ოდენობის ინფორმაციის სინქრონიზაციისა და განზოგადებისთვის. მათ შორის იმ შრომებში, რომლებიც იკვლევდა ბაქტერიულ ნარმოებას და მტკნარი წყლისა და საზღვაო ეკოსისტემების სხვა ფუნქციურ ატრიბუტებს (Nixon 1980, Cole et al. 1988), პირველად წარმოებას/პროდუქტიულობას (Lieth 1975), ბალახისმჭამელობის როლს პროდუქტიულობაში (McNaughton, et al. 1989), ტყის პროდუქტიულობას (O'Neill and DeAngelis 1981; DeAngelis et al. 1981) და საკვები ნივთიერებების ციკლიორების გლობალურ სისტემას (Post et al. 1982, 1985).

1990 წელს გამოჩენილი ეკოლოგები შეიკრიბნენ ეკოსისტემათა კვლევის ინსტიტუტში მილბრუკში, ნიუ-იორკში, რათა განეხილათ ის წინსვლა, რომელიც შეინიშნებოდა ეკოსისტემათა შედარებით ანალიზში, წარმოედგინათ კეის-სტადები (სასწავლო მაგალითი, ერთი კონკრეტული საკითხის შესრულება) თანამედროვე მიდგომის გამოყენებით და განევითარებინათ ახალი შედარებითი თეორია (Cole et al. 1991). იმ ინდივიდუალური ეკოსისტემების (კერძოდ ისეთების, როგორიცაა არქტიკული ტუნდრა) დეტალური ანალიზი, რომლებიც უნიკალურია ან მიიჩნევა ზედმეტად



**ნახ. 9-6** მდინარის აუზის საკვები ნივთიერებების ციკლიორების მოდელი ჰაბარდის ნაკადულის კვლევებზე დაყრდნობით. მოდელი გამოსახავს ეკოსისტემათა შენატანებისა და გამონატანების სხვადასხვა საზღვრებს. ამგარი ეკოსისტემები დაკავშირებულია სხვა ეკოსისტემებთან მათი საზღვრების გასწვრივ დაწესებების საშუალებით. (Redrawn from Likens 1985; after Bormann and Likens 1967, Likens and Bormann 1972, Likens et al. 1977.)

მგრძნობიარედ გლობალური ცვლილების მიმართ და კვლავ განაგრძობს ინფორმაციული საფუძვლის მოწოდებას ეკოსისტემათა ეკოლოგიისთვის. ამასთან, ეკოსისტემათა სტრუქტურისა და ფუნქციის ვრცელი შედარებები გვაძლევს იმის იმედის საფუძველს, რომ აღმოვაჩენთ ახალ ინფორმაციას ბუნებრივი სამყაროს მოქმედებისა და მუშაობის შესახებ.

## **9.9 ლანდშაფტის ეკოლოგია განიხილავს სივრცითი მასშტაბის გავლენას ეკოსისტემის ფუნქციაზე**

გარემოს გლობალური ცვლილებების ინტენსივობამ, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანთა ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ეკოლოგები აიძულა, გლობალურად შეეხედათ ეკოსისტემების სტრუქტურისა და ფუნქციისთვის. ჰაბარდის ნაკადულზე და სხვა მდინარეების ექსპერიმენტულ აუზებზე ჩატარებული შედარებითი კვლევების საჭიროება გამოიწვია ეკოსისტემათა სტრუქტურისა და ფუნქციის საკმარისი მასშტაბის დადგენის მოთხოვნამ გლობალური ცვლილებების სრული ასახვის მიზნით. ამ ფართო შეხედულების მიღებისას, ეკოლოგებმა გააცნობიერეს ეკოსისტემათა შედარებითი ზომები და ფორმები, მათ პოზიციასთან ერთად სხვა ბუნებრივ სისტემებთან მიმართებაში. ეს პარამეტრები ეკოსისტემათა მახასიათებლებია, რომლებიც ეკოსისტემათა ფუნქციაზეც ახდენენ გავლენას. ამის გაცნობიერებამ ბიძგი მისცა ინტენსიურ დაინტერესებას იმით, თუ როგორ ურთიერთმოქმედებენ ეკოსისტემები ვრცელი ფართობის მიწების (ათობით ათასი ჰექტარი) ფარგლებში, რომლებსაც ლანდშაფტები ეწოდებათ და რომლებიც მთელ რიგ სხვადასხვა ეკოსისტემებს შეიცავენ. ეკოსისტემის სტრუქტურასა და ფუნქციაზე ამგვარი მოსაზრებები ლანდშაფტის ეკოლოგიის სფეროს ეკუთვნის, რომლის მთავარი მიმართულებები ნათლად დაახასიათა ოუკ რიჯის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელმა მ. ჯ. თერნერმა (1989):

„ლანდშაფტის ეკოლოგია შეისწავლის ფართო სივრცით მასშტაბებსა და ეკოსისტემათა სივრცითოვი გამოსახულების ეკოლოგიურ ეფექტებს. კონკრეტულად კი ის გულისხმობს: ა) სივრცითოვი ჰეტეროგენურობის განვითარებასა და დინამიკას. ბ) ინტერაქციებსა და გაცვლა-გამოცვლებს ჰეტეროგენურ ლანდშაფტებს შორის. გ) სივრცითოვი ჰეტეროგენურობის გავლენას ბიოტურ და აბიოტურ პროცესებზე. დ) სივრცითოვი ჰეტეროგენურობის მენეჯმენტს“.

განსაკუთრებულ ყურადღებას ლანდშაფტის ეკოლოგიის მიღებობათა ორი ასპექტი მოითხოვს. 1. ეკოსისტემების ლანდშაფტებში განხილვისას ეკოსისტემის ზომის (მასშტაბი), ფორმისადაც პოზიციის

მნიშვნელობა ლანდშაფტში უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ, ოპერატიული მოსაზრება. ამ შემთხვევაში გასაგები ხდება, რომ ეკოსისტემის სტრუქტურა, ფუნქციადარეაქციებიგამღიზიანებელზე მნიშვნელოვანილად დამოკიდებულია ეკოსისტემათა ფიზიკურ მახასიათებლებსა და პოზიციაზე. ის, თუ რომელ მხარესაა მიმართული მდინარის დინება, დასავლეთისკენ თუ აღმოსავლეთისკენ, გავლენას ახდენს საკვებ ნივთიერებათა ციკლირებაზე და სხვა პროცესებზე. მანძილი ორ სატყეო ნაკვეთს შორის, მათი შედარებითი ზომები, იმ საზღვრის მოცულობა, რომელიც მათ საერთო აქვთ და ლანდშაფტი, განსაზღვრავენ, შენარჩუნდება თუ არა ფრინველთა პოპულაციები ორივე ტყის ნაკვეთში. ჰიდროლოგიური პროცესები, რომლებიც აკავშირებენ ტყეებს ტეპთან განსაზღვრავენ ორივე მათგანში ენერგიისა და ნივთიერებათა ცვლის ბუნებას. ტერნერი ხაზს უსვამს ამ მოსაზრებას, როდესაც ნერს: „ლანდშაფტის სტრუქტურასა და ეკოლოგიურ პროცესებს შორის ურთიერთობის ახსნა-განმარტება ლანდშაფტებზე ეკოლოგიური კვლევების უპირველესი მიზანია“ (Turner 1989).

2. როგორ ურთიერთქმედებენ ხარისხობრივად განსხვავებული ეკოსისტემები (მაგალითად, როგორებიც არიან ტყისა და ტბის ეკოსისტემები): რა ხდება ეკოსისტემათა საზღვრებთან, სახელად ეკოტონებთან ლანდშაფტის საზღვრებში?

ლანდშაფტური პერსპექტივის მიღებით, ეკოლოგებს შეუძლიათ, უპასუხობ შეკითხვებს: რამდენად დიდი უნდა იყოს ტყის ჰეტჩი (ნაკვეთი) გარკვეული სახეობის პოპულაციათა შენარჩუნებისთვის; რა ზომის მინის დერეფანი არის საჭირო ორი ტყის ჰეტჩის შორის იმისთვის, რომ შენარჩუნდეს მათში საფრთხეში არსებულ სახეობათა პოპულაციების გენთა დინება. როგორც ვნახავთ, ლანდშაფტის ეკოლოგიის იდეები გამოიყენება როგორც პოპულაციათა ეკოლოგიის, ისე თანასაზოგადოებათა ეკოლოგიის კონცეფციებში.

## **9.10 ეკოსისტემათა შესასწავლად გამოიყენება როგორც ტაეტიკური, ისე სტრატეგიული მიზანი**

მრავალ ეკოლოგს მიაჩნია, რომ ეკოსისტემის გაგებისთვის საჭიროა მისი ყველა ან უმეტესი კომპონენტისინტერაქციათაანალიზისანუტაქტიკური ანალიზის გამოყენება. სხვები კი ფიქრობენ, რომ ეკოსისტემათა თვისებების სცდება მათი კომპონენციის ფარგლებს და მაშასადამე, განიხილება მთლიანი სისტემის თვისებებზე დაკვირვების საშუალებით – ანუ სტრატეგიული ანალიზის გამოყენებით. ტაეტიკური მიდგომა ცდილობს, ბუნებრივი სისტემის დეტალების იმიტაციას, რამდენადაც შესაძლებელია, იმ დროს, როდესაც სტრატეგიული მიდგომა ცდილობს, წარმოადგინოს სისტემის არსი არჩეული,

მნიშვნელოვანი კომპონენტების ქცევის შესწავლით.

ეკოსისტემათა შესწავლის ტაქტიკურ მიდგომას სისტემის ეკოლოგია ეწოდება. სისტემის ეკოლოგია ეყრდნობა მათემატიკულ ანალიზს ბუნებრივი სისტემების კომპლექსურობასთან გასამკლავებლად. სისტემური მიდგომის მიზანი არის ეკოსისტემათა მოდელის წარმოდგენა, რომელსაც შეეძლება მისი ნიშან-თვისებების დინამიკის იმიტირება. ზემოაღნერილი ლოტკას მოდელები ტაქტიკური მოდელებია. გამდინიანებლები (დაბინძურება, ზედმეტი მძიველობა, ხანძარი, მავნებლები, ნადირობა და მკაცრი კლიმატური პირობები) ცვლიან ლოტკას განტოლების  $dX/dt$  სისტემებს გარკვეული სახეობებისთვის გარემო პირობების ( $P$ ) შეცვლით ამ ურთიერთმოქმედი სახეობების ( $X$ ) სიჭარბით. მათი ეფექტით  $X_i - X_j$ , ამგვარი გამდინიანებლები არაპირდაპირ გავლენას ახდენენ სხვა სახეობებსა და კომპონენტებზე ( $X_j$ ), რომლებთანაც ი დაკავშირებულია სისტემაში. დეტალურ მათემატიკურ მოდელს, რომელიც სარწმუნოდასახაესინტერაქციებს ყველა კომპონენტს შორის, შეეძლებოდა, შეეფასებინა ეკოსისტემის, როგორც ერთი მთელის ფუნქციასა და სტრუქტურაზე სტრესისა და სხვა გამლიზიანებლების ეფექტი.

ანალიზისას, ეკოლოგები იყენებენ ეკოსისტემების, როგორც ცალკეულ ნაწილებზე, ასევე მთლიანობაში მათ ფუნქციონირებაზე დაკვირვების მონაცემებს. მათი ფილოსოფიის თანხმად, როგორც შეუძლებელია შენობის შეცნობა ნახაზების დეტალური შესწავლისა და მის კონსტრუქციებზე საფუძვლიანი დაკვირვების გარეშე, ასევე შეუძლებელია ორგანიზმის გაგება მისი გენეტიკური სქემის, განვითარებისა და ფუნქციონირების დაწვრილებითი შესწავლის გარეშე.

სხვა ეკოლოგებს სჯერათ, რომ ეკოლოგიური სისტემების ანალიზი შესაძლებელია მათი ნაწილების დეტალური შესწავლის გარეშე. ერთი-ორი ანალოგია დაგვეხმარება ამ თვალსაზრისის ახსნაში. ორგანიზმის ფუნქციონირების გაგება კონკრეტულ გარემოში განსხვავდება მისი უჯრედული პროცესების პიოქიმიის ან განვითარების დროს გენების ექსპრესიის კონტროლის გაგებისგან. დარგინს არ ჰქონდა სწორი ცოდნა გენების შესახებ, მაგრამ მან მაინც შეძლო ევოლუციის მექანიზმის და ადაპტაციათა მიზნების გაცნობიერება. არქიტექტორი ქმნის სახლის დიზაინს გონიერად. აგურებისა და მილების განლაგება მხოლოდ ამ დაზაინის რეალიზების საშუალებებია. ისინი არ გვთვაზობენ სახლის, როგორც დასრულებული, ინტეგრირებული სტრუქტურის გაგებას, რომელიც ადამიანის ცხოვრებისთვის არის გამიზნული.

ე.პ. ოდუმი შეიძლება ჩაითვალოს ეკოსისტემების კვლევისადმი სტრატეგიული მიდგომის მამათავრად. ოდუმი დაინტერესებული იყო იმით, თუ როგორ იცვლებოდნენ თანასაზოგადოებები დროსთან ერთად (ამ პროცესს ჩანაცვლება ეწოდება), რასაც ჩვენ უფრო

დეტალურად 28-ე თავში განვიხილავთ. ის მიიჩნევდა, რომ ეკოსისტემის შემდგენელი სახეობების ევოლუცია ერთმანეთთან მიმართებაში საბოლოოდ შედეგად იღებს სისტემის გაზრდილ სტაბილურობას ანუ ძველი და განვითარებული ერთობები უფრო სტაბილურებია (დუმ 1969). ის ნერდა:

[ეკოლოგიური ჩანაცვლება] კულმინაციას აღწევს სტაბილიზებულ ეკოსისტემაში, სადაც მაქსიმალური ბიომასა (ან მაღალი ინფორმაციული შემცველობა) და სიმბიოტური ფუნქცია ორგანიზმებს შორის ნარჩუნდება ხელმისაწვდომი ენერგიის დინების ყოველი ერთეულის საშუალებით. ერთი სიტყვით, ჩანაცვლების „სტრატეგია“, როგორც მოკლევადიანი პროცესი, ძირითადად იგივეა, რაც ბიოსფეროს გრძელვადიანი ევოლუციური განვითარების „სტრატეგია“ – კერძოდ, ფიზიკური ფაქტორების კონტროლი (მასთან პომეოსტაზი) მისი გამლიზიანებლებისგან მაქსიმალური დაცვის მიღწევის თვალსაზრისით“.

ოდუმისთვის „ინფორმაციის მოცულობა“ დამოკიდებული იყო თანასაზოგადოების სხვადასხვა სახეობის რაოდენობაზე ანუ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე (Margalef 1963, Odum 1988). ინფორმაციის სწორედ ეს ზრდა, რომელიც მომდინარეობს ეკოსისტემათა მზარდი კომპლექსურობისგან ზრდის საშუალებით. მსხვილ სისტემებში ეს შეიძლება ნიშავდეს, რომ სისტემის ზოგიერთი ნაწილი ნაკლებად ან ზედმეტად არის ნამოდგენილი სტრატეგიულ მოდელში. გ.მ. ვაინბერგი (1975) მიიჩნევდა, რომ ეკოსისტემები დგანან კონცეპტუალური სიძნელეების ნინაშე, რადგან ისინი ხვდებიან „საშუალო რიცხვთა ათვლის სისტემის“ დაკაზონში, რომლებთან გამკლავებაც არ შეუძლიათ არც ლოტკას დიფერენციალურ განტოლებებს, არც სტრატისტიკურ მიდგომებს (იხ. თავი 2). რამდენიმე კომპონენტიან (როგორიცაა გრავიტაციული მიზიდულობა მზის სისტემის პლანეტებს შორის ან ლაბორატორიაში ხელოვნურად შექმნილ მიკროსამებს რამდენიმე სახეობით) მარტივ ფიზიკურ სისტემებს „მცირე რიცხვთა მარტივი სისტემები“ ეწოდება. „დიდ რიცხვთა მარტივი სისტემები“ შედგებაუზარმაზარირაოდნობისმსგავსი ერთეულებისგან – მაგალითად, აირის გარკვეული მოცულობა შედგება მილიარდობით ატომისგან. მისი ტემპერატურა და ნერვა დამოკიდებულია ატომების მოძრაობასა და შეჯახებაზე, მაგრამ ამ თვისებათა საშუალო მაჩვენებლები ადეკვატურად აღნერს მთლიან სისტემას.

ვაინბერგის თანახმად, ეკოსისტემები ძალიან კომპლექსურია იმისთვის, რომ შეიქმნას მისი მოდელი სხვადასხვა განტოლების მცირე რიცხვთა სისტემების სახით. მეტიც, ფუნქციაში ნაწილები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ უბრალო საშუალო მაჩვენებლები ტროფიკულ

დონეშიც კი, გაუგებარს გახდიდა ეკოსისტემების სტრუქტურის ძირითად არსებით თვისებებს. ამრიგად, ეკოსისტემა შეიძლება იყოს ის, რასაც ვაინბერგი „საშუალო რიცხვთა სისტემას უწოდებს“ – მისი ნაწილები ზედმეტად მრავალრიცხვოვანია იმისთვის, რომ ბოლომდე აღწეროს და ზედმეტად მცირე, რომ საშუალო მაჩვენებელი გამოიყანოს. აქვე უნდა დავამატოთ, რომ მთლიანი ეკოსისტემის სპეციფიკური და მნიშვნელოვანი კომპონენტები, როგორიცაა პირველადი პროდუქცია და ზოგიერთი საკვები ნივთიერების ციკლირება, შეიძლება არ იყოს ძალიან კომპლექსური იმისთვის, რომ შედგეს მცირე რიცხვთა სისტემები.

ერთი გზა საშუალო რიცხვთა „პრობლების“ გადასაჭრელად არის ინდივიდუალური ორგანიზმების და არა ტროფიკული დონეების და კომპლექსური პროცესების (მაგ. პირველადი წარმოება და საკვები

ნივთიერებების ციკლირება) აღქმა ეკოსისტემის ძირითად ერთეულებად. ე.ნ. ინდივიდზე დაფუძნებულ მოდელებში ეკოსისტემა შეიძლება განხილული იყოს დიდ რიცხვთა სისტემებთან მიახლოებულად, სადაც ორგანიზმის ღონის პროცესებისგან, როგორიცაა ზრდა, გამრავლება ან საკვები ნივთიერებების მიღება, შესაძლებელია გონივრული საშუალო მაჩვენებლების გამოყვანა (როგორც ეს ხდება რუტინულად პოპულაციათა კველევებში) და სტატისტიკურად აღნერა (Huston et al. 1988). კომპიუტერები შესაძლებელს ხდიან ამ მოდელების ეკოსისტემათა დონემდე სკალირებას. ამგვარი ინდივიდზე დაფუძნებული მოდელები შეისწავლიდა ინტერაქციებს ბიოლოგიურ თანასაზოგადოებაში (Botkin et al. 1972, Shugart and West 1977, uston and Smith 1987) ისევე, როგორც ეკოსისტემების (Abert et al. 1982, Postor and Post 1986).

## დასკვნა

1. ეკოსისტემა შედგება ორგანიზმებისგან და იმ ფიზიკური გარემოსგან, რომელშიც ისინი სახლოებენ. მართალია, ეს კონცეფცია ცენტრალური მნიშვნელობისაა დღევანდელ ეკოლოგიაში, თუმცა მისი განვითარება ნელი და გართულებული იყო.
2. ადრეული თემა ეკოლოგიაში იყო დიქოტომია სისტემათა ერთ კონცეფციისა (რომელსაც ჰქონდა მის კომპონენტთა შორის ინტერაქციების შედეგად მიღებული თვისებები) და მეორე კონცეფციის (რომელიც იყო ორგანიზმთა ანალოგი, გამოხატავდა რა ორგანიზმების თვისებებს) შორის, რაც ვერ დედუცირდებოდა მათი ნაწილებისგან. ადრეულ მეოცე საუკუნეში ფ. ე. კლემენტსმა თავის ნაწერებში უპირატესობა მიანიჭა მეორე, ორგანიზმულ შეხედულებას მცენარეთა დაჯგუფებების შესახებ. მაშინ, როდესაც პ. ა. გლიასონმა მიიჩნია, რომ ამ დაჯგუფებათა თვისებები იყო უბრალოდ მათი ნაწილების თვისებათა ჯამი. 1935 წელს ა.გ. ტენსლიმ შექმნა ტერმინი ეკოსისტემა, რომელიც მოიცავდა ორგანიზმებს და ყველა აბიოტურ ფაქტორს მათ საბინადრო გარემოში.
3. ჩარლზ ელტონი აღწერდა თანასაზოგადოებებს კვებითი ურთიერთობების საფუძველზე და ხაზს უსვამდა რიცხვთა პირამიდას, როგორც დომინანტურ მაორგანიზებელ პრინციპს თანასაზოგადოებათა სტრუქტურაში.
4. ა.ჯ.ლოტკამ 1952 წელს მოგვანოდა ეკო-სისტემათა ფუნქციის თერმოდინამიკული პერსპექტივა, რომლის თანახმადაც ენერგიისა და მასის ტრანსფორმაციები და მოძრაობა ემორჩილებოდა თერმოდინამიკის კანონებს. ის ასევე გვიჩვენებდა,

როგორ შეიძლებოდა აღწერილიყო მთლიანი სისტემების ქცევა მათემატიკურად მათი კომპონენტების ინტერაქციების საფუძველზე.

5. რაიმონდ ლინდემანმა 1942 წელს გაავრცელა ეკოსისტემის, როგორც ენერგიის მატრანსფორმირებელი სისტემის იდეა, მოგვანოდა რა ფორმალური ნოტაცია ტროფიკულ დონეებს შორის ენერგიის დინებისა და ეკოლოგიური ეფექტურობისთვის.
6. ეკოსისტემათა ენერგეტიკის კვლევები და შესწავლები დომინირებდნენ ეკოლოგიაში 1950-იანი და 1960-იანი წლების განმავლობაში. ეს მეტნილად ეუგნე პ. ოდუმის გავლენით იყო გამოწვეული, რომელმაც პირველად გამოიყენა ენერგია, როგორც საერთო დინება ეკოსისტემათა სტრუქტურისა და ფუნქციის აღსანერად.
7. ჰაბარდის ნაკადულის, უოლკერის განშტოების და კოვეტას მდინარის აუზის კვლევებმა საფუძველი შექმნეს ეკოსისტემის ფუნქციისა და ეკოსისტემათა ინტერაქციების ექპერიმენტულ კვლევას და დასაბამი დაუდეს 1960-იანი, 1970-იანი, 1980-იანი წლების ეკოსისტემათა დეტალურ შესწავლას. მდინარის აუზების შესწავლა ხაზს უსვამს ელემენტებისა და ენერგიის დინების მნიშვნელობას ეკოსისტემაში, ეკოსისტემებს შორის და ბიოსფეროს სხვა ნაწილებში.
8. ეკოსისტემათა ინტერაქციები ფართო ლანდშაფტებზე დიდი და დამოკიდებული ეკოსისტემების ზომასა და შედარებით პოზიციაზე. ამ სახის აზროვნება თანამედროვე ლანდშაფტის ეკოლოგიის საფუძველს შეადგენს.

**9.** ეკოსისტემების შესაძლებელია ტაქტიკური ან სტრატეგიული მიდგომის გამოყენებით. ტაქტიკური მიდგომის მაგალითია ლოტკას იდეაზე (ეკოსისტემები შეიძლება გამოისახოს განტოლებებით, სადაც აისახება მათი კომპონენტების ურთიერთობათა დინამიკა) დაფუძნებული სისტემათა ეკოლოგია. სისტემის ეკოლოგები ქმნიან ეკოსისტემათა მოდელებს სულ უფრო მზარდი კომპლექსურობით იმ მიზნით, რომ გაიგონ მათემატიკული ანალოგიების ქცევიდან

მთლიანი სისტემების ქცევათა დინამიკა. ოდუმი თანასაზოგადოებებს სტრატეგიულად განიხილავდა, უკავშირებდა რა მათ თვისებებს რიგ სახეობებს თანასაზოგადოებაში. ზოგი ეკოლოგი შეეცადა, გამკლავებოდა ეკოსისტემათა კომპლექსურობას ეკოსისტემათა ძირითად ერთეულებად დაყოფის, ინდივიდუალური ორგანიზმის გამოყენების საშუალებით. ამგვარი, ინდივიდზე დაფუძნებული მოდელები, შეიძლება, განვიხილოთ, როგორც დიდრიცხვიანი სისტემები.

## სავარჯიშოები

**1.** შეადგინეთ ეკოსისტემის კონცენტრიასთან დაკავშირებული იდეების განვითარების დროის ხაზი. სხვა წყაროების გამოყენებით ჩაურთეთ მას მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მეცნიერებასთან. დააგრძელეთ დროის ხაზი, რათა მან მოიცვას დარვინი და მისი თანამედროვეები.

**2.** ეკოლოგიური ინტერაქციები ეკოსისტემებს შორის საზღვარზე — ეკოტონებზე, ძალიან დიდ ინტერესს იწვევენ ეკოლოგებში. რით არიან ამგვარი არეალები მნიშვნელოვანი? ტაქტიკური მიდგომის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თქვენს საცხოვრებელ ადგილას ეკოტონის მახსიათებლებისა და ფუნქციის განსასაზღვრად, დაგევმეთ სათანადო ექსპერიმენტი ან ანარმოეთ დაკვირვებათა სერიები.

**3.** როგორ შეიძლება ეკოსისტემათა კონცეფცია გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობაში, შენარჩუნების, კონსერვაციის ბიოლოგიაში?

**4.** წარმოიდგინეთ ლინდემანის განტოლება:  $dA_n/dt = \lambda_n + \lambda'_n$  სადაც  $A_n$  ტროფიკული დონის მთლიანი ენერგიის შემცველობაა,  $\lambda_n$  არის ენერგიის მოგება, ხოლო  $\lambda'_n$  ენერგიის დანაკარგი ტროფიკულ დონეზე. ვთქვათ, რომ ტროფიკულ დონეს უბრალო ეკოსისტემაში აქვს ენერგიის შემადგენლობა  $A_1 = 100000$  ენერგიის ერთეულს მოპოვება ყოველ ნაბიჯზე ეკოსისტემაში არის  $\lambda_n = 0,10A_{n-1}$ . შემდეგად, ტროფიკული დონე რომ შეიცავდეს ენერგიის 1000 ერთეულს, რა იქნებოდა  $\lambda'$  — ის მნიშვნელობა?

## თავი 10



### ენერგიის დინება ეპოსისტემები

#### გზამკვლევი კითხვები

- რა ურთიერთობაა მასობრივ პროდუქციას, სუფთა პროდუქციასა და სუფთა ეკოსისტემათა პროდუქციას შორის?
- როგორ იზომება პირველადი პროდუქცია სხვადასხვა გარემოში?
- ექსპერიმენტულად, როგორ შეიძლება ვაჩვენოთ სინათლის ინტენსივობის გავლენა ხმელეთის მცენარეების ფოტოსინთეზის სისწრაფეზე?
- როგორ შეიძლება პროდუქტიულობის შედარება წყლის და ხმელეთის ეკოსისტემებში?

- როგორია ეკოლოგიური ეფექტურობის მნიშვნელობა პროდუქტიულობის, ექსპლუატაციის და ასიმილაციის საფუძველზე?
- რა ურთიერთობაა ბიომასის გადატრიალების (ზედაპირზე ამოტანის) დროსა და სუფთა პროდუქტიულობას შორის?
- როგორ მოედინება ენერგია პირველადი მნარმოებლიდან მტაცებლისკენ და რედუცენტებისკენ?

**მ**ოგორც წინა თავში აღვნიშნეთ, ერთ-ერთ ფუნდამენტურ კონცეფციათაგანი, რომელსაც ემყარება თანამედროვე ეკოლოგია, არის ის, რომ ორგანიზმები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზებითი კვებითი ურთიერთობებით, რასაც ჩვენ ტროფიკულ ინტერაქციებს ვუწოდებთ. ტროფიკული ინტერაქციები მოიცავს ენერგიის ბიოლოგიურ ტრანსფორმაციებსა და ენერგიის ტრანსფერს ერთი ინდივიდიდან მეორეზე მოხმარების პროცესის გზით. ნივთიერებები მოძრაობენ ეკოსისტემაში და ამგვარ მოძრაობათა გზები მჭიდროდ ასოცირდება ენერგიის დინებასთან (იხ. მე-11 თავი).

მესამე თავში ჩვენ განვასხვავეთ ცოცხალი და არაცოცხალი ორგანიზმები თითოეულში ენერგიის დინების დინამიკაზე დაფუძნებით. მაშინ, როდესაც როგორც უსულო საგნები, ისე ცოცხალი არსებები კარგავენ ენერგიას თერმოდინამიკის კანონების თანახმად, ცოცხალი ორგანიზმების მრავალი ბიოქმიური და მორფოლოგიური ადაპტაციები ცდილობენ ენერგიის კარგვის შეჩერებას, რაც მათ ენერგიის არაჩვეულებრივად მაღალი შემცველობის


საშუალებას აძლევს იგივე ზომის უსულო საგნებთან შედარებით. ორგანიზმები ენერგიას ორი გზით კარგავენ. პირველი, ისინი ხარჯავენ მას მუშაობისას იმ სისტემაზე გადაცემით, რომელშიც ბინადრობენ (მაგალითად, როდესაც ცხოველი დარბის, ის გადასცემს თავის კინეტიკურ ენერგიას ატმოსფეროს და მინას). მეორე, ორგანიზმები კარგავენ ენერგიას სითბოს სახით თითოეულ ბიოქომიურ საფეხურზე ტრანსფორმაციის დროს, რომლებიც საჭიროა მოძრაობის, ბიოსინთეზის, სეკრეციის და უჯრედთა შენარჩუნებისთვის (რადგან ეს ტრანსფორმაციები არაეფექტურია). ინდივიდუალური ორგანიზმების მიერ ენერგიის ამ დანაკარგების მიუხედავად, ისინი მთლიანობაში არ იცლებიან ენერგიისგან, რადგან მცენარეები და წყალმცენარეები ახდენენ ენერგიის ასიმილირებას მზისგან. ამრიგად ეკოსისტემაში ენერგიის შემოტანა მუდმივი პროცესია. მცენარეები ნახშირნყლების ქიმიურ ბმებში შენახული ამ ენერგიის გარკვეულ ნაწილს იყენებენ თავიანთი მეტაბოლური საჭიროებისთვის. მაგრამ ბალახისმჭამელებიც იღებენ ამ ენერგიის ნაწილს და ამრიგად, იწყება მცენარის მიერ

ასიმილირებული ენერგიის მოძრაობა კვებითი ჯაჭვის ზედა რგოლებისკენ.

ამთავშიჩვენვანახავთ, როგორარისდამოკიდებული ეკოსისტემაში ენერგიის დანება მცენარეების მიერ ენერგიის ასიმილირების სისწავეზე, მოხმარების ტემპებზე თითოეულ ტროფიკულ დონეზე და საკვები ნივთიერებების ბიომასად ტრანსფორმირების ენერგეტიკულ ეფექტურობაზე. ამრიგად, ჩვენი განხილვის ლოგიკური დასაწყისი, კვებითი ჯაჭვის სათავე იქნება მცენარეთა პროდუქცია.

## 10.1 მცენარეთი ახდენენ სინათლის ასიმილაციას ფოტოსინთეზის საშუალებით

ფოტოსინთეზი არის პროცესი, რომლის საშუალებითაც მცენარები და წყალმცენარეები ითვისებენ სინათლის ენერგიას და გარდაქმნიან მას ნახშირნყლებში ქიმიური ბმების ენერგიად (იხ. მე-3 თავი). გლუკოზა და სხვა ორგანული ნაერთები (მაგალითად, სახამებლები და ზეთები) შეიძლება შეინახოს და მათი ენერგია მოგვიანებით გამოყოფილ იქნას რესპირაციული მეტაბოლური გზებით. ფოტოსინთეზი ქიმიურად აერთებს ორ არაორგანულ ნაერთს ნახშიროჟანგსა ( $\text{CO}_2$ ) და წყალს ( $\text{H}_2\text{O}$ ), რათა შეიქმნას გლუკოზა ( $\text{C}_6\text{H}_{12}\text{O}_6$ ) ჟანგბადის ( $\text{O}_2$ ) გამოყოფით. ფოტოსინთეზის მთლიანი სტექიომეტრია (ქიმიური ბალანსი) ამგვარია:




ფოტოსინთეზი გარდაქმნის ნახშირბადის ატომს  $\text{CO}_2$ -ში დაუზაღული მდგომარეობადან ნახშირნყალში აღდგენილ მდგომარეობამდე (იხ. 5-ე თავი). რეაქცია, რომელშიც რეაგენტებს პროდუქტზე ნაკლები ენერგია აქვთ, ენოდებათ ენდოერგული რეაქცია.  $\text{CO}_2$ -ს აღდგენა ენდოერგულია, რადგან რეაგენტებს —  $\text{CO}_2$ -სა და  $\text{H}_2$ -ს პროდუქტზე —  $\text{C}_6\text{H}_{12}\text{O}_6$ -ზე ნაკლები ენერგია აქვთ. ამრიგად, ფოტოსინთეზი მოითხოვს ენერგიას, რომელიც მოწოდებულია ხილული სინათლის საშუალებით. ასიმილირებული ნახშირბადის თითოეულ გრამზე მცენარე იღებს 39 კილოჯოულ (კჯ) ენერგიას, თუმცა ფოტოსინთეზის საფეხურთა არაეფექტურობის გამო, ფოტოსინთეზური პიგმენტების მიერ შთანთქმული სინათლის ენერგიის არაუმეტეს 34%-ისა და ხშირად მასზე გაცილებით ნაკლებიც, ხვდება ნახშირნყლის მოლეკულაში (Rabinowitch and Govindjee 1969).

ფოტოსინთეზი აღჭურავს მცენარეს ნახშირნყლის საშენი ბლოკებითა და ენერგიით, რომელიც სჭირდება მას ქსოვილების სინთეზისა და ზრდისათვის. გლუკოზის გადაჯგუფებული და შეერთებული მოლეკულები შეიძლება გამოიყენებოდნენ ცხი-მების, ზეთების და ცელულოზის ასაგებად. აზოტთან, ფოსფორთან, გოგირდთან და მაგნიუმთან

კომბინირებული გლუკოზიდან მიღებული მარტივი ნახშირნყლები ანარმოებენ ცილების, ნუკლეინის მჟავების, პიგმენტების და მეორადი მეტაბოლიტების (როგორიცაა ალკალინიდები) მასებს. ცენარებს, არ შეუძლიათ ზრდა-განვითარება ყველა ამ საშენი მასალის გარეშე (Clarkson and Hanson 1980). მაგალითად, ქლოროფილი შეიცავს მაგნიუმის ატომს. იმის მიუხედავად, რომ ყველა საჭირო ელემენტი შეიძლება ჭარბად არსებობდეს, მცენარეს, რომელსაც მაგნიუმი აკლია, არ შეუძლია ქლოროფილის ნარმოება და შესაბამისად, არ შეუძლია ზრდა და ფუნქციონირება.

მცენარეები აგებენ და ინარჩუნებენ თავიანთ ქსოვილებს კომპლექსური, ენერგიის მომთხოვნი ბიოქიმიური ტრანსფორმაციის გზით. რადგანაც მცენარეები იყენებენ ფოტოსინთეზის დროს ასიმილირებული ენერგიას დიდ ნაწილს ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მათი ქსოვილები ყოველთვის არსებითად ნაკლებ ენერგიას შეიცავენ



**ნახ. 10-1** მცენარის მიერ ენერგიის გადანაწილება. ბიოსინთეზის მეტაბოლური საფასური (A) და ქსოვილის შენარჩუნება (B) ნარმოადეგენ რესპირაციის (C) დროს დაკარგულ ენერგიას და ამრიგად, ხელმიუნებომელია ზედა ტროფიკული დონეებისთვის (D).

მთლიანად ასიმილირებულთან შედარებით. ამრიგად, ეკოლოგებმა უნდა განასხვავონ ასიმილირებული ენერგიის ორი სიდიდე: მასიური პროდუქცია — ფოტოსინთეზის საშუალებით ასიმილირებული მთლიანი ენერგია და სუფთა პროდუქცია — მცენარის ბიომასაში დაგროვილი ენერგია, ანუ მცენარის ზრდა დაგამრავლება. რადგანაც მცენარე პირველი როგორია კვებით ჯაჭვში, ეკოლოგებიამ სიდიდეებს შესაბამისად მასობრივ პირველად პროდუქციასა და სუფთა პირველად პროდუქციას უწოდებენ. განსხვავება მათ შორის არის რესპირაციის ენერგია, რომელსაც მცენარეიყენებს შენარჩუნებისა და ბიოსინთეზისთვის (ნახ. 10-1). პროდუქციაში ეკოლოგები გულისხმობენ ენერგიისა და ბიომასის დაგროვებას და არა ენერგიის შექმნას. ჩვენ ხშირად გვაინტერესებს ის ტემპი, სიჩქარე, რომლითაც ენერგია გროვდება, ამ პროცესს პროდუქტიულობა ეწოდება. ამრიგად, პირველადი პროდუქტიულობა არის ის სიჩქარე, რომლითაც ენერგია, ხშირად ბიომასის საფუძველზე გაზომილი, გროვდება მცენარეებში ფოტოსინთეზის პროცესის გზით.

ხმელეთის მცენარეები ფესვგადგმულნი არიან ნიადაგში. ნიადაგი შეიცავს მიკრო და სხვა ორგანიზმებს, რომელიც შლიან მკვდარი მცენარეებისა და ცხოველების ქსოვილებს. ხსენებული ორგანიზმების მიერ გამოყენებული ენერგია ხელმიუნვდომელია მომხმარებელი მცენარეებისთვის. აღნიშნული ურთიერთობის გამო, სუფთა პროდუქციის გამოთვლისას, ეკოლოგები ხმელეთის მცენარეებსა და ნიადაგს ხშირად ერთ ერთეულად განიხილავთ.

ეკოსისტემათა სუფთა პროდუქცია () არის განსხვავება მასობრივ პირველად პროდუქციასა და მცენარეებისა და ნიადაგის ორგანიზმების ენერგეტიკულ საფასურს შორის: NEP = მასობრივი პირველადი პროდუქცია — მცენარეთა რესპირაცია — ნიადაგის ორგანიზმების რესპირაცია.

ეს სიდიდე გამოიყენება, როცა საჭიროა განისაზღვროს, ეკოსისტემის მცენარეები და ნიადაგი შეადგენენ ენერგიის (დაგებითი) თუ ენერგიის მომხმარებელ (უარყოფითი) წყაროს.

## 10.2 მცენარის პროდუქტიულობის გაზოვის მათოდები იცვლება პუნქტივი გარეობა და ზრდის ფორმებთან ერთად

სუფთა პირველადი პროდუქცია ეკოსისტემათა მნიშვნელოვანი მახასიათებელია, რადგან ის არის (გარდა პირველადი მნარმოებლებისა) სხვა ცოცხალი არსებებისთვის ხელმისაწვდომი ენერგიის ოდენობის საზომი. ამრიგად, ეკოლოგებმა დიდი ძალისხმევა გამოიყენეს მისი გაზომვისთვის შესაფერისი გზებისა და საშუალებების გასავითარებლად (ცხრილი 10-1). პირველადი პროდუქცია მოიცავს:

- ნახშირორჟანგის, ჟანგბადის, მინერალებისა და წყლის დინებებს.
- მცენარის ბიომასის დაგროვებას.

ნებისმიერი მათგანის ტემპმა, შეიძლება, მოგვაწოდოს მცენარის მთლიანი პროდუქტიულობის სისწრაფის განსაზღვრის ინდექსი. თუმცა, პრაქტიკაში შესაბამისი

### ცხრილი 10-1 პირველადი პროდუქციის გასაზომად გამოყენებული მეთოდები

მეთოდი	აღწერა	საცხოვრებელი გარემო
კალორიმეტრია	მცენარის ქსოვილის ნიმუში იწვება კალორიმეტრულ კაფსულაში. წვის დროს გამოყოფილი სითბოს ენერგიიდან გამოითვლება ორგანული ნაერთების ენერგიის შემცველობა	ხმელეთი
მოკრეფა-ალება (მოსავლის ალება)	მცენარის ქსოვილის ნიმუშები მოიპოვება, შრება და ინონქბა. მცენარის ბიომასის მშრალი წონა გამოიყენება პროდუქციის საზომის სახით	ხმელეთის, წყლის დიდი მცენარეები
CO <sub>2</sub> -ის დინება	მცენარის ან მისი ნაწილის მიერ H <sub>2</sub> -ის შთანთქმა იზომება დახურულ კონტეინერში	ხმელეთო და წყალი
O <sub>2</sub> -ის დინება	მცენარეების ან წყალმცენარეების მიერ O <sub>2</sub> -ის წარმოება იზომება დახურულ კონტეინერში	ძირთადად წყალი
ქლოროფილის კონცენტრაცია	ქლოროფილი გამოიდევნება და მისი კონცენტრაცია იზომება. კონცენტრაციას შემდეგ ადარებენ გარკვეული მცენარის ან წყალმცენარის მაგალითზე ქლოროფილის ყოველ გრამზე ნახშირბადის ასიმილირების ტემპს.	ძირითადად წყალი

საზომი დამოკიდებულია მწარმოებელთა საპინაძრო გარემოსა და ფორმაზე. მაშინ, როდესაც პროდუქცია, შეიძლება საკმაოდ იოლად იყოს გამოთვლილი ხმელეთისა და წყლის დიდი მცენარეებისთვის, მათი დაკრეფითა და ბიომასის გაზომვით, ამგვარი მიდგომა შეიძლება არაპრაქტიკული იყოს მცირე ზომის პლანქტონის შემთხვევაში. ჟაგნბადის კონცენტრაციაში წუთობრივი ცვლილებების გაზომვა საგრძნობლად ადვილია წყლიან გარემოებში, სადაც ჟაგნბადის კონცენტრაციადაბალია, ვიდრე ხმელეთზე. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე გავრცელებული ხერხი პირველადი პროდუქციის გასაზომად.

## ენერგია, ბიომასა და ნახშირბადის შემცველობა

სუფთა ნარმოება შეიძლება გამოხატული იყოს ასიმილირებული ნახშირბადის გრამების, მცენარის ქსოვილის მშრალი წონისა და მათი ენერგიის ექვივალენტების სახით. მშრალ წონას, რომელიც მარტივად მიიღება მცენარის ქსოვილის გამოშრობით, უპირატესობა ენიჭება, რადგან მცენარეში წყლის ოდენობა საკმაოდ მერყეობს. ეკოლოგები ამგვარ ინდექსებს ურთიერთშემცვლელად იყენებენ, რადგან მათ აღმოაჩინეს დიდი დონით კორელაცია მათ შორის. ორგანული ნაერთის ენერგეტიკული შემცველობა უპირველესად დამოკიდებულია მასში ნახშირბადის შემცველობაზე (რომელიც ასიმილირდება თითო გრამზე 39 კჯ ენერგიის საფასურად) და სხვადასხვა ტრანსფორმაციების დროს მიმატებულ ან გამოკლებულ ენერგიაზე. მაგალითად, გლუკოზა შეიცავს 40% ნახშირბადს მასით და შესაბამისად, უნდა შეიცავდეს ენერგიას ექვივალენტურს  $0,40X39 = 15,6\text{ჯ } \text{გ}^{-1}$ -ისა. ექსპერიმენტით დადგენილი ეს სიდიდე არის დაახლოებით  $17,6 \text{ კჯ } \text{ გ}^{-1}$ , რომელიც განისაზღვრა ნიმუშების დაწვით სპეციალურ მოწყობილებაში, ეგრეთ წოდებულ კალორიმეტრულ კამატმოსფეროში ნახშიროენის შემცველობა  $0,03\%-ს$  შეადგენს. შესაბამისად, მცენარეების მიერ ათვისებისას, დროის ძალიან მცირე მონაკვეთში მისი კონცენტრაცია დახურულ სივრცეში საგრძნობლად მცირდება. ეკოლოგები იყენებენ ამ პრინციპს ხმელეთის გარემოში პროდუქციის გასაზომად (დაწყებული მინდვრის სიმინდის ჰ.ნ. ტრანსეაუს (1926) კლასიკური კვლევიდან) ამ მეთოდის ყველაზე მოსახერხებელი გამოყენება, არის მცენარის ნიმუშის (როგორც წესი, მთლიანი ბალაზული მცენარის ან ხის ტოტების) მოთავსება სუფთა, ჰერმეტულ, გამჭვირვალე (ფოტოსინთეზისთვის) კონტეინერში და იქ არსებულ ჰაერში  $\text{CO}_2$ -ის ან  $\text{O}_2$ -ის კონცენტრაციის გაზომვა. თანამედროვე ეკოლოგები ზომავენ ჰაერის ნაკადის მიერ ინფრანითელი სინათლის შთანთქმას იმდენად, რამდენადაც  $\text{CO}_2$  ძლიერ შთანთქმას

სინათლეს სპექტრის ამ ნაწილში (ოონეუ ანდ ილლინგს 1961). მშრალი წონის თითო გრამზე ან კონტეინერში არსებული ფოთლის ზედაპირის კვადრატულ სანტიმენტრზე  $\text{CO}_2$ -ის ათვისება შეიძლება შემდეგ ექსტრაპოლიტიზდეს მთელ ტყეზე.

ნახშირორჟანგის დინება დღის სინათლის პერიოდში მოიცავს როგორც ასიმილაციას (მიღება), ისე რესპირაციას (გაცემას) და ამით იზომება სუფთა პროდუქცია. ლესპირაცია, შეიძლება განისაზღვროს ცალკე ღამის განმავლობაში ნახშირორჟანგის წარმოებისას, როდესაც ფოტოსინთეზი წყდება. ბოტკინმა და მისმა თანამშრომლებმა (1970) გაზომებს  $\text{CO}_2$ -ის ათვისება (გრამები მიწის თითო კვადრატულ მეტრზე დღეში) ბრუკჰევენის ეროვნულ ლაბორატორულ ტყეში ერთი ზრდის სეზონის განმავლობაში. ღამის სინათლის საათებში მცენარეები ახდენდნენ  $4,336 \text{ g } \text{m}^{-2} \text{ დღ}^{-1}$  ასიმილირებას. 24 საათში სიდიდე შემცირდა ღამის დროის რესპირაციის გამო  $3,702 \text{ g } \text{m}^{-2} \text{ დღ}^{-1}$ -მდე,  $0,635 \text{ g } \text{m}^{-2} \text{ დღ}^{-1}$ -ით. რადგანაც მცენარის ნახშირნყლების საშუალო შემადგენლობა არის  $\text{C}_6\text{H}_{12}\text{O}_6$ , ასიმილირებული  $\text{CO}_2$ -ის ერთი გრამი უტოლდება ნახშირებული ნახშირნყლის  $0,614 \text{ g}$  გრამს. ამ კოეფიციენტის გამოყენებით, ბოტკინმა და მისმა თანამშრომლებმა დაადგინეს ტყის სუფთა მშრალი ნივთიერებების პროდუქცია, რომელიც შეადგენდა  $3,702 \text{ g } 0,614 = 2,273 \text{ g } \text{m}^{-2} \text{ დღ}^{-1}$  და რომელიც ემთხვეოდა ზოგიერთ ტყეში კრეფა-ალებითი ხერხის გამოყენებით მიღებულ შედეგებს (Whittaker and Woodwell 1969).

რადიაციური იზოტოპური ნახშირბადი- $14\text{-S}$  ( $^{14}\text{C}$ ) გამოყენება ნარმოადგენს პროდუქტიულობის აირთა ცვლის მეთოდით გაზომების სასარგებლო ცვლილებას. როდესაც ცნობილი  $^{14}\text{C}$  ნახშირბადის რაოდენობას უმატებენ ჰერმეტულ კონტეინერში მოთავსებულ მცენარეს, მცენარე ახდენს რადიოაქტიური ნახშირბადის ატომების ასიმილირებას იგივე პროპორციით, როგორითაც ის იყო ჰაერში კონტეინერის შიგნით. ამრიგად, შესაძლებელია ნახშირბადის ფიქსაციის გამოთვლა მცენარეში ნაპონი  $^{14}\text{C}$ -ის გაყოფით კონტეინერში არსებულ  $^{14}\text{C}$ -ის რაოდენობაზე ექსპერიმენტის დასაწყისში. მაგალითად, თუ მცენარემ მოახდინა 10 მილიგრამი  $^{14}\text{C}$ -ის ასიმილირება საათში და კონცენტრაცია კონტეინერშიიყო  $0,05, ჩვენშეგვიძლია გამოვთვალოთ$ , რომ მცენარემ მოახდინა ნახშირბადის დაგროვება  $200\text{გ } \text{სთ}^{-1}$  სიჩქარით (10 გაყოფილი  $0,05\text{-ზე}$ ).

## ჟაგნბადის ცვლა წყლიან გარემოში

მართალია, წყლის დიდი მცენარეების, როგორიცაა ღამინარია, პროდუქცია შეიძლება გაიზომოს მოკეფა-ალების საშუალებით (ენფოუნდ 1956, ანდ 1973), პლანქტონების მცირე ზომა და სწრაფი ბრუნვა


აფერხებს ამ მეთოდის გამოყენებას, როგორც წყლის გარემოში პროდუქციის გაზომვის ზოგად მიღებომას. იმ დროს, როდესაც ატმოსფერული ჟაგნბადის მაღალი კონცენტრაცია ხმელეთის გარემოში აფერხებს ფოტოსინთეზის მიერ ჟანგბადის ნარმოების გამოყენებას საზომის სახით, წყალში გახსნილი ჟაგნბადის დაბალი ბუნებრივი კონცენტრაციები შესაძლებელს ხდის ჟანგბადის კონცენტრაციაში მცირედი ცვლილებების გაზომვას წყლის სისტემებში (Strickland 1960, Strickland and Parsons 1968).

ნარმოების გასაზომად პლანქტონების შემცველი წყლის ნიმუშები იკიდება წყვილ დაბეჭდილ ბოთლში სასურველ სილრმეზე ტბის ან ოკეანის ზედაპირიდან. წყვილიდან ერთი („ნათელი ბოთლი“) გამჭვირვალეა და ატარებს მზის სინათლეს, მეორე („ბნელი ბოთლი“) – დაბურულია. ნათელ ბოთლებში ფოტოსინთეზი და რესპირაცია ერთად იჩენებ თავს, პირველი პროცესის დროს ნარმოშობილი ჟანგბადის ნანილი მოიხმარება მეორის მიერ. ბნელ ბოთლებში რესპირაცია მოიხმარს ჟანგბადს მისი ფოტოსინთეზის საშუალებით შევსების გარეშე. ამრიგად, მასობრივი ნარმოების გასაზომად საჭიროა მივუმატოთ ჟანგბადის კონცენტრაციის ცვლილება ნათელ ბოთლში (ფოტოსინთეზს მინუს რესპირაცია) ბნელ ბოთლში მოხმარებულის რაოდენობას.



არაპროდუქტიულ წყლებში, როგორებიცაა ღრმა ტბები და ღია ოკეანები, ცვლილებები ჟანგბადის კონცენტრაციაში ფოტოსინთეზისა და რესპირაციის საშუალებით მცირეა წყალში გახსნილი ჟანგბადის რაოდენობასთან შედარებით და ნათელი და ბნელი ბოთლებითგაზომვებიპრაქტიკულიდაგამოსადეგიარ არის. ამგვარ პირობებში ნარმოების განსასაზღვრად  $^{14}\text{C}$  შთანთქმის საზომები გამოიყენება.  $^{14}\text{C}$  მეთოდის პრინციპი იგივეა საწყლო სისტემებში, როგორც ხმელეთზე იმის გარდა, რომ  $^{14}\text{C}$  იზოტოპი, როგორც წესი, მოცემულია ბიკარბონატის იონის ( $\text{HC}_3^-$ ) სახით.


## ქლოროფილის კონცენტრაციები

წყლის გარემოში მცენარეთა პროდუქციის გაზომვის კიდევ ერთი მეთოდი ეფუძნება იდეას, რომ ქლოროფილის კონცენტრაცია ანესებს ზედა ზღვარს სინათლის მაღალი ინტენსივობის შემთხვევაში ფოტოსინთეზის სიჩქარეზე. ჯ.ჰ. რიტერმა და ქ.ს.იენტრიმა (1957), რომლებმაც პირველად გამოიყენეს ეს მეთოდი, დაადგინეს, რომ ზღვის წყალმცენარეები ახდენენ მაქსიმუმ 3,7 გრამი ნახშირბადის ასიმილირებას ერთ გრამ ქლოროფილზე საათში (ცვლილებით 2,1-დან 5,7 გრამამდე ზოგიერთ კლევაში). პლანქტონის ცნობილი კონცენტრაციების ფოტოსინთეზის სიჩქარესა და სინათლის ინტენსივობას შორის ექსპერიმენტულად განსაზღვრული დამოკიდებულებებით (Ryther 1956, Steele 1962), ისევე, როგორც ქლოროფილის



კონცენტრაციათა და წყლის ნაკადში სინათლის გამტარობის გაზომვებით, შესაძლებელია, განისაზღვროს მთლიანი პროდუქცია ზედაპირის არეალის თითო ერთეულზე. რაც ქლოროფილის მეთოდს სიზუსტეში აკლია, ანაზღაურდება ამ მეთოდის სიჩქარითა და სიმარტივით. ის გამოიყენება პროდუქციის კვლევებში დიდი ფართობის მქონე ზედაპირზე. ერთ-ერთ ამგვარ კვლევაში ნიმუშები აიღეს ერთკილომეტრიანი ინტერვალებიდან





პორტლენდს, მაინსა და იარმუტს შორის (ახალი შოტლანდია) 300 კილომეტრიანი არეალიდან. ამ კვლევამ გამოამჟღავნა საგრძნობი პეტეროგენურობა პროდუქციაში (Huntley and Boyd 1984) (ნახ. 10-2).

სპეციფიკურ ადგილებში პროდუქციის დასადგე-ელოვნური თანამგზავრების აპარატურაც დედამინის არეავლის შესაძლებლობების გაზომვის მიხედვით. მზის სპექტრის ხილულ და ინფრანითელ მონაკვეთში შიშველ მინას ნაკლები არეკვლის შესაძლებლობა აქვს, ვიდრე მცენარეების ფოთლებს. პეტერსონმა და თანამშრომლებმა (Peterson et al. 1987) გვიჩვენეს, რომ წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთი წინვოვანი ტყის ინფრანითელი სხივების არეკვლა დიდად შეესაბამება ფოთლის არეალის ინდექსს ( $m^{-2} m^{-3}$ ), რაც ცნობილია, რომ პირდაპირ არის დაკავშირებული პირველად პროდუქციასთან. წყლის გარემოში ქლოროფილის კონცენტრაცია შეიძლება განისაზღვროს ზედაპირული წყლის სატელიტური სურათებიდან მოპოვებული ფიტოპლანქტონის პიგმენტების კონცენტრაციათა გაზომვით (ნახ. 10-3).

სატელიტური ფოტოების გადაღება დიდი ფართობის არეალებში ცვლილებების ჩანიშნვისა და თვალყურის დევნების გზაა. სატელიტური ფოტოგრაფირების პოტენციალი უზარმაზარია ეკოსისტემათა ფუნქციისა და სტრუქტურის დაკვირვებისა და ანალიზისთვის. პირველადი პროდუქციის ნიშნების გაზომვასთან ერთად, ეს ტექნიკა შეიძლება გამოიყენონ მიწის მოხმარების, ეროზიის, მცენარეულობის გავრცელების, ოკეანეთა პიდროლოგიის, მცურავი ყინულის დინების, ტყის დინამიკისა და ლანდშაფტის მრავალი სხვა თვისებების გასაზომად (Quattrochi and Pelletier 1991, Schlesinger 1991). ფიტოპლანქტონის კონცენტრაციათა, წყლის ტემპერატურათა და დინებათა ამსახველი სატელიტური სურათები ნაჩვენებია ნახ. 10-4-ზე.

### **10.3 ფოტოსითოზის დონი იცვლება სინათლის, ტემპერატურის, ცელისა და საკვეპი ნივთიერებების ხელისაწვდომობის მიხედვით**

ხმელეთის მცენარეებში ფოტოსინთეზის სიჩქარეზე გავლენას ახდენს მზის გამოსხივების ინტენსივობა, ტემპერატურა, საკვები ნივთიერებების ხელმისაწვდომობა, მცენარის შესაძლებლობა აიტანოს წყლის კარგვა.

### **სინათლის ინტენსივობა და ტემპერა- ტურა**


ფოტოსინთეზის სიჩქარე იცვლება სინათლის ინტენსივობის (რომელიც როგორც წესი, ერთი მეოთხედით ნაკლებია მზის სრულ სინათლეზე) ცვლილების პირდაპირპოპორციულად (Ryther 1956,

Kramer 1958, Mooney and Billings 1961, Loach 1967). უფრო კაშაშა სინათლე ავსებს ფოტოსინთეზურ პიგმენტებს და სინათლის ინტენსივობის ზრდასთან ერთად, ფოტოსინთეზის ტემპი შედარებით ნელა იზრდება ან ჩერდება (Berry 1975). მრავალ მცენარეში საოცრად კაშაშა სინათლე ასუსტებს ფოტოსინთეზს, რადგან ფოტოსინთეზური რეაქციები დეზაქტივირებული ხდება. მეტიც, კაშაშა სინათლის არსებობის პირობებში  $R_2$ -ის ასიმილაციისთვის პასუხისმგებელი ფერმენტები, ასევე, ზრდის ნახშირნყლების უანგვას  $R_2$ -ამდე და წყლამდე. ამ პროცესს ფოტორესპირაციას უწოდებენ (Ogren 1984, Downes and Hesketh 1968).

ფოტოსინთეზის რეაქციას სინათლის ინტენსივობასთან მიმართებაში ორი საყრდენი წერტილი აქვს. პირველი, სახელად კომპენსაციური წერტილი, არის სინათლის ინტენსივობის დონე, რომელზეც ფოტოსინთეზი და რესპირაცია ერთმანეთს აბალნებენ. კომპენსაციური წერტილს ზემოთ მცენარის ენერგიის ბალანსი დადგებითა, მის ქვემოთ – უარყოფითი. მეორე საყრდენი წერტილი არის გაჯერების წერტილი, რომლის ზემოთაც ფოტოსინთეზის სიჩქარე უკვე აღარ რეაგირებს სინათლის მზარდ ინტენსივობაზე. ხმელეთის მცენარებს შორის, ისეთ სახეობათა კომპენსაციური წერტილები, რომლებიც როგორც წესი, მზის სრულ სინათლეში (დაახლოებით 500 ვატი ყოველ კვადრატულ მეტრზე წელიწადში) თავს იჩენენ 1-იდან 2-მდე W  $m^{-2}$ -ზე. ამგვარი სახეობების გაჯერების წერტილები, როგორც წესი, მიიღწევა 30-სა და 40 W  $m^{-2}$ -ს შორის. ეს კაშაშა, პირდაპირი მზის სინათლის ენერგიის ერთი მეათედია.

მრავალი ფიზიოლოგიური პროცესის მსგავსად, ფოტოსინთეზი ყველაზე სწრაფად ვიწრო ტემპერატურულ დიაპაზონში მიმდინარეობს. ოპტიმალური ტემპერატურა იცვლება გარემოსთან ერთად, დაახლოებით  $16^{\circ}\text{C}$ -დან (მრავალ ზომიერ სახეობაში)  $38^{\circ}\text{C}$ -მდე (ტროპიკულ სახეობებში). ოპტიმალური ტემპერატურა იცვლება ასევე სინათლის ინტენსივობასთან ერთად ზოგიერთ სახეობაში, როგორიცაა მაგალითად, ალპური უდაბნოების ოსელეურია-ები ავსტრიაში (ნახ. 10-5). სუფთა პროდუქცია დამოკიდებულია რესპირაციის სიჩქარეზე ისევე, როგორც ფოტოსინთეზის სიჩქარეზე. რესპირაცია, როგორც წესი, იზრდება ფოთლის ტემპერატურის ზრდასთან ერთად (Kramar 1958).


ფოტოსინთეზური ეფექტურობა არის დაცემული სინათლის გამოსხივების ენერგიის პროცენტი, რომელიც სუფთა პირველად პროდუქციად იქცევა ზრდის სეზონის დროს. ის წარმოადგენს გამოსადეგ ინდექსს პირველადი პროდუქციის სიჩქარის გასაზომად ბუნებრივ პირობებში. იქ, სადაც წყალი და საკვები ნივთიერებები სასტიკად არ ზღუდვენ მცენარის პროდუქციას, ფოტოსინთეზური ეფექტურობა მერყეობს 1-დან 2%-ამდე.



რა ემართება ენერგიის დარჩენილ 98-99%-ს? ფოთლები და სხვა ზედაპირი ნებისმიერ ადგილას ირეკლავენ მზიდან დაშვებული სინათლის ენერგიის ერთი მეოთხედიდან სამ მეოთხედამდე ნანილს. ფოტოსინთეზურად აქტიური პიგმენტების გარდა, სხვა მოლეკულები შთანთქავენ დარჩენილის უმეტეს ნანილს, რომელიც გარდაიქმნება სითბოდ. სითბო ხელახლა სხივდება, ფოთლის ზედაპირზე ვრცელდება ან იფანტება ფოთლის ზედაპირიდან წყლის აორთქლების პროცესში. მაგალითად, მუხის ტყის კვლევის დროს წლიური დაშვებული ფოტოსინთეზურად აქტიური რადიაცია იყო  $1,9 \times 10^6$   $\mu\text{J} m^{-2}$  (საშუალო  $60 W m^{-2}$ ). აქედან 56% ფოთლების მიერ შთანთქმებოდა. წლიური აორთქლება იყო დაახლოებით  $0,5 \times 10^6$   $\mu\text{J} m^{-2}$ . წყლის აორთქლების  $2,24 \mu\text{J g}^{-1}$  დონეზე ტრანსპირაცია უდრიდა  $1,1 \times 10^6$   $\mu\text{J} m^{-2}$ , რომელიც დაახლოებით მთლიან შთანთქმულ ენერგიას უდრიდა (Loucks 1977).

## ტრანსპირაციის ეფექტურობა

პატარა ხვრელები, სახელად სანამები, რომელთა საშუალებითაც ფოთლები ნახშირორჟანგს და უანგბადს ცვლიან ატმოსფეროსთან, ასევე წყლის ორთქლის გამტარები არიან. როგორც მეოთხე თავში განვიხილეთ, ნიადაგის სინოტივის შემცირებისას,



მცენარეები წყალს ძალიან დიდი სიძნელით იღებენ. როდესაც ნიადაგის სინოტივე აღწევს ჭერობის დონეს, ფოთლები ხურავენ თავიანთ სანამეებს წყლის კარგვის შესამცირებლად, ეს ხელს უშლის  $R_2$ -ის მიღებას და ფოტოსინთეზიც ნელდება, სანამ სრულიად არ შეჩერდება. შესაბამისად, ფოტოსინთეზის სისწრაფე დამოკიდებულია მცენარის შესაძლებლობაზე, აიტანოს წყლის კარგვა, ნიადაგის სინოტივის ხელმისაწვდომობაზე და ჰაერის ტემპერატურისა და მზის გამოსხივების გავლენაზე ტრანსპირაციის დონეზე (Kramar 1969; Fisher and Turner 1978).

აგრონომებმა შეიმუშავეს ტრანსპირაციის ეფექტურობის (მას ასევე წყლის კარგვის ეფექტურობასაც უწოდებენ) გაზომვის მექანიზმი, რომელიც გამოიხატება ყოველი თითო კილოგრამი აორთქლებული წყლის შედეგად ნარმოებული (სუფთა პროდუქცია) მშრალი მასალის წონით. მცენარეთა უმრავლესობაში ტრანსპირაციის ეფექტურობა წყლის ტრანსპირაციის თითო კილოგრამზე 2 გრამის ნარმოებაზე ნაკლებია, მაგრამ შეიძლება იყოს 4 გ  $g^{-1}$ -ის ტოლი გვალვაგამძლე მცენარეებში (დუბ 1971). რადგანაც ტრანსპირაციის ეფექტურობა დიდი მრავალფეროვნების მცენარეებში ვიწრო ფარგლებში იცვლება, პროდუქცია პირდაპირ არის დაკავშირებული გარემოში წყლის ხელმისაწვდომობასთან (Webb et al. 1978). მაგალითად, სამხრეთ არიზონაში მრავალწლიანი ბალახების წლიური პროდუქცია იცვლება ზაფხულის წვიმების პირდაპირობირულებით (ნახ. 10-6).

#### საკვები ნივთიერებები და მცენარეთა პროდუქცია

საკვები ნივთიერებები ხელს უწყობენ მცენარის ზრდას საარსებო გარემოში. როდესაც აზოტის და ფოსფორის სასუქები გამოიყენებოდნენ (ერთეულად და კომბინაციაში) ჩარაპალის საარსებო გარემოში სამხრეთ კალიფორნიაში, სახეობათა უმრავლესობა გაზრდილი პროდუქციით რეაგირებდა აზოტის

მიღებაზე, მაგრამ არა ფოსფორზე (McMaster et al. 1982) (ნახ. 10-7). ამ შედეგებმა გვიჩვენებს, რომ ჩარაპალის სახეობათა უმრავლესობაში პროდუქცია შეზღუდულია აზოტის ხელმისაწვდომობით. თუმცა კალიფორნიის იასამნის ბუჩქების (*Ceanothus greggii*) ზრდა, რომელიც ინახავენ აზოტის მაფიქსირებელ ბაქტერიებს თავიანთ ფესვებში, რეაგირებდნენ ფოსფორზე და არა აზოტზე. ერთნლიანი მცენარეების (სხვადასხვა ბალახეულობა) პროდუქტიულობა ერთსა და იმავე საარსებო გარემოში იზრდებოდა აზოტის მიღებისას, მაგრამ გარკვეული და ითრგვნებოდა მხოლოდ ფოსფორის მოხმარებისას. როდესაც ორივე ნივთიერების თანაბარი რაოდენობა მიეწოდათ ერთდროულად პროდუქცია გაიზარდა. როგორც ჩანს, მცენარეს შეეძლო, ესარგებლა გაზრდილი ფოსფორით მხოლოდ აზოტის მაღალი დონეების არსებობის პირობებში. აზოტისა და ფოსფორის განსხვავებულ როლს მცენარის პროდუქციაში უფრო დეტალურად განვიხილავთ მეცამეტე თავში.

#### 10.4 ხელეთისა და ფოლის ეკოსისტემების პროდუქციულობა იზღუდება საცადასაცვა ეკოლოგიური ფარმორეაგით

პროდუქტიულობა – პროდუქციის სიჩქარე, დიდად იცვლება ერთი ეკოსისტემიდან მეორემდე ეკოლოგიური ფაქტორების მრავალფეროვნების გამო. ყველაზე მაღალი პროდუქტიულობა დედამინაზე გვხვდება ნოტიო ტროპიკებში ინტენსიური მზის სინათლის, თბილი ტემპერატურისა და ჭარბი ნალექიანობის ხელსაყრელი კომბინაციების გამო. ამის საპირისპიროდ, ზამთრის დაბალი ტემპერატურა და ზამთრის გრძელი ღამეები ამცირებენ პროდუქციას ზომიერ და არქტიკულ ეკოსისტემებში. მოცემულ განედობრივ სარტყელში, სადაც სინათლე და ტემპერატურა არ იცვლებიან საგრძნობლად ერთი ადგილიდან მეორემდე, სუფთა პროდუქცია იცვლება

## ცხრილი 10-2

საშუალო სუფთა წარმოება და მასთან დაკავშირებული განზომილებები დედამინის უმსხვილესი ეკოსისტემათა ტიპებისთვის.

ეკოსისტემები	სუფთა		ქლოროფილი (გ მ <sup>-2</sup> )	ფოთლის ზედაპირის არეალი (მ <sup>2</sup> მ <sup>-2</sup> )	ბიომასის დაგროვების კოეფიციენტი (წლ)
	პირველადი წარმოება	ბიომასა (კგ მ <sup>-2</sup> )			
<b>სახმელეთი</b>					
ტროპიკული ტყე	1,800	42	2.8	7	23
ზომიერი ტყე	1,250	32	2.6	8	26
ბორეალური ტყე	800	20	3.0	12	25
ბუჩქნარი	600	6	1.6	4	10
სავანა	700	4	1.5	4	6
ზომიერი სათიბი მიწა	500	1.5	1.3	4	3
ტუნდრა და ალპური ზონა	140	0.6	0.5	2	4
უდაბნოს ბუჩქი	70	0.7	0.5	1	10
დამუშავებული მიწა	650	1	1.5	4	1.5
ჭაობები	2.500	15	3.0	7	6
<b>საწყლო</b>					
ღია ოკეანე	125	0.003	0.03	—	0.02
კონტინენტური შელფი	360	0.01	0.2	—	0.03
წყალმცენარეთა ზონები და რიფები	2.000	2	2.0	—	1.00
ესტუარიები	1.8001	1	1.0	—	0.56
ტბები და დინებები	500	0.02	0.2	—	0.04

(From Whittaker and Likens 1973.)

წლიური ნალექიანობის შესაბამისად, მაგალითად, პანდიტ და სინგმა (1992) აღმოაჩინეს, რომ სუფთა პირველადი პროდუქცია მშრალ ტროპიკულ სავანაში მერყეობდნენ 329-დან 741 გ/მ<sup>2</sup> წლ-მდე, სადაც პროდუქციის მაღალი მნიშვნელობები შეესაბამებოდნენ მაღალ ნალექიანობას. უქმა და თანამშრომლებმა (1978) გვიჩვენეს, რომ წყლის ხელმისაწვდომობის გარკვეულ საზღვარს ზემოთ პროდუქცია იზრდება 0,4 გრამით წყლის თითოეულ კილოგრამზე მშრალ უდაბნოებში და 1,1 გ-ით კგ<sup>-1</sup>-ზე დაბალ ბალაზიან პრერიებში და ცივ უდაბნოებში. ამრიგად, წყლის მოცემული რაოდენობა ხელს უწყობს დაახლოებით სამჯერ მეტ მცენარის წარმოებას ცივ კლიმატში, ვიდრეცხელკლიმატში. ტყის ეკოსისტემები, რომელთა ტრანსპირაციის ეფექტურობა (შეადგენს დაახლოებით 0,9–1,8 გ კგ<sup>-1</sup>), შედარებით უგრძნობნი არიან წყლის ხელმისაწვდომობის ცვლილებებისადმი, მაგრამ არ ვითარდებიან თუ ნალექიანობა არ აჭარბებს მინიმუმ 50 სმ-ს წელიწადში აშშ-ს ცივ რეგიონებში და

დაახლოებით 100 სმ-ს შედარებით თბილ აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში.

ეკოლოგებმა რ. უიტაკერმა და გ. ლიკენსმა (1973) განსაზღვრეს წყლის და ხმელეთის ეკოსისტემათა წარმომადგენლების სუფთა პირველადი პროდუქცია (ცხრილი 10-2). მათ გამოკვლევათა საიმედოობა ემყარებოდა მრავალი კვლევის შედეგს დიდი რაოდენობის ტექნოლოგიების გამოყენებით, თუმცა ის, რაც მათ ზოგად შედარებითობაში აკლიათ არ თრგუნავს მათი კვლევის ძირითად საგანს — ეკოსისტემათა ზოგად სტრუქტურებს. უიტაკერისა და ლიკენსის დასკვნა გვიჩვენებს, რომ ხმელეთის მცენარეულობის პროდუქცია ყველაზე დიდია სველ ტროპიკებში და ყველაზე ნაკლებია ტუნდრასა და უდაბნოებში. ჭაობიანი ეკოსისტემები, რომლებიც განლაგებული არიან საზღვარზე ხმელეთისა და წყლიან გარემოებს შორის, შეიძლება ტროპიკულ ტყეებზე პროდუქტულები იყვნენ წყლის მუდმივი სიჭარბის და მცენარის ფესვების გარშემომრტყმელ



ნახ. 10-8 ეკოლოგიური პირამიდა. თითოეული პირამიდის ფენის სიგანე ნარმოადგენს თითოეული ტროფიკული დონის სულთა პროდუქტიულობას. ამ კონკრეტული სისტემისათვის ეკოლოგიური ეფექტურობანი არის 20%, 15% და 10% ტროფიკულ დონეებს შორის, მაგრამ ეს სიდიდეები ძალიან იცვლებიან ერთობებსა და ეკოსისტემებს შორის.

ჭუჭყან დანალექებში საკვები ნივთიერებების განვითარებული რეგენერაციის გამო.

ლია ოკეანე ვირტუალური უდაბნოა, სადაც მინერალური საკვები ნივთიერებების იშვიათობა ზღუდავს პროდუქტიულობას ზომიერი ტყეების მეათედამდე ან უფრო მეტადაც (იხ. ცხრილი 10-2). აპველინგის ზონები, სადაც საკვები ნივთიერებები ღრმა წყლებიდან ზედაპირისკენ ამოდიან და კონტინენტური შელფები, სადაც ადგილი აქვს გაცვლას საკვებით მდიდარ ფსკერის დანალექებსა და ზედაპირულ წყლებს შორის, ხელს უწყობენ უფრო მაღალ პროდუქტიულობას. ზედაპირულ ესტუარიებში, მარჯნის რიფებში და სანაპირო წყალმცენარეთა ზონებში პროდუქცია უახლოვდება მახლობლად განლაგებულ ხმელეთის გარემოების ნარმოებას (Bunt 1973, Mann 1973, Barnes and Mann 1980, McLusky 1981). პირველადი პროდუქცია მტკნარი წყლის გარემოში მნიშვნელოვნად განსხვავდება საზღვაო საბინადროებისაგან, აღნევს რა უმაღლეს მაჩვენებელს მდინარეებში, ზედაპირულ ტექსა და ტბორებში და ყველაზე ნაკლებს – დინებებსა და ღრმა ტბებში. ზოგადად, ფოსფორი ზღუდავს პროდუქციას მტკნარი წყლის სისტემებში, აზოტი კი – მარილიანში.

## 10.5 ეკოლოგიური ეფექტურობა ახასიათებს ენერგიის მოქრანებას კვებით ჯაჭვი

მცენარეები თავიანთ „საკვებს“ არაორგანული ნივთიერებიდან აწარმოებენ. აქედან გამომდინარე, მათ აუტოტროფებს (სიტყვა-სიტყვით „თვითგამომკვები“) უწოდებენ. ცხოველები და მიკროორგანიზმების უმრავლესობა, რომლებიც საკვებ ნივთიერებათა დიდ ნაწილს მცენარეთა ჭამით იღებენ, ჰეტეროტროფები არიან (სიტყვა-სიტყვით

„სხვებისგან გამოკვებილი“). ცოცხალი ორგანიზმების ორმაგი როლი (საკვების მწარმოებლები და საკვების მომხმარებლები) ეკოსისტემას ტროფიკულ სტრუქტურას სძენს. ამ სტრუქტურას კვებითი ურთიერთობები განსაზღვრავს, სადაც ენერგია მიედინება და საკვები ნივთიერებები ციკლირებენ. ეკოსისტემათა უმრავლესობა შეიცავს უთვალავ ურთიერთდაკავშირებულ ტროფიკულ ინტერაქციას, რომელთაც ერთად აღებულს, კვებითი ჯაჭვი ენოდება. კვებითი ჯაჭვი ბალაზიდან მუხლუხომდე, ბეღურამდე, გველამდე და ქორამდე აღნიშნავს ენერგიის ერთ კონკრეტულ გზას კვებით ჯაჭვში. კვებითი ჯაჭვის თითოეულ რგოლში ენერგიის დიდი ნაწილი მანამდე იფანტება, სანამ მოხმარება შემდეგ ტროფიკულ დონეზე არსებული ორგანიზმების მიერ. აფრიკის მთელი ბალაზი რომ შევკრიბოთ ერთად იგი გამოიწვევდა კალიების, ქურციკების, ზებრების, გნუების და ბალაზიმჭამელი სხვა ცხოველების მეტ განვითარებასადა ზრდას, მაგრამ ბალაზისმჭამელების ეს ჯაჭვი გადააჭარბებდა მცირე რაოდენობის ლომებს, აფთოებს და სხვა ხორცის მჭამელებს.

ლინდემანმა 1942 წელს დაადგინა, რომ ენერგიის რაოდენობა, რომელიც აღნევს თითოეულ ტროფიკულ დონემდე, დამოკიდებულია სულთა პირველად ნარმოებაზე კვებითი ჯაჭვის დასაწყისში და იმ ეფექტურობაზე, რომლითაც ცხოველები გარდაქმნიან საკვების ენერგიას საკუთარი ბიომასის ენერგიად, ზრდისა და რეპროდუქციის საშუალებით, თითოეულ ტროფიკულ დონეზე. ფოტოსინთეზის მიერ ასიმილირებული სინათლის ენერგიის 15-დან 70%-მდე მცენარეები იყენებენ თავიანთი საკუთარი საჭიროებისათვის, რითაც ენერგიის ამ ნაწილს ხელმიუნვდომელს ხდიან მომხმარებლებისთვის. ხორცის და ბალაზისმჭამელები მცენარეებზე უფრო აქტიურები არიან და შესაბამისად, ხარჯავენ უფრო მეტ თავიანთ ასიმილირებულ ენერგიას. შედეგად, თითოეული ტროფიკული დონის პროდუქტიულობა,

როგორც წესი, წინამორბედი დონის პროდუქტიულობის მხოლოდ 5-20%-ს წარმოადგენს (ნახ. 10-8). ეკოლოგები ერთი ტროფიკული დონიდან შემდეგზე გადაცემული ენერგიის პროცენტულ მაჩვენებელს ეკოლოგიურ ეფექტურობას ან კვებითი ჯაჭვის ეფექტურობას უწოდებენ.


## 10.6 იდეივიდუალური რგოლი კვებით ჯაჭვი არის ძირითადი ერთაული კვებით სტრუქტურაში

მოხმარების შემდეგ საკვების ენერგია ორგანიზმში სხვადასხვა გზით მიედინება (ნახ. 10-9). საკვების წყაროს მიუხედავად, ის, რასაც ორგანიზმი შთანთქავს და ინელებს, შეადგენს ასიმილირებულ ენერგიას, რომელიც იხარჯება ფუნქციონირება-შენარჩუნებაზე, ქსოვილების შენებაზე ან შეიძლება გამოიყოს გამოუყენებელი გვერდითი პროდუქტების სახით. ცხოველები გამოყოფენ ასევე თავიანთი ასიმილირებული ენერგიის სხვა, როგორც წესი, მცირე ნაწილს აზოტის შემცველი ორგანული ნარჩენების სახით. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ამაკი, შარდოვანა ან შარდმუავა. ეს უკანასკნელი იწარმოებიან, როდესაც კვების რაციონი ჭარბ აზოტს შეიცავს, ხოლო ამ ნაერთებს ექსკრეტირებული ენერგია ეწოდებათ. ასიმილირებული ენერგიის ნაწილი გამოიყენება მეტაბოლური საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მისი ძირითადი ნაწილი ტოვებს ორგანიზმს სითბოს სახით და შეადგენს რესპირირებულ ენერგიას. ორგანიზმში დარჩენილი ასიმილირებული ენერგია ხელმისაწვდომი ხდება ახალი ბიომასის (პროდუქციის) სინთეზისთვის

ზრდისა და გამრავლების გზით, რომლის მოხმარებაც შეუძლიათ ცხოველებს მომდენო, უფრო მაღალ ტროფიკულ დონზე. საკვების მრავალი კომპონენტი უძლებს მონელებას და ასიმილაციას: ქატინი მწერების გარეთა ჩონჩხში, ბუსუსები, ბუმბულები, ხრტილი, ძვალი და კანის ზოგიერთი შემადგენელი ნაწილი (კერატინი — რქოვანი ნივთიერება) ზოგიერთ ცხოველურ საკვებში და ცელულოზა და ლიგნინი მცენარეულ საკვებში. ეს ნივთიერებები შეიძლება გაინმინდოს ან დარეგულირდნენ და ენერგიას, რომელსაც ისინი შეიცავენ, ეწოდებათ გამოყოფილი ენერგია. თუმცა, გამოყოფილი ენერგია არ იყარგება. ზოგი ორგანიზმი სპეციალიზებულია ამ დაუმორჩილებელი ნივთიერებების მონელებაში. გამოყოფილი ნივთიერებების დიდი ნაწილი ხდება ნიადაგის ორგანული ნივთიერებების ნაწილი მკვდარი მცენარეებისა და ცხოველების ნარჩენებთან ერთად. ამ ნივთიერებებს კოლექტიურად დეტრიტები ეწოდებათ. ნიადაგში ისინი შედიან მეორე, დეტრიტზე დამყარებულ კვებით ჯაჭვში.

## 10.7 ასიმილაციისა და პროდუქციის ეფექტურობა განსაზღვრავს ეკოლოგიურ ეფექტურობას

ეკოლოგიური ეფექტურობა არის იმ ეფექტურობების ჯამი, რომლითაც ორგანიზმები ახდენენ თავიანთი საკვები რესურსების ექსპლუატაციას და გადააქცევენ მათ ბიომასად. ეს არის ექსპლუატაციის, ასიმილაციისა და სუფთა პროდუქციების ეფექტურობების ერთობლიობა (ცხრილი 10-3). ექსპლუატაციის ეფექტურობა არის ეფექტურობა,



ნახ. 10-9 ენერგიის გადანაწილება საკვები ჯაჭვის ერთ რგოლში, ენერგია შეიწოვება, არის მონელებული და გამოყენებული ზრდისა და გამრავლებისთვის. ენერგია იკარგება გამოყოფის, ექსკრეტისა და საბოლოო ჯამში სიკვდილის გზით.

**ცხრილი 10-3****ზოგიერთი ენერგეტიკული ეფექტურობის განსაზღვრა**

საკვების მიღება

$$\text{ექსპლუატაციის ეფექტურობა} = \frac{\text{მსხვეპრლთა პროდუქცია}}{\text{ასიმილაცია}}$$

$$\text{ასიმილაციის ეფექტურობა} = \text{ათვისებული ენერგია}$$

$$\text{სუფთა პროდუქციის ეფექტურობა} = \frac{\text{პროდუქცია(ზრდა და კვლავწარმოება)}}{\text{ასიმილაცია}}$$

$$\begin{aligned} \text{მასობრივი პროდუქციის ეფექტურობა} &= \text{ასიმილაციის ეფექტურობა} \\ &\times \text{სუფთა პროდუქციის ეფექტურობა} \\ &= \frac{\text{პროდუქცია}}{\text{მიღება}} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} \text{ეკოლოგიური ეფექტურობა} &= \text{ექსპლუატაციის ეფექტურობა} \\ &\times \text{ასიმილაციის ეფექტურობა} \\ &\times \text{სუფთა პროდუქციის ეფექტურობა} \\ &= \frac{\text{მომხმარებლის პროდუქცია}}{\text{მსხვერპლთა პროდუქცია}} \end{aligned}$$

რომლითაც მოიხმარება მთლიანი ტროფიკული დონის ბიოლოგიური პროდუქცია. კონკრეტული ეასისატემისთვის მსხვერპლის ექსპლუატაციის ეფექტურობა იქნებოდა მტაცებლის მიერ შეჭმული ანუ ექსპლუატირებული მსხვერპლის მთლიანი ბიომასის პროპორცია. რადგანაც ბიოლოგიურ პროდუქციათა დიდი ნაწილი მოიხმარება ერთი ან რამდენიმე ორგანიზმის მიერ, ექსპლუატაციის ეფექტურობა აღწევს 100%-ს. მაგრამ მოხმარებულის მხოლოდ ერთი ნაწილი ასიმილირდება მომხმარებლის მიერ. **ასიმილაციის ეფექტურობა** არის მოხმარებული ენერგიის ის სასარგებლონ ნაწილი, რომელიც ასიმილირდება. ეფექტურობას, რომლითაც ასიმილირებული ენერგია ერთვება ზრდაში, შენახვასა და გამრავლებაში, ენოდება **სუფთა პროდუქციის ეფექტურობა**.


მცენარეებისთვის სუფთა პროდუქციის ეფექტურობა განისაზღვრება როგორც სუფთა პროდუქციის შეფარდება მასობრივ პროდუქციასთან. ეს ინდექსი ვარირებს 30-იდან 85%-ამდე საბინადრო გარემოსა და ზრდის ფორმაზე დამოკიდებულებით. სწრაფად მზარდი მცენარეებს ზომიერ ზონებში, იქნება ისინი ხეები, მინდვრის ბალახები თუ მოსავლის სახეობები, აქვთ მაღალი სუფთა ნარმობების ეფექტურობა (75-85%). მსგავსი ვეგეტაციური

ტიპები ტროპიკებში ავითარებენ უფრო დაბალ სუფთა პროდუქციის ეფექტურობას, დაახლოებით 40-60%. როგორც მოსალოდნელია დაბალ განედებზე რესპირაცია იზრდება ფოტოსინთეზთან შედარებით.


მცენარეული საკვების კვებითი ლირებულება დამოკიდებულია ცელულოზის, ლიგნინის და სხვა მოუნელებადი ნივთიერებების რაოდენობაზე (Grodzinski and Wunder 1975). ბალახისმჭამელები ახდენენ დაახლოებით ენერგიის 80%-ის ასიმილაციას თესლიდან და 60-70%-ისა ახალგაზრდა მცენარეების თესლიდან (ჩჰენ ანდ ჩჰენ 1970). გრეიზერებისა და ბრაუზერების უმრავლესობა (სპილოები, მსხვილი რქოსანი საქონელი, კალიები) ახდენენ თავიანთი საკვების ენერგიის 30-40%-ის ასიმილირებას. მრავალფეხები, რომლებიც ჭამენ, ძირითადად, ცელულოზისგან და ლიგნინისგან შემდგარ გახრენილ ხეს და იმ მიკროორგანიზმებისგან, რომლებიც არსებობს გახრენილ ხეში, ახდენენ მხოლოდ 15%-ის ასიმილირებას საკვების ხარისხის ეფექტი ასიმილაციაზე შეიძლება დავინახოთ იმ ეფექტურობების სახით, რომლითაც ერთი რომელიმე ცხოველი იღებს ენერგიას თავისი საკვების სხვადასხვა ულუფიდან. თეთრი კურდლილის (ეპუს ტიმიდუს) კვლევისას პერსონამა (1983) დაადგინა, რომ მცირე ტირიფის ტოტების ენერგიის ასიმილაციის

ეფექტურობა იყო 39%, რომლიდანაც 5% იკარგებოდა აზოტისშარდისსახითექსკრეციისდროს. ასიმილაციის ეფექტურობა ნაკლები იყო უფრო დიდი ტოტებისთვის (31%), სავარაუდოდ, მათი სქელი, ნაკლებმონელებადი ლეროს გამო და არყის ხის ტოტებისთვის (23-35%), რომლის ჭამისას კურდღლებს არ შეეძლოთ მუდმივი წონის შენარჩუნება. კურდღლების საკვებისა და ფეკალიების ბოჭკოვანი შემცველობის (ცელულოზა და ლიგნინი) გაზომვით პერსონმა აღმოაჩინა, რომ ბოჭკოს მომნელებითობა იყო 15-იდან 25%-ამდე. კვების რაციონის საკვები კომპონენტების ასიმილაცია, რომელიც განისაზღვრება მსგავსი შენატანისა და გამონატანების გაზომვით, იცვლებოდა 9%-იდან ფორსფორისთვის 81%-ამდე მაგნიუმისთვის (ნახ. 10-10).

ცხოველური ნარმოშობის საკვების მონელება უფრო ადვილად ხდება, ვიდრე მცენარეული ნარმოშობის საკვებისა. მტაცებელ სახეობებში ასიმილაციის ეფექტურობა ვარირებს 60-სა და 90%-ს შორის. ხერხემლიანი ცხოველები უფრო ეფექტურად მოინელებიან, ვიდრე მწერები, რადგან მოუნელებელი გარეთა ჩინჩხები მწერებში სხეულის უფრო დიდ ნანილს შეადგენს, ვიდრე ბენვი და ბუმბულები ბალახისმჭამელებში. მწერების მჭამელთა ასიმილაციის ეფექტურობა ვარირებს 70%-იდან 80%-ამდე იმ დროს, როდესაც ხორცის მჭამელების ეფექტურობა დაახლოებით 90%-ია. ქსოვილების შენარჩუნება, მოძრაობა და სითბოს წარმოება მოითხოვს ენერგიას, რომელიც ცხოველს შეიძლება, სხვა შემთხვევაში, ზრდისა და გამრალებისთვის გამოეყენებინა. აქტიური თბილისისხლიანი ცხოველები გამოიყვავებენ სუფთა ნარმოების დაბალ ეფექტურობას: ურინველები 1%-ზე ნაკლებს და მცირეზომის ცხოველები მაღალი რეპროდუქციული ტემპებით – 6%-ამდე. უფრო უმოძრაო ცივსისხლიანი ცხოველები, კერძოდ, წყლის სახეობები, გამოყოფენ



**ნახ. 10-10** დუღური კომპონენტების პროპორცია ასიმილირებული დამწყვდეული თეთრი კურდღლების (*Lepus timidus*) მიერ ზამთრის განძალობაში. (After Pehrson 1983.)




**ნახ. 10-11** ურთიერთობანი ასიმილაციის ეფექტურობასა და სუფთა პროდუქციის ეფექტურობას შორის სხვადასხვა ცხოველში. მასობრივი პროდუქციის ეფექტურობა აღნიშნულია მრუდებით გრაფიზე. პომეოთერმები თბილისისხლიანი ცხოველები არიან; პოიკილოთერმებს აქვთ სხეულის ცვალებადი ტემპერატურა (From Ricklefs 1979).

თავიანთი ასიმილირებული ენერგიის 75%-ს ზრდისა და გამრავლებისთვის. **მასობრივი პროდუქციის ეფექტურობა**, რომელიც არის ასიმილაციის ეფექტურობის და სუფთა პროდუქციის ეფექტურობის შედეგი, ნარმოადგენს მთლიანი ბიომასის პროდუქციის ეფექტურობას ტროფიკულ დონეზე. მასობრივი პროდუქციის ეფექტურობა ხმელეთის თბილისისხლიან ცხოველებში იშვიათად აჭარბებს 5%-ს, ხოლო ფრინველებისა და მსხვილი ძუძუმწოვრების ეფექტურობანი 1%-ზე ნაკლებია. მცენარებისთვის მასობრივი პროდუქციის ეფექტურობა ხვდება 5%-დან 15%-ამდე დიაპაზონში, ხოლო ზოგიერთი წყლის ცხოველის შემთხვევაში აჭარბებს 30%-ს (ნახ. 10-11).

### 10.8 ხალათის ეპოსისთვევაზე დომინირება და ტრიტონი კვებითი ჯაჭვები

ხმელეთის მცენარეები, განსაკუთრებით ხე მცენარეები, გადაანილებენ თავიანთი პროდუქციის დიდ ნანილს ისეთი სტრუტურებისთვის, რომლებიც ძნელიშესაჭმელია, რომარაცერივთქვათმონელებაზე. შედეგად, ხმელეთის მცენარეული პროდუქცია სრულდება ორგანული ნაერთებისა და დეტრიტების სახით. ტყეებში, მაგალითად, განსაზღვრულია, რომ წარმოებული მცენარეების ბიომასის 90% ან მეტი ხდება დეტრიტი. დეტრიტი მოიხმარება მტარებელი ორგანიზმების მიერ, მათ შორის, მრავალი სახის მატლის, ლოკოკინის, მწერის, ტკიბის, ბაქტერიისა და სოკოს მიერ. უფრო დიდები ამ ორგანიზმთაგან (მატლები, ლოკოკინები და ა.შ.) ახდენენ მხოლოდ დაცვენილ ფოთლებში ხელმისაწვდომი ენერგიის



ნახ. 10-12 დაცვენილი ფოთლების მექანიკური შლა მსხვილი დეტრიტის მჭამელების მიერ მისა სრული მოხმარებისას. ფოთლის დისკები (მცირე მონაზრები ფოთლებიდან) მოათავსეს ბადისებრ ტომებში 7 და 0,5 მმ-ანი ხვრელებით. მცირე შესასვლელები ატარებდნენ ბაქტერიებს, სოკს და მცირე ზომის ფეხსახსრიანებს, მაგრამ არ უშვებდნენ მსხვილ დეტრიტის მჭამელებს, როგორებიც არიან მატლები და მრავალფეხები. (After Edwards and Heath 1963; in Phillipson 1966.)

დაახლოებით 30-45%-ის ასიმილაციას და კიდევ უფრო მცირეს ხეებისგან, მაგრამ ისინი აჩქარებენ ნაგვის გახრმნას, რადგან ასველებენ მცენარეულ დეტრიტს თავიანთ მომზელებელ ტრაქტში და მცირე ნაწილაკები მათ გამოყოფილ ნარჩენებში ქმნიან ახალ ზედაპირს მიკრობების კვებისთვის. მსხვილი დეტრიტის მჭამელების მიერ დეტრიტის მექანიკური შლა ზრდის ამ ნივთიერების მთლიან მოხმარებას. ექსპერიმენტში, რომელშიც მსხვილი დეტრიტის მჭამელები არ დაიშვებოდნენ დეტრიტულ ნივთიერებებთან, ბაქტერიებისა და სოკოების ქმედებებმა გამოიწვიეს ნივთიერებათა მხოლოდ 25%-ის მოხმარება (10-12).

სხველების თანასაზოგადოებებში დეტრიტის და ბალაბისმჭამელების დაყოფა წარმოქმნის ორ კვებით ჯაჭვს. პირველის შემადგენლობაშია შედარებით დიდი ცხოველები, რომლებიც იკვებებიან ფოთლიანი მცენარეულობით, ნაყოფითა და თესლებით. მეორე ჯაჭვში შედარებით მცირე ზომის ცხოველები და მიკროორგანიზმებია, რომლებიც მოიხმარებ ნაგავს და ნიადაგის ფენებს. ცალკეული კვებითი ჯაჭვი ხანდახან მნიშვნელოვნად ირევა ერთმანეთში მაღალ ტროფიკულ დონებზე, მაგრამ დეტრიტის ენერგია, როგორც წესი, კვებით ჯაჭვში უფრო ნელა შედის, ვიდრე ბალაბისმჭამელების მიერ მოხმარებული ენერგია.

მტაცებლობაზე და დეტრიტზე დაფუძნებული კვებითი ჯაჭვების შედარებითი მნიშვნელობა ასევე მნიშვნელოვნად ვარირებს ერთობებს შორის. მტაცებლები დომინირებენ ჭარბ პლანქტონიან თანასაზოგადოებებში, დეტრიტის მჭამელები

— სმელეთის თანასაზოგადოებებში. სუფთა პროდუქციის პროპორცია, რომელიც შედის კვებითი ჯაჭვის ბალაბისმჭამელი — მტაცებლის ხაზებში, დამოკიდებულია მცენარის ქსოვილის შედარებით გადანაწილებაზე სტრუქტურულ და მხარდასა და ფოთლისინთეზურ ფუნქციებზე მეორეს მხრივ. ბალაბისმჭამელები მოიხმარენ ზომიერი ფოთლოვენადი ხეების სუფთა პროდუქციის 1,5-2,5%-ს და მინდვრების პროდუქციის — 12%-ს. ბალაბისმჭამელების საკებად მოხმარება წყლის თანასაზოგადოებებში, როგორც წესი, გაცილებით მაღალია, ის დაახლოებით 60-90%-ს აღწევს ზოგიერთი პლანქტონის თანასაზოგადოებაში (Wiegert and Owen 1971). მაგრამ თანამედროვე სამუშაო გვიჩვენებს, რომ დეტრიტზე დაფუძნებული კვებითი ჯაჭვი შეიძლება, ასევე მნიშვნელოვანი იყოს წყლის სისტემებისთვის (Wetzel 1995).

## 10.9 რა დრო არის საჭირო იმისთვის, რომ ენერგია გადაკვირვებული და დაკავშირდება?

კვებითი ჯაჭვის ეფექტურობას განსაზღვრავს იმ ენერგიის ოდენობა, რომელიც საბოლოოდ აღწევს ეკოსისტემის თითოეულ ტროფიკულ დონეზე. ენერგიის მიმოცვლის სიჩქარე ან ინვერსიულად თითოეულ ტროფიკულ დონეზე მისი დაყოვნების დრო წარმოადგენს მეორე ინდექსს ეკოსისტემის ენერგიის დინამიკისთვის. თანასაზოგადოებაში პროდუქციის მოცემული სიჩქარის შესაბამისი ენერგიის დაყოვნების დრო, რომელსაც ასევე სატრანზიტო დროსაც უწოდებენ და ენერგიის შენახვა ცოცხალ ბიომსა და დეტრიტში პირდაპირპროპორციულად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან: რაც უფრო დიდია დაყოვნების დრო, მით მეტია ენერგიის დაგროვება.

საშუალო დაყოვნების დრო კვებითი ჯაჭვის გარკვეულ რგოლში, უდრის ბიომასაში შენახულ ენერგიას გაყოფილს სიჩქარეზე, რომლითაც ენერგია გადაიქცევა ბიომასად, ანუ გაყოფილს სუფთა წარმოებაზე:

$$\text{დაყოვნების დრო (წლ)} = \frac{\text{ბიომასაში შენახულ ენერგია (კჯ/მ²)}}{\text{სუფთა წარმოება (კჯ/მ² წლ⁻¹)}}$$

ამ განტოლებით ჩენენ ასევე შეგვიძლია გამოვთვალოთ განსაზღვრული დაყოვნების დრო უფრო მასის ( $\text{გ}/\text{მ}^2$ ), ვიდრე ენერგიის საფუძველზე და ამ შემთხვევაში ის გამოხატავს ბიომასის დაგროვების კოეფიციენტს. წვიმიანი ტროპიკული ტყეები ანარმოებენ საშუალოდ  $1800\text{გ}/\text{მ}^2 \cdot \text{წლ}^{-1}$  და აქვთ საშუალოდ  $42000\text{გ}/\text{მ}^2$  ცოცხალი ბიომასა (Whittaker and Likens 1973a). ამრიგად, ბიომასის

**ცხრილი 10-4** ენერგიის საშუალო სატრანზიტო დრო ცოცხალ მცენარეთა ბიომასებში  
(ბიომასა/სუფთა პროდუქცია) ტიპიურ ეკოსისტემაში

ეკოსისტემა	სუფთა პირველადი		სატრანზიტო
	ნარმოება (გ მ <sup>-2</sup> წლ <sup>-1</sup> )	ბიომასა (გ მ <sup>-2</sup> )	დრო (წლ.)
ტროპიკული წვიმიანი ტყე	2000	45000	22,5
ზომიერი ფოთოლცვენადი ტყე	1200	30000	25,0
ბორეალური ტყე	800	20000	25,0
ზომიერი სათიბი მიწა	500	1500	3,0
უდაბნოს ბუჩქი	70	700	10,0
ჭაობი	2500	15000	6,0
ტბა და დინება	500	20	0,04*
წყალმცენარეთა ზონები და რიცები	2000	2000	1,0
ლია ოკეანე	125	3	0,024†

\* 15 დღე

† 9 დღე

(Data from Whittaker and Likens 1973.)

დაგროვების კოეფიციენტები ნარმომადგენელი ეკოსისტემებისთვის შეიძლება 20 წელზე მეტი იყოს ტყიან ხელების გარემოში და 20 დღეზე ნაკლები ნყლის პლანეტონზე დაფუძნებულ ეკოსისტემებში (ცხრილი 10-4). ეს მონაცემები მხოლოდ საშუალო მაჩვენებლებია მთლიანი სისტემისა. გარკვეული სახის ენერგია სისტემაში უფრო დიდხანს რჩება, დიდი ნაწილი სწრაფად იფანტება. მაგალითად, ფოთლის მჭამელები და ფესვის მჭამელები მოიხმარენ ტყის ხეების მიერ ასიმილირებული ენერგიის დიდ ნაწილს მისი პროდუქციის მთელი ნლის განმავლობაში – მის გარკვეულ ნაწილს მცენარის მიერ ასიმილაციის დღეებში (Lawton 1994).

მონაცემები 10-4 ცხრილში ასევე სათანადოდ ვერ აფასებს ენერგიის საშუალო დაყოვნების დროს მცენარის ბიომასაში, რადგან ისინი არ მოიცავს ნაყარში მკვდარი მცენარეებისა და სხვა ოგანიზმების ორგანული ნივთიერებების აკუმულაციას. ენერგიის დაყოვნების დრო დაგროვილ ნაყარში შეიძლება განისაზღვროს შემდეგი განტოლებით:

$$\text{დაყოვნების დრო (წლ)} = \frac{\text{ნაყრის დაგროვება}}{\text{ნაყრის დაგროვების}} \cdot \text{სიჩქარე (გ/მ}^{-2}\text{წლ})$$

ტყეებში ნაყრის საშუალო ბიომასის ბრუნვის დრო ვარირებს სამი თვიდან, სველ ტროპიკულში, ერთიდან ორ ნლამდე, მშრალ და მთიან ტროპიკულ გარემოებში, ოთხიდან თექვსმეტ ნლამდე ამერიკის შეერთებულ

შტატების სამხრეთ-აღმოსავლეთში და 100 წელზე მეტი ზომიერ მთებსა და ბორეალურ რეგიონებში (Olson 1963). თბილი ტემპერატურა და სინოტივის სიჭარე დაბლობ ტროპიკულ რეგიონებში ქმნის ოპტიმალურ პირობებს სწრაფი ბრუნვისთვის.

## 10.10 ენერგიის ტრანსფერი და აკუმულაცია აღნიშვნელობის ეკოსისტემის სტრუქტურასა და ფუნქციებს

ენერგიის დინება და მისი ტრანსფერის ეფექტურობა აჯამებს ეკოსისტემის სტრუქტურის გარკვეულ ასპექტებს: ტროფიკული დონეების რიცხვი, დეტრიტის შედარებითი მნიშვნელობა, ბალაზისმჭამელები და მტაცებლური კვება, ბიომასისა და აკუმულირებული დეტრიტის ჩამოყალიბებული მნიშვნელობა და ერთობაში ირგანული ნივთიერებების ბრუნვის სიჩქარე. ამ საზომების მნიშვნელობაზე დავობდა ლინდემანი (1942), რომელმაც შეადგინა პირველი ენერგიის ბიუჯეტი მთლიანი ბიოლოგიური ერთობისათვის – მინესოტას ჩედარ ოგ აკე-ასთვის (კედრის ჭაობიანი ტბა). ენერგიის დინების კვლევების გავრცელება 1950-იანი და 60-იანი წლების განმავლობაში უფრო ცხადად ასახავს ენერგიის, როგორც უნვერსალური მატერიის, ბრუნვის ფასეულობას – ენერგიაა საერთო დომინატორი, რომლისკენაც მიმართულია ყველა პოპულაცია და მათი მოხმარების აქტები.

**ცხრილი 10-5 ლინდებამის მინესოტას ტბის  
კვლევების საწყისი შედეგები**

ტროფიკული დონე	მიღებული პროცენტია	
	(კჯ/მ <sup>-2</sup> წლ <sup>-1</sup> )	(ქ მ <sup>-2</sup> )
პირველადი წარმოება (მწავნემცენარეები)	2944	0,0934
პირველადი მომხმარებლები (ბალახისმჭამელები)	293	0,0093
მეორადი მომხმარებლები (ხორცის მჭამელები)	54	0,0017

ეკოსისტემის მთლიანი ენერგიის ბიუჯეტი ასახავს ბალანსს შემოსავალსა და ხარჯს შორის ისევე, როგორც საბანკო ანგარიშის შემთხვევაშია. ეკოსისტემა ენერგიას იღებს მწვანე მცენარეებისგან და გარედან სისტემაში ორგანული ნივთიერების ტრანსპორტირებით, როდესაც ფოთოლს ქარი დინებაში აგდებს. როგორც მეცხრე თავში ვნახეთ, ამ უკანასკნელი ტაბის შენატანს ალოქტონური (შეძნილი) შენატანი, ხოლო ადგილობრივ პროდუქციას ავტოქტონური შენატანი ენოდება.

გ.ვ. მინშელმა (1978) გამოიკვლია ავტოქტიონული და ალოქტონური შენატანების შედარებითი რაოდენობები წყლის ეკოსისტემაში. მან მიიჩნია, რომ დიდ მდინარეებში, ტბებსა და საზღვაო ეკოსისტემათა უმრავლესობაში დომინირებს ფიტოპლანეტონის ავტოქტონური წარმოება, მათი რეზიდენტური პოპულაციების და მსხვილი წყლის მცენარეების გამო მაშინ, როდესაც ალოქტონური შენატანები დიდი მნიშვნელობისა მცირე დინებებში და წყაროებში, ტყების დახურული კანოპების ქვეშ წყლის მცირე მასებზედაცემული მცენარეულინანილების მპორტის გამო. მაშინ, როდესაც ეს განზოგადება ფართოდ არის მიღებული, ახლანდელი კვლევები გვიჩვენებენ, რომ ზოგიერთ ტბასა და მდინარეში ალოქტონური შენატანები შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე წარმოგვედგინა. ცხოველური ბიომასა მსხვილი მდინარეებისა, რომლებიც პერიოდულად ტბორავენ თავიანთ წაპირებს, შეიძლება, უპირველეს ყოვლისა, შენარჩუნდეს დატბორილი ტყების (პომიას) წარმოებით (ალოქტონური წყარო) (Junk et al. 1989). ასეთი სიტუაცია შეიძლება მოქმედებდეს მცირე დინებებშიც (Meyer 1990). სამხრეთ კვებებში ოცი ტბის კვლევამ (del Giorgio and Peters 1994) გვიჩვენა, რომ ყველა შემთხვევაში, პლანქტონის თანასაზოგადოებათა მიერ რესპირირებული წახშირბადის რაოდენობა აჭარბებდა ფიტოპლანეტონის ფოტოსინთეზის საშუალებით შეკვეთირებული წახშირბადის რაოდენობას. კვლევები გვიჩვენებენ, რომ წახშირბადის წაგლებობა ივსებოდა ალოქტონურად გახსნილი ორგანული წაგლებობა ასაშუალებით.

ლინდემანმა შეადგინა კედრის ჭაბიანი ტბის ენერგიის ბიუჯეტი თითოეულისთვის სამი ტროფიკული დონიდან (ყველა ხორცის მჭამელი ერთად იყო თავმოყრილი) მოკრეფადი სუფთა პროდუქციის გაზომვების და რესპირაციისა და ასიმილაციის ეფექტურობათა ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე. ზრდის სეზონის ბოლოს შეგროვებული ცხოველები და მცენარეები შეადგენდნენ ტროფიკულ დონეებს, რომელსაც მიეწერება თითოეული სახეობა (ცხრილი 10-5).

ლინდემანმა განსაზღვრა რესპირაციის საშუალებით გაფანტული ენერგია რესპირატორული მეტაბოლიზმის კოეფიცინეტებიდან ლაბორატორიაში დაკვირვებულ პროდუქციამდე: 0,33 წყლის მცენარეებისთვის, 0,63 ბალახისმჭამელებისთვის და 1,4 უფრო აქტიური ხორცის მჭამელებისთვის ტბებში. მან იანგარიშა ხორცის მჭამელების მასიური პროდუქცია, როგორც ჯამი მათი აღებადი პროდუქციისა (54 კჯ/მ<sup>-2</sup> წლ<sup>-1</sup>) და რესპირაციისა (54 X 1,4 = 76 კჯ/მ<sup>-2</sup> წლ<sup>-1</sup>)

ლინდემანის ენერგიის ბიუჯეტი გარკვეული და განსაცვიფრებელია იმით, რომ ორგანიზმებმა მომდევნო ტროფიკულ დონეზე ვერ შეძლეს პირველადი სუფთა წარმოების 83%-ის მოხმარება და 70% მეორადი სუფთა წარმოებისა. ეს ჭარბი წარმოება ტრანსპორტირდება სისტემიდან დანალექების სახით, ტბა ივსება არგანული დეტრიტების საფარით.

მთლიანი ეკოლოგიკური ეფექტურობა (დანალექებითაც კი) ტროფიკულ დონეებს შორის, ენერგიის ტრანსფერი კედრის ჭაბიან ტბაში იყო დაახლოებით 12%. ხუთი სხვადასხვა წყლის თანასაზოგადოების მსგავსი ანალიზების შედარების შემდეგ კოზლოვსკიმ (1968) დაასკვნა, რომ (1) ასიმილაციის ეფექტურობა იზრდება მაღალ ტროფიკულ დონეებზე, (2) სუფთა პროდუქციის ეფექტურობა მცირდება მაღალ ტროფიკულ დონეებზე, (3) მასიური პროდუქციის ეფექტურობა ასევე მცირდება და (4) ეკოლოგიკური ეფექტურობა (ასიმილაცია ან მასიური პროდუქცია ი დონეზე / მასიური პროდუქცია ნინა ი - 1 დონეზე) რჩება მუდმივი ტროფიკულ დონეებს შორის და შეადგენს დაახლოებით 10%-ს.

### 10.11 კვეგითი ჯაჭვაგის სიგრძე

#### შეზღუდულია ეკოლოგიური

#### ეფექტურობით

კოზლოვსკის 10%-იანი განზოგადება არ არის ეკოლოგიური თერმოდინამიკის მყარი კანონი. სივერ სპრინგსში, ფლორიდას შტატი, ოდუმმა (1957) გაზომა 17%-იანი ეკოლოგიური ეფექტურობა მწარმოებელისა და ბალახისმჭამელის დონეებს შორის, თუმცა, მხოლოდ 5% ბალახისმჭამელებსა და მეორად მომხმარებლებს შორის. ეკოლოგიური ეფექტურობა, როგორც წესი, უფრო დაბალია ხმელეთის საარსებო გარემოში, ხოლო უკიდურეს ხორცის მჭამელებს ხმელეთის თანასაზოგადოებებში არ შეუძლიათ, იკვებონ საშუალოდ მესამე ტროფიკულ დონეზე მაღლა მდგარი ორგანიზმით მაშინ, როდესაც წყლის მტაცებლებს, შეუძლიათ, მიირთვან მეოთხე-მეხუთე დონეები (Frenchel 1988). ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს სამ რგოლზე მეტი ხმელეთის კვებით ჯაჭვებში, მთლიანი ენერგიის პატარა ნაწილმა უნდა იმოძრაოს ათობით რგოლში, ვიდრე ის რესპირაციის გზით დაიფანტებოდეს. თუმცა, ასეთი მაღალი ტროფიკული დონეები, ძირითადად არ შეიცავს საკმარის ენერგიას, რომ სრულყოფილად შეუწყოს ხელი ერთი მტაცებლის პოპულაციას.

ჩვენ შეგვიძლია, განვსაზღვროთ თანასაზო-გადოებაში კვებითი ჯაჭვების საშუალო სიგრძე სუფთა პირველადი წარმოებიდან, საშუალო ეკოლოგიური ეფექტურობიდან და უკიდურესი მტაცებლის პოპულაციის საშუალო ენერგიის დონებიდან. მოცემულ ტროფიკულ ი დონეზე (მცენარეები არიან 1) მტაცებლისთვის ხელმისაწვდომი ენერგია **[E(n)]** უდრის სუფთა პირველადი წარმოების პროდუქციას (NPP) და შუალედურ ეკოლოგიურ ეფექტურობას

(ფფ). ამრიგად:

$$E(n) = ( \text{EPP} ) ( \text{Eff}^{n-1} ),$$

როდესაც არის თითოეულ დონეს შორის ტრან-სფერის ეფექტურობების საშუალო გეომეტ-რიული. საშუალო გეომეტრიული არის მე-(n - 1)-ედი ეფექტურობათა პროდუქტისა:

$$\sqrt[n]{f_1 f_2 \dots f_{n-1}}.$$

იმ ფაქტის გამოყენებით, რომ  $\log(a/b)^n = \log(a) + n \log(b)$ , ჩვენ შეგვიძლია, მივიღოთ შემდეგი შუალე-დური გამოსახულება ზემოთ მოცემული E(n)-ის განტოლებიდან:

$$\log(E(n)) = \log(NPP) + (n - 1)\log(\text{Eff}).$$

ეს გამოსახულება ადვილად ამოიხსნება ნ-ისათვის, ტროფიკული დონეების რიცხვისთვის, საშუალო ეკოლოგიური ეფექტურობისა და სუფთა პირველად წარმოების საფუძველზე:

$$n = I + \frac{\log[E(n)] - \log(NPP)}{\log(\text{Eff})}.$$

ამ განტოლების გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია, გამოვიანგარიშოთ 7-ამდე ტროფიკული დონეების რიცხვი საზღვაო პლანეტონზე დაფუძნებული ეკოსისტემებისთვის, 5 – სანაპირო წყლის თანასაზოგადოებისთვის, 4 სათიბი მიწისთვის და 3 სველი ტროპიკული ტყეისთვის (ცხრილი 10-7). ამ გამოთვლებს შეიძლება ეჭვის თვალით შევხედოთ, მაგრამ ისინი აღნიშნავენ ენერგიის პირამიდის ზოგად ზომას, რომელიც დაშენებულია პირველადი წარმოების საძირკველზე ეკოსისტემაში.

## დასკვნა

- 1.** ეკოსისტემა არის უზარმაზარი თერმოდინამიკური მექანიზმი, რომელიც მუდმივად ფანტავს და კარგავს ენერგიას სითბოს სახით. ეს ენერგია თავდაპირველად აღწევს ეკოსისტემათა ბიოლოგიურ სფეროში ფოტოსინთეზისა და მცენარის პროდუქციის სახით, რომელიც საბოლოო ენერგიის წყაროა ყველა ცხოველისთვის და სხვა არაფოტოსინთეზური ორგანიზმებისთვის.
- 2.** მასობრივი პირველადი პროდუქცია არის ფოტოსინთეზის დროს ფიქსირებული მთლიანი ენერგია. სუფთა პირველადი პროდუქცია ენერგიის აკუმულაცია მცენარის ბიომასაში. ამრიგად, ეს არის განსხვავება მასიურ პროდუქციასა და მცენარის რესპირაციას შორის. ეკოსისტემათა სუფთა პროდუქცია არის განსხვავება მასობრივ პირველად პროდუქციას, მცენარეთა ენერგეტიკულ საფასურებსა და ნიადაგის ორგანიზმების მიერ მოხმარებულ ენერგიებს შორის.
- 3.** პირველადი პროდუქცია შეიძლება გაიზომოს ერთი ან რამდენიმე მეთოდით ან მათი კომბინაციით: კალორიმეტრია, მოერეფა/ადგება, აირთა ცვლის გაზომვა (ნახშირორჟანგი ხმელეთის გარემოში, ჟანგბადი წყლიან გარემოში), რადიაციური ნახშირბადის (<sup>14</sup>C) ასიმილაცია და ქლოროფილის შემადგენლობაზე დაფუძნებული პროდუქციის ინდექსები.
- 4.** ფოტოსინთეზის სისწრაფე სინათლის ინტენსივობის პირდაპირპროპროცესულად იცვლება გავერების წერტილამდე (როგორც წესი, 30-40 ჭ/მ<sup>2</sup>), რომლის ზემოთაც ის ნელდება და მცირდება (კაშკაშა სინათლეს აქვს დაახლოებით 500 ჭ/მ<sup>2</sup>-ის ტოლი ინტენსივობა). კომპენსაციის წერტილი, რომლის იქითაც ფოტოსინთეზი აჭარბებს რესპირაციას, თავს იჩენს 1-2 W/m<sup>2</sup>-ის ტოლ სინათლის ინტენსივობაზე ხმელეთის მცენარეულობაში. ფოტოსინთეზის ეფექტურობა (მასიური პროდუქცია/დაცემული სინათლის მთლიანი ენერგია) 1-2%-ია გარემოთა უმრავლესობაში.
- 5.** რადგანაც მცენარეები კარგავენ წყალს მათ მიერ ასიმილირებული ნახშირორჟანგის რაოდენობის პირდაპირპროპროცესულად, მცენარეთა პრო-დუქცია მშრალ გარემოში შეზღუდულია წყლის ხელმისაწვდომობით და მერყეობს მის პირდაპირპროპროცესულად.
- 6.** ენერგიისა და ნივთიერებების მოძრაობა კვებით ჯაჭვის ხასიათდება ასიმილაციის ეფექტურობით (ასიმილაცია/მონელება) და სუფთა პროდუქციის ეფექტურობით (პროდუქცია/ასიმილაცია). მიღებული ნივთიერებები, რომლებიც არ ექვემდებარება მონელებას და ასიმილაციას, შეიცავს ენერგიას, რომელიც გამოიყოფა და ხდება დეტრიტზე დამოკიდებული კვებითი ჯაჭვების ნაწილი.
- 7.** ასიმილაციის ეფექტურობა დამოკიდებულია კვების რაციონის ხარისხზე, კერძოდ, მონელებაგამძლე სტრუქტურის ნივთიერებებზე, რომელსაც ეს საკვები შეიცავს (ცელულზა, ლიგნინი, ქიტინი, კერატინი) და ვარიოებს 15%-დან 90%-ამდე. სუფთა პროდუქციის ეფექტურობა ყველაზე დაბალია – 1%-დან 5%-ამდე – ცხოველებში, რომლის შენარჩუნების საფასურიც და აქტიურობაც ძალიან მაღალია, განსაკუთრებით ენდოთერმულ ხერხემლიანებში. ეს განსხვავდება იმ 15-45%-ისგან, რომელიც ტიპურია უხერხემლოებისთვის.
- 8.** მასობრივი პროდუქციის ეფექტურობა (პროდუქცია/ჩაყლაპვა) ვარიოებს 5-სა და 20%-ს შორის უმეტესობა კვლებში.
- 9.** კვებითი ჯაჭვის ერთეულ რგოლში ენერგიის ან ბიომასის საშუალო დაყოვნების დრო არის ბიომასის შეფარდება სუფთა პროდუქციის სისწრაფესთან. დაყოვნების დრო პირველადი პროდუქციისთვის იცვლება 20 წლიდან ზოგიერთ ტყეებში 20 დღემდე ან ნაკლებამდე წყლის პლაქტონზე დაფუძნებულ თანასაზოგადოებებში.
- 10.** მოსაზრებები ენერგიის დინებასა და ეკოლოგიური ეფექტურობის შესახებ გულისხმობს, რომ უმაღლესი ტროფიკული დონე, რომელზეც მომხმარებლის პოპულაცია შეიძლება შენარჩუნდეს, იწყება მეოთხე დონიდან, ხმელეთის კვებით ჯაჭვებში, მეშვიდე დონემდე, პლანქტონზე დაფუძნებულ თანასაზოგადოებებში ღია ოკეანეებში.

## სავარჯიშოები

- 1.** რესპირაცია მცენარეებს შორის მცირე ეკოსისტემებში მოითხოვს  $C_6H_{12}O_6$ -ის 9201 გ-ს ყოველ დღე. რამდენი  $CO_2$  არის საჭირო ფოტოსინთეზისთვის ეკოსისტემაში ამ მოთხოვნის შესასრულებლად?
- 2.** ცელულოზისა და ლიგნინის გარდა მცენარე შეიცავს 5% ნახშირწყალს, 8% ცილას და 2% ცხის. რა რაოდენობის ენერგიას შეიცავს მცენარის ქსივილის 1გ?
- 3.** მცენარეები დაჩრდილულ არეალში იღებენ 100 ჭ/მ<sup>2</sup>-ს დაშვებული მზის სინათლისა წლიურად. თუ ვივარაუდებთ, რომ ფოტოსინთეზური ეფექტურობა 1,5%-ია, ხოლო არეკვლა 26%, შეადგინეთ სვეტოპრივი დიაგრამა, რომელიც აჩვენებს დაშვებული სინათლის ( $\text{ჭ}/\text{მ}^2$ ) ოდენობას, რომელიც (1) გამოიყენება ფოტოსინთეზში, (2) აირეკლება, (3) იკარგება ტრანსპირაციისას (წარმოიდგინეთ, რომ ტრანსპირაცია წყლის კარგვის ერთადერთი საშუალებაა). რა რაოდენობის ენერგია ( $\text{kJ/g}^{-1}$ ) იქნება თითოეული ამ კატეგორიისთვის?
- 4.** არმოიდგინეთ ენერგიის შემდეგი განაწილება კვებითი ჯაჭვის ტროფიკულ დონეზე: ზრდა და გამრავლება = 600, ასიმილაცია = 720, შთანთქმა = 1000, მსხვერპლთა წარმოება = 10000. გამოთვალეთ (1) ექსპლუატაციის ეფექტურობა, (2) ასიმილაციის ეფექტურობა, (3) სუფთა პროდუქციის ეფექტურობა, (4) მასიური პროდუქციის ეფექტურობა, (5) ეკოლოგიური ეფექტურობა სისტემისა (იხ. ცხრილი 10-3). 10-7 ცხილში მოცემული ეკოლოგიური ეფექტურობის სიდიდეებზე დაყრდნობთ, ეკოსისტემათა რომელ ტიპს წარმოადგენს ეს მაგალითი ყველაზე უკეთ?
- 5.** ტროფიკული დონის პროდუქტიულობა უდრის 1000  $\text{kJ/m}^2 \text{წლ}^{-1}$  და რეზიდენციის დრო არის 2 წელი. რამდენი წელი დასჭირდება 10000  $\text{kJ/m}^2$ -ის დაგროვებას ბიომასაში შენახულ ენერგიაში?
- 6.** გარკვეული ეკოსისტემისთვის ეკოლოგიური ეფექტურობების საშუალო გეომეტრიული არის 0,264 და = 2000  $\text{კვალ}/\text{მ}^2 \text{წლ}^{-1}$ . რამდენი ტროფიკული დონე ექნება ეკოსისტემას? თუ ეკოლოგიური ეფექტურობების საშუალო გეომეტრიული არის 0,40, რამდენი ტროფიკული დონე იქნება სისტემაში?

## თავი 16



### პოპულაციის რეგულაცია

#### გზამკვლევი კითხვები

- როგორ არის პოპულაციის რეგულაცია აღნერილი ლოგისტიკური განტოლებით?
- როგორ ერთიანდებიან ადგილობრივ პოპულაციათა სიმჭიდროვეები ადგილობრივ წონასწორობაში?
- რა განსხვავებაა სიმჭიდროვეზე დამოკიდებულ და სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელ პოპულაციების რეგულაციებში?
- როგორ არეგულირებენ სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორები ცხოველებისა და მცენარეების პოპულაციებს?
- როგორ შეეწინააღმდეგნენ ჰ.გ.ანდრევართა და ლ.ქ.ბირქი სიმჭიდროვეზე დამოკიდებული პოპულაციის რეგულაციის თეორიას?
- როგორ გამოიყენა ფრედერიკ ე. სმიტმა ჰ.გ.ანდრევართას და ლ.ქ.ბირქის მონაცემები თავის მხრივ მათი მოსაზრების უარსაყოფად?
- რა არის სიმჭიდროვის გაურკვევლობა?

**3** პოპულაციების გამრავლების უსაზღვრო შესაძლებლობის გათვალისწინებით, რა ფაქტორები მოქმედებენ ამ ზრდის შესაჩერებლად? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ შეგვიძლია შევურიგდეთ ფაქტს, რაც ესოდენ დრამატულად არის დემონსტრირებული ადამიანის პოპულაციების მიერ, რომ პოპულაციებს აქვთ უზარმაზარი თანადაყოლილი უნარი, გაიზარდონ, თუმცა არ ხდება პოპულაციების აფეთქება? რა არეგულირებს პოპულაციას? ამ კითხვებს დიდი ისტორია აქვთ ეკოლოგიაში და წარმოშობილია ჯერ კიდევ დარვინამდე. ისინი ქმნიან საფუძველს ეკოლოგიური თეორიისა და ექსპერიმენტირების დიდი ნაწილისთვის. ჩვენ ამ საკითხის გარშემო ჩვენი მოსაზრებების ჩამოყალიბებას ამ თავში ვიწყებთ, მაგრამ ეს საკითხი წამოიჭრება ისევ მთელ რიგ მომდევნო თავებშიც.

იმის მიუხედავად, რომ საკითხი პოპულაციის მარეგულირებელი ფაქტორების შესახებ კომპლექსურია, ჩვენთვის უფრო კომფორტულია მთელი რიგი

სხვადასხვა განმარტებების განხილვა პოპულაციის ზრდის შესახებ არსებული ჩვენი ცოდნის საფუძველზე. ზოგადად, იმისთვის რომ პოპულაცია გაიზრდოს, შობადობის დონე ისევე, როგორც სიჩქარე, რომლითაც ერთი პოპულაციის ინდივიდები ინტეგრირდებიან მეორეში, უნდა აღემატებოდეს სიკვდილიანობის დონეს და იმ სიჩქარეს, რომლითაც ინდივიდები ტოვებენ პოპულაციას. მარტივი ტერმინებით, პოპულაციაში იდივიდების მატების (შობადობა, იმიგრაცია) სიჩქარე უნდა იყოს პოპულაციიდან ინდივიდების გამოსვლაზე (სიკვდილიანობა ემიგრაცია) მეტი. ნებისმიერმა ფაქტორმა, რომელიც ამცირებს შენატანს გამონატანთან შედარებით, შეიძლება იმოქმედოს პოპულაციის მარეგულირებლის სახით. ამგვარი ფაქტორები შეიძლება მომდინარეობდნენ ორგანიზმების ყოველდღიური ინტერაქციებიდან (როგორიცაა მტაცებლობა, ბალახის მჭამებლობა და პარაზიტები) ან მცენარეების შემთხვევაში, ინდივიდების მიერ რესურსების გამოყენების დინამიკი.

დან. ამგვარი ფაქტორების ინტენსივობა ყველაზე ხშირად დაკავშირებულია ურთიერთქმედი პოპულაციების სიმჭიდროვეზე. სხვა ფაქტორებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული იმასთან, თუ როგორ ურთიერთმოქმედებენ ორგანიზმები, ასევე შეუძლიათ, დაარეგულირონ პოპულაციები. ამ, მაგალითად, როდესაც სასტიკი შტორმი ან საოცრად ცივი ზამთარი იწვევს მაღალ სიკვდილიანობას პოპულაციის თითოეულ ასაკობრივ კლასში. ამგვარ ფაქტორებს აქვთ პოპულაციაზე ისეთი გავლენა, რაც არ არის დაკავშირებული სიმჭიდროვესთან. პოპულაციის რეგულირების კომპლექსურობა წარმოშობილია იმ ფაქტიდან, რომ ხშირად ძნელი განსასაზღვრია, რომელი კონკრეტული ფაქტორია ყველაზე მეტად პასუხისმგებელი რეგულაციაზე, როგორ ურთიერთმოქმედებენ სხვადასხვა ფაქტორები და მოაქვს თუ არა რეგულაციას რაიმენაირი წონასწორობა პოპულაციაში.

ამ თავში ჩვენ ჯერ წარმოგიდგენთ პოპულაციის ზრდის რეგულირების კლასიკური მათემატიკური მოდელების ფორმულირებას. იმ დროს, როდესაც ეს მოდელები ზედმეტად მარტივია იმისთვის, რომ ზედმინევნით ასახონ პოპულაციის რეალური დინამიკა (მართლაც, წიგნის დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მარტივი ანალიტიკური მოდელები ასახავენ ბუნების არსს, მაგრამ არა მის თითოეულ დეტალს), მათი ფორმები განმარტავენ რეგულაციის ბიოლოგიური მექანიზმების უმეტესობას. ამის შემდეგ, ჩვენ განვიხილავთ მექანიზმებს, რომლებიც რეალურად ზღუდავენ პოპულაციის გავრცელებას და გიჩვენებთ იმ ვნებათაღელვას, რომელიც წარმოიშვა იმის გარშემო, თუ რამდენად ახდენს გავლენას პოპულაციის სიმჭიდროვე პოპულაციის რეგულაციაზე. და ბოლოს, ჩვენ მოკლედ გადავხედავთ რიგ იდეებს, რომლებიც დაკავშირებულია პოპულაციის რეგულირების „არაწონასწორებრივ“ მოდელებთან. პოპულაციის რეგულირების შესახებ ჩვენს მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ჩვენ მივუბრუნდებით წიგნის მეხუთე ნაწილში, სადაც ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ შეიძლება პოპულაციები რეგულირდებოდნენ სხვა სახეობის პოპულაციებთან ინტერაქციების მეშვეობით.

### 16.1 ლოგისტიკური პიდრატაცია აღნერს პოპულაციის რეგულირებულ ზრდას


1920 წელს რაიმონდ პერლმა და ლ.ჯ.რიდმა ჯონს პოპულინისის უნივერსიტეტის ბიოლოგიური კვლევის ინსტიტუდიდან გამოაქვეყნეს სტატია როცენებინგს რეტე ატიონალ ცადემყოფ შციენცეს-ში სახელად „On the Rate of Growth of the Population of the United States since 1790 and Its Mathematical Representation“ (აშშ-ს მოსახლეობის ზრდის სისწრაფე 1790 წლიდან და

მისი მთემატიკური გამოსახულება). ეს არის ზუსტი და დაწვრილებითი მონაცემები მოსახლეობის შესახებ, რომელიც შეიცავს კოლონიური დროს მონაცემებსაც კი. მართლაც, ამერიკული კოლონიების მოსახლეობის ფენომენალურმა ზრდამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თომას მალთუსზე იმის გამო, თუ რაოდნენ სწრაფად შეუძლია ადამიანის პოპულაციას გაიზარდოს. ეს არ იყო ესოდენ თვალსაჩინო შედარებით უფრო მრავალრიცხოვან ევროპულ ქალაქებში მის დროს.

პერლსა და რიდს სურვილი ჰქონდათ, მოხედინათ აშშ-ს მოსახლეობის მომავალი ზრდის პროექტირება, რომელსაც მათი აზრით უნდა მიეღწია ზღვრისთვის. 1910 წლის პოპულაციის მონაცემები მოსახლეობის ყველაზე უკანასკნელი აღნერა, რომელიც კი ხელმისაწვდომი იყო იმ დროისთვის, აჩვენებდა კლებას ექსპონენციური ზრდის სიჩქარეში (ნახ. 16-1). პერლმა და რიდმა დაასკვნეს, რომ თუ ამ კლებას რეგულარული ხასიათი ექნებოდა, რომლის აღნერაც მათემატიკურად იქნებოდა შესაძლებელი, შესაძლებელი გახდებოდა პოპულაციის მომავალი ზრდის მიმდინარეობის გაგება მანამ, სანამ კლება ექსპონენციური ზრდის სიჩქარეში გაგრძელდებოდა. მათ ასევე დაასკვნეს, რომ ცვლილებები ექსპონენციური ზრდის სიჩქარეში უფრო მეტად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო პოპულაციის ზომასთან, ვიდრე დროსთან, რადგან დროის მასშტაბი თვითნებურია ნებისმიერ კერძო პოპულაციასთან მიმართებაში. ამრიგად, პოპულაციის დაუკეცელი ზრდისთვის დიფერენციალურ განტოლებაში მუდმივი სიდიდე  $r$ -ის გამოყენების ნაცვლად ( $dN/dt = rN$ ), პერლმა და რიდმა იგულისხმეს, რომ  $r$  მცირდება როცა იზრდება შემდეგი ურთიერთობის მიხედვით:

$$r = r_0 \left(1 - \frac{N}{K}\right)$$

სადაც  $r_0$  წარმოადგენს თანდაყოლილ ექსპონენციური ზრდის სიჩქარეს, როდესაც პოპულაციის ზომა ძალიან პატარაა (ანუ 0-თან ახლოს) და – გარემოს გადატანითი მოცულობა – წარმოადგენს იმ ინდი-



ნახ. 16-1 ზრდა აშშ-ს მოსახლეობაში 1790 და 1910 წლებს შორის (ფუნქციის მრავდი) და ზრდის ექსპონენციურ სიჩქარე, თითოეული 10 წლიანი პერიოდის განმავლობაში (ცერტიფიციური სვეტები). (Data from Pearl and Reed 1920.)


ვიდთა რიცხვეს, რომელთა უზრუნველყოფაც შეუძლია გარემოს. ეს განტოლება შემოსაზღვრავს ფუნქციის სწორი ხაზის მონაკვეთს  $-r_o/K$  ფუნქციის მრუდით. (იმის დასანახად, თუ როგორ მივიღეთ ფუნქციის მრუდი, გაამრავლეთ განტოლების მარჯვენა მხარე  $r_o$ -ზე, რათა მივიღოთ  $r_o - r_o N/K$ .  $N$  არის დამოუკიდებელი ცვლადი, ასე რომ,  $-r_o N/K$  არის ფუნქციის მრუდი.) ამრიგად, თუ  $K = 50$  და  $r_o = 2$  ერთ სულ მოსახლეზე პოპულაციის ზრდა შემცირდებოდა — 0,04 სიჩქარით, როდესაც იზრდება. ურთიერთობა  $r$ -სა და პოპულაციის ზომას ( $N$ ) შორის აშშ-ს მოსახლეობისთვის 1790 და 1910 წლებში ნაჩვენებია ნახ. 16-2-ში.

თუ ჩვენ ჩვანაცვლებთ  $r = r_o(1 - N/K)$ -ს განტოლებაში შეუფერხებელი ზრდით ( $dN/dt = rN$ ), ჩვენ მივიღებთ შემდეგს:

$$\frac{dN}{dt} = r_o N \left(1 - \frac{N}{K}\right)$$

რასაც ლოგისტიკური განტოლება ეწოდება.

ლოგისტიკური მრუდი მრუდის ფორმისაა  $dN/dt = 0$ -ით ორი პოპულაციის სიმჭიდროვისას, როდესაც  $N = 0$  და  $r_o$  აღნიშვნა  $=$  (ნახ. 16-3). მრუდის პიკი თავს იჩენს, როდესაც  $dN/dt$  აღნევს თავის მაქსიმალურ სიდიდეს, რაც ხდება როდესაც  $N = K/2$ . ამის სანახავად, მოდით,  $r_o$  იყოს 2-ის ტოლი, ხოლო  $K = 50$ . თუ  $N = K/2$ , მაშინ ზემოთ მოცემული განტოლების გამო-ყენებით  $dN/dt = 2(25)/[1 - 25/50] = 25$ , რაც არის ზრდის მაქსიმალური სიჩქარე (მრუდის კუზი).  $N < K/2$  ან  $N > K/2$  სიდიდეები შედეგად გვაძლევენ სი-დიდეებს, რომლებიც 25-ზე ნაკლები არიან. ამის



**ნახ. 16-3** ლოგისტიკური მრუდი  $dN/dt = rN(1 - N/K)$ , სადაც  $r$  არის პოპულაციის ზრდის სიჩქარე, არის პოპულაციის ზომა და არის გადატანითი მოცულობა. პოპულაციის ზრდის სიჩქარე  $dN/dt$  არის 0-ის ტოლი, როდესაც  $N = 0$  ან როდესაც  $N = K$ . სიჩქარე აღნევს თავის მაქსიმუმს, როდესაც  $N = K/2$ .


შესამონმებლად, მოდით, იყოს 20. ჩვენ ვხედავთ, რომ  $dN/dt = 2(20)[1 - 20/50] = 24$ . როდესაც  $N = 30$ ,  $dN/dt = 2(30)[1 - 0,6] = 24$ .

მანამდე, სანამ პოპულაციის ზომა არ აჭარბებს გადატანით მოცულობას  $K$ -ს — ანუ მანამ, სანამ  $N/K = 1$ -ზე ნაკლება — პოპულაცია ზრდას განაგრძობს, თუმცა დაბალი სიჩქარით. როდესაც  $N$ -ის სიდიდე აჭარბებს  $K$ -ს სიდიდეს და შეფარდება  $N/K$  აჭარბებს 1-ს, მონაცემები ფრჩხილებში  $(1 - N/K)$  ხდება უარყოფითი და პოპულაცია მცირდება. რადგანაც პოპულაციები  $K$ -ს ქვემოთ იზრდებიან, ხოლო მის ზემოთ მცირდებიან, არის საბოლოო ჯამში არის პოპულაციის თეორიული ნონასწორობის ზომა, რომელიც იზრდება ლოგისტიკური განტოლების მიხედვით. (ჩვენ ამგვარი ნონასწორობის მნიშვნელობას მოკლედ განვიხილავთ.)


ლოგისტიკური განტოლების მიხედვით პოპულაციის ზრდის დროის კურსი შეიძლება ვიპოვოთ დიფერენციალის შემოტანით, რაც შედეგად გვაძლევს:

$$N_t = \frac{K}{1 + be^{-rt}}$$

სადაც  $b$  არის მუდმივა და ტოლია  $[K - N(0)]/N(0)$ -ს.  $b$ -ს სიდიდე დამოკიდებულია პოპულაციის ზომაზე აღნიშნულ ნულოვან დროს, ესაა 1790 წელი პერლისა და რიდის მონაცემების შემთხვევაში. ეს განტოლება აღნერს სიგმოიდურ, ანუ  $N$ -ის ფორმის მრუდს დროით  $x$  დერძებ, ინდივიდების რიცხვით (სიმჭიდროვით)  $y$  დერძებ (ნახ. 16-4). ამგვარ მრუდს დრო-სიმჭიდროვის მრუდი ენოდება. სიგმოიდური დრო-სიმჭიდროვის მრუდი გვიჩენებს, რომ პოპულაცია თავიდან ნელა იზრდება და შემდეგ უფრო სწრაფად, როდესაც ინდივიდების რიცხვი იზრდება და საბოლოოდ




**ნახ. 16-2** პოპულაციის ზრდის ექსპონენციური სიჩქარე აშშ-ში თითოეული ათწლეულის განმავლობაში 1970 და 1910 წლებს შორის, გადატანილი გრაფიკზე როგორც პოპულაციის ზომის ფუნქცია ათწლეულის განმავლობაში (საწყისი და საბოლოო რიცხვების საშუალო გვოძეულობა) ნახ. 16-1-ში ნაჩვენები მონაცემების გამოყენებით. წყვეტილი ხაზი არის სწორი ხაზის  $r = r_o(1 - N/K)$  ექსპრაპოლაცია და იგი მორცებულია მონაცემებს.



**ნახ. 16-4** ლოგისტიკური განტოლების თანახმად, რაოდენობრივი ზრდა დროთა განმავლობაში მიჰყევა  $K$ -ის ფორმის მრუდს, რომელიც სიმეტრიულია მრუდის გადახრის წერტილისა ( $K/2$ ). ანუ პოპულაციის ზრდის მატებისა და კლების წერტილებს ერთნაირი ფორმა აქვთ.

ისევ ნელა, აღნევს რა თანდათან წონასწორობის რიცხვ  $K$ -ს. ნახ. 16-5 გვიჩვენებს დრო-სიმჭიდროვის მრუდს აშშ-ს პოპულაციის ზრდისთვის 1790 წლიდან 1910 წლამდე.

პერლმა და რიდმა მიიღეს საუკეთესო მორგება თავიანთი განტოლებისა პოპულაციის მონაცემებისადმი, როდესაც მოსახლეობის სიდიდე განისაზღვრებოდა 197273000 სულით და  $r_0$  უდრიდა  $0,03134$ , რაც ეკვივალენტურია პოპულაციის გაორმაგებისა 22 წელინადში. თუმცა მოდიო, აქვე გავიხსენოთ მეორე თავში ჩვენს მიერ განხილული სტატისტიკური ურთიერთობებიდან, რომ მონაცემები ბუნებრივი სამყაროდან იშვიათად ემყარება იდეალურად ფუნქციურ ურთიერთობებს, მაგრამ ფუნქციურმა ურთიერთობებმა შეიძლება გამოხატონ მონაცემების ტენდენცია. ამრიგად, თუ ბუნების ერთი თვისება  $X$  ხაზობრივად იზრდება მეორე ყ ნიშანთან ერთად, მათი ურთიერთდამოკიდებულება არ იქნება



**ნახ. 16-5** ლოგისტიკური განტოლება, რომელიც მორგებულია აშშ-ს მოსახლეობის დინამიკას 1790-1910 წლებში (დადი შავი წერტილები). მოსახლეობის მომდევნო აღნერები (და თეთრი წერტილები) გვიჩვენებენ რიცხვებს დაპროექტებული პოპულაციის მრუდს ზემოთ.

ერთი ერთზე თითოეულ  $X$ -სა და მის შესაბამის  $Y$ -ს შორის, იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთზე ფუნქციას შეუძლია ადეკვატურად აღნეროს ურთიერთობა (იხ. ნახ. 2-1). პერლმა და რიდმა მიერ მიღებული „მაქსიმალური შესაბამისობა“ ამგვარ სასაფუძვლო ურთიერთობას წარმოადგენს. ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ პოპულაცია 1910 წელს იყო მხოლოდ 91972000 პერლმა და რიდმა შეძლეს, გამოეანგარიშებინათ მისი მომავალი ზრდა. პროექციები ხშირად არასწორია ხოლმე მაშინ, როდესაც მოვლენები და სიტუაცია იცვლება. აშშ-ს პოპულაციად მიაღწია 197 მილიონს 1960-70 წლებს შორის, როდესაც ის საოცრად სწრაფად იზრდებოდა. ახლა კი ნავარაუდები კლება, უკანასკენელ წლებში შობადობის საგრძნობლად შემცირების საფუძველზე. თუმცა ეს ყოველივე შეიძლება სწრაფად და საკმაოდ მარტივად შეიცვალოს.

## 16.2 პოპულაციის მუდავი ზრდის ხარისხი მოდელი ამჟღავნებს ურთიერთობას არასწორი პოპულაციის სიმაღლის და ზრდის დონეებს შორის

1790-1910 წლებს შორის აშშ-ს პოპულაციის მონაცემების კონკორდანი ლოგისტიკური მოდელის დრო-სიმჭიდროვის ფუნქციასთან  $N(t)$  საკმაოდ მნიშვნელოვანია. რამდენიმე სხვა ბუნებრივი პოპულაციის დრო-სიმჭიდროვის მონაცემები ძალიან კარგად ერგება ლოგისტიკურ განტოლებას. მართლაც, ლოგისტიკური განტოლება ზოგადად მიიჩნევა საოცრად მარტივ მოდელად იმისთვის, რომ შეასრულოს სპეციფიკური ბუნებრივი პოპულაციების დინამიკის ხარისხობრივი გამომსახველის როლი (Yodzis 1989). ამ მოდელის რეალური სარგებლიანობა მის ხარისხობრივ ქცევაში მდგომარეობს, ანუ პოპულაციები, რომელთა სიმჭიდროვე დაბალია  $K$ -ზე იზრდება  $K$ -ს მიმართ, ხოლო პოპულაციები, რომელთა სიმჭიდროვე  $K$ -ზე მაღალია, მცირდება  $K$ -ს მიმართ. მრავალი ბუნებრივი პოპულაცია ამ ხარისხობრივ მაგალითს მისდევენ.

ჩვენ არ გვჭირდება ზრდის სიჩქარე  $dN/dt$  წარმოვაჩინოთ როგორც  $N$ -ის სპეციფიკური ფუნქცია, ჩვენ უბრალოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ის, როგორც  $N$ -ის რომელიც  $f(N)$  ფუნქცია. ამ აზრის და მუდმივი შობადობისა და სიკვდილიანობის პროცესების გათვალისწინებით, შეიძლება განვითარდეს პოპულაციის რეგულაციის ხარისხობრივი მოდელი, რომელიც ამჟღავნებს პოპულაციის რიგ მნიშვნელოვან მახასიათებლებს. პ. იოდზისმა (1989) წარმოვიდგინა მარტივი მუდმივი დროის პოპულაციის მოდელის ხარისხობრივი ქცევის ცხადი გამოყენება და ჩვენ მის პრეზენტაციას ქვემოთ გთავაზობთ.



წარმოიდგინეთ რა მოხდება, თუ ერთ სულ მოსახლეზე შობადობის  $b$  და სიკვდილიანობის  $d$  დო-

ნეები  $N$ -ის მუდმივი ფუნქციები რომ იყვნენ და ნახ. 16-6-ზე ასახული ფორმები ჰქონდეთ. ამ გამოსახულებაში შობადობის დონე იკლებს პოპულაციის ზრდსთან ერთად. გათვალისწინეთ, ნახ. 16-6-ში ნაჩვენები მრუდები არ არის დრო-სიმჭიდროვის მრუდები. მეტიც, ისინი გვიჩვენებენ ურთიერთობას პოპულაციის ზრდასა (ეკრტიკალური ღერძი) და პოპულაციის ზომას ან სიმჭიდროვეს (პორიზონტალური ღერძი) შორის. სიკვდილიანობის დონე, რომელიც დაბალია, როდესაც პოპულაცია მცირეა, იზრდება -ის გარკვეულ დიაპაზონზე და შემდეგ კლებას იწყებს. ახლა მოდით ვთქვათ, რომ  $dN/dt = f(N) = b(N) - d(N)$ . სიკვდილიანობის დონის გამოკლება შობადობის დონიდან გვაძლევს ნახ. 16-6-ს, რომელსაც სამი წონასწორობა აქვს [სადაც  $b(N) = d(N)$ ], ერთი 1-ზე, ერთი 2-ზე და ერთიც ნერტილზე, რომელსაც ჩვენ -თი აღვნიშნავთ.  $N$ -ის ნებისმიერი სიდიდისთვის, სადაც  $dN/dt > 0$ , პოპულაცია გაიზრდება. ამის მსგავსად -ის ნებისმიერი სიდიდისთვის, სადაც  $dN/dt < 0$ , პოპულაცია შემცირდება.

ამის დასანახად, მოდით, ჯერ განვიხილოთ, რა ხდება  $K_1$ -ის გარშემო. როდესაც  $N < K_1$  (ვთქვათ ნახ. 16-6-ს ა ნერტილში) ზრდის ტემპი  $dN/dt > 0$  (მრუდი არის პორიზონტალური ღერძის ზემოთ რეგიონში). ამრიგად, პოპულაცია გაიზრდება  $a$ -ზე მაღალ რომელიმე დონეზე მომდევნო დროის პერიოდის განმავლობაში, რითაც პოპულაცია დაიწყებს მოძრაობას  $K_1$ -კენ, როგორც ამას აღნიშნავს მარჯვნივ მიმართული ისარი პორიზონტალური ღერძის გასწვრივ. თუ მეორე მხრივ, პოპულაციის ზომა არის  $b$  ნერტილთან 1-ის ზემოთ, მაშინ  $dN/dt < 0$  (მრუდი მდებარეობს პორიზონტალური ღერძის ქვემოთ რე-

გიონში) და პოპულაცია მცირდება. ასე რომ, პოპულაცია დაიკლებს  $N = b$  დონიდან  $K_1$ -სა და  $b$ -ს შორის არსებულ დონემდე, რითაც ნასწევს პოპულაციას  $K_1$ -კენ, როგორც გვიჩვენებს მარცხნივ მიმართული ისარი პორიზონტალური ღერძის გასწვრივ. ეს მოდელი გვიჩვენებს ხარისხობრივად, რომ პოპულაციის ქცევა  $K_1$  ნერტილის გარშემო მიმართულია  $K_1$ -სკენ, იზრდება რა მის მიმართულებით  $K_1$  ნერტილის ქვემოთ და მცირდება რა მისი მიმართულებით ამ ნერტილს ზემოთ. არეალს ღერძის გარშემო და  $K_1$  ნერტილის ზემოთ და ქვემოთ, რომელშიც თანხვდება  $K_1$ , ენოდება  $K_1$ -ის მიზიდულობის სფერო და ჩვენ შეგვიძლია, განვიხილოთ  $K_1$  როგორც ადგილობრივი პოპულაციის წონასწორობა. ნახ. 16-6-ში  $K_1$ -ის სპეციფიკური მიზიდულობის სფერო არის რეგიონი ღერძისა 0-B-მდე მაგრამ არა მისი ჩათვლით. თუ ჩვენ  $K_1$ -ს განვიხილავთ როგორც პოპულაციის გადატანით მოცულობას, მოდელი გულისხმობს, რომ პოპულაციის სიმჭიდროვე სტაბილიზდება გადატანითი მოცულობის მიხედვით.

მოდით, ახლა განვიხილოთ ამ მოდელის ქცევა ნახ. 16-6-ის ნერტილის მიმართ. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ თუ პოპულაციის სიმჭიდროვე არის  $N = b$ , ის განვითარებს პოპულაციის უარყოფით ზრდას და პოპულაცია შემცირდება  $K_1$ , წონასწორობის ნერტილის მიმართ. თუ პოპულაციის სიმჭიდროვე არის  $= c$ , მას დადებითი ზრდის სიჩქარე ექნება და გაიზრდება ნერტილისაგან მოშორებით  $K_2$ , წონასწორობის ნერტილის მიმართულებით. ანუ ნერტილები  $N = B$ -სა და  $N = K_2$ -ს შორის არიან  $K_2$ -ის მიზიდულობის სფეროში. ნერტილი განაცალკევებს ერთმანეთისგან  $K_1$ -სა და  $K_2$ -ის მიზიდულობის სფეროებს და



**ნახ. 16-6** პოპულაციის ხარისხოვი ქცევა, რომლის ზრდის ტემპიც  $dN/dt = f(N)$ . (ა) შობადობისა და სიკვდილიანობის დონეები პოპულაციის სიმჭიდროვე  $N$ -ის ფუნქციებია. ამ პიპორეტურ პოპულაციაში შობადობის დონე მცირდება პოპულაციის ზომასთან ერთად მაშინ, როდესაც სიკვდილიანობის დონე ყველაზე მაღალია პოპულაციის საშუალო ზომის დროს. (ბ) მრუდი  $f(N)$  არის განსხვავება შობადობის დონე  $b(N)$ -სა და სიკვდილიანობის დონე  $d(N)$ -ს შორის. როდესაც მრუდი პორიზონტალური ღერძის ქვემოთავა, სიკვდილიანობის დონე შობადობისას აღემატება და პოპულაციის ზრდის ტემპი  $dN/dt$  უარყოფითია, რაც იმას აღნიშნავს, რომ პოპულაცია დაიკლებს.  $N$ -ის დაბაზონებისთვის, სადაც მრუდი განლაგებულია ღერძის ზემოთ,  $dN/dt$  დადებითია და პოპულაცია გაიზრდება. ნერტილები  $K_1$  და  $K_2$  წონასწორობებია, როგორაც პოპულაციები მისნობრივიანი მისკენ როგორც ზემოდან, ისე ქვემოდან. ნერტილ  $B$ -ს საკონტროლო ნერტილი ენოდება, რადგან მისგან მოშორებით პოპულაცია ან იზრდება ან მცირდება.

მას საკონტროლო წერტილი ეწოდება. მაშასადამე, მოდელს, რომელიც ჩვენ ავსახეთ ნახ. 16-ხბ-ზე აქვს ორი მიზიდულობის სფერო, რომელსაც საკონტროლო წერტილი აცალკევებთ. თევზჭერის გავლენას (საუბარია თევზების პოპულაციაზე) რომ შეემცირებინა სიდიდემდე *B*-სა და *K*-ს შორის, მოდელის მიხედვით, პოპულაცია გაიზრდებოდა *K*-ის მიმართ და საბოლოო ჯამში გამოკეთდებოდნენ თევზაობის ზემოქმედებისგან, მაგრამ პოპულაციიდან საკმაო რაოდენობის თევზები რომ ყოფილიყვნენ დაჭრილი პოპულაციის საკონტროლო წერტილის *B*-ს ქვემოთ შესამცირებლად, მაშინ პოპულაცია აღმოჩნდებოდა უფრო მცირე წონასწორობის წერტილის, *K*-ის მიზიდულობის სფეროში. ამ შემთხვევაში თავზაობის ზემოქმედების შემცირება პოპულაციას ვეღარ მისცემს შეღავათს, რადგან იგი უკვე იმოქმედებს განსხვავებული მიზიდულობის სფეროში წინამორბედი პოპულაციის რეგულაციის დეს-კრიფტულ მოდელს და განხილვებს 16.1 ნაწილში აღნერილი ლოგისტიკური მოდელის დინამიკის შესახებ, შეიძლება დაეტოვებინათ ოქვენზე შთაბეჭდილება, რომ პოპულაციის გადატანითი მოცულობა უცვლელი რიცხვია, რომლის გარშემოც პოპულაცია მუდმივად მერყეობს. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ პოპულაციის წონასწორობის წერტილი განისაზღვრება გარემო პირობებით და ამის გამო, იგი შეიცვლება დროსა და სივრცეში. როგორც ჩვენ მე-18 თავში ვნახავთ, პოპულაციაში ცვლილების ოდენობა დამოკიდებულია პოპულაციის გარემოში ფლუქტუაციის ძალაზე. უკეთესი იქნება, წარმოვიდგინოთ პოპულაციის წონასწორობა, როგორც იმ მომენტისთვის გარემო პირობების ამსახველი. მოსალოდნელი იქნება, რომ პოპულაცია სტაბილიზდება წონასწორობის წერტილამდე, თუ ეს წერტილი შენარჩუნებულ იქნება ვრცელი დროის პერიოდის განმავლობაში. ზემოთ მოცემული ხარისხობრივი მოდელი გვაწვდის მარტივ ჩარჩოს წონასწორობაში ამგვარი ცვლილებების დასანახად. საჭიროა მხოლოდ *K*-სა და *K*-ის წონასწორობის წერტილებად წარმოჩნა, რომლებიც სხვადასხვა გარმეო პირობების შედეგს წარმოადგენენ.

### **16.3 პოპულაციები შეიძლება რაგული-რეგული იდნას სიმიზიდროვაზე დამოკიდებული ფაქტორების ეფექტურობით**

ლოგისტიკური განტოლება წარმატებით გამოიყენება პოპულაციის ზრდის აღსაწერად ლაბორატორიულ და ბუნებრივ საბინადრო გარემოში. იგი ითვალისწინებს, რომ პოპულაციის ზრდასთან ერთად, ზრდის შემაფერხებელი ფაქტორები უფრო მეტ გავლენას ახდენენ სიკვდილიანობასა და ნაყოფიერებაზე. მაგრამ რა ფაქტორებია ეს და როგორ მოქმედებენ ისინი? მრავალი რამ ახდენს

გავლენას პოპულაციის ზრდის ტემპებზე, მაგრამ მხოლოდ სიმჭიდროვეზე დამოკიდებულ ფაქტორებს, რომელთა ეფექტები იზრდება დაჯგუფებასთან ერთად, შეუძლიათ, მოაქციონ პოპულაცია კონტროლქვეშ. ამ ფაქტორებს შორის, უმთავრესი მნიშვნელობისაა საკვები მარაგისა და საბინადრო გარემოს შეზღუდვა ისევე, როგორც მტაცებლები, პარაზიტები და დაავადებები, რომელთა გავლენაც უფრო მეტად იგრძნობა მჭიდრო, დაჯგუფებულ, ვიდრე იშვიათ პოპულაციებში. სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტემპერატურა, ნალექიანობა და ბუნებრივი კატაკლიზმები — ისინი მკვეთრად ცვლიან შობადობისა და სიკვდილიანობის დონეებს პოპულაციაში ინდივიდების რიცხვის მიუხედავად. ამგვარმა, სიმჭიდროვეზე დამოკიდებულმა ფაქტორებმა, შეიძლება, გავლენა მოახდინონ პოპულაციის ექსპონენციური ზრდის სიჩქარეზე, მაგრამ ისინი ვერ არეგულირებენ იმ ზომას, რომელსაც პოპულაცია იღებს გარემოში.

### **სიმჭიდროვეზე დამოკიდებულება ცხოველებში**

ექსპერიმენტული კვლევების მთელმა რიგმა გამოაღლინეს სხვადასხვა სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების მექანიზმები ცხოველებში. მაგალითად, როდესაც დროფოზილების წყვილი დამწყვდეულია ბოთლში საკვების მყარი მარაგით, ამ ბუზების შთამომავლები თავიდან სწრაფად იმატებენ რიცხვში, მაგრამ მალე ზღვარს აღნევენ. როდესაც ბუზების წყვილების სხვადასხვა რაოდენობა შეჰქავთ სხვა მხრივ ინდენტური პირობების ბოთლებში, წყვილობით გაზრდილი შთამომავლობის რიცხვი ვარირებს ბოთლში ბუზების სიმჭიდროვის საპირისპირო მიმართულებით (ნახ. 16-7). ეს ეფექტი არის გამოწვეული საჭმლისთვის ლარვების კონკურენციით, რაც ინვევს მაღალ სიკვდილიანობას მჭიდროდ დასახლებულ კულტურებში. ზრდასრულების სიცოცხლის სანგრძლივობაც ასევე მცირდება, მაგრამ მხოლოდ მაღალი სიმჭიდროვის დროს, რომელიც საკმაოდ სცდება დონეებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ლარვების გადარჩენაზე. ახალგაზრდა ინდივიდები უფრო ხშირად განიცდიან სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორების საზიანო ეფექტებს ვიდრე ზრდასრულები.


სიმჭიდროვის ეფექტები მარცვლის ხოჭოების სასიცოცხლო ცხრილებზე გამოწვეულია ლარვებს შორის კონკურენციით შეჯგუფებულ პირობებში. ღპიზოპერტპა დომინიცა ერთი ციდა ხოჭოა, რომელიც ლარვულ განვითარებას ერთი მარცვლის (მაგალითად ხორბლის მარცვლის) ფარგლებში ასრულებს და ამ თესლით ცოცხლობენ. მდედრებმა შეიძლება, დაღონ კვერცხი თესლის ზედაპირზე, სადაც ის განვითარებას იწყებს. როგორც კი მარცვალ-

ში მოექცევა, ლარვა ტებება უსაფრთხოებით მანამ, სანამ მარტოა. ხორბლის გულს ერთზე მეტი ხოჭოს უზრუნველყოფა არ შეუძლია. როდესაც ორი ლარვა ხვდება ერთმანეთს ერთ მარცვალში, ისინი თავს ესხმიან ერთმანეთს თავიანთი ყბებით და ხშირად სიკვდილამდე ებრძვიან ერთმანეთს.


ბრიტანელმა მეცნიერმა ა.ქ.ქრომბიმ (1944, 1945) ჩაატარა რიგი ექსპერიმენტებისა მარცვლის ხოჭოებზე შემდეგი პროტოკოლის გამოყენებით. მან დააინფიცირა ხორბლის მარცვლები ერთიდან რვა ლარვამდე, მისცა რა მათ 6 საათი, რომ გამაგრებულიყვნენ მარცვალში. იგი შემდეგ დებდა ინფიცირებულ მარცვალს თევზზე, სადაც კიდევ ხუთი სხვა ხელუხლებელი მარცვალი იყო და ტოვებდა მათ 48 საათი. ექსპერიმენტის დასასრულს მან გადახსნა ყველა მარცვალი, რათა განესაზღვრა, რამდენი ლარვა მოკვდა და რამდენი ემიგრირდა სხვა მარცვალში. შედეგებმა გვიჩვენეს სიმჭიდროვის ძლიერი ეფექტი ლარვების გადარჩენასა და გადაადგილებაზე პირველი 2 დღის განმავლობაშიც კი (ნახ. 16-8).

ქრომბის ხოჭოებმა იბრძოლეს ყოველი მარცვლისთვის. ბოლოს დაბოლოს, ერთი მარცვლის სრული მფლობელი ერთი ლარვას იყო. ამ პოპულაციაში სიმჭიდროვეზე დამოკიდებულება მოულოდნელად შემოვიდა თამაშში, როდესაც ლარვების რიცხვი მიუხლოვდა ხორბლის მარცვლების რიცხვს. ამ დღის მიღმა, მიუხედავად ლარვების რიცხვისა, ხორბლის მარცვლებთან შედარებით, საბოლოო შედეგი ყოველთვის ერთი და იგივე იყო: ერთი მარცვალი, ერთი ლარვა. ტერიტორიისთვის ბრძოლა მრავალი სახის ცხოველში არეგულირებს პოპულაციის ზომას სიმჭიდროვეზე დამოკიდებული გზით, აიძულებს რა ახალგაზრდებს ან სოციალურად დამოკიდებულ ინდივიდებს, დატოვონ ადგილობრივი პოპულაციები და სხვაგან ეძიონ საპინადო.

წყლის რნყილები (Daphnia pulex) გავლენას ახდენენ ერთმანეთზე ნაკლებად პირდაპირ, ერთი და იგივე რესურსის მოხმარებით. წყლის თითოეული





ნახ. 16-7 სიმჭიდროვეზე დამოკიდებული პოპულაციების რეგულაცია დაბორატორული სუბზონისთვის მედონგასტერის პოპულაციებში. განგრძობადი ხაზი გვიჩვენებს სიმჭიდროვის გავლენას სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ვერტიკალური სვეტები – მის გავლენას ნაყოფიერებაზე. (After Pearl 1927.)



ნახ. 16-8 სიმჭიდროვის ეფექტები (თითო მარცვალზე ლარვების რაოდენობა) მიგრაციასა და სიკვდილიანობაზე მარცვლის ხოჭოს *Rhizopera dominica*-ს პოპულაციაში. როგორც მიგრაცია, ისე სიკვდილიანობა იმატებს სიმჭიდროვის მატებასთან ერთად. (Data from Crombie 1944.)

რწყილი მილიონობოთ მსხვერპლს მოიხმარს, ესაა ერთუჯრედიანი მწვანე წყალმცენარე და პლანქტონის დიატომები. ლაბორატორულ პირობებში მსხვერპლის თანდათან შექმასთან ერთად, საკვების ხელმისაწვდომობა თანდათან კლებულობს, რაც იწვევს შობადობისა და სიკვდილიანობის დონეების თანდათანობით რეაქციებს მსხვერპლთა სიმჭიდროვეზე. როდესაც წყლის რწყილები დამწყვდეული იქნენ მცირე ზომის კასრებში, სადაც მათი სიმჭიდროვე აღწევდა 1-32 ინდივიდამდე თითო კუბურ სანტიმეტრზე და სადაც მათ აჭმევდნენ მწვანე წყალმცენარის იდენტურ კულტურებს, ნაყოფიერება მნიშვნელოვნად შემცირდა პოპულაციის სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად (ნახ. 16-9ა). თუმცა მოულოდნელად იმ სიმჭიდროვეზე, როდესაც 1სმ3-ზე 8 ინდივიდი იმყოფებოდა, გადარჩენამ იმატა, ვიდრე კლებას დაინწყებდა უფრო მაღალ სიმჭიდროვეზე (ნახ. 16-9ბ). მცირე ზომის სხეულების ზრდა, 8 ინდივიდი 1სმ3 სიმჭიდროვეზე და მაღლა გულისხმობას, რომ საკვები რესურსების გამოლევა პერიოდულ კვებებს შორის ზღუდავდა შობადობის დონეებს და გადარჩენას. ეფექტი აშკარად სიმჭიდროვეზე დამოკიდებული იყო. პოპულაციის ზრდის გეომეტრიული ტემპი ( $\lambda$ , იხ. თავი 15), რომელიც გამოითვალეს წყლის რწყილის გადარჩენის ცხრილიდან, ხაზობრივად მცირდებოდა მზარდ სიმჭიდროვესთან ერთად და დაეცა 1,0-ზე დაბლა სიმჭიდროვეზე, რომლის დროსაც ერთ კუბურ სანტიმეტრზე 20 ინდივიდი იმყოფებოდა (ნახ. 16-10). ამრიგად ტემპერატურის, სინათლის, წყლის ხარისხის და საკვების ხელმისაწვდომობის პირობებში, რომლებიც მოწყობილი იყო ლაბორატორიაში, აპპნია-ს პოპულაციები მიაღწევდნენ სტაბილურ ზომას დაახლოებით 20 ინდივიდი 1სმ3 სიმჭიდროვეზე,



**ნახ. 16-9** ნაყოფიერება (შთამომავლობა თითო მდედრზე დღეში) (ა) და გადარჩენის ალბათობა (ბ) აპპნია პულებ-ის ლაბორატორულ პოპულაციები, როგორც ასაკის ფუნქცია სხვადასხვა სიმჭიდროვეებზე. ნაყოფიერება შემცირდა როდესაც სიმჭიდროვე გაიზარდა. ნაყოფიერება ასევე შემცირდა მდედრების ასაკის ზრდასთან ერთად სიმჭიდროვის ნებისმიერ დონეზე. გადარჩენა ყველაზე მაღალი იყო 1-8-მდე სიმჭიდროვეებს შორის. (From Frank et al. 1957.)


კულტურის სიმჭიდროვის თავდაპირველი ზომის მიუხედავად.

სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების კვლევათა უმტესი ნაწილი ჩატარებულ იქნა ლაბორატორიაში, სადაც პოპულაციაზე გავლენის მომხდენი ფაქტორების გაკონტროლება ექსპერიმენტულად არის შესაძლებელი. ამგვარი სისტემების სიმარტივე არ ტოვებს ლაბორატორული აღმოჩენების რელევანტურობის ეჭვს პოპულაციებთან უფრო კომპლექსურ ბუნებრივ გარემოში, სადაც ფიზიკური პირობები იცვლება მუდმივად, საკვები და მტაცებლობა არ კონტროლდებიან ექსპერიმენტატორების მიერ. მაგალითად, ზამთრის ამინდმა და სხვა ფაქტორებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოიწვიეს მანდარტეს კუნძულის (6 ჰექტრიანი მინა ბრიტანული კოლუმბიის სანაპიროსთან) მკვეთრი მერყეობა მგალობელი ბელურების პოპულაციაში, 4-დან და 72-მდე გამრავლებად მდედრებში და 9-დან და 100-მდე გამრავლებად მამრებში (რცესე ანდ შმიტჲ 1988, შმიტჲ ეტ ალ. 1991). პოპულაციის ზომაში ამ გარემო პირობების მიერ გამოწვეული ცვლილებების საპასუხოდ, სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორები აშკარად ზღუდავენ პოპულაციის პროცესების მაღალი სიმჭიდროვის წლებში გამრავლებადი მამრების რიცხვის შეზღუდვით (ტერიტორიულობის საშუალებით), თითოეული მდედრის მიერ გამოჩეული ნაშეირების რიცხვის შემცირებით (გამრავლების პერიოდში საკვები მარაგის შემცირებით) და შემოდგომასა და ზამთარში ახალგაზრდების გადრჩენის შემცირებით (ნახ. 16-11).


იმის მიუხედავად, რომ ბუნებრივი ცვლილებები პოპულაციის ზომებში გვანვდის სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების ვიზუალურად ნარმოდგენის

მეთოდს, იდეალურ შემთხვევაში კარგი იქნებოდა, იგივე ექსპერიმენტის ჩატარება ბუნებაში, რაც ლაბორატორიაში ტარდება ხოლმე – ანუ, პოპულაციაში ინდივიდების სიმჭიდროვის შეცვლა ყველაფერი სხვა დანარჩენის იგივე სახით შენარჩუნებით. რეალურად ეს რთული ექსპერიმენტი შეიძლება მიიღწეს მხოლოდ მაშინ, თუ პოპულაციები ინტენსიურად იმართებიან სხვა რომელიმე მიზნით. სანადირო ცხოველები ხშირად ნარჩუნდებიან შეცვლილ დონეებზე სამენეჯმენტო ქმედებების შედეგად და ეკოლოგები სარგებლობენ ამგვარი სიტუაციებით პოპულაციის პროცესების შესასწავლად. თეთრ კუდიანი ირმების (დოციოლეუს ვირგინიაუს) შესწავლა ნიუ-იორკის შტატში 1940-იან წლებში ამ მეთოდის მაგალითია (Chaetum and Severinghaus 1950).

ირმების რეპროდუქცია და გადარჩენა პირდაპირ არის დამოკიდებული მათი საკვების ხარისხზე.



**ნახ. 16-10** ა-ს სიდიდეები, გეომეტრიული ზრდის ტემპი, რომლიც გამოთვლილია *Daphnia pulex*-ის გადარჩენის ცხრილიდან. პოპულაციის ზრდის ტემპი მცირდება სიმჭიდროვის ფუნქციის ზრდასთან ერთად. (სიმბოლოები მოცემულია ნახ. 16-9-ის მიხედვით.) (After Laughlin 1965.)



**ნახ. 16-11** მანდარტეს კუნძულის მგალობელი ბეღურების (ელოსპიზა მელოდია) პოპულაციათა სიმჭიდროვეზე დამოკიდებულება. მზარდ შეჯტუფებასთან ერთად მცირე კუნძულზე გაიზარდა მამრების რაოდენობა, რომელიც ხელი ეშლებოდათ ახალი ტერიტორიების ათვისებაში („მიმოსვლელები“) და თითო მდედრის მიერ ნარმობული გამოჩეკების რიცხვი, ისევე როგორც ამ ნაშერების გადარჩენა ზამთარსა და შემოდგომაზე, შემცირდა. (After Arcese and Smith 1988, Smith et al. 1991.)

ირმები ფოთლებით იკვებებიან და მათ სჭირდებათ დიდი რაოდენობით ახალ ამოსული ფოთლები საკვები ნივთიერებების მაღალი შემცველობით, ზრის მაღალი ტემპების შესანარჩუნებლად და ნორმალური გამრავლებისთვის. აღმოჩნდა, რომ ნიუ-იორკის თეთრკუდიან ირმებში მაკედმყოფი მდედრების პროპორცია და ემბრიონების საშუალო რიცხვი თითო მაკე მდედრზე პირდაპირ იყვნენ დაკავშირებული პირობათა დიაპაზონზე (ცხრილი 16-1). განსხვავებებმა თითოეულ საკვერცხეში ყვითელი სხეულის

რიცხვსა და ემბრიონების რიცხვს შორის გვიჩვენეს ემბრიონთა სიკვდილი და რეზორბცია. ცენტრალურ ადირონდაკულ არეალში, სადაც ირმების საბინადრო ადგილები იშვიათი იყო, ოვულაციაც კი დიდად იყო შემცირებული. ზედმეტი ბალახისმძოველობით გამოწვეული ბალახის გავრცელების დიაპაზონის მოშლა ხშირად შეიძლება შემობრუნებულ იქნას სელექციური ნადირობით მჭიდრო პოპულაციების შესამცირებლად. როდესაც დებარის მთა გაიხსნა ნადირობისთვის თეთრკუდიანი ირმების პოპულაცია შემცირდა, ბალახის საფარის დონეც და გამრავლებაც საოცრად გაუმჯობესდა (ცხრილი 16-2).

### სიმჭიდროვეზე დამოკიდებულება მცენარეებში

ცხოველების მსგავსად, მცენარეები განიცდიან მაღალ სიკვდილიანობას და დაბალ ნაყოფიერებას მაღალ სიმჭიდროვეებზე. მცენარეების საერთო რეაქცია რესურსებისთვის ინტენსიურ კონკურენციაზე არის შენელებული ზრდა, რომლის შედეგადაც მცირდება ნაყოფიერება, რაც ამცირებს გადარჩენის შანსს. სელის (*Linum*) მცენარის ზომები, რომლებიც აღნევდნენ სიმნივეს სხვადასხვა სიმჭიდროვეებზე, ავლენენ ამ მოქნილობას (ნახ. 16-12). როდესაც თესლი დათესილ იქნენ იშვიათად, 60 ცალი 182-ზე, ინდივიდების მოდალური მშრალი წონა მერყეობდა 0,5 და 1 გრამს შორის, ხოლო მრავალი მცენარე წონით 1,5 გრამს აჭარბებდა (არპერ 1967). როდესაც თესლი დათესილ იქნა 1440 და 3600 თესლი 182 ფართობზე, ინდივიდების უმრავლესობა 0,5 გრამზე ნაკლებს ინონიდა და ძალიან ცოტა აღნევდა დიდ ზომას. ცვლილებები მცენარის ზომაში გამოწვეულია შემთხვევითი ფაქტორების მიერ ადრეულ ჩითილობის ფაზაში, კერძოდ, ფესვგადგმის თარიღი და იმ ადგილმდებარეობის ხარისხი, სადაც მცენარე იზრდება. ადრეული ფესვგადგმა ხელ-საყრელ ადგილას, აძლევს მცენარეს ზრდის თავდაპირველ უპირატესობას სხვებზე, რაც კიდევ უფრო იზრდება როდესაც დიდი მცენარეები იზრდებიან და ავინოროვებენ თავიანთ მცირე ზომის მეზობლებს.

მცენარეთა მოქნილობა ზრდის უნარში თავიდან ვერ იცილებს სიკვდილიანობას შეჯგუფებულ შემთხვევებში. როდესაც რიგერონ ცანადენისის-ის თესლი დათესილ იქნა 100000-ის ოდენობით 182 ფართობზე (რაც ექვივალენტურია დახსროებით 10 თესლისა ნეკა თითოს ნვერის ოდენა ტერიტორიაზე), ახალგაზრდა მცენარეები სასტიკ კონკურენციაში იყვნენ ერთმანეთთან (Harper 1967). როდესაც ჩითილები გაიზარდნენ, მრავალი მოკვდა და გადარჩენილი ჩითილების სიმჭიდროვე შემცირდა (ნახ. 16-13). თუმცა ამავდროულად გადარჩენილი მცენარეების ზრდის ტემპები აჭარბებენ პოპულაციის კლების ტემპებს და ნათესების მთლიანი წონა

**ცხრილი 16-1** თეორკუდიანი ირმების (დოცოილეუს ვირგინიანუს) რეპროდუქციული პარამეტრები ნიუ-იორკის შტატის ხუთ რეგიონში, 1939-1949

რეგიონი*	მაკე მდედრების პროცენტული მაჩვენებელი	ემბრიონები თითო მდედრზე	წითელი სხეული თითო კვერცხუჯრედზე
ყდასავლური (საუკეთესო დიაპაზონი)	94	1.71	1.97
ქასტკილის პერიფერია	92	1.48	1.72
ცენტრალური ქასტკილი	87	1.37	1.72
ადირონდაქის პერიფერია	86	1.29	1.71
ცენტრალური ადირონდაქი (ყველაზე ცუდი დიაპაზონი)	79	1.06	1.11

\*მონცობილია დიაპაზონთა გამძლეობის მიხედვით, კლებადობით.


(From Chaetum and Severinghaus 1950.)

**ცხრილი 16-2** თეორკუდიანი ირმების (დოცოილეუს ვირგინიანუს) რეპროდუქციული პარამეტრები ნიუ-იორკის შტატის ადირონდაქის მთების დებარის მთის არეალში ნადირობამდე და მის შემდეგ

	მაკე მდედრების პროცენტული მაჩვენებელი	ემბრიონები მდედრზე	ყვითელი სხეული თითო კვერცხუჯრედზე
1939-1943 (ნადირობამდე)	57	0.7	0.60
1949 (ინტენსიური ნადირობის შემდეგ)	100	1.78	1.86

(From Chaetum and Severinghaus 1950.)

ინდივიდუალის პროცენტული მაჩვენებელი.





**ნახ. 16-12** სელიც (ინუგ) მცენარეების პოპულაციაში ინდივიდების მშრალი წონის განაწილება დაბალ სიზურეებზე (ა) და ორ მაღალ სიმჭიდროვეებზე (ბ და გ). (After Harper 1967.)

იზრდება. მთლიანი ზრდის სეზონის განმავლობაში თითოეული მცენარის საშუალო წონაში ათასმაგმა ზრდამ დააბალანსა ათასმაგი კლება პოპულაციის სიმჭიდროვეში.

მრავალი ამგვარი ექსპერიმენტების შედეგები გვაძლევენ განსაკუთრებულ მახასიათებელს: როდე-საც ჩეცულებრივი მცენარის წონის ლოგარითმი გა-დატანილია გრაფიკზე სიმჭიდროვის ლოგარითმის ფუნქციის სახით, ზრდის სეზონის განმავლობაში შეგროვილი მონაცემები ეცემიან ხაზზე დაახლოებით  $-3/2$  კუთხით (ნახ. 16-14). მცენარეთა ეკოლოგები ამ ურთიერთობას მცენარის საშუალო წონასა და სიმ-ჭიდროვეს შორის უნიდებენ თვით-გაიშვიათებად მრუდს. ამ ურთიერთობის რეგულაცია იმგვარია, რომ მრავალი მას  $-3/2$  ხარისხობრივ კანონს უწოდებს.


სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორები რო-გორ წესი, კონტროლს ქვეშ აქცევენ პოპულაციას და ინარჩუნებენ მის ზომას რესურსების ხელმისაწვ-დომობისა და გარემო პირობების მიერ დაწესებულ გადატანით მოცულობასთან ახლოს. ცვლილებები ამ პირობებში და რესურსებში მუდმივად იწვევენ ახალ წონასწორობას, რომელთა შესაბამისად პოპუ-ლაციები იზრდებიან ან მცირდებიან. მეტიც, მოუ-ლოდნელი გამყინვარებით, სასტიკი შტორმით ან ოკეანეთა დინებაში გამოწვეული კატასტროფული ცვლილებები გარემოში ხშირად ამცირდენ პოპუ-ლაციებს, ზოგჯერ გადატანითი მოცულობის დონის ქვემოთაც კი და დასაბამს უდებენ პოპულაციათა აღდგენის პერიოდებს. ამრიგად, მის მიუხედავად, რომ სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორები არეგულირებენ პოპულაციებს, ცვლილებები გარე-მოში ასევე იწვევენ ფლუქტუაციებს პოპულაციაში.



**ნახ. 16-13** (ა) პროგრესული ცვლილება მცენარის წონაში და პოპულაციის სიმჭიდროვეზე ექსპერიმენტულ თესვაში რიგერომ ცა-ნადენის-ისა, რომელიც დათვისდოია 100000 თესლი 182 სიმჭიდრო-ვით. (ბ) ურთიერთობა მცენარის სიმჭიდროვესა და მცენარის წონას შორის სეზონის მსვლელობისას. (After Harper 1967.)

## 16.4 აცლრევართა და პირქანი ეფექტები დააყენეს აოაულაციის რაოდენობის სიმჭიდროვეზე დამოკიდებულ რეზულაცია

1954 წელს გამოქვეყნდა ორი მნიშვნელოვანი წიგნი პოპულაციის ბიოლოგიის შესახებ. თითოეული თა-ვის მხრივ საინტერესო იყო, მაგრამ კიდევ უფრო აღსანიშნავი იყო შეხედულებათა უდიდესი ოპოზი-ცია. ინგლისელი ორნიტოლოგი დევიდ ლეკი თა-ვის წიგნში „თჰე აუტრალ დეგულატიონ თფ ნიმალ უმბერს“-ში (ცხოველთა რაოდენობის ბუნებრივი რეგულაცია) მტკიცედ ამტკიცებდა პოპულაციის ზომის რეგულირებას სიმჭიდროვეზე დამოკიდე-ბული ფაქტორებით, კერძოდ საკვებით, მტაცე-ბლობით და დაავადებებით. მისმა არგუმენტებმა და საბუთებმა მხარდაჭერა შემატეს სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების თეორიას და ლოტკას, გაუსის, ნიკოლსონისა და სხვების მიერ ნამოყენებულ იდეას




**ნახ. 16-14** ცვლილებები მცენარეთა სიმჭიდროვეში და მცენა-რეთა საშუალო წონაში დროსთან ერთად *Amaranthus retroflexus*-ისა და *Chenopodium album*-ის მცენარეებისთვის. ორი ცვლადი დაკავშირებულია  $-3/2$  ( $-1.5$ ) დახრილით, რომელიც ამ სახის ექსპერიმენტებში საოცრად გამოყენებადია. (After Harper 1977.)

პოპულაციის რეგულირების შესახებ წონასწორობის ზღვარის გარშემო.

იგივე წელს აგსტრალიელმა ენტომოლოგებმა პ.გ.ანდრევართამ და ლ.ქ.ბირქმა გამოაქვეყნეს „ისტრიბუტიონ ანდ ბუნდანცე ოფ ნიმალს“ (გავრცელება და ცხოველების სიჭარებე), სადაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ პოპულაციათა უმრავლესობაზე, კერძოდ კი მწერებისა და სხვა მცირე უხერხემლოების პოპულაციებზე, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენენ სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელი ფაქტორები და რომ პოპულაციის ზრდისთვის ხელსაყრელი გარემო პირობების პერიოდები, საბოლოო ჯამში, აკონტროლებენ პოპულაციის ზომას:

ცხოველების რიცხვი ბუნებრივ პოპულაციაში შეიძლება სამი გზით იქნას შეზღუდული: (ა) მატერიალური რესურსების ნაკლებობით, როგორიცაა საკვები, საბუდებელი ადგილები და ა.შ.; (ბ) ამ მატერიალური რესურსების ხელმიუნვდომლობით, ცხოველების გაფანტვა და ცუდი ძებნის უნარის შედეგად და (გ) დროის ნაკლებობით, როდესაც ზრდის სიჩქარე რ დადებითია. ამ სამი გზიდან პირველი შესაძლოა ყველაზე ნაკლებ, ხოლო ცუდი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ბუნებაში. რაც შეეხება C-ს ფლუქტუაცია r-ის სიდიდეში, შეიძლება გამოწვეული იყო ამინდის, მტაცებლობის ან გარემოს სხვა ნებისმიერი კომპონენტის მიერ, რომლებიც გავლენას ახდენენ ზრდის ტემპზე”.

მართალია, ანდრევართამ და ბირქმა ჩამოთვალეს საკმარისზე მეტი სამხილები თავიანთი შეხედულების დასაცავად, რომ ექსპონენციალური ზრდის სიჩქარეები ასახავენ სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელ ფაქტორებს, მათ კვლევაში იგრძნობოდა ჯ. დავიდსონის და ანდრევართას მიერ ადელაიდას მახლობლად პატარა პარაზიტ მწერებზე თპრიპს იმაგინის ჩატარებული კვლევის გავლენა. ტრიპსები, რომლებიც აინფიცირებენ ვარდებსა და სხვა კულტივირებულ მცენარეებს, გადინან რეგულარული ზრდის პერიოდებს, როდესაც ხელსაყრელი სეზონური პირობები ჭარბობენ, რასაც მოსდევს სწრაფი კლება პოპულაციისა, როდესაც პირობები ნაკლებ ხელსაყრელია (ნახ. 16-15). ადელაიდაში ხმელთაშუა ზღვისეული კლიმატია: ზამთარი ცივი და წვიმიანია, ზაფხული ცხელი და მშრალი. ტრიპსები ძირითადად არსებობენ მცენარის მტკვერზე, რომლის სიჭარეც სეზონურად ვარიორებს მცენარეების პროდუქციასთან ერთად. გაზაფხულს (ოქტომბრიდან დეკემბრამდე სამხრეთ ნახევარსფეროში) მოაქვს სინოტივის, სითბოსა და მცენარის დამტკვერვის იდეალური კომბინაცია. თუმცა ადელაიდას კლიმატი საკმარისად რბილია და ზოგიერთი ყვავილი ყოველთვის ხელმისაწვდომია. ასე რომ, ტრიპსები აქტიური რჩებიან მთელი წლის განმავლობაში. თუმცა, ზამთრის განმავლობაში ცივი ტემპერატურის დამთვარულელი ეფექტები განვითარების ტემპებსა და ნაყოფიერებაზე ინვევენ კლებას ტრიპსების პოპულაციაში. პოპულაციის ზრდას ასევე აკონტროლაციაში.



ნახ. 16-15 თრიპსების მატერიალური რიცხვი თითო ვარდზე 1932 წლის აპრილიდან 1933 წლის მარტის ჩათვლით ადელაიდას მახლობლად, აგსტრალიაში. წერტილები აღნიშნავენ ყველ დღე აღმატებებს. მრავდი არის მცოცავი საშუალო 15 დღისათვის. (After Davidson and Andrewartha 1948.)

ლებს მაღალი სიკვდილიანობა მოუმწიფებელ ფაზებში: ტრიპსებს ზამთრის განმავლობაში იმდენი დრო სჭირდებათ მომწიფებისთვის, რომ სანამ ბევრი მათგანი თავისი განვითარების დასრულებას შეძლებს, ყვავილები, სადაც ისინი ბინადრობენ, დაცვივდებიან და ნაიღებენ ახალგაზრდა ტრიპსებს. გაზაფხულის თბილი ამინდი აჩქარებს განვითარებას და ზრდის მდედრების ყოველდღიურ ნაყოფიერებას. ამ პირობებში ტრიპსები სწრაფად იზრდებიან დაინფიცირების დონეებამდე. მათი პოპულაციები არ კონტროლდება, სანამ სამხრეთული ზაფხულის სიცხე და სიმშრალე არ გამოიწვევს სწრაფ მატებას ზრდასრულთა სიკვდილიანობაში.

ტრიპსების რიცხვი არა მარტო ზედმიწევდნით ასახავდა სეზონურ ცვლილებას ამინდში, არამედ პოპულაციის მაქსიმალური სიმჭიდროვეც ასევე ვარირებდა კლიმატთან ერთად წლიდან წლამდე დავიდსონისა და ანდრევართას კვლევის განმავლობაში. ზოგიერთი წლები უფრო თბილი ან ნოტიო იყო, სხვები გრილი ან მშრალი. საკვების მარაგს, როგორც ჩანს, ნაკლები გავლენა ჰქონდა პოპულაციის გამოხდომებზე, რადგან როგორც ანდრევართამ და ბირქმა (1954) ახსნეს:

„მაშინაც კი, როდესაც ტრიპსები ყველაზე მრავალ-რიცხვანი არიან, ყვავილები, რომლებმიც ისინი მრავლდებიან, არ ჩანან გადატვირთული, გარდა ადგილობრივისა და დროებითისა: სანამ ტრიპსები მრავლდებიან, ყვავილები იზრდებიან კიდევ უფრო სწრაფად. შემდეგ, როდესაც პოპულაცია იწყებს დაცემას, ყვავილები კიდევ უფრო ნაკლებ დატვირთულები ხდებიან. . . . ამ სახის მოსაზრებებმა მიგვიყანეს პიპოთეზამდე, რომ თითოეული წლის განმავლობაში ტრიპსების მიერ მიღწეული რაოდენობა დიდნილად განისაზღვრებოდა იმ პერიოდის ხანგრძლივობით, რომელიც ხელსაყრელი იყო გამრავლებისთვის. როდესაც ეს პერიოდი გაგრძელებისთვის.

ბული იყო, ტრიპსები საბოლოო ჯამში აღწევდნენ  
დიდ რიცხვებს, როდესაც ის მოკლე იყო, დაცემა  
იყო სახეზე.”

ტრიპსების პოპულაციასა და ამინდს შორის ურთიერთობის განსასაზღვრად დავიდსონმა და ანდრევართამ (1948) შეადარეს ყოველი წლის პოპულაციის მაქსიმალური სიჭარბე 1932-1945 წლების განმავლობაში ამინდის ოთხ ცვლადს, დაუქვემდებარეს რა მონაცემების დიდი ნაწილი მრავალჯერად რეგრესიულ სტატისტიკურ ანალიზს. რეგრესიული ანალიზი არის პროცედურა, რომლითაც ვითარდება ხაზოვანი განტოლება, სადაც დამოუკიდებელი ან რეგრესიული ცვლადების ჯგუფი (ამინდის ოთხი ცვლადი ამ შემთხვევაში, აღნიშნული  $X_2$ -ბით) წინასწარ განსაზღვრავს დამოკიდებულ, ანუ საპასუხო ცვლადს (ტრიპსების სიმჭიდროვე, აღნიშნული -ით). დავიდსონისა და ანდრევართას კვლევის დამოკიდებული ცვლადი იყო

$Y$  თითო ყვავილზე ტრიპსების რაოდენობის  
ლოგარითმის საშუალო სიდიდე პოპულაციის  
პიკამდე 30 დღის განმავლობაში.

დამოუკიდებელი, ანუ რეგრესიული ცვლადები არიან

$X_1$  ეფექტური ტემპერატურის დღეები ზამთრის  
სეზონის პირველი წვიმიანი დღეებიდან 31  
აგვისტომდე, რომლებსაც შეუძლიათ, განსაზღვრონ  
იმ მცენარეების წლიური ზრდა, რომელთა  
მტკრიანებზეც იკვებებიან ტრიპსები სეზონის  
განმავლობაში.

$X_2$  წვიმები სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში, გაზაფხულის წვიმები, რომლებიც ინარჩუნებენ ტრიპსების საკვებ მცენარეებს და ხელს უწყობენ მათი ჭუპრების გადარჩენას მიწაში.

$X_3$  ეფექტური ტემპერატურის დღეები სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში, ეს არის დრო, როდესაც ტემპერატურა მარგინალურად ადეკვატური ხდება ტრიპსების გამრავლებისთვის და ბოლოს


$X_4$  იგივეა, რაც  $X_1$ , მაგრამ წინა წლისთვის,  
ტრიპსების ან თესლის ნებისმიერი ტრანსპორტის გასათვალისწინებლად ერთი წლიდან მეორეში. ოთხი ცვლადი იქნა არჩეული იმ პირობების წარმოსადგენად, რომლებსაც შეეძლოთ, გავლენა მოეხდინათ ან ტრიპსების კეთილდღეობაზე ან მათი საკვების პროდუქციაზე.

ანალიზებმა გამოავლინეს, რომ წლიდან წლამდელი ცვლილებები ოთხ კლიმატურ ცვლადში წინასწარ განსაზღვრავდნენ წლიდან წალმდელი ცვლილებების 78%-ს პოპულაციაში (ნახ. 16-16). ინდივიდუალურად, შემოდგომისა და ზამთრის სითბომ ( $X_1$ ) ყველაზე დიდი შენატანი გააკეთა პოპულაციის

ზომაში. მას მოჰყვება გაზაფხულის წვიმები ( $X_2$ ) და წინა წლის ზამთრის ( $X_3$ ) სითბომ. ცვლილებები გაზაფხულის ტემპერატურაზე როგორც ჩანს მნიშვნელოვანი არ ყოფილა.

ანდრევართამ და ბირქმა ორი დასკვნა გააკეთეს ტრიპსების კვლევასთან დაკავშირებით. პირველი, ტრიპსები არ ყოფილად საკმარისად მრავალრიცხოვანი იმისთვის, რომ მოეხმარათ ხელმისაწვდომი საკვების მცირე ნაწილიც კი. მეორე, ცვლილებები პოპულაციაში მიჩნეულ იქნა დამაკმაყოფილებლად გარემოს ფიზიკური პირობებთან შესაბამისად, რაც მათი აზრით, გავლენას ახდენდა ტრიპსებზე მათი პოპულაციის სიმჭიდროვისგან დამოუკიდებლად. მათ მოდელში ცვლილების 78% ას-სინილი იქნა დამოუკიდებელი ცვლადების საშუალებით, მხოლოდ 22% ის სნებოდა სხვა ფაქტორების მეშვეობით. მათი რწმუნებით, ეს დარჩენილი პროცენტული მარცვენებელი იმდენად მცირე იყო, რომ საეჭვო გახდა გარემოში ფლუქტუაციების პასუხისმგებლობა ტრიპსების პოპულაციის ზომაზე.

როგორ გააპათილეს ანდრავერთამ და ბირქმა სიმჭიდროვეზე დამოკიდებულიების უთვალავი მონაცემები? პირველ რიგში, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამ მონაცემების უმეტესი ნაწილი მიღებული იქნა გამარტივებული და ლაბორატორულად კონტროლირებადი პოპულაციისგან და მათ ჰქონდათ საეჭვო გამოყენება ბუნებრივ პოპულაციებში. მეორე, სიმჭიდროვეზე დამოკიდებულიების დემონსტრაცია აუცილებელი არაა, რომ მოიცავდეს პოპულაციის რეგულირებას სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორების მიერ. საჭიროა ნაჩვენები იქნას, რომ ბუნებრივ გარემოში ამგვარი ფაქტორები ამცირებენ მჭიდრო პოპულაციებს და საშუალებას აძლევენ იშვიათ პოპულაციებს, გაიზარდონ. რისი თქმა შეიძლება იმ არგუმენტის შესახებ, რომლის მიხედვითაც სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორების არარსებობის პირობებში პოპულაციები ან გადაშენებამდე დაიკლებენ ან უსაზღვროდ გაიზრდებიან? ანდრევართა და ბირქი თვლიდნენ,



**ნახ. 16-16** ტრიპსების მაქსიმალური რიცხვები თითო ვარდზე 1932 და 1945 წლებს შორის (მნეანგ ვერტიკალური ხაზები) ოთხ კლიმატურ (ცვლადზე დაფუძნებული რეგრესიული განტოლების წინასწარ გათვალისწინებით (შავი ხაზი). (After Davidson and Andrewartha 1948.)

რომ ტრიპსების პოპულაციები მართლაც კვდებიან ყოველი წლის განმავლობაში მრავალ ადგილას, სა-დაც კლიმატური პირობები განსაკუთრებული სიმ-კაცრით გამოიჩინა, თუმცა ამგვარი ადგილები სავარაუდოდ ხელახალ კოლონიზირებას განიცდიან იმ პოპულაციების მხრიდან, რომლებიც უფრო ხელ-საყრელ პირობებში ბინადრობენ. რაც შეეხება უსაზ-ლვრო ზრდას, ტრიპსების პოპულაციას უბრალოდ არ აქვს ყოველ წელს საკმარისი დრო იმისთვის, რომ საკვებისა ან სხვა რესურსების მიერ დაწესებულ ზღ-ვარს მიაღწიოს. წლის ყოველ ხელსაყრელ სეზონს – გაზაფხულს – უცვლელად სდევს თან არახელსაყრე-ლი სეზონი – ზაფხული.

### **16.5 სიგანგილოვის და მოუკიდებლობის თეორია უდიდესი უთანხეობების გამოიცია ეკოლოგიას შორის**

როგორც მოსალოდნელი იყო, ანდრევართასა და ბირქის გამოწვევამ გამოიწვია მტკიცე დაცვა სიმ-ჭიდროვეზე დამოკიდებულებისა, აქედან ალსანიშ-ნავნი არიან მ.ე. სოლომონი (1957), ა.ჯ. ნიკოლსონი (1958), გ.ქ. ვერლი (1963) (ყველა ენტომოლოგია) და დევიდ ლეკი (1966). მაგრამ იმ დროს, როდე-საც ეს ავტორები აკრიტიკებდნენ ანდრევართასა და ბირქის არგუმენტების ლოგიკას, ფრედერიკ ე. სმიტმა მიჩიგანის უნივერსიტეტიდან პირდაპირ მიმართა ტრიპსების მონაცემებს. სმიტი (1961) ამტ-კიცებდა, რომ დავიდსონმა და ანდრევართამ (1948) თავიანთი მონაცემები გაანალიზეს ისე, რომ არ აღმოეჩინათ სიმჭიდროვეზე დამოკიდებულება. მან დასძინა, რომ არგუმენტები სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების შესახებარეხებოდა პოპულაციის აბსოლიტურზომასნლის კონკრეტულმომენტში, ამის ნაცვლად, ისინი უკავშირებენ ცვლილებებს პოპუ-ლაციის ზომაში პოპულაციის საწყის ზომას.


სმიტმა დაასკვნა, რომ ტრიპსებს ახასიათებთ ექსპონენციური ზრდა (იხ. მე-15 თავი). ექსპონენცი-ური ზრდის მხასიათებელი არის  $N$ , რომ ცვლილე-ბები  $N$ -ის ზომაში შეიძლება ნარმოდებული იქნან  $N$ -ის ლოგარითმის ინკრემენტების სახით:  $\Delta \log N(t) = \log N(t+1) - \log N$  ანუ ( $\Delta \log N$ -ია) აქ ნარმოებულის აღების გარეშე). ამ ურთიერთობის გამოყენებით სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების არსებობა შეი-ძლება განსაზღვრულ იქნას ერთი დროიდან მეორემ-დე  $\log N$ -ის ზრდის შედარებით  $\log N$ -თან პერიოდის დასაწყისში. სმიტმა გააკეთა რამდენიმე ამგვარი შედარება დავიდსონისა და ანდრევართას მონა-ცემების გამოყენებით (მაგ, ნახ. 16-17). როგორც ხედავთ,  $N$  უარყოფითად არის დაკავშირებული  $\Delta N$ -თან, როგორც ამას სიმჭიდროვეზე დამოკიდებულე-ბა მოითხოვს.

სმიტმა ნამოაყენა მეორე არგუმენტი, რომელიც ეფუძნებოდა წლიდან წლამდელ ცვლილებებს

ტრიპსების რიცხვში თითოეული თვის განმავლობა-ში. დავიდსონი და ანდრევართა (1948) ცხრილებს ადგენდნენ თითო ვარდზე ტრიპსების საშუალო რიცხვისგან 81 მიმდევრული თვის დროს 1932 წლის აპრილსა და 1938 წლის დეკემბერს შორის (ნახ. 16-18). ამ მონაცემებიდან სმიტმა გამოთვალი საშუალო რაოდენობა და ცვლილება წლის თითოეული თვისთ-ვის. ცვლილება არის ჯამი კვადრატული დევიაციისა თითოეული თვის საშუალო სიდიდიდან (იხ. მეორე თავი), ამრიგად, ეს არის ცვლადობის საზომი. სმიტ-მა შენიშნა, რომ ცვლილება შედარებით დაბალი იყო ზამთრისა და შემოდგომის განმავლობაში, მაგრამ მაღალ დონეებს აღწევდა ოქტომბრის თვეში, პოპუ-ლაციის ყველაზე სწრაფად ზრდის პერიოდში, რის შემდეგაც ის სწრაფად იკლებდა.


სტატისტიკაში მისი ტრეინინგიდან სმიტმა იცო-და, როდესაც ვარირებს ორი რიცხვი ერთმნეთის-გან დამოუკიდებლად, მათი ჯამის ვარირება ტო-ლია მათი ვარირების ჯამისა ანუ  $X + Y = \text{ვარ}(X) + \text{ვარ}(Y)$ . პოპულაციები იზრდებიან შემდეგი გა-მოსახულების მიხედვით . ამიტომ, თუ  $N$ -ისგან და-მოუკიდებლად – ზრდა სიმჭიდროვეზე დამოკიდე-ბულია – ვარიაცია  $\log N$ -ში უნდა გაიზარდოს, საშუალოდ, პოპულაციის ცვლილების თითოეულ ინკრემენტთან ერთად, იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი (ვარიაცია ყოველთვის დადებითია). მა-გრამ ვარიაცია  $\log N$ -ში მცირდება ოქტომბერსა და ნოემბერს შორის (იხ. ნახ. 16-18), რაც აღნიშნავს დამოუკიდებლობის არარსებობას -სა და  $\log N$ -ს შო-რის.

ანდრევართა ვერ დაარწმუნეს სმიტის არგუ-მენტებმა და მან კიდეც გამოაქვეყნა თავისი პასუხი „ცოლოგებ“-ში მომდევნი წელს (1963). სმიტის პა-სუხი, რომელიც მიმაგრებული იყო ანდრევართას ნაწერის ბოლოს, ინყებოდა მათ მოსაზრებებს შორის უდიდესი ნაპრალის გამომხატველი გამონათქვამით:



ლოგ ოქტომბრის პოპულაცია

**ნახ. 16-17** ზრდა ტრიპსების პოპულაციაში ოქტომბერსა და ნო-ემბერს შორის, როგორც ოქტომბერში პოპულაციის ზომის ფუნქცია. (From data in Davidson and Andrewartha 1948; after Smith 1961.)



**ნახ. 16-18** (ა) თვიური საშუალო რიცხვები ტრისეპტისა თითო ვარდზე, რომელიც ჩანიშნულია დავიდსონისა და ანდრევართას მიერ თითქმის 7 წლის მანძილზე. (ბ) საშუალო რაოდენობა და ვარირება წლის ნებისმიერი თვისთვის. (From data from Davidson and Andrewartha 1948; after Smith 1961.)

„მცდელობით, რომ არ გავარგელო დავა, მაგრამ რაც შეიძლება მეტად გავათავისუფლო ის მცდარი ინფორმაციისგან...“

### სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების შესახებ თანამედროვე შეხედულება

გაურკვევლობა სიმჭიდროვეზე დამოკიდებული პოპულაციის რეგულირების შესახებ დღესაც გრძელდება. ამ გაურკვევლობის საფუძველში დევს კითხვები ზოგადად წონასნორობის მოდელის ეფექტურობის შესახებ (Berryman 1987, Wolda 1989, Botkin 1990) და კითხვები ბუნებრივ პოპულაციებში სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების აღმომჩენი სიძლიერების შესახებ. აქამდე ჩვენ მოგანოდეთ პოპულაციის ზრდისა და რეგულაციის მოდელები, რომლებიც დამოკიდებული იყვნენ წონასნორობის იდეაზე. ანუ ჩვენ მივიჩნევდით, რომ პოპულაციები იცვლებიან მახასიათებელი სიმჭიდროვის *K*-ს გარშემო, რომელიც განისაზღვრება გარემო პირობებისა და პოპულაციების შიგნით და მათ შორის ორგანიზმების ინტერაქციათა მიერ. პოპულაციის ზრდის ტემპების ხარისხობრივი მაჩვენებლების ჩვენეული პრეზენტაცია, როგორც შობადობისა და სიკვდილიანობის დონეების ფუნქცია, წარმოადგენს წონასნორობის იდეას თავის ყველაზე შემცირებულ ფორმაში: ერთეული სიმჭიდროვე. თუმცა კონცეპტუალიზება ხშირად არ ემთხვევა ბუნების ჩვენეულ დაკვირვებებს. მაშინ, როდესაც ჩვენ ვაკლებთ გლუკ მრუდებს პოპულაციის სიმჭიდროვის შობადობისა და სიკვდილიანობის დონეებთან და ზრდის ტემპებთან ურთიერთობის გამოსახატავად, ჩვენი დაკვირვებები გვამცნობენ, რომ რეალური სამყარო არ არის ესოდენ განსაზღვრული. ცვლილებები პოპულაციის შობადობისა და სიკვდილიანობის დონეები, რომლებსაც ეწოდებათ დემოგრაფიული სტოქასტიკურობა (ხოლო ცვლილებას გარემოში – გარემოებითი სტოქასტიკურობა), ქმნიან შემთხვევით ფლუქტუაციებს ან ხმაურს სისტემაში. ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს სიმჭიდროვეზე დამოკიდებულ რეაქციებთან შედარებისას. ამ სიტუაციას სიმჭიდროვის გაურკვევლობა ეწოდება (Strong 1986).

პოპულაცია, რომელიც განიცდის დიდ დემოგრაფიულ ან გარემოებით სტოქასტიკურობას, შეიძლება მართლაც იქნას დარეგულირებული სიმჭიდროვეზე დამოკიდებული პროცესებით, მაგრამ პოპულაციის ფლუქტუაციაში შემთხვევითობის კომპონენტის დიდი წილის გამო, წონასნორობის სიმჭიდროვე ძნელი განსასაზღვრია.

ეკოლოგებს წონასნორობის მოდელების გამოყენების შესახებ დაფიქრების კიდევ ერთი მიზეზი მისცა ერთმა საოცრად საგანგაშო ფაქტმა. იმ ცხადი სამხილების მიუხედავად, რომ ბუნებრივი პოპულაციები რეგულირდებიან, დღემდე ძალიან ცოტა შემთხვევაში იყო რეგულაციის მექანიზმი არაორაზროვანი (Murdoch 1994). კერძოდ, პრობლემურია ის, რომ პოპულაციის რეგულაციის ხელმისაწვდომი სტატისტიკური ტესტები, რომელთაგან ყველა მოიცავს პოპულაციათა სიმჭიდროვის დროის სერიათა ანალიზს, ექებს სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების არსებობას. ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ ფართოდა აღიარებული — ფრინველთა პოპულაციები სიმჭიდროვეზე დამოკიდებულად რეგულირდებიან, ვერც გრინგუდმა და ბაილიმ (1991) (რომლებიც აანალიზებდნენ პოპულაციის ტენდენციებს ბრიტანეთის ბელურათა ოჯახის ფრინველების 39 სახეობზე დაკვირვებით) ვერც მურდოქმა (1994) (რომელიც განიხილავდა დროის სერიათა სიმჭიდროვის მონაცემებს ფრინველთა 59 სახეობისთვის) ვერ აღმოაჩინეს სიმჭიდროვეზე დამოკიდებულება რამდენიმეზე მეტ სახეობაში. ახალი სტატისტიკური მიდგომები გვაწვდიან მეთოდებს სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების აღმოჩენისთვის, რაც შეიძლება შენიდებული იქნას ტენდენციებით პოპულაციის დინამიკაში (ე.გ., Vickery and Nudds 1991). მართლაც, სმიტი, ლაკი და სხვა სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების დამცავები დატებებოდნენ ვოივოდისა და ჰანსეკის (1992) შედეგებით, რომლებიც ექებდნენ სიმჭიდროვეზე დამოკიდებულებას 5715 დროის სერიაში ჩრჩილებისა და მღილების 447 სახეობაზე დაკვირვებისას და აღმოაჩინეს მისი არსებობის მონაცემები.


ერთ-ერთი მანიფესტაციათაგანი ახალი „არაწონასნორეობრივი“ აზროვნებისა არის ის, რომ მან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კონცეფცია თითქოს პოპულაციები თავად რეგულირდებიან. ვ.ვ. მარ-

დუქისთვის რობერტ ჰ. მაკარტურის სახელობის ჯილდოს გადაცემისას მან სიტყვით მიმართა ამერიკის ეკოლოგიურ საზოგადოებას, მარდუქმა თქვა: „როგორც ჩანს ფოკუსი რეგულაციაზე ვერ ეთანხმება მიმდინარე კონცეფციას არაწონასწორობრივი დინამიკისა. . .“. მურდოქს სწამდა, რომ „პოპულაციის რეგულაცია საფუძველში უდევს მრავალ სხვა ეკოლოგიურ პრობლემას, როგორიცაა დაავადებათა დინამიკა, კონკურენცია და თანასაზოგადოებების სტრუქტურა და დინამიკა.“ მან განავითარა კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც აერთიანებს წონასწორობით და არაწონასწორობით აზროვნებას მეტაპოპულაციათა დინამიკის კონცეფციაში: „წონასწორობის ცნება ცენტრალური მნიშვნელობისაა რეგულაციისთვის და ჩვენ ამიტომ გვჭირდება იდეაში იმის ჩართვა, რომ პოპულაციას შეუძლია არსებობა ე.წ. „არაწონასწორეობრივი“ დინამიკის საშუალებით, რა შემთხვევაშიც გასაღებს მეტაპოპულაციები წარმოადგენენ.“ მეტაპოპულაციების თეორიაში წარმოიშვა თანამედროვე მიმდინარეობები (იხ. მე-17 თავი), სადაც როგორც დემოგრაფიული, ისე გარემოებითი სტრუქტურობა ჩართულია პოპულაციის დინამიკის ანალიტიკურ მოდელებში (ix. Foley 1997), მართალია, კვლავაც წონასწორობის კონცეფციას ეყრდნობიან, კიდევ ერთხელ მხარს უჭერენ და ამაგრებენ რა მარდუქის მოსაზრებას.

მრავალი ბუნებრივი პოპულაცია მერყეობს სიჭიდროვეში და ხშირად ამ მერყეობის მასშტაბები დრამატულია. მართლაც, არსებობს ცხოველთა პოპულაციები, რომლებიც მიჩნეული არიან საოცრად ცვალებადებად ზომაში. ერთ-ერთი ყველაზე უკეთ შესწავლილი არის ცხვრის ვის არიეს-ის პოპულაცია წმ.კილდას არქიპელაგის პირტას კუნძულზე, რომლებიც სისტემატიკურად აღინირებოდნენ 1965 წლიდან (Clutton-Brock et al. 1991). ამ დროის მანძილზე პოპულაცია მერყეობდა ზომაში 600-იდან 1600 ინდივიდამდე. განიცდიან თუ არა ამგვარი პოპულაციები სიმჭიდროვეზე დამოკიდებულ რეგულაციას? ჩვენ ვნახავთ, რომ მაშინაც კი, როცა ჩვენ ვქმნით პოპულაციების მოდელებს სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ლოგისტიკური მოდელების გამოყენებით, დიდმა ფლუქტუაციებმა ზომაში შეიძლება თავი იჩინონ პოპულაციის თანდაყოლილი დემოგრაფიული მახასიათებლების გამო. მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორები ურთიერთქმედებაში მოდიან სიმჭიდროვისგან დამოუკიდებულ ფაქტორებთან, როგორიცაა ამინდი, რათა გავლენა მოახდინონ პოპულაციის ზომაზე (Sinclair and Pech 1996).

განვიხილოთ ნახ. 16-19ა, რომელიც გვიჩვენებს პოპულაციას, რომელსაც აქვს სიმჭიდროვეზე დამოკიდებული სიკვდილიანობის დონე (მუქი მრუდი, აღნიშნული  $d_m$ -ით) და მუდმივი (სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელი) რეპროდუქციული დონე (პორიზონტული ჩაზი აღნიშნული  $R$ -ით). ამ ორი

ხაზის გადაკვეთის ადგილი, როგორც უკვე ვნახეთ ადრე, წონასწორობის  $K_1$  ნერტილია. ახლა მოდით, განვიხილოთ მსგავსი პოპულაცია, რომელიც განიცდის დამატებით სიკვდილიანობის ფაქტორს, რომელიც სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელია (ნახ. 16-19ბ) და წარმოდგენილია მ-ით აღნიშნული პორიზონტული ჩარჩო. სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელი ფაქტორები ეფექტურად ამცირებენ პოპულაციის წონასწორობის სიმჭიდროვეს  $K_1$ -იდან  $K_2$ -ამდე. თუ სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელი ეფექტების ინტენსივობა მერყეობს გარემოებითი სტრუქტიკუ-



**ნახ. 16-19** შესაძლო იტერაციები სიმჭიდროვეზე დამოუკიდებულ და სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელ სიკვდილიანობის ფაქტორებს შორის. (ა) პოპულაცია  $R$  გამრავლების მუდმივი დონეთ და სიმჭიდროვეზე დამოკიდებული სიკვდილიანობის  $m$  დონით, გვიჩვენებს  $K_1$  წონასწორობის ნერტილს. (ბ) მსგავსი პოპულაცია, რომელსაც აქვს როგორც სიმჭიდროვეზე დამოკიდებული სიკვდილიანობის დონე, ისე სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელი სიკვდილიანობის ფაქტორის  $m$ . სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელი ფაქტორის არსებობს პოპულაციის წონასწორობის სიმჭიდროვეს  $K_2$ -მდე. (ც) პოპულაცია, რომელიც სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელი სიკვდილიანობის ფაქტორი მერყეობს (მნავედ შეფერილი არეალის ფარგლებში) გარემოებითი სტრუქტიკულობის მიხედვით, ქმნის რა სიტუაციას, სადაც წონასწორობის სიმჭიდროვე მერყეობს  $K_2$ -სა და  $K_3$ -ს შორის. (After Sinclair and Pech 1996.)

რობის საპასუხოდ, მაშინ პოპულაციის წონასწორობაც ასევე დაიწყებს მერყეობას. ეს ნაჩვენებია ნახ. 16-19ც, სადაც სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელი ფაქტორი თუ ეცემა სადღაც გრაფიკის დაჩრდილულ არეალში, რომელ შემთხვევაშიც წონასწორობა მერყეობს  $K_2$ -სა და  $K_3$ -ს შორის. ამ მაგალითიდან გამოსატანი მნიშვნელოვანი დასკვა არის ის, რომ როგორც სიმჭიდროვეზე დამოკიდებული, ისე სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელ ფაქტორებს, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ პოპულაციის დინამიკაზე.

პოპულაციის ზრდისა და რეგულაციის მოძლები, როლებიც წარმოდგენილნი იყვნენ ამ და ნინა თავებში ეყიდვები მხოლოდ პოპულაციის სიმჭიდროვეს. ჩვენ ვნახეთ მეთოთხმეტე თავში, რომ პოპულაციას აქვთ სივრცობრივი სტრუქტურა, რომელიც განისაზღვრება პოპულაციაში ინდივიდების მიერ დაკავებული არეალის მოწყობით. მომდევნო თავში ჩვენ აღმოვაჩინთ პოპულაციის სივრცობრივი სტრუქტურის ეფექტებს პოპულაციის ზრდასა და გამძლეობაზე.

## დასკვნა

- 1.** პოპულაციის რეგულაციის ანალიტიკური მოდელი მოგვაწოდეს პერლმა და რიდმა 1920 წელს ადამიანის პოპულაციის ზრდის გაგებისა და პროგნოზირების მიზნით. პოპულაციის ზრდის ლოგისტიკური განტოლება არის  $dN/dt = r_p N(I - N/K)$ , სადაც  $r_p$  არის თანდაყოლილი ექსპონენციალური ზრდის სიჩქარე პოპულაციისა, როგორც მისი ზომა მცირება. არის პოპულაციის სიმჭიდროვე, ხოლო არის გადატანითი მოცულობა – ანუ ინდივიდების რიცხვი, რომელთა მხარდაჭერაც გარემოს შეუძლია. განტოლების ელემენტი ( $I - N/K$ ) წარმოადგენს სიმჭიდროვეზე დამოკიდებული რეგულაციის ფაქტორს. როდესაც  $> K$ , ელემენტი უარყოფითია. როდესაც  $N = K$ , პოპულაციის ზრდის ტემპი 0-ის ტოლია. ლოგისტიკური განტოლების წარმოებული გვაძლევს დროსიმუროვის ურთიერთობას პოპულაციისათვის, რომელიც გრაფიკულად არის სიგმოიდულ ფორმაში.
- 2.** პოპულაციის ზრდის ტემპი შეიძლება წარმოდგენილი იყოს რაოდენობრივად როგორც  $dN/dt = f(N)$ , სადაც  $f(N)$  არის განსხვავება პოპულაციის შობადობისა  $/b(N)$  და სიკვდლიანობის  $[d(N)]$  ფუნქციებს შორის. ამგვარი რაოდენობრივი მოდელი ავლენს, რომ პოპულაციები შეიძლება მოექცნენ მრავალჯერადი წონასწორობის წერტილების გავლენის ქვეშ. თითოეული თავისი გარკვეული მიზიდულობის სფეროთია – ეს არის პოპულაციათა ზომების დიაპაზონი, რომლის ფარგლებშიც პოპულაცია მიისწრაფის წონასწორობისკენ. გარკვეული წერტილები, სახელად საკონტროლო წერტილები, წარმოადგენენ გამყოფებს ერთი წონასწორობის წერტილსა და მეორეს შორის. მოდელი გულისხმობს ახსნას იმისა, თუ რატომ შეიძლება ირეაგირონ მუდმივი აშლილობის ქვეშ მყოფმა პოპულაციებმა არამუდმივი გზით.

- 3.** პოპულაციებს შეიძლება არეგულირებდნენ ფაქტორები, ე.ნ. სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორები, რომელთა გავლენებიც იზრდებიან პოპულაციის სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად. სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელი ფაქტორები ისეთი ფაქტორები არიან, რომელთა გავლენაც არ არის

დაკავშირებული პოპულაციის ზომასთან. ცხოველებში შეჯგუფებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს გადარჩენაზე, ნაყოფიერებასა და რესურსებისთვის კონკურენციის საბოლოო შედეგზე. სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების ეფექტების მაგალითები მცენარეებში არის შენელებული ზრდა და ნერგების შემცირებული გადარჩენა.

**4.** 1954 წელს ავსტრალიელი ენტომოლოგები ჰ.გ. ანდრევართა და ლ.ე.ბირქი დაუპირისპირდნენ მოსაზრებას, რომ პოპულაციებს არეგულირებენ სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორები, რითაც დასაბამი დაუდეს აზრთა სხვადასხვაობას სიმჭიდროვეზე დამოკიდებული და სიმჭიდროვისგან დამოუკიდებული რეგულაციის შედარებითი მნიშვნელობის შესახებ, რაც დღემდე გრძელდება. სიმჭიდროვეზე დამოკიდებულება ძნელად დემონსტრირებადია ბუნებაში და შეიძლება გაურკვევლობაში მოექცეს გარემო ცვლილებების გამო.

**5.** ცვლილებებმა შობადობისა და სიკვდილიანობის დონეებში, რასაც დემოგრაფიული სტოქასტიკურობა ეწოდება და ცვლილებებმა გარემო პირობებში, იგივე გარემოებითმა სტოქასტიკურობამ შეიძლება ბუნდოვანი გახადონ სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების ეფექტები. ამგვარ შემთხვევას სიმჭიდროვის გაურკვევლობა ეწოდება, რადგან ამ დროს შეუძლებელია წონასწორობის დონის დადგენა. ამის გამო, ზოგიერთებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს პოპულაციის წონასწორობის მთლიანი კონცეფცია.

**6.** სავარაუდოდ, გამორიცხული არ არის, რომ პოპულაციას არეგულირებდნენ როგორც სიმჭიდროვეზე დამოკიდებული, ისე მისგან დამოუკიდებელი ფაქტორები. ფლუქტუაციებმა სიმჭიდროვისგან დამოუკიდებელი ფაქტორების ინტენსივობაში შეიძლება გამოიწვიონ დაბალი წონასწორობა. წლიდან წლამდელ ცვლილებებს სიმჭიდროვისგან დამოუკიდებულ ფაქტორებში შეუძლიათ ბუნდოვანი გახადონ სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების ეფექტები.

## სავარჯიშოები

- 1.** გრაფიკზე გადაიტანეთ განტოლება  $r = r_0(I - N/K)$ ,  $N = 1 \dots 100$  დიაპაზონზე, სადაც  $r_0 = 1,5$  გადატანითი შესაძლებლობის ორი განსხვავებული დონისთვის:  $K = 50$  და  $K = 75$ . წარმოადგინეთ ეკოლოგიური ახსნა ამ ორი გრაფიკისა.
- 2.** შეადგინეთ სამი ლოგისტიკური მრუდის ოჯახი, სადაც  $r_0 = 1,5$ ;  $r_0 = 2,0$  და  $r_0 = 3,0$  შესაბამისად, სამი მრუდისათვის და  $K = 25$ . პოპულაციის რა ზომაზე იჩენდა თავს ზრდის მაქსიმალური სიჩქარე თითოეულ სამ განტოლებაში? რომელ პოპულაციას ექნებოდა ყველაზე მაღალი ზრდის სიჩქარე პიკზე და რისი ტოლი იქნებოდა ეს სიჩქარე?
- 3.** შეადგინეთ პოპულაციის რაოდენობრივი მოდელის მცირე ესკიზი, რომელიც მსგავსი იქნება ნახ. 16-6-ისა, რომელიც მოიცავს გადაშენებას. აღნერეთ შობადობისა და სიკვდილიანობის დონეების მრუდების ფორმა, რომელიც გამოიწვევდა პოპულაციის ამგვარ სტრუქტურას.
- 4.** ვთქვათ, თქვენ ხართ ველური ბუნების ბიოლოგი და თქვენს პასუხისმგებლობაში შედის თქვენს ქვეყანაში თეთრკუდიანი ირმის ჯოგების მენეჯმენტი. ახსენით, რატომ იქნებოდით დაინტერესებული სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების და სიმჭიდროვისგას დამოუკიდებლობის შესახებ გამართულ დებატებში.

# თავი 17



## მეტაპოპულაცია

### გზამავლები პითევები

- რა არის მეტაპოპულაცია?
- რა როლს თამაშობენ გადაშენება და კოლონიზაცია მეტაპოპულაციებში?
- როგორია ლევინის მეტაპოპულაციის მოდელი და რით განსხვავდება იგი ერთი პოპულაციის ლოგისტიკური მოდელისგან?
- რა იგულისხმება ტერმინში მეტაპოპულაციის სტრუქტურა?
- რა გავლენას ახდენენ ადგილობრივი პოპულაციის ზომა და იზოლაცია მეტაპოპულაციების მდგრადობაზე?
- რა არის შველის ეფექტი?
- რა გავლენას ახდენენ გადაშენება და კოლონიზაცია მეტაპოპულაციებში გენეტიკურ ცვლილებებზე?
- რით უკავშირდება მეტაპოპულაციების კონცეფცია ლანდშაფტური ეკოლოგიის კონცეფციას?

**ს**აბინადრო გარემოს არეალებს, რომლებიც შეიცავენ საკმარის რესურსს და პირობებს პოპულაციების გადარჩენისთვის, ეწოდებათ საბინადრო პეტჩები ან **უბრალოდ პეტჩები**. სახეობის ინდივიდები, რომლებიც ბინადრობენ საბინადრო პეტჩებში, შეადგენენ ადგილობრივ პოპულაციას (იხ. მე-14 თავი). (მეტი სიმარტივისთვის ამ თავში ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინებს „ადგილობრივი პოპულაცია“ და „პოპულაცია“ სინონიმურად.) ვინაიდან ნებისმიერი სახეობის საბინადრო გარემო როგორც წესი, ბუნებაში პომოგენურად არის განაწილებული, სახეობებმა შეიძლება თავი იჩინონ ადგილობრივი პოპულაციების წყებათა სახით, რომელთაგან თითოეული იყავებს სხვებისგან არასხელსაყრელი საბინადრო გარემოთი გამოცალევებულ პეტჩს. ხშირად ეს პოპულაციები ურთიერთქმედებენ იმიგრაციისა და ემიგრაციის საშუალებით. ადგილობრივი პოპულაციების წყებას, რომელიც იყავებს საბინადრო პეტჩების ერთობლიობას და დაკავშირებულია ერთიმეორესთან, მათ შორის, ინდივიდების მოძრაობით, ენოდება მეტაპოპულაცია ან „პოპულაციათა პოპულაცია“.

ძალიან ცოტა ეკოლოგიურ კოცენტრის აქვს მიღებული იმდენი ყურადღება და ძალიან ცოტა

ეკოლოგიური კონცეფციის გარშემო არის დაგროვილი იმდენი თეორიული და ემპირიული კვლევა ბოლო წლების განმავლობაში, რამდენიც მეტაპოპულაციების კონცეფციის გარშემო (Hanski and Gilpin 1997). დადგინდა, რომ იგი ფასეულ ჩარჩოს წარმოადგენს ქვეგანყოფილებებად დაყოფილი პოპულაციების, პოპულაციის დინამიკის შესაწავლისთვის (McCullough 1996), საფრთხეში და გადაშენების პირას არსებული სახეობების შენარჩუნებისთვის (Schoener 1991, Lahaye et al. 1994, Hanski et al. 1995, Litvaitis and Villafuerte 1996, Thomas et al. 1996; magram ix. Simberloff 1994 and Hanski and Simberloff 1997), მტაცებელი-მსხვერპლი სისტემის დინამიკისთვის (Kareiva 1987, Taylor 1991), პარაზიტული ორგანიზმების ბიოლოგიური კონტროლისთვის (Murdoch et al. 1984, 1985), მცენარეებსა და ცხოველებს შორის კონკურენციის შესწავლისთვის (Bengtsson 1991, Tilman 1994) და მტარებელი-პარაზიტის ინტერაქციათა ვირულენტულობის ევოლუციისთვის (May and Nowak 1994), მათ შორის ადამიანთა ინფექციური დაავადებებისთვისაც (Anderson and May 1991). ამ თავში ჩვენ წარმოგიდგენთ მეტაპოპულაციების თეორიის ძირითად კონცეფციებს.

## 17.1 გეტაპოპულაციაშის კონცეპცია მოიცავს ადგილობრივ პოპულაციას შორის ინფერაციათა ხევის ღიანამიკას


მეტაპოპულაციათა თეორიის კონცეპტუალური საფუძველი და ტერმინი *metapopulacii* ჩამოყალიბება შეიძლება მივნეროთ რიჩარდ ლევინს (1969, 1970). ლევინსის მარტივ მოდელში სახეობათა მეტაპოპულაცია წარმოდგენილია როგორც მცირე პოპულაციათა წყება, რომლებიც იყავებენ მსგავსი მცირე საბინადრო პეტჩების ერთობლიობას, რომლებიც განთავსებული არიან ერთგვაროვანი არახელსაყრელი საბინადრო გარემოს მატრიცაზე (ნახ. 17-1). ნებისმიერ დროს ზოგიერთი ხელსაყრელი საბინადრო პეტჩი შეიძლება სახეობათა საერთოდ არც ერთ ინდივიდს არ შეიცავდეს და ამრიგად, იყოს სხვა დასახლებული პეტჩებიდან კოლონიზაციის ობიექტი. რადგანაც ადგილობრივი პოპულაციები მცირე ზომისებად ითვლებიან, ადგილობრივ კატასტროფებს და შემთხვევით ფლუქტუაციებს ინდივიდთა რიცხვებში მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ პოპულაციათა დინამიკაზე. ასე რომ, არსებობს ადგილობრივი პოპულაციის გადაშენების მაღალი ალბათობა გარკვეული დროის ინტერვალის განმავლობაში. ამრიგად, მეტაპოპულაციათა დინამიკა წარმოდგენილია როგორც ბალანსი გადაშენებასა და კოლონიზაციას შორის. ჩვენ შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ მეტაპოპულაციები მოციმციმე სინათლეების წყებად. ანთებული სინათლე დაკავებული პეტჩებია, რომლებიც ქრება, როდესაც ადგილი აქვს გადაშენებას და ხელახლა ინთება პეტჩის კოლონიზაციის შემთხვევაში. როდესაც საბინადრო პეტჩი ხდება ვაკანტური გადაშენების შემდეგ და შემდგომ ხელახლა ხდება მისი კოლონიზაცია ინდივიდების მიერ არეალის სხვა ადგილობრივი პოპულაციებიდან, ადგილი აქვს გადაშენება-კოლონიზაციის განახლების მოვლენას. როდესაც კოლონიზაციის ტემპები გადაშენების ტემპებზე ნაკლებია, შეიძლება ადგილი ჰქონდეს ყველა ადგილობრივი პოპულაციის და შესაბამისად, მთლიანად მეტაპოპულაციის გადაშენებას. დროის ხანგრძლივობას, სანამ ყველა პოპულაცია არ ამოწყდება, ეწოდება მეტაპოპულაციების მდგრადობის დრო (Hanski and Simberloff 1997).

მეტაპოპულაციათა კონცეფცია აკურატულად აღნერს მრავალი ბუნებრივი პოპულაციის დინამიკას პეტჩურ განაწილებასთან (Harrison and Taylor 1997). მაგალითად, ფითორები მცენარეთა ჯგუფებია, რომელთა სახეობების უმრავლესობაც ეკუთვნის Viscaceae-სა და Loranthaceae-ს ოჯახებს და რომლებიც ბინადრობენ სხვა მცენარეების, ძირითადად ხეების, პარაზიტების სახით. თითოეული ფითორის მცენარე იღებს წყალს და საკვებ ნივთიერებებს მასპინძელი მცენარის ქსილემის სისტემის საშუალებით. უმეტეს შემთხვევაში, გაფანტვას, გავრცელებას ერთი მასპინძლიდან მეორემდე ადგილი აქვს ფრ-

ინველების საშუალებით, რომლებიც ჭამენ ფითორის ნაყოფს და ექსკრემენტების სახით გამოყოფენ თესლს (რომლებიც თავის მხრივ დაფარული არიან წებოვანი ნივთიერებით) სხვა რომელიმე ხის ტოტზე. ფითორი შეიძლება თავს მეტაპოპულაციებში იჩინს, სადაც მასპინძელი ხეები საბინადრო პეტჩებია, რომლებიც ფითორებისთვის არასტუმართმოყვარენია არიან (Overton 1994).

მცენარეთა მეტაპოპულაციებმა შეიძლება თავი იჩინონ სხვა მცენარეების ან ცხოველების საქმიანობის გამო, რომლებიც ქმნიან პეტჩურ გარემოს. მაგალითად, მცენარეთა სახეობები, რომლებიც ყველაზე უკეთ იმ ნაპრალებში იზრდებიან, რომლებიც ჩნდება ხშირ ტყეებში ხეების ნაქცევისას (ე.წ. კანობის ნაპრალები), წარმოადგენენ მეტაპოპულაციებს, როლებშიც გადაშენებას ადგილი აქვს, როდესაც კანობები თანდათან იხურება ხელახლი ზრდის შედეგად. ამგვარ მცენარეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, თავიანთი თესლის გაფანტვისა, რაც კანობის ნაპრალების სწრაფი კოლონიზების საშუალებას მისცემს მათ. სხვა შემთხვევებში გარკვეული მცენარის სახეობისთვის ხელსაყრელი საარსებოს მოზაიკა შეიძლება შექმნილ იქნას ცხოველთა საქმიანობის მიერ (Platt 1975, Platt and Weiss 1977).

პეპლების ბუნებრივი ისტორია წარმოადგენს არს ძირითადი მეტაპოპულაციის დინამიკისთვის, რადგან მრავალი სახეობა სპეციალიზებულია, დადოს კვერცხი სპეციფიკური მასპინძელი მცენარის სახეობებზე, რომლებსაც ხშირად პეტჩობრივი განაწილება აქვთ. ამრიგად, ადგილობრივი პოპულაციები დაკავშირებულია ზრდასრული პეპლების გაფანტვის, გავრცელების დინამიკით, რომლებიც დაფრინავენ მასპინძელი მცენარეების პეტჩების ძიებაში, სადაც კვერცხს დადებენ. პეპლები თვალ-



ნახ. 17-1 მეტაპოპულაცია შეიძლება წარმოიდგინოთ დისკრეტული ადგილობრივი პოპულაციების წყების სახით ნაწილობრივ დამოუკიდებელი ადგილობრივი პოპულაციათა დინამიკით. ნებისმიერ დროს ხელსაყრელი საბინადრო გარემოს ზოგიერთი პეტჩი შეიძლება დაკავშირდებულ დაკავშირდებული პეტჩებიდან დაუკავშებელი პეტჩების კოლონიზირებისთვის.

საჩინო მოდელები გახდნენ მეტაპოპულაციების შესწავლისთვის (Thomas and Hanski 1997). ისინი ასევე ასრულებენ საბინადრო გარემოს ფრაგმენტაციის, ზემოქმედების მგრძნობიარე ინდიკატორების როლს. პეპელათა მრავალი სახეობა, კერძოდ კი, ევროპული სახეობები, საფრთხის წინაშე დადგნენ ამგარი ფრაგმენტაციის შედეგად (Warren 1992, 1993). მწერების მრავალი სხვა სახეობის პოპულაცია ასევე მეტაპოპულაციის კარგ მაგალითს წარმოადგენენ.

მრავალი ფრინველი და ძუძუმწოვარი ასევე იჩენს თავს ადგილობრივი პოპულაციების წყებათა სახით და ბინადრობს არახელსაყრელი არეალებით გამოყოფილ პეტჩებში (McCullough 1996). მაგალითად, ჭაობის კურდღლელი შელვილაგუს პალუსტრის პეფერი ბინადრობს ზედა ჭაობის (მოქცევების გავლენის ზემოთ) იზოლირებულ პეტჩებში ფლორიდას შტატის ჭაობები (Forys and Humphrey 1996). სამხრეთი კალიფორნიის წინწკლებიანი ბუ (შტრის ოცციდენტალის) არის საფრთხეში მყოფი ქვესახეობა გადაშენების პირას მყოფი ჩრდილო ამერიკული წინწკლებიანი ბუს სახეობისა (შტრის ოცციდენტალის ცაურია) და იგი თავს იჩენს რიგ იზოლირებულ პოპულაციებში სამხრეთ კალიფორნიის სან ბერნარდინოს მთებში (ნახ. 17-2). როგორც ჭაობის კურდღლელი, ისე კალიფორნიური წინწკლებიანი ბუ საფრთხეში არიან ადამიანთა განვითარებადი საქმიანობის გამო, რომლებიც კიდევ უფრო აღრმავებენ ლანდშაფტის ფრაგმენტირებას. კურდღლების შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ ქვედა ჭაობების არეალები ზოგადად დაცულნი არიან განვითარებისგან, ზედა ჭაობები – არა. ამრიგად, საბინადრო გარემო კურდღლისთვის თანდათან ქრება. ბუების შემთხვევაში, ინდივიდუალური ქვეპოპულაციები ავლენენ ბოლოდროინდელ კლებას, რაც სავარაუდო შედეგია როგორც საბინადრო პეტჩების მზარდი იზოლაციის, ისე ბუნებრივი გარემო ფლუქტუაციებისა (Lahaye et al. 1994, Gutiérrez and Harrison 1996) – ფაქტორები, რომელთა ეფექტებსაც ქვემოთ განვიხილავთ.

## **17.2 მარტივი მატაკოპულაციის მოდელები და როგორ გადავითარებას აღიღონივ გადავითარებასა და ხელახალ დასახლებას შორის**


მეტაპოპულაციების დინამიკის პირველი მარტივი მოდელი წარმოდგენილი იქნა ლევინსის (1969, 1970) მიერ და ის არის საფუძველი მეტაპოპულაციების თეორიის დიდი წანილისა (Hanski 1991, 1997). ამ მოდელში მეტაპოპულაცია კონცეპტუალიზებულია როგორც ადგილობრივი პოპულაციების ჯგუფი, სადაც თითოეულს აქვს 0 (გადაშენების დონე) ან (წონასწორობის დონე) სიმჭიდროვე, სადაც არის პეტჩის

გადატანითი შესაძლებლობა. პეტჩის გადატანითი შესაძლებლობა არის იმ ინდივიდთა რიცხვი, რომელთა რესურსებით უზრუნველყოფაც შესაძლებელია პეტჩში დროს განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში (გატანითი შესაძლებლობის იგივე კოცენტრიცია, რაც განვითარებულ იქნა მეთექსმეტე თავში). მოსაზრება, რომ პეტჩს ან საერთოდ არ ჰყავს ინდივიდები ან ჰყავს გადატანითი შესაძლებლობის ფარგლებში, ცხადია, გამარტივებაა. ნებისმიერ დროს პეტაპოპულაციაში პეტჩების მთლიანი რიცხვის გარკვეული პროპორცია დაკავებული იქნება და დარჩენილი ნაწილი  $1 - p$  დაუკავებელი ან გადაშენებული დარჩება.  $p$ -ს ცვლილების ტემპი მოცემულია შემდეგნაირად

$$\frac{dp}{dt} = mp(1-p) - ep$$

სადაც  $m$  არის პეტჩის კოლონიზაციის ტემპი და  $e$  არის პეტჩის გადაშენების ტემპი. როდესაც დაკავების ვადების ცვლილება  $0$ -ის ტოლია,  $\frac{dp}{dt} = 0$  და დაკავებული პოპულაციების წონასწორობითი პროპორცია (Levins 1969, 1970; Hanski 1991). ამ მოდელის მთავარი პროგნოზული მნიშვნელობაა ის, რომ სახეობები არ დარჩებიან – ანუ  $p < 0$  – როდესაც გადაშენების ტემპი ე აღემატება კოლონიზაციის ტემპს  $-s$  მეტაპოპულაციაში. ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოპულაციის შენარჩუნებისთვის საჭიროა  $e/m < 1$ .

ლევინსის მოდელში მთელი რიგი გასამარტივებელი მოსაზრებებია. პირველი, პოპულაციის ზრდის პროცესი, რომელიც შობადობისა და სიკვდილიანობის დინამიკის შედეგია და პოპულაციის რეგულაციის პროცესი, რომელიც შობადობისა და სიკვდილიანობის პროცესების გარემოსთან ინტერაქციის შედეგია, ადგილობრივ პოპულაციებში გათვალისწინებული არ არის. დაბალი სინათლის ჩართვისა და გამორთვის მეტაფორა ამ მოსაზრებას ცხადად ასახავს. მიიჩნევა, რომ თითქოს არავითარი დრო არ გადის ცარიელი პეტჩის კოლონიზაციისას სინათლის ჩართვის მსგავსად ან პოპულაციის კლების დაწყებიდან გადაშენებამდე სინათლის გამორთვის მსგავსად. მეორე, ყველა პეტჩი თანაბრად და ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით იზოლირებულად მიიჩნევა – ანუ, ინდივიდების მოძრაობას ადგილი აქვს თანაბარი ალბათობით პეტჩების ნებისმიერ წყვილს შორის. პოპულაციები პეტჩებში ასევე სხვა პოპულაციებისგან დამოუკიდებლად მიიჩნევიან – ანუ ერთი პოპულაციის ინდივიდთა დინამიკაზე გავლენას არ ახდენენ იმიგრანტები სხვა პოპულაციიდან. თუ პოპულაციები არ არიან დამოუკიდებლები, მაშინ გადაშენებისა და კოლონიზაციის მოვლენები შეიძლება მოხვედრილ იქნას თანაფარდობაში ან იქნას სინქრონიზირებული. ამგვარი სიტუაცია უფრო მოსალოდნელი ხდება, როდესაც მიგრაციის დონე პეტჩებს შორის იმატებს, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ. ლევინსის მოდელში მხოლოდ



**ნაბ. 17-2** სამხრეთ კალი-  
ფორნიის ლაქებიანი ბუს გეტა-  
პოლულაცია სან გერნარდინოს  
მთებში. ფრანგილებში მოკვე-  
მული რიცხვები წარმოად-  
გენერ თითოეული პეტჩის  
განსაზღვრულ გადატანით  
ძეგაძლებლობას. (From Lahaye  
et al. 1994)

დაუკავებელი პეტჩები იმიგრანტების შესვლის შემდეგ  
(კოლონიზაცია) აქვს მოძრაობას გავლენა მეტაპოპ-  
ულაციათა დინამიკაზე. მესამე, მანძილი რომელსაც  
ინდივიდები გადიან ერთი პეტჩიდან მეორემდე, არც  
ძალიან დიდად მიიჩნევა, არც ძალიან მცირედ. თუ  
მოძრაობა პოპულაციებს შორის საოცრად მაღალია,  
მოსალოდნელია, რომ გადაშენება იშვიათი იქნება,  
რა შემთხვევაშიც მეტაპოპულაციათა კონცეფცია  
საჭირო არ არის პოპულაციის დინამიკის ასახსნე-  
ლად. ამის მსგავსად, თუ მოძრაობა პოპულაციებს  
შორის საოცრად დაბალია, პოპულაციები არსები-  
თად დაუკავშირებელია და ამრიგად წარმოადგენენ  
ინდივიდუალურ, თუმცა შესაძლოა მცირე, პოპუ-  
ლაციებს. და ბოლოს, ლევინსის მოდელი არ ითვალ-  
ისწინებს ცვლილებებს იმ სიადვილეში, რომლითაც  
ინდივიდები შეიძლება გადაადგილდებოდნენ ერთი  
პეტჩიდან მეორეში. ამგვარი ცვლილება შეიძლება  
წარმოიშვას ლანდშაფტის თვისებების შედეგად  
(იხ. ნახ. 17-16). მაგალითად, დაუკავებული პეტჩის  
მობინადრეებმა, რომელიც თანაბარი მანძილითაა  
დაშორებული და C დაუსახლებელი პეტჩებისგან,  
შეიძლება უფრო სწრაფად დაიკავონ პეტჩი, ვიდრე  
C თუ A-სა და C პეტჩებს შორის მთა მდებარეობს.  
ლევინსის მოდელს პეტჩური მეტაპოპულაციის  
მოდელი ენდოდება იმიტომ, რომ ადგილობრივი  
პოპულაციის დინამიკა იგნორირებულია. გათვალ-  
ისწინებულია მხოლოდ დაუკავებული და დაუკავებე-  
ლი პეტჩების პროპორცია.

მეტაპოპულაციისა და პოპულაციის  
ლოგისტიკური მოდელების შედარება

მოდით, ცოტაოდენი დრო დავუთმოთ მეტაპოპულაციის მოდელის პოპულაციის იმ მოდელებთან შედარებას, რომლებიც ჩვენ წიგნის ამ ნაწილის წინა თავებში განვიხილეთ. პოპულაციის ლოგისტიკური მოდელები დამოკიდებულია ურთიერთობაზე პოპულაციის სიმჭიდროვესა და პოპულაციის სიმჭიდროვის გადატანით შესაძლებლობა K-ს შორის (იხ. სექცია 16-1). მეტაპოპულაციათა მოდელები მეტ ყურადღებას ამახვილებენ გადაშენება-კოლონიზაციის დინამიკაზე, ვიდრე პოპულაციის სიმჭიდროვის დინამიკაზე. ლოგისტიკური მოდელები საკუთარ თავს უსვამენ შეკითხვას: „რამდენად დიდი შეიძლება იყოს პოპულაცია?“ და „რა ფაქტორები აკავებს პოპულაციას ზომის შედარებით ვიზრო ლიმიტების ფარგლებში?“ მეტაპოპულაციის კონცეფცია მუშაობს კითხვებზე, როგორიცაა: „რამდენი ხანი შენარჩუნდება პოპულაცია?“ და „როგორ ურთიერთმოქმედებენ ლანდშაფტი და ინდივიდების გადაადგილების ხასიათი პოპულაციის შენარჩუნებაზე გავლენის მოსახდენად?“ ამგვარი კითხვები თავს განსაკუთრებით ხშირად იჩენენ შენარჩუნების ბიოლოგიაში, სადაც მეტაპოპულაციათა კონცეფცია ყველაზე სასარგებლო გამოდგა. ეკოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ მრავალი მეტაპოპულაცია ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირებული საბინადრო გარემოს ფრაგმენტაციის შედეგს ნარმოადგენენ და

ამრიგად ხშირად შეიცავენ საფრთხის წინაშე არსებულ სახეობებს მცირე რიცხვით.

მეტაპოპულაციების თეორია ახალ სიძნელეებს ჰქმატებს სიმჭიდროვეზე დამოკიდებული რეგულაციის გარშემო გამართულ დებატებს და აზრთა სხვადასხვაობას იმის თაობაზე, არსებობს თუ არა პოპულაციაში წონასწორობა. მე-16 თავში ერთი პოპულაციის რეგულაციის თაობაზე ჩვენს განხილვაში ჩვენ საფუძვლიანად მივიჩინეთ, რომ სიმჭიდროვეზე დამოკიდებული რეგულაცია ყველაზე მნიშვნელოვანია. მეტაპოპულაციების კვლევა კი, თავის მხრივ შეიძლება განხორციელდეს წონასწორობის კონცეფციებისგან (როგორიცაა გადატანითი შესაძლობელობა და სიმჭიდროვეზე დამოკიდებულება) შედარებით დაუმძიმებლად, რადგან მეტაპოპულაციის მთლიანი სიმჭიდროვე ხშირად საკმაოდ დაბალია გარკვეული საბინადრო გარემოს გადატანით შესაძლებლობაზე (Hanski 1991). მაშინ, როდესაც სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების ეფექტები გარკვეულია უგულვებელყოფილია მეტაპოპულაციების კვლევაში, დემოგრაფიული და გარემო სტრუქტურობის ეფექტები (იხ. სექცია 16.5) საგრძნობ მნიშვნელობას იძენენ. ჩვენ ცოტა ხანში გიჩვენებთ, როგორ შეუძლია ერთი ან ძალიან მცირე რაოდენობის კოლონიზატორის შემცველ განვითარებით ხელახალ კოლონიზაციას სულ ცოტა ხანში შეამციროს გენეტიკური ცვლილება მეტაპოპულაციებში. ცუდ ზამთარს ან ხანძართა გამანადგურებელ სერიას შეუძლია, გამოიწვიოს დაცარიელება მეტაპოპულაციაში მრავალი მცირე ადგილობრივი პოპულაციის განადგურებით ან მიგრაციული გზების განადგურებით, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ პეტრიქებს და ამრიგად, ინარჩუნებენ პოპულაციას ხელახალი კოლონიზაციის გზით.

### **17.3 მატაკოპულაციის სტრუქტურა მოიცავს მონაკვეთის ზომისა და სიმჭიდროვის გახასიათებლებს**


ლევინსის მიდგომის არგუმენტები ყურადღებას ამახვილებენ თავდაპირველი მოდელის შემზღვეველი მოსაზრებების დაძლევაზე იმისთვის, რომ წარმოადგინოს ბუნებრივ პოპულაციათა დინამიკა და სივრცობრივი ორგანიზაცია უფრო აკურატულად (Hanski and Gilpin 1997). ეკოლოგები ხშირად მიმართავენ მეტაპოპულაციათა სტრუქტურას, რომელიც მოიცავს ბუნებრივი მეტაპოპულაციების გარკვეულ მახასიათებლებს, რაც ჩართულია მეტაპოპულაციის მოდელში იმისთვის, რომ მოდელი უფრო რეალური გახადონ (Gyllenberg et al. 1997). მაგალითად იმის მიჩნევის მაგივრად, რომ ყველა პეტრი მსგავსად მცირე ზომისაა, მეტაპოპულაციის სტრუქტურირებული მოდელი შეიძლება მოიცავდეს პეტრის ზომის

სპეციფიკურ განანილებას. ან მოსაზრება, რომ პეტრი თანაბრად არიან იზოლირებული ერთმანეთისგან, შეიძლება შერბილებულ იქნას ადგილობრივ პოპულაციებს შორის მიგრაციის სხვადასხვა სიჩქარეების დაზუსტებით. ამის მსგავსად, ადგილობრივ პოპულაციათა სიმჭიდროვეები ან პოპულაციათა ასაკობრივი სტრუქტურა შეიძლება იქნას დათქმული. პრაქტიკაში, ზოგიერთი მეტაპოპულაციის სტრუქტურის დათქმა, როგორც წესი, საჭირო ხდება მეტაპოპულაციის კონცეფციისთვის გამოყენებითი მინიჭებისთვის.

ლევინსის მეტაპოპულაციის მარტივი მოდელი არ აზუსტებს პოპულაციებს შორის სივრცობრივ ურთიერთობას ან ერთმანეთთან მიმართებაში ან მათ პოზიციებთან მიმართებაში არახელსაყრელი საბინადრო გარემოს მატრიცაში. ამ მოსაზრების შედეგი არის ის, რომ ყველა პოპულაცია თანაბრად არის დაკავშირებული. ამ ტიპის მოდელს მეტაპოპულაციის სივრცობრივად იმპლიციტური (წაგულისმები) მოდელი ეწოდება. მაგრამ ზოგიერთი მოდელი უკავშირებს პოპულაციებში დაკავშირებულების დონეს (მიგრაციის დონეს) პოპულაციებს შორის მანძილებს. ამგვარი მოდელები, რომლებსაც მეტაპოპულაციის სივრცობრივად ექსპლიციტური (ცხადი) მოდელები ეწოდებათ, გულისხმობენ საპირისპირო ურთიერთობას მიგრაციის საშუალებით ორ პოპულაციას შორის გაცვლის დონესა და ამ პოპულაციებს შორის მანძილს შორის. ზოგიერთი სივრცობრივად ექსპლიციტური მოდელი ზღუდავს კიდეც პოპულაციების მოთავსებას სპეციფიკურ ადგილებში საცხოვრებელი გარემოს მატრიცის წარმოსახვითი ბადის ფარგლებში (Caswell and Etter 1993).

### **პეტრის ზომა და სიმჭიდროვე**

მეტაპოპულაციის დინამიკაზე გავლენას ახდენს არა მარტო გადაშენებისა და კოლონიზაციის დონეები, არამედ ასევე ამ დონეთა ურთიერთობა საცხოვრებელი პეტრის სივრცობრივ განლაგებასა და სიმჭიდროვესთან (სიმჭიდროვე ჩვენ აქ მოყვანილი გვაქვს როგორც პეტრის სიმჭიდროვე და არა როგორც პეტრის პოპულაციის სიმჭიდროვე). იმისათვის, რომ მეტაპოპულაცია შენარჩუნდეს, კოლონიზაციის მთლიანი დონე უნდა აღემატებოდეს გადაშენების დონეს ( $1 < \mu/\theta$ ). მაგრამ წარმატებული კოლონიაცია მოითხოვს, რომ ინიდვიდები გადაადგილდებოდნენ დასახლებული ადგილიდან დაუსახლებელში. მანძილის ბარიერი შეიძლება დროულად იქნას დაძლეული, თუ პოტენციური კოლონიზატორები მუდმივად მოედინებიან დასახლებული ადგილიდან, რითაც ზრდიან შანსს, რომ ინდივიდი მიაღწევს შორეულ დაუკავებელ ადგილს. მაგრამ იმისათვის რომ ეს მოხდეს კოლონიზატორი პოპულაცია უნდა არსებობდეს და ზოგადად პოპუ-



**ნახ. 17-3** სხვადასხვა ზომისა და იზოლაციის ხარისხის საბინადრო პეტჩების დაკავების ალბათობის ხასიათი. რაც უფრო მუქია შეფერილობა, მით მაღალია პეტჩის დაკავების ალბათობა ზოგადად დიდ პეტჩებს და იმ პეტჩებს, რომლებიც ახლოს არიან სხვა პოპულაციასთან, აქვთ მეტი ჟანსი იქნან დაკავებული, ვიდრე მცირე და იზოლირებულ პეტჩებს. (From Opdam 1997.)



ლაციის მდგრადობა დაკავშირებულია პოპულაციის ზომასთან. მცირე პოპულაციები გადაშენების უფრო მაღალი რისკის წინაში დგანან, ვიდრე მსხვილი პოპულაციები.

ნახ. 17-3 აღნერს ურთიერთობას მეტაპოპულაციაში პეტჩის დაკავების ხასიათსა და პეტჩებს შორის სივრცობრივ და ზომით ურთიერთობებს შორის. რაც უფრო დიდია პეტჩი, მით მეტია ალბათობა მისი დაკავებისა. მცირე, იზოლირებული პეტჩები დაუკავებელი რჩება, რადგან ისინი ზედმეტად იზოლირებული არიან დაკავებული პეტჩებისგან იმისათვის, რომ იქნან კოლონიზირებული. მსგავსი ზომის

პეტჩებს, რომლებიც ახლოს არიან განლაგებული დაკავებულ პეტჩებთან, მეტი ჟანსი აქვთ იმისა, რომ მიიზიდონ კოლონიზატორები. ზოგადად იქ სადაც პეტჩების სიმჭიდროვე მაღალია, მაღალია იმის ალბათობაც, რომ პეტჩის დაიკავებენ და ეს ალბათობა იზრდება პეტჩის ზომასთან ერთად.

საარსებო გარემოს მზარდი ფრაგმენტაციის გამო, გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი სახეობების კვლევები გვაწვდიან მასალას ნახ. 17-3-ში ნაჩვენები ურთიერთობისთვის. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენენ გლენვილის ნიმფალიდა პეპლების (ელიტარული ცინხია) კვლევები, სახეობისა, რომელიც გადაშენდა ფინეთში 1970-იან წლებში, მაგრამ შენარჩუნდა სხვა ადგილებში. ნახ. 17-4ა გვიჩვენებს ურთიერთობას პეტჩის ზომასა და დაკავებული პეტჩების ნაწილს შორის. პეტჩების დაკავება გაცილებით მაღალია არეალებში, სადაც პეტჩების საშუალო ზომა მაღალია (მაგალითად 10ჰა), ვიდრე იმ არეალებში, რომლებიც შეიცავენ მცირე ზომის პეტჩებს (< 0,01ha). პეტჩების ნაკლები იზოლაცია, რაც შეფასებულია, როგორც პეტჩების მაღალი სიმჭიდროვის შედეგი, იწვევს დაკავებული პეტჩების დიდ ალბათობას (ნახ. 17-4ბ) (Hanski et al. 1995).

ჩამოყალიბებულ იქნა მეტაპოპულაციების განსხვავებული სტრუქტურების მთელი რიგი (Hanski and Simberloff 1997). კონტინენტი-კუნძულის მეტაპოპულაციები არის ისეთი, სადაც პეტჩების ანუ კუნძულების სისტემა განლაგებულია სხვა უფრო დიდი პეტჩის – მატერიკის მახლობლად, საიდანაც გავრცელებად პოპულაციებს შეუძლიათ მიაღწიონ ყველა კუნძულს. ამ მოდელის დედასაზრი არის ის, რომ კონტინენტის პოპულაცია არასდროს გადაშენდება. მეტაპოპულაციის კიდევ ერთი ტიპის სტრუქტურა არის წყარო-ჩამდინარე ავზის მეტაპოპულაცია, სადაც როგორც აღვნერეთ მე-14 თავში, ზოგ პოპულაციას (წყარო) აქვს დადებითი ზრდის სიჩქარე დაბალ სიმჭიდროვეზე და სხვა პოპულაციებს (ჩამდინარე ავზი) აქვთ უარყოფითი ზრდის სიჩქარე იმიగრაციის არარსებობის პირობებში.



**ნახ. 17-4** (ა) პეტჩის არეალის გავლენა გლენგილის ნიმფალიდა პეპლების (ელიტარული ცინხის) მეტაპოპულაციაში დაკავებული პეტჩების რაოდენობაზე. დაკავებული პეტჩების პროპორცია უფრო მაღალი იყო დიდი პეტჩებისთვის. (ბ) პეტჩების სიმჭიდროვის უფრენტი დაკავებული პეტჩების პროპორცია ყველაზე მაღალი იყო არეალებისთვის, სადაც პეტჩების სიმჭიდროვე იყო მაღალი. (From Hanski et al. 1995.)


## პეტჩის ზომისა და სიმჭიდროვის შედარება

პეტჩის ზომა და სიმჭიდროვე (კიდევ ერთხელ, ჩვენ ვგულისხმობთ პეტჩის სიმჭიდროვეს და არა პეტჩებში პოპულაციის სიმჭიდროვეს) შეიძლება ურთიერთქმედებაში მოვიდნენ ერთმანეთთან კომპანიას ციურად, რათა გავლენა მოახდინონ მეტაპოპულაციების მდგრადობაზე. ეს ინტერაქცია შეიძლება ნაჩვენები იქნას მეტაპოპულაციების ძირითადი მოდელის  $dp/dt = mp(1-p) - ep$  მოდიფიცირებით (Hanski 1991). ვთქვათ, მიგრაციის დონე მ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონითაა პეტჩი იზოლირებული, რაც იზომება როგორც რაღაც მანძილი. ანუ მიგრაცია დაუკავებელ პეტჩში, რომელიც იზოლირებულია კოლონიზაციისუნარიანი პეტჩისგან (მაღალი ) ნაკლებ სავარაუდოა, ვიდრე თუ ეს პეტჩი კოლონიზებადი პეტჩის სიხალოვეს იქნება (დაბალი ). ეს ხასიათი ნაჩვენებია ნახ. 17-3-ში, სადაც უფრო იზოლირებულ პეტჩებს აქვთ დაკავების დაბალი ალბათობა. ზუსტი ურთიერთობა D-სა და m-ს შორის არ არის ესოდენ მნიშვნელოვანი მანამ, სანამ მ მცირდება D-ს გაზრდისას. ერთი შესაძლო ურთიერთობა ამ ორს შორის არის ნეგატიური ექსპონენციალური ფუნქცია:

$$m = m_0 e^{-ad}$$

სადაც  $m_0$  და  $a$  არიან პარამეტრები. ამ ფუნქციის ფორმა ნაჩვენებია ნახ. 17-5-ში.

მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ გადაშენების დონე  $e$  დამოკიდებულია პეტჩის ზომაზე ისე, რომ პოპულაციებს დიდ პეტჩებში ნაკლები შანსი აქვთ



ნახ. 17-5 უარყოფითი ექსპონენციალური ურთიერთობა მიგრაციის დონე მ-სა და პეტჩის იზოლაციის მანძილს D-ს შორის ( $m = m_0 e^{-ad}$ , სადაც  $m_0$  და  $a$  არამეტრებია). ურთიერთობას გადაშენების დონე  $e$ -სა და პეტჩის არეალ A-ს შორის ( $e = e_0 e^{-bA}$ , სადაც  $e_0$  და  $b$  პარამეტრებია) იგივე ფორმა ექნება.

გადაშენების, ვიდრე მცირე პეტჩების პოპულაციებს. კიდევ ერთხელ, ეს არის ნახ. 17-3-ში წარმოდგენილი სიტუაცია, სადაც ნაჩვენებია, რომ დიდ პეტჩებს დაკავებულობის ძალიან მაღალი სიხშირე აქვთ. მოდით, დაუშვათ, რომ გადაშენება დაკავშირებული იყოს პეტჩის არეალთან უარყოფით ექსპონენციურ ფუნქციაში

$$e = e_0 e^{-bA}$$

სადაც  $e_0$  და  $b$  პარამეტრებია (იხ. ნახ. 17-5).

თუ ჩვენ ჩავანაცვლებთ ამ ორ განტოლებას წონას სწორობის სიდიდის p-ს განტოლებაში  $p = 1 - e/m$  (იხ. ზემოთა სექცია), ჩვენ მივიღებთ:


$$p = 1 - \frac{e_0 e^{-bA}}{m_0 e^{-ad}}$$

რაც შეიძლება გამარტივებულ იქნას  $e_0/m_0$ -ის თანამარტივლად გამოტანით განტოლების მარჯვენა ელემენტიდან რათა მივიღოთ:

$$p = 1 - \left( \frac{e_0}{m_0} \right) e^{-dA + ad}.$$

ეს განტოლება გვიჩვენებს პეტჩის საშუალო არეალი და იზოლაცია მეტაპოპულაციაში როგორ ახდენენ გავლენას პეტჩის დაკავებულობის წონას სწორობით სიდიდეზე. თუ ელემენტი  $e_0/m_0$  მუდმივია, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, როგორ იჩენს თავს კომპენსაცია ელემენტი  $e^{-bA+ad}$ -ის გადასინჯვით. a-სა და b-ს გარკვეული სიდიდეებისთვის ნებისმიერი ცვლილება პეტჩის არეალში, რომელიც იწვევს შემცირებას  $e$ -ის ექსპონენტში მაშინ, როდესაც ნიშანი ხ უარყოფითა, უნდა იქნას კომპენსირებული ზრდით იზოლაციაში, იმისთვის, რომ განტოლების ეს ელემენტი დარჩეს მუდმივი და  $e^{-A+D}$  უცვლელი. ამის დანახვა მარტივია თუ  $a = b = 1$ . მაშინ ელემენტი ხდებათუ  $A = 1$  და  $D = 1$ , ელემენტი ხდება  $e^{-1+1} = e^0 = 1$ . თუ გაიზრდება 3-მდე, მაშინ იმისთვის რომ ელემენტი დარჩეს 1-ის ტოლი, უნდა იყოს 2.

ნახ. 17-6 წარმოადგენს სქემატურ გამოსახულებას იმისა, თუ რას ნიშავს ეს მეტაპოპულაციის მდგრადობისთვის. ამ ნახატში  $a = b = 1$ ,  $m_0 = 0,7$  და  $e_0 = 0,05$ , ამრიგად  $e_0/m_0 = 0,071$ . თუ პეტჩის არეალი არის 1 ( $A = 1$ ) და პეტჩი იზოლირებულია  $D = 1$  მანძილის ერთეულებით, როგორც პირველ მაგალითში, მაშინ  $p = 1 - 0.07e^{-1+1} = 1 - 0.07 = 0.993$ . ამგვარ შემთხვევაში განონასწორებული პეტჩის დაკავების ხარისხი ძალიან მაღალია პეტჩების ერთმანეთთან სიახლოვის გამო. თუ იგივე ზომის პეტჩის ( $A = 1$ ) იზოლაცია ორჯერ აღემატება პირველი მაგალითისას ( $D = 2$ ), მაშინ  $p = 1 - 0.07e^{-1+2} = 1 - (0.07)(2.78) = 0.81$ , და განონასწორებული დაკავების ხარისხი იკლებს. კლება კიდევ უფრო დიდია ( $p = 0.48$ ), თუ  $D$  იზრდება 3-მდე. თუმცა როდესაც  $D = 3$ , პეტჩის ზომა გაიზრდება  $D = 2$ -მდე, მაშინ  $p$  არის იგივე, რაც იმ შემთხვევაში, სადაც  $A = 1$  და  $D = 2$  (ანუ  $p = 0,81$ ). უფრო



დიდი პეტჩის არეალი ახდენს უფრო დიდი იზოლაციის კომპენსირებას.


ურთიერთობა პეტჩის ზომასა და იზოლაციას შორის ნაჩვენებია ბიგების (*Sorex araneus*) პოპულაციათა დინამიკის მეშვეობით, რომლებიც იყავგებენ კუნძულებს ფინეთის ორ ტბაში (ნახ. 17-7). უფრო დიდ კუნძულებს გაცილებით მეტი შანსი აქვთ დაკავებული იქნან, ვიდრე მცირეს, ხოლო ის კუნძულები, რომლებიც 1,5კმ<sup>2</sup>-ზე მეტი მანძილით არიან დაშორებული, დაკავებული კუნძულებიდან არ შეიცავენ ბიგების პოპულაციებს (Peltonen and Hanski 1991, Hanski 1991). მსგავსი ურთიერთობა არსებობს ახალი ზელანდიის ყავისფერი კივის (*Apteryx australis mantelli*) მეტაპოპულაციათა დინამიკაში. კივები არიან უფრთო ფრინველები, რომლებიც ბინადრობენ ცვალებადი ზომის ტყის ნაკვეთებში, რომლე-

ბიც გამოცალკევებულნი არიან ერთმანეთისგან საძოვრების ღია არეალებით (Potter 1990). ფრინველები ტყის ერთი ნაწილიდან მეორეში იფანტებიან სიარულის საშუალებით და ზოგადად ძალიან მცირედ გაფანტვის შესაძლებლობა აქვთ. პოტერმა აღმოაჩინა, რომ სხვა ნაკვეთებისგან 80 მეტრზე მეტი მანძილით დაშორებული ფრაგმენტები, როგორც წესი, არ იყვნენ დაკავებულნი, თუ ისინი უახლოეს ფრაგმენტზე გაცილებით დიდი არ იყო მოცულობით.

#### 17.4 მატაკოპულაციები შეიძლება მოყვარეობის ნაკვეთის ათვისების დონეზი

მეტაპოპულაციებს ახასიათებთ პოპულაციების ხშირი გადაშენება პეტჩებში, რომლებსაც ამ პეტჩების ხელახალი კოლონიზაცია (გადატრიალება) მოსდევს. ამრიგად, დროის ნებისმიერ მომენტში ზოგიერთი პეტჩი აუთვისებელია. მაშასადამე, მეტაპოპულაციებში სწორედ პეტჩის ათვისების დონე და გადატრიალების სიჩქარე (გადაშენება-ხელახალი კოლონიზაციის მოვლენები) არის მნიშვნელოვანი და არა გარკვეულ პეტჩში პოპულაციის სიმჭიდროვე. მეტაპოპულაციების კვლევა ავლენს, რომ პეტჩის ათვისების ხარისხი იცვლება დროში და რომ ეს ცვლილება შეიძლება იყო შედეგი მთელი რიგი ფაქტორებისა. მათ შორისაა პეტჩებში საბინადრო ხარისხის ცვლილება, ხელისშემშლელი მოვლენები, პოპულაციაში დემოგრაფიული სტოქასტიკურობა და ინტერაქციები თრგანიზმებთან სხვადასხვა ტროფიკულ დონეებზე (მაგ. ბალაზის მჭამელები ან პარაზიტები).

კალიფორნიაში ამერიკული ცპოტონა პრინციპების პოპულაციათა ხანგრძლივ კვლევებში სმიტმა და მისმა კოლეგებმა (Smith 1974a,b, 1978, 1980, Smith and Gilpin 1997) ჩაატარეს პეტჩის ათვისების ხარისხის, პეტჩის ზომის, პეტჩებს შორის მანძილის და სხვა მო-



ნახ. 17-7 ურთიერთობა პეტჩის იზოლაციას და არეალს (მოცემული როგორც ლოგ[ჰა]) შორის ბიგების, შორებ არანეუს-ების მეტაპოპულაციაში ფინეთის ორი ტბის კუნძულებზე. მუქი ძავი წერტილები ნარმოადგენენ ათვისებული პეტჩების არეალს. დღა თეთრი წერტილებია არს აუთვისებელი პეტჩები. დიდი პეტჩები უფრო მოსალოდნელია, რომ იქნან დაკავებულნი და პეტჩები, რომლებიც 1,5 მეტრზე მეტი მანძილით არიან იზოლირებულნი, არ არიან ათვისებული. (From Hanski 1991.)


**ცხრილი 17-1** აღნერათა მონაცემები ამერიკული სენოსტავკას (ცჰოტონა პრინცეს) მეტაპოპულაციისთვის ბოდის მახლობლად, კალიფორნიის შტატი

	აღნერი წლები			
	1972	1977	1989	1991
ათვისებული პეტჩის საშუალო ზომა (პერიმეტრი, მ)	96.0	90.5	96.9	85.9
საშუალო პეტჩითაშორისი მანძილი (მ)	101.5	110.1	102.6	193.4
აღნერილი პეტჩების რიცხვი	78	78	77	78
დაკავებული პეტჩების პრო ცენტული მაჩვენებელი	60.3	57.7	44.2	43.6

(Data from Smith and Gilpin 1997)


ნაცემების აღნერა ყოველი ოთხი წლის განმავლობაში 1972, 1977, 1989 და 1991 წლებში. მათ აღმოაჩინეს, რომ პოპულაციების მიერ დაკავებული პეტჩების პროცენტული მაჩვენებელი კვლევაში იცვლებოდა აღნერის ოთხ პერიოდს შორის და პეტჩის ათვისების დონე საგრძნობლად დაეცა აღნერის ორი პერიოდის განმავლობაში (ცხრილი 17-1). აღნერამ გვიჩვენა,

რომ პეტჩის საშუალო ზომა შედარებით სტაბილური რჩებოდა, მაგრამ საშუალო მანძილი ათვისებულ პეტჩებს შორის იზრდებოდა. აღნერის მონაცემების ვიზუალურმა წარმოდგენამ გვიჩვენა, რომ ეს ცვლილება პეტჩის ათვისების ხარისხში გამოწვეული იყო გადაშენებისგან, რომელსაც ადგილი პქონდათ მეტაპოპულაციის დიაპაზონის სამხრეთ ნაწილში



**ნახ. 17-8** ათვისებული (შავი) და აუთ-ვისებელი (მწვანე) პეტჩები ამერიკული სენოსტავკას (*Ochotona princeps*) მეტაპოპულაციაში ბოდის მახლობლად, კალიფორნიის შტატი. თითოეული კვადრატის ზომა პროპორციულია მისი გადატანითი შესაძლებლობის. ნახატი გვიჩვენებს ელებას დაკავებულ პეტჩების პროპორციაში 1989 და 1991 წლებში, უფრო მეტი გადაშენებით მეტაპოპულაციათა დიაპაზონის სამხრეთ პორციაში. (From Smith and Gilpin 1997.)

(ნახ. 17-8). სამხრეთ რეგიონში უფრო მაღალი გადაშენების დონის მიზეზები არ არის ნათელი. განსხვავებებმა საბინადრო გარემოს ხარისხსა ან სამხრეთ და ჩრდილოეთ რეგიონებს შორის მტაცებლებისა და კონკურენტების რიცხვში შეიძლება ახსნას ეს განსხვავება. ალტერნატიულად, უფრო მრავალრიცხვანი შედარებით დიდი პოპულაციები დიაპაზონის ჩრდილოეთ ნაწილში (ნაჩვენებია დიდი შავი კვადრატებით ნახ. 17-8-ზე) შეიძლება ასრულებდნენ ამ არეალში წყარო პოპულაციების როლს, რითაც ხელახალ კოლონიზაციას უფრო მოსალოდნელს ხდიან (Gilpin 1997). ცვლილებები პეტჩების ათვისებულობაში ასევე შეინიშნება ჯვრიანას (შენეციო ჯაფობაეა) მეტაპოპულაციაში. ეს არის ორნლიანი სარეველა მცენარე (2 წელი პირველ რეპროდუქციამდე), რომელიც ხარობს ისეთ არეაბში, როგორიცაა ქვიშის დიუნები და გზის პირები და შსოფლის მრავალ ადგილას ხარობს. ჯვრიანა ფლობს საოცრად მაღალ რეპროდუქციულ შესაძლებლობას: ერთ მცენარეს შეუძლია, წარმოქმნას 20000 ან მეტი გაღვივებადი თესლი ქარის საშუალებით. ამრიგად, მას ძალუბს, აუთვისებელი არეალების სწრაფი კოლონიზირება. ჯვრიანას 102 პოპულაციის 20 წლიანი აღწერა ნიდერლანდების 6 კმ<sup>2</sup>-იან სანაპირო ქვიშის დიუნებში გვიჩვენებს მნიშვნელოვან ცვლილებას დღევანდელ დღემდე მოღწეული ადგილობრივი პოპულაციის რიცხვში (van der Meijden and van der Veen-van Wijk 1997). ნახ. 17-9 გვიჩვენებს პოპულაციათა რიცხვს ყოველ წელს 1974-1994 ნლამდე. იმის მიუხედავად, რომ ამ მცენარის მეტაპოპულაცია შენარჩუნებულ იქნა ამ დროის განმავლობაში, ათვისებული ადგილების რიცხვი ფართოდ მერყყობდა.



ნახ. 17-9 ფლუქტუაციის ჯვრიანას (*Senecio jacobaea*) მეტაპოპულაციაში დღევანდელ დღემდე მოღწეული ქვეპოპულაციის რიცხვში ნიდერლანდებში 20 წლიანი პერიოდის განმავლობაში. (From van der Meijden and van der Veen-van Wijk 1997.)

ჯვრიანას მეტაპოპულაციის დინამიკა მთლიანად არ არის დაკავშირებული მცენარის რეპროდუქციულ უნარსა და გაფანტვის შესაძლებლობასთან. ამის ნაცვლად, ის დამოკიდებულია მცენარისა და ორი სხვა ორგანიზმის კომპლექსურ ინტერაქციებზე, რომელებიც ბინადრობენ მჭიდროდ მასთან. ერთ-ერთი ორგანიზმი არის სინგურის ჩრჩილი (თყრია ჯაცობაევი), ბალახის მჭამელი, რომლის ლარვაც ჯვრიანაზე სპეციალიზდება. სინგურის ჩრჩილს აქვს საინტერესო ჩვევა, ის პერიოდულად მცენარეს სრულიად ფოთლების გარეშე ტოვებს, რაც იწვევს ჩრჩილის ლარვების ფართოდ გავრცელებულ შიმშილობას. კიდევ ერთი მოთამაშე ამ სისტემაში არის მხედარი ბზიკი ჩრტესია პოპულარის, პარაზიტოიდი სინგურის ჩრჩილისა.

## 17.5 მეტაპოპულაციაზე გავლენას ახდენ მიზანისა და აღგილობრივი პოპულაციის დემოგრაფია



ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ უფრო იზოლირებული პეტჩები მეტაპოპულაციებში ნაკლებად იქნება კოლონიზებული. ამის მიზეზი არის ის, რომ უფრო დიდი მანძილი წარმოადგენს უფრო დიდ დაბრკოლებას ინდივიდების გადადგილებისთვის. იმის მიუხედავად, რომ ეს ძირითადი გონივრული ურთიერთობაა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა პეტჩის ხარისხი და გარემოს და დემოგრაფიული სტოქასტიკურობა, გავლენას ახდენენ პეტჩში ინდივიდების იმიგრაციასა და ემიგრაციაზე. მეტიც, მოსალოდნელია, რომ ამ ფაქტორებს განსხვავებული გავლენა ექნებათ სხვადასხვა პეტჩებში და მართლაც, პეპლების მეტაპოპულაციათა თანამედროვე კვლევებიდან ცხადი გახდა, რომ იმიგრაციისა და ემიგრაციის კოეფიციენტები პეტჩ-სპეციფიკურია (Hanski et al. 1994, Sutcliffe et al. 1997a,b). ამრიგად, სიჩქარე, რომლითაც ხდება პეტჩების კოლონიზირება, დაკავშირებულია არა მარტო თითოეული პეტჩის ზომასთან და მის სიახლოესთან სხვა პეტჩებთან, როგორც წაჩვენებია ნახ. 17-3-ში, არამედ ასევე პეტჩის ხარისხთან, მის ურთიერთობასთან ლანდშაფტის ხასიათთან და პეტჩის ამთვისებელი პოპულაციის დემოგრაფიულ მახასიათებლებთან. მოდით, განვიხილოთ ამ იდეასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი.

## პეტჩის პოპულაცია-მეტაპოპულაციის კონტინუუმი

სივრცობრივად სტრუქტურირებულ პოპულაციებში ცხოველების გადაადგილების განსხვავებული ხასიათი კონტინუუმში მდებარეობს. სიტუაციები, რომლებშიც ინდივიდები თავისიუფლად მოძრაობენ საბინადრო პეტჩებს შორის, წარმოადგენს კონტინუუმის ერთ ბოლოს და სიტუაცია, სადაც ძალიან

მცირე მოძრაობაა ადგილობრივ პოპულაციებს შორის, წარმოადგენს მეორე უკიდურესობას. პირველი ტიპის გადაადგილების ხასიათის მქონე პოპულაციებს ხანდახან პეტჩის პოპულაციები ენოდებათ. ამგვარი პოპულაციები ამჟღავნებენ სივრცის პეტჩურობას, მაგრამ ინდივიდები პოპულაციაში არ არიან დაყოფილნი დიდი ოდენობით საბინადრო გარემოს სივცრობრივი სტრუქტურის მიხედვით. ამ უკიდურესობათაგან არც ერთი არ წარმოადგენს მეტაპოპულაციას. პოპულაციებს შორის გადაადგილების მხოლოდ შუალედურ დონეზე მიიჩნევა იგი მეტაპოპულაციად (Harrison 1991, 1994). მანძილმა, რომელზეც მიგრაციას აქვს ადგილი – ანუ მანძილმა, რომელზეც პოპულაცია ავლენს პეტჩის პოპულაციის ან მეტაპოპულაციის ნიშნებს – შეიძლება გავლენა მოახდინოს პოპულაციის მდგრადობაზე.

რა ფაქტორები ახდენს გავლენას ორგანიზმების გადაადგილების ხასიათზე სივცრობრივად სტრუქტურირებულ პოპულაციებში? დემოგრაფი-



**ნახ. 17-10** ფინეთში ჩრჩილების მეტაპოპულაციათა მიგრაციის კოეფიციენტზე გავლენის მომქმედი ფაქტორები. (ა) მიგრაციის კოეფიციენტგრადულები უფრო დიდია ჩრჩილებისთვის, რომელსაც უფრო მეტი გაშლილი ფრთის ზომა აქვთ. (ბ) მიგრაციის კოეფიციენტგრადულები გაიზარდა იმ პერიოდის განმავლობაში (აღნიშნულია სცეტებით), როდესაც ზღვის ნულის ტემპერატურა გადაიცვალა და სტაბილურობის გაგებისთვის რეგიონალური პროცესებთან კონტექსტში. კერძოდ, ისინი გვთავაზობენ კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი ხდება იმის განხილვა, თუ როგორ შეუძლია პოპულაციის კავშირს სხვა პოპულაციებთან მიგრაციის საშუალებით გავლენა მოახდინოს მის დინამიკაზე.

ული მახასიათებლები, როგორიცაა სიმჭიდროვე და ასაკობრივი სტრუქტურა, მორფოლოგიური მახასიათებლები, როგორიცაა სხეულის ზომა და გარემო ფაქტორები, როგორიცაა ტემპერატურა, ყველას შეუძლია, ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი გადაადგილების ხასიათის ფორმირებაში. ნიერინენმა (1996) გამოიკვლია ჩრჩილებისა და პეპლების შვიდი სახეობის გადაადგილების, მიგრაციის ხასიათი, რომლებიც იკავებდნენ კუნძულთა ჯგუფს ფინეთში. შვიდმა სახეობამ მიგრაციის განსხვავებული კოეფიციენტი აჩვენა, რომლებიც რაღაც დონემდე სახეობათა მორფოლოგიას ასახავდნენ. მაგალითად, მიგრაციის კოეფიციენტი უფრო მაღალი იყო ჩრჩილების სახეობებში გრძელი გაშლილი ფრთის ზომით, ვიდრე ფრთის მოკლე ზომით (ნახ. 17-10ა). გარემო ფაქტორები ასევე თამაშობენ როლს კუნძულთა ჯგუფში ჩრჩილების მიგრაციის კოეფიციენტების განსაზღვრაში. მიგრაციის კოეფიციენტები ყველაზე მაღალი იყო ნულის იმ დროს, როდესაც ზღვის ნულის ტემპერატურა მაღალი იყო (ნახ. 17-10ბ). ამის მიზეზი, როგორც ჩანს არის ის, რომ როდესაც ზღვის ნული თბილია, ჰაერის ტემპერატურა ნულის ზემოთ ახლოსაა კუნძულების თავზე არსებულ ტემპერატურასთან და ჩრჩილებიც ძირითადად მოძრაობენ სმელეთიდან ნულის თავზე. ნიერინენის კვლევა ასევე ითვალისწინებს, რომ მიგრაცია ყველაზე მაღალი იყო პოპულაციებიდან ყველაზე მაღალი სიმჭიდროვით, იმის მიუხედავად, რომ ეს შედეგები არადამაჯერებელი იყო, რადგან ჩრჩილებისა და პეპლების სიმჭიდროვეები ძნელი განსასაზღვრია.

## სსის ეფექტი


როგორც უკვე ვნახეთ, მეტაპოპულაციის მარტივი მოდელების ერთ-ერთი მოსაზრება არის ის, რომ პეტჩები ან შეიცავენ პოპულაციას (ათვისებული) ან – არა (გადაშენება). მეტაპოპულაციათა ზოგიერთი მოდელი არბილებს ამ მოსაზრებას და ითვალისწინებს პოპულაციების ინდივიდუალურ დემოგრაფიას. ეს უფრო პროგრესული მოდელები გვაწვდიან გზას ადგილობრივი პოპულაციების ფლუქტუაციისა და სტაბილურობის გაგებისთვის რეგიონალური პროცესებთან კონტექსტში. კერძოდ, ისინი გვთავაზობენ კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი ხდება იმის განხილვა, თუ როგორ შეუძლია პოპულაციის კავშირს სხვა პოპულაციებთან მიგრაციის საშუალებით გავლენა მოახდინოს მის დინამიკაზე.

სტეისიმ და ტაპერმა (1992) გამოიკვლიერს ეს საკითხი მთელი რიგი დემოგრაფიული ცვლადების (როგორცია ნლიური რეპროდუქციული წარმატება და ახალგაზრდებისა და ზრდასრულების გადარჩენა) განხილვისას კოდალა ელანერპეს ფორმიცივორუს-

ის იზოლირებულ პოპულაციაში ცენტრალური ნიუ მექსიკოს მთებში. წინა კვლევებიდან ცნობილი იყო, რომ ეს და სხვა ცვლადები განიცდიდნენ მნიშვნელოვან წლიურ ცვლილებას (დემოგრაფიული სტოქასტიკურობა) ადგილობრივი გარემოებითი სტოქასტიკურობის შედეგად, ეკრძოდ, ნალექიანობასთან მიმართებაში. სიმულაციის ტექნოლოგიების გამოყენებით, სტეისიმ და ტაპერმა აღმოჩინეს, რომ თუ კოდალას პოპულაცია მიიჩნეოდა სრულიად დახურულად იმიგრაციისთვის, მოსალოდნელი იყო მისი გადაშენება 20 წელზე ნაკლებ პერიოდში (ნახ. 17-11ა). გადაშენებას ადგილი ექნებოდა სულ მცირე, ყველაზე ნაკლებრეპროდუქტიული წლის გამოც კი. თუმცადა სიმულაციის მოდელთან კიდევ უფრო მეტმა მუშაობამ გვიჩვენა, რომ პოპულაციაში მიგრაციის დაბალი დონეც კი საოცრად გაზრდიდა პოპულაციის მდგრადობის დროს (ნახ. 17-11ბ). ამგვარი შემთხვევები, სადაც მიგრაცია ხელს უშლის პოპულაციას საბოლოო გადაშენებამდე კლებისგან, ახდენენ ისეთი ფენომენის დემონსტრირებას, რომელსაც ხსნის ეფექტი ენოდება. კოდალას პოპულაცია დაცულია ფლუქტუაციისგან იმდენად, რომ არ გადაშენდეს, ის „დახსნილია“ გადაშენებისგან სხვა პოპულაციიდან იმიგრაციის საშუალებით.

ხსნის ეფექტმა შეიძლება ძნელი გახადოს იმის განსაზღვრა, არის თუ არა ადგილობრივი პოპულაცია მეტაპოპულაციის ნაწილი, რადგანაც მიგრაციამ შეიძლება შეაჩეროს ადგილობრივი გადაშენების დაწყება. გადაშენება-ხელახალი კოლონიზაციის მოვლენები, მთავარი მოვლენები მარტივ მეტაპოპულაციებში, შეიძლება ჩანაცვლებულ იქნან პროცესებით, რომლებშიც ინდივიდუალური ადგილობრივი პოპულაციები აჩვენებენ ყოველწლიურ ცვლილებას ზომაში, მაგრამ ნარჩუნდებიან დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში (Stacey et al. 1997). ხსნის ეფექტი არ არის აუცილებელი, რომ ერთმიმართულებიანი იყოს, როგორც მყაცრ „წყარო-ჩასადენი ავზი“ მოდელებში ან კონტინენტი-კუნძული მოდელებში. მეტაპოპულაციებში, რომლებშიც ადგილობრივი პოპულაციების ზრდის ტემპები ძლიერ ცვლადია, გარკვეულმა პოპულაციამ შეიძლება შეასრულოს მიგრანტების წყაროს როლი და ამით იხსნას სხვა პოპულაციები წლებში, როდესაც მისი ზრდის ტემპები მაღალია და შემდეგ თავად გახდეს ხსნის ობიექტი სხვა პოპულაციის მხრიდან, რომელსაც უფრო მაღალი ზრდის ტემპი აქვს იმ წლებში, როდესაც მისი ზრდის ტემპები დაბალია.


სტეისიმ და სხვებმა (1997) განსაზღვრეს რიგი ბუნებრივი პოპულაციებისა, რომლებიც ავლენენ ხსნის ეფექტს. პეტჩებში პეპლების მრავალი სახეობა არსებობს. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის პეპლე უპჰიდრეს-ას გავრცელება ასახავს იმ მცენარის პეტჩიბრივ გავრცელებას, რომლებზეც სპეციალიზდებიან ეს პეპლები. ამ პეპლებზე მთელი რიგი მეცნიერების დაკვირვებამ აჩვენა,



(b)

**ნახ. 17-11** ცენტრალური ნიუ მექიკოს კოდალა ელანგრეპეს ფორმიციონურს-ის პოპულაციში პოპულაციის ზომის სიმულაცია. დემოგრაფიული პარამეტრები წინა კვლევებიდან გამოყენებულ იქნა სიმულაციის კონსტრუქტორებსთვის. (ა) პროექტირებული პოპულაციის ტენდენცია, თუ მიჩნეულია, რომ პოპულაცია არავითარ მიგრანტებს არ იღებს. (ბ) ნებების რაოდენობა, რომელთა განმავლობაშიც ნავარაუდევია, რომ პოპულაცია იარსებებს სხვადასხვა მიგრაციულ დონეებზე. ეს ნახატები გვიჩვენებენ, რომ მცირე რაოდენობის მიგრანტებიც კი იხსნიან პოპულაციას გადშენებისგან. (From Stacey et al. 1997.)

რომ იმ დროს, როდესაც ადგილობრივი პოპულაციების სიმჭიდროვე შეიძლება მკვეთრად მერყეობდეს, პოპულაციები როგორც წესი ნარჩუნდებიან. ამ პეპლების პოპულაციებს შორის გენეტიკური მრავალფეროვნების კვლევები გვიჩვენებენ, რომ პეტერზიგობულობის შედარებით მაღალი დონე ადგილობრივ პოპულაციებში შენარჩუნებულია (Brussard and Vawter 1975, Debinski 1994). ერთად აღებული ეს მონაცემები გულისხმობენ, რომ ადგილობრივი პოპულაციების გადაშენებისგან გადასარჩენად ამ პეპლების ქვეპოპულაციებს შორის საკმარისი მიგრაცია იჩენს თავს.




**ნახ. 17-12** ურთიერთდაკავშირებული გადაშენების სქემაზე ურთიერთდაკავშირებული გადაშენების მარტივ, ორპოპულაციურ მეტაპოპულაციაში. (ა) ორი მეტაპოპულაცია, რომელიც სინქრონიზებულია თავიანთ რეაქციებში გარემო ფლუქ-ტუაციებზე, შეიძლება ერთდორულად განიცდიდეს შემცირებას სიმჭიდროვეში, რითაც ზრდის ალბათობას, რომ მეტაპოპულაცია, როგორც ასეთ, გადაშენდება. (ბ) ოუ პოპულაციის დემოგრაფიული პოპულაციები მოქმედებენ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად ერთმანეთისგან, მაშინ დგება ისეთი შემთხვევა, სადაც ერთი პოპულაცია განიცდის შემცირებას სიმჭიდროვეში და მეორე კა არა. ამ შემთხვევაში მეტაპოპულაცია შეიძლება შენარჩუნდეს ხსნის ეფექტის საშუალებით. დამოუკიდებელი პოპულაციის დინამიკა ზრდის მეტაპოპულაციის შენარჩუნების დროს.

### ურთიერთდაკავშირებული გადაშენება

მოდით, დავუბრუნდეთ გადაადგილების ხასიათის კონტინუუმის იდეას სივრცობრივად სტრუქტური-რებულ პოპულაციებში. მეტაპოპულაციები განისაზღვრებიან ისეთებად, რომლებიც ავითარებენ საპინადრო პეტჩებს შორის გადაადგილების შუალედურ დონეს. ადგილობრივი პოპულაციის დემოგრაფიულმა დინამიკამ, შეიძლება, გავლენა მოახდინოს გადაადგილებაზე. მაგალითად, სოციალური ინტერაქციებისა და რესურსების შეზღუდვის გამო, ემიგრაცია შეიძლება უფრო დიდი იყოს ძალიან მჭიდრო პოპულაციებიდან, ვიდრე მცირე სიმჭიდროვის პოპულაციებიდან. მეტიც, ბუნებაში დემოგრაფიული დინამიკა შეიძლება განსხვავდებოდეს ადგილობრივ პოპულაციებს შორისაც. ამრიგად, იმიგრაციისა და ემიგრაციის კოეფიციენტები შეიძლება იყვნენ პეტჩ-სპეციფიკურნი (Sutcliffe et al. 1997a,b). ეს სიტუაცია გავლენას მოახდენს მთლიანად მეტაპოპულაციის შენარჩუნებაზე.

ნახ. 17-12 აღნიერს მარტივ მეტაპოპულაციას მხოლოდ ორი პეტჩით, რომელთაგან ორივე ათვისებულია და რომლებშიც თითოეული ადგილობრივი პოპულაციის სიმჭიდროვე წარმოადგენილია პეტჩის



**ნახ. 17-13** გადაშენებისა (მნახუ სვეტები) და კოლონიზაციის (შავი სვეტები) პეტჩების *Aphantopus hyperantus*-ის მეტაპოპულაციაში მონაცემების ეროვნულ ნაკრძალში კემპრიჯშირში, ინგლისი 1974-1991 წლებში. ასევე ნაჩვენებია ნანილის საშუალო რიცხვი, სადაც პეტჩების მიერთებულ იქნა შენიშვნით (ფერადი მრუდი). დრამატულ კლებას ჰქონდა ადგილი 1977 წელს, გვალების შემდეგ. პოპულაციამ გამოავლინა მაღალი დონის კორელაცია თავის რეაქციებში გარემოსთან. (From Sutcliffe et al. 1997.)

აღმნიშვნელი წრის ზომით. ვთქვათ, სიმჭიდროვე კორელაციაში მოდის გარემოებით პირობებთან, ანუ სიმჭიდროვე ადეკვატურად რეაგირებს გარემოებით სტოქასტიკურობაზე. თუ თითოეული ადგილობრივი პოპულაციის სიმჭიდროვე რეაგირებას მოახდენს გარემო ცვლილებაზე ერთნაირად, მაშინ ისინი ორივენი გაიზრდებიან, როდესაც პირობები კარგია და შემცირდებიან, როდესაც პირობები ცუდია. ახლა მოდით, ვიგულისხმოთ, რომ ემიგრაცია კორელაციაში მოდის სიმჭიდროვესთან და უფრო დიდი ემიგრაცია ნებისმიერი პოპულაციიდან ზრდის ერთი პეტჩიდან მეორეში გადაადგილების ალბათობას. ამგვარ სიტუაციაში მეტაპოპულაცია შეიძლება დადგეს საფრთხის ნინაშე დაბალი სიმჭიდროვის დროს, რადგან ორივე პოპულაცია გახდება ზედმეტად მცირე იმისთვის, რომ განახორციელოს გადაადგილება ურთიერთშორის (ნახ. 17-12ა). თუ შედეგად პოპულაციები გადაშენდებიან ამ სიტუაციას ეწოდება ურთიერთდაკავშირებული გადაშენება (Harrison and Quinn 1989, Gilpin 1990).

ახლა მოდით, ვივარაუდოთ, რომ ორი პოპულაცია ერთიმეორისგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელია, ანუ სიმჭიდროვე არ მოდის კორელაციაში გარემოებით ფლუქტუაციასთან და ერთი პოპულაცია შეიძლება გაიზარდოს იმ დროს, როცა მეორე მცირდება (ნახ. 17-12ბ). თუ ეს მოხდებოდა, ემიგრაცია უფრო მაღალი სიმჭიდროვის მქონე პოპულაციიდან შეიძლება საკმარისი იყოს მცირე პოპულაციის შენარჩუნებისთვის ხსნის ეფექტის საშუალებით და მეტაპოპულაცია მთლიანად შენარჩუნდებოდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ორი დამოუკიდებელი პოპულაცია შეიძლება შემთხვევით ერთდროულად შემცირდეს სიმჭიდროვეში, შეემნას რა სიტუაცია როგორიც ნაჩვენებია ნახ. 17-12ა-ში, სადაც მეტაპოპულაცია საფრთხის ნინაშე დგება. თუმცა ზოგადად, როდესაც პოპულაციის დემოგრაფიული დინამიკა დიდად დამოუკიდებელია ერთიმეორისგან, მეტაპოპულაციას შენარჩუნების უკეთესი შანსი აქვს (Harrison and Quinn 1989, Gilpin 1990).


ამგვარი კორელირებული დინამიკა შესწავლილი ქნა პეპელა პჰანტოპუს ჰყპერანგტუს მეტაპოპულაციებში, რომლებიც ბინადრობენ მუხის ტყეებში კემბრიჯშირის მონქსვედის ეროვნულ ნაკრძალში, ინგლისში (Sutcliffe et al. 1997b). მონქსვედის პეპლების დაწვრილებითი აღნერა მიმდინარეობდა 1973 წლიდან. 0,5 კმ<sup>2</sup>-იანი არეალი დაყოფილი იქნა თოთხმეტ განსხვავებულ ნაწილად. ყოველ კვირას პეპლების ყველა სახეობის ინდივიდების დათვლა ხორციელდებოდა თითოეულ ნაწილში. თუ გარკვეულ ნაწილში გარკვეული სახეობის პეპლის არც ერთი ინდივიდი არ შეინიშნებოდა მაშინ, როცა წინა წელს ეს სახეობა იქ იყო, ცხადი ხდებოდა, რომ ამ ნაწილში გადაშენებას ჰქონდა ადგილი. როდესაც წინა წელს აუთვისებელი ნაწილი ათვისებული ხდებოდა, ითვლებოდა, რომ ადგილი ჰქონდა კოლონიზაციას. . ჰყპერანგტუს-

ის გადაშენება-კოლონიზაციის დინამიკა გვიჩვენებს გარემოსთან სინქრონიზაციის მაღალ დონეს. ნახ. 17-13-ზე ჩანს ნანილთა რიცხვი, რომლებიც ავითარებენ გადაშენებებსა და კოლონიზაციებს 3 წლის პერიოდის განმავლობაში. ნახატი გვიჩვენებს დრამატულ მოვლენას 1977-1979 წლებში, რა დროსაც გადაშენებებმა დიდად გადაწონეს კოლონიზაციები. ეს პერიოდი მოჰყვა სასტიკ გვალვას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1976 წელს. გადაშენების მაღალი დონე გვალვის მომდევნო წლებში აღნიშნავს ურთიერთდაკავშირებულ გადაშენებას. კოლონიზაციაში გადააჭარბა გადაშენებას 1980-1982 წლებში, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეტაპოპულაცია გაუმჯობესდა გვალვის შემდეგ. ამგვარი გაუმჯობესება შეიძლება არ ყოფილიყო პეპლებისთვის ხელსაყრელი, ჩრდილიანი საბინადრო გარემო საკამო სიახლოვეს რომ არ ყოფილიყო ერთმანეთთან, რათა მიეცათ პეპლებისთვის მიგრაციის საშუალება პოპულაციის დაბალი სიმჭიდროვის პირობებშიც კი.

## 17.6 გაფაპოაულაციები განეტიკური ცვლილების დონეს განსაზღვრავს ურთიერთობა პოპულაციის მოცულობას, გადაშენებასა და კოლონიზაციას შორის

პოპულაციის კოლექტიური გენეტიკური ნაკრები ცნობილია მისი გენეტიკური სტრუქტურის სახელით. მეთოთხმეტე თავში გენეტიკური სტრუქტურის განხილვისას ჩვენ ხაზი გავუსვით პოპულაციის ზომის მნიშვნელობას. გენეტიკური ცვლილებები ბუფერის როლს ასრულებენ გარდაუვალი, მომავალი გარემო ცვლილების წინააღმდეგ და მცირე პოპულაციები განსაკუთრებით მოწყვლადია ამ უნარის დაკარგვისადმი. შემთხვევითი მოვლენებით გამოწვეულმა მერყეობამ შობადობისა და სიკვდილიანობის დონეებში შეიძლება დრამატულად შეცვალოს ალელების სიხშირე მცირე პოპულაციებში, რის გამოც ისინი განიცდიან უფრო სწრაფ შემცირებას გენეტიკურ ცვლილებაში დროთა განმავლობაში, ვიდრე დიდი პოპულაციები.

როგორია გენეტიკური ცვლილებების დინამიკა მეტაპოპულაციებში? ცვლიან თუ არა გადაშენებისა და კოლონიზაციის მოვლენები, რაც ახასითებს მეტაპოპულაციათა დინამიკას, პოპულაციის გავლენას გენეტიკურ ცვლილებასთან მიმართებაში? მაგალითად, შეინარჩუნებს თუ არა მეტაპოპულაცია მთლიანად გენეტიკური ცვლილების უნარს იმის მიუხედავად, რომ გენეტიკური დრეიფი შეიძლება მაღალი იყოს ადგილობრივ პოპულაციებში? ეს კითხვები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საფრთხის წინაშე არსებული სახეობებისთვის შენარჩუნებისას, რომლებიც ხშირად ბინადრობენ დანაწევრებულ საბინადრო გარემოში ან დაცულ არალებში, იზოლირებულ ბუნებრივ ნაკლრძალებში.



**ნახ. 17-14** სამ პეტჩიანნა მეტაპოპულაციაში, რომელთაგან სამი-გეს თავდაპირველად მაღალი ჰეტეროზიგოტულობა ახასიათებს ( $H$ ), შეიძლება დაკარგოს გენეტიკური მრავალფეროვნება გადაშენებული კოლონიზაციის განმეორებით კოლონიზაციის გამო. გადაშენების მოვლენები აღნიშნულია ნატეხებით მწვანე ხაზზე, ხელახალი კოლონიაცია – ვერტიკალური სარეზონი. პოპულაცია პირველ პეტჩში გადაშენდება მე-18 თაობისას და ხელახლა კოლონიზდება მე-20 თაობაში მე-2 პეტჩის ინდივიდების მიერ. რადგანაც ხელახლი კოლონიაცია მოიცავს მხოლოდ მცირე რაოდენობის ინდივიდს, 1 პეტჩში ჰეტეროზიგოტულობის დონე მცირდება. მსგავს მოვლენას აქვს ადგილი 2 პეტჩში 47-ე თაობისას. მცირე გადაშენება და ხელახლი კოლონიაცია თავს იჩენს 1 პეტჩში 40-ე და 60-ე თაობებს შორის. 2 პეტჩიდან მოსული კოლონიზატორების შემცირებული გენეტიკური ცვლილების გამო, 1 პეტჩში ჰეტეროზიგოტულობის დონე ხდება 0-ის ტოლი. მომდევნო ხელახლი კოლონიზაციის მოვლენები, სადაც ი პეტჩი ( $H = 0$ ) ასრულებს წყარო პოპულაციის როლს, ინვევს მეტაპოპულაციას გენეტიკური ცვლილების გარეშე. (From Hedrick and Gilpin 1997.)

ისინი ასევე მნიშვნელოვანნი არიან პოპულაციათა გენეტიკისთვის, რომელიც დიდი ხანია, დაინტერესებულია პოპულაციებს შორის გენთა დინების საკითხით და პროცესებით, რომელიც თავს იჩენს გენეტიკური დიფერენციაცია პოპულაციებს შორის, რაც ცენტრალური კოცეფციაა სახეობათა ჩამოყალიბებაში.

მეტაპოპულაციის გენეტიკური სტრუქტურა მოიცავს ადგილობრივი პოპულაციების მთლიან თანასაზოგადოებას, რომელიც არსებობენ საბინადრო პეტჩებში და არა ერთეულ ადგილობრივ პოპულაციას. ჩვენ ხაზი გავუსვით, რომ მეტაპოპულაციის განმასაზღვრელი მახასიათებელი არის პეტჩებს შორის მიგრაციის შუალედური დონის არსებობა. საბინადრო პეტჩების ერთობლივა, რომლებშიც პეტჩებს შორის გადაადგილება ექსტენსიურია, შეიძლება მიჩნეულ იქნას ერთ პოპულაციად და ჩვენ არ მოველით დიდი გენეტიკური ცვლილების შემჩნევას ამგვარი პოპულაციის სივრცობრივ კომპონენტებს შორის. იქ, სადაც ლანდშაფტის მახასიათებლები ხელს უშლიან გადაადგილებას საბინადრო პეტჩებს შორის (იხ. ნახ. 17-16), ან იქ, სადაც სახეობათა გაფანტვის შეზღუდული შესაძლებლობა ხელს უშლის პეტჩებს შორის ინდივიდების გაცვლას, ჩვენ

მოველით ადგილობრივ პოპულაციებს შორის უფრო დიდ გენეტიკურ დიფერენციაციას. მეტაპოპულაციებში ჩვენ მოველით ადგილობრივ პოპულაციებს შორის გენეტიკური დიფერენციაციის შუალედურ დონეს, რადგან იქ გენთა დინების შუალედური დონეა.

დონე, სადამდეც გენეტიკური ცვლილება ნარჩუნდება მეტაპოპულაციაში, დამოკიდებულია პეტჩის ზომას, გადაშენებისა და კოლონიზაციის ტემპებს შორის ურთიერთობაზე. ზოგადად რომ ვთქვათ, მთლიანი გენეტიკური ცვლილება იზრდება პოპულაციის ზომის ზრდასთან ერთად. ამრიგად, ჩვენ შეიძლება მოველოდეთ, რომ მეტაპოპულაციებს, რომლებშიც ინდივიდები გადანაწილებული არიან მცირე პოპულაციებს შორის ან სადაც ადგილი აქვს პოპულაციის ზომის დიდ ცვალებადობას, ექნებათ ნაკლები გენეტიკური ცვლილება ისეთებთან შედარებით, სადაც ერთი და იგივე რაოდენობის ინდივიდები განლაგებული არიან უფრო ნაკლები რაოდენობის, მაგრამ დიდ პოპულაციებში. ზოგადად, ადგილობრივ პოპულაციებს შორის ინდივიდების მოძრაობა ამცირებს გენეტიკურ ცვლილებას. მიგრაციის ზოგიერთი სისტემა ინვევს უფრო მეტ გენეტიკურ ცვლილებას, ვიდრე სხვები (Whitlock 1992). მეტაპოპულაციები, რომლებშიც ადგილობრივ პოპულაციებს აქვთ მიგრაციის მსგავსი კოეფიციენტი, ავლენენ ნაკლებ გენეტიკურ ცვლილებას, ვიდრე ისინი, სადაც ზოგიერთ ადგილობრივ პოპულაციას მიგრაციის ძალიან მაღალი კოეფიციენტი აქვს, ზოგს კი, ძალიან დაბალი.

იმის დემონსტრირებისთვის, თუ როგორ შეუძლია მეტაპოპულაციათა დინამიკას გავლენა მოახდინოს გენეტიკურ ცვლილებაზე, მივმართოთ მარტივ სიმულაციას, რომელიც პირველად შეასრულა გილპინმა (1991) და შემდეგ კი იგი აღნერილ იქნა ჰერდრიკისა და გილპინის მიერ (1997). ნარმოიდგინეთ მეტაპოპულაცია, რომელიც შედგება სამი პოპულაციისგან. ისინი თავის მხრივ განლაგებული არიან 1, 2, და 3 პეტჩებში. თითოეული პოპულაცია ინვეს სიმულაციას 500-ის ტოლი პოპულაციის ეფექტური ზომით, რომელიც უდრის პოპულაციაში ინდივიდების რეალურ რიცხვს (ანუ, სიმულაციის მიზნებისთვის  $N_e = N$ , ეს სიტუაცია აღწერილია ნახ. 14-16ა-ში). მოდით, ახლა მივიჩნიოთ, რომ თითოეულ პოპულაციას დასასაზისში ჰეტეროზიგოტულობის მაღალი დონე აქვს, რაც აღნიშნავს არსებით გენეტიკურ ცვლილებას (ნახ. 17-14). ლევინსის მეტაპოპულაციათა მარტივი მოდელის მიხედვით, პოპულაცია შეიძლება გადაშენდეს და მისი პეტჩი ხელახლა იქნას კოლონიზირებული ინდივიდების მიერ სხვა პოპულაციიდან. რადგანაც კოლონიზაციას, როგორც წესი, ძალიან ცოტა ინდივიდი შეჰყავს აუთვისებელ პეტჩში, ახლად კოლონიზირებული პეტჩის გენეტიკური მრავალფეროვნება მცირე იქნება დამარსებლის ეფექტის გამო. ამგვარი გადატრიალების

მოვლენა, შედეგად პეტეროზიგოტულობის კლებით, ნაჩვენებია ნახ. 17-14-ში, როდესაც პოპულაცია პირველ პეტჩი გადაშენდება მე-18 თაობის პერიოდში და პეტჩი ხელახლა ხდება კოლონიზირებული ინდივიდების მიერ მეორე პეტჩიდან მე-20 თაობის პერიოდში, რაც გამოიწვევს პირველ პეტჩი დაბალ H-ს.

ამ ძირითადი დინამიკიდან გილპინმა (1991) გვიჩვენა, რომ თუ კოლონიზაცია შეზღუდულია ძალიან მცირე რაოდენობის ინდივიდით (სიტყვაზე, ერთი განაცოფიერებული მდედრი) დარღვევის გარკვეულმა ნიშნებმა შეიძლება გამოიწვიოს მეტაპოპულაციაში მრავალი ინდივიდის არსებობა, მაგრამ არსებითად არავითარი გენეტიკური ცვლილება. იმის სანახავად, თუ როგორ შეიძლება ეს მოხდეს, ყურადღება გავამახვილოთ მოვლენებზე, რომლებიც იწყება 48-ე თაობის დასაწყისში ნახ. 17-14-ში. პოპულაცია მე-2 პეტჩი გადაშენდება და პეტჩი ხელახლა ხდება კოლონიზირებული 51-ე თაობის მხოლოდ ორი ინდივიდის მიერ მე-3 პეტჩიდან, რაც შედეგად იწვევს ძალიან დაბალ -ს. პოპულაცია პირველ პეტჩი, რომელიც მეორეჯერ გადაშენდა მე-40 თაობაში, ხელახლა კოლონიზდება 55-ე თაობის ერთი ინდივიდის მიერ ახლად კოლონიზირებული მე-2 პეტჩიდან და იღებს ნულის ტოლ გენეტიკურ მრავალფეროვნებას. საბოლოოდ, გადაშენების მოვლენები მე-2 და მე-3 პეტჩებში იწვევენ შემთხვევას, სადაც მთლიანი მეტაპოპულაცია რჩება გენეტიკური ცვლილების გარეშე.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ზემოთ მოყვანილი მაგალითი უკიდურეში შემთხვევაა. მთელი რიგი ფაქტორებისა განსაზღვრავენ მეტაპოპულაციაში გენეტიკური ცვლილების დონეს, მათ შორის (1) ინდივიდთა მაქსიმალური რიცხვი, რომლებიც შეიძლება დამოუკიდებლად იქნან უზრუნველყოფილი პეტჩი (გადატანითი შესაძლებლობა), (2) მეტაპოპულაციებში დარღვევის სიჩქარე, (3) პოპულაციათა წყებაში კოლონიზაციის წყაროთა რიცხვი, (4) მეტაპოპულაციაში პეტჩების სრული რაოდენობა და (5) პეტჩებს შორის გენთა დინების ტემპები. გილპინმა და ნედრიკმა (1997) გამოიყენეს კომპიუტერული სიმულაციები მეტაპოპულაციებში გენეტიკური ცვლილებების განსაზღვრაში ყველა ამ ფაქტორის შედარებითი მნიშვნელობის დასადგენად.

## **17.7 სამყარო არსებობს როგორც საარსებო გუცემის გაემოთა მოზაიკა – სახელად ლაცლაციტი**


ერთგვაროვანი, ჰომოგენური საბინადრო გარემო, რომელიც გადაჭიმულია დიდ არეალზე, უბრალოდ არ არსებობს. აღმოსავლეთ პერუს ვრცელ ამაზონის წვიმიან ტყებიც კი სატელიტურმა ფოტოებმა გამოავლინეს ორმოცდათზე მეტი ფაქიზად და არც

ისე ფაქიზად განსხვავებული ტიპის ტყეები, რომლებიც მერყეობენ 10 მეტრიდან კილომეტრებამდე მანძილებზე. ნიადაგის მრავალფეროვანმა კვლევებმა, რომლებიც კოორდინირებულ იქნენ სატელიტურ გამოსახულებებთან, გვიჩვენეს, რომ ტყეებში ხეების გავრცელება რეაგირებდა მცირე ცვლილებებზე დრენაჟში, ნიადაგასა და მრავალ სხვა მოვლენაზე. ის, რომ ამგვარ დაკვირვებებს დიდი გავლენა ჰქონდათ ეკოლოგების ხედვასა და წარმოდგენებზე ბუნებრივი სამყაროს შესახებ, გამოხატულია ეკოლოგიის ქვესფეროში, ლანდშაფტის ეკოლოგიაში (Forman and Gordon 1986, Turner 1989, იხ. მე-9 თავი). ლანდშაფტის ეკოლოგია შეისწავლის მეტაპოპულაციების დინამიკის იმ იდეების მსგავს პრობლემებს, რომელიც ჩვენ ამ თავში განვიხილეთ და მნიშვნელოვანია, რომ გავაცნობიეროთ ეკოლოგიაში კვლევის ამ ორი არეალის განსხვავებული წარმომავლობა და ფოკუსები.

ლანდშაფტის ეკოლოგიის სფერო ჯერ კიდევ არ არის კარგად განსაზღვრული, ნაწილობრივ იმ ფაქტის გამო, რომ მისი ცნებები წარმოშობილია ისეთი გაბნეული სფეროებისგან, როგორიცაა ლანდშაფტის არქიტექტურა, მინათსარგებლობის პოლიტიკა, სოციოლოგია, ადამიანის გეოგრაფია, რესურსების მენეჯმენტი, სივრცობრივი სტრუქტურის ანალიზი და ცხადია, ეკოლოგია. თუმცა ოთხი პრინციპი, როგორც ჩანს, ფუნდამენტურია ლანდშაფტის ეკოლოგიისთვის (Wiens 1997). პირველი, საბინადრო გარემოს ან ცალკეული ეკოსისტემის პეტჩები შეადგენენ ლანდშაფტს – ლანდშაფტის მოზაიკის ელემენტება ასეც ვუწოდოთ) იცვლებიან თავისი ხარისხით როგორც სივრცობრივად, ისე დროში. მახასიათებლები იმ პეტჩებისა, რომელშიც ორგანიზმი ბინადრობს, შეიძლება შეიცვალონ დროსთან ერთად ან ახალი პეტჩი, სადაც ეს ორგანიზმი ან მისი ნაშიერი გადავა, შეიძლება ხელსაყრელი, თუმცა განსხვავებული იყოს იმისგან, რომელიც მათ ახლახანს დატოვეს. მეორე, არსებობს საზღვრები პეტჩებს შორის. საზღვრების გავლენა ორგანიზმების და ნივთიერებათა მოძრაობაზე შეიძლება საკმაოდ გადამწყვეტი იყოს და იმოქმედოს პროცესებზე, რომლებსაც ადგილი აქვს როგორც თავად პეტჩებში, ისე მათ შორის. მესამე, საზღვრების გალენასთან კავშირში, ორგანიზმებისა და ნივთიერებების გადაადგილება ლანდშაფტის ელემენტებს შორის განსაზღვრავენ ამ ელემენტების კავშირს. დაკავშირების ხარისხი როგორც ჩანს, ძალიან მნიშვნელოვანია ლანდშაფტზე გამდინარების უფერის განსაზღვრავების განსაზღვრავების მაგალითად, გამდიზინებელს შეიძლება ჰქონდეს უფრო ძლიერი ეფექტი მაღალდაკავშირებული პეტჩების ლანდშაფტში. და ბოლოს, გარკვეული პეტჩის მახასიათებლები და დინამიკა დამოკიდებულია მის ადგილმდებარეობაზე მთლიანად მოზაიკის სტრუქტურაში. იმაზე, თუ რა შედის ერთ პეტჩი გავლენას ახდენს მეზობელ პეტჩებში მომხდარი აქტივობა.

სწორედ ის ექსპლიციტური გზა, სადაც საბინადრო პეტჩურობის მასშტაბი და საბინადრო გარემოს სივრცების მოწყობილობა არის განხილული, განასხვავებს ლანდშაფტის ეკოლოგიას ეკოლოგიური თეორიის სხვა ტიპებისგან. ლანდშაფტში პეტჩურობის მასშტაბს შეუძლია ძლიერი გავლენა მოახდინოს პოპულაციაზე, ის ზემოქმედებს ხელსაყრელი საბინადროს განანილებასა და ხარისხზე. ერთი სახის საბინადრო გარემოს ხარისხი შეიძლება შეიცვალოს ახლომახლო სხვა ტიპის საბინადროს არსებობით. ერთი საბინადრო გარემოს ხარისხი შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ სხვა პეტჩების ლანდშაფტი იძლევა ისეთ რესურსებს, როგორიცაა ფესვის სისტემა, საბუდებელი მასალები, დამტკერავები და წყალი. სხვა სახის მეზობელი საბინადრო პეტჩები შეიძლება გახდეს სერიოზული დაბრკოლება, თუ ისინი იფარავენ მტაცებლებსა და დაავადებათა გამომწვევ ორგანიზმებს. მაგალითად, აღმოსავლეთ და შუადასავლეთ აშშ-ს ტერიტორიის უმეტეს ნანილზე ტყის ფრაგმენტაციამ ტყის ფრინველთა პოპულაციები კონტაქტში მოივანა პარაზიტულ ყავისფერთავიან ხარჩიტასთან (*Molothrus*), რომელიც თავის კვერცს დებს სხვა სახეობათა ბუდეში და დიდად ამცირებს მტარებლების რეპროდუციულ ნარმატებას. ხარჩიტებს ურჩევნიათ, ფერმებისა და მინდვრების საბინადრო გარემო, მაგრამ არც ტყეებში შესვლაზე ორჭოფობენ, რათა მოძებნონ ბუდები, რომ პარაზიტებით დააინფიცირონ. შედეგად, მრავალი ტყის ფრინველის პოპულაცია შემცირდა ლანდშაფტის მაღალი პეტეროგენულობის არეალებში.

ჩრდილოეთ კალიფორნიის უსტუარიებში მობინადრე ორსაგდულიანი მოლუსკის სავარცხელას (*Pecten*) პოპულაციათა ექსპერიმენტალური კვლევა გვიჩვენებს პეტჩურობის მნიშვნელობას საზღვაო გარემოში მიმდინარე პოპულაციის პროცესებისთვის (Irlandi et al. 1995). თევზების, ცისფერი კიბორჩხალების, ზღვის ვარსკვლავების მიერ ახალგაზარდა მოლუსკებზე ნადირობა გაცილებით მაღალი იყო




ნახ. 17-15 მტაცებლობის დონე თომ კვირიანი პერიოდის განმავლობაში ახალგაზრდა მოლუსკებზე. (From Irlandi et al. 1995)

ზღვის ბალახის პეტჩურ არეალებში, ვიდრე ზღვის ბალახის ვრცელ არეალებში, იმის მიუხედავად, რომ ინდივიდუალურად მოლუსკის უშუალო გარემო ერთნაირი იყო ყველა შემთხვევაში (ნახ. 17-15). საბინადრო არეალის სასაზღვრო რაიონი პეტჩობრივ არეში როგორც ჩანს ხელმისაწვდომს ხდის მტაცებლებისთვის ზღვის ბალახის საბინადრო გარემოს შემადგენლობას, ისევე როგორც ტყის კიდე ხელმისაწვდომს ხდის ხარჩიტასთვის ბუდობას.


მოლუსკების მაგალითი მიგვანიშნებს ინტერაქციათა კომპლექსურობაზე გარემოს ფიზიკურ მახასიათებლებს შორის და ბიოლოგიური ინტერაქციების კომპლექსურობაზე გარემოს ორგანიზმებს შორის. როდესაც საბინადრო პეტჩების ხარისხი იცვლება, ინდივიდები განლაგდებიან ლანდშაფტზე გარემოებათა ხელსაყრელობის მიხედვით. როდესაც ორგანიზმებს აქვთ სრული ცოდნა პეტჩის ხარისხის შესახებ და არჩევანის სრული თავისუფლება, ჩვენ მოველით, რომ ისინი დაიკავებენ ან ექსპლუატაციას გაუწევენ პეტჩებს მათი ხარისხის პირდაპირპოპორციულად. ანუ პეტჩები რესურსების ყველაზე მაღალი დონით ყველაზე მეტ მომხმარებელს მიიზიდავენ. მაგრამ საბინადრო პეტჩის ხელსაყრელობა დამოკიდებულია არა მარტო მის თანდაყოლილ მახასიათებლებზე, არამედ ასევე პეტჩში მობინადრე სხვა ინდივიდების სიმჭიდროვეზე. პეტჩი ნაკლებად მიმზიდველი ხდება ახლადდასახლებულთათვის, როდესაც მისი ექსპლუატაციორების რიცხვი მატულობს, ისევე როგორც მამრი ფრინველის ტერიტორია ნაკლებად მიმზიდველი ხდება მდედრებისთვის, თუ მას უკვე ჰყავს პარტნიორი. დაკავებულ პეტჩებში, როგორც წესი, ნაკლები რესურსია დარჩენილი, ვიდრე დაუკავებელ პეტჩებში. მეტიც, კონკურირებადი ინდივიდების არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს ძვირად ლირებული ბიჟევიორისტული კონფლიქტები.

### ურთიერთობა ლანდშაფტისა და მეტაპოპულაციების კონცენტრირებებს შორის

თქვენ ალბათ უკვე აღმოაჩინეთ რამდენიმე მსგავსება მეტაპოპულაციების კონცეფციასა და ლანდშაფტის კონცეფციას შორის. ორივე მოიცავს ინტერაქციებს საბინადრო პეტჩების წყებებს შორის. იმის მიუხედავად, რომ ამ ორი კონცეფციის შერწყმა მოგვაწვდიდა ახალ და აღმაფრთოვანებულ აღმოჩენებს ბუნებრივ სამყაროში, კერძოდ შენარჩუნების ბიოლოგიასთან მიმართებაში (Hanski and Simberloff 1997, Wiens 1997), ეს ორი კონცეფცია სამნუხაროდ დღეს აღიარებულია უფრო თავიანთი განსხვავებით, ვიდრე იმ გზებით, რომლითაც ისინი ავსებენ ერთმანეთს. მნიშვნელოვანი განსხვავება ორ იდეას შორის არის იმაში, თუ როგორ აღიქვამებ ისინი ფონური საბინადრო გარემოს მატრიცას.



(ა)



(ბ)

თქვენ გაიხსენებთ ლევინსის მეტაპოპულაციათა მოდელს ჩვენი აღწერიდან, სადაც საბინადრო პეტრები განლაგებულია არახელსაყრელი საბინადრო გარემოს მახასიათებელ შტრიხებს მოკლებულ მატრიცაზე. მეტაპოპულაციის დინამიკა ნარმოადგენს ბალანსს გადასცენებასა და კოლონიზაციას შორის პეტრების წყებაში. ლევინსის მოდელის გაძლიერებული ვარიანტები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ როგორ ურთიერთქმედებენ საბინადრო პეტრები და რა ხდება პეტრების შეინით და არა პეტრებს შორის არეალის მახასიათებლებსა და დინამიკაში, რაც ჰომოგენურად არის მიჩნეული. ამისგან განსხვავებით, ლანდშაფტის კონცეფცია ხედავს საბინადრო გარემოს მოზაიკას, რომლის ფარგლებშიც პირობები მუდმივად იცვლება სივრცესა და დროში და რომელთა შორისაც არსებობს ორგანიზმებისა და მასალები გადინების შემზღვედავი საზღვრები. არ არსებობს მახასიათებელ შტრიხებს მოკლებული

**ნახ. 17-16** სქემატური გამო-სახულება მეტაპოპულაციისა და ლანდშაფტის კონცეფციების მთავარი განსხვავებებისა. (ა) მეტაპოპულაცია ხუთი საბინადრო პეტრით, რომელთაგან ოთხი ათვისებულია (მწვანე არეალები) და ერთი კი აუთვისებელი (თეთრი ლია არეალი). ისრები ნარმოადგენებს პეტრითაშორის გადაადგილებებს. მეტაპოპულაციათა კონცეფციის თანახმად, საბინადრო პეტრები თავს იჩენენ არახელსაყრელი საბინადრო გარემოს მახასიათებელ შტრიხებს მოკლებულ ფონზე (ვრცელი ნაცრისფერი არეალი). (ბ) იგივე მეტაპოპულაცია ზედდებული ლანდშაფტზე, რომელიც შედგება მრავალი სხვადასხვა საბინადრო გარემოს ტიპთა მოზაიკისგან, რომლებიც, როგორც ისრებით არის აღნიშნული, გავლენას ახდენენ პეტრითა შორის ინტერაქციებზე მეტაპოპულაციაში.

ფონი, რომლის ფარგლებშიც თავს იჩენს ხელსაყრელი საბინადრო. საბინადროს განლაგების ეს უფრო რეალური სურათი არის ერთ-ერთი მიზეზთაგანი იმისა, რომ ანალიტიკური თეორიის განვითარება ნელა მიმდინარეობს ლანდშაფტის ეკოლოგიაში. გამამარტივებელი მოსაზრებების გარეშე, რომლებიც ახასიათებენ მეტაპოპულაციათა კონცეფციას, ლანდშაფტის პროცესების ანალიტიკური მოდელის განვითარება ძნელია.

უინსი (1997) გვაწვდის ამ ორ კონცეფციას შორის განსხვავებებისა და შესაძლო კომპლექტარობის ცხად ნარმოდგენას (ნახ. 17-16). ნახ. 17-16 წარმოადგენს მეტაპოპულაციის კლასიკურ მოდელს, გვიჩვენებს რა ოთხ დაკავებულ, მიგრაციით დაკავშირებულ და ერთ დაუკავებელ პეტრს. ფონობრივი საბინადრო გარემო გავლენას არ ახდენს პეტრებს შორის ინდივიდთა გადაადგილებაზე, ესაა მეტაპოპულაციის მოდელის ერთ-ერთი იმპლიციტური

მოსაზრებათაგანი. ნახ. 17-16ბ-ში მეტაპოპულაციის სქემატური გამოსახულება ზედდებულია ლანდ-შაფტის ჰიპოთეტურ მოზაიკაზე, სადაც სხვადასხვა წერტილით აღნიშნული ნაწილები წარმოადგენენ პეტჩებს მოზაიკაში სხვადასხვა მახასიათებლებით. ნახატი გვიჩვენებს, როგორ შეიძლება მეტაპოპულაციაში პეტჩებს შორის ორგანიზმების მოძრაობაზე გავლენა იქონიოს ლანდშაფტმა. მაგალითად, ინდივიდების მოძრაობას პეტჩიდან პეტჩამდე ხელს უწყობს დერეფინის არსებობა, რომელიც გაშლილია ლანდშაფტის ცენტრში. ინდივიდების მოძრაობა პეტჩიდან -ში ხორციელდება სხვა გზების საშუალე-

ბით. შექმნიდათ თუ არა იმ დერეფინის მოშლა, რომლითაც პეტჩიდან იდნივიდები -ში გადაადგილდებოდნენ, შემთხვევას, სადაც გახდებოდა მეტაცრად წყარო პოპულაცია, ხოლო ჩასადენი ავზი? მეტაპოპულაციის დინამიკის შესახებ კიდევ სხვა მრავალი კითხვა შეიძლება დაისვას. მაგალითად, არის თუ არა პეტჩი ცარიელი იმიტომ, რომ შემცველი ნაწილები მას და ცენტრალურ საბინადროს შორის ახდენენ ინდივიდების გადაადგილების ბლოკირებას? დღეს-დღეისობით, თეორია, რომელიც მეტყველებს ამ ორი კონცეფციის ინტერაქციის შესახებ, არ არის კარგად განვითარებული.

## დასკვნა

**1. ეკოლოგები აღიარებენ, რომ სახეობებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო თავს იჩენს პეტჩებში, რომლებსაც გარს არტყია არახელსაყრელი საბინადრო არები. როდესაც პოპულაცია საბინადრო პეტჩებში (ხშირად მათ ადგილობრივ პოპულაციებს უწოდებენ) დაკავშირებულია ერთმანეთთან, მათ შორის, ინდივიდების გადაადგილების შუალედური დონით, ამ ადგილობრივ პოპულაციათა წყებას მეტაპოპულაცია ან „პოპულაციათა პოპულაცია“ ეწოდება.**

**2. ადგილობრივი პოპულაცია შეიძლება გადაშენდეს, რითაც თავიანთ საბინადრო პეტჩის დაუკაველს ტოვებს. დაუკავებელი პეტჩი შეიძლება კოლონიზებულ იქნას ინიდვიდების მიერ სხვა დაკავებული პეტჩებიდან. გადაშენების მოვლენას, რომელსაც ხელახალი კოლონიზაცია მოჰყვება, გადატრიალება ეწოდება. დროის მონაკვეთს, სანამ მეტაპოპულაციის ყველა ადგილობრივი პოპულაცია არ გადაშენდება მეტაპოპულაციის მდგრადობის დრო ეწოდება.**

**3. ლევინსის მოდელი წარმოადგენს გადაშენებისა და კოლონიზაციის დინამიკას იდეალიზებულ მეტაპოპულაციაში, სადაც ყველა პეტჩი მცირეა ან დაკავებულია პეტჩის გადატანითი შესაძლებლობის ( $N = K$ ) დონემდე, ან საერთოდ არ არის დაკავებული. ცვლილების ტემპი დაკავებული პეტჩების პროპორციაში მოცავმულია როგორც  $dP/dt = mp(1 - p) - ep$ , სადაც  $p$  არის მიგრაციის კოეფიციენტი და  $e$  არის გადაშენების კოეფიციენტი. მეტაპოპულაციების მოდელები წარმოადგენენ პეტჩის ათვისებულობას მაშინ, როდესაც ერთი პოპულაციის ლოგისტიკური მოდელები წარმოადგენენ პოპულაციის სიმჭიდროვის დინამიკას.**

**4. მეტაპოპულაციის მოდელები გაძლიერებულია მეტაპოპულაციათა სტრუქტურის ჩართვით. პოპუ-**

ლაციის ზომა, პეტჩის არეალი, პეტჩების სივრცობრივი განლაგება (პეტჩების სიმჭიდროვე) და პოპულაციის დემოგრაფიული თვისებები მეტაპოპულაციის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილებია. ზოგადად, მცირე, იზოლირებული პეტჩები უფრო მეტად განიცდიან გადაშენებას ან რჩებიან აუთვისებელი, ვიდრე დიდი პეტჩები, რომლებიც თავს იჩენენ სხვა პეტჩებთან სიახლოვეს. პეტჩის ზომამ შეიძლება მოახდინოს პეტჩის იზოლაციის კომპენსაცია ისეთნაირად, რომ გაზარდოს მეტაპოპულაციის შენარჩუნების ალბათობა.

**5. პეტჩების ათვისებულობის დონე ბუნებრივ მეტაპოპულაციებში შეიძლება მერყეობდნენ ფართოდ პეტჩის ხარისხის, დემოგრაფიული სტოქასტიქურობის ან გამლიზიანებლების არსებობის გამო.**

**6. ინდივიდუალური გადაადგილების ხასიათი გავლენას ახდენს მეტაპოპულაციის შენარჩუნებაზე. ზოგიერთ შემთხვევაში, მცირე პოპულაციები მეტაპოპულაციაში განიცდიან სხნას გადაშენებისგან იმიგრაციების ხშირი მიღებით უფრო მსხვილი პოპულაციებიდან. პოპულაციები, რომლებიც თავიანთი რეაგირებით კორელაციაში მოდიან გარემოს ფლუქტუაციებთან, შეიძლება განიცდიდნენ ერთდროულ კლებას ზომაში, რითაც საფრთხის წინაშე აყენებენ მთლიან მეტაპოპულაციას. მეტაპოპულაციები, რომლებიც მოიცავენ ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ პოპულაციებს, შეიძლება უფრო დიდი ხნით შენარჩუნდნენ, ვიდრე პოპულაციები, რომლებსაც ურთიერთდაკავშირებული დინამიკა აქვთ.**

**7. მეტაპოპულაციაში გენეტიკური ცვალებადობა დამოკიდებულია პოპულაციის ზომაზე, მოგრაციაზე, გადაშენებასა და კოლონიზაციაზე. პოპულაციის მცირე ზომა ზრდის გენეტიკურ ცვლილებას მეტაპოპულაციაში მაშინ, როდესაც ცვლილება მც-**

ირდება უფრო მაღალი მიგრაციის დროს. გადაშენებამ შეიძლება გაზარდოს გენეტიკური დიფერენციაცია პოპულაციებს შორის.

**8.** ლანდშაფტის ეკოლოგია მოიცავს ექსპლიციტურ კვლევას იმისა, თუ რა გავლენას ახდენენ ლანდ-

შაფტის მახასიათებლები ეკოლოგიურ პროცესებზე მაშინ, როდესაც მეტაპოპულაციათა კვლევები ყურადღებას ამახვილებენ გადაშენებისა და კოლონიზაციის დინამიკაზე. კვლევის ეს ორი სფერო მნიშვნელოვანი გზით ერთიანდებიან.

## სავარჯიშოები

1. შეადგინეთ ლევინსის მეტაპოპულაციათა მოდელის გრაფიკი პ-ის მთლიანი დიაპაზონისთვის ( $p = 0, \dots, 1$ ), სადაც  $m = 1,0$  და  $e = 0,3$ . განსაზღვრეთ პეტჩის ათვებულობის დაახლოებით რა დონეზე იჩენს თავს ცვლილების მაქსიმალური ტემპი  $dp/dt$ . შეადარეთ მრუდის ფორმა რეგულაციის ქვეშ მყოფი პოპულაციის ლოგასტიკური მოდელის მრუდს.
2. წარმოიდგინეთ ნახ. 17-1-ში ნაჩვენები პეტჩის ჯგუფი. თითოეული პეტჩის ზომა პროპორციულია

პოპულაციაში ინდივიდების რაოდენობისა და ტემპის, რომლითაც ემიგრანტები ტოვებენ პოპულაციას. დაუშვით ვარაუდი იმის თაობაზე, თუ რომელი პოპულაციები გადაშენდებიან და რატომ.

3. განიხილეთ, როგორ შეიძლება მეტაპოპულაციის კონცეფცია იქნას გამოყენებული იშვიათი სახეობების დინამიკის შესასწავლად.

## თავი 18



# პოპულაციათა ფლუეტუაცია და ციკლები

### გზამკვლევი კითხვები

- რა ურთიერთობაა გარემოს ფლუეტუაციებზე პოპულაციის რეაქციასა და პოპულაციის ზრდის ტემპებს შორის?
- როგორ ვლინდება პოპულაციათა ციკლები დისკრეტული დროის პოპულაციათა მოდელებში?
- რა არის აღდგენის ფუნქციები?
- როგორ ჩნდებიან პოპულაციათა ოსცილაციები და უკიდურესი ციკლები?
- როგორც იწვევს დროებითი შეფერხება ოსცილაციას მუდმივ პოპულაციათა მოდელებში?
- როგორ ახდენენ ლაბორატორული ექსპერიმენტები ცხოველთა პოპულაციებში დროებით შეფერხებათა დემონსტრაციას?

**ჩ**ვენ ხშირად ვაკეთებთ ერთი წლის ამინდის პირობების შედარებებს მეორესთან. ჩვენ შეიძლება გავიგოთ ფრაზა: „ეს იყო ყველაზე ცივი ზამთარი, რაც კი მახსოვეს“ ან „ეს ზაფხული, სულ მცირე, ისეთივე ცხელია, როგორც ზაფხული კოლეჯში წასვლისას.“ თქვენ ალბათ ასევე შეგიდარებიათ გარკვეული მცენარეების და ცხოველების სიჭარბე. მაგალითად, თუ თქვენ მებალეობით ხართ გატაცებული, თქვენ შეიძლება უთხრათ მეზობელს: „მე არასდროს მინახავს ამდენი პომიდვრის მატლი“ ან გაუზიაროთ თქვენი შთაბეჭდილება, რომ „ნელს უფრო მეტი იაპონური ღრაჭა ვიდრე შარშან.“ ხანდახან თქვენი კომენტარები ასახავენ ბუნებრივი სამყაროს პირობებს, რომლებიც გავლენას ახდენენ თქვენს ჯანმრთელობაზე, მაგალითად, როდესაც ეუბნებით მეგობარს: „ჩემი ალერგია მკარნახობს, რომ ამ შემოდგომაზე მტვრიანას რაოდენობა ძალიან დიდია.“

ეს დაკვირვებები ბუნებრივ სამყაროზე ასახავენ რეალურ ცვლილებებს ორგანიზმთა სიჭარბეში. ბუნებრივი პოპულაციები იცვლებიან ზომაში, ასაკობრივ სტრუქტურაში, გავრცელებაში და გენეტიკურ შემადგენლობაში დროთა განმავლობაში. ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს ცვლილებათა ციკლი,

რომელიც მეტ-ნაკლებად წინასწარ განჭვრეტადია. სხვა შემთხვევებში, ფლუეტუაციები თავს იჩენენ შაბლონური კომბინაციის გარეშე. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ პოპულაციათა დროში ცვლილების პრინციპებს.

ფლუეტუაციათა მიზეზები პოპულაციის ზომასა და სტრუქტურაში, ისევე როგორც ბუნებრივი სამყაროს ასპექტთა უმეტესი წანილი, კომპლექსურია. გარემოს პირობები გავლენას ახდენენ შობადობისა და სიკვდილიანობის დონეებზე და ამრიგად, ამ წარმოდგენაში დიდ როლს თამაშობენ. ინდივიდთა ინტერაქციები პოპულაციაში ასევე ახდენენ გავლენას ამ პროცესებზე და ამრიგად, პოპულაციის ზომასა და გავრცელებაზე. ცხადია, პოპულაციები ურთიერთობის მედებების სხვა პოპულაციებთან ისეთი პროცესების მეშვეობით, როგორიცაა მტაცებლობა, ბალახისმჭამებლობა და პარაზიტიზმი. ამ ინტერაქციებმა შეიძლება ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ იმაში, თუ როგორ იცვლებიან პოპულაციები დროსთან ერთად. ჩვენ გთავაზობთ რამდენიმე მოდელს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას პოპულაციის ცვლილების დინამიკის გადასასინჯად. ეს იდეები უპირველეს ყოვლისა ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ რა ხდება ერთ

პოპულაციაში. ჩვენ ამ მოდელებს განვავრცობთ წიგნის მეორე ნაწილში, სადაც ჩვენ განვიხილავთ პოპულაციების ინტერაქციათა პროცესებს.


აქამდე ჩვენ წარმოგიდგინეთ ბუნებრივი პოპულაციების კონცეპტუალიზების ორი გზა. ერთი მიდგომა დამყარებულია ლოგისტიკურ მოდელზე და ემსრობა იდეას, რომ პოპულაციათა სიმჭიდროვე და პოპულაციის დემოგრაფიული მახასიათებლები წარმოადგენენ გასაღებს პოპულაციის დინამიკის გაგებისთვის. მეორე მიდგომაში, მეტაპოპულაციური მიდგომა – ჩვენი ყურადღება მისყრობილ იქნა გადაშენებისა და კოლონიზაციის ხასიათზე ურთიერთმოქმედი პოპულაციების წყებაში. მეტაპოპულაციათა უმარტივეს მოდელებში ადგილობრივი პოპულაციის დემოგრაფიული პროცესები იგნორირებულია. ამ თავში ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ უპირველესად პირველ მიდგომაზე, რადგან ის წარმოადგენს პოპულაციათა თეორიის ისტორიულ ფესვებს.

## 18.1 პოპულაციაში მარყეობს

### სიმძილოვა

მოდით, პოპულაციის ფლუქტუაციის თაობაზე ჩვენი განხილვა დავიწყოთ პოპულაციის სიმჭიდროვეში მიმდინარე ცვლილებებზე ყურადღების გამახვილებით. ცვლილებები პოპულაციის სიმჭიდროვეში დამოკიდებულია ფლუქტუაციების ძალაზე მის გარემოში და პოპულაციის თანდაყოლილი სტაბილურობაზე. მას შემდეგ, რაც შინაური ცხვრები გამოჩნდნენ ტასმანიის კუნძულზე, მათი პოპულაცია არამდგრადად მერყეობდა 123000-2225000-მდე, 2-ის ფაქტორიალზე ნაკლები – დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში (ნახ. 18-1). ამ ცვლილებათა დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო ცვლილებებთან მძღველობის პრაქტიკაში.


ამისგან განსხვავებით, ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანი ორგანიზმების პოპულაციები შეიძლება ფართოდ მერყეობდნენ მოკლე პერიოდების განმავლობაში. მწვანე წყალმცენარის და დიატომების პოპულაციები, რომლებიც შეადგენენ ფიტოპლანქტონს, შეიძლება ტივტივებდნენ და ეჯახებოდნენ კლდეებს




**ნახ. 18-2** ცვლილება ფიტოპლანქტონის სიმჭიდროვეში ერთს ტის წყლის ნიმუშებში 1962 წლის განმავლობაში. ამგვარი ხანმოკლე სიცოცხლიანი ორგანიზმები, შეიძლება, განავითარონ სხვადასხვა სიდიდის ხარისხის ფლუქტუაციები მოკლე პერიოდების განმავლობაში. (After Davis 1964.)

რამოდენიმე დღის ან კვირის პერიოდების განმავლობაში (ნახ. 18-2). ეს სწრაფი ფლუქტუაციები გადაფარავენ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მომხდარ ცვლილებებს, რომლებიც სიტყვაზე სეზონურობის საფუძველზე იჩენენ თავს.

ცხვრები და წყალმცენარეები განსხვავდებიან გარემოს ცვლილებებზე თავიანთი მგრძნობელობის ხარისხით და პოპულაციის რეაგირების დროით. რადგანაც ცხვრები უფრო დიდი ზომის არიან, მათ ჰომეოსტაზის უკეთესი შესაძლებლობა აქვთ და უკეთესად უძლებენ გარემოს ცვლილებით გამოწვეულ ფიზიოლოგიურ ეფექტს. მეტიც, რადგანაც ცხვრები რამდენიმე წელი ცოცხლობენ, პოპულაცია ყოველთვის შეიცავს ინდივიდებს, რომლებიც დაიბადნენ დიდი ხნის წინ. ეს ათანაბრებს მოკლევადიანი ფლუქტუაციების გავლენას შებადობის დონეზე. ერთუჯრედიანი წყალმცენარეების სიცოცხლე გრძელდება მხოლოდ რმოდენიმე დღის განმავლობაში, ასე რომ, პოპულაციები სწრაფად გადატრიალდება და განიცდიან ჭირვეული გარემოს მთელ გავლენას.



**ნახ. 18-1** ცხვრების რიცხვი კუნძულ ტასმანიაზე მათი პირველი შემოყვანიდან ამ ტერიტორიაზე 1800-იან წლებში. ცხვრების პოპულაცია იზრდებოდა 1950-იანი წლების შემდეგ ხანგრძლივაში, მაგრამ ფლუქტუაციების მასშტაბი შედარებით მცირდება მთლიან პოპულაციის ზომასთან შედარებით. (After Davidson 1938.)




**ნახ. 18-3** ფლუქტუაციები ოთხი სახეობის ჩრჩილის (ზამთრის ძილში მყოფი ლარვები ენდოლიმუს-ში) გერმანიის ფიჭვის ტყეში სამოცი თანამდევრული შუა ზამთრის სეულ ათვლის განმავლობაში.  
(After Varley 1949.)

ერთნაირი სახეობის პოპულაციები, რომლებიც ბინადრობენ ერთ ადგილას, ხშირად რეაგირებენ სხვადასხვა გარემო ფაქტორზე. მაგალითად, აღმოჩნდა რომ, გერმანიის ფიჭვნარში ბინადარი ჩრჩილების ოთხი სახეობის სიმჭიდროვე, რომელთა ლარვები იკვებებიან ფიჭვის წინვებით, მერყეობენ მეტ-ნაკლებად დამოუკიდებლად (Varley 1949, nax. 18-3). პოპულაციები ვარირებდნენ სიდიდის სამ-ოთხ ხარისხზე (1000მაგიდან 1000000-მაგ სიდიდემდე). მეტიც, ოთხი პოპულაციის ღირსება და ნაკლოვანება მჭიდროდ არ ემთხვეოდა ერთმანეთს, რაც გულისხმობს, რომ იმის მიუხედავად, რომ თითოეული სახეობა ერთნაირ ხეებზე იკვებებოდა, მათი პოპულაციები დამოუკიდებლად რეგულირდებოდნენ სხვადასხვა ფაქტორების მიერ.

ბუნებაში არსებულ პოპულაციათა ყველაზე განმაცვითრებელ ფენომენებს შორის არის მაღალ განედებზე მობინადრე ზოგიერთი ძუძუმნივრისა და ფრინველის რეგულარული ციკლები. მაგალითად, მცირე ძუძუმნივრების რეგულარულმა დაჭერამ მახეში 26 წლიანი პერიოდის განმავლობაში ჩრდილოეთ ფინეთში, გამოავლინა სიჭარბის ექვსი პიკი, რომელიც დაშორებული იყვნენ 4-5 წლიანი ინტერვალებით (Lahti et al. 1976; nax. 18-4). ეს რეგულარულობა არ არის შემთხვევითი და ყველაზე ჭარბი სახეობის, მემინდვრიას ჩლეტკრიონომებს რუფოცანუს-ის მიერ გამოვლენილი პიკები პარალელურია ნაკლებად ხშირი სახეობების პიკებისა.

## 18.2 დროებითი ცვლილება გავლენას აცდეს ასაკის სტრუქტურაზე კოპულაციაში


პოპულაციები შეიძლება შეიცვალონ ასაკობრივ სტრუქტურაში დროში, ანუ ინდივიდების შედარ-



**ნახ. 18-5** ასაკობრივი კომპონიცია ნიმუშებისა ერის ტბის „თეთრი“ თევზის ნადავლისა 1945-1951 წლებში. 1944 წელს გამოჩეული თევზები აღნიშნული არიან მნიშვნელო სევეტებით. (From Lawler 1965.)

ებითი სიხშირეები თითოეულ ასაკში შეიძლება შეიცვალოს. როგორც ჩვენ მე-15 თავში ვნახეთ, ცვალებადმა ასაკობრივმა სტრუქტურამ შეიძლება იმოქმედოს პოპულაციის ზრდის ტემპზე. ასაკობრივი კლასების ზომა ასევე წარმოადგენს წარსულში პოპულაციათა ცვლის ისტორიას. მაგალითად, ასაკობრივი შემადგენლობა ერის ტბის სარენი „თეთრი“ თევზის ნიმუშებისა, რომლებიც დაჭერილ იქნა 1945-1951 წლების განმავლობაში, გვიჩვენებს, რომ 1947, 1948 და 1949 წლებში დაჭერილ ინდივიდთა უმეტესობა ეკუთვნიდა 1944 წლის კლასს (ნახ. 18-5). ბიოლოგებმა განსაზღვრეს თევზის ასაკი ფარფლზე წლიური რკალების მიხედვით. მათმა მონაცემებმა გვიჩვენეს, რომ 1944 წელი იყო შესანიშნავი წელი ქვირითობისა და მატებისთვის, მომდევნო რამდენიმე წელთან შედარებით.

ცვლილება წლიურ მატებაში ასევე ცხადია ხეების ასაკობრივი სტრუქტურის მაგალითზეც. ხეების ასაკი შეიძლება განისაზღვროს ხის ქსოვლში რკალების დათვლით – ყოველწლიურად ხეს ერთი რკალი ემატება ნორმალურ პირობებში (ნახ. 18-6). პენსილვანიაში ტყეების კვლევამ 1928 წელს გვიჩვენა, რომ უმეტეს სახეობათა ინდივიდები სპორადულად, არათანაბრად იზრდებოდნენ დაახლოებით 400 წლის მანძილზე (ნახ. 18-7). მრავალი თეთრი ფიჭვი 1650-1710 წლებში აღმოცენებული აღმოჩნდა, ეჭვგარეშეა, ამ პერიოდს დიდი დარღვევები მოჰყვა, რაც სავარაუდოდ დაკავშირებული იყო სერიოზულ გვალვასა და ხანდართან 1644 წელს. ხანდარს შეუძლია საკმარისად გაამეჩეროს ტყე თეთრი ფიჭვის ახალი ნერგების გაჩენისთვის, რომლებიც ვერ




**ნახ. 18-4** მცირე ძუძუმწოვრების რიცხვი, რომლებიც გამულნი იქნენ მახში ჩრდილოეთ ფინეთში 1950 წლიდან 1975 წლამდე. პოპულაციათა ამ ციკლებზე დომინირებს ცვლილებები ყველაზე ჭარბი სახეობის – *Clethrionomys rufocaninus*-ს რიცხვი, მაგრამ სხვა სახეობებიც ახერხებდნენ, მიეღწიათ მაქსიმალური (პიკი) სიჭარბისთვის მეტ-ნაკლები სინქრონულობით მასთან (From Brewer 1994; after Lathi et al. 1976).

იტანენ ჩრდილს. მისგან განსხვავებით, წიფელი (სახეობა, რომლის ნერგებსაც შეუძლიათ, გაიზარდონ დახურული ტყის კანოპეს ქვეშ) ავლენდა შედარებით თანაბარ ასაკობრივ განაწილებას.


მცენარეების ასაკობრივ სტრუქტურაში დროებითი ცვლილების ერთ-ერთი ასპექტი დაკავშირებულია თესლის გაღვივებასთან აუზში. თესლი, რომელიც მინაზე ცვივა, შეიძლება მომნიფდეს და გაიდგას ფესვი, აძლევენ რა საბოლოო ჯამში დასაბამს ახალ, ინდივიდუალურ მცენარეს. ასევე შეიძლება, მათ განვითარება შეწყვიტონ და მოგვიანებით მომნიფდნენ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მრავალი თესლი ხდება ხმობის ან მტაცებლობის მსხვერპლი და ისინი დაკარგულია პოპულაციისთვის. ამრიგად, რაღაც მხრივ, თესლოვანი პოპულაცია ავითარებს ცვლილებას ასაკობრივ სტრუქტურაში დროსთან მიმართებაში.

### 18.3 პოპულაციის ზრდის მაღალი გაჩვენებულების უფრო და უფრო მაღალი ზრდის მაჩვენებლივან პოპულაციას

ფლუქტუაციები პირობებსა და რესურსებში მუდმივად ზრდის ან ამცირებს თითოეული პოპულაციის უნარს და შესაძლებლობას, აიტანოს გარემოს ზემოქმედება. ის, თუ როგორ რეაგირებს პოპულაცია ამგვარ ცვლილებებზე სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ეფექტების გზით, დამოკიდებულია პოპულაციის თანდაყოლილ შესაძლებლობაზე, გაიზარდოს ზომაში ანუ რ-ზე. რაც უფრო სწრაფია პოპულაციის ზრდის ან კლების პოტენციური ტემპი, ანუ რაც უფრო მაღალია ნაყოფიერება და მოკლეა ინდივიდების სიცოცხლის ხანგრძლივობა, მით უფრო დიდია მისი



**ნახ. 18-6** განვკვეთი სხივსანი ფინეთში მერქნისა, სადაც კარგად ჩანს წლიური რგოლები, შექმნილი ზამთრის (მუქი) და ზაფხულის (ნათელი) ზრდის ზონით.




**ნახ. 18-7** პართს კონტენტისი, პენსილვანია, ადგილობრივი ტყის ხეების ასაკობრივი განაწილება 1928 წელს. (After Hough and Forbes 1943.)


შესაძლებლობა, რეაგირება მოახდინოს ცვლილებებზე მის გარემოში. თეორიული კვლევები აღნიშნავენ, რომ ზოგადი წესის თანახმად, პოპულაციები, რომელთა  $r$ -ც 1-ზე გაცილებით მეტია, ადეკვატურად რეაგირებენ თავიანთ გარემოზე და სწრაფად უპასუხებენ გადატანით შესაძლებლობაში მომხდარ ცვლილებებს. პოპულაციები, რომელთა  $r$  1-ზე ნაკლებია, როგორიცაა ტასმანიური ცხვრები, როგორც წესი, არიან ნელი და არარეაგირებადი, ასწორებენ რა მოკლე ვადიან ცვლილებებს მათ გარემოში. განსხვავებები რეაქციებში მაღალ  $r$ -იან და დაბალ  $r$ -იან პოპულაციებს შორის შეიძლება დემონსტრირებულ იქნას პოპულაციის ზრდის ლოგისტიკური განტოლების გამოყენებით შემთხვევითად ცვალებადი გადატანითი შესაძლებლობებით (ნახ. 18-8).

პოპულაციის ბიოლოგები ერთმანეთს ადარებენ პოპულაციათა რეაქციებს ცვლილებებზე მათი

მახასიათებელი სწრაფი უკანდახევის დროის (T) საშუალებით. T არის უპრალოდ პოპულაციის ექსპონენციალური ზრდის ტემპის შებრუნებული ვარიანტი, დაჯგუფების ეფექტებისგან თავისუფალი, ამრიგად  $T = 1/r$ . თეორიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ პოპულაცია ადეკვატურად რეაგირებს გარემოს ცვლილებებზე, როდესაც მისი მახასიათებელი სწრაფი უკანდახევის დრო ნაკლებია გარემოს ფლუქტუაციების პერიოდის (დრო ერთი პიკიდან მომდევნომდე) განაყოფზე 2π - ზე (Nisbet and Gurney 1982). როდესაც თ გაცილებით ხანგრძლივია შესაფერისი გარემოს ფლუქტუაციის პერიოდზე, პოპულაცია მცირედ მერყეობს. მცირე მწერებში T-ს სიდიდე ერთ წელზე გაცილებით ნაკლებია და მათი პოპულაციები ადეკვატურად რეაგირებენ პირობების სეზონურ ცვლილებაზე. იგივე ცვლილება მცირე რეაქციას აღვიძებს ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიან ძუძუმწოვრებში.



**ნახ. 18-8** პოპულაციის ზრდა ლოგისტიკური განტოლების მიხედვით შემთხვევითი ცვლილებების გადატანით შესაძლებლობაში. პოპულაცია ზრდის მაღალი ტემპით ( $r = 0.5$ ) უფრო მჭიდროდ ადეკვატს თვალყურს ფლუქტუაციებს გადატანით შესაძლებლობაში, ვიდრე პოპულაციები ზრდის დაბალი ტემპებით ( $r = 0.1$ ). (From Gotelli 1995.)



**ნახ. 18-9** დუგლასის სოჭის რელოთა სიგანის პიკტაშორისი ინტერვალების სიხშირეთა გადანაწილება, შედარებული შემთხვევითი რიცხვების სერიებთან. (After Cole 1951.)

## 18.4 პოპულაციათა ციკლიზაცა

### შეიძლება შინაგანი დამოგრაფიული პროცესის გამოძიერაორგვება

დღიურ, მთვარის და სეზონურ ციკლებთან დაკავშირებული ფლუქტუაციების გარდა, გარემო ცვლილება არანესიერი უფროა, ვიდრე პერიოდული. ისტორიული ჩანაწერები გვამცნობენ ჭარბი წვიმიანობის ან გვალვების, სასტიკი სიცხის ან სიცივის, ან ისეთი ბუნებრივი კატასტროფების წლების შესახებ, როგორიცაა ხანძრები და ქარიშხლები. ისინი თავს იჩენენ მოულოდნელად, შემთხვევითაც კი. ბიოლოგიური რეაქციები ამ ფაქტორებზე მსგავსად აპერიოდულია. მაგალითად, ცვლილებები ხეების ზრდის რგოლების სიგანეში პირდაპირ არიან დაკავშირებული ტემპერატურასა და ნალექიანობასთან. რკალების თანმიმდევრული სიგანის სტრუქტურის განსხვავება შეუძლებელია შემთხვევითი რიცხვების სერიებისგან (ნახ. 18-9).

მრავალი პოპულაციის ზომა იცვლება პერიოდული სიხშირით. ამგვარი სისტემის დაკვირვება შესაძლებელია ჩლერტპრინომეს-ებში ნახ. 18-4-ში. რამდენიმე მცირე ზომის ძუძუმწოვართა ციკლები პოპულაციათა ეკოლოგიის შესახებ არსებული ცოდნის ნაწილი გახდენ. მათ შორის ყველაზე ცნობილი არიან მცირე ზომის ბეწვიანი ძუძუმწოვრები კანადური ბირეალური ტყიდან, რომლებიც აღნერა ჩარლზ ელტონმა თავის ნაშრომში “ერიოდიც ფლუქტუატიონს ინ ნუმბერს ოფ ანიმალს: თჰეირ ცაუსეს ანდ ეფფეცტს” (პერიოდული ფლუქტუაციები ცხოველთა რიცხვში: მიზეზები და შედეგები). ეს ნაშრომი გამოქვეყნდა რიტისპ უოურნალ ოფ ბერიმენტალ იოლოგი-ში 1924 წელს. ჰუძონის ყურის კომპანიის მიერ მოწოდებული მონაცემებიდან, სადაც ნაჩვენები იყო ყოველ წლიურად მახეებში მოყოლილი ბე-


ნვიანი ცხოველების რიცხვი, ელტონმა გვიჩვენა, რომ ფოცხვერი და მისი უპირველესი მსხვერპლი – ამერიკული კურდლელი, ავლენს საგრძნობ, რეგულარულ ფლუქტუაციებს პოპულაციის ზომაში (ნახ. 18-10). თითოეული ციკლი გრძელდება დაახლოებით 10 წლის მანძილზე და ორი სახეობის ციკლები საოცრად სინქრონიზირებულია. როგორც ჩანს, ფოცხვერის სიჭარბის პიკები თანსდევდა კვალდაკვალ კურდლისას ერთი-ორი წლით. ნაკლები ხანგრძლივობის ციკლები შესწავლილი იყო მთელ რიგ სხვა არქტიკულ ხერხებისანში.

1920-იან და 1930-იან წლებში განვითარებულმა პოპულაციათა მოდელებმა ცხადი გახადა, რომ მათი თანდაყოლილი დინამიკური თვისებების გამო, სულ მცირე, შემთხვევით გარემო ცვლილების ობიექტი პოპულაციებიც კი შეიძლება ციკლირებდნენ და მერყეობდნენ სიჭარბის დონეში. ამგვარი ციკლირება შეიძლება იყოს დროში შეფერხების შედეგი, შობადობისა და სიკვდილიანობის რეაქციებში გარემოში მომხდარი ცვლილებების გამო. ისევე, როგორც ძალის იმპულსს, რომელიც მოქმედებს ქანქარაზე მიზიდულობის ძალასთან ერთად, მიჰყავს ის წონას-ნორობის წერტილს მიღმა და ინვევს მის წინ და უკან პერიოდულ რხევას. პოპულაციაზე მოქმედ „ძალის იმპულსს“ შობადობის მაღალი დონით დაბალ სიმჭიდროვეებზე ან სიკვდილიანობის მაღალი დონით მაღალ სიმჭიდროვეებზე მიჰყავს ის წონას-ნორობის წერტილს მიღმა, როდესაც დემოგრაფიული რეაქციები დროში შეყოვნებულია.

პოპულაციის წონას-ნორობიდან ამოვარდის შემთხვევაში შეყოვნება დროში, რომელიც პოპულაციების სიჭარბეში ოსცილაციას იწვევს, დისკრეტულ თაობებზე დაფუძნებული მოდელების განუყოფელ ნაწილს შეადგენს. ამ მოდელების მიხედვით, ამგვარი პოპულაციები რეაგირებენ დის-



ნახ. 18-10 ამერიკული კურდლების (*Lepus americanus*) და ფოცხვერების (*Lynx canadensis*) პოპულაციათა ციკლები გუმბის ყურის რეგიონში კანადაში, როგორც აღნიშნულია ბეწვეულით მოვაჭრე გუდონის ყურის კომპანიაში. (After MacLulich 1937; photograph courtesy of U.S. Fish and Wildlife Service.)



კრეტული ზრდით ერთი დროიდან მომდევნომდე და ამიტომ, არ შეუძლიათ მუდმივად გამოასწორონ თავიანთი ზრდის დონე, როდესაც პოპულაციის ზომა წონასწორობას უახლოვდება. როგორც ქვემოთ ვიხილავთ, ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ პოპულაცია გასცდება წონასწორობას, ჯერ ერთი მიმართულებით და შემდეგ მეორე, როდესაც პოპულაციის ზომა (N) უახლოვდება წონასწორობას (K). მუდმივად მზარდი პოპულაციების მოდელებში ოსცილაციები შეიძლება გამონვეულ იქნას დროის შეფერხების შემოღებით სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების ერთეულებში.

## **18.5 პოპულაციის ციკლები მასში მოვალეობა პოპულაციის დისკარგული ძროის ლოგისტიკურ მოდელები**

მეთხუთმეტე თავში ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ დისკრეტული დროისა და მუდმივი დროის პოპულაციებში მიმდინარე პროცესებს შორის განსხვავებაზე. პოპულაციათა დინამიკის დისკრეტული დროის მოდელები, რომლებშიც ახალშობილები ემატებიან პოპულაციას სპეციფიკური რეპროდუქციული პერიოდების განმავლობაში, აღნერენ ორგანიზმთა უმეტესობისთვის დამახასიათებელ პროცესებს (გაიხსენეთ, რომ ადამიანები აღსანიშნავ გამონაკლისს ნარმოადგენენ). აქ ჩვენ განვავრცობთ ჩვენს კონცეფციას დისკრეტული დროის მოდელების შესახებ, იმისთვის რომ გაჩვენოთ, თუ როგორ შეუძლიათ ამ მოდელებს, გამოავლინონ პოპულაციის სიმჭიდროვის ციკლირების სტრუქტურა. ეს მოდელები რამდენიმე მნიშვნელოვანი განხილვის საფუძველს შეადგენენ მომავალ თავებში პოპულაციათა ინტერაქციებთან დაკავშირებით.

### **მატების ფუნქციები**

ახალშობილები ჩნდებიან პოპულაციათა უმრავლესობაში წლის ერთ ან რამდენიმე სპეციფიკურ დროს. პოპულაციები დისკრეტული თაობებით შეიძლება აღნეროს იქნან როგორც შემდეგი განტოლების მიხედვით მზარდი:

$$N(t+1) = f[N(t)],$$

სადაც დრო წარმოდგენილია, როგორც დისკრეტული ცვლადი  $t = 0, 1, 2, 3, \dots$  ამ განტოლებას ეწოდება განსხვავების განტოლება, რადგან ის ასახავს პოპულაციის ზომების განსხვავებას ორ დისკრეტულ პერიოდს შორის. სხვა სიტყვებით, მომდევნო რეპროდუქტიული მოვლენის  $[N(t+1)]$  შემდეგ პოპულაციაში არსებული ინდივიდების რაოდენობა არის რაღაც  $f$  ფუნქცია პოპულაციაში უკვე არებული ინდივიდების რიცხვისა  $[N(t)]$ . ფუნქცია  $f[N(t)]$ -ს ხან-



**დახან მატების ფუნქცია ენოდება.** თავის ყველაზე ხშირ გამოყენებაში სიტყვა მატება ნიშნავს პოპულაციაში ინდივიდების შემატებას ან შობადობის ან იმიგრაციის საშუალებით. თუმცა პოპულაციის ეკოლოგიის კონტექსტში ეს ტერმინი ხშირად შეზღუდულია იმ ინდივიდებამდე, რომლებიც პოპულაციას ემატებიან გამრავლების საშუალებით და რომლებიც აღწევენ რეპროდუქციულ ასაკს. სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა გამოიყენება აქაც. აღსანიშნავია, რომ სიტყვა „მატება“ არ გულისხმობს იმ ახალგაზრდა ინიდვიდებს, რომლებსაც დარწმუნება სჭირდებათ, რომ შეუერთდნენ მომწიფებულთა რიგებს!

მატების ფუნქციები გვიჩვენებენ ინდივიდთა რიცხვს მოცემულ (t) დროში ჰორიზონტალურ დერძზე და ინდივიდთა რიცხვს მომდევნო დროის ერთეულში  $N(t+1) = f[N(t)]$  ვერტიკალურ დერძზე (ნახ. 18-11). თქვენ უნდა იცოდეთ, რომ (t)-ის ნებისმიერი სიდიდისთვის თქვენ მიიღებთ  $N(t+1)/N(t)$ , რასაც შეიძლება უნიფორმ, რომ არის ზრდის გეომეტრიულ ტემპი  $\lambda$  (იხ. თავი 15). ამრიგად, მატების ფუნქცია გვიჩვენებს, როგორ იცვლება ზრდის გეომეტრიული ტემპები პოპულაციის სიმჭიდროვის ცვლილებასთან ერთად.

### **განსხვავების განტოლებების ხარისხობრივი ქცევა**

წარმოიდგინეთ ნახ. 18-11-ში დახატული სიტუაცია, სადაც მატების ფუნქცია  $f[N(t)]$  მონოტონურად მზარდი ფუნქციაა. განსხვავების განტოლებები გვიჩვენებენ ურთიერთობას სხვადასხვა დროის პოპულაციის სიმჭიდროვეებს შორის და არა ურთიერთობას სიმჭიდროვესა და სიმჭიდროვის ზრდის სიჩქარეს ( $dN/dt$ ) შორის, რომლის დანახვასაც შეჩვეულები ვართ მუდმივი დროის პოპულაციათა მოდელებში (იხ. თავი 15). ამრიგად  $f[N(t)]$  ყოველთვის დადგებითია და  $f[N(t)] = 0$ , როდესაც პოპულაციის სიმჭიდროვე ნულის ტოლია. ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ დრო არ არის ექსპლიციტურად ჩართული განსხვავების ფუნქცია  $f[N(t)]$ -ში.  $f[N(t)]$  გლუვი მრუდია, რომელიც მუდმივი ცვლადის  $N$ -ის შესაბამისია (სიმჭიდროვე). ცნება  $N(t)$  აღნიშნავს მუდმივი ცვლადის სპეციფიკურ სიდიდეს, რომელიც შესაბამისია რაღაც  $t$  დროის.

ნახ. 18-11 ნაჩვენებ პოპულაციას აქვს ერთი წონასწორობა, რომელიც შეესაბამება ადგილს, სადაც სწორი ხაზი გადის სათავეში და  $45^\circ$ -იან კუთხებზე განთავსებული კვეთს განსხვავების ფუნქციას. ამ ნერტილში ( $t$ ) =  $f[N(t)]$  და როგორც წესი, ჩვენ მას აღვნიშნავთ -თი.  $45^\circ$ -იანი ხაზი წარმოადგენს მატების ფუნქციას, რომლისთვისაც მატება არ განხორციელებულა. ანუ ის გვიჩვენებს, რომ  $t + 1$  დროისთვის პოპულაციის ზომა ტ დროისთვის.



დრო (გ)

**ნახ. 18-11** განსხვავების განტოლებების ხარისხთან კეთვა. (ა) მრუდი აღნერს ურთიერთობას პოპულაციის სიმჭიდროვეს  $N$ -სა და  $N$ -ის რაოცენა  $f(N)$  ფუნქციას შორის. ისრები გვიჩვენებენ პოპულაციის განსაზღვრის გრაფიკულ მეთოდს მომდევნო დროს დასკრეტული დროის სერიებში  $t = 0, 1, 2, 3, \dots$  სიმჭიდროვე  $N(t+1)$ -ზე მიიღება დერძები  $N(t)$ -დან ხაზების გავლებით მრუდამდე, იქნან  $45^\circ$ -იან ხაზზე და იქიდან უკან დერძები. ამ პროცედურის გამეორება გვაძლევს თანმიმდევრულ სიმჭიდროვეს დროის განმავლობაში. მოცემულია ორი სერია, ერთი ინტენსივური  $N(0) < K$ -თან, მეორე ინტენსივური  $N(0) > K$ -თან. (ბ) პოპულაცია დავა წონას ნონასნორობის დონეზედ მისი პოპულაციის სახისი ზომის მიუხედავად. სერიები, რომლებიც ინტენსივური  $N(0) < K$ , იზრდებიან  $K$ -ს მიმართ, ხოლო სერიები, რომლებიც ინტენსივური  $N(0) > K$ , მცირდებიან  $K$ -ს მიმართ. (After Yodzis 1989.)

ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს ხაზი იმისთვის, რომ გრაფიკულად გიჩვენოთ, თუ როგორ მუშაობენ განსხვავების განტოლებები. ვთქვათ, პოპულაციის სიმჭიდროვე არის  $N(0)$  დროისთვის  $t = 0$ . ჩვენ შეგვიძლია გრაფიკულად განვსაზღვროთ პოპულაციის ზომა  $N(1)$  დროისთვის ჯერ დერძები  $N(0)$ -დან ხაზის გავლებით  $f(N(t))$  მრუდამდე. შემდეგ ჩვენ ამ წერტილიდან ვავლებთ ხაზს მრუდზე ვერტიკალურ დერძამდე, რათა მივაღწიოთ მომდევნო  $N(1)$  პოპულაციის დრომდე.  $N(1)$  სიდიდე არის მომდევნო სიდიდე მშობელი პოპულაციისა. იმისთვის, რომ ვიპოვთ  $N(2)$  პოპულაცია, ჩვენ უნდა ვიპოვოთ ადგილი პორიზნგალური დერძისა, რომელიც  $N(1)$ -ის  $f(N(t))$  მრუდამდე. ამავდევნობისა, გავავლოთ ხაზი მრუდამდე და შემდეგ ვერტიკალური დერძები, როგორც ნინათ. მაგრამ ზუსტად რა ადგილას არის  $N(1)$  განლაგებული პორიზნ-

ტალურ დერძებები? ჩვენ შეგვიძლია, გამოვიყენოთ  $45^\circ$ -იანი ხაზი, რათა მოვძებნოთ  $N(1)$  შესაბამისი პოზიცია პორიზნგალურ დერძები. დაინტერ  $N(1)$ -დან, ვერტიკალურ დერძები გაავლეთ ხაზი  $45^\circ$ -იან ხაზზე, შემდეგ დაუშვით პერპენდიკულარული ხაზი ამ წერტილიდან პორიზნგალურ ხაზამდე, რათა ამ დერძები  $N(1)$ -ის პოზიცია დაადგინოთ. ამ პორცესის გაგრძელებით დროის თანმიმდევრული პერიოდების განმავლობაში პოპულაციის სიმჭიდროვის პროგრესია ვლინდება პორიზნგალურ დერძები. პოპულაცია, რომელმაც დაიწყო გადატანითი შესაძლობლობა  $K$ -ს ქვემოთ ჩასვლა, იზრდება  $K$ -ს მიმართ. ეს ნაჩვენებია ნახ. 18-11ბ-ში, რაც აღნერს პოპულაციის ზომას  $t$   $[N(t)]$  დროისთვის ვერტიკალურ დერძებები და  $t$  დროისთვის პორიზნგალურ დერძები ქვემოდან  $K$ -კენ მიმავალი ხაზის სახით. სისტემა, რომლის მიხედვითაც ჩვენი წარმოსახვითი პოპულაცია იცვლება, დამოკიდებულია ფუნქციის  $f(N(t))$  ფორმაზე (მატების ფუნქცია), როგორც შემდეგ ვნახავთ.

ახლა წარმოიდგინეთ რა მოხდება, როდესაც პოპულაცია იწყება  $N'(0)$ -ზე, სადღაც წონასწორობის წერტილ  $K$ -ს ზემოთ (იხ. ნახ. 18-11ა). ზემოთ აღნერილი პროცედურის გამოყენებით ჩვენ გხედავთ, რომ პოპულაცია მცირდება  $K$ -ს მიმართულებით დროთა განმავლობაში (იხ. ნახ. 18-11ბ).

ჩვენ ვიყენებთ განსხვავების განტოლების გრაფიკულ ანალიზს აქ ინსტრუქციული მიზნებისთვის. თუ ვიღაცას ექნება  $f(N(t))$  მრუდის ალგებრული გამოსახულება, მაშინ ეს იქნება უბრალოდ დროში პოპულაციის სიმჭიდროვეების გამოთვლის ამბავი კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, რომელთაც ძალური იტერაციული გამოთვლები.

ნახ. 18-11-ში წარვენები მატების მოდელს ეწოდება **ბევერტონ-ჰოლტის მოდელი**. ის გვიჩვენებს შემთხვევას, სადაც მატება მონოტონურად იზრდება ნულიდან, ხოლო ზრდის ტემპები ეცემა, როდესაც მშობელი პოპულაცია უფრო დიდი ხდება. მატების ზრდისას, ზრდის ტემპების შენელება გამონვეულია იმ მოსაზრებით, რომელიც ჩადებულია ახალგაზრდათა სიკედილიანობის დონის სიმჭიდროვეზე დამოკიდებული კომპონენტის მოდელში. ანუ, ბევერტონ-ჰოლტის მოდელი მიიჩნევს, რომ უფრო მეტი ზრდასრული წარმოშობს უფრო მეტ პოტენციურ ნამატს (თანდათანობითი ზრდა მრუდში მშობელი პოპულაციის  $N(t)$  ზრდასთან ერთად), თუმცა ახალგაზრდების სიკედილიანობა გაიზრდება ახალგაზრდების რიცხვის მატებასთან ერთად. ამრიგად, იმ დროს, როცა ახალგაზრდები განაგრძობენ მატებას პოპულაციაში ზრდასრული პოპულაციის ზრდასთან ერთად, ისინი ემატებიან ნაკლები სიჩქარით.

ბევერტონ-ჰოლტის მოდელი ითვალისწინებს ახალგაზრდების სიმჭიდროვეზე დამოკიდებულ სიკედილიანობას, მაგრამ ასევე სავარაუდოა, რომ არსებობს სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ეფექტი, რომელიც დაკავშირებულია მშობელი პოპულაციის

რაოდენობასთან. მაგალითად, მშობელი პოპულაციის ზრდასთან ერთად, კონკურენცია რესურსებისთვის მომწიფებად ინდივიდებს და ზრდასრულებს შორის შეიძლება გაიზარდოს. სხვა ფაქტორებმა, როგორიცაა კანიბალიზმი ახალგაზრდებს შორის, რაც ხშირია თევზებსა და მრავალ სხვა ორგანიზმს შორის, შეიძლება გამოიწვიოს ზემოქმედება მატების წინააღმდეგ მშობელი პოპულაციების მრავალრიცხოვნებისას. მატების მოდელი, ეგრეთ წოდებული რიკერის მოდელი შეიცავს სიმჭიდროვეზე დამოკიდებულ შემცირებას მატებაში მრავალრიცხოვანი მშობელი პოპულაციებისას (ნახ. 18-12). რიკერის მოდელი ლოგისტიკური ფორმისაა და შეიძლება დაინტეროს შემდეგი სახით:

$$f[N(t+1)] = N(t)e^{r[1 - N(t)/K]}$$

განსხვავების განტოლების ზოგადი ფორმიდან ჩვენ ვიღებთ

$$N(t+1) = f[N(t+1)] = N(t)e^{r[1 - N(t)/K]}$$

$$N(t+1) = N(t)e^{r[1 - N(t)/K]} \quad (18-1)$$

განტოლება (18-1)-ის მიხედვით  $N(t+1)$ -ის გადატანა გრაფიკზე  $N(t)$ -ის საპირისპიროდ აღწერილია, როგორც მრუდი, რომელიც იზრდება  $N(t)$ -ს დაიპაზონზე 0-სა და რაღაც  $N_p$  სიდიდეს შორის, რომელზეც მაქსიმუმი მიღწევა. შემდეგ მცირდება სიდიდებისთვის  $N(t) >$  (ნახ. 18-12; იხ. ასევე ნახ. 18-13 და ნახ. 18-14). (დაუპირისპირეთ ეს მოდელი პოპულაციის ლოგისტიკური ზრდის მრუდს, რომელიც ნაჩვენებია ნახ. 16-3-ში, რომელსაც ასევე მსგავსი ფორმა აქვს. ლოგისტიკური მოდელი წარმოადგენს ცვლილებას

ზრდის ტემპში –  $dN/dt$ . რიკერის მოდელი არის განსხვავების განტოლება, რომელიც წინასწარ განჭვრებს მომდევნო პოპულაციის ზომას მიმდინარე პოპულაციის ზომიდან.) პყვის ადგილსამყოფელი შეიძლება განსაზღვრული იქნას განტოლება (18-1)-ის დიფერენციაციით, რაც გვაძლევს


$$\left(1 - \frac{rN(t)}{K} e^{r[1 - N(t)/K]}\right)$$

ეს გამოსახულება 0-ის ტოლია, როდესაც  $N(t) = N_p = K/r$  და სწორედ ამ ადგილას არის განტოლება (18-1)-ის მაქსიმუმი.



ნახ. 18-12 გვიჩვენებს ხუთი მრუდის „ოჯახს“, რომელთაგან ყველას ერთი წინასწორობის წერტილი აქვს, მაგრამ რ-ის სხვადასხვა მნიშვნელობა. ამ ნახატიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მრუდის ხასიათი დამოკიდებულია  $r$ -ზე. როდესაც  $r < 1,0$  მრუდი კვეთს  $K$ -ს დადებითი დახრილობით და პიკს აღწევს  $N_p > K$ -ზე. მაგალითად, თუ  $K = 10$  და  $r = 0,5$ ,  $K/r = N_p = 20$ . როდესაც  $r = 1,0$ , მრუდის პიკი ემთხვევა წინასწორობის დონეს, ანუ  $N_p = K$ . როდესაც  $r > 1,0$ , მრუდის პიკი განლაგებულია  $K$ -ს მარცხნივ,  $N_p = K/r$  და  $K$ -ს მკვეთი ხაზის დახრილობა არის უარყოფითი. ნუმერალური შედეგი  $K = 10$ -სა და  $r = 2,0$ -ისათვის არის  $K/r = 5$ .

### უკიდურესი ციკლები, ოსცილაცია და ქაოსი

რა არის რიკერის მოდელის არსი? მოდით, გამოვიყენოთ ნახ. 18-11-ში მოცემული გრაფიკული მიღვომა, რომელიც ჩვენ გაგაცანით განსხვავების განტოლების



ნახ. 18-12 ფორმის რიკერის მრუდების „ოჯახი“, რომელთაგან თითოეულს ერთნაირი წინასწორობა აქვს და  $r$ -ის სხვადასხვა სიღიძე. ვერტიკალური ხაზები  $N_p = K/2,5$  და  $N_p = K/1,5$ -ზე ეთანხმებიან მრუდის პიკებს რომელთა  $r$ -ები უდრის შესაბამისად  $r = 2,5$  და  $r = 1,5$ . მრუდის ფორმა დამოკიდებულია  $r$ -ის სიღიძეზე.  $r < 1,0$ -ისათვის მრუდი კვეთს  $K$ -ს დადებითი ფუნქციის მრუდით და პიკს აღწევს  $N_p > K$  და  $r > 1,0$ -ისათვის  $N_p < K$  და მრუდი კვეთს -ს უარყოფითი ფუნქციის მრუდით.



დროისთვის პოპულაციის ზომა  $t[N(t)]$ 

**ნახ. 18-13** დისკრეტული დროის ლოგისტიკური მოდელი  
 $N(t+1) = N(t) e^{r(1 - N(t)/K)}$ , სადაც  $r = 1,5$ . (ა) ნახ. 18-11ში ნაჩვენები საშუალებების გამოყენებით გავლებულია ისრები, რათა გვიჩვენოს, თუ როგორ მიიღება გრაფიკულად სიმჭიდროვეთა დროის სერიები დისკრეტულ დროში. (ბ) სიმჭიდროვეთა დროის სერიები, რომლებიც გვიჩვენებენ მილევად ოსცილაციას.

კონცეფციის გაცნობისას, რათა განგვეხილა, თუ რა ემართება პოპულაციას, რომლის სიმჭიდროვე ახლოსაა წონასწორობის დონესთან. ნახ. 18-13ა-ში ლოგისტიკური მატების მრუდი გავლებულია  $r = 1,5$ -თან. ვთქვათ  $t = 0$  დროისთვის, პოპულაციის სიმჭიდროვე  $(0)$  არის მაქსიმალური (კვლავაც ჩვენ ფრჩხილებს ვხმარობთ, რათა აღვნიშნოთ დისკრეტული დროის ცვლადი  $t = 0, 1, 2, 3, \dots$ ). პოპულაციის დონის განსასაზღვრად  $t = 1$  დროზე,  $N(1)$ , ჩვენ ვავლებთ ხაზებს ჯერ  $N(0)$  პოზიციიდან  $N(t)$  დერძზე მრუდისაკენ, შემდეგ  $N(t+1) = N(t)$  ხაზისკენ ( $45^\circ$ -იანი ხაზი). შემდეგ კი საპოლონდ, ქვემოთ უკან  $N(t)$  დერძისკენ. [კვლავაც ეს სიდიდეები ადვილი გამოსათვლელია განტოლება (18-1)-ის მანიპულაციებით კომპიუტრის საშუალებით.] მაშინ, როდესაც პოპულაციის თავდაპირველი ზომა  $N(0)$  ძევს წონასწორობის წერტილის ქვემოთ,  $N(1)$  მდებარეობს  $K$  კ-ს ზემოთ. დროის პირველი პერიოდის განმავლობაში პოპულაცია აჭარბებს წონასწორობას. პროცესის გამეორება  $N(2)$ -ის მისაღებად ავლენს, რომ დროის მეორე პერიოდში პოპულაცია წონასწორობის წერტილს ქვემოთ ჩადის, მაგრამ ის უფრო ახლოსაა

კ-სთან განლაგებული, ვიდრე წინა ორი პერიოდის განმავლობაში. ამ პროცესის გაგრძელებით, რაღაც პერიოდის განმავლობაში, ჩვენ შეგვიძლია დავვარნმუნოთ საკუთარი თავი, რომ საბოლოო ჯამში პოპულაცია დავა წონასწორობა კ-მდე ალტერნატიულად კ-ს ქვემოთ და ზემოთ მოძრაობის მცირე ამპლიტუდებით სანამ გაუთანაბრდება კ-ს (ნახ. 18-13ბ). სტაბილიზაციის ხასიათს ეწოდება მილევადი ოსცილაცია.

მოდით, ახლა წარმოვიდგინოთ სიტუაცია, სადაც  $r = 2,5$ , როგორც ნაჩვენებია ნახ. 18-14ა-ში, და სადაც  $N(t)$  მიიღება რაღაც პერიოდისთვის ზემოთ მოცემული პროცედურის მეშვეობით. როგორც წინა სიტუაციაში, როდესაც  $N(0) < K$ , პოპულაცია ასცდება  $-s$  დროის პირველი შუალებში და ჩამოსცდება მას მეორეში. მაგრამ პოპულაციის ცვლილება  $t = 3$ -სა და  $t = 4$  დროებს შორის აბრუნებს პოპულაციას ახლოს საწყის დონე  $N(0)$ -თან, რითაც იწვევს კიდე ერთ აცდენას კ-ზე.


დროისთვის პოპულაციის ზომა  $t[N(t)]$ 

ნახ. 18-14 დისკრეტული დროის ლოგისტიკური მოდელი

$N(t+1) = N(t) e^{r(1 - N(t)/K)}$ , სადაც  $r = 2,5$ . (ა) ნახ. 18-11-სა და ნახ. 18-12-ში ნაჩვენები ხერხების გამოყენებით ისრები იღლება იმის საჩვენებლად, როგორ მიიღება გრაფიკულად სიმჭიდროვეთა დროის სერიები დისკრეტულ დროში. (ბ) სიმჭიდროვეთა დროის სერიები, რომლებიც გვიჩვენებენ სტაბილურ ოსცილაციას ან უკიდურეს ციკლს.

მართლაც, ეს პოპულაცია ვერასდროს დავა წონას-წორობამდე. ნაცვლად ამისა, ის დაიწყებს სტაბილურ ოსცილაციას, რომელსაც ასევე უკიდურესი ციკლი ეწოდება (ნახ. 18-14ბ). ნიმუში დრო-სიმჭიდროვის სისტემისა, რომელიც შედეგად იწვევს მაღალ რ-ს მოცემულია ნახ. 18-15-ში.

ოსცილაციები მზარდი რ-ით იღებენ ძალიან კომპლექსურ და საბოლოო ჯამში წინასწარ განუჭვრეტად ფორმებს, რომელსაც ქაოსი ეწოდება. ქაოსის მახასიათებლები და მისი არსებობა ბუნებაში ფართოდ განიხილება ეკოლოგიაში (May 1987, Godfray and Grenfell 1993, Hastings et al. 1993, Perry et al. 1993). თუ აქ გამოყენებულია ტერმინი „ქაოსი“, მისი საერთო, საყოველთაო მნიშვნელობით, მაშინ ეს ცნების დამახინჯებაა. სისტემები, რომლებიც ავლენენ ქაოტურ დინამიკას, არ მერყეობენ შემთხვევითად, თუმცა ისინი ერთი შეხედვით შეიძლება ასე მოგვეჩენოს. ქაოსური დინამიკის დასადგენად, დრო-სიმჭიდროვის მონაცემების გამოყენებით, განვითარებული იქნა მათემატიკური მოდელების მთელი რიგი (Hastings et al. 1993). მართალია, ამ მოდელების გამოყენება ბუნებრივი პოპულაციებისთვის სავსეა სიძნელეებითა და გაურკვევლობებით, ისინი ავლენენ ქაოტურ დინამიკას პოპულაციათა რიცხვებში. მათ შორისაა, მაგალითად, კანადური ფოცხვერი, მლრღნელებისა და მწერების რამდენიმე სახეობა და რამდენიმე დაავადება, როგორიცაა წითელა (Schaffer and Kot 1986, Turchin and Taylor 1992).



**ნახ. 18-15** ცვლილებათა ხასიათი პოპულაციის სიმჭიდროვეში დროის განმავლობაში ლოგისტიკური მოდელისთვის, სადაც  $r = 5,0$  (ზედა),  $r = 3,3$  (ცენტრი) და  $r = 2,6$  (ქვედა). (After Yodzis 1989; from May 1987.)

## 18.6 ძროში გაფარხებები იწვევან ოსცილაციას/რხევებს განგრძობითი ძროის მოდელები

სიმჭიდროვეზე დამოკიდებულება სახეზეა, როდე-საც პოპულაციის ან ზრდის ტემპი ან სიკვდილიანობის დონე დამოკიდებულია მის საკუთარ სიმჭიდროვეზე. გამრავლება ზრდის პოპულაციის სიმჭიდროვეს, მაგრამ გაზრდილი სიმჭიდროვის გავლენა შეიძლება არ იგრძნობოდეს, სანამ ახალგაზრდები მომწიფდებიან. მაგალითად, დღევანდელ ახალშობილებს არ შეუძლიათ, გაზარდონ პოპულაციის ზრდის სიჩქარე, სანამ არ შეძლებენ გამრავლებას რაღაც გარკევული დროში. ამგვარი დროის შეფერხებებს სიმჭიდროვეზე დამოკიდებულ ფაქტორებში შეუძლიათ, გამოიწვიონ ოსცილაციები პოპულაციაში. ეს ცენტრი შეიძლება მოდელირებულ იქნას პოპულაციის ზრდის ლოგისტიკურ მოდელში დროში შეფერხებათა ტერმინის შემოღებით.

## განგრძობითი ზრდის დროში შეფერხების მოდელები


ოსცილაციები პოპულაციის სიმჭიდროვეში იწარმოებიან მუდმივი დროის მოდელებში, როდესაც პოპულაციის ზრდის რეაქციები სიმჭიდროვეზე დროშია შეფერხებული. ანუ, როდესაც სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების უფექტი ასახავს პოპულაციის სიმჭიდროვეს დროის ერთეულით წარსულში. ლოგისტიკური განტოლება შეიძლება მოდიფიცირებულ იქნას შემდეგნაირად:

$$\frac{dN}{dt} = rN(t) \left[ 1 - \frac{N(t-\tau)}{K} \right]$$


ჰატჩისონმა (1948) აღნიშნა, რომ ეს მოდელი აწარმოებს  $N$ -ის მიღევად ოსცილაციას, მანამ სანამ პროდუქტი არის ნაკლები ზე (დაახლოებით 1,6). ზე ქვემოთ პოპულაცია იზრდება ან მცირდება მონოტონურად, ოსცილაციის გარეშე – წონასწორობის წერტილამდე. ზე მეტი ისთვის ოსცილაცია იზრდება, სანამ პოპულაციის მაქსიმალური ზომა არ მიაღწიება ამრიგად, -სთვის ოსცილაცია იზრდება ამპლიტუდაში, სანამ  $N$ -ის მაქსიმალური სიდიდე არ იქნება გამრავლებული -ზე. როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, ჩვენს განხილვაში ზემოთ მოცემული დისკრეტული დროის მოდელების შესახებ, პოპულაციის ბიოლოგები სტაბილურად შენარჩუნებულ ოსცილაციებს უკიდურეს ციკლებს უწოდებენ. მათი პერიოდები – დრო პიკიდან პიკამდე, იზრდება დაახლოებით 4-ჯერ -დან 5-ჯერ მდე, მზარდი -ით (May 1976).

## დროის შეფერხების ციკლები წყლის რნყილებში


პოპულაციათა ციკლები შეინიშნება ერთეული სახე-ობების მრავალ ლაბორატორულ კულტურებში. პრატის (1943) დაკვირვებები წყლის რნყილებზე აპკნია მაგნა ფართოდ არის გამოყენებული, ნანილობრივ იმიტომ, რომ პოპულაციები ავლენენ მონიშნულ ოს-ცილაციას, როდესაც კულტივირებულ იქნება  $25^{\circ}\text{C}$ -ზე, მაგრამ ძლიერ მილევას  $18^{\circ}\text{C}$ -ზე (ნახ. 18-16).  $25^{\circ}\text{C}$ -იანი პერიოდი, როგორც ჩანს, დასრულდა 40 დღეში ორი ციკლისთვის, რაც გულისხმობდა დაახლოე-ბით 10 დღიან დროის შეფერხებას სიმჭიდროვეზე დამოკიდებულ რეაქციაში. ეს არის დაახლოებით საშუალო ასაკი, რომელზეც წყლის რნყილები მრავ-ლდებიან  $25^{\circ}\text{C}$ -ზე. დროის შეფერხებამ თავი იჩინა შემდეგნაირად. როდესაც პოპულაციის სიმჭიდროვე გაიზარდა, გამრავლება შემცირდა და დაცა თითქ-მის ნულამდე, როცა პოპულაციამ გადააჭარბა 50 ინ-დივიდს. გადაარჩენა ნაკლებ მგრძნობიარე იყო სიმ-ჭიდროვისადმი მაღალი სიმჭიდროვის პირობებშიც კი და ზრდასრულები ცოცხლობდნენ სულ მცირე, 10 დღის განმავლობაში. დაჯგუფებამ ციკლის პიკში შეაფერხა შობადობა. მაშინ, როდესაც პოპულაცია ჩამოვიდა სიმჭიდროვეზე, რომელიც საკმარისად დაბალი იყო იმისთვის, რომ საშუალება მიეცა გამ-რავლებისთვის, ზრდასრული მოსახლეობა შეიცავ-და მხოლოდ ასაკიან, არაგამრავლებად ინდივიდებს და ამრიგად, პოპულაციამ განაგრძო კლება. ახალი ციკლის დაწყება ელოდა ახალგაზრდა, ნაყოფიერი ინდივიდების დაგროვებას. მაღალ სიმჭიდროვეზე დროებითი შეფერხებების ხანგრძლივობა დაახლოე-ბით ზრდასრული ინდივიდის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობის ტოლი იყო.



**ნახ. 18-16** *Daphnia* მაგნა-ს პოპულაციის ზრდა  $25^{\circ}\text{C}$ -ზე და  $18^{\circ}\text{C}$ -ზე, სადაც ნაჩვენებია პოპულაციათა ციკლები თბილ ტემპერატურაზე. (After Pratt 1943.)



(ა) დრო (დღეები)



(ბ) დრო (დღეები)

**ნახ. 18-17** ორი პოპულაციის (ა) ოსმინა ლონგიროსტრს და (ბ) აპკნია გალეატა-ს სიმჭიდროვე დაბორატორულ პირობებში. ლიპი-დის ნეცების შენახვა *Daphnia*-ში, რომელიც შეიძლება გამოყენებუ-ლი იქნას საკვების სახით საკვების ხელმიუნებობის პერიოდებში, ზრდის გადარჩენას და შემოჰყავს დროის შეფერხებანი რომლებიც გამოხატული არიან უკადურები ლიმიტების სახით.

(From Goulden et al. 1982.)

დაბალ ტემპერატურაზე რეპროდუქციული ტემ-პი სწრაფად დაცა მზარდი სიმჭიდროვის გათვალ-ისწინებით და სიცოცხლის ხანგრძლივობაც ყველა სიმჭიდროვეზე საგრძნობლად გაიზარდა  $25^{\circ}\text{C}$ -თან შედარებით. პოპულაციები შედარებით დაბალ ტემ-პერატურაზე როგორც ჩანს, განიცდიდნენ დროში შეფერხებათა ნაკლებობას, რადგან სიკვდილიანობა უფრო თანაბრად იყო გადანაწილებული ასაკში და ზოგიერთი ინდივიდი პოპულაციის მაღალ სიმჭ-დროვეზეც ახორციელებდა გამრავლებას. საბოლოო ჯამში, თაობები ერთმანეთს გადაფარავდნენ უფრო ფართოდ. მაღალ ტემპერატურაზე აპკნია-ები იქ-ცეოდნენ დისკრეტული თაობის მოდელის მიხედვით ჩამოტაჭებული დროის შეფერხებით ერთ თაობაში. დაბალ ტემპერატურაზე ისინი იქცეოდნენ მუდმივი თაობის მოდელის მიხედვით, მცირე ან ნულოვანი დროის შეფერხებით.

ლიპიდების რეზერვის შენახვა წყლის რნყილების ზოგიერთი სახეობის მიერ ამცირებს სიკვდილიანო-ბის მგრძნობელობას სიმჭიდროვის მიმართ და ამ-რიგად, პოპულაციის პროცესებში შემოჰყავს დროის შეფერხება (Goulden and Hornig 1980). აპკნია გალეატა,

დიდი სახეობა, ინახავს ენერგიას თავისი ლიპიდის ნეცეთებით იმ პერიოდების განმავლობაში, როდესაც საკვები ჭარბია (ანუ პოპულაციის დაბალი სიმჭიდროვეს პირობებში), რომლის გამოყენებაც მას შემდეგ შეუძლია, როდესაც საკვები ნივთიერებების მარაგი შემცირდება ზედმეტი მოხმარების გამო პოპულაციის მაღალ სიმჭიდროვებზე. მდედრები ასევე გადასცემენ ლიპიდებს თითოეულ ნაშიერს კვერცხში ზეთოვანი ნეცეთების სახით, რითაც ზრდიან წყლის ახალგაზრდა რწყილების რეპროდუქციამდელ გადარჩენას ცუდი საკვები პირობების არსებობისას (Tessier et al. 1983). შედარებით მცირე ზომის წყლის რწყილი ოსმინა ლონგიროსტრის მცირე რაოდენობის ლიპიდებს ინახავს და ამიტომ, შიმშილობა იზრდება პოპულაციის სიმჭიდროვის ზრდის პირდაპირპოპორციულად. პოპულაციის ზრდის შედეგები ადვილად განსაჭვრეტია: ლაბორატორულ პირობებში აპჰნია განავითარებს მკვეთრად გამოხატულ უკიდურეს ციკლებს 15-20 დღემდე პერიოდში. ოსმინა-ს პოპულაციები იზრდებიან სწრაფად და სწრაფადვე დადიან წონასწორობამდე, ალბათ მხოლოდ ერთი ძლიერ მილევადი გადაჭარბებით (ნახ. 18-17). აფჰნია-სთვის გოულდენმა და სხვებმა (1982) განსაზღვრეს, რომ რ იყო დაახლოებით 0,3 დღე—1. 15-20 დღემდე ციკლის შერიოდით უნდა ყოფილიყო დაახლოებით 4-5 დღემდე და ამირიგად, იყო დაახლოებით 1,2-1,5. რადგანაც სიდიდე იყო სადღაც -ზე ნაკლები, ციკლები აპჰნია-ს პოპულაციაში საბოლოო ჯამში უნდა ყოფილიყო მილევადი.

### ა.ჯ.ნიკოლსონის ექსპერიმენტები ხორცის ბუზის პოპულაციებზე


პოპულაციის ქცევამის წონასწორობასთან მიმართებაში მგრძნობიარეა მრავალი სასიცოცხლო ციკლის მრავალი ასპექტისთვის, რომლებიც მართავენ დროის შეფერხებას სიმჭიდროვეზე რეაქციებში. მცირე განსხვავებებს ლაბორატორულ კულტურულ პირობებში ან სახეობათა თანდაყოლილ თვისებებში შეუძლიათ, გადამწყვეტი მნიშვნელობისა გახდნენ წონასწორობასთან მონოტონურ მიდგომასა და უკიდურეს ციკლს შორის. ა.ჯ. ნიკოლსონის (1958) დროის შეფერხების ექსპერიმენტული მანიპულაციები ცხვრის ბუზის უცილია ცუპრინა-ს ლაბორატორულ კულტურებზე დროის შეფერხების პოპულაციის ციკლებთან ურთიერთობის დრამატულ დემონსტრაციას წარმოადგენს. ამ ლაბორატორული კულტურის პირობების ერთ წყებაში წიკოლსონმა ხორცის ბუზების ლარვები დაიყვანა დღეში 50გ ლვიძლამდე, მაშინ როდესაც ზრდასრულებს საკვებს შეუზღუდავად აძლევდა. ზრდასრულების რიცხვი პოპულაციაში ციკლირებდა მაქსიმუმიდან, დაახლოებით 4000 ინდივიდი, მინიმუმამდე – 0 (რა დონეზეც ყველა ინდივიდი ან კვერცხი იყო, ან ლარვა) 30-

იდან 40 დღემდე პერიოდში (ნახ. 18-18).

ამ ექსპერიმენტში ხორცის ბუზის პოპულაციის რეგულარული ფლუქულური გამოწვეული იყო ლაბორატორულ ბოქსებში ზრდასრულების სიმჭიდროვეზე ნაყოფიერებისა და სიკვდილიანობის რეაქციაში დროის შეფერხებით. როდესაც ზრდასრულები მრავალრიცხვანი იყვნენ, მრავალი კვერცხი იდებოდა, რაც ინცეპდა ძლიერ ლარვულ კონკურენციას შეზღუდული საკვების მარაგისთვის. არც ერთი ლარვა, რომელიც გამოიჩინა ზრდასრული პოპულაციის პიკების პერიოდში, არ გადარჩენილა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ისინი ვერ გაიზარდნენ საკმარისად დიდები იმისთვის, რომ დაჭუბრებულიყვნენ. ამრიგად, ზრდასრულთა დიდი პოპულაციები სათავეს უდებდნენ ზრდასრულთა მცირე შთამომავლობას და რადგანაც ზრდასრულები 4 კვირაზე ნაკლებ დროს ცოცხლობდნენ, პოპულაციაში მალე კლება დაიწყო. საბოლოოდ იმდენად მცირე კვერცხი დაიდო ნებისმიერ კონკრეტულ დღეს, რომ ლარვათა უმეტესობა გადარჩა და ზრდასრული პოპულაციის ზომამ კვლავ მატება დაიწყო.

ნიკოლსონის გამოკვლევის შედეგი შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას როგორც დროში შეფერხებული ლოგისტიკური პროცესი, რომელიც გვაწვდის კარგ მორგებას დაკვირვებული ოსცილაციისთვის, სადაც ეს მოდელი წინასწარ განსაზღვრავს, რომ მაქსიმალური პოპულაციის შედარება მინიმალურთან იქნება 84 და ციკლის პერიოდი იქნება (May 1975b). ექსპერიმენტი ცხადად გვიჩვენებს, რომ სიმჭიდროვეზე დამოკიდებულმა ფაქტორებმა დაუყოვნებლივ არ იქნიეს ზეგავლენა ზრდასრულთა სიკვდილიანობის დონეზე, როდესაც პოპულაცია გაიზარდა, ისინი შეიგრძნობოდა დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, როდესაც გაჩნდა ლარვული შთამომავლობა. ლარვების სიკვდილიანობა არ აისახა ზრდასრული პოპულაციის ზომაზე მანმადე, სანამ ეს ლარვები ზრდასრულები არ გახდნენ კვერცხის დადებიდან დაახლოებით 2 კვირაში. ხორცის ბუზების პოპულაცია წააგავს პრეტის აპჰნია-ს პოპულაციას მაღალ ტემპერატურაზე, სადაც შეჯგუფებამ შექმნა ინდივიდების დისკრეტული, არაგადაფარვადი თაობები შთამომავლობით მიღებული დროის შეფერხებით, რომელიც უტოლდება ლარვული განვითარების პერიოდს – დაახლოებით 10 დღე [ჰასელმა და სხვებმა (1976) აღმოაჩინეს ხორცის ბუზების პოპულაციების დისკრეტული თაობების მოღელები. მათი ნაშრომი გამოყენებული უნდა იქნას მომავალი განხილვებისთვის].

ჰიპოთეზა, რომ ხორცის ბუზების პოპულაცია-თა ციკლები გამოწვეული იყო დროში შეფერხებით, შეიძლება გამოიცადოს პირდაპირ, დროში შეფერხების ჩამოშორებით სიმჭიდროვეზე დამოკიდებული რეაქციებიდან. ანუ თუ მაღალ სიმჭიდროვეზე რესურსთა გამოლევის მავნებელ ეფექტს საგრძნობს გავხდიდით დაუყოვნებლად. ნიკოლსონმა ეს გაა-



**ნახ. 18-18** (ა) ფლუქ-ტუაციები ხორცის ბუზის უცლილი ცუპრინა-ს ლაბორატორულ პოპულაციაში. ლარვებს აძლევდნენ დღეში 50გ ღვიძლს. ზრდასრულებს ეძლეოდათ შეუზღუდული მარაგი ღვიძლის და წყლის. მჩვანე ხაზი ნარმოადგენს ზრდასრული ხორცის ბუზების რიცხვს პოპულაციაში. შავი ცერტიფიალური ხაზები ნარმოადგენენ ზრდას-რულთა რიცხვს, რომელიც საბოლოო ჯამში ნარმოიშვნენ ხაზებით აღნიშნულ დღეებში დადებული კვერცხებიდან. (ბ) საშუალო ასაკობრივი სტრუქტურა ხორცის ბუზების პოპულაციისა. (After Nicholson 1958.)

კეთა არსებული საკვების მორგებით როგორც ზრდასრულებისთვის, ისე ლარვებისთვის. რადგანაც ზრდასრულებს ესაჭიროებათ ცილა კვერცხების ნარმოქმნისთვის, ღვიძლის ხელმისაწვდომობის შეზღუდვით, ზრდასრულებისთვის 1 გრამამდე დღეში, ნიკოლსონმა შეამცირა კვერცხების პროცენტია იმ დონემდე, რომელსაც განსაზღვრავდა ღვიძლის ხელმისაწვდომობა და არა პოპულაციაში ზრდას-რულთა ოდენობა. ამგვარ პირობებში პოპულაციაში ახალი ინდივიდების მატება განისაზღვრებოდა კვერცხის დების ფაზაზე საკვების მარაგის გავლენით ერთ სულ მოსახლის ნაყოფიერებაზე. ლარვათა უმრავლესობა გადარჩებოდა. შედეგად, ფლუქტუაციები პოპულაციაში პრაქტიკულად გაქრა (ნახ. 18-19).

ჩვენ ვნახეთ, რომ პოპულაციათა რეაქციები სიმჭიდროვეზე შეიძლება გადადებულ იქნან განვითარების დროის და საკვები ნივთიერებების შეახვის საშუალებით, რომელთაგან ორივეს შეუძლია, გადავადონ სიკვდილი სიცოცხლის ციკლის მომდევნო მომენტისთვის ან მოგვინებით. სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ეფექტები ნაყოფიერებაზე შეიძლება მოქმედებდნენ მცირე შეფერხებით, როდესაც კვერცხი სწრაფად ნარმოიქმნება მოკლე

დროის განმავლობაში დაგროვილი რესურსებიდან. პოპულაციებში, რომელიც უპირველეს ყოვლისა კონტროლდებიან ამგვარი ფაქტორებით, არ უნდა იყოს მოსალოდნელი, რომ განავითარონ მონიშნული ოსცილაცია.

### დროებითი შეფერხება დედობრივი ეფექტის საშუალებით

ერთ თაობაში გრძელი დროებითი შეფერხებები შეიძლება შემოტანილ იქნას შთამომავლობაზე დედობრივი ეფექტის გადაცემით კვერცხის საშუალებით ან სხვადასხვა გენოტიპების გადარჩევით პოპულაციის სხვადასხვა სიმჭიდროვეზე. დასავლეთის კარვის მუხლუხოს კვლევებმა ვანკუვერის კუნძულზე, კანადაში (Wellington 1960) გვიჩვენა ცხადად გამოხატული დროებითი შეფერხება დედობრივი ეფექტის საშუალებით. ოთხნლიანი კვლევა მოიცავდა პოპულაციისთვის პიკის ნელს 1956 ნელს, რომელსაც მოჰყვა სწრაფი კლება 1959 წლის ჩათვლით. კარვის მუხლუხოს ლარვები კლასიფიცირდებოდნენ როგორც „აქტიურები“ და „პასიურები“ მათი ქცევის მიხედვით. კარვის მუხლუხოთა ნაშერები


უპირველესად შედგებიან აქტიური ლარვებისან, რომლებიც პასიური ლარვებისგან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი მეტ კარაგს ქმნიან უფრო მეტად წაგრძელებული სტრუქტურით. ისინი იკვებებიან უფრო გრძელ მანძილებზე ხეების ტოტების გასწორივ, ჭამდნენ მეტ ფოთოლს და შედეგად უფრო სწრაფად ვითარდებოდნენ. აქტიური მუხლუხოები უკეთესად გადარჩებოდნენ, ვიდრე პასიურები.

აქტიური ლარვების პროპორციაზე გარკვეულ შთამომავლობაში გავლენას ახდენდა ინვაზიის წარსული ისტორია. შთამომავლობა იმ არეალში, სადაც პოპულაცია მცირე იყო წინა წლებში, შეიცავდნენ უფრო აქტიურ მუხლუხოებს ვიდრე შთამომავლობა ინვაზიის მაღალი დონიდან. ლარვების აქტივობის დონე დამოკიდებულია საკვების რაოდენობაზე იმ კვერცხში, რომლებიდანაც ისინი განვითარდნენ. ზრდასრული მდედრი ჩრჩილების უმრავლესობა თანაბარი რაოდენობის კვერცხს დებდა, მათი შესაძლებლობის მიუხედავად, უზრუნველყოფილ თითოეული ინდივიდუალური კვერცხი საკვებით. ის, თუ რამდენად კარგად უზრუნველყოფდა მდედრი საკვებით თავის კვერცხს დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენ საკვებს მოიხმარდა იგი თავად მუხლუხოდ ყოფის პერიოდში. როდესაც საკვები იყო შედარებით ნაკლები, მცირე რაოდენობის კვერცხი იქნა შესაფერისად უზრუნველყოფილი და შთამომავლობაც ნაკლებ აქტიურ მუხლუხოს შეიცავდა. ამრიგად, გარკვეულ წელს გაჩენილი მუხლუხოების ხარისხი შთამომავლობაში დამოკიდებული იყო საკვების ხელმისაწვდომობაზე მათი დედისთვის, როდესაც ის თავად იყო მუხლუხო წინა წლის განმავლობაში. მეტიც, რადგანაც თითოეული მუხლუხოს აქტივობის დონეს ნაწილობრივ განსაზღვრავდა ის, თუ რამ-

დენ საკვებს მოიხმარდა, წინა წლის განმავლობაში მისი დედის საკვების მარაგი გავლენას ახდენდა მისი საკუთარი შთამომავლობის წარმატებაზე მომდევნო წლის განმავლობაში. ამრიგად, პოპულაციაში შეიძლება განავითარის 1 წლზე მეტი ხნის დროებითი შეფერხება თავის რეაქციაში სიმჭიდროვეზე ან ცვლილებაზე საკვების ხელმისაწვდომობაში.

სიმჭიდროვეზე დამოკიდებულ რეაქციებში დროებითი შეფერხების მიუხედავად, პოპულაცია თავის წონასწორობის დონეზე დარჩება, სანამ არ იქნება დარღვეული რაიმე გარე გავლენის შედეგად, იქნება ეს ცვლილება წონასწორობის დონეში (K) თუ კატასტროფული ცვლილება პოპულაციის ზომაში (N). როცა კი პოპულაცია გასცდება წონასწორობას, ზოგი პოპულაცია დაინტენსი მოძრაობას სტაბილური უკიდურესი ციკლების მიმართულებით, შეფერხების ბუნებასა და რეაქციის დროზე დამოკიდებულებით. სხვები დაუბრუნდებიან წონასწორობის დროს პირდაპირ ან მიღევადი სცილაციების საშუალებით. ციკლები შეიძლება გაძლიერებულ იქნან სხვა სახეობებთან ინტერაქციების საშუალებით (მსხვერპლი, მტაცებელი, პარაზიტი, შესაძლოა კონკურენტებიც კი) მსგავსი დროის მუდმივებით.

ამ თავში მოცემული იყო თეორიული მოდელები ექსპერიმენტების საფუძველზე, რომლებიც მიმართული იყვნენ პოპულაციის დინამიკის მექანიზმებისა და შედეგების გაგებისთვის. ფლუქტუაციებს პოპულაციების დინამიკაში შეიძლება ღრმა გავლენა პქონდეთ ბუნებრივი პოპულაციების შენარჩუნებაზე. მომდევნო თავში ჩვენ განვიხილავთ სიტუაციებს, სადაც ბუნებრივი პოპულაციები რისკის ქვეშა და ზოგიერთი სტრატეგიებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნან მომწიფებამდელი პოპულაციების გადასარჩენად განადგურებისგან.



**ნახ. 18-19** (ა) ზრდასრულთათვის ხელმისაწვდომი საკვების მარაგის შეზღუდვის ეფექტები სიცოცხლის ხორცის ბუნების პოპულაციის ფლუქტუაციაზე. ეს ექსპერიმენტი ნაგავდა ნახ. 18-18-ში აღნერილ ექსპერიმენტს ყველა მხრივ. (ბ) საშუალო ასაკობრივი სტრუქტურა ხორცის ბუნების პოპულაციის შეზღუდული საკვების პირობებში.  
(After Nicholson 1958.)

## დასკვნა

- პოპულაციაში ცვლილებები სიმჭიდროვეში დამოკიდებულია გარემოს ფლუქტუაციების ძალაზე. ზოგიერთი პოპულაცია ავლენს სიმჭიდროვის რეგულარულ ციკლებს.
- პოპულაციის ასაკობრივი სტრუქტურა შეიძლება შეიცვალოს დროში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სიკედილიანობის ცვლილების გამო. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ პოპულაციის ზრდის სიჩქარეზე.
- პოპულაციის გადატანითი შესაძლებლობა მერყეობს გარემო ცვლილებებზე რეაქციების მიხედვით. პოპულაცია რეაგირების ხარისხი ამგვარ ცვლილებებზე დამოკიდებულია პოპულაციის ზრდის სიჩქარე რ-ზე. ზოგადად, ზრდის მაღალი სიჩქარების მქონე პოპულაციები უფრო ადეკვატურად პასუხობენ გარემო ცვლილებებს, ვიდრე პოპულაციები ზრდის დაბალი ტემპით. პოპულაციის მახასიათებელი უკანდახევის დრო განისაზღვრება როგორც ექსპონენციალური ზრდის სიჩქარის საპირისპირ სიდიდე შეჯგუფების არ არსებობის პირობებში. ანუ  $T = 1/r$ . პოპულაციებს შეუძლიათ, ადეკვატურად ალიქვან გარემო ცვლილება, როდესაც მახასიათებელი უკანდახევის დრო ნაკლებია, ვიდრე გარემო ცვლილება გაყოფილი  $2\pi$ -ზე.
- პოპულაციის ციკლები კარგად ავლენენ განსხვავებითი განტოლების გამოყენებით, რომელსაც შემდეგი ფორმა აქვს  $N(t+1) = f[N(t)]$ , სადაც  $f[N(t)]$  არის ლოგისტიკური მატების ფუნქცია, რომელიც გვაძლევს იმ სისტემას, რომლითაც ახალი ინდივიდები შედიან პოპულაციაში. პოპულაციის ეს დისკრეტული დროის მოდელები სიმჭიდროვეზე

დამოკიდებულებით მერყეობენ რღვევისას. როდესაც  $r = 0$ -სა და  $1$ -ს შორისაა, პოპულაციის ზომა ( $N$ ) აღწევს წონასწორობას (K) მონოტონურად. როდესაც  $r = 1$ -სა და  $2$ -ს შორისაა, განიცდის მიღვად ოსცილაციას და საპოლონდ დადის K-ზე. როდესაც  $r = 2$ -ზე მეტია, ოსცილაციები N-ში იზრდებიან ამპლიტუდაში, სანამ ან სტაბილურ უკიდურეს ციკლს არ მიაღწევენ ამ პოპულაცია არაწესიერად მერყეობას განაგრძობს (ქაოსი).

**5.** მუდმივი დროის მოდელებს, შეუძლიათ, წარმოქმნან პოპულაციის ციკლური ცვლილება, როდესაც სიმჭიდროვეზე დამოკიდებული რეაქციები დროშია შეფერხებული. აღვნიშნავთ რა დროში შეფერხებას  $t$ -თი, ამგვარი მოდელები ავითარებენ მონოტონურ მიღვად ოსცილაციას, როდესაც პროდუქტი  $t$  მდებარებს  $0$ -სა და  $e^{-1}$ -ს შორის ( $0,37$ ). ისინი ავითარებენ მიღვად ოსცილაციას, როდესაც  $t$  მდებარებს  $e^{-1}$ -სა და  $/2-2$  შორის და ავითარებენ უკიდურეს ციკლებს  $4t$ -ს ან კიდევ მეტი ხნის პერიოდებს, როდესაც  $t$  აჭარბებს  $/2-2$ .

**6.** ცხოველთა მრავალი ლაბორატორული პოპულაცია ავითარებს ოსცილაციას, რომლებიც წარმოშობილნი არიან დროებითი შეფერხებებით ინდივიდების რეაქციებში პოპულაციის სიმჭიდროვეზე. დროში შეფერხებები დაკავშირებულნი არიან განვითარების პერიოდთან კვერცხობიდან ზრდასრულობამდე და შეიძლება გაძლიერებულ იქნან საკვების შენახვით. ცხვრის ხორცის ბუზების ლაბორატორულ პოპულაციებში ა.ჯ. ნიკოლასონმა ექსპერიმენტალურად ჩამოაშორა დროში შეფერხება და შეძლო ციკლების მოშორება რიცხვებში.

## სავარჯიშოები

- ჩამოთვალეთ ათი განსხვავებული მცენარის ან ცხოველის სახეობა, რომლისთვისაც თქვენ შეგიმჩნევიათ ცვლილება სიჭარებში ერთი წლიდან მეორემდე.
- კითხვა 15-2-ში მოცემული პოპულაციის გამოყენებით მოახდინეთ გარემო ეფექტების სიმულირება, ასაკობრივი ჯგუფ  $x = 2, b_2$ -ს ნაყოფიერებაში შემთხვევითი რეგულაციების გაკეთებით, შემთხვევითი რიცხვების ცხრილის გამოყენებით, შემდეგნაირად: აირჩიეთ ცხრილიდან სამნიშნიანი თანმიმდევრობა (მაგალითად 348). პირველი ნიშნით აღნიშნეთ  $b_1$  ის, გაზრდით თქვენ  $b_2$ -ს თუ შეამცირებთ. თუ რიცხვი ნულია ან ლუნი მთელი რიცხვი, მაშინ გაზარდეთ  $b_2$ . თუ რიცხვი კენტია – შეამცირეთ  $b_2$ . ასე რომ, თუ

თქვენ აირჩიეთ 348-ს, მაშინ თქვენ შეამცირებთ  $b_2 = 2$ , რადგან პირველი რიცხვი 3 კენტია. მეორე და მესამე ნიშნებით აღნიშნეთ  $b_2$ -ის ზრდის ან შემცირების პროპორცია. 348 რიცხვისთვის ეს იგულისხმებდა, რომ  $b_2$  შემცირდებოდა 48%-ით. მაგალითად, თუ  $b_2 = 2$ , როგორც კითხვა 15-2-შია მოცემული, მაშინ მომდევნო სეზონისთვის გამოიყენეთ  $2 - 2(0,48) = 1,04 b_2$ -სთვის ამ მიზეზით. (მინიშნება: იხ. ნახ. 15-5 კალკულაციების რეზიუმესთვის.)

**3.** შეადგინეთ დრო-სიმჭიდროვის გრაფიკი პოპულაციისთვის, სადაც მატება მიჰყვება რიკერის მოდელს,  $K = 75$ ,  $r = 1,2$  და  $N(t)$  მოძრაობს  $0-100$ -მდე  $10$ -იანი ნაბიჯებით. (მინიშნება: იპოვეთ სხვადასხვა სიმჭიდროვე განტოლება 18-1-ის გამოყენებით).

**4.** ჰარისონი გულისხმობდა, რომ პოპულაციის ლოგისტიკური მოდელი დროში შეფერხებით  $dN / dt = rN(t) [1 - N(t - \tau) / K]$  – ანარმონებს მიღევად ოსცილაციას, როდესაც  $r\tau$  ნაკლებია 1,6-ზე. გამოსახეთ ეს გრაფიკულად.

**5.** მეჩვიდმეტე თავში მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით, იმსჯელეთ იმაზე, თუ როგორ შეიძლება იყოს დანახული პოპულაციათა მერყეობა მეტაპოპულაციების კონტექსტში.

**6.** ვთქვათ, თქვენ ხართ კონსერვაციული ბიოლოგი, დაინტერესებული გარეული ინდაურების პოპულაციის შენარჩუნებით. იმაზე დაყრდნობით, რაც ისწავლეთ პოპულაციათა დინამიკის შესახებ, რა ფაქტორების ცოდნით იქნებით ყველაზე მეტად დაინტერესებული თქვენი პოპულაციის შესახებ იმისთვის, რომ განავითაროთ შენარჩუნების ეფექტური სტრატეგია? (მინიშნება: ინდაური სარენი ცხოველია და განიცდის ნადირობით ისპობა.)

## თავი 19



# გადაშენება, შენარჩუნება და აღდგენა

### გზამკვლევი კითხვები

- რა სამი ტიპის გადაშენება არსებობს?
- რა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიონ გადაშენება?
- როგორც იწვევს ადამიანის საქმიანობა გადაშენებას?
- რატომ აქვთ მცირე პოპულაციებს გადაშენების უფრო დიდი რისკი, ვიდრე დიდ პოპულაციებს?
- როგორ ახდენს გავლენას სახეობათა გეოგრაფიული არეალი მათი გადაშენების რისკზე?
- როგორ შეუძლია პოპულაციის ზომამ და სივრცობრივმა განლაგებამ შეასრულოს გადაშენების დამაბრკოლებლის როლი?
- როგორ შეუძლია პოპულაციის ზომამ და სივრცობრივმა განლაგებამ შეასრულოს გადაშენების დამაბრკოლებლის როლი?
- რა არის პოპულაციის მოქნილობა?
- როგორ ზრდიან კოლონისტი სახეობები გადაშენების რისკს კუნძულოვან სისტემებში?
- რა განსხვავებაა შენარჩუნებასა და აღდგენას შორის?
- რატომ არის მეტაპოპულაციათა კონცეფცია მნიშვნელოვანი კონსერვაციული ბიოლოგიის ვის?
- რას მოიცავს პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი?
- რა პრობლემები შეიძლება შეიქმნას იშვიათი, საფრთხის წინაშე არსებული პოპულაციების გენეტიკური ცვლილებების მენეჯმენტისას?
- რა სიძნელეებია დაკავშირებული ტყვეობაში გამრავლების პროგრამებთან?
- რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული სახეობების ხელახალი მოშენება?

**ჩ**ვენ სხვადასხვა მომენტში ამ წიგნში ხაზი გაუსვით, რომ ადამიანის საქმიანობა ხშირად ცვლის და საფრთხეში აგდებს ბუნებრივ სამყაროს. ადამიანების მიერ გამოწვეულმა ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მიიღონ ფორმა რიგი ურთიერთდაკავშირებული ეფექტებისა, მათ შორის, სახეობების ჩამოშორების მათი გავრცელების არეალის ნაწილიდან ან მთლიანი არეალიდან, მთლიანი ეკოსისტემების დეგრადაციის, კლიმატში ცვლილებების და პიომრავალფეროვნების კარგვის. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იმის უკეთესად გაგება, თუ როგორ ფუნქციონირებს ბუნებრივი სამყარო, გაზრდის საზოგადოებრივ ცნობიერებას იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ ადამიანის ქმედებანი ბუნება-

ზე. ეს ამ წიგნის დაწერისას ერთ-ერთი ჩვენი მიზანი იყო. ეკოლოგებს ბევრი აქვთ სათქმელი იმის შესახებ, თუ როგორ შევინარჩუნოთ შემდგომი ზიანი და როგორ შევინარჩუნოთ ან აღვადგინოთ ბუნებრივი სისტემები. თუმცა, შენარჩუნება და გარემონტვის არასაზიანო განვითარება ეკოლოგების ექსკულუზიური კომპეტენციაა. მართლაც, საზოგადო ცოდნა და შეფასება ბუნებისა გვერდიგვერდ უნდა მიღიოდეს სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებასთან, რაც მოითხოვს საზოგადოების ყველა სეგმენტის მონაწილეობას. ცხადია, ბუნების აღდგენისა და შენარჩუნებისთვის გადადგმული ყველა ეფექტური ნაბიჯი უნდა ეფუძნებოდეს ეკოლოგიის პრინციპების გულდასმით გაგებას. ის, რაც ეკოლოგებს შემოაქვთ ბუნებრივ სამყაროში ადამიანების შესახებ

განხილვაში, არის ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ბუნება. ეს ცოდნა, რომელიც ინტეგრირებულია ჩვენი პოლიტიკური და სოციალური სისტემების, ეკონომიკის და ისტორიის გაცნობიერებასთან, წარმოადგენს საფუძველს ადამიანის პირობების გაგებისთვის.

წინა თავებიდან თქვენ უკვე განავითარეთ გაგება ზოგიერთი ეკოლოგიური კონცეფციისა, რომლებიც არსებითი მნიშვნელობის იყვნენ ბუნებრივ სამყაროზე ადამიანთა გავლენის გაცნობიერებისთვის. ფიზიკური გარემოს თვისებები და დინამიკა, მათ შორის ენერგიისა და ნივთიერებათა დინება, ის, თუ როგორ ქმნის ცოცხალ სისტემებს ეკოლუცია ბუნებრივი გადარჩევის გზით, ინდივიდუალური ორგანიზმების სპეციფიკური რეაქციები გარემოზე და პოპულაციათა დინამიკა, წარმოადგენენ თქვენი კვლევის ძირითად თემებს აქამდე. სრული გაცნობიერება იმისა, თუ როგორ ურთიერთქმედებენ პოპულაციები, გაცნობიერება თანასაზოგადოების დინამიკის, განსაკუთრებით ბიომრავალფეროვნებასთან მიმართებაში და პროცესებისა, რომელთა საფუძველზეც თავს იჩენენ და ნარჩუნდებიან სოციალური ინტერაქციები ბუნებრივ პოპულაციებში, რომელთაგან ყოველივე განხილული იქნება მომავალ თავებში, სრულყოფილს გახდის ეკოლოგიის ძირითადი პრინციპების თქვენეულ გაგებას. მაშინ, როდესაც შენარჩუნებისა და ალდენის პრაქტიკის დანერგვა შეიცავს კონცეფციებს ყველა ამ სფეროდან (Meffe and Carroll 1997). ჩვენ გადავწყვიტეთ, მოგვეყვანა რამდენიმე მოსაზრება შენარჩუნებასა და აღდგენაზე აქ, პოპულაციის ეკოლოგიის ამ ნაწილში, იმ ცენტრალური როლის გამო, რომელსაც პოპულაციის თეორია თამაშობს შენარჩუნებაში. ჩვენ შენარჩუნებისა და აღდგენის სხვა ასპექტებზე ყურადღებას გავამახვილებთ მეექვსე ნაწილში, სადაც ჩვენ განვიხილავთ ბიომრავალფეროვნების საკითხს ეკოლოგიური თანასაზოგადოებების შესახებ ჩვენი განხილვის კონტექსტში. ამ თავში, ჩვენ განვიხილავთ ეკოლოგიის თემებისა და საკითხების რიცხვს, რომლებიც ადამიანის საქმიანობისა და ბუნებრივი სამყაროს გამყოფ ზედაპირზეა. ჩვენი განხილვისთვის ცენტრალური მნიშვნელობისაა გადაშენების კონცეფცია. ეს არის პროცესი, რომელიც ბოლოს უდებს სახეობათა სიცოცხლეს მათი გავრცელების არეალის მთელ დიაპაზონზე ან მისი გავრცელების გარკვეულ ნაწილში.

## **19.1 გადაშენება პუნქტივი პროცესია, რომელიც სახეობათა აღაპატიის უსარგებას გამოხატავს**

1810 წელს ამერიკელი ორნიტოლოგი ალექსანდრ უილსონი აკვირდებოდა გადამფრენი მტრედების უზარმაზარ გუნდს მდინარე ოჰაიოს ველზე. დღეების

განმავლობაში ფრინველების კოლონა, დაახლოებით ერთი მილის სიგანის, გადაიფრენდა ისეთი მრავალ-რიცხოვნებით, რომ ცა შავად იფერებოდა. უილსონმა გამოითვალია, რომ 2 მილიონზე მეტი ფრინველი იყო. უკანასკნელი გადამფრენი მტრედი მოკვდა ცინ-ცინატის ზოოლოგიურ პარკში დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ. თავისი გადაშენებით 1914 წლის 1 სექტემბერს, მოგზაური მტრედი შეუერთდა იმ სახეობათა მზარდ სიას, რომლებიც გაუჩინარდნენ. ამ სახეობათა დიდი ნაწილი, მათ შორის, გადამფრენი მტრედები, შენარჩუნდებოდა, რომ არა ადამიანთა საქმიანობა. მაგრამ ნამარხი მასალა გვამცნობს, რომ ფაქტიურად ყველა წარმომავლობითი განშტოება გადაშენდა შთამომავლების დატოვების გარეშე. მართლაც, განისაზღვრა, რომ ყველა სახეობის 99,9%, რომელსაც კი ოდესმე უარსებია, ახლა გადაშენებულია (Raup 1991). ამრიგად, რამდენიმე მილიონი სახეობა მცენარეებისა და ცხოველებისა, რომლებიც დღეს ინადრობენ, წარმოშობილი არიან მათი მცირე ნაწილიდან, რომლებიც ცოცხალი იყვნენ ნებისმიერ დროს წარსულში.

სულ მცირე, სამჯერ მაინც, უკანასკნელი 570 მილიონი წლის განმავლობაში დედამინამ განიცადა გადაშენებათა სერიები, იმდენად გამანადგურებელი, რომ დედამინაზე არსებულ სახეობათა 50% და მეტიც გაერთიანდებოდა (Ward 1994). ამ მასობრივ გადაშენაბათაგან ორი გამონვეული იყო დედამინაზე მომხდარი უდიდესი ძვრების შედეგად. პირველს ადგილი პქონდა 245 მილიონი წლის წინ პალეოზოური ერის (პერმული პერიოდი) ბოლოს, დროს, რომელიც ემთხვეოდა დიდ გეოლოგიურ ძვრებს, რაც დაკავშირებული იყო კონტინენტური მიწის მასის გადაადგილებასთან. განისაზღვრა, რომ დედამინაზე არსებული სახეობების დაახლოებით 90% გადაშენდა ამ დროს. მეორე მოვლენას ადგილი პქონდა 65 მილიონი წლის წინ დინოზავრების ერის ბოლოს მეზოზოურ ერაში (ცარცული პერიოდი). არსებობს შეთანხმება, რომ ამ გადაშენების უპირველესი მიზეზი იყო დედამინაზე დიდი ასტეროიდის შეჯახება. დედამინაზე არსებული სახეობების ნახევაზე მეტი, მათ შორის დინოზავრები, გადაშენდნენ ამ დროს. ეკოლოგების სულ უფრო მზარდ რაოდენობას სჯერა, რომ მესამე მასობრივი გადაშენება ახლა ხდება, რომლის უპირველესი მიზეზი ადამიანის საქმიანობაა, როგორც ჩვენ ამას ქვემოთ ვნახავთ (Raven 1990, Soulé 1991, Wilson 1992, Myers 1997).

გადაშენება ბუნებრივი სამყაროს ნაწილია. ჩვენ რომ გადაშენების მიზეზები გავიგოთ, ჩვენ უნდა გავიაზროთ ეკოლოგიისა და ეკოლუციის მრავალი ასპექტი. კითხვები, რომლებსაც ეკოლოგები სვამენ გადაშენების შესახებ, უტევენ პოპულაციისა და თანასაზოგადოების ეკოლოგიის, ეკოლუციის და ცხოვრებისეული ციკლის თეორიის ცენტრს. რატომ გადაშენდებიან სახეობები? რატომ ნარჩუნდება ზოგიერთი მცირერიცხოვანი სახეობა მაშინ, როდესაც

სხვა მრავალრიცხოვანი სახეობა ქრება? რატომ არ ძალუდ ზოგიერთ სახეობებს საკმარისად მალე მოახდინონ ადაპტირება გარემო ცვლილებებზე? როგორ მოქმედებს პოპულაციისა და თანასაზოგაოდოების ინტერაქციები გადაშენების ალბათობაზე? როგორ მოქმედებს საბინაძრო გარემოს ფრაგმენტაცია გადაშენების დონეზე? პასუხები ამ კითხვებზე უპასუხოდ რჩება თავად გადაშენების მახასიათებლების გამო. გადაშენება უბრალოდ საბოლოო მოვლენაა ფაქტიზი ეფოლუციური და ეკოლოგიური პროცესების გრძელ ციკლში, რომელიც პოპულაციის შლას იწვევს. ამის მიუხედავად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია ვეცადოთ, გავიგოთ გადაშენება, არა მარტო იმისთვის, რომ ის წარმოადგენს კულმინაციას პოპულაციის და მისი გარემოს ურთიერთობისა, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ადამიანები ამდენად ვერევით ბუნებრივი პოპულაციებში.

## გადაშენების ტიპები

ჩვენ სიტყვა „გადაშენება“ ამ წიგნის სხვადასხვა ადგილას გამოიყენეთ, აქედან ყველაზე აღსანიშნავია ამ სიტყვის გამოყენება მე-17 თავში. იქ ჩვენ წარმოდგენილი გვქონდა გადაშენება, როგორც ადგილობრივი მოვლენა, რომელიც ერთ პოპულაციას მოიცავდა. მართლაც, როდესაც პოპულაცია მოშორებულია არეალიდან, სიტყვაზე, ისეთი ბუნებრივი კატასტროფით, როგორიცაა წყალდიდობა, ჩვენ ვამბობთ, რომ პოპულაცია გადაშენდა ამ არეალში. სიტყვა ექსტრაცია (ძირფესვიანი აღმოფხვრა) ხშირად გამოიყენება ამგვარი ადგილობრივი გადაშენების აღსანიშნავად, თუმცა ამიერიდან ჩვენ გამოიყენებთ სიტყვას „გადაშენება“, რადგანაც განხილვის კონტექსტი ცხადს გახდის გადაშენების მასშტაბს. ისეთი გადაშენებები, როგორიც განხილული იყო პირველ წანის მოიცავენ გარკვეული სახეობის ყველა ინდივიდს.

როგორც წესი, განასხვავებენ სამი ტიპის ამგვარ, გლობალურ გადაშენებას. **ფონობრივი გადაშენება** ასახავს პროცესს, როცა ეკოსისტემათა ცვლილებასთან ერთად, ზოგიერთი სახეობა ქრება და სხვები იკავებენ მათ ადგილს. სახეობათა ეს შენაცვლება, რომელიც ხორციელდება შედარებით დაბალი ტემპებით, როგორც ჩანს, ბუნებრივი სამყაროს ჩვეულებრივი მახასიათებლია. **მასობრივი გადაშენება** ნიშნავს ისეთი ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად სახეობათა დიდი რაოდენობის დაღუპვას, როგორიცაა ვულკანური ამოფრქვევები, ქარიშხლები, გვალვები ან მეტეორთა შეჯახებანი. ზოგიერთი კატასტროფა თავს იჩენს ლოკალურად, სხვები მთლიან დედამინაზე ახდენენ გავლენას და სახეობები, რომლებიც მათ გზად არსებობენ – ქრებიან. **ანთოპოგენული გადაშენება** არის ადამიანების ქმედებათა შედეგად გამოწვეული გადაშენება.

ის ჰგავს მასობრივ გადაშენებას იმით, რომ უამრავინდივიდზე ვრცელდება და ჰგავს ასევე თავისი გლობალური მასშტაბებითა და კატასტროფული ბუნებით. ანთოპოგენული გადაშენება განსხვავდება მასობრივი გადაშენებისგან იმით, რომ ის თეორიულად ჩვენი კონტროლის ქვეშაა.

ფონობრივი და მასობრივი გადაშენების შესახებ ინფორმაციის უმეტესი ნაწილი მოდის წიაღისეული, არქეოლოგიური მონაცემებიდან, რომელიც ავლენს სახეობათა გაჩინისა და გაუჩინარებას გეოლოგიურ დროში. გაქრობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ორი სახით. პირველი, სახეობები შეიძლება იმდენად განვითარდნენ, რომ ინდივიდები უკვე აღარ მიიჩნევიან იგივე მოდგმის წევრებად, რომლის წევრებიც იყვნენ მათი წინაპრები და მათ ეძლევათ განსხვავებული სამეცნიერო სახელი. ამ დროს რეალურ გადაშენებას არ აქვს ადგილი და მას ფსევდოგადაშენება ეწოდება. მეორე, სახეობამ შეიძლება შეწყვიტოს არსებობა, რა შემთხვევაშიც მათი გაუჩინარება ნამარხი მონაცემებიდან არის წამდვილი გადაშენების შემთხვევა. რაც უფრო მეტადა დაშლილი წამარხი მონაცემები, მით მეტია შესაძლებლობა, ამ ორის ერთმანეთისგან განსხვავებისა.

იქ, სადაც წამდვილი გადაშენების დემონსტრირება შესაძლებელი, სახეობათა სიცოცხლის ხანგრძლივობა წამარხ მონაცემებში ვარირებს ტაქსონის მიხედვით, მაგრამ ისინი როგორც წესი, ხვდებიან 1-10 მილიონ წლამდე დიაპაზონში. ამრიგად, აღბათობა გარკვეული სახეობის გადაშენებისა კონკრეტულ დროს არის შემდეგ დიაპაზონში – ერთი მილიონ წელიწადში, ან ერთიდან ათ მილიონამდე. ეს არის სახეობათა გადაშენების ფონობრივი სიჩქარე:  $10^{-6}$ - $10^{-7}$ -მდე წელიწადი. სახეობათა რიცხვი, რომლებიც დღეს არსებობენ დედამინაზე, არის ტრადიციულად დაახლოებით 1-10 მილიონამდე და ამრიგად, დედამინის ბიოტი ფონობრივი სიჩქარით განიცდის დაახლოებით ერთი სახეობის გადაშენებას წელიწადში.

## გადაშენების მიზეზები

სავარაუდოდ, გარკვეული ვითარებები, რომლებიც იწვევენ გადაშენებას, უნიკალურია თითოეული სახეობისთვის. ადგილობრივმა ბუნებრივმა გამდიზინებლებმა, როგორიცაა ხანძრები, ვულკანური ამოფრქვევები, მეწყრები ან წყალდიდობები შეიძლება ჩამოშორონ პოპულაცია ერთ გარკვეულ საბინადროს ან ისე შეცვალონ ეს საბინადრო, რომ პოპულაციას უკვე აღარ შეეძლოს იქ გადარჩენა და გამრავლება. შეუძლებელია ამ სახის ადგილობრივი გადაშენების წინასწარ განჭვრეტა. თუ სახეობა უკვე დგას საფრთხის წინაშე და მოქცეულია მცირე არალში რთული დროების წარსული გამოცდილების გამო, ერთ მოულოდნელ კატასტროფულ მოვლენას,

შეუძლია, საბოლოოდ მოუღოს მას ბოლო. წარმოიდგინეთ როჭოს (*Tymanuchus cupido*) მდგომარეობა, როჭოსებრთა ერთ-ერთი სახეობა, რომელიც დაკავშირებულია მინდვრის ქათმებთან. ევროპელების ჩრდილოეთ ამერიკაში გამოჩენის დროისთვის, როჭოს ეს სახეობა გავრცელებული იყო იმ არეალის დიდ ნაწილში, რასაც დღეს ნიუ ინგლანდი და სამხრეთ ვირჯინია ჰქვია. ამ დიაპაზონში ის საკმაოდ ჭარბად მოიპოვებოდა. ნადირობის ზეგავლენა და საბინადროს ცვლილება საოცრად გაიზარდა ევროპელების მოსვლასთან ერთად და ადრეული 1900-იანი წლებისთვის როჭო თყმპანუცჲუს ცუპიდო შემოიფარგლა მხოლოდ ერთი გავრცელების ადგილით – მართას ვენახი, ეს არის კუნძული კეიპ კოდის სანაპიროსთან, მასაზუსეტსის შტატი (Ehrlich and Ehrlich 1981). დაინტერესებამ სახეობის გადარჩენაში შედეგად გამოიწვია დაცული თავშესაფრის გამოცხადება 1907 წელს და პოპულაციამაც ზრდა დაიწყო. შემდეგ ადგილი ჰქონდა მოულოდნელ და საუბედურო მოვლენათა სერიას. კატასტროფულმა ხანძარმა დაბუდების სეზონის პერიოდში გაანადგურა მრავალი ბუდე, ამის შემდეგ, ბუმი ქორების პოპულაციაში, რომლებიც როჭოებზე ნადირობდნენ, რასაც დაავადების გავრცელება მოჰყვა, შეამცირეს როჭოების პოპულაცია სულ რამდენიმე ინდივიდამდე 1920 წლისთვის. უკანასკნელი ინდივიდი მოკვდა 1932 წელს.

გარემოს ფიზიკური პირობების შესწავლიდან ჩვენ ვიცით, რომ ყველა სახეობა ბინადრობს გარემო პირობების გარკვეული დიაპაზონის ფარგლებში. ეს გარემო პირობები შეიძლება იყოს ტემპერატურა, მზის სინათლე, უანგბადის კონცენტრაცია და ა.შ. (იხ. თავი 3). თუ ეს პირობები გასცდება გარკვეული სახეობისთვის საჭირო დიაპაზონის ფარგლებს გარკვეულ ადგილას, მაშინ ამ სახეობის არსებობა ამ ადგილას შეუძლებელი გახდება. ამგვარი ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს სხვა ორგანიზმების, მათ შორის, ადამიანების საქმიანობის შედეგად კლი-

მატური ცვლილების, თუ სხვა რომელიმე მსხვილი გამლიზიანებლის გამო. დღესდღეისობით, ხისა და ნიალისეული სანვავის წვა ზრდის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის კონცენტრაციას და ამით ზრდის დედამიწაზე საშუალო ტემპერატურას სათბური აირების ეფექტის გაძლიერებით (იხ. თავი 11). ამგვარ ანთროპოგენულ კლიმატურ ცვლილებას, შეუძლია, გაზარდოს საშუალო ტემპერატურა  $2^{\circ}\text{C}$ - $6^{\circ}\text{C}$ -მდე სადღაც ოცდამეერთე საუკუნისთვის. ეს დედამიწის კლიმატის დათბობის იდენტური იქნება უკანასკნელი გამყინვარების შემდეგ, მხოლოდ, ეს დათბობა ორმოცდაათვერ უფრო სწრაფად მიმდინარეობს. მოსალოდნელია, რომ ეს გამოიწვევს დედამიწის მასშტაბით მრავალი სახეობის გადაშენებას, კერძოდ კი, მცენარეებისა, რომლებსაც ტემპერატურის ამტანობის ძალიან ვიწრო დიაპაზონი აქვთ.

კოლონისტი, შემოჭრილი ორგანიზმები ხშირად აოხრებენ ადგილობრივ სახეობებს. ამის შესანიშნავი მაგალითი არის ციხლიდების უკიდურესი შემცირება ვიქტორიას ტბაში, აფრიკა, ნილოსის ქორჭილას მიერ (იხ. თავი 1), რამაც გამოიწვია ციხლიდების მრავალი სახეობის გადაშენება. მთელი რიგი თვალშისაცემი მაგალითებისა ასევე უნდა იქნას ნახსენები. აზიიდან შემოყვანილმა ყავისფერმა ხის გველმა (*Boiga irregularis*) გადაშენებამდე შეჭამა გუამის ადგილობრივი აბორიგენი, მიწაზე მობინადრე ფრინველების უმრავლესობა. ამ ფრინველთა უმრავლესობა ენდემური იყო – ისინი სხვაგან არსად მოიპოვებოდნენ. ჰავაის კუნძულებიც დიდად დაზარალდნენ უცხო სახეობების შემოყვანისგან, რამაც გამოიწვია ადგილობრივი ფრინველების და ასევე სხვა ტაქსონების, მათ შორის, მიწის ლოკოინების დიდი რდენობით გადაშენება. ფრინველთა გადაშენება სავარაუდოდ შედეგია მთელი რიგი სხვადასხვა კოლონიზაციებისა. ფრინველთა სიკვდილიანობის მნიშვნელოვანი ფაქტორებია შემოტანილი, მათ შორის, მაღარია და ყვავილის ვირუსი, რაც არ იქნებოდა პრობლემური, მათი გამა-

### ცხრილი 19-1 უდიდესი საფრთხის წინაშე არსებული საბინადროს ტიპები

საბინადროს ტიპი	ადგილმდებარეობა	თავდაპირველი ფართობი (კმ <sup>2</sup> )	დარჩენილი პროცენტული მაჩვენებელი
მაღალბალაზიანი პრერია	ჩრ. ამერიკა	1430000	1
ეკლოვანი ბუჩქნარი	შრი ლანკა	19800	25
ცარიალი, ვერანი ადგილი	გაერთიანებული სამეფო	1432	27
მანგრის ხეები	ნიგერია	24440	50
ჩაკო	პარაგვაი	320000	57
ყნბოს (ბუჩქნარის უნიკალური ტიპი)	სამხრეთ აფრიკა	75000	67

(After Meffe and Carroll 1997; from Groom and Schumaker 1993; data from Nature Conservancy (UK) 1984, MacKinnon and Mackinnon 1986a, Mooney 1988, Redford et al. 1990, World Resources Institute 1991.)




**ნახ. 19-1** აფრიკული სპილო დიდი ემვებით. სპილოს ძვალზე დიდი მოთხოვნა აქვთ ოქრომჭედლებს და ხელოსნებს მიელ მსოფლიოში.

ვრცელებელი კოლოც ასევე რომ არ ყოფილიყო შემოყვანილი კუნძულებზე. ჰავაის ხუთი სახეობის ადგილობრივი ფრინველი ნექტრით იკვებება და ისინი დამოკიდებული არიან სხვადასხვა ნექტრის მწარმოებელი ადგილბრივი მცენარეების ხელმისაწვდომობაზე. ცხვრებისა და ღორების შემოყვანამ კუნძულებზე გაანადგურა მრავალი ადგილობრივი ნექტრის მწარმოებელი მცენარის სახეობა, რამაც გამოიწვია სამი ნექტრისმჭამელი ფრინველის სახე-

ობის გადაშენებაც. ამერიკული ნაბლი (*Castanea dentata*), რომელიც ერთ დროს ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ხე იყო აშ-ს აღმოსავლეთის ფოთოლმცვენ ტყეებში, ფაქტიურად გაქრა 1900-იან წლებში აზიიდან სოკოვანი დაავადების (სახელად ნაბლის დაავადება) შემოტანის გამო.

საბინადროის კარგვამ შეიძლება გამოიწვიოს გადაშენება არსებობისთვის შესაფერისი ადგილების განადგურებით. ტყის ცხოველები გაქრებიან, როდესაც ტყეები გაიჩენება. მაშინაც კი, როდესაც რაღაც ხელსაყრელი საბინადრო ხელუხლებელი რჩება, პირობები ამ საბინადროს ფარგლებში შეიძლება შეიცვალოს და გამოიწვიოს პოპულაციათა კლება გადაშენებისკენ. როგორც უნინ აღვნიშვნეთ, საცხოვრებლის ყველაზე თვალშისაცემ და პრობლემურ ანთორპოგენულ ცვლილებათაგანი არის ტყეთა არეალების განადგურება, კერძოდ ტროპიკულ რეგიონებში, სადაც ბიომრავალფეროვნება საოცრად მაღალია. თუმცა სხვა ტიპის მრავალი საბინადროც სწრაფად მცირდება ადგმიანის საქმიანობის გამო. ცხრილი 19-1 გვაწვდის ზოგიერთი ამ საბინადრო გარემოს და იმის სიას, თუ სად იჩენენ ისინი თავს.

ეკონომიკურმა ზენოლამ შეიძლება დააჩქაროს გადაშენების ბუნებრივი პროცესი, რომელიც ნანახია აფრიკული სპილოს მაგალითზე (ნახ. 19-1). სპილოს ძვალი (ეშვი) მოხმარების პოპულარულ სა-



**ნახ. 19-2** აფრიკული სპილოებისგან მომვებული სპილოს ძვლის ოდენობა დრამატულად გაიზარდა 1970-1980-იან წლებში, ხელი შეუწყო რა სპილოთა პოპულაციების კლებას ამავე დროის პერიოდის განმავლობაში (გაზომილ იქნა ცოცხალი სპილოს ძვლის ოდენობიდან). From Krebs 1994, after Caughley et al. 1990.)

განს წარმოადგენს მთელ მსოფლიოში მას შემდეგ, რაც ევროპელებმა დაიწყეს თავიანთი ინტერვენცია აფრიკის კონტინენტზე. ადგილობრივი პოპულაციების ზენოლამ და მზარდმა მსოფლიო მოთხოვნამ სპილოს ძვალზე სათავე დაუდო უსიამოვნო მარკეტინგულ სტრატეგიებს, რამაც დრამატულად გაზარდა მოპოვებული სპილოს ძვლის ოდენობა (და მოკლული სპილოების ოდენობაც) 1970-1980-იან წლებში (*Caughley et al. 1990*). ამან გამოიწვია რეგიონში სპილოთა რაოდენობის დრამატული კლება (ნახ. 19-2). ადამიანთა სხვა საქმიანობებმაც ასევე თავიანთი წელილი შეიტანეს აფრიკული სპილოების კლებაში. ეს საოცარი ცხოველები ბალახის მჭამელები არიან და მათი დიდი ზომის გამო, ისინი მოითხოვენ საძოვარი მიწების ვრცელ არეალებს გადარჩენისთვის. ადამიანთა სასოფლო სამეურნეო პრაქტიკამ შეამცირა ბალოხიანი მიწების ფართობი აფრიკაში და შეზღუდა სპილოების მოძრაობა საძოვარ არეალებს შორის.

ჩვენი დასკვნით, ანთროპოგენული გადაშენება არ არის რაღაც უნიკალური თანამედროვე კაცობრიობისთვის. არსებობს ძლიერი დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ ანტიკური ადამიანების საქმიანობა პოლინეზიისა და ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში ინვევდა სახეობების შემცირებას ზოგიერთ არეალში. თუმცა ახალმა ტექნოლოგიებმა მიაწოდა თანამედროვე ადამიანებს მნიშვნელოვნად მეტი გამანადგურებელი ძალა, ვიდრე მათ წინაპრებს ჰქონდათ და ძალიან ცოტა მეცნიერს ეპარება ეჭვი, რომ ადამიანების მიერ გამოწვეული გადაშენებების მიმდინარე ტალღა გადაშენებებს შორის ყველაზე დრამატულია.


## 19.2 გადაშენების რისკები გავლენას ახდენ პოპულაციის მოცულობა, გეოგრაფიული არაალი, ასაკობრივი სტრუქტურა და სივრცითი განლაგება

რადგანაც სახეობათა კარგვა გადაშენების გზით შეუქცევადია, ეკოლოგებმა თავიანთ კვლევებში ყურადღება გაამახვილეს ფაქტორებზე, რომლებიც ზრდას გადაშენების რისკს. ამ ფაქტორებს შორის არის პოპულაციის ზომა, ასაკობრივი სტრუქტურა, ცვალებადობა სიჭარებში, გეოგრაფიული არეალი, მათ შორის შედარებითი იშვიათობა, სიჭარე და რიგი სასიცოცხლო ციკლის მახასიათებლებისა, როგორიცაა სხეულის ზომა და სიცოცხლის ხანგრძლივობა. ეკოლოგები ასევე დაინტერესებულნი არიან იმ ტემპით, რომლითაც გადაშენები თავს იჩინენ გარკვეულ ტაქსონებში ან საპინადო გარემოს სპეციფიკურ არეალებსა თუ ტიპებში (*Lawton and May 1995*). გადაშენების როგორც რისკზე, ისე ტემპზე გავლენას ახდენ ამ ფაქტორთა კომბინაციები (*Mace 1994*).

## პოპულაციის ზომა, არეალი და გეოგრაფიული განაწილება

საკმაოდ ფართოდაა აღიარებული, რომ ყველა დანარჩენი თანაბარი პირობის შემთხვევაში, მცირე პოპულაციები გადაშენების უფრო დიდი რისკის წინაშე დგანან, ვიდრე დიდი. როზენცვეიგმა და კლარკმა (1994) განიხილეს მონაცემები ბრიტანული კუნძულების ფრინველთა პოპულაციების სამი კვლევიდან (*Diamond and May 1977, Diamond 1984, Williamson 1983*). მათი პოპულაციის ზომის გრაფიკული გამოსახულება თითო წელზე გადაშენების ალბათობის წინააღმდეგ გვიჩვენებს, რომ გადაშენების ალბათობა მცირდება პოპულაციის ზომის მატებასთან ერთად (ნახ. 19-3). მსგავსი ურთიერთობაა ნაჩვენები კუნძულებზე ობობათა პოპულაციებში (*Schoener and Spiller 1987, 1992*), ჯიხვებში (*Berger 1990*) და მთელ რიგ სხვა სახეობებში, რომელთა ხანგრძლივი აღნერის მონაცემები ხელმისაწვდომია.

მცირე ცვლილებები შებადობისა და სიკვდილიანობის დონეებში ან გარემო პირობებში შეიძლება ზემოქმედებდნენ მცირე პოპულაციებზე უფრო ძლიერ, ვიდრე დიდზე. უფრო მოსალოდნელია, რომ დიდი პოპულაციები მოახდენენ ამ ცვლილებათა არიდებას იმიტომ, რომ მათ უფრო მეტი გენეტიკური ცვლილება ახასიათებთ და იმიტომ, რომ ისინი უფრო ფართო არეალს იკავებენ, შესაბამისად, ვრცელდებიან იმ არეალის მიღმაც, რომელმაც გარემოს ცვლილება განიცადა. ამრიგად, გადაშენების რისკზე გავლენას ახდენს ასევე ის არეალი, რომელიც უკავია პოპულაციას. ზოგადად, რაც უფრო დიდია სახეობების მიერ ათვისებული არეალი, მით ნაკლებია გადაშენების ალბათობა.



ნახ. 19-3 ყოველ წელს გადაშენების ალბათობა როგორც პოპულაციის ზომის ფუნქცია (მოცემული როგორც გამრავლებადი წყვილების აღრიცხვა) ბრიტანეთის კუნძულებზე მობინადრე ფრინველების 39 პოპულაციისთვის. პოპულაციის ზომის ზრდასთან ერთად, გადაშენების ალბათობა მცირდება. მრუდები გვიჩვენებენ ორ სხვადასხვა მათებაზე მოდელს, რომლებიც ამ მონაცემებს შეესაბამება. (From Rosenzweig and Clark 1994; data from Diamond and May 1977; Diamond 1984; Williamson 1983.)

ზოგიერთი სახეობა ფართოდ არის გავრცელებული, სხვები კი შეზღუდული არიან ერთ ან მცირე რაოდენობის ადგილებში. ამასთან, უფრო ფართოდ გავრცელებული სახეობები ხშირად ადგილობრივად უფრო ჭარბად არიან, ვიდრე ერთ კონკრეტულ არეალში შეზღუდულ სახეობები (*Bock and Ricklefs 1983*). ახდენს თუ არა ეს ურთიერთობა გავლენას გადაშენების რისკზე? შესაძლებელია, გარკვეული დამატებიცებელი საბუთები მოპოვებულ იქნას ნამარხი მონაცემებიდან. საზღვაო მუცელფეხიანი მოლუსკები და ორსაგდულიანი მოლუსკები კარგად არიან ნამოდგენილნი ნამარხ მონაცემებში, რადგან ზრდსრულების მყარი ნიჟარები და ლარვული ინდივიდების გარკვეული ნაწილები მზა სახით ინახება უძველეს დანალექებში. შედეგად, შესაძლებელი ხდება მრავალი სახეობის გეოგრაფიული გავრცელებისა და ხანგრძლივობის განსაზღვრა (*Hansen 1978, 1980, Jablonski and Lutz 1980, Jablonski and Valentine 1981*). როდესაც გვიანი ცარცული პერიოდის (დაახლოებით 66 მილიონი წლის წინ) ნამარხი ორსაგდულიანი და მუცელფეხიანი მოლუსკები ანტლანტიკისა და მექსიკის ყურის სანაპიროებიდან დაყოფილნი იქნან მცირე (< 1000 კმ), საშუალო (1000 – 2500 კმ) და დიდ (> 2500 კმ) გეოგრაფიულ არეალებად, აღმოჩნდა, რომ მცირე გეოგრაფიული არის მქონე მოლუსკები განიცდიდნენ გადაშენების უფრო მაღალ ტემპებს, ვიდრე დიდი არეალების მქონენი (ნახ. 19-4; *Jablonski 1986*).

## გადაშენებისა და გამძლეობის დროის ალბათობა

პოპულაციის შობადობისა და სიკედილიანობის დონეები დამოკიდებულია სხვადასხვა ეკოლოგიურ ფაქტორზე, მაგრამ მოკვდება ერთი გარკვეული ინიდვიდი, თუ წარმატებით აღზრდის ერთ ან მეტ შთამომავალს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მეტწილად შემთხვევითობის საკითხია. როდესაც სიკედილის ალბათობა, სიტყვაზე, ნახევარი-ნახევარზეა, ზოგი ინდივიდი გადარჩება და საშუალოდ იგივე რაოდენობის ინდივიდი კი – არა. თუმცა არსებობს ალბათობა, რომ ყველა ინდივიდი ამგვარ პოპულაციაში დაიღუპება ისევე, როგორც მონეტის ათი აგდებისას, ათივე შეიძლება რევერსზე დაეცეს. (მცირე, მაგრამ საბოლოო ალბათობით, ჩვენი ვარაუდით ეს საშუალოდ 1024-დან ერთ შემთხვევაში მოხდება).


შემთხვევითი მოვლენების გამო პოპულაციაში  
გამოწვეულ ცვლილებებს სტოქასტიკური მერყეო-  
ბა (ფლუქტუაციები) ენოდება და მათი ძალა უფრო  
ძლიერ შეიგრძნობა მცირე პოპულაციებში (*Shaffer  
1981, Pimm et al. 1988*). ეს ცხადი ხდება, როდესაც მი-  
ვიჩნევთ, რომ თანმიმდევრული ასროლიდან ერთ-  
დროულად ხუთჯერ რევირსის მიღების ალბათობა

არის ერთი 32-დან, კიდევ უფრო მცირე შანსთან შედარებით (დაახლოებით 1 1000-დან), რომ ორჯერ მეტი რევერსზე დაეცემა თანმიმდევრობით. როდე-საც ჩვენ პოპულაციაში ყველა ინიციატი მონეტად გვყავს ნარმოდგენილი, ხოლო რევერსზე დაცემას – სიკედილის ეკვივალენტს, ჩვენ ცხადად ვხედავთ, რომ ხუთი ინდივიდისგან შემდგარ პოპულაციას გადაშენების უფრო დიდი ალბათობა აქვს, ვიდრე ათინდივიდიან პოპულაციას თანაბარი დროის გან-მავლობაში.

როდესაც პოპულაციას წინასწორობისთვის აქვს  
მიღწეული, გარკვეულ პ(ტ) დროს გადაშენების ალ-  
ბათონბა შეიძლება მოცემული იყოს შემდეგი სახით:

$$p_0(t) = \left[ \frac{bt}{1+bt} \right]^N, \quad (19-1)$$


სადაც  $b$  არის შობადობის დონე და  $N$  არის პოპულაციის ზომა. წონასწორობაში მყოფი პოპულაციის თვის შობადობისა ( $b$ ) და სიკვდლიანობის დონეები ( $d$ ) თანაბარია,  $b = d$  და პოპულაციაში ცვლილების ტემპი  $dN/dt = 0$  (იხ. ნახ. 16-3). თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ  $b = 0,5$  (მაშასადამე  $d = 0,5$ ) (შესაფერისი სიდიდეა ხმელეთის ხერხემლიანებისთვის) და გავზომოთ გადაშენების ალბათობას გარკვეული დროის განმავლობაში პოპულაციათა სიმჭიდროვის დიაპაზონზე, ჩვენ ვნახათ, რომ გადაშენების ალბათობა მცირდება, როდესაც პოპულაცია იზრდება (ნახ. 19-5). ნახატი გვიჩვენებს, თუ როგორ ურთიერთქმედებან პოპულაციის ზომა და დრო პოპულაციის გამძლეობაზე გავლენის მოსახდენად. დროის მსვლელობასთან ერთად, მოცემული ზომის პოპულაციას გადაშენების მეტი ალბათობა ექნებოდა. ნარმოიდები პოპულაცია, რომლის ზომაა  $N = 10$ . ალბათობა, რომ პოპ-



**ნახ. 19-4** იმ სახეობათა პროცენტული მაჩვნენებლები, რომლებიც გადაშენდნენ დროსთან ერთად (მილიონისთვის წელი) გვიანი ცარცული ორსაგადულიანი და მუცელფეხიან მოლუსკებს შორის, რომელთა გეოგრაფიული გარცელებას სამი ზომის იყო: მცირე ( $< 1000 \text{ კმ}$ ), საშუალო ( $1000 - 2500 \text{ კმ}$ ) და დიდი ( $> 2500 \text{ კმ}$ ), გაზომილი როგორც არეალის ხაზოვანი მანძილი. გადაშენების ტემპი ყველაზე მაღალი იყო მეზორი არეალის მტკრი სახეობებისათვის. (After Jablonski 1986.)

ულაცია გადაშენდება ათ წელინადში, არის 0,162, ორმოცდაათ წელინადში გადაშენების ალბათობა არის – 0,67, ხოლო ას წელინადში – 0,82. ალბათობა,  $r_{\text{ომ}} = 45$  ზომიანი პოპულაცია გადაშენების ალბათობა 10 წელინადში არის  $1,01 \times 10^{-4}$ , რაც საოცრად მცირეა. ამავე ზომის პოპულაციის გადაშენების ალბათობა 50 წელინადში არის 0,14 და 100 წელინადში – 0,37. ამ კალკულაციებიდან გამომდინარებს, რომ  $b$  და  $d$  არ არიან სიმჭიდროვეზე დამოკიდებული, არამედ რჩებიან მუდმივი მაშინ, როდესაც პოპულაციის ზომა მერყეობს სტოქასტიკურად თავისი საწყისი მაჩვენებლიდან. მართალია, ეს მოსაზრება არ არის გონივრული მრავალი პოპულაციისთვის, ის ალბათ მართლაც მოქმედებს შედარებით იშვიათი სახეობების შემთხვევაში.

ჩვენ ასევე შეგვიძლია განვიხილოთ გადაშენება გადაშენებს დროის ანუ **გამძლეობის დროის თვალსაზრისით**, რაც ზოგადად მიჩნეულია, რომ არის დრო, რომელიც თავს იჩენ ადგილის დაკავებასა და გადაშენებს შორის. ამგვარი კონცეფცია უზარმაზარი მინიშვნელობისაა სახეობათა შენარჩუნებისთვის სტრატეგიების განვითარებაში. გამძლეობის დროის ერთი მოდელი განავითარა ლანდემ (1993). ამ მოდელში გადაშენების საშუალო დრო თ მოცემულია პოპულაციის გადატანითი შესაძლებლობა -ს საფუძველზე. ამასთან, მოდელი მოიცავს ურთოერთობას ზრდის თანდაყოლი ტემპს რ-სა და ტემპში ვარიაციას შორის, რაც გამოწვეულია გარემოს ცვლილებით. ამ ურთიერთობის საკმაოდ რთული ფორმულა შემდეგნაირად გამოიყურება:




**ნახ. 19-5** ცვლილება გადაშენების ალბათობაში პოპულაციის მზარდი ზომა სამი სხვადასხვა დროის პერიოდისთვის:  $t = 10$  წელი (ნაცრისფერი ხაზი),  $t = 50$  წელი (მწვანე ხაზი),  $t = 100$  წელი (მავი ხაზი). მრუდები გავლებულია შემდეგი ფორმულის მიხედვით  $p_0(t) = [bt/(t+bt)]^N$ . როდესაც პოპულაციის ზომა არის 10, 10 წელინადში გადაშენების ალბათობა არის 0,162, 50 წელინადში – 0,67 და 100 წელში – 0,82. როდესაც პოპულაციის ზომა არის 45, 10 წელინადში მისი გადაშენების ალბათობა თითქმის ნულის ტოლია, 50 წელინადში – 0,14 და 100 წელინადში – 0,37.

$$T = \frac{2}{Vc} \left[ \frac{K^c - 1}{c} - \ln K \right] \quad (19-2)$$

სადაც  $c = 2r/V - 1$  და  $V$  არის მერყეობა ზრდის თანდაყოლილ სიჩქარე რ-ში. მოდით, ჯერ ც პარამეტრი განვიხილოთ. მოცემულ დროს პოპულაციას ექნება ზრდის სპეციფიკური თანდაყოლილი სიჩქარე. მაგრამ ეს სიჩქარე შეიძლება შეიცვალოს დროსთან ერთად პოპულაციების რეაგირების გამო გარემო პირობების ცვლილებაზე. თუ  $R^e$  რ-ს ნარმოვიდგენთ როგორც განსხვავებას პოპულაციის შობადობისა და სიკვდილიანობის დონეებს შორის ( $b - d$ ), ადვილი დასანახია, თუ როგორც იჩინა თავი ამგვარმა ცვლილებამ. სიკვდილიანობის დონე უცვლელი რომ დარჩენილიყო რაღაც წლების განმავლობაში, ხოლო შობადობის დონე რაღაც მიზეზების გამო ყოველწლიურად რომ იცვლებოდეს, მაშინ  $r$ -იც დაინტებდა მერყეობას. ამრიგად, შესაძლებელია ითქვას, რომ პოპულაციას აქვს ზრდის საშუალო ტემპი,  $\bar{r}$  რომელსაც სხვა ცვლადების მსგავსად აქვს მასთან დაკავშირებული მერყეობა  $V$ . გაიხსენეთ, რომ ცვლადის არჩევითი დისპერსია არის იმის საზომი, თუ რამდენად ფართოდ გადაიხრება ამ ცვლადის დაკვირვებათა ნიმუშები ამ ცვლადის საშუალო მნიშვნელობიდან. რაც უფრო დიდია  $V$ , მით დიდია მერყეობა საშუალო მნიშვნელობიდან (იხ. თავი 2). აქ თეორიული მიზეზების გამო, არგანხილული ურთიერთობა  $c = 2r/V - 1$  კარგი საშუალებაა  $r$ -სა და  $V$ -ს შორის ურთიერთობის აღსანერად ზემოთ მოცემული გადაშენების დროის მოდელის განვითარებისთვის. ნახ. 19-6 გვიჩვენებს ურთიერთობის ფორმას  $r = 0,2$ -სთვის  $V = 1$  მნიშვნელობათა დიაპაზონზე. მერყეობის ზრდასთან ერთად  $c$ -ს მნიშვნელობა მცირდება და ხდება 0-ის ტოლი, როდესაც  $V = r$  (ამ მაგალითში, როდესაც  $V = 0,2$ ).

გამძლეობის დროის ლანდენეს მოდელი გრაფიკზე დატანილია პოპულაციის მაქსიმალური ზომების დიაპაზონის ( $K_s$ ) და  $\bar{r}$ -სა და  $V$ -ს ორი განსხვავებული პირობის საბირისპიროდ ნახ. 19-7-ში. ზედა ხაზი



**ნახ. 19-6** ურთიერთობა პოპულაციის ზრდის ტემპ  $r$ -სა და ამ სიჩქარეში ცვლილება  $V$ -ს შორის, როგორც აღნერილი ფორმულა  $c = 2r/V - 1$ -ში, რაც გამოყენებულია ლანდენეს გადაშენების დროის მოდელში. პარამეტრი ც მცირდება, როდესაც მერყეობა იზრდება  $r$ -თან მიმართებაში. ამ ნახატში  $r = 0,2$ .

აღნიშნავს შემთხვევას, რომელშიც პოპულაციის ზრდის საშუალო ტემპი მეტია ზრდის ტემპის მერყეობაზე ( $\bar{T} > V$ ) და ქვედა ხაზი გვიჩვენებს შემდეგ ურთიერთობას ( $\bar{T} < V$ ). ორივე შემთხვევაში გადაშენების დრო მეტია უფრო დიდი განვითარებული პოპულაციათა ზომებისთვის. მოდელის საინტერესო წინასწარმეტყველება არის ის, რომ გარემოებით სტოქასტიკურობას, რაც ასახულია  $V$ -ში, აქვს არსებითი გავლენა, რომელიც გადანონის პოპულაციის ზომას ზოგიერთ ვითარებაში. მაგალითად, ნარმონიდგინეთ ორი პოპულაცია 1 და 2 გადატანითი შესაძლებლობებით, როგორც ნაჩვენებია ნახატში. თუ პირველი  $K_1$ -ს მქონე პოპულაციისთვის  $\bar{T} > V$ , ხოლო მეორე  $K_2$  მქონე პოპულაციისთვის  $\bar{T} < V$ , მაშინ პირველ პოპულაციას გადაშენებისთვის უფრო მეტი დრო ექნება იმის მიუხედავად, რომ ის უფრო მცირეა, რადგან ის გარემოს ნაკლებ მერყეობას განიცდის ( $T$ -თან შედარებით  $V$  უფრო დაბალია), ვიდრე მეორე.

## ასაკობრივი და სივრცობრივი სტრუქტურა

მსგავსი ზომის პოპულაციები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ისეთი დემოგრაფიული მახასიათებლებით, როგორიცაა ასაკობრივი სტრუქტურა და სქესობრივი თანაფარდობა. მეტიც, ეს მახასიათებლები შეიძლება იცვლებოდნენ სეზონიდან სეზონმდე. ამრიგად, მსგავსი ზომის ორი პოპულაცია შეიძლება სხვადასხვაგვარად რეაგირებდეს გარემოს გამლიზიანებლებზე. ამგვარი განსხვავებები განსაკუთრებით მწვავეა საოცრად მცირე პოპულაციებში, რომლებიც ერთ შემთხვევას შეუძლია, დატო-


ვოს პოპულაცია მცირე მამრი ახალშობილებით, ან მცირე მდედრი ახალშობილებით, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, საერთოდ არავითარი ახალშობილით. ამგვარ მოვლენაში, რომელიც შეიძლება გამონვეული იყოს გარემოს ინტენსიური დარღვევით, პოპულაცია შეიძლება უბრალოდ გაქრეს.

პოპულაციის სივრცობრივ სტრუქტურასაც ასევე შეუძლია, გავლენა მოახდინოს გადაშენების ალბათობაზე. როგორც უკვე ვნახეთ, მრავალი პოპულაცია დაყოფილია პეტჩებად ან ადგილობრივ პოპულაციებად, აქედან თითოეულს, განსხვავებული ზომა, ასაკობრივი სტრუქტურა და მოწილობა აქვს გარემოს დარღვევების მიმართ. ამგვარად, დაყოფილი პოპულაციები შეიძლება შენარჩუნდნენ რეგიონალური მასშტაბით მაშინაც კი, როდესაც ადგილობრივი გადაშენების ტემპები შედარებით მაღალია. დაყოფილი პოპულაციების გადაშენებამ შეიძლება თავი იჩინოს, როდესაც გაფანტვის შესაძლებლობები ძალიან დაბალია ან როდესაც პოპულაცია იმდენად არის დაყოფილი, რომ თითოეული ადგილობრივი პოპულაცია ძალიან მცირეა.

აღსანიშნავია, რომ პოპულაციის როგორც ასაკობრივი, ისე სივრცობრივი სტრუქტურა შეიძლება ნარმოადგენდეს ბუფერს პოპულაციის გადაშენებისთვის. გარემოს დარღვევები, როგორც  $K_1$  ან  $K_2$ , გავლენას ერთნაირად ვერ ახდენენ ყველა ადგილობრივ პოპულაციაზე. იგივენაირად, გამლიზიანებელმა შეიძლება გავლენა იქნიოს ერთ ასაკობრივ კლასზე უფრო დრამატულად, ვიდრე მეორეზე. ასაკისა და სივრცობრივი სტრუქტურის ურთიერთმოქმედება ასევე ზემოქმედებს გადაშენების ალბათობაზე, როგორც მომდევნო მაგალითი გვიჩვენებს.

ჩვამები კოლონიურად დაბუდებადი ფრინველები არიან, რომლებიც სახლობენ მსოფლიოს მრავალი ნანილის სანაპირო წყლებში. ჩვამები საკვებს ოკეანიდან მოიპოვებენ, სადაც ისინი იჭერენ თევზს და სხვა მცირე ზღვის არსებებს. ისინი მომთხოვნები არიან საბინადრო ადგილების არჩევისას, რომლებიც განლაგებული არიან თითქმის მიუვალ სალკლდებზე, ტალღების ამოშხეფების ხაზიდან საკმაოდ მაღლა. ბუდის ადგილი საკმარისად დიდი და ბრტყელი უნდა იყოს იმისთვის, რომ დაიტიოს კვერცხი და ახალგაზრდები იმისთვის, რომ ეფექტურად იყოს დაცული ელემენტებისგან. ამგვარი საბუდელი ადგილების იშვიათობის გამო, მამრები არ იძულებენ, სანამ სულ მცირე 2 წლის არ გაძლებიან, ხოლო მდედრები – სულ მცირე 3 წლის.

კულსონმა და კოლეგებმა გვამცნეს საოცარი სიკვდილიანობის მოვლენის შესახებ ჩვამების პოპულაციაში, რომლებიც ინგლისის სანაპიროსთან მდებარეობს, ფარნეს კუნძულებზე. 1968 წელს ფარნეს კუნძულების გარშემო ოკეანის ინვაზიამ დინოფლაგელატების (ერთუჯრედიანი, ორშოლტიანი წყალმცენარე) მიერ გამოიწვია საგრძნობი კლება ჩვამების თევზიან საკვებში დაბუდების სეზონის პი-



**ნახ. 19-7** გადაშენების დროის ლანდეგელი მოდელი, სადაც ზედა ხაზისთვის  $\bar{T} > V$  და ქვედასთვის  $\bar{T} < V$ . მცირე პოპულაციას  $K_1$ , გადატანითი შესაძლებლობით და დაბალი  $V$ -ით, რაც დაბალ გარემოებით სტოქასტიკურობას აღნიშნავს, შეიძლება ჰქონდეს უფრო დიდი დრო გადაშენებისთვის, ვიდრე დიდ პოპულაციას საოცრად ცვალებად გარემოში ( $\bar{T} < V$ ). (After Lande 1993.)

კის განმავლობაში. ზრდასრული მამრებისა და მდედრების უმეტესობა მოკვდა, დატოვა რა ბუდეები და გამოიწვია მასობრივი კლება პოპულაციის რეპროდუქციულ ნამატში. ზოგი პოპულაციისთვის ეს კატასტროფა იქნებოდა, რომლისგან გამოეყებაც შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ჩვამების ასაკობრივმა და სივრცობრივმა სტრუქტურამ აღჭურვა ისინი ბუფერით გადაშენების წინააღმდეგ. ინგლისის სანაპიროს გასწვრივ არსებულ ყველა პოპულაციაზე როდი იმოქმედა ამ ინვაზიამ ისე, როგორც ფარნეს კუნძულებზე და ამიტომ ხელახალი კოლონიზაციის საშუალებით იმიგრაციის პოტენციალი საკმაოდ დიდია. მეტიც, პოპულაციის ასაკობრივი სტრუქტურა ისეთი იყო, რომ არაგამრავლებადი ფრინველების (2 წლის ან ნაკლები ასაკის მამრები და 3-ის ან ნაკლები წლის მდედრები) მნიშვნელოვან რეზერვს შესაძლებლობა მიეცა გამრავლებისთვის მომავალ წელს. ამ ფრინველებზე არ იმოქმედა თევზების მარაგის შემცირებამ, რადგან ისინი ფართოდ არიან გავრცელებული მათი არარეპროდუქციული წლების განმავლობაში (Coulson et al. 1968).

### **19.3 სეაულის ზომა, სიცოცხლის ხანების გრძლივობა და კოპულაციის მოცულობა ურთიერთთვეში, რათა გავლენა მოახდინონ გადაშენების რისაზე**

ჩვენ გადაშენების პროცესის უკეთ გასაგებად შეგვიძლია პოპულაციათა მარტივი მოდელები გამოვიყენოთ. წარმოიდგინეთ გარკვეული გარემოს გამლითიანებლის საშუალებით წონასწორობიდან გადახრილი განონასწორებული პოპულაცია. (ჩვენ აღვნიშნავთ აქ, ისევე როგორც ამ წიგნის მრავალ ადგილას, რომ განონასწორებული პოპულაცია არის მოდელით წარმოიდგენილი იდეალი, რომელსაც ჩვენ ვადარებთ ბუნებრივ პოპულაციებს და რომლებიც როგორც წესი, არ ჩერდებიან წონასწორობის ერთ რომელიმე წერტილიზე (იხ. თავი 16). სიჩქარეს, რომლითაც ერთეული პოპულაცია უბრუნდება თავის წონასწორობის მდგომარეობას, ენდება პოპულაციის მოქნილობა. ზოგადად, თუ ხანგრძლივი დროა საჭირო წონასწორობამდე დაბრუნებისთვის (ხანგრძლივი დაბრუნების დრო), მაშინ პოპულაციებს დაბალი მოქნილობა აქვთ. პოპულაციის მოქნილობა დაკავშირებულია მის ასაკობრივ სტრუქტურასა და სივრცობრივ გავრცელებასთან, როგორც ჩვენ წინა ნაწილში ვნახეთ. ის ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს პოპულაციის სასიცოცხლო ციკლის მახასიათებლებთან. პიმი (1991) განიხილავს ზოგიერთ იდეას ორი ამგვარი მახასიათებლის შესახებ, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია. ესენია სიცოცხლის ხანგრძლივობა და სხეულის ზომა.


წარმოიდგინეთ ორი ცხოველის პოპულაცია, ერთი შეიცავს სხეულის მცირე ზომის და ხან-

მოკლე სიცოცხლისუნარიან ცხოველებს, მეორე დიდ და ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიან ცხოველებს. (პიმი გულიხსმობს, ბუგრებს და სპილოებს.) რა მოხდებოდა მათი პოპულაციები რომ მცირე ყოფილიყო? რადგანაც დიდი პოპულაციები უფრო ხანგრძლივად ცოცხლობენ, ალბათობა, რომ ნებისმიერი მათგანი მოკვდება, სიტყვაზე, ერთ წელიწადში, მცირეა და ამავდროულად მცირეა იმის ალბათობაც, რომ მთლიანი პოპულაცია დაიღუპება. გარემოს კატასტროფისა და დაავადებათა არარებობის პირობებში ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანი ცხოველების მცირე პოპულაცია შეიძლება ჩავთვალოთ შედარებით სტაბილურად. ეს ასე არ არის ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანი ცხოველებისთვის. რადგანაც ისინი ხანმოკლე სიცოცხლისანი არიან, ალბათობა, რომ გარკვეული ინიდვიდი მოკვდება ერთ წელიწადში დიდია და ასევე მაღალია მთლიანი პოპულაციის გაქრობის ალბათობა. ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიანი ცხოველებს აქვთ უფრო მეტი მოქნილობა დაბალი წლიური სიკვდილიანობის გამო.

მაგრამ შემთხვევა არ არის მარტივი. ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიან ცხოველებს, როგორც წესი, აქვთ დიდი სხეული და ასეთი ცხოველების პოპულაციებს აქვთ უფრო მეტი დაბრუნების დრო, ანუ დაბალი მოქნილობა. ამრიგად, თუ დიდი ცხოველების პოპულაცია შემცირებულია დაბალ დონემდე, ის შეიძლება დარჩეს ამ დონეზე დიდი ხნის განმავლობაში. ამისგან განსხვავებით, მცირე ზომის ცხოველებს უფრო მოკლე დაბრუნების დრო და შესაბამისად, პოპულაციათა მაღალი მოქნილობა აქვთ. პატარა ცხოველების პოპულაცია მაღალ გამოკეთდება პოპულაციის კლებიდან. ყოველივე ეს გულისხმობს კომპლექსურ ინტერაქციას სასიცოცხლო ციკლის მახასიათებლებსა და პოპულაციის ზომას შორის. იმ შემთხვევებში, როდესაც პოპულაციები მცირე რიცხოვანია, ყველა დანარჩენ თანაბარ შემთხვევაში, დიდი, ხანგრძლივ სიცოცხლიანი ცხოველები გადაშენების ნაკლები რისკის წინაშე დგანან, ვიდრე მცირე, ხანმოკლე სიცოცხლიანი ცხოველები. კრიტიკულ შემთხვევებში, სადაც პოპულაციები არიან, მცირე, ხანმოკლე სიცოცხლისუნარიან სახეობებს უნდა ჰქონდეთ უპირატესობა მათი უფრო მაღალი მოქნილობის გამო (Pimm 1991).

### **19.4 გავრცელების სფრუქტურა კუნძულებზე და კუნძულებს მორის გიგანებით გადამდინარებული გამომდინარების დაკვირვების გარეშე**

გადაშენების ალბათობა საოცრად განსხვავებულია სახეობებს შორის. ზოგი ახლოს მერყეობს თავის გარდაუვალ ბედონის და ფეხს ნამოკრავენ მცირე



**ნახ. 19-8** მცირე ანტილის კუნძულებზე ბზე რამდენიმე ფრინველის გადანაწილების ხასიათი და ტაქსონომიური დიფერენციაცია. სურათზე ასახულია ტაქსონია ციკლების თანმიმდევრულობა, პროგრესული ფაზები. ხარჩიტამ ახლახანს გააფართოვა თავისი გავრცელების არეალი კუნძულებზე (I ფაზა, გამოჩენის თარიღები აღნიშვნია): სახლის ღობემდებალა გადაშენდა (E) რამდენიმე კუნძულზე მეოცე საუკუნის განმავლობაში (IV ფაზა). პატარა ასოები აღნიშნავენ ქვესახეობებს. (After Ricklefs and Cox 1972.)

ეკოლოგიურ წინაღობას მაშინ, როდესაც სხვები მოქნილები და პროდუქტიულები არიან, შეუძლიათ, გაუძლონ თავიანთი გარემოს დარღვევებს. ამგვარი განსხვავებები გადაშენების ალპათობაში შეიძლება გამოწვეული იყოს გეოგრაფიული გავრცელებით და ტაქსონომიური განსხვავებებით ისეთ პოპულაციებს შორის, რომლებიც ბინადრობენ დასავლეთ ინდოეთის კუნძულების მაგვარ კუნძულთა ჯგუფებზე.

კუნძულზე იმიგრანტები თავდაპირველად შესანიშნავი კონკურენტები არიან. სახეობები, რომლებიც ახდენენ კუნძულების კოლონიზებას, როგორც წესი, ჭარბად მოიპოვებიან და ფართოდ არიან

გავრცელებული კონტინენტზე. სწორედ ეს მახასიათებლები ხდიან მათ კარგ კოლონიზაციორებად. კუნძულის მრავალი კოლონიზაციორი ავითარებს პოპულაციის სწრაფ ზრდას და ვრცელდებიან მშობელი პოპულაციის მიერ აუთვისებელ საბინადრო გარემოში კონტინენტზე (Crowell 1962, Grant 1966, MacArthur et al. 1972, Cox and Ricklefs 1977). მას შემდეგ, რაც იმიგრანტი პოპულაცია დამყარდება კუნძულზე, მისი კონკურენციული უნარი იწყებს დაცემას. მისი გადანაილება საბინადრო გარემოებს შორის იზღუდება და ადგილობრივი პოპულაციების სიმჭიდროვეებიც იკლებს (Ricklefs 1970, Ricklefs and Cox 1978). ამ ტენდენციებს საბოლოო ჯამში შეუძლიათ,

### ცხრილი 19-2 სახეობათა გავრცელებისა და ტაქსონომიური დიფერენცირების მახასიათებლები ტაქსონთა ციკლის ფაზებში

ფაზა	გავრცელება კუნძულებს შორის	დიფერენცირება კუნძულის პოპულაციებს შორის
I	გაფართოებადი და ფართოდ გავრცელებული	კუნძულის პოპულაციები ერთმანეთის მსგავსია
II	გავრცელებული მრავალ მეზობელ კუნძულზე	პოპულაციების ფართოდ გავრცელებული დირფერენცირება სხვადასხვა კუნძულზე
III	ფრაგმენტაცია გადაშენებისგამო ფართოდ	გავრცელებული დიფერენცირება
IV	ენდემური ერთი კუნძულისთვის	

(From Ricklefs and Cox 1972.)

გამოიწვიონ გადაშენება. გავრცელებაში მომხდარი პროგრესული ცვლილებების და დროთა განმავლობაში სახეობათა დიფერენცირების ეს ტენდენციები ცნობილია ტაქსონთა ციკლების სახელით (Wilson 1961).


ჩვენ შევვიძლია, განვსაჯოთ კუნძულებზე არსებული პოპულაციების შედარებით ასაკი გეოგრაფიული გადანანილების ხასიათის მიხედვით და კუნძულზე მათი გამოჩენის განსხვავების მიხედვით იმ ფორმების გამოჩენისგან, რომლებიდანაც ისინი არიან წარმოშობილი. მცირე ანტილის კუნძულებზე მობინადრე ფრინველთა სახეობების გავრცელების არეალის რუკები (ნახ. 19-8) გვიჩვენებს ტაქსონთა ციკლების პროგრესს. გადანანილების ამგვარი ხასიათის საფუძველზე რიკლეფსმა და კოქსმა (1972) პოპულაციები მოაქციეს ოთხ თვითნებურ ფაზაში (ცხრილი 19-2): გაფართოებადი (I), დიფერენცირებადი (II), ფრაგმენტირებადი (III) და ენდემური (IV). მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა ჩრდილო დასავლეთ წყნარი ოკეანის კუნძულებზე მობინადრე ჭიანჭველებში (Wilson 1961) და სოლომონის კუნძულზე მობინადრე ფრინველებსა და ზოგიერთ მწერში (Greenslade 1968, 1969). დასავლეთ ინდოეთის (ვესტინდოეთის) ფრინველების სახეობებს ტაქსონთა ციკლების გვიან ფაზებში უკითხდებათ პოპულაციის შემცირებულ სიმჭიდროვეები და ისინი შეზღუდული არიან საბინადრო გარემოების შედარებით ვიწრო არეალში, რაც ხშირად მოიცავს ტყიან მთებს (ნახ. 19-9).

პოპულაციები უფრო მგრძნობიარე ხდებიან გადაშენებისადმი ტაქსონთა ციკლების პროგრესირებასთან ერთად (ცხრილი 19-3). დასავლეთ ინდის ფრინველთაგან უფრო ენდემური ფრინველები (IV ფაზა) გადაშენდნენ 1950 წლიდან ან ახლა იმყოფებიან გადაშენების საფრთხის წინაშე, ვიდრე ფართოდ გავრცელებული სახეობების პოპულაციები (I და III ფაზები). იგივე შეიძლება ითქვას მესამე და მეოთხე ფაზის მგალობელ ფრინველებზე ჰავაის კუნძულებზე.

გავრცელების ხასიათისა და ტაქსონომიური დიფერენცირების დაკვირვებებიდან ჩვენ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკოლოგიური და ევოლუციური პროცესების დროის მასშტაბები იზრდება შემდეგი თანმიმდევრობით: იმიგრაცია, ევოლუციური დიფერენციაცია, გადაშენება. მიმდინარე ან ახლანდელი იმიგრანტები დასავლეთ ინდიში ავლენენ მცირე ან არავითარ ტაქსონომიურ დიფერენციაციას და ზოგიერთი სახეობა აფართოვებს თავისი გავრცელების არეალს არქიპელაგში ყოველ 10-50 წელინადში ერთი კუნძულის სიჩქარით. არ არსებობს სახეობები „ნაპრალებით“ თავიანთ გავრცელებაში, რაც აღნიშნავდა იმ კუნძულის პოპულაციათა გადაშენებას, რომლებიც არ იქნებოდნენ დიდად დიფერენცირებული კუნძულებს შორის. ფაქტი, რომ გადაშენება მოჰყვება კუნძულებზე ხილული ევოლუციური ცვლილებების დაწყებას, ნიშნავს, რომ გადაშენები-

სადმი მგრძნობიარობას შეიძლება ჰქონდეს ევოლუციური კომპონენტი.

რიკლეფსმა და კოქსმა (1972) შემოგვთავაზეს, რომ ასაკთან ერთად კუნძულოვანი პოპულაციის კონკურენციის უნარის შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს კუნძულზე არსებული ბიოტის ევოლუციური რეაციებით ახალ სახეობებზე. ამ სცენარის თანახმად, იმიგრანტები შედარებით თავისუფალი არიან პარაზიტებისგან, მტაცებლებისგან და ასევე ეფექტურად დახელოვნებული კონკურენტები არიან, როდესაც ისინი ახდენენ კუნძულის კოლონიზაციას, ასე რომ, მათი პოპულაცია სწრაფად იზრდება და ფართოდ გავრცელებული ხდება. როდესაც ამ ფაზას მიაღწევენ ახალი იმიგრანტები უკვე კუნძულოვანი სახეობების გარემოს დიდ ნანილს შეადგენენ, შემდეგ ექსპლუატაციას უწევენ მათ, თავიდან იცილებენ ექსპლუატაციას მათი მხრიდან ან კონკურენციაში ჯაბნიან მათ. პოტენციურად არსებული სახეობების დიდი რაოდენობა, როდესაც ადაპტირდებიან ერთეულ, ჭარბ, ახალ პოპულაციასთან, შეიძლება უფრო სწრაფად განვითარდნენ, ვიდრე ახალი სახეობები, გაივლიან რა ადაპტაციას თავიანთი ევოლუციური გამოწვევების დასაძლევად. იმიგრანტების კონკურენუნარიანობა პროგრესიულად მცირდება კუნძულის მობინადრების კონტრადაპტაციის გამო, სანამ ერთ დროს ჭარბი ახალი სახეობა არ გახდება იშვიათი. ზოგი სახეობა საბოლოო ჯამში გადაშენებამდეც მიდის კონტინენტიდან თანდათანობითი იმიგრაციების გამო, რომლებიც უფრო ეფექტური კონკურენტები არიან. თუმცა როდესაც სახეობა იშვიათი ხდება, სხვა სახეობები უკვე ვეღარ აღწევენ ევოლუციურ უბირატესობას მასთან ადაპტირებისას და ევოლუციური ზენოლა შემცირებულ სახეობებში შედარებით იკლებს. თუ ეს ხდება მანამდე, სანამ სახეობის კლება ძალიან შორს წავა, სახეობა შეიძლება კვლავ გაიზარდოს და დაიწყოს კუნძულზე გავრცელების ახალი ციკლი. ამ მოვლენას როგორც ჩანს მრავალჯერ ჰქონია ადგილი. სახეობათა გადანანილება



**ნახ. 19-9** მგალობელ ფრინველთა პოპულაციების სიმჭიდროვისა და ევოლუციური გავრცელების შედარებითი ინდექსები დასავლეთი ინდიში, როგორც ტაქსონთა ციკლის ფაზის ფუნქცია. ნახატები ეფუძნებიან იმაიკაზე, ნმ. ლუსიაზე და ნმ. კიტსზე ცხრა სახის საცხოვრებელი გარემოს აღწერას. (After Ricklefs and Cox 1978.)

### ცხრილი 19-3

დასავლეთი ინდის და ჰავაის კუნძულებზე ფრინველთა  
პოპულაციების გადაშენების ტემპი როგორც ტაქსონთა  
ციკლის ფაზის ფუნქცია

	ციკლის პერიოდი			
	I	II	III	IV
<b>დასავლეთი ინდი</b>				
ახლახანს გადაშენებული ან საფრთხეში მყოფი პოპულაციების რიცხვი	0	8	12	13
კუნძულოვანი პოპულაციების მთლიანი რიცხვი	428	289	229	57
გადაშენებული ან გადაშენების საფრთხეში მყოფთა პროცენტული მაჩვენებელი	0	2.8	5.2	22.8
<b>ჰავაის კუნძულების რეპანოიდაე-ს ოჯახის ჩრჩილი</b>				
ახლახანს გადაშენებულთა ციხვი	2	2	9	7
კუნძულოვანი პოპულაციის მთლიანი რიცხვი	23	12	12	10
გადაშენებულთა პროცენტული მაჩვენებელი	8	16	75	70

(From Ricklefs and Cox 1972; Hawaiian data from Amadon 1950.)

წარმოადგენს მეორადი გავრცელების ცხად მაგალითს დასავლეთი ინდის კუნძულებზე.

მართალია, ტაქსონთა ციკლების სცენარი განსახილებია და მან აღიარება ვერ პოპულარული პიპოთეზის სახითაც კი ზოგიერთ ბიოლოგს შორის (Pregill and Olson 1981), ცხადია, რომ კუნძულები გვაძლევენ გადაშენების შესწავლის კარგ საშუალებას. ის ფაქტი, რომ ურთიერთობანი ეკოლოგიური განაწილებისა და გეოგრაფიულ გავრცელებას შორის შეიძლება დადგენილ იქნას, ნიშნავს, რომ გადაშენებული კუნძულოვანი პოპულაციების „დური“ პოპულაციები (სახეობანი III და IV ფაზებში) თავად არიან ეკოლოგიურად უფრო ახლოს თავიანთ საბოლოო შლასთან, ვიდრე I და II ფაზაში მყოფი სახეობები. ამრიგად, კურსი, რომელიც იწვევს გადაშენებას, სულ მცირე, გარკვეულწილად დეტერმინისტული და განჭვრეტადია.

(Jordon et al. 1987, Bowles and Whelan 1994, MacMahon 1997). სწორედ ამ შეხედულებიდან განვითარდა აღ-დგენის ეკოლოგია.

აღდგენა მოითხოვს არა მარტო ცხოვრების ეული ციკლის და ეკოლოგიური პრინციპების ღრმა ცოდნას, არამედ ასევე უნარს, გამოიყენო ეს ცოდნა განზრას და კარგად დაგეგმილი ნაბიჯებისთვის, რომელებიც გამიზნულნი არიან საფრთხეში მყოფი სახეობების ან თანასაზოგადოებების ტრაქტორიის შესაცვლელად (Bowles and Whelan 1994). უფრო ხშირად ძნელი არჩევნები უნდა იქნას გაკეთებული იმის თაობაზე, თუ რომელი სახეობები და თანასაზოგადოებები უნდა იქნან შენარჩუნებულნი და რომლები – არა. ამ არჩევნებს პირდაპირ კონფლიქტში მოჰყავთ ეკოლოგიური პრინციპები და იდეალები მკაცი გამოთვლებით მიღებულ ეკონომიკურ იმპერატივებთან, რომლებიც წონიან სავაჭრო ქმედებათა ფისკალურ მოგებას ან სახლების განვითარებას ერთი სახეობის ან ზტანასაზოგადოების შენარჩუნების სარგებლიანობის წინააღმდეგ, სარგებლიანობის, რომელიც ხშირად ძნელი გასაცნობიერებელია იმ დროს, როდესაც ეკონომიკური გადაწყვეტილებები მიიღება (Brown 1994). მაშასადამე, აღდგენა მოიცავს არა მარტო სამეცნიერო სამუშაოებს, არამედ ასევე ორგანიზაციას, კომუნიკაციას და შესაბამისი პოლიტიკური და სოციალური მოთხოვნების ფარგლებში მუშაობას.

აღდგენის ეკოლოგია, უმეტეს წილად, ყურადღებას ამახვილებს მთლიანი საცხოვრებელი აღგილის და მისი შემადგენელი ბიოლოგიური ერთობების და არა ერთი პოპულაციის აღდგენას. ამის მიუხედავად, სახეობათა ხელახალი შემოყვანა არეალში ხშირად

### 19.5 როდესაც შენარჩუნება შეუძლებელი ხდება, გამოსავალი ხადეანა აღდგენა

შენარჩუნების მიზანი არის შენახვა, მაგრამ ხშირად დეგრადაცია და კლება იმდენად ძლიერ პროგრესირებს, რომ შენარჩუნება ველარ ფუნქციონირებს. ამგვარ შემთხვევებში გაუმჯობესებისა და რეაბილიტაციისკენ მიმართული პირდაპირი ინტერვენცია ხდება საჭირო. ახლანდელ წლებში ეკოლოგები ემხრობიან შეხედულებას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, საჭიროა გაკეთდეს დეგრადირებული ეკოლოგიური სისტემების აღდგენის მცდელობა, რაც შეიძლება ახლოს მათ ბუნებრივ კონდიციასთან

აღდგენითი პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენ განვიხილავთ აღდგენის ეკოლოგიის ამ ასპექტს ქვემოთ მოცემულ კიდევ რამდენიმე ნაწილში.

## **19.6 მატაკოულაციის კონცეფცია მიზანების განხილვა გიოლოგიაში**

ადამიანის განვითარებასა და გავრცელებასთან დაკავშირებული საბინადრო გარემოს ფრაგმენტაცია უმთავრესი მიზეზია მრავალი, საფრთხის წინაშე არსებული სახეობის კლებისა. ამრიგად, შენარჩუნების ძალისხმევათა ერთ-ერთი ყველაზე საგანგაშო გამოწვევათაგანი არის სივრცობრივად სტრუქტურირებული პოპულაციის დინამიკის გაგება. ეს სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმ დროს, როდესაც ეკოლოგებს უხმობენ თავშესაფრების შესაქმნელად, სადაც საფრთხის წინაშე არსებულმა სახეობებმა უნდა იარსებონ. მეტაპოპულაციისა და ლანდშაფტის კონცეფციები გვეხმარებიან ამ გამოწვევებთან მიდგომის ფორმირებაში უკანასკნელ წლებში (Meffe and Carroll 1997a, McCullough 1996).

შენარჩუნების ეკოლოგიის დიდი ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა რეზერვებთა ატრიბუტებზე, რომელებმიც საფრთხის წინაშე არსებული სახეობები უნდა შენარჩუნდნენ. როგორც წესი, ამგვრი რეზერვები წარმოდგენილია საბინადრო გარემოს კუნძულებად და კითხვები ისმის ძირითადად იმის თაობაზე, თუ რამდენად დიდი უნდა იყოს ეს რეზერვები, რა ოპტიმალური ფორმა უნდა ჰქონდეთ მათ და თუ რეზერვები პეტჩების სახით არსებობენ, რა სივრცობრივი ურთიერთობა უნდა იყოს მათ შორის. კუნძულის ბიოგეოგრაფიის თეორია (MacArthur and Wilson 1963, 1967), რომელსაც ჩვენ უფრო დეტალურად 29-ე თავში განვიხილავთ, ისტორიულად გვაწვდის თეორიულ საფუძველს ამგვარი აზროვნებისთვის. თეორიის ძირითადი მახვილი გაკეთებულია იმაზე, თუ როგორ ნარჩუნდება სახეობათა სიმდიდრე (სახეობათა რიცხვი) კუნძულთა სისტემაში, რომელებზეც ხდება იმიგრაციაც და რომელებზეც სახეობები შეიძლება გადაშენდნენ კიდეც. რადგანაც კუნძულის ბიოგეოგრაფიის მოძელის უმთავრესი ფოკუსი არის სახეობათა სიმდიდრე და არა გაკრვეული პოპულაციის დინამიკა, ისინი ნაკლებ დამაკამაყოფილებელია შენარჩუნების თეორიის საფუძვლად ყოფნისთვის. ამის გამო, მათ ადგილი დაუთმეს მეტაპოპულაციათა კონცეფციას, როგორც შენარჩუნების ეკოლოგიის გამორჩეულ თეორიულ ჩარჩოს (Hanski and Simberloff 1997, Wiens 1997). მეტაპოპულაციის კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს იზოლირებულ პეტჩებში სახეობათა სიმდიდრისგან მოშორებით იმის დინამიკაზე, თუ როგორ არიან პეტჩები დაკავშირებული და აგრეთვე ქვეპოპულაციების მთლიანი წყების შენარჩუნებაზე.

როდესაც ამ პროცესში ლადნშაფტის კონცეფციაც ჩართულია, ფოკუსი ფართოვდება და მოიცავს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ როგორ ზემოქმედებს საბინადრო გარემო ინდივიდების გადაადგილებაზე და პოპულაციის სხვა პროცესებზე (იხ. ნახ. 17-16).

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იდეალიზებული მეტაპოპულაციები, როგორიც ლევინსის მოდელში იყო წარმოდგენილი (იხ. თავი 17), იშვიათად არსებობენ ბუნებაში და ამიტომ მეტაპოპულაციათა კონცეფციის არაკრიტიკული გამოყენება ველური ბუნების რეზივების განვითარებაში არასწორია. მთლიანად, ლანდშაფტის მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე – კერძოდ, იმის გაგების გარეშე, თუ როგორ ზემოქმედებს გარემო პეტჩებს შორის ურთიერთობებიდან არეალში ქვეპოპულაციებს შორის ინდივიდების გადაადგილებაზე, მოსალოდნელი არ არის, რომ განვითარდება ქმედითუნარიანი რეზერვის დიზაინი. შენარჩუნდება თუ არა სახეობა ფრაგმენტირებულ საბინადრო გარემოში, დამოკიდებულია საბინადრო პეტჩებს შორის სივრცობრივ ურთიერთობაზე, პეტჩების შედარებით ზომაზე, სახეობათა რეპროდუქციულ პოტენციალსა და სახეობათა გაფანტვის უნარზე (Fahring and Marrian 1994).

ველური ბუნების რეზერვების დინამიკის ერთი ასპექტი, რომელმაც დაიმსახურა მნიშვნელოვანი ყურადღება, არის საბინადრო დერეფენციას კონცეფცია. ესენი წარმოადგენენ სქემატურად ვიწრო ისრებად ან ხაზებად წარმოადგენილ არეალებს, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებენ პეტჩებს. კორიდორებმა შეიძლება ხელი შეუწყონ იმ პეტჩების ხელახალ კოლონიზაციას, რომელთა ქვეპოპულაციებიც გადაშენდნენ და ამავე დროს, მათ შეუძლიათ, შეამცირონ კიდეც ნათესაური შეჯვარება მეტაპოპულაციაში. თუმცა, დერეფენცია ქმნიან რამდენიმე პოტენციურ სიძნელესაც (Simberloff and Cox 1987, Hanski and Simberloff 1997, Wiens 1997). კავშირებმა პეტჩებს შორის მართლაც შეიძლება ხელი შეუწყონ პეტჩებს შორის ინიდვიდების გადაადგილებას, მაგრამ მათ ასევე შეიძლება დაუშვან მტაცებლებისა და დააგადებების გადაადგილებაც. მეტიც, დერეფენის არსებობა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ინივიდთა გადაადგილებას საერთოდ ექნება ადგილი. მაგალითად, კორიდორის საბინადრო შეიძლება არ იყოს შესაფერისი გარკვეული სახეობისთვის.

## **19.7 აღდგენითი გაგები და მიზანები არსებული სახეობების სასიცოცხლე ციკლის გახსასითო გადამზადების საფრთხის ცინაში**

აშშ-ს მთავრობის განკარგულება საფრთხის წინაშე არსებული სახეობების გადარჩენის შესახებ მოითხოვს, რომ განვითარდეს აღდგენითი გეგმა ყოველი სახეობისთვის, რომელიც იმყოფება

საფრთხის წინაშე არსებულ სახეობათა სიაში. როგორც წესი, ეს გეგმები მზადდება ეკოლოგთა გუნდის და სხვათა მიერ, როგორიცაა ინდუსტრიის ან სამთავრობო სააგენტოების წარმომადგენლები, რომლებიც შეიძლება დაინტერესებული იყვნენ სახეობათა ან მათი საბინადრო გარემოს ადგილმდებარეობით. აღდგენითი გეგმა მოიცავს სახეობათა გართულებული მდგომარეობის ანალიზს და გვთავაზობს მისი გამოსწორების სტრატეგიას. გეგმა ისევე, როგორც წესი, მოიცავს სახეობათა შენარჩუნების ხარჯებისა და მოგებათა ანალიზს. გეგმის სამეცნიერო საფუძველი ემყარება სახეობათა ბუნებრივ ისტორიას.

### **პოპულაციათა სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი**

ნებისმიერი აღდგენითი გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილი არის იმის ალბათობის შეფასება, შესაძლებელია თუ არა საფრთხის წინაშე არსებული სახეობის შენარჩუნება, თუ სპეციფიკური აღდგენითი გეგმა შესრულდება. ამგვარ შეფასებას ეწოდება პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი (PVA) (Gilpin and Soulé 1986, Shaffer 1990). მინიმალურად სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის ზომის იდეა (იხ. სექცია 14.5) მჭიდროდაა დაკავშირებული პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის ანალიზის კონცეფციასთან. რადგანაც PVA შედარებით ახალი მიდგომაა, ის შეიძლება დახასიათებულ იქნას როგორც შეფასების სტრატეგია და არა სამეცნიერო ნაბიჯთა წყება. პროცესი მოიცავს სამ მიზანს. პირველი, სტანდარტულად ითვლება მინიმალურად სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის ზომა, რომელსაც დიდი ხნით არსებობის 90%-იანი ან უფრო მეტი შანსი აქვს, რაც წესით ასობით წლებით იზომება. მეორე, PVA იღწვის, განსაზღვროს, რა მინიმალური სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის ზომა არის საჭირო იმისთვის, რომ სახეობაში იარსებოს მნიშვნელოვანი ჩარევის არარსებობის პირობებში. და ბოლოს, PVA მიზნად ისახავს, დაადგინოს აღდგენითი პროცედურები, რომლებიც შეინარჩუნებენ გენეტიკურ ცვალებადობას პოპულაციაში.

პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი მოიცავს ყველა სახის ინფორმაციის განხილვას, რომელიც რელევანტურია კითხვის ნიშნის ქვეშ მდგარი სახეობის ისტორიასა და მომავალთან. ამისთვის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ინფორმაციაა საჭირო. ინფორმაციას ფილოგენეზური ისტორიისა და სახეობების სისტემატური ურთიერთობის შესახებ შეუძლია დაგვეხმაროს, ვიპოვოთ ეკოლოგიური ცვლილების ტემპი სახეობებში და მისი საბინადრო უპირატესობებისა და სასიცოცხლო ციკლის ურთიერთობა დაკავშირებულ სახეობებთან. სახე-

ობების საბინადრო გარემოს გულდასმითი კვლევის მოთხოვნები საჭიროა იმის განსასაზღვრად, თუ როგორ დავიცვათ საბინადრო გარემო და პოპულაციები კოლონიზაციის ალტერნატიული ადგილების პოვნისას. საფრთხის წინაშე მდგარი სახეობის პოპულაციის მახასიათებლების გაგება არსებითი მნიშვნელობისაა. ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა სიმჭიდროვე, ასაკობრივი განაწილება, იმიგრაციის და ემიგრაციის ტემპები და შობადობისა და სიკვდილიანობის დონეები, წარმომადგენენ ფუნდამენტურ ინფორმაციას, რომელსაც ეფუძნება აღგენითი გეგმა. ამასთან, პოპულაციაში გენეტიკური ცვლილების გარკვეული შეფასება, როგორც წესი, გამოითვლება იმისთვის, რომ განსაზღვროს გენების ფიქსაციის ალბათობა და ნათესაური შეჯვარების პრობლემები. და ბოლოს, შემთხვევათა უმეტესობაში არსებითი მნიშვნელობისაა სახეობათა ძირითადი ბიჟევიორისტული ეკოლოგიის გაგება. ტერიტორიულობის ხარისხი, არშიყობისა და დაწყვილების მოთხოვნები და ძირითადი ფურაჟული ქცევა ამ ტიპის ინფორმაციის მაგალითებია.

თუმცა ეკოლოგიური ურთიერთობა არ არის საკმარისი. გეგმა მოიცავს ინფორმაციას იმ ეკონომიკური ძალების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ სახეობათა რესურსებსა და საბინადრო გარემოზე, სახეობების სოციალურ და კულტურულ დამოკიდებულებაზე, იმ საბინადროს შესახებ, სადაც ისინი ბინადრობენ და ინფორმაციაზე პოლიტიკური კლიმატის შესახებ, რომლის ფარგლებშიც უნდა იმოქმედოს აღდგენითმა გეგმამ. მთელი ამ ინფორმაციის შეჯამება აღდგენით გეგმაში არის ვარჯიში რისკის ხარისხის შეფასებაში, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ორგანიზაციულ უნარს (Clark and Cragun 1994). მოდით, განვიხილოთ ინფორმაცია მიღებული ერთი საფრთხის წინაშე არსებული სახეობის პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის ანალიზიდან.

### **ტყის კარიბუს PVA**

ტყის კარიბუ (ლანგიფერ ტარანდუს ცარიბოუ) (ნახ. 19-10) ერთ დროს იკავებდა მთლიანი ბორეალური ტყის არეალს ჩრდილოეთ ამერიკაში, ვრცელდებოდა რა დიდი ტბების არეალშიც, სახეობა არჩევდა მომწიფებულ ბორეალურ ტყეს, სადაც ის ძირითადად იკავებდა სრსებილით, თუმცა სახეობის ფურაჟული ეკოლოგია კარგად არ არის შესწავლილი. კარიბუ ენევა ინდივიდუალურ ცხოვრებას, ატარებს რა თავისი სიცოცხლის უმეტეს დროს სახეობის სხვა წევრებისგან მოშორებით, როგორც ჩანს, მტაცებლების ყურადღების მიქცევის თავიდან ასარიდებლად (ერგერუდ 1980). ადრეული 1800-იანი წლებიდან სახეობა გაქრა მისი გავრცელების არეალის თითქმის მთლიანი სამხრეთ ნაწილიდან, რაც ერთ დროს მოიცავდა მიჩიგანს და სამხრეთ ონტარიოს. კანა-




**ნახ. 19-10** ტყის კარიბუ (ლანგიფერ ტარანდუს (კარიბუ)).  
(პ.ჯ.პ. გოგანის ნაბოძები ფოტო)

დაში სახეობა თანდათან იხვედა ჩრდილოეთისკენ, ქრებოდა რა თავისი გავრცელების არეალის დიდი ნაწილიდან (Bergerud 1974, Gogan and Cochrane 1994). ტყის კარიბუს კლება ალბათ მიეწერება ფაქტორთა კომბინაციის, მათ შორისაა ტყის გაჩეზვებისა და ხანძრებისგან საბინადოს შემცირება, მომატებული ნადირობა, მგლების (ჩანის ლუპუს) მომატებული მტაცებლობა, რომლის პოპულაციაც ბოლო წლებში გაიზარდა და მენინგეალური ტვინის მატლის (არელაპოსტრონგებს ტენუის) ინვაზია, დაავადება, რომელიც გადააქვს თეთრკუდიან ირემს (დოცოლეუს ვირგინიანუს), რომელმაც გააფართოვა თავისი გავრცელების არეალი ჩრდილოეთისკენ კარიბუს მიერ დაკავებულ არეებში.

მრავალი ძალისხმევა ხორციელდება იმისთვის,  
რომ დაპრუნონ ტყის კარიბუ თავისი გავრცელების  
არეალის გარკვეულ ნაწილებში. ერთი ძალისხ-  
მევა ყურადღებას ამახვილებს კარიბუს პოპულა-

ციათა აღდგენაზე ზემო ტბის არეალში. დარჩენილ  
კარიბუთა ჯოგები თავს იჩენენ ზემო ტბის ჩრდილო  
სანაპიროსთან სამხრეთ ონტარიოში (ნახ. 19-11).  
სახეობა წარმატებით იქნა ხელახლა შეყვანილი სამ  
ადგილას, ყოველი მათგანი განლაგებული იყო ზემო  
ტბასთან, სადაც არ არიან თეთრჯუდიანი ირმები და  
მტაცებლები. ხელახლა შეყვანის კიდევ ერთი მცდ-  
ელობა წარუმატებლობით დასრულდა.

ასევე ხორციელდება მცდელობები ტყის კარი-ბუს შესაყვანად აშშ-ში ან ზემო ეროვნულ ტყეში ან ვოიაჯერის ეროვნულ პარკში (იხ. ნახ. 19-11; Gogian et al. 1990, Gogian and Cochrane 1994). ამგვარი ხელახალი კოლონიზების დაგეგმვა და დანერგვა დაკავშირებულია პოლიტიკურ სიძნელეებთან. ჩართული უნდა იქნან ფედერალური, საშტატო და პროვინციული სააგენტოები კანადიდან და აშშ-დან. მთელმა რიგმა კერძო დაჯგუფებამ გამოხატა დაინტერესება დაგეგმილი ხელახალი კოლონიზების საქმეში, თუმცა იურისდიქცია ცხოველებზე, რომლებიც შემოვლენ კანადიდან და დარჩებიან აშშ-ში, ეკოლოგიური გამოწვევაც არანაკლებ შემაშინებელია. როგორ დავიცვათ ახალშემოყვანილი ინდივიდები დაავადებისა და მტაცებლებისგან, სად მივიღოთ ინდივიდები ხელახალი კოლონიზებისთვის, საბინადრო გარემოს ხარისხი და მინიმალურად სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის ზომა, ყველაფერი ეს გათვალისწინებული უნდა იქნას. შემაფასებელი სამუშაო სქემა ხელახალი კოლონიზაციისთვის ზემო ტბის არეალში მოცემულია ნახ. 19-12-ში. დაგეგმვის პროცესები მოიცავს ერთდროულად პოლიტიკური და ეკოლოგიური გამოწვევების გათვალისწინებას. ნახატი კარგად წარმოადგენს იმას, თუ როგორ ხორციელდება ალდგენითი დაგეგმვა.




**ନେବ.** 19-11 ତ୍ୟାଗ କାରିବାରୁ  
 (ଲାଙ୍ଘଗୋପ୍ତର ତ୍ରାଣାନ୍ଦଦୂଷ ପାରି-  
 ଦ୍ୱୀ) ଅମ୍ବାଯୁଦ୍ଧାତ୍ମା ସାମର୍ଜନ ଏବଂ  
 ତ୍ରାଣାନ୍ଦଶୀ, କାନ୍ଦାଦା, ନ୍ୟୁଗେତିଲୋ  
 ଖାତି ଲାନ୍ଧିଶ୍ଵରାବେ ସାବ୍ରତାତା  
 ଗାୟର୍ପ୍ରେଲ୍ଲେବିଳୀ ଏରାଲୀଲୀ ସାମର୍ଜନ  
 ନାନୀଲ୍ଲେ, ଡାର୍ହିନୀଲୋ ଝାଗ୍ରବୀଳୀ  
 ଅଫିଲିମଦିଫାରର୍କୋବା ଅନ୍ଦିଶ୍ଵର-  
 ଲୀର କାରିଶ୍ଵରାବୀତ, ଝାଗ୍ରବୀଳୀ  
 ନାରମାତ୍ରେବିଳୀ ଏନ୍ଦା ଶ୍ରୀଗ୍ରାନୀଲୋ  
 ସାମ୍ବାତ୍ରେବିଳୀ ଏକ ଅନ୍ଦିଶ୍ଵର ଅଫ-  
 ଲ୍ଲେବିଳୀ, ଶ୍ରୀଲାବାଲୀ ଶ୍ରୀମଦ୍ବାବୀଲୀ  
 ଅଫିଲିମଦିଫାରର୍କୋବା ଅନ୍ଦିଶ୍ଵର  
 ନାନୀଲ୍ଲେ, (After Gagan and Cochrane  
 1994)

## **19.8 የጊዜተወቃዎች የሚገኘውን በመሆኑ የሚያስፈልግ ይገልጻል**

მრავალი იშვიათი და საფრთხეში მყოფი სახეობა თავს იჩენს მცირე პოპულაციებად. რა გამოწვევები არსებობს გენეტიკური მრავალფეროვნების მენეჯ-მენტისას სახეობათა გაუმჯობესებისა და აღდგენის პროცესებში?

## გენეტიკა და მცენარეთა შენარჩუნება

მცენარეებში შეჯვარების სისტემათა მრავალ-ფეროვნების გამო, მცირე პოპულაციებში გე-ნეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება ან შემოყვანილ პოპულაციებში გენეტიკური ცვლი-ლების შეგროვება რთულია (Fenster and Dudash 1994, Weller 1994). ყვავილოვან მცენარეთა უმრავლესობა ჰერმატფოლდიტია, ანარმოებენ რა მამრ და მდედრ



გამეტებს ერთსა და იგივე ყვავილში ან იმავე მცენარის სხვადასხვა ყვავილებზე. მართალია, ყვავილებში მთელი რიგი ადაპტაციებია განვითარებული, თვით განაყოფიერების თავიდან ასარიდებლად (სახელად **თვითდამტვერვა**), მრავალი სახეობა მაინც განიცდის თვითდამტვერვას, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მეტად გამანადგურებული გენეტიკური ცვლილება მცირე პოპულაციებში.

თვით განაყოფიერების შესამცირებელი ერთი ადაპტაცია თესლის ნარმომქმნელ მცენარეებში არის **თვითსტერილურობა**, რომლის საშუალებითაც თვითდამტვერვა თავიდან არის აცილებული ბუტკოსა და მტვრიანას შორის ბიოლოგიური შეუთავსებლობის საშუალებით (de Nettancourt 1977, Mulcahy and Mulcahy 1985). თვითსტერილური მცენარეები შედგებიან დაწყვილებადი ტიპების საბოლოო რიცხვებისგან, რომელთაგან თითოეულს, განსხვავებული წყება აქვს თვითსტერილური ალელებისა, რომელთაც S-ალელები ენოდებათ. ორი მცენარე ერთი და იგივე S-ალელით შეუთავსებელია და არ ნარმოქმნის თესლს. ამგვარ სისტემებში გენეტიკური მრავალფრონების შენარჩუნება დამოკიდებულია სხვადასხვა S-ალელების რიცხვზე. დიდ პოპულაციებში მოსალოდნელია, რომ იარსებებს მრავალი კონკურირებადი დაწყვილების ტიპი, მაგრამ გენეტიკურმა დრეიფმა შეიძლება გამოიწვიოს შედარებით ცოტა დაწყვილების ტიპის არსებობა მცირე პოპულაციებში. იშვიათი და საფრთხეში მყოფი მცენარეებისთვის თვითსტერილური სისტემები ქმნიან შენარჩუნების სიძნელებს, როგორც გვიჩვენებს ტბისპირა გვირილას მაგალითი.

ტბისპირა გვირილა (*Hymenoxys acaulis; Glabra*) საკმაოდ ფართოდ გავრცელებული ხმელეთის სახეობის ყმენოხყს აცაულის- ნაირსახეობა და სტერაცეა-თა ოჯახის წევრია, რომელიც შეიცავს ისეთ ნაცნობ მცენარეებს, როგორიცაა მზესუმზირა, ნარშავი, ბაბუანვერა და ქრიზანთემა. (მცენარეთა ტაქსონომიური ნომენკლატურის კონვენციების თანახმად ნაირსახეობის სახელი უნდა იყოს მიცემული აღნიშნვნა გლაბრა-თი, რაც მიჰყება გვარსა და სახეობას.) ყმენოხყს აცაულის გავრცელებულია დასავლეთ კანადის დიდ ნანილში აშშ-ს დიდ ვაკე-მდე და აღწევს ტეხასამდე. ტბისპირა გვირილა (ნაირსახეობა გლაბრა) მოიპოვება მხოლოდ სამი მცირე პოპულაციის სახით, აქედან ორი, ონტარიოში და ერთი ჩრდილოეთ თპაიოში ერის ტბასთან (ნახ. 19-13), სადაც ის იზრდება მხოლოდ მშრალ ადგილებში, დოლომიტიან და კირქვიან ნიადაგებზე ან მშრალ ხრეშიან პრერიებში (DeMauro 1994).


დემაურო (1994) აღნერს ტბისპირა გვირილას პოპულაციების ახლანდელ ისტორიას ილინოისსა და ოპაიოში. ილინოისის პოპულაცია თითქმის საერთოდ გადაშენდა ადრეული 1970-იანი წლებისთვის, შემცირდა რა დაახლოებით 30 მცენარემდე, რომელებიც სამ მცირე პეტჩში არსებობდნენ. ამ მცენარეების

ბის მიერ არ იწარმოებოდა არც ერთი სიცოცხლისუნარიანი თესლი 1970-იანი წლების განმავლობაში და ზოგი მცენარე გადაყვანილ იქნა ბალებში შენახვისა და კვლევისთვის. 1985 წელს დაიწყო კვლევები ილინოისის მცენარეების ოპაიოში დარჩენილ სამ მცირე პოპულაციასთან შესადარებლად. გენეტიკურმა კვლევებმა გამოავლინეს თხუთმეტი დაწყვილებადი ტიპის არსებობა ილინოისისა და ოპაიოს პოპულაციებში. მაგრამ ილინოისის ყველა მცენარე ერთი და იმავე დაწყვილებადი ტიპის აღმოჩნდნენ და შესაბამისად, თვითსტერილური. ამასთან, ოპაიოში გამოკვლეული სამი პოპულაციიდან, გავრცელების ერთ ადგილას აღმოაჩნდა ერთი დაწყვილებადი ტიპი (DeMauro 1993). დემაურომ მიიჩნია, რომ ილინოისის პოპულაცია ერთ დროს ეკუთვნოდა ექსტენსიურ მეტაპოპულაციას, სადაც გაფანტვა საკმარისი იყო ერთი დაწყვილებადი ტიპს ადგილობრივი პოპულაციისთვის სხვა დაწყვილებადი ტიპის ინდივიდთან შესაჯვარებლად. როდესაც მეტაპოპულაცია გაუჩინარდა, დარჩენილმა ადგილობრივმა პოპულაციაში ველარ შეძლო თესლის გამოღება რადგან აღარ არსებოდა შეთავსებადი დაწყვილებადი ტიპი. რადგანაც მცენარეს შეუძლია ვეგეტაციური ზრდა, ადგილობრივმა პოპულაციამ შეძლო, შენარჩუნებინა თავი დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც დემაურო აღნიშნავს, ის უკვე გადაშენებული იყო, სანამ უკანასკნელი ინდივიდი მოკვდებოდა.

ტბისპირა გვირილის აღდგენითი გეგმა მოითხოვდა ორი პოპულაციის დადგენას, რომლიდან თითოეულს, ექნებოდა მინიმალურად სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის ზომა, დაახლოებით 1000 მცენარის ოდენობით. ესაა რიცხვი, რომელიც დაადგინა პოპულაციის სიცოცხლის უნარიანობის ანალიზის და სასიცოცხლო ციკლის კვლევებმა. განისაზღვრა, რომ პოპულაციის ეს ზომა შეასრულებდა ბუფერის როლს მცენარეებში გენეტიკური ცვლილების კარგვის წინააღმდეგ. გეგმის კიდევ ერთი მიზანი იყო თანაბრად ნარმოებინა როგორც ილინოისის, ისე ოპაიოს პოპულაციები. პოპულაციის გენეტიკური სტრუქტურის გამო, ტრანსპლანტაციისთვის განკუთვნილი ინდივიდები ნარმოშობილი უნდა ყოფილიყვნენ 1 ჰიბრიდის თესლიდან ილინოისისა და ოპაიოს პოპულაციათა საზღვარზე და ველური თესლიდან ოპაიოსა და ონტარიოდან. ამ ტრანსპლანტაციების ეფექტურობაზე საინტერესო ოპტიმიზმი არსებობს. იმის მიუხედავად, რომ სიკვდილიანობა ძალიან მაღალი იყო, გადარჩენილმა მცენარეებმა იყვავილეს და აგრძელებენ ზრდას.

### **ცხოველების გამრავლება ტყვეობაში**

ტყის კარიბუს და ტბისპირა გვირილას შემთხვევაში, სიცოცხლისუნარიანი პოპულაციები მართალია, მცირერიცხოვანია და საფრთხის წინაშე არიან, არ-



**ნახ. 19-13** იშვიათი და საფრთხეში მყოფი ტბისპირა გვარილების (ყმენობებს აცაულის ნაირ-სახეობა გლაბრა) პოპულაციათა გავრცელება. დღესაც რჩება რამდენიმე დარჩენილი ინდივიდი ილინოსის პოპულაციაში, მაგრამ რადგანაც ისინი ერთი დაწყილების ტიპის არიან და არ შეუძლიათ თესლის წარმოქმნა, მათი პოპულაცია არსებითად გადაშენებულია. (From DeMauro 1994.)

სებობენ თავიანთი ისტორიული გავრცელების არეალის ნაწილში. ამრიგად, შენარჩუნების ძალისხმევა ყურადღებას ამახვილებს ველური პოპულაციების შენარჩუნებაზე და ინდივიდების ტრანსფერზე ამ პოპულაციებიდან უფრო ხელსაყრელ ადგილებში. ამ შემთხვევებში, გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება დამოკიდებულია ბუნებრივ პოპულაციებში გენეტიკურ ცვლილებაზე და ახალი პოპულაციების შეგროვების უნარზე, რომლებიც ირეკლავენ ამ მრავალფეროვნებას. საუბედუროდ, ზოგიერთი ორგანიზმის ბუნებრივი პოპულაციები იმდენად მცირე და საფრთხის ნინაშეა, რომ ფაქტიურად უცნობია, თუ რით უნდა დაიწყოს აღდგენითი პროცესი. ფლორიდული პანტერა (ელის ცონცოლორ ცორყი) მაგალითად, ახლა ნარმოდეგნილია 50-ზე ნაკლები ინდივიდით სამხრეთ ფლორიდაში. შავფეხინი ქრცვინი, კალიფორნიული კონდორი და წითური მგელი ამგვარ მაგალითებს წარმოადგენენ. ხშირად ამგვარი სახეობების შენარჩუნების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს ტყვეობაში გამრავლების პროგრამები, სადაც გარეულ ცხოველებს იქცერენ და აჯვარებენ იმისთვის, რომ წარმოქმნან ნაშიერები, რომლებიც კვლავ შეიძლება გაშვებული იყვნენ ბუნებაში (Lacy 1994). ამგვარი პროგრამები ძნელი, ძვირადღირებული და ზოგ შემთხვევაში, არაპრაქტიკულია. მაგალითად, ფლორიდის პანტერის პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი გულისხმობს, რომ დარჩენილი პოპულაცია ზედმეტად მცირეა და ზედმეტად ინბრედული, რომ გაუძლოს აღდგენით ძალისხმევას (Seal and Lacy 1989).

ტყვეობაში გამრავლების პროგრამის წარმატება დამოკიდებულია ქცევისა და ფიზიოლოგიის ყველა ასპექტის შენარჩუნებაზე, რომლებიც მოცემული სახეობის უნიკალურ მახასიათებლებს წარმოადგენენ. ყველაზე გამომწვევ მიზანთაგანი არის პოპულაციაში გენეტიკური ცვლილების შენარჩუნება და შესაძლებლობის შემთხვევაში მისი გაძლიერებაც კი. ეს გამომწვევა კიდევ უფრო ძნელი ხდება იმ ფაქტის გამო, რომ კანდიდატ პოპულაციათა უმრავლესობა მეტწილად უკვე განადგურებული და ინბრედულია. ტყვეობაში მობინადრე პოპულაციის გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემა შეიცავს როგორც მცირე პოპულაციიდან ამოღებული დაჭერილი ნანილისგან პოპულაციის კონსტრუირების საჭიროებას, ისე თავად ტყვეობის ვითარებას, რომელსაც შემომჟყავს ახალი სელექციური ფაქტორები, რასაც შეუძლია, შეცვალოს დატყვევებული პოპულაციის ევოლუციური ტრაქტორია. ლეისი (1994) გვთავაზობს ამ უკანასკნელი პრობლების კარგ მაგალითს. როდესაც ანტილოპები თავისუფლებაში რაღაცისგან ფრთხებიან, ისინი სწრაფად სცილდებიან გამლიზიანებელს და გარბიან საბირისპირო მიმართულებით გარკვეულ მანძილზე, შემდეგ ჩერდებიან და ხელახლა აკვირდებიან შემთხვევას. ეს ქცევა აშკარად არის ადაპტაცია ისეთ ღია ადგილებში მტაცებლების თავიდან ასაცილებლად, როგორიცაა ვაკები, სადაც ანტილოპები ბინადრობენ. ქცევა არ არის ადაპტაციური ზოოპარკის ტყვეობაში, სადაც ანტილოპა შეიძლება პირდაპირ გალიას ან კედელს შეასკდეს და სერიო-

ზულად დაზიანდეს. ინდივიდები რომლებიც თავისუფლებაში არ ავლენენ გაქცევით რეაქციებს, უარყოფითად იქნებიან გადარჩეული, რადგან ისინი უფრო ადვილად გახდებიან მტაცებელთა მსხვერპლი, ვიდრე მათი თანამეჯოგები, რომლებიც გარბიან. ზოოპარკებში პირიქით, ამგვარი ინდივიდები სელექციურ უპირატესობაში იქნებიან და შედეგად ადგილი ექნება ანტილოპების ჯოგის ევოლუციას განსხვავებული ბუნებრივი ქცევით. თუ ამ ცხოველებს ველურ ბუნებაში გავუშვებთ, მოსალოდნელია, რომ ისინი ძალიან ცუდად გადარჩებიან. ძალიან მნიშვნელოვანი ძალისხმევა ჩატარდა იმ ტექნოლოგიათა განვითარებისთვის, რომ შემცირებულყო ამგვარი არაადაპტირებადი გენეტიკური ცვლილება (e.g., Foose and Ballou 1988, Lacy 1994).

## 19.9 აღდგენა ხშირად სახეობათა ხელახალ გაცნობას გულისხმობას

როგორც ზემოთ ვნახეთ, საფრთხის წინაშე არსებული სახეობების აღდგენა ხშირად მოიცავს სახეობათა ხელახალ შემოყვანას მისი ადრეული გავრცელების არეალის ფარგლებში. შეიძლება ასევე იქნას გამოყენებული არსებული პოპულაციის გაზრდა დატყვევებული გამრავლებადი ჯოგიდან ან გავრცელების სხვა ადგილებში შემონახული სხვა პოპულაციებიდან.

ხელახალი შემოყვანის პროგრამები რამდენიმე პრობლემის წინაშე დგანან. პირველი, უნდა განისაზღვროს გამვების ადგილების გარემო პირობები შეინახავენ თუ არა გაშვებულ ინივიდებს. ტყის კარიბუს შემთხვევაში (იხ. სექცია 19.7), ეს პირობები მოიცავს მტაცებლებისა და დაავადებათა არსებობას. მრავალ შემთხვევაში, ფაქტორები, რომლებიც ინვევენ გავრცელების არეალის გარკვეული ნაწილიდან სახეობათა აღმოფხვრას, როგორიცაა საბინადრო გარემოს ფრაგმენტაცია ან ეგზოტიკური სახეობების არსებობა, შეიძლება კვლავ იქნას შენარჩუნებული, რა შემთხვევებშიც საჭირო ხდება გარკვეული შეთავსება ამ ფაქტორებთან. სხვა შემთხვევებში, სახეობები შეიძლება დაკარგულ იქნან არეალიდან უნიკალურ მოვლენათა სერიების შედეგად, როგორიცაა სასტიკი გვალვა, რომელსაც მოჰყვება სწრაფი ზრდა რომელიმე მტაცებლის პოპულაციაში (გაიხსენეთ დედალი როჭოს შემთხვევა 19.1 ნაწილში) და მათი ხელახალი შემოყვანა შეიძლება უფრო მეტად ისეთი პოპულაციის დამკვიდრების საკითხი იყოს, რომელიც აჭარბებს მინიმალურად სიცოცხლისუნარიანი პოპულაციის ზომას. ხელახალი შემოყვანის სიძნელეები გადალახულ იქნა მთელ რიგ შემთხვევებში, როგორც ჩვენ ვნახეთ. მოდით, ერთი პროგრამა შედარებით დეტალურად განვიხილოთ.

## ამერიკული ყარსაყის შემოყვანა კანადის პრერიებში

ამერიკული ყარსაყი (Vulpes velox) არის მცირე ზომის მელა, რომელიც ისტორიულ ბინადრობდა დასავლეთ აშშ-ს ცენტრალურ ნაწილში და სამხრეთ ალბერტასა და სასკაჩევანის პრერიებში კანადაში. მელა გაუჩინარდა კანადიდან ადრეულ 1930-იან წლებში და მისი გავრცელების არეალი გადაადგილდა სამხრეთისკენ ამ დროის განმავლობაში, უპირველესად პრერიათა ეკოსისტემის განადგურების გამო, რაც გამოწვეული იყო საფლის მეურნეობის განვითარების გამო. ახლა ამერიკული ყარსაყის გავრცელება შემოფარგლულია ვაიომინგის, ნებრასკას, კოლორადოს, კანზასის, ნიუ მეხიკოს და ტეხასის ვაკეებში (ნახ. 19-14). ეს არეალი მდებარეობს მონათესავე სახეობის ამერიკული მელიის (*Vulpes macrotis*) გავრცელების არეალის ჩრდილოეთით. ამერიკული ყარსაყი ნადირობს მცირე ძუძუმნოვრებზე და ფრინველებზე, რომლებსაც ისინი ძირითადად ლამე იჭერენ. ისინი თავად არიან კოიოტების (*Canis latrans*), ბერკუტის (*Aquila chrysaetos*) და მაჩვების (*Texidea taxus*) მსხვერპლი.

კარბინმა და სხვებმა (1994) მოგვაწოდეს იმ პროგრამის შესანიშნავი აღწერა, რომელიც განხორციელდა ამერიკული ყარსაყის ხელახლა შესაყვანად ალბერტასა და სასკაჩევანში და რასაც ჩვენ აქ მოგაწოდებთ. პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის ფართო კვლევა შეიცავდა ხელახალი გაცნობის სამ შესაძლო ადგილს და შეყვანა დაიწყო 1987 წელს. ზოგი გაშვებული ცხოველი მიღებული იყო ტყვეობაში გამრავლების პროგრამებიდან, რომელიც დაწყებული იყო სახეობათა ახალანდელი გავრცელების არეალის ჩრდილოეთ ნაწილში (უაიომინგი, კოლორადო და სამხრეთ დაკოტა) დაჭერილი ინდივიდებისგან. სხვა ცხოველები აყვანილნი იყვნენ პირდაპირ ამ არეალიდან და გადაყვანილნი იყვნენ ახალი შეყვანის ადგილებში. გაშვებული ცხოველების დიდ ნაწილს მიმაგრებული ჰქონდათ რადიო აპარატებისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი გადადგილების მონიტორინგი. გამოყენებულ იქნა ორი სახის გაშვების სტრატეგია. ზოგ შემთხვევაში ცხოველები გადაყვანილნი იქნენ გაშვების ადგილზე და მოთავსებულნი პრერიაში კონსტრუირებულ შემოლობილ არეალში. მელიებმა ამ არეალებში რამდენიმე თვე დაყვეს, სანამ გამრავლდებოდნენ, რის შემდეგაც ზრდასრულები და ახალგაზრდები გაუშვეს ბუნებაში. ამ სახის გაშვების სტრატეგიას ენოდება რბილი გაშვება. შემთხვევათა უმეტესობაში მელიები უბრალოდ გადაიყვანეს გამრავლების ადგილიდან ან წყარო პოპულაციიდან ხელახალი შეყვანის ადგილას, სადაც ისინი გაუშვეს. ეს სტრატეგია ცნობილია ინტენსიური შეყვანის სახელით. აღმოჩნდა, რომ არ იყო არანაირი განსხვავება გადარჩენაში გაშვების ორ მოდელს შორის.



**6ას. 19-14** ამერიკული ყარსაყის (*Vulpes velox*) გავრცელების არეალი. ხელახალი შემოყვანის კანდიდატი ადგილები სამხრეთ აღმერტასა და სასაკატჩევანში არიან აღნიშნული ციფრებით 1-4-მდე. მონათესავე სახეობის ამერიკული მელა (*Vulpes macrotis*) ბინადრობს ამერიკული ყარსაყის სამხრეთით.  
(From Carbyn et al. 1994.)

ხელახალი შეყვანის პროგრამის შედეგები და-მაიმედებლია. ცხრილი 19-4 გვაწვდის რეზიუმეს 155 ინტენსიურად შეყვანილი მელის გადარჩენისა, რომლებზეც მორგებული იყო რადიო გადამცემები. ბურბაში დაჭრილი ინივიდები გაცილებით უკეთ ბინადრობდნენ, ვიდრე ისინა, რომლებიც მოვიდნენ ტყვეობაში გამრავლების ჯგუფებიდან. გაშვების დროც ასევე ახდენდა გავლენას ტყვეობაში გაზრდი-ლი მელიები გადარჩენაზე. კოიოტების, გაშვებულ მელიებზე ცნობილი მონადირეების მტაცებლობის გავლენა შეადგენდა დაახლოებით ერთ მესამედს. ახლანდელი პოპულაციის განსაზღვრული ზომა არ-ეალში არის 150-225 (Carbyn et al. 1994). უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჯერ კიდევ უცნობია დაიმკვი-დრებს თუ არა სახეობა პერმანენტულ საბინადროს ამ არეალში.

აქ ჩვენ განვიხილეთ რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა შენარჩუნებისა და აღდგენის თაობაზე, რომლებიც დაკავშირებული არიან პოპულაციის დინამიკასთან. სხვა მიდგომები შენარჩუნებასთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია. ხშირად სა-სურველია მთლიანი თანასაზოგადოებების ან ეკო-სისტემების შენარჩუნება ან აღდგენა. მართლაც, როგორც უკვე ვახსენეთ ზემოთ, სახეობათა ხე-ლახალი შემოყვანის შესახებ ჩვენი მსჯელობისას, საჭიროა იმაზე ზრუნვა, რომ ხელახალი შეყვანის ადგილის ეკოლოგიურმა პირობებმა შეინახონ ხე-ლახლა შემოყვანილი პოპულაცია. ეს მოითხოვს ცოდნას არა მარტო სახეობის ეკოლოგიური თვისე-ბებისა, არამედ ასევე მცენარეებისა და ცხოველების მახასიათებლებისა ხელახალი შეყვანის ადგილებში. აღდგენაში დაინტერესებულთა ერთ-ერთი ყველაზე

#### ცხრილი 19-4 ამერიკული ყარსაყის (*Vulpes velox*) გადარჩენა არაინტენსიური და ინტენსიური შეყვანის შემდეგ

გაშვების სტრატეგია	რადიო გადამცემიანთა რიცხვი	გადარჩენა		
		6 თვემდე	12 თვემდე	24 თვემდე
რბილი	45	25/45 = 55%	14/45 = 31%	6/45 = 13%
მაგარი	155	52/155 = 34%	20/117 = 17%	5/43 = 12%

მნიშვნელოვანი დაინტერესება არის ბიომრავალ-ფეროვნების შენარჩუნება, რაც ყველაზე მარტივად სახეობათა რიცხვით იზომება (სახეობათა სიმდი-დო). ეკოლოგიური მრავალფეროვნების პრინციპი

უფრო დეტალურად განხილული იქნება წიგნის მე-ექსე ნანილში თანასაზოგადოებათა ეკოლოგიაზე საუბრისას. ჩვენ ხელახლა განვიხილავთ შენარჩუ-ნებისა და აღდენის იდეებს ამ კონტექსტში.

## დასკვნა

**1.** გადაშენება ბუნებრივი პროცესია. ნამარხი მონაცემები გვიჩვენებენ, რომ გლობალური გა-დაშენების მოვლენებს, ეგრეთ წოდებულ მასობრივ გადაშენებას, ადგილი ჰქონდა სულ მცირე, ორ-ჯერ უკანასკნელი 570 წლის განმავლობაში. ზოგს სჯერა, რომ ჩვენ ახლა ვიმუშოვებით კიდევ ერთი მასობრივი გადაშენების პროცესის შუა პერიოდში, რომელიც ადამიანის საქმიანობითა გამოწვეული. ადამიანების მიერ გამოწვეულ გადაშენებას ანთროპოგენული გადაშენება ეწოდება. ფონობრივი გადაშენება არის დარღვევების დაბალი დონე, რაც უმეტესობა პოპულაციებს ახასიათებთ.

**2.** გადაშენება შეიძლება გამოწვეული იყოს ისეთი ძლიერი გამლიზიანებლების მიერ, როგორიცაა ვულკანური ამოფრქვევა, ხანძრები ან წყალდიდობები. შეიძლება გამოწვეული იყოს ერთი სახეობის მიერ მეორის ზედმეტი ექსპლუატაციით და პოპულაციათა ისეთი ინტერაქციებით, როგორიცაა მტაცებლობა და კონკურენცია. ადგილობრივი სახეობების გადაშენებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როდესაც არა ადგილობრივი მცენარე ან ცხოველი შემოყვანილია მათ გარემოში. ადამიანები იწვევენ გადაშენებას ზედმეტი ექსპლუატაციით და საბინადრო გარემოს განადგურებით.

**3.** მცირე პოპულაციები, როგორც წესი, გა-დაშენების უფრო დიდი რისკის წინაშე დგანან ვიდრე დიდი პოპულაციები. სახეობები, რომლებ-საც დიდი გეოგრაფიული გავრცელების არეალი აქვთ, ხშირად გადაშენების ნაკლები რისკის წინაშე დგანან, ვიდრე სახეობები, რომლებიც შეზღუდულ-ნი არიან ერთ ან ორ პოპულაციამდე.

**4.** გადაშენების ალბათობა შეიძლება წინასწარ იყოს განსაზღვრული შემდეგი ფორმულის გამო-ყენებით  $p_0(t) = [bt/(1+bt)]^N$ , სადაც  $b$  არის შობადობის დონე, არის პოპულაციის ზომა და  $t$  არის დრო. გადაშენების დრო შეიძლება გამოთვლილი იყოს შემდეგი ფორმულის საშუალებით  
 $T = 2/Vc [ (K^e - 1/c) - 1/nK ]$ , სადაც  $c = 2r/V - 1$  და  $V$  არის მერყეობა ზრდის თანდაყოლილ ტემპი რ-ში. ეს განტოლება გვიჩვენებს ურთიერთობას გარე-მოებით ცვლილებასა და პოპულაციის ზომას შორის. დიდ პოპულაციას, რომელიც განიცდის დიდ გარემოებით სტოქასტიკურობას, შეიძლება ჰქონდეს გადაშენების ნაკლები დრო, ვიდრე მცირე პოპულა-ციას უფრო სტაბილურ გარემოში.

**5.** პოპულაციათა მოქნილობა არის დრო, რაც სჭირდება პოპულაციას წონასაწორობასთან და-რუნებისთვის მას შემდეგ, რაც იგი გადახრილია წონასაწორობიდან გარემოს დარღვევების გამო. ხანგრძლივ სიცოცხლისუნარიან ცხოველებს სხე-ულის დიდი ზომით, როგორც წესი, დაბალი მოქნი-ლობა აქვთ, ვიდრე ხანმოკლე სიცოცხლისუნარიან, პატარა სხეულის ცხოველებს.

**6.** კუნძულებზე არსებული პოპულაციების კვლევა გულისხმობს, რომ პოპულაციები გახდნენ უფრო მგრძნობიარე გადაშენებისადმი, როდესაც ისინი პროგრესირებენ ტაქსონთა ციკლში. მიჩნეულია, რომ სახეობათა კონკურენტული უნარი მცირდება პოპულაციის ასაკთან ერთად.

**7.** კონსერვაციული ბიოლოგიის მიზანი არის ბუნებრივი სამყაროს საბინადრო გარემოსა და გენეტიკური მრავალფეროვნების შენარჩუნება. აღდგენის ეკოლოგია არის დამატებითი ქვესფერო ეკოლო-გიისა, რომელიც იყენებს ეკოლოგიურ პრინციპებს საფრთხეში არსებული სახეობების სტრატეგიების დასაწერებად და ეკოსისტემების გაუმჯობესების დახმარებისთვის.

**8.** რადგანაც შენახვის პრობლემები წარმოშობილია საბინადრო გარემოს ფრაგმენტაციისგან, მეტაპოპულაციის კონცეფცია ცენტრალური საკითხი გახდა კონსერვაციულ ბიოლოგიაში, ჩანაცვლებს რა კუნძულოვანი ბიოგეოგრაფიის თეორიას შენარჩუნების თეორიისა და პრატიკის საფუძვლით.

**9.** პოპულაციის სიცოცხლისუნარიანობის ანალიზი (PVA) არის იმის განსაზღვრის პროცესი, გამოიწვევს თუ არა გარკვეული აღდგენა და გაუმჯობესების სტრატეგია წარმატებას. PVA მოიცავს ინფორმაცი-ის განხილვას პოპულაციის სასიცოცხლო ციკლის ყველა ასპექტიდან.

**10.** მცირე და საფრთხის წინაშე არსებული სახეობების გენეტიკურ მრავალფეროვნების მენეჯმენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სახეობათა გადარჩენისთვის. თვითსტერილურობა მცენარეებში ხშირად იწვევს იზოლირებულ პოპულაციებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ ერთი დაწყვილებადი ტიპი. ამგვარი პოპულაციების აღდგენა მოითხოვს სხვა, განსხვავებული დაწყვილებადი ტიპების მქონე სახეობებთან შეჯვარებას. არათავისუფალი გამ-რავლების პროგრამები გამოიყენებიან ისეთ შემთხვევებში, რომლებშიც ბუნებრივი პოპულაციები ძალიან იშვიათი და დიდ საფრთხეში მყოფნი არიან.

## სავარჯიშოები

- 1.** ეთქვათ, თქვენ დგახაროთ საფრთხეში ჩავარდნილი სახეობის დასაცავი გეგმის შედგენის პრობლემის წინაშე. სახეობა პინადრობს საფრთხეში არსებულ არეალში თქვენს სახლთან ახლოს. გააკეთოთ ჩამონათვალი ყველა სხვადასხვა ინდივიდისა, რომელთა ჩართვაც მოგინევდათ ამ პროექტში, იმისთვის, რომ წარმატებული გაგეხადათ ის. რა გავლენას მოახდენდა თქვენ გეგმებზე მომავალი კონგრესის არჩევნები იმ ოლქში, რომელიც შეიცავს ამ საფრთხეში არსებულ არეალს? ახსენით, როგორ გამოიყენებდით სახეობის შესახებ მიღებულ ეკოლოგიურ ინფორმაციას (ინფორმაცია, რომელიც თქვენ მიიღებული გექნებათ სავარაუდოდ ამ წიგნის დასრულებისას!) იმ დამგეგმავებთან შეხვედრებზე, რომლებიც შეიცავენ ადგილობრივ ბიზნესისა და რელიგიური ლიდერებს.
- 2.** დაწერეთ გადაშენების პროცესის ახსნა, როგორ ზემოქმედებენ ადამიანები ამ პროცესზე. დაწერეთ ასევე ანთროპოგენული გადაშენების შესაძლო ეფექტები, რომელსაც თქვენ წარუდგენთ ძალუფლებიანი სენატორის კონგრესულ შტაბს.

**3.** განტოლება (19-1) გეიჩვენებს, რომ შობადობის ბ დონე და შესაბამისად, სიკვდილიანობის დ დონე არ არის დამოკიდებული პოპულაციის ზომაზე. გამოიყვანეთ ფორმულა გადაშენების ალბათობისა, რომელშიც დ მცირდება მაშინ, როდესაც პოპულაციის ზომა იზრდება. გრაფიკზე გადაიტანეთ გადაშენების ალბათობა -ის გარკვეულ დიაპაზონზე. (მინიჭნება: დაიწყეთ მარტივი ხაზოვანი შემცირებით ბ-ში.)

**4.** (19-2) განტოლების გამოყენებით გამოთვალეთ იმ პოპულაციის გადაშენების დრო, რომელსაც შემდეგი მახასიათებლები აქვს  $r = 1,2$   $K = 120$   $V = 10$ .

**5.** ბიბლიოთეკის ან ისეთი სხვა წყაროების გამოყენებით, როგორიცაა ჭორლდ ჭიდე ჭებ (მსოფლიო ქსელი – ინტერნეტში ტელეკომუნიკაციების საშუალება) იპოვეთ ინფორმაცია სახეობათა შესახებ რომლებისთვისაც აღდგენის პროექტი დაგეგმილია ან ხორციელდება. დაწერეთ მოკლე რეზიუმე იმ გამოწვევებისა, რომლებიც არსებობს გარკვეული სახეობის შენარჩუნებისა და მიმოხილვა მიდგომებისა, რომლებიც დაგეგმილი ან განხორციელებულია.



၅၁၆၀၉၈

၂၀၂၄ ၁၃ ၁၇ ၁၇ ၀၈  
၀၆ ၁၇ ၁၇ ၁၇ ၀၈



**ა** ეოთხე ნაწილში ჩვენ ვნახეთ, თუ როგორ არიან სტრუქტურირებული ერთეული პოპულაციები დემოგრაფიულად, სიკრცობრივად და გენეტიკურად. პოპულაციები არ არსებობენ სხვა პოპულაციებისგან იზოლირებულად. სხვადასხვა სახეობის ორგანიზმები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან რესურსებისთვის ბრძოლის, მტაცებლობის და სხვა პროცესების საშუალებით და ეს ინტერაქციები გავლენას ახდენენ არა მარტო ურთიერთქმედების ინდივიდუალურ მონაწილეებზე, არამედ ასევე მათ პოპულაციებზეც. აქ მეზოთ ნაწილში ჩვენ განვიხილავთ ამ ინტერაქციათა ბუნებას.

რესურსების მოხმარება ყველა ცოცხალი ორგანიზმის არსებითი ფუნქციაა. რესურსი-მომხმარებლის ურთიერთობა ენერგიის პირდაპირ ტრანსფერს წარმოადგენს ერთი ორგანიზმიდან მეორეში. რესურსი-მომხმარებლის ინტერაქციათა ზოგადი ბუნება აყალიბებს ურთიერთქმედებას პოპულაციებს შორის. რესურსი-მომხმარებლის ინტერაქციათა ზოგადი ბუნება განხილული იქნება მეოცე თავში, ხოლო შეზღუდული რესურსებისთვის ორი ან მეტი სახეობის კონკურენცია 21-ე და 22-ე თავების განხილვის საგანი იქნება. 21-ე თავში ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ გავლენას ახდენს კონკურენცია ზოგიერთი კონკურენციადი სახეობის პოპულაციათა ზრდაზე და როგორ გავლენას ახდენენ გამლიზიანებლები და სხვა ფაქტორები კონკურენციის შედეგებზე. 22-ე თავში ჩვენ წარმოგიდგენთ კონკურენციის რამდენიმე მაგალითს, რაც დაკვირვებულ იქნა ბუნებაში.

სახეობათა ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ურთიერთქმედება არის მტაცებლობა, რომელიც განხილული იქნება 23-ე თავში. მტაცებლობის ეფექტები ძლიერ უარყოფითია ერთ მონაწილეზე – მსხვერპლზე და ძლიერ დადებითია მეორეზე – მტაცებელზე. ჩვენ ვნახავთ, რომ მტაცებელი-მსხვერპლის დინამიკას მნიშვნელოვანი გამოყენება აქვს პარაზიტთა კონტროლისას. 24-ე თავში ჩვენ განვიხილავთ მცენარე-ბალახისმჭამელის და მტარებელი-პარაზიტის პოპულაციათა დინამიკას, რომლებიც მტაცებლობისგან განსხვავებით, აუცილებლად არ იწვევენ მტარებლის სიკვდილს. ბალახის მჭამელობისა და პარაზიტიზმის პოპულაციათა შედეგები წარმოადგენს ამ თავის მთავარ საკითხებს. ჩვენ ასევე განვიხილავთ ადამიანის მთელი რიგი დაავადებების პოპულაციათა დინამიკას. 25-ე თავში ჩვენ ვისაუბრებთ ურთიერთქმედებაზე, რომელშიც ორივე მონაწილე მოგებას ნახულობს. ამგვარ ინტერაქციებში წარმოშობილი ადაპტაციები ყველაზე გამორჩეულია ბუნებაში.

## თავი 20



### რესურსები და მომხმარებლები

#### გზამკვლევი პითივები

- რომელია სახეობათა ურთიერთქმედების ოთხი ძირითადი ტიპი?
- რა განსხვავებაა აღდგენად და აღუდგენელ რესურსებს შორის?
- რა სამი სახის აღდგენადი რესურსი არსებობს?
- რა არის შეზღული რესურსები?
- რა ხუთი ტიპის მომხმარებელი არსებობს?
- როგორ შეიძლება პოპულაციის ზრდის ტემპი და რესურსების მოწოდების ტემპი დინამიკურად

დაწყვილებულ იქნას მათემატიკური მოდელების გამოყენებით?

■ რა ხდის მოწოდის განტოლებას მომხმარებელი-რესურსის მარტივ სისტემათა მოდელირების ბიოლოგიურად ვარგის გზად?

■ როგორ შეუძლია ეკოლოგს, ექსპერიმენტა-ლურად განსაზღვროს ორ რესურსიან სისტემაში კრიტიკული რესურსის დონე?

■ როგორ შეიძლება ორი რესურსი მოვიდეს ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში მომხმარებელი პოპულაციის ზრდის ტემპის განსასაზღვრად?

**გ**რავალი სახის ინტერაქციები პოპულაციებს შორის მოიცავენ რესურსთა მომხმარებას. კონკურენციული ინტერაქციები მოიცავენ მომხმარებელთა რამდენიმე პოპულაციას, რომლებიც კონკურირებენ ერთმანეთთან ერთი ან მეტი რესურსის სისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში, როგორიცაა მტაცებლობა, ერთი მონაწილე ურთიერთქმედებისა არის რესურსი (მსხვერპლი) და მეორე მომხმარებელი (მტაცებელი). ბალახის მჭამელები და პარაზიტები მოიხმარენ თავიანთი საკვები მცენარეებისა და მტაცებლების ნაწილებს. მუტუალისტური ურთიერთობები, როგორიცაა ურთიერთობა მცენარეებსა და მათ დამტკვერავებს შორის, მოიცავს რესურსთა პროდუქციასა და მომხმარებას, როგორც ურთიერთქმედების ნაწილს. ხშირად რესურსების მახასიათებლები და ხელმისაწვდომობა აყალიბებენ ურთიერთქმედებას. ამ თავში ჩვენ აღვნერთ სხვადასხვა სახის რესურსს, მოგაწვდით რესურსი-მომხმარებლის ინტერაქციათა ზოგად მიმოხილვას

პოპულაციათა ზრდის კონტექსტში და აქტესნით, თუ როგორ შეუძლიათ რესურსებს, შეზღუდონ პოპულაციის ზრდა.

მომხმარებელი-რესურსების დინამიკის განხილვის დაწყებამდე, ჩვენ მოვახდენთ პოპულაციათა ინტერაქციების სხვადასხვა ტიპების რეზიუმირებას (სექცია 20.1). ასევე მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ამ ინტერაქციებს აქვთ შედეგები რამდენიმე დონეზე. ცხადია, არსებობს ურთიერთქმედების ეფექტი მასში მონაწილე ინდივიდზე. ეს ყველაზე დრამატულად შეინიშნება მტაცებელი-მსხვერპლის ურთიერთქმედებისას, სადაც ერთი მონაწილე კვდება. მაგრამ არსებობს ინდივიდუალური ეფექტი ყველა სახის ინტერაქციებში. ზოგმა კონკურირებადმა ურთიერთქმედებამ შეიძლება მოიცვას პირდაპირი აგრესიული ქცევა კონკურირებადი პოპულაციების ინიდვიდებს შორის. ინდივიდუალურ მცენარეებზე, ცხადია, გავლენას ახდენს ფოთლებისა და ლეროს კარგვა ბალახისმჭამელო-

ბის შედეგად და მასპინძლებიც გრძნობენ თავიანთი პარაზიტების ზეგავლენას. მაგრამ ინტერაქციებს ორგანიზმებს შორის გავლენა აქვთ ასევე პოპულაციათა დონეზე. კონკურენციამ ერთი სახეობის ინიციატივის შედეგება შედეგად გამოიღოს კლება პოპულაციის ზრდის ტემპში. როდესაც ერთი სახეობა მეორეზე აღმატებული კონკურენტია, მან შეიძლება გამოდევნოს თავისი კონკურენტი არეალიდან. მტაცებლები ამცირებენ მათი მსხვერპლის პოპულაციის ზომას. ბალაზისმჭამელობის, პარაზიტიზმის და მუტუალიზმის ზეგავლენა პოპულაციის დონეზე, როგორც ჩვენ ვნახავთ, ხშირად ძნელად დასაკვირვებელია. თუმცა მიუხედავად ამისა, ამგვარი ეფექტები ეჭვგარეშე მნიშვნელოვანია. კონკურენციისა და მტაცებლობის განხილვისას (21-23 თავები) ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ უპირველესად პოპულაციათა ინეტრაქციის შედეგებზე. ბალაზისმჭამელობის, პარაზიტიზმისა და მუტუალიზმის განხილვისას, ჩვენ მეტ ყურადღებას მივაქცევთ ინდივიდის რეაქციას ურთიერთქმედებაზე, გავაკეთებთ რა მახვილს იმაზე, თუ როგორ შეუძლიათ ამ ინდივიდუალურ რეაქციებს გავლენა მოხდინო პოპულაციის მახასიათებლებზე.

ასევე, სანამ გავაგრძელებდეთ, ჩვენ უნდა გავაკეთოთ კომენტარი ტერმინების „პოპულაცია“ და „სახეობა“ გამოყენების თაობაზე წიგნის ამ ნაწილში. ადრე ჩვენ განვსაზღვრეთ პოპულაცია როგორც ერთი სახეობის ორგანიზმთა ჯგუფი, რომელიც იყავებს გარკვეულ, ბუნებრივი ბარიერებით შემოსაზღვრულ ან ეკოლოგების მიერ ხელოვნურად შემოსაზღვრულ არეალს. სახეობა არის ჯგუფი, აქტიურად ან პოტენციურად შეჯვარებადი პოპულაციებისა, რომელიც იზოლირებულია რეპროდუქტიულად სხვა ამგვარი ჯგუფებისგან. ჩვენ შეგვიძლია დროდადრო მოვახდინოთ ამ ტერმინების გაიგივება მეტი სიმარტივისთვის, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ კონკურენციისა და მტაცებლობის მათემატიკურ მოდელებთან მიმართებაში ჩვენ ვგულისხმობთ ადგილობრივ პოპულაციას და არა ინტერაქციაში მონაწილე სახეობის ვგულა პოპულაციას. ეკოლუციური პროცესების განხილვისას, ჩვენ გამოვიყენებთ სიტვას „სახეობა“.

## **20.1 ინტერაქციები მათგი მონაწილე სახეობებზე გავლენის მიხედვით, შეიძლება დაიყოს კატეგორიებად**


ჩვენ შეგვიძლია, მარტივად მოვათავსოთ სახეობათა ურთიერთქმედება ოთხიდან ერთ-ერთ, ზოგად კატეგორიაში, რომელიც ეფუძნება მონაწილე სახეობებზე ინტერაქციის ეფექტებს (ცხრილი 20-1). ერთ-ერთი ყველაზე ცხადი ინტერაქციათაგანი არის ის, რომელშიც ერთი სახეობის ინიციატივის მოიხმარენ მეორე სახეობის ინიციატივებს. ამ მომხმარებელი-

**ცხრილი 20-1 სახეობათა შორის ურთიერთობათა  
კატეგორიები**

ინტერაქციათა ეფექტები		
ინტერაქციის ტიპი	I სახეობაზე	II სახეობაზე
კონკურენცია	უარყოფითი (—)	უარყოფითი (—)
მომხმარებელი- რესურსი	დადებითი (+) მომხმარებლისთ- ვის	უარყოფითი (—) რესურსისთვის
დეტრიტისმჭამე- ლი-დეტრიტი	დადებითი (+)	ინდიფერენტული (0)
მუტუალიზმი	დადებითი (+)	დადებითი (+)

რესურსის ინტერაქციებს აქვთ უარყოფითი ეფექტი ერთ-ერთ მონაწილეზე და დადებითი მეორეზე. ამ ინტერაქციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი არის მტაცებლის (მომხმარებელი) და მსხვერპლის (რესურსი; იხ. თავი 7) ინტერაქციები, მაგრამ ცხენის მიერ ბალაზის ძოვა, კოლოს მიერ სისხლის წიგვა ან მუხლუხოს მიერ ფოთლის ჭამა არანაკლები ურთიერთქმედება მომხმარებლისა და რესურსისა. მომხმარებელი-რესურსის ინტერაქციები პირდაპირ აკავშირებენ სახეობებს ბუნებაში (ნახ. 20-1ა). მტაცებლობა, ბალაზისმჭამელობა და პარაზიტიზმი, მათ შორის, დაავადებები, მნიშვნელოვანი მომხმარებელი-რესურსის ინტერაქციებია, რომლებიც განხილულია წიგნის ამ ნაწილის სხვადასხვა თავში. (აქვე უნდა იქნას აღნიშნული, რომ ერთი ტიპის, განსხვავებული მომხმარებელი-რესურსის ინტერაქციები თავს იჩენენ ზოგიერთ პოპულაციაში. ამ ინტერაქციებს კანიბალიზმი ეწოდება.)

როდესაც ურთიერთობები ორი ან მეტი სახეობის ინიციატივებს შორის უარყოფითი შედეგების მომტანია ყველა მონაწილე სახეობისთვის, ამ ინტერაქციას კონკურენცია ეწოდება. კონკურენციას ადგილი აქვს, როდესაც მრავალი სახეობა იღწვის ერთი და იგივე რესურსებისთვის და ის დეპრესიული გავლენა, რომელსაც თითოეული ახდენს საზიარო რესურსების ხელმისაწვდომობაზე, საპირისპირო გავლენას ახდენს სხვებზე. კონკურენცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს სქემატურად ნახ. 20-1ა-ში ნაჩვენები მარტივი მომხმარებელი-რესურსის რეალის გაფართოვებით ისე, რომ იგი მოიცავდეს ერთზე მეტ მომხმარებელს, როგორც ნაჩვენებია ნახ. 20-1ბ-ში. როგორც წესი, ინიციატივები კონკურირებენ არაპირდაპირ, თავიანთი საერთო ეფექტებით საზიარო რესურსებზე. შედარებით ნაკლებად ხშირია, როდესაც მომხმარებლებს შეუძლიათ, მომგებიანად დაიცვან რესურსები, კონკურენტები შეიძლება პირდაპირ ინტერაქციაში შევიდნენ ერთმანეთთან სხვადასხვა ანტაგონისტური ქცევების საშუალებით. ზოგიერთ შემთხვევაში, ორი სახეობა, რომლებიც



მოიხმარებიან ერთი მომხმარებლის მიერ, შეიძლება კონური ეპდნენ ერთმანეთთან, თუ მომხმარებელი ერთი მეორეზე მეტ უპირატესობას ანიჭებს (ნახ. 20-1ც; იხ. ნახ. 21-16). ჩვენ განვიხილავთ ამ სიტუაციას და კონურენციის სხვა ასპექტებს 21-ე და 22-ე თავებში.

ორგანიზმებს, რომლებიც მოიხმარენ დეტრიტს – მკვდარი ორგანიზმების გახრენად ორგანულ ნივთიერებას, აქვთ სპეციალური ურთიერთქმედება თავიათ რესურსთან. დეტრიტი არ არის ცოცხალი და ამრიგად მომხმარებელს არ შეუძლია, ჰქოდეს გავლენა მის ზრდასა და ქცევაზე. ეს დეტრიტ-ისმჭამელი-დეტრიტის ურთიერთობა იწვევს დადებით ეფექტს დეტრიტის მჭამელისთვის და ეფექტი არ აქვს დეტრიტისთვის.

ზოგჯერ ინტერაქცია შედეგად დადებით ეფექტს გამოიწვევს ყველა მონანილისთვის. ყვავილები ამარავებენ ფუტკრებს ნექტრით, ხოლო ფუტკრებს გადააქვთ მტვერი მცენარეებს შორის და გავლენას ახდენენ განაყოფიერებაზე. მიკორიზულ სოკოს გამოაქვს არაორგანული საკვები ნივთიერებები ნიადაგიდან, რომლის გამოყენებაც მცენარეებს შეუძლიათ, ხოლო მცენარეები აწვდიან თავიანთ სოკოვან პარტნიორებს კარბოჰიდრატებს. ამ ინტერაქციებს მუტუალიზმი ეწოდებათ. შემთხვევათა უმეტესობაში, მუტუალიზმის მონანილე თითოეული მხარე სპეციალიზებულია მეორისთვის დამატებითი ფუნქციის შესრულებაში. სირსვლების (იხ. ნახ. 1-11) ფოტოსინთეზური წყალმცენარეები ჯგუფდებიან სოკოებთან, რომლებსაც შეუძლიათ, მოიპოვონ საკვები ნივთიერებები რთული სუბსტრატებიდან, როგორიცაა ხის ქერქი და ქვიანი ზედაპირი. ამგვარ დაჯგუფებებს, რომლებშიც წევრები ერთად ქმნიან გარკვეულ თანასაზოგადოებას, სიმპიოზი ეწოდებათ – სიტყვასიტყვით „ერთად ცხოვრება“.

ყველაზე ფუნდამენტურ დონეზე სახეობათა ინტერაქციები მოიცავენ ინდივიდუალური ორგანიზმების ურთიერთქმედებებს. როდესაც ინტერაქციას დადებითი ან უარყოფითი ეფექტი აქვს, როგორც მომხმარებელი-რესურსის ინტერაქციებისას, ეს შეიგრძნობა მონანილე ინიდვიდების მიერ. ეფექტის ძალა მერყეობს ინტერაქციის ტიპთან ერთად. მტაცებლობის შემთხვევაში ეფექტი ცხადია:

**ნახ. 20-1** სახეობებს შორის ურთიერთობების სქემატური დიაგრამა, რომელიც ჩართულია (ა) რესურსი-მომხმარებლის ინტერაქციებში, (ბ) კონურენციაში და (გ) არაპირდაპირ კონურენციაში. მუქი ისრები აღნიშნავენ მომხმარების მიმართულებას, წყვეტილი ხაზები აღნიშნავენ კონურენციებს.

ინტერაქციით ერთი მონანილე მოგებას ნახულობს, ხოლო მეორე — კვდება. ბალაზის მჭამელობაში მაშინ, როდესაც მცენარე, რომლითაც ბალაზისმჭამელი იკვდება, შეიძლება განიცდიდეს უარყოფით ეფექტისინტერაქციიდან, თუმცა ეს ეფექტი, როგორც წესი, არ არის სიკვდილი. ინდივიდების კონურენციის ეფექტი უარყოფითია, მაგრამ ეფექტის ძალა შეიძლება ფართოდ იცვლებოდეს ინდივიდებს შორის. მუტუალიზმის დადებითი ეფექტით სარგებლობს ინტერაქციის მონანილე ყველა მხარე.

მოგება ან ზიანი, რომელსაც ინდივიდუალური მონანილე იღებს სხვა ორგანიზმთან თავისი ურთიერთქმედებიდან, გავლენას ახდენს მათ ევოლუციურ ადევატურობაზე. მომხმარებლებმა უნდა მიიღონ საკვები იმისთვის, რომ წარმოქმნან კვერცხი და გამოზარდონ ნაშეირები. მსხვერპლმა თავი უნდა აარიდოს იმას, რომ არ შეიჭამოს და მცენარემ და მტაცებელმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანონ მტაცებლებისა და პარაზიტების ზიანი, იმისთვის რომ იცოცხლონ და გამრავლდნენ. კონურენციამ შეიძლება შეამციროს კონურენციებს შორის რეპროდუქციული ნამატი და ზრდა. ამ ინდივიდუალური ეფექტების შესახებ ჩვენს განხილვას შემოვნახავთ ამ წიგნის დასასრულს ევოლუციური ეკოლოგიის ნაწილისთვის (ნაწილი 6).

ბალაზისმჭამელობის და პარაზიტიზმის პოპულაციური შედეგები ხშირად გაცილებით ძნელი დასაკვირვებელია, ვიდრე მტაცებლობისა. ბალაზისმჭამელობის შემთხვევაში, ბალაზისმჭამელით დაზარალებული მცენარე არ კვდება და აგრძელებს თესლის წარმოქმნას. ამრიგად, შეიძლება არ არსებობდეს ინტერაქციის არანაირი თვალშისაცემი პოპულაციური შედეგები. ამის მიუხედავად, მცენარეები მაინც განიცდიან ცვლილებას ფიზიოლოგიასა და მორფოლოგიაში, რაც გამოწვეულია ბალაზისმჭამებლობით, ხანდახან ამ ცვლილებებს შეუძლიათ, შეცვალონ გამრავლების და სიკვდილიანობის ტემპი და შესაბამისად, პოპულაციის ზომაც. ბალაზისმჭამელობის შედეგები ბალაზისმჭამელებისთვის ბალაზისმჭამელი-მცენარის ინტერაქციებში ასევე არ არის საბოლოოდ ცხადი. ჩვენ ვნახავთ, რომ ამ ინტერაქციების პოპულაციური ეფექტები შეიძლება დადგენილი და გასინჯული იქნას.

მუტუალისტური ინტერაქციების პოპულაციური შედეგები კიდევ უფრო ძნელი დასადგენია, ვიდრე ბალახისმჭამელობა-მცენარის და პარატიზი-მტარებლის ინტერაქციებისა. მუტუალიზმის ზოგიერთ შემთხვევაში, როგორიცაა ურთიერთობა წყალმცენარესა და სოკოს შორის, თითოეულ მონანილეს სჭირდება მეორის არსებობა. ამიტომ, თუ რაღაც მიზეზის გამო ერთ-ერთი მონანილე სახეობათაგანი არ არის სახეზე, ამას მეორე სახეობის პოპულაციაზე დრამატული ეფექტი ექნება. თუმცა სხვა შემთხვევებში, რომლებშიც მუტუალიზმი ფაკულტატიურია, ურთიერთობის ეფექტი ორ პოპულაციაზე უფრო ძნელი განსასაზღვრია, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ (იხ. თავი 25).

## 20.2 რა არის რესურსები და მომხმარებლები?

**რესურსი** არის ნოვთიერება ან საგანი, რომელსაც მოითხოვს ორგანიზმი ნორმალური არსებობის, ზრდისა და გამრავლებისთვის. როდესაც რესურსი გამოიყენება, მისი ოდენობა მცირდება. ამრიგად, საკვები ყოველთვის რესურსია, იმის მიუხედავად, რომ რაციონის ზოგიერთი კომპონენტი შეიძლება არც იყოს ასეთი. მაგალითად, ჩვენ მოვიხმართ ცელულოზას და მცენარის ბოჭკოს სხვა ფორმებს ჩვენს რაციონში, მაგრამ ისინი ჩვენს საჭმლის მომნელებელ სისტემაში პრაქტიკულად მოუხმარებლად გადიან. ამრიგად, მცენარეული ბოჭკოები თვითონ არ წარმოადგენებ რესურსს ადამიანებისთვის, მაგრამ საკვები, რომელიც მათ შეიცავს, ცხადია, არის. წყალი რესურსია ხმელეთის მცენარებისა და ცხოველებისთვის. წყალი მოიხმარება და კრიტიკული მნიშვნელობისაა სიცოცხლისა და ზრდისთვის. მეტიც, როდესაც მისი ხელმისაწვდომობა მცირდება, ბიოლოგიურ პროცესებზე ეს ისე სასატიკად ზემოქმედებს, რომ პოპულაცია მცირდება.

ეკონომიკაში ტერმინი რესურსი უფრო ფართო მნიშვნელობას იძენს, ვიდრე აქ არის ნახსენები. რესურსი შეიძლება მოიცავდეს ისეთ ნივთიერებებს, როგორიცაა წყალი, რაც შეესაბამება რესურსების ჩვენეულ ცნებას და სხვა ნივთიერებებს, როგორიცაა ნახშირი და ნავთობი, რომლებიც ჩვენეულ განმარტებას არ ერგებიან. ნახშირისა და ნავთობის შემთვევაში, იგულისხმება ის მასალები რომლებიც გამოიყენება ადამიანთა კომერციულ ცხოვრებაში და არა ნივთიერებები, რომლებიც საჭიროა ინდივიდუალური ორგანიზმის ზრდისა და სიცოცხლისთვის. ნახშირის, ნავთობის და ბუნებრივის მინერალებისთვის, როგორიცაა ოქრო და სპილენძი, რესურსების ან „ბუნებრივი რესურსების“ დარქმევა გარკვეულილად მართებულია, რადგან ისინი დაგროვდნენ დედამინაში ხანგრძლივი (მილიონით წელი) გეოლოგიური პროცესების საშუალებით. მაგრამ ისი-

ნი არ წარმოადგენებ ეკოლოგიურ რესურსებს იმ გავებით, რომლითაც ჩვენ აქ ვხმარობთ ამ ტერმინს (კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შესწორება ნახშირსა და ნავთობთან დაკავშირებით. ტერმინი „ნავთობის წარმოების“ შეცდომაში შემყვანი კონოტაცია. ტერმინი ნიშნავს, რომ დედამინის სილრმიდან ამოტუმბული ნავთობი რაღაცნაირად ჩანაცვლებულია ახალი ნავთობის ფორმაციით. ამგვარად, საქმე ნამდვილად არ არის და ჩვენი აზრით ტერმინი „ნავთობის ექსტრაქცია“ უფრო ზუსტად ასახავს ამ პროცესს).

## რესურსთა ტიპები

ჩვენ შეიძლება მოვახდინოთ რესურსთა კლასიფიკაცია ორი ტიპის სახით, იმის მიხედვით, თუ რა გავლენას ახდენენ მათზე მომხმარებლები. ზოგიერთი რესურსი, როგორიცაა სივრცე, თავს იჩენს მდგრად ოდენობებად და შეიძლება სრულიად იქნას გამოყენებული და ამონურული მომხმარებლის მიერ. მათ განუახლებელი რესურსები ეწოდებათ. ხშირად განუახლებელი რესურსები არ იცვლებიან მათი ხმარებით და ამრიგად, შეიძლება ხელმისაწვდომი გახდენ ხელმეორე გამოყენებისთვის. როდესაც მას დაიკავებენ, სივრცე ხელმიუწვდომი ხდება, მაგრამ ის „ხელახლა ივსება“, როდესაც მომხმარებელი (ის, რომელიც იკავებს სივრცეს) ტოვებს მას. ამისგან განსხვავებით, ალდეგენადი რესურსები მუდმივად განიცდიან რეგენერაციას ან განახლებას. შობადობა მსხვერპლის პოპულაციაში მუდმივად ანგდის საკვების მარაგს მტაცებლის პოპულაციას. ორგანული დეტრიტის მუდმივი შლილი ნიადაგში მიკროორგანიზმები ანგდიან ახალ საკვების მარაგს ნიტრატის სახით მცენარეთა ფესვებს.

ჩვენ გამოვყოფთ სამი სახის აღდგენად რესურსს. პირველს აქვს წყარო იმ ადგილის გარეთ, სადაც რესურსი გამოიყენება, მომხმარებელთა გავლენის მიღმა (ნახ. 20-2a). მზის სინათლე ეცემა დედამიწაზე იმის მიუხედავად, „მოიხმარენ“ მას მცენარეები თუ არა. ადგილობრივი ნალექიანობა მეტნილად დამოუკიდებელია მცენარეების მიერ წყლის მოხმარებისგან, იმის მიუხედავად, რომ აორთქლება დიდ როლს ასრულებს ატმოსფეროში წყლის დაბრუნებაზე. ყველა პრაქტიკული მიზნისთვის დეტრიტი ჩადის მზით განათებული ზღვის ზედაპირიდან აბისალურ სილრმეებში ისე, რომ მასზე საერთოდ აღარავითარ გავლენას არ ახდენენ მუდმივ სიბნელეში მოცურავე მომხმარებლები.

მეორე ტიპის განახლებადი რესურსები გროვდებიან იმ ადგილას ან მასთან ახლოს, სადაც ისინი მოიხმარებიან და მათზე პირდაპირ ახდენს გავლენას მომხმარებელთა ქმედებები (ნახ. 20-2b). მტაცებელი-მსხვერპლის, მცენარე-ბალახისმჭამელისა და პარაზიტი-მტარებლის ინტერაქციათა უმეტე-

სობა დამოკიდებულია ამ ტიპის რესურსებზე. მტაცებლობა ძლიერ გავლენას ახდენს მსხვერპლი პოპულაციების ზრდის ტემპზეზე, კერძოდ, როდესაც მტაცებლები ამცირებენ მსხვერპლის პოპულაციებს გარემოს გადატანითი შესაძლებლობის ქვემოთ, ააქტივებენ სიმჭიდროვეზე დამოკიდებული რეაგირების მექანიზმებს.

მესამე ტიპის განახლებადი რესურსები ასევე გროვდებიან მათი მოხმარების ადგილის მახლობლად, მაგრამ რესურსი და მომხმარებელი არაპირდაპირი გზით არიან დაკავშირებულნი, სხვა რესურსი-მომხმარებლის ან აბიოტური პროცესების საშუალებით (ნახ. 20-2ც). მაგალითად, ტყეში აზოტის ციკლში მცენარეები ახდენენ ნიტრატის ასიმილირებას ნიადაგიდან. ბალაზისმჭამელები და დეტრიტის მჭამელები მოიხმარენ მცენარის ბიომასას, აბრუნებენ რა დიდი ოდენობით ორგანული აზოტის ნაერთებს ნიადაგში დეტრიტის სახით. ნაერთებს უტევენ მიკროორგანიზმები, რომლებიც გამოათავისუფლებენ აზოტს იმ ფორმით, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ მცენარეებს. ამრიგად, აზოტის მოხმარება მიჰყვება შემდეგ ციკლს: ნიადაგი მცენარე დეტრიტის მჭამელი მიკროორგანიზმი მინერალი ნიადაგი (ნახ. 20-2დ). მცენარის მიერ ნიტრატის ათვისებას ძალიან მცირები პირდაპირი გავლენა აქვს მის დაბრუნებაზე დეტრიტის მჭამელების მიერ. ამის მსგავსად, დეტრიტის მოხმარებას არ შეუძლია, დაუყოვნებლივ მოახდინოს გავლენა მცენარის პროდუქციაზე. თუმცა, ცხადია დეტრიტის მჭამელები და მიკროორგანიზმები მაინც ახდენენ გავლენას მცენარის პროდუქციაზე არაპირდაპირი იმ სიჩქარით, რომლითაც ისინი უშვებენ საკვებ ნივთიერებებს ნიადაგში.


## შეზღუდული რესურსები

მოხმარება ამცირებს რესურსების ხელმისაწვდომობას. ის, რაც მოიხმარება ერთი ორგანიზმის მიერ, ვერ

მოიხმარება მეორის მიერ. თავიანთი რესურსების განადგურებით, მომხმარებლები ზღუდავენ საკუთარი პოპულაციის ზრდას. პოპულაციის ზრდასთან ერთად, მისი რესურსთა მთლიანი მოთხოვნილებაც იზრდება და საბოლოოდ ბალანსდება საჭიროების დასაკამაყოფილებლად ხელმისაწვდომი რესურსების შემცირებადი მარაგის საშუალებით. მაგრამ მაშინ, როდესაც რესურსები მცირდება მათი მომხმარებლების მიერ, ვერა რესურსი როდი ზღუდავს მომხმარებელთა პოპულაციებს. მაგალითად, ვერა ორგანიზმს ესაჭიროება უანგბადი, მაგრამ ისინი არ ამცირებენ მის დონეს ატმოსფეროში შესამჩნევადაც კი მაშინ, როცა ზოგიერთი სხვა რესურსი, როგორიცაა საკვების მარაგი, შეზღუდავს პოპულაციის ზრდას.

რესურსის პოტენციალი, შეზღუდოს პოპულაციის ზრდა, დამოკიდებულია მოთხოვნის შესაბამისად მის ხელმისაწვდომობაზე. ერთ დროს ეკოლოგებს სჯეროდათ, რომ პოპულაციები იზღუდებოდნენ ერთი რომელიმე რესურსის მიერ, რომელსაც ყველაზე გამოხატული შედარებითი ნაკლებობა ახასიათებდა. ამ პრინციპის ლიებიგის მინიჭების კანონი ეწოდება, იუსტუს ლიებიგის პატივსაცემად, რომელმაც ჩამოაყალიბა ეს კანონი 1840 წელს. ამ პრინციპის მიხედვით, თითოეული პოპულაცია იზრდება მანამ, სანამ რესურსთა მარაგი, ე.წ. შეზღუდული რესურსი, აკმაყოფილებს პოპულაციის მოთხოვნილებას. მართალია, ჩვენ ვიცით, რომ ორი ან მეტი რესურსი ურთიერთქმედებაში შეიძლება შევიდნენ ერთმანეთან პოპულაციის ზრდის შესაზღუდად, ლიებიგის პერსპექტივა პირველ ადგილზე ათავსებდა პოპულაციის რეგულირებას რესურსთა მარაგის საშუალებით.

სანამ რესურსების შესახებ ამ ზოგად განხილვას მოვრჩებოდეთ, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ორგანიზმებს ესაჭიროებათ სხვა ფაქტორებიც, რომლებიც რესურსებს არ წარმოადგენენ. სახეობათა რეპროდუქციული ტემპი შეიძლება გაიზარდოს



**ნახ. 20-2** სამი სახის ურთიერთობა მომხმარებლებსა და განახლებად რესურსებს შორის. (ა) რესურსი იმ ადგილს გარეთ, სადაც ის მოიხმარება (მაგ. მზის სინათლე). ამგვარი რესურსის მოწოდება არ ექვემდებარება მომხმარებლის კონტროლს. (ბ) რესურსი დაგროვილი იმ ადგილის მახლობლად, სადაც ის მოიხმარება (მაგ. მსხვერპლი, რომელიც ბინადრობს იგივე ადგილას, სადაც მტაცებელი). ამგვარი რესურსის მინოდების ტემპზე შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის ქმედებებმა. (ც) რესურსი, რომელიც წარმოაშობა იმასთან ახლოს, სადაც მომხმარებელი მას მოიხმარს. (დ) აზოტის ციკლორება როგორც მაგალითი, არაპირდაპირი კავშირისა მომხმარებელს და რესურსს შორის. აზოტი ხელმისაწვდომია მცენარეებისთვის მხოლოდ მიკროორგანიზმების მიერ მისი ნახევრად გადამუშავების შემდეგ.

ტემპერატურის ზრდასთან ერთად ზოგ არეალში, მაგრამ სახეობები არ მოიხმარენ ტემპერატურას. ეს არ ნიშნავს, რომ ტემპერატურა და სხვა ბიოლოგიური ფაქტორები მნიშვნელოვანი არ არის, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი რესურსებისგან განსხვავებით უნდა იქნან განხილული. ტემპერატურა, სინოტოვე, მარილიანობა, წყალბადის იონთა კონცენტრაცია ( $\text{pH}$ ), ცურვის უნარიანობა და წებოვნება არის ის პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროცესების ტემპზე და შესაბამისად, ინიდივიდის შესაძლებლობაზე, მოიხმაროს რესურსები, მაგრამ ისინი თვავად არ გამოიყენებიან და მხოლოდ ტრანსფორმირდებიან ორგანიზმების აქტივობით.

### მომხმარებლები

მომხმარებლები მრავალი სახელით არიან ცნობილი, რომელთაგან ყველაზე ცნობილი, არის **მტაცებლები, პარაზიტები, პარაზიტოდები, ბალახისმჭამელები და დეტრიტისმჭამელები**. როგორც უკვე ადრე აღვნიშნეთ, პოპულაციათა ინტერაქციების თვალსაზრისით, ზოგიერთი მათგანი შეიძლება მართებული განსაზღვრებაა მაშინ, როდესაც ზოგიერთი დამაბნეველია.


მომხმარებლის თითოეული ტიპი ურთიერთქმედებს კომპლექსურად თავის უპირველეს რესურსთან: მცენარესთან, მტარებელთან ან მსხვერპლთან, რომელსაც ის მოიხმარს. მომხმარებელი-რესურსის ინტერაქციები ფორმირდებიან სიმჭიდროვის, სიჭარბის სივრცობრივი და დროებითი ხასიათის, ასაკობრივი სტურქტურის და როგორც მომხმარებლის, ისე მხვერპლი პოპულაციების დემოგრაფიულ რეაქციებში დროებითი შეფერხებების შესაბამისად. ეს ინტერაქციები ჩართულია მთელი თანასაზოგადოების მასშტაბით სხვა ინტერაქციათა მატრიცაში. ამის გამო, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ უპირველესად ერთ მომხმარებელსა და ერთ მსხვერპლს შორის ურთიერთქმედებაზე წიგნის ამ ნაწილში, ჩვენ ვაგრძელებთ მსჯელობას იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი ორსახეობიანი პერსაპექტივა ბუნებრივი თანასაზოგადოებების ზედმეტად მარტივი წარმოდგენაა. მომხმარებელი-რესურსის დინამიკა ფორმირდება მომხმარებელთა და რესურსთა პოპულაციების ერთობლივი ევოლუციით. ევოლუცია არის ადაპტაციური, გენეტიკური რეაქცია გარემოს ცვლილებაზე. მომხმარებლებისა და ბიოლოგიური რესურსების შემთხვევაში, თითოეული არის სხვათა გარემოს ნაწილი. როდესაც ერთი იცვლება მეორესთან მიმართებაში, ის ასევე ასტიმულირებს მომავალ ცვლილებას მეორეში (იხ. თავი 7).

„მოხმარება“ ვრცელდება კვების აქტის გარეთაც. ორგანიზმებისთვის, რომლებსაც სჭირდებათ სივრცე ფესვის გასადგმელად ქარის ან ზღვის მო-

ქცევის წინააღმდეგ პოზიციის დასაკავებლად, სივრცის გამოყენება შეიძლება მიჩნეული იყოს მოხმარების გარევეულ ფორმად. მოქცევათაშორის ზონაში ქვებში მზარდ კიბოებსა და სხვა ინდივიდებს სჭირდებათ სივრცე ზრდისთვის, ლარვებს სჭირდებათ სივრცე დასაბუდებლად და ზრდასრულობის მისაღწევად და ა.შ. (ნახ. 20-3). პოპულაციის ზრდასთან ერთად, სივრცე ილევა. დაჯგუფება ზრდის ზრდასრულთა სიკვდილიანობას და ამცირებს ნაყოფიერებას ზრდასრულთა ზრდის და ლარვების მატების შეზღუდვით. სამაღლავი და სხვა უსაფრთხო ადგილები აგრეთვე წარმოადგნენ კიდევ სხვა სახის რესურსს. საბინადრო გარემოს თითოეულ არეალს აქვს ხვრელების, ნაპრალების ან მჭიდრო ზედაპირის ჰეტჩების შეზღუდული ოდენობა, სადაც ორგანიზმს შეუძლია, გაექცეო მტაცებლებს ან ეძიოს თავშესაფარი ცუდ ამინდში (არტინ 1988). როდესაც ინიდვიდები იკავებენ, ან „მოიხმარენ“ საუკეთესო ადგილებს, სხვები იკავებენ ნაკლებად ხელსაყრელ ადგილებს, რის შედეგადაც, ეს უკანასკნელი შეიძლება უფრო მაღალ სიკვდილიანობას განიცდიდნენ.

### 20.3 დაფინაციური რესურსი/მომხმარებელი და ცენტრალური რესურსი ამომხმარებელ-რესურსის ცისტების მასაზე

წყლის რწყილები მცირე მტკნარი წყლის კიბოსებრი ორგანიზმებია (დაკავშირებული ომარებთან და მდინარის კიბორჩხალებთან), რომლებიც ხშირად მოიპოვებიან ტბებსა და გუბურებში მთელ მსოფლიოში და ხშირად იჩნენ თავს დიდი რაოდენობით. არსებობს წყლის რწყილის დაახლოებით 150 სახეობა ჩრდილოეთ ამერიკაში. წყლის რწყილები შეიძლება გავრცელდნენ ღია წყალში, ფსკერზე ან წყლის მცენარეულობის ზედაპირზე, სადაც ისინი იკავებებიან წყალმცენარეებითა და წყალში არსებული დეტრიტით. ამ არსებებმა სახელი მიიღეს იმის გამო, თუ როგორ დაქრიან წყალზე და ტოვებენ რწყილების შთაბეჭდილებას, რომლებიც დახტიან ერთი სახეობიდან მეორეზე. სხვა კიბოსებრთა მსგავსად, წყლის რწყილებს აქვთ ნიურა ან ჯავშანი, რომელიც ფარავს მათ სხეულს და უნდა იქნას გამოცვლილი ჰერიოდულად იმისთვის, რომ რწყილი გაიზარდოს. ჯავშანი შედგება ორი გამჭვირვალე სტრუქტურისგან, საგდულისგან, რომელთაგან თითოეული, სხეულის ერთ ნაწილს ფარავს (იხ. ნახ. 1-16). შესაძლებელია კიდურებისა და შინაგანი სხეულის ნაწილების დანახვა გამჭვირვალე საგდულის შიგნით. ცურვა წყლის დინების საშუალებით წარმოიშობა კიდურების მოძრაობის შედეგად, რომლებიც შინოვენ წყალს ჯავშნის გარეთა ბოლოში არსებული ხვრელის საშუალებით და მოაქვთ ის უკან არსებული ხვრელისკენ.




**ნახ. 20-3** კონკურენცია სივრცისთვის კიბოებს შორის მენის სანაპიროზე. (ა) მათ ოპტიმალურ დიაპაზონს მიღმა მოქცევათაშორის ზონაში კიბოები ისვათათა და ახალგაზრდებს შეუძლიათ, დასახლდნენ ცარიელ პეტჩებში. (ბ) მოქცევათა ზონაში კიბოების მჯიდრო დაჯგუფება აფერხებს პოპულაციის ზრდას. ახალგაზრდა კიბოებს შეუძლიათ, დასახლდნენ მხოლოდ ზრდასრულ ინდივიდებზე. (ზუნებრივი ისტორიის ამერიკული მუზეუმის /Courtesy of the American Museum of Natural History/ ნაბოძები.)

საკვები ნაწილაკები, როგორიცაა წყალმცენარეთა უჯრედები, იფილტრება ამ დინების საშუალებით და გადაინაცვლებს პირის ღარამდე ყბის კიდურების საშუალებით, სადაც ისინი მოიხმარებიან.

პლანქტონური წყლის რწყილები, როგორიცაა *Daphnia magna*, ნარმოადგენენ საკუეთესო სამოდელო სისტემებს მომხმარებელი-რესურსი დინამიკის შესწავლისთვის მთელი რიგი მიზეზების გამო. როგორც წყლის რწყილების, ისე მათი წყალმცენარეული საკვების კულტივირება ძალზე ადვილია მცირე აკვარიუმში, ლაბორატორიაში. მრავალ ლაბორატორულ პირობებში შესაძლებელია გონივრულად დაგასვნათ, რომ როგორც წყლის რწყილები, ისე მათი წყალმცენარეული საკვები ჰიმოგენურად არიან გადანაწილებული აკვარიუმში. ეს საშუალებას აძლევს ექსპერიმენტს, განხორციელდეს გარკვეული კონტროლით სივრცობრივ ეფექტებზე, რომლებიც როგორც შემდგომ ვნახავთ, მნიშვნელოვანი მოსაზრებაა ფილტრაციის ტემპის გაგებისთვის. წყლის რწყილებს შედარებით ხანმოკლე სიცოცხლის ხანგრძლივობა აქვთ და ისინი სწრაფად მცირდებიან ლაბორატორულ პირობებში, ასე რომ, შესაძლებელია გამრავლებაზე და პოპულაციის დინამიკაზე კვების ეფექტის შესწავლა. წყლის რწყილთა უმრავლესობას, შეუძლია, გამრავლდეს პართენოგენეზურად. ანუ მდედრებს შეუძლიათ, ნარმოქმანა კვერცხი მამრების მიერ განაყოფიერების გარეშე. კვერცხი ნარმოქმნება ერთანად და იცვლის გარსს განგურის დროს. ერთმა მდედრმა შეიძლება ნარმოქმნას სეზონში რამდენიმე ასეთი ჯგუფი. ამრიგად, მკვლევარს ეძლევა პირდაპირი კავშირი მოხმარებასა და გამრავლებას შორის ინდივიდუალურ ცხოველებში (მდედრები). რადგანაც წყლის რწყილის გარსი გამჭვირვალეა, ექსპერიმენტატორებს ხშირად

შეუძლიათ, დააკვირდნენ კვერცხის განვითარების სხვადასხვა ფაზას.

პორტერისა და თანამშრომლების (1981, 1983) მიერ ჩატარებული რიგი ექსპერიმენტები *Daphnia magna*-სა და ერთ წყლამცენარეულ კვებით რესურს *Chlamydomonas reinhardtii*-ზე გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს გარემოში საკვების ოდენობა წყლის რწყილების გამრავლებაზე. პორტერმა და მისმა კოლეგებმა გაზარდეს კულტურები ლაბორატორიაში წყლის ხარისხის, ტემპერატურის და რესურსთა სიმჭიდროვის ისეთ პირობებში, რომლებიც ემთხვეოდა აპპნია-ს ტბის ბუნებრივ პირობებს. წყალმცენარეული კონცენტრაციები ნარჩუნდებოდა დაახლოებით 0-1 მილიონ (ანუ  $10^6$ ) *Chlamydomonas*-ამდე წყლის თითო კუბურ სანტიმეტრზე (სმ<sup>3</sup>). მკვლევარებმა გაზომეს აპპნია-ს მიერ წყლის ფილტრაციის სიჩქარე, საკვების მონელება და პოპულაციის რამდენიმე ცვლადი, როგორც რესურსთა კონცენტრაციის ფუნქცია. მათ შემდეგნაირად დააკავშირეს ერთმანეთან წყალმცენარეთა უჯრედების გაფილტვრის ტემპი და კულტურაში უჯრედების სიმჭიდროვე. იმის გათვალისწინებით, რომ *Chlamydomonas* უჯრედები ჰიმოგენურადაა გადანაწილებული წყალში, თუ ვთქვათ  $10^5$  წყლამცენარეული უჯრედია თითო სმ<sup>3</sup>-ზე, მაშინ  $10^{-5}$  სმ<sup>3</sup> წყალი იქნება თითო უჯრედისთვის. ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, თითოეული წყალმცენარეული უჯრედი ნარმოადგენს წყლის  $10^{-5}$  სმ<sup>3</sup>-ს. ამ ინფორმაციის გამოყენებით, მკვლევარებმა შეიძლეს, გამოეანგარიშებინათ სიჩქარე, რომლითაც წყალი იფილტრებოდა უბრალოდ, შთანთქმული უჯრედების დათვლით. თითოეული წყალმცენარეული უჯრედი ნარმოადგენს  $10^{-5}$  სმ<sup>3</sup> წყალს და საშუალოდ წყლის რწყილები ყლაპავდნენ  $10^4$  უჯრედს 60 წუთში სიჩქარით, მაშინ  $10^4$  უჯრედი



**ნახ. 20-4** გაფილტვრის ტემპი ( $\text{სმ}^{-2} \text{სთ}^{-1}$ ) და საკვების მიღების ტემპი ( $10^3 \text{ უჯრედი } \text{სთ}^{-1}$ ) ინდივიდუალური *Daphnia magna*-სი, რომლებიც იკვებებიან წყალმცენარე *Chlamydomona reinhardtii*-თი საკვების სხვადასხვა სიმჭიდროვეებზე. (From Porter et al. 1982.)

$\text{სთ}^{-1} \times 10^{-5} \text{ სმ}^3 \text{ უჯრედი} - 1$  (შთანთქმული უჯრედების რიცხვი გამრავლებული წყლის ოდენობაზე, რომელსაც თითოეული უჯრედი წარმოადგენს) ანუ წყლის 0,1 კუბური სანტიმეტრი იყილტრებოდა საათში. ამ მიღვომით მკვლევარებს შეეძლოთ, გაეზომათ როგორც გაფილტვრის ტემპი, საკვები საქმიანობის საზომი, ისე შთანთქმული უჯრედების რიცხვი, მოხმარების საზომი. მათ ასევე შეეძლოთ, დაეთვალით მდედრების მიერ წარმოქმნილი კვეცხის ჯგუფები და თითოეულ ჯგუფში კვერცხის რადენობა.

პორტერმა ჩაატარა ექსპერიმენტები იმის განსასაზღვრად, თუ როგორ ახდენდა გავლენას წყალმცენარეული საკვების სიჭარბე *Daphnia*-ს კვების ტემპსა და გამრავლებაზე. მათმა შედეგმა გვიჩვენა, რომ  $10^3$  უჯრედი  $\text{სმ}^{-3}\text{-ზე}$  დაბალ წყალცემანრეულ კონცენტრაციებზე *Daphnia* შთანთქვადნენ ძალიან


ცოტა წყალცემენარეულ უჯრედს მაშინაც კი, როდესაც მათი კვებითი ძალისხმევა (გაფილტვრის ტემპი) ძალიან მაღალი იყო (ნახ. 20-4). საკვების ხელმისაწვდომობის ამ დონეზე მათ შეეძლოთ საკუთარი თავის შენახვა.  $10^3$  უჯრედი  $\text{სმ}^{-3}\text{-ზე}$  ისინი შთანთქვადნენ 5000-ზე ნაკლებ უჯრედს სთ  $^{-1}$ -ში. შთანთქმის ტემპი გაიზარდა უფრო მაღალ კონცენტრაციებზე, მაგრამ შემდეგ კლება დაიწყო, როცა შთანთქმის სიჩქარე მიუახლოვდა 25000 უჯრედი სთ  $^{-1}$ -ს (დაახლოებით 7 უჯრედი წამში)  $104$ -დან  $105$  უჯრედამდე  $\text{სმ}^{-3}\text{-ზე}$  კონცენტრაციებისას. კონცენტრაციათა იგივე დიაპაზონზე ფილტრაციის სიჩქარე შემცირდება 4 უჯრედი  $\text{სმ}^{-3}$  სთ  $^{-1}$ -დან 1 უჯრედი  $\text{სმ}^{-3}$  სთ  $^{-1}\text{-ზე}$  ნაკლებამდე. იმის მიუხედავად, რომ გამფილტრაციის გარსის მოძრაობა შემცირდა წამში 6-3,5 მოძრაობამდე, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ფილტრაციის ტემპის შემცირების მიზეზად. ყბს გარსების მოძრაობის სიჩქარე ასევე არ შეიცვალა საგრძნობლად  $10^3\text{-}10^6$  უჯრედამდე  $\text{სმ}^{-3}$  წყალმცენარეთა სიმჭიდროვეებზე. ამიტომ, კონცენტრაციები, რომლებიც აჭარბებდნენ  $103,5$  უჯრედს  $\text{სმ}^{-3}\text{-ზე}$  წარმოადგენენ იმდენ საკვებს, რომ ჩამოყალიბები გაედინებიან და ამრიგად, საკვების გადამუშავების და არა დაჭრის უნარი ზღუდავს საკვების მიღებას.

მართალია, სიჩქარე, რომლითაც *Daphnia* შთანთქავდა რესურსებს, გაიზარდა  $10^3$ -სა და  $10^4$  უჯრედი  $\text{სმ}^{-3}$ -ს შორის წყლამცენარეულ კონცენტრაციებამდე და შემდეგ დაიკლო, რესურსთა კონცენტრაციები უფრო კომპლექსურ გავლენას ახდენდა პოპულაციურ პროცესებზე. როდესაც კვების სისწრაფე  $10^3$ -სა და  $10^4$  უჯრედი  $\text{სმ}^{-3}$ -ს შორის საკვების კონცენტრაციებზე გაიზარდა, ექსპონენ-


## ცხრილი 20-1 რეპროდუქციული პარამეტრები *Daphnia magna*-ს კოპორატებისთვის, რომლებიც იკვებებოდნენ *Chlamydomonas reinhardtii*-ს კონცენტრაციებით $20^\circ\text{C}$ -ზე

	საკვების კონცენტრაცია (უჯრედი $\text{სმ}^{-3}$ )			
	$10^3$	$10^4$	$10^5$	$10^6$
გამრავლებადი ინდივიდების ოდენობა	50	87	97	50
კვერცხების ოდენობა თითო გამონაყვანში	2.8	2.6	15.5	21.1
გამონაყვანის ოდენობა თითო მდედრისთვის	1.7	7.5	8.2	3.4
დღეები ვივოდებებს შორის	5.4	3.6	3.1	3.3
ასაკი პირველი კრუხობისას (დღეები)	23.4	16.9	9.8	9.1
გამრავლების ტემპი ( $R_0$ )	2.25	16.23	99.33	34.80
ექსპონენციური ზრდის სიჩქარე ( $r$ )	0.03	0.10	0.28	0.20

(From Porter et al. 1983.)



(ა)



(ბ)

**ნახ. 20-5** ცხრილი 20-1-დან აღებული მონაცემების გრაფიკული გამოსახულება გაზომვათა შეაღს მიხედვით. (ა) გაზრდილმა საკვებმა გამოიწვია კვერცხის მეტი რაოდენობა თითო ჯგუფში (თეთრი ოთხუთხევდები). კვერცხის ჯგუფთა ოდენობა თითო მდედრზე (შავი ოთხუთხევდები) ასევე გაზარდა საკვების ყველაზე მაღალ დონეზე, რომელზეც რიცხვმდე ექსპონირება. (ბ) გამრავლებადი პოპულაციის პროცენტული მაჩვენებელი (თეთრი წრეები) იგივე ხასიათს ავლენდა, რასაც ძმედრების ნაშეორები სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირების გამო. სუფთა რეპოდუქციული სიჩქარე ( $R_0$ ; შავი წრეები) ყველაზე მაღალი იყო  $10^5$  უჯრედი სმ<sup>-3</sup>-ზე. (Data from Porter et al. 1983.)

ციალური ზრდის თანდაყოლილი სიჩქარე რ ასევე გაიზარდა, როგორც მოსალოდნელი იყო. მაგრამ როდესაც კვების სისწრაფე თანაბარი გახდა  $10^4$  უჯრედი სმ<sup>-3</sup> კონცენტრაციებზე მაღალ დონეზე,  $r$ -მა ჯერ პიკს მიაღწია  $10^5$  უჯრედი სმ<sup>-3</sup>-ზე და შემდეგ შემცირება დაიწყო  $10^6$  უჯრედი სმ<sup>-3</sup>-ზე (ცხრილი 20-2).  $10^4$  და  $10^5$  უჯრედი სმ<sup>-3</sup>-ს შორის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა გარკვეულნილად შემცირდა, მაგრამ ნაყოფიერება ძლიერ გაიზარდა, უფრო მეტი ინდივიდი აღნევდა გამრავლების ფაზა-მდე და გამრავლება უფრო ადრე იწყებოდა იმის მიუხედავად, რომ შთანთქმის სიჩქარეები მუდმივი და უცვლელი რჩებოდა. საკვების მაღალ კონცენტრაციებზე, საკვების ათვისების ეფექტურობა სა-

ვარაუდოდ შემცირდა, რაც გვიჩვენა გამფილტრაციი გარსების მოძრაობის სიჩქარის შემცირებამ.

რესურსთა ყველაზე მაღალ კონცენტრაციაზე ახლადგამოჩეკილი ინდივიდების რაოდენობა ზრდას განაგრძობდა, მაგრამ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განსაკუთრებით ახალგაზრდა წყლის რენილებისა, მნიშვნელოვნად შემცირდა და უფრო ნაკლები ინდივიდი ახორციელებდა გამრავლებას. ამრიგად, ნაშეირების რიცხვი თითო მდედრზე საგრძნობლად შემცირდა (ნახ. 20-5). ალბათ Chlamydomonas-ები მაღალი კონცენტრაციებისას, ნარმოქმნიან რაიმე ტოქსიკურ პროდუქტს ან მსხვერპლის დიდი ოდენობა აზიანებს ახალშობილი Daphnia-ების საკვებს აპარატს. მიზეზის მიუხედავად, Daphnia-ჩლამყდომონას-ის მაგალითი ხაზს უსაკამა კომპლექსურ ურთიერთობას მომხმარებლებსა და რესურსებს შორის.

## 20.4 რასურსთა ცვლილების მაჩვენებლები და მომხარევების ზრდა შეიძლება დინამიკურად და ცვლილების ლოგისტიკურ მოდელით

პორტერისა და მისი კოლეგების კვლევებმა გვიჩვენა, რომ რესურსთა მარაგს შეუძლია, გავლენა მოახდინოს გამრავლებადი ინდივიდების რიცხვზე, ინდივიდების ნაყოფიერებაზე და ახალგაზრდების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, ეს ეფექტი აისახება ასევე პოპულაციის დონეზე. ჩვენ შეგვიძლია ამგვარი ექსპერიმენტული შედეგების ინტეგრირება პოპულაციის დინამიკის ზოგად მოდელებში, რომელსაც ჩვენ შედარებით დეტალურად განვიხილავთ ნიგნის ბოლო ნაწილში.

მოდით, გავიხსენოთ მარტივი პოპულაციის ზრდის მოდელი  $dN/dt = rN(1 - N/K)$ , რომელიც ჩვენ გაგაცანით მე-15 თავში. როგორც ადრე ვთქვით, ეს განტოლება დიდს ვერაფერს ამბობს იმის თაობაზე, თუ როგორ ზემოქმედებს რესურსი პოპულაციის ზრდაზე. მართლაც, განტოლების მიხედვით გარემო მუდმივია, ანუ რესურსები და პირობები, რომლებსაც პოპულაციები განიცდიან არ იცვლებიან პოპულაციის ზომის მიხედვით. იგივე ხდება პოპულაციის ზრდის მარტივი დისკრეტული დროის მოდელებშიც. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, კლება ზრდის სიჩქარეში მზარდი სიმჭიდროვის მქონე პოპულაციის ერთ სულ მოსახლეზე გამომდინარეობს პოპულაციის ურთიერთქმედებიდან თავის რესურსებთან, მაგრამ ეს ურთიერთქმედება არ ხდება ექსპლიციტურ ლოგისტიკურ მოდელებში, არც რესურსებია ფორმალურად განახლებული რომელიმე კონკრეტული დინამიკით. როდესაც ვიღაც აღიარებს, რომ რესურსს ასევე აქვს დინამიკა, საჭირო ხდება ამ დინამიკის ფორმალიზება და შედეგად მიღებული

განტოლებების დაკავშირება მომხმარებლებისა და რესურსებისთვის საჭირო ტერმინებით, რომლებიც მათ ორმაგ ეფექტებს ასახავენ. ეს შეიძლება იქნას გაკეთებული ზოგიერთი ბიოლოგიურად რელევანტური ტერმინის ჩართვით მარტივ ლოგისტიკურ განტოლებაში, როგორც ქვემოთ ვნახავთ.

### პოპულაციის ზრდა რესურსთა მუდმივი მატების შედეგად

მოდით, განვიხილოთ განახლებადი რესურსის შემთხვევა ( $R$ ), რომლის მარაგზეც გავლენას არ ახდენს მომხმარებელი, მაგალითი აღნეროლი ნახ. 20-2-ში. რესურსის მიწოდების სიჩქარე  $dR/dt$  ასახავს მომხმარებელი-რესურსის სისტემის გარე ფაქტორებს და ამრიგად, შეიძლება განხილული იყოს როგორც მუდმივი სიდიდე  $k_r$ . ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია, აღვწეროთ რესურსთა მარაგის დინამიკა შემდეგნაირად:

$$\frac{dR}{dt} = k_r$$

სადაც  $R$  არის რესურსის ოდენობა და  $k_r$  არის სიჩქარე, რომლითაც ის განახლდება.

მომხმარებელი პოპულაციის ზრდის ტემპი დამოკიდებულია როგორც სიჩქარეზე, რომლითაც რესურსი მიეწოდება მას, ისე მისი საკუთარი პოპულაციის სიმჭიდროვეზე ( $C$ ). ჩვენ შეგვიძლია ეს ალგებრულად გამოვხატოთ შემდეგნაირად  $dC/dt = f(k_r, C)$ . სიტყვებით რომ გამოვხატოთ, მომხმარებელთა პოპულაციის ზრდის სიჩქარე არის რესურსთა მიწოდების სიჩქარის კლ ფუნქცია (რაც ამ მაგალითში კონსტანტაა) და მომხმარებელი პოპულაციის ზომის  $C$  ფუნქცია.

ახლა მოდით, ვთქვათ, რომ თითოეულმა ინდივიდმა უნდა მოიხმაროს რესურსები რაღაც ა სიჩქარით უბრალოდ იმისთვის, რომ თავი შეინახოს. (როგორც  $a$ , ისე  $k_r$  გამოსახულია ბიომასის ერთეულებში დროის თითოეულ ინტერვალზე, როგორცა  $g/h$ .)  $C$  ინდივიდების პოპულაცია მაშინ გამოიყენებდა რესურსებს  $aC$  სიჩქარით არსებობისთვის, ხოლო გამრავლებისთვის რესურსთა მიწოდების სიჩქარე იქნება  $k_r - aC$ . ამრიგად, რესურსთა შენატანის სიჩქარე  $dR/dt = k_r = 100g/h$  და შენარჩუნების სიჩქარე  $a = 0,05 g/h$ -სთვის, პოპულაციას  $C = 1000$  მომხმარებელი ექნებოდა  $100 g/h - (0,05 g/h)1,000 = 50 g/h$  ხელმისაწვდომი გამრავლებისთვის. მოდით, ახლა კიდევ ვთქვათ ინდივიდი გარდაქმნის გამრავლებისთვის ხელმისაწვდომ რესურსებს პოპულაციის ზრდა (მოპადობა)  $b$  ( $0 < b < 1$ ) ეფექტურობით. ამგვარი მოსაზრებებით ჩვენ შეგვიძლია, დაგწეროთ მომხმარებლის პოპულაციის ზრდის სიჩქარის განტოლება:

$$\frac{dC}{dt} = bC(k_r - aC)$$


$k_r$ -ის ფრჩხილებში შეტანით ჩვენ მივიღებთ:

$$\frac{dC}{dt} = bk_r C \left(1 - \frac{aC}{k_r}\right) \quad (20-1)$$

რაც, როგორც ჩვენ ვხედავთ, არის ლოგისტიკური განტოლების ფორმა, სადაც  $r = bk_r$  და  $K = k_r/a$ . ამ განტოლების მიხედვით პოპულაციის ზრდის თანდაყოლილი სიჩქარე ( $r$ ) იზრდება, როდესაც რესურსთა მიწოდების სიჩქარე ( $k_r$ ) იზრდება (ვთქვათ  $b$  კონსტანტაა) და გარემოს გადატანითი შესაძლებლობა ( $K$ ) არის უბრალოდ რესურსთა მარაგი, გაყოფილი თითო ინდივიდისთვის საჭირო შენარჩუნების რესურსზე ( $k_r/a$ ). ამრიგად, ჩვენ ახლა ექსპლიციტურად დავურთეთ მომხმარებელი-რესურსის დინამიკა პოპულაციის ზრდის ლოგისტიკურ განტოლებას. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ჩვენ გავაკეთეთ რიგი მნიშვნელოვანი განზოგადებებისა. რესურსის მიწოდების სიჩქარე თითქმის უეჭველად არ არის მუდმივი და ჩვენ უნდა მოველოდეთ, რომ როგორც  $a$ , ისე ბკვლადები იქნებიან გარკვეულ პირობებში.

განტოლება (20-1) გვაძლევს ურთიერთობის უფრო ცხად სურათს გადატანით შესაძლებლობასა (ინდივიდთა რიცხვი, რომელთა უსასრულოდ უზრუნველყოფაც შესაძლებელია არეალში) და რესურსთა დონეს შორის. თუ ინდივიდუალური თავის შენახვის ტემპი არჩება მუდმივი, სიჩქარის ზრდა კლ, რომლითაც რესურსები მიეწოდებიან გარემოს, ნიშნავს, რომ გარემოს მიერ კიდევ უფრო მეტი ინდივიდი შეიძლება იქნას უზრუნველყოფილი. ეს დემონსტრირებულია ნახ. 20-6-ში, სადაც ნაჩვენებია სამი ლოგისტიკური ზრდის მრუდი, აქედან თითოეულს, აქვს რესურსთა მიწოდების სხვადასხვა ტემპი და მუდმივი თავის შენახვის ტემპი. სამივე მრუდი გვიჩვენებს ტიპიურ ლოგისტიკური ზრდის ხასიათს, სადაც გადატანითი შესაძლებლობის ძალა განისაზღვრება რესურსთა მიწოდების სიჩქარით.

როდესაც ჩვენ განვიხილეთ ლოგისტიკური განტოლება მეთხუთმეტე თავში, ჩვენ დაინტერესებული ვიყავთ იმ პირობებით, რომლებშიც პოპულაციის ზრდის ტემპი უარყოფითია. ლოგისტიკური მოდელის მოდიფიკაციის გამოყენებით, რომელიც ჩვენ აქ განვავითარეთ, მოდით, ვიკითხოთ, თუ რესურსთა კლ დონის და ინდივიდუალური თავის შენახვის ა სიჩქარის რა კომბინაციისას იქნება ზრდის ტემპი ( $dC/dt < 0$ ) უარყოფითი მომხმარებლისთვის. მომხმარებლის პოპულაციის ზრდის სიჩქარე უარყოფითი გახდება, როდესაც  $bk_r C(1 - aC/k_r) < 0$  ან როდესაც  $1 - aC/k_r < 0$  (ჩვენ ვიღებთ ამ შედეგს უტოლობის ორივე მხარის გაყოფით  $bk_r C - 0$ ). ამრიგად,  $dC/dt$  იქნება უარყოფითი, ყოველთვის როდესაც  $aC/k_r > 1$  (აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვცვლით უტოლობის მიმართულებას იმისთვის რომ მრივე მხარე იყოს დადებითი). ყოველთვის, როდესაც პოპულაციის შენარჩუნებისთვის საჭირო რესურსების მთლიანი მდენობა ( $aC$ ) აღემატება რესურსთა მიწოდებას ( $k_r$ ), ზრდა უარყოფითი გახდება. ახლანდელი პარამეტრი სიდიდეების გამოყენებით, ჩვენ ვხედავთ, რომ



**ნახ. 20-6** მომხმარებელი პოპულაციის დოგისტიკური ზრდა  $dC/dt = k_R C (1 - aC/k_R)$  განტოლების მიხედვით, სადაც  $b = 1$  და  $a = 0,05$  რესურსთა შენატანის სიჩქარე  $k_R$ -ს სამი განსხვავებული დონისთვის (მუქი მწვანე მრუდი  $k_R = 50$ ; ღავი მწვანე მრუდი  $k_R = 60$ , ნაცრისფერი მრუდი  $k_R = 70$ ). რესურსთა შენატანის ტემპის გაზრდა მაღლა სწევს მრუდს და ზრდის გადატანით შესაძლებლობას (ნერტილი, სადაც მრუდები კეთეულ პორიზონტალურ  $dC/dt = 0$  ხაზს), მაგრამ არ ცვლის მრუდის ზოგად დოგისტიკურ ფორმას. გადატანითი შესაძლებლობა არის  $= k_R/a$ , რომელიც  $k_R$ -ის სამი სიდიდისთვის არის 1000, 1200 და 1400 შესაბამისად.

თუ მომხმარებლის პოპულაცია წონასწორობაშია,  $aC = 2,000$ , მაშინ  $aC/k_R = (0,05) (2,000)/100 = 1$ . ანუ პოპულაციის შენატანებისთვის საჭირო რესურსთა მინოდების სიჩქარე უტოლდება მინოდებული რესურსების ოდენობას. თუ მომხმარებლის პოპულაცია გაიზრდება 2500-მდე, მაშინ  $aC/k_R = (0,05) (2500)/100 = 1.25$ . მომხმარებელთა ამ სიმჭიდროვისას რესურსთა შენატანების სიჩქარე, რომელიც საჭიროა თავის შენახვისთვის, აღემატება პოპულაციაში რესურსთა მინოდებას და ზრდის ტემპი დაიკლებს. თქვენ შეგიძლიათ ამის დენონსტრირება ნახ. 20-6-ში წერტილის არჩევით ზუსტად გადატანითი შესაძლებლობა  $K$ -ს გვერდით ერთ-ერთი მრუდისთვის და იმის მონიშვნით, რომ მრუდი მდებარეობს  $C = 0$  ხაზს ქვემოთ.

### სიმჭიდროვეზე დამოკიდებული პოპულაციის ზრდა რესურსთა მოწოდების სიჩქარის საშუალებით

ახლა მოდით, განვავრცოთ ჩვენი მოდელი იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებელი იღებენ რესურსებს რესურსთა სიჭარებსთან და არა რესურსთა მინოდების სიჩქარესთან პირდაპირ დამოკიდებულებაში. ამრიგად,  $dC/dt = f(R, C)$ . ანუ ზრდის სიჩქარე ერთობლივად არის რესურსის ოდენობა  $R$ -ის და მომხმარებელთა პოპულაცია  $C$ -ს ზომის ფუნქცია. აქ ჩვენ რესურსს აღვიტამთ როგორც  $R$  ზომის პოპულაციას, მაგალითად, ჩვენ შეიძლება ნარმოვიდგინოთ მტაცებელი ( $C$  ზომის მომხმარებელი და მტაცებელი გადადგილდების მიხედვით).

ბელთა პოპულაცია) და მისი მსხვერპლი ( $R$  ზომის რესურსთა პოპულაცია). კიდევ ერთხელ გახსენებთ, რომ ჩვენი ჩანაფიქრით რესურსთა მინოდების სიჩქარე დამოუკიდებელია მომხმარებლისგან (თუმცა ბუნებაში მომხმარებლები გამოლევენ რესურსებს სიჩქარით, რომელსაც მართავს როგორც მომხმარებელთა რიცხვი, ისე რესურსთა სიჭარებე. ანუ მომხმარებელთა მოცემული რიცხვისთვის, რესურსები უფრო სწრაფად მოიხმარებიან სიჭარებისას, ვიდრე იშვიათობისას). ამრიგად,  $dR/dt = f(k_R, C, R)$ . მომდევნო განტოლებათა წყება არის ამ მოსაზრებების ერთერთი ყველაზე გონივრულ ინტერპრეტაციათაგანი.

ჩვენ შეიძლება დავუშვათ, რომ რესურსთა პოპულაციის ზრდის სიჩქარე განისაზღვრება განსხვავებით იმ  $k_R$  სიჩქარესა, რომლითაც ის მიენიდება გარემოს, რეპროდუქციისა და იმიგრაციის გზით და ეფექტურობას შორის, რომლითაც ის მოიხმარება მომხმარებლების მიერ. მაშასადამე:

$$\frac{dC}{dt} = k_R - gCR \quad (20-2)$$

სადაც  $g$  არის რესურსთა შეგროვების ეფექტურობა ( $0 < g < 1$ ).

საჭიროა განტოლების მეორე ნაწილის (gCR) შედარებით დეტალურად განხილვა, რადგან ამგვარი ელემენტები თავს იჩენენ პოპულაციათა ინტერაქციების მოდელებში. ელემენტის საკვანძო თვისება არის  $C$ -სა და  $R$ -ის ნარმოებული, რაც ალგებრული გზაზა იმის საჩვენელად, თუ როგორ არის დაკავშირებული ორი ურთიერთმოქმედი პოპულაციის ზომა მათივე ინტერაქციების დონესთან. თუ ერთერთი, მომხმარებელთა პოპულაცია  $C$  ან რესურსთა პოპულაცია  $R$  გაიზრდება, მეორე კი უცვლელი დარჩება, CR ნარმოებული გაიზრდება, აღნიშნავს რა ინტერაქციის უფრო მაღალ დონეს. თუ არეალში 10 მომხმარებელი და 100 მსხვერპლი,  $CR = 1000$ . თუ მსხვერპლის პოპულაცია მოულოდნელად გაორმაგდება 200-მდე, მაშინ  $CR = 2000$ . ინტერაქციის დონე 10 მტაცებელსა და 200 მსხვერპლს შორის, როგორც ჩანს, უფრო მაღალია, ვიდრე 10 მტაცებლებსა და 100 მსხვერპლს შორის. ისეთ სიდიდეებს, როგორიცაა CR, ხანდახან უწოდებენ შეჯახების ინტეგრალებს, რადგან ისინი ნარმოადგენენ ურთიერთმოქმედი პოპულაციის ინიდიდების შეხვედრათა „შეჯახებათა“ დონის ინდექსს. ისინი ასევე შეიძლება ნარმოდებენილ იქნან, როგორც ქიმიის მოქმედი მასების კანონის შედეგი, რომლის თანახმადაც რეაქციის ტემპი პირდაპირპორციულია რეაქტიულ ნივთიერებათა კონცენტრაციიებისა. ამრიგად, ამ შემთხვევაში, რესურსთა ზრდის ტემპი პროპორციულია მომხმარებლისა და რესურსის „კონცენტრაციებისა“. როგორც ბუნებრივი სამყაროს ალგებრული გამოსაზღვრებისას, CR ტერმინს სჭირდება განსაზღვრება. მტაცებლისა და მსხვერპლის შემთხვევაში ჩვენ ვასკვნით, რომ არ არსებობს საბინადრო გარემოს სტრუქტურა და ცხოველები გადადგილდების თავისუფლად,


ხვდებიან რა ერთმანეთს თავიანთი სპეციფიკური სიჭარბის დონის პროპორციულად. ამგვარი მოსაზრება, ცხადია, გამარტივებაა მტაცებელი-მსხვერპლის სისტემისა და შესაძლოა, შეუფერებელი იყოს ბალანისმჭამელი-მცენარის სისტემებისთვის, რომლებშიც ერთ-ერთი მონანილე, მცენარე, უძრავია.

მომხმარებლისთვის, ჩვენ ჰიპოთეტურად შევადგინეთ შემდეგი ურთიერთობა:


$$\frac{dC}{dt} = bR \left( 1 - \frac{aC}{R} \right) \quad (20-3)$$

რადგან როგორც  $C$ , ისე დ იცვლება, სისტემის დინამიკა უფრო კომპლექსურია, ვიდრე წინად წარმოდგენილი მოდელი.

განვიხილოთ ამ ორი განტოლების თვისებები. განტოლება (20-2) აღნერს ხაზოვან ურთიერთობას რესურსთა ზრდის სიჩქარე  $d_R/dt$ -სა და რესურსის ოდენობა  $R$ -ს შორის. ამ ხაზს აქვს დახრილობა  $-gC$ . ნახ. 20-7ა გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება  $dR/dt$  სამი განსხვავებული მომხმარებელი პოპულაციის ზომისთვის ( $C = 0$ ,  $C = 10$ ,  $C = 50$ ), როდესაც  $g = 0,03$



(ა)



(ბ)

**ნახ. 20-7** (ა) ურთიერთობა  $dR/dt = k_R - gCR$ -ს გამოსახულება სამი განსხვავებული მომხმარებელთა პოპულაციის ზომისთვის (და მრავე მრუდი  $C = 0$ , ნაცრისფერი მრუდი  $C = 10$ , მუქი მნავე მრუდი  $C = 50$ ), სადაც  $k_R = 100$  და  $g = 0,03$ . რესურსების ცვლილების ტემპი  $dR/dt$  სწორი ხაზია  $-gC$  დახრილობით.  $C$ -ს ზრდა ამცირებს დახრილობას.  $R$ -ის ზრდა მოცემული  $C$ -სთვის ამცირებს რესურსთა ზრდას. (ბ)  $dR/dt = bR(1 - aC/R)$  ურთიერთობის გამოსახულება სამი სხვადასხვა რესურსის დონეზე (შავი მრუდი  $R = 0$ , ნაცრისფერი მრუდი  $R = 10$ , მუქი მნავე მრუდი  $R = 50$ ), სადაც  $b = 1$  და  $a = 0,05$ . ცვლილების სიჩქარე მომხმარებელში  $dC/dt$  არის სწორი ხაზი  $-ab$  დახრილობით.  $R$ -ის ზრდა არ ცვლის დახრილობას, მაგრამ ზემოთ სხვების ხაზის რიტუალის განვითარების შემთხვევაში ამცირებს დახრილობას.  $R$ -ის ზრდა არ ცვლის  $C$ -ს ზომისთვის სიდიდეს.

და  $kR = 100$ . როდესაც არ არიან მომხმარებლები გარშემო ( $C = 0$ ), ცვლილების ტემპი მუდმივია  $dR/dt = kR$ , რა სიტუაციაც ადრე განვიხილეთ. როდესაც  $C > 0$ , სიდიდე  $aCR$  მოქმედებს როგორც  $kR$  შენატანის სიჩქარის იგნორირება. მომხმარებელთა ( $C$ ) რიცხვის ან რესურსების ( $R$ ) რიცხვის ზრდა შეამცირებს შენატანის სიჩქარეს. მომხმარებლის პოპულაციისთვის, რომლის ზომაცაა  $C = 10$ ,  $d_R/dt$  შემცირდება  $-0,03(10) = -0,3$  დახრილობით და  $dR/dt = 0$ , როდესაც  $R = 333,3$ .  $C = 50$  ოდენობის მომხმარებლის პოპულაციისთვის  $dR/dt$ -ს შემცირდების სიჩქარე იქნება  $-0,03(50) = -1,5$ , და წონასწორობითი ზომა იქნება  $R = 66,6$ . საკვანძო მომენტი აქ ის არის, რომ ამ მოდელში, რესურსის ზრდის სიჩქარე  $dR/dt$  მომხმარებელთა ნებისმიერი ოდენობის არსებობისას უარყოფითია, მაგრამ სიჩქარე იკლებს, როდესაც  $R$ -ის დონე იზრდება ( $-0,3$  სიდიდე უფრო დიდია ვიდრე სიდიდე  $-0,5$  და ამრიგად ცვლილება  $-0,3 - 1,5$ -მდე არის კლება).

ერთი შეხედვით, განტოლება (20-3) გამოიყურება როგორც ჩვენთვის ნაცნობი ლოგისტიკური განტოლება. თუმცა განტოლება (20-2)-ის მსგავსად სინამდვილებში სწორ ხაზს წარმოადგენს. ამის დანახვა შესაძლებელია, თუ დავუშვებთ, რომ  $dC/dt = bR(1 - aC/R)$  შეიძლება იქნას გადაკეთებული (ფრჩხილებში არსებული ნაწილის გამრავლებით  $bR$ -ზე) ისეთნაირად, რომ მივიღოთ  $bR - abC$ , რაც არის განტოლება სწორი ხაზისთვის  $-ab$  დახრილობით. განტოლება (20-3)-ის დახრილობა მუდმივია  $R$  რესურსთა სხვადასხვა დონისთვის. მისი გამოყენება ნაჩვენებია ნახ. 20-7ბ-ში, სადაც განტოლება (20-3) დატანილია გრაფიკზე  $R$ -ის სამი სიდიდისთვის ( $R = 0$ ,  $R = 10$ ,  $R = 50$ ), სადაც  $b = 1$  და  $a = 0,05$ . შემთხვევა  $R = 0$  ტრივიალურია, რადგანაც ერთი მომხმარებლისა და ერთი რესურსის სისტემაში თუ არ არის რესურსი არ იქნება არც მომხმარებელი.  $R = 10$ , ისე  $R = 50$ -სთვის მომხმარებელთა პოპულაცია მცირდება  $-ab = -0,05$ -ჯერ. აღსანიშნავია, რომ ორი ხაზი ნახ. 20-7ბ-ში პარალელურია (იგივე დახრილობა), მაგრამ რესურსთა უფრო მაღალი დონე ( $R = 50$ ) ზემოთ სწორ ხაზს. ამრიგად, მაშინ, როდესაც ორივე შემთხვევაში მომხმარებელთა პოპულაციის ზრდის ტემპი დაიკლებს, როდესაც რესურსები მაღალია, პოპულაციის ზომა, რომლის დროსაც  $dC/dt = 0$  გაცილებთ მაღალი იქნება, ვიდრე მაშინ, როდესაც რესურსები იშვიათია. როდესაც  $b = 1$  და  $R = 10$ ,  $dC/dt = 0 = (10)[1 - 0,05C/10]$ .  $C$ -ს პოვნა გვაძლევს  $C = R/a = 10/0,05 = 200$ . როდესაც  $R = 50$ , წონასწორობითი სიდიდე არის  $C = 50/0,05 = 1000$ . მომხმარებლის ზრდის სიჩქარე უარყოფითი გახდება ყოველთვის როცა  $aC/R = 1$ .

იმის გასაგებად, თუ რას გვეუბნებიან ეს განტოლებები მომხმარებლისა და რესურსების შესახებ, ჩვენ უნდა განვიხილოთ ისინი მათ საერთო წონასწორობასთან ახლოს, რომელიც თავს იჩენს როდესაც  $dR/dt = 0$  და  $dC/dt = 0$ . პირველ რიგში ჩვენ განვითარებით წონასწორობით სიდიდებს  $R$ -ისა

და C-სთვის შესაბამისი განტოლებების ნულთან გატოლებით და ცვლადის პოვნით. განტოლებისთვის  $dR/dt = 0 = k_R - gCR$  ჩვენ ვიღებთ  $R = k_R/gC$ . თქვენ შეგიძლიათ დაამტკიცოთ, რომ ეს არის ლ-ის წონას-წორობითი სიდიდე (20-2) განტოლებაში  $k_R/gC$ -ის ჩასმით და მისი ამოხსნით, რათა მიიღოთ  $k_R - gCk_R/gC = k_R - k_R = 0$ .  $dC/dt = 0 = bR(1 - a/C)$  განტოლებისთვის ჩვენ ვიპოულობთ C-ს, რათა ვიპოვოთ  $R = R/a$ .

სიდიდეები დ და ჩ დ გვიჩვენებენ მხოლოდ მომხმარებელთა და რესურსთა პოპულაციების ზომებს, რომელთა დროსაც მათი შესაბამისი ზრდის ტემპები ნულის ტოლია. რა ემართება რესურსთა ზრდის ტემპის განტოლებას, როდესაც მომხმარებელი განონასწორებულია და ამისგან საპირისპიროდ, რა ემართება მომხმარებლის ზრდის ტემპს, როდესაც რესურსთა პოპულაცია არის განონასწორებული? ჩვენ შეგვიძლია ამის განსაზღვრა უბრალოდ განტოლებაში C-ს ჩანაცვლებით  $dR/dt$ -თი და R-ის ჩანაცვლებით  $dC/dt$ -თი. რესურსთა განტოლებისთვის ჩანაცვლება გვაძლევს  $dR/dt = 0 = k_R - gCR = k_R - g(R/a)R$ , რომელსაც ჩვენ ვამარტივებთ და ვიღებთ  $kR - gaR^2 = 0$ . R-ის ძიებისას, ჩვენ ვიღებთ  $R = \sqrt{ak_R/g}$ . იგივე ოპერაციები შეიძლება ჩატარდეს  $dC/dt$ -სთვის, რაც შედეგად გვაძლევს  $C = \sqrt{(k_R/ag)}$ .

ამ წიგნის დასაწყისში ხაზი გავუსვით იმას, რომ ეკოლოგიური მოდელების ალგებრული მანიპულაციები წარმოადგენენ აღმოჩენათა ფორმებს (იხ. თავი 2). ზემოთ მოცემული ნამუშევარი ამის დემონსტრირებას ახდენს. ძნელი იქნებოდა მათემატიკის გარეშე იმის გამოცნობა, რომ როგორც რესურსების, ისე მომხმარებლების დონე ვარირებს რესურსთა მოწოდების სიჩქარის კვადრატული ფესვის პროპორციულად. მეტიც, მაშინ როდესაც გონივრულია, რომ რესურსთა წონასწორობის დონე მცირდება, როდესაც რესურსები უფრო ეფექტურად მოიხამებიან (ანუ, უფრო მაღალი გ), შეიძლება გასაოცარი იყოს, რომ უფრო ეფექტური მომხმარებლებიც ასევე იწვევენ დაბალ წონასწორობის რიცხვებს. მართლაც, ეფექტურ მომხმარებლებს შეუძლიათ, დაბალ დონეზე დაიყვანონ თავიანთი რესურსები და ამით შეზღუდონ თავიანთი საკუთარი პოპულაცია.


დ ისა და ჩ დ წონასწორობითი სიდიდეები მხოლოდ მცირე დოზით ჰქონენ ნათელს ისტორიას თავიანთი დინამიკის შესახებ. რა ხდება, როდესაც R და C გადახრილია თავიანთი საერთო წონასწორობიდან? იზრდება თუ მცირდება ერთი ან ორივე ცვლადი და რა პირობებში ხდება ეს? უბრუნდებიან თუ არა R და C თავიანთ საერთო წონასწორობას და თუ კი, რა გზით ახერხებენ ამას? ამგვარი კოხცვები რესურსი-მომხმარებელი სისტემების შესახებ საკმაოდ დეტალურად იქნა განხილული მტაცებლებსა და მათ მსხვერპლს შორის ინტერაქციებთა შესწავლისას, რასაც ჩვენ მოგითხოვთ 23-ე თავში.

ამ წარისა დასრულებამდე, ჩვენ გვსურს, ხაზი გავუსვათ, რომ აქ მოცემული მოდელები საუკეთე-


სოდ მუშაობენ ისეთი სისტემებისთვის, რომლებშიც რესურსები ინდივიდუალურ ორგანიზმებს წარმოადგენენ და შეიძლება გამოთვლილი იქნან დისკრეტული ერთეულების მიმატებით ან გამოკლებთ. მცენარეების შემთხვევაში, რესურსები არ წარმოადგენს ინდივიდ ორგანიზმს, არამედ ორგანული და არაორგანული მასალაა, რომელიც ნიადაგიდან მიიღება. ბალაზისმჭამელები, როგორც წესი, მოიხმარენ თავიანთი მცენარეების მხოლოდ ნანილს და ამრიგად, ხშირად შეუფერებელია ვიფიქროთ, რესურსთა ხელმისაწვდომობაზე არსებული მცენარეების ოდენობის მიხედვით. ამის მსგავსად, ინდივიდუალური პარაზიტები როგორც წესი, არ მოიხმარენ მასპინძელს მთლიანად, თუმცა ჩვენ ვნახავთ, რომ პოპულაციათა მოდელები, როგორც ზემოთ განხილული, სასარგებლო არიან იმ პარაზიტთა დინამიკის აღსაწერად, რომლებიც დაავადებებს იწვევენ. მოდით, ახლა განვიხილოთ მომხმარებელი-რესურსის რამდენიმე მოდელი, რომლებიც უფრო შესაფერისია ამ ტიპის სისტემებისთვის.

## 20.5 მოცოდის განტოლება აკავშირებს პოპულაციის ზრდის დონეს ერთოული რესურსის რაოდენობასთან

მოდით, უფრო ახლოს შევხედოთ იმას, თუ როგორ ზღუდავენ რესურსები პოპულაციათა ზრდას ჯერ ერთრესურსიანი და ერთმომხმარებლიანი სისტემების დეტალურად განხილვით და შემდეგ ამ იდეების ორ რესურსამდე გავრცობით. არის ბიოლოგიურად რეალური თვისებები, რომელთა ჩართვაც გვსურს ჩვენს განხილვაში. პირველი, ჩვენ გვინდა პოპულაციაში ზრდის გაზომვა ერთი სული მოსახლის საფუძველზე და არა მთლიანად პოპულაციის საფუძველზე. ანუ ჩვენ გვინდა, გავზომოთ ინდივიდუალური რეპროდუქციული ნამატი და არა იმ ინდივიდების მთლიანი რიცხვი, რომლებიც ემატებიან მთლიანად პოპულაციას. ეს მიდგომა ეთანხმება ჩვენს წინა გამოყენებას ერთ სულ მოსახლეზე შობადობისა და სიკვდილიანობის დონეთა გაზომვისა, როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით პოპულაციის ზრდისა და გადარჩენის ცხრილებზე (იხ. თავი 15). ერთი პრაქტიკული მიზეზი ამ მიდგომის არჩევისა არის ის, რომ ხშირად უფრო ადვილია ინდივიდის გაზომვა, ვიდრე მთლიანად პოპულაციისა. მეორე, ჩვენ გვინდა, რომ მომხმარებლის ზრდის ტემპი აღწევდეს ნულს მაშინ, როდესაც რესურსთა დონე აღწევს ნულს. ეს გულისხმობს, რომ მომხმარებელს არ აქვს ალტერნატიული რესურსი, რომელსაც ის შეიძლება დაეყრდნოს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს მაღალი ზრდის დონე. ეს ცხადია გამარტივებაა, რომელსაც ჩვენ მალე რამდენადმე შევამსუბუქებთ. მესამე, ჩვენ გვსურს, ერთ სულ მოსახლეზე ზრდის სიჩქარემ იმატოს რესურსების მატებასთან ერთად, მაგრამ



**ნახ. 20-8** მომხმარებელთა პოპულაციის ( $C$ ) ერთ სულ მოსახლეზე ზრდის სიჩქარე როგორც რესურსების ხელმისაწვდომობის ( $R$ ) ფუნქცია. გარკვეული  $R$  რესურსის მაღალ დონეებზე ზრდის სიჩქარე იყდება, როდესაც სხვა რესურსები ან ფაქტორები ზღუდავენ პოპულაციის ზრდას.



ჩვენ არ მოველით, რომ ის გაიზრდება უსაზღვროდ, რადგან იარსებებს რაღაც ლიმიტი მომხმარებლის შესაძლებლობაში, მოიხმაროს რესურსები. ამრიგად, რესურსთა მაღალი დონეებზე ჩვენ მოველით, რომ თითო მოსახლეზე ზრდის სიჩქარე შენელდება და საბოლოოდ მიაღწევს რაღაც მუდმივ სიდიდეს, რომლის ზემოთაც რესურსთა ზრდას აღარ ექნება გავლენა მომხმარებელთა პოპულაციის ზრდაზე. ეს მოსაზრებები გრაფიკულად არის გამოსახული ნახ. 20-8-ში, რომელიც გვიჩვენებს ურთიერთობას მომხმარებლის ერთ სულ მოსახლეზე ზრდასა (აღნიშნულია  $1/CdC/dt$ ) და რესურსთა  $R$  დონეს შორის.

ფრანგმა მიკრობიოლოგმა ჟაკ მონოდმა (1950) შეადგინა განტოლება რათა გაეანგარიშებინათ ბაქტერიული პოპულაციების ზრდა, როგორც ფუნქცია შეზღუდული რესურსის დონისა. მის გამოსახულებას:

$$\frac{1dC}{Cdt} = \frac{qR}{k+R}$$


**მონოდის განტოლება** ეწოდება. განტოლება იღებს ნახ. 20-8-ზე ასახულ ფორმას. ამ განტოლებაში  $q$  არის მომხმარებელი პოპულაციის ზრდის ტემპი დაჯგუფების არ არსებობის პირობებში, ამრიგად, ის ნარმოადგენს ზრდის მაქსიმალურ სიჩქარეს.  $q$  პარამეტრი ეკვივალენტურია მომხმარებელი პოპულაციის თანდაყოლილი შესაძლებლობისა გაიზარდოს ( $R$ ). პარამეტრი  $k$  არის რესურსთა ოდენობა, რომლის დროსაც პოპულაციის ზრდის სიჩქარე ზუსტად ზრდის მაქსიმალური სიჩქარის  $q$ -ის ნახვარს შეადგენს. (შეადარეთ ამ მოდელში მოცემული კ, რაც რესურსების ოდენობას ნარმოადგენს,  $k_R$ -ს ნინა მოდელში, რომელიც აღვნერეთ, რაც ნარმოადგენს სიჩქარეს.) როდესაც  $q = 3$  და  $k = 50$ , ერთ სულ მოსახლეზე მომხმარებლის ზრდის სიჩქარე რესურსის  $R = 50$  დონეზე, არის 1,5. ანუ, ჩვენ მოველით, რომ 1,5 ახალი ინიდვედი თითო მომხმარებელზე მიემატება პოპულაციას ამ პარამეტრული სიდიდეებისას.

მონოდის განტოლებას გარკვეული დამატებითი ბიოლოგიური რეალიზმი დაემატებოდა, თუ მას დავურთავდით სიკედილიანობის ელემენტს:

**ნახ. 20-9** გრაფიკი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ამცირებს (ისარი) სიკედილიანობის ფაქტორის დამატება რესურსთა დინამიკის მონოდის ეფექტოლოგიას. ნაცრისფერი მრუდი გვიჩვენებს განტოლებას სიკედილიანობის ფაქტორის გარეშე:  $dC/Cdt = qR/(k + R)$ . მნენე მრუდი გვიჩვენებს განტოლებას სიკედილიანობის ფაქტორი  $m$ -ით:  $dC/Cdt = (q - m)R/(k + R)$ . რესურსთა კრიტიკული დონე  $R^*$  არის რესურსების ოდენობა, რომლის დროსაც სიკედილიანობა აბალანსებს პოპულაციის ზრდას.

$$\frac{1dC}{Cdt} = \frac{(q - m)R}{k + R}$$

ამას აქვს მთლიანად მრუდის დადაბლების ეფექტი (ნახ. 20-9). სიკედილიანობა  $m$  არის კონსტანტა, რომელიც არ იცვლება რესურსის დონესთან ერთად და ამრიგად, ნახ. 20-9-ში ნარმოდებენილია პორიზონტალური ხაზის სახით. რესურსთა დონეს, რომელზეც სიკედილიანობის ხაზი და ზრდის მრუდი კვეთენ ერთამენთს, რესურსთა კრიტიკული დონე ენოდება და აღნიშნულია  $R^*$ -ით. რესურსთა კრიტიკული დონე არის რესურსთა ის ოდენობა, რომელზეც სიკედილიანობა აბალანსებს ზრდას. ამრიგად,  $R > R^*$ -ის დონე აღნიშნავს, რომ არსებობს საკმარისი რესურსი ერთ სულ მოსახლეზე 1-ზე მეტი ზრდის სიჩქარისთვის. იქ, სადაც  $R < R^*$ , ერთ სულ მოსახლეზე ზრდის ტემპი ნაკლებია 1-ზე და ინდივიდები პოპულაციაში არ ჩაანაცვლებენ




**ნახ. 20-10** სიკედილიანობის ეფექტი რესურსთა დინამიკაზე, რაც მოდელირებულია მონოდის განტოლებით,  $dC/Cdt = (q - m)R/(k + R)$ , სადაც  $q = 3$ ,  $k = 50$  და არსებობს  $m$ -ის ორი დონე (ნაცრისფერი მრუდი  $m = 0.5$ ; მნენე მრუდი  $m = 1.0$ ). მრუდს  $m$ -ის ყველაზე დაბალი სიდიდით აქვს ერთ სულ მოსახლეზე უფრო მაღალი ზრდის სიჩქარე  $R$ -ის ყველა სიდიდისთვის.

თავს.  $R^*$  სიკვდილიანობის ორი დონისთვის ( $m = 1$  და  $m = 0,5$ ) და  $q = 3$ -ის ზრდის ტემპი ნაჩევენებია ნახ. 20-10-ში. ალსანიშნავია, რომ რაც უფრო მაღალია სიკვდილიანობა მ, მით უფრო იზრდება რესურსთა კრიტიკული დონე. ნახატში მოცემულ მაგალითში, სადაც სიკვდილიანობის დონე არის 1,  $R^* = 50$ . ანუ  $R$  უნდა იყოს 50-ზე მეტი, იმისთვის, რომ პოპულაციამ დაძლიოს სიკვდილიანობის ეფექტი. როდესაც  $m = 0,5$ ,  $R^* = 25$ , რაც იმას აღნიშნავს, რომ უფრო ნაკლები რესურსია საჭირო იმისთვის, რომ ერთ სულ მოსახლეზე სიჩქარემ გადააჭარბოს 1-ს.

### $R^*$ -ის პოვნა ექსპონენციალურად

დევიდ ტილმანმა და მისმა კოლეგებმა (1981) განსაზღვრეს ურთიერთობა პოპულაციის ზრდის სიჩქარესა და შეზღუდული საკვების კონცენტრაციას შორის სრერიონელლა ფორმოსა-ს დიატომისთვის. ამის გასაზომად მათ გაზარდეს ეს დიატომა გარემოში სილიციუმის ( $\text{SiO}_2$ ) ცვალებადი დონეებით, რაც დიატომებს ესაჭიროება თავიანთი სილიციუმის შემცველი ნიჟარების „გასამაგრებლად“. დიატომთა პოპულაციები გადანაწილებული იყო სილიციუმის შემცველ გარემოებში, რომელთა კონცენტრაცია იცვლებოდა 0-40 მიკრომოლამდე ( $\mu\text{M}$ ). პოპულაციათა ზრდის სიჩქარე იზომებოდა მოკლე პერიოდის განმავლობაში, რათა სილიციუმის დონეები საგრძნობლად არ შემცირებულიყო ექსპერიმენტის მსვლელობისას. ამგვარი ხანმოკლე გაზომვები მომხმარებელი-რესურსის დინამიკის მოკლე დახასიათებას წარმოადგენდა: ერთეული წერტილები მრუდზე, რომლებიც აკავშირებენ  $dC/dt$ -ს  $R$ -სთან. რადგანაც ექსპერიმენტები ხანმოკლე იყო, სიკვდილიანობა ფაქტორს აღარ წარმოადგენდა და რესურსების ერთადერთი დადებითი შენატანი პოპულაციის ზრდაში გამოვლინდა. ამ კონკრეტულ ექსპერიმენტში სტერიონელლა-ს ჰქონდა დაახლოებით  $0,6\text{d}^{-1}$  ოდენობის ზრდის მაქსიმალური სიჩქარე ( $q$ ) და სილიციუმის კონცენტრაციები, რომელზეც მაქსიმალური ზრდის სიჩქარის წახევარი




ნახ. 20-11 ურთიერთობა ერთ სულ მოსახლეზე ზრდის სიჩქარესა და სტერიონელლა-ს დიატომის პოპულაციისთვის ხელმისაწვდომ სილიციუმის კონცენტრაციებს შორის.


იჩენდა თავს (k) იყო დაახლოებით  $9\mu\text{M}$  (ნახ. 20-11). ამრიგად, მას შეეძლო განესაზღვრა ურთიერთობა პოპულაციის ზრდასა და რესურსთა დონეს ( $R$ ,  $\mu\text{M}$ ,  $\text{SiO}_2$ ) შორის მონოდის განტოლების საშუალებით  $dC/dt = 0,6R/(9 + R)$ .

ტილმანმა ასევე შექმნა სტერიონელლა-ს გრძელვადიანი კულტურები ქემოსტატში, რათა შეესწავლა დიატომისა და სილიციუმის ურთიერთობა დროში. ქემოსტატი არის ნაკადური კულტურის (თხევად გარემოში, გარემო პირობების კონტროლით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოზრდილი უჯრედული კულტურა) კულტივაციის ხელსაწყო, რომელსაც ემატება საკვები გარემო და რომლიდან-აც კულტურა მუდმივი სიჩქარით გამოიყოფა. კულტურის მოცულობა მუდმივია, მაგრამ მისი შემადგენლობა იცვლება დროსთან ერთად, რომელსაც მუდმივად განსაზღვრავს დინების შეფარდება მოცულობასთან. მაგალითისთვის განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც  $100\text{s}^3$  ( $0,1 \text{ l} \cdot \text{d}^{-1}$ ) მოცულობის კულტურის გარემო ემატება ყოველ დღე 1 ლიტრის შემცველ რეზერვუარში და ქემოსტატის დროის კონსტანტა არის  $0,1\text{d}^{-1}$ . ამ პირობებში დიატომების კულტურის ზრდა ეკვივალენტურია პოპულაციაზე  $0,1\text{d}^{-1}$  ოდენობის სიკვდილიანობის სიჩქარის თავს მოხვევის, რათა ყოველდღიურად კულტურის ერთი მეათედი ჩამოშორდეს, დიატომმათა იმ ერთი მეათედის სანაცვლოდ, რომლებიც იზრდება კულტურაში.


ერთ ექსპერიმენტში ტილმანმა და სხვებმა (1981) გამოიყენეს ქემოსტატი  $0,11\text{d}^{-1}$  ოდენობის დროის კონსტანტით. იმ ურთიერთობის მიხედვით, რაც არსებოს დიატომის ზრდასა და რესურსთა იმ დონეს შორის, რომელიც მიიღება მიმდინარე ექსპერიმენტიდან ( $q = 0,6\text{d}^{-1}$ ,  $k = 9 \mu\text{M}$ ), როდესაც სიკვდილიანობის ტემპი არის  $0,11\text{d}^{-1}$  ტოლი, მონოდის განტოლების მიხედვით რესურსთა წონასწორებრივი დონე  $R^*$  უნდა იყოს  $0,11 \times 9/(0,6 - 0,11)$ , ანუ დაახლოებით  $2\mu\text{M}$ , რაც ახლოსაა დონესთან, რომელიც მიიღება ქემო-



ნახ. 20-12 დიატომმათა პოპულაციების ზრდა (უჯრედები  $\text{s}^{-1}$ ; მნგრ ხაზები) და მისი სილიციუმის რესურსის გამოლევა ( $\mu\text{M}$ ; ნაცისფერი ხაზი) ქემოსტატურ ექსპერიმენტებში.  
(From Tilman et al. 1981.)



**ნახ. 20-13** *Asterionella*-ს და *Synedra*-ს დიატომების პოპულაციების სილიციუმის კრიტიკული დონეების ურთიერთობა ტემპერატურასთან. შენედრა არის აღმატებული კონკრეტული მხოლოდ იმ ტემპერატურაზე, რომელიც  $20^{\circ}\text{C}$  ტემპერატურას აღემატება.  
(After Tilman et al. 1981.)



**ნახ. 20-14** დიატომ *Cyclotella meneghiniana*-ს ექსპერიმენტალურად განსაზღვრული მოთხოვნები ფოსფორსა და სილიციუმზე ქემოსტატში  $0,25\text{d}^{-1}$  დროის კონსტანტათი. რესურსთა კრიტიკული დონე იყო  $0,2\mu\text{M}$   $\text{PO}_4$  და  $0,6\mu\text{M}$   $\text{SiO}_2$ . (After Tilman 1982.)

სტატში მას შემდეგ, რაც დიატომათა პოპულაციამ მიაღწია წონასწორობას (ნახ. 20-12), ზოგადად  $R^*$ -ის სიდიდე დამოკიდებულია ქემოსტატის დროის კონსტანტაზე, ექსპერიმენტის პირობებსა და დიატომათა სახეობაზე. მაგალითად, როდესაც ტილმანმა და სხვებმა (1981) ჩატარეს მსგავსი ქემოსტატური ექსპერიმენტები *Asterionella*-ს და მეორე სახეობის დიატომის შენედრა ულნა-ს გამოყენებით  $4^{\circ}\text{C}$ -დან  $24^{\circ}\text{C}$ -მდე ტემპერატურაზე, მათ აღმოაჩინეს, რომ *Asterionella*-ს შეეძლო შენარჩუნებინა პოპულაციის დადებითი ზრდა  $21^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალ ტემპერატურაზე რესურსთა უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე შენედრას, მაგრამ არა უფრო მაღალ ტემპერატურებზე (ნახ. 20-13).


## 20.6 ორ რესურსს ერთდროულად შეუძლია, შეზღუდოს მომხარებელთა პოპულაცია

ზოგადად, ორგანიზმები იყენებენ ერთზე მეტ რესურსს. გარემო პირობების მოცემულ წყებაში პოპულაციათა ზრდა არათანაბრად რეგისტრირდებს თითოეული მისი რესურსის დონეზე. მაგალითად, ჩყცლოტელლა მენეგპინიანა-ს დიატომისთვის, რომელიც გაზრდილია სილიციუმისა და ფოსფატის ლიმიტაციის პირობებში ქემოსტატში  $0,25\text{d}^{-1}$  დროის კონსტანტით,  $R^*$ -ის არის  $0,2 \mu\text{M}$ -ის ტოლი ფოსფატისთვის და  $0,6\mu\text{M}$ -ის ტოლი სილიციუმისთვის (ნახ. 20-14). ლიებეგის მინიმუმის კანონის მიხედვით, ამ ორი რესურსიდან, რომელიც არ უნდა იქნას შემცირებული  $R^*$ -ის თავისეულ დონემდე პირველად, შეზღუდავს ჩყცლოტელლა-ს პოპულაციის ზრდას.

რადგანაც სილიციუმისა და ფოსფატის რესურსებს განსხვავებული დიამიკა აქვთ, შეუძლებელია მათი შედარება რესურსთა ერთი დერდის საფუძველზე. ამის ნაცვლად, ჩვენ შეგვიძლია,

დავხატოთ პოპულაციის ზრდის სიჩქარის რეაქცია ამ ორ რესურსზე სამგანზომილებიან გრაფიკზე, სადაც საფუძველი განსაზღვრული იქნება როგორც სილიციუმის დონე ჰორიზონტალურ დერძზე და როგორც ფოსფატის დონე მეორეზე (ნახ. 20-15). შესაბამისად, რესურსის კრიტიკული დონეები ფოსფატისთვის  $\square(R_{\square-1}^{*})$  და სილიციუმისთვის  $\square(R_{\square-2}^{*})$  განსაზღვრავენ წერტილს ორგანზომილებიან რესურსთა სივრცეში, რომელზეც ორივე რესურსი თანაბრად შემზღვდავია.


ტილმანმა (1982) აღიარა, რომ არსებითი ინფორმაცია ნახ. 20-15-ისა არის ორი რესურსით აღნიშნული სივრცე, ანუ გრაფიკის „იატაკი“ (ნახ. 20-16). ორგანზომილებიანი რეგიონი მოიცავს ორი რესურსის ( $R_1$ ,  $R_2$ ) ყველა შესაძლო კომბინაციას. ჩყცლოტელლა მენეგპინიანა-ს შემთხვევაში, ის ნარმოადგენდა სილიციუმისა და ფოსფატის ყველა შესაძლო დონეს, სადაც თითოეული რესურსი წარმოდგენილი იქნება ღერძის საშუალებით. თუ ორგანიზმს ორივე რესურსი სჭირდება, მაშინ ზრდის ტემპი შემცირდება მაშინ, როდესაც ერთ-ერთი რესურსი დაეცემა კრიტიკული დონის  $R^*$ -ის ქვემოთ. ნახ. 20-16-ში თეთრი რეგიონი აღნიშნავს რესურსთა დონეების იმ კომბინაციებს, რომლებზეც ერთ სულ მოსახლეზე ზრდის ტემპი დაძლევს სიკეთების დალას. ხაზებს, რომლებიც აღნიშნავენ ამ რეგიონების საზღვრებს, ენოდებათ ნულვანი ზრდის იზოკლინები, რადგან თუ რესურსის დონე ზუსტად  $R^*$ -ს უდრის, ზრდის ტემპი ნულის ტოლი იქნება. პოპულაცია შენარჩუნდებოდა ერთი რესურსის დონე რომ ყოფილიყო იზოკლინზე მანამ, სანამ მეორე იქნებოდა თეთრ რეგიონში. ცხადია, თუ

ნახ. 20-15 ორი რეაქტორის  $R^{*1}$ -სა და  $R^*$ 

<sup>2\*</sup>-ს საერთო კრიტიკული დონის განსაზღვრა, რომელზეც ორივენი თანაბრად ზღუდავენ პოპულაციას. მგალითად,  $R_1$  და  $R_2$  შეიძლება იყონ ფოსფატისა და სილიციუმის დონეები, ამ ორი მნიშვნელოვანი რეაქტორისა დაზომებისთვის. გრაფიკის რეგიონი აღნიშნული  $R_1$ -თა და  $R_2$ -ით – გრაფიკის „ფუძე“ – მოცავს ორი რეაქტორის ყველა შესაძლო დონეებს.


როგორც  $R_1$ , ისე  $R_2$  იზოკლინზე არიან განლაგებული, პოპულაცია წონასწორობაში იქნება.

ადსანიშნავია, რომ ნებისმიერი რეაქტორის შემცირება კრიტიკულ დონეზე ქვემოთ ნიშნავს, რომ პოპულაცია არ გაიზრდება, რაც არ უნდა მაღალი



ნახ. 20-16 ორგანზომილებიანი გამოსახულება ორი რეაქტორის მიერ განსაზღვრული სივრცისა, რომელთან არივე საჭიროა მომზარებლისთვის. ხახატი ნარმოადეგნს ნახ. 20-15-ის „ფუძეს“. თეთრი არეალი აღნიშნავს 1 და 2 ორეაქტორის კომბინირებულ დონეებს (მათ შორის  $B$  და  $C$  ნერტილებიც), რომლებიც საშუალებას აძლევენ მომზარებლის პოპულაციას გაიზრდოს. პოპულაცია არ გაიზრდება რეაქტორსთა კომბინაციებისას ცერტიკალურ ღია მწვანე არეალში (მაგ. ა ნერტილი), რადგან იქნება 1 რეაქტორის არასაკმარისი რდენობა. პოპულაცია არ გაიზრდება რეაქტორსთა კომბინაციებისას პორიზონტალურ ღია მწვანე არეალში, რადგან არ იქნება 2 რეაქტორის საკმარისი რდენობა. არასაკმარისი რდენობა ორივე რეაქტორისათვე იჩენს მუქ მწვანე არეალში. პოპულაციის ზრდა შესაძლებელია მთელი რიგი საკმარის განსხვავებული რეაქტორსთა პირობებისა, როგორც ვნახავთ  $B$  და  $C$  ნერტილებზე რეაქტორსთა დონეების შედარებით.

იყოს მეორე რეაქტორის დონე (ნახ. 20-16, ნერტილი). თუმცა შესაძლებელია, პოპულაცია გაიზარდოს სხვადასხვა რეაქტორების პირობებში. მაგალითად, შეადარეთ და ჩ ნერტილები ნახ. 20-16-ში. ნერტილში ორგანიზმი განიცდის მეორე რეაქტორის ძალიან მაღალ დონეებს და პირველი რეაქტორის დონეებს ზუსტად კრიტიკული დონის ზემოთ, განსხვავებული რეაქტორსთა მდგომარეობა  $C$  ნერტილში, რომელზეც ორივე რეაქტორის შედარებითი სიჭარე არის სახეზე. ამგვარი შედარებები პრობლემურია რეაქტორებისთვის, რომლებსაც ძალიან განსხვავებული თვისებები აქვთ, როგორიცაა მაგალითად, სინათლის დონე და აზოტის რდენობა ნიადაგში. ამგვარ შემთხვევებში,



ნახ. 20-17 ორი რეაქტორით განსაზღვრული სივრცის ორგანზომილებიანი გამოსახულება, როდესაც მომზარებელს მხოლოდ მეორე რეაქტორის ესაჭიროება. ღია მწვანე არეალში ნარმოადეგნილ რეაქტორის დონეებზე მეორე რეაქტორის საკმარისი დონე იქნება და პოპულაცია არ გაიზრდება. მეორე რეაქტორის საკმარისი დონე განსხვავებული არეალში. პირველი რეაქტორის საკმარისი ნებისმიერ დონეზე.







ორი რესურსის დონეების ზოგი კომბინაცია არარეალურია. მაგალითად, სინათლის ისეთი დონე, რომელიც სახეზეა კონაპეს ზემოთ (მართალია, ისინი თავს იჩნდნენ ზრდის არეალში ჩვენს მიერ წარმოადგენილ მარტივ მოდელში) არ ექნებოდათ ორგანიზმებს, რომლებიც ჩვეულებრივ ვითარებაში ტყის ფსკერზე ცხოვრობენ.

ნახ. 20-16 გვიჩვენებს ორ შემზღვდავ რესურსს. ჩვენ შეგვიძლია, გრაფიკულად გამოვსახოთ სიტუაცია, რომელშიც ერთი რესურსი შემზღვდავია და მეორე — არა (ნახ. 20-17). წარმოვიდგინოთ მაგალითად, რომ პირველი რესურსი ნახ. 20-17-ზე არ არის შემზღვდავი. ამ შემთხვევაში, არ იქნება ნულოვანი ზრდის იზოკლინი ამ რესურსისთვის, რადგან ამ რესურსის ნებისმიერი დონე საკმარისი იქნება. ამ შემთხვევებში, ზრდის ტემპი მოიმატებს მანამ, სანამ მეორე რესურსი თავის კრიტიკულ ზღვარს ზემოთ იქნება პირველი რესურსის დონის მიუხედავად.

ნახ. 20-16-ში და ნახ. 20-17-ში ნაჩვენები მარტივი მოდელები გულისხმობენ, რომ ინდივიდები მოიხმარენ თითოეულ რესურსს დამოუკიდებლად მეორისგან. როდესაც ორი რესურსი დამოუკიდებლად ზემოქმედებს მომხმარებელი პოპულაცი-

ის ზრდაზე, მომხმარებელი შეამცირებს ორივე რესურსს, სანამ ერთ-ერთი მათგანი არ დავა კრიტიკულ დონემდე, რა შემთხვევაშიც პოპულაცია შეწყვეტს ზრდას. ამრიგად, ქემოსტატური ექსპერიმენტის საბოლოო შედეგი შეიძლება მოთავსდეს წერტილზე იმ ხაზის გასწრივ, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებელთა ზრდის რეგიონის საზღვრებს. გარკვეული საბოლოო წერტილი ნებისმიერ შემთხვევაში დამოკიდებული იქნება რესურსთა საწყის კონცენტრაციაზე და რესურსების მიწოდების შედარებით სიჩქარეზე, სანამ ერთი ან მეორე რესურსი შემზღვდავს პოპულაციას ლიებეგის მინიმუმის კანონის თანახმად. რესურსებს, რომლებიც ზღუდავენ პოპულაციას ერთი მეორისგან დამოუკიდებლად, არსებითი რესურსები ეწოდებათ. დიატომებისთვის, სილიციუმი და ფოსფორი არსებითი რესურსებია, მომხმარებელს ორივე ესაჭიროება.

მრავალ შემთხვევაში, ორი ან მეტი რესურსი ურთიერთმოქმედებს, რათა განსაზღვროს მომხმარებელი პოპულაციის ზრდის სიჩქარე. სულ მცირე, რესურსთა ხუთი ტიპის ინტერაქციები არის აღიარებული (ნახ. 20-18). ზოგ შემთხვევაში, შემცირება არსებითი რესურსების რაოდენობაში მოითხოვს ორგანიზმისგან არსებითი რესურსის მეტ მოხმარებას.



**ნახ. 20-18** იმ ზების გრაფიკული გამოსახულება, რომელთა საშუალებითაც რესურსებს შეუძლიათ, იურთიერთქმედონ პოპულაციის ზრდაზე გავლენის მოსახდენად.  
(ა) ორი დამოუკიდებელი რესურსი (არაითარი ინტერაქციები; იგივე, რაც ნახ. 20-16).  
(ბ) ურთიერთმოქმედი არსებითი რესურსები. როდესაც ერთ-ერთი არსებითი რესურსთან უახლოვდება ნულოვანი ზრდის იზოკლინის, მეორე რესურსზე უფრო მეტი მოთხოვნილებაა.  
(გ) ნახევრად არსებითი რესურსები. როდესაც 1 არსებითი რესურსის დონე აღნებს ნულს, საჭირო ხდება მეორე არაარსებითი რესურსის დამატებითი ოდენობა. (დ) ჩანაცვლებადი რესურსები. ორი არსებით რესურსს შეუძლია, ჩანაცვლოს ერთ მეორე ერთ-ერთზე ხასიათთ. ამრიგად,  $a_1$ -დან  $b_1$ -მდე შემცირება 1 რესურსის ოდენობაში ჩანაცვლებულია ეკვივალენტური ზრდით 2 რესურსში (ზრდა  $a_2$ -დან  $b_2$ -ამდე). (ე) დამატებითი რესურსები. ერთი არსებითი რესურსის მცირე ოდენობას შეუძლია, ჩანაცვლოს შედარებით დაიდი ოდენობის მეორე არსებითი რესურსი. (ფ) ანტიაღინისტური რესურსები. მცირე შემცირება ერთ არსებითი რესურსში ( $a_1$ - $b_1$ -მდე) მოითხოვს მნიშვნელოვან ზრდას მეორე არსებითი რესურსის შედარებით ოდენობაში ( $a_2$ ,  $b_2$ -მდე).


ასე მაგალითად, როდესაც  $R_1$  უახლოვდება  $R^{-1*}$ -ს მარჯვნიდან,  $R_2$ -ის მოხმარების დონე უნდა გაიზარდოს. ამას აქვს იზოკლინების გადაკვეთის მომრგვალების ფორმა (ნახ. 20-18ბ). რესურსებს, რომლებიც ამგვარად ურთიერთქმედებენ, ენოდებათ ურთიერთმოქმედი არსებითი რესურსები. ამგვარი ინტერაქცია ასევე შესაძლებელია, როდესაც ერთერთი რესურსი არსებითია და მეორე კი არა (იხ. ნახ. 20-17). ამ შემთხვევაში, როდესაც არაარსებითი რესურსი ( $R_1$ ) მცირდება ნულის მიმართულებით, არსებითი რესურსი ( $R_2$ ) უფრო მეტად საჭირო ხდება, მიმართავს რა  $R_2$  იზოკლინურ მრუდს ზემოთ (ნახ. 20-18ც). ორი რესურსის ამგვარი მახასიათებლებით ენოდებათ ნახევრადარსებითი რესურსები.

ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი რესურსი შეიძლება ჩანაცვლებულ იქნას მეორით. ამგვარ რესურსებს ჩანაცვლებითი რესურსები ენოდებათ. ჩანაცვლებადი რესურსები ალტერნატიული ფორმებია იგივე რესურსებისა, როგორიცაა შაქარი — გლუკოზა და ფრუქტოზა, რომელთაგან ორივე, წარმოადგენს ნახშირნყლის წყაროს ბაქტერიებისთვის. ორგანიზმა შეიძლება ხელი შეუშალოს ორიდან ერთი ჩანაცვლებადი რესურსის შემცირებას პროპორციულად მეორე რესურსის უფრო მეტი მოხმარებით. ამ შემთხვევის დინამიკა აღნიშნულია ნახ. 20-18დ-ში. ყველა ამგვარ შემთხვევაში, ერთი რესურსის დონე შეიძლება შემცირებული იქნას  $\text{L}^*$ -ის ქვემოთ, იმ პირობით, თუ მეორე ჩანაცვლებადი რესურსი სახეზეა.

ჩანაცვლებადი რესურსები ჩანაცვლებენ ერთი მეორეს ერთი ერთზე. როდესაც მცირე ოდენობა ერთი რესურსისა ჩანაცვლებულია მეორე რესურსის შედარებით დიდი ოდენობით, რესურსებს ენოდებათ დამატებითი რესურსები. ნახ. 20-18ე გვიჩვენებს შემთხვევას, რომელშიც მნიშვნელოვანი შემცირება პირველი რესურსის დონეში შეიძლება კომპენსირებული იქნას შედარებით მცირე ზრდით მეორე დამატებით რესურსში. როდესაც ჩანაცვლება მოითხოვს ერთი რესურსის შედარებით დიდ ოდენობას, რათა მოახდინოს კომპენსაცია მეორე რესურსის შედარებით მცირე შემცირებისა, რესურსებს ენოდებათ ანტაგონისტური რესურსები (ნახ. 20-18ფ).


## რესურსთა სინერგიზმი

როდესაც ერთდორული ზრდა ორ რესურსში აძლიერებს მომხმარებელი პოპულაციის ზრდას მეტად, ვიდრე ცალკეული რესურსის მატების შედეგად პოპულაციის ზრდის ჯამია, ამბობენ, რომ რესურსები სინერგისტულია (ამ სიტყვის ფუძე მომდინარეობს ბერძნული სიტყვებიდან სყნ - „ერთად“ და ერგონ „მუშაობა“). ამრიგად, დამატებითი რესურსები სინერგისტულებია მომხმარებელთა ზრდის ხელშეწყობაში. ფისმა და გრაბმა (1982) მოგვაწოდეს სინერგისტული რესურსების ურთიერთქმედების



**ნახ. 20-19** ერთიანი გავლენა სინათლის დონისა და სასუქებისა იმპატიურის-ის ზრდაზე. სინათლის დონეების გაზრდა უფრო აძლიერებს ზრდას განაყოფიერებულ მცენარეებში, ვიდრე გაუნაყოფიერებულ მცენარეებში. (After Peace and Grubb 1982.)

მაგალითი იმპატიურს პარვიფლორა-ს თავიანთ კვლევაში. ეს არის მცირე ზომის ბალახეული მცენარე, რომელიც უხვად მოაპოვება ინგლისის ტყეებში. ჩრდილის ამტანი ტყის ბალახების კვლევამ გვიჩვენა, რომ ინდივიდუალურ მცენარეებს შეუძლიათ, უკეთ გაიზარდონ სინათლის ნაკლებობის პირობებში ტუტე ნიადაგებზე, ვიდრე ძლიერ მჟავე ნიადაგებზე. მაგალითად, ამგვარ მცენარეებს, რომლებიც იზრდება 7,5 pH-ზე, შეუძლიათ, აიტანონ მზის სინათლის 1-2%-იანი განათების დონე მაშინ, როდესაც 4,5 პ-იან ნიადაგებზე იგივე მცენარეებს არ შეუძლიათ გაიზარდონ 5-6%-ზე დაბალი განათების პირობებში.



**ნახ. 20-20** საერთო გავლენა აზოტის (N) და ფოსფორის (P) სასუქებისა ზრდაზე. (C, საკონტროლო ნიმუში სასუქის გარეშე) აზოტი არაა შემზღვეული რესურსი ახალგაზრდა მცენარეებთან თვითონ. აზოტი და ფოსფატი მოქმედებენ სინერგიისტულად, რათა ხელი შეუწყონ უკვე ასაკოვანი მცენარეების ზრდას. (After Peace and Grubb 1982.)

რეაქციებში ამ განსხვავების ერთ-ერთი ახსნა ის არის, რომ სუსტი ტუტე პირობები უფრო სწრაფად ხსნადს ხდის საკვებ ნივთიერებებს. მჟავე ნიადაგებში კი ზოგიერთი მინერალი ძლიერ რეაქტიული ხდება და ფოსფორთან უხსნად ნაერთებს ქმნის.

ფისმა და გრამბმა გამოიკვლეის ურთიერთობები სინათლეს, ფოსფორსა და აზოტს შორის კონტროლირებად ლაბორატორულ პირობებში მცატიენს-ის ზრდაზე დაკვირვებით. მათ გამოიყენეს ზომიერი სასუქის და თითქმის ნეიტრალური pH-იანი (6,6) ტყის ნიადაგი. მათ ნიტრატისა და ფოსფატის სასუქი დაუმატეს ზოგიერთ მცენარეს და მოათავსეს ეს მცენარეები სინათლის განსხვავებული ინტენსივობის ქვეშ. ერთ ექსპერიმენტში სასუქით გამდიდრებული და გაუმდიდრებელი მცენარეები მოათავსეს სინათლის სხვადასხვა დონეებზე თესლიდან ფესვის გამოსვლის დროიდან ექსპერიმენტის დასასრულამდე 37 დღის განმავლობაში. დამატებითმა სინათლემ გააძლიერა გამდიდრებული მცენარეების ზრდა საკონტროლო ნიმუშებზე მეტად (ნახ. 20-19). რითაც ახდენდნენ იმის დემონსტრირებას, რომ მცატიებს-ის უნარი გამოეყენებინა სინათლე დამკიდებულია სხვა რესურსების არსებობაზე. მცენარის ზრდა მოითხოვს როგორც ფოტოსინთეზის მიერ აღდგენილ ნახშირბადს, როგორც ენერგიის წყაროს და სტრუქტურულ მასალას ნახშირწყლებისთვის, ისე აზოტსა და ფოსფორს ცილებისა და ამინომჟავების სინთეზისთვის.

ფისმა და გრაბმა ასევე განიხილეს აზოტისა და ფოსფორის ინტერაქციები წინა ექსპერიმენტში გამოყენებულ სინათლის კველაზე მაღალ ინტენსივობაზე. მცენარეები იზრდებოდა ქოთნებში, რომლებიც სათითაოდ ათ-ათ მცენარეს შეიცავდნენ. მცენარეები გროვდებოდა, მრებოდა და იწონებოდა 7 დღის შემდეგ და 35 დღის შემდეგ. ფოსფორის არარსებობისას, აზოტის დამატებას მცირე ეფექტი ჰქონდა ზრდაზე პირველი კვირის განმავლობაში (ნახ. 20-20). მხოლოდ ფოსფორის დამატება აძლიერებდა ზრდას ისევე, როგორც ფოსფორისა და აზოტის კომბინაციისას ხდებოდა. ამრიგად, მისი კონცენტრაციისას ბუნებრივ ნიადაგში, აზოტი არ იყო შემზღვდავი რესურსი ახალგაზრდა მცენარეებისთვის. თუმცა, ზრდის მომდევნო თვეებისას აზოტი და ფოსფორი სინერგულები გახდნენ მცენარის ზრდის ხელშეწყობაში. ორიდან ნებისმიერი ნივთიერების დამატებას მეორის გარეშე არ ჰქონდა აღსაქმელი ეფექტი მაშინ, როდესაც ორივე ერთად ზრდიდა მშრალ წონას დაახლოებით 50%-ით.

ფისი და გრაბი ფქრობდნენ, რომ ფოსფორს შეეძლო, შეეზღუდა ზრდა ადრეულ პერიოდში, რადგან ის შედარებით უძრავია ნიადაგში და ამიტომაც მცენარეებმა უნდა მოიპოვონ თავიანთი მარაგი უშუალოდ ფესვების გარშემო არსებული სივრციდან. არის რა უფრო მოძრავი, აზოტს შეუძლია, შეაღწიოს ფესვებში უფრო შორი მანძილიდანაც. შედეგად,


ნერგები ფოსფორის ადგილობრივ მარაგებს უფრო სწრაფად გამოლევენ ხოლმე და ამიტომ, ფოსფორი მანამ იწყებს მცენარის ზრდის შეზღუდვას, სანამ აზოტი დააპირებდეს. საბოლოოდ, ნიადაგში უფრო ადვილად ხელმისაწვდომი აზოტის უმეტესობა შეინოვება მცენარის მიერ და ისიც ხდება ზედმეტად შემზღუდვა.

ეს რომ სწორი ახსნა ყოფილიყო, დაასკვნეს ფის-  
მა და გრაბმა, მაშინ მჭიდრო ნარგავები გამოცლიდ-  
ნენ ნიადაგს აზოტისგან უფრო სწრაფად, ვიდრე მა-  
შინ, ერთ ქოთანში ერთი მცენარე რომ ყოფილიყო და  
აზოტის შეზრულდვა შეიგრძნობოდა ადრეული ზრდის  
პერიოდში. მართლაც, როდესაც მჰპატიებს იქნა და-  
თესილი ათმცენარიან ქოთანში, ერთიანის ნაცვ-  
ლად, ნინა ექსპერიმენტისგან განსხვავებით, აზოტი  
და არა ფოსფორი აღმოჩნდა შემზღვუდავი რესურსი  
პირველი კვირის განმავლობაში.


## **20.7 የጠቅላላው አገልግሎት-ኩረሻ ስራ ተስተካክለ መሆኑን ማረጋገጫ**

მართალია, ვიდაცას შეიძლება წარმოდგენილი ჰქონდეს სისტემები, რომლებშიც ერთი მომხმარებელი და ერთი რესურსი დომინირებს, სახეობათა უმრავლესობა ორივე როლს თამაშობს. მეტიც, სახეობებს, როგორც წესი, ერთზე მეტი რესურსი ესაჭიროებათ და მათ შეიძლება გაიყონ თავიანთი რესურსები სხვა მომხმარებლებთან. ამ ინეტრაქციათა შედეგები პოპულაციათა დინამიკისთვის განხილული იქნება მომდევნო თავებში, მაგრამ ჩვენ გაგაცნობთ მათ აქ მომხმარებელი-რესურსის ინტერაქციათა ზოგადი კლასის ფორმით, რომლებიც ორზე მეტ სახეობას მოიცავენ.

ნარმოიდგინეთ საკვები ჯაჭვი, რომელშიც მეორე სახეობა (ბალაზისმჭამელი) იკვებება პირველით (მცენარე) და მესამე (ხორცის მჭამელი) იკვებება მეორით. ამ უმარტივეს საკვებ ჯაჭვში პირველ სახეობას არ აქვს არავითარი ბიოლოგიური რესურსი, ხოლო მესამე მხოლოდ მომზარებელია. რესურსებისა და მომზარებლის პოპულაციების რეგულირების ამ მოწყობის შედეგები ათწლეულების განმავლობაში აინტრიგებდნენ ეკოლოგებს. 1960 წელს პროვოკაციული და საკამათო ნამუშევარში, რომელიც გამოქვეყნდა მერიცან „ატურალის“ ტ-ში სათაურით „ჩიმმუნიტყსტრუცტურე, პოპულატიონ ცონტროლ, ანდ ცომპეტიტიონ“ ეკოლოგმა ნ. ჯ. ჰეირსტონმა, ფ. ე. სმიტმა და ლ. ბ. სლობოლდინმა (მაშინ ისინი მიჩინებული იყვნენ უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ) დაასკვნეს, რომ მცენარეები, ბალაზისმჭამელები და მტაცებლები რეგულირდებიან სხვადასხვა ფაქტორებით. მათ შენიშვნეს, რომ ბალაზის მჭამელების მიერ მწვანე მცენარეების გამოლევის შემთხვევები გამონაკლისს წარმოადგენენ ჩვეულებრივი სცენარი-



**ნახ. 20-21** კვებითი ჯაჭვის მესამე (ხორცის მტამელი) დონით და მის გარეშე ცენტრში ხორცის მტამელის ამცირებენ ბალაზ-ის მტამელთა პოპულაციას (რაც გამოხატულია ბალაზის მტამელის აღმნიშვნელი წრის ზომის შემცირებით), რაც საშუალებას აძლევს მცენარეულ რესურსთა პოპულაციას, გაიზარდოს, მარჯვნივ ეს ასე არ არის.



**ნახ. 20-22** კვებითი ჯაჭვის დიაგრამა, სადაც ნაჩვენებია ორი მომხმარებელი, რომელიც იკვებება ერთი რესურსით და ამცირებს მის დონეს. რომელიც მომხმარებელიც არ უნდა გაიზარდოს, რესურსის დაბალი დონე შენარჩუნდება.

დან, სადაც მცენარეები ჭარბად რჩებიან და დიდად ურთიერთობიერებენ. მეტიც, მცენარეთა მასობრივი განადგურების შემთხვევები მეტეოროლოგიური კატასტროფების შედეგად გამონაკლისს ნარმოადგენენ უმეტეს არეალებში. ერთად ალებული, ეს ორი დაკვირვება ნიშნავს, რომ მომხმარებლები არც ბალაზის მტამელებით არიან შეზღუდულები და არც კატასტროფებით და ამიტომ, შეიძლება შეზღუდული იქნან საკუთარი რესურსების გამოლევის შედეგად. მრავალ შემთხვევაში შემზღდავი რესურსი არის ხოლმე სინათლე, მშრალ რეგიონებში წყალი შეიძლება იყოს კრიტიკული ფაქტორი და არსებობენ შეზღუდვის აღსანიშნავი მიზეზები კრიტიკული მინერალების გამოლევის სახით. ამრიგად, მცენარეთა პოპულაციებს ზღუდავენ რესურსები და მათზე მცირე გავლენას ახდენენ მომხმარებლები.

ავტორებმა შემდეგ აღნიშნეს, რომ არსებობს დროებითი გამონაკლისი ამ ზოგადი წესიდან, რომლის თანახმადაც, მნვანე მცენარეები შეიძლება გამოილონ ბალაზის მტამელების მიერ. ამგვარი გამონაკლისები თავს იჩენენ, როდესაც ბალაზის მტამელების იცავენ ან ადამიანები ან სხვა ბუნებრივი მოვლენები და ბალაზის მტამელებს შეუძლიათ, გამოლიონ მცენარეულობა, როდესაც ისინი ხდებიან საკმარისად მრავალრიცხვოვანი. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვეულებრივ პირობებში ბალაზის მტამელთა პოპულაციებს არ ზღუდავს მათი საკვები მარაგი.

ჰეირსტონი, სმიტი და სლობოდკინი აქვე დასძენდნენ, რომ ბალაზის მტამელთა პოპულაციები იზღუდებიან თავიანთი მომხმარებლების, მტაცებლების მიერ. მეტიც, რადგანაც მტაცებლებს თავად არ ჰყავთ მომხმარებლები, ისინი უნდა იქნან შეზღუდული თავისი რესურსების, ბალაზის მტამელების მიერ.

სამსაფეხურიანი კვებითი ჯაჭვი, დანახული ჰეირსტონისა და მისი კოლეგების მიერ დაპირისპირებულია მარტივ ორ სახეობიან მომხმარებელი-რესურსის სისტემასთან ნახ. 20-21-ში. მტაცებლის მატება ამცირებს ბალაზის მტამელთა პოპულაციას, რაც თავის მხრივ, შეიძლება გამოიხატოს მცენარეთა სიჭარბის ზრდაში. ამ არგუმენტების მართებულება შეიძლება ცხარე დებატების საგანი გახდეს (იხ. მაგალითად Ehrlich and Birch 1967, Murdoch 1966, Pimentel 1988) და განხილული იქნება მომდევნო თავებში თეორიისა და სამხილების ფონზე. ახლა კი უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბალაზის მტამელები კომპლექსური ბუნებრივი სისტემებია და მათ კიდევ შეუძლიათ ჩვენი გაკვირვება.

ჰეირსტონს, სმიტსა და სლობოდკინს კიდევ ჰეირნდათ რაღაც სათქმელი ერთი რესურსის გამოყენებელი სახეობების ინტერაქციათა შესახებ (ნახ. 20-22). როდესაც ორი სახეობა ერთ შემზღდავ რესურსს იყენებს, ის სახეობა, რომელსაც შეუძლია, შენარჩუნდეს რესურსთა დაბალი ხელმისაწვდომობის პირობებში, გამოდევნის მეორეს. როდესაც მტაცებლები ჩასმულია ამგვარ სისტემებში, ჰეირსტონი და სხვები გულისხმობდნენ, რომ ბალაზის მტამელები არიან ხორცის მტამელ-შეზღუდულები. ისინი ნაკლები ინტენსივობით კონკურირებენ ერთმანეთთან საერთო რესურსებისთვის და ამიტომ, უფრო მიღრეკილი არიან თანაარსებობისადმი. არსებობს ამ მოსაზრებების კონტრარგუმენტებიც. მაგრამ სახეობათა მრავალფეროვნებასა და მომხმარებელი-რესურსის დინამიკას შორის ურთიერთობის საკითხი აგრძელებს ეკოლოგიაში ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულებას. როგორც ვნახავთ, ეს თემა მუდმივად გვახსენებს კითხვებს, რომელიც დასვა გ.ე.ჰარის 1957 წელს: „რატომ არსებობენ ამდენი სახის ცხოველები?“

## დასკვნა

**1.** პოპულაციათა ინტერაქციები ზოგადად შეიძლება კლასიფირებულ იქნან იმის მიხედვით, დადებით თუ უარყოფით გავლენას ახდენს მონაწილე მხარეებზე ურთიერთქმედება. ისეთ მომხმარებელი-რესურსის ინტერაქციებში, როგორიცაა მტაცებლობა, ერთი მონაწილე მოგებას ნახულობს (მომხმარებელი), მეორე კი — ზიანს განიცდის (რესურსი). კონკურენტულ ინტერაქციებში, ორივე მონაწილე განიცდის უარყოფით ეფექტს. დეტრიტის მჭამელი-დეტრიტის ინტერაქციებში დეტრიტის მჭამელი განიცდის დადებით ეფექტს მაშინ, როდესაც დეტრიტის საერთოდ არანაირი ეფექტი არ აქვს. ყველა მონაწილე მუტუალიზმი განიცდის დადებით ეფექტს.

**2.** პოპულაციათა ინტერაქციები ყველაზე ხშირად მოიცავენ ერთი სახეობის ინდივიდების გამოყენებას მეორე სახეობების ინიდვიდების მიერ. ამგვარი ინტერაქციები გავლენას ახდენენ ორივე სახეობის დინამიკაზე.

**3.** რესურსად შეიძლება განსაზღვრული იქნას ნებისმიერი ფაქტორი, რომელის ზრდაც ხელს უწყობს პოპულაციის ზრდას და რომელიც მოიხმარება. ამრიგად, სინათლე, საკვები, წყალი, მინერალური საკვები ნივთიერებები და სივრცე რესურსებია. ტემპერატურა, მარილიანობა და სხვა პირობები კი არა.

**4.** ზოგიერთი რესურსი აღუდგენელია (სივრცე), სხვები კი აღდგენადები (სინათლე, საკვები). განასხვავებენ სამი სახის აღდგენად რესურსს, იმის მიხედვით, თუ როგორი გავლენა აქვს მომხმარებელს მათ მომარაგებაზე, არავითარი გავლენა არ აქვს, პირდაპირი გავლენა აქვს, თუ არაპირდაპირი გავლენა, სხვა მომხმარებელების საშუალებით. ყველა მოხმარებული რესურსიდან, მხოლოდ ერთი ან ძალიან მცირენი შეზღუდვავნ მომხმარებელთა პოპულაციის ზრდას. მათ შემზღვდავი რესურსები ეწოდებათ და როგორც წესი, ისეთები არიან, რომელთა შედარებითი მიწოდება მოთხოვნილებასთან შედარებით ყველაზე მცირეა. ეს პრინციპი ცნობილია ლიებიგის მინიმუმის კანონის სახელით.

**5.** მომხმარებელთა უდიდესი ტიპები მოიცავენ მტაცებლებს, პარაზიტებს, პარაზიტოიდებს, ბალაზის მჭამელებს და დეტრიტის მჭამელებს. როდესაც მტაცებლობას აქვს ადგილი, რესურსთა პოპულაციის ინდივიდებს (მსხვერპლი) კლავენ და აშორებენ რესურსთა პოპულაციას. ბალაზისმჭამელებმა და პარაზიტებმა შეიძლება მოიხმარონ ცოცხალი მტაცებლის ნილი, მაგრამ როგორც წესი, არ აშორებენ მას რესურსთა პოპულაციას.

**6.** ექსპერიმენტული კვლევები წყლის რწყილებისა, რომლებიც იკვებებიან წყალმცენარეთა უჯრედებით, გვიჩვენებენ, რომ მომხმარებელი-რესურსის სისტემები კომპლექსურია. წყალმცენარეთა (რესურსი) სიმჭიდროვეების ზრდამ გამოიწვია წყლის რწყილების უფრო ხანგრძლივი საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა, მაგრამ თითო მდედრზე ბუდობის, გამოჩეკილი კვერცხის მცირე რაოდენობა.

**7.** ლოგისტიკური განტოლება  $dN/dt = rN(1 - N/K)$  შეიძლება მოდიფიცირებულ იქნას, იმისთვის, რომ შექმნას მომხმარებელი-რესურსის მარტივი სისტემა, რომელშიც რესურსთა ზრდის ტებები  $dR/dt$  მუდმივია და მომხმარებელთა ზრდის ტემპი დროის და მოვარი დამოკიდებულია რესურსთა მიწოდების ტემპსა და მომხმარებელი პოპულაციის ზომაზე. ამგვარი მოდელი გვიჩვენებს, რომ რესურსთა მიწოდების გაზრდილი სიჩქარე ზრდის მომხმარებელი პოპულაციის გადატანით შესაძლებლობას.

**8.** ასევე მოდიფიცირებული შეიძლება იქნას ლოგისტიკური განტოლება, რათა მოახდინოს ისეთი მომხმარებელი-რესურსის სისტემის მოდელირება, რომელშიც როგორც მომხმარებელის, ისე რესურსის პოპულაციების ზრდის ტემპები დაკავშირებულია ორივე პოპულაციის სიმჭიდროვესთან. ამგვარი მოდელები გვიჩვენებენ, რომ ორივე პოპულაცია კომპლექსურად არის დამოკიდებული რესურსთა მიწოდების ტემპებსა და იმ ეფექტურობაზე, რომლითაც მომხმარებელთა პოპულაციები მოიხმარენ რესურსებს.

**9.** ურთიერთობა მომხმარებელი პოპულაციის (C) ზრდის ტემპსა და მისი რესურსის (R) დონეს შორის შეიძლება აღწერილ იქნას მონოდის განტოლებით  $1dC/Cdt = qR/(k + R)$ , სადაც  $q$  არის მომხმარებელის თანდაყოლილი, ექსპონენციალური ზრდის სიჩქარე და  $k$  არის რესურსთა დონე, რომელზეც მომხმარებელის ზრდის ტემპი არის  $q$ -ს ნახევარი. მისთვის ბიოლოგიური რეალობის მისამატებლად მონოდის განტოლებაში შეიძლება ჩართული იქნას სიკვდილიანობის მუდმივი ფაქტორი  $m$ . მონოდის მრუდის ურთიერთქმედება სიკვდილიანობის დონესთან თავს იჩენს რესურსთა დონეზე, რომელსაც რესურსთა კრიტიკული დონე  $R^*$  ეწოდება. რესურსთა კრიტიკული დონე არის რესურსთა ოდენობა, რომელზეც სიკვდილიანობა აბალანსებს მომხმარებელი პოპულაციის ზრდას.

**10.** ერთი მომხმარებლის მიერ რამდენიმე რესურსის გამოყენების გრაფიკული ანალიზი შეიძლება

გამოყენებულ იქნას რესურსების კატეგორიზებისთვის მომხმარებელთა ზრდის ხელშესაწყობად. სულ მცირე ხუთი ტიპის რესურთა ინტერაქციები არის აღიარებული: ურთიერთქმედი არსებითი რესურსები, ნახევრად არსებითი რესურსები, ჩანაცვლებადი

რესურსები, დამატებითი რესურსები და ანტაგონისტური რესურსები. ლაბორატორულმა და საველე ექსპერიმენტებმა თავიანთი ეფექტებით მომხმარებლებზე გამოავლინეს ფართოდ გავრცელებული სინერგიზმი რესურსებს შორის.

## საპარჯიშოები

**1.** სახეობათა უმეტესობა თამაშობს როგორც მომხმარებლის, ისე რესურსის როლს. პოპულაციის რეგულაცია დამოკიდებულია კომპლექსურად ამ სხვადასხვა როლების შედარებით მნიშვნელობაზე.

**2.** მცენარეების, ცხოველებისა და მიკროორგანიზმების ზოგადი სახელების გამოყენებით მოიყვანეთ ცხრილ 20-1-ში აღნერილი ოთხი ტიპის სახეობათა ინტერაქციების მაგალითებით ქვენს არეალში მობინადრე ორგანიზმებისთვის. თავის ექსპერიმენტში წყლის რწყილებზე (*Daphnia*) პორტერმა და მისმა კოლეგებმა გამოთვალეს მათი კვებითი საქმიანობა ჯერ იმის განსაზღვრით, თუ წყლის რა მოცულობას წარმოადგენდა თითო წყალმცენარეული უჯრედი (მსხვერპლი) და შემდეგ *Daphnia*-ში რადიოაქტიური იზოტოპებით მონიშნული ამ უჯრედების დათვლით. ეს შესაძლებელი იყო *Daphnia*-ების კვების თავისებურების, წყლის გამფილტრაციი თვისების გამო, როდესაც მთლიანი წყალმცენარეული უჯრედების გამორჩევა ხდება წყლისგან. რა სახის ექსპერიმენტების და დაკვირვებების ჩატარება მოგიწევთ

თქვენ ისეთი მტაცებლის კვებითი აქტივობის განსასაზღვრად, როგორიცაა ობობა, რომელიც კლავს ხშირად თავისზე ბევრად დიდ მსხვერპლს, ასხურებს მომნელებენ ფერმენტებს მსხვერპლში და შეინოვს ნახევრად მონელებული მსხვერპლის შიგთავსა?

**3.** მომხმარებელთა პოპულაციაში რესურსები გარდაიქმნება რეპროდუქციად  $b = 0,7$  ეფექტურობით და თითოეულმა ინდივიდმა უნდა მოიხმაროს რესურსი  $a = 0,5$  გ/სთ იმისთვის, რომ შეინახოს საკუთარი თავი. რესურსები მიეწოდებიან პოპულაციებს მუდმივი  $k_R = 5$  კგ/სთ სიჩქარით. რა ზომის უნდა იყოს მომხმარებელთა C პოპულაცია, რომ მისი ზრდის ტემპი უარყოფითი გახდეს ამ პირობებში?

**4.** ჩვენ ვამბობთ, რომ განტოლება (20-2) და (20-3) წარმოადგენს ორს იმ მრავალრიცხოვანი გზებიდან, რომლებიც ანუცილებენ რესურსი და მომხმარებელი პოპულაციების ზრდის ტემპებს სიმჭიდროვეზე დამოკიდებულად. შეგიძლიათ მოიფიქროთ სხვა გზები, რომლებიც ასევე ბიოლოგიურად მისაღები იქნება?

## თავი 21



### პონკურენციის თაროია

#### გზამკვლევი კითხვები

- რა ტიპის კონკურენცია არსებობს?
- რა შენატანი გააკეთა ტენსლის, გაუსის და პარკის ექსპერიმენტალურმა სამუშაომ კონკურენციის თეორიის განვითარებაში?
- რა არის კონკურენტული გამოკლების პრინციპი?
- როგორ შეიძლება იქნას მოდიფიცირებული პოპულაციის რეგულირების ლოგისტიკური მოდელი ისე, რომ მან სახეობათაშორისი კონკურენცია ასახოს?
- როგორ შეიძლება გამოვიყენოთ გრაფიკები იმ პირობების წინასწარ განსაჭვრეტად, რომლებშიც თანაარსებობენ კონკურირებადი სახეობები და რომლებში არა?
- რა პირობებში შეუძლია ორ სახეობას იარსებოს ერთი შემზღვდავი რესურსის გამო კონკურენციაში ერთმანეთთან?
- როგორ შეიძლება მტაცებელმა გავლენა მოახდინოს მსხვერპლ სახეობებს შორის კონკურენციის საბოლოო შედეგზე?

**3** თკა კონკურენცია არის ერთი ინდივიდის მიერ რესურსის ნებისმიერი გამოყენება ან მისი დაცვა, რაც ამცირებს ამ რესურსის ხელმისაწვდომობას სხვა ინდივიდებისთვის. კონკურენცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზაა, რომლის საშუალებითაც ინდივიდების საქმიანობა გავლენას ახდენს სხვების კეთილდღეობაზე. რესურსებისთვის კონკურენციას, რომელიც თავს იჩენს ერთი სახეობის წევრებს შორის, ეწოდება შიდასახეობრივი ბრძოლა. შიდასახეობრივი ბრძოლა ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული ორ ფენომენთან, რომელიც ჩვენ ადრე განვიხილეთ: ესაა პოპულაციის რეგულაცია და ევოლუციური ცვლილება. პოპულაციის შიგნით კონკურენცია ამცირებს რესურსთა ხელმისაწავდომობას სიმჭიდროვეზე დამოკიდებული წესით, რითაც გავლენას ახდენს ნაყოფიერებასა და გადარჩენაზე. რაც უფრო მრავალრიცხვოვანია პოპულაცია, მით მაღალია კონკურენცია ამ პოპულაციაში არსებულ ინდივიდებს შორის. ამრიგად, შიდასახეობრივი ბრძოლა საფუძლად უდევს პოპულაციის ზომის რეგულირებას. როგორც ვნახეთ, ევოლუცია მოიცავს ცვლილებებს პოპულაციაში გენოტიპების ნარდგენაში. ამგვარი ცვლილებები შეიძლება გამოწეული იყოს პოპულაციაში ინდივიდებს შორის კონკურენციის შედეგად, რაც იძენს სხვადასხვა ფორმებსა ან შესაძლებლობებს.

როდესაც სხვადასხვა სახეობის ინიდივიდები კონკურირებენ ერთმანეთთან რესურსებისთვის, ამ ინტერაქციას სახეობათაშორისი ბრძოლა ეწოდება. ორი განსხვავებული მტაცებელი სახეობა მაგალითად შეიძლება კონკურირებდეს ერთმანეთთან ერთი სახეობის მოპოვებისთვის. კონკურენცია სხვადასხვა სახეობის ინდივიდებს შორის ინვევს ერთობლივად დეპრესიულ ეფექტს ორივე პოპულაციაზე. ყოველ სახეობას შეაქვს საკუთარი წვლილი მეორე პოპულაციის რეგულაციაში, ისევე როგორც თავისაში. ინტენსიური სახეობათაშორისი ბრძოლის პირობებში პოპულაცია შეიძლება იქნას ჩამოცილებული კონკურენციის მიერ. ამ პოტენციალის გამო, კონკურენცია არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს, რომელი სახეობები თანაარსებობენ ერთ საბინადრო გარემოში და ამრიგად, განსაზღვრავს ეკოლოგიური თანასაზოგადოების სტრუქტურას.

ორ პოპულაციას შორის კონკურენციის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმ შედარებით ეფექტურობაზე, რომლითაც ინდივიდები პოპულაციაში ახდენენ თავიანთი საზიარო რესურსების ექსპლუატაციას. როდესაც მოთხოვნასთან შედარებით რესურსები იშვიათია, ინდივიდის მიერ ყოველი მოხმარება რესურსებს სხვებისთვის უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის, ისევე როგორც თავისთვის. მოხმარების გაგრძელება და მოხმარების გამოსახულება კონკურენციის შედეგად, რაც იძენს სხვადასხვა ფორმებსა ან შესაძლებლობებს.

ბასთან ერთად, რესურსები მცირდება იმ დონემდე, რომლებიც უკვე ვეღარ უწყობენ ხელს მომხმარებელი პოპულაციის ზრდას და პოპულაციამ შეიძლება მიაღწიოს თეორიული წინასწორობის ზომას. როდესაც პოპულაციას შეუძლია, განაგრძოს ზრდა რესურსთა ისეთ დონეზე, რომელიც ამცირებს მეორე პოპულაციის ზრდას, საბოლოო ჯამში ჩაანაცვლებს მეორეს. ამრიგად, კონკურენცია და მისი სხვადასხვა შედეგები დამოკიდებულია მომხმარებლების ურთიერთობაზე თავის რესურსებთან.

აღიარებენ კონკურენციის რამდენიმე ზოგად მექანიზმს. ჩარევის კონკურენცია თავს იჩენს, როდესაც ერთი ინდივიდი აქტიურად ერევა მეორე ინდივიდის რესურსებთან ურთიერთობაში. ამგვარმა ჩარევამ შეიძლება მიიღოს აგრესიული ქცევის სახე, მაგალითად, როდესაც ორი მამალი ფრინველი ეჯიბრება ერთმანეთს დაბუდებს ტერიტორიისთვის. 32-ე თავში ჩვენ გიჩვენებთ, თუ როგორ ზემოქმედებს ჩარევის კონკურენცია ინდივიდების შესაბამისობაზე პარტნიორისთვის ბრძოლაში.

ჩარევის კონკურენცია შეიძლება იყოს შიდასახეობრივი ან სახეობათამორისი. მრავალ შემთხვევაში ამგვარი კონკურენციული ინტერაქციები უფრო რბილია. სხვადასხვა სახეობა შეიძლება იყენებდეს იგივე რესურსებს, მაგრამ მათ მიერ მისი გამოყენება შეიძლება განხორციელდეს დღის სხვადასხვა დროს ან სხვადასხვა სეზონზე. ამრიგად, იმ დროს, როდესაც ერთი სახეობის ინდივიდების მიერ რესურსების მოხმარება ამცირებს მეორისთვის ამ რესურსის ხელმისაწვდომობას, შეიძლება ერთი სახეობის ინდივიდებს შორის არ არსებობდეს პირდაპირი ინტერაქცია. ამ სახის კონკურენციის ენოდება ექსპლუატაციური კონკურენცია. ერთი სახეობის ინდივიდებს მოსალოდნელია, რომ ექნებათ რესურსთა მოხმარების ერთნაირი ზოგადი წესი და ამრიგად, ექსპლუატაციური შეჯიბრი, როგორც წესი, სახეობათამორისი ინტერაქციაა.

პოპულაციათა ინტერაქციების მათებატიკური მოდელების განვითარებაზე საუბრისას, ჩვენ ხაზს გავუსვამთ ისეთ პოპულაციათა წყვილების ინტერაქციებს, როგორიცაა მტაცებლისა და მსხვერპლის, ბალაზისმჭამელისა და საკვები მცენარეების, პარაზიტებისა და მათი მასპინძლის ორი კონკურირებადი სახეობა. ეს მიდგომა სასარგებლო გზაა თეორიის შემოსალებად, რადგან ის გვაძლევს სპეციფიკური პიპოთების განვითარების საშუალებას იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ერთი პოპულაციის საქმიანობა მეორეზე. ცხადია, ეს მიდგომა რეალობის გამარტივებაა. ბუნებაში პოპულაციები უეჭველად ურთიერთქმედებენ ერთზე მეტ სხვა პოპულაციასთან. ამგვარი გამარტივება განსაკუთრებით პრობლემატურია კონკურენციის თეორიაში, რადგან შემთხვევათა უმეტესობაში, სახეობები კონკურირებენ სახეობის შიგნით და სახეობებს შორის მთელ რიგ სხვა სახეობებს არა მხოლოდ ერთი რესურსის გამო,

არამედ მრავალი რესურსისთვის. მცენარე შეიძლება კონკურირებდეს კონსპეციფიკურს (ერთი სახეობის ინდივიდები) და ჰეტეროსპეციფიკურებს (განსხვავებული სახეობის ინდივიდები) წყლისთვის, საკვები ნივთიერებებისა და მზის სინათლისთვის. კონკურირებადი ინტერაქციების ძალა მცენარის სახეობაში და სახეობებს შორის შეიძლება განსხვავდებოდეს თითოეულ ამ რესურსთან მიმართებაში. ამრიგად, მრავალი სახეობა განიცდის დიფუზურ კონკურენციას, სადაც კონკურენციული ინტერაქციები თავს იჩენენ ერთდროულად მთელი რიგი რესურსებისთვის.

კონკურენცია, პოპულაციათა სხვა ინტერაქციების მსგავსად, თავს არ იჩენს გარემო პირობებში ფლუქულურიციების გარეშე და სხვა ისეთი ბიოლოგიური ინტერაქციების ზენოლის გარეშე, როგორიცაა მტაცებლობა. ჩვენ განვიხილავთ, თუ როგორ ზემოქმედებენ ეს ფაქტორები კონკურენციული ინტერაქციების საბოლოო შედეგზე.

## 21.1 ეკოლოგიაში კონკურენციის, როგორც ცენტრალური თეორიის ნართვობა ძალიან ხელი და ფრთხილი პროცესი იყო

მტაცებლობას აშკარა გავლენა აქვს მსხვერპლ ინდივიდსა და მსხვერპლ პოპულაციაზე. როდესაც მტაცებლები სისტემას ან ემატებიან ან ჩამოშორდებიან ექსპერიმენტულად, მსხვერპლის პოპულაციები, როგორც წესი, ისე დრამატულად რეაგირებენ, რომ მცირე ეჭვი რჩება მათ შორის დინამიკური კავშირის არსებობის თაობაზე (იხ. თავი 23). მაგრამ კონკურენცია უფრო ფაქტზია. როდესაც ორი კონკურირებადი პოპულაციიდან ერთ-ერთის ნარმოამაღვენელი ინდივიდი ჭამს მსხვერპლის ტიპს ან აქრობს მას საფურაუ არეალიდან, ეს ქცევა არ იწვევს პირდაპირ იმ სახეობის ინდივიდის სიკვდილს, რომელთანაც ის კონკურირებს მსხვერპლისთვის. რადგანაც ამგვარ კონკურენციას აქვს ნაკლებად აშკარა ეფექტი, ვიდრე მტაცებლობას, კონკურენციის შესახებ აზროვნების ჩამოყალიბება და მისი ინტერაცია ეკოლოგიური სისტემების ჩვენეულ აღქმაში ნელი და ფრთხილი პროცესია.

თუმცა ყველაფრის მიუხედავად, კონკურენციის კონცეფცია ეკოლოგიის ნაწილია თითქმის დასაწყისი დანვე. ჩარლზ დარვინს, რომელმაც ბევრი რამ აიღო ეკონომიკიდან ანალოგიისა და ანალიზისთვის, სრულად ესმოდა ეს ფარული აზრი. ევოლუცია, როგორც უკვე ვახსენეთ, კონკურენციის გამოსახულებაა პოპულაციაში, რომელშიც ინდივიდებს სხვადასხვა გენოტიპი აქვთ (შიდასახეობრივი კონკურენცია). მაგრამ დარვინი ასევე აცნობირებდა სახეობათაშორისი კონკურენციის მნიშვნელობასაც პოპულაციებისთვის. მაგალითად, პოპულაციის ბუნებრივი კონტროლის განხილვისას On the Origin of Species-ში, ის ახსენებს „მცენარეთა მრავალ სახეობას, რომლებსაც

ჩვენს ბალში მშვენივრად შეუძლიათ კლიმატის ატანა, მაგრამ რომლებიც ვერასდროს გახდებიან ნატურალიზებული, რადგან მათ არ შეუძლიათ, კონკურენცია გაუწიონ ჩვენ ადგილობრივ მცენარეებს. . . ." ასეც რომ იყოს, იმ დროს, როდესაც შიდასახეობრივი ბრძოლა იმპლიციტური იყო ბუნებრივ გადარჩევაში, სახეობათაშორისი კონკურენცია ნაკლებ შთაბქედილებას ტოვებდა დარვიზე, რადგან ის უფრო დაინტერესებული იყო კლიმატის, მტაცებლებისა და საკვები მარაგების პირდაპირი ეფექტებით პოპულაციებზე. ჩარლზ ელტონის წიგნი „ნიმალ ცოლოგი“, პირველი, თანამედროვე, ზოგადი მოხსენება ეკოლოგიის შესახებ, გამოქვეყნებული 1972 წელს, ასევე წინ, მოწინავე პოზიციებზე სწორ ამ ფაქტორებს, განსაკუთრებით კვებით (ტროფიკულ) ურთიერთობებს ცხოველებს შორის, სახეობათაშორის ბრძოლასთან შედარებით. ელტონმა განიხილა სახეობათაშორისი ბრძოლა მხოლოდ ეკოლოგიურ წარმატებასთან მიმართებაში (იხ. თავი 28), რომელშიც ერთი სახეობის მეორეთი ჩანაცვლება, რომელსაც მსგავსი ეკოლოგიური მოთხოვნილებები აქვს, გულისხმობს ამ ორს შორის ინტერაქციათა შესაძლებლობას.

პოპულაციის პროცესების პირველი მათემატიკური კვლევა, რომელიც მოიცავს კონკურენციას, ა.ჯ.ლოტკას, ვ.ვილტერას და სხვების მიერ 1925-სა და 1935 წლებში დაიწყო, შეიქმნა ლაბორატორული ექსპერიმენტული სამუშაოთა მთელი წეება (Crombie 1947). ადრეულ ძალისხმევებში მტაცებელი-მსხვერპლის და პარაზიტოიდი-მტარებლის ინტერაქციები დომინირებენ. თუმცა რუსმა ბიოლოგმა გ.ფ.გაუსმა (1932, 1934), რომელიც რაიმონდ პერლისა და ლოტკას დიდი გავლენის ქვეშ იყო, მოსინჯა სახეობებს შორის კონკურენციის კვლევა საფუარის სოკოებსა და უმარტივესების ლაბორატორულ პოპულაციებში. შემდგომ მან თავისი ძალისხმევა გაავრცელა ფქვილის მატლებზე, ბუზ დროვოზილებსა და სხვა ორგანიზმებზე, რომლებიც შესაფერისი გამოდგნენ ამგვარი ექსპერიმენტირებისთვის, მაგრამ სახეობათაშორისი ინტერაქციების დამაჯერებელი ლაბორატორული მაგალითების მიუხედავად, ამ პროცესმა მაინც შედარებით მცირე როლი ითამაშა ეკოლოგიურ აზროვნებაში ათწლეულების შემდეგ. ვ.ქ.ალექს და მისი კოლეგების მიერ შექმნილი, 1949 წლის საკონტროლო მნიშვნელობის ნაშრომი „რინციპლეს ოფ ნიმალ ცოლოგი“ კონკურენციის შესახებ ლაბორატორული სამუშაოს დეტალური აღნერას წარმოადგენს, მაგრამ კონკურენციას მცირე როლს ანიჭებს ბუნებრივი თანასაზოგადოებების განხილვასა და დამუშავებაში.

საერთო რესურსების მოხმარებელ სახეობათა პოპულაციის ზომის განსაზღვრაში და სახეობებს შორის რესურსების განაწილების მართვაში კონკურენციის როლი მთლიანად გაცნობიერებულ იქნა მხოლოდ შუა 1940-იან წლებში, როდესაც მისი მნიშვნელობა დამაჯერებლად იქნა აღნერილი ინგლისელი ორნიტოლოგის დევიდ ლეკის მიერ (1944,

1947). ლეკი იღწვოდა, შეეთანხმებინა გაუსის ექსპერიმენტების შედეგი, რომ ორ მსგავს სახეობას არ შეეძლო თანაარსებობა მარტივ ლაბორატორულ გარემოში, იმ დაკვირვებასთან, რომ ბუნებრივი საბინადრო გარემო ხშირად იფარებს ერთნაირი ეკოლოგიური მოთხოვნილებების მქონე რამდენიმე სახეობას. მან დაასკვნა, რომ სახეობათა ფორმაციის პროცესს შეიძლება თან ახლდეს ეკოლოგიურ მოთხოვნილებებში მნიშვნელოვანი დივერგენცია (დამორიშორება და ამრიგად, შემცირებული კონკურენცია) ორ სახეობას შორის, რათა დაუშვას მათი თანაარსებობა: „როდესაც ორი დაკავშირებული ფრინველის სახეობა ხვდება ერთმანეთს ერთ რეგიონში, ისინი კონკურირებენ და ორივეს შეუძლია, შეინახოს თავი ამ ადგილას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ეკოლოგიურად იზოლირებული არიან საბინადროთი ან საკვებით“ (1947, 162). მართალია, გვიან ელტონმა და სხვებმა აღიარეს ლეკის პოზიცია და 1940-იანი წლების შუა ხანებისთვის მოსაზრების ტალღა კონკურენციის საკეთილდღეოდ მოტრიალდა. ლეკის მოსაზრება ბუნებრივ თანასაზოგადოებებში კონკურენციის შესახებ მყარად იქნა დასაბუთებული თანამედროვე ეკოლოგიის დოქტრინაში 1957 წლის ჰათჩინსონის ცნობილი „დასკვნითი შენიშვნების“ საშუალებით, სადაც მან განიხილა ეკოლოგიურად მსგავსი სახეობების თანაარსებობის შესახებ შექმნილი ლიტერატურის დიდი ნაწილი. ჰათჩინსონმა დაასკვნა, ყოველ შემთხვევაში, პირობითად, რომ „ცხოველთა თანასაზოგადოებები ხარისხობრივად ისე არიან კონსტრუირებული, თითქოს კონკურენცია არეგულირებდეს მათ სტრუქტურას. . .“ თუმცა ჩვენ ვნახავთ, რომ ჰათჩინსონმა (1961) მოგვიანებით დაასკვნა, რომ კონკურენცია შეიძლება არც იყოს ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც სხვა ფაქტორები ზოგიერთ თანასაზოგადოებაში, ამ იდეამ ძლიერი მხარდაჭერა ჰპოვა უკანასკნელი წლების განმვლობაში (Hutson 1994).

## 21.2 ფესლის, გაუსისა და პარკის ეპსარივითება თაროვაზილების აღრეული ეპსარივისა და ფესლის დამონიტრირებული დოკუმენტი

ბრიტანელი ბოტანიკოსი ა.გ. ტენსლი (1917) პირველი იყო, ვინც ჩაატარა ექსპერიმენტი ერთმანეთთან მჭიდრო ნათესაური კავშირის მქონე სახეობებში კონკურენციის არსებობის განსასაზღვრად. ტენსლიმ თავის მოხსენებას წაუმდლვარა დაკვირვება, რომ მჭიდრო ნათესაური კავშირის მქონე მცენარეთა სახეობები, რომლებიც თავს იჩენენ ერთ რეგიონში, ხშირად იზრდებიან სხვადასხვა საბინადრო გარემოებში ან სხვადასხვა ნიადაგზე. არც ეს დაკვირვება, არც ის მოსაზრება არ იყო ახალი, რომ ამგვარ სახეობათა ეკოლოგიური სეგრეგაცია შეიძლებოდა ყოფილიყო კონკურენციის შედეგი, რაც გამოიწვევდა გარკვეუ-


ლი საბინადრო გარემოდან ერთი ან მეორე სახეობის გამოდევნას. მაგრამ არავის გამოეცადა ესქპერიმენტულად ის ჰიპოთეზა ან მისი ალტერნატივა, რომ ორ, მჭიდროდ მონათესავე სახეობას შეიძლება ჰქონდეს იმდენად განსხვავებული ეკოლოგიური მოთხოვნილები, რომ ერთს არ შეუძლია, გაიზარდოს იქ, სადაც მეორე ყვავის.

ტენსლიმ აიღო ორი სახეობის ენდორნიკა (ალიუმ-თა გვარი, ენდოროს ოჯახიდან), რომლებიც მცირე, მრავალწლიანი, ბალაზული მცენარეებია. ერთი სახეობა . სახატილე ჩვეულებრივ არსებობს მუავე, ტორფიან ნიადაგზე მაშინ, როდესაც მეორე „სყლვესტრე სახლობს კირქვის მთებსა და საძოვრებზე. მან დარგო ორი სახეობა თესლის სახით როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე ნიადაგში, რომელიც ალებული იყო იმ არეალებიდან, სადაც თითოეული სახეობა იზრდებოდა. რადგანაც მცენარეები ერთად იქნენ დარგული „საერთო ბაღში“, მხოლოდ ნიადაგის ტიპი და სხვა სახეობის არსებობა-არარსებობა წარმოადგენდა ექსპერიმენტულ ჩარევას.


ტენსლის ექსპერიმენტი წააწყდა ისეთ ტექნიკურ პრობლემებს, როგორიცაა ცუდი ფესვგადგმა და ლაფსუსები მორწყვბი. მისი შედეგები ამის მუხედავად მაინც საკმაოდ ცხადი იყო. როდესაც ცალ-ცალკე იყვნენ დარგული, თითოეული სახეობა იზრდებოდა და ინარჩუნებდა თავს ორივე სახის ნიადაგში, თუმცა ფესვგადგმა და ზრდა იმ ნიადაგში უფრო ძლიერი იყო, რომელშიც სახეობები ჩვეულებრივ იზრდებოდა ბუნებაში. როდესაც ერთად იზრდებოდა კირქვიან ნიადაგზე, „სყლვესტრე-ის მცენარეები მეტად გაიზრდა და დაჩრდილეს. სახატილე. საპირისპირო პროცესს ჰქონდა და ადგილი უფრო მუავე, ტორფულ ნიადაგზე, რაც ტიპიური იყო. სახატილე-ის საარსებო გარემოსთვის. ტენსლიმ დაასკვნა, რომ . სახატილე ყველაზე ეფექტური იყო კირქვიან ნიადაგზზე და ასევე, მუავიან ნიადაგში, *G.sylvestre*-ს არ შეეძლო კონკურენციის გაწვა. სახატილე-სთვის.

მოკლე ნაშრომში, სადაც წახსენები იყო ამ ექსპერიმენტების შესახებ, ტენსლიმ დანერა, (1) რომ სახეობის არსებობა-არარსებობა შეიძლება განსაზღვრული ყოფილიყო სახეობათაშორისი კონკურენციით; (2) რომ გარემო პირობები გავლენას ახდენდნენ კონკურენციის საბოლოო შედეგზე; (3) რომ კონკურენცია შეიძლება იგრძნობოდეს ძალიან ფართოდ (ანუ, „სხვა მცენარეულობის“ მიერ) თანასაზოგადოების ფარგლებში და (4) რომ სახეობების არსებული ეკოლოგიური სეგრეგაცია შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ნარსული კონკურენციიდან. მართალია, ლაკსა და ჰათჩინსონის კონცეფციები შეიცავენ ძალიან მცირე ისეთ რამეს, რაც არ იყო ნათქვამი ტენსლის მიერ, მომდევნო ექსპერიმენტები კონკურენციის თაობაზე არ განხორციელდა, სანამ არ გამოქვეყნდა ლოტკას, ვოლტერასა და სხვების პოპულაციათა ინტერაქციების მათემატიკური კვლევები.

1930 და მომდევნო წლები გამყოფ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ადრეულ ბუნებრივ ისტორიასა და მოგვანებით ეკოლოგიაში პოპულაციის ტრადიციას შორის, გათვალისწინებული უნდა იქნას გაუსის ექსპერიმენტები (1932, 1934) საფუარსა და უმარტივესებზე, როგორც პირველი კვლევა კონკურენციის შესახებ. გაუსის კვლევის შედეგები, რომელიც არსებითად ჰგავდა ტენსლისას, იყო ორი სახეობის გაზრდა, როგორც ერთად ისე ცალ-ცალკე, კონტროლირებად პირობებში. განსხვავება ერთი სახეობის პოპულაციების ზრდაში მეორის არსებობისას და არარსებობისას იყო მათ შორის კონკურენციის საზომი. როდესაც უმარტივესთა პოპულაციები არამეციუმ აურელა და . ცალუდატუმ მოთავსებულ იქნენ ცალ-ცალკე ერთნაირი ტიპის მკებავ გარემოში, ორივე პოპულაცია სწრაფად გაზრდა რესურსების მიერ დანესტებულ ზღვრამდე. როდესაც ერთად იზრდებოდნენ მხოლოდ . აურელია შენარჩუნდა (ნახ. 21-1). მსგავსი ექსპერიმენტები დროზოფილებზე, ფქვილის მატლებსა და ერთნლიან მცენარეებზე ყოველთვის იღებდნენ იგივე



(ა)



(ბ)

**ნახ. 21-1** არამეციუმ-ის ორი სახეობის პოპულაციის ზრდა, როდესაც ისინი გაზრდილი იყვნენ განცალკევებულ კულტურებში (ა) და როდესაც გაზრდილი იყვნენ ერთად. (ბ). მართალია, ორივე სახეობა ხარობს, როდესაც ცალ-ცალკეა ზრდილი, *P.caudatum*-ს არ შეუძლია გადარჩენა *P.aurelia*-სან ერთად. (After Gause 1934).

## ცხრილი 21-1

კონკურენცია ფქვილის ღრაჭიკის ორ სახეობას შორის თრიბოლიუმ-ის  
გვარიდან სხვადასხვა ტემპერატურასა და შედარებით ტენიანობაზე

		პოპულაციის განონასწორებული ზომა*		მოგებული კონკურენციის პროცენტული მაჩვენებელი†	
		თ.ცონფუსუმ	თ.ცასტანეუმ	თ.ცონფუსუმ	თ.ცასტანეუმ
გრილი	მშრალი	26.0	2.6	100	0
	ნოტიო	28.2	45.2	71	29
ზომიერი	მშრალი	29.7	18.8	87	13
	ნოტიო	32.9	50.1	14	86
თბილი	მშრალი	23.7	9.6	90	10
	ნოტიო	41.2	38.2	0	100

\* მზრდასრულების, ლარვების და მათ შორის, გარდამავალ ფაზაში მყოფი ინიდივიდების რიცხვი ფქვილის თითო გრამზე.

† ემყარება 20-30 კონკურენციის ტემპერატურისა და ტენიანობის თითოეულ კომბინაციაში.

(Data from Park 1954, 1962)

შედეგს: ერთი სახეობა ნარჩუნდება და მეორე გადაშენდება, როგორც წესი 30-70-მდე თაობის შემდეგ.

თომას პარკის ნამუშევარმა (1954, 1962) ფქვილის ღრაჭიკის ორ სახეობას შორის კონკურენციის შესახებ მოახდინა ტენისლის კიდევ ერთი მოსაზრების დემონსტრირება, რომლის თანახმადაც კონკურენციის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია გარემო პირობებზე. როდესაც პარკმა თრიბოლიუმ ცასტანეუმ-ისა და თ.ცონფუსუმ-ის პოპულაციები ერთად მოათვასა ხორბლის ფქვილში გრილ და მშრალ პირობებში, თ.ცასტანეუმ-მა, როგორც წესი, გამოდევნა თ.ცონფუსუმ. თუმცა, თბილ და ნოტიო პირობებში თ.ცონფუსუმ ნარჩუნდებოდა (ცხრილი 21-1). ექსპერიმენტებმა გვიჩვენა არა მარტო ის, რომ ფიზიკური პირობები კონკურენციის შედეგისთვის კრიტიკული მნიშვნელობის იყო, არამედ ასევე მხოლოდ სახეობათა შედარებით ეფექტურობას ჰქონდა აზრი. თ.ცასტანეუმ-მა მიაღწია უფრო მაღალ პოპულაციათა სიმჭიდროვეს ტენიან და არა მშრალ პირობებში, როდესაც მარტო იზრდებოდა, მაგრამ ასევე ერპიროვნულად იდევნებოდა ტენიან პირობებშიც თ.ცონფუსუმ-ის მიერ, რომლის პოპულაციები ზრდის შემთხვევაში მაინც აღმატებოდა თ.ცასტანეუმ-ისას.

პატივსაცემად გაუსის პრინციპი (აც 1944) და ვოლტერა-გაუსის პრინციპი (Hutchinson 1957), მაგრამ პარდინის (1960) კონკურენციული გამორიცხვის პრინციპი ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა.

პარდინმა გამოთვალა, რომ პრინციპის დაბადება ემთხვეოდა ბრიტანეთის ეკოლოგიური საზოგადოების კრებას 1944 წლის 21 მარტს, რომლის განსახილველი თემა იყო მჭიდრო ნათესაური კავშირის მქონე სახეობების ეკოლოგია. კრების მოხსენება, რომელიც გამოქვეყნდა „შოურნალ ოფ ნიმალ ცოლოგი“-ში (13, 176, 1944), ხაზს უსვამდა, რომ „გაცხოველებული დისკუსია . . . კონცენტრირებული იყო გაუსის მოსაზრების (1934) გარშემო, რომლის თანახმადაც, მსგავსი ეკოლოგიის მქონე ის სახეობას არ შეუძლია ერთად არსებობა ერთსა და იმავე ადგილას . . . მისტერ ლეკი, მისტერ ელტონი და დოქტორ ვარლეი ეთანხმებოდნენ და მხარს უჭერდნენ ამ პოსტულატს . . . კაპიტანმა დაივერმა მრისხანე შეტევა განახორციელა გაუსის კონცენტრიციის წინააღმდეგ იმის საფუძველზე, რომ მათემატიკური და ექსპერიმენტული მიღვომები სახითათოდ იქნა გამარტივებული.“

ექსპერიმენტული შედეგები, რომლებმაც გამოიწვიეს კონკურენციული გამორიცხვის პრინციპის ჩამოყალიბება შეიძლება შეჯამებული იქნას მარტივად შემდეგნაირად: ორ სახეობას არ შეუძლია თანაარსებობა ერთსა და იმავე შემზღვდავ რესურსზე. „შეზღუდვა“ საჭიროა პრინციპის განსაზღვრებაში, რადგან კონკურენცია გამოხატავს საკუთარ თავს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოხმარება ამცირებს რესურსებს და ამით ზღუდვას პოპულაციის ზრდას. პარდინმა განავრცო კონცენტრიცია, მაგრამ შეამოკლა სლოგანი: სრულ კონკურენტებს არ შეუძლიათ თანაცხოვრება.

თუმცა მსგავსი სახეობები მაინც თანაარსებობენ ბუნებაში. დეტალური დაკვირვებები თითქმის ყოველთვის ავლენენ ეკოლოგიურ განსხვავებებს ამ სახეობებს შორის, რაც ხშირად ემყარება საბინადრო

### 21.3 კონკურენციული გამონაკლისის პრინციპი – რო სახეობას არ შეუძლია თანაარსებობა ერთი შემზღვდული რესურსის ხარჯზე

სახეობათა კონკურენციაზე ლაბორატორული ექსპერიმენტების შედეგების დაგროვება საბოლოო ჯამში იმდენად ზოგადი აღმოჩნდა, რომ უზრუნველყო მისი დანინაურება პრინციპის სტატუსამდე. მას სხვადასხვანაირი სახელი უწოდეს მისი ავტორების

გარემოსა და კვების მიღრეკილებებში მნიშვნელოვან განსხვავებებს. თუმცა არსებობს შემთხვევები, სადაც მოპინადრე სახეობები თითქმის იდენტურნი არიან ეკოლოგიური ფუნქციის მიხედვით, როთაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება კონკურენციული გამორიცხვის პრინციპი. ჩვენ ამ მნიშვნელოვან საკითხებს ქვემოთ განვიხილავთ.

კონკურენციული გამორიცხვის პრინციპი, რომელიც აცხადებს, რომ იდენტურ სახეობებს არ შეუძლიათ თანაარსებობა და დაკვირვება, რომ მობინადრე სახეობები იმვიათად არიან იდენტურნი, გვიბიძგებენ შემდეგი კითხვის დასმისკენ: როგორი დონის ეკოლოგიური სეგრეგაცია საჭირო იმისთვის, რომ თანაარსებობა შესაძლებელი გახდეს? კონკურენციის მათემატიკურ მოდელებს შეუძლიათ, დაგვეხმარონ ამ კითხვებზე პასუხის გაცემაში, გვაწვდიან რა კონკურირებადი პოპულაციებს რეაქტივის შეზღუდვების თეორიული გაგებას. ჩვენ განვავითარებთ პოპულაციათა რამდენიმე მარტივ მოდელს მომდევნო ნაწილებში. ეს მოდელები, პოპულაციის რეგულაციისა და მომხმარებელი-რესურსის მოდელების მსგავსად, ეფუძნებიან პოპულაციის წონასწორობის იდეას. ანუ, ამ მოდელებში პოპულაციებს შორის კონკურენციული ინტერაქციები იწვევენ პოპულაციის ზრდის სტაბილიზაციას ორივე პოპულაციისთვის ან ერთ-ერთი პოპულაციის განდევნას სისტემიდან. ჩვენ ადრე ხაზი გაუსვით აზრს, რომ ბუნებრივი პროცესებს პოპულაციები მიჰყავთ რაღაც მყარ წონასწორობის წერტილამდე, რაც რეალობის გამარტივებაა.

## **21.4 არაულაციაში რეგულირება შესაძლებელია შიდასახეობრივი და სახეობგათავორისი კონკურენციით**

კონკურენციული გამორიცხვის პრინციპის და პოპულაციის ზრდისა და მომხმარებელი-რესურსის დინამიკის ზემოთ მოყვანილ განხილვებს შესაძლოა მოეძლინა თქვენი აზროვნების სტიმულირება პოპულაციის რეგულაციის ცნების მნიშვნელობაზე. როგორც ჩანს, არსებობს ამ მნიშვნელოვანი პროცესის ორი ასპექტი. პირველი, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, პოპულაციის ლოგისტიკური ზრდის განხილვისას (იხ. თავი 16) პოპულაციები შეიძლება რეგულირებულ იქნან სიმჭიდროვეზე დამოკიდებული საშუალებებით. პოპულაციის ლოგისტიკურ ზრდის ტემპის განტოლება  $dN/dt = rN(1 - N/K)$  გვიჩვენებს იმას, თუ როგორ შეიძლება ეს მოხდეს (იხ. ნახ. 16-3). რაც უფრო ახლოსაა პოპულაციის ზომა გადატანით შესაძლებლობა -სთან, მით უფრო მცირდება ელემენტი ( $1 - N/K$ ) და შესაბამისად, მით უფრო მცირდება განტოლების მარჯვენა მხარე. ამრიგად, ზრდის ტემპი და/და დამოკიდებულია პოპულაციის სიმჭიდროვე -ზე, იმ ვარაუდით, რომ რ და არ იცვლებიან (აღსანიშნავია, რომ სიმჭიდროვეზე დამოკიდებ-

ულება ასევე შეიძლება დანახულ იქნას პოპულაციაში, რომელიც დისკრეტული ხასიათით იზრდება და მოდელირებულია განსხვავებული განტოლებით, როგორც ვნახეთ მე-18 თავში). თუ ჩვენ დავფიქრდებით იმაზე, თუ რა ხდება პოპულაციაში, როდესაც პოპულაციის ზომა აჭარბებს გადატანით შესაძლებლობას K-ს, ჩვენ ვნახავთ, თუ როგორ იწყებს მოქმედებას შიდასახეობრივი ბრძოლა პოპულაციის რეგულირებისას. გადატანითი შესაძლებლობა არის იმ ინდივიდთა რაოდენობა პოპულაციაში, რომელთა შენახვაც შეუძლიათ რესურსებს საბინადრო გარემოში. ამრიგად, როდესაც  $N > K$  რესურსები მოთხოვნასთან შედარებით ნაკლებია და ადგილი ექნება კონკურენციას ამ რესურსებისთვის. ამ შიდასახეობრივი კონკურენციული ინტერაქციების საბოლოო შედეგი ბოლოს მოუღებს ინდივიდებს შთამომავლობით მიღებული ისეთი თვისებებით, რომელიც მათ ნაკლებ ეფექტურს ხდის რესურსების მოპოვებაში. გადარჩებიან მხოლოდ ისინი, რომლებსაც შეუძლია საკმარისი რესურსების მოპოვება თავიანთი ორგანიზმის შესანარჩუნებლად და ნაშიერების წარმოსაქმნელად. ამრიგად, როგორც ჩვენ ამ თავის შესავალში აღვნიშნეთ, შიდასახეობრივი ბრძოლა და პოპულაციათა რეგულაცია მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

როგორც კონკურენციული გამორიცხვის პრინციპი და მტაცებლობის, ბალაზის მტაცებლობისა და პარაზიტიზმის თეორიები გვიჩვენებენ, პოპულაციები ასევე შეიძლება რეგულირდებოდნენ გარედან. პოპულაციამ შეიძლება ვერასდროს მიაღწიოს პოპულაციის ზომას, რომელიც ახლოს იქნება გადატანით შესაძლებლობასთან, თუ ის განიცდის ძლიერ კონკურენციას სხვა სახეობისგან ან თუ ის მაღალი დონის მტაცებლობის, ბალაზისმტაცებლობის ან პარაზიტიზმის დიდი რისკის წინაშე დგას. ამრიგად, პოპულაციის რეგულაციის შესახებ ფიქრისას, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ როგორც ინდივიდების ინტერაქციები პოპულაციის შიგნით, ისე პოპულაციის ინტერაქციები სხვა პოპულაციებთან.

## **21.5 ლოგისტიკური განტოლება შეიძლება მოღიციცირდეს, რათა თავის თავში მოიცვას სახეობგათავორისი კონკურენციით**

კონკურენციის თეორიის უმეტესი ნაწილი ეფუძნება ლოტკას (1925, 1932), ვოლტერას (1926) და გაუსის ფორმულირებებს, რომლებიც იყენებდნენ ლოგისტიკურ განტოლებას, როგორც საწყის ნერტილს პოპულაციის ზრდისთვის. ჩვენ შეგვიძლია ერთეული პოპულაცია ი-სთვის დავწეროთ შემდეგი ლოგისტიკური განტოლება:

$$\frac{dN_i}{dt} = r_i N_i \left(1 - \frac{N_i}{K}\right) \quad (21-1)$$

რაც იგივე განტოლებაა, რომელსაც ჩვენ წინათ ვიყენებდით იმის გამოკლებით, რომ ყველა პარამეტრს ქვემოთ i აქვს მინერილი, რათა ხაზგასმული იყოს, რომ საუბარია რომელიღაც i პოპულაციაზე. შიდასახეობრივი ბრძოლა გამოხატულია ელემენტი ი/ი-ს სახით, როდესაც  $N_i$  უახლოვდება  $K_i$ -ს,  $N/K_i$  უახლოვდება 1-ს და ოდენობა (1 -  $N/K_i$ ) უახლოვდება 0-ს. სტაბილური წონასწორობა მიიღწევა, როდესაც  $N_i = K_i$

ახლა, მოდით ვთქვათ, რომ არსებობს j-თი აღნიშნული პოპულაცია, რომელიც კონკურირებს i პოპულაციასთან რესურსებისთვის. j პოპულაციის სიმტკიდოვე  $N_j$ -ს ტოლია, ხოლო გადატანითი შესაძლებლობა უდრის  $K_j$ -ს. j პოპულაციის კონკურენციულ მოქმედებას უარყოფითი ეფექტი ექნება i პოპულაციაზე და ამრიგად, შემცირებს i პოპულაციის ზრდის ტემპს. ჩვენ შეგვიძლია, ჩავურთოთ ეს იდეა ლოგისტიკურ განტოლებას იმ სიდიდის გამოკლებით, რაც აღნიშნავს სახეობათაშორისი ბრძოლის ეფექტს j-ს სახეობისა i-ს სახეობაზე:

$$\frac{dN_i}{dt} = r_i N_i \left(1 - \frac{N_i}{K}\right) - [(\text{კონკურენციული ეფექტი } i \text{ პოპულაციისა } i \text{ პოპულაციაზე})] \quad (21-2)$$

აღსანიშნავია, რომ განტოლება ახლა მოიცავს როგორც შიდასახეობრივი ბრძოლის ( $N_i/K_i$ ), ისე სახეობათაშორისი ბრძოლის ელემენტებს. ორივე მოქმედებს როგორც შემამცირებელი ელემენტი (გამოკლება). ჩვენ შეგვიძლია დავწეროთ განტოლება შემდეგნაირად:


$$\frac{dN_i}{dt} = r_i N_i \left(1 - [\text{სპიდასახეობრივი კონკურენცია} - j \text{ პოპულაციის კონკურენციული ეფექტი } i \text{ პოპულაციაზე}] \right)$$

განტოლების მარჯვენა ნაწილში ფრჩხილებში მოცემული ელემენტში 1 მცირდება როგორც შიდასახეობრივი ბრძოლის, ისე j პოპულაციის სახებათაშორისი ბრძოლის ეფექტის გამო. მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ ამ მოდელში შიდასახეობრივი და სახეობათაშორისი ბრძოლის ეფექტი დამოუკიდებელია ერთი მეორისგან. ამ ორ ეფექტს შორის არსებული ურთიერთქმედების საჩვენებლად, ჩვენ მოგვინევს იმ ელემენტის ჩართვა, სადაც ამ ორის პროდუქტი აკლდება 1-ს.

ცხადია, თეორეტიკოსისთვის ზემოთ მოცემული სიტყვიერი განტოლებები არ არის სრულიად დამაკმაყოფილებელი. საჭიროა განვითარდეს კონკურენციული ეფექტის ანალიტიკური გამოსახულება j სახეობისა i სახეობაზე. გამოწვევას წარმოადგენს ალგებრული გამოსახულების შედგენა  $N_i$ -სა და  $K_i$ -ს გამოყენებით „j პოპულაციის კონკურენციული ეფექტი i პოპულაციაზე“-ს ჩასანაცვლებლად. ანუ, სიმარტივისთვის ჩვენ გვსურს განტოლებამ ახსნას, თუ რა ემართება i პოპულაციას, როდესაც ის იმყოფება j პოპულაციის  $N_j$  ინდივიდების თანდასწრებაში.

ამგვარი ფორმულის მიღების ერთი საშუალება არის იმის მოფიქრება, თუ ზუსტად რას აკეთებენ j სახეობის ინდივიდები, როგორც კონკურენტები. თუ i-სა და j სახეობის ინდივიდები კონკურირებენ საკვებისთვის მაშინ, როდესაც j სახეობის ინდივიდი იკვებება, ის საკვების გარკვეულ ნანილს ხელმიუნვდომელს ხდის i სახეობის ინდივიდებისთვის. ჩვენ რომ ვიცოდეთ, რა რაოდენობის საკვები ქრება j ინდივიდების მიერ, ჩვენ გვექნებოდა რაღაც საზომი კონკურენციული ეფექტისა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ i სახეობის და j სახეობის ინდივიდები ზუსტად ერთნაირ მოიხმარენ საკვებს. ამრიგად, ჩვენ არ ვიცით, რომ როდესაც j სახეობის ინდივიდი ჭამს საკვებს, იგი ითვისებს i პოპულაციის ერთი ინდივიდის კუთვნილ საკვებს, ორი ინიდვიდის კუთვნილს, თუ ერთ ნახევროსას. საჭირო არის გადაყვანის ან პროპორციულობის კოეფიციენტი, რაც საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ j სახეობის საქმიანობა i სახეობის საფუძველზე. ვოლტერამ მოგვაწოდა ამგვარი ფაქტორი.

ვოლტერამ ჩართოთ სახეობათაშორისი ბრძოლა ლოგისტიკურ განტილებაში ფრჩხილებში  $a_j N_j / K_i$ -ის ჩამატებით. ამრიგად, განტოლება (21-2) ხდება



**ნახ. 21-2** სქემატური დაგრამა, რომელიც გვიჩვენებს კონკურენციის კოეფიციენტების მნიშვნელობას სივრცისთვის კონკურენციაში. თითოეული მცირე მართკუთხედი წარმოადგენს i სახეობის ინდივიდს, რომელიც ბინადრობს დიდ მართკუთხედში. გადატანითი შესაძლებლობა დიდ მართკუთხედისა არის იმ ოთხურთხედების რაოდენობა, რომელიც ჩაეტვა დიდ მართკუთხედში. კონკურირებად j სახეობის ინდივიდები წარმოადგენილია ოთხურთხედებით, რომლებიც მცირე i სახეობის წარმომადგენელი ოთხურთხედებს ერთნახვარჯერ აღემატება. როდესაც j სახეობის ინდივიდები შედიან მართკუთხედში, იგი იკვებს სივრცეს რაც გვივალენტურია ერთნახვარჯერ მეტი სივრცის, რომელსაც i სახეობის ინდივიდი იკვებს. j სახეობის ინდივიდის მიერ დაკავებული სივრცე არის ჯ სახეობის კონკურენციული ეფექტი i სახეობაზე,  $a_j = 0,5$ . (From Krebs 1994).

$$\frac{dN_i}{dt} = r_i N_i \left(1 - \frac{N_i}{K_i}\right) - \frac{a_y N_j}{K_i} \quad (21-3)$$

სადაც  $N_j$  არის კონკურირებადი  $j$  სახეობის ინდივიდთა რიცხვი და  $a_y$  არის კონკურენციის კოეფიციენტი, ანუ სახოება  $j$ -ს ინდივიდების გავლენა სახეობა  $i$ -ს პოპულაციის ექსპონენციულურ ზრდაზე.  $a_y$ -ს  $N_j$ -ზე გამორიგება აქცევს კონკურირებად  $j$  სახეობის პოპულაციას სახეობა  $i$ -ს ერთეულებად, რომელზეც მას აქვს გავლენა. პროდუქტი  $a_y N_j$ -ს გაყოფა  $K_j$ -ზე გვაძლევს  $i$ -ს გადატანით შესაძლებლობის პროპორციას, რაც აღებულია  $i$ -ს ინდივიდების ეკვივალენტური ერთეულების მიხედვით.

ტერმინი  $a_y$  არის უგანზომილებო კონსტანტა, რომლის მნიშვნელობა არის  $i$  სახეობის ინდივიდის გავლენის ნაწილი თავისი საკუთარი პოპულაციის ზრდის ტემპზე. ჩვენ შევვლიძლია  $a_y$ -ს მნიშვნელობის გაცნობიერება მისი მარტივ, გეომეტრიულ ჩარჩოში მოქცევით (ნახ. 21-2). ვთქვათ, არეალის აღმნიშვნელი დიდი მართულებელი წარმოადგენს  $i$  პოპულაციის გადატანით შესაძლებლობას.  $i$  პოპულაციის ყოველი ინდივიდი წარმოადგენილია მცირე მართულებელით. სიმარტივისთვის, ჩვენ ყველა მცირე ოთხეულებას ერთნაირ ზომას მივანიჭებთ, ანუ ჩვენი დასკვნით  $i$  პოპულაციის ყველა წევრი იდენტურია ყველა მხრივ, მათ შორის იმითაც, თუროგორ მოიხმარენ რესურსებს. თუ გადატანით შესაძლებლობა ფიქსირებულია (კიდევ ერთი გამარტივება), ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ი ითხეულებელის „ჩატევა“ დიდ მართულებელში. მართულებელთა რიცხვი, რომელთა ჩატევაც შეუძლია დიდ მართულებელს, არის ი და როდესაც ოთხეულებელი სრულიად გაივსება  $K_i = N_i$ .

ახლა მოდით, დავუშვათ, რომ კონკურირებადი  $j$  სახეობის ინდივიდები არიან სხვა ზომის, ერთ-ნახევარ ოთხეულებელერმეტი, ვიდრე ი სახეობის ინდივიდების ამსახველი ოთხეულებელი. ყოველთვის, როდესაც  $j$  სახეობის ინდივიდი მოთავსებულია მართულებელში, ის იკავებს  $i$  სახეობის ინდივიდის ერთნახევარ სივრცეს. ამ შემთხვევაში,  $j$  სახეობის ინდივიდების  $i$  სახეობის ინდივიდებთან კონკურენციის კოეფიციენტი  $a_y$  არის 0,5. ამის საპირისპიროდ, ვინმერ შეიძლება იფიქროს, რომ კონკურენციის კოეფიციენტი  $a_y$  არის ხარისხი, სადამდეც  $i$  სახეობის ინდივიდები იყენებენ  $j$  სახეობის ინდივიდების რესურსებს (ამ შემთხვევაში რესურსი არის სივრცე). სწორედ ამიტომ,  $a_y N_j$  გაყოფილია  $K_j$ -ზე,  $j$  სახეობის გადატანით შესაძლებლობაზე. ეს არის დონე, სადამდეც  $i$  სახეობის ინდივიდები ახდენენ  $j$  სახეობის ინდივიდების რესურსების (გამოხატულია  $K_j$  სიდიდით) უზურპირებას, რაც განსაზღვრავს  $i$ -ს ეფექტს  $j$ -ს პოპულაციის ზრდის სიჩქარეზე.

ზუსტად რომ ვთქვათ, ელემენტ  $N/K_j$ -ს უნდა ჰქონდეს კოეციფიციენტი  $a_y$ , მაგრამ ის მიჩნეულია, რომ არის 1 და გამოტოვებულია. მართალია, აუცილებელი არ არის, მაგრამ სიდიდე  $a_y$  როგორც წესი, 1-ზე

ნაკლებია. ერთი სახეობის ინდივიდები სავარაუდოდ კონკურირებენ უფრო ინტენსიურად, ვიდრე სხვადასხვა სახეობის ინდივიდები.

შეჯამებისთვის, ჩვენ განვავითარებთ განტოლებას, რომელიც აჩვენებს ერთი  $j$  პოპულაციის კონკურენტულ ეფექტს მეორე  $i$  პოპულაციაზე. მაგრამ საგარაულოა ასევე, რომ  $i$  პოპულაციასაც ექნება კონკურენტული ეფექტი  $j$  პოპულაციაზე. ბოლოს-დაბოლოს, ისინი ხომ ერთნაირი რესურსებისთვის, ან რესურსთა წყებისთვის კონკურირებენ. პასუხი ამ კითხვაზე ცხადია, დადგებითია. ამგვარი ინტერაქციის გამოსახატავად, ჩვენ კიდევ ერთი განტოლება გვიჩრდება:

$$\frac{dN_i}{dt} = r_i N_i \left(1 - \frac{N_i}{K_i}\right) - \frac{a_y N_j}{K_i} \quad (21-4)$$

ეს განტოლება აჩვენებს, თუ როგორ ზემოქმედებს  $j$  სახეობის შიდასახეობრივი ბრძოლა და  $i$  პოპულაციის კონკურენტული ეფექტი  $j$  პოპულაციაზე და  $j$  პოპულაციის ზრდის ტემპზე. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ ორი სახეობა  $i$  და  $j$  ახდენენ გავლენას ერთი მეორეზე და ამგვარი ორმაგი ურთიერთობები მათ შორის მოითხოვენ ორ განტოლებას: ერთს  $j$  სახეობის გავლენის შესახებ  $i$  სახეობაზე [განტოლება (21-3)] და მეორე  $i$  სახეობის გავლენის შესახებ  $j$  სახეობაზე [განტოლება (21-4)].

მოდით, ახლა განვიხილოთ რიცხობრივი მაგალითი იმისთვის, რომ მოვახდინოთ ამ განტოლებების მექანიკის ილუსტრირება. წარმოიდგინეთ პარამეტრების შემდეგი წყება:  $N_i = 100$ ,  $K_i = 150$ ,  $r_i = 0,2$ ,  $a_y = 0,5$ ,  $N_j = 50$ .  $i$  პოპულაციის ზრდის ტემპი  $dN/dt = (0,2)(100)[1 - 100/150 - (0,5)(50)/150] = 3,48$ . თუ  $a_y$  0,5-0,7-მდე გაიზრდება, შეესაბამება, რა ჯე სახეობის უფრო მაღალ კონკურენტულ ეფექტს  $i$  სახეობაზე, და ყველა სხვა ელემენტი განტოლებაში იგივე დარჩება, მაშინ  $dN/dt = 2,14$ , რაც წინაზე დაბალია. ყოველთვის, როდესაც შიდასახეობრივი ბრძოლის ელემენტისა და სახეობათაშორისი ბრძოლის ელემენტის ჯამი 1-ზე მეტია, პოპულაციის ზრდის სიჩქარე უარყოფითი იქნება. ამრიგად, გადატანით შესაძლებლობასთან ახლოს მყოფი პოპულაციისთვის, სადაც  $i$  სახეობათაშორისი ბრძოლის ინტერაქციები ყველაზე ძლიერია, მოდელი გულისხმობს სახეობათაშორისი ბრძოლის ძალიან მცირე დონეებსაც კი შეიძლება პერიოდულ დრამატული ეფექტი. მაგალითად, თუ ჩვენ დავუშვებთ რომ  $N_i = 145$ , ძალიან ახლოს გადატანით შესაძლებლობასთან, ჩვენ ვნახავთ, რომ გამოსახულება ფრჩხილებში გახდება  $(1 - 0,9667 - a_y N_j / K_i)$ , ანუ  $(0,033 - a_y N_j / K_i)$ . ცხადია, ელემენტი  $a_y N_j / K_i$  არ არის აუცილებელი იყოს ძალიან დიდი იმისთვის, რომ შეცვალოს გამოსახულების ნიშანი დადგებითიდან უარყოფითით. რა თქმა უნდა, ძალიან ძლიერი სახეობათაშორისი კონკურენციას შეუძლია ასევე გამოიწვიოს უარყოფითი ზრდა. ბალანსი შიდასახეობრივ და სახეობათაშორის ბრძოლას შორის განხილულია 24-ე თავები.

## 21.6 ცოდნას ცოდნობის კონცენტრაციის მოდელი აგვიავნება თუ კონცენტრაციის კონცენტრაციის თანაარსებობის პირობებს

ჩვენ შეგვიძლია, გამოვიყენოთ განტოლებები (21-3) და (21-4), რომლებიც წინა ნაწილში იქნა გამოყენებული, რათა აღმოვაჩინოთ, თუ როგორ შეუძლია ორ კონკურირებად პოპულაციას თანაასებობა. იმისთვის, რომ ორმა პოპულაციამ შეძლოს თანაარსებობა, მათ ორივემ უნდა მიაღწიონ სტაბილურ ზომას, რაც 0-ზე მეტია. ანუ, როგორც  $dN/dt$ , ისე  $dN/dt$  უნდა იყონ ნულის ტოლი  $N_i$ -სა და  $N_j$ -ს დადებითი სიდიდეების რაღაც კომბინაციებისას. რა არის  $N_i$  პოპულაციის ზომა, რომლისთვისაც  $dN/dt = 0$ ? სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორი არის  $i$  სახეობის სტაბილური ზომა, როდესაც ის კონკურირებს  $j$  სახეობასთან, თუ ორივე სახეობა იქცევა ზემოთ განვითარებული ლოგისტიკური მოდელების მიხედვით?

ჩვენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ალგებრულად შეგვძლია განტოლება (21-3)-ის  $[dN/dt = 0 = rN(1 - N_i/K_i - a_{ij}N_j/K_j)]$  ამოხსნის საშუალებით  $N_i$ -სთვის, შემდეგი ეტაპების გამოყენებით. პირველი, გამოდევნეთ ელემენტი რით განტოლების ორივე მხარის გაყოფით ამ ელემენტზე, რათა მიიღოთ  $0 = 1 - N_i/K_i - a_{ij}N_j/K_j$ . გადააწყეთ ეს განტოლება, რათა მიიღოთ  $1 = N_i/K_i + a_{ij}N_j/K_j$ . (აღსანიშნავია, რომ ელემენტების  $a_{ij}N_j/K_j$  და  $N_i/K_i$  პიზიციისა და ნიშნის ცვლილება დაემთხვა ამ გადალაგებას.) გამოიტანეთ  $1/K_i$  ფრჩხილებს გარეთ განტოლების მარჯვენა ნაწილიდან და გაამრავლეთ ორივე მხარე  $K_i$ , რათა მიიღოთ  $K_i = a_{ij}N_j + N_i$ . საბოლოოდ მოახდინეთ  $N_i$ -ის იზოლაცია რათა მივიღოთ:

$$\hat{N}_i = K_i - a_{ij}N_j. \quad (21-5)$$

რადგანაც ეს კონკურეტული  $i$  წარმოადგენს პოპულაციის ზომას, რომელზეც პოპულაცია განონასწორებულია, ჩვენ მას  $i$ -თი აღვნიშნავთ, სახელად „- ქუდი“.

განტოლება (21-5) გვიჩვენებს, რომ  $i$  სახეობის პოპულაციის წონასწორი ზომა უდრის  $i$  სახეობის გადატანით შესაძლებლობას მინუს კონკურირებადი  $j$  სახეობის ინდივიდთა რიცხვი  $i$  სახეობის ეკვივალენტებში. ანუ,  $i$  სახეობის ეფექტურ გადატანით შესაძლებლობას ამცირებს კონკურირებადი  $j$  სახეობის არსებობა. რიცხობრივი პარამეტრული სიდიდეების გამოყენებით წინა ნაწილიდან ( $N_i = 100$ ,  $K_i = 150$ ,  $r_i = 0,2$ ,  $a_{ij} = 0,5$ ,  $N_j = 50$ ), ჩვენ შეგვიძლია, გამოვითვალოთ  $i$  სახეობის წონასწორი ზომა, რაც უდრის  $\hat{N}_i = 150 - 0,5(50) = 125$ . არსებობს კონკურირებადი  $j$  სახეობის 50 ინდივიდი, რომელთაგან თითოეული იყენებს  $i$  სახეობის ერთეული ინდივიდის კუთვნილ, 0,5-ის ექვივალენტურ სადაო რესურსის ოდენობას. ამრიგად,  $j$  სახეობის კონკურირებადი გავლენა  $i$  სახეობიდან გამომდინარე არის  $0,5(50) = 25$ . იმის მიუხედავად, რომ  $i$  სახეზე  $j$  სახეობის 50 ინდივიდი, მათი ეფექტები  $i$  სახეობაზე ექვივალენტურია  $i$  სახეობის მხოლოდ 25 ინდივიდის ეფექტისა.

მსგავსი განტოლება შეიძლება იქნას განვითარების მიზანისთვის კონკურირებად  $i$  პოპულაციის არსებობის პირობებში:

რებული  $i$  სახეობისთვისაც, როდესაც  $dN_i/dt = 0$ . განტოლება შემდეგნაირია:

$$\hat{N}_i = K_i - a_{ji}N_j \quad (21-6)$$

ჩვენ დაინტერესებული ვართ პირობებით, რომლებშიც როგორც  $i$  სახეობის, ისე  $j$  სახეობის პოპულაციის ზომები ნულს აღემატებიან. (21-5) და (21-6) განტოლებების გამოყენებით მოდით, დავადგინოთ ამ ორი პოპულაციის თანაარსებობისთვის საჭირო პირობები მათი წონასწორობის დროს. მოდით, დავსვათ კითხვა, რა არის  $i$  პოპულაციის წონასწორობითი ზომა ( $N_i$ , როდესაც კონკურენტიც ასევე თავისი პოპულაციის წონასწორობით ( $N_j$ ) ზომაშია? ჩვენ შეიძლება ამ კითხვას ალგებრულად ვუპასუხოთ  $\hat{N}_i$ -ის (21-5) განტოლებაში  $K_j - a_{ji}N_j$ -ით ჩანაცვლებით, რათა მივიღოთ:

$$\hat{N}_i = K_i - a_{ji}[K_j - a_{ji}N_i]$$

ჩვენი მიზანია, ამოვხსნათ ეს განტოლება  $N_i$ -სთვის, ასე რომ, ჩვენ ვაჯგუფებთ ელემენტებს, რომლებიც შეიცავენ  $N_j$ -ს. (აღსანიშნავია, რომ  $N_i$  და  $\hat{N}_i$  არ არიან განსხვავებული ცვლადები ამ განტოლებაში.  $N_i$  უბრალოდ აღნიშნავს ცვლადის სპეციფიკურ სიდიდეს.) ამრიგად, ჩვენ მივიღეთ:

$$\hat{N}_i - a_{ji}a_{ji}N_i = K_i - a_{ji}K_j$$

$i$ -ის ფაქტორიზება (ან ფრჩხილებს გარეთ გამოტანა) გვაძლევს  $N_i(1 - a_{ji}a_{ji})$  განტოლების მარცხენა მხარეს. განტოლების ორივე მხარის გაყოფა  $(1 - a_{ji}a_{ji})$ -ზე გვძლევს განტოლებას  $i$  პოპულაციის წონასწორობითი ზომისთვის, როდესაც მისი კონკურენტიც ასევე წონასწორობაშია:

$$\hat{N}_i = \frac{K_i - a_{ji}K_j}{1 - a_{ji}a_{ji}} \quad (21-7)$$

მსგავსი აზროვნება იწვევს განტოლებას  $j$  პოპულაციისთვის კონკურირებად  $i$  პოპულაციის არსებობის პირობებში:

$$\hat{N}_j = \frac{K_j - a_{ij}K_i}{1 - a_{ij}a_{ij}} \quad (21-8)$$

გვსურს, ხაზი გავუსვათამ განტოლებების სამასპექტს. პირველი, იმისთვის, რომ როგორც  $\hat{N}_i$ , ისე  $\hat{N}_j$  იყვნენ დადებითი, ამ ორი განტოლების მნიშვნელი უნდა იყოს დადებითი. ამრიგად, ურთიერთობა  $a_{ij}a_{ji} < 1$  უნდა იყოს სიმართლე. ეს ნიშნავს, რომ კონკურენტიციენტები უნდა იყოს 1-ზე ნაკლები და ზოგადად ეს ასეც არის. მეორე,  $\hat{N}_i$ -ს და  $\hat{N}_j$ -ს სიდიდეები დამოკიდებული არის ორი პოპულაციის გადატანით შესაძლებლობებზე და კონკურენციის კოეფიციენტებზე და არა თითოეულის პოპულაციის ზომაზე. ამრიგად, სწორედ პოპულაციათა შედარებითი ზომა და არა პოპულაციის რეალური ზომა, როგორც ასეთი, განსაზღვრავს, ექნება თუ არა ადგილი თანაარსებობას. მესამე, თუ ერთ-ერთი პოპულაციის გადატანითი შესაძლებლობა დიდად აჭარბებს მეორეს, თანაარსებობა არ შეიძლება იყოს შესაძლებელი. მაგალითად, წარმოიდგინეთ შემდეგი პარამეტრობრივი სიდიდეები:  $K_i = 100$ ,  $a_{ij} = 0,5$ ,

$K_j = 500$  და  $a_{ji} = 0,5$ . ამ სიდიდეების (21-7) განტოლებაში ჩასმა  $\hat{N}_j$ -სთვის შედეგად გვაძლევს უარყოფით მრიცხველს და დადებით მნიშვნელს. მართლაც,  $\hat{N}_j$ -ის განტოლების მრიცხველი იქნება უარყოფითი  $K_i < a_{ji}K_j$  ან როდესაც  $K_i/a_{ji} < K_j$ .  $\hat{N}_j$ -ს განტოლების მრიცხველი უარყოფითი იქნება, როდესაც  $K_j < a_{ji}K_i$  ან როდესაც  $K_j/a_{ji} < K_i$ . ორივე ეს პირობა უნდა იქნას მიღწეული იმისთვის, რომ ადგილი ჰქონდეს თანაარსებობას.


## 21.7 გრაფიკული გამოსახულება აღნარსლობის სტილის კონტროლის მიზანის თვისებების

ჩვენ შეგვიძლია, გამოვიყენოთ ალგებრული გამოსახულებები, რომლებიც ჩვენ ზემოთ გამოვსახეთ ისეთი გრაფიკების შესადგენად, რომლებიც აჩვენებენ კონკურენტული ინტერაქციების დინამიკას ორ სახეობას შორის. მოდით, დავიწყოთ კონკურირებადი ჯ სახეობის ჯ ინდივიდუების არსებობის პირობებში ისახეობის ზრდის ტემპის ვოლტერასული განტოლების განხილვით (განტოლება [21-3]):  $dN_i/dt = r_i N_i(1 - N_i/K_i - a_{ji}N_j/K_j)$ . ზრდის ტემპი  $dN_i/dt$ , დამოკიდებულია როგორც ი (ი) პოპულაციის ზომაზე, ისე კონკურენტი  $j$  ( $N_j$ ) პოპულაციის ზომაზე (ისევე როგორც  $r_i$  და  $K_j$ , რომლებსაც ჩვენ ამ განხილვისას კონსტანტებად მივიჩნევთ). რადგანაც არსებობს ორი ცვლადი  $N_i$  და  $N_j$ , ჩვენ არ შეგვძლია გრაფიკზე დავიტანოთ ცვლილება ზრდის ტემპი მორი განზომილებისთვის. თუმცა, ჩვენ შეიძლება შეგვექმნას წარმოდგენა ამ სისტემის ქცევის შესახებ მისი ორ განზომილებაში განხილვით  $N_j$ -ს სპეციფიკური სიდიდეებისთვის. მოდით, ჯერ ვთავოთ, რა მოხდება, როდესაც  $N_j = 0$ , ანუ, როდესაც არ არსებობს კონკურენტი. განტოლება გრაფიკზე გადაიტანება მარტივი ლოგისტიკური მრუდის სახით, რომელიც ჩვენ წინა თავში წარმოდგინეთ (იხ. თავი 16), სადაც წონასწორობა არის  $K_j$ -ზე (ნახ. 21-3, ნაცრისფერი ხაზი).  $N_j < K_j$ -ის სიდიდეებისთვის, ზრდის ტემპი იქნება დადებითი, ხოლო  $N_j > K_j$ -ის სიდიდეებისთვის ზრდის ტემპი უარყოფითი იქნება. ზრდის ტემპი იქნება ნულის ტოლი, როდესაც  $N_j = K_j$ .


ახლა რა მოხდება, თუ იარსებებს მცირე რაოდენობის კონკურენტი? ჩვენ შევადგინეთ განტოლება (21-5) ზუსტად ამ სიტუაციისთვის. გაიხსენეთ, რომ  $i$  პოპულაციის წონასწორობითი ზომა  $j$  კონკურენტების არსებობისას, ჰქონდა რა აიჯ კონკურენციის კოეფიციენტი, ნაჩვენები იყო, რომ უდრიდა  $\hat{N}_j = K_j - a_{ji}N_j$ , ეს რიცხვი არის  $j$  სახეობის მიერ შემცირებული გადატანითი შესაძლებლობა.  $dN_i/dt$ -ის განტოლებაში ამ ელემენტის ჩართვა არ ცვლის განტოლების ფორმას. ის კვლავაც ლოგისტიკური მრუდია, ის უბრალოდ გადაადგილებს წონასწორობის ნერტილს  $K_j$ -ის მარცხენა მხარეს  $a_{ji}N_j$  მოდენობით. ნახ. 21-3-ში მწავნე ხაზი გვიჩვენებს ახალ მრუდს. წარმოიდგინეთ შემდეგი სიდიდეების წყება განტოლების სხვადასხვა ელემენტი

ებისთვის:  $r_i = 2,0$ ,  $K_i = 150$ ,  $a_{ji} = 0,2$ . თუ არსებობს კონკურირებადი სახეობის  $N_j = 100$  ინდივიდი ახალი წონასწორობა  $i$  სახეობისათვის იცვლება  $K_i = 150$ -დან ( $N_i$ )  $\hat{N} = 150 - (0,2)(100) = 130$ . უფრო მცირე გრაფიკი შეიძლება იქნას კონსტრუირებული  $j$  სახეობის პოპულაციის ზრდის ტემპისთვის  $dN/dt$ , კონკურირებადი  $i$  სახეობის არსებობისას. აღსანიშნავია, რომ  $i$  პოპულაციის ზრდის ტემპის განტოლებას არ აქვს მნიშვნელობა, როდესაც  $N_i = 0$ .

ალგებრული გამოსახულების გადასინჯვისას, ხშირად უფრო ადვილია, თუ გამრუდებულ ხაზებს გავასწორებთ. ამგვარი ცვლილება შეიძლება გაკეთდეს ზემოთ მოცემულ ლოგისტიკურ მრუდში ერთ სულ მოსახლეზე ზრდის ტემპის  $1/N_i dN/dt$ , შეცვლით მთლიანი პოპულაციის ზრდის ტემპით  $dN/dt$ . როდესაც ამგვარ ცვლილებას განიცდის  $i$  სახეობის ზრდის განტოლება, მრუდები ნახ. 21-3-ში იქცევან სწორ ხაზებად, რაც ნაჩვენებია ნახ. 21-4-ში. ახლა ვერტიკალური დერძი გვიჩვენებს ზრდის ტემპს პოპულაციის თითოეული ინდივიდისთვის. ჰორიზონტალური დერძი უცვლელი რჩება, კვალავაც აჩვენებს  $i$  სახეობის პოპულაციის ზომას. ვთქვათ, არსებობს  $i$  სახეობის ერთი ინდივიდი და განტოლების ელემენტებსაც იგივე მნიშვნელობა აქვთ, რაც ზემოთ პარაგრაფში ჩამოვთვალეთ. როდესაც არსებობს  $N_j = 0$  კონკურენტი,  $i$  სახეობის ერთ სულ მოსახლეზე ზრდის ტემპი  $1/N_i dN/dt = (2.0)(1)[1 - 1/150 - 0] = 1.98$ . როდესაც  $N_j = 100$  კონკურენტი არსებობს, ერთ სულ მოსახლეზე ზრდის ტემპი არის  $1/N_i dN/dt = (2.0)(1)[1 - 1/150 - (0.2)(100)/150)] = 1.72$ . კონკურენტების არსებობა ამცირებს ინდივიდუალური ზრდის ტემპს. განტოლების ერთ სულ მოსახლის საფუძველზე განხილვა არ ცვლის ჰორიზონტალური განტოლების დონამიკას, სადაც  $N_i = K_i - a_{ji}N_j$  გვაძლევს გადატანითი შესაძლებლობას კონკურენტის არსებობის პირობებში. მსგავსი ხაზოვანი ურთიერთობა შეიძლება იქნას კონსტრუირებული  $j$  სახეობისთვის  $i$  კონკურენტის არსებობისას.



ნახ. 21-3 იზოლაციაში (ნაცრისფერი ხაზი) და კონკურირებადი  $j$  სახეობის არსებობის პირობებში (მწავნე ხაზი) მცირებული  $i$  სახეობის ლოგისტიკური მრუდი. როდესაც არ არსებობს კონკურენტი, წონას მიღწეულება კ, გადატანითი შესაძლებლობაზე  $j$  სახეობასთან კონკურენცია ამცირებს წონასწორობით ნერტილს  $a_{ji}N_j$ -ით.




i პოპულაციის ზრდის ტემპის განტოლებისთვის, j სახეობის არსებობის პირობებში, იქნება მრავალი წერტილი ( $N_i$ ,  $N_j$ ), რომლისთვისაც ზრდა დადგებითი იქნება. ჩვენ შეიძლება მოვცელოდეთ, რომ i სახეობა გადარჩება j სახეობის კონკურენცული ზენოლის რაღაც ზომიერი, მაგრამ არა უფრო მაღალი დოზით არსებობის პირობებში. ჩვენ შეგვიძლია, გამოვიყენოთ გრაფიკები იმ ზოგადი პირობების აღსანერად, რომლებშიც i სახეობა გაიზრდება j სახეობის არსებისას და ამგვარადვე ის პირობებიც, რომლებშიც j სახეობა გაიზრდება კონკურირებადი i სახეობის არსების პირობებში.

ნარმოიდინებთ სამგანზომილებიანი სივრცე, როგორიც ნახ.21-4ა-შია მოცემული. N<sub>1</sub> და N<sub>2</sub> პოპულაციის ზომები განსაზღვრავენ ორგანზომილებიან გრაფიკის „ფუძეს”, სადაც i პოპულაციის ერთ სულ მოსახლეზე ზრდა ნაჩვენებია ორგორიკ ვერტიკალური ლერძი. 1/

$\dot{N}_i dN/dt$  სიდიდე ძევს სიბრტყეზე, აღნერს რა  $1/N_i dN/dt$ -ს ერთეულ სიდიდეს  $N_i$  და  $N_j$  სიდიდების ყოველი კომბინაციებისთვის.  $j$  სახეობის არარსებობის პირობებში ( $N_j = 0$ ), ლოგისტიკური ზრდის მიხედვით  $i$  სახეობის პოპულაცია გაიზრდებოდა  $N_i$  დერძის გასწვრივ  $K_i$ -სკენ (იხ. ნახ. 21-3). როდესაც  $i$  სახეობის პოპულაცია ძალიან მცირეა ( $i$  ახლოსაა 0-თან და ამრიგად ადგილი აქვს ძალიან მცირე შიდასახეობრივ ბრძოლას),  $1/N_i dN/dt$  დადგებითია მანამდე, სანამ კონკურენტი  $j$ -ს პოპულაცია ნაკლებია  $K_j/a_{ij}$ -ზე. ეს კვეთა წარმოადგენს  $j$  პოპულაციის ზონას, რომელზეც  $i$  პოპულაციის რესურსების მისეული გამოყენება უტოლდება  $K_i$  ინდივიდების გამოყენებას.

იმის გასაგებად, თუ როგორ თანაარსებობს ორი სახეობა, ჩვენ უნდა გავიგოთ პირობები, სადაც პოპულაციები ან იზრდებიან ან მცირდებიან. როგორც თქვენ ხდეთ, ნახ. 21-4ა-ში *i* პოპულაციის ერთ სულ



**ნახ. 21-5** გრაფიკული გამოსახულება ორი სახეობის გაწონას-ნოებული პირობებისა, რომელთაგან ი სახეობა უკეთესი კონკურენტია. არეალები, სადაც პოპულაციები შეიძლება გაზარდონ, აღნიშნულია ნათელი მნევანჯ ფერით ი სახეობისთვის და მუქი მნევანები  $j$  სახეობისთვის. ორივე სახეობა იზრდება  $A$  რეგიონში, ორივე მცირდება  $B$  რეგიონში და  $i$  იზრდება და  $j$  მცირდება  $C$  რეგიონში.


მოსახლეზე ზრდის ტემპი  $1/N_i dN_i/dt$ , დადებითია  $N_i$ -სა და  $N_j$ -ს გარკვეული კომპინაციებისთვის (მაგ. ნერტილი) და უარყოფითია სხვებისთვის (მაგ. ნერტილი). ორ რეგიონს შორის გამყოფი ხაზი, რომელსაც ნონას-ნორობის იზოკლინი ეწოდება ( $dN_i/dt = 0$ ), არის ორი სიბრტყის გადაკვეთა იმ ხაზის გასწრივ, რომელიც განისაზღვრება  $N_i = K_i - a_{ij} N_j$  ურთიერთობით. ეს ურთიერთობა ჩვენ ზემოთ განვიხილეთ (განტოლება [21-5]).

როდესაც ერთ სულ მოსახლეზე ზრდის ტემპი დადებითია, პოპულაცია განაგრძობს ზრდას, რაც გამოსახულია გრაფიკზე როგორც მოძრაობა ი ღერძზე საწყისი ნერტილიდან ბოლოს კენ. ჩვენ გვჭირდება, უბრალოდ ვიცოდეთ ზრდის ტემპის ნიშანი, რათა განვსაზღვროთ პოპულაციის კლება-მატების ტენდენცია: როდესაც ზრდის ტემპი დადებითია, პოპულაცია

მიდრეკილია ზრდისკენ ( $N_i$  ღერძზე მოძრაობა საწყისი ნერტილიდან). როდესაც ზრდის ტემპი უარყოფითია, პოპულაცია შემცირებისკენ არის მიღწეული (საწყისი ნერტილისკენ მოძრაობა  $N_j$  ღერძზე). ამრიგად, ჩვენ შეიძლება გავსინჯოთ ნონასწორობითი იზოკლინი  $N_i$ -სათვის უბრალოდ ნახ. 21-4ა-ს „ფუძეზე“ დახვედრით, რაც ორ განზომილებიანი გრაფიკია, რომლის ღერძებიც  $i$ -სა და  $j$  სახეობების პოპულაციის ზომებია (ნახ. 21-4ბ). იმ რეგიონის ფარგლებში, რომელიც მოიცავს გრაფიკის საწყის ნერტილს (ნერტილი),  $i$  პოპულაცია იზრდება. ამ რეგიონის გარეთ ის მცირდება (ნერტილი), როგორც აღნიშნულია ისრებით. სახეობა  $j$ -ს აქვს ანალოგიური ნონასწორობის იზოკლინი, ნაჩვენები ნახ. 21-4ც-ში.

$i$  და  $j$  სახეობების ქცევა დამოკიდებულია მათი ნონასწორობის იზოკლინების შედარებით პოზიციებზე. როდესაც ერთი სახეობის იზოკლინი მდებარეობს მეორე სახეობის იზოკლინის გარეთ მთელი მისი სიგრძის გასწრივ, ის აღმატებული კონკურენტია და ანადგურებს მეორეს. ნახ. 21-5ში  $i$  სახეობის იზოკლინი მდებარეობს  $j$  სახეობის იზოკლინის გარეთ. როდესაც ორივე პოპულაცია მცირდება (ნერტილი), ორივე იზრდება და პოპულაციების ტრაექტორია ერთობლივად მიემართება ზემოთ და მარჯვნივ. როდესაც ორივე პოპულაცია მსხვილია (ნერტილი), ორივე მცირდება. მაგრამ ორი სახეობის იზოკლინებს შორის რეგიონში  $j$  სახეობა მცირდება, (ის თავისი ნონასწორობის იზოკლინის გარეთ მდებარეობს) ხოლო  $i$  სახეობა იზრდება (ის თავისი იზოკლინის ფარგლებშია). შედეგად, პოპულაციების საერთო ტრაექტორია მიემართება ქვემოთ და მარჯვნივ, საბოლოო ჯამში აღწევს რა  $K_i$ -ს ი ღერძზე ( $N_i = K_i, N_j = 0$ ). ამრიგად,  $i$  სახეობა განდევნის  $j$  სახეობას სისტემიდან. ამგვარი ინტერაქციების მოქმედების დროის სიმულაცია არის ნაჩვენები ნახ. 21-6-ში, რომელიც არამეციუმ-ზე გაუსის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტის საბოლოო შედეგს ჰგავს (იხ. ნახ. 21-1).

კონკურენციის ეს გრაფიკული ანალიზი ცხადად გვიჩვენებს, რომ თანარსებობა შეიძლება მიღწეულ



**ნახ. 21-6** კონკურენციის კურსი ორ პოპულაციას შორის ასახული (ა) კონკურენტულ გრაფიკზე და (ბ) როგორც ცვლილება პოპულაციის ზომაში დროის განმავლობაში. დროის ინტერვალები აღნიშნულია ნერტილების ციფრებით სანიმუშო ნერტილების გვერდით. წყვეტილი ხაზები აღნიშნავენ, რომ პოპულაცია იზრდება, როდესაც სახეობები ცალ-ცალკე იზრდება.


იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც  $i$  და  $j$  სახეობების წონასწორობის იზოკლინები კვეთენ ერთმანეთს (ნახ. 21-7ა). მათი გადაკვეთის ნერტილში, რაც შეესაბამება  $\dot{N}_i$ -სა და  $\dot{N}_j$ -ს, ორივე პოპულაციის ზრდის ტემპი იქნება 0. პოპულაციების იზოკლინებით განსაზღვრული საერთო ტრაექტორიები გრაფიკის თითოეულ თხო ნაწილში, ნახ. 21-4-ში, გვიჩვენებენ, რომ საერთო წონასწორობის ნერტილი სტაბილურია. შესაბამისად, პირობები თანაარსებობისთვის არის უთანსწორო  $K_i < K_j/a_{ji}$  და  $K_j < K_i/a_{ji}$ . ამ უტოლობათა გადაადგილებით ჩვენ მივიღებთ  $a_{ij} < K_i/K_j$  და  $a_{ji} < K_j/K_i$ , როგორც ადრე ვნახეთ. ბიოლოგიურად, ეს უტოლობანი ეთანხმებიან შემთხვევას, რომელშიც თითოეული სახეობა საკუთარ თავს ( $K_i$ ) უფრო ზღუდავს, ვიდრე ის ზღუდავს სხვას ( $K_j/a_{ji}$ ). თანაარსებობისთვის შიდასახეობრივმა ბრძოლამ უნდა გადააჭარბოს სახეობათაშორის ბრძოლას. აღსანიშნავია ასევე, რომ რი და რჯ კონკურენციის საბოლოო შედეგისთვის არამატერიალურია, ისინი გავლენას ახდენდენ მხოლოდ მისი დროის მსვლელობაზე.

რახდება, როდესაც ორივე პოპულაცია უფრო ძლიერ არის შეზღუდული სახეობათაშორისი ბრძოლით, ვიდრე შიდასახეობრივი ბრძოლით? ამ შემთხვევას, რომელიც ნაჩვენებია ნახ. 21-7ბ-ში, აქვს არასტაბილური წონასწორობის ნერტილი, სადაც იზოკლინები იყვეთება, რომლისგან მოშორებითაც მოძრაობს პოპულაციათა საერთო ტრაექტორა. ერთი ან მეორე სახეობა იგდებს ხელში უპირატესობას იმის მიხედვით, თუ რომელია თავდაპირველ რაოდენობრივ უპირატესობაში. ეს მოითხოვს ნაკლებსავარაუდო ვითარებას, სადაც თითოეული სახეობა აღემატება მეორეს დომინინატურად შიდასახეობრივ გარემოში (ანუ სიჭარბისას) და ნაკლებია დომინანტურად სახეობათაშორის გარემოში (ანუ იშვიათობისას). სავარაუდოდ, თუ თითოეული სახეობა შეაფერებს მეორე პოპულაციის ზრდას სახეობისთვის სპეციფიკური ტოქსიკური ქიმიკატების გამოყოფით, მი სახეობას, რომელიც თავდაპირველად თავს იჩენს დიდი რაოდენობით, ექნება კონკურენტული უპირატესობა. ამგვარი პირობები ნაკლებ სავარაუდო ბუნებრივ სისტემებში და ეკოლოგებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ არასტაბილურ წონასწორობას.


ლის (21-3) განტოლების მიხედვით,  $dN_i/dt = r_i N_i(1 - N_i/K_i - a_{ij}N_j/K_i)$ , ელემენტი  $a_{ij}$  შეიძლება განისაზღვროს, როდესაც  $r_i$  და  $K_i$  ცნობილია არიან  $i$  პოპულაციაში მომხდარი ცვლილების სიჩქარიდან.  $a_{ij}$ -ს საძიებლად ზემოთ მოცემული განტოლების ამოხსნა გვაძლევს:

$$a_{ij} = \frac{(K_i - N_i)}{N_i} - \frac{dN_i}{dt} - \frac{K_i}{r_i N_i N_j}$$

ეს განტოლება გვიჩვენებს, რომ კონკურენციის კოეფიციენტის გამოთვლის ექსპერიმენტული



(ა)




(ბ)

**ნახ. 21-7** (ა) პირობები ორი კონკურენტის სახეობის სტაბილური თანაარსებობისთვის. გრაფიკი შეიძლება მიღებულ იქნას ნახ. 21-5-დან / სახეობის (უკეთსა კონკურენტი) კონკურენციის კოეფიციენტის შემცირებით / სახეობის მიმართ. როდესაც  $a_{ij}$  მცირდება,  $K_j/a_{ji}$  იზრდება. მწვანე და მავი კეტტორები ყოველ თხო რეგიონში, რაც შეკმილი იყო გადაკვეთოლი იზოკლინების მიერ, ნარმოადგენ პოპულაციის ზრდის მიმრთულებას ამ რეგიონში (მწვანე შესაბამება / სახეობის ზრდას და მავი შეკვერება / სახეობის ზრდას). შედეგად მიღებული კეტტორები მოცულია ნაცრისცრად. ცხადია, რომ იზოკლინების ამ კონფიგურაციით კონკურენტებადი პოპულაციები მიღრეკილი იქნება სტაბილური წონასწორის კეტტორები, რაც აღნაშნულია ხაზების გადაკვეთის ნერტილით. (ბ) ორ სახეობას შორის კონკურენციის შედეგი, რომელთაგან ორივე უფრო იზღუდება სახეობათაშორისი კონკურენციით, ვადრე შიდასახეობრივი ბრძოლით (ა<sub>ij</sub> და ა<sub>ji</sub> ორივე დიდია). პოპულაციები მიდრეკილია წონასწორის ნერტილიდან გადახრისევე.

## 21.8 ჩვენ გვაგიძლია განვსაზღვროთ კონკურენციის კოეფიციენტი კონკურენციის ეპსივირიონების შედეგების მიხედვით

მარცვლეულ პროდუქტებში ბინადარი პარაზიტების კონკურენციის თავის ლაბორატორულ კვლევებში ა.ქ.კრობიმ (1945) პოპულაციის ზომაში მომხდარი ცვლილებებით განსაზღვრა  $a_{ij}$ -სა და  $a_{ji}$ -ს სიდიდეები, როდესაც  $i$  და  $j$  სახეობები ერთად იქნა გაზრდილი. ლოგისტიკური სახეობათაშორისი ბრძო-




სიძნელე მდგომარეობს კონკურირებადი სახეობების პოპულაციის ზომისა და გადატანითი შესაძლებლობის აკურატულ გაზომვებში და პოპულაციის ზრდის ტემპების განსაზღვრაში.

კრომბიმ მიიღო  $r_i$ -სა და  $K_i$ -ს სიდიდეები  $j$  სახეობის გარეშე გაზრდილი  $i$  სახეობის პოპულაციიდან. ხოჭო Rhizopertha dominica-სა (რომელსაც მან R სახეობა უწოდა) და CrCil Sitotraga cerealella-ს (S სახეობა) შორის კონკურენციაზე მუშაობისას, კრომბიმ განსაზღვრა, რომ  $r_R = 0,05$  და  $r_S = 0,10 \text{ d}^{-1}$ ,  $K_R = 338$  და  $K_S = 200$ ,  $a_{RS} = 1.0$  და  $a_{SR} = 1.3$ . რადგანაც პროდუქტმა აღშაშდ გადააჭარბა 1-ს, ჩვენ არ უნდა მოველოდეთ ამ ორი სახეობის თანაარსებობას. მეტიც, რადგანაც  $K_R$  აჭარბებს  $K_S/a_{SR}$ , Srizopertha-ს სავარაუდოდ უპირატესობა უნდა მოეპოვებინა Sitotraga-ზე, რაც მართლაც ასე მოხდა (ნახ. 21-8a). Rhizopertha და Sitotraga ჰგვანან

ერთმანეთს ეკოლოგიურად იმით, რომ ორივე სახეობის დიდი ლარვები იბუდებენ ხორბლის მარცვლებში და იკვებებიან მისი შიგთავსით (ნახ. 21-8b). რადგანაც ლარვები აგრესიულები არიან ერთი ერთმანეთის, ჩვენ არ უნდა გაგვიკირდეს, რომ მათი სახეობათაშორისის ბრძოლის კოეფიციენტი მაღალია.

კრომბიმ ასევე გამოიკვლია კონკურენცია Rhizopertha-ს და მეორე სახის ხოჭოს Oryzaephilus სურინამენ-სის-ს შორის. Sitotraga-სგან განსხვავებით ryzaephilus-ის ლარვები იკვებებიან ხორბლის მარცვლის გარეთ. შესაბამისად Rhizopertha-სა და Oryzaephilus-ს შორის კონკურენციის კოეფიციენტი დაბალია (დაახლოებით 0.2 და 0.1) და ორი სახეობა ახერხებს თანაარსებობას მცირე ურთიერთდაბრკოლებით (ნახ. 21-9).

კონკურენციის კოეფიციენტების ექსპერიმენტალურმა გამოთვლებმა მიგვანიშნეს გარკვეული



**ნახ. 21-9** პოპულაციათა ტრაექტორიები კონკურირებადი ხოჭოების Rhizopertha-ს ( $N_R$ ) და Oryzaephilus-ისა ( $N_0$ ), რომლებიც იზრდებოდნენ განახლებულ ხორბლის კულტურებში სამი განსხვავებული სანყისი სიმჭიდროვისას (იხ. ნახ. 21-8). რეგიონები A, B, C და ეთანხმებიან მსგავს რეგიონებს, რაც ნაჩვენებია ნახ. 21-7-ში. პოპულაცია მიმართულია ნონასწორობის ნერტილისკენ იქ, სადაც იზოკლინები იკვეთება. (From Crombie 1945.)

**ცხრილი 21-2** კონკურენტულ ექსპერიმენტებ-ში, სადაც *Drosophila pseudoobscura* თანაარსებობს *D.serrata*-თან


	მათოგატიკური გამოსახულება ლოგისტიკური განტოლების მიხედვით	ზრდასრული პოპულაციის ზომა
<b>ცალ-ცალკე გაზრდილი სახეობა</b>		
<i>D.pseudoobscura</i>	$N_p = K_p$	664
<i>D.serrata</i>	$N_s = K_s$	1,251
<b>ერთად გაზრდილი სახეობა</b>		
<i>D.pseudoobscura</i>	$\hat{N}_p = K_p - a_{ps} \hat{N}_s$	252
<i>D.serrata</i>	$\hat{N}_s = K_s - a_{sp} \hat{N}_p$	278
		<b>ჯამი = 530</b>

(Data from Ayala 1970.)

გამარტივებებისკენ, რაც ალელუებდა კაპიტან დაივერს. მაგალითად, როდესაც ფრანცისკო აიალამ (1970) კონკურენციაში მოიყვანა დროზოფილას ორი სახეობა ერთად, კონკურენციის კოეფიციენტის მისეული გამოთვლები კონფლიქტში მოდიოდა ვოლტერას მარტივ მოდელთან. .პსეუდობობსცურა, დასავლეთ აშშ-დან და .სერრატა, ახალი გვინეადან თანაარსებობენ ლაბორატორულ კულტურებში  $23^{\circ}\text{C}$ -ზე. მაღალ ტემპერატურებზე *D.serrata* ჩაანაცვლებს *D.pseudoobscura*-ს. დაბალ ტემპერატურებზე *D.pseudoobscura* ნარ-

ჩუნდება *D.serrata*-ს ხარჯზე. ცალ-ცალკე და ერთად შენარჩუნებული თითოეული სახეობის პოპულაციათა ზომები თავმოყრილი და შეჯამებულია ცხრილ 21-2-ში. ამ ინტერაქციების კონკურენციის კოეფიციენტი განისაზღვრა, რომ იყო  $a_{ps} = 1.49$  და მსგავსად  $a_{ps} = 3.86$ . პროდუქტი  $a_{ps} a_{sp} = 5.75$  არღვევს ზოგად პირობას თანაარსებობისთვის, თუმცალა არც ერთი სახეობა არ განდევნის მეორეს!

ცხრილი 21-2 წონასწორობითი პოპულაციის ზომებიაიღია შედეგები არ უარყოფენ აქ განვითარებული კონკურენციის თეორიის ზოგად პრინციპს, მაგრამ ისინი გულისხმობენ, რომ მარტივ ხაზობრივ მოდელებს, როგორიცაა ლოგისტიკური განტოლება, არ შეუძლიათ, ადეკვატურად აღწერონ პოპულაციათა დინამიკა ზოგიერთ შემთხვევაში (Law and Watkinson 1987). აიალას შედეგები შეიძლება მორგებულ იქნას თანაარსებობის პირობებთან ( $K_i < K_j/a_{ji}$ ) წონასწორობის იზოკლინის გადახრით ნახ. 12-10-ში ნაჩვენებ მრუდებ-ში (Gilpin and Justice 1972, 1973). ამგვარი გადახრა შეიძლება განხორციელდეს, როდესაც თითოეული სახეობა ინტენსიურად კონკურენციას მეორესთან სიმცირის პირობებში, მაგრამ ნაკლებად, როდესაც თითოეული სახეობა ახლოსაა გადატანით შესაძლებლობასთან. წარმოიდგინეთ შემთხვევა, სადაც ორი რესურსია და . თითოეული სახეობა ორივეთი იკვებება, მაგრამ  $i$  სახეობა რესურსებს გაცილებით უფრო ეფექტურად იყენებს, ვიდრე  $j$  სახეობა და სპეციალიზდება მასზე რესურსების სიმცირისას. საპირისპირო ხდება  $j$  სახეობასა და  $B$  რესურსთან მიმართებაში. როდესაც  $i$  არის იშვიათია და  $j$  ჭარბი, მათ შორის ძირითადი კონკურენცია გამოწვეულია მათ მიერ რესურსის გამოყენები-დან და  $i$  უკეთესი კონკურენტია. როდესაც  $j$  არის იშვიათი და  $i$  ჭარბი, კონკურენცია კონცენტრირებული რესურსზე და  $j$  არის უკეთესი კონკურენტი (Ayala 1970, 1971; Gilpin and Ayala 1973).




**ნახ. 21-10** შედარებით თანაარსებული სახეობების ლოგისტიკური კონკურენციის მოდელისა და თანაარსებულ სახეობაზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების შესახებ *Drosophila*-ს მაგალითზე. როდესაც ადგილი აქვს თანაარსებობას, მოდელი წინასარმეტყველებს, რომ განხორციელებული პოპულაცია ( $A$  ნერტილი) მდგრადი მოდელის თრი გადატანითი შესაძლებლობის შემაერთებები ხაზს ( $K_s$  და  $K_p$ ) გარეთ. აიალას შედეგი აღნიშნულია  $B$  ნერტილით. გრაფიკული მოდელის მოდიფიკაცია  $B$  ნერტილის მორგებისთვის ნაჩვენებია მცირე გრაფიკზე.

**21.9** ორი სახეობის კონკურენცია  
შეიძლება გამოისახოს გრაფიკულზე  
პოპულაციის ცვლილების რასურსების  
ხელისაწვდომობასთან მიგართებაში.


ლოგისტიკური კონკურენციის თეორია ემყარება მასში ჩართული მომხმარებელი პოპულაციების დინამიკას. ის არ ითვალისწინებს ექსპლიციტურად კონკურენტების მიერ მოხმარებულ რესურსებში მომხდარ ცვლილებებს. ჩვენ ვნახეთ მე-20 თავში, თუ რა გავლენას ახდენს არსებითი რესურსები პოპულაციის ზომაზე. ორი არსებითი რესურსისთვის კონკურენციადი მომხმარებელთა ორი პოპულაცია გამოსახულია ნახ. 21-11-ში. აქ  $i$  სახეობას შეუძლია, გაიზარდოს ორივე რესურსის დაბალი დონის არსებობის პირობებში  $j$  სახეობაზე უკეთესად. ანუ  $i$  სახეობა ნაკლებად მოითხოვს ორივე რესურსს. ამ შემთხვევაში  $i$  ჯაბნის  $j$ -ს.

თანაარსებობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც წონასწორობის იზოკლინები, იგივე ნულოვანი სუფთა ზრდის იზოკლინები ან მოკლედ, ZNGI კვეთენ ერთმანეთს, როგორც ნაჩვენებია ნახ. 21-12-ში (Tilman 1982). საერთო წონასწორობის ბუნებაზე ორი დამატებითი ფაქტორი ახდენს გავლენას. პირველი არის თითოეული სახეობის მიერ თითოეული რესურსის მოხმარების სიჩქარე. ისინი აღნიშნულია ჩი და ჩჯ ვექტორებით, რაც მიმართულია ქვემოთ და მარცხნივ საერთო წონასწორობის ნერტილის გავლით. მეორე არის რესურსების მიწოდების ნერტილის პოზიცია, ეს წერტილი გრაფიკზე ნარმოადგენს თითოეული არსებითი რესურსის დონეს მომხმრებლის არ არსებობის პირობებში.

სტაბილური თანაარსებობისთვის ორი პირობა არის საჭირო. პირველი არის ის, რომ თითოეულმა სახეობამ უნდა მოიხმაროს შედარებით მეტი რესურსი, რაც ზღუდვავს მის ზრდას წონასწორობამდე. ნახ. 21-12-ში სახეობა  $i$  იზღუება მეორე რესურსის მიერ საერთო წონასწორობის ნერტილში. რადგანაც ჩი აღნიშ-




**ნახ. 21-11** ორი სახეობის კონკურენციის გამოსახულება, რომელშიც ერთს ( $i$ ) შეუძლია, შეინარჩუნოს პოპულაციის ზრდა ორივე შემზღვდავი რესურსის დაბალ დონისას მეტობეზე ( $j$ ) უკეთესად. ამ შემთხვევაში,  $i$  სახეობა მოგებული რჩება კონკურენციაში და / გამოიდევნება სისტემიდან. (From Tilman 1982.)



**ნახ. 21-12** კონკურენციის ასახვა, რომელშიც ნულოვანი სუფთა ზრდის იზოკლინები კვეთენ სტაბილური წონასწორობის ნერტილს, რაც ნაჩვენებია ნერტილით. ნერტილი სტაბილურია, რადგან თითოეული სახეობა მოიხმარს შედარებით უფრო მეტ რესურსს, რომელიც ზღუდვავს მის ზრდას წონასწორობამდე. (From Tilman 1982.)

ნავს, რომ  $i$  სახეობა უფრო სწრაფად იყენებს მეორე რესურსს ვიდრე პირველ რესურსს ამ ნერტილში, ეს პირობა სრულდება. მეორე არის ის, რომ რესურსთა მიწოდების ნერტილი უნდა იყოს განლაგებული რეგიონში მოხმარების ვექტორებს შორის (დაჩრდილულია ნახ. 21-12-ში). ამ რეგიონს გარეთ ერთ სახეობას აშკარა უპირატესობა აქვს მეორეზე, რადგან მისი შემზღვდავი რესურსი უფრო დიდი ისისწრაფით მოენიდება, ვიდრე მეორე სახეობის შემზღვდავი რესურსი.

ტილმანმა გამოსცადა თავისი მოდელი ორი სახეობის დიატომის სტერიონელლა ფორმოსა და ჩიცლოტელლა მენეგაპინიანა გაზრდით ქემოსტატში საკვების მიწოდების კონტროლებადი სიჩქარეებით. სტერიონელლა მოითხოვს ფოსფორის შედარებით მაღალ



**ნახ. 21-13** დაცვირვებული ნულოვანი სუფთა ზრდის იზოკლინები და მოხმარების ვექტორები *Asterionella formosa*-ს და *Cyclotella meneghiniana*-ს დაატომებისთვის წინასწარმეტყველებენ სტაბილურ თანაარსებობას ამ ორ სახეობას შორის. (After Tilman 1982.)

დონეებს, როგორც ნაჩვენებია თითოეული სახეობისთვის ZNGI-ის პოზიციით (ნახ. 21-13). მოხმარების ვექტორებთან კომბინირებული ეს ფაქტორები გულისხმობს, რომ ორი სახეობა უნდა თანაარსებობდეს, როდესაც სილიციუმის შეფარდება ფოსფორთან არის 5.6-სა და 9.7-ს შორის. ეს ვარაუდია, რომელიც დიდნილად არის დამტკიცებული ქემოსტატის ექსპერიმენტების მიერ.

## **21.10 დაღვევას შეუძლია, გავლენა მოახდინოს სახეობებს შორის კონკურენციის საპოლოო შედეგზე.**

როგორც ტილმანის მოდელი, ისე კონკურენციის ლოგსტიური გამოსახულებები იწვევენ მსგავს დასკვებს: თანაარსებობა შესაძლებელი ხდება ეკოლოგიური სეგრეგაციის საშუალებით. იმისთვის, რომ ორმა სახეობამ ერთად იარსებოს, თითოეულმა უნდა იმარჯვოს იმ რესურსის მოხმარებაში, რომელიც მეორეს ზღუდავს. როდესაც სახეობები კონკურენცენ რესურსისთვის ლაბორატორულ კულტურები, ერთი განდევნის მეორეს. თუმცა, როდესაც სახეობები იზღუდებიან სხვადასხვა რესურსებით და მოთავსებულია ჰეტეროგენულ პირობებში, რაც ორივესთვის შემზღვდავია, მათ შეუძლიათ, იარსებონ რომელიმე მათგანის მიერ კონკურენცული უპირატესობის მოპოვების გარეშე.

ტელმანის და სხვების ლოგისტიკური კონკურენციის მოდელებმა და ყურადღებით კონტროლირებადმა ექსპერიმენტებმა შეიძლება არ მოგანადონ იმ დაკვირვებების ადეკვატური ახსნა, სადაც ორგანიზმთა ზოგიერთი თანასაზოგადოება შეიცავს დიდი რაოდენობით სხვადასხვა ორგანიზმს. მათი ეკოლოგიური ფუნქციები, ანუ ის გზები, რომლითაც ისინი მოიხმარენ რესურსებს, იმდენამ მსგავსია, რომ მათ ერთმანეთისგან ფაქტიურად განუსხვავებლებს ხდის. ვიქტორიას ტბის ციხლიდები ნილოსის ქორჭილას შეყვანამდე (იხ. თავი 1), მცენარეთა ხმელეთის თანასაზოგადოების სახეობათა დიდი მრავალფეროვნება და მრავალ ტბაში არსებული პლანეტონური ორგანიზმების სხვადასხვა ტბის უამრავი რაოდენობა ამგვარი შემთხვევის მაგალითია. ამგვარ შემთხვევებში ხშირად ძნელი დასადგენია სულ მცირე განსხვავებაც კი იმაში, თუ როგორ მოიხმარენ თანაარსებული სახეობები თავიანთ რესურსებს. ისინი, როგორც ჩანს, არღვევენ კონკურენცული გამორიცხვის პრინციპს. მცენარეების შემთხვევები, ჰასტონმა (1994) და სხვებმა გამოთქვეს აზრი, რომ ხმელეთის მრავალი სხვადასხვა სახის მცენარე, რომლებიც თავს იჩენს ერთ ადგილას, ფესვების ფაქტურია ისეთ ნიადაგში, რომლის მახასიათებლებიც მართლაც რომ ჰამოგენურია. ამრიგად, ეკოლოგიური განსხვავება იმაში, თუ როგორ მოიპოვებენ სხვადასხვა სახეობები წყალს და საკვებ

ნივთიერებებს ნიადაგიდან, არ არის მოსალოდნელი. ამის მიუხედავად, ისინი თანაარსებობენ. ჰათჩინსონმა ფერადოვნად ჩამოაყალიბა ეს შეუთავსებლობა დაკვირვებასა და თეორიას შორის თავის 1961 წლის ნაშრომში „პლანეტონთა პარადოქსი“.

ამ დაკვირვებების თეორიასთან შერიგების მცდელობაში, ეკოლოგებმა გააცნობიერეს, რომ გამლიზიანებელმა და ცვალებადმა გარემო პირობებმა, შეიძლება ხელი შეუძლოს კონკურენციადი სახეობების პოპულაციებს იმ ზომის მიღწევაში, რომელზეც მიიღწევა კონკურენციული ეფექტი. ამრიგად, მაშინ, როდესაც ორი სახეობის რესურსების მოპოვების ხერხები და საშუალებები შეიძლება თითქმის მთლიანად ემთხვეოდეს ერთმანეთს და ამრიგად, კონკურენციის თეორიის თანახმად, მათი თანაარსებობა შეუძლებლად იქნას მიჩრეული, მათ შეიძლება რეალობაში შეძლონ თანაარსებობა ბუნებრივი, რადგან გამლიზიანებლები ხელს უშლიან ნებისმიერ პოპულაციას იმ ზომის მიღწევაში, რომელზეც ის უარყოფით ეფექტს განახორციელებს მეორეზე. ჩვენ შეიძლება ამგვარი სისტემა წარმოდგენილი გვქონდეს როგორც არანონასწორობრივი სისტემა, რადგან ლოგისტიკური კონკურენციის მოდელების მიერ ნავარაუდები სტაბილური წონასწორობა არასდროს მიიღწევა.

## **21.11 მომხარებლებს შეუძლიათ, გავლენა მოახდინოს სახეობებს შორის კონკურენციის საპოლოო შედეგზე**

გამლიზიანებელი არ არის ერთადერთი ბუნებრივი ძალა, რომელიც გავლენას ახდენს კონკურენცული ინტერაქციების საბოლოო შედეგზე. ეკოლოგები დარვინის შემდეგ აკვირდებიან, რომ როდესაც ცხოველი ძოვს ველზე ბალახს, რომელიც შეიცავს მცენარეთა სხვადასხვა სახეობებს, მძოველობაზე ამ მცენარეთა სახეობების სიჭარბე გავლენას სხვადასხვაგვარად მოახდენს (იხ. თავი 22). ადრეულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ მძოველობა გავლენას ახდენს მცენარეებს შორის კონკურენცულ ინტერაქციებზე. ტენსილიმ და ადამსონმა (1925) ჩაატარეს სისტემატური და ექსტენსიური ექსპერიმენტები ბრიტანულ, კირქვის შემცველ საძოვარ მინებზე კურდღლების ძოვის ეფექტებზე. 6 წლიანი დაკვირვების განმავლობაში კურდღლისგან ხელუხლებელ გარემოში მცენარეულობაში დომინირებადი ბალახი ძერნა ერეცტა გახდა (ახლა ენდეგა რომეულ ერეცტურს), ეს არის დომინანტი კონკურენტი, რომლის გამრავლებაც, როგორც წესი, იზღუდება მძოველობის შედეგად. მსგავსი კვლევები კონკურირებად ბალახეულზე მძოველი ცხოველების გავლენის შესახებ განხილულია 24-ე თავში. მტაცებლობასაც ასევე შეუძლია გავლენა მოახდინოს კონკურენცების ინტერაქციაზე. მაგალითად, ცნობილია, რომ მტაცებლები ძლიერ გავლენას ახდენენ მაღალ განედებზე მღრღნელების სახეობათა

კონკურენციაზე და ეს მტაცებლების ეფექტები გავლენას ახდენენ მღრღნელი სახეობების პოპულაციათა ციკლებზე (Andersson and Erlinge 1977, Korpimäki and Norrdahl 1989, Hanski et al. 1991, Hanski and Henttonen 1996). მოდით, განვიხილოთ, თუ როგორ შეიძლება იქნას მტაცებლობა ჩართული თეორიულ მოდელებში, რომლებიც ჩვენ ამ თავში განვავითარეთ.

ჩვენ შეგვიძლია, განვავრცოთ ლოტკა-უოლტერას კონკურენციის მოდელი, რათა მოიცავდეს მტაცებლობის ეფექტებს ერთ-ერთზე კონკურირებადი სახეობების წყვილიდან. ვთქვათ, მტაცებლობის არარსებობის პირობებში,  $i$  სახეობა ჯაბინის  $j$  სახეობას (ანუ  $K_i > K_j/a_{ji}$  და  $K_j < K_i/a_{ij}$ ; იხ. ზემოთ). ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მტაცებელი ჩამოამორებს  $i$  სახეობის ინდივიდებს  $m$  სიჩქარით ერთ სულ მოსახლეზე. ჩვენ შეგვიძლია, დაგნეროთ  $i$  სახეობის დინამიკა შემდეგი სახით:

ეს განტოლება იდენტურია (21-3) განტოლებისა მო სახეობას შორის კონკურენციის შესახებ, იმის გამოკლებით, რომ  $\delta/\delta t$  ახლა შემცირებულია არა მარტო  $j$  სახეობის კონკურნეტული ეფექტით, არა ამედ ასევე მტაცებლობით (მიი). მოდელი გულისხმობს, რომ მტაცებლები იჭერენ მსხვერპლს ყველა სიმჭიდროვეზე მათი ხელმისაწავდომობის პირდაპირპოპორციულად. როგორც ჩვენ 23-ე თავში გიჩვენებთ, ეს მოდელი არის გამარტივება იმისა, თუ როგორ მოქმედებენ მტაცებლები ბუნებაში.

$$\frac{dN_i}{dt} = r_i N_i \left(1 - \frac{N_i}{K_i}\right) - \frac{a_{ji} N_i}{K_i} - m_i N_i.$$

მსგავსად იმისა, თუ როგორ ვაანალიზებთ ამგვარ განტოლებებს, ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რა ხდება, როდესაც  $dN_i/dt = 0$ . ჩვენ აქ გამოვტოვებთ ალგებრულ დეტალებს, რადგან ეს პროცედურები იგივეა, რაც ნინათ გამოვიყენეთ, თუმცა ცოტა უფრო უწესრიგო დამატებული ელემენტის გამო. ნონასნორობა მიიღწევა, როდესაც:

$$\hat{N}_i = \frac{K_i \left(1 - \frac{m_i}{r_i} - a_{ji} K_j\right)}{1 - a_{ji} a_{ij}} \quad (21-9)$$

და


$$\hat{N}_j = \frac{K_j \left(1 - \frac{m_i}{r_i} - a_{ji} K_i\right)}{1 - a_{ij} a_{ji}} \quad (21-10)$$

ეს განტოლებები გვიჩვენებს თანმიმდევრობით ორი კონკურენციადი პოპულაციის ნონასნორობის სიმჭიდროვეებს, როდესაც ერთ-ერთი პოპულაცია, ამ შემთხვევაში  $i$  პოპულაცია, ხელმისაწვდომია მტაცებლობისთვის მუდმივი მი სიჩქარით. ორი სახეობის თანაარსებობა ნიშნავს, რომ როგორც  $\hat{N}_i$  ისე  $\hat{N}_j$  ნულზე მეტია.

ზემოთ მოცემულ განტოლებებში წარმოდგენილი პირობები ჰქონან ნონასნორობას ნამდვილი კონკურენციისას იმის გამოკლებით, რომ  $i$  სიდიდე მცირდება ელემენტი  $(1 - m/r_i)$ -ის მიერ, რომელიც თავს იჩენს ორივე განტოლებაში (შეადარეთ ეს გან-

ტოლებები [21-3] განტოლებას). მტაცებლობის ( $m = 0$ ), ნონასნორობა შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ  $a$ -ს და  $K_j$ -ის მიერ, როგორც ნამდვილი კონკურენციის მოდელებში (განტოლება [21-7] და [21-8]). ამრიგად, ამ სისტემის დინამიკა უპირველესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ემართება ი სახეობის და მისი მტაცებლის ინტერაქციას, ანუ  $m/r_i$  შეფარდებას. გაამახვილეთ თქვენი ყურადღება იმაზე, თუ რა ემართება  $j$  სახეობას ამ სისტემაში, იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ რი კონსტანტაა. ინტუიციურად, ჩვენ მოველით, რომ თუ  $i$  სახეობაზე მტაცებლობის ზენოლა დიდია, შემცირდება  $i$  სახეობის არსებებს ის რაოდენობა, რომელიც  $j$  სახეობის ინდივიდებთან კონკურირებს და  $j$  სახეობის ინდივიდების რიცხვი გაიზრდება. წარმოიდგინეთ, რა მოუვა  $N_j$ -ს განტოლებას, როდესაც  $m/r_i$  შეფარდება იცვლება  $K_i = 200$ ,  $K_j = 100$ ,  $a_{ij} = 0,5$  და  $a_{ji} = 0,5$  სიდიდეებისას (ნახ. 21-14). როდესაც შეფარდება იცვლება,  $N_j$ -ს სიდიდე ხაზოვნად იზრდება. მართლაც, მაშინ, როდესაც ნამდვილ კონკურენციის მოდელებში  $N_j$  ვერ გაიზრდებოდა  $a_{ji} K_i - \theta_j$  მეტად, ამ შემთხვევაში,  $j$  შეიძლება დადებითი იყოს, როდესაც ის ამ წერტილის ზემით არის. ნახატი ცხადად გვიჩვენებს, რომ  $N_j$  შეიძლება გაიზარდოს  $a_{ji} K_i = 0,5(200) = 100$ -ზე ზემოთ. ნახ. 21-14 ასევე გვიჩვენებს, თუ რა ემართება  $i$  პოპულაციას, როდესაც ის განიცდის როგორც მტაცებლობას, ისე კონკურენციას. როდესაც მტაცებლობის ზენოლა იზრდება (იზრდება  $m/r_i$ -ც),  $N_i$  ხაზოვნად მცირდება მანამდე, სანამ ი სახეობა საერთოდ არ გაქრება (იხ. სავარჯიშო 8).

გაუსმა (1935; ხელახლა მოთხოვნილი სლობოდკინის მიერ 1961) თეორიულად აღმოჩინა შემთხვევა, სადაც კონკურენციებს ორივე სახეობა განიცდიდა მტაცებლობას ერთნაირ დონეზე (ამრიგად ადგილი აქვს არასელექციურ მტაცებლობას). ზოგ შემთხვევაში, ამგვარ მტაცებლობას, შეუძლია, ხელი შეუწყოს თა-



**ნახ. 21-14** ნონასნორობის პოპულაციის სიმჭიდროვეები (ცერტიკალური დერძი) ორი კონკურირებადი  $i$  და  $j$  სახეობისათვის, როდესაც  $i$  სახეობა განიცდის მტაცებლობის ზენოლას. პორიზონტალური დერძი გვიჩვენებს  $m/r_i$ , სიდიდის დიაპაზონს, სადაც მი არის მტაცებლობის მუდმივი ტემპი და  $r_i$ : სახეობის ზრდის ტემპი. შეფარდების ზრდასთან ერთად,  $i$  სახეობის პოპულაციის ნონასნორობით სიმჭიდროვე მცირდება, ხოლო  $j$  სახეობისა იზრდება, რადგან უფრო ნაკლები კონკურენცია სახელზე.

ნაარსებობას, პერიოდული დარღვევის მსგავსად, თუ ის ხელს შეუშლის ერთ პოპულაციას თავის კონკურენტზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში.


### **21.12 არაპირდაპირია ინტერაქციებისა შეიძლება გამოიწვიოს თვალსაჩინო კონკურენცია**

პოპულაციები შეზღუდული რესურსებისათვის შეიძლება პიდაპირ კონკურირებდნენ, როგორც ნაჩვენებია ამ თავში მოცემულ მოდელებში. მაგრამ სახეობებს შეიძლება ასევე ჰქონდეთ არაპირდაპირი გავლენა ერთმანეთზე და ზოგიერთ შემთხვევებში ეს არაპირდაპირი ინტერაქციები იწვევენ პოპულაციათა ისეთ დინამიკას, რომელიც ძალიან ნააგავს პირდაპირ კონკურენციას. ტერმინი მოჩვენებითი კონკურენცია გამოიყენება იმ შემთხვევებისთვის, სადაც ორ სახეობას უარყოფითი ეფექტი აქვთ ერთმანეთზე, რაც გამოწვეული მათი ინტერაქციებისგან საერთო მტაცებელ სახეობასთან ან სხვა პოტენციურ მტაცებელთან (Holt 1977, 1984, Holt and Lawton 1994, Abrams and Matsuda 1996).

მოჩვენებითმა კონკურენციამ შეიძლება მიიღოს მთელი რიგი საოცრად კომპლექსური ფორმები, იმის მიხედვით, თუ რამდენი მტაცებელი და მსხვერპლი სახეობა არის ჩართული მასში (ნახ. 21-15ა). უმარტივეს

მაგალითში, მსხვერპლმა სახეობამ შეიძლება არა-პირდაპირი უარყოფითი ეფექტი მოახდინოს მეორე მსხვერპლ სახეობაზე, რომელსაც იგივე მტაცებელი ჭამს უბრალოდ თავისი სარგებლისთვის. ანუ, თუ მტაცებლის რეპროდუქციული ტემპი იზრდება მსხვერპლის სახეობის სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად (ესაა რიცხობრივი რეაქცია იხ. თავი 23) – უფრო მეტი მტაცებელი იქნება სახეობის მსხვერპლის შესაჭმელად. ამას იგივე ეფექტი აქვს, თოთქოს და სახეობები პირდაპირ კონკურენციაში ყოფილიყვნენ ერთმანეთთან. როდესაც მათი პოპულაციის ზომიდან ნებისმიერი იზრდება, მას უარყოფითი ეფექტი აქვს მეორე სახეობაზე, მაგრამ ამ ეფექტს არაპირდაპირ განაპირობებს მტაცებელი. ამ ფენომენს ხშირად უწოდებენ ხოლმე კონკურენციას მტრებისგან განთავისუფლებული სივრცისათვის, რადგან მსხვერპლთა სახეობები, რომლებიც თავს არიდებენ მტაცებლობას მოგებაში რჩებიან ან მეორენაირად მას საზიარო მტაცებლობას ეძახიან, რადგან ორი ან მეტი მსხვერპლი ხდება საერთო მტრის მსხვერპლი (Holt and Lawton 1994).

უფრო ჩახლართული შემთხვევა ნარმოიქმნება, როდესაც მტაცებელი იღებს სასურველ მსხვერპლს, რომელსაც ფოკალურ სახეობას უწოდებენ, მრავალ ალტერნატიულ მსხვერპლთან ერთად (ნახ. 21-15ბ). ამ შემთხვევაში, ფოკალურმა სახეობებმა შეიძლება არაპირდაპირ გავლენა მოახდინონ მეორე სახეობაზე,



**ნახ. 21-15** შესაძლო გზები, რომლითაც არაპირდაპირ ეფექტებს შეუძლიათ, გამოიწვიონ მოჩვენებითი კონკურენცია. (ა) მტაცებელი ჭამს როგორც A, იხ. სახეობის მსხვერპლს, მაგრამ მას მაინც A ურჩევნია. თუ A-ს მოხმარებით მტაცებელი განიცდის რიცხობრივ რეაქციას (მტაცებლის სიმჭიდროვის ზრდა, ნაჩვენები მსხვილი ხაზით), მაშინ მტაცებლობის ზენოლა B-ზეც შეიძლება გაიზარდოს. ამრიგად A სახეობას უარყოფითი ირიბი ეფექტი აქვს B სახეობაზე. (ბ) თუ მტაცებელს ურჩევნია ფოკალური სახეობა A, მაგრამ შეუძლია, მოხმაროს მთელი რიგი ალტერნატიული სახეობებისა, A სახეობას ექნება მოჩვენებითი კონკურენტული ეფექტი მთელ რიგ ალტერნატიულ სახეობებზე. (გ) კომლექსური არაპირდაპირი ინტერაქციები შეიძლება ნარმოიშვას, როდესაც პროცესი ჩართულია ერთზე მეტი მტაცებელი. (დ) მოჩვენებითმა კონკურენციამ შეიძლება თავი იჩინოს სამ სახეობას შორის ერთსა და იმავე ტროფიკულ დონეზე. თუ A და B სახეობა კონკურირებს, მათ აქვთ უარყოფითი ეფექტი (-) ერთი მეორეზე. B და C სახეობებს ორმხრივად მოგებიანი (+) გავლენა აქვთ ერთი მეორეზე. რადგანაც A-ს უარყოფითი გავლენა აქვს B-ზე, B-ს დადებითი ეფექტი C-ზე ქრება და ამრიგად C-ზე არაპირდაპირ გავლენას ახდენს A-სა და B-ს ინტერაქცია. (adaptirebulia Holt and Lawton 1994.)

მაგრამ რადგანაც ეს ეფექტი ვრცელდება მთელ რიგ ალტერნატიურ მსხვერპლზე, ის უფრო მეტად იფანტება. ფოკალური სახეობა შეიძლება ასევე გახდეს ერთზე მეტი მტაცებლის მსხვერპლი (ნახ. 21-15ც) და თითოეულს ამ მტაცებლებისგან შეიძლება ჰყავდეს მთელი რიგი ალტერნატიულ მსხვერპლისა. ასევე შესაძლებელია მტაცებელთა ნაკრებისთვის, რომ იკვებოს როგორც ფოკალური მსხვერპლის კომპლექტით, ისე ალტერნატიულ მსხვერპლთა ჯგუფით. ჩვენ შეგვიძლია, ვნახოთ ამ შესაძლებლობიდან, რომ უმარტივესი შემთხვევების გარდა, მოჩვენებითი კონკურენცია შეიძლება ძნელი დასაკვირვებელი იყოს ბუნებაში, რადგან მისი ეფექტი ესოდენ გაფანტულია (Holt and Lawton 1994).

არსებობს ორი მსხვერპლი სახეობის ერთ მტაცებელთან არაპირდაპირი ინტერაქციის მეორე მხარეც. თუ მტაცებლის მოხმარების ტემპი გაიზრდება მსხვერპლის სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად, რასაც მსხვერპლი სახეობების ფუნქციონალური რეაქცია ენთდება (იხ. თავი 23) – ინტერაქციამ შეიძლება გამოიწვიოს დადებითი არაპირდაპირი ეფექტი. თავი დავანებოთ ცოტა ხნით მტაცებლის რიცხობრივ რეაქციას და ნარმოვიდგინოთ შემთხვევა, სადაც მტაცებელი ავლენს ძლიერ ფუნქციონალურ რეაქციას ორივე მსხვერპლი სახეობის მიმართ. თუ მტაცებელი სახეობის სიმჭიდროვე იზრდება და მსხვერპლი სახეობის სიმჭიდროვე რჩება იგივე დაბალ დონეზე, სახეობა გათავისუფლებულია მტაცებლობის მოქმედებისგან, რადგან მტაცებელი გადაერთვება ამ სახეობიდან უფრო ჭარბ სახეობაზე. სახეობამ ასევე შეიძლება ნახოს მოგება იმაში, რომ მტაცებლები კმაყოფილდებიან მრავალრიცხოვანი სახეობების ჭამით. მტაცებლობის მოქმედებისგან გათავისუფლება, საშუალებას აძლევს მსხვერპლ სახეობას, გაიზარდოს მაშინ, როდესაც გაზრდილი მტაცებლობა ამცირებს ამ სახეობის სიმჭიდროვეს. გარკვეულ მომენტში სახეობის პოპულაცია სახეობაზე მცირე გახდება და მტაცებლობა კონცენტრირდება სახეობაზე, რითაც შეამსუბუქებს სახეობაზე მტაცებლობის ზენოლას.

კიდევ ერთი გზა, რომლითაც მოჩვენებითმა კონკურენციამ შეიძლება იჩინოს თავი არის ერთსა და იმავე ტროფიკულ დონეზე მყოფი პოპულაციების არაპირდაპირი ინტერაქციები (ნახ. 21-15დ). წარმოიდგინეთ სამი სახეობა, და C. და სახეობა კონკურირებს, ასე რომ, მათ უარყოფითი ეფექტი აქვთ ერთმანეთზე. სახეობები და C დადებითად ურთიერთმოქმედებუნ ერთმანეთზე. ანუ მათი ასოციაცია მოგებაში აყენებს ორივე მათგანს, ნარმოადგენს რა მუტუალისტურ ურთიერთობას (იხ. თავი 25). სახეობის უარყოფითი გავლენა სახეობაზე არაპირდაპირად უარყოფითად იმოქმედებს ჩ სახეობაზე, რადგან ის ანადგურებს სახეობას, რომლისგანაც C სახეობა მოგებას და სარგებელს ნახულობს.

საზიარო მტაცებლობის ფენომენი შეიძლება დიდი მნიშვნელობის იყოს დავადაპათა ეკოლოგიისთვის,

პარაზიტების ბიოლოგიური კონტროლისა და შენარჩუნებისთვის. პოლტმა და ლაუტონმა (1994) წარმოადგინეს რიგი მაგალითებისა, რომლებიც ახდენენ ამ მნიშვნელობის დემონსტრირებას. სხვადასხვა ველური სახეობები ხშირად ხდება საზიარო დაავადების ან პარაზიტების მსხვერპლი. თუ ერთი სახეობა შეძლებს, გაუძლოს დავადების ან პარაზიტის ინფექციის მაღალ ტემპს, მან შეიძლება იმსახუროს როგორც ინფექციის რეზერვუარმა სხვა სახეობისთვის, რომელსაც დაბალი გამძლეობა აქვს დაავადების მიმართ. მაგალითად, თეთრკუდიანი ირემი შეიძლება გადაურჩეს მენინგეალური მატლით ინვაზიას, რომელიც კლავს კარიბუს, რითაც ხელს უშლის ველური ბუნების მენეჯერებს კარიბუს ისეთ რეგიონებში შეყვანაში, სადაც სახლობენ დაინფიცირებული თეთრკუდიანი ირმები (Bergerud and Mercer 1989, ix. Tavi 19). მტაცებლებმა და პარაზიტოიდებმა, რომლებიც შემოყვანილი არიან როგორც პარაზიტთა მაკონტროლებელი ბუნებრივი აქტორები (იხ. თავი 23), შეიძლება შექმნან სერიოზული პრობლემები, თუ მათ შეუძლიათ, შეჭამონ ერთი ან მეტი ალტერნატიული მსხვერპლი. პარაზიტების დონის შესამცირებლად შემოყვანილი მტაცებელი ან პარაზიტოიდი შეიძლება უბრალოდ გადაერთოს ადგილობრივ ორგანიზმებზე, როდესაც პარაზიტთა პოპულაციები შემცირდებან. ირონიულად, ხშირად მომგებიანია ბიოლოგიური საკონტროლო სახეობების შემოყვანა, რომლებსაც შეუძლიათ, ალტერნატიული მსხვერპლის გამოყენება. ამ შემთხვევაში, მისი მსხვილი პოპულაციები შეიძლება შენარჩუნდეს არეალში. პრობლემა თავს იჩენს, როდესაც ერთ-ერთ ალტერნატიულ მსხვერპლი საფრთხეშია ან არ შეუძლია, მოიძიოს თავშესაფარი შემოყვანილი მტაცებლისგან.

### **21.13 მატაპოპულაციების სუსტ კონკურენციას შეუძლიათ, თანაირსებონ შედებით ძლიერ კონკურენციას**

კონკურირებადი სახეობების სივრცობრივ დინამიკას შეუძლია, გავლენა მოახდინოს კონკურენციის საბოლოო შედეგზე. ჩვენ შეგვიძლია, გავაანალიზოთ ეს შედეგი სახეობებს შორის ისეთი კონკურენციის წარმოდგენით, რომელიც თავს იჩენს მეტაპოპულაციაში, ანუ სახეობები, რომლებიც ბინადრობენ ხელსაყრელი საბინადრო ჰეტჩების არალში, რომლებსაც გარს არახელსაყრელი არეალი აკრავს. თქვენ გაიხსენეთ მე-17 თავში ჩვენი საუბრიდან, რომ მეტაპოპულაციის კონცეფციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება არის ის, რომ ის წარმოადგენს სხვადასხვა სივრცობრივ მასშტაბზე ეკოლოგიური ფენომენების განხილვის ჩარჩოს. პროცესს შეიძლება სხვადასხვა დინამიკა ჰქონდეს თითოეული პეტჩის ფარგლებში და პეტჩებს შორის. მეტაპოპულაციის თეორიის ეს თვისება გვაწვდის კიდევ ერთ საშუალებას, ვიფიქროთ

კონკურირებადი სახოებების თაარსებობის შესახებ. კონკურენტები შეიძლება თანარსებობდნენ ან არ თანაარსებობდნენ ინდივიდუალურ პეტჩში, რაც ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც ადგილობრივი თანაარსებობა. მათ შეუძლიათ, გამოდევნონ ერთმანეთი პეტჩებიდან კონკურენტული ინტერაქციების საშუალებით იმგვარად, რომ ისინი იშვიათად არსებობდნენ ერთსა და იმავე პეტჩში, მაგრამ თანაარსებობდნენ ლანდშაფტურ დონეზე, რადგან ისინი იყავებენ სხვადასხვა პეტჩებს მეტაპოპულაციაში. ამგვარ, ლანდშაფტის დონეზე თანაარსებობას შეუძლია საშუალება მისცეს დაქვემდებარებულ კონკურენტს შეძლოს თაარსებობა აღმატებულ კონკურენტთან გარკვეულ ვითარებებში, როგორც გვიჩვენებს მომდევნო მაგალითი.

ვთქვათ, ორი სახეობა A და B ბინადრობს მეტაპოპულაციიში (აღსანიშნავია, რომ ამ კონტექსტში ჩვენ შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვა „მეტაპოპულაცია“: იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ვსაუბრობთ ერთზე მეტ პოპულაციაზე). ახლა წარმოვიდგინოთ, რომ A სახეობა ზემდგომი კონკურენტია B სახეობასთან მიმართებაში ისე, რომ ყოველთვის, როდესაც ეს ორი ახდენს ერთი და იგივე პეტჩის კოლონიზებას, A სახეობა განდევნის B-ს პეტჩიდან კონკურენტული გამორიცხვის საშუალებით. ამგვარ შეზღუდვებში, და სახეობა ვერასდროს შეძლებს თანაარსებობას ინდივიდუალური პეტჩის ფარგლებში. არსებობს კი პირობები, სადაც ისინი შეძლებენ თანაარსებობას მთლიანად მეტაპოპულაციაში? ანუ, შეუძლიათ კი მათ არსებობა ლანდშაფტის დონეზე? განვითარებულ იქნა მთელი რიგი მოდელებისა, რომლებიც მიმართავენ ამ შეკითხვას. მოდით, შევხედოთ ერთ-ერთს, რაც წარმოადგენს ლევინსის მეტაპოპულაციის მოდელის გავრცობას (იხ. თავი 17).

გაიხსენეთ მეტაპოპულაციათა დინამიკის ლევინსის მარტივი მოდელი

$$\frac{dp}{dt} = mp(1-p) - ep,$$

რაც გვიჩვენებს ურთიერთობას ცვლილების ტემპ  $dp/dt$ -სა (დაკავებული  $p$  პეტჩების კოლონიზაციის  $m$  ტემპთან პროპორციაში) და გადაშენების ტემპს  $e$ -ს შორის. ამის გათვალისწინებით, წარმოიდგინეთ მეტაპოპულაცია ორი კონკურენტით A-თი და B-თი, როგორც ზემოთ აღვნერთ. ამ შემთხვევაში, პეტჩები შეიძლება იყოს დაუკავებელი, არ იქნას კოლონიზებული არც ერთი ამ სახეობისგან, ან შეიძლება იქნან კოლონიზირებული რომელიმე ერთი სახეობის მიერ. რადგანაც A სახეობა აღმატებული კონკურენტია B-სთან შედარებით და გამოდევნის მას ყველა პეტჩიდან, რომლის კოლონიზებასაც ახდენს, სისტემაში არ იარსებებს პეტჩი, რომელშიც ორივე სახეობა იქნება. მოდით x-ით აღვნიშნოთ მეტაპოპულაციში დაუკავებელი პეტჩების რაოდენობა, y-ით ის რაოდენობა, რომელიც სახეობის მიერ არის დაკავებული და z -ით სახეობის მიერ დაკავებული პეტჩების რაოდენობა. რადგანაც


ეს არის პოპულაციათა განლაგების ერთადერთი შესაძლებლობა ამ მოდელში მოთავსებული მოსაზრებების გათვალისწინებით,  $x + y + z = 1$ . ორ სახეობას განსხვავებული კოლონიზაციისა და გადაშენების ტემპები აქვს, რომელთაც ჩვენ აღვნიშნავთ  $m_A$ -თი და  $m_B$ -თი (კოლონიზაციისათვის) და  $e_A$ -თი და  $e_B$ -თი (გადაშენებისთვის).

ნიმ და მეომ (1992) შემოგვთავაზეს შემდეგი ფორმულაცია სამი პეტჩის პირობების პორციათა (დაუკავებელი, A-ს მიერ დაკავებული, B-ს მიერ დაკავებული) ცვლილების ტემპის თაობაზე:

$$\begin{aligned}\frac{dx}{dt} &= -m_A xy = e_A y - m_B xz = +e_B z \\ \frac{dy}{dt} &= m_A y (x + z) - e_A y \\ \frac{dz}{dt} &= m_B zx - e_B z - m_A zy\end{aligned}$$

პირველი განტოლება წარმოადგენს დაუკავებელი პეტჩების პირციის ცვლილების ტემპს. ამგვარი პეტჩები თავს იჩენენ, რადგან ისინი არასდროსაა დასახლებული, ან რადგან აქ ადგილი ჰქონდა გადაშენებას. ორი დადებითი ელემენტი განტოლებაში ( $e_A$  და  $e_B$ ) წარმოადგენს ორი სახეობის გადაშენებას პეტჩებიდან. რადგანაც ყოველი გადაშენება პეტჩის ცარიელს ტოვებს, რითაც ზრდის დაუკავებელი პეტჩების ( $z$ ) პროპორციას, ელემენტები დადებითია. ისინი ემატება დაუკავებელი პეტჩების პროპორციას. განტოლების ორი უარყოფითი ელემენტი ( $-m_A xy$  და  $-m_B xz$ ) წარმოადგენს ცარიელი პეტჩების კოლონიზაციას ორი სახეობის მიერ. რადგანაც კოლონიზაცია აქრობს დაუკავებელ პეტჩებს, რითაც ამცირებს  $z$ -ს, ელემენტები უარყოფითია. მეორე განტოლება გვაძლევს ცვლილების ტემპს  $dy/dt$  A სახეობის მიერ დაკავებულ პეტჩებში. ეს განტოლება მოიცავს მოსაზრებას, რომ A სახეობა აღმატებული კონკურენტია B-ზე განტოლების პირველ ნაწილში  $m_A(y(x + z))$ , რომელიც აღნიშნავს, რომ A-ს შეუძლია ცარიელი ან B-ს მიერ დაკავებული პეტჩების კოლონიზება. მესამე განტოლება გვაძლევს დაქვემდებარებული კოლონიზაცირის B სახეობის დინამიკას. B სახეობას შეუძლია, მხოლოდ ცარიელი პეტჩების კოლონიზაცია, რაც აღნიშნულია  $m_B zy$ -ის მეშვეობით. B სახეობის მიერ დაკავებული პეტჩები შეიძლება გადაშენდნენ (-ები), ან B სახეობა შეიძლება გამოდევნილ იქნას პეტჩიდან A სახეობის მიერ ( $-m_A zy$ ). ამ ურთიერთობის სქემატური გამოსახულება ნაჩვენებია ნახ. 21-16-ში.

მოდით, დავუბრუნდეთ ჩვენს თავდაპირველ კითხვას იმის შესახებ, შეუძლიათ თუ არა ორ კონკურირებად სახეობას, ერთს აღმატებულს და მეორეს დაქვემდებარებულს, თანაარსებობა ზემოთ აღწერილ სისტემაში. თანაარსებობა ამ შემთხვევაში ნიშნავს, რომ მეტაპოპულაციაში არსებული რამდენიმე პეტჩი უკავიათ A სახეობის ინდივიდებს და სხვები კი B სახეობის



**ნახ. 21-16** იმ მოველების რეზიუმე, რომლებსაც შეუძლიათ, შეცვალონ თრი კონკურირებადი სახეობის მიერ დაკავებული პეტჩების პროპორცია და ცარიელი პეტჩების პროპორცია მეტაპოპულაციაში. A სახეობა აღმატებული კონკურენტია B სახეობაზე, ანუ როდესაც A სახეობა ახდენს B სახეობის მიერ ათვისებული პეტჩის კოლონიზირებას, B სახეობა კონკურენტულად გამოიდევნება პეტჩიდან.

ინდივიდებს. ანუ ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, შეუძლია თუ არა ორ სახეობას თანაარსებობა ლანდშაფტის დონეზე. თქვენ შეამჩნევდით, რომ ამ საკითხს ნაკლები საერთო აქვს დაუკავებელი პეტჩების რიცხვთან. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის, არსებობს თუ არა A სახეობის მიერ დაკავებული პეტჩები და სხვა პეტჩები, რომლებსაც B სახეობა იყავებს. მართლაც, რადგან  $x + y + z = 1$ , ჩვენ გვჭირდება მხოლოდ ზემოთ მოცემული სისტემის ნებისმიერი ორი განტოლების გათვალისწინება. თქვენ უკვე იცით, რომ ამგვარ კითხვასთან მიდგომის ერთი გზა არის იმის გათვალისწინება, თუ რა ხდება ნონასწორობის დროს. ანუ როდესაც  $dx/dt = 0$ ,  $dy/dt = 0$  და  $dz/dt = 0$ . ამგვარმა ანალიზმა, რომელიც ჩვენ გამოვრიცხეთ აქ გვიჩვენა, რომ დაქვემდებარებულ კონკურენტს შეუძლია, თანაარსებობა მეტაპოპულაციაში აღმატებულ კონკურენტთან თუ  $m_B/e_B > m_A/e_A$  (Nee and May 1992, Nee et al. 1997). ანუ თუ დაქვემდებარებული კონკურენტის მიერ პეტჩის კოლონიზაციის გადასცენებასთან შედარება აღემატება აღმატებული კონკურენტის ანალოგიურ შეფარდე-

ბას, ამ ორ კონკურენტს შეუძლიათ თანაარსებობა. კიდევ ერთხელ, თანაარსებობა აქ განიხილება ლანდშაფტის დონეზე. ორი სახეობა არ მოიპოვება ერთად ერთ პეტჩში, რადგან A სახეობა ყოველთვის გამოდებნის B სახეობას ადგილობრივად. აღსანიშნავია, რომ დაქვემდებარებულ კონკურენტს არ აქვს აღმატებულ კონკურენტზე მაღალი კოლონიზაციის ტემპი, რაც შესაძლებელს გახდიდა მათ თანაარსებობას.

ამ თავში მოცემული მოდელები გვაწვდიან თეორიულ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია ბუნებრივი სისტემების შესწავლა. თუმცა, არც ერთი ბუნებრივი სისტემა არ არის ისეთი მარტივი, როგორიც ეს მოდელები ან ლაბორატორიაში შედგენილი ორსახეობიანი მიკროკოსმებია. ბუნებრივი გარემო ჰეტეროგენულია სივრცეში და ცვლადები დროთა განმავლობაში. კონკურენცია სცილდება სახეობათა წყვილებს და მომზმარებლებიც ასევე მოიხმარებიან. მომდევნო თავში ჩვენ მოგაწვდით ბუნებაში კონკურენციისა მაგალითებს.

## დასკვნა

**1.** კონკურენცია არის რესურსის გამოყენება ან მოხმარება ერთზე მეტი ინდივიდუალური მომხმარებლის მიერ. როდესაც ინდივიდები ერთ სახეობას ეკუთვნიან მათ ინტერაქციას ენოდება შიდასახეობრივი ბრძოლა. როდესაც ისინი სხვადასხვა სახეობას ეკუთვნიან, ამას სახეობათაშორისი ბრძოლა ეწოდება. ჩარევითი კონკურენცია თავს იჩენს, როდესაც ინდივიდი აქტიურად ერევა სხვა ინდივიდის რესურსების მოხმარებაში. როდესაც ინდივიდები იყენებენ საერთო რესურსებს, მაგრამ დღისა და სეზონის სხვადასხვა დროს, ადგილი აქვს ექსპლუატაციურ კონკურენციას.

**2.** კონკურენცია აღიარებულ იქნა ფუნდამენტურ ეკოლოგიურ პროცესად დარვინის მიერ, რომელმაც დააფუძნა თავისი ევოლუციის თეორია ბუნებრივის გადარჩევის გზით შიდასახეობრივ ბრძოლაზე სხვადასხვა გენტოპების მქონე ინდივიდებს შორის. კონკურენციის თანამედროვე კვლევები მომდინარეობს ვ-ვოლტერასა და ჯ-ლოტკას თეორიული კვლევიდან 1920-იანი და ადრეული 30-იანი წლების განმავლობაში. მომდევნო დეკადების განმავლობაში, სახეობათაშორისი ბრძოლა ლაბორატორული გამოკვლევების ფეზენებელურ საგნად იქცა, თუმცა

1940-1950-იან წლებამდე დევიდ ლეკმა, გ.ე. ჰათჩინ-სონმა და სხვებმა არ აღიარეს სახეობათაშორისი ბრძოლის პოტენციური როლი ბიოლოგიური თანა-საზოგადოებების სტრუქტურის რეგულირებაში.

- 3.** ა.გ.ტენსლი პირველი იყო, ვინც ექსპერიმენტი ჩაატარა სახეობებს შორის კონკურენციის არსებობის განსასაზღვრად. გ.ფ.გაუსმა მოახდინა კონკურენციის დემონსტრირება ლაბორატორულ ექსპერიმენტებში უმარტივესებზე. თომას პარკის ექსპერიმენტებმა ფევილის ხოჭოებზე (თრიბოლიუმ) გვიჩვენეს, რომ კონკურენციის საბოლოო შედეგი დამოკიდებული იყო გარემო პირობებზე მოცემული სახეობის ნებისმიერი წყვილისთვის.
- 4.** კონკურენციული გამორიცხვის პრინციპი გულისხმობს, რომ ორ სახეობას არ შეუძლია თანაარსებობა უსასრულოდ ერთ შემზღვეულ რესურსზე.
- 5.** შიდასახეობრივი ბრძოლა მჭიდროდაა დაკავშირებული პოპულაციის რეგულაციასთან. როდესაც პოპულაცია უახლოვდება გადატანით შესაძლებლობას, კონკურენტული ინტერაქციები პოპულაციის წევრებს შორის უფრო ინტენსიური ხდება, რაც ინვესტ უფრო მეტ სიკვდილიანობას და პოპულაციის ზრდის ტემპების შენელებას.
- 6.** ვოლტერასა და ლოტკას მათემატიკური მოდელები კონკურენციის შესახებ დაფუძნებულია პოპულაციის ზრდის ლოგისტიკურ განტოლებაზე, რომელშიც ელემენტი / ნარმოადგენს შედასახეობრივი ბრძოლის ინტენსივობას. კონკურენცია  $i$  და  $j$  სახეობებს შორის ჩართულია განტოლებაში  $i$  სახეობის პოპულაციის ზრდის ტემპისათვის ( $dN_i/dt$ ) ანალოგიური ელემენტით  $a_{ij}N_j/K_j$ . ელემენტი  $i$  და  $j$  ის გამოხატავს  $j$  სახეობის ინდივიდის ეფექტებს  $i$  პოპულაციის ზრდის ტემპებზე.  $i$  პოპულაციის დინამიკა ამრიგად აღინირება შემდეგი სახით:  $dN_i/dt = r_i N_i (1 - N_i/K_i - a_{ij}N_j/K_{ij})$ .
- 7.**  $i$  და  $j$  სახეობების საერთო წონასწორობა ( $dN_i/dt = 0$ ,  $dN_j/dt = 0$ ) აღმოჩენილია განტოლებით  $N_i = (K_i - a_{ij}K_j)/(1 - a_{ij}a_{ji})$  და ანალოგიური განტოლებით  $j$  სახეობისთვის. ყველაზე ზოგადი ტერმინებით, თანაარსებობა ( $N_i > 0$ ,  $N_j > 0$ ) მოიხსოვს, რომ  $a_{ij}a_{ji} < 1$ .
- 8.** ლოგისტიკური განტოლების მათემატიკური ალერა შეიძლება გადატანილ იქნას გრაფიკზე, რომლის დერძები  $i$  და  $j$  პოპულაციის ზომებია ( $\alpha$ -უ  $N_i$  და  $N_j$ ). ამ სიდიდეთა ყოველი კომბინაცია აღწერს წერტილებს, რომლებზეც  $dN_i/dt$  და  $dN_j/dt$  დადებითია, ნულის ტო-

ლია ან უარყოფითია. წონასწორობის იზოკლინების შედარებითი პოზიცია (ზაზები, რომლებიც აღწერენ  $N_i$ -სა და  $N_j$ -ს კომბინაციებს რომელთათვისაც  $dN_i/dt$  ან  $dN_j/dt = 0$ ) განსაზღვრავს შეძლებს ორი კონკურენტი თანაარსებობას თუ არა.

- 9.** კონკურენციის კოეფიციენტი აიჯ შეიძლება განისაზღვროს კონკურებადი პოპულაციების დინამიკიდან ან თუ ორი სახეობა თანაარსებობს, მათი პოპულაციების წონასწორებრივი ზომებიდან ერთი მეორის არსებობის ან არსებობის პირობებში. ეს გამოთვლები დამოკიდებულია ლოგისტიკური კონკურენციის სწორხაზოვნების მოსაზრებაზე.

- 10.** კონკურენცია სახეობებს შორის შეიძლება გაგებულ იქნას რესურსთა დინამიკის ანალიზის საფუძველზე. კონკურენციის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია თითოეული სახეობის ნულოვანი, სუფთა ზრდის იზოკლინების შედარებით პოზიციაზე, რესურსთა მოხმარების ვეგტორებსა და თითოეული რესურსის შედარებით მიწოდებაზე მოხმარების არარსებობის პირობებში (რესურსთა მიწოდების წერტილი).

- 11.** კონკურენციის ლოგისტიკური მოდელები არ გვაწვდის ადეკვატურ ახსნას ზოგიერთი თანასაზოგადოებისა, სადაც მრავალი სახეობა თანაარსებობს. კონკურენციული გამორიცხვა შეიძლება არ მოხდეს ამგვარ თანასაზოგადოებაში, რადგან ბუნებრივი გამლიზიანებლები ინარჩუნებენ ყველა პოპულაციას გადატანითი შესაძლებლობის ქვემოთ, სადაც კონკურენციული ეფექტები არ მოქმედებს.

- 12.** მტაცებლობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მსხვერპლი სახეობების კონკურენტული ინტერაქციების საბოლოო შედეგზე. ლოტკა-ვოლტერას მოდელები შეიძლება მოდიფიცირებულ იქნან ამის საჩვენელ-ბლად:  $dN_i/dt = r_i N_i (1 - N_i/K_i - a_{ij}N_j/K_j) - m_i N_i$

- 13.** ორ სახეობას შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ერთმანეთზე მაშინაც კი, თუ ისინი არ კონკურირებენ მტაცებელთან მათი ინტერაქციის გამო, ამ ფენომენს მოჩვენებითი კონკურენცია ეწოდება. მოჩვენებითი კონკურენცია შეიძლება ასევე გამოწვეულ იქნას ერთ ტროფიკულ დონეზე მყოფი პოპულაციების ინტერაქციითაც.

- 14.** დაქვემდებარებული კონკურენტი შეიძლება თანაარსებობდეს აღმატებულ კონკურენტთან მეტა-პოპულაციაში მანამდე, სანამ მისი კოლონიზაციის ტემპის შეფარდება გადაშენების ტემპთან აღემატება იგივე შეფარდებას აღმატებული კონკურენტისთვის.

## სავარჯიშოები

- 1.** დაწერეთ მოკლე ისტორიული შედარება ეკო-სისტემათა ეკოლოგიის უმსხვილესი იდეების შესახებ, როგორიც მოცემული იყო მეცხრე თავში და განავითარეთ იდეები ისეთი კონკურენციის თაობაზე, როგორიც მოცემულია ამ თავის 21.1 ნაწილში.
- 2.** შემოგვთავაზეთ შესაფერისი ნულოვანი ან ალტერნატიული ჰიპოთეზები ტენსლის ექსპერიმენტისთვის ენდორნიკაზე და გაუსის ექსპერიმენტისთვის არამეციუმ-ზე (მინიშნება: იხ. თავი 2 ამ ჰიპოთეზების განხილვისთვის).
- 3.** როდესაც სახეობები თანაარსებობენ ბუნებაში, ხშირად აღმოჩნდება, რომ ისინი გარკვეულწილად განსხვავდებიან ერთმანეთისგან რესურსების მოხმარებით, რითიც თავიდან იცილებენ კონკურენტულ გამორიცხვას. ვთქვათ არსებობს მონადირე ობობების ორი სახეობა, რომლებიც ბინადრობენ ტყის ნაყარში თქვენი სახლის მახლობლად. სახეობები არ განსხვავდებიან ზომით და აქტიურდებიან დღის ერთსა და იმავე დროს და იგივე ტიპის მსხვერპლს იჭერებ. ახსენით, რა სახის დაკვირვებებსა და ექსპერიმენტებს ჩაატარებდით იმის განსასაზღვრად, თუ როგორ შეიძლება განსხვავდებოდნენ ეს ორი, მსგავსი ეკოლოგიის მქონე სახეობები?
- 4.** მესამე სავარჯიშოში ნახსენები ობობების თქვენი ფრთხილი კვლევისას თქვენი კურატორი გეკითხებათ, როგორ ახსნით ორი სახეობის თანაარსებობას, თუ თქვენ არ შეგიძლიათ, განსაზღვროთ მნიშვნელოვანი განსხვავება მათ მიერ რესურსების მოხმარებაში. რას უპასუხებდით?
- 5.** კონკურენციის ლოგისტიკური მოდელების განვითარებისას 21.5 ნაწილში შიდასახეობრივი და სახე-

ობათაშორისი ბრძოლა მიჩნეულ იქნა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. არის თუ არა ეს ბიოლოგიურად საფუძვლიანი მოსაზრება?

- 6.** კონკურეტული სახეობის პოპულაცია შეიცავს  $N_i = 1000$  ინდივიდს. პოპულაციას შემდეგი მახასიათბლები აქვს:  $K_i = 1800$ ,  $r_i = 1.2$ . არეალში კონკურენციაზე  $j$  სახეობის 3000 ინდივიდია და მეორე სახეობის კონკურენციის კოეფიციენტი პირველის ნინააღმდეგ არის  $a_j = 0.2$ . რა არის ი პოპულაციის ზრდის ტემპი კონკურენციის ლოგისტიკური მოდელის მოსაზრებების გათვალისწინებით?

- 7.** წარმოიდგინეთ ორი პოპულაცია  $i$  და  $j$ , რომელთაგან ორივეს გადატანითი შესაძლებლობა უტოლდება 150-ს, რომლებიც ერთმანეთთან კონკურენციაში არიან.  $i$  პოპულაციას ზრდის უფრო მაღალი ტემპი აქვს  $r_i = 2.0$  და  $j$  პოპულაციას უფრო დაბალი  $r_j = 0.5$ .  $i$  პოპულაციის კონკურენციული ეფექტი  $j$  სახეობაზე არის  $a_j = 0.8$ , მაშინ როდესაც  $j$  სახეობისა  $i$  სახეობაზე არის  $a_i = 0.2$ . გამოსახეთ ალგებრულად თუ როგორ შეუძლია აშლილობის ხასიათს, რომელიც ინარჩუნებს  $i$  პოპულაციას დაბალ დონეზე, შეუშალოს მას ხელი  $j$  სახეობის კონკურენციული გამორიცხვისგან. (მინიშნება: გვიჩვენეთ თუ როგორ იცვლება  $dN/dt$  ი პოპულაციის ძალიან მაღალი დონეებიდან ძალიან დაბალ დონეებამდე.)

- 8.** ნახ. 21-14-ისა და (21-9) განტოლების გამოყენებით შეადგინეთ ალგებრული გამოსახულება, რომელიც გვიჩვენებს მი სიდიდეს (მტაცებლობის ზეწოლა), რომელზეც  $i$  პოპულაცია ქრება. (მინიშნება: დაინყეთ  $m/r$  სიდიდის განსაზღვრით, როდესაც  $N_i = 0$ .)

## თავი 22



### პონეურენცია გუნებაში

#### გზამკვლევი კითხვები

- რატომ არის კონკურენცია ძნელი დასაკვირვებელი ბუნებაში?
- რა არის კონკურენციის გარკვეული მექანიზმები?
- რა არის ალელოპათია და რატომ არის ის მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობისთვის?
- რისი თქმა შეუძლიათ სახეობათა შორის კონკურენციული ინტერაქციების შესახებ ეგზოტიკური სახეობების შემოყვანას პარაზიტების კონტროლის მიზნით?
- რა არის ასიმეტრიული კონკურენცია?
- როგორ განასხვავებენ მკვლევარები ერთმანეთისგან სახეობათაშორის და შიდასახეობრივი ბრძოლის შედეგს?
- რა მექანიზმებით კონკურირებენ მცენარეები და ცხოველები არეალისთვის?
- როგორ მოქმედებს მტაცებლობის წმედება მსხვერპლს შორის კონკურენციაზე?

**მ**ოდელებმა, რომლებიც ჩვენ წარმოგიდგინეთ წინა თავში, გვიჩვენეს პოპულაციის სიმჭიდროვის (N) და კონკურენციის ინტესივობის ( $a_y$ ) ის პირობები, სადაც კონკურირებად პოპულაციებს შეუძლიათ თანაარსებობა და სადაც ერთი პოპულაცია გამოდევნის მეორეს კონკურენციით. ჩვენ ვნახეთ ასევე, თუ როგორ მოქმედებს მტაცებლობა კონკურენციის საბოლოო შედეგზე და როგორ თანაარსებობენ კონკურირებადი სახეობები მეტაპოპულაციაში. რადგანაც კონკურენციის მოდელები წინასწარმეტყველებენ, თუ კონკურირებადი პოპულაციების რომელი ჯგუფი გადარჩება და რომელი გაქრება. ამით დიდად არიან დაინტერესებული ეკოლოგები, რომლებსაც სურთ გაიგონ ის მექანიზმები, რომლებითაც ყალიბდება და ნარჩუნდება ეკოლოგიური თანააზოგადოება და ის პროცესები, რომელიც დასაბამს აძლევს ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას ზოგადად. ჩვენი დაინტერესება ამგვარი მოდელებით ძლიერდება იმ შედეგებით, რომლებიც ჩვენ გაუსის (იხ. ნაწილი 21.2) მარტივი ლაბორატორული ექსპერიმენტებით მივიღეთ. მათში კონკურენციული ინტერაქციების საბოლოო შედეგი ცხადად არის ნაჩვენები და არაორაზოვანია. საუბედუროდ, მათემატიკური მოდელების შედარებით სი-

მარტივე ამასინჯებს ბუნებაში კონკურენციის კომპლექსურობას, უტოვებს რა ეკოლოგებს ამოცანას, შეამონმონ მოდელების საშუალებით გაკეთებული დასკვნები კომპლექსური ექსპერიმენტებით. ბუნებაში კონკურენციის მნიშვნელობისა და მექანიზმების შესახებ არსებული კითხვები ინტენსიურად განიხილებინა ეკოლოგების მიერ. კერძოდ, კონკურენციის, როგორც თანასაზოგადოების სტრუქტურაზე მოქმედი ფაქტორის როლი შუა 1980-იანი წლებიდან ინტენსიური დებატების მთავარ საკითხს წარმოადგენს (იხ. ნაწილი 6).

კონკურენციის მახასიათებლები და შედეგი ბუნდოვანია გარკვეული მიზეზების გამო. პირველი, ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორ ხდიან მტაცებლისა და მისი მსხვერპლის ინტერაქციები მოჩვენებითს იმ ფაქტს, რომ მსხვერპლიც კონკურირებს, როდესაც პირდაპირი გაგებით ეს ასე არ არის (მოჩვენებითი კონკურენცია, იხ. ნაწილი 21.12). მეორე, ხშირად ძნელი გასაზომია შიდასახეობრივი ბრძოლისა და სახეობათაშორისი ბრძოლის შედარებითი ძალები ბუნებაში. ამ ორი პროცესის ძალათა ცოდნა მნიშვნელოვანია სწორედ იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ ორ სხვადასხვა პროცესს. შიდასახეობრივი ბრძოლა ფენომენია პოპულაციის დონეზე, რომელიც ასახავს პოპულაციის ზრდის სიმ-

ჭიდროვებები დამოკიდებულ თვისებებს. სახეობათა-შორისი ბრძოლა არის პროცესი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახეობის ინტერაქციებს და ბოლოს ხანდახან კონკურენციის სპეციფიკური მექანიზმები ძალიან ძნელი დასადგენია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ კონკურენტული ინტერაქციები შეიძლება მოიცავდნენ ინდივიდებს შორის რესურსებისთვის პირდაპირ კონკურენციას (ჩარევითი კონკურენცია) ან არა-პირდაპირ ინტერაქციებს, რომლებშიც კონკურირებადი სახეობის ინდივიდები კრიტიკულ რესურსებს სხვადასხვა დროს იყენებენ, რითაც ამცირებენ რესურსების ხელმისაწვდომობას კონკურირებადი სახეობების წევრებისთვის ერთმანეთთან პირისპირ შეხვედრის გარეშე (ექსპლუატაციური კონკურენცია). კონკურენციის მექანიზმები შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნან კონკურირებადი სახეობების სპეციალური ქცევის ან მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური თვისებების საშუალებით იმგვარად, რომ ჩარევის ან ექსპლუატაციის ბუნება ძნელი განსასაზღვრია.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ კონკურენციის მაგალითებს ბუნებაში. ჩვენი საუბარი გიჩვენებთ, თუ როგორ იყენებენ ეკოლოგები ექსპერიმენტებს ბუნებისა და ბუნებაში კონკურენციის მნიშვნელობის შესასწავლად. ჩვენ ვნახავთ, რომ კონკურენტული ინტერაქციების შედეგები კომპლექსურია.

ან მათ გამოყენებას სხვა ინდივიდების მიერ, ხშირად ფიზიკური (ბრძოლა მაგალითად) ან ქიმიური საშუალებებით (ტოქსინები). Soenerma (1983) მოახდინა კონკურენციის კიდევ უფრო მეტი დაყოფა ექვს კატეგორიად, მისი მექანიზმების მიხედვით:

**1. მოხმარებითი კონკურენცია, დამყარებული რომელიაც განახლებადი რესურსის მოხმარებაზე.**

**2. დასწრებითი კონკურენცია ემყარება თავისუფალი სივრცის დაკავებას.**

**3. ჰიპერტროფიული კონკურენცია, რომელიც თავს იჩენს როდესაც ერთი ინდივიდი სწრაფად იზრდება და გადაფარავს მეორეს, რითაც ართმევს მას სინათლეს, საკვები ნივთიერებებით სავსე წყალს ან სხვა რომელიმე რესურსს.**

**4. ქიმიური კონკურენცია, ისეთი ტოქსინის წარმობით, რომელიც მოქმედებს გარკვეულ მანძილზე გარემოში გაფანტვის შემდეგ.**

**5. ტერიტორიული კონკურენცია, სივრცის დაცვა.**

**6. შეხვედრის კონკურენცია, რომელიც მოიცავს ხანმოკლე ინტერაქციებს რესურსისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფიზიკური ზიანი, დროისა და ენერგიის კარგვა ან საკვების მოპარვა.**

კონკურენციის ეს მექანიზმები განისაზღვრება ორგანიზმების შესაძლებლობებისა და იმ საბინადროს მეშვეობით, სადაც ისინი თავს იჩენენ. ამრიგად, მათი განანილება ორგანიზმებსა და საბინადროს შორის ჰეტეროგენულია (ცხრილი 22-1). დასწრებითი და პიპერტროფიული კონკურენცია თავს იჩენს ერთ ადგილზე მიმაგრებული არეალის მომხმარებლებს შო-

## 22.1 როგორ იჩენ თავს კონკურენცია?

ჩვენ განვასხვავეთ ექსპლუატაციური კონკურენცია, სადაც ინდივიდები რესურსების გამოყენებით ართმევენ სხვებს ამ რესურსების გამოყენების საშუალებას, ჩარევის კონკურენციისგან, სადაც ინდივიდები არაპირდაპირ ზღუდავენ რესურსებთან მისასვლელს

### ცხრილი 21-2

სახეობათაშორისი კონკურენციის შემოთავაზებული მექანიზმების  
შესწავლა ექსპერიმენტულ სავალე კვლევებში

მექანიზმი

ჯგუფი	მოხმარების	დასწრების	ჰიპერტროფი.	ქიმიური	ტერიტორიული	შეხვედრის	უცნობი
<b>მტკნარი წყლის</b>							
მცენარე	0	0	1	1	0	0	0
ცხოველი	13	1	0	1	1	5	2
<b>საზღვაო</b>							
მცენარე	0	6	4	1	0	0	0
ცხოველი	9	10	6	0	7	6	0
<b>სმელეთის</b>							
მცენარე	28	3	11	7	0	1	9
ცხოველი	21	1	0	1	11	15	6
<b>ჯამში</b>	<b>71</b>	<b>21</b>	<b>22</b>	<b>11</b>	<b>19</b>	<b>27</b>	<b>17</b>

(Data from Schoener 1983.)

რის, უპირველსად, ეს ხმელეთის მცენარეებია, საზღვაო მაკროფიტები და ცხოველები, რომლებიც მყარ სუბსტრატზე სახლობენ. ტერიტორიული და შეხვედრის კონკურენცია თავს იჩენს აქტიურად გადაადგილებად ცხოველებს შორის; ქიმიური კონკურენცია – ხმელეთის მცენარეებს შორის (ტოქსინთა უმრავლესობა წყალში ზედმეტად ადვილად იხსნება, მაგალითად იხ. Jackson and Buss 1975). შოენერის გამოთვლით, მოხმარებითი კონკურენცია ყველაზე ხშირი და ფართოდ გავრცელებულია, განსაკუთრებით ხმელეთზე. დასწრებითი და ჰიპერტროფული კონკურენცია დომინირებს ზღვის საბინადრო გარემოში, მაგრამ ეს ნაწილობრივ შეიძლება იყოს იმის გამო, რომ კვლევათა უმეტესობა მოიცავს მიმაგრებულ, ე.ნ. „მჯდომარე“ ორგანიზმებს, რომლებიც მყარ სუბსტრატზე სახლობენ.


შოენერის კატეგორიებიდან ერთ-ერთმა ქიმიურმა კონკურენციამ, სხვაგვარად ალელოპათიამ, მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო (Whittaker and Feeny 1971, Harborne 1982, Rice 1984, Putnam and Tang 1986, Gopal and Goel 1993, Seigler 1996). ზიანის მიყენება (-პათია) სხვა ინდივიდისთვის (ალელო-) ქიმიკატების საშუალებით ყველაზე ხშირად შეინიშნება ხმელეთის მცენარეებში. ამგვარ ინტერაქციებს შეიძლება ასევე ადგილი ჰქონდეს წყლის სისტემებში (Gopal and Goel 1993). როგორც წესი, ჩვენ ნარმოდგენილი გვაქვს, რომ

მცენარეები გამოყოფენ შხამს სხვა მცენარეების ზრდის შესაფერხებლად. თუმცა ალელოპათია შეიძლება გაცილებით უფრო კომპლექსური იყოს. მაგალითად, ზოგიერთი პარაზიტი გამოდევნის სხვა, პოტენციურად კონკურირებად პარაზიტებს მტარებლიდან მათ წინააღმდეგ მტარებლის იმუნური სისტემის სტიმულირების საშუალებით (Schad 1966, Cohen 1973). მიჩნეულ იქნა, რომ ავსტრალიური ევკალიპტის ხის ფოთლებში არსებული ჭარბი ეთერზეთები ხელს უწყობენ ხშირ ხანძრებს ფოთლოვან ნაყარში, კლავენ რა კონკურენტების თესლს (Mutch 1970), თუმცა უფრო ხშირად ტოქსიკური ნივთიერების პირდაპირი ეფექტი ინვეგს ზიანს. ადრეულ კვლევაში ა.შ. მესიმ (1925) გვიჩვენა, რომ ნიადაგში კაკლის ხის მიერ გამოყოფილი ტოქსიკური ნივთიერებები ზღუდავენ სხვა სახეობების მცენარეების ნერგების ზრდას.

სამხრეთ კალიფორნიის ბუჩქოვან საბინადრო გარემოში Salvia-ს გვარის სალბის რამდენიმე სახეობა, როგორც ჩანს, იყენებს ქიმიკატებს სხვა მცენარეულობის ზრდის შესაფერხებლად (Muller 1966, 1970, Muller et al. 1968). Salvia-ს დაჯგუფებებს, როგორც წესი, გარს აკრავს შიშველი ნიადაგის არეალი, რაც აცალკევებს სალბს გარშემო ბალახიანი ადგილებისგან (ნახ. 21-1). ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში დაკვირვებისას, შალვია შეიძლება გავრცელდეს ბალახიანი არეალებში. მაგრამ რადგან სალბის ფესვები ვრცელდება მხოლოდ შიშველი უბნის კიდემდე,



(ა)



(ბ)

**ნახ. 21-1** (ა) შიშველი პეტრი სალბის ბუჩქების კიდესთან მოიცავს 2 მეტრის სიგანის ზოლს მცენარეების გარეშე (A-B) და კიდევ უფრო ფართო არეალს მეჩხერი ბალახეულობით (B-C), რომელსაც აკლია ველური შერია და (რომუს). ეს მცენარეები მოიპოვებიან სხვა სახეობებთან ერთად (C)-ს მარჯვნივ ხელუუბლებელ ბალახეულში. (ბ) საპარაზიტო ხედი გვიჩვენებს სალბს და კალიფორნიურ აბზინდას, რომლებიც შეიქრა ერთნაიან მცენარეებიან მიწებში სანტა ინესის ველში, კალიფორნია. (ე.შ.მოულერის საბოძები, from Muller 1966)

რომელიც მცენარის გარშემოა და არ სცილდება მას, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ტოქსინი გამოყოფილ იქნას ნიადაგში პირდაპირ ფესვებიდან. *Salvia*-ს ფოთლები წარმოქმნიან აქროლად ტერპენებს (ორგანული ნაერთების კლასი, რომელიც შეიცავს ქაფურს და აძლევს სალპით შეკმაზულ საკეებს თავისი გამორჩეული გემოს ნაწილს), რაც როგორც ჩანს, გავლენას ახდენს ახლომდებარე მცენარეებზე პირდაპირ ატ-მოსფეროს საშუალებით (Muller 1966, Muller et al. 1964).

ბართოლომეომ (1970) შემოგვთავაზა, რომ შიშველი ზონა *Salvia*-ს გარშემო შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ბალასისმძოველობით, თესლისმჭამელი ფრინველების ან ძუძუმწოვრების გავლენით და რომ მცენარეთა ტოქსინები, მათი ეფექტურობის მიუხედავად, არ იყო საკმარისი ამ ფენომენის ახსნისთვის. ამ ჰიპოთეზის გამოსაცდელად, მან მოათავსა გალიები შიშველ ზონაში, რათა შეეკავებინა მცირე ზონის ფრინველები და ძუძუმწოვრები, მსგავსი სახით კონსტრუირებული იქნა საკონტროლო პუნქტებიც, მაგრამ აქ გალიების ერთი მხარე ღიად იყო დატოვებული. ერთი ნლის შემდეგ, დახურული გალიები შეიცავდნენ 20-ჯერ მეტ მცენარეულ ბიომასას, ვიდრე საკონტროლო და რაც დაახლოებითი იგივე რაოდენობას შეადგენს, რაც მოიპოვება შიშველი არეალის მიღმა ბალასიან არეალში. ამ შედეგების ჯონ ჰარპერისეული (1977, 378) ინტერპრეტაცია შემდეგნაირი იყო „ტოქსიკური ჰიპოთეზა უსარგებლოა ვეგეტაციის ამგვარი ბუნების ახსნისთვის.“ ჯ.პ. ჰარბორნმა (1982, 215) განსხვავებული დასკვნა გამოიტანა იგივე მონაცემების მიხედვით: „ცხოველების შესაძლო როლი, განსაკუთრებით ფრინველებისა და მღრღნელების, შიშველი ზონების წარმოებაში ექსპერიმენტულად იქნა გამოკვლეული მიულერისა (1970) და ბართოლომეოს (1970) მიერ, მაგრამ არ იქნა მიღებული არანაირი სარწმუნო შედეგი, რომელიც კაუზალურ როლს შეასრულებდნენ, მთელ რიგ ექსპერიმენტებში.“ ორივე მოსაზრება სწორია იმაში, რომ იმის მიუხედავად, რომ როგორც ტოქსინები, ისე ბალასისმჭამელები შესამჩნევ გავლენას ახდენენ ბალაზე, შიშველი ზონების ფორმაციაში ერთის ან მეორის (ან ორივეს!) როლის საჩვენებელი გამდამწყვეტი ექსპერიმენტები ჯერ არ ჩატარებულა.

ალელოპათია განსაკუთრებით აინტერესებთ სოფლის მეურნეობის შემსწავლელ ეკოლოგებს. მარცვლეული მცენარეების ალელოპათური ეფექტი სარეველების წინააღმდეგ (ე.წ. ჰეტეროტოქსიკურობა) შეიძლება დიდი სარგებლის მომტანი იყოს. თუმცა ალელოპათია შეიძლება მოქმედებდეს მარცვეულის წინააღმდეგაც სულ მცირე ორი სახით. პირველი, როდესაც მარცვლეული ერთსა და იმავე ველზე ითე-სება წლიდან წლამდე, ნიადაგში მეორადი ნაერთების დაგროვებამ შეიძლება გამოიწვიოს უარყოფოთი ალელოპათური ეფექტი (აუტოტოქსიკურობა). როდესაც ჩვეულებრივი იონჯა (ედიცავო სატივა) მომდევნო წელს ჩანაცვლებულია იონჯას მეორე ნათესით,

მეორე მოსავალი, როგორც წესი, უფრო ღარიბია, ვიდრე პირველი აუტოტქსიკურობის გამო (Miller 1996). მრავალი სხვა ფურაული კულტურა ავლენს იგივე ბუნებას. კიდევ ერთი ხშირი პრობლემა ალელოპათიისა სოფლის მეურნებაში თავს იჩენს, როდესაც სხვადასხვა მარცვლეული არეულია ერთსა და იმავე ველზე, ეს ტექნოლოგია ხანდახან გამოიყენება ბალასისმჭამელი მნერების შესამცირებლად. ალელოპათურმა გავლენამ ამგვარი არევისას შეიძლება გამოიწვიოს მოსავლის შემცირება ზოგიერთ კულტურაში. ამ პრობლემების გამო, სოფლის მეურნეობის გენეტიკოსები აეტიურად მუშაობენ მარცვლოვანი მცენარეების კულტურების შესაქმნელად, რომლებიც უძლებენ თავიანთი საკუთარი მეორადი ნაერთების ტოქსინებს ან სხვა მცენარის ტოქსინებს, რომლებთან ერთადაც ისინი იზრდება.

კონკურენციის კვლევების ანალიზმა გამოავლინა კონკურენციის მთელი რიგი მექანიზმი. მაგრამ ასევე სრულიად შესაძლებელია, რომ ზოგიერთ კონკურენტულ კულევებში აღმოჩენილი მახასიათებლები არა-პირდაპირი ინტერაქციების შედეგი იყოს სახეობებს შორის გარკვეულ ტროფიკულ დონეზეან იმ სახეობებს შორის, რომლებსაც საერთო მტაცებელი ჰყავთ (იხ. სექცია 21-12). კოლონელმა (1990) ამგვარი მოჩვენებითი კონკურენციის ძიებაში გადახედა ლიტერატურას და აღმოჩინა, რომ სახეობათაშორისი ბრძოლის დამამტკიცებელი ორმოცდათი კვლევიდან, უმეტესობა არ იძლეოდა საკმარის სამხილს იმისა, რომ არაპირდაპირი შედეგი მართლაც მოქმედებდა. სიძნელეები თავს იჩენენ ე.წ. დამატების ან ჩამოშორების ექსპერიმენტების შედეგების ინტერპრეტირებისას. წარმოიდგინეთ კონკურენციის ექსპერიმენტი, რომელიც მოიცავს მცენარის ორ სახეობას, რომელშიც ერთი სახეობა ჩამოშორებულია ექსპერიმენტული ზონიდან. იზომება დარჩენილი სახეობის ზრდა და თუ დარჩენილი სახეობა რეაგირებს მომძლავრებული ზრდით, ჩვენ შეგვიძლია, საფუძვლიანად ვივარაუდოთ, რომ ორი სახეობა კონკურენციებს. თუმცა დასაშვებია, რომ ჩამოშორებული სახეობა წარმოადგენდა თავშესაფარს ბალასისმჭამელი მნერებისთვის, რომლებიც ორივე სახეობის მცენარით იკვებებოდნენ. ასეთ შემთხვევაში, ამ მცენარის ჩამოშორება ასევე შეამცირებს მტაცებლობის დონეს დარჩენილ მცენარეზე და ეს შეიძლება იყოს მიზეზი მისი გაძლიერებული ზრდისა. ცხადია, საჭიროა კონკურენციული ექსპერიმენტების ფრთხილი შედგენა და დიზაინი.

## 22.2 რომელი სახეობები არის უფრო მიღრეკილი კონკურენციისათვის?

დარვინმა ხაზი გაუსვა, რომ კონკურენცია ყველაზე ინტენსიური იყო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის მქონე სახეობებსა და ორგანიზმებს შორის. თავის „ნტკ“ რიგინ ოფ შპეციეს"-ში მან შენიშნა: „რადგანაც

ერთი გვარის სახეობებს, როგორც წესი, თუმცა არა გარდუვალად, აქვთ მსგავსებები ჩვევებსა და აგებულებაში და ყოველთვის – სტრუქტურაში, კონკურენცია ზოგადად უფრო სასტიკი იქნება ერთი გვარის სახეობებს შორის, როდესაც ისინი ერთმანეთთან შედიან კონკურენციაში, ვიდრე სხვა გვარის სახეობებთან.” დარვინმა დაასკვნა, რომ მსგავსი სტრუქტურა აღნიშნავდა მსგავს ეკოლოგიას, განსაკუთრებით რესურსთა მსგავსი მოთხოვნილებებით. კონკურენციის ექსპერიმენტულ კვლევათა უმეტესობამ დაადასტურა ეს მოსაზრება იმ გაგებით, რომ გამოკვლეულ სახეობათა წყვილები ხშირად ახლო ნათესავები არიან და მცირედ განსხვავდებიან. მაგრამ მრავალ რესურსს შორეული ნათესაური კავშირის მქონე ორგანიზმებიც იყენებენ საზიაროდ. კიბოები და მიდიები, ისევე როგორც წყალცენარები, იკავებენ სივრცეს მოქცევათაშორის ზონაში. როგორც თევზები, ისე წყლის ფრინველები ნადირობენ წყლის უხერხემლოებზე. კრილით (უპჰაუსია სუპერბა), კრევეტისებრი კიბოსებრებით, რომლებიც ჭარბობენ სუბანტარქტიკულ წყლებში, იკავებებიან თითქმის ყველა ტიპის მათზე დიდი ცხოველები, მათ შორის თევზები, კალმარები, მყვინთავი ფრინველები და ვეშაპები.

ხმელეთის საბინადრო გარემოში, ტყის ნაყარში მობინადრე უხერხემლოებით იკვებებიან ობობები, ბზუილები, სალამანდრები და ფრინველები. ფრინველები ასევე კონკურენტები ხელიკებთან მსგავსი სახის მსხვეპლისთვის სხვა საბინადრო გარემოში. ჭიანჭველებსა და მლრღნელებს შორის თესლებისთვის კონკურენციის ერთმა ექსპერიმენტულმა კვლევამ მიიპყრო მნიშვნელოვანი ყურადღება (Brown and Davidson 1977, Brown et al. 1979). თესლი უდიდეს რესურსს წარმოადგენენ ჭიანჭველების, მლრღნელებისა და ფრინველებისთვის უდაბნოთა ეკოსისტემებში (Brown et al. 1979). მეტიც, ეს ცხოველები მოიხმარენ მრავალ ერთნაირ თესლს, თუმცა მლრღნელები, როგორც წესი, დიდ თესლს ანიჭნებენ უპირატესობას, ხოლო ჭიანჭველები უფრო მეტად მიღიმეტრზე ნაკლები სიგრძის თესლს მოიხმარენ. რადგანაც უდაბნოებში მლრღნელებისა და ჭიანჭველების უმრავლესობა ძირითადად სხვას არაფერს ჭამენ, სახეობათაშორისი ბრძოლის შესაძლებლობა თესლზე ცხადია, სახეზეა.

ჩვენ წინა თავში შემოგთავაზეთ, რომ ზოგიერთი ძალიან მრავალფეროვანი ბუნებრივი თანა-საზოგადოება მოიცავს მრავალ სახეობას, რომლებიც პრაქტიკულად არ განსხვავდება ერთი მეორისგან რესურსების მოპოვებით. ზოგიერთი პლანქტონისა და ხმელეთის მცენარეების თანასაზოგადოებები წარმოდგენილია მაგალითების სახით. ამგვარი სისტემები, როგორც ჩანს, არღვევენ კონკურენტული გამორიცხვის პრინციპის და არ არიან კარგად წარმოდგენილი კონკურენციის წონასწორობრივი მოდელების მიერაც (იხ. სეკცია 21.6). ნიშანავს თუ არა ეს, რომ კონკურენცია უბრალოდ არ არის მნიშვნელოვანი ამგვარ თანასაზოგადოებებში? ეკოლოგთა სულ უფრო მზარდი

რაოდენობა მიიჩნევს, რომ კონკურენცია ბუნებაში მართლაც შეიძლება შედარებით იშვიათი იყოს (e.g., Hutson 1994), ამტკიცებენ რა, რომ გარემოს ფლუეტუაციები და გამღიზიანებლები უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორებია, ვიდრე კონკურენცია იმის განსაზღვრაში, თუ გარკვეულ დროს რა სახეობები იჩენენ თავს.

## 22.3 სახეობათა ჩამომორჩა, რომელიც თან სდევს კონკურენცია გაცნობას, გვიჩვევას კონკურენციის ეფექტებს

ბუნებაში კონკურენციაზე დაკვირვება ადვილად შეიძლება იქნას დემონსტრირებული კონკურენტული გამორიცხვის პრინციპის გამოყენებით, რომელიც აცხადებს, რომ ორ სახეობას არ შეუძლია თანაარსებობა ერთ რესურსზე, რომელიც მცირე რაოდენობით მოიპოვება მათზე მოთხოვნასთან შედარებით. თუ სახეობა გამოდევნის მეორე სახეობას არეალიდან, მხოლოდ ერთი, გამარჯვებული სახეობა რჩება არეალში ეკოლოგთა დაკვირვებებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტული გამორიცხვა ხანმოკლე პროცესია. სამხილები, გამორიცხვას ადგილი რომ ჰქონდა, იკარგება სუსტი სახეობის გაქრობასთან ერთად. ჩვენ შეგვიძლია, დავაკვირდეთ კონკურენტულ გამორიცხვას ლაბორატორიაში, რადგან ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი სურვილისამებრ ავრიოთ პოპულაციები, როგორც ეს გაუსმა გააკეთა და თვალყური მივადევნოთ მათი ინტერაქციის მსვლელობას. ამგვარი ლაბორატორული ექსპერიმენტების ბუნებრივთან ყველაზე მიახლოებული ანალოგია არის ადამიანების მიერ სახეობის შემთხვევითი ან განზრას შემოყვანა. მაგალითად, სოფლის მეურნეობაში პარაზიტები ან მტაცებლები ხშირად შემოყვანილია სისტემაში სარეველებისა და მწერი პარაზიტების კონტროლისთვის. თუ მთელი რიგი ამგვარი მაკონტროლებელი სახეობებისა ერთდროულად არიან შემოყვანილი, მათ შეიძლება დაიწყონ კონკურენცია პარაზიტისთვის, რომლის საკონტროლოდაც შემოყვანეს ისინი. კონკურენტულ გამორიცხვას ამ პირობებში შეიძლება ადგილი ჰქონდეს და შეიძლება დაკვირვებულ იქნას.

პარაზიტების მაკონტროლებელი სახეობების ამგვარი ერთდროული შემოყვანის მაგალითს ადგილი ჰქონდა 1947 და 1952 წლებს შორის, როდესაც ჰავაის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა გაუშვა პოტენციური პარაზიტოდის ოცდათორმეტი სახეობა ხილის პარაზიტების რამდენიმე სახეობასთან საბრძოლველად, მათ შორის, დასავლურ დროზოგილებთან (Bess et al. 1961). პარაზიტოდითა სახეობათაგან ცამეტი დადგენილია, მაგრამ მხოლოდ სამი სახის, ყველანი ბზიკები Braconidae-ს ოჯახიდან (ნახ. 22-2), აღმოჩნდა დროზოგილების მნიშვნელოვანი მაკონტროლებელი სახეობა. სამი პარაზიტოდით სახეობის პოპულაცია, ყველანი Opius-ის გვარის წარმომადგენლები, თან-


მიმდევრულად ანაცვლებდნენ ერთმანეთს ადრეული 1949 წლიდან 1951 წლამდე, რომლის შემდეგაც მხოლოდ პიუს ოპპილუს ახდენდა ყველაზე ხშირად დროზოფილების პარაზიტირებას (ნახ. 22-3). როდესაც თითოეულ პარაზიტოიდის პოპულაციას ჩაეწაცვლებოდა უფრო წარმატებული სახეობა, ბზიკების მიერ დროზოფილების პარაზიტობის დონე ასევე იზრდებოდა, რაც აღმატებულ კონკურენციულ შესაძლებლობაზე მიგვანიშნებდა.

ჩანაცვლების მსგავსი მაგალითი, რომელიც მოიცავდა ბზუილებსა და რომლებიც ახდენდნენ Coccidae-ს ოჯახის წევრი მნერების პარაზიტირებას, ზედმინევნით იქნა დოკუმენტირებული სამხრეთ კალიფორნიაში (DeBach and Sundby 1963, DeBach 1966). Coccidae-ს გვარის მწერები არიან ციტრუსის ხეების პარაზიტები, რომლებსაც შეუძლიათ, გამოიწვიონ ხეების ძლიერი დაზინება. რადგანაც პარაზიტებში გამძლეობს ევოლუციამ შეამცირა ქიმიური პესტიციდების ეფექტურობა, სოფლის მეურნეობის ბიოლოგებმა დაიიწყეს მწერი პარაზიტებისა და მტაცებლების გამოყენება (DeBach 1974). ყვითელი ფარიანები ახდენდნენ კალიფორნიის ციტრუსთა ხეივნების ინვაზიას იმ, დროიდან რაც ფორთოხალი და ლიმონი პირველად იქნა დარგული აქ. გვიან 1800-იან წლებში, წითელი ფარიანა იქნა შემთხვევით შემოყვანილი და შემდეგაც მან ჩააწაცვლა ყვითელი ფარიანა თითქმის მთლიანად, ალბათ თავად კონკურენტული გამორიცხვის საშუალებით (DeBach et al. 1978).

ციტრუსის ფარიანების კონტროლისთვის შემოყვანილი მრავალი სახეობიდან პატარა პარაზიტული ბზიკები პპტეტის-ის გვარიდან (ბერძნული სიტყვა aphytis-დან - „წოვა“) ყველაზე წარმატებულია. ერთი სახეობა .ციტრუსომპპტელი შემთხვევით იქნა შემოყვანილი ხმელთაშუა ზღვის რეგიონიდან, რაც დადგენილ იქნა 1900 წელს. Aphytis-ის სასიცოცხლო ციკლი იწყება,



**ნახ. 22-2** პარაზიტოიდი ბრაჟონიდული ბზიკების ჭუკები, რომლებიც ამოდიან ამ შემთხვევაში დაპარაზიტებული პამიდვრის რქიანი მატლის ლარვებია.




**ნახ. 22-3** თანმიმდევრული ცელილება დომინანტობაში *Opium*-ის გვარის სამი ბრაჟონიდული ბზიკების სახეობისა, რომელთაგან ყველა ახდენს დასაცვლური დროზიფილას დაპარაზიტებას.

(After Bess et al. 1961.)

როდესაც ზრდასრულები დებენ თავიანთ კვერცხს მასპინძლის ქიტინოვანი საფარის ქვეშ. ახლადგამზეკილი ბზიკები ლარვა იყენებს თავის ქვედა ყბას ფარიანას სხეულის კედელში შესაღწევად და აგრძელებს მისი სხეულის შიგნებულობის მოხმარებას. მას შემდეგ, რაც ლარვა ხდება ზრდასრული, ის აგრძელებს ფარიანათი კვებას კვერცხის ნარმოქმნის განმავლობაშიც. თითოეულ მდედრს შეუძლია, გაზარდოს ოცდახუთიდან ოცდაათ შთამომავლამდე ლაბორატორულ პირობებში და განვითარების პერიოდი იმდენად მოკლეა (კვერცხობიდან ზრდასრულობამდე 14-დან 18 დღეა საჭირო  $27^{\circ}\text{C}$ -ზე [ $80^{\circ}\text{F}$ ]), რომ პოპულაციამ შეიძლება ანარმონს რვიდან ცხრა თაობამდე ყოველ წელს სამხრეთ კალიფორნიის მოსავლის აღების გრძელ სეზონში.

პოპულაციის ზრდის უზარმაზარი პოტენციალის მიუხედავად, *A.chrysomphali* ეფექტურად ვერ აკონტროლებდა ფარიანას მწერებს, კერძოდ, ვერ ახერხებდა ამას მშრალ ველებზე. 1948 წელს მისი ახლო ნათესავი სახმრეთ ჩინეთიდან, .ლინგნანენსის იქნა შემოყვანილი მაკონტროლებელი აქტორის სახით. ეს სახეობა სწრაფად გაიზარდა და ფართოდ ჩააწაცვლა .ციტრუსომპპტელი ერთ დეკადაში (ნახ. 22-4). როდესაც ორიგე სახეობაზე ჩატარდა დაკვირვება ლაბორატორიაში, აღმოჩნდა, რომ .ლინგნანენსის უფრო მაღალი სუფთა რეპროდუქციული ტემპი ჰქონდა, ერთად იქნებოდა ეს ორი სახეობა გაზრდილი, თუ ცალ-ცალკე.

მართალია, *A.lingnanensis*-მა გამოდევნა *A.chrysomphali* მთელი სამხრეთ კალიფორნიის მასშტაბით, მან მაინც ვერ ანარმონ ფარიანას მწერების ეფექტური ბიოლოგიური კონტროლი შიდა პლანტაციებში, რადგან ზამთრის ცივმა ტემპერატურამ დიდად შეამცირა პარაზიტთა პოპულაციები აქ. ორი სახის ბზიკების ლარვული განვითარება მცირდება და თითქმის სრულიად ჩერდება  $16^{\circ}\text{C}$ -ზე დაბალ ტემპერატურაზე ( $60^{\circ}\text{F}$ ), ხოლო ზრდასრულებს, არ შეუძლიათ, აიტანონ ტემპერატურა  $10^{\circ}\text{C}$ -ზე ქვემოთ ( $50^{\circ}\text{F}$ ).




**ნახ. 22-4** თანმიმდევრული ცვლილება *Aphylitis chrysophali*-სა და *A. lingnanensis* განაწილებაში სამხრეთ კალიფორნიაში.

*A. lingnanensis* პირველად იქნა გაშეცდული 1948 წელს და მან სწრაფად ჩაანაცვლა *A. chrysophali* მოელ რეგიონში.

(After DeBach and Sundby 1963.)

1957 წელს ბზიკის მესამე სახეობა *A. melinus* იქნა შემოყვანილი ჩრდილოეთ ინდოეთიდან და პაკისტანიდან, სადაც ტემპერატურა იცვლებოდა გაყინვის ტემპერატურაზე დაბალი ტემპერატურიდან ზამთარში  $40^{\circ}\text{C}$ -ზე მაღალ ტემპერატურამდე ზაფხულში. როგორც იმედოვნებდნენ, *A. melinus* სწრაფად გავრცელდა სამხრეთ კალიფორნიის შიდა ველებში, სადაც ტემპერატურა ისეთივეა, როგორც ბზიკების საშობლოში, მაგრამ სახეობა ვერ დამკვიდრდა უფრო რძილ სანაპირო არეალებში (ნახ. 22-5). პ. დებუქმა და რ. ა. სანდბიმ (1963) მოხდნეს ლაბორატორულ ექსპერიმენტებში იმის დემონსტრირება, რომ  $27^{\circ}\text{C}$  ტემპერატურასა და 50% ტენიანობაზე, პირობებში, რომლებიც უფრო დამახასიათებელია სანაპირო არეალების ტროპიკული კლიმატისთვის, ვიდრე შიდა ველებისთვის, ლინგნანესის არის აღმატებული კონკურენტი.



**ნახ. 22-5** სამი სახეობის *Aphylitis* განაწილება სამხრეთ კალიფორნიაში 1961 წელს. *A. melinus* დომინირებს შიდა მინდვრებში მაშინ, როდესაც *A. lingnanensis* უფრო ჭარბია სანაპიროს ახლოს.

(After DeBach and Sundby 1963.)

## 22.4 მოცილების, დამატებისა და ჩანაცვლების ეპსარიმენტები მიმდინარეობის მექანიზმები მცენარეთა კოცეულისას

მცენარეები კონკურირებენ რესურსებისთვის იგივე სახეობის მეზობელ მცენარეებთან (შიდასახეობრივი ბრძოლა) ან სხვა სახეობის მეზობელ მცენარეებთან (სახეობათაშორისი ბრძოლა). მცენარეთა კონკურენციის შედეგი შეიცნობა ცვლილებებით მცენარეთა ზრდის, რეპროდუქციის ტემპის, მცენარის ზომის, ფრამის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის რაღაც ასპექტში, რომელსაც ყველას ერთად პროდუქტოულობა ენიდება. მცენარეების ეს თვისებები იცვლებიან რესურსთა დონების ცვლილებასთან ერთად და ამით შეიძლება კონკურენციის ინტენსივობის მგრძნობიარე ინდექსი შეადგინონ. მცენარეების რესურსებზე მოთხოვნის ინტენსივობა იგივე ან სხვა სახეობის მცენარის სამეზობლოში შეიძლება გასინჯულ იქნას შესაძლო კონკურირებადი მცენარეების მიმატებით ან ჩამოშორებით.

ხეების ზრდაზე შიდასახეობრივი ბრძოლის დამთრებულავი ეფექტი დემონსტრირებულ იქნა ექსპერიმენტების საშუალებით, სადაც ხეები ჩამოშორებულ იქნა ტყიდან მისი სიმჭიდროვის შესამცირებლად (ტყის შეთხელების ექსპერიმენტები). ახალგაზრდა გრძელნინვიანი ფიჭვის ხეების ზრდის დაჩქარება დიამეტრში 15 დუმზზე მეტი სიგანის ხეების ჩამოშორების საპასუხოდ ნაჩვენებია ნახ. 22-6-ში. თითოეული ხის შიგთავსი მიღებოდა ხის მექნის გაბურღვით, ქერქიდან ცენტრამდე გრძელი მიღლისებრი მონცობილობით, რომელსაც ინკრემენტული ბურლი ეწოდება. ბურლით ამოღებული ხის შიგთავსი ნარმოადგენს ნლიური ზრდის ამსახველ საბუთს და საჭირო აღარაა, მთლიანი ხის მოჭრა ამის გასაგებად. ამ ამონაბურღებმა აჩვენეს ზრდის მომატებული ტემპი, კერძოდ ზაფხულში (ნათელი ხე), 18 წლიანი პერიოდის განმავლობაში ტყის



**ნახ. 22-6** ორი გრძელნიწვიანი ფიჭვის ხეების ამონაბურლები, რომლებიც ბირმინგემის მახლობლად მოპოვებიან. ნახატზე ნაჩვენებია დიდი ხეების ჩამოშორების შედეგი ზრდაზე. (აშშ ტყის სამსახურის ნაბოძები.)

გამოხშირების დროიდან ნაბურლების აღების დრომდე. ამ შედეგების არსი არის ის, რომ ხის ზრდას გარკვეულ-ნილად აფერხებდა კონკურენცია სხვა ხეებთან, სანამ ზოგიერთი ხე იქნებოდა ჩამოშორებული.


მსგავსი კონკურენციული შედეგი დემონსტრირებული იქნა ტყის ხეების სხვა სახეობებს შორისაც. ერთი ექსპერიმენტი წამოწყებულ იქნა სურინამის ტროპიკულ ტყეებში იმის განსასაზღვრად, შესაძლებელია თუ არა კომერციულად ხელსაყრელი ხეების ზრდის გამოსწორება მცირე ეკონომიკური მნიშვნელობის სახეობის ხეების ჩამოშორებით (Schultz 1960). მეტყევებმა მონამლეს არასასურველი ხეების 70%, რომლებსაც ჰქონდა 30 სანტიმეტრზე მეტი გარშემონერილობა ერთ ექსპერიმენტალურ ადგილზე და 15 სმ-ზე მეტი მეორეში, ხოლო სასურველი ხეები ხელუხლებელი დატოვეს. სასრულელი ხეების გარშემონერილობის

ზრდას შემდეგ ზომავდნენ ერთი ნლის განმავლობაში ექსპერიმენტალური ადგილებში და საკონტროლო ადგილებში, რომლებიც არ იქნა სელექციურად შეთხელებული (ნახ. 22-7).

დიდი ხეების ჩამოშორებამ ( $>30$  სმ გარშემონერილობა) გაზარდა სინათლის შეღწევადობა ტყეში 6-ჯერ. დამატებითმა განათებამ დიდი სტიმული მისცა ექსპერიმენტულ ადგილას დარჩენილი ხეების ზრდას. გამოსწორება ყველაზე დიდი იყო მცირე ინდივიდებს შორის, რომელიც გამოხშირვამდე ყველაზე დაჩრდილული იყო. ხეები, რომელთა გარშემონერილობა აჭარბებდა 100 სანტიმეტრს, არ იზრდებოდნენ შესამჩნევად სწრაფად. მართალია, მცირე ზომის ხეების (15-30სმ გარშემონერილობა) ჩამოშორებამ გაზარდა სინათლის შეღწევადობა მხოლოდ ერთი მესამედით, სამაგიეროდ, გამოიწვია განსაცვიფრებელი რეაქცია ზრდის ტემპში, კერძოდ დარჩენილ დიდ ხეებს შორის. ამ ხეების გაუმჯობესებული ზრდა არ იქნებოდა გამოწვეული სინათლის გაზრდილი შეღწევადობით, რადგან იმ ხეთა შორის, ვინც ამაზე რეაგირება მოახდინა, ბევრ მონამლულ ხეზე მაღალი იყო. გაძლიერებული ზრდა ალბათ გამოწვეული იყო შემცირებული კონკურენციით მინისქვეშა ფაქტორებისთვის, როგორიცაა წყალი ან მინერალული საკვები ნივთიერებები ნიადაგში. ამ პროცესს ჩვენ უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

## 22.5 როგორც მინისზე და, ისე მინისეპვება კონკურენცია მინისეპვებისა მცენარეთათვის


კონკურენტული ინტერაქციები მცენარეებს შორის გართულებულია იმ ფაქტის გამო, რომ მცენარის სხეული არსებითად იყავებს ორ განსხვავებულ გარემოს: ნიადაგს, სადაც ფესვებია და ატმოსფეროს ნიადაგს ზემოთ, სადაც დერო და ფოთლები. მცენარეების ფესვები კონკურირებენ წყლისა და საკვები ნივთიერებებისთვის, ამ პროცესს ფესვთა კონკურენცია ეწოდება მაშინ, როდესაც მინისზედა ნაწილები კონკურირებენ უპირველესად სინათლისთვის, რა-



**ნახ. 22-7** ეფექტური ტროპიკული ტყის ხეების ორი სახეობის, *Ocotea-sa* და *Tetragastris*-ის გარშემონერილობაზე კონკურირებადი ხეების ჩამოშორებით, რომლებსაც 15 სანტიმეტრიანი ან 30 სანტიმეტრიანი გარშემონერილობა აქვთ. ზრდა სინათლის ინტენსივობაში, რომელიც გამოხშირვის შედეგი იყო, ნაჩვენებია ნახატის მარჯვენა მხარეს. (After Schultz 1960.)

საც ტოტების კონკურენცია ენოდება. ფესვებისა და ტოტების კონკურენციის შედარებითი ინტენსივობა გავლენას ახდენს მცენარის მთლიან პროდუქტიულობაზე, თუმცა ფესვების კონკურენცია ამ ორიდან უფრო მნიშვნელოვანი ჩანს (Wilson 1988, Wilson and Tilman 1991).


იმისთვის, რომ განისაზღვროს ფესვებისა და ტოტების კონკურენციის შედარებითი ინტენსივობა, საჭიროა ექსპერიმენტების შედგენა, რომლებიც ამ ორ პროცესს აცალეავებენ. ნახ. 22-8 გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ეს განხორციელდეს ორი პოტენციური კონკურენციის შემცველ სათბურის ექსპერიმენტში, რომელთაგან ერთს ფართო ფოთლები აქვს, მეორეს კი ვიწრო. სახეობათაშორისი ბრძოლის გამოსარ-



**ნახ. 22-8** მცენარეთა ორი კონკურირებად სახეობას შორის ფესვებისა და ტოტების კონკურენციის შედარებითი ძალის გამოკვლევის ექსპერიმენტული მეთოდი. სახეობათაშორისი ბრძოლა შეიძლება გამორიცხული იქნას თითოეული სახეობის მცენარის ცალ-ცალე ქოთანში მოთავსებით. (შიდასახეობრივი ბრძოლა კონტროლდება ყოველ ქოთანში ერთანირი სიმძიმეობრივი გამოყენებით, იხ. ნახ. 22-13) ფესვების კონკურენცია ტოტების კონკურენციის არარსებობის პირობებში მოწყობილია კონკურირებადი მცენარეების ქოთანში იმგვარად მოთავსებით რომ მცენარეთა ფოთლები არ იყვნენ ერთ-მანეთან ახლოს. ტოტების კონკურენცია ფესვების კონკურენციის არარსებობის პირობებში ხორციელდება ორი ქოთანის ერთმანეთიან ახლოს მოთავსებით. ფესვებისა და ტოტების ერთიან კონკურენცია თავს იჩენს, როდესაც მცენარეები მოთავსებულია ერთმანეთიან ახლოს ერთ ქოთანში. (After Silvertown and Doust 1993.)

იცხად, თითოეული სახეობის მცენარეები უბრალოდ მოთავსებულია განცალკევებულ ქოთანში. შიდასახეობრივი ბრძოლის კონტროლისთვის, ექსპერიმენტატორს უბრალოდ სჭირდება მოათავსოს ერთნაირი რაოდენობის მცენარეები თითოეულ ქოთანში (იხ. სექცია 22.7). ფესვების კონკურენცია, ტოტების კონკურენციის არარსებობისას შეიძლება შესწავლილ იქნას ორი სახეობის ინიციატივის ერთ ქოთანში მოთავსებით, რომლებიც ქოთანში იმგვარად იქნებიან განთავსებული, რომ მცენარეთა მინისზედა ნანილები არ მოდიან პირდაპირ შეხებაში ერთმანეთთან. ამგვარ მოწყობაში ორი მცენარის ფესვები კონკურირებენ ნიადაგში წყლისა და საკვები ნივთიერებებისთვის, მაგრამ კონკურენცია სინათლისთვის ტოტებს შორის მნიშვნელოვან ფაქტორს აღარ წარმოადგენს. ტოტების კონკურენცია ფესვების კონკურენციის არარსებობის პირობებში შეიძლება შესწავლილ იქნას ან მათი მოთავსებით ცალკეულ ქოთანში, მაგრამ ერთმანეთთან საკმარისად ახლოს მოთავსებით ისე, რომ მათი ფოთლები ერთმანეთს ეხებოდნენ, ან მათი მოთავსებით ერთ ქოთანში, მხოლოდ ნიადაგში ფესვების განცალკევებით. ერთდროული ეფექტები ფესვებისა და ტოტების კონკურენციისა შეიძლება შესწავლილ იქნას კონკურირებადი სახეობის ინიციატივის დარგით იმგვარად, რომ ახლომდებარე მცენარეების ფესვები და დერო ერთმანეთთან მჭიდრო სიახლოვეს იყვნენ.

ამ ტექნოლოგიის გამოყენებით, თეთრი სამყურას (თრიფლოიუმ რეცენს) და ინგლისურ რეიგრასის (ოლიუმ პერენე) ფესვებისა და ტოტების კონკურენციის ძალების შედარებითი კვლევის შედეგები მოცემულია ნახ. 22-9-ში. ამ კვლევაში კონკურენციის ეფექტი იზომებოდა პროდუქტიულობის საფუძველზე, როგორც პროცენტული ნილი მოსავლისა საკონტროლო ჯგუფის მცენარეებში (ფესვებისა და ტოტების




**ნახ. 22-9** ექსპერიმენტის შედეგები, რომელიც განსაზღვრავდა ფესვებისა და ტოტების კონკურენციის შედარებით ეფექტებს თეთრ სამყურას (*Trifolium repens*) და ინგლისურ რეიგრასს (*Lolium perenne*). ჩვენი ინტერესის საზომი არის მოსავალი, როგორც პროცენტი მოსავლისა საკონტროლო მცენარიდან (ფესვებისა და ტოტების კონკურენციის გარეშე), რომელიც ნაჩვენებია გრაფიკში 100%-ის სახით. შედეგები აღნიშვნელობენ, რომ რეიგრასი იგებს როგორც ფესვების, ისე ტოტების კონკურენციას. (From Martin and Field 1984.)

კონკურენციის გარეშე). შედეგები გვიჩვენებს, რომ როგორც ფესვების, ისე ტოტების კონკურენცია ინდობს რეიგრას და იწვევს მოსავლის შემცირებას თეთრ სამყურაში (Martin and Field 1984).

## 22.6 კონკურენციის ეფექტი შეიძლება განსხვავებული იყოს თითოეული კონკურენციის არაულაციისთვის

როდესაც ორი პოპულაცია კონკურენცის, შესაძლებელია და ალბათ მოსალოდნელიც, რომ ერთ პოპულაციაზე უფრო ძლიერ გავლენას მოახდენს კონკურენციული ინტერაქცია, ვიდრე მეორეზე. ამ ფენომენს ასიმეტრიული კონკურენცია ეწოდება. სმიტმა (1975) მოახდინა ასიმეტრიული კონკურენციის დემონსტრირება ესმოდიუმის ირი სახეობის მაგალითზე, რომლებიც არიან მცირე ზომის ბალახისმაგვარი პარკისანი მცენარეები და რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული შუა დასავლეთ აშშ-ს ტყეებში. სმიტმა გამოიყენა დამატებითი ექსპერიმენტი, სადაც ორივე სახეობის მცირე ინდივიდები გლუტინსუმ და .ნუდიფლორუმ დათესილი იყო ან 10სმ-ის დაშორებით იგივე სახეობის მოზრდილი ინდივიდისგან (შიდასახეობრივი ბრძოლის გამოსაცდელად), ან 10 სმ-ის დაშორებით სხვა სახეობის მოზრდილი ინდივიდისგან (სახეობათაშორისი ბრძოლის შესამომებლად). მოზრდებრივ ზრდის ინდექსის დასადგენად სმიტმა გაზომა, როგორც ძველების ისე ახალგაზრდების ფოთლების სიგრძის მთლიანი ზრდა. ექსპერიმენტის შედეგებმა (ნახ. 22-10) გვიჩვენეს, რომ არანათესაური კავშირის მქონე მცენარეებით გარშემორტყმის შემთხვევაშიც კი, ორივე სახეობა უკეთესად იზრდებოდა ესმოდი-




**ნახ. 22-10** ორი სახეობის ემოდიუმ-ის ზრდით გამოხატული რეაქციები, როდესაც ისინი დარგულია იგივე სახეობის ინდივიდების მახლობლად, სხვა სახეობის ინდივიდების მახლობლად და სხვა სახეობის ინდივიდებისგან გარკვეული მანძილის დაშორებით.  
(After Smith 1975.)

უმ-ის მცენარეების არარსებობისას. თუმცა სახეობათაშორისი ბრძოლის ეფექტები არ იყო ერთნაირი ორივე სახეობის შემთხვევაში. .ნუდიფლორუმ-ის ზრდა უფრო მეტად იზღუდებოდა სახეობათაშორისი ბრძოლით, ვიდრე შეიდასახეობრივი ბრძოლით.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მცენარეები სტაციონარული ორგანიზმებია, როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა ნაწილებით, რომლებზეც შეიძლება გავლენა მოახდინონ სხვადასხვა კონკურენციულმა რეზიმმა. ფესვების კონკურენცია წყლისა და საკვები ნივთიერებებისთვის მცენარეებს შორის, როგორც წესი, სიმეტრიულია. ინდივიდუალური მცენარეები იღებენ რესურსებს გარემოცვიდან, ქმნიან რა ე.წ. გამოფიტვის ზონებს, როგორც მეთორმეტე თავში აღნერეთ. როდესაც ინდივიდუალური მცენარის გამოფიტვის ზონა შეხებაში მოდის მეორე მცენარესთან, ორივემ შეიძლება განიცადოს შემცირება ზრდის ტემპში. ამრიგად, თითოეული მცენარის განლაგება სხვა მცენარეების მიმართ განსაზღვრავს, თუ რამდენად ძლიერ მოქმედებს მასზე ასიმეტრიული კონკურენცია. ტოტების კონკურენცია სინათლისთვის ხშირად ასევე ასიმეტრიულია მცენარეებისთვის. რადგანაც სინათლე ზემოდან მოდის, უფრო მაღალ ხეებს აქვთ უპირატესობა მცირე ხეებზე, რომლებიც ქვემოთ მათ ჩრდილშია.

მცენარეების სივრცობრივი გავრცელება გავლენას ახდენს სიმეტრიული მიწისზედა და ასიმეტრიული მიწისქვეშა კონკურენციის საბოლოო შედეგზე. ნახ. 22-11ა გვიჩვენებს თესლის შემთხვევით გავრცელებას ნიადაგში. ზოგიერთი თესლი მეზობლებთან ახლოს დაეცა, ზოგიც – არა. ის ჩითილები, რომლებიც გაიზარდა ჯგუფურად გადანანილებული თესლიდან, არ გაიზრდება ისევე სწრაფად, როგორც ლია არეალებში გაფანტული თესლი, საკვები ნივთიერებებისთვის მიწისქვეში მიმდინარე კონკურენციის გამო. ნახ. 22-11ბ გვიჩვენებს დიფერენცირებული ზრდის შედეგებს. (ა)-ში მოცემული ყველა მცენარე როდია ნარმოდგენილი (ბ)-ში სიკვდილიანობის გამო. მიწისზედა ასიმეტრიული კონკურენცია სინათლისთვის თამაშში შემოვა სწორედ იმ მომენტში, როდესაც დიდი მცენარეები დაჯაპირის ახლომდებარე მცირე მცენარეებს და მათზე სწრაფად გაიზრდება. საბოლოო ჯამში, ნიადაგზე ძალიან ცოტა მცენარე იქნება დომინანტი, როგორც ნაჩვენებია ნახ. 22-11ც-ში (Huston 1986, Huston et al., 1988, Huston 1994).

ცხოველებში ასიმეტრიული კონკურენციის ახლანდელ კვლევაში ვ.ჯ.რესეტარიტსმა (1997) განიხილა ორი მდინარის ფსკერის თევზის – დაწინკლული ქვაქვეშიას (*Cottus bairdi*) და თხელკუდიანი დარტერის (*Etheostoma flabellare*) კონკურენციული ინტერაქციები. ეს თევზები ერთად ბინადრობენ მცირე ნაკადულებში დასავლეთ ვირჯინიაში. რესეტარიტსმა გაზომა ორივე სახეობის ახალგაზრდა ინდივიდების საშუალო მთლიანი სიგრძე და მასა და მოათავსა ისინი ხელოვნურ ნაკადებში თითოეული სახეობათა სამ



**ნახ. 22-11** ასიმეტრიული კონკურენციის ეფექტები მცენარეთა პიპოთეტურ თანასაზოგადოებაში. (ა) თითოეული ნერტილი ნარმოადგენს თესლს. ნერები ნარმოადგენენ გაცვეთის ზონას, რომელიც განვითარდა სამი ინდივიდუალური თესლიდან. მცენარეებს, რომელსაც არ ჰყავთ კონკურირებადი ინდივიდები თავიანთ გაცვეთის ზონაში (A ნერ), ან ჰყავთ ორი (B ნერ) ან რამდენიმე ინდივიდი (C ნერ) ნაჩვენებია ამ ნახატში. ზოგადად, რაც მეტია კონკურენცია მცენარის გაცვეთის ზონაში, მით ნელია ზრდის ტემპი. (ბ) ფესვების კონკურენცია სიმტკრიული, ამრიგად, ზრდას ადრეულ ეტაპებზე მცენარეები ნაკლები მეზობლებით თავიანთი გაცვეთის ზონებში უფრო დიდი გაზრდება, რაც ნარმოდენილია დიდი ნერებით. (ც) მცენარეების კანოპეთა გავრცელებასთან ერთად, ასიმეტრიული კონკურენცია სინათლისთვის უპირატესობას დიდ მცენარეებს მიანიჭებს. (After Huston 1986, 1994; from Huston et al. 1988.)


სხვადასხვა კომბინაციაში: ინდივიდუალურად, სხვა სახეობის ახალგაზრდა ინდივიდებთან და სხვა სახეობის ზრდასრულთან. მას შემდეგ, რაც მან ნება მისცა სახეობებს მოსულიყვნენ ერთმანეთთან ურთიერთქმედებაში რამდენიმე თვის განმავლობაში, მან ჩამოაშორა კონკურენტი და დაითვალი ყველა ინდივიდი თითოეული სახეობიდან, რათა განესაზღვრა ექსპერიმენტის მიმდინარეობის პერიოდში გადარჩენის კოეფიციენტი. მან ასევე განსაზღვრა საშუალო მასა და სიგრძე. ექსპერიმენტის შედეგები ნაჩვენებია ნახ. 22-12-ში. ახალგაზრდა ქვაქვეშიები ავლენენ გადარჩენის უფრო მაღალ უნარს ახალგაზრდა ან ზრდასრული დარტერიების არსებობისას, ვიდრე მაშინ, როდესაც ნაკადებში მარტო არიან, ამის მიზეზი ჯერ ბოლომდე გარკვეული არ არის. ქვაქვეშიების საბოლოო მასა და სიგრძე შემცირდა როგორც ახალგაზრდა, ისე ზრდასრული დარტერიების არსებობის პირობებში. დარტერიები ავლენდნენ ნაკლები გადრაჩენის უნარს სამიცე კომბინაციაში (მარტო, ზრასრულ ქვაქვეშიებთან და ახალგაზრდა ქვაქვეშიებთან), ვიდრე ქვაქვეშიები. კონკურენციული ეფექტები შეინიშნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც დარტერიები იმყოფებოდნენ ახალგაზრდა ქვაქვეშიების და არა ზრდასრული ქვაქვეშიების გარემოცვაში. ამრიგად, ორი სახეობის ერთმანეთზე კონკურენციული ეფექტი ასიმეტრიულია.

როგოროც წესი, უფრო ძნელია, რადგან ნარმატება დამოკიდებულია თესლის გაღვივებაზე, გადარჩული ჩითილების გადარჩენასა ან ცხოველების სურვილზე, დარჩნენ იქ, სადაც მათ გაანანილებენ (პრობლემა, რომელიც ხშირად გადაჭრილია ღობის ან კედლების გამოყენებით). მაგრამ როგორც ჩამოცილების, ისე დამატების ექსპერიმენტები შეზღუდულია იმ გაგებით, რომ იმ დროს, როდესაც ისნი ავლენენ შიდასახეობრივ და სახეობათაშორისი ბრძოლას, ისნი არ იძლევიან შედასახეობრივი და სახეობათაშორისი ბრძოლის რაოდენობრივი შედარების საშუალებას. პრობლემა უბრალოდ შემდეგშია: ინდივიდების რეაქციები კონკურირებადი სახეობების არსებობაზე იზომება უფრო მაღალმთლიან სიმჭიდროვეზე. როდესაც კონკურირებადი სახეობის ინდივიდები ჩამოშორებულია შიდასახეობრივი ბრძოლის გასაზომად, დარჩენილი ინდივიდების პროდუქტიულობა შიდასახებრივ პირობებში არ იძლევა პირდაპირი შედარების საშუალებას პროდუქტიულობასთან სახეობათაშორისი პირობებში, რადგან ინდივიდების მთლიანი სიმჭიდროვე მცირდება.

შიდასახეობრივი და სახეობათაშორისი ბრძოლის შედარებითი ძალების განსაზღვრის სიძნელე ავლენს კონკურენციის ლოგისტიკური მოდელების სისუსტეს და გვიჩვენებს, თუ რატომ არის ხანდახან ძნელი კონკურენციაზე დაკვირვება. ლოგისტიკური მოდელები ვარაუდობენ, რომ  $i$  სახეობის ზრდის ტემპი დამოკიდებული იქნება მისი საკუთარი პოპულაციის სიმჭიდროვეზე და ასევე კონკურირებადი სახეობის პოპულაციის სიმჭიდროვეზე, რომელიც დაზუსტებულია კონკურენციის კოეფიციენტით:  $dN/dt = r_i N_i(1 - N_i/K_i - a_j N_j/K_j)$ . ამ მოდელის ჩვენეულ განვითარებაში (იხ. სექცია 21.5), ჩვენ აღვნიშნეთ, რომ  $i$  სახეობის ექსპონენციალური ზრდის ტემპი ( $dN/dt$ ) კონკურირებადი  $j$  სახეობის არსებობისას არის ამ სახეობის შიდასახეობრივი და სახეობათაშორისი ბრძოლით რეგულირე-

## 22.7 სახეობათაშორისი და შიდასახეობრივი კონკურენციის განვითარებითი ინტენსივობა შეიძლება განისაზღვროს ჩანაცვლებით

ბუნებაში კონკურენციის კვლევათა უმრავლესობაში მცვლევარები აფასებენ ინდივიდების რეაქციებს, რომლებიც მოსდევენ იგივე ან სხვა სახეობის ინდივიდების ჩამოშორებას. დამატების ექსპერიმენტები,



**ნახ. 22-12** კონკურენციის ექსპერიმენტების შედეგები დანინელულ ქვაქვეშიებს (*Cottus haidii*)

და თხელკუდიან დარტერებს (*Etheostoma flabellare*) შორის, აჩვენებს ასიმეტრიული კონკურენციულ რეაქციებს. ამ ნახატში ნაჩვენებია თითოეული სახეობის გადარჩენით, მასითა და სიგრძით გამოხატული რეაქციები ნაჯადებში მარტო, სხვა სახეობის ახალდებთან ან სხვა სახეობის ზრდასრულ ინდივიდებთან ერთად, ქვაქვეშიებმა გამოაცლინეს უფრო მაღალი სურთო გადარჩენა და რეაგირებდნენ დარტერების როგორც ზრდასრულ, ისე ახალგაზრდა ინდივიდების არსებობაზე მასისა და სიგრძის შემცირებით. დარტერებმა გამოაცლინეს შემცირებული გადარჩენა, მაგრამ განცდიდნენ შემცირებას სიგრძესა და მასაში მხოლოდ ახალგაზრდა ქვაქვეშიების თანდასწრებისას.

(From Resertrarits 1997.)

ბული ექსპონენციალური ზრდა ( $rN_i$ ). ელემენტი  $a_{ij}N_j/K_i$  გვიჩვენებს სახეობათა შორისი კონკურენციის ძალას. ამ ურთიერთობის მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის ის, რომ სახეობათა შორისი ბრძოლის შედეგს აქვს ხაზოვანი დამოკიდებულება სიმჭიდროვესთან. მაგალითად, წარმოიდგინეთ კონკურენტული ეფექტი ი სახეობისა ამ სახეობაზე  $j$  სახეობის ზემოქმედების სამ სხვადასხვა დონეზე:  $N_j = 10$ ,  $N_j = 20$  და  $N_j = 30$  თუ  $a_{ij} = 0,5$ . თითოეული  $N_j$ -სთვის კონკურენციის ეფექტი არის  $a_{ij}N_j/K_i$  და ელემენტის შესაბამისი სიდიდეები პოპულაციის საში ზომის შესაბამისად არიან:  $5/K_i$ ,  $10/K_i$  და  $15/K_i$ . თუ თქვენ აირჩევთ სხვა სიდიდეს, სიტყვაზე 100,  $K_i$ -სთვის და შექმნით გრაფიკის მონახაზს, სადაც ერთი დერძი აღნიშნული იქნება სიმჭიდროვე ჯით, ხოლო მეორე კონკურენციის ელემენტ  $a_{ij}N_j/K_i$ -თი, თქვენ მიიღებთ სწორ ხაზს. ამრიგად, ამ მოდელში ინდივიდების დამატება და ჩამოშორება იწვევს ხაზოვან ცვლილებას კონკურენტულ ეფექტებში ( $a_{ij}N_j/K_i$ ). მოდელი ასევე გულისხმობს, რომ კონკურენტული ეფექტი შეიძლება გაზომილ იქნას პოპულაციის ცვლილებით (ანუ ცვლილებებით  $N_i$ -ში).

ეს მოსაზრებები შეიძლება აკურატულად არ ასახავდეს კონკურენციას ბუნებაში. ჩვენ არ შეგვიძლია მი-

ვიჩნიოთ, რომ კონკურენციული ეფექტები ხაზოვანია სიმჭიდროვესთან დამოკიდებულებაში და როგორც ჩვენ ვნახეთ ზემოთ მოცემულ მაგალითში კონკურენციის ეფექტები შეიძლება გამოვლენილ იქნან ინდივიდუალური ზრდის ტემპებით თესლის პროდუქციასა ან გადარჩენაში სასიცოცხლლი ციკლის განმავლობაში და არა სიმჭიდროვის, როგორც ასეთის, ცვლილებით.

ერთი გზა, რომლითაც ეკოლოგები ძლევენ ამ პრობლემას, არის სახეობათა შორისი ბრძოლის შედეგად წარმოშობილი ცვლილების შიდასახეობრივი ბრძოლით გამოწვეულ ცვლილებასთან ექსპერიმენტულ შედარება სიმჭიდროვეს ერთსა და იმავე დიაპაზონზე, რასაც ჩანაცვლების სერიათა ექსპერიმენტი ენოდება (De Wit et al. 1960). ამგვარ ექსპერიმენტებში ორგანიზმთა მთლიანი სიმჭიდროვე მუდმივია, იცვლება მხოლოდ ორი სახეობის ინდივიდების შეფარდება. მაგალითად, კონკურენციულ ექსპერიმენტში სათბურის ქოთნებში დათესილი ორი სახეობის მცენარეებით, ექსპერიმენტატორს შეუძლია, შეინარჩუნოს 100 ინდივიდის მთლიანი სიმჭიდროვე თითო ქოთანში, მაგრამ შეინახოს ერთი სახეობის 30 ინდივიდი და 70 ინდივიდი მეორე სახეობისა. ეს შექმნიდა პირობებს ძლიერი სახეობათა შორისი ბრძოლისა -სთვის და ძლი-

იერი შიდასახეობრივი ბრძოლისა სახეობისთვის. სახეობათა შეფარდების ცვლილებით შიდასახეობრივი და სახეობათაშორისი ბრძოლის ხარისხი შეიძლება შეიცვალოს თითო სახეობისთვის მაშინ, როდესაც კონკურენციის მთლიანი ინტენსივობა ნარჩენდება.

მარშალმა და ჯაინმა (1969) გამოიყენეს ეს ექსპერიმენტალური დიზაინი, რათა შეესწავლათ ველური შვრის (ვენა) ორი სახეობის .ფატუა და *A. barbata*-ს კონკურენცია, რომლებიც ერთად იჩენენ თავს კალიფორნიის სათიბ მინებში. ისინი დარგულ იქნა ქოთნებში კომბინირებული სიმჭიდროვეებით 8, 16, 32, 64, 128 და 265 ინდივიდი თითო ქოთანში. მარშალმა და ჯაინმა ჩაინიშნეს ზრდის, გადარჩენისა და გამრავლების სხვადასხვა ინდექსი, რათა შეფასებინათ რეაქციები სიმჭიდროვეზე და არა იმისთვის, რომ განესაზღვრათ ცვლილებები პოპულაციის სიმჭიდროვეზე. ექსპერიმენტის პირობებში გადარჩენა რეპროდუქციამდე მაღალი იყო და დამოუკიდებელი სიმჭიდროვისგან. როგორც შიდასახეობრივი, ასევე სახეობათაშორისი ბრძოლის ეფექტები გამოვლინდნენ უპირველესად ზრდასა და თესლის წარმოებაში. ერთწლიანი მცენარეების (როგორიცაა ვენა), რომლებიც მწიფდება, გამოიღებს თესლს და კვდება ერთ სეზონში, წარმოქმნილი თესლის ოდენობა ყველაზე რელევანტურია მრავალწლიანი პოპულაციის ცვლილებებთან.


როდესაც მარშალმა და ჯაინმა დათესეს ველური შვრია ერთსახეობიან პოპულაციაში, თავთავების რიცხვი (ერთი თესლიდან ამოზრდილი თავები) თითო ქოთანში (ანუ მთლიანი მცენარისთვის) გაიზარდა თესლის რიცხვთან შედარებით თავდაპირველად და შემდეგ კლება დაინტყო (ნახ. 22-13ა). იმის მიუხედავად, თუ რამდენი თესლი იქნა დათესილი თითო ქოთანში, თავთავების რიცხვი, რომელმაც მოსავალი გამოიიღო ექსპერიმენტის ბოლოს, არასდროს აჭარბებდა 500-600 თითო ქოთანზე. თითოეული მცენარე წარმოქმნიდა მრავალ თავთავს ერთ თესლზე დაბალი სიმჭიდროვის მცენარეებში, მაგრამ წაკლებს სიმჭიდროვისა და შიდასახეობრივი ბრძოლის ზრდასთან ერთად (ნახ. 22-13ბ).

მარშალმა და ჯაინმა შეისწავლეს სახეობათაშორისი ბრძოლის შედეგი ორი სახეობის დათესვით შემდეგი


შეფარდებით 0:8, 1:7, 4:4, 7:1 და 8:0 თითოეულზე ექვსი სიმჭიდროვით. შერეულსახეობიანი ნარგავების შედეგები, როგორც წესი, გამოსახულია ჩანაცვლების სერიათა დიაგრამაში, სადაც თითოეული სახეობის რეაქცია განცალკევებულად არის დატანილი გრაფიკზე, როგორც ფუნქცია ნათესების შეფარდებისა ან კონკურირებადი ინდივიდებსა რაოდენობისა გარკვეულ სიმჭიდროვეზე. მარშალმა და ჯაინმა ექსპერიმენტის შემთხვევაში, რეაქცია არის ერთ თესლზე თავთავების რაოდენობა. შესაძლო შედეგი შიდასახეობრივი და სახეობათაშორისი ბრძოლის სხვადასხვა დონეებისთვის ილუსტრირებულია ერთი სახეობისა და ერთი მთლიანი სიმჭიდროვისთვის ნახ. 22-14-ში. როდესაც ერთი სახეობის მიერ თესლის წარმოებაზე თანაბარ გავლენას ახდენს ნებისმიერი სახეობის ინდივიდების სიმჭიდროვე ( $a_{ij} = a_{ji} = 1$ ), ეფექტური სიმჭიდროვე  $i$  და  $j$  სახეობის თითოეული ინდივიდისთვის დამოუკიდებელია მათი ნათესების შეფარდებისგან და  $i$  და  $j$  ინდივიდების თესლის მთლიანი პროდუქცია იზრდება დათესილ მცენარეთა პროპორციულად. ამგვარი შედეგი ჩნდება სწორი დიაგონალური ხაზის სახით ჩანაცვლების სერიათა დიაგრამაში.

როდესაც შიდასახეობრივი ბრძოლა აჭარბებს სახეობათაშორის ბრძოლას ( $a_{ii} > a_{jj}$ ),  $i$  სახეობის ინდივიდები უფრო პროდუქტიული არიან ნათესების დაბალი სიმჭიდროვისას და თესლის აღრიცხული პროდუქციაც თითო ქოთნიდან დიაგრამაზე დიაგონალს ზემოთ არის. როდესაც სახეობათაშორისი ბრძოლა აჭარბებს შიდასახეობრივს ( $a_{ij} > a_{ji}$ ), პროდუქცია ნათესების შეფარდებასთან ერთად (ანუ სახეობათაშორისი ბრძოლის კლებასთან ერთად) არაპროპორციულად კლებულობს. შედეგად, თესლის გამონატანი ხაზს ქვემოთ მდებარეობს.

მცირე და მაღალ სიჭიდროვეებზე (32 და 256 ინდივიდი თითო ქოთანზე) მარშალმა და ჯაინმა შერეულსახეობიანი ნათესების შედეგები შედარებულია სუფთა პოპულაციების საბოლოო შედეგებთან ნახ. 22-15-ში. ჰორიზონტალურ ლერძზე ამ ნახატში აღნიშნულია ქოთანში თანასახეობების თავთავების რაოდენობა. გრაფიკის მარცხენა მხარეს არსებული ორი პანელი წარმოადგენს თითო ქოთანში 32 ინდივიდის მთლიან




ნახ. 22-13 როდესაც ორი სახეობის შვრის (*Anena*) სუფთა კულტურები დათესილ იქნა სხვადასხვა სიმჭიდროვეებზე, თითო ქოთანში თავთავებს რიცხვი (რეპროდუქციული გამონატანის ხაზში) გაიზარდა სიმჭიდროვეებსთან ერთად (ა) მაგრამ თითო მცენარის თესლზე თავთავების რიცხვი შემცირდა (ბ). (After Marshall and Jain 1969.)



სიმჭიდროვეს, ხოლო ორი პანელი მარჯვენა მხარეს იგივე პარამეტრს თითო ქოთანში 256 ინდივიდის თვის. დაბალ სიმჭიდროვეზე *A.fauta*-ს მიერ წარმოებული თავთავების რაოდენობა მდებარეობს დიაგონალის ზემოთ და არ განსხვავდება იგივე სიმჭიდროვეზე სუფთა პოპულაციების მიერ წარმოებულ რაოდენობისგან. ამრიგად, თითო ქოთანში 32 ინდივიდის სიმჭიდროვეზე *A.fauta*-ს ინდივიდები ინდიფერენტულები არიან მეზობლად *A.barbata*-ს ინდივიდების არსებობისადმი და ისე იქცევიან, თითქოს განიცდიდნენ მხოლოდ შიდასახეობრივ ბრძოლას. თუმცა *barbata*-ზე გავლენას ახდენს კონკურენცია *A.fauta*-სგან, დაბალ სიმჭიდროვეზეც კი. რადგანაც ამ სახეობების მიერ წარმოებული თავთავების რაოდენობა ახლოს მდე-

ბარეობს დიაგონალთან, ჩვენ შეგვიძლია ვივარაულოთ, რომ კონკურენცია *A.fauta*-ს ინდივიდებისგან სიდიდეთა ერთი რიგიდანაა, რომელშიც შიდასახეობრივი ბრძოლა ანუ  $a_{fb} = 0$  და  $a_{bf} = 1$ . ყველაზე მაღალ სიმჭიდროვეზე 256 მცენარე თითო ქოთანში, ფაუტაზე ცხადად ახდენს გავლენას სახეობათაშორისი ბრძოლა. *A.barbata*-სათვის სახეობათაშორისი ბრძოლის ეფექტები აჭარბებუნ შიდასახეობრივი ბრძოლის ეფექტებს.

ჩანაცვლების სერიათა ექსპერიმენტებმა შეიძლება ადეკვატურად ვერ ასახონ მცენარეთა პირობები ბუნებაში, თუმცა სიმჭიდროვებისა და ფიზიკური პირობების დიაპაზონის ცვლის შესაძლებლობა და კონტროლი, რაც შეიძლება მიღწეული იქნას სათბურში, ხაზს უსვამს ბუნებაში ჩამოშორების ექსპერიმენტების შეზღუდვებს. მაშინ, როდესაც შესაძლებელია სახეობათაშორისი ბრძოლის შესახებ ამგვარი საველე ექსპერიმენტებიდან დასკვნის გამოტანა, შიდასახეობრივ ბრძოლასთან შედარებით მისი ძალის შეფასება (Connell 1983) ან შემზღვდავი რესურების ბუნების გამოკვლევა ძნელია. თუმცა ხანდახან ადამიანებისა და ბუნებრივი გამლიზიანებლების მოქმედება ქმნის შემთხვევას, რომელშიც კონკურენტი სახეობების სიმჭიდროვეთა დიაპაზონზე დაკვირვება საველე პირობებში შესაძლებელი ხდება. მაგალითად, ეგზოტიკური სახეობების შემოყვანამ ბუნებრივ სისტემებში შეიძლება შეადგინოს კონკურენციის ბუნებრივი ექსპერიმენტი. ამგვარი კვლევები, როგორც წესი, დიდი მნიშვნელობისაა, რადგან შემოყვანილი სახეობები ხშირად საფრთხის წინაშე აყენებენ სისტემის ინტეგრირებას, სადაც ისინი არიან შეყვანილნი (Dyer and Rice 1997).



**ნახ. 22-15** თავთავების წარმოება ორი სახეობის შევრის მიერ, რომლებიც იზრდებოდნენ სხვადასხვა სიმჭიდროვეებზე სახეობათაშორისი კონკურენციის არარსებობის (მწვანე ხაზები) და არსებობის (მავი ხაზები) პირობებში.  
(From Marshall and Jain 1969.)

## 22.8 ექსარიგითალურია კვლევები გამოვლინეს შიდასახეობრივი კონკურენცია

არსებობს მრავალი კვლევა ცხოველებს შორის სახეობათაშორისი ბრძოლის თაობაზე. ამგვარი კვლევები ხორციელდება როგორც კონკურენციის მექანიზმების განსასაზღვრად, ისე იმ პროცესების უკეთესად გასაცნობირებლად, რომელთა მეშვეობითაც ბუნებრივი თანასაზოგადოებებია სტრუქტურირებული. ცხოველებში შიდასახეობრივი ბრძოლის კვლევები, როგორც წესი, დაკავშირებულია კითხვებთან პოპულაციის სიმჭიდროვეზე დამოკიდებული რეგულაციის შესახებ. კვლევები, რომლებიც ადარებენ შიდასახეობრივი და სახეობათაშორისი ბრძოლის შედარებით მნიშვნელობას, შედარებით მცირე რაოდენობით არის ჩატარებული.

### სახეობათაშორისი კონკურენცია ცხოველებში: სივრცე

მცენარეები იყავებენ სივრცეს. მჭიდრო ნათესებში ტოტები და ფესვები ერთად არის შეჯგუფებული იმდენად ახლოს, რომ ინდივიდები მუდმივად კონკურენცია მზის სინათლისთვის, ნიადაგში წყლისა და საკვები ნივთიერებებისთვის. სივრცის დამკავებელ ცხოველებს შორის, ქვიანი სანაპიროების უხარხემლოებიუფრო ჰყვანან მცენარეულ სისტემებს. მათ შორის, ყველაზე ნარმოსადგენი კიბოებია, რომლებსაც შეუძლიათ, შექმნან მჭიდრო პოპულაციები. კიბოები იყვებებიან პლანეტონით, რომელიც მათზე გროვდება და ილექტება წყლიდან. ისევე, როგორც მცენარეთა პროდუქცია არეალის ერთ ერთულზე (ან თითო ქოთანზე) სივრცით უფრო იზღუდება, ვიდრე მცენარეთა რაოდენობით, კიბოების პროდუქტიულობა არ არის დამოკიდებული მოუმნიშვნელობით ინდივიდების რაოდენობაზე, რომლებიც ითვისებენ შიშველ ზედაპირს, გარკვეული კრიტიკული სიმჭიდროვის ზემოთ.

სახეობათაშორისი ბრძოლის ერთ-ერთი პირველი ექსპერიმენტული მაგალითი საველე პირობებში ჩატარებულ იქნა კონელის (1961) მიერ ნაშრომში ორი სახეობის კიბოზე, რომლებიც შოტლანდიის ქვიანი სანაპიროს მოქცევათაშორის ზონაში ბინადრობენ. კონელის შრომები ეკოლოგიაში კლასიკურ ექსპერიმენტებად არის მიჩნეული მათი შესრულების ხარისხისა და მათი შედეგების მნიშვნელობის გამო. *Chthamalus stellatus*-ის ზრდასრული ინდივიდები, როგორც წესი, ბინადრიობენ მოქცევათაშორის ზონაში ქვებზე, ალანუს ბალანოიდეს-ის ზრდასრულებზე მაღლა. ამ ორი სახეობიდან, ეს უკანასკნელი უფრო ჩრდილოებია. მართალია, ორი სახეობის ახლად გამოჩენილი ლარვების ვერტიკალური გაგრცელება შეხებაში მოდის ერთამეთთან, ხაზი ზრდასრულთა ვერტიკალურ გავრცელებას შორის მკვეთრად არის გავლებული.


კონელმა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ

ზრდასრული *Chthamalus*-ები შეზღუდულია ალანუსების ზემოთა ნაწილით მოქცევათაშორის ზონაში არა ფიზიოლოგიური ამტანობის ზღვარის გამო, არამედ უფრო სახეობათაშორისი ბრძოლის მიზეზით. როდესაც კონელმა ჩამოაშორა ალანუს ქვიანი ზედაპირიდან, *Chthamalus* გავრცელდა მოქცევათაშორის ზონის ქვემოთა არალებზეც, სადაც ისინი, როგორც წესი, არ ჩადიოდნენ ხოლმე. ორი სახეობა პირდაპირ კონკურირებს სივრცისთვის. უფრო მძიმე ჯავშნიანი ალანუს *Chthamalus* სწრაფად იზრდება და ინდივიდის ზრდასთან ერთად მისი ჯავშანი ქვევიდან ესაზღვრება *Chthamalus*-ის ჯავშნებს და ფაქტიურად ართმევს მას ქვას. *Chthamalus*-ს შეუძლია, თავი იჩინოს მოქცევათაშორისი ზონების ზემოთა ნაწილებში, რადგან ისინი უფრო გამძლეა გაშრობისადმი, ვიდრე ალანუს. ამრიგად, როდესაც ზედა დონეებში ზედაპირი *Chthamalus*-ებისგან თავისუფლდება, *Balanus*-ები ამ ადგილას არ შემოდიან.

კონელის ექსპერიმენტებმა დაადასტურეს ტენსილის მიერ ჩამოყალიბებული და შემდეგ ლაბორატორულ პოპულაციებში ნაჩვენები კონკურენციის პრინციპების უმეტესობა. პარკის მიერ თრიბოლიუმ-ს კვლევისას, ინტერაქციის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია გარემოზე. მარშალისა და ჯაინის მიერ ვენა-ს შესწავლისას კონკურენცია სახეობებს შორის ასიმეტრიული იყო. ასევე ალანუს ახორციელებდა უფრო ძლიერ სახეობათაშორის გავლენას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის შეზღუდული იყო ფიზიკური ფაქტორების გამო. სახეობათაშორისი ბრძოლა სივრცისთვის ნაჩვენები იქნა მთელ რიგ სხვა ცხოველებზეც. მაგალითად, აფრიკული მყვირალა ყურბები კონკურირებენ სხვა მტაცებელ ფრინველებთან საფურაულ სივრცისთვის უგანდაში (Krueger 1997).

### სახეობათაშორისი ბრძოლა ცხოველებში: დიფერენცირებული აგრესია და რესურსთა გამოყენება.

კონკურენცია კიბოებს შორის გამოწვეულია ფიზიკური დაპირისპირებით და არა საკვებისა და სხვა რესურსების დიფერენცირებული ექსპლუატაციით. მაგრამ კიდევ უფრო მობილურმა ცხოველებმა, შეიძლება გამოავლინონ მსგავსი შეჯახებითი კონკურენცია შემთხვევითი აგრესიული შეხვედრებისას. მაგალითად, მემინდვრიას (მცირე თავგისებრი მლრღნელები იცროტუს-ის გვარიდან) ორი სახეობა თავს იჩენს კლდიანი მთების რაიონში. დასავლეთ მონტანაში ნაცრისფერი მემინდვრია სახლობს როგორც მშრალ, ისე შედარებით ნოტიო საბინადრო გარემოებში, რომლებიც გარს აკრავს გუბურებსა და ნაკადებს მაშინ, როდესაც მთის მემინდვრია შეზღუდულია მხოლოდ მშრალი საბინადრო გარემოთი. როდესაც ნაცრისფერი მემინდვრია დაჭერილ და ჩამოშორებულ იქნა





**ნახ. 22-16** კოლიბრი მაზილია *saucerottiae*-ს და ჩანგლისებრკუ-დიანი კოლიბრების (*Chlorostilbon canivetii*) მიერ დახარჯული ენერგიის ოდენბაბი ( $Jg^{-1} h^{-1}$ ), რომელიც ეკვებოლუნებული დაბორატორული საქა-რობას ხსნარით ინდიციდუალურად ან დაწყვილებული კონსეპტუა-კურ (AA, CC) ან ჰეტეროსპეციფიკურ (AC, CA) ფრინველთან. ენერგიის ხარჯვა გაიზარდა ორივე ფრინველისთვის, როდესაც ისინი მეორე ფრინველთან იქნებ დაწყვილებული, მაგრამ ზრდა უფრო მეტი ჩანგლისებრკუდიანი კოლიბრებისთვის იყო. (From Tiebout 1993.)

ტენიანი საბინადრო გარემო არეალიდან, მთის მე-მინდვრიებმა დაინტენს აქ ჩამოსახლება გარშემო მშრა-ლი არეალებიდან (Koplin and Hoffman 1968). სტევერმა (1972) ჩაატარა დამატებითი ექსპერიმენტი მონტანას კიდევ ერთი არეალში. მშრალ საბინადრო გარემოში 9 დღიანი იძულებითი დამწყვდევის შემდეგ, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ მთიანი მემინდვრიების მიერ იყო ათვისებული, ნაცრისფერმა მემინდვრიებმა დაიწყეს ამ არეალის ათვისებაც. ისინი გარშემო ნო-ტიო არეალებიდან შემოვიდნენ. თითოეული სახეობა გამოდევნის მეორეს აგრესიულად საბინადრო გარე-მოდან ან თავს არიდებს იმ ადგილს, სადაც მეორე სახეობა არის გავრცელებული. ქცევის ორივე ტიპი, რომელიც ფართოდ იჩენენ თავს მღრღნელებს შო-რის, ამკვეთრებენ საზღვრებს მჭიდრო ნათესაური კა-ვშირის მქონე სახეობების ეკოლოგიურ გავრცელებას შორის (Grant 1972b, Heller 1971, Meredith 1977, Sheppard 1971).

ტროპიკული კოლიბრები გვთავაზობენ აგრესი-ული ქცევის, ტერიტორიულობის და შეტაკების შე-დარებითი მნიშვნელობის კიდევ ერთ მაგალითს სახე-ობათაშორის ბრძოლაში. უპირველესი გამოწვევა კოლიბრებისთვის არის თავიანთი დიდი ენერგეტი-კული მოთხოვნილებების დაკამაყოფილება შედარ-ებით დაბალი ენერგეტიკული რესურსების წყალო-ბით: ყვავილოვანი ნექტრით. კოლიბრის სახეობებით მდიდარ ადგილებში, როგორიცაა კოსტა-რიკა და ნეოტროპიკების სხვა ადგილები, განვითარდა მნიშ-ვნელოვანი სახეობათაშორისი ცვლილება საფუ-რავო სტრატეგიაში, კერძოდ რეაქციები საკვები-სთვის ინტენსიურ კონკურენციაზე (Tiebout 1993).

კოლიბრი მაზილია საუცერროტტეი, მაგალითად აქტიურად და აგრესიულად იცავს ყვავილების პეტ-ჩებს საპარო ბრძოლის ტექნიკის გამოყენებით. ეს ქცევები მოითხოვენ მნიშვნელოვან ენერგიას, რომ-ლისთვისაც ფრინველი მორფოლოგიურად მორგე-ბულია, რადგანაც უკიდურესად შეუძლია ფრთების დატვირთვა. იგივე არეალში ბინადრობს შედარებით ნაკლებაგრესიული ჩანგლისებრკუდიანი კოლიბრი ჩპლოროსტილბონ ცანივეტი, სახეობა, რომელიც ექსპლუატაციას უწევს დაუცველ იზოლირებულ პეტ-ჩებს. ეს ორი სახეობა საკვებისთვის ასიმეტრიულად კონკურირებს და გამოვლინდა, რომ მაზილია საუცერ-როტტეი-ს შეიძლება ძლიერი უარყოფითი გავლენა ჰქოდეს ჩანგლისებრკუდიანი კოლიბრის პოპულა-



**ნახ. 22-17** ენერგიის შენახვის ( $Jg^{-1} h^{-1}$ ) ოდენბაბი დღის განმაგ-ლობაში კოლიბრი მაზილია საუცერროტტეი-სა და ჩანგლისებრკუ-დიანი კოლიბრის *Chlorostilbon canivetii*-ს მაგალითზე, რომელიც იკვებებიან ინდიციდუალურად ან ნეკტრის კონსეპტუა-კურ ან ჰეტეროსპეციფიკურ ფრინველთან. (ა) ენერგიის შენახვის ტემპი დაბალია ორივე სახეობისთვის, როდესაც ისინი თავიანთი სახეობის მეორე ფრინველთან არიან დაწყვილებული. (ბ) აგრესიული *Amazilia saucerottiae*-ები გამოვლენიან ჩანგლისებრკუდიან კოლიბრებს საკვები ადგილებიდან, რითაც ინარჩუნებენ თავიანთ საკუთარ ენერგიის მარაგს ჩანგლისებრკუდიანი კოლიბრების ხარჯზე. (From Tiebout 1993.)

ციის ზომაზე, მისი გამოდევნით საკვების წყაროები-დან. მაზილია საუცერროტტე ასევე კონკურირებს შიდასახეობრივადაც მაღალი სიმჭიდროვეების დრო (Feinsinger 1976).

თაბიბოტმა (1993) შეისწავლა კონკურენციის მექანიზმები ამ ორ სახეობას შორის ლაბორატორულ ექსპერიმენტებში 24 საათიანი პერიოდის განმავლობაში. გაკეთდა ორივე სახეობის მარტომყოფი ფრინველების ქცევითი და ენერგეტიკული რეაქციების შედარება ორი სახეობის კონსპეციფიკური და ჰეტეროსპეციფიკური წყვილების იგივე რეაქციებთან. თაბიბოტმა აღმოაჩინა, რომ ენერგიის ხარჯვა ( $J \text{ g}^{-1} \text{ h}^{-1}$ ) იზრდებოდა, როდესაც ნებისმიერი სახეობის ფრინველები წყვილების განვითარების ან კონსპეციფიკურ ან ჰეტეროსპეციფიკურ ინდივიდთან იმ დროის გამო, რომელიც მათ დახარჯეს საკვების წყაროს ძიებისთვის ფრენაში ან რესურსების დასაცავად აგრესიული ქცევის დროს (ნახ. 22-16). ჰეტეროსპეციფიკურ წყვილებში უფრო აგრესიული მაზილია საუცერროტტეი-ები გამოდევნიან ჩანგლისებრულიან კოლიბრებს საკვების წყაროდან და ამრიგად, მათ შეუძლიათ, აინაზღაურონ ენერგიის მაღალი დანახარჯი და შეინარჩუნონ სხვეულის მუდმივი მასა ექსპერიმენტის მსვლელობის განმავლობაში (ნახ. 22-17).


მართალია, ტერიტორიების დაცვა და სოციალური აგრესია თავს ხშირად იჩენს სახეობების შიგნით, ისინი ნაკლებად გავრცელებულია სახეობებს შორის, სადაც კონკურენცია უფრო ტიპიურად თავს იჩენს რესურსთა ექსპლუატაციის სახით. რადგანაც ექსპლუატაციური კონკურენცია თავის ეფექტებს არაპირდაპირ გამოხატავს სხვადასხვა სახეობების დიფერენცირებული გადარჩენითა და რეპროდუქციით, მისი დადგენა შეიძლება ძნელი იყოს (Belovsky 1984, Kleeburger 1984, Lenksi 1984). ხშირად ამგვარი კონკურენციის აღმოჩენის საუკეთესო გზა არის ერთ-ერთი კომპონენტი სახეობის ჩამორჩენილი სახეობის რეაქციაზე დაკვირვება.

დანკემმა (1980) გამოიყენა ეს სტრატეგია ორი სახეობის ხვლიკის ინტერაქციათა გამოსაკვლევად ტეხასის შტატის ბიგ ბენდის ეროვნულ პარკში. კანიონის


ხვლიკი შცელოპორუს მერრიამი და ხის ხვლიკი როსაურუს ორნატუს, ორივე ექცეპტონი მწერებს საკვებად დიდი ქვების გაშლილ ზედაპირზე. დანკემმა შეადგინა ექსპერიმენტული მაგალით, რომელის დროსაც ერთი ან მეორე სახეობა ჩამოშორებული იქნა და შეადარა პოპულაციათა სიმჭიდროვეები, გადარჩენა, კვების ტემპები და სხეულის ზრდა იმ ადგილების ინდივიდების შესაბამის პარამეტრებს, სადაც არანაირი ცვლილება არ იყო განხორციელებული (საკონტროლო) ოთხლიანი პერიოდის განმავლობაში 1974-1977 წლამდე.

პოპულაციათა სიმჭიდროვეები საკონტროლო და ექსპერიმენტალურ გარემოებში ნაჩვენებია ნახ. 22-18-ში. იქ, სადაც შცელოპორუს იქნა ჩამოშორებული, როსაურუს რიცხვი გაიზარდა საკონტროლო გარემოსთან შედარებით 1975-1976 წლების განმავლობაში. 1977 წელს არავითარი განსხვავება არ არსებობდა. ამისგან განსხვავებით, იქ, სადაც როსაურუს იქნა ჩამოშორებული, შცელოპორუს-ის პოპულაციამ არ მისცა არავითარი რეაქცია. აქაც ჩვენ ვხედავთ შესამჩნევ ასიმეტრიას ერთი სახეობის გავლენაში მეორეზე, სადაც შცელოპორუს აშკარად უკეთესი კონკურენტი აღმოჩნდა. ფლუქტუაციები შცელოპორუს-ის როგორც საკონტროლო, ისე ექსპერიმენტალურ პოპულაციებში ახლოს იყო დაკვაშირებული ნალექიანობასთან (1975 და 1977 წლები მშრალი წლები იყო), რაც იმას ნიშნავდა, რომ ფიზიკურ ფაქტორებს უფრო სასტიკად შეუძლიათ, შეზღუდონ შცელოპორუს მაშინ, როდესაც კონკურენცია უფრო მკაცრად ზღუდავს როსაურუს-ს. ეს სიტუაცია გვახსენებს ალანუს-ისა და ჩრდილოებრივ სამარტინოს შედარებით ეკოლოგიურ პოზიციებს მოქცევათა შორის ზონაში.

განსხვავება როსაურუს-ის ექსპერიმენტულ და საკონტროლო პოპულაციებს შორის დამატებით გულისხმობს, რომ კონკურენციის ინტენსივობა ვარირებს საკვების რესურსებთან ერთად. მაგალითად, ზრდასრული მამრი როსაურუს-ების კვების ტემპები მნიშვნელოვნად მაღალი იყო ექსპერიმენტულ მაგალითები, საკონტროლოსთან შედარებით საკვების დაბალი ხელმისაწვდომობის პერიოდში, მაგრამ არა საკვების სიჭარბის დროს (ნახ. 22-19). ამრიგად მეორე



ნახ. 22-18 ორი სახეობის ხვლიკის პოპულაციები (*Urosaurus ornatus* და *Sceloporus merriami*) არეალის თითო ჰექტარზე, რომელებიდანც ერთი ან მეორე სახეობა იქნა ჩამოშორებული და საკონტროლო შცენებზე, სადაც ორივე სახეობა ხელულებელი დარჩა. (ა) *Sceloporus*-ის არარესებობისას *Urosaurus*-ის რიცხვი გაიზარდა საკონტროლო შცენებზე მეტად. (ბ) *Sceloporus*-ის პოპულაციამ არანაირი რეაგირება არ მოახდინა *Urosaurus*-ის ჩამოშორებაზე. ეს შედეგები ნიშნავს, რომ ხვლიკების ირ სახეობას შორის ასიმეტრიული კონკურენცია არსებობს. (From Dunham 1980.)



**ნახ. 22-19** ზრდასრული მამრი როსაურუს ორნატუს-ების კვების ტემპი ექსპერიმენტულ მაგალითზე, რომლიდანაც *Sceloporus variabilis* მერრიამი იქნა ჩამომორქებული და ასევე არამანიულორებულ საკონტროლო სცენებზე. ეს შედეგები გვკარნახობენ, რომ ამ სახეობებს შორის კონკურენციის ინტესივობა უფრო დიდია მაშინ, როდესაც საკვები შეზღუდულია. (From Dunham 1980.)

სახეობის კონკურენტული ეფექტი შეიძლება გამოსახულ იქნას მხოლოდ რესურსთა დაბალი ხელმისაწვდომობის პერიოდში (Wiens 1977).

სახეობებს შორის კონკურენციის საბოლოო საზომი არის მისი გავლენა ნაყოფიერებასა და გადარჩენაზე. მონიშნული ინდივიდების ხელახლა დაჭრებმა გვიჩვენეს, რომ ზრდასრული შეცელოპორუს-ები უფრო ხანგრძლივად ბინადრობდნენ მაგალითში, სავარაუდოდ შემცირებული კონკურენციის შედეგად, მაგრამ ასევე გვიჩვენეს, რომ ზრდასრული როსაურუს-ების სიცოცხლის ხანგრძლივობა შემცირდა, სავარაუდოდ გაზრდილი შიდასახეობრივი ბრძოლის გამო, რაც დაკავშირებული იყო მაღალ სიმჭიდროვესთან.


### შიდასახეობრივი ბრძოლა ცხოველებში

შიდასახეობრივი ბრძოლა, ეჭვგარეშეა, მნიშვნელოვანი ფაქტორია ცხოველთა პოპულაციების რეგულაციაში. თუმცა ცხოველთა გადაადგილებისა და მტაცებლობის გამართულებელი ეფექტები კიდევ უფრო ძნელს ხდის ექსპერიმენტულად ცხოველების შესწავლას, მცენარეებისგან განსხვავებით. მარტივი სისტემები, რომლებშიც არ არსებობენ მტაცებლები და სადაც რესურსები შემცირებულია მცირე რიცხვამდე, საუკეთესო შესაძლებლობას გვთავაზობენ ცხოველებში შიდასახეობრივი ბრძოლის ბუნების გასაგებად. გამოქვაბულის ბზუალები (ეპკაენოპს ტელლკამპფ) მამონტის ქვაბულში, კენტუკის შტატი, ნარმოადგენენ ერთ ამგვარ სისტემას.

გრიფიტმა და პაულსონმა (1993) განახორციელეს შიდასახეობრივი ბრძოლის კვლევა ამ მწერებში. ქვაბულის ბზუალებს არ ჰყავთ მნიშვნელოვანი მტაცებელი ან კონკურენტი და ისინი ნარმოადგენენ ერთი რესურსის – ჭრიჭინასებრი ქვაბულის მნერების ადენოციუს სუბტერრანეუს-ის კვერცხის ერთადერთ მომხმარებლებს. ამ კვერცხებს ისინი თხრიან ნოტიო ქვიშიდან ქვაბულის ძირზე, სადაც მათ ზრდასრული ჭრიჭინები დებენ. კვერცხი ნარმოადგენს შემზღვდავ რესურსს ნლის უმეტეს დროს. საკვები ურთიერთობების სი-

მარტივესთან ერთად, ქვაბულის შინაგანი გარემო იმდენად ახლოსაა მუდმოვობასთან, რომ გარემოს მოქმედება სისტემაზე არსებითად უმნიშვნელოა.

20 წელზე მეტი ხნის დაკვირვებებზე დაყრდნობით გრიფიტი და პაულსონი მიიჩნევდნენ, რომ ბზუალები კონკურირებდნენ ერთმანეთთან როგორც კვერცხის მარაგის გამოლევით (ექსპლუატაციის კონკურენცია), ისე აქტიური და აგრესიული ჩარევით ერთმანეთის მიერ ქვიშიდან კვერცხის ამოღების პროცესში (ჩარევის კონკურენცია). მათი დაკვირვებებისა და ექსპრიმენტების შედეგები მათ ჰიპოთეზას ამართლებენ. როდესაც ბზუალები ამოღებულ იქნა გალიების საშუ-



**ნახ. 22-20** ურთიერთობა ქვაბულის ბზუალას *Neaphaenops tellkampfii*სა და ჭრიჭინა ადემოციუს სუბტერრანეუს-ის ნაყოფიერებას (კვერცხი თითო მდედრზე) შორის. ბზუალები მხოლოდ ჭრიჭინა კვერცხებით იკვებებიან. ბზუალების ნაყოფიერება კონკლავში მოდის ჭრიჭინების ნაყოფიერებასთან. რაც იმას ნიშნავს, რომ ბზუალების პოპულაციის ზრდა ჰირდაპირ არის დაკავშირებული არსებით შემზღვდავი რესურსის ხელმისაწვდომობასთან. (From Griffith and Poulsom 1993.)

## ცხრილი 22-2

რეაქციები	ბზუალების რიცხვი თითო თასში					
	1		2		3	
	საშუალი	SD	საშუალი	SD	საშუალი	SD
თითო ბზუალას მიერ შექმული კვერცხები	1.00	0.0	0.69	0.53	0.09	0.13
ღრმულების სილრმე (მმ)	11.9	1.54	8.8 <sup>b</sup>	0.82	5.5 <sup>c</sup>	1.59
თითო დღეს თითო ბზუალას გათხრილი ღრმული	0.50	0.20	0.38	0.18	0.10	0.03
დღეები კვერცხების საპოვნელად	5.6	3.9	7.9	4.0	10.3	4.5
დროის % არა ფურაჟირებისას	25		50		62	

(From Griffith and Poulson 1993.)

ალებით ქვაბულის ძირის გარკვეული არეალებიდან, იქ ჭრიჭინების კვერცხების სიმჭიდროვე გაიზარდა იმავე ზომის სხვა ადგილებთან შედარებით, სადაც ბზუალები განაგრძნობდნენ ფურაჟირებას. ამრიგად, ბზუალების ფურაჟირებას პირდაპირი გავლენა აქვს ჭრიჭინების კვერცხის სიჭარებზე. ამასთან, ბზუალების ნაყოფიერება (კვერცხები/მდედრები) თან სდევს ჭრიჭინების ნაყოფიერებას (ნახ. 22-20), რაც გვიჩვენებს, რომ ბზუალების პოპულაციის ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული შემზღვდავი რესურსების ხელმისაწვდომობასთან. ლაპორატორულ კვლევებში გრიფიტი და პაულსონი მანიპულირებდნენ ბზუალების სიმჭიდროვეებით ქვიშით სავსე თასში, რომლებიც ჭრიჭინას კვერცხის მუდმივ რაოდენობას შეიცავდა. მათ აღმოაჩინეს, რომ ბზუალების სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად, ინდივიდუალური ბზუალას ფურაჟირების ეფექტურობა მცირდება. შეჯგუფებული ბზუალები თასებში ნაკლებ კვერცხს ჭამდნენ და ნაკლებ და უფრო მცირე სილრმის ღრმულებს თხრიდნენ. მათ ასევე უფრო მეტი დღე სჭირდებოდათ კვერცხის მოძებნისთვის (ცხრილი 22-2). ეს შედეგი გულისხმობს, რომ შიდასახეობრივი ბრძოლა ქვაბულის ბზუალებში საოცრად მნიშვნელოვანია.


დეთ, რომ ბუნებაში კონკურენციული ინტერაქციები მოიცავდნენ ორზე მეტ სახეობას. რა არის ცნობილი ამგვარი მაღალი რიგის ინტერაქციების შესახებ?

უილბური (1972) იკვლევდა მულტისახეობრივ ინტერაქციებს ექსპერიმენტალურად სამი სახეობის სალამანდრას (*Ambystoma*) მოუმწიფებელი ფაზების გაზრდით სხვადასხვა სიმჭიდროვეზე (0, 32 და 64 ინდივიდით თითო გალაბში) გალიებში, რომლებიც მოიცავდნენ ბუნებრივი საბინადრო გარემოს ფრაგმენტებს გუბურას კიდეზე. სამივე სახეობა იქნა გაზრდილი ცალ-ცალკე და კომნინაციებში ერთ ან ორივე სახეობასთან. უილბური ინიშნავდა გადარჩენას, კარვული პერიოდის სიგრძეს და მეტამორფოზაში მყოფთა მასას. მან გაანალიზა ამ რეაქციათა ცვლადები იმგვარად, რომ გამოვლინა სტატისტიკური ეფექტები პოპულაციის სიმჭიდროვის ორ სხვა სახეობასთან კონკურენციის და ამ სამი სახეობის მომცველი ნებისმიერი სხვა ინტერაქციის შედეგად.

უილბურმა აღმოაჩინა, რომ მულტისახეობრივი ინტერაქციები საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ნახ. 22-21ა-ში მრუდები ნარმოადგენენ საშუალო ცვლილებას სხეულის მასაში 64 *A.tremblayi*-სთვის .ლატერალე-ს სამ სხვადასხვა და *A.maculatum*-ის ორ სხვადასხვა სიმჭიდროვეზე. გრაფიკი გვიჩვენებს, რომ სხეულის მასა *A.tremblayi*-ის მეტამორფოზაში დაბალია ყოველთვის, როდესაც გარშემო არსებობს .მაცულატუმ. ის ასევე გვიჩვენებს, რომ *A.laterale*-ს მზარდი სიმჭიდროვეს მცირე ეფექტი აქვს .ტრემბლაუი-ს მეტამორფოზის სხეულის მასაზე. .ლატერალე-ს რეაქცია კონკურენტების სხვადასხვა სიმჭიდროვეებზე გვიჩვენებს უფრო კომპლექსურ ხასიათს (ნახ. 22-21ბ). მეტამორფოზისას სხეულის ზომა ამ სახეობისთვის დამოკიდებულია ორივე მისი კონკურენტის სიმჭიდროვეზე. როდესაც სისტემაში არ არსებობს *A.maculatum*, სხეულის მასა მცირდება *A.tremblayi*-ს სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად, რაც იმას აღნიშნავს, რომ *A.tremblayi*-ს აქვს კონკურენტული ეფექტი. თუმცა, როდესაც *A.macelatum* არსებობს, *A.laterale*-ს სხეულის მასის კლება თავს იჩნეს *A.tremblayi*-ს მხოლოდ უმაღლეს სიმჭიდროვეზე (64 ინდივიდი), რაც იმას ნიშნავს, რომ

### 22.9 ითერაპიების, უმაღლესი დონის კონკურენტების შორის, უეზალიათ, შეცვალონ თანაარსებობის პირობები

აქამდე ჩვენი მსჯელობა პოპულაციათა ინტერაქციების შესახებ კონცენტრირებული იყო უპირველესად კონკურენტებიდან სახეობების ნევროლებს შორის ინტერაქციებზე. მართლაც, ლოტკა-ვოლტერას კონკურენციის მოდელების მიხედვით, რომლებიც ჩვენ აქ წარმოგიდგინეთ, ყველა ინტერაქცია სახეობებს შორის მკაცრად ადიტიური და დამოუკიდებელია სხვა სახეობების არსებობა-არარსებობისგან. ანუ, მხოლოდ ორი სახეობის ინტერაქციები (ij, ik, jk) არის გათვალისწინებული. მაგრამ ჩვენ შეიძლება მოველო-



**ნახ. 22-21** კონკურენციის ექსპერიმენტის შედეგები სალამანდრებს *Ambystoma tremblayi*-სა და *A.laterale*-ს შორის, როდესაც ისინი იმყოფებიან კიდევ ერთი სალამანდრის *A.maculatum*-ის თანდასწრებისას. (ა) სხვეულის საშუალო მასა მეტამორფოზისას *A.tremblayi*-ს 64 ინდივიდისთვის *A.laterale*-ს მეზობლობის სამ სხვადასხვა სიმჭიდროვეზე (0, 32 და 64) და .მაცულატუმის ორ სიმჭიდროვეზე (მნავენ ხაზი 0; ნაცრისფერი ხაზი 64). როდესაც .მაცულატუმ არის მახლობლად, *A.tremblayi*-ს სხეულის მასა დაბალია *A.laterale*-ს ყველა სიმჭიდროვეზე. (ბ) საშუალო სხეულის მასა მეტამორფოზისას *A.laterale*-ს 32 ინდივიდისთვის *A.tremblayi*-ს სამ სხვადასხვა სიმჭიდროვეზე (0, 32, 64) და *A.maculatum*-ის ორ სხვადასხვა სიმჭიდროვეზე (მნავენ ხაზი 0; ნაცრისფერი ხაზი 64). (From Wilbur 1972.)

*A.tremblayi*-ს *A.laterale*-ზე კონკურენტულ ეფექტზე გარკვეულ გავლენას ახდენს კონკურენცია *A.tremblayi*-სა და *A.maculatum*-ს შორის. ამგვარი კომპლექსური ინტერაქციები ბუნებაში სავარაუდოდ საკმაოდ ხშირია.

ნილის (1974) ოთხი სახეობის მტკნარი წყლის კიბოსებრთა ოჯახის ნარმომადგენელს (ყალელა, *Ceriodaphnia*, ლონელლა და *Simocephalus*) შორის კონკურენციის კვლევამ პირდაპირ გვიჩვენა, რომ ერთ სახეობას შეუძლია, გავლენა მოახდინოს ორი სხვა პოპულაციას შორის არსებულ ინტერაქციაზე. ნილი კიბოსებრთა სახეობებს დიეტაზე ამყოფებდა, რომელიც შედგებოდა წყალცენარებისგან 1500მლ ლაბორატორიულ მიკროკოსმებში. მან განსაზღვრა წონასწორობის სიმჭიდროვები თითოეული სახეობისთვის 2-4 თვის შემდეგ დანარჩენი სამი სახეობიდან თითოს თანდასწრებით (ორსახეობისანი ინტერაქცია), დანარჩენი სახეობებიდან ორთან კომპინაციაში (სამზხრივი ინტერაქცია) და სამივე დანარჩენ სახეობასთან ერთად (ოთხმზრივი ინტერაქცია). მისმა ექსპერიმენტებმა გამოავლინა კონკურენციის ასიმეტრიული კოეფიციენტები მრავალ შემთხვევაში. მაგალითად, ყალელლა-ზე მცირე გავლენას ახდენდა კონკურენცია ნებისმიერი სხვა სახეობისგან, მისი რაოდენობა არ იცვლებოდა (დიაპაზონი 312-331) იმის მიუხედავად, თუ რომელ სხვა სახეობასთან ერთად იქნა ის გაზრდილი. ამისგან განსხვავებით, კონკურენციამ ყალელლას-თან მნიშვნელოვნად შეამცირა სამივე სხვა სახეობის გაწონასწორებული პოპულაციები. ამრიგად, მანამ, სანამ კონკურენტები აი ახლოს იყო ნულთან, აი-ის სიდიდეები საკმაოდ დიდი იყო.

მულტისახეობისანი ინტერაქციების კითხვების შესაბამისად ორ სახეობას შორის კონკურენციის საბოლოო შედეგზე უდიდეს გავლენას ახდენს მესამე.

როდესაც ჩერიოდაპირი (C; N = 294) ჩამომორებულ იქნა ოთხსახეობიანი სისტემიდან, *Alonella*-ს (A) პოპულაცია გაიზარდა 197 ინდივიდით (614 – 417 = 197). კონკურენციის კოეფიციენტები გამოითვალის, რომ იყო  $a_{AC} = 0.67$  *Simocephalus*-ს (S) და ყალელლა-ს თანდასწრებისას, ხოლო  $a_{AS} = 0.29$  C-სა და H-ს თანდასწრებისას. კონკურენცია *Ceriodaphnia*-სა და *Alonella*-ს შორის რომ ყოფილიყო დამოუკიდებელი *Simocephalus*-სა და *Alonella*-ს შორის კონკურენციისგან, *Alonella*-ს ზრდა ორივე სხვა სახეობის არარსებობის პირობებში გაუზოლდებოდა იმ ზრდის ჯამს, როდესაც *Ceriodaphnia* და *Simocephalus* ინდივიდუალურად იქნა ჩამოშორებული. ანუ 197 + 14 = 211. ნილმა აღმოაჩინა, რომ ორივეს ჩამომორება ინვევდა *Alonella*-ს ზრდას 322 ინდივიდით (739 – 417). ასე რომ,  $a_{AC}$  და  $a_{AS}$  არ იყვნენ მკაცრად ადიტიურები და ხაზოვანი. როდესაც ურთიერთობა  $Y = f(X)$  ხაზოვანია, ის შეიძლება აღწერილ იქნას როგორც  $Y = a + bX$ . როდესაც ეს ურთიერთობა ხაზოვანი არ არის, მისი აღწერა მოითხოვს მაღალი რიგის და მულტისახეობის ელემენტებს (X2, X3, XZ, ...). ამგვარი ინტერაქციების საბოლოო შედეგის წინასარი განსაზღვრა შეუძლებელია მკაცრად სწორებოვანი ლოტკა-ვოლტერას მოდელების საშუალებით.

$a_{AC}$ -სა და  $a_{AS}$ -ს შედარებით *Hyalella*-ს (+H) არსებობისას და მისი არარსებობისას (-H) ჩვენ შევიძლია, განვსაჯოთ მოახდენს თუ არა ამ ორს შორის ინტერაქციებზე გავლენას მესამე სახეობა. *Hualellas*-ს გარეშე  $a_{AC}(-H) = 1.47$  და  $a_{AS}(-H) = -0.072$ , რაც სავარაუდოდ დიდად არ განსხვავდება 0-სგან. თუმცა ეს სიდიდეები განსხვავდება  $a_{AC}(+H) = 0.67$  და  $a_{AS}(+H) = 0.92$ . ამრიგად, სამზრივი ინტერაქციები სისტემისთვის მნიშვნელოვანია და არამიზანშეწონილი იქნება ორსახეობიანი კონკურენციიდან მიღებული კონკურენ-

ციის მარტივი კოეფიციენტების ექსტრაპოლიტირება უფრო რთული ოთხსახეობიანი სისტემის წინასწარ განსაჭრეტად.

ზემოთ მიმდინარე დისკუსიაში მოყვანილი სა-მუშაო მიმდინარეობდა მოსაზრებით, რომ რეაქციები სიმჭიდროვეზე სახეობებში და მათ შორის ხაზოვანია, ლოტკა-ვოლტერას მოდელების ძირითადი მოსაზრება. ამგვარი მოსაზრება რომ ზედმეტად ამარტივებს ბუნებას, ფართოდ აღიარებულია. ემლენმა (1984) ხაზი გაუსვა ამას, როდესაც გამოთქვა აზრი, რომ „ალბათ ოპტიმისტურია კონკურენციის ინტენსივობაში ადიტიურობის იმედის ქონა“. პომერანთცმა და ტომასმა (1981) მიიჩნიეს, რომ კომპლექსურ სისტემებში მოჩვენებითმულტისახეობიანი და მაღალი რიგის ინტერაქციები უბრალოდ გამოწვეული შეიძლება ყოფილიყო სიმჭიდროვეზე პოპულაციის ზრდის რეაქ-

ციაში არსებული არასწორხაზოვნებით. ჩვენ არას-წორხაზოვანი მოდელების დეტალებს სხვა ავტორებს დავუტოვებთ.

## **22.10 მოხვარებლებს შეუძლიათ, გავლენა მოახდინონ რესურსთა პოპულაციებს შორის არსებული კონკურენციული ინტერაქციების საბოლოო შედეგები**

ჩვენ ვნახავთ 24-ე თავში, რომ მძოველობას შეუძლია, შეინარჩუნოს სათიბ მიწებში მცენარეების მაღალი მრავალფეროვნება (Harper 1969, 1977). მძოველების არარსებობის პირობებში დომინანტი კონკურენტები სწრაფად იზრდება და გამოდევნის სხვებს. მსგავსი



შედეგები იქნა მიღებული ექსპერიმენტებიდან ზღვის წყალმცენარეთა თანასაზოგადოების, მოლუსკების, ლოკოკინებისა და ზღვის ზღარბების კვების შედეგად (Lubchenco 1978, Paine and Vadas 1969, Witman 1987). ეს კვლევები აღნიშნავს, რომ მომხმარებლებს ძლიერი გავლენა აქვთ კონკურენციის საბოლოო შედეგის ფორმირებაზე.


პაინის ნაშრომი (1966, 1974) გაშლილქვიან სანაპიროზე ვაშინგტონის შტატში კლასიკურ კვლევას წარმოადგენს. მოქცევათამორის ზონაში, ამ საბინადრო გარემოში კიბოების რამდენიმე სახეობა, მიღიები, მოლუსკები და ქიტონები დომინირებენ. ისინი წარმოადგენ ზღვის ვარსკვლავის ისასტერ -ის საკვებს (ნახ. 22-22). 8 მეტრის სიგრძისა და ვერტიკალურად ორი მეტრის სიმაღლის საკვლევი ადგილი გათავისუფლებულ იქნა ზღვის ვარსკვლავებისგან მათი ფიზიკურად ჩამოშორებით. გვერდით მდებარე არეალი ხელუხლებლად იქნა დატოვებული. ზღვის ვარსკვლავის ჩამოშორების შემდეგ, მსხვერპლი სახეობების რაოდენობა ექსპერიმენტალურ სცენაზე სწრაფად შემცირდა 15-დან კვლევის დასაწყისში, 8-მდე მისი დასრულებისთვის. სახეობის რაოდენობაში მომხდარი ეს კლება მოხდა იმ დროს, როდესაც კიბოებისა და მიღიების პოპულაციები გაიზარდა და გამოდევნეს მრავალი

სხვა სახეობა. პაინისა და სკუნა, რომ ზღვის ვარგს-ლავის მტაცებლური გავლენა კიბოებსა და მიღიებზე ინარჩუნებდა ამ პოპულაციებს საკმარისად დაბალ დონეზე იმისთვის, რომ ხელი შეეძალ მათვების სხვა სახეობების გამოდევნაში, რითაც ინარჩუნებდნენ არეალში სახეობათა მაღალ მრავალფეროვნებას. ზღვის ვარსკვლავი ცანტკასტერ-ის მსგავსად, აძლიერებს ცენტრალური ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპირო-სთან მდებარე კორალური რიფების მრავალფეროვნებას მარჯნის სახეობის ოცილლოპორა-ს მოხმარებით, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდევნიდა სხვა სახეობებს (ნახ. 22-23) (Porter 1972b, 1974).

დაკვირვებისთვის ხელოვნურად შექმნილ ადგილზე არსებულ თანასაზოგადოებაზე ჩატარებულ ექსპერიმენტებში პ.მორინმა (1981) გვიჩვენა, რომ მტაცებელ სალამანდრებს შეუძლიათ, შეცვალონ კონკურენციის საბოლოო შედეგი ბაყაყისა და გომბეშოს თავეკომბალებს შორის. მორინმა თითოეულ ექსპერიმენტულ ადგილზე ჩაფლა გომბეშო შცაპპიო-პუს ჰოლბროკი-ის 200 ქვირითი, ბაყაყი (ყლაცრუციფერ)-ის 300 ქვირითი და კიდევ 300 სამხრეთის გომბეშო ფო ტერრესტრის-ისა. გუბურებისთვის მეტი რეალობის მისანიჭებლად, მან დაუმატა 0, 2, 4 ან 8 მტაცებელი ტრიტონი ოტოპჰეტკალმუს ვირიდესცენს.



ნახ. 22-23 ზღვის ვარსკვლავი ცანტკასტერ მოხმარს კორალის თავს პანამაში. (კ.ვ.პორტერის ნაბოძები, from Porter 1972b.)



**ნახ. 22-24** მტაცებლობის ეფექტები საში სახეობის ბაყაფისა და თავკომბალების (ა) მეტამორფოზის დროს არსებულ წონასა და (ბ) გადარჩენაზე ხელოვნურ გუბურებში. (From Morin 1981.)

მტაცებელი ტრიტონების არარსებობისას, შცაპჰიო-პუს-ის გომბეშობი სწრაფად იზრდება დანერნენი, ჰქონ-დათ გადარჩენის კარგი უნარი და დომინირებდნენ გუბურებში უფო-ს მცირე რაოდენობასთან ერთად, ყლა-ს თავკომბალები მთლიანად იქნა გამოდევნილი (ნახ. 22-24). ოტოპჰიტჰალმუს-ებს, როგორც ჩანს, ურჩევნიათ გომბეშობა თავკომბალები და როდესაც მორინმა გაზარდა გუბურებში მტაცებლების რიცხვი, როგორც შცაპჰიოპუს-ების, ისე უფო-ს რაოდენობა შესამჩნევად შემცირდა. გუბურაში გომბეშოების რა-ოდენობის შემცირებით გაიზარდა საკვების რაოდე-ნობა, ყლა-ს თავკომბალების გადარჩენა და ზრდა საოცრად გამოსწორდა, ისევე, როგორც გადარჩენილი შცაპჰიოპუს-ებისა და უფო-ს თავკომბალების.

მტაცებლობის გარდა, სიკვდილის გამომწვევ სხვა წყაროებსაც ასევე შეუძლიათ, გააძლიერონ თანაარსე-ბობა (Witman 1987, Huston 1994). კერძოდ, უსწორმას-წორო სანაპიროებზე ტალღების მიერ გამონვეული ფიზიკური გაღიზიანება და მოტივტივე ყინულისა და მორების დარტყმები აგდებენ ინდივიდებს ან მთლი-ანად პოპულაციებს ქვებიდან. ახლად გათავისუფლე-ბული სივრცე ხელმისაწვდომი ხდება კოლონიზა-ციისთვის იმ სახეობებისთვის, რომლებიც თანაბარ პირობებში ცუდი კონკურენტები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ისინი საბოლოო ჯამში გამოიდევნება გარკვეული პეტჩიდან, როდესაც მათ აღმატებული კონკურენტის სახეობა ზრდაში გადაასწრებს, დაქვემ-დებარებული კონკურენტები მაინც შეიძლება შენარ-ჩუნდნენ ფართო არეალის ფარგლებში, როდესაც პეტ-ჩები მუდმივად ხელმისაწვდომი ხდება ხოლმე ახალი კოლონიზაციისთვის.


## 22.11 კონკურენციას შეუძლია, გამოიციოს კონკურენცია ევროპური დივარგაცია

მეშვიდე თავში ჩვენ ხაზი გავუსვით ბიოლოგიური ინ-ტერაქციების, როგორც ბუნებაში სელექციური ძალის მნიშვნელობას. წარმოადგენს თუ არა კონკურენცია ამგვარ ძალას? თუ წარმოადგენს, ჩვენ უნდა მოვ-იძიოთ იმის დამამტკიცებელი საბუთები ბუნებაში, რომ კონკურენტებმა ნაწილობრივ ჩამოაყალიბეს სხ-


ვების ადაპტაციები. ჩვენ უნდა ვეძიოთ ამგვარი საბ-უთები იმ გზებში, რომლითაც სახეობები იყენებენ რესურსებს თავიანთ გარემოში.

მონათესავე სახეობები, რომლებიც ერთად ბინად-რობენ ერთ ადგილას, შეიძლება განსხვავდებოდნენ იმით, თუ როგორ იყენებენ ისინი გარემოს (მაგალი-თად სხვადასხვა საკვები რესურსების გამოყენებით). ეს განსხვავებები, რომლებიც გამოვლენილია მათ მორფოლოგიასა და ქცევაში, შეიძლება წარმოშობილი იყოს ორი გზით. პირველი, ქცევები და მორფოლო-გიური მახასიათებლები, რომლებიც განსხვავებენ ერთ სახეობას მეორისგან, შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნან სელექციური მოქმედებით, რაც თავის მხრივ გამოწვეულია სახეობებს შორის ინტერაქციებით, როგორიცაა მაგალითად, კონკურენცია. ამგვარი განსხვავებების ალტერნატიული ახსნა არის ის, რომ თითოეული სახეობა ადაპტირებული ხდება სხვადასხ-ვა რესურსებისადმი სხვადასხვა ადგილას და როდე-საც მათი პოპულაციები თანდათან შეხებაში მოდიან ერთმანეთთან გავრცელების არეალების გაფართოე-ბის შედეგად, ეს ეკოლოგიური განსხვავებები რჩება (იხ. ნაწილი 26.6).

ამ ალტერნატივებს შორის განსხვავების პოვნა შესაძლებელია სახეობათა ეკოლოგიის განხილვით იმ



**ნახ. 22-25** თვისობრივი ძვრის ფენომენი, რომელშიც ორი, მტკიცებულ დაკავშირებული სახეობის მახასიათებელი შტრიხები უფრო განსხვავდება ერთმანეთისგან იქ, სადაც ისინი სიმპატრიის ინტენსიურ თავს, ვიდრე მათი გავრცაფიული გავრცელების არეალის ალოპატრიულ ნაწილებში.



**ნახ. 22-26** გალაპაგოსის რამდენიმე კუნძულზე მობინადრე მიწის სკვინჩების (*Geospiza*) პოპულაციებში სხვადასხვა ზომის ნისკარტის მქონე ინიციატივის პრიმიტივია. ეს შესაძლო მაგალითია თვისობრივი ძვრისა. (After Lack 1947.)

არეალში, სადაც კონკურენტი არ არსებობს. როდე-საც ორი სახეობა თანაარსებობს ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში, ისინი მიჩნეულია სიმპატრიულებად. როდესაც მათი გავრცელება არ მოდის შეხებაში ერთმანეთთან, მათ ალოპატრიულები ენოდებათ. ტერმინი „სიმპატრია“ და „ალოპატრია“ ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნან სახეობათა გავრცელების არეალის სხვადასხვა ნანილისთვის და ნანილობრივ გადაფარვადი გავრცელებისთვის. ვთქვათ, პირველი სახეობა თავს იჩენს A-სა და B-ში, ხოლო მეორე სახეობა B-სა და C არეალებში. ორი სახეობის პოპულაცია არეალში იქნება სიმპატრიული, ხოლო პირველი სახეობის პოპულაცია არეალში და მეორე სახეობის პოპულაცია C-ში ალოპატრიულები. თუ არეალებს A, და C ყველას მსგავსი გარემო პილობები და საბინადრო გარემო აქვთ და თუ კონკრენცია დივერგენციას იწვევს, ჩვენ უნდა მოველოდეთ, რომ სიმპატრიული პირველი და მეორე სახეობა არეალში ერთმანეთისგან უფრო განსხვავებული იქნება, ვიდრე ალოპატრიული სახეობები A-სა და C არეალებში (ნახ. 22-25). ამ ფენომენს ენოდება ხასიათობრივი ძვრა. ეკოლოგები ვერ თანხმდებან თვისობრივი ძვრის დომინირების შესახებ ბუნებაში (რტჭურ 1982, თაპერ ანდ ჩასე 1985).

მთელი რიგი მაგალითებისა ეთანხმება თვისობრივი ძვრის ბუნებას, რომელთაგან ერთ-ერთი მოიცავს მიწის სკვინჩებს (ეოსპიზა) გალაპაგოსის კუნძულებზე (იხ. თავი 14). კუნძულებზე სკვინჩას რამდენიმე სახეობაა, რომლებსაც, როგორც წესი, სხვადასხვა ზომის ნისკარტი აქვთ. ეს გამოწვეულია მათი უპირატესი საკვების განსხვავებული დიაპაზონით. მაგალითად,

მერჩენასა და პინტას კუნძულებზე ნისკარტის სამი განსხვავებული ზომის რეზიდენტული სახეობის მიწის სკვინჩების გავრცელების არეალები არ მოდიან გადაფარვაში ერთმანეთთან (ნახ. 22-26). ფლორენასა და სან კრისტობალზე ორი რეზიდენტულ სახეობასაც – ფლორენასა და G.fortis – აქვთ სხვადასხვა ზომის ნისკარტი, თუმცა იქ, სადაც ფორტის მარტო იჩენს თავს, მისი ნისკარტი საშუალო ზომისაა ფლორენასა და სან კრისტობალის კუნძულზე არესებული სახეობების ნისკარტების ზომებთან შედარებით. ლოს ერმანოსის კუნძულზე ფლორენისა თავს მარტო იჩენს და მისი ნისკარტი საშუალო ზომისაა.

გალაპაგოსის კუნძულების მიწის სკვინჩები ასახავენ კონკურენციის განმასხვავებელ გავლენას არქიპელაგში მცირე კუნძულებზე ამ სახეობების შემთხვევითი გავრცელების გამო: ზოგიერთ კუნძულზე ორი ან სამი სახეობა ბინადრობს და ზოგზე მხოლოდ ერთი. მრავალ სხვა შემთხვევაში dნებია, იცოდე განსხვავება სახეობებს შორის ნარმონიშვა მათ შორის კონკურენციის გამო თუ იმიტომ, რომ სახეობებმა ევოლუცია განიცადეს სხვადასხვა ადგილებში სხვადასხვა გარემო ფაქტორების მიერ განხორციელებული გადარჩევის საპასუხოდ და შემდეგ შეინარჩუნეს თავიანთი განსხვავებები, როდესაც მათმა პოპულაციებმა განაახლეს კონტაქტი. შემთხვევათა უმრავლესობაში, ცხადია, ის გენეტიკური განსხვავებები, რომლებიც ინვევენ სახეობათა ნარმონშობას, თავს იჩენენ ალოპატრიის. მაშინ, რატომ არ არსებობს განსხვავებები, რომლებიც საშუალებას აძლევენ სახეობებს, თავიდან აიცილონ ძლიერი კონკურენცია? ნებისმიერ შემთხვევაში,

თანაარსებობა დამოკიდებულია სახეობებს შორის ეკოლოგიური განსხვავების გარკვეულ ხარისხზე, მი-იღწევა ის ალოპატრიულად, თუ როგორც კონკურენ-ციის ეკოლუციური შედეგი სიმპატრიაში. 25-ე თავში ჩვენ უფრო დეტალურად განვიხილავთ ურთიერთმოქ-მედი პოპულაციების ეკოლუციურ რეაქციებს.

ამ თავში ჩვენ ვნახეთ, რომ კონკურენცია თავს იჩენს ბუნებაში და შეიძლება მას ჰქოდეს დრამატ-ული გავლენა კონკურირებადი სახეობების პოპუ-

ლაციებზე. ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ ეს უფრო კომ-პლექსური პროცესია, რომელიც სხვადასხვანაირად ზემოქმედებს პოპულაციებზე და ხანდახან ძნელი აღმოსაჩინია. ჩვენ ხელახლა მიღუბრუნდებით ამ მო-საზრებებს კონკურენციის შესახებ, როდესაც ჩვენ განვიხილავთ ფაქტორებს, რომლებიც არეგულირებენ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას თანასაზოგადოე-ბებში 29-ე თავში.

## დასკვნა

**1.** ხანდახან ძნელია კონკურენციის დაკვირვება ბუნე-ბაში და საჭირია ფრთხილი ექსპერიმენტები იმის განსასაზღვრად, იჩენს თუ არა ის თავს. ადრეული 1960-იანი წლებიდან ეკოლოგებმა ჩაატარეს მთელი რიგი საველე კვლევები, რომლებიც შედგენილი იყო ბუნებრივი პოპულაციების ზომებზე კონკურენციის გავლენის დასაფეხნად.

**2.** იმ მექანიზმების მიხედვით, რომელთა საშუალე-ბითაც კონკურენცია თავს იჩენს, ანსხვავებებ მოხ-მარებით, დასწრებით, ჰიპერტროფულ, ქიმიურ, ტერ-იტორიულ და შეხვედრის კონკურენციებს. პირველი, როგორც წესი, კლასიფიცირდება როგორც ექსპლუა-ტაციური კონკურენცია, ხოლო ბოლო სამი როგორც შეტაკების კონკურენცია. დასწრებითი და ჰიპერ-ტროფული კონკურენციები დაფუძნებულია სივრცისა და განახლებადი რესურსების მოხმარებზე, მაგრამ მოიცავენ მტკიდრო კონტაქტს კონკურირებად ინდი-ვიდებს შორის. ქიმიურმა კონკურენციამ, ანუ ალე-ლოპათიამ მნიშვნელოვანი ყურადღება დამსახურა. ალელოპათია თავს იჩენს, როდესაც ერთი ინდივიდი იყენებს ქიმიკატებს სხვისთვის ზიანის მისაყენე-ბლად. ესაა ფენომენი, რომელიც ყველაზე ფართოდ ხმელეთის მცენარეებში გვხვდება.

**3.** პარაზიტების კონტროლის პროგრამებში ერთი შემოყვანილი პარაზიტის გაქრობა, რაც მოყვება მეო-რის შემოყვანას, კონკურენციის არაპირდაპირ სამხი-ლებს წარმოადგენს.

**4.** ხეების ზოგი სახეობის გაძლიერებული ზრდის ტემპები, რომლებიც მოპყვებით სხვა სახეობების ჩამოშორებას, წარმოადგენს მცენარეებს შორის სინათლის, წყლისა და საკვები ნივთიერებებისთვის კონკურენციის პირდაპირ დამატებიცებელ საბუთს. ტრანსპლანტაციის ექსპერიმენტები მცირე ზომის მცენარეთა სახეობებზე, რომლებიც ქმნიან ცვალებად პირდებს შიდასახეობრივი და სახეობათაშორისი ბრძოლისთვის, ხშირად გვიჩვენებენ შიდასახეობრივი ბრძოლის გასაოცარ ეფექტებს.

**5.** კონკურენცია მცენარეებს შორის მოიცავს

კონკურენციას მცენარის მიწისქვედა ნაწილებს შო-რის, ე.წ. ფესვის კონკურენციას და მის მიწის ზედა ნაწილებს შორის, რასაც ტოტების კონკურენცია ეწო-დება.

**6.** კონკურენციის ეფექტები შეიძლება განსხვავდე-ბოდეს თითოეული კონკურირებადი პოპულაცი-ისთვის. ამ ფენომენს ასიმეტრიული კონკურენცია ეწოდება. მცენარეებში ფესვების კონკურენცია, რო-გორც წესი, სიმეტრიულია მაშინ, როდესაც ტოტების კონკურენცია ასიმეტრიულია.

**7.** მცენარეთა კონკურენციის შენავლის საერთო მეთოდი არის ჩანაცვლების ექსპერიმენტი, რაც გა-ნავითარა ქ.თ. დე უიტმა, რომელშიც მცენარეთა ორი სახეობის შეფარდება ცვალებადია, მაგრამ მთლიანი სიმჭიდროვე მუდმივად ნარჩუნდება. შედეგები ასახუ-ლია ჩანაცვლების სერიათა დიაგრამაზე, რომელშიც შესაძლებელია შიდასახეობრივი და სახეობათაშორი-სი ბრძოლის შედარებითი ძალების დანახვა. ექს-პერიმენტებმა შერიცხვები (ცენა) და სხვა მცენარეებზე გვიჩვენა ძლიერი ასიმეტრია სახეობათაშორის ბრძო-ლაში.

**8.** ჩამოშორების ექსპერიმენტებმა, რომლებიც მოიცავენ მოქცევათაშორისი ზონის უხერხემლოებს, გვიჩვენეს ძლიერი კონკურენცია სივრცის დამკავებ-ელ ისეთ ცხოველებს შორის, როგორიცაა კიბოები, მი-დიები და ა.შ. კონკურენციული გამორიცხვა მიიღწევა პირდაპირი ფიზიკური ინტერაქციებით.

**9.** ექსპლუატაციური კონკურენცია ყველაზე კარ-გად დემონსტრირებულია კვლევებში, რომლებიც გვიჩვენებენ შესაბამის ცვლილებებს რესურსთა დო-ნეებში, რომლებიც თან სდევენ ერთი სახეობის დე-მოგრაფიულ რეაქციებს კონკურენციის ჩამოშორების შემდეგ.

**10.** კომპლექსური კონკურენტული ინტერაქციები თავს იჩენენ შემთხვევებში, სადაც ორზე მეტი სახე-ობა კონკურირებს რესურსებისთვის. ამგვარ შემთხ-ვევებში, კონკურენტების გარკვეულ წყვილს შორის არსებული კონკურენციის საბოლოო შედეგი შეიძლე-

ბა განსხვავებული იყოს მესამე კონკურენტის არსებობისას, ვიდრე მაშინ, როდესაც მესამე კონკურენტი არ არსებობს.

**11.** როდესაც კონკურირებადი სახეობების ჯგუფებზე ნადირობს საერთო მტაცებელი, ისინი თანაარსებობენ რადგან მტაცებლის საქმიანობა ინარჩუნებს უძლიერესი კონკურენტების პოპულაციათა დონეებს იმ დონის ქვემოთ, რომელზეც კონკურენტულ გამორიცხვას ექნებოდა ადგილი. ამგვარად მტაცებლობა მოქმედებს როგორც გამოიზიანებელი.

**12.** სახეობებს, რომლებიც ბინადრობენ ერთსა და იმავე ადგილას, სიმპატრიული დიაპაზონები აქვთ. სახეობებს, რომლებიც გეოგრაფიულად იზოლირებულია, ალოპატრიული დიაპაზონები აქვთ. მტიდროდ დაკავშირებული სიმპატრიული სახეობები შეიძლება განსხვავდებოდნენ მორფოლოგიასა და ქცევაში, ამ ფენომენს ხასიათობრივი ძვრა ეწოდება. ზოგიერთმა მიიჩნია, რომ კონკურენციული ინტერაქციები იწვევენ თვისობრივ ძვრას.

## სავარჯიშოები

**1.** შეადგინეთ სია თქვენი საცხოვრებელი ადგილის მახლობელი ბუნებრივი გარემოს ოთხი შემთხვევისა, სადაც სახეობათაშორის ბრძოლაზე შეიძლება რაღაც გავლენა ხორციელდებოდეს. შექმენით ექსპერიმენტი, რათა გამოსცადოთ ერთ-ერთ შემთხვევაში კონკურენციის არსებობა.

**2.** თუ კონკურენციულმა გამორიცხვამ თავი იჩინა გარკვეულ თანასაზოგადოებაში, მაშინ სახეობა, რომელიც ერთ დროს არსებობდა თანასაზოგადოებაში, იქ უკვე აღარ მოპოვება. როგორ შეუძლია, ეკოლოგს, გაიგოს, რომ კონკურენტულ გამორიცხვას ადგილი ჰქონდა?

**3.** გადახედეთ რეზეტარისტსის ექსპერიმენტს 22.6 ნაწილში. დაადგინეთ შესაბამისი ნულოვანი და ალტერნატიული ჰიპოთეზა ექსპერიმენტისთვის და აღნერეთ დამოკიდებული ცვლადი.

**4.** ნარმოიდგინეთ ნახ. 22-11 და 14.2-ში მოცემული მასალები. ახსენით, როგორ შეიძლება იქნას გამოყენებული პუასონის განაწილება სხვადასხვა ზრდის სიჩქარეების სიხშირეთა მოდელირებისთვის კონკურირებადი მცენარეების პოპულაციაში. იგულისხმეთ, რომ ყოველი მცენარის გარშემო არსებობს გამოფიტვის ზონა (წრეები ნახ. 22-13-ში), საიდანაც ის იდებს რესურსებს. მცენარის გამოფიტვის ზონაში არსებული სხვა მცენარეების რიცხვი არის იმ კონკურირებადი მეზობლების ოდენობა, რომელიც მცენარეს გააჩნია. ინდივიდუალური მცენარის ზრდის ტემპი მცირდება თითოეული კონკურირებადი მეზობლის გარკვეული ოდენობით.

**5.** ახსენით, როგორ შეუძლია მტაცებლობასა და გამოიზიანებლებს, გავლენა მოახდინონ კონკურენტულ ინტერაქციებზე.

# თავი 23



## ეტაპებლობა

### გზამკვდევი კითხვები

- როგორ შეუძლიათ მტაცებლებს, შეზღუდონ მსხვერპლის პოპულაციები?
- როგორ შეიძლება გამოიწვიოს მტაცებლისა და მსხვერპლის ინტერაქციებმა ოსცილაციები ორივე პოპულაციის ზომაში?
- რით განსხვავდება ნიკოლსონ-ბეილის პარაზიტოიდი-მტარებლის მოდელები ლოტყა-ვოლტერას მტაცებელი-მსხვერპლის მოდელისგან?
- რა სამი სახის მტაცებლის ფუნქციონალური რეაქცია არსებობს და როგორ ზემოქმედებენ ისინი მსხვერპლის პოპულაციაზე?

- რა ბიოლოგიურმა პირობებმა შეიძლება გამოიწვიონ სტაბილურობა მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციებში?

- როგორ იყენებენ ორი წონასწორობის მქონე მტაცებელი-მსხვერპლის სისტემებს სოფლის მეურნეობაში მავნებლების კონტროლისთვის?

- როგორ ზემოქმედებს მსხვერპლის ქცევა მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციების საბოლოო შედეგზე?

**ა**ეშვიდე თავში ჩვენ განვიხილეთ მტაცებლებისა და მსხვერპლის ადაპტაციები, რათა გვერვენებინა, თუ როგორ მოქმედებს ევოლუცია ორგანიზმთა სსეულის ფორმებისა და ქცევის ჩამოსაყალიბებლად. ამ განხილვის დიდი ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა ინდივიდუალურ მტაცებელსა და მსხვერპლს შორის ინტერაქციებზე და ამ ინტერაქციების უშუალო შედეგზე: სიკედლი ან გადარჩენა მსხვერპლის შემთხვევაში და ნარმატებული ან ნარუმატებელი ნადირობა მტაცებლის შემთხვევაში. ამ თავში ჩვენ განვავრცობთ ჩვენს შეხედულებას მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციებზე, იმის განხილვით, თუ როგორ ახდენს გავლენას გარკვეულ არეალში ინდივიდუალური მტაცებლებისა და ინდივიდუალური მსხვერპლის შეხევედრათა მრავალი საბოლოო შედეგი ორივე მონაწილის პოპულაციათა დინამიკაზე. რა ფაქტორები ზემოქმედებენ პოპულაციის ზომასა და სტაბილურობაზე? ეს ეკოლოგის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური კითხვაა. ჩვენ ვნახეთ, მე-16 და მე-18 თავებში, რომ სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ფაქტორები და დროებითი შეფერხება ანაბლებენ შობადობისა და სიკვდილიანობის რეაქციებს პოპულაციის სიმჭიდროვეზე და ინვევენ პოპულაციის რეგულაციას. სახეობები ხშირად მომხმარებლებიც

არიან და რესურსებიც სხვა მომხმარებლებისთვის, ორგანიზმთა პოპულაციები შეიძლება იზღუდებოდეს როგორც იმით, თუ რას ჭამენ ისინი, ისე იმით, თუ რა ჭამს მათ.

მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციათა კვლევა ცდილობს, პასუხი გასცეს სულ მცირე ორ მნიშვნელოვან კითხვას მაინც. პირველი, ამცირებენ თუ არა მტაცებლები მსხვერპლის პოპულაციას მათი გადატანით შესაძლებლობის ქვემოთ? მეორე, ინვევს თუ არა მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციათა დინამიკა პოპულაციათა ოსცილაციებს? პირველი კითხვა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა მათთვის, ვინც დაინტერესებულია მოსავლის მავნებლების კონტროლით და მათთვისაც, ვინც ცდილობს, განახორციელოს საფრთხის წინაშე არსებული პოპულაციების მენეჯმენტი, რომლებზეც მტაცებლებს შეიძლება ძლიერი უარყოფითი გავლენა ჰქონდეთ. მას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სახეობათა ინტერაქციების გაგებისთვის, რომლებსაც საერთო რესურსები აქვს და მაშასადამე, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიური სტრუქტურების გაგებისათვისაც. მეორე კითხვა აინტრესებთ ბუნებაში მტაცებელი-მსხვერპლის ციკლების დამკვირვებლებს (იხ. თავი 18) და პირდაპირ ეხება ბუნებრივ სისტემებში სტაბილურობის საკითხს.

ეკოლოგები ეცადნენ, პასუხი გაეცათ ამ კითხვებზე დაკვირვების, თეორიისა და ექსპერიმენტირების კომბინაციათა საშუალებით.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ, როგორც მტაცებელი-მსხვერპლის, ისე პარაზიტოდი-მასპინძლის სისტემებს. მართალია, მტაცებლობა და პარაზიტოდიზმი განსხვავდული პროცესებია, მათი მრავალი მახასიათებლის მოდელირება შესაძლებელია ერთი და იგივე მოსაზრებების გამოყენებით. ამ თავის პირველ ნაწილში ჩვენ აღვნერთ რამდენიმე ემპირიულ კვლევას, რომელიც გვიჩვენებს, რომ მტაცებლებს შეუძლიათ, შეზღუდონ მსხვერპლის პოპულაციები და რომ მტაცებლისა და მსხვერპლის ზოგიერთი პოპულაცია ვარირებს მჭიდროდ დაკავშირებული ციკლების ან ოსცილაციების მიხედვით. ამ ემპირიული კვლევების საბაზისო ცოდნის სახით გამოყენებით ჩვენ განვავითარებთ მარტივ თეორიას, რომელიც წინასარმატებლებს მტაცებლისა და მსხვერპლის პოპულაციების ოსცილაციას და ამ პროცესში ჩვენ გაგაცნობთ რამდენიმე მათემატიკურ და გრაფიკულ ტექნოლოგიას, რომლებიც შემდეგ თავებშიც იქნება გამოყენებული. ჩვენ განვავრცობთ და გადავამუშავებთ ამ მოდელებს ამ თავის მომდევნო ნაწილებში, რათა განვიხილოთ, თუ რა გავლენას ახდენს პოპულაციათა ინტერაქციებზე მტაცებლების ქცევა, საბინადრო გარემოს ჰეტეროგენულობა და მტაცებლის და მსხვერპლის პოპულაციების სივრცობრივი განლაგება.

მტაცებლობა განსხვავდება კონკურენციისგან იმით, რომ ის ყოველთვის ანტაგონისტურია ინდივიდუალური მონაწილეების დონეზე. მტაცებლობის აქტი ყოველთვის იწვევს სიკვდილს მსხვერპლისთვის. კონკურენცია და მტაცებლობა, ისევე როგორც ბალაზისმჭამელობა და პარაზიტიზმი, რომლებიც მომდევნო თავში იქნება განხილული, წარმოადგენენ მომზმარებელი-რესურსის ინტერაქციებს. თუმცა მტაცებლობა განსხვავდება კონკურენციისგან იმით, რომ ამ ინტერაქციაში ჩართული რესურსი ამ ინტერ-


აქციის ერთ-ერთი მონაწილეა. ამის გამო, მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციათა პოპულაციური ეფექტები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შედარებით სწორხაზოვნად მათემატიკური მოდელებით, რომლებიც როგორც ჩვენ ვნახავთ, მოიცავენ ინტერაქციაში ინდივიდების კარგვასა და მატებას.

### 23.1 მტაცებლებისა და პარაზიტების ეფექტურად შეუძლიათ, შეზღუდონ მსხვერპლის პოპულაცია

მტაცებლურ ინტერაქციებზე ჩვენი მსჯელობის დაწყებისათვის უკეთესი იქნებოდა გვეკითხა, რა სამხილები არსებობს იმისა, რომ მტაცებლები გავლენას ახდენენ თავიანთი მსხვერპლის პოპულაციებზე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კითხვაა სოფლის მეურნეობაში, სადაც არაერთი ძალისხმევა იქნა განხორციელებული 1900-იანი წლებიდან, რათა გამოყენებინათ მტაცებლები, პარაზიტები და პარაზიტონები იმ პარაზიტი მნერების პოპულაციათა კონტროლისათვის, რომლებიც მოსავალს ანადგურებენ. მთელი რიგი მაგალითებისა გვიჩვენებს, რომ ზოგ შემთხვევაში მტაცებლები ეფექტურად ზღუდავენ მსხვერპლის პოპულაციებს.

#### ტკიპა-ტკიპას ინტერაქციები მარნყვის ნარგავებზე

მარნყვის ტკიპა (*Tarsonemus pallidus*) კალიფორნიის მარნყვის მოსავალის მავნებელია. ამ ტკიპების პოპულაციები, როგორც წესი, კონტროლის ქვეშ ნარჩუნდება მტაცებელი ტკიპების სახეობების მიერ თყპპლოდრომუს-ის გვარიდან. მარნვის ტკიპები იჭრებიან მარნყვის ნერგში მისი დარგვიდან მოკლე დროში, მაგრამ მათი პოპულაციები არ აღწევენ დამაზიანებელ



ნახ. 23-1 მარნყვის მინდვრების ინვაზია მარნყვისმჭამელი ტკიპის (*Tarsonemus pallidus*) მიერ მტაცებელი ტკიპის (*Typhlodromus*-ის) არსებობისას (ზ.) და მისი არასებობისას (ბ.). მსხვერპლის პოპულაციები გამოხატულია ტკიპების რაოდენობით თითო ფოთობზე; მტაცებელთა დონე აღირიცხება ახალგაზრდა ფოთლების იმ რაოდენობით, რომლებზეც 36 ან მეტი *Typhlodromus* იქნა ნაპოვნი. პარაზიტის შენამვლები აღნიშნულია ისტებით. ნახატები გვიჩვენებები, რომ მტაცებელი ტკიპები უკეთეს კონტროლს ახორციელებენ მავნებელი ტკიპების პოპულაციებზე, ვიდრე პეტიციდების გამოყენება. (After Huffaker and Kennett 1956.)

დონეებს მეორე ნლამდე. მტაცებელი ტკიპები, როგორც წესი, მეორე წელს ესევიან მარწყვის მოსავალს, სწრაფადვე იმორჩილებენ მარწვის ტკიპების პოპულაციებს და აკავებრნ მათ დამაზიანებელი დონეების მიღწევამდე.

სათბურში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს მტაცებლობის როლი მარწყვის ტკიპების კონტროლის საქმეში (Huffaker and Kennett 1956). მარწყვის ნარგავების ერთ ჯგუფში შეტანილი იყო როგორც მტაცებელი, ისე მსხვერპლი ტკიპები. მეორე ჯგუფში მტაცებლები ჩამიშორებული იყო პარათიონის გამოყენების საშუალებით. ეს არის ინსექტიციდი, რომელიც კლავს მტაცებელ სახეობებს, მაგრამ არავითარ გავლენას არ ახდენს მარწვისმჭამელ ტკიპებზე. კვლევის განმავლობაში მარწყვისმჭამელი ტკიპების პოპულაცია მცირერიცხოვანი იყო იმ საექსპერიმენტო ადგილზე, საადც მტაცებელი თყპჰლოდრომუს-ები იყო, მაგრამ მათმა ინვაზიამ მიაღწია დამაზიანებელ პროპორციებს მტაცებლებისგან თავისუფალ მცენარეებში (ნახ. 23-1). მინდვრის მარწყვის ტკიპებმა ასევე მიაღწიეს დამაზიანებელ დონეებს იმ ადგილებში, საადც მტაცებლები გამოდევნილ იქნა პარათიონის საშუალებით, მაგრამ ეფექტურად კონტროლდებოდნენ შეუწამლავ ადგილზე (ინსექტიციდის ცუდი ეფექტის კარგი მაგალითი). როდესაც მარწყვისმჭამელი ტკიპების რიცხვმა ზრდა დაიწყო შეუწამლავ ნარგავებში, მტაცებელთა პოპულაციამ მყისიერი რეაგირება მოახდინა მათი ზრდის შესამცირებლად. საშუალოდ, მარწყვისმჭამელი ტკიპები იყო დაახლოებით ოცდახუთვეურ უფრო მტაცებლების არარსებობისას, ვიდრე მათი არსებობის პირობებში.

თყპჰლოდრომუს უნდა უმადლოდეს თავის, როგორც მტაცებლის ეფექტურობას რამდენიმე ფაქტორს, თავის გაუმაძლარ მადასთან ერთად (უფაკერ ანდ ენეტტ 1969). მისი პოპულაცია შეიძლება გაიზარდოს ისევე სწრაფად, როგორც მისი მსხვერპლის პოპულაცია. ორივე სახეობა მრავლდება პართენოგენეზურად. მდედრი მარწყვისმჭამელი ტკიპები დებენ სამ კვერცხს დღეში თავიანთი 4-5 დღის ხანგრძლივობის რეპროდუქციული ცხოვრების განმავლობაში. მდედრი *Typhlodromus*-ები დებენ ორ ან სამ კვერცხს დღეში 8-10 დღის განმავლობაში. *Typhlodromus*-ების გამრავლების სეზონურ სინქრონულობას მსხვერპლი პოპულაციების ზრდასთან, გადარჩენის უნარს მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვებისას და გაფანტვის ძლიერ შესაძლებლობას ასევე შეაქვთ თავისი წვლილი *Typhlodromus*-ის მტაცებლურ ეფექტურობაში. ზამთრის განმავლობაში, როდესაც მარწყვისმჭამელი ტკიპების პოპულაციები დადიან რამდენიმე ინდივიდად, რომლებიც იმაღებიან ფოთლების ნაპრალებსა და ნაკეცებში, მტაცებელი ტკიპები არსებობენ ე.ნ. თაფლის ცვრით, რომელსაც ანარმობენ ბუგრები და თეთრფრთიანები (Aleyororidae). ისინი არ მრავლდებიან იმ პერიოდის გარდა, როდესაც ისინი სხვა ტკიპებით იკვებებიან. როდესაც მტაცებლები აკონტროლებენ

მსხვერპლის პოპულაციებს, როგორც წესი, აღმოჩნდება ხოლმე, რომ მტაცებლებს უფრო მაღალი გამარვლების უნარი აქვთ მსხვერპლის უნართან შედარებით. ეფექტურ მტაცებლებს ასევე აქვთ ძლიერი გაფანტვის ძალები და უნარები, გადაერთონ აღტერნატიულ საკვებ რესურსებზე, როდესაც უპირველესი მსხვერპლი ხელმიუწვდომელია.

ნაძვის კვირტიჭამია ჩრჩილის კონტროლი ფრინველების მიერ

ტორგერსონმა და კემპბელმა (1982) შეისწავლეს ფრინველების მტაცებლობის გავლენა დასავლეთის ნაძვის კვირტიჭამიაზე (*Choristoneura occidentalis*), ეს არის ჩრჩილი, რომლის მუხლუხოები დიდად აზიანებენ ნაძვის ხეებს მათი მომრავლების წლებში. ფრინველები ჭამენ ნაძვის კვირტიჭამიას მუხლუხოებს. მკვლევარებმა ააგვს მავთულის გალიები მუხლუხოებით ინვაზირებული ტოტების გარშემო იმისათვის, რომ არ მიეშვათ ფრინველი მტაცებლები. გალიების შიგნით მუხლუხოები იზრდებოდნენ და საპოლოოდ, დაჭუპრების შემდეგ იქიდან უკვე ზრდასრული ჩრჩილების სახით გამოდიოდნენ. ტორგერსონმა და კემპბელმა შეადარეს გალიებიან ტოტებზე დაჭუპრებული ჩრჩილების რაოდენობა ხელუხლებელ ტოტებზე არსებული ჩრჩილების რიცხვს ერთი თვის შემდეგ. სამიდან ორ ექსპერიმენტულ ადგილზე ჭუპრების სიმჭიდროვე გალიიან ტოტებზე დაახლოებით სამჯერ აღმატებოდა საკონტროლო ტოტებზე არსებულ სიმჭიდროვეს. ეს შედეგები გვიჩვენებს, რომ ფრინველ მტაცებლებს შეიძლება დრამატული გავლენა პქოდეთ მსხვერპლი ჩრჩილების პოპულაციაზე, ამცირებენ რაიმ მუხლუხოების ოდენობას, რომლებიც გადარჩებიან და აღწევენ ჩრჩილობის ასაკს.


## 23.2 მთაცებლობას შეუძლია, მოახდიონს დაცვილებული მთაცებელი და მსხვერპლი პოპულაციების რსდებილადის მიზანებისა და მოვარეობა

ზოგიერთი მტაცებლის და მსხვერპლის პოპულაციები ვარიორებენ მჭიდროდ დაკავშირებულ ციკლებად, როგორც ეს ხდებოდა თეთრი კურდლებისა და მისი მტაცებლის, ფოცხვერის შემთხვევაში (იხ. თავი 18). რადგანაც ამგვარი ციკლები ხანგრძლივად ნარჩუნდებიან, ისინი ნარმოადგენენ სტაბილურ ინტერაქციას მტაცებლებსა და მსხვერპლს შორის. პოპულაციის ბიოლოგთა ერთ-ერთი ყველაზე ადრეული მიზანი იყო, ამგვარი ციკლების დადგენა ექსპერიმენტულ პოპულაციებში ისე, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ურთიერთობის დინამიკის შემოწმება. ჩვენ შეგვიძლია, შევამონმოთ ამგვარი ციკლების დინამიკა პარაზიტოიდი-მტაცებლის სისტემის განხილვით. როგორც ჩვენ მეშვიდე თავში ვნახეთ, პარაზიტოიდები განათვასებრნ თავიანთ კვერცხს ცოცხალ მტაცებელზე. როდესაც ლარვები ვითარდება, ისინი მოიხმარენ

მასპინძელს შეიგნიდან, რითაც კლავენ მას. ამრიგად, მსხვერპლ პოპულაციებთან მიმართებაში, პარაზიტოდი-მტარებლის ინტერაქციებს იგივე ეფექტი აქვთ, რაც მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციებს: ინდივიდუალური მსხვერპლი ჩამოშორებულია პოპულაციიდან.

როდესაც აზუკი პარკოსანთა მავნებელი ხოჭოები (*Callosobruchus chinensis*) ბინადრობენ ლაპორატორულ კულტურებში ეტეროსპილუს-თან ერთად, რომლებიც მათი პარაზიტოდი ბრაკინიდული ბზიკებია, პარაზიტოდებისა და მტარებლების პოპულაციები მერყეობენ ფაზის გარეთ ერთმანეთთან რეგულარულ ციკლებში (ნახ. 23-2). თესლის მუდმივი რაციონით შეზღუდული ხოჭოების პოპულაციაში შემოყვანილი ბზიკები სწრაფად იზრდება რაოდენობრივად. როდესაც პოპულაცია იზრდება, პარაზიტოდიზმი მარცვლის ხოჭოების სიკვდილის უმთავრესი მიზეზი ხდება. როდესაც პარაზიტოდის საქმიანობის შედეგად გამოწვეული სიკვდილიანობა აჭარბებს მავნებლის პოპულაციის რეპროდუქტული შესაძლებლობას, ხოჭოების რიცხვი კლებას იწყებს, მაგრამ რადგან ეტეროსპილუს ეფექტური პარაზიტოდია, ის აგრძელებს ინტენსიურ ნადირობას ხოჭოებზე მაშინაც კი, როდესაც მათი პოპულაცია შემცირებულია. საბოლოო ჯამში, ხოჭოები თითქმის მთლიანად გადაშენდება და შედეგად პარაზიტოდის პოპულაცია, აკლედება რა ადევატური საკვები, სწრაფად მცირდება. თუმცა, ბზიკი არც ისეთი ეფექტურია, რომ ყველა მარცვლის ხოჭოს ლარვას დაესხას თავს. ხოჭოების მცირე, მაგრამ მყარი რეზერვი ყოველთვის რჩება იმისთვის, რომ წამოიწყოს მტარებელი პოპულაციის ზრდის ახალი ციკლი მას შემდეგ, რაც პარაზიტოდი ბზიკების პოპულაცია იშვიათი გახდება.

საოცრად ეფექტური მტაცებლები ხშირად გადაშენებამდე ანადგურებენ თავიანთ მსხვერპლ პოპულაციებს და შემდეგ იზიარებენ მათ ხვედრს. ამგვარი უიმედო შემთხვევა შეიძლება სტაბილიზებული იქნას, თუ ზოგიერთი მსხვერპლი ან ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში მტარებელი იპოვის თავშესაფარს მტაცებლებისა და პარაზიტოდებისგან. გაუსმა (1934) მოახდინა ამ პრინციპის დემონსტრირება მტაცებე-



ნახ. 23-2 აზუკი პარკოსანთა მარცვლის ხოჭოს (*Callosobruchus chinensis*) (მტარებელი, ნაცრისფერი ხაზი) და მისი ბრაკინიდული პარაზიტოდი ბზიკის (მწვანე ხაზი) *Heterospilus*-ის პოპულაციათა ფლუქტუაციები ლაპორატორულ კულტურებში. ორი პოპულაცია მცირდებოდა ფაზიდან გარეთ. (After Utida 1957.)

ლი-მსხვერპლის სისტემების ადრეული ექსპერიმენტული კვლევების საშუალებით. მან გამოიყენა არამეციურ მსხვერპლის სახით და კიდევ ერთი ნამნამიანი უმნტივესი იდინიუმ მტაცებლის სახით. ერთ ექსპერიმენტში მტაცებელი და მსხვერპლი ინდივიდები შეეყანილ იქნა საკვებ ნიადაგში ბრტყელ სინჯარაში. ამგვარი მარტივი გარემოს შექმნით გაუსმა საქმე მსხვერპლის წინააღმდეგ მოაწყო, მტაცებლებმა მალე იპოვეს ყოველი მათგანი. იმის შემდეგ, რაც უკანასკნელი არამეციურ იქნა მოხმარებული, მტაცებლები შიმშილით მოკვდნენ. მეორე ექსპერიმენტში გაუსმა გარემოს გარკვეული სტრუქტურა შემატა, მოათავსა რა ტექნიკური ბამბის ბოჭკო, რომელშიც არამეციურებს შეეძლოთ, გაქცევოდნენ მტაცებლობას სინჯარის ძირში. ამ შემთხვევაში სხვა შემთხვევა შეიქმნა, იდიმიუმ-ები შიმშილით დაიხოცნენ მას შემდეგ, რაც ყველა ადვილად ხელმისაწვდომი მსხვერპლი იქნა მოხმარებული, მაგრამ *Paramecium*-ის პოპულაცია აღდგა დამალული ინდივიდების საფუძველზე. ორივე ამ ექსპერიმენტში მიიღწეული ვერ იქნა მსხვერპლი და მტაცებელი პოპულაციების ვერანარი ციკლი. პირველ შემთხვევაში როგორც მტაცებელი, ისე მსხვერპლი პოპულაცია გაქრა. მეორეში, რადგანაც თავშესაფრის არსებობამ საშუალება მისცა, გარკვეული რაოდენბის *Paramecium*-ს თავიდან აეცილებინა მტაცებლობა, მსხვერპლი პოპულაცია შენარჩუნდა მას შემდეგ, რაც მტაცებლები შიმშილით დაიხოცნენ. ამ მარტივ სისტემაში მტაცებელი-მსხვერპლის ციკლის მისაღწევად, გაუსს მოუხდა პერიოდულად კულტურებში მცირე რაოდენბით მტაცებლების შემოყვანა.

გაუსის ექსპერიმენტები გვაწვდიან მინიშნებებს მტაცებელი-მსხვერპლის ციკლების დინამიკის შესახებ ბუნებაში. პირველი, ექსპერიმენტები გვიჩვენებენ მტაცებლების პოტენციალს, შეამცირონ მსხვერპლის პოპულაციები გადაშენებამდე (აյ ტერმინი გადაშენება ნიშნავს ადგილობრივი პოპულაციის განადგურებას. მეცხრამეტე თავში ჩვენ ამ ტერმინის განსხვავებულ მნიშვნელობა აღვნერეთ). მეორე, საბინადროს სტრუქტურამ შეიძლება შეცვალოს მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციების საბოლოო შედეგი. არამეციუმ-იდინიუმ-ის სისტემის შემთხვევაში, თავშესაფრის არსებობამ ხელი შეუძლა მტაცებელ (იდინიუმ) მსხვერპლის (*Paramecium*) მთლიანად გამოდევნისგან. ამ შემთხვევაში, პირიქით მტაცებლის პოპულაცია იქნა გამოდევნილი სისტემიდან. ჩვენ ქვემოთ ვნახავთ, რომ საბინადროს სივრცობრივ განლაგებას და მოწყობილობას ასევე შეუძლია, გავლენა მოახდინოს მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციების საბოლოო შედეგზე. თქვენ ალბათ უკვე გაითვალისწინეთ ის შესაძლებლობა, რომ უფრო კომპლექსურ სისტემებში – ვთქვათ ერთი მტაცებლისა და ორი მსხვერპლის არსებობისას – მტაცებელმა შეიძლება გადაიტანოს ერთი მსხვერპლი პოპულაციის შემცირება მეორე მსხვერპლზე გადართვით. ჩვენ ეს შემთხვევა შეიძლება მოკლედ განვიხილოთ. მესამე, მტაცებელი-მსხვერპ-

ლის ციკლების შენარჩუნება შეიძლება მოითხოვდეს ინტერაქციებს ლაფნშაფტის დონეზე. გაუსმა მიაღწია მტაცებელი-მსხვერპლის ციკლებს გარეშე სისტემი-დან პერიოდულად მტაცებელების შემოყვანით. ახლა ჩვენ გიჩვენებთ, თუ როგორ შეგვიძლია, გამოვიყენოთ მეტაპოპულაციების პარადიგმა ამგვარი ბუნებრივი სისტემის კონცეპტუალიზებისთვის.

### **23.3 მარტივი, მტაცებლისა და მსხვერპლის მოდელების მიერაცხა განსაზღვრავენ ოსცილაციას პოპულაციის რაოდენობასა და ზომაში**

ზემოთ მოცემული მაგალითები გვიჩვენებენ, რომ გარკვეულ პირობებში, მტაცებლებს შეუძლიათ, შეზღუდონ თავიანთი მსხვერპლის პოპულაციის ზომა და რომ მტაცებლისა და მსხვერპლის ინტერაქციები იწვევენ მერყეობას ორივე პოპულაციის ზომაში. ამის მსგავსი ემპირიული კვლევები გვაწვდიან არსებით ინფორმაციას მტაცებლისა და მსხვერპლის ინტერაქციებთან დაკავშირებით. თუმცა, რადგანაც თითოეული მტაცებელი-მსხვერპლის სისტემა უნიკალურია, ექსპერიმენტების შედეგები ხშირად არ არის განზოგადებული. ამისთვის, ეკოლოგები მათეატიკურ მოდელებს იყენებენ. განავითარეს მტაცებელი-მსხვერპლის სისტემების მათემატიკური მოდელები. ჩვენ ვიწყებთ ჩვენს მსჯელობას მარტივი მოდელებით, რომლებიც პირველად წარმოადგინეს ლოტკამ (1925) და ვოლტერამ (1926). ეს მოდელები წარმოადგენენ საფუძველს იმის გაგებისთვის, თუ როგორ მოდიან ხანდახან მტაცებლისა და მსხვერპლის პოპულაციები ოსცილაციაში ერთმანეთის მიმართ.

მტაცებელი-მსხვერპლის მოდელებში ხშირად აღნიშნავენ ხოლმე მტაცებლის პოპულაციის ზომებს დიდი ასო -თი ხოლო მსხვერპლის პოპულაციებს დიდი ასო H-თი (თუ თქვენ წარმოიდგენთ, რომ მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციებს ადგილი აქვთ საკვები ჯაჭვის ქვედა ნანილში, მაშინ თქვენ შეიძლება წარმოიდგინოთ როგორც ბალახისმჭამელი). ლოტკამ და ვოლტერამ გამოსახეს როგორც მტაცებელი, ისე მსხვერპლი პოპულაციების ზრდის ტემპი დიფერენციალური განტოლებებით, რომლებსაც ჰქონდეთ შემდეგი ფორმა  $dH/dt = f(H,P)$  მსხვერპლისთვის და  $dP/dt = g(H,P)$  მტაცებლებისთვის, სადაც ფ და გ აღნიშნავენ და ცვლადების ფუნქციას. ამრიგად, მსხვერპლი პოპულაციების ზრდის ტემპი  $dH/dt$  არის მსხვერპლის პოპულაციის (H) და მტაცებლის პოპულაციის (P) რაღაც საერთო ფუნქცია ფ. თქვენ მიხვდებოდით, რომ ამ მოდელების ზოგადი ფორმა, რომლებიც ჩვენ მე-15 და მე-16 თავებში განვიხილეთ, სადაც ჩვენ წარმოვადგინეთ ცვლილება პოპულაციის ზომაში  $dN/dt$  როგორც  $N$ -ის რაღაც გარკვეული  $f$  ფუნქცია  $f(N)$ . აյ წარმოდგენილ ლოტკა-ვოლტერას მტაცებელი-მსხვერპლის მოდელები ამ იდეის სწრომხაზოვან გამოსახულებას

წარმოადგენენ, რასაც ჩვენ დავურთავთ  $f(H,P)$  და  $g(H,P)$ . ფუნქციებში გვხვდება ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ, თუ როგორ ამატებს და აკლებს ინდივიდებს მტაცებელი-მსხვერპლის პოპულაციებს მოხმარება და მოხმარებულად ყოფნა.

ჩვენ გვისურს, ხაზი გავუსვათ კიდევ ერთხელ იმას, რომ რადგანაც ეს მოდელები წარმოადგენენ ინდივიდუალური ორგანიზმების ერთეულებით გამოსახულ ცვლილებებს პოპულაციაში, ისინი შეიძლება პოპულაციის ინტერაქციებისთვის შესაფერისები არ იყონ, მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციების გარდა. ბალახის მტაცებლებისა და პარაზიტების ინტერაქციები თავიანთ მტარებლებთან, რომლებშიც ინდივიდუალური მტარებლები შეიძლება არ დაიღუპონ ამ ინტერაქციის შედეგად, მოითხოვთ სხვანაირად მოდელირებულ მიდგომებს, რომლებსაც შემდგომ ვნახავთ.

### **მსხვერპლი პოპულაციის ზრდის ტემპი**

მოდით, დავიწყოთ იმის ალგებრული და გეომეტრიული აღნერით, თუ როგორ შეიძლება გაიზარდოს მსხვერპლი პოპულაცია მტაცებლის არსებობისას. ჩვენ ვიცით მეთხუთმეტე თავიდან, რომ თუ მსხვერპლის პოპულაცია არ განიცდის არავითარ სიკვდილიანობას (ან მტაცებლობის გამო ან სხვა რომელიმე მიზეზით), როგორიცაა ავადმყოფობა ან ასაკი), ის გაიზრდებოდა ექსპონენციური ტემპით, რაც შეიძლება გამოსახული იყოს როგორც  $tH$ , სადაც  $r$  არის მსხვერპლი პოპულაციის თანდაყოლილი ზრდის ტემპი. სიკვდილიანობა ცვლის ამ ექსპონენციურ ზრდას, როგორც ჩვენ მეთექვსმეტე თავში გიჩვენეთ. ახლა მოდით, წამოვიდგინოთ, რომ მსხვერპლი პოპულაციები განიცდიან მხოლოდ ერთ სახის სიკვდილიანობას, რაც გამოწვეულია მტაცებლისგან (ანუ თუ დაკასკვნით, რომ მსხვერპლი ორგანიზმი უსასრულოდ იცოცხლებდა, რომ არ ყოფილიყო სხვის მიერ მოხმარებული). ამ მარტივი მოსაზრებების გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია, დავწეროთ განტოლება მსხვერპლის მყისიერი ზრდის ტემპისთვის:

$$\frac{dH}{dt} = rH -$$

რა იქნება ამ სიკვდილიანობის გონივრული ალგებრული გამოსახულება?

ლოტკამ და ვოლტერამ, ორივემ დაასკვნეს, რომ მომხმარებელი (მტაცებელი) და რესურსი (მსხვერპლი) პოპულაციები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან მოქმედი მასების კანონის თანახმად ანუ, მტაცებელი ვარირებს მსხვერპლის და მტაცებელი პოპულაციების პროდუქტის  $HP$ -ის პირდაპირპროპორციულად. ამ იდეის მიხედვით, როდესაც მტაცებლებისა და მათი მსხვერპლის რიცხვი იმატებს, ასევე იზრდება იმისა აღბათობაც, რომ მტაცებელი იპოვის მსხვერპლს. შედეგად ამ შეცვედრათა გარკვეული ნანილი მტაცებლის მიერ ინდივიდუალური მსხვერპლის მოკვლას და პოპ-

ულაციიდან მის ჩამოშორებას გამოიწვევს. თუ ჩვენ პ-თი აღვნიშნავთ იმ შეხვედრათა წილს, რომელსაც მსხვერპლის სიკვდილი მოსდევს თან ( $0 < p < 1$ ) ანუ მტაცებლობის ეფექტურობას, ჩვენ დავასრულებთ ზემოთ მოცემულ განტოლებას:

$$\frac{dH}{dt} = rH - pHP.$$

ელემენტი ყოველთვის იზრდება, როდესაც მსხვერპლის ან მტაცებლის პოპულაცია იზრდება, რაც გულისხმობს იმას, რომ პოპულაციაში ადგილი არ ჰქონია შესაბამის კლებას.


ამ განტოლების დინამიკა ნაჩვენებია ნახ. 23-3ა-ში, რომელიც ასახავს მსხვერპლი პოპულაციის მყისიერი ზრდის ტემპს  $dH/dt$ -ს, მტაცებელი პოპულაციის ზრდისას მსხვერპლი პოპულაციის სამი სხვადასხვა დონისთვის  $H = 10, 30, 50$  და პარამეტრი სიდიდეებისთვის  $p = 0,01$  და  $r = 1,2$  (ნახატი არ გვიჩვენებს პოპულაციის ტენდენციებს, მხოლოდ მსხვერპლთა ზრდის ტემპებს -სა და -ს სხვადასხვა დონეებზე). თითოეული ხაზის გადაკვეთა ვერტიკალურ ღერძთან ( $P = 0$ ) გვაძლევს მსხვერპლი პოპულაციის ზრდის ტემპს მტაცებლის არარსებობის პირობებში. მაგალითად,  $H = 10$  მსხვერპლის პოპულაციის ზომისთვის, ზრდის ტემპი არის  $rH = 1,2(10) = 12$ , რაც ნარმოადგენს წერტილს ნახ. 23-3ა-ში. როდესაც  $H = 50$ , ზრდის ტემპი იქნება 60, რაც C ნერტილს შეესაბამება.

ერთი ან მეტი მტაცებლის არსებობისას მსხვერპლის ზრდის ტემპი იყლებს  $-pH$  სიჩქარით მტაცებლის პოპულაციის ზრდასთან ერთად. გრაფიკი გვიჩვენებს, რომ მტაცებელთა რაოდენობა, რომელთაობისაც მსხვერპლი პოპულაციის ზრდის ტემპი  $dH/dt = 0$  ( $\hat{P}$ -ის განვითარებული სიდიდე) ერთი და იგივეა მსხვერპლი პოპულაციის ყველა ზომისთვის. ამის ანალიტიკურად, ჩვენება შესაძლებელია  $dH/dt$ -ს ნულთან გატოლებით და  $P$ -ს გამოთვლით, როგორც ადრე გავაკეთოთ. ასე რომ,  $dH/dt = 0 = rH - pH$ -ში ვეძებთ  $P$ -ს, რათა მივიღოთ


$$\hat{P} = \frac{r}{p}.$$

როგორც უწინ, ჩვენ ვიყენებთ „ქუდს“ იმისთვის, რომ აღვნიშნოთ განვითარებული სიდიდე. ეს ფორმულა ამყარებს იმას, რაც გრაფიკშია ნაჩვენები, კერძოდ იმას, რომ  $\hat{P}$  კონსტანტაა.  $H$ -ს ნებისმიერი მნიშვნელობისთვის  $\hat{P} = 1.2/0.01 = 120$ . მტაცებლის ეფექტურობის გაზრდის მოქმედება ნაჩვენებია ნახ. 23-3ბ-ში, სადაც  $p = 0,03$ . ეფექტურობის ზრდა ამცირებს მტაცებელი პოპულაციის დონეს, რომელზეც მსხვერპლის პოპულაცია უტოლდება ნულს  $120$ -დან  $\hat{P} = 1.2/0.03 = 40$ -მდე.

ამ მოდელის ერთი ასპექტი, კერძოდ, მსხვერპლი პოპულაციის ზრდა, იმსახურებს ყურადღების გამახვილებას. თქვენ შეამჩნევდით, რომ რაც უფრო დიდია მსხვერპლის პოპულაცია, მით მეტია პოპულაციის შემცირების ტემპი, როდესაც მტაცებლების რიცხვიც იმატებს (შეადარეთ ხაზი  $H = 50$  ყველაზე დიდი უარყოფითი დახრილობა)  $H = 10$  ხაზს [ყველაზე მცირებული დახრილობა]  $H = 10$  ხაზს [ყველაზე მცირებული დახრილობა].



(ა)



(ბ)

**ნახ. 23-3** (ა) მსხვერპლის პოპულაციების მყისიერი ცვლილების ტემპი  $dH/dt$  (ვერტიკალური ღერძი) მტაცებელთა მზარდი სიმჭიდროვით (პორიზონტალური ღერძი) მსხვერპლის სამი განსხვავებული სიმჭიდროვესთვის (მუქი მნავნე ხაზი,  $H = 10$ ; მნვანე ხაზი,  $H = 30$ ; ღია მნვანე ხაზი,  $H = 50$ ) და პარამეტრული სიდიდეებისთვის  $p = 0,01$ ,  $r = 1,2$ . თითოეული ხაზის გადაკვეთა ვერტიკალურ ღერძთან აღინიშნავს მსხვერპლის ზრდის ტემპს მტაცებელთა არარსებობისას,  $rH = 12$  (ა = 12, ბ = 26, გ = 60).  $\hat{P} = r/p = 1.2/0.01 = 120$ . (ბ) იგივე ურთიერთობა, რაც ნარმოდგენილი იყო (ა)-ში, მხოლოდ ამ შემთხვევაში  $p = 0,03$ . აღსანიშნავია, რომ მტაცებლობის ეფექტურობის  $p$ -ს ზრდა ამცირებს ნონასწორობის სიდიდე  $\hat{P}$ -ს.

უარყოფითი დახრილობა]]. მოძრავი მასების პრინციპის ამსახველი ეს ხასიათი პ ტერმინით აღინიშნება. მსხვერპლის პოპულაციების მოცემული ზომისთვის პ კონსტანტა, რომელიც დადგენილია ამ პოპულაციის ზომის და მტაცებლობის ეფექტურობის მიხედვით. ასე რომ, როდესაც მსხვერპლის რაოდენობა მატულობს, მთლიანი ტერმინი/ელემენტი უფრო დიდი ხდება და ამრიგად, ურთიერთობა  $rH - pH$  მცირდება. რა თქმა უნდა, ეს ცხადი ხდება ალგებრული პოზიციიდან, მაგრამ რა ბიოლოგიური დანამატები აქვს ამ მოდელს და არიან თუ არა ისინი რეალური? ორი აზრი მოგვდის გონიერაში. პირველი, მოდელი გვიჩვენებს, რომ მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციებში მსხვერპლი პოპულაციების რიცხვი მნიშვნელოვანია. შეადარეთ,

რა ემართება ნახ. 23-3ა-ში გრაფიკული ხაზებით გამოსახულ სამ პოპულაციას, როდესაც  $P = 50$ . მტაცებლობის ამ დონეზე მსხვერპლთა უმცირეს პოპულაციას აქვს უმცირესი ზრდის ტემპი, ხოლო ყველაზე მსხვილ პოპულაციას ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი. ამრიგად, ამ მოდელში მსხვერპლის სხვადასხვა ზომის ორ პოპულაციას, რომლებიც მტაცებლობის ერთნაირ მოქმედებას განიცდის (იზომება მტაცებელი პოპულაციის ზომით) ორივეს შეუმცირდა ზრდის ტემპები, მაგრამ უფრო დიდი პოპულაცია ინარჩუნებს ზრდის უფრო მაღალ ტემპს. ცხადია, ეს ასე არ ხდება, როდესაც მტაცებელი პოპულაციის ზომა წონასწორებრივ ზომაზე მაღალია ( $P > \hat{P}$ ).

მეორე საკითხი დაკავშირებულია უფრო დიდი ზომის მტაცებელი პოპულაციის ბიოლოგიურ მონაწილეობასთან. მოდელი გვიჩვენებს, რომ მტაცებლების მზარდ რაოდენობას მსხვერპლების ზრდის ტემპზე პროპორციული შემცირების უფექტი აქვს, ანუ როდესაც სისტემას მეტი მტაცებელი ემატება არაფერი ხდება, უფრო მეტი მსხვერპლის მოხმარების გარდა. თქვენ შეგიძლიათ, შეაფასოთ ამ მოსაზრების სისუსტე იმის გააზრებით, თუ რა ხდება, როდესაც თქვენ შეჰქმატებთ მეორე კატას ბალს, სადაც თქვენი კატა უკვე ნადირობს. მოდელის თანახმად, ორმა კატამ ბეჭინერად უნდა გააგრძელონ თაგვების ჭერა და რადგანაც ახლა უკვე ორი მონადირე კატას სახეზე, თაგვების პოპულაციის ზრდის ტემპი დაიკლებს. მაგრამ თქვენეული გაგება იმისა, თუ როგორ მოიქცევიან კატები, უეჭველად გულისხმობს, რომ ზემოთ გამოთქმული მოსაზრება ზედმეტად გამარტივებულია. როდესაც ეზოს მეორე კატა ემატება, მოსალოდნელია დიდი ალბათობით, რომ არც ერთი კატა აღარ დაიჭერს თაგვებს, რადგან ისინი ერთმანეთით უფრო იქნებიან დაკავებული. ნაწილი 23.4-ში ჩვენ ვნახავთ, როგორ განავითარეს ორმა ეკოლოგმა მტაცებელი-მსხვერპლის მოდელი, რომელიც ნაწილობრივ ეხება ამ საკითხს.

### მტაცებელი პოპულაციის ზრდის ტემპი

მოდით, მივაპყროთ ჩვენი ყურადღება მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციების მტაცებლურ ნაწილს. როგორ იზრდება მტაცებელთა პოპულაცია მსხვერპლის თანდასწრებისას? ჩვენ ვიცით, რომ მტაცებლები ნადირობენ, რათა მოიპოვონ საკვები ზრდისა და გამრავლებისთვის. ამრიგად, მოდით, დაკავშირებულია ნარმატებით დაჭრილი მსხვერპლის რაოდენობასთან. გაიხსენეთ ზემოთ მოყვანილი საუბრიდან, რომ დაჭრილი მსხვერპლის რიცხვი შეიძლება ნარმოდებილ იქნას pH-თი, სადაც  $p$  არის ეფექტურობა, რომლითაც ხდება მსხვერპლის დაჭრა. მტაცებლის ფიზიოლოგიური მექანიზმი — გადააქციოს მსხვერპლის მოხმარებისგან მიღებული ენერგია რეპროდუქციულ ნარმატებად, არ არის 100%-ით ეფექტური. ასე რომ,


თუ  $p = 0,03$  და არსებობს  $H = 1000$  მსხვერპლი და  $P = 10$  მტაცებელი, მტაცებელი მიიღებს  $(0,03)(1000)(10) = 300$  მსხვერპლს მოდელის მიხედვით. მაგრამ მტაცებლებს არ შეეძლებათ, გადააქციონ ეს 300 მსხვერპლი 300 ახალშობილ მტაცებლად. ჩვენ მოველით, რომ ამ მსხვერპლში არსებული ენერგიის გარკვეული ა ნაწილი მართლაც გარდაიქმნება ახალშობილებად ( $0 < a < 1$ ) და რომ მტაცებელი პოპულაცია გაიზრდება აპ-ით. ჩვენ ახლა შეგვიძლია, დავწეროთ მომდევნო განტოლება, როგორც მტაცებელი პოპულაციის მყისიერი ცვლილების სიჩქარე:

$$\frac{dP}{dt} = apHP \quad (\text{მტაცებლების სიკვდილიანობა})$$

მეტი სიმარტივისთვის, მოდით დავასკვნათ, რომ მტაცებლები კვდებიან მუდმივი დ სიჩქარით, რომელიც დამოუკიდებელია მსხვერპლი პოპულაციის რაოდენობისგან. ამგვარი სიკვდილიანობა შეიძლება გამოწვეული იყოს მაგალითად, ამინდისგან. ეს გვაძლევს სრულ განტოლებას მსხვერპლი პოპულაციის საფუძველზე მტაცებელი პოპულაციის ზრდის ტემპის შესახებ.

$$\frac{dP}{dt} = apHP - dP.$$

ამ განტოლების გრაფიკები საოცრად ჰგავს მსხვერპლი პოპულაციის დინამიკის ამსახველ გრაფიკებს (განტოლება [23-1]), გარდა იმისა, რომ ხაზები არა ქვემოთ, არამედ ზემოთაა მიმართული (ნახ. 23-4). მიმართულებაში მომხდარი ცვლილების მიზეზი არის ის, რომ მტაცებელი პოპულაციის ზრდის ტემპს აბრკოლებს მსხვერპლის არარსებობა, მაშინ როდესაც მსხვერპლზე უარყოფით გავლენას ახდენს მტაცებლების



**ნახ. 23-4** მტაცებელი პოპულაციის მყისიერი ცვლილების ტემპი  $dP/dt$ , მსხვერპლის მზარდი სიმჭიდროვით, მტაცებელთა სამი სხვადასხვა სიმჭიდროვისთვის (მუქ მწვანე ხაზი,  $P = 10$ ; ნაცრისფერი ხაზი,  $P = 30$ ; ღია მწვანე ხაზი,  $P = 50$ ) და პარამეტრი სიღიღებით, სადაც  $a = 0,09$ ,  $p = 0,03$ ,  $d = 0,3$ .  $\hat{P} = d/ap = 111$ .

არსებობა. ამრიგად, მსხვერპლის გრაფიკებში (იხ. ნახ. 23-3) უარყოფითი ზრდის ტემპები თავს იჩენენ, როდე-საც ( $P > \hat{P}$ ), ანუ მტაცებელის მაღალ პოპულაციებზე, მაგრამ მტაცებელთა გრაფიკებში უარყოფითი ზრდის ტემპები თავს იჩენენ, როდესაც  $< \hat{P}$  ანუ მსხვერ-პლთა დაბალი სიმჭიდროვის შემთხვევებში. როგორც მსხვერპლის გრაფიკების შემთხვევაში, მტაცებელთა განტოლებაშიც წონასწორობის წერტილი მუდმივია, რომელსაც ჩვენ ვიღებთ განტოლება (23-2)-ის ნულ-თან გატოლებით და -ის ძიებით. შედეგად ჩვენ ვიღებთ:


$$\hat{H} = \frac{d}{ap}$$

ნახ. 23-4-ში, სადაც  $a = 0,09$ ,  $p = 0,03$  და  $d = 03$ , მსხ-ვერპლის რაოდენობის დონე, რომელზეც მტაცებელი პოპულაციის ზრდის ტემპი ნულს უტოლდება დაახ-ლობით არის  $\hat{H} = 111$ . მანამ, სანამ მსხვერპლი პოპუ-ლაცია  $H$ -ზე მეტია, მტაცებელ პოპულაციას ექნება ზრდის დადებითი ტემპი.

### მტაცებელი-მსხვერპლი პოპულაციების საერთო ზრდა

აქამდე მოყვანილ გრაფიკებში ჩვენ ვათავსებდით პოპ-ულაციის ცვლილების ტემპს  $dH/dt$ -ს ან  $dP/dt$ -ს ვერტი-

კალურ ლერძე და პოპულაციის სიმჭიდროვეს  $H$ -ს ან  $P$ -ს პორიზონტალურ ლერძზე. ეს მიდგომა გვაძლევს იმის შემოწმების ორგანზომილებიან გზას, თუ როგორ იქცევა ცვლილების ტემპი მსხვერპლი ან მტაცებელი პოპულაციების გარკვეული ზომის პირობებში. მაგრამ  $dH/dt$ -ს და  $dP/dt$ -ს განტოლებები ორივენი შეიცავენ  $H$ -სა და  $P$ -ს. ამრიგად, ის, რისი ვიზუალურად წარმოდ-გენაც გვინდა, არის ის, თუ როგორ იქცევა მტაცებლის ზრდის ტემპს  $dP/dt$   $H$ -სა და  $P$ -ს ყველა კომბინაციაში და ამის მსგავსასად, როგორც იცვლება  $dH/dt$  მსხვერპ-ლი და მტაცებელი პოპულაციების ყველა ზომისთვის. ჩვენთვის სასურველი განზოგადებული სურათი მო-ცემულია ნახ. 23-5-ში. ნახატი შედგება „ფუძისგან“, რომელიც განისაზღვრება მტაცებელი და მსხვერპლი პოპულაციების ზომების ლერძებით. იატაკის გასწვრ-ივ გავლებულია ლერძი, რომელიც წარმოადგენს ან მსხვერპლი ან მტაცებელი პოპულაციის ზრდის ტემპს. ჯერ-ჯერობით ჩვენ არ გვესაჭიროება იმაზე ფიქრი, თუ რა არის ზრდის ტემპის რეალური სიდიდე. ამის ნაცვლად, ჩვენ ყურადღებას გავამსვილებთ, ეს ტემპი დადებითია, ანუ მდებარეობს გრაფიკის ფუძის ზემოთ სივრცეში, თუ უარყოფითია, ესე იგი, ფუზის ქვემოთა სივრცეშია განლაგებული. ჩვენ შეგვიძლია, მიცმარ-თოთ ნახატებს 23-3-სა და 23-4-ს, რათა განვსაზღვ-




**ნახ. 23-5** მტაცებელისა და მსხვერპლის ზრდის ტემპების სამგანზომილებიანი გამოსახულება (ვერტიკალურ ლერძი) მტაცებლის პოპუ-ლაზის ზომის ( $P$ ) და მსხვერპლის პოპულაციის ზომის ( $H$ ) კომბინაციებისთვის. და ლერძებით განსაზღვრული სიბრტყის ზემოთ მიმართული ისრები აღნიშნავენ მტაცებლისა და მსხვერპლი პოპულაციების ისეთ პირობებს, რომელთათვისაც ზრდის ტემპი დადებითია. სიბრტყის ქვემოთ მიმართული ისრები აღნიშნავენ ზრდის უარყოფით ტემპებს. (ა) ნერტილში  $< \hat{H}$ , ასე რომ, მტაცებელ პოპულაციას ზრდის უარყოფითი ტემპი აქვს (ქვემოთ მიმართული ისარი). (ბ) კ და ნერტილებში ისრების მიმართულება ასახავს პოპულაციის ზომის მიმართებას წონასწორებრივ სიდიდეებიან. (გ) მსგავსი გრაფიკი, სადაც ნაჩვენებია მტაცებელი პოპულაციის ცვლილების ტენდენცია, როდესაც ზრდის ტემპი უარყოფითა (წერტილი) და დადებითია (წერტილი).

ზრდის დადებითი ტემპი გულისხმობს, რომ ინდივიდები ემატებიან პოპულაციას ( $P$ -ლერძის პარალელური მუქი მნავნე ისარი). ზრდის უარყოფითი ტემპი გულისხმობს, რომ ინდივიდები აეღდება პოპულაციას ( $P$ -ლერძის პარალელური ღია მნავნე ისარი). (გ) იგივე რაც (გ), ოღონდ აქ ნაჩვენებია მსხვერპლის პოპულაციათა ტენდენციები.

როთ, თუ რა ხდება ნახაზის ფუძეზე თითოეულ ოთხ წერტილში (A, B, C, D). წერტილზე, როგორც მსხვერპლი, ისე მტაცებელი პოპულაციის სიდიდეები ნონას-ნორობრივი სიდიდეების ქვემოთ არის. ანუ,  $H < \hat{H}$  და  $P < \hat{P}$ . ჩვენ ვიცით ნახ. 23-3-დან, რომ როდესაც მტაცებლების რიცვი  $\hat{P}$ -ზე ნაკლებია, მსხვერპლის პოპულაციას ექნება დადებითი ზრდის ტემპი, რაც ნაჩვენებია წერტილიდან ზემოთ მიმართული ისრის საშუალებით, რომელიც ვერტიკალური ღერძის პარალელურია. ჩვენ ვიცით ნახ. 23-4-დან, რომ როდესაც მსხვერპლის რაოდენობა  $H$ -ს ქვემოთაა, მტაცებელ პოპულაციას ზრდის უარყოფითი ტემპი ექნება. ეს გამოსახულია გრაფიკის იატაკის უარყოფით სივრცეში მიმართული ისრით წერტილიდან. მსხვერპლი და მტაცებელი პოპულაციების ზრდის ტემპის მიმართულება საპირისპირო მხარეს იღებს ჩ წერტილში, რადგან ამ ადგილას არსებობს  $\hat{H}$ -ზე მეტი მსხვერპლი, რაც აძლევს მტაცებლის პოპულაციას ზრდის დადებით ტემპს, ხოლო  $\hat{P}$ -ზე მეტი მტაცებლის არსებობის გამო, მსხვერპლის პოპულაციას უარყოფითი ზრდის ტემპი ეძლევა. იგივე ლოგიკის გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ ორივე, მსხვერპლისა და მტაცებლის პოპულაციების ზრდის დადებითი ტემპები წერტილში და ორივეს ზრდის უარყოფითი ტემპები წერტილში.

როდესაც პოპულაციის ზრდის ტემპი დადებითია (ზემოთ მიმართული ისარი), ინდივიდები ემატება პოპულაციას. ამრიგად, თუ მსხვერპლის პოპულაცია  $\hat{H}$ -ზე დიდია, მტაცებლის პოპულაცია გაიზრდება. ამგვარადვე, თუ მტაცებლის პოპულაცია  $\hat{P}$ -ზე ნაკლებია, მსხვერპლ პოპულაციას ექნება ზრდის დადებითი ტემპი და პოპულაცია გაიზრდება. ნახ. 23-5-ში ეს ნიშანავს, რომ როდესაც მტაცებლის ისრები ზემოთ არის მიმართული (C წერტილი), მტაცებელი პოპულაცია მიმართულია  $P$ -ღერძის გასწვრივ გარფიკის საწყისიდან მატების უსასრულობისკენ, როგორც ნაჩვენებია ღერძის პარალელური მუქი მწვანე ისრების საშუალებით. მსგავსი გრაფიკი არის ნაჩვენები ნახ. 23-5ც-ში მსხვერპლი პოპულაციისთვის. ამრიგად, ჩვენ არ გვჭირდება ზუსტად ვიცოდეთ, რა არის ზრდის ტემპის სიდიდე იმისთვის, რომ გავიგოთ ამ მარტივი მტაცებელი-მსხვერპლის მოდელის დინამიკა. ჩვენ გვჭირდება უბრალოდ იმის ცოდნა, თუ რას უდრის მსხვერპლისა და მტაცებლის პოპულაციები  $H$ -სა და  $\hat{P}$ -თან მიმართებაში. გრაფიკულად ეს ნიშანავს, რომ ჩვენ გვესაჭიროება მხოლოდ შევხედოთ ნახ. 23-5-ის ფუძეს – და ღერძების საშუალებით ფორმირებულ ორ განზომილებიან სივრცეს, რომელსაც ჩვენ გიჩვენებთ ნახ. 23-6-ში. მტაცებლის ( $\hat{P}$ ) და მსხვერპლის ( $\hat{H}$ ) პოპულაციის წონასწორებრივი სიდიდეები ყოფენ გრაფიკს ოთხ რეგიონად. ხაზს  $\hat{P} = r/p$ , რომელიც ნარმოადგენს პირობას  $dH/dt = 0-s$ , ენოდება მსხვერპლის წონასწორებრივი იზოკლინი. მსხვერპლისა და მტაცებლის რაოდენობის ნებისმიერი კომბინაციისთვის, რომელიც მდებარეობს ხაზის ქვემოთ რეგიონში, მსხვერპლის პოპულაცია



**ნახ. 23-6** მტაცებლისა და მსხვერპლის პოპულაციის ზომებით განსაზღვრული სივრცე.  $A$  და  $B$  წერტილებში ერთი ვექტორი ( $H$  ღერძისა და რაოლელური) ნარმოადგენს მსხვერპლის ზრდის ტენდენციას, ხოლო მეორე ( $P$  ღერძისა და რალელური) გავლევს გარეთიანებული მტაცებელი-მსხვერპლი სისტემის ზოგად მიმართულებას. მაგალითად წერტილში  $H < \hat{H}$ , რაც აღნიშნავს მტაცებლის ზრდის უარყოფით ტემპს. ამრიგად, მტაცებლის ვექტორი  $A$  წერტილში ქვემოთ არის მიმართული.  $A$  წერტილში  $P < \hat{P}$ , ასე რომ, მსხვერპლის ვექტორი მიმართულია მარჯვნივ, რაც მზარდ პოპულაციას აღნიშნავს. შემაჯამებელი ვექტორი აღნიშნავს ზოგად კლებას მტაცებელი პოპულაციისა და მსხვერპლი პოპულაციის ზრდას. გრაფიკი შემაჯამებელი, მსხვერპლისა და მტაცებლის საერთო დინამიკის ვექტორების მიმართ ულება აღნიშნავს საათის ისრის საპირპისპირო ტრაექტორიას.




იზრდება, რადგან არსებული მტაცებლების რაოდენობა მცირება მათი ნამატის მთლიანად შესაჭმელად. მტაცებლის წონასწორებრივი იზოკლინი ( $dP/dt = 0$ ) განსაზღვრავს მსხვერპლის მინიმალურ დონეს ( $\hat{H}=dP/dt$ ), რომელსაც შეუძლია, ხელი შეუწყოს მტაცებელი პოპულაციის ზრდას. როდესაც მარცხენა ხაზზეა, მტაცებელი პოპულაცია შემცირდება.

ნახ. 23-6-ში წერტილში მსხვერპლის ზრდის ტემპი დადებითია (რადგან  $\hat{P}$ -ზე ნაკლები მტაცებელია სახე-ეზე). ანუ მას ნახ. 23-5-ში ზემოთ მიმართული ისარი აქვს. ამის გამო, მსხვერპლი პოპულაცია მოძრაობს ჰორიზონტალური ღერძის გასწვრივ მარცხნიდან მარჯვნივ, რასაც ჩვენ ნარმოვადგენთ ვექტორით, რომელიც ღერძის პარალელური წერტილიდან მარჯვნივ არის მიმართული. მტაცებლის ზრდის ტემპი უარყოფითია წერტილში (ძალით მცირე რაოდენობის მსხვერპლი) და ამრიგად, ნარმოდგენილია წერტილიდან ქვემოთ მიმართული ისრით ნახ. 23-5-ში. ამის გამო, ნახ. 23-6-ში ჩვენ გავავლეთ ვექტორი, რომელიც მიმართული იყო -დან ქვემოთ და ღერძის პარალელურად. მტაცებლის უარყოფითი ზრდის და მსხვერპლის დადებითი ზრდის ტემპის შედეგი არის ზოგადი მოძრაობა ქვემოთ და მარჯვნივ, რომელიც ნაჩვენებია შავი შემაჯამებელი ვექტორის საშუალებით. მსგავსი

ლოგიკა ავლენს სივრცეში ტენდენციებს დანარჩენი სამი კვადრატიდან თითოეულში.

### მტაცებელი-მსხვერპლი პოპულაციების ოსცილაცია

შემაჯამებელი ვექტორების ინსპექცია (შავი ვექტორები) ნახ. 23-6-ში გვიჩვენებს საათის ისრის საპირისპირო მიმართულების ტენდენციას და -ით განსაზღვრულ სივრცეში. ჩვენ ამ ტენდენციებს ტრაექტორიებს უწოდებთ. ლოტკამ და ვოლტერამ განავრცეს (23-1) და (23-2) განტოლებების თავიანთი ანალიზი იმის საჩივნებლად, რომ როდესაც მტაცებელი და მსხვერპლი პოპულაციების ზრდის ტემპები პირდაპირ არის შედარებული (მათემატიკური ტერმინებით ეს ნიშნავს ერთი ელემენტის მეორეზე გაყოფას) ( $H, P$ ) ნერტილთან ახლოს, შედეგად ვიღებთ ელიფსის ფორმულას. თუმცა ჩვენ გამოვტოვებთ ამ ანალიზის დეტალებს აქ. ელიფსისებრი ტრაექტორიების ოვაზი ნაჩვენებია ნახ. 23-7-ში. ცვლილებები მტაცებლებისა და მსხვერპლის პოპულაციის ზომებში მოძრაობები ( $\dot{H}, \dot{P}$ ) ნერტილების გარშემო ელიფსით შემოსაზღვრული მრუდის გასწროვ. შემაჯამებელი ვექტორი მრუდზე ნებისმიერი ნერტილისთვის არის მრუდის ამ ნერტილზე გავლებული მხების მიმართულების (ნახ. 23-7ბ). ამრიგად, ნახ. 23-7-ში ა-დან ე ნერტილამდე გადა-აცვლება გვაძლევს ვექტორებს, რომლებიც მიმართულია ზემოთ. ე ნერტილი ( $H_2, \dot{P}$ ) ვექტორი დერძის პარალელურია. ამგვარი სისტემა ქმნის ოსცილაციებს მტაცებლებისა და მსხვერპლის პოპულაციებში. ამის დასანახად, ნარმოიდგინეთ, რომ ნერტილები 1-8-მდე ნახ. 23-7ბ-ში ნარმოადგენს რვა ნერტილს დროში, რომელიც 1-დან იწყება. მტაცებლისა და მსხვერპლი პოპულაციების ზომის დატანა თითოეულ ნერტილზე გვიჩვენებს სხვადასხვა ნერტილებში. ტრაექტორიები ელიფსის მხებია. შემაჯამებელი ვექტორები მიმართულია მზარდად ზემოთ ა ნერტილიდან ე-კენ მოძრაობისას, რადგან მრუდი ზემოთა მიმართული. ყოველთვის, როდესაც მრუდი კვეთს ნონასწორობის ერთ იზოლინს, შემაჯამებელი ვექტორი ერთ-ერთი დერძის პარალელური იქნება. მაგალითად, ( $H_2, \dot{P}$ ) ნერტილზე შემაჯამებელი ვექტორები ზემოთაა მიმართული დერძის პარალელურად, რადგან ამ ნერტილზე მსხვერლის ზრდის ტემპი არის  $dH/dt = 0$ . (გ) თუ მტაცებელის და მსხვერლის პოპულაციები დაყვანილია (გ)-ში ნაჩვენებ 1-8-მდე დროზე, კლინდება მტაცებლი-მსხვერპლის ოსცილაცია. (from Elseth and Baumgardner 1981.)




**ნახ. 23-7** (ა) მსხვერპლისა და მტაცებლის პოპულაციათა სიმულირებული ტრაექტორიები ლოტკა-ვოლტერას მოდელის მიხედვით. ნონას-ნორბის ნერტილიდან ოსცილაციის ხარისხი ასახავს პოპულაციათა საწყის ზომებს სიმულაციაში. (ბ) ერთი ელიფსური ტრაექტორია, რომელიც გვიჩვენებს შემაჯამებელ ვექტორებს სხვადასხვა ნერტილებში. ტრაექტორიები ელიფსის მხებია. შემაჯამებელი ვექტორები მიმართულია მზარდად ზემოთ ა ნერტილიდან ე-კენ მოძრაობისას, რადგან მრუდი ზემოთა მიმართული. ყოველთვის, როდესაც მრუდი კვეთს ნონასწორობის ერთ იზოლინს, შემაჯამებელი ვექტორი ერთ-ერთი დერძის პარალელური იქნება. მაგალითად, ( $H_2, \dot{P}$ ) ნერტილზე შემაჯამებელი ვექტორები ზემოთაა მიმართული დერძის პარალელურად, რადგან ამ ნერტილზე მსხვერლის ზრდის ტემპი არის  $dH/dt = 0$ . (გ) თუ მტაცებელის და მსხვერლის პოპულაციები დაყვანილია (გ)-ში ნაჩვენებ 1-8-მდე დროზე, კლინდება მტაცებლი-მსხვერპლის ოსცილაცია. (from Elseth and Baumgardner 1981.)

1-სა და 4 დროებს შორის მტაცებელი პოპულაცია ზრდას განაგრძობს. მსხვერპლი პოპულაცია ასევე იზრდება, მაგრამ მხოლოდ 3 დრომდე, როდესაც ის პიქს აღწევს და შემდეგ კლებას იწყებს. ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ მტაცებელი და მსხვერპლი პოპულაციები ციკლირებენ სიჭარბეში მცირედ ფაზას გარეთ ერთმანეთთან.

არსებობს მთელი რიგი განმარტებებისა ამ მოდელთან დაკავშირებით. ლოტკამ და ვოლტერამ აღმოაჩინეს (23-1) და (23-2) განტოლებების თავიანთ ანალიზში, რომ სისტემა სტაბილური არ არის წონასწორებრივ წერტილში ( $\hat{H}, \hat{P}$ ). მართლაც,  $\hat{H}$ -სა და  $\hat{P}$ -ს ზოგიერთი პირობისთვის მათ მოდელში არარსებობა არაგითარი გამოსავალი. ეს ნიშანავს, რომ მტაცებელი-მსხვერპლის სისტემები, რომლებიც მოქმედებენ ამ მოდელის შეზღუდვების პირობებში, არასდროს დავიდოდნენ სტაბილურ წონასწორობამდე. ამს ნაცვლად, სისტემა განაგრძობდა ციკლირებას ( $\hat{H}, \hat{P}$ )-ს გარშემო. ამპონენ, რომ სისტემებს, რომლებიც ამგვარად იქცევიან აქვთ წერტილური წონასწორობა, რაც ნიშანავს, რომ არანაირი შინაგანი ძალები არ მოქმედებს იმისთვის, რომ აღადგინონ პოპულაციები მტაცებელის და მსხვერპლის იზოკლინების გადაკვეთამდე. ლოტკამ (1925) აღნიშნა, რომ მაღალი რიგის ელემენტების დამატება დიფერენციალურ განტოლებაში მტაცებლებისა და მსხვერპლისთვის შექმნიდა პოპულაციის ტრაექტორიის შინაგან ბრუნვას საერთო წონასწორობისკენ. მაგალითად, გამოსახულება  $dH/dt = rH - pH - cH^2$  იწვევს მიღევად რხევებს, ოსცილაციას და სტაბილურ წონასწორობას. სიმჭიდროვეზე დამოკიდებულებას მტაცებელთა პოპულაციაში იგივე ეფექტი აქვს. სხვა პიოლოგიური რეალური მოდიფიკაციები მოიცავენ დროებით შეფერხებებს, რომლებიც მტაცებელი-მსხვერპლის სისტემებს არასტაბილურს ხდის, იწვევს კიდევ უფრო ძლიერ ოსცილაციას და მოიცავენ ასევე თავშესაფარს მსხვერპლისთვის, რომლებიც ზრდიან გადარჩენის აღაბათობას.

მოდელის კიდევ ერთი შეზღუდვა არის ის, რომ ის მოქმედებს მხოლოდ  $H$ -სა და  $P$ -ს ისეთი სიდიდეებისთვის, რომლებიც შედარებით ახლოს არის ( $\hat{H}, \hat{P}$ )-თან. ამის შედეგი შეიძლება გრაფიკულად იყოს გამოსახული იმის გადასინჯვით, თუ რა ხდება შემთხვევაში, სადაც შემთხვევით გაღიზიანება, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფით გამოწვეული მოულოდნელი ზრდა სიკვდილიანობაში, ცვლის მტაცებელი-მსხვერპლის სისტემის ტრაექტორიას. მაგალითად ვთქვათ, რომ მტაცებელი პოპულაცია განიცდის საოცარ კლებას პოპულაციის ზომაში, ნახ. 23-8-ში წერტილიდან წერტილამდე გადაადგილებისას. შემცირება მტაცებელთა პოპულაციაში ათავსებს სისტემას ახალ, უფრო დიდ ტრაექტორიაზე. რადგანაც სისტემას აქვს ნეიტრალური წონასწორობა და ამრიგად არ იმოძრავებს ( $\hat{H}, \hat{P}$ )-სკენ, უფრო დიდ ტრაექტორიაზე მტაცებელი პოპულაცია საბოლოო ჯამში გახდება იმდენად დიდი, რომ იგი უბრალოდ გადაასწრებს თავის



მტაცებელი მოსახლეობის სიმჭიდროვე

**ნახ. 23-8** პოპულაციის ზომის მსხვილი გამლიზიანებლების თანამონაბლეობა ლოტკა-ვოლტერას მოდელში. მტაცებელი პოპულაცია დათრგუნულია წერტილიდან წერტილამდე ბუნებრივი კატასტროფის გამო. რადგანაც მოდელს არ აქვს შინაგანი მახასიათებლები, რომლებიც მას წონასწორობაში დააბრუნებდნენ, სისტემა გაგრძელდება ახალ უფრო დიდ ტრაექტორიაზე, სანამ მსხვერპლის პოპულაცია არ გაუტოლდება ნულს და სისტემა არ დაკარგვას იწყერგრალურობას.

მსხვერპლ რესურსს და წერტილში მსხვერპლი პოპულაცია ადგილობრივად გადაშენებული იქნება.

## 23.4 ნიკოლსონია და ჰაილია შემოგვთავაზე ლოტკა-ვოლტერას მოძალის ალტერნატივა

ლოტკა-ვოლტერას მოდელის  $pHP$  ელემენტს ხანდახან მტაცებლობის ელემენტს უწოდებენ. ამ ტერმინში იგულისხმება მოსაზრება, რომ ერთადერთი, რასაც მნიშვნელობა აქვს მტაცებელი-მსხვერპლის სისტემაში, არის მტაცებლებისა და მსხვერპლების რაოდენობა. ანუ, მსხვერპლი პოპულაციის გარკვეული ზომისას და მტაცებლების გარკვეული  $p$  ეფექტურობისას უფრო მეტმა მტაცებელმა უნდა მიიღოს უფრო მეტი მსხვერპლი. ჩვენ უკვე ვახსენეთ ამ მოსაზრების მნიშვნელოვანი სისუსტე: ის იგნორირებას უწევს შესაძლო ინტერაქციებს მტაცებლებს შორის, რამაც შეიძლება შეამციროს დაჭრილი მსხვერპლის რიცხვი. ამ შემთხვევის გამოსასწორებლად ა.ჯ. ნიკოლსონმა და ვ.ა.ბეილიმ (1935) განაციარებულ ლოტკა-ვოლტერას მოდელის ალტერნატივა პარაზიტოიდებისა და მათი მტარებლებისთვის.

## პარაზიტოიდების თვისებანი

ნიკოლსონისა და ბეილის ნამუშევარი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ მართავენ ბუნებათმცოდნეო-

ბის ფრთხილი დაკვირვებანი კითხვებს, რომლებსაც ეკოლოგები სვამენ. ისინა დაინტერესებული იყვნენ პარაზიტოიდების ეკოლოგიით, მწერებისა, რომელთა ლარვებიც ბინადრობენ მტარებლის სხეულში და მოიხმარენ მას. მტარებელს, როგორც წესი, სხვა მწერის ლარვა ან ჭუპრი წარმოადგენს. არსებობს მსგავსება მტაცებლებსა და პარაზიტოიდებს შორის, რომელთაგან ყველაზე აღსანიშნავია ის, რომ მათი საქმიანობის შედეგად მსხვერპლი ან მასპინძელი კვდება. ეს განასხვავებს ამ ორი ტიპის მომხმარებელს ბალახისმჭამელებისა და პარაზიტებისგან, რომელთა მოხმარების ობიექტები აუცილებელი არაა, რომ მოკვდნენ და ძირითადად ეს ასეც ხდება ხოლმე. არსებობს ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებებიც მტაცებლობასა და პარაზიტოიდიზმს შორის. პარაზიტოიდიზმის პირველი აქტი არის ზრდასრული მდედრის მიერ კვერცხის დადება მასპინძელზე ან მის სხეულში. ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც პარაზიტოიდის თავდასხმა მტარებელზე, მაგრამ მსხვერპლზე მტაცებლის თავდასხმისგან განსხვავებით ის არ იწვევს მტარებლის დაუყოვნებელ სიკვდილს და თავდასხმელიც – ზრდასრული პარაზიტოიდი, არ მოიხმარს მტარებელს. მოხმრება და სიკვდილი დგება მოგვიანებით, როდესაც პარაზიტოიდის კვერცხი ვითარდება ლარვად და მტარებელს ნელ-ნელა შიგნიდან ჭამს. რადგანაც თავდასხმა არ იწვევს მასპინძლის დაუყოვნებელ სიკვდილს და ამრიგად, არ ჩამოაშორებს მტარებელს პოპულაციისგან, შესაძლოა ერთ მტარებელს თანმიმდევრულად რამდენიმე პარაზიტოიდი დაესხას თავს. თუმცა პარაზიტოიდების რიცხვი, რომლებიც შეიძლება გამოკვებილ იქნან ერთ მასპინძელში, შეზღუდულია მცირე რიცხვამდე. ამის გამო, პარაზიტოიდისა და მისი მასპინძლის დინამიკა დამოკიდებულია არა შეხვედრათა რიცხვზე, როგორც ეს აღნიშნული იყო ლოტკა-ვოლტერას მოდელის პელ-ერენგტში, არამედ თავდასხმათა რიცხვზე.

პარაზიტოიდი-მტარებლის სისტემის კიდევ ერთი მახასიათებელი ის არის, რომ თაობები დისკრეტულია (დაყოფილი) და არ მოდიან შეხებაში ერთმანეთთან. ამრიგად, ნიკოლსონმა და ბეილიმ გამოიყენეს განსხვავებითი განატოლებები (იხ. თავი 18), რათა განევითარებინათ თავიანთი მოდელები და არა ლოტკასა და ვოლტერას მიერ გამოყენებული მუდმივი დროის მოდელები. ნიკოლსონმა და ბეილიმ თავიანთი მოდელი პარაზიტოიდი-მტარებლის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით განავითარეს.

რადგანაც და შეიძლება აღნიშნავდნენ როგორც პარაზიტოიდს და მტარებელს, ისე მტაცებელსა და ბალახისმჭამელს, ჩვენ ვაგრძელებთ ამ აღნიშვნას, რათა გამოვსახოთ მომხმარებელი (პარაზიტოიდი) და რესურსი (მტარებელი) პოპულაციის ზომები. განტოლებაში გამოყენებულ აღნიშვნისგან განსხვავებით ჩვენ აღვნიშნავთ დრო t-ს ფრჩხილებით.

## პარაზიტოიდი-მტარებლის პოპულაციათა დინამიკა

თითოეულ თაობაში ხელმისაწვდომი იქნება  $H(t)$  მტარებელი, რომელთაგან  $H_0$ -ზე პარაზიტოიდი განახორციელებს თავდასხმას და ამდენივე იქნება ჩამოშორებული მტარებლის პოპულაციიდან პარაზიტოიდის ლარვების კვებითი აქტივობის შედეგად. მასპინძლის რიცხვი მომდევნო თაობაში ( $t + 1$ ) არის უბრალოდ პირველ თაობაში ( $t$ ) თავდასხმისგან გადარჩენილი მტარებლების რიცხვი  $[H(t) - H_0]$  გამრავლებული მტარებლების ერთ სულ მოსახლეზე შემცირებული დონეზე ( $\beta$ ). განსხვავებითი განტოლების სახით ამის ჩანარის შემდეგი ფორმა უქნება

$$H(t+1) = b [H(t) - H_0].$$

თითოეული  $H_0$ -სთვის მასპინძელი ამრავლებს პარაზიტოიდთა ნაშიერების გარკვეულ ცოდნობას. ამრიგად, მომდევნო თაობაში პარაზიტოიდთა რიცხვი შეიძლება გამოსახული იქნას როგორც:

$$P(t+1) = cH_0.$$

თქვენ შეამჩნევდით, რომ არც ერთი ამ განტოლებიდან არ ითვალისწინებს პარაზიტოიდი პოპულაციის სიმჭიდროვეს. გონივრული სიმჭიდროვისას ურთიერთობის განვითარებისთვის ნიკოლსონმა და  $\frac{dN}{dt} = \mu N$  დაინტეგრირება იმის გათვალისწინება, რომ პარაზიტოიდი მტარებლებს შემთხვევითად ეძებენ გარკვეული ძიების ა ეფექტურობით. ა პარამეტრს ხანდახან აღმოჩენის არეალს უზოდებენ, რადგან, პარაზიტოიდთა სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად, ინდივიდუალურ პარაზიტოიდებს ხშირად უხდებათ ძიება დიდ არეალებში თავდასხმების მტარებლების მოსახებნად. ჩვენ გიჩვენეთ მეთოთხმეტე თავში, დისპერსიის შესახებ ჩვენი საუბრისას, თუ როგორ შეიძლება იყოს შემთხვევითი პროცესები გამოსახული პუასონისეული ალბათობის განაწილების საშუალებით  $p(X) = \mu^X e^{-\mu}/X!$ , სადაც  $\mu$  არის შემთხვევითი  $X$  ცვლადის საშუალო სიდიდე, ე არის  $\delta$ -უნდებრივი ლოგარითმის საფუძველი ( $e = 2.78$ ) და  $X!$  არის  $X$ -ის ფაქტორიალი ( $4! = 4 \times 3 \times 2 \times 1$ ;  $0! = 1$ ). ნიკოლსონმა და ბეილიმ გამოიყენეს პუასონის განაწილება თითო მასპინძელზე თავდასხმათა რიცხვის ალბათობის განაწილების მოდელში. ამრიგად, ალბათობა იმისა, რომ მტარებელს თავს დაეხმებიან სამჯერ, მოცემულია როგორც  $p(3) = \mu^3 e^{-\mu}/3!$   $\mu = 0.04$  თავდასხმების საშუალო სიჩქარისას  $p(3) = 0.00001$ .

პუასონის განაწილება არის ალბათობის განაწილება. ამრიგად, ცველა  $X$ -თვის ალბათობათა ჯამი არის 1. ამის გამო, ჩვენ შეგვიძლია, წარმოვიდგონოთ პუასონის ალბათობა როგორც პროპორციები. მტარებლების პროპორცია, რომელიც  $P(0)$ , რომელიც არის  $P(0) = \mu^0 e^{-\mu}/0! = e^{-\mu}$  (რადგანაც

μ<sup>0</sup> და 0! ორივე განსაზღვრებით 1-ის ტოლია). თუ თავდაუსხმელი მტარებლების პროპორცია არის  $e^{-\mu}$ , მაშინ თავდასხმაგანცდილი (სულ მცირე, ერთხელ მაინც) მტარებლების პროპორცია არის  $1 - e^{-\mu}$ . ნიკოლ-სონმა და ბეილიმ დაასკვნეს, რომ თთომ მტარებელზე გარკვეულ დროსა და ადგილას პარაზიტოიდის კვერცხების საშუალო რიცხვი იყო  $aH(t)$  და შესაბამისად, მთლიანი ოდენობა არეალში დადგებული კვერცხისა იქნება  $aP(t)H(t)$ . თითო მასპინძელზე კვერცხის საშუალო რიცხვი შეიძლება მოცემული იყოს როგორც  $\mu = aP(t)$ . ამრიგად, თავდასხმაგანცდილი მტარებლების რიცხვი არის  $a = 1 - e^{-aP(t)}$ . ამ ურთიერთობის გრაფიკული გამოსახულება გვიჩვენებს, რომ პარაზიტოიდის სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად, თავდასხმაგანცდილ მტარებელთა პროპორციაც იმატებს, თუმცა კლებადი სიჩქარით (ნახ. 23-9). მაგალითად, თუ  $a = 0.068$ , ზრდა პარაზიტოიდთა სიმჭიდროვეში 10-დან 15-მდე შედეგად იწვევს 0.146-ით ზრდას თავდასხმაგანცდილ მტარებელთა პროპორციაში ( $1 - e^{-0.068(10)} = 0.493$ -დან  $1 - e^{-0.068(15)} = 0.639$ -მდე მაშინ, როდესაც ზრდა პარაზიტოიდთა სიმჭიდროვეში 50-55-მდე იწვევს მხოლოდ 0.01-ით ცვლილებას თავდასხმაგანცდილ მტარებლების პროპორციაში (0,966-დან 0, 976-მდე). პროპორციის ამ შენელების მიზეზი ის არის, რომ მაღალ სიმჭიდროვებზე პარაზიტოიდებს უჭირთ, მოძებნონ მტარებელი, რომელსაც ჯერ თავს არ დასხმიან. დაუპირისპირეთ ეს ლოტკა-ვოლტერას მოდელებში ასახულ შემთხვევას, რომელშიც მტაცებლის მზარდი სიმჭიდროვე უბრალოდ ნიშნავს, რომ უფრო მეტი მსხვერპლი შეიქმნავა.

რაოდენობა  $H_a = 1 - e^{-aP(t)}$  შეიძლება ჩანაცვლებულ იქნას (23-3) და (23-4) განტოლებებში, რათა მივიღოთ ძირითადი ნიკოლსონ-ბეილის მოდელი:

$$H(t+1) = bH(t) [e^{-aP(t)}]$$

და


$$P(t+1) = cH(t) [1 - e^{-aP(t)}].$$

ნახ. 23-10ა გვიჩვენებს ამ განტოლებების სიმულაციას  $b = 2$ ,  $a = 1$  და  $c = 1$  პარამეტრული სიდიდეებით. ნახატი ავლენს ნიკოლსონი-ბეილის მოდელის საინტერესო და საქმაოდ სამწერაო თვისებას: განტოლებები დასამაბს აძლევს სულ უფრო მზარდ ოსცილაციას როგორც პარაზიტოიდის, ისე მასპინძლის თვის. საბოლოო ჯამში მოდელი ვარაუდობს, რომ ისინი ვერ შეძლებენ თანაარსებობას, რადგან შესაძლებელია, რომ მტარებელმა ან პარაზიტოიდმა მიაღწიოს ძალიან დაბალ რიცხვებს (გაიხსენეთ ორი ადგილი, სადაც სიმჭიდროვის მრუდები მტარებლისა და პარაზიტოიდისა ეხებიან ჰორიზონტალურ ლერძის). თუ ჩვენ ავაგებთ პარაზიტოიდის (ვერტიკალური ლერძი) და მტარებლის (ჰორიზონტალური ლერძი) რაოდენობის დამოკიდებულების სივრცეში განსაზღვრულ მოდელს, პოპუ-


ლაციის ტრაექტორია სპირალირებს წონასწორობის წერტილიდან გარეთ (ნახ. 23-10ბ). ამ ტრაექტორიის დროის მიმდინარების სიმულირება 1-9 წერტილამდე უფრო ცხადად გვიჩვენებს მზარდ ოსცილაციებს (ნახ. 23-10გ).

თუ ჩვენ წარმოვიდგენთ ნიკოლსონ-ბეილის მოდელის რიგ თვისებებს, ჩვენ შევძლებთ, აღმოვაჩინოთ ის ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ამ სისტემის სტაბილიზირებისთვის. სულ მცირე, ორმა ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს პარაზიტოიდისა და მტარებლის თანაარსებობა. პირველი შეიძლება იყოს ის, რომ თუ პარაზიტოიდის შობადობა  $b$  შემცირდება მაშინ, როდესაც პარაზიტოიდის სიმჭიდროვე იზრდება [მიმდინარე მოდელში  $b$  არის პარაზიტოიდის სიმჭიდროვისგან ( $t$ ) დამოუკიდებელი კონსტანტა], მოდელის გაფართოებადი ოსცილაციები შეიცვლება მიღევად ოსცილაციებად. მეორე გზა ნიკოლსონ-ბეილის მოდელის სტაბილური საბოლოო შედეგის მისაღევად არის იმის აღიარება, რომ პარაზიტოიდის პოპულაციის სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად ეფექტურობა  $a$ , რომლითაც თითოული პარაზიტოიდი პოულობს თავდასხმელ მტარებლებს, შემცირდება. თუ ნებისმიერი ამ დანამატთაგან დართული იქნება მოდელში, სტაბილური ინტერაქცია წინასწარ იქნება განსაზღვრული.

(23-5) და (23-6) განტოლებებში წარმოდგენილი ნიკოლსონ-ბეილის მოდელს აქვს სამი პარამეტრი ( $a$ ,  $b$  და  $c$ ). ყველა ეს პარამეტრი შეიძლება განსაზღვრულ იქნას ექსპერიმენტალურად და შემდეგ მორგებულ იქნას პარაზიტოიდ-მტარებელი პოპულაციების მონაცემებზე. მაგალითად, ბარნეტმა (1958) მოახდინა სათ-




ნახ. 23-9 ურთიერთობა პარაზიტოიდების სიმჭიდროვე  $P$ -სა და თავდასხმაგანცდილ მასპინძლის პროპორციას ( $1 - e^{-aP}$ ) შორის, სადაც  $a = 0.068$ . თავდასხმაგანცდილ მასპინძლის პროპორცია  $P$  ზრდება კლებადი ტემპით  $P$ -ს ზრდასთან ერთად. პარაზიტოიდთა დაბალი სიმჭიდროვისას პარაზიტოიდთა რიცხვის ცვლილება 10-15-მდე იწვევს თავდასხმაგანცდილ მასპინძლის პროპორციაში 0,146-ით ზრდას მაშინ, როდესაც პარაზიტოიდთა მაღალი სიმჭიდროვისას ისეთივე ზრდა ( $P = 50$ -დან  $P = 55$ -მდე) იწვევს მხოლოდ 0.01-იან ზრდას თავდასხმაგანცდილ მასპინძლის პროპორციაში. ამის მიზეზი არის ის, რომ პარაზიტოიდთა მაღალი სიმჭიდროვებზე, თითქმის ყველა მტარებელი უკვე ინვაზირებულია.



**ნახ. 23-10** სიმულაცია ნიკოლსონ-ბეილის პარაზიტოდენტარებლის მოდელის გამოყენებით. (ა) მარტივი ნიკოლსონ-ბეილის მოდელის გამოყენები, სადაც  $b = 2$ ,  $a = 1$  და  $c = 1$ . გრაფიკი გვიჩვენებს ორ ოსცილაციას, მეორე პირველზე დოდია. ნიკოლსონ-ბეილის ძირითადი მოდელი ინვერს სულ უფრო მზარდ ოსცილაციებს და არასტაბილურია. (ბ) ნიკოლსონ-ბეილის ტრაექტორია - სივრცეში. (ც) ტრაექტორიის დროის მიმდინარეობა. (დ)-ში მოცემული რიცხვები შეესატყვისება რიცხვებს დროის დერზე (ც)-ში. (from Bulmer 1994.)

ბურის თეთრფრთიანას თრიალეუროდეს ვაპორარიორუმ-სა და მისი ციხლიდური ჩრჩილი პარაზიტოიდის ნცარსია ფორმოსა-ს ინტერაქციების მოდელირება (ნახ. 23-11). სიდიდეები  $a = 0.068$ ,  $b = 2$  (ექსპერიმენტულად მიღებული) და  $c = 1$  გვაძლევს რამდენიმე პოპულაციური ციკლის მონაცემების გონივრულ მორგებას.




**ნახ. 23-11** პოპულაციის ფლუქტუაციები თეთრფრთიანი თრიალეუროდეს ვაპორარიორუმ-სის (სოლიდური სიმბოლოები) და მისი ციხლიდური პარაზიტოიდის ნცარსია *formosae*-სი (ლია სიმბოლოები). შევ და ნათელი მნიანგ ხაზები არის ტრაექტორიები ნანინასნარმ-ეტყველები ნიკოლსონისა და ბეილის მოდელების მიერ.  
(From Begon and Mortimer 1986; after Hassell 1978.)

### 23.5 გთაცემალთა რეაცია მსხვერპლთა სიმჭიდროვეზე არ არის წლვივი

ნიკოლსონი და ბეილი აკრიტიკებდნენ ლოტკა-ვოლტერას მოდელს, რადგან მისი ხაზოვანი ურთიერთობა თავდასხმის ტემპსა და მტაცებლის (ან პარაზიტოიდის) სიმჭიდროვეს შორის არარეალურად გამოიყურებოდა. კანადელმა ენტომოლოგმა ქ.ს. ჰოლინგმაც (1959) გაახმოვანა მსგავსი შენიშვნა თითოეულ მტაცებლის მიერ მოხმარებული მსხვერპლის რაოდენობასა და მსხვერპლის სიმჭიდროვეს შორის ხაზოვან ურთიერთობასთან დაკავშირებით. ლოტკა-ვოლტერას მოდელში ტემპი, რომლითაც ინდივიდები ჩამოშორდებოდნენ მსხვერპლ პოპულაციებს, აღნერილი იყო pH ელემენტით. ამრიგად, მტაცებელთა მოცემული სიმჭიდროვისთვის (P) ექსპლუატაციის ტემპი იზრდება მსხვერპლის სიმჭიდროვის (H) პირდაპირ-პროპორციულად. მრავალი ბიოლოგიური ფაქტორი უნდა ცვლიდეს ამ ურთიერთობის ფორმას და ალბათ ამით უნდა იცვლებოდეს მტაცებელი და მსხვერპლი პოპულაციების დინამიკაც.

მსხვერპლის სიმჭიდროვის ურთიერთობას ინდივიდუალური მტაცებლის საკვების მოხმარების ტემპთან ჰოლინგმა (1959) ფუნქციონალური რეაქცია უნდა. არსებობს ფუნქციონალური რეაქციის სამი ძირითადი ტიპი (ნახ. 23-12). I ტიპი არის ლოტკა-ვოლტერას მოდელის ხაზოვანი ურთიერთობა, რომელშიც აღებული მსხვერპლის რიცხვი pH იზრდე-



**ნახ. 23-12** მტაცებლების საში სახის ფუნქციონალური რეაქცია მსხვერპლის მზარდ სიმჭიდროვეზე: (ა) ფუნქციონალური რეაქცია მოხმარებული მსხვერპლის რაოდენობის საფუძველზე; (ბ) ფუნქციონალური რეაქცია მოხმარებული მსხვერპლის პორპორციის საფუძველზე. / ტიპი: მტაცებელი მოხმარს მსხვერპლის მუდმივ ოდენობას ან პროპორციას მსხვერპლის სიმჭიდროვის მიუხედავად. II ტიპი: მტაცებლობის ტემპი მცირდება, როდესაც მტაცებლის დანაყრება აღწევს საკვების მოხმარების ზედა ლიმიტს. III ტიპი: მტაცებლის რეაქციას თრგუნავს მსხვერპლთა დაბალი სიმჭიდროვე სადირობის დაბალი ეფექტურობის ან „საძებარი სახის“ არარსებობის გამო.

ბა ხაზოვნად H-ის ზრდასთან ერთად. I ტიპის ხაზოვანი ფუნქციონალური რეაქციის მრუდი წინასწარმეტყველებს, რომ არ იარსებებდა მტაცებლის მიერ მსხვერპლის მოხმარების ტემპის არავითარი ზედა ზღვარი. ეს წინასწარმერტყველბა ზედმეტად მარტივია იმისთვის, რომ ასახოს ბუნების რეალური სურათი. თუმცა მსხვერპლის სიმჭიდროვის გარკვეულ დიაპაზონებში მტაცებლებს შეიძლება ჰქონდეთ სწორხაზოვანი ფუნქციონალური რეაქციები (e.g., Korpimäki and Norrdahl 1991). ზოგიერთი ბიოფილტრატორი ორგანიზმისთვის მრუდი შეიძლება ყოფილიყო მოხმარების ტემპსა და მსხვერპლის სიმჭიდროვეს შორის არსებული ურთიერთობის გამომსახველი.

როგორც წესი, თითო მტაცებლის მიერ მოხმარებული მსხვერპლის რიცხვი მცირდება მსხვერპლის გარკვეული სიმჭიდროვისა და II და III ტიპის ფუნქციური რეაქციებიც სწორედ ამას ასახავენ (იხ. ნახ. 23-12). ორი ფაქტორი განსაზღვრავს, რომ ფუნქციურმა რეაქციამ უნდა მიაღწიოს სტადიას, როდესაც აღარ შეიმჩნევა პროგრესი. პირველი, მტაცებლები შეიძლება დანაყრდნენ, რა მომენტშიც მათი კვების ტემპი იზღუდება იმ ტემპით, რომლითაც მათ შეუძლიათ საკვების მონელება და ასიმილაცია და არა იმ ტემპით, რომლითაც მათ საკვების დაჭრა შეუძლიათ. მეორე, როდესაც მტაცებელი მეტ მსხვერპლის იჭერს, მსხვერპლთან გამკლავებასა და მის შეჭმაზე დახარჯული დრო იჭრება ძიების დროში. საბოლოო ჯამში, ეს ორი სიდიდე ბალანსს აღწევს და მსხვერპლის დაჭრის ტემპიც მატებას წყვეტს.

## II ტიპის ფუნქციონალური რეაქცია


II ტიპის ფუნქციონალური რეაქცია აღწერს შემთხვევას, სადაც თითო მტაცებლის მიერ მოხმარებული მსხვერპლის რაოდენობა თავდაპირველად სწორაფად

იზრდება მსხვერპლის სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად, მაგრამ შემდეგ კლებას იწყებს მსხვერპლის სიმჭიდროვის კიდევ უფრო მეტ ზრდასთან ერთად. II ტიპის ფუნქციონალური რეაქციის დინამიკა ახსნა ჰოლონგმა (1959), რომელმაც განიხილა, თუ როგორ გავლენას ახდენს დრო, რომელსაც მტაცებელი ხარჯავს მსხვერპლის ძიებაში და მასთან გამკლავებაში, მოხმარების ტემპზე. ჰოლონგმა გამკლავების დრო აღწერა მარტივი გამოსახულებით, რომელიც ცნობილია დისკის განტოლების სახელით. ეს სახელი მას დაერქვა მის ერთ-ერთ ექსპერიმენტში გამოყენების შემდეგ, სადაც თვალებაზეულ ადამიანებს უნდა აღმოეჩინათ და აეღოთ მცირე ქაღალდის დისკეტი ბრტყელი ზედაპირიდან. ნებისმიერი ამგვარი დავალება, მათ შორის, მსხვერპლის დაჭრა და შეჭმა, მოითხოვს გარკვეულ გამკლავების დროს თჲ. მთლიანი გამკლავების დრო არის შედეგი თითო ცალკეულ მსხვერპლზე დახარჯული გამკლავების დრო ( $T_h$ ) გამრავლებული შეხვედრათა რიცხვზე (E) ანუ თჲ. ძიებისთვის დარჩენილი დრო – ძიების დრო  $T_s$  – არის მთლიან დროს  $T_{total}$ -ს გამოკლებული გამკლავების დრო, ანუ  $T_s = T_{total} - ThE$ . შეხვედრათა რიცხვი შეიძლება თავად იყოს განსაზღვრული როგორც ძიების დროის, მსხვერპლის სიმჭიდროვის ( $H$ ) და ძიების ეფექტურობის ა კონსტანტას (დროის თითო ერთეულში ნაპოვნი მსხვერპლის რიცხვი) პროდუქტი, ანუ  $E = aT_sH = a(T - T_h)H$ . თუ  $= a(T - T_h)E$  ჩანაცვლებულ იქნაბა  $T_s$ -ის განტოლებაში, ჩვენ შეგვიძლია ვეძიოთ, რათა მივიღოთ შემდეგი განტოლება:


$$E = \frac{aHT}{1 + aHT_h} \quad (23-7)$$

ამ განტოლებაში რაოდენობა  $aH$ -ს ხშირად უწოდებენ შეხვედრათა ტემპს.

განტოლება (23-7) გადატანილი გრაფიკზე ნახ. 23-13ა-ში საში სხვადასხვა გამკლავების დროისთვის, სადაც  $a = 1$  და ასევე ნახ. 23-13ბ-ში  $a$ -ს საში სიდიდისთ-



(ა)



(გ)

**ნახ. 23-13** ურთიერთობა შეხვედრის ტემპსა ( $E$ ) და მსხვერპლის სიმჭიდროვეს ( $P$ ) შორის პოლინგის დისკის განტოლების მიხედვით  
(ა) თითო მსხვერპლზე სხვადასხვა გამკლავების დროისას ( $T_h$ ) და (გ) ნადირობების ეფექტურობის ( $a$ ) სხვადასხვა დონეებზე.

ვის, როდესაც  $T_h = 0.1$ . როდესაც მსხვერპლი იშვიათია, მნიშვნელის ელემენტი  $aHT_h$  1-ზე ნაკლებია და მსხვერპლთან შეხვედრის რიცხვი უახლოვდება  $aHT$ -ს. როდესაც მსხვერპლი მრავალრიცხოვანია  $aHT_h$  1-ზე მეტია და აღნევს შეფარდებას  $T/T_h$ , რომელიც მუდმივი სიდიდეა და განსაზღვრავს მსხვერპლის მაქსიმალურ რაოდენობას, რომელთა დაჭერაც შესაძლებელია თ დროში. მაგალითად, ნახ. 23-13-ში, თუ  $H = 30$  და  $T_h = 0.1$ ,  $aHT_h = 1(30)(0.1) = 3$  და შეხვედრის რიცხვი უდრის  $30/[1 + 3] = 7.5$ . რაც უახლოვდება  $T/T_h = 1/0.1 = 10$ . ამრიგად, მსხვერპლის მაღალი სიმჭიდროვისას ძებნის

დრო ეცემა ნულთან ახლოს და დაჭერილი მსხვერპლის რიცხვი შეზღუდულია მხოლოდ იმით, თუ რამდენი დრო სჭიდრება მტაცებელს, რომ გაუმჯობესებული იყო მაგალითი. რაც უფრო მოკლეა გამკლავების დრო, მით მეტი მსხვერპლის დაჭერაა შესაძლებელი.

ჰასელმა მოარგო (23-7) განტოლება თავდასხმის ტემპსა და მსხვერპლის სიმჭიდროვეს შორის არსებულ ურთიერთობას, რასაც რამდენიმე ლაბორატორულ სისტემაში აკვირდებოდნენ (ცხრილი 23-1). როგორც მოსალოდნელი იყო, როგორც გამკლავების დრო, ისე ძიების ეფექტურობა დიდად ვარირებდა მტაცებლისა

### ცხრილი 23-2 გამკლავების დროის განსაზღვრული სიდიდეები მომხმარებელი-რესურსის განტოლებებში.

პარაზიტოიდი ან მტაცებელი	მასპინძელი	მასპინძელი გამკლავების დრო (სთ)	მასპინძელი გამკლავების დრო (სთ)/(სთ)
<b>პარაზიტოიდები</b>			
<i>Nemeritis canescens</i>	<i>Ephestia cautella</i>	0.007	<0.0001
<i>Chelonus texanus</i>	<i>Ephestia kuhniella</i>	0.12	<0.001
<i>Dahlbominus fuscipennis</i>	<i>Neodiprio lecontei</i>	0.24	<0.003
<i>Pleolophus basizonus</i>	<i>Neodiprio sertifer</i>	0.72	<0.02
<i>Dahlbominus fuscipennis</i>	<i>Neodiprio sertifer</i>	0.96	<0.01
<i>Cryptus inornatus</i>	<i>Loxostege sticticalis</i>	1.44	>0.02
<i>Nasonia vitripennis</i>	<i>Musca domestica</i>	12.00*	<0.1
<b>Predators</b>			
<i>Anthocoris confusus</i>	<i>Aulacorthum circumflexus</i>	0.38	<0.001
<i>Notonecta clauca</i>	<i>Daphnia magna</i>	0.76	<0.005
<i>Ischnura elegans</i>	<i>Daphnia magna</i>	0.82	<0.002
<i>Harmonia axyridis</i>	<i>Aphis craccivora</i>	1.61	<0.002
<i>Phytoseiulus persimilis</i>	<i>Tetranychus urticae</i>	1.87	<0.005

\*ეს ნახატი არის გამკლავების დრო თითოეული მასპინძლისთვის. თითო კვერცხთან გამკლავების დრო იყო დაახლოებით 0,4 სთ. (From Hassell 1978.)]


და მსხვერპლის მახასიათებლების და ლაბორატორული გარემოს სტრუქტურის მიხედვით. პარაზიტოიდ ასონია-ს ძალიან მაღალი გამკლავების დრო მასპინძელ ოთახის ბუზთან (უსკა სომესტიცა) ასახავს იმ ფაქტს, რომ მრავალი ჭუპრი უარყოფილ იქნა იმ მიზეზით, რომ ისინი უკვე ინვაზირებული იყვნენ. ამ კვლევაში შეხვედრათა რიცხვი ეთვლებოდა მხოლოდ მათ, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო თავდასხმის მსხვერპლი, მაგრამ გამკლავების დრო მოიცავდა წებისმიერი შეხვედრილი ჭუპრის უარყოფაზე დახარჯულ დროსაც, ინვაზირებული იქნებოდა ის თუ არა.

დეილმა და სხვებმა (1994) შეისწავლეს მგლების (*Canis lupus*) მტაცებლური ქცევა არქტიკულ ეროვნულ პარკში და ალიასკის ცენტრალური ბრუკსის ქედის ნაკრძალში. მგლები უპირველესად კარიბუებზე (დანგიფერ ტარანდუს) ნადირობენ, თუმცა ისინი ასევე ჭამენ ცხვარ ვის დალლი-ებსაც და ამერიკულ ცხენ-ირემსაც (*Alces alces*). დეილმა და მისამართებმა განსაზღვრეს მგლების ფუნქციონალური რეაქცია კარიბუს სიჭარეზე, რომელიც არსებითაც ვარირებდა მგლების ოთხ ხროვაზე დაკვირვებით 1990 წლის ზამთრის 30 დღიანი პერიოდის განმავლობაში და თითოეული მგლის მიერ მოკლულთა რაოდენობის და ყოველდღე ხელმისაწვდომი კარიბუების ოდენობის დათვლით. როდესაც დღეში ერთი მგლის მიერ მოკლულთა რიცხვი (ვერტიკალური დერძი) გადატანილ იქნა გრაფიკზე თითო კვადრატულ კილომეტრზე კარიბუთა განსაზღვრული რიცხვის საპირისპიროდ, მონაცემები მოერგო პოლინგის II ტიპის ფუნქციონალური რეაქციის მრუდს (ნახ. 23-14).

დისკის განტოლება გვაძლევს შეხვედრათა რიცხვს მსხვერპლის ხელმისაწვდომობის გარკვეული დონისთვის და მუდმივი ა ძიების ეფექტურობისთვის და განსაზღვრეს ასევე  $T_h$  გამკლავების დრო. განტოლება არ განსხვავებს ერთმანეთისგან მტაცებლებს სხვადასხვა ძიების სტრატეგიებით. ასე რომ, მაგალითად, ერთი დროის პერიოდის განმავლობაში მტაცებელს, რომელიც აღმოჩენს მსხვერპლს რეგულარული დროის პერიოდებში და მტაცებელს, რომელსაც სძინავს მთელი დღე და შემდეგ გაღვიძებული ერთმაპაშად დიდი რაოდენობით მსხვერპლს ჭამს, შეიძლება ერთი და იგივე ძიების ეფექტურობა ჰქოდეთ (აღმოჩენილი მსხვერპლი/დრო) (Getty and Pulliam 1993).

### III ტიპის ფუნქციონალური რეაქცია

როგორც II ტიპის, ისე III ტიპის ფუნქციონალური რეაქციების მრუდები გვიჩვენებენ, რომ მოხმარება მსხვერპლის სიმჭიდროვის ზრდასთან შედარებით უფრო ნელა იზრდება. საბოლოოდ, ორივე ფუნქციაში მოხმარება მიაღწევს მუდმივ სიდიდეს მაძღრობის გამო. თუმცა III ტიპის ფუნქციონალური რეაქციის მრუდი II ტიპისგან განსხვავებულად იქცევა, როდესაც მსხვერპლის სიმჭიდროვე დაბალია. ყველაზე



ნახ. 23-14 II ტიპის ფუნქციონალური რეაქცია მგლების (*Canis lupus*), რომლებიც იკვებებიან კარიბუებით (*Rangifer tarandus*) ზამთარში არქტიკულ ეროვნულ პარკსა და ნაკრძალში.  
(From Dale et al. 1994.)

დაბალი მსხვერპლის სიმჭიდროვეებზე მტაცებლები III ტიპის ფუნქციონალური რეაქციებით მოხმარენ მსხვერპლის ძალიან დაბალ რიცხვს. ყველაზე მაღალი მოხმარება ამგვარი მტაცებლებისთვის თავს იჩენს მსხვერპლის საშუალო სიმჭიდროვეებზე (იხ. ნახ. 23-12a). არსებობს ამგვარი ფუნქციონალური რეაქციების მნიშვნელოვანი შედეგების მთელი რიგი. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ როდესაც მათი პოპულაცია დაბალ სიმჭიდროვეზეა, მსხვერპლებზე მტაცებლობის ზეორლა შემსუბუქებულია.


რამდენიმე ფაქტორმა შეიძლება გამოიწვიოს მტაცებლობის შემცირებული რეაქციები დაბალ სიმჭიდროვეებზე: (1) ჰეტეროგენულმა საბინადრო გარემომ შეიძლება დაიტიოს უსაფრთხო სამაღავების შეზღუდული რაოდენობა, რომლებიც დაბალი სიმჭიდროვისას მსხვერპლთა უფრო მეტ პროპორციას იცავენ, ვიდრე მაღალი სიმჭიდროვისას, (2) ძიების ქცევაში ნასწავლი გამოცდილების ნაკლებობამ, რაც გამოწვეულია მსხვერპლთან შეხვედრის დაბალ ტემპებით, შეიძლება შეამციროს ნადირობის ეფექტურობა მსხვერპლთა დაბალი სიმჭიდროვისას; (3) აღმოჩენატიკულ საკვებ ნეაროებზე გადართვამ, როდესაც ძირითადი მსხვერპლი იშვიათია, შეიძლება შეამციროს ნადირობის ზენოლა მასზე. მსხვერპლის მოხმარების შესაბამისობა მსხვერპლის სიმჭიდროვეზე დამოკიდებულია ცვლილებაზე მსხვერპლთა საშუალო მოწყვლადობაში (1)-ის შემთხვევაში, ძებნისა და დაჭერის ეფექტურობაზე (2)-ის შემთხვევაში და ნადირობის მოტივაციასა და ძიების დროზე (3)-ის შემთხვევაში.

საკვება გავლენას ახდენს მრავალი მტაცებლის, განსაკუთრებით ხერხემლიანი, კომპლექსური ნერვული სისტემების მქონე მტაცებლების ნადირობის ქცევებზე, მაგრამ ასევე არახერხემლიანებზეც (Papaj

and Lewis 1993). ობიექტი ადვილი საპოვნია, როდესაც არსებობს წინასწარი მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება ის და სად იჩენს ის თავს. ამგვარი „საძებარი ობიექტის გამოსახულება“ (Tinbergen 1969) მოდის გამოცდილებასთან ერთად, ანუ დასწავლით. როდესაც მსხვერპლის პოპულაცია მჭიდროა, მტაცებელი მსხვერპლს ხშირად ხვდება, ამრიგად, ძიების ეფექტურობა იზრდება და გამკლავების დრო მცირდება გამოცდილების შედეგად. მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვისას, არც ერთი ეს უნარი ესოდენ კარგად განვითარებული არაა და დაჭერის ტემპი შესაბამისად დაბალი დონისაა. საძებნი ობიექტის კონცეფცია შეიძლება იყოს კავშირში ინდივიდუალურ ქცევასა და მტაცებელი-მსხვერპლის დინამიკასთან, რადგან ის მოიცავს მექანიზმებს, რომლებიც ხსნიან, თუ როგორ იქცერენ ინდივიდუალური მტაცებლები მსხვერპლს და ამრიგად, თუ როგორ ახდენს ინდივიდუალური ქცევა გავლენას მსხვერპლის პოპულაციაზე. თუმცა არსებობს ძალიან მცირე სრულყოფილი მოდელი საძებნი ობიექტის ეფექტებისა მტაცებელი-მსხვერპლის დინამიკაზე (Morgan and Brown 1996).

III ტიპის რეაქციების საფუძველში არსებული მექანიზმების მიუხედავად, მტაცებლები ხშირად გადაერთვებიან ხოლმე მსხვერპლის მეორე სახეობაზე, როდესაც პირველის სიმჭიდროვე მცირდება (Murdoch 1969). როდესაც ლოტონმა და მისმა კოლეგებმა (1974) მიანოდეს მტაცებელ წყლის ბალლინჯოს ოტონეცტა გლაუცა-ს ორი სახის მსხვერპლი – იზოპოდი სცელლუს აქუატიცუს და მედლეურას ლარვა ჩლოეონ დიპტერუმ, მათ აღმოჩინეს, რომ მტაცებლები უფრო ჭარბ სახეობას იმაზე მეტი პორციებით მოიხმარდნენ, ვიდრე მისი (ამ სახეობის) გავრცელების პროცენტული მაჩვენებელია (წახ. 23-15). გადართვა დამოკიდებული იყო გარკვეულწილად იზოპოდზე წარმატებული თავდასხმის ცვლილებაზე, როგორც მათი შედარებითი სიმჭიდროვის ფუნქციაზე. როდესაც წყლის ბალლინჯოები იშვიათად ხვდებოდნენ იზოპოდებს 10%-ზე ნაკლები თავდასხმა გამოდგა წარმატებული. მაღალ სიმჭიდროვებზე და შედეგად შეხვედრათა მაღალი ალბათობისას თავდასხმის წარმატება გაიზარდა დაახლოებით 30%-მდე (იხ. ასევე ჩორნელლ ანდ იმენტელ 1978).

გადართვის შედეგები მსხვერპლი-მტაცებლის დინამიკის სტაბილურობისთვის დეტალურად იქნა განხილული მურდოებასა და ოატენის (1975; Oaten and Murdoch 1975) მიერ. მუდმივი დროის მოდელების გამოყენებით მათ აღმოჩინეს, რომ გადართვის III ტიპის რეაქციის მახასიათებელს შეეძლო მოეხდინა მტაცებლისა და მსხვერპლი პოპულაციების სტაბილიზირება. თუმცა ჰასელმა და კომინსმა (1978) აღნიშნეს, რომ გადართვა არ წარმოშობს იგივე ეფექტს დასკრეტული დროის განსხვავებითი განტოლების მოდელებში იმ დამთრგუნავი დროითი შეფერხების გამო, რომელსაც ადგილი აქვს მტაცებელთა რეაქციაში მსხვერპლი პოპულაციის სიმჭიდროვეზე.



### წახ. 23-15 მედლეურას ლარვის პროპორცია წყლის ბალლიჯოს

*Notonecta*-ს რაციონში, როგორც ფუნქცია მათი შედარებითი სიმჭიდროვისა ხელმისაწვდომ მსხვერპლთა შერის. სწორი ხაზი აღნიშნავს იმ შემთხვევას, როცა მტაცებელი ილებს მსხვერპლს გარემოში მისი ხელმისაწვდომობის პროპორციულად (არავითარი უპირატესობა). მრუდი გვაჩვენებს მედლეურათა პროპორციას დიეტაში მსხვერპლთა სხვადასხვა შედარებითი სიმჭიდროვებისა (ზექმი წრეები გვიჩვენებენ საშუალო მნიშვნელობებს და ვერტიკალური სვეტები დაბაზონებს რამდენიმე მცდელობაზე თითოეული სიმჭიდროვისას). წყლის ბალლინჯოების დიეტა შეიცავდა ნაკლებ მედლეურებს, ვიდრე ბურქაშია მოცემული, როგორც მედლეურები გარემოში ხელმისაწვდომი მსხვერპლის ნახევარზე ნაკლებ შეადგენდნენ. ბალლინჯოთა რაციონი მედლეურათა უფრო მეტ პროპორციას შეიცავდა, როდესაც ისინი ბურქაში ხელმისაწვდომი მსხვერპლს ნახევარზე მეტს შეადგენდნენ. (From Begon and Mortimer 1986; after Lawton et al. 1974.)

### ფუნქციონარული რეაქციების დროითი მასშტაბი

ფუნქციონალური რეაქციების მოდელებს, რომლებიც ჩვენ ახლახანს წარმოგიდგინეთ, ენოდებათ დიფერენციალური ფუნქციონალური რეაქციების მოდელები, რადგან ისინი ასახავენ მტაცებელთა მოხმარების მყისიერ ტემპს, როგორც მსხვერპლთა სიმჭიდროვის ფუნქციას (სიტყვა „დიფერენციალური“ გამოიყენება აღრიცხვის სახით იმისთვის, რომ ასახოს მყისიერი ტემპი). მაგრამ მტაცებლის კვება არ მიმდინარეობს მყისიერად. ნაცვლად ამისა, კვების პროცესი შეიძლება გაგრძელდეს საათობით, ხანდახან დღეობითაც კი. თუ მტაცებლის ფუნქციონალური რეაქცია იზომება მთლიანი საფურაული რაუნდის განმავლობაში მას ენოდება ინტეგრირებული ფუნქციონალური რეაქცია. აღრიცხვის მიხედვით, ეს იქნება დიფერენციალური რეაქციის ინტეგრალი, გამრავლებული კვების (ფურაული) პროცესისთვის საჭირო დროის პერიოდზე (პო). თითოეული მტაცებელი დგას იმ დროის არჩევანის წინაშე, რომელიც უნდა დახარჯოს მან ფურაული კვებაში და რამდენი დრო უნდა დახარჯოს სხვა რამის კეთებაში, როგორიცაა ძილი ან პარტნიორის ძიება. ოპტიმალური ფუნქციონალური რეაქცია არის დიფერენციალური, დროის მიხედვით ინტეგრირებული

ფუნქციონალური რეაქცია, რომელიც დახარჯულია ფურაჟირებაში და სხვა საქმიანობებში (Mitchell and Brown 1990, Morgan et al. 1997). ინტეგრირებული და ოპტიმალური ფუნქციონალური რეაქციები მოიცავენ მეტ ბიოლოგიურ რეალიზმს, ვიდრე უფრო მარტივი ფუნქციონალური რეაქცია და ამრიგად ბუნებას უფრო ზუსტად ასახავენ.

### 23.6 მთაცეპელთა პოპულაციას ზრდითა და მიზანით შეუძლია საკასულ რეაქცია მისცეს მსხვერპლთა სიმარტოვის ზრდაზე

როგორც ჩვენ წინა ნაწილში ვნახეთ, ინდივიდუალურ მტაცებლებს შეუძლიათ, გაზარდონ მსხვერპლის მოხმარება მხოლოდ დანაყრებამდე. თუმცა მტაცებლებმა შეიძლება მოახდინონ რეაგირება მსხვერპლის სიჭარბეზე თავიანთი რაოდენობის ზრდით, იქნება ეს იმიგრაციის, თუ პოპულაციის გამრავლების საშუალებით, რაც ერთად შეადგენს რიცხობრივ რეაქციას. მტაცებელთა უმრავლესობის პოპულაციები ნელა იზრდება, განსაკუთრებით როდესაც მტაცებლის რეპროდუქციული პოტენციალი გაცილებით ნაკლებია მსხვერპლისაზე, მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა კი მეტი. გარშემო არეალებიდან იმიგრაცია მნიშვნელოვან შენატანს აკეთებს მობილური მტაცებლების რიცხობრივ რეაქციაში, რასაც შეუძლია შეძლების დაგვარად შეკრიბოს ისინი იქ, სადაც რესურსები ჭარბადა. ტყის ნაპლის მღერია, მცირე მწეროჭამია ფრინველი ჩრდილო-დასავლეთ ამერიკაში, ავლენს ამგვარ ქცევას ნაძვის კვირტიჭამია ჩრჩილის მუხლუხობის პერიოდული მომრავლების დროს. მომრავლების წლების განმავლობაში ერთ გარკვეულ არეალში მღერიათა სიმჭიდროვემ შეიძლება მიაღწიოს 120 წყვილს ყოველ 100 აკრ ფართობზე, თითოეულ 100

აკრზე 10 წყვილთან შედარებით ჩვეულებრივი წლების განმავლობაში (Morris et al. 1958). პოპულაციის ეს ქცევა ცხადად გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ისარგებლოს მტაცებელმა მსხვერპლის სიჭარბის მოზაკის შეცვლით.


მწვანე ფოთოლჭამიების მუხლუხოების კვლევაში მანიტობას ტამარაკის ჭაობებში ბუკნერმა და ტარნოვმა (1965) აღმოაჩინეს, რომ იმ დროს, როდესაც ფრინველი მტაცებლები უფრო ჭარბად იყვნენ ფოთოლჭამიების მაღალი სიმჭიდროვის არეალებში, ისინი უფრო მცირე რაოდენობით მოიხმარდნენ მათ აქ, ვიდრე არეალებში ფოთლიჭამიების დაბალი სიმჭიდროვით. მაშინ, როცა ფოთლიჭამიების რაოდენობის ზრდა მერყეობდა სამმაგ ციფრებში, ფრინველების რიცხობრივი რეაქციებმა გამოიწვიეს მხოლოდ პოპულაციის ზომის გაორმაგება. ამრიგად, მაშინ, როდესაც შეჭმულ იქნა ლარვების 6% და ზრდასრული ფოთოლჭამიების 65% დაბალი პოპულაციის სიმჭიდროვის ერთ არეალში, იქ, სადაც ეს მწერები 50-ჯერ უფრო ჭარბად მოიპოვებოდნენ, მხოლოდ 0,5% და 6% მოიხმარებოდა (ix. asee Crawford and Jennings 1989).

ბუები და მტაცებელი ფრინველები ხშირად ავლენენ ძლიერ რიცხობრივ რეაქციას თავიანთი მსხვერპლის ციკლებთან (Korpimäki and Norrdhal 1991, Korpimäki 1992, Rohner 1996). სამი მტაცებელი ფრინველი: საშუალო (შტერცორარიუს პომარინუს), თეთრი ბუ (Nyctea scandiaca) და ჭაობის ბუ (სიო ფლამეუს), თითოეული სხვადასხვაგვარად რეაგირებდა არქტიკული ტუნდრის ბინადარი ლემინგის ცვალებად სიმჭიდროვებზე (ცხრილი 23-2). ლემინგის პოპულაციები ავითარებენ დიდ ფლუქტუაციებს. მაღალი და დაბალი ნერტილები პოპულაციათა ციკლში შეიძლება 100-მაგად განსხვავდებოდნენ. ბაროუში, ალიასკას შტატი, 1951 წლის ზაფხულის განმავლობაში, როდესაც ლემინგები იშვიათი იყვნენ, არც ერთი მტაცებელი ფრინველი არ გამრავლდა. ჭაობის ბუები ამ ადგი-

**ცხრილი 23-2** მტაცებელი ფრინველების რეაქციები ყავისფერი ლემინგების სხვადასხვა სიმჭიდროვეებზე ბაროუს მახლობლად, ალიასკას შტატში.

	1957	1952	1953
ყავისფერი ლემინგი (ინდივიდები თითოეულ აკრზე)	1 – 5	15 – 20	70 – 80
საშუალო პომარინი	არ არის ხშირი, არავითარი გამრავლება	გამრავლებადი წყვილები 4 მილი <sup>-2</sup>	გამრავლებადი წყვილები 18 მილი <sup>-2</sup>
თეთრი ბუ	იშვიათი, არავითარი გამრავლება	გამრავლებადი წყვილები 0,2 – 0,5 მილი <sup>-2</sup>	გამრავლებადი წყვილები 0,2 – 0,5 მილი <sup>-2</sup> , მცირე არაგამრავლებადი ინდივიდები
ჭაობის ბუ	არ არის სახეზე	ერთი ჩანაწერი 3 – 4 მილი <sup>-2</sup>	გამრავლებადი წყვილები

(From Pitelka et al. 1955.)



**ნახ. 23-16** ვირჯინიული ჭოტის რიცხობრივი რეაქცია (*Sylvilagus virginianus*) კანადაში, რომელიც იკვებება თეთრი კურდლებით (ეპუს ამერიკანუს). თეთრი კურდლების პოპულაციაზ პიქს (ისრები) ორჯერ მიაღწია კელების მიმდინარეობისას. თითოეულმა პიქმა გამოიწვია უფრო მეტი ახალშობილი ჭოტის გაჩენა და უფრო მაღალი ახალაგზ-რდა: ზრდასრული შეფარდება ჭოტების პოპულაციაში.

(From Rohner 1996.)

ლას საერთოდ არ გამოჩენილან. მომდევნო ზაფხულის განმავლობაში, რომლის დროსაც ლემინგების ზომიერი სიმჭიდროვე იყო სახეზე, როგორც საშუალო, ისე თეთრი ბუები გამრავლდნენ, მაგრამ ჭაობის ბუები ამჯერადაც არ გამოჩენილან. 1953 წელს, ლემინგებისთვის ეს წელი სიჭარბის პიკს ნარმოადგენდა, ყველა სახეობის მტაცებელი ფრინველი გამრავლდა. საშუალოები თოხჯერ უფრო ჭარბი იყვნენ 1953 წელს 1952 წელთან შედარებით, ავლენდნენ რა ძლიერი რიცხოვრივ რეაქციას. მათგან განსხვავებით, თეთრი ბუების სიმჭიდროვე არ გაზრდილა, თუმცა თითოეული წყვილი უფრო მეტ ნაშიერს აჩენდა. მაშინ, როდესაც თეთრი ბუების ბუდეები 2-4-მდე კვერცხს შეიცავდა და ლემინგების ზომიერი სიჭარბის წლებში, 1953 წელს ბუდეებში დადებულ იქნა 12-მდე ოდენობის კვერცხი. კანადაში თავისი საყვარელი მსხვერპლის, თეთრი კურდლის (*Lepus americanus*) 10 წლიან პოპულაციათა ციკლზე ვირჯინიული ჭოტის რიცხოვრივი რეაქციის შესახებ დამთავრებულმა კვლევამ გამოავლინა ზრდა, როგორც ახალგაზრდა ჭოტების რიცხვში, ისე ახალგაზრდების ზრდასრულ ჭოტებთან შეფარდებაში თეთრი კურდლების პოპულაციის სიდიდის წლებში (Rohner 1996) (ნახ. 23-16).


### 23.7 მტაცებელი-მსხვერპლის სის-ტებაზში სტაბილურობის პოროგებს გვირვერებს გრაფიკული ანალიზები

მტაცებელების ფუნქციონალური და რიცხობრივი რეაქციების კვლევები, ისევე როგორც მსხვერპლი პოპულაციების დინამიკა გვიჩვენებს ბიოლოგიურ

შეზღუდვას ისეთი მარტივი მტაცებელი-მსხვერპლის მოდელებისა, როგორიცაა ლოტკა-ვოლტერას მოდელი. ამგვარი შეზღუდვა განსაკუთრებით თვალშისაცმი ხდება, როდესაც საჭიროა ზუსტი წინასწარი ვარაუდი. მოდელებში ჩართულ იქნა ბიოლოგიური რეალობის მრავალი გართულება და ასევე შესწავლილ იქნა მათი წვლილი მტაცებელი-მსხვერპლის პოპულაციების სტაბილურობაში (May 1975b, Hassell 1978, Arditi and Saiah 1992, Berryman 1992). მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, მივაღწიოთ იგივე მიზანს და თავი ავარიდოთ რთულ მათემატიკას ორი გრაფიკული მოდელის გამოყენებით. ერთი მათგანი დაფუძნებულია მტაცებლისა და მსხვერპლის იზოკლინების მოდიფიკაციებზე, რომელიც გამოსახულია მათი საერთო სიჭარბის გრაფიკზე (მაგალითად, იხ. ნახ. 23-7). მეორე, რომელსაც ჩვენ პირველს განვიხილავთ, ემყარება ფუნქციონალური რეაქციის კონცეფციას.

გაიხსენეთ მტაცებელი-მსხერპლი სისტემების ლოტკა-ვოლტერას მოდელის ჩვენი გრაფიკული გამოსახულება, რომელიც ჩვენ წარმოგიდგინეთ მტაცებლის (P) და მსხვერპლის (H) პოპულაციის ზომებით შემოსაზღვრულ სივრცეში (იხ. ნახ. 23-5 და 23-6). ნახ. 23-5-ში მტაცებლის იზოკლინი წარმოდგენილი იყო როგორც ვერტიკალური ხაზი გავლებული -ღერძიდან ზემოთ, ხოლო მსხვერპლის იზოკლინი წარმოდგენილი იყო როგორც ჰორიზონტალური ხაზი გავლებული -ღერძიდან. ამ ხაზების ბუნება გამოვლენია იმ ფაქტიდან, რომ როგორც  $\hat{P}$ , ისე  $\hat{H}$  კონსტანტებია ლოტკა-ვოლტერას მოდელში. ეს იზოკლინები იწვევს წეიტრალურ წონასწორობას. ჩვენ უკვე მიგანიშნეთ შესაძლებლობაზე, რომ ეს ხაზები შეიძლება ზედმეტად მარტივი იყოს იმისთვის, რომ გამოსახოს ბუნებრივი სამყაროს შემთხვევა და ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე პირობას, რომელსაც შეუძლიათ, გამოიწვიონ სხვადასხვა ზომისა და ორიენტაციის იზოკლინები. მაგრამ მოდით, ჯერ ხელახლა გადაეხედოთ ძირითად ლოტკა-ვოლტერას გამოსახულებას იმისთვის, რომ მოვიპოვოთ გარკვეული შეფასება იზოკლინების გადაჯგუფებაზე.

განვიხილოთ ნახ. 23-17, რომელსაც აქვს ოთხი პანელი. პანელი (ბ) არის ნახ. 23-6-ის ხელახალი გამოსახულება, რომელიც გვიჩვენებს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ იზოკლინებს და შემაჯამებელ ვექტორებს ითხო წერტილისთვის. ამ შემთხვევაში ვექტორები გვიჩვენებენ საათის ისრის საწინააღმდეგო ტრაექტორიას და ნეიტრალურ წონასწორობას. როგორ მოახდენდა გავლენას ცვლილება იზოკლინების ორიენტაციაში სისტემის სტაბილურობაზე? როდესაც ვაბრუნებთ იზოკლინებს ( $\hat{H}, \hat{P}$ ) წერტილის გარშემო A, B, C და წერტილების უნინდელ მგომარეობაში შენარჩუნებისას იზოკლინებთან მიმართებაში, დააკვირდით, თუ რა ემართებათ ამ წერტილებში შემაჯამებელ ვექტორებს. პანელი (ა) გვიჩვენებს ერთ მეოთხედზე შემოტრიალებას ვექტორებისა საათის ისრის საპირისპირო მიმართულებით და გადაადგილებულ წერტი-



**ნახ. 23-17** ლოტკა-ვოლტერას მოდელში  $P$  და  $H$  დერძებთან მიმართებაში მტაცებელი და მსხვერპლი იზოკლინების ორიენტაციის ცვლილების ეფექტი. (ა) იზოკლინები ტრიალფებიან ერთი მეოთხედით საათის ისრის საპირისპირო მიმართულებით, რაც იწვევს სისტემის დეტაპილიზაციას. (ბ) მოდელის ძირითადი პირობები, რომელიც ნეიტრალურ წონას ნიმუშობას იწვევს. (გ) ერთ-მეოთხედით საათის ისრის მიმართულებით შეტრიალება. (დ) ნახევარზე საათის მიმართულებით შებრუნება. ორვე საათის ისრის მიმართულებით შეტრიალება იწვევს სისტემის სტაბილიზაციას.  $A$ ,  $B$ ,  $C$  და  $D$  ნერტილები იგივე პოზიციაში ნარჩენდებიან იზოკლინებთან მიმართებაში როგორიცის განმავლობაში. შემაჯამებელი ვექტორი შეიძლება შეიცვალოს ბრუნვასთან ერთად. (იხ. ნახ. 23-6.)

ლებს. შეადარეთ, თუ რა ხდება წერტილში ბრუნვამდე და მის შემდეგ. გადატრიალებამდე (ბ) პანელში წერტილი მდებარეობს პოზიციაში, სადაც მტაცებლის ზრდის ტემპი უარყოფითია ( $H < \hat{H}$ ), ხოლო მსხვერპლის ზრდის ტემპი – დადებითი ( $P < \hat{P}$ ). მტაცებლისა და მსხვერპლის პოპულაციაში ცვლილების მიმართულება მოცემულია  $P$ -ს და ღერძების პარალელური მწვანე ვექტორებით. შემაჯამებელი ვექტორი ( $\hat{M}_A$ ) მიმართულია ქვემოთ და მარჯვნივ, რაც აღნიშნავს მტაცებლის პოპულაცის ზოგად კლებას და ზრდას მსხვერპლის პოპულაციაში. (ა) პანელში წერტილის შედარებითი პოზიცია მტაცებლისა და მსხვერპლის იზოკლინებთან მიმართებაში იგივე რჩება და ამრიგად, რჩება მწვანე ვექტორები, რომლებიც აღნიშნავენ ზრდის ტენდენციებს. მაგრამ ახალ კონფიგურაციაში შემაჯამებელი ვექტორები აღნიშნავენ, რომ ტრაექტორიები შეეჯახებიან ერთ-ერთ ღერძს და ამრიგად, მოახდენენ სისტემის დესტაბილიზაციას. ხრიკი ღერძების გადატრიალების ეფექტის გაგებისთვის არის იმის გაცნობიერება, რომ მანამ სანამ წერტილი რჩება იგივე შედარებით პოზიციაში იზოკლინებთან მიმართებაში, მწვანე ვექტორები დარჩებიან და ღერძების პარალელური. ამრიგად, ღერძების საათის ისრის საპირისპირო მიმართულებით გადატრიალება სისტემის დესტაბილიზაციას ახდენს.

როდესაც ღერძებს ატრიალებენ საათის ისრის მიმართულებით, მიიღონ სტაბილური განარტივება. (ც) პანელი გვიჩვენებს ერთ მეოთხედზე შეტრიალებას საათის ის-

რის მიმართულებით. შემაჯამებელი ვექტორები ახლა პირდაპირ იზოკლინებისკენ მიუთითებენ, რაც აღნიშნავს იმას, რომ ტრაექტორია სტაბილური იქნება. ნახევარი ბრუნი საათის ისრის მიმართულებით (დ) პანელში გვაძლევს შემთხვევას, სადაც იწვევს ყველაზე სტაბილურ მდგომარეობას, სადაც ტრაექტორიები პირდაპირ მიუთითებს ( $\hat{H}, \hat{P}$ ) ნერტილისკენ. ამ სავარჯიშოს მიზანი არის იმის ხაზგასმა, რომ ისეთ მოდელებში, როგორიცაა ლოტკა-ვოლტერას განტოლებები, იზოკლინების ორიენტაცია მსხვერპლის და მტაცებლის სიჭრაბესთან მიმართებაში განსაზღვრავს სისტემის სტაბილურობის ხარისხს. ახლა მოდით, განვიხილოთ გარკვეული ბიოლოგიური პირობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს იზოკლინები, რომლებიც განსხვავდებიან ლოტკა-ვოლტერას მოდელის მარტივი ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზებისგან.

## ლოგისტიკური თვითშეზღუდვის ეფექტი

მთელი რიგი ეკოლოგებისა მიიჩნევენ, რომ ლოტკა-ვოლტერას მოდელისთვის ბიოლოგიური რეალიზმის შემატების ერთი საშუალება არის სიმჭიდროვეზე დამოკიდებული ელემენტის შემოყვანა, რომელიც ზღუდვას მტაცებლის ან მსხვერპლის პოპულაციის ზრდას (Berryman 1992). მაგალითად, მსხვერპლთა განტოლება (23-1)-ში, ჩვენ შეგვიძლია, გავამრავლოთ ტერმინი ( $1 - H/K$ ), სადაც არის მსხვერპლის გადატან-

ითი შესაძლებლობა, მსხვერპლის ზრდის ტემპზე ( $rH$ ) რათა მივიღოთ შემდეგი განტოლება:

$$\frac{dH}{dt} = rH - \frac{H}{K} - pHP.$$

ამ განტოლების ნულთან გატოლებით და წონას-ნორეობრივი სიდიდის  $-s$  ძიებით (ის. ნაწილი 23.2), ჩვენ ვიღებთ, რომ  $\hat{P} = r/p(1 - H/K)$ . ამ ფორმულირებაში, წონასნორბის სიდიდე  $\hat{P}$  მსხვერპლი პოპულაციის  $H$  სიმჭიდროვის შემცირებადი ფუნქციაა. ეს შემთხვევა ასახულია ნახ. 23-18-ში. თვითშეზღუდვა მსხვერპლის პოპულაციაში იწვევს სისტემის სტაბილურობას.



ლოგისტიკური თვითშეზღუდვა შეიძლება ასევე იქნას ჩართული მტაცებლის განტოლებაში. ლისლიმ (1948) შემოგთავაზა შემდეგი განტოლება მტაცებელთა განტოლებიდან:

$$\frac{dH}{dt} = pHP - \frac{cP}{H}$$



სადაც  $c$  არის მსხვერპლის ის რაოდენობა, რომელიც სჭირდება ერთ მტაცებელს იმისთვის, რომ შეინახოს თავისი თავი და წარმოშვას ნაშეირები. ამ განტოლებას აქვს მსხვერპლის და მტაცებლის შეფარდების ( $P/H$ ) პროდუქტის ( $PH$ ) მაგივრად გამოყენების უნიკალური თვისება. ამგვარ მოდელებს ეწოდებათ შე-

ფარდებაზე დამკიდებული მოდელები (Berryman 1992, Ginzburg and Akçakaya 1992, Arditi and Saiah 1992, Gutierrez 1992, Slobodkin 1992). ამ განტოლებაში  $H$ -ის ძიებით, ჩვენ ვიღებთ  $\hat{H} = cp$ , რაც იმას აღნიშვნას, რომ მსხვერპლის წონასნორბისა ხაზოვნად იზრდება მტაცებლის სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად. როდესაც მტაცებლის ეს განტოლება გამოიყენება მსხვერპლის პორიზონტალურ იზოკლინებთან, სისტემა არასტაბილურია. თუმცა როდესაც ორივე ზემოთხსენებული განტოლებაა ჩართული, შედეგად ვიღებთ სტაბილურ პირობებს (ნახ. 23-18ბ).

ლოგისტიკური თვითშეზღუდვის ელემენტი მსხვერპლის განტოლებაში (23-8) საშუალებას აძლევს მსხვერპლის იზოკლინს, შემცირდეს მსხვერპლის პოპულაციის ზომასთან ერთად. ანუ, მსხვერპლის რაოდენობის კლებასთან ერთად მსხვერპლის წონას-ნორეობრივი რიცხვი  $\hat{H}$  მცირდება. ლოგისტიკური ელემენტის ჩართვა მტაცებლის განტოლება (23-9)-ში ასევე იწვევს მტაცებელთა გადახრილ იზოკლინებს, ნარმოადგენს რა დადებით რეაქციას მტაცებლის პოპულაციაში მსხვერპლის ზრდაზე. მტაცებლისა და მსხვერპლის გადახრილი იზოკლინები ბიოლოგიურად უფრო ლოგიკურია. მეტიც, მოდელი იწვევს სტაბილურ წონასნორბას, როგორც ეს ზემოთ იქნა ნაჩვენები.



**ნახ. 23-18** ლოგიკა-ვოლტერას მტაცებელი-მსხვერპლის მოდელი. შემაჯამებელი ვექტორები ითხოვთ სხვადასხვანერტილისთვის ნაჩვენებია მარცხნივ და შესაძლო ტრაექტორია ნაჩვენებია მარჯვნივ.




(ა) მოდელი, რომელშიც ადგილი აქვს თვითშეზღუდვას მსხვერპლის ზრდის ტემპში. ეს იწვევს მსხვერპლის იზოკლინს, რომელიც იხრება მარჯვნიდან (მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვე) მარჯვნივ (მსხვერპლის მაღალი სიმჭიდროვე). სისტემა სტაბილურია მანამ, სანამ  $H$  შედარებით სტაბილურია. (ბ) მოდელი, რომელშიც ადგილი აქვს როგორც მსხვერპლის, ისე მტაცებლის პოპულაციათა თვითშეზღუდვას. ეს სისტემა სტაბილურია.

### არასწორხაზოვანი იზოკლინები

მაიქლ ლ. რიზენცვაიგმა და რობერტ ჰ. მაკარტურმა (1963) გვიჩვენეს, რომ გარკვეულმა ბიოლოგიურმა მოსაზრებებმა შეიძლება შეცვალონ არა მხოლოდ იზოკლინების ორიენტაცია ღერძებთან მიმართებაში, როგორც ეს ზემოთ ენახეთ, არამედ ასევე მათი ფორმაც. იზოკლინების ფორმის შეცვლამ შეიძლება შეცვალოს სისტემის სტაბილურობაც. ჯერ მოდით, მსხვერპლის ბიოლოგია განვიხილოთ. მტაცებლების არარასებობის პირობებში მსხვერპლის პოპულაციას ზღუდავს გარემოს გადატანითი შესაძლებლობა

(K), რომელიც განისაზღვრება საკვებისა და სხვა რესურსების ხელმისაწვდომობით. შედეგად, მსხვერპლის იზოკლინი ქვემოთ არის მიმართული -ღერძის მიმართ მსხვერპლის რიცხვის ზრდასთან ერთად, კვეთს რა ღერძის წერტილში. ეს შესწორება ნაჩვენებია ნახ. 23-19ბ-ში. ეს მოდელი მიჰყვება პოპულაციის ლოგისტიკური ზრდის მაგალითს. ის ეკვივალენტურია მსხვერპლის ღერძის საათის ისრის მიმართულებით გადატრიალებისა, როგორც ეს ნაჩვენებია წერტილისთვის ორიენტაციის შეცვლით და შესაბამისად, მას სტაბილიზაციის ეფექტი აქვს.

ორი საპირისპირო ფაქტორი მსხვერპლის იზო-



**ნახ. 23-19** მსხვერპლის იზოკლინის შესაძლო კონფიგურაციები, იმისთვის, რომ შეიძინოს მეტი ბიოლოგიური რეალობი. (ა) ლოტკა-კოლტერას ძირითადი მოდელი ვერტიკალური მტაცებლის და პირი ზონტალური მსხვერპლის იზოკლინებით. (ბ) მტაცებლის დაბალი სიმჭიდროვისას მსხვერპლი პოპულაცია შეიძლება შეზღუდული იყოს თავისი საცუთარ სიმჭიდროვით, რაც იწვევს იზოკლინების დახრას  $H$ -ღერძის მიმართ, მოდის რა მასთან შეხებაში გადატანითი შესაძლებლობის წერტილში. ეს იზოკლინის საათის ისრის მიმართულებით გადატრიალების ეკვივალენტურია და ამრიგად, მას მასტაბილი ზორებებით ეფექტი აქვს. (ც) მსხვერპლი პოპულაცია შეიძლება შეზღუდულ იქნას მსხვერპლი პოპულაციის დაბალი სიმჭიდროვით პოპულაციაში ახალი ინდივიდების შეზღუდული მატების გამო, რაც ნარმოდგენილია მსხვერპლის იზოკლინის დახრით  $H$ -ღერძის მიმართ მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვებისას. ეს საათის ისრის საპირისპირო მიმართულებით გადატრიალების ეკვივალენტურია. (დ) მტაცებლის უჭირთ მსხვერპლის მიზნება, როდესაც მსხვერპლი დაბალი სიმჭიდროვით მოიპოვება და ამრიგად ისრი აღნევენ მაღალ დონეებს მსხვერპლის პოპულაციის ზომაზე გავლენის მოხდენის გარეშე. ეს ხდება მოცემული დაბალი სიმჭიდროვისას მსხვერპლის იზოკლინების ზემოთ ატრიალებით. რაც ეკვივალენტურია იზოკლინის საათის ისრის მიმართულებით მოტრიალების (სტაბილიზაცია).


კლინებს ქმნის დაბალი სიმჭიდროვისას. ერთის მხრივ, მსხვერპლის მცირე პოპულაციებს შეუძლია, ასაზრდოს უფრო ნაკლები მტაცებლები, ვიდრე დიდი პოპულაციები, რადგან მცირე პოპულაციებში მატების ტემპი დაბალია. როგორც როზენცვაიგმა (1969) აღნიშნა, ეს აძლევს მსხვერპლთა იზოკლინებს დამახასიათებელ კუზიან ფორმას, სადაც ხაზი მიმართულია ქვემოთ მსხვერპლის ღერძისკენ როგორც დაბალი, ისე მაღალი სიმჭიდროვებისას. მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვისას მსხვერპლის იზოკლინის ქვემოთ -ღერძისკენ დახრა საათის ისრის საპირისპირო მიმართულებით შეტრიალების ეკვივალენტურია და ამრიგად, მას აქვს დესტაბილიზაციის ეფექტი (აღსანიშნავია წერტილის პოზიციის ცვლილება ნახ. 23-19ც-ში). მეორეს მხრივ, როდესაც მსხვერპლი იშვიათია, ის ძნელი აღმოსაჩენია, რადგან სულ უფრო მეტ მსხვერპლს შეუძლია, იპოვოს კარგი სამაღავი. შედეგად მტაცებლობა მცირდება და მსხვერპლის პოპულაციას უფრო მჭიდრო მტაცებელი პოპულაციის თანდასწრებით შეუძლია შენარჩუნდეს. გრაფიკულად ეს შეესაბამებ მარცხნივ მდებარე მსხვერპლის იზოკლინის ზემოთ შეტრიალებას (საათის ისრის მიმართულებით შეტრიალება) (23-19დ). მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვისას იზოკლინი ზემოთ შეტრიალდება, თუ ქვემოთ დამოკიდებულია ალტერნატიული მსხვერპლის ხელმისაწვდომობაზე და საპინადრო გარემოს ჰეტეროგენულობაზე, ამ უკანასკნელს ჩვენ უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

მტაცებლის იზოკლინი ასევე იხრება ბიოლოგიური რეალობის წონის ქვეშ (ნახ. 23-20). როდესაც მტაცებელთა პოპულაცია იზრდება, მისი საკვებზე მოთხოვნილებაც იზრდება და მტაცებლებმა უნდა დაიჭირონ მეტი მსხვერპლი იმისთვის, რომ მუდმივ დონეზე შეინარჩუნონ თავიანთი პოპულაცია. მტაცებლის იზოკლინი ამიტომაც უნდა იქნას შეტრიალებული


საათის ისრის მიმართულებით (ნახ. 23-10გ). მეტიც, უფრო მაღალი სოციალური მონანილეობა მტაცებლებს შორის (ტერიტორიულობა, მაგალითად) შეამცირებდა ეფექტურობას, რომლითაც ისინი მოიხმარენ მსხვერპლ რესურსებს და გადახრიდა მტაცებელთა იზოკლინებს კიდევ უფრო მარჯვნივ. ხელსაყრელი გასამრავლებელი ადგილების ან ალტერნატიული საკვები რესურსების ხელმისაწვდომობას ასევე შეუძლია, შეზღუდოს მტაცებელი პოპულაციის ზომა მსხვერპლის სიჭარბისგან დამოუკიდებლად, ინვევს რა მტაცებლის იზოკლინის პორიზონტალურობას მსხვერპლი პოპულაციის მაღალი სიმჭიდროვისას.

გრაფიკული მიდგომა გვიჩვენებს, რომ გარე შეზღუდვის ზემოქმედება მტაცებლის პოპულაციის ზრდაზე, მსხვერპლისთვის სამაღავი ადგილების და თაშესაფრის ხელმისაწვდომობა და გარკვეულ ვითარებაში ალტერნატიული მსხვერპლის ხელმისაწვდომობა, ყოველივე ეს მოქმედებს მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციის სტაბილიზაციაზე. ალტერნატიული მსხვერპლის გამოყენება საშუალებას აძლევს მტაცებლის პოპულაციას, გაიზარდოს მისთვის მთავარი მსხვერპლის სახეობის არარსებობის პირობებში. ამრიგად, მტაცებლის იზოკლინი ტრიალებს საათის ისრის მიმართულებით პორიზონტალური პოზიციისკენ, რომელ უკიდურესობაზეც მისი ზრდა სრულიად დამოუკიდებელი იქნება ერთი ტიპის მსხვერპლის სიმჭიდროვისგან (ნახ. 23-20ც).

ბიოლოგიური მოსაზრებები მრავალმხრივად ცვლიან მტაცებელი-მსხვერპლის სისტემების სტაბილურობას. მსხვერპლის კუზიანი იზოკლინისთვის სისტემა სტაბილურია, როდესაც მტაცებლის იზოკლინი მდებარეობს კუზის მარჯვნივ და არასტაბილურია. როდესაც ის მარცხნივ მდებარეობს (ნახ. 23-21). ანუ, მტაცებლის მზარდი ეფექტურობა ამცირებს სისტემის ეფექტურობას ყველა დანარჩენის თანაბრობის პირო-



**ნახ. 23-20** მტაცებლის იზოკლინის შესაძლო კონფიგურაციები, რათა მათ მოიცავან უფრო მეტი ბიოლოგიური რეალიზმი. (ა) ძირითადი ლოგიკა-ეოლტერას მოდელი მტაცებლის ეფექტური და მსხვერპლის პორიზონტალური იზოკლინებით. (ბ) მტაცებლის იზოკლინი შეიძლება გადახახაროს მარჯვნივ მტაცებელთა მაღალი სიმჭიდროვეებისას მტაცებლებს შორის სოციალური შეჯახებების, შეზღუდული გამრავლების ადგილების ან საკეებზე გაზრდილი მოთხოვნის გამო. (ც) თუ მტაცებელი ცვლის მსხვერპლს მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვისას, მტაცებლის იზოკლინი შეიძლება თითქმის პორიზონტალური გახდეს.




**ნახ. 23-21** (ა) როდესაც მტაცებლის იზოკლინი განლაგებულია მრუდის ფორმის მსხვერპლის იზოკლინის პიკის მარცხენა მხარეს სისტემა არასტაბილურია. (ბ) როდესაც მტაცებლის იზოკლინი მარჯვენა მხარესაა და პიკთან ახლოსაა, სისტემა სტაბილურია.

ბებში. როდესაც მტაცებლობის ვერტიკალური იზოკლინი მრუდთან ახლოს მდებარეობს, სისტემამ შეიძლება გამოავლინოს შინაგანი მასტაბილიზირებელი თვისებები, რომლებიც ინვევენ სტაბილურ უკიდურეს ციკლებს (May 1972a, 1975b, Gilpin 1974).

გრაფიკული ანალიზი გულისხმობს, რომ ბიოლოგიურად რეალურ პირობათა უმრავლესობაში, ჩვენ უნდა მოველოდეთ, რომ მტაცებლისა და მსხვერპლის ინტერაქციები დიდად სტაბილური იქნება. პოპულაცია-თა ციკლები შეიძლება გამონაკლის წარმოადგენდეს. მაშინ, როგორ შეგვიძლია, გამოვავლინოთ ბუნებაში პოპულაციათა ციკლების ფართოდ გარეულებული არსებობა? ერთი შესაძლებლობა არის, რომ ისინი წარმოადგენენ სტაბილურ უკიდურეს ციკლებს (სტაბილური ოსცილაციები; იხ. თავი 18). მაგრამ პირობები, რომლებიც საჭიროა ამგვარი სტაბილური ოსცილაციების შესანარჩუნებლად, ვიწროდ არის შეზღუდული და ძალიან არის დამოკიდებული მტაცებლისა და მსხვერპლის იზოკლინების განსაკუთრებულ გორემეტრიაზე. მაგალითად, როდესაც მტაცებელი ეფექტურია, მაგრამ მსხვერპლს აქვს საიმედო თავშესაფარი და სა-


მალავები, რომლებიც იცავენ მას პოპულაციის ძალიან დაბალი სიმჭიდროვისას, მტაცებლისა და მსხვერპლის იზოკლინების გეომეტრიას შეუძლია, შექმნას სტაბილური ციკლი (ნახ. 23-22). მაშინ, როდესაც მტაცებლისა და მსხვერპლის იზოკლინების ინტერაქციამ შეიძლება გამოიწვიოს გარეთსპირალირებადი პოპულაციის ტრაექტორია, ეს სპირალი საბოლოო ჯამში შეჩერებულია თავშესაფრის არსებობით ან ეკვივალენტურად მსხვერპლის იმიგრაციის გარკვეული მუდმივი ტრაექტორის არსებობით. მსხვერპლის შებრუნებულ იზოკლინთან დაპირისპირებისას მტაცებელი პოპულაციის ტრაექტორია ეშვება მის განვრივ თითქოს ის „უსაფრთხო“ დერეფანი იყოს, სანამ მტაცებლი საკმარისად იშვიათი გახდება იმისთვის, რომ მსხვერპლმა შეძლოს ხელახლა ზრდა. ეს გამოიწვევდა სტაბილურ ოსცილაციას, რადგანაც მიუხედავად იმისა, თუ სად შეხვდა პირველად უსაფრთხო ზონას, ის ყოველთვის გაგრძელდებოდა გარკვეულ (A) წერტილამდე, სანამ გადაეშვება ახალ ციკლში.



**ნახ. 23-22** სტაბილურობის შესაძლო პირობები მერყევი მტაცებელი-მსხვერპლის სისტემებისთვის. ციკლი წარჩუნდება მტაცებლის (ზავი) და მსხვერპლის იზოკლინების (მნავენ) გადაკეთისას წარმოშობილი მადესტაბილიზირებად გავლენასა და „უსაფრთხო“ ზონის მასტაბილიზირებელ გავლენას შორის ძალანსის საშუალებით.

### 23.8 მტაცებელი-მსხვერპლის სისტემების შეიძლება პერიოდი როი სტაბილური ცონას ცონას

როდესაც მსხვერპლის წონასწორობის იზოკლინი მრუდს წარმოადგენს და მტაცებელს შეუძლია, გადაერთოს ალტერნატიულ მსხვერპლზე, მტაცებლისა და მსხვერპლის წონასწორობის ხაზები შეიძლება გადაიკვეთონ ორ ადგილას (ნახ. 23-23ა). ამ შემთხვევაში წონასწორობის წერტილი მარჯვენა მხარეს სტაბილურია (იხ. ნახ. 23-21), ხოლო მარცხენა მხარეს არსებული კი – არა. მარცხენა წონასწორობის წერტილთან სიახლოვეს მტაცებლისა და მსხვერპლის პოპულაციების კომბინაციები მსხვერპლის ზრდის რეგიონის ფარგლებში, მიმართული იქნება უფრო მაღალი, სტაბილური წონასწორობისკენ. იგივე კომბინაციები ამ რეგიონის ფარგლებს გარეთ იმოძრავებს მტაცებლის ღერძისკენ და ამრიგად, მსხვერპლის გამოდევნისკენ. რადგანაც როგორც წესი, მარცხენა




**ნახ. 23-23** (ა) მტაცებლის (შავი) და მსხვერპლის (მწვანე) პოპულაციებს შორის ინტერაქციის მაგალითი, რომელსაც წონასწორობის ორი წერტილი აქვთ, ერთი სტაბილური და მეორე – არასტაბილური. (ბ) მტაცებლი (შავი) და მსხვერპლი (მწვანე) პოპულაციების ინტერაქციის მაგალითი, რომელსაც არსებობს ზედა და ქვედა სტაბილური წონასწორობა (A და C) და შუალედური არასტაბილური წერტილი (B). სისტემა შეიძლება დახტუნავდეს ერთი წონასწორობის წერტილიდან მეორეზე, თუ მოვღენა ინვერს მსხვილ ცვლილებას მსხვერპლის პოპულაციის ზომაში, როგორც ნაჩვენებია შავი ხაზის საშუალებით, რომელიც აღნიშნავს მსხვერპლის ზრდას  $H_1$ -დან  $H_2$ -ზე. სისტემა მოდის წონასწორობის გავლენის ქვეშ.

წონასწორობის წერტილიდან გამოსვლისას პოპულაციები მიმართულია მისგან მოშორებით, მას არასტაბილურს უწოდებენ.

როდესაც მსხვერპლს აქვს თავშესაფარი დაბალი სიმჭიდროვებისას, იმ მტაცებლის იზოკლინმა, რომელსაც ჰყავს ალტერნატიული მსხვერპლი, შეიძლება გადაკვეთოს მსხვერპლის იზოკლინი სამ წერტილში, რომელთაგან ორი, სტაბილური წონასწორობისაა (ნახ. 23-23ბ). ამგვარ შემთხვევებში მტაცებელი-მსხვერპლის სისტემა შეიძლება დარეგულირებულ იქნას ორიდან ერთ წერტილში და გარემოს გარკვეულმა პირობებში შეიძლება გამოიწვიონ მისი გადართვა ერთი წერტილიდან მეორეზე. მაგალითად, თუ მტაცებელი-მსხვერპლის სისტემა წონასწორობაშია ნახ. 23-23ბ-ს წერტილში, მსხვილი რეპროდუქციული ნამატი მსხვერპლის მიერ, რომელმაც გადაადგილა მსხვერპლის პოპულაცია  $H_1$ -დან  $H_2$ -ზე, მოაქცევდა სისტემას წონასწორობის C წერტილის გავლენის ქვეშ.

გაიხსენეთ, რომ მტაცებლის გადართვა ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ მსხვერპლის იზოკლინი თითქმის პორიზონტალურია. ანუ, მტაცებელი პოპულაციის სიმჭიდროვე შეიძლება იყოს მაღალი მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვისას, რადგან მტაცებელი უბრალოდ გადაერთვება სხვა ტიპის მსხვერპლზე. მტაცებლის გადართვის პოტენციური როლის გამო, იზოკლინთა გეომეტრიის შექმნაში მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციები განიცდიდნენ მეორე სახის გრაფიკულ ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ფუნქციონალური რეაქციის მრუდზე, რასაც ჩვენ შემდეგში განვიხილავთ.

მოდით, ახლა ერთი წუთით დავანებოთ თავი მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციებზე ფიქრს მტაცებელი-მსხვერპლის პოპულაციათა ზომების (სივრცე განსაზღვრული და დერქებით) სივრცეში და განვიხილოთ ურთიერთობა იმ მსხვერპლის მატების ტემპსა (ტემპი, რომლითაც მსხვერპლი მატებს ინდივიდებს თავის პოპულაციას) და იმ ტემპს (ანუ ფუნქციონალურ რეაქციას) შორის, რომლითაც მტაცებლები ჩამოაშორებენ მათ პოპულაციას (ნახ. 23-24). როგორც მატების ტემპი, ისე ფუნქციონალური რეაქცია დამოკიდებულია მსხვერპლი პოპულაციის ზომაზე, ასე რომ, ჩვენ ვინარჩუნებთ -დერძს. დავუშვათ, ვერტიკალური დერძი წარმოადგენს მსხვერპლი პოპულაციის რაღაც პროპორციას. მტაცებლობის მრუდი (მწვანე ხაზი) არის მტაცებელი პოპულაციის ფუნქციონალური და რიცხობრივი რეაქციების ჯამი. მტაცებლობის ტემპი შეიძლება დაბალი იყოს მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვისას გადართვის ან იშვიათი მსხვერპლის აღმოჩენის სიძნელის გამო. ის ასევე მც-




**ნახ. 23-24** მტაცებლობა და მატების ტემპები ჰიპოთეტურ მტაცებელი-მსხვერპლის სისტემაში. მწვანე ხაზი გვაძლევს მტაცებლის კომბინირებულ ფუნქციონალურ და რიცხობრივ რეაქციებს, რაც გვიჩვენებს მსხვერპლის მოხმარების დაბალ ტემპს (გაზომილია როგორ მოხმარებული მსხვერპლის პოპულაციის პროპორცია) მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვისას. ყველაზე მაღალი მოხმარება არის მსხვერპლის საშუალო სიმჭიდროვისა ( $H_1$ -სა და  $H_2$ -ს შორის). მსხვერპლის მატების ტემპი მტაცებლის არასტაბობის პირობებში მოცემულია ნაცრისფერი ხაზის საშუალებით. როდესაც მტაცებლობა აჭარბებს მატებას, მსხვერპლის პოპულაციები მცირდება. ამას ადგილი აქვს ყოველთვის, როდესაც მსხვერპლი პოპულაცია ნაცვლებია  $H_1$ -ზე ან  $H_2$ -სა და  $H_3$ -ს შორისაა. და ჩ წერტილები სტაბილური წონასწორობის წერტილებია მსხვერპლის პოპულაციის თავისი.

ირდება მსხვერპლის მაღალი სიმჭიდროვეებისას მტაცებლის დანაყრების და მტაცებელი პოპულაციების გარეშე შეზღუდვის გამო. მტაცებლობის მრუდი ნახ. 23-24-ში წარმოადგენს III ტიპის ფუნქციონალურ რეაქციას. მატების მრუდი (წაცრისფერი ხაზი) არის მსხვერპლის შობადობისა და სიკვდილიანობის სუფთა წვლილი მტაცებლების არარსებობის პირობებში. ამრიგად, ერთ სულ მოსახლეზე მატების ტემპი არის მაღალი, როდესაც მსხვერპლი პოპულაცია მცირეა და ნულდება, როცა პოპულაცია უახლოვდება გადატანით შესაძლებლობას.

მატებისა და მტაცებლობის მრუდები ნახ. 23-24-ში დახაზული იქნა წონასწორობის სამი წერტილის სანამოებლად, რომლებიც პომოლოგიურია წონასწორობასთან ნახ. 23-23ბ-ში. ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი წერტილები წარმოადგენენ სტაბილურ წონასწორობას, რომლის გარშემოც პოპულაციები რეგულირდებიან. შეუალებული წონასწორობა არასტაბილურია. უფრო დაბალი წონასწორობის წერტილი () შეესაბამება შემთხვევას, სადაც მტაცებლები არეგულირებენ მსხვერპლის პოპულაციას გადატანით შესაძლებლობიდან (K) არასტაბითად ქვემოთ. წონასწორობის ზედა წერტილი (C) შეესაბამება შემთხვევას, სადაც მსხვერპლი პოპულაცია რეგულირდება უპირველესად საკვებისა და სხვა რესურსების ხელმისაწვდომობის საშუალებით. მტაცებლობა ახორციელებს მცირე დამთრგუნველ გავლენას პოპულაციის ზომაზე.

ვთქვათ, მსხვერპლი ნახ. 23-24-ში ნაჩვენებ შემთხვევაში არის მნიშვნელოვანი სასოფლო სამეურნეო მოსავლის პარაზიტი და მტაცებელი არის ბიოლოგიური მაკონტროლებელი პირი. ფერმერის თვალსაზრისიდან, რაც ნაკლები მსხვერპლია მიდნორში მით უკეთესია, მაშინაც კი, თუ შესაძლებელია კარგი მოსავლის აღება პარაზიტთა მიერ მცირე დაზიანებისას, სანამ ზიანი არ არის დიდი. ამრიგად,  $H_1$ -ის ქვემოთ მსხვერპლის დონე შეიძლება მისაღები იყოს, რა შემთხვევაშიც გადართვითი ქვევა მტაცებელს არ შექმნის პრობლემას. თუმცა, თუ მცირე რაოდენობის მსხვერპლიც კი ინვეს მნიშვნელოვან ზიანს, მტაცებელი ალბათ არ არის ეფექტური მაკონტროლებელი პირი, რადგან მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვისას მსხვერპლი იზრდება. მსხვერპლის მაღალი დონე, როგორიცაა  $H_2$ -სა და  $H_3$ -ს შორის არსებული დონე, მიუღებელი იქნება ფერმერისთვის და სწორედ ამაში არის პრობლემა ამ კონკრეტულ სისტემასთან დაკავშირებით. მტაცებლები ინარჩუნებენ მერყეო კონტროლს მსხვერპლის პოპულაციაზე წერტილში. თუ ძლიერი ყინვა ან შემოტანილი დაავადება შეამცირებს მტაცებლის პოპულაციას საემარისად ხანგრძლივად იმისთვის, რომ საშუალებას მისცემს მსხვერპლის პოპულაციას, გაიზარდოს და გასცდეს წერტილს, მსხვერპლი გააგრძელებს ზრდას ზედა სტაბილური წონასწორობის წერტილამდე (C), იმის მიუხედავად გამომჯობინდა მტაცებელი პოპულაცია თუ არა. ფერმერისთვის ეს ნიშნავს, რომ მოსავლის მავნებელი, რომელიც როგორც წესი, კონ-



**ნახ. 23-25** მტაცებლობის და მატების მრუდები მტაცებლობის სხვადასხვა ინტენსივობებზე, რომლებიც გვიჩვენებენ მას გავლენას წონასწორობს რიცხვზე. მტაცებლობის ტემპი (წაცრისფერი ხაზი) კომპინირებული მტაცებლის ფუნქციონალური და რიცხობრივი რეაქციების შედევრია. მსხვერპლის მატების მრუდი მტაცებლის არარსებობისას წარმოადგენილია შავი ხაზით დაჩრდილული არეალები გვიჩვენებენ პირობებს, სადაც მსხვერპლის პოპულაციები იზრდება. (ა) მტაცებლობის ეფექტი არ ახდენს გავლენას მსხვერპლის პოპულაციაზე მანამ, სანამ ის რჩება გადატანით შესაძლებლობის ქვემოთ. (ბ) ნახ. 23-24-ში ნაჩვენებ შემთხვევა, სადაც მსხვერპლის მოხმარების ტემპი დაბალია როგორც დაბალი, ისე მაღალი მსხვერპლის სიმჭიდროვეებისას და მაღალია შეუალებური სიმჭიდროვეებისას. (გ) მსხვერპლის პოპულაცია განიცდის ზრდას მანამ, სანამ ის არის  $H_1$ , წერტილს ქვემოთ, რაც არის დაახლოებით მისი გადატანით შესაძლებლობის ნახევრის ტოლი. (დ) მტაცებლობის მოქმედება ძლიერია მსხვერპლის პოპულაციის ყველა სიმჭიდროვისას. ამგვარი შემთხვევა გამოიწვევდა მსხვერპლის გამოდევნას სისტემიდან.

ტროლდება და ნარჩუნდება დაბალ დონეზე მტაცებლებისა და პარაზიტების მიერ, მოულოდნელად გახდა სახიფათოდ ეპიდემიური. ამგვარი მატების შემდეგ მტაცებლებს შეუძლიათ, განახორციელონ მცირე კონტროლი მავნებელთა პოპულაციაზე, სანამ გარემოს რომელიდაც კრიტიკული შემთხვევა დაიყვანადა მის რიცხვებს B-ს ქვემოთ, უკან მტაცებლის კონტროლის ფარგლებში.

ამგვარი სცენარის მაგალითის სახით, კარვის მუხლუხობის მატებას კანადის პრერიულ პროვინციებში, როგორც წესი, 2-4 წლით წინ უსწრებს წელი, რომლის ზამთარიც არანორმალურად ცივია და გაზაფხული – არანორმალურად ცხელი (Ives 1973). ეს პირობები არღვევენ ნორმალურ ბალანსს კარვის მუხლუხოსა და მის მტაცებელსა და პარაზიტს შორის. ინვაზია კონტროლს ექვემდებარება რამდენიმე ცივი ზამთრის საშუალებით, რომლებიც კლავენ კარვის მუხლუხოს კვერცხის დიდ უმრავლესობას (Witter et al. 1975).

მტაცებლობა-მატების დიაგრამის გამოყენებით ნახ. 23-24-ში ჩვენ შევიძლია განვიხილოთ მტაცებელთა სხვადასხვა დონის შედეგები მტაცებელი პოპულაციის კონტროლისთვის (ნახ. 23-25). არაეჭერტურ მტაცებლებს არ შეუძლიათ, არეგულირონ მსხვერპლის პოპულაციები დაბალ სიმჭიდროვებზე. ისინი მცირედ თრგუნავენ მსხვერპლის რიცხვს, მაგრამ მსხვერპლი პოპულაცია რჩება რესურსების მიერ დადგენილ ნონასნორობის დონესთან ახლოს (ნახ. 23-25ა, C წერტილი). მტაცებლის გაზრდილ ეფექტურობას მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვისას შეუძლია გამოიწვიოს მტაცებლის კონტროლი წერტილში (ნახ. 23-25ბ).

როდესაც ფუნქციონალური და რიცხობრივი რეაქციები საკმარისია მტაცებლების მაღალი სიმჭიდროვების შესანარჩუნებლად, მტაცებლობაშ შეიძლება ეფექტურად შეზღუდოს მსხვერპლის ზრდა ყველა პირობებში და ნონასნორებრივი წერტილი ჩ ქრება (ნახ. 23-25ც). საპალოოდ, მტაცებლობა შეიძლება ისეთი ინტენსიური გახდეს მსხვერპლის ყველა სიმჭიდროვისას, რომ მსხვერპლი გადაშენებამდე იჭმევა (ნახ. 23-25დ; არავითარი ნონასნორობის წერტილი). ჩვენ შეიძლება მოველოდეთ ამ შემთხვევას მხოლოდ მარტივ ლაბორატორულ სისტემებში ან როდესაც მტაცებელი პოპულაცია ნარჩუნდება მაღალ სიმჭიდროვებზე რაღაც ალტერნატიული, მაგრამ ნაკლებად სასურველი მსხვერპლის ხელმისაწვდომობით (ამრიგად, არავითარი გადართვა). მართლაც, მრავალი ეკოლოგი მომხრე იყო მავნებლების პარაზიტებისა და მტაცებლებისთვის ალტერნატიული მსხვერპლის მინოდებით ბიოლოგიური კონტროლის გაძლიერების მიზნით. გრაფიკული მრუდები ყველაზე ნაკლებ სავარაუდოდ მიიჩნევენ, რომ მტაცებლი-მსხვერპლის ნონასნორობის პოზიციას, არის ის მსხვერპლის ძალიან დაბალ დონეებზე, თუ ახლოს მათ გადატანით შესაძლებლობებთან, შეუძლია იმოძრაოს უკიდურესობებს შორისმცირე ცვლილებებით ახლო შესაბამისობაში მყოფ მტაცებლობისა და მატების

მრუდებში. ამგვარი მოსაზრებები ნონასნორობას ძალიან ნაკლებსავარაუდოს გახდიდა მსხვერპლის შუალედურ სიმჭიდროვეებზე ანუ მსხვერპლის ნონასნორობის იზოკლინის მრუდთან ახლოს.

მოველობა, როგორც მტაცებელი-მსხვერპლის სისტემა უძლებს ანალიზს, რადგან პოპულაციის ეფექტი გამონევეული მცენარეულობის მოხმარებისგან ძნელი დასადგენია. ნოი-მაირმა (1975) გვიჩვენა, რომ შესაძლებელია მცენარეთა ბიომასის ზრდას შევხედოთ ისევე, როგორც პოპულაციის ზრდას და ამრიგად, განვსაზღვროთ ბალახისმჭამელი-მცენარის სტაბილური წერტილები მტაცებელი-მსხვერპლის სისტემების გარფიკული ანალოგების გააზალების ზრდაზე-ბით, როგორც ეს წინათ გავაკეთეთ. ამრიგად, ზემოთ გამოთქმული მოსაზრება მრავალი სტაბილური წერტილის შესახებ მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციებში, თანაბრად გამოიყენება ბალახისმჭამელი-მცენარის სისტემებშიც.

### **23.9 ათაცეპალი-მსხვერპლის სისტემის აღნევენ მასასიათებელ პოპულაციათა თავარდობას**

მსხვერპლის პოპულაციის შესაძლებლობა, ასაზრდოოს მტაცებლები, ვარირებს სიმჭიდროვესთან ერთად. მცირე რაოდენობის მსხვერპლის პოპულაციას, შეუძლია, ასაზრდოოს მცირე ოდენობის მტაცებელი, რადგან მაშინ, როდესაც თითოეული მსხვერპლი ინდივიდის რეპროდუქციული პოტენციალი შეიძლება იყოს მაღალი, მცირე პოპულაციის მთლიანი მატების ტემპი დაბალია. მსხვერპლი პოპულაციები გადატანით შესაძლებლობასთან ახლოს ასევე არაპროდუქტიული არიან რადგან, იმის მიუხედავად, რომ მსხვერპლი მრავალრიცხვანია, თითოეული ინიდივიდის რეპროდუქციული პოტენციალი სასტიკად არის შეზღუდული შეჯგუფების ეფექტებით.

გარევეულ შუალედურ სიმჭიდროვეზე მსხვერპლის პოპულაციის მთლიანი მატების ტემპი აღწევს მაქსიმუმს (Ricker 1954, Beverton and Holt 1957, Watt 1968). რადგანაც მტაცებლებს შეუძლია, მთელი რიგი მსხვერპლი ინდივიდებისა ჩამოაშორონ პოპულაციას, რაც წლიური მატების ტემპის ეკვივალენტურია მსხვერპლის პოპულაციის ზომის შემცირების გარეშე, მსხვერპლის პოპულაციის სიმჭიდროვე, რომელიც ინვეს მაქსიმალურ მატებას, ზოგადად ასაზრდოებს ყველაზე დიდი რაოდენობის მტაცებლებს. ეს მოსაზრება ეთანხმება მსხვერპლის იზოკლინის პიკს მტაცებელი-მსხვერპლის გრაფიკულში. მატების ტემპი ამ წერტილში ცნობილია მაქსიმალურად მუდმივი მოგების სახელით (see May et al. 1979).

რანჩოს, სანადირო ფრინველებისა და ცხოველების მეპატრონები დაინტერესებული არიან საქონლის, ირმებისა და ბატების შესარჩუნებით თავიანთ რეპროდუქციულ დონეებზე იმისთვის, რომ მოახდინონ ადამიანის სურვილის მაქსიმალიზაცია, მოინადიროს

**ცხრილი 23-3 ურთიერთობა მტაცებლისა და მსხვერპლის პოპულაციებს შორის რამდენიმე ადგილას.**

ადგილმდებარეობა	მტაცებელი	მთავარი მსხვერპლი	მტაცებელთა სიმჭიდროვე (ინდივიდების 100 მილი <sup>-2</sup> )	შეფარდება მტაცებელ და მსხვერპლ პოპულაციებს შორის
ჯასპერის ეროვნული პარკი <sup>1</sup>	მგელი	ცხენ-ირემი, შავკუდიანი ირემი	1	1 : 100
ვისკონსინი <sup>2</sup>	მგელი	თეთრკუდიანი ირემი	3	1 : 300
ისლე როიალი <sup>3</sup>	მგელი	ამერიკული ცხენ-ირემი	10	1 : 30
ალგონკინის პარკი <sup>4</sup>	მგელი	კარიბუ	10	1 : 150
კანადური არქტიკა <sup>5</sup>	მგელი	დიდი გრძელყურება კურდლელი	1.7	1 : 84
იუტაზ, აიდაჰოს პირველყოფილი არეალი <sup>7</sup>	მთის ლომი	ცხენ-ირემი, შავკუდიანი ირემი	28	1 : 1,000
ნგორონგოროს კრატერი ტანზიაში <sup>8</sup>	გიენა	ჩლიქოსნები	440	1 : 116
ნაირობის პარკი კენიაში <sup>9</sup>		ჩლიქოსნები	96	1 : 135
ალიასკა <sup>10</sup>	აფთარი	ლემინგები		1 : 1,263
				1 : 90

ეს სახეობები მათი პოპულაციების შემცირების გარეშე. ჩვენ შეიძლება ვიკითხოთ, მტაცებლები გონივრულად ახდენენ თავიანთი მსხვერპლის მერეჯმენტს თავიანთი საკუთარი პიპულაციის გამრავლების მაქსიმალიზაციისთვის თუ არა. თუ ეს ასეა, როგორ წარმოიშვა ამგვარი ქცევა?

ტერიტორიულ ცხოველებს, რომლებიც გამოდევნიან კონკურენტებს თავიანთი საკუთარი არეალებიდან, შეუძლიათ მართლაც განალაგონ თავიანთი თავი მსხვერპლთან მიმართებაში ისე, რომ მიაღწიონ მაქსიმალურ მოგებას. ადამიანებიც არ იქცევიან ამისგან განსხვავებულად. რანჩიოებს სწორი მერეჯმენტით — კონკურენტული ჯგუფების გამოსაყოფი ლობებით, შეუძლიათ მიაღწიონ მაქსიმალურად მუდმივ მოგებას. თუმცა, ძლიერ კონკურირებად შემთხვევაში — თევზაობა საერთაშორისო წყლებში ამის ერთ-ერთი მაგალითია, ადამიანთა მოდგმამ დაამტკიცა, რომ არის პათეტიკურად არაშორისმტკვრეტელი და წინდაუხედავი. ამაზე მეტყველებს მრავალი სახეობის თევზის და სხვა სახის ზღვის საკუთარი პროდუქტის დრამატულად შემცირება (Beverton and Holt 1957, Cushing 1975). ვებაბის პიპულაციების ზედმეტმა ექსპლუატაციამ ასევე გამოიწვა მათი ზოგიერთი სახეობის თითქმის გადაშენება და ამით განირა ვეშაპებზე ნადირობის ინდუსტრია (Laws 1962, 1977, McVay 1966).

შემთხვევათა უმეტესობაში მსხვერპლი პიპულაციის ექსპლუატაციის დონე განისაზღვრება მტაცებლის მონაცირების უნარის შედარებით მსხვერპლის უნართან, თავი აარიდოს დაჭრას. ორივე მახასიათებელი განვითარებულია ევოლუციის შედეგად. იმის მიუხედავად, მტაცებლები წინდახედულად მოქმედე-

ბენ, თუ არა, მსხვერპლის პიპულაციის გამოყენებისას მაქსიმალურად მუდმივი მოგების მისაღებად, ისინი ხშირად აღნევენ მახასიათებელ წონასწორობას თავიანთი მსხვერპლ პიპულაციებთან. ურთიერთობა მგლებსა და სხვადასხვა მსხვერპლ პიპულაციას შორის რამდენიმე ადგილს ახდენს ამ წონასწორობის დემონსტრირებას საკმაოდ კარგად (ცხრილი 23-3). პიპულაციათა შეფარდები და კერძოდ ბიომასათა შეფარდებები (მგლის 1 ფუნტი მსხვერპლის ყოველ 150-300 ფუნტთან) შედარებით მუდმივია იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მგლის საყვარელი მსხვერპლის როგორც სახეობა, ისე სიმტკიციროვე მნიშვნელოვნად ვარირებს ადგილმდებარეობასთან ერთად.

მტაცებელი-მსხვერპლის სხვადასხვა სისტემას შეუძლია, მიაღწიოს სხვადასხვა წონასწორობას. მთის ლომების (კუგუარი) პიპულაციის შეფარდება ირმებთან კალიფრონიაში არის 1:500-600, რაც ეკვივალენტურია ბიომასის შეფარდებისა 1:900, ხოლო ექსპლუატაციის ტემპი არის მხოლოდ 6% ორ სხვა ადგილს მგლების 18% და 37%-თან შედარებით. ლომი-ცხენირემი-შავკუდიანი ირმის სისტემას აიდაჰოში აქვს ბიომასის შეფარდება 1:524 და ექსპლუატაციის ტემპი 5% ცხენ-ირემის პიპულაციისათვის და 3% შავკუდიანი ირმის პიპულაციისათვის. როგორც ჩანს, მგლები თავიანთი მსხვერპლის ექსპლუატაციას უფრო ეფექტურად ახორციელებენ, ვიდრე მთის ლომები. ალბათ მათი სოციალური ნადირობის ჩვევის გამო.

იქ, სადაც მტაცებლები იკვებებიან უფრო ჭარბი მსხვერპლის პიპულაციებით, როგორიც მაგალითად სავანაში, სათიპ მიწებსა და ტუნდრაში, მტაცებლები არა მარტო უფრო მრავალრიცხოვანია, არამედ ასევე

აღწევენ უფრო მაღალი ბიომასის შეფარდებებს (1:50 – 1:150, იხ. ცხრილი 23-3). ამგვარი პირობები აძლიერებენ როგორც მსხვერპლის რეპროდუქტიულობას, ისე მტაცებლის ეფექტურობას. დიდი კატები – ლომები და აგაზები ჩამოაშორებენ მსხვერპლის ბიომასის 16% ნაირობის პარკში, კენია, სადაც მათი ბიომასის შეფარდება არის 1:140. მართლაც, როგორც ჩვენ მომდევნო თავში ვნახავთ, აღმოსავლეთ აფრიკული სათიბი მიწების მაღალი პროდუქტიულობა ეკოლოგთა ინტენსიურ ინტერესს იწვევს.

ჩვენ კიდევ ერთხელ მიუვაბრუნდებით მტაცებელი-მსხვერპლის შიფარდებათა თემას, როდესაც საუბარი გვექნება თანასაზოგადოების ეკოლოგიის შესახებ (იხ. თავი 22). არსებობს გარკვეული აზრთა დაბირი-სპირება თანასაზოგადოების ეკოლოგებს შორის იმის თაობაზე, წარმოადგენენ ამგვარი შეფარდებები თანასაზოგადოების სტრუქტურის მნიშვნელოვან საზომს, როგორც ამას ზოგიერთი ამტკიცებდა, თუ არა (Wilson 1966).


### 23.10 მსხვერპლის სარისკო პირობების საგოლოო შედეგები აისახება პოპულაციაზე

აქამდე ჩვენ ყურადღებას ვამახვილებდით უპირველესად იმაზე, თუ როგორ ახდენენ მტაცებლები გავლენას თავიანთ მსხვერპლ პოპულაციებზე. ეს ხაზგასმა ასახავს მტაცებელი-მსხვერპლის, როგორც თეორიის ისტორიულ განვითარებას და სულ უფრო მზარდ დაინტერესებას მავნებლების ბიოლოგიური კონტროლით. მაგრამ რისი სწავლა შეგვიძლია მსხვერპლის პერსპექტივის გათვალისწინებით, რომელიც სავარაუდოდ დამარცხებულია მტაცებელი-მსხვერპლის სისტემაში?


წარმოიდგინეთ მსხვერპლის პოპულაციის გართულებული მდგრამარეობა გარემოში განადგურებული რესურსებით. როდესაც საკვები სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდება, თითოეულმა მსხვერპლმა ინდივიდმა მეტი დრო უნდა დახარჯოს საკვების ძიებაში და ეს შეიძლება ნიშნავდეს მტაცებლისთვის უფრო ხანგრძლივად თვალშისაცემად ყოფნას და ამრიგად, დაჭრის მეტ რისკს. ამგვარ შემთხვევაში მტაცებლის მარეგულირებელი ეფექტი მსხვერპლის პოპულაციაზე შეიძლება გაძლიერებულ იქნას მსხვერპლის სარისკო ქცევის გაზრდის შედეგად. ეს შემთხვევა აღბეჭდილია ნახ. 23-26-ში, რომელშიც მსხვერპლის მატების ტემპი და მსხვერპლი პოპულაციის სიმჭიდროვე ნაჩვენებია მტაცებლის მთლიანი რეაქციის მრუდთან ერთად. (მტაცებლის მთლიანი რეაქცია არის ფუნქციონალური და რიცხობრივი რეაქციების პროდუქტი და დაყვანილია გრაფიკზე როგორც მსხვერპლის ერთ სულ მოსახლეზე სიკვდილიანობა.) ნახ. 23-26-ში მტაცებლის მთლიანი რეაქცია ძლიერ არის დამოკიდებული მსხვერპლის სიმჭიდროვეზე

და მსხვერპლის პოპულაცია ნარჩუნდება გარკვეულ დონეზე, მსხვერპლის პოპულაციის გადატანითი შესაძლებლობის კვემოთ. ამ შემთხვევაში მსხვერპლის პოპულაცია ვერასდროს აღწევს დონეს, რომელზეც საკვების შეზღუდვა კრიტიკულია. ამიტომ, საკვების საპოვნელად სარისკო ქცევა, რომელიც მსხვერპლს მტაცებლობის დიდი რისკის წინაშე დააყენებდა არ არის სახეზე და ყველა მსხვერპლს თანაბარი შანსი აქვს იქნას დაჭრილი მტაცებლის მიერ. როდესაც მტაცებლის მთლიანი რეაქცია იღებს ნახ. 23-26-ში ნაჩვენებ ფორმას, მსხვერპლის პოპულაცია ნარჩუნდება გადატანით შესაძლებლობა K-სთან ახლოს არსებულ დონეზე, რომელზეც შიდასახეობრივი ბრძოლა საკვებიათვის მსხვერპლს შორის მნიშვნელოვანია. ამ შემთხვევაში მტაცებლობის მოვლენებზე გავლენას ახდენს მსხვერპლის მხრიდან გამოვლენილი სარისკო ქცევა. მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციის ამ მოდელს მტაცებლობისადმი მგრძნობიარე საკვების პიპოთეზა ეწოდება (Sih 1982, Sinclair et al. 1985, McNamara and Houston 1987, Sih and Moore 1990, Abrams 1991).

მტაცებლობისადმი მგრძნობიარე საკვების პიპოთეზა აღიარებს კომპრომისულ დამოკიდებულებას



(ა)



(ბ)

**ნახ. 23-26** მტაცებლის მთლიანი რეაქციის (ნაცრისფერი) ეფექტი მსხვერპლის წონასწორეობრივ სიმჭიდროვეზე თეორიულ მტაცებელი-მსხვერპლის სისტემაში. როგორც მტაცებლის მთლიანი რეაქცია, ისე მსხვერპლის მატება სიმჭიდროვეზე დამოკიდებული (მწვანე). (ა) მტაცებლის პოპულაცია ძლიერ არის დამოკიდებული მსხვერპლის დონეზე და ამრიგად მსხვერპლი ნარჩუნდება K-ს საკმაოდ კვემოთ (A ნერტილი). (ბ) მტაცებელი პოპულაცია ნაკლებად არის დამოკიდებული მსხვერპლის დონეზე და მსხვერპლის პოპულაცია სტაბილურებება K ნერტილთან ახლოს (C ნერტილი).

მტაცებლის კბილისა და კლანჭისთვის თავის არიდების საჭირობასა და საკვებით შეზღუდულ გარემოში საკმარისი საკვების მოპოვების საჭიროებას შორის. ჰიპოთეზა ხაზს უსვამს იმ იდეას, რომლის თანახმადაც მტაცებლობა შეიძლება არ იყოს ერთადერთი ფაქტორი, რომელიც მოქმედებს მსხვერპლის პოპულაციის ზომის შეზღუდვისთვის. შიდასახეობრივა ბრზოლამ საკვების შეზღუდვის დროს ასევე შეიძლება ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი (Sinclair and Arcese 1995).

მტაცებლობისადმი მგრძნობიარე საკვების ჰიპოთეზას, შეუძლია, დაუპირისპირდეს ორ სხვა ცნებას მსხვერპლის პოპულაციის რეგულირების შესახებ. ჰიპოველი, როგორც ჩვენ უკვე ვახსენეთ, შიდასახეობრივი ბრზოლა საკვებისთვის არ იქნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი მსხვერპლის პოპულაციაში, თუ მტაცებლობის ზენოლა საკმარისად ძლიერია იმისთვის, რომ შეინარჩუნოს მსხვერპლის დონეები იმდონეს ქვემოთ, სანამ საკვები შემზღუდვავი ფაქტორი გახდება (ნახ. 23-26ა). ამგვარ შემთხვევებში ამბობენ, რომ მსხვერპლი არის მტაცებლის მარტივი რეგულაციის ქვეშ. ამ ტიპის ინტერაქცია არის აქამდე ამ თავში განხილული მოდელების უმრავლესობის თვისება. კონკურენცია მსხვერპლს შორის ასევე შეიძლება იქნას შეზღუდული თუ მტაცებელი დომინანტურად იმ მსხვერპლს იჭერს, რომელიც ყველაზე სუსტია ან რომელიც მიზეზთა მიუხედავად, იჭრებიან მოშიშვლებულ ან მარგინალურ საბინადრო გარემოებში. ამ იდეას ხანდახან ნამატის ჰიპოთეზა ეწოდება. ალსანიშნავია ურთიერთობა ამ იდეებსა და კონკურენციის არაწონასწორობრივ მოდელებს შორის, რომლებიც ჩვენ 21-ე თავისი განვიხილეთ.


შესაძლებელია განისაზღვროს, რომელ გარკვეულ სისტემას ერგება მტაცებლობისადმი მგრძნობიარე საკვების ჰიპოთეზა, მტაცებლის მარტივი რეგულაცია თუ ნამატის ჰიპოთეზა მტაცებელის მიერ მოკლული მსხვერპლის მგომარეობის შედარებით ცოცხლად დარჩენილების და იმათ მდგომარეობასთან, ვინც მტაცებლობის გარდა სხვა რამე მიზეზით დაიღუპნენ, როგორიც მაგალითად შიმშილია (Clark 1994, Sinclair and Arcese 1995). თუ მსხვერპლის პოპულაცია მტაცებლის მარტივ რეგულაციას ექვემდებარება, მაშინ მცირე განსხვავება იარსებდს ცოცხალ და დაღუპულ მსხვერპლების მდგომარეობას შორის, რადგანაც მსხვერპლის პოპულაცია იმ დონეზე იმყოფება, რომლის ქვემოთაც შიმშილობა მნიშვნელოვანია. თუ მტაცებლები იკვებებიან „ნამატი“ მსხვერპლით (ისინი, რომლებიც შიმშილობენ, ამ მარგინალურ გარემოებში ბინადრობენ), მაშინ ყველა მკვდარი მსხვერპლის მდგომარეობა უარესი იქნება, ვიდრე ცოცხლებისა, რადგან სავარაუდოდ იმ მსხვერპლ ცხოველებს, რომლებიც იძულებით იდევნებიან ღია არეალებში, ყველაზე მეტად ესაჭიროებათა საკვები. თუ მტაცებლობისადმი მგრძნობიარე საკვების ჰიპოთეზაა რელევანტური, მაშინ ჩვენ უნდა მოველოდეთ მდგომარეობათა იერარქიის დანახვას, სადაც ცოცხა-

ლი ცხოველები საუკეთესო ფორმაში არიან, ბუნებრივი მიზეზებით ან შიმშილით მკვდარი მსხვერპლი უარეს ფორმაშია და მტაცებლების მიერ დაჭერილი ცხოველები კი საფლაც შუაში (Clark 1994, Sinclair and Arcese 1995).

ა.რ.ე.სინკლერმა ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტიდან და პ.არქესემ ვისკონსინის უნივერსიტეტიდან განახორციელეს ამგვარი შედარება სერენგეტის გრუებზე ცოცხალი ცხოველების სხეულის ცხიმის გაზომვით, მათიც, რომლებიც მტაცებლებმა მოკლეს და მათიც, რომლებიც სხვა მიზეზებით დაიღუპნენ 1968-1973 პერიოდის განმავლობაში, როდესაც გრუები ჭარბად მოიპოვებოდნენ და 1977-1991 წლების განმავლობაში, როდესაც საკვები შემზღუდვავი ფაქტორი იყო (მინცლაირ ანდ რცეს 1995). სხეულის მდგომარეობა განისაზღვრებოდა ვიზუალურად ბარძაყის ძვლის ტვინის ცხიმის მდგომარეობის განსაზღვრით. ძვლის ტვინი კლასიფიცირდებოდა კატეგორიებად, როგორც მყარი თეთრი ცხიმი, გაუმჯობესებული უელატინისებრი ან ნახევრად გამჭვირვალე უელატინისებრი. ცხოველები პირველ ან მეორე კატეგორიაში მიჩნეული იყვნენ კარგ პირობებში მყოფებად მაშინ, როდესაც ცხოველები ნახევრად გამჭვირვალე უელატინისებრი ცხიმით ცუდ მგომარეობაში მყოფებად მიიჩნევიან. ამ კვლევის შედეგები მხარს უჭერენ მტაცებლობისადმი მგრძნობიარე ჰიპოთეზას, თუმცა არა ცხადად (ნახ. 23-27). ცხოველები, რომლებიც კვდებოდნენ მტაცებლობის ან სხვა რომელიმე არამტაცებლური მიზეზით იყვნენ უფრო ცუდ ფორმაში, ვიცრე ცოცხალი ცხოველები როგორც შემზღუდვავი, ისე არაშემზღუდავი საკვების ნლებში. როდესაც საკვები შემზღუდავი იყო, მტაცებლების მიერ მოკლული ცხოველები, როგორც წესი, უკეთეს მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე სხვა მიზეზებით დაღუპული ცხოველები.

### **23.11 გთაცებლისა და მსხვერპლის ან პარაზიტისა და გთაცებლის სივრცით განლაგებას ჟეუპლია, გავლენა მოახდინოს ინტერაქციის სტაპილური განლაგებაზე**

მტაცებელი-მსხვერპლის სისტემების ჩვენი განხილვა აქამდე ემყარებოდა მტაცებლისა და მსხვერპლის პოპულაციების დინამიკას. მტაცებლისა და მსხვერპლის ზრდის ტემპები ნაჩვენები იყო მათი პოპულაციების ზომებთან შედარებით დამოუკიდებლად, ნონას-წორეობრივი ზომების  $\hat{H}$ -სა და  $\hat{P}$ -სთან მიმართებაში. მაგრამ პოპულაციის დინამიკის ინტერაქციამ გარემოებით ფაქტორებთან შეიძლება გავლენა მოახდინოს მტაცებელი-მსხვერპლის ურთიერთქმედების საბოლოო შედეგზე. კერძოდ, მტაცებლისა და მსხვერპლის სივრცობრივ გადანაწილებას შეიძლება დრამატული ეფექტი ჰქონდეს იმაზე, შეუძლია თუ არა ორ პოპულაციას თანაარსებობობა. ჩვენი დაინტერესება მტაცებლების და მათი მსხვერპლის, პარაზიტოდების



**ნახ. 23-27** გნუების ძვლის ტვინის სამი კატეგორიის ცხიმოვანი მდგომარეობის სიხშირეთა გადანაწილება (მაგარი თეთრი ცხიმი /*SFW*), გაუმჯობერვალი უელატინისებრი (OC), ნახევრად გამჭვირვალე უელატინისებრი /*TGJ*), რომლებიც იზომებოდა (ა) უხვი საკვების ნებები (1968-1973) და (ბ) საკვების დაბალი ხელმისაწვდომობის ნებები (1977-1991). ცოცხალი ცხოველები, მტაცებლების მიერ მოკლული ცხოველები და სხვა მაზრზით დაღუპული ცხოველები იქნა გამოკლეული / *SFW* და ცხიმის ნიშნები აღნიშნავენ კარგ პირობებს მაშინ, როდესაც ცხოველები თ-თი ცუდ მდგომარეობაში იყვნენ. ეს შედეგები ეთანხმება მტაცებლობისადმი მგრძნობიარობის ჰიპოთეზას. (From Sinclair and Arcese 1995.)

და მტარებლების სივრცობრივი განლაგებით მომდინარეობს უფრო ინტელექტუალური დაინტერესებიდან. მრავალი მტაცებელი-მსხვერპლის და პარაზიტოიდი-მტარებლის სისტემა, რომლებიც ადამიანებისთვის დიდი მნიშვნელობისაა, კერძოდ, სასოფლო სამეურნეო სისტემებისთვის, მოქმედებები ისეთი სივრცობრივი სტრუქტურის ფარგლებში, რომლებსაც ადამიანები აკონტროლებენ. იმან, თუ რა გზით არის მეზობლად განლაგებული მოსავლის მინდვრები დათესილი მოსავლის ბრუნვის გეგმის თანახმად, შეიძლება ერთ-მანეთის მახლობლად მოახვედროს სხვადასხვა სახის ნათესი და მასთან ასოცირებული მტაცებელი და მსხვერპლი სახეობები. ადამიანის მინის მენეჯმენტი ახოციელებს სტრუქტურულ ცვლილებებს ბუნებრივ პოპულაციებშიც, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მტაცებელსა და მის მსხვერპლში პოპულაციის დონეების ცვლილება.

ქ.ბ. ჰუფაკერი, კალიფორნიის უნივერსიტეტის ბიოლოგი, რომელმაც პირველმა გამოიყენა მოსავლის მავლენების ბიოლოგიური კონტროლი, ეცადა, ენარმოებინა მოზაიკური გარემო ლაბორატორიაში, რომელიც საშუალებას მისცემდა მტაცებელსა და

მსხვერპლს, ეარსებათ პოპულაციების ხელახალი შევსების გარეშე (Huffaker 1958). ლაქებიანი ტკიბა (ცოტეტრან्सფუს სეხმაცულატუს) იყო მსხვერპლი, მეორე ტკიბა თყპპლოდრომუს ოცციდენტალის, იყო მტაცებელი. ფორთოხალი მსხვერპლის საკვებს ნარმოადგენდა. ჰუფაკერმა მოათავსა ექსპერიმენტული პოპულაციები „ლანგარზე“, რომელშიც მას შეეძლო, შეეცვალა ფორთოხლის რაოდენობა, შიშველი ზედაპირის არეალი და დისპერსია (ნახ. 23-18). თითოეულ ლანგარს ჰქონდა ორმოცი ადგილი, რომლებიც მონყობილი იყო თის რიგად, თითოში ათი ადგილით. იქ, სადაც ფორთოხალი არ იქნა მოთავსებული, განლაგდა დაახლოებით იგივე ზომის რეზინის ბურთები. ფორთოხლის შიშველი გადაშლილი არეალები იცვლებოდა სხვადასხვა იდენტობის ქაღალდის დაფარებით, რომლის კიდეებიც ცვილით იყო მინტებული, ტკიბები რომ მის ქვეშ არ შეცოცებულიყვნენ. შიშველი არეალები დაყოფილი იყო თანაბარი მოცულობის



(ა)



(ბ)

**ნახ. 23-28** (ა) ერთ-ერთი ჰუფაკერის ექსპერიმენტულ ლანგართაგანი თხის ფორთოხლით, რომლებიც ნახევრად გაფცევნილია და შემთხვევითაა გადანაწილებული ლარნაკზე ორმოც ადგილზე. სხვა დანარჩენი ადგილები რეზინის ბურთებს უკავიათ. (ბ) თითოეულ ფორთოხალი გაბევურით იყო ქაღალდში და მისი კადერები ცვილით იყო დაწებებული. შიშველი არეალი დაყოფილი იყო დანომრილ ნანილებად ტკიბების დათვლის გასადაფილებლად. (From Huffaker 1958; courtesy of C.B. Huffaker.)


დანომრილ ნაწილებად, რათა ხელი შეეწყო ტკიპების დათვლისთვის. ექსპერიმენტთა უმრავლესობაში, ჰუფლია დაადგინა პოპულაციები თითო ლანგარზე 20 მდედრით, შემდეგ შემოყავდა ორ მდედრი მტაცებელი 11 დღის შემდეგ. ორივე სახეობა პართენოგენეზურად მრავლდება, მამრები საჭირო არ იყო.

როდესაც მარტო ლაქებიანი ტკიპები იყვნენ შემოყვანილი ლანგრებზე, მათი პოპულაცია შემცირდა 5500-8000 ტკიპით თითო ფორთოხლის არეალზე. როდესაც მტაცებლები იქნენ შემოყვანილი, ისინი სწრაფად მომრავლდნენ და მალე გაავლეს მუსრი მსხვერპლის მთლიან პოპულაციას. რასაც სულ მალე თავად მათი გადაშენება მოჰყვა. იმის მიუხედავად, რომ მტაცებლები ყოველთვის განდევნიდნენ ლაქებიან ტკიპებს, ფორთოხლის შიშველი არეალების პოზიცია გავლენს ახდენდა გადაშენების მიმდინარეობაზე. როდესაც ფორთოხლის არეალები ერთმანეთის ახლომახლო იქნა განლაგებული, მინიმუმად დადიოდა რა დაქსაქსვითი მანძილი საკვების ნყაროებს შორის, მსხვერპლი პოპულაცია მაქსიმუმს აღწევდა მხოლოდ 113-650 ინდივიდამდე და დადიოდა გადაშენებამდე 23-32 დღეში ექსპერიმენტის დაწყებიდან. შიშველი ფორთოხლის იგივე არეალები შემთხვევით გადანაწილებული ორმოცადგილიან ლანგარზე ხელს უწყობდა მსხვერპლის პოპულაციის ზრდას 2000-4000 ინდივიდამდე, რომელიც 36 დღის განმავლობაში ნარჩუნდებოდა. ამრიგად, მსხვერპლის პოპულაციების გადარჩენა შეიძლება გაგრძელებულ იქნას ხელსაყრელი საბინადრო გარემოს დაშორებული არეალების შექმნით, რომლებამდეც მტაცებლები ნელა იფანრებოდნენ.

ჰუფლია დაასკვნა, რომ თუ შესაძლებელია მტაცებლების დისპერსიის შენებება, ორ სახეობას შეუძლია თანაარსებობა. ამის მისაღწევად, მან გაზარდა

გარემოს კომპლექსურობა და შემოიტანა დისპერსიის ბარიერები. შესაძლო საკვების პოზიციების რიცხვი გაიზრდა 120-მდე და ექვსი ფორთოხლის ეკვივალენტური არეალი გაფანტულ იქნა ყველა 120 პოზიციაზე. ლაბირინთისებრი სტრუქტურა ვაზილინის ბარიერებისა მოთავსებულ იქნა საკვების პოზიციებს შორის, რათა შეენლებინა მტაცებლების დისპერსია. თყპკლოდრომუს-მა უნდა იაროს იმისთვის, რომ მიაღწიოს იქ, სადაც მიდის, ხოლო ლაქებიანი ტკიპი წნავს აბრევუმის ძაფს, რომელსაც ის პარაშუტივით იყენებს, რათა მიჰყვეს ქარის ქროლას. ამ ქცევაზე უპირატესობის მოსაპოვებლად, ჰუფლია მოათავსა ვერტიკალური ხის პალოები ლარნაკებში, რომლებსაც ტკიპები იყენებდნენ გადასახტომი ტრამპლინების სახით თავიანთი მოგზაურობებისას. ამ მოწყობილობამ საბოლოო ჯამში გამოიწვია პოპულაციის სამი ციკლის სერიები 8 თვეს განმავლობაში (ნახ. 23-29). მტაცებლებისა და მსხვერპლების გადანაწილება მუდმივად ვარირებდა, როდესაც მსხვერპლი, განადგურებული ერთ საკვებარეალში, ხელახლა კოლონიზდებოდა თავიანთი მტაცებლებისგან ერთი ნახტომის მოშორებით.

თუმცა ჰუფლია მიერ მიღწეული მტაცებლი-მსხვერპლის ციკლი სუსტი იყო, ჩვენ ვხედავთ, რომ ხელსაყრელი საბინადროს სივრცობრივი მოზაიკა საშუალებას იძლეოდა მტაცებლისა და მსხვერპლის პოპულაციების სტაბილური თანაარსებობისა. მაგრამ როგორც ჩვენ ვნახეთ გაუსის ექსპერიმენტში უმარტივესებზე (იხ. თავი 21) მტაცებელსა და მსხვერპლს ასევე შეუძლიათ თანაარსებობა ლოკალურად, თუ ზოგიერთი მსხვერპლი თაგშესაფარს პოვებს სამალავ ადგილებში. და როდესაც გარემო ისეთი კომპლექსურია, რომ მტაცებლებს არ შეუძლიათ, ადგილად იპოვონ იშვიათი მსხვერპლი, შესაძლებელია სტაბილურობის მიღევა.



ნახ. 23-29 ლაქებიანი ტკიპების

და მტაცებელი ტკიპა *Typhlodromus*-ის პოპულაციათა ციკლები ლაბორატორიულ პირბებში. ოხეუთხედები გვიჩვენებენ ტკიპების შედარებით სიმჭიდროვებსა და პოზიციებს ლანგრებზე. დაჩრდილური არეალები აღნიშვნენ ლაქებიანი ტკიპის შედარებით სიმჭიდროვეს, ნერტილური აღნიშვნენ მტაცებელი ტკიპების არსებობას. (After Huffaker 1958.)

**23.12** ეთავისულადიების მთაცხელი-  
მსკვერპლის სისტემათა დინამიკაზე  
გავლენას აღდეს სივრცითი ურთიერ-  
თობები და გადაადგილების სტრუქტურა

სივრცობრივად მგრძნობიარე მტაცებელი-მსხვერპლის მოდელები მოიცავენ სივრცეს, როგორც კონტინუუმსა ან როგორც ხელსაყრელი საბინადო გარემოს პეტჩების კოლექციას (Levin 1978, McLaughlin and Roughgarden 1993). პეტჩებში მოწყობილი მტაცებლისა და მსხვერპლის დინამიკა არის ჩვენთვის ყველაზე საინტერესო. იმის გაცნობიერება, თუ რა ახდენს მტაცებელი-მსხვერპლის სისტემის სტაბილიზაციასა და დესტაბილიზაციას პეტჩებში, სჭირდება სტაბილურობის თაობაზე ჩვენი მოსაზრების რაფინირება. გათხსენეთ ჩვენი ადრეული დასკუსია მეტაპოპულაციების შესახებ, რომელშიც ჩვენ ხაზი გაფუსვით, რომ პეტჩებში განლაგებული ერთეული პოპულაციების დინამიკა თავს იჩენდა ორ სივრცობრივ მასშტაბზე: ადგილობრივი და რეგიონალური (იხ. თავი 17). მეტაპოპულაციის იმ ნაწილის შენარჩუნება, რომელიც გარკვეულ პეტჩს იკავებს, დამოკიდებულია ამ პოპულაციის დემოგრაფიულ მახასიათებლებზე (შობადობა, სიკვდილიანობა, იმიგრაცია, ემიგრაცია) და ადგილობრივ გარემო პირობებზე, რომლებიც შეიძლება განსხვავდებოდნენ პირობებისგან სხვა პეტჩებში. პოპულაციები პეტჩებში შეიძლება გადაშენდნენ და ხელახლა იქნენ კოლონიზებული სხვა პეტჩებიდან დისპერსიის შედეგად. მაშინ პოპულაცია მთლიანად შეიძლება სტაბილური იყოს იმის მიუხედავად, რომ მისი ნაწილები მიდიან და მოდიან. ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია ნარმოვიდგინოთ, რომ პოპულაციას აქვს ადგილობრივი და რეგიონალური (ან გლობალური) სტაბილურობის თვისებები (McLaughlin and Roughgarden 1993).

პეტრური მტაცებელი-მსხვერლის სისტემები ასევე ავლენენ ადგილობრივი და რეგიონალური სტანდილურობის თვისებებს, მაგრამ შემთხვევა ცოტა უფრო რთულადაა, ვიდრე ერთეული პოპულაციის შემთხვევაში, მტაცებელისა და მსხვერპლის ქცევის კომპლესური დინამიკის გამო. ტკიპის მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციები გვაწვდიან ამგვარი სისტემების კომპლექსურობის შესანიშნავ მაგალითს. ბალახისმჭამელი ტკიპები, როგორიცაა ქსელის მქსოველი ტკიპი, ფართოდ გავრცელებული მცენარის მავნებლებია, რომლებიც თავს ჰეტჩებში იჩენენ, რადგან მცენარეები, რომლითაც ისინი იკვებებიან, როგორც წესი, ჰეტეროგენულად არის გადანაწილებული და ასევე მათი სპეციალიზებული საკვები ჩვევების გამო, რაც იწვევს ინდივიდუალური მცენარის გარკვეულ ნაწილებზე შეჯგუფებას (Sabelis et al. 1991). დისპერსია ერთი მცენარიდან მეორეზე როგორც წესი, პასიურია, დაკავშირებული მაღალ რისკებთან და შეზღუდულია ტკიპის გარკვეული სასიცოცხლო ფაზებისთვის. მტაცებელ ტკიპებს, როგორც წესი, დისპერსიის უფრო დიდი შესაძლებლობები აქვთ და ამრიგად, მოძრაობები

მცენარის მსჭამელი ტკიბების პეტჩების სკუნ, სადაც მათი პოპულაციები ფართოვდება, როდესაც ისინი მსხვერ-პლიო იკვებებიან. ამრიგად, შეგვიძლია, გავარჩიოთ სამი სახის პეტჩი: ცარიელი პეტჩები (ჯერ კიდევ დაუსახლებელი/არაინვაზიორბული ბალახის მჭამელი ტკიბას მიერ), მსხვერპლის პეტჩები (ბალახის მჭამელი ტკიბები მხოლოდ) და მტაცებელი-მსხვერპლის პეტ-ჩები (ბალახის მჭამელი და მათი მტაცებელი ტკიბები). ცხადია, არსებობს მეოთხე ტიპის პეტჩიც, მხოლოდ მტაცებლების შემცველი, რომელსაც ჩვენ აქ არ განვიხილავთ, რადგან მიჩნეულია, რომ თუ მსხვერპლის მიგრაციის ტემპი არ არის საოცრად მაღალი (და ეს როგორც წესი, ასე არ არის ხოლმე ბალახის მჭამელი ტკიბების შემთხვევაში), რაც აწვდის მხოლოდ მტაცე-ბლებით შეესებულ პეტჩებს რაღაც საკვებს, ამგვარი პეტჩები ხანმოკლე იქნება.

ମତେଣ୍ଠି ରିଗ୍ବି ଯୁରତିଏରତମ୍ଭେଦୀ ଡିନାମିକ୍ୟୁସି ସାତ୍ୟ-  
ବେଲଶି ରେଗ୍ରେସି ଅଭିବାରି ସିସତ୍ରେମ୍ଭେଦୀ ଅଭିଲାପନରିତି ରେ-  
ଗିନନାଲ୍ୟୁରି ସତ୍ରାଶିଲ୍ୟାରନ୍ଦିବିଷ୍ଵିଳିବିଶ୍ଵାରିବିଶ୍ଵାରି ବାଲାଶିଲ୍ୟାମେଲି  
ତ୍ରୁକିଷ୍ଟେବି ଆକ୍ଷତ ତ୍ରେନଦେନ୍ଦ୍ରିଆ, ଥୈଫର୍ମେତ୍ରି ଜ୍ୟୋତିଲ୍ୟାତ୍ମାତ୍ମାଚିନ୍ତିଆ  
ମନାବଦିନନ୍ଦ ତାଵାରିତି ସାକ୍ଷେପି ରେଶ୍ୟର୍ସେବା ମତ୍ରାଫ୍ରେବେଲି  
ତ୍ରୁକିଷ୍ଟେବିଶ ଅରାର୍ଶେବନ୍ଦିବିଶାଶ ରୂପ ଅଭିନିଗାଫ, ମଶ୍ୱେରପଲିବ  
ଶୈତିର୍ହିବି ଶୈପିଲ୍ଲାବା ଗ୍ରେମ୍ରେର୍ଯୁଲି ପ୍ରିଯିବି. ଏବି ଶୈମତକ୍ଷେତ୍ରା  
ଶୈପିଲ୍ଲାବା କିଷ୍ଟେବ ଉତ୍ସର୍ଗ ଗାମିନ୍ଦାବଦ୍ଧେ ଗାର୍ବେମିନ ତିରନ୍ଦବେଦ-  
ଶି ମାଲାଲି ଅଭିଲାପନରିତି ପ୍ରେଲିଲ୍ଲାବିଶ ଅରାର୍ଶେବନ୍ଦିବିଶାଶ.  
ମରାବାଲି ବାଲାଶିଲ୍ୟାମେଲି ତ୍ରୁକିଷ୍ଟେବି ଦିବିଶିରିବିଶ ଶୈପା-  
ଦିଲ୍ଲେବଲାବା ଶୈତିଲ୍ୟାଦ୍ୟଲାବା ରୂପ ଅଭିନିଗାଫ, ତୈତିରିବି କୃଲ୍ଲାନ-  
ନିଥାଫିବି ତ୍ରେମପି ଶୈପିଲ୍ଲାବା ଦାବାଲାବି ପ୍ରିଯିବିଶ ମତ୍ରାଫ୍ରେବେଲିମା  
ତ୍ରୁକିଷ୍ଟେବିଶ ଉନ୍ଦା ଅଭିନିଗାଫିନନ୍ଦ ତୈତିରିବିଶ, ରମଲ୍ଲାବିଶ ମଶ୍ୱ-  
ରେରପଲ୍ଲେ ଶୈପିତାଗ୍ରି ଅରାର୍ଶେବନ୍ଦିବି ଗାର୍ବେର୍ଯୁଲି ସାମିଲିବିଶ,  
ରମି ମତ୍ରେବାର୍ଜ ଅଭିନିଗାଫ ତିରନ୍ଦବେଦିବିଶ ଶୈପିତାଗ୍ରି  
ମାର୍ଗେବା ବାଲାଶିଲ୍ୟାମେଲି ତ୍ରୁକିଷ୍ଟେବି ରୂପ ମାତାବି ଜ୍ୟୋତିଲ୍ୟା-  
ତ୍ରାଫିବି ଶୈମଦ୍ଦେଶ ପ୍ରିଯିବିଶ ମିଥିବିରାଜିବିଶ ମଶ୍ୱେରପଲିବ  
ଶୈତିର୍ହିବିଶିକ୍ରିବି. ଅଭିଲାପନରିତି ଗାଫାଶୈପିବିଶ ତ୍ରେମପି ଶୈପି-  
ଲ୍ଲାବିଶ ମାଲାଲି ପ୍ରିଯିବିଶ ମାର୍ଗାତ୍ମିକାର୍ଯ୍ୟବିଶ ଗାମିନ.

მტაცებელი-მსხვერპლის პეტჩის  
დინამიკის მარტივი ლოტკა-ვოლტერას  
მოდელი

პირობები, სადაც რეგიონალური სტაბილურობა იჩენს  
თავს, შეიძლება გამოვლინდეს მტაცებელი-მსხვერ-  
პლის პეტჩური დინამიკის ლოტკა-ვოლტერას ეული  
მოდელის გამოყენებით. თუ ჩვენ იგნორირებას გა-  
ვუწვეთ მტაცებელი და მსხვერპლი პოპულაციების  
დინამიკას პეტჩებს შეიგნით, ჩვენ შევძლებთ, შევადგი-  
ნოთ მარტივი მტაცებელი-მსხვერპლის პეტჩინივი  
მოდელი, რომელიც დამოკიდებულია მტაცებელი  
და მსხვერპლი პოპულაციების ზომაზე, მსხვერპლის  
მიერ ახალი პეტჩების კოლონიზაციის ტემპებსა და იმ  
დონეზე, რომლითაც მტაცებელები რეაგირებენ მსხ-  
ვერპლის ახალ კოლონიზაციაზე, მათ მოსაპოვებლად  
გადაადგილების მეშვეობით. მოდით, -ით აღვნიშნოთ  
მსხვერპლის პოპულაციის ზომა, ხოლო -ით მტაცებ-

ლისა. ამ ორი, პეტჩებში მობინადრე პოპულაციის ცვლილების ტემპი შეიძლება წარმოდგენილი იყოს:

$$\frac{dN}{dt} = aN - bNM - cN \quad (23-10)$$

და

$$\frac{dN}{dt} = bNM - dM,$$

სადაც ა არის კოეფიციენტი, რომელიც წარმოადგენს ტემპს, რომლითაც დისპერსიონის მსხვერპლი პოპულაციას ახალ კოლონიებს, ბ არის ტემპი, რომლითაც მტაცებლები შედიან პეტჩებში და ც და არის ტემპები, რომლითაც მტაცებლისა და მსხვერპლის თვითნებური პეტჩები გადაშენდება (Sabelis et al. 1991). იგივე მიღების გამოყენებით, რომელიც ჩვენ გამოვიყენთ ნაწილ 23.3-ში, ჩვენ შეგვიძლია, დავადგინოთ  $dN/dt = 0$  და  $dM/dt = 0$  და ვეძიოთ პოპულაციის წონასწორებრივი ზომები  $\hat{N}$  და  $\hat{M}$ , რომლებიც შესაბამისად არის  $\hat{N} = d/b$  და  $\hat{M} = (c - a)/b$ . ჩვენ რომ ეს სისტემა კიდევ უფრო მეტად განვითარებით, რომ მტაცებელი და მსხვერპლი პოპულაციების იზოკლინები ირხევიან მუდმივ ციკლებში ნეიტრალური წონასწორობის გარშემო.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ზემოთ წარმოდგენილი მოდელი ამარტივებს მტაცებელი-მსხვერპლი პოპულაციების კომპლექსურ დინამიკას. ინდივიდუალური პეტჩების მასშტაბით (ადგილობრივი მასშტაბი) მტაცებლისა და პარაზიტოიდების შეხვედრა მსხვერპლებსა და მტაცებლებთან უფრო ხშირად იწვევენ კატასტროფას მსხვერპლისთვის (ადგილობრივი გადაშენება), როგორც ჩვენ ვნახეთ ჰუფალური ექსპერი-

მენტებში. თუმცალა რეგიონალურად მტაცებელი-მსხვერპლის სისტემები ნარჩუნდება სავარაუდოდ, რადგან მტაცებელი და მსხვერპლის დისპერსიის ხასიათი საბინადროს პეტჩეროგენულობის ფონის წინააღმდეგ ქმნის მოზაიკას გადაშენებისა და ხელახალი კოლონიზაციისთვის პეტჩებს შორის (McLaughlin and Roughgarden 1993), როგორც შემდგომში ვნახავთ.

ამ თავში ჩვენ განვიხილეთ მტაცებლის და პარაზიტოიდების, ასევე მათი მსხვერპლებისა და მტაცებლების პოპულაციათა დინამიკა. კონკურენციისგან განსხვავებით, მტაცებლობა ყოველთვის ანტაგონისტურია და რესურსი ჩართულია ამ ინტერაქციაში, როგორც ერთ-ერთი მონაწილე – მსხვერპლი ან მტარებელი. მომდევნო თავში, ჩვენ განვიხილავთ ინტერაქციათა კიდევ ერთ წყებას მომხმარებელსა და მტარებელს შორის, ბალახისმჭამებლობასა და პარაზიტიზმს შორის. ეს ინტერაქციები მტაცებლობის მსგავსია იმით, რომ ერთ-ერთი მონაწილე რესურსს წარმოადგენს და ურთიერთობა ინდივიდუალ მონაწილეებს შორის ანტაგონისტურია. თუმცა ჩვენ ვნახავთ, რომ ისინი განსხვავდებიან მნიშვნელოვან-ნილად, რომელთაგან ერთ-ერთი განსხვავება არის ის, რომ მტაცებელმა (ბალახის მჭამელი ან პარაზიტი) შეიძლება მოგება ნახოს ინტერაქციაში რესურსის (მტარებელი მცენარე ან სხვა მტარებელი) მოკვლის გარეშე.

**1. ტიპების ინტერაქციების კვლევამ მარწყვის ნარგავებში და მტაცებელი ფრინველების კვირტიჭამიას მუხლუხოებზე ნადირობის კვლევამ გვიჩვენა, რომ მტაცებლებს შეუძლიათ, შეზღუდონ თავიანთი მსხვერპლი პოპულაციების ზომა. აზუკი პარკოსანთა**

## დასკვნა

**1. მარცვლის ხოჭოს და უმარტივესების კვლევებმა გვიჩვენა, რომ მტაცებლისა და მსხვერპლის ინტერაქციებმა შეიძლება გამოიწვიოს პოპულაციათა ოსცილაციები.**

**2. ა.ჯ.ლოტკამ და ვ.ვოლტერამ 1920-იან წლებში შეადგინეს მტაცებლის და მსხვერპლის დინამიკის მარტივი მოდელი, რომელიც წინასწარმეტყველებდა პოპულაციათა ციკლებს. ეს მოდელი იყენებდა დიფერენციალურ განტოლებებს, სადაც მსხვერპლის ჩამოშორების ტემპი პირდაპირობორციულია მტაცებლისა და მსხვერპლი პოპულაციების პროდუქტისა. მოდელი წინასწარმეტყველებს, რომ მტაცებელი და მსხვერპლი პოპულაციები იმერყევებენ. რადგანაც მოდელი ორ ფაქტორს მოიცავს, რომელიც გადაადგილებენ მტაცებლისა და მსხვერპლის პოპულაციებს საერთო წინასწორობისკენ ( $\hat{H}, \hat{P}$ ), ამბობენ, რომ მას ნეიტრალური წინასწორობა აქვს.**

**3. 1933 და 1935 წლებში ნიკოლსონმა და ბეილიმ შემოვთავაზეს ალტერნატიული მოდელები, რომელიც მსხვერპლის ჩამოშორების ტემპი მტაცებლის სიმჭიდროვის ასიმპტოტიკური ფუნქციაა. ეს მოდელები ეყრდნობან ურთიერთობას პარაზიტოიდებასა და მტარებლებს შორის. მოდელის უმარტივესი ფორმა წინასწარმეტყველებს, რომ პარაზიტოიდებლის ურთიერთობა იძნება არასტაბილური რადგან ისინი განიცდიან სულ უფრო მზარდ ოსცილაციას.**

**4. 1959 წელს ქ.ს.პოლინგმა შემოიღო ფუნქციონალური რეაქციის კონცეფცია, რომელიც აღწერდა ასიმპტოტიკურ ურთიერთობას თითო მტაცებლის მიერ მსხვერპლის ჩამოშორების ტემპს და მსხვერპლის სიმჭიდროვეს შორის. აღიარებულია ფუნქციონალური რეაქციის სამი ძირითადი ტიპი: I ტიპი, რომელიც ერთი მტაცებლის მოხმარებული მსხვერპლის რაოდენობა ხაზოვნად იზრდება მსხვერპლის**

პოპულაციის სიმჭიდროვესთან ერთად; II ტიპი, რომელშიც მოხმარებული მსხვერპლის რაოდენობა იზრდება შემცირებადი ტემპით, სანამ არ მიიღწევა რაღაც გარკვეული დანაყრების დონე; III ტიპი, რომელშიც მოხმარებული მსხვერპლის ოდენობა ნელა იზრდება მსხვერპლის დაბალი სიმჭიდროვებისას და საბოლოო კლების იწყებს, როდესაც მიაღწევს დანაყრების დონეს მსხვერპლის მაღალი სიმჭიდროვისას. III ტიპის ფუნქციონალური რეაქციის მრუდმა შეიძლება გამოიწვიოს სტაბილური რეგულაცია მსხვერპლის პოპულაციის დაბალი სიმჭიდროვისას.

**5.** რიცხობრივი რეაქცია აღწერს მტაცებლის პოპულაციის რეაქციას მსხვერპლის მზარდ სიმჭიდროვეზე პოპულაციის ზრდითა და იმიგრაციით.

**6.** მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციების გრაფიკული ანალიზი, დამოკიდებული მარტივ მოძელზე, მაგრამ ისეთი თვისებებით, როგორიცაა სიმჭიდროვეზე დამოკიდებულება, მსხვერპლის თავშესაფარი და ალტერნატიული მსხვერპლი შეტირებისთვის, ახდენენ სტაბილურობის პირობების დემონსტრირებას მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციებში. ზოგადად სტაბილურობას ხელს უწყობს მტაცებლის ან მსხვერპლის სიმჭიდროვეზე დამოკიდებულება, თავშესაფრებისა და სამაღავი ადგილების არსებობა, რომელშიც მსხვერპლი შეიძლება გაექცეს ნადირობას, მტაცებელთა შემცირებული ეფექტურობა და ზოგ შემთხვევაში ალტერნატიული მსხვერპლის ხელმისაწვდომობა. პოპულაციათა სტაბილური ციკლები ბუნებაში როგორც ჩანს, გამოხატავენ ამ მასტაბილიზირებელი ფაქტორების ბალანსას და პოპულაციათა რეაქციებში დროებითი შეფერხების დესტაბილიზატორულ გავლენას.

**7.** მომხმარებელი პოპულაციების მოდელები გულისხმობენ, რომ სისტემას შეიძლება ჰქონდეს ორი სტაბილურად რეგულირებადი წერტილი, რომელთა შორისაც პოპულაციები შეიძლება გარემოე პირობებზე დამოკიდებულებით გადაადგილდებოდნენ. ქვედა წონასწორობა განისაზღვრება მსხვერპლ პოპულაციებზე მტაცებლების ძლიერი დამთრგუნველი

გავლენით. ზედა წონასწორობა ახლოსაა მტაცებლის არარსებობის პირობებში მსხვერპლის გადატანით შესაძლებლობასთან.

**8.** მსხვერპლის თითოეულ პოპულაციას აქვს სიმჭიდროვე, რომელზეც მატება ყველაზე მაღალია და რომელიც ასაზრდოებს მტაცებელთა ყველაზე დიდ რაოდენობას. ამ წერტილში მატების ტემპს ეწოდება მაქსიმალურად მუდმივი მოგება. როდესაც ერთ მტაცებელს შეუძლია, მთლიანად აკონტროლოს მსხვერპლი, როგორც ადამანებს შეუძლიათ შინაური ცხოველების შემთხვევაში, შესაძლებელია მაქსიმალურად მუდმივი მოგების მიღწევა. როდესაც მტაცებელები კონკურირებენ ერთი და იგივე რესურსებისთვის, მოკლევადიანი მოგების მაქსიმიზაცია ხელს უშლის მაქსიმალურად მუდმივი მოგების მიღწევას.

**9.** იმისთვის, რომ მიიღოს კვება საკვებით შეზღუდულ შემთხვევაში მსხვერპლი ცხოველები ეჩვევიან ქცევებს, რაც მათ მტაცებლობის დიდი რისკის ქვეშ აყენებს და ამრიგად, ეფექტურად ამატებენ მტაცებლობის ზენოლას, ამ იდეას მტაცებლობისადმი მგრძობიარე საკვების ჰიპოთეზა ეწოდება. მსხვერპლი პოპულაციები შესაძლებელია ასევე რეგულირდებოდნენ უბრალოდ მტაცებლობის მოქმედებით ან მსხვერპლის შედასახეობრივი ბრძოლის შემცირებით, მტაცებლების მიერ ნამატი მსხვერპლის მოხმარების გამო.

**10.** ექსპერიმენტულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ მტაცებელ და მსხვერპლ პოპულაციებს, შეუძლიათ, ოსცილაცია ლაბორატორიაში. ქ.ბ.ჰაფაკერის ექსპერიმენტებმა დაგვანახა, რომ პოპულაციათა ციკლების შენარჩუნებას, როგორც წესი, ესაჭიროება კომპლექსური გარემო, რომელშიც მსხვერპლს შეუძლია თავშესაფრის პოვნა.

**11.** მტაცებელი-მსხვერპლი სისტემების სტაბილურობა პეტჩურ გარემოებში დამოკიდებულია პეტჩითა ადგილობრივ დინამიკაზე და როგორც მტაცებლის, ისე მსხვერპლის დისპერსიის ხასიათზე. პარაზიტოდისა და მტარებლის მეტაპოპულაციების სტაბილურობა დამოკიდებულია დიფუზიურ დისპერსიაზე.

## სავარჯიშოები

**1.** განსაზღვრეთ, გამოიყენება თუ არა მტაცებლები ან პარაზიტები სოფლის მეურნეობაში მაღნებელთა გასაკონტროლებლად იმ ადგილებში, სადაც თქვენ ცხოვრობთ.

**2.** ლოტკა-ვოლტერას მსხვერპლი პოპულაციის ზრდის განტოლებაში სიკეთილიანობის ელემენტი (ელემენტი pH [23-1] განტოლებაში) გულისხმობს,

რომ რაც მეტია მტაცებელი (P) და მსხვერპლი (H) პოპულაციები, მით მეტ მოხმარებას ექნება ადგილი (მოქმედ მასათა კანონი). შეგიძლიათ წარმოიდგინოთ შემთხვევა, სადაც ეს ასე არ იქნება? (მინიშნება: წარმოიდგინეთ სპეციფიკური ქცევები და სივრცებრივი განლაგება მტაცებლებისა და მსხვერპლისა, როგორც მაგალითად ნაწილ 23.4-ში განვიხილეთ.)

**3.** მტაცებელისა და მსხვერპლი პოპულაციის დინ-ამიკა, როგორცაა აღწერილი ლოტკა-ვოლტერას მოდელები (განტოლებები [23-1] და [23-2]) გულისხ-მობენ, რომ ეფექტურობა, რომლითაც მტაცებელი იღებს მსხვერპლს პ და ეფექტურობა, რომლითაც მტაცებელი გარდაქმნის მსხვერპლის ენერგიას ახალ-შობილად ა ორივე მუდივა. იმის გამოყენებით, რაც ისწავლეთ ორგანიზმთა რეაქციების შესახებ ფიზი-კურ და ბიოტურ გარემოზე (3-8 თავები) და თქვენი ზოგადი ცოდნის დახმარებით ბუნებრივი სამყაროს შესახებ მოამზადეთ მოკლე ესსე, სადაც განიხილავთ (ა), თუ როგორ ირლვევა ეს მოსაზრებები ბუნებრივ სამყაროში და (ბ) როგორ შეიძლება შეიცვალოს მოდელების წინასწარმეტყველება, თუ მოსაზრებები შესუსტებულია.

**4.** მსხვერპლის განვითარებული სიმჭიდროვე გარკვეული მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციაში არის  $H = 100$  და  $d = 0,2$ ,  $a = 0,3$  და  $r = 0,7$ , რა იქნება წინასწარორბა მტაცებლის პოპულაციისთვის,  $\hat{P}$ ?

**5.** ლოტკა-ვოლტერას მოდელები (განტოლებები [23-1] და [23-2]) წინასწარებრივი მოდელებია. 21-ე თავში ჩვენი განხილვების და წინასწარებრივი მოდელების სისუსტის გათვალისწინებით, განსაჯეთ, როგორ შეუძლიათ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სხვადასხვა გამლიზიანებელი, გაელენა მოახდინონ მტაცებელი-მსხვერპლის ინტერაქციათა საბოლოო შედეგზე.

**6.** წიკოლსონ-ბეილის მოდელი პარაზიტოიდი-მტარებლის ინტერაქციის თაობაზე ეყრდნობა პუსონის განანილებას, რომელიც გამოყენებულია სხვა ეკოლოგიურ მოდელებში. ახსენით პუსონის განანილების სხვადასხვა გამოყენებას

**7.** პოლინგის დისკის განტოლება ახდენს ისეთი შემთხვევის მოდელირებას, რომელშიც მტაცებელი გადაადგილება მსხვერპლის ძიებაში, როგორც საგარჯოშოში, სადაც თვალებას გვეულმა ადამიან-ებმა უნდა აღმოაჩინონ ქაღალდის დისკები, რომლის მიხედვითაც შეირჩა განტოლებას სახელი. ტემპი, რომლითაც მტაცებელი ხვდება მსხვერპლს, განისაზღვრება მსხვერპლი პოპულაციის სიმჭიდროვის და დროის იმ ოდენობის მიხედვით, რომელიც მტაცებელს სჭირდება თითო მსხვერპლთან გასამკლავებლად. ვთქვათ, თქვენ გთხოვეს იმ ცხოველისთვის მოდელის განვითარება, რომელიც ფურაჟირებს გარკვეული ადგილიდან თავდასხმების განხორციელებით. ანუ მტაცებელი ტროფებს თავის პოზიციას, ვთქვათ, ბუდეს, მიდის მსხვერპლის დასაჭერად და თან მოაქვს ის ბუდეში, სანამ შეჭამდეს მას. სრულყოფილად წარმოადგენდა თუ არა ამ შემთხვევას დისკის განტოლება? სხვა რა ფაქტორები უნდა იქნას გათვალისწინებული ამგვარი მტაცებლისთვის მოდელის განვითარებისას? (მინიშნება: იხ. თავი 31.)

**8.** როგორც უკვე ვნახეთ, მტაცებლებმა შეიძლება შეზღუდონ მსხვერპლი პოპულაციების ზომა და ამრიგად, შეიძლება იყვნენ სასარგებლო მავნებელთა კონტროლისას სოფლის მეურნეობაში. თქვენ რომ არჩევდეთ მტაცებელს გარკვეული სასოფლო სამურნეო მავნებლის გასაკონტროლებლად, ფუნქციონალური და რიცხობრივი რეაქციის რა თვისებების დანახვის მოლოდინი გექნებათ მტაცებელში? როგორ გავლენას მოახდენდა წინასწარობის რიცხვი მტაცებელი-მსხვერპლის სისტემაში მტაცებლის, როგორც მაკონტროლებელი აგენტის ეფექტურობაზე?

## თავი 24



### გალაცისმაშამალები და პარაზიტიზმი

#### გზამავლები კითხვები


- რა თვის ებებით განსხვავდება ბალახის მჭამელობა და მუდმივობა და პარაზიტიზმი პარაზიტოიდიზმისა და მტაცებლობისგან?
- როგორ ახდენს მცენარე ბალახის მჭამელობის შედეგების კომპენსირებას?
- როგორ ცვლიან ბალახის მჭამელები მცენარის აგებულებას?
- რა არის გადაჭარბებული კომპენსაცია და რა-ტომ არის მისი არსებობა საეჭვო?
- როგორი ურთიერთკავშირია ბალახის მჭამე-ლებსა და მცენარის პროდუქციას შორის?
- როგორ ზეგავლენას ახდენს რამდენიმე მომხ-მარებელი მცენარის მოქმედებაზე და პოპულაციის დინამიკაზე?
- როგორ ზეგავლენას ახდენს მცენარეებზე განვითარების სტადიაზე მომხდარი ბალახის მჭამ-ელობა?
- როგორ ზეგავლენას ახდენს მცენარეებზე განვითარების შემთხვევაში ბალახის მჭამელობა და პარაზიტიზმი ბალახის მჭამელობის შედენის მიერ ბალახის მჭამელობისადმი მდგრადობაზე?
- როგორ განსხვავდება ბალახის მჭამელის ფუნქ-ციონალური რეაქცია მტაცებლებისგან?
- რა განსხვავებაა პარაზიტების პირდაპირ და არა-პირდაპირ გადაცემას შორის?
- პოპულაციის რა რაოდენობა უნდა იყოს იმუნიზე-ბული, რათა ავადმყოფობის გავრცელება შეჩერდეს?
- რა მექანიზმები უწყობს ხელს ავადმყოფობის პერიოდულ გავრცელებას?
- როგორ ზეგავლენას ახდენს მასპინძლის მობილუ-რობა ვირულენტურობის ევოლუციაზე?

**6** ინა თავში მტაცებლებსა და მსხვერპლს, ასევე პარაზიტოიდებსა და მათ მასპინძლებს შორის ურთიერთქმედების მოდელები შევისწავლეთ, რომ-ლებშიც ურთიერთქმედი სახეობების სიმჭიდროვის ცვლილება გათვალისწინებული არ არის. ამჯერად ჩვენს ყურადღებას მომხმარებლების სხვა ჯვუფებს, კერძოდ ბალახის მჭამელებსა და პარაზიტებს მივაპყრობთ. ბალახის მჭამელობა და პარაზიტიზმი მტაცე-ბლობისა და პარაზიტოიდიზმისგან ხარისხობრივად განსხვავდება, ვინაიდან ინდივიდებს შორის ურთიერთქმედები ერთ-ერთი ინდივიდის სიკვდილს ყოველთვის არ იწვევს. აქედან გამომდინარე, მთავარი

ყურადღება, პოპულაციათა სიმჭიდროვის ნაცვლად, ინდივიდების ფიზიოლოგიურ და მორფოლოგიურ რე-აგირებას დაეთმობა. ბალახის მჭამელებისთვის შე-ვისწავლით, თუ როგორ ახდენს მცენარე ნაწილობრი-ვი მოხმარების კომპენსირებას და როგორ რეაგირებენ ბალახის მჭამელები მცენარეების ხელმისაწვდომობის ცვლილებაზე. გარდა ამისა, პარაზიტებისთვის ავად-მყოფობის გადაცემის დინამიკას შევისწავლით და გან-საკუთრებულ ყურადღებას იმუნიზაციის პრობლემას დაუკუთმობთ. ბალახის მჭამელებისა და პარაზიტების მათ მასპინძლებთან ურთიერთქმედებას ყველა ინდი-ვიდისთვის აქვს შედეგი და ამ შედეგებს მომავალში განვიხილავთ.

## **24.1 გალაციისაგელობა და პარაზიტიზ- მი კომპლექსური პროცესითა, როგორ- გიც განსხვავდებიან მთაცემლობისა და პარაზიტიზმისგან**

ბალაზისმჭამელობა მომხმარებლისა და რესურსის ურთიერთქმედების მრავალ სახეობას ეწოდება, მათ შორის მცენარეების და მცენარეების ნაწილების მოხმარებას. როდესაც ბალაზისმჭამელი მცენარეზე პატარა ზომისაა, მცენარეს მასპინძელი ეწოდება (ტერმინ „მასპინძელს“, როგორც მცენარეებისთვის, ასევე პარაზიტებისთვის ვიყენებთ). მტაცებლობის და პარაზიტოიდიზმის შედარება პარაზიტიზმსა და ბალაზისმჭამელობის სხვადასხვა ტიპთან ორი კონტინუუმის გასწვრივ ხდება (სურ. 24.1). შედარებით დიდი ზომის ბალაზისმჭამელების, მაგალითად ირმის, ამერიკული ცხენ-ირემის, ანტილოპა გნუების, ასევე ზღვის წყალმცენარეების მჭამელი ორგანიზმების მოქმედებას ძოვა (ბალაზის ჭამა) და კორტნა (ფოთლების ან ყლორტების ჭამა) ეწოდება. კალიები და სარანჩები ასევე შეგვიძლია მძოველებად მივიჩნიოთ (პოლარდი). ძოვა მცენარის სიკვდილს იშვიათად იწვევს. მძოველებს ინდივიდუალურ მცენარესთან მცირე ხნის განმავლობაში აქვთ შეხება, ისინი ფოთოლს ან ბალაზს წყვეტენ, ხოლო მცენარის ფესვებსა და ყლორტებს არ ეხებიან. მწერების ბალაზისმჭამელობა მცენარის დაღუპვას იშვიათად იწვევს, თუმცა პარაზიტების მსგავსად, მწერსა და მცენარეს შორის კავშირი ხშირად ხანგრძლივია. ბალაზის მჭამელობასა და მტაცებლობას შორის სხვაობა ქრება, როდესაც



**სურ. 24.1** მომხმარებელსა და რესურსს შორის ურთიერთქმედება ინდივიდუალურ მომხმარებელსა და რესურსს შორის ურთიერთქმედების ხანგრძლივობით ან სიმჭიდროვით, ასევე რესურსის სიკვდილის აღმართობის საშუალებით შეიძლება დავახსასითოთ. პარაზიტები და ფეხსახსრიანი ბალაზისმჭამელები ხანგრძლივად მოქმედებენ, თუმცა მასპინძლის სიკვდილს იშვიათად იწვევენ. პარაზიტოიდები მასპინძლებთან ასევე დიდი ხნის განმავლობაში ურთიერთქმედებენ და მის სიკვდილს იწვევენ. ძოვისა და კორტნისას შეხება ხანგრძლება და მცენარეს ან ძურქს მხოლოდ მცირე ნანილი აკლდება. მტაცებლობა შედარებით ხანგრძლება მოვლენაა, რაც მსხვერპლის სიკვდილს იწვევეს.

ბალაზისმჭამელი მცენარეს მთლიანად მოიხმარს და კლავს. ლემნის მაგვარი პატარა ზომის ზღვის მცენარეების, დიატომების ან ლინოფლაგელატების მსგავსი პლანქტონური ორგანიზმების მოხმარება ზღვის ბალაზისმჭამელების მიერ, ასევე თესლის მოხმარება ამგვარი ბალაზისმჭამელობის მაგალითებია. მტაცებლობად სამი სახის ურთიერთქმედება შეგვიძლია მივიჩნიოთ. თესლის მოხმარებას თესლის მტაცებლობა ანუ უფრო ზოგადად თესლისმჭამელობა ეწოდება. პარაზიტოიდსა და მის მასპინძელს, ასევე პარაზიტს ან ბალაზისმჭამელ მწერსა და მასპინძელს შორის ახლო კავშირი თითქმის ყოველთვის მასპინძლის სიკვდილს იწვევს.

ნინა თავიდან გამომდინარე, მტაცებელსა და მსხვერლს შორის ურთიერთქმედების დინამიკა ინდივიდუალური ერთეულებით იზომება. ინდივიდუალური მტაცებელი და მსხვერპლი დაბადების შედეგად პოპულაციას ემატება (პოპულაციის მოდელებში იზრდება) და სიკვდილის შედეგად აკლდება (მცირდება). წარმატებული მტაცებლობის შედეგი ცხადია, მსხვერპლი კვდება და პოპულაციიდან გადის. მტაცებელი-მსხვერპლის პოპულაციის მოდელების საფუძველი დაბადებისა და სიკვდილის ტემპებია. მასპინძელი მცენარეების და პარაზიტების პოპულაციები ბალაზისმჭამელებისა და პარაზიტების მოქმედებაზე ასე ნათლად არ რეაგირებს. ბალაზისმჭამელობამ და პარაზიტიზმა მასპინძლის სიკვდილი შეიძლება არ გამოიწვიოს და მასპინძლის პოპულაციის ზომა უცვლელი დარჩება. მოხმარების შედეგი მასპინძლების ფიზიოლოგიურ და მორფოლოგიურ ცვლილებებში გამოიხატება, რაც მასპინძლის პოპულაციაში გაჩენის და სიკვდილიანობის ტემპზე ან აისახება ან არა. მცენარე ძოვის და კორტნის შედეგად ზოგჯერ ახალგაზრდობის ეტაპზე გადადის და უფრო ენერგიულად იზრდება. მცენარესა და ბალაზის მჭამელს, ასევე მასპინძელსა და პარაზიტს შორის ამგვარი ურთიერთქმედებები უფრო მჭიდროა, ვიდრე მტაცებელსა და მსხვერპლს შორის. სიმჭიდროვის ევოლუციური შედეგი ბალაზისმჭამელებისა და პარაზიტების ადაპტაციაა, რაც მათ მცენარეების, მცენარეების ნაწილებისა და მასპინძლების შერჩევაში ეხმარებათ.

ნინა თავებში უკვე ვთქვით, რომ სივრცითი დინამიკა ეკოლოგიურ პროცესებში მნიშვნელოვანი ძალაა (იხ. თავები 14, 17, 19 და 23). მტაცებლებსა და პარაზიტოიდებზე, ასევე ბალაზის მჭამელებსა და პარაზიტებზე მათი მასპინძლების გავრცელება ზეგავლენას ახდენს. მცენარეებს ნიადაგში აქვს ფესვი გადგმული ან ეპიფიტური მცენარეების მსგავსად სხვა მცენარეზე არის მიმაგრებული. აქედან გამომდინარე, ბალაზისმჭამელები ხშირად მეტაპოპულაციებში ბინადრობენ, სადაც შესაფერისი გავრცელების არეალის პატარა ტერიტორიებზე სასურველი მცენარეები არ გვხდება. პეპლები და ლამის პეპლები გავრცელებული ბალაზის მჭამელებია (იხ. სურ. 1.9 და 24.6ბ). პეპლა კარგად შესწავლილი სახეობაა და სივრცითი დინ-

ამიერის შედეგად შექმნილ ევოლუციურ ხაზს კარგად ასახავს. მიუხედავად იმისა, რომ მონარქი პეპლების გუნდები მიგრირებენ, პეპლების უმეტესობა ვეგეტაციის პატარა ტერიტორიას არ შორდება (ზინგერი და ერლიხი 1979, ერლიხი 1984). პატარა ადგილობრივი პოპულაციები არასაკმარისი იმიგრაციის შედეგად ხშირად ქრება, თუმცა ზოგიერთი პეპლა აუდელვებელ ტერიტორიაზე გადადის და გადაშენებასა და კოლონიზაციას შორის ბალანსი მიიღწევა. პოპულაცია მეტაპოპულაციის შეკალაზე არსებობას განაგრძობს. ადამიანის მიერ გავრცელების არეალის დაყოფა ან ბუნებრივი აღლელვება გავრცელების არეალის პატარა ტერიტორიების სივრცეში განლაგებას ცვლის და პეპლის პოპულაციას შესაძლოა საფრთხე დაემუქროს (ტომასი და ჰანსკი 1997).

პარაზიტების და ავადმყოფობის გადამტანი ორგანიზმების რთული სასიცოცხლო ციკლები მათი მასპინძლების რთული სივრცითი დინამიკით შეიძლება იყოს გამოწვეული. პარაზიტის გარემო პატარა ტერიტორიებისაგან შედეგება და თითოეული მასპინძელი ინდივიდი სასურველი ტერიტორია. ბევრი პარაზიტი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში რამდენიმე მასპინძელს აავადებს. თითოეულ მასპინძელს განსხვავებული გენეტიკური თვისებები, ფიზიოლოგია, მოქმედება და მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს. უფრო მეტიც, მასპინძლები ზოგჯერ ძალიან მობილურები არიან. პარაზიტი მასპინძელში უნდა გადარჩეს ანუ ადაპტირდეს, ხოლო ადაპტირება ერთი მასპინძლიდან მეორეში გადაადგილებისას საკმაოდ რთულია. სოლიტერს ხერხემლიანი ცხოველების საჭმლის მომნელებელ სისტემაში არსებობისთვის გარკვეული მორფოლოგიური თვისებები აქვს, რაც მას ახალი მასპინძლის მოძებნასა და გადაადგილებაში არ ეხმარება. პარაზიტებს ამ პრობლემის დაძლევაში გამრავლებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ადაპტაცია ეხმარება. პარაზიტის პოპულაციის არსებობისთვის ამ პრობლემების დაძლევაა საჭირო. მასპინძლების მდებარეობის დადგენა პარაზიტის პოპულაციების ამსახველ მოდელებში პარაზიტების მიერ გამოწვეული ავადმყოფობის დინამიკასთან ერთად მნიშვნელოვანია. ენდოპარაზიტების პოპულაცია მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მასპინძელში იზრდება, რაც პარაზიტის პოპულაციის დაყოფას და დაავადების გამომწვევი ინდივიდების შთამომავლობის პოპულაციებს შორის ურთიერთქმედებას იწვევს.

## **24.2 მცენარე-პალაცისმაგელის ინტერაქციები ტაქსონომიურად და ეკოლოგიურად მრავალფეროვანია**

ბალაზისმჭამელი ორგანიზმები ცხოველების სულ მცირე 10 ტიპში გვხვდებიან, დაწყებული ერთუჯრედიანი დიატომიების მჭამელი ერთუჯრედიანი ამებებიდან, დამთავრებული ხერხემლიანი ცხოველებით (ცხრილი

24.1) (კროული 1983). ნემატოდების უამრავი სახეობა მცენარის მინისქვეშა ნაწილებს ჭამს. ექინოდერმების და მოლუსკების სახეობები, მაგალითად ზღვის ზღარბები და ლოკოკინები, ზღვის წყალმცენარეებს ჭამენ. ხაგსში მობინადრე პანანინა ორგანიზმები ანუ ნელმავალები ბალაზის მჭამელები არიან და საჭმელს ხავსის უჯრედების გამოწვევით მოიპოვებენ. ფეხსახსრიანების დიდი რაოდენობა ასევე ბალაზისმჭამელია. კალიები და მუხლუხები ფოთლებს წივენ და ალბათ ყველას მოგვისმენია მებალეების ჩივილი სხვადასხვა ტრიპსების, მცენარეების ტილების და ხოჭოების შესახებ (სურ. 24.2). კიბოსნაირები, მაგალითად კიბორჩხალები, ომარები და დაფნიების მაგვარი მცირე პლანქტონური ფორმები, ასევე ბალაზის მჭამელები არიან და წყალმცენარეებს, ფიტოპლანქტონს და მცენარეთა ნაყოფს ჭამენ. მრავალფეხების რამდენიმე სახეობა მცენარის წვენით იკვებება. მწერებში ფეხსახსრიანი ბალაზის მჭამელების დიდი მრავალფეროვნება გვხვდება. მწერების 26 ჯგუფიდან 8-ში ანუ დაახლოებით 25%-ში ბალაზის მჭამელი სახეობები შედის (სურ. 24.3). ვაისი და ბერენბაუმი 1989). ობობისმაგვარების უმეტესობა ხორცისმჭამელი ან ყველაფრის მჭამელია, თუმცა ტკიბის რამდენიმე სახეობა მცენარეების წვენით იკვებება. ტკიბებს სასოფლო-სამეურნეო ეკოსისტემაში დიდი ყურადღება ეთმობათ.

ბალაზისმჭამელი სახეობები ხერხემლიანი ცხოველების ყველა ძირითად კლასში გვხვდება. თევზებში ხორცის მჭამელობის თვისებები ბალაზისმჭამელობის თვისებებზე უფრო მეტად არის გავრცელებული, თუმცა ზღვის და მტკნარი წყლის ბევრი სახეობა ფიტოპლა-




**სურ. 24.2.** მცენარის ტკიბი ბალაზისმჭამელი მწერია, რომელიც მოსავალს ანადგურებს და მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანი მოაქვს

**ცხრილი 24-1 მცენარის სხვადასხვა სახის ქსოვილები და მათი ბალახისმჭამელები**

ქსოვილი	კვების რეჟიმი	მჭამელის მაგალითი
ფოთლები	წაჭრა ჩონჩხად ქცევა გახვრეტა გახვევა შებრუნება თხრა წახერხვა წოვა მონყვეტა	ჩლიქოსნები, ლორნოვანები, საწფლყ, პეპლები ხოჭოები, sawfly, capsid bug ღამის პეპლები, გრძელცხვირები, ღორები, ლორნოვანები მიკროქერცლფრთიანები, მცენარის ტილები ქერცლფრთიანები, საწფლყ მიკროქერცლფრთიანები, ორფრთიანები ლორნოვანები, ლოკოკინები მცენარის ტილები, პსყლლიდ, ხტუნიები, თეთრფრთიანები, ტკიპები სკვინჩები, ჩლიქოსნები
კვირტები	ბურღვა დეფორმაცია	აპკუფრთიანები, ქერცლფრთიანები, ორფრთიანები მცენარის ტილები, ღამის პეპლები
ბალახის ღეროები	მონყვეტა ბურღვა წოვა	სკვინჩები, ჩლიქოსნები გრძელცხვირები, ბუზები, ღამის პეპლები მცენარის ტაღები, სცალეს, ცონჭინეალ, ხოჭოები
ხის ქერქი	გვირაბის გაყვანა გაშიშვლება წოვა	ხოჭოები, კრაზანები ციყვები, ირემი, თხები, მინდვრის თაგვები სცალეს, ჭიები
ხე	პობა გვირაბის გაყვანა ღეჭვა	თახვები, დიდი ზომის ჩლიქოსნები ხოჭოები, კრაზანები ტერმიტები
ყვავილები	ნექტარის სმა მტვრის ჭამა ყვავილსაჯდომის ჭამა შებრუნება	ღამურები, კოლიბრები, პეპლები ფუტკრები, პეპლები, თაგვები ორფრთიანები, მიკროქერცლფრთიანები, ტრიპსები მიკროქერცლფრთიანები
ნაყოფი	სარგებლის მომტანი საზიანო	მაიმუნები, შაშვები, ჩლიქოსნები, სპილოები კრაზანები, ღამის პეპლები, მღრღნელები, სკვინჩები, ბუზები
თესლი	მტაცებლობა ხვრეტა წოვა	ირემი, ციყვები, თაგვები, სკვინჩები, ღორები გრძელცხვირები, ღამის პეპლები, ბრუციიდ მინის ბაღლინჯოები
მცენარის ნვენი	ფლოემა ქსილემა უჯრედის შემცვ- ელობა	მცენარის ტილები, თეთრფრთიანები, ხტუნიები სპიტტლებუგს, ციკადები ხოჭოები, ხტუნიები, ტკიპები, ნელამავალები
ფესვები	წაჭრა გვირაბის გაყვანა წოვა	ხოჭოები, ბუზები, მღრღნელები, ჩლიქოსნები ნემატოდები, ბუზები მცენარის ტილები, ციკადები, ნემატოდები
Galls	ფოთლები ნაყოფი ყლორტები ფესვები	სიფრიფანაფრთიანები, ორფრთიანები, მცენარის ტილები, ტკიპები სიფრიფანაფრთიანები სიფრიფანაფრთიანები, ორფრთიანები მცენარის ტილები, გრძელცხვირები, სიფრიფანაფრთიანები

ლანქტონს, წყალმცენარეებს ან სხვა მცენარეებს ჭამს (მოილი და კერი 1988). მარჯნის რიფების ეკო-სისტემებში მობინადრე ბალახისმჭამელი თევზების უმეტესობა მკვეთრი ფერისაა და ადამიანს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი მარჯნის რიფის ფაუნაში

დომინანტურები არიან. მტკნარ წყალში მობინარდე ბალახისმჭამელი თევზებიდან ყველაზე უფრო გავრცლებულია კობრი. ზღვის და ხმელეთის კუების კვების რაციონში უმეტესად მცენარეები შედის. გალაპაგოსის კუნძულებზე მობინადრე ხმელეთის გიგანტური



### **სურ. 24.3.** ბალახის მშენებელი სახეობების რაოდენობა მწერების შერჩევულ ჯგუფები

კუები ცნობილი ბალახის მჭამელები არიან. გალაპა-  
გოსის კუნძულებზე გავრცელებული ზღვის იგუანა  
წყალმცენარეებს ჭამს (სურ. 24.4). სხვა იგუანები  
ხმელეთის მცენარეების ფოთლებს და ფესვებს ჭა-  
მენ. მცენარეების მჭამელი ფრინველებიდან ცნობი-  
ლია იხვი და ბატი, ასევე ოუთიყუში და სკვინჩა. კო-  
ლიბრები ასევე მცენარეებს, უფრო კონკრეტულად  
ყვავილების ნექტარს ჭამენ. ფრინველთა სხვადასხვა  
სახეობა კვირტებს, ნაყოფს, თესლს და ა.შ. ჭამენ, რაც  
მცენარის დამტვერვისა და თესლის გავრცელებისთ-  
ვის არის აუცილებელი.

ძუძუმწოვარი ცხოველების დაახლოებით ნახევარი მცენარეებს ჭამს, ხოლო ზოგიერთი სახეობა აქცენტს ნაყოფსა და თესლზე აკეთებს (საუთვეული 1985, ლინდროტი 1989). ძუძუმწოვარი, ბალახისმჭამელი ცხოველებიდან ყველაზე უფრო ცნობილი აფრიკის ველებში ძოვენ და სატელევიზიო არხებზე აღპათ ხშირად გინახავთ მთვლემარე ლომის ფონზე ბალახისმძღველი ანტილოპა გნუები და გაზელები. ძუძუმწოვარ, ბალახის მჭამელ ცხოველებში შედიან ნაყოფის მჭამელი ლამურები, რომლებიც მთვარიანი ლამების განმავლობაში იკვებებიან, ასევე სამხრეთ ამერიკული ზარმაცხები, რომლებიც მთვლს დროს ხეგბზე ატარებენ.

ბენ და ასევე „ხორცის მჭამელ“ ტაქსონებში შემავალი ძუძუმწოვარი ცხოველები, მაგალითად გიგანტური პანდა (რომელიც მხოლოდ ბამბუკს ჭამს). პრიმატების უმეტესობა აგრეთვე მცენარეებით იკვებება.

მცენარის ნივთიერების მოხსარება ეკოსისტემაში ენერგიის დინების მნიშვნელოვანი პროცესია და ბალაზისმჭამელობა ყველგან არსებობს. მცენარეებსა და ბალაზისმჭამელ ცხოველებს შორის ურთიერთქმედების ბუნება, ასევე ბალაზისმჭამელობის მნიშვნელობა ეკოსისტემის პროცესების მართვაში, სხვადასხვა ეკოსისტემაში განსხვავებულია. ზღვის ეკოსისტემებში ბალაზისმჭამელობა ლიპშეტ-ების, ზღვარბების, კიბორჩხალების ან თევზების მაგვარი ორგანიზმების მიერ მაჟროსკოული წყალმცენარეების შექმას გულისხმობს. მიქცევა-მოქცევას ზონაში მოხვედრილ ტერიტორიებზე, ბალაზისმჭამელობის პროცესები, ბალაზისმჭამელებზე არსებული მტაცებლობა და გარემოს ცვლილება, კერძოდ ტალღის ფიზიკური ზემოქმედება, წყალმცენარის გავრცელებაზე ზეგავლენას ახდენს.

მცენარეებსა და ბალახისმჭამელ ცხოველებს შორის ურთიერთქმედების რამდენიმე სახეობა მტკნარი წყლის ტბებში და მდინარეებში არსებობს. ტბებში



**სურ. 24.4.** გალაპაგოსის კუნძულებზე  
მობინადრე ზღვის იგუანები

ხშირად გვხვდება როგორც მაკრომძოველები, მაგალითად წყლის ვეგეტაციის მჭამელი დიდი კიბოს-მაგვარები, ასევე მიკრომძოველები, მაგალითად პატარა კიბოსმაგვარები, როგორც ები და უმარტივესი ცხოველები, რომლებიც მაკრომძოველებთან ერთად სხვადასხვა ზომის ფიტოპლანქტონით იკვებებიან. წყალში ჩაძირული და წყალსზემოთ მზარდი მაკროფიტები ტბის ნაპირებზე ბინადრობენ და მათ სხვადასხვა ორგანიზმები, მაგალითად ლოკოკინები, ფრინველები, თევზები და ზოოპლანქტონი ჭამენ (შუტენი და სხვები 1994). ორგანიზმები, რომლებიც კლდეებიდან და სხვა მყარი სუბსტრატებიდან პერიფოტონს ფხევენ, ტყის მდინარეებში ძალიან გავრცელებულია (ალენი 1995). ჰიდროპტილიდების ოჯახის ნარმომადგენელი მდინარის მწერები წყალმცენარეების უჯრედებში აღნევენ და სითხეს წოვენ (კამინის და კლუგი 1979).


ტყის და მინდვრების მსგავს ეკოსისტემებში, ბალახისმჭამელი მწერები წლის განმავლობაში ფოთლების დახლოებით 10%-ს მოიხმარენ (კროული 1989). მუხლუხები ყვავილებს წოვენ და მათ დიდ ზიანს აყენებენ, ხოჭოს ზოგიერთი სახეობა კი თესლს ჭამს. სოფლის მეურნეობის ეკოლოგებისთვის მწერების ბალახისმჭამელობის დინამიკა ძალიან მნიშვნელოვანია. პარაზიტ მწერებს ყოველწლიურად უზარმაზარი ეკონომიკური ზიანი მოაქვთ, ხოლო წყალმცენარეების სახეობების ბალახის მჭამელები ამ წყალმცენარეებს სახეობების ბალახის მჭამელები ამ წყალმცენარეებს ბიოლოგიურად აკონტროლებენ.

მთხრელი ორგანიზმების დიდი რაოდენობა მცენარის მინისქვეშა ნანილების მოხმარებაზეა ადაპტირებული. ნემატოდებს ხშირად მცენარის პარაზიტებს უნდებენ. ისინი ფართოდაა გავრცელებული და სოფლის მეურნეობის ეკოსისტემებში დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ. მწერების ოთხი ჯგუფის (ხეშეშფრთიანების, ქერცლფრთიანების, ორფრთიანების და თანაბარფრთიანების) სახეობის მოუმნიშვნელი იორგანიზმები მცენარის მინისქვეშა ნივთიერებებს მოიხმარენ. მღრღნელების რამდენიმე სახეობა ფესვებს და მინიქვეშა ყლორტებს ჭამს (ანდერსენი 1987).

ამგვარ ბალახისმჭამელებს შორის ყველაზე უფრო საინტერესოა პერიოდული ციკადა (აგიციცადა), რომლის რამდენიმე სახეობა მინის ქვეშ ჭიოტის ფორმით 13-17 წლის განმავლობაში ბინადრობს და ხის ფესვებიდან წვენს წოვეს. 13-17 წლის განმავლობაში ერთხელ მანც, ყველა ციკადა სინქრონულად ამოდის მინის ზემოთ. რამდენიმე ათასი ჭიოტა ნიადაგს თხრის და უახლოეს ხეზე ადის, როს შემდეგაც მწიფდება და დაახლოებით 5-6 კვირის განმავლობაში ცხოვრობს და მრავლდება. ციკადა კვერცხს პატარა ტოტებზე დებს, შემდეგ კვერცხი მინაზე ცვივა, ჭიოტები გამოდიან და კვლავ მინაში ჩადიან.

### 24.3 გალაპაგოსის შეუძლია გამოიციოს მაკომავენის რეაციები მცენარეთაგან

მტაცებლობა ცალმხრივი მოქმედებაა: მსხვერპლი იჭმევა და მტაცებელი კმაყოფილდება. ბალახისმჭამელობა ნაკლებად სწორხაზოვანი მოვლენაა. ფოთლების მღეჭავი მუხლუხი და ფესვებიდან წვენის გამომწოვი ნემატოდა მცენარეს კი არ კლავს, არამედ უბრალოდ რეაგირებას იწვევს, რაც ბალახის მჭამელის მიერ მიყენებულ ზარალს აკომპენსირებს. მცენარეებს დაკარგული ქსოვილების აღდგენა ძალუბო და სწორედ ეს განასხვავებს ბალახისმჭამელობას მტაცებლობისა და პარაზიტოიდიზმისგან. მცენარის და ბალახისმჭამელის ურთიერთებებისას უკუკავშირი გვაქვს, მცენარე სხეულში რესურსებს გადაანაწილებს ან ზრდის სტრუქტურას შეიცვლის, ხოლო ბალახისმჭამელი ამ ცვლილებას ეგუება და ა.შ. ასეთი უკუკავშირი მცენარის ფიზიოლოგიურ და მორფოლოგიურ ცვლილებებს, ასევე ბალახისმჭამელობის მოქმედების შეცვლას იწვევს და ზოგჯერ ორივე მათგანის პოპულაციის დინამიკაც იცვლება. ურთიერთებები მცენარის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებას და ბალახისმჭამელის გემოვნების დახვენასაც იწვევს.



**სურ. 24.5.** ბალახისმჭამელობა მცენარის მონაცემებსა და ზრდაზე სამგვარად ახდენს ზეგავლენას. 1) მონაცემები ბალახისმჭამელობის ინტენსივობისადმი პირდაპირობით ციულად უარყსდება; 2) მონაცემები ბალახისმჭამელობის გარკვეულ დონეზე კომპენსაციის შედეგად ნაწილდება; 3) მონაცემები ბალახისმჭამელობის გარკვეულ დონეზე უმჯობესდება და შემდეგ უარესდება.

ბალახისმჭამელობის ზეგავლენა მცენარეებზე სამგვარად აისახება (ჯეფერისი 1988, ტრამბლი და სხვები 1993) (სურ. 24.5). პირველ შემთხვევაში, მცენარის მონაცემებზე და რეპროდუქციულ შედეგებზე ბალახისმჭამელობა, ინტენსივობის მიუხედავად, უარყოფითად აისახება. მეორე შემთხვევაში, მცენარე სუსტ და საშუალო ბალახისმჭამელობას კომპენსაციის შედეგად უძლებს, რა დროსაც მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები ბალახისმჭამელობის გარკვეულ ზღვრამდე მის შედეგებს ერევა, ხოლო ამ ზღვრის გადალახვის შემდეგ დანაკარგის კომპენსაცია შეუძლებელია. მესამე შემთხვევაში, მცენარე ბალახის მჭმელობას გადაჭარბებული კომპენსაციით პასუხობს ანუ მისი ზრდის, ვარგისიანობის ან რაიმე სხვა მონაცემები უმჯობესდება. ეს მოსაზრება საკამათოა.

### ბალახისმჭამელობის უარყოფითი შედეგები

ბალახისმჭამელობა ზოგჯერ მცენარის ზრდაზე, სიცოცხლისუნარიანობაზე და ნაყოფიერებაზე უარყოფითად აისახება. პარაზიტების გავრცელება მცენარეებზე ძალიან უარყოფითად აისახება. ყასყ მოტჰ-ის მიერ მუხის ფოთლების განადგურება გაყავისფრებული და მომაკვდავი ხეების გაჩენას ინვევს. აშშ-ს აღმოსავლეთში მობინადრე იაპონური ხოჭოები მცენარეებს ანადგურებენ (სურ. 24.6ა). პომიდვრის რქან მუხლუხს ერთ-ორ დღეში შეუძლია პომიდვრის

მთელი ნარგავების განადგურება (სურ. 26.4ბ). სასოფ-ლო-სამეურნეო მცენარეებს პარაზიტები ძალიან ერჩიან, ვინაიდან ყლორტებიდან და ფესვებიდან წვენს წოვენ.

ზოგიერთი მცენარის ზრდა და თესლის წარმოქმნა ზომიერი ბალახისმჭამელობის პირობებშიც კი იკლებს. ბახის (1994) აღმოჩენით, ქვიშის დოუნის ტირიფი (შალის ცორდატა) მინის რწყილების (ლტიცა სუბლიცატა) ბალახისმჭამელობის სამი დონის საპასუხოდ უფრო ნელა იზრდება (სურ. 24.7). ბალახის მჭამელობის ზეგავლენის აღმოჩენა ზოგჯერ საკმაოდ რთულია, ვინაიდან მცენარეები კომპენსაციას სხვადასხვა მეთოდით ახდენს. როდესაც ბალახისმჭამელობა მცენარის პოპულაციის დინამიკის ერთ ასპექტზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, მთლიანი უარყოფითი შედეგი შესაძლოა უმნიშვნელო იყოს. მაგალითად, საფრანგეთში გავრცელებულ პარკოსან ნტჰკლლის ვულნერარიას- დემოგრაფიაზე ცხვრის ძოვის სამი დონის (ძოვის გარეშე, საშუალო დონის ძოვა და შეუზღუდავი ძოვა) ზეგავლენა შეამონმეს და აღმოჩნდა, რომ საშუალო და შეუზღუდავი ძოვა მცენარის თესლის რაოდენობას ამცირებს, მაგრამ პოპულაციის სიმჭიდროვეზე არავითარი ზეგავლენა არ აქვს, ვინაიდან მცენარე კომპენსაციას ახდენს (ბასტრენტა 1991).




(ა)



(ბ)

**სურ. 24.6.** ბალახისმჭამელი მნერები დეკორატიულ ან სასოფ-ლო-სამეურნეო მცენარეებს ზიანს აყენებენ. ა) იაპონური ხოჭო. ბ) პომიდვრის რქანი მუხლუხი



**სურ. 24.7.** ქვიშის დიუნის ტირიფის (შალის ცორდატე) სიმაღლის ცვლილება მონის რწყილ ლტიცა სუბლიცატა-ს ბალაზისმჭამელობის სამ დონეზე. ჰორიზონტალურ ლერძზე აღნიშნული რიცხვები ტირიფის სხვადასხვა კლონებს ასახავს.


### კომპენსაცია

მცენარეები ბალაზისმჭამელობის შედეგებს სხვადასხვა მეთოდითა კომპენსირების (ტრამბლიდა სხვები 1993). ფოთლების და სხვა ფოტოსინთეზური ქსოვილების დაკარგვა ნივთიერების სხვაგვარ გადანაწილებას ინვევს. ფოტოსინთეზი მცენარის ფოთლებში და სხვა მწვანე ნაწილებში ხდება. ფოტოსინთეზის პროდუქტი მცენარის ყველა ცოცხალ ქსოვილს სჭირდება და ის საქაროზის ფორმით მცენარის არაფოტოსინთეზურ ქსოვილებს გადაეცემა, სადაც სუნთქვისთვის და ბიოსინთეზისთვის გამოიყენება ან სახამებლად იქცევა და დიდი ხნის განმავლობაში ინახება. ფოთლების და მცენარის სხვა ფოტოსინთეზური ქსოვილები ფოტოსინთეზის პროდუქტის წყვროება, ხოლო პროდუქტს ფოტოსინთეზის პირველადი პროდუქტი ეწოდება. მცენარის არაფოტოსინთეზური ორგანოები და ქსოვილები, მაგალითად ფესვები, ჩასადინარია (პროდუქტის გადაცემა საკმაოდ რთული პროცესია და მას ამჯერად არ შევეხებით). ფოტოსინთეზის ტემპს ჩასადინარების ხელმისაწვდომობა არეგულირებს, სადაც ფოტოსინთეზის პირველადი პროდუქტი თავს-დება. ფოტოსინთეზის ტემპი მცირდება, როდესაც ფოტოსინთეზის პირველად პროდუქტზე მოთხოვნა მცირება. თუ ფოტოსინთეზის პირველად პროდუქტზე მოთხოვნა დიდია, მაშინ ფოტოსინთეზური აქტიურობა იმატებს. მცენარეები ბალაზისმჭამელობაზე ფოტოსინთეზის ტემპის მომატებით ან დაკლებით რეაგირებს, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ჭამს ბალაზისმჭამელი. მწოველი მწერების მსგავსი ბალაზისმჭამელები ფოტოსინთეზის პირველად პროდუქტზე მოთხოვნას ამცირებენ, ვინაიდან მცენარის ზრდად ქსოვილებს, მაგალითად ყლორტებს და ნაყოფს, ანადგურებენ და ფოტოსინთეზის ტემპის შემცირებას.

ინვევენ. დეფოლიაცია ფოტოსინთეზის პირველადი პროდუქტის მიწოდებას მოთხოვნაზე ნაკლებს ხდის და დარჩენილ ქსოვილებში ფოტოსინთეზის ტემპი იზრდება (კროული 1983, ტრამბლი და სხვები 1993).

ხორბალში ფოტოსინთეზის უმეტესი ნაწილი გრძელ, მფარავ ფოთოლში ხდება, ხოლო ფოტოსინთეზის პირველადი პროდუქტის ჩასადინარი ხორბლის ტაროა. კინგმა და სხვებმა (1967) ხორბალს ტარო მოაჭრეს და ნახეს, რომ შემდგომი 24 საათის განმავლობაში ფოტოსინთეზის ტემპი მკვეთრად შემცირდა. მეცნიერებმა შემდეგ მცენარის ქვედა ნაწილები დაჩრდილეს და ხელოვნური ჩასადინრები შექმნეს, რითიც ფოტოსინთეზის უნარი დააქვეითეს, ხოლო ფოტოსინთეზის პირველად პროდუქტზე მოთხოვნა გაზარდეს. შედეგად ფოტოსინთეზის ტემპი მფარავ ფოთოლში გაიზარდა (სურ. 24.8).

ხმელეთის მცენარეების ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება მიწისზე და ყლორტებსა და მიწისქვეშა ფესვებსა და ყლორტებს შორის ურთიერთქმედება. ფოტოსინთეზი მცენარის მიწისზე და ნაწილში ხდება, სადაც წყლის დიდი რაოდენობა იკარგება. აქედან გამომდინარე, მცენარის გვერდით გამონაზარდებს წყლის და საკვები ნივთიერებების მაღალი დონე სჭირდებათ, რასაც ფესვების სისტემა უზრუნველყოფს. თუ წყლის ან საკვები ნივთიერებების რაოდენობა იზღუდება, მაშინ ფესვების სისტემა უნდა გაიზარდოს, რათა მოთხოვნას უპასუხოს. ფესვების ზრდას ნახშირნყალი უზრუნველყოფს, რომელიც გამონაზარდებში იქმნება და უკუქმედების რთულ სისტემას ქმნის. ეს სისტემა მცენარის მიწისზე და მიწისქვეშა ბიომასების შეფარდებას არეგულირებს, რასაც ფესვი/გამონაზარდის ფარდობა ეწოდება. როდესაც წყლის ან საკვები ნივთიერებების



**სურ. 24.8.** ფოტოსინთეზის პირველადი პროდუქტის ნარმატების ტემპის ექსპრიმენტულად ზრდის და შემცირების შედეგები ხორბალში. ფოტოსინთეზის პირველადი პროდუქტის ტარო ფოტოსინთეზის პროდუქტების ჩასადინარია. ტაროს მოწყვეტა ფოტოსინთეზის შემცირებას ინვევს, ხოლო ქვედა ფოთლების დაჩრდილების შედეგად ფოტოსინთეზის ტემპის შემცირებას იმატებს.

რაოდენობა შეზღუდულია, მცენარეებს მინისზედა ნაწილებთან შედარებით გრძელი ფესვები აქვთ და ფესვი/გამონაზარდის ფარდობა მაღალია. სწორედ ასეთი მდგომარეობა გვაქვს უდაბნოში, სადაც წყლის რაოდენობა შეზღუდულია. წყლით და საკვები ნივთიერებებით მდიდარ ტერიტორიებზე გავრცელებულ მცენარეებს ფესვი/გამონაზარდის შეფარდება მცირე აქვთ. ფესვის სისტემის პროდუქტიულობა რესურსებითაც იზღუდება, ვინაიდან რესურსებით მნირ გარემოში მობინადრე მცენარეების ფესვების ჯამური პროდუქტიულობა მცირება (ბარბური და სხვები 1987). ნებისმიერი მცენარის მინიქვეშა ნაწილებში მინერალები და სხვა ნივთიერებები ინახება, რომელთა საკვები ლირებულება შესაძლოა ძალიან დიდი იყოს (ანდერსენი 1987). აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ბალახის მჭამელების დიდი რაოდენობა მცენარის მინისქვეშა ნაწილების მირთმევას ამჯობინებს.

ფოტოსინთეზის ტემპზე სხვადასხვა მექანიზმები ახდენს ზეგავლენას, რომლებიც ფოტოსინთეზის პირველადი პროდუქტის მინიდებასა და მოთხოვნას შორის სხვაობასთან კავშირში არ არიან. წინა თავებიდან გამომდინარე, ტემპერატურის, სინათლის ინტენსივობისა და საკვები ნივთიერებების ხელმისაწვდომობის მსგავსი გარე ფაქტორები მცენარის პროდუქციის ტემპს ცვლის. მცენარის ნირმალურად ზრდასთან დაკავშირებული პროცესები რესურსების ხელმისაწვდომობაზე და ფოტოსინთეზის ტემპზე ასევე ახდენს ზეგავლენას. მაგალითად, მცენარის ფოთლები ანუ ფოტოსინთეზის პროდუქტის ძირითადი წყაროები, განვითარების ადრეულ ეტაპზე ძლიერი ჩასადინარია. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორს ბალახისმჭამელობა ემატება და მცენარის ფიზიოლოგია განისაზღვრება.

## მცენარის არქიტექტურა

მცენარის არქიტექტურა მორფოლოგიური თვისებების სიმრავლეა. მორფოლოგიური თვისებებია სიმაღლე, ფესვი/გამონაზარდის ფარდობა, განტოტვის სტრუქტურა და ფოთლის ფართობი. მცენარის არქიტექტურა ბალახისმჭამელობაზე ახდენს ზეგავლენას და პირიქით. ბალახისმჭამელები მცენარის ზედა მერისტემებს ერჩიან, საიდანაც ყლორტი იწყებს აღმოცენებას. გარდა ამისა, ჯერ კიდევ დაუზიანებელი კენწეროს კვირტები იგივე ყლორტზე გვერდითი კვირტების ზრდას ხელს უშლის და ამ მოვლენას კენწეროს დომინირება ეწოდება. როდესაც კენწეროს კვირტს ბალახისმჭამელი წყვეტს, მცენარე გვერდზე იზედება და მისი არქიტექტურა იცვლება. იგივე ხდება, როდესაც ბალახში ბუჩქებს ჭრით. კენწეროს კვირტების მოწყვეტა გვერდით ზრდას უწყობს ხელს და ბუჩქები სქელდება. თეთრი ბატის (ჩექენ ცაერულესცენს ატლანტიცა) მიერ ბალახის ძოვა კანადაში,

ბაილოტის კუნძულებზე გავრცელებული არქიტექტული მცენარეების ორი სახეობის (უპონტია ფისპერია და რიოპპორუმ სცჰეუცჰერი) სიმაღლეს ამცირებს (ბეულიე და სხვები 1996). ზღვის ზღვარბები (ყტეცჷნუს ვარიეგატუს) ზღვის რუპიის მინისზედა ბიომასას მკვეთრად ცვლიან, რუპიის სიმჭიდროვე იცვლება და ზღვარბები მტაცებლობას უფრო მეტად ექვემდებარებიან (პეკი და ვალენტანი 1995).

მცენარეებს მოდულარული აგებულება აქვთ, ამიტომ ბალახისმჭამელის შეტევის ადგილს მცენარის არქიტექტურის ცვლილება და ცვლილების ფორმა განსაზღვრავს (მარკისი 1996). მაგალითად, მშეერი მუხლუხების მიერ ფოთლების ჩამოყრა ტოტების ზრდას ხელს უშლის, ვინაიდან მცენარეები ფოტოსინთეზის პირველადი პროდუქტის დანაკარგს სწრაფად ვერ ინაზღაურებს. მძოვრელი ან მკორტნავი ცხოველი, ასევე მწერი კვირტებს ერჩის და მცენარის არქიტექტურაში კომპენსატორული რეაგირება ხარისხობრივად იცვლება.

მცენარის არქიტექტურა ბალახისმჭამელი სახეობების რაოდენობაზეც (მრავალფეროვნებაზე) ახდენს ზეგავლენას. ეაფჰოპერ-ები მწოველი მწერები არიან და მცენარეების სხვადასხვა სახეობებით იკვებებიან. მეცნიერები ლეაფჰოპერ-ების სახეობების რაოდენობას ცხვრის მიერ ბალახის ძოვის სხვადასხვა ინტენსივობებზე დაკავირდნენ და აღმოჩნა, რომ ლეაფჰოპერ-ების მრავალფეროვნებაზე ძოვის ინტენსივობა უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე დანარჩენი ცვლადები (ბრაუნი და სხვები 1992).

## გადაჭარბებული კომპენსაცია

რამდენიმე ემსირიულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ზოგჯერ ბალახისმჭამელობა მცენარის მონაცემებს, ზრდის ტემპს და ვარგისიანობის აუმჯობესებს, რასაც გადაჭარბებული კომპენსაცია ეწოდება (იხ. სურ. 24.5) (მაკანატონი 1983, პეკიჯი და უიტჰემი 1987, პეკიჯი 1992, ელვორდი და ჯორენი 1993, პიალტენი და დანელი 1993, დანგერუფილდი და მოდუკანელე 1996). პეკიჯის და უიტჰემის (1987) აღმოჩნით, აშშ-ს დასავლეთით მდებარე მთიან რეგიონებში გავრცელებულ ორნლიან ბალას პომობსის აგგრეგატა-ს თესლის ნარმობა იზრდება, როდესაც მას შავეუდიანი ირემი და ცხენირემი კორტნის. მცენარეების რეაქცია მისი არქიტექტურის ცვლილებით არის გამოწვეული. როდესაც მცენარის ერთ ყვავილედს ირემი ან ცხენირემი მოწყვეტს, მცენარეს ყვავილის ბევრი ყუნწი გამოაქვს, რის შედეგადაც ნაყოფის ნარმობა იზრდება. ნაყოფში თესლის საშუალო რაოდენობა დაკორტნილ და დაუზიანებელ მცენარეში ერთი და იგივეა და თესლის განაყოფიერების ტემპებს შორისაც სხვაობა არ არსებობს. აქედან გამომდინარე, ვარგისიანობის ზრდა ნაყოფის დიდი რაოდენობით გამოტანის შედეგია (პეკიჯი 1992). რამდენიმე მეცნიერი ამ აღმოჩნევის სისწორეს



**სურ. 24.9.** ცხოველები აფრიკის სერუნგეტის დაბლობში ძოვენ

ეჭვევეშ აყენებს, ვინაიდან ზოგიერთი პოპულაცია იგივე რეაქციას არ ავლენს (ბერგელსონი და სხვები 1996).

ზოგიერთი ეკოლოგის აზრით, გადაჭარბებული კომპენსაცია მცენარის ვარგისიანობის ზრდას იწვევს (მაკატონი 1979). სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ჩრდილოეთ ამერიკის და აფრიკის ველებში გავრცელებული მცენარეების სახეობების წარმატება, სადაც ხერხმლიანი ცხოველები მცენარეს მეტ-ნაკლებად მუდმივად ძოვენ (სურ. 24.9). ბერგელსონის და სხვების (1996) აზრით, გადაჭარბებული კომპენსაციის შედეგად მიღებული სარგებელი საეჭვოა. ბელსკი და სხვები (1993) აღნიშნავენ, რომ ძნელი გასაგებია, ბალახისმჭამელობის შემდეგ მცენარის სწრაფი ზრდა ბალახისმჭამელობის პირდაპირი შედეგია თუ მცენარის ქსოვილის დაზიანების შემამცირებელი რეაქციის. უფრო მეტიც, მცენარეებს კორტნის შედეგად დიდი რაოდენობით ნაყოფი გამოიქვთ, თუმცა თესლის რაოდენობა ნაყოფზე და ამონაზარდის სიცოცხლისუნარიანობა არ იცვლება.

ბალახისმჭამელობის მცენარეების ვარგისიანობაზე ზეგავლენა პრაქტიკაში ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, ბალახისმჭამელობის დადებითი ზეგავლენა ზოგიერთმა ფერმერმა უპირობო ჭეშმარიტებად მიიჩნია და მისი გამოყენება აშშ-ს დასავლეთში სცადა.

#### მცენარის გამოწვეული თავდაცვა

მცენარე რამდენიმე მორფოლოგიური თვისების საშუალებით ბალახისმჭამელობისგან თავს იცავს და ამის კარგი მაგალითია ვარდის ბუჩქზე ამოსული ეკლები. სასიცოცხლო ციკლების თვისებები ბალახისმჭამელობისგან მცენარეს ასევე იცავს. ზოგიერთ მცენარეს გრძელი მინისქევეშა ნაწილი (ფესვები ან ყლორტები) აქვს, რომელიც მიწისზედა ბალახისმჭამელებისგან დაცულია. ბალახის მერისტემები მიწასთან ახლოს მდებარეობს, სადაც ბალახის მჭამელს მათი მოწყვეტა

არ შეუძლია და შედეგად მცენარის მიწისზედა ნაწილი სწრაფად იზრდება. მცენარის თავდაცვის მექანიზმებს ბალახისმჭამელების მოქმედება ააქტიურებს. ამგვარ მექანიზმებს გამოიწვეული თავდაცვები ეწოდება და ბევრი მათგანი მცენარის მიერ საზიანო ან მომწამვლელი ნივთიერებების გამოყოფასაც გულისხმობს.

მცენარეებს გამოწვეული თავდაცვა ბალახისმჭამელების, მიკრობების და ვირუსების საწინააღმდეგოდ აქვს. მცენარემ თავდაცვისთვის შეიძლება გამოყოს მომწამვლელი, საზიანო და საკვები ნივთიერების შემამცირებელი ნაერთები, რაც შემდგომ ბალახისმჭამელობას შეასუსტებს. მცენარის რეაქციას ზოგჯერ წუთები ან საათები სჭირდება, სხვები კი მხოლოდ მომდევნო სეზონში ახერხებენ გაზრდას.

როდესაც ალვის ხის, ვერხვის, არყის ან მურყნის გამონაზარდებს ამერიკული კურდღელი დაკორტნის, შემდეგ სეზონში გამოტანილ გამონაზარდებში ტერპენის და ფენოლო-ალდეიდური პოლიმერის მაღალი შემცველობაა, რაც კურდღლებს ძალიან არ მოსწონთ (ბრაიანტი 1981). ჯ. ბრაიანტმა დაუზიანებელი ხეების გამონაზარდებში ეთერთან გაზავებული პოლიმერის სხვადასხვა კონცენტრაცია შექმნა და დამტკიცა, რომ პოლიმერის 80გგ-ზე დიდი რაოდენობით შემცველ გამონაზარდებს კურდღლები არ ეკარებან. დაკორტნილი მცენარის რეაქცია კურდღლების სიმჭიდროვის მიერ სიცოცხლისუნარიანობასა და გამრავლებაზე მოხდენილ ზეგავლენას დროში აყოვნებს და ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც მცენარე მეორე წლის განმავლობაშიც ახერხებს ზრდას. ამერიკული კურდღლელი შერხევი პოპულაციის კლასიკური მაგალითია (იხ. სურ. 18.10), ხოლო ბრაიანტის მონაცემების მიხედვით, კურდღლელი-მცენარის სისტემა მტაცებელი-მსხვერპლის რხევის საფუძველია (ლინდროტი და ბეცლი 1986).

#### 24.4 პალახის ქოვა შეუძლია გაცვალოს მცენარეთა ზრდა და გავლენა მოახდენოს მათ პირველად აროდუეტი ულოგებაზე

გადაჭარბებული კომპენსაცია ხშირად გულისხმობს გვერდითი კვირტების ზრდას, ასევე ყლორტის და ნაყოფის უფრო დიდ რაოდენობას და ზოგადად მცენარის გაზრდილ ბიომასას. ზოგიერთი ეკოლოგის აზრით, მცენარის რეაქციები ბალახისმჭამელობისგან მიღებული ზიანის შემდეგ ჯამურ პროდუქტიულობას ზრდის. მაკატონმა (1985) აღმოაჩინა, რომ აფრიკის სერენგეტში გავრცელებული მცენარეების ძოვის შემდეგ მათი პირველადი, მიზისნედა წარმოქმნა გაიზარდა. სერენგეტი მინდვრის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მრავალფეროვანი ეკოსისტემაა სამყაროში (იხ. სურ. 24.9). ბეიზლის და ჯეფერისის (1989) აღმოჩენით, მღაშობიანი ჭაბის მცენარე ჩარეს სუბსპატაცეა-ს ფოთლების და გამონაზარდების რაოდენობა და ზომა იცვლება, როდესაც მას თეთრი ბატი ძოვს. ეს ცვლი-

ლება არსებული გამონაზარდების ზრდის ტემპს აჩქარებს და ჯამური პირველადი წარმოების გაზრდას იწვევს.

ზემოთ ასახული შედეგები საეჭვოა, ვინაიდან გაურკვეველია, თუ როგორ იცვლება პირველადი წარმოების ტემპი მცენარეთა კონკურენციის, გარემოს ცვლილებების და მცენარის ფორმისა და ფუნქციის შედეგად (ჯეფერისი 1988). სერენგეტიში არსებული პირველადი წარმოება ძალიან ცვალებადია შედარებით პატარა სივრცით ჟეკლებზეც კი და წვიმასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული (მაკანატონი 1985). უფრო მეტიც, მძოვრები გაზონების მჭრელების მსგავსად არ მოქმედებენ და ბალახს განურჩევლად არ ერჩიან. ისინი მცენარის სახეობას და ნაწილებს ყურადღებით არჩევენ. გარდა ამისა, ძოვის პროცესი არ არის ერთი მიმართულების, როდესაც ბალახის მჭამელები მხოლოდ იღებენ და ბალახები მხოლოდ გასცემენ. მძოვრები საკვებ ნივთიერებებს ბალახის ეკოსისტემაში აბრუნებენ და ნიადაგში მიმდინარე ფიზიკური პროცესები ბალახზე მოსიარულე მძიმე ცხოველების გამო იცვლება.

ჯეფერისმა (1988) ძოვის და მცენარის პროცესების მოდელი შემოიტანა, რომელიც ბალახის ძოვის ეკოსისტემის სხვადასხვა ნაწილებს შორის ურთიერთქმედებასაც მოიცავს (სურ. 24.10). ჯეფერისის მოდელი მლაშობიან ჭაობში მძოვრელი თეთრი ბატების კვლევას ემყარება, როდესაც ეკოსისტემაში ძოვის შედეგად რამდენიმე დადებითი მოვლენა ხდება. ბალახის მჭამელები ფეკალიებთან ერთად საკვებ ნივთიერებებსაც გამოყოფენ, რომელსაც ჭაობის ბალახი იღებს და იგივე მოქმედებით ჭაობის წყალმცენარეების მიერ საკვები ნივთიერებების წარმოებასაც ეწყობა ხელი.


ბალახის მძოვრებთან ურთიერთქმედების შედეგად მინდვრის საზოგადოებაში გაზრდილი პროცესები ბალახის მრავალრიცხოვნობის ან ბიომასის შეცვლას აუცილებლად არ იწვევს. ბალახის სხვადასხვა ხარისხით ძოვის პირობებში მცენარეების რაოდენობა შესაძლოა არ შეიცვალოს, თუმცა ბალახის ძოვა მცენარის ნაწილების ფორმას და შემდეგ დემოგრაფიას ცვლის. მაგალითად, ჯეფერისმა (1988) დაამტკიცა, რომ ფოთლის გაჩენის და სიკვდილის საშუალო ტემპები განსხვავდება, როდესაც მცენარე უცცინელ-

ლია პპრყყანოდეს სხვადასხვა ინტენსივობის ძოვის პირობებში იზრდება. ძირითად და უბის გამონაზარდებზე ფოთლების სიკვდილიანობა ინტენსიური ძოვის ტერიტორიებზე უფრო მაღალია. ბალახის მჭამელობის შედეგად ყავილის ან თესლის რაოდენობის შეცვლა პოპულაციის ზრდასა და ზომაზე უარყოფითად შეიძლება აისახოს.

მცენარეების პოპულაციის გამოძახილი ბალახის ძოვაზე ერთი და იგივე სახეობის მცენარეებს შორის კონკურენციას და სხვადასხვა სახეობის მცენარეებს შორის კონკურენციას მოიცავს. ბალახის შერჩევითი ძოვა მცენარის საზოგადოების შემადგენლობას ცვლის და შედეგად საზოგადოებაში შემავალ მცენარეებს შორის კონკურენციის ბუნებაც იცვლება (ალვარდი და ჯორნი 1993). ავსტრალიის მინდვრებში მძოვრელი კურდელი გარკვეული ბალახის რაოდენობის ამცირებს, ხოლო სარკველას აძლიერებს და ის შემდეგ ბალახის სახეობებს კონკურენციაში ამარცხებს (კროული 1983, მაიერსი და პული 1963). ბუნებრივ საზოგადოებებში მომხდარი კონკურენციის შედეგებს სახელმძღვანელოს მომდევნო ნაწილში შევისწავლით, ამჯერად კი მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქავთ, რომ მცენარე მის მეზობლად მდებარე მცენარეებთან ურთიერთქმედებს და რეაქცია ბალახის მჭამელობაზე საკმაოდ რთული პროცესია.

## 24.5 ბალახის მცენარეების გავლენას მცენარეთა პროცესების ურთიერთობის განვითარება და მცენარეებთა განვითარება და მცენარეების ასაკობრივი სტრუქტურა

ბალახის მჭამელები მცენარის არქიტექტურაზე და მონაცემებზე სხვადასხვა გზით ახდენენ ზეგავლენას, თუმცა გამოძახილის დონეზე მომხდარი ზეგავლენის ხარისხი გაურკვეველია. გაურკვევლობის მიზეზი მცენარეების მხრიდან ბალახის მჭამელობაზე გამოძახილების ძალიან დიდი მრავალფეროვნებაა. მაგალითად, მწერების მიერ ყვავილების მოხმარების და მცენარის რეპროდუქციული შედეგის ურთიერთდამოკიდებულების ძალის განზოგადება საკმაოდ რთულია. სხვადასხვა ტიპის ბალახის მჭამელები



**სურ. 24.10.** მძოვრელ ბატებსა და მცენარის სახეობებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მოდელი. ბატი ეკოსისტემაში საკვებ ნივთიერებებს გამოყოფს, რაც წყალმცენარეების და მცენარეების პროდუქტულობას ამაღლებს და ბიომასის გაზრდას იწვევს.

მცენარეებზე განსხვავებულ ზეგავლენას ახდენენ და საკითხს ეს ფაქტორიც ართულებს. მაგალითად, მძოვრები მცენარიდან უფრო დიდი რაოდენობის ბიომასს იღებენ, ვიდრე მცენარის მნიველი მწერები. თესლის მტაცებლების ზეგავლენა მცენარეზე დამოკიდებულია მცენარის პოპულაციის თესლის რაოდენობით ან გავრცელების არეალის ხარისხით შეზღუდვაზე.

ბალახისმჭამელების ზეგავლენა მცენარის პოპულაციებზე ცუდად ვიცით და ამის მიზეზი პოპულაციების მარეგულირებელი მექანიზმების გაურკვევლობაა. როგორც წესი, მცენარეები უძრავია და რესურსისთვის ადგილობრივი კონკურენცია ზრდისა და რეპროდუციის შეზღუდვას საბოლოო ჯამში უფრო მეტად იწვევს, ვიდრე ბალახისმჭამელობა. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც ბალახისმჭამელების სიმჭიდროვე ნაკლებია, როგორც ეს არის ბუნებრივი სისტემების უმეტესობაში (კროული 1989). უფრო მეტიც, ბალახისმჭამელობის ზეგავლენა გარემო პირობებთან, ასევე მცენარის ზრდისა და გამრავლების სტრუქტურასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ბალახისმჭამელების მცენარის მრავალრიცხოვნობაზე წლის გარკვეულ ნაწილში დიდი ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს, ხოლო სხვა სეზონზე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

მიუხედავად სირთულეებისა, არსებობს შემთხვევები, როდესაც ბალახისმჭამელები მცენარის გავრცელებასა და მრავალრიცხოვნობაზე ასერა ზეგავლენას ახდენენ. ზღვის მძოველებს წყალმცენარეების ადგილობრივ გავრცელებაზე უდიდესი ზეგავლენა აქვთ (ჯონი და სხვები 1992). ტყის მწერების ზოგიერთი ბუნებრივი პოპულაცია ტყის სახეობების, რომლებზეც ისინი იკვებებიან, სიკვდილიანობის ტემპს ზრდის. ამგვარი ბალახისმჭამელებიდან, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ქერქის მჭამელი ხოჭო, ნაძვის მუხლუხი. ექსპერიმენტების შედეგად დგინდება, რომ ბალახისმჭამელი მწერები ზოგჯერ მცენარის პოპულაციას არეგულირებენ (კროული 1989). 1969 წელს, კანადაში, თესლისმჭამელი გრძელცხვირა ღპინოცყლლუს ცონიცუს შეიყვანეს, რათა საძოვრებზე ნარშავი ჩარდუუს ნყლანს გაეკონტროლებინათ (ჰარისი 1984, კროული 1983). ნარშავზე კონტროლი დაახლოებით 10 წლის შემდეგ დამყარდა (სურ. 24.11). კონტროლი მექანიზმი გრძელცხვირას პოპულაციის მიერ მცენარის პირდაპირი მოხმარება არ ყოფილა. ბალახისმჭამელობამ მცენარის პოპულაციის ასაკობრივი სტრუქტურის და სივრცეში განაწილების ცვლილება გამოიწვია, რამაც მცენარის მრავალრიცხოვნობა შეამცირა (ჰარისი 1984).


ბალახისმჭამელობის პოპულაციაზე ზეგავლენის მოდელებში მცენარის პოპულაციის ჯამური ბიომასა ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პოპულაციაში შემავალი მცენარეების რაოდენობა. მაგალითად, ძლიერმა ძოვამ პოპულაციაში მცენარეების რაოდე-

ნობა შეიძლება არ შეამციროს, მაგრამ სამაგიეროდ მცენარის მიწისზედა ქსოვილების რაოდენობას შეამცირებს.


## მცენარის განვითარება და ბალახისმჭამელობა

მცენარის ზომა, ფორმა და ბიომასის განაწილება ზრდისას იცვლება. ვეგეტაციურ და რეპროდუქციულ სტრუქტურებში, ასევე თესლში შესული ბიომასის პროპორციული რაოდენობა ასევე იცვლება. ბევრი ბალახისმჭამელის სასიცოცხლო ციკლის სტრუქტურა და პოპულაციის დინამიკა სწორედ მცენარეების ნაწილების განვითარებაზეა მორგებული. აქედან გამომდინარე, მცენარის ზრდისას ბალახისმჭამელობის ინტენსივობა იცვლება. მაგალითად, ლანგტოპპერ (როკელისია მარგინატა) მწერია, რომელიც მლაშობიანი ჭაობის ბალახ შპარტინა ალტერნიფლორა-ს ფოთლებიდან წვენს წოვს. პლანტკოპპერ-ის ინდივიდუალურ მცენარეზე განაწილების სტრუქტურა და მრავალრიცხოვნობა მცენარის განვითარების განმავლობაში იცვლება (სურ. 24.12).

მარკისმა (1992) კოსტა რიკის ტენიან, ტროპიკულ ტყეებში გავრცელებულ ბუჩქ იძერ არიეანუმ-ზე ფოთლისმჭამელობის შედეგები გამოიკვლია. მარკისმა მცენარის გამოძახილები ფოთლის დაზიანების სხვადასხვა ადგილისა და დროისთვის შეამონმა. მან აგრეთვე ნახა, თუ როგორ ნაწილდება მცენარის გამოძახილი ფოთლის ქსოვილის დაკარგვისას. ექსპერიმენტში თესლის რაოდენობა დამოკიდებულ ცვლადად მიიჩნეოდა (იხ. ოავი 2). მეცნიერმა მცენარის ფოთლების ფართობის 10% ერთი რეპროდუქციული ტოტიდან (ცენტრალური ტოტიდან) ან ბუჩქის საფარის სხვადასხვა ნაწილებიდან შეამცირა. მარკისმა ექსპერიმენტი აყვავებულ და ჯერ კიდევ ასაყვავებელ მცენარეებზე ჩაატარა და შემდეგ ძირითად ტოტზე და



სურ. 24.11. ნარშავ ჩარდუუს ნყლანს-ის კონტროლი თესლისმჭამელი გრძელცხვირა ღპინოცყლლუს ცონიცუს-ს დახმარებით. კონტროლი 10 წლის შემდეგ მიიღწვევა, კინაღადან გრძელცხვირა პოპულაციის ასაკობრივ სტრუქტურასა და სივრცეში განაწილებას ცვლის.



**სურ. 24.13.** მარკისის ექსპერიმენტი ბალახისმჭამელობის არეალზე და დროზე. ფოთლის მჭამელობის სტიმულირება იპერ არიგანუმ-ის ბუჩქის ფოთლის ფართობის 10%-ის შემცირებით ხდება. ფოთლები ძირითადი ტოტიდან ან მთელი საფარიდან წყდება. ფოთლისმჭამელობის ზეგაღენა ძირითად ტოტზე (ა და გ) და მთლიან მცენარეზე (ბ და დ) თესლის რაოდენობის საშუალებით გაიზომება. ასაყვავებელი მცენარეები ა) და ბ) სუ-რათზეა გამოსახული, ხოლო აყვავებული მცენარეები გ) და დ) სურათზეა ნაჩვენებია. ასაყვავებელი მცენარეების თესლის რაოდენობა ფოთლის ქსოვილის დაკარგვისთვის ერთად ძირითად ტოტზეზეც და მთლიან მცენარეზეც შემცირდა. თესლის ნარმოება ძირითად ტოტზეზე უდიდესი აღმოჩნდა, როდესაც ფოთლები მხოლოდ ძირითადი ტოტიდან მოწყდა. აყვავებულ მცენარეებში თესლის რაოდენობა ყველანაირი მიღვმისას თანაბარია.

მთლიან მცენარეზე წარმოქმული თესლის რაოდენობა დათვალა (სურ. 24.13). მისი აღმოჩენით, ასაყვავებელი მცენარების დაზიანებული ტოტები ნაკლებ თესლს წარმოქმნის, ვიდრე დაუზიანებელი ტოტები ან ისეთი ბუჩქის ტოტები, რომელზეც ფოთლების დაზიანება მთელს საფარშია გავრცელებული (სურ. 24.13ა). უფრო მეტიც, დაზიანებული ტოტების მქონე ბუჩქის ყველა ტოტზე უფრო ნაკლები რაოდენობის თესლია, ვიდრე საკონტროლო მცენარეებზე ან დაზიანებული საფარის მქონე მცენარეებზე (სურ. 24.13ბ). როდესაც ფოთლის დაზიანება აყვავებულ მცენარეებზე მოხდა, ძირითად ტოტებზე და მთლიან მცენარეზე წარმოქმული თესლის რაოდენობა არ შეცვლილა (სურ. 24.13გ, დ). მარკისის კვლევამ დაადასტურა, რომ მცენარის რეპროდუქციული ციკლის ადრეულ ეტაპზე მომხდარი ფოთლის მჭამელობა თესლის წარმოქმაზე უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს.


### მცენარის ასაკობრივი სტრუქტურის და რამდენიმე ბალახისმჭამელობის ზეგავლენა

ინდივიდუალურ მცენარეს ზოგჯერ რამდენიმე ბალახისმჭამელი მოიხმარს. მოზრდილი მცენარის ფოთლებს, ყლორტებს, კვირტებს, ყვავილებს და ფესვებს რამდენიმე სახეობა ჭამს და თითოეული მათგანი მცენარის სხვადასხვა ნანილებით იკვებება. მცენარეები ზრდის განმავლობაში სერიულ შემოტევას უძლებენ, ვინაიდან სხვადასხვა გემოვნების მქონე ბალახისმჭამელები მცენარის სხვადასხვა ნანილებს განვითარების პერიოდში ჭამენ. ყვავილის ან კვირტისმჭამელები მცენარის ახალგაზრდა გამონაზარდებს არ ეხებიან, ხოლო თესლის მტაცებლები მცენარის სხეულზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენენ. ასაკობრივი სტრუქტურის მქონე მცენარის პოპულაციის დინამიკაზე სერიული ბალახისმჭამელობა შესამჩნევ ზეგავლენას ახდენს.

ნუ მექსიკოს ცენტრალურ ნანილში გავრცელებულ ბუჩქ უტიერრეზია *microcephala*-ს კალიები (ესპეროტეტტის ვირიდის) და ფესვის მბურღავი ხოჭოები (*Crossidius pulchellus*) ერჩიან. კალიები მცენარის ფოთლებს ჭამენ, ხოლო ხოჭოები მცენარის ფესვს ცენტრის გავლით ბურღავენ და სასიცოცხლო ქსოვილებს მიირთმევენ. პარკერმა (1985) გამოიკვლია, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ეს ორი ბალახისმჭამელი ასაკობრივი სტრუქტურის მქონე მცენარის პოპულაციის სიკვდილიანობასა და დაბერებაზე. *G. microcephala*-ს პოპულაცია ამონაზარდების, ახალგაზრდა მცენარეებისა და სხვადასხვა ასაკის მომნითებული მცენარეებისგან შედგება. ბუჩქებზე გაზაფხულის განმავლობაში ფოთლისინთეზური ყლორტები და პატარა ფოთლები ამოდის, რაც პატარა საფარს ქმნის და ეს საფარი გვიან ზაფხულამდე ან ადრეულ შემოდგომამდე ძლებს. შემდეგ ბუჩქს ყვავილები გამოაქვს, ხოლო თესლს ქარი

განაბნევს. მომდევნო გაზაფხულზე ერთი ყლორტის მქონე ამონაზარდები ამოდის. კალია კვერცხს შემოდგომაზე დებს, ხოლო მატლები გაზაფხულის დასაწყისში იჩეკებიან და მცენარის ყლორტებით და ფოთლებით იკვებებიან. კალიის ზრდის პროცესი მცენარის ყლორტებისა და ფოთლების განვითარებას ემთხვევა, ხოლო განვითარების პიკი ივლისის შუაგულშია. მოზრდილი ხოჭოები ზაფხულის მინურულს მინიდან ამოდიან და წყვილდებიან, რა დროსაც ისინი ბუჩქის სხვადასხვა ნანილით იკვებებიან. ხოჭოები კვერცხს ასეთ დროს დებენ, ხოლო განვითარებადი მატლი ბუჩქის ფესვებს ხვრეტს.

ამ ორი ბალახისმჭამელის ზეგავლენა მცენარის ასაკზე და მცენარის პოპულაციის სიმჭიდროვეზეა დამოკიდებული. ხოჭოს მატლი დიდი ზომის მცენარეებს არჩევს (სურ. 24.14), ხოლო კალიისთვის მცენარის ზომა სულ ერთია. პარკერმა სხვადასხვა ასაკის მცენარეების საცდელი ნიმუშების გარშემო გაღიერები ააგო და კალიების ზემოქმედება გამორიცხა, ხოლო შემდეგ დაცული მცენარეები ბუნებრივ ბალახის მჭამელობას დაქვემდებარებულ მცენარეებს შეადარა. კალიის ბალახისმჭამელობის ზეგავლენა დალუბული მცენარეების და მცენარეზე მოსული ყვავილების რაოდენობაზე სხვადასხვა ასაკის მცენარისთვის განსხვავებული აღმოჩნდა (ცხრილი 24.2). კალიების გამორიცხვის შემდეგ მომწიფებული მცენარეების და ერთწლიანი ამონაზარდების სიკვდილიანობა შემცირდა, ხოლო ყვავილების რაოდენობა გაიზარდა. ბალახისმჭამელობას დაქვემდებარებული, ახალგაზრდა მცენარეების სიკვდილიანობამ მომწიფებული მცენარეების სიკვდილიანობას ბევრად გადააჭარბა.



**სურ. 24.14.** სხვადასხვა ზომის ბუჩქ უტიერრეზია მიცროცეპპალა-ს დაზიანებული ინდივიდის რაოდენობა. დაზიანება ფესვების მბურღავი ხოჭო *Crossidius pulchellus*-ს ნამოქმედრინია. გრაფიკზე ნაჩერენია ნუ მექსიკის ცენტრალურ ნანილში მაღალი და დაბალი სიმჭიდროვის შემთხვევები. ხოჭოს მატლები სიმჭიდროვის მიუხდავად დიდი ზომის მცენარეებს არჩევენ.

### ცხრილი 23-3

კალია ესპეროტეტტის ვირიდის-ის ბალაზისმჭამელობის ზეგავლენა ნიუ მექსიკოს ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულ ბუჩქ უტიერრეზია მიცროცეპჰალა -ს გამრავლებასა და სიკვდილიანობაზე.

#### გამრავლება და სიკვდილიანობა

	გამრავლება და სიკვდილიანობა		
	დაცული მცენარეები	დაცული მცენარეები	
(%)	(რაოდენობა ჯგუფზე)	(%)	(რაოდენობა ჯგუფზე)
მოზრდილი	0	29	4.9
მცენარეები			81
ერთწლიანი	6.9	29	33.3
მცენარეები			210
ყვავილების რაოდენობა 1980 წლის სექტემბერში**		(რაოდენობა მცენარეზე)	
(რაოდენობა მცენარეზე)		(რაოდენობა მცენარეზე)	
მოზრდილი			
მცენარეები			
საშუალო±1შ	1,310±159		3±1
შეუალები	352-2,713		0-80

\* დაუცველი ერთწლიანი მცენარეების სიკვდილიანობა

ყველაზე სხვა ჯგუფს აღემატება

\*\* 1980 წელს ერთწლიანი მცენარეები არ აყვავებულა

პარკერის აზრით, G. microcephalaOs პოპულაციები აურაცხელი რაოდენობის თესლს წარმოქმნიან და ბალაზისმჭამელობას ამიტომაც უძლებენ.

### მწერების ბალაზისმჭამელობა და მცენარის გავრცელება


ახდენს თუ არა ბალაზისმჭამელობა მცენარის გავრცელებაზე ზეგავლენას? ექსპერიმენტულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მწერების ბალაზისმჭამელობა მცენარეთა სახეობების არეალს განაპირობებს და რაიმე გარემო პირობებში მრავალრიცხვონობაზეც ახდენს ზეგავლენას. ლოუდამ და როდმანმა (1996) როკის მოების მრავალწლოვანი ბალაზი შალგი (ჩარდამინე ცარდიფოლია) გამოიკვლის და დაადგინეს, ახდენს თუ არა მწერის ბალაზისმჭამელობა ამ სახეობაზე სხვადასხვა ზეგავლენას მზესა და ჩრდილში. შალგი ძირითადად ტირიფების ჩრდილში ამოდის, ივლისში ყვავის და ნაყოფი ზაფხულის მიწურულს გამოაქვს. ლოუდამ და როდმანმა უკვე იცოდნენ, რომ ბალაზისმჭამელ მწერებს მზე ჩრდილს ურჩევნიათ და შეეცადნენ გაეგოთ, არის თუ არა შალგის ჩრდილიან ადგილებში ამოსვლის მიზეზი ქრონიკული ბალაზის მჭამელობა. მზესა და ჩრდილში განხორციელებული ბალაზისმჭამელობის განსხვავების საჩვენებლად უნდა დამტკიცდეს, რომ მწერის

ბალაზისმჭამელობის ინტენსივობა ჩრდილიდან მზეზე გადასვლისას იზრდება. გარდა ამისა, თუ მწერის ბალაზისმჭამელობა მზეში უფრო ინტენსიურია და შალგი ამიტომ ამოდის ჩრდილში, მაშინ მზეში გაზრდილი და ბალაზისმჭამელებისგან დაცულ მცენარეებს ჩრდილში გაზრდილი მცენარეების მსგავსი ან უკეთესი თვისებები უნდა ჰქონდეთ.

ლოუდამ და როდმანმა ორი ექსპერიმენტი ჩაატარეს. პირველი ექსპერიმენტისას ტირიფის ხეების ქვეშ 50სმ X 50სმ ფართობის ტერიტორიები გამოყვეს. ტერიტორიების ნახევარზე ტირიფის ტოტები დაჭრეს და აქედან გამომდინარე, ტერიტორია მზის გულად აქციეს (საცდელი ტერიტორიები). მეცნიერებმა დანარჩენი ტერიტორიები ჩრდილში დატოვეს (საკონტროლო ტერიტორიები). მწერების მიერ მიყენებული ზიანი და მცენარის მონაცემები რამდენიმე წლის განმავლობაში პერიოდულად იზომებოდა. მეცნიერებმა მეორე ექსპერიმენტისას შალგის კლონები (რომლებიც ერთი მცენარის ოთხ ნაწილად დაყოფით მიიღეს) ოთხ ექსპერიმენტულ მდგომარეობაში გადაიტანეს:

- 1) მზის გულზე მოაქციეს და ბალაზისმჭამელებისგან პესტიციდებით დაიცვეს;
- 2) მზის გულზე მოაქციეს და დაუცველი დატოვეს;
- 3) ჩრდილში დარგეს და დაიცვეს;
- 4) ჩრდილში დარგეს და დაუცველი დატოვეს.

მზის გულზე დატოვებული მცენარის ფოთოლზე მიყენებული ზიანის საშუალო რაოდენობა მალე გაიზარდა და ექსპერიმენტის დაწყებიდან 3 წლის განმავლობაში დაჩრდილულ ტერიტორიაზე მზარდ



**სურ. 24.15.** а) ბალახისმჭამელობის შედეგად ფოთლის დაზიანების ოდენობა ჩრდილიან ადგილზე (ნაცრისფერი ხაზი) და მზიან ადგილზე (მწვანე ხაზი) მზარდი შალგისთვის (ჩარდამინე ცორდიფოლია). ბ) შალგის გამოძახილი ბალახისმჭამელობაზე, როდესაც დაჩრდილულ ადგილზე იზრდება და მწერებისგან დაცულია.

მცენარეზე მეტი იყო (სურ. 24.15ა). მწერებისგან დაცვის შედეგად ტრანსპლანტაციების სიცოცხლისუნარიანობა, ყლორტის სიმაღლე და ნაყოფიერება მზის გულზე მოქცეულ და ჩრდილიან ადგილზე მაღალი იყო (სურ. 24.15ბ). აქედან გამომდინარე, მწერის ბალახისმჭამელობა შალგის ადგილობრივ გავრცელებაზე ზეგავლენას ახდენს. მცენარეები უფრო ხშირად ჩრდილიან ადგილზე გვხვდება, სადაც ბალახისმჭამელობისგან მიღებული ზიანი არ არის ძალიან ძლიერი.

## 24.6 მცენარეთა პოპულაციების გერანირებულობაზე გალაპაგოსების მიმართ შეიძლება გავლენა მოახდინოს პოპულაციებთა თანასაზოგადოებების სივრცითი დინამიკა

მცენარეების სივრცეში განლაგება და სივრცით სტრუქტურაზე მცენარის ფორმისა და ფუნქციის ცვლილების ასახვის მეთოდი ბალახისმჭამელებსა და მცენარეებს შორის ურთიერთქმედებაზე და მაშასადამე, ბალახისმჭამელობაზე მცენარის გამოძახილზე

ზეგავლენას ახდენს. მცენარის სიმჭიდროვე, ბალახისმჭამელობის სამიზნე მცენარეების გაპნევა, მცენარეებს შორის არსებული ვეგეტაციის სახეობა, ასევე მცენარის გავრცელების პატარა ტერიტორიების რაოდენობა, სიმჭიდროვე და განლაგება ვეგეტაციის სტრუქტურა და ის ბალახისმჭამელების, კერძოდ მწერების მოძრაობასა და კვების ინტენსივობაზე ზეგავლენას ახდენს (კარეივა 1983). მცენარეების თავდაცვითი რეაქციების ან კვებითი ღირებულების სივრცეში ცვლილება ბალახისმჭამელობის ადგილობრივ მრავალრიცხოვნობას ცვლის (დენ 1983).

სასოფლო-სამეურნოებ პოლიკულტურებზე ნაკლები რაოდენობის პარაზიტი მწერი გვხვდება, ვიდრე მონოკულტურებზე და ეკოლოგების აზრით, მრავალფეროვან საზოგადოებაში არსებული მცენარეები ბალახისმჭამელობას უკეთესად ეგუება, რასაც ასოციაციური მდგრადობა ეწოდება (ტავანაინენი და რუტი 1972, რიში 1981). კორნელის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა რ. პ. ბუტმა (1973) ივარაუდა, რომ მრავალფეროვან საზოგადოებაში მდგრადობა ორი მექანიზმით ყალიბდება. პირველ მოსაზრებას მტრების ჰიპოთეზა ეწოდება და მის თანახმად, მცენარეების მრავალფეროვან გაერთიანებებში განსხვავებული გავრცელების მიკროარელების რაოდენობა მეტია და ეს ფაქტი ზრდის სხვადასხვა ფორმის მცენარეების არსებობით არის გამოწვეული. ამგვარ მიკროარელებზე მტაცებლების (ბალახისმჭამელების მტრების) მეტი მრავალფეროვნება გვხვდება და ბალახის მჭამელების პოპულაცია მცირეა. რუტის მეორე მოსაზრებას რესურსის კონცენტრაციის ჰიპოთეზა ეწოდება და მის თანახმად, მრავალფეროვან საზოგადოებაში მობინადრე მასპინძელი მცენარეების მოძნა ბალახისმჭამელებისთვის უფრო რთულია. აქედან გამომდინარე, გადაადგილების უნარის მქონე ბალახის მჭამელები, მაგალითად მწერები, რესურსის დაბალი კონცენტრაციის მქონე ტერიტორიებზე ნაკლებობის ატარებენ.

კორნელის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ს. ჯ. რიშმა ამ ორი მოსაზრების შემოწმებისთვის კოსტა-რიკაში გავრცელებულ მარცვლეულ-პარკოსან-გოგრისებრის აგროეროსისტემაზე ტესტი ჩაატარა (რიში 1981). რიშმა მარცვლეულის, პარკოსანი და გორგისებრის მონიკულტურები და კულტურების სამი შესაძლო კომბინაციის (მარცვლეული-პარკოსანი, მარცვლეული-გოგრისებრი, გოგრისები-პარკოსანი) პოლიკულტურები და სამივე კულტურის შემცველი პოლიკულტურა 1976-1978 წლებში დათესა (სურ. 24.16). მეცნიერი ამავე დროს ფოთლისმჭამელთა ოჯახის წარმომადგენელი ხოჭოების ექვს სახეობას დააკვირდა, რომლებიც ბალახისმჭამელები არიან. ხოჭოების გადაადგილება თითოეული ტერიტორიიდან მის კიდეებზე მდებარე სპეციალური, მიმართულების მქონე ხაფანგების საშუალებით გაიზომა. პირველ ექსპერიმენტში, ტერიტორიებზე ვერტიკალური დაბრკოლებები მაღალი სიმინდების საშუალებით შექმნეს

8	8	8		8	8	8	8
8	8	8		8	8	8	8
8	8	8		8	8	8	8
8	8	8		8	8	8	8
8	8	8		8	8	8	8
8	8	8		8	8	8	8
8	8	8		8	8	8	8
8	8	8		8	8	8	8

⋮	⋮	⋮		⋮	⋮	⋮	⋮
⋮	⋮	⋮		⋮	⋮	⋮	⋮
⋮	⋮	⋮		⋮	⋮	⋮	⋮
⋮	⋮	⋮		⋮	⋮	⋮	⋮
⋮	⋮	⋮		⋮	⋮	⋮	⋮


  

⋮	⋮	⋮		8	8	8	8
⋮	⋮	⋮		8	8	8	8
⋮	⋮	⋮		8	8	8	8
⋮	⋮	⋮		8	8	8	8
⋮	⋮	⋮		8	8	8	8

8	⋮	⋮	8	⋮	⋮	8	
8	⋮	⋮	8	⋮	⋮	8	
8	⋮	⋮	8	⋮	⋮	8	
8	⋮	⋮	8	⋮	⋮	8	
8	⋮	⋮	8	⋮	⋮	8	

**სურ. 24.16.** ს.კ. რიშის ექსპერიმენტული ტერიტორიების სივრცეში განლაგება. სასოფლო-სამეურნეო მონოულტურების და პოლიულტურების ბალახისმჭამელობით დაზიანების შედეგად მცენარის გავრცელება იცვლება



**სურ. 24.17.** ფოთლისმჭამელი ხოჭო ცალყმა ტპერმეი-ს მატლების საშუალო რაოდენობა გოგრისებრი მცენარეების (S) მონოულტურაში და ერთი ან ორი არამასპინძელი სახეობის შემცველ საზოგადოებებში. ტპერმეი გოგრისებრ მცენარეებზე საეციალიზირებული, ამიტომ ამ ექსპერიმენტში პარკოსნები (B) და მარცვლეულები (C) არამასპინძელი სახეობებია.

და ამის დახმარებით ხოჭოს მოძრაობის არქიტექტურული სირთულის გაზრდის ეფექტი განსაზღვრება. რიშის აღმოჩენით, სულ მცირე, ერთი არამასპინძლის სახეობის შემცველ პოლიულტურებში ერთ მასპინძელზე მოსული ხოჭოების რაოდენობა მცირება (სურ. 24.17). ერთი ან მეტი არამასპინძელი სახეობის შემცველ ტერიტორიებზე ხოჭოების მოძრაობა უფრო ინტენსური იყო. ვერტიკალური დაბრკოლებების დამატებამ ხოჭოების მოძრაობა შესუსტა. რიშის ექსპერიმენტის შედეგები რესურსის კონცენტრაციის ჰიპოთეზას ადასტურებს.

## 24.7 გალაციისამიერები ამჟღავნებან ფუნციური რეაგირებას მცენარეთა ხელმისაწვდომობაზე

23-ე თავიდან გამომდინარე, ფუნქციონალური გამოძახილი მტაცებლების ან პარაზიტოიდების მიერ მსხვერპლის ან მასპინძლის მოხმარების ტემპსა და მსხვერპლის ან მასპინძლის მრავალრიცხოვნობას შორის დამოკიდებულებაა. ჰოლინგის განტოლება მტაცებლის ფუნქციონალური გამოძახილი მნიშვნელოვან ასპექტებს მოიცავს. აქვს თუ არა ბალახისმჭამელებს ფუნქციონალური გამოძახილი? დიახ, აქვს, მაგრამ ბალახის მჭამელი ფუნქციონალური გამოძახილი მტაცებლისგან განსხვავდება.

მტაცებლის მიერ მსხვერპლის მოძებნა და მოხმარება სხვადასხვა მოვლენებია. მსხვერპლის მოხმარების პროცესში მტაცებლები შემდეგ მსხვერპლს არ ეძებენ. მაშასადამე, მტაცებლები პატარა ტერიტორიებს შორის მონადირებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, სადაც თითოეული მსხვერპლი ტერიტორიაა (სპალინგერი და ჰობსი 1992). მტაცებლების უმეტესობა ყველა მსხვერპლს მოიხმარს, ვიდრე შემდეგ მსხვერპლზე გადავა, თუმცა ნაწილობრივი მოხმარების შემთხვევებიც არსებობს. მტაცებლისთვის ძებნის და დაუფლების დრო განსხვავებულია. ბალახისმჭამელებისთვის რესურსი ერთი მცენარე არ არის და უფრო მცენარეების ტერიტორია ან მცენარის რაიმე ნაწილია. ბალახის მჭამელი ზოგჯერ მთლიან მცენარეს არ მოიხმარს და საჭმლის ძებნისას მის ნივთიერებას ამუშავებს (მაგალითად, დეჭავს), რაც ძებნის და დაუფლების დროების გადაფარვას იწვევს. უფრო მეტიც, მცენარეების სიმჭიდროვე და ბალახის მჭამელის პრინციპის შედარებით მცენარის ნივთიერების ზომა, მცენარის მოხმარების ტემპზე ზეგავლენას ახდენს.

ბალახისმჭამელის ფუნქციონალური გამოძახილის ძირითადი თვისებების საჩვენებლად ძუძუმწოვარი მძოველები განვიხილოთ. ძუძუმწოვარი ბალახისმჭამელები მცენარის სიმჭიდროვის და ხილულობის მიხედვით სამი პროცესის საშუალებით იკვებებიან (ცხრილი 24.3). მცენარის ხილულობა ბალახის მჭამელის მიერ მცენარის ადგილმდებარეობის დადგენის

**ცხრილი 24-3** ძუძუმწოვარი პალახისმჭამელების კვების სამი პროცესის თვისებები

პროცესი	მცენარის სიმჭიდროვე	მცენარის ხილულობ
1	გაბნეული	დამალული
2	გაბნეული	ხილული
3	კონცენტრირებული	ხილული

სირთულეა. სივრცეში გაბნეული (დაბალი სიმჭიდროვის) და ძნელად მოსაძებნი (ნაკლები ხილულობის) მცენარეებისმჭამელები პროცესის საშუალებით იკვებებიან. მეორე პროცესის საშუალებით კვება მაშინ ხდება, როდესაც იოლად მოსაძებნი მცენარეები დაბალი სიმჭიდროვით არის განლაგებული. ცხოველები ერთი მცენარიდან მეორეზე გადაადგილდებიან, ვინაიდან შემდეგი მცენარის პოვნა იოლია. მესამე პროცესით კვება მაშინ ხდება, როდესაც მცენარეები ხილული და კონცენტრირებულია.


კბენის რაოდენობა და ნაკბენის ზომა მცენარეების სიმჭიდროვესთან და ხილულობასთან ერთად მოხმარების ტემპს და ბალახის მჭამელის ფუნქციონალურ გამოძახილ განსაზღვრავს. პირველი პროცესის საშუალებით მჭამელი ცხოველი დამალულ მცენარეს ხვდება და მას ერთხელ ან მეტჯერ კბენს. ნაკბენის ზომა მცენარის მორფოლოგიასა და ბალახისმჭამელის პირის ზომაზეა დამოკიდებული. კბენის რაოდენობა რაიმე ტერიტორიაზე მცენარეების სიმჭიდროვეზეა დამოკიდებული. მაგალითად, 10 დამალული მცენარის შემცველ კვადრატულ მეტზე უფრო დიდი რაოდენობით კბენის გაკეთება შეიძლება, ვიდრე ხუთი მცენარის შემცველ კვადრატულ მეტზე. პირველი და მეორე პროცესით კვებისას, მიღებული საკვები კბენის სიმჭიდრობის საშუალებით რეგულირდება (სურ. 24.18). ორივე შემთხვევაში კბენის სიმჭიდროვე იზრდება და საკვების მიღების ტემპი I ტიპის ფუნქციონალური გამოძახილისას ასევე იზრდება. მეორე პროცესის და დაბალი სიმჭიდრობის პირობებში, საკვების მიღების ტემპი უფრო მაღალია, ვინაიდან მცენარეები უკეთესად ჩანს და ბალახისმჭამელისთვის შემდეგი მცენარის პოვნა ადვილია. როდესაც ბალახისმჭამელი

მესამე პროცესის საშუალებით იკვებება, მიღებული საკვების რაოდენობას ნაკბენის ზომა არეგულირებს და არა კბენის სიმჭიდროვე, რაც 24.18 სურათზეც ჩანს. ფუნქციონალურ გამოძახილს ორივე პროცესში ერთი და იგივე ფორმა აქვს.

თუ ბალახისმჭამელი მცენარის ერთზე მეტი სახეობით იკვებება, მაშინ საკვების მიღების ტემპზე მცენარის საზოგადოების მრავალფეროვნება ახდენს ზეგავლენას, ვინაიდან ზოგიერთი სახეობის შეჭმა უფრო ადვილია. თახვი (ჩასტოც ცანადენსის) საკვებს უფრო სწრაფად იღებს, როდესაც მხოლოდ ალვის ხის (ოპულუს ტრემულობებს) გავრცელების ადგილზე იკვებება და ამ ტერიტორიაზე მურყანი (ლნუს რუგოსა) და ნითელი ნეკერჩხალი (ცერ რუბრუმ) არ გვხვდება. ფუნქციონალურ გამოძახილზე მცენარის ზომაც ახდენს ზეგავლენას. თახვები შერეული ზომის ალვის ხეების გავრცელების ადგილზე უფრო ნელა იკვებებიან (სურ. 24.19).

#### 24.8 მცენარეები და ცხოველები იზარებენ ჰარაზითთა ღიღ ნაირსახეობას


პარაზიტები მასპინძლის სხეულში ბინადრობენ ან მასპინძლს გარედან ეკრობიან. პირველ შემთხვევაში, პარაზიტებს ენდოპარაზიტები ენდოდებათ, ხოლო მეორე შემთხვევაში — ექტოპარაზიტები (იხ. თავი 7). პარაზიტების კლასიფიკაცია ზომის მიხედვითაც შეიძლება. მიკროპარაზიტები ძალიან პატარა ზომის პარაზიტებია, მაგალითად ვირუსები, ბაქტერიები და პროტოზოან-ები. მიკროპარაზიტები ამავე დროს ენდოპარაზიტები არიან. მიკროპარაზიტები მასპინძ-



(ა)

(ბ)

**სურ. 24.18.** ძუძუმწოვარი მძოველის საკვების მიღების ტემპი (გ. მშრალი წონა/წთ) მტაცებლების ფუნქციონალურ გამოძახილის პოლინომ II ტანზე იზრდება (იხ. სურ. 23.12), როდესაც კბენის სიმჭიდროვე (ნაკბენების რაოდენობა ფართობის ერთეულზე) ან ნაკბენის ზომა იზრდება.



**სურ. 24.19.** თახვის (ჩასტორ ცანადენსის) ფუნქციონალური გამოძახილი სხვადასხვა ზომის გავრცელების მქონე მცენარის საზოგადოებში კვებისას. ალვის ხის (ოპულუს ტრმულოდებ) ამონზარდების მოხმარებას ტემპი ერთი და იგივე ზომის ალვის ხეების ამონზარდების რაოდნობის გაზრდასთან ერთად იმატებს. შერული ზომის ალვის ხეების მოხმარების ტემპის ზრდა ნაკლებია და ეთერ უფრო მცირეა, როდესაც ალვის ხე წითელ წეკერჩალთან (ცერ რუბრუმ) და მურყანთან (ლუს რუგოსა) არის შერული.

ლის ფიზიოლოგიის და მოქმედების შეცვლას იწვევენ და ამიტომ მათ ავადმყოფობას უწოდებენ. ავადმყოფობის გამომწვევა პარაზიტებს ავადმყოფობის ორგანიზმები ან პათოგენები ეწოდებათ. პათოგენების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან ბაქტერიები და ვირუსები, რომლებიც ინფექციას, გაციებას და გრიპს იწვევენ. ცხოველებში სხვადასხვა სახის პროტოზოან პარაზიტებიც ბინადრობენ, რომლებიც ძილის დაავადებას იწვევენ და ასეთ ცხოველებში მალარიის გამომწვევი ლასმოდიუმ სახეობებიც გვხვდება. პარაზიტებს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან ისინი ადამიანებში ავადმყოფობას იწვევენ და ადამიანის მოქმედებას ზღუდავენ. პარაზიტიზმით მცენარეებიც ზარალდება.

მოზრდილი პარაზიტები, მაგალითად ენდოპარაზიტი მრგვალი ჭიები და სოლიტერები, ასევე ექტოპარაზიტი ტკბები, რწყილები და კოლოები მაკროპარაზიტებია. მაკროპარაზიტები კვერცხს დებენ და სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა ეტაპზე ერთი მასპინძლივან მეორეზე გადადიან. ენდოპარაზიტი სოლიტერები და მრგვალი ჭიები (ნემატოდები) ცხოველების სხეულში ან ნანალავებში ბინადრობენ და სხეულს სითხეს წივენ. ზოგიერთი ექტოპარაზიტი ჭია ცხოველს გარედან ემაგრება. ბრტყელი ჭიები თევზების, რეპტილიების, ამფიბიების და სხვა ზღვისა თუ მტკნარი ნელის ცხოველების კანით იკვებება. ცხოველებს სოკოებიც ემაგრება და ამის კარგი მაგალითია ადამიანის ფეხი. სოკოები მცენარის მაკროპარაზიტებიდან ყველაზე უფრო ცნობილია და მას მეცნიერები უანგს ანუ ლაქას უწოდებენ. მცენარის ყვავილებზე ან ყლორტებზე მონადირე მნერები ასევე შეგვიძლია მაკროპარაზიტებად მივიჩნიოთ.

## გადაცემა

პარაზიტების რთული სასიცოცხლო ციკლები მასპინძელთან ურთიერთქმედებებს მოიცავს და ფაქტორების სხვადასხვა სიმრავლე სასიცოცხლო ციკლის ყოველ ეტაპზე ზეგავლენას ახდენს. მასპინძლის მდებარეობის დადგენა (ინფექცია ანუ გავრცელება) პარაზიტისთვის და ზოგადად პათოგენური პოპულაციებისთვის უმნიშვნელოვანებია. ენდოპარაზიტის პოპულაცია ერთ მასპინძელში შეიძლება გაიზარდოს, რაც პარაზიტის პოპულაციის დაყოფას და დაავადების გამომწვევი ინდივიდების შთამომავლობას შორის ურთიერთებულების სტიმულირებას იწვევს.

გადაცემის პროცესი პარაზიტის გადასვლას ერთი მასპინძლიდან მეორეზე. მიკროპარაზიტების უმეტესობას მოძრაობის სტრუქტურები არ გააჩნია და მასპინძლებს შორის პირდაპირი გადაცემის იმედზე. მაგალითად, გაციების და გრიპის ვირუსები მაშინ გადადის, როდესაც დაავადებული ინდივიდი ჯანმრთელ ინდივიდს უახლოვდება. ასეთ დროს ვირუსი პირდაპირი კონტაქტის ან ჰერის საშუალებით გადადის. ვირუსი ხელის ჩამორთმევის შედეგადაც გადადის და ჯერ კიდევ ჯანმრთელი ადამიანის პირში ან ცხვირის ნესტორებში ხვდება. ზოგიერთი მიკროპარაზიტი მასპინძლს ტოვებს და წყალში ან საკვებში არააქტიურ მდგომარეობაში ბინადრობს. თუ ადამიანი ასეთ წყალს ან საჭმელს მიიღებს, მიკროპარაზიტი აქტიურდება. სწორედ ასე მოქმედებს პროტოზოან ნტამობება ჰისტოლიტიცა, რომელიც ამოებურ დიზენტერიას იწვევს. პათოგენების გადაცემას ხშირად თან ახლავს ინფექციის გადამტანი ორგანიზმები. ამ ორგანიზმებს პათოგენები ერთი მასპინძლიდან მეორეზე გადააქვთ. მაგალითად, ძილის დაავადების გამომწვევი ინფეცია ცეცეს გადააქვს (ლოსინა), ხოლო მალარიის გამომწვევ ლასმოდიუმ-ს კოლოები ატარებენ (სურ. 24.20).

მიკროპარაზიტების გადაცემა ზოგჯერ პირდაპირი მოძრაობით ხდება და ეს პროცესი განსაკუთრებით მაშინ არის გავრცელებული, როდესაც მასპინძლები ერთმანეთთან ახლოს არიან. ამ მოვლენის მაგალითი



**სურ. 24.20** კოლო ინფეციის გადამტანი ორგანიზმია და მალარიის გამომწვევი მიკროპარაზიტები გადააქვს.

ალბათ თქვენი თვალითაც გინახავთ, თუ კატის ან ძალლის ტყავიდან თქვენს სხეულზე გადმომხტარი რწყილი შეგინიშნავთ. ბევრი მრგვალი ჭია (ნემატოდა) ერთი მასპინძლიდან მეორეზე პირდაპირ გადადის. ასევე იქცევა სოკო. არაპირდაპირი გადაცემა მაშინ გვაქვს, როდესაც პირველად მასპინძელში მოპინადრე პარაზიტი რამებ მოუმწიფებელ ეჭაპზე ერთ ან მეტ შუალედურ მასპინძელს ავადებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადადის სხვა პირველად მასპინძელზე. ადამიანის პარაზიტები შცჰისტოსომა და ლასმოდიუმ სწორედ ასე მოქმედებენ (იხ. თავი 7).

### ველური ბუნების პარაზიტები

სანადირო და სათევზაო გარეული ცხოველების პოპულაციებს ველური ბუნება ეწოდება. მაგალითად, ველურ ბუნებაში შედის თეთრკუდიანი ირემი, შავეუდიანი ირემი, ველური ინდაურები და სხვა გარეული ფრინველი, ასევე ორაგულისებრთა ოჯახის წარმომადგენელი მრავალი თევზი და ა.შ. ველური ბუნების მოყვარულებს განსაკუთრებით ცხოველების პარაზიტები და ავადმყოფობები აინტერესებთ, ვინაიდან ავადმყოფობა სიკვდილიანობაზე და მაშასადამე ნადირობა-თევზაობის შედეგზე ზეგავლენას ახდენს. პარაზიტების რაოდენობა ველურ ბუნებაზე მოქმედებს და ბევრი პარაზიტი ველური ბუნების პოპულაციებს მნიშვნელოვნად აზიანებს (სკალეტი და სხვები 1996). ბაქტერიული დაავადება ბრუცელოზი იელოუსტონუს ნაციონალურ პარკში მოპინადრე ბიზონებს და ცხენირემს ემართება. ზოგიერთი ეკოლოგის აზრით, ეს დაავადება ველური ცხოველებიდან იქვე მოპალახე შინაურ მსხვილფეხა საქონელსაც გადაცემა. ვირუსები თეთრკუდიან ირემსაც ერჩის და ეპიზოოტურ სისხლდენას ინვენეს, რომლის წარმატებით კონტროლი შეუძლებელია. ველური ბუნების პოპულაციებში ტუბერკულოზიც პრობლემაა. სხვადასხვა ჭიპის ბაქტერიული დაავადებები ველური ბუნების ფრინველსაც ემართება. მაგალითად, ბაქტერია ჩლოსტრიდიუმ ბოულინუმ-ით გამოწვეული ბოტულიზმი ფრინველთა პოპულაციაში სწრაფად ვრცელდება. ინკუბაციურში მოპინადრე თევზებს ბაქტერიული და სოკოვანი დაავადებები მუსრს ავლებს.

### **24.9 მიკროპარაზიტული პოპულაციის ღინეამიკა შეიძლება მოდელირებულ იქნას ინფექციის სახით**

ზოგიერთი მიკროპარაზიტი დაავადებას ადამიანში ინვენეს, ხოლო სხვები ცხოველებს და მცენარეებს ერჩის. დაავადებული ინდივიდიდან ჯანმრთელ ინდივიდზე ავადმყოფობის გადატანა უმეტესად პირდაპირი კონტაქტის საშუალებით ხდება. მაგალითად, ადამიანის გაციების და გრიპის ვირუსები ერთი

და იგივე სახეობის ორ ინდივიდს შორის გადადის. ზოგჯერ ავადმყოფობის გადაცემა სხვადასხვა სახეობის მასპინძლებს შორისაც ხდება. მაგალითად, ბაქტერია ღიცებულტისია რიცკეტტისა-ით გამოწვეული ციებ-ცხელება ადამიანებს ტკიპებიდან (შუალედური მასპინძლიდან) გადაცემათ.

პათოგენების სიცოცხლისუნარიანობა მათ მასპინძლებზეა დამოკიდებული, ამიტომ პათოგენის პოპულაციის დინამიკა მასპინძლების პოპულაციის დინამიკას აირევავს. მასპინძლის პოპულაციაში ნებისმიერ დროს სახეობის ინდივიდი შედის: 1) ინფექციაზე დაქვემდებარებული; 2) დაავადებული და 3) დაავადებული და გამოჯანმრთელებული. გამოჯანმრთელებულ ინდივიდებს ზოგჯერ დაავადებისადმი იმუნიტეტი უჩნდება. მასპინძლის ზემოთ ჩამოთვლილი სამი სახეობის დინამიკის მოდელი მასპინძლების პოპულაციაში პათოგენის დინამიკასაც ასახავს. ასეთ მოდელს ინფექციის მოდელი ეწოდება და მასში ინდივიდების სამიერ სახეობის დინამიკის ამ-სახველი განტოლებები შედის.

### პათოგენის პოპულაციის დინამიკის ინფექციის მოდელი

პათოგენის პოპულაციის დინამიკის ინფექციის მოდელი ბალმერმა (1994) შეიმუშავა და ჩვენ მის კვალს გავყვებით. დავუშვათ, ხარის დაავადებას დაქვემდებული ინდივიდების რაოდენობა,  $y$  - დაავადებული ინდივიდების რაოდენობა და  $z$  - გამოჯანმრთელებული ინდივიდების რაოდენობა. სიმარტივისთვის ვუშვებთ, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ ინდივიდი ამ დაავადებისადმი იმუნიტეტს იძენს, თუმცა იმუნიტეტი მის შთამომავლობას არ გადაეცემა. მაშასადამე, გამოჯანმრთელებული ინდივიდი დაავადებას არ ექვემდება, ხოლო მისი შთამომავლობა კვლავ შეიძლება დაავადებეს. ასეთი დაშვების შემდეგ გამოდის, რომ დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდები პოპულაციაში მხოლოდ დაბადების შედეგად შედიან. დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდები პოპულაციაში იმიგრაციის შედეგადაც შეიძლება მოხვდნენ, თუმცა ამ შესაძლებლობას ჩვენს მოდელში არ ვითვალისწინებთ. თუ დაბადების მყისი  $b$  ტემპი ინდივიდების სამიერ სახეობისთვის თანაბარია, მაშინ ნებისმიერ მომენტში პოპულაციას  $b(x + y + z)$  რაოდენობის დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდი ემატება.

დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდები ინფექციის ან სიკვდილის შედეგად მცირდებიან. დაავადებული ინდივიდიდან ჯანმრთელ ინდივიდზე მიკროპარაზიტის გადასვლისთვის მჭიდრო კონტაქტია საჭირო. რა თქმა უნდა, დაავადებულ და ჯანმრთელ ინდივიდს შორის ნებისმიერი კონტაქტი დაავადების გადატანას არ ინვევს. ინდივიდების დაავადების ტემპი ( $\beta$ ) დაავადებას დაქვემდების ტემპი  $\beta_{xy}$  თერმის საშუალებით შეგვიძლია გამოვსახოთ, ხოლო  $\beta$  არის გადა-

ცემის კოეფიციენტი და  $0 < \beta < 1$ . ამჯერად, შეეცადეთ ეს თერმი მტაცებელი-მსხვერპლის მოდელში შემავალ aPH თერმს შეადაროთ, ვინაიდან ორივე თერმი ერთი და იგივე სახის მოვლენას ასახავს. მტაცებელმა რომ მსხვერპლი შეჭამოს, მჭიდრო კონტაქტია საჭირო და ყველა კონტაქტი მსხვერპლის სიკვდილს სულაც არ იწვევს.

დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდების შემცირების კიდევ ერთი საშუალება სიკვდილიანობაა, რომელსაც სიმარტივისთვის  $d$  მუდმივით გამოვსახავთ. პოპულაციის დაავადებას დაქვემდებარებული ნანილის ცვლილების მყისიერი ტემპი შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$\frac{dx}{dt} = b(x + y + z) - \beta xy - dx.$$

ამ ფორმულის თანახმად, დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდების რაოდენობის ცვლილების ტემპი ( $dx/dt$ ) დაბადების შედეგად პოპულაციისთვის დამატებული ინდივიდების რაოდენობას ( $b(x+y+z)$ ) გამოკლებული დაავადებული ინდივიდების რაოდენობის ( $\beta xy$ ) და მომაკვდავი ინდივიდების რაოდენობის ტოლია ( $dx$ ).

პოპულაციაში დაავადებული ინდივიდების რაოდენობა  $\beta xy$ -ით იზრდება. როდესაც დაავადებული ინდივიდი გამოჯანმრთელდება ან გარდაიცვლება, დაავადებული ინდივიდების რაოდენობა იკლებს. ცხადია, პოპულაციის დაავადებულ ნანილში სიკვდილიანობის ტემპი უფრო მაღალია იქნება, ვიდრე დაავადებას დაქვემდებარებულ ან გამოჯანმრთელებულ ნანილში. დაავადებული ჯგუფის სიკვდილიანობის ტემპი სიმბოლოთი აღვრიშნოთ და რა თქმა უნდა,  $D > d$ . დაავადებული ინდივიდების გამოჯანმრთელების ტემპი იყოს  $\gamma$ . სიკვდილის და გამოჯანმრთელების შედეგად ინდივიდები დაავადებული ჯგუფიდან გამოდიან და

ამიტომ, მათ ( $D + \gamma$ )y თერმში ვაერთიანებთ. აქედან გამომდინარე, პოპულაციის დაავადებული ნანილის ფორმულა იქნება:

$$\frac{dy}{dt} = \beta xy - (D + \gamma)y.$$

ამ ფორმულის თანახმად, პოპულაციის დაავადებული ინდივიდების რაოდენობის ცვლილების მყისი ტემპი ( $dy/dt$ ) ინფექციის ტემპით ( $\beta xy$ ) იზრდება და სიკვდილისა და გამოჯანმრთელების ( $(D + \gamma)y$ ) შედეგად კლებულობს.


გამოჯანმრთელებული ინდივიდების რაოდენობის ცვლილების ტემპი უპრალოდ გამოჯანმრთელების  $\gamma$  ტემპია და შედეგად, გამოჯანმრთელებულ ჯგუფს ინდივიდები ემატება და გამოჯანმრთელებული ინდივიდების სიკვდილიანობის დზ ტემპი აკლდება ანუ:

$$\frac{dz}{dt} = \gamma y - dz.$$

მიღებულ ფორმულებს შორის დამოკიდებულებების სქემა 24.21 სურათზე გამოსახული.

დაუუშვათ, ავადმყოფობის შემცველ პოპულაციაში  $N = x + y + z$  ინდივიდია. თუ დაავადებას დაქვემდებარებული და დაავადებული ინდივიდების რაოდენობა, ასევე პოპულაციის ზომა ვიცით, მაშინ გამოჯანმრთელებელი ინდივიდების რაოდენობას გავიგებთ. მაგალითად,  $z = N - x - y$ . სამნუხაროდ, ბუნებრივი პოპულაციის ზუსტი ზომა და დაავადებული თუ დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდების რაოდენობა იშვიათად ვიცით. დაუუშვათ, დაბადების და გარდაცვალების ტემპი ზომის პოპულაციისთვის თანაბარია ანუ  $b(x + y + z) = d(x + z) + Dy$ . ეს ფორმულა 24.1 ფორმულაში ჩავსვათ და მივიღებთ:

$$\frac{dx}{dt} = d(x + z) + Dy - \beta xy - dx.$$



**სურ. 24.21.** დაავადებას დაქვემდებარებულ, დაავადებულ და გამოჯანმრთელებულ ინდივიდების შორის კავშირის სქემა ინფექციის მოდელში

მიღებულ შუალედურ შედეგში  $z = N - x - y$  ფორმულა  
ჩავსათ და გვექნება:

$$\frac{dx}{dt} = d(x + N - x - y) + Dy - \beta xy - dx.$$

ამ ფორმულის პირველი წევრში ფრჩხილები გახსნით და შემდეგ წევრების დაჯგუფებით პოპულაციის დაა-  
ვადებას დაქვემდებარებული ნაწილის რაოდენობის ცვლილების ტემპის ფორმულას მივიღებთ:

$$\frac{dx}{dt} = d(N - x) + (D - d)y - \beta xy.$$

ფორმულა გამოჯანმრთელებული ინდივიდების რა-  
ოდენობის ცვლილების ტემპის 24.3 ფორმულის საჭიროებას გამორიცხავს და მხოლოდ 24.4-24.2 ფორ-  
მულები გვჭირდება:  $dy/dt = \beta xy - (D + \gamma)y$ .

24.4 და 24.2 ფორმულები პოპულაციაში ინფექ-  
ციის გადარჩენის პირობებია. ამის დასამტკიცებლად განვიხილოთ  $dx/dt = 0$  და  $dy/dt = 0$  შემთხვევა. ცხადია,  
თუ  $y > 0$ , ინფექცია არ არსებობს, რადგან პოპულაცი-  
აში დაავადებული ინდივიდები არ შედიან ანუ პარაზ-  
იტი პოპულაციაში არ გვხვდება. თუ  $y > 0$ , დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდის დაავადების შანრი არ-  
სებობს და სიკვდილიანობის ფაქტორებიც მოქმედებს.  
ჩვენ შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ როდესაც  $y > 0$ ,  
 $dy/dt = 0$ ,  $x = (D + \gamma)/\beta$ . ამ მნიშვნელობას ინფექციის ზღვრული მნიშვნელობა ენოდება.

### ინფექციის გამრავლების ტემპი

ზღვრული მნიშვნელობის და ინფექციის მოდელის გააზრებისთვის ინფექციის გამრავლების ტემპი უნდა შევისწავლოთ, რომელიც  $R(x)$  სიმბოლოთი აღინიშ-  
ნება. დაავადებული ინდივიდი დაავადებას დაქვემდე-  
ბარებულ ერთ ან მეტ ინდივიდის აავადებს. ინდივიდის ინფექციის გამრავლების ტემპი მის მიერ დაავადებუ-  
ლი ინდივიდების მთლიანი რაოდენობაა. პოპულაციის ინფექციის გამრავლების  $R(x)$  ტემპი ინდივიდების გამ-  
რავლების ტემპების საშუალოა. გამრავლების ტემპი დაავადებული მასპინძლის სიცოცხლის ხანგრძლივო-  
ბაზეა დამოკიდებული. რაც უფრო დიდანს ბინად-  
რობს დაავადებული ინდივიდი, მით უფრო მეტ ინდი-  
ვიდს გადასდებს ის დაავადებას. ზემოთ მიღებული ფორმულებიდან გამომდინარე, დაავადებული ინდი-  
ვიდები პოპულაციას გამოჯანმრთელების ან სიკვდი-  
ლის შედეგად  $(D + \gamma)$  ტემპით აკლდებან. დაავადებუ-  
ლი მასპინძლის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა  
ამ ტემპის შებრუნებული, ანუ  $1/(D + \gamma)$ -ია (ბალმერი 1994). დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდების დაავადების ტემპია  $\beta x$ . ინფექციის გამრავლების ტემ-  
პი ინფექციის ტემპის და დაავადებული ინდივიდების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შედეგია:

$$R(x) = \frac{\beta x}{(D + \gamma)}.$$


გამრავლების ტემპი დაავადებული ინდივიდის დახ-  
მარებით მოიცემა ანუ თუ  $R(x) < 1$ , მაშინ დაავადე-

ბული ინდივიდები საკმარის რაოდენობას ვერ აა-  
ვადებენ და ავადმყოფობა იღუპება. თუ  $R(x) > 1$ , მაშინ დაავადებული ინდივიდები უფრო დიდი რაოდენობით ინდივიდებს აავადებენ და ავადმყოფობა ვრცელდება. ვიდრე ინფექციის ტემპი დაავადებული ინდივიდების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას აღემატება, ავადმყოფობა არსებობას განაგრძობს. სიცოცხ-  
ლის საშუალო ხანგრძლივობა სიკვდილის ან გამო-  
ჯანმრთელების შედეგად ინდივიდების კლების ტემპის შებრუნებულია. დაავადებული ინდივიდების სიცოცხ-  
ლის ხანგრძლივობა მიუთითებს, რომ ავადმყოფობის შედეგად სიკვდილის და გამოჯანმრთელების ტემპი დაბალია. ანუ დაავადებას დაქვემდებარებული ინ-  
დივიდების რაოდენობა, როდესაც  $R(x) = 1$ , არის  $(D + \gamma)/\beta$  ანუ წონასწორული ( $\text{ზღვრული}$ ) მნიშვნელობა. ეს ნიშნავს, რომ ავადმყოფობა ვერ გავრცელდება, თუ დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდების რა-  
ოდენობა  $(D + \gamma)/\beta - ზე$  ნაკლებია.

### იმუნიტეტი ავადმყოფობაზე

ინფექციის მოდელის დახმარებით მიღებული შედე-  
გები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შენარჩუნები-  
სთვის მნიშვნელოვანია. პოპულაციის დაცვისთვის ინ-  
დივიდების საკმარისი რაოდენობის იმუნიზაცია უნდა მოხდეს, რათა დაავადებას დაქვემდებარებული ინდი-  
ვიდების რაოდენობა  $\text{ზღვრულ მნიშვნელობაზე}$  დაბ-  
ლა ჩამოვიდეს და ავადმყოფობამ გავრცელება ვერ შეძლოს. როდესაც მიზანი მიღწეულია, იმუნიზაციის პროგრამას პოპულაციური იმუნიტეტის გამოწვევი ეწოდება.

ამჯერად პოპულაციური იმუნიტეტის მიღების მეოთხს დავაკვირდებით. იმუნიზაციის პროგრამის დაწყებისას ავადმყოფობის გამრავლების ტემპია  $R(x) > 1$ .  $R(x) = \beta x / (D + \gamma)$  ფორმულის გარდაქმნის და  $x$ -სთვის ამოხსნის შედეგად მივიღებთ  $x = R(x)(D + \gamma)/\beta$ . მიღებული  $x$  შევცვალოთ  $x=0$ -ით. თუ იმუნიზაციის



**სურ. 24.22.** დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდების პროპროცენტი პერიოდის გარენობა, რომლის გაცინაციის შედეგად ავად-  
მყოფობა მარცხდება. მონაცემები ადამიანის რამდენიმე დაავადები-  
სთვის არის მოცემული.  $R(x)$  ინფექციის გამრავლების ტემპია.

პროგრამა წარმატებულია, მაშინ  $R(x)=1$  და ფორმულა  $x = (D + \gamma)/\beta$  სახეს იღებს.  $x$ -ის ეს მნიშვნელობა  $x_1$ -ით აღვნიშნოთ. ინფექციის შეჩერებისთვის საჭირო ვაქცინირებული ინდივიდების პროპორციული რაოდენობა  $p_v$  და  $p_v = 1 - x_1/x_0$  ან  $1 - 1/R(x)$ . 24.22 სურათზე გამოსახულია ვაქცინირებული ინდივიდების პროპორციული რაოდენობა, რაც გავრცელებული ადამიანური დაავადებების შეჩერებისთვის არის აუცილებელი (ან-დერსონი და მერი 1991).


დავუშვათ, ავადმყოფობამ 1 მილიონი ადამიანის პოპულაციაში იფეტქა და მისი თვისებებია  $D = 0.7$ ,  $\gamma = 0.1$  და  $\beta = 0.9$ . ავადმყოფობასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის ტემპი მაღალია, გამოჯანმრთელების ტემპი დაბალია და ავადმყოფობა გადამდებარია. თუ ინფექციის გამრავლების ტემპია  $R(x) = 2$ , მაშინ პოპულაციის ვაქცინირებული ინდივიდების პროპორციული რაოდენობა, რაც პოპულაციური იმუნიტეტისთვის არის საჭირო, შემდეგია:

$$\begin{aligned} p_v &= 1 - \frac{x_1}{x_0} \\ &= 1 - \frac{0.7 + 0.1}{0.9} = \frac{2(0.7 + 0.1)}{0.9} \\ &= 0.50 \end{aligned}$$

მაშასადამე, ავადმყოფობის შესაჩერებლად პოპულაციის ნახევრის ( $500000$  ინდივიდის) ვაქცინაცია უნდა მოხდეს. თუ ავადმყოფობის გამრავლების ტემპია  $R(x) = 10$  ანუ თითოეულ დაავადებულ ინდივიდს საშუალოდ 10 ინდივიდის დაავადება შეუძლია, მაშინ  $p_v = 0.9$  ანუ პოპულაციური იმუნიტეტისთვის  $900000$  ინდივიდის ვაქცინაცია საჭირო.

## იმუნიტეტი და ავადმყოფობის ციკლები

ორგანიზმები ავადმყოფობის შემდეგ ჯანმრთელდებიან და ამ ავადმყოფობისადმი გრძელვადიან ან მოკლევადიან იმუნიტეტს იძენენ. მაგალითად, ადამიანი წითელას ერთხელ გადატანის შემდეგ იმუნიტეტს მთელი სიცოცხლის განმავლობაში იძენს. თუ პოპულაციას დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდები დაბადების ან იმიგრაციის შედეგად ემატებიან, პათოგენური საბოლოო ჯამში ყველა ინდივიდს დაავადებს, ყველა ინდივიდი იმუნიტეტს შეიძენს და პათოგენი დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდების სიმცირის გამო დაილუპება. თუ ავადმყოფობა ახალი, ავადმყოფობას დაქვემდებარებული ინდივიდების შემოსვლაზე უფრო სწრაფად ვრცელდება, როგორც ეს ხდება წითელას მაგვარი საშიში დაავადებების შემთხვევაში, მაშინ ავადმყოფობას პერიოდული ციკლები ანუ აფეთქება ახასიათებს. წითელა პოპულაციაში სწრაფად ვრცელდება, თუმცა იმუნიტეტი უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე ახალი, დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდები შემოდიან (სურ.



24.23). იმუნიზაციის პროგრამებში აქცენტი ახლად დაბადებულ ინდივიდებზე კეთდება, რათა დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდების რაოდენობა მცირეობს.

## 24.10 პარაზიტთა ტოქსიკურობა და მოკლებული გადაღების თვისებები და მთარებლის იმუნიტეტი

პარაზიტის ან პათოგენის ვირულენტურობა მასპინძლისთვის ზიანის ან სიკვდილის მოტანის ხარისხია. როდესაც ზოგიერთი პარაზიტი ძალიან ვირულენტურია, სხვა, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პარაზიტები ნაკლებად ვირულენტურია (ევალდი 1995, ლენსკი და მერი 1994, ანტია და სხვები 1994). ბაქტერიის ან ვირუსის შედარებით უსაფრთხო ფორმაში მომხდარი ერთი ან ორი მუტაცია მას ძალიან სახითათ ფორმად გადააქცევს (როსკვისტი და სხვები 1988). სწორედ ასე ხდება ბუბონის ჭირის გამომწვევი ბაქტერიის შემთხვევაში. ზოგიერთი პარაზიტი უფრო ძლიერია. რატომ? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას უკანასკნელ ნდებში აქტიურად ცდილობენ.

პარაზიტოლოგების უმეტესობა უკანასკნელ ნლებამდე ფირობდა, რომ პარაზიტები და მათი მასპინძლები მეტ-ნაკლებად სტაბილური თანაარსებობისკენ მიდიან, რასაც ზომიერი ვირულენტურობა ახასიათებს ანუ პარაზიტები მასპინძელთან ხანგრძლივი ევოლუციური კავშირის შედეგად ვირულენტურობას კარგავენ. ეს მოსაზრება ეფუძნება დაშვებას, რომლის თანახმად, პარაზიტის გადარჩენისთვის მასპინძლის მეტისმეტი ექსპლუატაცია და გადაშენება უნდა გამოირცხოს. ამ მოსაზრების თეორიულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ზოგჯერ პარაზიტები და პათოგენები დროთა განმავლობაში მართლაც ნაკლებად ვირულენტურები ხდებიან (ლენსკი და მერი 1994). მიუხედავად ამისა, ბუნებრივი გადარჩევა და ვირულენტურობის განვითარების მექანიზმები კითხვის ნიშნის ქვეშ არის და ამიტომ, ამ მოსაზრების სისწორეც დამტკიცებული არ არის.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრების მიხედვით, ადაპ-

ტირებული პარაზიტი მსუბუქი ფორმისაა და დაშვებულია, რომ გადარჩევა იმ პარაზიტებს ანიჭებს უპირატესობას, რომლებიც მასპინძლის მეტისმეტ ექსპლუატაციას არ ეწევიან. არის კი ეს სიმართლე? მოდით, განვიხილოთ პარაზიტი, რომელიც მასპინძლის ექსპლუატაციას სხვადასხვა გზით ახდენს. თუ პარაზიტი მასპინძლის ექსპლუატაციის ზრდასთან ერთად საკუთარ ვარგისიანობას ზრდის, მაშინ ბუნებრივი გადარჩევა ამგვარ პარაზიტს უპირატესობას ანიჭებს. ვიდრე გაზრდილი ექსპლუატაცია მასპინძლს მნიშვნელოვან ზიანს არ აყენებს და ვიდრე გაზრდილი ექსპლუატაცია პარაზიტის ვარგისიანობის ზრდას ნიშნავს, მანამდე გადარჩევა უპირატესობას გაზრდილ ექსპლუატაციას ანიჭებს. რახდება იმ შემთხვევაში, თუ პარაზიტი მასპინძლის ექსპლუატაციას აძლიერებს და მასპინძლს ზიანი ადგება? გადარჩევა უპირატესობას კვლავ ექსპლუატაციას ანიჭებს, ვიდრე პარაზიტის მიერ მიღებული სარგებელი მასპინძლის დაზიანების შედეგად არსებულ საფასურს აღემატება. პარაზიტს ზიანი მაშინ ადგება, როდესაც ექსპლუატაცია მის გადაცემაზე უარყოფითად აისახება. მაშასადამე, ბუნებრივი გადარჩევა მასპინძლის ექსპლუატაციას გაძლიერებას მანამდე ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე გადაცემის უნარი არ მცირდება (ევალდი 1995).

მაშასადამე, გადაცემის რეჟიმი პარაზიტის ვირულენტურობის ევოლუციაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. როდესაც პარაზიტების გადაცემაზე ვფიქრობთ, ხშირად მასპინძლის მობილურობაზე ვამახვილებთ ყურადღებას, რადგან პარაზიტის მოქმედება მასპინძლის მობილურობაზე ზეგავლენას ახდენს და შემცირებული მობილურობაზე ზეგავლენას ახდენს ზეგავლენას და რეპროდუქტიულობის შემცირებას იწვევს. რეპროდუქტიულობის შემცირება პოპულაციის ზომას და მცენარების სიმჭიდროვეს ცვლის. მცენარეების არქიტექტურა, სივრცეში გავრცელება და თავდაცვითი მექანიზმები მათ მომხმარებელ ბალახის მჭამელებზე და მათ პოპულაციაზე ახდენს ზეგავლენას. პარაზიტები მასპინძლის სიკვდილს იშვიათად იწვევენ, თუმცა ზოგიერთი პარაზიტი მასპინძლის პოპულაციის ზომის შემცვლელ ავადმყოფობას იწვევს. ავადმყოფობების დინამიკის გააზრება მათი ზეგავლენის შემცირებაში გვეხმარება.

სიმპტომია. რაც უფრო მეტად არის დამოკიდებული პარაზიტი მასპინძლის მობილურობაზე, მით უფრო ამცირებს მასპინძლის მობილურობას გაძლიერებული ექსპლუატაცია და ეს მოვლენა პარაზიტისთვის დიდი საფასურის გადახდას ნიშნავს. თუ გადაცემა მასპინძლის მობილურობაზე დამოკიდებული არ არის, მაშინ ექსპლუატაციას გადაცემაზე მცირე ზეგავლენა ექნება. მაგალითად, ფეხსახსრიან გადამტანებზე (კოლოზზე) დამოკიდებული და წყლით გადამდები პარაზიტები მასპინძლის მობილურობაზე მაინცდამაინც დამოკიდებული არ არის. ამგვარ პარაზიტები ძალიან ვირულენტურია და კარგი მაგალითია დიარეული პარაზიტები (ევალდი 1991).

ამ თავში ბალახისმჭამელებსა და მათ მასპინძელ მცენარეებს, ასევე პარაზიტებსა და მათ მასპინძლებს შორის ურთიერთქმედებები განვიხილეთ. ასეთი ურთიერთქმედებები მონაწილე ინდივიდებზე ზეგავლენას ახდენს, თუმცა მასპინძლის სიკვდილიანობას არ ეხება. ინდივიდუალური მცენარის მონაცემებზე ბალახისმჭამელების მოქმედება ახდენს ზეგავლენას და რეპროდუქტიულობის შემცირებას იწვევს. რეპროდუქტიულობის შემცირება პოპულაციის ზომას და მცენარეების სიმჭიდროვეს ცვლის. მცენარეების არქიტექტურა, სივრცეში გავრცელება და თავდაცვითი მექანიზმები მათ მომხმარებელ ბალახის მჭამელებზე და მათ პოპულაციაზე ახდენს ზეგავლენას. პარაზიტები მასპინძლის სიკვდილს იშვიათად იწვევენ, თუმცა ზოგიერთი პარაზიტი მასპინძლის პოპულაციის ზომის შემცვლელ ავადმყოფობას იწვევს. ავადმყოფობების დინამიკის გააზრება მათი ზეგავლენის შემცირებაში გვეხმარება.

## დასკვნა

**1.** ბალახისმჭამელობა მომხმარებლისა და რესურსის ურთიერთქმედება, რომლის შედეგად მცენარე ან მცენარის ნაწილი იქმება. ბალახისმჭამელები ძოვენ, კორტინიან, თესლს იტაცებენ და მცენარის შეჭმის სხვა სტრატეგიებსაც იყენებენ. მტაცებლისა და მსხვერპლის ურთიერთქმედებისგან განსხვავებით, ბალახისმჭამელისა და მცენარის ურთიერთქმედებას სიკვდილის და დაბადების დათვლით ვერ აღვწერთ, ვინაიდან ბალახისმჭამელობა ხშირად სიკვდილს არ იწვევს.

**2.** მცენარის ან მცენარის ნაწილს ცხოველთა ყველა ძირითადი ჯგუფის წარმომადგენელი სხვადასხვა სახეობა ჭამს. ბალახისმჭამელების ყველაზე უფრო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები ფეხსახსრიანებში და მწერებში გვხვდებიან. ბალახისმჭამელობა ყველა ეკოსისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია.

**3.** ბალახისმჭამელობა მცენარის ზრდას, სიცოცხლისუნარიანობას და ნაყოფიერებას ამცირებს, რაც ყველაზე უფრო აშკარა ბალახის მჭამელი მწერების, მაგალითად იაპონურო ხოჭის ან გყპსყ მოტჰ-ის გავრცელებისას ხდება. ბალახისმჭამელობა მცენარეებში ხშირად კომპენსატორულ რეაქციას იწვევს, რაც მცენარის სხეულში რესურსების გადანაწილებას ან მცენარის არქიტექტურის ცვლილებას გულისხმობს. ზოგიერთი ეკოლოგის აზრით, მცენარე ზოგჯერ ბალახის მჭამელობის შედეგად მიღებულ ზიანს გადაჭარბებულად აკომპნენსირებს და მისი გარგისიანობა იზრდება. ეს მოსაზრება საკამათოა.

**4.** ხერხემლიანი ცხოველის მიერ ბალახის ძოვა მცენარის საზოგადოების სტრუქტურასა და პროდუქტიულობაზე ზეგავლენას უკუკავშირის მქონე პროცესების საშუალებით ახდენს. ამგვარ პროცესებს შორისაა საკვები ნივთიერების ხელმეორედ გამოყენება.

5. ბევრ მცენარეს ბალახისმჭამელები ერთდროულად ან თანდათანობით უტევენ. აქედან გამომდინარე, მცენარე ბალახისმჭამელობის ზეწოლის სხვადასხვა დონეს განიცდის და ბალახისმჭამელობის შედეგად მიღებულ ზიანზე მცენარის პოპულაციის ასაკობრივი სტრუქტურა ზეგავლენას ახდენს. ბალახისმჭამელების მიერ მცენარის პოპულაციის პირდაპირი რეგულირების ფაქტები ამომწურავი არ არის. მიუხედავად ამისა, თანამედროვე კვლევები ადასტურებს, რომ ბალახისმჭამელი მნიშვნელი მცენარეების გაურცელებას ზღუდავს და მაშასადამე, რეგულირება მაინც შესაძლებელია.

6. მცენარის მგრძნობიარობა და გამოძახილი ბალახისმჭამელობაზე მცენარის პოპულაციის სივრცითი დინამიკის შედეგად იცვლება. ბალახისმჭამელები მცენარის მრავალფეროვან საზოგადოებაში შესაფერის მცენარეს ძნელად პოულობენ. ვეგეტაციის სტრუქტურა ბალახისმჭამელების ერთი მასპინძლიდან მეორეზე გადაადგილებასაც ზღუდავს.

7. ძუძუმწოვარი, ბალახისმჭამელი ცხოველები ფუნქციონალური გამოძახილი მცენარის სიმჭიდროვეზე და ხილულობაზე, ასევე კვების პროცესში ნაგენის ზომასა და კბენის სიხშირეზეა დამოკიდებული.

8. მიკროპარაზიტები მასპინძლებში ფიზიოლოგიურ ცვლილებებს იწვევენ და ამ ცვლილებებს ავადმყოფობა ეწოდება. ავადმყოფობის გადამტანორგანიზმებს პათოგენები ეწოდება და ავადმყოფობა დაავადებული ინდივიდიდან ჯანმრთელ ინდივიდზე პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით გადადის.

9. ინფექციის დინამიკა მიკროპარაზიტების პოპულაციის შესანიშნავ მოდელს ქმნის. ინფექციის მოდელში დაავადებას დაქვემდებარებული, დაავადებული და გამოჯანმრთელებული ინდივიდების დათვლა ხდება. ინფექციის გამრავლების  $R(x)$  ტემპი დაავადებული ინდივიდის მიერ სიცოცხლის განმავლობაში გამოწვეული დაავადებების საშუალო რაოდენობაა. როდესაც დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდების ხ რაოდენობა მცირდება და  $R(x) < 1$ , ავადმყოფობა ილუპება. იმუნიზაციის პროგრამების მიზანი დაავადებას დაქვემდებარებული ინდივიდების რაოდენობის ზღვრულ მნიშვნელობამდე დაყვანაა.

10. პარაზიტის ვირულენტურობის ევოლუცია მასპინძლის მობილურობის საფასურზეა დამოკიდებული. თუ პარაზიტის გადასვლა მასპინძელზე არ არის დამოკიდებული, მაშინ ის უფრო ვირულენტური ხდება, ვიდრე ის პარაზიტი, რომელიც მასპინძლის მობილურობაზეა დამოკიდებული.

## სავარჯიშოები

1. უდაბნოებში ფოთლოვანი, მწვანე მცენარეების ნაკლებობაა. მოცემული სახელმძღვანელოს და სხვა წყაროების დახმარებით უდაბნოს ბალახის მჭამელის ბუნებრივი ისტორია აღნერეთ.

2. ბალახისმჭამელობა მცენარეების გავრცელებაზე ადგილობრივ შეკალაზე ახდენს ზეგავლენას, რაც ლოუდამ და როდმანმა შალგზე ჩატარებული ექსპერიმენტებით დაამტკიცეს. როგორ შეიძლება ბალახისმჭამელობის შედეგები რეგიონალურ ან ლანდშაფტურ შეკალაზე ავსახოთ?

3. მტაცებელი-მსხვერპლის ურთიერთქმედების მოდელში აქცენტი მტაცებლის და მსხვერპლის პოპულაციის ზომის ცვლილებაზე კეთდება. მსხვერპლის პოპულაცია მტაცებლობის და სიკვდილიანობის სხვა წყაროების შედეგად მცირდება. მტაცებლების

რაოდენობას სიკვდილიანობა ან სხვა მტაცებლის მოქმედება ამცირებს. მტაცებლის და მსხვერპლის პოპულაცია გამრავლების შედეგად იზრდება. ბალახისმჭამელებისა და მასპინძელი მცენარეების ურთიერთქმედების შედეგები ასე აშკარა არ არის. რატომ ხდება ასე?

4.  $N=1000$  ინდივიდისგან შემდგარ პოპულაციაში მიკროპარაზიტის შედეგად დაავადებული 10 ინდივიდია. რა იქნება ინფექციის ზღვრული მნიშვნელობა ამ პოპულაციაში?

5. დაავადებული ჯგუფის სიკვდილიანობის ტემპია 0.15, დაავადებული ინდივიდების გამოჯანმრთელების ტემპია 0.85, დაავადების გადაცემის ტემპია 0.01 და დაავადების გამრავლების ტემპია 3. რისი ტოლია პვ?

## თავი 25



### თანაევოლუცია და გუთუალიზაცია

#### გზამკვლევი პითევები

- რა არის თანაევოლუციის, სპეციალიზაციის და მუტუალიზმის პროცესები?
- რა განსხვავებაა პოპულაციების და სახეობების თანაევოლუციის შორის?
- რა დაკვირვებები ადასტურებს თანაევოლუციის გეოგრაფიული მოზაიკის თეორიას?
- როგორ განმარტავს თანაევოლუციის მექანიზმს გამომწვევ-რეცეპტორის მოდელი?
- მუტუალიზმის რა სამი სახეობა არსებობს?
- როგორ ჩამოყალიბდა მუტუალისტური კავშირები ჭიანჭველებში?
- რა თანაევოლუციური კავშირი არსებობს პეპლებსა და ქოლგოსან, მასპინძელ მცენარეებში?
- როგორ გამოკვეთს თანაევოლუცია იუკას მცენარეებსა და მათ დამმტვერავ ჩრჩილებს შორის კავშირს?


**მ**რი პოპულაციის ურთიერთქმედებებისას, თითოეული მათგანი მეორის თვისებებზე, რომლებსაც მის კარგად ყოვნაზე ანუ ევოლუციურ ვარგისიანობაზე ზეგავლენა აქვთ, რეაგირებას ახდენს. ურთიერთქმედ პოპულაციებს ან სახეობებს შორის ამგვარ ევოლუციურ გამოძახილს თანაევოლუცია ეწოდება (ტომპსონი 1982, 1994, გილბერტი და რეივენი 1975, ბერენბაუმი 1983, ნიტეცი 1983, ფუტუიამა და სლატკინი 1983, ბუშ 1985, არმბრასტერი 1992, ტომპსონი 1994). ევოლუციური გამოძახილებს პირდაპირი მტკიცებულება ზოგჯერ არ ჩანს და ზოგიერთი ეკოლოგის აზრით, თანაევოლუცია იშვიათი მოვლენაა. თანაევოლუციის გავრცელებულობის შესახებ კამათისას, ძირითადი ყურადღება სპეციალიზაციის მოვლენას ეთმობა, როდესაც ორგანიზმი სხვა სახეობების შეზღუდულ რაოდენობას ურთიერთქმედებს (ტომპსონი 1994). სპეციალიზაცია პოპულაციებს შორის ურთიერთქმედების შედეგი შეიძლება იყოს, თუმცა როგორც მოგვიანებით გამოჩნდება, ეს ყოველთვის არ მიუთითებს თანაევოლუციაზე. თანაევოლუციის მომცველი ურთიერთქმედების ერთი მაგალითია მუტუალიზმი, როდესაც ურთიერთქმედების ორივე მონაწილე სარგებელს იღებს. მუტუალისტური ურთიერთქმედები ძლიერ თანაევოლუციაზე მიუთითებს

და მაღალი დონის სპეციალიზაციას იწვევს. თანაევოლუციის, სპეციალიზაციის და მუტუალიზმის შესწავლა პოპულაციათა ურთიერთქმედებების ევოლუციურ ჭრილში გააზრებაში დაგვეხმარება.

#### 25.1 ევოლუციური ურთიერთობები ათეაგონისტების შორის ხშირად ახდენს თანაევოლუციის დამონიტრირებას

პარაზიტების, პარაზიტოიდების და მათ მასპინძლებს შორის ურთიერთქმედები პოპულაციათა ურთიერთქმედების ყველაზე უფრო სპეციალიზირებული მაგალითია (პრაისი 1980, ტომპსონი 1994) და ამიტომ თანაევოლუციის პირველ მაგალითს სწორედ ამ ჯგუფებიდან მოვიყვანთ. თანაევოლუციის კონტექსტში გააზრებული პოპულაციათა ურთიერთქმედების ანალიზი, ავსტრალიაში, ვიქტორიაში მცხოვრებ ევროპულ კურდელელსა და მიქსომას ვირუს შორის კავშირის დახმარებით ჩატარდა.

რამდენიმე წყვილის გამოშვების შემდეგ, კურდელი აგსტრალიაში ძალიან სწრაფად გავრცელდება და მალე ადგილობრივი ფერმერები იმდენად შეანუხა,



**სურ. 25.1.** კოლეური კურდლის მიქსომას ვირუსზე მცრდნობლის შემცირება, როდესაც ვირუსი გენეტიკურად არასელექტორი კურდლების 90%-ს კლავს.

რომ მათ კურდლებზე ნადირობის ბრიგადები შექმნეს. კონტინტზე ათასობით მილიონი კურდლელი გავრცელდა და მათ მთელი საძოვრები გაანადგურეს. ავსტრალიის მთავრობამ სცადა სანამლავი, მტაცებლები და სხვა მრავალი, მაგრამ წარუმატებლად. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგად აშკარა გახდა, რომ პრობლემის გასაღები სამხრეთ ამერიკული კურდლის მიქსომას ვირუსშია. მიქსომას ვირუსი პატარა, ადგილობრივ ფიბრომას (ფიბროზული კანის კიბო) ქმნის და სამხრეთ ამერიკულ კურდლელს დიდ ზიანს ვერ აყენებს, სამაგიეროდ მისაგან ინფიცირებული ევროპული კურდლები მიქსომატოზისგან სწრაფად კვდებიან.

1950 წელს, ვიქტორიაში მიქსომას ვირუსი შეიტანეს. მიქსომატოზის ეპიდემია კურდლებში სწრაფად გავრცელდა. ვირუსი ძირითადად კოლოებს გადაჰქონდათ, რომლებიც კურდლებს კანზე კენდენენ და ვირუსი პირის ნანილებით შეჰყავდათ. პირველმა ეპიდემიამ დაავადებული კურდლების 99,8% მოკლა და მათი პოპულაცია ძალიან დაბალ დონეზე დაიყვანა. მიქსომატოზის შემდეგ სეზონზე დარჩენილი პოპულაციის მხოლოდ 90% დაიღუპა, ხოლო მესამე აფეთქების შემდეგ 40-60% მოკვდა და კურდლის პოპულაციაში კვლავ ზრდა დაიწყო.

ავსტრალიურ კურდლებში მიქსომატოზის ლეტალური შედეგის შემცირება კურდლისა და ვირუსის პოპულაციაში მომხდარმა ევოლუციურმა გამოძახილმა გამოიინვია. მიქსომას ვირუსის შემოსვლამდე ზოგიერთ კურდლელს ამ დაავადების სანინალმდევო გენეტიკური ფაქტორები გააჩნდა და მიქსომატოზის ეპიდემიის შემდეგ სწრაფად ამგვარი ინდივიდების გადარჩევა მოხდა, ვიდრე კურდლის გადარჩენილ პოპულაციაში რეზისტული ცხოველები დარჩენენ (სურ. 25.1). ამავე დროს, ნაკლებად ვირუსები ვირუსები გავრცელდა, რადგან შემცირებული ვირუსების ტრანსიციურობა დაავადებული კურდლების სიცოცხლის ხანგრძლივობას ზრდიდა და შესაბამისად, კოლოს საშუალებით ვირუსის გადატანას აადვილებდა


(კოლოები მხოლოდ ცოცხალ კურდლებს კედნენ). ზოგადად, მასპინძლის სწრაფად მომაკვდინებელი ვირუსული ორგანიზმები კოლოებს ნაელებად გადააქვთ.

თუ განვითარების საშუალებას მისცემდნენ, ავსტრალიური კურდლელი-ვირუსის სისტემა წონასნორულ ანუ ენდემური ავადმყოფობის მდგომარეობაში გადავიდოდა, როგორც ეს სამხრეთ ამერიკულ კურდლებში ხდებოდა. მეცნიერები კი სისტემას წონასნორობის მდგომარეობაში გადასვლის საშუალებას არ ძლევენ და მიქსომას ქმედითუნარიანობას ინარჩუნებენ, რათა კურდლების პოპულაციაზე კონტროლი განხორციელდეს.

მიქსომას ვირუსის შემცირებული ვირუსენტურობის მიზეზი ის არის, რომ კოლოები ვირუსს უფრო წარმატებით ავრცელებენ, როდესაც დაავადებული მასპინძლის სიცოცხლის ხანგრძლივობა მეტია. აქედან გამომდინარე, მიქსომას ნაკლებად ვირუსენტური სახეობები მასპინძლის პოპულაციაში და ინდივიდუალურ მასპინძლებშიც უფრო სწრაფად იზრდება. ატმოსფეროს ან წყლის საშუალებით გავრცელებულ დაავადებებს ამგვარი შეზღუდვები არ აქვს და მათი ვირუსენტურობა მაღალ დონეზე რჩება. მტაცებლების უმეტესობა მსხვერპლის მოძებნისას მესამე მხარეზე დამოკიდებული არ არის და შეზღუდვის და შემწყნარებლობის გარკვეულ წონასნორულ მდგომარეობაში იმყოფება. მტაცებელი და მსხვერპლი გარკვეული ინტენსივობის ევოლუციურ ბრძოლაში იმყოფებიან და ბრძოლის შედეგი პოპულაციის სიძლიერეზეა დამოკიდებული.

დევიდ პიმენტელმა და მისმა კოლეგებმა (პიმენტელი და სხვები 1968) პარაზიტოიდი-მასპინძლის კავშირები ოთახის ბუზის და ბუზის ჭუპრის პარაზიტოიდი კრაზანის (ასონია ვიტრიპენის) საშუალებით გამოიკვლიერს (სურ. 25.2). პოპულაციის ერთ ნაწილში, ასონია ბუზის პარაზიტოირებას ახდენს. პოპულაცია მუდმივ დონეზეა, ვინაიდან მისი შევსება კრაზანისგან ჯერ კიდევ ხელუხლებელი მარაგიდან ხდება. პარაზიტოიდი კრაზანის შეტევისგან გაქცეული ბუზები პოპულაციიდან ქრებიან, ამიტომ, კრაზანს მხოლოდ ევოლუციურად „პრიმიტიული“ მასპინძელი რჩება.

პოპულაციის მეორე ნაწილში, მასპინძელი ბუზების რაოდენობა მუდმივია, მაგრამ ჭუპრიდან გა-



**სურ. 25.2.** კრაზანა ასონია ოთახის ბუზის ჭუპრის პარაზიტოირებას ახდენს


მოსული ბუზები პოპულაციაში რჩებიან და ამიტომ, პოპულაცია კრაზანებისადმი რეზისტული შეიძლება გახდეს. პოპულაციის ნაწილები დაახლოებით 3 წლის განმავლობაში შეინარჩუნეს, რაც ევოლუციური ცვლილებისთვის საკმარისია. ექსპერიმენტის განმავლობაში, პოპულაციის იმ ნაწილში, სადაც ევოლუცია ნებადართული იყო, კრაზანების გამრავლების ტემპი მდედრზე მოსული 134 ინდივიდიდან 39-მდე დავარდა, ხოლო მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა 7-4 დღემდე შემცირდა. პარაზიტოფიდის პოპულაციის საჭუალო ზომა ასევე შემცირდა (1900 კრაზანა არაგანვითარებად სისტემაში 3700 კრაზანასთან შედარებით) და შედარებით მუდმივი გახდა. მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ ბუზებმა ინტენსური პარაზიტიზმის პირობებში თავდაცვის დამატებითი უნარები შეიმუშავეს.

პიმენტელმა და მისმა კოლეგებმა პოპულაციის 13 განყოფილებიანი ნაწილები შექმნეს, სადაც ბუზების რაოდენობა თავისუფლად იცვლებოდა. ერთ-ერთი ამგვარი ექსპერიმენტი ერთმანეთთან კონტაქტის არმქონებუზებსა და კრაზანებზე ჩატარდა, ხოლო მეორე ექსპერიმენტი ზემოთ აღნერილი განვითარებადი პოპულაციიდან გამოისულ ინდივიდებს შეეხებოდა. პოპულაციის პირველ ნაწილში კრაზანები ნარმატებული პარაზიტოფი იყვნენ და სისტემაზე რამდენიმე ძლიერი რჩევა განიცადა. პოპულაციის მეორე ნაწილში კრაზანების პოპულაცია მცირედარჩა, ხოლო ბუზების პოპულაცია დიდი და შედარებით მუდმივი გახდა (სურ. 25.3.) მიღებული შედეგები ამტკიცებს ვარაუდს, რომ ბუზები კრაზანა პარაზიტოფიბისადმი რეზისტულები ხდებიან.

როდესაც ორ სახეობას შორის ევოლუციური კვაშირია ანტაგონისტურია, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ხდება, მაშინ სახეობები ვარგისიანობას ერთი-მეორის ხარჯზე იმაღლებენ და ევოლუციურ ბრძოლაში ხვდებიან. ბრძოლის შედეგი ევოლუციური ჩიხია, რომელშიც ორივე ანტაგონისტი ერთმანეთის საპასუხოდ ვითარდება ან ევოლუციური ცვლილებისთვის საჭირო გენეტიკური ცვალებადობა

იღევა. ორივე შემთხვევაში, ურთიერთქმედების შედეგი უცვლელი მდგომარეობაა. თუ ერთ-ერთი ანტაგონისტი სწრაფად ვერ ვითარდება, მაშინ ის გადაშენების საფრთხის ქვეშ ექცევა. მუტუალურად დამოკიდებული ორგანიზმების თანაევოლუცია დამატებით, სტაბილურ ადაპტაციებს იწვევს.

თანაევოლუციის ზემოთ მოყვანილ ორ მაგალითში ანუ ევროპულ კურდლელსა და მიქსომას ვირუსს, ასევე ოთახის ბუზები და მის პარაზიტოფი ასონია ციტრიპენის-ს ურთიერთქმედებისას, ორივე პოპულაცია მეორე პოპულაციის იმ თვისების საპასუხოდ ვითარდება, რომელიც საკუთარ ვარგისიანობაზე ზეგავლენას ახდენს. ევოლუციური გამოძახილი თანაევოლუციაა. ეკოლოგები ტერმინ „თანაევოლუციას“ უფრო ვიწრო გაგებითაც იყენებენ, როდესაც ერთი სახეობა მეორის ადაპტაციის საპასუხოდ საკუთარ ადაპტაციას შეიძლება. შემდეგი მაგალითი ოდნავ განელილია, მაგრამ საკითხში უკეთესად გაგვარკვევს. ჰიენების ყებები და მათი კუნთები მსხვერპლის ძვლების დამტკრევისთვის საკმარისად ძლიერია. ეს ფაქტი ნამდვილად ადაპტაციის ანუ მსხვერპლის შერჩეული ნაწილის ჭამისთვის მომზდარი ცვლილების შედეგია. მიუხედავად ამისა, მტაცებელი და მსხვერპლი თანაევოლუციას ნამდვილად არ განიცდიან, ვინაიდან გაზელის ძვლები საკმარისად არ განვითარებულა, რათა ჰიენის ან ნებისმიერი სხვა მტაცებლის ყებებს გაუძლოს. ჰიენა მსხვერპლის ამ ნაწილს ჭამს და ეს ფაქტია, ხოლო მსხვერპლის ძვლის სტრუქტურა მსხვერპლის გადარჩენას ვერ უზრუნველყოფს ანუ საპასუხო ევოლუციური გამოძახილი არ არსებობს. საპირისპირო მდგომარეობა გვაქვს, როდესაც ბალახისმჭამელი მცენარის თავდაცვის საშუალებას ანუ გამოყოფილ შხამს ანეიტრალებს. ამ შემთხვევაში, თანაევოლუციის უფრო ვიწრო განსაზღვრება მართებულია. ამგვარი შეზღუდული განსაზღვრისას, ეკოლოგებს თანაევოლუციის ერთმნიშვნელოვანი შემთხვევების იდენტიფიკაცია უჭირთ. შეზღუდულ განსაზღვრებას მუტუალიზმის შესახებ მსჯელობისას უკანასკნელ თავში გამოვიყენოთ.



**სურ. 25.3.** ოთახის ბუზების და პარაზიტოფი კრაზანა *Nasonia vitripennis*-ის პოპულაციებში 13 უჯრადად დაყოფილ ლაბორატორულ ექსპერიმენტში. ა) საკონტროლო: ბუზებს კრაზანებთან შეხება არ ქონიათ. ბ) ექსპერიმენტული: ბუზები კრაზანის პარაზიტიზმს 1000 დღეზე მეტია განიცდიან.

## **25.2 დასირითი და სივრცითი გასშატიპის შეფასება მნიშვნელოვანია თანაევოლუ- ციის გაგებისთვის**

სახელმძღვანელოში უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ რაიმე ბუნებრივი პროცესის აქტმა დიდწილად პროცესის დაკვირვების დროის და სივრცის შეალაზეა დამოკიდებული. იგივე ხდება თანაევოლუციის პროცესის შემთხვევაში და ეს ფაქტი ეკოლოგებს შორის გაცხოველებულ დისკუსიას იწვევს იმის შესახებ, თუ რა პირობებში ხდება თანაევოლუცია (ტომპსონი 1994).

ეკოლოგების უმეტესობის აზრით, თანაევოლუცია ურთიერთმოქმედ პოპულაციებს შორის ხანგრძლივ კავშირზე მიუთითებს. ეს მოსაზრება ეფუძნება აღქმას, რომლის თანახმად, სპეციალიზაციის მაღალი ხარისხი დროის ხანგრძლივ პერიოდში მომხდარ რეგულაციას საჭიროებს. ამ საკითხს თავის უკანასკნელ ნაწილში შევისწავლით, როდესაც მუტუალიზმს შევეხებით. მუტუალიზმის მონაწილეობა პოპულაციებში ხშირად საკმაოდ უცნაური მორფოლოგიური, მოქმედებითი და ფიზიოლოგიური ცვლილებები შეინიშნება. მიუხედავად ამისა, სპეციალიზაციის ეკოლუცია დიდ დროს არ საჭიროებს. უფრო მეტიც, სპეციალიზაციის არსებობა თავისთავად თანაევოლუციას არ ნიშნავს.

### **სპეციალიზაცია და თანაევოლუცია**

სახეობების უმეტესობას არსებითი სპეციალიზაცია ახასიათებს და ისინი სხვა სახეობების მხოლოდ შეზღუდულ რაოდენობასთან ურთიერთქმედებენ (ტომპსონი 1994). სამყაროს ბიომრავალფეროვნების ძირითადი მიზეზი სწორედ ფართოდ გავრცელებული სპეციალიზაციაა. ფიზიოლოგური (მცენარისმჭამელი ან მწოველი) მნერები, სოკები, ნემატოდები და ტკიპები სპეციალიზაციის მაღალ დონეს ავლენენ და ეს ჯგუფები მრავალი ეკოსისტემის ფაუნაში დიდი რაოდენობით გვხვდება (პირსოურთი 1991, ტომპსონი 1984, 1994).

სპეციალიზაციის საყოველთაობა ბუნებაში, კერძოდ, პარაზიტებში, სოკებსა და ბალაზისმჭამელებში, თანაევოლუციის გავრცელებულობაზე მიუთითებს. მიუხედავად ამისა, უფრო ყურადღებით დაკვირვება ცხადყოფს, რომ ასეთი დასკვნა ნაადრევია. სპეციალიზაცია თანაევოლუციური პროცესების შედეგია, თუ ბუნებრივ საზოგადოებებში სახეობების განახლების ნაწილი ანუ შემთხვევითი დაწყვილების შედეგი? მაგალითად, საზოგადოება მცენარის სახეობების შედგება, რომლითაც ორი ბალაზის მჭამელი სპეციალიზირებულად იკვებება. ერთი მათგანი მცენარის ფესვების მჭამელი ნემატოდაა, ხოლო მეორე პანაზინა, ფოთლების მხველი მნერები მნერია. თუ საზოგადოებაში ყლორტის

მხვრეტი და მცენარის მჭამელი მნერი შემოვა, ის მცენარის ყლორტების ხვრეტას მაშინვე დაიწყებს. ამგვარ სახეობებზე დაკვირვებისას ჩანს, რომ ის ძალიან სპეციალიზირებულია და მას მცენარის მხოლოდ რამდენიმე განსხვავებული სახეობის მოხმარება შეუძლია. ამავე დროს, ყლორტის მხვრეტი მნერის არსებობა მასა და მასპინძელ მცენარეს შორის თანაევოლუციას არ ნიშნავს, ვინაიდან მცენარესა და მნერს შორის რევოლუციური გამოძახილი არ შეინიშნება. ყლორტის მხვრეტი მნერი უპრალოდ გარემოში შედის, სადაც შესაფერისი მასპინძელი მცენარეა. ყლორტის მხვრეტი მნერების წინაშე მდგარი ეკოლოგიური შესაძლებლობები ბუნებაში სავარაუდოდ გაერცელებულია. ამგვარი შესაძლებლობების განხორციელებაში სახეობებს ადამიანის მოქმედება ეხმარება, რომლის საშუალებით ეკოსისტემები წყდება და სახეობები ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის.

### **თანაევოლუცია და სივრცის შკალა**

ურთიერთქმედების მონაწილებზე დაკვირვება საკმაოდ შრომატევადი პროცესია, ამიტომ ეკოლოგები ყურადღებას ადგილობრივ პოპულაციებზე ამახვილებენ. მუტუალისტებს შორის ადგილობრივი სპეციალიზაციის, ე.წ. პოპულაციური თანაევოლუციის აღმოჩენის შემდეგ გაჩინდა კითხვა: არის თუ არა ურთიერთქმედი სახეობების სპეციალიზაციის ფორმა და ინტენსივობა ყველა გეოგრაფიულ არეალში ერთი და იგივე? თუ ეს ასეა, მაშინ ადგილი სახეობების თანაევოლუციასთან გვაქვს. შეკითხვის ნამდვილი პასუხია არა. ორი სახეობა სხვადასხვა პოპულაციებში სხვადასხვაგვარად ურთიერთქმედებებს, ვინაიდან ბიოტური და აბიოტური გარემო იცვლება. აქედან გამომდინარე, ორ სახეობას შორის ურთიერთქმედება შეიძლება ერთ პოპულაციაში განვითარდეს, ხოლო მეორეში არა. ასევე შესაძლებელია, ურთიერთქმედებაში სპეციალიზაციის ხარისხი განსხვავებული იყოს. ეკოლუციური გამოძახილი ორგანიზმის რამე განზოგადებულ ტიპზე შეიძლება მოხდეს და არა რამე სახეობაზე, რასაც შერეული თანაევოლუცია ეწოდება. ამგვარი გამოძახილი ნაკლებად ძლიერ სპეციალიზაციას და თანაევოლუციურ პარტნიორების ცვლილებას იწვევს.

ტომპსონმა თანაევოლუციის და სივრცის შკალაზე არსებულ მოსაზრებებს თანაევოლუციაზე და სპეციალიზაციაზე დაკვირვების შედეგად თავი მოყენა. პირველ რიგში, სახეობათა ურთიერთქმედების შედეგი ყველა ურთიერთქმედი სახეობისთვის ერთი და იგივე არ არის. ბიოტური ურთიერთქმედების შედეგად ასიმეტრიული კონკურენცია შეიძლება გაჩინდეს (იხ. თავი 22), ასევე შესაძლებელია პოპულაციის გამოძახილი შეიცვალოს.

განსხვავებების არსებობის გამო, სახეობათა ურთიერთქმედება ერთ, ადგილობრივ პოპულაციიში

თანაევოლუციას იწვევს, ხოლო მეორეში — არა. მაგალითად, მცენარის გარკვეული სახეობა ფესვისმჭამელი ნემატოდის სახეობების მსხვერპლია და მცენარეც და ნემატოდაც მისისისპის სამ განსხვავებულ საზოგადოებაში გვხვდება. ნიადაგის თვისებები, ტენიანობის რეჟიმები, მცენარის და ნემატოდის საზოგადოების სტრუქტურა სავარაუდოდ განსხვავებულა და მცენარისა და ნემატოდის ურთიერთქმედების შედეგი ასევე განსხვავებული იქნება. თანაევოლუცია ერთ საზოგადოებაში შეიძლება მოხდეს, ხოლო მეორეში — არა. ასევე შესაძლებელია, რომ ნემატოდამ ერთ თანასაზოგადოებაში შემავალ მცენარეზე უმნიშვნელო ზეგავლენა იქნიოს, ვინაიდან თანასაზოგადოებაში მრავალი მონათესავე მცენარე არსებობს, რომლითაც ნემატოდა იკვებება.

სახეობათა ურთიერთქმედების შედეგი პოპულაციებში განსხვავებულია და ამავე დროს, სახეობებში სპეციალიზაციის ხარისხი ერთგვაროვანი არ არის. მაგალითად, ფიტოფაგური მწერი ერთ ტერიტორიაზე მცენარის რაიმე სახეობაზეა სპეციალიზირებული, ხოლო მწერის იგივე სახეობები სხვა ტერიტორიაზე მცენარის ორ სახეობას მოიხმარს. სპეციალიზაცია თავად თანაევოლუციას არ ნიშნავს. აქედან გამომდინარე, სახეობების სპეციალიზაციის ხარისხის ცვლილებას თანაევოლუციურ ლანდშაფტში დამატებითი შტრიხები შემოაქვს.

გამოძახილის ცვლილება „თანაევოლუციის გეოგრაფიულ მოზაიკას“ ქმნის (ტომპსონი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ ურთიერთქმედების ლანდშატი ზემოთ მოყვანილი პიპოთეტური მაგალითის მსგავსია, მაშინ ლანდშაფტის გარკვეულ ადგილებზე ურთიერთქმედების შედეგი თანაევოლუციაა. ამგარი გეოგრაფიული ცვლილება იწვევს მდგომარეობას, როდესაც სახეობა ლანდშაფტის დონეზე ერთზე მეტ სახეობასთან ერთად ვითარდება.

თანაევოლუციის და სპეციალიზაციის სივრცეში ცვალებადობა სტატიკური არ არის. პოპულაციის ურთიერთქმედებების და ფიზიკური გარემო ცვლილება ადგილობრივ გადაშენებას და შემოსვლას იწვევს, რაც ახალ ეკოლოგიურ შესაძლებლობებს და თანაევოლუციისა თუ სპეციალიზაციის ახალ შანსებს ქმნის. აქედან გამომდინარე, თანაევოლუციური გამოძახილის მოზაიკას დროის კომპონენტი აქვს.

ტომპსონის მოდელის თანახმად, რთული, განვითარებული კავშირები სივრცეში დაყოფილ პოპულაციაში უფრო იქმნება, ვინაიდან ურთიერთქმედების სხვადასხვა კომპონენტები ერთ ან სხვა პოპულაციაში ადგილობრივად ჩნდება და კომპონენტებში რთული უფრო, ადაპტაციური კომპლექსები შედის, რაც პოპულაციებს შორის გენის დინებით არის გამოწვეული. ტომპსონის აზრით, მთელი სისტემა მარტივი, ინდივიდუალური საფეხურებისგან შემდგარი რთული სტრუქტურაა.

## 25.3 თანაევოლუციის გეპარაზოგად

### შემოგვთავაზეს განეტიკური პროცესი სახელად „გენი განისაზის“

თანაევოლუციის გენეტიკური საფუძველი ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივია. ერთ-ერთი თანაგანვითარებული სახეობის გარკვეული თვისების გენისთვის სხვა სახეობაში შესაბამისი, თუმცა ანტაგონისტური გენი არსებობს. მაგალითად, თუ ევროპულ კურდლებს გენეტიკური ფაქტორი აქვთ, რომელიც მიქსომას ვირუსს რეზისტრენტულს ხდის, მაშინ ვირულენტურობის აღმდგენი ვირუსული მუტაციები ჩნდება და მათი გადარჩევა ხდება. როგორ მოქმედებს ამგვარი გენეტიკური მექანიზმი თანაევოლუციაში?

მოუდმა ერთალელიანი, დამატებითი სისტემის მათემატიკური მოდელი შექმნა (1958). მოუდის მოდელი მარცვლეული კულტურის და უანგას სისტემას ეფუძნება. მცენარეებსა და მათ სოკოვან პარაზიტებს შორის ურთიერთქმედებები გენურ თანაევოლუციის ამტკიცებს (ტომპსონი 1994). მოდმა დაუშვა, რომ მცენარესა და პარაზიტს შორის ხანგრძლივი ევოლუციური კავშირი არსებობს და ის ორი საპირისპირო სელექციურ მოქმედებას, კერძოდ მასპინძლიდან პარაზიტზე და პარაზიტიდან მასპინძელზე მოქმედ სელექციას მოიცავს. იგივე მოსაზრება მე-7 თავში გამოვთქვით, როდესაც ორგანიზმების ბიოტურ გარემოზე გამოძახილებს შევისწავლიდით, თუმცა მაშინ არ დაგვიშვია, რომ გამოძახილი მხოლოდ ერთ ალელს მოიცავს. მოუდის აზრით, მასპინძელსა და პარაზიტს შორის ურთიერთქმედება საბოლოო ჯამში წონასწორობას იწვევს. რა თქმა უნდა, პათოგენში ახალი ვირულენტური გენის ან მასპინძელში ახალი რეზისტრენტული გენის შემოსვლისას წონასწორობა იოღვევა. მაშასადამე, თანაგანვითარებული სისტემების სტაბილურობა თითოეულ პოპულაციაში გენოტიპების მუდმივობაზეა დამოკიდებული.

გენური თანაევოლუციის უფრო თანამედროვე მოდელი გამომწვევ-რეცეპტორის მოდელია (კინი და სხვები 1990, დე ვიტი 1992, ტომპსონი და ბარდონი 1992). მოუდის მოდელის მსგავსად, ეს მოდელიც მცენარისა და მისი პარაზიტის დახმარებით შეიქმნა. მცენარე-პარაზიტის სისტემა მენდელის გენეტიკას ემყარება, რომელშიც მცენარის ერთ ქრომოსომაში პარაზიტისადმი რეზისტრენტულობის, დომინანტური ღ ალელი და რეცეპტორული რ ალელია. პარაზიტს დომინანტური, ვირულენტურობის V ალელი და რეცესიული ვ ალელი გააჩინა (ცხრილი 25.1). V ალელის მქონე პარაზიტები (W ან Vv გენოტიპის) გამომწვევები არიან, რომელსაც ღ ალელის მქონე მცენარეები პოპულობს (RR ან ღღ გენოტიპის). რეზისტრენტულობის მისაღწევად, ურთიერთქმედებაში R და V გენი უნდა შედიოდეს. მაშასადამე, Vv გენოტიპის მქონე პარაზიტები მცენარის ნებისმიერ გენოტიპში (RR, Rr ან rr) ვირულენტური იქნება, რადგან V ალელი არ არსებობს. V ალელის პოპულაციაში არსებობა გამოწვეულია იმით, რომ ვირულენტურობა და რეზისტრენტულობა მასპინძლის

## ცხრილი 25-1

ერთქრომოსომიან, გენურ  
ურთიერთქმედებაში გენოტი-  
პებს შორის შეთავსებადობა

მასპინძლის გენოტიპი		
პათოგენის გენოტიპი	RR	rr
VV	რეზისტენტული	შეთავსებადი
vv	შეთავსებადი	შეთავსებადი

გენეტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამ მოდელის მართებულობას სასოფლო-სამეურნეო მარცვლეულ მცენარეებსა და მათ პარაზიტებზე დაკვირვება ამტკიცებს, თუმცა სხვა სახის ორგანიზმებში ამგვარი მექანიზმების არსებობა არ დამტკიცება (ტომპსონი 1994).

## 25.4 ორგანიზაციი ხშირად ქმნიან მუტუ- ალისათვა (სიგბიოზურ) ურთიართობებს

ჩვენ თანაევოლუციის შესწავლისას ძირითად აქცენტს მუტუალიზმზე ვაკეთებთ. მუტუალიზმი ირი სახეობის ურთიერთქმედებაა, როდესაც ორგვე სახეობა სარგებელს იღებს. მუტუალიზმის სამი ტიპი არსებობს: ტროფიული მუტუალიზმი, თავდაცვითი მუტუალიზმი და გაბნევის მუტუალიზმი. ზოგჯერ მუტუალისტებს შორის კავშირის შედეგად სახეობები ერთმანეთზე ხდება დამოკიდებული და ასეთ მდგომარეობას იძულებით მუტუალიზმს ვუწოდებთ. სხვა ტიპის მუტუალიზმს ნებაყოფლობითი მუტუალიზმი ეწოდება, ვინაიდან პარტნიორები ერთმანეთის გარეშეც მშვენიერად გაძლებენ. იძულებითი მუტუალიზმი თანაევოლუციის შესანიშნავ მაგალითს გვაძლევთ (ბუშე და სხვები 1982, იანცენი) და მომდევნო პარაგრაფებში ამგვარ კავშირებს დეტალურად შევისწავლით. თავდაპირველად, მუტუალისტური კავშირის სამი ტიპი განვიხილოთ.

## ტროფული მუტუალიზმი

ტროფული მუტუალიზმი ჩვეულებრივ მოიცავს პარტნიორებს, რომლებიც დამატებით ენერგიას და საკვებ ნივთიერებებს ერთმანეთისგან იღებენ. აქედან გამომდინარეობს ტერმინი „ტროფული“. ტროფული მუტუალიზმის მაგალითია ლიქენების შემქმნელი სოკოების და წყალმცენარეების გაერთიანებები (თავი 1), ასევე მიკორიზის შექმნელი სოკოების და მცენარის ფესვების გაერთიანებები (თავი 12) და ფესვის აზოტ-

მაფიქსირებელი კვანძების შემქმნელი ბაქტერია ღპი-ზობიუმ და მცენარის ფესვების გაერთიანებები (თავი 11). ტროფული მუტუალიზმისას, ყოველი პარტნიორი ენერგიის ან საკვების ნივთიერების შეზღუდულ რაოდენობას მეორეს გადასცემს, რომელ ინდივიდსაც ამ პროდუქტის მოპოვება თავად არ შეუძლია. ღპი-ზობიუმ ნიადაგიდან მოლეკულურ აზოტს (2) იღებს, თუმცა ამისთვის საჭირო ენერგიის მისაღებად მცენარიდან მონოდებული კარბოჰიდრატები სჭირდება. ძროხების და სხვა ჩილიქსანი ცხოველების ფაშვი ჩაბუდებული ბაქტერია მცენარის ბოჭქოებში ცელულოზას ამუშავებს, ხოლო თავად ძროხის ფერმენტებს ამის გაკეთება არ შეუძლია. ძროხა სარგებელს იღებს, ვინაიდან ის ბაქტერიით გადამუშავებულ პროდუქტს იღებს და ნივთიერებათა ცვლაში იყენებს. ბაქტერია სარგებელს იღებს, ვინაიდან მას საკვები თბილ, ქიმიურ რეგულირებად გარემოში მიეწოდება, რაც მისთვის ოპტიმალურია.

ტროპიკული ჯგუფის *Attinae*-ს ჭიანჭველები ფოთლებს ჭრიან და მინისქევშა ბუდეებში ჩაქვთ, სადაც ისინი სოკოების სახეობებს მოიხმარენ. ფოთლისმჭრელი ჭიანჭველებისთვის სოკოები კვების ერთადერთი წყაროა. ჭიანჭველები სოკოს საბინადრო პირობება-საც უქმნიან, რადგან სოკოებს სხვაგან ცხოვრება არ შეუძლიათ. მაშასადამე, ორგანიზმები ერთმანეთზე სრულად არიან დამოკიდებულნი. ამგვარი მუტუალისტური კავშირები ძალიან სტაბილურია და ეს განსაკუთრებით კარგად მომხმარებელი-რესურსის ურთიერთქმედებასთან შედარებისას ჩანს (იხ. თავი 20), ვინაიდან ორივე პარტნიორი თანამშრომლობს და ერთმანეთის სარგებელზე ზრუნავს. გენეტიკურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ზოგიერთი ამგვარი კავშირი სათავეს 20 მილიონი წლის წინ და უფრო ადრეც იღებს (არმბრასტერი 1992).

## თავდაცვითი მუტუალიზმი

თავდაცვითი მუტუალიზმი მოიცავს სახეობებს, რომლებიც საკვებს ან თავშესაფარს პარტნიორისგან იღებენ და სანაცვლოდ მათ ბალახის მჭამელებისგან, მტაცებელებისგან ან პარაზიტებისგან იცავენ. მაგალითად, ზღვის სისტემაში შემავალი ზოგიერთი თევზი და კრევეტი თევზის სხვა სახეობის კანს და ლაყუჩებს პარაზიტებისგან ასუფთავეს. გამწმენდები პარაზიტებით იკვებებიან და სარგებელს იღებენ, ხოლო განმეოდილი თევზი პარაზიტებისგან თავისუფლდება. ასეთ კავშირებს ხშირად განმეოდის სიმბიოზი ეწოდება და კარგად ვითარდება სუფთა, თბილ ტროპიკულ წყლებში, სადაც ბევრ გამწმენდს გამორჩეული შეფერილობა აქვს და სხვა თევზები მისკენ მიიწვევნ. როგორ მოსალოდნელია, მტაცებელი თევზის რამდენიმე სახეობა გამწმენდის იმიტაციას ახდენს და როდესაც მას სხვა თევზი მიუახლოვდება, განმეოდის ნაცვლად თავს ესხმის.

## გაბნევის მუტუალიზმი

გაბნევის მუტუალიზმი მოიცავს ცხოველებს, რომლებსაც ყვავილებიდან მტვერი გადააქვთ და სანაცვლოდ წერტარს იღებენ ან თესლი გავრცელების შესაფერის არეალში გადააქვთ და სანაცვლოდ თესლის შემცველ ნაყოფს ჭამენ. გაბნევის მუტუალიზმი ახლოს მოპინადრე პარტნიორებს იშვიათად მოიცავს. თესლის გაბნევის მუტუალიზმი სპეციალიზებული არ არის და მაგალითად, ფრინველის ერთი სახეობა მრავალი სახეობის ნაყოფს ჭამს, ხოლო ერთი სახეობის ნაყოფს მრავალი სახეობის ფრინველი ეტანება. მცენარისა და დამტვერავების კავშირი უფრო შეზღუდულია, ვინაიდან მცენარეს სჭირდება, რომ ყვავილის დამტვერავმა მტვერი იგივე სახეობის სხვა მცენარეზე გადაიტანოს. მცენარის დამტვერვასთან დაკავშირებული სპეციალიზიცები დიდი ხნის განმავლობაში შეისწავლება და ამ საკითხს უფრო დეტალურად 25.7 პარაგრაფში ჩავულრმავდებით.

### **25.5 მრავალი მუტუალისტური ურთიერთობა განვითარდა ჭიათველებასა და სხვა ორგანიზმებს შორის**

ჭიანჭველებსა და სხვა ორგანიზმები მრავალი საინტერესო მუტუალისტური კავშირები არსებობს. ჩვენ უკვე ვახსენეთ ფოთლისმჭრელ ჭიანჭველებსა და სოკოებს შორის არსებული ტროფული მუტუალიზმი. ამჯერად მუტუალიზმს უფრო დეტალურად შევისწავლით და რამდენიმე კარგად ცნობილ მაგალითსაც მოვიყვანთ.


### **ჭიანჭველები და თავდაცვითი მუტუალიზმი**

დანიელ იანცენმა (1966, 1967) ჭიანჭველების რამდენიმე სახეობასა და ცენტრალურ ამერიკაში გავრცელებულ, ეკლიან აკაციებს შორის დამოკიდებულება აღმოაჩინა, რაც თანაევოლუციის შედეგის შესანიშნავი მაგალითია. აკაცია ჭიანჭველებს საკვებს და დაბუდების ადგილებს აძლევს, ხოლო ჭიანჭველები მცენარეს ბალაზის მჭამელი მნერებისგან იცავენ. ხარისწერი აკაციას (ცაცია ცორნიგერა) რქების მაგვარი ეკლები აქვს. ეკლები ხით არის დაფარული, ხოლო შიგთავსი მსუბუქი გულგულით არის ამოვსებული (სურ. 25.4). შეუდომყრმებ ფერრუგინეა-ს სახეობის დედა ჭიანჭველა აკაციაში კოლონიის დაარსებისთვის ერთ-ერთ მოზრდილ ეკალს ხერეტს და შიგთავსას ასუფთავებს, სადაც ის კვერცხს დებს. აკაცია ჭიანჭველებს იფარებს და ამავე დროს ნახშირნებულებიდან მდიდარ საკვებს აწვდის. საკვებ ფოთლებში შემავალი წექტარი, ასევე ფოთლის წვერებზე არსებული ცილებია (სურ. 25.5). კოლონიის ზრდასთან ერთად, მცენა-


რის სულ უფრო მეტი ეკალი ივსება. კოლონიას წელიწადში ათასობით მუშა ემატება და მათი რაოდენობა ათიათასობით განისაზღვრება. ჭიანჭველების დაახლოებით 1/4 ნებისმიერ დროს კოლონიის გარეთ იმყოფება, საჭმელს აგროვებს და აკაციას ბალაზისმჭამელი მნერებისგან იცავს. სეუდომყრმებ-სა და აკაციას შორის კავშირი იძულებითა, ვინაიდან ჭიანჭველას და აკაციას ერთმანეთის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. ჭიანჭველების და აკაციის სხვა გაერთიანებები ნებაყოფლობითია, ვინაიდან ორივე მათგანი ერთმანეთისგან სარგებელს იღებს, თუმცა დამოუკიდებლად არსებობაც შეუძლია. ჭიანჭველების დაცვას მოკლებული აკაციები მომნამვლელ ნივთიერებას გამოყოფს და ფოთლებს ბალაზისმჭამელებისგან იცავს (რერი და სხვები 1973).

იანცენმა აკაციის ზრდასა და სიცოცხლისუნარიანობაზე ჭიანჭველების ზეგავლენის გაგება მოინდომა, რისთვისაც აკაციის ახლად გამოტანილ ტოტებზე ჭიანჭველები არ მიუშვა და მათი ზრდის ტემპი ჭიანჭველებიანი ტოტებისას შეადარა. ერთ-ერთი ამგვარი ექსპერიმენტი სამხრეთ მექსიკაში ჩატარდა და 10 თვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ჭიანჭველების გარეშე დარჩენილი ტოტის წონა ჭიანჭველებიანი ტოტის 1/10-ზე ნაკლებია, ფოთლების რაოდენობა ორჯერ და მეტჯერ ნაკლებია, ხოლო ეკლების რაოდენობა სამჯერ და მეტჯერ მცირეა.

ჭიანჭველებსა და აკაციებს შორის არსებულ მუტუალიზმს ორივე სახეობის ადაპტაცია ახლავს თან, რაც მათი გაერთიანების წარმატებულობას ამაღლებს. მაგალითად, სეუდომყრმერ დღე და ღამე აქტიურია და მაშასადამე, აკაცია მუდმივად დაცულია. გარდა ამისა, მაგრამ აკაცია მუდმივად დაცულია.



**სურ. 25.4.** ცაცია ჰინდისი-ს ეკლები. ცორნიგერა-ს მსგავსად წაგრძელებულია და გულგულით არის საგე, რომელსაც ჭიანჭველები ბუდის გასაკეთდად თხრიან. ჭიანჭველებისგან თავისუფალი აკაციის ეკლები სურათზე მარცხნივ არის გამოსახული.



**სურ. 25.5.** ცაცია ცოლლინსიის ფოთლები. ცორნიგერა-ს მსგავსად ჭიანჭველებს საკვებს აძლევს. а) ფოთლის წვერებზე ცილები გვაქვს, ხოლო ბ) ფოთლები - ნექტარი.

ჭიანჭველებს კრაზანების მსგავსი ნესტარი აქვთ და ხერხემლიან ბალახისმჭამელებს საჭიროებს შემთხვევაში ეპენენ. ამავე დროს, ჭიანჭველები მცენარეს კონკურენტებსაც აცილებენ, ვინაიდან მასპინძელ მცენარესთან ახლოს ამოსულ ამონაზარდებს, ასევე სხვა მცენარეების დაკიდულ ტოტებს და ლერწებს უტევენ. აკაცია საპასუხოდ ფოთლებს მთელი წლის განმავლობაში ინარჩუნებს და ჭიანჭველებს საკვები მუდმივად აქვთ. ჭიანჭველის და აკაციის კავშირი ორივე სახეობას სარგებელს აძლევს და ორივე მათგანის სპეციალიზირებული ადაპტაცია თანაევოლუციის კარგი მაგალითია, რომელიც ორ სახეობას შორის ხანგრძლივი ევოლუციურ კავშირის შედეგად ჩამოყალიბდა.

იგივე მდგომარეობა გვაქვს, როდესაც ჭიანჭველები მცენარის ტილებს და ლეაფჰოპპერ-ებს მტაცებლებისგან იცავენ და შედეგად „თაფლიან ცვარს“ იღებენ (ვეი 1963, ბაკლი 1987). ს.მ. ბრისტოლუმ (1984) ნიუიორკის შტატში გავრცელებულ ვერნონიაზე (ვერნონია ნოვებორაცენისი) მობინადრე მცენარის ტილებზე და ლეაფჰოპპერ-ებზე ექსპერიმენტი ჩატარა. მცენარის ტილები (Aphis) პატარა ზომის, უძრავი არსებებია და მცენარის ყვავილედებზე მჭიდრო კოლონიებს

ქმნიან (იხ. სურ. 24.2). ვერნონიაზე უფრო დიდი ზომის ლეაფჰოპპერ უბლილია-ც ბინადრობს, რომელიც ფოთლებიდან წვენს წოვს. ამ მნერებზე ჭიანჭველის სამი სახეობა ზრუნავს. ერთი მათგანი თაპინომა-ს გვარის ნარმომადგენელი, პატარა ზომის (2-3მმ) და მრავალრიცხოვანია. დანარჩენი ორი (ყრმიცა) უფრო დიდი ზომის (4-6მმ) და აგრესიული, მაგრამ ნაკლებად გავრცელებულია. ჭიანჭველის ორი გვარი ერთი და იგივე მცენარეზე იშვიათად გვხვდება.

თაპინომა-ს არსებობა მცენარის ტილის კოლონიების სიცოცხლისუნარიანობას ამაღლებს, მაგრამ ლეაფჰოპპერ-ების სიცოცხლისუნარიანობაზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენს. მოზრდილი ყრმიცა ლეაფჰოპპერ-ებს იცავს, თუმცა მცენარის ტილების მტაცებლებისგან დაცვის საქმეში ნაკლებად ეფექტურია. სადაც ბრისტოლუმ ჭიანჭველის ორივე სახეობა გამორიცხა, მტაცებლების რაოდენობამ ძალიან მოიმატა, ხოლო ლადყ-ბირდ ხოჭოს მტაცებლობა ლეაფჰოპპერზე ყრმიცა-მ და შედარებით ნაკლებად თაპინომა-მ ნარმატებით გააუვნებელყვეს.

აღწერილ სისტემას თანაევოლუციის ყველა ელემენტი აქვს, თუმცა ნათელი არ არის, ჩამოყალიბდა თუ არა ჭიანჭველის და თანაბარფრთიანების ადაპ-


ჭაციები ერთმანეთის პასუხად. მცენარიდან წვენის მწოველი მწერების უმეტესობა დიდი მოცულობით ექსკრენტს გამოყოფს, საიდანაც ისინი ყველა საკვებ ნივთიერებას არ ან ვერ იღებენ. აქედან გამომდინარე, თაფლიანი ცვრის წარმოქმნა კვებას უფრო ასახავს, ვინაიდან ადაპტაციის უნარს. ჭიანჭველები გაუმაძლრები არიან და ნებისმიერ მწერს უტევენ. აქედან გამომდინარე, მცენარის ტილების და ლეაფ-ჰოპერ-ების დაცვას სპეციალური ადაპტაცია არ ჭირდება. სხვადასხვა გვარის ჭიანჭველები თაფლიანი ცვრის სხვადასხვა წყაროს უკეთესად იცავენ, თუმცა ამის მიზეზი უბრალოდ ზომებსა და აგრესიის დონეებს შორის სხვაობაა, რაც გარემო ფაქტორებით არის გამოწვეული.

რატომ არ ჭამენ ჭიანჭველები მცენარის ტილებს და ლეაფ-ჰოპერ-ებს? ეს შეზღუდვა, სავარაუდოდ, ჭიანჭველისა და თანაბართორთიანის მუტუალიზმის ხელისშემწყობი თვისებით არის გამოწვეული. შეზღუდვა მცენარის სტრუქტურების, მაგალითად ყვავილების ან ნექტარის, დამცველი ჭიანჭველების საერთო თვისების გაგრძელება შეიძლება იყოს (იხ. სურ. 25.5). მაშასადამე, სისტემაში სპეციფიკური ურთიერთქმედებები გვხვდება და თანაცვლუციის დამტკიცებისთვის ეს საკმარისი არ არის.

ჭიანჭველის და მცენარის თავდაცვითი მუტუალიზმის კიდევ ერთი მაგალითია ტროპიკულ და ზომიერი კლიმატის რეგიონში ფართოდ გავრცელებული, ლობელია-ს გვარის მცენარე. ობელია-ს ზოგიერთ სახეობას ექსტრაფლორალური სანექტრე აქვს, რომელიც ყვავილის გარეთ მდებარეობს და ნექტარს წარმოქმნის. ამგვარი სანექტრები ჭიანჭველებს მიიჩიდავს, რომლებიც შაქრით მდიდარი ნექტრით იკვებებიან და ამავე დროს მცენარეს ბალაზისმჭამელებისგან იცავენ.

### ჭიანჭველები და გაბნევის მუტუალიზმი

სამხრეთ აფრიკის კეიპის რეგიონში ჭიანჭველებისა და მცენარის მუტუალიზმი გვხვდება და ჭიანჭველების ადაპტაციის მნიშვნელობაზე მიუთითებს. როტეაცეა-ს ოჯახის რამდენიმე სახეობის მცენარეს ხორციანი, საჭმელად ვარგისი სტრუქტურები აქვს, რომელსაც ელაიოსომა ეწოდება. ავსტრალიური მცენარების ელაიოსომები 25.6 სურათზეა ნაჩვენები. ჭიანჭველები თესლს იღებენ და მინისქვეშა ბუდეებში ჩააქვთ, სადაც ელაიოსომებს ჭამენ. ჭიანჭველებს თავად თესლის ჭამა არ შეუძლიათ, ამიტომ ის მინიქვეშან დედამინის ზედაპირზე რჩება. თესლის გაბნევის ზოგიერთი ადგილი განაყოფიერებისა და ამონაზარდის ჩამოყალიბებისთვის ვარგისია (იხ. ბერგი 1975, ცალკევრი და ბიტი 1978). ბურქანიან გავრცელების არეალებში მცენარის მრავალი სახეობა მხოლოდ მაშინ ნაყოფიერდება, როდესაც ტერიტორიაზე ხანძარი



(ა)




(ბ)

**სურ. 25.6.** ავსტრალიური მცენარეების ა) ენერგია რუბიცუნდა-ს და ბ) აყერია ვისცოსა-ს ჭიანჭველების მიერ გაბნეული თესლი. ელაიოსომა საჭმელად გამოსადევი და ღია შეფერილობისაა.

ჩნდება, ხოლო განაყოფიერებული თესლი სწორედ მინისქვეშ, ჭიანჭველების ბუდეებშია დარჩენილი.

არგენტინულმა ჭიანჭველამ Iridomyrmex-მერს ჰუმილის ბურქანიან ადგილებში დაბინავდა და ნაკლებად აგრესიული ჭიანჭველები განდევნა. Iridomyrmex-მერს თესლს ბუდეში კი არ ინახავს, არამედ ელაიოსომებს დედამინის ზედაპირზე აგდებს და მასზე თესლს ყრის. ბონდიმ და სლინგსბიმ (1984) აღმოჩინეს, რომ იმეტეს-ის ერთი სახეობის ხანძრის შემდგომი განაყოფიერება Iridomyrmex-მერს ჰუმილის-ის საბინადრო ადგილებში მკვეთრად შემცირდა (სურ. 25.7). თუ არ-



**სურ. 25.7.** იმეტეს ცუცულლატუს-ის ამონაზარდების ხანძრის-შემდგომი განვევა ა) Iridomyrmex-ის არსებობისას და ბ) მის გარეშე. მცენარეების მინისზედა და მინისქვეშა ნანილების სიგრძე ნერგებით და შეფერილობით არის გამოსახული. Iridomyrmex-ის არარსებობისას, ჭიანჭველები იმეტეს-ების თესლს მოტლს გავრცელების არეალში აბნევენ.

გენტინული ჭიანჭველა არსებობას განაგრძობს, მაშინ კეიპის ბუნებრივი ფლორის უმეტესობა გაქრება, ვინაიდან თესლის მინისქვეშა მარაგი ამონიურება. ს. ტემპლის (1977) ვარაუდით, მავრიტიუსის კუნძულზე ხე ჩალვარია მაჯორ-ის გადაშენება დაახლოებით 300 წლის წინ დრონტის გადაშენებას მოყვა, ვინაიდან დრონტი ერთადერთი სახეობა იყო, რომელსაც ჩალვარია-ს თესლის გაბნევა შეეძლო.

ჭიანჭველების ადაპტაციები თესლის გაბნევის უნარზე ზეგავლენას ახდენს, თუმცა ადაპტაციები თავად მცენარეზე ევოლუციურად დამოკიდებული შეიძლება არ იყოს. თესლის გაბნევაზე ორიენტირებული ჭიანჭველები ყველაფერს ჭამენ და მათი მოქმედება იმეტეს-ების და მისი მონათესავე მცენარეებისგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა. მცენარეები უბრალოდ იყენებენ ჭიანჭველების თვისებას.

## **25.6 ცვლილებებს მცენარეთა დამცავი მიღიაში განეტიკური საფუძვლი აპვს**


მცენარეების თავდაცვისთვის განკუთვნილი ქიმიური ნივთიერებების განსხვავებულობა გენეტიკური ცვლილებების შედეგია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბიოქიმიური სინთეზის მიმართულება და მასზე პასუხისმგებელი ფერმენტები ცნობილია. მ. ბერენბაუმია (1978, 1981, 1983) პეპლებისა და ქოლგისებრი მასპინძელი მცენარეების კავშირის ელემენტები თანაევოლუციის კონტრასტში განიხილა. ქოლგისებრი მცენარეები ბევრ მომწამვლელ ქიმიურ ნივთიერებას გამოყოფენ და მათ შორის ყველაზე უფრო ფურანოუმარინი. ამგვარი ქიმიური ნივთიერებების ბიოსინთეზი (სურ. 25.8) პარაკუმარინული მჟავიდან (ლიგნინის ნინამორბედი, ყველა მცენარეში გვხვდება) ჰიდრომჟავაკუმარინებამდე გრძელდება. ფურანოკუმარინს ნრფივი და კუთხური ფორმა აქვს და ჰიდრომჟავაკუმარინებიდან ფერმენტული რეაქციის საშუალებით მიიღება. პარაკუმარინული მჟავიდან ჰიდრომჟავაკუმარინებამდე მისვლის ბიოსინთეზისას მომწამვლელობა მატულობს. ჰიდრომჟავაკუმარინს გარკვეული ბიოლოგიური თვისებები აქვს. ნრფივი ფურანოკუმარინი ჰირიმიდინს საფუძველს ებმება და ულტრაინფერა სინათლით დასხივებისას dnm-ს კვეთს. კუთხური ფურანოკუმარინები ზრდასა და გამრავლებასთან არის დაკავშირებული, თუმცა მისი მოქმედების მექანიზმები ჯერ გარკვეული არ არის. პარაკუმარინის მჟავა მცენარეების სულ მცირე, 1000 ოჯახშია გავრცელებული. ბერენბაუმია (1983) მხოლოდ 31 ოჯახი მოიყვანა, სადაც ჰიდრომჟავაკუმარინები გვხვდება. ნრფივი ფურანოკუმარინები (LFC) მცენარის მხოლოდ 8 ოჯახში გვხვდება და ფართოდ მხოლოდ ორში, კერძოდ მბელლიფერა და ღუტაცეა ღჯახებში გვხვდება. კუთხური ფურანოკუმარინები (AFC) ეგუმინოსაე-ს ორ გვარში და მბელლიფერა-ე-ს ათ გვარში გვხვდება.

ბერენბაუმია (1981) ქოლგისებრი ბალახები ნიუიორკის შტატში შეისწავლა. ზოგიერთ ამგვარ მცენარეში (განსაკუთრებით დაბალი დონის ულტრაიის-ფერი გამოსხივების და ტყვიან ადგილებში მზარდ მცენარეებში) ფურანოკუმარინები არ არსებობს, სხვები მხოლოდ ნრფივი ფურანოკუმარინებს შეიცავს, ხოლო ზოგიერთში როგორც ნრფივი, ასევე კუთხური ფურანოკუმარინი შედის. ბერენბაუმია ამგვარი მცენარეებიდან ბალახისმჭამელი მნერები შეაგროვა და დაასკვნა, კუთხური და ნრფივი ფურანოკუ-მარინების შემცველ მცენარეებს მნერების უფრო დიდი რაოდენობით სახეობა ერჩის, ვიდრე მხოლოდ ნრფივი ფურანოკუმარინის შემცველ ან საერთოდ მისგან თავისუფალ მცენარეებს. AFC/LFC მცენარეების ბალახისმჭამელები კვების უკეთესი სპეციალისტები არიან და მცენარეების მხოლოდ სამ გვარში გვხვდებიან და ისინი AFC/LFC მცენარეებზე აღმოჩენილ რამდენიმე გენერალისტის რაოდენობაზე და LFC ან ფურანოკუმარინებისგან თავისუფალი მცენარეების ბალახისმჭამელების რაოდენობაზე მეტია.

ნრფივი და განსაკუთრებით კუთხური ფურა-ნოკუმარინები ბალახისმჭამელი მნერების უმეტეს სახეობას აფრთხობს, მაგრამ ზოგიერთი გვარი ამ ქიმიურ ნივთიერებებს ეგუება. ბერენბაუმია (1983) ამასთან დაკავშირებით თანაევოლუციის ძლიერი შემთხვევა მოიყვანა. ჰიდრომჟავაკუმარინების, ნრფივი და კუთხური ფურანოკუმარინების ტაქსონომიური გავრცელება ცხადყოფს, რომ LFC-ს შემცველი მცენა-რეები ჰიდრომჟავაკუმარინების შემცველი მცენარეების ქვესიმრავლეა, ხოლო AFC-ების შემცველი მცენარეები LFC-ს შემცველი მცენარეების კიდევ უფრო პატარა ქვესიმრავლეა. ამგვარი დასკვნა ჰიდრომჟა-ვაკუმარინებიდან LFC და AFC-ებამდე მისვლის თავ-დაცვითი პროგრესის ევოლუციურ შედეგთან შესაბამისობაშია. გარდა ამისა, LFC-ს შემცველი მცენარეებზე სპეციალიზებული მნერები მიეკუთვნება ჯგუფებს, რომლებიც ჰიდრომჟავაკუმარინების შემცველი მცენარეებით იკვებებიან, ხოლო AFC-ს შემცველი მცენარეებზე სპეციალიზებული მნერების ჯგუფები LFC-ს შემცველი მცენარეებით იკვებებიან. მნერების ფილოგენური კავშირები მასპინძლის მცენარის მოხმარების ისტორია შესაბამისობაში არ არის, მაგრამ მნერების ტაქსონომიური გავრცელება ერთობლივად ჩამოყალიბებული სისტემის არსებობაზე მიუთითებს.

## **25.7 მცენარეთა და ცხოველთა მუტუალ-იზების ყველაზე გავრცელებული ფორმა არის დამცვერვა**

ზოგიერთი მცენარე ქარით იმტვერება და მათი მტვრის მარცვლები იგივე სახეობის ინდივიდების ყვავილებზე შემთხვევით ხდება. თუ ტერიტორიაზე ბევრი სახეობა ერთად ბინადრობს ან ინდივიდებს შორის მცირე მანძილია, მაშინ ქარით დამტვერვა



**სურ. 25.8.** ფურანოკუმარინების ბიო-სინთეზის მიმართულება. თითოეულ ეტაპს განსხვავებული ფერმენტი აკონტროლებს.

ეფექტური არ არის. სხვადასხვა ცხოველები, მათ შორის მწერები, ფრინველები, ღამურები და სხვა ძუ-ძუმწოვრები, ყვავილის მტკრით და ნექტარით იკვე-ბებიან, ასევე ზეთს ან ნელსურნელებას აგროვებენ, კვერცხს დებენ და წყვილდებიან. მთელი ამ პროცესის განმავლობაში, ცხოველებს მტვერი ერთი ყვავილი-დან მეორეზე გადააქვთ. მცენარის და დამმტვერავის კავშირი თავდაპირველად მომხმარებლის და რესურ-სის ურთიერთქმედების მსგავსი იყო. მტვერი შესან-იშნავი საჭმელია, ხოლო ყვავილის კვერცხუჯრედი, სადაც თესლი ვითარდება, მწერის მატლისთვის კარგი თავშესაფარია. სრულად მოხმარების შედეგადაც კი მტვრის რაღაც ნანილი მცენარებს შორის მოძრაობს.


ევოლუციის განმავლობაში ფლორის სტრუქტურა იცვლება, რათა მტვრის გადაცემა უფრო ნაყოფიერი გახდეს. ცვლილებების დიდი ნანილი ნექტარს ეხე-ბა, რომელიც მცენარისთვის საკმაოდ ეკონომიური საწარმოებელია. ცვლილება შეიძლება იყოს მაგალი-თად ყვავილის ნანილების იმგვარი განლაგება, რომ მტვერი ცხოველის სხეულზე გადავიდეს (სურ. 25.9). ყვავილის სტრუქტურა სულ უფრო სპეციალიზებული ხდება და ცხოველების ნაკლები რაოდენობა ახერხებს მტვრიანასთან შეხებას და სხვა ყვავილების დინგზე მტვრის გადატანას. აქედან გამომდინარე, ყვავილის

მორფოლოგია მტვრის გადატანისთვის გამოსადეგი ცხოველების რაოდენობას ამცირებს და მტვრის გა-დატანის წარმატებულობას ზრდის.

### ორქიდეის დამტვერვა ფუტკრის მიერ

მცენარის და დამმტვერავის კავშირი ორქიდეის ოჯახ-ში ძალიან განვითარებულია. ორქიდეას ფორმით, შეფერილობით და სურნელებით მრავალფეროვანი ყვავილები აქვს. ყვავილისა და დამმტვერავს შორის კავშირი მაგალითია ორქიდეა შტანჰერე გრანდი-ფლორა და ტროპიკული ფუტკარი ულაემა მერიანა. ამგვარი იძულებითი მუტუალიზმი გამორჩეულია, რადგან Stanhopea-ს ყვავილები ნექტარს არ წარმოქმნიან და მათზე მხოლოდ მამალი ფუტკარი ჯდება. ორქ-იდეის ყვავილებს მკვეთრი სურნელება ახასიათებს და Stanhopea-ს ყველა სახეობას საკუთარი სურნელი აქვთ, რის შედეგადაც დამმტვერავს ყვავილი სხვაში არ აე-რევა. ორქიდეის თითოეული სახეობა ფუტკრის ერთ სახეობას იზიდავს.

ორქიდეაზე დამჯდარი მამალი ულაემა სურნელე-ბას იგროვებს და შემდეგ დედალ ფუტკრებს იზიდავს.




**სურ. 25.9.** ოლემონიაცეაცე-ს ოჯახის მცენარის ყვავილების მრავალ-ფეროვნება. სურათზე ძირითადი დამ-მტვერავებიც არის გამოსახული. ისრები დამტვერვის სხვადასხვა სინდრომების ევოლუციის მიმართულებას ასახავს.

ფუტკრის ყველა სახეობა ოდნავ განსხვავებულ სურნელებას იყენებს. მამალი ფუტკარი ყვავილის ნაწილებს ნინა კიდურებით ფხექს და შეგროვებული ნივთიერება უკანა კიდურზე გადააქვს, რომელიც დიდი ზომისაა და შესანახი ღრუ აქვს. ფუტკარი შტანპოპეა ყვავილში გვერდიდან შედის და ყვავილის ბაგის ტომსი გისმაგვარ სტრუქტურას ფხექს (სურ. 25.10). ბაგის ზედაპირი ძალიან გლუვია და ფუტკრები ყვავილიდან ხშირად ვარდებიან (ზოგიერთი ორქიდეის სურნელი ფუტკრებს აბრუებს). ჩამოვარდნილი ფუტკარი ორქიდეის ყვავილის ხერხემალს ეჭიდება, სადაც პოლინარიუმებია (მტვრით სავსე ტომსიებია) განლაგებული და ისინი ფუტკარს ზურგზე ეჯრობიან. თუ ფუტკარი მინებებულ პოლინარიუმთან ერთად სხვა ყვავილიდანაც ვარდება, პოლინარიუმი სამტ-

ვრეს ეკრობა და ყვავილს ანაყოფიერებს. მაშასადამე, ყვავილის სტრუქტურა და ფუტკრის მოქმედება ადაპტაციურია და მტვრის გადატანის შესაძლებლობა გაზრდილია.

### ობელია-ს დამტვერვა ფრინველის მიერ

ობელია-ს გვარის ზოგიერთი წარმომადგენელი, კერძოდ ჩენტროპოგონ ქვეგენის წევრები, კოლიბრების მიერ იმტვერება. ჩენტროპოგონ-ის სპეციალიზირებულ სახეობებს და არნივისნისკარტიან კოლიბრებს (უტოხერეს) შორის ექსკლუზიური კავშირი არსებობს. კოლიბრი მცენარის გრძელი ყვავილიდან ნექტარს ნისკარტის საშუალებით იღებს და მცენარის ერთადერთი დამტვერავია. სხვა კოლიბრებისგან განსხვავებით, უტოხერეს ჭამისას უნდა დაჯდეს. მაშასადამე, ჩენტროპოგონ-ის ყვავილები უფრო კომპაქტური და მყარია, რათა ფრინველებმა დაჯდომა შეძლონ (სტეინი 1992).



**სურ. 25.10.** ორქიდეა შტანპოპეა გრადიფლორა-ს დამტვერავი ულავება მერიანა. ფუტკარი ყვავილში გვერდიდან შედის და ყვავილის ბაგეს ფხექს. ა) ჩამოვარდნის შემთხვევაში, ბ) ფუტკარი ყვავილის ხერხემლის ბოლოზე მდებარე პოლინარიუმზე შეიძლება დაუცეს და გ) ამ დროს პოლინარიუმი ფუტკარს ზურგზე ეკრობა. დ) თუ მინებებული პოლინარიუმის მქონე ფუტკარი სხვა ყვავილიდანაც ვარდება, პოლინარიუმი ყვავილის სამტვრეს ეკრობა და ე) შედეგად დამტვერვა ხდება

### 25.8 გალითამფარებალი ჩრჩილი არის იუკას ერთდროულად ევოლუციონალული დამტვერავი

მცენარისა და დამტვერავის ერთ-ერთი მუტუალიზმი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, ვინაიდან ის ერთდროულად განვითარებულ სისტემად არის აღიარებული და ამავე დროს, თანაევოლუციის ფილოგენური სტრუქტურების და მუტუალისტური კავშირების მონანილებას შორის ევოლუციური კონფლიქტის შესახებ დაწერილი თანამედროვე კვლევების ერთ-ერთი ძირითადი ობიექტია (პელმირი და ტომპსონი 1992, პელმირი და ჰუტი 1994, პელმირი და სხვები 1996). იუკას მცენარეების სახეობებსა და თეგეტიცულა-ს გვარის ჩრჩილებს შორის დამტვერვითი კავშირი (სურ. 25.11) პირველად ს.ვ. რილეის ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ (1892) აღწერა, ხოლო მოგვიანებით ეს კავშირი უკეთესად განმარტეს (პაუელი და მაკეი 1966). ჩრჩილი იუკას ყვავილში შედის და ნასკვში 1-5-მდე კვერცხს დებს. კვერცხის დადების შემდეგ ჩრჩილი ყვავილის მტვრიანებიდან მტვერს ფხექს და პატარა ბურთად ახვევს, ბურთს პირის სპეციალური ნაწილებით იჭრს, სხვა მცენარის ყვავილისკენ მიფრინავს, მტვრის ბურთს ახალი ყვავილის დინგში დებს და შემდეგ კვერცხს ხელახლა დებს. კვერცხის გამოჩერების შემდეგ მატლი ნასკვში იმალება და განვითარებადი თესლით იკვებება.

ჩრჩილსა და იუკას შორის კავშირი იძულებითია. თეგეტიცულა-ს მატლს სხვაგან გაზრდა არ შეუძლია, ხოლო იუკას სხვა დამტვერავი არ ჰყავს. იუკა ყვავილის განაყოფიერების სანაცვლოდ ჩრჩილის მატლებს ეგუება, რადგან მატლის მიერ რეპროდუქციული პო-



**სურ. 25.11.** მოპავეს იუკა (უცცა სპიდიგერა) და თეგეტიცულა-ს გვარის იუკას ჩრჩილი.


კვერცხის დების თვისება ოჯახში, სულ მცირე, სამ-ჯერ დამოუკიდებლად განვითარდა და უკანაც სულ მცირე ორჯერ დაბრუნდა (წინაპრის მდგომარეობას დაუბრუნდა). ყვავილებში კვერცხისმდები სახეობებიდან მხოლოდ თეგეტიცულა და რეყა-ს ერთი სახე-ობაა დამტკვერავი. დანარჩენები უბრალოდ მცენარის პარაზიტები არიან და მცენარეებს მატლების გამოზ-რდისთვის იყენებენ. რეყა პოლიტელლა ქვატებიას ოჯახის იტჰოპპერაგმა პარვიცლორუმ-საც მტკვერავს მაშინ, როცა ამ მცენარეს იუკასთან კავშირი საერთოდ არ აქვს. ამ მაგალითიდან ჩანს, რომ იუკა-ჩრჩილის მუტუალიზმის ბევრი ადაპტაცია ჩრჩილებში მუტუ-ალიზმის შექმნამდეც არსებობდა. ასეთ თვისებებს ხშირად ადაპტაციამდელი ეწოდება.



ტენციალის დაქვეითება 30%-ს არ აჭარბებს, ხოლო უცცა ნჰიპპლეი-ში სულაც ამის ნახევარია (პაუელი და მაკე 1966).

იუკა და თაგეტიცულა ერთმანეთისადმი სპეციალ-იზირებულნი არიან. იუკას მტკვერი წებოვანია და ბურ-თად იოლად იქცევა, ხოლო დინგი მტკრის მისაღებად სპეციალურად არის შეცვლილი. ჩრჩილი იუკას მხ-ოლოდ ერთი სახეობის ყვავილებზე ჯდება, ყვავილებში წყვილდება და კვერცხს ნასკვში დებს, ხოლო მისი პირის ნაწილები და მოქმედება მტკრის გადატანაზე არის მორგებული. თეგეტიცულა-ს და იუკას მუტუ-ალიზმი მჭიდროა და სავარაუდოდ, მისი თვისებები თანაევოლუციის შედეგა.

სინამდვილეში, მუტუალიზმის რამდენიმე ასპექტი არამუტუალისტურ ჩრჩილებშიც (როდოხიდაე) შეინ-იშნება (შელმირი და ტომშაონი 1992). როდოხიდაე-ს გენეტიკური შტოს კვლევამ აჩვენა, რომ თეგეტიცულა-ს რამდენიმე სპეციალიზებული თვისება მისი ოჯახის სხვა წევრებშიც გვხვდება. მასპინძელზე სპე-ციალიზაცია და დაწყვილება ოჯახის ყველა წევრი საბაზისო (პრიმიტიული) თვისებებია. ყვავილებში



**სურ. 25.12.** ჩრჩილის ოჯას როდოხიდაე-ს ფილოგენური შტო. სურათზე გამოსახული იუკას ჩრჩილი-იუკას მუტუალიზმის კრიტი-კული თვისებები ევოლუცია თეგეტიცულა-ს გვარის ჩრჩილებში. მახასიათებლებია: *LHS* - ადგილობრივი მასპინძლის სპეციფიკურობა; *MF* - მასპინძელზე დაწყვილება; *OF* - ყვავილები კვერცხისდება; *P* - დამტკვერავი. შევი ძელაკები თვისების შექნაზე მიუთითებს, ხოლო მწვანე ძელაკები თვისების დაკარგვას.

## 25.9 მუტუალიზმი მოიცავს თანდაყო- ლილ კოცელიქას მონაცილებს შორის, რომელსაც გაუძლია გამოიცვიოს თაღ- ლითოგა

ერთი შეხედვით, მუტუალისტური კავშირების მონაცილები კარგ საქმეს აკეთებენ. თითოეული ცო-ტაოდენს გასცემს და სანაცვლოდ სარგებელს იღებს. თუ მუტუალიზმს უფრო კარგად დავაკვირდებით, გა-მოჩნდება, რომ ყველაფერი ასე მარტივად არ არის. მუტუალისტური კავშირების მონაცილებს შორის თანდაყოლილი კონფლიქტი არსებობს, რაც კავშირზე დამოკიდებულებით არის გამოწვეული. მუტუალ-იზმის მონაცილებ საკუთარი ვარგისიანობა მეორე მონაცილის ხარჯზე უნდა გაზარდოს. მაგალითად, იუკა-ჩრჩილის მუტუალიზმში, ჩრჩილი საკუთარი ვარგისიანობის გაზრდისთვის ყვავილში უფრო დიდი რაოდენობით კვერცხს დებს. როგორც უკვე ვთქვით, ჩრჩილები კვერცხს იუკას თესლის მხოლოდ 30%-ში დებენ. ეს ნიშნავს, რომ კვერცხისდებაზე გარკვეული შეზღუდვა არსებობს ანუ მუტუალისტური კავშირში შემავალ პარტნიორებს საკუთარი ვარგისიანობის გაზრდა მხოლოდ გარკვეულ დონემდე შეუძლიათ. იუკა-ჩრჩილის სისტემაში ამგვარი მექანიზმები მართ-ლაც არსებობს და ყვავილში დადგებული კვერცხების რაოდენობას იუკა არეგულირებს (პელმირი და ჰუტი 1994).

თუ ჩრჩილი ყვავილის კვანძში ძალიან დიდი რა-ოდენობით კვერცხს დებს და კვერცხის რაოდენობა განვითარებადი თესლის უმეტესობის შექმნასთვის საკმარისია, მაშინ ყვავილი განუვითარებელი რჩება და ჩრჩილის მატლი კვდება. ამგვარი სტრატეგია იუ-კას თესლის წარმოქმნას ამცირებს, თუმცა ან უკვე განუვითარებულ ყვავილში თესლის წარმოქმნაზე განაცილებული რესურსი სხვა ყვავილებს გადაეცემა. იუკები, ბევრი სხვა მცენარის მსგავსად, საჭიროზე მეტი რაოდენობის ყვავილს ქმნის. ყვავილების წარმო-ქმნის საფასური შედარებით ნაკლებია, ხოლო თესლის

წარმოქმნა მეტ რესურსს საჭიროებს და ამიტომ, მცე-ნარის დამტკერილი ყვავილების ნაწილი განვითარებას წყვეტს და ეს თესლის წარმოქმნამდე ხდება. მწერ-ის მიერ დაზიანებული ხილის განვითარების შეწყვეტა მცენარეებში ასევე გავრცელებულია (იანცენი 1971, სტივენსონი 1981) და იუკები ამ მექანიზმის დახმარებით ჩრჩილ დამატკერებს აკონტროლებს (უდოვიჩი და ეკერი 1981, ეკერი 1982).

მუტუალიზმში მონაცილე პარტნიორებს შორის ბუნებრივი დაძაბულობა ტყუილს იწვევს. მაგალითად, მუტუალისტური იუკას ჩრჩილებში ძალიან მსგავს სახ-ეობებს მიეკუთვნება, რომლებიც კვერცხებს იუკების ყვავილის ნასკვებში დებენ. მიუხედავად ამისა, სახეობათ ამ ჯგუფის ზოგიერთი წევრი იუკას არ ამტკერებს ანუ იღებს, მაგრამ არ გასცემს. პელმირმა და სხვებმა (1996) ჩრჩილებს შორის ფილოგენური კავშირების ანალიზის შედეგად აღმოაჩინეს, რომ იძულებითი დამ-ტკერავები ზოგჯერ მატყუარები არიან. მატყუარები იუკებში კვერცხისდებაზე სპეციალიზირებული არი-ან, მაგრამ სისტემის სტაბილურობისთვის ნამდვილი ინდივიდების არსებობაა საჭირო.

სახელმძღვანელოს ამ ნაწილის ექვს თავში ორ-განიზმების პოპულაციების ურთიერთქმედებების დეტალები შევისწავლეთ. პოპულაციების ურთ-იერთქმედება ხშირად რესურსისთვის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონკურენციაა. კონკურენცია პოპუ-ლაციების ზომას ზღუდავს. ზოგიერთი ურთიერთქ-მედება, მაგალითად მტკაცებლობა, პარაზიტოიდიზმი, პარაზიტიზმი და ბალაზისმჭამელობა (ყველა ანტაგონისტური ქმედება), ერთი პოპულაციის ინდივიდის მიერ მეორე პოპულაციის ინდივიდის ან მისი ნაწილის მოხმარებას გულისხმობს. არსებობს სხვა ტიპის ურთ-იერთქმედებაც, რომელსაც მუტუალიზმი ეწოდება და რომლის დროსაც ურთიერთქმედების ყველა წევრი სარგებელს იღებს. სახელმძღვანელოს მომდევნო ნაწილში ვნახავთ, თუ როგორ აყალბებს ურთიერთქ-მედება ორგანიზმების საზოგადოების ფორმას.

## დასკვნა

1. თანაცოლუცია ურთიერთქმედი სახეობების ან პოპულაციების ევოლუციურ გამოძიხვილებს მოიცავს. სპეციალიზაცია არის მდგომარეობა, როდესაც სახეობა სხვა სახეობის მხოლოდ შეზღუდულ რა-ოდენობასთან ურთიერთქმედებს. მუტუალიზმი პოპულაციის ურთიერთქმედების სახეობაა, როდესაც ურთიერთქმედების ორივე მონაცილება სარგებელს იღებს.
2. ავსტრალიაში შეყვანილ ევროპულ კურდღლელსა და მიქსომას ვირუსს შორის ურთიერთქმედება, ასევე

ოთახის ბუზებსა და კრაზანა პარაზიტოიდ ასონია ვიტრიპენის-ის ურთიერთქმედება ანტაგონისტებს შორის კავშირების მაგალითია, რაც თანაცოლუციას ინვევს.

3. სპეციალიზაცია შესაძლოა სწრაფად მოხდეს და მისი არსებობა თავისთავად თანაცოლუციაზე არ მიუთითებს. მუტუალისტებს შორის ადგილობრივ სპეციალიზაციის პოპულაციის თანაცოლუცია ეწოდება. თანაცოლუციის გეოგრაფიული მოზაიკის მოდელის თანახმად, პოპულაციების ურთიერთქ-

მედების შედეგი დროსა და სივრცეში იცვლება, ხოლო სახეობები თანაევოლუციის და სპეციალიზაციას სხვადასხვა ინტენსივობით განიცდია.

- 4.** გენური თანაევოლუციის გამომწვევი-რეცეპტორის მოდელის თანახმად, თანაევოლუციის მისაღწევად ურთიერთქმედ პოპულაციებში დამატებითი გენოტიპები უნდა არსებობს. გენური თანაევოლუციის საუკეთესო ნიმუშია მარცვლეული მცენარის და პარაზიტის სისტემები.
- 5.** ორგანიზმებს სხვადასხვა ტიპის მუტუალისტური კავშირები ახასიათებთ და მათ შორისაა ტროფიული მუტუალიზმი, თავდაცვითი მუტუალიზმი და გაბნევის მუტუალიზმი. ზოგიერთი მუტუალისტური კავშირი იძულებითია ანუ ერთი პარტნიორის სიცოცხლე მეორეზეა დამოკიდებული, ხოლო ზოგიერთი მუტუალისტური კავშირი ნებაყოფლობითია ანუ პარტნიორებს ერთმანეთის გარეშე არსებობაც შეუძლიათ.
- 6.** თანაევოლუციის ყველაზე უფრო დამაჯერებელი მაგალითი სეუდომყრმება ჭიანჭველებს და აკაციას შორის იძულებითი მუტუალიზმია. ჭიანჭველა მცენარეს ბალაზის მჭამელებისგან იცავს, ხოლო მცენარე ჭიანჭველებს საკვებს და თავშესაფარს აძლევს. ორივე მათგანის სტრუქტურა და მოქმედება ან ფენოლოგია ადაპტირებული და კავშირზეა მორგებული.
- 7.** ნივთიერებათა ცვლის ანალიზი ადასტურებს, რომ მცენარეებში მომწამვლელი ნივთიერებების განვითარება გენეტიკურ საფეხურებად ხდება. განვითა-

რების ცვლილება (და მწერების დეტოქსიფიკის უნარი) თითოეულ ჯგუფში არსებულ ტაქსონომიურ კავშირებს ახლავს თან და მცენარისა და მწერის ურთიერთქმედების ევოლუციური ისტორიის გაგება შესაძლებელია.

- 8.** მცენარეებსა და მათ დამტვერავებს შორის კავშირები კარგად შესწავლილი მუტუალიზმებია. მუტუალისტური კავშირი ფუტკრებსა და ორქიდებს შორის არსებობს. ზოგიერთ ყვავილსა და დამტვერავ კოლიბრებს შორის მაღალი ხარისხის სპეციალიზაცია არსებობს.

**9.** იუკას ჩრჩილებსა და იუკას შორის ურთიერთქმედება იძულებითი მუტუალიზმია, რომელშიც ჩრჩილი მცენარეს მტვერავს, ხოლო მისი მატლი მცენარის განვითარებად თესლს მოიხმარს. ჩრჩილებს და იუკებს სპეციალიზაცია გააჩნიათ, რომელიც მათ კავშირს ხელს უწყობს, თუმცა ფილოგენური ანალიზი ადასტურებს, რომ ჩრჩილში არსებული ზოგიერთი ადაპტაცია მის არამუტუალისტურ, ახლო ნათე-სავებსაც აქვთ. ამგვარ თვისებებს ადაპტაციამდელი ეწოდება.

- 11.** ფილოგენური ანალიზი ადასტურებს, რომ იუკას ჩრჩილის ზოგიერთი სახეობა იუკას მცენარეს ატყუებს და კვერცხს მის ყვავილებში დებს, თუმცა მცენარის დამტვერვა არ შეუძლია. ამგვარი ტყუილი მუტუალისტებს შორის არსებული ბუნებრივი კონფლიქტის მოსალოდნელი შედეგია.

## სავარჯიშოები

- 1.** დიაგრამების დახმარებით განმარტეთ თანაევოლუციის გეოგრაფიული მოზაოუის მოდელი.
- 2.** დავუშვათ, მცენარის გარკვეულ სახეობებს ორი განსხვავებული გენოტიპი აქვს. ერთი ფენოტიპი რაიმე სოკოსადმი რეზისტენტულია, ხოლო მეორე სოკოსადმი რეზისტენტული არ არის. ორივე ფორმის გენოტიპი ერთი და იგივე პოპულაციაში გვხვდება. განმარტეთ მცენარის რეზისტენტულობის გენეტიკური საფუძველი.

- 3.** ალბათ შეგიმჩნევიათ, რომ თქვენს ბალში მზარდ ყველა მცენარეს მასთან დაკავშირებული ჭიანჭველები ჰყავს და მცენარე ბალაზისმჭამელი მწერების რამდენიმე ტიპის დაინტერესების საგანია. არსებობს თუ არა მუტუალისტური კავშირი ჭიანჭველებსა და მწერებს შორის? მუტუალიზმის არსებობის ან არარსებობის დადასტურებისთვის რა ტიპის კვლევებს და ექსპერიმენტებს ჩაატარებდით? თქვენს ალწერაში დღის (ან ღამის) ხანგრძლივობა, დაკვირვების სეზონი, კითხვები და შესამონმებელი ჰქონდეთ შეიყვანეთ. ასევე მოიფიქრეთ ექსპერიმენტის ჩატარებისთვის საჭირო ნივთიერებების სია.

ნაცილი 6

თ ა ნ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ვ ა გ ი ს  
ე პ ი ლ ი მ ი ა



დედამიწის უმეტეს ნაწილში სხვადასხვა სახეობის ცოცხალი არსებები ბინადრობენ. ფერ-მის ველ-მინდვრებს, ტყესა თუ უდაბნოში არსებული მცენარეებისა და ცხოველების საშუალებით ოლად ვცნობთ. სხვადასხვა ორგანიზმების პოპულაციების გაერთიანებები ეკოლოგიურ საზოგადოებებს ქმნის და მათ დინამიკას სახელმძღვანელოს მე-6 ნაწილში შევისწავლით.

26-ე თავში ეკოლოგიური საზოგადოების ცნების წარმოშობას და ისტორიას შევეხებით. გამოჩნდება, რომ ბუნებრივი საზოგადოებების შესახებ არსებული მოსაზრებების ისტორია ეკოსისტემის ბუნების გააზრებასთან მჭიდრო კავშირია. საზოგადოებები, პოპულაციათა მსგავსად, მათში მოიბინადრე სახეობების რაოდენობისა და ტროფული ურთიერთქმედების ტიპების მიხედვით ხასიათდება. 27-ე თავში ყველა ამ საკითხს დაწვრილებით შევისწავლით. მაგალითად, მიტოვებულ ველზე დაკვირვების შედეგად კარგად ჩანს, რომ ველზე არსებულ მცენარეთა სახეობების რაოდენობა ნლების განმავლობაში მკვეთრად იცვლება. საზოგადოების ცვლილების თვისებებს 28-ე თავში შევეხებით.

საზოგადოებაში გაერთიანებული სხვადასხვა სახეობის რაოდენობა ბიომრავალფეროვნების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. სახეობათა მრავალფეროვნების განმსაზღვრელ მექანიზმებს 29-ე თავში შევისწავლით. იმავე თავში გამოჩნდება, თუ როგორ ახდენს სახეობათა მრავალფეროვნებაზე ზეგავლენას ემიგრაცია, გადაშენება, კონკურენცია, რეგიონალური და ადგილობრივი პროცესები.

## თავი 26



### თანასაზოგადოების პოლიტიკი

#### გზამკვლევი კითხვები

- რა განსხვავებაა ეკოსისტემას, საზოგადოებას, კავშირსა და ოჯახს შორის?
- რას ნიშნავს საზოგადოების სტრუქტურა და საზოგადოების ფუნქცია?
- რა განსხვავებაა ბიოლოგიური საზოგადოების შესახებ ფ.ე. კლემენტსის და ჰ.ა. გლისონის მოსაზრებებს შორის?
- რა არის საზოგადოების ორგანიზაციის კონტინუუმის ცნება და როგორ ხდება ამ ცნების საშუალებით საზოგადოებების აღწერა?
- რატომ ფიქრობენ ეკოლოგები, რომ საზოგადოებები დროსა და სივრცეში გახსნილია?
- როგორ ასახავს საზოგადოების ორგანიზაცია ფილოგენურ და ბიოგეოგრაფიულ პროცესებს?
- როგორ ხდება ფილოგენური ანალიზის საშუალებით თანამედროვე საზოგადოების სტრუქტურის განმარტებებს შორის სხვაობის მოძებნა?
- როგორ ზეგავლენას ახდენს თანაევოლუცია საზოგადოების სტრუქტურაზე?

**3** არევეულ ადგილზე არსებულ სახეობებს პოპულაცია ეწოდება. დედამინის ყველა ადგილზე, თითოეულ დაბლობზე, თითოეულ ტბაში, ზღვის კიდეზე მდებარე კლდეზე და ა.შ. მრავალი პოპულაცია ერთად ბინადრობს. პოპულაციათა გაერთიანებას თანასაზოგადოება ეწოდება. თანასაზოგადოებების დახასიათება პოპულაციათა შორის ურთიერთქმედების სახეობის ან ადგილის მიხედვით ხდება.

ჩვენ უკვე შევისწავლეთ ეკოსისტემის პროცესები, პოპულაციათა დინამიკა და ურთიერთქმედების მექანიზმები, როგორებიცაა მტაცებელსა და მსხვერპლს ან ბალაზისმჭამელ ცხოველსა და პარაზიტების მკვებავ ორგანიზმს შორის კავშირები. დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების შედეგად ამ პროცესების სთვის საფუძვლად დადებული მექანიზმები ნათლად გამოიკვეთა. მიუხედავად ამისა, ეკოლოგიურ საზოგადოებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი, რომელიც ეკოლოგებისთვის უკვე ათწლეულების მანძილზე გამოწვევად არის ქცეული, სახელმძღვანელო-

ში ჯერ-ჯერობით არ შეგვისწავლია. ასეთ საკითხებს შორისაა გარკვეულ ადგილზე მცენარეთა და ცხოველთა სახეობების რაოდენობის განმსაზღვრელი მექანიზმები, საზოგადოებების ტროფული ურთიერთქმედები და ა.შ.

#### 26.1. თანასაზოგადოება პოლიტიკათა გაერთიანება

ეკოლოგები ტერმინ „თანასაზოგადოება“-ში სხვადასხვა მნიშვნელობას გულისხმობენ (შონერი, 1986). ისტორიულად, საზოგადოება გარკვეულ ადგილზე არსებულ მცენარეთა და ცხოველთა გაერთიანებას ნიშნავს, სადაც ერთი ან მეტი სახეობა ან რამდენიმე ფიზიკური თვისებაა დომინანტური (სლობოდვინი 1961, შიმველი 1971, დობენმირი 1968). ჩვენ ვამბობთ: „მუხის თანასაზოგადოება“, „აბზინდის თანასაზოგადოება“, „ტბის თანასაზოგადოება“ და ვგულისხმობთ, რომ გარკვეულ

ადგილზე არსებულ მცენარეთა და ცხოველთა შორის სიტყვა „თანასაზოგადოების“ წინ მოყვანილი სახეობა დომინირებს. ასეთი განსაზღვრება სრულიად ნათელია და საზოგადოება მის საზღვრებში მობინადრე ყველა პოპულაციას აერთიანებს.

თანასაზოგადოების შემოსაზღვრა შეუძლებელია, როდესაც პოპულაცია პირობით სივრცით საზღვრებს მიღმა ვრცელდება. მაგალითად, ზომიერი და ტროპიკული კლიმატის რეგიონებს შორის ფრინველების მიგრაცია ორივე რეგიონში მობინადრე საზოგადოებებს ერთმანეთთან აკავშირებს. ტროპიკული კლიმატის რეგიონში მობინადრე ფრინველების თითქმის ნახევარს ჩრდილოეთის ზამთრის განმავლობაში მიგრირებული ფრინველები შეადგენენ. სალამანდრების მატლები მდინაარებსა და ტბებში ბინადრობენ, ხოლო შემდეგ ტყებში განაგრძობენ არსებობას. აქედან გამომდინარე, ისინი წყლის და დედამინის თანასაზოგადოებებს ერთმანეთთან აკავშირებენ. ასევე იქცევიან ხეები, როდესაც მათი ფოთლები მდინარეებში ცვიგა და წყლის დეტრიტზე დაფუძნებული საკვების გაჩენას იწვევს.


თანასაზოგადოების განსაზღვრება უფრო ზუსტი გახდება, თუ ეკოლოგების მიერ შესასწავლი პოპულაციების შერჩევის პრინციპის გავითვალისწინებთ. კვლევის ზოგიერთი სახეობა ტაქსონებად წოდებული პოპულაციების სიმრავლეების შესწავლას გულისხ-

მობს. ტაქსონებს შორის ფილოგენეტიკური კავშირია (სურ. 26.1, სიმრავლე). მაგალითად, მკვლევარმა შესაძლოა გადაწყვიტოს, დააკვირდეს, თუ როგორ ხდება სხვადასხვა სახეობის მცენარეთა გვარების ან ოჯახების დამტკრევა. ოჯახი არის ტაქსონომიურად დაკავშირებული ჯგუფი, რომელიც ერთ გეოგრაფიულ არეალში არსებობს. ზოგჯერ აქცინტი რესურსების ერთგვარად მომხმარებელ პოპულაციათა ჯგუფებზე კეთდება. ამგვარ ჯგუფებს კავშირები ეწოდება (სურ. 26.1. ჩ სიმრავლე). თუ კავშირის ყველა წევრი ერთი და იგივე არეალში ბინადრობს, მაშინ ჯგუფს ადგილობრივი კავშირი ეწოდება. პოპულაციათა გეოგრაფიულად შემოსაზღვრული ჯგუფები საზოგადოებებში შედის (სურ. 26.1. სიმრავლე). ასეთ დროს საზოგადოები ურთიერთებული კავშირების სახეობის ან მის წევრებს შორის ევოლუციური კავშირების საშუალებით არ ხასიათდება, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კავშირები საზოგადოებაში აისახება. მნიშვნელოვანი მხოლოდ ის არის, რომ საზოგადოების წევრები ერთი და იგივე ადგილზე ბინადრობენ.

ეკოსისტემასა და საზოგადოებას შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. ეკოსისტემები მოცემული არეალის ყველა ურთიერთებული ფიზიკურ და ბიოლოგიურ კომპონენტების მოიცავს, საზოგადოებებში კი მხოლოდ ორგანიზმები შედიან. სამწუხაროდ, ზოგჯერ ამ ტერმინებს სინონიმებად იყნებენ.

პოპულაციათა მსგავსად, საზოგადოებსაც რამდენიმე უნიკალური თვისება აქვთ, რომელიც საზოგადოების სტრუქტურას ან საზოგადოების ფუნქციას უკავშირდება. ეს ტერმინები საზოგადოებებში მომხდარი ურთიერთებულების პროცესების გამოყოფისთვის უფრო გამოიყენება, ვიდრე ერთ საზოგადოებაში მომხდარი პროცესების ან საზოგადოების თვისებების ხაზგასმისთვის. საზოგადოების სტრუქტურის ატრიბუტებია სახეობათა რაოდენობა (სახეობათა სიმდიდრე), სახეობათა ტიპები და მათი გავრცელებულობა, ვეგეტაციის ფიზიკური თვისებები და ურთიერთებული პოპულაციებს შორის ტროფიული კავშირები. საზოგადოების ფუნქციის მაგალითებია ენერგიის დინების ტემპები, საზოგადოების მდგრადობა გარე ფაქტორებისადმი და პროდუქტიულობა. საზოგადოების სტრუქტურასა და ფუნქციას შორის კავშირი არსებობს და მას 27-ე თავში შევისწავლით.

საზოგადოების სტრუქტურა და ფუნქცია ურთიერთებულებების რთულ მიმდევრობაზე მიუთითებს, რაც საზოგადოების ყველა წევრს პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთმანეთთან აკავშირებს (ვუტონი 1994, მილერი და ტრევისი 1996). პოპულაციის ზეგავლენა საზოგადოების ეკოლოგიურად მოშორებულ ადგილებზე, მტაცებელსა თუ მსხვერპლზე ვრცელდება. მწერიჭამია ფრინველები ხეებს არ ჭამენ, მაგრამ ისინი ფოთლებისმჭამელ ან ყვავილების დამამტკრე მწერებზე ნადირობენ, რაც არაპირდაპირ ზეგავლენას ნაყოფის რაოდენობაზე, ნაყოფისა და მარცვლეულის მჭამელი ცხოველებისთვის საჭირო საკვების რაოდენობაზე და



**სურ. 26.1.** ორგანიზმთა ჯგუფების ამსახველ ტერმინებს შორის არსებული კავშირი. ტაქსონები ფილოგენეტიკურად დაკავშირდებულ ორგანიზმთა სიმრავლეებია. ერთი და იგივე გეოგრაფიულ რეგიონში მდებარე ტაქსონებს ოჯახები ეწოდებათ. საზოგადოებები გეოგრაფიულად ხასიათდებიან, ხოლო კავშირების დახასიათება რესურსების გამოყენების მიხედვით ხდება.

ამ ცხოველების მტაცებლებზე ან პარაზიტებზე ახდენს. შუა დასავლეთის ტბასა და მიქცევა-მოქცევის კლინიკური მარცვლი ეკონია სტემას შორის ურთიერთებული ბადის მაგალითი 26.2 სურათზეა გამოსახული.


## 26.2. არსებობას თუ არა გულებრივი ერთეული ეკოლოგიური ორგანიზაციის თანასაზოგადოების დონეზე?

საზოგადოების ეკოლოგები ჩიხში შედიან და მათი აზრები მკვეთრად განსხვავდებიან, როდესაც საკითხი საზოგადოების ერთიანობას ეხება. ხდება თუ არა საზოგადოების შემადგენელ პოპულაციებს შორის ისეთივე რთული ურთიერთებულება და არსებობს თუ არა ისეთივე ურთიერთიდამოკიდებულება, როგორიც ადამიანის სხეულის ორგანოებს შორის? არის თუ არა საზოგადოება სუპერორგანიზმი, რომლის ფუნქციის და ორგანიზაციის შეცნობა მხოლოდ ბუნებაში მისი ადგილმდებარების გაზრებით შეიძლება, თუ საზოგადოების სტრუქტურა და ფუნქცია მხოლოდ ადგილობრივი გაერთიანების ფალკეული სახეობების მიზანმიმართულ ან ორგანიზებას მოკლებულ ურთიერთებულებას ასახავს? ეკოსისტემის ცნების შესწავლისას ამ საკითხებს ფართოდ გავაშუქებთ და სუპერორგანიზმის იდეასაც წამოვაყენებთ (იხ. მე-9 თავი). ეკოლოგების უმეტესობა საზოგადოებას სუპერორგანიზმის შესახებ მოსაზრებას არ ეთანხმება. მიუხედავად ამისა, ამ მოსაზრების ისტორიის განხილვა საკმაოდ სასარგებლოა, ვინაიდან საზოგადოების შესახებ დიდი რაოდენობით სასარგებლო ინფორმაციას მივიღებთ.

ორგანიზმული შეხედულების ყველაზე უფრო გავლენიანი დამცველი ამერიკელი ეკოლოგი ფ.ე. კლემენტსია (1916, 1936). კლემენტსი საზოგადოებებს მკვეთრი საზღვრების მქონე განცალკევებულ ერთეულებად განიხილავს, რომელთაც ერთიანი ორგანიზაცია გააჩნიათ. მის მოსაზრებას ვეგეტაციათა დომინანტური სახეობებიც ამტკიცებს. მაგალითად, ყვითელი ფიჭვის ტყე უფრო ნესტიან ადგილებში გავრცელებული ნაძვნარისგან და შედარებით მშრალ ადგილებზე გავრცელებული ბუჩქნარისა და ბალახისგან განსხვავდება. საზოგადოების საზღვარი ზოგჯერ იმდენად მკვეთრია, რომ მისი გავლება კლიმატური პირობების გრადიენტიდან რამდენიმე მეტრის სიახლოეს შეიძლება. ზოგიერთი საზოგადოების საზღვრებს, მაგალითად აშშ-ს შუა დასავლეთში გავრცელებულ ფოთლოვან ტყეებსა და პრერიებს შორის ან სამხრეთ კანადაში გავრცელებულ ფართოფოთლოვან და წინვოვან ტყეებს შორის არსებულ საზღვრებს, მცენარეთა და ცხოველთა უმეტესობა არ არღვებს.

საზოგადოების ორგანიზაციის შესახებ საწინააღმდეგო შეხედულება ჰ.ა. გლისონს (1926, 1939) აქვს, რომლის აზრით, საზოგადოება ორგანიზმის მსგავსად განცალკევებული ერთეული კი არ არის, არამედ ორგანიზმთა შემთხვევითი გაერთიანებაა, რომლებიც ადაპტაციის შედეგად გარევეული ადგილისთვის დამახასიათებელ ფიზიკურ და ბიოლოგიურ პირობები ბინადრობენ. გლისონი ამბობს: „მცენარეთა გაერთიანება ორგანიზმი და ვეგეტაციური ერთეული კი არ არის, არამედ უბრალო შემთხვევითობაა“.

საზოგადოების ორგანიზაციის შესახებ კლემენტსის და გლისონის მოსაზრებები ეკოლოგიურ და გეოგრაფიულ გრადიენტებში სახეობათა განსხვავე-




ბულ გავრცელებას წინასწარმეტყველებს. კლემენტისის აზრით, საზოგადოების შემადგენელი სახეობები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და თითოეული სახეობის გავრცელების ეკოლოგიური საზღვრები მთლიანი საზოგადოების გავრცელების საზღვრებს ემთხვევა. საზოგადოების ორგანიზაციის ასეთ სქემას დახურული საზოგადოება ეწოდება. გლისონის აზრით, თითოეული სახეობა მეორისგან დამოუკიდებლად არის გავრცელებული და ამგვარი შეხედულება ლია საზოგადოებას გულისხმობს. ლია საზოგადოებებს ბუნებრივი საზღვრები არ გააჩნიათ და ამიტომ მათი საზღვრები შემადგენელი სახეობების გეოგრაფიული და ეკოლოგიური გავრცელებისადმი პირობითა.

### 26.3. ეკოტონები თავს იჩენენ მავითი ფიზიკური საზღვრების აიროპეპში ან იქ ჩარჩი მოსახლეობა ინვენს ცვლილებას.


ლია და დახურული საზოგადოებების სტრუქტურა 26.3 სურათზე არის გამოსახული. 26.3ა სურათზე ნაჩვენებია საზოგადოებაში შემავალი სახეობების გავრცელების არეალები და ის გარემო პირობების გრადიენტის სიახლოვეს არის შეჯგუფებული. დახუ-



**სურ. 26.4.** კანადაში, ახალ ბრიტანეთის ფანდის ყურეში არ-სებული საზოგადოების მკეთრი საზღვარი (ეკოტონი), რომელიც მიმდებარე გარემოების ფიზიკური თვისებების მკეთრ ცვლილებას ასახავს. წყალმცენარეები მხოლოდ წყლის მიქცევა-მოქცევის ნიშნულამდე ვრცელდება. ტალღები წყლის მიქცევა-მოქცევის ნიშნულსა და ნაძვნარს შორის მდებარე კლდეებიდან ნიადაგს რეცხავს, ხოლო მარილი მცენარეებს გახარების საშუალებას არ აძლევს და ამ ტერიტორიაზე ვეგეტაცია არ ხდება.



(ა)




(ბ)


**სურ. 26.3.** სახეობათა პიპოტეტური გავრცელება საზოგადოების შესახებ არსებული ორი მოსაზრებას მიხედვით. ა) სახეობები განცალკევებულ ოჯახებად არის გაერთიანებული და საზოგადოებები დახურულებია. საზოგადოები ეკოტონებით (ისრებით) არის განცალკევებული. ბ) სახეობები გარემოს გრადიენტის გასწრივ კანონზომიერების გარეშე არის განანილებული და საზოგადოებები გახსნილია.

რული საზოგადოებები ბუნებრივი ეკოლოგიური ერთეულებია და მათ გამორჩეული საზღვრები გააჩნიათ. ამგვარ საზოგადოებებს შორის გადასვლის ადგილებს ეკოტონები ეწოდება და სახეობები ამ ადგილებში გრადიენტის გასწრივ სწრაფად იცვლება. 26.3ბ სურათზე, სახეობები ერთმანეთისადმი პირობითად არის განანილებული და საზოგადოების სტრუქტურა ლიაა. ჩვენ შეგვიძლია მშრალი ტყის საზოგადოების საზღვარი ტენიანობის გრადიენტის მარცხენა ბოლოსთან ახლოს გავავლოთ და აღმოჩნდება, რომ ზოგიერთი სახეობა გრადიენტის მშრალი ნაწილისთვის არის უფრო დამახასიათებელი, ხოლო სხვები უფრო ნესტიან ადგილებზე ვრცელდებიან.

დახურული და ლია საზოგადოებების ცნებებს საკუთარი დამადასტურებელი არგუმენტები აქვს. ეკოტონები გაერთიანებებს შორის ორ შემთხვევაში არ-სებობს. ერთი შემთხვევა მაშინ გვხვდება, როდესაც ფიზიკური გარემო სწრაფად იცვლება, მაგალითად წყლის და ხმელეთის საზოგადოებებს, ნიადაგებს ან მთების მარცხნივ და მარჯვნივ გადახრილ ქედებს შორის გადასვლა ხდება, ხოლო მეორე შემთხვევაში, გარემოში დომინანტური ერთი სახეობა ან სიცოცხლის ფორმა მრავალი სხვა სახეობის გავრცელების საზღვარზე მიუთითებს და ეკოტონი არსებობს.



**სურ. 26.5.** ნიადაგის მდგომარეობითი გამოწვეული ეკოტონი. ა) ნიადაგის შემადგენელი ელემენტების ცვლილება. ბ) მცენარეთა სახეობების ცვლილება სამხრეთ-დასავლეთ ორეგონში არასერპენტინულ (რიცხვები 1-10) და სერპენტინულ (რიცხვები 18-28) ნიადაგს შორის არსებულ საზღვარზე.



მკვეთრი ფიზიკური საზღვრები ნათლად განსაზღვრულ ეკოტონებს ქმნის. ამგვარი საზღვრები წყლის (განსაკუთრებით ზღვის) და ხმელეთის საზოგადოებების შეხების ადგილზე (იოპანესონი 1989; სურ. 26.4) და მაშინ ჩნდება, როდესაც გეოლოგიური სტრუქტურები ნიადაგის მინერალური შემცველების სწრაფ ცვლილებას იწვევს. სამხრეთ-დასავლეთ ორეგონში, სერპენტინულ და არასერპენტინულ ნიადაგზე გავრცელებულ მცენარეთა გაერთიანებებს შორის არსებული ეკოტონი 26.5 სურათზეა გამოსახული. სერპენტინულ ნიადაგებზე ნიკელის, ქრომის, რკინის და მაგნიუმის შემცველობა იზრდება, ხოლო სპილენძის და კალციუმის შემცველობა იკლებს. სერპენტინული ნიადაგი კიდევ მრავალი სახეობის გავრცელების საზღვარია. ზოგიერთი სახეობა მხოლოდ გადასვლის ვი-

წრო არეალში არსებობს, ხოლო სხვები ნიადაგის მინერალურ შემცველობაზე დამოკიდებული არ არიან და მთლიანი ეკოტონის გასწვრივ ვრცელდებინ.

ნიადაგის მუვიანობის ცვლილება ფართოფოთლოვან და ნინვოვან ტყეებს შორის გადასვლისას ხშირად ხდება და ეს არის ეკოტონის მეორე სახეობის მაგალითი. ნინვების დაშლის შედეგად ორგანული მუვები უფრო სწრაფად წარმოიქმნება, ვიდრე ყვავილოვანი მცენარეების ფოთლებით. გარდა ამისა, ნინვები ნელა იშლება და ნაწილობრივ დაშლილი ორგანული ნივთიერების სქელი ფენა ნიადაგის ზედაპირს ედება. ეს პირობები ნინვოვან ტყეებში ფართოფოთლოვანი სახეობების ზრდას ხელს უშლის. ფართოფოთლოვან და ნინვოვან ტყეებს შორის გადასვლის ადგილები ბევრი სახეობის გავრცელების არეალის საზღვარია.

მინდვრებსა და ბუჩქნარით დაფარულ ადგილებს შორის ზედაპირის ტემპერატურა, ნიადაგის ტენიანობა, სინათლის ინტენსივობა და სიხშირე მკვეთრად განსხვავებულია და სახეობებიც იცვლება. ამგვარ ტერიტორიებს შორის არსებული საზღვარი ხშირად ძალიან მკვეთრია, ვინაიდან, როდესაც ვეგეტაციის ერთ ან მეტ სახეობას მეტი უპირატესობა აქვს, ის საზოგადოებაში დომინანტურია (შულცი 1955). ბალახი ბუჩქნარის ზრდას ხელს უშლის, რადგან ნიადაგის ზედა ფენების ტენიანობას ამცირებს. ბუჩქნარი კი ბალახის ზრდას უშლის ხელს, ვინაიდან ჩრდილავს და მზის სხივს არ ატარებს. აშშ-ს შუა დასავლეთში მდებარე პრერიებსა და ტყეებს შორის არსებულ მკვეთრ საზღვარს სინათლე ავლებს (ბორჩერტი 1950). მრავალწლოვანი ბალახი სინათლისგან მიყენებულ ზარალს ამცირებს, რომელიც ხის თესლს ანადგურებს, თუმცა ტენიან ტყეში გავრცელებულ სახეობებს დიდ ზიანს ვერ აყენებს.

ეკოტონის ცნება მხოლოდ საზოგადოებებს შორის ურთიერთქმედებაზე ან სახეობათა შორის გადასვლაზე არ ვრცელდება. პოპულაციების ან ეკოსისტემების შეხების ნებისმიერი ადგილი ეკოტონად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ეკოტონი შეიძლება მოიცავდეს ნივთიერებათა მოძრაობას და ოჯახის სტრუქტურებს შორის გადასვლებს.

## გავრცელების არეალების დაყოფა და ეკოტონის დინამიკა

ჩვენ ვმიტკიცებთ, რომ გარემო პირობების და ბიოტური ურთიერთქმედების მუდმივობის შედეგად ბუნებრივი საზოგადოებების უმეტესობას ღია სტრუქტურა აქვს და ისინი სახეობებს შორის ცვლილების გრადიენტითა და თანაბარი გადასვლით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, ადამიანის მოქმედების არეალში ასეთი განზოგადება ხშირად სწორი არ არის. სოფლის მეურნეობის, მეტყველების და ადამიანის მოქმედების სხვა გამოვლინებების შედეგად ეკოლოგიური მუდმივობა წყდება და მკვეთრი ეკოტონების საზღვარი ფართოვდება. მოკლედ რომ ვთქვათ, გავრცელების არეალების დაყოფა საზოგადოებების ღია სტრუქტურას დახურულით ცვლის (მერიამი და ვეგნერი 1992).


26.6 სურათზე ნაჩვენებია, თუ როგორ ფართოვდება ეკოტონები მართულების ფორმის ტყის საზოგადოების დაყოფის შედეგად, რომლის მთლიანი ფართობია  $200\text{,}02$  ( $10\text{,}0 \times 20\text{,}0$ ). ტყის დაუყოფელი ძირითადი ნაწილის გვერდის სიგრძეა  $2(10+20=60\text{,}0)$ , ხოლო გვერდის სიგრძის ფართობთან შეფარდებაა  $0,3$  (სურ. 26.6a). დავუშვათ, ტყის  $4\text{,}0$  სიგანის რიგს სამანქანო გზის გასაყვანად იყენებენ და ტყე რო მცირე ნაწილად იყოფა, რომლის ფართობია  $8 \times 10 = 80\text{,}02$ .



(ა)



(ბ)



(გ)



(დ)

**სურ. 26.6.** ჰიპოთეტური ტყის დაყოფის შედეგად გვერდის სიგრძის და მიღა სივრცის ცვლილების სქემა.  
ა) სანტის ტყის ფართობია  $200\text{,}02$ , ხოლო მთლიანი გვერდის სიგრძეა  $60\text{,}0$ . გვერდის სიგრძის ფართობთან შეფარდება  $0,3$ . ტყის  $4\text{,}0$  სიგანის რიგი სამანქანო გზის გაყვანისთვის გამოიყენება. ბ) დაყოფილი ტყეების ფართობება  $80\text{,}02$  (მთლიანი ტყის ფართობია  $160\text{,}02$ ). დაყოფილი ტყის მთლიანი გვერდის სიგრძეა  $72\text{,}0$ , ხოლო გვერდის სიგრძის ფართობთან შეფარდება  $0,45$ . გ)  $2\text{-}j$ -მ სიგრძის ბილიკი ტყეს მართი კუთხებით კვეთს და შედეგად ოთხი თანაბარი ზომის ტყე მიღება, რომელთა ფართობებია  $32\text{,}02$  (მთლიანი ფართობია  $128\text{,}02$ ). დაყოფილი ტყის მთლიანი გვერდის სიგრძეა  $96\text{,}0$ , ხოლო გვერდის სიგრძის ფართობთან შეფარდება  $0,75$ . დ) იგივე მთლიანი ფართობის მქონე გრძელ, ვიწრო ტყეს ერთი მესამედიოთ გრძელი გვერდი ( $90\text{,}0$ ) აქვს და გვერდის სიგრძის ფართობთან შეფარდება  $0,45$ .

ტყის მთლიანი ფართობი ნაწილების ფართობთა ჯამი ანუ 160კმ<sup>2</sup>-ია, რაც ტყის საწყის ფართობზე 40კმ<sup>2</sup>-ით ნაკლებია. დაყოფილი ტყის გვერდის მთლიანი სიგრძეა  $2(16+20)=72$ კმ, რაც საწყისი ტყის გვერდის სიგრძეზე 12,5მ-ით მეტია. გვერდის სიგრძის ფართობთან შეფარდება 0,45 ანუ საწყის ტყესთან შედარებით მეტია (სურ. 26.6ბ). მიღებული ორი პატარა ტყის კიდევ დაყოფა ოთხ უფრო პატარა ტყეს და 32კმ<sup>2</sup> ფართობის დაკარგვას მოგვცემს, ხოლო გვერდის სიგრძის ფართობთან შეფარდება 0,75 იქნება (სურ. 26.6გ). სურათზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ გავრცელების არეალის დაყოფის შედეგად ძირითადი ტყის ფართობი ტყის გვერდის სიგრძესთან შედარებით ნაკლები ხდება. ოთხი პატარა ტყე 128კმ<sup>2</sup> ფართობს იკავებს და საწყისი ფართობის დაახლოებით 1/3 იკარგება. სამაგიეროდ, ტყის გვერდის სიგრძე თითქმის 2/3-ით იზრდება.

ტყის გვერდის სიგრძის ფართობთან შეფარდებაზე გავლენას ტყის ფორმაც ახდენს. 26.6ა და 26.6დ სურათებზე ნაწერებია ერთი და იგივე ფართობის, მაგრამ სხვადასხვა ფორმის ორი ტყე. გრძელი, ვიწრო ტყის გვერდის სიგრძეა  $2(40+5)=90$ კმ (გვერდის სიგრძე/ფართობი=0,45) და ეს რიცხვი 26.6ა სურათზე გამოსახულ ტყესთან შედარებით მეტია. ვიწრო ტყის ნაწილებად დაყოფა ძირითადი ტყის ფართობს შეამცირებს.

26.6გ სურათზე გამოსახული, ნაწილებად დაყოფილი გავრცელების არეალი მე-17 თავში შესწავლის მეტაპოპულაციის სტრუქტურას წააგავს (იხ. სურ. 17.1). საწყისი ტყის ნაწილებად დაყოფის პირობებში სახეობების სიცოცხლისუნარიანობა ადგილობრივ გადაშენებაზე და ტყის ნაწილებში ხელმეორედ დასხლებაზეა დამოკიდებული. გააჩნია თუ არა იგივე დინამიკა ტყის მცირე ნაწილებში მობინადრე საზოგადოებებს? მეტასაზოგადოება სხვადასხვა ტერიტორიებზე მობინადრე ადგილობრივი საზოგადოებების სიმრავლეა, რომელიც ერთმანეთთან საზოგადოების ერთი ან მეტი წევრის გავრცელებით არის დაკავშირებული (გილპინი და ჰანსეკი 1991, ჰოლტი 1997). ადგილობრივი საზოგადოებების ფართობი და სტრუქტურის მსგავსება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეეფერება გავრცელების არეალი ადგილობრივ საზოგადოებებში მობინადრე სახეობებს. დაყოფის შედეგად გვერდის სიგრძის გაზრდა ადგილობრივი საზოგადოებების სახეობების შეცვლას იწვევს. რობინსმა აღმოჩინა, რომ ფრინველთა ზოგიერთი სახეობა, მაგალითად შაშვი და ნაცრისფერი შაშვი, გავრცელების არეალის კიდეზე არჩევს ბინადრობას, ხოლო სხვები, მაგალითად, ჭიაჭამია მგალობელი ფრინველები ტყის სილმეში ბინდრობენ. საზოგადოების შემადგენლობაზე არეალის ფორმაც ახდენს ზეგავლენას. საზოგადოებათა უმეტესობა ძირითადად შედარებით იშვიათი სახეობებისგან შედგება (გასტონი 1994) და ეს სახეობები გავრცელების არეალის შემცირებასთან ერთად ქრება. 26.6 სურათზე გამოსახულ

მაგალითში, ნაწილებად დაყოფის შედეგად თანაბარი ზომის და ფორმის გავრცელების არეალები შეიქმნა. თუ ნაწილებად დაყოფის შედეგად სხვადასხვა ფართობის და გვერდის სიგრძის ფართობთან შეფარდების მქონე გავრცელების არეალებს შევქმნით, მაშინ მათში არსებული ადგილობრივი საზოგადოებებიც განსხვავდებული გახდება. ამგვარ ცვლილებას 27-ე თავში შევისწავლით, როდესაც საზოგადოების სტრუქტურას შევეხებით.

## 26.4. გურეპრივი თანასაზოგადოების სტრუქტურა შეიძლება აღნირილ იქნას ეკოლოგიურ ცოცხილუა-თან


ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთში გავრცელებულ ფოთლოვან ტყეების ჩრდილოეთიდან სიცივეამტანი, ნინოვოვანი ტყეები, დასავლეთიდან გვალვის და სიცხის ამტანი მინდვრები, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ცეცხლგამძლე ფიჭვის ტყეები ესაზღვრება. ფოთლოვანი ტყეები გავრცელების არეალში ფიზიკონომურად ერთგვარია. დაკვირვებების შედეგად ეკოლოგებმა აღმოჩინეს, რომ ხეების და სხვა მცენარეების სხვადასხვა სახეობები ტყის ბიომის სხვადასხვა ფართობებში ბინადრობს. მაგალითად, ნიუიორკის ჩრდილოეთით ძირითადად წიფელი, ამერიკული ნეკერჩხალი და არყის ხეა გავრცელებული, ხოლო დასავლეთ ვირჯინიის ტყეებში წითელი მუხა, თეთრი მუხა და ჰიკორი დომინირებს. დახურული საზოგადოების შესახებ კლემენტსის თვალთახედვით, თითოეული არეალისთვის დამახასიათებელი მცენარეულობა სხვა საზოგადოებებისგან მკვეთრად განსხვავდებული საზოგადოებაა. მცენარეთა გავრცელებაზე კარგად დაკვირვების შედეგად კი ჩანს, რომ მცენარეთა გაერთიანებები დახურული საზოგადოებები სულ უფრო ნაკლებად არის. მცენარეთა საზოგადოებების კლასიფიკაცია თანდათანობით უფრო დაწვილებით ხდება და საბოლოოდ დაყოფის აბსურდულ დონეს უახლოვდება.

დაგროვილი ქაოსური მოსაზრებებისგან საზოგადოების ორგანიზაციის კონტინუუმის ცნება წარმოშვა. ტყეების, მინდვრების ან დელტის მაგვარ გავრცელების არეალებში ცხოველთა და მცენარეთა პოპულაციები ფიზიკური პირობების გრადიენტების გასწრივ ერთმანეთს ცვლიან. აშშ-ს აღმოსავლეთში მდებარე ტყეები ჩრდილო-სამხრეთის ტემპერატურის გრადიენტთან და აღმოსავლეთ-დასავლეთის წვიმიანობის გრადიენტთან ერთად კონტინუუმს ქმნის. ნებისმიერ რეგიონში გავრცელებულ ხეების სახეობებს, მაგალითად აღმოსავლეთ-დასავლეთის დამახასიათებელ ხეებს, სხვადასხვა გეოგრაფიული არეალი გააჩნია და ეს ყველაფერი ევროპული მრავალფეროვნებაზე მიანიშნებს (სურ. 26.7.). ზოგიერთ სახეობას კენტუკის ჩრდილოეთით აქვს საზღვრები, ხოლო ზოგიერთს კი სამხრეთით. ვინაიდან მხოლოდ



**სურ. 26.7.** აღმოსავლეთ კენტუკის მცენა-  
რეთა გაერთიანებებში შემავალი სამი სახეობის  
ნის გეოგრაფიული არეალის საზღვრები (კენტუკი  
სურათზე ვრსკვლავით არის აღნიშნული).

მცირე რაოდენობის სახოებებს აქვთ ძალიან ფართო  
გეოგრაფიული არეალი, აღმოსავლეთ კენტუკიში  
გავრცელებული მცენარეთა სახეობების გაერთიანე-  
ბები დახურული საზოგადოებები არ არის. თითოეულ  
სახეობას უნიკალური ეფოლუციური ისტორია და თა-  
ნამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობა გააჩნია და  
ადგილობრივ საზოგადოებებში არსებულ სხვა სახე-  
ობებთან სხვადასხვა ხარისხით არის გაერთიანებული.




**სურ. 26.8.** ტემპერატურისა და სინესტის გრადიენტების სქემა  
სიმაღლისა და განედის მიხედვით. გამუქებულ ფართობზე რაიმე  
მცენარის საზოგადოებისთვის შესაფერისი პირობები გვაქვს.

აღმოსავლეთ კენტუკის ტყეებზე უფრო ღრ-  
მად დაკვირვების შედეგად ჩანს, რომ ხეთა მრავალი  
სახეობა პირობების ადგილობრივი გრადიენტების  
გასწრივ არის გავრცელებული. ზოგიერთი სახე-  
ობა მთების მწვერვალებთან ბინადრობს, ზოგიერთი  
მდინარეთა ნაპირებს არჩევს, სხვები კი ქვიან და ორ-  
განულად მდიდარ ნიადაგებზე უკეთესად მრავლდება.  
თითოეულ გაერთიანებაში წარმოდგენილი სახეობები  
შესაძლოა ეკოლოგიურად ერთმანეთთან ახლოს იყოს  
გავრცელებული, მაგრამ ღია საზოგადოების ცნება  
მაინც უპირატესია.


ეკოლოგები საზოგადოების სტრუქტურასა და  
ფუნქციას საზოგადოების კონტინუუმის ცნების საშუ-  
ალებით აღწერენ. ამისთვის რამდენიმე მეთოდი არსე-  
ბობს და ქვემოთ ორ მათგანს განვიხილავთ.

### გრადიენტის ანალიზი და კლასიფი- კაცია

საზოგადოების სტრუქტურის ცვლილების გამოსახ-  
ვის ერთ-ერთი მეთოდი ეკოლოგიური პირობების  
რაიმე უწყვეტი გრადიენტის გასწრივ სახეობათა  
მრავალრიცხოვნობის გამოსახვა (ლუკი 1962). ამ  
პროცედურას გრადიენტის ანალიზი ენოდება (უი-  
ტეკერი 1967). გრადიენტი შესაძლებელია ფიზიკური  
ცვლადების, მაგალითად ტენიანობის, ტემპერატუ-  
რის, მარილიანობის, გაშიშვლების ან სინათლის დო-  
ნის ნებისმიერ სიმრავლეს დაეფუძნოს (სურ. 26.8).  
ეკოლოგები გრადიენტის გასწრივ მდებარე განსხ-




**სურ. 26.9.** ბალახის ექვსი სახეობის განაწილება pH-ის გრადიენტის გასწვრივ. ესცამპსია ფლეხუოსა და ესტუკა ოვინა მჟავინობას შედარებით უკეთესად უძლებენ, ხოლო დაბარჩენი სახეობები უფრო ძირითად პირობებში ბინადრობს.



ვავებულ ადგილებს აკვირდებიან და ყურადღებას როგორც ზუსტ პირობებს, ასევე სახეობათა მრავალრიცხვნობას აქცევენ, ხოლო შემდეგ სახეობათა მრავალრიცხვნობებს გრადიენტის პირობების ფუნქციის სახით გამოსახავენ. დახურული საზოგადოების ორგანიზაციის ამოცნობა სახეობათა გავრცელებაში მკვეთრი ეკოტონების არსებობით ხდება (იხ. სურ. 26.9). 26.9 სურათზე ნაჩვენებია ბალახის ექვსი სახეობის გავრცელება პირადაცის გრადიენტის გასწვრივ.

კორნელის უნივერსიტეტის ეკოლოგ რობერტ უიტეკერის მიერ გრადიენტზე ჩატარებულმა კვლევებმა დახურული საზოგადოების შესახებ კლემენტსის



**სურ. 26.10.** ორეგონის სისკიუს მთებში 460-470 მეტრის სი მაღლებზე და სამხრეთ-აღმოსავლეთ არზონას სანტა კატალინას მთებში 1830-2140 მეტრის სიმაღლეზე მცენარეთა სახეობების განაწილება სინესტის გრადიენტების გასწვრივ. არზონას ფლორა უფრო მრავალფროვანია და სახეობები ვიწრო ეკოლოგიურ არეალებს მოიცავს. სანტა კატალინას მთების ფლორაში უფრო დიდი რაოდენობის სახეობა შედის, თუმცა საბოლოო ჯამში სისკიუს მთებში და სანტა კატალინას მთებში გავრცელებული სახეობების რაოდენობა თანაბარია. პერიოდულად რცცურნებული გავრცელების პროცენტი სტემს პერ პერიოდა - ლერობის რაოდენობა პერტარზე მოისტურება გრადიენტზე სტემს ერთ პერიოდა - ლერობის რაოდენობა პერტარზე


**სურ. 26.11.** ტენისის გრეით სმოუეის მთებში სიმაღლისა და ნიადაცის ტენიანობის მიხედვით ნითელი მუხის, თეთრი მუხის და ნიფელის განაწილება. ძირითადი ტყეების გაერთიანებების მიახლოებითი საზღვრები ზედა დიაგრამაზე არის გამოსახული: 1. ნიფელი; 2. ნითელი მუხა - ნაბლი; 3. თეთრი მუხა - ნაბლი; 4. ცოვე; 5. ტსუგა; 6. მთის მუხა - ნაბლი; 7. ფიჭვი. ფარდობით გავრცელებაზე გამუქების ხარისხი მიუთითებს.

შეხედულება ეჭვევეშ დააყენა. უიტეკერმა კვლევების უმეტესობა მთიან ტერიტორიებზე ჩატარა, სადაც ტენიანობა და ტემპერატურა სიმაღლის, დახრილობის და გაშიშვლების მიხედვით მცირე მანძილებზე იცვლება და ეს ფაქტორები გარკვეულ ადგილმდებარეობაზე სინათლის, ტემპერატურის და ტენიანობის დონეს განსაზღვრავს. უიტეკერმა ერთ სიმაღლეზე და ტენიანი ნიადაცის კონტინუუმის გასწვრივ აღმოჩენილი თითოეული მცენარის სახეობის მრავალრიცხვნობა გამოსახა და აღმოჩინა, რომ სახეობები უნიკალურ არეალებში ვრცელდება, ხოლო მრავალრიცხვნობა

ბის პიკები გარემოს გრადიენტის გასწვრივ არის გაბ-ნეული (სურ. 26.10). სამხრეთ-აღმოსავლეთ არიზონას მთებთან შედარებით ორეგონის მთებში უფრო ნაკლები სახეობის მცენარე ცოცხლობს, თუმცა თითოეული სახეობა ეკოლოგიურად უფრო ფართოდ არის გავრცელებული.

ტენესის გრეიით სმოუკის მთებში ხეების დომინანტური სახეობები მცენარეების გაერთიანებების გარეთ ფართოდ არის გავრცელებული (სურ. 26.11). მაგალითად, ნიოთლი მუხა დიდ სიმაღლეზე და შედარებით მშრალ ადგილებზე უკეთესად ხარობს, თუმცა ის ნიფელის, თეთრი მუხის ან წაბლის ტყეებშიც გახვდება და სმოუკის მთების მთელ სიმაღლეზე არის გავრცელებული. ნიფელას ნესტიანი ადგილები ნითელ მუხაზე მეტად უყვარს, ხოლო თეთრი მუხა მშრალ ადგილებზე არის გავრცელებული. ერთი და იგივე არეალში სამივე სახეობა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არის გავრცელებული (უიტეკერი 1952).

კონტინუუმის ცნების საშუალებით საზოგადოების სტრუქტურის აღწერის მეორე მეთოდი თავად საზოგადოებებისგან მიღებული მონაცემების საფუძველზე ერთი ან მეტი წარმოსახვითი ლერძის გასწვრივ საზოგადოებების მოთავსებაა. ამ პროცედურის შედეგად მიიღება გრაფიკი, რომელზეც საზოგადოება წერტილითაა წარმოდგენილი, ხოლო მსგავსი საზოგადოებები გრაფიზე ერთმანეთთან ახლოს მდებარეობს. დამხმარე სტატისტიკური პროცედურები კლასიფიკაციასთან არის კავშირში (კურტისი და



სურ. 26.12. კლასიფიკაციური ანალიზის მდგარითი. მრავალი საზოგადოების ფიზიურ პირობებზე დაკვირვებიდან მიღებული მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგად კლასიფიკაციის ორი ლერძი მიღება. ერთი ლერძი ნიადაგის ტენიანიბასთან დაკავშირებული გაზომვების გაერთიანებაა, ხოლო მეორე ლერძი ტემპერატურასთან არის კავშირში. შემდეგ თითოეული საზოგადოება ლერძებით განსაზღვრულ სივრცეში თავსდება და მისი მდებარეობა საზოგადოებაში არსებული პირობების საფუძველზე დგინდება. ანალიზი საზოგადოებაში შემავალ ორ ჯგუფზე ხდება. ჯგუფები ტემპერატურის თვალსაზრისით მხგავსია, თუმცა ნიადაგის ტენიანობა განსხვავებულია.

მაკინტოში 1951, მ ბრეი და კურტისი 1957, ლუკსი 1962, გაუჩი 1982, ტერ ბრაკი და პრენტისი 1988). ეკოლოგიკასიის კლასიფიკაციისთვის საჭირო მონაცემების მისაღებად ადგილობრივი საზოგადოებების დიდ რაოდენობას მოინახულებს და შემდეგ გარემო პირობების მნიშ-

## ცხრილი 26-21

ტყეთა შემადგენლობა ამერიკის შუა დასავლეთის ტყიან რეგიონში,  
სადაც ნიფელი და ნეკერჩხალი დომინირებს

სეთა პროცენტული მაჩვენელი საცდელ მდებარეობაზე

სახეობა	A	B	C	D	E	F	G	H	I	J
<i>Acer rubrum</i>						8	19		9	
<i>Acer saccharum</i>	17	13		14	7	28	4	6		49
<i>Carya ovata</i>	6	6	7	5		3			6	
<i>Fagus grandifolia</i>	33	21	5	17	72	40	7			
<i>Fraxinus americanus</i>	3	2		7	5	1	8	7	5	4
<i>Juglans nigra</i>		1		10				4		
<i>Liriodendron tulipifera</i>	21	15	2	5	10	1	1			
<i>Nyssa sylvatica</i>	4				2	6	1			
<i>Quercus alba</i>	8	1	63	7	15	46	3	13	8	
<i>Quercus borealis</i>	5	2	18	2			8	7	21	19
<i>Quercus macrocarpa</i>								4	1	
<i>Tilia americana</i>		13			2			31	19	16
<i>Ulmus americana</i>			1		9		3	36	25	1

შენიშვნა: ყველა სვეტი ცხრილში არშესულ მცირე სახეობებს 100%-ით არ მოიცავს. მდებარეობებია: A-D, ინდიანა, თურკეთ ლუკატანი; E, ოჰაიო, ოქსფორდი, ჰესტონის ტყეები; F, ოჰაიო, კანფილდი; G, ოჰაიო, უეინ ქანთრი გრაბერის ტყეები; H-J, ილინოისი, ევანსტონი, ჰარმსის ტყეები.

ვნელოვან ცვლადებს, მაგალითად pH-ს, ტენიანობას და ტემპერატურას ზომავს. საბოლოოდ ეკოლოგი თითოეულ საზოგადოებაში შემავალ სახეობათა მრავალრიცხოვნობას განსაზღვრავს. მონაცემების შეგროვების შემდეგ საქმეში სტატიკური პროცედურები ერთვება და მონაცემების საფუძველზე სივრცე იგება, რომელშიც ყველა საზოგადოება შეგვიძლია გავანაწილოთ. ყველაზე უფრო გავრცელებული ორგანზომილებიანი სივრცეა, რომელშიც სივრცის განმსაზღვრელი თითოეული ლერძი გარემო პირობების ცვლადების რამე კომბინაციისგან არის შედგენილი. მაგალითად, ერთი ლერძი ნიადაგის ტენიანობაზე და ტემპერატურასთან დაკავშირებულ სხვა ფაქტორებზე ზეგავლენის მქონე ცვლადებისგან შეიძლება შედგებოდეს (სურ. 26.12). ამგვარ სივრცეში გამოსახული საზოგადოებების განაწილება საზოგადოებებს შორის არსებული საზღვრების გამორჩეულობის ხარისხს გამოავლენს.

კლასიფიკაციის თანამედროვე მეთოდები სტატისტიკურ პროცედურებს, როგორებიცაა ძირითად კომპონენტთა ანალიზი, ურთიერთგასაშუალოება (შესაბამისობის ანალიზი) და მიმართული შესაბამისობის ანალიზი (გაუჩი 1982) ეფუძნება. ამ პროცედურების შედეგად კლასიფიკაციისთვის საჭირო ძირითადი ლერძები განისაზღვრება. პროცედურების ჩატარებისთვის სახეობათა მრავალრიცხოვნობის, განაწილების ან ფილოგენის შესახებ არსებული მონაცემებია საჭირო და არა ფიზიკური პირობების გრადიენტის მონაცემები, რის შედეგადაც საზოგადოებებს შორის არსებული მსგავსები დგინდება. ასეთი მონაცემები 26.1 ცხრილში არის მოყვანილი. 26.1 ცხრილი სახეობების და საცდელი მდებარეობების მატრიცა და მასში ხის თითოეულის სახეობის მრავალრიცხოვნობა (ადგილზე ხეთა მთლიანი რაოდენობის პროცენტი) თითოეულ საცდელ მდებარეობაზე მოცემული. სვეტები ჩამოთვლილი საცდელი მდებარეობების და მწკრივებში ჩამოთვლილი სახეობების კლასიფიკაცია შეიძლება იყოს ტაქსონომიური, გეოგრაფიული, ქრონოლოგიური ან პირობითი, მაგრამ არ შეიძლება იყოს ეკოლოგიური. მატრიცის თითოეული სვეტი ერთი ტყის მდებარეობაა. მაგალითად, მდებარეობაზე ძირითადად სამი სახეობა ცხოვრობს და ესენია: ცერ შაცცჰარუმ, აგუს რანდიფოლია და ირიოდენდრონ ტულიძიფერა. მდებარეობა ძალიან წააგავს მდებარეობას, მაგრამ აშკარად განსხვავდება ჩ მდებარეობისგან. მსგავსი მატრიცების დახმარებით კლასიფიკაციისთვის საჭირო დერძები მიიღება.

გრადიენტის და კლასიფიკაციის მეთოდების ნაკლი იმაშია, რომ ისინი მთლიანი საზოგადოებების მიახლოებით თვისებებს ეფუძნებიან და საზოგადოებების შემადგენელი სახეობების ფილოგენურ ისტორიას უგულვებელყოფენ. ჩვენამდე მოღწეული სახეობები ხანგრძლივი ევოლუციური ისტორიის შეზღუდვებს და პოტენციურ შესაძლებლობებს ასახავს.

საზოგადოების საზღვრების სიმკვეთრე ან ბუნდოვანება (საზოგადოების დახურულობა და გახსნილობა) მასში შემავალი სახეობების ევოლუციურ ისტორიაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. გარდა ამისა, სახეობათა გავრცელების ან მრავალრიცხოვნების შესახებ მონაცემების რეალური გარემო პირობების გარდიენტზე მორგება (გრადიენტის ანალიზი) ან მხოლოდ სტატისტიკური პროცედურის (კლასიფიკაციის) საფუძველზე საზოგადოებებში სახეობათა დაჯგუფება ნიშნავს, რომ ადგილობრივი გარემო პირობები სახეობათა გაერთიანებებზე ძირითად ზეგავლენას ახდენს. ასეთ პროცედურებში რეგიონალურ პროცესებზე (რიკლეფსი 1987, რიკლეფსი და შლუტერი 1993ა,ბ) და ფილოგენეტიკურ ისტორიაზე (ლოსოსი 1996) შეიძლება იყოს დამოკიდებული.

## 26.5. პროცედურგიური ჩანარევები გამოვლინების როგორც ცვლილება, ისე უცვევობრივი თანასაზოგადოებები

ტაქსონების ფილოგენეტიკური საფუძვლები და სახეობების ნარმომქნელი ბიოგეოგრაფიული პროცესები თანამედროვე საზოგადოებებში გარკვეულ-ნილად აისახება (რიკლეფსი და შლუტერი 1993ა,ბ). ნამარხების ისტორია ფრაგმენტულია, ვინაიდან ის საზოგადოებათა ორგანიზაციას შეეხება და ამავე დროს გაერთიანებების ცვლილებასა და სტაბილურობაზე ერთდროულად მიუთითებს. სახეობები ქრება და ჩნდება, მაგრამ მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა საკმარისად დიდია. ვინაიდან თანადომინანტურ სახეობათა გაერთიანებები ნამარხების ხანგრძლივი ისტორიაში ეფემერულად მოჩანს, ზოგიერთ დომინანტურ სახეობათა და მათთან ან მათში მობინადრე მცირეორგანიზმთა გაერთიანებები შესაძლოა მილიონობით ნლის წინათ განჩდა.

პლეიისტოცენის ხანაში ჩრდილოეთ ამერიკისა და ევრაზის კონტინენტის ძირითად ნაწილს მასიური მყინვარები პერიოდულად ფარავდა (იხ. სურ. 28.10). გლობალური კლიმატური პირობების ცვალებადობის შედეგად გაჩენილი დაბალი ტემპერატურის პირობებში მყინვარები სამხრეთისკენ ვრცელდებოდა, ხოლო ზომიერი ტემპერატურის პერიოდებში მყინვარები ჩრდილოეთისკენ ინაცვლებდა. ზომიერი ტემპერატურის პერიოდებს ინტერმყინვარული პერიოდები ეწოდება. ინტერმყინვარულ პერიოდში მცენარეთა საზოგადოებები ოდესალაც მყინვარებით დაფარულ არეალში ვითარდება. ამ საზოგადოებების ისტორიის შესახებ დიდ ინფორმაციას მივიღებთ, თუ აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ ევროპაში მყინ-


ვარების ლლობის შედეგად გაჩენილ ტბებსა და ჭაობებში შემონახულ ყვავილის მტვერს დავაკვირდებით. დაკვირვების შედეგად გამოჩნდება, რომ მცენარეთა გაერთიანებების შემადგენლობა დროთა განმავლობაში იცვლება, ხოლო ახალი სახეობების ინტეგრების შედეგად გავრცელების არეალი ფართოვდება და იკუმშება. მაგალითად, რაიტმა (1964, 1968) დამტკიცა, რომ ჩრდილოეთ ამერიკაში მომხდარ გამყინვარებას თან გატყიანება ახლდა და ტყეთა შუალედური გაერთიანებები იქმნებოდა, რომელიც დღესდღობით არ არსებობს. გატყიანების დასაწყისში ნაძვი დომინირებდა და ეს მდგომარეობა დაახლოებით 10000 ნლის ნინადელ პერიოდამდე გაგრძელდა, შემდეგ ფიჭვის და არყის გაერთიანებები გაჩნდა, ხოლო საბოლოოდ თელის და მუხის ტყეები განვითარდა.

გამყინვარების პერიოდში მყინვარების სამხრეთით მდებარე მცენარეები და ცხოველები გადარჩნენ და ამ ტერიტორიებს თავშესაფრები ეწოდებათ. უფრო თბილ პერიოდებში მყინვარები უკან იხევდა და მრავალი სახეობის გავრცელების არეალი ჩრდილოეთისკენ ფართოვდებოდა. გამყინვარების უკანასკნელი პერიოდის (10000-15000 ნლის ნინათ) შემდეგ სამხრეთ თავშესაფრიდან ხეთა სახეობების მიგრაციას დევისი (1965, 1976) დააკვირდა და ზოგიერთი სახეობებისთვის ეს პერიოდი 26.13 სურათზეა გამოსახული. ცუგას

და ჰიკორის შემთხვევაში გამყინვარების შემდგომი მიგრაცია სამხრეთის რეგიონებიდან ჩრდილოეთისკენ ხდება და გავრცელების არეალი აშშ-ს აღმოსავლეთია. თეთრი ფიჭვი და წაბლი კაროლინაში არსებული თავშესაფრებიდან გადაადგილდებიან და მათი გავრცელების არეალი როგორც დასავლეთისკენ, ასევე ჩრდილოეთისკენ ფართოვდება.

გამყინვარება დედამიწის ისტორიის ცვლილების ერთადერთი მიზეზი არ ყოფილა. კაუფმანმა და ფაგერსატრომმა (1993) რიფების შემადგენელ საზოგადოებებში მოხვედრილ ნამარხებზე ანალიზი ჩაატარეს და აღმოჩინეს, რომ სახეობათა მრავალფეროვნება გეოლოგიურ დროში ყოველმხრივ იცვლება. მასიური გადაშენდება და ეს მოვლენა ძალიან გავრცელებულია. კაუფმანის და ფაგერსატრომის თანახმად, გარემო პირობების ცვლილება საზოგადოების ორგანიზაციის ძლიერ ცვალებადობაზეა პასუხისმგებელი. რიფების შემადგენელ საზოგადოებებში შემავალ ნამარხებზე ჩატარებული დაკვირვებები უფრო დიდ ცვლილებებზე მიუთითებენ, ვიდრე დევისის მიერ ჩრდილოეთ ამერიკის ტყეებზე ჩატარებული იგივე სახის კვლევები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღესდღობით არსებული საზოგადოებები ნარსულში იგივე ადგილზე არსებული საზოგადოებებისგან განსხვავდება.

ზომიერი კლიმატის ზონებში გავრცელებულ ფართოფთლოვან ტყეებში შემავალი ხეების სახეობების შემადგენლობისა და რიფებზე მობინადრე საზოგადოებისგან განსხვავებით, მცენარეებისა და ცხოველების ბევრ გაერთიანებას სტაბილურობა ახასიათებს. ამ გაერთიანებების შესახებ არსებული ისტორიული ინფორმაცია ხშირად არაზუსტია. პარაზიტების მკებავ ორგანიზმებს და ბალაზისმჭამელ ცხოველებს ან ავადმყოფობის გამომწვევ ირგანიზებს შორის არსებული ტაქსონომიური კავშირები გაერთიანების ევოლუციური ისტორიის ხანგრძლივაზე მიუთითებს (ლინსლი 1961, ბრუკსი 1985). ნამარხებზე მომხმარებლური მოქმედებებიც კარგად ჩანს და ის თანამედროვე მომხმარებლების მიერ დატოვებული კვალებისგან დიდად არ განსხვავდება. მაგალითად, ოპლერმა (1973) თანამედროვე ლამის პეპლისთვის დამახასიათებელი ნაკალევი ჯერ კიდევ 20 მილიონის წლის ნინ გაქვავბულ მუხის ფოთოლში აღმოჩინა. სმიტმა (1985) ზღვის ბრაქიოპოდების დევონური პერიოდის ნამარხებში მუცელფეხა მტაცებლების მიერ გაკეთებული ნახვრეტები აღმოჩინა და ეს ნამარხები არაფრით განსხვავდება 100 მილიონის წლის შემდგომი ნამარხებისგან. მიკორიზული გაერთიანებების ნამარხები 100 მილიონ წელზე უფრო ხანდაზმულები არიან (სტაბლიფილდი, 1987). ურთიერთქმედებებში მონაწილეობი დროის იმ პერიოდში რა თქმა უნდა იგივე არ იყვნენ, თუმცა ურთიერთქმედი ორგანიზმების ჯგუფების გაერთიანებებს ხანგრძლივი ევოლუციური ისტორია და ბევრი საერთო აქვს.



**სურ. 26.13.** ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთით ხეთა ოთხი სახეობის გამყინვარების შემდგომი მიგრაცია პლეიისტოცენის თავშესაფრებიდან გავრცელების დღევანდელ არეალებამდე. გავრცელების ხაზებზე აღნიშნული რიცხვები ათასწლეულებს აღნიშნავს.

ბიოგეოგრაფიული ფაქტები ხანგრძლივი გაერთიანებების არსებობაზეც მიუთითებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სახეობათა ჯგუფები ერთად არის გავრცელებული (ლათამი და რიკლეფსი 1993). კენოზოური პერიოდის დასაწყისში ანუ დაახლოებით 60 მილიონი წლის წინ, ჩრდილოეთ ამერიკის, აზიის და ევროპის უზარმაზარი ტერიტორიები ზომიერი ტყეებით იყო დაფარული და ეს ტყეები დიდ სიგანეზე ვრცელდებოდა. დროთა განმავლობაში დედამინა გაცივდა და ზომიერი კლიმატის მოყვარულმა მცენარეებმა სამხრეთისკენ გადაინაცვლა, ტყეების აზიური და ამერიკული ნაწილები განცალკევდა და იზოლირებულ ტერიტორიებზე სახეობათა მხოლოდ რელიქტური ჯგუფები დარჩა (გრეჭემი 1972, თორნი 1972). დღესდღეობით, ფლორის ნაწილი მჭიდროდ დაკავშირებულ სახეობათა სიმრავლეა და მოიცავს მაგნოლიებს, როდოდენდრონებს, ტიტებს და გუმფისის ხეებს, რომელიც ამჟამად მხოლოდ აშშ-ს ზოგიერთ ნაწილში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გვხვდებიან. ზემოთ ნახსენებ ორ ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორების მსგავსება საუკუნეზე მეტი ხანია დადგენილია (გრეი 1860, ფერნალდი 1929, ლი 1952, ვულფი 1975, 1981). ამ ადგილებში გავრცელებული ტყეებისა და ჭაობების მობინადრე მრავალწლოვანი მცენარეები ფლორის ძირითად ნაწილს შეადგენს და ეს ნიშავს, რომ მცენარეთა საზოგადოებები და მათთან დაკავშირებული ცხოველები თანავოლუციას დიდი ხნის განმავლობაში განიცდიან. ტყის ფლორის სხვა კომპონენტებს განსხვავებული ბიოგეოგრაფიული ისტორია, ხოლო ველების ფლორას განსხვავებული საწყისები აქვს, თუმცა ფლორების შერევა თანამედროვე საზოგადოებას ქმნის და სახეობათა შორის ევოლუციურ ასიმილაციას ხელს არ უშლის.

## 26.6. ევოლუციური ისტორია შეიძლება დატოვოს განსაზღვრული ანაპატი თანასაზოგადოების რჩგანიზებაზე

ისტორია საზოგადოებაში მომხდარ პროცესებზე ზეგავლენას ორი მეთოდით ახდენს. ბუნებრივი გადარჩევა სახეობების მიერ საზოგადოებისთვის ბოძებულ ნიშან-თვისებებზე ახდენს ზეგავლენას და ეს ნიშან-თვისებები სახეობათა ევოლუციურ ისტორიას ასახავენ. მაგალითად, კონკურენციის პირობებში მომხდარი გადარჩევა ტროპიკული კოლიბრის ფრთებისა და ნისკარტების ზომებისა და ფლორების მრავალფეროვნებაზეა პასუხისმგებელი, რადგან კოლიბრებს სწორედ ასეთი მორფოლოგიური თვისებები ახასიათებთ. კოლიბრების საზოგადოება რბენის სიჩქარის მიხედვით არ ხასიათდება, ვინაიდან კოლიბრები საერთოდ არ დარჩიან. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ბუნება მისი შემადგენელი ნაწილების თვისებებით არის შემოზღუდული.

დედამინაზე სიცოცხლის ფორმების გავრცელება თანაბრად არ ხდება და ეს ფაქტი ევოლუციური ისტორიის მეორე შედეგზე მიუთითებს, რომლის მიხედვით, ზოგიერთ რეგიონში სხვაგან ფართოდ გავრცელებული ჯგუფები საერთოდ არ ბინადრობს. გავრცელების არათანაბრობა ძირითად კლიმატურ პირობებთან არის კავშირში. მაგალითად, გველები და ხვლიკები არქტიკის სიცივეს ვერ უძლებენ. გეოგრაფიული ბარიერებით გამოწვეული ისტორიული მოვლენები მცენარეთა და ცხოველთა ძირითადი ჯგუფების გავრცელებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს. გავრცელების ანომალია ყველაზე უფრო კარგად კუნძულებზე ჩანს. ავსტრალიაში ჩანთოსანი ცხოველებისა და ღამურების გარდა ძუძუმწოვართა ძირითადი ჯგუფები არ ბინადრობენ, ხოლო ზემოთხსენებული სახეობები დიდი მრავალფეროვნებით გამოიჩინა. პატარა, მოშორებულ კუნძულებზე მოხვედრას მხოლოდ მცირე რაოდენობის სახეობა ახერხებს.

## საზოგადოების სტრუქტურის ფილოგენური ანალიზი

სახეობებს ან სხვა ტაქსონებს შორის ევოლუციურ კავშირებთან შეხება ფილოგენიას აქვს, ხოლო ფილოგენიის ანალიზს ფილოგენური ანალიზი ეწოდება (ჰარვეი და პაგელი 1991). ფილოგენური ანალიზის მიზანი საერთო ნინაპრისგან ნარმოშობილ სახეობებს ან ტაქსონებს შორის კავშირების შესწავლაა. ამგვარი კავშირები გამოსახულია დიაგრამაზე, რომელსაც კლადოგრამა ეწოდება (იხ. სურ. 2.11). კლადოგრამა პატარა ხეს ან ბუჩქს მოგვაგონებს, მის სათავეზე საერთო ნინაპრია გამოისახული, ხოლო დღევანდლამდე შემონახული ტაქსონები შტოებით არის წარმოდგენილი. შტოების განტოტების ადგილები მიუთითებენ, რომ ევოლუციურმა მოვლენამ ახალი სახეობის ან ტაქსონის წარმოშობა გამოიწვია. თუ წინაპრიდან თანამედროვე სახეობამდე გავლებული ხაზი აღნიშნული არ არის, მაშინ თანამედროვე სახეობა წინაპარს მოგვაგონებს, ხოლო თუ ხაზი უფრო პატარა ხაზით ან პატარა ყუთით არის აღნიშნული, მაშინ თანამედროვე სახეობამ ცვლილება განიცადა. ჩვენ კლადოგრამის აგების დეტალებს არ ჩავუდრმავდებით და მას მხოლოდ საზოგადოების სტრუქტურაზე მომხდარი ფილოგენიის ზეგავლენის წარმოდგენისთვის გამოვიყენებთ.

ეკოლოგები უკანასკნელ წლებში ფილოგენურ მეთოდებს სახეობათა მრავალფეროვნებაზე და საზოგადოების სტრუქტურაზე ისტორიული პროცესების ზეგავლენის შესწავლისთვის იყენებდნენ (ლოსოსი 1996). საზოგადოების მოდელის შესახებ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად ფილოგენური ანალიზის გამოყენების მთავარი მიზანი ის არის, რომ შედარებით თანამედროვე ურთიერთქმედებების, მაგ-

ალითად კონკურენციის და მტაცებლობის შედეგები სახეობათა გავრცელებაზე მომხდარი ისტორიული მოვლენებისა და გენეალოგიური ზეგავლენისგან განასხვავონ. ფილოგენური მეთოდების საშუალებითეკოლოგები საზოგადოების სტრუქტურის მსგავსებაში გარემო ფაქტორების მნიშვნელობასაც სწავლობენ. საზოგადოების სტრუქტურისა და ფუნქციის შესწავლაში ფილოგენური ანალიზის გამოყენების მეთოდები ბრუჯსმა, მაკლელანმა (1991, 1993) და ლოსოსმა (1992, 1996) დახვერქს, ხოლო ეს საკითხი დაწვრილებით მაილზმა და დუნპამმა (1993) შეისწავლეს.

26.14 სურათზე ნაჩენებია, თუ როგორ გამოიყენება ფილოგენური ანალიზი სამ განსხვავებულ რეგიონში მობინადრე მარტივი საზოგადოებების შედარებისთვის. თითოეული ჰიპოთეტური საზოგადოება (კალიფორნიაში, ვირჯინიაში და ფლორიდაში) სამ სახეობას, კერძოდ მცენარეს, ბალასისმჭამელ და ხორცისმჭამელ ცხოველს შეიცავს. სურათზე გამოსახულია ოთხი განსხვავებული მდგომარეობა. 26.14ა სურათზე ჩანს, რომ ჰიპოთეტური საზოგადოებების ტროფიული სტრუქტურა სამივე საზოგადოების ფორმაციიდან იღებს სათავეს. ლოსოსმა (1996) ასეთი მდგომარეობა დასავლეთ კარიბის პატარა კუნძულებზე მობინადრე ხვლიკ ნოლის-ებისთვის აღნერა. საგრეი და .მაცნარდი სახეობები რეგიონის მრავალ კუნძულზე გვხვდება და ისინი გავრცელების სხვადასხვა არეალებს იკავებს. გავრცელებათა არეალების ამგვარი დაყოფა შესაძლოა კონკურენციით არის გამოწვეული, თუმცა ლოსოსი ვარაუდობს, რომ გავრცელების არეალები ძალიან დიდი ხნის წინათ დაიყო და ამ ორი სახეობის სხვა კუნძულებზე გადასვლის შემდეგ მდგომარეობა შენარჩუნდა.


26.14ბ სურათზე გამოსახულია ახალი ეკოლოგიური გაერთიანების წარმოქმნის პროცესი (მტაცებლის პარაზიტის დამატებით) ფლორიდის საზოგადოებაში. პარაზიტთა სახეობები კალიფორნიის ან ვირჯინიის საზოგადოებებში არ გვხვდება, მაგრამ ისინი მექსიკის და ალაბამას საზოგადოებებში კარგად არიან ცნობილი. მაშასადამე, ფლორიდის საზოგადოებაში შემავალი ახალი ეკოლოგიური გაერთიანება ახალი კომპონენტის შემოსვლის შედეგია. ახალი გაერთიანებები მაშინ შეიძლება გაჩნდეს, როდესაც სახეობათა წარმოქმნა ხდება და ეს შემთხვევა 26.14გ სურათზეა ნაჩენები. სურათზე კარგად ჩანს, რომ კალიფორნიაში სახეობათა წარმოქმნის შედეგად საზოგადოების ახალი ნევრი ჩნდება და მას საჭმლის მოპოვების ახალი სტრატეგია აქვს (ყველაფრისმჭამელია). ვირჯინიის და ფლორიდის საზოგადოებებში ახალი გაერთიანება არ შეინიშნება. 26.14დ სურათზე გამოსახულია შემთხვევა, როდესაც ეკოლოგიურ კაშშირებს შორის სხვაობა ვირჯინიის და ფლორიდის პოპულაციათა ჩამოყალიბებამდე მეორე, უფრო დიდი მტაცებლის შემოჭრით არის გამოწვეული. მაშასადამე, მექვიდრეობით

ტროფულ სტრუქტურაში მტაცებელი და ორი დიდი მტაცებელი შედან, ხოლო მტაცებელი ვირჯინიის და ფლორიდის თანამედროვე საზოგადოებებშიც განაგრძობს არსებობას.

მარტივი ანალიზის შედეგად გამოჩნდა, თუ როგორ ახდენს სახეობების წარმოშობა და ეკოლოგიური გაერთიანებების ისტორიული ცვლილებები თანამედროვე პოპულაციათა სტრუქტურაზე ზეგავლენას. იგივე ტიპის ანალიზი ეკოლოგს საზოგადოების სტრუქტურის შესწავლას უადვილებს. მაგალითად, ფილოგენური ანალიზის შედეგად გამოჩნდება, რომ 26.14დ სურათზე გამოსახული საზოგადოებების სტრუქტურებს შორის მსგავსება ფილოგენური ისტორიით უფრო არის გამოწვეული, ვიდრე ადგილობრივი გარემო პირობების მსგავსებით. კალიფორნიის და ვირჯინიის საზოგადოებებში პარაზიტის არარსებობა უფრო ფლორიდის საზოგადოებაში პარაზიტის გეოგრაფიული გავრცელების არეალით არის გამოწვეული, ვიდრე კალიფორნიის, ვირჯინიის და ფლორიდის საზოგადოებებში ეკოლოგიურ გაერთიანებათა მრავალფეროვნებით. ვირჯინიის და ფლორიდის საზოგადოებებში მეორე მტაცებლის არსებობის მიზეზის დასადგენად უნდა გავარკვიოთ, თუ რა მოხდა ამ საზოგადოებების ჩამოყალიბებამდე, ხოლო მათსა და კალიფორნიის საზოგადოებას შორის ეკოლოგიური კაშშირების შედარება ბევრს ვერაფერს მოგვცემს.

## მსგავსება და საზოგადოების სტრუქტურა

განსხვავებული ეკოლუციური ისტორია და მცენარეთა და ცხოველთა ტაქსონომიური მსგავსება ფლორმის და ფუნქციის მსგავსების შედეგად ნაკლებად გარჩევადი ხდება. მაგალითად, ფაუნაში შეიძლება კოდალები არ შედიოდნენ, მაგრამ სხვა სახეობები მათ ადგილს ნამდვილად დაიკავებს (სურ. 26.15). აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ტყეებში სხვადასხვა ეკოლუციური წარმოშობის მქონე მცენარეები და ცხოველები ბინადრობენ, თუმცა მათ შესამჩნევად მსგავსი გარეგნობა აქვთ (კისტი 1972, ბურლი 1973; სურ. 26.16). ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის უდაბნოებში არსებული მცენარეები და ცხოველები მორფოლოგიურად უფრო მსგავსია, ვიდრე ეს მათი განსხვავებული ფილოგენური წარმოშობიდან არის მოსალოდნელი (მარესი 1976, ორიანის და სოლბრიგი 1977). მსგავსება ასევე შეინიშნება ავსტრალიური და ჩრდილოეთ ამერიკული ხვლიკების მოქმედებებსა და ეკოლოგიაში, თუმცა ისინი სხვადასხვა ოჯახებს მიეკუთვნებიან და მათ შორის დაახლოებით 100 მილიონი წლის სხვაობაა (პიანკა 1971). სამხრეთ ევროპის, სამხრეთ აფრიკის, კალიფორნიის, ჩილეს და ავსტრალიის ხმელთაშუაზღვისპირეთის კლიმატურ ზონებში გავრცელებული მცენარეები ზამთრის




წვიმებისა და ზაფხულის გვალვისადმი მორფოლო-გიურად და ფიზიოლოგიურად ადაპტირებულია და ამ თვალსაზრისით ერთმანეთს გავს (მუნი და დანი 1970, მუნი 1977).

კარგად და კვირვებით მსავსება აშკარად ჩანს და ეს ფაქტი ამყარებს მოსაზრებას, რომ საზოგადოების ორგანიზაცია უფრო ადგილობრივ გარემო პირობებზე დამოკიდებული, ვიდრე საზოგადოების შემადგენლი სახეობების ევოლუციურ საწყისებზე. ხშირად სახეობათაშორის თავსებადობაც სახეზეა, რაც გარე-მო პირობების მიერ სახეობათა თვით განვითარებას მოიხსენიერს.

ლვორაზე მიუთითებს ანუ თვისებები მხოლოდ კლიმატ-სა და სხვა ფიზიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. სხვადასხვა ფილოგენური ფონის გამო, მცენარეები და ცხოველები ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენენ. შექმნილი მდგომარეობა ძალიან წაგავს კალათბურთის გუნდს, რომელიც უფრო დიდი მტაცებელი ფირჯაინის და ფლორიდის საზოგადოებების დაყოფამდე შემოდის და შედეგად ამ საზოგადოებებში ახალი მტაცებელი ჩნდება.


მიუხედავად ზემოთქმულისა, სახეობებს შორის

**სურ. 26.14.** კალიფორნიის, კორჯინიის და ფლორიდის სამი ჰიპოთეტური საზოგადოების სახეობებს შორის ფილოგენური კავშირები. თათოეული საზოგადოების ტროფული სტრუქტურა სურათის მარჯვენა შარქს მოცემულ კვების ჯაჭვის დიაგრამაზე გამოსახული. სხვადასხვა ტროფიულ დონეზე სახეობებს შორის ფილოგენური კავშირები სურათის მარცხნიან მხარეს გამოსახულ კლადოგრამებზე არის ნაჩვენები. მუქი შავი ნიშვე სახეობათა რამე გაერთიანების წარმოშობაზე მიუთითებს, ხოლო დანარჩენი ნიშვეები ეკოლოგიურის ცვლილებას ასახავს. ა) სამივე საზოგადოებას ერთნაირი ტროფიული სტრუქტურა აქვს, ვინაიდან კავშირები საზოგადოებებს შორის განსხვავების გაჩე-ნამდე წარმოიქმნა. ბ) ახალი ეკოლოგიური გაერთიანება პარაზიტის დამატების შედეგად ფლორიდის საზოგადოებამ და არა კალიფორნიის ან კორჯინიის საზოგადოებაში ჩნდება. გ) კალიფორნიის საზოგადოებაში სახეობების წარმოშობა მომხმარებლის ახალი სახეობის (ყველაფრისმჭამელი ცხოველის) გაჩენას ინვერს. დ) უფრო დიდი მტაცებელი ფირჯაინის და ფლორიდის საზოგადოებების დაყოფამდე შემოდის და შედეგად ამ საზოგადოებებში ახალი მტაცებელი ჩნდება.



**სურ. 26.15.** ერთმანეთისგან განსხვავებული ფრინველები  
ხიდან მწერებს იტაცებენ. ა) ევროპული მწვანე კოდალა ნისკარტის  
საშუალებით ხეს ჩიჩქის და გრძელი ენით სინჯავს; ბ) ჰავაიური  
კაუჭნისარტა მოკლე ქვედა ყბით იჭერს და შემდეგ გრძელ ზედა  
ყბით სინჯავს; გ) გალაპაგოსის კოდალა ნისკარტით თხრის და შემ-  
დეგ ნემსით სინჯავს; დ) ბამალი ახალზელანდიური ჰუია (გადაშენდა)  
მოკლე ნისკარტით თხრის, ხოლო ე) დედლი ჰუია გრძელი ნისკარ-  
ტით სინჯავს.

თავსებადობა დაწვრილებით შესწავლილი არ არის (რიკლეფსი და ტრევისი 1980). მართლაც, მსგავსებაზე კარგად დაკვირვება ცხადყოფს, რომ ერთი და იგივე გარემო პირობებში არსებულ მცენარეებსა და (ცხოვე-  
ლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მარესმა შენიშნა (1976), რომ სამხრეთ ამერიკის მონტეს უდაბ-  
ნო სამყაროს ერთადერთი გაუდაპნოებული რეგიონია,  
სადაც მარცვლისმჭამელი, ორფეხა და წყლისგან და-  
მოუკიდებელი მლრღნელები ჩრდილოეთ ამერიკული  
ჩანთოსანი ვირთხებისა და აზიური მექვიშიების მს-  
გავსად არ ბინადრობენ. მიუხედავად ამისა, სამხრეთ  
ამერიკული ბაყაყებისა და გომბეშოების ზოგიერთმა  
სახეობამ უდაბნო პირობებისადმი უფრო კარგად  
გაიარა ადაპტაცია, ვიდრე მათმა ჩრდილოეთ ამერი-  
კულმა ანალოგიებმა. ეს სახეობები ქაფისგან ბუდეებს  
აგებს, რომელშიც მათი კვერცხები გამოშრობისგან



**სურ. 26.16.** მორფოლოგიური  
მსგავსება კავშირის არმქონე აფრი-  
კულ (მარცხნივ) და ნეოტროპიკულ  
(ზარჯვნივ) ძუძუმწოვრებს შორის.



**სურ. 26.17.** მანგროვის ხეები კოსტა-რიკაში, წყნარი ოკეანის სანაპიროს დელტაში. სურათის მარცხენა ნაწილში ღარიშოპპორა ხეების ფესვები, ხოლო სურათის მარჯვენა ნაწილში ელალიციერა-ს რტოები ჩანს. ხეები ჭუჭუიან სუბსტრატზე იზრდებიან და მიქცევა-მოქცევის ზონაში ბინადრობენ. მარილიანი წყალი ნიადაგს ჰერიოდულად ფარავს.


დაცულია (ბლერი 1975). ავსტრალიური ხვლიკი მ-პჰიბოლურუს ინერმის და ჩრდილოეთ ამერიკული იგუანა ერთმანეთს გვანან, თუმცა მათ შორის სხვაობა კვების რაციონში, აქტივობის ოპტიმალურ ტემპერატურაში, სოროების გაკეთებასა და წლიურ ციკლშია (პიანკა 1971).

რიკლეფსის და ლათამის (1993) მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, მანგროვის ხის მსგავს პირობებში მობინადრე საზოგადოებებს შორის მკვეთრი განსხვავება გამოვლინდა. მანგროვის ხეები ტროპიკულ ტყეებში ხარობენ, რომლებიც მდინარეთა დელტებისა და ზღვის ნაპირის მიქცევა-მოქცევის ზონებში გვხვდები-

ან (სურ. 26.17). მანგროვის ხეები მარილის მაღალ შემცველობას კარგად ეგუებიან და ფესვები წყლით გაჟერებულ ნალექ ქანებში აქვთ გადგმული. მანგროვის გაგრცელების ადგილებში სმელეთის ხეების 15 გვარი კოლონიზაციას დამოუკიდებლად ახდენს და რამდენიმე მათგანი შემდგომში კიდევ უფრო მრავალ-ფეროვნდება. ვესტ-ინდიის წყნარი ოკეანის მანგროვის ხეების კიდევ უფრო დიდი მრავალფეროვნების ახსნა გავრცელების ადგილის დახმარებით შეუძლებელია, ვინაიდან ორივე რეგიონში მანგროვის ხე თანაბარ ფართობზეა გავრცელებული (სურ. 26.18). ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში, აღმოსავლეთ აფრიკასა და მადაგასკარში (რეგიონში), მანგროვის ხეებისთვის შესაფერისი არეალის სიმცირე მანგროვის ხის მცირე მრავალფეროვნების ახსნა შეიძლება იყოს. მანგროვის ხეების სახეობათა რაოდენობის ძლიერი ცვალებადობა შესაძლოა მცენარეთა ტაქსონითაც ავხსნათ, რომელიც მანგროვის ხის გავრცელების ადგილზე ინდოდასავლეთ წყნარ იკეანები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე კარიბის რეგიონში, თუმცა ამის მიზეზები ნათელი არ არის.

### თანაევოლუცია და საზოგადოების სტრუქტურა

საზოგადოების ორგანიზაციის ფორმირებაში ევოლუციური ისტორიის მნიშვნელობის გასაგებად ევოლუციური პროცესის დამოუკიდებელი ბუნება უნდა გავიაზროთ (ტომპსონი 1994). სახეობათა ევოლუციური ისტორია თანაევოლუციის პროცესის შედეგად სხვა სახეობების ისტორიასთან მჭიდროდ და რთულად არის დაკავშირებული. მცენარეებსა და ბალახისმჭამელ ცხოველებს, ასევე პარაზიტებსა და მათ



**სურ. 26.18.** მანგროვის ხეების გაგრცელების საზღვრები (შავი ხაზები) სამყაროს კონტინენტებისა და კუნძულების სანაპიროების გასწრევა: ბლოკები ექვსივე რეგიონში მანგროვის გავრცელების არეალის (ნაცრისფერი ფერით) სიდიდეს და მანგროვის ხეებისა და ბუჩქების (მწვანე ფერით) სახეობათა რაოდენობას გვიჩვენებს. რეგიონებია: A - წყნარი ოკეანის აღმოსავლეთი; - კარიბის ზღვა და ატლანტიკის ოკეანის დასავლეთი; C - ატლანტიკის ოკეანის აღმოსავლეთი; D - ინდო-ოკეანის დასავლეთი; E - ინდო-ოკეანის ოკეანის დასავლეთი; F - წყნარი ოკეანის დასავლეთი.

მკვებავ ორგანიზმებს შორის რთული მორფოლოგიური და ქცევითი ადაპტაცია მიუთითებს, რომ საზოგადოების ორგანიზაცია ამგვარ კავშირებს ასე თუ ისე ასახავს. მაინც როგორ ქმნის თანაევოლუცია საზოგადოების ორგანიზაციის ფორმას?

ამ შეკითხვაზე პასუხი სრულყოფილად გაცემული არ არის, თუმცა პასუხის პოვნა შესაძლებელია, თუ თანაევოლუციის გეოგრაფიულ, მოზაიურ მოდელს ავაგებთ (ტომპსონი 1994). თანაევოლუციური სახეობები ბევრი ადგილობრივი საზოგადოების ძირითადი კომპონენტია. მაგალითად, ნექტარის წარმომქნელი ყვავილები და მათ დამტკერვაზე პასუხისმგებელი კოლიბრების ცალკეული ოჯახები ცენტრალური და სამხრეთ ამერიკული საზოგადოებების შემადგენელი ნაწილია (ფეინზინგერი 1978, სტილესი 1985). ამ საზოგადოებების შემადგენელ ნაწილებს შორის ადგილობრივი ურთიერთქმედებების ექსპერიმენტულმა კვლევებმა დამამტკერებსა და ყვავილებს შორის არსებული კონკურენცია გამოავლინა, რაც თავის მხრივ ადგილობრივი საზოგადოების ორგანიზაციის მექანიზმებზე გვაძლევს წარმოდგენას (ფეინზინგერი და ტაიბაუტი 1991, ფეინზინგერი 1991). ყვავილებსა და მათ დამტკერვაზ ფრინველებს შორის კავშირები რეგიონალურ შეალაზე იცვლება და ზოგჯერ ძალიან მკვეთრადაც. გარკვეული სახეობის ფრინველები რამე ადგილზე გარკვეული სახეობის ყვავილს არჩევენ, თუმცა სხვა ადგილზე შესაძლოა ტაქსონმიურად მოშორებული, განსხვავებული სახეობები აირჩიონ. სახეობათაშორის ბრძოლისა და მტაცებლობის შესწავლა საზოგადობის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში ასეთი ურთიერთქმედებების მნიშვნელობას სრულად არ ავლენს და საჭიროა საზოგადოებაზე მომხდარი გეოგრაფიული და ისტორიული ზეგავლენის გათვალისწინება. ადგილობრივი, ადაპტირებული სახეობების ურთიერთქმედებების შესწავლა საზოგადოების სტრუქტურაში თანაევოლუციის მნიშვნელობას სრულყოფილად ასევე არ გვიჩვენებს.

## 26.7. თანასაზოგადოების მახასიათობები და სივრცის მასშტაბზე პროცესების იერარქიების სახეობათაშე

ეკოლოგებს საზოგადოებისა და მისი სტრუქტურის რეგულირების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. ნათელია, რომ საზოგადოების ცნების გამოყენება თანამედროვე, ფიზიკურად შემოზღვუდული ადგილისთვის შეუძლებელია, ვინაიდან საზოგადოების თვისებები ისტორიული, რეგიონალური და ადგილობრივი პროცესების შედეგების გაფართოების შედეგად იქმნება. შემოსაზღვრულ არეალზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად საზოგადოება დროსა და სივრცეში მდებარე ათვლის

წერტილად უნდა წარმოვიდგინოთ, რომლისგანაც პოპულაცია და ევოლუციური ზეგავლენა იღებს სათავეს, ხოლო წარმომქმნელი ძალა დროსა და სივრცეში სუსტდება. ეს წერტილი ზეგავლენას ახდენს და ამავე დროს სხვა წერტილებისგან იგივე ტიპის ზეგავლენას განიცდის, ხოლო მისი ძალა მანძილთან ერთად მცირდება. მოცემულ წერტილში მდებარე საზოგადოების თვისება ყველა ამ ზეგავლენას აირევალავს და ამიტომ საზოგადოებას ფიქსირებული საზღვარი კი არ გააჩნია, არამედ ზეგავლენის სფეროს წააგავს, რომლის სიმკვრივე ცენტრზე უფრო მეტია, ხოლო რადიუსის ზრდასთან ერთად მცირდება. აქედან გამომდინარე, საზოგადოების ეკოლოგის ინტერესის სფეროს მოცემულ წერტილში მდებარე საზოგადოების სტრუქტურის ფორმის ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანი პროცესები წარმოადგენს.

პროცესთა რამდენიმე სახეობა მნიშვნელოვანია და თითოეულ მათგანს დროისა და სივრცის განსხვავებული დამახასიათებელი შეალაზნება აქვს. სივრცის შეალაზნება ინდივიდუების მოქმედების არეალს, პოპულაციათა შიგნით ინდივიდუების გეოგრაფიულ და ეკოლოგიურ გაბნევასა და პოპულაციათა გეოგრაფიული არეალების შეზღუდვას შორის იცვლება. დროის შეალაზნების და პოპულაციათა შიგნით გენოტიპების სელექციური ჩანაცვლების მიხედვით იცვლება. საზოგადოების ატრიბუტების ფორმირებაზე ადგილობრივი, თანამედროვე პროცესები უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე რეგიონალური ან ადგილობრივი პროცესები და ეს უპირატესობა პროცესების სივრცის და დროის შეალებზეა დამოკიდებული. გარკვეულ წერტილზე არსებული პოპულაციის ბედი მიუღებელ ფიზიკურ პირობებს, შიდა დაპირისპირებასა და მტაცებლობას შორის ბალანსზეა დამოკიდებული (შმიდა და უილსონი 1982, პულიამი 1988). რამე წერტილზე არსებულ სახეობათა მრავალფეროვნება გადაშენების ადგილობრივ ტემპსა და სახეობათა წარმოქმნისა თუ ემიგრაციის რეგიონალურ ტემპებს შორის ბალანსზეა დამოკიდებული (მაკარტური 1969). გადაშენების მიზნი მტაცებლები, ავადმყოფობა, კონკურენცია და ფიზიკური გარემოს ცვლილებაა. ადგილობრივი მრავალფეროვნება არა მხოლოდ გარემოს მიერ სახეობების შენარჩუნების უნარზეა დამოკიდებული, არამედ კოლონისტებისთვის რეგიონის მისამვდომობაზე, სახეობების წარმოშობის გზით რეგიონში სიცოცხლის ახალი ფორმების წარმოქმნაზე და გარემო პირობების ცვლილების ფონზე მრავალფეროვნების შენარჩუნებაზე. ეკოლოგია აქცენტს ტრადიციულად ადგილობრივ, თანამედროვე სისტემებზე აკეთებს, თუმცა მისი ცნება უნდა გაფართოვდეს, რათა გლობალური და ისტორიული პროცესები მოიცვას.

## დასკვნა

1. საზოგადოება არის გარკვეულ ადგილზე მცხოვრებ ორგანიზმთა ჯგუფი. საზოგადოება ხასიათდება სტრუქტურით, რაც სახეობათა რაოდენობას, ტიპებს და ფარდობით გავრცელებადობას მოიცავს, ასევე ვეგეტაციის ფიზიკური თვისებებით და სახეობათა-შორის ტროფული კავშირებით. საზოგადოებას გააჩნია ფუნქცია, რომელიც ენერგიის დინების ტემპს, პროდუქტულობას და გარემო პირობებისადმი მდგრადობას მოიცავს.
2. ორგანიზმთა ჯგუფებს, რომლებიც რესურსთა სიმრავლეს ერთნაირად იყენებენ, კავშირები ეწოდება. ფილოგენურად დაკავშირებულ ორგანიზმებს ოჯახი ეწიდებათ. ეკოსისტემა ფიზიკური და ბიოლოგიური სამყაროს ყველა ურთიერთქმედ ნანილს მოიცავს, ხოლო საზოგადოებაში მხოლოდ გარკვეულ ადგილზე მობინადრე ორგანიზმები შედიან.
3. მე-20 საუკუნის დასაწყისში, საზოგადოების ბუნების შესახებ ორი საპირისპირო მოსაზრება გამოითქვა. ბოტანიკოს ფ.ე. კლემენტსის აზრით, საზოგადოები სუპერორგანიზმებია, რომელთა კომპონენტები სხეულის ორგანოების მსგავსად ურთიერთქმედებს. მაშასადამე, საზოგადოებაში შემავალი სახეობები მთლიან საზოგადოებასთან რთულად არის დაკავშირებული და აქედან გამომდინარე, დახურულია. პ.ა. გლისონის აზრით, საზოგადოებები ორგანიზმთა შემთხვევითი გაერთიანებებია და მათი გავრცელება ადაპტირების უნარზეა დამოკიდებული ანუ საზოგადოებები გახსნილია.
4. საზოგადოებები სახეობათა შემადგენლობებს შორის მკვეთრი გადასვლებით განცალკევებული ერთეულები არ არიან, როგორც ამას კლემენტსი ვარაუდობდა. სახეობები პირობების ეკოლოგიური გრადიენტების გარშემო ვრცელდება და სხვა სახეობების გავრცელებაზე დამოკიდებული არ არის (გლისონის თვალსაზრისი).
5. მცნარეთა და ცხოველთა გაერთიანებებს შორის არსებულ წყვეტებს ეკოტონები ეწოდება. ეკოტონები მკვეთრ ფიზიკურ საზღვრებზე ჩნდება ან რამე არეალში დომინანტური ფორმების ცვლილებას მოსდევს თან. წყალსა და ხმელეთს შორის გადასვლა

ეკოტონის პირველი სახეობის მაგალითია, ხოლო პრერიასა და ტყეს შორის გადასვლა ეკოტონის მეორე სახეობას ასახავს. გავრცელების არეალების დაყოფა ეკოტონების მოცულობაზე ზეგავლენას ახდენს. რაც უფრო დაყოფილია გავრცელების არეალი, მით უფრო მეტი ფართობია გავრცელების არეალის კიდესთან. მეტასაზოგადოება ადგილობრივ საზოგადოებათა სიმრავლეა. ადგილობრივი საზოგადოებები გავრცელების განცალკევებულ არეალებზე არსებობენ, რომელთაც საზოგადოებაში არსებული ორგანიზმების გაბნევა აკავშირებთ.

**6.** გარემო პირობებისადმი და სხვა სახეობების გავრცელებისადმი სახეობათა გავრცელების ანალიზისთვის ეკოლოგებმა გრადიენტის ანალიზის სხვადასხვა მეთოდი შემუშავეს. გრადიენტის ანალიზისას ეკოლოგები ფიზიკური პირობების შეალაზე საცდელ ტერიტორიებს განალაგებენ. გარემო პირობების გრადიენტების გასწრივ სახეობათა გავრცელება საზოგადობის ღია სტრუქტურაზე მიუთიერებს.

**7.** ნამარხები და ბიოგეორაფიული ფაქტები ცხადყოფენ, რომ საზოგადოება დროში შეიძლება შეიცვალოს, რაც მიგრაციით და შემადგენელი პოპულაციების გადაშენებით აიხსნება.

**8.** ფილოგენური ანალიზის გამოყენებით სახეობათა შორის ეკოლუციური კავშირების შესწავლა ხდება, ხოლო ანალიზის შედეგი კლადოგრამაზე მოიცემა. კლადოგრამების შეფასება საზოგადოების სტრუქტურის განვითარების შესახებ ინფორმაციას გვაძლევს.

**9.** დაშორებულ ადგილებში, მაგრამ მსგავს ეკოლოგიურ პირობებში ჩამოყალიბებული საზოგადოებების შესწავლის შედეგად ცხადია, რომ მსგავსების მიუხედავად, ისტორია ადგილობრივი საზოგადოებების ატრიბუტების ფორმირებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს.

**10.** საზოგადოებების თვისებები დროისა და სივრცის სხვადასხვა შეალებზე მომხდარი პირცესების იერარქიით არის გამოწვეული. საზოგადოებების ეკოლოგიური შესწავლისას აქცენტი რეგიონალურ და ისტორიულ პროცესებზე, ასევე ადგილობრივ, თანამედროვე პროცესებზე უნდა გაკეთდეს.

## სავარჯიშოები

1. აუხსენით ეკოლოგიაში გაუთვითცნობიერელ ადამიანს, თუ რა განსხვავებაა ეკოლოგიურ საზოგადოებას და ეკოსისტემას შესახებ გამოთქმული მოსაზრებები.
2. შეადარეთ ეკოლოგიური საზოგადოებისა და ეკოსისტემის შესახებ გამოთქმული მოსაზრებები.

**3.** როგორ შეიძლება თანაევოლუციის გეოგრაფიული მოზაოქის მისადაგება საზოგადოების სტრუქტურისთვის?

## თავი 27



### ნინასაზოგადოების სტრუქტურა

#### გზამკვლევი კითხები

- როგორ მოქმედებს ადგილობრივი და რეგიონალური ფაქტორები საზოგადოებათა სტრუქტურაზე?
- რა არის ადრე დაუფლების ნიშა და როგორ გამოიყენება ის სახეობათა სიმრავლის მოდელირებაში?
- რა განსხვავებაა პირობით ნიშასა და სახეობათა სიმრავლის მოდელების გეომეტრიულ მიმდევრობას შორის?
- რა მნიშვნელობა აქვს ლოგინორმალურ გავრცელებას საზოგადოების ეკოლოგიაში?
- როგორ გამოიყენება სიმპსონის და შენონ-ვივერის ინდექსები სახეობათა მრავალფეროვნების გაზომვისთვის?
- რა განსხვავებაა ტაქსონომიურ და ეკოლოგიურ მრავალფეროვნებას შორის?
- რატომ არის სიმეჩერე სასარგებლო მრავალფეროვნების შესწავლისას?
- რა ჰქონდა პერიოდული განვითარების მინიმუმი სახეობათა რაოდენობასა და სახეობათა ურთიერთებების შესახებ?
- რა მოსაზრება პერიოდული განვითარების მინიმუმი სახეობათა რაოდენობასა და სახეობათა ურთიერთებების შესახებ?
- რა ხუთი სახეობის არაპირდაპირი ზეგავლენა ხდება კვების ბადეებზე?
- რა არის საზოგადოების მატრიცა?
- რა სხვაობაა იმპულსურ და ზენოლის ექსპერიმენტებს შორის?

**0**ანასაზოგადოებები პოპულაციათა გაერთიანებებია, რომელთა თვისებებზე ფიზიკური გარემო და სახეობათა შიგნით პოპულაციათა ურთიერთებები დიდ ზეგავლენას ახდენს და ისინი საბოლოო ფორმებს სახეობათა ევოლუციური ისტორიის შედეგად იღებენ. საზოგადოებაში შემავალ სახეობათა მრალავრიცხოვნობასა და პოპულაციათა ურთიერთებებს საზოგადოების სტრუქტურასთან აქვთ კავშირი. საზოგადოების სტრუქტურის შესწავლა

საზოგადოების მეტ-ნაკლებად სტატიკური თვისებების აღწერას და პოპულაციათა ურთიერთებების ექსპერიმენტულ ანალიზს მოიცავს. პოპულაციათა ურთიერთებების სირთულის გაზრება საზოგადოების სტაბილურობისა და მოქნილობის აღქმაში დაგვეხმარება, ხოლო ეს თვისებები ადამიანის ზემოქმედებისადმი საზოგადოების მდგრადობას განსაზღვრავს. ეკოლოგები საზოგადოების სტრუქტურის დინამიკას აქტიურად შეისწავლიან.

## 27.1. თასაზოგადოების სტრუქტურის გაგება მოითხოვს ჩვენიან მრავალობის კასაზოგადოების გააზრებას

საზოგადოების სტრუქტურის შესწავლა დროისა და სიცოდურის სხვადასხვა პერსპექტივებიდან შეიძლება. თავდაპირველად, გავრცელების შედარებით ერთგვაროვანი არეალის შიგნით პატარა ფართობს შემოვფარგლავთ. ასეთი მცირე ფართობი ეკოლოგიურად ჰქონის ური და მათში ინდივიდუმების ყოველდღიური მოქმედები ჩანს. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი საზოგადოების სტრუქტურა რამებიც წერტილზე თანამცხოვრები ინდივიდუმების ეკოლოგიური ურთიერთქმედებებია, რაც ინდივიდუმების გარეშო პირობებისადმი ადაპტაციასა და ურთიერთქმედებას გულისხმობს. ურთიერთქმედებაში შედის რესურსების გამო გაჩერილი კონფლიქტები, მტაცებლისა, ავადმყოფობა, ქიმიური ჩარევა და ა.შ. მეცნიერები ადგილობრივ ტერიტორიებს აკვირდებიან და საზოგადოებას სახეობათა რაოდენობის (სახეობათა სიმდიდრით), სახეობათა ფარდობითი სიმრავლის, კვების ბადების და ეკოლოგიური რესურსების სპექტრში სახეობათა მონანილების მეთოდის მიხედვით ახასიათებენ.

ასეთი დაკვირვებები საზოგადოების სტრუქტურის შესახებ საკამაოდ შეზღუდულ ინფორმაციას გვაძლევს და სტრუქტურის შექმნელი უფრო ყოვლისმომცველი პროცესების შესახებ მხოლოდ მინიშნებით ვიგებთ, ვინაიდან ინდივიდების ადაპტირების უნარი ადგილობრივ საზოგადოებაზე ბევრად უფრო დიდ გენოფონდზე მიუთითებს და სელექციის ხანგრძლივ ისტორიას ასახავს. გარდა ამისა, ადგილობრივ საზოგადოებაში ინდივიდების არსებობა გაბრევის საშუალებით დაკავშირებულ დიდ ფართობთან ასოცირებულ პროცესებს აირეკლავს და ადგილობრივ საზოგადოებაში მომზარდა ურთიერთქმედებებთან ნაკლები კავშირი აქვს (შმიდა და უილსონი 1985, პულიამი 1988, რიკლეფსი და შლუტერი 1993ა,ბ).

საზოგადოების სტრუქტურის დადგენის მეორე გზა სახეობათა გავრცელების დიდ ფართობზე გადაჭიმულ არეალებზე დაკვირვებაა. გარკვეულ სახეობათა ინდივიდები ამგვარი ლანდშაფტების მოზაიკაზე გავრცელების გარკვეულ ადგილზე გვხვდებიან (კოდი 1985, რიკლეფსი და შლუტერი 1993ა). გავრცელების თითოეულ ადგილზე მცენარეთა, ცხოველთა და მიკროორგანიზმთა განცალკევებული ოჯახი ბინადრობს და თითოეული პირპულაცია გავრცელების ადგილთან არის ადაპტირებული. რამე ადგილზე სახეობის არსებობა ადგილობრივ პირობებთან ინდივიდების ადაპტაციაზე და პირპულაციათა შორის ურთიერთქმედებაზეა დამოკიდებული (როზენცვაიგი 1981, 1987). მაშასადამე, ჩვენ ადგილობრივი, მეტნაკლებად ერთგვაროვანი გავრცელების არეალიდან გავრცელების მრავალი არეალის მომცველ მოზრდილ რეგიონზე გადავედით და ადგილობრივი, თანამცხოვრები ინდივიდების ადაპტირებისა და პირდაპირი

ურთიერთქმედების მაგალითები ვნახეთ, ასევე პოპულაციათა შორის დინამიკურ ურთიერთქმედებებსაც დავაკვირდით. ეს უკანასკნელი საკითხი მე-5 თავში დაწვრილებით შევისწავლეთ.

ადგილობრივ საზოგადოებაში სტრუქტურის განსაზღვრა თითოეული სახეობის სიმრავლისა და აქტივობის მიხედვით ხდება ანუ ვაკეირდებით როგორც ბინადრობები ეს სახეობები, რას ჭამენ და ა.შ. რეგიონში სტრუქტურის განსაზღვრა გავრცელების არეალის მოფელის მიხედვით ხდება.

საზოგადოებები დროის პერსპექტივიდან ორი მეთოდით შეგვიძლია განვიხილოთ. ერთი მეთოდი ახალ სახეობათა წარმოქმნაზე პასუხისმგებელ პროცესებზე აკეთებს აქცენტს. სახეობათა წარმოქმნა სახეობების გეოგრაფიული, ეკოლოგიური და მოქმედებითი დაყოფის შედეგად ხდება. სახეობათა წარმოქმნის ტიპი პირპულაციათა გენეტიკურ სტრუქტურაზე, მათ შორის დაწყვილების და გაბნევის მეთოდზე, ასევე პირპულაციათა ეკოლოგიურ გარემოებზე დამოკიდებული. სახეობათა წარმოქმნის ტემპი ზეგავლენას სახეობათა სიმდიდრეზე (სახეობათა რაოდენობაზე) ახდენს. დროის პერსპექტივიდან საზოგადოების შესწავლის მეორე მეთოდი საზოგადოების სტრუქტურაზე ზეგავლენის მქონე ისტორიულ მოვლენებს მოიცავს. სახეობათა არსებობა ან არარსებობა ეკოლოგიურად შესაფერის რეგიონებს შორის გაბნევის მიმართულებებზე ან არახელსაყრელ ბიოლოგიურ და ფიზიკურ გარეშო პირობებზე მიუთითებს. არახელსაყრელ პირობებში იგულისხმება ხანგრძლივი გვალვა, ადგილობრივი ვულკანები ან ახალი, გადამდები დაავადება. საზოგადოების შემადგენლობაზე ზეგავლენა სტოქასტიკურმა ცვალებადობამაც შეიძლება მოახდინოს. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები დედამინის რამე ადგილზე სახეობათა უნიკალური ოჯახების გაჩერისა ინვეს და ამ პროცესის განვითარება კლიმატის და გეოგრაფიის ისტორიაზეა დამოკიდებული.

## 27.2. სახეობათა ჩამოთვლილი პირობებით თანასაზოგადოების აღნერის პირველი საშუალება იყო

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ევროპელმა ნატურალისტებმა ახალი სახეობების აღნერის ნაცვლად, ადგილობრივი ფლორის სახეობათა შემადგენლობის მიხედვით დახასიათება დაინტერეს (შიმველი 1971, მიულერ-დომბო და ელენბერი 1974). კვლევის ამგვარ მეთოდს ფლორისტიკული ანალიზი ან ფიტოსოციოლოგია ეწოდება (ბრაუნი-ბლანკე 1932, 1965) და მისი საშუალებით საზოგადოების ფუნქციონალური ცნებები მიიღეს, რომლებიც მეორე საუკუნის პირველ ნახევარში ფრედერიკ კლემენტსმა და სხვებმა დაწვრილებით გამოიკვლიერს. ფლორისტიკული ანალიზის საწყისი სუბიექტი მხოლოდ კლასიფიკაცია იყო,


რომელშიც სახეობათა შემადგენლობა მცენარეთა გაერთიანებებს შორის კავშირების განსაზღვრისთვის გამოიყენება, ისევე, როგორც მორფოლოგიური თვისებების სახეობათა შორის კავშირებს ასახავს. სახეობების ერთმანეთისგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ტიპები შედიან, თუმცა გაერთიანებებს მკვეთრი საზღვრები არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, საზოგადოებების შემოსაზღვრა ხშირად მარტივი არის.

ეკოლოგები მალე მიხვდნენ, რომ მხოლოდ ფლორისტიკული კვლევების საშუალებით საზოგადოებების ადეკვატურად აღწერა შეუძლებელია და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად კვლევის მეთოდების ახლიდან გააზრება აუცილებელი. კვლევები თავდაპირველად სახეობათა ფართდობითი სიმრავლის ხარისხობრივ მოდელებს შეეხებოდა, ხოლო შემდეგ საზოგადოებაში შემავალ სახეობათა შორის ფუნქციონალურ კავშირებს აღწერდა.

### 27.3. სახეობათა ნათესაობის სიზურე არის თასაზოგადოების სტრუქტურის საზომი

დანიელმა ბოტანიკოსმა კრისტენ რაუნკიაერმა (1918) პირველმა შენიშნა, რომ ადგილობრივ საზოგადოებებში სახეობათა მრავალრიცხოვნობა რეგულარულ გავრცელებას გულისხმობს. რაუნკიაერმა მრალარიცხოვნობის რამდენიმე კლასში შემავალი სახეობების რაოდენობის გრაფიკი ააგო და ჟ-ს ფორმის გრაფიკი მიიღო (სურ. 17.1). გრაფიკი მიუთითებს, რომ საზოგადოებაში მხოლოდ რამდენიმე სახეობა შეადგენს უმრავლესობას ანუ დომინანტურია, ხოლო დანარჩენი სახეობა შედარებით იშვიათად გვხვდება. რაუნკიაერი სიხშირის „კანონის“ აღწერისთვის მათემატიკურ გამოსახულებას არ იყენებდა, თუმცა ამ კანონის ზოგადობამ და სხვადასხვა საზოგადოებებში მისმა გავრცელებადობამ სხვა მეცნიერებს მათემატიკური აღწერის გამოყენებისენ უბიძგა.

სახეობათა სიმრავლის გავრცელების სხვადასხვა თეორიები არსებობს, თუმცა ჩვენ მხოლოდ სამ მათ-




**სურ. 27.1.** მიჩიგანში, კალამაზუს ახლოს მდებარე ტორფის ჭაობში არსებულ მცენარეთა სახეობების რაოდენობა სიხშირის ხუთივე კლასში. გრაფიკი 0.1<sup>2</sup> ფართობის 25 საცდელ არეალს ეფუძნება.

განს შევისწავლით. მათემატიკური აღწერები ორ მიზანს ემსახურება. პირველი მიზანია — სახეობათა სიმრავლის შესახებ არსებული დიდი ინფორმაცია მარტივი განტოლებებით გამოისახოს, რომელთა პარამეტრებს სხვადასხვა სახეობების შედარებისთვის გამოვიყენებთ. მეორე მიზანი მათემატიკური მოდელის ლოგიკის გამოყენებაა, რაც გავრცელების გამომწვევი პროცესების შესახებ შევიქმნის წარმოდგენას. ქვემოთ აღწერილი ყველა მოდელი საზოგადოებაში მომხდარი პროცესებით პროგნოზირებული შედეგების შემოწმებისთვის გამოიყენება.

დღესდღეობით, ეკოლოგების უმეტესობა ამ მოდელების ვარგისიანობას ეჭვევეშ აყენებს, ვინაიდან მათემატიკურ დაშვებებს რეალურ ბიოლოგიურ პროცესებთან ხშირად კავშირი არ აქვს და მოდელები ცდისა და გაუთვალისწინებელი მოვლენებისადმი ძალიან მგრძნობიარეა (ტოკეში 1990, უილსონი 1991). მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, მოდელების შესწავლა მაინც სასარგებლოა, ვინაიდან ისინი საზოგადოების სტრუქტურაზე ჩატარებული ადრებული კვლევის შედეგებს გვაუწყებენ და საზოგადოების დანამიკის შესახებ ფიქრს აღდრავენ. უბრო მეტიც, ამგვარი მოდელების შემუშავება თეორიული მოსაზრებებიდან ჰიპოთეზების ჩამოყალიბების კარგი მაგალითია.

#### ცხრილი 27-1 რესურსის გამოთვლა გეომეტრიული მიმდევრობის (აღრე დაუფლების ნიშის) მოდელის მიხედვით

სახეობა	არსებული რესურსი	გამოყენებული რესურსი	დარჩენილი რესურსი
პირველი	10	(0.5)(10) = 5	5
მეორე	5	(0.5)(5) = 2.5	2.5
მესამე	2.5	(0.5)(2.5) = 1.25	1.25
მეოთხე	1.25	(0.5)(1.25) = 0.625	0.625




**სურ. 27.2.** ფარდობითი მრავალრიცხოვნობის ადრე დაუფლების ნიშის მოდელის გეომეტრიული წარმოდგენა, რომელზეც თითოეული სახეობა დარჩენილი რესურსების მუდმივ (k) ნაწილს მოიხმარს. i რიგის სახეობა რესურსების  $k/(1-k)^i$  ნაწილს ითვისებს.


სახეობათა სიმრავლის გეომეტრიული მიმდევრობის მოდელი ადრე დაუფლების ნიშის ცნებიდან გამომდინარეობს, მასში სახეობები ტერიტორიას მიმდევრობით იკავებენ და თითოეული სახეობა დარჩენილი რესურსების მუდმივ ნაწილს (k) ეუფლება. სახეობათა ნიშა არის სახეობის ფუნქცია გარემო პირობებში, ხოლო გარემო პირობები რესურსების ხარისხი და ის პირობებია, რომელშიც სახეობას არსებობა შეუძლია (იხ. 29-ე თავი). მოდით, დაუსახლებელი ტერიტორია განვიხილოთ, რომლის რესურსების მთლიანი დონე 1-ის ტოლია. დავუშვათ, თითოეული დასახლებული სახეობა აუთვისებელი რესურსების  $k = 0,5$  ნაწილს მოიხმარს. პირველი სახეობის გამოჩენის შემდეგ  $1 - 0,5 = 0,5$  გამოიყენებელი რესურსი რჩება და სწორედ ეს რესურსია მეორე სახეობისთვის გამოსადეგი (ცხრილი 27.1). მეორე სახეობა დარჩენილი განახევრებული რესურსის კიდევ ნახევარს ( $0,5 \cdot (1 - 0,5) = 0,25$ ) მოიხმარს და მესამე სახეობისთვის 0,25 რესურსი რჩება. 27.1 ცხრილში ნაჩვენებია, თუ რო-

გორ მოიხმარებ მესამე და მეოთხე სახეობები დარჩენილ რესურსებს. ზოგადად რომ ვთქვათ, თითოეული ახალი სახეობა რესურსების  $k$  ნაწილს მოიხმარს ანუ პირველი სახეობა  $k$ -ს, მეორე  $k(1 - k)$  -ს, მესამე  $k(1 - k)^2$  -ს, ხოლო  $i$  რიგის სახეობა  $k(1 - k)^{i-1}$  რესურსს იყენებს (სურ. 27.2). თუ დავუშვებთ, რომ მრავალრიცხოვნობა რესურსებისადმი პირდაპირპროპოულია, მაშინ პირველი სახეობის მრავალრიცხოვნობა  $k$ -სადმი პროპორციული იქნება და ა.შ.


1957 წელს, რობერტ მაკარტურმა განაცხადა, რომ საზოგადოებაში შემავალი თითოეული სახეობის მრავალრიცხოვნობა რესურსის სახეობების კონტინუუმის გასწვრივ განაწილებული რესურსების პირობითი დანაწევრების მსგავსი პროცესებით არის განპირდებული. ასეთ მოდელს პირობითი ნიშის მოდელი ეწოდება. მაკარტურმა რესურსები რაიმე წრფის გასწვრივ თანაბრად განხლაგებულად წარმოიდგინა. რაოდენობის სახეობის ფარდობითი მრავალრიცხოვნობის პროგნოზისთვის იგივე წრფეზე N-1 რაოდენობის წერტილი პირობითად მოინიშნება და შემდეგ წრფე ამ წერტილებზე იყოფა. წრფის თითოეული სეგმენტის სიგრძე სახეობათა მრავალრიცხოვნობაა. როდესაც სეგმენტები შემცირებადი რანგის ლოგარითმულ შეალაზე მდგბარეობს, მაშინ წრფის სიგრძეთა მოსალოდნელი განაწილება წრფივად მცირდება (სურ. 27.3.). როდესაც სახეობათა რანგები (მაღალი რანგი უფრო დიდ მრავალრიცხოვნობას ნიშნავს) არითმეტიკურ შეალაზე გამოისახება, დაყოფილი წრფის მოდელი შ-ფორმის გრაფიკს გვაძლევს (სურ. 27.4.). პირობითი ნიშის მოდელის საშუალებით სახეობათა მრავალრიცხოვნობის გრაფიკების მიღების მაგალითი 27.5 სურათზეა გამოსახული. ფრინველები, თევზები, ოფიუროიდის ჭიები და მტაცებელი მუცელფეხიანები მოდელს კარგად მიესადაგებან (მაკარტური 1957, 1960, კინგი 1964), ხოლო მცირე ზომის, ხანმოკლე სიცოცხლის ორგანიზმები, მაგალითად, ნიადაგის



**სურ. 27.3.** პირობითი ნიშის პროცესის (დაყოფილი წრფის) საშუალებით საზოგადოებაში შემავალ სახეობათა ფარდობითი მრავალრიცხოვნობის ორი ტანის მოდელირება.  $N$  სახეობათა მრავალრიცხოვნობა N-1 რაოდენობის პირობითი წერტილით განისაზღვრება. წერტილები წრფეს N-რაოდენობის სეგმენტად ყოფენ და სეგმენტების სიგრძეებს რიცხვები ასახავენ. სეგმენტები მრავალრიცხოვნობის მიხედვით არის დალაგბული და ისინი კლებადი რანგის ლოგარითმულ შეალაზე მდგბარეობენ. დაყოფილი წრფის მოდელის თანაბრად, მრავალრიცხოვნობათა მოსალოდნელი (საშუალო) გავრცელება 10 სახეობისა და 100 ინდივიდუუმისთვის დატრინებული საზოთა გამოსახული. სეგმენტების ნარმოებნა პირობითი პროცესის შედეგად ხდება, ამიტომ სეგმენტის სიგრძის ნებისმიერი განაწილება არის შესაძლებელი.



**სურ. 27.4.** სახეობათა მრავალრიცხოვნობას და მრავალ-რიცხოვნობის რანგს შორის კავშირი გეომეტრიული მიმდევრობისთვის, პირობითი ნიშისთვის (დაყოფილი წრფისთვის) და სახეობათა მრავალრიცხოვნობის ლოგნორმალური მოდელებისთვის.



**სურ. 27.5.** სახეობათა მრავალრიცხოვნობის რანგის მიხედ-ვით არის დაღაგებული და  $\pi$  ინდივიდუმის  $\pi$  სახეობაზე ფარდობის ერთეულებში გამოითვლება. რანგები ლოგარითმულ შეალაზე არის გამოსახული. მწვანე ხაზი პირობითი ნიშის მოდელით არის პროგ-ნოზირებული. ეს სურათი 27.6 სურათს შეადარეთ და დაკვირდით, რომ რანგის დერძის შეალის ლოგარითმულით შეცვლა პირობითი ნიშის მოდელის ფორმას შეცვლის.

ფეხსახსრიანები, ნემატოდები, უმარტივესები და ფიტოპლანქტონი, ნაკლებად არის გავრცელებული. ხშირი სახეობების რაოდენობა მცირეა და მრავალ-რიცხოვნობის რანგის მიხედვით იშვიათი სახეობა უფრო ბევრია (ჰეირსტონი 1959, კინგი 1964, ბეცლი 1969, უიტეკერი 1965, 1972).

პირობითი ნიშის მოდელი სულ მცირე ორ ბი-ოლოგიურ კონტექსტში შეგვიძლია განვიხილოთ. მა-კარტურის აზრით, სახეობათა ჯგუფი ერთ რესურსს ერთდროულად იყოფს, ხოლო სხვადასხვა სახეობების მრავალრიცხოვნობა დაყოფილ წრფეზე არ თავსდება. ჩვენ ასევე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ სახე-ობები გარკვეულ ტერიტორიას მიმდევრობით იკავე-ბენ, როგორც ეს გეომეტრიული მიმდევრობის მოდ-ელში იყო აღნერილი, თუმცა განსხვავება იმაშია, რომ თითოეული სახეობა რესურსების პირობით და არა ფიქსირებულ რაოდენობას (k) მოიხმარს.

პირობითი ნიშის მოდელთან დაკავშირებული მთავარი სიძნელე ის არის, რომ სახეობათა მრავალ-რიცხოვნობის ყველა სახის გავრცელება თანაბრად არის მოსალოდნელი, ვინაიდან გავრცელება პირო-ბითი პროცესით არის გამოწვეული (პაილუ 1975). ერთი საზოგადოების გავრცელება არ გვიჩვენებს, თუ რომელი მოდელია სახეზე. შესაფერისი მოდელის მის-ალებად მრავალი დამოუკიდებელი საზოგადოებიდან ერთი და იგივე ზომის საცდელი არეალი უნდა ავილოთ მრავალრიცხოვნობებისა და მათი ცვალებადობის სა-შუალო გავრცელება უნდა გამოვთვალოთ, რაც თითქ-მის შეუძლებელია, ვინაიდან ბუნებრივი საზოგადოე-ბები ერთმანეთს არ გვანან. ადრე დაუფლების ნიშის მოდელის შესწავლამ აჩვენა, რომ ეს მოდელი ყველაზე უფრო ცხოველთა მცირე საზოგადოებებისთვის ( $<20$  სახეობა) არის შესაფერისი, ხოლო მცნარეთა თანა-საზოგადოებებისთვის ნაკლებად გამოსადეგია (უილ-სონი 1991).


გეომეტრიული მიმდევრობები და პირობითი ნი-შის მოდელები შედარებით მცირე რაოდენობის სახე-ობებს შორის რესურსთა განაწილების პროცესებს ასახავს. ახალი სახეობები (k) ან პირობითი რაოდე-ნობის რესურსებს მოიხმარენ. ასეთ მოდელებში სახე-ობათა მრავალრიცხოვნობა რესურსების რაოდენო-ბისადმი პროპორციულია და ისინი მხოლოდ ძალიან მარტივ თანასაზოგადოებებს ასახავენ, ვინაიდან გარკვეული სახეობის მრავალრიცხოვნობა დიდი რა-ოდენობით ფაქტორებსა და პროცესებს შორის ბალან-სზეა დამოკიდებული და ბალანსის ცვლილება მრავ-ალრიცხოვნობის ზრდას ან შემცირებას იწვევს (მეი 1975ა). პოპულაციის ზომაზე მოქმედი ფაქტორების რაოდენობის დასადგენად სახეობებისთვის მნიშ-ვნელოვანი ყველა ფაქტორის ზემოქმედების ჯამი უნდა გამოვთვალოთ. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს სხვადასხვა სახეობის საკვების რაოდენობა, ნიადა-გის მდგომარეობა, მტაცებლების არსებობა და ა.შ. სტატისტიკური განვითარებული დაამტკიცეს, რომ მცირე ზეგავ-ლენის მრავალი დამოუკიდებელი ფაქტორის ჯამი

გუმბათის ფორმის გრაფიკს გვაძლევს (იხ. მე-2 თავი). თუ თითოეული სახეობის მრავალრიცხოვნობა მრავალი ფაქტორის ჯამთან არის დაკავშირებული, მაშინ სახეობათა მრავალრიცხოვნობაც გუმბათის ფორმით იქნება გავრცელებული.


1948 წლს, ფრენკ პრესტონმა გამოაქვეყნა სტატია „სახეობათა გავრცელებულობა და იშვიათობა“, რომელშიც მან სახეობათა მრავალრიცხოვნობის გავრცელება ლოგნორმალური გრაფიკით აღწერა. პრესტონმა სახეობები მრავალრიცხოვნობის კლასებში გააერთიანა და კლასები სახეობებში შემავალი ინდივიდების რაოდენობით მიხედვით გამოყო. ინდივიდების რაოდენობა იყო 1-2, 2-4, 4-8, 8-16 და ა.შ. თითოეული კლასი წინაზე ორჯერ დიდია და ამიტომ პრესტონი კლასებს „ოქტავებს“ უწოდებდა. პროცედურის შედეგად ლოგარითმული შკალა მიიღება და ამის დასამტკიცებლად პრესტონის კლასების დიდი რიცხვები (2, 4, 8, 16) განვიხილოთ. ეს რიცხვები მიმდევრობებია და მიმდევრობის თითოეული ნევრი არის 2<sup>y</sup>, სადაც  $y$  მიმდევრობის ნევრის მდგრადი არის. მაშასადამე,  $2 = 2^1$ ,  $4 = 2^2$ ,  $8 = 2^3$ ,  $16 = 2^4$  და ა.შ. ალგებრიდან გაიხსენეთ, რომ  $x = a^y$ , მაშინ  $y = \log_2 x$ . აქედან გამომდინარე, მივიღებთ  $1 = \log_2 2$ ,  $2 = \log_2 4$ ,  $3 = \log_2 8$  და  $4 = \log_2 16$ . ლოგარითმებში გადაყვანილი მიმდევრობის თითოეულ საფეხურს შორის სხვაობა 1-ის ტოლია და ამიტომ,  $\log_2$ -ის შკალაზე კლასები წრფეზე თანაბრად იქნება დაშორებული. საზოგადოებაში შემავალი ინდივიდების დიდი რაოდენობა სხვადასხვა სახეობების ინდივიდებს მოიცავს. თუ სახეობაში შემავალ ინდივიდების რაოდენობის და სიხშირის ლოგარითმული მრავალრიცხოვნობის კლასებზე დამოკიდებულების გრაფიკს ავაგებთ, გავრცელება ნორმალური სახის იქნება. ასეთ გავრცელებას ლოგნორმალური ეწოდება.

27.6 სურათზე ნაჩვენებია მაინეს, ორონოს მახლობლად სინათლის ხაფანგში მოქცეული ღამის პეპლების სახეობის ფარდობითი მრავალრიცხოვნობა (თუ აივნების ან ქუჩის ნათურებს დაკვირდებთ, დაინახავთ, რომ ღამის პეპლებს და სხვა მწერებს სინათლე იზიდავთ. სინათლის ხაფანგი უბრალოდ მოწყობილობაა, რომელიც სინათლის საშუალებით ღამის პეპლებს იზიდავს). პორიზონტალურ ღერძზე ოთხი განსხვავებული შკალაა გამოსახული (A-D). A არის თითოეული სახეობის ინდივიდების რაოდენობა, B - ამ რიცხვის  $\log_2$ , C - ოქტავის ნომერი, რომელიც ოქტავის ზედა და ქვედა საზღვრებს შორის არის გამოსახული და D - ოქტავის ხელახლა შკალირებული ნომერი. მაშასადამე, მესამე ოქტავა 4-8-მდე ინდივიდს შეესაბამება ანუ ლოგარითმულ შკალაზე  $\log_2 4 = 2$  და  $\log_2 8 = 3$  რიცხვებს შორისაა, ხოლო მერვე ოქტავა 128-256-მდე ინდივიდს მოიცავს ანუ ლოგარითმულ შკალაზე  $\log_2 128 = 7$  და  $\log_2 256 = 8$  რიცხვებს შორისაა. ვერტიკალური ღერძი შესაბამისი მრავალრიცხოვნობის სახეობათა ნომერს ასახავს. მონაცემების თანახმად, 4-8-მდე ინდივიდის შემცველი დახლოებით 50 სახეობა გვაქვს, 64-128-მდე ინდივიდუმის შემცველი 25-მდე სახეობა გვხვდება, ხოლო 1000-ზე მეტი ინდივიდის შემცველი სახეობების რაოდენობა ძალიან მცირეა ( $\text{ოქტავ} > 11$ ).

აღნერილი მოდელის განზოგადება მრავალრიცხოვნობის მნიშვნელობის სტანდარტიზებით შეიძლება. დაუშვათ, და არის ახალ ოქტავურ შკალაზე ნაჩვენები მნიშვნელობა, როდესაც ამ შკალაზე ყველაზე უფრო გავრცელებული ანუ მოდალური მრავალრიცხოვნობის კლასი ღამის პეპლის შემთხვევაში მესამე ოქტავა და მისთვის მინიჭებული მნიშვნელობაა  $R = 0$ . ოქტავის ნორმები მოდალური ოქტავისთვის ხელახლა ჩავნერით და 27.6 სურათზე გამოსახულ შკალას მივიღებთ. ახალ შკალაზე მეორე ოქტავა არის



**სურ. 27.6.** მაინეს, ორონოს მახლობლად მდებარე სინათლის ხაფანგებთან მიზიდული ღამის პეპლების სახეობების ფარდობითი მრავალრიცხოვნობა. სურათზე ნაჩვენებია მრავალრიცხოვნობის ა) თითოეული სახეობის ინდივიდების რაოდენობაზე ( $1\text{-დან } > 8,192\text{-მდე}$ ), ბ) ინდივიდების რაოდენობის ლოგ<sub>2</sub>-ზე ( $0\text{-დან } 13\text{-მდე}$ ) და გ) ოქტავის ნორმებზე (რომელიც ოქტავის ზედა და ქვედა საზღვრებს შორის არის გამოსახული) დამოკიდებულების გრაფიკები. მრავალრიცხოვნობა დ) ოქტავის შკალაზე ნაჩვენები, სადაც მოდალური მნიშვნელობა ნულის ტოლია.



$R = -1$ , ვინაიდან ის  $R = 0$  მნიშვნელობიდან მარცხნივ მდებარეობს. მეოთხე ოქტავა  $R = 1$  ხდება, რადგან ის  $R = 0$  მნიშვნელობიდან მარჯვნივაა. ამგვარი შკალის გამოყენების შედეგად სიხშირის მოდელი ნორმალური გავრცელებისთვის შემდეგი განტოლებით მოიცემა:

$$n_R = n_0 e^{-(1/2)(R/s)^2}$$

სადაც  $n_R$  არის სახეობათა რაოდენობა, რომელთა მრავალრიცხოვნობა საზოგადოებაში შემავალ სახეობათა მოდალურ მრავალრიცხოვნობაზე  $R$  ოქტავით მეტია ან ნაკლებია,  $n_0$  - სახეობათა მოდალური რაოდენობა (ანუ ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან კლასში შემავალი რაოდენობა), ხოლო  $s$  (სტანდარტული გადახრა) - ნორმალური გრაფიკის გაბნევის ან სიგანის კოეფიციენტი (სურ. 27.7). 27.7 სურათის ზედა ნაწილზე გამოსახული შკალა  $R$ -ისაა, ოქტავები მოდალური ოქტავებისადმი (27.6 სურათზე შკალა) არის განლაგებული, ხოლო სურათის ქვედა ნაწილზე გამოსახული შკალა სახეობაში შემავალი ინდივიდების რაოდენობაა (27.6 სურათზე შკალა). ორივე შკალა ლოგარითმულ შკალად (27.6 სურათზე შკალა) შეგვიძლია წარმოვადგინოთ, ამიტომ გავრცელება ლოგნორმალურია.

შესაძლოა შენიშვნეთ, რომ 27.6 სურათზე ღამის პეპლის მრავალრიცხოვნობის მონაცემებში არ არსებობს სახეობა, რომელიც ერთზე ნაკლებ ინდივიდს შეიცავს. ზოგიერთი სახეობა მეტისმეტად იშვიათია და მისი ერთი ან მეტი ინდივიდის საშუალებით წარმოდგენა შეუძლებელია. ამგვარი სახეობები გავრცელების დაფარვის წრფის ქვემოთ ხვდებიან და მხოლოდ საცდელი ნიმუშის ზომის გაზრდის შემთხვევაშია შესაძლებელი მათი არსებობის გამოვლენა. 27.7 სურათზე გამოსახული ჰორიზონტალური დერძი გავაგრძელეთ, რათა დაფარვის წრფის ქვემოთ მოქცეული კლასები მოგვეცვა და ლოგნორმალური გავრცელების სიმეტრია გვეჩენებინა.

**სურ. 27.7.** სახეობათა მრავალრიცხოვნობის ლოგნორმალური გავრცელება. ზედა შკალა 27.6 სურათზე გამოსახული შკალის ანალოგიურია, ხოლო ოქტავები მოდალური ოქტავებისადმი არის გასწორებული. ქვედა შკალა 27.6 სურათზე გამოსახული შკალის ანალოგიურია, რომელზეც ინდივიდების რაოდენობა იყო ნაჩვენები. გრაფიკის „დაფარვის წრფის“ მარცხნივ მდგრად ნაწილი ერთზე ნაკლები ინდივიდების მომცველ სახეობებს აერთიანებს და მაშასადამე, ჰიპოთეტურია. რეაქტის მრივე მხარეს არსებული სტანდარტული გადახრა (ს) საცდელი ნიმუშის თითქმის ყველა სახეობის დაახლოებით 2/3-ს მოიცავს.

პრესტონის ლოგნორმალური მოდელის სასარგებლო თვისებაა, რომ მასში საცდელი ნიმუშის ზომები გათვალისწინებულია. საზოგადოებაში შემავალი სახეობების ჯამური რაოდენობის ( $N$ ) პროგნოზი საცდელ ნიმუში არშესული სახეობების ჩათვლით შესაძლებელია, თუ მოდალურ მრავალრიცხოვნობის კლასში შემავალი სახეობების რაოდენობა ( $n_0$ ) და ლოგნორმალური გავრცელების სიგანე (ს) ვიცით:

27.6 სურათზე გამოსახული ღამის პეპლების საცდელი ნიმუშისთვის  $n_0 = 48$  და  $s = 3,4$  ოქტავა. აქედან გამომდინარე,  $N = 2,5(3,4)(48) = 408$  სახეობა. დაახლოებით 50000 ეგზემპლარისგან შემდგარი საცდელი ნიმუში მხოლოდ 349 სახეობას შეიცავს და საცდელ არეალში ამ რიცხვის დაახლოებით 86% იქნება წარმოდგენილი, თუ მრავალრიცხოვნობა ლოგნორმალურად არის გავრცელებული. პრაქტიკული თვალსაზრისით, -ის გამოთვლისას სანდო ინტერვალის ზღვარი ძალიან ფართოდ იშლება და ამიტომ, ზღვრული მნიშვნელობის გამოთვლა ხდება. როდესაც საცდელი ნიმუში საკმარისად პატარაა, დაფარვის წრფე შესაძლოა რეაქტის მიუახლოვდეს ან სულაც მის მარჯვნივ აღმოჩნდეს, ხოლო ლოგნორმალური გავრცელება ჰიპობითი ნიშის მოდელის მსგავსად გეომეტრიული მიმდევრობის მსგავსი იქნება. ლოგნორმალური მოდელი სახეობათა მრავალრიცხოვნობების უფრო ზოგადი სტატისტიკური აღწერისთვის გამოიყენება.

დიდი ზომის საცდელ ნიმუშებზე მორგებული ლოგნორმალური გრაფიკების გაბნევა (ს) ორგანიზმთა სხვადასხვა ჯგუფისთვის მსგავსია. პრესტონმა ფრინველებისთვის 2,3, ხოლო ღამის პეპლებისთვის 3,1-4,7 მნიშვნელობები მიიღო (1948). პატრიკმა (1954) და სხვებმა დიატომური წყალმცენარეებისთვის 2,8-4,7 გამოთვალეს. მეის (1975) ვარაუდით, მნიშვნელობათა ამგვარი არეალი სტატისტიკური საცდელი ნიმუშების თვისებებიდან გამომდინარეობს და გარემო

პირობების ზეგავლენაზე დამოკიდებული არ არის, ხოლო მაკარტურის (1969) თვალსაზრისით, გაბნევის მნიშვნელობა გარემო პირობებთან ერთად იცვლება. მაკარტურმა ტყის ფრინველებზე დაკვირვებისას,  $s = 0,98$  მნიშვნელობა ტროპიკულ დაბლობებში მიიღო, ხოლო კუნძულებზე იგივე მაჩვენებელი  $s = 1,97$  იყო. მაკარტურის მონაცემები ამტკიცებს, რომ ერთი და იგივე ზომის ტერიტორიაზე მობინადრე სახეობების მრავალრიცხოვნობა კუნძულებზე, ზომიერი კლიმატის მქონე ტერიტორიაზე და განსაკუთრებით ტროპიკულ დაბლობებზე ერთმანეთისგან განსხვავდება. პატრიკმა (1963) გაბნევის იგივე ტიპის ცვლილები აშშ-ს აღმოსავლეთში მდებარე, წყლის სხვადასხვა შემცველობის მქონე მდინარეების დაიატომური წყალმცენარეების საცდელი ნიმუშების ლოგნორმალური გრაფიკებისთვის აღმოაჩინა.

ზემოთ წარმოდგენილი მიღებები მათემატიკური თეორიიდან მიყიდეთ და შემდეგ თანასაზოგადოებების შედარებისთვის გამოვიყენეთ. საზოგადოების სტრუქტურის კვლევის კიდევ ერთი საშუალება მათემატიკური გამოსახულებების მიღებაა, რომელიც რეალური საზოგადოებების თვისებებს ასახავს. ამგვარ გამოსახულებებს ხშირად ინდექსები ენოდება. ეკოლოგებმა საზოგადოების სტრუქტურის რამდენიმე ინდექსი მიიღეს და მათ შემდეგ პარაგრაფში გავუცნობით.


#### **27.4. მრავალფეროვანის ინდექსები ართიანებს სახეობათა სიმდიდრეს და სახეობათა სიჭარეს**

საზოგადოებები ერთმანეთისგან სახეობათა რაოდენობით (სახეობათა სიმდიდრით) და სახეობების ფართდობით მრავალრიცხოვნობით განსხვავდებიან. ამ უკანასკნელ თვისებას სახეობათა მრავალფეროვნება ენოდება. ეკოლოგები სახეობათა მრავალფეროვნების გამოთვლისთვის მათემატიკურ გამოსახულებებს იყენებენ, რაც საზოგადოებების სტრუქტურათა ობიექტური შედარების საშუალებას იძლევა. მოუხედავად ამისა, სტრუქტურების შედარებისას ორი პრობლემა ჩნდება. პირველი პრობლემა ის არის, რომ როდესაც ეკოლოგი საცდელ თანასაზოგადოებას ირჩევს და სახეობათა რაოდენობას განსაზღვრავს, სახეობათა რაოდენობა საცდელი ნიმუშის ზომის მიხედვით იცვლება და რაც უფრო მეტი ინდივიდი შედის საცდელ ნიმუშში, მით უფრო მეტია ძალზე იშვიათი სახეობის შეხვედრის ალბათობა. მაგალითად, ეკოლოგი ფიჭვის და ფოთლოვან ტყეებში მობინადრე ობობებს აკვირდება. ის ფოთლოვან ტყეში ორჯერ უფრო დიდი რაოდენობის და მეტი სახეობის ობობას პოლობს. ფოთლოვან ტყეში მობინადრე სახეობათა მეტი მრავალფეროვნება შეგროვებული ინდივიდების დიდი რაოდენობით არის გამოწვეული, თუ ორ გარემოში მობინადრე სახეობათა სიმდიდრეებს შორის რე-

ალური განსხვავება? ამ პრობლემის გადაჭრა სახეობათა რაოდენობის დათვლიდან საცდელი ნიმუშის ზრდასთან ერთად სახეობათა ზრდის ტემპის დათვლაზე გადასვლით შეიძლება.

იგივე პრობლემის გადაჭრის კიდევ ერთი საშუალება ნიმუშის არჩევის ერთ-ერთი პროცედურა, რომელსაც გამეჩერება ენოდება (სანდერსი 1968, სიმბერლოფი 1976). დავუშვათ, შრაოდენობის სახეობის შემადგენელი რაოდენობის ინდივიდები დიდი ზომის საცდელი ნიმუშის გარკვეულ არეალში ბინადრობენ. დიდი ზომის საცდელი არეალი გამეჩერებისთვის მცირე საცდელ არეალებად იყოფა და ამ არეალები მობინადრე სახეობათა სიმდიდრე ძირითად არეალში გავრცელებული მრავალრიცხოვნობის საფუძველზე გამოითვლება. ეს პროცესი სხვადასხვა ზომის კვედა დონის საცდელი ნიმუშებისთვის მეორდება. ყველაზე უფრო კვედა დონის საცდელი ნიმუში ერთი ინდივიდია და მასში ერთი სახეობაა ასახული. ყველაზე უფრო დიდი „ქვედა დონის საცდელი ნიმუში“ მთლიანი საცდელი ნიმუშია, რომელიც რაოდენობის ინდივიდა და S რაოდენობის სახეობას შეიცავს. გამეჩერების გრაფიზე სახეობათა სიმდიდრის მნიშვნელობის ცვლილებაა ასახული კვედა დონის საცდელი ნიმუშის ზომასთან ერთად (სურ. 27.8).

გამეჩერების საშუალებით ორი საზოგადოების სახეობების სიმდიდრის შედარების პროცესი 27.9 სურათზეა გამოსახული. სახეობათა მრავალრიცხოვნობის გავრცელების გამოთვლა ნიმუშის აღების შედეგად ხდება. ქვედა დონის საცდელი ნიმუშები გავრცელებიდან გამოითვლება და შემდეგ გამეჩერების გრაფიკებს ვიღებთ. 27.9 სურათზე ასახულია გამეჩერების გამოყენების მეთოდი. სახეობათა მრავალრიცხოვნობის გავრცელებათა შედარება პირდაპირ საკმაოდ რთულია, ვინაიდან ისინი განსხვავებული ფორმისაა. გამეჩერების გრაფიკების შედარება წერტილ-წერტილ შეიძლება. გამეჩერების პროცესში ვუშვებთ,




**სურ. 27.8.** ახალგაზრდა ფიჭვის გარემოში მობინადრე ბზუალების ოჯახის გამეჩერების გრაფიკი

რომ ქვედა დღნის საცდელი ნიმუშები არ არის იმდენად მცირე ზომის, რათა საზოგადოების ორგანიზმები სივრცეში მეტისმეტად მჭიდროდ იყვნენ გავრცელებული და ასევე დაშვებულია, რომ ნიმუშის აღება ყველა საცდელი ნიმუშისთვის ერთნაირად ხდება. თუ ზემოთხსნებული დაშვებები მართებულია, მაშინ ქვედა დღნის საცდელი ნიმუშების ზომები ადეკვატურია და საზოგადოების სახეობათა სიმდიდრის შედარება გარკვეული ზომის ქვედა დღნის ნიმუშისთვის პირდაპირ შეიძლება. სურათზე გამოსახული საზოგადოების სახეობების სიმდიდრე საზოგადოებისას აღემატება. ხუთ სხვადასხვა ტყეში მობინადრე ფრინველების სახეობების გამეჩხრების გრაფიკები 27.10 სურათზე არის გამოსახული და მათი საშუალებით მეთოდის ილუსტრაცია ხდება.

სახეობათა მრავალფეროვნების ინდექსების მიღებისას კიდევ ერთი სირთულე ის არის, რომ სახეობათა მრავალფეროვნების გამოთვლისას ყველა სახეობა ერთნაირად არ უნდა შევაფასოთ, ვინაიდან საზოგადოებაში მათი ფუნქციები მრავალრიცხოვნობის პროპორციულად იცვლება. ეკოლოგები ამ პრობლემის გადაჭრისთვის, მრავალფეროვნების ინდექსებში თითოეული სახეობის მონაწილეობას მისი მრავალრიცხოვნობის მიხედვით თვლიან (პაილუ 1966, 1977, უიტეკერი 1972, მეი 1975). ეკოლოგიაში ყველაზე უფრო ფართოდ სიმპსონის ინდექსი (სიმპსონი 1949) და შენონ-ვივერის ინდექსი (შენონი და ვივერი 1949) გამოიყენება. ამ ინდექსების პოპულარიზაციას მარგალეფმა (1958) და მაკარტურმა (1955, 1957) შეუწყეს ხელი. ინდექსები ინდივიდუების მთლიან საცდელ ნიმუშში სახეობების (i) პროპორციების (p) საშუალებით გამოითვლება. სიმპსონის ინდექსი შემდეგია:

$$D = 1/\sum p_i^2.$$

საცდელ ნიმუშში არსებულ სახეობათა რაოდენობისთვის (S) D-ს მნიშვნელობა 1-დან S-მდე იცვლება და სახეობათა მრავალრიცხოვნობის თანაბრობაზეა




**სურ. 27.10.** გამეჩხრების გრაფიკები ხუთ სხვადასხვა არეალში მობინადრე ფრინველების საზოგადოებებისთვის. a) ნეკერჩალი-ფიჭვი-მუხის ტყე, b) ცაცხვი-ნეკერჩალი-მუხის ტყე, c) ალვის ხის ჭალა, d) ბანქსის ფიჭვის და e) არყის ხის ტყე.

დამოკიდებული. მაგალითად, თუ საცდელი ნიმუში თანაბრი მრავალრიცხოვნობის ხუთ სახეობას შეიცავს, თითოეული  $p_i = 0,20$ -ის ტოლია. აქედან გამომდინარე, თითოეული  $p_i^2 = 0,04$ , ების ჯამი 0,20-ია და ჯამის შებრუნებული 5 ანუ საცდელ ნიმუშში შემავალ სახეობათა რაოდენობაა. ჰიპოთეტური საზოგადოებებისთვის ჩატარებული იგივე ტიპის გამოთვლები 27.2 ცხრილშია და კარგად ჩანს, რომ შედარებით იშვიათი სახეობები მრავალფეროვნების ინდექსის მნიშვნელობაზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენენ.

შენონ-ვივერის ინდექსი ინფორმაციის თეორიიდან არის მიღებული და შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$H = -\sum p_i \log p_i,$$

სიმპსონის ინდექსის მსგავსად, შენონ-ვივერის ინდექსზეც იშვიათი სახეობები ნაკლებ ზეგავლენას



**სურ. 27.9.** გამეჩხრება ორი თანასაზოგადოების სახეობათა სიმდიდრის შედარებისთვის გამოიყენება. სახეობათა მრავალრიცხოვნობის გავრცელება და საზოგადოებებიდან ნიმუშის აღების გზით გამოითვლება. ქვედა დღნის საცდელ ნიმუშებად დაყოფა გამეჩხრების გრაფიკებს გვაძლევს და მათი შედარება ნერტილ-ნერტილ შეიძლება.

ცხრილი 27-2

ახდენენ. ინდექსი სახეობათა რაოდენობის ლოგა-  
რითმისადმი პროპორციულია, ამიტომ, ხშირად სა-  
სურველია ე ფორმით გამოისახოს, რაც სახეობათა  
რაოდენობისადმი პროპორციულია. 27.2 ცხრილში  
შესული მნიშვნელობები სწორედ ამ სახით არის მოცე-  
მული და მათი შედარება სიმპსონის ინდექსთან შესა-  
ძლებელია.

კვლევის შედეგები სახეობათა დათვლის ნაცვლად რომელიმე ინდექსის გამოყენებაზე ან მრავალფეროვნების ინდექსზე დამოკიდებული არ არის. ეს იმითარის გამოწვეული, რომ საზოგადოებები მათ წევრ სახეობებს შორის ფარდობითი მრავალრიცხოვნობით ხასიათდებიან. შედეგად, მრავალფეროვნების თითოეულ ინდექსს ყველა სხვა ინდექსთან და საზოგადოებაში შემავალ სახეობათა რაოდენობასთან უცვლელი დამოკიდებულება გააჩნია. უფრო მეტიც, სახე-

ობათა სიმდიდრეს მრავალფეროვნების სხვადასხვა ინდექსთან წინასწარ განსაზღვრული კავშირი აქვს. აქედან გამომდინარე, თუ სახეობათა სიმდიდრე საცდელი ნიმუშის ზომის საშუალებით ნორმალიზებულია, საზოგადოების შედარებისთვის კარგად გამოდგება (შრომულობრივი და რიკოლაფის 1993).

მრავალფეროვნების ინდექსები ტაქსონომიას ეფუძნება ანუ შედარების ძირითადი ერთეული სახეობა ან რაიმე სხვა უფრო დიდი ტაქსონომიური ერთეულია. მაშასადამე, ინდექსების საშუალებით ტაქსონომიური მრავალფეროვნება იზომება. როდესაც ტაქსონომიური მრავალფეროვნების ინდექსებს უფრო მაღალი დონის ტაქსონომიური კატეგორიებისთვის, მაგალითად გვარის ან ოჯახისთვის ვიყენებთ, საზოგადოების მრავალფეროვნების წარმოშობაზე გარკვეული ინფორმაცია შეგვიძლია მივიღოთ (რიკლემის

1987, შლუტერი და რიკლეფსი 1993). საზოგადოებაში შემავალი სახეობები სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებენ და ეს ყველაფერი კვების, გავრცელების არეალის, აქტიურობის პერიოდის და მრავალი სხვა ასპექტის განსხვავებულობაში გამოიხატება. საზოგადოებაში არა მარტო ტაქსონომიური მრავალფეროვნება, არამედ ეკოლოგიური მრავალფეროვნებაც არსებობს. ფრინველებზე და ძუძუმწოვრებზე ჩატარებულმა კვლევებმა მრავალფეროვნების ამ ორ სახეობას შორის მაღალი დონის შეთანხმებულობა გამოავლინეს (რიკლეფსი და მაილზი 1993), თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება (კაზინსი 1993). მაგალითად, ლიუტონმა (1993) და სხვებმა გვიმრის მნერებზე ჩატარებული დაკვირვებების შედეგად დაადგინეს, რომ სახეობათა მრავალფეროვნება ეკოლუციურ პერიოდში მოუნესრიგებელი კოლონიზაციის შედეგი უფროა, ვიდრე საზოგადოებაში მომზდარი ეკოლოგიური ურთიერთქმედებებისა. გვიმრების მნერების შემთხვევაში ეკოლოგიურ და ტაქსონომიურ მრავალფეროვნებას ერთმანეთთან ნაკლები კავშირი აქვს.

თუ საცდელი ნიმუშის ტერიტორიას უფრო ინტენსიურად დავაკვირდებით, მაშინ სახეობების მეტ რაოდენობას მოვიცავთ და იშვიათი სახეობების ინდივიდების აღმოჩენის შანსიც გაიზრდება. საცდელ ნიმუშში მობინადრე სახეობათა რაოდენობა ფართობის გაზრდის შემთხვევაშიც გაიზრდება და საზოგადოებების ამ თვისებას შემდეგ პარაგრაფში შევისწავლით.

## 27.5. სახეობათა რიცხვების ზრდა განიცადა მოცემული არაალის პირდაპირულობის მიზანით

დიდ ფართობზე უფრო მეტი სახეობა ბინადრობს, ვიდრე მცირე ფართობზე. ბოტანიკოსმა ოლაფ არენიუსმა (1921) სახეობასა და ფართობს შორის დამოკიდებულება პირველად ჩამოაყალიბა. სახეობათა სიმდიდრესა (S) და ფართობს (A) შორის შემდეგი ფუნქციონალური დამოკიდებულებაა:

$$S = cA^z$$



სადაც  $c$  და  $z$  მონაცემებთან შეთანხმებული მუდმივე-

ბია (პრესტონი 1960, 1962, მაკარტური და უილსონი 1967; სურ. 27.11). სახეობასა და ფართობს შორის კავშირის ასახვისთვის სახეობათა რაოდენობის ლოგარითმის ფართობის ლოგარითმზე დამოკიდებულება გამოიყენება (სურ. 27.12). ლოგარითმული გარდაქმნის შემდეგ სახეობასა და ფართობს შორის შემდეგი დამოკიდებულებაა:


$$\log S = \log c + z \log A,$$

მივიღეთ წრფის განტოლება  $z$  გადახრით (ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით მცენარეებზე ჩატარებულ კვლევებში, სახეობათა რაოდენობასა და ფართობის ლოგარითმს შორის კავშირი დგინდება ანუ  $S = \log$  (გლისონი 1922, ჰოპკინსი 1955)


60-იან და 70-იან წლებში სახეობებსა და ფართობს შორის დამოკიდებულების ანალიზი ორგანიზმთა მრავალ ჯგუფისთვის ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ  $z$ -ის მნიშვნელობათა არეალია 0,2-0,35 (მეტი 1975, კონორი და მაკეო 1979). ზ-ის უცვლელობა რამდენიმე შესაძლებლობას გულისხმობს. ზ-ის მნიშვნელობები სახეობათა მრავალრიცხოვნობის ლოგნორმალური გავრცელების შედეგი შეიძლება იყოს. საცდელი ნიმუშის ფართობის ზრდასთან ერთად მასში მობინადრე ინდივიდთა რაოდენობაც იზრდება, დაფარვის წრფე მარცხნივ გადადგილდება და სულ უფრო მეტი სახეობა ვლინდება (მეტი 1975).  $z$  პარამეტრს სხვადასხვა ინტერპრეტაცია შეგვიძლია მიეცეთ, რაც მონაცემებზე მორგებული ფუნქციის ხარისხობაზე ან წრფივობაზეა დამოკიდებული (ლოელი 1990). სუგიპარამ (1980) ხაზი გაუსვა, რომ ნიმუშის ლოგნორმალური სქემის კონტრისტრი  $z$ -ის მნიშვნელობათა არეალი დიდია და ეს მნიშვნელობები საზოგადოების სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე პასუხისმგებელ პროცესებზე ინფორმაციას გვაწვდის (იხ. რაიტი 1988). ემპირიული კვლევების თანახმად, საცდელი ნიმუშის ბიოლოგიური ატრიბუტების სხვაობასთან დაკავშირებით ზ-ის მნიშვნელობები 0,25-გან მკვეთრად განსხვავდება (რიკლეფსი და კოქსი 1972). მართლაც, სხვადასხვა ზომის კონტინენტური ტერიტორიებიდან მიღებული  $z$ -ის მნიშვნელობები შედარებადი ზომის კუნძულებიდან მიღებულ მნიშვნელობებზე ნაკლებია.



**სურ. 27.11.** ხარისხობრივი გრაფიკი  $S = cA^z$ , სადაც  $c = 1$  და  $z = 1,2$ , ხოლო წრფივი გარდაქმნაა  $\log S = \log c + z \log A$ .



**სურ. 27.12.** სახეობის ფართობზე დამოკიდებულების გრაფიკები ა) დასავლეთი ინდოეთში მობინადრე ამფიბიებისა და რეპტილიებისთვის, ბ) მაღალიაში, სუნდას კუნძულებზე მობინადრე ფრინველებისთვის.



**სურ. 27.13.** ზ-ის მაღალი მინიჭენლობა გავრცელების არ-გალში მობინადრე კუნძულოვართა უფრო მეტ იზოლაციას (კოლონისტთა წყაროდან დაშორებას) ნიშნავს

## სახეობასა და ფართობს შორის დამოკიდებულების მექანიზმები

მაკარტურის და უილსონის სახეობა-ფართობის დამოკიდებულების წონასაწორული მოდელის თანახმად (იხ. 29-ე თავი), სახეობა-ფართობის განტოლების  $z$  პარამეტრი ხშირად კუნძულის საზოგადოებების იზოლაციის ხარისხის საზომია. სახეობათა სიმდიდრე კონტინენტზე არსებული საზოგადოებიდან მომხდარ კოლონიზაციასა და კუნძულთა სახეობების გადაშენებას შორის ბალანსია. ზ-ის დიდი მინიჭენლობა იზოლაციის უფრო მაღალ ხარისხზე მიუთითებს (სურ. 27.13). ამ მოსაზრებას სახეობა-ფართობის დამოკიდებულების წონასაწორობის ჰიპოთეზა ეწოდება.

სახეობა-ფართობის დამოკიდებულება კოლონიზაციის და გადაშენების წონასაწორობისგან განსხვავებულმა მექანიზმა შეიძლება გამოიწვიოს. დღესდღეობით ამ საკითხის შესახებ სულ მცირე, სამი განსხვავებული ჰიპოთეზა არსებობს (კონორი და მაკერი 1979, გოტელი და გრეივსი (1996)). აღელვების ჰიპოთეზის თანახმად, მცირე კუნძულებზე მობინადრე პოპულაციები გარე ფაქტორებისადმი უფრო მგრძნობიარენი არიან. თუ ეს ჰიპოთეზა სწორია, მაშინ სახეობათა რაოდენობა ფართობის შემცირებასთან ერთად უნდა კლებულობდეს. მეორე მოსაზრება გავრცელების არეალის მრავალფეროვნების ჰიპოთეზაა და მის თანახმად, დიდ ფართობზე გავრცელების არეალების ტიპების მეტი მრავალფეროვნება არსებობს და მაშასადამე, დიდ ფართობებზე უფრო ბევრი სახეობა ბინადრობს (უილიამსი 1943). დიდ ფართობზე სახეობათა უფრო დიდი რაოდენობის არსებობა ემიგრაციის „უფრო დიდი“ სამიზნით შეიძლება იყოს გამოწვეული და ამ მოსაზრებას პასიური ნიმუშის აღების ჰიპოთეზას უნდებენ (კოლმანი და სხვები


1982). გარდა ამისა, სახეობა-ფართობის დამოკიდებულებაზე სახეობათა გეოგრაფიული გავრცელებაც ახდენს ზეგავლენას.

როდესაც ფლორა ან ფაუნა სრულყოფილად არის ცნობილი (ანუ საცდელ ნიმუშად ყველა სახეობა არის აღებული), ლოგნორმალური გავრცელების თვისებები სახეობებსა და ფართობს შორის ნებისმიერი დამოკიდებულებისთვის გასაგები არ არის. გავრცელების წრფის მიღმა სახეობები არ იმაღლებიან. 1960-იან წლებში, პუერტო რიკოს კუნძულზე ფრინველების ახალი სახეობები აღმოაჩინეს, თუმცა ჩვენ ვესტ-ინდოეთის ფრინველების ფაუნას თითქმის სრულყოფილად ვიცნობთ, სახეობა-ფართობის დამოკიდებულება დეკლარირებულია და გადახრა დაახლოებით არის  $z = 0,24$  (სურ. 27.14). ასეთ შემთხვევაში, დიდი და მცირე კუნძულების სახეობათა მრავალფეროვნებას შორის სხვაობა კუნძულების თვისებებს შორის სხვაობას ასახავს. კუნძულის ზომისა და ტოპოგრაფიული არაერთგვაროვნების ზრდასთან ერთად გავრცელების არაელის არაერთგვაროვნებაც იმატებს (უილიამსი 1981). მოზრდილი კუნძულები კოლონიზაციის კონტინენტური წყაროებიდან მომავალი ემიგრანტებისთვის უკეთესი „სამიზნებია“. გარდა ამისა, დიდ კუნძულებზე მცხოვრები დიდი პოპულაციები უფრო გამძლე, გენეტიკურად მრავალფეროვანი და ფართოდ გავრცელებულია, თან მათი რაოდენობა გადაშენების ალბათობასაც ამცირებს.

ჩვეულებრივ, დიდი კუნძულები პატარებზე არაერთგვაროვანია. მაღალი მთები ტემპერატურისა და სინესტის გრადიენტებს ქმნის. ვესტ-ინდოეთის მოზრდილ კუნძულებზე, როგორებიცაა პუერტო რიკო და გვადალუპე, ტროპიკული ტყეები, უდანოები და გავრცელების არეალების მთელი სიმრავლე გვევდება. მიუხედავად ამისა, კუნძულები სიმაღლით,

გავრცელების არეალის მრავალფეროვნებით, კონტინენტიდან დაცილების თვალსაზრისით მკვეთრად განსხვავდება და ეს ფაქტორები სახეობა-ფართობის დამოკიდებულებაზე სხვადასხვა ზეგავლენას ახდენს. ჰემილტონმა და სხვებმა (1963) პირველად ჩატარეს ამგვარი ანალიზი და ეკვადორში, გალაპაგოსის არქიპელაგის კუნძულზე გავრცელებულ მცირავთა სახეობების რაოდენობის შესახებ არსებული მონაცემები გამოიყენეს. მათ აღმოაჩინეს, რომ სიმაღლე და იზოლაციის ხარისხი სახეობათა სიმდიდრეზე მეტ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე კუნძულის ფართობი. ჰემილტონმა და სხვა მეცნიერებმა (სიმპსონი 1974, კონორი და სიმბერლოფი 1978) მრავლობითი რეგრესიის მეთოდები გამოიყენეს, რათა სხვადასხვა ფაქტორების მიერ სახეობა-კუნძულის დამოკიდებულებაზე მოხდენილი ზეგავლენები ერთმანეთისგან განეცალკევებინათ. სახეობთა მრავალრიცხოვნობაზე ზეგავლენის მქონე სხვადასხვა ფაქტორების, როგორიცაა ფართობი, გავრცელების არეალის არაერთგვაროვნება, სიმაღლე, საზოგადოებებისგან დაცილება და სხვების (დამოუკიდებელი ცვლადების) წრფივი კომბინაცია მცენარეების და ცხოველების სახეობების (დამოკიდებული ცვლადების) რაოდენობის პროგნოზის შესაძლებლობას გვაძლევს. შემდეგ სტატისტიკური პროცედურების დახმარებით წრფივი მოდელის თითოეული წევრის მიერ მოხდენილი ზეგავლენის განსაზღვრა ხდება.

მცირე ანტილის კუნძულებზე, ხმელეთზე მობინადრე ფრინველების 11-42-მდე სახეობა ბინადრობს (სურ. 27.14). სახეობათა რაოდენობის კუნძულის ფართობთან, სიმაღლესთან, კონტინენტიდან დაშორებასთან და უახლოეს კუნძულამდე მანძილთან შედარების სტატისტიკური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ თითოეული დამოუკიდებელი ცვლადი სახეობათა სიმდიდრის ცვალებადობაზე ცალკე ზემოქმედებას ახდენს. როგორც მოსალოდნელია, სახეობათა სიმდიდრე ფართობთან და სიმაღლესთან ერთად იზრდება, ხოლო იზოლაციის ხარისხთან ერთად მცირდება. ბარბადოსი სენტ-ვინსენტზე დიდია, მაგრამ სიდაბლისა და იზოლირებულობის გამო, მასზე ფრინველების ორჯერ ნაკლები სახეობა ბინადრობს. ანალიზის თანახმად, ფართობი შესაძლოა მრავალფეროვნების



სურ. 27.14. სახეობის ფართობზე დამოკიდებულების გრაფიკი კუნძულების ფრინველებისთვის. გრაფიკზე ასახულია როგორც ასევე დიდი ანტილის კუნძულები. წრფის დახრილობაა  $z=0,24$ .

განსაზღვრაში მნიშვნელოვანი იყოს, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ კუნძულის ზომა გავრცელების არეალის მრავალფეროვნების ცვლილებასთან იყოს დაკავშირებული.

სახეობათა გეოგრაფიულ არეალსა და ლოკალურ ან რეგიონალურ მრავალრიცხოვნობას შორის დადებითი დამოკიდებულება ხშირად შეინიშნება (ჰანსკი და სხვები 1993). ხსნის თუ არა ეს მოვლენა სახეობა-ფართობის დამოკიდებულებას? არის თუ არა ზრდად ფართობთან ერთად სახეობათა დაგროვების ხასიათი სახეობათა გავრცელებაზე დამოკიდებული? ცხადია, სახეობათა გავრცელება გავრცელების არეალით არის შემოზღუდული (კოდი 1985) და ვინაიდან დიდი ფართობები გავრცელების უფრო მეტი არეალს მოიცავს, მთლიან საცდელ ნიმუშში მეტი სახეობა შედის. მიუხედავად ამისა, თანაბარი გავრცელების არეალის მქონე მოზრდილ ფართობებზე უფრო მეტი სახეობაა, ვიდრე გავრცელების ერთგვაროვანი არეალის მქონე მცირე ფართობებზე.

ამგვარი დამოკიდებულების კლასიკური მაგალითია სხვადასხვა გეოგრაფიული არეალის და მრავალრიცხოვნობის ხეთა სახეობებიდან შეგროვებული მნერების რაოდენობა. კარბანმა და რიკლეფსმა (1983) დაამტკიცეს, რომ ბალახისმჭამელი მნერების ფაუნაში სახეობათა სიმდიდრე მასპინძელი მცენარის ლოკალურ მრავალრიცხოვნობაზე დამოკიდებული არ არის, თუმცა საუთვუდის და მისი კოლეგების (საუთვუდი 1961, საუთვუდი და სხვები 1982) თანახმად, ბრიტანეთში ბალახისმჭამელი მნერების ფაუნის მრავალფეროვნება მასპინძელი ტერიტორიის გეოგრაფიული არეალის ზრდასთან ერთად მატულობს. ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი სამი შეიძლება იყოს: 1) მოზრდილი ფართობიდან ნიმუშის სრულად აღება სახეობათა მრავალრიცხოვნობის ლოგნორმალურ გრაფიკს უკეთესად ავლენს (კურისი და სხვები 1980, ლოტონი და სხვები 1981, რეი და სხვები 1981); 2) ლოგნორმალური გრაფიკის რეჟიმი (n), სიგანე (s) ან ორივე მათგანი უფრო ფართო გეოგრაფიული გავრცელების მქონე მასპინძელი ტერიტორიისთვის უფრო მეტი იქნება. დიდი ფართობის მქონე მასპინძელ ტერიტორიაზე ბალახისმჭამელი სახეობების უფრო დიდი რაოდენობა ბინადრობს, ვინაიდან ის ეკოლოგიური და ევოლუციური კოლონიზაციისთვის უკეთესი სამიზნეა (იანცენი 1968, 1973). ასევე შესაძლებელია, რომ ფართოდ გავრცელებულ მასპინძელ ტერიტორიაზე ბობულაციები დემოგრაფიულად უფრო სტაბილურია და გადაშენების ნაკლები საფრთხე ემუქრება; 3) დიდი ფართობი გავრცელების არეალების უფრო დიდ რაოდენობას მოიცავს და თითოეულ მათგანზე სახეობათა მრავალრიცხოვნობის ლოგნორმალური გავრცელება ნაწილობრივ დამოუკიდებელია.

საუთვუდის (1982), სტრონგის (1984) და სხვების ვარაუდით, ბრიტანეთის ხეების მნერების ფაუნა სრულყოფილად არის ცნობილი. თუ ეს სიმართლეა, მაშინ ზემოთ მოყვანილი პირველი მიზეზი შეგვიძლია

გამოვრიცხოთ, ვინაიდან სახეობასა და ფართობს შორის დამოკიდებულება არსებობს. მეორე და მესამე ვარაუდების შემოწმება ხეთა ფართოდ გავრცელებულ და ნაკლებად გავრცელებული სახეობებიდან ნომუშების სისტემატურ აღებას საჭიროებს. სტევენსმა (1983) აშშ-ს აღმოსავლეთით მდებარე ფოთლოვან ტყეებში ხის მხერეტ ხოჭოებზე ჩატარა კვლევა, ხუთ ტერიტორიაზე გავრცელებული საინტერესო სახეობების ხეთა მოჭრილი ნაწილების სიგრძეები გაზომა და ხის თითოეული სახეობის ნიმუში ყველა ტყიან ტერიტორიაზე თანაბრად აიღო. ხუთივე ტერიტორიის ხეების სახეობებზე მობინადრე ხოჭოების სახეობათა რაოდენობა მასპინძელი ტერიტორიის სახეობათა გეოგრაფიული გავრცელების ზრდასთან ერთად გაიზარდა, თუმცა ადგილობრივი მრავალფეროვნება მასპინძელი ტერიტორიის არეალზე დამოკიდებული არ ყოფილა. ეს ნიშნავს, რომ ერთ ტერიტორიაზე გავრცელებული ხეების სახეობებიდან შეგროვებული ხოჭოების სახეობათა რაოდენობა მასპინძელი ტერიტორიის გეოგრაფიულ არეალთან დაკავშირებული არ არის. ამგვარი შედეგი მესამე ვარაუდის მართებულობას ამტკიცებს და მიუთითებს, რომ მასპინძელი ტერიტორიის არეალში ბალახისმატელი სახეობები გეოგრაფიულად იცვლებიან, რაც სავარაუდოდ, კლიმატის, პარაზიტების ან რესურსების ხარისხის ცვლილების შედეგია.

ფარდობითი მრავალრიცხოვნობის, სახეობათა მრავალფეროვნების და სახეობა-ფართობის დამოკიდებულებების მოდელები საზოგადოების სტრუქტურის შესახებ სასარგებლო ინფორმაციას გვაწვდის. მათი საშუალებით საზოგადოების შემადგენლობის ადგილობრივ და რეგიონალური მოდელების განსხვავებაც ხდება შესაძლებელი და საზოგადოების ცვლილების მაგალითებისაც. მიუხედავად ამისა, იგივე მოდელები ადგილობრივი საზოგადოების სტრუქტურის ნარმოქმნის ან ამ სტრუქტურის დინამიკის შესახებ ბევრ ინფორმაციას არ შეიცავს, ვინაიდან საზოგადოების დინამიკა პოპულაცითა ურთიერთქმედებისა და ფილოგრანური კავშირების ერთობაა. ასეთი ინფორმაციის მისაღებად ეკოლოგები კვებით ჯაჭვებს იყენებენ.

## **27.6. კვებითი ჯაჭვის ანალიზი გამოიყენებათა თასაზოგადოების სტრუქტურის გამოსავლენად**

კვებითი ჯაჭვი საზოგადოებაში შემავალ პოპულაციებში ენერგიის გავლის სხვადასხვა მეთოდების ერთობლიობაა. მარტივად რომ ვთქვათ, მასში კარგად ჩანს, რომელი რომელს ჭამს. კვებითი ჯაჭვი ენერგიის დინებას ნარმოქმნელისგან ტროფულ დონეებზე მყოფი მომხმარებლების გავლით ასახავს. კვებითი ჯაჭვის ცნება პირველად მე-10 თავში შემოვიტანეთ. ეს ტერმინი ელტონის „კვების ციკლებისგან“ ნარმოშვა.

იგივე ტერმინი ხმელეთის და წყლის ეკოსისტემებში ნივთიერებათა მოძრაობის შესწავლისას გამოვიყენეთ. მე-13 თავში ტროფული კასკადი შემოვიტანეთ, რომელიც კვებითი ჯაჭვის მარტივ დიაგრამას იყენებს (იხ სურ. 13.15). კვებითი ჯაჭვის მარტივი დიაგრამები მე-20 თავშიც მოვიყვანეთ, რათა მომხმარებელი-რესურსის დინამიკის ზოგიერთი თვისება გვეჩვენებინა. კვებითი ჯაჭვების ანალიზი თანასაზოგადოებების მოდელებისა და დინამიკის გააზრების ძლიერი მეთოდია და ეკოლოგებისთვის კვლევის თანამედროვე საგანია (ბრიანი 1983, ბრიანი და კოენი 1984, 1987, კოენი 1989, კოენი და სხვები 1990, პიმი 1991, პოლისი 1991, პოლისი და ვაინმილერი 1996, შონლი და სხვები 1991, შმიცი 1997).

კვების ბადის პირველი ანალიზი საკმაოდ გამომსახველობითად ჩატარდა. მე-20 საუკუნის დასაწყისში, ეკოლოგებმა კვებითი ჯაჭვების გამოსახვა დიაგრამებით დაინტეს, რომელბზეც საზოგადოების შემადგენელ სახეობებს კვებითი კავშირების მიხედვით ისრებით აერთიანებდნენ. ეს დიაგრამები ხშირად საკმაოდ რთული იყო და თანასაზოგადოებების შედარებაც ძნელდბოდა. ზოგიერთი ეკოლოგისთვის ამგვარი დიაგრამები ბუნებრივი სისტემების უკიდურეს სირთულეზე და ტროფულ ჯგუფებად დაყოფის საშუალებით მათი სტრუქტურის გამარტივების აუცილებლობაზე მიუთითებდა. გამომსახველობითმა მიდგომამ საფუძველი ანალიტიკურ მიდგომას დაუდო და 50-იან წლებში იგარაუდეს, რომ საზოგადოების ორგანიზაციის ზრდადი სირთულე დინამიკური სტაბილურობის ზრდას იწვევს (მაკარტური 1955). ამ მოვლენის მიზეზი მარტივია: როდესაც მტაცებლებს სხვადასხვა მსხვერპლი ყავთ, მათი რაოდენობა გარევული სახეობების რაოდენობის ცვლილებაზე ნაკლებად არის დამოკიდებული. თუ ენერგია სისტემაში სხვადასხვა გზით მიედინება, ერთი გზის წყვეტა მეორე გზისთვის მეტი ენერგიის მიწოდებას იწვევს, ხოლო მთლიანი სურათი არ იცვლება.

ანალიტიკურმა მიდგომამ საზოგადოების სტაბილურობა სახეობათა მრავალფეროვნებასა და კვების ბადის სირთულესთან დაკავშირა, თანაც თეორიული, შედარებითი და ექსპერიმენტული კვლევების აღორძინებას დაუდო სათავე. საზოგადოების სტრუქტურის შესწავლისას კვების ბადეებს ორი მეთოდით იყენებენ. პირველი მეთოდი კვების ბადის დიაგრამის თვისებების გამოკვლევას გულისხმობს, რათა საზოგადოების სტაბილურობის მექანიზმების ზოგადი მოდელები მივიღოთ. ამ მიზნის მიღწევა ბუნებრივი საზოგადოებების კვებითი ჯაჭვების შედარების და პიპოთეტური კვებითი ჯაჭვების მათემატიკური მოდელირების გზით შეიძლება. ამგვარი კვლევების შედეგად, კვებით ჯაჭვებთან ასოცირებელი ტერმინოლოგიის უმეტესი ნაწილი ჩატარებული და ამავე დროს კვების თეორია შეიქმნა, რომელიც საზოგადოების სტრუქტურის შესახებ რამდენიმე პიპოთეზას შეიცავს.

მეორე მიდგომა საზოგადოების თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგად გაჩნდა და ის კვებითი ჯაჭვების დინამიკურ ანალიზს გულისხმობს, რომლის მიზნი არა მხოლოდ საზოგადოების პოპულაციათა შორის ურთიერთქმედების მოდელის მიღება, არამედ ამ ურთიერთქმედების ძალის განსაზღვრაა. კვებითი ჯაჭვის დინამიკური ანალიზი ისეთი ურთიერთქმედების დადგენასაც ცდილობს, რომელიც კვებითი ჯაჭვის მარტივ დიაგრამებზე არ ჩანს. ამგვარ ურთიერთქმედებს არაპირდაპირი ენოდება. ზემოთ მოყვანილ ორ მიდგომას სახელმძღვანელოს მოცემული თავის დარჩენილ პარაგრაფებში ცალ-ცალკე შევისწავლით, თუმცა მანამდე კვებითი ჯაჭვების სხვადასხვა სახეობებს განვიხილავთ.

### კვებითი ჯაჭვების სახეობები


პერმა (1980) კვებითი ჯაჭვის სამი განსხვავებული კონცეფცია გამოყო (სურ. 27.15). კავშირის მქონე ბადეებს დღესდღეობით უფრო ხშირად კვების ტოპოლოგიურ ბადეებს უწოდებენ და ისინი ორგანიზმთა შორის კვებით კავშირებს ასახავენ. მსგავსი ჯაჭვები მხოლოდ ტროფული ურთიერთქმედების არსებობაზე ან არარსებობაზე მიუთითებს, ხოლო ინდი-

ვიდების რაოდენობის ზრდის ან მომხმარებელი თუ რესურსი პოპულაციების ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილების შედეგად ტროფული კავშირების ცვლილებას არ ასახავს. ამ მიზეზით, კვების ტოპოლოგიურ ჯაჭვებს ხშირად კვებით სტატიკურ ჯაჭვებს მიაკუთვნებენ. კვებითი ჯაჭვის ანალიზის მთავარი საგანი სწორედ კვების ტოპოლოგიური ჯაჭვებია. ენერგიის დინების ჯაჭვში (დინების ჯაჭვი ან ბიოენერგეტიკული ჯაჭვი) პოპულაციათა შორის კავშირების განსაზღვრა რესურსსა და მის მომხმარებელს შორის ენერგიის ნაკადის მიხედვით ხდება. გარდა ამისა, მე-3 თავში შევისწავლეთ სხვა ტიპის ჯაჭვები, რომელთაც სახელმძღვანელოს დარჩენილ ნაწილში აღარ შევეხებით. ფუნქციონალური ანუ კვებითი ურთიერთქმედების ჯაჭვები კვების ტოპოლოგიურ ჯაჭვში კვებით კავშირებს განსაზღვრავენ, რაც საზოგადოების სტრუქტურისთვის ძალან მნიშვნელოვანია. კვებითი ჯაჭვები მთელ თანასაზოგადოებაში თითოეული პოპულაციის მნიშვნელობას ასახავს. პოპულაციათა მაკონტროლებელ ფუნქციები მხოლოდ ექსპერიმენტების შედეგად დგინდება. კვებითი ჯაჭვის დინამიკური კვლევისას მთავარი აქცენტი კვებითი ურთიერთქმედების ჯაჭვების ანალიზზე კეთდება.

### 27.7. ტოპოლოგიური კვებითი ჯაჭვების ანალიზთან ერთად, განვითალა იღები იმის შესახებ, რომ კვებითი ჯაჭვები გავლენას ახდენს თანასაზოგადოების სტაბილურობაზე

საზოგადოების სტრუქტურის შესახებ არსებობს მნიშვნელოვანი კითხვა, თუ როგორ ახდენს ზეგავლენას კვებითი ჯაჭვების სტრუქტურებს შორის სხვაობა საზოგადოების დინამიკაზე, სტაბილურობაზე და მდგრადობაზე. საზოგადოების სტაბილურობისა და მდგრადობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დაცვის ბიოლოგიაშია, რომლის მთავარი მიზანი, ადამიანის ჩარევისგან საზოგადოებების დაცვაა. არის თუ არა სახეობათა შორის კვებითი კავშირების რაიმე სტრუქტურა უფრო სტაბილური, ვიდრე იგივე რაოდენობის სახეობათა შორის სხვაგვარი სტრუქტურა? რამდენად მნიშვნელოვანია კვებითი ჯაჭვის სტაბილურობა ბუნებრივი საზოგადოებების სტრუქტურისთვის?

ეკოლოგები ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად სხვადასხვა თანასაზოგადოების კვებითი ჯაჭვის შედარებას და კვების ტოპოლოგიური ჯაჭვის თვისებების თეორიულ ანალიზს იყენებენ. ზოგიერთი ეკოლოგის აზრით, კვების ტოპოლოგიური ჯაჭვის რამდენიმე ატრიბუტი საზოგადოების დინამიური სტაბილურობის ამამაღლებელ თვისებებთან თავსებადია და მათზეა დამოკიდებული (პიმი და ლოუტონი 1978, პიმი 1980, 1991, ლოუტონი 1989, კოენი და სხვები



**სურ. 27.15.** კვებითი ჯაჭვის სამი სახეობა. ა) კავშირის მქონე ჯაჭვები საზოგადოებაში მომხდარ ყველა ტროფულ ურთიერთქმედებას ასახავენ, თუმცა მათ ძალასთან კავშირი არ აქვთ. ბ) ენერგიის დინების ჯაჭვები პოპულაციათა შორის კავშირებს მომხმარებელსა და წყაროს შორის ენერგიის ნაკადის მიხედვით განსაზღვრავს. რაც უფრო დიდია ისარი, მით უფრო დიდია ენერგიის ნაკადი. გ) კვების ფუნქციონალური ბადეები საზოგადოების სტრუქტურისთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ურთიერთქმედებას ასახავს.

1990, ჰოლი და რაფაელი 1993). კვების ტოპოლოგიური ბადეების თვისებების კვლევამ საზოგადოების სტრუქტურისა და საზოგადოების სტაბილურობის შესახებ რამდენიმე ჰიპოთეზა გააჩინა. ვიდრე განზოგადებებს შევეხებით, კვებითი ჯაჭვის ტერმინოლოგიის ცოდნაა საჭირო.

### კვებითი ჯაჭვის ტერმინოლოგია

კვებითი ჯაჭვი რამდენიმე კვანძისგან შედგება. თითოეული კვანძი ტროფულად მსგავს ანუ მსგავსი მტაცებლისა და მსხვერპლის შემცველ სახეობას ან სახეობათა ჯაგუფს ასახავს. ტროფულად მსგავს სახეობებს ზოგჯერ ტროფოსახეობა ეწოდება. ეკოლოგები სიტყვა „სახეობის“ რაოდენობის მიუხედავად, სიტყვა „კვანძის“ სინონიმად იყენებენ. ჩვენ მიღებულ პრაქტიკას არ ვენინაალმდეგებით. სახეობათა (კვანძთა) რაოდენობა შ სიმბოლოთი აღინიშნება. კვებითი ჯაჭვის უმცირეს ტროფულ დონეზე მყოფ სახეობებს ძირითადი სახეობები (ძირითადი კვანძები) ეწოდება. ზედა დონეზე მყოფი მტაცებლები და შუალედური სახეობები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. სახეობათა შორის ურთიერთქმედებებს დამაკავშირებელი რგოლები ასახავს. დამაკავშირებელი რგოლები კვებითი ჯაჭვის დიაგრამებზე ერთი კვანძის მეორესთან და-მაკავშირებელი ხაზებია (სურ. 27.15). როგორც მე-20 თავში უკვე ვთქვით, ურთიერთქმედებებმა შეიძლება ორივე ურთიერთქმედ სახეობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს (კონკურენცია), ერთ სახეობაზე დადებითი ზეგავლენა, ხოლო მეორეზე უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს (მტაცებლობა, პარაზიტიზმი) და ორივე სახეობაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინოს (მუტულიზმი). კვებითი ჯაჭვის დიაგრამებზე გამოსახული დამაკავშირებელი რგოლები ხშირად პლიუს ან მინუს ნიშნით არის აღნიშნული და ეს ნიშანი ზეგავლენის ბუნებას ასახავს. სახეობებზე მოსული დამაკავშირებელი რგოლების სამუალო რაოდენობას კვებითი ჯაჭვის კავშირების სიმჭიდროვე ეწოდება. დამაკავშირებელი რგოლების მთლიანი რაოდენობის დამაკავშირებელი რგოლების შესაძლო რაოდენობასთან შეფარდებას კვებითი ჯაჭვის დაკავშირება

ეწოდება და ჩ სიმბოლოთი აღინიშნება. ზედა დონეზე მყოფ მტაცებელსა და ძირითად სახეობებს შორის და-მაკავშირებელი რგოლების რაოდენობას ჯაჭვის სიგრძე ეწოდება. ჯაჭვის მაქსიმალური სიგრძე კვებით ჯაჭვში არსებული ტროფული დონეების რაოდენობას ასახავს.


კვებით ჯაჭვებში სახეობათაშორისი და შიდასახეობრივი ურთიერთქმედებებიც არის ასახული (სურ. 27.16). ციკლი არის მდგომარეობა, როდესაც ორ სახეობას შორის მტაცებლური კავშირი არსებობს. მაგალითად, სახეობა სახეობას ჭამს ან პირიქით. კანიბალიზმი არის ციკლი, რომელშიც სახეობა საკუთარ თავზე ნადირობს. ციკლები და კანიბალიზმი ზოგიერთ, მაგალითად ტყის იმარტინის თანასაზოგადოებაში საკმაოდ გავრცელებულა. ზოგიერთი სახეობა ერთზე მეტ ტროფულ დონეზე მყოფი სახეობებით იკვებება და ასეთ მდგომარეობას ყველაფრისმჭამელობა ეწოდება. 27.16 სურათზე ყველაფრისმჭამელობა დაშტრიხული ხაზით არის გამოსახული.

კვებითი ჯაჭვების ძირითადი თვისებებია მტაცებელი სახეობების რაოდენობის შეფარდება მსხვერპლი სახეობების რაოდენობასთან და ქვედა ტროფულ დონეზე მყოფი სახეობების პროპორცია მაღალ დონეზე მყოფი სახეობების პროპორციისადმი. გარდა ამისა, განყოფილებებად დაყოფილ კვებითი ჯაჭვში სახეობათა რამდენიმე ჯაგუფი არსებობს, რომელშიც ურთიერთქმედებები უფრო ძლიერია, ვიდრე თავად ამ ჯგუფებს შორის.

### კვების ტოპოლოგიური ბადეების კვლევის შედეგად მიღებული განზოგადებები

კვების ტოპოლოგიური ჯაჭვების კვლევის შედეგად სულ მცირე, ექვსი განზოგადება არსებობს (პიმი და სხვები 1991). განზოგადებების უმეტესობა კვებითი ჯაჭვის სტრუქტურის ცვლილებას ეხება, როდესაც სახეობათა რაოდენობა იზრდება.

კვებით ჯაჭვში არსებულ ტროფულ დონეთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. კოენი და სხვები (1990)



**სურ. 27.16.** კვებითი ჯაჭვების თვისებები. ა) ციკლი მაშინ გვხდება, როდესაც ორ სახეობას შორის მტაცებლური კავშირი არსებობს. ბ) კანიბალიზმი არის ციკლი, რომელშიც სახეობათა ინდივიდები იგივე სახეობის სხვა ინდივიდებზე ნადირობენ. გ) ყველაფრისმჭამელობა ერთზე მეტ ტროფულ დონეზე კვებას ნიშნავს.

ზღვის, ხმელეთის და მტკნარი წყლის კვების 113 ჯაჭვს დააკვირდნენ და აღმოჩნდა, რომ თითქმის ყველა მათგანში ჯაჭვის მაქსიმალური სიგრძე ხუთი ან ნაკლები დამაკავშირებელი რგოლის იყო, ხოლო ჯაჭვის ყველაზე უფრო გავრცელებული მაქსიმალური სიგრძე 4-ს შეადგენდა. ტროფული დონეების შეზღუდვები რაოდენობა ენერგიის გარდაქმნის არაეფექტურობით უნდა იყოს გამოწვეული. ბიოსინთეზისა და ქსოვილების შენარჩუნებისას ენერგია იკარგება და მაღალ ტროფულ დონეებს არ მიეროდება (იხ. სურ. 10.1). ენერგია ყველა ტროფულ დონეს შორისაც იკარგება, ვინაიდან ეკოლოგიური ეფექტურობა 100%-ზე ნაკლებია (იხ. სურ. 10.8). ენერგეტიკული შეზღუდვები კვების ჯაჭვში არსებულ ტროფულ დონეთა რაოდენობას ამცირებს და ამ მოსაზრებას ენერგიის დინების ჰიპოთეზა ენოდება (პაჩისონი 1959). ენერგიის დინების ჰიპოთეზის თანახმად, პირველადი ნარმოქმნის ტემპი კვებით ჯაჭვში არსებულ ტროფულ დონეთა რაოდენობაზე ზეგავლენას ახდენს. მიუხედავად ზემოთქმულისა, კვებით ჯაჭვებზე ჩატარებულმა კვლევებმა ეს ვარაუდი არ დაადასტურა (ბრიანი და კოენი 1987, შონდლი და სხვები 1990, პიმი 1991). აქედან გამომდინარე, ეკოლოგების უმეტესობა ენერგეტიკული შეზღუდვების მიერ ტროფული დონეების რაოდენობის კონტროლს უარყოფს.

მოყვანილისგან განსხვავებულ მოსაზრებას დინამიური სტაბილურობის ჰიპოთეზა ენოდება და ის უფრო რთულ კვებით ჯაჭვებს ანუ ტროფული დონეების დიდი რაოდენობის და სახეობათა მეტი მრავალფეროვნების შემცველი ჯაჭვისთვის არის გამოსადეგი. ასეთი კვებითი ჯაჭვები გარემო პირობების ჩარევისადმი უფრო მგრძნობიარე და მაშასადამე. მარტივ ჯაჭვებთან შედარებით ნაკლებად სტაბილურია (მეტი 1972ბ, პიმი და ლოუტონი 1977, პიმი 1991). თანასაზოგადოებების პასუხი გარემო პირობების ზემოქმედებაზე მრავალფეროვნებისგან განსხვავებულ ფაქტორებზეა დამოკიდებული, როგორიცაა ჩარევის ინტენსივობის დონე და საზოგაოდების პოპულაციათა ზრდის ტემპები (დეანჯელისი 1975, პასტონი 1994).


კვების ტოპოლოგიური ბადეების ანალიზის შედეგად მიღებული მეორე განზოგადების თანახმად, როდესაც კვებით ჯაჭვში შემავალი სახეობების რაოდენობა იზრდება, ჯაჭვის კავშირების სიმჭიდროვე მუდმივია. მართლაც, ზოგიერთი კვებითი ჯაჭვის ანალიზი ამტკიცებს, რომ სახეობაზე მოსული ურთიერთქმედებების რაოდენობა დაახლოებით ორის ტოლია და ეს რიცხვი თანასაზოგადოებაში შემავალ სახეობათა რაოდენობაზე დამოკიდებული არ არის (კოენი და ბრიანი 1984, კოენი და სხვები 1990, პიმი 1991). ამ მოსაზრებას დამაკავშირებელი რგოლების-სახეობების იერარქიის ჰიპოთეზა ენოდება. როდესაც სახეობათა რაოდენობა იზრდება, კვებით ჯაჭვში კავშირი კლებულობს და ეს ნიშნავს, რომ დიდ კვებით ჯაჭვში კურთიერთქმედების რაოდენობა ნაკლებია.

მარტინესმა (1991ა,ბ) კავშირების სიმჭიდროვის


მუდმივობა ეჭვქვეშ დააყენა და აღნიშნა, რომ ამ მოსაზრების მართებულობისთვის კვების მოცულობის (კვების ერთეული რაოდენობის) შესახებ რეალობას მოკლებული დაშვებებია საჭირო. მან შემდეგი მაგალითი მოიყვანა. დაუუშვათ, მწერიჭამია ფრინველის სახეობები ორ სხვადასხვა თანასაზოგადოებაში ბინადრობენ. თანასაზოგადოებაში მწერის ორჯერ მეტი სახეობაა, ვიდრე საზოგადოებაში. თუ კავშირების სიმჭიდროვე მუდმივია, მაშინ ფრინველმა ორივე თანასაზოგადოებაში მწერების სახეობათა ერთი და იგივე რაოდენობა უნდა შეჭამოს, მაგრამ მწერიჭამია ფრინველების უმეტესობა მწერების ბევრ განსხვავებულ სახეობას ჭამს. მარტინესის აზრით, უფრო გონიერი იქნება დაუუშვათ, რომ ჩიტი საზოგადოებაში მწერთა უფრო ბევრ სახეობას შეჭამს, ვიდრე საზოგადოებაში. მარტინესმა კვლევა 175 განსხვავებულ კვებით ჯაჭვზე ჩატარა და აღმოჩინია, რომ საზოგადოებაში შემავალი სახეობების რაოდენობის ზრდასთან ერთად, კავშირი შემცირების ნაცვლად, მუდმივი რჩება. ამ მოსაზრებას მუდმივი კავშირის ჰიპოთეზა ენოდება. ჰიპოთეზის თანახმად, დამაკავშირებელი რგოლების რაოდენობა ჯაჭვში შემავალი სახეობის რაოდენობის კვადრატის მსგავსად იზრდება. მწერიჭამია ფრინველის მაგალითი ორგანიზმებში კვებითი ადაპტაციის სირთულის შესახებ არასწორ ნარმოდგენას გვიქმნის. ძალიან კარგად ადაპტირებული მჭამელებიც კი სახეობათა სხვადასხვა რაოდენობის შემცველ საზოგადოებებში ერთნაირად არ მოქმედებენ. კვებით ჯაჭვებში შესახებ არსებული განზოგადებების კვლევისას ძირითადი აქცენტი კვების ფიზიოლოგიურ და ევოლუციურ შეზღუდვებზე კეთდება (შონერი 1989, მარტინესი 1991).

კვებითი ჯაჭვების ზედა, შუალედურ და ქვედა ტროფულ დონეზე ორგანიზმთა პროპორცია მუდმივია (ბრიანი და კოენი 1984, ჯეფრისი და ლოუტონი 1985, კოენი და სხვები 1996, პოლი და რაფაელი 1993). ეს განზოგადება მტკნარი წყლის უხერხემლო ცხოველების კვების 92 ჯაჭვისთვის 27.17 სურათზეა გამოსახული. კვებით ჯაჭვში შემავალი სახეობების რაოდენობის მიუხედავად, მტკცებელ სახეობაზე მოსული მსხვერპლის სახეობა 2-სა და 3-ს შორისაა.

27.18 სურათზე ნაჩვენებია ყველაფრისმჭამელობის სხვადასხვა დონის კვებითი ჯაჭვები. კვებითი ჯაჭვების ადრეული ანალიზის თანახმად, ყველაფრისმჭამელობა (ერთზე მეტი ტროფულ დონეზე კვება) ბუნებრივ თანასაზოგადოებებში გავრცელებული არ არის (პიმი 1982). წყლის და ხმელეთის თანასაზოგადოებების შემდგომმა კვლევამ დაადასტურა, რომ ასეთი განზოგადება სწორი არ არის. პოლისის (1991) აღმოჩინით, უდაბნოს რთულ კვებით ჯაჭვში შემავალი სახეობების დაახლოებით 78% ყველაფრისმჭამელია. მარტინესმა (1991) იგივე ტიპის აღმოჩინები წყლის კვებით ჯაჭვისთვისაც გააკეთა. ყველაფრისმჭამელობა შესაძლოა მხედველობიდან გამოგრჩეთ, თუ კვებითი ჯაჭვები საზოგადოებაში შემავალი სახეობების



**სურ. 27.17.** მტაცებელ სახეობათა და მსხვერპლ სახეობათა რაოდენობას შორის დამოკიდებულება მტკნარი წყლის უხერხემლო ცხოველების კვების 92 ჯაჭვში. როდესაც ჯაჭვში შემავალი სახეობების რაოდენობა იზრდება, მტაცებელსა და მსხვერპლს შორის პროპორცია მუდმივია. მცრავ ჯაჭვში პროპორცია 2:1 მსხვერპლი : მტაცებელი, ხოლო დიდ ჯაჭვში - 3,5:1 მსხვერპლი : მტაცებელი.




კვებითი ქცევების და სასიცოცხლო ციკლის შესახებ დეტალურ ინფორმაციას არ შეიცავს ან სახეობები ტროფოსახეობებშია შეჯგუფებული. მაგალითად, მრავალი სახეობა განვითარების განმავლობაში კვებით ჩვევებს იცვლის, ამიტომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ის ყველაფრისმჭამელია. ყველაფრისმჭამელი ქცევების ეს სახეობა კვებით ჯაჭვში კვების რგოლით აღინიშნება და ასეთ დროს სახეობათა მოზრდილი წარმომადგენლები სახეობათა ახალგაზრდებს ჭამენ და პირიქით. კვებით ჯაჭვზე ხანგრძლივად დაკვირვების გარეშე კვების რგოლების აღმოჩენა საკმაოდ რთულია (პიმი და რაისი 1987, პოლისი 1991).

განყოფილებებად დაყოფა კვებით ჯაჭვში იშვიათად ხდება (პიმი და ლოუტონი 1980). განსაკუთრებულ შემთხვევაში თითოეული განყოფილება განცალკევებულ საზოგადოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. განყოფილება გავრცელების არეალებთან ან გავრცელების არეალში მობინადრე სახეობებთან დაკავშირებით შეიძლება შეიქმნას. მაგალითად, სამხრეთ კანადაში, ფართოფოთლოვან და ნინვოვან ტყეებში ქერცლფრთიანი ყველაფრისმჭამელების გაერთიანებებია და ორივე ჯგუფში ღამის პეპლების და საწფლეულების მცირე რაოდენობის სახეობა ან გვარი იკვებება მცენარეებით. აქედან გამომდინარე, შერეულ ტყეებში ფართოფოთლოვანი და ნინვოვანი ხეების ფაუნები ცალკეულ საზოგადოებებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ღამის პეპლები ფართოფოთლოვანი ხეების სხვადასხ-

**სურ. 27.18.** კვებითი ჯაჭვები იშვიათი და ხშირი ყველაფრისმჭამელებით. ა) ზღვის სანაპიროს საზოგადოება მიქცევა-მოქცების ზონაში მუცელფეხებს, ორსაგდულიან მოლუსკებს და მათ მსხვერპლს შეიცავს. კვების ამ ჯაჭვში 7 სახეობა და 8 დამაკავშირებელი რგოლია. ბ) მცენარე აცჰარის, მისი ბალახისმჭამელი მწერები და მწერების პარაზიტოდები. კვების ამ ჯაჭვში 8 სახეობა და 12 დამაკავშირებელი რგოლია. მსხვერპლთა ყველა სახეობა ნაჩვენები არ არის.

ვა სახეოებებით იკვებებიან, მაგრამ მათი ადაპტაციის დონე სხვადასხვაგვარია და ისინი ცალკეულ ქვესიმრავლებში არ ერთიანდება. პიმმა (1991) აღნიშნა, რომ განყოფილებებს შორის ურთიერთებისადმი წინააღმდეგობა სუსტია. მოდით, ვნახოთ, რა ხდება, როდესაც მცენარით და ცხოველით მკვებავი (ყველაფრისმჭამელი) სახეობა განყოფილებად დაყოფილ საზოგადოებაში შედის (სურ. 27.19). ახალმა სახეობამ მისთვის საჭირო მცენარე ან ცხოველი კვების ერთი ჯაჭვის შიგნით შეიძლება იპოვოს, სადაც ის მტაცებელიც იქნება და კონკურენტიც. ასევე შესაძლებელია, ამ სახეობამ მცენარე სხვა განყოფილებაში იპოვოს და აქედან გამომდინარე, კვების ერთ ჯაჭვში მტაცებლის ფუნქცია შეასრულოს, ხოლო მეორე ჯაჭვში ბალახისმჭამელი იყოს და ორი განყოფილება ერთმანეთთან დააკავშიროს. პიმის აზრით, ეს უკანასკნელი მოვლენა რეალობასთან უფრო ახლოსაა და მაშასადამე, განყოფილებები იშვიათად გვხვდება.



**სურ. 27.19.** განყოფილებებად დაყოფის იშვიათობის მიზანი.  
ა) განყოფილებებად დაყოფილი კვებითი ჯაჭვის კვების მარცხენა ჯაჭვში შემავალი სახეობები კვების მარჯვენა ჯაჭვში შემავალ სახეობებთან არ ურთიერთქმედებენ. ბ) მუქი მნიშვნელოვანი წრე განყოფილებებად დაყოფილ კვებით ჯაჭვში შესულ ყველაფრისმატებულს ასახვს. სახეობები კვების ერთ ჯაჭვში (მარცხენა ჯაჭვში) შეძლება იყვებებოდნენ და შესაბამისად, კვების ამ ჯაჭვის კონკურენტები და მტაცებლები ერთდროულად არ სხებოდენ. თუ სახეობები განყოფილებების გასწროვ (მარჯვნივ) იყვებებან, მაშინ ისინი კვების თითოეულ ჯაჭვში ერთ ფუნქციას ასრულებენ. უკანასკნელი მოსაზრება რეალობსათან უფრო ახლოსაა.

### კვების ტოპოლოგიური ჯაჭვების ანალიზის შედეგად მიღებულ განზოგადებებთან დაკავშირებული პროცესები

ბევრი ეკოლოგის აზრით, კვების ტოპოლოგიური ბადების კვლევის შედეგად მიღებული განზოგადებები მეთოდოლოგიურ საფუძველზე სუსტია (პოლისი 1991, პოლისი და ვაინმილერი 1996). განზოგადებების ერთ-ერთი მთავარი სისუსტე კვებითი ჯაჭვების შედარებითი კვლევის შედეგად მიღებაა (კონი 1978, პიმი 1980, 1982, ბრიანი 1983, კონი და სხვები 1990), როდესაც კვლევა სხვადასხვა ობიექტზე სხვადასხვა მეთოდით ტარდება და ანალიზიც სხვადასხვა დონეზე ხდება. კვებითი ჯაჭვში შემავალი ტროფული დონეების რაოდენობა კვებითი ჯაჭვის აგების მეთოდზეა დამოკიდებული. ნაკლებად ერთიან ჯაჭვში (მცირე რაოდენობით ტროფოსახეობების მქონე ბადებში) ტროფიული დონეების რაოდენობა მეტია, ვიდრე ისეთ ბადეებში, სადაც ტროფოსახეობების რაოდენობა დიდია (პოლი და რაფაელი 1993, მარტინესი 1993). ერთიანობა კვებითი ჯაჭვების პირვანდელ კვლევებს უფრო ახასიათებს, როდესაც ჯაჭვები მცირე რაოდენობით სახეობას და დამაკავშირებელ რგოლებს მოიცავს (ვაინმილერი 1990, პოლისი 1991).

### 27.8. კვებითი ჯაჭვების ინტერაქციის ანალიზ თავისი ფასვები თეორიულ და ესარიჩევულ ეკოლოგიაში აკვს

საზოგადოების სტრუქტურის შესწავლის თანამედროვე მეთოდი კვებითი ურთიერთქმედების ჯაჭვების დინამიური ანალიზია. ასეთი მიდგომის თეორიული

საფუძვლები რობერტ მეის კვლევებში უნდა ვეძიოთ, რომელმაც კვების ტოპოლოგიური ჯაჭვების მეტრიკულები საზოგადოებაში შემავალ პოპულაციათა ურთიერთქმედების გაზომვასთან დააკავშირა. იგივე მიდგომის ემპირიული საფუძვლები რობერტ პეინის მიერ მიქცევა-მოქცევის ზონაში მდებარე საზოგადოების დინამიკაზე ჩატარებულ ექსპერიმენტებშია.

### კვების ბადის ტოპოლოგია და საზოგადოების სტაბილურობა

მეიმ (1972, 1975) საზოგადოების სტაბილურობის პროგნოზისთვის საჭირო თეორიული მოდელი ლოტკა-ვოლტერას პოპულაციათა ურთიერთქმედების მოდელიდან მიიღო. მეის აზრით, საზოგადოება სტაბილურია, როდესაც:

$$b(SC)^{1/2} < 1,$$


სადაც  $b$  არის სახეობათა ურთიერთქმედების საშუალო სიდიდე, ხოლო  $S$  და  $C$  – შესაბამისად, სახეობათა რაოდენობა და შეერთებადობა. ამგვარი ფორმულირების გასაღები ხ პარამეტრია, რომლითაც საზოგადოებაში მომხდარი ურთიერთქმედებების საშუალო ინტენსივობა იზომება. ზემოთ მოყვანილი ფორმულის გარდაქმნა სტაბილურობის შემდეგ კრიტერიუმს გვაძლევს:

$$SC < b^{-2}.$$

მაშასადამე, საზოგადოების სტაბილურობა საზოგადოებაში მომხდარი ურთიერთქმედებების ძალაზეა დამოკიდებული.

დავუშვათ, საზოგადოებაში შემავალ პოპულაციათა შორის ურთიერთქმედებების საშუალო ინტენსივობა  $b = 0,5$ .  $S = 10$  სახეობისგან შემდგარი საზოგადოება სტაბილურია, ვიდრე ჩ შეერთებადობა 0,4-ზე ნაკლებია ( $C = 0,5 - 2 = 10 = 4/10 = 0,4$ ).  $S = 20$  სახეობისგან შემდგარი საზოგადოების სტაბილურობა მაშინ მიიღწევა, როდესაც  $C = 0,2$ , ხოლო  $S = 50$  შემთხვევაში  $C = 0,08$ . დამტკიცების გარეშე ვამბობთ, რომ ურთიერთქმედ სახეობათა წყვილების რაოდენობა საზოგადოებაში არის  $CS (S - 1)$ . მაშასადამე, როდესაც  $S = 10$  და  $b = 0,5$ ,  $C = 0,4$  და სახეობათა  $CS (S - 1) = (0,4)(10)(9) = 36$  რაოდენობის ურთიერთქმედი წყვილი გვაქვს, ხოლო პირობების დანარჩენი ორი სიმრავლისთვის წყვილების რაოდენობაა 76 და 196.

მეის კვლევის შედეგების თანახმად, სისტემის ზომის მიუხედავად, სახეობაზე მოსული ურთიერთქმედებების რაოდენობას ურთიერთქმედების საშუალო ინტენსივობით განსაზღვრული ზედა ზღვარი გააჩნია. აქედან გამომდინარე, ნაკლებად საგარაუდოა, რომ უფრო მრავალფეროვანი სისტემები შედარებით რთულია, ვინაიდან რთული სისტემები სტაბილური არ არის. მეის თეორიის მეთოდოლოგიური წინააღმდეგობები მოგვიანებით წამოჭრეს (ჰეიდონი 1994, ვაინმილერი და პოლისი 1996), თუმცა ის უფრო საზოგადოების დინამიკის მიზანის მიხედვით უფრო და დამაკავშირებელ რგოლებს მოიცავს (ვაინმილერი 1990, პოლისი 1991).



**სურ. 27.20.** მიქცევა-მოქცევის ზონის კვებითი ჯაჭვების ძირითადი მტაცებლები დომინრებენ და ესენია: а) ზღვის ვარსკვლავი ისასტერ, ვაშინგტონის ზღვის სანაპირო, ბ) ელიასტერ, კალიფორნიის ჩრდილოეთის ყურე. კვებითი ჯაჭვების ქვედა ტროფულ დონეებზე ქიტონები, მოლუსკები, ბალახისმჭამელი მუცელფეხიანები და სხვა ბალახისმჭამელები იმყოფებიან.

დონებაში შემავალ სახეობათა ურთიერთქმედებებს ეხება, ვიდრე უბრალოდ კვების ბადის ტოპოლოგიას (C და S). ბევრი ეკოლოგის აზრით, ამგვარი ურთიერთქმედებების გამოყოფა საზოგადოების სტრუქტურის გააზრებისთვის ძალიან სასარგებლობა.

### მომხმარებლების ფუნქცია საზოგადოების სტრუქტურაში

პეინის მიერ კლდიანი სანაპიროს საზოგადოებების მტაცებლებზე ჩატარებული დაკვირვება (1966) ექსპერიმენტული ეკოლოგიური კვლევის კლასიკად ითვლება. პეინი კალიფორნიის ყურესა და ვაშინგტონის შტატის ზღვის სანაპიროზე არსებულ კვებით ჯაჭვებს იკვლევდა, სადაც მტაცებელი ზღვის ვარსკვლავები ისასტერ და ელიასტერ დომინირებდნენ (სურ. 27.20). პეინმა ექსპერიმენტის არეალიდან ეს ვარსკვლავები გამორიცხა და დამტკიცა, რომ მტაცებლები საზოგადოების სტრუქტურის შენარჩუნებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენენ. მტაცებლობის აღმოფხვრის შედეგად საზოგადოების აგებულება ირლევა. ძირითადი სახეობების ფუნქცია მტაცებლებისგან განსხვავებულმა სახეობებმაც შეიძლება შესარულონ (პანტერი და პრაისი 1992). ძირითადობის ცნება მეტისმეტად გამარტივებულია და სახეობათა მნიშვნელობის გააზრებაში ნაკლებად გვეხმარება.

ტერიტორიაზე მიღიები (ყტილუს) ძალიან სწრაფად გავრცელდნენ, ექსპერიმენტული გრაფიკებიდან სხვა ორგანიზმები განდევნეს და კვების ადგილობრივი ჯაჭვების მრავალფეროვნება და სირთულე შეამცირეს. ბალახისმჭამელ ზღვაზე შტრონგულოცურნტროტუს-ის შემცირება ტერიტორიაზე წყალმცენარეების გამრავლებას იწვევს და მრავალი ერთდღიანი სახეობა იდევნება. პეინმა დამტკიცა, რომ მტაცებლები და ბალახისმჭამელი ცხოველები დაბალ ტროფულ დონეებზე სახეობათა შორის კონკურენციაზე ზეგავლენას ახდენენ და საზოგადოების სტრუქტურას აკონტროლებენ. ამგვარ სახეობებს ძირითადი მტაცებლები ეწოდებათ, ვინაიდან მათი აღმოფხვრის შედეგად საზოგადოების აგებულება ირლევა. ძირითადი სახეობების ფუნქცია მტაცებლებისგან განსხვავებულმა სახეობებმაც შეიძლება შესარულონ (პანტერი და პრაისი 1992). ძირითადობის ცნება მეტისმეტად გამარტივებულია და სახეობათა მნიშვნელობის გააზრებაში ნაკლებად გვეხმარება.


კლდიანი სანაპიროს მიქცევა-მოქცევის ზონის საზოგადოებების კვებითი ჯაჭვები ურთიერთქმედებების ჯაჭვებია (პეინი 1966). კვებითი ურთიერთქმედებების ჯაჭვების ანალიზი არა მხოლოდ ჯაჭვში მომხდარი პირდაპირი ურთიერთქმედებების სიძლიერის გამოთვლას მოითხოვს, არამედ არაპირდაპირი ურთიერთქმედებების სიდიდის განსაზღვრასაც. მოდით, საზოგადოებაში მომხდარი არაპირდაპირი ურთიერთქმედებების ბუნება გამოვიკვლიოთ და შემდეგ კვებითი ურთიერთქმედების ჯაჭვის ექსპერიმენტული ანალიზის მაგალითი განვიხილოთ.

### 27.9. არაპირდაპირი ინტერაქციები

#### თასაზოგადოების სტრუქტურის მნიშვნელოვანი ინტერაქცია

კვების ტოპოლოგიური ჯაჭვები საზოგადოებაში მომხდარი ტროფული ურთიერთქმედებების ჩამონათვალს გვაძლევს, თუმცა ამ ურთიერთქმედებების ინტენსივობის ან მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას არ შეიცავს. თანასაზოგადოების სტრუქტურის გასაგებად, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ურთიერთქმედებები უნდა განვითაროთ (პეინი 1992). ასევე აუცილებელია არაპირდაპირი ურთიერთქმედებების რაოდენობის და ინტენსივობის გამოთვლა.

როდესაც ერთი სახეობის მეორესთან ურთიერთქმედება პირდაპირ ფიზიკურ კონტაქტს გულისხმობს, როგორც ეს არის მტაცებლობის, ბალახისმჭამელობის და პარაზიტიზმის შემთხვევაში ან როდესაც ერთი სახეობა მეორეს ფიზიკურად ეხება ან რამე უპირატესობას აძლევს (მაგალითად, იცავს), ურთიერთქმედებას პირდაპირი ეწოდება. როდესაც ერთი სახეობა მეორის მრავალრიცხვნობაზე მესამე სახეობასთან ურთიერთქმედების შედეგად ახდენს ზეგავლენას, მესამე სახეობას შუალედური, ხოლო ურთიერთქ-



**სურ. 27.21.** პირდაპირი ურთიერთქმედები პირდაპირ ფიზიკურ კონტაქტს (მტაცებლობა, კონკურენცია და ა.შ.) მოიცავს. არაპირდაპირი ურთიერთქმედებები შუალედური სახეობები (I) მონაწილეობენ, შუალედური სახეობები ურთიერთქმედების ჯაჭვის შემადგენლი ნაწილები შეიძლება იყვნენ ან პირდაპირი ურთიერთქმედება შეცვალონ.


მედებას არაპირდაპირი ენოდება (სურ. 27.21). შუალედური სახეობების ფუნქციის მიხედვით არაპირდაპირი ურთიერთქმედებების გამომწვევი ორი მექანიზმი არსებობს. არაპირდაპირი ზეგავლენა პირდაპირი ზეგავლენის ჯაჭვის შედეგად შეიძლება მოხდეს და ამ ჯაჭვს ურთიერთქმედების ჯაჭვი ენოდება. როდესაც სახეობაზე ზეგავლენას ორ სხვა სახეობას შორის მომხდარი ურთიერთქმედება ახდენს, ადგილი ურთიერთქმედების შეცვლას აქვს (უტონი 1993, 1994). ურთიერთქმედების ჯაჭვები კვების ტოპოლოგიური ჯაჭვებიდან მიიღება, ხოლო ურთიერთქმედების ცვლილებების გამოვლენა ექსპერიმენტული ანალიზის გარეშე ძნელია.

არაპირდაპირი ზეგავლენის ხუთი მარტივი სახეობა არსებობს და აქედან სამ მათგანს უკვე შევეხეთ (სურ. 27.22). სახეობათმორისი ბრძოლა და ხილული კონკურენცია (21 და 22 თავები) არაპირდაპირ ურთიერთქმედებად შეგვიძლია მივიჩინოთ. სახეობათმორისი ბრძოლისას A და C მომხმარებლები სახეობა-რესურსს მოიხმარენ. თუ მომხმარებლი სახეობა-რესურსის მრავალრიცხოვნობას ამცირებს, მაშინ ის C სახეობის მრავალრიცხოვნობაზე არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს. სახეობა ასეთ დროს შუალედური სახეობაა. ხილული კონკურენციისას, მომხმარებელი და C სახეობა-რესურსებს მოიხმარს. ერთ-ერთი რესურსის, მაგალითად სახეობის მრავალრიცხოვნობის ზრდა C სახეობის მრავალრიცხოვნობის შემცირებას იწვევს. მაშასადამე, ერთ-ერთი სახეობა-რესურსი მეორეზე შუალედური მომხმარებელი სახეობის დახმარებით ახდენს ზეგავლენას. ტროფული კასკადი არაპირდაპირი ურთიერთქმედების ჯაჭვია, რომელიც სამ ან მეტ ტროფულ დონეს შეიცავს (იხ. თავი 13).

არაპირდაპირი მუტუალიზმი არაპირდაპირი ურთიერთქმედებებია, რაც ერთი სახეობის მიერ მეორეზე მოხდენილ დადებით ზეგავლენას მოიცავს (დეტიე და დაგინის 1984, შონერი 1993, უტონი 1994). არაპირდაპირი მუტუალიზმები მაშინ ჩნდება, როდესაც

ინტერფერენციული ან ექსპლუატაციური კონკურენცია პირდაპირი ზეგავლენას უკავშირდება. მაგალითად, დაუუშვათ, და C სახეობებს სივრცისთვის აქვთ კონკურენცია (ინტერფერენციული კონკურენცია) და სახეობას უპირატესობა აქვს. სახეობა სახეობას მოიხმარს, ხოლო სახეობა C სახეობას მოიხმარს (იხ. სურ. 27.22). თუ სახეობა კონკურენციაში უპირატესობის მქონე სახეობის მრავალრიცხოვნობას ამცირებს, C სახეობის მრავალრიცხოვნობა სახეობის მსგავსად შეიძლება გაზიარდოს. ასეთი ურთიერთქმედება აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე უდაბნოებში შეინიშნება, სადაც ჩანთოსანი ვირთხები დიდი თესლის მქონე მცენარეების ჭამას არჩევენ. დიდი თესლის მქონე მცენარეების რაოდენობის შემცირება სასარგებლოა ჭიანჭველებისთვის, ვინაიდან ისინი პატარა თესლის მქონე მცენარით კვებას ამჯობინებენ (დევიდსონი და სხვები 1984).

არაპირდაპირი ზეგავლენა 27.22 სურათზე გამოსახულ მარტივ ურთიერთქმედებებთან შედარებით რთულია. უფრო მეტიც, არაპირდაპირი ზეგავლენების აღმოჩენა ხანგრძლივი ექსპერიმენტების გარეშე ძნელია. პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენის მაჩვენებელი კვებითი ურთიერთქმედების ჯაჭვებისადმი ექსპერიმენტული მიღებომა ეკოლოგიაში სწრაფად ვითარდება. ჩვენ ძველ კვებით ჯაჭვში ჩატარებულ ერთ-ერთ ასეთ ექსპერიმენტს განვიხილავთ.



**სურ. 27.22.** არაპირდაპირი ზეგავლენის ხუთი მარტივი სახეობა. სახეობათმორისი ბრძოლისას და ჩ მომხმარებლები შუალედური სახეობა-რესურსის საშუალებით ერთმანეთზე არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენენ. ტროფული კასკადი სახეობა ასეთი დროის განვითარებულ ურთიერთქმედების ჯაჭვს მოიცავს (სახეობა შუალედური). ხილული კონკურენციისას ორი სახეობა-რესურსი შეალედური მოიხმარებლი სახეობას (სახეობას) დახმარებას ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენს. არაპირდაპირი მუტუალიზმი ინტერფერენციული ან ექსპლუატაციური კონკურენციის შედეგად შეიძლება განვიდება.

## 27.10 კვეპითი ჯაჭვების იცრეფა და მოწყობი მოითხოვს თეორიაზე და მყარებულ ექსარიგიანტებს

საზოგადოების სტრუქტურის სრულად აღქმისთვის საზოგადოების კვეპით ჯაჭვები მომხდარი შესაძლო ურთიერთქმედებების სიძლიერის და არაპირდაპირი ზეგავლენის სიდიდეების გაგება აუცილებელია. ამგვარი ინფორმაციის მისაღებად ექსპერიმენტების ჩატარებასა საჭირო (ბენდერი და სხვები 1984, შონერი 1993, პეინი 1992, ოძისი 1995, შმიდტი 1997). ექსპერიმენტი სისტემის დამუშავებას ან აღელვებას და შემდეგ ამ სისტემის საკონტროლო სისტემასთან შედარებას გულისხმობს, რომელიც არ დამუშავებულა, მაგრამ სხვა მხრივ ყველანაირად იდენტურია. ბუნებრივი თანასაზოგადოებების გაღიზიანება მაშინ ხდება, როდესაც მისი შემადგენელი ერთი ან მეტი სახეობის მრავალრიცხოვნობა იზრდება ან კლებულობს, ხოლო ამგვარი ცვლილება ბიოტური მოვლენებით ან ბუნებრივი ჩარევით არის გამოწვეული. ერთი ან მეტი სახეობის მრავალრიცხოვნობის ცვლილება სხვა სახეობებზე ახდენს ზეგავლენას და სწორედ ამ ზეგავლენების ერთობა იწვევს აღელვების ერთიანი შედეგის დადგომას. საბოლოო ჯამში, საზოგადოება სხვადასხვა პირდაპირ და არაპირდაპირ ზეგავლენებზე პასუხობს. პასუხების სირთულე საზოგადოებს ეკოლოგებისთვის მთავარი გამოწვევაა. სწორედ ამ გამოწვევასთან არის დაკავშირებული ეკოლოგების მთავარი თავსატეხი, თუ რასთან უნდა შედარდეს ზუსტად აღელვებული საზოგადოება, რადგან საზოგადოებაში მომხდარი ცვლილების ყველა პირდაპირი ან არაპირდაპირი საშუალება ნაკლებად არის ცნობილი. კვეპითი ჯაჭვების ანალიზის დახმარებით, ამ პრობლემების გადაჭრა თანასაზოგადოების ეკოლოგების თანამედროვე ამოცანა.

### თეორიული საფუძველი

კვეპითი ურთიერთქმედების ჯაჭვების ანალიზისადმი ორი ექსპერიმენტული მიდგომა არსებობს და ორივე მათგანი საზოგადოების კლასიკურ თეორიასთან მჟღადროდ არის დაკავშირებული. კლასიკური თეორიის და ექსპერიმენტული მიდგომების შესწავლისთვის სამი სახეობისგან (1, 2 და 3) შემდგარი საზოგადოება განვიხილოთ, რომელშიც 1 და 2 სახეობები კონკურენციაში არიან, ხოლო მესამე სახეობა დანარჩენი ორის მსხვერპლია. ასეთ სისტემას დინამიური განტოლებების შემდეგი სიმრავლე ასახავს:

$$dN_1/dt = f_1(N_1, N_2, N_3)$$

$$dN_2/dt = f_2(N_1, N_2, N_3)$$

$$dN_3/dt = f_3(N_1, N_2, N_3)$$

სადაც  $N_1$ ,  $N_2$  და  $N_3$  1, 2 და 3 პოპულაციების სიმჭიდროვეებია. ჩვენი მიზნების მისაღწევად პირველ და

მეორე სახეობას შორის კონკურენციის მექანიზმები არ გვაინტერესებს და უპრალოდ ვიცით, რომ ისინი ერთმანეთს ხელს რაიმე საშუალებით უშლიან. მოცემულ შემთხვევაში კარგი იქნება 21.5 პარაგრაფის გადაკითხვა, სადაც სახეობათაშორისი ბრძოლის მოდელი ავაგეთ და ლოჯისტიკური მრუდის მიხედვით ზრდაზე დაფუძნებული ფი ფუნქციები მივიღეთ.

დინამიურ განტოლებათა სისტემას  $N_i$  წონასწორობა გააჩნია. წონასწორობა პოპულაციათა სიმჭიდროვეების (ვექტორია, რომლისთვისაც  $dN_1/dt = dN_2/dt = dN_3/dt = 0$ ). წონასწორობის პირობებში თითოეული სახეობა დანარჩენი ორის ზრდის ტემპზე სხვადასხვა დოზით ახდენს ზეგავლენას.  $i$  სახეობის ზეგავლენა  $j$  სახეობაზე იჯ სიმბოლოთი აღვნიშნოთ. მაგალითად, მეორე სახეობის ზეგავლენა პირველზე 21 იქნება. ზეგავლენების მატრიცას საზოგადოების მატრიცა ეწოდება:

$$A_{11} \ A_{12} \ A_{13}$$

$$A_{21} \ A_{22} \ A_{23}$$

$$A_{31} \ A_{32} \ A_{33}$$

საზოგადოების მატრიცის დიაგონალური ელემენტები ( $A_{11}, A_{22}, A_{33}$ ) შიდასახეობრივი ბრძოლის შედეგად პოპულაციის მიერ საკუთარ ზრდაზე მოხდენილ ზეგავლენების ასახავს და უარყოფითი მნიშვნელობები აქვს (იოძისი 1988).

$N_1$ ,  $N_2$  ან  $N_3$  სიდიდეების გაზრდა ან შემცირება სისტემის აღელვებას ნიშნავს და შედეგად  $dN_1/dt$ ,  $dN_2/dt$  და  $dN_3/dt$  სიდიდეები იცვლებია. 22-ე თავიდან გამომდინარე, ეკოლოგმა სისტემის აღელვება სამი სახეობიდან ერთის ან მეტის ინდივიდების რაოდენობის გაზრდით ან შემცირებით შეიძლება გამოიწვიოს. ამის გაკეთება ორი მეთოდით შეიძლება. ინდივიდების დამატება ან გამოკლება დროის მცირე პერიოდში ერთ ჯგუფად შეიძლება მოხდეს. მაგალითად, თანასაზოგადოება ან თანასაზოგადოების ნაწილი რაიმე ბარიერით შეგვიძლია შემოვსაზღვროთ და შემდეგ ერთი სახეობის ინდივიდების უმტესი ნაწილი ამ ტერიტორიიდან გავიყვანოთ, რაც პოპულაციის მრავალრიცხოვნობას შეამცირებს. ასეთ ექსპერიმენტს იმპულსური ეწოდება, ვინაიდან აღელვება მეტ-ნაკლებად მყისიერად ხდება და სხვა ცვლილებები არ გავაქვს (ბენდერი და სხვები 1984). იმპულსური ექსპერიმენტის შედეგების გასაგებად საზოგადოებას საწყისი მდგომარეობიდან იმპულსის გამოყენებამდე და საბოლოო მდგომარეობის ჩათვლით უნდა დავაკვირდეთ.

სისტემის აღელვების კიდევ ერთი საშუალება ინდივიდების დამატების ან გამოკლების პროცესის გაგრძელებაა, რაც აღელვებას ინარჩუნებს. ექსპერიმენტის ასეთ სახეობას ზენოლის ექსპერიმენტი ეწოდება (ბენდერი და სხვები 1984). ზენოლის ექსპერიმენტის შედეგების სისტემა საწყისი მდგომარეობიდან ახალ მდგომარეობაში გადადის და ამგვარი ვითარება

ნარჩუნდება. ზენოლის ექსპერიმენტს სისტემა საწყისი ის N<sub>2</sub> წონასწორობიდან ახალ წონასწორობაში გადაყავს. ზენოლის ექსპერიმენტის ჩატარება საკმაოდ რთულია, ვინაიდნ სისტემის დამუშავება დიდი ხნის განმავლობაში უნდა გაგრძელდეს, თუმცა ასეთი ექსპერიმენტის შედეგები უფრო ნათლად ჩანს, რადგან საზოგადოების გარდამავალ მდგომარეობაზე დაკვირვება აუცილებელი აღარ არის. ზენოლის ექსპერიმენტის ჩატარებისას საზოგადოების საწყისი მდგომარეობა ახალ მდგომარეობას უნდა შევადაროთ.

ამჯერად კვლავ სამი სახეობისგან შემდგარ ჰიპოთეტურ საზოგადოებას დაგუბრუნდეთ და ზენოლის ექსპერიმენტის მნიშვნელოვანი თვისება განვიხილოთ. პირველ სახეობაზე ზენოლის გაძლიერების აღნიშვნისთვის დინამიური განტოლებები შემდეგი სახით ჩავწეროთ:

$$\frac{dN_1}{dt} = f_1(N_1, N_2, N_3) + I_1$$

$$\frac{dN_2}{dt} = f_2(N_1, N_2, N_3)$$

$$\frac{dN_3}{dt} = f_3(N_1, N_2, N_3)$$

სადაც I<sub>1</sub> არის პირველი სახეობისთვის ინდივიდების დამატება. პირველი სახეობის ინდივიდების დამატება სხვა სახეობების წონასწორულ სიმჭიდროვეებს შეცვლის. თუ ასეთი სისტემის სტაბილურობა მათემატიკურად გამოითვლება, მაშინ საზოგადოების მატრიცის უარყოფითი შებრუნებული ზენოლის ექსპერიმენტების ყველა შესაძლო შედეგს თავს უყრის (იოძისი 1988). საზოგადოების მატრიცის უარყოფითი შებრუნებულების ელემენტები ყველა i-სა და j-სთვის – [A<sup>-1</sup>]<sub>ij</sub> ფორმით შეიძლება ჩაიწეროს. თითოეული ელემენტის ნიშანი ზრდის ტემპზე სხვადასხვა დოზით მოხდენილი ზეგავლენის დადებითობას ან უარყოფითობას აღნიშნავს. თუ – [A<sup>-1</sup>]<sub>ij</sub> < 0, მაშინ j სახეობის ინდივიდების დამატება i სახეობის წონასწორული სიმჭიდროვის შემცირებას იწვევს. ამ მნიშვნელობების დიდი უპირატესობა ის არის, რომ ისინი საზოგადოებაში შემავალი ერთი სახეობიდან მეორეზე მოხდენილ ჯამურ ზეგავლენას ასახავენ, იქნება ეს პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

საზოგადოების მატრიცის შებრუნებულის ზემოთ მოყვანილი თვისების მნიშვნელობის უკეთ გასაგებად არსებულ კონკურენციასთან დაკავშირებული მაგალითი განვიხილოთ. დავუშვათ, სამი სახეობისგან შემდგარ საზოგადოებაში პირველი და მეორე სახეობები კონკურენციაში არ არიან. ეს ნიშნავს, რომ ამ სახეობებს შორის ურთიერთებული არ ხდება. ზენოლის ექსპერიმენტი, რომელიც მეორე სახეობის ინდივიდების რაოდენობას ზრდის, მესამე სახეობის ინდივიდების რაოდენობის ზრდასაც იწვევს. იგივე ექსპერიმენტმა პირველ სახეობაზე უარყოფითი გავ-

ლენაც შეიძლება იქონიოს, ვინაიდან მტაცებლის პოპულაციის მეტი სიმჭიდროვე მსხვერპლი პოპულაციების შეზღუდვას იწვევს (ცხადი კონკურენცია). საზოგადოების მატრიცის შებრუნებული  $-[A^{-1}]_{21} < 0$  მნიშვნელობას გვაძლევს, რაც არაპირდაპირ ურთიერთებულებაზე მიუთითებს.

მატრიცის უარყოფითი შებრუნებულების მნიშვნელობები ზენოლის ექსპერიმენტების შესაძლო შედეგების სიმრავლეს გვაძლევს. ასეთ მიდგომას რამდენიმე პრობლემა ახლავს თან. პირველ რიგში, კვების ტოპოლოგიური ბადეების ამოხსნა, რასაც ანალიზი ეფუძნება, შედეგებზე ზეგავლენას ახდენს. დიდი რაოდენობით ტროფისახეობის შემცველ ჯაჭვები მომხდარ ურთიერთებულებებს შეცდომაში შევყავართ. გარდა ამისა, საზოგადოების მატრიცა და მისი შებრუნებული განტოლებათა დინამიური სისტემის სტაბილურობის მათემატიკურ გამოთვლაზე დაფუძნებული და ასეთ ანალიზს სირთულის გამო დაწვრილებით არ შევხებივართ. ანალიზის შესრულებისთვის f<sub>1</sub>, f<sub>2</sub> და f<sub>3</sub> ფუნქციების ფორმები უნდა ვიცოდეთ ან ჰიპოთეტური წარმოდგენა მაინც გვქონდეს. კიდევ ერთი პრობლემა ის არის, რომ კვების ბადის ურთიერთებულების განტოლებების მიღების შემდეგ მათი პარამეტრების მნიშვნელობები ექსპერიმენტების შედეგად უნდა დადგინდეს. ზენოლის ექსპერიმენტის გამოყენებით ჩატარებულმა რამდენიმე თანამედროვე კვლევამ ჩამოთვლილი პრობლემები გადაჭრა. მოდით ერთ-ერთი მათგანი განვიხილოთ.

### ძველი ველის საზოგადოების ექსპერიმენტული ანალიზი

ო.ჯ. შმიცმა თეორიული და ექსპერიმენტული მიდგომების დახმარებით ონტარიოში მდებარე ძველი ველის კვებითი ურთიერთებულების ბადე გამოიკვლია (შმიცმი 1993, 1994, 1997). კვლევის ადგილი 1954 წელს მიტოვებული ფერმის ველი იყო. მიტოვების შემდეგ ველის მცენარეების და ცხოველების საზოგადოება შეიცვალა. ჩვენ ამ ცვლილებებს მომდევნო პარაგრაფში დაწვრილებით შევისნავლით და მათ სუქცესია ერთდება. შმიცმის კვლევებისას ველის ვეგეტაციაში შედიოდნენ მრავალწლოვანი ორლებნიანი მცენარეები და ბალახები. ველზე ოთხი სახეობის მცენარე დომინირებდა: იერაციუმ აურანტიაცუმ, შოლიდაგო ალტისიმა, ჰელეუმ პრატენსე და რაგარია ცანადენსის. გარდა მცენარეებისა, საზოგადოება ფიტოფაგურ მწერებს, მათ შორის კალია ელანოპჰეს ბორეალის-ს შეიცავდა, რომელიც საზოგადოების ცხოველურ ნაწილში დომინირებდა.

ველის საზოგადოების ცხოველებისა და მცენარეების სასიცოცხლო ციკლში მნიშვნელოვანი შეთავსება-დობა არსებობს. მრავალწლოვანი მცენარეების სახე-

ობები მაისის ბოლოს და ივნისის ბოლოს დომინირებს, ხოლო კალის მატლები ივნისის და საწყისში ჩნდებიან, ივნისის და საწყისში კალიები ხდებიან და ივნისის ბოლოს მცენარების დაბერებასთან ერთად კვდებიან.

შმიცმა ძველი თანასაზოგადოების კვლევისას სამი მეთოდი გამოიყენა. მან საზოგადოებაში მომხდარი ურთიერთქმედებების შესახებ ჰიპოთეზების სიმრავლის ჩამოყალიბებისთვის საველე და ლაბორატორული ექსპერიმენტები ჩაატარა. კვლევის ეს ნაწილი საზოგადოების კვების ტოპოლოგიური ჯაჭვის ჩამოყალიბებას ეხებოდა. შმიცმა კვების ტოპოლოგიური ჯაჭვის და სისტემის ბუნებრივი ისტორიის შესახებ ცოდნის და სხვა კვლევების თეორიული და ემპირიული შედეგების დახმარებით საზოგადოების ძირითადი კომპონენტებისთვის დინამიურ განტოლებათა სიმრავლე მიიღო. შემდეგ ამ განტოლებების დახმარებით საზოგადოების მატრიცის უარყოფითი შებრუნებული გამოთვალა, ხოლო მნიშვნელობები მოდელირების

საშუალებით დახვენა. ეს მნიშვნელობები შესაძლო შედეგებს ასახავენ და შმიცმა ისინი ველზე ჩატარებული ზენოლის ექსპერიმენტების შედეგებს შეადარა.

27.23 სურათზე ნაჩვენებია შმიცმის საზოგადოების ძირითადი მოთამაშები და საველე ექსპერიმენტებზე დაფუძნებული პირდაპირი ურთიერთქმედებების ჰიპოთეზები. საზოგადოება სამი კომპონენტისგან შედგება და ესენია: აზოტი, პირველადი მნარმოებული და ბალახისმჭამელი კალიები. შმიცმა საზოგადოების დინამიკის ალენერისთვის განტოლებათა შემდეგი სიმრავლე მიიღო:

$$\frac{dN}{dt} = S_N - N \sum \mu_i V_i$$


$$\frac{dV_i}{dt} = V \left[ a_i \mu_i N - \beta_i V_i - \sum \alpha_{ij} V_j - f_i H \right]$$

$$\frac{dH}{dt} = H \left[ \sum e_i f_i V_i - \beta_H H \right]$$

სადაც  $N$  არის აზოტის რაოდენობა,  $V_i$  –  $i$  სახეობის მცენარეების ბიომასა, ხოლო  $H$  – ბალახისმჭამელის ბიომასა. სიმჭიდროვის ნაცვლად ბიომასის გამოყენებას პრაქტიკული დანიშნულება აქვს. განტოლებათა პარამეტრები 27.3 ცხრილში არის ჩამოთვლილი და განმარტებული.

მიღებული განტოლებები საზოგადოებაში მომხდარ ურთიერთქმედებათა მოდელს ასახავს. აზოტის რაოდენობა საზოგადოების ( $S_N$ ) და მცენარეების ( $N \sum \mu_i V_i$ ) მიერ მისი მოხმარების ტემპზე დამოკიდებული. მცენარეთა სახეობის ბიომასის ცვლილების ტემპი ამ სახეობის სიმჭიდროვეზე ( $V_i$ ), აზოტის ბიომასად გარდაქმნის ტემპზე ( $a \mu_i N$ ), შიდასახეობრივი ინტერფერენციული ბრძოლის შედეგად ბიომასის დაკარგვაზე ( $\beta_i V_i$ ), სახეობათაშორისი ბრძოლის შედეგად ბიომასის დაკარგვაზე ( $\Sigma a_j V_j$ ) და ბალახისმჭამელი ცხოველების კვებითი აქტივობის შედეგად ბიომასის დაკარგვაზე ( $f H$ ) დამოკიდებული. აზოტის ბიომასად გარდაქმნის ტემპი აზოტის რაოდენობასა და მცენარეების მიერ მისი მოხმარების ტემპზე დამოკიდებული. ბალახისმჭამელი ცხოველის ბიომასის ცვლილების ტემპი ბალახისმჭამელი ცხოველის ბიომასას ( $H$ ), მცენარის ნივთიერების ბალახისმჭამელი ცხოველის ბიომასად გარდაქმნის ტემპს ( $\Sigma a_j f V_i$ ) და ბალახისმჭამელი ცხოველის სიმჭიდროვესთან დაკავშირდებული ბიომასის დაკარგვას ( $\beta_H H$ ) უკავშირდება. საველე ექსპერიმენტების დახმარებით შმიცმა განტოლებების პარამეტრების მნიშვნელობები მიიღო და შემდეგ საზოგადოების მატრიცის უარყოფითი შებრუნებული გამოთვალა.

შმიცმა განტოლებათა სისტემის დახმარებით აზოტის და ბალახისმჭამელი ცხოველების ზენოლის ექსპერიმენტების შედეგების პროგნოზი გააკეთა. პროგნოზები 27.4 ცხრილშია მოცემული და მათ თანახმად, აზოტის ზრდა მცენარეთა ოთხივე სახეობის გაზრდას იწვევს. საზოგადოებაში ბალახისმჭამ



**სურ. 27.23.** ძველი ველის საზოგადოებაში მომხდარი ჰიპოთეზე ურთიერთქმედებები. ურთიერთქმედებათა პროგნოზირება ჯაჭვის სამი ძირითადი კომპონენტის ანუ აზოტის, მცენარეების და კალის ცვლილების ტემპების ჰიპოთეზირებითვის გამოყენებული განტოლებების სიმრავლის საფუძველზე მოღებული საზოგადოების მატრიცის შებრუნებულის გამოთვლის შედეგად მოხდა. საზოგადოების მატრიცის უარყოფითი შებრუნებული ზენოლის ექსპერიმენტებითვის და რეალური ექსპერიმენტებით შემომზებული მატრიცის პროგნოზებითვის გამოთვალებით (იხ. ცხრილი 27.4).

ელი ცხოველების გაზრდა იერაციამ, შოლიდაგო და ჰელეუმ სახეობებზე უარყოფით ზეგავლენას, ხოლო რაგარია-ზე დადებით ზეგავლენას ახდენს. ზენოლის შემდგომში ექსპერიმენტებმა ამ პროგნოზების სისწორე დაადასტურა, თუმცა ზოგჯერ მათი სიდიდეები პროგნოზებთან შესაბამისობაში არ მოდიან. კვებითი ურთიერთქმედების ჯაჭვების ასეთ ანალიზს ბუნებრივ ეკოსისტემებზე ადამიანის ზეგავლენის გააზრებისთვის, კვების აგრარული ჯაჭვების მმართველი ფაქტორებისა და ეკოსისტემის დატვირთვის გამოვლენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს (კრაუდერი და სხვები 1996).

საზოგადოების სტრუქტურის შესწავლისას აქცენტი დროის მცირე პერიოდზე კეთდება, თუმცა საზოგადოებები ყოველთვის იცვლებიან. ცვლილების დინამიკას მომდევნო თავში შევისწავლით.

### ცხრილი 27-3 ძველი ველის კვებითი ჯაჭვის დინამიური განტოლებების პარამეტრები

პარამეტრი	აღწერა
$S_N$	ნიადაგისთვის აზოტის მიწოდების ტემპი ( $N$ -ის გრამი დღის განმავლობაში)
$\mu_i$	$i$ სახეობის მცენარის მიერ აზოტის მოხმარების ტემპი ( $დღის განმავლობაში i$ სახეობის მცენარის მიერ გრამზე მიღებული $N$ -ის ნაწილი)
$a_i$	აზოტის გარდაქმნა მცენარის ბიომასაში ( $მცენარის ბიომასის ნაწილი მიღებულ გრამზე$ )
$\beta$	შიდასახეობრივი ინტერფერენციული ბრძოლის შედეგად მცენარის ბიომასის დაკარგვის ტემპი ( $ბიომასის ნაწილი დღეში$ )
$a_{ij}$	$j$ სახეობის მცენარების სახეობათა შორისი ინტერფერენციული ბრძოლის შედეგად მცენარის ბიომასის დაკარგვის ტემპი ( $ბიომასის ნაწილი j$ სახეობის მცენარებზე დღის განმავლობაში)
$f_i$	ბალანისმჭამელობის შედეგად მცენარის ბიომასის დაკარგვის ტემპი ( $მცენარის ბიომასის დაკარგული ნაწილი ბალანისმჭამელობის დროის განმავლობაში$ )
$e_i$	მცენარის ბიომასის ბალანისმჭამელი ცხოველის ბიომასად გარდაქმნა ( $ბალანისმჭამელი ცხოველის ბიომასის გრამები მცენარის მოხმარებული ბიომასის გრამებზე$ )
$\beta_H$	ბალანისმჭამელი ცხოველების დაკარგვის ტემპი ბალანისმჭამელი ცხოველების სიმჭიდროვის შედეგად ( $ბალანისმჭამელი ცხოველების დაკარგული რაოდენობა დღის განმავლობაში$ )

### ცხრილი 27-4 ძველი ველის კვებითი ჯაჭვზე ჩატარებული ზემოქმედების ექსპერიმენტების პროგნოზები და შედეგები

სიხშირე			
ექსპერიმენტი	ექსპერიმენტი	პროგნოზირებული*	არსებული
აზოტის ნეევა	Hieracium	0.93 – 0.83	0.63
	Solidago	0.77 – 0.54	0.94
	Phleum	0.79 – 0.65	0.67
	Fragaria	0.92 – 0.69	0.63
ბალანისმჭამელი	Hieracium	0.53 – 0.34	0.50
ცხოველის ნეევა	Solidago	0.73 – 0.60	0.73
	Phleum	0.63 – 0.44	0.63
	Fragaria	0.64 – 0.53	0.63

\* 95%-ით სანდო შუალედი

## დასკვნა

**1.** ეკოლოგები თანასაზოგადოებებს სახეობათა რაოდენობის, მათი ფარდობითი მრავალრიცხოვნობის, კვებითი და სხვა ეკოლოგიური კავშირების მიხედვით ახასიათებენ. ჩამოთვლილი თვისებები საზოგადოების სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია. საზოგადოების სტრუქტურა საზოგადოების ცვლილების ისტორიულ მოდელს და სახეობათა განვითარების პროცესსაც მოიცავს.

**2.** საზოგადოების ეკოლოგიის ჩამოყალიბება სახეობათა შემადგენლობის საფუძველზე მცენარეთა გაერთიანებების კლასიფიკირების მცდელობასთან არის დაკავშირებული. ფლორისტიკული ანალიზის შედეგად მიღებულმა მონაცემებმა ეკოლოგები აიძულა, საზოგადოებები განცალკევებულ ერთეულად არ განხილათ.

**3.** თანასაზოგადოების სტრუქტურის მნიშვნელოვანი თვისება საზოგადოებაში შემავალ სახეობათა ფარდობითი მრავალრიცხოვნობაა. მრავალრიცხოვნობის გავრცელების სამი მოდელი ეკოლოგიური პროცესების ჰიპოთეზებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. გეომეტრიული მიმდევრობის მოდელი წინასწარ დაუფლების ნიშის პროცესის ჰიპოთეზაა, რომელშიც საზოგადოებაში შესული ახალი სახეობები დარჩენილი რესურსების გარკვეულ ნაწილს მოიხმარენ. პირობითი ნიშის მოდელში დაშვებულია, რომ სახეობები რესურსებს კანონზომიერების გარეშე მოიხმარენ. ლოგნორმალურ გავრცელებაში მივიჩნევთ, რომ სახეობათა მრავალრიცხოვნობაზე მრავალი ფაქტორის ჯამი ახდენს ზეგავლენას.

**4.** სახეობათა მრავალრიცხოვნობის ლოგნორმალურ გავრცელება სასარგებლო ემპირიული მეთოდია, რომელიც მოდალური მრავალრიცხოვნობის კლასის (60) გავრცელების სიხშირეს და რეჟიმის (ს) გარშემო მრავალრიცხოვნობის განხვას ახასიათებს. 60 დამოკიდებულია საცდელი ნიმუშის ზომაზე, ხოლო ს-ის მნიშვნელობა საზოგადოების წინაგანი მახასიათებელია. ერთზე ნაკლები ინდივიდის შეცველი სახეობები დაფარვის წრფის მიღმა ხვდებიან და საცდელი ნიმუშის ზომის გაზრდის გარეშე არ ჩანან. ლოგნორმალურ მოდელში მრავალრიცხოვნების საცდელი ნიმუშის ზომაზე დამოკიდებულებაზე აქცენტი გაკეთებული.

**5.** მრავალფეროვნების სხვადასხვა ინდექსები, განსაკუთრებით სიმსპონის და შენონ-ვიცერის ინდექსები მრავალრიცხოვნობის გავრცელების ცვლილების გათვალისწინებისთვის არის შემუშავებული, როდესაც საცდელი ნიმუშების შედარება ხდება. ინდექსები სახეობათა სიმდიდრესა და სახეობათა მრავალრიცხოვნობას ერთდროულად ითვალისწინებს.

**6.** საზოგადოებებს ტაქსონომიური და ეკოლოგიური მრავალფეროვნება ახასიათებეთ. ეს უკანასკნე-

ლი საზოგადოებაში შემავალი სახეობების ეკოლოგიური ფუნქციების ცვლილებას ასახავს.

**7.** სახეობათა მრავალრიცხოვნობის გავრცელებები საზოგადოებებში ფორმებით განსხვავდება და შესაძლოა მათი პირდაპირი შედარება შეუძლებელი იყოს. გამეჩერება პროცესია, რომელშიც საზოგადოებათა მრავალფეროვნებების შედარება სახეობათა მოსალოდნელი სიმდიდრის გრაფიკების მიღების შედეგად ხდება. გრაფიკები ქვედა დონის საცდელი ნიმუშის ზომების არეალისთვის მიიღებიან.

**8.** სახეობათა რაოდენობა საცდელი ნიმუშის ფართობთან ერთად იზრდება. მოზრდილ ფართობებზე უფრო დიდი საცდელი ნიმუშები შეგვიძლია ავილოთ. მიუხედავად ამისა, ფაუნასა და ფლორაზე ჩატარებული კვლევების შედეგად გამორჩდა, რომ მოზრდილი ფართობები ეკოლოგიურად უფრო არაერთგვაროვნია და შედეგად გავრცელების არეალების უფრო მეტი სახეობის ნიმუშის აღება შესაძლებელი. გარდა ამისა, მოზრდილ კუნძულებზე უფრო მეტი სახეობა ბინადრობს, რადგან დიდი კუნძული კოლონიზაციის უკეთესი სამიზნეა და დიდი პოპულაციები გადაშენებას ნაკლებად ექვემდებარებიან. სხვადასხვა ზომის კუნძულები ჩატარებაზე სხვადასხვანაირად რეაგირებს და სახეობა-ფართობის დამოკიდებულებაზე შესაძლოა ეს ფაქტორიც ახდენს ზეგავლენას.

**9.** კვებითი ჯაჭვის სხვადასხვა ცნებები პოპულაციათა ურთიერთქმედების სხვადასხვა მეთოდებზე მიუთითებს. კვებითი კავშირები შეერთებად ან ტოპოლოგიურ ჯაჭვებში აისახება, ხოლო პოპულაციათა შორის ურთიერთქმედება ფუნქციონალურ ან ურთიერთქმედების ჯაჭვებში ჩანს.

**10.** კვებითი ურთიერთქმედების ბადეების შედეგად რამდენიმე განზოგადება მიიღეს. კვებითი ჯაჭვის თვისებები, როგორებიცაა კვებითი ჯაჭვის სიგრძე, ყველაფრისმჭამელობის ოდენობა, განყოფილებებად დაყოფის არეალი და მტაცებლების მსხვერპლთან შეფარდება, საზოგადოების მდგრადობას და ჩატარებისადმი წინააღმდეგობის განევის უნარს განსაზღვრავს.

**11.** კვებითი ურთიერთქმედების ბადეების ანალიზისთვის თეორია და ექსპერიმენტები უნდა გამოვიყენოთ. მეომ თეორიული კვლევის შედეგად კვებითი ჯაჭვის მეტრიკულები პოპულაციათა შორის ურთიერთქმედებთან დააკავშირა. პაიმა კვებითი ჯაჭვის ექსპერიმენტული კვლევის შედეგად საზოგადობის სტრუქტურის შენარჩუნებაში სახეობათა როლი გამოავლინა.

**12.** კვებითი ურთიერთქმედების ჯაჭვის ექსპერიმენტული ანალიზისთვის იმპულსური ან ზენოლის ექსპერიმენტები გამოიყენება. ზენოლის ექსპერიმენტების შედეგების პროგნოზი საზოგადოების მა-

ტრიცის შებრუნებულით ხდება, რომლის ელემენტები კვებით ბადჯაჭვში პირდაპირი და არაპირდაპირი ურთიერთქმედებების შედეგად სახეობების მიერ

ერთმანეთზე არსებულ სხვადასხვა დონის ზეგავლენას ასახავს.

## სავარჯიშოები

**1.** 27.1 ააგეთ ცხრილი, როდესაც შემოსული სახეობების მიერ საზოგადოების რესურსების გამოყენების კ პროპორცია 0,75-ის ტოლია.

**2.** ეკოლოგმა ფოთლოვან ტყეში აღებული ნიმუშიდან დაახლოებით 100000 ობობა შეაგროვა. ობობათა მრავალრიცხოვნობის ლოგნორმალური გავრცელების სიგანე  $S=4,5$  ოქტავაა. მოდალური მრავალრიცხოვნობის კლასია 35. დაახლოებით რამდენი სახეობა შედის 100000 ობობაში?

**3.** შენონ-ვივერის მრავალფეროვნების ინდექსი შემდეგი მონაცემებისთვის გამოთვალეთ:

სახეობა	რაოდენობა საცდელ ნიმუში
1	100
2	35
3	6

**4.** დავუშვათ, კვების ჯაჭვში ურთიერთქმედებათა ინტენსივობაა  $\delta=0,3$ . ააგეთ გრაფიკი, შ ჰორიზონტალურ დერძზე ათვალეთ, ხოლო საზოგადოების სტაბილურობის მაჩვენებელი ჩ ვერტიკალურ დერძზე აიღეთ.

**5.** შმიცის ძველი ველის საზოგადოების განტოლებები გამოიკვლიერ და მიუთითეთ, თუ როგორ განსაზღვრავდით ექსპერიმენტის დახმარებით განტოლებების სხვადასხვა პარამეტრებს.

## თავი 28



### თანასაზოგადოების განვითარება

#### გზამკვლევი პითხვევი

- რა განსხვავებაა პირველად და მეორად სუქცე-  
სიას შორის?
- რა განსხვავებაა აუტოგენურ და ალოგენურ  
სუქცესიას შორის?
- როგორ ახდენს ზეგავლენას რღვევის ინტენ-  
სივობა სუქცესიაზე?
- სასიცოცხლო ციკლის რომელი თვისებები ქმნის  
ორგანიზმებისგან კარგ კოლონიზატორებს?
- რა სამი მეთოდით ახდენს ერთი სახეობა მეორის  
გაჩენის ალბათობაზე ზეგავლენას?
- როგორ ხდება მარკოვსკის დინამიკის საშუალებით  
საზოგადოების განვითარების წინასწარმეტყველება?
- რა სახის თეორიები არსებობს კლიმაქსური თანა-  
საზოგადოების ბუნების შესახებ?

**თ**ანასაზოგადოებების უმტესობა გარკვეულ მომენტში ან რამდენიმე დღისა თუ კვირის განმავლობაში სტაბილურია და ლანდშაფტი არ იცვლება, თუმცა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თანასაზოგადოებები მუდმივად იცვლება. ორგანიზმები კვდებინან და მათ ადგილს სხვა ორგანიზმები იკავებენ. ენერგია და საკვები ნივთიერებები თანასაზოგადოებაში მუდმივად გაედინება. თუ თანასაზოგადოებათა რღვევა არ ხდება, მაშინ მათი შეხედულების და შემადგენლობის ცვლილება ძალიან ნელა მიმდინარეობს - მუხები მუხებს, ციყვები ციყვებს და ა.შ. ცვლის. როდესაც გავრცელების არეალის რღვევა ხდება, მაგალითად, ტყე ნადგურდება, პერიოდი იწვის, მარჯნის რიფს ქარიშხალი ანადგურებს, თანასაზოგადოება ხელახლა იქმნება. აღლვებულ ტერიტორიაზე ადაპტირებულ სახეობებს სხვა ენაცვლება, ვიდრე ახალი თანასაზოგადოება შეიქმნება, რომლის სტრუქტურა და შემადგენლობა ხშირად პირველადი თანასაზოგადოების მსგავსია (სურ. 28.1).

აღლვებით გამოწვეულ ცვლილებათა მიმდევ-

რობას სუქცესია ეწოდება. სუქცესია ბუნებრივი პროცესია და მას ყურადღება ჰენრი კაულზის და ფრედერიკ კლემენტსის მსგავსმა ეკოლოგებმა მიექცის (დრური და ნისბეტი 1973, მაკინტოში 1974, 1985). 1916 წელს, კლემენტსმა სუქცესიის ძირითადი თვისებები ჩამოყალიბდა და მისი დასკვნები სხვადასხვა გარემოში არსებულ მცენარეთა თანასაზოგადოებების ცვლილებებზე დაკვირვებებით იყო გამყარებული. აქედან მოყოლებული, თანასაზოგადოების განვითარების კვლევა მიმდევრობით ცვლილებებთან დაკავშირებულ პროცესებს, ადრეული და გვიანი სუქცესიის სხვადასხვა პირობებისადმი ორგანიზმთა ადაპტირების უნარს, ადრეულ კოლონისტებსა და მათ შემცვლელ სახეობებს შორის ურთიერთქმედებას მოიცავს. სუქცესია ძალიან მნიშვნელოვანია ფერმერებისთვის, ლანდშაფტის დიზაინერებისთვის და გოლფის მოედანის დამპროექტისტებისთვისაც კი, ვინაიდან ის დაპროექტებულ და მართვად თანასაზოგადებებში ცვლილების გამომწვევი მთავარი ძალაა. 28-ე თავში სუქცესიის მიმართულებას და მიზეზებს შევისწავლით.

## 28.1. სახეობათა შეცვლის პრიციპის თან ძევის სუკსესია

გავრცელების ნებისმიერი ახალი არეალის, იქნება ეს მოხნული მინდვრის, ტბის სანაპიროზე გაჩენილი ქვიშის დიუნის, თუ მკვდარი ცხოველის ნარჩენის გაჩენა კარგ კოლონიზაციონ სახეობებს თავისკენ მიიზიდავს. პირველ კოლონიზაციონებს სხვები მოყვებიან და ისინი უფრო სიცოცხლისუნარიან პოპულაციებს ქმნიან, ვიდრე პირველად გავრცელებული სახეობები. ახალი სახეობები გარემო პირობებს ცვლიან და საზოგადოების თვისებებიც დროში იცვლება. საზოგადოების ცვლილებას ორგანიზმთა სხვადასხვა სახეობების კლება და მატება თან ახლავს.

სუკცესიაზე დაკვირვება სხვადასხვა მეთოდით შეიძლება. ზოგჯერ დრამატული რღვევა გარკვეული არეალიდან ყველა ცოცხალ ორგანიზმს აქრობს და სიცოცხლე ხელახლა იწყებს გაჩენას. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა 1980 წლის გაზაფხულზე, როდესაც წმ. ელენეს მთიდან ვულკანი ამოიფრქვა და მთელი შემოგარენი ცოცხალი ორგანიზმებისგან განმინდა. სუკცესიაზე დაკვირვების შესაძლებლობა სხვადასხვა ასაკის მიტოვებულ ველებზე ყოველთვის არსებობს (სურ. 28.2). ჩრდილოეთ კაროლინის პიდმონტის რეგიონში მდებარე შიშველ მინდვრებს

სხვადასხვა ერთნლოვანი მცენარეები ფარავს. ეს მცენარეები რამდენიმე წლის შემდეგ მრავალნლიანი ბალახით და ბუჩქებით იცვლება. ბუჩქებს ფიჭვები მოყვება და ის ადრეულ სახეობებს ნელ-ნელა დევნის. შემდეგ ფიჭვის ტყეების ათვისება და შეცვლა სხვადასხვა ფოთლოვანი სახეობებით ხდება (ოსტინგი 1942). თავდაპირველად ცვლილება სწრაფად ხდება. მიტოვებულ ველზე ცვრიანა სწრაფად ვრცელდება და მიწის მოხვნას ართულებს. მიტოვების შემდგომ პირველ ზაფხულში ველზე ჰორსენედ და რაგწევედ დომინირებენ, მეორე ზაფხულს ასტრა ჭარბობს, ხოლო მესამე ზაფხულს არისტიდას გავრცელება შეინიშნება. სუკცესიის ტემპი ნელა მზარდი მცენარეების გამოჩენასთან ერთად მცირდება. შიშველი მინდვრიდან ფიჭვის ტყეზე გადასვლას დაახლოებით 25 წელი სჭირდება, ფოთლოვანი ტყე კი დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ ჩნდება. ამგვარი მიმდევრობა ცეცხლის, ქარიშხლის ან სოფლის მეურნეობის ჩარევის შედეგად ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს.

მიტოვებული ველიდან მომწიფებულ ტყეზე გადასვლა სუკცესიური მიმდევრობის ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ახალი საზოგადოება ძველის მსგავსია. აშშ-ს და კანადის აღმოსავლეთით გავრცელებული ტყეები სხვადასხვა საწყისის მქონე სუკცესიური მიმდევრობის ბოლო წერტილე-




(ა)



(ბ)



(გ)



(დ)



(ე)



(ფ)

**სურ. 28.1.** სამხრეთ პოლონეთში სუკცესიის ეტაპების გავლის შემდეგ მუხა-რცხილას ტყე ვითარდება. ა)-ვ) ეტაპების გავლის დროებია 0, 7, 15, 30, 95 და 150 წელი.



**სურ. 28.2.**ჩრდილოთ კაროლინაში, პიდმონტში არსებული ველი. გავრცელების ასეთი არეალები ხვა-თესვის შეწყვეტის შემდეგ ვითარდება.

ბია (კრისტენსენი და პიტი 1984). მიჩიგანის ტბის სამხრეთით მდებარე ქვიშის ახლად გაჩენილ დიუნებზე გავრცელებულ სახეობათა მიმდევრობა რამდენიმე მილით დაშორებულ მიტოვებულ ველებზე არსებული მიმდევრობისგან განსხვავდება (კაულზი 1899, ოლსონი 1958). ქვიშის დიუნებზე თავდაპირველად ქვიშის ლერნამი და ბუსუსიანი ბალახი ჩნდება. დიუნის ნიადაგზე გაჩენილი სახეობები ქვიშაში ფესვებს იდგამენ და მათგან ახალი ყლორტები ნარმობობა. ბალახი ქვიშის ზედაპირის სტაბილურობას უზრუნველყოფს და ქვიშას ორგანული დეტრიტებით ამდიდრებს. მრავალნლიან მცენარეებთან ერთად დიუნებზე მრავალი ერთნლიანი მცენარე ხარობს და ბუჩქების გაჩენისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის. ჯუჯა ალუბალი, დიუნის ტირიფი და ღვია ბუჩქარს ქმნიან, ვიდრე ფიჭვი დაიწყებს გახარებას. ჩრდილოეთ კაროლინას მიტოვებულ ველებში ფიჭვების მხოლოდ ერთი ან ორი თაობა ცოცხლობს,

გავრცელება ნაკლებად ხდება და საბოლოოდ რეგიონში მუხა-ნეკერჩხალი-ცუგას ტყე ვითარდება. იგივე მიმართულების სუქცესია ატლანტიკის კერანის სანაპიროს დიუნებზე ხდება, სადაც სანაპიროს ბალახი ქვიშის ზედაპირს სტაბილიზაციას ახდენს და მასზე ზღვის ქლიავი და სხვა ბუჩქები ხარობს (ოლსტინგი 1954). ბუჩქები თოვლსაფარის მსავალი მოქმედებს და დიუნებს დაშლისგან იცავს. ბუჩქებს დიუნების შემქმნელები ენოდება, ვინაიდან ის ქვიშას გაბნევისგან იცავს და გარშემო იგროვებს (სურ. 28.3).

ეკოლოგები მიმდევრობებს მათი ნარმოშობის მიხედვით ორ ჯგუფად ყოფენ. ახლად ნარმოქმნილ გავრცელების არეალებში, როგორებიცაა ქვიშის დიუნები, ლავის ნაკადები და ეროზიის ან ყინულის დნობის შედეგად გაშიშვლებული კლდეები, მცენარეთა თანასაზოგადოებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას პირველადი სუქცესია ენოდება (იხ. სურ. 28.10). რღვევის შედეგად ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში დაპრუნებას, მეორადი სუქცესია ენოდება. ორი სახის სუქცესიას შორის განსხვავება მკვეთრი არ არის, ვინაიდან რღვევა სხვადასხვა ხარისხის შეიძლება იყოს და საზოგადოების სტრუქტურა დაანგრიოს. დიდი ფართობის ტყის გამანადგურებელი ტორნადო ნიადაგში არსებულ საკვებ ნივთიერებებს, თესლს და ფესვებს არ ეხება, თუმცა ძლიერი ცეცხლი ნიადაგის ორგანულ ფენებს წვავს და ათასწლიან ბიოლოგიურ განვითარებას აფერხებს.

ეკოლოგები თავად ორგანიზმებს ცვლილების შედეგად მიღებულ სუქცესიას და გარე ფაქტორებით გამოწვეულ სუქცესიას ერთმანეთისგან განასხვავებენ. სუქცესის პირველ სახეობას აუტოგენური ენოდება. მიტოვებული, სახნავ-სათესი ველის ტყედ გადაქცევა აუტოგენური სუქცესიის კარგი



(ა)



(ბ)

**სურ. 28.3.** მერილენდის სანაპიროს გასწრივ არსებულ ქვიშის დიუნებზე მცენარეთა სუქცესის საწყისი ეტაპები. ა) სანაპიროს ბალახი დაუნის ნინა მხარეზე. ეს ბალახი დიუნის ზედაპირის სტაბილურობას იწვევს. ბ) სანაპიროს კენკრა და ზღვის ქლიავი დიუნის უკანა ტერიტორიებს იპყრობს.

მაგალითია. როდესაც ორგანიზმები გარემო პირობებს ცვლიან, საზოგადოებაში შემავალ სხვა სახეობებს შეიძლება ზიანი მიაღეთ ან პირიქით. ზიანი ცვლილების გამომწვევ თრგანიზმებსაც შეიძლება მიაღეთ, რამაც მათი საზოგადოებიდან გაქრობაც კი შეიძლება გამოიწვიოს. საზოგადოების ცვლილება სახეობებისთვის საზოგადოებაში შესვლის ახალ შესაძლებლობებს ქმნის. აუტოგენური სუქცესია დროის შეალაზე საზოგადოებაში შემავალი თრგანიზმების სიცოცხლის ხანგრძლივობასთან თანაშეზომილია.

აუტოგენური სუქცესისას ცვლილების ძირითადი ძალა თანასაზოგადოების შიგნიდან მოდის. თანასაზოგადოების გარე ძალებით გამოწვეულ სუქცესიას ალოგენური ენოდება. გარე ძალები შეიძლება იყოს მასობრივი აღლვება, როგორიცაა მაგალითად წმ. ელენეს მთის შემთხვევა, კლიმატის ცვლილება, ასევე ტემპერატურის და სხვა გარემო პირობების დღიური ან სეზონური ცვლილება. ალოგენური სუქცესია დროის შეალაზე რღვევის დროის შეალასთან თანაშეზომილია. მტკნარ წყალში მობინადრე ფიტოპლანეტონის თანასაზოგადოების სუქცესია ტემპერატურისა და სინათლის ინტენსივობის სეზონური ცვლილებით არის გამოწვეული. კლიმატის ცვლილების შედეგად ალოგენური სუქცესია მრავალი ათასი წლის განმავლობაში მიმდინარეობს.

ავტოგენური და ალოგენური სუქცესია ურთიერთგამომრიცხავ პროცესებს არ განეკუთვნება. ორგანიზმები მეტ-ნაკლებად ახლომდებარე აუტოგენურ ძალებზე მაშინაც რეაგირებენ, როდესაც ნელი ალოგენური სუქცესია მიმდინარეობს. სუქცესიების მნიშვნელობა ალოგენური ცვლილებების დროის შეალაზეა დამოკიდებული. როდესაც ალოგენური ცვლილება გარემო პირობების თანდათანობით ცვლილების შედეგად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხდება, როგორც ეს არის კლიმატის ცვლილებისას, აუტოგენური სუქცესია საზოგადოების სტრუქტურაზე ნებისმიერ დროს ყველაზე უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს. როდესაც რღვევა ხშირია, ალოგენური სუქცესია თანასაზოგადოების ცვლილების გამომწვევი მთავარი ძალაა (ოვერპეკი და სხვები 1990, ჰასტონი 1994).


სუქცესია თანასაზოგადოების განვითარების საბოლოო წერტილს ანუ კლიმატურ თანასაზოგადოებას ასახავს (კლემენტი 1936, შიმველი 1971). სუქცესის კვლევამ დაადასტურა, რომ ადგილობრივ გარემო პირობებში მომხდარი რამდენიმე მიმდევრობა ერთი და იგივე კლიმატის კვერცხი (კუპერი 1913, ოსტინგი 1956). ადრეული წარმოდგენით, ადგილობრივი კლიმატის ბუნებას მხოლოდ კლიმატი განსაზღვრავს. ეკოლოგები თანასაზოგადოების შემადგენლობის ნიადაგით, ტოპოგრაფიით, ცეცხლით ან ცხოველებით გამოწვეულ ცვლილებას ადგილობრივი კლიმატის კვერცხი გადასვლის შეალებურ ეტაპებად ანუ მოუმწიფებელ თანასაზოგა-

დოებებად თვლიდნენ. კლემენტსმა ჩრდილოეთ ამერიკის ხმელეთის გამწვანებაში 14 კლიმატის გამოყო, რომელიც ორი სახეობის მინდორს (პრერიას და ტუნდრას), სამი სახეობის ბუჩქს (აბზინდას, უდაბნოს ბუჩქს და ჩაპარალს) და ცხრა სახეობის ტყეს მოიცავს.

უკანასახელ წლებში კლიმატის ცნება მნიშვნელოვნად შეიცვალა და ეს მოვლენა თანასაზოგადოებების ღია სისტემებად, რომელთა შემადგენლობა გარემო პირობებთან ერთად იცვლება, აღიარებასთან ერთად მოხდა. მაგალითად, 1930 წელს ეკოლოგები ვისკონსინის უმეტესი ნაწილის კლიმატურ ვეგეტაციად ამერიკული ნეკერჩხალი-ამერიკული ცაცხვის ტყეს მიიჩნევდნენ, ხოლო 1950 წელს, ეკოლოგებმა ტყის ეს სახეობა ფართო, კლიმატურად განსაზღვრული რეგიონებისა და ადგილობრივი, ტოპოგრაფიულად განსაზღვრული არეალების კლიმატურ საზოგადოებების ღია კონტინუუმებზე განალაგეს (უიტეკერი 1953, მაკინტოში 1967, პიტი და ლუესი 1977). მუხები სამხრეთისკენ გავრცელდა, არყი, ნაძვი და ცუგა კლიმატურ საზოგადოებას დაემატა, დასავლეთში გავრცელებული პრერიების მოსაზღვრე მშრალ რეგიონებში მუხების მრავალიცხოვნობა გაიზარდა. ვერხვი, ხავერდოვანი მუხა და სპაგბარკ ჰიცკორპ, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ნესტიან და კარგად გამომშრალ ნიადაგზე სუქცესიურ სახეობებად მიიჩნეოდა, მშრალ, მთიან ადგილებში კლიმატურ სახეობებად აღიარეს.

ვისკონსის ტყეების ადგილმდებარება ადგილობრივი მიმდევრობების ბოლო წერტილებს ასახავს და ისინი კარტისმა და მაკინტოშმა (1951) კონტინუუმის ინდექსის გასწვრივ დაალაგეს. ტყეთა ადგილმდებარება სახეობათა შემადგენლობის მიხედვით კატეგორიებად დაყვეს და სინესტის გრადიენტის გასწვრივ განალაგეს. გრადიენტი მუხით და ვერხვით მდიდარი მშრალი ადგილებიდან ამერიკული ნეკერჩხლით, რეინის ხითა და ამერიკული ცაცხვით მდიდარ ნესტიან ადგილებამდე ვრცელდება. მეცნიერებმა ტყეთა სახეობებს პირობითი მნიშვნელობები მიანიჭეს, რიცხვი 300 მუხის ადგილმდებარებას, ხოლო რიცხვი 3000 ამერიკული ნეკერჩხლის ადგილმდებარებას ასახავს. ინდექსის ზრდადი მნიშვნელობები ამერიკული ნეკერჩხლის კლიმატისკენ სწრაფვას ასახავს და ასევე ტოპოგრაფიული ან ნიადაგის პირობებით განსაზღვრულ ადგილობრივ კლიმატურ საზოგადოებებზეც მიუთითებს. აქედან გამომდინარე, სამხრეთ ვისკონსინის ე.ნ. კლიმატურ ვეგეტაცია ტყეთა სახეობების კონტინუუმია (სურ. 28.4).

სუქცესის შესახებ არსებული მოსაზრებები ხმელეთის მცენარეთა თანასაზოგადოებებზე დაკვირვების შედეგად გაჩნდა და თანამედროვე კვლევების დიდი ნაწილიც ამგვარ თანასაზოგადოებებზე ტარდება. მიუხედავად ამისა, სუქცესია მტკნარი



**სურ. 28.4.** სამხრეთ-დასავლეთ კისეკონსინის ტყის საზოგადოებებში ხის რამდენიმე სახეობის ფარდობითი მნიშვნელობები კონტინუუმის ინდექსის გასწორივ არის განლაგებული. ნიადაგის სინებრტე, ცვლადი კალციუმი და პ კონტინუუმის ინდექსის მარჯვ იზრდება.

და ზღვის წყლის საზოგადოებებშიც არსებობს. ჩვენ უკვე ვახსენეთ, რომ ალოგენურმა ფაქტორებმა მტკინარი წყლის პლანქტონის საზოგადოებებში სეზონური, სუქცესიური ცვლილები შეიძლება გამოიწვიოს (ვეტცელი 1983). მიჩინანის ტბის ქვიშის დიუნებთან დაკავშირებული სუქცესია ძირითადად ალოგენური ძალებით არის გამოწვეული (ჯეკსონი და სხვები 1988). სუქცესია ნიადაგის თანასაზოგადოებებშიც ხდება და ორგორიც ქვემოთ გამოჩნდება, იგივე პროცესი ცხოველთა სხეულის დაშლასთან დაკავშირებული ორგანიზმების საზოგადოებაშიც კი არსებობს.

## 28.2. საცყისი სუპერსი ვითარდება გავრცელების არაალებში, რომელიც ახლად იქნა გახსნილი მცენარეთა და ცხოველთა კოლონიზაციისთვის

ძლიერი რღვევის არეალებში, როგორებიცაა ყინულის დნობის ნარჩენები ან ვულკანიდან ამოფრქვეული ლავით დაფარული ტერიტორიები, ასევე მცირე რაოდენობით საკვები ნივთიერებების შემცველ არეალებში, მაგალითად ქვიშის დიუნებში და შიშველ კლდეებზე, სიცოცხლე არ არსებობს. მიუხედავად ამისა, ამ ტერიტორიებზე ორგანიზმები ნელ-ნელა ჩნდებიან, გარემო პირობებს ცვლიან და ამავე დროს სხვა სახეობების კოლონიზაციისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიან.

სამხრეთ ალიასკაში, გლასიერ ბეის რეგიონში ყინულის დნობის შემდეგ დარჩენილ თბის თხელ ფენაზე გავრცელებულმა სახეობებმა საკვები ნივთიერებების, კერძოდ, აზოტის ნაკლებობას, ასევე ძლიერ ქარსა და სიცივეს უნდა გაუძლონ (იხ. სურ. 28.10). ამ შემთხვევაში, მიმდევრობა ხავსითა და ისლით იწყება, ხოლო შემდეგ მინასთან ახლოს მდებარე ტირიფებით, ბუჩქოვანი ტირიფებით, თხმელის ბუჩქარითა და სიტყინის ნაძვით გრძელდება, საბოლოოდ კი, ნაძვი-ცუგას ტყე ყალბიბდება. სუქცესია ძალიან სწრაფად მიმდინარეობს, თხმელის ბუჩქა-

რის ეტაპს 10-20 წლამდე სჭირდება, ხოლო ნაძვნარი 100 წლის განმავლობაში ვითარდება (კროკერი და მეიჯორი 1955, ლოურენსი და სხვები 1967, რეინერ-სი და სხვები 1971, ნობლი და სხვები 1984, ჩეპინი და სხვები 1994).

ხმელეთის პირველადი სუქცესის შესწავლის კარგი შესაძლებლობა 1980 წლის 18 მაისს გაჩნდა, როდესაც ვაშინგტონის შტატის წმ. ელენეს მთაზე ვულკანის ამოფრქვევა მოხდა. ამოფრქვევამ მთის წვერი გაანადგურა, ხოლო ტალახის და ლავის ნაკადებმა გარშემო ტერიტორიაზე სიცოცხლე მოსპეს. პირველად სუქცესიაზე დაკვირვება სწორედ ამ ტერიტორიაზე განხორციელდა (დელ მორალი და ვუდი 1988, პ, 1993, ვუდი და დელ მორალი 1987, 1988, დელ მორალი 1993). წმ. ელენეს მთის გარშემო ვეგეტაციის ნარმოქმნა გარშემო ტერიტორიებიდან თესლის გაბნევაზეა დამოკიდებული. პირველად მცენარე ლუპინი ვრცელდება, რომელსაც აზოტის ნარმოქმნა და მაშასადამე, ნიადაგის საკვები ნივთიერებებით გამდიდრება შეუძლია. ლუპინის მცენარეებთან ახლოს სტერ ლედოპჰილლუს სახეობა ვრცელდება (დელ მორალი 1993). ადრეულ სახეობებს პირველადებს უწოდებენ. ლუპინების და სხვა მცენარეების სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდი არ აღმოჩნდა, ვინაიდან პირველად სახეობებს წმ. ელენეს მთის შემოგარენის მსგავს ადგილებში ადგილობრივი პირობებისადმი დიდი გამძლეობა და გავრცელების უნარი უნდა გააჩნდეთ. წმ. ელენეს მთაზე გავრცელებულ პირველად სუქცესიურ სახეობებს ეს თვისებები არ გააჩნიათ. ლუპინებმა ლავის ნაკადებში მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში იცოცხლეს, ხოლო ლუპინების გარშემო გავრცელებულ სტერ ლედოპჰილლუს სახეობას გავრცელების კარგი უნარი აქვს, მაგრამ მეაცრ გარემო პირობებს ვერ ეგუება. აქედან გამომდინარე, პირველადი სუქცესია საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა. ვულკანის ამოფრქვევის შემდგომი 10 წლის განმავლობაში მცენარეთა მხოლოდ 11 სახეობა გადარჩა.

გასუფთავებული გავრცელების არეალიდან

კლიმატურ თანასაზოგადოებამდე მისვლის სუქცე-სიისთვის საჭირო დრო კლიმაქსის ბუნებისა და ნიადაგის საწყისი ხარისხის მიხედვით იცვლება. ცხადია, სუქცესია შიშველ კლდეზე, მაგალითად წმ. ელენეს მთაზე უფრო ნელა ხდება, ვიდრე გას-უფთავებულ ველზე. მუხა-პიკორის ტყის კლიმაქსი ჩრდილოთ კაროლინის ველებში 150 ნლის მანძილზე ყალიბდება (ოოსტინგი 1942), დასავლეთში მდებარე მინდვრების კლიმაქსის ეტაპებს მეორადი სუქცესის 20-40 ნლამდე სჭირდებათ (შანცი 1917). ოსლონმა (1958) რადიოაეტიური ნახშირბადით და-თარიღების მეთოდების საფუძველზე ივარაუდა, რომ მუხა-ნეკერჩხალის კლიმაქსურ ტყეზე გადას-ვლის სრული პირველადი სუქცესია დაახლოებით 1000 ნლის განმავლობაში ხდება. ტენიან ტროპიკულ ზონებში ტყის თანასაზოგადოებები კლიმაქსურ ელემენტებს დაახლოებით 100 ნლის განმავლობაში იძენენ, თუ ნიადაგი არ მუშავდება ან მზისა და წვი-მის ხანგრძლივ ზემოქმედებას არ განიცდის (ბუ-დოვსა 1965). სუქცესიური სახეობების ნარჩენები-სგან თავისუფალი, ზრდასრული ტროპიკული ტყის ჩამოყალიბებას მრავალი საუკუნე სჭირდება.

### 28.3. რღვევის ინტენსივობა და დონე გავლენას ახდენს მორჩადი სუქცესის სტრუქტურაზე

ტყის საფარში ხის სიკვდილით ან ქარის მიერ ხის წაქცევით გამოწვეული სიცარიელები, მიქცევა-მოქცევის ადგილზე ტალღების მიერ დატოვებული ლაქები და ცეცხლის შედეგად ტერიტორიის გაშ-იშვლება ფიზიკური აღელვების მაგალითია და ის სუქცესიურ პროცესებს იწვევს. გარდა ამისა, ცხოვ-ელთა მოქმედებები, მაგალითად მიწის თხრა, ძოვა, მტაცებლობა და ბალაზის ჭამა დამანგრეველი შეი-ძლება აღმოჩნდეს და ბიოლოგიური რღვევა გამოი-წვიოს.

რღვევის ტერიტორიების კოლონიზაცია სამი წყაროდან ხდება. პირველი წყარო, რა თქმა უნდა,

რღვევის ადგილის გარშემო მდებარე ტერიტორიაა. მეორე წყარო რღვევის ადგილიდან გარკვეულ მანძილზე მდებარე დისპერგატორებია. მაგალითად, ეპიფაუნური ზღვის უხერხემლო ცხოველების მატლები ან თანასაზოგადოების გარშემო არსებული მცენარეების ქარით გაპნეული თესლი აღელვებული ტერიტორიის კოლონიზაციას ეწევა. გარდა ამისა, აღელვებამ შესაძლოა ვერ მოსპოს დამწვარი თესლი ან კვერცხი, რაც ახალი სიცოცხლის წარმოშობას იგივე ადგილზე გამოიწვევს და ახლად შექმნილ საზოგადოებაში ორგანიზმთა გაჩენის მესამე წყარო იქნება.

რღვევა გავრცელების არეალის სრულ გა-ნადგურებას ყოველთვის არ იწვევს და უბრალოდ განახლება ხდება საჭირო. პერიოდული რღვევა თა-ნასაზოგადოებათა უმეტესობაში ხდება და ძლიერი სელექციური ძალაა. ცეცხლთან და ბალაზისმჭამელ ცხოველებთან ადაპტირებული მცენარეები რღვე-ვას გადაურჩება, თუმცა თანასაზოგადოება, სადაც ის არსებობს, შესამჩნევად იცვლება. გარდა ამისა, ხშირ რღვევას დაქვემდებარებულ თანასაზოგა-დოებებში სუქცესია შესაძლოა უფრო სწრაფად ხდებოდეს, ვიდრე იმ თანასაზოგადოებებში, სადაც რღვევა იშვიათია. წმ. ელენეს მთიდან ამოფრქვეულ ლავაზე მომხდარი ნელი სუქცესია არატიპური და ფართოდ გავრცელებული რღვევის პრობლემებს კარგად ასახავს. ასეთ დროს თანასაზოგადოების განვითარება კლასიკური სუქცესის მიხედვით არ ხდება (სოუზა 1984, ველანი 1995). რღვევის შემ-დეგ თანასაზოგადოების განვითარების სქემა ურთ-იერთქმოქმედ ფაქტორებზე, მათ შორის, რღვევის ინტენსივობაზე, დარღვეული ტერიტორიის ზომაზე, დარღვეული ტერიტორიის მიკროკლიმატზე, რღვე-ვის გადარჩენილი ორგანიზმების ზრდის და გამრავ-ლების თვისებებზე, კოლონიზატორი სახეობების კონკურენტუნარიანობაზე და რღვევის შედეგად გაჩენილ ახალ შესაძლებლობებზე მტაცებლებისა და ბალაზისმჭამელი ცხოველების რეაგირებაზეა დამოკიდებული.

#### **ცხრილი 28-1 ავსტრალიის, ედიტბურგის ძირითადი ეპიფაუნური ტაქსონის სასიცოცხლო ციკლი**

ტაქსონი	ზრდის ფორმა	კოლონიზაციის უნარი	კონკურენტ-უნარიანობა	ვეგეტაციური ზრდის მოცულობა
Tunicates	კოლონისტური	ცუდი	ძალიან კარგი	1მ <sup>2</sup> -მდე
Sponges	კოლონისტური	ძალიან ცუდი	კარგი	1მ <sup>2</sup> -მდე
Bryozoans	კოლონისტური	კარგი	ცუდი	50სმ <sup>2</sup> -მდე
Serpulid polychaetes	განცალკევებული	ძალიან კარგი	ძალიან ცუდი	0,1სმ <sup>2</sup> -მდე

ეკოლოგები რღვევის ზეგავლენას უძრავი ორგანიზმების თანასაზოგადოებებზე, როგორებიცაა მცენარეები და ზღვის უხერხემლო ცხოველები, სწავლობენ (სოუზა 1979, 1984). ძლიერმა ფიზიკურმა რღვევამ მოძრავი ცხოველების თანასაზოგადოებების და პოპულაციების სტრუქტურა ასევე შეიძლება მთლიანად დაანგრიოს ან მნიშვნელოვნად შეცვალოს (სოუზა 1984).

## სუქცესია ზღვის ეპიფაუნურ გავრცელების არეალებში

ზღვის გავრცელების არეალებში, სადაც რღვევა და აღგენა ერთმანეთს ენაცვლება, ცარიელი აღგილის ზომა სუქცესიაზე ზეგავლენას ახდენს. კეუ (1984) სამხრეთ ავსტრალიაში ხელოვნურად შექმნილი ტერიტორიების კოლონიზაციას დააკვირდა, როდესაც ტერიტორიების ზომა 25-2500სმ<sup>2</sup>-მდე მერყეობდა. კოლონიზაცია მყარ ზედაპირებზე მზარდი, დინების ქვედა, ქერქით დაფარული უხერხემლო ცხოველების მიერ ხდება. ძირითადი ეპიფაუნური ტაქსონი კოლონიზაციის და კონკურენტუნარიანობის მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება და ეს ორი ფაქტორი უკუპროპორციულად არის ერთმანეთთან დაკავშირებული (ცხრილი 28.1). კეუმ ქერქით დაფარული უხერხემლო ცხოველების მიერ დასახლებულ კლდეებზე სხვადასხვა ზომის დია ტერიტორიები გამოყო და ამ ადგილებზე გარშემო ტერიტორიებიდან ტუნიცატეს და ღრუბელებიდან შემოვიდნენ. ასეთ დროს თანასაზოგადოების განვითარებაზე გამოყოფილი ტერიტორიის ზომა დიდ ზეგავლენას არ ახდენს, ვინაიდან ტერიტორიის გვერდიდან ცენტრამდე დაშორებას (25 სმ-ს) სიცოცხლე სწრაფად იკავებს. რყოზოან და პოლყცპაეტე სახეობების მატლები კარგი კოლონიზატორებია და მათ გამოყოფილი ტერიტორიების დაკავება სცადეს, თუმცა ტუნიცატეს და ღრუბელა სახეობებმა ისინი მაღლ დაძლიერს.

კეუმ ქვიშაში მძიმე სუბსტრატების შეტანის შედეგად იზოლირებული ტერიტორიები შექმნა და ინნა მოლუსკების იმიტაცია მოახდინა. ამ ტერიტორიების ზომები ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. რამდენიმე პატარა ტერიტორიის კოლონიზაცია ტუნიცატეს და ღრუბელებმა სახეობებმა მოახდინეს, რომელთა შთამომავლობა შედარებით მცირერიცხვანია. ამ სახეობების სიმცირის შედეგად, ბრყოზოან და პოლყცპაეტეს სახეობებმა ფეხი მაღლ მოიკიდეს. დიდი ზომის ტერიტორიები უკათესი სამიზნეა, ამიტომ მათზე ტუნიცატეს და ღრუბელა სახეობების მცირე რაოდენობით მატლები დასახლდნენ, რომლებიც მაღლ გავრცელდნენ და სხვა სახეობები განდევნენ. საბოლოო ჯამში, მოზრდილ იზოლირებულ ტერიტორიებზე ტუნიცატეს და ღრუბელა სახეობები დომინირებდნენ, ხოლო ბრყოზოან

და პოლყცპაეტეს სახეობებმა უფრო მცირე ზომის ტერიტორიები დაიკავეს. ამგვარ სისტემაში ბრყოზოან და პოლყცპაეტეს სახეობები რღვევისადმი ადგტირებული სახეობები არიან და მათ ბოტანიკოსები წყალმცენარეებს უწოდებენ. წყალმცენარეები ღია ტერიტორიებზე სწრაფად ხვდებიან და შთამომავლობას ადრეულ ასაკში წარმოქმნიან, თუმცა შემდგომში მათი ჩანაცვლება შედარებით ნელი კოლონიზატორებით, მაგრამ უფრო ძლიერი კონკურენტებით ხდება. წყალმცენარეთა ამგვარი სახეობები ხშირ რღვევას საჭიროებს, რათა სისტემაში დარჩენა შეძლოს.

ტერიტორიის ზომა მტაცებლების და ბალახისმამელი ცხოველების აქტივობას ნაწილობრივ განასაზღვრავს. მომხმარებელი ცხოველები სუქცესის მიმართულებაზე ზეგავლენას ახდენენ. ზოგიერთი მომხმარებელი კვებისთვის მოზრდილ ტერიტორიას ირჩევს, ვინაიდან ასეთი ტერიტორიის მოქება უფრო ადვილია და ტერიტორიებს შორის გადაადგილებასაც ნაკლები დრო სჭირდება. სხვა მომხმარებლები, რომლებსაც ზიანს მტაცებლებისგან აყენებენ, მთლიან გავრცელების არეალს არჩევენ, რომლის ნაპირებიდან ისინი ახალ ტერიტორიებზე გადასვლას და კვებას ბედავენ. ასეთ შემთხვევაში, კვებისთვის მცირე ტერიტორიების გამოყენება მოზრდილი ტერიტორიების ცენტრებთან შედარებით უფრო ინტენსიურად ხდება.

## სუქცესია მიქცევა-მოქცევის კლდიან ზონაში მყოფი წყალმცენარეების თანასაზოგადოებაში

კურდღლები ბუჩქებისა და ხეებისგან მოშორებით იშვიათად იკვებებიან, რათა მტაცებლებმა არ შეინშნონ. მოლუსკები ასევე იშვიათად ბედავენ მიდიების მარჩხობიდან გამოსვლას, რათა წყალმცენარეებით იკვებონ. სოუზამ (1984) ამ მოსაზრებების სისწორე ცენტრალურ კალიფორნიაში, მიქცევა-მოქცევის ზონაში მდებარე კლდიანი ნაპირის გავრცელების არეალზე დაკვირვების შედეგად დაამტკიცა. მან მიდიების მარჩხობი 625 ან 2500სმ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორიებად დაყო და სპილენძის ბარიერების დახმარებით ტერიტორიების ნახევრიდან მოლუსკები გააძევა. შემდეგ სოუზა განმენდილი ტერიტორიების კოლონიზაციის 3 წლის განმავლობაში დააკვირდა. მოლუსკები მტაცებლებისა და დესიკაციისგან თავდაცვისთვის მიდიებს შორის მდებარე ნაპრალებში ბინადრობენ, როდესაც არ იკვებებიან. ამგვარი მოქმედების შედეგად მოლუსკების კვებითი მოქმედება იზღუდება და მცირე ტერიტორიებზე მოპინადრე მოლუსკების სიმჭიდროვე მოზრდილ ტერიტორიებზე მობინადრესთან შედარებით მეტია. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ექსპრიმენტის განმავლობაში წყალმცენარეები მოზ-

რდილ ტერიტორიებზე უფრო მჭიდროდ გაიზარდა. მოლუსკების შეზღუდვის ადგილებში წყალმცენარეთა ყველა სახეობა უფრო მრავალრიცხოვანი გახდა და მათი რაოდენობა სხვადასხვა ზომის ტერიტორიებს შორის არ განსხვავდებოდა.

მოლუსკების კვება წყალმცენარეების უმეტესი სახეობების ჩამოყალიბებასა და ზრდას ხელს უშლიდა, თუმცა სამმა შედარებით იშვიათმა სახეობა სარგებელიც ნახა. ეს სახეობები იყო ყავისფერი წყალმცენარე ნაპლიპუს, მწვანე ჩრდილოპორა და წითელი ნდოცლადია. სამიცვე სახეობა დაბალია, თხელი გარსი აქვს და მინაშია ჩამარხული, აქედან გამომდინარე, მათი მოძოვა რთულია, მაგრამ სამაგიეროდ დაჩრდილვასა და სხვა სახეობების მიერ გადაფარვას უფრო ექვემდებარე. გარდა ამისა, ნდოცლადიას გაჩენა ტერიტორიის ზომაზეა დამოკიდებული და მოლუსკების რაოდენობის მიუხედავად, ის უფრო მოზრდილ ტერიტორიებზეა გავრცელებული.

სპილენძის ბარიერების საშუალებით განმენდილ ტერიტორიებზე და მოლუსკების შედარებით ნაკლები სიმჭიდროვის მქონე მოზრდილ ტერიტორიებზე მიდიათა იმ სახეობებმა მოახდინა კოლონიზაცია, რომლებიც სოუზის კვლევის არეალში მდებარე მარჩხობების ნარმომქნელ მიდიებთან შედარებით ნაკლებად კონკურენტუნარიანია. ამგვარი მიდიები პატარა წყალმცენარეებით დასახლებულ ტერიტორიებზე ბინადრობენ, სადაც მოლუსკების რაოდენობა მცირეა. ტერიტორიის ზომასა და ძოვას შორის კავშირით წყალმცენარეების და მიდიების მეორე სახეობების მრავალრიცხოვნობა აიხსნება. ტერიტორიები, სადაც მოლუსკების რაოდენობა ნაკლებია ან საერთოდ ნულის ტოლია, წყალმცენარეებისთვის უფრო მოსახერხებელია და ამ ტერიტორიებზე მიდიების მეორე ტიპის სახეობების კოლონიზაცია ხდება.

## სუქცესია ხანძრით გამოწვეული რღვევის შემდეგ

ხანძარს უზარმაზარი ძალა გააჩნია და კატასტროფული მოვლენაა (იხ. სურ. 1.12). როდესაც ხანძარი იშვიათი გაჩენის ადგილებში იფეთქებს ან ინტენსიური და არასეზონურია, შედეგი მართლაც კატასტროფული შეიძლება იყოს. მიუხედავად ამისა, მრავალ ეკოსისტემაში ხანძარი ჩვეულებრივი მოვლენაა და მისი შედეგებიც არ არის ყოვლისმომცველი. გარდა ამისა, საზოგადოები ხანძრის შემდეგ ახლიდან ნარმოქმნებიან და იზრდებიან. მინდვრებზე, ბუჩქნარით დაფარული ადგილებზე და ტყის გავრცელების არეალებზე ხანძარი პერიოდულად ჩნდება (იხ. პარაგრაფი 28.7).

ხანძრის ინტენსივობას სხვადასხვა ფაქტორები, მათ შორის საწვავის სახეობა, რაოდენობა და მდებარეობა, ტენიანობა, ასევე ქარის ძალა და

მიმართულება განაპირობებს. ზოგიერთი ხანძარი დედამინასთან უფრო ახლოსაა, პატარა ხეებს წვავს და ზედაპირის ქვემოთ არსებულ ვეგეტაციაზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენს. დედამინასთან ახლოს გაჩენილი ხანძარი შესაძლოა მეტისმეტად ძლიერი გახდეს, რაც ნიადაგის ორგანული ნივთიერებების და მინისზედა ვეგეტაციის განადგურებას გამოიწვევს. ინტენსიური ხანძარი ხეების მწვერვალებსაც შეიძლება მინვდეს და ფოთლების განადგურება გამოიწვიოს.

ხანძრის შედეგად გამოწვეული სუქცესიური ცვლილების კლასიკური მაგალითი დიდ სიმაღლეზე მდებარე ტყეებსა და ტყე-ტუნდრის გავრცელების რეგიონებში გვხვდება, როდესაც ხანძარი მცენარეთა უმეტეს ნაწილს ანადგურებს (ვალენი 1995). ხანძრის ჩაქრობის შემდეგ მსუბუქი თესლის მქონე და სწრაფად მზარდი მცენარეები საზოგადოებებს იპყრობს და ხელახლა ქმნის. საზოგადოების განვითარება დროში მომხდარი სუქცესიური ცვლილებების კონტინუუმის მიერ იმართება, ხოლო ცვლილებები საზოგადოებისა და გარემო პირობების ურთიერთქმედებებით არის გამოწვეული. ურთიერთქმედების შედეგად გარემო იცვლება და სხვადასხვა საზოგადოების გაჩენას იწვევს.

მეორად სუქცესიაზე კლასიკური შეხედულების თანახმად, რღვევის შემდეგ სიცოცხლისგან დაცარიელებული საზოგადოებების განვითარება მოშორეული ტერიტორიებიდან მომხდარი კოლონიზაციის შედეგად ხდება. ამგვარი შეხედულება საკმაოდ გამარტივებულია და საზოგადოებებში ხანძრით გამოწვეული აღლვების დინამიკის გაზრდება შესაძლებელი ხდება. ბევრი მცენარე, მაგალითად, ავსტრალიური ფიჭვი და ზოგიერთი მუხა, ხანძარს უძლებს და სიცოცხლეს განაგრძობს. ბენქ-



**სურ. 28.5.** კალიფორნიის ცენტრალურ სანაპიროზე მდებარე მიდიების (ყტილუს ცალიფორნიანუს) მარჩხობში მდებარე ბუნებრივი, განმენდილი ტერიტორიის სიგანე დაახლოებით შ-ია და ის მწვანე ლენგალმცენარით არის დასახლებული. ყურადღება მიაქციეთ ტერიტორიის პერიოდული გარშემო მდებარე გამორჩეულ ზონას. ამ ზონას მოლუსკები ქმნიან, რომლებიც მიდიათ მარჩხობთან ახლოს იკვებებიან.

სის ფიჭვის თესლი გირჩებში მრავალი წლის განმავლობაში ინახება, ცეცხლი გირჩებს ხსნის და თესლი გარეთ იფანტება. ამ მოვლენას სეროტინია ენდება. ზოგჯერ ხანძარი მცენარეთა საზოგადოების მიწისქვეშა კომპონენტზე ან თესლზე ზეგავლენას არ ახდენს, ამიტომ, „კოლონიზატორი“ მცენარები თესლის მარაგიდან და მიწისქვეშა ყლორტებიდან ან ფესვებიდან ჩნდება, რის შედეგადაც აღელვების შემდგომი საზოგადოების სახეობათა შემადგენლობა აღელვების წინა საზოგადოების მსგავსია. უფრო მეტიც, ხანძრის ინტენსივობა საზოგადოების ბუნებაზეა დამოკიდებული. მაგალითად, თანასაზოგადოებაში არსებული საწვავის რაოდენობა ცოცხალი ბიომასის მკვდართან შეფარდებასთან და პოპულაციათა სიმჭიდროვესთან არის დაკავშირებული. თნასაზოგადოების კომპონენტების განსხვავებული აალებადობა ხანძრის ინტენსივობაზე აგრეთვე ახდენს ზეგავლენას. ველანმა ხანძრით გამოწვეული ფიზიკური აღელვების თვისებები ბუნებრივ და მართულ ეკოსისტემებში შეისწავლა (1995). ხანძრის როლს სუქცესის გვიან ეტაპებზე 28.7 პარაგრაფში შევისწავლით.

## **28.4. სუქცესია ვითარდება ორგანიზაციის შესაძლებლობებით ცვლილებების შედეგად, რათა გარეოში მოახდინოდ და რადგანული არაალების კოლონიზაცია, სუქცესია თან სდევს ახალი სახეობების გამოჩენას**

სახეობათა მდებარეობას მიმდევრობაში ორი ფაქტორი განსაზღვრავს: სახეობათა სასიციცხლო ციკლისთვის დამახსასიათებელი თვისებები და სუქცესის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების ბუნება.

### **სასიცოცხლო ციკლისთვის დამახასიათებელი თვისებები და სუქცესია**

ორგანიზმთა თვისებები, რომელთა საშუალებით ისინი დარღვეულ ტერიტორიებს კარგად ითვისებენ, განვითარებულ საზოგადოებებში უპირატესობას არ იძლევა. მაგალითად, სიცოცხლის ადრეულ პერიოდში გამრავლებული ორგანიზმების შთამომავლობა ადვილად ვრცელდება და მათი კონკურენტუნარიანობა თითქმის კლიმაქსურ საზოგადოებებში, სადაც აღელვება საშუალო ან მცირეა, დაბალია. კარგი კოლონიზატორული თვისებების მქონე სახეობები, ჩვეულებრივ, ძლიერი კონკურენტები არ არის. 28.3 პარაგრაფში, კეუს მიერ ავსტრალიის ეპიფაუნური საზოგადოებების სუქცესის კვლევის შედეგები განვიხილეთ და გამოჩნდა, რომ ბრყოზოან-ები და პოლყცაეტეს-ები დარღვეულ ტერიტორიებზე სახ-

ლდებიან, მაგრამ შემდეგ ტუნიცატეს და ღრუბელები სახეობებთან კონკურენციაში მარცხდებიან.

ადრეული და გვიანი სუქცესიური მცენარეების სასიცოცხლო ციკლი და ფიზიოლოგიური თვისებები ერთმანეთისგან განსხვავდება (ბუდოვსკი 1965, 1970, გრაბი 1977, ბაზაზი 1979, ჰასტონი 1994). ზოგიერთი მცენარის თვისებები 28.2 ცხრილშია ჩამოთვლილი. ადრეული სუქცესიური სახეობები ბევრ პატარა თესლს წარმოქმნიან, რომელსაც ქარი, ფრინველები ან ლამურები დიდ მანძილზე ავრცელებენ და სახეობებს კარგ კოლონიზატორებად აქცევენ. ადრეული სუქცესიური სახეობის თესლი დიდხანს ცოცხლობს და ტყესა თუ ბუჩქნარით დაფარული ადგილების ნიადაგშია გაბნეული, ვიდრე ხანძარი ან ხის ცვენა ზრდის ხელსაყრელ პირობას არ შექმნის (ჰარპერი 1977). გვიანი სუქცესიური სახეობების თესლი შედარებით დიდი ზომისა და აღმოცენებას საკმარისი საკვები ნივთიერების პირობებში იწყებს, რათა ტყის მკაცრ კონკურენტულ გარემოში გადარჩეს (სოლსბერი 1942).

აღმოცენებული მცენარეების ჩრდილამტანობა თესლის წონაზე პირდაპირ არის დამოკიდებული (სურ. 28.6). კლიმაქსურ გავრცელების არეალებსა და ჩრდილიან პირობებში აღმოცენებული მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა ადრეული სუქცესიური გავრცელების არეალების მზის სინათლეში ზრდის ტემპისადმი უკუპრობორციულია (გრაიმი და ჯეფრი 1965). მზის სინათლეზე აღმოცენებული ადრეული სუქცესიური სახეობები ჩრდილამტან ხებზე 10-ჯერ უფრო სწრაფად იზრდება. სინათლის მოყვარული ხეები, მაგალითად არყი და ნითელი ნეეკერჩხალი, საშუალო ტემპით იზრდება.


ჩრდილამტანობა და ზრდის ტემპი გარემო პირობებთან მიჩვევით არის გამოწვეული. ადრეული სუქცესიური მცენარეების სწრაფი ზრდა ფოთლებზე განლაგებული ბიომასის დიდი პროპორციული რაოდენობის შედეგია (აბრაშამსონი და გადგილი 1973). ფოთლების საშუალებით ფოტოსინთეზი ხდება და მათი პროდუქტიულობა მცენარის ქსოვილების დაგროვებაზე ახდენს ზეგავლენას. აქედან გამომდინარე, მცენარის ზრდის ტემპი ფესვებისადმი და მინისზედა ნაწილებისადმი (ამონაზარდისადმი) ქსოვილის მდებარეობაზეა დამოკიდებული. ერთწლიანი ბალანსის ამონაზარდი მცენარის დაახლოებით 80-90%-ია, იგივე ნიშნული მრავალწლიან ბალაზებში 60-70%-ს შეადგენს, ხოლო მრავალწლოვან ხეებში 20-60%-ია (მონკი 1966). ადრეულ სუქცესიურ მცენარეებში ამონაზარდის ბიომასის დიდი პროპორციული რაოდენობა სწრაფ ზრდას და დიდი ზომის თესლის წარმოქმნას იწვევს. ერთწლიანმა მცენარეებმა თესლი სწრაფად და დიდი რაოდენობით უნდა წარმოქმნას, ამიტომ მათი ზომა პატარა. კლიმაქსური მცენარეების ნაყოფის დიდი ნაწილი ფესვებსა და ყლორტებშია თავმოყრილი, ხოლო გადაწლილისა და ბალაზისმჭამელი ცხოველებისადმი

**ცხრილი 28-2 ადრეული და გვიანი სუქცესიური მცენარეების თვისებები**

თვისება	ადრეული სუქცესია	გვიანი სუქცესია
ფოტოსინთეზი		
სინათლით გაჯერებულობის ინტენსივობა	მაღალი	დაბალი
სინათლის კომპენსაციური წერტილი	მაღალი	დაბალი
პროდუქტიულობა ცუდ განათებაზე	დაბალი	მაღალი
ფოტოსინთეზის ტემპები	მაღალი	დაბალი
სიბრუნვები სუნთქვის ტემპები	მაღალი	დაბალი
წყლის მოხმარება		
ტრანსპირაციის ინტენსივობა	მაღალი	დაბალი
მეზოფილისადმი მდგრადობა	დაბალი	მაღალი
თესლი		
რაოდენობა	დიდი	მცირე
ზომა	პატარა	დიდი
გავრცელების მანძილი	დიდი	მცირე
გავრცელების მექანიზმი	ქარი, ფრინველები, ლამურები	ძუძუმწოვრები
სიცოცხლისუნარიანობა		ხანმოკლე
იძულებითი სიმშვიდე	ხანგრძლივი	იშვიათი?
	ხშირი	
რესურსების დაუფლების ტემპი	მაღალი	დაბალი?
საკვები ნივთიერების დაწლის შემდგომი აღდგენა	სწრაფი	ნელი
ფესვი/ამონაზარდის შეფარდება	დაბალი	მაღალი
მომწიფებული მცენარის ზომა	მცირე	დიდი
სტრუქტურული ძალა	მცირე	დიდი
ზრდის ტემპი	სწრაფი	ნელი
სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა	ხანმოკლე	ხანგრძლივი

გამძლეობა მათ კონკურენტუნარიანობას ამაღლებს. ნაყოფის ასეთი განლაგება ზრდის უფრო ნელ ტემპი ინშნავს. მაშასადამე, სუქცესიური სახეობების გან-

ვითარებას გავრცელების უნარსა და კონკურენტუნარიანობას შორის ბალანსის ცვლილება ახლავს თან.



**სურ. 28.6.** თესლის ნონასა და ამონაზარდის სიკედილიანობას შორის დამოკიდებულება 3 თვის შემდეგ, ჩრდილიან პირობებში

### სახეობათა ურთიერთობავლენა

ჯოზეფ კონელის და რ.ო. სლატიერის (1977) ვარაუდით, ერთი სახეობის არსებობა მეორის გაჩენის ალბათობაზე სამი მექანიზმით ახდენს ზეგავლენას და ესენია: ხელშეწყობა, დათრგუნვა და შემწყნარებლობა. ხელშეწყობა სუქცესიის შესახებ კლემენტისის მოსაზრებას ასახავს, რომლის თანახმად, სუქცესია განვითარებადი მიმდევრობაა და მისი თითოეული ეტაპი მომდევნოს გზას უკვალავს ისევე, როგორც ორგანიზმის განვითარებისას ან თუნდაც სახლის შენებისას ერთ სტრუქტურას მეორე მოყვე-

ბა. კოლონიზატორი მცენარეები კლიმაქსური სახეობების შემოსვლას შესაძლებელს ხდის და ისინი ხის ფორმებს შეგვიძლია შევადართო, რომელიც ბეტონის კედლის ჩამოსხმისას მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, მაგრამ დასრულებულ შენობაში არავითარი ადგილი არ ეკუთვნის. ადრეული ეტაპები შემდგომ ეტაპებს ხელს უწყობს, ამაღლებს რა ნიადაგში არსებული საკვები ნივთიერებების ან წყლის დონეს და ცვლის ნიადაგის ზედაპირის მიკროგარემოს. ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, როდესაც პირველადი სუქცესია მკაცრ გარემოში ხდება და ალელუკების შედეგად ტერიტორია საკვები ნივთიერებების დეფიციტს განიცდის. ასეთ შემთხვევაში პირველი სახეობები ლარიბ ნიადაგს ამდიდრებს და სხვა სახეობების განვითარებას ხელს უწყობს. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მოლუსკები აზოტ-ფიქსაციის შედეგად წმ. ელენეს მთის გარშემო არსებულ უნაყოფო ნიადაგზე (ვულკანურ ველზე) სხვა მცენარეების კოლონიზაციას უწყობს ხელს. თეთრი აკაცია აზოტფიქსაციისთვის საჭირო ბაქტერიას ფესვებში ინახავს და ადრეული სუქცესის განმავლობაში ნიადაგს აზოტით ამდიდრებს. ეს მოვლენა აშშ-ს სამხრეთით, აპალაჩის რეგიონში ხდება (ბორინგი და სვანკი 1984).


ნიადაგი ზღვის სისტემებში არ მუშავდება, მაგრამ ხელშეწყობა ხშირად გვხვდება, როდესაც ერთი სახეობა დასახლების ადგილების ხარისხს მეორე სახეობისთვის ამაღლებს. დინმა და ჰარდმა (1980) დელავარის უზრეში ექსპერიმენტულ პანელზე დაკვირვების შედეგად აღმოაჩინეს, რომ ჰიდროიდების არსებობა ტუნიცატეს-ების დასახლებას უწყობს ხელს, ხოლო ორივე მათგანი მიღიერდის გავრცელებას აჩქარებს. სამხრეთ კალიფორნიაში, სწრაფად მზარდი, ადრეული წყალმცენარეები მკვრივ დამტკაც ფენას ქმნის და ზამთრის ქარების შედეგად განადგურებული კელპ ჰლანტ-ების ხელახლა გაჩენას უწყობს ხელს. როდესაც ჰარისმა და სხვებმა (1984) ტერიტორია წყალმცენარეების ადრეული სუქცესიური სახეობებისგან განმინდეს, გავრცელებული სპოროფიტები თევზებმა მალევე მოსპეს. ტარნერმა (1983) აღმოაჩინა, რომ კლიდიან, მიქცევა-მოქცევის ზონაში მდებარე საზოგადოებებში ფილოსპადიქ-სის გაჩენა ადრეულ სუქცესიურ წყალმცენარეზეა დამკიდებული, რომელსაც ფილოსპადიქსის თესლი ეკრობა და შემდეგ ნაყოფიერდება (სურ. 28.7.). ამგვარი წყალმცენარეების არარსებობის შემთხვევაში ფილოსპადიქსი საზოგადოებაში შესვლას ვერ ახერხებს.

დათრგუნვა მაშინ გვხვდება, როდესაც ერთი სახეობის გაჩენას მეორის არსებობა ხელს უშლის. ეს პროცესი სახეობათა ჩანაცვლებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. ახლად დარღვეულ ტერიტორიაზე სხვადასხვა სახეობა შეიძლება დასახლდეს, შემდეგ კი, ერთ-ერთი ასეთი სახეობა მეორეს დათრგუნვას. დათრგუნვა შეიძლება გამოიხატოს

უბრალოდ შექმაში, მეორე სახეობისთვის საჭირო რესურსის დონის შემცირებაში და ასევე შესაძლებელია პირდაპირი კონფლიქტი მოხდეს. რაც შეეხება სუქცესის, კლიმაქსური სახეობები ადრეული ეტაპებისთვის დამახასიათებელ სახეობებს თრგუნავს და ამ უკანასკნელს კლიმაქსურ საზოგადოებაში შესვლა არ შეუძლია, გარდა აღელვების შემდგომი უახლოესი პერიოდისა.

სოუზამ (1979) სამხრეთ კალიფორნიის კლდიანი სანაპიროს მიქცევა-მოქცევის ზონაში მდებარე წყალმცენარეების საზოგადოებაში მომხდარი სუქცესია შეისწავლა და დათრგუნვის შესანიშნავი მაგალითიც მოგვცა. სამხრეთ კალიფორნიის სანაპირო ქვიშაქვის ველებით არის დაფარული და ახლომდებარე მდინარეებს ქვიშაქვა ოკეანეში ჩააქვს. ქვიშაქვაზე სხვადასხვა წყალმცენარეები და უძრავი უხერხემლო ცხოველები ბინადრობენ, რომლებიც თანასაზოგადოებებს ქმნიან. სოუზას კვლევის არეალში ანუ კალიფორნიაში, ელვუდის ბიჩთან ახლოს, ზამთრის ქარები ქვიშაქვის ლოდებს აბრუნებს და წყალმცენარეები თუ უხერხემლო ცხოველები იღუპებიან. ამოტრიალებული ლოდები დაუსახლებელ, კოლონიზაციისგან თავისუფალ ადგილებს აჩენს. ამ ადგილების ხელახლა კოლონიზაციის სუქცესიური მექანიზმები სოუზას კვლევის ძირითადი ობიექტი იყო.

სოუზას დაკვირვებით, ახლად გამოჩენილი ტერიტორიები მწვანე წყალმცენარე ლვა-მ დაიკავა. ლვა ტერიტორიებს სწრაფად იკავებს და სწრაფადაც იზრდება. ეს წყალმცენარე მთელი წლის განმავლობაში მრავლდება და ლია ტერიტორიების ხელახლა კოლონიზაცია სწრაფად შეუძლია. ახლად გამოჩენილი ზედაპირების კოლონიზაციას წითელი წყალმცენარის რამდენიმე სახეობაც ახდენს, თუმცა



**სურ. 28.7.** ფილოსპადიქსის თესლი ეკლების საშუალებით წყალმცენარეების ზოგიერთ სახეობას ეკრობა და შემდეგ ნაყოფიერდება

ეს სახეობები შედარებით ნელა იზრდება და ამავე დროს მხოლოდ სეზონურად მრავლდება. აქედან გამომდინარე, ისინი ლვა-სთან კონკურენციაში მარცხდებიან. სოუზას აღმოჩენით, ვიდრე ლვა არ დაზიანდება, ის წყალმცენარეების სხვა სახეობებს თრგუნავს. საბოლოო ჯამში, რამდენიმე ფაქტორი დათრგუნვის ეფექტს ამცირებს, ნითელი წყალმცენარეების სახეობები მაინც ჩნდება და უმეტეს შემთხვევაში ერთ-ერთი ამგვარი სახეობა (იგარტინა ცანალიცულატა) დომინანტურიც ხდება. დათრგუნვის ეფექტის შემამცირებელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, რომ წყალმცენარე ლვა-ს კიბორჩხალა აცჰყებასუს ცრასსიპეს ჭამს და მას ეს წყალმცენარეს სხვებს ურჩევნია. ლვა სუქცესიურ ცვლილებას გარკვეული დროის განმავლობაში თრგუნავს, ვინაიდან სხვა წყალმცენარეების დასახლებას ხელს უშლის, თუმცა შემდგომი აღელვება დათრგუნვის ეფექტს ამცირებს და სუქცესია ჩვეული მიმართულებით ხდება.

დათრგუნვის შედეგად საკმაოდ საინტერესო მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას, როდესაც ორ სახეობას შორის ურთიერთქმედება იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი სახეობა იყიდებს ფეხს პირველად. გამრავლების სტადიები სასიცოცხლო ციკლის ყველაზე უფრო მგრძნობიარე ეტაპებია და ზოგჯერ არც ერთი სახეობას არ შეუძლია დასახლება, თუ მეორე სახეობის უფრო ძლიერი მოზრდილი წარმომადგენლები არსებობს. ასეთ დროს სუქცესის მიმართულება უპირატესობაზეა დამოკიდებული. უპირატესობა თავის მხრივ საკმაოდ პირობითია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სახეობა მიაღწევს პირველად დარღვეულ ტერიტორიას. უპირატესობა აღელვებული ტერიტორიის გარკვეული თვისებებიდან, მაგალითად ზომიდან, მდებარეობიდან, სეზონიდან და ა.შ. შეიძლება გამომდინარეობდეს. ასეთი შემთხვევა სამხრეთ ავსტრალიის დინების ქვედა ზონაში გვხვდება, სადაც ბრყოზოან-ები ტუნიცატე-ების და ღრუბელების გავრცელებას ხელს უშლიან. ბრყოზოან-ები ძალიან კარგად ვრცელდებიან, ამიტომ ზემოთ აღნერილი შემთხვევა უფრო პატარა, იზოლირებულ სუბსტრატებზე გვხვდება.


შემწყნარებლობა არის მდგომარეობა, როდესაც სახეობებს ახლად გამოჩენილ გავრცელების არეალში შესვლის და მასზე ფეხის მოკიდების თანაბარი შესაძლებლობა აქვთ. შემდგომი მიმდევრობა კოლონისტების კონკურენტუნარიანობაზეა დამოკიდებული. ადრეულ ეტაპებზე სუსტი კონკურენტები დომინირებენ, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა ნაკლებია. კლიმაქსური სახეობები ძლიერი კონკურენტია, თუმცა უფრო ნელა იზრდება და მიმდევრობაში მათი უპირატესობა მხოლოდ მაშინ გამოიკვეთება, როდესაც სხვა სახეობები გაიზრდება და გამრავლდება. ადრეული სუქცესიური სახეობების ხელშეწყობა შემდგომ კოლონისტებზე დადებით ზეგავლენას, ხოლო დათრგუნვა უარყოფით

ზეგავლენას ახდენს. რაც შეეხება შემწყნარებლობას, ადრეული სახეობები მომდევნო სახეობების ზრდასა და გამრავლებაზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენს.

სუქცესის განმავლობაში ერთი სახეობის მეორეთი ჩანაცვლება კონკურენციის მაგალითია (იხ. თავი 21). ტილმანის რესურსის შეფარდების პიპოთეზა (1984, 1985, 1986, 1990; იხ. პარაგრაფი 21.9) ხსნის, თუ როგორ იწვევს სუქცესიურ ცვლილებას კონკურენცია. ტილმანის მოდელის მიხედვით, მცენარეები სინათლისა და აზოტისმაგვარი საკვები ნივთიერებისთვის კონკურენციაში შედის. ამ ორი რესურსისთვის არსებული კონკურენციის შედეგი გარკვეულ დროს მცენარეთა რაიმე სახეობების დომინანტურობას იწვევს. რეუსრსების მთლიანი რაოდენობა ამ ორი რესურსის შეფარდების სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ და ის დროთა განმავლობაში იცვლება, ვინაიდან თანასაზოგადოებაში არსებული მცენარეები მოქმედებს. რესურსის დონის ცვლილება კონკურენტული ურთიერთქმედებების შედეგს ცვლის და საზოგადოების ცვლილებას იწვევს. მაგალითად, ადრეული სუქცესის განმავლობაში, როდესაც თანასაზოგადოებაში მხოლოდ მცირე რაოდენობის მცენარე შედის, ჩრდილი ნაკლებია და ნიადაგიც საკვებ ნივთიერებებს მცირე რაოდენობით შეიცავს. აქედან გამომდინარე, მიმდევრობის ადრეულ ეტაპზე ის სახეობები მოიკიდებს ფეხს, რომელსაც საკვები ნივთიერებების ნაკლები რაოდენობა სჭირდება და სინათლესაც უკეთესად ეგუება. ადრეული სუქცესიური სახეობების ზრდა გარემოზე ორი სახის ზეგავლენას ახდენს: ნიადაგში შემავალი საკვები ნივთიერებების რაოდენობა იზრდება და ნიადაგის ზედაპირს მეტი ჩრდილი ეცემა. ასეთი ცვლილებების შემდეგ, სინათლის ნაკლებად მოყვარული და უფრო დიდი რაოდენობით საკვები ნივთიერების მომხმარებელი სახეობები ადრეულ სუქცესიურ მცენარეებს დაძლევს და საბოლოო ჯამში დომინანტური გახდება. ახალი მცენარეები თავის მხრივ გარემოს კვლავ შეცვლის და თვითონაც ნაკლებად კონკურენტული გახდება. კონკურენციის ზემოთ აღნერილი მოდელები ჰასტონმა და სმიტმა (1987) შეიმუშავეს.

## 28.5. სუქცესია ქველ ველებზე და ყინულოვან არეებში გამოხატავს სირიების განვითარებას

კონელის და სლეიტერის სამივე მექანიზმი, კერძოდ ხელშეწყობა, დათრგუნვა და კონკურენცია (სახეობათა ჩანაცვლება), სუქცესიური სახეობების სასიცოცხლო ციკლის თვისებებთან ერთად ყველა მიმდევრობაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. ამ მექანიზმების მნიშვნელობა ჩრდილოეთ კაროლინის ძველ ველებსა და ალიასკას მყინვარებში მომხდარ სუქცესიაზე დაკვირვებისას ნათლად იკვეთება.



## სუქცესია ძველ ველში


ჩრდილოეთ კაროლინის პიდმონტის რეგიონში მდებარე ძველ ველებზე მომხდარი მცენარეთა სუკცესის ადრეული ეტაპები (სურ. 28.2) ასახავს, თუ როგორ ერთიანდება სუქცესის მექანიზმები გარკვეულ მიმდევრობაში (ოოსტინგი 1942, კივერი 1950, მონკი და გაბრიელსონი 1985). ძველი ველის სუქცესის პირველი 3-4 წლის განმავლობაში, სახეობათა მცირე რაოდენობა დომინირებს და ისინი ერთმანეთს სწრაფად ცვლიან. ეს სახეობებია: ცვრიანა, ჰორსენეედ, რაგნეედ, ასტრა და ბრონმსედგე. სახეობის სასიცოცხლო ციკლის სუქცესიაში მის ადგილმდებარებას განსაზღვრავს (სურ. 28.8). ცვრიანა სწრაფად მზარდი ერთნოიანი მცენარეა და ველის მიტოვების წლის განმავლობაში ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება. ჰორსენეედ ზამთრის ერთნოიანი მცენარეა, რომლის თესლი შემოდგომაზე ნაყოფიერდება. ზამთრის განმავლობაში ეს მცენარე ფოთლების პატარა როზეტის სახით არსებობს და ზაფხულში ყვავის. ჰორსენეედ სწრაფად ვრცელდება, ამიტომ ის ერთი წლის ასაკის ველებში დომინანტურია. მიუხედავად ამისა, ჰორსენეედ-ის აღმოცენებისთვის მზის სინათლეა საჭირო, ამიტომ მას ჩრდილამტანი სახეობები მაღევე ცვლის. რაგნეედ ზაფხულის ერთნოიანი მცენარეა, მისი თესლი ადრეულ გაზაფხულზე ნაყოფიერდება და გვიან ზაფხულში ყვავის. ეს სახეობა შემოდგომაზე მოხხულ ველში პირველი ზაფხულის განმავლობაში მომხდარი სუქცესისას არის დომინანტური. ასტრა და ბრონმსედგე ორნლიანი მცენარეებია. ისინი გაზაფხულზე და ადრეულ ზაფხულში აღმოცენდებიან, ზამთრის განმავლობაში პატარა მცენარეების სახით არსებობენ, ხოლო ყვავილობა მეორე შემოდგომაზე უნდევთ. ბრონმსედგე მეორე შემდგომაზეც ყვავის.

ჰორსენეედ და რაგნეედ სახეობები თესლს კარგად ავრცელებს და ახალგაზრდობის განმავლობაში გვალვას კარგად უძლებს. ეს თვისებები განმენდილ ველებზე გავრცელების კარგ შესაძლებლობას იძლევა და აღმოშნული სახეობები შთამომავლობას კონკურენტების გაჩენამდე წარმოქმნის. ჰორსენეედ-ის ფესვების ლპობა მცენარის აღმოცენებას

**სურ. 28.8.** მცენარეთა ხუთი ადრეული სუქცესიური სახეობის სასიცოცხლო ციკლის სქემატური მიმოხილვა. სახეობები ჩრდილოო კაროლინის მიტოვებულ ველებში სახლდება.

ხელს უშლის და ასეთი თვითდათრგუნვა, რომლის ფუნქცია და მიზეზი დადგენილი არ არის, მიმდევრობაში მის სიცოცხლეს ამოკლებს. თვითდათრგუნვა შესაძლოა სხვა პირობებთან ადაპტირებით იყოს გამოწვეული, რაც სუქცესის პირველი წლის განმავლობაში ჰორსენეედ-ის სიცოცხლისუნარიანობას ამაღლებს. შესაძლოა, გაგიჩნდეთ მოსაზრება, რომ თუ ჰორსენეედ-ს მეორე წლის განმავლობაში სიცოცხლის ნაკლები შანსი გააჩნია, რაც უფრო ძლიერი კონკურენტების შემოსვლით არის გამოწვეული, მაშინ თვითდათრგუნვა მასზე ნაკლებად უარყოფით ზეგავლენას მოახდენს. სუქცესის ადრეულ ეტაპებზე თვითდათრგუნვა ჩვეულებრივი მოვლენაა (რაისი 1984).

ასტრა განმენდილ ველზე კარგად იკიდებს ფეხს, თუმცა ხელა იზრდება და მეორე წლამდე გავრცელების არეალში დომინანტური არ არის. ასტრის პირველ წარმომადგენლებს მზის სინათლე უყვარს, ხოლო მოზრდილი მცენარეები შთამომავლობას, რომელიც ჩრდილამტანი არ არის, ჩრდილავს და მის არსებობას ხელს უშლის. გარდა ამისა, ასტრები ნიადაგის ტენიანობისთვის კონკურენციაში ბრონმსედგე-თან მარცხდება. კივერმა (1950) დაახლოებით 1 მეტრი რადიუსის წრიული ტერიტორია გამოყო და ასტრის თესლი სხვადასხვა მანძილზე ჩაყარა. 2 თვის შემდეგ ბრონმსედგე მცენარეებიდან



**სურ. 28.9.** ასტრის ზრდის (მშრალი წონის) და ნიადაგში წყლის შემცელობის დამოკიდებულება ძველ ველში გავრცელებული ბრონმსედგე მცენარეებიდან დაშორებაზე

13, 38 და 63 სმ მანძილზე დათესილი ასტრების მშრალი წონა საშუალოდ 0,06, 0,2 და 0,46 გრამი გახდა. ნიადაგის ტენიანობა იგივე მანძილზე ნიადაგის 100 გრამზე 1,7, 3,5 და 6,4 გრამი იყო (სურ. 28.9).

პიღმონგში მომხდარი ადრეული სუქცესია ცხადყოფს, რომ კონკურენციის შედეგად ჩანაცვლება და დათრგუნვა მნიშვნელოვანი მოვლენაა. გვიანი სუქცესიური მცენარეები ფეხის მოკიდებას ვერ მოახერხებს, თუ ადრეული კოლონისტები მათ წინ არ უსწრებს და ეს მოვლენა ხელშეწყობის კარგი მაგალითია. ჯ. მაკორმიქმა სამხრეთ-აღმოსავლეთ პენსილვანიის ძველ ველზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგად დაადგინა, რომ ადრეული სუქცესიური მცენარეების მოწყვეტის შემდეგ გვიანი სუქცესიური მცენარეები კვლავ განაგრძობს საცდელ ტერიტორიაზე არსებობას. სავარაუდო, მინის დამუშავება ნიადაგში საკვები ნივთიერებების რაოდენობას და ტენის შენარჩუნების უნარს საქმარისად არ ცვლის, რათა მიმდევრობის უმეტესმა სახეობამ ფეხი მოიკიდოს. ხელშეწყობა პირველადი სუქცესიის განმავლობაში ბევრად უფრო შესამჩნევია.

## სუქცესია ყინულის დნობის არეალში

ალიასკაში, გლასიერ ბეიში, ყინულის სწრაფად დნობის შედეგად (სურ. 28.10) ვრცელი ტერიტორიები გამოჩნდა და პირველადი სუქცესია დაიწყო. ამ ტერიტორიაზე მომხდარი სუქცესის კვლევამ ხელშეწყობასა და დათრგუნვასთან ერთად სასიცოცხლო ციკლის თვისებების პირდაპირი ექსპერიმენტული ანალიზის საშუალება მოგვცა.

გლასიერ ბეიში მომხდარი სუქცესია ოთხი ეტაპისგან შედგება:

**1.** პირველი ეტაპი ლურჯ-მწვანე წყალმცენარეებისგან, ლიქენებისგან, ლივერნორტ-ებისგან, ნაირბალახეულისგან, გაბნეული ტირიფებისგან, ალვის ხეებისგან, ნაძვებისგან და ჯუჯა ბუჩქებისგან (რყას დრუმონდი) შედგება. ჯუჯა ბუჩქებს აზოტფიქსაციის უნარი აქვთ.

**2.** მეორე ეტაპი რყას-ების სქელი ფენის ჩამოყალიბებით ხასიათდება და ამავე დროს რამდენიმე ტირიფი, ალვის ხე, ნაძვი და მურყანი გვხვდება. ხეები დნობიდან დაახლოებით 30 წლის განმავლობაში იზრდება. ამ ეტაპებს რყას-ების ენოდება.

**3.** მესამე ეტაპი დაახლოებით 50 წლის შემდეგ იწყება, ამ დროს მურყანი (ლნუს სინუატა) დომინირებს და მას მურყნის ეტაპი ენოდება.


**4.** ნაძვების კლიმაქსური ეტაპი დაახლოებით 100 წლის შემდეგ იწყება

ნელა მზარდი ნაძვი სუქცესიის ყველა ეტაპზე გვხვდება, თუმცა მურყნის ეტაპამდე ის ზრდას განაგრძობს.

გლასიერ ბეის პირველი ეტაპიდან ნაძვისაზოგადოების ჩამოყალიბება რყას-ების გავრცელების შედეგად ნიადაგის აზოტით გამდიდრების შედეგია. რყას-ებს აზოტფიქსაციის უნარი გააჩნია და მომდევნო ეტაპების შემოსვლას ხელს უწყობს. ერთი დომინანტური სახეობის მეორეთი შეცვლა კონკურენტული ჩანაცვლების შედეგია, რაც თავის მხრივ მომდევნო სახეობების უფრო დიდი ზომითა და სიცოცხლის ხანგრძლივობით არის გამოწვეული. მურყანი რყას-ებზე და ამ ეტაპზე გავრცელებულ ყველა სხვა სახეობაზე მაღალი იზრდება და უფრო დიდხანს ცოცხლობს. აქედან გამომდინარე, მურყანი რყას-ების საზოგადოებას დაძლევს, ქმნის რა ჩრდილს და ამ სახეობისთვის საჭირო გარემო პირობებს აუარესებს. ნაძვი მურყანზე უფრო მაღალი იზრდება და დიდხანს ცოცხლობს, შესაბამისად ის მურყანს ნელ-ნელა ავინროებს და საზოგადოებაში დომინანტური ხდება. ფ.ს. ჩაპინმა და სხვებმა (1994) ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების სისწორის შემოწმებისთვის 1987-დან 1989 წლამდე საველე და ლაბორატორული ექსპერიმენტები ჩაატარეს. მათ შეამოწმეს იყო თუ არა ნაძვის გავრცელება ადრეულ სუქცესიურ ეტაპებზე აზოტფიქსაციის უნარის მქონე რყას-ების არსებობით გამოწვეული



**სურ. 28.10.** ალიასკაში, ჩრდილოეთ ტონგასის ნაციონალურ ტყეში ყინულის დნობის შედეგად ველი ჩნდება.



**სურ. 28.11.** დიაგრამაზე გამოსახულია ალიასკაში, გლასიერ ბეიში მომხდარი ადრეული სუქცესიური ეტაპების ზეგავლენა ნაძვის გავრცელებაზე. ნაძვის თესლის ზრდა სამივე ადრეულ სუქცესიურ ეტაპზე ითვალისწინება, თუმცა უკვე ჩამოყალიბებული ამონაზარდის ზრდას და გადარჩენას ხელი ეწყობა. ადრეულ ეტაპზე ნაძვის მხოლოდ მცირე რაოდენობით ამონაზარდი გვაქვს, თუმცა მათი გადარჩენის ალბათობა მაღალია. რყას-ების და მურყნის აქტიურობის შედეგად ნიადაში აზოტის რაოდენობა იზრდება

და ჰქონდათ თუ არა დიდი მნიშვნელობა გლასიერ ბეიში მომხდარი პირველადი სუქცესისთვის სხვა ფაქტორებს, მაგალითად სასიცოცხლო ციკლის თვისებებს.

ჩაპინის და მისი კოლეგების აღმოჩენით, ხელ-შემწყობი და დამთრგუნველი ზეგავლენების, ასევე სუქცესიური სახეობების სასიცოცხლო ციკლის თვისებების რთული ნაკრები გლასიერ ბეიში მომხდარ სუქცესის განაპირობებს (სურ. 28.11). პირველი სახეობებიდან რყას-ებზე და შემდეგ მურყანზე და ნაძვზე გადასვლას ორი მიზეზი უშლის ხელს. პირველი მიზეზი ის არის, რომ მურყანი და ნაძვი ძნელად ვრცელდება, რაც თავის მხრივ თესლის სიმძიმით და პირველი სახეობების თუ რყას-ების არეალების მყინვარის დნობის არეალთან სიახლოვით არის გამოწვეული, საიდანაც მურყანის და ნაძვის გავრცელების ტერიტორიები მოშორებულია. მკვლევრებმა პირველი სახეობების და რყას-ების გავრცელების არეალები 1,5მ2 ფართობის კვადრატულ ნაწილებად დაყვეს, რათა ქარის საშუალებით შემოტანილი თესლები აღენუსხათ. გარდა ამისა, მათ მურყნისა და ნაძვის ტერიტორიაზე არ-სებული ვეგეტაციის ქვემოთ 0,134მ2 ფართობის პლასტმასის ქვესადგამებიც დაამონტაჟეს, რათა ამ მცენარეებიდან ჩამოცვენილი თესლი შეეგროვებინათ. ექსპერიმენტი 1987-1988 წლებში ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ პირველი სახეობების და რყას-ის ტერიტორიებზე ნაძვის თესლი საერთოდ არ მოხვედრილა, ხოლო მურყნის თესლის რაოდენობა ძალიან მცირე იყო. მიუხედავად ამისა, პირველ ეტაპზე ნაძ-

ვის თესლი მაინც განიბნევა და მისი გადარჩენის ალბათობა საკმაოდ მაღალია.

გლასიერ ბეიში მომხდარი სუქცესიური გადასვლის ნინაალმდეგ მეორე ფაქტორიც მოქმედებს და ეს არის მურყნისა და ნაძვის გამრავლების დათვალისწინებული სახეობების და რყას-ების ტერიტორიებზე. ნიადაგის ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ სუქცესის ოთხი ეტაპის განმავლობაში აზოტის, ორგანული ნივთიერებების და წყლის რაოდენობა ნიადაგში გაიზარდა. ადრეულ სუქცესიურ ეტაპებზე ნაძვისა და მურყნის ზრდას ხელი ეწყობა, თუმცა პირველი სახეობების და რყას-ების ტერიტორიები ნაძვის ზრდასა და გადარჩენაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენენ, ხდება თესლზე ნადირობა და საბოლოო ჯამში ორივე სახეობა (ნაძვი და მურყანი) ითრგუნება. გარდა ამისა, მურყნის ეტაპზე მურყანი და ნაძვი სინათლისა და ნიადაგის საკვები ნივთიერებისთვის იბრძება, თუმცა ამ ეტაპზე ნიადაგის უკეთესი პირობების გამო ნაძვი მურყანს დაძლევს. მაშასადამე, ადრეულ სუქცესიურ ეტაპებზე ნაძვი ვრცელდება და მისი ამ თვისების გარეშე ნაძვნარზე გადასვლა ვერ მოხერხდება.

## 28.6. სუქცესის ანალიტიკური მოდელები და მურყანის ტრანსიციაზე ერთი სუქცესიული ფაზიდან მომდევნოზე

ეკოსისტემის ნაწილებს შორის ელემენტის გადასვლის მოდელები ეკოსისტემის რეგულაციის თეორიის საფუძველია (იხ. პარაგრაფი 13). პოპულაციის

	O	A	B
O	$P_{OO}$	$P_{AO}$	$P_{BO}$
A	$P_{OA}$	$P_{AA}$	$P_{BA}$
B	$P_{OB}$	$P_{AB}$	$P_{BB}$

**სურ. 28.12.** მდგომარეობის N ვექტორის გადასვლის ალბათობების P მატრიცა სისტემაში, რომელიც ორი სახეობა (A და B) ცარიელ სივრცეს (**O**) იკავებს ან ერთმანეთს ცვლის. ღია სივრცის გაჩენა ინდივიდუალური მატრიცით არის გამოწვეული. მდგომარეობის ვექტორში შესული რიცხვებით ტ დროს თითოეული მდგომარეობის ფარდობით პროპორციას ასახავენ, ხოლო გადასვლის მატრიცაში შემავალი რიცხვები ერთი მდგომარეობის მეორეთი შეცვლის ალბათობაზე მიუთითებს.

ზრდისა და რეგულირების შესახებ არსებულ მოსაზრებებს მათემატიკური ფორმულები ამყარებს, რომელთა საშუალებით მეცნიერები იდეალიზირებული პაბულაციების დინამიკას სწავლობენ. სუქცესის გააზრება ბუნებრივი სუქცესიური პროცესების სუქცესის ანალიტიკურ მოდელებთან შედარების საშუალებითაც შეიძლება. ამგვარი მოდელები, უმეტეს შემთხვევაში, სუქცესის განმავლობაში საზოგადოებებს შორის გადასვლის ალბათობებს ასახავს. მოდით, ერთ-ერთი მოდელის თვისებები და გამოყენების არეალი შევისწავლოთ.

სხვადასხვა სახეობათა ინდივიდუები სუქცესის განმავლობაში ყალიბდება, იზრდება, მრავლდება და კვდება. მკვდარ ინდივიდუებს იგივე ან სხვა სახეობის ახალი ინდივიდუები ცვლიან. სისტემის დროში ცვლილება ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ, ხოლო თითოეულ გადასვლას გარკვეული ალბათობა გააჩნია. დავუშვათ, ღია სივრცის მდგომარეობა O სიმბოლოთი აღვნიშნოთ, ხოლო სისტემაში რამდენიმე სახეობის ინდივიდუების არსებობის მდგომარეობას A, B და A.შ. ვუწოდოთ. მცენარეების მაგვარი უძრავი ორგანიზმების შემთხვევაში, რაიმე ადგილი ან დაუსახლებელია (O) ან რაიმე, და A.შ. სახეობით არის დასახლებული. სახეობის ინდივიდის სიკვდილი A → O გადასვლა, ხოლო სახეობის ინდივიდის სახეობის ინდივიდით ჩანაცვლება B → A გადასვლა იქნება. თითოეულ გადასვლას გარკვეული ალბათობა ( $P_{AO}$ ,  $P_{BA}$ ) გააჩნია. ასეთი სისტემა გადასვლების ალბათობების მატრიცის საშუალებით შეგვიძლია ჩანაცვლილობის მატრიცის გარკვეული რაღაც დროის განმავლობაში არ იცვლება).

ალნერილი მოდელი სუქცესის მარკოვის პროცესის სახით წარმოადგენს (ანდრეი მარკოვი რუსი მათემატიკოსი იყო, რომელმაც თეორია 1920-იანი წლების დასაწყისში შექმნა). მარკოვის პროცესში გარკვეული მდგომარეობის შექმნის ალბათობა

მხოლოდ სისტემის არსებულ მდგომარეობაზეა დამოკიდებული და არა ამ მდგომარეობამდე მისვლის ტრაქტორიაზე. სისტემის მდგომარეობა t დროს ერთსვეტიანი მატრიცით აღინიშნება, რომელსაც სხვადასხვა O, A, B..., მდგომარეობების ფარდობითი პროპორციების მდგომარეობის ვექტორი ეწოდება და თითოეული პროპორცია  $N_0$ ,  $N_A$ ... სიმბოლოთი აღინიშნება (იხ. სურ. 28.12.). თუ დავუშვებთ, რომ დროის სხვადასხვა პერიოდში გადასვლის ალბათობები არ იცვლება, მაშინ სისტემის მდგომარეობა t + 1 დროს არის:

$$PN(t) = N(t + 1)$$

ახალი  $N(t + 1)$  მდგომარეობის გადასვლის მატრიცაზე გამრავლებით სისტემის მდგომარეობას t + 2 დროს მივიღებთ და ეს იქნება  $[PN(t + 1)] = N(t + 2)$ .

	O	A	B
O	+	+	+
A	+	+	0
B	0	+	+

(ა)

	O	A	B
O	+	+	+
A	+	+	0
B	+	0	+





(ბ)

	O	A	B
O	+	+	+
A	+	+	0
B	+	+	+

(გ)

	O	A	B
O	+	+	+
A	+	0	+
B	+	+	0

(დ)



**სურ. 28.13.** სუქცესიური სისტემები ხელშეწყობის, დათვალისწილების, შემწყნარებლობის და სახეობათა შორის ურთიერთქმედების ციკლური მოდელების თანახმად მოქმედებს და სურათზე გადასვლის ალბათობებია გამოსახული. პლიუს ნოშანი გადასვლის შესაძლებლობაზე მიუთითებს, ხოლო ნული გადასვლის შეუძლებლობას ასახავს. ა) მხოლოდ სახეობას შეუძლია ცარიელი ტერიტორიის კოლონიზაცია. სახეობა სახეობას ხელს უწყობს. თუ სახეობა არსებობს, მაშინ შემძეგვი მდგომარეობა ან იქნება. ბ) ცარიელი ტერიტორიის კოლონიზაცია და სახეობებს შეუძლიათ დაინტერაცირონ. გ) ცარიელი ტერიტორიის კოლონიზაცია და სახეობებს შეუძლიათ და ისინი თანაცხოვრებასაც ახერხდება. დ) ცარიელი ტერიტორიის კოლონიზაცია და სახეობებს შეუძლიათ და თავისი თავის მიზანით არ იცვლება, მაშინ შემძეგვი მდგომარეობა არ იცვლება. ე) ცარიელი ტერიტორიის კოლონიზაცია და სახეობებს შეუძლიათ და თავისი თავის მიზანით არ იცვლება, მაშინ შემძეგვი მდგომარეობა არ იცვლება. ფ) ცარიელი ტერიტორიის კოლონიზაცია და სახეობებს შეუძლიათ და თავისი თავის მიზანით არ იცვლება, მაშინ შემძეგვი მდგომარეობა არ იცვლება. გ) ცარიელი ტერიტორიის კოლონიზაცია და სახეობებს შეუძლიათ და თავისი თავის მიზანით არ იცვლება, მაშინ შემძეგვი მდგომარეობა არ იცვლება. ასეთი სისტემა გადასვლის ალბათობების მატრიცის გარკვეული რაღაც დროის განმავლობაში არ იცვლება).


მატრიცული ოპერაციები ლიუის-ლესლის მატრიცის დახმარებით პოპულაციათა ზრდის გამოსახვას გავს (იხ. პარაგრაფი 15). ასეთი იტერაციული პროცესი გარკვეულ პროცენტში ვექტორს მოგვცემს, რომელსაც მდგრადი მდგომარეობის ვექტორი ეწოდება და გარდაქმნის მატრიცაზე შემდგომი გამრავლებისას არ იცვლება.

28.13 სურათზე გამოსახულია საზოგადოების გადასვლის მატრიცების ოთხი მაგალითი. პირველ სამ პანელზე ნაჩვენებია კონელის და სლეიიტერის ხელშეწყობის, დათრგუნვის და შემწყნარებლობის სუქცესიური მოდელები. მეოთხე პანელზე ციკლური სუქცესის გამომწვევი მდგომარეობაა გამოსახული (პარაგრაფი 28.7). გადასვლის რეალურ ალბათობებზე მსჯელობიდან არ გადავუხვევთ, ვინაიდან ჩვენი მიზანი საზოგადოების დროში ცვლილების ზოგადი სტრუქტურის ჩვენებაა. მატრიცის დადებითი ნიშანი მიუთითებს, რომ რაიმე გადასვლა შესაძლებელია, ხოლო ნული გადასვლის შეუძლებლობას ასახავს (ანუ გადასვლის ალბათობა 0-ის ტოლია). მდგომარეობათა წონასწორული სიხშირები გადასვლის ალბათობების საშუალებით განისაზღვრება, ხოლო მათი გამოთვლა ანალიტიკურად ხდება (პორნი 1975).

გადასვლის მატრიცა ბუნებას საკმაოდ ამარტივებს. სისტემები ცალკეულ ერთეულებად იყოფიან, რომლებიც ინდივიდებს ან გავრცელების არეალებს შეესაბამებიან. გადასვლის მატრიცები სეზონთან, ადგილმდებარეობის ასაკთან და სხვა ფაქტორებთან ერთად იცვლება (ლიპე და სხვები 1985). გადასვლის ალბათობაზე წინა გადასვლებიც ახდენს ზეგავლენას. მოდით, ვნახოთ, თუ როგორ გამოიყენება მარკოვის მოდელი უდაბნოს მარტივი საზოგადოებისთვის და ტყის უფრო რთული საზოგადოებისთვის.

### მარკოვის დინამიკა უდაბნოს მცენარეთა თანასაზოგადოებაში

ჯ.რ. მაკალიფმა მარკოვის მოდელი დეიტლენდში და არიზონაში, იუმა კაუნტიში მდებარე სან ლუისის



**სურ. 28.14.** არიზონას უდაბნოების არრეა-მბროსია თანაზოგადოებების სამ მდგომარეობას შორის კავშირის დიაგრამა. ლია ადგილები შესაძლოა დაიკავოს *Ambrosia*-მ, მაგრამ არა *Larrea*-გ. ეს სურათი 28.13 სურათის ა) პანელს შეადარეთ, რათა საზოგადოებაში მომხდარი ხელშეწყობის შესაძლო მნიშვნელობა შეაფასოთ.

უდაბნოს მცენარეთა საზოგადოებების კვლევისთვის გამოიყენა (მაკალიფი 1988). ორივე ზემოთხენებულ ტერიტორიაზე ლია უდაბნო დომინირებს (დეიტლენდში საფარი 12%-ზე ნაკლებია, ხოლო სან ლუისში საფარის პროცენტული მაჩვენებელი 6%-ს არ აღემატება). ორივე ტერიტორიაზე დომინირებს უდაბნოს ბუჩქების სახეობები არრეა ტრიდენტატა და მბროსია დუმოსა. მაკალიფის აღმოჩენით, არრეა-ს გავრცელება მბროსია-ზეა დამოკიდებული და თითქმის კველა ახალგაზრდა არრეა ფესვს უფრო მოზრდილი *Ambrosia*-ს საფარსქვეშ იდგამს. უფრო მეტიც, ახალგაზრდა *Larrea*-ს პროპორციული რაოდენობის გაზრდა მბროსია-ს სიკვდილიანობას უკავშირდება და ეს მოვლენა ხელშეწყობის ალბათობაზე მიუთითებს. 28.14 სურათზე გამოსახულია მაკალიფის სისტემაში დომინანტურ ლია ადგილებსა და *Larrea-Ambrosia*-ს გავრცელების ადგილებს შორის არსებული ჰიპოთეტური დინამიკა.

მაკალიფმა მარტივი საზოგადოების დინამიკის შესწავლისთვის მცენარეთა სიხშირის, სიკვდილიანობის, ხეთა ლპაბის და ხელხლა გამრავლების შესახებ არსებული ინფორმაცია გამოიყენა და მარკოვის გადასვლის მატრიცისთვის გადასვლის ალბათობები გამოთვალია (ცხრილი 28.3). როგორც უკვე აღნიშნეთ, გადასვლის ალბათობის გამოთვლა სისტემის გამარტივებას იწვევს. მაგალითად, მაკალიფის საზოგადოებებში მბროსია-ს

### ცხრილი 28-3 არიზონას უდაბნოს ორი საზოგადოების გადასვლის მატრიცები

	არსებული მდგომარეობა					
	დეიტლენდი			სან ლუისი		
მომავალი მდგომარეობა	ლია	Ambrosia	Larrea	ლია	Ambrosia	Larrea
ლია	0.998	0.028	0.00012	0.998	0.031	0.0016
Ambrosia	0.0016	0.917	0.00030	0.0013	0.968	0.00
Larrea	0.00012	0.00	0.999	0.00016	0.00058	0.984

### ცხრილი 28-4

სამი მდგომარეობის (ღია ადგილის, მბროსია-ის დომინანტურობის და Larrea-ს დომინანტურობის) შექმნის ფარდობითი სიხშირეების შედარება. სიხშირეების პროგნოზი არიზონაში მდებარე უდაბნოს საზოგადოებების მარკოვისეული ანალიზით ხდება.

საფარის სახეობა	დეიტლები		სან ლუისი		
	რეალობა	პროგნოზი	რეალობა	პროგნოზი	
ღია	0.883	0.814	0.947	0.865	
Ambrosia	0.057	0.046	0.025	0.036	
Larrea	0.059	0.139	0.028	0.099	

ჩანაცვლებას მის საფარსქვეშ მზარდი არრეა-თი შესაძლოა ათწლეულები დასჭირდეს და აქედან გამომდინარე, წლიდან წლამდე არსებული გადასვლის ალბათობები სისტემას ვერ დაახსიათებს. 1 ან 2 წლის ასაკის მცენარეების სიკვდილიანობის ტემპი Larrea-ს შემთხვევაში საკმაოდ მცირეა, ამიტომ მაკალიფმა დაუშვა, რომ Ambrosia-ს ქვემოთ Larrea-ს გარჩენა აუცილებლად გამოიწვევს Ambrosia-ს ჩანაცვლებას. მაკალიფმა სისტემის ბუნების ისტორიის შესახებ შეძენილი ცოდნის დახმარებით სხვა დაშვებებიც გააკეთა და კვლევის თითოეული ადგილისთვის გადასვლის მატრიცა ააგო.

გადასვლის ალბათობა საზოგადოების დინამიკის შესახებ ბევრ ინფორმაციას გვაძლევს. დეიტლენდისა და სან ლუისის საკვლევი ტერიტორიების გადასვლის მატრიცის დიაგონალებზე საკმაოდ მაღალი ალბათობებია (0,9-ზე მეტი). ეს ნიშნავს, რომ ამ საზოგადოებების ცვლილების ტემპი ძალიან დაბალია. დროის ერთი პერიოდიდან მეორეზე გადასვლისას ბევრი არაფერი ხდება ანუ ღია ადგილების კოლონიზაციას ან ერთი სახეობის მეორეთი ჩანაცვლებას ადგილი არ აქვს. ღია ადგილიდან მბროსიაზე გადასვლის ალბათობა ღია ადგილიდან Larrea-ზე გადასვლის ალბათობაზე მეტია, ვინაიდან მბროსია

აშკარად ხელს უწყობს Larrea-ს. Ambrosia-დან Larrea-ზე გადასვლის ალბათობა უმნიშვნელოა.

მაკალიფმა სისტემისთვის მდგრადი მდგომარეობის ვექტორი გამოთვალა, რომლის საშუალებით სისტემის ნონასწორული მდგომარეობების ფარდობითი სიხშირეების პროგნოზი შესაძლებელია. მდგომარეობათა პროგნოზირებული და რეალური სიხშირები 28.4 ცხრილშია ჩამოთვლილი. ანალიზის შედეგად ჩანს, რომ მარკოვის მოდელით გაკეთებულ პროგნოზებსა და რეალურ საზოგადოებებს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს. მარკოვის პროგნოზის მიხედვით, ადგილების უმეტესობა დაუსახლებელია და სისტემაში Larrea-მბროსია სახეობები თანაცხოვრობს.


### მარკოვის დინამიკა ტყის საზოგადოებაში

მეცნიერები მარკოვის მოდელებს ტყის თანასაზოგადოებისთვისაც იყენებენ. უდაბნოს სისტემის მსგავსად, ტყის საზოგადოებებში გადასვლის ალბათობის გამოთვლისთვის გამრავლების, სიკვდილიანობის, სიცოცხლის ხანგრძლივობის და

### ცხრილი 28-5

ნიუ ჯერსიში, პრინსტონთან ახლოს მდებარე ტყის ხეთა სახეობების მოზრდილი ნარმომადგენლების ქვემოთ აღმოცენებული ხუთი სახეობის ხის ახალგაზრდა ნარმომადგენლის პროპორციული რაოდენობა

ახალგაზრდა ხე	საფარი				
	ამბრის ხე	ნითელი მუხა	ჰიკორი	ნითელი ნეკერჩხალი	ნიფელი
ამბრის ხე	39	10	1	13	1
ნითელი მუხა	9	11	16	11	1
ჰიკორი	9	11	5	26	1
ნითელი ნეკერჩხალი	34	45	58	18	7
ნითელი ნეკერჩხალი	9	23	20	32	90
ჯამი	100	100	100	100	100



**სურ. 28.15.** ნიუ ჯერსიში, პრინსტონთან ახლოს მდებარე ფოთლოვანი ტყის საზოგადოებაში მომხდარი გადასვლების პროგნოზი 28.5 ცხრილში ჩამოთვლილი ალბათობის საფუძველზე ხდება. ა) ისრების სისქე გადასვლის ალბათობისადმი პროპორციულია. ბ) ნრეების ზომები თითოეული სახეობის ფარდობით მრავალრიცხოვნობაზე სისტემის გადასვლის შემდეგ მიუთითებენ.

უამრავი სხვა ფაქტორის შესახებ გარკვეული დაშვებები უნდა გავაკეთოთ. მარკოვის მოდელი ტყის საზოგადოების დინამიკის შესახებ ბევრ ინფორმაციას გვაძლევს. ამგვარი მიდგომის კარგი მაგალითია ჰერნი ჰორნის (1975) კვლევა, რომელიც ნიუ ჯერსიში, პრინსტონთან ახლოს მდებარე ტყეზე ჩატარდა.


ჰორნმა პრინსტონის ტყეში გავრცელებულ ხუთ ძირითად სახეობაში შემავალი ახალგაზრდა ხეების რაოდენობა დათვალი და შემდეგ ამ სახეობების მოზრდილი წარმომადგენლების საფარქვეშ ახალგაზრდა ხეების გავრცელებას დააკვირდა (ცხრილი 28.5). მეცნიერმა გამოთვლილი პროპორციები გადასვლის ალბათობად მიიჩნია ანუ მან დაუშვა, რომ ერთი სახეობის საფარქვეშ გავრცელებული მეორე სახეობის ახალგაზრდა ხეების პროპორციული რაოდენობა ახალგაზრდა ხეების სახეობების მიერ მფარველი სახეობების ჩანაცვლების ტემპია. მაგალითად, წითელი მუხის ქვეშ ამოზრდილი ახალგაზრდა ხეების 10% ამბრის ხეა. აქედან გამომდინარე, წითელი მუხიდან ამბრის ხეზე გადასვლის ალბათობა  $P_{\text{ნიუელი მუხა, ამბრი}} = 0,10$ . ამგვარი ალბათობა გადასვლის ზუსტი ალბათობა არ არის, ვინაიდან საფარში შეიძლება ცარიელი ადგილი გაჩნდეს და ის სხვა ინდივიდმა დაიკავოს. გარდა ამისა, სიკვდილიანობის ტემპების ცვალებადობა და საფარსქვეშ სხვადასხვა სახეობების გავრცელება ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩა, ეს ფაქტორები კი საფარქვეშ გავრცელებული ახალგაზრდა ხეების რაოდენობაზე ზეგავლენას ახდენს. ასევე გასათვალისწინებული საფარში

ცარიელი ადგილების გაჩენის ტემპიც. თუ დაუშვებთ, რომ ტყის ზედაპირზე ახალგაზრდა ხეების გავრცელებით გადასვლის ალბათობის ადეკვატური შეფასება შესაძლებელია, მაშინ მარკოვის პროექტის დახმარებით ტყის გადასვლების შესახებ ჰიპოთეზები შეგვიძლია მივიღოთ.

28.15 სურათზე ნაჩვენებია ტყეში მომხდარი გადასვლა. ნიუელა ტყის საფარში დომინანტური უნდა გახდეს, ვინაიდან ნიუელის ხეების ქვეშ ახალგაზრდა ნიუელის პროპორციული რაოდენობა მაღალია ( $P_{\text{ნიუელი, ნიუელ}} = 0,39$ ), ხოლო მუხიდან ნიუელზე, ჰიკორიდან ნიუელზე და ნეკერჩელიდან ნიუელზე გადასვლის ალბათობა ასევე მაღალია. მუხიდან ნეკერჩელზე და ჰიკორიდან ნეკერჩელზე გადასვლის მაღალი ალბათობიდან გამომდინარე, ტყის საფარში ნეკერჩელის რაოდენობა გაიზრდება. ტყეებში მიმდინარე სუქცესის მიმართულების პროგნოზისთვის უფრო რთულ მოდელებსაც აგებენ (ბოტკინი და სხვები 1972, შუგარტი 1984).

## 28.7. კლიმატის (სტაბილური სტაციარაცია და სუსტაცია) თანასაზოგადოებათა სუსტაციაში სასიათო განისაზღვრება აღგილობრივი პირობებით

სუქცესია ძლიერი რღვევის არარსებობისას გვაძლევს მდგრამარეობას, როდესაც გარემო პირობები ნელა იცვლება და ახლად შემოსული სახეობები უკვე



**სურ. 28.16.** გაშინგტონთან ახლოს მდებარე ტყის შემადგენლობა, სადაც რღვევა 67 წლის განმავლობაში არ მომხდარა. ტყეში ახალგაზრდა ნიფელი და ნეკერჩხალი დომინირებს და საზოგადოების არსებული მდგომარეობის (მუხა-ნიფელის) სუქცესიურ ცვლილების პროგნოზს აკეთებს.

არსებულ სახეობებს ვერ ცვლის. მაგალითად, ტყის ვეგეტაციის ჩამოყალიბების შემდეგ, სინათლის ინტენსივობა და ნიადაგის ტენიანობა არ იცვლება (გარდა მცირე დეტალებისა) და ამავე დროს ხეთა ახალი სახეობები შემოდის. ჩრდილოეთის ფოთლოვან ტყეებში ნიფელი და ნეკერჩხალი მუხას და ჰიკორს ცვლის, ვინაიდან მათი ამონაზარდები ჩრდილიანი ტყის გარემოში უფრო ძლიერი კონკურენტია, მაგრამ ნიფელისა და ნეკერჩხლის ამონაზარდები საკუთარი მშობლების საფარქვეშაც ახერხებს განვითარებას. ცვლილების შემდეგ სუქცესია კლიმაქსის მდგომარეობას აღწევს და საზოგადოება ფიზიკურ გარემოსთან ერთად წონასწორობაშია (ლიკი 1970; ვაგონერი და სტივენსი 1970).

სახეობათა შემადგენლობის ოდნავ შესამჩნევი ცვლილება მიმდევრობის კლიმაქსურ მდგომარეობაში გადასვლის შემდეგ ხდება. მაგალითად, ვაშინგტონის ახლოს მდებარე ტერიტორიაზე რღვევა დაახლოებით 70 წლის განმავლობაში არ მომხდარა, თუმცა მასზე მუხითა და წიფელით დომინანტური მაღალი ტყის საზოგადოება განვითარდა. ამ საზოგადოებაში შემავალი ახალგაზრდა და ზრდასრული ხეებიდან ნიმუშის აღების შემდეგ (სურ. 28.16) ცხადი გახდა, რომ საზოგადოება წონასწორულ მდგომარეობაში არ არის, ვინაიდან უკვე არსებული ხეების შემცვლელ ახალგაზრდა ხეებში ხავერდოვანი ან თეთრი მუხა არ შედიან (დიქსი 1957). მომავალი საუკუნის ტყეში სავარაუდოდ დომინანტური იქნება სახეობა, რომელიც ძალიან სწრაფად მრავ-

ლდება, კერძოდ ნითელი ნეკერჩხალი, ამერიკული ნეკერჩხალი და ნიფელი.

სუქცესიური ცვლილების დასრულება საზოგადოების განვითარების შეწყვეტას არ ნიშნავს. კლიმაქსური საზოგადოების სტრუქტურა დაბადების, კვდომის და ზრდის შედეგად კვლავ იცვლება, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ცვლილებები სუქცესიასთან შედარებით ნაკლებად დრამატულია. კლიმაქსური საზოგადოებების სტრუქტურის ცვლილების გაზომვა შესაძლებელია. ტირელმა და კრაუმ (1994) ჩრდილოეთ ვისკონსინსა და მიჩიგანში ფოთლოვანი ცუგას 25 ხანდაზმული ტყე ერთმანეთს შეადარეს და აღმოაჩინეს, რომ სხვადასხვა ასაკის გავრცელების არეალებში ხეთა ზომები, სიმჭიდროვე და მკვდარი მორების მოცულობა ერთმანეთისგან განსხვავდება. გარდა ამისა, სხვადასხვა ასაკის გავრცელების არეალების ტყის საფარში გაჩერნილი ცარიელი ადგილების რაოდენობაც განსხვავებულია. ამგვარი შედეგები კლიმაქსური საზოგადოებების დინამიკურობაზე მიუთითებს.

განვითარებადი საზოგადოების ბიოლოგიური თვისებები იცვლება, როდესაც მიმდევრობაში ახალი სახეობები შემოდის და გადის. საზოგადოების დაბერებასთან ერთად ბიომასის პროდუქტიულობასთან შეფარდება და საზოგადოების არსებობის საჭიროობის მოთხოვნებიც იზრდება, ვიდრე წარმოება მოთხოვნას აღარ აკმაყოფილებს და თანასაზოგადოებაში ბიომასის დაგროვება წყდება (ოდუმი 1969, უიტეკერი 1975, პიტი 1981). ბიომასის დაგროვების შეწყვეტა კლიმაქსის დაფორმას არ ნიშნავს, ვინაიდან სახეობებმა საზოგადოებაში შესვლა და სხვა სახეობების ჩანაცვლება შესაძლოა განაგრძოს. ბიომასის დაგროვების შეწყვეტა თნასაზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ცვლილების დასრულებაზე მიუთითებს და შემდგომი ცვლილებები მხოლოდ დეტალებს შეეხება.

სუქცესიასთან ერთად მცენარის ზომა იზრდება და თანასაზოგადოებაში არსებული საკვები ნივთიერებების უფრო დიდი რაოდენობა ორგანულ ნივთიერებებში შედის. გარდა ამისა, მოწიფული თანასაზოგადოებების ვეგეტაციაში მეტი დამხმარე ქსოვილი შედის, რომელიც ფოტოსინთენტურ ქსოვილთან შედარებით ძნელად ასათვისებელია. აქედან გამომდინარე, საზოგადოების პროდუქციის უმეტესი წანილი დეტრიტების კვების ჯაჭვში შედის და არა მომხმარებლის კვებით ჯაჭვში. საზოგადოების სხვა ასპექტებიც იცვლება (ვიტუსეკი და ვაიტი 1981). ნიადაგის საკვები ნივთიერებები ეკოსისტემაში უფრო მჭიდროდ არის განლაგებული, ვინაიდან ეროზიას არ ექვდება ბრეა. მინერალების ათვისება და შენახვა ტყეების კარგად განვითარებული ფესვთა სისტემების მიერ უფრო სწრაფად ხდება, ხოლო დედამინასთან ახლომდებარე გარემოს ტყის საფარი იცავს.

## კლიმაქსის ბუნება

კლიმანტსის აზრით, კლიმაქსური საზოგადოების გამომწვევი სუქცესია რეგიონის კლიმატზეა დამოკიდებული. ამ მოსაზრებას სუქცესის მონოკლიმაქსური თეორია ენოდება და მის თანახმად, რეგიონში არსებული სხვადასხვა ვეგეტაციური საზოგადოები კლიმაქსური საზოგადოების სუქცესიური ეტაპებია. ამგვარ საზოგადოებებს ხშირად ქვეკლიმაქსურ, ნინაკლიმაქსურ ან პოსტკლიმაქსურ საზოგადოებებს უწოდებენ. მონოკლიმაქსური თეორიის თანახმად, ნიადაგის ტენიანობის, ტემპერატურის, არსებული საკვები ნივთიერებების, ჰიდროლოგიის და ა.შ. განსხვავება დაიძლევა და საბოლოო ჯამში ჰომოგენური, ნამდვილი კლიმაქსი მიიღება. ამგვარმა შეხედულება სუქცესის პოლიკლიმაქსურ თეორიას დაუდო საფუძველი, რომელიც სხვადასხვა სახეობის მრავალ ვეგეტაციას გარემო პირობებზე დამოკიდებულ კლიმაქსად მიიჩნევს. კონტინუუმის ინდექსის და გრადიენტის ანალიზის განვითარებამ რობერტ უიტეკერის სტრუქტურა-

კლიმაქსის თეორიას დაუდო საფუძველი, რომელიც ლია კლიმაქსური საზოგადოების რეგიონალურ სტრუქტურას აღიარებს. ამ თეორიაში კლიმაქსური საზოგადოების შემადგენლობა ნებისმიერ ადგილზე დამოკიდებულია გარემო პირობებზე.

კლიმაქსური თანასაზოგადოების ბუნებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს და მათ შორისაა ნიადაგის საკვები ნივთიერებები, ტენიანობა, დახრილობა და გაშიშვლება. ბევრ კლიმაქსური საზოგადობაში ხანძარი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, გამორიცხავს რა ცეცხლისადმი ნაკლებად გამძლე სახეობებს (კუპერი 1961, კოზლოვსკი და ალგრენი 1974, გილი 1975, კრისტენსენი 1985, რიგანი და სხვები 1988, ველანი 1995). მექსიკის ყურის სანაპიროს ჩრილოეთ ნანილში და ატლანტიკის ოკეანის სანაპიროს სამხრეთ ნანილში გავრცელებულ ფიჭვის ტყეებში ხანძარი პერიოდული მოვლენაა. ფიჭვები სიცხეს უძლებს, თუმცა მუხები და სხვა ფართო-ფოთლოვანი სახეობები ნადგურდება (სურ. 28.17). ფიჭვის ზოგიერთი სახეობა თესლს არც კი აგდებს,



(ა)



(ბ)



(გ)

**სურ. 28.17.** ა)ჩრდილოეთ კაროლინაში მდებარე ჭაობის ფიჭვის ტყე ხანძრის შემდეგ. ამონა ზარდები ინკება, მაგრამ ბ) ყლორტებს გრძელო, მჭიდროდ განლაგებული ნინჯები იცავს და გ) მთი გადარჩენის ალბათობა მაღალია. გარდა ამისა, ნელა მზარდ ამონაზარდებს გრძელი ფესვები აქვს, რომლებიც საკვებ ნივთიერებებს ინახავენ და ხანძრის შემდეგ მცენარის ზრდას ხელს უნდობენ.



**სურ. 28.18.** აღმოსავლეთ აფრიკის სერტენგეტის ეკონოსტემაში ზებრები და ტომბსონის გაზელები გვერდივერდ იკვებებიან, მაგრამ მცენარეთა სხვადასხვა სახეობას ჭამენ.



**სურ. 28.19.** კენიაში, მასაი მარას პარკში ანტილოპა გნუს ნარჩენებს სვავები ჭამენ

ვიდრე ხანძრის სიმხურვალე ამას არ აიძულებს. ხანძრის შემდეგ ფიჭვის ამონაზარდები სწრაფად იზრდება, ვინაიდან სხვა სახეობებთან კონკურენცია არ უხდება.

ნებისმიერი გავრცელების არეალი, რომელიც ხანძრის გაჩენისთვის საქმარისად მშრალი და მცენარეთა დეტრიტუსის სქელი ფენის ნარმოქმნისთვის საკმარისად ტენიანია, ხანძრის ზემოქმედებას გაანიცდის. კალიფორნიის სეზონურად მშრალ გავრცელების არეალებში არსებული ჩაპარელის ვეგეტაცია ცეცხლის შედეგად გაჩენილი კლიმაქსია. ამ კლიმაქსს ხანძრის ჩაქრობის შემდეგ მუხა ცვლის. აშშ-ს მუა დასავლეთში, ტყისა და პრერიის გამყოფი ხაზი კლიმატის და ხანძრის კლიმაქსურ საზოგადოებებს განაცალეკებს (ბორჩერტი 1950). გამყოფი ხაზი გვალვისა და ხანძრის ხანგრძლივობის მიხედვით წინ და უკან გადაადგილდება. ტენიანობის შედეგად ტყის ნაპირი პრერიაზე შეიძლება გადაადგილდეს, ვინაიდან ხის ამონაზარდები იზრდება და ბალახებს ჩრდილავს. ხანგრძლივი გვალვის შემდეგ გაჩენილი ძლიერი ხანძარი მაღალ ხეებს ანადგურებს და პრერიის ბალახებს სწრაფად გავრცელების საშუალებას აძლევს. პრერიის ვეგეტაციის ჩამოყალიბების შემდეგ აალებადი ნივთიერების რაოდენობა იზრდება და ხანძარი უფრო ხშირი ხდება. ამის შემდევ ტყის სახეობებს ფეხის ხელახლა მოკიდება საკმაოდ უძნელდება. ხშირი ხანძარი ფოთლოვანი ხეების ამონაზარდებს ანადგურებს, თუმცა მრავალწლიანი ბალახები ფესვებიდან იზრდება (დობენმირი 1968a). მონიფული ტყეები ცეცხლს წინააღმდეგობას უწევს და იშვიათად ზიანდება, რაც პრერიის ბალახების გავრცელებას ხელს უშლის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტყისა და პრერიის საზღვარი ზოგადად სტაბილურია.

ბალახის ძოვა კლიმაქსური საზოგადოების ბუნებას აგრეთვე ცვლის (ჰარპერი 1969). ინტენსიური ძოვის შედეგად მინდორი ბუჩქნარად შეიძლება გადაიცეს. ბალახისმჭამელი ცხოველები მრავალ-

წლიან ბალახებს კლავენ ან ნანილობრივ აზიანებენ, რაც ბუჩქებისა და კაქტუსების გახარებას იწვევს. ბალახისმჭამელი ცხოველების უმეტესობა საკვებს არჩევს, შერჩეულ სახეობებს თრგუნავს, ხოლო მათ კონკურენტებს ხელს უწყობს. ჩლიქოსნები აფრიკის სტეპებზე სახეობათა რეგულარული სუქცესის ადგილზე მოძრაობენ და საკვების სხვადასხვა სახეობას მოიხმარენ (ვესი-ფიცეკერალდი 1970, გვინი და ბელი 1968, ჯერმანი და სინკლერი 1979, მაკნატონი 1979, ულკერი 1981). მაკნატონმა პირველი სუკცესიური სახეობის ანუ ანტილოპა გნუს გამორიცხვის შემდეგ დაამტკიცა, რომ ტომბსონის გაზელები მანამდე გნუების ან სხვა დიდი ზომის ბალახისმჭამელი ცხოველების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე არჩევენ კვებას (სურ. 28.18). ცხადია, გნუები ბალახს ჭამენ და გაზელებისთვის სასურველი მცენარეების ზრდას უწყობენ ხელს, ამავე დროს ამცირებენ საფარის, სადაც პატარა გაზელებზე მონადირე ცხოველები შეიძლება დაიმალონ. ჩრდილოეთ ამერიკის დასავლეთში, ბალახის ძოვის შედეგად რომელს ტეცტორუმ სახეობა შემოიდის, რომელიც ხანძრის გაჩენას ხელს უწყობს და ალტერნატიულ სტაბილურ მდგომარეობამდე მიმყვან სუკცესიას იწვევს.

### გარდამავალი და ციკლური კლიმაქსები

ჩვენი მოსაზრებით, სუქცესია ცვლილებათა მიმდევრობაა, რომლის საბოლოო შედეგი ადგილობრივი გარემო პირობებით განსაზღვრული კლიმაქსია. ნიფელი-ნეკერჩლის ტყე ჩამოყალიბების შემდეგ საკუთარ თავს იმეორებს, ხოლო მისი შეხედულება, საზოგადოებაში შემავალი ინდივიდების მუდმივი ჩანაცვლების მიუხედავად, არ იცვლება. მიუხედავად ამისა, ყველა კლიმაქსი სტაბილური არ არის. გარდამავალი კლიმაქსის კარგი მაგალითია პატარა სეზონურ ტბაში მცენარეთა და ცხოველთა საზოგა-



**სურ. 28.20.** მანებში, კატადინის მთის ფერდობებზე ბალზამური სოჭის ტყეებში მომხდარი რეგენერაციის ტალღები

დოებების განვითარება. ასეთი ტბები ზაფხულში შრება, ხოლო ზამთარში იყინება, რის შედეგადაც მასში გაჩენილი საზოგადოებები რეგულარულად ნადგურდება. ზაფხულში პატარა, სეზონური ტბები წყლის მარაგს უფრო დიდი ზომის წყალსაცავიდან ან სპირებიდან და წინა წელს დალუპული მცენარეების, ცხოველების და მიკროორგანიზმების ნარჩენების-გან ივებს.

ხელსაყრელი გარემო პირობების გაჩენის შემდეგ სუქცესია ახლიდან იწყება. მაგალითად, განავალი და მკვდარი ორგანიზმები მათზე და დეტრიტებზე მკვებავი ცხოველების გამრავლებას იწვევს (მორი 1943). აფრიკის დაბლობებში, დიდი ზომის ძუძუმწნოვარი ცხოველების ნარჩენებზე მტაცებლების სუქცესია ვითარდება (სურ. 28.19). სუქცესის დასაწყისში დიდი ზომის, აგრესიული სახეობები ხორცის უზარმაზარ მასას შთანთქავენ, შემდეგ მათ მცირე ზომის სახეობები მოყვებათ, რომლებიც ძვლებზე დარჩენილ ხორცს დროინ. სუქცესის დასასრულს მტაცებელი ცხოველები ძვლებს ამტკრევენ და ძვლის ტვინით იკვებებიან (კრუუკი 1967, პოუსტონი 1979). გარემოს გამწმენდი ძუძუმწნოვრები, მატლები და მიკროორგანიზმები მიმდევრობაში სხვადასხვა დროს შედიან და მათი წყალობით საკვები ნივთიერება გამოუყენებელი არ რჩება. ამგვარ სუქცესიას კლიმაქსი არ გააჩნია, ვინაიდან გარემოს გამასუფთავებელი ძუძუმწნოვრები საკვების გამოლევის შემდეგ ნადგურდებიან. მიუხედავად ამისა, გარემოს გამასუფთავებლები კლიმაქსის ნაწილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ხოლო კლიმაქსი მთლიანი დაბლობის საზოგადოებაა.

რამდენიმე დომინანტური სახეობის სასიცოცხლოს ციკლის თვისებები მარტივ საზოგადოებებში ციკლურ კლიმაქსს იწვევს. დავუშვათ, სახეობას დაბადება მხოლოდ C სახეობის პირობებში შეუძლია, სახეობა მხოლოდ C სახეობის პირობებში იზრდება, ხოლო C სახეობას იგივე დამოკიდებულება სახეობასთან აქვს. ასეთი მდგომარეობის შედეგად სახე-

ობათა რეგულარული ციკლი იქმნება, სახეობები A, C, B, A, C, B, A თანმიმდევრობით ლაგდება და თითოეული ეფაბის ხანგრძლივობას დომინანტური სახეობების სიცოცხლის ხანგრძლივობა განსაზღვრავს.

სტაბილური ციკლური კლიმაქსები სწორედ ამგვარად ვითარდება და ხშირად მისი ერთ-ერთი ეტაპი შიშველი სუბსტრატია (უოტი 1947, ფორსი 1975, შპრუგელი 1976). ციკლს ზოგჯერ ქარი ან ყინვა მართავს. როდესაც მანანა ან ვეგეტაციის რაიმე სხვა ფორმა ქარის შედეგად ზიანდება, დაგლეჯილი ფოთლები და გადამტვრეული ყლორტები კიდევ უფრო იოლად ზიანდება და პროცესი ჩქარდება. ვეგეტაციის დიდი ნანილი ძალიან მაღლე ნადგურდება. დაზიანებული ტერიტორიის დაცულ მხარეზე რეგენერაცია მაღლე იწყება, ხოლო დაუცვეული ნანილის განადგურებას ქარი განაგრძობს. საბოლოო ჯამში, დაზიანებისა და რეგენერაციის ტალღები საზოგადოებაში ქარის მიმართულებით გადაადგილდება (სურ. 28.20). თუ ასეთ მოვლენათა თანმიმდევრობას რაიმე ტერიტორიაზე დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ქარის ზემოქმედების შედეგად სრულიად ჯანმრთელი მანანის ნაცვლად ჯერ მოტიტვლებული დედამინა ჩნდება, ხოლო შემდეგ რეგენერაცია ციკლურად იწყება (სურ. 28.21). მსგავსი ციკლები ქარიან რეგიონებშიც გვხვდება, სადაც ბალახის საფარის გარშემო პატარა ბორცვები იზრდება. ბორცვების ზრდასთან ერთად ნიადაგი უკეთესად ჩნდება და შესაბამისად, კარგად შრება. ნიადაგის ხარისხის შეცვლასთან ერთად ბორცვებზე ლიქენის ბუჩქები ხარობს და ბალახს თრგუნავს. ლიქენის ბუჩქებს ქარი ანადგურებს და მათი ჩანაცვლება გადაწვენილი ლიქენებით ხდება, რომლებიც ქარის შემოტევას უკეთესად უძლებენ, თუმცა ფესვები მცირე რაოდენობით აქვთ და ნიადაგს კარგად ვერ ეჭიდებიან. საბოლოოდ, ბორცვები კიდევ ერთხელ შიშვლდება და მათზე ბალახი იწყებს ამოსვლას ანუ ციკლი მეორდება.

## სუქცესიური ეტაპების მოზაიკური სტრუქტურა

ვეგეტაციური სახეობების მოზაიკური სტრუქტურა ნებისმიერ კლიმაქსურ საზოგადოებაში გვხვდება, სადაც ინდივიდების გარდაცვალება გარემოზე ზეგავლენას ახდენს. ხების დაცემა ტყის საფარის გახსნას იწვევს და შედეგად გავრცელების მშრალი, ცხელი და მზით განათებული არეალები ჩნდება. ამგვარ არეალებს ხშირად ადრეული სუქცესიური ფორმები იპყრობს და ისინი ტყის საფარის აღდგენამდე ცოცხლობს (ობრევილი 1938, ფორსი 1975, ვილიამსონი 1975, ბროკაუ 1985). მაშასადამე, ხის დაცემა ერთგვაროვან საზოგადოებაში მოზაიკურ

სუქცესიურ ეტაპებს ქმნის. ზოგიერთი სახეობა ტყის საფარში გაჩენილ სხვადასხვა ზომის ღია ადგილებს კარგად ეგუება და კლიმაქსური საზოგადოების მრავალფეროვნებას კიდევ უფრო თვალშისაცემს ხდის (დენსლოუ 1980, 1985, ორიანსი 1982, პიკეტი 1983). იგივე სტრუქტურა ზღვის კლდიან სანაპიროებზე, მიქცევა-მოქცევა ზონებში გვხვდება, სადაც ტალღებით გამოწვეული დაზიანება და მტაცებლობა გავრცელების ახალ არეალებს ქმნის (დეიტონი 1971, ლევინი და პეინი 1974, კონელი 1978, სოუზა 1985, კონელი და კეუ 1985).


ცვლილების ციკლური სტრუქტურა და გავრცელების მოზაიკური სტრუქტურა კლიმაქსური საზოგადოების ცნებასთან უნდა გავაერთიანოთ. კლიმაქსი დინამიური, განმეორებადი მდგომარეობაა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის საკუთარ თავს ცვლილების რეგულარული ციკლების განმავლობაში იმეორებს. კლიმაქსის გააზრებისთვის მდგრადობა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან თუ ციკლი მდგრადია, ის თავისი არსით ისეთივე კლიმაქსია, როგორიც უცვლელი, მდგრადი მდგომარეობა.

## სუქცესია და სახეობათა მრავალფეროვნება

ბევრი ეკოლოგის აზრის, თანასაზოგადოება სუქცესის პროგრესთან ერთად უფრო მრავალფეროვანი

და რთული ხდება (მარგალეფი 1968, ოდუმი 1969). უიტეკერის (1975) ვარაუდით, ზოგიერთ მიმდევრობაში სუქცესის შუალედური ეტაპები უფრო მრავალფეროვანია, ვინაიდან ისინი ადრეული სუქცესიური ეტაპების და კლიმაქსური საზოგადოების ელემენტებს ერთდროულად შეიცავს. სწორედ ასეთი მდგომარეობა გვხვდება სოუზის კვლევაში (1979), რომელიც მიქცევა-მოქცევის ზონაში მცხოვრები წყალმცენარეების საზოგადოებებზე ჩატარდა. ამგვარ საზოგადოებებში სახეობათა მრავალფეროვნება თავდაპირველად იზრდება, ხოლო გვიან სუქცესიურ ეტაპებზე მცირდება, ვინაიდან წყალმცენარის ერთ-ერთი სახეობა დომინანტური ხდება. სუქცესის შუალედურ ეტაპებზე სახეობათა მრავალფეროვნების მაღალი დონე ბევრ საზოგადოებაში შეინიშნება (შუგარტი და ჰეტი 1973, სოუზა 1980, ჰასტონი 1994).

სუქცესის ადრეულ ეტაპზე მრავალფეროვნების სწრაფი ზრდა ახალი სახეობების შემოსვლით და მათი ხელშემწყობი ადრეული კოლონისტების მიერ ნიადაგის გამდიდრებით არის გამოწვეული (ჰასტონი 1994). ადრეული კოლონისტების მიერ ნიადაგის ხარისხის გაუმჯობესება ყინულის დნობის არეალში მომხდარი პირველადი სუქცესის ძირითადი გამომწვევი მიზეზია (კროკერი და მეიჯორი 1955), თუმცა ჩაპინის და სხვების მიერ ჩატარებული უფრო თანამედროვე კვლევების მიხედვით, პირველად სუქცესიაზე სხვა ფაქტორებიც ახდენს ზეგავლენას.



**სურ. 28.21.** ქარით გამოწვეული დაზიანების და რეგენერაციის მიმდევრობა ჩრდილოეთ შოტლანდიის ჯუჯა მანანებში.

სუქცესია ბიოლოგიური თანასაზოგადოების დინამიურობაზე მიუთითობს. რღვევა ბუნებრივ ბალანსს არღვევს და საზოგადოებაში სახეობის არსებობის ან არსებობის გამომწვევ ძალებს და საზოგადოების სტრუქტურის დარეგულირებაზე პასუხისმგებელ პროცესებს გამოავლენს. სუქცესია აგრეთვე მოუთითებს, რომ საზოგადოების სტრუქტურა სუქცესიური ეტაპების მოზაიკისგან შედგება

და საზოგადოების კვლევისას აღელვების ციკლები დროისა და სივრცის შეალებზე უნდა განვიხილოთ. სახელმძღვანელოს მომდევნო სამ თავში საზოგადოების სტრუქტურას და მისა რეგულაციის შესაძლებლობას შევისწავლით. ჩვენი დაინტერესების საგანი რღვევისა და სუქცესის სტრუქტურული მიმდევრობა და დინამიკაც იქნება.

## დასკვნა

**1.** სუქცესია აღელრღვევისვების ან ახლად გამოჩენილი სუბსტრატის კოლონიზაციის შედეგად თანასაზოგადოების ცვლილებაა. გარკვეულ ტერიტორიაზე საზოგადოების ცვლილების პროცესი მიმდევრობაა, ხოლო მცენარეთა და ცხოველთა საბოლოო, სტაბილურ გაერთიანებას კლიმაქსი ეწოდება.

**2.** ახლად წარმოქმნილ სუბსტრატებზე, როგორებიცაა ქვიშის დიუნები, მენერები, ლავის ნაკადები და ა.შ. მომხდარ სუქცესიას პირველადი ენოდება და ამ დროს ადრეული კოლონისტები გარემო პირობებს მნიშვნელოვნად ცვლიან. ზომიერი აღელვებების შედეგად ეკოსისტემის ფიზიკური სტრუქტურის დიდი ნაწილი არ იცვლება და მას მეორადი სუქცესია მოყვება. ავტოგენური სუქცესია საზოგადოების შიგნით მოქმედი ძალებითაა გამოწვეული, ხოლო ალოგენურს გარე ფაქტორებით გამოწვეულ სუქცესიას უწოდებენ.

**3.** სუქცესია ფიზიკურმა ან ბიოლოგიურმა აღელვებამ შეიძლება გამოიწვიოს. ზღვის გავრცელების არეალებში მომხდარი სუქცესია ცხადყოფს, რომ მიმდევრობის საწყისი ეტაპები რღვევის ინტენსივობასა და ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული, ხოლო მტაცებლებისა და ბალახისმჭამელი ცხოველების სუქცესიურ ცვლილებებზე გამოძახილები თანასაზოგადოების განვითარებაზე ზეგავლენას ახდენს. ხანძრის შემდგომი სუქცესიის კვლევამ აჩვენა, რომ თანასაზოგადოების სტრუქტურა რღვევის ინტენსივობაზე ზეგავლენას ახდენს.

**4.** მიმდევრობაში შემავალი სახეობების არსებობა და მდგრადობა, განსაკუთრებით მეორადი სუქცესიისას, მათ კოლონიზატორულ შესაძლებლობებზე და კონკურენტუნარიანობაზეა დამოკიდებული. ადრეული სუქცესიური ეტაპების წევრები კარგად ერცელდება და სწრაფად იზრდება. უფრო გვიან ეტაპებზე მობინადრე სახეობები რესურსების მცირე რაოდენობას კარგად ეგუება ან სხვა სახეობებთან ურთიერთქმედებისას უპირატესობა აქვა.

**5.** კონელმა და სლეიტერმა გამოყვეს პროცესები, რომელთა საშუალებით ერთი სახეობა მეორე

პოტენციური სახეობის კოლონიზის ალბათობაზე ზეგავლენას ახდენს. ეს პროცესებია: ხელშეწყობა, დათრგუნვა და შემწყნარებლობა. პირველადი სუკცესიის ადრეულ ეტაპებზე ხელშეწყობა ყველაზე ხშირია, ხოლო დათრგუნვა უფრო მეორად სუქცესიას ახასიათებს.

**6.** ჩრდილოეთ კაროლინის ძველ ველებში და ალიასკაში, ყინულის დნობის ტერიტორიაზე მომხდარი სუქცესია საკმაოდ რთული მოვლენაა.

**7.** სუქცესიის წარმმართველი ურთიერთქმედებები სახეობის სახეობით ჩანაცვლების ალბათობის გადასვლის მატრიცით შეიძლება ავსახოთ. სუქცესიის დინამიკა და ადგილობრივი კლიმაქსის შემადგენლობა მატრიცის თვისებებიდან განისაზღვრება.

**8.** სუქცესია მანამდე გრძელდება, ვიდრე საზოგადოებაში ის სახეობები გახდება დომინანტური, რომელსაც თავისთვის და სხვებთან ერთად არსებობა შეუძლიათ. ამის შემდეგ საზოგადოება საკუთარ თავს იმეორებს, თუმცა სტრუქტურის ცვლილება და საზოგადოების განვითარება არ წყდება.

**9.** კლიმაქსური საზოგადოებები კლიმატითა და ტოპოგრაფიით განისაზღვრება. მიმდევრობა რაიმე რეგიონში ერთ სახეობად გაერთიანებისკენ მიისწრაფვის. კლიმაქსის თვისებაზე ადგილობრივი პირობები, მაგალითად ხანძრი ან ბალახის ძოვა ახდენს ზეგავლენას. იგივე პირობები სუქცესიურ სახეობებს შორის ურთიერთქმედებასაც ცვლიან.

**10.** გარდამავალი კლიმაქსები ეფემერულ რესურსებზე და დროებითი პატარა ტბების ან ცხოველების ნაშთების მაგვარ გავრცელების არეალებზე იქმნება. რეგიონული კლიმაქსები გარდამავალ მიმდევრობებს მოიცავს.

**11.** ციკლური ადგილობრივი კლიმაქსები ისეთ ადგილებზე შეიძლება შეიქმნას, სადაც თითოეულ სახეობას სხვასთან ერთად შეუძლია არსებობა. ციკლურ კლიმაქსებს ხშირად მკვეთრი ფიზიკური პირობები, მაგალითად ყინვა ან ძლიერი ქარები ინვევს. რეგიონული კლიმაქსი ადგილობრივ ციკლურ მიმდევრობას მოიცავს.

## სავარჯიშოები

**1.** შეარჩიეთ რაიმე ტერიტორია, სადაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ აღელვება მოხდა და მასზე აღმოცენებული ვეგეტაციის თვისებები აღწერეთ.

**2.** აღწერეთ მდგომარეობა, როდესაც ცხოველთა საზოგადოებაში მომხდარ სუქცესიაზე დაკვირვება შესაძლებელია.

**3.** ახსენით, როგორ შეუძლია სუქცესიას ეკოსის-ტემებში ნივთიერებების და ენერგიის მოძრაობაზე ზეგავლენის მოხდენა.

**4.** მარტივი საზოგადოება A, B და C სახეობას მოიცავს. გარკვეულ დროს A სახეობაში შემავალი

ინდივიდების რაოდენობაა 10, B სახეობაში - 20, ხოლო C სახეობაში - 30. სახეობა სახეობას თრგუნავს და C სახეობას ხელს უწყობს. B და C სახეობები ურთიერთშემწყნარებელია და ორივე მათგანი სახეობას თრგუნავს. პირობითი მნიშვნელობების გამოყენებით საზოგადოებაში მომხდარი სუქცესიური ცვლილების გადასვლის მატრიცა ააგეთ. მატრიცის დიაგონალებში ანუ არსებული მდგომარეობის ცვლილების შეუძლებლობის ალბათობაში 0,5 შეიტანეთ (მინიშნებები: 1. მატრიცული ოპერაციების შესახებ მე-15 თავი ხელახლა გადაიკითხეთ. 2. მდგომარეობის N ვექტორი საზოგადოებაში შემავალი თითოეული სახეობის ინდივიდების რაოდენობაა მოცემულ დროს)

## თავი 29



### პიონერადგეროვნება

#### გზამკვლევი კითხვები

- რა სახეობის მრავალფეროვნება არსებობს?
- სახეობათა მრავალფეროვნების რა ზოგად სტრუქტურებს აკვირდებიან ეკოლოგები?
- რა განსხვავებაა მრავალფეროვნების რეგიონ-ალურ-ისტორიულ და ადგილობრივ-დეტერმინისტულ გააზრებას შორის?
- რა კავშირია ალფა, ბეტა და გამა მრავალფეროვნებას შორის?
- რა ინფორმაციას ვიღებთ სახეობების გვართან შეფარდებიდან?
- რა არის მრავალფეროვნების დროის ჰიპოთეზა?
- რა კავშირია სახეობათა სიმდიდრესა და ნიშის დინამიკას შორის?
- რა არის გამდიდრების პარადოქსი?
- როგორ ახდენენ ზეგავლენას მტაცებლები და ბალ-ახისმჭამელი ცხოველები ადგილობრივი სახეობების მრავალფეროვნებაზე?
- რა მექანიზმებით ახდენს რღვევა სახეობათა მრავალფეროვნებაზე ზეგავლენას?
- როგორ იყენებენ ეკოლოგები ნულგან მოდელებს?
- თანასაზოგადოების რა თვისებაა ჩანაცვლება?

**ჩ**ვენ მთელი სახელმძღვანელოს განმავლობაში ბუნებრივი სამყაროს ცვალებადობას ხაზს ვუსვამთ. დედამიწაზე ცოცხალი არსებების უზარმაზარი რაოდენობა ბინადრობს. ტაქსონომებს დღესდღეობით 2 მილიონზე ნაკლები სახეობა აქვთ აღნუსხული, ვინაიდან ახალი მნერების და სიცოცხლის სხვა ფორმების აღმოჩენის ტემპების ექსტრაპოლირებას ახდენენ, თუმცა ზოგიერთი ბიოლოგი თვლის, რომ დედამიწაზე 30 მილიონამდე სახეობის მცენარე და ცხოველი ბინადობს, ხოლო უმეტესი მათგანი ტროპიკულ ტყეებში მობინადრე მნერია (უილსონი 1992). თანამედროვე კვლევების თანახმად, ბაქტერიული სახეობების რეალური რაოდენობა აღნუსხულზე 2000-ჯერ მეტია. გარდა ამისა, მცენარეებთან, ცხოველებთან და მიკროორგანიზმებთან

ერთად, დედამიწა დიდი რაოდენობით გავრცელების არეალებს და ეკოსისტემებს იტევს. სახეობების და გავრცელების არეალებს ცვალებადობას ბიომრავალფეროვნება ეწოდება. ბიომრავალფეროვნების გამოწვევასა და შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი მექანიზმები საზოგადოების დინამიკის კონტექსტში განიხილება.

ბიომრავალფეროვნება ბუნებრივი სამყაროს ცვალებადობას სხვადასხვა დონეებს მოიცავს (იხ. ნოსი 1990). ევოლუციის მთავარი ძრავა, რა თქმა უნდა, გენეტიკური მრავალფეროვნებაა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მცენარეთა და ცხოველთა პოპულაციების გენეტიკური მრავალფეროვნების შემცირება ამ სახეობების გადაშენებას იწვევს (იხ. პარაგრაფი 19). სახელმძღვანელოს მე-7 ნაწილში გენეტიკურ

ცვალებადობას უფრო დაწვრილებით შევისწავლით. საზოგადოებაში შემავალ სახეობათა ფარდობით მრავალრიცხოვნობას და რაოდენობას ცვალება-დობა აგრეთვე ახასიათებს. ჩვენ 27-ე თავში მრავალფეროვნების ინდექსები მივიღეთ, რომელიც საზოგადოების სტრუქტურის ამ ორ ატრიბუტს აერთიანებს. ატრიბუტებიდან უფრო მნიშვნელოვანი სახეობათა სიმძიდრეა. ოჯახების და გვარების მრავალფეროვნება სხვადასხვა ორგანიზმების განსხვავებულობას იწვევს. თითოეული გვარი უნიკალურ გენეტიკურ ცვლილებას ფარავს. ბიომრავალფეროვნება ეკოსისტემის დონედ ანუ ეკოსისტემის მრავალფეროვნებად შეგვიძლია განვიხილოთ, რომელიც გავრცელების არეალების და ბიომების სახეობების დიდ მრავალფეროვნებაზე მიუთითობს. მრავალფეროვნების სხვადასხვა დონეები გენეტიკური ცვალებადობის ინდივიდების და პოპულაციების დონეების იერარქიას ასახავს. იერარქია სახეობათა მრავალფეროვნების საზოგადოების დონეებიდან და უფრო მაღალი დონეების ტაქსონების მრავალფეროვნებიდან ეკოსისტემის დონემდე ადის.


29-ე თავში ყურადღებას ძირითადად სახეობათა მრავალფეროვნებაზე გავამახვილებთ. ჩვენი მიზანი თანასაზოგადოებებში სახეობათა სიმძიდრის გაჩენის და მისი შენარჩუნების მიზეზების კვლევაა. ჩვენ თავდაპირველად ეკოლოგების მიერ დორსა და სივრცეში აღმოჩენილი სახეობების მრავალფეროვნების ზოგად სტრუქტურებს აღვნერთ, შემდეგ სახეობების მრავალფეროვნების შესახებ რეგიონალურ და ადგილობრივ შეხედულებებს მიმოვიხილავთ, ხოლო საბოლოოდ კუნძულთა სისტემაში სახეობათა სიმძიდრეს, როგორც რეგიონალური პერსპექტივის გამოყენების მაგალითს, შევისწავლით. ბოლო თავში ადგილობრივ თნა-საზოგადოებებში სახეობათა მრავალფეროვნების შეზღუდვებს განვიხილავთ.

## 29.1. აკვირდებიან სახეობათა მრავალფეროვნების ზოგად სტრუქტურას

ეკოლოგები სახეობათა სიმძიდრის სხვადასხვა სტრუქტურებს აკვირდებიან. ეს სტრუქტურები მრავალფეროვნების ექსპერიმენტულ კვლევას უდევს საფუძვლად.

### მრავალფეროვნება გეოლოგიურ დროში

სახეობათა რაოდენობა დედამინაზე თანაბარი არ არის და დაახლოებით 3,2 მილიარდი ნლის ნინ, უჯრედული სიცოცხლის გაჩენიდან მოყოლებული იცვლება. აწმყო დედამინის ისტორიაში ყველაზე უფრო მრავალფეროვანი ნამდვილად არ არის (გოულდი 1989). სიცოცხლის გაჩენის პერიოდიდან შემონახული ნამარხები სრულყოფილი არ არის,



**სურ. 29.1.** სამგელოგიურ ხანაში გაჩენილი ორგანიზმების ოჯახების რაოდენობა


თუმცა დღესდღეობით შემონახული ორგანიზმები, როგორებიცაა ზღვის უხერხემლო ცხოველები, გეოლოგიურ დროში მრავალფეროვნების ცვლილებას ასახავენ. მე-19 თავში დედამინაზე მომხდარი მასობრივი გადაშენების გეოლოგიური ისტორია შევისწავლეთ. ამგვარ გადაშენებებს შორის ეკოლოგიური გავრცელების და ოჯახების თუ სხვა უფრო მაღალი დონის ტაქსონების სიმძიდრის ზრდის პერიოდები იყო. 29.1 სურათზე გამოსახულია ზღვის უხერხემლო ცხოველების ოჯახების რაოდენობის ცვლილება გეოლოგიურ დროში. სურათზე ნაჩვენებია შთამომავლობის ზრდის სულ მცირე სამი პერიოდი, რაც კემბრიულ ხანაში იწყება და თითოეულ პერიოდში ოჯახის მრავალფეროვნება უფრო მაღალ დონეს აღწევს. სიცოცხლის რთული ფორმების საწყისი დივერსიფიკაციის შემდეგ, კემბრიული ხანის დასასრულს, სწრაფი გადაშენების პერიოდი იწყება. მრავალფეროვნებამ ახალ პიკს პალეოზოურ ხანაში მიაღწია, ხოლო პერმული ხანის დასასრულს კვლავ მასობრივი გადაშენება დაიწყო. ოჯახების რაოდენობის ბოლო სწრაფმა ზრდამ თანამედროვე ფაუნის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი (სეპტემბერი 1984).

### მრავალფეროვნების განედური გრადიენტი

მე-19 საუკუნის ნატურალისტები, კერძოდ ჩარლზ დარვინი, ჰენრი ბეიტსი, ალფრედ რასელ უოლესი და სხვები ოვლიდნენ, რომ ტროპიკებში უცნაური ფორმის და თვისებების ჯერ კიდევ უცნობი მრავალი სახეობა იმაღლება. ორგანიზმთა დიდ ტაქსონომიურ ჯგუფებში ანუ მცენარეებში, ცხოველებსა და სავარაუდოდ მიკრობებში, სახეობათა რაოდენობა ეკატორთან მიახლოებისას შესამჩნევად იზრდება (ფიშერი 1960, სტელი 1968, სტელი და სხვები 1969, სტივენსი 1989). მაგალითად, ჩრდილოეთ განედის 600-ზე მდებარე პატარა ტერიტორიაზე 10 სახეობის ჭიანჭველა ბინადრობს, 400-ზე 50-100-მდე სახეობა გვხვდება, ხოლო ეკვატორთან ახლოს 200-ზე 100-200-მდე სახეობას გადავეყრებით. გრენლანდიაში ფრინველის 56 სახეობა ბინადრობს, ნიუ იორკში - 105, გვატემალაში - 469, ხოლო კოლუმბიაში - 1395 (დობუანსკი 1950). ამაზონის ზოგიერთ ტერიტორიაზე ფრინველთა მრავალფეროვნება 100 სახეობას აჭარბებს (ტერბორგი და სხვები 1990). სახეობების, გვარების და ოჯახების მრავალფეროვნება ზღვის გარემოშიც მსგავსია. ხმელეთის ფრინველთა, ხეების და ძუძუმწოვართა სახეობების სიმდიდრე ტროპიკებთან მიახლოებისას იმატებს (სურ. 29.2. ბრიგსი 1995).


### გვარცელების არეალები და ფიზიკური პირობები

სახეობათა რაოდენობა დედამინის გარშემო მდებარე გვარცელების არეალებში პროდუქტიულობის, სტრუქტურული არაერთგვაროვნების და ფიზიკური პირობებისადმი შემცირებლობის მიხედვით იცვლება (კოტლერი და ბრაუნი 1988, გენტრი 1988, როზენცვაიგი და აპრამსკი 1993). სტრუქტუ-




**სურ. 29.3.** ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთში გავრცელებულ ფორმოვან ტყეებში ფრინველთა სახეობათა მრავალფეროვნებას და ფოთლების სიმაღლის მრავალფეროვნებას შორის დამოკიდებულება.

რასა და მრავალფეროვნებას შორის კავშირი ფრინველთა მცველევრებისა და ნატურალისტებისთვის ცხადია, თუმცა მაკარტურმა (1961) გავრცელების სხვადასხვა არეალებში მობინადრე ფრინველების მრავალფეროვნების ფოთოლთა სიმაღლის მრავალფეროვნებაზე დამოკიდებულის გრაფიკი პირველმა ააგო. ფოთოლთა სიმაღლის მრავალფეროვნებით ვეგეტაციის სტრუქტურული სირთულე იზომება (სურ. 29.3). გრინსტოუნმა (1984) იგივე ტიპის კვლევა აბლაბუდის მქსოველ ობობებზე ჩაატარა და აღმოაჩინა, რომ სახეობათა მრავალფეროვნება ვეგეტაციის სიმაღლის (რომელზეც ობობები აბლაბუდას ქსოვენ) არაერთგვაროვნებაზე დამოკიდებულებით იცვლება. პიანკამ (1967) ხვლიკების სახეობათა რაოდენობასა და აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე უდაბნოების ფართობის ერთეულზე ვეგეტაციის მოცულობას შორის მჭიდრო კავშირი აღმოაჩინა. სახეობათა რაოდენობა ფიზიკური პირობები-



**სურ. 29.2.** ფრინველების, ხეების და ძუძუმწოვარი ცხოველების სახეობების რაოდენობა განედის მიხედვით. ძელაკები მარცხნივ გამოსახულ რუკას შეესაბამება.



**სურ. 29.4.**ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის 150 კვადრატული მილის ფართობზე ძუძუმწოვარი ცხოველების სახეობათა მრავალფეროვნება

სადმი შემგუებლობაზე, გავრცელების არეალების არაერთგვაროვნებაზე და გავრცელების ცენტრები-დან იზოლირებულობაზე დამოკიდებული. ჩრდილოეთ ამერიკაში, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების რაოდენობა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ გადადგილებისას იზრდება, თუმცა გეოგრაფიული არაერთგვაროვნების და ნახევარკუნძულების იზოლაციის ზეგავლენა აშკარაა. სიმპსონმა (1964) ჩრდილოეთ ამერიკასა და პანამის ყელში 150 კვადრატული მილის ფართობი გამოყოფილი მობინადრე ძუძუმწოვარი ცხოველების სახეობათა რაოდენობისგან ცხრილი შეადგინა. ჩრდილოეთ კანადიდან ცენტრალურ ამერიკამდე ფართობზე მობინადრე სახეობების რაოდენობა 15-150-მდე იზრდება (სურ. 29.4). აშშ-ს შუაგულში, იგივე განედის გასწვრივ, ტოპოგრაფიულად უფრო არაერთგვაროვან დასავლეთის მთებში ძუძუმწოვრების მეტი სახეობა ბინადრობს (90-120 სახეობა ფართობზე), ვიდრე აღმოსავლეთის ერთგვაროვან გარემო პირობებში (50-75 სახეობა ფართობზე). ხმელეთის ფრინველთა სახეობათა რაოდენობა იგივე პრინციპით იცვლება (მაკარტური და უილსონი 1967, კუკი 1971). რეპტილიები აშშ-ს აღმოსავლეთ ნაწილში უფრო მრავალფეროვანი არიან, ვიდრე დასავლეთის მთიან რეგიონებში. ამფიბიები სამხრეთ-აღმოსავლეთის უდაბნო რეგიონებში ნაკლებად არიან ნარმოდგენილი, ვინაიდან მათი სახეობების უმეტესობას წყალი დიდი რაოდენობით სჭირდება.

## 29.2. თანამედროვე ასროვნება თანა-საზოგადოების ორგანიზაციის თაობაზე, ათანხოებს რეგიონულ/ისტორიულ და ადგილობრივ/დეტარქიზაციულ შესახებ

1950-იან წლებამდე, ეკოლოგები სახეობათა მრავალფეროვნებას ისტორიული მოვლენების შედეგად ჩამოყალიბებულ, რეგიონალურ ფენომენად მიიჩნევდნენ. სახეობათა სიმდიდრის შესახებ ასეთ შესედულებას რეგიონალურ-ისტორიული ენოდება. შემდეგ ეკოლოგები დაინტერესდნენ, თუ როგორ ახდენს პოპულაციათა ურთიერთქმედება, მაგალითად მტაცებლობა და კონკურენცია, სახეობათა მრავალფეროვნებაზე ზეგავლენას. ადგილობრივ-დეტერმინისტული შეხედულების საფუძველი ადგილობრივი ურთიერთქმედებებია. კონკურენციის და გადაშენების შედეგად მრავალფეროვნება მცირდება, თუმცა სახეობათა გაჩენისა და მიგრაციის შედეგად მდგომარეობა ბალანსდება და გარკვეული წონასწორობა იქმნება. მრავალფეროვნების თეორიაში წონასწორობის იდეა დაახლოებით 30 წლის განმავლობაში დომინირებდა. მიუხედავად ამისა, რეგიონალურ და ადგილობრივ პროცესებს შორის დამოკიდებულებების, ასევე საზოგადოების სტრუქტურაში აღელვების და ევოლუციური ისტორიის მნიშვნელობის აღიარებამ რეგიონალურ-ისტორიული შეხედულება კვლავ დღის სინათლეზე დააბრუნა. დღესდღეობით ეკოლოგები ცდილობენ, გაარკვიონ, თუ როგორ ქმნის დროის და სივრცის შეალაზე მოქმედი ფაქტორები საზოგადოების ორგანიზაციის ფორმას (რიკლეფსი და შლუტერი 1993პ, როზენცვაიგი 1995). თანამედროვე მიდგომის გააზრებისთვის ადგილობრივ-დეტერმინისტული და რეგიონალურ-ისტორიული შეხედულები დეტალურად უნდა შევისწავლოთ.

### მრავალფეროვნების ადგილობრივ-დეტერმინისტული გააზრება

ადგილობრივი დეტერმინიზმი გულისხმობს, რომ საზოგადოების მრავალფეროვნება კონკურენციის, მტაცებლობის და ადგილობრივი საზოგადოების დონეზე სახეობათაშორისი ურთიერთქმედებების შედეგია. ეკოლოგებს ასეთი შეხედულება მოსწონთ, ვინაიდან სახეობათა მრავალფეროვნების პრობლემა პატარა ტერიტორიებზე მომხდარი თანამედროვე პროცესებით შემოიფარგლება. უფრო ადრეული მოსაზრების თანახმად, მრავალფეროვნება ისტორიის გამოძიებია. ადგილობრივი დეტერმინიზმი ერთი პერიოდი ძალიან პოპულარული გახდა და ეკოლოგებმა რეგიონალური ისტორიული ფაქტორების ზეგავლენა თითქმის გამორიცხეს (რიკლეფსი 1987, რიკლეფსი და შლუტერი 1993ა). ეკოლოგები მრა-

ვალფეროვნებას სახეობათა ადგილობრივ წარმოშობასა და ადგილობრივ გადაშენებას შორის ბალანსად არ მიიჩნევდნენ და თვლიდნენ, რომ მრავალფეროვნების დონე ადგილობრივი პირობებით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, მათი დაკვირვების ობიექტი ადგილობრივი ურთიერთქმედებები და პოპულაციათა შორის ნიშის დამოკიდებულება გახდა.

ადგილობრივი დეტერმინიზმის ჰიპოთეზამდე მისვლა თანდათანობით მოხდა. რეგიონალური-ისტორიული შეხედულებიდან ადგილობრივ-დეტერმინისტულ შეხედულებაზე გადასვლა 60-70-იან წლებში დასრულდა, თუმცა ეს პროცესი თითქმის ნახევარი საუკუნით ადრე დაიწყო, როდესაც ლოტკამ და ვოლტერამ სახეობათა ურთიერთქმედები მათემატიკურად წარმოადგინეს. გაუსმა მოგვიანებით თეორიის პროგნოზი ექსპერიმენტულად დაამტკიცა ანუ აჩვენა, რომ სახეობები ერთ შეზღუდულ რესურსზე ვერ იარსებებს (იხ. პარაგრაფი 21). 40-იან წლებში, ლევამა კონკურენციის ცნება ეკოლოგიური დივერსიფიკაციის პრობლემებისთვის გამოიყენა. ლევაის მთავარი ნაშრომი გალაპაგოსის კუნძულებზე მცხოვრებ დარვინის სკვინჩას შეეხება (ლევა 1947). 50-იან წლებში, პაჩისონმა (1957, 1959) ნიშის მრავალგანზომილებიან სივრცეში მობინადრე სახეობების ცნება შეიმუშავა (იხ. პარაგრაფი 29.6) და შეზღუდული მსგავსების შესახებ არსებულ მოსაზრებას დაუდონ სათავე, რომლის თანახმად, სახეობათა ეკოლოგიურ მსგავსებას კონკურენციის შედეგად ზედა ზღვარი გააჩნია. 60-იან წლებში, თანასაზოგადოებათა ურთიერთქმედების შედეგებს რობერტ მაკარტურმა, რიჩარდ ლევინსმა და რობერტ მეიმ მოუყარეს სათავე. მათ სახეობათა შორის ურთიერთქმედებათა მატრიცებით ასახული სისტემების წრნასწორული, დეტერმინისტული თვისებები გამოიკვლიერს (მაკარტური და ლევინი 1967, ვანდერმეერი 1972, რაფგარდენი 1973, მეი 1973ა, ბ, გ).

### **სახეობათა სიმდიდრის შესახებ რეგიონალური-ისტორიული შეხედულება**

ეკოლოგები ადგილობრივი მრავალფეროვნების განსაზღვრაში ადგილობრივ პოპულაციათა ურთიერთქმედების მნიშვნელობას ხაზს უსვამენ, თუმცა რეგიონალური პროცესებს გვერდს ვერ უვლიან. საზოგადოების მრავალფეროვნების რეგიონალური-ისტორიული პერსპექტივის წინ წამონევა ამ სიძნელის გადალახვის სურვილს დაემთხვა. ეკოლოგები ქვეცნობიერად ადგილობრივი და რეგიონალური მრავალფეროვნების პრობლემებს ერთმანეთისგან აცალებებს და თითოეულს დროისა და სივრცის შეალაზე საკუთარ მიზეზს უძებნიან. ადგილობრივი ურთიერთქმედება, რომელიც ადგილობრივ პირობებში ხდება, ადგილობრივ საზოგადოებაში თანამცხოვრები სახეობების რაოდენობას განსაზღვრავს.


ეს რაოდენობა შესაძლებლობის ზღვარია, რომლის მიღმა თანასაზოგადოებას ახალი სახეობები არ ემატება. რეგიონალური პროცესები, როგორიცაა სახეობათა წარმოქმნა, მიგრაცა და გეოგრაფიულ მდებარეობაზე მომხდარი ისტორიული მოვლენები, რეგიონალურ მრავალფეროვნებას განსაზღვრავს. ადგილობრივ ურთიერთქმედებებსა და რეგიონალურ პროცესებს შორის სხვაობა გავრცელების არეალის სპეციალიზაციის ხარისხის განსხვავებულობას ანუ ბეტა მრავალფეროვნებას იწვევს. ადგილობრივი სახეობების რაოდენობა გარემო პირობების გათვალისწინებით წარჩუნდება, ხოლო რეგიონში მობინადრე სახეობების რაოდენობა იცვლება.

რეგიონალურ-ისტორიული და ადგილობრივ-დეტერმინისტული შეხედულებების გაერთიანება დროსა და სივრცეში სახეობათა მრავალფეროვნებაზე ზემოქმედების მქონე პროცესებზე იერარქიული პერსპექტივის მისადაგებით შეიძლება (სურ. 29.5). ურთიერთქმედება სულ უფრო ფართო სივრცით შეალებზე ხდება, ადგილობრივი პოპულაციით იწყება და პატარა ტერიტორიებს, ლანდშაფტებს, რეგიონებს და ა.შ. მოიცავს თითოეულ შეალაზე მომხდარი ურთიერთქმედება ქვედა შეალაზე მომხდარ პროცესებზე ზეგავლენას ახდენს. სხვაგვარად რომ ვთქათ, თანამედროვეობაში მომხდარი ურთიერთქმედების ფორმა წარსულში მომხდარი მოვლენებით არის გამოწვეული (რიკლეფსი და შლუტერი 1993ბ).

### **მრავალფეროვნების ადგილობრივი და რეგიონალური კომპონენტები**

ლოკალური და რეგიონალური ფაქტორები სახეობათა მრავალფეროვნების სხვადასხვა კომპონენტებში აისხება, რომელთაგან ორია ალფა (ადგილობრივი) მრავალფეროვნება და გამა (რეგიონალური) მრავალფეროვნება (უიტეკერი 1972). ადგილობრივი მრავალფეროვნება მეტ-ზაკლებად ერთგვაროვანი გავრცელების არეალის მცირე ტერიტორიაზე მობინადრე სახეობების რაოდენობაა. ადგილობრივი მრავალფეროვნება გავრცელების არეალზე, ტერიტორიაზე და ნიმუშის აღების ინტენსივობაზეა დამოკიდებული. რეგიონალური მრავალფეროვნება რეგიონში მდებარე ყველა გავრცელების არეალში მობინადრე სახეობების მთლიანი რაოდენობაა. ეკოლოგები რეგიონში გეოგრაფიულ არეალს გულისხმობენ, სადაც ორგანიზმთა გავრცელებისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლება არ არსებობს. აქედან გამომდინარე, რეგიონის საზღვრები განხილულ ირგანიზმებზეა დამოკიდებული. რეგიონში სახეობათა გავრცელება მათ მიერ გავრცელების არეალის შერჩევაზე მიუთითებს და არა გარკვეულ ტერიტორიაზე გავრცელების შეუძლებლობას.

როდესაც ყველა სახეობა რეგიონში მდებარე




**სურ. 29.5.** სახეობის რეგიონალურ და ადგილობრივ მრავალფეროვნებაზე ზეგალუების მქონე ფაქტორები. სახეობათა გაჩენისა და მიგრაციის შედეგად სახეობათა რომელიმე რეგიონალურ დონეზე იზრდება. ეკოლოგიური ურთიერთქმედება მრავალფეროვნებაზე ზეგალუებას ადგილობრივ დონეზე ახდენს. თითოეული ადგილობრივი საზოგადოება მთლიანი რეგიონალური მრავალფეროვნების პატარა ნიმუშს შეიცავს, ვინაიდან სახეობები გავრცელების არეალების სპეციალისტია. მაშასადამე, გავრცელების არეალის შეზრევა რეგიონალურ და ადგილობრივ მრავალფეროვნებებს ერთმანეთთან აკავშირებს.

ყველა გავრცელების არეალში გვხვდება, ადგილობრივი და რეგიონალური მრავალფეროვნება ერთი და იგივე (სურ. 29.6ა და დ). თუ ყველა გავრცელების არეალს გამორჩეული ფლორა და ფაუნა აქვს, მაშინ რეგიონალური მრავალფეროვნება ადგილობრივი მრავალფეროვნების საშუალოს რეგიონში მდებარე გავრცელების არეალების რაოდენობაზე ნამრავლია (სურ. 29.6ბ). ეკოლოგები გავრცელების არეალებში სახეობათა სხვაობას ბეტა მრავალფეროვნებას უწოდებენ. რაც უფრო მეტია გავრცელების არეალებს შორის სახეობათა სხვაობა, მით უფრო მეტია ბეტა მრავალფეროვნება. ბეტა მრავალფეროვნების გამოთვლის რამდენიმე მეთოდი არსებობს, თუმცა ყველაზე უფრო სასარგებლო რეგიონში მდებარე განსხვავებული გავრცელების არეალების რაოდენობა. როდესაც ყველა სახეობა გავრცელების არეალებში უნივერსალურად გვხვდება, რეგიონში მხოლოდ ერთი გავრცელების არეალია და ბეტა მრავალფეროვნება 1-ის ტოლია (სურ. 29.6ა და დ). თუ გავრცელების არეალის სპეციალიზაცია იზრდება, რეგიონში უფრო დიდი რაოდენობის გავრცელების არეალი გხვდება. გამა მრავალფეროვნება ალფა მრავალფეროვნების ბეტა მრავალფეროვნებაზე ნამრავლია. ბეტა მრავალფეროვნების პირდაპირ გამოთვლა სასურველი არ არის, ვინაიდან სახეობები გავრცელების არეალებში ერთმანეთს გადაფარავს. განსხვავებული გავრცელების არეალების რაოდენობის გამოთვლა შემდეგი ფორმულით შეიძლება: ბეტა მრავალფეროვნება = გამა მრავალფეროვნება / ალფა მრავალფეროვნება.

როდესაც რეგიონში ბევრი სახეობა თანაცხოვრობს, თითოეული მათგანი შედარებით მცირე რაოდენობის გავრცელების არეალში გვხვდება (მაკარტური და სხვები 1966). გამა მრავალფეროვნების ცვლილება ალფა და ბეტა მრავალფეროვნების ერთდროული ცვლილების შედეგია. ამგვარი დამოკიდებულება კუნძულებსა და კონტინენტებზე კარგად ჩანს, სადაც სახეობათა მრავალფეროვნებაზე დაკვირვება ფიზიკური პირობების მსგავს არეალში შეიძლება. როგორც წესი, კუნძულებზე კონტინენტთან

შედარებით ნაკლები სახეობა ბინადრობს, თუმცა კუნძულის სახეობები უფრო მჭიდროდ არის განლაგებული და ამ მოვლენას სიმჭიდროვის კომპენსაცია ეწოდება (კრაული 1962). გარდა ამისა, კუნძულის



**სურ. 29.6.** კავშირი ალფა (ადგილობრივი), გამა (რეგიონალურ) და ბეტა (არდამაგალ) მრავალფეროვნებებს შორის. თითოეულ პანდაზე გამოსახულია გავრცელების ოთხი არეალის (პატარა მწერა ყუთების) შემცველი რეგიონი (დიდი ნაცრისფერი ყუთი). ა) მრავალფეროვნება გავრცელების ოთხივე არეალში (ალფა მრავალფეროვნება) თანაბარია (გავრცელების ყველა არეალში ადა ბს სახეობა ცხოვრობს და სახეობათა სიმდიდე 2). რეგიონალური (გამა) მრავალფეროვნება 2. ბეტა (გარდამავალი) მრავალფეროვნება არის გამა/ალფა=2/1=1. ბ) გავრცელების ერთ არეალში ალფა მრავალფეროვნება 2 (ა და ბ სახეობები), ხოლო დანარჩენ სამში - 1 (გავრცელების არეალებში მხოლოდ ც, დ და ე სახეობები შედიან). საშუალო ალფა მრავალფეროვნება 0,5, გამა მრავალფეროვნებაა 2, ხოლო ბეტა მრავალფეროვნება 2/1=2. დ) ალფა მრავალფეროვნება 3, გამა მრავალფეროვნება 3, ხოლო ბეტა მრავალფეროვნება 1. ა) და დ) რეგიონში გამა მრავალფეროვნება განსხვებულია, ხოლო ბეტა მრავალფეროვნება იდენტურია, რაც ამ რეგიონში პატარა სახეობების გარდამავლობაზე მიუთითებს.

**ცხრილი 29-1**

კარიბის აუზში მდებარე შვიდ ტროპიკულ ტერიტორიაზე მუდმივად მობინადრე ფრინველების ფარდობითი მრავალრიცხოვნობა და გავრცელების არეალში განაწილება

ტერიტორია	სახეობების საშუალო რაოდენობა	გავრცელების არეალში (ადგილობრივი მრავალფეროვნება)	სახეობაზე გავრცელების არეალი	ფარდობითი მრავალრიცხოვნობა	ფარდობითი მრავალრიცხოვნობა	ყველა სახეობის მრავალობითი რიცხოვნობა
პანამა	135	30.2	2.01	2.95	5.93	800
ტრინიდადი	106	28.2	2.35	3.31	7.78	840
იამაიკა	56	21.4	3.43	4.97	17.05	955
ტობაგო	53	21.4	3.63	4.71	17.10	906
სენტ ლუსია	33	15.2	4.15	5.77	23.95	790
გრენადა	30	15.2	4.63	5.36	24.82	745
სენტ კიტსი	20	11.9	5.35	5.88	31.45	629

**შენიშვნა:** ცხრილი ყველა ტერიტორიაზე მდებარე გავრცელების ცხრავე არეალის ათ საანგარიშო ინტერვალს ეფუძნება. გავრცელების ყველა არეალში მობინადრე თითოეული სახეობის ფარდობითი მრავალრიცხოვნობა სახეობებზე დაკვირვების საანგარიშო ინტერვალების რაოდენობაა (მაქსიმუმ 10). ამ რიცხვის გავრცელების არეალების რაოდენობაზე გამრავლება სახეობაზე მოსულ ფარდობით მრავალრიცხოვნობას გვაძლევს. ამ რიცხვის სახეობათა რაოდენობაზე გამრავლებით ყველა სახეობის ფარდობით მრავალრიცხოვნობას მივიღებთ.

სახეობები გავრცელების ისეთ არეალებშიც პინადრობს, რომლებსაც კონტინენტზე სხვა სახეობები დაიკავებენ და ამ მოვლენას გავრცელების არეალის გაფართოება ეწოდება (მაკარტური და სხვები 1972, რაიტი 1980). ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების ერთობას ეკოლოგიური გათავისუფლება ეწოდება. მაკარტურმა და სხვებმა პუერტო რიკოს კუნძულზე დაკვირვებისას აღმოაჩინეს, რომ ფრინველის მრავალი სახეობა გავრცელების არეალის უმეტესობას იკავებს, ხოლო პანამაში, სადაც ტროპიკული გავრცელების არეალების იგივე სიმრავლე არსებობს, თითოეული სახეობა უფრო მცირე რაოდენობით გავრცელების არეალს იკავებს.

ეკოლოგიური გათავისუფლება შვიდი ტროპიკული რეგიონის და კარიბის აუზში მდებარე კუნძულების ფრინველთა საზოგადოებებზე დაკვირვების შედეგად ჩანს. ეს ტერიტორიები პანამის კონტინენტიდან პატარა ანტილებში მდებარე სენტ კიტსის კუნძულამდეა გადაჭიმული. დაკვირვებების შედეგად ჩანს, რომ მცირე რაოდენობის სახეობები უფრო მრავალრიცხოვნია და გავრცელების ბევრ არეალში გვხვდება (ცხრილი 29.1). შვიდივე ტერიტორიაზე სახეობათა ინდივიდების მთლიანი რაოდენობა ტოლია, თუმცა სახეობათა მთლიანი რაოდენობა (რეგიონალური მრავალფეროვნება) პანამასა და სენტ კიტსს შორის თითქმის 7-ის კოეფიციენტით განსხვავდება. პანამის გავრცელების არეალში სენტ

კიტსთან შედარებით სამჯერ მეტი სახეობა (ალფა მრავალფეროვნება) გვხვდება, ხოლო თითოეული სახეობის სიმჭიდროვე ორჯერ ნაკლებია. ბეტა მრავალფეროვნება (სახეობების მიერ აღიარებული გავრცელების არეალების რაოდენობა) სენტ კიტსა და პანამას შორის თითქმის 3-ის კოეფიციენტით იზრდება.


### 29.3. კუნძულებზე სახეობათა რიცხვი სახეობების დამოკიდებულია იმიგრაციისა და გადაშენების მაჩვენებლებზე

სახეობათა მრავალფეროვნების შესახებ არსებული მოსაზრებებიდან ყველაზე უფრო გავლენიანი კუნძულის ბიოგეოგრაფიის თეორიაა, რომელიც მაკარტურმა და უილსონმა შეიმუშავეს (1963, 1967). ეს თეორია რეგიონალურ-ისტორიულ პერსპექტივას ემხრობა და მის თანახმად, კუნძულზე მობინადრე სახეობების რაოდენობას იმიგრაციის და გადაშენების წარმმართველი ადგილობრივი პროცესები აბალანსებს. პატარა კუნძულებზე პოპულაციათა გეოგრაფიული იზოლირება ხდება და ახალი სახეობების წარმოქმნა შეუძლებელია, ამიტომ სახეობათა რაოდენობა მხოლოდ სხვა კუნძულებიდან ან კონტინენტიდან მიგრირებული ინდივიდების ხარჯზე იზრდება. ჩვენ კონტინენტებზე სახეობების


გაჩენის შესახებ დიდი ინფორმაცია არ გვაქვს, თუმცა შეგვიძლია დავუშვათ, რომ კონტინენტიდან მოშორებით მდებარე კუნძულებზე ნაკლები სახეობა გადადის. კუნძულის მოდელის უპირატესობა სწორედ ამაში მდგომარეობს.

ამჯერად ნაპირიდან მოშორებულ კუნძულს და-გაკვირდეთ. კუნძულის მიმდებარე კონტინენტის ფლორა და ფაუნა კუნძულის პოტენციური კოლონისტების სახეობათა ფონდია. ახალი სახეობების კუნძულზე იმიგრაციის ტემპი კუნძულზე სახეობათა რაოდენობის ზრდასთან ერთად მცირდება ანუ რაც უფრო მეტი პოტენციური კოლონისტი მოხვდება კუნძულზე, მით ნაკლები იმიგრანტი მიეკუთვნება ახალ სახეობას (სურ. 29.7). როდესაც კონტინენტზე მობინადრე ყველა სახეობა კუნძულზე მოხვდება, ახალი სახეობების იმიგრაციის ტემპი ნულის ტოლი გახდება. თუ კუნძულზე გადასული სახეობები გა-დაშენებას განიცდის, გადაშენების ტემპი სახეობა-თა რაოდენობასთან ერთად იზრდება. იმიგრაციის და გადაშენების გრაფიკების გადაკვეთის ადგილზე სახეობათა შესაბამისი რაოდენობა წონასწორულია ().


იმიგრაციის და გადაშენების ტემპები პოტენ-ციური კოლონისტების და კუნძულზე გადასული სახეობების რაოდენობისადმი ზუსტად პროპო-ციულად არ იცვლება. ზოგიერთი სახეობა უკეთესი კოლონისტია და კუნძულზე პირველი გადადის. მა-შასადამე, კუნძულზე მომხდარი იმიგრაციის ტემპი თავდაპირველად უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე ეს იმ შემთხვევაში იქნება, თუ კონტინენტის ყველა სახეობა ერთნაირად გავრცელდება. იმიგრაციის ტემპსა და კუნძულის მრავალფეროვნებას შორის დამოკიდებულების გრაფიკი მრუდია (სურ. 29.8). გა-დაშენების ტემპსა და სახეობათა მრავალფეროვნე-ბას შორის დამოკიდებულებაზე ორი ფაქტორი ახ-დენს ზეგავლენას. სახეობათა შორის კონკურენციამ გადაშენების ტემპი შეიძლება გაზარდოს, ამიტომ, გადაშენების გრაფიკი სწრაფად იზრდება, როდესაც



**სურ. 29.8.** იმიგრაციის და გადაშენების გრაფიკების ფორმაზე რამდენიმე ბიოლოგიური ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. იმიგრაციის ტემპი საუკეთესო კოლონისტების კუნძულზე გადასვლის შემდეგ იქ-ლებს. გადაშენების ტემპი კუნძულზე დიდი რაოდენობით სახეობების გაჩენის შემდეგ სწრაფად იზრდება, ვინაიდან სახეობათა შორის კონკურენციაც მატულობს.




**სურ. 29.9.** მაკარტურ-უილსონის წონასწორული მოდელის თანახმად, პატარა კუნძულებზე ნაკლები რაოდენობის სახეობა ბინადრობს და გადაშენების ტემპი უფრო მაღალია



**სურ. 29.7.** კუნძულზე მობინადრე სახეობების რაოდენობის წონასწორული მოდელი. სახეობათა წონასწორული რაოდენობა ( $\hat{S}$ ) იმიგრაციის ( $I$ ) და გადაშენების ( $E$ ) გრაფიკების კვეთის ადგილს ემთხვევა.

სახეობათა მრავალფეროვნება მატულობს. ამგვარი დამოკიდებულება მაშინაც ჩნდება, როდესაც კუნ-ძულზე იმიგრირებულ სახეობათა გადაშენების ალ-ბათობა თანაბარი არ არის.

მკითხველმა შესაძლოა ითქმიოს, რომ პატარა პოპულაციები გადაშენებას დიდ პოპულაციებზე მე-ტად ექვემდებარება. მაშასადამე, თუ გადაშენების ალბათობა პოპულაციის აბსოლუტური ზომის შემ-ცირებასთან ერთად იზრდება, პატარა კუნძულებზე მობინადრე სახეობების გადაშენების გრაფიკები მოზრდილ კუნძულებზე მობინადრე სახეობებთან შედარებით უფრო მაღლა მდებარეობს. აქედან გა-მომდინარე, პატარა კუნძულებზე დიდ კუნძულებთ-ან შედარებით ნაკლები რაოდენობის სახეობა ბინადრობს (სურ. 29.9). თუ კუნძულებზე იმიგრა-ციის ტემპი კოლონისტების წყაროდან დაცილების ზრდასთან ერთად მცირდება, მაშინ იმიგრაციის გრაფიკი შორეული კუნძულებისთვის უფრო დაბლა მდებარეობს, ვიდრე ახლომდებარე კუნძულებისთ-ვის. შედეგად შორეული კუნძულების სახეობების წონასწორული რაოდენობა კონტინენტთან ახლოს მდებარე კუნძულების წონასწორული რაოდენობი-დან მარცხნივ მდებარეობს (სურ. 29.10). ჩამოთვ-ლილი პროგნოზი მთელ სამყაროში გაბნეული კუნ-



**სურ. 29.10.** მაკარტურ-უილსონის წონასწორული მოდელის თანამად, კონტინენტაზ ახლოს მდებარე კუნძულებზე დადი რაოდენობით სახეობა პინადრობს და ემიგრაციის ტემპი უფრო მაღალია


ძულებისთვის შეამონეს (მაკარტური და უილსონი 1967).

თუ კუნძულზე მობინადრე სახეობების რაოდენობა წონასწორულ მოდელს ექვემდებარება, მაშინ სახეობათა რაოდენობის ცვლილების შედეგად წონასწორული მრავალფეროვნება აღდგება. ამ ვარაუდის შემონმება ჯერ კიდევ 1883 წელს დაიწყო, როდესაც ოსტ-ინდიაში, სუმატრასა და ჯავას შორის მდებარე კრაკატოას კუნძული ვულკანის რამდენ-ჯერმე ამოფრქვევის შედეგად განადგურდა. კუნძულის თითქმის ნახევარი ზღვაში ჩაიძირა, ხოლო გადარჩენილი ნაწილი მხურვალე პემზამ და ფერ-ფლმა დაფარა. კუნძულის ფლორა და ფაუნა გადანადგურდა. მცენარეებმა და ცხოველებმა კრაკატოას ხელახლა კოლონიზება მაღლევე დაიწყეს და დაახლოებით 25 წლის განმავლობაში კუნძულზე 100-ზე მეტი სახეობის მცენარე და 13 სახეობის ხმელეთის და მტენარი წყლის ფრინველი დასახლდა. მომდევნო 13 წლის განმავლობაში 2 სახეობის ფრინველი გაქრა და 16 სახეობის ფრინველი დაემატა, რის შედეგადაც ფრინველთა სახეობების რაოდენობა 27-მდე გაიზ-


არდა. შემდგომი 14 წლის განმავლობაში კუნძულზე მობინადრე სახეობების რაოდენობა არ შეცვლილა, თუმცა 5 სახეობა გადაშენდა და 5 გაჩნდა ანუ სახეობათა რაოდენობაში წონასწორულ ნიშნულს მიაღწია და ეს ნიშნული კრაკატოას ზომის კუნძულისთვის სრულიად მოსალოდნელია. სახეობათა განახლების ტემპი ამ პერიოდის განმავლობაში წელიწადში 1,3% იყო [5 სახეობა/(27 სახეობა X 14 წელი)]. ექსპერიმენტული კვლევები დიატომური წყალმცენარეების მიერ სასაგნო მინის (პატრიკი 1967), უმარტივესი ცხოველების მიერ ღრუბლოვანი კორძების (კაირნის და სხვები 1967), მიკროორგანიზმების მიერ წყლით სავსე ბუშტების (მაგუაირი 1963) და ანთროპოდების მიერ მანგროვის კუნძულების კოლინიზაციაზე (სიმბერლოფი 1969, სიმბერლოფი და უილსონი 1969. სურ. 19.11) ჩატარდა. კვლევების შედეგებმა დაადასტურა, რომ კოლონიზაცია და წონასწორობის მიღება კუნძულ კრაკატოას მსგავსად ხდება.

ბეკერმა კვლევა არც თუ ისე შორეულ წარსულში ჩაატარა (1992) და დაამტკიცა, რომ კანარის კუნძულზე მობინადრე ბალახისმჭამელი ხოჭოების სახეობების მრავალფეროვნება მასპინძელი მცენარეების გავრცელებულობაზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე კუნძულის ზომაზე. ბეკერის ნაშრომში ხაზგასმულია ეკოლოგებისთვის კარგად ნაცნობი მოვლენა: სახეობათა მრავალფეროვნებაზე კუნძულის ზომისა და კონტინენტიდან დაცილების გარდა, სხვა ფაქტორებიც მოქმედებს. გავრცელების არეალის სტრუქტურა და ადგილობრივ პოპულაციათა ურთიერთქმედებები კუნძულების კოლონიზაციასა და გადაშენების ტემპზე ნამდვილად ახდენს ზეგავლენას.

მრავალფეროვნების წონასწორული ხედვა კონტინენტებზე და ოკეანის კუნძულებზე მობინადრე სახეობების ოჯახებისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ. ძირითადი განსხვავება ის არის, რომ სახე-



**სურ. 29.11.** ქვედა ფლორიდა-კისში მდებარე მანგროვის ოთხი პატარა კუნძულის ხელახლა კოლონიზაციის გრაფიკები. კუნძულების ფაუნა თითქმის მთლიანად ანთროპოდებისგან შედგებოდა და მისი განადგურება მეთოლის ბრომის ახრმოფების შედეგად მოხდა. სახეობათა რაოდენობა ფაუნის განადგურებამდე სურათის მარცხენა ნაწილში არის გამოსახული. კოლონიზაცია წყაროებიდან მოშორებულ კუნძულებზე სახეობათა დაგროვება უფრო ნელა მოხდა და წონასწორული რაოდენობაც ნაკლები იყო.



**სურ. 29.12.** დიდი ფართობის კონტინენტზე მობინადრე სახე-ობების რაოდენობის ნონასწორული მოდელი. ახალი სახეობების ნარმოქმნა ეკოლოგიური პროცესის შედეგი უფროა, ვიდრე იმიგრა-ციის.

ობების რეგიონალური წარმოქმნა სისტემის გარე-დან სახეობების შემოდინებას ანუ იმიგრაციას ხელს უწყობს (მაკარტური 1969, როზენცვაიგი 1975). მოზრდილ რეგიონში, რომელიც სხვებისგან იზოლი-რებულია, ახალი სახეობების დამატება სახეობების გაჩენის შედეგად ხდება. სახეობათა წარმოქმნისა და გადაშენების რეგიონალურ მრავალფეროვნება-ზე დამოკიდებულების გრაფიკები 29.12 სურათზეა გამოსახული. გრაფიკების დახრილობა მათ წარ-მოქნელ პროცესებზეა დამოკიდებული. სახეობის გადაშენების ალბათობა იზრდება, თუ კონკურენ-ციის შედეგად გამორიცხვა მრავალფეროვნებასთან ერთად ძლიერდება და მცირდება, როდესაც მუტუ-ალიზმების და ენერგიის დინების ალტერნატიული ტრაექტორიები მრავალფეროვან საზოგადოებას გარე აღელვებებისგან იცავს. სახეობათა წარმოქმ-ნის ტემპი თანაბრდება, როდესაც შემდგომი დივერ-სიფიციურის შესაძლებლობა მრავალფეროვნების ზრდის შედეგად მცირდება და იმატებს, როდესაც მრავალფეროვნება მეტ სპეციალიზაციას და ქვე-პოპულაციების რეპროდუქციული იზოლაციის ალ-ბათობის ზრდას იწვევს.


ბიოლოგიურად დასაბუთებული მოდელები, იმიგრაციის, სახეობათა გაჩენის და გადაშენების გრაფიკების ფორმის მიუხედავად, მრავალ-ფეროვნების ნონასწორულ დონეს განსაზღვრავს. ამგარი მოდელები საკმაოდ საინტერესო ხედგას გვაძლევს, თუმცა მრავალფეროვნების ცვალება-დონის მიზეზებს არ განმარტავს. ცვალებადონის მიზეზები ნონასწორულ მოდელში შეგვიძლია გა-ვაერთიანოთ. ადგილობრივი საზოგადოებები ახა-ლი სახეობებით ივსება, ხოლო მრავალფეროვნება რეგიონალურად იზრდება და სხვაობის ზრდა ბეტა მრავალფეროვნების ზრდითაა გამოწვეული (მაკარ-ტური 1969). თუ მრავალფეროვნება ნონასწორული ხდება, სახეობათა წარმოქმნისა და გადაშენების გრაფიკების მდებარეობაზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას და მათ ნონასწორობის შეცვ-ლაც შეუძლიათ (კონელი და ორიასი 1964, პიანკა 1966, ბუზასი 1972).

#### 29.4. ხდება თუ არა სახეობათა ცარმომო-ბა უფრო სწრაფად ტროპიკებში, ვიდრე უფრო გაღალ ადგილებში


ჩვენ ადგილობრივ და რეგიონალურ პროცესებს, ასევე თანამედროვე და ისტორიულ მოვლენებს შო-რის ურთიერთქმედების შედეგად საზოგადოების სტრუქტურის რეგულირებას ხაზი უკვე გავუსვით. რეგიონალურ პროცესებზე დაკვირვება საკმაოდ რთულია, ამიტომ ადგილობრივი და რეგიონალური მრავალფეროვნების განსაზღვრაში მათი ფუნქციის შესახებ ბევრი არაფერი დანერილა. ბევრი სისტემა-ტიკოსის და ბიოგეოგრაფის ვარაუდით, სახეობათა წარმოქმნის ტემპი და გარემო პირობების კლიმა-ტური ისტორია რეგიონალურ მრავალფეროვნებაზე ზეგავლენას ახდენს. იგივე ფაქტორები მრავალ-ფეროვნების განედურ გრადიენტზეც არის პასუ-ისმგებელი (უილისი 1922, ჰაფერი 1969, სიმპსონი და ჰაფერი 1978, პრანსი 1982). სახეობათა იზოლი-რებულ პოპულაციების რამდენიმე ათასი თაობა უნდა შეიცვალოს, რათა პოპულაციამ რეპროდუქ-ციის ბარიერები დაძლიოს და თავადაც ცალკე სახე-ობა გახდეს. აქედან გამომდინარე, ამ პროცესზე დაკვირვება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, პრობლემა სხვადასხვა სახის ანალიზს მაინც ექვემ-დებარება და ორ მაგალითს ქვემოთ განვიხილავთ.

#### სახეობის გვარზე შეფარდება

ჰაფერის (1969, 1974) და პრანსის (1982) ვარაუდით, გამყინვარების ბერიოდის შედარებით მშრალ მონ-აკვეთებში ტროპიკული ტყეების ფრაგმენტებად



(ა)




(ბ)

**სურ. 29.13.** ტროპიკული ტყის მიახლოებითი გავრცელება სამხრეთ ამერიკაში ა) ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მომხდარი გამყ-ინვარებისას და ბ) დღესდღეობით

**ცხრილი 29-2** რამდენიმე რეგიონში მდებარე ტყეებში გავრცელებული ხეების მრავალფეროვნების ტაქსონომიური დონეები

ტაქსონი	ტაქსონის რაოდენობა		
	ევროპა	ჩრდილოთ ამერიკის	აღმოსავლეთ აზია
		აღმოსავლეთი	
ფენები	16	26	37
ოჯახები	21	46	67
გვარები	43	90	177
სახეობები	124	253	729
ძირითადად ტროპიკული			
გვარების პროცენტული შემადგენლობა	5	14	32
გვარების რაოდენობა			
ნამარხებში	130	60	122

დაყოფა ტროპიკული სახეობების ალოტრაპიული გარენის შესაძლებლობას ქმნის, ხოლო ზომიერი კლიმატის და არქტიკულ ზონაში მდებარე გავრცელების არეალების მკვეთრი პირობები და შეზღუდვები გადაშენების ტემპის ზრდას იწვევს. თუ ზომიერ და ტროპიკულ ტყეებს შორის მრავალფეროვნების სხვაობა ტროპიკებში სახეობათა ნარმოქმნის მაღალ ტემპზე მიუთითებს, მაშინ ტროპიკული ტყეების გვარებში უფრო მეტი სახეობა შევა, ვიდრე ზომიერი



სურ. 29.14. ჰიპოთეტურ, მონოფილეტურ ტაქსონში ზომიერი კლიმატის მოყვარული და ტროპიკული სახეობები შედის. სახეობების გვხვდება სამხრეთ ამერიკაში (SA), ცენტრალურ ამერიკაში (CA) და ჩრდილოეთ ამერიკაში (NA). ტაქსონის ტროპიკულ ნაწილში მეტი სახეობა შედის, ვინაიდან ის უფრო ხანდაზმულია. სახეობათა დივრისიფიკაციის ტემპი ტაქსონის ზომიერი კლიმატის ნაწილში უფრო მაღალია.

კლიმატის ზონების გვარებში. ტროპიკულ ტყეებში მრავალფეროვნება ოჯახის, გვარის და სახეობის დონეზეც აშკარად გამოხატულია. პანამის რესპუბლიკაში (46 სახეობა) და კანადაში, ონტარიოში (33) გავრცელებული ხეების სახეობებიდან ნიმუშის აღების შედეგად გამოჩნდა, რომ ზომიერი კლიმატის ტყეში გავრცელებულ გვარზე მეტი სახეობა მოდის, თუმცა ორივე ტერიტორიაზე ოჯახზე მოსული გვარების რაოდენობა თანაბარია (ცხრილი 29.2). სახეობებით მდიდარ ტროპიკულ ტერიტორიას (სადაც ხეების 300-ზე მეტი სახეობა ბინადრობს. ნაიტი 1975, კროუტი 1978, გენტრი 1988) და ზომიერი კლიმატის ტერიტორიას (სადაც 50-ზე ნაკლები სახეობა ბინადრობს. ბრაუნი 19650, ბეშელი და სხვები 1962) შორის მრავალფეროვნების სხვაობა ძირითადად ოჯახის დონეზე გამოიხატება. გარდა ამისა, ტროპიკულ ტყეებში მჭიდროდ დაკავშირებული სახეობების რაოდენობა ნაკლებია, ხოლო მაღალი დონის ტაქსონების დიდი რაოდენობა მრავალფეროვნების ჩამოყალიბების სიძველეზე მიუთითებს.

### ფილოგენური ანალიზი

ზომიერი კლიმატის და ტროპიკულ ტერიტორიებს შორის სახეობათა დივრისიფიკაციის ტემპების შედარების კიდევ ერთი საშუალება ფილოგენური ანალიზია. 29.14 სურათზე გამოსახულია ჰიპოთეტური, მონოფილეტური ტაქსონი, რომლის სათავე ტროპიკულია, ხოლო თანამედროვე სახეობები ტროპიკულ და ზომიერი კლიმატის ტერიტორიებზე ვრცელდება. მონოფილეტური ტაქსონი ბევრად მეტ ტროპიკულ სახეობას შეიცავს, თუმცა ზომიერი კლიმატის რეგიონში სახეობათა დივრენცირების ტემპი უფრო მაღალია. ტროპიკებში სახეობათა დივრისიფიკაციის უფრო მაღალი დონეა და ამის მიზეზი ის არის, რომ მონოფილეტური ტაქსონი ამ რეგიონს

უფრო დიდი ხნის განმავლობაში მოიცავს. სურათზე აგრეთვე ჩანს, რომ ტროპიკული ფაუნის მეტი მრავალფეროვნება სახეობებზე უფრო მაღალი დონის ტაქსონებზე შეინიშნება.

## 29.5. დროის ჰიართვის მიხედვით, ქველი საგინადო არაეგი უფრო მრავალფეროვანია


1878 წელს, ინგლისელმა ნატურალისტმა ალფრედ რასელ ულესმა განაცხადა, რომ მრავალფეროვნება ტროპიკებში უფრო მეტია, ვიდრე ზომიერი კლიმატის რეგიონებში, ვინაიდან ტროპიკული პირობები დედამინის ზედაპირზე პოლარულ გარემო პირობებთან შედარებით ადრე გაჩნდა. გარდა ამისა, დედამინის ისტორიის განმავლობაში ზომიერი კლიმატის რეგიონები აღელვებას, მაგალითად გამყინვარებას, უფრო ხშირად ექვემდებარებოდა. მაშასადამე, ტროპიკული რეგიონები უფრო დიდხანს იყო სტაბილური და სახეობათა დიფერენცირებისთვის მეტი დრო არსებობდა. ამგვარ მოსაზრებას ხშირად სახეობათა მრავალფეროვნების დროის ჰიპოთეზას უწოდებენ.

დედამინის კლიმატმა გათბობის და გაციების რამდენიმე ციკლი გაიარა. ნალექ ქანებში შემონახული ნარჩენები და ნამარხები ვეგეტაციასა და ოკეანის ტემპერატურაზე ამ ციკლების ზეგავლენას ასახავს. დედამინის კლიმატის დათბობა დაახლოებით 30 მილიონი წლის წინ, ოლიგოცენის ხანაში მოხდა. ამ პერიოდში ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის რეგიონები გაფართოვდა და აშშ-სა და სამხრეთ კანადას მიაღწია. შედეგად ზომიერი კლიმატისა და

არქტიკული ზონები დაბატარავდა და პოლუსებს მიუახლოვდა. უკანასკნელი 25 მილიონი წლის განმავლობაში, დედამინის კლიმატი უფრო ცივი და მშრალი გახდა, რის გამოც ტროპიკების არეალი შემტიდროვდა.

გამყინვარების ეპოქის 2 მილიონი წლის განმავლობაში, მაღალმა და დაბალმა განედებმა მკვეთრი ცვლილება განიცადა. ზომიერი კლიმატისა და არქტიკულ ტერიტორიებზე ყინული დნებოდა და კვლავ ჩნდებოდა, რაც გავრცელების ძირითადი არეალების გეოგრაფიულ გადაადგილებას და შესაძლოა გაქრობასაც იწვევდა. გამყინვარების პერიოდებში ტროპიკებში ნალექების რაოდენობა იმატებდა. ამაზონის ჯუნგლები, რომელიც დღესდღეობით მდინარე ამაზონის ბასეინს ფარავს, გვალვის პერიოდში მხოლოდ პატარა, იზოლირებულ თავშესაფრებები რჩებოდა (პატერი 1969, პრანსი 1982). ტროპიკული ტყის გავრცელების არეალის შეზღუდვამ და დაყოფამ მრავალი სახეობის გადაშენება გამოიწვია, ხოლო პატარა ტერიტორიებზე იზოლირებულმა პოპულაციებმა ახალი სახეობების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

დროის ჰიპოთეზის შესწავლისთვის რამდენიმე ფაქტი შეგვიძლია გამოვიყენოთ. თუ ტროპიკული კლიმატი სხვებს წინ უსწრებს, მაშინ შედარებით ცივი ტერიტორიების ფაუნა და ფლორა ტროპიკებიდან იღებს სათავეს. ფილოგენური კავშირების დაწვრილებით შესწავლამ ამ მოსაზრების სისწორე მცენარეებისმჭამელი მნიშვნელისთვის დაამტკიცა (ფარელი და მიტერი 1993). იგივე მდგომარეობა ორგანიზმთა ყველა ჯგუფისთვის არ მეორდება. მაგალითად, ცივ რეგიონში გავრცელებულ ტყეებში დომინანტური წინვოვანი ხეები ყვავილის მქონე ხეებს



სურ. 29.15. ზღვის ცხოველების ოჯახების მთლიანი რაოდენობის ცვლილება პალეოზოური ხანის (ნაცრისფერი ხაზი) შემდეგ და ხმელეთის მცენარეების ფლორის ნამარხებში ნარმოდგენი სიღრი სახეობების საშუალო რაოდენობის ცვლილება შუაპალეოზოური ხანის (მწვანე ხაზი) შემდეგ.

ნინ ისწრებს. წინვოვანი ხეები ზომიერი კლიმატის ზონებში ყოველთვის არ გვხვდება, თუმცა ნაძვი და სოჭი გავრცელების მსგავს არეალებში მრავალი ათეული წლის განმავლობაში ცოცხლობს. ზომიერი კლიმატის ზონის მცენარეების სხვა ჯგუფები, მაგალითად მუხები და ნეკერჩხლები, სათავეს 60 მილიონი წლის წინ, მეზოზოურ ხანაში იღებს. აქედან გამომდინარე, ზომიერი კლიმატისა და არქტიკის შედარებით დარიბ თანასაზოგადოებებს, რომელთაც ეს სახეობები მიეკუთვნება, უფრო მრავალფეროვან ტროპიკულ საზოგადოებრთან შედარებით განვითარების ნაკლები დრო ჰქონდა. ზომიერი კლიმატისა და არქტიკის გავრცელების არეალები შესაძლოა წარსულში შემოზღუდული იყო და მათი წარმომადგენლების დიდი რაოდენობა დაიღუპა, თუმცა თავად გავრცელების არეალები და მცენარეთა თუ ცხოველთა გვარებს უძველესი ისტორია აქვს.

ნამარხებზე დაკვირვება დროთა განმავლობაში მრავალფეროვნების ზრდაზე მიუთითებს და დროის ჰიპოთეზას ასაბუთებს. მიუხედავად ამისა, ნამარხების ისტორია ფრაგმენტულია, მისი გამოყენება მხოლოდ მცირე რაოდენობის ტაქსონებისთვის და გავრცელების მხოლოდ გარკვეული ტიპის არეალებისთვის, კერძოდ ზღვის გავრცელების არეალებისთვის შეიძლება (სტელი და სხვები 1969, ჰალამი 1977). 29.15 სურათზე ჩანს, რომ სამყაროს მრავალფეროვნება პალეოზოური ხანის დაწყების შემდეგ გაიზარდა. მცენარებმა და ცხოველებმა ახალი ტერიტორიები დაიკავეს და ორგანიზმთა წამარხებიც სწორედ ამ პერიოდიდან გვხვდება (სიმპსონი 1969, სეპკოსკი 1978, სეპკოსკი და სხვები 1981). გავრცელების კონკრეტული არეალების, საზოგადოებების ან ორგანიზმთა ჩამოყალიბებული ჯგუფების შესახებ ინფორმაცია ნაკლება. ბუზასმა და გიბსონმა (1973) აჩვენეს, რომ ზომიერი კლიმატის ზონაში ფორამინიფერების საზოგადოების მრავალფეროვნება უკანასკნელი 15 მილიონი წლის განმავლობაში არ შეცვლილა, თუმცა თავად სახეობები ოდნავ შეიცვალა და ფორამინიფერა არ არის ორგანიზმთა ისეთი ჯგუფის წარმომადგენელი, რომელშიც ევოლუცია სწრაფად ხდება.

მოსაზრება, რომლის თანახმად, განედებზე სახეობათა მრავალფეროვნების სხვაობაზე მხოლოდ დროა პასუხისმგებელი, ეკოლოგებისთვის მეტისმეტად მარტივია და ტროპიკული მრავალფეროვნების ახსნისთვის არ გამოდგება. რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებიც არსებობს და მათ შორისაა ტროპიკული რეგიონების მიერ დაკავებული დიდი ფართობი, მზის გამოსხივების განსხვავებულობა, გავრცელების არეალის არაერთგვაროვნება და ადგილობრივი თუ რეგიონალური აღელვებების სიხშირე და ინტენსივობა (უილსონი 1992). უფრო მეტიც, როდესაც ზომიერი კლიმატის მოყვარული სახეობები ტროპიკული გვარიდან იღებს სათავეს, მათი დივერსიფიკაციის შეზღუდვა თანაევოლუციური კავშირებით

უფრო არის გამოწვეული, ვიდრე სახეობათა დივერსიფიკაციისთვის არსებული დროით. მაგალითად, ფარელმა და მიტერმა (1993) ტროპიკული გამომისამართის რეგიონებში მობინადრე ფოთლისმჭამელი ხოჭოები ფილოგენურად გამოიკვლიეს და სახეობათა მრავალფეროვნების უფრო მაღალი დონე ტროპიკული ხოჭოების ფაუნა ტროპიკული ხოჭოების გვარიდან ფილოგენურად იღებს სათავეს. იგივე კვლევების თანახმად, სახეობათა წარმოშობის ტემპი განედურ გრადიენტს არ ავლენს. მეცნიერების მოსაზრებით, ზომიერი კლიმატის მოყვარული ხოჭოების სახეობების დივერსიფიკაცია მცენარეების მჭამელ ხოჭოებსა და მათ მასპინძელ მცენარეებს შორის თანაევოლუციური კავშირებით იზღუდება. ზომიერი კლიმატის მოყვარული, მასპინძელი მცენარეები სათავეს ტროპიკული რეგიონებს შორის ხოჭოების მრავალფეროვნების სხვაობა სწორედ ამ მცენარეების დივერსიფიკაციის შეზღუდვით ახსნება.

დროის ჰიპოთეზის ერთ-ერთი სახესხვაობის თანახმად, ზომიერი კლიმატის რეგიონში რღვევები უფრო ხშირი და ძლიერია, ამიტომ საზოგადოების მრავალფეროვნება წონასწორობას ვერ აღნევს. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებები სახეობებით გაჯერებული არ არის, ვინაიდან მათ უბრალოდ დრო არ აქვთ, რათა სახეობათა სიმდიდრის წონასწორულ დონეს მიაღწიონ. ეკოლოგების უმეტესობა ამ მოსაზრებას არ ეთანხმება (როზენცვაიგი და აბრამსკი 1993).

ამჯერად ჩვენს ყურადღებას ადგილობრივ-დეტერმინისტულ ფაქტორებს მივაცყრობთ, რომელმაც შესაძლოა სახეობათა მრავალფეროვნებაზე მოახდინოს ზეგავლენას. ამ ფაქტორებს შორისაა ჰიპოთელადი წარმოქმნა, გავრცელების არეალის სტრუქტურული თვისებები, მტაცებლებისა და ბალაზისმჭამელი ცხოველების მოქმედება, რღვევა და კონკურენცია. საზოგადოების სტრუქტურასა და სახეობათა მრავალფეროვნებას შორის კავშირის შესახებ დამატებითი თეორია არსებობს.

## 29.6. ნიშის თაორისა ნარმალგანისარჩევების სახეობათა მრავალფეროვნების რეგულირების თაორისისთვის

ეკოლოგები ტერმინ „ნიშას“ პოპულაციების ან ინდივიდების გარემო პირობებთან კავშირების ანუ საზოგადოებაში მათი ეკოლოგიური ფუნქციების ასახვისთვის იყენებენ. ნიშა გარემო პირობების და რესურსის ხარისხების ერთობლიობაა, რომელშიც ინდივიდებს ან სახეობებს გადარჩენა და გამრავლება შეუძლიათ. მაგალითად, გარკვეული სახეობის ნიშის საზღვრები 100ჩ-300ჩ-მდე ტემპერატურა, ნადირობის ტერიტორიის 4-12მმ-მდე ზომა

და განთიადიდან დაბნელებამდე დრო შეიძლება იყოს. ნებისმიერი სახეობის ნიშა ჩამოთვლილ სამ ცვლადზე მეტს შეიცავს, ხოლო ეკოლოგებს ნიშის მრავალგანზომილებიანობა სახეობასა და გარემო პირობებს შორის კავშირების სირთულის ალქმაში ეხმარება.


### ნიშის ცნება

ჰაჩინსონმა (1957) ნიშის ცნება პირველმა განსაზღვრა. მისი აზრით, ნებისმიერი სახეობის მოქმედების არეალი გარემო პირობების ყველა განზომილებაში შეიძლება ალინეროს. გარემო პირობებში შედის ფიზიკური და ქიმიური ფაქტორები, როგორიცაა ტემპერატურა, ტენიანობა, მარილიანობა, ჟანგბადის კონცენტრაცია და ბიოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა მსხვერპლი სახეობა და თავშესაფარი, სადაც ინდივიდს მტაცებლებისგან დამალვა შეუძლია. ჩამოთვლილი განზომილებიდან თითოეული სივრცის განზომილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ. თუ ნ რაოდენობის განზომილება გვაქვს, მაშინ ნიშა ნ განზომილების მქონე სივრცეა. ბუნებრივია, სამზე მეტი განზომილების მქონე სივრცის წარმოდგენა შეუძლებელია და ამიტომ ნ განზომილებიანი ნიშის ცნება აბტრაქციაა. მიუხედავად ამისა, მრავალგანზომილებიან ცნებებთან მუშაობა მათემატიკურად და სტატისტიკურად შესაძლებელია, ხოლო მათი არსის ფიზიკური ან გრაფიკული წარმოდგენისთვის სამ ან ნაკლებ განზომილებაზე გადასვლაა საჭირო. მაგალითად, ბიოლოგიური აქტივობის ერთი გარემო პირობის გრადიენტთან დამაკავშირებელი გრაფიკი ნიშის ერთი განზომილების გასწრივ სახეობათა მოქმედების განაწილებაა (სურ. 29.16ა). აქტივობის დონე, როდესაც ჟანგბადის მეტაბოლიზმი ტემპერატურის ფუნქციაა ან მოხმარების ტემპი მსხვერპლის ზომის ფუნქციაა, გარემო პირობების მიერ სახეობის ხელშეწყობის ხარისხს ასახავს. სახეობათა ნიშა ორ განზომილებაში გორაკის ფორმისა, რომლის კონტურები ბიოლოგიური აქტივობის სხვადასხვა დონეებს აღნირს (სურ. 29.16ბ). სახეობათა ნიშა სამ განზომილებაში სივრცეში მდებარე ღრუბლად


შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომლის სიმჭიდროვე ნიშის მოხმარებაზე მიუთითებს (სურ. 29.16გ). ჩვენი გონება სამი განზომილების მიღმა უძლურია.

თითოეული სახეობის ნიშა ნ განზომილებიანი მოცულობის გარკვეულ ნაწილს იკავებს. მოცულობა რესურსების მთლიან სივრცეს ანუ ნიშის სივრცეს ასახავს, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. საზოგადოების ნიშის მთლიან სივრცე მოცულობაა და მასში ყველა სახეობის ნიშა შედის, ისევე, როგორც სხვადასხვა ზომის ბუნებრივი ყუთში შეგვიძლია ჩავალა გონებაზე განვითარება და მოვიდებული. საზოგადოების ეკოლოგებს როივე სიდიდის განმსაზღვრელი ფაქტორები აინტერესებთ, ვინაიდან ის პიომრავალფეროვნების გამომწვევ პროცესებში შედის.

სახეობათა ნიშის ყველა განზომილების განსაზღვრა და გაზომვა რთულია. ბიოლოგიურ საზოგადოებებში ნიშური კავშირების დახასიათება რესურსების მოხმარებასა და საზოგადოების წევრების მიერ გავრცელების მიკროარეალების შერჩევაზე დაკვირვების საშუალებით შეიძლება. დავუშვათ, ერთი რესურსი ან პირობა გვაქვს, რომლის გასწრივ საზოგადოების ყველა წევრი რესურსის მოხმარების ან პირობისადმი შემგუებლობის მიხედვით შეგვიძლია განვალა გონებაზე განვითარება შეიძლება იყოს მსხვერპლის ზომა (რესურსი) ან ნიადაგის ტენიანობა (გარემო პირობა). თუ ინდივიდებს რესურსის ან პირობის ამსახველ წრფეზე გამოვსახვათ, მოხმარების ან შემწყნარებლობის სიხშირეს თითოეული სახეობისთვის გამოვთვლით (სურ. 29.17.). სურათზე ი სახობის ინდივიდების მიერ რესურსის საშუალო მოხმარება ი წერტილით არის აღნიშნული. ი სახეობის ზოგიერთი ინდივიდი მეტ ან ნაკლებ რესურსს მოიხმარს და უმეტესი ინდივიდებისთვის ხელსაყრელ პირობას ნაკლებად ან მეტად ეგუება. ჯ სახეობის მიერ რესურსის საშუალო მოხმარება ჯ წერტილით არის გამოსახული. თითოეული განზომილება პიკის მდებარეობით (ნიშის განზომილებაში ი და ჯ წერტილებით), სიგანით და



**სურ. 29.16.** ეკოლოგიური ნიშა ა) ერთი ლერძით და გ) სამი ლერძით. გამუჯებული ფართობი რესურსთა მოხმარებას და გარემო პირობებისადმი შემგუებლობას ასახავს. სამზე მეტი განზომილების მქონე ნიშის გრაფიკულად გამოსახვა შეუძლებელია.



**სურ. 29.17.** *i* და *j* სახეობის მდებარეობა ერთი რესურსის განზომილებაში. ნიშის სიგანე რესურსთა მოხმარების არეალია. ნიშების გადაფარვა (გამუქებული ფართობი) რესურსის ის ნაწილია, რომელსაც ორივე სახეობა მოხმარს. რესურსის მოხმარება რესურსის გარკვეული ნაწილის მოხმარების სიხშირეა.

სიმაღლით ხასიათდება. ნიშის სიგანე განაწილების სიგანეა და სხვადასხვა რესურსებს ან პოპულაციაში შემავალი ინდივიდებისთვის ხელსაყრელ პირობათა არეალს გამოსახავს. ნიშის სიგანე რესურსის გამოყენების განაწილებიდან სტანდარტული გადახრაა. ი სახეობის ინდივიდები, რომლებიც რესურსის სტანდარტულზე მეტ რაოდენობას მოიხმარენ, ჯ სახეობის ინდივიდებს გადაფარავენ, რომლებიც თავის მხრივ საშუალოზე ნაკლები რაოდენობის რესურსს მოიხმარენ (გამუქებული ფართობი 29.17 სურათზე). რესურსების გამოყენების ან პირობებისადმი შეგმუბლობის მსგავსებას ნიშების გადაფარვა ეწოდება.


ნიშების გადაფარვა საზოგადოებაში შემავალი სახეობების რესურსისთვის კონკურენციის ინტენსივობაზე მიუთითებს (შონერი 1986). თუ ი და ჯ სახეობების გავრცელებულობის პიკებს ერთმანეთთან მივაახლოვებთ, ნიშების გადაფარვა გაიზრდება. როდესაც ი=ჯ, ორივე სახეობა რესურსს ერთნაირად მოიხმარს. თუ ნიშის ერთადერთი დერძი ორივე სახეობის მიერ გამოყენებულ ერთ რესურსს ასახავს, კონკურენციის შედეგად სისტემიდან ერთ-ერთი სახეობა განიდევნება. რესურსის გამოყენებაში მაქსიმალურ მსგავსებას და ამავე დროს თანაარსებობის მდგომარეობას ზღვრული მსგავსება ეწოდება (მაკარტური და ლევინსი 1967, მე 1973, აბრამსი 1983). თითქმის ყველა თანამცხოვრები სახეობა ნიშის ერთზე მეტ დერძს იყენებს. ხშირად სახეობები ძალიან გავს ერთმანეთს და ერთ დერძზე თანაარსებობს, თუმცა რესურსების მოხმარება განსხვავებული აქვს. ასეთ მდგომარეობას ნიშის კომპლექტარულობა ეწოდება.

ჩვენი მსჯელობა პოპულაციის ტერმინებში ხდება, ამიტომ ნიშის დერძის გასწორივ განლაგებული წერტილები პოპულაციაში შემავალ სხვადასხვა ინდივიდებს ასხავს. ეს მდგომარეობა გარკვეულ განმარტებას საჭიროებს. რესურსის განაწილება როგორც პოპულაციაში (ყველა ინდივიდი რესურსს ერთნაირად არ მოიხმარს), ასევე პოპულაციაში შემავალ ყველა ინდივიდზე ხდება. ეს ნიშნავს, რომ ინდივიდი რესურსს ყოველთვის ერთნაირად არ მოიხმარს. ინდივიდუალური რესურსის განაწილებას საშუალო და სტანდარტული გადახრა გააჩნია. ასეთ განაწილებას უფრო მცირე სტანდარტული გადახრა აქვს, ვიდრე რესურსის მთელი პოპულაციისთვის განაწილებას და განაწილებათა ჯამი რესურსის მთელი პოპულაციისთვის განაწილებას გვაძლევს (ტეიპერი და კეისი 1985. სურ. 29.18).


### ნიშა და სახეობათა მრავალფეროვნება

ამჯერად მსჯელობა გავშალოთ და ორზე მეტი სახეობა მოვიცათ, რაც საშუალებას მოგვცემს საზოგადოებების მრავალფეროვნების მარეგულირებელი მექანიზმები უკეთესად გავიაზროთ. ნიშის ერთლერძიან სივრცეში სახეობის დამატებას ან გამოკლებას გარკვეული გეომეტრიული შედეგები მოყვება. შესაძლებლობები 29.19 სურათზე ნაჩვენები, სადაც სახეობათა ნიშების განაწილება ერთი, უწყვეტი ლერძის გასწორივ არის გამოსახული. საზოგადოების სახეობათა სიმდიდრე 29.19ა სურათზე ხუთის ტოლია. როგორ შეიძლება ამ საზოგადოებას სამი სახეობა და ავეუმატოთ და სახეობათა სიმდიდრე რვამდე გავზარდოთ? ამისთვის სამი ვარიანტი არსებობს. პირველი ვარიანტის თანახმად, ხუთი საწყისი სახეობა და სამი დამატებითი სახეობა ნიშის სიგანესა და ნიშების გადაფარვას არ ცვლის და ასეთ დროს ნიშის სივრცე უნდა გაიზარდოს. სურათზე ნიშის დერძი ნაგრძელებულია და რესურსის ახალი სახეობები შემოდის. აქედან გამომდინარე, ბიომრავალფეროვნების გაზრდა რესურსთა მრავალფეროვნების გაზრდით შეიძლება. სახეობათა სიმდიდრის ზრდა დამოკიდებულია ფაქტზე, რომ რვა სახეობის მიერ რესურსის საშუალოდ მოხმარების გრაფიკები ნიშის დერძის გასწორივ თანაბრად არის დაცილებული.


მრავალფეროვნების გაზრდა, რესურსის მრავალფეროვნების გაზრდის გარეშე, ნიშის გადაფარვის გაზრდით არის შესაძლებელია (სურ. 29.19ბ). ამ შემთხვევაში, თითოეული სახეობის საშუალო პროდუქტიულობა რესურსის გაყოფის გამო შემცირდება, ხოლო ყველაფერი დანარჩენი თანაბრად დარჩება. გაზრდილ სპეციალიზაციას, ნიშის გადაფარვის გაზრდის გარეშე, საზოგადოების ნიმურ სივრცეში სახეობების შემოტანა შეუძლია (სურ. 29.19გ). ამ შემთხვევაშიც საშუალო პროდუქტიულობა შემცირდება, ვინაიდან თითოეულ სახეობას



(ა)



(ბ)




(გ)


**სურ. 29.18.** ა) ერთი ინდივიდის მიერ რესურსის მოხმარებისას განაწილება ნორმალურია და სტანდარტული გადახრაა ს. ბ) პოპულაციაში ძევრ ინდივიდი შედის და თითოეულზე რესურსი ნაწილდება. გ) განაწილებების ჯამი პოპულაციის მიერ რესურსის მოხმარების გრაფიკს გვაძლევს. ინდივიდების მიერ რესურსის გამოყენების გრაფიკებს ნაკლები სტანდარტული გადახრა აქვს.

რესურსის უფრო ვიწრო არეალთან ექნება შეხება. სახობათა სიმდიდრის ზრდას, რესურსის მრავალფეროვნების ცვლილების გარეშე, სახობათა შეჯგუფება ეწოდება.


ეკოლოგების უმეტესობა თანხმდება, რომ ტროპიკებში არსებული დიდი მრავალფეროვნება ეკოლოგიური ფუნქციების მრავალფეროვნების შედეგია (იხ. სურ. 29.19ბ) ანუ საზოგადოების მთლიანი ნიშა ეკვატორთან ახლოს უფრო დიდ სივრცეს იყავებს, ვიდრე პოლუსებთან და ეკვატორთან სახეობების რაოდენობაც უფრო მეტია. მაგალითად, ტროპიკებთან მიახლოებისას ფრინველთა სახეობების რაოდენობის ზრდა ნაყოფის და ნექტარის მჭამელი სახეობების და მწერიჭამია სახეობების რაოდენობის გაზრდით არის გამოწვეული (ორიანი 1969). ტროპიკებში ძუძუმწოვარი სახეობებიც ბევრია და განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ღამურები გვხვდება (უილსონი 1974). ძუძუმწოვრების მრავალფეროვნება ეკვატორზე აშშ-სა და მსგავსი განედების ზომიერი კლიმატის რეგიონებში მობინადრეთა მრავალფეროვნებას არ აღმატება, თუმცა მრავალფეროვნება ჩრდილოეთისკენ მცირდება.



(ა)




(ბ)



(გ)

**სურ. 29.19.** ნიშის ერთი ლინიის გასწვრივ რესურსის მოხმარების მაჩვენებელი სქემატური დაგრამა შეიძლება შეიცვალოს და უფრო მეტი სახეობა მოიცვას. ა) სანისი საზოგადოების სახეობათა სიმდიდრეა 5. თითოეული სახეობის ნიშის სიგანეა ერთი და იგივეა (იხ. სურ. 29.18). სახეობათა სიმდიდრე 5-8-მდე გაიზრდება, თუ ბ) რესურსის დამატებითი სახეობები შემოვა (დერძი გავრძელდება), გ) სახეობათა შორის ნიშის გადაფარვა გაიზრდება ან დ) სახეობების ნიშის სიგანე შემცირდება. გ) და დ) ვარიანტები სახეობათა შეჯგუფების ფორმებია, სახეობათა სიმდიდრე რესურსის ზრდის გარეშე იზრდება, სახეობათა შეჯგუფება სახეობების პროდუქტულობის შემცირებას იწვევს, ვინაიდან თითოეულისთვის ხელმისაწვდომი რესურსი ნაკლებია.



### სურ. 29.20. თევზის სახეობები

თოხ საზოგადოებაში (ცერტიკალური სკეტჩები). წყლის სათავეში ერთ სახეობა (მარჯვნივ) გვხვდება, ხოლო მდინარის ჩაყოლებაზე 11-მდე (მარჯვნივ) იზრდება. საზოგადოებები ცენტრალურ-აღმოსავლეთ მექსიკის რიო ტამესის სადრენაჟო სისტემიდან არის აღებული.


უმეტესი ტაქსონომიური ჯგუფების სახეობების რაოდენობა მდინარის სათავიდან ბოლომდე იმატებს. როდესაც მდინარის ზომა იზრდება, მასში ეკოლოგიური შესაძლებლობების უფრო ფართო სპექტრი გვხვდება და ფიზიკური პირობებიც უფრო სტაბილური და საიმედოა (ალენი 1995). ადგილობრივი საზოგადოებები ცვლილებებს აირეკლავენ. მაგალითად, ცენტრალურ-აღმოსავლეთ მექსიკის რიო ტამესის სადრენაჟო სისტემის სათავეში თევზის მხოლოდ ერთი სახეობა, კერძოდ დეტრიტის მჭამელი მახვილოსანი გვხვდება (სურ. 29.20). მოგვიანებით წყალში სამი სახეობის თევზი ჩნდება და ესენია: მახვილოსანი, მასზე ოდნავ უფრო ღრმა წყლის მოყვარული, დეტრიტის მჭამელი მოლლყ (ოეცილია) და მნერის მატლების მჭამელი გამბუზია (ამბუსია). ამის შემდეგ საზოგადოებაში დამატებითი ხორცის მჭამელები და თევზები შემოდიან, რომლებიც ძირითადად ბოჭკოვანი წყალმცენარეებით და სისხლძარღვოვანი მცენარეებით იკვებიან. საზოგადოებიდან სახეობების გამორიცხვა არ შეინიშნება. მაშასადამე, მდინარის ზომასთან ერთად მრავალფეროვნება იზრდება და მდინარეში უფრო ბევრი სახეობის გავრცელების არეალი და საჭმელად ვარგისი არსებები გვხვდება.

ეს და სხვა მაგალითები ადასტურებს, რომ მრავალფეროვნებასთან ერთად ნიშის მთლიანი სივრცეც იზრდება. ნიშის სიგანის (სპეციალიზაციის) და ნიშის გადაფარვის შემცირებას მრავალფეროვნების ზრდა შეიძლება ახლდეს თან, თუმცა ამ ყველაფრის გაზომვა შედარებით ძნელია. საზოგადოების ნიშის სივრცის გაზრდა მრავალფეროვნების ზრდის შედევი შეიძლება იყოს და არა რაიმე სხვა ფაქტორის. დიდი რაოდენობით სახეობების არსებობა ფუნქციების და ურთიერთქმედებების მრავალფეროვნებას ნიშნავს. ბიოტური ურთიერთქმედების

შედეგად მრავალფეროვნება იმატებს და ამის დასტურა მწერებში სპეციალიზირებული, პარაზიტული სახეობების დიდი რაოდენობა (იანცენი და შონერი 1968).

### გაქცევის სივრცე და ასპექტის მრავალფეროვნება

ნიშის განზომილება რესურსებით და ფიზიკური პირობებით არ იზღუდება. მტაცებლობის თავიდან აცილება პოპულაციის პროცესებში ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო მტაცებლისგან გაქცევის სივრცე ნიშის განზომილებებია, სადაც სახეობებს გამრავლებეროვნება შეუძლია (ლოუტონი და სტრონგი 1991). ნიშის სივრცის ეს ნაწილი მსხვერპლი ორგანიზმების ადაპტაციით განისაზღვრება და მას გაქცევის სივრცე ეწოდება (ბლესტი 1963, რენდი 1967). მტაცებლები მაშინ აღნივენ ნარმატებას, როდესაც ყურადღებას ნიშის სივრცის მსხვერპლი სახეობებით მტიდროდ დასახლებულ ნაწილზე ამახვილებენ (მარტინი 1988). თუ მსხვერპლი სახეობები გაქცევისთვის ერთი და იგივე მექანიზმებს იყენებენ, მაშინ მტაცებლელი უნდა ადაპტირებს და მსხვერპლის მოქმედებები შეისწავლოს. ამ შემთხვევაში, მსხვერპლი სახეობების სიკვდილიანობა გაიზრდება. მტაცებლისგან გაქცევისთვის უჩვეულო მექანიზმების გამოყენებელი მსხვერპლის სელექცია ძლიერი იქნება და მტაცებლობის ზენოლა მსხვერპლს გაქცევის მექანიზმების კუთხით გაამრავალფეროვნებს და მსხვერპლი სახეობები გაქცევის ხელმისაწვდომ სივრცეში ერთგვაროვნად გავრცელდება. გაქცევის სივრცის რაიმე ტერიტორიის ხარისხი მტაცებელზე (ნადირობის მეთოდებზე, სხეულის ზომაზე, ფერის აღქმაზე და ა.შ.) და მსხვერპლზე (ფერსა და სტრუქტურაზე, დასამალი ადგილების ხელმის-



**სურ. 29.21.** პანამური ჩრჩილების სახეობები, რომელსაც უღრუაითა სინათლე მიიზიდა და ფანჯარას ეკრობა. ჩრჩილებს საზოგადოებაში სხვადასხვა შეხედულება აქვთ და შეხედულება დასვენების ადგილის თვისებებზე და მტაცებლის ძიების მეოთხებზე დამოკიდებული. დამალვის სტრუქტურებს ასპექტის მრავალუროვნება ეწოდება.

აწვდომობაზე, ვეგეტაციის სტრუქტურაზე და ა.შ.) დამოკიდებული. ნიშის ტროფიულ კავშირებთან შედარებით, გაქცევის სივრცისადმი სახეობების მდებარეობის შესახებ დაწერილი ნაშრომები ძირითადად მწერებს შეეხება (სერგენტი 1966, რიკლეფსი და ო'რურკი 1975, ოტე და ჯოერნი 1977, ენდლერი 1978, 1984, პირსონი 1985).




მეცნიერებმა ერთ-ერთ კვლევაში, სხვადასხვა გავრცელების არეალების გაქცევის სივრცეში ჩრჩილის სახეობების შეჯგუფების გამოთვლისთვის მორფოლოგია გამოიყენეს (რიკლეფსი და ო'რურკი). ამ შემთხვევაში, გაქცევის სივრცე ფონების მრავალფეროვნებაა, სადაც ჩრჩილები იმაღლებიან და დღისით მოქმედი მტაცებლებისგან თავს იცავენ. ზოგიერთი სახეობის შეფერილობა ფონთან მიახლოებულია და მათი აღმოჩენა რთულია. აქედან გამომდინარე, მორფოლოგიური შეხედულება ანუ ასპექტი დასვენების ადგილის თვისებებს და მტაცებლის ძიების მეთოდებს აირეკლავს (სურ. 29.21).

ა. სტენლი რენდმა (1967) დამალვის სტრუქტურებს ასპექტის მრავალფეროვნება უწოდა.

რიკლელსმა და ო'რურკმა ღამის პეპლების გარეგნობა 12 თვისების, მათ შორის ფეხების მორფოლოგიისა და მდებარეობის, შეფერილობის და აღელვებაზე რეაქციის მიხედვით დაახასიათეს (სურ. 29.22).




#### ფეხების შეხედულება

- [Light Green] დამალული
- [Dark Green] ხილული, უცვლელი
- [Dark Green] ხილული, შეცვლილი






#### შეფერილობა

- თეთრი
- რუხი
- ყავისფერი
- მწვანე
- ყვითელი
- შავი



#### მოქმედება რღვევისას

- დარჩენა
- სიარული
- ფრენა
- გადახტომა



203  
0.144

42  
0.134

51  
0.140

**სურ. 29.22.** რიკლელსი და ო'რურკი სამ ტერიტორიაზე გავრცელებული ღამის პეპლების შეხედულებისა და მოქმედების მრავალფეროვნებას დააკვირდნენ და ხსნებული სახეობები 12 თვისებით დაახასიათეს. სამი თვისება სურათზეა გამოსახული. მრავალფეროვნება ყველაზე უფრო მეტი პანამაშია.

ლამის პეპლებზე დაკვირვება სამ ტერიტორიაზე, კერძოდ კოლორადოს ნაძვი-ალვის ხის ტყეში (43 სახეობა), არიზონაში, სონორანის უდაბნოში (51 სახეობა) და პანამის ტროპიკულ ტყეებში (203 სახეობა) ჩატარდა. ლამის პეპლების სახეობათა რაოდენობა ტერიტორიებზე არსებული მრავალფეროვნების სხვაობაზე მიუთითებს. მორფოლოგიური თვისებების დიდი მრავალფეროვნება პანამაში შეინიშნება. მონაცემების სრულად გაანალიზების შედეგად რიკლეფსმა და ორურკმა დაასკვნეს, რომ სახეობების საზოგადოებებში შესვლა ნიშის სივრცის გაფართოების შედეგად მოხდა (იხ. სურ. 29.19ბ) და არა იმავე სივრცეში სახეობების უფრო მჭიდროდ განლაგებით. გაქცევის სივრცის ცვლილება სხვადასხვა ფაქტორებით შეიძლება იყოს გამოწვეული და მათ შორისაა გაქცევის ალბათობების ცვლილება გარემო პირობების შედეგად, უფრო მკაცრი მტაცებლობა, გაქცევის სივრცეში არსებული კონკურენციის გამკაცრება და დამოუკიდებლად განვითარებადი პოპულაციების დივერსიფიკაციის მეტი შესაძლებლობა.


## 29.7. სახეობათა მრავალფეროვნება იზ-რდება პირველადი პროდუქციისას ზოგ შეათხვევაში

პირველადი ნარმოქმნა მწვანე მცენარეებისა და სხვა აუტოტროფული ორგანიზმების მიერ ენერგიის დაგროვებაა. პირველადი ნარმოქმნა საზოგადოებაში შემავალი სახეობებისთვის ხელმისაწვდომი ენერგიის რაოდენობას ზღუდავს. მაშასადამე, სახეობათა სიმდიდრე გარემოს პროდუქტიულობით იზღუდება. კონელის და ორიასის (1964) მოსაზრებით, სახეობათა სიმდიდრე სტაბილურ და პროდუქტიულობის მაღალი ტემპების მქონე გარემო პირობებში უფრო მეტია. ეს მოსაზრება პირველად უიტეკერმა და ნიერინგმა (1965) ნამოაყენეს, ხოლო თეორიული საფუძველი ტილმანმა (1982) ჩაუყარა. მოსაზრებას სახეობათა მრავალფეროვნების პროდუქტიულობას ტაბილურობის ჰიპოთეზა ეწოდება. რეგიონალურ შეალაზე ანუ დაახლოებით 106 კმ<sup>2</sup> ფართობის ტერიტორიებზე (როზენცვაიგი და აბრამსკი 1993) სახეობათა მრავალფეროვნებასა და პროდუქტიულობას შორის დადებითი კავშირია (კურიე და პაკინი 1987, არონსონი და შმიდა 1990, კურიე 1991, როზენცვაიგი და აბრამკის 1993, ტილმანი და პაკალა 1993, რაიტი და სხვები 1993). პროდუქტიულობასა და სახეობათა სიმდიდრეს შორის კავშირის ძალა ან ასეთი კავშირის შესაძლო მექანიზმები კარგად ცნობილი არ არის. ტილმანის და პაკალას (1993) ვარაუდით, მრავალფეროვნება პროდუქტიულობასთან ერთად სახეობათა არც ერთი ჯვალისთვის მონოტრონურად არ იზრდება, თუმცა სახეობათა სიმდიდრის ცვლილება პროდუქტიულობის საზომ გარემო ფაქტორზე და შერჩეულ სახეობაზეა დამოკიდებული. კურიემ

(1991) აღმოაჩინა, რომ ფრინველის, ძუძუმწოვარი ცხოველის, ამფიბიის და რეპტილიის სახეობის სიმდიდრე პოტენციურ ევაპოტრანსპირაციასთან (თ) ერთად იზრდება (სურ. 29.23). ამფიბიებისა და რეპტილიებისთვის ზრდა მონოტრონურია, ხოლო ფრინველებისა და ძუძუმწოვარი ცხოველებისთვის თ-ის მაღალ დონეებზე სიმდიდრე უმნიშვნელოდ შემცირდა.

როზენცვაიგმა და აბრამსკიმ (1993) პროდუქტიულობასა და სახეობათა სიმდიდრეს შორის დამოკიდებულებაზე განსხვავებული მოსაზრებები გამოოქვეს. მათი აზრით, შესაძლებელია პროდუქტიულობას უბრალოდ სახეობათა სიმდიდრესთან გააჩნია გარკვეული თანაფარდობა და არა მის დეტერმინანტთან. ეს ნიშნავს, რომ პროდუქტიულობასთან გარკვეულ თანაფარდობაში რამე სხვა ფაქტორი, მაგალითად რღვევა, გავრცელების არეალების სივრცეში განანილება ან ჯერ კიდევ განუსაზღვრელი ცვლადია. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, პროდუქტიულობის ზრდასთან ერთად, მტაცებლის მსხვერპლთან შეფარდება იზრდება ანუ პროდუქტიულობის მაღალ დონეზე მტაცებლები ხელმისაწვდომი პროდუქციის არაპროპორციულად დიდ ნაწილს მოიხმარენ და საზოგადოების მრავალფეროვნების შემცირებას იწვევენ. კვების ტოპოლოგიური ჯაჭვის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მტაცებლის მსხვერპლთან შეფარდება განსხვავებული რაოდენობის სახეობების (შ) შემცველ ჯაჭვში ერთი და იგივეა და ეს ფაქტი ზემოთ მოყვანილ არგუმენტს აბათილებს (პიმი 1991).

როზენცვაიგის და აბრამსკის (1993) მოსაზრებით, ყველაზე უფრო ღირებული ორი ჰიპოთეზაა. პირველ მათგანს ტაქსონთაშორისი კონკურენციის ჰიპოთეზა ეწოდება. ამ ჰიპოთეზის თანახმად, სხვადასხვა მრავალსახეობიანი ტაქსონების სახეობათა მრავალფეროვნების პიკები პროდუქტიულობის სხვადასხვა დონის მქონე ტერიტორიებზე მდებარეობს. მაგალითად, აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე უდაბნოებში გავრცელებული პატარა, ძუძუმწოვარი მლრდენულების მრავალფეროვნების პიები მდინარე ელ პასოს დასავლეთში ანუ დაბალი პროდუქტიულობის მქონე ტერიტორიაზე ხვდება, ხოლო ხორცისმჭამელი სახეობების სიმდიდრე უფრო მაღალი პროდუქტიულობის მქონე აღმოსავლეთ ტეხასში მეტია. როზენცვაიგის და აბრამსკის მოსაზრებით, ტაქსონი პროდუქტიულობის რამე დონეზე უკეთესი კონკურენტია. შესაბამისად, პროდუქტიულობის ამ დონეზე ტაქსონს რაიმე სხვა ტაქსონზე უპირატესობა ექნება და ტაქსონთაშორისი კონკურენციის შედეგად სახეობათა სიმდიდრე შემცირდება. მეცნიერებს ამ მოსაზრების სისწორე არ შეუმონმებიათ. კიდევ ერთი საინტერესო ჰიპოთეზა ტილმანს (1982) და სხვა მეცნიერებს ეკუთვნით, რომელთა აზრით, გავრცელების არეალის არაერთგვაროვნება პროდუქტიულობასთან ერთად



**სურ. 29.23.** პოტენციურ ევაპოტრანსპორტისა (PET) და სახეობათა სიმდიდრეს შორის დამოკიდებულება ფრინველებისთვის, ძუძუმწოვარი ცხოველებისთვის, მწყიბიებისა და რეპტილიებისთვის. სახეობათა სიმდიდრის დერძები (ვერტიკალური) ლოგარითმულ შეასრულა გამოსახული.

გარკვეულ ნიშნულამდე იზრდება, ხოლო შემდეგ მცირდება. სახეობათა სიმდიდრესა და გავრცელების არეალის არაერთგვაროვნებას შორის ამგვარი დამოკიდებულება 29.8 პარაგრაფში დაწვრილებით არის აღნიშვნილი.


სახეობათა სიმდიდრესა და პროდუქტიულობას შორის დადებითი დამოკიდებულება უნივერსალური მოვლენა არავითარ შემთხვევაში არ არის. მაგალითად, შედარებით ერთგვაროვანი და პატარა ტერიტორიის (5-20ჰ) გავრცელების არეალებში ფრინველთა სახეობების ყველაზე მეტი (24 სახეობა) და ნაკლები (6 სახეობა) სიმდიდრე მაღალი პროდუქტიულობის მქონე ტერიტორიებზე ანუ ჭაობებსა და ჭალის ფოთლოვან ტყეებში გვხვდება (სურ. 29.3). მონაცემები ადასტურებს, რომ სახეობათა სიმდიდრეს მხოლოდ პროდუქტიულობა

არ განსაზღვრავს. მართლაც, ბევრ შემთხვევაში მაღალი პროდუქტიულობის გარემო პირობებში სახეობათა მრავალფეროვნება ნაკლებია. პროდუქტიულობის გაზრდისთვის საკვები ნივთიერებების და სხვა რესურსების ექსპერიმენტული დამატება ხშირად მრავალფეროვნების შემცირებს იწვევს, ამიტომ შემოიღეს ტერმინი გამდიდრების პარადოქსი (როზენცვაიგი 1975, რიბერელი 1974), რომელიც სახეობათა მრავალფეროვნებასა და პროდუქტიულობას შორის უარყოფით დამოკიდებულებას ასახავს. ეკოლოგების უმეტესობის აზრით, გავრცელების არეალის სტრუქტურა სახეობათა მრავალფეროვნების განსაზღვრაში პროდუქტიულობაზე დიდი მნიშვნელობისაა. ჭაობები პროდუქტიული და სტრუქტურულად ერთგვაროვანია, ამიტომ ასეთ ადგილებზე ნაკლები რაოდენობის სახეობა ბინადრობს. უდაბ-

### ცხრილი 29-3

მცენარეთა პროდუქტიულობა და ფრინველთა სახეობების  
რაოდენობა ზომიერი კლიმატის მქონე გავრცელების არეალებში

გავრცელების არეალი	მიახლოებით პროდუქტიულობა (გმ <sup>-2</sup> წ <sup>-1</sup> )	ფრინველთა სახეობების საშუალო რაოდენობა
ჭაობი	2,000	6
მინდორი	500	6
ბუჩქნარი	600	14
უდაბნო	70	14
წინვოვანი ტყე	800	17
მთის ფოთლოვანი ტყე	1,000	21
ჭალის ფოთლოვანი ტყე	2,000	24



(ა)

(ბ)

**სურ. 29.24.** გამდიდრების პარადოქსი. ა) ბაია კალიფორნიის სონორანის უდაბნო. ბ) ორეგონში, მალეურის რეფუჯიში მდგარე ჭაობი. უდაბნოები ჭაობებზე ნაელებად პროდიუქტიული, მაგრამ უფრო მრავალფეროვნების გაცრცელების არეალის სტრუქტურა სახეობათა მრავალფეროვნების განსაზღვრაში პროდუქტიულობაზე უფრო მნიშვნელოვანია.

ნოს ვეგეტაცია ნაკლებად პროდუქტიულია, მაგრამ სტრუქტურის მრავალფეროვნება გავრცელების არეალების გამრავალფეროვნებას იწვევს (სურ. 29.24). ჰასტონის (1994) აზრით, პროდუქტიულობასა და მრავალფეროვნებას შორის დამოკიდებულების ხარისხი მოვლენის განხილვის შეკალაზე ნაწილობრივ არის დამოკიდებული. მაგალითად, ზრდადმა პროდუქტიულობამ კონკურენტი პირველადი წარმოქმნელების ჯგუფებში მრავალფეროვნება შეიძლება შეამციროს, ხოლო მთლიანი საზოგადოების მრავალფეროვნება გაზარდოს.


## 29.8. გარეონსა და სასიცოცხლო ციკლის ცვლილებების შეიძლება განვითარება მოახდინოს სახეობათა მრავალფეროვნებაზე

ნიადაგის სახეობის, ტენიანობის, ტემპერატურის და სხვა გარემო პირობების ცვლილება მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნებაზე ზეგავლენას ახდენს. ტროპიკული ტყის ხეები გარკვეული ტიპის ნიადაგსა და კლიმატში უკეთესად ხარიბენ. ახდენს თუ არა ტროპიკების ფიზიკურ გარემოში მომხდარი ცვლილება ზომიერი კლიმატის ტყეებში მომხდარ ცვლილებაზე ათჯერ ან უფრო ძლიერ ზეგავლენას მცენარეთა მრავალფეროვნებაზე? ტილმანმა (1982) მომხმარებლებს შორის კონკურენციის მოდელის დახმარებით ამ შეკითხვას სავარაუდო პასუხი გასცა (იხ. 21-ე თავი).


განვიხილოთ გრაფიკი, რომლის ღერძები ორი აუცილებელი რესურსის დონეა (სურ. 29.25). სახეობათა პოპულაცია შეიძლება გაიზარდოს, როდესაც რესურსები რამე განსაზღვრულ დონეს გადააჭარბებს და მაშასადამე, პოპულაცია ტერიტორიაზე (გრაფიკის გამუქებული რეგიონი) კონკურენციის არასებობის პირობებში კარგად ვითარდება. კონკურენციის არსებობის პირობებში გრაფიკის

რეგიონი, სადაც სახეობას არსებობა შეუძლია, ვინოვდება (სურ. 29.26). თითოეულ გეოგრაფიულ რეგიონში გარემო პირობების (რესურსთა დონეების) ბუნებრივი არაერთგვაროვნება არსებობს. ამ საზღვრებში მოხვედრილ სახეობებს თანაარსებობა შეუძლიათ (სურ. 29.27). რესურსების დაბალი დონისას, გარემო პირობების არაერთგვაროვნების მოცემული არეალი უფრო მეტი სახეობის არსებობის ტერიტორიას კვეთს, ვიდრე ეს მაღალი დონის რესურსების პირობებში ხდება. რესურსის დონესა და მრავალფეროვნებას შორის უკუპრობორციული დამოკიდებულება ემპირიულად და ექსპერიმენტულად არის დამტკიცებული (ტილმანი 1982). ტროპიკული ტყის ნიადაგებში რესურსების დონე დაბალია, რაც მრავალფეროვნების მატებას უწყობს ხელს. ტილმანის მოდელში სივრცითი შეკლა ყურადღებით უნდა განისაზღვროს, ვინაიდან გარემო პირობების ცვალებადობა განხილულ ტერიტორიასთან ერთად გაიზრდება და როგორც ბოლო პარაგრაფში ვთქვით, სახეობების რაოდენობასაც იგივე ბედი ეწევა.

არაპროგნოზირებადი, დროებითი არაერთგვაროვნება მრავალფეროვნებას სავარაუდოდ ხელს არ უწყობს (მეი 1974). ჩესონისა და ვარნერის (1981) მოსაზრებით, გამრავლების ტემპის ნლიდან ნლამდე



**სურ. 29.25.** სახეობის არსებობისთვის ორი რესურსის მინიმალური, კრიტიკული დონეა საჭირო, რაც პოპულაციას ზღვარს უწევს.




**სურ. 29.26.** ორი სახეობის თანაარსებობისთვის საჭირო პირობები ტილმანის რესურსის მოდელის მიხედვით. იზოკლინებზე ზრდა წულის ტოლია.

ცვლილება, როდესაც ყოველი სახეობა რომელიმე წელინადშია დომინანტური, თანაარსებობას იწვევს. დავუშვათ, ყოველ წელინადში ხეების გარკვეული რაოდენობა კვდება და თითოეულ ხეს იგივე ან სხვა სახეობის ინდივიდი სახეობების მიერ თესლის წარმოქმნისადმი პირდაპირპორციულად ცვლის. როდესაც სახეობა ძალიან იშვიათია, თესლის წარმოქმნისთვის ცუდი წელი ამ სახეობის ამონაზარდებზე წაკლებ ზეგავლენას ახდენს, თუმცა კარგმა წელმა სახეობისთვის წარმატება შეიძლება მოიტანოს. ასეთი მექანიზმი თეორიაში მუშაობს, მაგრამ

მნიშვნელოვანი ეფექტი წაკლებად აქვს. აქედან გამომდინარე, კონკურენციაში დამარცხება სახეობას ძალიან იშვიათი ხდის. უფრო მეტიც, თითოეულმა სახეობამ რაიმე წლების განმავლობაში ყველა სხვა სახეობაზე მეტი თესლი უნდა წარმოქმნას, ამიტომ მხოლოდ ამ მექანიზმის საშუალებით მცირე რაოდენობით სახეობას შეუძლია თანაარსებობა.

ჩესონ-ვერნერის მოდელი მარჯნის რიფის თევზის საფუძველზე აიგო, რომლის მრავალფეროვნება ტროპიკული ტყის ხეების მრავალფეროვნებასთან შედარებადია, ხოლო ნიშის მრავალფეროვნება მცირეა (ერლის 1975, სეილი 1980). ამ სახეობათა კონკურენციაზე დისკუსიის (ანდერსონი და სხვები 1981, სეილი და უილიამსი 1982, სეილი 1977, 1978) შედეგად გადაწყვდა, რომ ახალგაზრდა თევზები რიფების დასახლებას კანონზომიერების გარეშე ახდენენ. მკვდარი ან რიფებს ტერიტორიიდან წასული თევზების ადგილის დაკავება ყველა სახეობის ინდივიდს ერთნაირად შეუძლია. ამ მოსაზრებას ლატარის ჰიპოთეზა ეწოდება. ლატარის პრინციპით მომხდარი კოლონიზაცია დროში კანონზომიერებას მოკლებულ ცვალებადობას იწვევს, კონკურენციის და გადაშენების ალბათობას ამცირებს, რაც ტროპიკული რიფის თანასაზოგადოებებში თევზების უფრო დიდი რაოდენობით სახეობის თანაცხოვრებას აადვილებს. ლატარის მოდელი პლანქტონში მობინადრე ლიფსიტების მრავალფეროვნებას და ტროპიკული და ზომიერი კლიმატის ოკეანეებს შორის თევზების მრავალფეროვნების სხვაობას ვერ განმარტავს.



**სურ. 29.27.** შვიდი სახეობის კონკურენცია ორი აუცილებელი რესურსის პირობებში. თანაარსებობის რეგიონები წარმოქმნა. გამუქებული ტერიტორიები სხვადასხვა გაურცელების არეალებში ხელმისაწვდომი რესურსების არეალებია. წაკლები რესურსის შემცველი გავრცელების არეალები უფრო მეტი სახეობის არსებობის ზონებს კვეთენ.

## 29.9. მტაცებლებისა და პალახ-ისეზამენტთა ქმნებების შეუძლიათ გავლენა მოაცილონს სახეობათა სამაინერაზე


მტაცებლები და ბალაზისმჭამელი ცხოველები მსხვერპლი და მასპინძელი საზოგადოებების მრავალფეროვნებაზე ზეგავლენას ახდენენ. როდესაც მტაცებლები მსხვერპლი სახეობების პოპულაციებს პოტენციულ რაოდენობაზე წაკლებს ხდიან, კონკურენცია მცირდება და თანაცხოვრებას ხელი ეწყობა (პერიში და საილა 1970). უფრო მეტიც, ძლიერ კონკურენტებზე სელექციური წადირობის ან ბალაზისჭამის შედეგად სუსტი სახეობები სისტემაში ბინადრობას ახერხებენ (პეინი 1966, პარპერი 1967). მტაცებლობის ზეგავლენა მრავალფეროვნებაზე წყლის სისტემებში კარგად ჩანს, სადაც მტაცებელი ზღვის ვარსკვლავის, სალამანდრის ან თევზის შემოსვლა პირველადი მომხმარებლების და წარმოქმნელების საზოგადოებას ძალიან ცვლის (პეინი 1966, 1974, ზარეტი და პეინი 1973, პორტერი 1972ბ, ზარეტი 1980, ვილბური და სხვები 1983, კარპენტერი და სხვები 1987, 1988).

თავდაპირველად მტაცებელსა და მსხვერპლს შორის ურთიერთქმედებების რამდენიმე ასპექტს დავაკვირდეთ და მტაცებლის მიერ მსხვერპლი სახეობის მრავალფეროვნებაზე ზემოქმედების მექანიზმები ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე შევისწავლოთ. შემდეგ ჩვენი ყურადღება მცენარეების, მათი ნაწილების ან ამონაზარდების მოხმარებას მივაპყროთ, რაც ტროპიკებში არსებული მცენარეების მრავალფეროვნებაზე ზეგავლენას ახდენს.

### მტაცებელსა და მსხვერპლს შორის ურთიერთქმედება

მტაცებლის მოქმედება სახეობათა მრავალფეროვნებაზე ორი მეთოდით ახდენს ზეგავლენას. პირველი მეთოდი მსხვერპლზე გადართვას უკავშირდება ანუ როდესაც მტაცებელი სასურველი მსხვერპლის ერთი სახეობის შემცირებას ამჩნევს და უფრო მრავალრიცხოვან სახეობაზე გადაერთვება. ასეთი მოქმედების შედეგად მსხვერპლის პირველი სახეობა ზენოლისგან თავისუფლდება და მისი პოპულაცია უკეთესად ვითარდება. სიხშირეზე დამოკიდებული მტაცებლობის შედეგად მსხვერპლ სახეობებს შორის კონკურენცია მცირდება და მრავალი მსხვერპლი სახეობის თანაცხოვრება შესაძლებელი ხდება. მტაცებელი სახეობათა მრავალფეროვნებაზე გემოვნების საშუალებითაც ახდენს ზეგავლენას. თუ მტაცებელს მსხვერპლი სახეობებიდან ყველაზე ძლიერი კონკურენტი ურჩევნია, მაშინ ის მსხვერპლის სხვა სახეობაზე ზენოლას ამცირებს და თანაცხოვრებას ხელს უწყობს. ზემოთ ჩამოთვლილ მექანიზმებში მტაცებლის ან მსხვერპლის სივრცეში განაწილება გათვალისწინებული არ არის.

მტაცებელსა და მსხვერპლს შორის ურთიერთქმედების მოდელი, რომელიც სივრცით დინამიკას შეიცავს, რეგიონალურ დონეზე მტაცებლების მიერ მსხვერპლი სახეობების მრავალფეროვნებაზე მოხდენილ ზეგავლენას ასახავს. მაგალითად, მცირე ტერიტორიაზე განლაგებულ სისტემაში მსხვერპლი სახეობები რეგიონალურ შეკალაზე ანუ ერთ ან მეტ მცირე ტერიტორიაზე ბინადრობს, ხოლო სხვა ტერიტორიებზე მტაცებლობის შედეგად გადაშენების გზაზე დგას. რეგიონალურ და ადგილობრივ მრავალფეროვნებას შორის ბალანსი სივრცით დინამიკასა და მტაცებელი თუ მსხვერპლი სახეობების მობილურობაზეა დამოკიდებული (მაკლაფლინი და რაფ-გარდენი 1993). მტაცებელსა და მსხვერპლს შორის ურთიერთქმედების მოდელის თანახმად, რომელიც მობილურობისა და სივრცითი დინამიკის შესახებ ინფორმაციას შეიცავს, თუ ადგილობრივი პოპულაცია მტაცებლობის შედეგად გადაშენების გზაზე დგას, მაშინ მტაცებელსა და მსხვერპლს მობილურობის საშუალო მაჩვენებელი მაინც უნდა ჰქონდეს, რათა მსხვერპლმა რეგიონალურ შეკალაზე არსებობა განაგრძოს (მაკლაფლინი და რაფ-გარდენი 1993).




**სურ. 29.28.** მტაცებლისა და მსხვერპლის მოძრაობის არეალისა და ტემპის ზეგავლენა მსხვერპლის სიმჭიდროვეზე. მსხვერპლი პოპულაციის ზრდის უდიდესი ტემპი სივრცის ა წერტილზე ფიქ-სირდება. მსხვერპლის სიმჭიდროვის განახილების პირ მაშინ გვხდება, როდესაც მტაცებელი მსხვერპლზე სწრაფად მოძრაობს და მსხვერპლის დაბალი ტემპით ზრდის ადგილში (გრაფიკი) კოლონიზაციას ხელს უშლის. როდესაც მტაცებლისა და მსხვერპლის მოძრაობას შორის მცირე განსხვავებაა, მსხვერპლი პოპულაცია სივრცის უფრო დიდ ნაწილში არსებობს (გრაფიკი)

სივრცითი მოდელები მცირე ტერიტორიების დინამიკას ყოველთვის არ მოიცავს. მაკლაფლინის და რაფ-გარდენის (1991 ა.ბ) აზრით, უწყვეტ გარემოში მსხვერპლი მტაცებლობის პირობებში არსებობას განაგრძობს და ამ მოვლენის გასაგებად უნდა წარმოვიდგინოთ სისტემა, რომელშიც მტაცებელი მსხვერპლზე სწრაფად და უფრო დიდ შეკალაზე მოძრაობს, ხოლო მსხვერპლი სახეობა არაერთგვაროვნად იზრდება. წარმოიდგინეთ მსხვერპლი-მტაცებლის სისტემა, რომელიც წრფივ სივრცეში არსებობს და მსხვერპლი სახეობა სივრცის ა მდებარეობაზე უფრო სწრაფად იზრდება (სურ. 29.28). თუ მტაცებლისა და მსხვერპლის მოძრაობის ტემპი და არეალი ძალიან განსხვავებულია, მაშინ მსხვერპლი პოპულაცია მხოლოდ ზრდის უმაღლესი ტემპების მხარდამჭერ ტერიტორიებზე გაიზრდება (ტერიტორია 29.28 სურათზე). სხვა ტერიტორიებზე, სადაც ზრდის მაღალი ტემპი მხარდაჭერილი არ არის, მსხვერპლი მტაცებლის მიერ განიდევნება. თუ მტაცებლისა და მსხვერპლის მოძრაობის უნარებს შორის განსხვავება მცირეა, მაშინ მსხვერპლი პოპულაცია უფრო მეტ ტერიტორიაზე გავრცელდება. აქედან გამომდინარე, რეგიონალურ შეკალაზე მსხვერპლი სახეობების მრავალფეროვნება მტაცებლისა და მსხვერპლის მოქმედების განსხვავებული შეკალების საშუალებით ნარჩუნდება.

### პალახისმჭამელობის ზეგავლენა მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნებაზე

დარვინის დროიდან მოყოლებული ნატურალისტები თვლიდნენ, რომ შერჩევითი და არაშერჩევითი ბალანსმჭამელობა მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნებაზე ახდენს ზეგავლენას (ჰარპერი 1967).



**სურ. 29.29.** მავნებლების ზენოლის ჰიპოთეზა. ამ ჰიპოთეზის თანახმად, ამონაზარდები მშობელ ხესთან უფრო მჭიდროდ არის განლაგებული, თუმცა მათი გადარჩენის ალბითობა მშობლის-გან დაცილებაზეა დამოკიდებული, ვინაიდან ბალახისმჭიდრელი ცხოველები მშობელთან ახლოს განლაგებულ ამონაზარდებს ეტანებიან.

რამდენიმე ავტორის, მათ შორის დაუტის (1960), ჯილეტის (1962) და იანცენის (1970) აზრით, ბალახისმჭამელობა ტროპიკული ტყეების დიდ მრავალფეროვნებაზე არის პასუხისმგებელი. იანცენის მიხედვით, ბალახისმჭამელი ცხოველები კვირტით, თესლით და ამონაზარდებით იკვებებიან და სახეობათა სიმჭიდროვეს ამცირებენ. ამის შედეგად სხვა, ნაკლებად გავრცელებული სახეობები ზრდას იწყებენ. სახეობების ვარგისიანობას მომხმარებლებისთვის მათი მრავალრიცხოვნობა უფრო განსაზღვრავს, ვიდრე ცალკეული ინდივიდების შინაგანი თვისებები. მომხმარებლები მრავალრიცხოვან სახეობებს უფრო იოლად პოულობენ და მათი პოპულაციებიც სწრაფად იზრდებიან. ამ მოსაზრებას მავნებლების ზენოლის ჰიპოთეზა ეწოდება.

მავნებლების ზენოლის ჰიპოთეზას რამდენიმე ფაქტი ამყარებს. მაგალითად, მარცვლეული მცენარეების მონოკულტურაში დამკვიდრებას ბალახისმჭამელი ცხოველების შემოსვლა უშლის ხელს. ამაზონის აუზში კაუზუკის ხეებმა ფეხი ვერ მოიკიდეს, ვინაიდნ მათ მრავალი სახეობის ბალახისმჭამელი ცხოველი იყენებს და განვითარება ფერხება. სამაგიროდ, კაუზუკის ხეების პლანტაციები მალაიზიაში ყავავის, სადაც მათზე სპეციალიზებული ბალახისმჭამელი ცხოველები არ ბინადრობენ. ტროპიკებში მარცვლეული მცენარეების სახეობების გახარება კაუზუკის ხეების მსგავსად ვერ მოხერხდა. სამხრეთ ამერიკული კაკაო ერთ-ერთი გამონაკლისია. კაკაოს პლანტაციებში გავრცელებული მავნებელი მწერები არ არიან უფრო მრავალრიცხოვანი ან მრავალფეროვნი, ვიდრე აფრიკისა და აზიის პლანტაციებში (სტრონგი 1974).

მონოკულტურის პრობლემები ტროპიკების მიღმაც ვრცელდება. ზომიერი კლიმატის მოყვარულ ხეებს საკუთარი ბალახისმჭამელი ცხოველები გააჩნია. ცხვირგრძელებს და ციყვებს რკოების უმეტესობა ვერ გადაურჩება, ხოლო ხის ამონაზარდებს

ტროპიკების მსგავსად ბალახისმჭამელი ცხოველები და პათოგენური მიკროორგანიზმები ემტერებიან. მავნებლები ტროპიკებში მრავალფეროვნების ზრდას იწვევენ, ხოლო სხვა განედებზე განსხვავებულად მოქმედებენ. მაგალითად, ტროპიკული ბალახისმჭამელი ცხოველები და მცენარის პათოგენური მიკროორგანიზმები მასპინძელი მცენარის სახეობებზე არიან სპეციალიზირებულნი ან მათი პოპულაციები მასპინძელი პოპულაციების სიმჭიდროვესა და გავრცელებულობაზე არის დამოკიდებული.

მავნებლების ზენოლის ჰიპოთეზის თანახმად, ამონაზარდები იგივე სახეობის მოზრდილ მცენარეებთან ახლოს უფრო ხარობს, ვიდრე მოშორებით (იანცენი 1970). სახეობის მოზრდილი წარმომადგენელი ბალახისმჭამელ ცხოველებსა და პათოგენურ მიკროორგანიზმებს იფარავს. გარდა ამისა, ვინაიდან თესლის უმეტესობა მშობელთან ახლოს აღმოცენდება, ბალახისმჭამელ ცხოველებს ამონაზარდების მრავალრიცხოვნობა იზიდავთ, ხოლო მოშორებით აღმოცენებულ მცენარეებს ყურადღებას არ აქცევენ (სურ. 29.29). კვლევებმა მანძილზე დამოკიდებული აღმოცენების და განვითარების ფაქტი დაადასტურა (აუგშემურებერი 1983, კლარკი და კლარკი 1984, ჰოუ და სხვები 1985).

თუ ამონაზარდები მშობელთან ან იგივე სახეობის რაიმე სხვა ხესთან უფრო კარგად ვითარდება, მაშინ იგივე სახეობის ხეები ტყეში ფართოდ ვრცელდება. ამგვარი პროცენტის შემონმებისთვის თითოეული სახეობის ინდივიდების რუკა უნდა შევადგინოთ და შემდეგ სტატისტიკის გამოყენებით სახეობის გავრცელებას ხარისხი დავადგინოთ. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ხეთა უმეტესი, განსაკუთრებით გავრცელებული სახეობები, მჭიდროდ ვრცელდება (ჰაბელი 1979, ჰაბელი და ფოსტერი 1983). მიღებული შედეგი ტყის საზოგადოების სტრუქტურაში მავნებლების ზენოლის მნიშვნელობას ასახავს, თუმცა მჭიდროდ განლაგების ხარისხი

ფარდობითია და ბალახისმჭამელმა ცხოველებმა ან პათოგენურმა მიკროორგანიზმებმა მონიფული ინდივიდების უფრო ფართოდ გავრცელება შეიძლება გამოიწვიონ.

## 29.10. შეიძლება თუ არა შემცირება-ულია კონკურენციამ ახსნას მრავალ-ფეროვანის გაღალი ღონე?


თეორია და ექსპერიმენტები ამტკიცებს, რომ ინტენ-სიური კონკურენცია საზოგადოებიდან სახეობების გამორიცხვას იწვევს. ბევრი ეკოლოგის აზრით, რესურსების თვის ნაკლებად მყაცრი კონკურენცია ბევრი სახეობის თანანარსებობას უზრუნველყოფს. როგორ შეიძლება სახეობათაშორისი კონკურენციის შემცირება? ამის მიღწევა უფრო მეტი ეკოლოგიური სპეციალიზაციით, ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობის გაზრდით, რესურსებზე მოთხოვნის შემცირებით და მტაცებლობის გაძლიერებით შეიძლება. ყველა შემთხვევაში სახეობათაშორისი და შიდასახეობრივი პროდოლა ჩამოთვლილი ფაქტორებისადმი პოპულაციების შემგუებლობაზე ზეგავლენას ახდენს. პოპულაციებში კონკურენცია თავისთავად არ მცირდება, ხოლო სიმჭიდროვეზე დამოკიდებული სელექცია პოპულაციის ზომას ზრდის. აქედან გამომდინარე, თუ კონკურენციის ცვლილების მრავალფეროვნების ცვლილებით აიხსნება, მაშინ სახეობათაშორისი და შიდასახეობრივი პროდოლის ფარდობით სიძლიერე პოპულაციის გენოფონდზე სხვადასხვა ზეგავლენას ახდენს.

ფარდობით სიძლიერებს შორის სხვაობა ნიშური კავშირების გეომეტრიის საშუალებით შეგვიძლია გამოვსახოთ. რამდენიმე განზომილების მქონე ნიშის სივრცეში თითოეულ სახეობას შედარებით მცირე რაოდენობით მეზობელი ჰყავს. განზომილებების ზრდასთან ერთად სახეობები ნიშის სივრცეში სხვაგვარად განლაგდება, მეზობლების რაოდენობა იზრდება, ხოლო კონკურენციის ასიმეტრია მცირდება. ცვალებადობა პოპულაციას მაღალი განზომილების მქონე ნიშაში მდებარე საზოგადოებაში მობინადრე მეზობლებთან შედარებით სუსტ კონკურენტად ხდის და კონკურენციაში უპირატესობის მქონე სახეობები არ ჩნდება. მაღალი განზომილება ფიზიკურად ნაკლებად მომთხოვნ გარემოში, მაგალითად ტენიან ტროპიკებში ან ოკეანის სიძლმებში შეიძლება შეგვევდეს. უფრო მყაცრ გარემო პირობებში ნიშის სივრცის თვისებებში რამდენიმე ფაქტორი ჭარბობს და კრიტიკულად მნიშვნელოვანი განზომილებების მცირე რაოდენობა ყალიბდება. გარდა ამისა, ბიოლოგიური ფაქტორები ნიშის მრავალი განზომილების გაჩენას იწვევს და ნიშის სივრცის განზომილება ბიოლოგიური თანასაზოგადოების დროში ჩამოყალიბებასთან ერთად იზრდება. ბიოლოგიური თანასაზოგადოებები თანდათანობით

უფრო დიდი რაოდენობით სახეობას მოიცავს და ევოლუციურ ტენდენციას ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვით, სახეობათა მხოლოდ მცირე რაოდენობა უნდა დომინირებდეს.

## 29.11. რდევვამ შეიძლება გავლენა მოახ-დინოს სახეობათა მრავალფეროვანებაზე

პერიოდული, ფიზიკური რღვევა ბევრ საზოგადოებას ახასიათებს. ადამიანის მოქმედება გავრცელების არეალის თვისებებს ცვლის და გავრცელების არეალის სტრუქტურასა და ადგილობრივი სახეობების სიმდიდრეს შორის დამოკიდებულება ძლიერი ხდება. სატყეო მასალები სანაპირო ზონებში ნაკადის დინებას, დანალექი ქანების ტვირთებს, გავრცელების მიკროარეალების ხელმისაწვდომობას ცვლის და ნაკადებში ადგილობრივ პროდუქტიულობის ზრდას იწვევს (ალენი 1995). ამგვარი ცვლილები საზოგადოებების, განსაკუთრებით კი თევზების მრავალფეროვნებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს (ბისონი და სხვები 1992). სატყეო მასალები ამფიბიათა სახეობების სიმდიდრეზეც ახდენს ზეგავლენას და ეს შემთხვევა 29.30 სურათზეა გამოსახული. ორი ან ნაკლები რაოდენობის სახეობის ამფიბიის შემცველი ნაკადების რაოდენობა ჭაობიან ტყეებში პროპორციულად ძალიან მაღალია. ამფიბიების მრავალრიცხონობის განსხვავებულობა ნაკადებში გავრცელების არეალების განაწილებით არის გამოვეული. ჭაობიან ნაკადებში ლოდების და რიყ-



**სურ. 29.30.** ამფიბიების სახეობების მრავალფეროვნება დასავლეთ ორეგონის უჭაობო (ნაცრისიფერი სეეტები; 23 ნაკადი) და ჭაობიან (მწვანე სეეტები; 20 ნაკადი) ნაკადებში. ჭაობი გავრცელების არეალების ხელმისაწვდომობას ამცირებს და სახეობების რაოდენობის შემცირებას იწვევს.

## ცხრილი 29-4

**ხეთა საფარის განახლება ტროპიკული და ზომიერი კლიმატის  
რეგიონებში მდებარე პირველადი ტყეებისთვის**

ადგილი	განახლების დრო (წელი)*	განახლების ტემპი (%) წელიწადში)
ტროპიკები	62-114	0,9-1,6
პანამა	80-135	0,7-1,3
კოსტა რიკა	104	1,0
ვენესუელა	60	1,7
გაბონი	32-101	1-3,1
ზომიერი კლიმატი		
გრეით სმოუკის მთები	49-211	0,5-2
ტიონესტა, პენსილვანია	107	0,9
ჰიუსტონ ვუდსი, ოჰაიო	78	1,3


\* განახლების დრო საფარის ზრდის დროს არ შეიცავს, რაც ზომიერი კლიმატის ზონებში გავრცელებული სახეობებისთვის 54-185 წელს შეადგენს

ის ქვების გავრცელების არეალები ნაკლებად არის ხელმისაწვდომი (კორნი და ბარი 1989).

რღვევა სახეობათა მრავალფეროვნებაზე რამ-დენიმე მექანიზმით ახდენს ზეგავლენას. კორნელ-მა (1978) ტროპიკული ტყეები და მარჯნის რიფები შეისწავლა და დიდი მრავალფეროვნება აღელვების შუალედურ დონეებს დაუკავშირა. ამ მოსაზრებას შუალედური რღვევის ჰიპოთეზა ეწოდება. ფიზიკური პირობებით, მტაცებლებით ან რაიმე სხვა ფაქტორით გამოწვეული რღვევა კოლონიზაციის საშუალებას ქმნის და აღელვებულ ადგილებზე დასახლებული სახეობების სუქცესის ციკლის დაწყებას იწვევს. საშუალო დონის რღვევისას, საზოგადოება გავრცელების არეალების პატარა ტერიტორიების მოზაიკა ხდება. ამ ტერიტორიებზე სუქცესიური მიმდევრობის სახეობები ბინადრობს. შუალედური რღვევის ჰიპოთეზამ რეგიონებს შორის მრავალფეროვნების განსხვავებულობა, განსაკურებით კი ხეთა სახეობებს შორის განედის მიხედვით არსებული განსხვავებულობა უნდა გაითვალისწინოს, რისთვისაც აღელვების დონეებს შორის შედარებადი სხვაობა უნდა იყოს. ტყის ხეების ინდივიდების განახლების ტემპი (ანუ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შებრუნებული) ზომიერი კლიმატის და ტროპიკულ ტერიტორიებზე ერთმანეთისგან სისტემატურად არ განსხვავდება (ცხრილი 29.4). ქარიშხლის და ხანძრის მაგვარი რღვევები ტროპიკებში უფრო ხშირად არ ხდება. აქედან გამომდინარე, რღვევა შესაძლოა მრავალფეროვნებას ხელს უწყობს, მაგრამ ტყეებს და სხვა ტიპის საზოგადოებებს შორის მრავალფეროვნების განსხვავებულობაზე პასუხისმგებელი არ არის.

რიკლეფსმა (1977a) განსხვავებული მექანიზმი აღწერა, რომლითაც ტყეები გაჩენილი ცარიელი ად-

გილი მრავალფეროვნების გაზრდას იწვევს და მისი ეს მოსაზრება ეფუძნება ვარაუდს, რომლის თანახმად, რღვევა თესლის განაყოფიერების და ამონაზარდის განვითარებისთვის საჭირო პირობებს ქმნის (დენსლოუ 1980, 1987, ორიანსი 1982, პიკეტი 1983). რღვევა მცენარეების და ორგანიზმების სიცოცხლის კრიტიკულ ეტაპზე გარდამავალ, არაერთგვაროვან გარემო პირობებს ქმნის. გარდა ამისა, ტყის საფარში გაჩენილ ცარიელ ადგილებსა და ფიზიკურ გარემო პირობებს შორის ურთიერთქმედება ტროპიკებში უფრო მეტ არაერთგვაროვნებას იწვევს, ვიდრე ზომიერი კლიმატის რეგიონებში. ხის დაცემის შედეგად ტყის საფარში გაჩენილ ცარიელ ადგილებში ნიადაგი უკეთესად ნათდება და შესაბამისად ამონაზარდის განვითარებისა და ორგანული დეტრიტების დაშლისთვის ფიზიკური პირობები იცვლება. გარდა ამისა, ტყის ცარიელ ადგილას ცოცხალი ხის ნაკლები რაოდენობის ფესვი გვხვდება და ნიადაგიდან გამზადებული საკვები ნივთიერებების გაწოვა მიმდინარეობს. ეს პროცესები უფრო ინტენსიურად ტროპიკებში ხდება, ვინაიდან მზის სინათლე ნიადაგს პირდაპირ ეცემა (სურ. 29.31). ტროპიკებში წვიმაც უფრო ხშირია, ამიტომ დაშლა და გაწოვა უფრო სწრაფად ხდება. გარდა ამისა, ტროპიკულ ტყეებში დაუზიანებელი საფარი უკეთესად არის დაცული, ვიდრე ზომიერი კლიმატის ზონებში, რაც საფარის მეტი სიმჭიდროვითა და ფოთლების გამდლეობით არის გამოწვეული. ტყესა და გარემოს შორის ურთიერთქმედების შედეგად ფიზიკური პირობების დიდი სიმრავლე იქმნება, რაც ტროპიკებში ამონაზარდის განვითარებისთვის უკეთეს პირობას ქმნის. თუ ხეები პირობების ამ გრადიენტის გასწვრივ იზრდება, მაშინ მათი თანაარსებობა ტროპიკებში უფრო აღვილია. ხეებისთვის დამახასიათებელი გან-



ედური გრადიენტი ბუჩქებისა და ბალახებისთვის არ არსებობს, ვინაიდნა მათ ტყისგან განსხვავებით გამორჩეული ფიზიკური სტრუქტურა არ გააჩნიათ.

ჰასტონის (1979, 1994) აზრით, იდენტური ეკოლოგიური ფუნქციების და დიდი მრავალფეროვნების მქონე საზოგადოებების არსებობა თანასაზოგადოებაში მომხდარი რღვევის სიდიდესა და სახეობათა პოპულაციის ზრდის ტემპს შორის დამოკიდებულების დახმარებით უნდა გავიაზროთ. ჰასტონის მოდელს დინამიური წონასწორობის მოდელი ეწოდება და ის კონელის შუალედური რღვევის ჰიპოთეზის სრულყოფილი ვარიანტია (კონელი 1978). დინამიური წონასწორობის მოდელი 29.32 სურათზეა გამოსახული.

ლევანის სახლის ან ინტენსივობა



**სურ. 29.32.** ადგილობრივ მრავალფეროვნებაზე აღვევების და პოპულაციის ზრდის ზეგავლენას შორის დამოკიდებულება. პოპულაციის ზრდის დაბალი ტემპისას აღვევების მაღალი ტემპი საზოგადოებაში შემავალი სახეობების რაოდენობას ამცირებს, ვინაიდან ნელა მზარდი პოპულაციები რღვევას კერ უძლებენ (A ნერტილი). პოპულაციის ზრდის მაღალი ტემპების არეალებში რღვევის მაღალი ტემპი კონკურენციის შედეგად გამორიცხვას ხელს უშლის და დიდი მრავალფეროვნებას ინკვეს (B ნერტილი). დიდი მრავალფეროვნება მცირე რღვევის ტერიტორიებზე შეძლება შევხვდეს, სადაც პოპულაციის ზრდას ტემპი დაბალია (C ნერტილი), ვინაიდან პოპულაციები სწრაფად არ იზრდება და სხვა პოპულაციებს კონკურენციაში კერ ამარცხებს.

**სურ. 29.31.** ხის დაცემის შედეგად ტყის საფარში გაჩენილ ცარიელ ადგილზე სინათლე ეცემა, რის შედეგადაც ამონაზარდის განვითარების ფაზიკური პირობები და დედამინის ზედაპირზე მომხდარი დაშლის პროცესი იცვლება. ცვლილება უფრო ინტენსიური ტროპიკულია, სადაც მზის სინათლე დედამინაზე პირდაპირ ეცემა.

**29.32** სურათი 21.4 სურათის მსგავსია და მასზე სამი განზომილებაა წარმოდგენილი. ვერტიკალური განზომილება სახელმძღვანელოს გვერდიდან მოშორებით არის მიმართული, არ ჩანს და საზოგადოების სახეობათა მრავალფეროვნებას ასახავს. ჰორიზონტალური ღერძი სახელმძღვანელოს გვერდზეა გავლებული და პოპულაციის ზრდის ტემპს ასახავს, ხოლო ვერტიკალური ღერძი ტერიტორიაზე მომხდარი რღვევის ინტენსივობის დონეს გვიჩვენებს. კონკურენციის შედეგად გამორიცხვა მრავალფეროვნებას ამცირებს და მაშინ ხდება, როდესაც პოპულაციის ზრდის ტემპი მაღალია. რღვევამ მრავალფეროვნება ასევე შეიძლება შეამციროს, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც პოპულაციის ზრდი ტემპი დაბალია და რღვევას ვერ უძლებს. სურათზე ნაჩვენებია რღვევისა და კონკურენციას შორის დამოკიდებულება, რის შედეგადაც ბიომრავალფეროვნება იცვლება. ნერტილზე პოპულაციის ზრდის ტემპი დაბალია და რღვევის მაღალი დონე ზოგიერთი პოპულაციის ადგილობრივ გადაშენებას და მრავალფეროვნების შემცირებას ინვეს. ნერტილზე რღვევის დონე ნერტილის იდენტურია, მაგრამ პოპულაციის ზრდის ტემპი აქ მაღალია, სახეობები რღვევას უძლებს და საზოგადოებაში არსებობას განაგრძობს. მაქსიმალური მრავალფეროვნების ადგილზე, კონკურენციის შედეგად გამორიცხვასა და რღვევას შორის ბალანსია. აქედან გამომდინარე, რღვევისგან თავისუფალი და ნელა მზარდი პოპულაციების შემცველი საზოგადოების მრავალფეროვნება ძლიერი რღვევის ტერიტორიაზე მდებარე და სწრაფად მზარდი პოპულაციების შემცველი საზოგადოების მრავალფეროვნების იდენტური შეიძლება იყოს.

დინამიური წონასწორობის მოდელიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფაქტორების (პროდუქტიულობა, მტაცებლობა, კონკურენცია, რღვევა და ა.შ.) ზეგავლენაურთიერთგამორიცხვა არ არის. სახეობათა მრავალფეროვნება გარემო პირობებით და სხვადასხვა სივრცით შეალებზე მოქმედი ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედებით არის გამოწვეული.

წინა პარაგრაფებში აღნერილი პროცესები არის მექანიზმი, რომლითაც სახეობათა სიმდიდრე იქმნება და ნარჩუნდება. რა ინფორმაციას გვაძლევს საზოგადოებების შესახებ ეს მექანიზმები?

## 29.12. ავლენის თუ არა თასაზოგადოებები სახეობათა შრომის გრძელის დამატებითი საგუთავის?


თანასაზოგადოების სტრუქტურის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან ფუნქციას სახეობათა ურთიერთქმედება, კერძოდ, კონკურენცია ასრულებს. ბევრი ეკოლოგის აზრით, თუ კონკურენცია თანასაზოგადოებათა მრავალფეროვნებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაშინ მისი შედეგები თანამცხოვრებ სახეობებს შორის ნიშის კავშირებში უნდა გამოიხატებოდეს. კერძოდ, კონკურენციამ ნიშის სივრცეში მობინადრე სახეობებს შორის რეგულარული დაცილება უნდა გამოიწვიოს. მარტივი მაგალითის სახით ნიშის ერთგანზომილებიან სივრცეში მობინადრე სახეობების მდებარეობა განვიხილოთ. თუ თითოეული სახეობის მდებარეობაზე სხვა სახეობების მდებარეობა ზეგავლენას ახდენს ანუ სახეობათა თანაარსებობა კონკურენციის შემცირებაზეა დამოკიდებული, მაშინ სახეობები ნიშის განზომილების გასწვრივ თანაბრად უნდა იყოს დაცილებული. თუ სახეობათა მდებარეობაზე ურთიერთქმედება ზეგავლენას არ ახდენს, მაშინ ნიშის განზომილების გასწვრივ მათი მდებარეობები კანონზომიერების გარეშე იქნება დაცილებული.

თანასაზოგადოების თვისებებში კონკურენციის შედეგები შეზღუდულად აისახება და ეს ფაქტი ნიშის სივრცეში პირობითი განაწილების ბუნების განსაზღვრისთვის შემოღებულმა მეთოდებმა დაადასტურა. განაწილების პირობითობა ნულოვანი მოდელების დახმარებით სტატისტიკურად შეგვიძლია დავადასტუროთ და ეს მეთოდი ეკოლოგებმა 70-იანი წლების მიწურულს გამოიყენეს. ნულოვანი

მოდელი ცნობილი ან გამოგონილი ეკოლოგიური მონაცემებიდან ნიმუშს იღებს, ალბათობას ათანაბრებს და შემდეგ სტრუქტურას წარმოქმნის (გოტელი და გრეივსი 1996). დაკვირვების შედეგად მიღებულ სტრუქტურებს ნულოვანი მოდელის შედეგებთან ადარებენ და ადგენენ, არსებობს თუ არა რაიმე ბიოლოგიური ურთიერთქმედება, მაგალითად კონკურენცია. ამგვარი კვლევების ბევრმა ავტორმა ურთიერთქმედების (არაპირობითობის) არსებობის დადასტურება ვერ შეძლო, თუმცა სხვებმა მათ მიერ მიღებული შედეგები ეჭვქვეშ დააყენეს და მათი ანალიტიკური პროცედურების სისწორეშიც ეჭვი შეიტანეს. ნულოვანი მოდელის ტექნიკა თანდათანობით იხვეწება და საზოგადოების სტრუქტურის ანალიზისთვის გამოიყენება.

## გეოგრაფიული გავრცელების ანალიზი

სახეობათა მრავალფეროვნებაში კონკურენციის მნიშვნელობის გასაგებად კუნძულზე მობინადრე სახეობების გავრცელება ერთმანეთს უნდა შევადაროთ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მონათესავე სახეობების გავრცელების არეალები ერთმანეთს არ ფარავს და ეს სახეობებს შორის კონკურენციით არის გამოწვეული. დაიმონდი (1975) ახალი გვინეის მახლობლად, ბისმარკის არქიპელაგზე მობინადრე ფრინველების გავრცელების ადგილებს დააკვირდა (სურ. 29.33). მისი აღმოჩენით, გუგულისებრი გვრიტის (აცრობეგია) ორი სახეობა 6 და 14 კუნძულზე ბინადრობს, 13 კუნძულზე არც ერთი სახეობა არ გვხვდება, ხოლო ორივე სახეობა არც ერთ კუნძულზე არ ბინადრობს. ამგვარი გავრცელების ალბათობა, თუ ორივე სახეობა კუნძულზე ერთმანეთისგან დამოკიდებლად ბინადრობს, 40-დან 1-ის ტოლია ( $<0,05$ ). აქედან გამომდინარე, დაიმონდმა დაასკვნა, რომ ურთიერთქმედება გავრცელებასა და ადგილობრივი საზოგადოების მრავალფეროვნებაზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს.



**სურ. 29.33.** აცრობეგია-ს გვარის ნარმობადების გუგულისებრი გვრიტების გავრცელება ბისმარკის არქიპელაგზე. კუნძულების უმეტესობაზე ორი სახეობიდან ერთერთი ბინადრობს, ზოგიერთზე არც ერთი სახეობა არ გვხვდება, ხოლო ორივე სახეობა ერთდროულად არც ერთ კუნძულზე არ ბინადრობს.

კონორმა და ზიმბერლოფმა (1979) დაიმონდის ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლების ვარგისიანობა ეჭვქვეშ დააყენეს. მათი აზრით, თუ აცროპყვია-ს გავრცელების ალბათობა 40-დან 1-ია, მაშინ სახეობათა 40 წყვილიდან ერთზე დაკვირვებისას ადამიანს ძალიან უნდა გაუმართოს, რათა აღმოაჩინოს წყვილი, რომლის გავრცელება ისეთივე კანონზომიერია, როგორიც გუგულისებრი გვრიტის. კონორის და ზიმბერლოფის აზრით, მეცნიერმა სახეობათა ყველა შესაძლო წყვილი უნდა შეამონმოს, რათა ურთიერთქმედების შესახებ სწორი ინფორმაცია მიიღოს. მეცნიერებმა საკუთარი ვარაუდი ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე მობინადრე ფრინველებისთვის შეამონმეს. მათ კუნძულზე მობინადრე სახეობების რაოდენობა და სახეობების მიერ დაკავებული კუნძულების რაოდენობა სისტემის უცვლელ თვისებებად მიიჩნიეს. ამგარი შეზღუდვების შემოღების შემდეგ მათ საცდელი ნიმუში შემავალი 211 სახეობის გავრცელებების ალბათობა გაათანაბრეს და შედეგები შეამონმეს. სახეობათა 22155 შესაძლებელი წყვილიდან მხოლოდ 12448 იყო ექსკულუზიურად გავრცელებული. ვესტ-ინდოეთის ფრინველების ფაუნის სახეობების რეალური ექსკულუზიური გავრცელება 12757-ს შეადგენს. კონორმა და ზიმბერლომა რეალურ და გასაშუალოებულ გავრცელებებს შორის ასეთივე თანხვედრა ალმოაჩინეს და დაასკვნეს, რომ სახეობათა შორის ურთიერთქმედება მათ გეოგრაფიულ გავრცელებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს.


დაიმონდი და გილპინი (1982) კონორ-ზიმბერლოფის ანალიზს გამოეხმაურნენ და განაცხადეს, რომ ყველა სახეობის წყვილზე დაკვირვებისას ეკოლოგიურად მსგავს სახეობებს შორის ურთიერთქმედების გამოვლენის შანსი მცირდება. გარდა ამისა, კონორის და ზიმბერლოფის მეთოდში შემთხვევით და რეალურ საზოგადოებას შორის მსგავსება თითქმის გარანტირებულია და ამის მიზეზი შემთხვევითი საზოგადოების მიღების პროცედურა ანუ ნულოვანი მოდელია (ჰარვეი და სხვები 1983, ქუინი და დანჯემი 1983, ზიმბერლოფი 1983, გოტელი და გრეივსი 1996). ნულოვანი მოდელის შესახებ ნინაალმდეგობა დღე-საც არსებობს. სტოუნის და რობერტსის (1990, 1992) შედარებით თანამედროვე კვლევებმა ორივე მიდგომის სისუსტე დაადასტურა, ვინაიდან სახეობების მიერ კუნძულებზე კანონზომიერებას მოკლებული დასახლება ნაკლებად სავარაუდოა და შესაძლოა კონკურენციისგან განსხვავებული ფაქტორებიც მოქმედებს.

### საზოგადოების თვისების ცვლილება


ორ მსგავს სახეობას შორის განსხვავება, სადაც მათი გავრცელების არეალები ერთმანეთს ფარავს, თვისების ცვლილებაა (იხ. პარაგრაფი 22). საზოგადოებაში შემავალი სახეობების მორფოლოგიური

თვისებების, როგორიცაა სხეულის სიგრძე, კი-დურების ზომა ან კვების ორგანოების ზომა, განსხვავებულობა თანასაზოგადოებაში მომხდარი კონკურენციის მნიშვნელობის გამოხატულება. სტრონგი და სხვები (1979) თანასაზოგადოების თვისების ცვლილების ტერმინით ასახავენ მდგომარეობას, როდესაც თანასაზოგადოების სახეობები გარკვეული მორფოლოგიური თვისების მიხედვით არის დალაგებული და მიმდებარე სახეობების შეფარდებები მეტ-ნაკლებად ერთმანეთის ტოლია.

სტრონგმა და სხვებმა (1979) მექანიკის დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე ტრეს მარიასის კუნძულებზე მობინადრე ფრიმველების სახეობების ზომათა შეფარდებები შეისწავლეს. იგივე თანასაზოგადოებები გრანტმა (1966) უფრო ადრე გამოიკვლია და დაასკვნა, რომ ზომათა შეფარდებები კონტინენტზე მიღებულ შეფარდებებს აღემატება ანუ კონკურენცია და ეკოლოგიური მრავალფეროვნება კუნძულის საზოგადოებებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. სტრონგმა და მისმა კოლეგებმა ეს პიპოტეზა შეამონმეს, რისთვისაც მექსიკის კონტინენტზე (კუნძულებთან ახლოს) მობინადრე ფრინველების „გენოფონდიდან“ რამდენიმე სახეობა პირობითად შეარჩიეს. მათი აღმოჩენით, ტრეს მარიასის კუნძულებზე მობინადრე ფრინველების ზომათა შეფარდებები კონტინენტზე მობინადრე ფრინველების ზომების შეფარდებებს არ აღემატება და აქედან გამომდინარე, გრანტის მოსაზრება არასწორია. მიუხედავად ამისა, როდესაც სტრონგი და მისი კოლეგები სახეობათა შორის ურთიერთქმედების პიპოტეზას ამონმებდნენ, მათი ნულოვანი მოდელი შეიცავდა დაშვებას, რომ კონტინენტზე მობინადრე ყველა სახეობას კუნძულზე გადასვლის თანაბარი ალბათობა გააჩნია. ამგვარი დაშვება მართებული არ არის და ამის დამტკიცება იოლად შეიძლება. ეკოლოგებმა კარგად იციან, რომ კოლონიზაციის უნარი გავრცელების არეალთან, მრავალრიცხოვნობასთან და თვისებებთან ერთად იცვლება და ზოგი-



**სურ. 29.34.** ალბათობა, რომ პირობითად განსაზღვრულ ორ შუალედს შორის შეფარდება  $a$ -ს მნიშვნელობაზე ნაკლები იქნება




**სურ. 29.35.** ბეტქების თანასაზოგადოებებში მობინადრე ბეტურისებრ ფრინველებს შორის საშუალო მანძილიდან სტანდარტული გადახრა მორფოლოგიურ სივრცეში. დაშტრიუხული ხაზი პირობითად შექმნილი საზოგადოებებიდან მიღებულ, პროგნოზირებულ მნიშვნელობას ასახავს.

ერთი სახეობა უკეთესი კოლონისტია. აქედან გამომდინარე, ნულოვანი მოდელი არარეალურია, თუმცა პირობითი თანასაზოგადოებების აგების უკეთესი პროცედურის შემუშავება საკმაოდ რთულია.

ზიმბერლოფმა და ბოკლენმა (1981) ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაჭრეს, რადგან დაუშვეს, რომ სახეობათა ზომებს გარკვეული სტატისტიკური გავრცელება გააჩნია. მათ ანალიზის უკეთესად ჩატარებისთვის ასევე დაუშვეს, რომ სახეობათა ზომების გავრცელების ერთგვაროვანი ალბათობა არსებობს. ამგვარი გავრცელებიდან პირობითად აღებული სამი წერტილი (სახეობები) ორ შუალედს ქმნის - ერთი შუალედი უმცირეს და შუალედურ ზომას შორისაა, ხოლო მეორე შუალედი საშუალო და დიდ ზომას შორის არის გადაჭიმული (სურ. 29.34). პირობითად აღებული სახეობების ტრიოდან უმცირესი და უდიდეს შუალედებს შორის შეფარდების (ა) გავრცელების ალბათობაა 0-1-მდე და რეალური სახეობების განმაცალკევებული შუალედების ზომის შემოწმება შეიძლება. პირობითად შერჩეულ თანასაზოგადოებაში (რ) შეფარდების რაიმე მნიშვნელობაზე ნაკლებობის ალბათობაა  $1/[(1/2)+(1/2a)]$ . აქედან გამომდინარე,  $r < 1$  მნიშვნელობის ალბათობა 1-ის ტოლია,  $r < 0,5$  მნიშვნელობის ალბათობა 0,67-ს შეადგენს, ხოლო  $r = 0,33$  მნიშვნელობის ალბათობაა 0,5. როგორც მოსალოდნელია, შეფარდებების ნახევარი 0,33-ს გადააჭარბებს, ხოლო მეორე ნახევარი ამ მნიშვნელობაზე ნაკლების ტოლი იქნება. ზიმბერლოფმა და ბოკლენმა პირობითად 6 რაოდენობის წერტილი აიღეს და 6-1 რაოდენობის სეგმენტებიდან უმცირესის მოსალოდნელი ზომის გავრცელება დაამუშავეს. თუ სახეობათა შორის მსგავსება თანაარსებობას ზღუდავს, მაშინ მცირე შეფარდებების რაოდენობა პირობითად აღებულ

საზოგადოებასთან შედარებით ნაკლები იქნება. თუ სახეობები პირობითი გავრცელებიდან მოსალოდნელზე უფრო თანაბრად არის დაშორებული, მაშინ რ-ის გავრცელება ა-ს გავრცელებიდან 1-კენ გადაიწევს. ზიმბერლოფმა და ბოკლენმა ასეთი შედარებების შემდეგ მონაცემების არაპირობითობის დამადასტურებელი ბევრი ვერაფერი მოძებნეს.

რიკლეფსმა და ტრევისმა (1980) ნულოვანი მოდელის დახმარებით, კოდის (1974) მიერ აღწერილ ბუჩქნარიან გავრცელების არეალში მობინადრე ფრინველების სახეობებს შორის დაცილების კანონზომიერება გამოთვალეს. მათ პირობითი საზოგადოება 5, 9, 13 და 17 სახეობისგან ააგეს და სახეობები მთლიანი გენოფონდიდან პირობითი დაცილებით გამოყვეს ან სახეობების მიერ დაკავებული მორფოლოგიური სივრციდან წერტილები (სინთეტური სახეობები) პირობითად აირჩიეს. თუ ურთიერთქმედება საზოგადოების სტრუქტურაზე ზეგავლენას ახდენს, მაშინ სახეობები ბუნებრივ საზოგადოებებში უფრო თანაბრად იქნება დაცილებული, ვიდრე ნულოვან თანასაზოგადოებებში. თანაბრად დაცილების კრიტერიუმი უახლოეს მეზობლებს შორის დაცილებიდან სტანდარტული გადახრაა, რომელიც დაცილებების სრულყოფილად გათანაბრების შემდეგ ნულამდე მცირდება. 29.35 სურათზე კარგად ჩანს, რომ ბუნებრივი თანასაზოგადოებები პირობითად შექმნილი თანასაზოგადოებებისგან არ გან-



**სურ. 29.36.** ისრაელში მობინადრე კვერნებისა და ვივერნების სახეობებს შორის ეშვის დიამეტრის განსხვავება თანასაზოგადოების თვისების ცვლილება. უსტელა ნივალის სახეობა გადახრდა. ვერტიკალური ხაზები სტანდარტული გადახრის (პორიზონტალური სეკტების) მეტონების საშუალო მნიშვნელობებს და სტანდარტულ შეცდომას (ყუთები) ასახავს. დედალი და მამალი ცხვველები ცალკალკე არიან ნარმდგენილი, ვინაიდან სახეობებში სექსობრივი რიცხოვნობის დიმორფიზმია. სახეობები ვერტიკალური ღერძის გასწვრივ, ეშვის უმცირესიდან უდიდეს დამეტრამდე არის განანილებული. მეზობელ სახეობებს შორის ეშვის დამეტრების შეფარდება მუდმივია და ეს შედევგი საზოგადოების თვისების ცვლილებას ასახავს.

სხვავდება და ამიტომ მორფოლოგიური დაცილება სახეობათა ურთიერთქმედებას არ ასახავს.

არაპირობითი დაცილების არარსებობა კონკურენციის არარსებობაზე (კონკურენცია ყოველთვის არსებობს!) ან მრავალფეროვნების რეგულირებაში მის უმნიშვნელობაზე არ მიუთითებს. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია დაგასაკვნათ, რომ სახეობათა ევოლუციური რეგულირება ან მათი ადგილობრივი განვითარება ან გადაშენება კანონზომიერ სტრუქტურებს არ ქმნის. სახეობები გეოგრაფიულად და ეკოლოგიურად დიდ ფართობებზე ვრცელდება, ამიტომ მათი თვისებები ადგილობრივ ეკოლოგიურ პირობებს ყოველთვის არ ასახავს. გარდა ამისა, თითოეული სახეობა სისტემაში შემავალ ბევრ სხვა სახეობასთან დიდი რაოდენობით ეკოლოგიურ განზომილებაში კონკურენციაშია და ნიშის სივრცის ერთი განზომილების გასწრივ მდებარე მეზობლებს შორის სიახლოვის ცვლილება ნებისმიერი პოპულაციის დემოგრაფიაზე უმნიშვნელო ზეგავლენას ახდენს. ეს ნიშნავს, რომ თანაბარი დაცილებისას სელექცია ძალიან სუსტია.

ტ. დეიანმა და მისმა თანაშრომლებმა საზოგადოების თვისების ცვლილების ყველაზე უფრო მყარი მტკიცებულება ნარმოადგინეს (დეიანი და სხვები 1989, 1990, დეიანი და ზიმბერლოფი 1994). დეიანმა და სხვებმა (1989) ისრაელის სხვადასხვა თანასაზოგადოებებში მობინადრე კვერნების (უსტელიდაა) და ვივერების (Viverrinidae) ოჯახების ნარმომადგენელი d<sub>y</sub>δ<sub>y</sub>μ<sub>0</sub>ν<sub>0</sub>ვარი ცხოველების ხუთი დღემდე შემონახული და ერთი გადაშენებული სახეობის დედალი და მამალი ცხოველების ზედა ეშვების მაქსიმალური დიამეტრი და სხვა თვისებები გაზომეს. მიღებული შედეგები ამტკიცებს, რომ საზოგადოების თვისების შეცვლა თვალში საცემია (სურ. 29.36). დეიანმა და მისმა კოლეგებმა მსგავსი შედეგი ირლანდიაში, ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ამერიკაში მობინადრე კვერნებისა და ისრაელში მობინადრე პატარა ველური კატებისთვის მიიღეს.

### 29.13 ადგილობრივი სახეობების


**გაჯერებულობისა და თასაზოგადოების კონვერგენციის ცხადი დამაგრეტიცეპტობული საგუთავის ნაკლებობა გულისხმობას, რომ რაგორც ცხადი უდიდეს როლს თასაზოგადოების მრავალფეროვნების მიზნების მიერთების განვითარებაში**

ადგილობრივი და რეგიონალური პროცესების შედეგად სახეობათა მრავალფეროვნების ცვლილების გამოთვლისთვის უნდა გავიკონტ, არის თუ არა თანასაზოგადოება სახეობებით გაჯერებული ანუ ავსებს თუ არა სახეობები საზოგადოების ეკოლოგიურ სივრცეს მათი ადგილობრივი ურთიერთქმედებებით განსაზღვრულ რაიმე მნიშვნელობამდე. თუ სახეობები მართლაც ასე მოქმედებს, მაშინ გავრცელების მს-


გავსი არეალების ადგილობრივი მრავალფეროვნება რეგიონალურ მრავალფეროვნებაზე დამოკიდებული არ არის და განსხვავება ბეტა მრავალფეროვნებაშია (სახეობათა განახლებაშია). ჩვენ ასევე გვაინტერესებს, არის თუ არა თანასაზოგადოების სტრუქტურა ერთიანი. სახეობათა მრავალფეროვნების შესახებ ადგილობრივი პროცესის თეორიები ერთანობას პროგნოზირებს. ეს ნიშნავს, რომ ერთი და იგივე პირობებში მობინადრე საზოგადოებები სახეობათა თანაბარ რაოდენობას შეიცავს და გეოგრაფიული მდებარეობა თუ ისტორია მნიშვნელოვანი არ არის. ადგილობრივი სახეობების გაჯერებულობა და თანასაზოგადოების ერთიანობა სახეობათა მრავალფეროვნების შესახებ ადგილობრივ-დეტერმინისტული ცნებებს რეგიონალურ-ისტორიულ თეორიებზე უფრო მაღლა აყენებს.

### ადგილობრივი საზოგადოებების გაჯერებულობა

სახეობათა გაჯერებულობის შემოწმება მსგავსი გარემო პირობების მქონე ტერიტორიებზე ადგილობრივ და რეგიონალურ მრავალფეროვნებას შორის დამოკიდებულების გრაფიკის აგებით შეიძლება. ტერბორგმა და ფააბორგმა (1980) ამგვარი გრაფიკების დახმარებით ვესტ-ინდოეთის ფრინველთა თანასაზოგადოებებში გაჯერებულობა აღმოჩინებს, ხოლო იგივე სისტემის ოდნავ განსხვავებულ საცდელ ნიმუშებზე მომუშავე კოქსმა და რიკლეფსმა (1977) გაჯერებულობა ვერ დაამტკიცეს. ჰიპოთეზის შემოწმებისთვის კიდევ ორი ტესტი ჩატარდა. კორნელმა (1985) კალიფორნიის მუხებზე მობინადრე კრაზანების ადგილობრივ მრა-



**სურ. 29.37.** კარიბის რეგიონში მობინადრე ფრინველთა სახეობების ადგილობრივი სიმდიდრე რეგიონალურ მრავალფეროვნებაზე დამოკიდებული, რაც თავის მხრივ ბიოგეოგრაფიით არის განპირობებული. გავრცელების არეალის პატარა, პომოგენურ ტერიტორიებზე მობინადრე მგალობელი ფრინველების სახეობები სტანდარტულად გამოიყოფა და სურათზე თითოეული ტერიტორია განსხვავებული სიმბოლოთი არის აღნიშნული



ვალფეროვნებაში გაჯერებულობა ვერ აღმოაჩინა, ხოლო სტივენსმა (1986) ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთში გავრცელებულ ფოთლოვან ხეებზე მობინადრე ხის მხვრეტ ხოჭოებში გაჯერებულობის ჰიპოთეზა დაადასტურა. ცხადია, ეკოლოგიური გაჯერებულობის შესახებ კონკრეტულ დასკვნებს ვერ ვაკეთებთ.

### თანასაზოგადოების ერთიანობა

გავრცელების მსგავს არეალებში, მაგრამ განსხვავებულ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მობინადრე მცენარეების და ცხოველების ფორმა და ფუნქცია ხშირად ერთიანია. გამოითქვა ვარაუდი, რომ ერთიანობა თანასაზოგადოების თვისებაც არის (კოდი და მუნი 1978, ორიანი და პეინი 1983). თანასაზოგადოების ერთიანობა მაშინ გვხვდება, როდესაც სახეობების ოჯახები გავრცელების იგივე არეალებში მობინადრე წინაპრებთან შედარებით უფრო ერთგვარი ხდება. თანასაზოგადოების ერთიანობა სულ უფრო აშკარაა (შლუტერი და რიკლეფსი 1993). ამჯერად ჩვენ მხოლოდ ზომიერი კლიმატის მოყვარულ, ფოთლოვან ტყეებს და ტროპიკებში გავრცელებული მანგროვების ეკოსისტემებს განვიხილავთ.

ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთში გავრცელებული, ზომიერი კლიმატის მოყვარული ფოთლოვანი ტყეები ხეთა 253 სახეობას შეიცავს, რაც ევროპის გავრცელების მსგავს არეალთან შედარებით (124 სახეობა) თითქმის ორჯერ მეტია (იხ. ცხრილი 29.2). აღმოსავლეთ აზიის ზომიერი კლიმატის რეგიონი ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთის მსგავსია, თუმცა მასზე ხეების 729 სახეობა გვხვდება. აქედან გამომდინარე, სამივე რეგიონის კლიმატი მსგავსია და ტყეებსაც ერთი და იგივე სტრუქტურა აქვს (ყველა მათგანში ფართოფოთლოვანი ხეები დომინირებს), მაგრამ სახეობათა მრავალფეროვნება თითქმის 6-ის კოეფიციენტით იცვლება. მაშასადამე, რეგიონალური და ადგილობრივი მრავალფეროვნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

იგივე განსხვავება არსებობს კარიბის და ვესტ-

ინდოეთის წყნარი ოკეანის რეგიონში გავრცელებულ მანგროვის ტყეებს შორის (რიკლეფსი და ლათამი 1993). ამერიკის ტროპიკებსა და დასავლეთ აფრიკაში გავრცელებული მანგროვის საზოგადოებები ერთი და იგივე 3 ან 4 სახეობას მოიცავს (დევისი 1940. იხ. სურ. 26.17). მალაიზიაში ფიზიკურად მსგავსი პირობებია, მაგრამ მანგროვის ვეგეტაცია 17 „ძირითადი“ და 23 „დამატებითი“ სახეობისგან შედგება (უოტსონი 1928) ანუ ამ ტერიტორიაზე მეტი მრავალფეროვნებაა.

გარემო პირობების მსგავსებისა და საზოგადოებათა მრავალფეროვნების განსხვავებულობიდან გამომდინარე, რეგიონებისა და ადგილობრივი საზოგადოებების სახეობათა სიმდიდრეზე ადგილობრივ თანასაზოგადოებებში მომხდარი ეკოლოგიური ურთიერთებულებებისგან განსხვავებული ფაქტორები მოქმედებს. მაშასადამე, მრავალფეროვნების სივრცითი სტრუქტურა დროისა და სივრცის პატარა შეალებზე მომხდარ ეკოლოგიურ პროცესებსა და სახეობათა ნარმოქმნასა თუ ისტორიულ მოვლენებზე პასუხისმგებელ, დიდ შეალაზე მომხდარ პროცესებს აირეკლავს.

ჩვენი დისკუსია სახეობების მრავალფეროვნების წარმოქმნასა და შენარჩუნებას შეეხება. მრავალფეროვნების შედეგები სიცოცხლისთვის აუცილებელი ენერგიის გარდაქმნაში კარგად ჩანს. ადამიანის მოქმედება მრავალფეროვნებას ამცირებს და მის შედეგებს ეჭვქვეშ აყენებს. ბიომრავალფეროვნების დაცვის ერთ-ერთი გზა გავრცელების ბუნებრივი არეალების შემცველი დიდი ტერიტორიების გამოყოფა და მათი ტევადობის დაცვაა. ეს ნიშნავს, რომ ტერიტორიებზე ადამიანის ზემოქმედება მინიმალური გაეხადოთ. ადამიანთა პოპულაციის ზრდასთან ერთად ეს მიზანი სულ უფრო შორეული ხდება და ბევრის აზრით, უფრო მნიშვნელოვანი ადამიანთა სიცოცხლისთვის აუცილებელი ძირითადი სისტემების შენარჩუნებაა. ბუნებრივ და ადამიანურ ლი-რებულებებს შორის კონფლიქტის გადაჭრისთვის ღირებულებები ერთმანეთს უნდა შევუთავსოთ და მათ შორის სხვაობა გავაბათილოთ.

## დასკვნა

**1.** ზოგიერთი თანასაზოგადოება სხვა თანასაზოგადოებაზე მეტ სახეობას შეიცავს. სახეობათა სიმდიდრე გოლოგიურ დროში და განედური გრადიენტების გასწროვ გავრცელების არეალის სტრუქტურასა და აღელვებაზეა დამკიდებული. სახეობათა სიმდიდრე პროდუქტიულობის განსხვავებულობასთანაც არის კავშირში.

**2.** ეკოლოგიაში სახეობათა მრავალფეროვნების შესახებ ორი შეხედულება არსებობს. ადგილობრივ-დეტერმინისტული შეხედულების მიხედვით, მრავალფეროვნება ადგილობრივ დონეზე მომხდარი ბიოლოგიური ურთიერთქმედებებით, მაგალითად კონკურენციით და მტაცებლობით არის გამოჩეული. რეგიონალურ-ისტორიულ შეხედულებაში მეტი აქცენტი სახეობათა დიფერენციაციაზე, რეგიონალურ დონეზე არსებულ მოძრაობაზე და ადგილობრივ და რეგიონალურ პროცესებს შორის ურთიერთქმედებაზე კეთდება. თანამედროვე ეკოლოგია ორივე შეხედულებას აღიარებს.

**3.** ალფა მრავალფეროვნება გავრცელების შედარებით ერთგაროვანი არეალის მცირე ტერიტორიაზე მობინადრე სახეობების რაოდენობა. გამა მრავალფეროვნება რეგიონში მობინადრე სახეობების რაოდენობაა. გავრცელების არეალების მრავალფეროვნებებს შორის სხვაობა (სახეობათა განახლება) ბეტა მრავალფეროვნებით იზომება. ბეტა მრავალფეროვნება გამა მრავალფეროვნების ალფა მრავალფეროვნებაზე შეფარდება. ალფა (ადგილობრივი) და ბეტა (განახლების) მრავალფეროვნების ცვლილება გამა (რეგიონალური) მრავალფეროვნების ცვლილებას ინვერს. მეტი გამა მრავალფეროვნება გავრცელების არეალის უფრო მეტ სპეციალიზაციას ნიშნავს.

**4.** კუნძულზე მობინადრე სახეობების რაოდენობის განსხვავებულობა რეგიონალური პროცესების, კერძოდ კონტინენტიდან ან კუნძულებდან მომხდარი იმიგრაციის მნიშვნელობაზე მიუთითებს სახეობათა მრავალფეროვნების შენარჩუნებაში. სახეობების იმიგრაცია კონტინენტზე ახალი სახეობების წარმოქმნის ტემპს ასახავს, რაც თავის მხრივ ასევე რეგიონალური პროცესია.

**5.** სახეობის გვართან შეფარდების საშუალებით რეგიონებს შორის სახეობათა განვითარების ტემპების შედარება ხდება, ხოლო მაღალი შეფარდება დივერსიულიკის თანამედროვეობაზე მიუთითებს. ტროპიკულ არებში სახეობების გვართან შეფარდება მცირეა და ეს ნიშნავს, რომ მრავალფეროვნება დიდი ხნის წინათ გაჩნდა. სახეობათა წარმოქმნის ტემპის გამოთვლისთვის ფილტრური ანალიზიც გამოიყენება.

**6.** დროის ჰიპოთეზის თანამად, ხანგრძლვად სტაბილურ ტერიტორიებზე, მაგალითად ტროპიკებში, სახეობების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე ხშირი და გავრცელებული რღვევის ტერიტორიებზე. ნამარხები და ფილოგენური კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ დროის ჰიპოთეზა ფრთხილად უნდა მივიღოთ.

**7.** ნიშის ცნება ინდივიდსა და გარემოს ფიზიკურ და ბიოლოგიურ ასპექტებს შორის დამოკიდებულებას ასახავს. თითოეული ფაქტორი ნიშის მრავალგანზომილებიანი სივრცის ღერძად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ნიშის სივრცეში ორგანიზმები და პოპულაციები ბინადრობენ. სახეობათა წინა ნიშის თითოეულ ღერძზე აღებული მნიშვნელობების შუალედია, რომელშიც პოპულაციას არსებობა შეუძლია.

**8.** ორ სახეობას შორის ეკოლოგიური კავშირი მათი ნიშების გადაფარვის ხარისხით შეგვიძლია აღინიროთ. ნიშების გადაფარვის ხარისხი ნიშის სიგანისა და ნიშებს შორის დაცილების ფუნქციაა.

**9.** სახოგადოება რესურსის ხარისხის და ეკოლოგიური პირობების ღერძებით განსაზღვრულ ნიშაში მობინადრე სახეობების ოჯახია. თანასაზოგადოებაში ახალი სახეობების შემოსვლამ შესაძლოა ნიშის მთლიანი სივრცე გაზარდოს, ნიშების გადაფარვის ადგილი შეამციროს (სპეციალიზაცია გაზარდოს). ნიშის მნიშვნელოვანი კომპონენტია მტაცებლებისგან გაქცევის შესაძლებლობა და ის შეგვიძლია რესურსად მივიჩნიოთ, რომლისთვისაც მსხვერპლი სახეობები კონკურენციაშია.

**10.** ეკოლოგებმა შენიშნეს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სახეობათა მრავალფეროვნება გარემოს პროდუქტულობასთან ერთად იზრდება. ამ მოვლენის ახსნისთვის სულ მცირე რომ მოსაზრება გამოითქვა და მათ პროდუქტიულობა-სტაბილურობის და ტაქსონთაშორისი კონკურენციის პიპოთეზა ენდოდებათ. ზოგჯერ მაღალი პროდუქტიულობა მცირე მრავალფეროვნებას ინვევს და ამ მდგომარეობას გამდაღრების პარადოქსს უწოდებენ.

**11.** ნიადაგის სახეობის, ტენიანობის და ტემპერატურის ცვლილება მცენარეთა სახეობების მრავალფეროვნებაზე და მაშასადამე მცენარეებსა და მცენარეებს შორის მობინადრე ცხოველებზე ზეგავლენას ახდენს. გარემო პირობების არამდგრადობა სახეობათა მრავალფეროვნებას ზოგჯერ ხელს უწყობს.

**12.** მტაცებლები მსხვერპლ სახეობებში მრავალფეროვნებას ხელს უწყობენ, ვინაიდან მსხვერპლ პოპულაციას (და მაშასადამე რესურსებისთვის კონკურენციას) ამცირებენ და თანაცხოვრების პირობებს აუმჯობესებენ. მტაცებლები და ავადმყოფობა სიმჭიდროვეზე არიან დამოკიდებული და ეს ფაქტიც მოყვანილი პიპოთეზის სისწორეს ამტკიცებს. მტაცებლებსა და მსხვერპლს შორის ურთიერთქმედების სივრცით მოდელებში ჩასრულდება. რომ რეგიონალური და ადგილობრივი პროცესების ურთიერთქმედების შედეგად მტაცებლისა და მსხვერპლის მრავალფეროვნება განისაზღვრება.

**13.** სახეობათა მრავალფეროვნებაზე აღელვებაც ახდენს ზეგავლენას. შუალედური რღვევის პიპოთეზის თანახმად, მრავალფეროვნება აღელვების შუალედური სიდიდის ტერიტორიებზე უფრო მეტია. ეს მოსაზრება მრავალფეროვნების რეგიონალურ სტრუქტურას არ გამორიცხავს. დინამიური წონასწორობის მოდელის მიხედვით, აღელვების ზეგავლენა თანასაზოგადოებაში შემავალი პოპულაციების ზრდის ტემპზეა დამოკიდებული, რაც თავის მხრივ რღვევის ინტენსივობასა და კონკურენციის შედეგად გამორიცხვას შორის ბალანსზეა დამოკიდებული.

**14.** ეკოლოგების აზრით, თუ კონკურენცია სახეობათა მრავალფეროვნების განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაშინ მისი ზეგავლენა თანამცხოვრებ სახეობებს შორის ნიშურ კავშირებში უნდა აისახოს. ნულოვანი მოდელი ბუნებრივ და სტატისტიკურად გამოყვანილ საზოგადოებაში განვითარება. კონკურენციის მნიშვნელობის მაჩვენებელი საზოგადოების თვისების ცვლილებაა, რაც მრავალ საზოგადოებაში შეინიშნება.

## სავარჯიშოები

- 1.** მოცემული პარაგრაფის დიდი ნაწილი სახეობათა მრავალფეროვნებას შეეხება. მე-8 თავში მოყვანილ ინფორმაციასა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით ეკოსისტემის მრავალფეროვნებაზე იმსჯელეთ.
- 2.** როგორ უნდა მოხდეს საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების დაცვა მრავალფეროვნების რეგულირების შესახებ რეგიონალურ-ისტორიული და ადგილობრივ-დეტერმინისტული შეხედულებების თანახმად?
- 3.** ნიშის თეორია და სახეობათა მრავალფეროვნების

ცნება აუხსენით ადამიანებს, რომელთაც ეკოლოგის კურსი არ გაუვლიათ.

- 4.** იზრდება თუ არა ცხოველთა ჯგუფების მრავალფეროვნება მაღალი პროდუქტიულობის მქონე გარემოში?
- 5.** ე.ო. უილსონის (1984) მოსაზრებით, შთამომავლობა ეკონომიურ კატასტროფას და ბირთვულ ომს უფრო გვაპატიებს, ვიდრე გლობალური ბიომრავალფეროვნების დაკარგვას. ეს მოსაზრება ეკოლოგიური თეორიის დახმარებით განმარტეთ.



## ნაციონალური თანასაზოგადოების ეკოლოგია





რგანიზმებს და გარემო პირობებს შორის ურთიერთქმედებისა და ბუნებრივი გადარჩევის შედეგად გამრავლების, საკვების მოპოვების, სოციალური ურთიერთქმედების, ზრდის და დაბერების თვისებები ყალიბდება. ორგანიზმი გარემო პირობებს ეგუება ან აკლიმატიზაციას გადის მოქმედებითი, ფიზიოლოგიური ან განვითარებადი რეაქციით და რეაქციათა ერთობლიობას ევოლუციური ადაპტაცია ეწოდება.

30-ე თავში ადაპტაციის თვისებებს შევისწავლით, ასევე ბუნებრივ გადარჩევას, ფენოტიპსა და გარემოს შორის ურთიერთქმედებების გენეტიკურ საფუძვლებზე გავამახვილებთ ყურადღებას. ორგანიზმები გარემო პირობების ცვლილებას უნდა შეეგუონ. 31-ე თავში ვნახავთ, თუ როგორ რეაგირებს მტაცებელი მსხვერპლის შეცვლაზე. ბუნებრივი გადარჩევა დროსა და რესურსებს კონკურენტულ მოთხოვნებზე, როგორიცაა გამრავლება და ზრდა, ანანილებს. ამ მოვლენის შედეგებს 32-ე თავში განვიხილავთ. სქესობრივ გამრავლებასთან დაკავშირებულ ადაპტირების უნარებს 33-ე თავში შევისწავლით. იმავე თავში მერყვილის შერჩევის და მშობლიური მზრუნველობის დინამიკას დავაკვირდებით და ვნახავთ, თუ როგორ ახდენს გადარჩევა სქესობრივი გზით გამრავლებულ ორგანიზმთა ეკოლოგიის ამ ასპექტებზე ზეგავლენას. ზოგიერთი ორგანიზმი სოციალურ სისტემებს ეგუება, ხოლო სხვები გამრავლებას წყვეტს ან მომავლისთვის გადადებს, რათა ახალგაზრდობის გაზრდაზე გადაიტანოს ყურადღება. ამგვარი სისტემების ევოლუციას 34-ე თავში შევისწავლით.

## თავი 30



### ევოლუცია და აღაპტაცია

#### გზამკვლევი კითხვები

- კვლევის რა ხუთი პროგრამა არსებობს ევოლუციურ ეკოლოგიაში?
- როგორ ცვლის ბუნებრივი გადარჩევა პოპულაციებში გენოტიპის სიხშირეს?
- რა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას ევოლუციის ტემპზე?
- რა კომპონენტებისგან შედგება ფენოტიპური გადახრა?
- რა კავშირია მემკვიდრეობითობას, სელექციაზე გამოძახილს და სელექციის დიფერენციალს შორის?
- როგორ ზღუდავს სელექციაზე გამოძახილის ერთობლიობა ევოლუციურ გამოძახილს?

- რა სარგებელი და საფასური აქვს სქესოპრივ გამრავლებას?
- რა ზეგავლენას ახდენს გენეტიკურ ცვალებადობაზე მცენარეთა ნათესაური დაწყვილება, აუთკროსნები (სხვადასხვა შტოების ნათესავების დაწყვილება) და სელექციური ჩამოუყალიბებლობა?
- რა განსხვავებაა ადაპტაციის შესახებ ფენოტიპური გაუმჯობესების და ევოლუციურად სტაბილური სტრატეგიის შეხედულებებს შორის?
- როგორ აკრიტიკებენ გოულდი და ლევონტინი ადაპტაციურ პროგრამას?

**ტ**კოლოგია შექმნის დღიდან სამ ბიოლოგიურ დისციპლინასთან მტკიდრო კავშირშია და ეს დისციპლინება: მემკვიდრეობითობის მექანიზმების შემსწავლელი გენეტიკა, პოპულაციათა გენეტიკური შემადგენლობის ცვლილების შემსწავლელი ევოლუცია და გენეტიკური კოპის ინდივიდის ფორმაში რეალიზაციის შემსწავლელი დისციპლინა. ცალკე ქვედისციპლინაა ევოლუციური ეკოლოგია და ის ორგანიზმების გარემო პირობებთან შეგუებისთვის საჭირო ფორმების და ფუნქციების ინტერპრეტაციაზე აკეთებს აქცენტს. მოცემულ თავში ადაპტაციის თვისებებს დაწვრილებით შევისწავლით.

#### 30.1. აღაპტაციას განეტიკური საფუძვლი აქვს

მცენარეების, ცხოველების და მიკროორგანიზმების

ეკოლოგია პოპულაციების გენოფონდსა და გარემო პირობების სელექციურ ფაქტორებს შორის ურთიერთქმედებას ასახავს. გარემო სელექციური მოქმედების ერთობლიობაა, რომელიც სხვადასხვა გენოტიპის მქონე ინდივიდებს შორის განსხვავებას ქმნის. ფენოტიპის მოქმედების მიმართ ევოლუციური გამოძახილი გააჩნია და ეს გამოძახილი ფუნქციონალურ შიდაკავშირებზეა დამოკიდებული, რომელიც ინდივიდის თვისებების ფორმას და ფუნქციას ზღუდავენ ანუ მათ ფიზიკურ კანონებს უქვემდებარებენ. ევოლუციური გამოძახილი პოპულაციაში მომხდარი გენეტიკური ცვლილების ხელმისაწვდომობაზეც არის დამოკიდებული. უფრო მეტიც, გენეტიკური ცვლილება ადაპტაციის გარკვეულ სახეობებს, ძირითადად პოპულაციის დაწყვილების სტრუქტურას, სასარგებლოს ხდის და გენეტიკური ცვლილება თითოეული ინდივიდის შთამომავლობაზე ოპტიმალურად აისახება.

## 30.2. არსებობს ევოლუციური ეკოლოგიური კონკრეტული მასაზე

ევოლუციური ეკოლოგიის მკვლევარები ხუთიდან ერთ ან მეტ მეთოდს იყენებენ. პირველი მეთოდი ევოლუციური ცვლილების მექანიზმების გააზრებას გენეტიკური თვალთახედვით გულისხმობს და გენეტიკური ცვლილების ხელმისაწვდომობის შედეგად დანესებულ შეზღუდვებსაც მოიცავს. ეს მეთოდი პოპულაციის გენეტიკისა და ევოლუციის შესახებ დანერილ კვლევებში (ჰარტლი 1980, მილკენი 1982, ფუტუმა 1986, ჰარტლი და კლარკი 1989) დაწვრილებით არის განხილული და ჩვენ მას მხოლოდ გაკვრით შევეხებით. მეორე მეთოდი ყურადღებას პოპულაციათა გენეტიკური ცვლილების გააზრებაზე ამახვილებს, რაც ინდივიდებს წყვილების გენოტიპების არჩევაში ანუ მათი შთამომავლობის გენოტიპის გაუმჯობესებაში პრობლემას უქმნის. მეცნიერები ამ მეთოდით გამრავლების სისტემებისა და მეწყვილის არჩევის სტრუქტურის სწავლობენ და მას დეტალურად 33-ე და 34-ე თავებში შევეხებით.

ჩვენ ძირითად ყურადღებას კვლევის მესამე მეთოდს დავუთმობთ, რაც ფორმის და ფუნქციის ადაპტაციის კონტექსტში წარმოდგენას გულისხმობს. ასეთ მიდგომას ხშირად ადაპტაციურ პროგრამას (გოულდი და ლევონტინი 1979) ან „სელექციურ მსჯელობას“ (ჩარნოვი) უწოდებენ და მის თანახმად, ევოლუციის შედეგად თვისებების კომბინაცია მიიღება, რომელიც რაიმე გარემოს საუკეთესოდ შეეფერება და ფიზიკური კანონებით დანესებულ ჩარჩოებში ჯდება. ამ მეთოდის გამოყენების ძირითადი მიზანი ფორმისა და ფუნქციის შეზღუდვის შედეგად გარემოში შესაძლო ფენოტიპების სელექციის გააზრება, ასევე პოპულაციებში შემავალ ინდივიდებს შორის ურთიერთებების თვისებებთან დაკავშირებული ვარგისიანობის სწორად განსაზღვრა და ადაპტაციური პარადიგმის გამოყენების სფეროების შესწავლაა.

მეოთხე მეთოდის გამოყენების ძირითადი მიზანი — ფენოტების გარემოსთან მორგების ხარისხის და მექანიზმების განსაზღვრაა. ფენოტიპის მორგება გარემოსთან გარემოს მიერ ფენოტიპის სელექციის და ფენოტიპის მიერ გარემოს სელექციის საშუალებით შეიძლება მოხდეს. საკითხავი ის არის, გარემოსადმი გამოძახილის რომელი ხარისხია ინდივიდის ან პოპულაციის გენოფონდის თვისება. გარდა ამისა, ორგანიზმების თვისებებში ევოლუციური ისტორია ნათლად ჩანს და ეს თვისებები მათი მონათესავე სახეობების მსგავსია გარემოს მიუხედავად. მაგალითად, ვარდის ოჯახში შემავალი მცენარეების ყვავილებს ხუთნანილიანი სიმეტრია გააჩნია, ხოლო შროშანის ოჯახის წარმომადგენლებს სამნანილიანი ან ექვსნანილიანი სიმეტრია ახსასიათებს. ყვავილის სიმეტრიაზე ევოლუციის ზეგავლენის გასაგებად მისი ეკოლოგიური სარგებლიანობა და ისტორიული განვითარება უნდა გამოვიკლიოთ.

ევოლუციური ეკოლოგიის კვლევის მეხუთე მეთოდი ცვლილობს, გაარკვიოს, თუ რა დონეზეა მოზრდილი ეკოლოგიური სისტემების ანუ საზოგადოებების და ეკოსისტემების თვისებები მათ ნაწილებს შორის ევოლუციურ კავშირებზე დამოკიდებული. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში ხშირად გამოვიყენებთ ევოლუციური ვარგისიანობის ცნებას. ვარგისიანობა ინდივიდის შთამომავლობის მიერ პოპულაციის მომავალ თაობაზე მომხდენილი ზეგავლენაა. გარდა ამისა, ვარგისიანობა ინდივიდის სიცოცხლის განმავლობაში იზომება და არა გამრავლების მხოლოდ ერთ სეზონში. ტერმინი „ვარგისიანობა“ ტერმინ „ნაყოფიერების“ სინონიმი არ არის, ვინაიდან ეს უკანასკნელი ინდივიდის მიერ შთამომავლობის წარმოქმნის ტემპს ასახავს. ვარგისიანობის შედარებისა ინდივიდის შედარება მისი პოპულაციის სხვა წარმომადგენლებთან ხდება და არა აბსოლუტურ ვარგისიანობასთან. მაშასადამე, სიცოცხლის განმავლობაში ოთხი მეტკვიდრის დამტოვებელი ინდივიდი ისეთ პოპულაციაში ვარგისიანია, რომლის ინდივიდები მხოლოდ ერთ მეტკვიდრეს ტოვებენ, ხოლო პოპულაციაში, სადაც ინდივიდები საშუალოდ 10 მეტკვიდრეს ტოვებენ, ნაკლებად ვარგისიანია.

## 30.3. გადარჩევაზე ევოლუციური რეაქცია მოვალეობას აოცულაციების განვითარება

ინდივიდის ფორმა და ფუნქცია ბუნებრივ პოპულაციაში იცვლება. ვიქტორიის ტბაში მობინადრე ქორწილები ზომით, ცურვის მაქსიმალური სიჩქარით, საჭმლის მონელების ტემპით და ა.შ. განსხვავდებიან. ასევე ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენს კლასში ყველას ერთი და იგივე სიმაღლე და კანის ფერი არ აქვს. ცვალებადობის მიზანი გენეტიკაა. ზოგიერთ შემთხვევაში, ინდივიდთა შორის განსხვავება ერთი გენეტიკური ქრომოსომის ადგილის ცვლილებით არის გამოწვეული. ადამიანის თვალის ფერის და ლამის პეპლის შეფერილობის განსხვავებულობა ერთი და იგივე გენის სხვადასხვა ფორმით არის გამოწვეული და ამ გენს ალელი ენოდება. ზოგჯერ თვისებების სახესხვაობა მრავალ ქრომოსომის მდებარეობით არის გამოწვეული და მათი ზეგავლენა შეიძლება იყოს დამატებითი, შემავსებელი ან შემცვლელი. პოპულაციის ცვლილებაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. ბუნებრივი ცვლილების პირველადი წყარო მუტაციაა. მუტაცია ბუნებაში მომხდარ ცვლილებაზე შედარებით სუსტად მოქმედებს. პოპულაციათა ცვლილებაზე ნაყოფიერების და სიკვდილიანობის კანონზომიერებას მოკლებული ცვლილებაც ახდენს ზეგავლენას და ამ მოკლენას გენეტიკური დრეიფი

ენოდება (იხ. პარაგრაფი 14). ცვლილებაზე მესამე ფაქტორიც ახდენს ზეგავლენას და ეს არის ემიგრაცია ან იმიგრაცია. ალელების სიხშირე პოპულაციებში ასორტაციულმა დაწყვილებამაც შეიძლება შეცვალოს. ასორტაციული დაწყვილება ნიშნავს, რომ მეწყვილეების შერჩევა კანონზომიერებად და გენოტიპების მიხედვით ხდება. მსგავსი არსებების დაწყვილება სახეობათაშორის დაწყვილებასაც შეიძლება შეიცავდეს და ამ მოვლენას პოზიტიური, ასორტაციული დაწყვილება ენოდება. მეწყვილეებს შორის განსხვავებულობის ტენდენციას უარყოფითი, ასორტაციული დაწყვილება ენოდება. დადებითი, ასორტაციული დაწყვილება (მაგალითად,  $A_1A_1 \times A_1A_1$ ) პოპულაციაში ჰეტეროზიგოტების პოპორციულ შემცველობას ამცირებს, ხოლო უარყოფითი, ასორტაციული დაწყვილების ( $A_1A_1 \times A_2A_2$ ) შედეგად საპირისპირო ხდება. აქედან გამომდინარე, დადებითი, ასორტაციული დაწყვილებისას რეცესიული ალელების, მათ შორის იშვიათი და საზიანო გენების რაოდენობა იზრდება. დაბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბუნებრივი გადარჩევა ცვლილებაზე ზეგავლენას ახდენს. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში ძირითადი ყურადღება ბუნებრივ გადარჩევას დაეთმობა. როდესაც გადარჩება რაიმე თვისებებზე, მაგალითად დამის პეპლების ფრთებზე არსებული შავი პიგმენტის რაოდენობაზე ხდება, ერთი გენის ქრომოსომის მდებარეობა ან რამდენიმე გენის ქრომოსომის მდებარეობა იცვლება. სხვა თვისებების, მაგალითად სხეულის ფორმის ან სოციალური მოქმედების გადარჩევა, ამ თვისებაზე პასუხისმგებელ, ურიცხვ გენზე ახდენს ზეგავლენას და შემდეგ ეს გენები ფენოტიპის სხვა თვისებებს ცვლის.

### ჰარდი-ვაინბერგის მოდელი

პოპულაციის გენეტიკა სელექციისა და გენეტიკური გამოძახილის ევოლუციას შესანავლის (კროუდა კიმურა 1970, ჰარტლიდა კლარკი 1989, ტამარინი 1993). 20-იანი ნლებიდან მოყოლებული, პოპულაციის გენეტიკის ძირითადი მიზანი სელექციაზე გამოძახილისას გენების სიხშირეების ცვლილების რაოდენობრივი პროგნოზირებაა. პოპულაციის გენეტიკური მოდელი ხშირად ძალიან რთულია, მაგრამ ბუნებრივი გადარჩევის არსის გაგება ძალიან მარტივი გენეტიკური მოდელითაც შეიძლება, რომელიც 1908 წელს, გ.პ. ჰარდიმ და ვ. ვაინბერგმა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აღმოჩინეს. მოდელის ძირითადი ამოცანა მენდელის მეტკვიდრეობითობაში გენეტიკური ცვლილების შენახვის პრინციპის გარკვევაა. ამ მოდელს ჰარდი-ვაინბერგის კანონი ენოდება და მის თანახმად, დიდ პოპულაციებში, სადაც დაწყვილება კანონზომიერების გარჩევე მიმდინარეობს (თითოეული ზიგოტა ნებისმიერი ორი გამეტის პირობითი კომბინაციის შედეგად იქმნება) და სელექცია, მუტაცია და მიგრაცია არ ხდება, ალელების და გენოტიპების სიხშირე თაობიდან თაობაზე არ იცვლება. ამ მოდელის

გამოყენება ბუნებრივი გადარჩევის კვლევისას შედარებისთვისაც შეიძლება. თუ გადარჩევა მიმდინარეობს პოპულაციაში, რომელიც დიდია, დახურულია და სადაც დაწყვილება კანონზომიერების გარჩევე ხდება, მაშინ ალელების სიხშირის ცვლილება რამდენიმე თაობის განმავლობაში გადარჩევით არის განპირდებული. ჩვენ ჰარდი-ვაინბერგის მოდელს დეტალურად შევისწავლით და სელექციის ზეგავლენის ასახვისთვის მისი გამოყენების მაგალითებსაც მოვიყვანთ. როდესაც პოპულაცია ჰარდი-ვაინბერგის ნონასნორობაშია, ჰომოზიგოტების და ჰეტეროზიგოტების პროპორციული რაოდენობა ნონასნორული მნიშვნელობისაა და ამ მნიშვნელობის გამოთვლა პოპულაციაში შემავალი თითოეული ალელის პროპორციული რაოდენობიდან შეიძლება. მაშასადამე,  $A$  ქრომოსომის  $A_1$  და  $A_2$  ალელები პოპულაციაში  $p$  და  $q$  სიხშირით გვხვდება ( $p+q=1$  და  $q=1-p$ ). პოპულაციაში შემავალი სამი შესაძლო გენოტიპიდან ორი  $A_1A_1$  და  $A_2A_2$  ჰომოზიგოტია, ხოლო ერთი  $A_1A_2$  ჰეტეროზიგოტია. ჰომოზიგოტი ჰარდი-ვეინბერგის ნონასნორობაში მყოფ პოპულაციაში  $p^2, q^2$  სიხშირით გვხვდება, ხოლო ჰეტეროზიგოტი  $-2pq$  სიხშირით. კანონზომიერების გარჩევე დაწყვილების შედეგად  $p^2+2pq+q^2=1$ . თუ  $A_1$  და  $A_2$  ალელების შეხვედრის სიხშირეა 0,7 და 0,3, მაშინ პოპულაციაში შემავალი  $A_1A_1$  გენოტიპების პროპორციული რაოდენობა 0,7<sup>2</sup>=0,49 (49%). ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ჰარდი-ვაინბერგის კანონის ყველა დაშვება მართებულია. იგივე ტიპის გამოთვლების შედეგად მივიღებთ, რომ გენოტიპების 42%  $A_2A_2$ -ია, ხოლო 9%  $A_1A_2$  ჰეტეროზიგოტია. ჰარდი-ვაინბერგის კანონის გამოყენებით ფარდობითი ვარგისიანობის გამოთვლაც შეიძლება. დავუშვათ,  $A_1A_1$  გენოტიპის ვარგისიანობა 1. თუ  $A_1$  დომინირებს  $A_2$ -ზე, მაშინ  $A_1A_2$  გენოტიპის ვარგისიანობა ასევე 1-ის ტოლია. დავუშვათ,  $A_2A_2$  გენოტიპის ვარგისიანობა რამე ა ნაწილით ნაკლებია და 1-ს მნიშვნელობის ტოლია. სელექციამდე  $A_1A_1$ ,  $A_1A_2$  და  $A_2A_2$  გენოტიპების სიხშირეებია შესაბამისად  $p^2, 2pq$  და  $q^2$  (ცხრილი 30.1). რამდენიმთ შეიცვლება თითოეული ალელის სიხშირე სელექციის ერთი თაობის განმავლობაში? გენოტიპების სიხშირეები თითოეული თაობისთვის მათი შესაბამისი ვარგისიანობის მნიშვნელობებზე მრავლდება და მომდევნო თაობის შთამომავლების რაოდენობა გამოითვლება. თუ  $A_1A_1$  და  $A_2A_2$  ფენოტიპების ვარგისიანობა 1 და 1-ს, მაშინ თითოეული გენოტიპის შთამომავლობის რაოდენობაა  $p^2, 2pq$  და  $(1-s)^2$ . შთამომავლობაში შემავალი  $A_1$  და  $A_2$  ალელების რაოდენობის გამოთვლის შემდეგ ჰომოზიგოტურ გენოტიპებზე მომხდარი გადარჩევის შედეგად  $A_2$  ალელის სიხშირის ცვლილება შეგვიძლია გამოვთვალით (ცხრილი 30.1). 30.1 ცხრილში ჩანს, რომ მემკვიდრე პოპულაციაში  $A_2$  ალელის პროპორციული რაოდენობა ( $q'$ ) არის  $A_2$  ალელების შეფარდება მთლიან რაოდენობასთან:

$$q' = \frac{pq + (1-s)q^2}{q^2 + pq + (1-s)q^2}, \quad (30.1)$$

### ცხრილი 30-1

### ალელის სიხშირეების ცვლილების ტემპი გადარჩევის პირობებში

	გენოტიპი		
	$A_1A_1$	$A_1A_2$	$A_2A_2$
საწყისი გენოტიპის სიხშირე	$p^2$	$2pq$	$q^2$
რეპროდუქციული წარმატება (ვარგისიანობა)	1	1	$(1-s)$
შთამომავლობის ფარდობითი პროპორცია	$p^2$	$2pq$	$(1-s)q^2$
შთამომავალ პოპულაციაში $A_1$ ალელის ფარდობითი პროპორცია	$p^2$	$pq$	
შთამომავალ პოპულაციაში $A_2$ ალელის ფარდობითი პროპორცია		$pq$	$(1-s)q^2$

ეს ფორმულა მარტივდება და გვაქვს:


$$q' = \frac{q(1-sq)}{1-sq}. \quad (30.2)$$

ერთი თაობიდან მეორეზე გადასვლისას ალელის სიხშირის ცვლილება  $\Delta q = q' - q$ . ალგებრული გადაქმნების შედეგად მივიღებთ:

$$\Delta q = \frac{sq + (1-s)q^2}{q^2 + pq + (1-s)q^2}, \quad (30.3)$$

როდესაც რეცესიული ჰომოზიგოტი მომაკვდინებელია ( $s=1$ ), 30.3 ფორმულა  $\Delta q = -q^2/(1+q)$  სახეს იღებს. ეს ნიშნავს, რომ  $A_2$  ალელის სიხშირის ცვლილება მთლიანად არის დამოკიდებული პოპულაციაში  $A_2$ -ის პროპორციულ რაოდენობაზე. როდესაც გადარჩევა სუსტია ( $s$  მცირეა ანუ 0,01-ზე ან 1%-ზე ნაკლებია), 30.3 ფორმულა  $\Delta q = -sq^2/(1-q)$  სახეს იღებს.

მიღებული ფორმულები ამტკიცებენ, რომ  $A_2A_2$  გენოტიპზე მომხდარი გადარჩევა ყოველთვის  $A_2$  ალელის სიხშირის შემცირებას იწვევს. გარდა ამისა,  $q$ -ს ცვლილების ტემპი პოპულაციაზე სელექციურ ზენოლასა და  $A_2$  ალელის სიხშირზეა დამოკიდებული. მაგალითად,  $q$  უსწრაფესად მაშინ იცვლება, როდესაც ის შედარებით მეტია ანუ ჰომოზიგოტურ ფორმაში  $A_2$  ალელის შედარებით დიდი რაოდენობაა (სურ. 30.1).



**სურ. 30.1.** რეცესიული, საზიანო ალელის სიხშირის ცვლილების ტემპის ალელის სიხშირზე და სელექციის სიძლიერეზე დამოკიდებული ფუნქცია


ევოლუცია მხოლოდ მაშინ წყდება ( $\Delta q=0$ ), როდესაც  $q$  0-ის ან 1-ის ტოლია ანუ  $A_1$  ან  $A_2$  ალელის რაოდენობა პოპულაციაში ფიქსირებულია და გენეტიკური ცვლილება აღარ ხდება.

### ევოლუციის ტემპი

ზემოთ აღნერილი მოდელები ერთი გენის ცვლილებას და ერთი ალელის მიერ მეორეზე უპირატესობის მოპოვებას პროგნოზირებს. სელექციის ერთი თაობის შედეგად ალელის სიხშირეების ცვლილების გამოსათვლელი ფორმულები ხანგრძლივი სელექციის და მრავალი თაობის განმავლობაში პოპულაციის განვითარების პროგნოზისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ. იგივე ფორმულები გარემოს ცვლილებაზე პოპულაციის გენეტიკური გამოძახილის სისწრაფეზე მიგვითოთებენ.

დღმინნტური ალელის მიერ რეცესიული ალელის ჩანაცვლებისთვის საჭირო დრო მის საწყის სიხშირზე და სელექციის სიძლიერეზე დამოკიდებული. ამის დასამტკიცებლად კიდევ ერთხელ დავაკვირდეთ *Peppered moth*-ს (*Biston betularia*), რომელიც ინგლისის ტყეებში ბინადრობს და დღის განმავლობაში ლიქენით დაფარულ ხეებზე ისვენებს. პირველი პარაგრაფიდან გაიხსენეთ, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში, ამ სახეობის მუქი და მელანინისფერი წარმომდგენლები იშვიათები იყვნენ, თუმცა შემდგომი 100 წლის განმავლობაში მუქი სახეობა (*carbonaria*) გავრცელდა და ინგლისის ინდუსტრიულ რეგიონებში მდებარე ტყეებში ხშირი გახდა. გარემო პირობების ცვლილებამ მუქ სახეობებს შეტი უპირატესობა შესძინა და ბუნებრივი გადარჩევის შედეგად ღია ფერის, ტიპიური ინდივიდები *Carbonaria*-ებმა შეცვალეს. ამ ჰიპოთეზის შემოწმებისთვის ინგლისელმა ბიოლოგმა ჰ. დ. კეტლველმა სახეობის ორივე წარმომადგენლის ფარდობითი გარგისიანობა მათი სიხშირეებისგან დამოუკიდებლად გამოთვლა.

კეტლველის ექსპერიმენტების შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტიპიური (ღია) შეფერილობის მქონე რეცესიული, ჰომოზიგოტური გენოტი-



**სურ. 30.2.** ინდუსტრიული დაბინძურების რეგიონის *peppered moths*-ების პოპულაციაში *carbonaria* ალელის სიხშირის ცვლილება, როდესაც სელექციის დიფერენციალი კეთლვუდის ექსპრიმენტის თანახმად  $s = 0,53$  ტიპიური შეფერილობის მქონე, პომიზიგოტური გენოტიპებისა და  $s = 0,1$  მნიშვნელობის მქონე გენოტიპებისთვის გამოითვლება. ა) ალელების სხვადასხვა საწყისი სიხშირეების შედარება; ბ) სხვადასხვა სიძლიერის სელექციის შედარება

პის ვარგისიანობა *carbonaria*-ს გენოტიპის მხოლოდ 47%-ია და ამიტომ ვარგისიანობის დიფერენციალი ანუ ტიპიურ ფორმასთან შედარებით სელექციის სიმძლავრე  $s=0,53$  მნიშვნელობისაა. ამ ინფორმაციისა და 30.3 ფორმულის დახმარებით *carbonaria* ალელის სიხშირის დროში ცვლილების პროგნოზი შეიძლება, თუ დავუშვებთ, რომ სელექცია ტიპიური შეფერილობის მქონე, პომიზიგოტურ გენოტიპებზე ხდება (სურ. 30.2). *carbonaria* დომინანტური ალელია, ამიტომ ის სელექციას დაბალ სიხშირეებზეც ექვემდებარება და ალელის საწყისი სიხშირე ევოლუციური ცვლილების ტემპზე დიდ ზეგავლენას არ ახდენს (სურ. 30.2a). სელექციის დაწყებიდან დაახლოებით 50 თაობის შემდეგ პოპულაციაში დომინანტური მელანინისფერი შესახედაობა იქნება. თუ სელექცია სუსტია, გადასვლას უფრო მეტი დრო დასჭირდება (სურ. 30.2b).

#### 30.4. ეკოლოგიური ინტერაციების პერიოდის პრინციპების კონცენტრირების საფუძველი აქვს

ორგანიზმებსა და გარემოს შორის კავშირები სხვადასხვა თვისებების, მათ შორის დანამატების სიგრძის, სხეულის ზომისა და ფორმის, თმის ან კუტი-


კულების სისქის და მოქმედების უწყვეტი გრადაციის ცვლილებაზეა დამოკიდებული. ამ თვისებების ცვლილება მრავალ ქრომოსომაზეა დამოკიდებული და ამიტომ სელექციაზე გამოძახოლის ანალიზისთვის, ერთგენიანი თვისებებისან განსხვავებით, პოპულაციის მარტივი გენეტიკური მოდელი არ გამოგვადგება. მეცხოველეებს და მებალეებს აინტერესებთ ისეთი თვისებები, როგორებიცაა რძის ნარმოება, ზეთის შემცველობა თესლში, კვერცხისდების ტემპი. ეს თვისებები მუდმივად იცვლება, მათი მათემატიკური გამოთვლა შესაძლებელია, ხოლო ამ თვისებების გამოძახილს სელექციაზე **რაოდენობრივი გენეტიკა** ეწოდება (ბულმერი 1980, ფალკონერი 1981). რაოდენობრივი გენეტიკის თეორია ეფუძნება დაშვებას, რომლის თანახმად, პოპულაციაში მომხდარი ცვლილება ერთი და იგივე ეფექტის მქონე მრავალი გენის დამატებითი ზეგავლენების შედეგებია. აქედან გამომდინარე, მაგალითად კიდურების სიგრძეზე უამრავი გენეტიკურმა ქრომოსომა ახდენს ზეგავლენას და თითოეული მათგანი პოპულაციისთვის დამახასიათებელ საშუალო სიგრძეს ზრდის ან ამცირებს. რაოდესაც სიგრძის გამზრდელი ალელების რაოდენობა მეტია, ინდივიდს საშუალოზე გრძელი კიდური ექნება.

რაოდენობრივი გენეტიკა გენის მოქმედების ცნებას ამარტივებს (ტომპსონი და ტოდეი 1979) და სელექციური გამრავლების პროგრამების შედეგის პროგნოზისთვის ძალიან სასარგებლოა. რაოდესაც ხელოვნური გადარჩევა ბუნებრივს წააგავს, რაოდენობრივი გენეტიკა ბუნებრივი პოპულაციების ევოლუციური გამოძახილის შესწავლაში გვეხმარება.

#### თვისებიდან გადახრა

რაოდენობრივი გენეტიკის ძირითადი არსი პოპულაციაში მომხდარი თვისებიდან გადახრაა. გადახრა ცვლილების სტატისტიკური საზომია და ინდივიდების საშუალო მნიშვნელობიდან გადახრის კვადრატის საშუალოა. მე-2 პარაგრაფიდან გაიხსენეთ, რომ  $n$  რაოდენობის ინდივიდისგან შემდგარ პოპულაციაში  $X$  ცვლადის  $s^2$  გადახრაა  $s^2 = \sum(X_i - \bar{X})^2/(1 - n)$ , სადაც  $X_i$  არის თითოეული  $i$  ( $i=1$ -დან  $n$ -მდე) ინდივიდის მნიშვნელობა, ხოლო  $\bar{X} = \text{პოპულაციაში } X\text{-ის საშუალო } \bar{X}$  მნიშვნელობა.  $X$  სიღიდით რაიმე თვისება ან მახასიათებელი იზომება. პოპულაციის გენეტიკაში გადახრის აღნიშნისთვის  $s^2$ -ის ნაცვლად  $V$  სიმბოლოს იყენებენ. ჩვენ მიღებულ წესს არ შევენინაალმდეგებით.

მუდმივად ცვლადი თვისებების მნიშვნელობები ბუნებრივ პოპულაციაში ზარის ფორმის გრაფიკს ქმნის, ინდივიდების უმეტესობა საშუალო მნიშვნელობასთან არის შეჯგუფებული, ხოლო მათი სიხშირები ექსტრემალურ მნიშვნელობებზე ქრება (სურ. 30.3. იხ. აგრეთვე სურ. 2.3). ინდივიდის გარკვეული თვისების მნიშვნელობას ფენოტიპური ეწოდება და მასზე გენეტიკა და გარემო ახდენს ზეგავლენას. პოპულა-



**სურ. 30.3.** ევროპული შოშიის (შტურნუს კულგარის) კვერცხების წონათა სიხშირული განანილება პენსილვანიაში, ფილადელფიაში. ბუნებრივ პოულაციებში აღმოჩენილი ცვალებადი თვისებების მსგავსად, ამ თვისების გრაფიკიც ზარის ფორმისაა.


ციის საშუალოდან გადახრის ორივე წყარო გადახრის გამოთვლისას გამოიყენება, ამიტომ **ფენოტიპურ გადახრას** ( $V_p$ ) ორი კომპონენტი გააჩნია. ერთი მათგანი გენეტიკათ არის გამოწვეული და მას **გენოტიპურ გადახრა** ( $V_G$ ) ეწოდება, ხოლო მეორე კომპონენტი გარემო ფაქტორების შედეგად მიიღება და მას **გარემო პირობების შედეგად გადახრას** ( $V_E$ ) უწოდებენ. კომპონენტების შეკრება მთლიან ფენოტიპურ გადახრას გვაძლევს ანუ  $V_p = V_G + V_E$ .

გენოტიპური გადახრა თავადაც რამდენიმე ნანილად იყოფა.  $V_A$  არის **დამატებითი გადახრა**, რომელიც ჰიმოზიგოტური ფორმით გამოსახული ალელების საშუალებით განისაზღვრება.  $V_D$  **დომინანტური გადახრაა** და ის ჰიმოზიგოტური ფორმის ალელების ურთიერთქმედების შედეგად მიიღება.  $V_I$  **ურთიერთქმედების გადახრაა** და ქრომისომის გარკვეულ მდებარეობაზე ალელების გამოხატულებაზე სხვადასხვა გენებით გამოწვეულ ზეგავლენებს აერთიანებს. ზოგადად,  $V_G = V_A + V_D + V_p$  თუმცა გადახრის შემდგომი ზრდა გენოტიპებისა და გარემო პირობების, ასევე სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი ფაქტორების ურთიერთკავშირის შედეგად შეიძლება იყოს გამოწვეული.

რაოდენობრივი გენეტიკის ძირითადი მიზანი ფენოტიპური გადახრის რამდენიმე კომპონენტის მნიშვნელობის გამოთვლაა. სელექციაზე გამოძახილი გადახრის მხოლოდ დამატებითი გენეტიკური კომპონენტით არის გამოწვეული, ვინაიდან  $V_A$  პოპულაციის გენეტიკურ მრავალფეროვნებას ანუ ევოლუციური ცვლილების განმავლობაში ჩანაცვლებულ სხვადასხვა ალელებს ასახავს. ფენოტიპური გადახრა, გამრავლების პროგრამებში ჩატარებული სტატიკური ანალიზის შედეგად, რამდენიმე კომპონენტად შეიძლება დაიყოს (ფალკონერი 1981). ასეთი ანალიზისას ნათესავების, ჩვეულებრივ მშობლებისა და შვილების ან დების და ძმების ფენოტიპურ მნიშვნელობებს შორის დამოკიდებულება გამოიყენება.

### მემკვიდრეობითობა

დამატებითი გენეტიკური ფაქტორებით გამოწვეული ფენოტიპური გადახრის პროპორციული შემადგენლობა შეფარდების სახით გამოისახება, რომელსაც თვისების მემკვიდრეობითობა  $h^2 = V_A / V_p$ . ცხვრების, შინაური ფრინველების და მარცვლეული კულტურების თვისებების  $h^2$  მნიშვნელობები 30.2 ცხრილშია ჩამოთვლილი. მონაცემების თანახმად, ზომის მემკვიდრეობითობა უფრო მეტია (0,5-0,7), ვინაიდან გარემო ამ თვისებაზე ნაკლებად ახდენს ზეგავლენას, ხოლო წონის მემკვიდრეობითობა შედარებით მცირება (0,2-0,35). წარმოქმნასა და ნაყოფიერებასთან დაკავშირებული თვისებები, რომელიც ენერგიასა და საკვები ნივთიერებების უფრო დიდ რაოდენობას მოითხოვს, ნაკლებად მემკვიდრეობითია. მაშასადამე, რეში ცხიმის პროცენტული შემცველებაზე ძლიერი გენეტიკური კონტროლია ( $h^2 = 0,6$ ), ხოლო რძის მთლიანი რაოდენობა ნაკლებად მემკვიდრეობითია (0,3). ქათმის კვერცხის ზომის ცვლილებას მოზრდილი დამატებითი გენეტიკური კომპონენტი აქვს (0,6), ხოლო კვერცხისდების ტემპი ნაკლებად მემკვიდრეობითია (0,3). დიდი რაოდენობით რესურსების მომთხოვნი ნებისმიერი თვისება ამ რესურსების ცვლილებისადმი მგრძნობიარეა. ნაყოფიერება და სასიცოცხლო ციკლის თვისებები ნაკლებად მემკვიდრეობითია (0,05-0,5). ველურ პოპულაციებში შემავალი ინდივიდების თვისებების მემკვიდრეობითობა შინაური ცხვევლების მსგავსია (ბოაგი 1983, პარაისი და სხვები 1984, ნორდვიკი 1984, ჩევერუდი და დიტუსი 1992, გუ და დანტანარაიან 1992, ჰაკარაინენი და სხვები 1996).



**სურ. 30.4.** გალაპაგოსის კუნძულებზე მობინადრე დარვინის სკვინის ერთ-ერთი წარმომადგენლის *Geospiza fortis*-ის ნისკარტის ზომის შემცველების ერთ-ერთი წარმომადგენლის *Geospiza fortis*-ის ნისკარტის მნიშვნელობა გამოსახული, ხოლო ვერტიკალურ ლერძეზე შშობელთაშორისი მნიშვნელობა გამოსახული და ბელოვალებულ ლერძეზე შვილის ნისკარტის სიგრძეა. ნორდვიკის გადახრა დაბელოვებით 0,82-ია, რაც ნისკარტის სიგრძის ძლიერ მემკვიდრეობითობაზე მოუთითებს.

## ცხრილი 30-2

**მოშინაურებული და ლაპორატორული ცხოველებისა და მცენარეების  
რამდენიმე თვისების მემკვიდრეობითობა**

თვისება	ორგანიზმი	მემკვიდრეობითობა
ზომა ან სიგრძე		
მცენარის სიმაღლე	მარცვლეული მცენარე	0,70
ფესვის სიგრძე	ბოლოკი	0,65
კუდის სიგრძე	თაგვი	0,60
მატყლის სიგრძე	ცხვარი	0,55
სხეულის სიგრძე	ღორი	0,50
წონა		
სხეულის წონა	ცხვარი	0,35
სხეულის წონა	ღორი	0,30
სხეულის წონა	ქათამი	0,20
პროდუქცია		
ცხიმის შემცველობა რძეში	მსხვილფეხა საქონელი	0,60
კვერცხის წონა	ქათამი	0,60
ქონის სისქე	ღორი	0,55
მატყლის წონა	ცხვარი	0,40
წველადობა	მსხვილფეხა საქონელი	0,30
ნაყოფიერება		
კვერცხის დება	ქათამი	0,30
ნაყოფი	მარცვლეული მცენარე	0,25
ნამატის რაოდენობა	ღორი	0,15
ნამატის რაოდენობა	თაგვი	0,15
ნაყოფის ჩასახვის ტემპი	მსხვილფეხა საქონელი	0,05
სასიცოცხლო ციკლი		
კვერცხის დადების ასაკი	ქათამი	0,50
სქესობრივი მომწიფების ასაკი	ვირთხა	0,15
სიცოცხლისუნარიანობა	ქათამი	0,10

მემკვიდრეობითობის გამოთვლა მშობლისა და შვილის ფენოტიპების საშუალოების შედარებით შეიძლება. მშობლისა და შვილის მსგავსება თითქმის მთლიანად არის დამატებითი გენეტიკური ზეგავლენების შედეგი. ინდივიდის მშობლების ფენოტიპის საშუალოს მშობელთაშორისი მნიშვნელობა ეწოდება. მშობლისა და შვილის მნიშვნელობებს შორის დამოკიდებულებების აღქმისთვის მშობელთაშორისი მნიშვნელობების გრაფიკი უნდა აფაროთ, რომელზეც შვილის ფენოტიპები უ ღერძზე იქნება გამოსახული (სურ. 30.4.). ამ წერტილებზე რეგრესიის წრფის გადახრა  $H^2$ -ის მნიშვნელობისაა. გარემომ და ეპისტაზის (როდესაც ერთი ქრომოსომის ალელები მეორე ქრომოსომის ალელების გამოსახულებაზე ზეგავლენას ახდენს) ამგვარმა პროცესებმა მშობლისა და შვილის მნიშვნელობებს შორის დამოკიდებულება შეიძლება შეასუსტოს და თვისების მემკვიდრეობითობაზე ზეგავლენა მოახდინოს.

### 30.5. რაოდენობრივი შტრიხების ხელოვნური გადარჩევა გამოსატავს გუნდი პრაულაციებით ევოლუციის ზოგადასიათებელს

მეცხოველეები და მებაღეები ხელოვნურ გადარჩევას იყენებენ და გასამრავლებელ ინდივიდს ირჩევენ. მაშასადამე, მატყლის მისაღებად სასურველი თვისების მატყლის მქონე დედალი და მამალი ცხვრები უნდა დაწყვილდნენ. ხელოვნური გადარჩევა ცვლილებას ეფუძნება და მეცხვარეს წყვილების არჩევის საშუალება უნდა ჰქონდეს. ხელოვნური გადარჩევა ბუნებრივ პოპულაციებში მომხდარ გადარჩევაზე უფრო ინტენსიურია. მეცხოველეები ხშირად არჩევენ ისეთ ინდივიდებს, რომელთაც ველურ ბუნებაში გადარჩენის შანსი არ აქვთ, სამაგიეროდ რაიმე ეკონომიკური ღირებულების მქონე თვისება გააჩინათ (შინაური ინდაური კარგი მაგალითია). მიუხედა-

გად გარევეული სხვაობებისა, სელექციური გამრავ-ლების პროგრამები ბუნებრივ პირობებში მომხდარ ევოლუციურ გამოძახილებს მაინც ასახავს.


### გამოძახილი სელექციაზე

სელექციის ერთი თაობის ( $R$ ) შედეგად რაოდენობრივი თვისების (პოლიგენური კონტროლის ქვეშ მოქცეული თვისების) ცვლილება პოპულაციის საშუალო მნიშვნელობიდან შერჩეულ ინდივიდებს შორის სხვაობაზე და თვისების მემკვიდრეობითობაზეა დამოკიდებული. ამ სხვაობას სელექციის დიფერენციალი ენოდება, ხოლო რაოდენობრივი თვისების ცვლილება შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$R = h^2 S \quad (30.4)$$

მაგალითად, თუ  $h^2=0,5$  და პოპულაციის საშუალო მნიშვნელობაზე 10 ერთეულით დიდი ზომის დედალი და მამალი ცხოველების ( $S=10$ ) დაწყილება ხდება, მაშინ ამ ცხოველების შთამომავლობა არასელექციური პოპულაციის საშუალო მნიშვნელობასთან შედარებით 5 ერთეულით დიდი ზომის იქნება. რაც უფრო მეტია თვისების მემკვიდრეობითობა, მით უფრო მცირე რაოდენობით ინდივიდის სელექცია ხდება და სელექციის შემდეგი თაობისთვის უფრო მცირე რაოდენობის შთამომავლობა რჩება. როდესაც სელექცია მეტისმეტად ძლიერია, პოპულაცია კლებულობს და საბოლოოდ გადაშენების პირას მიღის. ხელოვნური გადარჩევის პროგრამებშიც კი სელექციის ძალა პოპულაციის ზომითა და შერჩეული ინდივიდების გამრავლების ტემპით იზღუდება, რათა სელექციის შედეგად გამორიცხული ინდივიდები სხვებმა შეცვალონ.

$R$ -ის და  $S$ -ის მნიშვნელობები პოპულაციაში ჩატარებული გაზომვებიდან სტანდარტული გადახრის ჯერადებია, ხოლო სტანდარტული გადახრა ( $s$ ) საცდელი გადახრის კვადრატული ფესვია. თოთოეული მნიშვნელობა სტანდარტული გადახრის ერთეულებში გამოისახება და პოპულაციაში პროცენტილის ხდება სელექციაზე გამოძახილი.



**სურ. 30.5.** პიპოთეტური თვისების ცვლილების დააგრამა. სურათზე ნაჩვენებია გაზომვის შეალას, სტანდარტულ გადახრასა და გარევეულ მნიშვნელობაზე მეტი ფენოტიპური მნიშვნელობების მქრებ პოპულაციის პროცენტულ რადგენობას შორის დამოკიდებულება. მაგალითად, პოპულაციათა 16%-ის ფენოტიპური მნიშვნელობები საშუალო მნიშვნელობიდან ზემოთ ან ქვემოთ სტანდარტული გადახრაზე მეტია (მნიშვნელობილი ფართობი).

გარევეულ რანგს შეესაბამება. ნულოვანი ა პოპულაციის საშუალო მნიშვნელობაა, ხოლო როდესაც მნიშვნელობები საშუალო მნიშვნელობის გარშემო სიმეტრიულად არის განაწილებული, ინდივიდების ნახევარი ამ მნიშვნელობიდან მაღლა ხვდება, ხოლო მეორე ნახევარი იგივე მნიშვნელობიდან დაბლა მდებარეობს. მნიშვნელობების ნორმალური განაწილების პირობები, როგორც ეს არის 30.5 სურათზე, ინდივიდების 31% საშუალო მნიშვნელობიდან +0,5s-ზე მაღლაა, ხოლო 31% საშუალო მნიშვნელობიდან -0,5s-ზე ქვემოთაა. ინდივიდების 16%-ის მნიშვნელობები +1,0s-ზე მეტი ან -1s-ზე ნაკლებია, 7% 1,5s-ს აღემატება, ხოლო 2,3% 2s-ს აღემატება. შედეგად, რაც უფრო ინტენსიურია სელექცია (რაც უფრო მეტია  $S$ -ის მნიშვნელობა), მით უფრო მცირე რაოდენობით ინდივიდის სელექცია ხდება და სელექციის შემდეგი თაობისთვის უფრო მცირე რაოდენობის შთამომავლობა რჩება. როდესაც სელექცია მეტისმეტად ძლიერია, პოპულაცია კლებულობს და საბოლოოდ გადაშენების პირას მიღის. ხელოვნური გადარჩევის პროგრამებშიც კი სელექციის ძალა პოპულაციის ზომითა და შერჩეული ინდივიდების გამრავლების ტემპით იზღუდება, რათა სელექციის შედეგად გამორიცხული ინდივიდები სხვებმა შეცვალონ.

სელექციის ინტენსივობას (შერჩეული ინდივიდების პროცენტულ რაოდენობას), სელექციის დიფერენციალს ( $S$ ) და სელექციაზე გამოძახილს ( $R$ ) შორის დამოკიდებულების კარგი მაგალითი ხოჭო *Trifolium castaneum*-ის კვერცხისდების ტემპის სელექციის პროგრამა (რუანდა და სხვები 1975). კვლევის მიზანი სელექციის ჩატარებაა, რომლის შედეგად კვერცხის წარმოების ტემპი უნდა გაიზარდოს. პოპულაციის მოზრდილი წარმომადგენლის გაჩენის შემდეგ 7-11 დღის განმავლობაში დადებული კვერცხის რაოდენობის საშუალო მნიშვნელობა 19-ის ტოლია, სტანდარტული გადახრაა 11,8, ხოლო მემკვიდრეობითობა ( $h^2$ ) 0,30. სელექციის სხვადასხვა ინტენსივობებისთვის (50%-დან 5%-მდე) ერთი საკონტროლო და ხუთი ჩვეულებრივი შტო შემოიღეს (ცხრილი 30.3). ცვალებადობის, მემკვიდრეობითობის და სელექციის დიფერენციალის ცოდნის შემთხვევაში პოპულაციის მიერ სელექციაზე საწყისი გამოძახილის გამოთვლა შესაძლებელია. მაგალითად,  $C$  შტოში სელექციის ინტენსივობაა 80%, ხოლო სელექციის დიფერენციალია 1,4s (ფალკონერი 1981) ანუ 16,5 კვერცხი ( $1,4 \times 11,8$ ). მემკვიდრეობითობა 0,3, ხოლო ერთ თაობაზე სელექციისადმი გამოძახილია დაახლოებით 5 კვერცხი ( $R=h^2S=0,30 \times 16,5$ ). რეალური ანუ კვლევის შედეგად გამოვლენილი გამოძახილი პროგნოზირებულზე მცირე აღმოჩნდა (3 კვერცხი ერთ თაობაზე) და ამის სავარაუდო მიზეზი ის არის, რომ მემკვიდრეობითობის გამოთვლისას დედობრივი და დომინანტური მოქმედება დამატებით გენეტიკურ ცვლილებასთან ერთად გავითვალისწინეთ. სამაგიეროდ, ხოჭოების პოპულაცია ზუსტად პროგნოზის მიხედვით მოქ-

### ცხრილი 30-3

ნაყოფიერების გაზრდისთვის ჩატარებული გადარჩევა *Tribolium castaneum*-ის ექვს შტოზე.

შტო	გამორიცხული ოჯახების რაოდენობა	გამორიცხული დედლების რაოდენობა	გამორიცხულთა მთლიანი რაოდენობა	შერჩეულთა მთლიანი რაოდენობა	სელექციის ინტენსივობა	სელექციის დიფერენციალი (S)*
A	10	20	200	10	95	2,0
B	20	10	200	20	90	1,8
C	40	5	200	40	80	1,4
D	66	3	198	66	67	1,1
E	100	2	200	100	50	0,8
F	200	1	200	200	0	0,0

\* სტანდარტული გადახრის ერთეულები

მედებდა გამოძახილის ტემპის ცვლილების თვალსაზრისით, რადგან ეს ტემპი სელექციის ინტენსივობისადმი პირდაპირობორული იყო (სურ. 30.6.).


პოპულაციებზე სელექციური მოქმედების გაგრძელების შემდეგ სელექციაზე გამოძახილი საერთოდ წყდება და ეს მდგომარეობა 30,6 სურათზე კარგად ჩანს. შენელებული გამოძახილის მიზეზებია სელექციის შედეგად გენეტიკური ცვლილების ეროზია და სხვა თვისებების ცვლილების გამო სელექციისთვის განეული წინააღმდეგობა. სელექცია მხოლოდ მაშინ მუშაობს, როდესაც ინდივიდები პოპულაციაში გენეტიკურად იცვლებიან. სელექციის შედეგად ყველა უვარგისი ალელის მოცილების შემდეგ ევოლუცია ჩერდება, ვიდრე ახალი მუტაცია ან გენთა კომბინაცია არ გაჩნდება.

### მაქსიმალური გამოძახილი სელექციაზე


რა მაქსიმალური და ხანგრძლივი გამოძახილი აქვს სელექციას? გასაკვირია, მაგრამ ლაპორატორული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ სელექციას არა-

სელექციურ პოპულაციაში მიღებული ექსტრემალური მნიშვნელობის მიღმა არსებული ფენოტიპების შექმნაც შეუძლია. არასელექციური იაპონორი მწყერის სხეულის საშუალო წონა 91გ, ხოლო სტანდარტული გადახრაა 8გ. სელექციის 40 თაობის შემდეგ პოპულაციის საშუალო წონა 200გ-მდე ანუ არასელექციური პოპულაციის საშუალო მნიშვნელობაზე თითქმის 14ს ერთეულით იზრდება (სურ. 30.7. მარკსი 1978). მემკვიდრეობითობა ( $h^2=R/S$ ) პირველიდან მეათე თაობის 0,3-0,45 მნიშვნელობიდან 11-30 თაობამდე 0,15-0,2 მნიშვნელობამდე შემცირდა, ხოლო 31-40-ე თაობამდე 0,05-0,10 მნიშვნელობამდე ჩამოვიდა.

ჩვენ შეგვიძლია სელექციაზე ხანგრძლივი გამოძახილი რაოდენობრივი თვისებების განმსაზღვრელი ალბათობის განაწილების საშუალებით გამოვთვალოთ, თუ ახალი გენეტიკური ცვლილება არ გვაქვს (რობერტსონი 1970, დუდლი 1977). დავუშვათ, სხეულის ზომაზე ან სიგრძეზე η რაოდენობის გენეტიკური ქრომოსომა ახდენს ზეგავლენას და თითოეულ მათგანში (-) და (+) ალელია. როდესაც თითოეული ქრომოსომის ადგილზე (-) ალელია, ინდივიდი ჰომოზიგოტურია და მინიმალური ზომა აქვს. თითოეული (+) ალელი განზომილებას ერთ ერთეულს უმატებს, ამი-



სურ. 30.6. *Tribolium castaneum*-ის მიერ კვერცხისდების ტემპის ცვლილება სხვადასხვა ინტენსივობის სელექციისას F-დან A-მდე (ცხრილი 30.3).



სურ. 30.7. ოთხი კვირის იაპონური მწყრის სხეულის წონა საკონტროლო შტოებსა და დიდი წონის სხეულისთვის შერჩეული შტოებზე

ტომ მაქსიმალური ზომა მინიმალურზე  $2n$  ერთეულით მეტი შეიძლება იყოს. დავუშვათ, (+) ალელის პოპულაციის სიხშირე ქრომოსომის თითოეულ მდებარეობაზე ერთი და იგივეა და  $p$ -ის ტოლია. ასეთ დროს განზომილების საშუალო მნიშვნელობა შესაძლო მინიმალურზე  $2np$ -ით მეტია. თუ ალელები კანონზომიერების გარეშე არის განახლებული, მაშინ ალბათობის თეორიის თანახმად, (+) ალელების რაოდენობის ცვლილება ინდივიდებს შორის იქნება  $2npq$  და სტანდარტული გადახრა  $\sqrt{2np} - s$  შეადგენს.

რა გამოძახილი არსებობს სელექციაზე, როდესაც (+) ალელების სელექცია მეცნად ხდება? ახალი გენეტიკური ცვლილების გარეშე მაქსიმალური შესაძლო განზომილება მინიმალურზე  $2n$ -ით მეტია. აქედან გამომდინარე, მაქსიმალური გამოძახილი (მაქსიმალურ ფენოტიპს გამოკლებული საშუალო ფენოტიპი) არის  $2n-2np$  ანუ  $2n(1-p)$  ან  $2np$ . გამოძახილის სიდიდე სტანდარტული გადახრის ერთეულებში არის  $2np/\sqrt{2np}$  ანუ  $(\sqrt{2np})/p$ . მაგალითად, თუ თვისებას რვა ქრომოსომა აკონტროლებს, რომელზეც (+) ალელების სიხშირა 0,5, მაქსიმალური ფენოტიპური გამოძახილი სელექციაზე იქნება  $[(2 \times 8 \times 0,5)/0,5] = 4$  სტანდარტულით გადახრით მეტი საშუალოზე. ალბათობის თეორია გვკარნახობს, რომ 8 ქრომოსომზე 16 (+) ალელის მიმღები ინდივიდების პროცენტული რაოდენობა, როდესაც (+) ალელების სიხშირა 0,5, 66000-დან 1-ის (ანუ 0,5<sup>16</sup>-ის) ტოლია. 16 (+) ალელიდან 12 ან მეტი ინდივიდების 4%-ზე ნაკლებში გვხვდება. მაშასადამე, რაოდენობრივად ცვლადი თვისებების ხანმოკლე ევოლუციური პოტენციალი პოპულაციაში შემავალი ფენოტიპების გავრცელების მიღმა გრძელდება და ეს მაშინ ხდება, როდესაც რაოდენობრივი ცვლილების მრავალქრომოსომიანი დამატებითი მოდელი ვარგისია.

თვისების სელექციაზე გამოძახილთან შედარებით უფრო რთული ასახსნელია გამოძახილის გათანაბრება მცირე ცვლილების შემდეგ. ჩვეულებრივ, გათანაბრება თვისების გენეტიკური ცვლილების შეწყვეტით არ არის გამოწვეული, ვინაიდან უუსუსელექცია (არასელექციური პოპულაციის საშუალო მნიშვნელობისკენ დაბრუნება) დაუყოვნებლივ გამოძახილს იწვევს და ამგვარი გამოძახილი მხოლოდ პოპულაციაში დარჩენილი გენეტიკური ცვლილების შედეგი შეიძლება იყოს. გარდა ამისა, სელექციის შესუსტებისას და სელექციის კოეფიციენტების განულებისას შერჩეული თვისება სელექციამდელ მნიშვნელობას თავისით უბრუნდება. ამგვარი მოვლენების ყველაზე უფრო გონივრული დასაბუთება არის ის, რომ ერთ თვისებაზე გამოყენებული სელექცია სხვა თვისებების და ორგანიზმის ვარგისიანობის ცვლილებას იწვევს. მაგალითად, კვერცხისდების ტემპის გაზრდამ ფიზიოლოგიური და მორფოლოგიური ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს, რაც თავის მხრივ სიცოცხლისუნარიანობას ამცირებს და ხელოვნური სელექციისადმი წინააღმდეგობას იწვევს.

### 30.6. ურთიერთდაკავშირებული

#### რეაქციები გადარჩევაზე ზღუდავი ცვლუციურ რეაქციებს

ევოლუციური გამოძახილი ხშირად არჩეულისგან განსხვავებულ თვისებებს მოიცავს. ორგანიზმთა ნანილების განვითარება და ფუნქცია ფენოტიპური თვისებების, განსაკუთრებით ზრდისა და წარმოების ზომის ან ტემპის, ურთიერთდამოკიდებულებას იწვევს. მეცნოველებმა და მებადეებმა თვისებებს შორის გენეტიკური კავშირები ბევრ შინაურ სახეობაში გამოთვალეს. მაგალითად, შინაურ ფრინველებში სხეულის წონასა და კვერცხის წონას შორის გენეტიკური თანაფარდობა 0,5-ის ტოლია, ხოლო სხეულის წონასა და კვერცხის დებას შორის თანაფარდობა -0,16-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე, სხეულის წონის სელექცია კვერცხის ზომის სწრაფი ზრდის და კვერცხის დების ტემპის ნელი, მაგრამ თანაბარი შემცირების გარეშე ვერ ჩაივლის. დიდი ზომის კვერცხის და პატარა სხეულის ზომის ერთდროული სელექცია გენეტიკურ თანაფარდობას ეწინააღმდეგება და ჩვეულებრივ წარუმატებელია (ნორდსკოგი 1977).

ბევრი თვისება, მათ შორის სხეულისა და კვერცხის ზომა, განვითარებით გენეტიკურად ან ფუნქციონალურად დაკავშირებულ ჯგუფებში შედის, რომელიც სელექციაზე გამოძახილს ერთდროულად ახდენს. მაგალითად, ლიმიტ (1977) გენეტიკური თანაფარდობა თაგვის ჩონჩხზე ჩატარებული გაზომვებისას აღმოაჩინა და თვისებათა ოთხი ჯგუფი განსაზღვრა, რომელიც გენეტიკურად მჭიდროდ არის ინტეგრირებული, მაგრამ ერთმანეთისგან დამოკიდებულია. ეს თვისებებია: 1) თავის ქალას სიგრძე; 2) თავის ქალას სიგანე, სხეულის წონა და კუდის სიგრძე; 3) თავის ქალას სიგანე (მე-2 ჯგუფთან დამაკავშირებელი), ბეჭის სიგრძე და ზურგის სარტყელთან დაკავშირებული სხვა სიდიდეები; 4) ძვლების და მთლიანი სხეულის სიგრძე. აქედან გამომდინარე, თაგვის სხეულის წონის სელექცია კუდის სიგრძეზე და თავის ქალის პროპორციებში, ასევე მთლიანი სხეულის წონაზე ჰპოვებს გამოძახილს.

დოუსონი (1966) სელექციას *Tribolium castaneum* და *T. confusum* სახეობების მატლების სწრაფი და ნელი განვითარებისთვის ატარებდა. მან თანაფარდობის მქონე გამოძახილი აღმოაჩინა, რომელიც ხოჭოს ვარგისიანობას სელექციის მიმართულებისგან დამოკიდებლად ამცირებს. სწრაფი განვითარებისთვის ჩატარებულმა სელექციამ ზომა შეამცირა, ხოლო *T. castaneum* სახეობის შემთხვევაში მატლის გადარჩენის ალბათობა და მოზრდილი ხოჭოების ანომალიების რაოდენობა გაზარდა. ნელი განვითარებისთვის ჩატარებულმა სელექციამ მოზრდილი ხოჭოს წონა და ანომალიების სიხშირე გაზარდა, ხოლო მამალი ხოჭოების ნაყოფიერება შეამცირა.

დოუსონმა (1967) შერჩეული ხოჭოების ვარგისიანობის შეფასებისთვის ისინი ხოჭოების სხვა სახეობების

არასელექციურ ჯიშებთან კონკურენციაში მოაქცია (იხ. პარაგრაფი 21). სელექციის ორივე ანუ „სწრაფი“ და „ნელი“ ხაზის შედეგად, სელექციის აღრულ ეტაპებზე ვარგისიანობა შემცირდა ანუ ხოჭოს განვითარების ტემპი ვარგისიანობაზე მისი ზეგავლენისადმი ოპტიმალური გახდა (დოუსონმა სელექციური ექსპერიმენტები განავრდო, რის შემდეგაც ერთ-ერთი სელექციური შტოს ვარგისიანობა გაუმჯობესდა და ეს მოვლენა შერჩეულ მატლებში კანიბალიზმის გაზრდით იყო გამოწვეული. ევოლუციას ასეთი გასაოცარი მოვლენები ხშირად თან ახლავს).

თანაფარდობის მქონე გამოძახილი სელექციაზე ხელოვნური გადარჩევის პროგრამის წინააღმდეგ მოქმედებს, ვინაიდან ის ურთიერთმოქმედ სელექციურ მოქმედებას იწვევს. მაგალითად, თანაფარდობის მქონე გამოძახილი ქათმების რეპროდუქციულ თვისებებში ჩნდება. სხეულის წონის და კვერცხის წონის ზრდისა თუ შემცირებისთვის ჩატარებული გადარჩევა რეპროდუქციულ ვარგისიანობას ამცირებს, რაც კვერცხისძების ტემპზე, წინიღების გამოყვანის ტემპზე და მათ სიცოცხლისუნარიანობაზე აისახება. სელექციის მიმართულების მიუხედავად, სელექციურ შტოებში ვარგისიანობა არასელექციური შტოს 54%-85%-მდე მერყეობს. ხელოვნური გადარჩევის პროგრამის შედეგები ცხადყოფს, რომ პოპულაციები გენეტიკურად ბალანსდება და ადაპტირება როგორც გარემოსთან, ასევე ერთმანეთთან ხდება.

## 30.7. პოპულაციის გენეტიკა გვთავაზოპს რიგ მიზანებისა გზა- ნილს ეკოლოგი-პისტოზის

პოპულაციის გენეტიკის ძირითადი ცნებები წინა პარაგრაფებში შევისწავლეთ და მათ ეკოლოგებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. პირველ რიგში, თითოეული პოპულაცია რამეტებულ ცვლილებას მოიცავს, რომელიც ვარგისიანობაზე ზეგავლენას ახდენს. ეს ნიშნავს, რომ ეკოლუცია ყველა პოპულაციაში უწყვეტი პროცესია. გარდა ამისა, ინდივიდუალური ორგანიზმები ადაპტაციას განიცდიან, რის შედეგად მათსა და მათ შთამომავლობაზე საზიანო მუტაციების ზეგავლენა მცირდება. ნათესავრი დაწყვილების თავიდან აცილება ერთ-ერთი ასეთი უნარია, რომლითაც ორგანიზმები ყოველხმრივ გენეტიკურ ცვალებადობას ინარჩუნებენ.

პოპულაციის გარემოში სელექციური ფაქტორების ცვლილება თითქმის ყოველთვის ევოლუციურ გამოძახილებს იწვევს, რაც პოპულაციაში ფენოტიპებს ცვლის. გამოძახილი ყოველთვის პროგნოზირებადი არ არის და მოცემულ დროს პოპულაციაში არსებულ გენეტიკურ ცვლილებაზეა დამოკიდებული. რაოდენობრივი თვისებების უმეტესობას საკმარისი გენეტიკური ცვლილება აქვს, რათა სელექციაზე გამოძახილი მოხდეს, მათზე გამოძახილის არეალი და სიდიდე სხვა თვისებების გამოძახილებით შეიძლება შეიზღუდოს.

თუ საკმარისი დრო აქვთ, პოპულაციები რაიმე ტიპის ევოლუციურ ოპტიმუმს აღწევენ და შემდეგ სტაბილურები ხდებიან, თუმცა ამ პროცესისთვის საჭირო ზუსტი დრო ნამდვილად არ ვიცით.

ინტენსიური სელექცია, რაც გარემოში ადამიანის ჩარევით, მტაცებლის ან დაავადებული ორგანიზმების შემოსვლით, მტრებში გენეტიკური სიახლეების გაჩენით და ა.შ. არის გამოწვეული, ხშირად პოპულაციის მხრიდან გამოძახილის შესაძლებლობას აჭარბებს და ასეთ შემთხვევაში გადაშენება გარდაუვალია.

ამჯერად, ორგანიზმების მიერ გენეტიკურ ცვლილებაზე მოხდენილ ზეგავლენას შევეხებით და თავდაპირველად სექსს განვიხილავთ, რაც გენეტიკურ ცვლილებას ზრდის.

## 30.8. ითვლება, რომ სახეობები მოგეხას ნაცულობები სესისგან, რადგან ის ზრდის განვითარება ცვლილებებს მათ შთამომავ-ლობაში

ბუნებრივი გადარჩევა პოპულაციებში გენეტიკურ ცვლილებას ამცირებს. გენეტიკურ ცვლილებას რამდენიმე სხვა პროცესი ზრდის. ადგილობრივ პოპულაციაში გენეტიკური ცვლილების უმეტესობა მუტაციით, სხვა სელექციური გარემოდან ინდივიდების იმიგრაციით, სელექციური ფაქტორების დროებითი ცვალებადობით და თაობიდან თაობაზე გენის სიხშირის ცვლილებით (გენეტიკური დრეიფით) არის გამოწვეული. გენეტიკურ ცვლილებას კიდევ ერთი პროცესი ზრდის და ეს არის სექსი. ეკოლოგები დღემდე დაობენ სქესობრივი გამრავლების წარმოშობისა და განვითარების შესახებ და ამ საკითხზე უამრავი საინტერესო ნაშრომი თუ უბრალოდ მიმოხილვა არსებობს (მაგალითად, ბელი 1982, სტერნის 1987, სტივენსი და ბელიგი 1988, სლეიტერი და ჰოლიდე 1994, ბარეტი და პარდერი 1996). ძირითადი სადაც საკითხი სხვადასხვა გარემო პირობებში სქესობრივი და უსქესო გამრავლების უპირატესობებია. ამ საკითხს უკავშირდება დაწყვილების, პოპულაციაში სქესების პროცენტული თანაფარდობის პრობლემები. სქესობრივი გამრავლების პრობლემებს 33-ე თავში შევისწავლით, ამჯერად კი ცვლილების ბუნების უკეთ გასაგებად მის რამდენიმე ასპექტს განვიხილავთ.

სქესობრივი გამრავლების შედეგად ორი ინდივიდის გენეტიკური ნივთიერება ერწყმება და შთამომავლობაში გენების ახალი კომპინაცია შემოდის. ასეთი რეკომბინაციის შემდეგ დები და ძმები გენეტიკურად ერთმანეთისგან განსხვავდებიან. მაშასადამე, ცვლად გარემო პირობებში შთამომავლობის რამდენიმე წარმომადგენელს მაინც ექნება ისეთი გენეტიკური შემადგენლობა, რაც მას გადარჩენის და გამრავლების საშუალებას მისცემს. სქესობრივი გამრავლების შედეგად პოპულაციაში მანამდე არარსებული, ახალი გენოტიპები შეიძლება წარმოშვას და საზიანო მუტაციები შემცირდეს. ინდივიდები უსქესო გამრავლების შემდეგ საკუთარი თავის ზუსტ ანალოგებს ქმნიან.

სქესობრივი და უსქესო გამრავლება სიცოცხლისუნარიანი სტრატეგიებია. უსქესო გამრავლება მცენარეებში ფართოდ არის გავრცელებული და აგრეთვე ცხოველთა ყველა ძირითად ჯგუფში გვხვდება. სქესობრივი გამრავლება სასიცოცხლო ციკლის ძალიან ადრეულ ეტაპზე წარმოიშვა და მცენარეებსა თუ ცხოველებში ასევე ფართოდ არის გავრცელებული

### სქესობრივი გამრავლების საფასური

სქესობრივი გამრავლება ევოლუციურად ძველი და ფილოგენურად გავრცელებულია, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სელექცია სხვადასხვა პირობებში სწორედ ასეთ სტრატეგიას ანიჭებს უპირატესობას. მიუხედავად ამისა, ინდივიდს სექსისთვის თავის დანებების უზარმაზარი სტიმული აქვს ანუ სექსს ევოლუციაში დიდი ღირებულება გააჩნია. როდესაც სექსი განცალკევებულია ანუ ინდივიდი მდედრი ან მარია, სქესობრივ გამრავლებას კიდევ უფრო დიდი საფასური გააჩნია, ვინაიდან მშობლიდან შვილს გენეტიკური ნივთიერების მხოლოდ ნახევარი გადაეცემა. უსქესოდ გამრავლებისას შთამომავლობა ერთადერთი მშობლის გენებს ატარებს და ამიტომ სქესობრივ გამრავლებასთან შედარებით თითოეული მშობლის ევოლუციური ვარგისიანობა თითქმის ორჯერ მეტია. მშობლის მიერ სქესობრივი გამრავლების შედეგად 50%-ით დაკარგულ ვარგისიანობას ხშირად მეოთხის საფასური ეწოდება.

სქესობრივ გამრავლებას სხვა საფასურიც გააჩნია (ლიუისი 1989). ორგანიზმები მეწყვილის ძებნისა და გამრავლების პროცესში მტაცებლობის და დაავადების მაღალი რისკის პირობებში ხვდებან და ახალი თაობის წარმოშობამდე იღუპებან. დაბალი სიმჭიდროვის მქონე პოპულაციებში გამრავლება შესაძლოა შეჩერდეს ან შეწყდეს, ვინაიდან მეწყვილის მოძებნა საკმაოდ რთულია. გარდა ამისა, ერთი სქესიდან მეორეზე გამეტების წარუმატებლად გადასვლის შემთხვევაში შთამომავლობის რაოდენობა მცირდება. მდედრი და მამრი არსებების დნმ-ს მიმდევრობების შესწავლამ აჩვენა, რომ ადამიანები, პრიმატებსა და მლრდნელებში მუტაცია უმეტესად მამრობითი სქესის ემბრიონებში გვხვდება. რედფოლდმა (1994) კომპიუტერული სიმულირების საშუალებით დაამტკიცა, რომ სქესობრივი გამრავლება მამრობითი სქესისთვის უფრო დიდ საფასურს ატარებს. გარდა ამისა, სქესის შორის კონფლიქტიც პრობლემაა, ვინაიდან დაწყვილების შესაძლებლობა მცირდება და გამრავლების პროცესიდან ენერგია გადის (იხ. პარაგრაფი 33).

### სქესობრივი გამრავლების როლი გენეტიკური ცვლილების შენარჩუნებაში

უსქესო გამრავლებას მყისიერი უპირატესობა აქვს და მაშინ რატომ ხდება სქესობრივი გამრავლება? სქესობრივი გამრავლების მაკომპენსირებელი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ გენეტიკური ცვლილება

შთამომავლობაში იზრდება ან საზიანო გენეტიკური ცვლილება მცირდება. ცვალებად შთამომავლობას არაპროგნოზირებად გარემოში ვარგისიანობის უპირატესობა აქვს, როდესაც ცვლილების შედეგად შთამომავლობის რომელიმე წარმომადგენელი მაინც არის ნებისმიერ გარემო პირობებთან ადაპტირებული. შთამომავლობის ცვლილება ძლიერი კონკურენციისას უზრუნველყოფს, რომ რომელიმე ინდივიდს მაინც ექნება საკმარისი ვარგისიანობა და გადარჩება (უილიამსი და მიტონი 1973),

სქესობრივი გამრავლების შედეგად მიღებული გენეტიკური რეკომბინაცია ჩანასახოვანი ხაზიდან საზიანო მუტაციების გამორიცხვისთვის აუცილებელია (მალერი 1964, ფელსენბერგი 1974). უსქესო კლონში საზიანო მუტაციების გამორიცხვა მხოლოდ შთამომავლობაზე ჩატარებული სელექციის შედეგად შეიძლება. როდესაც გენომზე მოსული მუტაციის ტემპი თაობაზე მოსული სელექციური სიკვდილიანობის რაოდენობას აჭარბებს, მუტაცია გროვდება და კლონის სიცოცხლისუნარიანობა მცირდება. სამაგიეროდ, სქესობრივ პოპულაციაში შემავალი ინდივიდები გენეტიკურ ნივთიერებას აჯახებს შორის მუდმივად ცვლიან. მთლიანი პოპულაცია საერთო გენოფონდში შედის, ამიტომ სელექციის შედეგად მუდმივად გადაჯგუფებადი გენოტიპების შერჩევა ხდება. ერთ ხაზზე დაგროვილი საზიანო მუტაცია რეკომბინაციის შედეგად სხვა ალელით შეიძლება შეიცვალოს.

რა მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს სექსის, მას სამი უპირატესობა აქვს და ესენია: პოპულაციის გრძელვადიანი მოქნილობა ევოლუციისადმი, ოჯახის ხაზიდან საზიანო მუტაციების საშუალოვადიანი გამორიცხვა და ინდივიდის შთამომავლობაში მოკლევადიანი ცვლილების გამოწვევა.

### 30.9. გამრავლების სისტემები მართავს განეოფიციურ ცვლილებებს სერიოზი მოსახლეობაში

გენეტიკური ცვლილების უპირატესობა ის არის, რომ ინდივიდი ცვალებად შთამომავლობას ბადებს და შთამომავლობის რამდენიმე წარმომადგენელი მაინც ახერხებს გარკვეულ ტერიტორიაზე და შეცვლილ გარემო პირობებში გადარჩენას. მიუხედავად ამისა, გენეტიკური ცვლილების დიდი ნაწილი ნეგატიურია, რადგან მუტაცია ინდივიდს გარემოსთან ნაკლებად ადაპტირებულს ხდის. გენეტიკური ცვლილება მუტაციით და სხვა ადგილებიდან განსხვავებული გენების შემოვლით არის გამოწვეული და ორგანიზმებს ამგვარი ცვლილების უარყოფითი შედეგებისგან თავის დაცვის რამდენიმე მექანიზმი გააჩნიათ. ამგვარ მექანიზმებს შორის არის სქესობრივი სტრატეგია, რომელიც წათესაური დაწყვილების ხარისხს განსაზღვრავს (უილსონი და ბარლი 1983, ვაიატი 1983, სტივენსონი და ბერგი 1983, შოენი 1982, 1983, პუსი და ვულფი 1996).

## ნათესაური დაწყვილება

მკითხველის უმეტესობა აღბათ ფიქრობს, რომ ნათესაური დაწყვილება ანუ ახლო ნათესავებს შორის დაწყვილება ცუდია (რალსი და სხვები 1988). დებისა და ძმების დაწყვილება ან თვითდაწყვილება საზიანო, რეცესიული გენების გაჩენას იწვევს. ასეთი შედეგის ახსნა საქამად მარტივია. დაფუძვათ, ინდივიდი იშვიათი, საზიანო, რეცესიული ალელისთვის ჰეტეროზიგოტულია (გენოფონდი ასეთი ალელებით საგსეა და ინდივიდების უმეტესობას ისინა აქვს). თუ ეს ინდივიდი პოპულაციის სხვა ინდივიდთან წყვილდება, რომელსაც იგივე იშვიათი ალელი არ გააჩნია, შთამომავლობის ნახევარი ერთი მშობლის მსგავსად ჰეტეროზიგოტული იქნება, ხოლო მეორე ნახევარი მეორე მშობლის მსგავსად გენის გავრცელებული ფორმისთვის ჰომოზიგოტული იქნება. შთამომავლობის არც ერთი წარმომადგენელი ზიანს არ იღებს. ინდივიდის თვითდაწყვილებისას მისი შთამომავლობის ერთი მეოთხედი საზიანო ალელისთვის ჰომოზიგოტური იქნება და მისი ვარგისიანობა შემცირდება. ახლო ნათესავებს შორის დაწყვილება იგივე შედეგს იწვევს, ოღონდ მისი სიხშირე ნაკლებია.

სახეობების უმეტესობა შთამომავლობის განხევის, ახლო ნათესავების ამოცნობის და უარყოფითი, ასორტაციული დაწყვილების საშუალებით ნათესაური დაწყვილების ალბათობას ამცირებს. მცენარეთა ჰერმაფროდიტი სახეობები, რომლებშიც ინდივიდებს ქალის და მამაკაცის სასქესო ორგანოები გააჩნიათ, დამატებითი მექანიზმების საშუალებით თვითდაწყვილებას თვითდაწყვილებას და ამგვარ მექანიზმებს შორისაა თვითშეუთავსებლობა, ქალის და მამაკაცის ფუნქციების დროებითი განცალკევება, ასევე ყვავილის სტრუქტურა, რაც თვითგანაყოფიერებას ხელს უშლის (უილსონი 1983).

ნათესაური დაწყვილება ჩვეულებრივ პრობლემებს ქმნის, მაგრამ მან შეიძლება გარკვეული სარგებელიც მოიტანოს (ლოიდი 1979, 1980, ველსი 1979). მაგალითად, თვითდაწყვილებული მცენარეები ყვავილების განაყოფიერების გარანტისას ქმნიან, როდესაც გარემოში დამტკიცერავები არ არსებობენ ან ინდივიდებს შორის დაცილება ძალიან დიდია (ბეიკერი 1965, გისელინი 1969). გავრცელების ალელებულ არეალში მდებარე იზოლირებულ ტერიტორიებზე არსებული ბევრი წყალმცენარე თვითდაწყვილებადია (ჯეინი 1976). მეცნიერების აზრით, ამგვარ პოპულაციებში საზიანო ცვლილების გაპათილება აუთკროსინგსა და თვითდაწყვილებას შორის ევოლუციური გადასვლისას მოხდა (რიტლანდი და განდერსი 1987).

## აუთკროსინგი

დიდ მანძილზე მომხდარი აუთკროსინგი ვარგისიანობას ამცირებს. მცენარეთა ზოგიერთი პოპულაცია რთულ, არაერთგაროვან გარემო პირობებში მანძილის პატარა შეალებზე სივრცულად განსაზღვრულ


ეკოტიპურ ცვლილებებს მოიცავს (იხ. პარაგრაფი 6). გავრცელების გარკვეულ არეალში მომხდარი ადაპტაცია ვარგისიანობას ამალლებს, ხოლო სხვა პირობებთან ადაპტირებული ინდივიდებიდან მიღებული მტვერი მდედრ მშობელთან ახლოს აღმოცენებული შთამომავლობის ვარგისიანობას ამცირებს.

ზოგიერთ კვლევაში აუთკროსინგის ოპტიმალური მანძილის ცნება გამოიკვეთა (ლევინი 1984). ახლოს მდებარე ინდივიდები უმეტეს შემთხვევაშია ახლო ნათესავები არიან და ნათესაური დაწყვილების სპეცირიცი იზრდება. შორეული ინდივიდები სხვადასხვა პირობებთან არიან ადაპტირებულნი. პრაისმა და ვასერმა (1979) ცენტრალურ კოლორადოში გავრცელებული *Delphinium nelsoni larkspur*-ის ყვავილები იგივე ინდივიდის და 1, 10, 100 და 1000 მეტრით დაცილებული ინდივიდების მტვერით გაანაყოფიერეს. შედეგებმა აჩვენა, რომ ყვავილზე მოსული თესლის რაოდენობა უდიდესია, როდესაც მტვერის წყარო 10 მეტრ მანძილზეა, ხოლო უმცირესია, როდესაც მტვერი იგივე ინდივიდიდან და 1000 მეტრით დაშორებული წყაროდან მიღება. გარდა ამისა, თესლის დათესვის შემდეგ 1 და 2 ნლის განმავლობაში გადარჩენის აღბათობა 10 მეტრით დაშორებული ინდივიდების დაწყვილების პირობებში ყველაზე მაღალი აღმოჩნდა.

## სელექციური განაყოფიერება და განუვითარებლობა მცენარეებში

პრაისის და ვასერის კვლევის შედეგად აუთკროსინგის ოპტიმალური მანძილი დადგინდა, მაგრამ *larkspur*-ები ამ უპირატესობას ვერ იყენებს. მცენარეთა განაყოფიერება უმეტესად ფუტკერებისა და კოლიბრების მიერ ხდება, რომლებიც სუქცესიაში უფრო ახლომდებარე ყვავილებს არჩევენ. ყვავილის ბუნებრივი მტვერის შეფერილობის მქონე ნაწილაკები მამრობითი *larkspur*-ების ყვავილების მტვრიანაზეა განლაგებული და მათი აღდეგენა მტვრის წყაროდან 2 მეტრის მანძილზე ხდება. სავარაუდოდ, ყვავილის სტრუქტურის ადაპტირებამ დამტკიცერავების მოქმედება შეცვალა და აუთკროსინგის ოპტიმალურ მანძილს მიაღწია.

მცენარეები მათი დამამტკიცერების მიერ ყვავილებს შორის გადაადგილების მანძილებს ვერ აკონტროლებს, მაგრამ ისინი მტვრის მარცვლებს შორის თესლკვირტის განაყოფიერებაზე კონკურენციას ქმნიან და ემბრიონის გენოტიპის საფუძველზე განვითარებადი თესლკვირტების სელექციურ განუვითარებლობას იწვევენ, რაც თავის მხრივ გენეტიკური ცვლილების გამომწვევია (უილსონი და ბარლი 1983). მცენარეთა უმეტესობას ნაყოფის სავარაუდო რაოდენობაზე მეტი რაოდენობის ყვავილი გამოაქვს, ვინაიდან ყვავილები უფრო იაფი ჯდება, ხოლო ნაყოფი შედარებით ძვირია. განაყოფიერებული თესლკვირტების რაოდენობა მტაცებლობის, განუვითარებლობის და სხვა გარე დამაზიანებელი ფაქტორების შედეგად მცირდება (კასპერი 1984). ყვავილის და ნაყოფის ცვენა სელექციური პრო-



**სურ. 30.8.** ავსტრალიურ ბუჩქ *Banksia spinulosa*-ზე ჩატარებული დამტვერვის ექსპერიმენტი, რომელშიც ინდივიდუალური ყვავილების განაყოფიერება იგივე მცენარიდან ან სხვა მცენარეებიდან მიღებული მტვერს საშუალებით ხდება. შედეგები ნათესაური დაწყვილების უარყოფით ზეგავლენაზე (D და A) და თვითდამტვერილი თესლევირტების აუთკროსინგით დამტვერილ თესლევირტებთან კონკურენციაში დამარცხებაზე მიუთითებს (C და B).

ცესია და დამოკიდებულია მტვრის წონაზე, ყვავილზე მოსული განაყოფიერებული თესლევირტების რაოდენობაზე და განვითარებადი ემბრიონების გენოტიპებზე.

ზემოთ აღნილი მოვლენების კარგი მაგალითია ნანილობრივ თვითშეთაგსებადი, მაგრამ ჩვეულებრივ აუთკროსინგის მომხრე ავსტრალიური ბუჩქი *Banksia spinulosa*, რომლის დამტვერვა ნექტარით მკებავი პატარა ფრინველების მიერხდება. ბუჩქს ყვავილობის პერიოდში დაახლოებით 800 ყვავილი და 50-ზე ნაკლები ნაყოფი გამოაქვს. ნაყოფის წარმოქმნა რესურსების და არა ყვავილის მტვერის რაოდენობით არის შეზღუდული, ვინაიდან ყვავილედის ზედა ან ქვედა ნანილიდან ყვავილების 1/3-ის მოწყვეტა ნაყოფის გამოყანაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას არ ახდენს. განასხვავებს თუ არა ეს მცენარეები მტვრის ხარისხს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ავსტრალიელმა ბოტანიკოსებმა გ. ვოტონმა და ს. კერტიუმ (1993) *Banksia*-ს ყვავილედი ხელით დამტვერეს და ამისთვის იგივე მცენარიდან (თვითდამტვერვა) ან მეზობელი მცენარეებიდან (აუთკროსინგი) მიღებული მტვერი გამოიყენეს. ზოგიერთი მცენარის დამტვერისთვის საჭირო მტვერის ნახევარი იგივე მცენარიდან, ხოლო მეორე ნახევარი მეზობელი მცენარეებიდან აიღეს (შერეული დამტვერვა). მეცნიერებმა ნაყოფის მიღების შემდეგ ნაყოფისა და თესლის რაოდენობა დაოვალეს. აუთკროსინგთან შედარებით თვითდამტვერვა თესლის რაოდენობას 38%-ით ამცირებს, ხოლო განუვითარებული თესლის მქონე ნაყოფის რაოდენობა აუთკროსინგის 8%-დან თვითდამტვერვის 16%-მდე იზრდება (სურ. 30.8.). მიღებუ-

ლი შედეგები ნათესაური დაწყვილების დეპრესიაზე ანუ ნათესაური დაწყვილების შედეგად ვარგისიანობის შემცირებაზე მიუთითებს. როდესაც ყვავილედის ერთი ნახევარი აუთკროსინგის შედეგად დამტვერა, ხოლო მეორე ნახევარი თვითდამტვერვის შედეგად, თესლის რაოდენობა თვითდამტვერილ ნახევარზე 14%-მდე დაეცა, ხოლო ნაყოფის 28%-ის თესლი განუვითარებელი დარჩა. მაშასადამე, თვითდამტვერილი თესლევირტები აუთკროსინგის შედეგად დამტვერილ თესლევირტებთან კონკურენციაში მარცხდება და აქედან გამომდინარე, მცეარეებს განვითარებადი ემბრიონების განსხვავება გენოტიპების საფუძველზე შეუძლიათ. ამგვარი მექანიზმის გამოყენებით შთამომავლობაზე გადასული გენეტიკური ცვლილების სიდიდე ჯერ კიდევ არ განსაზღვრულა.


### 30.10. ეკოლუციის ეკოლოგიური ასახული ცოდნისა და ცუნძცილის ინტერარეაციებას, როგორც გარემონადი აღაპტაციას

ორგანიზმები გარემოსთან კარგად არიან ადაპტირებულნი. ასეთი დაშვება ორგანიზმსა და გარემოს შორის არსებული ურთიერთქმედების გააზრებაში და გარემოს ცვლილებაზე ორგანიზმების გამოძახილის შეზღუდვების შესწავლაში გვეხმარება (ვეიკი 1982). ადაპტაციის კვლევის პროგრამამ ორგანიზმთა ვარგისიანობის ახალი კომპონენტები გამოაჩინა და ადაპტაციის მიმართულების განსაზღვრაში ინდივიდებს, კერძოდ, მტაცებლებს, კონკურენტებს, მუტუალისტებს,

საზოგადოების წევრებს, წყვილებს, მშობლებს და შვილებს შორის კავშირების მნიშვნელობა გამომჟარავა. აქედან გამომდინარე, ადაპტაციის დაშვება შესაძლოა აბსოლუტურად ზუსტი არ იყოს, მაგრამ ეკოლოგიური ცოდნის გაღრმავებაში ნამდვილად გვეხმარება.

ევოლუციის ეკოლოგებისთვის მთავარი კითხვაა: როგორ აისახება გარემო პირობები ორგანიზმთა ადაპტირების უნარზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გარემო პირობებში არსებული სელექციური ფაქტორები და ფენოტიპების ევოლუციური გამოძახილები უნდა შევისწავლოთ. ფენოტიპება და გარემოს შორის დამოკიდებულებასთან დაკავშირებული ნებიმსიერი მოსაზრება ფენოტიპების ვარგისიანობის, ფენოტიპური ცვლილების გენეტიკური საფუძვლის შესაფერის კრიტერიუმებს და მოდელს უნდა მოიცავდეს, რომელიც ვარგისიანობის განმსაზღვრელი ფორმისა და ფუნქციის ასპექტებს ერთმანეთთან და გარემო პირობებთან აკავშირებს (არნოლდი 1983).

ადაპტირების უნარის კვლევის ერთ-ერთ მეთოდს ფენოტიპური ოპტიმიზაცია ეწოდება. ეს მეთოდი გენეტიკურ ცვლილებას ცხადად არ შეიცავს, მაგრამ მასში დაშვებულია, რომ ფენოტიპურ ცვლილებას პარალელური გენეტიკური საფუძველი გააჩნია და ოპტიმალური ფენოტიპების სელექცია შესაბამის გენეტიკურ ცვლილებას იწვევს. მაგალითად, რაიმე გარემო პირობა რეპროდუქციული სტრუქტურების წარმოქმნისა და ზრდისთვის საჭირო რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას იწვევს. რაიმე გენოტიპი ოპტიმალურ ფენოტიპის წარმოშობს და მისი სელექცია თვისების გენეტიკური საფუძვლისგან დამოკიდებლად ხდება. ოპტიმიზაციის მოდელის ბირთვი ფენოტიპება და ვარგისიანობას შორის კავშირია (სურ. 30.9.). ყოველი ასეთი კავშირი განსხვავებულია და მისი ვიზუალურად წარმოდგენისთვის ფენოტიპების ვარგისიანობა პირდაპირ უნდა გაიზომოს ან არარსებული ფენოტიპების ვარგისიანობის პროგნოზისთვის საჭირო რეალური მოდელი შეიქმნას. რეალური ფენოტიპების მოდელით პროგნოზირებულ ფენოტიპებთან თანაფარდობა მოდელში გამოყენებული მექანიზმების ვარგისიანობაზე მიუთითებს, ხოლო ალტერნატიული მოდელები იგივე ტიპის პროგნოზს აკეთებს.




**სურ. 30.9.** ერთი ოპტიმალური ფენოტიპის არსებობისას ვარგისიანობასა და ფენოტიპის მნიშვნელობას შორის დამოკიდებულება.

### 30.11. ეკოლუციურად სტაბილური სტრუქტურის უკლავდება სხვა ფენოტიპის ინვაზიას (პატრონის სხეულ-ში შეღწევა)

ადაპტაციის შესწავლის კიდევ ერთი მეთოდი განცალკევებულად ცვლადი და ურთიერთქმედების ფენოტიპების შემთხვევაში განსაკუთრებით მოსახერხებელია და ეს მეთოდი ეკოლუციურად სტაბილური სტრატეგიის განსაზღვრაში მდგომარეობს (სმიტი და პრაისი 1973, სმიტი 1974, 1982, პარკერი 1984). ეკოლუციურად სტაბილური სტრატეგია (**ESS**) არის ფენოტიპი ან ფენოტიპთა კომბინაცია, რომელიც ალტერნატიული ფენოტიპების პოპულაციაში შემოსვლას შეუძლებელს ხდის. ჯონ მეინარდ სმიტი (1982) ამბობს: „**ESS** არის სტრატეგია, რომლის მიხედვით, თუ პოპულაციის წევრები ადაპტირებულნი არიან, მაშინ მუტაციური სტრატეგია შემოსვლას ვერ შეძლებს“. 30.9 სურათზე გამოსახულია ფენოტიპება და ვარგისიანობას შორის დამოკიდებულების გრაფიკი. დავუშვათ, სახეობაში მხოლოდ **A**, **B** და **C** ფენოტიპის შედის (სურ. 30.10). მხოლოდ **B** ინდივიდებისგან შემდგარ პოპულაციაში შემოსვლა **A** ინდივიდებს შეუძლიათ ანუ მასზე უკეთესი ვარგისიანობის შედეგად გაიშვიათებული **A** ფენოტიპი გაიზრდება. მხოლოდ **A** ინდივიდებისგან შემდგარი პოპულაცია **B** ფენოტიპის შემოსვლას ენინაალმდეგება ანუ **A** არის **ESS**. ყველა შესაძლო ფენოტიპის შესწავლის შემდეგ აშკარა ხდება, რომ მხოლოდ დიდი ვარგისიანობის მქონე **C** ფენოტიპის შეუძლია ყველა სხვა ფენოტიპის შემოსვლისთვის წინააღმდეგობის განევა. აქედან გამომდინარე, მაქსიმალური ვარგისიანობის კრიტერიუმით განსაზღვრული ფენოტიპიც ეკოლუციურად სტაბილური სტრატეგიაა.

**ESS**-ის გამოყენების აზრი კიდევ უფრო ნათელია, როდესაც ფენოტიპები ურთიერთქმედებს და თითოეულის ვარგისიანობა პოპულაციაში შემავალი სხვა ფენოტიპების პროპორციულ რაოდენობაზეა დამოკიდებული (სმიტი 1982, პარკერი 1984). ეკოლუ-



**სურ. 30.10.** **C** ფენოტიპი ეკოლუციურად სტაბილური სტრატეგია, გინაიდან **C** ინდივიდებისგან შემდგარ პოპულაციაში სხვა ფენოტიპის შემოსვლა არ შეუძლია.

ციურად სტაბილური სტრატეგიის ცნება ადგილობრივი ქცევების და დაწყვილების სისტემის შესწავლისას ფართოდ გამოიყენება და მაგალითებს მომდევნო პარაგრაფებში ვნახავთ.



### 30.12. უცნოტიას გავლენა გასაგეპია ადაპტაციის გაგეპისთვის

ვარგისიანობის კრიტერიუმის და გენოტიპური თუ ფენოტიპური მოდელების გამოყენების მიუხედავად, ევოლუციური ეკოლოგის მთავარი მიზანი ფენოტიპის მცირე ცვლილების ვარგისიანობაზე ზეგავლენის შესწავლაა. ეკოლოგმა ამ მიზნის მისაღწევად ორგანიზმის მრავალი თვისების ურთიერთფარმოკიდებულება და გარემო პირობების ყველა ასპექტთან დამოკიდებულება უნდა გაიაზროს. ორგანიზმსა და გარემოს შორის დამოკიდებულების მოდელი ნებისმიერ დროს შეგვიძლია ავაგოთ, ხოლო მისი ლოგიკურობის შემოწმებისთვის ბუნებრივ სისტემებს დავაკვირდებით და არათანმიმდევრულობის შემთხვევაში მოსაზრებებს ხელახლა ჩამოვაყალიბებთ.

მოდელის შექმნის მაგალითს რიკლეფსის ნაშრომიდან ვიღებთ, რომელიც ფრინველების სასიცოცხლო ციკლს შეეხება. 1968 წელს, ინგლისელმა ეკოლოგმა დევიდ ლაკმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ფრინველთა ზრდის ტემპს ორი გარე ფაქტორი აპალანსებს. ერთი ფაქტორი მტაცებლობა და სიკედილიანობის სხვა წყაროებია, რის შედეგადაც სწრაფად მზარდი და განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე მყოფი ინდივიდების გადარჩევა ხდება, ხოლო მეორე ფაქტორი საკვების მიწოდებაა, რაც თავის მხრივ ნელა მზარდი და მცირე რაოდენობით საკვების მომხმარებელი ინდივიდების

სელექციას იწვევს და მათ მშობლებს უფრო დიდი რაოდენობით შთამომავლობის დატოვების საშუალებას აძლევს. ლეგმა მონაცემებზე დაყრდნობით ივარაუდა, რომ ზრდის ტემპი ფრინველების სიცოცხლისუნარიანობისადმი პირდაპიროპროცესია. ფრინველებზე დაკვირვებამ სრულიად საპირისპირო შედეგები მოგვცა და აღმოჩნდა, რომ ზრდის ტემპი სიკედილიანობის ტემპის ცვლილებაზე დამოკიდებული არ არის და მაშასადამე, ლეკის პიპოთებზა არაზუსტია (რიკლეფი 1969).

რიკლეფსმა წამოჭრილი სირთულის დაძლევისთვის ახალი მოდელი შეიმუშავა. ეს მოდელი ზრდის ტემპის ვარგისიანობაზე ზეგავლენას კვერცხის დების განმავლობაში გამოჩეული წინილების რაოდენობის და სეზონის განმავლობაში გადარჩენილი წინილების რაოდენობის საშუალებით ასახავს (რიკლეფი 1984). ასეთი მოდელის დეტალების დამუშავება მზარდი წინილების კვების რაციონის და ხელახლა გამრავლების მცდელობის სიხშირის ცოდნას მოითხოვს. საბოლოოდ მივიღეთ განტოლებები, რომლებიც ვარგისიანობის ინდექსს (შვილების რაოდენობა სეზონზე) ზრდის ტემპთან აკავშირებს. ამ განტოლებების გრაფიკებს ზრდის შუალედური ტემპისას მაქსიმუმები გააჩნიათ (სურ. 30.11). გარდა ამისა, როდესაც წინილების სიკედილიანობის ტემპი ძალიან იცვლება, ზრდის ოპტიმალური ტემპის მდებარეობა ოდნავ გადაადგილდება. ეს მოვლენა ლეკის ვარაუდის საწინააღმდეგო, მაგრამ კვლევის მიხედვით დამტკიცებულია. ფრინველი განადგურებულ კვერცხებს სწრაფად ცვლიან და ამიტომ ახალგაზრდა წინილების სიკედილიანობა სეზონზე საკმაოდ მცირდება. მოდელით გაკეთებული პროგნოზების და რეალური ფაქტების შედარება



**სურ. 30.11.** ა) ფრინველთა ვარგისიანობის (შთამომავლობის დატოვების) ზრდის ტემპზე დამოკიდებულების გრაფიკი. გრაფიკი მოდელის მიხედვით არის პროგნოზირებული, რომელიც ვარგისიანობას და ზრდის ტემპს ერთმანეთთან აკავშირებს და მასში გათვალისწინებულია ნამატის რაოდენობა, ბარტყების რაოდენობა ერთ სეზონზე და ბარტყების სიცოცხლისუნარიანობა. ბარტყების სიკედილიანობის ტემპია 0,01-0,05 $\text{d}^{-1}$ . გამუქებული ტერიტორია ზრდის ოპტიმალურ ტემპს ასახავს სიკედილიანობის ყველა დონეზე. ბ) სხვადასხვა სახეობების ზრდის ტემპის დღიური სიკედილიანობის ტემპზე დამოკიდებულების ფუნქციის გრაფიკი. გამუქებული ტერიტორია მოდელის მიხედვით განსაზღვრულ ოპტიმუმს ასახავს.

აჩვენებს, რომ ზრდის ტემპის ვარგისიანობაზე ზეგავლენის ლევისეული კონცეფცია სწორია, ხოლო მოდელში არშესული ფაქტორები ზრდის ტემპის ევოლუციური ოპტიმიზაციისთვის მნიშვნელოვანი არ არის.

### **30.13. ადაპტაციურ პროგრამას გააჩნია მრავალი სირთულე**

ჩვენ ფრინველების ზრდის ტემპზე დაკვირვებისას ვუშვებთ, რომ ორგანიზმა და გარემოს შორის დამოკიდებულება მხოლოდ ფენოტიპების ვარგისიანობასა და მათ გარემოში არსებულ სელექციურ ფაქტორებს ასახავს. ამგვარი დაშვების მართებულობა ბევრ სფეროში შემომძალა. ერთ-ერთი ასეთი სფერო ადაპტაციური სრულყოფის სანინაალმდეგო პროცესებია, როგორებიც გარემოსადმი გამოძახილისთვის არასაკმარისი გენეტიკური ცვლილება, მუტაციის და იმიგრაციის შედეგად ნაკლებად ვარგისიანი ფენოტიპების უწყვეტი ნარმოქმნა, გარემოს შეცვლა, რაც კარგად ადაპტირებულ ფენოტიპებს ხელს უშლის. გარდა ამისა, პოტენციურად დიდი ვარგისიანობის მქონე ზოგიერთი ფენოტიპის არსებობა ფიზიკური კანონებით დაწესებული შეზღუდვების გამო შეუძლებელია. ზოგიერთი რამ, მაგალითად ფიზიკური დიფუზიის ტემპი, ბიოლოგიური ზეგავლენის სფეროს მიღმა. ევოლუცია ნარსული ადაპტაციის ბარგსაც ეზიდება, რაც ანტიკომიური სრულიად გამოუსადეგარი და უმნიშველოა. ძირითადი ტაქსონების სხეულებს სხვადასხვა რაოდენობის კიდურები აქვს. ხმელეთის ხერხემლიან ცხოველებში ეს რიცხვი 4-ია, მწერებში – 6, ობობებში – 8, კიბორჩხალებში – 10 და ა.შ. კიდურების რაოდენობა კიდურების ზომის შემცირებით ან სხვა ორგანოების, მაგალითად საცეცების ან პირის აპარატის შეცვლით შეიძლება შეიცვალოს. ძირითადი ჯგუფების კიდურების რაოდენობა ევოლუციურ პოტენციალს ზღუდავს. ზოგჯერ ადაპტაციას მოულოდნელი შედეგები ახლავს თან ფენოტიპის განვითარებისა და გენეტიკისთვის. ლანდეს თანახმად, დიდი ზომის სხეულის სელექცია ტვინის ზომის გაზრდას ინვევს, რაც მოცემული თვისებების გენეტიკური კავშირით არის გამოწვეული.

ჰარვარდის ბიოლოგებმა სტივენ ჯ. გოულდმა და რიჩარდ ლევონტინმა (1979) ადაპტაციასთან დაკავშირებული რამდენიმე სირთულე განიხილეს ნაშრომში: „სან მარკოს კამარის უბე და პანგლოსის პარადიგმა: ადაპტაციური პროგრამის კრიტიკა“. კამარის უბე, ჩვეულებრივ, სამკუთხედის ფორმის სივრცეა, რომელიც ჭრის გასამაგრებელ თაღს ან რაიმე სხვა პორიზონტალურ სტრუქტურასა და ჭრს შორის არსებობს. ბევრ ტაძარში კამარის უბე მოხატულია. გოულდის და ლევონტინის აზრით, კამარის უბე არ-ქიტექტურის შედეგად ჩნდება, თუმცა ის შენობის პროექტის ნანილი თაღების მსგავსად არ არის. ორგანიზმთა არქიტექტურაში იგივე მდგომარეობაა ანუ ზოგიერთი სტრუქტურა შეიძლება შემთხვევითი ან რაიმე სხვა, მკაცრად სელექციური ადაპტაციის შედე-

გი იყოს. გოულდი და ლევონტინი ამბობენ: „სტრუქტურის გამოყენების ფაქტი მისი არსებობის პირველად ევოლუციურ მიზეზში არ უნდა აგვერიოს“. მეცნიერები ადაპტაციური პროგრამის ძირითადი დაშვების საყოველთაობას ეჭვქვეშ აყენებენ:

„ადაპტაციური პროგრამა ბუნებრივ გადარჩევას ძალიან ძლიერ მოვლენად განიხილავს და მასზე იმდენად მცირე რაოდენობის შეზღუდვებს აწესებს, რომ ადაპტაცია თითქმის ყველა ორგანული ფორმის, ფუნქციის და მოქმედების პირველადი შედევი ზდება. ჩვენ ადაპტაციურ პროგრამას ასე ენერგიულად არ უარყოფით, მისი მონოდება ფაქტის არსებობისკენ სწრაფვა რომ არ ყოფილიყო“.

გოულდის და ლევონტინის მოსაზრებით, ევოლუციის ეკოლოგმა ადაპტაციის ძირითადი დაშვება უნდა შეამონოს და ბუნების ადაპტაციური განმარტებების ვარგისიანობაც ეჭვქვეშ დაყენოს.

### **30.14. ტაქსონომიურად სასარგებლო თვისებები ცხადყოფს, რომ ერთხელ გამოხატია ადაპტაციას შემდეგ, ზოგი ადაპტაცია უკლებებს შეამონოს და უკლებების ადაპტაციური განმარტებების ვარგისიანობაც ეჭვქვეშ დაყენოს.**

ევოლუციონისტები ორგანიზმთა თვისებებს ორ სიმრავლედ ყოფენ. ერთ სიმრავლეში ჯგუფის ფილოგნეური ისტორიაა ასახული, ხოლო მეორე სიმრავლეში შესული თვისებები სელექციაზე გამოძახილს უზრუნველყოფს და ასევე თანამედროვე გარემოს ასახავს. თვისებები ტაქსონომიურ და ეკოლოგიურ სიმრავლებში ცალ-ცალკე კი არ შედის, არამედ ევოლუციურად სტაბილურიდან არასტაბილურად გავლებული კონტინუუმის გასწვრივ არის განლაგებული. სხვადასხვა ტაქსონომიური დონეების გარჩევისთვის სხვადასხვა თვისებებია გამოსადევი (მეირი და სხვები 1953, ცროუსონი 1970). მაგალითად, ფრინველთა კლასის გარჩევა ჩინჩხის თვისებების, კერძოდ სასის სტრუქტურისა და თავის ქალაში ძვლების განლაგების მიხედვით ხდება, ხოლო ოჯახებს ნისკარტის, უკანა ტერზზე ქერცლის განლაგების და ძირითადი ფრთის სიგრძის მიხედვით განასხვავებული. ქვედა ტაქსონომიური კატეგორიები, კერძოდ გვარები და სახეობები, მონაცემების სხვაობაზე ან შეფარდებაზე არის დაფუძნებული. მათი განსხვავებისთვის ბუმბულის შეფერილობასა და გალობის მანერასაც იყენებენ.

ძუძუმნოვარი ცხოველებისა და რეპტილიების სხეულის ნანილებს, ასევე ფიზიოლოგიური პროცესებსა და გამრავლების სტრუქტურას შორის განსხვავება ათეულობით მილიონი ნლის განმავლობაში ჩამოყალიბდა, ხოლო შუალედური ეტაპებზე ინდივიდები განსხვავებულ ნარმატებას აღწევდნენ, რაც მრავალრიცხოვანი ნამარხებიდან კარგად ჩანს. საბოლოო ჯამში, ევოლუციამ თვისებათა ყველაზე უფრო ნარმატებული სიმრავლე მოგვცა, რაც ყველა ძუძუმნოვარ ცხოველს ახასიათებს, ხოლო ჯგუფმა ეკოლოგიური დივერსიფიკაცია 60-70 მილიონის ნლის წინა განიცადა. დათვები, კურდღლები, თაგვები, სელექციი

და ანტილოპა გნუები კვლავ იცვლებიან, თუმცა ყველა ძუძუმწოვარ ცხოველს ფუნდამენტური თვისებები, მაგალითად ცხელსისხლიანობა და შთამომავლობის კვება, ახასიათებს. ევოლუცია დაბალ ტაქსონომიურ დონეებზე სხვა თვისებების მსგავს სიმრავლეს ქმნის.

როგორ შეესაბამება იერარქიის თითოეულ დონეზე არსებული თვისებები ორგანიზმთა ეკოლოგიურ გავრცელებას? რომელ ინდივიდებს აქვთ ეკოლოგიურად გამოსაჩენი თვისებები ადაპტაციური პროგრამის თვალსაზრისით და რომელი ინდივიდებია მეტისმეტად დაშორებული თანამედროვებიდან, რათა მათ ეკოლოგიურ ფორმაზე ვიმსჯელოთ? ორგანიზმსა და გარემოს შორის შეთავსება ორი მეთოდით ხდება: ორგანიზმი მისი თვისებების შესაფერის გარემოს ირჩევს და პოპულაციის გენოფონდის სელექციური ცვლილება ხდება. მოზრდილი ტაქსონომიური ჯგუფები კლიმატსა და ფიზიკური გარემოს სხვა პირობებზე დამოკიდებულებით ფართოდ არის გარცელებული, თუმცა მათი სპეციალიზაცია ხშირად კვებაზე ხდება. აქედან გამომდინარე, მწერების კლასი *Homoptera* (*leafhoppers*, ჭრიჭინობელები) სისხლძარღვიანი მცენარეების გავრცელების ადგილზე ყოველთვის გვხვდება, თუმცა მათი პირის აპარატი მცენარიდან წვერის გამოწვევაზეა მორგებული, ამიტომ ამ კლასის ეკოლოგიური ფუნქცია ვინრო საზღვრებშია მოქცეული. ამ ჯგუფის ევოლუციური ცვლილება კლასობრივი თვისებებით ჩამოყალიბებულ ეკოლოგიურ კონტექსტში ხდება. გოულდი (1982) ამბობს: „თანამედროვე ფუნქცია ისტორიული წარმოშობის შესახებ დასკვნის გაკეთების უფლებას ყოველთვის არ გვაძლევს. გადარჩენისთვის აუცილებელი სტრუქტურები შესაძლოა სრულიად სხვა მიზეზებით გაჩნდა და შემდეგ ახალი ფუნქცია შეითავსა“.

მცირე ტაქსონომიური ჯგუფების განსხვავება სხეულის ზომის, გავრცელების არეალის, გავრცელების მიკროარეალის და კვების ანუ მსხვერპლი და მასპინძელი სახეობების მიხედვით ხდება და არა კვების თავისებურების მიხედვით. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამგვარ დივერსიფიკაზე პასუხისმგებელი ცვლილებები ევოლუციურად უფრო მარტივია და ამიტომ შესწავლას უკეთესად ექვემდებარება. ადაპტაციის შესწავლა ორგანიზმსა და გარემოს შორის ურთიერთქმედების გააზრების ძლიერი იარაღია, ხოლო ურთიერთქმედება ახლო წარმართვის განმასხვავებელ თვისებებს ეფუძნება.

### **30.15. აქვთ თუ არა დიდ სისტემებს უნიკალურად ჩამოყალიბებული თვისებები?**

ბიოლოგიური საზოგადოებების და ეკოსისტემების ფუნქციონირებას მათი შემადგენელი სახეობების ერთობლივი ადაპტაციის უნარი განსაზღვრავს. სახეობები ერთმანეთისთვის სელექციურ გარემოს ქმნის და თითოეული მათგანის ჩამოყალიბება სისტემაში შემავალი სხვა სახეობის ევოლუციაზეც არის დამოკიდებული. სახეობების ასეთ შეთანხმებულობას თანაევოლუცია ეწოდება და ამ ტერმინს რამდენიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ეს 25-ე თავში გამოჩნდა.

ეკოლოგები საზოგადოების ფუნქციის ჩამოყალიბებაში თანაევოლუციის მნიშვნელობას და სისტემის ან ინდივიდუალური გენოტიპის დონეზე ვარგისანობის კრიტერიუმის არსებობის პრობლემას იკვლევენ. ამ პრობლემების დაძლევისთვის ექსპერიმენტი უნდა ჩატარდეს, რომლის განხორციელება მხოლოდ ლაბორატორულ მიკროგარებოში თუ შეიძლება. ექსპერიმენტში ყველა ეკოსისტემა ბუნებრივი სისტემისთვის შესაფერისი სახეობებისგან შედგება ანუ ეკოსისტემაში ბუნებრივი სისტემის ყველა ეკოლოგიური ფუნქცია შედის, თუმცა ფუნქციები სხვადასხვა ადგილებიდან მიიღება და მაშასადამე, განსხვავებული ევოლუციური ისტორია აქვს. თუ ხელოვნურად დაკავშირებული სისტემა შესაბამის ბუნებრივ სისტემებზე უფრო ცუდად იფუნქციონიორებს, მაშინ დავასკვნით, რომ „ერთად ჩამოყალიბებული“ თვისებები დიდ ეკოლოგიურ სისტემებს ერთნაირ ხარისხს ანიჭებს.

საზოგადოებების და ეკოსისტემების გენეტიკური ერთიანობის დონის გამოთვლა ეკოლოგებს ჯერ არ შეუძლიათ და სავარაუდოდ კიდევ ათწლეულების განმავლობაში ვერც შეძლებენ. მიუხედავად ამისა, ამ უზარმაზარი პრობლემის მცირე წანილი, რომელიც ორგანიზმის ადაპტაციის შედეგად გარემოსთან შეგუებას და პოპულაციათა თანაევოლუციას ეხება, ეკოლოგიის შესწავლაში ძალიან გვეხმარება და მომდევნო თავებში ეს უკეთესად გამოჩნდება.

## დასკვნა

**1.** ევოლუციური ეკოლოგის კვლევა ეფუძნება დაშვებას, რომლის თანახმად, ორგანიზმთა ადაპტირების უნარს შორის სხვაობა სხვადასხვა სელექციურ მოქმედებაზე ევოლუციური გამოძახილია. ეკოლოგები ცდილობენ, გარემოსთან ადაპტაციის ხარისხი შესაფერისი გენეტიკური ცვლილების მისამართობით განსაზღვრონ. ეკოლოგებისთვის კიდევ ერთი პრობლემა არგანიზმების მიერ პოპულაციაში განცდილი გენეტიკური ცვლილება. ევოლუციური ვარგი-სიანობა ინდივიდის მიერ დატოვებული შთამომავლობის რაოდენობის ტოლია.

**2.** პოპულაციის გენეტიკის მოდელები ფარდობითი ვარგი-სიანობის მიხედვით ალელების ჩანაცვლების საშუალებით მომხდარ ევოლუციას ასახავს.

**3.** ეკოლოგიური ადაპტაცია მუდმივად ცვალებადი თვისების შეცვლას გულისხმობს. პოპულაციაში თვისების ცვლილება გადახხით ხასიათდება, რომელსაც გარემო და გენეტიკური კომპონენტები გააჩნია. რაოდენობრივი გენეტიკის მეცნიერებამ გამრავლების პროგრამებიდან მიღებული შედეგებიდან ამ კომპონენტების გამოცალკევებისთვის სტატისტიკური ანალიზი შეიმუშავა.

**4.** მემკვიდრეობითობა (<sup>(2)</sup>) დამატებითი გენეტიკური ცვლილების ფენოტიპურ ცვლილებაზე შეფარდება. მისი მნიშვნელობათა ინტერვალია 0-1-მდე. ბუნებრივ პოპულაციებში ზომებთან დაკავშირებულ თვისებათა მემკვიდრეობითობა 0,5-0,7-ია, ხოლო გამრავლებასთან დაკავშირებულ თვისებათა მემკვიდრეობითობა უფრო დაბლა.

**5.** თვისების გამოძახილი სელექციაზე (<sup>(2)</sup>) მემკვიდრეობითობის სელექციის დიფერენციალზე (<sup>(3)</sup>) ნამრავლია. მცენარეებისა და ცხოველების გამრავლებისას რაც უფრო ძლიერია სელექცია, მით უფრო მყისიერია გამოძახილი, ვიდრე სელექციის შედეგად გამორიცხული ინდივიდების ჩანაცვლება მემკვიდრეებით ხდება.

**6.** სელექციაზე გამოძახილი თანაბრდება, როდესაც გენეტიკური ცვლილება წყდება ან სხვა თვისებების გამოძახილები შერჩეული ინდივიდების ვარგისანობას ამცირებს.

**7.** ერთი თვისების გამოძახილი სელექცია შეორებების ზეგავლენას ახდენს და ეს პროცესი მათ შორის გენეტიკურ კავშირზეა დამოკიდებული. ფენოტიპი ხმირად გენეტიკურად დაკავშირებული თვისებების ჯაგუფისგან შედგება, რომელიც სელექციაზე გამოძახილს ერთდროულად ახდენს.

ამგვარი კავშირები სელექციურ ზენოლაზე ორი თვისების დამოუკიდებელ, ევოლუციურ გამოძახილს ასუსტებს.

**8.** გენეტიკური ცვლილება პოპულაციაში ევოლუციურ პოტენციალს ხანგრძლივად ინარჩუნებს, ხოლო სქესობრივი გამრავლების ძირითადი ფუნქცია გენოტიპების რეკომბინაციის შედეგად გენეტიკური ცვლილების გაზრდა.

**9.** გენეტიკური ცვლილება გარემოს ცვლილებასთან ინდივიდების ადაპტირებას უსარსაც ამცირებს. ინდივიდებს მათ შთამომავლობაზე გენეტიკური ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის შემცირება სელექციური დაწყვილების საშუალებით შეუძლიათ, როთიც ნათესაური დაწყვილების დონეს და აუკროსინგის მანძილს აკონტროლებენ.

**10.** ევოლუციის შედეგი ფენოტიპური ოპტიმუმის ან ევოლუციურად სტაბილური სტრატეგიის (ESS). სახით შეიძლება ნარმოვადგინოთ. ფენოტიპის აპტიმიზაცია ფენოტიპის კონტინუუმზე უდიდესი ვარგისიანობის მქონე წერტილის აღმოჩენის ტექნიკა. ESS არის თვისება, რომელიც თუ პოპულაციის ყველა წევრს გააჩნია, მაშინ ყველაზე თვისებაზე უპირატესია. შე ანალიზი პოპულაციის წევრებს შორის ურთიერთებულების მომცველი ადაპტირების შესწავლისას სასარგებლო.

**11.** ადაპტაციური მიდგომა ფრთხილად უნდა გამოყიეროთ, ვინაიდან ევოლუციური გამოძახილი გარემოს ცვლილებას ვერ მიყენება, ხოლო ადაპტაციის სრულყოფა ნაკლებად შესაფერისა ადგილობრივი ალელების მუტაციისა და მიგრაციის შედეგად შეუძლებელია. გარდა ამისა, ზოგიერთი ფენოტიპის არსებობა შეუძლებელია, რადგან ფიზიკური კანონები გარკვეულ შეზღუდვებს ანესებს. სტივენ ჯ. გოულდმა და რიჩარდ ლევონტინმა ხაზი გაუსვეს, რომ ფორმისა და ფუნქციის მრავალი ატრიბუტი სხვა თვისებების სელექციის შემთხვევითი შედეგია და ადაპტაცია ნარსულის გარემო პირობებთან გამოძახილზე შეიძლება მოხდეს, რაც თანამედროვეობაში გამოსადეგი აღარ არის.

**12.** მაღალი დონის ტაქსონომიური ჯგუფების (კლასების, ოჯახების) განმასხვავებელი თვისებებს სელექციაზე ნაკლები გამოძახილი აქვს, ვიდრე იმ თვისებებს, რომლებიც დაბალ ტაქსონომიურ კატეგორიებში (გვარები, სახეობები) იცვლება. თუ მაღალი რიგის თვისებებს გენეტიკური ცვლილება აკლია ან გენეტიკური კავშირის შედეგად ძლიერად არის ინტეგრირებული, მაშინ ის სელექციურ მოქმედებას კარგად უძლებს ან გავრცელებას არეალზე შეზღუდვებს ანესებს.

## საპარჯიშოები

**1.** პოპულაციის გენში  $A_1$  და  $A_2$  ალელია.  $A_1$  დომინანტურია  $A_2$ -ზე.  $A_1$  ალელის საწყისი  $p$  სახშირეა 0,6,. თუ ჰომიზმოგოტური  $A_2A_2$  ფენოტიპის სელექცია გენოტიპის ვარგისანობას  $s=0,2$  მაჩვენებლით ამცირებს, რამდენით შეიცვლება  $A_2$  ალელის სიხშირე სელექციის ერთი თაობის შემდეგ?

**2.** მე-19 თავში მაღალი რისკის ქვეშ მყოფი სახეობების აღგენას შევეხეთ და ეს თავი სელახლა გადაიკითხეთ. მიღებული ინფორმაციისა და მოცემულ თავში შესწავლილი მასალის დამსარებით საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების გადარჩენისთვის ხელოვნური განაცოლიერების პროგრამებთან დაკავშირებული პრობლემები განიხილეთ.

**3.** რა შედეგები მოჰყვება ბუნებრივი გადარჩევის შედეგად ევოლუციას განმავლობაში სახეობათა მრავალფეროვნების შემცირებას?

**4.** დავუშვათ, რამე სახეობის მამალი ობობის პედიპალბის სიგრძის მემკვიდრეობითობაა 0,6მმ (პედიპალპა ობობის ორგანო, რომლითაც მამალ ობობას სპერმა დედალი ობობის სხეულში შეჰყავს). თუ პოპულაციის საშუალო მაჩვენებელზე 0,5მმ-ით გრძელი პედიპალბის მქონე ობობა დედალ ობობასთან მრავლდება, რამდენად გრძელი იქნება არასელექციური პოპულაციის საშუალო მაჩვენებელზე მათი შთამომავლობის პედიპალბა?

## თავი 31



# ადაპტაცია ჰეტეროგენული გარემოსადგი გზამკვლევი პითხვები

### გზამკვლევი პითხვები

- რა არის ადაპტაციური ლანდშაფტი და რა პროცესები ცვლის მას?
- რა არის ვარგისიანობის სიმრავლე?
- რა განსხვავებაა სიხშირეზე დამოკიდებულ უარყოფით და დადებით სელექციას შორის?
- რა არის ფენოტიპური მოქნილობა და როგორ შეიძლება მისი ექსპერიმენტულად შესწავლა?
- რა სამი მნიშვნელოვანი ელემენტი გააჩნია ოპტიმალურობის მოდელს?
- რა განსხვავებაა საკვების მოპოვების მსხვერპლის და მცირე ტერიტორიის მოდელებს შორის?
- რა პროგნოზები კეთდება ოპტიმალური კვების კლასიკური მოდელის საშუალებით?
- რა არის იდეალურად თავისუფალი გავრცელება?
- რა განსხვავებაა რისკის ქვეშ მოქცეულ და რისკისგან თავისუფალ კვებას შორის?
- როგორ იცვლება საკვების მოპოვების სტრატეგია მტაცებლობის რისკის პირობებში?
- რის პროგნოზს აკეთებს სტოქასტიკური დინამიკის პროგრამირების მიდგომა?

**ს**ამყარო ცვალებადი და არაერთგვაროვანია. თითოეული ინდივიდი სხვადასხვა პირობებში ხვდება და არც ერთ გენოტიპს ყველა პირობასთან შეგუება არ შეუძლია. ამის გამო, ადაპტაციის შესწავლა საკმაოდ რთულია და მას რამდენიმე საკითხი უკავშირდება. ერთ-ერთი საკითხი ცვალებად პირობებში ვარგისიანობის განსაზღვრა ანუ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ როგორ აერთიანებს ინდივიდი სხვადასხვა პირობებში გენოტიპის განსხვავებულ მოქმედებას ვარგისიანობის ერთ განზომილებაში. მეორე საკითხი გარემოს არაერთგვაროვნების შედეგად ერთზე მეტი გენოტიპის თანაარსებობის ხელშეწყობას ეხება. მესამე საკითხი არაერთგვაროვან გარემოში სხვადასხვა ინდივიდების არსებობის პროცესია, რომლებიც გავრცელების არეალს, მსხვერპლს, მეწყვილეს და ა.შ. იჩინევენ. არჩევანის გაკეთების პროცესი გენეტიკურად კონტროლირებადია და მაშასადამე, ადაპტაციის შედეგია.

ადაპტაციის გააზრებისთვის არჩევანის გასაკეთებელი წესების მიმდევრობა უნდა შევისწავლოთ.


### 31.1. ეთაზორულად პოპულაცია შეიძლება განვითილოთ ადაპტაციური ლანდევაციის პიკზე განლაგებულად

წინა თავში ევოლუციური ცვლილება მუტაციის, გენეტიკური დრეიფის ან ბუნებრივი გადარჩევის შედეგად ალელების სიხშირის ცვლილების შედეგად წარმოვადგინეთ. ასეთი შეხედულება მეტისმეტად გამარტივებულია, როდესაც გარემო არაერთგვაროვანია, ვინაიდან ვარგისიანობა გენოტიპსა და გარემოს შორის ურთიერთქმედების შედეგად განისაზღვრება. ევოლუციონისტმა სიუალ რაიტმა სასარგებლო მეტაფორა გამოიგონა, რომელიც ცვლად გარემოში მობინადრე პოპულაციების შესწავლაში დაგვეხმარება (რაიტი 1932, 1982).


პოპულაციის გენეტიკური შემადგენლობა თითოეული გენის სხვადასხვა ალელების სიხშირით იზომება და ყველაზე ხშირად დიდი რაოდენობით გენოტიპების ქავესიმრავლეა, რომელსაც **გენეტიკური პოტენციალი ან გენოტიპის სივრცე** ენოდება. რაიმე გარემო პირობებში ზოგიერთი გენოტიპი უფრო ვარგისიანია და სელექციაც ამ გენოტიპებს ანიჭებს უპირატესობას. ბუნებრივი გადარჩევა ვარგისიანობას მხოლოდ ზრდის, ამიტომ პოპულაციის ევოლუციური ცვლილება შეგვიძლია ვარგისიანობის რაიმე პიკისკენ მიმავალ მოძრაობად მივიჩნიოთ. ეკოლოგები ვარგისიანობის პიკს **ადაპტაციურ პიკს** უწოდებენ. ადაპტაციური პიკი სხვადასხვა სიმაღლის ადაპტაციური პიკებისკენ შემდგარ ადაპტაციურ ლანდშაფტში მდებარეობს, ხოლო თითოეული პიკი პოპულაციის განსხვავებულ გენეტიკურ კონფიგურაციას ასახავს (სურ. 31.1.). პიკები ველებით არის განცალკევებული, ხოლო ველებზე საშუალო ვარგისიანობა მცირეა. ადაპტაციური ლანდშაფტის პიკები შესაფერისი გენოტიპებია, ხოლო ველები შეუფერებელ გენოტიპებს ასახავს. გარემოს შეცვლასთან ერთად ადაპტაციური ლანდშაფტიც იცვლება, ვინაიდან ველში მდებარე შეუფერებელი გენოტიპები ახალ პირობებში შესაძლოა შესაფერისი გახდეს და სელექცია პოპულაციას ახალი ადაპტაციური პიკისკენ გადაადგილებს.

არმბრასტერმა (1985, 1990, 1991) *Dalechampia*-ს გვარის ტროპიკული მცენარეების სახეობების დამტკერვის ადაპტაციური ლანდშაფტი მიახლოებით დაამუშავა. *Dalechampia*-ს ყვავილედი დედალ და მამალ ყვავილებს შეიცავს, რომელებიც ერთ ფუნქციონალურ

ერთეულში ერთიანდება (სურ. 31.2). მამალი ყვავილები ცვალებადი ზომის კანიფოლის ჯირკვლებს შეიცავს. *Dalechampia*-ს თვითდამტკერვა შეუძლია, მაგრამ მისი დამტკერვა ყვავილედზე დამჯდარი ფუტკერების მიერაც ხდება, რომელებიც კანიფოლს ჯირკვლებიდან აგროვებენ და შემდეგ ამ მასალით ბუდეებს აშენებენ. ჯვარედინი დამტკერვა თვითდამტკერასთან შედარებით ვარგისიანობას უფრო ამაღლებს. ფუტკრის მიერ ყვავილის დამტკერვა ფუტკრის ზომაზე, კანიფოლის ჯირკვლის ზომაზე და ყვავილედის სხვადასხვა ნაწილებს შორის დაცილებაზეა დამოკიდებული. ფუტკრები ყვავილედზე ჯდებიან და მათი თავები ინდივიდუალური ყვავილის კანიფოლის ჯირკვალთან ახლოსაა. მოზრდილი ფუტკრები მტკრიანას და დინგსაც ეხებიან, რაც დამტკერვის ეფექტს ამაღლებს. პატარა ფუტკრებს ამის გაეთება არ შეუძლიათ. ფუტკრის მიერ ყვავილის დამტკერვა ჯირკვალსა და დინგს, ასევე ჯირკვალსა და მტკრიანას შორის მანძილზეც არის დამოკიდებული. თუ მანძილი დიდია, მაშინ მოზრდილი ფუტკრებიც კი ვერ ახერხებენ ყვავილის დამტკერვას. არმბრასტერმა კვლევების საფუძველზე დაასკვნა, რომ *Dalechampia*-ს მორფოლოგია ადაპტაციურ ლანდშაფტს ქმნის (სურ. 31.3). დამტკერის დაბალი ტემპი მაშინ გვაქს, როდესაც კანიფოლის ჯირკვალი ჯირკვალსა და ყვავილებს შორის მანძილთან შედარებით პატარაა. კანიფოლის პატარა ჯირკვლები მხოლოდ პატარა ფუტკრებს მიიზიდავს, ხოლო ისინი კანიფოლის ჯირკვალსა და ყვავილებს შორის მანძილს ვერ ფარავენ. არმბრასტერის აზრით, ძალიან დიდ ჯირკვლებში კანიფოლის წარმოქმნის საფასური




**სურ. 31.1.** ადაპტაციური ლანდშაფტი გენეტიკური პოტენციალით და გარემო პირობებით განსაზღვრულ სივრცეში ადაპტაციური პიკების მიმდევრობაა. ბუნებრივი გადარჩევა პოპულაციას პიკისკენ გადაადგილებს. პიკების ცვლილება გარემო პირობების შეცვლის შედეგად ხდება



**სურ.** 31.2. *Dalechampia scandens*-ის ყვავილედი. სურათზე ნაჩვენებია კანიფორლის ჯირკვალი, მტვრიანები და დინგები.

საქმარისად დიდი ზომის ფუტკრების მიზიდვის ღირებულებას აღემატება. ადაპტაციური პიკების თხემები ორ ადაპტაციურ ველს განაცალევებს (სურ. 31.3).

ადაპტაციური ლანდშაფტის მეტაფორაში საკმაოდ რთული ასახსნელია, თუ როგორ გადაადგილდება პოპულაცია ერთი ადაპტაციური პიკები მეორეზე შეუფერებელი გენოტიპების ველის გავლით. გარდა ამისა, ადაპტაციური ლანდშაფტი გარემოს შეცვლის გარეშეც შეიძლება შეიცვალოს. ასეთი შემთხვევა მცირე პოპულაციებში გვხვდება, როდესაც გენეტიკური დრეიფი სელექციის ძალას აღემატება ანუ



**სურ.** 31.3. *Dalechampia*-ს ყვავილედის ადაპტაციური ლანდშაფტი. ჯირკვალი-დინგის და ჯირკვალი-მტვრიანას ზრდადი მანძილები ვერტიკალური დერძის გასწროვ არის გამოსახული. ჯირკვლის ზომა პორიზონტალური დერძის გასწროვ არის გამოსახული. ადაპტაციური პიების თხემები გრაფიკის ქვედ მარცხნა კუთხიდან (ჯირკვალი-დინგის და ჯირკვალი-მტვრიანას მანძილი მცირება; ჯირკვლის ფართობი პატარა) ზედა მარჯვენა კუთხემდე (ჯირკვალი-დინგის და ჯირკვალი-მტვრიანას მანძილი დიდია; ჯირკვლის ფართობი დიდია) გასდევს, ხოლო ადაპტაციური ველები ორივე მხარეზე მდებარეობს. ერთი ველი მცირე ფართობის ჯირკვლის და ჯირკვალსა და ყვავილის ნაწილებს შერჩევს დიდი დაცილების აღვილზე გვხვდება, ვანადან ასეთი განლაგება პატარა ფუტკრებს მიზიდავს, რომელთაც დამტვრება არ შეუძლიათ. მეორე ადაპტაციური ველი ძალიან დიდი ფართობის ჯირკვალზე გვხვდება, ვინაიდან მცენარის მიერ კანიფორლის ნარმაქმნის დირექტულება დამტვერვისგან მიღებულ სარგებელს აღემატება.


დრეიფი პოპულაციას ადაპტაციური პიკები აღემოთ გადაადგილებს. პიკის ძვრა სელექციაზე გამოძახილის საშუალებითაც შეიძლება მოხდეს (პრაისი და სხვები 1993). ადაპტაციური ლანდშაფტის იდეა დღესდღეობით შეცვლილია და ადაპტაციური ლანდშაფტი სამგანზომილებიანის ნაცვლად მრავალგანზომილებიანი სივრცეა, მაშინ პიკის ძვრის ახსნა შედარებით მარტივია (გავრილების 1997).

### 31.2. პოლიმორფიზმი შიძლება შეცვლილ იდეას ეპოლუციის მიერ ჰეთეროგენულ გარემოში

პოლიმორფიზმი არის პოპულაციაში ერთზე მეტი განსხვავებული გენოტიპის ან ფენოტიპის არსებობა. 60-იან წლებში, ბიოქიმიური მეთოდების დახმარებით, ადრე უცნობი გენეტიკური ცვლილებების უზარმაზარი რაოდენობა აღმოაჩინეს, ხოლო მანამდე თვლიდნენ, რომ პოლიმორფიზმი ჰეტეროზიგოტების უკეთესი ვარგისიანობის ანუ ჰეტეროზისის შედეგია. მაგალითად, ნამგლისებრუჯრედიანი ანემიის გამოწვევი რეცესიული ალელი ადამიანთა პოპულაციაში არსებობს, ვინაიდან ჰეტეროზიგოტები მაღარისიადმი მდგრადია (ალისონი 1956, კავალი-სფორცა და ბოდმერი 1971). ბუზებზე და სხვა ორგანიზმებზე ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ მუდმივ ლაბორატორულ პირობებში ამგვარი ჰეტეროზის არ გვხვდება ანუ პოპულაციაში ორზე მეტი ფენოტიპი ან გენოტიპი ერთდროულად იშვიათად არსებობს. პოპულაციებში არსებული პოლიმორფიზმის შესწავლისას ყურადღება დროში ან სივრცეში ცვლად გარემოში მომხდარი ევოლუციის დინამიკას ეთმობა. კვლევა ცხადყოფს, რომ სხვადასხვა პირობებში პოლიმორფული თვისების სხვადასხვა ფორმების გარგისიანობა იცვლება. სახელმძღვანელოს მოცემულ თავში რჩარდ ლევინსს თეორიულ კვლევას შევეხებით. ლევინსმა გენეტიკური პოლიმორფიზმის ახსნა ვერ შეძლო, მაგრამ მისმა მოსაზრებებმა ემპირიული მონაცემებით და ექსპერიმენტული შედეგებით დაწესებული საზღვრები გადალახეს და ევოლუციაში გარემოს არაერთგვაროვნების მნიშვნელობის შესახებ მსჯელობას საფუძველი ჩაუყარეს. ლევინსის კვლევას სიხშირეზე დამოკიდებული სელექციის ცნებამდე მიყყავართ და ამ საკითხს მომავალში შევეხებით.

### ვარგისიანობის სიმრავლეები


ა.ბ. და კუნჩას, თეოდოსიუს დობჟანსკის (1954) და რიჩარდ ლევონტინის (1958) აზრით, პოლიმორფიზმი მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც გარემოს სხვადასხვა ნაწილში ან სხვადასხვა დროს სხვადასხვა გენოტიპების სელექციური შერჩევა ხდება. ლევინსმა (1962) თეორია ჩამოაყალიბა, რომელიც მეცნიერებს არაერთგვაროვნა გარემოში მომხდარი ევოლუციის შედეგების პროგნოზში ეხმარება.





ამ გამოსახულების გარდაქმნა და  $W_2$ -სთვის ამოხსნა  
მოგვცემს:

$$W_2 = \frac{W}{p_2} - \left( \frac{p_1}{p_2} \right) W_1 ,$$

მივიღეთ გრაფიკზე გამოსახული წრფის განტოლება, ხოლო გრაფიკის დერძებია  $W_1$  და  $W_2$  (სურ. 31.5). დე-რძები ვარგისიანობის სიმრავლეს განსაზღვრავენ. მიღებული განტოლება  $-p_1/p_2$  დახრის მქონე წრფეთა ოჯახს განსაზღვრავს, ხოლო გრაფიკის ათვლის სათა-ვიდან მანძილი  $W$ -ს მნიშვნელობაა და სწორედ ეს არის ჯამური ვარგისიანობა. თითოეული წრფე  $W_1$ -ის და  $W_2$ -ის კომბინაცია და ერთი და იგივე ჯამური ვარგი-სიანობის შედეგია. ლევინსი თანაბარი ვარგისიანობის წრფეებს ადაპტაციურ ფუნქციებს უზიდებს. ვარგი-სიანობის სიმრავლეზე დადებული ადაპტაციური ფუნქციები უდიდესი ჯამური ვარგისიანობის მქონე ფენოტიპს განსაზღვრავს. ვარგისიანობის სიმრავ-ლის პერიფერიის ამ წერტილს გრაფიკის ათვლის სა-თავიდან კველაზე უფრო დაშორებული ადაპტაციური ფუნქცია ეხება და სწორედ ეს წერტილი ასახავს კვე-



**სურ. 31.5.** ადაბტაციური ფუნქციები თანაბარი ვარგისინანბის ( $W$ ) წრეფებია, რომელთა მდებარეობა გრაფიკზე პირველი და მეორე გარემოს ფარდობით სიხშირეების საშუალებით განისაზღვრება.  $i$ ,  $j$  და  $k$  წერტილების ვარგისინანბის მნიშვნელობები გრაფიკის ათვ-ლის სათავიდან მოშორებით იზრდება და  $W$ -ს ზრდად მნიშვნელობებს ასახავს.



(ა)



(ბ)

**სურ. 31.6.** ვარგისიანობის სიმრავლეზე ადაპტაციური ფუნქციების დადება ყველაზე უფრო ვარგისიან ფენოტიპს ავლენს, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობის ადაპტაციური ფუნქცია ეხება.

ლა შესაძლო ფენოტიპში  $W$ -ს უდიდეს მნიშვნელობას (სურ. 31.6). ადაპტაციური ფუნქცია ვარგისიანობის სიმრავლის მხებია.


გავრცელების არეალის პატარა ტერიტორიების შეფარდება იცვლება, ამიტომ ადაპტაციური ფუნქციის ( $p_1/p_2$ ) დახრილობაც იცვლება და მხები ადაპტაციური ფუნქცია ვარგისიანობის სიმრავლეს სხვადასხვა წერტილებზე ეხება (სურ. 31.7). ლევინსის მოსაზრებით, გავრცელების არეალის პატარა ტერიტორიებში სიხშირის გრადიენტის გასწვრივ სელექციური ფენოტიპების გრადიენტი მდებარეობს.

31.4, 31.6 და 31.7 სურათებზე გამოსახული ვარგისიანობის სიმრავლე საკმარისად მსგავს გავრცელების არეალებს ეფუძნება, სადაც ფენოტიპის ვარგისიანობა ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. ლევინსმა გავრცელების არეალის პატარა ტერიტორიებიც გამოიკვლია, რომლებზეც სელექციური პირობები ერთმანეთისგან განსხვავდება. ასეთ დროს ვარგისიანობის სიმრავლის ცენტრზე ჩარღმავება ჩნდება, რაც სელექციის განსხვავებული შედეგის დადგომას ინვევს (სურ. 31.8). ვარგისიანობის სიმრავლეზე დადებული წრფივი, ადაპტაციური ფუნქციები აჩვენებს, რომ ვარგისიანობის სიმრავლის პერიფერიის შიგნით ჩარღმავებული ნაწილის გასწვრივ განლაგებული



**სურ. 31.7.** როდესაც პირველი და მეორე ვარემო პირობის სიხშირის შეცვლისას ადაპტაციური ფუნქციის დახრილობა იცვლება, ყველაზე უფრო ვარგისიანი ფენოტიპიც ცვლილებას განიცდის.

**სურ. 31.8.** თუ პირველი და მეორე ვარემო პირობები ერთმანეთისგან მცველობად განსხვავდება (ა), ვარგისიანობის სიმრავლე ჩაზნექილია (ბ). ვარემო პირობების სიხშირის ცვლილება ოპტიმალური ფენოტიპის ძვრას იწვევს, ვინაიდან შეგნით ჩაზნექილ გრაფიკზე მდებარე ფენოტიპებს უფრო ნაკლები ვარგისიანობა აქვთ, ვიდრე იმ ფენოტიპებს, რომლებიც გრაფიკის ბოლო წერტილებზე მდებარეობენ.



**სურ. 31.10.** ლევინსის ვარგისიანობის განვრცობილი სიმრავლე ( $'$ ) უკიდურესი ფენოტიპების სხვადასხვა პროპორციების გაერთიანება, რაც მეცნიერის აზრით, პოპულაციაში არსებულ პოლიმორფიზმს ხსნის.

ნამრავლისადმი პირდაპირპოპორციულია. აქედან გამომდინარე, დროებით ცვლად გარემოში ფენოტიპის საშუალო ვარგისიანობაა  $W=W_1p_1W_2p_2$ , ხოლო ამ გამოსახულების გარდაქმნის შემდეგ ადაპტაციურ ფუნქციას მივიღებთ:

$$W_2 = \left( \frac{W}{W_1 p_1} \right)^{1/p_2},$$

მიღებული ფუნქცია ჰიპერბოლაა, ხოლო განტოლება გრაფიკულად 31.9 სურათზეა გამოსახული. ლევინსმა ვარგისიანობის განვრცობილი სიმრავლის ( $F'$ ) არსებობაც დაადასტურა, რომელიც გარემოში არსებული ფენოტიპების ყველა შესაძლო გაერთიანებას მოიცავს (სურ. 31.10). მეცნიერის თანახმად, სელექცია გენოტიპთა იმ გაერთიანებას ირჩევს, რომელიც ვარგისიანობის განვრცობილ სიმრავლეზე გამოსახული, ჰიპერბოლური, ადაპტაციური ფუნქციის მხებით არის წარმოდგენილი. ლევინსის აზრით, მან პოპულაციაში პოლიმორფიზმის არსებობა ახსნა და გააკეთა პროგნოზი, რომლის თანახმად, დროებით არაერთგვაროვანი პირობების სიხშირის გრადიენტის გასწრივ ორი ფენოტიპის სიხშირის გრადიენტი არსებობს.


ლევინსი თვლიდა, რომ დროებით ცვლად გარემოში ორი ფენოტიპის გაერთიანება მათი შემადგენელი ვარგისიანობების ართმეტიკურ საშუალოს ნიშნავს, მაგრამ ეს სწორი არ არის. სინამდვილეში, ფენოტიპების გაერთიანების „ვარგისიანობა“ (ანუ პოპულაციის ზრდის ტემპი) ფენოტიპების ვარგისიანობების გეომეტრიული საშუალოა. მაშასადამე, ლევინსის ვარგისიანობის განვრცობილი სიმრავლე ბუნებაში არ არსებობს. ამ ცნების აბსურდულობა კიდევ უფრო კარგად ჩანს, როდესაც ვარგისიანობის სიმრავლე ერთი ლერძიდან მეორისკენ ჩაიზნიება. ლევინსის თანახმად, ორი პირობიდან ერთ-ერთზე მორგებული ორი ფენოტიპის გაერთიანებას ალტერნატიული ჰიპოზისას ნულოვანი ვარგისიანობა გააჩნია და მაშასადამე, ჯამური ვარგისიანობაც ნულის ტოლია ანუ არც ერთ ფენოტიპს დროებით ცვლად გარემოში არსებობა არ შეუძლია. ასეთი შეცდომის დაშვების მიზეზი ლევინსის მოდელში სელექციის მექანიკის გაუთვალისწინებლობა გახდა.

## სიხშირეზე დამოკიდებული სელექცია

პოპულაციაში პოლიმორფიზმის შენარჩუნება **სიხშირეზე დამოკიდებული სელექციით** ხდება. დავუშვათ, პოლიმორფული პოპულაციის ორივე გენოტიპის ვარგისიანობა პოპულაციაში ამ გენოტიპის სიხშირეზეა დამოკიდებული სხვა გენოტიპის მიმართ. ეს ნიშნავს, რომ მაგალითად  $A$  ფორმის ვარგისიანობა,  $B$  ფორმასთან შედარებით მისი მრავალრიცხოვნობის ზრდისას, იცვლება.  $A$  ფორმის სიხშირის ცვლილება სელექციაში მის უპირატესობას იწვევს. აქედან გამომდინარე,  $A$  ფორმის სელექცია სიხშირეზეა დამოკიდებული. სიხშირეზე დამოკიდებული სელექცია შეიძლება იყოს დადგითით ან უარყოფითი. **სიხშირეზე დამოკიდებული უარყოფითი სელექცია** ნიშნავს, რომ თვისების ვარგისიანობა თვისების სიხშირის ზრდასთან ერთად მცირდება. სიხშირესთან ერთად ვარგისიანობის ზრდას სიხშირეზე დამოკიდებული დადგითი სელექცია ეწოდება.

აფრიკულ თევზზ *cichlid*-ის შვიდი სახეობა სხვა თევზზის ქერცლით იკვებება (იხ. თავი 1). ქერცლის მჭამელი თევზი მსხვერპლს (ანუ მასპინძელს, ვინაიდან შეტევის შემდეგ თევზი ცოცხალი რჩება) უკიდან უახლოვდება და გვერდიდან ქერცლს აძრობს. ასეთ თევზებში საქმაოდ უცნაური პოლიმორფიზმი არსებობს - მათი პირი ასიმეტრიულია. ზოგიერთი თევზის პირი მარცხნისკენ იღება, ხოლო ზოგიერთის მარჯვნისკენ (სურ. 31.11). ინდივიდები, რომელთაც პირი მარჯვნისკენ ეღებათ, მსხვერპლს ყოველთვის მარცხნის გვერდიდან უტევენ და პირიქით (პორი 1993).

ტანგანიკის ტბაში მობინადრე ერთ-ერთი ასეთი სახეობის, კერძოდ *Perissodus microlepis*-ის შესწავლამ აჩვენა, რომ პირის გაღების მიმართულება მენდელის მარტივი სისტემიდან გამომდინარეობს. მსხვერპლი სახეობები ქერცლის მჭამელი თევზისგან




**სურ. 31.11.** ქერცლის მჭამელი თევზზ *cichlid Perissodus microlepis* აფრიკაში, ტანგანიკის ტბაში ცხოვრობს. ზოგიერთი ინდივიდის პირი მარჯვნისკენ იღება (ზედა სურათი), ხოლო ზოგიერთის მარცხნისკენ (ქვედა სურათი). პირის მიმართულების პოლიმორფიზმი პოპულაციაში სიხშირეზე დამოკიდებული სელექციის შედევგია.

თავს აქტიურად იცავენ. როდესაც *P. microlepis*-ის ერთ-ერთი ვარიანტი (პირის გაღების მიმართულების თვალსაზრისით) უფრო მრავალრიცხვოვანია, მსხვერპლი სახეობა სწორედ ამგვარი თევზისგან უფრო აქტიურად იცავს თავს. ჰორის (1993) აღმოჩენით, თავდაცვის მექანიზმი ქერცლის მჭამელი თევზის სიხშირეზე დამოკიდებული სელექციის შედეგია და თევზის პოპულაციაში პირის მიმართულების პოლიმორფიზმს იწვევს. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, სიხშირეზე დამოკიდებული სელექციის ცნება ცხოველების კვების სხვადასხვა მანერებს ან დაწყვილების სტრატეგიებს შორის ბალანსის შესწავლისთვისაც სასარგებლოა.

### 31.3. ურთიერთობა ფენოტიპსა და გარემოს შორის ინდიკირდულური ორგანიზმების თვისებაა

როგორ განვახავოთ ერთმანეთისგან პოპულაციების ევოლუციური ადაპტაცია და ნორმალურ გარემო პირობებში ინდივიდების გამოძახილები? ინდივიდუალური გამოძახილი გენეტიკური არ არის, რადგან ინდივიდს გენეტიკური ნივთიერების ერთი სიმრავლე აქვს და სიკოცხლის განმავლობაში არ ეცვლება, თუმცა გარემოზე გამოძახილი გენეტიკური კონტროლის ქვეშ შეიძლება იყოს ანუ ბუნებრივი გადარჩევის შედეგად ევოლუციურად შეიცვალოს. ინდივიდის თითქმის ყველა თვისებაზე გარემო პირობები გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. ინდივიდის ფენოტიპსა და გარემოს შორის კავშირს რეაქციის ნორმა ეწოდება (სურ. 31.12). მე-6 თავში შესწავლილი გამოძახილების უმეტესობა რეაქციის ნორმის მაგალითია. მაგალითად, თქვენი სხეულის რეაქცია ტემპერატურის ცვლილებაზე ფენოტიპს, კერძოდ ტემპერატურის დარეგულირებასთან დაკავშირებულ ფიზიოლოგიურ




**სურ. 31.12.** ფენოტიპსა და გარემოს შორის დამოკიდებულებას რეაქციის ნორმა ეწოდება და ინდივიდუალური ორგანიზმის თვისება. ინდივიდების გამოძახილი გარემო პირობებში გენეტიკურად კონტროლება და ევოლუციის შედეგად შეიძლება შეიცვალოს, როგორც ეს A სახეობის რეაქციის ნორმის B სახეობის რეაქციის ნორმისგან განსხვავებულობაში ჩანს.

პროცესებსა და გარემოს შორის კავშირის მაგალითია. ფენოტიპის გამოძახილებს გარემო პირობებზე ფენოტიპური მოქნილობა ეწოდება (შლიხტინგი 1986, ტრექსლერი და ტრევისი 1990), ბერიგანი და კოელა 1994, გომულების კორელაციი 1992, ჰისტონი და მაკნამარა 1992, კავეცკი და სტერნი 1993, შაინერი 1993, ვიკისი და მეფე 1996).

რეაქციის ზოგიერთი ნორმა სიცოცხლის პროცესებზე ფიზიკური გარემოს ზემოქმედების პირდაპირი შედეგია. სითბური ენერგია სიცოცხლის პროცესების უმეტესობას აჩქარებს, ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ, როდესაც პეპლა *Papilio canadensis*-ის მუხლუხი მაღალ ტემპერატურაზე უფრო სწრაფად იზრდება. ამ სახეობის პეპლების ინდივიდები მიჩიგანსა და ალიასკაში ზრდის ტემპსა და ტემპერატურას შორის სხვადასხვანაირ დამოკიდებულებას ავლენენ, აქედან გამომდინარე, რეაქციის ნორმების შეცვლა ევოლუციის შედეგია. ალიასკის პოპულაციის ნარმომადგენელი მატლი დაბალ ტემპერატურაზე უფრო სწრაფად იზრდება, ხოლო მიჩიგანის პოპულაციის ნარმომადგენელი მაღალ ტემპერატურას ამჯობინებს. ამგვარი შედეგი მოსალოდნელიც არის, თუ ამ ტერიტორიებზე ზრდის სეზონის ტემპერატურულ არეალს გავითვალისწინებთ (აირესი და სკრიბერი 1994; სურ. 31.13).

პეპლის ზრდის ტემპიდან გამომდინარე, გენოტიპისა და გარემოს ურთიერთქმედების შედეგად ფენოტიპური თვისებები განისაზღვრება. გენოტიპსა და გარემოს შორის ურთიერთქმედება ნიშნავს, რომ რეაქციის ნორმის გადახრა გენოტიპებში განსხვავებულია. როდესაც რეაქციის ორი ნორმა იკვეთება, როგორც ეს არის პეპლების შემთხვევაში, თითოეული გენოტიპი (ან პოპულაცია) ერთ გარემოში უკეთესად მოქმედებს, ვიდრე მეორეში. გენეტიკურ ფაქტორებსა და გარემო ფაქტორებს შორის ურთიერთქმედება




**სურ. 31.13.** პეპლა *Papilio canadensis*-ის მატლის მეოთხე სტადიის ზრდის ტემპის ტემპერატურაზე დამოკიდებულების ფუნქციის გრაფიკი. ორივე გრაფიკი პოპულაციის რეაქციის ნორმას ასახავს. მატლები ალიასკასა და მიჩიგანში გავრცელებული პეპლებიდან შეარჩიეს და ისინი ინდურ ალვის ხეზე (*Populus balsamifera*) ბინადრობები. ალიასკური პეპლები ცივ ტემპერატურაზე მიჩიგანურ პეპლებზე სწრაფად იზრდებიან. თბილ ტემპერატურაზე საპირისპირო ხდება, თუმცა ორივე პოპულაცია ტემპერატურის ზრდასთან ერთად უფრო სწრაფად იზრდება. მიღებული შედეგები გენოტიპსა და გარემოს შორის ურთიერთქმედებისას ტოპორია.

სახეობის მოქმედებაზე ზეგავლენას ახდენს და ეს მოვლენა სპეციალიზაციის ევოლუციის საფუძველია. როდესაც ორი პოპულაცია სხვადასხვა გარემოში ბინადრობს, გენოტიპსა და გარემოს შორის ურთიერთქმედება თითოეულ პოპულაციაში სხვადასხვა გენოტიპის დომინანტურობას იწვევს. აქედან გამომდინარე, პოპულაციები ერთმანეთისგან განსხვავებული ხდება და მათი რეაქციის ნორმებიც განსხვავებულია. რეაქციის ნორმები ინდივიდუალურ ორგანიზმებს გარკვეულ გარემო პირობებში უკეთესად ცხოვრების საშუალებას აძლევს.

პოპულაციებს შორის განსხვავება ევოლუციური დიფერენციაციის ან სხვადასხვა გარემო პირობებზე ინდივიდების ფენოტიპური გამოძახილების შედეგია და ამის დამტკიცება გადასახლების ექსპერიმენტ-ებით შეიძლება. გადასახლების კვლევისას, ბუნებრივ გარემოში მობინადრე ინდივიდების ფენოტიპებს სხვა გარემოში გადასახლებული ინდივიდების ფენოტიპებს ადარებენ. გადასახლება ერთი გარემოდან მეორეში ინდივიდების გადაადგილებას ნიშნავს. მეცნიერები უშვებენ, რომ თვისებები გენეტიკურად განისაზღვრება, როდესაც ბუნებრივი და გადასახლებული ინდივიდების ფენოტიპური მნიშვნელობები ორივე გარემოში ერთი და იგივეა. როდესაც თვისების მიშვნელობა ინდივიდის ცხოვრების ადგილს (გარემოს) ასახავს და არა ცხოვრების ადრეულ ადგილს (გენოტიპს), მაშინ ექსპერიმენტების შედეგები, პოპულაციებს შორის განსხვავებულობის გამო, ფენოტიპურ მოქნილობასთან შესაბამისობაშია. რა თქმა უნდა, შუალედური შედეგების მიღებაც შესაძლებელია და ასეთ დროს ვასკვნით, რომ რეაქციის ნორმა ევოლუციური ცვლილების შედეგია.

გადასახლების ერთ-ერთი ექსპერიმენტის ჩატარებისას, *fence lizards*-ებს (*Sceloporus undulatus*) ნიუჯერსისა და ნებრასკას შორის ადგილები შეუცვალეს




**სურ. 31.14.** ახალგაზრდა *fence lizards*-ების (*Sceloporus undulatus*) ზრდის ტემპი, როდესაც ნებრასკაში და ნიუ ჯერსიში მცხოვრებ პოპულაციებს გადასახლების ექსპერიმენტის ჩატარებისას ადგილები შეუცვალეს. ისრებით გადასახლებული პოპულაციებია ნაჩვენები.

(ნივიაროგსკი და რომელიმე 1993). გადასახლებამ ზრდის ტემპზე ზეგავლენა მოახდინა და როგორც გენეტიკური განსაზღვრულობა, ასევე ფენოტიპური მოქნილობა გამოივლინა (სურ. 31.14). ნებრასკული ხელიკების ზრდის ტემპი ბუნებრივ გარემოში ნიუ ჯერსული ხელიკების ზრდის ტემპს ორჯერ აღემატება, მაგრამ ნიუ ჯერსიში გადასახლების შემდეგ მათი ზრდის ზემტი თითქმის ნახევრდება. ნიუ ჯერსული ხელიკები ნებრასკაში უფრო სწრაფად არ იზრდებიან. მიღებული შედეგები გვაძლევს დასკვნის საშუალებას, რომ ნიუ ჯერსიში ზრდისთვის საჭირო რესურსები ნებრასკაზე ნაკლებია და ნიუ ჯერსიში გადასახლებული ნებრასკული ხელიკები ზრდის ბუნებრივი ტემპის განვითარებისთვის საჭირო რესურსებს სწრაფად ვერ აგროვებენ. ცხადია, ნიუ ჯერსულ ხელიკებს გენეტიკურად რეგულირებადი ზრდის ტემპი აქვთ და ეს ტემპი რესურსების დაბალი დონისთვის არის გათვალისწინებული. მათ რესურსების მაღალ დონეზე ზრდის ტემპის შეცვლა არ შეუძლიათ.

ნიუ ჯერსიში გადასახლებული ნებრასკული ხელიკების ზრდის შენებული ტემპი ადაპტაციის შედეგია თუ უბრალოდ შემცირებული რესურსების? თუ ფენოტიპური მოქნილობა ადაპტაციურია, მაშინ ორგანიზმის ფორმის ან ფუნქციის ცვლილება ვარგისაინაზე გარემოს უარყოფით ზეგავლენას შეამცირებს. სკიუმ (1991) მარტივი ექსპერიმენტის დახმარებით ადაპტაციურ და არაადაპტაციურ ფენოტიპურ მოქნილობას შორის განსხვავება აღმოჩინა. მეცნიერმა იაპონური მწყრის ბარტყებს და ევროპულ შოშიებს საკვების მიწოდება 10 და 3 დღის განმავლობაში შეუმცირდა და მუდმივი ნონის შენარჩუნებისთვის საჭირო რაოდენობაზე დაიყვანა. ამგვარი ექსპერიმენტი სწრაფად ზრდის პერიოდში საკვების ცუდად მიწოდების ზეგავლენას ასახავს.

ორივე სახეობის ბარტყება სხეულის წონის შეძენა ვერ შეძლო, თუმცა ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით საჭმლის შემცირებაზე გამოძახილი განსხვავებული აღმოჩნდა. მწყრის ბარტყების სხეულის ტემპერატურა და ნივთიერებათა ცვლის ტემპი სწრაფად შემცირდა (ანუ ენერგიის დაზოგვა მოხდა). მათმა ბუმბულმა და კიდურებმა, კერძოდ ფეხებისა და ფრთების მოგრძო ძვლებმა, ზრდა მომენტალურად შეწყვიტა. საბოლოო ჯამში, მწყრის ბარტყებმა განვითარება შეწყვიტეს და ექსპერიმენტის დასაწყისში არსებულ ფიზიოლოგიურ ასაკში დარჩნენ. როდესაც საკვების ნორმალური მიწოდება განახლდა, მწყრის ბარტყება ნორმალურად დაიწყო განვითარება და ჩვეულებრივი ზომის გახდა.

შოშიების მოქმედება სრულიად განსხვავებული აღმოჩნდა. მათი ნივთიერებათა ცვლა და სხეულის ტემპერატურა შენარჩუნდა, ხოლო ძვლებმა და ბუმბულებმა შინაგანი ორგანოების სარჯზე ზრდა განაგრძეს. საბოლოო ჯამში, შოშიების ბარტყების ფიზიოლოგიური ასაკი ქრონოლოგიურ ასაკს არ ჩამორჩნია, თუმცა ბარტყები გამოუკვებავნი დარჩ-



ნენ. საჭმლულზე შეზღუდვის მოხსნის შემდეგ ზრდის ტემპი ძალიან გაიზარდა, თუმცა ბარტყები ნორმალური ზომის არ გახდნენ. ცუდად გამოკვებილი შოშიების ძვლები და ბუმბული ნორმალურად გამოკვებილ მეგობრებთან შედარებით ნაკლები ზომის იყო.


შოშიების და მწყერების ისტორია მიუთითებს, რომ ორგანიზმები საკუთარ ზრდის ტემპს ნაკლებად აკონტროლებენ, მაგრამ მათი სასიცოცხლო ციკლის სხვა ასპექტები ზრდის შედეგად იცვლება. ორგანიზმთა მრავალი სახეობა ზრდის განმავლობაში მკვეთრად იცვლება. მატლიდან სახეობის მოზრდილ წარმომადგენელზე გადასვლა და სქესოპრივი მომზიფება (კვლილების ყველაზე უფრო აშკარა მაგალითებია. განვითარების ოპტიმალური დრო რესურსებსა და ბუნებრივ მგრებზეა დამკიდებული, ხოლო საკვების მიწოდების, ტემპერატურის და სხვა გარემო ფაქტორების შედეგად ზრდის ტემპი რთულად იცვლება.

31.15 სურათზე გამოსახულია საკვების მიწოდების ორ დონეზე ზრდის ორი გრაფიკი. დაუუშვათ, კარგი კვებისა და სწრაფად ზრდისას მომწიფებული ინდივიდი გარკვეული წონისა და ასაკისაა. ცუდად გამოკვებილი ინდივიდები, ცხადია, იგივე ასაკში იგივე წონისანი არ იქნებიან და მაშასადამე, მომწიფების განსხვავებული დრო აქვთ. ცვალებად გარემო პირობებში ინდივიდი ორი მთავარი წესის ან რაიმე შუალედური წესის მიხედვით მნიშვნება. პირველი წესის თანახმად, ინდივიდი გარკვეული, წინასწარ განსაზღვრული წონის შეძენისას მნიშვნება. ცუდი კვებისას მომწიფებას მეტი დრო სჭირდება და გამრავლებამდე რისკის ჰერიონიც უფრო ხანგრძლივია. მეორე წესის თანახმად, იდინვიდი გარკვეულ, წინასწარ განსაზღვრულ ასაკში მნიშვნება. ცუდი კვებისას მომწიფებული ინდივიდი უფრო პატარა ზომისაა და გამრავლების ტემპიც უფრო ნელია. მომწიფების პატიმალური დრო სადღაც შუაშია და ახალგაზრდა ინდივიდის სიკვდილიანობის რისკზე (მაღალი რისკისას მომწიფება უფრო ადრესტება და ინდივიდის ზომა პატარაა) და ნაყოფიერება-

**სურ. 31.15.** ასაკასა და მომზინების ზომას ან გადასვლას შორის დამკიცდებულების შესაძლო კრაფტიკები, როდესაც ზრდის ტეპბეგი ერთმანეთისაგან განსხვავდება. ინიციალური შუდრო ასაქში, შუდრო ზომაზე ან რომელ შუალედურ ეტაპზე შეიძლება მომზინდნენ.

სა და მომნითებული ინდივიდის ზომას შორის დამოკიდეულების გრაფიკის გადახრაზეა დამოკიდებული (დიდი მნიშვნელობებისას მომნითება უფრო ნელა ხდება და ინდივიდი დიდი ზომისაა, ვინაიდან ნაყოფი-ერების საფასური უფრო მაღალია).

თავკომბალები კარგი და ცუდი კვების პირობებში  
სხვადასხვა ტემპით იზრდებან და ეს მოლოსადნელი-  
ცაა. ცუდად გამოკვებილი თავკომბალები შედარებით  
პატარა ზომის ბაყაფები უფრო დიდ ასაკში ხდებან,  
ხოლო კარგად გამოკვებილი თავკომბალების შემ-  
თხვევაში პირიქით ხდება (სურ. 31:16). მიღებული  
შედეგების საფუძველზე შეგვიძლია თეორიულად  
დავასკვნათ, რომ გადასვლის დრო ასაკსა და ზომაზეა



**სურ.** 31.16. ბაყაფების მომზიფებების ასაკსა და ზომას შორის დამოკიდებულების გრაფიკები კარგი და ცუდი კვებისას. მომზიფების რაჯენტის ნორმა (მწვანე ხაზი) მუდმივი ზომისა და მუდმივი ასაკის ექსტრემუმებს შორის მდებარეობს. ნორები თავკომბალუბის ნონას 40 დღის შემდეგ და მომზიფების პერიოდში ასახავს. მათი გამოყენებით ზრდის ტემპებს (შავი ხაზები) შორის დამოკიდებულება დგინდება.

დამოკიდებული. ცუდი კვება ბაყაყის განვითარებას აფერხებს, მაგრამ არ აჩერებს, როგორც ეს იაპონური მწყერის შემთხვევაში გვეჩვენება. ასაკსა და ზომას შორის დამოკიდებულება სხვადასხვა კვებისას რეაქციის ნორმაა. ამგვარი სტრუქტურის ზოგადობის დამატებიც ბელი აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ქალების მომწიფების მსგავსი რეაქციის ნორმაა. განვითარებულ ქვეყნებში ქალები ბევრად უკეთესად იკვებებიან, ვიდრე მაგალითად ერთი საუკუნის წინ. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, წონასა და ასაკს შორის დამოკიდებულება შეიცვალა, ახალგაზრდა ქალების მომწიფების ასაკი დაახლოებით 4 წლით შემცირდა, ხოლო წონა დაახლოებით 2 კილოგრამით გაიზარდა.

### **31.4. ოპტიმალური კვების თეორია მიმართულია რესურსებსა და საპირად- რო გარემოს მორის არჩევანის პროც- ლესისკენ**

როდესაც მტაცებელი საკვებს გავრცელების არეალში ეძებს, ის პოტენციურ მსხვერპლს მუდმივად აწყდება. მტაცებელს მსხვერპლთან შეხვედრისას მისი დადევნება და შექმა შეუძლია, რაც დროს და ენერგიას მოითხოვს. მტაცებელს ასევე შეუძლია, მსხვერპლს თავი დაანებოს და ძებნა განაგრძოს. ორივე არჩევანს თავისი უპირატესობა და ნაკლი გააჩნია. ცხადია, ცხოველები აკეთებენ არჩევანს, რომელიც მინიმალური დანაკარგით მაქსიმალური სარგებელის მიღებას გულისხმობს ანუ ცხოველებმა მაქსიმალურად დიდი რაოდენობის საკვები უნდა მიიღონ დახარჯული ენერგიის პირობებში. ეკოლოგიური თეორია დანაკარგსა და სარგებელს მიმოიხილავს და თეორიის ამ ნაწილს ოპტიმალურობის თეორია ეწოდება. ოპტიმალური კვების თეორიის თანახმად, ბუნებრივი გადარჩევა ცხოველთა კვების უნარებს აყალიბებს, რათა მათი ვარგისიანობა მაქსიმალური გახდეს (სტივენსი და კრებსი 1986, მენგელი და კლარკი 1988, კრებსი და კაცელნიკი 1991, ბალმერი 1994). ვარგისიანობა პირდაპირ არ იზომება და ჩვეულებრივ რაიმე სუროგატული სიდიდის, მაგალითად ენერგიის მიღების საშუალო ტემპის გამოთვლა ხდება.

#### **ოპტიმალურობის მოდელის ელემენტები**

ოპტიმალურობის მოდელი ეფუძნება მოსაზრებას, რომლის თანახმად, ცხოველები იღებენ გადაწყვეტილებებს და მათი მოქმედება ვარგისიანობის მაქსიმალიზაციისკენ არის მიმართული. ეკოლოგების აზრით, ცხოველები კვებისას არჩევანს შეგნებულად არ აკეთებენ. ისინი ირჩევენ მსხვერპლის რაიმე სახეობას და მათი არჩევანი წარსულის გამოცდილებას, ფიზიოლოგიურ მდგომარეობას, მსხვერპლის დაჭრისა და შენარჩუნების მორფოლოგიურ შესაძლებლობას არ ეფუძნება.

ოპტიმალურობის მოდელში სამი ძირითადი ელემენტი შედის და ესენია: ღირებულება, შეზღუდვები და გადაწყვეტილების ცვლადი (კრებსი და კაცელნიკი 1991). ბიზნესის სამყაროში მინიმალური დანახარჯით მაქსიმალური სარგებელი უნდა მიიღოთ, ხოლო სარგებელი ამერიკული დოლარებით, გერმანული მარკებით, იაპონური იენებით და ა.შ. იზომება. მკვებავი ცხოველის ღირებულება მისი ენერგიაა, რომელიც სხვადასხვა მოქმედებაზე დახარჯული დროის საშუალებით შეიძლება გამოითვალის. სიკვდილის რისკი ასევე მნიშვნელოვანი ღირებულებაა. ცხოველები გარემოსა და მათი მორფოლოგიური თუ ფიზიოლოგიური შეზღუდვების პირობებში იკვებებიან. მსხვერპლი სახეობების ხელმისაწვდომობა და გაქცევის უნარი გარემო ფაქტორებია და ისინი მსხვერპლის მოძებნის, დატყვევების და მოხმარების დროს ზღუდავს. მტაცებლის კვების ორგანოების ზომა მსხვერპლის ზომასთან შედარებით კვების მორფოლოგიური შეზღუდვის მაგალითია.

ცხოველები სტრუქტურისა და გარემოს მიერ დაწესებული შეზღუდვების პირობებში იკვებებიან და მათი არჩევანი ღირებულების ოპტიმიზაციას ემსახურება. გადაწყვეტილების მიღება ანალიტიკურ მოდელში უნდა გავაერთიანოთ, რომლის საშუალებით კვების შესახებ პიპოთეზების მიღება შესაძლებელი გახდება. მოდელის აგებამდე გადაწყვეტილების ცვლადი ნათლად უნდა განისაზღვროს ანუ ჩვენ უნდა ვიცოდეთ კვების მოდელში ნებისმიერ დროს რა წყდება. გადაწყვეტილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლადია მსხვერპლის შექმა-არშეჭმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლადი კვების იგივე ტერიტორიაზე გაგრძელების ან სხვა ტერიტორიაზე გადასვლის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებაა.


#### **ოპტიმალურობის მოდელის კრიტიკა**

ზოგიერთი მეცნიერი ოპტიმალურობის მოდელს აკრიტიკებს (კრებსი და კაცელნიკი 1991). კრიტიკის ნაწილი საკმაოდ მნვავეა და კარგად ჩანს, მაგალითად პირსის და ოლასონის (1987) წერილში „რვა მიზეზი, რის გამოც ოპტიმალური კვების თეორია დროის ფუჭი ფლანგვაა“. კრიტიკის გამომწვევი მიზეზი ის არის, რომ ოპტიმალური კვების თეორია ადაპტაციურ პროგრამას ეფუძნება, რომლის თანახმად, ბუნებრივი გადარჩევა სარგებელი-დანაკარგის ოპტიმალური შეფარდების მქონე ფენოტიპებს გვაძლევს (გოულდი და ლევონტინი 1979) (ის. თავი 30). გარდა ამისა, ეჭვებეშ დგას, ასახავს თუ არა ოპტიმალურობის მოდელი ადეკვატურად ბუნებრივ სამყაროში ცხოველთა ქცევებს (გრეი 1987). კარგად მოფიქრებული კვლევების დახმარებით მოქმედების ევოლუციის გააზრება თეორიულ კვლევებზე უფრო სწრაფად ხდება, ხოლო კრიტიკული აზრების შესუსტება ანალიტიკურ მოდელებშია შესაძლებელია.

ანალიტიკური მოდელების დახმარებით გაკეთებული პროგნოზები ხშირად ბიოლოგიურად არარეალურ შეზღუდვებს ეფუძნება. მიუხედავად ამისა, მე-2 თავში უკვე ვთქვთ, რომ ანალიტიკური მოდელების დანიშნულება ბუნებრივი პროცესის ფორმისა თუ სტრუქტურის გამოსახვა და ექსპრერიმენტისთვის ზოგადი ჰიპოთეზების შემუშავებაა და არა პროცესის დეტალებში ჩარღმავება. ოპტიმალური კვების თეორია ცხოველთა მოქმედების გააზრებისთვის ძალიან ლირებული საშუალებაა.

### 31.5. გთაცემლის შეუძლიათ, მოახდინ განსევავებული სახის მსხვერპლის ოპტიმიზაცია რაციონები


ცხოველი კვებისას დროს ანალიტებს და ენერგიას მაქსიმალურად იღებს. ამ პროცესის გამოსახვა ოპტიმალური კვების მსხვერპლის მოდელის საშუალებით ხდება. მსხვერპლის მოდელში გადაწყვეტილების ცვლადი მსხვერპლის შექმის ან არშეჭმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებაა. მიღებული ენერგიის ოპტიმიზაცია კვების მოცულობით ხდება. კვების მოცულობა კვების რაციონში შემავალი მსხვერპლი სახეობების რაოდენობაა. თუ ყველა მსხვერპლი თანაბარი კვებითი ლირებულება გააჩნია, მაშინ მრავალრიცხოვნობა და მტაცებლობისგან გაქცევის უნარი მსხვერპლი სახეობების განსხვავებისთვის გამოიყენება. მტაცებლისთვის მრავალრიცხოვანი ან გაქცევის კარგი უნარის მქონე მსხვერპლი ნაკლებად ლირებულია, ვინაიდან მისი მოპოვება უფრო დიდ დანახარჯს მოითხოვს. მსხვერპლის ძებნისა და დადევნებისთვის საჭირო დრო დანახარჯია, ვინაიდან ეს დრო ჭამაზე არ მიდის. მტაცებლის კვებისთვის სასრული რაოდენობის დრო აქვს. რა განსაზღვრავს ასეთ პირობებში შესაჭმელი მსხვერპლი სახეობის რაოდენობას? მაკარტურმა და პიანკამ (1966) ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მტაცებლის ქცევის მარტივი, გრაფიკული მოდელი ააგეს.



**სურ. 31.17.** მტაცებლის მიერ კვების მოცულობის ოპტიმიზაციის გრაფიკული მოდელი. ძებნის დრო ( $T_s$ ) და დადევნება-დაუფლების ( $T_p$ ) დრო კვების მოცულობის ფუნქციის სახით არის გამოსახული. დროების ჯამი ( $T_s + T_p$ ) მსხვერპლის მოხმარების ტემპისადმი უკუპროპორციულია. აქედან გამომდინარე კვების ოპტიმალური მოცულობა ( $T_s + T_p$ ) გრაფიკის მინიმუმს შეესაბამება.

მეოთხველმა შეიძლება იფიქროს, რომ მტაცებლისთვის საუკეთესო სტრატეგია გზად შეხვედრილი ყველანაირი მსხვერპლის შექმა იქნება და კვების მოცულობის გაზრდა მტაცებლისთვის სასრულობლოა. მიუხედავად ამისა, კვების რაციონში ახალი სახეობის მსხვერპლის შესვლა მსხვერპლის მოხმარების ტემპზე დადებითად ან უარყოფითად შეიძლება აისახოს. კვების გაფართოებული რაციონი მტაცებელს უფრო დიდი რაოდენობის პოტენციურ მსხვერპლთან ახვედრებს და ამიტომ მსხვერპლის მოხმარება შეიძლება გაიზარდოს. მსხვერპლი სახეობები ერთმანეთისგან მრავალრიცხოვნობის და მტაცებლობისგან გაქცევის თვისების მიხედვით განიჩრევა. როდესაც კვების რაციონში მეტი სახეობის მსხვერპლი შედის, დადევნების, დატყვებებისა და მოხმარებისთვის საჭირო საშუალო დრო იზრდება, თუ მტაცებელი მსხვერპლს ხარისხის მიხედვით არჩევს.

მაკარტურის და პიანკას მოდელში (სურ. 31.17) ერთი ინდივიდის ძებნის საშუალო დროის ( $T_s$ ) და დევნისა თუ დაჭერის საშუალო დროის ( $T_p$ ) კვების მოცულობაზე დამოკიდებულების ფუნქციებია გამოსახული, როდესაც მსხვერპლი სახეობები შესაფერისობის მიხედვით არის დალაგებული. კვების ოპტიმალური მოცულობა ძებნისა და დევნის დროების უმცირესი ჯამის ( $T_s + T_p$ ) პირობებში გვხვდება. მტაცებლის მიერ ძებნასა და დევნაზე დახარჯული დრო ლირებულებაა, ხოლო ოპტიმიზაცია ლირებულების მინიმუმამდე დაყვანას ნიშნავს. ძებნის დროის გრაფიკის დახრილობა კვების მოცულობის ზრდასთან ერთად ნაკლებად ციცაბო ხდება, ვინაიდან თითოეული ახალი მსხვერპლი სახეობა მთლიან კვებას პროპორციულად ემატება. დევნის დროის გრაფიკის დახრილობა მსხვერპლის შესაფერისობის შემცირებასთან ერთად იზრდება, ხოლო დატყვევებისა და დაუფლების დრო სწრაფად მატულობს.  $T_s$  და  $T_p$  გრაფიკების ფორმიდან გამომდინარე, მათი ჯამი  $U$ -ს ფორმის გრაფიკს გვაძლევს, რომლის უდაბლესი წერტილი კვების ოპტიმალურ მოცულობას განსაზღვრავს.



**სურ. 31.18.** როდესაც მსხვერპლის მისანვდომობა გავრცელების არეალის პროდუქტულობის ზრდის ან კონკურენციის შემცირების შედევნად იზრდება, ძებნის დრო ( $T_s$ ) მცირდება, ხოლო კვების ოპტიმალური მოცულობა ვიზროვდება.

მსხვერპლის მრავალრიცხოვნობის ცვლილება, რაც გავრცელების არეალის პროდუქტიულობის ან კონკურენციაში მყოფი სახეობების რაოდენობით არის გამოწვეული, ძებნის დროს ცვლის, თუმცა დადევნებისა და დაუფლების დროზე ზეგავლენას არ ახდენს. მაშასადამე, მხოლოდ მსხვერპლის რაოდენობა იცვლება და არა ხარისხი. როდესაც პროდუქტიულობა იზრდება,  $T_s$  გრაფიკი მცირდება და კვების ოპტიმალური მოცულობა მარცხნისკენ გადაადგილდება. კონკურენციის ზრდისას მსხვერპლი უფრო იშვიათი ხდება და  $T_s$  გრაფიკი იზრდება, რაც კვების ოპტიმალურ მოცულობას მარჯვნისკენ გადაადგილებს (სურ. 31.18).

როგორ ახდენს ზეგავლენას მსხვერპლის მრავალფეროვნება კვების მოცულობაზე? როდესაც პოტენციური მსხვერპლი სახეობების რაოდენობა მათი მრავალფეროვნების ან ჯამური მრავალრიცხოვნობის გაზრდის გარეშე იზრდება,  $T_s$  გრაფიკიც იზრდება, ვინაიდან თითოეული სახეობა უფრო ნაკლებად მრავალრიცხოვანი ხდება, ხოლო  $T_p$  გრაფიკი მცირდება, რადგან იოლად დასაჭერი მსხვერპლი სახეობების რაოდენობა იზრდება და კვების ოპტიმალური მოცულობა მარჯვნისკენ ინაცვლებს. კვების რაციონი მსხვერპლის უფრო მეტ სახეობას შეიცავს, მაგრამ შეჭმული მსხვერპლის პროპორციული რაოდენობა და მრავალფეროვნება არ იცვლება. როდესაც მსხვერპლი სახეობების მრავალფეროვნება იზრდება, მხოლოდ ძებნის დროის გრაფიკი იზრდება (თითოეული მსხვერპლი სახეობა ნაკლებად მრავალრიცხოვანი ხდება), კვების მოცულობა ოდნავ იზრდება, თუმცა შექმული მსხვერპლის პროპორციული რაოდენობა და მსხვერპლის დატყვევების ტემპი მცირდება. გაზრდილი პროდუქცია კვების სპეციალიზაციას და მსხვერპლის მოხმარების გაზრდას იწვევს. გაზრდილი კონკურენცია შემცირებულ პროდუქციას ნიშნავს და მისი შედეგი ზემოთ მოყვანილის საპირისპიროა. მსხვერპლი სახეობების გაზრდილი მრავალფეროვნება კვების ნიშას აფართოვებს, ხოლო მსხვერპლის მოხმარების ტემპს ამცირებს. ყველაფერი დანარჩენი უცვლელია.

### **31.6. ოპტიმალური საკვების მოამოვაპის „კლასიკური“ მოძღვი მოიცავს შეტაკების მაჩვარებლებისა და ინდივიდუალური მსხვერპლის მომზადების კონცეფციებს**

მტაცებლებისა და პარაზიტოიდების არჩევანის ოპტიმიზაცია რამდენიმე მეცნიერმა თეორიულად გამოიკვლია (შონერი 1969a, 1971, რეპორტი 1971, კოდი 1974, ორიანი და პირსონი 1979, ტაუნშენდი და ჰიუზი 1981, სიპი 1984, ჩარნოვი და სტივენსი 1988, კრებსი და კაცელნიკი 1991; ზოგადი მიდგომისთვის იხ. სტივენსი და კრებსი 1986; კვების შესახებ სტატიისთვის იხ. კემილი და სხვები 1987). ყველა კვლევა მაკარტუ-

რის და პიანკას (1966) პროგნოზს ეთანხმება, რომლის თანახმად, რესურსების ნარმოების ზრდა კვების გაზრდილ სპეციალიზაციას ხელს უწყობს. ოპტიმალური კვება მათემატიკურად მსხვერპლის არჩევის „კლასიკური“ მოდელით ხასიათდება. კრებსმა და დევისმა (1987) სიმარტივისთვის ორი ტიპის მსხვერპლზე (1 და 2) მონადირე მტაცებელი განიხილეს. მსხვერპლს ახასიათებს შეხვედრის ტემპი ( $\lambda$ ), ჯილდო ( $E$ ), დაუფლების დრო ( $h$ ) და სარგებლიანობა ( $E/h$ ). მტაცებელი მანამდე ეძებს, ვიდრე პირველ მსხვერპლს ( $i$ ) შეხვდება. შემდეგ ის მსხვერპლს დაედევნება, იმორჩილებს და მოხმარს, ხოლო დაუფლების დრო  $h_i$  მტაცებელს დაუფლების პერიოდის განმავლობაში ძებნა არ შეუძლია და ამიტომ ნებისმიერ სხვა მსხვერპლს გამოტკვებს. მტაცებელი  $i$  მსხვერპლის მოხმარების შემდეგ ძიებას ახლიდან იწყებს.

როდესაც მტაცებელი ორი ტიპის მსხვერპლს ეძებს, მსხვერპლის შეხვედრის ტემპი ორივე ტიპის მსხვერპლის შეხვედრის დროების ჯამია ( $\lambda_1 + \lambda_2$ ).  $T_s$  დროის განმავლობაში ძებნის ინტერვალებში შეხვედრილი მსხვერპლის მთლიანი რაოდენობა  $T_s(\lambda_1 + \lambda_2)$ , ხოლო მსხვერპლიდან მიღებული მოსალოდნელი ჯილდოა:

$$E = T_s(\lambda_1 E_1 + \lambda_2 E_2)$$

ძებნის  $T_s$  დროსთან დაკამატირებული დაუფლების დროა  $T_s(\lambda_1 h_1 + \lambda_2 h_2)$  და მაშასადამე,  $E$  ჯილდოს მიღებისთვის საჭირო მთლიანი დრო ძებნის და დაუფლების დროების ჯამია:

$$T = T_s + T_s(\lambda_1 h_1 + \lambda_2 h_2)$$

დროის ერთეულზე მიღებული ჯილდოს ოდენობა, როდესაც კვების რაციონში 1 და 2 ტიპის მსხვერპლი შედის, არის:

$$\frac{E}{T} = \frac{\lambda_1 E_1 + \lambda_2 E_2}{1 + \lambda_1 h_1 + \lambda_2 h_2}.$$


(ძებნის მთლიანი  $T_s$  დროის გაბათილება საკმაოდ მოულოდნებია, თუმცა ასეთი მდგომარეობა ეკოლოგიური მოდელების დამუშავებისას ხშირად გვხვდება). დროის ერთეულზე მოსული ჯილდო, როდესაც მსხვერპლის ორი ტიპიდან მხოლოდ ერთ-ერთის შერჩევა ხდება, არის:

$$\frac{E_1}{T_1} = \frac{\lambda_1 E_1}{1 + \lambda_1 h_1}.$$


დავუშვათ, პირველი ტიპის მსხვერპლი დროის ერთეულში უფრო დიდი რაოდენობის ჯილდოა, ვიდრე მეორე ტიპის მსხვერპლი ანუ  $E_1/T_1 > E_2/T_2$ , ეს ნიშნავს, რომ მტაცებელმა აქცენტი პირველი ტიპის მსხვერპლზე უნდა გააკეთოს და არა ორივე ტიპის მსხვერპლზე, როდესაც  $E_1/T_1 > E_{1,2}/T_{1,2}$  ანუ

$$\frac{1}{\lambda_1} = \frac{E_1}{E_2}(h_2 - h_1).$$

სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო სპეციალიზირებული კვება კვების უფრო მაღალ ტემპს იწვევს, როდესაც 1 ტიპის მსხვერპლის შეხვედრის დრო ( $1/\lambda_i$ ) ენერგეტ-



**სურ. 31.19.** ოპტიმალური კვების „კლასიკური“ მოდელის შემონბება დიდი წივნივების (*Parus major*) საშუალებით. სურათზე ნაჩვენებია დამოკიდებულება უფრო სარგებლიანი მსხვერპლის შერჩევასა და ამ მხევრპლზე სპეციალიზაციით მიღებულ სარგებელს შორის. მოდელის თანახმად, როდესაც სპეციალიზაციის სარგებელი ნუსს გადასტრიბუს, მეცნიერო გადასცემა ხდება. ეს პროგნოზი მხ-ოლოდ ნაწილობრივ არის დადასტურებული



**სურ. 31.20.** ცხოველის მიერ ტერიტორიაზე კვების სარგებლის გრაფიკი  $f(T_1)$ . სარგებლის მიღების ტემპი დროში მცირდება და საბოლოოდ თანაბრდება

თან დაკავშირებული რისკები მოდელებში ასევე უნდა გავითვალისწინოთ.

### 31.7. ნაკვეთის ოპტიმალური გამოყენება და მიმღები მოდელების მისამართზე


ზემოთ აღნიშვნილ მოდელებში მსხვერპლის სივრცეში განლაგება გათვალისწინებული არ არის. მსხვერპლი ორგანიზმების უმეტესობა მცირე ტერიტორიებზე ვრცელდება, რომლებიც ერთმანეთისგან მსხვერპლისთვის შეუფერებელი გავრცელების არეალით არის გამოყოფილი. მტაცებლები პატარა ტერიტორიებზე გადაადგილდებიან, ამიტომ მათ უნდა გააკეთონ არჩევანი, როდის შეწყვიტონ კვება ერთ ტერიტორიაზე და გადავიდნენ მეორეზე. ზოგიერთი მოდელით ცხოველების მიერ პატარა ტერიტორიების არჩევის პროგნოზი შესაძლებელია და მათ **მცირე ტერიტორიის გამოყენების მოდელები** ეწოდებათ. ოპტიმალური მსხვერპლის არჩევის მოდელის მსგავსად, მცირე ტერიტორიის გამოყენების მოდელს თეორეტიკოსები (ჩარნოვი 1976, მაკნაირი 1982) და ექსპერიმენტატორები (კატჰილი და სხვები 1990) დიდ ყურადღებას უთმობენ. მცირე ტერიტორიის გამოყენების მოდელი ცენტრალური ადგილზე, მაგალითად ბუდეში გამოკვებილ ცხოველებსაც შეგვიძლია მიღუსადაგოთ, ხოლო ასეთ მდგომარეობას ცენტრალურ ადგილზე კვება ეწოდება.

დაგუშვათ, მტაცებელი ორი პატარა ტერიტორიიდან ერთ-ერთში იკვებება და ორივე ტერიტორიაზე ერთი და იგივე რაოდენობის და ხარისხის მსხვერპლი ბინადრობს. მცირე ტერიტორიაზე კვებისას, ცხოველი საჭმელს (ენერგიას) მოპოვებს ტემპით, რომელიც ტერიტორიაზე გატარებული დროს ( $T_s$ ) რაიმე ფუნქციაა  $[f(T_s)]$ . როდესაც მტაცებელი რესურსს ამონურავს, დროის ერთეულში მიღებული ჯილდო მცირდება და ტერიტორიიდან მიღებული სარგებელი თანაბრდება. ამ მდგომარეობის ასახვა სარგებლის გრაფიკის მიხედვით შეიძლება (სურ. 31.20).

იული ლირებულების ფარდობის ( $E_1/E_2$ ) დაუფლების დროის სხვაობაზე ( $h_2-h_1$ ) ნამრავლზე ნაკლებია. შეხვედრის მაღალი ტემპი, მაღალი ენერგეტიკული ლირებულება და დაუფლების მცირე დრო სპეციალიზაციის სელს უწყობს. მიუხედავად მსხვერპლის პირველი ტიპის მრავალრიცხოვნობისა და ენერგეტიკული ლირებულებისა, როდესაც პირველი ტიპის მსხვერპლის დაუფლებას უფრო მეტი დრო სჭირდება, მტაცებლის კვების რაციონში ორივე ტიპის მსხვერპლი შედის.

კერძსმა და სხვებმა (1977) კვების „კლასიკური“ მოდელის შემონბებისთვის, დიდი წივნივები (*Parus major*) მსხვერპლის არჩევანის წინაშე დააყენეს. მეცნიერება ორი ზომის mealworm კონვეირის ლენტაზე მოათავსეს და გალიაში მყოფ ფრინველებს „მსხვერპლის“ დაუფლების საშუალება მისცეს. მეცნიერები მსხვერპლის ზომასთან დაკავშირებული ჯილდოს ( $E$ ) ოდენობას, დაუფლების დროს ( $h$ ) და შეხვედრის ტემპს ( $\lambda_1$ ) თვლიდნენ. თეორიის მიხედვით, როდესაც ყველაზე უფრო სარგებლიანი მსხვერპლის შერჩევის სარგებელი ( $E_1/T_1-E_{1,2}/T_{1,2}$ ) ნუსს აჭარბებს, ფრინველები მსხვერპლს ლენტიდან შემთხვევით კი არ იღებენ, არამედ უფრო დიდი ზომის მსხვერპლს არჩევენ. ექსპერიმენტის შედეგებმა ეს პროგნოზი დაასტურა (სურ. 31.19).

სხვა ეკოლოგიური მოდელების მსგავსად, ზემოთ აღნიშვნილ თეორიაში კვების რესურსები და მტაცებლის მოქმედება მეტისმეტად გამარტივებულია. მსხვერპლი სახეობების გამორჩევისას დამვებული შეცდომები, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მსხვერპლის ერთი ტიპის მეორეზე უპირატესობა, მსხვერპლის რამდენიმე სახეობასთან ერთდროულად შეხვედრა და მსხვერპლის შეუცვლელობა ის ფაქტორებია, რომელთა ჩართვა მარტივ მოდელებში საკმაოდ რთულია. გარდა ამისა, ცვალებადი მსხვერპლის ხელმისაწვდომობასა და მტაცებლობის საფრთხის ქვეშ მომხდარ კვებას-



**სურ. 31.21.** დანებების ოპტიმალური დროის მოდელი პატარა ტერიტორიებზე მკვებავი ცხოველებისთვის. გრაფიკის მარჯვენა მხარეზე არსებული ტერიტორიის სარგებლის  $f(T_s)$  გრაფიკი გამოისახული (მწვანე ხაზი). პორიზონტალური ღერძის ნულოვანი მაჩვენებლიდან მარჯვენივ მდებარე ნაწილი ტერიტორიაზე გატარებულ დროს ( $T_s$ ) ასახავს. პორიზონტალური ღერძის ნულოვანი მაჩვენებლიდან მარცხნივ მდებარე ნაწილი არსებული ტერიტორიიდან შემდეგ ტერიტორიაზე გადასვლისთვის საჭირო დროს ( $T_s$ ). სურათზე ნაჩვენებია ორ სხვადასხვა ტერიტორიაზე მოვზაურობს დრო A და B. თუ შემდეგ ტერიტორიაზე გადასვლის დროა, მაშინ მოდელის თანახმად, ცხოველმა ტერიტორიას თავი ა დროის შემდეგ უნდა დაანებას. თუ შემდეგ ტერიტორიაზე გადასვლის დრო A-ზე მეტია და B-ს ტოლია, მაშინ ცხოველი ტერიტორიაზე უფრო დიდას (ზღვრობდე) უნდა დარჩეა.

ერთი ტერიტორიიდან მეორეზე გადაადგილებისთვის საჭირო დროს მოგზაურობის დრო ენოდება და  $T_s$  სიმბოლოთი აღინიშნება. 31.21 სურათზე, მოგზაურობის დრო პორიზონტალური ღერძის გასწვრივ, 0 ნიშნულიდან მარცხნივ იზომება. რაც უფრო მეტია 0-დან დაშორება, მით უფრო დიდი დრო სჭირდება მოგზაურობას. როდესაც მტაცებელი პატარა ტერიტორიაზე საკვების ძებნის ინყებს, შეხვედრისა და მოხმარების ტემპი მაღალია, ვინაიდან საკვები ბევრი და იოლად ხელმისაწვდომია. ტერიტორიაზე გატარებული დრო 31.21 სურათზე გამოისახული პორიზონტალური ღერძის ნაწილია, ოლონდ 0-დან მარჯვენივ ათვლილი (ლიტერატურაში ტერმინი „ძებნის დრო“ ზოგჯერ ახალი ტერიტორიის ძებნის დროს ან ტერიტორიაზე საკვების ძებნის დროს აღნიშნავს. ჩვენ ამ უკანასკნელ მიდგომას ვემხრობით და ამიტომ დროს ა ინდექსით აღვნიშნავთ). სარგებელი 7 ერთეულით შეიძლება გაიზომოს და ესენია: ენერგიის ერთეული, პარაზიტოიდებისთვის მასპინძლების ხელმისაწვდომობა, ცენტრალურ ადგილზე მკვებავი ცხოველის მიერ ბუდეში მიტანილი საკვების რაოდენობა და ვარგისინობასთან დაკავშირებული სხვა სიდიდეები. სარგებელი  $[f(T_s)]$  ძებნის დროის ზრდასთან ერთად მცირდება, ვინაიდან მსხვერპლის მოძებნა რაოდენობის შემცირებასთან ერთად რთულდება. სარგებლის მიღების ტემპი რესურსის ამონურვის შემდეგ ნულის

ტოლი ხდება, თუმცა მსხვერპლის მოძებნა ამ დრომდეც შეიძლება ძალიან გართულდეს. ამის შემდეგ მტაცებელი დაჯილდოვდება, თუ პატარა ტერიტორიას მიატოვებს და უფრო დიდი რაოდენობით მსხვერპლის შემცველ ტერიტორიაზე გადავა. მტაცებლის მიერ პატარა ტერიტორიაზე გატარებულ დროს დანებების დრო ენოდება. დანებების დროის შერჩევისთვის მტაცებელმა შემდეგ ტერიტორიაზე გადასვლის საფუძველი უნდა გამოთვალის. მტაცებელს ინტუიცია კარნახობს, რომ თუ ახლო-მახლო უფრო დიდი რაოდენობით მსხვერპლის შემცველი პატარა ტერიტორია არსებობს ანუ  $T_s$  დრო მცირეა, მაშინ მან ტერიტორია მალევე უნდა დატოვოს. 31.21 სურათზე კარგად დაკვირვება იგივე პროგნოზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს.

დავუშვათ, ახალ პატარა ტერიტორიაზე მოგზაურობის დროა  $T_s = A$  (სურ. 31.21). მტაცებლის მიერ ძველ ტერიტორიაზე გასატარებელი ოპტიმალური დროის გამოთვლისთვის  $A$  ნერტილიდან  $f(T_s)$ -ის ნერტილამდე, ამ შემთხვევაში  $a = A$ , ნრფე უნდა გავავლოთ.  $A$  ნერტილი დანებების ოპტიმალური დროა. თუ მტაცებელი ძველი ტერიტორიიდან ახალზე ძალიან სწრაფად გადავა, მაშინ ის ძველი ტერიტორიიდან მაქსიმალურ სარგებელს ვერ მიიღებს, ხოლო თუ მტაცისმეტად დიდხანს დარჩება, მაშინ მისი მცდელობა შესაფერისად არ დაჯილდოვდება. მოდელით პროგ-

ნოზირებული მოვლენების უკეთ გააზრებისთვის  $a$  წერტილი დანებების ოპტიმალურ დროს შევადაროთ, როდესაც შემდეგი პატარა ტერიტორია უფრო მოშორებითაა ანუ  $T_i=B$ . მტაცებელი ასეთ შემთხვევაში ძველ ტერიტორიაზე უფრო დიდხანს უნდა დარჩეს და ამას დანებების ოპტიმალური  $b$  დროის სიდიდეც ადასტურებს.

სხვადასხვა ტერიტორიებზე სხვადასხვა რაოდენობისა და ხარისხის მსხვერპლი ბინადრობს. 31.22 სურათზე ნაჩვენებია სარგებელის სხვადასხვა გრაფიკის მქონე ორი პატარა ტერიტორია. თუ ტერიტორიებს შორის მოგზაურობის დრო იგივეა ანუ  $T_i=A$ , მაშინ მტაცებელი სარგებელის მაღალი ტემპის მქონე ტერიტორიაზე უფრო ნაკლებ დროს გაატარებს, ვიდრე ახალ ტერიტორიაზე გადავა.

### ცენტრალურ ადგილზე კვება

ცენტრალურ ადგილზე კვება ნიშნავს, რომ მტაცებელი ცენტრალური ადგილიდან საჭმლის შემცველ პატარა ტერიტორიაზე მიდის, იტვირთება საჭმლით და შემდეგ კვლავ ცენტრალურ ადგილს უბრუნდება. ასეთი მტაცებლის კარგი მაგალითია შოშია *Sturnus vulgaris*, რომლის განვითარება და ლაბორატორული დაკვირვება საკმაოდ ადვილია (კაცელნიკი 1984, კატჰილი და კაცელნიკი 1990, კატჰილი და სხვები 1990). შოშია ბარტყების გამოკვებისთვის ძირითადად ფულუროებში განლაგებული ბუდიდან ბალაზიან ტერიტორიაზე ფრინდება, მწერებს ნისკარტით იმარაგებს და უკან ბრუნდება. შეგროვებული მწერების რაოდენობა ძებნის დროზეა დამოკიდებული. 31.21 სურათზე გამოსახული გრაფიკის ვერტიკალური ღერძი ტვირთის (მწერების რაოდენობის) გრაფიკია, რომელიც ძებნის დროის ფუნქციაა. შოშიისთვის მთავარი პრობლემა — ტვირთის რაოდენობის შერჩევაა, რათა ბარტყების კვების ტემპის ოპტიმიზაცია მოხდეს. მცირე ტერიტო-


რის ოპტიმალურად გამოყენების მოდელის თანახმად, თუ ყველა ტერიტორიას ტვირთის ერთი და იგივე გრაფიკი აქვს, მაშინ ტერიტორიაზე გატარებული ოპტიმალური დრო ბუდიდან ამ ტერიტორიის დაშორებაზეა დამოკიდებული. რაც უფრო შორის მიფრინავს შოშია ბუდიდან, მით უფრო მეტია ტვირთის რაოდენობა.

### 31.8. იღეალური თავისუფალი გავრცელება ათანაგრებს მოგახას არაუკაციის ინდიციებს შორის

ჩვენს მიერ განხილული ოპტიმალური არჩევანის მოდელები ერთი ინდივიდის მოქმედებას არაერთგვაროვან გარემოში ეხება. ხშირად ბევრი ინდივიდი ერთი და იგივე პირობებში ხვდება და მათ გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას პოპულაციის სხვა წევრები ახდენენ. მაგალითად, პატარა ტერიტორია მტაცებლების რაოდენობის ზრდასთან ერთად ნაკლებად მიმზიდველი ხდება. სხვა მტაცებლების შემცველ პატარა ტერიტორიაზე სავარაუდოდ რესურსების რაოდენობაც მცირეა და ჯერ კიდევ გამოუკვლევ ტერიტორიას ბევრად ჩამორჩება. გარდა ამისა, კონკურენციაში მყოფი ინდივიდები კონფლიქტების საფასურს სწრაფად იღებენ. როდესაც სხვადასხვა თვისებების მქონე და დიდი რაოდენობის პატარა ტერიტორიებზე ნარმოდგენილ მომხმარებლებს ამ ტერიტორიების შესახებ სრული ცოდნა და არჩევანის თავისუფლება აქვთ, ისინი ტერიტორიებს მათი ხარისხისადმი პირდაპირობორციულად იკავებენ. რესურსების მაღალი დონის მქონე ტერიტორიები უფრო დიდი რაოდენობით მომხმარებლებს იზიდავს და პირიქით. თითოეული მომხმარებლის მიერ გაკეთებული არჩევანის კრიტერიუმი რესურსისგან სარგებლის მიღების ტემპის მაქსიმიზაციაა.

ნარმოდგინეთ ორი პატარა ტერიტორია, როდესაც ერთ მათგანზე უფრო მეტი რესურსია. მომხმარებლები თავდაპირველად უკეთეს ტერიტორიას ირჩევნ, თუმცა პოპულაციის ზრდასთან ერთად, ტერიტორიის ხარისხი რესურსის შემცირებისა და ანტაგონისტური ურთიერთქმედებების შედეგად იკლებს და გარკვეული პერიოდის შემდეგ მეორე ტერიტორია უკეთესი არჩევანი ხდება. აქედან მოყოლებული, დამატებით შემოსული მომხმარებლები პირველ და მეორე ტერიტორიებს მონაცვლეობით ირჩევენ, ვინაიდან ორივე ტერიტორიის ხარისხი ნელ-ნელა კლებულობს. საბოლოო ჯამში, პოპულაციაში შემავალი თითოეული ინდივიდი თანაბარი ხარისხის მქონე ტერიტორიებს შორის აკეთებს არჩევანს, თუმცა ტერიტორიის შინაგანი ხარისხი მაინც იცვლება. ასეთ სტრუქტურას იდეალურად თავისუფალი გავრცელება ეწოდება და ეს ტერმინი პირველად სტივენ ფრეტველმა და ჰ.ლ. ლუკასმა (1970) გამოიყენეს, რათა ფრინველთა სახეობების მიერ სხვადასხვა ტერიტორიების შევსება აღენერათ.

იდეალურად თავისუფალი გავრცელების ცნება




**სურ. 31.22.** პატარა ტერიტორიის ოპტიმალური გამოყენების მოდელზე სარგებლის სხვადასხვა გრაფიკების მქონე ორი ტერიტორიის გამოსახული. თუ შემდეგ ტერიტორიაზე გადასვლის დროა  $A$ , მაშინ მოდელის თანახმად, ცხოველი პირველ ტერიტორიაზე უფრო დიდხანს დარჩება.

რამდენიმე მოვლენას მიუსადაგეს, თუმცა ყველაზე უფრო წარმატებული ჯ.ა. პარკერი (1974, 1978) აღმოჩნდა, ვინც მამრი ნეხვის ბუზების მეწყვილებისთვის კონკურენციას სხვადასხვა ზომის ტერიტორიებზე დააკირდა, სადაც რესურსის ხარისხი და მდედრი ნეხვის ბუზებისთვის არსებული მიმზიდველობა ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. პატარა ტერიტორიებზე მამრი ნეხვის ბუზების გავრცელება იდეალურად თავისუფალია და ტერიტორიის ზომის მიუხედავად, მამრები მეწყვილების ერთი და იგივე რაოდენობას იძენენ.

იდეალურად თავისუფალი გავრცელება ლაბორატორიაშიც შეიძლება მივიღოთ, სადაც პატარა ტერიტორიების ხარისხის კონტროლი შესაძლებელია. მაგალითად, მილინსკიმ (1979) ექსპერიმენტი *stickleback* თევზებზე ჩატარა და მათ საკები (წყლის რწყილი) სხვადასხვა ტემპითაკვარიუმის მოპირდაპირე მხარეებზე მიაწოდა. აკვარიუმის მოპირდაპირე მხარეები პატარა ტერიტორიები იყო და სისტემაში იდეალურად თავისუფალი გავრცელების შემდეგი პირობები არსებოდა: 1) ორი პატარა ტერიტორია სარგებლიანობით ერთმანეთისგან განსხვავდებოდა; 2) ტერიტორიაზე თევზების რაოდენობის ზრდასთან ერთად ტერიტორიის სარგებლიანობა მცირდებოდა; 3) თევზები ტერიტორიებს შორის თავისუფლად გადაადგილდებოდნენ და თავისუფალი არჩევანი ჰქონდათ. მეცნიერმა მშეირი თევზები აკვარიუმში ექსპერიმენტის დაწყებამდე სამი საათით ადრე მოათვასა. ექსპერიმენტის განმავლობაში აკვარიუმის ორივე ნახევარზე მცურავი თევზების რაოდენობა 20 წამის ინტერვალში

იზომებოდა. საკვების ჩაყრამდე თევზები აკვარიუმის ორივე მხარეზე თანაბრად იყვნენ განაწილებული. პირველი ექსპერიმენტისას აკვარიუმის ერთ მხარეზე წუთში 30 წყლის რნყილს აგდებდნენ, ხოლო მეორე ნახევარში წუთში 6 ცალს ანუ შეფარდება 5/1 იყო. 5 წუთის შემდეგ თევზები იდეალურად თავისუფალი გავრცელების მოდელის მიხედვით განაწილდნენ. მეორე ექსპერიმენტში აკვარიუმის ორივე მხარეს ჩაყრილი წყლის რნყილების რაოდენობა იყო წუთში 30 და 15 ანუ 2/1 შეფარდებით. თევზების გავრცელება კვლავ უწინდებული პრინციპით მოხდა, ხოლო აკვარიუმის უკეთესი და უარესი ტერიტორიების შეცვლის შემდეგ, თევზებიც შესაბამისად გადანაწილდნენ, რასაც დაახლოებით 5 წუთი დასჭირდა (სურ. 31.23). იდეალურად თავისუფალი გავრცელებისთვის გამოყენებული მექანიზმები ნინასნარ განსაზღვრული არ არის და არჩევანი საკების მიწოდების ტემპისა და თითოეულ ტერიტორიაზე კონკურენტების რაოდენობის გათვალისწინების შედეგია.

იდეალურად თავისუფალი გავრცელების პიპოთეზა სხვა კვლევების შედეგადაც დადასტურდა. ვალსტრიომმა და კიელანდერმა (1995) დედალი შვლის (*Capreolus capreolus*) გავრცელება შვედეთის ველებსა და ტყეებში შეისწავლეს. მეცნიერები გავრცელების არეალის ხარისხს შეგროვილ ფერალიებში აზოტის რაოდენობის მიხედვით ადგენდნენ (რაც უფრო მეტია აზოტის რაოდენობა, მით უფრო მაღალია გავრცელების არეალის ხარისხი). მამალი შვლის საბინადრო არეალი ზაფხულის განმავლობაში ტელემეტრიის საშუალებით იზომებოდა, რაც თავის მზრივ, რესურსების მრავალრიცხოვნობაზეც მიანიშნებდა (რაც უფრო პატარაა საბინადრო არეალი, მით უფრო მეტია რესურსების მრავალრიცხოვნობა). აღმოჩნდა, რომ ველებში უფრო მაღალი ხარისხის რესურსებია, ხოლო ტყეებში რესურსების მრავალრიცხოვნობაა მაღალი. შველი ამ ორ ტერიტორიას შორის თავისუფლად გადაადგილდებოდა. ვალსტრიომმა და კიელანდერმა ველებში პოპულაციათა მეტი სიმჭიდროვე დააფიქსირეს, რაც იდეალურად თავისუფალი გავრცელების პიპოთეზასთან სრულ შესაბამისობაში მოდის. ამ მეცნიერებისა და მილინსკის კვლევებმა დაადასტურა, რომ ორგანიზმები გარემო პირობებისადმი მგრძნობიარენი არიან და არჩევანის გაკეთებისას საკმაოდ დიდ მოქნილობას იჩინენ.



**სურ. 31.23.** stickleback-ების რაოდენობა აკვარიუმის ერთ მხარეზე. 3 წუთის გასვლის შემდეგ (ჯ ნერტილი), აკვარიუმის მეორე ბოლოში საკებების რაოდენობა საბოლოოზე ორჯერ მეტია. 9 წუთის გასვლის შემდეგ (გ ნერტილი), საკებები პირიქით ნაწილდება. გრაფიკი ასახავს, რომ თევზი მეტი საკებების მქონე ტერიტორიაზე გადაადგილდება. გრაფიკის თითოეული ნერტილი რამდენიმე ექსპერიმენტის შედეგად მიღებული საშუალო მნიშვნელობაა.

### 31.9. რისკისადგი გარემობისა საკვების მომზადების მოვალეობის მომზადების მინიმუმის გადამდებარება

განვიხილოთ მდგომარეობა, როდესაც ცხოველი კვების ორ სტრატეგიას შორის არჩევანს აკეთებს. პირველი სტრატეგიის არჩევის შემთხვევაში, ცხოველი კვების თითოეულ ჯერზე 10 გრამ საკვებს მიიღებს. მეორე სტრატეგიის არჩევის შემთხვევაში, ცხოველი კვების ნახევარ ჯერზე 5 გრამ საკვებს მიიღებს, ხოლო

მეორე ნახევარზე მიღებული საკვების რაოდენობა 20 გრამი იქნება. პირველი სტრატეგიის არჩევისას, მიღებული საკვების რაოდენობა არ იცვლება (გადახრა=0) და ყოველთვის 10 გრამია. მეორე სტრატეგიის არჩევისას, მიღებული საკვების რაოდენობა იცვლება, თუმცა მიღებული საკვების საშუალო რაოდენობა დიდი ხნის განმავლობაში 10 გრამს აჭარბებს. პირველ სტრატეგიას რისკის ქვეშ მოქცეული ეწოდება, ვინაიდან ცხოველი ნაკლებ, თუმცა უცვლელ სარგებელს იღებს. მეორე სტრატეგიას რისკის ქვეშ მოქცეული ეწოდება, ვინაიდან ცხოველი სხვადასხვა რაოდენობის საკვებს იღებს და სარგებელი მეტია. რისკისადმი მგრძნობიარე კვების თეორია კვების ამგვარი სტრატეგიების შესწავლისას ჩამოყალიბდა (კარაკო და სხვები 1980, კარაკო და სხვები 1990, მაკამარა და ჰიუსტონი 1992, კრებსი და დევისი 1993, ბალმერი 1994).

რომელი სტრატეგია უნდა აირჩიოს ცხოველმა? პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სარგებელს იღებს ცხოველი ამ სტრატეგიებიდან. მაგალითად, ცხოველი მთელი დღის განმავლობაში ეძებს საკვებს და ვერაფერი მონახა. მან ღამე გადარჩენა უნდა მოახერხოს და ამისთვის დღის განმავლობაში 11 გრამი საკვების მიღებაა საჭირო. თუ ცხოველი რისკისგან თავისუფალ სტრატეგიას აირჩევს, ის აუცილებლად მიიღებს 10 გრამ საკვებს, თუმცა ამ საკვების სარგებელი ნულის ტოლია, ვინაიდან ცხოველი ღამე მოკვდება. რისკისადმი მგრძნობიარე თეორიის თანახმად, ცხოველი აუცილებლად აირჩევს რისკიან სტრატეგიას, ვინაიდან მისი გადარჩენის ერთადერთი შანსი სწორედ ეს არის.

### 31.10. საკვების მომართვებალი ცხოველები შეიძლება მთაცემლური ცხოვრების წარის რისკის ქვეშ იყვნენ


ცხოველებმა ენერგიის მიღების ტემპთან, კვების შემდეგი ტერიტორიის სიახლოვესთან და კვების მიღების ტემპიდან გადახრასა და საშუალოსთან დაკავშირებული არჩევნი უნდა გააკეთონ. ცხოველებს, სინამდვილეში, უფრო მეტის გაკეთება უწევთ. მათ თავი უნდა მოაწონონ საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს, დაწყვილდნენ და შემდეგ გამრავლდნენ, ასევე ააშენონ სორიები ან ბუდეები და საკვები შთამომავლობას მიუტანონ. ბევრი ცხოველი დიდ მანძილებზე გადაადგილდება და იძენს ენერგიას, რათა თავადაც მსხვერპლი არ გახდეს. ცხოველებს საკვების მისაღებად ბევრი მსხვერპლის გაღდება უწევთ. როგორ მოიქცეს ცხოველი? იკვებოს თუ ბუდეს უდარაჯოს? იკვებოს თუ მეწყვილე ექებოს? იკვებოს თუ მოახლოებულ მტაცებელზე იფიქროს?

ცხოველები კვების პროცესში რისკის ქვეშ იმყოფებიან და მათი მოქმედება მოდელებით პროგნოზირებულს არ გავს, როდესაც არსებობს საშიშროება, რომ თავად ეს ცხოველები მსხვერპლი გაღდებიან (კრებსი და კაცელნიკი 1991). ნაცრისფერი ციყვები (*Sciurus carolinensis*) იდეალურად თავისუფალი გავრცელების პრინციპით ვრცელდებიან, როდესაც არჩევანს საკვების დიდ რაოდენობასა და იქვე მდებარე მცირე რაოდენობას შორის აკეთებენ. თუ დიდი რაოდენობით საკვები ღია ტერიტორიაზე, სადაც ციყვებს მტაცებლები ემუქრებიან, მაშინ ამ ტერიტორიაზე ციყვებისა ნაკლები რაოდენობა იკვებება (ნიუმანი და კარაკო 1987). *Dog whelks*-ები (*Nucella lapillus*) გამდინარე წყლის აუზში კვებისას აქტიურობას წყვეტის, როდესაც მოახლოებით კაბორჩხალის, პოტენციური მტაცებლის ან დაზიანებული *dog whelks*-ის სუნს იგრძნობენ, რაც მტაცებლობის ფაქტზე მიუთითებს (ვადასი და სხვები 1994). როდესაც მინდვრის თაგვს (*Peromyscus polionotus*) მაღალი და დაბალი ხარისხის მისაღები შორის არჩევანის გაკეთების საშუალება მისცეს, თაგვებმა უსაფრთხო ადგილზე დაბალი ხარისხის საკვების მიღება არჩიეს (ფელანი და ბეკი-ერი 1992).

ცხოველებს მტაცებლობის საფრთხეზე გარკვეული რეაქცია აქვთ და ამ რეაქციაზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი შიმშილის ხარისხია. ინტუიცია გვკარნახობს, რომ დამშეული ცხოველი საკვების მისაღებად უფრო მეტ რისკზე წავა. მართლაც, ზემოთ ნახსენები *dog whelks*-ების კვლევის შედეგად ვადასმა და სხვებმა (1994) აღმოაჩინეს, რომ დამშეული თევზები კიბორჩხლის სუნის შეგრძნების შემდეგ ნაკლებად წყვეტდნენ მოქმედებას. ზოგიერთი დამშეული ცხოველი საფრთხეს საერთოდ უგულვებელყოფს (მილინსკი და ჰელერი 1978, კრებსი 1980, დილი და ფრეიზერი 1984).

### 31.11. სტოქასტიკური, დინამიკური დაპროგრამული არის სამოდელო მიღებით, რომელიც აფასებს, თუ რა შენატანს აკეთებს მოკლევა-დიანი გადახვევატილებაზე მთლიანად ცხოვრების შემუშავებაზე

რისკისადმი მგრძნობიარე კვებისა და მტაცებლობის რისკის ქვეშ მოქცეული კვების შესწავლისას გამოჩნდა, რომ ცხოველის მდგომარეობა და გარემოს ცვალებადობა ცხოველის მიერ გარკვეულ დროს გაკეთებულ არჩევანზე დიდ ზეგავლენას ახდენს. მაგალითად, საკუთარ თაგს დააკეირდით. თქვენ ალბათ სულაც არ მოგინდებათ უამრავი ფუნთუშის მირთმევა, თუ ორმაგი ჩისტურგერი მიირთვით, მაგრამ იგივე ფუნთუშები რამდენიმე საათის შემდეგ საკმაოდ მაღისაღმძვრელად მოგეჩენებათ. ასევე ნარმოიდგინეთ, რომ ფუნთუშები გემრიელი ლანჩის შემდეგ შემოგთავაზეს და დარწმუნებული ხართ დღევანდელ დღეს სადილს ვერ მიირთმევთ. როგორ მოიქცევით? დაახლოებით იგივე ხდება ცხოველებში. დღესდღეობით, მოკლევადიანი გადაწყვეტილებების შედეგებს სტოქასტიკური დინამიკური პროგრამირების (SDP) მეთოდით სწავლობენ. გადაწყვეტილებებზე ზეგავ-



**სურ. 31.24.** დინამიური პროგრამირების მეთოდის სქემა. ორგანიზმი  $t$  დროს გარევეულ მდგომარეობაში იმყოფება და შესაძლო სამი არჩევანიდან ერთ-ერთის გაკეთების შემთხვევაში იცვლება. დინამიური პროგრამირების მოდელები დროის ხანგრძლივ პერიოდში გაკეთებული ამგვარი არჩევანის შედეგად ინდივიდის ვარგისიანობის ცვლილებას ასახავს.

ლენას ინდივიდის მდგომარეობა ახდენს. ჰიუსტონის (1988) და მანგელი-კლარკის (1988) კვლევები სწორედ ამ საკითხს შეეხება. მეთოდის ჩვენეული აღნირა მანგელი-კლარკისას ძალიან წააგავს.

ჩვენ ორგანიზმთა სხვადასხვა მოქმედებებს „ნაწყვეტს“ ვუწოდებთ. ნაწყვეტი აპსტრაქციაა, რომელიც ცხოველის შესაძლო არჩევანს ასახავს. მოდიოთ ვნახოთ რა ხდება, როდესაც ცხოველი არჩევანს აკეთებს. მან შეიძლება მიიღოს რაიმე ჯილდო, მაგალითად საკვები ან დაწყვილების შესაძლებლობა. ასეთ მოქმედებას, ცხადია, ინდივიდისთვის გარევეული საფასური ექნება და ეს საფასური ენერგიის ფორმით იქნება მოცემული. მოქმედებას რაიმე რისკიც შეიძლება ახლდეს თან. ჩვენ რისკში მოკვლის ალბათობას ვგულისხმობთ. საბოლოო ჯამში, ბუნებაში მიღებულ

ყველა გადაწყვეტილებას პოტენციური სარგებელი, საფასური და პოტენციური რისკი გააჩნია. ცხოველი მთელი სიცოცხლის განმავლობაში არჩევანს არჩევანზე აკეთებს და თითოეულ მათგანს გარევეული სარგებელი, საფასური და რისკი გააჩნია. ყველა არჩევანი ცხოველის მდგომარეობას გარევეულწილად ცვლის, ხოლო ცხოველის მდგომარეობის ცვლილება შემდეგ არჩევანზე ახდენს ზეგავლენას. დინამიური პროგრამების მოდელები შეეხება მეთოდს, რომლითაც ცხოველის არჩევანი მის ვარგისიანობაზე ახდენს ზეგავლენას.

მანგელმა და კლარკმა (1988) მოიყვანეს მარტივი მაგალითი, როდესაც არარეპროდუქციული ცხოველი სამ პატარა ტერიტორიაზე იკვებება (სურ. 31.24). ჩვენ შეგვიძლია ცხოველის მდგომარეობა (ენერგიის რეზისური)  $t$  დროს განვსაზღვროთ. ცხოველის მდგომარეობა დროში იცვლება, ამიტომ ის  $t$  დროის რაიმე  $X(t)$  ფუნქციაა. დროის ხანგრძლივი  $T$  პერიოდის განმავლობაში  $X(t)$  გრაფიკი დროის ყველა შუალედში იცვლება. დროის ერთი შუალედიდან მეორეზე გადასვლისას მდგომარეობის ცვლილება ანუ  $X(t)$ -სა და  $X(t+1)$ -ს შორის სხვაობა სარგებლის, საფასურის და რისკის ფარდობით ბალანსის საშუალებით განისაზღვრება. 31.24 სურათზე, ყველა არჩევანი საკვების მოძებნის ალბათობა, ამ ტერიტორიაზე კვების გარევეული საფასური და ცხოველის გარდაცვალების გარევეული ალბათობა ახლავს თან. ცხოველის გადარჩენის მთლიან ალბათობას  $t$  დროიდან ხანგრძლივი  $T$  პერიოდის განმავლობაში ვარგისიანობის ფუნქცია ეწოდება. ვარგისიანობის ფუნქციის ფორმულირება და გამოყენება საქმაოდ რთული პროცესია და მას ამჯერად არ შევეხებით. სტრესტიური, დინამიური პროგრამირების მთავარი მიზანი ინდივიდის მიერ გაკეთებული არჩევანის შედეგად მისი ვარგისიანობის ცვლილების გააზრება.

## დასკვნა

1. ინდივიდის გარემო დროსა და სივრცეში იცვლება და რესურსთა სხვადასხვა სიმრავლეს შეიცავს. სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა რესურსების პირობებში ორგანიზმთა მოქმედებების შესწავლის შედეგად ვიგებთ წესებს, რომლებიც კვებისა და გაურცელების არეალის შერჩევასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს განაპირობებენ.

2. ადაპტაციური ლანდშაფტი პოპულაციის გენეტიკური შემადგენლობისთვის მიღებული მეტაფორაა. ადაპტაციური პიკები არსებულ გარემოში უპირატესობის მქონე გენოტიპებია. ბუნებრივი გადარჩევა პოპულაციას პიკისკენ გადაადგილებს. გარემოს შეცვლა ადაპტაციურ ლანდშაფტს უპირატესობის მქონე გენოტიპების შეცვლის შედეგად ცვლის.

3. რიჩარდ ლევინსის ვარგისიანობის სიმრავლის ანალიზი ფენოტიპებს ვარგისიანობის სივრცეში გამოსახავს, რომლის ღრძები გავრცელების სხვადასხვა არეალში ან რესურსების

განსხვავებულ პირობებში ვარგისიანობის კომპონენტებია. ადაპტაციური ფუნქცია ფარალევს კრიტერიუმს, რომლითაც ვარგისიანობის სიმრავლეში უდიდესი ვარგისიანობის მქონე ფენოტიპების განსაზღვრა შესაძლებელია.

4. პოპულაციებში პოლიმორფიზმის შენარჩუნება სიხშირეზე დამოკიდებული სელექციის შედეგად ხდება, როდესაც თითოეული გენოტიპის ვარგისიანობა პოპულაციაში მისი გამოჩენის სიხშირეზე დამოკიდებული.

5. ორგანიზმის ფენოტიპისა და გარემოს შორის დამოკიდებულებას რეაქციის ნორმა ენოდება. ფენოტიპის გამოძახილს გარემოს ცვლილებაზე ფენოტიპური მოქნილობა ენოდება. გადანაცვლების ექსპერიმენტების საშუალებით დგინდება, პოპულაციათა შორის განსხვავება ევოლუციური დიფერენცირების შედეგია თუ ფენოტიპური მოქნილობის.

**6.** ოპტიმალურობის თეორია აქცენტს სარგებლისა და საფასურის ანალიზზე აკეთებს. ოპტიმალური მოდელები სამ ძირითად ელემენტს შეიცავს და ესენის: საფასური, შეზღუდვა და გადაწყვეტილების ცვლადი. ოპტიმალური კვების თეორიის თანახმად, ორგანიზმები ცდილობენ, კვების საფასური მინიმუმამდე დაიყვანონ, ხოლო სარგებელი მაქსიმალური გახადონ.

**7.** ოპტიმალური კვების მოდელებით ცხოველების კვების მოცულობის პროგნოზი ხდება და მათ მსხვერპლის მოდელები ენოდებათ. მსხვერპლის მარტივი მოდელების თანახმად, ცხოველების კვების მოცულობა ნაკლებია, როდესაც გარემოს პროდუქტიულობა იზრდება.

**8.** მსხვერპლის არჩევის მარტივი მოდელები ქებნის დროს, დაუფლების დროს და ჯილდოს ეფუძნება. კვების ე.წ. კლასიკური მოდელების თანახმად, მტაცებლები უფრო სპეციალიზირებული ხდებიან, როდესაც მსხვერპლი მრავალრიცხოვიანია.

**9.** ზოგიერთი მოდელით გარკვეულ ტერიტორიაზე ცხოველის დარჩენის ოპტიმალური დროის პროგნოზი ხდება და ასეთ მოდელებს პატარა ტერიტორიის იპტიმალური გამოყენების მოდელი ენოდება. რესურსების პატარა ტერიტორიაზე მომხმარებლის დარჩენის ოპტიმალურ დროს დანებების იპტიმალური დრო ენოდება. მარტივი მოდელების თანახმად, დანებების დრო პატარა ტერიტორიაზე რესურსების საწყისი დონის და ტერიტორიებს შორის მოგზაურობის დროის ზრდასთან ერთად იზრდება. პატარა ტერიტორიის გამოყენების

მოდელს, სადაც ცხოველი ცენტრალურ ადგილზე იკვებება, ცენტრალურ ადგილზე კვების მოდელი ენოდება.

**10.** როდესაც ბევრი ინდივიდი პატარა ტერიტორიებს ირჩევს, ამ ტერიტორიის ხარისხზე სხვა, კონკურენტული ინდივიდების არსებობა ახდენს ზეგავლენას. ინდივიდები თეორიულად ისე უნდა გადანაწილდნენ, რომ პატარა ტერიტორიებზე მათი ვარგისინობა გათანაბრდეს და ამ პროცესის შედეგი იდეალურად თავისუფალი გავრცელებაა.

**11.** რისკისგან თავისუფალი კვება საკვების საშუალო რაოდენობის შემცირებას და საკვების რაოდენობის ცვლილებას არარსებობას ნიშნავს. რისკის ქვეშ მოქცეული კვებისას, საკვების მიღების ტემპი იცვლება, თუმცა მიღებული საკვების საშუალო რაოდენობა მეტია. ცხოველი ამ ირი სტრატეგიდან ერთ-ერთს ირჩევს და არჩევანი მის მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

**12.** მტაცებლობის რსკის ქვეშ მოქცეული ცხოველები კვების მოდელების პროგნოზებისგან განსხვავებულად იქცევიან. მშეირი ცხოველები რისკს უგულვებელყოფენ და საკვების მოპოვებას ცდილობენ, ხოლო კარგად გამოკვებილი ცხოველები რისკს უფრო მეტად გაურბიან.

**13.** სტრატიკური, დინამიური პროგრამრების საშუალებით მოკლევადიანი გადაწყვეტილებების შედეგად ინდივიდის გრძელვადიანი ვარგისინობის ცვლილების ანალიზი ხდება.

## სავარჯიშოები

**1.** ოპტიმალურობის თეორიის ორგანიზმებისთვის გამოყენება ეფუძნება დაშვებას, რომლის თანახმად, მოქმედება მოსალოდნელი ვარგისინობის მაქსიმუმადე გაზრდისკენ არის მიმართული. ასეთი თეორია ადამიანის მოქმედებებისთვის, მაგალითად თევზაობისა თუ მეტყევეობისთვის, გამოუსადეგარია. რატომ? (მინიშნება: იხ. ბალმერი 1994).

**2.** მტაცებელი მსხვერპლის ორ სახეობას ჭამს. მსხვერპლის 1 და 2 სახეობის შეხვედრის ტემპია  $\lambda_1$ , და  $\lambda_2$ , მსხვერპლის სახეობებიდან მიღებული ენერგიის ოდენობაა  $E_1$  და  $E_2$ ,

ხოლო მსხვერპლის დაუფლების დროა  $h_1$ , და  $h_2$ , მტაცებლის სარგებლიანობაა  $E/T = (\lambda_1 E_1 + \lambda_2 E_2) / (I + \lambda_1 h_1 + \lambda_2 h_2)$ . მხოლოდ პირველი სახეობის მსხვერპლით კვებისას სარგებლიანობაა  $E_1/T = \lambda_1 E_1 / (I + \lambda_1 h_1)$ , ხოლო მხოლოდ მეორე სახეობის მსხვერპლით კვებისას სარგებლიანობაა  $E_2/T = \lambda_2 E_2 / (I + \lambda_2 h_2)$ . როდესაც  $\lambda_1 = 1/3$ ,  $\lambda_2 = 3/3$ ,  $E_1 = 1$  კალორია,  $E_2 = 2$  კალორია,  $h_1 = 1,5$  და  $h_2 = 0,5$ , მტაცებელმა ორივე სახეობა ერთდროულად უნდა ჭამოს, თუ მხოლოდ ერთ მათგანზე გააკეთოს აქცენტი?

## თავი 32



### სასიცოცხლო ციკლის ეპოლუცია

#### გზამკვლევი კითხვები

- რა მნიშვნელოვანი კომპონენტებისგან შედგება სასიცოცხლო ციკლი?
- რა მნიშვნელოვანი გაცვლებია საციცოცხლო ციკლის ევოლუციის შემადგენელი ნაწილი?
- რა გაცვლები შედის პირველად გამრავლების ასაკის განსაზღვრაში?
- რა არის წლიური და მრავალწლიური გამრავლების უპირატესობები?
- რა კავშირია ოპტიმალურ გამრავლებასა და მოზრდილი წარმომადგენლების გადარჩენას შორის?
- რა ზეგავლენას ახდენს სელექცია სხვადასხვა ასაკში არსებულ ნაყოფიერებასა და გადარჩენის უნარზე?
- რა არის გარანტირებული დაზღვევა?
- რა არის ერთხელ გამრავლებადობა და რა პირობებში ხდება ის?
- რა თეორიები არსებობს დაბერების ევოლუციის შესახებ?
- რა არის R-სელექციის და K-სელექციის სპექტრი?

**ო**რგანიზმები, როგორც წესი, გარემოპირობებთან კარგად არიან შეგუებული. მათი ფორმა და ფუნქცია ტემპერატურის, წყლის ხელმისაწვდომობის, მარილიანობის, ჟანგბადის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით იცვლება. ინდივიდები პომეოსტატიკური მექანიზმების საშუალებით გარემოს დროსა და სივრცეში ცვალებადობაზე რეაგირებენ (თავი 6). თუ პოპულაციებს და სახეობებს შორის არსებული სხვაობა სხვადასხვა გარემოსადმი გამოძახილების შედეგია (ფენოტიპური პლასტიკურობა; იხ. თავი 31), მაშინ ფორმისა და ფუნქციის ცვლილების შედეგად სიცოცხლისუნარიანობის, გამრავლების ან ორივეს ერთად მაჩვენებლები უმჯობესდება. ეს ნიშნავს, რომ ევოლუციური და ინდივიდუალური ცვლილება ადაპტაციური პროცესია და ის ინდივიდის ვარგისიანობას ამაღლებს. მარტივი საინჟინრო წესების დახმარებით შეგვიძლია

განვსაზღვროთ, თუ როგორ ამაღლებს ვარგისიანობას ამგვარი ცვლილებები, როდესაც სტრუქტურა და ფუნქციები გარემო ფიზიკურ პირობებზე რეაგირებს. ინჟინრის თვალთახედვით კარგად ჩანს, რატომ აქვთ უდაბნოს მცენარეებს წყლის დანაკარგის შემცირებისთვის პატარა ფოთლები და სქელი კუტიკულები ან რატომ აქვთ სწრაფად მორბენალ ცხოველებს გრძელი კიდურები. ადაპტაციის ბევრი სხვა შედეგი ასევე ნათლად ჩანს. მაგალითად, კალიები გარემოს შეფერილობას იღებენ და ასე ცდილობენ მტაცებლებისგან თავის დაღწევას.

ორგანიზმებს შეზღუდული დრო, ენერგია და საკვები ნივთიერებები აქვთ. ფორმისა და ფუნქციის ადაპტაციური ცვლილება ორ მიზანს ემსახურება. პირველი მიზანი ინდივიდებისთვის ხელმისაწვდომი რესურსების რაოდენობის გაზრდაა, ხოლო მეორე

მიზანი ამ რესურსებისგან მაქსიმალური სარგებლის მიღებაში ანუ რაიმე გარემო პირობებში ინდივიდუების სიცოცხლისუნარიანობის და გამრავლების უნარის ამღლებაში მდგრადირეობს. ყველა ცვლილებას თან ახლავს **გაცვლა**, რაც ნიშნავს, რომ ერთი რამის გაზრდას მეორის შემცირება მოჰყვება. თუ რესურსების რაოდენობა შეზღუდულია, მაშინ ერთი სტრუქტურის ან ფუნქციისთვის გამოყოფილი დრო, ენერგია და ნივთიერებები სხვაზე ვერ გადანაწილდება. აქედან გამომდინარე, ყველა ინდივიდს აქვს განაწილების პრობლემა ანუ როდესაც რესურსი შეზღუდულია, როგორ გამოიყენოს ორგანიზმმა საუკეთესოდ დრო და რესურსები?

განაწილების პრობლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს მოცემული სტრუქტურის ან ფუნქციის ცვლილება ვარგისანობაზე. როდესაც თვისება სიცოცხლისუნარიანობის და გარმარავლების რამდენიმე კომპონენტს ცვლის, ამ თვისების ევოლუციის გააზრება მხოლოდ სიცოცხლის მთლიანი სტრატეგიის შესწავლის შედეგად შეიძლება. მაგალითად, მცენარის მიერ წარმოებული თესლის რაოდენობის ზრდამ შესაძლოა ნაყოფიერება (შთამომავლობის რაოდენობა) გაზარდოს, ამონაზარდების სიცოცხლისუნარიანობა შეამციროს (თუ თესლის ზომა მცირდება და ამონაზარდების რაოდენობა იზრდება), მოზრდილი მცენარეების სიცოცხლისუნარიანობა შეამციროს (თუ რესურსები ფესვის ზრდიდან თესლის წარმოებაზეა მიმართული) ან შემდგომი ნაყოფიერება შეამციროს (თუ ერთი ნლის განმავლობაში თესლის წარმოქმნის შედეგად მცენარის ზრდა ნელდება და მომდევნო წლებში მისი ზომაც წაკლები ხდება).

სახელმძღვანელოს მოცემულ თავში მცენარეებისა და ცხოველების სიცოცხლის სტრატეგიაში დროისა და რესურსების განაწილების წესებს შევისწავლით. ევოლუციური თვალთახედვით, სიცოცხლის მიზანი წარმატებული და რაც შეიძლება დიდი რაოდენობით შთამომავლობის დატოვებაა. გამრავლებისას ორგანიზმი აკეთებს არჩევანს, თუ როდის გამრავლდეს, რა რაოდენობის შთამომავლობა დატოვოს ერთ ჯერზე, როგორ მოუაროს საკუთარ შვილებს და ა.შ. გამრავლების გეგმასთან დაკავშირებული წესებისა და არჩევანების ერთობლიობას სასიცოცხლო ციკლი ეწოდება (ლესელსი 1991, როფი 1992, სტერნსი 1992). სასიცოცხლო ციკლი მრავალი კომპონენტისგან შედგება და მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მონიფებულობა (პირველად გამრავლების ასაკი), გამრავლების უნარი (გამრავლების რაოდენობა), ნაყოფიერება (ერთხელ გამრავლებისას დატოვებული შთამომავლობის რაოდენობა) და სიცოცხლის წყვეტა (დაბერება და სიკედილი). თითოეული კომპონენტი ინდივიდის ცხოვრების სხვა ასპექტებზეც ახდენს ზეგავლენას. გამრავლებას სჭირდება დრო და რესურსი, ასევე მას თან ახლავს რისკი, ამიტომ, შთამომავლობის დატოვება მშობელთა სიცოცხლისუნარიანობას, როგორც წესი, ამცირებს. ზოგჯერ შთამომავლობის

დატოვება მშობელს რესურსის დიდ რაოდენობას ართმევს, ამიტომ შემდეგი გამრავლებისას შთამომავლობის რაოდენობა ნაკლებია. აქედან გამომდინარე, ოპტიმიზირებული სასიცოცხლო ციკლი სიცოცხლისუნარიანობისა და გამრავლების მოთხოვნებს შორის კონფლიქტის გადაჭრაა, რაც უზრუნველყოფს, რომ ინდივიდის გენეტიკური შტო არასდროს განვდეს.

### **32.1. სასიცოცხლო ციკლის აღაპტაციებში ინტერაციის სტიმულირება სახეობებს შორის ცვლილებებით ხდება**

40-იან წლებში, ბრიტანელმა ორნიტოლოგმა რეჯინალდ მორეუმ, ვინც აფრიკაში მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა, შენიშნა, რომ ტროპიკებში მობინადრე მგალობელი ფრინველები მაღალ განედებთან შედარებით (საშუალო 4-დან 10-მდე) ნაკლები რაოდენობის კვერცხს (საშუალო 2-3) დებენ (მორეუ 1944). სასიცოცხლო ციკლის კვლევის ფუძემდებლად მორეუს ერთ-ერთი კოლეგა დევიდ ლეკი ითვლება, ვინც პოპულაციის ბიოლოგიასა და ევოლუციურ ეკოლოგიაზე უზარმაზარი ზეგავლენა მოახდინა. ლეკის აღმოჩენით, შთამომავლობის რაოდენობა მშობლის რეპროდუქციულ წარმატებას ზრდის, თუ შთამომავლობის სიცოცხლისუნარიანობას რაიმე არ ამცირებს (ლეკი 1944). მისი აზრით, მშობლებს ბარტყებისთვის შეზღუდული რაოდენობის საკვების შეგროვება შეუძლიათ, ამიტომ ბარტყების რაოდენობა ხელმისაწვდომი საჭმლის რაოდენობას აღემატება, მათი სიცოცხლისუნარიანობა დაბალია და ბარტყებს საკვები აკლიათ. ლეკმა ასევე იგარაუდა, რომ ვინაიდან მაღალ განედებზე შთამომავლობის დატოვებისას დღის ხანგრძლივობა მეტია, ზომიერი კლიმატის მქონე და არქტიკულ განედებზე მობინადრე ფრინველები უფრო დიდი რაოდენობის საკვებს შეაგროვებენ და შესაბამისად უფრო კარგად მოუვლაან შთამომავლობას, ვიდრე ტროპიკებში მობინადრე ფრინველები, სადაც დღის ხანგრძლივობა მთელი წლის განმავლობაში 12 საათამდება.


ლეკმა სამი მნიშვნელოვანი აღმოჩენა გააკეთა:

- 1) მან სასიცოცხლო ციკლის თვისებები, როგორიცაა ნაყოფიერება, რეპროდუქციულ წარმატებასთან და მაშასადამე, ევოლუციურ ვარგისიანობასთან დაკავშირა; 2) მან დაამტკიცა, რომ სასიცოცხლო ციკლი გარემოს მიხედვით იცვლება ანუ სასიცოცხლო ციკლის თვისებებს ბუნებრივი გადარჩევა აყალიბებს;
- 3) მან წამოჭრა ჰიპოთეზა, რომლის შემოწმება ექსპერიმენტით შესაძლებელია. ჰიპოთეზა ასე ულერს: მშობლებს შთამომავლობსთვის საკვებს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მიწოდება შეუძლიათ და ამიტომ გადარჩენილი ბარტყების რაოდენობა შეზღუდულია. ამ ჰიპოთეზის შემოწმებისთვის ბუდეში ბარტყების რაოდენობა შეგვიძლია გავზარდოთ. ლეკის ჰიპოთეზის თანახმად, მშობლებმა ყველა ბარტყების გამოკვება ვერ უნდა შეძლონ, ვინაიდან მათ დამატე-

ბითი საჭმლის მოპოვება არ შეუძლიათ. ლექმა ასევე შენიშნა, რომ შთამომავლობის რაოდენობა და დღის ხანგრძლივობა ერთმანეთთან არის დაკავშირებული. განედთან ერთად შთამომავლობის რაოდენობის ზრდა საშუალო ტემპერატურის, ტემპერატურის სეზონური ცვალებადობის, საკვების რაოდენობის და ფრინველებზე მტაცებლობის ტემპის საშუალებით აისწენდა, ვინაიდან ყველა ეს ფაქტორი განედთან ერთად იცვლება.

### სასიცოცხლო ციკლის ცვალებადობა

სასიცოცხლო ციკლის თვისებები, მაგალითად ნაყოფიერება და სიკვდილიანობა, ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და იცვლება (სურ. 32.1). გრაფიკის ერთ კიდეზე სპილოები, ალბატროსები, გიგანტური კუებიდა მუხები იმყოფებიან. ისინი დიდანს ცოცხლობენ, ნელა ვითარდებიან, გვიან მნიშვნელიან, ნელა მრავლდებიან და კარგი მშობლები არიან. გრაფიკის მეორე კიდეზე თაგვებს, დროზოფილებს და წყალმცენარეებს გვხედავთ (პიანკა 1970). მცენარეებისა და ცხოველების სამეფოში, ჩამოთვლილი თვისებები სხეულის ზომასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ჩანს, რომ დიდ ორგანიზმებში სიცოცხლის პროცესები ნელა მიმდინარეობს (პიტერსი 1983, კალდერი 1984, შმიდტ-ნილსენი 1990). მიუხედავად ამისა, მსგავსი ზომისა და აგებულების სხეულის მქონე ორგანიზმებშიც კი სხვადასხვა გარემო პირობები განსხვავებული სასიცოცხლო ციკლების წარმოშობას იწვევს. *Storm petrels*-ები შაშვის ზომის ზღვის ფრინველები არიან, ნელინადში მაქსიმუმ ერთ ბარტყეს ზრდიან, გამრავლებას 4 ან 5 წლის ასაკში იწყებენ და 30-40 წლის განმავლობაში ცოცხლობენ. შაშვები ყოველ ნელინადს 3-4 ბარტყეს ზრდიან, თუმცა 3-4 წელზე დიდხანს იშვიათად ცოცხლობენ. სასიცოცხლო ციკლების ამგვარი განსხვავებულობა ერთი და იგივე სახეობის სხვადასხვა პოპულაციებშიც კი გვხვდება და ამის მაგალითი



**სურ. 32.1.** ყოველწლიურ ნაყოფიერებასა და მოზრდილი წარმადგენლების სიკვდილიანობას შორის დამოკიდებულება ფრინველების რამდენიმე პოპულაციაში, ალბატროსებიდან (მცირე შინშვნელობები) დაწყებული ბელურებით (დიდი მნიშვნელობები) დამთავრებული.

*fence lizards*-ები (ცხრილი 32.1) და სხვა ორგანიზმებია (ტინკლი და ბალინგერი 1972, შაფერი და ელსონი 1975, ლეგეტი და კარსკადენი 1978, ჯერლინგი 1988, ფლემინგი და გროსი 1989, სენდი 1996).

სასიცოცხლო ციკლის თვისებები გარემო პირობებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ბევრი ტაქსონომიური ჯგუფი სასიცოცხლო ციკლის ადაპტაციის მახასიათებელ მნიშვნელობებს აირეკლავს. იხვები ჩვეულებრივ 4-10-მდე კვერცხს დებენ, *shorebird*-ები - 4-ს, კოლიბრები - 2-ს, ხოლო ქარიშხალები - 1-ს. სავარაუდოდ, განსხვავებები ტაქსონომიურად მუდმივი თვისებების შედეგად ორგანიზმების მიერ გავრცელების არეალის შერჩევით და გარემოსა და ორგანიზმებს შორის ურთიერთქმედებით არის გამოწვეული. იხვის ჭუკებს საკუთარი თავის გამოკვება შეუძლიათ, ამიტომ მათი რაოდენობა მშობლების საჭმლის მოგროვების უნარით არ იზღუდება (ჭუკების რაოდენობა მაინც შეზღუდულია და ამის მიზეზი დადგენილი არ არის. როვერი 1985, ლესელი და სხვები 1989). *Shorebirds*-ები ძალინ დიდი ზომის კვერცხს დებენ და მათი რაოდენობა მშობლის უნარზეა დამოკიდებული, რათა მან კვერცხის გამოჩეკა შეძლოს. თვისების ტაქსონომიური მსგავსება *shorebirds*-ების მიერ დიდი ზომის კვერცხის დადების მნიშვნელობას არ ასახავს (რატომ არ დებენ სხვა ფრინველები დიდ კვერცხს?) და არც იმას გვაუწყებს, თუ რატომ არ ცვლიან ეს ფრინველები ბუდეს და რატომ არ დებენ უფრო დიდი რაოდენობით კვერცხს.

### სასიცოცხლო ციკლის ცვალებადობა მცენარეებში

მცენარეების ინგლისელმა ეკოლოგმა ჯ.კ. გრაიმმა მცენარეთა სასიცოცხლო ციკლის თვისებებსა და გარემო პირობებს შორის კავშირის არსებობაზე პირველმა მიუთითა. მან სასიცოცხლო ციკლის ცვალებადობა სამკუთხედის მსგავს ფიგურაზე წარმოიდგინა და ექსტრემუმებზე (წვერებზე) მდებარე სასიცოცხლო ციკლების მქონე მცენარეებს ზენოლი-სადმი ამტანი, რუდერალური და კონკურენტული უწოდა. ზენოლისადმი ამტანი მცენარეები ექსტრემალურ გარემო პირობებში არსებობს, ნელა იზრდება და რესურსებს იზოგავს. ამონაზარდის ჩამოყალიბება რთულ გარემო პირობებში საკმაოდ რთულია, ამიტომ ვეგეტაციის გავრცელება უფრო მნიშვნელოვანია. როდესაც მცენარის ზრდისთვის სასურველი პირობებია, რუდერალური და კონკურენტული მცენარეები რღვევის სპექტრის მოპირდაპირე ბოლოებს იკავებს. რუდერალური მცენარე გავრცელების არეალის დარღვეულ ტერიტორიებს იკავებს, სწრაფად იზრდება, ადრე მნიშვნელის სწრაფად მრავლდება და თესლს კარგად ავრცელებს, რაც მას საშუალებას აძლევს შთამომავლობა სხვა აღელვებულ ტერიტორიებზე მანამდე გაავრცელოს, ვიდრე უფრო ძლიერი კონკურენტები

**ცხრილი 32-1** *Fence lizard Sceloporus undulatus*-ის რამდენიმე პოპულაციის სასიცოცხლო ციკლის  
თვისებები

თვისება	ტერიტორია							
	არი-ზონა	იუტა	კოლო-რადო	ნიუ მექსიკო	კანზასი	ტეხასი	ოკაიო	სამხრეთ კაროლინა
შთამომავლობის რაოდენობა	8,3	6,3	7,9	9,9	7,0	9,5	11,8	7,4
კვერცხის რაოდენობა წელი-წადში	3	3	2	4	1-2	3	2	3
კვერცხის წონა (გ)	0,29	0,36	0,42	0,24	0,26	0,22	0,35	0,33
კვერცხის ფარდობითი მასა	0,22	0,21	0,23	0,21	0,28	0,27	0,25	0,23
მომწიფების ასაკი (თვე)	12	23	21	12	12	12	20	12
სიცოცხლისუნარიანობა გამრავლებისას	0,07	0,05	0,11	0,03	0,10	0,06	0,03	0,11
მოზრდილი წარმომადგენ-ლის ყოველწლიური სიცოცხლის-უნარიანობა	0,24	0,48	0,37	0,20	0,27	0,11	0,44	0,49


შემოვლენ. კონკურენტული მცენარე უფრო დიდი ზომის იზრდება, დიდი ზომის მნიშვნელი და უფრო დიდხანს ცოცხლობს. კონკურენტული სასიცოცხლო ციკლი სტაბილურ, კარგ გარემო პირობებს საჭიროებს. სხვადასხვა სელექციური ფაქტორების მქონე გარემო პირობებში არსებული მცენარეების სასიცოცხლო ციკლები 32.2 ცხრილშია ჩამოთვლილი.

**32.2. სასიცოცხლო ციკლის თეორია**  
**სცრავად განვითარდა 1960-იან წლებში**

ევოლუციური ეკოლოგიის ისტორია ჩარლზ დარვინით იწყება, თუმცა სასიცოცხლო ციკლის თვისებებზე მას ბევრი არაფერი უთქვამს. დარვინი ფიქრობდა, რომ ყველა ცოცხალ არსებას მაღალი პროდუქტი-ციკლები 32.2 ცხრილშია ჩამოთვლილი.

**ცხრილი 32-2** *სხვადასხვა სელექციური ფაქტორების მქონე გარემოში მცენარეთა ტიპიური სასიცოცხლო ციკლები*

კონკურენტული	რუდერალური	ზენოლისადმი
ამტანი		
ბალახები, ბუჩქები ან ხეები	ბალახი, ჩვეულებრივ ერთწლიანი	ლიქენები, ბალახები, ბუჩქები ან ხეები; ჩვეულებრივ მარადმწვანე
დიდი ზომის, ზრდის პოტენციურად სწრაფი ტემპი	ზრდის პოტენციურად სწრაფი ტემპი	ზრდის პოტენციურად ნელი ტემპი
გამრავლება შედარებით ადრეულ ასაკში	გამრავლება ადრეულ ასაკში	გამრავლება შედარებით მოზრდილ ასაკში
თესლის წარმოქმნის პროცესულად მცირე რაოდენობა	თესლის წარმოქმნის პროცესულად დიდი რაოდენობა	თესლის წარმოქმნის მცირე რაოდენობა
თესლის მარაგი ზოგჯერ, ვეგეტაციური გავრცელება ხშირი	თესლის მარაგი და/ან კარგად გავრცელებადი	თესლი



ულობა ახასიათებს, ხოლო გარემოს სელექციური სიკვდილიანობის შუამავლად თვლიდა, რომელიც დაბადების ტემპს ყურადღებას არ აქცევს.

დარვინის პერიოდში ბიოლოგიური პარამეტრების ანალიზის მეთოდი არ არსებობდა. ა.ჯ. ლოტკამ და სხვებმა ბიოლოგიური პარამეტრების ანალიზის მეთოდი მოგვიანებით შეიმუშავეს, ხოლო პოპულაციის გენეტიკოსმა რონალდ ფიშერმა ეს მეთოდი ნაშრომში ბუნებრივი გადარჩევის გენეტიკური თეორია (1930) ევოლუციური მოვლენებისთვის გამოიყენა. მოუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ბიოლოგიური პარამეტრების მეთოდის გამოყენებამ კვლევის ახალი სფეროს წარმოშობა არ გამოიწვია. სასიცოცხლო ციკლის განვითარების შესწავლისკენ გადადგმული შემდეგი ნაბიჯი მორეუს და ლეკის მიერ ჩიტების კვერცხის ზომაზე გამოქვეყნებული სტატიები გახდა. სტატიები 40-იანი წლების შუაგულში გამოქვეყნდა და მათ ყურადღებაც მიიყყრეს, თუმცა მთავარი მოვლენები მაინც ორი ათწლეულის შემდეგ განვითარდა. ლეკის თეორია მეტისმეტად გამარტივებული იყო და მასში შთამომავლობის რაოდენობა (უფრო ზოგადად, გამრავლების ტემპი) ერთ ადაპტაციად მიიჩნეოდა, რომელიც ფენოტიპის სხვა ასპექტებთან დაკავშირებული არ არის. მშობლების მიერ შვილებისთვის მიზნდებული საკვები გარემოში საკვების ხელმისაწვდომობით განისაზღვრებოდა, ხოლო საკვების შეგროვებასა და შვილების მოვლაზე დახარჯული დრო და ძალისხმევა ვარგისიანობის განტოლებაში არ შედიოდა. ლეკის მეთოდი ნამდვილად არახარისხობრივი იყო. გარდა ამისა, 40-იან და 50-იან წლებში, პოპულაციის ბიოლოგია პოპულაციის ზომის სიმჭიდროვეზე დამოკიდებულების პრობლემაში იყო გახლართული (თავი 16).



60-იანი წლების დასაწყისში, პოპულაციის კვლევის მეთოდებში გარდატეხა მოხდა და თანამედროვე ევოლუციური ეკოლოგია შეიქმნა. 1959 წელს, „სახეობათა წარმოშობის შესახებ“ გამოქვეყნებიდან 100 წელი გავიდა. 1958 წელს, *Dover Publications*-მა ხელახლა გამოაქვეყნა „ფიშერის ბუნებრივი გადარჩევის გენეტიკური თეორია“. იმავე პერიოდში, ნიუ იორკის შტატის უნივერსიტეტში, ჯორჯ უილიამსი დაბერების ევოლუციის (ვილიამსი 1957) და მწერთა თანასაზოგადოებების (ვილიამსი და ვილიამსი 1957) ადაპტაციურ საფუძვლებს სწავლობდა. 1960 წელს, ა.ვ.ფ. ედვარდსმა, ვ.ა. კოლმანმა, ჰ. კალმუსმა და ს.ა.ბ. სმიტმა პოპულაციებში მდედრების და მამრების 1:1 შეფარდების ადაპტაციური მნიშვნელობის შესახებ სტატიები გამოაქვეყნეს.

სასიცოცხლო ციკლის კვლევა 1966 წელს დაიწყო, როდესაც მარტინ კოდიმ და ჯორჯ ს. ვილიასმა სტატიები გამოაქვეყნეს. კოდიმ ვარგისიანობის სიმრავლების შესახებ ლევინსის მოსაზრებები სასიცოცხლო ციკლის ეკოლოგიას მიუსადაგა და შენიშნა, რომ ვარგისიანობის სხვადასხვა კომპონენტები კონფლიქტის მქონე სელექციური ზემოქმედების

ქვეშ შეიძლება მოექცეს. კოდის აზრით, ადაპტაცია დროისა და ენერგიის განაწილებისას კომპრომისებზე ნასვლაა. გარდა ამისა, იგივე კოდის თვალსაზრისით, გარემოს ტევადობისადმი პოპულაციის დაბალი და მაღალი სიმჭიდროვის პირობებში სასიცოცხლო ციკლის განსხვავებული ადაპტაციები არსებობს. მაღალი სიმჭიდროვისას, სელექცია არჩევს ადაპტაციას, რომელიც ინდივიდებს მცირე რესურსებით გადარჩენის და გამრავლების საშუალებას აძლევს. დაბალი სიმჭიდროვისას, სელექცია უპირატესობას პოპულაციის სწრაფად ზრდის ხელშემწყობ ადაპტაციებს ანიჭებს. მაშასადამე, პროდუქტულობის მაღალი ტემპი ვარგისიანობისას ზრდის. ზემოთ ჩამოთვლილ, ურთიერთვა-ამომრიცხავ სტრატეგიებს **K-სელექცია** და **r-სელექცია** ეწოდება. სახელწოდებები პოპულაციის ზრდის ლოგისტიკურ განტოლებაში შემავალი ცვლადებიდან გამომდნარეობს (ბოისი 1984).

უილიამსის სტატიაში (1966) სასიცოცხლო ციკლის თვისებების დემოგრაფიული დაწყვილებაა გამოკვლეული. მისი აზრით, გამრავლების ძალისხმევის გაძლიერება ნაყოფიერებასა და მომავალი გამრავლების უნარზე ზეგავლენას ახდენს. უილიამსმა ვარგისიანობის თანამედროვე და მომავალი კომპონენტები გამრავლების ერთ მნიშვნელობაში გააერთიანა, რომელიც ბიოლოგიური პარამეტრების გამოთვლებს ეფუძნება. მეცნიერმა აჩვენა, თუ როგორ გადაიჭრას სასიცოცხლოს ციკლის ცვლილების აწმყოსა და მომავალზე მოხდენილ ზეგავლენებს შორის კონფლიქტი თანამედროვე და მომავალში მოსალოდნელი შთამომავლობის ფარდობითი მნიშვნელობების საშუალებით. როდესაც პოპულაციაში შემავალ ინდივიდებს გამრავლების პერიოდებს შორის გადარჩენის მაღალი ალბათობა გააჩნიათ, მომავალში გამრავლების ალბათობა დიდია და სელექცია გამრავლების უნარს ასუსტებს, რათა გადარჩენის მაღალი ალბათობა შეინარჩუნოს. როდესაც პოპულაციაში შემავალი ინდივიდების უმეტესობა გამრავლების პერიოდებს შორის ილუპება, სელექცია შთამომავლობის გაზრდას ანიჭებს უპირატესობას.

**ვ.დ.** პერიოლტონმა (1966) ნათლად აჩვენა, თუ როგორ იწვევეს ბიოლოგიური პარამეტრების ანუ თითოეულ ასაკში ნაყოფიერების და სიცოცხლისუნარიანობის ცვლილება ვარგისიანობის ცვლილებას. მიღებულმა შედეგმა და მასთან დაკავშირებულმა სხვა დასკვნებმა სასიცოცხლო ციკლის თეორიის შემდგომ განვითარებას მათემატიკური საფუძველი ჩაუყარეს. **მ.** გედგილის და ვ.ჰ. როსერტის (1970) სტატიებში ჩანს, რომ ბიოლოგიური პარამეტრების მნიშვნელობებს შორის კავშირზე დამოკიდებული სელექცია სასიცოცხლო ციკლის ადაპტაციებით განისაზღვრება. **გ.** მერფიმ (1968) და ვ.მ. შაფერმა (1974) სასიცოცხლო ციკლის ცვალებად გარემოში ეკოლოგიას საკითხი ნამოქრეს.




**სურ. 32.2.** მშრალი ნონის პროპორ-ციული განანილება შცენარე groundsel-ის (*Senecio vulgaris*) სხვადასხვა ნანილებში სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. გამ-რავლების ორგანოების განვითარება ფოთ-ლებისა და ფესვების ხარჯზე ზრდის სეზო-ნის მიწურულს ხდება

### 32.3. გულებრივი გადარჩევა არე-გულირებს გაზღუდული ღროისა და რესურსების გადანაცილებას კონკურენ-ტულ მოთხოვნების მორის


ეკოლოგების აზრით, სასიცოცხლო ციკლები ორგანიზმების ნინაშე არსებულ, კონკურენტულ მოთხოვნებს მორის გაჩენილ კონფლიქტებს არეგულირებს. აქედან გამომდინარე, სასიცოცხლო ციკლების შესწავლისას კონკურენტულ ფუნქციებს შორის შეზღუდული დროისა და რესურსების განანილების გააზრება ძალიან მნიშვნელოვანია. რომელიმე ფუნქციის გაზრდა დროის, ენერგიისა და საკვები ნივთიერებების სხვაგვარ განანილებას საჭიროებს. რესურსების რაოდენობა შეზღუდულია, ამიტომ მოთხოვნის ერთი კომპონენტის გაზრდა რაიმე სხვა კომპონენტზე რესურსების განანილებას ამცირებს. მაგალითად, საკვების ძებნაზე დახარჯული დრო შთამომავლობის მოვლაზე ან მტაცებლებისგან თავის დაცვაზე ვერ დაიხარჯება.

ზრდისთვის გამოყენებული ენერგია და საკვები ნივთიერებები გამრავლებისთვის ვერ დაიხარჯება. ბევრი სახეობა კვერცხს გონადისადმი პირდაპირპო-პორციულად დებს, ხოლო თესლს ყვავილების რაოდენობისადმი პირდაპირპორციულად წარმოქმნის. აქედან გამომდინარე, როდესაც ზრდა გამრავლების სტრუქტურებიდან სხეულის სხვა ნანილებს ეხება, ნაყოფიერება მცირდება. ფოტოსინთეზის ტემპი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობით მიმართა მცენარეზ პროდუქცია ფოტოსინთეზზე და დამხმარექსოვილებზე (სურ. 32.2). მცენარეების სხეულის კორპუსი მოდულარულია. ბევრ სახეობაში ფოთლის მიმაგრების ადგილზე გვერდითი ტოტები ან ყვავილები ამოდის, თუმცა ორივე ერთად არასდროს გვხვდება და მაშასადამე, გამრავლებას ზრდა ცვლის.

სასიცოცხლო ციკლებში ჩანაცვლება ხშირია, თუმცა მისი დამტკიცება რთულია, ვინაიდან ფენო-ტიპის ინდივიდუალური კომპონენტების ექსპერი-მენტულ, კონტროლირებულ დამუშავებას საჭიროებს. ფრინველთა ბუდეებში კვერცხის დამატებამ და გამოკლებამ წინილების რაოდენობასა და მათ სიცოცხლისუნარიანობას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულება გამოავლინა. აქედან გამომდინარე, შთამომავლობის გადარჩენის ალბათობა საშუალო რაოდენობის პირობებში ყველაზე უფრო მეტია და ეს დევიდ ლეკმაც ივარაუდა. მაგალითად, ჰოგსტედტმა (1980) დაამტკიცა, რომ დედალი კაჭკაჭის დადებული კვერცხებიდან იმდენი ბარტყი იჩეკება, რამდენის გამოკვებაც კაჭკაჭს შეუძლია. კვერცხების დამატება ან გამოკლება გამოკვებილი ბარტყების რაოდენობას ამცირებს (სურ. 32.3). მიუხედავად ამისა, ზოგიერთ სახეობაში შთამომავლობის ყველაზე უფრო პროდუქ-ტიული რაოდენობა პოულაციაში შემჩნეულ ყველაზე უფრო გავრცელებულ რაოდენობას აღემატება (ბიო-სი და პერინსი 1987. სურ. 32.4). ამგვარი შედეგების ახსნისთვის შეგვიძლია შემოვიტანოთ ჰიპოთეზა,



**სურ. 32.3.** ევროპული კაჭკაჭის ბუდეში გამოჩეკილი წინილების რაოდენობა, როდესაც კაჭკაჭმა 7 კვერცხი დაღო, ხოლო ექსპერიმენ-ტატორმა 5 ან 9 კვერცხი დაუტოვა. შთამომავლობის ყველაზე უფრო პროდუქტულ რაოდენობას 7 კვერცხის პირობებში ვიღებთ.




სურ. 32.4. კვერცხის რაოდენობის (ნაცრისფერი ძელაკები) სიხშირეები დიდი წივწივას (*Perus major*) 4489 კვერცხები ექსპერიმენტი 1960-დან 1982 წლამდე ოქსფორდში, ინგლისში ჩატარდა. სურათზე ნაჩვენებია შემდეგ სეზონამდე გადარჩენილი ბარტყების რაოდენობის კვერცხის რაოდენობაზე დამოკიდებულების ფუნქციის გრაფიკი. კვერცხის ყველაზე უფრო გავრცელებული რაოდენობა ყველაზე უფრო პროდუქტიულია არ არის.



რომლის თანახმად, დიდი რაოდენობით შთამომავლობის დატოვება მშობლებზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. კვერცხის ზომასა და რაოდენობას შორის ასევე გარკვეული თანაფარდობა არსებობს. დედალს, უფრო დიდი ზომის კვერცხის დადება, საშუალებას აძლევს, რესურსების შედარებით დიდი რაოდენობა გაანანილოს შთამომავლობაზე, ვიდრე ბარტყები გამოიჩეკებიან. კარგად უზრუნველყოფილი კვერცხი ზოგჯერ შთამომავლობის უფრო მეტი სიცოცხლისუნარიანობის გარანტიაა, ვიდრე პატარა კვერცხის დადება. ამგვარი თანაფარდობის ჩვენება საკმაოდ რთულია (ლესელსი და სხვები 1989).

პარაზიტოიდებში, შთამომავლობის ვარგისიანობასა და რაოდენობას შორის გადანაცვლება შთამომავლობის გაჩენამდე ხდება, როდესაც მდედრი ირჩევს მასპინძელს და გადაწყვეტს, რამდენი კვერცხი დადოს. მასპინძლის ზომა და ასაკი პარაზიტოიდების მატლების სიცოცხლისუნარიანობაზე, ასევე მოზრდილი პარაზიტოიდის ზომაზე, ნაყოფიერებაზე და განვითარებისთვის საჭირო დროზე ზეგავლენას ახდენს (გოდური 1994). მასპინძელი რესურსების შეზღუდული რაოდენობაა, ამიტომ მასპინძელში ან მასპინძელზე დადებული კვერცხების რაოდენობა შთამომავლობის ვარგისიანობაზე ასევე ახდენს ზეგავლენას. კოპლებიანი ხოჭო *Callosobruchus maculatus* კვერცხებს პარკოსან მცენარეებზე დებს, რომელიც მატლის განვითარებისთვის საჭირო რესურსს შეიცავს (პარკოსანი მცენარის თესლი პარაზიტოიდის მასპინძელია). მატლის სიცოცხლისუნარიანობა მცირდება, როდესაც პარკოსან მცენარეზე მოსული მატლების რაოდენობა იზრდება (სურ. 32.5). პარაზიტოიდებში კვერცხისდება მათ წონასთან არის დაკავშირებული, ხოლო წონა მატლების რაოდენობის ზრდასთან ერთად მცირდება (უილსონი 1989, ლესელსი 1991).

სასიცოცხლო ციკლის თვისებებს შორის თანაფარდობა სხვა ექსპერიმენტებმა ვერ დაადასტურა. მაგალითად, რეზნიკმა კვლევა (1983) გუპიებისთვის ჩაატარა და აღმოაჩინა, რომ გამრავლებაზე განაწილებული რესურსები მდედრებსა და მამრებს შორის დაწყვილებისთვის ხელის შეშლის შედეგად მცირდება. თუ ზრდასა და გამრავლებაზე რესურსი ნაწილდება, მაშინ საექსპერიმენტო თევზი კვლევის დასასრულს უფრო დიდი ზომის იქნება. სინამდვილეში, დაწყვილებული და დაუწყვილებელი მდედრების ზრდას შორის დიდი განხსნავება არ გაჩენილა (სურ. 32.6). კვლევის მიღებული შედეგების რამდენიმე ინტერპრეტაციაა შესაძლებელი. სავარაუდოდ, საჭმლის ხელმისაწვდომობა გუპიების გამრავლებას ხელს არ უშლის. ასევე შესაძლებელია, დედალი გუპების ზრდას გენეტიკური ფაქტორები განსაზღვრავს და ზრდის ტემპი რესურსების მოსალოდნელ ხელმისაწვდომობას შეესაბამება (გუპიები დაწყვილებისგან თავს არ იკავებენ).



სურ. 32.5. როდესაც ხოჭო *Callosobruchus maculatus*-ის მატლების რაოდენობა პარკოსან მცენარეზე იზრდება, მატლების სიცოცხლისუნარიანობა მცირდება.



**სურ. 32.6.** ენერგიის შემცველობა დედალი გუპიის სომატურ ქსოვილებში, ქონში და გამრავლების ქსოვილებში (მათ შორის კვერცხებში). მდედრ გუპიებს მამრებთან დაწყვილება და განაყოფიერება შეუძლიათ ( $R$ ) ან ხელი ეშლებათ ( $N$ ).


სასიცოცხლო ციკლთან დაკავშირებულ პრობ-ლემებს სამი შეკითხვით შეგვიძლია თავი მოვუყაროთ და ეს შეკითხვებია: როდის უნდა დაიწყოს ინდივიდმა შთამომავლობის დატოვება? რა სიხშირით უნდა გამრავლდეს? რა რაოდენობის შთამომავლობა უნდა დატოვოს თითოეული გამრავლების შემდეგ? სხვადასხვა სახეობები ამ შეკითხვებს განსხვავებულად

პასუხობენ და ეს პასუხები ნაყოფიერებას, ზრდას და სიცოცხლისუნარიანობას ანუ აწმყოსა და მომავალში გამრავლებას შორის სხვადასხვა თანაფარდობებს გვაუწყებს.

### 32.4. პირველი რეპროდუციის ასაკი ზოგადად იზრდება ზრდასრული ინდი-ცილების სიცოცხლის ხანგრძლივობის პირდაპირპორციულად

როდის უნდა დაიწყოს მცენარემ ან ცხოველმა გამრავლება? დიდხანს მცხოვრები ორგანიზმები უფრო გვიან ასაკში იწყებენ გამრავლებას (სურ. 32.7). რატომ ხდება ასე? ინდივიდი ყველა ასაკში წყვეტს, სცადოს გამრავლება თუ თავი შეიკავოს. როდესაც ახალგაზრდა ინდივიდები არჩავანს თავის შეკავებაზე აკეთებენ, სქესობრივი მომწიფება შეიძლება შეყოვნდეს. პირველად გამრავლების ასაკი გამრავლების სარგებლისა და საფასურის ტერმინებში უნდა გავიაზროთ. სარგებელი გამრავლების ასაკში ნაყოფიერების ზრდაა, ხოლო საფასური უფრო დიდ ასაკში ნაყოფიერების და სიცოცხლისუნარიანობის შემცირება შეიძლება გახდეს.

განვიხილოთ შემდეგი ჰიპოთეტური მაგალითი. ხვლიკი ზრდას სქესობრივ მომწიფებამდე განაგრძობს. მისი ნაყოფიერება მომწიფების ასაკში სხეულის ზომისადმი პირდაპირპორციულია. გამრავლებისგან თავშეკავების ყველა წელიწადზე ხვლიკი 10-ით მეტ კვერცხს დებს, ანუ თუ ხვლიკი პირველივე წელიწადს გამრავლდება, მაშინ ის ამ და მომდევნო წელიწადში 10 კვერცხს დადებს, ხოლო თუ ხვლიკი მეორე წელიწადს გამრავლდება, მაშინ კვერცხის რაოდენობა ყოველ წელიწადს 20 იქნება და ა.შ. ადრე და გვიან მომწიფე-



**სურ. 32.7.** სხვადასხვა ფრინველის მომწიფების ასაკსა და მოზრდილი ნარმომადგენლის სიცოცხლისუნარიანობას შორის დამოკიდებულება. სიცოცხლისუნარიანობა სიცოცხლის ხანგრძლივობისადმი პირდაპირპორციულია.

### ცხრილი 32-3

ჰიპოთეტურ პოპულაციაში შემავალი ინდივიდების მიერ დადებული კვერცხის  
რაოდენობის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და პირველად გამრავლების ასაკზე  
დამოკიდებულების ფუნქცია

პირველად გამრავლების ასაკი (წელი)	სიცოცხლის ხანგრძლივობა							
	1	2	3	4	5	6	7	8
1	<b>10*</b>	20	30	40	50	60	70	80
2	0	<b>20</b>	<b>40</b>	<b>60</b>	80	100	120	140
3	0	0	30	<b>60</b>	<b>90</b>	<b>120</b>	150	180
4	0	0	0	40	80	<b>120</b>	<b>160</b>	<b>200</b>
5	0	0	0	0	50	100	150	<b>200</b>
6	0	0	0	0	0	60	120	180

\* მუქი შრიფტი ყველაზე უფრო პროდუქტიულ ასაკზე მიუთითებს სიცოცხლის მოცემული ხანგრძლივობისა  
და პირველად გამრავლების ასაკისთვის

ბული ინდივიდების კვერცხის დებაზე დაკვირვებაში აჩვენა (ცხრილი 32.3), რომ მომწიფების ასაკი, რომელიც გამრავლების უნარს მაქსიმალურს ხდის, სიცოცხლის ხანგრძლივობისადმი პირდაპირობორციულად იცვლება. თუ სიცოცხლის ხანგრძლივობაა 3 წელი, მაშინ პირველივე წელს მომწიფება სიცოცხლის განმავლობაში 30 კვერცხის დადებას გამოიწვევს (ყოველ წელიწადში 10 კვერცხი). მესამე წელს მომწიფების შედეგად, ინდივიდი ასევე 30 კვერცხს დადებს (ოღონდ 30-ვე კვერცხი მესამე წელიწადში დაიდება). მეორე წელს მომწიფება ინდივიდის ნაყოფიერებას გაზრდის, ვინაიდან ის 40 კვერცხის დადებას შეძლებს (20 კვერცხი მეორე წელიწადში და 20 მესამე წელიწადში). როდესაც სიცოცხლის ხანგრძლივობაა 7 წელი, მომწიფებისთვის საუკეთესო ასაკია 4 წელი.

ზოგიერთი ორგანიზმი (მაგალითად, ჩიტები) პირველი წელიწადის შემდეგ აღარ იზრდება და გამრავლების შესახებ მათ მიერ გაკეთებული არჩევანი გამრავლებასა და სიცოცხლისუნარიანობას შორის არსებულ ბალანსზე დამოკიდებული. ინდივიდები, რომლებიც გამრავლებისგან თავს იკავებენ, ბარტყების მოვლასთან, ბუდის შენებასთან ან გამრავლების ადგილებზე მიგრაციასთან დაკავშირებულ რისკს ანეიტრალებენ. ასაკთან ერთად მიღებული გამოცდილება გამრავლებასთან დაკავშირებულ რისკს ასევე ამცირებს და ამავე დროს მშობლის ნაყოფიერებას გარკვეულ დონემდე ზრდის. ფრინველებში მომწიფების ასაკი მოზრდილი ნარმომადგენლების ყოველწლიური სიცოცხლისუნარიანობისადმი პირდაპირობორციულად იზრდება. დაყოვნებული გამრავლების უპირატესობას ბევრი ფაქტორი ანეიტრალებს, რომლებიც მომავალში გამრავლების მოლოდინს ამცირებენ. ამ ფაქტორებს შორისაა მტაცებლობის მაღალი ტემპი და დაპერება, ხოლო ერთი წლის ან ნაკლები დროის განმავლობაში მცხოვრები ორგანიზმებისთვის ასეთი ფაქტორია გამრავლების სეზონის დასრულება.

### 32.5. მრავალცლიანი სასიცოცხლო

ციცლებისაღი კათილგანეყობილი არის  
გაღალი და ზღაპრულთა შეღარებით  
გულივი გადარჩენა

ზოგიერთი ორგანიზმი ერთი სეზონის განმავლობაში მრავლდება და შემდეგ კვდება, ხოლო ასეთ თვისებას ერთწლიანი გამრავლება ენოდება. ზოგიერთი ორგანიზმი მთელი სიცოცხლის განმავლობაში რამდენიმე სეზონზე მრავლდება და ასეთ თვისებას მრავალწლიანი გამრავლება ენოდება. პოპულაციის ბიოლოგები თითოეული ამ თვისების უპირატესობას გადარჩენის ალბათობასა და ნაყოფიერებას შორის თანაფარდობის საშუალებით განსაზღვრავენ. ზამთრის არარეპროდუქციულ პერიოდში გადარჩენისთვის მრავალწლიანი მცენარე რესურსებს ანანილებს, რისთვისაც ფესვებში ნივთიერებებს ინახავს და გამრავლების დასრულების შემდეგ გვალვისა და ყინვის ამტანი კვირტები გამოაქვს. აქედან გამომდინარე, მრავალწლიანი გამრავლება ერთწლოვან გამრავლებაზე უჯავობესია და ნაყოფიერების შემცირების საფასურიც ნაკლებია. იგივე საკითხს შეეხება მოზრდილი და მოუმნიფებელი მცენარეების სიცოცხლისუნარიანობების შეფარდება. როდესაც გამრავლების ერთი სეზონიდან მეორემდე მხოლოდ მცირე რაოდენობის ინდივიდი ახერხებს გადარჩენას ან როდესაც ინდივიდები შედარებით ნაკლები რაოდენობის ნაყოფს იძლევიან, ერთწლიანი გამრავლება უკეთესია. როდესაც ინდივიდების გადარჩენის ალბათობა ჩამოყალიბების შემდეგ ძალიან მაღალია, ხოლო ამონაზარდების სიცოცხლისუნარიანობა მცირეა, ერთწლიან მცენარეს მრავალწლიანთან შედარებით მეტი რაოდენობის თესლი უნდა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, ერთწლიანი მცენარეები უდაბნოს ფლორაში დომინირებს, სადაც მოზრდილი მცენარეების მხოლოდ მცირე რაოდენობას შეუძლია გვალვის ატანა, ხოლო მრავალწლოვანი

მცენარეები ტროპიკულ ფლორაშია გავრცელებული, სადაც კონკურენცია და მტაცებლების ზენოლა ამონაზიარდის ჩამოყალიბებას ართულებს.

ლემონტ კოულმა (1954), ჩარნოვმა და შაფერმა (1973) ერთნლიანი და მრავალნლიანი მცენარეები ალგებრულ მოდელში ერთმანეთს შეადარეს. დავუშვათ, მცენარეთა პოპულაცია შეიცავს ინდივიდებს, რომლებიც ზრდის პირველი პერიოდის მიწურულს დიდი რაოდენობით თესლს წარმოქმნიან და შემდეგ კვდებიან (ერთნლოვნები) და ასევე შეიცავს ინდივიდებს, რომლებიც ნაკლებ თესლს წარმოქმნიან, მაგრამ ზამთარს უძლებენ და ზრდის მომდევნო სეზონებშიც მრავლდებიან (მრავალნლოვნები). რომელი სახეობის მცენარის ვარგისიანობაა უფრო მეტი? ჩარნოვმა და შაფერმა მოდელის აგბისთვის დაუშვეს, რომ ერთნლიანი და მრავალნლიანი მცენარეების გადარჩენის ალბათობა ზრდის პირველ სეზონში თანაბარია ( $S_0$ ), ხოლო შემდეგ მრავალნლიანი მცენარეების გადარჩენის ალბათობა მუდმივია ( $S_p$ ).

ერთნლიანი მცენარის პოპულაციის ზრდის კოეფიციენტი ( $\lambda_a$ ) თითოეული ინდივიდის მიერ წარმოქმნილი თესლის რაოდენობის ( $B_a$ ) გამრავლების ასაკში მათ სიცოცხლისუნარიანობაზე ( $S_0$ ) ნამრავლის ტოლია:

$$\lambda_a = B_a S_0$$

მრავალნლიანი მცენარეების პოპულაციის ნაზრდი თესლის რაოდენობის ( $B_p$ ) სიცოცხლისუნარიანობაზე ( $S_0$ ) ნამრავლს დამატებული მშობლის გადარჩენის ალბათობაა ( $S_p$ ):

$$\lambda_p = B_p S_0 + S_p$$

ერთნლიანი მცენარეების პოპულაციის ზრდის ტემპი მრავალნლოვანი პოპულაციის ზრდის ტემპს აღემატება ( $\lambda_a > \lambda_p$ ), როდესაც  $B_a S_0 > B_p S_0 + S_p$ . უტოლობის ორივე მხარე  $S_0$ -ზე გავყოთ და მივიღებთ  $B_a > B_p + S_p / S_0$ . გარდაქმნის შედეგად გვექნება:

$$B_a - B_p > \frac{S_p}{S_0}$$

ერთნლიანი სასიცოცხლო ციკლი უმჯობესია, როდესაც ერთნლიანი მცენარის მიერ წარმოებული თესლის რაოდენობა მრავალნლიანი მცენარის ნაყოფიერებას  $S_p / S_0$  შეფარდებით აღემატება. როდესაც გამრავლების სეზონებს შორის მცირე რაოდენობის მრავალნლიანი მცენარე ახერხებს გადარჩენას ან მრავალნლიანი მცენარეები შედარებით ნაკლები რაოდენობის თესლს წარმოქმნის, ერთნლიანი სასიცოცხლო ციკლი უმჯობესია. როდესაც ინდივიდები ჩამოყალიბების შემდეგ გადარჩენას ახერხებენ, მაგრამ ამონაზიარდის სიცოცხლისუნარიანობა ნაკლებია ( $S_p / S_0$  შეფარდება დიდია), ერთნლიანი სასიცოცხლო ციკლი ძალიან მაღალ ნაყოფიერებას იწვევს. მოდელი კიდევ უფრო რთულდება, თუ მასში წლიდან წლამდე ზრდას და გადარჩენის ალბათობის ყოველნლიურ ცვლილებას გავაერთიანებთ, თუმცა ძირითადი დასკვნა მაინც

უცვლელია და მის თანახმად, სასიცოცხლო ციკლის სტრატეგია მოზრდილი წარმომადგენლების და ახალგაზრდების სიცოცხლისუნარიანობის შეფარდებაზეა დამოკიდებული (სტერნსი 1976, ბალტერი 1985).

### 32.6. რატიოალური რატოლუპიული ძალისხმევა იცვლება ზრდასრულთა გადარჩენის უკუროვორციულად

ერთნლიანი მცენარეების პირველი გამრავლების შემდეგ სიცოცხლის გაგრძელების ალბათობა ძალიან მცირეა და ამიტომ, ყველა რესურსი გამრავლებაზე იხარჯება. მრავალნლიანმა მცენარეებმა რესურსი გამრავლებასა და ადაპტაციაზე უნდა გაანაწილოს, რათა სიცოცხლე გაუხანგრძლივდეს. როდესაც ადაპტაცია ზეგავლენას ნაყოფიერებასა და სიცოცხლისუნარიანობაზე ახდენს, ამ ორს შორის თანაფარდობა ოპტიმალური უნდა გახდეს. როდესაც სიცოცხლის ხანგრძლივობა გამრავლების შედეგების მიუხედავად მცირეა, განაწილება არსებული ნაყოფიერების სასარგებლოდ უნდა მოხდეს. თუ სიცოცხლის პოტენციური ხანგრძლივობა დიდია, მაშინ არსებულმა ნაყოფიერებამ მომავალი გამრავლება რისკის ქვეშ არ უნდა დააყენოს. ამ ყველაფრის აღგებრულად ასახვა საქმაოდ მარტივია. დავუშვათ, მრავალნლიანი პოპულაციის ზრდის ტემპია  $\lambda_p = B_p S_0 + S_p$ , თუ მოზრდილი წარმომადგენლების სიცოცხლისუნარიანობას ორ კომპონენტად დავყოფთ, რომელთაგან ერთი გამრავლებას ( $S_R$ ) უკავშირდება, ხოლო მეორე გამრავლებაზე დამოკიდებული არ არის ( $S$ ), მაშინ ზრდის ტემპი შემდეგია:

$$\lambda_p = B_p S_0 + S_p S_R$$

გამრავლების გარკვეული თვისებები სიცოცხლისუნარიანობის და ნაყოფიერების მნიშვნელობებს ცვლის და შთამომავლობის რაოდენობაზე შემდეგ ზეგავლენას ახდენს:

$$\Delta \lambda_p = S_0 \Delta B_p - S_p \Delta S_R$$

როდესაც ცვლილებები ნაყოფიერებას აძლიერებს ( $\Delta B_p$  დადებითია) და სიცოცხლისუნარიანობას ამცირებს ( $\Delta S_R$  უარყოფითია), მათ მიერ  $\Delta \lambda_p$ -ზე მოხდენილი ზეგავლენა  $S_p$ -ის და  $S_0$ -ის მნიშვნელობებზეა დამოკიდებული. როდესაც  $S_p$  მეტია  $S_0$ -ზე, სელექცია მოზრდილი წარმომადგენლების სიცოცხლისუნარიანობს ამამაღლებელ ადაპტაციებს ანიჭებს უპირატესობას და პირიქით. მაშასადამე, მშობლების წვლილი შთამომავლობის აღზრდაში სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად მცირდება.

ზრდასა და გამრავლებას შორის ბალანსის მოხდნის პრობლემა მრავალნლოვან მცენარეებს არ აქვთ. გაისხენეთ ქაღალდის კრაზანა, რომელიც ბუდეს სახლისა და ვერანდის ჭერზე იკეთებს. განაყოფიერებული დედა კრაზანა გამოიზამთრებს და ამგვარ ბუდეებს გაზაფხულზე აკეთებს, ხოლო რამ-

## ცხრილი 32-4

**ნელა ზრდის/კარგი ნაყოფიერების და სწრაფი ზრდის/ცუდი ნაყოფიერების სტრატეგიების რიცხვითი შედარება თევზის ორი, ჰიპოთეტური სახეობისთვის**

თვისება	ნელინადი					
	1	2	3	4	5	6
ნელი ზრდა/კარგი ნაყოფიერება						
სხეულის წონა	10	12	14,4	17,3	20,8	25,0
ზრდის ინკრემენტი	2	2,4	2,9	3,5	4,2	5,0
კვერცხის წონა	8	9,6	11,5	13,8	16,6	20,0
კვერცხის საერთო წონა	8	17,6	29,1	42,9	59,5	79,5
სწრაფი ზრდა/ცუდი ნაყოფიერება						
სხეულის წონა	10	15	22,5	33,8	50,7	76,1
ზრდის ინკრემენტი	5	7,5	11,3	16,9	25,4	38,1
კვერცხის წონა	5	7,5	11,3	16,9	25,4	38,1
კვერცხის საერთო წონა	5	12,5	23,8	40,7	66,1	104,2

**შენიშვნა:** ყველა წონა გრამებშია. სხეულის წონა+ზრდის ინკრემენტი=სხეულის წონა შემდეგ ნელინადში. კვერცხის საერთო წონა ნინა ნელინადში+კვერცხის წონა=კვერცხების საერთო წონა მიმდინარე ნელინადში. ზრდის ინკრემენტი და კვერცხების წონა ყოველ ნელინდში სხეულის წონის ტოლია.

დენიმე თვის შემდეგ დაფრთიანებული დედალი და მამალი კრაზანები ბუდიდან გამოდიან. გაზაფხულსა და ზაფხულში დედა კრაზანა არარეპროდუქციულ მუშებს აჩენს, რომლებიც მას კოლონის განვითარებაში ეხმარებიან. დედა კრაზანისთვის კრიტიკული არჩევანია, თუ როგორ გადავიდეს არარეპროდუქციული მუშების დაბადებიდან რეპროდუქციული კრაზანების დაბადებაზე, რათა რეპროდუქციული კრაზანების რაოდენობა მაქსიმალური გახდეს. სტოქასტიკური, დინამიური პროგრამირების (თავი 31) მიხედვით, როდესაც სეზონის დასასრული პროგნოზირებადა, გადართვა საფეხურებრივად არის სასურველი (მაცევიჩი და ოსტერი 1976, ალექსანდრი 1982, ბალმერი 1994).

ბევრ მცენარეს და უხერხემლო ცხოველს, ასევე ზოგიერთი თევზს, რეპტილიას და ამფიბიას დამახასიათებელი ზომა არ გააჩნია. ისინი მთელი სიცოცხლის განმავლობაში შენელებული ტემპით იზრდებიან და ამ მოვლენას დაუსრულებელი ზრდა ენოდება. ამგვარი თვისების მქონე სახეობებში ნაყოფიერებასა და სხეულის ზომას შორის პირდაპირი დამოკიდებულებაა. კვერცხისდება და ზრდა ენერგიისა და საკვები ნივთიერებების რესურსებზე დამოკიდებული, ამიტომ ერთი წლის განმავლობაში გაზრდილი ნაყოფიერება მომდევნო წლებში ნაყოფიერების სავარაუდო შემცირებასთან უნდა შედარდეს. დიდი წნის განმავლობაში მცხოვრებ ორგანიზმებში ზრდა ყოველწლიურ ნაყოფიერებაზე უფრო მნიშვნელოვანია. გადარჩენის ნაკლები შანსის მქონე ორგანიზმებში რესურსის კვერცხის დებაზე მეტად ზრდაზე განაიღება რესურსის ფლანგვაა.

განვიხილოთ თევზის ორი ჰიპოთეტური სახეობა. თითოეული მათგანი სქესობრივი მომწიფებისას 10 გრამს იწონის, მაგრამ ზრდასა და გამრავლებაზე

რესურსს განსხვავებულად ანაწილებს. ორივე სახეობა ყოველწლიურად საკმარის რესურსს აგროვებს, რათა ახალი ქსოვილის ან კვერცხის ნარმოქმნა შეძლოს. A თევზი პროდუქციის 2/10-ს ზრდაზე ანაწილებს, ხოლო 8/10-ს კვერცხებზე. B თევზი პროდუქციას ზრდასა და კვერცხზე თანაბრად ანაწილებს. ზრდის, ნაყოფიერების და მთლიანი ნაყოფიერების გამოთვლის (ცხრილი 32.4) შემდეგ ცხადია, რომ 4 ან ნაკლები წლის განმავლობაში მცხოვრები თევზისთვის კარგი ნაყოფიერება და ზრდის ნელი ტემპი კარგი პროდუქტიულობის გარანტია, ხოლო 4 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მცხოვრები თევზისთვის სწრაფი ზრდა და შედარებით ცუდი ნაყოფიერება უპირველესი ამოცაა. აქედან გამომდინარე, მოზრდილი ნარმომადგენლების სიკვდილიანობა ზრდასა და გამრავლებაზე რესურსების ოპტიმალურ განაწილებას განსაზღვრავს.

### 32.7. როდესაც გადარჩენა და ნაყოფიერება იცვლება ასაკთან ერთად, სასიცოცხლელო ციკლის ვარიაციების მიზნით

ადრე განხილულ მოდელებში ვუშვებდით, რომ ნაყოფიერება და მოზრდილი ნარმომადგენლების სიცოცხლისუნარიანობა მუდმივი მნიშვნელობებია და დროში არ იცვლება. რეალურ სამყაროში არსებულ მცენარეებსა და ცხოველებში სიცოცხლისუნარიანობა და ნაყოფიერება ასაკთან ერთად იცვლება. სიცოცხლისუნარიანობასა და ნაყოფიერებაზე ზეგავლენას გარემო პირობები და გენეტიკური ფაქტორები ახ-

## ცხრილი 32-5

**ჰიპოთეტური პოპულაციის ბიოლოგიური პარამეტრები დაბერებისას და დაბერების  
გარეშე**

პოპულაცია, რომელიც არ ბერდება						პირველი ემთხვევა		მეორე შემთხვევა		მესამე შემთხვევა	
$x$	$s_x$	$l_x$	$b_x$	$l_x b_x$	$x l_x b_x$	$s_x$	$b_x$	$s_x$	$b_x$	$s_x$	$b_x$
0	0,5	1,000	0,0	0,000	0,000	0,5	0,0	0,5	0,0	0,5	0,0
1	0,5	0,500	1,0	0,500	0,500	0,5	1,1	0,5	1,1	0,5	1,1
2	0,5	0,250	1,0	0,250	0,500	0,5	1,1	0,5	1,1	0,5	1,1
3	0,5	0,125	1,0	0,125	0,375	0,5	1,0	0,5	1,0	0,5	1,1
4	0,5	0,063	1,0	0,063	0,252	0,5	1,0	0,5	1,0	0,4	1,1
5	0,5	0,031	1,0	0,031	0,155	0,5	1,0	0,5	0,9	0,4	1,1
6	0,5	0,016	1,0	0,016	0,090	0,5	1,0	0,5	0,9	0,4	1,1
7	0,5	0,008	1,0	0,008	0,056	0,5	1,0	0,5	0,9	0,3	1,1
8	0,5	0,004	1,0	0,004	0,032	0,5	1,0	0,5	0,9	0,3	1,1
9	0,5	0,002	1,0	0,002	0,018	0,5	1,0	0,5	0,9	0,3	1,1
10	0,5	0,001	1,0	0,001	0,010	0,5	1,0	0,5	0,9	0,3	1,1
ზრდის ექსპონენციალური ტემპი ( $r$ )				0,103		0,123		0,118		0,107	

დენს. ბუნებრივი სელექცია ორგანიზმების ამ თვისებებზე სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა ინტენსივობით მოქმედებს.

მე-14 პარაგრაფიდან გავიხსენოთ, რომ ბიოლოგიური პარამეტრები ასაკისთვის დამახასიათებელი ნაყოფიერების ( $b_x$ ), სიცოცხლისუნარიანობის ( $s_x$ ),  $x$  ასაკში გადარჩენილი ინდივიდების პროპორციული რაოდენობის ( $l_x$ ) და სხვა თვისებების მნიშვნელობებია. პოპულაციის ზრდის ტემპის გამოვლა ბიოლოგიური პარამეტრების და 15.3-15.4 ფორმულების დახმარებით შეიძლება (იხ. თავი 15). ამ ფორმულებიდან მიღებული თეორიული დასკვნების მიხედვით შევიძლია ვიმსჯელოთ, თუ რა ზეგავლენას ახდენს პოპულაციის ზრდის ტემპზე  $s_x$  სიცოცხლისუნარიანობის ან  $b_x$  ნაყოფიერების მცირე ცვლილება (ჰემილტონი 1966, ემლენი 1970). პოპულაციაში შემავალ, გარკვეული ასაკის ინდივიდებს, რომელთაც მაღალი სიცოცხლისუნარიანობა ან ნაყოფიერება გააჩნიათ, უფრო დიდი რეპროდუქციული წარმატება ექნებათ და სელექციაც მათ მიანიჭებს უპირატესობას. ამგვარი ინდივიდების არსებობა პოპულაციის ზრდის ტემპსაც გაზრდის. მიუხედავად ამისა, შედარებით ხანდაზმული ინდივიდების სიცოცხლისუნარიანობის ან ნაყოფიერების ზრდა ძლიერად სელექციური არ იქნება. მაგალითად, თუ ინდივიდების 50% 1 წლის ასაკში გადარჩა, ხოლო 2 წლის ასაკში მხოლოდ 25%-ია გადარჩენილი, მაშინ 1 წლის ასაკში ნაყოფიერების ცვლილებაზე მომხდარი სელექცია 2 წლის ასაკში ნაყოფიერების ცვლილებაზე მომხდარ სელექციაზე ორჯერ ძლიერი იქნება. ახალგაზრდა ასაკში სიცოცხლისუნარიანობის ან ნაყოფიერების ცვლილება რეპროდუქციულ წარმატებაზე მეტ ზეგავლენას ახდენს, ვინაიდან გამრავლების პოტენციალი დიდია.

მოცემულ ასაკში ნაყოფიერებაზე მომხდარი სელექციის ძალა ამ ასაკში გადარჩენილი ინდივიდების რაოდენობისადმი ( $l_x$ ) პირდაპირობორციულია. მაშასადამე, ახალგაზრდა ასაკში სელექცია უფრო ძლიერი იქნება. სიცოცხლისუნარიანობის ცვლილებაზე მომხდარი სელექციის ძალა ასაკთან ერთად აგრეთვე მცირდება. ამ მოვლენების შედეგები ჰიპოთეტური პოპულაციის ბიოლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვებით შეგვიძლია გავიგოთ. პოპულაციაში ყველა  $x$ -სთვის  $s_x=0,5$  და  $b_x=1$  ( $b_0=0$  გამონაკლისია) (ცხრილი 32.5). პოპულაციის ზრდის ექსპონენციალური  $r$  ტემპი მახასიათებელი განტოლებით გამოითვლება (იხ. თავი 15) და  $r=0,103$  ანუ წელიწადში ზრდა დაახლოებით 10%-ია.

ამჯერად განვიხილოთ სამი შემთხვევა, როდესაც სიცოცხლისუნარიანობა ან ნაყოფიერება იცვლება. პირველ შემთხვევაში მუტაცია ინდივიდის ნაყოფიერებას 1-დან 2 წლის ასაკამდე 1-1,1-მდე ზრდის. ასეთი ცვლილების შემდეგ პოპულაციის ზრდის ტემპი 0,103-0,123-მდე იზრდება. აქედან გამომდინარე, მუტაცია პოპულაციის სიხშირეს ზრდის. მეორე შემთხვევაში ორი ცვლილება ხდება. 1 და 2 წლის ინდივიდების ნაყოფიერება პირველი შემთხვევის მსგავსად იზრდება. ამ ცვლილებას 5 და მეტი წლის ასაკის ინდივიდების ნაყოფიერების 1-0,9-მდე შემცირება ახლავს თან. საბოლოო ჯამში, უფრო დიდი ასაკის ნაყოფიერების შემცირება ახალგაზრდა ასაკის ნაყოფიერების ზრდის ტოლია. გენეტიკური ცვლილების შედეგად პოპულაციის ზრდის ტემპი 0,118-მდე იზრდება და ზრდა პირველ შემთხვევაზე ნაკლებია. პოპულაციის შედარებით ხანდაზმული წევრები გამრავლების პოტენციალს კარგავენ და პოპულაციის დაბერების ეფორულური აჩქარება ხდება. მესამე შემთხვევაში ნაყო-



ფიერება ყველა ასაქში იზრდება (1-დან 1,1-მდე). 4, 5 და 6 წლის ასაქში სიცოცხლისუნარიანობა 0,5-0,4-მდე მცირდება, ხოლო დანარჩენ ასაქში სიცოცხლისუნარიანობა 0,5-0,3-მდე იკლებს. ასეთ დროს პოპულაციის ზრდის ტემპი მხოლოდ ოდნავ იზრდება. მეორე შემთხვევის მსგავსად, ამჯერადაც პოპულაციის დაბეჭდა ხდება, ვინაიდან შედარებით ხანდაზმული ინდივიდები გამრავლების პოტენციალის ნაწილს კარგავენ (რიკლეფსი და ფინჩი 1995).

### 32.8. ფსონების დაზღვევას მინიჭებამდე დაკავავს რეპროდუსტიული ნარჩენის გარემობა მოუღოდენებით სავსე გარემოის

როდესაც ინდივიდის სიცოცხლის განმავლობაში გარემო არაპროგნოზირებულად იცვლება, სელექციამ უპირატესობა მრავალი სეზონის განმავლობაში მომხდარ გამრავლებას ან სიცოცხლის ადრეულ პერიოდში მომხდარ გამრავლებას შეიძლება მიანიჭოს, რაც ვითარებაზეა დამოკიდებული (გუდმანი 1979, ჰასტინგსი და კასველი 1979, მერფი 1968, შაფერი 1974, იმიტურა და კლარკი 1993). თუ შთამომავლობის ზრდა წლიდან წლამდე არაპროგნოზირებადია, მაშინ სელექცია ნაყოფიერების ხარჯზე მოზრდილი ნარმომადექნების სიცოცხლისუნარიანობას ანიჭებს უპირატესობას და ამგვარ სტრატეგიას გარანტირებული დაზღვევა ეწოდება (სტერნი 1976). ამგვარი სტრატეგიის ლოგიკას ნათლად მივხვდებით, თუ უკიდურეს შემთხვევას ანუ სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გამრავლებას დავაკვირდებით. თუ გარემო პირობების ცვალებადობის შედეგად გამრავლება რამდენიმე

წლის განმავლობაში ვერ ხერხდება, მაშინ სიცოცხლეში ერთადერთხელ გამრავლებადი ორგანიზმები იღუპებიან. ერთწლიანი ნაყოფიერების ხარჯზე გამრავლების რამდენიმე წელზე გაშლა ასეთ პირობებში სწორედაც რომ მისწრება.

გამბუზია (*Gambusia affinis*) ჰავაის კუნძულებზე მე-20 საუკუნის დასაწყისში შემოვიდა და პოპულაცია უამრავ წყალსაცავში შეინარჩუნა. ზოგიერთ წყალსაცავში წყლის სიღრმე სტაბილურია, ხოლო სხვებში წვიმისა და სარწყავ წყალზე მოთხოვნის შედეგად სიღრმე იცვლება. სტაბილურ და ცვალებად წყალსაცავებში მობინადრე გამბუზიების სასიცოცხლო ციკლის თვისებები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება (სურ. 32.8). ცვალებად წყალსაცავებში მობინადრე მდედრი გამბუზიები უფრო პატარა ზომისანი არიან, სხეულის მასის უდიდეს ნაწილს გამრავლებაზე ანანილებენ და უფრო დიდი რაოდენობის შთამომავლობას ტოვებენ, ვიდრე სტაბილურ წყალსაცავებში მობინადრე გამბუზიები. სტაბილურ და ცვალებად წყალსაცავებში მობინადრე ახალგაზრდა და მოზრდილი გამბუზიების სიკვდილიანობის ტემპი ჯერ-ჯერობით არ გაზომილა, თუმცა გამრავლებაზე რესურსები სხვადასხვანაირად ნაწილდება და ცვალებად წყალსაცავში მობინადრე მოზრდილი გამბუზიების საშუალო სიცოცხლისუნარიანობა სავარაუდოდ ნაკლებია. შთამომავლობის მცირე რაოდენობა გამრავლებაზე ნაკლები აქცენტის გაკეთებაზე მიუთითებს და ამის მიზეზი სავარაუდოდ ის არის, რომ ცვალებად წყალსაცავებში მობინადრე ახალგაზრდა გამბუზიების სიცოცხლისუნარიანობა იცვლება (სკრიბნერი და სხვები 1992).



**სურ. 32.8.** ჰავაის წყალსაცავებში მობინადრე გამბუზიების (*Gambusia affinis*) პოპულაციების სასიცოცხლოს ციკლის თვისებები. ცვალებად წყალსაცავებში მობინადრე გამბუზიები გამრავლებაზე მეტ რესურსს ხარჯავენ, თუმცა ინდივიდუალურ შთამომავლობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. რეპროდუქციული განაწილება ემბრიონების მმრალი წონის პროპორციულია.


### 32.9. გამრავლებისთვის დიდ გზადებას და არამყარ გარეო პირობებას შეუ- ძლიათ გაუძლონ ერთ, ყოვლისომცველ რეპროდუციულ ეპიზოდს

გამბუზიები რამდენჯერმე მრავლდებიან, ხოლო ორაგულის ზოგიერთი სახეობა მათგან განსხვავებით რამდენიმე წლის განმავლობაში სწრაფად იზრდება და შემდეგ ერთადერთხელ მრავლდება. მდედრი ორაგულის ქსოვილების დიდ ნაწილი გამრავლებისას კვერცხში გადადის და ორაგული გამრავლების შემდეგ მალევე კვდება. გედგილმა და ორსერტმა (1970) დაასკვნეს, რომ ორაგული ძალიან დიდ ენერგიას ხარჯავს მდინარის აღმა ცურგასა და გამრავლების ადგილზე მისვლაში, ამიტომ ის ერთადერთხელ მრავლდება და მაქსიმალური რაოდენობის კვერცხს დებს. მიუხედავად ამისა, ორაგულის კუნთები და საჭმლის მომნელებელი ქსოვილები გამრავლებისას კვერცხში გადადის და სიკვდილი გარანტირებულია. ასეთ სტრუქტურას პროგრამირებული სიკვდილი ენდება.

ორაგულის სასიცოცხლო ციკლის სტრუქტურას ზოგჯერ „დიდი აფეთქებით“ გამრავლებას უწოდებენ, ხოლო უფრო ზუსტი სახელწოდებაა ერთხელ გამრავლებადობა (*semelparity*). ეს ტერმინი ლათინური

სიტყვებიდან მოდის, „*semel*“ ნიშნავს „ერთხელ“, ხოლო „*pario*“ არის „გამრავლება“. მისი საპირისპირო მოვლენაა განმეორებით გამრავლებადობა. ერთხელ გამრავლებადობა წლიური გამრავლებისგან უნდა გავარჩიოთ. ერთწლიანი ორგანიზმები ხშირად რამდენჯერმე მრავლდებიან და ზოგჯერ ერთწლიანი სიცოცხლის განმავლობაში ხანგრძლივ, უწყვეტ გამრავლების პროცესსაც გადიან. მრავალწლოვანი ორგანიზმების მსგავსად, ერთხელ გამრავლებადი ინდივიდები სულ მცირე ერთ არარეპროდუქციულ სეზონს უნდა გადაურჩნენ, ვიდრე სქესობრივად მომწიფებიან. 1 ან 2 წელზე დიდხანს მცხოვრებ მცენარებსა და ცხოველებში ერთხელ გამრავლებადობა იშვიათად გვხდება. ჩვეულებრივ, ზრდის სეზონებს შორის გადარჩენისთვის საჭირო რესურსები გამრავლებისთვის მზადების რესურსებს ბევრად აღემატება და მრავალწლიანი ორგანიზმებისთვის ყოველწლიური გამრავლება საუკეთესო გამოსავალია.

ერთხელ გამრავლებადი მცენარის საუკეთესო მაგალითია ბამბუკი (იანცენი 1976) და აგავა (შაფერი და შაფერი 1977). ბამბუკების უმეტესობა ტროპიკულ ან თბილი ტემპერატურის მქონე ზონებში ხარობს და გავრცელების აღელვებულ არეალებში მჭიდრო საფა-



(ა)



(ბ)

**სურ. 32.9.** არიზონას დიდ კანიონში გავრცელებული კაიბაბის აგავის (*agave kaibabensis*) სასიცოცხლო ციკლის ეტაპები. ა) მცენარე სქელი, ხორციანი ფოთლების როზეტის სახით დააბლოებით 15 წლის განმავლობაში იზრდება. ბ) ყვავილოვანი ღერო გამოაქვს და ნაყოფს ისხამს, რის შემდეგაც კვდება

რს ქმნის. ბამბუკის გამრავლებას განსაკუთრებული მომზადება ან რესურსი არ სჭირდება, თუმცა თესლის წარმატებულად განაყოფიერებისთვის საჭირო პირობები იშვიათად გვხვდება. ბამბუკი ჩამოყალიბების შემდეგ უსქესო გამრავლების შედეგად იზრდება და ახალი ღეროები მანამდე გამოაქვს, ვიდრე გავრცელებისა არეალი ბამბუკით გაჯერდება. ვეთეტაციის ზრდის შეზღუდვის შემდეგ ბამბუკის თესლს სარგებელი მოაქვს და ბამბუკი დარღვეული ტერიტორიების კოლონიზაციას ახდენს.

აგავას უმეტესი სახეობა იშვიათი და ერატიული წვიმის ადგილებში არსებობს. მცენარეები რამდენიმე წლის განმავლობაში იზრდება, მათი რაოდენობა სახეობის მიხედვით იცვლება და შემდეგ გიგანტური, ყვავილოვანი ღერონგამოაქვს. აგავა თესლის წარმოქმნის შემდეგ იღუპება (სურ. 32.9). საინტერესო ის არის, რომ აგავები ხშირად იუკასებთან ერთად იზრდება, რომელიც ყოველ წელს ყვავის. აგავის ფესვთა სისტემა იუკასებისგან განსხვავდულია, რადგან იუკასის ფესვები ღრმად ჩადის და რესურსს მიწინაქვეშა წყლიდან იღებს, ხოლო აგავას ზედაპირული, ბოჭკოვანი ფესვები აქვს. აგავის ფესვები წვიმის შემდეგ წყალს უდაბნო ნიადაგების ზედაპირული ფენებიდან იღებს, ხოლო გვალვის დროს სრულიად გამოუსადეგარია. აგავისთვის წყლის ცვალებადი მიწოდება თესლის წარმოქმნას და ამონაზარდის ჩამოყალიბებას ხელს უშლის და გამრავლებისთვის შესაფერის წელინადებს შორის ძალიან დიდი დრო შეიძლება გავიდეს. ასეთ პირობებში აგავისთვის ყველაზე უფრო სასარგებლოა ზრდა და საკვების ნივთიერებების შენახვა მანამდე, ვიდრე განსაკუთრებულად ტენიანი წელინადი დადგე-

ბა, რაც შეიძლება 10 წელინადში ან სულაც 100 წელინადში ერთხელ მოხდეს. აგავა სწორედ ასეთი წელინადის განმავლობაში მიმართავს მთელ რესურსებს გამრავლებაზე.

მცენარეების ერთხელ და განმეორებით გამრავლებადობის შესახებ რამდენიმე განმარტება არსებობს (იანგი 1990, იანგი და აუგშპურგერი 1991, სილვერტაუნი 1996). ცვალებად გარემო პირობებში განმეორებით გამრავლებადობა უკეთესია, ვინაიდან გამრავლება როგორც კარგ, ასევე ცუდ წელინადში ხდება და რეპროდუქციული წარმატების ცვალებადობა ნაკლებია. ამ პიპოთეზის უარყოფა შესაძლებელია, ვინაიდან ერთხელ გამრავლებადი მცენარეები ცვლად (და მშრალ) გარემოში უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე განმეორებით გამრავლებადი მცენარეები. ცვალებად გარემო პირობებში ერთხელ გამრავლებადობა შეიძლება იყოს უფრო მისაღები, ვინაიდან მცენარეს შეეძლება გამრავლებისთვის ყველაზე უფრო მოსახერხებელი წელი შეარჩიოს. მცენარე ასეთ შემთხვევაში რესურსებს მთავარი მოვლენისთვის ინახავს და ამგვარ მოქმედებას აზრი აქვს. არსებობს კიდევ ერთი ტაქტიკა და მას „ისარგებლე მომენტით“ ენოდება. ეს ტაქტიკა განსაკუთრებით სასარგებლოა, როდესაც მოზრდილი წარმომადგენლების სიცოცხლისუნარიანობა დაბალია და კარგ წელინადებს შორის დიდი დროა. როდესაც მასობრივ ფლორასთან დამტკერავი მწერები მიიზიდებიან, მცენარემ შესაძლოა მთელი თავისი ძალისხმევა ერთხელ გამრავლებაზე მიმართოს. მაგალითად, ერთხელ გამრავლებადი, როზეტული მცენარე *Lobelika telekii* აფრიკაში, კენიის მთის ფერდობებზე იზრდება, მისი ყვავილედის ზომა

## ცხრილი 32-6

*Lobelia telekii*-ს და *Lobelia keniensis*-ის ეკოლოგიური, სასიცოცხლო ციკლის, დემოგრაფიული და რეპროდუქციული თვისებები კენიის მთაზე

თვისება	ობელია ტელეკი	<i>Lobelia keniensis</i>
სასიცოცხლო ციკლი	ერთხელ გამრავლებადი	განმეორებით გამრავლებადი
გავრცელების არეალი	მშრალი, კდლიანი ფერდობები	ტენიანი ველები
ზრდის ფორმა	განტოტვის გარეშე	განტოტვით
გამრავლების შედეგი	დიდი ყვავილედი, მეტი თესლი	პატარა ყვავილედი, ნაკლები თესლი
ყვავილედის ზომის ცვლილება	ძლიერი, ნიადაგის ტენიანობასთან ერთად მატულობა	შედარებით სუსტი, ნიადაგის ტენიანობაზე დამოკიდებული არ არის
დემოგრაფია	მოზრდილი წარმომადგენლის სიცოცხლისუნარიანობა ნულის ტოლია	მშრალ ადგილებზე მობინადრე პოპულაციებში სიცოცხლისუნარიანობა ნაკლებია და გამრავლებაც უფრო იშვიათად ხდება
თესლის რაოდენობის ცვლილება	ყვავილედის ზომასთან ძლიერ, დადებით კავშირშია	ყვავილედის ზომაზე დამოკიდებული არ არის, როზეტულის რაოდენობასთან დადებით კავშირშია
დამტკერავების გავლენა	თესლის ხარისხი იზრდება, რაოდენობა უცვლელია	თესლის ხარისხი იზრდება, რაოდენობა უცვლელია


ორვერ იზრდება, ხოლო თესლის ნარმოქმნა ოთხჯერ მატულობს (იანგი 1990). *Lobelia telekii-s Lobelia kennensis*-თან შედარება (ცხრილი 32.6) ცხადყოფს, რომ ერთხელ გამრავლებადობა დროსა და სივრცეში მკვეთრად ცვალებად, მშრალ გავრცელების არეალებში უფრო გვხვდება. შედარებით მუდმივ გარემო პირობებში, სადაც ამონაზარდის ჩამოყალიბებას ხელი ეწყობა, ყვავილობა ხშირად და მასიურად ხდება.

### 32.10. ფიზიოლოგიური და გარემო თავს იჩენს საცდაზოულ ასაკში

ზოგიერთი ორგანიზმი გამრავლების შემდეგ პროგრამირებულად კვდება, თუმცა უმეტესი მათგანის სიკვდილიანობა თანდათანობით იზრდება, ხოლო ნაყოფიერება კლებულობს და ეს ყველაფერი ფიზიოლოგიური ფუნქციის გაუარესების შედეგია, რასაც დაბერება ეწოდება (კონი 1971, როკშტაინი 1974, ლემბი 1977, კალოუ 1978, როუზი 1991, კირკლენდი 1992, პერტრიჯი და ბარტონი 1993, რიკლეფსი და ფინჩი 1995). დაბერება, ნაყოფიერების შემცირება და სიკვდილი მკვეთრი ფიზიოლოგიური ცვლილებების შედეგი არ არის. დაბერების დემოგრაფიული შედეგები ასაკთან ერთად ფიზიოლოგიური ფუნქციის თანდათანობით დაქვეითებით არის გამოწვეული. მაგალითად, ადამიანების ძირითადი ფიზიოლოგიური ფუნქციების ტემპი 30-85 წლის ასაკამდე წრფივად მცირდება. 30 წლის ინდივიდთან შედარებით ნერვების გამტარობა და ნივთიერებათა ცვლა 80-85%-ით ქვეითდება, ფილტვებში სისხლის მიმოცევა 40-45%-ით იკლებს, ხოლო მაქსიმალური სუნთქვითი მოცულობა 37%-ით მცირდება (მილდვენი და შტრელერი 1960). ქრომოსომულ ანომალიებთან დაკავშირებული დეფექტები 30 წელზე ხანდაზმულ ქალებში სწრაფად მატულობს (სურ. 32.10). იგივე ტიპის ცვლილებები ცხოველთა სამყაროშიც გვხვდება (კომფორტი 1956, შტრელერი 1960, როუზი 1991).

როგორ ვითარდება სიძერე? რატომ არ გამოირიცხება ის სელექციის შედეგად, როდესაც სიცოცხლისუნარიანობა ნებისმიერ ასაკში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია? ამ კითხვებზე პასუხი გენეზზე მომხდარი სელექციის შესუსტებაა, რაც ასაკთან ერთად უფრო მკვეთრად გამოიხატება და ამ გენების მატარებელი ინდივიდების სულ უფრო ნაკლები რაოდენობა ახერხებს გადარჩენას (უილიამსი 1957, პემილტონი 1966, როუზი 1992). სელექცია ასაკზეა დამოკიდებული და დაბერების მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს.

დაბერების ერთ-ერთი მიზეზი გამოუსწორებელი მოლეკულური დეფექტების დაგროვებაა, ისევე როგორც ავტომობილი თანდათან ფუნქდება და ბოლოს გადასაგდება. მათინიზირებელი გამოსხივება და რეაქტიული, თავისუფალი რადიკალები ქიმიურ ჯაჭვებს არღვევს, მაკრომოლექულები გადაებება და დღმ-ში მუტაცია გროვდება. ამ პროცესს დაბერების




**სურ. 32.10** ადამიანებში დედის ასაკთან ერთად შთამომავლობაში ქრომოსომების ანომალურ რაოდენობის გაჩენის (ანუპლიტიდის) აღარათობა იზრდება. ქრომოსომური ანომალიის ყველაზე უფრო გავრცელებული მაგალითია დაუნის სინდრომი და ის 21-ე ქრომოსომის დამატებითი ქოპის არსებობით არის გამოწვეული. კლაინფელტერის სინდრომი მარმარილი სექსში გვხვდება და დამატებითი X ქრომოსომის არსებობით არის გამოწვეული. კლაინფელტერის სინდრომს უნაყოფობა და ქალისმაგვარი მკერდის განვითარება ახასიათებს

მუტაცია-დაგროვების თეორია ეწოდება. ჰიუზის და ჩარლზორტის კვლევების (1994) თანახმად, დროზოფილს (*Drosophila*) სიკვდილიანობის ტემპი ასაკთან ერთად იზრდება და ეს ფაქტი მუტაცია-დაგროვების თეორიას ამყარებს.

ზემოთ აღნიშვნილი პროცესები დაბერების სტრუქტურას სრულად ვერ განმარტავს, ვინაიდან სიცოცხლის ხანგრძლივობა ერთი და იგივე ზომის და ფიზიოლოგიის მქონე სახეობებშიც მკვეთრად განსხვავებულია. დატყვევებული მწერიჭამია დამურები 10-20 წლის განმავლობაში ცოცხლობენ, ხოლო იგივე ზომის თაგვები 3-5 წელზე მეტხანს იშვიათად თუ გასტანენ. გარდა ამისა, დაზიანებული დღმ-ს და ცილის მოლეკულების აღმდგენი უჯრედული მექანიზმები დღეგრძელ ცხოველებში უკეთესად არის განვითარებული, ვიდრე მათ დღემოკლე ნათესავებში. მაშასა-დამე, დაბერება შესაძლოა ბუნებრივი გადარჩევის და ევოლუციური ცვლილების ზეგავლენის ქვეშ არის მოქცეული. სასცოცხლო ციკლის სხვა თვისებების მსგავსად, დაბერების გახანგრძლივებაც ახალგაზრდა ასაკში შემცირებული გამრავლებით შეიძლება ანაზღაურდეს. მაგალითად, თუ აღდგენითი პროცესები ენერგიასა და რესურსს საჭიროებს და სიკვდილიანობა მაღალია, მაშინ უფრო პროდუქტიული რესურსების ადრეულ გამრავლებაზე განაწილება იქნება.

დაბერებისგან თავისუფალ პოპულაციებში სიკუდილიანობის შემთხვევები როგორც ახალგაზრდა, ასევე ასაკოვან ინდივიდებზე თანაბრად ახდენს ზეგავლენას. მიუხედავად ამისა, ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო მცირე რაოდენობის ინდივიდი ახერხებს გადაჩენას. ინდივიდების მხოლოდ მცირე რაოდენობა აღნებს ხანდაზმულობას, ხოლო პროგრესირებადი ფიზიოლოგიური გაუარესება რეპროდუქციაზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენს. სიცოცხლისუნარიანობასა და ნაყოფიერებაზე მომხდარი სელექციის ძალა მცირდება, ამიტომ სელექცია რეპროდუქციულ წარმატებას ახალგაზრდა ასაკში ანიჭებს უპირატესობას და არა ხანდაზმულობაში. რაც უფრო ნაკლებია მოზრდილი წარმომადგენლების სიცოცხლისუნარიანობა, მით უფრო სუსტია რეპროდუქციული წარმატების გაუმჯობესებისთვის მომხდარი სელექცია ხანდაზმულ ასაკში და დაბერება უფრო სწრაფად ხდება. ასეთი დამოკიდებულების შემოწმება დაბერების ტემპისა და სიკუდილიანობის ტემპის შედარებით შეიძლება, ვიდრე ახალგაზრდა წარმომადგენლები დაბერებას დაინტებენ. 32.11 სურათიდან გამომდინარე, ფრინველებისა და ძუძუმწოვარი ცხოველებისთვის მიღებული მონაცემები ზემოთ მოყვანილ პროგნოზს ადასტურებს.

ზოგიერთი ალელი პლეიოტროპულად მოქმედებს (მრავალ განსხვავებულ თვისებაზე ახდენს ზეგავლენას) და ვარგისიანობას ადრეულ ასაკში ზრდის, ხოლო ხანდაზმულობაში ამცირებს (უილიამსი 1957, როუზი და ჩარლზოვორთი 1981, როუზი 1982). ამგვარი ალელები გენოფონდში რჩება, ვინაიდან მისი ზეგავლენა ვარგისიანობაზე ახალგაზრდა ასაკში უკეთესად



**სურ. 32.11.** სიკუდილიანობის მაღალი ტემპის მქონე ფრინველების და ძუძუმწოვარი ცხოველების სახეობებში დაბერება სწრაფად ხდება. დაბერების ტემპი წელიწლების რაოდენობის შებმუშებულია, რაც მოზრდილი ინდივიდების 90%-ს დაბერებისგან სიკუდილისთვის სჭირდება. სიკუდილიანობის ტემპი ახალგაზრდა წარმომადგენლებისთვის არის მიღებული.

### ცხრილი 32-7

სელექციის შედეგები  
დროზოფილას (*Drosophila*)  
გვიან გამრავლებაზე

დღეები	კვერცხის რაოდენობა (5 დღის განმავლობაში)	
	სელექციური შტო*	საკონტროლო შტო
1-5	422	551
11-15	392	323
16-20	287	239
21-25	183	137
დღეგრძელობა (დღეები)	30,2	26,8

\* სელექციური შტო სულ მცირე 21 დღის განმავლობაში მცხოვრები წარმომადგენლებიდან მიღებს

გამოიხატება. დაბერების შესახებ არსებულ ასეთ მოსაზრებას ანტაგონისტური პლეიოტროპია ეწოდება. მაგალითად, დროზოფილას კვლევამ დაადასტურა, რომ გვიან პერიოდში დადგებულ კვერცხზე მომხდარი სელექცია ორგანიზმის დღეგრძელობას ზრდის (ცხრილი 32.7). დროზოფილაზე ჩატარებული კიდევ ერთი კვლევის თანახმად, ადრეულ პერიოდში მეტი სიცოცხლისუნარიანობისთვის შერჩეული ორგანიზმების სიცოცხლისუნარიანობა მოგვიანებით შემცირდა (როუზი და ჩარლზოვორთი 1981).

კირკვუდის და როუზის (1991) აზრით, დაბერებაში შემავალი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფარდობა ემბრიონის დნმ-ს და სომატური დნმ-ს ალდგენასა და შენარჩუნებაზე განანილებულ ენერგიებს შორისაა. მეცნიერების ვარაუდით, შეცდომისგან თავისუფალი დნმ-ს შექმნას ძალიან დიდი რესურსი სჭირდება, ამიტომ ამ მიზნისთვის გამოყოფილი ენერგია უნდა დაიხარჯოს უკერდებზე, საიდანაც გამეტები წარმოიქმნება, ხოლო ენერგიის ხარჯვა სომატურ დნმ-ში შეცდომების დაგროვების ხარჯზე უნდა მოხდეს. ამ მოსაზრებას დაბერების ხელმისაწვდომობა-სომას თეორია ეწოდება (ბალმერი 1994).

### 32.11. სასიცოცხლო ციკლის ნიმუშები იცვლება პოლიაციის ზრდის მაჩვენე- ბლების მიხედვით

სასიცოცხლო ციკლის თვისებებზე მომხდარი სელექციის ძალა სხვადასხვა ასაკში, პოპულაციის ზრდის ტემპზეა დამოკიდებული. ამ ფაქტს სასიცოცხლო ციკლის ევოლუციის გააზრებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, გამრავლების ტემპის და პოპულაციის ზრდის ტემპის დაკავშირების შედეგად ნაყოფიერების განედური ცვლილების ახსნა შესაძლებელია (სკარტი 1949, კოდი 1966, მაკარტური და უილსონი 1967). არგუმენტი ასე უდერს: ზომიერი კლიმატისა

და არქტიკულ რეგიონებში მობინადრე პოპულაციები ამინდის კატასტროფული პირობების შედეგად პერიოდულად მცირდება და ინდივიდები გენოტიპის მიუხედავად იღუპებან. პოპულაციის შემცირებას ზრდის ხანგრძლივი პერიოდი მოყვება და ამ დროს პოპულაციის ზრდის ტემპის (*r*) გაზრდისკენ მიმართული ადაპტაციების, მათ შორის ნაყოფიერებისა და ადრეული მომწიფების გაძლიერების სელექცია ხდება. „მუდმივ“, ტროპიკულ გარემოში მობინადრე პოპულაციები მნიშვნელოვნად არ იცვლება და მათი რაოდენობა რესურსებით დანესხებულ ზღვართან (*K*) ახლოსაა. ასეთ გარემოში კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და რესურსების უკეთესად მოხმარებისკენ მიმართული ადაპტაციების სელექცია ხდება.

ზომიერი კლიმატისა და ტროპიკულ რეგიონებს შორის განსხვავების ასახვისთვის *r*-სელექციის და *K*-სელექციის სპექტრს იყენებენ (პიანკა 1970). *r* სიმბოლო პოპულაციის ზრდის უნარს (ზრდის ექსპონენციალურ ტემპს) ასახავს, ხოლო *K* სიმბოლოთი გარემოს ტევადობა პოპულაციისთვის ანუ რესურსის ზედა ზღვარი აღინიშნება. დასათაურების შემოღებამ პოპულაციის ეკოლოგებს შორის მცირე სემანტიკური დაპირისირება გამოიწვია (ჰეირსტოუნი და სხვები 1970, პიანკა 1972, ვილბური და სხვები 1974, პოისი 1984, როფი 1992).

ერთ პიანკამ (1970) ჩამოთვალა თვისებები, რომლებიც *r*-სელექციურად ან *K*-სელექციურად შევიძლია ჩავთვალით (ცხრილი 32.8). *r*-სელექციური თვისებების სელექცია პოპულაციის ზრდის პირობებით საშუალებით ხდება და მათ შემდგომში განვიხილავთ. როდესაც პოპულაციაში შემავალი ინდივიდების რაოდენობა ტევადობის ნიშნულზე ქვემოთ ჩამოდის ანუ რესურსები მრავალრიცხოვანია, ინდივიდები უფრო სწრაფად ზრდას, ადრეულ ასაკში გამრავლე-

ბას და მეტი შთამომავლობის დატოვებას ახერხებენ, ვიდრე პოპულაციის ტევადობის ნიშნულზე გაჩერებული ინდივიდები. ეს ჰიპოთეზა *r*-სელექციური და *K*-სელექციური თვისებების არსებობას რესურსების საშუალებით ხსნის. სიმჭიდროვეზე დამოკიდებული პროცესებით რეგულირებულ პოპულაციებში, ფენოტიპის ყველანარი ცვლილება პოპულაციის ზრდის ტემპსა და სიმჭიდროვეს შორის დამოკიდებულებაზე ზეგავლენას ახდენს. პოპულაციის დაბალი სიმჭიდროვისას ზრდის ტემპის გამაძლიერებელი და მაღალი სიმჭიდროვისას ზრდის ტემპის შემამცირებელი ცვლილებები მხოლოდ მაშინ არის სასურველი, როდესაც პოპულაციის სიმჭიდროვე დაბალია. მაშასადამე, ეს თვისებები აშკარად *r*-სელექციურია. მაღალი სიმჭიდროვის პირობებში პოპულაციის ზრდის ტემპის გამაძლიერებელი ცვლილებები დაბალი სიმჭიდროვისას ზრდის ტემპის ხარჯზე ხდება და ისინი *K*-სელექციური თვისებებია.

*r*-სელექციური და *K*-სელექციური თვისებების ჩამოყალიბების მეორე მექანიზმი სხვადასხვა ასაკში პოპულაციის ზრდის ტემპზე სელექციის ძალის დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს. როდესაც პოპულაცია იზრდება, თვისებების გვიან ასაკში გამოხატული ცვლილების სელექცია უფრო სუსტად ხდება, ვიდრე ადრეულ ასაკში გამოხატული ცვლილებისა. შედეგად მზარდ პოპულაციაში სელექცია უპირატესობას ადრეულ ასაკში გამრავლებას ანიჭებს, რაც დღეგრძელობისა და უწყვეტი ნაყოფიერების ხარჯზე ხდება. პიანკას მიხედვით (1970), ადრეულ ასაკში გამრავლება და გამრავლების მაღალი ტემპი *r*-სელექციური თვისებებია.

პოპულაციის ზრდის ტემპს ან პოპულაციის ცვლილებასა და სასიცოცხლო ციკლის თვისებებს შორის პირდაპირი დამოკიდებულება დადგენილი არ

### ცხრილი 32-8 *r*-სელექციური და *K*-სელექციური სახეობების ზოგიერთი თვისებები

	<i>r</i> -სელექცია	<i>K</i> -სელექცია
სიკვდილიანობა	ცვალებადი და არაპროგნოზირებადი	მუდმივი და პროგნოზირებადი
პოპულაციის ზომა	ცვალებადი, ტევადობის ნიშნულის ქვემოთ	მუდმივი, ტევადობის ნიშნულთან მიახლოებული
სახეობათაშორისი და შიდასახეობრივი ბრძოლა	ცვალებადი, ხშირად სუსტი	ჩვეულებრივ ძლიერი
სელექცია უპირატესობას ანიჭებს	სწრაფ განვითარებას, მეტ <i>r</i> -ს ადრეულ ასაკში გამრავლებას, სხეულის პატარა ზომას, ერთხელ გამრავლებას	ნელ განვითარების, რესურსების დაბალ ზღვრულ სიდიდეს, გვიან ასაკში გამრავლებას, სხეულის დიდ ზომას, მრავალჯერ გამრავლებას
სიცოცხლის ხანგრძლივობა	ჩვეულებრივ პატარა	ჩვეულებრივ დიდი
შედეგი	მაღალი პროდუქტიულობა	მაღალი ეფექტურობა

არის. პიანკამ (1970) მნერები სპექტრის *r*-სელექციურ ბოლოზე განალაგა, ხოლო ძუძუმწოვარი ცხოველები - *K*-სელექციურ ბოლოზე და ეს იმით ასესა, რომ მნერების პოპულაციები უფრო მკვეთრად იცვლება. ამ ორ ჯგუფს შორის სასიცოცხლო ციკლის თვისებების განსხვავებულობა სხეულის ზომებს შორის განსხვავებულობას შეგვიძლია მივაწეროთ, როდესაც სხვაობა ყველა ფიზიოლოგიური პროცესის დროისა და ძალის შეალაზე ჩნდება. პატარა ორგანიზმები დიდი ცხოველებისგან განსხვავებით სხეულის სიგრძის მიმართ სწრაფად გადაადგილდებიან, სწრაფად ვითარდებიან და მათი თაობები ნაკლებ დროს ცოცხლობენ. ასეთი თვისებები სხეულის ზომასთან ფიზიკური და ფიზიოლოგიური კავშირების საშუალებით შეიძლება იყოს დამოკიდებული, ისევე როგორც ქანქარის მოძრაობის ტემპი მისი სიგრძისადმი უკუპროპორციულია. სასიცოცხლო ციკლის ცვალებადობაში *r*-სელექციის და *K*-სელექციის მნიშვნელობა პოპულაციის ცვლილებასა და სხვამხრივ მსგავსი ორგანიზმების სასიცოცხლო ციკლის თვისებებს შორის განსხვავებულობაზე მითითებით დგინდება. *r*-სელექციის და *K*-სელექციის თეორიის საშუალებით ადაპტაციის ინტერპრეტაცია საკმაოდ რთულია, ვინაიდან პოპულაციის ცვლილების სხვადასხვა დონის თვისებები მოზრდილი ნარმომადგენლების სიკვდილიანობის და პოპულაციის განახლების სხვადასხვა დონეებისთვის პროგნოზირებული თვისებების მსგავსია და იგივე მუდმივი ზომის პოპულაციებშიც კი ხდება.

მეცნიერებმა *r*-სელექციის და *K*-სელექციის რეჟიმებში არსებულ გენეტიკურ გამოძახილებზე ლაბორატორული კვლევა ჩაატარეს. ფრანსისკო აიალამ (1965) აღმოაჩინა, რომ როდესაც დროზოფილას პოპულაციები მჭიდროდ თანაარსებობს, მოზრდილი ნარმომადგენლების რაოდენობა თანთადანობით იზრდება და ეს მოვლენა ნაყოფიერების და სიცოცხლისუნარიანობის ამამაღლებელი თვისებების სელექციის შედეგია. შემდგომში დროზოფილას პოპულაციებიდან მოზრდილი ნარმომადგენლების რაოდენობა შეამცირეს (მიულერი და აიალა 1981, ტეილორი და კონდრა 1980) და დაბალი სიმჭიდროვის სელექციური ზეგავლენა დიდ სიკვდილიანობაზე უარყვეს (რეზნიკი 1985). მსგავსი ექსპერიმენტები ბაქტერიის და უმარტივესი ცხოველების ლაბორატორულ პოპულაციებზეც ჩატარდა (ლაკინბილი 1978, 1984, ლაკინბილი 1979).

*r*-სელექციის და *K*-სელექციის იდეა სასიცოცხლო ციკლის სტრუქტურის თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს (სტერნსი 1976, ბოისი 1985), თუმცა ბევრი ეკოლოგის აზრით, ამ იდეების გამოყენება საკმარისი კრიტიკის გარეშე ხდება (მიულერი 1988, როფი 1992). როფი სასიცოცხლო ციკლის თეორიის შესახებ წერს: „*r*-სელექციის და *K*-სელექციის ცნება რეგულირებადი სიმჭიდროვის მქონე პოპულაციებში ვარგისიანობის განსაზღვრაში დაგვეხმარა, მაგრამ ამ ცნების რეალურ პოპულაციებზე განზოგადება, სადაც სასიცოცხლო ციკლი საკმაოდ რთულია, უფრო ზიანის მომტანია, ვიდრე სასარგებლო“.

## დასკვნა

**1.** ორგანიზმების სასიცოცხლო ციკლის თვისებები გამრავლების ტემპს, პირველად გამრავლების ასაკს და სიცოცხლის ხანგრძლივობასთან არის დაკავშირებული. სასიცოცხლო ციკლის ევოლუცია დღოზე, ენერგიაზე და რესურსებზე კონკურენტულ მოთხოვნებს მოიცავს და მათ თანაფარდობები ეწოდებათ.

**2.** მგალობელი ფრინველების გამრავლების ცვალებადობამ სასიცოცხლო ციკლის ცვლილების კვლევას 40-იან წლებში ჩაუყარა სათავე, ხოლო 60-იან წლებში, კვლევები უფრო ინტენსიური გახდა.

**3.** სასიცოცხლო ციკლის თვისებები ინტერპრეტაციის კონკურენტულ მოთხოვნებს შორის თანაფარდობების დემონსტრირება სასიცოცხლო ციკლის კვლევაში ძალას მნიშვნელოვანია. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი თანაფარდობა ახლავაზრდა ნარმომადგენლების რაოდენობასა და ზომას შორის, ასევე ზრდასა და გამრავლებას შორის არსებობს.

**4.** ორგანიზმის პირველად გამრავლების ასაკი გამრავლებასა და სიცოცხლისუნარიანობას შორის თანაფარდობაა. ორგანიზმი გამრავლების დაყოვნებისას გამრავლებამდე შეიძლება მოკვდეს. ადრეულ ასაკში გამრავლებისას ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობა და მომავალში გამრავლების ალათობა მცირდება.

**5.** თუ გამრავლების სეზონებს შორის სიცოცხლისუნარიანობა დაბალია ან ნაყოფიერების დიდ მსხვერპლს მოითხოვს, მაშინ ერთწლოვანი სასიცოცხლო ციკლი მრავალნლოვან სასიცოცხლო ციკლს ჯობია.

**6.** ბიოლოგიური პარამეტრების ანალიზი სასიცოცხლო ციკლის ევოლუციის მოდელის ასაგებად გამოიყენება, როდესაც საყოფიერება და სიცოცხლისუნარიანობა ასაკთან ერთად იცვლება.

**7.** როდესაც პოპულაციის ახალგაზრდა ნარმიმადგენლების რაოდენობის ზრდა წლიდან წლამდე არაპროგნოზირებადი, სელექცია მოზრდილი ნარმომადგენლების სიცოცხლისუნარიანობას გარეშე ანიჭებს უპირატესობას და ამ სტრატეგიას გარანტირებული დაზღვევა ენოდება.

**8.** როდესაც გამრავლებას მომზადება სჭირდება, სელექცია ერთ, ყოვლისმომცველ გამრავლებას ანიჭებს უპირატესობას, რასაც სიკვდილი მოჰყვება. ასეთი მდგომარეობაა ორგაზულებში, აგავებსა და ბამბუკებში. ასეთ სტრატეგიას ერთხელ გამრავლება ეწოდება, ხოლო მისი საპირისპირო ტერმინია მრავალჯერ გამრავლება.

**9.** დაბერება თვისებების სელექციის შესუსტებით არის გამოვეული, რაც ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო

აშეარად გამოიხატება. სელექციის ძალის შემცირების მიზეზი ის არის, რომ გვიან ასაკში სულ უფრო მცირე რაოდენობის ინდივიდი ახერხებს გადარჩებას და ეს მოვლენა ამ ასაკში გამოხატული გენებით არის გამოწვეული.

**10.** სასიცოცხლო ციკლის სტრუქტურა პოპულაციის ზრდის ტემპის მიხედვით იცვლება. ზოგიერთი მეცნიერის აზ-

რით, არაპროგნოზირებად გარემოში, მაგალითად ზომიერი კლიმატის რეგიონებში, პოპულაციის ზრდის ტემპის ამა-მაღლებელი ადაპტაციების სელექცია ხდება (I-სელექცია), ხოლო პროგნოზირებად გარემოში კონკურენტუნარიანობის და რესურსის ეფექტურობის ამამაღლებელ ადაპტაციებს ენიჭება უპირატესობა (K-სელექცია).

## სავარჯიშოები

**1.** ადამიანები ძუძუმწოვარ ცხოველებთან შედარებით გვიან მწიფდებიან და მრავლდებიან. რატომ ხდება ასე?

**2.** 30-ე თავში მოყვანილი ჰარდი-ვაინგერგის კანონის გამოყენებით აჩვენეთ, როგორ შეუძლია იშვიათ, საზიანო აღელებს პოპულაციაში დაგროვება, თუ ამგვარი აღელების სელექცია ასაკთან ერთად სუსტდება [მინიშნება: იფიქრეთ საზიანო აღელების სიხშირის შემამცირებელ სელექციასა და მუტაციის ტემპს შორის ბალანსზე. დავუშვათ,  $q$  = საზიანო აღე-

ლის სიხშირე, ხოლო  $u =$  მუტაციის ტემპი. ალელის  $q$  სიხშირე შემდეგ თაობაში იქნება ( $1-s)q$  ]

**3.** გარანტირებული დაზღვევა არის სტრატეგია, როდესაც მოზრდილი წარმომადგენლის სიცოცხლისუნარიანობას ნაყოფიერების ხარჯზე ენიჭება უპირატესობა და შთამომავლობის რაოდენობის ზრდა არაპროგნოზირებადია. შეგიძლიათ თუ არა ასეთი სტრატეგია თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში აღმოაჩინოთ?

## თავი 33



### სქესი

#### გზამავლები კითხები

- რა პირობებში შეიძლება ჰქონდეს ჰერმა-ფროდიტიზმს ორსქესიანობაზე უპირატესობა?
  - რა კავშირია ზომას, ასაკსა და ჰერმაფროდიტიზ-მის ევოლუციას შორის?
  - რა არის სქესთა შეფარდების შესახებ ფიშერის თეორია?
  - რა პირობებში ცვლიან მდედრი ჰაპლოდიპ-ლოიდები მათი შთამომავლობის სქესთა შე-ფარდებას?
  - როგორ ახდენს ზეგავლენას სქესთა შეფარდება-ზე მეწყვილებზე და რესურსებზე ადგილობრივი კონკურენცია?
  - დაწყვილების რა სისტემები არსებობს ცხოვე-ლებში?
  - რა კავშირია მშობლიურ წვლილსა და დაწ-ყვილების სისტემას შორის?
  - რა განსაზღვრავს მშობლიური წვლილის ევო-ლუციურად სტაბილურ სტრატეგიას?
  - რა პირობებში ვითარდება მონოგამია ზღვრული მოდელის თანახმად?
- რა არის ლეკი?
- რა გარემო ფაქტორები განსაზღვრავს მცენა-რების დაწყვილების სისტემას?
- რა განსხვავებაა შიდასქესობრივ და სქესთაშორის სელექციას შორის?
- რა ჰიპოთეზები არსებობს მდედრის არჩევანის მიზნის შესახებ?

**ჩ**ვენ ვარგისიანობას გამრავლების უნარის მქონე შთამომავლობის რაოდენობის საშუალებით ვზიმავთ. მცენარეებისა და ცხოველების უმეტესობაში შემდეგი თაობის წარმოქმნა სქესობრივი გზით, განაყოფიერების პროცესში მდედრობითი გამეტების (კვერცხის ან თესლკვირტების) და მამრობითი გამეტების (სპერმა ან მტკრიანა) შრწყმის შედეგად ხდება. ინდივიდი — მდედრი, მამრი ან ორივე ერთად შეიძლება იყოს. ორგანიზმები ნებისმიერ შემთხვევაში რესურსებს მდედრისა და მამრის ფუნქციებს შორის ანანილებენ ან პროცესს სქესის განანილება ეწოდება. სიცოცხლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და განსაცვიფრებელი ატრიბუტები სწორედ სქესის განანილებას შექება. 33-ე თავში გამოჩნდება, თუ როგორ ახდენს სქესი ორგანიზმების მორფოლოგიისა და თვისებების ევოლუციურ ცვლილებაზე ზეგავლენას. სქესი ორი ჰაპლოიდური გამეტის გაერთიანებაა, რაც

დიპლოიდურ უჯრედს ქმნის. ზოგადი ბიოლოგიის კურსიდან გაიხსენეთ, რომ გამეტები მეიოზის შედეგად მიიღება. 30-ე თავიდან გამომდინარე, სქესობრივი გამრავლება ორი ინდივიდის გენეტიკურ ნივთიერებას აერთიანებს და მათ შთამომავლობაში გენების ახალი კომბინაცია მიიღება. ბევრი ბიოლოგის აზრით, სქესობრივი გამრავლება სიცოცხლის ისტორიის ძალიან ადრეულ ეტაპზე გენეტიკური მრავალფეროვნების წარმოქმნის მიზნით გაჩნდა, რაც ცვალებად გარემოსთან შეგუებისთვის აუცილებელი პირობაა.

სქესობრივი გამრავლების ალტერნატივა უსქესობრავლებაა, როდესაც ინდივიდი საკუთარი თავის ზუსტ გენეტიკურ ასლს ვეგეტაციის ან დიპლოიდის წარმოქმნის საშუალებით ქმნის. დიპლოიდი კვერცხის მაგვარი სტადიაა, რომელიც განაყოფიერების გარეშე ვითარდება. ვეგეტაციური გამრავლება ბევრ მცენარეში გვხვდება და მცენარეთა უჯრედების



**სურ. 33.1.** Walking fern უსქესოდ მრავლდება და ფოთლის წვერიდან სრულად ჩამოყალიბებული ახალი მცენარე გამოაქვს

უმეტესობას ახალი ინდივიდის წარმოქმნის უნარი გააჩნია. აქედან გამომდინარე, ყლორტები შეიძლება ამოიზარდოს როგორც ფესვებიდან, ასევე ფოთლებიდან, ხოლო შემდეგ მთლიანად გამოეყოს მშობლიურ მცენარეს და ახალი ინდივიდი გახდეს (სურ. 33.1). ბევრი უმარტივესი ცხოველი, მაგალითად, ჰიდრა, მარჯანი და ა.შ. სხეულის შიგნით ჩანასახს თვითონ ქმნის და შემდეგ ჩანასახი ახალ ინდივიდად ყალიბდება. როდესაც ჩანასახები მშობელს ეკრობა, იქმნება კოლონია და სნორედ ასეთი ვითარება გვაქვს ჰიდრონიდების, მარჯნების, *bryozoans*-ების და ბევრი სხვა წყლის ცხოველის შემთხვევაში. თუ ჩანასახი მშობელს გამოეყოფა, მაშინ დამოუკიდებელი, ახალი ინდივიდები ჩნდებიან. უსქესო გამრავლების შედეგად მიღებული შთამომავლობა ერთმანეთის და მშობლის იდენტურია. გარდა ამისა, არც ერთი მათგანი ახალ პირობებთან ადაპტირებული არ არის.

სახელმძღვანელოს მოცუმულ თავში შევისწავლით პირობებს, როდესაც მდედრობითი და მამრობითი ფუნქციების ერთ ინდივიდში გაერთიანება სასურველია ან სქესთა განცალკევებაა უმჯობესი. ასევე ვნახავთ, თუ როგორ უნდა განაწილდეს მდედრობითი და მამრობითი ფუნქციები, როგორ ხდება მეწყვილეების შერჩევა და როგორ იქცევა სქესობრივი სელექციის შედეგად ერთი სქესის მიერ გაკეთებული არჩევანი სხვა სქესის თვისებებზე სელექციური ზენოლად.

### 33.1. სქესთა გამოცალკევება მომზადიანია, როცა სქესის მუდმივი/უისირებული სარჯები მაღალია და სესულური ფუნქციები რესურსებისთვის ერთა ნიმუშია

ბოტანიკოსებს და ზოოლოგებს ბევრი სხვა საკითხის ანალიზირად სქესზეც განსხვავებული მოსაზრებები აქვთ. მცენარეთა უმეტესი სახეობის წარმომადგენელ

ინდივიდებს როგორც მდედრობითი, ასევე მამრობითი ფუნქციები გააჩნიათ და ჩნდება შეკითხვა: რა პირობებშია სქესთა განცალკევება უმჯობესი სხვადასხვა მცენარეებში? ცხოველების უმეტესი სახეობის წარმომადგენელ ინდივიდებში მამრობითი და მდედრობითი ფუნქციები განცალკევებულია და ასევე ჩნდება კითხვა: რა პირობებშია უმჯობესი ორივე სქესობრივი ფუნქციის გაერთიანება ერთ ინდივიდში? ორივე კითხვა, რა თქმა უნდა, ერთი მედლის ორი მხარეა. ვიდრე ამ კითხვებს პასუხს გაცემთ, რამდენიმე განსაზღვრება უნდა შემოვიტანოთ.

### სქესი და სქესის განაწილება

მდედრი და მამრი ინდივიდების არსებობას ცხოველებში ორსქესიანობა ეწოდება. ბოტანიკოსები იგივე მდებომარეობას ორსახლიანობას უნიფრენის (ტერმინი „გენდერი“) ადამიანებისთვის გამოიყენება და ამ სიტყვას მნიშვნელოვანი სოციალური და კულტურული დატვირთვაც გააჩნია. მდედრსა და მამრს შორის განსხვავებისთვის შესაფერისი ბიოლოგიური ტერმინია „სქესი“).

როდესაც ორივე სქესობრივი ფუნქციის სტრუქტურა ერთი და იგივე ინდივიდში გვხვდება, ინდივიდს ჰერმაფოროლიტი ეწოდება. ჰერმაფოროლიტი ბერძნულ მითოლოგიაში ჰერმესის და აფროდიტეს შვილი იყო, რომელიც ბანაობისას ნიმფას სხეულთან გაერთიანდა (ამ მითის დეტალები ამჯერად არ გვაინტერესებს). ჰერმაფოროლიტი სქესის განაწილების მიხედვით ორ სახეობად შეიძლება დაიყოს. ჰერმაფოროლიტი შეიძლება იყოს ერთდროული, როგორც ეს არის ლოკოკინებისა და მატლების უმეტესობა ან მიმდევრობითი, როდესაც ჯერ ერთი სქესობრივი ფუნქცია ჩნდება და შემდეგ მეორე. თუ მამრობით ფუნქციას მდედრობითი ფუნქცია მოჰყვება, როგორც ეს მოლუსკებსა და კანეკლიანებში ხდება, მაშინ ინდივიდს პროტან-


**დრიული ენოდება.** თუ თავდაპირველად მდედრობითი ფუნქცია ჩნდება, მაგალითად თევზების შემთხვევაში, მაშინ ინდივიდი პროტოგინულია. ერთდროულ და მიმდევრობით ჰერმაფროდიტებს შორის არსებული განსხვავება ჰერმაფროდიტების ხანგრძლივი ცვალებადობის შესახებ არასწორ წარმოდგენას გვაძლევს (სეინტ მერი 1994). ზოგიერთი თევზი სქესა რამდენჯერმე იცვლის (კობაიაში და სუზუკი 1992), ხოლო ზოგიერთი ცხოველის სქესის განაწილება ზომასა და ასაკთან ერთად იცვლება (პიტერსენი 1987, 1990, კოული 1990, დოლგოვი 1991, სეინტ მერი 1994).

ბოტანიკოსები მდედრი და მამრი ყვავილების მქონე მცენარეს **ერთსახლიანს** უნიდებენ და განასხვავებენ სრულყოფილი ყვავილის მქონე მცენარისგან, რომელსაც მამრობითი და მდედრობითი ორგანოები გააჩნია. მცენარეებს შორის სრულყოფილი ყვავილის მქონე ჰერმაფროდიტები ყველა უფრო მრავალრიცხვანია (72%) და სქესობრივი ფუნქციების ყველა სავარაუდო კომბინაცია ცნობილია. ამ კომბინაციებს შორისაა ჰერმაფროდიტების, მდედრი და მამრი მცენარეების შემცველი პოპულაციები, მდედრი, მამრი და ერთსახლიანი მცენარეების შემცველი პოპულაციები და მდედრი, მამრი და სრულყოფილი ყვავილების მქონე ჰერმაფროდიტი ინდივიდების შემცველი პოპულაციები (იამპოლსკი და იამპოლსკი 1922, ჩარნოვი 1982, 1993). სქესის მრავალჯერ შეცვლა და ზომასთან ერთად სქესის განაწილების ცვლილება მცენარეებში ასევე გვხვდება (ფრიმანი და სხვები 1980, აკერლი და იასიენსკი 1990).

### ჰერმაფროდიტიზმის ევოლუცია

როდის არის ჰერმაფროდიტიზმი ცალკეულ ინდივიდებში სქესობრივი ფუნქციის განაწილებაზე უკეთესი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისთვის ლევინსის ვარგისიანობის სიმრავლე შეგვიძლია დავიხმაროთ (იხ.

თავი 31). გაიხსენეთ, რომ ვარგისიანობის სიმრავლე ორ სხვადასხვა გარემოში მობინადრე პოპულაციისთვის მივიღეთ. ორგანზომილებიანი გრაფიკი, რომლის ლერძები ვარგისიანობის კომპონენტებია ორივე გარემოში, ვარგისიანობის მარტივი სიმრავლეა. როდესაც ფენოტიპების ვარგისიანობა გარემოებში მკვეთრად არ იცვლება, ვარგისიანობის სიმრავლე ლერძიდან მოშორებით არის გამოუდებული (ამოზნექილია). როდესაც ვარგისიანობებს შორის სხვაობა დიდია, სიმრავლე ჩაზნექილია. სქესობრივი განაწილების შემთხვევაში გარემო მდედრობითი და მამრობითი ფუნქციებია. აქედან გამომდინარე, ვარგისიანობის სიმრავლის ლერძები ამ ორი სქესობრივი ფუნქციის ვარგისიანობაა. მდედრობითი და მამრობითი ფუნქციებით გამოწვეულ ვარგისიანობას  $W_m$  და  $W_f$  სიმბოლოებით აღვნიშნავთ. დავუშვათ,  $W_m(m)$  იყოს ცალკეული მამრების ვარგისიანობა, ხოლო  $W_f(f)$  - ცალკეული მდედრების ვარგისიანობა.  $W_m(h)$  და  $W_f(h)$  ჰერმაფროდიტის მდედრობით და მამრობით ნაწილებთან დაკავშირებული ვარგისიანობა  $[W(h)=W_m(h)+W_f(h)]$  (სურ. 33.2). ჰერმაფროდიტიზმი ევოლუციურად სტაბილური სტრატეგია (ESS) ანუ მამრობითი და მდედრობითი სქესობრივი ფუნქციის მქონე სისტემაში მაშინ შემდის, როდესაც მდედრობითი და მამრობითი ფუნქციების ჯამი  $[W_m(h)+W_f(h)]$  ცალკეული სქესის ფუნქციის ჯამს აღემატება (სურ. 33.2). როდესაც მდედრს მამრობითი ფუნქციის გარკვეული ნაწილის აღება და მდედრობითი ფუნქციის გარკვეული ნაწილის დათმობა შეუძლია, ის ასეც იქცევა. იგივეს აკეთებენ მამრები, როდესაც ამგვარი მოქმედება მათ ჰერმაფროდიტიზმის ძალიან არ ამცირებს. მდედრი მცენარეების ყვავილის მტკრის რაოდენობის გაზრდისთვის ან მტკრის გადაცემის ტემპის გაზრდისთვის, მდედრიდან მამრობით ფუნქციებზე მცირე რესურსი უნდა გადავიდეს (ბელი 1985, სტენტონი და სხვები 1986) და ჰერმაფროდიტიზმის სტრატეგია ხშირად უნდა შეირჩეს.



**სურ. 33.2.** ვარგისიანობის სიმრავლე მამრობითი ფუნქციის 0-სა და 1-ს შორის განაწილებისას. ა) ვარგისიანობის ამოზნექილი სიმრავლის ადაპტაციური ფუნქცია მიუთითებს, რომ ევოლუციურად სტაბილური სტრატეგია (ESS) მამრობითი და მდედრობითი სქესობრივ ფუნქციებს შორის შეაღებულ განაწილების მქონე ჰერმაფროდიტია. ბ) როდესაც ვარგისიანობის სიმრავლე ჩაზნექილია, უკეთები ფენოტიპების (მდედრების და მამრების) სელექცია ხდება, ხოლო ჰერმაფროდიტები პოპულაციდან გამორცხებიან. გ) ვარგისიანობის სიმრავლე ასახავს პირობებს, რომლებიც მდედრებისა და ჰერმაფროდიტებისგან შემდგარი, შერეული პოპულაციის შენარჩუნებისთვის არის საჭირო.




პოპულაციიდან ჰერმაფროდიტების გამორიცხვისთვის ვარგისიანობის სიმრავლე უნდა ჩაიზნიქოს და ერთი სქესის ფუნქციის დამატების უპირატესობა სხვა სქესის ფუნქციის დანაკარგმა უნდა გადაფროს (სურ. 33.2ბ). ეს მაშინ ხდება, როდესაც ახალი სქესობრივი ფუნქციის ჩამოყალიბება ფიქსირებულ საფასურს მოითხოვს, ვიდრე ნებისმიერი გამეტა წარმოიქმნება. სქესობრივი ფუნქცია შეიძლება საჭიროებდეს გონადას, არხს ან გამეტების გადაცემის სხვა სტრუქტურას, ასევე მეწყვილეების მიზიდვისთვის საჭირო მეორად სქესობრივ თვისებებს. ბევრ ცხოველში, როდესაც მამრს მეწყვილის მიზიდვა და სხვა მამრებთან ანტაგონისტური დამოკიდება სჭირდება, ხოლო მდედრი კვერცხის დებაზე ან შთამომავლობის კვებაზე ორიენტირებული, ფიქსირებული ღირებულება ძალიან მაღალია და ჰერმაფროდიტიზმი სქესობრივ სპეციალიზაციასთან შედარებით წამგებიანია. ჰერმაფროდიტიზმი ცხოველების სახეობებში საკმაოდ იშვიათია, თუმცა ის წყლის უძრავ სახეობებში, მაგალითად ორსაგდულიან მოლუსკებში, რომლებიც გამეტებს წყალში ყრიან, საკმაოდ გავრცელებულია (დოლოგოვი 1991). ზოგიერთ პოპულაციაში ჰერმაფროდიტები და ერთსქესიანი, ჩვეულებრივ მდედრი ინდივიდები ერთდროულად შედიან. ვარგისიანობის სიმრავლის ანალიზის თანახმად, ამგვარი მდგომარეობა მაშინ იქმნება, როდესაც მდედრობითი ფუნქცია მამრობითი ფუნქციის დანაკარგის შედეგად მიიღება (სურ. 33.2გ) (ჩარნოვი 1982).

მიმდევრობითი ჰერმაფროდიტიზმი ცვლილების საფასურს და ორგანიზმის ზრდასთან ერთად მდედრობითი და მამრობითი სქესობრივი ფუნქციების სარგებელს აირეკლავს. ზღვის ზოგიერთ მუცელფეხიანს, მაგალითად კრეპილულიდებს, შინაგანი განაყოფიერება ახასიათებს და ამისთვის მხოლოდ მცირე რაოდენბით სპერმის წარმოქმნაა საჭირო. აქედან გამომდინარე, მამრობითი ფუნქცია მცირე რესურსს საჭიროებს და სომატურ ზრდაზე ნაკლებ ზეგავლენას ახდენს. შედეგად ბევრი ასეთი სახეობა პროტანდრიული ჰერმაფროდიტია ანუ პატარა ზომის შემთხვევაში მამრია, ხოლო დიდი ზომის შემთხვევაში მდედრია და დიდი რაოდენობით კვერცხის დადება შეუძლია (ჰოგლენდი 1978). როდესაც მამრებს ზორის კონკურენცია მეწყვილეებისთვის მნიშვნელოვანია, დიდი ზომა მამრს უპირატესობას აძლევს. ეს მდგომარეობა თევზის ზოგიერთ სახეობაში, რომელიც რიფებზე ბინადრობს, პროტოგინურ ჰერმაფროდიტიზმს ინვენს. თევზის ამგვარი სახეობები დაწყვილების ტერიტორიისთვის კონკურენციაში შედიან (ვარნერი 1975, ჩარნოვი 1979).

### სქესის განაწილების ცვლილება ზომის ან ასაკის მიხედვით

სქესის განაწილების თეორიის თანახმად, მიმდევრობითი ჰერმაფროდიტიზმი გვხვდება მაშინ, როდესაც მდედრის და მამრის რეპროდუქციული წარმატების ზრდის ტემპი უფრო დაბალია. რეპროდუქციული წარმატება მხოლოდ მაშინ იზრდება, როდესაც ინდივიდი მდედრობიდან მამრობით სქესზე გადადის ( $S^*$  ნერტილები).

ზომასთან ან ასაკთან ერთად იზრდება, ხოლო ზრდის ტემპი მდედრებსა და მამრებში განსხვავებულია (გისელინი 1969, ჩარნოვი 1982, პარკერი 1984). ამგვარ მოსაზრებას ჰერმაფროდიტიზმის ევოლუციის ზომის უპირატესობის მოდელი ეწოდება. მიღინსკიმ და პარკერმა (1991) ამ მოდელის მარტივი, გრაფიკული გამოსახულება მიიღეს, რომელსაც მოგვიანებით შევისწავლით.



**სურ. 33.3.** ჰერმაფროდიტიზმის ევოლუციის ზომის უპირატესობის მოდელი. ა) დიდი ზომის მდედრებსა და პატარა ზომის მამრებს შორის არსებული  $S^*$  ფენტიტიპურ ზღვარი. მდედრების და მამრების გარგისიანობა ზომასთან ერთად იზრდება, თუმცა ზრდის ტემპი მდედრებში უფრო მაღალია. ბ) მამრების ზომის შუალედია  $< S^-$ , ხოლო მდედრების ზომის შუალედია  $> S^+$ . ორივე სქესის ვარგისიანობა ზომასთან ერთად იზრდება, თუმცა მდედრებში ზრდა უფრო დაბალი ტემპით მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, თუ მამრობითადან მდედრობითუნქციაზე გადასვლა  $S^-$  ზომაზე ხდება, რაც ფენტიპურ ზღვარზე ქვემოთ მდებარეობს, მაშინ იდივიდების გამრავლების ტემპი უფრო დაბალია. გ) მდედრები უფრო მცირე ზომისანი არიან და ზომასთან ერთად მათი რეპროდუქციული წარმატების ზრდის ტემპი უფრო დაბალია. რეპროდუქციული წარმატება მხოლოდ მაშინ იზრდება, როდესაც ინდივიდი მდედრობიდან მამრობით სქესზე გადადის ( $S^*$  ნერტილები).

რომელი სქესი ჩნდება პირველად? ზომასთან და-კავშირებული რეპროდუქციული წარმატების გან-სხვავებულობა მიანიშნებს, რომ არჩევანზე ვარგი-სიანობაა დამოკიდებული. რა ზომაზე (ან რა ასაკში) უნდა გადავიდეს ინდივიდი ერთი სქესიდან მეორეზე? როგორ უნდა დაიყოს ფენოტიპები მამრობით და მდ-ედრობით ფუნქციებად, რათა სხვაგვარი განაწილება არ შემოვიდეს? მილინსკიმ და პარკერმა (1991) ამ კითხვებზე პასუხის გაცემისთვის კონკურენციის თეორია გამოიყენეს (იხ. თავი 21 და 22). დავუშვათ, მამრების რეპროდუქციული წარმატება მდედრის რეპროდუქციულ წარმატებასთან შედარებით უფრო სწრაფად და წრფივად იზრდება. მიმდევრობითი ჰერ-მაფრთილი ზომის ან ასაკის ქვედა ინტერვალში ერთი სქესის იქნება, ხოლო უფრო დიდი ზომის ან ასა-კის პირობებში სხვა სქესის გახდება. ESS-ში გადართ-ვის წერტილს S\* ფენოტიპური ზღვარი ეწოდება.

მილინსკის და პარკერის მიერ გრაფიკულად გაცე-მული პასუხები 33.3 სურათზე გამოსახულია. 33.3ა სუ-რათზე ნაჩვენებია ESS-ს ფენოტიპური ზღვარი მცირე ზომის მამრებსა და დიდი ზომის მდედრებს შორის გა-დასვლისას. S\* წერტილში მდედრობით სქესზე გადას-ვლისას ინდივიდის ვარგისიანობა ზომასთან ერთად სწრაფად იზრდება (მამრობითი ხაზის დაშტრიხული ნაწილი, რომელიც S\* წერტილზე გადის, უფრო დიდი დახრილობის მქონე მდედრობით ხაზს შეადარეთ). 33.3ბ სურათზე გამოსახულია მდგომარეობა, როდე-საც მამრობითიდან მდედრობით სქესზე გადასვლა ESS-ს ფენოტიპურ ზღვარს ქვემოთ მდებარე რაიმე S წერტილში ხდება. ასეთ დროს, მამრობითიდან მდ-ედრობით სქესზე გადასვლა უფრო დიდი ზომის პი-რობებში ხდება, ვიდრე ეს ESS-ით არის პროგნოზირებული. სქესოპტიკი ფუნქციის ცვლილება ზომასთან ერთად ვარგისიანობის უფრო დაბალი ტემპით ზრ-დას მოასწევს (მამრობითი ხაზის დაშტრიხული ნაწილი (S-დან მარჯვნივ მდებარე) მდედრობით ხაზს შეადარეთ). ეს ნიშნავს, რომ S წერტილში გადასული ინდივიდის რეპროდუქციული წარმატება ნაკლები იქნება და ასეთ მდგომარეობაში ყველა ინდივიდი მამ-რად უნდა დარჩეს.

33.3გ სურათზე მდედრები მამრებს წინ უსწრებენ და სქესის შეცვლა ESS-ს ფენოტიპურ ზღვარზე უფრო დიდი ზომის პირობებში ხდება. ასეთ მდგომარეობაში მდედრად დარჩენას უპირატესობა არ აქვს, ვინაიდან ფენოტიპური ზღვარი გვაქვს წერტილზე, სადაც ზრდა რეპროდუქციული წარმატების ზრდას მხოლოდ მაშინ იწვევს, როდესაც სქესის შეცვლა ხდება. მდედრად მზარდ ინდივიდებს (მდედრის ხაზის დაშტრიხული ნაწილი S\*-დან მარჯვნივ) შეცვლილი სქესის ინდი-ვიდებთან შედარებით ნაკლები რეპროდუქციული წარმატება ექნებათ.

სქესთა განაწილების თეორია ერთდროულ ჰერმა-ფროდიტებში ძირითად აქცენტს სხვადასხვა პროპორ-ციის სქესოპტიკი ფუნქციების მქონე ორგანიზმებს შორის ვარგისიანობის განსხვავებაზე აკეთებს და

ზომას ყურადღებას არ აქცევს (ჩარნოვი და სხვები 1976, ფიშერი 1984, სეინტ მერი 1994). მიუხედავად ამისა, ბევრი ერთდროული ჰერმაფროდიტი სქესთა განაწილებას თანდათანობით იცვლის და ძრითადად მამრიდან ძირითადად მდედრი ხდება, ხოლო ზოგიერთ სახეობაში ასეთი ცვლილება სხეულის ზომასთან არის დაკავშირებული (პიტერსენი 1990, სეინტ მერი 1994). მაგალითად, სამხრეთ კალიფორნიაში და მექსიკში მობინადრე gobiid fish-ის (*Lythrypnus dalli*) მდედრო-ბითისკენ გადახრილი ინდივიდების მამრობითიფუნქ-ცია ზომასთან ერთად იზრდება (სეინტ მერი 1994).

### 33.2. რატიოალური შთამომავლობითი სეისმიკივი თანავალდობა აგალანევას შეართან შეგულების უგულების უარეცხილის საშუალებით

როდესაც სქესები განცალკევებულია, ინდივიდის შთა-მომავლობის პოპულაციაში სქესთა შეფარდება არის მამრების რაოდენობა მდედრების რაოდენობასთან შე-დარებით. მამრების მდედრებთან შეფარდებას სქესთა პირველადი შეფარდება ეწოდება. დაწყვილებისას მდ-ედრების და მამრების ფარდობით პროპორციულ რა-ოდენობას სქესთა ოპერაციული შეფარდება ეწოდება და ის სქესებში სიკედილიანობის განსხვავებულობის შედეგად სქესთა პირველადი შეფარდებისგან შეიძლე-ბა განსხვავდებოდეს. სქესთა პირველად და ოპერაცი-ულ შეფარდებასთან დაკავშირებულ კითხვებზე დიდი რაოდენობის ლიტერატურა არსებობს (ჩარნოვი 1982, გოდფრი 1994, ბალმერი 1994).

სქესთა შეფარდებასთან დაკავშირებით ორი ალსანიშ-ნავი ფაქტი არსებობს: 1) ბევრ პოპულაციაში მამრების და მდედრების რაოდენობა თითქმის თანაბარია და 2) ამ წესიდან უმარავი გამონაკლისი არსებობს. საყოვ-ელთაობის, თანასწორობისა და ადამიანთა პოპულა-ციისთვის გამოყენების გამო, 1:1 შეფარდება სტანდ-არტულ პირობად მიიჩნევა, ხოლო მისგან გადახრები განსაკუთრებული შემთხვევაა.

ფიშერმა (1930) სქესთა შეფარდების თეორიის საფუძვლებს თავი მოუყარა, როდესაც შენიშნა, რომ სქესოპტიკი გაერთიანების ყველა პროდუქტში ერთი დედა და ერთი მამა. ამგვარი ტურიზმის შედეგად, პოპულაციაში იშვიათი სქესის მქონე ინდივიდი უფრო ვარგისიანი იქნება, ვინაიდან მათ იგივე სქესის წარმო-მადგენლებთან ნაკლები კონკურენცია მოუწევთ. მაგ-ალითად, თუ 5 მამრისა და 10 მდედრისგან შემდგარი პოპულაცია 100 მემკვიდრეს ტოვებს, თთოვეული მამრი გენთა 20 სიმრავლის შექმნაში იღებს მონაწ-ილებას, ხოლო თითოვეული მდედრი გენთა მხოლოდ 10 სიმრავლის შექმნაშია მონაწილე. სქესთა ამგვარი ასიმეტრიული შეფარდებისას, მშობლიური გენო-ტიპი, რომელიც მამრი შთამომავლობის უფრო დიდ რაოდენობას ქმნის, უპირატესია და პოპულაციაში მამრების სიხშირე იზრდება. თუ მდედრია უფრო იშ-ვიათი სქესი, მაშინ მდედრობითი შთამომავლობის

პროპორციული რაოდენობის გამზრდელი გენოტიპი იქნება უპირატესი და პოპულაციაში მდედრების სიხშირე გაიზრდება. როდესაც მდედრების და მამრების სიხშირე თანაბარია, ვარგისიანობა დაბალანსებულია და სქესთა შეფარდებაზე სელექციური ზეწოლა არ არსებობს. ორივე სქესის ინდივიდი მომავალი თაობის შექმნაში თანაბარ მონანილებას იღებს და ინდივიდის შთამომავლობაში მდედრების და მამრების სიხშირე მისი ვარგისიანობის შედეგი არ არის.

რაც შეეხება სქესთა პირველად შეფარდებაზე სელექციას, ვარგისიანობა შთამომავლობის რაოდენობა კი არ არის, არამედ შემდეგი თაობის შთამომავლობის რაოდენობაა. ეს იმიტომ ხდება, რომ სქესთა შეფარდებაზე ზეგავლენის მქონე გენი შთამომავლობაში მდედრების ან მომრობის პროპორციულ რაოდენობაში ვლინდება და არა ამ გენის მატარებელი ინდივიდის შთამომავლობის მთლიან რაოდენობაში. მისი შედეგები მანამდე არ ჩანს, ვიდრე შთამომავლობა გენებს მომავალ თაობას არ გადასცემს.

უილიამსი (1979) სქესთა 1:1 შეფარდებას სქესის განმსაზღვრელი ყველაზე უფრო გავრცელებული მექანიზმის ტრივიალურ შედეგად მიიჩნევდა. ხერხემლიანი ცხოველების უმეტესობაში, ქრომოსომების ერთი წყვილი (სქესის ქრომოსები), რომლისთვისაც პოპულაცია პოლიმორფულია (მაგალითად,  $X$  და  $Y$ ), ინდივიდის სქესს განსაზღვრავს. როდესაც ინდივიდი ერთ-ერთი ქრომოსომისთვის ჰომოზიგოტურია, ის ერთი სქესისა, ხოლო როდესაც ჰეტეროზიგოტულია, მეორე სქესისა. მაშასადამე, ადამიანებში  $XX$  ჰომოზიგოტი მდედრია, ხოლო  $XY$  ჰეტეროზიგოტი მამრია. დაწყვილება  $XX$  და  $XY$  ინდივიდებს შორის ხდება, ამიტომ შთამომავლობის გენოტიპის ნახევარი  $XX$ , ხოლო მეორე ნახევარი  $XY$  ანუ ნახევარი მამრი და ნახევარი მდედრია. ჰეტერიზიგოტული სქესის შეიძლება იყოს მამრი (ძუძუმწოვარი ცხოველები) ან მდედრი (ფრინველები და ჰეპლები), თუმცა სქესის განმსაზღვრელი მექანიზმი ყველა შემთხვევაში მდედრების და მამრების თანაბარ რაოდენობას წარმოშობს.

ჩარნოვმა (1982) უილიამსის „არასელექციური“ მოსაზრება ორი არგუმენტის დახმარებით უარყო. პირველი არგუმენტის თანახმად, სქესის ქრომოსომების გაჩენა სქესთა თანაბარი შეფარდების სელექციურ უპირატესობას შეიძლება მოასწავებედეს ანუ სქესთა შეფარდება კი არ არის სქესის განმსაზღვრელი მექანიზმის გარდაუვალი შედეგი, არამედ თავად მექანიზმი გამომდინარეობს მისგან, ვინაიდან მან შთამომავლობაში სქესთა ყველაზე უფრო ვარგისიანი შეფარდება წარმოქმნა. ცხოველებში სქესის განმსაზღვრელი ბევრი სხვა მექანიზმი მოქმედებს (ბული 1983). მაგალითად, რეპტილიებში ტემპერატურისადმი მგრძნობიარე სქესთა შეფარდება (ბული 1980) არსებობს, ხოლო ძუძუმწოვარ ცხოველებში ბევრი სხვა, ჯერ კიდევ განუსაზღვრელი მექანიზმია.

ჩარნოვის მეორე არგუმენტის მიხედვით, სქესის ქრომოსომების არსებობა სქესის განსაზღვრის ალ-

ტერნატიული სისტემის ჩამოყალიბებას ართულებს. მაშასადამე, როდესაც სელექცია სქესთა დაუბალან-სებელ შეფარდებას ანიჭებს უპირატესობას, სქესთა შეფარდებაში გენეტიკური ცელილება შეიძლება არ არსებოდეს, რომელზეც ბუნებრივი გადარჩევა იმოქმედებს. ასეთი მდგომარეობა სქესთა შეფარდების შესახებ სელექციურ მოსაზრებას არ აბათილებს, მაგრამ გენეტიკური სისტემის მიერ ევოლუციის შეზღუდვას ასახავს.

ზოგიერთი ორგანიზმის შთამომავლობის სქესთა შეფარდება ქრომოსომების განლაგების შედეგად ისე არ არის შეზღუდული, როგორც ფრინველებსა და ძუძუმწოვარ ცხოველებში. მშობელს ზოგჯერ შთამომავლობის სქესის შერჩევა, სქესთა პირველადი შეფარდების და ბუნებრივია, ვარგისიანობის კონტროლი შეუძლია.

### 33.3. გარკვეულ სიტუაციებში დაზღვანა უდიდესი შეცვალონ თავიათო შვილების სევერგრივი თანაფარდობა თავისი სა- კუთარი გამრავლების პირობების პრო- კორციულად

ერთი სქესის ( $\beta$ ვეულებრივ მამრების) ინდივიდებს შორის დაწყვილებისთვის კონკურენცია ბევრ სახეობაში ინდივიდების რეპროდუქციული წარმატების მკვეთრ ცვალებადობას იწვევს (არნოლდი და ვეიდი 1984, ტრეილი 1985, კლატონ-ბროკი 1988). როდესაც კონკურენცია ძლიერია, ზოგიერთი მამრი უფრო ხშირად წყვილდება, ხოლო სხვები ამას საერთოდ ვერ ახერხებენ. მაგალითად, ჰარემის შემქმნელ სახეობებში რამდენიმე მამრი მდედრების უდიდეს ნაწილს აკონტროლებს, ხოლო სოციალურად ნაკლებად დომინანტურ ინდივიდებს მეწყვილეებთან შეხება თითქმის არ აქვთ. მამრებს შორის კონკურენციას, როგორც წესი, დიდი ზომის ინდივიდები იგებენ. ტრივერსის და ვილარდის (1973) აზრით, თუ შთამომავლობის მდგომარეობა დედის მდგომარეობაზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს, მაშინ კარგ პირობებში მობინადრე მდედრებმა მამრი შთამომავლობა უნდა წარმოქმნან, რომელიც დიდი ზომის გაიზრდება და მეწყვილეებისთვის კონკურენციაში გაიმარჯვებს. ცუდ პირობებში მობინადრე მდედრებმა მდედრი შთამომავლობა უნდა შექმნან, რომელიც მშობლის მზრუნველობის მიხედავად, მომავალში წარმატებით მოახერხებს დაწყვილებას. ძუძუმწოვარ ცხოველებში, სადაც მდედრი მაკერბისა და ძუძუმწოვარი ცხოველებში უმეტესობაში, მდედრები მამრებით და მდედრობით შთამომავლობას უვლის, დედის მდგომარეობა შთამომავლობაზე ზეგავლენას ახდენს.

ტრივერსის და ვილარდის მოსაზრების ექსპერიმენტულად დამტკიცებისთვის ხის ვირთხებზე (*Neotoma floridana*) ლაბორატორული კვლევა ჩატარდა (მაკელარი 1981). ხის ვირთხებზი, ისევე როგორც ძუძუმწოვარი ცხოველებში უმეტესობაში, მდედრები მამრებით და მდედრობით შთამომავლობას თანაბრად

ქმნიან. მაკულარმა ძუძუთი კვების პერიოდის პირველი სამი კვირის განმავლობაში საკვების რაოდენობა მკვე-  
თრად შეამცირა და არარეპროდუქციული მდედრის სიცოცხლისთვის საჭირო რაოდენობაზე ნაკლები გახადა. აღმოჩნდა, რომ დედა მამრ შთამომავლობას ნაკლებ ყურადღებას უთმობდა და აშიმშილებდა, რის შედეგადაც სამი კვირის შემდევ სქესთა შეფარდებაში თითოეულ მდედრზე დაახლოებით 0,5 მამრ მოდიო-  
და (იხ. გოსლინგი 1986). წითელ ირემზე ჩატარებულმა კვლევამ იგივე ფაქტი დაადასტურა. წითელი ირემი ჰარემის მშენებელი სახეობაა, რომელშიც მდედრების იერაქია არსებობს. დომინანტური მდედრებისთვის ძუძუთი კვების პერიოდში რესურსები უფრო ხელმის-  
აწვდომია. კლატონ-ბროკმა და მისმა თანამშრომლებ-  
მა (1982) აღმოაჩინეს, რომ დომინანტური მდედრები მამრებს უფრო აჩენენ, ხოლო ნაკლებად დომინანტუ-  
რი მდედრები მდედრებს ანიჭებენ უპირატესობას.

### **33.4. სიცრიფანაცრთიან და სხვა სხვა ჰაკლოდიკლოიდ უსერხეაგლოებში სე- სოპრივი თანაფარდობა ნაშივრებისა ფაკულტატურად გაკონფრონტ- გულია ადგილობრივი პარტიორების კონცურენციის მიხედვით**

მამრები მენეჯილებისთვის კონკურენციაში შედი-  
ან. სქესთა 1:1 შეფარდების მოდელში ვუშვებთ, რომ კონკურენცია მთელს პოპულაცია ხდება ანუ პოპულა-  
ციაში მამრების გაბნევას და მენეჯილების მოძებნას ხელს არაფერი უშლის. მიუხედავად ამისა, გაბნევას ზოგჯერ ხელისშემშლელი ფაქტორები ახლავს თან და ამგვარი დაშვება მართებული არ არის. როდე-  
საც ინდივიდები პატარა მანძილებზე ან საერთოდ არ გადაადგილდებიან და დაწყვილება გადაადგილდ-  
ებამდე ხდება, ახლო ნათესავები, ხშირად ერთი მშობ-  
ლის შთამომავლობის ნარმომადგენლები წყვილდები-  
ან და ასეთ მდგომარეობას და-ძმური დაწყვილება ენიდება. იგივე მდგომარეობას დაწყვილებაზე ადგი-  
ლობრივ კონკურენციას უწოდებენ და მას პოპულა-  
ციის სქესთა შეფარდებაზე და გამრავლებაზე დიდი ზეგავლენა აქვს.

დაწყვილებაზე ადგილობრივი კონკურენცია დე-  
დების ვარგისიანობაზეც ახდენს ზეგავლენას. გან-  
ვიხილოთ ნათესაური დაწყვილების უკიდურესი შემთხვევა, როდესაც ძმები დებთან წყვილდებიან (და-  
ძმური დაწყვილება). ასეთი ვითარება გვხვდება პარა-  
ზიტოიდებში, სადაც დედა კვერცხს მხოლოდ ერთ მასპინძელში, მაგალითად თესლში ან მნერის მატლში, დებს და ამ მასპინძელს პოპულაციის სხვა მდედრი არ ხმარობს. ასეთი ვითარებაში დედის ყველა შვილს საკუთარი ძმა გაანაყოფიერებს. დავუშვათ, დედამ სამი კვერცხი დადო, ორი მამრია და ერთი — მდედრი, ხოლო მდედრი მხოლოდ ერთხელ წყვილდება. ცხადია, დედის თვალთახედვით ერთი მამრი „უსარგებლოა“ ანუ ვარგისიანობის გაზრდისთვის მას მამრის ნაცვ-

ლად მდედრი უნდა გაეჩინა. სელექცია დაწყვილებაზე ადგილობრივი კონკურენციას უპირატესობას მდე-  
დრისკენ გადახრილ სქესთა თანაფარდობას მიანიჭებს (გოდფრი (1994) პარაზიტოიდებში დაწყვილებაზე ადგილობრივ კონკურენციას დაწყვილებით განიხი-  
ლავს).

დაწყვილებაზე ადგილობრივი კონკურენციის გააზრებაში აპკოვანფრთიანი მწერები (ფუტკრე-  
ბი, ჭიანჭველები და კრაზანები) დაგვეხმარებიან, რომელთაც საკმაოდ უწევულო სქესის განმსაზღვრე-  
ლი მქანიზმი აქვთ, რომლის თანახმად, განაყოფი-  
ერებელი კვერცხიდან მდედრები ჩნდებიან, ხოლო გაუნაყოფიერებელი კვერცხიდან მამლები გამოდიან. ასეთ მწერებში და-ძმური დაწყვილება ჩვეულებრივი მოვლენაა და ამიტომ მათი ბუნებრივი ისტორიის შეს-  
წავლა დაწყვილებაში ადგილობრივი კონკურენციის მნიშვნელობის გააზრებაში დაგვეხმარება.

### **ჰაპლოდიპლოიდია**

ფუტკრებში, ჭიანჭველებსა და კრაზანებში მდ-  
ედრები დიპლოიდები (განაყოფიერებელი კვერცხე-  
ბიდან ჩნდებიან), ხოლო მამრები ჰაპლოიდები არიან (გაუნაყოფიერებელი კვერცხებიდან ჩნდებიან). შედე-  
გად ვილებთ ტერმინს ჰაპლოდიპლოიდია. გამრავ-  
ლების უნარის მქონე მდედრები მათი შთამომავლობის სქესს კვერცხების განაყოფიერების საშუალებით განსაზღვრავენ. მაშასადამე, სქესთა შეფარდებას მდ-  
ედრები პირდაპირ აკონტროლებენ.

ჰაპლოდიპლოიდია სქესის განმსაზღვრელი, ჩვე-  
ულებრივი, დიპლოიდური სისტემებიდან ჩნდება. ამისთვის ორი ეტაპია საჭირო. პირველ ეტაპზე დედის გენობში უნდა გაჩინდეს გენები, რომლებიც მდედრს კვერცხის განაყოფიერებისგან დაცვის საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, კვერცხი უნდა განვითარდეს და განაყოფიერების გარეშე მამრებად ჩამოყალიბდეს. მეორე ეტაპზე გაჩინილმა გენებმა დიპლოიდურ ინდი-  
ვიდებში მამრის განვითარება უნდა შეაფეროს. პირვე-  
ლი ეტაპი მასზე პასუხისმგებელ გენებს უზარმაზარ უპირატესობას ანიჭებს. ჰაპლოიდური მამრის შთა-  
მომავლობა მხოლოდ დედის გენებს შეიცავს და მათ შორისაა ჰაპლოიდურობაზე პასუხისმგებელი გენები. შემდეგ თაობას ამ გენების ორჯერ მეტი რაოდენობა გადაეცემა, ვიდრე სქესობრივი გზით გაჩინილ შთა-  
მომავლობას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გენომების ნახევარი მამიდან მოდის. აქედან გამომდინარე, თუ ერთმშობლიანი მამრების წვლილი შემდეგი თაობის ვარგისიანობაში მამრის წვლილი მამრის წვლილის სულ მცირეა ნახევარი, ჰაპლოდიპლოიდურობის გენები პოპულაციაში შემოდის (ბული 1983). რატომ არ არის ორმშობლიანი სქესი მდედრობითი? ვინაიდან ასეთ შემთხვევაში პაროზინგენეზის უსქესოდ გამრავლე-  
ბული მდედრების ჰაპლოიდური კლონებთან ერთად მივიღებდით. ასეთ სისტემას შემდევ თაობაზე გენების გადაცემის თვალსაზრისით უპირატესობა აქვს, მა-

გრამ კლონები სქესობრივი გამრავლების არარსებობის და ჰაპლოიდური გენეტიკური რეკომბინაციის შემცირებული შესაძლებლობის გამო დაიღუპებიან (ჰეტეროზიგოტები ჰაპლოიდური გენეტიკური რეკომბინაციის შემცირებული შესაძლებლობის გამო დაიღუპებიან).


ჰაპლოდიპლოიდია და დაწყვილებაზე ადგილო-ბრივი კონკურენცია

ბევრი კრაზანა სხვა მწერებზე პარაზიტოიდია ან მისი მატლები რაიმე მცენარის ყვავილებში ვითარდება. კრაზანის ზოგიერთი სახეობისთვის მასპინძლების რაოდენობა მცირება და მეწყვილეების მოძებნაც როულია, ამიტომ მდედრები მათ მასპინძელ მცენარეებზე წყვილდებიან, ვიდრე გაფრინდებიან და თავის კვერცხს სხვა მასპინძლებზე დადგენ. როდესაც მასპინძელი მცენარის პარაზიტირება ერთი მდედრი კრაზანის მიერ ხდება, გაჩენილ მდედრებს დაწყვილება მხოლოდ საკუთარ ძმებთან შეუძლიათ. მდედრი კრაზანის შევილთაშვილების რაოდენობა ახალი მასპინძლების მოსაძებნად გაფრენილი შთამომავლობის რაოდენობისადმი ჰირდაპიროპორციულია და ამიტომ მამრი შთამომავლობა ვარგისიანობის მნიშვნელობას ამცირებს. მაშასადამე, ყოველი გამრავლებისას მამრების პროპორციული რაოდენობა უნდა შემცირდეს ანუ მამრები დაწყვილებისთვის მხოლოდ საკუთარ ძმებთან შევლენ კონკურენციაში. აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ პარაზიტოიდი კრაზანების უმეტეს სახეობაში სქესთა შეფარდება მდედრებისკენ არის გადახრილი. რამდენიმე მდედრი მხოლოდ ერთ მამრს წარმოქმნის და ხშირად მას ფრთხებიც კი არ აქვს. მამრები ზოგჯერ მდედრ მატლებს მასპინძელი მცენარის ან როგორც ცოცხალმშობი ტკიპების შემთხვევაში ხდება, დედის სხეულის შიგნით ანაყოფიერებენ (ჰემილტონი 1967, 1969). უკანასკნელ შემთხვევაში, მამრები სქესობრივად მხოლოდ მატლის მდგომარეობაში ფუნქციონირებენ და არასადროს ხდებიან მომნიღებული ფორმის. ეს ფაქტები ადასტურებენ ვარაუდს, რომ როდესაც მეწყვილეზე ადგილობრივი კონკურენცია მხოლოდ დებსა და ძმებს შორის ხდება, მამრების ვარგისიანობის მნიშვნელობა ძალიან მცირდება და დედები მამრების რაოდენობას შთამომავლობაში ამცირებენ (ჰერე 1986). აუთკროს-ინგის მქონე ჰაპლოდიპლოიდურ სახეობებში სქესთა პირველადი შეფარდება 1:1-თან ახლოსაა.

ველმა შეიძლება ივარაუდოს, რომ მომდევნო სუპერ-პარაზიტული მდედრები უფრო მეტ მარს აჩენენ, ვიდრე პირველი სუპერპარაზიტული მდედრები და ეს ვარაუდი ხშირად სწორა. უფრო მეტიც, მეორე მდედრის შთამომავლობაში მარების პროპორციული რაოდენობა პირველი მდედრის შთამომავლობის რაოდენობის მეორე მდედრის შთამომავლობის რაოდენობის ფარდობასთან ერთად იზრდება, ვინაიდან აუთკონს-ინგის შესაძლებლობა ამ ფარდობისადმი პირდაპირ-პროპორციულია (ჰემილტონი 1967).

უორენმა (1980) კრაზანა *Nasonia*-ზე ლაბორატორული ექსპერიმენტი ჩაატარა და ამ მოსაზრების სისწორე შეამონება. *Nasonia* ბუზ *Sarcophaga*-ს მატლის პარაზიტირებას ახდენს. ექსპერიმენტის შედეგებმა ზემოთ მოყვანილი პროგნოზების სისწორე დაადასტურა (სურ. 33.4). პირველადი პარაზიტების შთამომავლობის 9% მარია. მეორადი პარაზიტული მდედრების მიერ გაჩენილი მამრების პროპორციული რაოდენობა ასევე მცირეა, როდესაც მათი შთამომავლობა პირველადი პარაზიტების შთამომავლობაზე მცირებილი გვხვდანია.

ჰაპლოდიპლოიდური კრაზიანები ტრივერსის და უილარდის (1973) მოსაზრების შემოწმების საშუალებას იძლევიან, რომლის თანახმად, დეფები შთამომავლობის სქესს ცვალებად გარემოში მისი ვარგისიანობის მიხედვით აკონტროლებენ (კინგი 1988). ბევრი პარაზიტოიდის შემთხვევაში, მოზრდილი მასპინძლები მოზრდილი მდედრების შთამომავლობის გაჩენას იწვევს და მდედრების ნაყოფიერება პატარა ზომის მასპინძლებში გაჩენილი პატარა ზომის მდედრებზე უფრო მეტია. პატარა ზომის მასპინძელში განვითარებულ პატარა ზომის მამრებს ნაკლები დანაკარგი აქვთ, ვინაიდან მამრობითი სქესობრივი ფუნქცია სხეულის ზომაზე ნაკლებად არის დამოკიდებული. 1979 წელს, ჩარნოვმა სქესობრივი სელექციის შესახებ სტა-



**სურ. 33.4.** პარაზიტოდ კრაზანა *Nasonia*-ს მეორადი მდედრების შთამომავლობაში სქესთა შეფარდებასა და მათი შთამომავლობის სხვა მდედრების შთამომავლობასთან დაწყვილების ალბათობას შორის დამკიდებულება.

ტია გამოაქვეყნა და მასში რუსი ივან ჩევირიივის მიერ 1913 წელს ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები მოიყვანა. ჩევირიევმა ექსპერიმენტი მხედარ კრაზანა *Pimpla instigator*-ზე ჩატარა, რომელიც დამის პეპლების და პეპლების ჭუპრების პარაზიტირებას ახდენს და თითოეულ ჭუპრზე ერთ კვერცხს დებს. როდესაც მდედრი დიდი ზომის მასპინძელში იბუდებს, შთამო-მავლობის 23-ვე წარმომადგენელი მდედრია, ხოლო მცირე ზომის მასპინძელში 47-დან 38 მამრია. დიდი და პატარა ზომის მასპინძლები შესაძლოა ერთმანეთს ცვლიდეს და ასეთ დროს მდედრი კვერცხს ან გაანაყოფიერებს ან არა. ლაბორატორულ ექსპერიმენტებში სხვადასხვა სახეობის ღამის პეპლების ჭუპრები სხ-ვადასხვა ზომის მასპინძლების სახით გამოიყენებოდა. ჩევირევმა ასევე დაამტკიცა, რომ როდესაც კრაზანა *Exenterus* დამის პეპლა *Lophyruis*-ის პარკის პარაზიტირებას ახდენს, დიდი ზომის ჭუპრში მდედრები უფრო დიდი რაოდენობით ჩნდებიან. მამრი *Lophyruis* მდედრზე ორჯერ პატარა ზომისაა. მოზრდილი, მდე-დრი ჭუპრიდან გამოსული კრაზანების 79% მდედრია, ხოლო მცირე ზომის, მამრი ჭუპრიდან გამოსული კრა-ზანების მხოლოდ 47%-ია მდედრი.

ვერენის და ჩევირევის შედეგები ამტკიცებს, რომ როდესაც მდედრი შთამომავლობის სქესს აკონტრო-ლებს, ის ვარგისიანობაში მეტი წვლილის შემტან სქესს უფრო დიდი რაოდენობით აჩენს. წვლილის შე-ტანა თითოეული სქესის შთამომავლობის ნაყოფიერე-ბაზეა დამოკიდებული, რაც თავის მხრივ მდედრ კრა-ზანებში კვერცხისდებისთვის საჭირო რესურსებზე და მამრების აუთკროსინგისთვის საჭირო მეწყვილეების ხელმისაწვდომობაზეა დამოკიდებული.

### 33.5. ადგილობრივ რესურსთა კონკურენ-ციას გაუძლია, გამოიციოს მამრობით-ცენტრული სეისოპრივი თანავარდობა


მამრებს შორის მეწყვილისთვის კონკურენცია მდ-ედრობითისკენ გადახრილ სქესთა ფარდობაზე სელექციურ ზენოლას ინვევს. დასა და ძმას, ასევე მშობელსა და შვილებს შორის რესურსებისთვის კონკურენციამ სქესთა შეფარდება მამრებისკენ შეიძლება გადახაროს. ძუძუმწოვარი ცხოველებისა და რამდენიმე ფრინველის შემთხვევაში, მამრები დაბადების ადგილიდან მდედრებზე უფრო შორს გადაადგილდებიან და ამ მოვლენას მშობლიური ადგილიდან გავრცელება ეწოდება (მილერი და კეროლი 1989). დაბადების ადგილთან ახლოს დარჩე-ნის ტენდენციას ფილოპატრია ეწოდება. მდედრები დედასთან ახლოს რჩებიან და ერთმანეთთან თუ დე-დასთან გამრავლებისთვის საჭირო რესურსებისთ-ვის კონკურენციაში შედიან. მდედრი ინდივიდების თვალთახედვით, დედასთან ახლოს დარჩენა უკეთე-სია, ვინაიდან დედამ ამ ადგილზე რეპროდუქციულ წარმატებას მიაღწია. მიუხედავად ამისა, დედას მდ-ედრი ინდივიდების გაჩენის ნაკლები სტიმული აქვს,

ვინაიდან უმეტესი მათგანი იქვე დარჩება და სხვა ფი-ლოპატრიულ მდედრებთან დაიწყებს კონკურენციას. შთამომავლობას შორის კონკურენციის აღნიშნისთვის ტერმინ **ადგილობრივი რესურსისთვის კონკურენ-ციას** ვიყენებთ. როდესაც რესურსისთვის ადგილო-ბრივი კონკურენცია ძლიერია, დედისთვის უმჯობესია მამრები გამოჩეულის (კლარკი 1978, კრეიგი 1980, ჩარ-ნოვა 1982, ბალმერი 1983, ჯონსონი 1988).

რესურსისთვის ადგილობრივი კონკურენცია პირველად კლარკმა (1978) აღნიშნერა, ვინც სამხრეთ აფ-რიულ *bush baby*-ს დააკირდა, რომელიც მდედრე-ბზე უფრო მეტად მამრებს აჩენს. კლარკის აღმოჩე-ნით, ახალგაზრდა მამრები დაბადების ადგილიდან მოშორებით გადაადგილდებიან, ხოლო ახალგაზრდა მდედრები სახლთან ახლოს რჩებიან და დებთან თუ დედასთან რესურსისთვის კონკურენციაში შედიან. ჯონსონმა (1988) იგივე ტაბის კვლევა რამდენიმე გვა-რის პრიმატების სახეობებზე ჩატარა და დაამტკიცა, რომ მეწყვილისთვის ადგილობრივი კონკურენციისას, რაც უფრო ძლიერია ფილოპატრიულ მდედრებს შორის რესურსისთვის კონკურენცია, მით უფრო გადახრილია სქესთა შეფარდება (სურ. 33.5).

რესურსისთვის ადგილობრივი კონკურენცია ახა-ლი კოლონიების დამარსებელ მწერებში (მაგალითად, ფუტკრებსა და ჭიანჭველებში) მამრისკენ გადახრილი სქესთა შეფარდების ახსნისთვის გამოიყენება. ამ სახ-ეობებში ერთი ან მეტი დედა მშობლიურ კოლონიას ტოვებს და ახალ კოლონიას აარსებს (კრეიგი 1980, ბალმერი 1983). დედის ლირებულება მამრების გარ-ეშე ნულია და მამრები სხვა კოლონიებიდან მოსულ დედებთან წყვილდებიან, ამიტომ მამრების დიდი რა-ოდენობით გაჩენას ნაკლები უპირატესობა აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ფილოტრაპია სქესთა შეფარდების გადახრას აუცილებლად არ იწვევს. ზოგიერთ ფრინველში, მაგალითად ნითელკო-კარდინ კოდალებსა და ფლორიდულ ბუჩქის ჩხიკვე-ბში ფილოპატრიული მამრები მათი მშობლების შთამო-



სურ. 33.5. სქესთა პირველად შეფარდებას და მდედრებს შორის კონკურენციის ინტენსივობის ინდექსს შორის დამოკიდებულება პრი-მატების რამდენიმე გვარში. ინდექსი რეპროდუქციული წარმატების და ჯგუფის ზომის რეგრეგისის დახრილობაა.

მავლობის გამოყვანაში მონაწილეობას იღებენ. ასეთ მოქმედება, ერთი შეხედვით, სრულიად უსარგებლოა, მაგრამ 34-ე თავში ვნახავთ, რომ დამხმარის ვარგი-სიანობა ამგვარი მოქმედების შედეგად შეიძლება ამაღლდეს. რესურსისთვის ადგილობრივ კონკურენ-ციას მხოლოდ მაშინ ექნება შედეგი, როდესაც რე-პროდუქციული წარმატება რესურსის მოპოვებაზეა დამოკიდებული, როგორც ეს ხდება მრავალ პრიმატში. ახალგაზრდა მდედრების და მამრების რაიმე ადგილზე შეჯგუფება რეპროდუქციულ წარმატებაზე წაკლებ ზეგავლენას იქონიებს, თუ ახალგაზრდებს შორის რესურსისთვის ან მეწყვილისთვის კონკურენცია არ არსებობს.

### **33.6. კარტიორობის სისტემები და მოკიდებულია იმაზე, თუ რა დონეზე შეუძლია ერთი სახესის ინდივიდს რესურსების მონიტორიზება**

პოპულაციის დაწყვილების სისტემა არის მდედრებ-სა და მამრებს შორის დაწყვილების მოდელი ანუ მყისიერი და მიმდევრობითი დაწყვილების რაოდენობა და ერთიანობის ხანგრძლივობა. პოპულაციის დაწყვილების სისტემა, სქესთა შეფარდების მსგავსად, ინ-დივიდის მოქმედებას ეფუძნება, რომელიც ბუნებრივ გადარჩევას და ევოლუციურ ცვლილებას ექვემდებარება. დაწყვილების სისტემები სახეობის თვისებებ-სა და გარემოსთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. დაწყვილების სისტემების თეორია სიცოცხლის ძირი-თად ასიმეტრიულობას ეფუძნება, რომლის თანახმად, მდედრის რეპროდუქციული წარმატება კვერცხის დების ან შთამომავლობის წარმოქმნის რაიმე სხვა უნარით იზღუდება, ხოლო მამრის რეპროდუქციული წარმატება მხოლოდ მოპოვებული მეწყვილეების რაოდენობით არის შეზღუდული. მდედრის გამტი მამრის გამტი უფრო დიდია, ამიტომ მას გამრავ-ლებისთვის მეტი რესურსი სჭირდება და მდედრის ნაყ-ოფერება კვერცხის დებისთვის საჭირო რესურსების შეგროვების უნარით შეზღუდულია. როდესაც მამრე-ბი მდედრებს რესურსების მოპოვებაში არ ეხმარებიან ან მდედრები შვილებს არ უვლიან, მამრის ნაყოფი-ერება მხოლოდ მაშინ გაიზრდება, თუ ის დამატებით მეწყვილეს იპოვნის.

ერთი შეხედვით, მამრისთვის ოპტიმალური სტრატეგია რაც შეიძლება დიდი რაოდენობით მდ-ედრის მონახვა და შემდეგ შთამომავლობის მისთ-ვის დატოვებაა, ხოლო მდედრისთვის ოპტიმალური სტრატეგია დაწყვილება და შემდეგ შვილების მამ-რისთვის დატოვებაა, ვიდრე ის უფრო მეტი კვერ-ცხის დებისთვის საჭირო რესურსს მოაგროვებს. სინამდვილეში, ყველაფერი ასე მარტივად არ არის. მშობლიური მზრუნველობის საფასური და უპირატე-სობა მდედრებისა და მამრებისთვის განსხვავებულია და მასზე ეკოლოგიური და ფიზიოლოგიური ფაქ-ტორები, ასევე ბუნებაში რესურსების განაწილება

ახდენს ზეგავლენას. გამრავლებასა და დაწყვილების სისტემებზე დაწყვილებით ინფორმაციას მივიღებთ, თუ დავაკვირდებით, როგორ არის მდედრების და მამრების ფუნდამენტური ინტერესები ეკოლოგიურ პირობებთან მორგებული (დევისი 1991, კრებსი და დე-ვისი 1993).

როდესაც მამრი რაც შეიძლება დიდი რაოდენობით მდედრთან წყვილდება და შთამომავლობას უბრალოდ გენთა სიმრავლეს გადასცემს, მას განურჩეველი ეწო-დება. განურჩეველი მამრი, როგორც ნესი, მეწყვილ-ესთან დიდხანს არ ჩერდება. პოპულაციაში ამგვარი მამრების არსებობა დაწყვილების წარმატების ცვა-ლებადობას ზრდის და ზოგიერთი ინდივიდი ათასობით მეწყვილეს პოულობს, მაშინ როცა სხვები სრულიად მარტონი არიან. ცხოველების ტაქსონებში განურჩევ-ელი დაწყვილება ყველაზე უფრო გავრცელებულია და იგივე ხდება აუთკროსინგით დაკავებულ მცენარეებში.

თუ მამრები მეწყვილეებს რესურსს აწვდიან ან შთამომავლობაზე ზრუნავენ (მეწყვილეების ნაყოფი-ერებას ხელს უწყობენ), მაშინ დაწყვილება ძლიერია. თუ მამრს ერთი დაწყვილების ნაყოფიერებაში წვ-ლილი შეაქვს, მაშინ დაწყვილების სისტემა ჯერ მიშ-ვებულია (უმცირესი წვლილი), შემდეგ პოლიგამური და სერიული პოლიგამურია და ბოლოს მონოგამიით (უდიდესი წვლილით) მთავრდება. **პოლიგამია** არის მდგომარეობა, როდესაც ერთი სქესის ინდივიდი სა-პირისპირო სქესის ერთზე მეტ წარმომადგენელთან ქმნის ოჯახს (ოჯახის ხანგრძლივობა ორგანიზმის სა-სიცოცხლო ციკლზეა დამოკიდებული). წვეულებრივ, მამრები ერთზე მეტ მდედრთან წყვილდებიან და სისტემას პოლიგინია ეწოდება. პოლიგნია მდედრების ჰარემა წოდებული ჯგუფის დაცვაში ან ტერიტორი-ის დაცვაში შეიძლება გამოიხატოს. მაშასადამე, პოლ-იგინია მამრების მიერ მდედრების დაცვის, რა დროსაც მამრის წვლილი შთამომავლობაზე ძირითადად გენე-ტიკურია, ასევე მამრის მიერ რესურსის კონტროლის და მდედრისთვის მიწოდების უნარის შედეგია. **პოლი-ანდრია** არის მდგომარეობა, როდესაც ერთი მდედრი რამდენიმე მამრთან წყვილდება.

**სერიული პოლიგამისას**, ერთი სქესის ინდივიდი საპირისპირო სქესის ინდივიდთან ქმნის ოჯახს, შთა-მომავლობას მას უტოვებს და ახალი მეწყვილის მო-საძებნად მიდის. ამგვარ სისტემებში ერთი სქესი შთა-მომავლობის ზრუნვაზე პასუხისმგებლობას იღებს. ასეთი ოჯახიდან მამრები უფრო ხშირად გარბიან და ახალ მეწყვილეს ეძებენ (სერიული პოლიგინია), თუმ-ცა საპირისპირო (სერიული პოლიანდრია) ხდება.

**მონოგამია** საპირისპირო სქესის ორ ინდივიდს შორის დაწყვილებაა, რაც შთამომავლობაზე ზრუნ-ვის განმავლობაში გრძელდება და ერთი მეწყვილის გარდაცვალებასთან ერთად შეიძლება დასრულდეს. მონოგამია მაშინ გვხვდება, როდესაც მამრებს შთამო-მავლობაზე ზრუნვაში დიდი წვლილი შეაქვთ. მაშასა-დამე, მონოგამია ისეთ სახეობებშია გავრცელებული,

### ცხრილი 33-1

აფრიკული *weaverbird*-ების დაწყვილების სისტემას, გავრცელების არეალებსა და კვებას შორის კავშირი

გავრცელების არეალი			საკვები		ოჯახი		სოციალურობა		
ტყე	სავანა	მინდორი	მწერები	თესლი	მონო-გამური	პოლი-გამური	მარტო-სული	ჯგუფური	პოლონიური
+			+		17	0	15	0	1
	+		+		5	0	4	0	2
+			+	+	3	0	2	0	0
	+		+	+	1	4	1	0	4
			+	+	1	1	1	0	0
	+			+	2	10	0	1	16
				+	0	15	0	13	3


სადაც შთამომავლობა დიდი ხნის განმავლობაშია მშობელზე დამოკიდებული და ახალგაზრდობას ორივე სქესი უვლის. მონოგამია ძუძუმწოვრებში გავრცელებული არ არის, ვინაიდან რძის მიწოდება მხოლოდ მდედრის მოვალეობაა (აისენბერგი 1981). მონოგამია გავრცელებულია ჩიტებში.

### 33.7. აართიორობის სისტემები და მონოგაზულის საპინადო გარემოსა და რაციონზე

დაწყვილების სისტემა განვითარებული ადაპტაციაა და ამას პოპულაციის დაწყვილების სისტემებსა და გავრცელების არეალებს, თვისებებსა და კერძას შორის კავშირი ადასტურებს. ინგლისელმა ბიპევიორისტმა ჯონ კრუკმა (1964, 1965) დაწყვილების სისტემასა და ეკოლოგიას შორის კავშირი ერთ-ერთმა პირველმა აღმოაჩინა. მეცნიერი აფრიკულ *weaverbird*-ებს დააკვირდა და შენიშვნა, რომ მონოგამია ტყეებსა და სავანებში მცხოვრებ მწერიჭამია სახეობებში დომინირებს (იხ. თავი 8), ხოლო პოლიგინია ღია სავანებსა და მინდვრებში მობინადრე თესლის მტამელ სახეობებშია დომინანტური (ცხრილი 33.1). გარდა ამისა, მონოგამური სახეობების უმეტესობა ფართოდ გაშლილ ტერიტორიებზე განმარტოებულ წყვილებად ბინადრობს, ხოლო პოლიგინური სახეობები კოლონიებად ცხოვრობს. ვერნერმა და უილსონმა (1966, 1969) ჩრდილოეთ ამერიკულ მგალობელ ფრინველებზე კვლევა ჩაატარეს და მინდვრებში, პრერიებსა და ჭაობებში მრავალცოლიანობა აღმოაჩინეს. ცვლადებს შორის მარტივი დამოკიდებულება ამგვარი გაერთიანებების გაჩენას სრულყოფილად ვერ განმარტავს. ემპირიული ცდების შედეგად შესაძლებელია ჰიპოთეზების ან მოდელების მიღება, რომლებშიც გარემოს სელექციური ფაქტორებისა და თვისებების დამაკავშირებული მექანიზმები სიმართლესთან მიახლოებულია.

ვერნერმა და უილსონმა (1966) დაწყვილების სისტემაში პოლიგამიის ნარმოშობის მოდელი შექმნეს. ვიდრე ტერიტორიაზე საკმარისი რესურსია, მამრი

მეწყვილეების უფრო მეტ რაოდენობას პოულობს და ამით სარგებელს იღებს. მდედრისთვის სასურველია მაღალი ხარისხის ტერიტორიის ან მეწყვილის მოძებნა. აქედან გამომდინარე, პოლიგამია მაშინ ჩნდება, როდესაც მდედრი მამრის სხვა მდედრებთან იყოფს და ამით უფრო მეტ რეპროდუქციულ ნარმატებას აღწევს, ვიდრე მონოგამური ურთიერთობისას ექნებოდა. ორიანსმა (1969) მეწყვილის შერჩევის პროცესის გრაფიკული გამოსახულება ვერნერ-უილსონის პოლიგამური ზღვრის მოდელის მიხედვით შექმნა (სურ. 33.6). მოდელში მონოგამურ მამრთან და პოლიგამურ მამრთან დაწყვილებული მდედრის ვარგისიანობა მამრის ტერიტორიის ხარისხის ფუნქციის სახით არის ნაჩვენები. პოლიგამია მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც ტერიტორიების ხარისხი იცვლება და მაღალი ხარისხის ტერიტორიაზე მობინადრე პოლიგამურ მამრთან დაწ-




**სურ. 33.6.** პოლიგამური ზღვრის მოდელი. მდედრის ვარგისიანობა (რეპროდუქციული ნარმატება) მამრის ტერიტორიის ხარისხთან ერთად იცვლება. დაწყვილებული მდედრის არსებობა შემდგომი ძალადრებისთვის მამრის ხარისხს ამცირებს. მდედრებმა დაუწყვილებული მამრები (ა-დან e-მდე) მანამდე უნდა აირჩიონ, ვიდრე ნებისმიერი დარჩენილი დაუწყვილებული მამრის (f, g და h) ტერიტორიის ხარისხი დაწყვილებული მამრის საუკეთესო ტერიტორიის „ჯამურ“ ხარისხზე ნაცალები გახდება. ამ მდგომარეობას პოლიგამური ზღვარი ენდოგება და მდედრი დაწყვილებულ (ა-დან e-მდე) მამრებსა და დაუწყვილებულ მამრებს (f - h) შორის აკეთებს არჩევანს.



**სურ. 33.7.** მამრი ნითელფრთიანი, შავი შაშვი

ყვილებულ მდედრს უფრო მეტი ვარგისიანობა ექნება, ვიდრე ცუდი ხარისხის ტერიტორიაზე მობინადრე მონოგამურ მამრთან დაწყვილებისას. ასეთ მოსაზრებას ტერიტორიის ხარისხის პოლიგამური ზღვარი ეწოდება. თუ მდედრებს ტერიტორიის ხარისხის განსაზღვრა შეუძლიათ, მაშინ პირველი ინდივიდები მონოგამურად დაწყვილდებიან, ხოლ შემდგომში მეწყვილეების არჩევა შემცირებადი ხარისხის მქონე ტერიტორიებზე მოხდება და საპოლონდ პოლიგამური ზღვარი მიიღება. ამის შემდეგ მდედრები ჯერ კიდევ დაუწყვილებელ და უკვე დაწყვილებულ მამრებთან თანაბრად წყვილდებიან (ალატალო და სხვები 1982).

ჩრდილოეთ ამერიკის ჭაობებში ნითელფრთიანი შავი შაშვები ტერიტორიებს ადრეულ გაზაფხულზე იკავებენ (სურ. 33.7). ჭაობი მცენარეთა საფარისა და წყლის სიღრმის თვალსაზრისით არაერთგვაროვანია, საკვების რაოდენობა და ბუდეების უსაფრთხოების



**სურ. 33.8.** პირველადი მდედრების (შავი ნერტილები) და მეორადი მდედრების (მწვანე ნერტილები) მიერ მამრების სელექციის მიმდევრობის ტერიტორიის ხარისხზე დამოკიდებულების ფუნქციის გრაფიკი რიც ჯერსის ჭაობებში მობინადრე ნითელფრთიან შავ შაშვებში.

ხარისხი იცვლება და შესაბამისად, ტერიტორიები სხვადასხვა ხარისხისაა. მდედრები გამრავლების ადგილებს მამრების შემდეგ უბრუნდებიან, სახლდებიან და უკვე დაფუძნებულ მამრებთან წყვილდებიან. მდედრი შაშვები მამრების ტერიტორიის ხარისხს აფასებენ და პირველი ინდივიდები საუკეთესო ანუ კარგი ტერიტორიის მქონე მამრებთან მონოგამურად წყვილდებიან. მოგვიანებით მოსულმა მდედრებმა არჩევანი ცუდი ხარისხის მამრთან მონოგამურად დაწყვილებასა და მალალი ხარისხის მამრთან პოლიგამიურად დაწყვილებას შორის უნდა გააკეთონ, რა დროსაც ისინი ტერიტორიის რესურსებს ერთ ან მეტ მდედრთან გაიყოფენ (ლენინგრადი 1980, ორიანი 1980, ნერო 1984; სურ. 33.8). შაშვებისგან განსხვავებით, ტყის ფრინველების გავრცელების არეალი ჭაობზე ერთგვაროვანია. ტყეში ტერიტორიების ხარისხი ნაკლებად იცვლება, ფრინველთა უმეტესი სახეობა მონოგამურია და პოლიგამურ ზღვარზე დაბლა მცირე რაოდენობით ტერიტორია ხვდება.

### 33.8. პარტიორობის სისტემათა კონ-ზიგურაცია მატილად დამოკიდებულია მშობლების მზრუნველობის განაცილე-ბაზე

ინდივიდებმა წარმატებული გამრავლებისთვის გამეტებს და ერთი ან მეტი მეწყვილის მშობლებისთვის საჭირო მოქმედებებს ყურადღება უნდა დაუთმონ. დრო და ენერგია ახალგაზრდა თაობის დაცვაზე ასევე იხარჯება და ამ მოქმედებას ეკოლოგები მშობლიურ წვლილს უწოდებენ. თუ მშობლიური წვლილი შთამომავლობის გადარჩენის ალბათობას ამაღლებს და ახალგაზრდების გარჩენის საფასური ძალიან მაღალი არ არის, მაშინ მშობლიური წვლილი სასარგებლოა. დაწყვილების სისტემების კონფიგურაცია დამოკიდებულია მშობელზე, რომელიც სხვა მეწყვილეებს მიატოვებს და ახალგაზრდობას უვლის.

მდედრ და მამრ ფრინველებს მშობლიური მზრუნველობა ახასიათებთ. ფრინველთა უმეტეს სახეობაში ახალგაზრდობის სიცოცხლისუნარიანობა და მშობლების რეპროდუქციული წარმატება საკვების ბუდეში მიტანის ტემპზე ძალიან არის დამოკიდებული (კრებსი და დევისი 1993). კვების ტემპი თითქმის ორმაგდება, როდესაც საკვებს ორივე მშობელი მოიპოვებს. ორმაგი მშობლიური წვლილის უპირატესობა, სავარაუდოდ, მონოგამიის გავრცელების მიზეზიც არის.

ფრინველებში განურჩევლად დაწყვილება იშვიათად ხდება და დომინანტური მხოლოდ ხობებში და ტროპიკულ, ნაყოფისმჭამელ სახეობებშია, როგორიცაა მანაპინი, კოტინგადა სამოთხის ფრინველი. აქედან გამომდინარე, ეკოლოგები საყოველთაოდ გავრცელებული მონოგამიისგან გამონაკლის შემთხვევებზე ანუ განურჩევად დაწყვილებაზე ამახვილებენ ყურადღებას. განურჩევლად დაწყვილების ეკოლუციის მიზეზი მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული მამრება,

### ცხრილი 33-2

საფასური მდედრისა და მამრისთვის, რომელიც  
შთამომავლობას იცავს ან მიატოვებს

		მდედრი	
		იცავს ( $V$ კვერცხი)	მიატოვებს ( $V$ კვერცხი)
მამრი	იცავს ( $1+p$ მეწყვილე)	$vS_2$	$VS_I$
	მიატოვებს ( $1+P$ მეწყვილე)	$vS_2/(1+p)$	$VS_I(1+p)$
		$vS_I$	$VS_0$
		$vS_I(1+p)$	$VS_0(1+p)$

შენიშვნა: მდედრების საფასური თითოეული უჯრის ზედა მარჯვენა კუთხეშია გამოსახული, ხოლო მამრების საფასური ქვედა მარცხენა კუთხეშია ნაჩვენები

რომლებიც მათი მეწყვილეების რეპროდუქციულ წარმატებაში მაინცდამაინც არ ერევიან. ასეთი მოვლენა რამდენიმე შემთხვევაში შეიძლება მოხდეს. მაგალითად, გნოლის წინილებს საკუთარი თავის გამოკვება შეუძლიათ, ამიტომ მამრებს მათი მეწყვილეების ნაყოფიერების გაზრდა ნაკლებად ძალური. ასეთი სახეობების მდედრები იმდენივე წინილას გამოზრდიან, რამდენსაც მამრების დახმარებით შეძლებდნენ. იგივე ხდება ძუძუმწოვარ ცხოველებში, როდესაც მხოლოდ მდედრი უვლის ახალგაზრდებს და მამრის პოტენციური წვლილი (რესურსების და ნამატის დაცვა, მდედრისთვის საჭმლის მიწოდება) მცირეა. გარდა ამისა, ნაყოფისმჭამელი ფრინველის რესურსი შეიძლება იყოს ხილული და შერეული ხარისხის. ამ დროს მდედრი ფრინველი იგივე რაოდენობის რესურსს მოაგროვებს, რასაც მდედრი და მამრი ერთად. როდესაც მამრები მდედრებს ტოვებენ და მათი შთამომავლობის რაოდენობა არ მცირდება, მამრები რეპროდუქციულ წარმატებას დამატებითი მეწყვილეების მიზიდვის საშუალებით ზრდიან.

ძუძუმწოვარ ცხოველებში მშობლიური მზრუნველობა მხოლოდ მდედრის მოვალეობაა. მდედრებსა და მამრებს შორის ფიზიოლოგიური და ანატომიური სხვაობა მამრებს მშობლიური მზრუნველობის გამოჩენის საშუალებას არ აძლევს. ბევრი ძუძუმწოვარი დიდი ხნის განმავლობაში არის მაკედ და ამ პერიოდში მამრს არაფრის გაკეთება არ შეუძლია. უფრო მეტიც, მაკეობის შემდეგ ახალგაზრდები დედის რძით იკვებებიან. რაც შეეხება თევზებს, მშობლიური მზრუნველობა მათმა ძალიან სუსტია (გროსი და სარგენტი 1985) და როგორც წესი, ეს მოვალეობა მამრს აკისრია. თევზები კვერცხს და სპერმას წყალში გამოყოფენ და განაყოფიერებაც იქვე ხდება (გარეგანი განაყოფიერება). მდედრის მხრიდან გამოჩენილი მშობლიური მზრუნველობა, ჩვეულებრივ, შინაგანი განაყოფიერების პირობებში გვხვდება, თუმცა ეს საყოველთაო წესი არ არის.

### მთაბლიური ნილილის ESS მოდელი

მდედრი ან მამრი მშობლიური მზრუნველობის გამოჩენის არჩევანს აკეთებს და ეს არჩევანი ინდივიდის მიერ მიღებულ სარგებელსა და საფასურზეა დამოკიდებული. მაგალითად, მამრები ბუდის მიტოვების შესახებ გადაწყვეტილებას საკუთარი ინტერესის შესაბამისად აკეთებენ და ინტერესი რეპროდუქციული ვარგისიანობაა. ახალგაზრდობის მოვლასა და მიტოვებას შორის არჩევანს ორივე მშობელი აკეთებს, მაგრამ მისი შედეგი მეწყვილის მიერ გაკეთებულ არჩევანზე უფროა დამოკიდებული. როდესაც ერთი მშობელი ზრუნვას თავს არიდებს, ხოლო მეორე მშობელი შთამომავლობის ერთგული რჩება, ვარგისიანობა ნაკლებად მცირდება, ხოლო ორივე მშობლის წასვლის შემთხვევაში შთამომავლობის მხოლოდ ერთი ან არც ერთი ნამომადგენელი გადარჩება. ეკოლოგები უშვებენ, რომ შთამომავლობაზე მზრუნველობის შესუსტების შემდეგ მშობელს შეუძლია უფრო დიდი რაოდენობით კვერცხი დადოს ან მეწყვილეები მოპოვოს.

ორი მშობლის ევოლუციურად სტაბილური სტრატეგიის კვლევა თამაშების თეორიის ანალიზის საშუალებით არის შესაძლებელი. ჩვენი მსჯელობა ჯონ მეინარდ სმიტისეულ (1982) მიდგომებთან მიახლოებულია. თითოეულმა მშობელმა შთამომავლობას შეიძლება მოუაროს, რასაც მეინარდი დაცვას უზრდებს და შეიძლება მიატოვოს. დავუშვათ, მამრის მიერ დამატებითი მეწყვილის მოპოვების ალბათობა შთამომავლობის დაცვის შემთხვევაში არის  $p$ , ხოლო შთამომავლობის მიტოვების შემთხვევაში იგივე ალბათობა  $P$ . ასევე დავუშვათ, რომ  $P > p$ . თუ მდედრი ბუდეს მიატოვებს, ის  $V$  რაოდენობის კვერცხის დადებას შეძლებს, ხოლო ბუდის დაცვის შემთხვევაში კვერცხის რაოდენობა  $V > v$ . როდესაც ბუდეს არც ერთი მშობელი არ იცავს, კვერცხის გადარჩენის ალბათობაა  $S_p$ , როდესაც ერთ-ერთი მშობელი ბუდეს იცავს იგივე ალბათობა  $S_p$ , ხოლო ორივე მშობლის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში ალბათობა  $S_v$ -ის ტოლია. თითოეული მშობლის მიერ დატოვებუ-

### ცხრილი 33-3

*ESS პირობები მდედრის და მამრის მშობლიური მზრუნველობის  
სხვადასხვა კომპინაციისთვის*

1. შთამომავლობას ორივე მშობელი უვლის, მდედრი  $nS_2 > VS_i$ ; მამრი  $nS_2(I+p) > VS_i(I+P)$
2. მდედრი უვლის, მამრი გარბის; მდედრი  $nS_i > VS_\theta$ ; მამრი  $nS_i(I+P) > VS_\theta(I+p)$
3. მამრი უვლის, მდედრი გარბის; მდედრი  $VS_j > nS_2$ ; მამრი  $nS_j(I+p) > VS_2(I+P)$
4. ორივე მშობელი გარბის; მდედრი  $VS_\theta > nS_i$ ; მამრი  $VS_\theta(I+P) > VS_i(I+p)$

ლი შთამომავლობის რაოდენობა მდედრის და მამრის მოქმედების ოთხი შესაძლო კომპინაციის პირობებში 33.2 ცხრილშია მოცემული და მას საფასურის მატრიცა ენოდება.

ორივე მშობლის ადგილზე დარჩენა ევოლუციურად სტაბილური სტრატეგიაა, როდესაც მდედრის და მამრის მიერ შთამომავლობის მიტოვების სტრატეგია პოპულაციაში არ გვხვდება. მაშასადამე, ორივე მშობლის მიერ განეული მზრუნველობა *ESS*-ია, როდესაც მდედრებისთვის  $nS_2 > VS_i$ , და მამრებისთვის  $S_2(I+p) > S_i(I+P)$ . ეს ნიშნავს, რომ შთამომავლობაზე ზრუნვისთვის დარჩენილმა მშობელმა ვარგისანობა უფრო უნდა გაზარდოს, ვიდრე გაქცეული მშობელი დაწყვილების რაოდენობას ზრდის ანუ  $S_2/S_i > V/n$  და  $(I+P)/(I+p)$ . მოქმედების ოთხივე კომპინაციისას *ESS*-ს პირობები ცხადყოფს (ცხრილი 33.3), რომ ორივე მშობლის მზრუნველობა *ESS* შეიძლება იყოს, ხოლო ერთი მშობლის მზრუნველობა ვერ იქნება. გარდა ამისა, როდესაც ორივე მშობლის გაქცევა *ESS*-ია, ერთი მშობლის გაქცევა ვერ იქნება. ორივე მშობლის გაქცევა ან დარჩენა შეიძლება იყოს *ESS*, როდესაც  $S_2/S_i > V/n > S_i/S_\theta$  და  $S_2/S_i > (I+P)(I+p) > S_i/S_\theta$ . ასეთ პირობებში, ერთი მშობლის მზრუნველობა *ESS* არ არის და ამიტომ ორივე მშობლის და ერთი მშობლის მზრუნველობას შორის ევოლუციური გადასვლა შეუძლებელია. ზემოთ მოყვანილი უტოლობების შებრუნების შემთხვევაში, ერთი მშობლის მზრუნველობა ევოლუციურად სტაბილური სტრატეგია შეიძლება იყოს, ხოლო ევოლუციის შედეგი საპირისპირო იქნება.

მდედრი მზრუნველობას მაშინ იჩენს, როდესაც მდედრის *ESS*, მამრის მოქმედების მიუხედავად, დაცვაა ანუ  $nS_2 > VS_i$  და  $nS_i > VS_\theta$  მამრი მანამდე გარბის, ვიდრე მდედრი მზრუნველობას იჩენს და  $S(I+P) > S_j(I+p)$ . ამ უტოლობების გარდაქმნის შემდეგ მდედრისთვის  $S_2/S_i$  და  $S_2/S_\theta$  პირობებს, ხოლო მამრისთვის  $S_i/S_\theta < (I+P)/(I+p)$  პირობას მივიღებთ. მდედრის სარგებელი შთამომავლობაზე ზრუნვისას უფრო მეტი უნდა იყოს, ვიდრე კვერცხების მიტოვების ან მამრისთვის დატოვების შემთხვევაში. მამრისთვის უკეთესი გაქცევაა, როდესაც მისი მეწყვილე შთამომავლობას უვლის. მამრის მიერ გამოჩენილი მზრუნველობისთვის საჭირო პირობები საწინააღმდეგოა.

ფრინველებში  $S_2/S_\theta$  ფარდობა ყოველთვის დიდია და ორივე მშობელი კვერცხს არც ერთ სახეობაში არ ტოვებს, თუმცა დიდფეხების ახლად გამოჩეკილი ნინილები მშობლიურ მზრუნველობას სრულიად მოკლებულნი არიან. მდედრის მიერ გამოჩენილი მზრუნველობა საკმაოდ გავრცელებულია და ეს მდგომარეობა განურჩევლად დაწყვილების სისტემის მქონე სახეობებში გვაქს, თუმცა მამრის მხრიდან გამოჩენილი მზრუნველობა ნანდუებში, ევკალაპტის ფრინველებში და *polyandrous shorebirds*-ებში გვხვდება, სადაც მდედრი კვერცხს დებს, შემდეგ მათ პირველი მეწყვილე უვლის, ხოლო ამასობაში მდედრი მეორედ დებს კვერცხს, რომლებსაც მეორე მეწყვილე ანაყოფიერებს. მდედრის მხრიდან გამოჩენილი მზრუნველობა იმით არის გამოწვეული, რომ  $(I+P)/(I+p) > V/n$ : თუ შთამომავლობას ორივე სქესი გაურბის, მამრები დამატებით

### ცხრილი 33-4

განაყოფიერების ადგილსა და მშობლიურ მზრუნველობას  
შორის დამოკიდებულება თევზებსა და ამფიბიებში

განაყოფიერება	მზრუნველობას იჩენს			
	ორივე მშობელი	მამრი	მდედრი	არც ერთი
თევზები				
გარეგანი	8	28	6	191
შინაგანი	0	2	10	
ამფიბიები				
გარეგანი	0	14	8	10
შინაგანი	0	2	11	0

მეწყვილეებს უფრო სწრაფად პოულობენ, ვიდრე მდედრები კვერცხის დადებას ასწრებენ.

პირობებში, როდესაც ორივე მშობლის ნასვლა ESS-ია, რომელი მშობლის ნასვლა განაყოფიერებასა და კვერცხისდებას შორის დამოკიდებულებაზეა დამოკიდებული (დოკინსი და კარლაილი 1976, რიდლი 1978). თუ განაყოფიერება შინაგანია, მამრი კვერცხის დადებამდე წყვილდება და მას თავისუფლად შეუძლია მდედრი მიატოვოს. თუ განაყოფიერება გარეგანია, თავდაპირველად კვერცხი იდება, ხოლო შემდეგ მამრი მათ ანაყოფიერებს. სმიტმა (1978a) ბრედერის და როდერის მიერ შეგროვებული მონაცემები გაანალიზა და დასკვნა, რომ გარეგან განაყოფიერებასა და მხოლოდ მამრის მზრუნველობას შორის თევზებსა და ამფიბიებში მჭიდრო დამოკიდებულება არსებობს (ცხრილი 33.4).

მამრის მზრუნველობასთან დაკავშირებული ბოლო საკითხი მამობაა (ტრივერსი 1972). თუ განაყოფიერება გარეგანია და კვერცხი მამრის მიერ მომზადებულ და დაცულ ბუდეში იდება, მამრს შეუძლია, დარწმუნებული იყოს, რომ შთამომავლობა მისია და მზრუნველობა საკუთარი გენების გადარჩენას შეუწობს ხელს. თუ განაყოფიერება შინაგანია და მდედრები პოპულაციაში ხშირად წყვილდებიან, მამრებს არ შეუძლიათ, დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ რომელიმე მდედრის მიერ დადებული კვერცხები გაანაყოფიერეს, თუ რა თქმა უნდა, მამრი მდედრს მთელ რეცეპტიულ პერიოდში არ დაჯარობს (იხ. მაგალითად, ბარტონი 1985).

### 33.9. აოაულაციები შეიძლება შეიცავდნენ ერთი სქესის ინდივიდების, რომელთაც სხვადასხვა რეპროდუქციული სტრატეგიის აქვთ

განურჩევლად დაწყვილების სისტემის მქონე თევზებში მამრები ტერიტორიებს იცავენ, მდედრებს

მიიზიდავენ და ანაყოფიერებენ. მამრები კვერცხზე გამოჩეკვამდე ზრუნავენ. განაყოფიერებელი კვერცხი მუდმივი ზრუნვისა და დაცვის გარეშე იღუპება. ასეთი სახეობის თევზის ტრანსიტური მაგალითია *bluegill sunfish* (*Lepomis macrochirus*) (გროსი და ჩარნოვი 1980). მამრები კარგად განაყოფიერების ადგილებისთვის კონკურენციაში შედიან და ამიტომ, ისინი, სულ მცირე, 7 წლამდე არ მწიფდებიან, რათა დიდი ზომის გახდნენ და კონკურენციაში გაიმარჯვეონ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე მამრი განსხვავებულ ტაქტიკას ირჩევს, 2 წლის ასაკში სქესობრივად მწიფდება და პატარა ზომისაა. ასეთი მამრი ტერიტორიის მბრძანებელი თევზის მიერ მიზიდულ მდედრს ეპარება და ისე მრავლდება. ამგვარი მამრები რეპროდუქციული პარაზიტები არიან და მათი შთამომავლობის გადარჩენა ტერიტორიის მბრძანებელი მამრების მზრუნველობაზეა დამოკიდებული. მამრის მიერ ტერიტორიის დაპყრობა ან პარაზიტად ქცევა, სავარაუდოდ, გენეტიკაშია ჩადებული.

*Bluegill sunfish*-ის დაწყვილების სისტემა შერეული რეპროდუქციული სტრატეგიის კარგი მაგალითია, რა დროსაც პოპულაციაში ორი ან მეტი ფენოტიპი სტაბილურად ნარჩუნდება, ვინაიდან თითოეული მათგანის ვარგისიანობა იშვიათობისას უფრო მაღალია. შთამომავლობაში მდედრებზე და მამრებზე მოქმედი, სიხშირეზე დამოკიდებული სელექცია სქესთა 1:1 შეფარდებას ინარჩუნებს. *Bluegill sunfish* სახეობაში, მიპარვით დაწყვილების შესაძლებლობა შეზღუდულია, ვინაიდან ტერიტორიის მფლობელები ფხიზლად არიან და რაც უფრო მეტი პარაზიტი შედის ერთმანეთთან კონკურენციაში, მით უფრო ნაკლებია რეპროდუქციული ნარმატება.

ბევრი განურჩევლად დაწყვილებადი ფრინველი, ასევე ბაყაყების დაწყვილების სისტემას საერთო დაწყვილების არეალების არსებობა ახასიათებს. ამგვარ არეალებს *lek*-ები ენოდება, მათზე მამრები იკრიბებიან და ცდილობენ მდედრები მიზიდონ (კლატონ-ბრო-



(ა)



(ბ)

**სურ. 33.9.** ა) ორი მამრი ბასრეუდიანი როჭო სამხრეთ მიჩიგანის საერთო დაწყვილების ტერიტორიაზე (*lek*-ზე). ბ) მდედრს, მამრთან შედარბით ნაკლებად ბასრი ფრთხები აქვს




კი და სხვები 1988, ორინგი 1982, უელსი 1977, ტორნპილი და ელკოკი 1983, დევისი 1991; სურ. 33.9). *lek*-ების გაჩენის მიზეზი ის არის, რომ რამდენიმე მამრი უფრო დიდი რაოდენობით მდედრს მიიზიდავს.

სახლის მტრედების ინგლისური სახელი (*'The Ruff'*) მამრის კისერზე შემოხვეული წაგრძელებული ბუმბულების საყელოდან გამომდინარებს, ხოლო მისი მეცნიერული სახელი *lek*-ებზე მამრებს შორის ინტენსიური კონკურენციის შედეგია. დაწყვილების ამგვარი სისტემა ჭაობის ფრინველებში, რომელთაც სახლის მტრედიც მიეკუთვნება, არ გვხვდება, ხოლო მისი გარჩევა მამრების შეხედულებასა და მოქმედებაში პოლიმორფიზმით ხდება (ჰოგან-ვარბურგი 1966, ვაიდემ და ოუენსი 1995). შევდეთში მობინადრე სახლის მტრედებზე დაკვირვებამ აჩვენა (ვაიდემ და ოუენსი 1995), რომ დაწყვილების სიხშირე *lek*-ის ზომასთან ერთად იზრდება, ვიდრე *lek*-ის საშუალო ზომა ხუთი მამრია (სურ. 33.10ა). კოპულაციის მაქსიმალური ტემპი საათში დაახლოებით სამია. დაწყვილების უმეტესობა უმაღლესი რანგის მამრის მიერ ხორციელდება. როდესაც *lek*-ი ხუთზე მეტ მამრს შეი-

ცავს, მეორე და მესამე რანგის მამრები დაწყვილებებში უფრო მეტ მონაწილეობას იღებენ, ხოლო უმაღლესი რანგის მამრები უკანა პლანზე გადადიან (სურ. 33.10ბ). დაბალი რანგის მამრები ძალიან ცუდად იკვებებიან და მაშინ რატომ შედიან ისინი *lek*-ებში? რა თქმა უნდა, ჩვენ სახლის მტრედების მსგავსად ვერ ვიაზროვნებთ, თუმცა შეგვიძლია დავაკვირდეთ, რომ *lek*-ებში მოხვედრილი მამრები ფრთების ტყლაშუნით, ხტუნაობით და სხვა ასეთი მოქმედებებით სხვა მამრებს იზიდავენ. როდესაც *lek*-ში ოთხი ან ხუთი მამრი შედის, მაღალი რანგის მამრები აღარ იზიდავენ სხვებს. დაბალი რანგის ფრთები გავსებულ *lek*-ში შესვლას ცდილობენ, რათა მეწყვილეები დროდადრო მიიტაცონ და სხვა მამრებს შემოსვლას მაშინაც სთხოვენ, როდესაც *lek*-ში უკვე შედის 5-ზე მეტი მამრი (სურ. 33.10გ).

### 33.10. მცენარეების დომინირებს პარტ-ცორთა სამი სისტემა

ყვავილოვანი მცენარეების სახეობების თითქმის 1/3 ჰერმაფროდიტია ანუ მცენარეს მდედრობითი და მამ-



სურ. 33.10. მამრის დაწყვილების ნარმატებზე და სახლის მტრედების მოპატიუებაზე *lek*-ის ზომის ზეგავლენა. ა) კოპულაციის ტემპი მანამდე იზრდება, ვიდრე *lek* დაახლოებით 5 მამრისან შედგება. ბ) ტემპის ზრდა მაღალი რანგის მამრებს ხელს აძლევთ, ხოლო მეორებარისხოვანი მამრები სარგებელს მაშინ ნახულობენ, როდესაც *lek*-ში ხუთზე მეტი ინდივიდი შედას. გ) მაღალი რანგის მამრები სხვა მამრების *lek*-ში მოზიდავს ცდილობენ, როდესაც *lek*-ი პატარაა, ხოლო მეორებარისხოვანი მამრები მოპატიუებას შემდეგაც განაგრძობენ.

რობითი სქესობრივი ფუნქციები ერთდროულად გააჩნია. ამ სახეობების უმეტესობა თვითგანაყოფიერებისაგან თავს სხვადასხვა მექანიზმით იცავს და შედეგად სრულად აუთკროსირებული პოპულაცია მიღება. თუ ცხოველების პოპულაციების ტერმინებში ვიტყვით, ამგვარი მცენარეები განურჩევლად დაწყვილების სტრატეგიას მიმართავს. სინამდვილეში, მცენარეები მათი მტვრის მოხვედრის ადგილს ან მტვრის მიღების წყაროს ნაკლებად აკონტროლებს. თვითშეთავსება-დობა და ნათესაური დაწყვილება ისეთ გავრცელების არეალებში უმჯობესია, სადაც დამტკერავები იშვიათად გვხვდებიან. დაწყვილების იგივე სტრატეგია ისეთ სახეობებშიც გამოდგება, რომლებიც შორეულ ტერიტორიებს კარგად ითვისებენ. ხშირად ახალ ტერიტორიას მხოლოდ ერთი კოლონიზაციონი ინდივიდი იკავებს, ამიტომ ახალი პოპულაციის გაჩენის ერთად-ერთი საშუალება თვითდაწყვილებაა. მცენარეების სახეობების 1/4-ს დაწყვილების სხვადასხვა სისტემები გააჩნია. ყველაზე უფრო გავრცელებული სისტემებია გინოდიოფიცია, როდესაც პოპულაციებში მდედრი და ჰერმაფროდიტი ინდივიდები ერთდროულად შედიან და ორსახლიანობა, როდესაც პოპულაცია მდედრი და მამრი ინდივიდებისგან შედგება.

რაიმე დაწყვილების სისტემისთვის უპირატესობის მიმნიჭებელი ეკოლოგიური პირობები კარგად შესწავლილი არ არის (ბარეტი და ჰარდერი 1996). მეცნიერები რამდენიმე შესაძლო ფაქტორს ვარაუდობენ და მათ შორისაა მდედრი და მამრი ინდივიდების სპეციალიზაცია სხვადასხვა ეკოლოგიურ ფუნქციებზე, ასევე მამრობითი და მდედრობითი ფუნქციების ხელის შეშლა. ორსახლიან სახეობებში სქესების ეკოლოგიური სეგრეგაცია ნაკლებად ჩანს, ამიტომ პირველ ჰიპოთეზას ემპირიული საფუძველი არ გააჩნია. მდედრობითი და მამრობითი სქესობრივი ფუნქციები ერთმანეთს ხელს ხშირად უშლის. მაგალითად, ქარით დამტკერილი სახეობები მტვრის დიდ რაოდენობას ქმნის, ვინაიდან ცხოველი დამტკერავებისგან განსხვავებით, მათი მტკერი ალალბედზე განიბნევა. მტკერის დიდი რაოდენობის ნარმოქმნა ჰერმაფროდიტი ყვავილების მდედრობით ნაწილებში დაბინძურებას იწვევს, რაც სხვა ინდივიდებისგან მოტანილი მცირე რაოდენობით მტკერის ნარმატებას ამცირებს. ალბათ სწორედ ამიტომ, ქარით დამტკერილ სახეობებში ორსახლიანობა ყველაზე უფრო გავრცელებულია.


მცენარეებს მამრობითი ფუნქცია მდედრობით ფუნქციაზე ენერგიისა და საკვები ნივთიერებების განაწილების გამო შეიძლება აკლდეს. მამრობითი ფუნქცია დამამტკერების მიზიდვაზეა დამოკიდებული, ამიტომ, ყვავილების გამოტანა უფრო მეტ რესურსს საჭიროებს, ვიდრე ნაყოფის მოსხმა. მდედრობითი ფუნქცია უფრო მკაცრად არის ლიმიტირებული თესლისა და ნაყოფის ნარმოქმნისთვის აუცილებელი რესურსების ხელმისაწვდომობის შედეგად. ორსახლიანობა აუთკროსინგის გარანტიას იძლევა, მაგრამ თვითდაწყვილების თავიდან აცილებისთვის ბევრი

სხვა მექანიზმიც არსებობს და ამიტომ, ეს ფაქტორი ორსახლიანობის ევოლუციაზე პასუხისმგებელი არ არის (ბარეტი და ჰარდერი 1996).

### 33.11. ელეფრაპისტვის არჩევანის ნაკლებობაზე გამოიწვიოს „კორიციების“ გარეშე კოპულაცია

სქესობრივი გადარჩევა არის მდგომარეობა, როდესაც ერთი სქესი, ჩვეულებრივ მდედრი მეორე სქესის თვისებების ვარგისანობას დაწყვილების არჩევანის საშუალებით განსაზღვრავს (ჰარვეი და არნოლდი 1982, პერტიჯი და ჰოლიდე 1984, ბრედბერი და ანდერსონი 1987, მეინარდ სმიტი 1991, ანდერსონი 1994). სქესობრივი სელექციის შედეგია ძლიერი სქესობრივი დიმორფიზმი ანუ ერთი და იგივე სახეობის მამრი და მდედრი ინდივიდების ფენოტიპებს შორის სხვაობა, რაც მორთულობაში, შეფერილობაში და არშიყის მეთოდებში გამოიხატება. სქესთა განცალკევება სქესობრივი ორგანოების გარდა სხვა თვისებებითაც ხდება და მათ მეორადი სქესობრივი მახასიათებლები ეწოდება (სქესობრივი სელექციის თეორიის ეს და სხვა ასპექტები მეინარდ სმიტისა (1991) და ანდერსონის (1994) კვლევებში კარგად არის განხილული).

ჩარლზ დარვინმა ნაშრომში ადამიანის ნარმობობა და სქესთან დაკავშირებული სელექცია (1871) განაცხადა, რომ სქესობრივი დიმორფიზმი მხოლოდ ერთ სქესაზე მომხდარი სელექციით შეიძლება აიხსნას. სქესობრივი დიმორფიზმი სამი მიზეზით შეიძლე-



**სურ. 33.11.** ჯვარედინა ობობა *Argiope argentata*-ს ზომის სქესობრივი დიმორფიზმი. მამრი მდედრზე ბევრად პატარაა. სურათზე გამოსახულია ქსელის ცენტრზე უძრავად მჯდომარე მდედრი ობობა.



**სურ. 33.12.** ცხენ-ირემს უზარმაზარი რქები აქვს, რომელთა საშუალებით სხვა მამრებს უჯიბრებიან და მდედრების პარემებზე კონტროლს ანესებენ

ბა გაჩნდეს. პირველი მიზეზი ის არის, რომ მდედრების და მამრების განსხვავებული სქესობრივი ფუნქციები მათი სასიცოცხლო ციკლის ევოლუციის და ეკოლოგიური კავშირების განსხვავებულობაზე მიუთითებს. მაგალითად, მდედრები დიდ გამეტებს წარმოშობენ, ამიტომ ნაყოფიერება ხშირად სხეულის ზომაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდანარე, მდედრები ბევრ სახეობაში უფრო დიდი ზომის არიან (სურ. 33.11). გარდა ამისა, მდედრებმა კვერცხისდებისთვის დამატებითი საკვები ნივთიერებები უნდა მოიპოვონ და კვერცხის თუ ნამატის მოვლაც მათ მოვალეობაში შედის. მდედრებს განსხვავებული მოვალეობები აქვთ და შესაბამისად გარემოსაც მამრებისგან განსხვავებულად იყენებენ. მდედრებმა დაბუდების ადგილიც უნდა იპოვონ, ამიტომ ისინი სხვადასხვა გავრცელების არეალებში შედიან.


სქესობრივი დიმორფიზმის მეორე მიზეზი მამრებს შორის კონკურენციაა, რაც ბრძოლისთვის საჭირო იარაღების, მაგალითად ირმის და თოვლის ცხვრის რქების განვითარებას იწვევს (სურ. 33.12). კონკურენციაში გამარჯვებული მამრები მდედრების მოპოვებას ახერხებენ. ერთი და იგივე სქესის ინდივიდების კონკურენციაზე დაფუძნებულ სელექციას შიდასქესობრივი ენოდება.

სქესობრივი დიმორფიზმის მესამე მიზეზი საპირისპირო სქესის ინდივიდების არჩევანი შეიძლება გახდეს. არჩევანს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, მდედრები აკეთებენ, ხოლო მამრები არშიყის საშუალებით მათ არჩევანზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ. მდედრები ირჩევენ, ხოლო მამრები დაწყვილებისთვის კონკურენციაში შედიან და ამის მიზეზი მდედრის და მამრის პირობების განმსაზღვრელი მშობლიური წვლილის ასიმეტრია (ბეიტმენი 1948, ტრივერსი 1972). მამრების ნაყოფიერება მეწყვილების რაოდენობისადმი პირდაპირპროპორციულია, ხოლო მდედრების შთამომავლობის რაოდენობა კვერცხის

რაოდენობით არის შეზღუდული, თუმცა შთამომავლობის ხარისხის გაუმჯობესება უკეთესი გენოტიპის მქონე მამრებთან დაწყვილებით შეიძლება. როდესაც ერთი სქესი მეორე სქესის ინდივიდებს შეხედულებისა და მოქმედების მიხედვით არჩევს, სქესთაშორისი სელექცია ხდება.

### მდედრის არჩევანი

მამრების უმეტესობა მდედრის არჩევანს გარკვეულ ეტაპზე განიცდის. მდედრის არჩევანის დემონსტრირება მამრი გრძელებულა -ების (*Euplectes progne*) კუდის სიგრძის ექსპერიმენტული კვლევის შედეგად მოხერხდა (ანდერსონი 1982). *widowbird* პოლიგამიური სახეობაა და ცენტრალური აფრიკის მინდვრებში ბინადრობს. მდედრი დაახლოებით ბეღურის ზომისაა, მოკლე კუდი აქვს და ყავისფრად არის დაწინწკლული. გამრავლების სეზონში მამრები შავი ფერის არიან,




**სურ. 33.13.** მამრი გრძელებულა -ების (*Euplectes progne*) რეპროდუქციული ნარმატება ხელოვნურად ნაგრძელებული და დამოკიდებული კუდების პირობებში.

მხრებზე ნითელი კოპლები და თითქმის ნახევარი მეტრი სიგრძის კუდი აქვთ, რომლის დემონსტრირებას საარშიყო ფრენების დროს ახდენენ. მამრებს დაახლოებით ექვსი მდედრის მიზიდვა შეუძლიათ, თუმცა ისინი შთამომავლობაზე არ ზრუნავენ. მამრის რეპროდუქციული წარმატება მკვეთრად ივლება და სქესობრივი სელექციის კლასიკური შემთხვევა გვაქვს. ანდერსონმა მარტივი, მაგრამ ძალიან ელეგანტური ექსპერიმენტი ჩაატარა, კერძოდ მამრებს კუდის ბუმბულები მოაჭრა, კუდი დაუმოკლა და შემდეგ ეს ბუმბულები სხვა მამრებს მიაკრა. ალმოჩნდა, რომ მამრის მიერ ტერიტორიის შენარჩუნების უნარზე კუდის სიგრძე ზეგავლენას არ ახდენს, მაგრამ გრძელი კუდის მქონე მამრები უფრო დიდი რაოდენობით მენცყილეს მიიზიდავენ (სურ. 33.13). მაშასადამე, მდედრები მეწყვილეს კუდის სიგრძის მიხედვით არჩევენ.

შემდგომმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მდედრები მეწყვილებს მამრებს შორის შესამჩნევი სხვაობის საფუძველზე არჩევენ. სქესობრივი სელექციის კვლევა დაახლოებით 2000 სახეობაში ჩატარდა (ანდერსონი 1994). მიუხედავად ამისა, მამრის თვისებებთან და მდედრის გემოვნებასთან დაკავშირებული ბევრი პასუხაუცემელი კითხვა არსებობს. რომელი ჩნდება პირველად, მამრის თვისებები თუ მდედრის არჩევანი? როგორ უკავშირდება მამრის მორთულობა ვარგი-სიანობის ატრიბუტებს? რატომ არ იტყუბიან დაბალი ხარისხის მამრები და რატომ არ იღებენ სხვაგვარ შეხედულებას?

### მდედრის არჩევანის საფუძველი

მდედრის არჩევანის საფუძველის შესახებ ორი ძირითადი ჰქონითება არსებობს. ერთი ჰქონითების მიხედვით, მდედრის არჩევანი მამრის თვისებების ევოლუციას იწვევს, ხოლო მეორე ჰქონითების თანახმად, არჩევანი მამრის ხარისხის ცვლილების მიხედვით კეთდება. პირველ ჰქონითება გრძნობის გამოყენების ჰქონითება ენოდება და მასში დაშვებულია, რომ მდედრები სენსორულ სისტემაციის ინფორმაციის იღებენ




**სურ. 33.14.** მამრი მწვანე მახვილოსნის (*Xiphophorus helleri*) სურათი. თევზის კუდის ქვედა ნაწილი ძალიან ნაგრძელებულია


და ამუშავებენ, ხოლო შემდეგ გარკვეულ თვისებას ან მოქმედებას ანიჭებენ უპირატესობას (რაიანი 1990, რაიანი და კედი-ჰექტორი 1992). ცხოველთა ორმა ჯგუფმა ამ ჰქონითების სისწორე დაადასტურა.

მახვილოსნი *Xiphophorus*-ის გვარის პატარა თევზია, მამრის კუდის ქვედა ნაწილი ძალიან ნაგრძელებულია. დამტკიცებულია, რომ მდედრი მახვილოსნები უპირატესობას გრძელი კუდის მქონე მამრებს ანიჭებენ (სურ. 33.14). გარდა ამისა, მახვილოსნების მონათესავე მდედრი თევზები გრძელი კუდის არქონის პირობებში ექსპერიმენტულად გამოყვანილ მამრებს ანიჭებენ უპირატესობას, რომელთაც ხმლისმაგვარი კუდები აქვთ (რაიანი და ვაგნერი 1987, ბასოლო 1990ა,ბ). აქედან გამომდინარე, მდედრების სიყვარული გრძელი კუდისადმი მათ წინაპრებშიც არსებობდა და მამრებს კუდის დამაგრძელებელი გენეტიკური ფაქტორები აქვთ. *swordtail*-ების ნათესავებში გრძელი კუდის არარსებობა თვისების საწინააღმდეგო სელექციური ფაქტორებით, მაგალითად მტაცებლებით ან კუდის სიგრძის გენეტიკური ცვალებადობის არარსებობით შეიძლება აიხსნას. რატომ მოწონთ მდედრ *swordtail*-ები გრძელი კუდი გაუებარია.

გრძნობის გამოყენების ჰქონითებას სახეობათა კიდევ ერთი ჯგუფი, კერძოდ *Physalaemus*-ის გვარის ტროპიკული ბაყაყები ამყარებენ, სადაც მამრები მდედრებთან არშიყისთვის ვოკალს ხმარობენ. სქესობრივი გადარჩევის კვლევისას ამ ბაყაყებს ხშირად იყენებენ (რაიანი 1980, 1985, რაიანი და სხვები 1982, 1990, გრინი 1990, კირკაპატრიკი და რაიანი 1991). ბაყაყებზე ექსპერიმენტი წარმატებულად ტარდება, ვინაიდან საარშიყო ძახილი ბგერის სინთეზატორების საშუალებით გამოიცემა და მდედრები ხმის გამომცემი მამრებისკენ ხტუნავენ. მეცნიერებს მდედრების ნერვული მგრძნობელობის გამოთვლა სხვადასხვა სიხშირეების ბგერების საშუალებითაც შეუძლიათ.



**სურ. 33.15.** *Physalaemus* გვარის ბაყაყების ოთხ სახეობას შორის ჰქონითებური ფილოგენერული კატეგორიების კლადოგრამა. *P. coloradorum* და *P. pustulatus* სახეობის მამრები მხოლოდ ჩივილის ხმას გამოსცემენ, ხოლო *P. petersi* და *P. pustulosus saxeobis* მამრები როგორც ჩივილის, ასევე ძახილის ხმას გამოსცემენ. ოთხივე სახეობის მდედრები ძახილის ხმას ანიჭებენ უპირატესობას. შავი ძელი ძახილის ხმის ნარმოშობას ასახავს. კლადოგრამამის მიხედვით, ძახილის ხმის აღმოჩენი გრძნობა ხმის გაჩენამდე არსებობდა.



მამრი ძირითადად ჩივილის ხმას და მიზიდვის ხმას გა-  
მოსცემს. ექსპერიმენტების შედეგად დადგინდა, რომ  
მდედრი ბაყაყები მიზიდვის ხმას ამჯობინებენ, რომ-  
ლის ბგერის სიხშირე მაქსიმალურ სმენადობასთან  
უფრო ახლოსაა. მამასადამე, ამ სახეობის ბაყაყებში  
ღრმა ხმის მქონე ბაყაყების სელექცია ხდება. უფრო  
მეტიც, სხვა *Physalaemus* სახეობის მდედრებს, სადაც  
მამრები მიზიდვის ხმას არ გამოსცემენ, მათი სახე-  
ობის მამრების ძახილს სხვა სახეობის მიზიდვის ხმა  
ურჩევნიათ.

როგორ ყალიბდება ბაყაყების გემოვნება? ამ შეკითხვაზე ერთ-ერთი სავარაუდო პასუხი 33.15 სუ-  
რათზეა ნაჩვენები, რომელიც *Physalaemus*-ის ოთხ  
სახეობას (*P. coloradorum*, *P. pustulatus*, *P. petersi*,  
*P. pustulosus*) შორის ჰიპოთეტურ ევოლუციურ კავ-  
შირებს ასახავს. ოთხივე სახეობის მდედრებს მიზიდ-  
ვის ხმა ურჩევნიათ, თუმცა ასეთ ხმას მხოლოდ *peter-  
si*-ის და *pustulosus*-ის სახეობის მამრები გამოსცემენ.  
ეს ნიშნავს, რომ ამ ორ სახეობას საერთო წინაპარი  
ჰყავს. თუ ოთხ სახეობას შორის ფილოგენური კავ-  
შირი კლადოგრამაზე ნაჩვენების ანალოგიურია, მაშინ  
ოთხივე სახეობის წინაპარი მიზიდვის ხმას გრძნობდა  
(კირკპატრიკი და რაიანი 1991). ასევე შესაძლებელია  
ოთხივე სახეობის წინაპარი მიზიდვის ხმას გრძნობ-  
და და იყენებდა, ხოლო თანამედროვე მდგომარეობა  
*coloradorum* და *pustulatus* შტოებში მიზიდვის ხმის  
დაკარგვის შედეგად გვაქვს (გარდნერი 1990). ეს მაგ-  
ალითო ორგანიზმებში ფილოგენური კავშირების მნიშ-  
ვნელობაზე აშკარად მიუთითებს.

მეორე ჰიპოთეზის თანახმად, სელესობრივი გა-  
დარჩევის მიზეზი ის არის, რომ მდედრის გემოვნება  
მამრი გენოტიპების სარისხის ალქმად ცვალებადობა-  
ზეა დამოკიდებული ანუ მდედრები მათი შთამომავ-  
ლობისთვის უფრო მაღალი ვარგისიანობის მიმნიჭებ-  
ელ მამრებზე აკეთებენ არჩევანს. მდედრის გემოვნება  
ვითარდება, ვინაიდან საუკეთესო არჩევანის გამკეთე-  
ბელი მდედრები ყველაზე უფრო დიდი რაოდენობის

**სურ. 33.16.** მენტვილის არჩევა პარაზ-  
იტის მიხედვით. მდედრის სამი არჩევანი აქვს.  
მოკლეუდიანი მამრი უარყოფილია, ვინაიდან  
მისი პარაზიტები არ ჩანან. მდედრი გრძელუ-  
დიან, მაგრამ პარაზიტებით დაზიანებულ  
მამრსაც უარყოფის და კარგად შენახულ,  
გრძელუდიან მამრს ირჩევს.

შთამომავლობას ტოვებენ. მდედრის გემოვნებაზე  
ზეგავლენის მქონე ნებისმიერი გენეტიკური თვისება  
ძლიერ სელექციას განიცდის.

### მამრების მეორადი სელესობრივი თვისებები

მდედრის გემოვნება გრძნობის ან მამრის ხარისხის  
ცვლილების შედეგად ყალიბდება, თუმცა მდედრის  
არჩევანი მამრებს შორის ვარგისიანობის სხვაობას  
ზრდის და სწრაფ სქესობრივ სელექციას იწვევს. რ.  
ა. ფიშერმა (1930) სწრაფი სელექციის შედეგად მამ-  
რის მორთულობის ევოლუცია პირველმა განმარტა.  
ფიშერის მოდელის ლოგიკურად პროგრესირებადი  
ელემენტებია: 1) მამრების ვარგისიანობასთან დაკა-  
ვშირებული თვისებების ცვლილება ზოგიერთ ინდი-  
ვიდს უფრო სასურველ მენტვილედ ხდის; 2) მდედრე-  
ბი, რომელიც აღიქვამენ ამ განსხვავებას და მამრებს  
შესაბამისად ირჩევენ, უფრო მაღალი ვარგისიანობით  
გამოირჩევან; 3) მდედრის მიერ მამრის თვისების  
არჩევის შედეგად მამრის გამოძახილი მუდმივია და  
თვისება იხვენება. ამ მოვლენის კარგი მაგალითია  
სამოთხის ჩიტების არშიყი. ფიშერის მოდელში მდ-  
ედრის არჩევანი და მამრის სელესობრივად სელექცი-  
ური თვისებები ადაპტაციურ ცვლილებებად მიიჩნევა.  
გარდა ამისა, მოდელის „სისწრავე“ მხოლოდ მაშინ  
მიიღწევა, როდესაც მდედრის არჩევანი მამრების შე-  
დარებაზეა დამყარებული და არა რაიმე იდეალზე. ამ  
უკანასკნელ შემთხვევაში სელექცია შეწყდება, ვი-  
ნაიდან მამრი ადაპტაციის შედეგად იდეალური გახ-  
დება. პირველ შემთხვევაში, სხვაზე უკეთესი მამრი  
ყოველთვის ჩნდება და ხელოვნური სელექციის პრო-  
გრამების მსგავსად, ცხოველები დაწყვილებას გა-  
ნაგრძობენ და პოპულაცია სელექციას ხარკს უზდის,  
რათა არსებობა განაგრძოს.

თუ მდედრის არჩევანში გრძნობაა უმთავრესი,  
მაშინ მამრის სელესობრივად სელექციური თვისებებს

მამრის ხარისხთან პირდაპირი კავშირი შეიძლება არ ჰქონდეთ. „ხარისხი“ მხოლოდ მდედრის გემოვნებაზეა დამოკიდებული. როდესაც სელექციური თვისებები, სულ მცირე, სწრაფი სელექციის დაწყებამდე მამრის ხარისხს ასახავს, პარადოქსულ მოვლენას ვაწყდებით. ასეთი უცნაური თვისებები, მაგალითად მამრი *widow-bird*-ის გრძელი კუდი, ცხოველს ამძიმებს, ვინაიდან მტაცებლები მის მოძებნას უფრო იოლად ახერხებენ და გარდა ამისა, გრძელ კუდს უფრო მეტი ენერგია და რესურსი სჭირდება. ასახავს ეს თვისება მამრის ხარისხს?

ზაჟავის (1975, 1977, 1987, 1991) აზრით, მამრის მეორადი სქესობრივი მახასიათებლები დაბრკოლებაა. თუ ამგვარი დაბრკოლების მატარებელი მამრი გადარჩენას ახერხებს, მდედრი თვლის, რომ მას ძლიერი გენოტიპი აქვს. ასეთ მოსაზრებას დაბრკოლების პრინციპი ენოდება და საკმაოდ არაორდინალურად გამოიყურება, მაგრამ დაფიქრდით, თუ თქვენ ძალის

დემონსტრირება გსურთ, დიდ წონას დაიჭერთ, ხოლო სუსტი ინდივიდი ამას ვერ მოახერხებს. აქედან გამომდინარე, რაც უფრო მეტია დაბრკოლება, მით უფრო ძლიერია ინდივიდი და ამ ღირსებას გენების საშუალებით შთამომავლობასაც გადასცემს. ევროპული მგალობელი ფრინველი *wheatear* ძალის დემონსტრირებას პირდაპირ ახდენს და ბუდეს ნისკარტით მოტანილი 2 კგ-იანი ქვებით რთავს.

მამრების ერთ-ერთი ღირსება თვალშისაცემი ბუმბულებია, რაც ნიშნავს, რომ ის პარაზიტებისა და დაავადების გამომწვევი სხვა ორგანიზმებისადმი გამძლეა (ჰემილტონი და ზაკი 1982). პარაზიტების ინფექციის საწინააღმდეგო გენეტიკური ფაქტორების მქონე ინდივიდებს ამგვარი ბუმბულები აქვთ. მაშასადამე, მამრებს მაღალი ვარგისიანობის საჩვენებლად თავისთავად დაბრკოლების გამჩენი თვისებები აქვთ (სურ. 33.16). პარაზიტები საკმაოდ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებენ, ვინაიდან სწრაფად ვითარდებიან და გენეტიკური წინააღმდეგობის ფაქტორების მუდმივ სელექციას იწვევენ.

ჰემილტონ-ზაკის ჰიპოთეზა და მისი შემდგომი სახესხვაობები პარაზიტებით გამოწვეული სქესობრივი სელექციიდან გამომდინარეობს (რიდი 1990, ეტკინ-სონი 1991, კლეიტონი და სხვები 1992, ფოლსტედი და კარტერი 1992, ანდერსონი 1994). ჰიპოთეზის ძირითადი დაშვებების თანახმად, პარაზიტები მასპინძლის ვარგისიანობას ამცირებენ და მამრის შეხეძულებას ცვლიან, პარაზიტებისადმი გამძლეობა მეტვიდრეობითია და მდედრები ნაკლებად პარაზიტირებულ მამრებს ირჩევენ. ამ დაშვებების მართებულობა ექსპერიმენტებისა და საველე კვლევების შედეგად დამტკიცებულია. მაგალითად, ბუმბულის ტილი ბუმბულს და მის წვერებს ჭამს (სურ. 33.17). მდედრ ველურ ნაცარა მტრედებს სუფთა მამრები დატილიანებულებს ურჩევნიათ. გარდა ამისა, ძალიან დაავადმყოფებულ მამრებს ცივ ამინდში ნივთიერებათა უკეთესი ცვლა სჭირდებათ, ვინაიდან მათი ბუმბულის ხარისხი ცუდია და ნაკლებს იწონიან (კლეიტონი 1990).




**სურ. 33.17.** ა) მასპინძლის ბუმბულზე მოთავსებული ტილის მოკროსკოპული სურათი. ტილი დაახლოებით 1მმ სიგრძისაა და ზურგიდან არის ნაჩვენები. ბ) საშუალოდ (ცენტრზე) და მძიმედ (მარჯვნივ) დაზიანებული მუცელის ბუმბული. ნორმალური ბუმბული სურათის მარცხენა მხარეზეა გამოსახული.

### 33.12. არჩევანის სიმცირე ეორნისებაგარება და ცენტრალური ინვესტიციების ინვესტიციების დაგენერაცია

მამბისის განსაზღვრისთვის ჩატარებული გენეტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ ბევრი სახეობის მდედრი ფრინველი მათთან არაიდენტიფიცირებულ მამრებთან წვილდება (ბირკედა და მიოლერი 1992, კემპენაერსი და სხვები 1992, გრევისი და სხვები 1993, ლუბიუნი და სხვები 1993, ჰილი და სხვები 1994, ვეზარპედი და სხვები 1994, ფრიმენ-გალანტი 1996). ზოგიერთი სახეობის შთამომავლობის თითქმის ერთი მესამედი ქორნინებაგარებები დაწყვილების ანუ *EPC*-ს საშუალებით არის ჩასახული. *EPC*-ების უმცესობაში მიმდებარე ტერიტორიაზე მობინადრე მამრები შედიან, რაც ბუნებრივ ბოპულაციებში შემგუებლობისა და ღალატის არსებობაზე მიუთითებს. მეზობლად მობინადრე მამრების

ვარგისიანობა ასეთი სტრატეგიის არჩევის შედეგად მნიშვნელოვნად და მცირე დანაკარგით იზრდება, ხოლო მდედრისთვის ასეთი მოქმედების საფასური დიდი შეიძლება აღმოჩნდეს (ვეზარპედი და სხვები 1994). *EPC*-ს საფრთხე მუდმივად არსებობს და ამიტომ მეწყვილის დაცვის სტრატეგიას ნაყოფიერების პერიოდში მყოფი მამრების უმეტესობა ირჩევს. გარდა ამისა, მამობრივი მზრუნველობა მამობის საეჭვოობის ზრდასთან ერთად იკლებს და ხშირმა *EPC*-მ მონოგამური დაწყვილების სისტემის რღვევა შეიძლება გამოიწვიოს.

თუ მდედრები მამრებს ყურადღებით არჩევენ, მაშინ რა იწვევს ქორნინებაგარეშე დაწყვილებას? ამ შეკითხვის პასუხი მამრის ხარისხის ცვალებადობაში და მამრის ხელმისაწვდომობაში უნდა ვეძიოთ (მილერი 1992). მდედრები თავისუფალ არჩევანს ხშირად ვერ აკეთებენ. მაგალითად, მონოგამურ ცხოველებში მამრები თამაშიდან გადიან, როგორც კი რომელიმე მდედრთან დაწყვილდებან. მაღალი ხარისხის მამრები მაღალ ხელმისაწვდომობი აღარ არიან და მხოლოდ ნაკლებად სასურველი მამრები რჩებიან. მდედრებს, რომელთაც მხოლოდ არასასურველი მამრები დარჩათ, ურჩევნიათ ქორნინებაგარეშე დაწყვილდნენ შედარებით სასურველ, თუმცა უკვე დაწყვილებულ მამრებთან. ამ ვარაუდის სისწორე *zebra finches* (*Taeniopygia guttata*) ქორნინებაგარეშე დაწყვილებზე დაკვირვებამ დაადასტურა (ბირკედი და სხვები 1990, ჰაუტმენი 1992). როდესაც დაწყვილებული მდედრები ქორნინებაგარეშე დაწყვილებისას არჩევანს მათ მეწ-



**სურ. 33.18.** დაწყვილებული მდედრი *zebra finches* (*Taeniopygia guttata*) (სვეტების მწვანე ნაწილები) ქორნინებაგარეშე დაწყვილებების რაოდგნობის მამრების მიმზიდველობასთან (სიმღერის ხარისხთან) დამოკიდებულება. *A(+)* რანგი ინშავს, რომ ახალი მამრი მდედრის მეწყვილებზე უფრო მიმზიდველია. მდედრები ქორნინებაგარეშე მხოლოდ უფრო მიმზიდველ მამრებთან წყვილდებიან.

ყვილეზე უკეთესი ან უარესი ხარისხის მამრებს შორის აკეთებენ, ისინი მაღალი ხარისხის მამრებს ირჩევენ (სურ. 33.18).

ქორნინებაგარეშე დაწყვილების უპირატესობა ის არის, რომ მდედრისა სპერმის მიღებადაშთამომავლობის დატოვება უფრო სასურველი მამრისგან შეუძლია, ვიდრე მისი მეწყვილეა. ეს მდგომარეობა მამრებს შორის კონკურენციას ანუ სპერმის კონკურენციას ასახავს, როდესაც მამრები ცდილობენ, საკუთარი სპერმით გაანაყოფიერონ მდედრის კვერცხები. სპერმის კონკურენცია უხერხემლო ცხოველებშიც არსებობს.

## დასკვნა

**1.** მცენარეების და ცხოველების უმეტესობა სქესობრივად მრავლდება. სქესობრივი ფუნქცია ორგანიზმის ადაპტაციაზე ზეგავლენას ახდენს.

**2.** სქესობრივი გამრავლება გენეტიკურ რეკომბინაციას იწვევს ანუ შთამომავლობა გენეტიკურად განსხვავებულია. შთამომავლობის გენეტიკური ცვლილება ცვლად გარემოში სასარგებლო შეიძლება იყოს. უსქესო გამრავლება მშობლისადმი გენეტიკურად იდენტური შთამომავლობის გარენას იწვევს.

**3.** მამრობითი და მდედრობითი სქესობრივი ფუნქციების განცალკევება მცენარეებში იშვიათი, ხოლო ცხოველებში გავრცელებულია. სქესთა განცალკევება სასარგებლოა, როდესაც სქესობრივი ფუნქციის ფიქსირებული ღირებულება მაღალია და ფუნქციები მეტად კონკურენციაშია. ჰერმაფროდიტიმი არის მდგომარეობა, როდესაც ერთ ინდივიდს ორივე სქესობრივი ფუნქცია აქვს. ჰერმაფროდიტიმი სასარგებლოა, როდესაც ჰერმაფროდიტიმი მამრობითი და მდედრობითი სქესობრივი ფუნქციების წვლილი ვარგისიანობაში ცალკეული სქესების წვლილზე მეტია.

**4.** პოლულაციაში სქესთა ოპტიმალური შეფარდება მამრობითი და მდედრობითი ფუნქციების მიერ ვარგისიანობაში შეტანილ წვლილს აბალანსებს. უშვიათი სქესი უფრო

სასარგებლოა, ამიტომ სიხშირეზე დამოკიდებული სელექცია სქესთა შეფარდების გათანაბრებას იწვევს. სქესთა შეფარდებაზე ზეგავლენას მდედრების და მამრების გაჩენის სარგებელის და ღირებულების დიფერენციალი, სიკვდილანობის დიფერენციალი და მდედრი მშობლის მდგომარეობის ცვლილება ახდენს.

**5.** მდედრები შთამომავლობის სქესთა შეფარდებას საკუთარი მდგომარეობის მიხედვით ცვლიან. დაკვირვებამ და ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ მდედრებისთვის კონკურენციისა მდედრები მაშინ ჩნდებიან, როდესაც მშობელი კარგ მდგომარეობაშია.

**6.** ზოგიერთ პარაზიტულ კრაზანებში მამრები დაწყვილებისთვის საკუთარ ძმებთან შედიან კონკურენციაში და ამ მდგომარეობას დაწყვილებაზე ადგილობრივი კონკურენციისა ეწოდება. სქესთა შეფარდება მდედრებისეკუნ გადაიხრება.

**7.** რესურსისთვის კონკურენცია სქესთა შეფარდებას მარებისეკუნ გადახრის

**8.** დაწყვილების სისტემა შეიძლება იყოს მონოგმიური (ერთ მდედრს და ერთ მამრს მორის), პოლიგამური (ინდივიდზე ერთზე მეტი მდედრი) და განურჩეველი (დაწყვილება დიდხანსა არ გრძელდება).

**9.** პოლიგამია მაშინ გვხვდება, როდესაც ერთი სქესის ინ-დივიდი სქესთაშორისი კონკურენციის შედეგად რესურსების ან მეწყვილების მონოპოლიზებას ახდენს. პოლიგამია ფრინველებში არაერთგვაროვან გავრცელების არეალებში, მაგალითად მინდვრებსა და ჭაობებში გვხვდება, სადაც დაწყვილების ადგილის ხარისხი მკვეთრად იცვლება. ზოგიერთი მდედრი უფრო მეტ ვარგისიანობას იძენს, როდესაც ტერიტორიის მფლობელ, უკვე დაწყვილებულ მამრთან წყვილდება.

**10.** დაწყვილების სისტემის კონფიგურაცია მდედრის და მამრის მშობლიური წვლილის რაოდენობაზეა დამოკიდებული. მშობლიური წვლილის ESS მოდელი გვიჩვენებს პირობებს, როდესაც შთამომავლობაზე ორივე მშობელი, ერთი მშობელი ან არც ერთი მათგანი არ ზრუნვას. როდესაც ორივე მშობელს შეუძლია მზრუნველობა, მაგრამ სასურველია ორივე მათგანმა იზრუნოს, მზრუნველი მშობლის სქესი განაყოფიერების თვისებაზეა დამოკიდებული. თუ განაყოფიერება შინაგანია, მაშინ მდედრი დადებულ კვერცხთან რჩება, ხოლო როდესაც განაყოფიერება გარეგანია, განაყოფიერებულ კვერცხთან მამრი რჩება.

**11.** რამდენიმე სახეობის ერთი სქესის, ჩვეულებრივ მამრი ინდივიდები მეწყვილეების მოპოვების განსხვავებულ

სტრატეგიას არჩევენ. სტრატეგიებს შორისაა გაპნევა ან ადგილზე დარჩენა, ტერიტორიის დაუფლება და ა.შ. საერთო დაწყვილების ტერიტორიებს *lek*-ები ეწოდება და ამგვარი ტერიტორიების არსებობა განურჩევლად დაწყვილებულ ფრინველებს და სხვა ცხოველებს ახასიათებთ. *lek*-ებზე ხშირად სხვასხვა სახით მოარშიყე მამრები ბინადრობენ.

**12.** მცენარეებში დაწყვილების სამი სისტემა დომინანტური. ყვავილოვანი მცენარეების უმეტესობა ჰერმაფროდიტია. გინოდიოეცია არის მდგომარეობა, როდესაც პოპულაციაში მდედრი და ჰერმაფროდიტი ინდივიდები შედიან. ორსახლიანობა არის მდგომარეობა, როდესაც პოპულაციაში მდედრი და მამრი ინდივიდები ცალ-ცალკე შედიან.

**13.** როდესაც მამრები მეწყვილისთვის კონკურენციაში შედიან, მდედრებს მათ შორის არჩევანის გაკეთება შეუძლიათ. შედეგად მამრის თვისებების სქესობრივი სელექცია ხდება და ეს თვისებები მამრის ვარგისიანობას ასახავს. თვისებები „დაბრკოლებები“ შეიძლება იყოს, რომლის ტარება მხოლოდ უფრო ვარგისიან მამრებს შეუძლიათ. მდედრის გემოვნება უცნაური თვისებების „სწრაფი“ სელექციის შედეგა. ეს თვისებები მამრებს მხოლოდ მდედრების მიზიდვისთვის სჭირდებათ.

## სავარჯიშოები

**1.** არსებობს თუ არა ადამიანის სქესობრივი მოქმედების ისეთი ასპექტები, რომლის ახსნა მდედრების და მამრების განსხვავებული ევოლუციური მოთხოვნებით შეიძლება?

**2.** *lek* არის საერთო დაწყვილების ტერიტორია, სადაც მამრი გროვდებიან და მდედრების მიზიდვას ცდილობენ. არის

თუ არა თქვენს ქალაქში ისეთი ადგილები, რომლებიც *lek*-ს გვანან?

**3.** დაამტკიცეთ, რომ *lek*-მდებარებები მობილური ერთეულების მიტოვებაა.  $S_0=S_1=S_2=0,2$ ,  $V=20$ ,  $P=0,6$ ,  $p=0,4$ .

## თავი 34



### ეცოლულია და სოციალური ქცევა

#### გზამკვლევი პითხვები

- რა კავშირია ტერიტორიულ და დომინანტურ იერარქიებს შორის?
- რას ნიშნავს რიტუალიზირებული ქცევა და რა მნიშვნელობა აქვს მას სოციალურ ურთიერთქმედებაში?
- რა სარგებელი და საფასური აქვს ჯოგურ მოქმედებას?
- რა არის ინფორმაციის ცენტრი?
- სოციალური ურთიერთქმედების რა ოთხი სახეობა არსებობს?
- რა არის ოჯახური სელექცია და როგორ არის ის დამოკიდებული დამოკიდებულების კოეფიციენტსა და ერთობლივ გარგისიანობაზე?
- რა სარგებელი და საფასური აქვს ალტრუისტულ მოქმედებას?
- რას გვაუწყებს ქორი-მტრედის მოდელი საერთო მოქმედების ევოლუციაზე?
- რა არის ურთიერთალტრუიზმი და რა არის საჭირო მისი განვითარებისთვის?
- რა კონკურენტული ევოლუციური ინტერესები აქვთ მშობელსა და შთამომავლობას და როგორ ბალანსდება ინტერესები?
- მნერთა რა ტიპის სოციალური სისტემები არსებობს?
- როგორ ხდება ჭიანჭველების თანასაზოგადოებების ორგანიზება?

**Y**ოველი ინდივიდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იგივე სახეობის სხვა ინდივიდებთან, კერძოდ მერყვილებებთან, შთამომავლობასთან, ნათესავებთან და სხვებთან ურთიერთქმედებს. ინდივიდმა ურთიერთქმედებისას სხვა ინდივიდის მოქმედება უნდა აღიქვას და შესაბამისი რეაქცია გამოავლინოს. ერთი და იგივე სახეობაში მომხდარ ურთიერთქმედებებში თანამშრომლობის და კონკურენციის, ალტრუიზმის და ეგოიზმის გამოვლინებები ბალანსდება. ახლო ნათესავები ხელს ერთმანეთს უფრო უნყობენ, ვინაიდან მათ საერთო გენეტიკური ფაქტორები აქვთ. 34-ე თავში სოციალურ და ოჯახურ ჯგუფებში შემავალ ინდივიდებს შორის ურთიერთქმედების შედეგებს განვიხილავთ და ამ კავშირების დამყარების სხვადასხვა მეთოდებს შევისწავლით.

ადამიანი ყველაზე უფრო სოციალური ცხოველია.

ჩვენს საზოგადოებებში განსაზღვრული ფუნქციები და ურთიერთდამოკიდებულება თანამშრომლობის აუცილებლობას აჩენს. ადამიანები კონკურენციაშიც შედიან და ხშირად ეს ბოროტებამდე მიდის. ჩვენს სოციალურ ცხოვრებაში ურთიერთდახმარების და კონფლიქტის ტენდენციები ერთმანეთს აბალანსებს. ზოგიერთი ცხოველის პოპულაციას ადამიანის საზოგადოების მსგავსი სირთულე ახასიათებს. სოციალური მნერები, მაგალითად ჭიანჭველები, ფუტკრები, კრაზანები და ტერმიტები ფუნქციებს ინანილებენ და სკასა თუ ბუდები ინტეგრირებული არიან. სოციალური ურთიერთქმედება, მათ შორის ფუნქციის განსაზღვრა და ალტრუიზმი, სხვა ცხოველებშიც, განსაკუთრებით ძუძუმწოვრებსა და ფრიველებში, განსაკუთრებით ძუძუმწოვრებსა და ფრიველებში, გვხვდება.

### 34.1. თერიტორიულობა და დომინაციონული ინდიკატორი უზრუნველყოფის სო-ციალური ინდიკატორის მრგანიზებას პოკულაციებს შორის

სოციალური ქცევა პოპულაციაში შემავალი ინდიკატორის ყველა სახის ურთიერთქმედებას მოიცავს, დაწყებული თანამშრომლობიდან დამთავრებული ანტაგონიზმით. ზოგჯერ სოციალური ქცევის საშუალებით პოპულაციებში და სოციალურ ჯგუფებში მომხდარი კონკურენციის ორგანიზება და რიტუალიზება ხდება. მაგალითად, სრული კონფლიქტი წყდება, როდესაც მამრების სოციალურ რანგში ან მეწყვილეებთან დაშვების მიხედვით განლაგება ხდება. ტერიტორიის დაცვა და დომინანტური იერარქიების დამყარება კონფლიქტს ასევე ხელს უშლის.

#### ტერიტორიულობა

სხვა არსებების შემოჭრისგან დაცულ არეალს ტერიტორია ეწოდება. ტერიტორია შეიძლება იყოს გარდამავალი ან მეტ-ნაკლებად მუდმივი, რაც რესურსების სტაბილურობაზე და ინდივიდის მოთხოვნილებებზეა დამოკიდებული. ტერიტორიულობა ყველაზე უფრო ნათლად ფრინველებში გვხვდება, რომლებიც ერთი წლის ან განაყოფიერების სეზონის განმავლობაში ტერიტორიებს იცავენ. მიგრაციული სახეობები ტერიტორიებს დაწყვილებისას და ზამთრის სეზონშიც იცავებენ. *shorebird*-ები ხანგრძლივი მიგრაციის განმავლობაში ზოგჯერ ჩერდებიან და კვების ტერიტორიებს რამდენიმე საათის ან დღის განმავლობაში იცავენ. კოლაბრები ცალკეულ ყვავილოვან ბუჩქებს იცავენ და მათი ყვავილობის დასრულების შემდეგ სხვაგან ფრინდებიან. მამრი სახლის მტრედები და შოტლანდიური გნოლი საერთო *lek*-ის რამდენიმე კვადრატულ მეტრს იცავენ. ბევრი სახეობის მამრი კვერცხისდების პერიოდში მეწყვილეს თან დასდევს და სხვა მამრებისგან იცავს. ფრინველების გარდა სხვა ცხოველებიც იცავენ საკუთარ ტერიტორიებს სასიცოცხლო ციკლის სხვადასხვა პერიოდში. ამ ცხოველებს შორის არიან ძუძუმწოვრები, ხვლიკები, თევზები და მწერები. ზოგჯერ ტერიტორიას ერთი ინდივიდის ნაცვლად ინდივიდთა ჯგუფი იცავს. ამგვარი მოვლენის კარგი მაგალითია მგლების ხროვა (ვაიტი და სხვები 1996), ასევე ბევრი პრიმატული სახეობის მიერ შექმნილი ჯგუფები (გარბერი და სხვები 1993). ამ თვალსაზრისით ყურადღებას ლომებიც იქცევენ (გრინელი და სხვები 1995, ჰაინშონი და პეკერი 1995, პეკერი და სხვები 1990, ჰაინშონი და სხვები 1996).


ეკოლოგებს ტერიტორიულობის შესახებ ორი მთავარი კითხვა აქვთ: 1) როდის ანიჭებენ ცხოველები ტერიტორიულობას უპირატესობას და 2) რა განსაზღვრავს ტერიტორიის იპტიმალურ ზომას? ჩვენ ამ შეკითხვებზე პასუხების გაცემას შევეცდებით.

ინტუიცია გვკარნახობს, რომ ტერიტორიის მოპოვებასა და დაცვას ენერგია სჭირდება. ჩვენი ინტუიციის და ოპტიმალურობის მოდელის შესახებ მიღებული ცოდნის დახმარებით პირველი შეკითხვა ასე შეგვიძლია ჩამოგაყალიბოთ: როდის არის ტერიტორიის დაცვისგან მიღებული სარგებელი საფასურზე მეტი? ტერიტორიულობა მაშინ არის კარგი, როდესაც მას ეკონომიკური ღირებულება აქვს ანუ ტერიტორიის დაცვიდან მიღებული სარგებელი საფასურს აჭარბებს. ეს მოსაზრება პირველად ბრაუნმა (1964) გამოიტქვა.

ტერიტორიის ეკონომიკური ღირებულება დაცული რესურსის მრავალრიცხოვნობასთან, რესურსისთვის კონკურენციასთან და რესურსის სივრცეში განაწილებასთან არის დაკავშირებული. თუ რესურსი იშვიათი და ფართოდ გაბნეულია ან მისი მრავალრიცხოვნობა დროში იცვლება, მაშინ ინდივიდისთვის ტერიტორიის დაცვის ღირებულება მეტისმეტად დიდი შეიძლება აღმოჩნდეს. ასეთ დროს არატერიტორიულ ჯგუფებში არსებობა უკეთესია. რესურსი მეტისმეტად მრავალრიცხოვნიც შეიძლება იყოს, რაც მისი ნანილის დაცვას ენერგიის ფუჭ ფლანგვას გახდის. ზემოთ მოყვანილი ფაქტორების ურთიერთქმედების შედეგად ტერიტორიის იპტიმალური ზომა განისაზღვრება. კარპენტერის და სხვების (1983) აღმოჩნდით, ნითური კოლიბრები (*Selasphorus rufus*) მიგრაციის პერიოდში შესვენებისას ინდური *paintbrush*-ის (*Castilleja linariaefolia*) ტერიტორიებს იცავენ.

#### დომინანტურობის იერარქიები

ზოგჯერ ინდივიდების ტერიტორიაზე გაბნევა არაპრეტიცულია, ვინაიდან მაღალი სიმჭიდროვის პოპულაციის ზეწოლა, კრიტიკული რესურსების სიმცირე და დომინანტურობა ჯგუფებად ცხოვრებას უფრო სასარგებლოს ხდის. ინდივიდებს შორის მომხდარი



**სურ. 34.1.** ნითური კოლიბრის ნონის შეძენის ტემპი (გ. დღე<sup>-1</sup>) ხუთი დღის განმავლობაში. თითოეულ დღეს კოლიბრი სხვადასხვაზომის (სხვადასხვა რაოდენობის ყვავილის შემცველ) ტერიტორიის იკავებს. ნონის შეძენის ტემპი ყველაზე უფრო მეტი შუალედური ზომის ტერიტორიის პირობებში.


კონფლიქტი შეჯიბრის შემდეგ წყდება, თუმცა სო-ციალური რანგი გამარჯვებულის პრიზია. შეჯიბრების შედეგად დომინანტურობის იერარქია ანუ სო-ციალური სტატუსს მიხედვით დაღაგება ყალიბდება. მდედრი წითელი ირმები სწორედ ამგვარი პრინციპით ქმნიან ჰარემს. როდესაც ინდივიდები დომინანტურობის იერარქიაში განლაგდებიან, შემდგომ შეჯიბრში მაღალი რანგის ინდივიდები სწრაფად იმარჯვებენ. თუ სოციალური იერარქია წრფივია, ჯგუფის პირველი რანგის წევრი ყველა სხვაზე დომინირებს, მეორე რანგის წევრი მხოლოდ პირველ რანგს ჩამოუვარდება და ა.შ.

დომინანტურობის იერარქიები საკვებთან, მენ-ყვილებთან და საკვებისა თუ მეწყვილების შემცველ სივრცესთან დაშვების მეთოდების ორგანიზაციაა. ცხოველების ბევრ სახეობაში, ინდივიდის მიერ საუკეთესო საკვებ ადგილებში მოხვედრა დომინანტურობის იერარქიაში მის პოზიციაზეა დამოკიდებული (პიუზი 1992, გრენდი და გრანტი 1994, კაზერი და მუშინსი 1994, მიულერი და სხვები 1994, ნაკანო და ფურუკავა-ტანაკა 1994, ივასაკი 1995, ნაკანო 1995). მწერებში (ჩო 1994), ძუძუმწოვარ ცხოველებში (ტომპსონი 1993, ჰალე და სხვები 1994) და თევზებში (კოდრიკ-ბრაუნი 1993) მეწყვილების მოპოვება ან გამრავლების რაოდენობა სოციალურ რანგზეა დამოკიდებული. ზოგიერთ ჭიანჭველაში, მდედრების დომინანტურობის იერარქიები კვერცხის მდებ მდედრებს განსაზღვრავს (ორტიუსი და ჰაინც 1995). დომინანტურობის იერარქიები მხოლოდ სოციალურ ჯგუფებად მობინადრე ცხოველებში არ გვხვდება. მაგალითად, კილიანომ (1993) აჩვენა, რომ ჩვეულებრივ მარტო მობინადრე რვაფეხები (*Octopus bimaculoides*) შედარებით სტაბილურ დომინანტურობის იერარქიებს ქმნიან, როდესაც ბუნაგის ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. მოზრდილი რვაფეხები (რვაფეხის ზომა სველი წონით და საფარის სიგრძით იზომება) ყველაზე უფრო დომინანტურები არიან, მსუბუქ ან მოკლე ინდივებთან შეჯიბრში იმარჯვებენ და ბუნაგსაც მოიპოვებენ. დომინანტურობის იერარქიები, ერთი შეხედვით, ერთი და იგივე სახეობის პირველად ინდივიდებს მოიცავს, თუმცა ბუნებაში სახეობათა შორისი დომინანტურობის იერარქიებიც შეიძლება გაჩინდეს. მაგალითად, ნაკანომ და მისმა თანამშრომლებმა თეთრნინწყლებიანი კალმახის (*Salvelinus leu-*

*comaenesis*) და კალიფორნიული კალმახის (*Salvelinus malma*) სახეობათა შორის დომინანტურობის იერარქია აღმოაჩინეს. თევზის ამ ორ სახეობას კვების მსგავსი სტრატეგია აქვს (ნაკანო და ფურუკავა-ტანაკა 1994).

### ტერიტორიალურობას და დომინანტურობის იერარქიებს შორის კავშირი

ტერიტორიალურობა და დომინანტურობის იერარქიები ერთი და იგივე სოციალური ტენდენციის სხვადასხვა გამოხატულებაა. ყველაზე უფრო კარგად ეს მაშინ ჩანს, როდესაც მდგომარეობის შეცვლასთან ერთად ერთი პოპულაცია ტერიტორიალურ სისტემას ემხრობა და ადგილზეა მიჯაჭვული, ხოლო მაღალი სიმჭიდროვისას კვების არეალებს აფართოვებს (პაიუნენი 1966). ფინეთის ერთ-ერთ ტერიტორიაზე იშვიათ პოპულაციაში მობინადრე ჭრიჭინები 3-7-მდე მანძილით არიან დაშორებული, ხოლო მჭიდრო პოპულაციაში დაცილება საშუალოდ ნახევარი მეტრია. პაიუნენმა (1966) მარებს შორის ურთიერთქმედების ინტენსივობა ურთიერთქმედების არარსებობისას 1 მნიშვნელობიდან, საფრთხისა და დადენების სხვადასხვა ხარისხის შესაბამისი შუალედური მნიშვნელობების გავლით, ბრძოლის 5 მნიშვნელობამდე დაახარისხა. როდესაც ჭრიჭინები იშვიათები არიან, აგრესიული ურთიერთქმედების სიხშირე და ინტენსივობა მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან შედარებით დაბალია, ვინაიდან პირველ შემთვევაში ტერიტორიის დაცვა ხშირია. მჭიდრო პოპულაციებში მობინადრე ჭრიჭინები დასვენების ადგილებს ანუ ჩვეულებრივ მცენარეების ყლორტებს იშვიათად უბრუნდებიან. ისინი დიდ ტერიტორიებს მოიცავენ და იშვიათად ისვენებენ (სურ. 34.2). ტერიტორიის დაცვისა და ადგილთან მიჯაჭვულობის ხარისხი ჭრიჭინების სიმჭიდროვის ზრდასთან ერთად მცირდება. ტერიტორიალურობა მაშინაც გვხვდება, როდესაც რესურსების დაცვა უფრო ადგილი და სასარგებლოა. ანას კოლიბრები (*Calypte anna*) ხელოვნურ საკვებს უფრო აგრძისულად იცავენ, როდესაც ფრინველები დღიური ენერგიის პროპორციული რაოდენობა შაქრი-



სურ. 34.2. ჭრიჭინი *Leucorrhinia rubicunda* ფრენა ა) ადგილზე მიჯაჭვულობისას და ბ) სუსტად მიჯაჭვულობისას. დაკვირვება 1 და 13 ნუთის განმავლობაში ხორციელდება.


ან წყალში იზრდება (ევალდი და კარპენტერი 1978, ევალდი და ორიანსი 1983).

ინდივიდის მდებარეობა დომინანტურობის იერარქიაში ჯგუფში მისი სივრცითი მდებარეობით გამოიხატება. *wood pigeon*-ების გუნდებში ინდივიდები გარკვეული კანონზომიერებით არიან განლაგებულნი. დომინანტურობის იერარქიაში დაბალ საფეხურზე მდგომი ინდივიდები გუნდის პერიფერიებზე დაფრინავენ, სადაც მტაცებლებს მათი დაუფლების მეტი შანსი აქვთ. პერიფერიებზე მფრინავი ფრინველები ნერვიულები არიან, უმეტეს დროს აქეთ-იქით ყურებას ანდომებენ და ხშირად გამოუკვებავნი რჩებიან. გუნდის ცენტრში მფრინავი ფრინველები უფრო მშვიდები არიან და უკეთესად იკვებებიან, ვინაიდან მტაცებლის შეტევისგან უკეთესად არიან დაცულნი (მარტონი 1970).

### 34.2. სოციალური დომინანტობის კომუნიკაცია, როგორც ხესი, გარიფულებულია

სოციალურ რანგთან ან ტერიტორიის დაცვასთან დაკავშირებულ კონფლიქტებში რიტუალიზირებული მოქმედება გამოიხატება და კონფლიქტს ფიზიკური ბრძოლა იშვიათად ახლავს თან. ინდივიდები ამგვარი მოქმედების საშუალებით კონკურენციაში გამარჯვების მოპოვებას ცდილობენ და მათი ჩამოყალიბების მიზეზი კონფლიქტის სისხლისღვრის გარეშე გადაჭრაა. ზოგიერთი შეხედულება ან მოქმედება უფრო მაღალ სტატუსზე მიუთითებს. მაშინ რატომ არ მოქმედებენ ნაკლებად დომინანტური ინდივიდები უკეთესი ინდივიდების მსგავსად ანუ რატომ არ ატყუებენ სისტემას და პოპულაციის სხვა წევრებს? ამის მიზეზი ის არის, რომ შეჯიბრის მონანილები რიტუალიზირებული მოქმედებების წყალობით ერთ-მანეთს აფასებენ და ძნელად შედან შეცდომაში. სივერტ როვერმა (როვერი 1977, 1982, როვერი და როვერი 1978, როვერი და ევალდი 1981) ამ მოსაზრების სისწორე ჰარისის ბელურებზე (*Zonotrichia querula*) დაადასტურა.

ჰარისის ბელურები უფრო კარგად ნაცნობ თეთრყელიან და თეთრთთავიან ბელურებს გვანან, კანადის არქტიკაში მრავლდებიან და აშშ-ს ცენტრალურ ნანილში მცირე გუნდებად იზამთრებენ. გუნდებში არსებული სოციალური სტატუსი ყელსა და მკერდის ზედა ნანილში მუქი შეფერილობით განისაზღვრება (სურ. 34.3). უფრო ღია შეფერილობის ფრინველები მუქ ინდივიდებს გაურბიან და მუქი შეფერილობა სტატუსზე მიუთითებს. როვერმა ღია შეფერილობის ინდივიდები მუქად შედება და გუნდში შეუშვა. გუნდის სხვა წევრებმა ტყუილი სწრაფად შენიშნეს და გადაღებით ფრინველს დაუნდობლად გაუსწორდნენ. შემდეგ მეცნიერმა მუქი ფრინველები ღია ფერად გადაღება და ისე შეუშვა გუნდში. გადაღებილმა ფრინველებმა ბუქებრივად ღია ფერის მქონე ფრინველებს შეუტიეს,



**სურ. 34.3.** ყელის შეფერილობის ცვლილება ჰარისის ბელურებში. მუქი შეფერილობის მქონე ინდივიდები დომინანტურობის იერარქიაში უფრო მაღალ სტატუსს იძებენ.

რათა სტატუსი მიეღოთ. სისტემის მუშაობის მიზეზი ის არის, რომ შეფერილობა და აგრესია ერთმანეთს მიყვება და მატყუარები არ არსებობენ. როვერმა კიდევ ერთი ესპერიმენტი ჩაატარა და აგრესიულობის ამაღლებისთვის ღია შეფერილობის ფრინველებს ტესტოსტერონი შეუყვანა. მუქ ფერად გადაღებილმა ინდივიდებმა დომინანტურობის იერარქიაში ამაღლება განაგრძეს, ხოლო ღია შეფერილობის ფრინველებს მუქი ფერის ფრინველები დევნიდნენ და მიუხედავად აგრესიულობისა, მათი სტატუსი იგივე დარჩა. მოქმედებას და შეფერილობას ჰარისის დონეებთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური პირობები განსაზღვრავს.

როვერის ექსპერიმენტი საკმაოდ რთულ კითხვას ბადებს: თუ სოციალური სტატუსი მცირე ფიზიოლოგიური ღირებულების მქონე ჰარისის დონეზეა დამოკიდებული, რატომ არ არის პოპულაციის ყველა

წევრი მაქსიმალურად აგრესიული? თუ ბეღურის სოციალური რანგი ჰორმონსა და შეფერილობაზეა დამოკიდებული, რისი ნარმოქმნის საფასური ძალიან დაბალია, მაშინ რატომ არ აღწევს ყველა ინდივიდი მაღალ რანგს? მსგავსი ჩანერგილი ჰორმონები მონოგამურ მომღერალ ბეღურებს ორცოლიანებად გარდაქმნის (გინგილდი 1984), ხოლო არატერიტორიალურ როჭოს მინისმფლობელად აქვს (ვატსონი და პარი 1981). ამ ეტაპზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სტატუსი ასაკთან და გამოკდილებასთან არის დაკავშირებული ან რანგის ცვლილება ევოლუციურად სტაბილური სტრატეგიაა, რომელშიც დომინანტურობას თავისი საფასური აქვს და იერარქიის ყველა წევრის ვარგისიანობა თანაბარია.

ინდივიდის სტატუსი მის შესაძლებლობებს ნათლად ასახავს და ჩრდება კიდევ ერთი შეკითხვა: რატომ რჩებიან დაბალი რანგის ინდივიდები გუნდთან ერთად, როდესაც მათ საჭმელი და მეწყვილე აკლიათ და ამავე დროს მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან? ამ კითხვის პასუხი ის არის, რომ მარტონბას, ჯგუფში ყოფნა ყველა შემთხვევაში სჯობია, სადაც ასაკის მატებასთან ერთად რანგის ამაღლების შესაძლებლობა არსებობს. გუნდის ჩამოყალიბება და ზომა მათი წევრებისთვის არსებულ სარგებელს და საფასურს აბალანსებს. ინდივიდები სხვებთან კავშირს არ დაამყარებენ, თუ რაიმე სარგებელს არ მიღებენ.

ინდივიდებს შორის ბევრი კონფლიქტი ტერიტორიების და მეწყვილეების გამო ხდება. ტერიტორიის გამო ნარმოშობლი კონფლიქტისას, ერთ-ერთი ინდივიდი ტერიტორიას აკონტროლებს. თუ დაუპატივებელ სტუმარს ტერიტორიის მფლობელის შესაძლებლობის შეფასება შეუძლია, მაშინ ეს ინფორმაცია მას გადაწყვეტილების მიღებაში ეხმარება. ორგანიზმის მიერ ტერიტორიის ან რესურსის დაცვის უნარს რესურსის დაუფლების პოტენციალი (RHP) ენოდება. ინდივიდის RHP-ს სხეულის ზომა და რქების მაგვარი იარაღების არსებობა განსაზღვრავს. რესურსის ადრე ფლობა ინდივიდის RHP-ს ასევე აძლიერებს. ცხოველები კონკურენციაში დამარცხებას თავიდან აიცილებენ, თუ მათი ოპონენტის RHP-ს შეფასებას შეძლებენ (პარკერი 1974, მეინარდ სმიტი 1982).


### 34.3. ჯგუფურ ცხოვრებას აქვს თავისი დაზღიურით და უარყოფითი მხარეები

ცხოველები სხვადასხვა მიზეზების გამო გროვდებიან ერთად. მათ ზოგჯერ შესაფერისი გავრცელების არეალი ან რესურსი იზიდავთ და შემთხვევითი ფორმის გაერთიანება იქმნება, როგორც სვავები ეხვევიან გვამს. ასეთ ჯგუფებში შემავალი ინდივიდები ურთიერთქმედებენ და სივრცის, რესურსის თუ მეწყვილეების გამო კონკურენციაში შედიან. ზოგჯერ შთამომავლობა მშობლებთან რჩება და ოჯახური ჯგუფი იქმნება. ამგვარი გაერთიანების მიზეზი გავრცელების

შეუძლებლობაა. ნამდვილი სოციალური ჯგუფები ინდივიდების ურთიერთმიზიდულობის შედეგად იქმნება. ამგვარი მოქმედების ევოლუციური მოტივაცია ინდივიდის ვარგისიანობის ზრდაშია, რაც მტაცებლებისგან დაცვაში, უკეთეს კვებაში ან მეწყვილეების ხელმისაწვდომობაში გამოიხატება.

### სიფხიზლე

ჯგუფებში შემავალი ინდივიდები უფრო მეტ დროს ატარებენ ჭამაში, ხოლო მტაცებლებისგან თავის დაცვას ანუ სიფხიზლეს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. 34.4 სურათზე მოცემულია ევროპული კოპნიასთვის (*Carduelis carduelis*) მიღებული მონაცემები. კოპნიები მცენარეების თესლს ველებსა და მინდვრებში



**სურ. 34.4.** ევროპული კოპნიას (*Carduelis carduelis*) ვუნდის ზომის ზრდა უსაფრთხოების ზრდას ინვერს, ხოლო კვების ნაყოფიერებას ამცირებს. ა) აქეთ-იქით ყურების საშუალო ტემპი ჭამისას; ბ) მთელი გუნდის სიფხიზლის ტემპი; გ) თესლისგან ნაჭუჭის გაცლის დრო; დ) ერთი მცენარიდან მეორეზე გადასვლის დრო სხვადასხვა ზომის გუნდებისთვის

ჭამენ. ამ ფრინველები გუნდის ზომას ორი ფაქტორი აკონტროლებს. როდესაც გუნდის ზომა იზრდება, თითოეული ინდივიდი მტაცებლებისგან თავის დაცვაში ნაკლებ დროს ატარებს. თუ ფრინველთა კვების პროცესს დააკვირდებით, შენიშვნავთ, რომ ისინი დროდადრო თავს სწევენ და აქტო-იქით იყურებიან. მოზრდილ ჯგუფში შემცვალ ევროპულ კოპნიას ჭამისათვის მეტი დრო აქვს, ამიტომ ის უფრო დიდი რაოდენობით თესლის პოვნას და ჭამას ახერხებს, ხოლო მისი სიფხიზლე მაღალია (გლიუკი 1987). სიფხიზლის დროის შემცირების ხარჯზე მოზრდილი გუნდი უფრო სწრაფად ჭამს და დიდ ტერიტორიებზე გადაადგილდება, ხოლო მტაცებლობის რისკი იმატებს. მაშასადამე, ინდივიდი გუნდს მანამდე უნდა შეურთდეს, ვიდრე ის ძალიან დიდი ზომის გახდება. ეს მდგომარეობა *lek*-ის ოპტიმური ზომის პრობლემას მოგვაგონებს (იხ. თავი 33).

მეცნიერებმა მოსაზრება, რომლის თანახმად, ცხოველთა შეჯგუფების მიზეზი ბევრი თვალის უპირატესობაა, დეტალურად შეისწავლეს (ლიმა 1995, ლიმა და ზოლნერი 1996). მეცნიერთა დაშვებით, სისტემის მუშაობის მიზეზი ის არის, რომ ერთი ცხოველის მიერ საფრთხის აღქმა ჯგუფის სხვა ცხოველებსაც გადაეცემა და ამგვარ მოქმედებას ერთობლივი აღმოჩენა ენთდება. თითოეულმა ცხოველის სხვა ცხოველისთვის შექმნილი საფრთხე უნდა შეაფასოს, რათა საკუთარი მოქმედების შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს. თუ ინდივიდს ჯგუფში არსებობისგან სარგებლის მიღება სურს, მაშინ მან უნდა იცოდეს რა მონანილეობას იღებენ სხვები მტაცებლისგან თავის დაცვაში, რათა საკუთარი მოქმედება განსაზღვროს. *dark-eyed junco Junco hyemalis* და ამერიკულ ხის ბეღურა *Spizella arborea*-ზე ჩატარებულმა კვლევებმა ერთობლივი აღმოჩენის და ინდივიდუალური კონტროლის შესახებ არსებული მოსაზრებები მხოლოდ ნანილობრივ დაადასტურა. ლიმას (1995) აზრით, ჯგუფად არსებობის უპირატესობა რამდენიმე ინდივიდის მიერ მტაცებლის ერთდროულად აღმოჩენაა და არა ინდივიდებს შორის კომუნიკაცია.

### ინფორმაციის ცენტრები

ჯგუფად მობინადრე ინდივიდები საჭმლის მდებარეობის შესახებ ინფორმაციას სხვებისგან იგებენ, საჭმლის მოპოვებისას თანამშრომლობენ და გარემოს შესახებ ინფორმაციას ერთმანეთს ატყობინებენ. ვორდმა და ზაჟავიმ (1973) გამოთქვეს მოსაზრება, რომ დაწყვილების კოლონიები და სხვა ჯგუფური გაერთიანებები ინფორმაციის ცენტრებია ანუ მაგალითად, ინდივიდს საჭმლის მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება სხვა ინდივიდის მოქმედების დახმარებით შეუძლია. ცხოველებს ინფორმაციის მიღება და სწავლა სხვებისგან ნამდვილად შეუძლიათ (კლოპფერი 1959, ელკოკი 1969, მეისონი და რაიდნგერი 1981, ლანგენი 1996). როგორც დაკვირვებები (კრებსი 1974, პიჩერი

და სხვები 1982, ბრაუნი 1986, ჰაინრიხი და მარცლუფი 1995), ასევე ექსპერიმენტები (დე გროოტი 1980, გალეფი და ვიგმორი 1983, ტემპლტონი და გირალდ 1995) ცხადყოფს, რომ ინდივიდებს სხვების მოქმედების ანუ პუბლიკისთვის განკუთვნილი ინფორმაციის გამოყენება შეუძლიათ.

კოლონიებად მობინადრე ზოგიერთი ზღვის ფრინველი ტერიტორიის ხარისხის შესახებ ინფორმაციას მისი მეზობლის რეპროდუქციული წარმატებიდან იღებს. *Kittiwake* პატარა ზღვის ფრინველია, რომელიც თოლიას ენათესავება და კლდეებზე ბუდობს (სურ. 34.5). ტერიტორიის ხარისხი ტკიპების რაოდენობასთან ერთად იზრდება, ვინაიდან ტკიპები წინილებს დაავადებას გადასდებენ. თუ *kittiwake*-ების წყვილი ერთი წლის განმავლობაში ოჯახს წარმატებით ინახავს, მეორე წელს ის იგივე კლდეს უბრუნდება. თუ წყვილი წარუმატებელია, იგივე კლდეზე დაბრუნდების ან სხვაგან გაფრენის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება ძველ ადგილზე სხვა ინდივიდების ნარმატებაზეა დამოკიდებული. დანჩინი (1987) ფრინველების წყვილებს საფრანგეთში, ბრეტონის სანაპიროზე დააკვირდა, სადაც წყვილების დაბუდების ციკლი კვერცხისდების ეტაპზე წყდებოდა. როდესაც წყვილების გარშემო მობინადრე სხვა წყვილების წარუმატებლობა 25%-ზე ნაკლები იყო, თითქმის ყველა წყვილი ძველ ადგილზე დაბრუნდა, ხოლო 50%-იანი წარუმატებლობის პირობებში წყვილების 1/3 სხვაგან გაფრინდა. ინდივიდუალური წყვილის წარმატება ან წარუმატებლობა იღბალზეა დამოკიდებული, თუმცა ინდივიდებს მათ გარშემო მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვების შედეგად წარმატების ალბათობის გაზრდა შეუძლიათ.




**სურ. 34.5.** *black-legged kittiwake*-ები (*Rissa tridactyla*) კანადაში, ნიუფაუნდლენდის სანაპიროზე. ნინიღები შავი საყელურით არიან გამოყოფილი.

სოციალური ჯგუფები თანამშრომლური მოქმედების შესაძლებლობას ქმნის. ინდივიდების მოქმედებების შეთანხმება საერთო მიზნის მისაღწევად თანამშრომლობა (პაკერი და რუტანი 1988). სწორედ ასე იქცევიან მამრი *musk oxen*-ები ჯოგის დაცვისთვის. იგივეს აკეთებენ მკვლელი ვეშაპები და სხვა ძუძუმწოვარი ცხოველები (მეჩი 1970, კრუუე 1972, შალერი 1972), ასევე ზოგიერთი ფრინველი (ბედნარცი 1988). წყლის ფრინველთა შეთანხმებული მოქმედება კვებას აადგილებს (ბარტოლომეუ 1942, ემლენი და ამბროსი 1970). თანამშრომლობა საყოველთაო მოვლენა არ არის, თუმცა მისი არსებობა უფრო ინდივიდებს შორის თანამშრომლობას ახალისებს, ვიდრე მათ შორის კონკურენციის ორგანიზებას ახდენს ანუ ინდივიდის მოქმედება ჯგუფზე დამოკიდებული ხდება და ჯგუფებად ბინადრობა ინდივიდის დამახასიათებელი მოქმედებაა. ადამიანი ყველაზე სახეობაზე უფრო სოციალურია, ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენ ცხოველთა საზოგადოებების ევოლუციის და ორგანიზაციის შესწავლას დიდ დროს უფრო მობთ.

#### **34.4. სოციალური ინტერაქციები, ეპო-ლუციური მოდიფიკაცია აგალანებას სოციალური ეცევის ხარჯებას და მოგეპას**

ერთმანეთის ალმოჩენის გარდა, ყველა სოციალური ურთიერთქმედება ერთი ინდივიდის მოქმედებების მიმდევრობად შეგვიძლია დაყყოთ. სხვისკენ ანუ მიმღებისკენ მიმართული მოქმედებების მიმდევრობას დონორი ეწოდება. ერთი ინდივიდი საჭმელს პოულობს, ხოლო მეორე იღებს, ერთი ინდივიდი იმუქრება, ხოლო მეორეს ემუქრებიან და ა.შ. როდესაც ერთი ინდივიდი მეორეს უტევს, შეტევი მოქმედების დონორად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ხოლო შეტევის ობიექტი მიმღებია და მისი პასუხი შეტევაზე შეიძლება იყოს ადგილზე დგომა ან გაფრენა. ორივე შემთხვევაში, ეს ინდივიდი მოქმედების დონორი ხდება. დონორის და მიმღების განსხვავება საკმაოდ სასარგებლოა, ვინაიდან თითოეულ მოქმედებას დონორის და მიმღების რეპროდუქციულ წარმატებაზე ზეგავლენას მოხდენა შეუძლია. რეპროდუქციულ წარმატებაზე ან ვარგისიანობაზე მოხდენილი ზეგავლენა ურთიერთქმედების მიხედვით შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი.

სოციალური ურთიერთქმედება ოთხ კატეგორიად იყოფა და ამისთვის დონორის და მიმღების სარგებლის და საფასურის ოთხი კომბინაცია გამოიყენება (სურ. 34.6). თანამშრომლობა და ეგოიზმი მოქმედების დონორისთვის სასარგებლოა და ამიტომ ხშირად ხდება. არაკეთილმოსურნეობა დონორის და მიმღების ვარგისიანობას ამცირებს, ამიტომ ბუნებრივი გადარჩევა მას უპირატესობას არასდროს ანიჭებს და ბუნებრივ პოპულაციებში არ გვხვდება. მოქმედების მეორე სახეობა ალტრუიზმია. ალტრუიზმი მიმღებს სარგებლს დონორის ხარჯზე აძლევს და საკმაოდ



**სურ. 34.6.** სოციალური მოქმედების ოთხი ტიპი. ტიპების კლასიფიკაცია დონორების და მიმღებების ვარგისიანობაზე მოხდენილი ზეგავლენის მიხედვით ხდება.

რთული პრობლემაა, ვინაიდან მისთვის ინდივიდის სარგებლიანობის შემამცირებელი მოქმედებების ევოლუცია საჭირო. ეგოისტური მოქმედება ალტრუიზმი გამორიცხავს, ვინაიდან დონორის რეპროდუქციულ წარმატებას ზრდის. მიუხედავად ამისა, ალტრუიზმი ცხოველების რამდენიმე ჯგუფში გვხვდება. მაგალითად, სოციალური მნერების კოლონიებში შემავალი მუშები გამრავლებაზე უარს ამბობენ და საკუთარი მშობლის ანუ დედის შთამომავლობაზე ზრუნავენ. იგივე მდგომარეობა სოროში მობინადრე ბრუციას (*Heterocephalus glaber*) შემთხვევაში გვაქვს. არარეპროდუქციული ინდივიდები ბუდეს და ერთი მდედრის შთამომავლობას უვლიან. ადამიანებს ალტრუისტული მოქმედება შეუძლიათ და ჩვენი საზოგადოებაც სწორედ ამაზეა აგებული.

#### **34.5. ჯგუფური გადარჩევის, ნათესაური გადარჩევის და რეციპროკული ალტრუიზმის საშუალებით არის ასენილი ალტრიუსტული ეცევის ნარმობობა**

ალტრუიზმი ევოლუციურ პრობლემას ქმნის. დარვინის ცდებოდა, რომ სოციალური მნერების კოლონიებში მობინადრე არარეპროდუქციული ინდივიდები ბუნებრივი გადარჩევის მიერ გამოწვეული ევოლუციის მისეულ წარმოდგენას ეჭქვეშ აყენებდა. მნერების ამგვარ ინდივიდებს ერთი განმასხვავებელი თვისება აქვთ, გამრავლებაზე უარს ამბობენ და საკუთარ თავს კოლონიის ნაყოფიერებას უძღვნიან. დარვინმა წინააღმდეგობა იმით ახსანა, რომ სელექცია ინდივიდების გარდა კოლონიებზეც ხდება. დარვინი მნერების კოლონიებს ოჯახურ ჯგუფებად მიიჩნევდა, რომელთა ვარგისიანობა სხვა კოლონიებთან კონკურენციის შედეგად იზომება. სტერილური ინდივიდების ადაპტაცია და ზოგადად მათი არსებობის სელექცია კოლონიის პროდუქტიულობაში შეტანილი წვლილის მიხედვით ხდება.

ჯგუფთაშორისი სელექციის ცნება პირველად მწერების საზოგადოებრისთვის გამოიყენეს, ხოლო შემდეგ ეს ცნება ფართოდ გავრცელდა და მისი საშუალებით ცხოველთა ყველა ჯგუფში არსებული სოციალური მოქმედების ევოლუცია იხსნებოდა (რაიტი 1931, 1945). მრავალი წლის განმავლობაში ცნება მეტნაკლებად კრიტიკის გარეშე იყო მიღებული. 60-იანი წლების დასაწყისში, შოტლანდიელმა ზოოლოგმა ვ.ს. ვაინ-ედვარდსმა (1962, 1963) ჯგუფის სელექციის ცნება აქტიურად დაიცვა და სოციალურ მოქმედებებში მისი ყოვლისმომცველი შედეგების შესახებ განაცხადა, რამაც ევოლუციურ ეკოლოგებს არგუმენტის უფრო კრიტიკულად განხილვისკენ უბიძგა. ვაინ-ედვარდსის აზრით, ინდივიდები გამრავლებისგან თავს იკავებენ, რათა პოპულაციამ რესურსები არ ამონუროს. გამრავლებისგან თავშეკავება ალტრუისტული მოქმედებაა, რომელიც ეგოისტი ინდივიდებისკენ არის მიმართული. ეგოისტი ინდივიდები რესურსების მონოპოლიზაციას ახდენენ და საკუთარ ვარგისიანობას ზრდიან. ვაინ-ედვარდსის მოსაზრებით, ჯგუფების სელექცია ეგოისტი ინდივიდების სელექციაზე დომინირებს.

ვაინ-ედვარდსის მონიანალმდეგებმა ორი კონტრარგუმენტი წამოაყენეს. პირველის თანახმად, ჯგუფთაშორისი სელექციისთვის საჭირო სტრუქტურა მცირე რაოდენობის პოპულაციას აქვს და ამგვარი სელექციის არსებობის პირობებშიც, ის ინდივიდუალურ სელექციაზე უფრო სუსტია, ვინაიდან ჯგუფები პოპულაციებში უფრო ნელა ცვლის ერთმანეთს, ვიდრე ინდივიდები ჯგუფებში. 60-იანი წლების შუაგულში, ინდივიდუალურმა სელექციონერებმა დაგაში აშკარად გაიმარჯვეს (ლეკი 1966, ვილიამს 1966ა, ბ) და ჯგუფის სელექციის თეორია დღის სინათლიდან გაუჩინარდა. თუ ჯგუფის სელექცია არსებობს, მაშინ რითი ავსნით ალტრუისტულ მოქმედებას? ამ კითხვაზე ერთი სავარაუდო პასუხი ის არის, რომ ალტრუისტული მოქმედება არ არსებობს. შეკითხვას განსხვავებული პასუხი ჯონ მეინარდ სმიტმა (1964) და ვილიამ დ. ჰემილტონმა (1964) გასცეს და მას ნათესავების სელექცია უწოდეს.

#### **34.6. ნათესაურ გადარჩევას შეუძლია მიერაროს ალტრუისტულ ქადეგებას მონათესავი ინდივიდებს შორის**

სოციალური მწერების აშკარა ალტრუიზმის შედეგად მიღებული ევოლუციური დილემა გადაიჭრება, თუ გავიხსენებთ, რომ მწერების კოლონიები იჯახური ერთეულებია და მათში ძირითადად ერთი მდედრის (დედის) შთამომავლობა შედის. აქედან გამომდინარე, ჭიანჭველების კოლონიაში ან სკაში შემავალ ახლო ნათესავებს შორის ურთიერთქმედება ხდება. როდესაც ინდივიდი მოქმედებას და-ძმისკენ და სხვა ახლო ნათესავისკენ მიმართავს, ის საერთო გენეტიკური შემადგენლობის მქონე ინდივიდის რეპროდუქციულ

ნარმატებაზე უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს, ვიდრე პოპულაციაში შემავალ რამე სხვა ინდივიდზე. ახლო ნათესავებს შორის სოციალური ურთიერთქმედების შედეგი ნათესავების სელექციაა.


ახლო ნათესავებს საერთო წინაპრისგან ერთი და იგივე გენის ასლების მიღების ალბათობა აქვთ. რამე გენის ასლების ქონის ალბათობას წარმოშობის შედეგად მსგავსება ენოდება და მისი მნიშვნელობა ნათესავობის ხარისხთან ერთად იცვლება (ცხრილი 34.1.). მაგალითად, და-ძმას ერთი მშობლიდან ერთი და იგივე გენის ასლების მიღების 50%-იანი ალბათობა აქვს. იგივე ალბათობას ნათესაურობის კოეფიციენტიც ეწოდება. ბიძაშვილებს ბებიდან ან ბაბუიდან (უახლოესი საერთო წინაპრიდან) ერთი და იგივე გენის ასლების მიღების 0,125 ალბათობა აქვთ. ინდივიდსა და მის ერთ-ერთ მშობელს შორის ნათესაურობის კოეფიციენტია 0,5, ვინაიდან ინდივიდი გენს ერთი ან მეორე მშობლიდან იღებს. მშობელი მისი შთამომავლობის გენების ჩამოყალიბებაში 50%-იან მონაწილეობას იღებს, ამიტომ შეიღის მიერ გარკვეული გენის ქონის ალბათობა ასევე 0,5-ია. და-ძმას შორის გენეტიკური კავშირი 0,5-ია, ვინაიდან ერთი ინდივიდს გენი დედისგან ან მამისგან გადმოეცა და ამის ალბათობა ასევე 0,5-ია. ალბათობების სქემა 34.7 სურათზეა გამოსახული.

როდესაც ინდივიდი ახლო ნათესავის მიმართ მოქმედებს, ის არა მხოლოდ საკუთარ ვარგისიანობაზე ახდენს ზეგავლენას, არამედ მისი გენების რაღაც ნაწილის მქონე ინდივიდის ვარგისიანობაზეც. დავუშვათ, ალტრუისტული მოქმედება ერთი მშობლიდან მიღებული გენეტიკური ფაქტორით არის გამომვეული. როდესაც მოქმედება დისკენ ან ძმისკენ არის მიმართული, მოქმედების მიმღების მიერ იგივე გენის ქონის ალბათობა 50%-ია. აქედან გამომდინარე, პოპულაციაში რამე გენის არსებობა დონორის ვარგისიანობაზე და მიმღების ვარგისიანობაზე მოხდენილი ზეგავლენით განისაზღვრება.

#### **ცხრილი 34-1**

**ერთ ინდივიდსა და მის სხვადასხვა ნათესავებს შორის წარმოშობის შედეგად მსგავსების ალბათობები**

ნათესავი	წარმოშობის შედეგად მსგავსების ალბათობა
მშობელი	0,50
შთამომავლობა	0,50
და ან ძმა	0,50
ნახევარდა ან ნახევარძმა	0,25
ბებია ან პაპა	0,25
შვილიშვილი	0,25
ბიძა ან დეიდა	0,25
დისტული ან ძმისნული	0,25
ბიძაშვილი	0,125



**სურ. 34.7.** გენეტიკური კავშირის ხარისხი ნათესავების შორის (ნარმოშობის შედევრად მსგავსება: ერთი და ოგივე გენის ასლის გაჩენის აღძათობა)

ინდივიდის ვარგისიანობას დამატებულ ნათესავების ვარგისიანობას, რაც ნათესაურობის კოეფიციენტის შესაბამისად იზომება, ინდივიდის ერთობლივი ვარგისიანობა ეწოდება. გენის ერთობლივი ვარგისიანობა გარკვეულ მოქმედებაზე პასუხისმგებელი და დონორის მიერ რეპროდუქციულ წარმატებაში შეტანილი წვლილია. დონორის წვლილის გამოთვლისთვის დონორის მოქმედებას და მიმღების მიერ რეპროდუქციული წარმატებაში შეტანილი წვლილის მიმღების მიერ იგივე გენის კოპიოს ქონის ალბათობაზე ნამრავლი უნდა დავუმატოთ. მაშასადამე, ალტრუისული გენის ერთობლივი ვარგისიანობა მის ეგოისტურ ალტერნატივას აჭარბებს, ვიდრე ალტრუიზმის საფასური მიმღების სარგებელზე ნაკლებია. აქედან გამომდინარე, ალტრუიზმის გენეტიკური ფაქტორის ვარგისიანობა დადებითად პოპულაციაში იზრდება, როდესაც დონორისკენ მიმართული ერთი ალტრუისტული მოქმედების საფასური ( $C$ ) მიმღების სარგებლის ( $B$ ) დონორსა და მიმღებს შორის ნათესაურობის კოეფიციენტის ( $r$ ) ნამრავლზე ნაკლებია ანუ  $C < Br$ : ამ უტოლობის გარდაჯმნის შემდეგ ალტრუიზმის ევოლუციის პირობა  $C/B < r$ . საფასური-სარგებლის შეფარდებით მოქმედების ალტრუიზმი იზომება და მისი მნიშვნელობა მიმღებსა და დონორს შორის ნათესაურ კოეფიციენტზე ნაკლები უნდა იყოს. ერთობლივი ვარგისიანობა ახლო ნათესავებს შორის ალტრუიზმის ევოლუციას შესაძლებელს ხდის, ხოლო ეგოისტური მოქმედების ევოლუციას ზღუდავს. როდესაც  $B$  არის მოქმედების დონორის მიერ მიღებული სარგებელი, ხოლო  $C$  - მიმღების საფასური, ახლო ნათესავებს შორის ეგოისტური მოქმედება მხოლოდ  $B > Cr$  ან  $C/B < 1/r$  პირობებში ხდება. სარგებელის საფასურთან შეფარდება ( $C/B$ ) მოქმედების ეგოისტურობის საზომია. რაც უფრო მეტია დონორსა და


მიმღებს შორის ნათესაურობის კოეფიციენტი ( $r$ ), მით უფრო მცირეა ეგოიზმი.

ჰემილტონმა სარგებლის საფასურთან შეფარდების ფორმულა გამოიყვანა და მისი გამოყენება ალტრუისტული და ეგოისტური მოქმედებისას შესაძლებელია. დაგუშვათ, ერთი მოქმედების მიერ დონორის ვარგისიანობაში შეტანილი წვლილია  $w_s$ , ხოლო მიმღების ვარგისიანობაში შეტანილი წვლილია  $w_r$ , მოქმედების მიერ ვარგისიანობაში შეტანილი ჯამური წვლილი იქნება  $w_s + r_i w_r$  ანუ ერთობლივი ვარგისიანობა, ვინაიდან ის დონორისა და მიმღების პერსონალურ ვარგისიანობაში რეალიზებულ კომპონენტებს შეიცავს. თუ დონორის ყველა ურთიერთქმედებისთვის შევკრებთ, მოქმედების მიერ ვარგისიანობაში შეტანილი ჯამური წვლილი იქნება:

$$W = w_s + \sum f_i r_i w_r,$$

სადაც  $f_i$  არის ნათესაურობის  $r_i$  კოეფიციენტის მქონე ინდივიდებთან ურთიერთქმედების პროპორციული რაოდენობა (ეს ფორმულა მხოლოდ მაშინ არის გამოსადეგი, როდესაც განხილული მოქმედების გენები იშვიათია. სხვა შემთხვევაში, შორეულ ნათესავებს ერთი და ოგივე გენის ტარების ალბათობა მაღალი ექნებათ. აქედან გამომდინარე, ფორმულა ყველაზე უფრო მოსახრებელია, როდესაც მოქმედებებს ევოლუციურად სტრატეგიების სახით გამოვთვლით).


თუ მოქმედება ნათესაურობის  $i$  კოეფიციენტის მქონე ინდივიდებისკენ არის მიმართული,  $W > 0$ , როდესაც  $w_s > -r_i w_r$  ან  $w_i > -w_s / r_i$ ,  $w_i$ -სა და  $w_s$ -ს შორის ამგვარი დამოკიდებულება ერთობლივ ვარგისიანობას ზრდის და გრაფიკულად 34.8 სურათზე გამოსახულებრავაგიზენაჩვენებია  $w_s$ -ისდა  $w_r$ -ისდადებითი და უარყოფითი მნიშვნელობები. ასევე ნაჩვენებია



$w_s = -0,5w_i$  წრფე, რომელიც ასახავს მდგომარეობას, როდესაც მიმღები დონორის და ან ძმაა. წრფის მარჯვნივ მდებარე წერტილები შეესაბამება მოქმედებებს, როდესაც დონორის ვარგისიანობაში შეტანილი წვლილი მიმღების ვარგისიანობაში შეტანილი წვლილის ნახევარზე მეტია ( $w_s > 0,5w_i$ ). წრფის მარცხნივ მდებარე წერტილები შეესაბამება მოქმედებებს, როდესაც დონორის ვარგისიანობაში შეტანილი წვლილი მიმღების ვარგისიანობაში შეტანილი წვლილის ნახევარზე ნაკლებია ( $w_s < 0,5w_i$ ). დიაგრამაზე ჩანს, თუ როგორ მიესადაგება ერთობლივი ვარგისიანობის ცნება ალტრუისტულ და ეგოისტურ მოქმედებას. თუ დები და ძმები ურთიერთქმედებენ, სულგრძელობის ევოლუციური ზღვარია  $-w_s < 0,5w_i$ , ხოლო ევოლუციურად დასაშვები ეგოიზმის ზღვარია  $w_s < -2w_i$ . თუ ნათესაურობის კოეფიციენტი  $0,5$ -ზე ნაკლები ხდება, ალტრუისტული მოქმედება ერთობლივ ვარგისიანობას აღარ ზრდის ( $-w_s < r_i w_i$ ) და ეგოისტური მოქმედება უფრო სავარაუდოა ( $w_s < -w_i r_i$ ). იგივე მდგომარეობა 34.9 სურათზე ჩანს.

ნათესავების სელექციის შედეგად ალტრუისტული მოქმედების შენარჩუნებისთვის, ამგვარი მოქმედება მხოლოდ ახლო ნათესავებზე უნდა გავრცელდეს.

**სურ. 34.8.** მოქმედების დონორის და მიმღების ვარგისიანობის ნაზრდების კომბინაცია. დონორს და მიმღებს დაფებითი ერთობლივი ვარგისიანობა აქვს და მათ შორის ნათესაურობის კოეფიციენტია  $1/2$ .



**სურ. 34.9.** დონორსა და მიმღებს შორის ნათესაურობის კოეფიციენტის შემცირება ეგოისტური მოქმედების ერთობლივ ვარგისიანობას ზრდის, ხოლო ალტრუისტული მოქმედების ერთობლივ ვარგისიანობას ამცირებს

ბევრი სახეობის ინდივიდი ოჯახურ ჯგუფებთან არის დაკავშირებული. როდესაც გავრცელება შეზღუდულია, ახლო-ახლო მობინადრე ინდივიდებს შორის ურთიერთქმედება უფრო ხშირია და ისინი ახლო ნათესავები არიან. უფრო მეტიც, ინდივიდები სხვებთან ნათესაობის ხარისხს მაშინაც კი გრძნობენ, როდესაც ოჯახური გამოცდილება არ გააჩნიათ (ჰოგლენდი 1982, ბერტსონი 1983, კარლინი და ჰოლდობლერი 1983, ლესი და შერმანი 1983, კლანი და გამბო 1983, ჰოლმსი და შერმანი 1985, ფლეტჩერი და მიჩენერი 1987, ვალდმანი 1988, პფენიგი და სხვები 1993). ნათესაობის შესახებ არსებული მინიშნებები ქიმიური, აკუსტიკური ან ვიზუალური სიგნალებია, რომლებიც გენეტიკურად კონტროლდება და პოპულაციებში მკვეთრად იცვლება.

### 34.7. რამდენიმე გივევიორის სტული სისტემა განვითარებას ნათესაური გადარჩევის მოქმედებას

ნათესავების სელექცია ცხოველების მოქმედების მრავალ სისტემაში გვხვდება. ამის მაგალითია განგაშის ძახილი და გაფართოებული ოჯახის ორი ასპექტი. გაფართოებულ ოჯახში, შთამომავლობა გარკვეული დროის განმავლობაში მშობლებთან რჩება.

#### განგაშის ძახილი


განგაშის ძახილს გამოსცემს ცხოველი, როდესაც ის მტაცებელს ხედავს ან მტაცებელი იჭერს. პოლ შერმანმა (1977) დაკვირვება კალიფორნიის სიერა ნევადაში მობინადრე ბელდინგის თრიებზე (*Citellus beldingi*) ჩაატარა და დაადასტურა ჰიპოთეზა, რომლის თანამად, ხმელეთის მტაცებლების არსებობისას ატეხილი განგაში ნათესავების სელექციის შედეგია (ჰაერის მტაცებლების არსებობისას ატეხილი განგაში ამდენად მყარი არ არის (შერმანი 1985)). თრიები სოციალური ქმნილებები არიან და მთან დაბლობებში ბინადრობენ, ამიტომ მტაცებლების საფრთხე მაღალია (სურ. 34.10). განგაშის ძახილის



**სურ. 34.10.** ბელდინგის თრია (*Citellus beldingi*) კალიფორნიაში, ტიორგა პასპი.

შედეგად საფრთხე კლებულობს და თრიების ცხოვრებაში ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. შერმანის ალმოჩენით, ხმელეთის მტაცებლებზე განგაშის ამტები ინდივიდები მოზრდილები და ერთნლიანი მდედრები არიან. მამრები და ახალგაზრდა მდედრები ასე არ იქცევიან (სურ. 34.11). მეცნიერმა ასევე აღმოაჩინა, რომ მამრები დაბადების ადგილიდან მოშორებით ვრცელდებან, ხოლო მდედრები ფილოპატრიულები არიან. უფრო მეტიც, მდედრები უფრო ხშირად ტეხე-ენ განგაშს, როდესაც ერთი და იგივე ტერიტორიაზე დიდხანს ბინადრობენ. აქედან გამომდინარე, განგაშის ატეხვა უფრო ისეთ ადგილებს ახასიათებს, სადაც ნათესავები ახლო-ახლო ბინადრობენ.

შერმანის ალმოჩენითვე, ხმელეთის მტაცებლებზე განგაშის ატეხვას გარკვეული საფასური აქვს. როდესაც მტაცებელი თრიების ჯგუფს უახლოვდება, განგაშის ამტები 107 ინდივიდიდან 14-ს თავს ესმის (13%),




**სურ. 34.11.** ბელდინგის თრიის სქესობრივი და ასაკობრივი კლასების მიერ განგაშის ძაბილის მოსალოდნელი და რეალური სიხშირე მტაცებელი ძუძუმწოვრის გამოჩენისას. მოსალოდნელი მნიშვნელობების გამოთვლისთვის დაუშვეს, რომ ინდივიდების ძაბილი მტაცებელი ძუძუმწოვრის გამოჩენისას მათი არსებობის დროისადმი პირდაპირ ციულია.

ხოლო მდუმარე 168 ინდივიდიდან მხოლოდ 8-ს (5%) უნდა მტაცებლის მოგერიება. შერმანის კვლევის შედეგები შესაბამისობაშია მოსაზრებასთან, რომლის თანახმად, ნათესავების სელექცია განგაშის ძახილის ევოლუციაში ფუნქციას ასრულებს.

### გაფართოებული ოჯახები

ადამიანის გაფართოებული ოჯახის ბირთვია წყვილი და მათი ახალგაზრდა შთამომავლობა. იგივე ოჯახში დები და ძმები, ბებია-პაპები, ბიძები და დეიდები, ბიძაშვილები, დისწულები და მმისწულები, ასევე გაურკვეველი ნათესაობის მქონე ინდივიდები შედიან. ამგვარი ოჯახები რთული სოციალური ერთეულებია, რომლებშიც სხვადასხვა სახის სოციალური ურთიერთებულება ხდება. ურთიერთქმედების უმეტესობა თანაბმრომლურია, ხოლო ზოგიერთი კონკურენტულია. ადამიანთა ოჯახების უმეტესობაში ერთზე მეტი წყვილი იშვიათად შედის, ხოლო ოჯახის დამატებითი წყვრების მოქმედების რაღაც ნაწილი ბავშვების კარგად ყოფნისა და აღზრდისკენ არის მიმართული. ცხოველების და მცენარეების ოჯახური ცხოვრება ასე რთული არ არის. ცხოველების ჯგუფების უმეტესობაში შთამომავლობა მშობლებისგან ან ნათესავებისგან დახმარებას არ იღებს, თუ არ ჩავთვლით ემბრიონის კვებისთვის კვერცხში ჩადებულ საკვები ნივთიერებებს. მაშინაც კა, როდესაც მშობლები შვილებზე ზრუნავენ, როგორც ეს ხდება ძუძუმწოვრებში, ფრინველთა უმეტესობასა და სხვა ჯგუფებში, ოჯახი დროებითი მოვლენაა და ზრდისა და ადრეული განვითარების პერიოდში გრძელდება, ხოლო შემდეგ შთამომავლობა განიბნევა და დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებს.

მიუხედავად ზემოთ ნათესამისა, შთამომავლობა მშობლებან გარკვეული პერიოდის განმავლობაში და ზოგჯერ მუდმივადაც რჩება, რა დროსაც გაფართოებული ოჯახი იქმნება. სწორედ ასე ხდება ფრინველთა რამდენიმე ათას სახეობაში, მათ შორის ავსტრალიის თეთრფრთიან *chough-ებში* (*Corcorax melanorhamphos*). ამ სახეობას დახმარები სჭირდება, რათა ახალგაზრდობის გამოზრდა შეძლოს (ჰაინშონი 1995). ამგვარი სახეობებიდან ყველაზე უფრო კარგად შესწავლილი ფლორიდის ლურჯი ჩინკვია (*Aphelocoma coerulescens*), რომლის შთამომავლობა მშობლებთან ერთი ნლით ან უფრო ხანგრძლივი დროით რჩება (ვულფენდენი და ფიცპატრიკი 1984, მამე 1992, ჰეილმენი და სხვები 1994, შოები 1996, შოები და სხვები 1996). ჩინკვის დეტალურმა შესწავლამ აჩვენა, რომ სახლში დარჩენილი ჩინკვები არ მრავლდებიან და მათი ახალგაზრდა დების და ძმების მოვლაში მშობლებს ეხმარებიან. ბევრი მკვლევარი ამგვარ მოქმედებას ანუ „ბუდეში გაწეულ დახმარებას“ აღტრუისტულად მიჩრნება. დამხმარებელი მათი მშობლების რეპროდუქციულ წარმატებას ამაღლებენ და ამიტომ მშობლები შვილების სახლში დარჩენას ეგუებიან.



**სურ. 34.12.** *bee-eater-ის* ალტრუისტული მოქმედებაა, თუმცა სხვა ალტერნატივებზეც არის დამოკიდებული. ლურჯი ჩეიკვის გავრცელების არეალი მჭიდროდ არის დასახლებული და ახალგაზრდა ფრინველებს საკუთარი ტერიტორიების მოპოვების ნაკლები შეანსი აქვთ. ერთი წლის ფრინველები საკუთარ ერთობლივ ვარგისიანობას მშობლების დახმარებით ზრდიან, რა დროსაც გამოცდილებას იძენენ, რაც შემდგომში ვარგისიანობის გაუმჯობესებაში უნდა დაეხმაროთ. სახლში დარჩენას კიდევ ერთი დიდი უპირატესობა აქვს და ეს არის გარდაცვალების შემდეგ მშობლის ტერიტორიის დაუფლება.

აღმოსავლეთ აფრიკაში მობინადრე ბეე-ეატერებში გაფართოებული ოჯახების არსებობა შეინიშნება (ემლენი და სხვები 1995). ეს ოჯახები მრავალი თაობის ნარმომადგენელი ჯგუფებისგან შედგება, ჯგუფებში 3-13-მდე ინდივიდი შედის და მათ შორის 2 ან 3 წყვილია, ხოლო დანარჩენები დაუწყვილებელი ახალგაზრდები ან დაქვრივებული მოზრდილი ფრინველები არიან. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩატარებული კელევა ადასტურებს, რომ ამგვარი სოციალური ჯგუფები გაფართოებული ოჯახებია და ოჯახებში მხოლოდ მონათესავე ინდივიდები და მათი მეწყვილეები შედიან. გაფართოებულ ოჯახებში კავშირების უმეტესობა თანამშრომლურია, თუმცა *bee-eater-ის* ოჯახში ჰარმონიულობას ნაკლებად იპოვით. ეგისტრული და ალტრუისტული მოქმედებები ნათესაურობის ხარისხის მიხედვით სხვა ინდივიდებისკენ არის მიმართული. დებს და ძმებს ნახევარდება თუ ბიძებზე უკეთესად ეპყრობიან, ხოლო ბიძაშვილებთან დამოკიდებულება თითქმის ისეთივეა, როგორიც სხვა ოჯახის ინდივიდებთან (სურ. 34.12). ინდივიდებმა იციან, ვინ არის მათი ნათესავი და ნათესაობის ხარისხის გარჩევაც შეუძლიათ. სახეობებში გავრცელებული დამხმარე და საზიანო მოქმედებების დახმარებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთობლივი ვარგისიანობა სოციალური მოქმედების სელექციის ზუსტი საზომია. ალტრუისტული მოქმედება მხოლოდ ახლო ნათესავებს შორის ხდება და ნათესავების სელექციის შედეგია.

### 34.8. ნათესაური გადარჩევა ჩართულია გამაფრთხილებელი შევისავილობის ეკოლუციიაში

შესაძლებელია თუ არა თანამშრომლური და ალტრუისტული მოქმედება საზოგადოებაში შემავალ უცხო ინდივიდებს შორის? ცხადია, სოციალური ჯგუფები საერთო დაინტერესების მქონე წევრებისგან იქმნება, რომლებიც მტაცებლებისგან თავის დაცვას ან ჯგუფებად ნადირობასა თუ კვებას ცდილობენ. შესაძლებელია თუ არა არანათესაური ინდივიდებისგან შემდგარ ჯგუფებში თანამშრომლობა? ამ შეკითხვის პასუხი სოციალური მოქმედების ევოლუციის ფუნდამენტური საკითხია.

გამაფრთხილებელი შეფერილობა მტაცებელს ატყობინებს, რომ მსხვერპლი უგემურია, შხამიანია ან ორივე ერთად არის. ასეთი შეტყობინება მსხვერპლისთვის სასარგებლოა, თუ პოტენციური მტაცებელი მასში დარწმუნდება. შეტყობინება მტაცებლისთვისაც სასარგებლოა, ვინაიდან ის შეფერილობის აზრს ცნობს და უგუნურ გადაწყვეტილებას არ იღებს. მტაცებელს და მსხვერპლს შეტყობინებების წესები და შესაბამისი გამოძახილები აქვთ ადაპტირებული და ორივე მათგანი ევოლუციურად სტაბილური სტრატეგიაა. მაგრამ როგორ იწყებს სისტემა მოქმედებას? შესაძლებელია თუ არა გამაფრთხილებელი შეფერილობის გამომწვევი გენეტიკური მუტაცია უგემურ მსხვერპლ სახეობაში შემოვიდეს, რომელზეც ვიზუალურად ორიენტირებული მტაცებელი უმოწყალოდ ნადირობს? დაფარულ საზოგადოებაში შემავალი, გამაფრთხილებელი შეფერილობის მქონე ერთი ინდივიდი იოლად გამოჩნდება და მტაცებელი დაიჭრეს. გამაფრთხილებელი შეფერილობა ვარგისიანობას მხოლოდ მაშინ უწყობს ხელს, როდესაც პოტენციურ მტაცებელს მისი მნიშვნელობის გააზრება შეუძლია.

ახალი მუტაციის შემთხვევაში, იგივე იშვიათი გენის მატარებელი სხვა ინდივიდი მშობელი და დამაიქნება. საერთო ნინაპრისგან ნარმოშობილ ინდივიდებს ერთი მშობლიდან ერთი და იგივე უნიკალური გენი ექნებათ. თუ განმაპირობებელი გალიზიანება

შეხედულება	მატლის გავრცელება	
	გაერთიანებული	მარტოსული
აპოსემატიური	9 სახეობა	11
დაფარული	0	44

**სურ. 34.13.** სხვადასხვა ქურცლფრთიანი სახეობების მატლების შეხედულებასა და მათი გაერთიანების ხარისხს შორის დამოკიდებულება

საკმარისად ძლიერია, მტაცებელი შეხედიანი, აპოსემატიური ინდივიდის შეჭმას ცდის, ხოლო ინდივიდის რამდენიმე დისა და მის სიცოცხლე გადარჩება. მუტაცია ერთობლივ ვარგისიანობას ამაღლებს და პოპულაციაში სწრაფად ვრცელდება.

ზემოთ აღნერილი სცენარის განვითარებისთვის საჭიროა, რომ ოჯახის ნევრები ერთად დარჩენენ და ერთი მტაცებლის გამოცდილებამ და-ძმების შეჭმას ხელი შეუშალოს. პეპლებსა და ლამის პეპლებში გამაფრთხილებელი შეფერილობა და მატლების გაერთიანები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული (სილენ-ტალბერგი და ლაიმარი 1988), რაც ეთანხმება მოსაზრებას, რომ ნათესავების სელექცია გამაფრთხილებელი შეფერილობის ევოლუციაში მნიშვნელოვანია (სურ. 34.13). სახეობებში, რომლებიც კვერცხს ბევრ მცენარეზე დებენ, გამაფრთხილებელი შეფერილობა იშვიათია.

### 34.9. თავაშის თეორიის მოძელი გვიჩვენებას, როგორ უძღა ურთიერთობების იდენტიფიკაციის სრულურად დიდ კონტაქტიაში

ეგოიზმი შორეული ნათესავების მოქმედებას განსაზღვრავს. ეგოისტური მოქმედების პარადოქსი სოციუმში ის არის, რომ კონფლიქტი ეგოისტი ინდივიდების რეპროდუქციულ წარმატებას თანამშრომლურ ინდივიდებზე ნაკლებს ხდის. ბუნებრივი გადარჩევა უპირატესობას რეპროდუქციულ წარმატებას ანიჭებს, ამიტომ საზოგადოებებში თანამშრომლობა

უნდა ჩამოყალიბდეს. თუ საზოგადოება თანამშრომლური წევრებისგან შედგება, ეგოისტი ინდივიდი რეპროდუქციულ წარმატებას „ტყუილის“ შედეგად იმაღლებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივი გადარჩევა ყოველთვის ეგოისტურ მოქმედებას უპირატესობას ანიჭებს და სწორედ ეს უშლის ხელს ჯგუფებს თანამშრომლური მოქმედების ზღვარი გადალახოს და ნამდვილი საზოგადოება გახდეს.

### ქორი-მტრედის თამაში

ზემოთ მოყვანილი, პესიმისტური არგუმენტის ლოგიკის ჩვენებისთვის თამაშის თეორიის ანალიზი შეგვიძლია გამოვიყენოთ (სმიტი 1982, მეინარდ სმიტი 1982). ანალიზს ქორი-მტრედის თამაში ეწოდება. დავუშვათ, პოპულაციაში ინდივიდების ორი სახეობა შედის. ერთი სახეობა კონფლიქტურ სიტუაციებში ყოველთვის ეგოისტურად იქცევა, ცდილობს რესურსი მოიპოვოს და გამარჯვების შემდეგ მთელი პრიზი თავისთვის დაიტოვოს. ასე მოქმედებს ქორი (*H*). მეორე სახეობა ანუ მტრედი (*D*) არასდროს იბრძვის პოტენციური რესურსისთვის და რესურსს სხვა მტრედებთან თანაბრად იყოფს. ორ ინდივიდს შორის დაპირისპირებას ყოველთვის აქვს პოტენციური პრიზი ანუ სარგებელი (*B*) და საფასური (*C*). მტრედებისა თუ ქორების მონაგები შეჯიბრის მეორე მონაწილეზე ანუ მის ქორობაზე ან მტრედობაზეა დამოკიდებული (ცხრილი 34.2). მაგალითად, ორი ქორი ყოველთვის იბრძვის და თითოეული საშუალოდ რესურსის ნახევარს იღებს ანუ მონაგებია  $\frac{1}{2}B-C$ . მტრედისა და ქორის დაპირისპირებისას, ქორი მთელ რესურსს საფასურის გარეშე იღებს და მონაგებია *B*. მტრედების შეჯიბრისას მონაგებია  $\frac{1}{2}B$  და საფასური არ გვაქვს.

საშუალო მონაგები (ვარგისიანობაში შეტანილი წვლილი) პოპულაციაში შემავალი ორი სახეობის ინდივიდის პროპორციულ რაოდენობაზეა დამოკიდებული. დავუშვათ,  $p$  არის ქორების პროპორციული რაოდენობა, ხოლო  $(1-p)$  - მტრედების პროპორციული რაოდენობა. მონაგები ასე ნაწილდება: ქორები იღებენ  $p(\frac{1}{2}B - C) + (1-p)B - s$ , ხოლო მტრედები  $\frac{1}{2}(1-p)B$ . მხოლოდ ქორებისგან შემდგარ ( $p = 1$ ) პოპულა-

### ცხრილი 34-2 სარგებელი და საფასური ქორი-მტრედის თამაშში

პირველი მოთამაშის მოქმედება	ქორი	მტრედი	მეორე მოთამაშის პასუხი
ქორი	კონფლიქტის სარგებელი და საფასურია $\frac{1}{2}B - C$		იღებს მთლიან <i>B</i> სარგებელს
მტრედი	სარგებელიც და საფასურიც $0-s$ ტოლია		იყოფს $\frac{1}{2}B$ სარგებელს საფასურის გარეშე

ციაში საშუალო მონაგებია  $\frac{1}{2}B - C$ , ხოლო მხოლოდ მტრედებისგან შემდგარ ( $p = 0$ ) პოპულაციაში საშუალო მონაგები უფრო მეტია და  $\frac{1}{2}B$ -ს ტოლია. სოციალური თვალსაზრისით, მტრედის სტრატეგია უკეთესია. პრობლემა ის არის, რომ მტრედის მოქმედება ევოლუციურად სტაბილური სტრატეგია არ არის. ის ალტერნატიული სტრატეგიის (გრეტიური მუტაციის) ანუ ქორის მოქმედების შემოსვლას წინააღმდეგობას ვერ უნდეს. მტრედების პოპულაციაში შესული ერთი ქორი მტრედების მიერ მიღებულ საშუალო მონაგებზე ორჯერ მეტს იღებს, ვინაიდან ის სხვა ქორებს არ ეჯიბრება. აქედან გამომდინარე, მტრედების სამყაროში ქორის სტრატეგია სწრაფად იმარჯვებს. გარდა ამისა, ქორების პოპულაცია მტრედების შესვლას ეწინააღმდეგება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კონფლიქტის საფასური სარგებელზე ბევრად მეტია. ამ შემთხვევაში, მტრედები ქორების პოპულაციაში არსებობას ახერხებენ, ვინაიდან ქორები ერთმანეთს ებრძინან და მტრედებისთვის არ ცალიათ. როდესაც  $p$  ერთს უახლოვდება (ქორების პოპულაცია), ქორების მონაგებია  $\frac{1}{2}B - C$ , ხოლო მტრედების მონაგებია 0. მაშასადამე, ქორის მოქმედება ევოლუციურად სტაბილური სტრატეგიაა, ვიდრე  $B > 2C$ . როდესაც სარგებელი კონფლიქტის საფასურზე ორჯერ ნაკლებია, მტრედები ქორების პოპულაციაში შესვლას ახერხებენ და საბოლოოდ ქორებისა და მტრედების შერეული საზოგადოება მიიღება, რომელშიც მტრედების პროპორციული რაოდენობა ( $p$ )  $\frac{1}{2}B/C$ -ს ტოლია. ქორი-მტრედის თამაში არანათესაურ ინდივიდებს შორის თანამშრომლური მოქმედების ჩამოყალიბების სირთულეზე მიუთითებს.

### ურთიერთალტრუიზმი

ალტრუიზმის ევოლუციის შეზღუდვის დაძლევის ერთი გზა ურთიერთალტრუიზმის სტრატეგიაა, როდესაც ინდივიდი მტრედებთან თანამშრომლობს (ალტრუისტულია), ხოლო ქორებს ებრძინის (ტრივერსი 1971, 1985). ამ ინდივიდის მოქმედება პოპულაციაში შემავალი სხვა ინდივიდების მოქმედებაზეა დამოკიდებული. ამგვარ სტრატეგიას იგივეს დაბრუნებაც ეწოდება. ურთიერთალტრუიზმის საშუალო მონაგები მტრედი-ქორის თამაში არის  $p(\frac{1}{2}B - C) - \frac{1}{2}(1-p)B$  ან  $\frac{1}{2}B - pC$ . ამონაგები ყოველთვის მტრედზე მეტია და ქორზე ნაკლებია. აქედან გამომდინარე, ურთიერთალტრუიზმი ძლიერი სტრატეგიაა, თუ მტრედებისა და ქორების შერეულ პოპულაციაში შესვლა და დომინირება შეუძლია.

როგორ მოქმედებენ ალტრუისტები ერთმანეთთან? ორი ინდივიდის პირველი შეხება მომავალში მომხდარ ყველა ურთიერთექმედებას განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, თანამშრომლური საზოგადოება მხოლოდ მაშინ ყალიბდება, როდესაც ინდივიდები თა-ვიდან თანამშრომლობენ, ვიდრე არ გაირკვევა, რომ

ერთ-ერთი ინდივიდი ალტრუისტული არ არის. ურთიერთალტრუიზმი პოპულაციაში თანამშრომლობას იწვევს. ალტრუისტები კარგი ბიჭები არიან და მატყუარებიც არ უყვართ.

ურთიერთლატრუიზმი ალტრუისტული მოქმედების ევოლუციის მოდელია და ინდივიდებს შორის ხანგრძლივ ურთიერთობას ეფუძნება, როდესაც ინდივიდი სხვის მოქმედებას აკვირდება და ამის შესაბამისად იქცევა. ინდივიდის შეცნობა და ალტრუისტული მოქმედების მაღალი ალბათობა ურთიერთალტრუიზმის ევოლუციის აუცილებელი პირობებია. ეს პირობები ფრინველებსა და ძუძუმნოვარი ცხოველების რამდენიმე სახეობაში სრულდება, როდესაც ინდივიდები სრულიად უცნობ სხვა ინდივიდებს კვებავენ. ამ მოქმედებას *alloparental care* ეწოდება და ადაპტაციურია, თუ ამგვარი მზრუნველობის მიმღებები დონორს ნათესავად ალიქვამენ და შემდეგ საჭიროების შემთხვევაში დონორს დახმარების ხელს უწვდიან. პროცესს ცრუნათესაურობა ეწოდება (კონორი და კარი 1995).

ურთიერთალტრუიზმი ყველაზე უფრო კარგად გამპირ დამურებში გამოიხატება, როდესაც კარგად გამოკვებილი ინდივიდები სისხლიან საკვებს სხვა ინდივიდებს უნანილებებ (ვილკინსონი 1984). ვამპირი დამურები პატარა ჯგუფებად ბინადრობენ და ჯგუფის შემადგენლობა რამდენიმე თვის ან წლის განმავლობაში სტაბილურია. ინდივიდები ერთმანეთს კარგად იცნობენ და ნაკლებად თანამშრომლურად განწყობილ ინდივიდებს თავიდან იოლად იშორებენ. ვამპირი დამურების მხოლოდ 10% ვერ ახერხებს დამის განმავლობაში ჭამას, ამიტომ საჭმლის გაყოფას დიდი საფასური არ აქვს, თუმცა მშეირი ინდივიდების გადარჩენისთვის აუცილებელია.

ურთიერთალტრუიზმის კიდევ ერთი პირბლემა ის არის, რომ მას ურთიერთექმედი პარტნიორების არსებობა სჭირდება, ხოლო როდესაც ასეთი ინდივიდები იშვიათია, ვარგისიანობა მცირეა. ალტრუისტული გენი არაურთიერთექმედ პოპულაციაში ძნელად შედის. მიუხედავად ამისა, ურთიერთალტრუიზმი ევოლუციურად სტაბილური სტრატეგია შეიძლება იყოს და ეს პიპოთეზა აქსელროდმა და ჰემილტონმა (1981), სმიტმა (1982) და აქსელროდმა და დიონმა (1988) თამაშის თეორიის ანალიზის დახმარებით დაამტკიცეს. დავუშვათ, პოპულაცია სამი გენოტიპისგან შედგე-

		მიმღების სტრატეგია		
		მიღება	შეთავაზება	ურთიერთექმედება
დონორის	მიღება	0	2	0
	შეთავაზება	-1	1	1
სტრატეგია	ურთიერთექმედება	0	1	1

**სურ. 34.14.** ურთიერთალტრუიზმის თამაშის თეორიის ანალიზში არსებული საფასური

ბა და ესენია: 1) ეგოისტი ინდივიდები, რომლებიც ყველაფერს იღებენ და ვარგისიანობა ორი ერთეულია (*A* სტრატეგია); 2) ალტრუისტი ინდივიდები, რომლებიც დახმარებას ერთი ერთულის ხარჯზე გასცემენ (*O* სტრატეგია); 3) ურთიერთქმედი ინდივიდები (*R*), რომელთა დამოკიდებულება ინდივიდთან თავად ინდივიდის უანასკნელ მოქმედებაზეა დამოკიდებული. ორ ინდივიდს შორის ურთიერთქმედების მონაგების მატრიცა 34.14 სურათზეა გამოსახული. სამივე ტიპის ინდივიდებისგან შემდგარ პოპულაციაში ვარგისიანობებია  $W_A > W_R > W_O$ . როდესაც ალტრუისტები პოპულაციიდან გამოირიცხებიან, მონაგების მატრიცა მცირდება, ურთიერთქმედი ინდივიდები მიმღებებზე უბირატესობას იძენენ და ურთიერთალტრუიზმი ჭარბობს. მხოლოდ მიმღებებისგან შემდგარ პოპულაციაში, ურთიერთქმედი ინდივიდები ვარგისიანობაზე დადებით ზეგავლენას ვერ ახდენენ. აქედან გამომდინარე, ურთიერთალტრუიზმის ევოლუციისთვის რაიმე მექანიზმია საჭირო, რომელიც ურთიერთქმედი ინდივიდების პროპორციულ რაოდენობას იმ დონეზდე გაზრდის, როდესაც ისნი ერთმანეთისთვის კარგის გაკეთებას შეძლებენ. ამ პირობის შესრულება საკმაოდ რთულია, ვინაიდან ურთიერთალტრუიზმი რთული სტრატეგიაა და ადრე მიღებულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

პატარა ოჯახურ ჯგუფებსა და სოციალურ ჯგუფებში თანამშრომლური და ალტრუისტული მოქმედების ევოლუციის მექანიზმები არსებობს. აბალანსებს თუ არა ამგვარი მოქმედები ინდივიდის უნივერსალურ ეგოიზმს ჯერ კიდევ გასარკევია. ურთიერთალტრუიზმის და თანამშრომლობის მექანიზმები ჩვენს კულტურასა და სოციალურ ინსტიტუტებში ჩანერგილია, მაგრამ ტყუილი და ეგოიზმი ასევე ფართოდ არის გავრცელებული. სოციალური მოქმედების კვლევა ეგოიზმის და ჯგუფის ინტერესს შორის დაპირისპირებას ავლენს. კონფლიქტი ყველაზე უფრო ძლიერი მშობელსა და შთამომავლობას შორისაა.


#### 34.10. მშობელთა იცვესტიციების ოპ-ტივალური დონე ვაიძლევა განსევავდებოდას მშობლებისა შვილებისთვის

შვილები მშობლებს პასიურად არ ელოდებიან და მათგან მზრუნველობას ითხოვენ. ახალგაზრდა ცხოველები საჭმელს თხოულობენ, ხოლო კვერცხი საკვებ ნივთიერებებს დედის სისხლიდან ან საკვერცხების ქსოვილებიდან იღებენ. მშობლის და შვილის ვარგისიანობის ინტერესები ემთხვევა. როდესაც შთამომავლობა თავს კარგად გრძნობს, ასევეა მშობლის გენებიც. როდესაც შთამომავლობის მიერ რესურსების ეგოისტურად დაგროვება მშობლების რეპროდუქციულ ნარმატებას ამცირებს, მშობლისა და შვილების კონფლიქტი ხდება. ტრივერსმა (1974) მშობლისა და შვილების კონფლიქტს თეორიული საფუძველი პირველმა დაუდო. მშობლიური მზრუნ-

ველობის თითოეული აქტი შთამომავლობისთვის სასარგებლოა, ვინაიდან მისი სიცოცხლისუნარიანობა იზრდება, თუმცა მშობელი გარკვეულ საფასურს იღებს, რაც მომავალ თაობაზე უარყოფითად აისახება. ერთ თაობაზე განაწილებული რესურსი სხვა თაობას ვერ გადაეცემა. მშობლიური მზრუნველობის გახანგრძლივება მომდევნო თაობის წამოსვლას აყოვნებს. შთამომავლობაზე ზრუნვასთან დაკავშირებული რისკები ამცირებს ალბათობას, რომ მშობელი შემდეგი თაობის გამოზრდას შეძლებს. აქედან გამომდინარე, მშობელსა და მომავალ რეპროდუქციულ ნარმატებას შორის ყოველთვის კონფლიქტია. შთამომავლობა ამ კონფლიქტის გადაჭრას თანამედროვე რეპროდუქციული ნარმატების (ანუ საკუთარი თავის) სასარგებლოდ ცდილობს. მშობლები სარგებელს მათი წვლილის უფრო თანაბრად განაწილების შედეგად იღებენ.

მშობლის თვალთახედვით, შთამომავლობის ყველა წევრი გენეტიკურად თანაბარია და მათი გამორჩევა არ შეიძლება. შვილების თვალსაზრისით, თითოეულ მათგანს საკუთარ დაზე ან ძმაზე ორჯერ მეტი გენეტიკური ღირებულება აქვს, ვინაიდან მისი და ან ძმა ინდივიდის გენების მხოლოდ ნახევარს ატარებს. აქედან გამომდინარე, როდესაც ინდივიდი მშობლიური მზრუნველობის გამაძლიერებელ გენეტიკურ ფაქტორს ფლობს, ამ თვისებას უპირატესობა მანამდე აქვს, ვიდრე მშობლის მიერ გადახდილი საფასური ინდივიდის მიერ მიღებული სარგებლის ორჯერ ნამრავლზე ნაკლებია. სწორედ ეს არის ეგოისტური მოქმედების ზღვარი ნათესავების სელექციისას.

შთამომავლობა ვითარდება და თვითკმარი ხდება, რის შედეგადაც მზრუნველობის გაგრძელების სარგებლის საფასურთან შეფარდება მცირდება (სურ. 34.15). მშობლის მოქმედების საფასური შთამომავლობის ასაკთან



**სურ. 34.15.** მშობლიური მზრუნველობის აქტის სარგებლის საფასურთან შეფარდება შთამომავლობის ასაკის ზრდასთან ერთად მცირდება. შთამომავლობის ყველა ინდივიდის მშობლისთვის თანაბარი გენეტიკური ღირებულება აქვს, ამიტომ მშობლები მომავალი თაობის გაჩენაზე მაშინ გადაერთვებიან, როდესაც სარგებლის საფასურთან შეფარდება 1-ზე ნაკლები ( $P$  ასაკში) გახდება. დებსა და ძმებს შორის ნათესავრობის კოეფიციენტი 0,5 და ერთობლივი გარგისიანობის არგუმენტების თანახმად, შთამომავლობა მშობლიურ მზრუნველობას მანამდე ითხოვს გიდრე სარგებლის საფასურთან შეფარდება 0,5-ის ტოლია ( $O$  ასაკი). განსხვავებება მშობელსა და შთამომავლობას შორის კონფლიქტური რეგიონის (გამუქებული ფართობი) გაჩენას იწვევს.

ერთად ოდნავ იცვლება, ხოლო როდესაც ახალგაზრდა მწიფდება და საკუთარ თავს უკეთესად უვლის, მშობლიური მზრუნველობის სარგებელი კლებულობს. როდესაც სარგებელის საფასურთან შეფარდება 1-ზე ნაკლებია, მშობელი მზრუნველობას წყვეტს და მომავალი თაობის გაჩენაზე გადაერთვება. დავუშვათ, შთამომავლობას მშობლიური მზრუნველობის მოთხოვნის გამაძლიერებელი გენი აქვს. შთამომავლობის ერთობლივი ვარგისანობა მშობლიური მზრუნველობის საფასურს უყურადღებობის საფასურის ნახევრით ამცირებს, მშობლიური მზრუნველობა მანამდე უნდა გაგრძელდეს, ვიდრე სარგებლის საფასურთან შეფარდება 0,5-ია. შეფარდება კიდევ უფრო ნაკლები უნდა იყოს, როდესაც შთამომავლობაში ნახევარდები და ნახევარდები შედიან. აქედან გამომდინარე,  $B/C=1$  ასაკსა და 0,5-ის ასაკს შორის პერიოდი მშობელსა და შვილს შორის კონფლიქტის პერიოდია.

მოზრდილი ასაკის ადამიანები მშობლებთან კონფლიქტი ხდებიან, თუ ისინი მათთან ერთად ცხოვრებას განაგრძობენ. ბიოლოგების აზრით, იგივე ტიპის კონფლიქტი ძუძუმწოვარი ცხოველებისა და ფრინველების ბევრ სახეობაში გვხვდება. ზოგჯერ ახალგაზრდებს საკუთარ თავზე ზრუნვა შეუძლიათ და მშობლებს საკეცს ართმევენ. კიითხველმა შესაძლოა იფიქროს, რომ კონფლიქტი მშობლებს უპირატესობა აქვთ, მაგრამ მშობლები ჯერ კიდევ მზარდი და დამოკიდებული ინდივიდების მოთხოვნებზე დადებითად რეაგირებენ და ამისთვის ადაპტირებულნი არიან. ახალგაზრდული შეხედულების და მოქმედების შედეგად, შთამომავლობა მშობლების პასუხისმგებლობით სარგებლობს და მშობლიურ მზრუნველობას იხანგრძლივებს.

### 34.11. ეუსოციალური მცენაბის თანაზაზოგადობის დაყვარებული და გამომდინარე და გამომდინარე


ტერმიტების, ჭიანჭველების, ფუტკრების და კრაზანების რთული თანასაზოგადოებები ეკოლოგებისთვის გამოწვევაა, ვინაიდან მათში არარეპროდუქციული

კასტები არსებობს (ბროკმანი 1984, ვესტ-ებერჰარდი 1981, ჩო და კრესპი 1997). ეკოლოგებს შორის მწერებისა და სხვა ფეხსახსრიანების სოციალურ სისტემებთან დაკავშირებული ტერმინოლოგის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს (უილსონი 1971, შერმანი და სხვები 1995, კრესპი და ჩო 1997). კრესპის და იანეგას (1995) სქემაში ხუთი განსხვავებული სოციალური სისტემა არსებობს და ისინი სოციალური მოქმედების ევოლუციის პროგრესირებად საფეხურებზე არიან (ცხრილი 34.3). ქვესოციალურ სისტემებს მშობლიური მზრუნველობა ახასიათებს. კოლონიურ საზოგადოებებში გამრავლების ადგილებს რამდენიმე მდედრი იყოფს და თითოეული თავის შთამომავლობას ცალკე უვლის. გ. უეცმა და მისმა კოლეგებმა დაახლოებით 10 ნილის განმავლობაში კოლონიური, ქსელის მქსოველი ობობა *Metepeira incrassata* გამოიკვლიეს და მისი შედეგები კოლონიური სისტემების გაზრებასთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა. ობობები მარტოსულად და კოლონიებში ბინადორებენ. კოლონიებში მობინადრე ობობები უფრო დიდი რაოდენობით მსხვერპლს იჭერენ და მსხვერპლის სახეობაც ნაკლებად ცვალებადია (რიპსტრა 1989, უეცი 1988, სპილერი 1992). *Metepeira*-ს კოლონიები მტაცებლებსა და პარაზიტოდესაც იზიდავენ (სპილერი და შონერი 1989, ჰიბერი და უეცი 1990, უეცი და ჰიბერი 1994), რაც კოლონიური არსებობის საფასურია. საფასური ბალანსდება, ვინაიდან კოლონიებში მობინადრე ობობები მტაცებლობისგან უფრო დაცულნი არიან (რეიორი და უეცი 1990, 1993).

კომუნალური, თანამშრომლური დაწყვილების და ეუსოციალური სისტემები სხვადასხვა ინდივიდებს შორის მშობლიურ მზრუნველობაში თანამშრომლობის ზრდადი კონტინუუმის გასწროვ მდებარეობს, ფუნქციების განაწილება და მზრუნველობაზე სპეციალიზაცია იზრდება. კომუნალური სახეობის ინდივიდები ახალგაზრდობას ერთად უვლიან და თანამშრომლურად დაწყვილებულ სახეობებში ფუნქციების დაყოფა ხდება. ეუსოციალურ სისტემებში შემავალი ინდივიდები შეუქცევადად მოქმედებენ (კრესპი და იანეგა 1995). ეუსოციალურობა ტერმიტებში (*Isoptera*), ჭიანჭველებში, ფუტკრებში და კრაზანებში (*Hymenoptera*)

### ცხრილი 34-3 ფეხსახსრიანების სოციალური სისტემების ტიპები

საზოგადოების ტიპი	შთამომავლობაზე ზრუნვა	გამრავლების საერთო ადგილი	თანამშრომლობა შთამომავლობაზე ზრუნვისას	შთამომავლობაზე <i>Alloparental</i> ზრუნვა	სახეობები
ქვესოციალური	+				
კოლონიური	-	+			
კომუნალური	+	+	+		
თანამშრომლური დაწყვილება	+	+	+	+	
ეუსოციალური	+	+	+	+	+



**სურ. 34.16.** რამდენიმე სახეობის ჭიანჭველის სახეობებს შორის ცვალებადობა. ეპიროპულ სოციალურ პარაზიტ *Anergates atralulus*-ის ა) ქალწული დედა და ბ) ბებერი, კვერცხისმდებელი დედა. გ) თაფლის შემგროვებელი მექსიკური ჭიანჭველა *Myrmecocystus melliger*-ის კარგად გამოკვებილი მუშა. დ)-თ) აფრიკული მოხტატიალე ჭიანჭველა *Dorylus nigricans*-ის ბრძან მუშა, ფრთანი მამრი და ბრძან და უფრთო დედა.

გვხვდება, თუმცა ეუსოციალურობის ელემენტები ობობის ზოგიერთ სახეობაში და აფრიკულ *mole rat*-შიც გვხვდება.

მწერების ეუსოციალური საზოგადოების რთულ ორგანიზაციაში ერთი და რამდენიმე კვერცხისმდებელი მდედრები დომინირებენ, რომელთაც დედები ენოდებათ. დედის არარეპროდუქციული შთამომავლობა საჭმელს აგროვებს და დებისა და ძმების განვითარებაზე ზრუნავს, რომლებიც სქესობრივად მნიშვნელიანია, კოლონიას ტოვებენ და ახალ კოლონიებს აარსებენ. მწერების საზოგადოებების უმეტესობა უზარმაზარი გაფართოებული ოჯახებია.

ბიოლოგების აზრით, ფუტკრებში, კრაზანებსა და ჭიანჭველებში ეუსოციალურობა დამოუკიდებლად განვითარდა. ეუსოციალურობამდე მისვლის გზა ნათელი არ არის. ევოლუციური საფეხურების საყოველთაოდ მიღებული მიმდევრობაში მშობლიური მზრუნველობის ხანგრძლივი პერიოდი შედის, როდესაც მშობლები ბუდეს იცავენ ან მატლებს ფრინველების მსგავსად კვებავენ. თუ მშობლები პირველი შთამომავლობის გაზრდის შემდეგ ცხოვრებას და კვერცხისდებას განაგრძობენ, მაშინ მათი შთამომავლობა შემ-

დგომი თაობის გაზრდაში ხელს შეუწყობთ. თაობების ამგვარი გადაფარვა მწერებში გავრცელებული არ არის, ხოლო ხანგრძლივი მშობლიური მზრუნველობა ეუსოციალურობის ჩამოყალიბების აუცილებელი ინგრედიენტია. როდესაც შთამომავლობა გაზრდის შემდეგაც მშობელთან რჩება, ის საკუთარ რეპროდუქციულ ფუნქციას თავს ანებებს და მხოლოდ მშობლის გამრავლებაზე ზრუნავს (სეგერი (1991) სოციალური ორგანიზაციის ევოლუციის შესახებ არსებულ მოსაზრებებს მიმოიხილავს).


ფუტკრების საზოგადოებების ორგანიზაცია მარტივია. მდედრები სტერილურ მუშათა სახეობად და რეპროდუქციულ სახეობად იყოფიან, რომელიც სეზონურად იქმნება. ინდივიდის რომელიმე სახეობისთვის მიეკუთვნება განვითარებადი მატლისთვის საკვების მიწოდების ხარისხზეა დამოკიდებული (ლაითი 1942, 1943). სტერილური სახეობების დიფერენციაცია გარემო ფაქტორების შედევრია (ბრაიანი 1979, 1980). სქესობრივი ფორმების განვითარების შეფეხება დედის მიერ წარმოქმნილი ნივთიერების მატლისთვის მიწოდებითაც შეიძლება იყოს გამოწვეული. მუშა ფუტკარი რეპროდუქციული მდედრის განვითარების



**სურ. 34.17.** ფოთლისმჭრელი ჭიანჭველები ბუდეს უპრუნდებიან. ფოთლის ნაკუნზე პატარა მუშა ჭიანჭველა ზის

ერთ-ერთი ეტაპია, როდესაც განვითარება სქესობრივ მომწიფებამდე წყდება. ჭიანჭველების და ტერმიტების კოლონიებში მუშა სახეობების უწყვეტი გრადაცია ხდება. გრადაცია კოლონიის გამოკვებაზე პასუხისმგებელი პატარა ზომის ინდივიდებიდან დაუპატიჟებელი სტუმრების-გან დაცვაზე პასუხისმგებელ, დიდი ზომის ინდივიდებამდე გრძელდება (ოსტერი და უილსონი 1978; სურ.

34.16). ფოთლისმჭრელ ჭიანჭველებში (*Atta*) ზოგჯერ დიდი ზომის მუშებს ფოთლის ნაწილები მიაქვთ და მათზე პატარა ზომის მუშები ზიან. პატარა ზომის მუშები პარაზიტულ ბუზებს განდევნიან (სურ. 34.17). მწერების საზოგადოებებში შემავალ მუშებს მოცემულ დროს გარკვეული ფუნქცია აქვთ, თუმცა ფუნქცია მუშის ასაკთან ან კოლონიის მდგომარეობასთან ერთად იცვლება. აშშ-ს სამხრეთ-დასავლეთის უდაბ-



**სურ. 34.18.** ჭიანჭველა-მომკალის (*Pogonomyrmex barbatus*) მუშის ოთხი სახეობის მიერ განვლილი ტრაექტორია ბუდის გარეთ. ბ) ფუნქციების ცვლილება ბუდის მდგომარეობის შეცვლისას

ნოებში მცხოვრები ჭიანჭველა-მომქლების მუშების ხუთი სხვადასხვა სახეობა არსებობს და ესენია: ბუდის შიგნით მომუშავე (პატარებზე ზრუნვა, ბუდის აგება, თესლის შენახვა) ჭიანჭველები, შუალედური მუშა ჭიანჭველები, მკვებავი ჭიანჭველები, პატრულები და ბუდის ზედაპირზე მომუშავე ჭიანჭველები (სურ. 34.18ა). ბუდის მდგომარეობის შეცვლა ჭიანჭველების ფუნქციების შეცვლას იწვევს. მაგალითად, საკვების ხელმისაწვდომობის შედეგად, შუალედური მუშები, ბუდის ზედაპირზე მომუშავე ჭიანჭველები და პატრულები კვებაზე გადადან. უცხო ჭიანჭველების შემოჭრის საფრთხის შედეგად, ბუდის ზედაპირზე მომუშავე ჭიანჭველები პატრულებად იქცევიან და კოლონიას იცავენ (სურ. 34.18ბ).

ფუტკრების, ჭიანჭველების და კრაზანების საზოგადოებებისგან განსხვავებით, ტერმიტების კოლონიების სათავეში დედოფლისა და მეფის წყვილია, რომელიც სქესობრივი გამრავლების შედეგად მუშებს წარმოშობს. მუშები მდედრები და მამრები არიან, თუმცა მეფის ან დედოფლის გარდაცვალებამდე არც ერთი სქესობრივად არ მნიშვნელობა. ჭიანჭველების, ფუტკრების და კრაზანების კოლონიების შემქმნელი დედები სიცოცხლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ წყვილდებიან და შთამომავლობის შექმნისთვის საჭირო სპერმას მუდმივად ინახავენ. შთამომავლობის რაოდენობა 10-15 წლის განმავლობაში ზოგჯერ მილიონსაც აღწევს. წინა თავიდან გამომდინარე, სიფრიფანაფრთიანებს სქესის განმსაზღვრელი ჰაპლოდიპლოიდური მექანიზმი აქვთ და ყველა მუშა განაყოფიერებული კვერცხიდან გაჩენილი მდედრია.